გიორგი ცოცანიძე
ნანა ლოლაძე
ქეთევან დათუკიშვილი

# ქართული ლექსიკონი

ლექსიკოგრაფიის ინსტიტუტი

გაკუნ სულაკაურის
გამომცემლობა

# ქართული ლექსიკონი

მომზადებულია „ლექსიკოგრაფიის ინსტიტუტში“
„ბაკურ სულაკაურის გამომცემლობისა“ და
„ინტერნეტის განვითარების ჯგუფის“
ფინანსური ხელშეწყობით.

პროექტის ხელმძღვანელი:
**თეა ქიტოშვილი**

შემდგენლები:
**გიორგი ცოცანიძე**
**ნანა ლოლაძე**
**ქეთევან დათუკიშვილი**

ზმნური ფორმების საძიებლის შემდგენელი:
**ქეთევან დათუკიშვილი**

ლექსიკონზე მუშაობდნენ:
**ლევან ბრეგაძე**
**ნინო დათეშიძე**
**ციცინო კვანტალიანი**
**მანანა კვასხვაძე**
**მარინე კიკონიშვილი**
**ნოდარ ლადარია**
**რუსუდან ლანდია**
**ივლიტა ლობჯანიძე**
**ნათია ნაფეტვარიძე**
**მერი ნებიერიძე**
**ნინო ჭუმბურიძე**

მონაცემთა ბაზების ადმინისტრატორი:
**მერაბ ზაკალაშვილი**

ილუსტრატორი:
**დავით მაჭავარიანი**

დამკაბადონებელი:
**გიორგი კეცხლიშვილი**

რეცენზენტები:
**შუქია აფრიდონიძე**
**ლევან ბერძენიშვილი**

ISBN 978-9941-15-854-4

© ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, 2014

შპს „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“
დავით აღმაშენებლის გამზ. 150, თბილისი 0112
ელფოსტა: info@sulakauri.ge

# სარჩევი

წინასიტყვაობა ..... 5

სალექსიკონო სტატიის სტრუქტურა ..... 6

ლექსიკონის აგებულება ..... 8

შემოკლებები ..... 16

ანბანი ..... 16

ა - ჰ ..... 17

დანართი

I. ზმნური ფორმების საძიებელი ..... 801

II. გეოგრაფიული სახელების საძიებელი ..... 919

III. რიცხვითი სახელების საძიებელი ..... 923

ლექსიკოგრაფიული წყაროები ..... 924

# წინასიტყვაობა

„ქართული ლექსიკონი“ არის ქართული ენის პირველი ილუსტრირებული სასწავლო განმარტებითი ლექსიკონი. იგი განკუთვნილია მათთვის, ვისაც ქართული ენის შესწავლა, ცოდნის გაღრმავება და სრულყოფა სურს. ლექსიკონის საშუალებით მომხმარებელს შეუძლია როგორც სიტყვათა მნიშვნელობების გაგება, ისე მათი მართებულად გამოყენება შესაბამის კონტექსტში.

„ქართული ლექსიკონი“ მოიცავს თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის აქტიურ სიტყვიერ მარაგს. მასში ასახულია ნეოლოგიზმები, რომლებიც გაჩნდა ენაში უკანასკნელ ათწლეულებში ქვეყანაში მიმდინარე სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკურ-კულტურული მოვლენების შედეგად.

ლექსიკონში სიტყვები განმარტებულია ნათელი, მარტივი ენით. არ გამოიყენება ისეთი ლექსიკური ერთეულები, რომლებიც ნაკლებ აქტიურია, ვიდრე განსამარტავი სიტყვა.

„ქართულ ლექსიკონში“ მოცემულია თანამედროვე ქართული ენის ნორმების მიხედვით მართებული ფორმები. ლექსიკონი სასწავლო დანიშნულებისაა, ამიტომ ზოგიერთ სალექსიკონო ერთეულთან მითითებულია ყველაზე გავრცელებული მოსალოდნელი ორთოგრაფიული შეცდომები და პარონიმები.

ლექსიკონი შედგება ძირითადი ნაწილისა და დანართისაგან, რომელშიც წარმოდგენილია: I. ზმნის პირიანი ფორმების საძიებელი, II. გეოგრაფიული სახელების საძიებელი და III. რიცხვითი სახელების საძიებელი.

„ქართულ ლექსიკონში“ 25 ათასზე მეტი სალექსიკონო ერთეულია, განმარტებულია 9 ათასამდე ნაწარმოები სიტყვა და ფრაზა, მოცემულია 29 ათასამდე ზმნური ფორმა. ამდენად, მომხმარებელს შეუძლია ინფორმაციის მიღება 60 ათასზე მეტი სიტყვისა თუ სიტყვაფორმის შესახებ.

ლექსიკონის შედგენისას გათვალისწინებულია ლექსიკოგრაფიის თანამედროვე ტენდენციები. ტრადიციულ წყაროებთან ერთად, გამოყენებულია ელექტრონული ტექსტები, სახელდობრ, ინტერნეტში განთავსებული და „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობაში“ არსებული ტექსტური რესურსები. გრამატიკული ინფორმაციის დიდი ნაწილი ავტომატურად შეივსო ქართული ენის მორფოლოგიური პროცესორის დახმარებით; შეიქმნა სპეციალური კომპიუტერული პროგრამა, რომლის საშუალებითაც სალექსიკონო მასალა მომზადდა მონაცემთა ბაზების სახით. გარდა ამისა, პროგრამის დახმარებით ნაწილობრივ ავტომატურად განხორციელდა მთელი რიგი ლექსიკოგრაფიული სამუშაოებისა: ლექსიკონის ფორმატის შექმნა, რედაქტირება და სხვ.

# სალექსიკონო სტატიის სტრუქტურა



**ვაუბატონი** *ვაჟბატონის* ირონ. კაცი, ვაჟი. *ერთი ამ ვაუბატონს დამიხედეთ!*

ემოციური ელფერი

**ავარდნილი** *ავარდნილის* I. რაც ავარდა. *ავარდნილი ალი.* 2. საუბრ. უსაქმური, მოჩხუბარი. *ავარდნილი ბიჭები.*

ნათესაობითი ბრუნვის ფორმა

სიტყვის გამოყენების სფერო

**ზელა** *ზელის* (ზელს, აზელს, იზელს, უზელს, იზილება, აზელინებს) I. ↑ აზელა. *თიხასავით იზილება.* 2. ↑ მოზელა. *ცომს დიდხანს უნდა ზელა. ხელით ზელს.* 3. ↑ დაზელა. *ავადმყოფს საფეთქლებს უზელს.*

ზმნის პირიანი ფორმები

განმარტების სანახავად სხვა სიტყვაზე გაგზავნა

**მთამსველელი** *მთამსველელის* სპორტსმენი, რომელიც მაღალ მთებზე, მწვერვალებზე ადის. *ცნობილი მთამსველელი.* = ალპინისტი

სინონიმი

პარალელური ფორმა

**ორიოდ** || ორიოდე. *მშენებლობა ორიოდ თვეში დამთავრდება.*

**სხვაგვარი** *სხვაგვარის* განსხვავებული, სხვანაირი. *სხვაგვარი გრძნობა.* ▲ სხვაგვარად ზმნიზ. სხვანაირად, სხვა სახით, განსხვავებულად. *სხვაგვარად ფიქრობს.*

ზმნიზედის ფუნქციით გამოყენებული ბრუნვის ფორმები

**აბსოლუტური** *აბსოლუტურის* სრული, ყოვლისმომცველი. *აბსოლუტური ძალაუფლება. აბსოლუტური სიჩუმე.* შეცდომაა აბსოლიტური.

მცდარი ფორმა

**ცივილიზებული** *ცივილიზებულის* კულტურული და პოლიტიკური განვითარების მაღალ დონეზე მყოფი. *ცივილიზებული ქვეყნები. ცივილიზებული საზოგადოება.* პარონიმი ცივილური.

# ლექსიკონის აგებულება

**სალექსიკონო ერთეული.** სალექსიკონო ერთეულები დალაგებულია ანბანურ რიგზე. სახელები მოცემულია მხოლობითი რიცხვის სახელობითი ბრუნვის ფორმით, ზმნები – საწყისის სახით. სალექსიკონო ერთეული გამოყოფილია მუქი ლურჯი შრიფტით.

**გრამატიკული ინფორმაცია.** სალექსიკონო ერთეულს მოსდევს გრამატიკული ფორმები: სახელებთან მითითებულია მხოლობითი რიცხვის ნათესაობითი ბრუნვის ფორმა; საწყისებთან, გარდა მხოლობითი რიცხვის ნათესაობითის ფორმისა, ფრჩხილებში მოცემულია სხვადასხვა გვარის, ქცევისა და შუალობითი კონტაქტის ფორმები აწმყოს ან მყოფადის მწკრივში. უზმნისწინო საწყისებთან წარმოდგენილია უზმნისწინო პირიანი ფორმები, ხოლო ზმნისწინიანებთან – ზმნისწინიანები.

კეთება *კეთების* (აკეთებს, იკეთებს, უკეთებს, კეთდება, უკეთდება, უკეთია, აკეთებინებს).

გაკეთება *გაკეთების* (გააკეთებს, გაიკეთებს, გაუკეთებს, გაკეთდება, გაუკეთდება, გააკეთებინებს).

თითოეულ სალექსიკონო ერთეულს, არსებითი, ზედსართავი და რიცხვითი სახელების გარდა, მითითებული აქვს, რომელი მეტყველების ნაწილია ის:

მე ნაცვ. მოსაუბრე პირი. *მე ვხატავ. მე მომწონს.*

კრებით სახელებს ფრჩხილებში მიეთითება **კრებ.**:

**ხალხი** *ხალხის* (კრებ.) 1. ბევრი ადამიანის ერთობლიობა. *ხალხი შეიკრიბა.* 2. იგივეა, რაც ერი. *ქართველი ხალხი. ხალხთა თანამეგობრობა.*

ზოგიერთი სიტყვა გამოიყენება მხოლოდ მრავლობით რიცხვში. ამგვარ სიტყვებთან ფრჩხილებში მითითებულია **მრ.**:

**არდადეგები** *არდადეგების* (მრ.) ხანგრძლივი დასვენების პერიოდი სასწავლებლებში. *საშობაო არდადეგები. ზაფხულის არდადეგები.*

ზოგი სიტყვა ძირითადად მრავლობით რიცხვში გვხვდება. ასეთ შემთხვევებში მიეთითება **ძირითადად მრ.**:

*რესურსი რესურსის* (ძირითადად მრ.) რაიმეს მარაგი. *ბუნებრივი რესურსები. ფულადი რესურსები.*

თანდებულებთან და თანდებულის მნიშვნელობით გამოყენებულ ზმნიზედებთან მითითებულია, რომელი ბრუნვის ფორმით შეეწყობა მათ სახელი – (+მიც.), (+ნათ.):

**შორის** თანდ. (+ მიც.) 1. შუაში. *ცასა და მიწას შორის. მერხებს შორის.* 2. ჯგუფის, საზოგადოებისა და მისთ. შიგნით. *მეგობრებს შორის გაუგებრობა მოხდა. ორგანიზაციებს შორის დადებული ხელშეკრულება.*

**სტილისტიკური მახასიათებლები.** სალექსიკონო ერთეულებთან ზოგჯერ მითითებულია სხვადასხვა სახის მახასიათებლები, რომლებიც ინფორმაციას გვაწვდის ამა თუ იმ სიტყვის ფუნქციონირების არეალის შესახებ:

ა) **დარგი.** ზოგ სიტყვას სპეციალური დანიშნულება აქვს და დარგობრივ ტერმინს წარმოადგენს. ამგვარ სიტყვებს მითითებული აქვს შესაბამისი დარგი: **მათ.**, **ანატ.**, **ლიტ.**, **ბოტან.** და მისთ.:

**აორტა** *აორტის* ანატ. მთავარი არტერია. *მუცლის აორტა.*

ბ) **სიტყვის გამოყენების სფერო.** ზოგიერთი სიტყვა გამოიყენება სასაუბრო მეტყველებაში, ზოგი სიტყვა წიგნურ ან მაღალფარდოვან სტილს მიეკუთვნება და ა. შ. ამგვარ სიტყვებთან მითითებულია მათი გამოყენების სფერო შესაბამისი აღნიშვნებით: **საუბრ.**, **წიგნ.**, **ძვ.** და მისთ.:

**ამფსონი** *ამფსონის* საუბრ. ამყოლი, მხლებელი, თანამესუფრე. *თავისი ამფსონები მოიყვანა.*

გ) **ემოციური ელფერი.** სიტყვათა ნაწილს გარკვეული ემოციური ელფერი აქვს: ზოგი ალერსის გამომხატველია, ზოგი – პატივისცემისა, ზოგი სალანძღავად გამოიყენება და ა. შ. ამგვარ სიტყვებს შემდეგი მითითებები ახლავს: **ირონ.**, **ალერს.**, **ლანძღ.**, **დამცირ.**, **პატივისც.**, **უპატივც.** და მისთ.:

**ვაჟბატონი** *ვაჟბატონის* ირონ. კაცი, ვაჟი. *ერთი ამ ვაჟბატონს დამიხედეთ!*

**გადატანითი მნიშვნელობა.** თუ სიტყვას გადატანითი მნიშვნელობა აქვს, მოცემულია შესაბამისი აღნიშვნა – **გადატ.**:

**ათასი** *ათასის* 1. რიცხვი 1000. *ათასი ლარი.* 2. გადატ. ბევრი. *ათას ვინმეს იცნობს.*

**განმარტების სანახავად სხვა სიტყვაზე გაგზავნა.** უზმნისწინო საწყისების განმარტებების ნახვა შესაძლებელია შესაბამის ზმნისწინიან საწყისებთან. ამგვარ შემთხვევებში გამოყენებულია პირობითი ნიშანი ↑:

**ზელა** *ზელის* (ზელს, აზელს, იზელს, უზელს, იზილება, აზელინებს) 1. ↑ **აზელა.** *თიხასავით იზილება.* 2. ↑ **მოზელა.** *ცომს დიდხანს უნდა ზელა. ხელით ზელს.* 3. ↑ **დაზელა.** *ავადმყოფს საფეთქლებს უზელს.*

**პოლისემია.** ზოგჯერ სიტყვას აქვს რამდენიმე მნიშვნელობა (პოლისემიურია). ასეთ შემთხვევაში მნიშვნელობები დალაგებულია ხმარების სიხშირის შესაბამისად და დანომრილია:

**დაფა** *დაფის* **1.** ბრტყელი ოთხკუთხა საგანი, რომელიც გამოიყენება საწერად. *სასკოლო დაფა. ხის დაფა.* **2.** სპეციალურად გაფორმებული ბრტყელი საგანი, რომელსაც სხვადასხვა დანიშნულებით იყენებენ. *ჭადრაკის დაფა. მემორიალური დაფა.*

თუ სალექსიკონო ერთეულის განმარტებაში გამოყენებულია პოლისემიური სიტყვა, მას ფრჩხილებში მიეთითება შესაბამისი მნიშვნელობის ნომერი:

**ავტომატიანი** *ავტომატიანის* ავტომატით (2) შეიარაღებული. *ავტომატიანი ჯარისკაცი.*

**ილუსტრაცია.** ილუსტრაციებად წარმოდგენილია სალექსიკონო ერთეულის გამოყენების ყველაზე გავრცელებული შემთხვევები შესიტყვებებისა და მოკლე ფრაზების სახით.

**ანკეტა** *ანკეტის* გარკვეული წესით შედგენილი გამოკითხვის ფურცელი მონაცემების შესაგროვებლად. *ანკეტა შეავსეს. სარეგისტრაციო ანკეტა.*

**ფრაზეოლოგიზმები და მყარი შესიტყვებები.** ფრაზეოლოგიზმები და მყარი შესიტყვებები განმარტებულია შესიტყვების ერთ-ერთ წევრთან და გამოყოფილია ◉ ნიშნით:

**ვარსკვლავი** *ვარსკვლავის* 1. ციური სხეული, რომელიც ანათებს. *ვარსკვლავებით მოჭედილი ცა.* 2. გადატ. სახელგანთქმული ადამიანი. *ესტრადის ვარსკვლავი.* ◉ **ბედნიერ ვარსკვლავზეა დაბადებული** იღბლიანია. ◉ **კუდიანი ვარსკვლავი** კომეტა.

**ნაწარმოები სიტყვები.** ზოგ სიტყვა-სტატიაში მოცემულია სალექსიკონო ერთეულისგან სიტყვაწარმოებითი სუფიქსის დართვით ან ფუძის გაორკეცებით ნაწარმოები ის სიტყვები, რომელთა მნიშვნელობა ახლოს არის ამოსავალი სიტყვის მნიშვნელობასთან. ისინი გამოყოფილია ▮ ნიშნით:

**აბაჟური** *აბაჟურის* ელექტრონათურის ან ლამპის დეკორატიული საფარი. *მწვანე აბაჟური.* ■ **აბაჟურიანი** აბაჟურის მქონე. *აბაჟურიანი ლამპა.*

**ზმნიზედის ფუნქციით გამოყენებული ბრუნვის ფორმები.** ზმნიზედის ფუნქციით გამოყენებული ბრუნვის ფორმები სიტყვა-სტატიაში გამოყოფილია ▲ ნიშნით:

**სხვაგვარი** *სხვაგვარის* განსხვავებული, სხვანაირი. *სხვაგვარი გრძნობა.* ▲ **სხვაგვარად** ზმნიზ. სხვანაირად, სხვა სახით, განსხვავებულად. *სხვაგვარად ფიქრობს.*

**სინონიმები და ანტონიმები.** ზოგიერთ სიტყვასთან მითითებულია მისი სინონიმი ან ანტონიმი. ლექსიკონში გამოყოფილია ის სინონიმური წყვილები, რომელთაგან ერთ-ერთი საერთაშორისო ტერმინია, ხოლო მეორე – მისი ქართული შესატყვისი. სინონიმისთვის გამოიყენება პირობითი ნიშანი =, ხოლო ანტონიმისთვის – ↔ :

**მთამსვლელი** *მთამსვლელის* სპორტსმენი, რომელიც მაღალ მთებზე, მწვერვალებზე ადის. *ცნობილი მთამსვლელი.* = **ალპინისტი**

**ადრე** ზმნიზ. 1. განსაზღვრულ დროზე წინ. *ადრე მორჩა სამუშაოს. ადრე გაელვიძა.* ↔ **გვიან.**

**პარალელური ფორმები.** ზოგჯერ ენაში სიტყვას აქვს ორი ან მეტი ვარიანტი, რომლებიც ორთოგრაფიულად სწორია. ასეთ შემთხვევაში განმარტება წარმოდგენილია ერთ (უფრო გავრცელებულ) ვარიანტთან, მეორესთან კი მოცემულია სპეციალური სიმბოლო (||) და მითითებულია ის ვარიანტი, რომელთანაც შესაძლებელია განმარტების ნახვა:

**ორიოდ** || ორიოდე. *მშენებლობა ორიოდ თვეში დამთავრდება.*

**გავრცელებული შეცდომები.** იმის გამო, რომ ლექსიკონი სასწავლო დანიშნულებისაა, მასში მოცემულია ყველაზე გავრცელებული მოსალოდნელი შეცდომები, კერძოდ:

**I. ორთოგრაფიული შეცდომები.** ლექსიკონში ზოგიერთი სიტყვა-სტატიის ბოლოს მითითებულია გარკვეული ტიპის მცდარი ფორმები:

ა) ი-ს უადგილოდ ჩართვა უცხოურ სიტყვებში.

**პლაჟი** *პლაჟის* ზღვის, ტბის, მდინარის სანაპირო ზოლი, უპირატესად ქვიშით ან სილით დაფარული. *პლაჟზე წავიდა. პლაჟი ხალხით გაივსო.* შეცდომაა პლიაჟი

ბ) სახეცვლილი, ზედმეტი ან ნაკლული ბგერები უცხოურ სიტყვებში.

**აბსოლუტური** *აბსოლუტურის* სრული, ყოვლისმომცველი. *აბსოლუტური ძალაუფლება. აბსოლუტური სიჩუმე.* **შეცდომაა** აბსოლიტური.

**II. პარონიმები.** ხშირად ერთმანეთის ნაცვლად არასწორად იყენებენ სიტყვებს, რომლებიც ბგერობრივად ერთმანეთის მსგავსია, მაგრამ განსხვავებული მნიშვნელობები აქვთ. ამგვარ სიტყვებთან სტატიის ბოლოს მითითებულია შესაბამისი პარონიმები.

**ცივილიზებული** *ცივილიზებულის* კულტურული და პოლიტიკური განვითარების მაღალ დონეზე მყოფი. *ცივილიზებული ქვეყნები. ცივილიზებული საზოგადოება.* **პარონიმი** ცივილური.

**გრაფიკული ილუსტრაციები.** ლექსიკონში წარმოდგენილია 1000-მდე სიტყვის გრაფიკული ილუსტრაცია, რომლებიც შესაბამის სალექსიკონო ერთეულებთანაა მოცემული.

**ა ვ ა ზ ა** *ა ვ ა ზ ი ს* საშუალო სიდიდის მტაცებელი ცხოველი კატისებრთა ოჯახიდან. *ავაზის ტყავი.*

ავაზა



## დანართი

### I. ზმნური ფორმების საძიებელი

საძიებელში, ისევე როგორც ლექსიკონის ძირითად ნაწილში, ზმნური ფორმები წარმოდგენილია მესამე პირის მხოლობითი რიცხვის ფორმით აწმყოსა და მყოფადის მწკრივებში. თითოეულ ფორმასთან მითითებულია შესაბამისი საწყისი (საჭირო შემთხვევაში – ომონიმიისა და პოლისემიის ნომრით).

**ამოგზავნის ამოგზავნა**
**ამოგლესს ამოგლესა**
**ამოგლეჯს ამოგლეჯა**
**ამოგორდება ამოგორება**
**ამოდგამს ამოდგმა[1]**
**ამოდებს ამოდება 1**
**ამოდენის ამოდენა[1]**

უზმნისწინო ფორმებთან მოცემულია უზმნისწინო საწყისები, ხოლო ზმნისწინიანებთან – ზმნისწინიანები.

**კერავს კერვა**
**იკერავს კერვა**
**უკერავს კერვა**
**იკერება კერვა**
**ეკერება კერვა**
**აკერვინებს კერვა**

**შეკერავს შეკერვა**
**შეიკერავს შეკერვა**
**შეუკერავს შეკერვა**
**შეიკერება შეკერვა**
**შეაკერვინებს შეკერვა**

თუ უზმნისწინო ფორმას ზმნისწინიანი საწყისი შეესაბამება, ხოლო ზმნისწინიანს – უზმნისწინო, მაშინ საძიებელში ამგვარი საწყისები მოცემულია დახრილი შრიფტით.

წერს *გადაწერა*
წერს *გადმოწერა*
წერს *გაწერა*

წერს *დაწერა*
წერს *ჩამოწერა*
წერს *ჩაწერა*
დაფრინავს *ფრენა*
მიფრინავს *ფრენა*
მოფრინავს *ფრენა*
დაცურავს *ცურვა*

დახრილი შრიფტით არის წარმოდგენილი საწყისი იმ შემთხვევებშიც, როდესაც ზმნურ ფორმასა და საწყისს სხვადასხვა ფუძე აქვთ.

ამბობს *თქმა*
არის *ყოფნა*[1]
ზის *ჯდომა*

ამრიგად, ინფორმაცია ზმნის შესახებ წარმოდგენილია ლექსიკონის ორ მონაკვეთში: ძირითად ნაწილსა და საძიებელში. ძირითად ნაწილში მოცემულია საწყისი და მითითებულია შესაბამისი პირიანი ფორმები, ხოლო საძიებელში ანბანთრიგზე წარმოდგენილია ზმნური ფორმები და თითოეულ ფორმასთან მითითებულია საწყისი.

## II. გეოგრაფიული სახელების საძიებელი

გეოგრაფიული სახელების საძიებელში მოცემულია: ა) კონტინენტებისა და იმ ქვეყნების სახელწოდებები, რომლებიც შედარებით ხშირად შეიძლება დასჭირდეს ლექსიკონის მომხმარებელს და ბ) საქართველოს კუთხეების სახელწოდებები.

როგორც ქვეყნების, ისე საქართველოს კუთხეების სახელწოდებებთან მითითებულია სადაურობის აღმნიშვნელი სახელები (ადამიანთა და არაადამიანთა).

### გეოგრაფიული სახელების საძიებელი

#### ა. ქვეყნები და კონტინენტები

| ქვეყანა/კონტინენტი | სადაურობის სახელები | |
|---|---|---|
| | ადამიანთა | არაადამიანთა |
| ავსტრალია | ავსტრალიელი | ავსტრალიური |
| ავსტრია | ავსტრიელი | ავსტრიული |
| ავღანეთი | ავღანელი | ავღანური |
| აზია | აზიელი | აზიური |

ბ. საქართველოს კუთხეები

| კუთხე | საღაურობის სახელები | |
|---|---|---|
| | ადამიანთა | არაადამიანთა |
| აფხაზეთი | აფხაზი | აფხაზური |
| აჭარა | აჭარელი | აჭარული |
| გუდამაყარი | გუდამაყრელი | გუდამაყრული |
| გურია | გურული | გურული |

## III. რიცხვითი სახელების საძიებელი

რიცხვითი სახელების საძიებელში მოცემულია 1-დან 30-მდე რიცხვები, ათეულების, ოცეულების, ასეულების, ათასეულების, მილიონისა და მილიარდის აღმნიშვნელი რიცხვები და მათი შესაბამისი რაოდენობითი, რიგობითი და წილობითი რიცხვითი სახელები.

### რიცხვითი სახელების საძიებელი

| რიცხვი | რიცხვითი სახელები | | |
|---|---|---|---|
| | რაოდენობითი | რიგობითი | წილობითი |
| 1 | ერთი | პირველი | — |
| 2 | ორი | მეორე | მეორედი |
| 3 | სამი | მესამე | მესამედი |
| 4 | ოთხი | მეოთხე | მეოთხედი |

# შემოკლებები

ალერს. – ალერსობითი
ანატ. – ანატომია
არქიტ. – არქიტექტურა
ასტრ. – ასტრონომია
ბავშვ. – ბავშვისა
ბოტან. – ბოტანიკა
გადატ. – გადატანითი
გეოგრ. – გეოგრაფია
გრამატ. – გრამატიკა
დალოცვ. – დალოცვა
დამცირ. – დამცირებითი
ევფ. – ევფემიზმი
ზმნიზ. – ზმნიზედა
ზმნიზ. ფუნქც. – ზმნიზედის ფუნქციით
ზოოლ. – ზოოლოგია
თანდ. – თანდებული
თანდ. ფუნქც. – თანდებულის ფუნქციით
ირონ. – ირონიული
ისტ. – ისტორია
კავშ. – კავშირი
კავშ. ფუნქც. – კავშირის ფუნქციით
კრებ. – კრებითი
კუთხ. – კუთხური
ლინგვ. – ლინგვისტიკა
ლიტ. – ლიტერატურა
მათემ. – მათემატიკა
მედიც. – მედიცინა
მისთ. – მისთანანი
მიც. – მიცემითი ბრუნვა
მრ. – მრავლობითი
ნათ. – ნათესაობითი ბრუნვა
ნაცვ. – ნაცვალსახელი
ნაცვ. ფუნქც. – ნაცვალსახელის ფუნქციით
ნაწილაკ. – ნაწილაკი
ნაწილაკ. ფუნქც. – ნაწილაკის ფუნქციით
პატივისც. – პატივისცემისა
ჟარგ. – ჟარგონული
რიცხვ. – რიცხვითი სახელი
სალანძღ. – სალანძღავი
საუბრ. – საუბრული
სპეც. – სპეციალური
ტექნ. – ტექნიკური
უპატივც. – უპატივცემულობისა
ფილოს. – ფილოსოფიური
შორისდ. – შორისდებული
შორისდ. ფუნქც. – შორისდებულის ფუნქციით
ცრურწ. – ცრურწმენისა
ძვ. – ძველი
ძირითადად მრ. – ძირითადად მრავლობითი
წიგნ. – წიგნური
წყევლ. – წყევლა

## ანბანი

| | | |
|---|---|---|
| ა | მ | ღ |
| ბ | ნ | ყ |
| გ | ო | შ |
| დ | პ | ჩ |
| ე | ჟ | ც |
| ვ | რ | ძ |
| ზ | ს | წ |
| თ | ტ | ჭ |
| ი | უ | ხ |
| კ | ფ | ჯ |
| ლ | ქ | ჰ |

# – ა –

**აალება** *აალების* (აააღებს, აალდება) ცეცხლის ალის მოდება, ავარდნა. *თივა აალდა.* ■ **აალებული** რაც აალდა. *აალებული საწვავი.*

**აალებადი** *აალებადის* რასაც ცეცხლის ალი ადვილად ედება. *აალებადი ნივთიერებები.*

**აალმასება** *აალმასების* (აააღმასებს, აალმასდება) ძალიან გალესვა, გამახვილება. *ხმალი აააღმასა.* ■ **აალმასებული** რაც აააღმასეს. *აალმასებული დანა.*

**აბა** ნაწილაკ. გამოიყენება მოწოდების, გაკვირვების, დადასტურებისა და მისთ. გამოხატვისას ემოციის გაძლიერების მიზნით. *აბა, წავიდეთ! აბა, რა უნდა მექნა?!*

**აბაზანა** *აბაზანის* 1. ჭურჭელი, რომელიც ბანაობისთვის ან წყლით მკურნალობისთვის არის განკუთვნილი. *მომინანქრებული აბაზანა.* 2. ბანაობისთვის განკუთვნილი ოთახი საცხოვრებელ სახლში. *აბაზანაში შევიდა.* 3. მზის სხივებით ან წყლით მკურნალობა. *მზის აბაზანა. გოგირდის აბაზანა.*

**აბაზი** *აბაზის* ძვ. ფულის ერთეული, უდრის ოც კაპიკს. *სამი აბაზი.*

**აბაზიანი** *აბაზიანის* ძვ. აბაზის ღირებულების მონეტა. *აბაზიანი მიაწოდა.*

**აბალახება** *აბალახების* (აბალახდება) ბალახით დაფარვა. *ეზო აბალახდა.* ■ **აბალახებული** რაც აბალახდა. *აბალახებული გორაკი.*

**აბანო** *აბანოს* შენობა, რომელიც ბანაობისთვის არის მოწყობილი. *ქალაქის აბანო.*

აბაჟური

**აბაჟური** *აბაჟურის* ელექტრონათურის ან ლამპის დეკორატიული საფარი. *მწვანე აბაჟური.* ■ **აბაჟურიანი** აბაჟურის მქონე. *აბაჟურიანი ლამპა.*

**აბარგება** *აბარგების* (აააბარგებს, აიბარგება, აბარგდება) სხვაგან გადასასვლელად მომზადება. *მალე აბარგება მომიწევს. დროზე უნდა ავიბარგოთ.*

**აბატი** *აბატის* მამათა მონასტრის წინამძღვარი ან მღვდელი კათოლიკურ ეკლესიაში. *აბატმა წირვა ჩაატარა.*

აბგა

**აბგა** *აბგის* მხარზე გადასაკიდებელი პატარა ჩანთა. *ტყავის აბგა.*

**აბდაუბდა** *აბდაუბდის* უაზრო, უშინაარსო, გაუგებარი. *აბდაუბდა ლაპარაკი.*

**აბედი** *აბედის* საგანგებოდ დამუშავებული ხის სოკო, იწვის უალოდ, გამოიყენება ცეცხლის დასანთებად. *აბედივით ჩაიფერფლა.*

**აბეზარი** *აბეზრის* შემაწუხებელი, მომაბეზრებელი. *აბეზარი ბავშვი.*

**აბზაცი** *აბზაცის* პროზაული ტექსტის აზრობრივად მთლიანი მონაკვეთი, რომელიც ახალი სტრიქონიდან იწყება. *პირველი აბზაცი. აბზაცის აზრი გადმოეცით!*

**აბზინდა** *აბზინდის* მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარე, აქვს დანაკვთული, ბუსუსებიანი, მონაცრისფრო ფოთლები, ხარობს მლაშობ საძოვრებზე, გამოიყენება სამკურნალოდ. *აბზინდის ნაყენი.*

**აბზინდი** *აბზინდის* ლითონის ბალთა, რომელსაც ენა (ს) აქვს. *ქამარს აბზინდით იკრავენ.* ■ **აბზინდიანი** აბზინდის მქონე. *აბზინდიანი სარტყელი.*

**აბი** *აბის* დაპრესილი ფხვნილისგან დამზადებული სხვადასხვა ზომისა და ფორმის წამალი. *ერთი აბი ანალგინი.*

**აბიბინება** *აბიბინების* (აააბიბინებს, აბიბინდება) ბიბინის დაწყება. *მინდორი აბიბინდა.*

**აბილაური** *აბილაურის* ვაშლის ჯიში, ისხამს საშუალო ზომის მოყვითალო ან ნახევრად წითელ ნაყოფს, აქვს მოტკბო თეთრი რბილობი.

**აბილილი** *აბილილის* ერთწლოვანი ხვიარა დეკორატიული მცენარე, აქვს მსხვილი, ლურჯი მოწითალო ან თეთრი ყვავილები, გამოიყენება ხალხურ მედიცინაში.

**აბიტურიენტი** *აბიტურიენტის* სკოლის უკანასკნელი კლასის მოსწავლე ან კურსდამთავრებული, რომელიც უმაღლეს სასწავლებელში მისაღები გამოცდებისთვის ემზადება. *აბიტურიენტის ცნობარი. აბიტურიენტთა რეგისტრაცია.* შეცდომაა აბითურიენტი.

**აბლაბუდა** *აბლაბუდის* ობობას ქსელი. *ჭერი აბლაბუდებით არის დაფარული.*

აბლაბუდა

**აბმა** *აბმის* (აუბამს, აებმება) ◉ **თვალს აუბამს.** იხ. თვალი[1] (1) ◉ **მხარს აუბამს.** იხ. მხარი.

**აბნევა** *აბნევის* (ააბნევს, აუბნევს, აიბნევა, აებნევა) ძაფის, კანაფისა და მისთ. რაიმეში გაყრა. *ძაფს ნემსზე ააბნევს.*

**აბობოქრება** *აბობოქრების* (ააბობოქრებს, აბობოქრდება) ბობოქრობის დაწყება. *მდინარე აბობოქრდა.* ■ **აბობოქრებული** რაც ან ვინც აბობოქრდა. *აბობოქრებული ხალხი.*

**აბობღება** *აბობღების* (აბობღდება) ხელების დახმარებით, ბობღვით ასვლა. *სკამზე აბობღდა. კიბეზე აბობღდა.*

**აბოლება** *აბოლების* (ააბოლებს, აუბოლებს, აბოლდება) ბოლის აშვება, ბოლის ასვლა ჰაერში. *ლამპა აბოლდა.* ■ **აბოლებული** რაც ააბოლეს ან აბოლდა. *აბოლებული სიგარეტი.*

**აბონემენტი** *აბონემენტის* საბუთი, რომლის მფლობელს აქვს განსაზღვრული ვადით რაიმეთი სარგებლობის უფლება. *აბონემენტი აიღო. თეატრის აბონემენტი.* შეცდომაა აბონიმენტი. პარონიმი აბონენტი.

**აბონენტი** *აბონენტის* პირი ან დაწესებულება, რომელსაც აქვს განსაზღვრული პირობებით რაიმეთი სარგებლობის უფლება. *სატელეფონო ქსელის აბონენტი. ბიბლიოთეკის აბონენტი.* პარონიმი აბონემენტი.

**აბორგება** *აბორგების* (ააბორგებს, აბორგდება) ბორგვის დაწყება, აღელვება. *ხალხი აბორგდა.* ■ **აბორგებული** ვინც ან რაც აბორგდა. *აბორგებული ლაშქარი.*

**აბორიგენი** *აბორიგენის* ამა თუ იმ ადგილის მკვიდრი, ადგილობრივი მოსახლე. *ავსტრალიელი აბორიგენები. აბორიგენების ენა.*

**აბორტი** *აბორტის* მედიც. ორსულობის ნაადრევად შეწყვეტა ხელოვნური ჩარევით. *აბორტი გაიკეთა.*

**აბრა** *აბრის* სახელმწიფო ან საზოგადოებრივი დაწესებულების, წარმოებისა და მისთ. შესასვლელთან მოთავსებული დაფა, რომელზეც მოცემულია ამ დაწესებულების, წარმოების სახელწოდება. *სალონის აბრა.*

**აბრაგი** *აბრაგის* კუთხ. ყაჩაღი. *აბრაგად გავარდა.*

**აბრევიატურა** *აბრევიატურის* ორგანიზაციის, დანესებულებისა და მისთ. შემოკლებული სახელწოდება, რომელიც შედგება რამდენიმე სიტყვის საწყისი ასოების ან მარცვლებისგან. *გაერო აბრევიატურაა.*

**აბრეშუმა** *აბრეშუმას* ერთწლოვანი უფოთლო და უფესვო პარაზიტი მცენარე, აქვს ხვიარა ღეროები და პატარა ყვავილები, ეხვევა ბალახებს.

**აბრეშუმი** *აბრეშუმის* ნაზი, მსუბუქი ქსოვილი. *აბრეშუმის პერანგი.* ◉ **აბრეშუმის ძაფი** ძაფი, რომელიც აბრეშუმის ჭიის პარკისგან მზადდება. ◉ **აბრეშუმის ჭია** აბრეშუმის პარკის მკეთებელი ჭია.

**აბრიალება** *აბრიალების* (ააბრიალებს, აუბრიალებს, აბრიალდება) ცეცხლის უცებ წაკიდება, უცებ ანთება. *კოცონი აბრიალდა.* ■ **აბრიალებული** რაც ააბრიალეს ან აბრიალდა. *აბრიალებული ცეცხლი. აბრიალებული თივა.*

**აბრძანება** *აბრძანების* (ააბრძანებს, აბრძანდება) პატივისც. ასვლა, აყვანა. *მანდილოსნები აივანზე აბრძანდნენ. ხატი მთაზე ააბრძანეს.*

**აბსოლუტური** *აბსოლუტურის* სრული, ყოვლისმომცველი. *აბსოლუტური ძალაუფლება. აბსოლუტური სიჩუმე.* შეცდომაა აბსოლიტური.

**აბსტრაქტული** *აბსტრაქტულის* განყენებული, ზოგადი. *აბსტრაქტული ცნება.*

**აბსტრაქცია** *აბსტრაქციის* განყენება, განზოგადება. *აბსტრაქციის უნარი.*

**აბსურდი** *აბსურდის* უაზრობა. *რა აბსურდია!* შეცდომაა აფსურდი.

**აბსურდული** *აბსურდულის* ყოველგვარ აზრს მოკლებული. *აბსურდული ბრალდება.* შეცდომაა აფსურდული.

**აბსცესი** *აბსცესის* მედიც. ჩირქის დაგროვება რომელიმე ორგანოში ან ქსოვილში. *ღვიძლის აბსცესი.*

**აბურდვა** *აბურდვის* (აბურდავს, აიბურდება, აებურდება) აწეწვა, ახლართვა. *ქარმა თმა აუბურდა. ძაფი აიბურდა.* ■ **აბურდული** რაც აბურდეს ან აიბურდა. *აბურდული გორგალი.*

**აბურცვა** *აბურცვის* (აიბურცება, აებურცება) იგივეა, რაც ამობურცვა. *კანი აებურცა.*

**აბურძგნა** *აბურძგნის* (აბურძგნის, აუბურძგნის, აიბურძგნება, აებურძგნება) თმის, ბეწვისა და მისთ. აშლა, აწეწვა. *კატას ბეწვი აებურძგნა.* ■ **აბურძგნილი // აბურძგნული** რაც აიბურძგნა. *აბურძგნილი წვერი.*

**აბუსალათინი** *აბუსალათინის* ზეთოვანი მცენარე, გამოიყენება სამკურნალოდ. *აბუსალათინის ზეთი.*

**აბუჩი** ◉ **აბუჩად აიგდებს** დაამცირებს, შეურაცხყოფას მიაყენებს.

**აბღოტება** *აბღოტების* (აებღოტება) ხელების დახმარებით, დიდი წვალებით ასვლა, აბობღება. *ხეზე აებღოტა.*

**აბჯარი** *აბჯრის* მეომრის აღჭურვილობა. *აბჯარი აისხა.*

**აგავა** *აგავის* მრავალწლოვანი მცენარე, აქვს მოკლე ღერო, გრძელი და ხორციანი ფოთლები და

მაღალი, მრავალყვავილიანი მტევანი, ყვავის მხოლოდ ერთხელ და ნაყოფის მომწიფების შემდეგ კვდება.

**აგარაკი** *აგარაკის* დასასვენებლად განკუთვნილი სახლი, ადგილი ქალაქგარეთ. *აგარაკს მიაშურეს. სა ზაფხულო აგარაკი.*

**აგდება** *აგდების* (ააგდებს, აიგდებს, აუგდებს, ააგდებინებს) 1. რაიმეს მოქნევა ისე, რომ ზევით ავარდეს. *ქუდი მაღლა ააგდო.* 2. ვინმეს უდიერად აყენება. *სკამიდან ააგდო.* 3. საუბრ. დაცინვა, შეფარვით შეურაცხყოფის მიყენება, დამცირება. *სკოლაში ყველამ აიგდო.*

**აგდებული** *აგდებულის* 1. რაც ააგდეს. *სახურავზე აგდებული ბურთი.* 2. არასერიოზული, დაუდევარი. *აგდებული დამოკიდებულება.*

**აგება** *აგების* (ააგებს, აიგებს, აუგებს, აიგება, აეგება, ააგებინებს) 1. აშენება, ამართვა. *ეკლესიის აგება. ბარიკადები ააგეს. ხიდი ააგეს.* 2. იგივეა, რაც **აბნევა**. *მძივის აგება. ნემსზე ძაფი ააგო.* ■ **აგებული** რაც ააგეს. *კლდე ზე აგებული კოშკი. ღვთისმშობლის სახელზე აგებული ტაძარი.*

**აგებულება** *აგებულების* რაიმე მთლიანის (საგნის, მექანიზმისა და მისთ.) ცალკეული ნაწილების ერთობლიობა. *რთული აგებულება. სიტყვის აგებულება.*

**აგეგმვა** *აგეგმვის* (აგეგმავს, აიგეგმება) რაიმე ტერიტორიის, ადგილის გეგმის შედგენა. *გეოლოგიური აგეგმვა. კარ-მიდამო აგეგმეს.* ■ **აგეგმილი** რაც აიგეგმა. *აგეგმილი ნაკვეთი.*

**აგენტი** *აგენტის* 1. ორგანიზაციის ან დაწესებულების წარმომადგენელი, რომელიც საგანგებო დავალებას ასრულებს. *ბანკის აგენტი.* 2. სადაზვერვო ორგანოების საიდუმლო თანამშრომელი. *უცხო ქვეყნის აგენტი.*

**აგენტობა** *აგენტობის* (აგენტობს) აგენტად ყოფნა. *აგენტობა შესთავაზეს.*

**აგენტურა** *აგენტურის* აგენტების გაერთიანება. *საქმეში აგენტურა ჩართეს.*

**აგერ** ნაწილაკ. 1. გამოიყენება მოსაუბრე პირთან ახლოს მყოფ საგანზე ან ადგილზე მისათითებლად. *აგერ, აქ დაბრძანდით! აგერ, ეს წიგნი აიღეთ!* 2. იგივეა, რაც **აი**. *აგერ სტუმრებიც მოვიდნენ. აგერ ერთი წელიც გავიდა.*

**აგვისტო** *აგვისტოს* წელიწადის მერვე თვე. *აგვისტოს სიცხე.*

**აგზავნა** *აგ ზავნის* (აგზავნის, ააგზავნის, აუგზავნის) ზევით გაშვება, გაგზავნა. *ბავშვი მეორე სართულზე აგ ზავნა.*

**აგზნება** *აგ ზნების* (ააგზნებს, აუგზნებს, აიგზნება, აეგზნება) იგივეა, რაც **აღგზნება**. *უცებ აეგ ზნო.*

**აგზნებადი** *აგ ზნებადის* ვინც ადვილად აღელდება, აეგზნება. *აგ ზნებადი ადამიანი.*

**აგიოგრაფია** *აგიოგრაფიის*||ჰაგიოგრაფია. *ქართული აგიოგრაფია.* ■ **აგიოგრაფიული** აგიოგრაფიასთან დაკავშირებული, აგიოგრაფიისთვის დამახასიათებელი. *აგიოგრაფიული ლიტერატურა.*

**აგიტატორი** *აგიტატორის* პირი, რომელიც აგიტაციას ეწევა. *აგიტატორის გამოსვლა.*

**აგიტატორობა** *აგიტატორობის* (აგიტატორობს) აგიტატორის საქმიანობა. *აგიტატორობა დაიწყო.*

**აგიტაცია** *აგიტაციის* ქმედება, რომლის მიზანია ადამიანთა შეგნებაზე ზეგავლენის მოხდენა სასურველი შედეგის მისაღწევად. *პოლიტიკური აგიტაცია. წინასაარჩევნო აგიტაცია დაიწყო.*

**აგლეჯა** *აგლეჯის* (აგლეჯს, ააგლეჯს, აიგლეჯს, აუგლეჯს, აიგლიჯება, აეგლიჯება, ააგლეჯინებს) აცლა, ძალით აძრობა. *ქარბორბალამ სახლს სახურავი ააგლიჯა.* ■ **აგლეჯილი** რაც ააგლიჯეს. *აგლეჯილი ფიცარი.*

**აგონია** *აგონიის* მომაკვდავის მდგომარეობა. *აგონიაში მყოფი. აგონია გაუგრძელდა.*

**აგორება** *აგორების* (ააგორებს, აუგორებს, აგორდება) 1. სიმაღლეზე გორვით ასვლა, აყვანა, ატანა. *მანქანა აღმართზე ააგორეს.* 2. საუბრ. რაიმე ამბის, ქმედების გამოწვევა, ხელის შეწყობა. *ჭორი ააგორეს. პროტესტის ტალღა ააგორეს.*

**აგრარული** *აგრარულის* მიწათმოქმედებასთან დაკავშირებული, სამიწათმოქმედო. *აგრარული რეფორმა. შეცდომაა აგრალური.*

**აგრეგატი** *აგრეგატის* მანქანა, რომელიც ერთდროულად რამდენიმე ოპერაციას ასრულებს. *სახნავი აგრეგატი.*

**აგრეთვე** ზმნზ. ამის გარდა, ამასთან ერთად. *აგრეთვე მოგეთხოვებათ დამხმარე ლიტერატურის ცოდნა.*

**აგრემც** ნაწილაკ. გამოიყენება დალოცვის, წყევლის, სურვილის გამოხატვისას ემოციის გასაძლიერებლად. *აგრემც გაეზარდე შენს მშობლებს!*

**აგრესია** *აგრესიის* 1. სახელმწიფოზე შეიარაღებული თავდასხმა სხვა ქვეყნის (ქვეყნების) მხრიდან. *აგრესიის მსხვერპლი.* 2. მტრული, მკვეთრად უარყოფითი დამოკიდებულება ვინმეს ან რაიმეს მიმართ. *აგრესიის გამომჟღავნება.* ■ **აგრესიული** ვისაც ან რასაც აგრესია ახასიათებს. *აგრესიული ადამიანი. აგრესიული ქმედება.*

**აგრესორი** *აგრესორის* აგრესიის ჩამდენი. *აგრესორი ქვეყანა. აგრესორისგან თავის დაცვა.*

**აგრილება** *აგრილების* (აგრილდება) ჰაერის ტემპერატურის დაკლება. *საღამოს აგრილდა.*

**აგრონომი** *აგრონომის* სოფლის მეურნეობის მუშაკი, აგრონომიის სპეციალისტი.

**აგრონომია** *აგრონომიის* სოფლის მეურნეობის შემსწავლელ მეცნიერებათა ერთობლიობა. *აგრონომიას ეუფლება.* ■ **აგრონომიული** აგრონომი-

ისთვის განკუთვნილი. *აგრონომიული სასწავლებელი.*

**აგრონომობა** *აგრონომობის* აგრონომის საქმიანობა. *აგრონომობა გადაწყვიტა.*

**აგური** *აგურის* 1. გამომწვარი თიხის ოთხკუთხედი ნაჭერი, გამოიყენება საშენ მასალად. *აგურის შენობა. აგურის ქარხანა.* 2. ბანქოს ოთხი სახეობიდან ერთ-ერთი. *აგურის ტუზი.*

აგური



**აგურისფერი** *აგურისფრის* აგურივით მოყავისფრო-მოწითალო ფერის მქონე. *აგურისფერი კაბა.*

**ადათი** *ადათის* ხალხში განმტკიცებული ჩვეულება, სავალდებულოდ მიღებული წესი. *ადათი კრძალავს. ასეთია მთის ადათი.*

**ადათ-წესი** *ადათ-წესის* იგივეა, რაც ადათი. *ადათ-წესების დაცვა.*

**ადამიანი** *ადამიანის* 1. სულიერი არსება, რომელსაც აქვს აზროვნებისა და მეტყველების უნარი. *კეთილი ადამიანი. ადამიანის ხელით არის შექმნილი. ადამიანთა უფლებები.* 2. ნაცვ. ფუნქც. ვინმე. *ადამიანი არ ჭაჭანებს.*

**ადამიანობა** *ადამიანობის* სიკეთე, გულმოწყალება, მიმტევებლობა. *ადამიანობა გამოიჩინა.*

**ადამიანური** *ადამიანურის* 1. ადამიანისთვის დამახასიათებელი. *ადამიანური თვისებები.* 2. კეთილი, სათნო, გულმოწყალე. *ადამიანური დამოკიდებულება.*

**ადაპტაცია** *ადაპტაციის* 1. ცოცხალი ორგანიზმის შეგუება ახალ საარსებო გარემოსთან. *ადაპტაცია გაუჭირდა.* 2. ლიტ. რთული ტექსტის გამარტივება, ჩვეულებრივ, სწავლების მიზნით. *უცხოური ტექსტის ადაპტაცია.*

**ადაპტირებული** *ადაპტირებულის* 1. ვინც ან რამაც ადაპტაცია (1) განიცადა. *ახალ გარემოსთან ადაპტირებული.* 2. რის ადაპტაციაც (2) მოხდა, გამარტივებული. *ადაპტირებული ტექსტი.*

**ადაჯო** *ადაჯოს* 1. მუსიკალური ნაწარმოების შესრულების ნელი ტემპი. 2. ადაჯოთი (1) შესრულებული მუსიკალური ნაწარმოები ან მისი ერთ-ერთი ნაწილი.

**ადგილ-ადგილ** ზმნზ. არაყველგან, ზოგ ადგილას. *ადგილ-ადგილ თოვლი ამშრალიყო.*

**ადგილას** ზმნზ. გარკვეულ ადგილზე, გარკვეულ სივრცეში. *კარგ ადგილას მოხვდნენ. ბოსტანი მზიან ადგილას ჰქონდათ.* ◌ **ჩემს (შენს, მის)ადგილას** ჩემს (შენს, მის) ნაცვლად, მაგივრად.

**ადგილი** *ადგილის* 1. მიწის მონაკვეთი, სივრცის ნანილი დედამიწის ზედაპირზე. *ლამაზი ადგილი. ეგზოტიკური ადგილები.* 2. განსაზღვრული სივრცე, სადაც ვინმე იმყოფება ან რაიმე ხდება. *საცხოვრებელი ადგილი. შეძთხვევის ადგილი.* 3. თანამდებობა, მდგომარეობა, რომელიც ვინმეს უჭირავს. *საპატიო ადგილი. ახალი სამუშაო ადგილები.* 4. შეჯიბრებაში მიღწეული შედეგი. *ჩვენმა გუნდმა პირველი ადგილი დაიკავა.* 5. ტექსტის გარკვეული მონაკვეთი. *საინტერესო ადგილები მოინიშნა.* ◌ **ადგილიდან მოწყდება** სწრაფად წავა, გაიქცევა. ◌ **ადგილს მიუჩენს** დააბინავებს, მოათავსებს.

**ადგილ-მამული** *ადგილ-მამულის* იგივეა, რაც მამული (2). *დიდი ადგილ-მამული აქვს.*

**ადგილმდებარეობა** *ადგილმდებარეობის* რაიმე ობიექტის ადგილი, გეოგრაფიული გარემო, მდებარეობა. *ქალაქის ადგილმდებარეობა. ხელსაყრელი ადგილმდებარეობა.*

**ადგილობრივი** *ადგილობრივის* გარკვეულ ადგილთან (ქვეყანასთან, მხარესთან) დაკავშირებული, გარკვეული ტერიტორიის ფარგლებში მოქმედი. *ადგილობრივი მოსახლეობა. ადგილობრივი ტრადიციები. ადგილობრივი ხელისუფლება.* 2. შეზღუდულ არეალზე გავრცელებული, ლკალური. *ადგილობრივი გაუტკივარება.*

**ადგილსამყოფელი** *ადგილსამყოფლის* ადგილი, სადაც ვინმე ან რაიმე იმყოფება. *დამნაშავის ადგილსამყოფელს მიაგნეს.*

**ადგმა** *ადგმის* (ადგამს, აადგამს, აიდგამს, აუდგამს, აადგმევინებს) ქვევიდან ზევით დადება, დადგმა. *კიბეზე ფეხს აადგამს.*

**ადგომა** *ადგომის* (ადგება, აუდგება) დამჯდარის ან დაწოლილის ფეხზე დადგომა. *საწოლიდან ადგა. ბავშვები ფეხზე ადგნენ.*

**ადევნება** *ადევნების* (აადევნებს, აედევნება) უკან გაყოლა. *ბიჭი მამას აედევნა.*

**ადეკვატური** *ადეკვატურის* სავსებით შესაბამისი. *ადეკვატური ცნებები. ადეკვატური ქცევა.* შეცდომაა ადექვატური.

**ადენა** *ადენის* (აადენს, აედინება) რაიმეზე ზემოქმედებით (დარტყმით, გაბერტყვითა და მისთ.) ბოლის, მტვრის ასვლა. *ხალიჩას მტვერი აადინა.*

**ადესა** *ადესის* 1. შავყურძნიანი მაღლარი ვაზის ჯიში. *ადესა გააშენა.* 2. ამ ჯიშის ყურძნისგან დამზადებული ღვინო. *ადესა დალია.*

**ადვილად** ზმნზ. სიძნელის გარეშე, მარტივად, იოლად. *პრობლემა ადვილად გადაწყვიტა.*

**ადვილი** *ადვილის* რასაც დიდი შრომა, ფიქრი, ძალისხმევა არ სჭირდება. *ადვილი ამოცანა. ადვილი სამუშაო.* ↔ რთული.

**ადვოკატი** *ადვოკატის* პირი, რომელიც იცავს ბრალდებულს სასამართლო პროცესზე ან ვინმეს საქმეს აწარმოებს სასამართლოში. *ადვოკატის სიტყვა.*

**ადვოკატობა** *ადვოკატობის* (ადვოკატობს) ადვოკატად ყოფნა, ადვოკატის საქმიანობა. *ადვოკატობა მოინდომა.*

**ადვოკატურა** *ადვოკატურის* ადვოკატთა გაერთიანება. *ადვოკატურის განცხადება.*

**ადიდება** *ადიდების* (ააიდებს, ადიდდება) მდინარის, ნაკადულისა და მისთ. წყლის დონის მომატება. *მტკვარი ადიდდა. ღელე ადიდდა.* ■ **ადიდებული** რაც ადიდდა. *ადიდებულმა მდინარემ ჯებირები გაარღვია.*

**ადიუტანტი** *ადიუტანტის* ოფიცერი, რომელიც უშუალოდ ექვემდებარება სამხედრო ნაწილის უფროსს და ასრულებს სხვადასხვა დავალებას. *გენერლის ადიუტანტი.*

**ადლი** *ადლის* ძვ. სიგრძის საზომი ერთეული, უდრის დაახლოებით ერთ მეტრს. *ორი ადლი მიწა.*

**ადმინისტრატორი** *ადმინისტრატორის* პირი, რომელსაც ევალება დაწესებულების საორგანიზაციო საქმიანობის წარმართვა. *სასტუმროს ადმინისტრატორი.*

**ადმინისტრაცია** *ადმინისტრაციის* სახელმწიფო ან კერძო დაწესებულების მმართველი ორგანო. *პრეზიდენტის ადმინისტრაცია. უნივერსიტეტის ადმინისტრაცია.*

**ადმინისტრაციული** *ადმინისტრაციულის* 1. ადმინისტრაციასთან დაკავშირებული. *ქვეყნის ადმინისტრაციული მოწყობა.* 2. აღმასრულებელი ორგანოების გადაწყვეტილებით მიღებული. *ადმინისტრაციული ღონისძიებები.*

**ადმირალი** *ადმირალის* უმაღლესი წოდების პირი სამხედრო-საზღვაო სამსახურში. *ადმირალმა ბრძანება გასცა.*

**ადმირალიტეტი** *ადმირალიტეტის* უმაღლეს საზღვაო მეთაურთა შემადგენლობა. *ადმირალიტეტის სხდომა.*

**ადრე** ზმნზ. 1. განსაზღვრულ დროზე წინ. *ადრე მორჩა სამუშაოს. ადრე გაეღვიძა.* ↔ გვიან. 2. დროით სხვაზე წინ. *ყველაზე ადრე დაამთავრა წერა.* 3. ძველად, წინათ. *ადრე მიწას გუთნით ხნავდნენ.* ⊙ **ადრე თუ გვიან** როდისმე.

**ადრესანტი** *ადრესანტის* პირი, რომელიც ვინმეს უგზავნის წერილს, ბარათსა და მისთ. *ადრესანტისგან შეიტყო.* პარონიმი ადრესატი.

**ადრესატი** *ადრესატის* პირი, რომელსაც უგზავნიან წერილს, ბარათსა და მისთ. *წერილის ადრესატი. ადრესატმა ამანათი მიიღო.* პარონიმი ადრესანტი.

**ადრესი** *ადრესის* წერილობითი მიმართვა გამოჩენილი ადამიანისადმი მნიშვნელოვანი მოვლენის ან იუბილეს მისალოცად. *ადრესი გადასცეს.*

**ადრეულა** *ადრეულას* ხილის ან მარცვლეულის ჯიში, რომელიც ადრე შემოდის, მწიფდება. *ადრეულა ყურძენი.*

**ადრეული** *ადრეულის* 1. რაც ადრე შემოვიდა, დამწიფდა. *კიტრის ადრეული მოსავალი.* 2. უწინდელი, ძველი დროისა. *ადრეული ხანის ძეგლები.*

**ადრიანი** *ადრიანის* ადრე მომხდარი, ადრე დამდგარი. *ადრიანი გაზაფხული.* ▲ **ადრიანად** იგივეა, რაც ადრე (1). *მუშაობა ადრიანად დაიწყო.*

**ადრინდელი** *ადრინდელის* უწინდელი, ძველი, რაც ადრე იყო, რაც ადრე ჰქონდათ. *ადრინდელი ცხოვრება.*

**ადუღება** *ადუღების* (აადუღებს, აიდუღებს, აუდუღებს, ადუღდება, აუდუღდება, აადუღებინებს) დუღილის დაწყება. *ყავა ადუღდა.* ■ **ადუღებული** რაც ადუღდა. *ადუღებული რძე.*

**აერობიკა** *აერობიკის* გამაჯანსაღებელი ვარჯიშების სისტემა, რიტმული ტანვარჯიში. *აერობიკაზე დადის.*

**აეროდრომი** *აეროდრომის* მოედანი, რომელიც განკუთვნილია თვითმფრინავების სადგომად, ასაფრენ-დასაფრენად. *სამხედრო აეროდრომი.*

**აეროზოლი** *აეროზოლის* აირში შერეული სითხის წვრილი ნაწილაკები, გამოიყენება მედიკამენტების, სუნამოებისა და მისთ. შესაფრქვევად. *შეცდომაა აიროზოლი.*

**აერონავტიკა** *აერონავტიკის* ჰაერნაოსნობის თეორია და ხელოვნება.

**აეროპორტი** *აეროპორტის* ვრცელი ტერიტორია, რომელიც განკუთვნილია თვითმფრინავების ასაფრენ-დასაფრენად, მგზავრების მისაღებად, აერთიანებს საფრენ ბილიკებსა და მგზავრების მომსახურებისთვის საჭირო სხვადასხვა ნაგებობას (დარბაზებს, მაღაზიებსა და მისთ.). *აეროპორტის სალაროები.*

**აეროსტატი** *აეროსტატის* ტექნ. საფრენი აპარატი, რომელიც ჰაერზე მსუბუქი აირით სავსე ბურთის მეშვეობით გადაადგილდება.

**ავად** ზმნზ. ცუდად. ⊙ **ავად გახდება** დაავადმყოფდება, დასნეულდება.

**ავადმყოფი** *ავადმყოფის* ვინც ჯანმრთელი არ არის, ვისაც რაიმე დაავადება აქვს. *ავადმყოფი გამოჯანმრთელდა. მძიმე ავადმყოფი.* ■ **ავადმყოფური** ავადმყოფისთვის დამახასიათებელი. *ავადმყოფური გარეგნობა. ავადმყოფური ქცევა.*

**ავადმყოფობა** *ავადმყოფობის* (ავადმყოფობს) 1. ავად გახდომა, ორგანიზმის ფუნქციონირების ნორმალური რეჟიმის დარღვევა. *ავადმყოფობის ისტორია. დიდი ხანია ავადმყოფობს.* 2. დაავადება (2), სნეულება. *გაურკვეველი ავადმყოფობა შეეყარა.*

**ავაზა** *ავაზის* საშუალო სიდიდის მტაცებელი ცხოველი კატისებრთა ოჯახიდან. *ავაზის ტყავი.*


ავაზა

**ავაზაკი** *ავაზაკის* იგივეა, რაც ყაჩაღი (1). *ავაზაკებმა გაძარცვეს.*

**ავანგარდი** *ავანგარდის* 1. ჯარის, ფლოტის მონინავე რაზმი. *ავანგარდი ბრძოლაში ჩაება.* 2. გადატ. გარკვეული საზოგადოების მოწინავე ნაწილი. *სტუდენტთა ავანგარდი. პოლიტიკური მოძრაობის ავანგარდში.* ■ **ავანგარდული** ავანგარდისთვის დამახასიათებელი. *ავანგარდული ბრძოლები.*

**ავანსი** *ავანსის* გადასახდელი თანხის ნაწილი, რომელსაც შესასრულებელი სამუშაოსთვის წინასწარ აძლევენ. *ავანსის გაცემა. ავანსად აიღო.*

**ავანსცენა** *ავანსცენის* სცენის წინა ნაწილი, რომელიც ფარდით არის გამოყოფილი. *მსახიობი ავანსცენაზე გამოვიდა.*

**ავანტიურა** *ავანტიურის* შემთხვევითი წარმატების იმედით წამოწყებული საეჭვო საქმე. *სამხედრო ავანტიურა.* შეცდომაა ავანტურა.

**ავანტიურიზმი** *ავანტიურიზმის* ავანტიურისადმი მიდრეკილება. *ავანტიურიზმის მსხვერპლი.* შეცდომაა ავანტურიზმი.

**ავანტიურისტი** *ავანტიურისტის* ავანტიურის ნამომწყები ან მონაწილე. *ცნობილი ავანტიურისტი.* შეცდომაა ავანტურისტი.

**ავანჩავანი** *ავანჩავანის* საუბრ. 1. საქმის მოთავე და ხელშემწყობი. *ამის ავანჩავანი თავად იყო.* 2. ვითარება, მდგომარეობა. *ვერავინ გაიგო ამ საქმის ავანჩავანი.*

**ავარა** *ავარის* უსაქმური, მოხეტიალე ახალგაზრდა. *ავარებს გადაეყარა.*

**ავარდნა** *ავარდნის* (ავარდება, აუვარდება) ქვევიდან ზევით სწრაფად, ერთბაშად ასვლა. *მეორე სართულზე ავარდა. ცეცხლის ალი ავარდა.*

**ავარდნილი** *ავარდნილის* 1. რაც ავარდა. *ავარდნილი.* 2. საუბრ. უსაქმური, მოჩხუბარი. *ავარდნილი ბიჭები.*

**ავარია** *ავარიის* 1. სატრანსპორტო საშუალებების ურთიერთშეჯახება, გზიდან გადავარდნა ან რაიმე სხვა გარემოება, რომელიც ინვევს დაზიანებას და ხიფათს უქმნის ადამიანის სიცოცხლეს. *ავარიაში მოყვა. მძიმე ავარია.* 2. ობიექტის მწყობრიდან გამოსვლა მისი ნაწილის დაზიანების გამო. *გაზსადენის ავარია. წყალსადენის ავარია.*

**ავარიული** *ავარიულის* 1. მწყობრიდან გამოსული, დაზიანებული. *ავარიული შენობა.* 2. რაც ავარიის საშიშროებას შეიცავს. *ავარიული სიჩქარე. თვითმფრინავის ავარიული დაშვება.*

**ავგაროზი** *ავგაროზის* გულსაკიდი ან მცირე ზომის ნივთი, რომელსაც ავადმყოფობის ან მავნე ძალების ზემოქმედების თავიდან ასაცილებლად ატარებენ. *მამისეული ავგაროზი.*

**ავგული** *ავგულის* ბოროტი, ღვარძლიანი. *ავგული ადამიანი.*

**ავგულობა** *ავგულობის* ბოროტება, ღვარძლიანობა. *აკვულობა გამოიჩინა.*

**ავდარი** *ავდრის* წვიმიანი ან თოვლიანი ამინდი, უამინდობა. *შემოდგომაზე ავდარი იცის.*

**ავეჯი** *ავეჯის* ოთახის მოსაწყობი საგნების (მაგიდის, სკამის, კარადისა და მისთ.) საერთო სახელწოდება. *რბილი ავეჯი. საოფისე ავეჯი. ავეჯის სალონი.*

**ავზი** *ავზის* სითხის შესანახი დიდი დახურული სათავსი. *ლითონის ავზი. ბენზინის ავზი.*



ავზი

**ავზნიანი** *ავზნიანის* 1. ცუდი ზნის, ცუდი ხასიათის მქონე. *ავზნიანი ხარი. ავზნიანი კაცი.* 2. ავი ზნით შეპყრობილი, ბნედიანი, ეპილეფსიით დაავადებული.

**ავთენტიკური** *ავთენტიკურის* დედნის შესაბამისი, ნამდვილი, სარწმუნო. *ავთენტიკური ტექსტი.* შეცდომაა აუთენტიკური.

**ავთვისებიანი** *ავთვისებიანის* რაც არ იკურნება, რის განკურნებაც არ არის შესაძლებელი. *ავთვისებიანი სიმსივნე.*

**ავი** *ავის* 1. ვინც ან რაც უმიზეზოდ ჩხუბობს, ბრაზობს. *ავი კაცი. ავი ძაღლი.* 2. ბოროტი, ცუდი. *ავი სიტყვა. ავი ენა.* ⊙ **ავ თვალს არ ენახვება** ძალიან ლამაზია. ⊙ **ავად თუ კარგად** შეძლებისდაგვარად.

**ავიაკომპანია** *ავიაკომპანიის* საავიაციო კომპანია. *წარმატებული ავიაკომპანია.* შეცდომაა ავიოკომპანია.

**ავიამზიდი** *ავიამზიდის* სამხედრო გემი, რომელზეც აეროდრომია მოწყობილი. *ატომური ავიამზიდი.*

**ავიარეისი** *ავიარეისის* საავიაციო რეისი, საავიაციო მარშრუტი. *ავიარეისით გაემგზავრა* შეცდომაა ავიორეისი.

**ავიაცია** *ავიაციის* საჰაერო სატრანსპორტო საშუალებათა ერთობლიობა. *სამოქალაქო ავიაცია.*

**ავიტამინოზი** *ავიტამინოზის* მედიც. დაავადება, რომელიც გამოწვეულია ორგანიზმში ვიტამინების ნაკლებობით. *ავიტამინოზის მკურნალობა.*

**ავ-კარგი** *ავ-კარგის* ცუდიცა და კარგიც. *ცხოვრების ავ-კარგი.*

**ავკარგიანი** *ავკარგიანის* ვისაც ავისა და კარგის გარჩევა შეუძლია, სამართლიანი. *ავკარგიანი კაცი.*

**ავკარგიანობა** *ავკარგიანობის* სამართლიანობა. *ავკარგიანობით გამოირჩევა.*

**ავკაცი** *ავკაცის* ავი, ბოროტი, უკეთური ადამიანი.

**ავკაცობა** *ავკაცობის* ავი, უკეთური ადამიანის საქციელი. *ავკაცობა ჩაიდინა.*

**ავლა** *ავლის* (აივლის, აუვლის) 1. ქვევიდან ზევით გავლა. *ამგზაზე აიარა.* 2. ვინმეს ან რაიმეს გვერდით გავლა. *ცხენოსნებმა სოფელს აუარეს.*

**ავლა-დიდება** *ავლა-დიდების* მთელი ქონება. *წიგნებია მისი ავლა-დიდება.*

**ავოკადო** *ავოკადოს* მარადმწვანე მცენარე, ისხამს მსხლის ფორმის, მუქ მწვანე ან მოშავო, მსხვილ, კურკიან ნაყოფს.

**ავსება** *ავსების* (აავსებს, აივსებს, აუვსებს, აივსება, აევსება, აავსებინებს) იგივეა, რაც გავსება. *დოქი ღვინით აავსო.* ■ **ავსებული** რაც აავსეს ან აივსო. *ავსებული ჭიქები.*

**ავსიტყვა** *ავსიტყვას* ყველაზე ცუდის მოლაპარაკე, ავის მთქმელი. *ავსიტყვა კაცი.*

**ავსული** *ავსულის* 1. ავი, ვნების მომტანი, ბოროტი სული. *ავსული დაეპატრონა.* 2. ბოროტი, ეშმაკი, მავნე. *ავსული დედაბერი. ავსული კაცი.*

**ავტობანი** *ავტობანის* ფართო გზატკეცილი, რომელზეც ავტომობილები სწრაფად და შეუფერხებლად მოძრაობენ ცალმხრივად. *ახალი ავტობანი.*

**ავტობიოგრაფია** *ავტობიოგრაფიის* საკუთარი ცხოვრების აღწერა, საკუთარი ბიოგრაფია. *მწერლის ავტობიოგრაფია. სტუდენტის ავტობიოგრაფია.*

**ავტობიოგრაფიული** *ავტობიოგრაფიულის* რაც ავტობიოგრაფიას უკავშირდება. *ავტობიოგრაფიული ცნობები.*

**ავტობუსი** *ავტობუსის* ბევრი მგზავრისთვის განკუთვნილი დიდი ავტომობილი. *ავტობუსის გაჩერება. ავტობუსით მგზავრობა.*

**ავტოგრაფი** *ავტოგრაფის* 1. საკუთარი ხელით გაკეთებული წარწერა ან ხელმოწერა. *წიგნი მწერლის ავტოგრაფით. მსახიობს ავტოგრაფი სთხოვეს.* 2. ნაწარმოების ავტორისეული ხელნაწერი. *რომანის ავტოგრაფი.*

**ავტოდრომი** *ავტოდრომის* სპეციალურად მოწყობილი მოედანი ავტომანქანების გამოსაცდელად, შეჯიბრებების მოსაწყობად.

**ავტოვაგზალი** *ავტოვაგზლის* ვაგზალი, რომელიც საქალაქთაშორისო ავტობუსების მგზავრებისთვის არის განკუთვნილი. *ცენტრალური ავტოვაგზალი* შეცდომაა ავტოვაკზალი, ავტოვოგზალი.

**ავტოკეფალია** *ავტოკეფალიის* ეკლესიის დამოუკიდებლობა. *ავტოკეფალიის მოპოვება.*

**ავტოკლავი** *ავტოკლავის* ჰერმეტულსახურავიანი ლითონის აპარატი, რომელშიც სტერილიზაცია ხდება მაღალი წნევისა და ტემპერატურის პირობებში. *ქირურგიული ხელსაწყოების ავტოკლავი.*

**ავტოკოლონა** *ავტოკოლონის* მწკრივად მიმავალი ავტომობილების ნაკადი. *სპორტული ავტოკოლონა.*

**ავტომანქანა** *ავტომანქანის* იგივეა, რაც ავტომობილი. *სატვირთო ავტომანქანა. მსუბუქი ავტომანქანა.*

**ავტომატი** *ავტომატის* 1. მანქანა, რომელიც სამუშაოს ასრულებს ადამიანის ჩარევის გარეშე. *ხელით მუშაობა ავტომატმა შეცვალა.* 2. ცეცხლსასროლი იარაღი, რომელიც ჩახმახის მოწევით ისვრის უწყვეტად და ძალიან სწრაფად. *ავტომატის ჯერი.*

ავტომატი

**ავტომატიანი** *ავტომატიანის* ავტომატით (2) შეიარაღებული. *ავტომატიანი ჯარისკაცი.*

**ავტომატიზებული** *ავტომატიზებულის* ავტომატური ტექნიკით აღჭურვილი. *ავტომატიზებული საწარმო.*

**ავტომატურად** ზმნზ. 1. ავტომატის (1) საშუალებით. *სისტემა ავტომატურად ირთვება.* 2. მექანიკურად, გაუაზრებლად. *ავტომატურად უპასუხა.*

**ავტომატური** *ავტომატურის* ავტომატის (1) ტიპისა. *ავტომატური მექანიზმი.*

**ავტომობილი** *ავტომობილის* ოთხბორბლიანი მანქანა, რომელიც გადაადგილდება ძრავის მეშვეობით, გამოიყენება მგზავრების გადასაყვანად, ტვირთის გადასაზიდად. *ავტომობილის საჭე.*

**ავტონომია** *ავტონომიის* დამოუკიდებლობა მართვა-გამგეობაში. *ავტონომიის უფლება. ტერიტორიული ავტონომია.* ■ **ავტონომიური** ავტონომიის მქონე. *ავტონომიური რესპუბლიკა.*

**ავტოპორტრეტი** *ავტოპორტრეტის* მხატვრის მიერ დახატული საკუთარი პორტრეტი. *ცნობილი ავტოპორტრეტი.*

**ავტორი** *ავტორის* მხატვრული ნაწარმოების, მეცნიერული თხზულებისა და მისთ. შემქმნელი. *ლექსის ავტორი. მუსიკის ავტორი. პროექტის ავტორი.*

**ავტორიტარული** *ავტორიტარულის* ერთპიროვნულ ძალაუფლებაზე დაფუძნებული. *ავტორიტარული რეჟიმი.*

**ავტორიტეტი** *ავტორიტეტის* 1. საყოველთაო აღიარება, დაფასება. *ავტორიტეტს უფრთხილდება.* 2. ავტორიტეტის (1) მქონე, ანგარიშგასაწევი პირი. *მამა მისთვის ავტორიტეტი იყო.* ■ **ავტორიტეტიანი** ავტორიტეტის მქონე. *ავტორიტეტიანი პედაგოგი.*

**ავტორიტეტული** *ავტორიტეტულის* გავლენიანი, ანგარიშგასაწევი, მნიშვნელოვანი. *ავტორიტეტული ორგანიზაციები. ავტორიტეტული გამოცემა.*

**ავტოსტრადა** *ავტოსტრადის* იგივეა, რაც ავტობანი. *თანამედროვე ავტოსტრადა.*

**ავტოტრანსპორტი** *ავტოტრანსპორტის* სამგზავრო და სატვირთო მანქანების საერთო სახელწოდება. *ავტოტრანსპორტის საწვავი.*

**ავქაში** *ავქაშის* ქათმის მკერდის ძვალი. *ავქაში გადატეხეს.*

**ავყია** *ავყიას* დაუფიქრებლად მოლაპარაკე, ავის, ცუდის მთქმელი. *ავყია ცოლი. ავყია კაცი.*

**ავყიობა** *ავყიობის* ავყიას საქციელი, მოქმედება. *რძლის ავყიობა.*

**ავშანი** *ავშნის* იგივეა, რაც **აბზინდა.**

**ავხორცი** *ავხორცის* სქესობრივად აღვირახსნილი, თავშეუკავებელი. *ავხორცი ქალი. ავხორცი ადამიანი.*

**ავხორცობა** *ავხორცობის* სექსუალური თავშეუკავებლობა. *ავხორცობა ეტყობა.*

**აზარტი** *აზარტის* ძლიერი გატაცება შეჯიბრებით, თამაშითა და მისთ. *სპორტული აზარტი.*

**აზარტული** *აზარტულის* ვისაც ან რასაც **აზარტი** ახასიათებს. *აზარტული მოთამაშე.*

**აზარფეშა** *აზარფეშის* ლითონის სასმისი, რომელსაც სახელური აქვს. *ვერცხლის აზარფეშა.*


აზარფეშა

**აზატი** *აზატის* ძვ. განთავისუფლებული ყმა.

**აზბესტი** *აზბესტის* ცეცხლგამძლე თეთრი მინერალი, რომელიც სითბოსა და ელექტრობას არ ატარებს, იყენებენ თბოსაიზოლაციო ნაკეთობების დასამზადებლად. *აზბესტის ფურცლები. აზბესტის მილი.*

**აზელა** *აზელის* (აზელს, აიზელს, აუზელს, აიზილება, ააზელინებს) სითხისა და ფხვიერი მასის ერთმანეთში არევა. *თიხა აზილა. ცემენტი აზილეს.* ■ **აზელილი** რაც აიზილა ან აზილეს. *აზელილი ტალახი.*

**აზვირთება** *აზვირთების* (ააზვირთებს, აზვირთდება) 1. ზღვის, მდინარისა და მისთ. აღელვება, ადიდება, ზვირთებად ქცევა. *ზღვა აზვირთდა.* 2. გადატ. მოზღვავება, აბობოქრება. *ხალხი აზვირთდა.* ■ **აზვირთებული** რაც ან ვინც აზვირთდა. *აზვირთებული ტბა.*

**აზიდვა** *აზიდვის* (აზიდავს, აუზიდავს, აიზიდება, ააზიდვინებს) ტვირთის რამდენიმე გზად, რამდენიმე ჯერზე ატანა. *მასალა მეორე სართულზე აზიდეს.*

**აზიდული** *აზიდულის* 1. რაც აზიდეს. *ზურგით აზიდული ბარგი.* 2. აწეული. *აზიდული წარბები.*

**აზიზი** *აზიზის* ნაზი, ფაქიზი, სათუთი. *აზიზი გოგოა.* ▲ **აზიზად** ზმნზ. სათუთად, ფაქიზად. *აზიზად გაზრდილი.*

**აზიმუტი** *აზიმუტის* კუთხე, რომელიც იქმნება კონკრეტულ მიმართულებასა და ჩრდილოეთის მიმართულებას შორის.

**აზნაური** *აზნაურის* მაღალი წოდების წარმომადგენელი საქართველოში. *შეძლებული აზნაური. ღარიბი აზნაური.* ■ **აზნაურული** აზნაურისთვის დამახასიათებელი. *აზნაურული სიამაყე.*

**აზომვა** *აზომვის* (აზომავს, აუზომავს, აიზომება) გაზომვა ფართობის დასადგენად. *ტერიტორიის აზომვა. მიწის ნაკვეთები აზომეს.*

**აზოტი** *აზოტის* ჰაერის ძირითადი შემადგენელი უფერო და უსუნო გაზი. *აზოტით გამდიდრებული სასუქი.*

**აზრი** *აზრის* 1. ფიქრის, მსჯელობის, განსჯის შედეგი. *ერთი აზრი დამებადა. აკვიატებული აზრი.* 2. მნიშვნელობა, ღირებულება. *აზრი არა აქვს. აზრს ვერ ვხედავ.* 3. ვინმეს შეხედულება ამა თუ იმ საკითხზე. *აზრი გამოთქვეს. აზრთა სხვადასხვაობა.* 4. შინაარსი, საზრისი. *ცხოვრების აზრი. მთავარი აზრი.* ⊙ **აზრად** აქვს აპირებს, განზრახული აქვს, სურს გააკეთოს.

**აზრიანი** *აზრიანის* ღრმა აზრის შემცველი, გონიერი. *აზრიანი საუბარი. აზრიანი ბავშვი.*

**აზროვნება** *აზროვნების* (აზროვნებს) საგანთა და მოვლენათა შორის ურთიერთკავშირის დადგენის, შეფასებისა და დასკვნის გამოტანის პროცესი. *აზროვნების შედეგი. ლოგიკურად აზროვნებს.*

**აზუზუნება** *აზუზუნების* (ააზუზუნებს, აზუზუნდება) ზუზუნის დაწყება. *ტყვიები აზუზუნდა.*

**ათავება** *ათავების* (აათავებს, ათავდება, აუთავდება) დამთავრება, დასრულება. *ვენახის კვალი აათავა.*

**ათასგან** ზმნზ. ძალიან ბევრგან. *ათასგან არის ნამყოფი.*

**ათასგვარი** *ათასგვარის* ბევრნაირი, მრავალგვარი. *ათასგვარი მოვლენა. ათასგვარი საქონელი.*

**ათასეული** *ათასეულის* 1. ათასი ერთეულის შემცველი სიმრავლე. *ორი ათასეული წლის წინათ.* 2. იგივეა, რაც **ბატალიონი.**

**ათასი** *ათასის* 1. რიცხვი 1000. *ათასი ლარი.* 2. გადატ. ბევრი. *ათას ვინმეს იცნობს.*

**ათასნაირი** *ათასნაირის* იგივეა, რაც **ათასგვარი.** *ათასნაირი ჭორი. ათასნაირი საჭმელი.*

**ათასობით** ზმნზ. რამდენიმე ათასის ოდენობით, ძალიან დიდი რაოდენობით. *ათასობით სტუდენტი.*

**ათასფერი** *ათასფრის* სხვადასხვა ფერის მქონე, მრავალფერი. *ათასფერი ყვავილები.*

**ათასფრად** ზმნზ. სხვადასხვა, მრავალ ფერად. *ათასფრად შეღებილი.*

**ათასწლეული** *ათასწლეულის* დროის მონაკვეთი, მოიცავს ათას წელს. *მესამე ათასწლეული.*

**ათასწლოვანი** *ათასწლოვანის* ათასი წლის ასაკისა (ხანგრძლივობისა), ძალიან დიდი ხნისა. *ათასწლოვანი ისტორია.*

**ათაშანგი** *ათაშანგის* მედიც. იგივეა, რაც **სიფილისი.**

**ათეიზმი** *ათეიზმის* ღმერთის არსებობის უარყოფა. *ათეიზმს ქადაგებს.*

**ათეისტი** *ათეისტის* პირი, რომელსაც ღმერთის არსებობა არ სწამს. *ათეისტის გამოსვლა.*

**ათეროსკლეროზი** *ათეროსკლეროზის* მედიც. ქრონიკული დაავადება, რომლის დროსაც არტერიებში გროვდება ქოლესტერინი და ირღვევა ორგანოების სისხლით მომარაგება.

**ათესვა** *ათესვის* (აითესება, აეთესება) ჟარგ. გაპარვა, გაუჩინარება. *სად ამეთესა ეს კაცი?*

**ათეული** *ათეულის* 1. ათი ერთეულის შემცველი სიმრავლე, გამოიყენება თვლისას. *ორი ათეული წელი.* 2. ჯარის უმცირესი ქვედანაყოფი, ოცეულის ნაწილი. *პირველი ათეული.*

**ათვალწუნება** *ათვალწუნების* (აითვალწუნებს) უმიზეზოდ შეძულება, ამოჩემება. *მეგობარი აითვალწუნა.* ■ **ათვალწუნებული** ვინც აითვალწუნეს. *მე ზობელი ათვალწუნებული ჰყავს.*

**ათვისება** *ათვისების* (აითვისებს, აათვისებინებს) 1. მთლიანად გამოყენება, მოხმარება, დამუშავება. *ახალი მიწების ათვისება. თანხა აითვისეს.* 2. იგივეა, რაც **შეთვისება** (1). *უცხოური ენა კარგად აითვისა.* ■ **ათვისებული** რაც აითვისეს. *ათვისებული რესურსები.*

**ათვლა** *ათვლის* (აითვლის, აითვლება) გარკვეული ადგილიდან, დროიდან დათვლა. *მანძილის ათვლა. ათვლა დაიწყო.* ⊙ **ათვლის წერტილი** ამოსავალი რაიმეს შეფასებისთვის, განსაზღვრისთვის.

**ათი** *ათის* რიცხვი 10. *ათი დღე. ათი მოსწავლე.* ■ **ათ-ათი** თითოსთვის ათი, ჯერზე ათი. *ათ-ათი ფურცელი დაურიგეს.*

**ათინათი** *ათინათის* წიგნ. სიბნელეში შემოსული ან რაიმეზე არეკლილი სინათლის სხივი. *მზის ათინათი.*

**ათიოდე** *ათიოდეს* დაახლოებით ათი. *ათიოდე წლის წინ.*

**ათკეცი** *ათკეცის* ათად მოკეცილი. *ათკეცი ძაფი.*

**ათლეტი** *ათლეტის* 1. მაღალი, სპორტული აღნაგობის მამაკაცი. *ნამდვილი ათლეტია.* 2. ათლეტიკის მიმდევარი. *ათლეტების გამოსვლა.* **შეცდომაა** ატლეტი.

**ათლეტიკა** *ათლეტიკის* სხვადასხვა ფიზიკური ვარჯიშის ერთობლიობა, ავითარებს ძალას, სიმარდესა და ამტანობას. *მსუბუქი ათლეტიკა.*

**ათლეტიკური** *ათლეტიკურის* ათლეტიკასთან დაკავშირებული. *ათლეტიკური ვარჯიში.* **პარონიმი** ათლეტური.

**ათლეტური** *ათლეტურის* სპორტული აღნაგობის მქონე. *ათლეტური მამაკაცი.* **პარონიმი** ათლეტიკური.

**ათმაგი** *ათმაგის* ათჯერ მეტი, ათჯერ აღებული. *ათმაგი შრომა დასჭირდა.* ■ **ათმაგად** ზმნზ. ათჯერ მეტად. *ათმაგად დაჯარიმდა.*

**ათრევა** *ათრევის* (აათრევს, აითრევს, აუთრევს, აეთრევა, აათრევინებს, აეთრევინება) 1. დიდი სიმძიმის გაჭირვებით ატანა. *ყუთი ძლივს აათრია კიბე ზე.* 2. უპატივც. ასვლა. *დროზე აეთრიე სახლში!*

**ათრთოლება** *ათრთოლების* (აათრთოლებს, აუთრთოლებს, ათრთოლდება, აუთრთოლდება) თრთოლის დაწყება. *გოგონა ათრთოლდა. სიხარულით გული აუთრთოლდა.* ■ **ათრთოლებული** ვინც ან რაც ათრთოლდა. *ათრთოლებული ქალი. ათრთოლებული ხელი.*

**ათქვეფა** *ათქვეფის* (ათქვეფს, აუთქვეფს, აითქვიფება) კვერცხის, კარაქისა და მისთ. ცალკე ან სხვა მასალასთან არევა, ერთგვაროვან მასად ქცევა. *მიქსერით ათქვეფა. კვერცხი ათქვიფა. ნაღები შაქართან ათქვიფა.* ■ **ათქვეფილი** რაც ათქვიფეს. *ათქვეფილი ცილა.*

**ათქვირება** *ათქვირების* (ათქვირდება, აუთქვირდება) საუბრ. სიმწიფის ასაკში შესული ქალის ფერხორციით ავსება. *მკერდი აუთქვირდა.* ■ **ათქვირებული** ვინც ან რაც ათქვირდა. *ახლად ათქვირებული.*

**ათწილადი** *ათწილადის* მათ. წილადი, რომელიც მიღებულია მთელის მეათედებად, მეასედებად და ა.შ. დაშლის შედეგად. *ათწილადების შეკრება.*

**ათწლეული** *ათწლეულის* დროის მონაკვეთი, მოიცავს ათ წელს. *ბოლო ათწლეული.*

**აი** 1. ნაწილაკ. გამოიყენება ვინმეზე ან რაიმეზე მისათითებლად. *აი, ეს მომეცით! აი, ჩემი ძმა!* 2. შორისდ. გამოხატავს დანანებას, ნიშნის მოგებას. *აი, რა ძნელია მარტო დარჩენა! აი, რომ არ მიჯერებდით!*

**აიაზმა** *აიაზმის* ნაკურთხი წყალი. *აიაზმა ასხურა.*

აივანი



**აივანი** *აივნის* სახლის ღია, მოაჯირიანი ნაწილი. *ხის აივანი. საზეიმოდ მორთული აივანი.*

**აინუნში** ⊙ **აინუნში არ აგდებს** ყურადღებას არ აქცევს, არაფრად აგდებს.

**აირი** *აირის* იგივეა, რაც **გაზი**[1] (1). *მხუთავი აირი.*

**აირისებრი** *აირისებრის* რაც აირს ჰგავს. *აირისებრი მასა.*

**აირსაცავი** *აირსაცავის* აირის შესანახი სათავსი.

აირწინაღი



**აირწინაღი** *აირწინაღის* ჰაერის მფილტრავი ნიღაბი, რომელიც გამოიყენება სხვადასხვა მომწამლავი აირისგან თავდასაცავად. *მეხანძრის აირწინაღი.*

აისბერგი

**აისბერგი** *აისბერგის* ზღვაში ან ოკეანეში მცურავი ყინულის მასა, რომლის ძირითადი ნაწილი წყლის სიღრმეშია. *გემი აისბერგს შეეჯახა.*

**აისი** *აისის* წიგნ. მზის ამოსვლის დრო, ალიონი, განთიადი. *აისის ფერები.*

**აკადემია** *აკადემიის* 1. მეცნიერთა, ხელოვნების მოღვაწეთა და მისთ. გაერთიანება, საზოგადოება. *მეცნიერებათა აკადემია. კინოკრიტიკოსთა აკადემია.* 2. სპეციალური უმაღლესი სასწავლებლის სახელწოდება. *სამხატვრო აკადემია. სამხედრო აკადემია.*

**აკადემიკოსი** *აკადემიკოსის* აკადემიის (1) წევრი. *აკადემიკოსის გამოსვლა.*

**აკადემიური** *აკადემიურის* 1. მაღალპროფესიული, მეცნიერული, დახვეწილი, სრულყოფილი. *აკადემიური სტილი. აკადემიური ნაშრომი.* 2. სასწავლო. *აკადემიური მოსწრება. აკადემიური ჩამორჩენა.*

**აკაკანება** *აკაკანების* (ააკაკანებს, აკაკანდება) კაკანის დაწყება. *დედალი აკაკანდა.*

**აკაკი** *აკაკის* საშუალო სიმაღლის ან მაღალი ხე, აქვს ნაცრისფერი გლუვი ქერქი, გაშლილი ტოტები, დაკბილული ფოთლები და ძალიან პატარა ყვავილები, ისხამს კურკოვან, მოტკბო ნაყოფს. *აკაკის ტოტები.*

**აკანკალება** *აკანკალების* (ააკანკალებს, აკანკალდება) კანკალის დაწყება. *ბავშვს ააკანკალა. სიცივისგან აკანკალდა.*

**აკაპიწება** *აკაპიწების* (აიკაპიწებს, აუკაპიწებს) სახელოების ან შარვლის ტოტების აკეცვა. *პერანგი აიკაპიწა.* ■ **აკაპიწებული** რაც აიკაპიწეს. *აკაპიწებული სახელო.*

**აკაცია** *აკაციის* მერქნიანი მცენარე, აქვს რთული ფოთლები და პატარა თავებად შეკრებილი ყვითელი ან თეთრი, სურნელოვანი ყვავილები. *აკაციის ტევრი.*

**აკენკვა** *აკენკვის* (აკენკავს, აიკენკება) ნისკარტით მარცვლების, ნამცეცებისა და მისთ. აკრეფა. *ქათამმა სიმინდი აკენკა.*

აკვალანგი



**აკვალანგი** *აკვალანგის* მონყობილობა შეკუმშული ჰაერით გავსებული ერთი ან ორი ბალონით, რომელიც საშუალებას აძლევს ადამიანს ისუნთქოს წყალქვეშ. *აკვალანგი მოირგო.*

**აკვალანგისტი** *აკვალანგისტის* პირი, რომელიც აკვალანგით აღჭურვილი დაცურავს წყალქვეშ. *აკვალანგისტმა ჩაყვინთა.*

**აკვანი** *აკვნის* ხისგან დამზადებული სარწევი საწოლი, რომელშიც ჩვილ ბავშვს არტახებით აკრავენ. *აკვნების ოსტატი.*

**აკვარელი** *აკვარელის* 1. წყალში გასახსნელი საღებავი. *აკვარელით ხატავს.* 2. აკვარელით (1) შესრულებული ნახატი. *ცნობილი აკვარელი.*

**აკვარიუმი** *აკვარიუმის* სხვადასხვა ზომისა და [illegible] ფერის ჭურჭელი ან დიდი რეზერვუარი წყლის ცხოველების მოსაშენებლად. *მრგვალი აკვარიუმი. აკვარიუმი აჩუქეს.* შეცდომაა აქვარიუმი.

აკვარიუმი

**აკვატორია** *აკვატორიის* ნავსადგურის საზღვრებში მოქცეული წყლის სივრცე. *ფოთის აკვატორია.*

**აკვიატება** *აკვიატების* (აიკვიატებს, აეკვიატება) რაიმე აზრის, განზრახვისა და მისთ. გონებაში ჩაბეჭდვა, გამუდმებით მასზე ფიქრი. *გამგზავრება აიკვიატა. სიზმარი აეკვიატა.* ■ **აკვიატებული** რაც აეკვიატათ. *აკვიატებული იდეა. აკვიატებული მელოდია.*

**აკვრა** *აკვრის* (აჰკრავს, ააკრავს, აიკრავს, აუკრავს, აეკვრება, ააკვრევინებს) 1. რაიმეზე ქვევიდან მიწებება, მიმაგრება. *ფანჯარას ქაღალდი ააკრა. ჭერს ფიცრები ააკრეს.* 2. დარტყმა ქვევიდან ზევით. *ხელი აუკრა. თათი აჰკრა.*

**აკი** ნაწილაკ. გამოიყენება წინასწარ ნათქვამის შესახსენებლად, როდესაც გამართლდება ნათქვამი ან საწინააღმდეგო რამ ხდება. *აკი გითხარი, მოვა-მეთქი! აკი არ უნდა წასულიყავი! აკი შემპირდი, რომ მოხვიდოდი!*

**აკიაფება** *აკიაფების* (ააკიაფებს, აკიაფდება) აციმციმება. *ცაზე ვარსკვლავი აკიაფდა.*

**აკიდება** *აკიდების* (აჰკიდებს, აიკიდებს, აეკიდება, ააკიდებინებს) 1. ზურგზე დიდი სიმძიმის დადება, დატვირთვა. *ცხენს ხურჯინი აჰკიდა. მუშას ჩანთები აჰკიდეს.* 2. საუბრ. ავადმყოფობის შეყრა. *გრიპი აიკიდა.* 3. საუბრ. ვინმეს ადევნება მისი სურვილის საწინააღმდეგოდ. *უცნობი აეკიდა. მთვრალი აეკიდა. ეს ბავშვი რაღას აგეკიდა!* 4. საუბრ. ზედმეტად რთული სამუშაოს აღება ან ძალით თავს მოხვევა. *ეს საქმე ტყუილად ავიკიდე.* ■ **აკიდებული** რაც ან რასაც აჰკიდეს. *აკიდებული ბარგი. აკიდებული ცხენი.*

აკიდო

**აკიდო** *აკიდოს* ვაზის მოკლედ აჭრილი რქა ორი მტევნით. *სტუმრებს აკიდოები გაატანეს.* შდრ. **ჩხა.**

**აკინძვა** *აკინძვის* (აკინძავს, აუკინძავს, აიკინძება) ბევრის ერთად აცმა, ასხმა, შეკვრა. *საბუთების აკინძვა. გაზეთები აკინძა.* ■ **აკინძული** რაც აკინძეს. *აკინძული წიგნი.*

აკლდამა

**აკლდამა** *აკლდამის* 1. მიცვალებულთა დასამარხად განკუთვნილი ნაგებობა. *ქვითკირის აკლდამა. საგვარეულო აკლდამა.* 2. საფლავზე დადგმული ნაგებობა. *აკლდამის კარი გაიღო.*

**აკლება** *აკლების* (აიკლებს, აუკლებს, ააკლებინებს) 1. ვინმეზე თავდასხმა და აწიოკება, დარბევა.

*ლეკებმა სოფელი აიკლეს.* 2. გადატ. სხვებისთვის სიმყუდროვის დარღვევა, ხმაურით შეწუხება. *ბავშვებმა სახლი აიკლეს. ტელეფონმა აგვიკლო.*

**აკლიმატიზაცია** *აკლიმატიზაციის* ორგანიზმის შეგუება ახალ კლიმატურ პირობებთან. *მცენარეთა და ცხოველთა აკლიმატიზაცია.*

**აკოკოლავება** *აკოკოლავების* (ააკოკოლავებს, აკოკოლავდება) ბევრი რამის ერთმანეთზე დაწყობა. *წიგნები ააკოკოლავა. თეფშები ააკოკოლავეს.* ■ **აკოკოლავებული** რაც ააკოკოლავეს. *აკოკოლავებული შეშა.*

**აკოკრება** *აკოკრების* (აკოკრდება) კოკრის გამობმა. *ყვავილები აკოკრდა.* ■ **აკოკრებული** რაც აკოკრდა. *აკოკრებული ბუჩქი.*

**აკომპანემენტი** *აკომპანემენტის* მუსიკალური თანხლება, სრულდება ინდივიდუალურად ან ჯგუფურად. *აკომპანემენტის თანხლებით.* შეცდომაა აკომპანიმენტი.

**აკომპანიატორი** *აკომპანიატორის* აკომპანემენტის შემსრულებელი (ჩვეულებრივ, პიანისტი). *აკომპანიატორმა დააგვიანა.*

**აკომპანირება** *აკომპანირების* აკომპანემენტის შესრულება. *აკომპანირებას უწევს.*

**აკორდეონი** *აკორდეონის* გარმონის ტიპის მუსიკალური ინსტრუმენტი, რომელსაც ფორტეპიანოს მსგავსი კლავიატურა აქვს. *აკორდეონს უკრავს.* შეცდომაა აკარდეონი.

აკორდეონი



**აკორდი** *აკორდის* სამი ან მეტი მუსიკალური ბგერის ჰარმონიული შეერთება. *პირველი აკორდი.*

**აკრედიტაცია** *აკრედიტაციის* დაწესებულებისთვის ან კერძო პირისთვის გარკვეული მოვალეობის აღსრულების უფლებამოსილების მინიჭება შესაბამისი ორგანოს მიერ. *სასწავლებლის აკრედიტაცია. ჟურნალისტის აკრედიტაცია.*

**აკრედიტებული** *აკრედიტებულის* ვისაც ან რასაც აკრედიტაცია აქვს მიღებული. *აკრედიტებული ინსტიტუტი.*

**აკრედიტივი** *აკრედიტივის* ფინანსური დოკუმენტი, რომლითაც ერთი საკრედიტო დაწესებულება ავალებს მეორეს გარკვეული პირისთვის განსაზღვრული თანხის მიცემას მთლიანად ან ნაწილ-ნაწილ. *ბანკიდან აკრედიტივი წაიღო.*

**აკრეფა** *აკრეფის* (აკრეფს, აუკრეფს, აიკრიფება, ააკრეფინებს) 1. ძირს დაყრილის აღება, მოგროვება. *ვაშლები აკრიფა.* 2. სხვადასხვა პირისთვის (ორგანიზაციისთვის) განსაზღვრული თანხის გამორთმევა შესაგროვებლად. *გადასახადების აკრეფა. მეზობლებმა ფული აკრიფეს.* 3. ციფრების, ასოებისა და სიმბოლოების შეყვანა ელექტრონულ მოწყობილობაში (კომპიუტერში, ტელეფონსა და მისთ.). *მეგობრის ნომერი აკრიფა. მოხსენების ტექსტი აკრიფა. სეიფის პაროლი აკრიფა.* ■ **აკრეფილი** რაც აკრიფეს. *აკრეფილი მარცვლები.*

**აკრიახება** *აკრიახების* (ააკრიახებს, აკრიახდება) კრიახის დაწყება. *ქათმები აკრიახდნენ.*

**აკრობატი** *აკრობატის* ტანმოვარჯიშე, სპორტსმენი ან ცირკის მსახიობი. *აკრობატების გამოსვლა.*

**აკრობატიკა** *აკრობატიკის* სპორტული და საცირკო ტანვარჯიშის სახეობა, აერთიანებს: ხტომას, ყირას, წონასწორობის დაცვას, ბრუნსა და მისთ. *აკრობატიკას სწავლობს.*

**აკრობატული** *აკრობატულის* აკრობატისთვის დამახასიათებელი. *აკრობატული მოძრაობა.*

**აკროსტიქი** *აკროსტიქის* ტექსტი (ძირითადად, ლექსი), რომლის სტრიქონთა თავკიდური ასოები შეადგენენ სიტყვას ან წინადადებას.

**აკრუსუნება** *აკრუსუნების* (ააკრუსუნებს, აკრუსუნდება) კრუსუნის დაწყება. *ავადმყოფი აკრუსუნდა.* ■ **აკრუსუნებული** ვინც აკრუსუნდა. *აკრუსუნებული ბავშვი.*

**აკრძალვა** *აკრძალვის* (აკრძალავს, აუკრძალავს, აიკრძალება, აეკრძალება, ააკრძალვინებს) რაიმე საქმიანობის დაშლა, უფლების ჩამორთმევა. *დაწესებულებაში მოწევა აკრძალეს. ქვეყნიდან გასვლა აუკრძალეს.* ■ **აკრძალული** რაც აკრძალეს. *აკრძალული მშენებლობა.*

**აკუმულატორი** *აკუმულატორის* მოწყობილობა, რომელიც გამოიყენება სხვადასხვა სახის ენერგიის დასაგროვებლად. *წყლის აკუმულატორი. სითბური აკუმულატორი.*

**აკუმულაცია** *აკუმულაციის* სხვადასხვა სახის რესურსების დაგროვება. *ელექტრობის აკუმულაცია. წყლის აკუმულაცია. ფინანსების აკუმულაცია.*

**აკუმულირება** *აკუმულირების* იგივეა, რაც აკუმულაცია.

**აკურატული** *აკურატულის* 1. ფაქიზი, ზედმიწევნით ზუსტად და სუფთად გაკეთებული. *აკურატული ნახელავი.* 2. წესიერი, სუფთა, მოწესრიგებული. *აკურატული ადამიანი. აკურატულად ჩაცმული.* ▲ **აზიზად** ზმნზ. სუფთად, ფაქიზად. *აკურატულად წერს. აკურატულად ჩაცმული.*

**აკუსტიკა** *აკუსტიკის* სმენით აღქმის, გაგონების პირობები შენობის შიგნით. *დარბაზის აკუსტიკა. კარგი აკუსტიკა.* ■ **აკუსტიკური** აკუსტიკასთან დაკავშირებული. *აკუსტიკური შთაბეჭდილება.*

**აკუწვა** *აკუწვის* (აკუწავს, აუკუწავს, აიკუწება, ააკუწვინებს) ხორცისა და მისთ. წვრილად დაჭრა, დანაწევრება. *ნანადირევი აკუწა.* ■ **აკუწული** რაც აკუწეს. *აკუწული ხორცი.*

**ალაგ-ალაგ** ზმნზ. ზოგ ადგილას, ზოგან. *თოვლი ალაგ-ალაგ არის შერჩენილი.*

**ალაგას** ზმნზ. ადგილზე, ადგილას. *წიგნი თავის ალაგას დადო.*

**ალაგება** *ალაგების* (აალაგებს, აულაგებს, ალაგდება, აალაგებინებს) არეულ-დარეულის დალაგება, აღება, მოწესრიგება. *ლოგინის ალაგება. სუფრა აალაგეს.* ■ ალაგებული რაც აალაგეს. *ალაგებული მაგიდა.*

**ალაგმვა** *ალაგმვის* (ალაგმავს, აილაგმება) 1. ცხენის დამორჩილება ლაგმის საშუალებით. 2. გადატ. ზიანის მომტანი საქციელის შეჩერება, დაშლა. *ბოროტმოქმედთა პარპაში აილაგმა. მტერი ალაგმეს.*

**ალადასტური** *ალადასტურის* 1. შავყურძნიანი ვაზის ჯიში. *ალადასტურის ნერგები.* 2. ამ ჯიშის ყურძნისგან დაყენებული ნახევრად ტკბილი ღვინო. *ალადასტურმა დაათრო.*

**ალავერდი** *ალავერდის* სუფრის ერთი წევრის მიერ წარმოთქმული სადღეგრძელოს მეორისთვის შეთავაზების ტრადიცია. *ალავერდს თქვენთან ვარ!*

**ალალბედზე** ზმნზ. წინასწარ მოუფიქრებლად, შემთხვევით. *ალალბედზე აკეთებს.*

**ალალი**[1] *ალალის* მცირე ზომის მტაცებელი ფრინველი. *ალალმა ჩამოიქროლა.*

**ალალი**[2] *ალალის* 1. მართალი, პატიოსანი. *ალალი კაცი. ალალი საქციელი.* 2. მკვიდრი, უახლოესი (ნათესავი). *ალალი ძმები. ალალი ბიძაშვილი.* ☺ ალალი იყოს! ეკუთვნის და სიკეთით მოიხმაროს!

**ალალ-მართალი** *ალალ-მართლის* უდანაშაულო, მართალი, პატიოსანი. *ალალ-მართალი კაცი.*

**ალამი** *ალმის* იგივეა, რაც დროშა. *გაშლილი ალამი. დოლის ალამი.*

**ალანძვა** *ალანძვის* (ალანძავს, აულანძავს, აილანძება, აელანძება) 1. ზედაპირის ოდნავ დაწვა ცეცხლზე. *პური აილანძა.* 2. სახის წამოწითლება (სიცხისგან, სირცხვილისგან და მისთ.). *გოგო აილანძა. მზემ ლოყები აულანძა.* ■ ალანძული რაც აილანძა. *ალანძული სახე.*

**ალაო** *ალაოს* ხელოვნურად გაღივებული მარცვლეული (ქერი, ხორბალი, ჭვავი, ფეტვი), იყენებენ ლუდისა და ბურახის დასამზადებლად.

**ალაპარაკება** *ალაპარაკების* (აალაპარაკებს, ალაპარაკდება) ლაპარაკის დაწყება. *ბავშვი ალაპარაკდა. ამ ამბავზე ყველა ალაპარაკდა.*

**ალაპლაპება** *ალაპლაპების* (აალაპლაპებს, ალაპლაპდება) ლაპლაპის დაწყება. *სარკე ალაპლაპდა.*

**ალაფი** *ალაფის* ძვ. ნადავლი. *დიდძალი ალაფი.*

**ალაყაფი** *ალაყაფის* ☺ ალაყაფის კარი დიდი ჭიშკარი.

**ალაჰი** *ალაჰის* მუსლიმთა ღმერთის სახელი. *ალაჰს იფიცებს.*

**ალბათ** ნაწილაკ. შესაძლოა, როგორც ჩანს. *ალბათ [illegible]და. ალბათ ეჩქარებოდა.*

**ალბათობა** *ალბათობის* რაიმეს გაკეთების, განხორციელების, მოხდენის შესაძლებლობა. *დიდი ალბათობა. მცირე ალბათობა.*

**ალბინოსი** *ალბინოსის* ადამიანი ან ცხოველი, რომელსაც პიგმენტთა ნაკლებობის გამო არაბუნებრივად თეთრი კანი და თმა აქვს. *ალბინოსი ბიჭი.*

**ალბომი** *ალბომის* 1. სურათების, მარკებისა და მისთ. ჩასაწყობად ან რაიმეს ჩასაწერად, ჩასახატად განკუთვნილი წიგნი. *სახატავი ალბომი.* 2. წიგნი, რომელშიც ხელოვნების ნიმუშების, მცენარეთა ან ცხოველთა სხვადასხვა სახეობისა და მისთ. ფოტოებია თავმოყრილი. *არქიტექტურული ძეგლების ალბომი.*

**ალგებრა** *ალგებრის* მათემატიკის დარგი, რომელიც სწავლობს სიდიდეებზე მოქმედებათა ზოგად კანონებს ამ სიდიდეების რიცხობრივი მნიშვნელობისგან დამოუკიდებლად. *ალგებრის გაკვეთილი.*

**ალგორითმი** *ალგორითმის* რაიმე ამოცანის ამოსახსნელად საჭირო მოქმედებათა ზუსტი მიმდევრობა. *რთული ალგორითმი.*

**ალებასტრი** *ალებასტრის* მთის ქანი, თაბაშირისნაირსახეობა. *ალებასტრით შელესილი.*

**ალეგორია** *ალეგორიის* მხატვრული ხერხი ლიტერატურასა და სახვით ხელოვნებაში, როცა ძირითადი აზრი შეფარვით, ქარაგმულად არის გამოხატული. *მწერალი ალეგორიას იყენებს.*

**ალეგორიული** *ალეგორიულის* ალეგორიის შემცველი. *ალეგორიული ჟანრი. ალეგორიული ნათქვამი.*

**ალერსი** *ალერსის* (ალერსობს, ეალერსება) სიყვარულის გამოხატვა ვინმეს ან რაიმეს მიმართ სიტყვით ან მოქმედებით. *დედა ეალერსება. ალერსით სავსე.*

**ალერსიანი** *ალერსიანის* ალერსის გამომხატველი, მოსიყვარულე. *ალერსიანი შვილი. ალერსიანი მზერა.*

**ალექსანდროული** *ალექსანდროულის* 1. შავყურძნიანი ვაზის ჯიში. *ალექსანდროულის მოსავალი.* 2. ამ ჯიშის ყურძნისგან დაყენებული ღვინო. *ალექსანდროულით გაგვიმასპინძლდა.*

**ალეწვა** *ალეწვის* (ალეწავს, აულეწავს, აილეწება, აელეწება) ძლიერი აღელვების ან ბრაზისგან სახეზე წამოწითლება. *სირცხვილისგან ლოყები აელეწა. უცებ აილეწა.* ■ ალეწილი ვინც ან რაც აილეწა. *ალეწილი სახე.*


ალვისხე

**ალვა** *ალვის* იგივეა, რაც ალვისხე. *ალვების ხეივანი.*

**ალვისხე** *ალვისხის* მაღალი, ფოთლოვანი, უნაყოფო, სწორი ხე, აქვს მაღლა აშვერილი ტოტები და ვიწრო ვარჯი. *ალვისხესავით მაღალი.*

**ალთას** ზმნზ. ⊙ ერთი – ალთას, მეორე – ბალთას ამბობენ, როდესაც

ერთმანეთის არ ესმით, ერთმანეთთან შეუთანხმებლად მოქმედებენ.

**ალი**[1] *ალის* ცეცხლის ნაწილი, რომელიც წვის შედეგად საგნიდან (ნივთიერებიდან) ამოდის და ანათებს. *სანთლის ალი.*

**ალი**[2] *ალის* ზღაპრული არსება, რომელსაც ხალხური წარმოდგენით ლამაზი ქალის სახე აქვს.

**ალია** *ალიის* ისრაელში სხვადასხვა ქვეყნიდან ებრაელთა გადმოსახლების, იმიგრაციის პროცესი. *ალია საქართველოდან.*

**ალიანსი** *ალიანსის* საერთაშორისო გაერთიანება, პოლიტიკურ ან საზოგადოებრივ ჯგუფებს შორის ხელშეკრულების საფუძველზე შექმნილი კავშირი. *სამხედრო ალიანსის ქვეყნები. პოლიტიკური პარტიების ალიანსი.*

**ალიაქოთი** *ალიაქოთის* არეულობა, აურზაური. *ალიაქოთი ატყდა.*

**ალიბი** *ალიბის* დანაშაულის ჩადენის დროს ბრალდებულის სხვაგან ყოფნის საფუძველზე მისი უდანაშაულობის მტკიცებულება. *ალიბი აქვს.*

**ალიბუხარი** *ალიბუხარის* ქლიავის ჯიში, ისხამს მონითალო-მოშინდისფრო ნაყოფს, აქვს მომჟავო გემო.

**ალიგატორი** *ალიგატორის* დიდი ზომის ნიანგი, ბინადრობს აფრიკაში.

**ალიზი** *ალიზის* გამოუწვავი, მზეზე გამომშრალი აგური. *ალიზის სახლი.*

ალიკაპი



**ალიკაპი** *ალიკაპის* ცხოველის პირის ასაკრავი მოწყობილობა, ამზადებენ ლითონისგან ან ტყავისგან. *ძაღლის ალიკაპი.*

**ალი-კვალი** *ალი-კვალის* 1. გზა-კვალი, ასავალ-დასავალი. *ალი-კვალი ვერ გაიგეს.* 2. საუბრ. მსგავსი. *გოგო დედის ალი-კვალია.*

**ალილო** *ალილოს* 1. შობის წინა ღამეს მისალოცად კარდაკარ სიარული საშობაო სიმღერით. *ალილოზე დადიან.* 2. საშობაო სიმღერა, რომელიც სრულდება ალილოს (1) დროს. ⊙ **ალილო და ხვალაო** საუბრ. ამასაც მალე ვნახავთ!

**ალიმენტი** *ალიმენტის* კანონის ძალით დაკისრებული გადასახადი არასრულწლოვანი შვილების, შრომის უნარს მოკლებული მეუღლის, მშობლების სარჩენად. *ალიმენტს უხდის.*

**ალიონი** *ალიონის* იგივეა, რაც განთიადი. *ალიონს შეხვდნენ. ალიონზე იწყებს საქმეს.*

**ალისარჩული** *ალისარჩულის* ერთწლოვანი ყვითელყვავილიანი მცენარე, აქვს ეკლიანი ფოთლები, თესლისგან ხდიან ზეთს, ყვავილს იყენებენ საღებავად.

**ალისფერი** *ალისფრის* ღია წითელი. *ალისფერი დროშა. ალისფერი ყდა.*

**ალიტერაცია** *ალიტერაციის* პოეტური ხერხი – ერთი და იმავე ან მსგავსი თანხმოვანი ბგერების განმეორება სალექსო სტრიქონში.

**ალკოჰოლი** *ალკოჰოლის* 1. ღვინის სპირტი. *ალკოჰოლის შემცველობა.* 2. მაგარი სასმელი (ღვინო, არაყი, კონიაკი და მისთ.), რომელიც იწვევს თრობას. *ალკოჰოლით გაბრუებული.* ■ **ალკოჰოლური** ალკოჰოლის (1) შემცველი. *ალკოჰოლური სასმელი.*

**ალკოჰოლიზმი** *ალკოჰოლიზმის* ალკოჰოლის ხშირი და ჭარბი სმით გამოწვეული დაავადება.

**ალმანახი** *ალმანახის* კრებული, რომელშიც დაბეჭდილია სხვადასხვა ავტორის მხატვრული ნაწარმოებები. *ყოველწლიური ალმანახი.*

**ალმასი** *ალმასის* 1. უფერო და გამჭვირვალე ძვირფასი ქვა, გამოირჩევა განსაკუთრებული სიმკვრივით. *ალმასის საბადო. ალმასის თვალი.* 2. სპეციალური იარაღი, რომლითაც მინას ჭრიან. *ალმასით ჭრის.*

**ალმაცერი** *ალმაცერის* დახრილი, ირიბი. *ალმაცერი ხაზი. ალმაცერი გზა.* ⊙ **ალმაცერად უყურებს** უნდობლად, ეჭვით ეკიდება.

**ალმური** *ალმურის* 1. ჰაერის სიმხურვალე, სიცხის ბუღი. *მიწას ალმური ასდის.* 2. სიცხის ან აღელვებისგან გამოწვეული სიწითლე სახეზე. *ლოყებზე ალმური მოედო.*

**ალო**[1] შორისდ. გისმენთ! მისმინეთ! (გამოიყენება ტელეფონით ლაპარაკის დროს).

**ალო**[2] *ალოს* ძვ. ერთი დღის ნახნავი, გუთნეულში მონაწილეთა წილი. *ორი დღის ალო მისცეს.*

**ალოგიკური** *ალოგიკურის* არაკანონზომიერი, არაზუსტი, ლოგიკას მოკლებული. *ალოგიკური დასკვნა. ალოგიკური აზრები. ალოგიკური კითხვა.*

ალოე

**ალოე** *ალოეს* მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარე, აქვს გრძელი და წვეტიანი, ეკლიანი ფოთლები და წითელი, ნარინჯისფერი ან ყვითელი მილისებური ყვავილები, გამოიყენება სამკურნალოდ. *ალოეს ნაყენი.*

ალოკვა

**ალოკვა** *ალოკვის* (ალოკავს, აალოკავს, აულოკავს, აალოკვინებს) ლოკვით მოსუფთავება ან შეჭმა. *დარჩენილი საჭმელი თეფშიდან ალოკა.*

**ალპინიადა** *ალპინიადის* ალპინისტების მასობრივი ასვლა მაღალ მთაზე. *საგაზაფხულო ალპინიადა.*

**ალპინიზმი** *ალპინიზმის* სპორტის სახეობა, რომ-

ლის მიმდევრები იპყრობენ ძნელად მისადგომ მწვერვალებს. *ალპინიზმით იყო გატაცებული.*

**ალპინისტი** *ალპინისტის* იგივეა, რაც მთამსვლელი. *ალპინისტებმა მწვერვალი დალაშქრეს.*

**ალპური** *ალპურის* მაღალმთიანეთის ყველაზე ზედა მცენარეული საფარის მქონე. *ალპური საძოვრები.*

**ალტერნატივა** *ალტერნატივის* ორი ან მეტი შესაძლებლობიდან ერთ-ერთის არჩევის საშუალება ან აუცილებლობა. *სხვა ალტერნატივა არ არსებობს.*

**ალტერნატიული** *ალტერნატიულის* არსებულის გან, დამკვიდრებულისგან განსხვავებული. *ალტერნატიული მოსაზრება.*

**ალტრუიზმი** *ალტრუიზმის* უანგარო ზრუნვა სხვისი კეთილდღეობისთვის, მზადყოფნა პირადი ინტერესების დასათმობად.

**ალტრუისტი** *ალტრუისტის* ვისაც ალტრუიზმი ახასიათებს.

**ალუბალი** *ალუბლის* 1. მუქი წითელი მრგვალი, წვნიანი ნვრილკურკიანი ხილი. *ალუბლის მურაბა.* 2. საშუალო სიმაღლის ხე, რომელიც ისხამს ალუბალს (1), აქვს თეთრი ან ვარდისფერი ყვავილები. *ალუბალი აყვავდა.*

ალუბალი

**ალუმინი** *ალუმინის* მოვერცხლისფრო-მოთეთრო მსუბუქი ლითონი, ადვილად მუშავდება, კარგად ატარებს სითბოსა და ელექტრობას. *ალუმინის მადანი. ალუმინის სადენი.*

**ალუფხვა** *ალუფხვის* (ალუფხავს, აილუფხება) რბილი პროდუქტების ერთმანეთში არევა, უწესრიგოდ ათქვეფა. *კვერცხები აილუფხა.* ■ **ალუფხული** რაც ალუფხეს ან აილუფხა. *ალუფხული ხილი.*

**ალუჩა** *ალუჩის* 1. ფართოდ გავრცელებული მოყვითალო-მომწვანო ფერის მრგვალი, წვნიანი, მომჟავო-მოტკბო, კურკიანი ხილი. *ალუჩის სანებელი.* 2. საშუალო სიმაღლის ხე, რომელიც ისხამს ალუჩას (1), აქვს თეთრი ყვავილები. *ალუჩის ნერგი.*

**ალქაჯი** *ალქაჯის* ავი, ბოროტი სული, წარმოდგენილი ჰყავთ თმაგანეწილ, მახინჯ ქალად. *ალქაჯის წყევლა.*

**ალქიმია** *ალქიმიის* შუა საუკუნეების მისტიკური მოძღვრება, რომლის მიმდევრებიც ცდილობდნენ უბრალო ლითონების ძვირფას ლითონებად გადაქცევას. *ალქიმიით დაინტერესდა.*

**ალქიმიკოსი** *ალქიმიკოსის* ალქიმიის მიმდევარი. *ალქიმიკოსის ლაბორატორია.*

**ალღო** *ალღოს* 1. მიხვედრის, არსებულ ვითარებაში გარკვევის უნარი. *ძლიერი ალღო. ალღოთი მიხვდა.* 2. ძლიერი ყნოსვა, სუნის აღების უნარი. *მეძებრის ალღო. მტაცებლის ალღო.*

**ალღოიანი** *ალღოიანის* მიხვედრილი, გონიერი. *ალღოიანი ბავშვია.*

**ალყა** *ალყის* 1. მოწინააღმდეგის მიერ ნაგებობის, დასახლებული პუნქტისა და მისთ. გარშემო გაკეთებული რკალი გამოსასვლელი გზის ჩაკეტვის მიზნით. *ალყა გაარღვიეს.* 2. ადამიანთა თავმოყრა, წრე ვინმეს ირგვლივ. *ხალხის ალყა. მაყურებლების ალყაში მოექცა.*

**ალჩუ** *ალჩუს* სათამაშო კოჭის ზედა, ღარიანი მხარე, რომლიც მოთამაშეს უპირატესობას აძლევს. ⊙ **კოჭი ალჩუზე დაუჯდება** საქმე კარგად წაუვა.

**ალხანა** *ალხანას* ⊙ **რაც ალხანა, ის ჩალხანაო** საუბრ. როგორიცაა ერთი, ისეთია მეორე.

**ამაგდარი** *ამაგდარის* ვისაც ამაგი, დამსახურება მიუძღვის. *ამაგდარი მწერალი.*

**ამაგი** *ამაგის* ვინმეზე გაწეული შრომა, მზრუნველობა, დახმარება. *ამაგი დააფასა. დედის ამაგი.*

**ამაზრზენი** *ამაზრზენის* საშინელი, საზარელი, შემაწუხებელი. *ამაზრზენი ფილმი. ამაზრზენი ხმა.*

**ამათგანი** *ამათგანის* ამათ შორის მყოფი. *ერთ-ერთი ამათგანი.*

**ამალა** *ამალის* წარჩინებული პირის მხლებელთა ჯგუფი. *დედოფლის ამალა. პრეზიდენტის ამალა.*

**ამალგამა** *ამალგამის* ლითონის შენადნობი ვერცხლისწყალთან.

**ამანათი** *ამანათის* საგანგებოდ შეფუთული ნივთი, რომელიც იგზავნება. *ამანათი მიიღო. ამანათი გახსნა.*

**ამაო** *ამაოს* უშედეგო, ყოველგვარ აზრს მოკლებული. *ამაო ლოდინი. ამაო შრომა.*

**ამაოება** *ამაოების* სრული უმიზნობა, არარაობა. *ცხოვრების ამაოება. ამაოების განცდა.*

**ამარა** თანდ. მხოლოდ რაიმე ერთით, ერთის იმედად, ანაბარა. *პერანგის ამარა. ერთი კაცის ამარა.*

**ამართვა** *ამართვის* (ამართავს, აუმართავს, აიმართება) 1. იგივეა, რაც აღმართვა. *კოშკი ამართეს.* 2. ზევით სწორად აწევა. *ჯოხი მაღლა ამართა. მხედარი უნაგირზე აიმართა. ხელები ამართა.* ■ **ამართული** რაც ამართეს ან აიმართა. *ამართული დროშა.*

**ამასთანავე** ზმნზ. ამასთან ერთად, ამავე დროს. *ეს საინტერესოა, ამასთანავე, სახალისოც.*

**ამასობაში** ზმნზ. ამ დროს, ამ ხნის განმავლობაში. *ამასობაში დაღამდა.*

**ამასწინანდელი** *ამასწინანდლის* ახლო წარსულში მომხდარი. *ამასწინანდელი აქცია. ამასწინანდელი წარმატება.*

**ამაღამ** ზმნზ. ამ ღამეს, დღევანდელ ღამეს. *ამაღამ იწვიმებს.*

**ამაღამდელი** *ამაღამდელის* დღევანდელ ღამესთან დაკავშირებული, ამ ღამეს მოსახდენი. *ამაღამდელი ამბები.*

**ამაღლება** *ამაღლების* (აამაღლებს, აიმაღლებს, აუმაღლებს, ამაღლდება) 1. სიმაღლის მომატება, გაზრდა. *ღობე აამაღლეს.* 2. ქრისტიანული დღესასწაული, აღინიშნება აღდგომიდან მეორმოცე დღეს. 3. გადატ. გაუმჯობესება, გონებრივი და ზნეობრივი სრულყოფა. *კვალიფიკაცია აიმაღლა. სულით ამაღლდა.* ■ **ამაღლებული** რაც აამაღლეს ან ამაღლდა. *ამაღლებული გრძნობები.*

**ამაყი** *ამაყის* 1. საკუთარი უპირატესობის რწმენის მქონე, თავმომწონე. *ამაყი ქალი.* 2. სიამაყის გამომხატველი. *ამაყი მზერა. ამაყი სიარული.*

**ამბავი** *ამბის* 1. შემთხვევა, მოვლენა. *უჩვეულო ამბავი მოხდა.* 2. მოვლენის, შემთხვევის, ვინმეს თავგადასავლისა და მისთ. აღწერა. *ძველი ამბავი. ამბავს მოუთხრობს.* ⊙ **დიდი ამბავი!** საუბრ. ამბობენ, როდესაც უნდათ რაიმეს მნიშვნელობა დააკნინონ. ⊙ **ერთ ამბავს ატეხს (დააწევს)** საუბრ. იჩხუბებს, აურზაურს ატეხს. ⊙ **რა ამბავია?** რა ხდება?

**ამბარი** *ამბრის* ყუთის მსგავსი დიდი ტევადობის სათავსი პურეულის ან ფქვილის შესანახად. *ამბარში ხორბალი ჩაყარეს.*

**ამბიონი** *ამბიონის* ეკლესიაში აღსავლის კარის წინ შემაღლებული ადგილი, საიდანაც საეკლესიო მსახურების დროს ლოცვებს ამბობენ და ქადაგებენ. *მრევლს ამბიონიდან მიმართა.*

**ამბიცია** *ამბიციის* საკუთარი ღირსების გამძაფრებული გრძნობა, გადაჭარბებული პატივმოყვარეობა. *დიდი ამბიცია.* ■ **ამბიციური** ვისაც ამბიცია ახასიათებს, რაც ამბიციას შეიცავს. *ამბიციური ახალგაზრდა. ამბიციური განცხადება. ამბიციური ქმედება.*

**ამბორი** *ამბორის* (ეამბორება) სინაზის, მოწიწების, პატივისცემის გამომხატველი კოცნა. *შუბლზე ეამბორა. დედის ამბორი.*

**ამბოხება** *ამბოხების* (აამბოხებს, ამბოხდება) იგივეა, რაც **აჯანყება**. *ამბოხების მოწყობა. მუშების ამბოხება.*

**ამბოხებული** *ამბოხებულის* ამბოხების მომწყობი, ამბოხების მონაწილე. *ამბოხებული ხალხი. ამბოხებულები დააპატიმრეს.*

**ამბოხი** *ამბოხის* 1. იგივეა, რაც **ამბოხება**. *ამბოხის დაწყება.* 2. გადატ. ძლიერი მღელვარება. *შინაგანი ამბოხი.*

**ამბრაზურა** *ამბრაზურის* ცეცხლსასროლი იარაღის ლულის გამოსაყოფი ნახვრეტი. *ამბრაზურას გადაეფარა.*

**ამბულატორია** *ამბულატორიის* სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულება, რომელიც სამედიცინო მომსახურებას უწევს იქ მისულ ან ბინაზე მყოფ პაციენტებს. *ახალი ამბულატორია. ამბულატორიის ექიმი.* ■ **ამბულატორიული** ამბულატორიასთან დაკავშირებული. *ამბულატორიული მკურნალობა. ამბულატორიული ავადმყოფი.*

**ამგვარად** 1. ზმნზ. ასე, ამის მსგავსად. *ყველაფერი ამგვარად დასრულდა.* 2. გამოიყენება დასკვნის, შემაჯამებელი ნათქვამის დაწყებისას. *ამგვარად, ჩვენი პოზიცია ასეთია.*

**ამგვარი** *ამგვარის* ნაცვ. ამის მსგავსი, ამნაირი. *ამგვარი ამბები.*

**ამდაგვარი** *ამდაგვარის* ნაცვ. იგივეა, რაც **ამგვარი**. *ამდაგვარი საქმეები.*

**ამდგარი** *ამდგარის* ვინც ადგა. *ფეხზე ამდგარი ავადმყოფი.*

**ამდენი** *ამდენის* ნაცვ. 1. რაოდენობით ამის ტოლი. *სხვებსაც ამდენი წიგნი მისცეს. გუშინაც ამდენი სტუმარი გვყავდა.* 2. ასე ბევრი. *რა საჭიროა ამდენი ლაპარაკი? რა ამბავია ამდენი ძილი!*

**ამება**[1] *ამების* უმარტივესი ერთუჯრედიანი ცხოველი, ბინადრობს წყალში.

**ამება**[2] *ამების* (აამებს, ეამება) სიამოვნების მოგვრა. *სხვას აამებს. ქება ეამა.*

**ამეთვისტო** *ამეთვისტოს* ნახევრად ძვირფასი ქვა, კვარცის გამჭვირვალე, იისფერი ნაირსახეობა. *ამეთვისტოს თვალი.*

**ამერი** *ამერის* წიგნ. აღმოსავლეთი საქართველო. *ამერი და იმერი გაერთიანდა.*

**ამთავითვე** ზმნზ. თავიდანვე, ახლავე. *ამთავითვე გეტყვი.*

**ამიერიდან** ზმნზ. ამ დროიდან დაწყებული, დღეიდან, დღეის შემდეგ. *ამიერიდან ყველაფერი კარგად იქნება.*

**ამინ** ნაწილაკ. ჭეშმარიტად! (გამოიყენება ქრისტიანულ ლოცვებში.)

**ამინდი** *ამინდის* ამა თუ იმ არეალის ატმოსფერული მდგომარეობა დროის განსაზღვრულ მონაკვეთში (მზე, წვიმა, თოვლი, ქარი, სიცხე, სიცივე). *მზიანი ამინდი. ამინდი გაფუჭდა.* ⊙ **ამინდი გამოვა** გამოიდარებს.

**ამისთანა** *ამისთანას* ნაცვ. ამის მსგავსი, ამნაირი. *ამისთანა ბავშვი. ამისთანა ფეხსაცმელი.*

**ამისი** ნაცვ. ვინც ან რაც ამას ეკუთვნის, აქვს, ჰყავს. *ამისმა ნათქვამმა ყველა გააოცა.*

**ამიტომ** ზმნზ. ამის გამო, ამ მიზეზით. *საქმე მაქვს და ამიტომ ვერ მოვალ.*

**ამკრეფი** *ამკრეფის* ვისაც რაიმეს აკრეფა ევალება. *გადასახადების ამკრეფი.*

**ამლაყი** *ამლაყის* ჭრელი, თეთრლაქებიანი (ცხენი). *ბოშებს ამლაყი ცხენები ჰყავთ.*

**ამნაირი** *ამნაირის* ნაცვ. ამის მსგავსი, ამისთანა. *ამნაირი მეგობარი. ამნაირი ჩანთა.*

**ამნეზია** *ამნეზიის* მეხსიერების შესუსტება ან სრული დაკარგვა. *ამნეზია დაემართა.*

**ამნისტია** *ამნისტიის* სასჯელის მოხსნა ან შემსუბუქება უმაღლესი სახელმწიფო ხელისუფლების დადგენილებით. *ამნისტია შეეხო* შეცდომაა ამნისტია.

**ამნისტირებული** *ამნისტირებულის* ვისაც ამნისტია შეეხო. *ამნისტირებული პატიმარი.*

**ამობერვა** *ამობერვის* (ამობერავს, ამოიბერება, ამოებერება) ზედაპირის ოდნავ ამოწევა, ამოზნექა. *ზურგი ამოებერა.* ■ **ამობერილი** რაც ამოიბერა. *ამობერილი ძარღვი.*

**ამობეჭდვა** *ამობეჭდვის* (ამობეჭდავს, ამოუბეჭდავს, ამოიბეჭდება, ამოაბეჭდვინებს) ციფრული სახით არსებული ინფორმაციის (ტექსტის, გამოსახულებისა და მისთ.) ქაღალდზე გადატანა. *რეცენზია ამობეჭდა.* ■ **ამობეჭდილი** რაც ამობეჭდეს. *ამობეჭდილი გვერდი.*

**ამობოყინება** *ამობოყინების* (ამოაბოყინებს) კუჭში დაგროვილი აირის ამოშვება, ბოყინის გამოცემა. *ჩვილმა ამოაბოყინა.*

**ამობრუნება** *ამობრუნების* (ამოაბრუნებს, ამოიბრუნებს, ამობრუნდება, ამოუბრუნდება) 1. პირაღმა გადაბრუნება, ამოტრიალება. *ბარით მიწა ამოაბრუნა. მანქანა ამობრუნდა.* 2. ქვევით ჩასულის უკან დაბრუნება. *ე ზოდან ამობრუნდა.*

**ამობრძანება** *ამობრძანების* (ამოაბრძანებს, ამობრძანდება) პატივისც. ამოსვლა, ამოყვანა. *სტუმრები კიბე ზე ამობრძანდნენ.*

**ამობრწყინება** *ამობრწყინების* (ამობრწყინდება) ბრწყინვით ამოსვლა. *ახალი ვარსკვლავის ამობრწყინება. მზე ამობრწყინდა.*

**ამობუგვა** *ამობუგვის* (ამობუგავს, ამოუბუგავს, ამოიბუგება, ამოებუგება) ცეცხლით მოსპობა, ერთიანად განადგურება. *ოჯახი ამოიბუგა.* ■ **ამობუგული** რაც ამობუგეს ან ამოიბუგა. *ამობუგული სახლ-კარი.*

**ამობურცვა** *ამობურცვის* (ამობურცავს, ამოიბურცება, ამოებურცება) იგივეა, რაც ამობერვა. *შუბლ ზე კოპი ამოებურცა. კანი ამოებურცა.* ■ **ამობურცული** რაც ამოიბურცა. *ამობურცული ზედაპირი.*

**ამოგანგვლა** *ამოგანგვლის* (ამოიგანგლავს, ამოიგანგლება, ამოეგანგლება) ფხვიერი მასით მთლიანად ამოსვრა. *ფქვილში ამოიგანგლა. ტანსაცმელი მტვრით ამოეგანგლა.* ■ **ამოგანგლული** ვინც ამოიგანგლა, რაც ამოგანგლეს. *ამოგანგლული შარვალი.*

**ამოგდება** *ამოგდების* (ამოაგდებს, ამოიგდებს, ამოუგდებს, ამოაგდებინებს, ამოიგდებინებს) 1. რაიმეს მოქნევა ისე, რომ ზევით ამოვარდეს. *ბურთი აივანზე ამოაგდო.* 2. საიდანმე ერთბაშად, ძალით ამოღება. *თვალი ბუდიდან ამოაგდო.* 3. გადატ. განადგურება, ამოწყვეტა. *მთელი საგვარეულო ამოაგდეს.*

**ამოგება**[1] *ამოგების* (ამოიგებს) დანახარჯის უკან დაბრუნება. *მთელი თანხა ამოიგო.*

**ამოგება**[2] *ამოგების* (ამოიგებს, ამოუგებს, ამოეგება) დაწოლისას საბნისა და მისთ. კიდეების ქვეშ შეფენა, ამოდება. *ნაბადი ამოიგო.* ■ **ამოგებული** რაც ამოიგეს ან ამოუგეს. *კარგად ამოგებული შალი.*

**ამოგზავნა** *ამოგ ზავნის* (ამოგზავნის, ამოუგზავნის) ქვევიდან ზევით გამოშვება, გამოგზავნა. *საჭმელი ამოგ ზავნა. ბავშვი მეორე სართულზე ამოგ ზავნა.*

**ამოგლესა** *ამოგლესის* (ამოგლესს, ამოიგლისება, ამოეგლისება) სქელი მასით ღრიჭოების, ჭუჭრუტანების ამოვსება. *ბზარი ცვილით ამოგლისეს. ჭური ამოგლისა.* ■ **ამოგლესილი** რაც ამოგლისეს. *ამოგლესილი ხვრელი.*

**ამოგლეჯა** *ამოგლეჯის* (ამოგლეჯს, ამოაგლეჯს, ამოიგლეჯს, ამოუგლეჯს, ამოიგლიჯება, ამოეგლიჯება) ძალით ამოგდება, ამოხევა, ამოძრობა, ამოცლა. *გრიგალმა ხეები ამოგლიჯა. რვეულიდან ფურცელი ამოგლიჯა.* ■ **ამოგლეჯილი** რაც ამოგლიჯეს. *ამოგლეჯილი ბალახი.*

**ამოგორება** *ამოგორების* (ამოაგორებს, ამოუგორებს, ამოგორდება) სიმაღლეზე გორვით ამოსვლა, ამოყვანა, ამოტანა. *ქვები ამოაგორა.*

**ამოდგმა**[1] *ამოდგმის* (ამოდგამს, ამოადგამს, ამოიდგამს, ამოუდგამს, ამოედგმება, ამოადგმევინებს) ქვევიდან ზევით, ჩემთან ან შენთან დადება, დადგმა. *ქვაბი აივანზე ამოდგა.*

**ამოდგმა**[2] *ამოდგმის* (ამოიდგამს, ამოადგმევინებს) ⊙ ენას ამოიდგამს იხ. ენა.

**ამოდგომა** *ამოდგომის* (ამოუდგება) ვინმესთან ერთად დადგომა. *დედას მარჯვნივ ამოუდგა.*

**ამოდება** *ამოდების* (ამო(ს)დებს, ამოიდებს, ამოუდებს) 1. რაიმეს ქვეშ დადება. *ხელები თავქვეშ ამოიდო.* 2. ქვევიდან ამოცმა, მოდება. *ცხენს სადავე ამოსდო.* ■ **ამოდებული** რაც ამოდეს. *ბალიშქვეშ ამოდებული წიგნი.*

**ამოდენა**[1] *ამოდენას* ამ ზომისა, ამხელა, ასეთი დიდი, ასეთი ბევრი. *ამოდენა ცოდვა. ამოდენა წიგნი. ამოდენა კაცი.*

**ამოდენა**[2] *ამოდენის* (ამოდენის) საქონლის, შინაური ფრინველისა და მისთ. ზევით (ჩვენკენ) გამოდენა. *მენახირემ ძროხები ამოდენა.*

**ამოდუღება** *ამოდუღების* (ამოდუღდება) დუღილისას სითხის ზევით ამოსვლა. *ყავა ამოდუღდა.*

**ამოვაკება** *ამოვაკების* (ამოივაკებს) აღმართის ავლის შემდეგ ვაკეზე გასვლა. *მგ ზავრმა ამოივაკა.*

**ამოვარდნა** *ამოვარდნის* (ამოვარდება, ამოუვარდება) 1. სწრაფად ამოსვლა. *კიბე ზე შეშინებული ამოვარდა.* 2. დახურული სათავისიდან ამოგდება. *ჩანთიდან ფული ამოუვარდა. ბეჭდიდან თვალი*

*ამოვარდა*. 3. ქარის ძლიერად და მოულოდნელად დაბერვა. *ქარიშხალი ამოვარდა*. ■ **ამოვარდნილი** რაც ამოვარდა. *ამოვარდნილი გრიგალი*.

**ამოვარდნილობა** *ამოვარდნილობის* მედიც. სხეულის დაზიანება, როდესაც ძვალი სახსრის ფოსოდან ამოვარდება. *მხრის ამოვარდნილობა*.

**ამოვლა** *ამოვლის* (ამოიელის, ამოუვლის) ჩვენკენ ავლა (1). *ჩვენს ქუჩაზე ამოიარეს. აღმართი ამოიარეს*.

**ამოვლება** *ამოვლების* (ამოავლებს, ამოევლება, ამოავლებინებს) სითხეში, ფხვნილსა და მისთ. ჩადება და ამოღება. *ჩურჩხელები ამოავლო. მედალიონი ოქროში ამოავლო*. ■ **ამოვლებული** რაც ამოავლეს. *ფქვილში ამოვლებული თევზი*.

**ამოვსება** *ამოვსების* (ამოავსებს, ამოივსებს, ამოუვსებს, ამოივსება, ამოევსება, ამოავსებინებს) სიღრმის ბოლომდე გავსება. *ჭები მიწით ამოავსეს*. ■ **ამოვსებული** რაც ამოავსეს. *თოვლით ამოვსებული თხრილი*.

**ამოზელა** *ამოზელის* (ამოზელს, ამოუზელს, ამოიზილება, ამოაზელინებს) საჭმლის სრესით მომზადება, ფაფისებურ მასად ქცევა. *ღომი ამოზილეს*. ■ **ამოზელილი** რაც ამოზილეს. *ამოზელილი ლობიო*.

**ამოზიდვა** *ამოზიდვის* (ამოზიდავს, ამოუზიდავს, ამოიზიდება, ამოაზიდვინებს) ტვირთის რამდენიმე გზად, რამდენიმე ჯერზე ამოტანა. *ფიცრები სხვენში ამოზიდეს*. ■ **ამოზიდული** რაც ამოზიდეს. *ამოზიდული ტომრები*.

**ამოზნექა** *ამოზნექის* (ამოზნექს, ამოიზნიქება, ამოეზნიქება) ზედაპირის ზევით ამოწევა, ამობურცვა. *იატაკი ამოიზნიქა*. ■ **ამოზნექილი** რაც ამოიზნიქა. *ამოზნექილი ზურგი*.

**ამოზრდა** *ამოზრდის* (ამოზრდის, ამოიზრდება, ამოეზრდება) სიღრმიდან ამოსვლა და გაზრდა. *თმის ამოზრდა. ყვავილი ამოიზარდა*. ■ **ამოზრდილი** რაც ამოიზარდა. *ამოზრდილი ყლორტი*.

**ამოთრევა** *ამოთრევის* (ამოათრევს, ამოითრევს, ამოუთრევს, ამოეთრევა) 1. დიდი სიმძიმის გაჭირვებით ამოტანა. *ლოდი ძლივს ამოათრიეს. მანქანა თხრილიდან ამოათრიეს*. 2. უპატივც. ამოსვლა. *ამოეთრევა და გააგდებენ*.

**ამოთქმა** *ამოთქმის* (ამოთქვამს, ამოითქვამს) ძნელად, გაჭირვებით თქმა. *მომაკვდავმა ძლივს ამოთქვა ორი სიტყვა*.

**ამოთხრა** *ამოთხრის* (ამოთხრის, ამოითხრის, ამოუთხრის, ამოითხრება, ამოეთხრება, ამოათხრევინებს) 1. მიწის, ქვიშისა და მისთ. ხელით ან იარაღით (ბარით, ნიჩბით) ამოღება, ამოღრმავება. *ჭა ამოთხარეს*. 2. ძირიანად ამოღება. *ჭარხალი ამოთხარა*. ■ **ამოთხრილი** რაც ამოთხარეს. *ამოთხრილი ორმო*.

**ამოკაწვრა** *ამოკაწვრის* (ამო(ჰ)კაწრავს, ამოიკაწრება) წვეტიანი, ბასრი საგნით ან ბრჭყალებით, ფრჩხილებით ზედაპირის დახაზვა, ამოფხაჭნა. *ხეზე ასოები ამოკაწრეს. კატამ ბავშვს თვალი ამოჰკაწრა*. ■ **ამოკაწრული** რაც ამოკაწრეს. *ამოკაწრული ინიციალები*.

**ამოკერება** *ამოკერების* (ამოაკერებს) შიგნიდან ან ქვევიდან რაიმეს დაკერება. *სარჩულის ამოკერება. ფეხსაცმელს ლანჩა ამოაკერა*.

**ამოკერვა** *ამოკერვის* (ამოკერავს, ამოუკერავს, ამოიკერება) სწრაფად, ნაუცბადევად გაკერვა. *საბნის პირი ამოკერა*. ■ **ამოკერილი** რაც ამოკერეს. *ამოკერილი სარჩული*.

**ამოკეცვა** *ამოკეცვის* (ამოკეცავს, ამოიკეცავს, ამოუკეცავს, ამოიკეცება) ტანსაცმლის, საბნისა და მისთ. ბოლოების ქვეშ ამოდება, შეკეცვა. *კაბის კალთა ამოიკეცა. საბანი ამოუკეცა*.

**ამოკვეთა** *ამოკვეთის* (ამო(ჰ)კვეთს, ამოიკვეთს, ამოუკვეთს, ამოიკვეთება, ამოეკვეთება, ამოაკვეთინებს) 1. ქირურგიული ჩარევით რომელიმე ორგანოს მოცილება, ამოჭრა. *თირკმელი ამოჰკვეთეს. ქირურგმა სიმსივნე ამოჰკვეთა*. 2. ბასრი, წვეტიანი იარაღით ხეზე, ქვასა და მისთ. რაიმე გამოსახულების გამოყვანა, ამოჭრა. *კედელზე ჯვარი ამოკვეთა. ეპიტაფია ამოკვეთეს*. ■ **ამოკვეთილი** რაც ამოკვეთეს. *ქვაზე ამოკვეთილი წარწერა*.

**ამოკვრა** *ამოკვრის* (ამოჰკრავს, ამოაკრავს, ამოიკრავს, ამოუკრავს, ამოეკვრება) 1. ქვევიდან ამორტყმა. *პანღურის ამოკვრა. ფეხი ამოჰკრა*. 2. ქვევიდან მიკვრა, ამოკერება. *ფეხსაცმელს ლანჩა ამოაკრა*. ■ **ამოკრული** რაც ამოაკრეს. *ამოკრული ხავერდი*.

**ამოკითხვა** *ამოკითხვის* (ამოიკითხავს, ამოუკითხავს, ამოიკითხება, ამოაკითხვინებს) 1. იგივეა, რაც **წაკითხვა**. *ეს ამბავი ჟურნალში ამოიკითხა. სია ამოიკითხა*. 2. ძნელად გასარჩევის წაკითხვა, გაშიფრვა. *იეროგლიფები ამოიკითხეს. წარწერა ვერ ამოიკითხა*. ■ **ამოკითხული** რაც ამოიკითხეს. *წიგნებში აქვს ამოკითხული*.

**ამოკორტნა** *ამოკორტნის* (ამო(ჰ)კორტნის) კორტნით ამოცლა, ამოგლეჯა. *არწივმა კურდღელს თვალები ამოჰკორტნა*. ■ **ამოკორტნილი** რაც ამოკორტნეს. *ამოკორტნილი თმა*.

**ამოკრება** *ამოკრების* (ამოკრებს, ამოუკრებს, ამოიკრიბება) იგივეა, რაც **ამოკრეფა**. *მასალის ამოკრება. ტექსტიდან ციტატები ამოკრიბა*.

**ამოკრეფა** *ამოკრეფის* (ამოკრეფს, ამოიკრეფს, ამოუკრეფს, ამოიკრიფება) დიდი რაოდენობიდან ამორჩევით ნაწილის ამოღება. *არქივიდან მასალები ამოკრიფეს*. ■ **ამოკრეფილი** რაც ამოკრიფეს. *ამოკრეფილი ლექსები*.

**ამოლაგება** *ამოლაგების* (ამოალაგებს, ამოილაგებს, ამოულაგებს, ამოლაგდება) 1. ბევრის სათითაოდ ამოღება, დალაგება, დაწყობა. *ჩანთიდან ამოალაგა. საჩუქრები მაგიდაზე ამოალაგა*. 2. საუბრ.

რიგრიგობით, სათითაოდ ამოსვლა. *ყველა ერთად ამოლაგდა. ხალხი ავტობუსში ამოლაგდა.*

**ამოლევა** *ამოლევის* (ამოლევს, ამოილევა) ღრმა სათავსში, ჭურჭელში მოთავსებულის მთლიანად გათავება, ამოცლა. *ღვინო ამოილია. პურის მარაგი ამოილია.*

**ამოლესვა** *ამოლესვის* (ამოლესავს, ამოულესავს, ამოილესება, ამოალესვინებს) 1. ორმოს, თხრილისა და მისთ. კედლებზე სქელი მასის, ხსნარის წასმა. *სარდაფი ამოლესა.* 2. გაქნა, ამოზელა. *ლობიო ამოლესა.* ■ **ამოლესილი** რაც ამოლესეს. *ამოლესილი ლობიო.*

**ამოლოკვა** *ამოლოკვის* (ამოლოკავს, ამოილოკება) ლოკვით ამოსუფთავება. *ქვაბი ამოლოკა.*

**ამომრჩეველი** *ამომრჩევლის* პირი, რომელიც მონაწილეობს არჩევნებში. *ამომრჩეველთა უმრავლესობა. ამომრჩევლებთან შეხვედრა.*

**ამომტვრევა** *ამომტვრევის* (ამოამტვრევს, ამოუმტვრევს, ამოიმტვრევა, ამოემტვრევა) ზედაპირიდან ნამტვრევების ამოყრა, ღრმულის გაკეთება. *ყინული ამოამტვრია. ფილაქანი ამოიმტვრა.* ■ **ამომტვრეული** რაც ამოამტვრიეს. *ამომტვრეული საფეხური.*

**ამომშრალი** *ამომშრალის* რაც ამოშრა. *ამომშრალი ჭა.*

**ამომწვარი** *ამომწვარის* რაც ამოწვეს ან ამოიწვა. *ამომწვარი ხალიჩა. ასანთით ამომწვარი.*

**ამომნურავი** *ამომნურავის* სრულყოფილი, ყოვლისმომცველი. *ამომნურავი პასუხი.*

**ამონაბეჭდი** *ამონაბეჭდის* ტექსტი, ნახატი და მისთ., რომელიც ამობეჭდეს. *ამონაბეჭდზე კარგად ჩანდა გამოსახულება.*

**ამონათება** *ამონათების* (ამოანათებს) ქვევიდან ზევით განათება, შუქის მოფენა. *მზემ ამოანათა.*

**ამონარიდი** *ამონარიდის* წიგნ. იგივეა, რაც ციტატა. *ამონარიდი მონოგრაფიიდან. პოემიდან ამონარიდი.*

**ამონაწერი** *ამონაწერის* ტექსტიდან ამოწერილი ნაწილი. *ოქმის ამონაწერი.*

**ამონთხევა** *ამონთხევის* (ამოანთხევს, ამოინთხევა, ამოანთხევინებს) სიღრმიდან სითხის ამოღვრა, ამორწყევა. *ლავა ამოინთხა. ჩვილმა რძე ამოანთხია.* ■ **ამონთხეული** რაც ამოანთხიეს. *ამონთხეული სისხლი.*

**ამოოხვრა** *ამოოხვრის* (ამოიოხრებს) ღრმად, ოხვრით ამოსუნთქვა. *მძიმედ ამოიოხრა.*

**ამოულეტა** *ამოულეტის* (ამოულეტს, ამოუულეტს, ამოიულიტება, ამოეულიტება, ამოაულეტინებს) ამოხოცვა, მოსპობა, განადგურება. *მტერმა ქალები და ბავშვები ამოულიტა. ოჯახი ამოუულიტეს.* ■ **ამოულეტილი** რაც ან ვინც ამოულიტეს. *ამოულეტილი სოფელი.*

**ამოუუუვა** *ამოუუუვის* (ამოუუუვას, ამოუუუუვას, ამოიუუუება) ამოხოცვა, ამოულეტა, განადგურება. *მეფის ლაშქარი ამოუუუეს.*

**ამორალური** *ამორალურის* ამორალური, უზნეო. *ამორალური ადამიანი. ამორალური საქციელი.*

**ამორბენა** *ამორბენის* (ამოირბენს, ამოურბენს) სირბილით ამოსვლა, ამოვლა. *სცენაზე ამოირბინა. ჩვენთან ამოირბინა.*

**ამორბენინება** *ამორბენინების* (ამოარბენინებს, ამოურბენინებს) სირბილით, სწრაფად ამოტანა ან ამოყვანა. *პური უცბად ამოარბენინა.*

**ამორევა** *ამორევის* (ამოურევს) ქვევიდან ზევით მორევა². *ფაფას ამოურია.*

**ამორტიზატორი** *ამორტიზატორის* მანქანებში, თვითმფრინავებსა და სარკინიგზო ვაგონებში ბიძგისა და რყევის ძალის შესამცირებელი მოწყობილობა. *ავტომობილის ამორტიზატორი.*

**ამორტიზაცია** *ამორტიზაციის* 1. მანქანა-მოწყობილობათა, ნაგებობათა და მისთ. ღირებულების თანდათანობით შემცირება მათი გაცვეთის შედეგად. *ხელსაწყოების ამორტიზაცია.* 2. ბიძგების, დარტყმების შერბილება სპეციალური მოწყობილობის საშუალებით. *სუსტი ამორტიზაცია.*

**ამორტიზება** *ამორტიზების* იგივეა, რაც **ამორტიზაცია** (1).

**ამორტიზებული** *ამორტიზებულის* რამაც ამორტიზაცია განიცადა. *ამორტიზებული შენობა.*

**ამორფული** *ამორფულის* რასაც გამოკვეთილი სახე არა აქვს, უფორმო. *ამორფული სხეული.*

**ამორჩევა** *ამორჩევის* (ამოარჩევს, ამოირჩევს, ამოურჩევს, ამოირჩევა, ამოარჩევინებს) იგივეა, რაც არჩევა. *სარძლო ამოარჩიეს. თემა ამოირჩია.* ■ **ამორჩეული** ვინც ან რაც ამოარჩიეს. *ამორჩეული ფოტოები.*

**ამორძალი** *ამორძალის* (ძირითადად მრ.) მეომარი ქალი. *ამორძალების ლაშქარი. ამორძალების ბრძოლა.*

**ამორწყევა** *ამორწყევის* (ამოარწყევს) ნაჭამისა და ნასვამის პირიდან უკან ამოსვლა, ამოსხმა. *ამორწყევა მოუნდა. ბავშვმა ამოარწყია.*

**ამოსაბეჭდი** *ამოსაბეჭდის* რაც უნდა ამოიბეჭდოს. *ამოსაბეჭდი ტექსტი.* ▲ **ამოსაბეჭდად** ზმნზ. ამობეჭდვისთვის, ამობეჭდვის მიზნით. *ამოსაბეჭდად მიიტანა.*

**ამოსაგდები** *ამოსაგდების* 1. რაც უნდა ამოაგდონ. *ადვილად ამოსაგდები.* 2. საუბრ. ვინც ან რაც ამოგდების, მოსპობის ღირსია (იყენებენ წყევლაში). *შე ამოსაგდებო!*

**ამოსაგლეჯი** *ამოსაგლეჯის* რაც უნდა ამოგლიჯონ. *ამოსაგლეჯი ბენვი.* ▲ **ამოსაგლეჯად** ზმნზ. ამოგლეჯისთვის, ამოგლეჯის მიზნით. *ბალახის ამოსაგლეჯად.*

**ამოსავალი** *ამოსავლის* წიგნ. რაც მტკიცებას, მსჯელობასა და მისთ. საფუძვლად უდევს, საწყისი. *ამოსავალი დებულება.*

**ამოსათხრელი** *ამოსათხრელის* რაც უნდა ამოთხარონ. *ამოსათხრელი ორმო.* ▲ **ამოსათხრელად** ზმნზ. ამოთხრისთვის, ამოთხრის მიზნით. *ჭის ამოსათხრელად.*

**ამოსამტვრევი** *ამოსამტვრევის* რაც უნდა ამოამტვრიონ. *ამოსამტვრევი ყინული.* ▲ **ამოსამტვრევად** ზმნზ. ამომტვრევისთვის, ამომტვრევის მიზნით.

**ამოსარჩევი** *ამოსარჩევის* ვინც ან რაც უნდა ამოირჩიონ. *ამოსარჩევი ვარიანტი.* ▲ **ამოსარჩევად** ზმნზ. ამორჩევისთვის, ამორჩევის მიზნით. *კანდიდატების ამოსარჩევად.*

**ამოსატუმბი** *ამოსატუმბის* რაც უნდა ამოტუმბონ, ან რითაც უნდა ამოტუმბონ. *ამოსატუმბი სითხე. ამოსატუმბი აპარატი.* ▲ **ამოსატუმბად** ამოტუმბვისთვის, ამოტუმბვის მიზნით. *ამოსატუმბად სპეციალურ მოწყობილობას იყენებენ.*

**ამოსაღები** *ამოსაღების* რაც უნდა ამოიღონ, რითაც უნდა ამოიღონ. *ღვინის ამოსაღები ჭურჭელი.* ▲ **ამოსაღებად** ზმნზ. ამოღებისთვის, ამოღების მიზნით. *კბილის ამოსაღებად მივიდა.*

**ამოსაშრობი** *ამოსაშრობის* რაც ამოშრობას საჭიროებს. *ამოსაშრობი ჭაობი.* ▲ **ამოსაშრობად** ზმნზ. ამოშრობისთვის, ამოშრობის მიზნით. *ნიადაგის ამოსაშრობად.*

**ამოსაცნობი** *ამოსაცნობის* რაც ან ვინც უნდა ამოიცნონ, რის საშუალებითაც ამოიცნობენ. *ამოსაცნობი ნიშნები.*

**ამოსაწერი** *ამოსაწერის* რაც უნდა ამოწერონ. *ამოსაწერი მასალა.* ▲ **ამოსაწერად** ზმნზ. ამოწერისთვის, ამოწერის მიზნით. *ინფორმაციის ამოსაწერად დიდი დრო დასჭირდა.*

**ამოსაწყვეტი** *ამოსაწყვეტის* ვინც ან რაც ამოწყვეტის ღირსია (იყენებენ წყევლისას). *შე ამოსაწყვეტო!*

**ამოსახვევი**[1] *ამოსახვევის* რაც უნდა ამოახვიონ ან რასაც უნდა ამოუხვიონ. *ამოსახვევი ძაფი. ამოსახვევი კაბა.*

**ამოსახვევი**[2] *ამოსახვევის* გზის მონაკვეთი, ადგილი, სადაც უნდა ამოუხვიონ. *მანქანა ამოსახვევში გაჩერდა.*

**ამოსახსნელი** *ამოსახსნელის* რაც უნდა ამოხსნან. *რთულად ამოსახსნელი განტოლება.* ▲ **ამოსახსნელად** ზმნზ. ამოხსნისთვის, ამოხსნის მიზნით. *ამოცანის ამოსახსნელად ფორმულა გამოიყენა.*

**ამოსვლა** *ამოსვლის* (ამოვა, ამოუვა) 1. ქვევიდან ზევით, ჩემკენ ან შენკენ გადაადგილება. *კიბე ზე ამოსვლა. ხე ზე ამოსვლას ვერ ბედავს.* 2. ამოზრდა. *ბალახმა ამოსვლა დაიწყო. წვერი ამოუვიდა.* ■ **ამოსული** ვინც ან რაც ამოვიდა. *კლდე ზე ამოსული ყვავილი.*

**ამოსვლეპა** *ამოსვლეპის* (ამოსვლეპს) ღრმა ჭურჭლიდან სვლეპით შეჭმა ან დალევა. *ძაღლმა წყალი ამოსვლიპა.*

**ამოსვრა** *ამოსვრის* (ამოსვრის, ამოისვრის, ამოისვრება, ამოესვრება) მთლიანად გასვრა, გაჭუჭყიანება. *ფეხსაცმელი ტალახში ამოისვარა.* ■ **ამოსვრილი** რაც ან ვინც ამოისვარა. *ფქვილში ამოსვრილი ხელები.*

**ამოსკდომა** *ამოსკდომის* (ამოსკდება) 1. ამომტვრევა, ამოვარდნა. *ასფალტი ალაგ-ალაგ ამოსკდა.* 2. სითხის უცბად ამოღვრა, ამოსხმა. *პირიდან სისხლი ამოსკდა. კლდიდან წყარო ამოსკდა.* 3. გადატ. ემოციის ერთბაშად გამოხატვა, ამოხეთქა. *ოხვრა ამოსკდა.*

**ამოსმა**[1] *ამოსმის* (ამოისვამს, ამოუსვამს) შიგნიდან გარეთ წასმა. *თვალში თითი ამოისვა. ცხვირში მალამო ამოუსვა.*

**ამოსმა**[2] *ამოსმის* (ამოსვამს) რაიმედან ამოყვანა. *ბარტყი ბუდიდან ამოსვა.*

**ამოსრიალება** *ამოსრიალების* (ამოასრიალებს, ამოსრიალდება) სრიალით ამოსვლა. *გველი ამოსრიალდა.*

**ამოსროლა** *ამოსროლის* (ამოისვრის) ქვევიდან ზევით, ჩვენკენ გამოსროლა. *ქვა ამოისროლა. ბურთს ამოისვრის.*

**ამოსრუტვა** *ამოსრუტვის* (ამოსრუტავს) ღრმა ჭურჭლიდან სითხის ან ჰაერის ხმაურით შესრუტვა, ამოწოვა. *წვნის ამოსრუტვა. ჩაი ამოსრუტა.*

**ამოსუნთქვა** *ამოსუნთქვის* (ამოისუნთქავს) ჰაერის ამოშვება ფილტვებიდან. *ღრმად ამოსუნთქვა. ავადმყოფმა ამოისუნთქა.*

**ამოსუფთავება** *ამოსუფთავების* (ამოასუფთავებს, ამოისუფთავებს, ამოუსუფთავებს, ამოსუფთავდება) ამოწმენდა, შიგთავსისგან გათავისუფლება. *ქვაბი ამოასუფთავა. ჯიბეები ამოისუფთავა.* ■ **ამოსუფთავებული** რაც ამოასუფთავეს. *ჯამი ამოსუფთავებული დახედა.*

**ამოსხმა**[1] *ამოსხმის* (ამოასხამს) სითხის ნაკადის ამოღვრა. *წყალმა ამოასხა. ნავთობმა ამოასხა.*

**ამოსხმა**[2] *ამოსხმის* (ამოსხამს) საიდანმე ბევრის ამოყვანა, ამოსმა. *წიწილები კალათიდან ამოსხა.*

**ამოტანა** *ამოტანის* (ამოიტანს, ამოუტანს, ამოატანინებს) ქვევიდან ზევით მოტანა. *პური ამოუტანა. წყალს ამოიტანს.*

**ამოტარება** *ამოტარების* (ამოატარებს) ქვევიდან ზევით გამოტარება, წამოღება, წამოყვანა. *პატიმრები ამოატარეს. გაზეთები ამოატარა.*

**ამოტენა** *ამოტენის* (ამოტენის, ამოიტენის, ამოუტენის, ამოიტენება, ამოუტენება) ღრმა რაიმეს მთლიანად ამოვსება. *კასრი მწნილით ამოტენა.*

**ამოტეხა** *ამოტეხის* (ამოტეხს, ამოუტეხს) იგივეა, რაც **ამომტვრევა**. *ფილაქანი ამოტეხეს.* ■ **ამოტეხილი** რაც ამოტეხეს. *ამოტეხილი კიბე.*

**ამოტვიფვრა** *ამოტვიფვრის* (ამოტვიფრავს, ამოიტვიფრება) ქვის, ლითონისა და მისთ. ზედაპირის ტვიფრით ამოჭრა, ამოკვეთა. *ხე ზე ამოტვიფრეს. ინიციალები ამოტვიფრა.* ■ **ამოტვიფრული** რაც ამოტვიფრეს. *ამოტვიფრული წარწერა.*

**ამოტივტივება** *ამოტივტივების* (ამოატივტივებს, ამოტივტივდება) 1. სიღრმიდან სითხის ზედაპირზე ამოსვლა და ტივტივის დაწყება. *ტალღამ ნაფოტები ამოატივტივა.* 2. გადატ. რაიმე აზრის, ამბის უეცრად გახსენება, გაფიქრება. *ძველი ამბავი ამოუტივტივდა. ნანახი უცებ ამოუტივტივდა გონებაში.*

**ამოტრიალება** *ამოტრიალების* (ამოატრიალებს, ამოიტრიალებს, ამოუტრიალებს, ამოტრიალდება, ამოუტრიალდება) ამობრუნება, ქვედა მხარის ზევით მოქცევა. *ჭიქა ამოატრიალა.* ■ **ამოტრიალებული** რაც ამოატრიალეს ან ამოტრიალდა. *ამოტრიალებული გამოსახულება.*

**ამოტუმბვა** *ამოტუმბვის* (ამოტუმბავს, ამოიტუმბება) სითხის ან აირის ტუმბოთი ამოღება. *ჰაერი ამოტუმბეს. ნავთობის ამოტუმბვა.* ■ **ამოტუმბული** რაც ამოტუმბეს. *ამოტუმბული წყალი.*

**ამოტყორცნა** *ამოტყორცნის* (ამოტყორცნის, ამოიტყორცნება) ქვევიდან ზევით ძლიერად და სწრაფად ამოგდება, ამოსროლა. *ტალღამ ბიჭი ამოტყორცნა. ვულკანიდან ლავა ამოიტყორცნება.* ■ **ამოტყორცნილი** რაც ამოტყორცნეს ან ამოიტყორცნა. *მიწის სიღრმიდან ამოტყორცნილი მასა.*

**ამოუცნობი** *ამოუცნობის* 1. რაც ამოცნობილი არ არის. *ამოუცნობი ობიექტები.* 2. გაურკვეველი, გაუგებარი. *ამოუცნობი გრძნობა.*

**ამოუწურავი** *ამოუწურავის* რის ამოწურვაც შეუძლებელია, ბევრი, ულევი. *ამოუწურავი ენერგია.*

**ამოუხსნელი** *ამოუხსნელი* რაც არ ან ვერ ამოხსნეს, ამოუცნობი. *ამოუხსნელი მოვლენა.*

**ამოფარება** *ამოფარების* (ამოაფარებს, ამოიფარებს, ამოეფარება) რაიმეს ან ვინმეს უკან დამალვა. *კედელს ამოეფარა. ხეს ამოეფარა.* ■ **ამოფარებული** ვინც ან რაც ამოეფარა, რასაც ამოეფარნენ. *მთას ამოფარებული ჯარი.*

**ამოფოფხება** *ამოფოფხების* (ამოფოფხდება) ფოფხვით ამოსვლა. *ორმოდან ამოფოფხდა.*

**ამოფრენა** *ამოფრენის* (ამოაფრენს, ამოფრინდება) ფრენით ამოსვლა. *მერცხალი ბუდიდან ამოფრინდა.*

**ამოფრქვევა** *ამოფრქვევის* (ამოაფრქვევს, ამოიფრქვევა) სიღრმიდან ერთბაშად ამოყრა, ამოტყორცნა. *ვულკანის ამოფრქვევა. ჭაბურღილიდან ნავთობი ამოიფრქვა.* ■ **ამოფრქვეული** რაც ამოიფრქვა. *ამოფრქვეული ლავა.*

**ამოფშვენა** *ამოფშვენის* (ამოიფშვენს) ნელი ამოსუნთქვა სპეციფიკური ხმის გამოცემით. *ავადმყოფმა ამოიფშვინა.*

**ამოფხაჭნა** *ამოფხაჭნის* (ამოფხაჭნის, ამოიფხაჭნება) ზედაპირის დაფხაჭნა, ამოკაწვრა. *მერხი ამოფხაჭნა. ფრჩხილით ამოფხაჭნა.* ■ **ამოფხაჭნილი** რაც ამოფხაჭნეს ან ამოიფხაჭნა. *ამოფხაჭნილი მაგიდა. ამოფხაჭნილი ასოები.*

**ამოფხეკა** *ამოფხეკის* (ამოფხეკს, ამოიფხეკს, ამოიფხიკება) ფხეკით ამოსუფთავება, ამოწმენდა. *ქვაბი ამოფხიკა.*

**ამოფხვრა** *ამოფხვრის* (ამოფხვრის, ამოიფხვრება) იგივეა, რაც **აღმოფხვრა**. *ნაკლოვანებები უნდა ამოიფხვრას.*

**ამოქარგვა** *ამოქარგვის* (ამოქარგავს, ამოიქარგავს, ამოუქარგავს, ამოიქარგება, ამოაქარგვინებს) ქსოვილზე რაიმე გამოსახულების ქარგვით გამოყვანა. *ყვავილი ამოქარგა.* ■ **ამოქარგული** რაც ამოქარგეს. *ამოქარგული ინიციალები.*

**ამოქმედება** *ამოქმედების* (აამოქმედებს, ამოქმედდება) მოქმედების დაწყება. *ორგანი ზაციის ამოქმედება. საწარმო ამოქმედდა. ხალხი ამოქმედდა.*

**ამოქნა** *ამოქნის* (ამოქნის, ამოიქნის, ამოუქნის, ამოიქნება) ⊙ **წარბების ამოქნა** ზედმეტი ბეწვის ამოცლა, ამოღება წარბებიდან გარკვეული ფორმის მისაცემად. ■ **ამოქნილი** რაც ამოიქნეს. *ამოქნილი წარბები.*

**ამოქოლვა** *ამოქოლვის* (ამოქოლავს, ამოიქოლავს, ამოუქოლავს, ამოიქოლება) ნახვრეტის, ხვრელისა და მისთ. ამოვსება, ამოშენება. *შესასვლელი ამოქოლეს. გვირაბი მიწით ამოიქოლა.* ■ **ამოქოლილი** რაც ამოქოლეს. *ამოქოლილი ფანჯრები.*

**ამოქშენა** *ამოქშენის* (ამოიქშენს) ქშენით ამოსუნთქვა. *მოხუცმა ამოიქშინა.*

**ამოღამება** *ამოღამების* (ამოიღამებს, ამოუღამდება) ⊙ **თვალები ამოუღამდება** იხ. თვალი.

**ამოღამებული** *ამოღამებულის* ⊙ **ამოღამებული თვალები** დაღლილობისგან ჩაშავებული თვალები.

**ამოღება** *ამოღების* (ამოიღებს, ამოუღებს, ამოიღება, ამოეღება, ამოაღებინებს) 1. სიღრმეში ჩადებულის, ჩაწყობილის ან ჩასხმულის აღება, ამოტანა. *ჩანთიდან ფული ამოიღო. ჭიდან წყალი ამოიღო.* 2. სიღრმიდან ამოთხრა, ამოძრობა. *მიწიდან ჭარხალი ამოიღო. კბილი ამოუღეს.* ■ **ამოღებული** რაც ამოიღეს. *ამოღებული ხმალი.*

**ამოღვრა** *ამოღვრის* (ამოღვრის, ამოუღვრის, ამოიღვრება, ამოეღვრება) სიღრმიდან სითხის ამოღება და გადაღვრა. *ნავიდან წყალი ამოღვარა.*

**ამოღლიავება** *ამოღლიავების* (ამოიღლიავებს) მკლავქვეშ, იღლიაში რაიმეს ამოდება. *ბიჭმა წიგნები ამოიღლიავა.*

**ამოღოღება** *ამოღოღების* (ამოღოღდება) ღოღვით ამოსვლა. *ღობე ზე ამოღოღდა.*

**ამოღრმავება** *ამოღრმავების* (ამოაღრმავებს, ამოღრმავდება) გათხრილის უფრო ღრმად ამოღება,

**ამოჭრა** *ორმო ამოალრმავა.* ■ **ამოღრმავებული** რაც ამოალრმაეს. *ამოღრმავებული თხრილი.*

**ამოღრუტნა** *ამოღრუტნის* (ამოღრუტნის, ამოუღრუტნის, ამოიღრუტნება) ოდნავ ამოთხრა, ამოხვრეტა, პატარა ღრმულის გაკეთება, გაჩენა. *ფიცარი ამოღრუტნა.* ■ **ამოღრუტნული** რაც ამოღრუტნეს. *ამოღრუტნული იატაკი.*

**ამოყაჭვა** *ამოყაჭვის* (ამოყაჭავს, ამოაყაჭვინებს) საუბრ. იძულებით ამოღება, ამოლაგება. *ფული ამოყაჭა. ჯიბიდან ყველაფერი ამოყაჭა.*

**ამოყენება** *ამოყენების* (ამოიყენებს, ამოუყენებს) ვინმეს დაყენება გვერდით. *შვილები გვერდში ამოიყენა.*

**ამოყვანა** *ამოყვანის* (ამოიყვანს, ამოუყვანს, ამოაყვანინებს) 1. ქვევიდან ზევით წამოყვანა. *ბავშვი ჩვენთან ამოიყვანა.* 2. სიღრმიდან ზევით აყვანა. *წყლიდან თევზი ამოიყვანა.* 3. კედლის, საძირკვლისა და მისთ. აშენება, აგება. *ქვის ღობე ამოიყვანა.*

**ამოყირავება** *ამოყირავების* (ამოაყირავებს, ამოუყირავებს, ამოყირავდება, ამოუყირავდება) ამოტრიალება, ქვედა ნაწილის ზევით მოქცევა. *მანქანა ამოაყირავა. ყინულზე ამოყირავდა.* ■ **ამოყირავებული** ვინც ან რაც ამოყირავდა. *ამოყირავებული პირამიდა. ამოყირავებული კაცი.*

**ამოყოლა** *ამოყოლის* (ამოჰყვება, ამოუყვება) 1. სხვასთან ერთად ამოსვლა. *მეგობარს ამოჰყვება.* 2. რაიმეს გასწვრივ, გაყოლებით ამოსვლა. *აღმართს ამოჰყვა. ბილიკს ამოუყვა.*

**ამოყოლება** *ამოყოლების* (ამოაყოლებს, ამოიყოლებს) რაიმესთან ერთად ამოტანა, ამოყვანა, ამოღება. *ხილთან ნამცხვრებიც ამოაყოლა.*

**ამოყორვა** *ამოყორვის* (ამოყორავს, ამოიყორავს, ამოიყორება, ამოეყორება) ⊙ **მუცელს ამოიყორავს** იხ. მუცელი.

**ამოყოფა** *ამოყოფის* (ამოყოფს, ამოუყოფს) სიღრმიდან ამოშვერა, ამოწევა. *ბიჭმა წყლიდან თავი ამოყო.*

**ამოყრა** *ამოყრის* (ამოყრის, ამოიყრის, ამოუყრის, ამოიყრება, ამოაყრევინებს) 1. ბევრის ამოღება და ზევით დაყრა. *თხრილიდან მიწა ამოყარა.* 2. კვირტის, ყლორტისა და მისთ. გამოღება, გამოსვლა. *ხემ ყლორტები ამოიყარა.*

**ამოშანთვა** *ამოშანთვის* (ამოშანთავს, ამოიშანთავს, ამოუშანთავს, ამოიშანთება) შანთით ამოწვა, ნიშნის დადება. *ინიციალები ამოშანთეს.* ■ **ამოშანთული** რაც ამოშანთეს. *ამოშანთული გერბი.*

**ამოშენება** *ამოშენების* (ამოაშენებს, ამოიშენებს, ამოუშენებს, ამოშენდება) ქვევიდან ზევით აშენება; რაიმეს გვერდების ან სხვა ნაწილის აშენება. *საძირკველი ამოაშენა. გალავანი ამოაშენა.* ■ **ამოშენებული** რაც ამოაშენეს ან ამოშენდა. *ამოშენებული ლოჯია.*

**ამოშვება** *ამოშვების* (ამოუშვებს) 1. ამოსვლის საშუალების, უფლების მიცემა. *ბავშვები სარდაფიდან ამოუშვა.*

**ამოშვერა** *ამოშვერის* (ამოიშვერს, ამოუშვერს) ქვევიდან ზევით ამოწევა, ამოყოფა. *წყლიდან ხელი ამოიშვირა.* ■ **ამოშვერილი** რაც ამოიშვირეს. *მიწიდან ამოშვერილი ღეროები მოჩანდა. კალათიდან თავი ჰქონდა ამოშვერილი.*

**ამოშლა** *ამოშლის* (ამოშლის, ამოუშლის, ამოიშლება) ნაწერში, ნაბეჭდში, ნახატში ან ნახაზში მცირე ნაწილის წაშლა. *სიტყვა ამოშალა. სიიდან ამოშალეს.* ■ **ამოშლილი** რაც ამოშალეს. *ამოშლილი ასოები.*

**ამოშრობა** *ამოშრობის* (ამოაშრობს, ამოუშრობს, ამოშრება, ამოუშრება) სითხის, ნესტიანი ადგილის ძირამდე გაშრობა. *ჭაობი ამოაშრეს. ტბა ამოშრა. ჩაიდანში წყალი ამოშრა.*

**ამოშხამება** *ამოშხამების* (ამოაშხამებს, ამოიშხამებს, ამოშხამდება) სასიამოვნოს ვერ შერგება, შხამად ქცევა. *ყველაფერი ამომაშხამეს. ქეიფი ამოშხამდა.*

**ამოჩემება** *ამოჩემების* (ამოიჩემებს) 1. ერთისა და იმავეს შეუცვლელად გამოყენება, სხვების უგულებელყოფა. *ბავშვმა სათამაშო ამოიჩემა. ერთი ფეხსაცმელი ამოიჩემა.* 2. იგივეა, რაც **ათვალწუნება**. *მე ზობელი ამოიჩემა.* ■ **ამოჩემებული** რაც ან ვინც ამოიჩემეს. *ამოჩემებული ჰყავს. ამოჩემებული ტანსაცმელი.*

**ამოჩიჩქნა** *ამოჩიჩქნის* (ამო(ს)ჩიჩქნის, ამოიჩიჩქნის, ამოიჩიჩქნება) მცირე სიღრმეზე ამოთხრა, ჩიჩქნით ამოღება, ამოცლა. *მიწა ამოჩიჩქნა. არწივმა თვალი ამოსჩიჩქნა.* ■ **ამოჩიჩქნილი** რაც ამოჩიჩქნეს. *ამოჩიჩქნილი ორმო.*

**ამოჩრა** *ამოჩრის* (ამოიჩრის) იღლიაში რაიმეს ამოდება. *ხელჩანთა ამოიჩარა. წიგნები ამოიჩარა.* ■ **ამოჩრილი** რაც ამოიჩარეს. *გაზეთები იღლიაში ჰქონდა ამოჩრილი.*

**ამოცანა** *ამოცანის* 1. პირობა, რომლის ბოლოს დასმულ შეკითხვაზე სწორი პასუხი მიიღება სათანადო გამოანგარიშებით. *მათემატიკური ამოცანა. ამოცანის პირობა.* 2. გადატ. მიზანი. *ამოცანად დაისახა. ცხოვრების ამოცანა.*

**ამოცარიელება** *ამოცარიელების* (ამოაცარიელებს, ამოიცარიელებს, ამოუცარიელებს, ამოცარიელდება) ღრმა სათავსოს, ჭურჭლის მთლიანად ამოცლა, ამოსუფთავება. *კასრი ამოაცარიელა. ჯიბეები ამოიცარიელა.* ■ **ამოცარიელებული** რაც ამოაცარიელეს. *ამოცარიელებული უჯრა.*

**ამოცვენა** *ამოცვენის* (ამოცვივდება) 1. ბევრის ამოვარდნა (1). *მე ზობლები ამოცვივდნენ. პოლიციელები მატარებელში ამოცვივდნენ.* 2. ბევრის ამოვარდნა (2). *ფილები ამოცვივდა. ჩანთიდან წიგნები ამოუცვივდა.* ■ **ამოცვენილი** რაც ამოცვივდა. *ამოცვენილი ფილაქანი.*

**ამოცლა** *ამოცლის* (ამოცლის, ამოაცლის, ამოიცლება, ამოეცლება) 1. ჭურჭლის მთლიანად დაცლა, ამოცარიელება. *ჭური ამოცალეს.* 2. ჯიბიდან, ჩანთიდან და მისთ. რაიმეს ჩუმად ამოღება, მოპარვა. *გასაღები ამოაცალა. ფული ამოაცალეს.* 3. ორგანიზმიდან რაიმეს ამოღება. *ფეხიდან ეკალი ამოაცალა. დაჭრილს ტყვია ამოაცალეს.* ■ **ამოცლილი** რაც ამოაცალეს. *ამოცლილი კასრი. ამოცლილი საფულე.*

**ამოცმა** *ამოცმის* (ამოიცვამს) ფეხსაცმლის, შარვლისა და მისთ. სწრაფად, ნაუცბადევად ჩაცმა. *წინდები ამოიცვა. ფეხსაცმელი ამოიცვა.*

**ამოცნობა** *ამოცნობის* (ამოიცნობს) მიხვედრა, გაგება, ცნობა. *საიდუმლო ამოიცნო. დამნაშავე ამოიცნეს.*

**ამოცოცება** *ამოცოცების* (ამოაცოცებს, ამოცოცდება) ცოცვით ამოსვლა. *ხრამიდან ამოცოცდა.*

**ამოცოხნა** *ამოცოხნის* (ამოიცოხნის) პირუტყვის მიერ გადაყლაპული საკვების კუჭიდან ამოღება ხელახლა დასაღეჭად. *ძროხამ ამოიცოხნა.*

**ამოცხება** *ამოცხების* (ამოსცხებს) ამორტყმა, ამოკვრა. *მუშტი ცხვირში ამოსცხო. ფეხი ამოსცხო.*

**ამოძახება** *ამოძახების* (ამოსძახებს, ამოიძახებს) 1. ზევით მყოფისთვის ქვევიდან ხმამაღლა დაყვირება, დაძახება. *ორმოდან ამოსძახა. მეგობრებმა ე ზოდან ამოსძახეს.* 2. რაიმეს უნებურად, გაუგებრად თქმა. *რაღაც ამოიძახა.*

**ამოძახილი** *ამოძახილის* რაც ამოიძახეს. *კვნესით ამოძახილი.*

**ამოძვრენა** *ამოძვრენის* (ამოაძვრენს) 1. ქვევიდან ზევით ძრომით ამოყვანა, ამოტანა. *ბიჭი სხვენში ამოაძვრინა.* 2. ჩუმად, მოულოდნელად ამოღება. *ჯიბიდან კარტი ამოაძვრინა.*

**ამოძირკვა** *ამოძირკვის* (ამოძირკვავს, ამოიძირკვება) 1. მიწიდან მცენარის ძირიანად, ფესვებიანად ამოღება, ამოგდება. *ბუჩქი ამოძირკვეს.* 2. გადატ. სრულად მოსპობა, განადგურება. *ბოროტების ამოძირკვა. ძველი შეხედულებები ამოიძირკვა.* ■ **ამოძირკვული** რაც ამოძირკვეს. *ამოძირკვული ხე.*

**ამოძრავება** *ამოძრავების* (აამოძრავებს, ამოძრავდება) მოძრაობის დაწყება. *ხალხი ამოძრავდა. ფეხები აამოძრავა.*

**ამოძრობა** *ამოძრობის* (ამოაძრობს, ამოიძრობს, ამოსძერება, ამოაძრობინებს) მაგრად ჩარჭობილის, ჩაჭედილის ამოღება. *ლურსმნის ამოძრობა. ისარი ამოაძრო.*

**ამოძრომა** *ამოძრომის* (ამოძვრება, ამოუძვრება) სიღრმიდან ამოსვლა, სიმაღლეზე აძრომა. *გველი ამოძვრა. კაცი თხრილიდან ამოძვრა.*

**ამოძუება** *ამოძუების* (ამოიძუებს) ◌ **კუდს ამოიძუებს** შერცხვენილი, განაბილებული წავა.

**ამოძულება** *ამოძულების* (ამოიძულებს) ამოჩემებით შეძულება. *ბავშვი ამოიძულა.* ■ **ამოძულებული** ვინც ამოიძულეს. *მე ზობელი ამოძულებული ჰყავს.*

**ამოწება** *ამოწების* (ამოაწებს, ამოუწებს) თხევად მასაში ამოვლება. *საღებავში ფუნჯი ამოაწო. პური ტყემალში ამოაწო.*

**ამოწევა** *ამოწევის* (ამოსწევს, ამოიწევს, ამოუწევს, ამოიწევა) ქვევიდან ზევით აწევა, ამოღება. *წყლიდან ბადე ამოსწიეს. პერანგი ამოიწია. საყელო ამოუწია.*

**ამოწერა** *ამოწერის* (ამოწერს, ამოიწერს, ამოუწერს, ამოიწერება, ამოეწერება, ამოანერინებს) 1. ტექსტიდან რაიმე ნაწილის ამოღება, გადაწერა. *ლექსი ამოიწერა. მონაცემები ამოიწერეს.* 2. დოკუმენტიდან, სიიდან და მისთ. ამოშლა. *ბინიდან ამოეწერა.* ■ **ამოწერილი** რაც ამოწერეს. *ამოწერილი ციტატა.*

**ამოწვა** *ამოწვის* (ამოწვავს, ამოიწვავს, ამოუწვავს, ამოიწვება, ამოეწვება) 1. ცეცხლით ან ცხელი საგნით ქსოვილის, ტყავისა და მისთ. მცირე ნაწილის დაზიანება, დაწვა. *ხალიჩა ამოიწვა. სუფრა სიგარეტით ამოწვეს.* 2. გახურებული საგნით ზედაპირზე გარკვეული ნიშნის, ნახატისა და მისთ. გამოსახვა. *ხე ზე ვარსკვლავი ამოწვა.*

**ამოწვერვა** *ამოწვერვის* (ამოიწვერება, ამოეწვერება) წვერის ოდნავ ამოსვლა, ამოზრდა, ამოყოფა. *ბალახი ამოიწვრა.* ■ **ამოწვერილი** რაც ამოიწვერა. *ამოწვერილი ულვაში.*

**ამოწინკნა** *ამოწინკნის* (ამოწინკნის, ამოიწინკნის, ამოიწინკნება) წინკნით ამოღება, ამოძრობა. *ბეწვი ამოიწინკნა.*

**ამოწმენდა** *ამოწმენდის* (ამო(ს)წმენდს, ამოიწმენდს, ამოუწმენდს, ამოიწმინდება, ამოეწმინდება, ამოანმენდინებს) სიღმიდან ჭუჭყის ამოღება, ამოსუფთავება. *ჭის ამოწმენდა. არხი ამოწმინდეს. ჭრილობა ამოუწმინდა.*

**ამოწურვა** *ამოწურვის* (ამოწურავს, ამოუწურავს, ამოიწურება, ამოეწურება) 1. სითხიდან ქსოვილის, ტანსაცმლისა და მისთ. ამოღება და გამოწურვა. *სარეცხი ამოწურა.* 2. გადატ. ბოლომდე დახარჯვა, დამთავრება. *რესურსები ამოწურეს.* ■ **ამოწურული** რაც ამოწურეს ან ამოიწურა. *ამოწურული ვადა.*

**ამოწუწნა** *ამოწუწნის* (ამოწუწნის) სითხის წუწნით ამოღება. *წვენი ამოწუწნა.*

**ამოწყდომა** *ამოწყდომის* (ამოწყდება, ამოუწყდება) ამოწყვეტა. *სოფელი ამოწყდა. საქონელი ამოუწყდა.*

**ამოწყვეტა** *ამოწყვეტის* (ამოწყვეტს, ამოიწყვეტს, ამოუწყვეტს, ამოაწყვეტინებს) ხალხის, პირუტყვისა და მისთ. ერთიანად ამოხოცვა, დაღუპვა. *ლაშქარი ამოწყვიტეს. ოჯახი ამოუწყვიტეს.* ■ **ამოწყვეტილი** ვინც ან რაც ამოწყვიტეს. *ამოწყვეტილი ფრინველი.*

**ამოჭრა** *ამოჭრის* (ამო(ს)ჭრის, ამოაჭრის, ამოიჭრის, ამოუჭრის, ამოიჭრება, ამოეჭრება, ამოაჭრევინებს) 1. მჭრელი იარაღით ხეზე, ქვასა და მისთ. გამოსახულების გამოყვანა, ამოკვეთა. *ინიციალები ამოჭრა.* 2. ქირურგიული ჩარევით რომელიმე ორგანოს ამოკვეთა, ამოცლა. *თირკმელი ამოაჭრეს.* 3. მთლიანიდან ნაწილის ამოღება იარაღით. *გაზეთიდან სურათი ამოჭრა.* 4. მიწის ამოღებით თხრილისა და მისთ. გაკეთება. *ჭა ამოჭრეს.* 5. დიდი სისწრაფით მაღლა ამოსვლა. *პოლიციელები მატარებელში ამოიჭრნენ.* ■ **ამოჭრილი** რაც ამოჭრეს. *ამოჭრილი ნახატი.*

**ამოხაპვა** *ამოხაპვის* (ამოხაპავს, ამოიხაპება) მცირე ზომის ჭურჭლით სითხის მთლიანად ამოღება, ამოღვრა. *ნავიდან წყალი ამოხაპეს.*

**ამოხდა** *ამოხდის* (ამოხდის) ⊙ სულს ამოხდის იხ. სული.

**ამოხედვა** *ამოხედვის* (ამოხედავს, ამოიხედავს) ქვევიდან ზევით თვალის მოპყრობა. *მაღლა ამოიხედე! ბავშვმა ამომხედა.*

**ამოხევა** *ამოხევის* (ამოხევს, ამოუხევს, ამოიხევა, ამოახევინებს) რეულიდან, წიგნიდან და მისთ. ფურცლის ძალით ამოღება, ამოგლეჯა. *ჟურნალიდან ფურცელი ამოხია.* ■ **ამოხეული** რაც ამოხიეს. *ამოხეული გვერდი.*

**ამოხეთქა** *ამოხეთქის* (ამოხეთქს, ამოიხეთქს) 1. სიღრმიდან სითხის ან აირის დიდი ძალით ამოსვლა. *ნავთობმა ამოხეთქა. სისხლმა ამოხეთქა.* 2. მცენარის ერთბაშად ამოსვლა, ამოყრა. *მიწიდან ბალახმა ამოხეთქა.* ■ **ამოხეთქილი** რამაც ამოხეთქა. *ამოხეთქილი ჭავლი.*

**ამოხვევა**[1] *ამოხვევის* (ამოახვევს, ამოიხვევს, ამოუხვევს, ამოიხვევა, ამოეხვევა, ამოახვევინებს) 1. ძაფის რაიმეზე დახვევა. *კოჭა ზე ამოახვია.* 2. ქსოვილის კიდის გადაკეცვა და გაკერვა ძაფის ამოტარებით. *კაბას ჩამოშლილი ბოლო ამოუხვია.* ■ **ამოხვეული** რაც ამოახვიეს. *ამოხვეული გორგალი.*

**ამოხვევა**[2] *ამოხვევის* (ამოუხვევს) მოძრაობის გეზის შეცვლა ქვევიდან ზევით შემოხვევა. *მანქანამ სოფლისკენ ამოუხვია. აქეთ უნდა ამოუხვიოთ.*

**ამოხვნეშა** *ამოხვნეშის* (ამოიხვნეშებს) ხვნეშით ამოსუნთქვა. *შეწუხებულმა ამოიხვნეშა.*

**ამოხოცვა** *ამოხოცვის* (ამოხოცავს, ამოუხოცავს, ამოიხოცება, ამოეხოცება, ამოახოცვინებს) ბევრის დახოცვა, განადგურება. *კატამ თაგვები ამოხოცა.*

**ამოხსნა** *ამოხსნის* (ამოხსნის, ამოუხსნის, ამოიხსნება) 1. ამოცანის პასუხის გამოანგარიშება ან მოძებნა. *ადვილად ამოხსნა.* 2. გაურკვეველი საკითხის ამოცნობა, მიზეზის მიგნება. *საიდუმლო ვერ ამოხსნა.* ■ **ამოხსნილი** რაც ამოხსნეს ან ამოიხსნა. *ამოხსნილი თავსატეხი.*

**ამოხტომა** *ამოხტომის* (ამოხტება, ამოუხტება) ხტომით ამოსვლა. *ბაყაყი კიბე ზე ამოხტა.*

**ამოჯდომა** *ამოჯდომის* (ამოუჯდება) ⊙ გული ამოუჯდება იხ. გული.

**ამპარტავანი** *ამპარტავნის* ვისაც ამპარტავნობა ახასიათებს, ქედმაღალი. *ამპარტავანი ახალგაზრდა.*

**ამპარტავნობა** *ამპარტავნობის* (ამპარტავნობს) გადაჭარბებული სიამაყე, საკუთარი უპირატესობის რწმენა. *ამპარტავნობას ვერ მალავს. თავისი წარმომავლობით ამპარტავნობს.*

**ამპერი** *ამპერის* ელექტრული დენის ძალის საზომი ერთეული.

**ამპლიტუდა** *ამპლიტუდის* სიდიდე, რომელიც აღნიშნავს მანძილს აქეთ-იქით მოძრავი სხეულის ან პერიოდულად ცვლადი სიდიდის ორ უკიდურეს წერტილს შორის. *რხევის ამპლიტუდა. ტემპერატურის ცვლილების ამპლიტუდა.*

**ამპლუა** *ამპლუას* 1. სახასიათო როლი, რომელიც შეეფერება ამა თუ იმ მსახიობის მონაცემებს, თავისებურებებს. *კომიკოსის ამპლუა.* 2. მდგომარეობა, საქმიანობა, რომელიც შეეფერება ადამიანის მოწოდებას, მის ხასიათს. *ის თავის ამპლუაშია. დიასახლისობა ჩემი ამპლუაა.*

**ამპულა** *ამპულის* მინის პატარა მილისებრი დარჩილული ჭურჭელი, რომელშიც წამალია მოთავსებული. *ანალგინის ამპულა.*

ამპულა

**ამპუტაცია** *ამპუტაციის* მედიც. სხეულის დაავადებული ნაწილის სრული ან ნაწილობრივი მოკვეთა. *კიდურის ამპუტაცია.*

**ამჟავება** *ამჟავების* (აამჟავებს, ამჟავდება) მჟავე გემოს მიღება საკვების გაფუჭების გამო. *რძე ამჟავდა. ღვინო ამჟავდა.* ■ **ამჟავებული** რაც ამჟავდა. *ამჟავებული კერძი.*

**ამჟამად** ზმნზ. ახლა, ამ დროისთვის. *ამჟამად უცხოეთში იმყოფება.*

**ამჟამინდელი** *ამჟამინდელის* ამჟამად, ახლა არსებული. *ამჟამინდელი მთავრობა. ამჟამინდელი მდგომარეობა.*

**ამრეზა** *ამრეზის* (აიმრიზება) გაბუტული, გაბრაზებული გამომეტყველების მიღება. *მოხუცი აიმრიზა. ამრეზით უპასუხა.* ■ **ამრეზილი** ვინც აიმრიზა. *ამრეზილი ქალი.*

**ამრიგად** 1. ზმნზ. ამნაირად, ამგვარად. *ამრიგად დასრულდა კამათი.* 2. სიტყვა, რომლითაც მანამდე თქმულის შეჯამება იწყება, მაშასადამე. *ამრიგად, ყველაფერი ნათელია.*

**ამსუბუქება** *ამსუბუქების* (აამსუბუქებს, ამსუბუქდება) სიდინჯის დაკარგვა, ამჩატება. *ღვინომ აამსუბუქა.*

**ამსუყება** *ამსუყების* (აამსუყებს, აუმსუყებს) იგივეა, რაც მომსუყება. *სადილმა გული აუმსუყა.*

**ამტანი** *ამტანის* გამძლე, მომთმენი. *სიცხის ამტანი. გაჭირვების ამტანი.*

**ამტანობა** *ამტანობის* გამძლეობა, მოთმინება. *ამტანობით გამოირჩევა.*

**ამტუტება** *ამტუტების* (აამტუტებს, ამტუტდება) 1. წყლის ძლიერ ამღვრევა. *ღელე აამტუტა.* 2. საუბრ. მავნებლურად არევ-დარევა. *ქვეყანა აამტუტეს.*

**ამულეტი** *ამულეტის* იგივეა, რაც **ავგაროზი**. *ვერცხლის ამულეტი.*

**ამუნიცია** *ამუნიციის* 1. ჯარისკაცისთვის საჭირო ნივთები: სალაშქრო ჩანთა, სარტყელი, სავაზნე, მათარა და მისთ. (იარაღისა და ტანისამოსის გარდა). *ამუნიციით მოამარაგეს.* 2. ცხენის აღკაზმულობა: უნაგირი, მოსართავები და მისთ. *ძვირფასი ამუნიცია.*

**ამუშავება** *ამუშავების* (აამუშავებს, ამუშავდება) მუშაობის დაწყება, ამოქმედება. *ქარხანა აამუშავეს. სტამბა ამუშავდა.*

**ამფიბია** *ამფიბიის* 1. ხერხემლიანი ცხოველი, რომელიც წყალშიც ცხოვრობს და ხმელეთზეც. *ამფიბია მწერებით იკვებება.* 2. სატრანსპორტო საშუალება (ძირითადად სამხედრო), რომელიც ხმელეთზეც დადის და წყალშიც დაცურავს. *ნავსადგურს საპატრულო ამფიბიები აკონტროლებდნენ.*

**ამფითეატრი** *ამფითეატრის* თეატრში პარტერის უკან ან ლოჟების თავზე მდებარე, მაყურებლებისთვის განკუთვნილი ადგილი, რომელიც თანდათან მაღლდება. *ამფითეატრში დავსხედით.*

ამფითეატრი

**ამფსონი** *ამფსონის* საუბრ. ამყოლი, მხლებელი, თანამესუფრე. *თავისი ამფსონები მოიყვანა.*

**ამქარი** *ამქრის* ძვ. საერთო ან მონათესავე ხელობის, საქმის ოსტატთა და ვაჭართა გაერთიანება, ამხანაგობა. *თბილისური ამქარი. ვაჭართა ამქრები.*

**ამქვეყნიური** *ამქვეყნიურის* მიწიერი, ამ ქვეყნისა, მატერიალური. *ამქვეყნიური ცხოვრება. ამქვეყნიური სიამოვნება.*

**ამღები** *ამღების* ვინც რაიმეს იღებს. *ქრთამის ამღები.*

**ამღერება** *ამღერების* (აამღერებს, ამღერდება) 1. სიმღერის დაწყება. *ხალხი აამღერა. მსახიობები ამღერდნენ.* 2. გადატ. მუსიკალური საკრავის აჟღერება. *ფანდური აამღერა.* ■ **ამღერებული** ვინც ან რაც აამღერეს ან ამღერდა. *ამღერებული ჩანგი.*

**ამღვრევა** *ამღვრევის* (აამღვრევს, აუმღვრევს, აიმღვრევა, აემღვრევა) 1. სითხის მღვრიედ ქცევა. *ზღვა აიმღვრა. ღვინო აიმღვრა.* 2. გადატ. შეშფოთების, აღელვებისა და მისთ. სახეზე გამოსახვა. *ქალი აიმღვრა. თვალები აემღვრა.* ■ **ამღვრეული** რაც აიმღვრა. *ამღვრეული წყალი.*

**ამყრალება** *ამყრალების* (აამყრალებს, აიმყრალებს, აუმყრალებს, ამყრალდება, აუმყრალდება) მყრალი სუნის გაჩენა, დაყენება. *ხორცი ამყრალდა. სახლი ყველის სუნმა აამყრალა.*

**ამჩატება** *ამჩატების* (აამჩატებს, ამჩატდება) აჩქარებით, დაუფიქრებლად მოქმედება. *ბავშვივით ამჩატდა. ასე რამ აამჩატა?!*

**ამძვრალი** *ამძვრალის* 1. ვინც ან რაც აძვრა. *ხეზე ამძვრალი ბავშვი.* 2. რაც ააძრეს ან ასძვრა. *ამძვრალი საღებავი.*

**ამძუვნება** *ამძუვნების* (ამძუვნდება) მძუვნობის დაწყება, ახურება. *ლომი ამძუვნდა.* ■ **ამძუვნებული** რაც ამძუვნდა. *ამძუვნებული კატა.*

**ამწე** *ამწის* ტვირთის ასაწევი და გადასატანი მანქანა (2). *მასალა ამწით გადაზიდეს.*


ამწე

**ამწყდარი** *ამწყდარის* რაც აწყდა. *ამწყდარი ღილი.*

**ამხანაგი** *ამხანაგის* ვინმესთან მეგობრობით, საერთო საქმით დაკავშირებული ადამიანი. *ბავშვობის ამხანაგი. ამხანაგის წიგნი.*

**ამხანაგობა** *ამხანაგობის* (ამხანაგობს, ეამხანაგება) 1. ამხანაგად ყოფნა, ამხანაგთა ურთიერთობა. *კარგი ამხანაგობა აქვთ. არავისთან ამხანაგობს.* 2. (კრებ.) ამხანაგთა ერთობლიობა. *მთელი ამხანაგობა იქ იყო.* 3. თანასწორუფლებიან მონაწილეთაგან შემდგარი საწარმოო ან მესაკუთრეთა და მისთ. გაერთიანება, ჯგუფი, ორგანიზაცია. *ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობა. სამეწარმეო ამხანაგობა.*

**ამხედრება** *ამხედრების* (აამხედრებს, აიმხედრებს, აუმხედრებს, ამხედრდება, აუმხედრდება) 1. ცხენზე შეჯდომა. *მეფე ამხედრდა.* 2. ვინმეს წინააღმდეგ წასვლა, გადამტერება. *შვილი მამას აუმხედრდა. საზოგადოება აამხედრეს.* ■ **ამხედრებული** ვინც ამხედრდა. *თეთრ რაშზე ამხედრებული რაინდი.*

**ამჯერად** ზმნზ. ახლა, ამ შემთხვევაში. *ამჯერად არაფერი უთქვამს.*

**ან** კავშ. გამოიყენება სიტყვების ან წინადადებების დასაკავშირებლად, როდესაც არჩევანია მოცემული. *დღეს ან ხვალ დაიწყება. თქვენც დარჩით ან ყველანი ერთად წავიდეთ.*

**ანაბანა** *ანაბანას* 1. საუბრ. ანბანი. *ანაბანას სწავლობენ.* 2. გადატ. ადვილი, მარტივი რამ. *ეს ჩემთვის ანაბანაა.*

**ანაბარა** ზმნზ. (+ ნათ.) ვინმეს, რაიმეს იმედად. *ძმის ანაბარა.*

**ანაბარად** ზმნზ. (+ ნათ.) ||ანაბარა *მე ზობლების ანაბარად დარჩა.*

**ანაბარი** *ანაბრის* 1. ბანკში გარკვეული პირობებით შეტანილი თანხა. *ვადიანი ანაბარი.* 2. შესანახად მიბარებული რამ. *ანაბარს ყველა უფრთხილდება.*

**ანაბეჭდი** *ანაბეჭდის* ფურცელზე ან მყარ ზედაპირზე შეხებით დატოვებული კვალი. *თითის ანაბეჭდი აულეს. მკრთალი ანაბეჭდი.*

**ანაზდად** ზმნზ. უეცრად, მოულოდნელად. *ანაზდად წამოდგა.*

**ანაზღაურება** *ანაზღაურების* (აანაზღაურებს, აინაზღაურებს, აუნაზღაურებს, ანაზღაურდება, აანაზღაურებინებს) ხარჯის, ზარალის, დანაკარგისა და მისთ. დაფარვა, შევსება. *დანაკლისი აუნაზღაურეს. მკურნალობის საფასური აუნაზღაურეს.* ▪ **ანაზღაურებული** რაც აანაზღაურეს. *ანაზღაურებული თანხა.*

**ანათემა** *ანათემის* 1. ეკლესიიდან განკვეთა. *საეკლესიო კრებამ ანათემას გადასცა.* 2. გადატ. საზოგადოებიდან მოკვეთა, შეჩვენება. *ამ სტატიის ავტორი ანათემას გადასცეს.*

**ანალიზი** *ანალიზის* 1. რაიმეს გამოკვლევა მისი შემადგენელ ნაწილებად დაშლის გზით. *ქიმიური ანალიზი. სისხლის ანალიზი.* 2. საფუძვლიანი განხილვა, გარჩევა. *შექმნილი სიტუაციის ანალიზი.*

**ანალიტიკური** *ანალიტიკურის* ანალიზზე, კვლევაზე დამყარებული. *ანალიტიკური აზროვნება. ანალიტიკური სტატია.*

**ანალოგი** *ანალოგის* ის, რაც ანალოგიის საფუძველს იძლევა, მსგავსი რამ. *ამ ფაქტს ანალოგი არ მოეძებნება.*

**ანალოგია** *ანალოგიის* მსგავსება საგანთა, მოვლენათა ან ცნებათა შორის. *ზუსტი ანალოგია.*

**ანალოგიური** *ანალოგიურის* მსგავსი, ერთნაირი. *ანალოგიური აზრი. ანალოგიური ქმედება.*

**ანამნეზი** *ანამნეზის* მედიც. პაციენტის შესახებ დაწერილებითი ცნობების ერთობლიობა. *ავადმყოფობის ანამნეზი.*

ანანასი

**ანანასი** *ანანასის* ყავისფერი, გირჩისებური, მოზრდილი ხილი მოყვითალო-ოქროსფერი წვნიანი რბილობით. *ანანასის წვენი.*

**ანარეკლი** *ანარეკლის* 1. გამოსახულება, რომელიც ჩანს სარკეში ან სხვა პრიალა ზედაპირზე. *მთვარის ანარეკლი.* 2. გადატ. რაიმე მოვლენის კვალი, შედეგი. *წარსულის ანარეკლი.*

**ანარიცხი** *ანარიცხის* თანხიდან დაკავებული განსაზღვრული პროცენტი. *მოგების ანარიცხი. ანარიცხის გადახდა.*

**ანარქია** *ანარქიის* 1. ვითარება, როდესაც ხელისუფლება ვეღარ ახერხებს ქვეყნის მართვას. *ანარქია გამეფდა.* 2. გადატ. უწესრიგობა, ქაოსი. *ბანაკში ანარქია სუფევდა.*

**ანატომია** *ანატომიის* მეცნიერება, რომელიც სწავლობს ცოცხალი ორგანიზმის აგებულებას. *ადამიანის ანატომია.*

**ანაფორა**[1] *ანაფორის* მღვდლის სამოსი. *შავი ანაფორა.*

**ანაფორა**[2] *ანაფორის* ლიტ. ერთი და იმავე ან მსგავსი ბგერების, სიტყვების, ფრაზების, წინადადებების გამეორება სტრიქონის დასაწყისში ან სტრიქონჩაგდებით. *ბგერითი ანაფორა.*

**ანაქრონიზმი** *ანაქრონიზმის* 1. ქრონოლოგიური შეუსაბამობა – ამა თუ იმ ფაქტის, მოვლენის შეცდომით სხვა ეპოქისთვის მიკუთვნება. *ანაქრონიზმის გამოვლინება.* 2. თანამედროვეობისთვის შეუფერებელი, მოძველებული შეხედულება ან ჩვეულება. *ნამდვილი ანაქრონიზმია.*

**ანბანი** *ანბანის* 1. ამა თუ იმ ენის დამწერლობაში არსებული ასოების მყარი თანმიმდევრობა. *ქართული ანბანი. ანბანის მეოთხე ასო.* 2. სპეციალური წიგნი, რომლითაც წერა-კითხვას სწავლობენ. *ანბანი გადაშალა.*

**ანბანური** *ანბანურის* ანბანის (1) რიგზე გაწყობილი, შედგენილი. *ანბანური საძიებელი.* ⊙ **ანბანური ჭეშმარიტება** საყოველთაოდ გაზიარებული, უეჭველი რამ.

**ანგარება** *ანგარების* მოქმედების მიზნად პირადი სარგებლობის ქონა. *ანგარებით გათხოვდა.*

**ანგარებიანი** *ანგარებიანის* ანგარების შემცველი, ანგარებით მოქმედი. *ანგარებიანი ადამიანი. ანგარებიანი სიყვარული.*

**ანგარი** *ანგარის* სპეციალური ნაგებობა თვითმფრინავების, ვერტმფრენებისა და მისთ. სადგომად.

**ანგარიშგასაწევი** *ანგარიშგასაწევის* საკმაოდ მნიშვნელოვანი, გასათვალისწინებელი. *ანგარიშგასაწევი გარემოება.*

**ანგარიში** *ანგარიშის* (ანგარიშობს) 1. მარტივი მათემატიკური მოქმედებების შესრულება. *ბიჭმა ანგარიში კარგად ისწავლა. სწორად იანგარიშა.* 2. მოხსენება შესრულებული სამუშაოს შესახებ. *მინისტრის ანგარიში.* 3. საბუთი, რომელიც ასახავს საფინანსო ურთიერთვალდებულების მდგომარეობას. *საბანკო ანგარიში.* 4. საბუთი, რომელშიც აღნიშნულია გაცემული საქონლის ან შესრულებული სამუშაოს საფასური. *ოფიციანტს ანგარიში მოსთხოვა.* 5. თამაშის შედეგი, გამოხატული ქულებით (სპორტში). *ანგარიშია 2-3. ანგარიში გაიხსნა.* ⊙ **ანგარიშს გაუსწორებს** 1. გადაუხდის მთლიანად, რაც ერგება. 2. სამაგიეროს გადაუხადის. ⊙ **ანგარიშს გაუწევს ვინმეს აზრის, მდგომარეობის გათვალისწინებით მოიქცევა.**

**ანგარიშიანი** *ანგარიშიანის* ვინც ყველაფერს წინასწარ ანგარიშობს, ითვალისწინებს. *ანგარიშიანი ქალი.*

**ანგარიშსწორება** *ანგარიშსწორების* ურთიერთშორის ანგარიშის (3) განაღდება, მოწესრიგება. *საბანკო ანგარიშსწორება. უნაღდო ანგარიშსწორება.*

**ანგარიშწარმოება** *ანგარიშწარმოების* საფინანსო ოპერაციების აღრიცხვის წარმოება ანგარიშების (3) მიხედვით. *საბანკო ანგარიშწარმოება.*

**ანგელოზი** *ანგელოზის* ადამიანის მფარველი ღვთიური არსება ქრისტიანულ რელიგიაში. *ანგელოზთა დასი.* ⊙ **ანგელოზებს დაუფრთხობს** საუბრ. შეაშინებს.

**ანგინა** *ანგინის* მედიც. ხახის ლორწოვანი გარსის ანთება. *ანგინა გაურთულდა.*

**ანგლობა** *ანგლობის* (ანგლობს) ჟარგ. მასხრობა, ლაზღანდარობა. *ანგლობა დაიწყო. ხშირად ანგლობს.*

**ანდა** კავშ. იგივეა, რაც **ან.** *შენობა უნდა დატოვონ, ანდა საერთოდ იქ დარჩნენ.*

**ანდაზა** *ანდაზის* სხარტი ხალხური გამონათქვამი, რომლითაც ბრძნული აზრია გამოხატული. *აღმოსავლური ანდაზები. ანდაზების კრებული.*

**ანდამატი** *ანდამატის* იგივეა, რაც **მაგნიტი.** *ანდამატივით იზიდავს.*

**ანდერძი** *ანდერძის* 1. წერილობით გამოხატული სურვილი გარდაცვალების შემდეგ საკუთარი ქონების განკარგვის თაობაზე. *ანდერძი დაწერა.* 2. დარიგება, მითითება, რომელსაც უტოვებენ შთამომავლობას ან თანამოაზრეებს. *წინაპართა ანდერძი.* ⊙ **ანდერძს აუგებს** მოკლავს.

**ანეკდოტი** *ანეკდოტის* სახუმაროდ შეთხზული მოკლე ამბავი. *ანეკდოტების მოყოლა უყვარს.* **შეცდომაა** ანეგდოტი.

**ანემია** *ანემიის* მედიც. დაავადება, რომელსაც ახასიათებს სისხლში ჰემოგლობინის შემცირება.

**ანემიური** *ანემიურის* ანემიით დაავადებული. *ანემიური ბავშვი.*

**ანესთეზია** *ანესთეზიის* მედიც. ხელოვნური ჩარევის შედეგად მგრძნობელობის შესუსტება, გაუტკივარება, რომელსაც მიმართავენ ოპერაციის წინ. *ანესთეზია გაუკეთეს.* ⊙ **ადგილობრივი ანესთეზია** სხეულის მხოლოდ ერთი ნაწილის გაუტკივარება. **შეცდომაა** ანესტეზია.

**ანეული** *ანეულის* ყანის მომკის შემდეგ დარჩენილი მინის ნაკვეთი. *ანეულებში ცხვარი გაუშვეს.*

**ანექსია** *ანექსიის* ერთი სახელმწიფოს მიერ სხვა ქვეყნის ან მისი ნაწილის დაპყრობა. *სრული ანექსია.*

**ანთება**[1] *ანთების* (აანთებს, აინთებს, აუნთებს, აინთება, აენთება, აანთებინებს) 1. ცეცხლის მოკიდება. *ბუხარი აანთეს. სანთელი აანთო.* 2. შუქის გამოცემა, განათება. *შუქნიშანი აინთო.* 3. გადატ. ძლიერი ემოციის დაუფლება, აღელვება, აღგზნება. *თვალები სიხარულით აენთო. სიყვარულით აინთო.* ■ **ანთებული** რაც აანთეს ან აინთო. *ჭაღი ანთებული დახვდა.*

**ანთება**[2] *ანთების* ორგანიზმში მიმდინარე პათოლოგიური პროცესი, ახასიათებს ტკივილი, ტემპერატურის მომატება. *ფილტვების ანთება. ყურის ანთება.*

**ანთებითი** *ანთებითის* ანთებისთვის[2] დამახასიათებელი, მასთან დაკავშირებული. *ანთებითი დაავადებები. ანთებითი პროცესები.*

**ანთოლოგია** *ანთოლოგიის* სხვადასხვა ავტორის რჩეულ თხზულებათა კრებული. *თანამედროვე პოეზიის ანთოლოგია.*

**ანთრაციტი** *ანთრაციტის* საუკეთესო ხარისხის ქვანახშირი. *ანთრაციტით მდიდარი საბადო.*

**ანთროპოლოგია** *ანთროპოლოგიის* მეცნიერება, რომელიც შეისწავლის ადამიანის წარმოშობას, ევოლუციას, ცვლილებებს მის აგებულებაში.

**ანი** *ანის* ქართული ანბანის პირველი ასოს (ა-ს) სახელწოდება.

**ანიმალისტი** *ანიმალისტის* მხატვარი ან მოქანდაკე, რომელიც თავის ნამუშევრებში უმთავრესად ცხოველებს ასახავს. *ცნობილი ანიმალისტი.*

**ანიმაცია** *ანიმაციის* 1. ობიექტის მოძრაობის ილუზიის შექმნა, რომელიც მიიღწევა მოძრაობის მიმდევრულ ფაზათა სწრაფი ჩვენებით. *რეკლამისთვის ანიმაციას იყენებენ.* 2. იგივეა, რაც **მულტიპლიკაცია.** *ანიმაციის რეჟისორი.*

**ანიმაციური** *ანიმაციურის* რაც ანიმაციას იყენებს, ანიმაციასთან დაკავშირებული. *ანიმაციური ფილმი.*

**ანისული** *ანისულის* ეთეროვანი ზეთის შემცველი ერთ- ან ორწლოვანი სურნელოვანი ბალახოვანი მცენარე, აქვს თეთრი ყვავილი და კვერცხის ფორმის წვრილი ნაყოფი, გამოიყენება მედიცინასა და პარფიუმერიაში. *ანისულის ზეთი. ანისულის ნაყენი.*

**ანკარა**[1] *ანკარას* ძალიან სუფთა, გამჭვირვალე. *ანკარა წყარო. ანკარა ღვინო.*

**ანკარა**[2] *ანკარას* უშხამო გველის სახეობა. *წყლის ანკარა.*

**ანკესი** *ანკესის* 1. თევზის საჭერი წვრილი კაუჭი. *ანკეს ზე ჭიაყელა დაამაგრა.* 2. თევზსაჭერი მოწყობილობა, შედგება ხის გრძელი ჯოხისა, ლარისა და ანკესისგან (1). *ანკესით თევზაობა.* ⊙ **ანკესზე წამოაგებს** მოატყუებს, შეაცდენს.

ანკესი

**ანკეტა** *ანკეტის* გარკვეული წესით შედგენილი გამოკითხვის ფურცელი მონაცემების შესაგროვებლად. *ანკეტა შეავსეს. სარეგისტრაციო ანკეტა.*

**ანკეტური** *ანკეტურის* ანკეტაში არსებული, მოცემული. *ანკეტური მონაცემები.*

**ანომალია** *ანომალიის* წესიდან გადახვევა, საერთო ნორმის დარღვევა. *ანომალიის შესწავლა.* ■ **ანომალიური** რასაც ანომალია ახასიათებს. *ანომალიური შემთხვევა. ანომალიური წანა ზარდი.*

**ანონიმი** *ანონიმის* I. ტექსტი (თხზულება, წერილი და მისთ.), რომლის ავტორის ვინაობა უცნობია. *ანონიმების შესწავლა.* 2. ვისი სახელიც უცნობია (ამბობენ თხზულების ავტორზე). *ანონიმი პოეტი. ანონიმი მწერალი.*

**ანონიმური** *ანონიმურის* ხელმოუწერელი, უცნობი პირის მიერ შესრულებული. *ანონიმური წერილი. ანონიმური ნაწარმოები.*

**ანონსი** *ანონსის* წინასწარი ცნობა მომავალი სპექტაკლის, კონცერტის, ტელეგადაცემისა და მისთ. შესახებ. *ანონსი იუწყება. ანონსიდან შეიტყობთ.*

**ანოტაცია** *ანოტაციის* I. წიგნის, სამეცნიერო ნაშრომისა და მისთ. ძირითადი აზრის მოკლედ გადმოცემა, რომელიც შეიძლება შეფასებასაც შეიცავდეს. *ანოტაციას გაეცნო.* 2. ხელსაწყოზე, აპარატურასა და მისთ. დართული ცნობების ერთობლიობა მისი მოხმარების დანიშნულებისა და წესის შესახებ. *წამლის ანოტაცია. აპარატის ანოტაცია.*

**ანსამბლი** *ანსამბლის* I. მსახიობთა, მუსიკოსთა და მისთ. კოლექტივი. *ფოლკლორული ანსამბლი.* 2. მთელის ყველა ნაწილის ჰარმონიული ერთობლიობა. *არქიტექტურული ანსამბლი.*

**ანტაგონიზმი** *ანტაგონიზმის* სხვადასხვა ძალის ინტერესთა კონფლიქტი, შეურიგებელი დაპირისპირება. *პოლიტიკური ანტაგონიზმი.*

**ანტაგონისტური** *ანტაგონისტურის* შეურიგებლად დაპირისპირებული. *ანტაგონისტური დამოკიდებულება.*

**ანტარქტიკა** *ანტარქტიკის* პოლარული მხარე, მდებარეობს დედამიწის სამხრეთში.

**ანტენა** *ანტენის* მოწყობილობა, რომელიც იღებს და გადასცემს რადიო- და ტელესიგნალებს. *სატელიტური ანტენა. ოთახის ანტენა.*

**ანტიდემოკრატიული** *ანტიდემოკრატიულის* დემოკრატიის წინააღმდეგ მიმართული. *ანტიდემოკრატიული ხელისუფლება. ანტიდემოკრატიული ქმედება.*

**ანტივირუსი** *ანტივირუსის* I. ვაქცინა ვირუსის წინააღმდეგ. 2. სპეციალური კომპიუტერული პროგრამა, რომელსაც შეუძლია აღმოაჩინოს და მოსპოს მავნებელი პროგრამები (ვირუსები). *ანტივირუსი დააინსტალირა.*

**ანტიკვარი** *ანტიკვარის* პირი, რომელიც აგროვებს ძველებურ, იშვიათ ნივთებს ან ვაჭრობს ამ ნივთებით. *ანტიკვარის კოლექცია.*

**ანტიკვარული** *ანტიკვარულის* ძველებური და ძვირფასი. *ანტიკვარული წიგნი.*

**ანტიკური** *ანტიკურის* ძველი ბერძნებისა და რომაელების ისტორიასა და კულტურასთან დაკავშირებული. *ანტიკური ხელოვნება.*

**ანტილოპა** *ანტილოპის* წყვილჩლიქიანი ცხოველი, ბინადრობს აფრიკის სავანებში.

**ანტიპათია** *ანტიპათიის* უსიამოვნო, არაკეთილგანწყობილი დამოკიდებულება ვინმეს მიმართ. *ანტიპათია გამოიწვია.* შეცდომაა ანტიპატია.

**ანტიპათიური** *ანტიპათიურის* ანტიპათიის, უარყოფითი ემოციის, დამოკიდებულების გამომწვევი. *ანტიპათიური პიროვნება.* შეცდომაა ანტიპატიური.

**ანტიპოდი** *ანტიპოდის* საწინააღმდეგო, ვინმესგან სრულიად განსხვავებული. *ძმის ანტიპოდია.*

**ანტირელიგიური** *ანტირელიგიურის* რელიგიის წინააღმდეგ მიმართული. *ანტირელიგიური პროპაგანდა.*

**ანტისაზოგადოებრივი** *ანტისაზოგადოებრივის* საზოგადოებრივი ინტერესების საწინააღმდეგო. *ანტისაზოგადოებრივი საქმიანობა.*

**ანტისანიტარია** *ანტისანიტარიის* უსუფთაობა, სიბინძურე. *ანტისანიტარიის წინააღმდეგ ბრძოლა.*

**ანტისახელმწიფოებრივი** *ანტისახელმწიფოებრივის* სახელმწიფოებრივი ინტერესების საწინააღმდეგო. *ანტისახელმწიფოებრივი ქმედება.*

**ანტისემიტიზმი** *ანტისემიტიზმის* ებრაელების სიძულვილი. *ანტისემიტიზმის გამოვლინება.*

**ანტისეპტიკური** *ანტისეპტიკურის* მიკრობების საწინააღმდეგო. *ანტისეპტიკური სითხე. ანტისეპტიკური პრეპარატები.*

**ანტისხეული** *ანტისხეულის* (ძირითადად მრ.) ნივთიერება, რომელსაც გამოიმუშავებს ორგანიზმი მასში უცხო ნივთიერებათა შეყვანისას.

**ანტიფაშისტი** *ანტიფაშისტის* ფაშიზმის წინააღმდეგ მებრძოლი. *მამამისი ანტიფაშისტი იყო.*

**ანტიქრისტე** *ანტიქრისტეს* ქრისტეს მთავარი მოწინააღმდეგე, რომელსაც მეორედ მოსვლის წინ ქრისტე დაამარცხებს.

**ანტრაქტი** *ანტრაქტის* შესვენება სპექტაკლის მოქმედებებს ან კონცერტის, საცირკო წარმოდგენისა და მისთ. განყოფილებებს შორის. *ანტრაქტი დასრულდა.*

**ანტრეკოტი** *ანტრეკოტის* საქონლის ხორცის ანაჭერი, რომელიც მოიცავს სიგრძეზე გაჭრილი ხერხემლის ნახევარსა და ნეკნების ნაწილს.

*ანტრეკოტი ააჭრა. ანტრეკოტს ყიდულობს.* შეცდომაა ანტრიკოტი.

**ანტრეპრენიორი** *ანტრეპრენიორის* თეატრალური წარმოდგენების, კონცერტების მომწყობი პირი, მსახიობთა დასის დამქირავებელი. *ცნობილი ანტრეპრენიორი.*

**ანტრესოლი** *ანტრესოლის* მაღალ ოთახში ან სათავსში გაკეთებული ზედა ნახევარი სართული. *საძინებელი ანტრესოლში ჰქონდა.*

**ანუ** კავშ. გამოიყენება მსგავსი მნიშვნელობის სიტყვების დასაკავშირებლად, როდესაც მომდევნო სიტყვა აზუსტებს, აკონკრეტებს წინამავალს. *ასწლეული, ანუ საუკუნე.*

**ანულირება** *ანულირების* გაუქმება, ბათილად ცნობა. *ხელშეკრულების ანულირება.*

**ანულირებული** *ანულირებულის* გაუქმებულად, ძალადაკარგულად გამოცხადებული. *ოქმი ანულირებული იყო.*

**ანფასი** *ანფასის* გამოსახულების წინა ხედი. *ქანდაკების ანფასი.*

**ანშლაგი** *ანშლაგის* 1. თეატრში, კინოსა და მისთ. გამოკრული განცხადება, რომელიც იუწყება, რომ ყველა ბილეთი გაყიდულია. 2. გადატ. სრული დასწრება ამა თუ იმ წარმოდგენაზე. *გასტროლებმა ანშლაგით ჩაიარა.*

**ანჩხლი** *ანჩხლის* ბრაზიანი, მოჩხუბარი. *ანჩხლი ქალი. ანჩხლი მოხუცი.*

**ანჩხლობა** *ანჩხლობის* (ანჩხლობს) ანჩხლის ქცევა, მომეტებული სიბრაზე, ჩხუბი. *დედაბერი ანჩხლობს.*

**ანცი** *ანცის* ცელქი, მოუსვენარი. *ანცი გოგონა.*

**ანცობა** *ანცობის* (ანცობს) მოუსვენრობა, ცელქობა. *უფროსები ანცობით შეაწუხა. სულ ასე ანცობს.*


ანძა

**ანძა** *ანძის* 1. გემზე ან ხომალდზე აღმართული ვერტიკალური ძელი, რომელზეც იალქანია დამაგრებული. *ანძაზე აფრა გაიშალა.* 2. მაღალი ნაგებობა სხვადასხვა სიგნალის მისაღებად ან გადასაცემად. *სატელევიზიო ანძა.* 3. ბოძი, რომელიც იმაგრებს მაღალი ძაბვის ელექტროსადენებს. *ანძების მწკრივი.*


ანჯამა

**ანწლი** *ანწლის* სპეციფიკური სუნის მქონე ბალახოვანი მცენარე, ისხამს პატარა, მრგვალ შავ მარცვლებს, გამოიყენება სამკურნალოდ. *ანწლის ნაყენი. ანწლის არაყი.*

**ანჯამა** *ანჯამის* ღეროთი შეერთებული მეტალის ორი ფირფიტა კარის ან ფანჯრის ჩამოსაკიდად. *ოქროსფერი ანჯამა.*

**აორთქლება** *აორთქლების* (ააორთქლებს, აორთქლდება, აუორთქლდება) 1. სითხის ორთქლად ქცევა. *წყლის აორთქლება. სპირტი აორთქლდა.* 2. საუბრ. მოულოდნელად, უცებ გაქრობა, დაკარგვა. *ფული სადღაც აორთქლდა. სად აორთქლდა ეს კაცი?!*

**აორტა** *აორტის* ანატ. მთავარი არტერია. *მუცლის აორტა.*

**აოხრება** *აოხრების* (ააოხრებს, აუოხრებს, აოხრდება) განადგურება, გაჩანაგება, აკლება. *მტერმა სოფელი აოხრა. ეკლესია-მონასტრები ააოხრეს. ყანები აოხრდა.* ■ **აოხრებული** რაც ააოხრეს ან აოხრდა. *აოხრებული ქვეყანა.*

**აპათია** *აპათიის* უხალისობა, უინტერესობა, ყველაფრისადმი გულგრილობა. *აპათია დაეუფლა.* შეცდომაა აპატია.

**აპათიური** *აპათიურის* ყველაფრისადმი გულგრილი, ხალისს მოკლებული. *აპათიური მდგომარეობა. აპათიური პიროვნება.* შეცდომაა აპატიური.

**აპარატი** *აპარატის* 1. ტექნიკური მოწყობილობა, რომელიც მექანიკურად ასრულებს გარკვეულ სამუშაოს. *ხმის ჩამწერი აპარატი. საფრენი აპარატი. ტელეფონის აპარატი.* 2. სახელმწიფო მმართველობის დაწესებულებათა თანამშრომლების ერთობლიობა. *სამინისტროს აპარატი.*

**აპარატურა** *აპარატურის* გარკვეული სამუშაოების შესასრულებლად განკუთვნილი აპარატების, ტექნიკური მოწყობილობების ერთობლიობა. *უახლესი აპარატურა.*

**აპართეიდი** *აპართეიდის* ქვეყანაში მოსახლეობის ძალმომრეობითი გაყოფის პოლიტიკა, რომელიც დაფუძნებულია რასობრივ დისკრიმინაციაზე. *აპართეიდის მსხვერპლი.* შეცდომაა აპარტეიდი.

**აპარტამენტი** *აპარტამენტის* დიდი, კეთილმოწყობილი ბინა ან სასტუმროს ნომერი. *მდიდრული აპარტამენტი.*

**აპელაცია** *აპელაციის* 1. სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრება უფრო მაღალ ინსტანციაში. *აპელაცია შეიტანეს.* 2. ოფიციალური შეფასების გასაჩივრება. *აპელაციის შედეგები გამოქვეყნდა.*

**აპენდიქსი** *აპენდიქსის* ანატ. ბრმა ნაწლავის დანამატი, ჭიანაწლავი. *აპენდიქსის ანთება. აპენდიქსის ოპერაცია.*

**აპენდიციტი** *აპენდიციტის* მედიც. აპენდიქსის ანთება. *მწვავე აპენდიციტი. ქრონიკული აპენდიციტი.*

**აპეური** *აპეურის* უღლის ნაწილი – ტაბიკების გადასაბმელი თოკი, გრეხენ ტყავისგან, თხის ბალნისგან. *აპეური გაწყდა. აპეური შეუხსნა.*

**აპილპილება** *აპილპილების* (ააპილპილებს, აპილპილდება) სიბრაზისგან უცებ აღელვება, წამოწითლება. *ქალი აპილპილდა.*

**აპკი** *აპკის* I. თხელი ქსოვილი (2), რომელიც ერთმანეთისგან გამოყოფს სხეულის ღრუებს და ფარავს შინაგან ორგანოებს. *ყურის აპკი.* 2. თხელი ფენა რაიმეს ზედაპირზე. *კვერცხის აპკი.*

**აპლოდისმენტი** *აპლოდისმენტის* (ძირითადად მრ.) მისალმების ან მოწონების გამომხატველი ტაში. *მხურვალე აპლოდისმენტები.*

**აპოგეა** *აპოგეის* ნიგნ. განვითარების უმაღლესი წერტილი. *კულტურის აპოგეა.*

**აპოთეოზი** *აპოთეოზის* I. ნიგნ. პიროვნების, ამბის ან რაიმე მოვლენის განდიდება. *პოეზიის აპოთეოზი.* 2. მასობრივი საზეიმო სცენა სპექტაკლის ან კონცერტის ბოლოს. *წარმოდგენა აპოთეოზით დასრულდა.*

**აპოკალიფსი** *აპოკალიფსის* ქვეყნიერების აღსასრული, მეორედ მოსვლა, მომდინარეობს ახალი აღთქმის უკანასკნელი წიგნიდან, რომელშიც მოცემულია წინასწარმეტყველება ქვეყნიერების აღსასრულის შესახებ. *აპოკალიფსის მოახლოება.*

**აპოკრიფი** *აპოკრიფის* ბიბლიური თხზულება, რომელსაც არ ცნობს ეკლესია. *აპოკრიფების კრებული.*

**აპოლიტიკური** *აპოლიტიკურის* ვინც საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში არ არის ჩართული, პოლიტიკისადმი ინტერესს არ იჩენს; რაც პოლიტიკურ შინაარსს მოკლებულია. *აპოლიტიკური საზოგადოება. აპოლიტიკური სტატიები.*

**აპოსტროფი** *აპოსტროფის* მძიმის მსგავსი ნიშანი, რომელიც დაისმის სიტყვაში გამოტოვებული ხმოვნის ადგილას, სტრიქონის ზევით.

**აპოხტი** *აპოხტის* შესანახად გამხმარი უმი ხორცი. *ქათმის აპოხტი.*

**აპრეხა** *აპრეხის* (აპრეხს, აიპრეხს, აიპრიხება, აეპრიხება) წარბის, თმისა და მისთ. ბოლოების ზევით აწევა. *ულვაში აიპრიხა.* ■ **აპრეხილი** რაც აიპრიხა. *აპრეხილი კუდი.*

**აპრილი** *აპრილის* წელიწადის მეოთხე თვე. *აპრილის ბოლო.*

**აპრიორი** *აპრიორის* ცდის გარეშე, ცდისგან დამოუკიდებლად, თავისთავად.

**აპრიორული** *აპრიორულის* ცდისგან დამოუკიდებელი, თავისთავად ნაგულისხმევი. *აპრიორული დებულება.*

**აპრობაცია** *აპრობაციის* წინასწარი განხილვა, შემოწმება. *ნაშრომის აპრობაცია. აპრობაცია გაიარა.*

**აპრობირებული** *აპრობირებულის* გამოცდილი, წინასწარი შემოწმების შედეგად მოწონებული. *აპრობირებული მეთოდი. აპრობირებული პრეპარატი.*

**აპყრობა** *აპყრობის* (ააპყრობს) ხელების მაღლა აღმართვა. *ხელები ცისკენ ააპყრო.*

**აჟიოტაჟი** *აჟიოტაჟის* განსაკუთრებული შემთხვევით ან მოვლენით გამოწვეული მღელვარება, ხმაური, აურზაური. *აჟიოტაჟით შეხვდნენ.*

**აჟურული** *აჟურულის* გამჭვირვალე სახეების მქონე. *აჟურული წინდა. აჟურული ქსოვილი.*

**აჟღერება** *აჟღერების* (ააჟღერებს, აუჟღერებს, აჟღერდება) მუსიკალური ინსტრუმენტის დაკვრა, ჟღერის დაწყება. *გიტარის აჟღერება. სალამური ააჟღერა.* ■ **აჟღერებული** რაც ააჟღერეს. *აჟღერებული მელოდია.*

**არ** ნაწილაკ. გამოიყენება მოქმედების ან მდგომარეობის უარსაყოფად. *არ მოვიდნენ. წერილი არ გაუგზავნა. არ მოსწონს.*

**არა** ნაწილაკ. 1. გამოიყენება კითხვაზე პასუხის გაცემისას, გამოხატავს მოქმედების ან მდგომარეობის უარყოფას. *– არ წამოხვალთ? – არა.* 2. გამოიყენება „არ“ ნაწილაკით გამოხატული უარყოფის გასაძლიერებლად. *არა, არ უნდა ჩამოვრჩეთ!*

**არაადამიანური** *არაადამიანურის* I. რაც ადამიანის შესაძლებლობებს აღემატება. *არაადამიანური შრომა.* 2. საშინელი, სასტიკი, ადამიანისთვის შეუფერებელი. *არაადამიანური პირობები. არაადამიანური საქციელი.*

**არაამქვეყნიური** *არაამქვეყნიურის* ზეციური, არამიწიერი, ღვთიური. *არაამქვეყნიური არსება. არაამქვეყნიური ცხოვრება.*

**არაარსებითი** *არაარსებითის* მეორეხარისხოვანი, უმნიშვნელო. *არაარსებითი შენიშვნები. არაარსებითი განსხვავება.*

**არაბესკი** *არაბესკის* I. (ძირითადად მრ.) რთული ორნამენტი, რომელიც შედგება მცენარეთა გამოსახულებებისა და გეომეტრიული ფიგურებისგან. 2. მცირე ზომის ლიტერატურული ან მუსიკალური ნაწარმოები. *არაბესკების კრებული.*

**არაბუნებრივი** *არაბუნებრივის* I. რაც ბუნებრივი არ არის, ხელოვნური, ნაძალადევი. *არაბუნებრივი მოვლენა. არაბუნებრივი საქციელი.* 2. უჩვეულო, უცნაური. *არაბუნებრივი სიჩუმე იდგა.*

**არადა** კავშ. გამოიყენება მოულოდნელი, გაუთვალისწინებელი ამბის თქმის წინ. *არადა, დღეს სტუმრებს არ ველოდებოდი.*

**არადამაკმაყოფილებელი** *არადამაკმაყოფილებლის* არასაკმარისი, უარყოფითი. *არადამაკმაყოფილებელი შედეგები. არადამაკმაყოფილებელი შეფასება.*

**არადამაჯერებელი** *არადამაჯერებლის* რაც დამაჯერებელი, სარწმუნო, სანდო არ არის. *არადამაჯერებელი საუბარი. არადამაჯერებელი საბუთი.*

**არაეკონომიური** *არაეკონომიურის* რაც ეკონომიური არ არის. *არაეკონომიური მანქანა. სახსრების არაეკონომიური ხარჯვა.*

**არაერთხელ** ზმნზ. რამდენიმეჯერ, ბევრჯერ. *არაერთხელ მითქვამს.*

**არავითარი** *არავითარის* ნაცვ. სულ არაფერი, არც არაფერი. *არავითარ ყურადღებას არ აქცევს.*

**არავინ** *არავისი* ნაცვ. არც ერთი ვინმე. *არავინ გამოჩნდა. არავის ეტყვის.*

**არაზუსტი** *არაზუსტის* რასაც სიზუსტე აკლია. *არა ზუსტი ცნობები. არა ზუსტი სიები.*

**არათანაბარი** *არათანაბრის* რაც თანაბარი, ტოლი არ არის, უთანაბრო, განსხვავებული. *არათანაბარი მოძრაობა. არათანაბარი პირობები.*

**არათანასწორუფლებიანი** *არათანასწორუფლებიანის* თანასწორი უფლებების არმქონე. *არათანასწორუფლებიანი ხელშეკრულება.*

**არათითი** *არათითის* ხელის ან ფეხის მეოთხე თითი ცერიდან. *არათითზე ვერცხლის ბეჭედი ეკეთა.*

**არათუ** კავშ. არა მხოლოდ. *არათუ მიდის, სხვებიც თან მიჰყავს.*

**არაიშვიათი** *არაიშვიათის* რაც იშვიათი არ არის, საკმაოდ ხშირი. *არაიშვიათი მოვლენა. არაიშვიათი დაავადება.*

**არაკანონიერი** *არაკანონიერის* რაც კანონიერი არ არის, უკანონო. *არაკანონიერი გადაწყვეტილება. არაკანონიერი საქციელი.*

**არაკაცი** *არაკაცის* ამბობენ ცუდი საქმეების ჩამდენ კაცზე. *ნამდვილი არაკაცია!*

**არაკვალიფიციური** *არაკვალიფიციურის* სათანადო კვალიფიკაციის არმქონე, გამოუცდელი. *არაკვალიფიციური კადრი. არაკვალიფიციური ექიმი.*

**არაკი** *არაკის* იგავი, რომელსაც ზღაპრის შინაარსი აქვს. *ძველი არაკი. არაკები უყვარს.*

**არაკომპეტენტური** *არაკომპეტენტურის* სათანადო ცოდნის, კომპეტენციის არმქონე. *არაკომპეტენტური აზრი. არაკომპეტენტური ადამიანი.*

**არაკომუნიკაბელური** *არაკომუნიკაბელურის* ვისაც სხვებთან ურთიერთობის დამყარება უჭირს. *არაკომუნიკაბელური პიროვნება.*

**არაკორექტული** *არაკორექტულის* ვინც ან რაც კორექტული არ არის. *არაკორექტული საქციელი.*

**არალეგალური** *არალეგალურის* კანონით აკრძალული, ფარული, რაც რელიგიური არ არის. *არალეგალური ორგანიზაცია. არალეგალური თანამშრომლობა.*

**არა-მარა** წყევ. გამოიყენება იმის მიმართ, ვინც ალიზიანებთ არა-ს თქმით. *არა-მარა შენ და ჯანდაბა!*

**არამართებული** *არამართებულის* რაც მართებულია, სწორი არ არის, მიუღებელია. *არამართებული საქციელი. არამართებული ქმედება.*

**არამედ** კავშ. ამის ნაცვლად, საპირისპიროდ. *იყიდება არა მარტო ადგილობრივი, არამედ უცხოური ნაწარმიც.*

**არამეცნიერული** *არამეცნიერულის* რაც მეცნიერულ ცოდნას, მსჯელობას არ ემყარება. *არამეცნიერული თეორია. არამეცნიერული დასკვნები.*

**არამზადა** *არამზადის* უსინდისო, ცუდი, საზიზღარი ადამიანი. *იმ არამზადის ნახელავია. ნამდვილი არამზადა ხარ!*

**არამი** *არმის* უღირსი, უპატიოსნო გზით მოპოვებული. *არამი ლუკმა. არამი ქონება.* ▲ **არმად შხამად.** *არმად გაუხდეს შენი ნაშრომი.* ⊙ **არამი არის, არამი იყოს!** წყევ. არ შეერგოს, არ შერჩეს!

**არამიწიერი** *არამიწიერის* იგივეა, რაც არაამქვეყნიური. *არამიწიერი სილამაზე. არამიწიერი არსება.*

**არამკითხე** *არამკითხეს* საუბრ. ვინც სხვის საქმეში დაუკითხავად ერევა. *არამკითხეს ნათქვამი.*

**არამც** ნაწილაკ. ⊙ **არამც და არამც არავითარ შემთხვევაში,** არანაირად.

**არანორმალური** *არანორმალურის* რაც მიღებულ ნორმას, წესებს არ შეესაბამება, მიუღებელი. *არანორმალური მოვლენები. არანორმალური ცხოვრების წესი.*

**არანორმირებული** *არანორმირებულის* რაც ნორმირებული არ არის. *არანორმირებული კვება. არანორმირებული სამუშაო.*

**არაორგანიზებული** *არაორგანიზებულის* რაც ორგანიზებული არ არის, მოუწესრიგებელი. *არაორგანიზებული ვაჭრობა. არაორგანიზებული ჯარი.*

**არაორგანული** *არაორგანულის* 1. რაც ცოცხალ ორგანიზმებს არ შეიცავს, არაცოცხალი. *არაორგანული საკვები. არაორგანული მჟავები.* 2. არაცოცხალი ბუნების შემსწავლელი. *არაორგანული ქიმიის კურსი.*

**არაორდინარული** *არაორდინარულის* რაც ჩვეულებრივი არ არის, გამორჩეული, ყველასგან განსხვავებული. *არაორდინარული გადაწყვეტილება.* შეცდომაა არაორდინალური.

**არაოფიციალური** *არაოფიციალურის* რაც ოფიციალური არ არის. *არაოფიციალური ვიზიტი.*

**არაპირდაპირი** *არაპირდაპირის* 1. ირიბი, არასწორი. *არაპირდაპირი გზა. არაპირდაპირი ხაზი.* 2. რაც პირდაპირ არ ხდება, არ ტარდება. *არაპირდაპირი არჩევნები. არაპირდაპირი მონაწილეობა.*

**არაჟანი** *არაჟნის* აუდუღარი რძის ნაღები. *არაჟნის კრემი.*

**არარა** *არარას* ნაცვ. იგივეა, რაც **არაფერი.** *არარად მიაჩნია.*

**არარაობა** *არარაობის* 1. რასაც არანაირი ღირებულება, ფასი არა აქვს. *ეს ცხოვრება არარაობაა.* 2. ვინც არაფერს წარმოადგენს, არავინ არაფრად აგდებს. *ეს კაცი ნამდვილი არაობაა.* 3. უქონლობა, უყოლობა. *სულ არარაობას ეს ხელფასი ჯობია.*

**არარეალური** *არარეალურის* რაც რეალური არ არის, განუხორციელებელი. *არარეალური მოთხოვნა. არარეალური ფასი.*

**არარეალურობა** *არარეალურობის* რეალობასთან შეუსაბამობა, რაიმეს არსებობის ან განხორციელების შეუძლებლობა. *გეგმების არარეალურობა.*

**არარეგულარული** *არარეგულარულის* რაც რეგულარულად, მუდმივად არ ხდება. *არარეგულარული სამუშაო. არარეგულარული რეისი.*

**არარსებული** *არარსებულის* რაც არ არსებობს, გამოგონილი. *არარსებული თანხა. არარსებული ქვეყანა.*

**არასაიმედო** *არასაიმედოს* ვინც ან რაც საიმედო არ არის, არამყარი, ვისი ნდობაც არ შეიძლება. *არასაიმედო ხალხი. არასაიმედო პარტნიორი.*

**არასაპატიო** *არასაპატიოს* რაც საპატიო არ არის, რის პატიებაც არ შეიძლება. *არასაპატიო მიზეზით დაგვიანება.*

**არასასიამოვნო** *არასასიამოვნოს* რაც სასიამოვნო არ არის, საწყენი. *არასასიამოვნო ფაქტი. არასასიამოვნო გრძნობა.*

**არასასურველი** *არასასურველის* ვინც ან რაც სასურველი არ არის. *არასასურველი სტუმარი. არასასურველი პროფესია.*

**არასახარბიელო** *არასახარბიელოს* რაც კარგი, მოსაწონი არ არის, ცუდი. *არასახარბიელო საბინაო პირობები. არასახარბიელო სიტუაცია.*

**არასდროს** ზმნზ. იგივეა, რაც **არასოდეს**. *არასდროს დაივიწყებს.*

**არასიმეტრიული** *არასიმეტრიულის* სიმეტრიის არმქონე, არათანაბარი. *არასიმეტრიული ფიგურა.*

**არასოდეს** ზმნზ. არც ერთ დროს. *არასოდეს ულალატებს.*

**არასრული** *არასრულის* რაც სრული არ არის, ნაკლული. *არასრული განათლება. არასრული სია.*

**არასრულფასოვანი** *არასრულფასოვნის* რაც სრულფასოვანი არ არის, უხარისხო. *არასრულფასოვანი კვება. არასრულფასოვანი ცხოვრება.*

**არასრულწლოვანი** *არასრულწლოვნის* ვინც სრულწლოვანი არ არის, მოზარდი. *არასრულწლოვანი გოგონა. არასრულწლოვანი პატიმარი.*

**არასწორი** *არასწორის* 1. რაც სწორი არ არის, მრუდე. *არასწორი გზა. არასწორი მიმართულება.* 2. არაზუსტი, მცდარი, უმართებულო. *არასწორი დასკვნები. არასწორი მიდგომა.*

**არაუადრეს** ზმნზ. *(+ნათ.)* არა განსაზღვრულ დროზე ადრე. *არაუადრეს სამი დღისა.*

**არაუგვიანეს** ზმნზ. *(+ ნათ.)* არა განსაზღვრულ დროზე გვიან. *არაუგვიანეს ხუთი საათისა.*

**არაუმეტეს** ზმნზ. *(+ ნათ.)* არა განსაზღვრულ რაოდენობაზე მეტი. *არაუმეტეს ოცისა.*

**არაფერი** *არაფრის* ნაცვ. არც ერთი რამე. *არაფერი თქვა. არაფერს აკეთებს.*

**არაქათგამოცლილი** *არაქათგამოცლილის* ძალიან დაღლილი, ძალაგამოცლილი. *არაქათგამოცლილი ადამიანები. არაქათგამოცლილი ფეხბურთელი.*

**არაქათი** *არაქათის* ენერგია, ძალ-ღონე. *არაქათი გამოელია.*

**არაქისი** *არაქისის* თხილის მსგავსი, ზეთით მდიდარი თესლი, ვითარდება მიწაში, იყენებენ საკვებად. *მოხალული არაქისი.*

**არაყი** *არყის* ალკოჰოლიანი მაგარი სასმელი, ხდიან პურეულისგან, ხილისგან, ჭაჭისგან და მისთ. *თუთის არაყი. ჭაჭის არაყი.*

**არაჩვეულებრივად** ზმნზ. ძალიან კარგად, შესანიშნავად. *არაჩვეულებრივად გამოიყურება. არაჩვეულებრივად თამაშობს.*

**არაჩვეულებრივი** *არაჩვეულებრივის* უჩვეულო, გასაოცარი, შთამბეჭდავი, ძალიან კარგი. *არაჩვეულებრივი ადამიანი. არაჩვეულებრივი მოგზაურობა.*

**არაწმინდა** *არაწმინდის* 1. ცრურწ. უწმინდური, ბოროტი, კუდიანი, მავნე, ავსული. 2. გადატ. ბილწი, უზნეო. *არაწმინდა აზრები. არაწმინდა გული.*

**არახელსაყრელი** *არახელსაყრელის* რაც ხელსაყრელი, მომგებიანი არ არის. *არახელსაყრელი დრო. არახელსაყრელი შეთანხმება.*

**არახრახება** *არახრახების* (აარახრახებს, არახრახდება) რახრახის დაწყება. *ძრავა არახარახდა.*

**არაჯანსაღი** *არაჯანსაღის* ვისაც ან რასაც სიჯანსაღე აკლია, არასასურველი, არასწორი. *არაჯანსაღი გარემო. არაჯანსაღი დამოკიდებულება.*

**არბენა** *არბენის* (აირბენს, აურბენს) სირბილით ასვლა, ავლა. *სახლში აირბინა. აღმართი აირბინა. კიბეები აირბინა.*

**არბენინება** *არბენინების* (აარბენინებს, აურბენინებს) სირბილით, სწრაფად ატანა ან აყვანა. *წიგნი სახლში აურბენინა.*

**არბიტრაჟი** *არბიტრაჟის* სადავო საკითხების გადაწყვეტა არბიტრების საშუალებით.

**არბიტრი** *არბიტრის* 1. მსაჯი სპორტის ზოგიერთ სახეობაში. *არბიტრის სასტვენი.* 2. მოდავე მხარეთა შუამავალი. *არბიტრი მოიწვიეს.*

**არგო** *არგოს* ადამიანთა გარკვეული წრის, ამა თუ იმ სოციალური ჯგუფისა და მისთ. თავისებური მეტყველება, რომლის ცალკეული სიტყვები და გამოთქმები გასაგებია მხოლოდ ამ წრის წარმომადგენლებისთვის.

**არგუმენტაცია** *არგუმენტაციის* 1. იგივეა, რაც არგუმენტირება. *მსჯელობას არგუმენტაცია სჭირდება.* 2. არგუმენტების ერთობლიობა. *საკმარისი არგუმენტაცია.*

**არგუმენტი** *არგუმენტის* საბუთი, რომელიც მოჰყავთ რაიმეს დასამტკიცებლად. *დამაჯერებელი არგუმენტი.*

**არგუმენტირება** *არგუმენტირების* არგუმენტების მოყვანა, დასაბუთება. *არგუმენტირებას ცდილობს.*

**არგუმენტირებული** *არგუმენტირებულის* არგუმენტებით გამყარებული, დასაბუთებული. *არგუმენტირებული ნაწერი. არგუმენტირებული მსჯელობა.*

**არდადეგები** *არდადეგების* (მრ.) ხანგრძლივი დასვენების პერიოდი სასწავლებლებში. *საშობაო არდადეგები. ზაფხულის არდადეგები.* შეცდომაა არდადაგები.

**არე** *არის* 1. რეალური ადგილი ან წარმოსახვითი სივრცე. *სიმძიმის შეგრძნება გულის არეში. მისი მხედველობის არეში მოექცა.* 2. რვეულის ან წიგნის ფურცლის კიდე. *არეზე შენიშვნები დაწერა.*

**არეალი** *არეალის* იგივეა, რაც **არე** (1). *მოქმედების არეალი შეზღუდულია.*

**არევა** *არევის* (არევს, აირევს, აურევს, აირევა, აერევა, აარევინებს) 1. დაწყობილის, მოწესრიგებულის აშლა, დარღვევა. *საბუთები არია. საქმე აირია.* 2. სხვადასხვა მასალის ერთმანეთში შერევა. *ცემენტში ქვიშა აურიეს. კარაქი და თაფლი აურია.* 3. გადატ. დაბნევა, შეშლა. *ფიქრები აერია. გზა აერია.* 4. საუბრ. აყალმაყალის ატეხა. *სიმთვრალეში აურია.*

**არევ-დარევა** *არევ-დარევის* (აურ-დაურევს, აირ-დაირევა) ძალიან არევა. *ყველაფერი აურ-დაურია.*

**არეკვლა** *არეკვლის* (აირეკლავს, აირეკლება) 1. სარკისებურ, გლუვ ზედაპირზე საგანთა გამოსახულების გამოჩენა. *ტბაში მთვარე აირეკლა.* 2. სხივების, ბგერების, რადიო- ან ელექტრომაგნიტური ტალღების რაიმეზე დაცემისას უკან დაბრუნება. *ბგერის არეკვლა.* 3. გადატ. ზუსტი ასახვა, გადმოცემა. *რეალობა მითში აირეკლა.* ■ **არეკლილი** რაც აირეკლა. *ვიტრინაში არეკლილი გამოსახულება.*

**არემარე** *არემარის* რაიმეს მიმდებარე ადგილი (1), სივრცე. *არემარე მწვანედ შეიმოსა. სოფლის არემარე.*

**არენა** *არენის* მოედანი, რომელზეც სანახაობა, წარმოდგენა (ძირითადად საცირკო) იმართება. *არენაზე გაწვრთნილი ცხოველები გამოიყვანეს. გლადიატორები არენაზე გამოვიდნენ.*

**არენდა** *არენდის* იგივეა, რაც **იჯარა**. *მიწა არენდით აიღო.*

**არენდატორი** *არენდატორის* იგივეა, რაც **მოიჯარე**. *არენდატორთა შეკრება.*

**არეულად** ზმნზ. უწესრიგოდ, დაულაგებლად. *არეულად ლაპარაკობს.*

**არეულ-დარეულად** ზმნზ. ძალიან არეულად. *არეულ-დარეულად წერდა.*

**არეულ-დარეული** *არეულ-დარეულის* ძალიან არეული, მოუწესრიგებელი, დაულაგებელი. *არეულ-დარეული სახლი. არეულ-დარეული ნაწერი.*

**არეულ-დარეულობა** *არეულ-დარეულობის* ქაოსი, მოუწესრიგებლობა, შფოთი. *ქალაქში არეულ-დარეულობა იყო.*

**არეული** *არეულის* 1. რაც არიეს. *არეული საბუთები.* 2. უწესრიგოდ, ქაოსურად გაერთიანებული, ერთმანეთში შერეული, დაულაგებელი. *არეული ფერები.* 3. აღელვებისგან დაბნეული. *ბიჭი რალაც არეული ჩანს.*

**არეულობა** *არეულობის* 1. უწესრიგობა, ქაოსი. *ოთახში არეულობა იყო.* 2. მასობრივი მღელვარება, ამბოხება, შფოთი. *ქვეყანა არეულობამ მოიცვა.*

**არვინ** *არვის* ნაცვ.||არავინ. *არვინ შეიბრალა.*

**ართრიტი** *ართრიტის* მედიც. სახსრების ანთება. *ართრიტმა შეაწუხა.* შეცდომაა არტრიტი.

**არია** *არიის* ერთხმიანი ვოკალური ნაწარმოები, ჩვეულებრივ, სრულდება ოპერაში, ორატორიაში ან კანტატაში. *საოპერო არია.*

**არიდება** *არიდების* (აარიდებს, აირიდებს, აერიდება) აცილება, მორიდება. *შვილს საფრთხე აარიდა. მანქანას აერიდა.*

**არიერგარდი** *არიერგარდის* ჯარის ან ფლოტის ნაწილი, რომელიც უკან დახევისას იცავს მთავარ ძალებს მტრის თავდასხმისგან. *არიერგარდის ოფიცერი.*

**არითმეტიკა** *არითმეტიკის* მათემატიკის დარგი, რომელიც სწავლობს რიცხვებსა და უმარტივეს მოქმედებებს: მიმატებას, გამოკლებას, გაყოფასა და გამრავლებას. *არითმეტიკის გაკვეთილი.* ■ **არითმეტიკული** არითმეტიკასთან დაკავშირებული. *არითმეტიკული მოქმედებები.*

**არითმია** *არითმიის* მედიც. გულის მუშაობის ნორმალური რიტმის დარღვევა. *არითმიის მიზეზი.* შეცდომაა არიტმია.

**არითმიული** *არითმიულის* არათანაბარი, არითმიით გამოწვეული. *არითმიული პულსი.* შეცდომაა არიტმიული.

**არილი** *არილის* წიგნ. მზის სუსტი ნათება რაიმეზე. *ტბაზე არილი კრთება.*

**არისტოკრატი** *არისტოკრატის* არისტოკრატიის წარმომადგენელი, წარჩინებული, დიდგვაროვანი. *არისტოკრატთა თავყრილობა.*

**არისტოკრატია** *არისტოკრატიის* დიდგვაროვნული წარმომავლობის სოციალური ფენა. *არისტოკრატიის ინტერესები.*

**არისტოკრატიული** *არისტოკრატიულის* არისტოკრატიისთვის დამახასიათებელი, არისტოკრატიასთან დაკავშირებული. *არისტოკრატიული შეხედულებები.* პარონიმი არისტოკრატული.

**არისტოკრატული** *არისტოკრატულის* არისტო-

კრატთათვის დამახასიათებელი. *არისტოკრატული გამოხედვა.* პარონიმი არისტოკრატიული.

**არიფანა** *არიფანის* სახელდახელო ქეიფი, ძირითადად, საზიარო ხარჯით. *არიფანა გაიმართა.*

**არიფი** *არიფის* 1. ძვ. ამხანაგი, თანატოლი, მეგობარი, თანამესუფრე. 2. ყარგ. გამოუცდელი, უმეცარი, ხალხში გამოუსვლელი. *ვილაც არიფი ვეგონე.*

**არიქა** შორისდ. შეძახილი მოწოდების, მოხმობის, შველის თხოვნის დროს. *არიქა, მიშველეთ! არიქა, გავიქცეთ!*

**არმადა** *არმადის* სამხედრო გემების, ტანკების ან თვითმფრინავების დიდი შენაერთი. *უძლეველი არმადა.*

**არმატურა** *არმატურის* რკინაბეტონის კონსტრუქციათა ფოლადის კარკასი. *ლითონის არმატურა.*

**არმია** *არმიის* 1. სახელმწიფოს შეიარაღებულ ძალთა ერთობლიობა. *ქართული არმია.* 2. სახმელეთო ჯარი. *არმიის გენერალი.* 3. ჯარის შენაერთი, რომელშიც შედის რამდენიმე დივიზია. *მეხუთე არმია.* 4. გადატ. რაიმე ნიშნით გაერთიანებულ ადამიანთა ერთობლიობა. *უმუშევართა არმია.*

**არმქონე** *არმქონის* ვისაც რაიმე არა აქვს. *უფლებამოსილების არმქონე პირი.*

**არნახული** *არნახულის* საკვირველი, არაჩვეულებრივი, გაუგონარი. *არნახული გმირობა ჩაიდინეს. არნახული პროგრესი.*

**არომატი** *არომატის* იგივეა, რაც სურნელი. *ყავის არომატი.*

**არომატული** *არომატულის* სასიამოვნო სურნელის მქონე. *არომატული სასმელი.*

**არსად** ზმნ. არც ერთ ადგილზე. *არსად მინახავს.*

**არსაიდან** ზმნ. არც ერთი ადგილიდან, არც ერთი მხრიდან. *ხმა არსაიდან ისმის.*

**არსება** *არსების* ცოცხალი ვინმე ან რაიმე, სულდგმული. *უცნაური არსება.* ⊙ **მთელი არსებით** მთლიანად, მთელი გულითა და გონებით.

**არსებითი** *არსებითის* ძირითადი, უმთავრესი, ყველაზე მნიშვნელოვანი. *არსებითი ნაკლი. არსებითი სხვაობა.* ⊙ **არსებითი სახელი** გრამატ. მეტყველების ნაწილი, რომელიც აღნიშნავს საგანს ან მოვლენას.

**არსებობა** *არსებობის* (არსებობს) ყოფნა, სიცოცხლე, ცხოვრება. *კაცობრიობის არსებობა. არსებობისთვის იბრძვის. ასეთი ქალაქი არ არსებობს.*

**არსებული** *არსებულის* რაც არსებობს. *არსებული მასალა. ნამდვილად არსებული.*

**არსენალი** *არსენალის* შენობა, რომელშიც სამხედრო იარაღი და საჭურველი ინახება, იარაღის საწყობი. *დივიზიის არსენალი.*

**არსი** *არსის* მთავარი, ძირითადი აზრი. *საკითხის არსი. არსს სწვდება.*

**არტალა** *არტალის* ძროხის ფეხის ქვედა ნაწილი მუხლიდან კოჭამდე. *არტალა მოუჭრა.*

**არტაშანი** *არტაშანის* მოტეხილობის დასაფიქსირებელი ხის ფირფიტები, ჩვეულებრივ, გრძელი, იყენებენ თაბაშირის ნაცვლად. *ხელზე არტაშანი დაადეს.*

**არტახი** *არტახის* (ძირითადად მრ.) აკვანში ჩვილის ჩასაკრავი გრძელი ნაჭერი, იკერება რბილი ქსოვილისგან. *არტახები გადაუჭირა.*

**არტეზიული** *არტეზიული* მიწისქვეშა წყლებთან დაკავშირებული. *არტეზიული ჭაბურღილი.*

**არტერია** *არტერიის* 1. ანატ. სისხლძარღვი, რომელიც გულიდან სისხლს აწვდის სხეულის ყველა ორგანოს. *მსხვილი და წვრილი არტერიები. არტერია დაუზიანდა.* 2. გადატ. მნიშვნელოვანი სატრანსპორტო, საკომუნიკაციო ხაზი. *ქალაქის სასიცოცხლო არტერია.*

**არტერიული** *არტერიულის* არტერიაში (1) გამავალი, არტერიასთან (1) დაკავშირებული. *არტერიული სისხლი. არტერიული წნევა.*

**არტიკლი** *არტიკლის* გრამატ. მეტყველების ნაწილი, რომელიც დაერთვის არსებით სახელს და გამოხატავს მის სქესს, განსაზღვრულობას ან განუსაზღვრელობას. *არტიკლის ბრუნება.*

**არტიკულაცია** *არტიკულაციის* ლინგვ. სამეტყველო ორგანოების მოქმედება ბგერათა წარმოთქმისას. *არტიკულაციის პრობლემა.*

**არტილერია** *არტილერიის* 1. სხვადასხვა კონსტრუქციისა და ყალიბის ცეცხლსასროლი იარაღის (ქვემეხის, ნაღმმტყორცნისა და მისთ.) საერთო სახელწოდება. *საზენიტო არტილერია.* 2. ჯარის ერთერთი ძირითადი შენაერთი, რომელიც შეიარაღებულია არტილერიით (1). *არტილერიის ოფიცერი.*

**არტილერისტი** *არტილერისტის* პირი, რომელიც არტილერიაში (2) მსახურობს. *არტილერისტების მომზადება.*

**არტისტი** *არტისტის* იგივეა, რაც მსახიობი. *ცნობილი არტისტი.*

**არტისტიზმი** *არტისტიზმის* დიდი და ნატიფი ოსტატობა ხელოვნებაში. *არტისტიზმით გამოირჩევა.*

**არტისტული** *არტისტულის* არტისტიზმით სავსე, არტისტისთვის დამახასიათებელი. *არტისტული მანერები.*

არფა



**არფა** *არფის* სიმებიანი საკრავი, რომლის სიმები ვერტიკალურად დადგმულ სამკუთხა ჩარჩოზეა გაჭიმული, უკრავენ თითების გამოკვრით. *არფას უკრავს.*

**არქაიზმი** *არქაიზმის* 1. მოძველებული მოვლენა, ძველი დროის გადმონაშთი. *არქაიზმი ახასიათებს.* 2. მოძველებული, ყოველ-

დღიური ხმარებიდან გამოსული სიტყვა ან გამოთქმა. *არქაიზმების ლექსიკონი.*

**არქაული** *არქაულის* ძველი, მოძველებული. *არქაული სტილი.*

**არქეოგრაფია** *არქეოგრაფიის* ისტორიის დარგი, რომელიც შეისწავლის ძველ წერილობით ძეგლებს, აღწერს და გამოსცემს მათ.

**არქეოლოგი** *არქეოლოგის* არქეოლოგიის სპეციალისტი. *არქეოლოგთა შეკრება.*

**არქეოლოგია** *არქეოლოგიის* მეცნიერება, რომელიც ეძებს და იკვლევს ძველი მატერიალური კულტურის ნამარხ ძეგლებს. *არქეოლოგიის ინსტიტუტი.* ■ **არქეოლოგიური** არქეოლოგიასთან დაკავშირებული. *არქეოლოგიური გათხრები.*

**არქიდიაკონი** *არქიდიაკვნის* ეკლესიის მსახური, უფროსი დიაკვანი. *არქიდიაკვნის გალობა.*

**არქიელი** *არქიელის* საეკლესიო იერარქიის მაღალ წამომადგენელთა (ეპისკოპოსის, არქიეპისკოპოსის, მიტროპოლიტის) ზოგადი სახელწოდება.

**არქიეპისკოპოსი** *არქიეპისკოპოსის* ეპისკოპოსთა უფროსი. *არქიეპისკოპოსად აკურთხეს.*

**არქიეპისკოპოსობა** *არქიეპისკოპოსობის* არქიეპისკოპოსის თანამდებობა. *არქიეპისკოპოსობა უბოძეს.*

**არქივარიუსი** *არქივარიუსის* საარქივო ფონდის მეთვალყურე, მცველი, არქივის გამგე. *დამსახურებული არქივარიუსი.*

**არქივი** *არქივის* 1. დაწესებულება, რომელშიც ინახება წერილობითი ძეგლები, ისტორიული მნიშვნელობის საბუთები. *სახელმწიფო არქივი. არქივში დაცული ხელნაწერები.* 2. დაწესებულებაში ცალკე გამოყოფილი საცავი ძველი საბუთების შესანახად. *სამინისტროს არქივი.* 3. ისტორიული მასალებისა და საბუთების ერთობლიობა. *მწერლის არქივი.*

**არქიმანდრიტი** *არქიმანდრიტის* მონასტრის წინამძღვარი. *წირვას არქიმანდრიტი ატარებდა.*

**არქიმანდრიტობა** *არქიმანდრიტობის* არქიმანდრიტის თანამდებობა. *არქიმანდრიტობა მიენიჭა.*

**არქიპელაგი** *არქიპელაგის* ერთმანეთთან ახლოს მდებარე კუნძულების ჯგუფი. *ინდონეზიის არქიპელაგი.*

**არქიტექტონიკა** *არქიტექტონიკის* ნაგებობის ნანილების მწყობრი შეხამება, ჰარმონიული მთლიანობა. *შენობის არქიტექტონიკა.*

**არქიტექტორი** *არქიტექტორის* არქიტექტურის სპეციალისტი. *ქალაქის არქიტექტორი.* = **ხუროთმოძღვარი.**

**არქიტექტურა** *არქიტექტურის* ნაგებობათა დაპროექტება, აშენება და მხატვრული გაფორმება, ნაგებობის სტილი. *ქართული არქიტექტურა.* ■ **არქიტექტურული** არქიტექტურასთან დაკავშირებული. *არქიტექტურული ანსამბლი.* = **ხუროთმოძღვრება.**

**არქონა** *არქონის* მდგომარეობა, როდესაც რაიმე არა აქვთ, არ გააჩნიათ. *ინტერესის არქონა.*

**არქტიკა** *არქტიკის* პოლარული მხარე, მდებარეობს დედამიწის ჩრდილოეთით.

**არღანი** *არღნის* მექანიკური საკრავი – მოზრდილი ყუთი შიგ მოთავსებული ხმოვანი მილებით, ხმას გამოსცემს სახელურის ტრიალით. *დუქანში აღლანს უკრავდნენ.*


არღანი

**არყა** *არყას* საჭმელი სოკოს სახეობა. *არყა შეწვა.*

**არყასოკო** *არყასოკოს* იგივეა, რაც **არყა.** *არყა სოკო მოკრიფა.*

**არყი** *არყის* ფოთლოვანი ხე, აქვს თეთრი ქერქი, მომრგვალო ფოთლები და ბრტყელი, კაკლისებური ნაყოფი. *არყის ტყე.*

**არყნარი** *არყნარის* არყის ხეებით დაფარული ვრცელი ადგილი, ტყე. *სოფელს არყნარი აკრავს.*

**არყოლა** *არყოლის* მდგომარეობა, როდესაც ვინმე ან რაიმე არა ჰყავთ. *შვილის არყოლა.*

**არყოფნა** *არყოფნის* ვითარება, როდესაც ვინმე გარკვეულ ადგილას არ იმყოფება ან საერთოდ არ არსებობს. *მისი არყოფნა არ შეუმჩნევიათ.*

**არშია** *არშიის* 1. ტანსაცმლის, თეთრეულის, სუფრისა და მისთ. კიდეებზე შემოვლებული მოსართავი ვიწრო ზოლი. *კაბის არშია.* 2. წიგნის ან რვეულის ფურცლის კიდე, რომელზეც არ იწერება. *ხელნაწერის არშია.*

**არშინი** *არშინის* ძვ. სიგრძის საზომი ერთეული, უდრის დაახლოებით 71 სმ-ს. *ორი არშინი ქსოვილი.*

**არშიყი** *არშიყის* (ეარშიყება) 1. მოწონების, ტრფობის სიტყვიერად ან მოქმედებით გამოხატვა. *თამამი არშიყი. არშიყი დაუწყო. ურცხვად ეარშიყება.* 2. არშიყის (1) მოყვარული. *არშიყი ბიჭი.*

**არშიყობა** *არშიყობის* (არშიყობს) იგივეა, რაც **არშიყი** (1). *ჩუმად არშიყობენ.*

**არჩევა** *არჩევის* (აარჩევს, აირჩევს, აურჩევს, აირჩევა, აარჩევინებს) 1. მრავლიდან სასურველის, საჭიროს გამოყოფა, შერჩევა. *აგარაკი აარჩია. პროფესია აირჩია.* 2. კენჭისყრის საშუალებით თანამდებობის პირის, ხელმძღვანელისა და მისთ. შერჩევა. *პარლამენტის არჩევა. თავმჯდომარე აირჩიეს.* ■ **არჩეული** ვინც ან რაც აირჩიეს. *არჩეული დეპუტატი.*

**არჩევანი** *არჩევანის* არჩევის უფლება, შესაძლებლობა, საშუალება. *საბედისწერო არჩევანი. არჩევანი გააკეთეს.*

**არჩევითი** *არჩევითის* არჩევის, არჩევნების გზით მიღებული, გადაწყვეტილი. *არჩევითი საგანი. არჩევითი თანამდებობა.*

**არჩევნები** *არჩევნების* (მრ.) პროცესი, რომლის დროსაც ირჩევენ მეთაურს, ხელმძღვანელსა და მისთ. *პრეზიდენტის არჩევნები. საკრებულოს არჩევნები.*

არჩვი

**არჩვი** *არჩვის* თხის მსგავსი საშუალო ზომის გარეული ცხოველი. *არჩვი კლდიან ტყეებში ბინადრობს.*

**არც** ნაწილაკ. მაინც არ, ისიც არ, იქაც არ. *არც აპირებდა მოსვლას. არც ჩვენთვის უკითხავს.*

**არცარა** *არცარის* ნაცვ. არც არაფერი. *არცარას დარდობს.*

არწივი

**არცოდნა** *არცოდნის* ცოდნის უქონლობა, უცოდინრობა. *ამის არცოდნა არ ეპატიება.*

**არცრა** *არცრის* ნაცვ. იგივეა, რაც არცარა. *არცრა აბადია.*

**არწივი** *არწივის* დიდი ზომის მტაცებელი ფრინველი, აქვს მოკაუჭებული ნისკარტი და ბრჭყალები. *არწივის მართვე. არწივის ბუდე.*

**არწივისებური** *არწივისებურის* არწივის მსგავსი, არწივისნაირი, არწივის დამახასიათებელი. *არწივისებური გამოხედვა. არწივისებური თვალები.*

**არხეინად** ზმნზ. უნაღვლოდ, უდარდელად. *არხეინად დადის. შენ არხეინად იყავი!*

**არხეინი** *არხეინის* ვისაც არაფერი აწუხებს, უდარდელი, აუღელვებელი. *არხეინი ხალხია. არხეინი ცხოვრება.*

**არხი** *არხის* I. სპეციალურად გაყვანილი წყლის სადენი თხრილი, გამოიყენება სარწყავად, სანაოსნოდ. *ალაზნის არხი.* 2. ცოცხალი ორგანიზმის ვიწრო, მილისებური ნაწილი. *კბილის არხი. ყურის არხი.* 3. კავშირის, კომუნიკაციის ხაზი. *სხვადასხვა არხით ინფორმაციის მოპოვება.*

**არჯაკელი** *არჯაკლის* ტყის მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარე, აქვს ვარდისფერი ყვავილები, იყენებენ მხლად.

**ასაგები** *ასაგების* რაც უნდა ააგონ. *სახლი აქვთ ასაგები.* ▲ **ასაგებად** ზმნზ. აგებისთვის, აგების მიზნით. *კოშკის ასაგებად საჭირო მასალა.*

**ასადუღებელი** *ასადუღებლის* რასაც ადუღება სჭირდება. *ასადუღებელი რძე.* ▲ **ასადუღებლად** ზმნზ. ადუღებისთვის, ადუღების მიზნით. *ყავის ასადუღებლად.*

**ასავალ-დასავალი** *ასავალ-დასავლის* იგივეა, რაც გზა-კვალი (2). *მის ასავალ-დასავალს ვერავინ მიაგნო.*

**ასავსები** *ასავსების* რაც ავსებას საჭიროებს. *ასავსები ჭურჭელი.* ▲ **ასავსებად** ზმნზ. ავსებისთვის, ავსების მიზნით. *დოქის ასავსებად.*

**ასაკი** *ასაკის* ადამიანის ზრდა-განვითარების რომელიმე მონაკვეთი, პერიოდი. *ბავშვობის ასაკი. ორმოცი წლის ასაკში.* ⊙ **ასაკში შესული** ახალგაზრდობის ასაკს გადაცილებული.

**ასაკობრივი** *ასაკობრივის* ასაკის მიხედვით დაჯგუფებული, გამოყოფილი, ასაკთან დაკავშირებული. *ასაკობრივი ნაკრები. ასაკობრივი ცენზი. ასაკობრივი პრობლემები.*

**ასაკოვანი** *ასაკოვნის* ხანში შესული, მოხუცი. *ასაკოვანი ქალი.*

**ასაკრეფი** *ასაკრეფის* რაც უნდა აკრიფონ. *ასაკრეფი თანხა.* ▲ **ასაკრეფად** ზმნზ. აკრეფისთვის, აკრეფის მიზნით. *ასაკრეფად დაიქირავეს.*

**ასალაგებელი** *ასალაგებლის* რაც უნდა აალაგონ. *ლოგინი ასალაგებელი ჰქონდა.* ▲ **ასალაგებლად** ზმნზ. ალაგებისთვის, ალაგების მიზნით. *მაგიდის ასალაგებლად.*

**ასამაღლებელი** *ასამაღლებლის* რაც ამაღლებას საჭიროებს. *სახურავი ასამაღლებელი იყო.* ▲ **ასამაღლებლად** ზმნზ. ამაღლებისთვის, ამაღლების მიზნით. *კვალიფიკაციის ასამაღლებლად.*

**ასამბლეა** *ასამბლეის* საერთაშორისო ან სახელმწიფოებრივი ორგანიზაციების საერთო კრება, შეკრება. *ეროვნული ასამბლეა.*

ასანთი

**ასანთი** *ასანთის* ხის წვრილი ჩხირი აალებადი ნივთიერებით დაფარული ბოლოთი, რომელიც სპეციალურ ზედაპირზე გაკვრისას ინთება. *ასანთის კოლოფი. ასანთის ღერი.*

**ასარჩევი** *ასარჩევის* ვინც ან რაც უნდა აირჩიონ. *ასარჩევი კანდიდატი.* ▲ **ასარჩევად** ზმნზ. არჩევისთვის, არჩევის მიზნით. *პროდუქტი ასარჩევად ეწყო.*

**ასაფეთქებელი** *ასაფეთქებლის* რაც უნდა ააფეთქონ ან რითაც უნდა უნდა ააფეთქონ. *ასაფეთქებელი ნივთიერება.* ▲ **ასაფეთქებლად** ზმნზ. აფეთქებისთვის, აფეთქების მიზნით. *ასაფეთქებლად სპეციალური მოწყობილობა გამოიყენეს.*

**ასაღები** *ასაღების* რაც უნდა აიღონ ან რითაც უნდა აიღონ. *ყანა ასაღები აქვს. ასაღები თანხა.* ▲ **ასაღებად** ზმნზ. აღებისთვის, აღების მიზნით. *ხელფასის ასაღებად მივიდა.*

**ასაყვანი** *ასაყვანის* რაც ან ვინც უნდა აიყვანონ. *ხელშეკრულებით ასაყვანი თანამშრომელი.* ▲ **ასაყვანად** ზმნზ. აყვანისთვის, აყვანის მიზნით. *მგ ზავრების ასაყვანად.*

**ასაშენებელი** *ასაშენებლის* რაც უნდა ააშენონ ან აშენდეს. *სახლი ასაშენებელი აქვს.* ▲ **ასაშენე-**

**ბლად** ზმნზ. აშენებისთვის, აშენების მიზნით. *სკოლის ასაშენებლად თანხა გამოიყო.*

**ასაწევი** *ასაწევის* რაც ან რითაც უნდა ასწიონ. *ასაწევი ჟალუზები.* ▲ **ასაწევად** ზმნზ. ანევისთვის, აწევის მიზნით. *ტვირთის ასაწევად.*

**ასაწონი** *ასაწონის* რაც უნდა აწონონ. *ასაწონი შაქარი.* ▲ **ასაწონად** ზმნზ. აწონისთვის, აწონის მიზნით. *ასაწონად ნაიღეს.*

**ასაწყობი** *ასაწყობის* რაც აწყობას საჭიროებს. *ასაწყობი ინსტრუმენტი.* ▲ **ასაწყობად** ზმნზ. აწყობისთვის, აწყობის მიზნით. *კარადის ასაწყობად.*

**ასახვა** *ასახვის* (ასახავს, აისახება, აესახება) გადმოცემა, გამოხატვა. *რეალობის ასახვა. ადეკვატურად ასახავს მოვლენებს.* ■ **ასახული** რაც ასახეს ან აისახა. *ფილმში ასახული სინამდვილე.*

**ასახვევი** *ასახვევის* ადგილი, სადაც აუხვევენ. *ასახვევთან შეჩერდა.*

**ასახსნელი** *ასახსნელის* რაც უნდა ახსნან, რასაც ახსნა სჭირდება. *ძნელად ასახსნელი საკითხი.* ▲ **ასახსნელად** ზმნზ. ახსნისთვის, ახსნის მიზნით. *გაკვეთილის ასახსნელად ტაბულები გამოიყენა.*

**ასე** ზმნზ. 1. ამგვარად, ამის მსგავსად. *ასე არ მოიქცე!* 2. დაახლოებით. *ასე ორი-სამი საათის სავალ ზეა.* ⊙ **ასე თუ ისე** როგორმე, როგორღაც.

**ასეთი** *ასეთის* ნაცვ. ამის მსგავსი, ამგვარი. *ასეთი ლამაზი. ასეთი სახლი.*

**ასეული** *ასეულის* 1. მესამე თანრიგის ციფრი რიცხვში. *ასეულების გამოკლება.* 2. ასი ერთეულის შემცველი სიმრავლე, გამოიყენება თვლისას. *ხუთი ასეული.* 3. ჯარის დანაყოფი, შედგება ოცეულებისა და ათეულებისგან. *საბრძოლო ასეული.*

**ასვლა** *ასვლის* (ავა, აუვა) ქვევიდან ზევით გადაადგილება. *მეორე სართულზე ავიდა. ხეზე ასვლა ვერ გაბედა.*

**ასთმა** *ასთმის* მედიც. გულის ან ბრონქების დაავადება, იწვევს სუნთქვის გაძნელებას. *ასთმის შეტევა.* ■ **ასთმური** ასთმისთვის დამახასიათებელი. *ასთმური ხველა.*

**ასი** *ასის* რიცხვი 100. *კონკურსისთვის ასი სტუდენტი შეარჩიეს.*

**ასიგნაცია** *ასიგნაციის* ქაღალდის ფული. *მაგიდაზე ასიგნაციები ეწყო.*

**ასიმეტრია** *ასიმეტრიის* სიმეტრიის უქონლობა, სიმეტრიის დარღვევა.

**ასიმეტრიული** *ასიმეტრიულის* რაც სიმეტრიული არ არის. *ასიმეტრიული ფიგურა. ასიმეტრიული თარგი.*

**ასიმილაცია** *ასიმილაციის* იგივეა, რაც **ასიმილირება**. *ასიმილაციის კვალი.*

**ასიმილირება** *ასიმილირების* (ასიმილირდება) დამსგავსება ინდივიდუალობის დაკარგვის შედეგად. *ადგილობრივ მოსახლეობასთან ასიმილირდნენ.*

**ასიოდე** *ასიოდეს* დაახლოებით ასი, ასამდე. *ასიოდე მეტრის დაშორებით.*

**ასისთავა** *ასისთავას* ერთ- ან ორწლიანი ბალახოვანი მცენარე, იკეთებს ვარდისფერ ყვავილებს, გამოიყენება სამკურნალოდ. *ასისთავას ნაყენი.*

**ასისთავი** *ასისთავის* სამხედრო პირი, ასეულის უფროსი. *ასისთავმა ბრძანება გასცა.*

**ასისტენტი** *ასისტენტის* თანაშემწე, დამხმარე ზოგიერთ დაწესებულებაში. *პროფესორის ასისტენტი.*

**ასკეტი** *ასკეტის* ადამიანი, რომელიც ყოველგვარ ამქვეყნიურ სიამოვნებაზე უარს ამბობს ზნეობრივი სრულყოფის მიზნით. *ასკეტი ბერი.*

**ასკეტიზმი** *ასკეტიზმის* ასკეტური ცხოვრების წესი. *ასკეტიზმის მიმდევარი.*

**ასკეტობა** *ასკეტობის* ასკეტად ყოფნა. *ასკეტობა გადაწყვიტა.* ■ **ასკეტური** ასკეტის დამახასიათებელი. *ასკეტური ნებისყოფა. ასკეტური გარეგნობა.*

**ასკილი** *ასკილის* 1. ნარინჯისფერი, წითელი ან შავი ნაყოფი, გამოიყენება სამკურნალოდ. *ასკილის ნაყენი.* 2. ველური, ეკლიანი ბუჩქი, რომელიც ისხამს ასკილს, აქვს თეთრი, მოყვითალო ან მოვარდისფრო ყვავილები. *ასკილი აყვავდა.*

ასკილი

**ასკინკილა** *ასკინკილას* ცალ ფეხზე ხტუნვა. *ასკინკილათი შემოუარა.*

**ასლი** *ასლის* რაიმე ტექსტის, გამოსახულების მეორე ცალი, რომელიც პირველს (დედანს) მთლიანად იმეორებს. *ასლის გადაღება.*

**ასმა** *ასმის* (ასვამს) მაღლა დასმა. *ხეზე ასვა.*

**ასო** *ასოს* 1. სამეტყველო ბგერის გრაფიკული გამოსახულება. *ასოების წერას სწავლობს.* 2. ცხოველის სხეულის ცალკეული ორგანო, ნაწილი. *ასოებად დაჭრა.*

**ასო-ასო** ზმნზ. 1. ასოებით (1), ერთი ასოდან მეორეზე გადასვლით. *ასო-ასო კითხულობს.* 2. ასოებად (2), ცალკეულ ნაწილებად. *ნანადირევი ასო-ასო აქნეს.*

**ასობით** ზმნზ. რამდენიმე ასის ოდენობით. *სპექტაკლს ასობით მაყურებელი ესწრებოდა.*

**ასომთავრული** *ასომთავრულის* იგივეა, რაც მრგლოვანი. *ასომთავრული წარწერა.*

**ასორტიმენტი** *ასორტიმენტის* სხვადასხვა ხარისხისა და სახეობის ნაწარმი. *ფართო ასორტიმენტი.*

**ასოციაცია**[1] *ასოციაციის* კანონზომიერი კავშირი

ცალკეულ მოვლენებს, ფაქტებს ან საგნებს შორის, რომელიც ასახულია ცნობიერებაში. *სასიამოვნო ასოციაციას იწვევს.* ■ **ასოციაციური** ასოციაციასთან[1] დაკავშირებული. *ასოციაციური სიმბოლოები.*

**ასოციაცია**[2] *ასოციაციის* კერძო პირების ან ორგანიზაციების გაერთიანება, კავშირი. *ასოციაციის პრეზიდენტი.*

**ასოცირება** *ასოცირების* (ასოცირდება) ასოციაციით[1] დაკავშირება, რაიმესთან მიმსგავსება, გაიგივება. *ნაძვის ხე ახალ წელთან ასოცირდება.*

**ასოცირებული** *ასოცირებულის* 1. რაიმესთან მჭიდროდ დაკავშირებული, გაიგივებული. *მისთვის ზაფხული სოფელთან არის ასოცირებული.* 2. არასრულუფლებიანი, მხოლოდ სათათბირო ხმის უფლების მქონე (სახელმწიფო, ორგანიზაცია და მისთ.).

**ასპარეზი** *ასპარეზის* მოღვაწეობის, მოქმედების სფერო (2). *სამწერლო ასპარეზზე გამოვიდა.*

**ასპარეზობა** *ასპარეზობის* (ასპარეზობს) შეჯიბრება სხვადასხვა სპორტულ სახეობაში. *ჭადრაკში ასპარეზობა. წარმატებით იასპარეზეს.*

**ასპექტი** *ასპექტის* საგნის, მოვლენის, პრობლემის ესა თუ ის მხარე. *საკითხის ყველა ასპექტი.*

**ასპირანტი** *ასპირანტის* პირი, რომელიც ასპირანტურაში სწავლობს. *ასპირანტების გამოცდა.*

**ასპირანტურა** *ასპირანტურის* განყოფილება უმაღლეს სასწავლებელში ან კვლევით დაწესებულებაში, სადაც სწავლობენ უმაღლესი განათლების მქონე პირები სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. *ასპირანტურა დაამთავრა.*

**ასპიტი** *ასპიტის* შხამიანი გველის სახეობა. *ასპიტივით იგესლება.*

**ასროლა** *ასროლის* (აისვრის) დიდი ძალით აგდება. *ქუდი ჰაერში აისროლა.*

**ასრულება** *ასრულების* (აასრულებს, აისრულებს, აუსრულებს, ასრულდება, აუსრულდება) წინასწარ განსაზღვრულის ან სასურველის შესრულება, ახდენა. *ოცნება აისრულა. დანაპირები აუსრულა.*

**ასტამი** *ასტამის* რკინის პატარა ნიჩბისმაგვარი საგანი, იყენებენ თონის, ვარცლის, ქურის გამოსაფხეკად.

ასტამი

**ასტრალური** *ასტრალურის* ციურ მნათობებთან დაკავშირებული. *ასტრალური მოვლენა.*

**ასტროლოგი** *ასტროლოგის* ასტროლოგიის სპეციალისტი. *ასტროლოგის რჩევა.*

**ასტროლოგია** *ასტროლოგიის* სწავლება, რომელიც ვარსკვლავთა განლაგების მიხედვით წინასწარმეტყველებს მომავალს. *ასტროლოგიამ გაიტაცა.* ■ **ასტროლოგიური** ასტროლოგიასთან დაკავშირებული. *ასტროლოგიური კალენდარი.*

**ასტრონავტი** *ასტრონავტის* იგივეა, რაც კოსმონავტი. *ამერიკელი ასტრონავტები.*

**ასტრონავტიკა** *ასტრონავტიკის* იგივეა, რაც კოსმონავტიკა. *ასტრონავტიკის მიღწევები.*

**ასტრონომი** *ასტრონომის* ასტრონომიის სპეციალისტი. *ცნობილი ასტრონომი.*

**ასტრონომია** *ასტრონომიის* მეცნიერება, რომელიც შეისწავლის ციურ სხეულებს. *ასტრონომიის გაკვეთილი.* ■ **ასტრონომიული** ასტრონომიასთან დაკავშირებული. *ასტრონომიული გამოკვლევები.*

**ასული** *ასულის* 1. იგივეა, რაც ქალიშვილი (2). *მშვენიერი ასული. მეფის ასული.* 2. დაერთვის მამის სახელს ქალის ვინაობის ოფიციალურად დასახელებისას. *ნინო დავითის ასული აბაშიძე.*

**ასფალტი** *ასფალტის* მუქი ფერის ბუნებრივი ან ხელოვნური ფისისებური ნივთიერება, გამოიყენება გზების, მოედნებისა და მისთ. საფრად. *ცხელი ასფალტი. ასფალტი დააგეს.*

**ასფიქსია** *ასფიქსიის* მედიც. სულის შეხუთვა, გამოწვეული ჟანგბადის უკმარისობით. *ასფიქსია დაემართა.*

**ასფურცელა** *ასფურცელას* მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარე, აქვს მილისებური ყვავილები, გამოიყენება სამკურნალოდ.

**ასწვრივ** ზმნზ. რაიმეს აყოლებით, ქვევიდან ზევით. *კედლის ასწვრივ.*

**ასწვრივი** *ასწვრივის* რაიმეს ასწვრივ ამავალი. *ასწვრივი ტოტი. ასწვრივი ნაწილი.*

**ასწლეული** *ასწლეულის* იგივეა, რაც საუკუნე. *მესამე ასწლეული.*

**ასწლოვანი** *ასწლოვანის* ასი წლისა, დიდი ხნისა. *ასწლოვანი ხეები. ასწლოვანი მატიანე.*

**ასწრება** *ასწრების* (აასწრებს) სხვებზე ადრე ასვლა. *კიბე ზე ყველას აასწრო.*

**ასხლეტა** *ასხლეტის* (აისხლეტს, აისხლიტება) გასროლილი საგნის რაიმეზე დაცემისას, დარტყმისას მიმართულების შეცვლა. *ძელმა ბურთი აისხლიტა. ფარმა შუბი აისხლიტა.* ■ **ასხლეტილი** რაც აისხლიტა. *ასხლეტილი ქვა.*

**ასხლტომა** *ასხლტომის* (ასხლტება) ასხლეტა. *ტყვიის ასხლტომა. ქვა კლდეზე ასხლტა.*

**ასხმა** *ასხმის* (აასხამს, აისხამს, აისხმება, აესხმება, აასხმევინებს) 1. ბევრის აცმა. *ძაფზე მძივები აასხა.* 2. სხეულზე ბევრის ჩამოცმა, გაკეთება. *იარალი აისხა.* ■ **ასხმული** რაც აისხეს ან აასხეს. *ძაფზე ასხმული ბურთულები.*

**ატ** შორისდ. შეძახილი გაბრაზების, წყრომის გამოსახატავად. *ატ, თქვე საძაგლებო!*

**ატავიზმი** *ატავიზმის* შთამომავლობაში შორეული

წინაპრებისთვის დამახასიათებელი ნიშნების გამოვლენა.

**ატალახება** *ატალახების* (აატალახებს, აუტალახებს, ატალახდება, აუტალახდება) ტალახით დაფარვა. *ე ზო ატალახდა. წვიმამ გ ზები აატალახა.* ■ **ატალახებული** რაც ატალახდა. *ატალახებული ქუჩა.*

**ატამანი** *ატამანის* ბანდის მეთაური. *ატამანის სიტყვა ყველათვის კანონია.*

ატამი



**ატამი** *ატმის* 1. ფართოდ გავრცელებული ერთკურკიანი ხილი, აქვს მომწვანო, თეთრი, ყვითელი ან მოწითალო, ბუსუსებით დაფარული ან გლუვი კანი და წვნიანი რბილობი. *ატმის წვენი. საპობი ატამი.* 2. საშუალო სიმაღლის ხე, რომელიც ისხამს ატამს (1), აქვს ვარდისფერი ან აგურისფერი ყვავილები და წაგრძელებული ფოთლები. *ატმის რტო.*

**ატანა** *ატანის* (აიტანს, აუტანს, აატანინებს) 1. ქვევიდან ზევით მიტანა. *ჩანთები მეორე სართულზე აიტანა.* 2. მოთმენა, გაძლება. *განშორება ვერ აიტანა. შიმშილს აიტანს.*

**ატატება** *ატატების* (აიტატებს) ჩვილის ხელში აყვანა, ხელში დაკავება. *შვილი აიტატა.*

**ატაშე** *ატაშეს* დიპლომატიური სამსახურის თანამშრომელი, კონსულტანტი გარკვეულ სფეროში. *სამხედრო ატაშე. კულტურის ატაშე.*

**ატაცება** *ატაცების* (აიტაცებს) 1. ზევით უცბად ატანა ან აყვანა. *ქარმა ქალალდი აიტაცა. ჩვილი ხელში აიტაცა.* 2. გადატ. იდეის, მოსაზრებისა და მისთ. სწრაფად მიღება, გაზიარება, გავრცელება. *ა ზრი ერთხმად აიტაცეს. ნათქვამი უცებ აიტაცა.*

**ატელიე** *ატელიეს* ზოგიერთი პროფესიის ადამიანების (მხატვრების, ფოტოგრაფების, მკერავებისა და მისთ.) სამუშაო ადგილი, სახელოსნო. *მოდების ატელიე. მოქანდაკის ატელიე.*

**ატესტატი** *ატესტატის* ოფიციალური მოწმობა სასწავლებლის დამთავრების შესახებ. *საშუალო სკოლის ატესტატი.*

**ატესტაცია** *ატესტაციის* სპეციალური შემოწმება, რომელიც ცოდნის დონეს, პროფესიულ კვალიფიკაციას განსაზღვრავს. *მასწავლებელთა ატესტაცია. თანამშრომელთა ატესტაცია.*

**ატეხა** *ატეხის* (ატეხს, აატეხს, აიტეხს, აუტეხს) 1. მოტეხით აძრობა, აცლა. *ზედა ნაწილი აატეხა.* 2. უცებ, მოულოდნელად რაიმეს დაწყება, გაჩაღება. *განგაშის ატეხა. ხარხარი ატეხა. ჩხუბი ატეხეს.* 3. საუბრ. დაჟინება, აჩემება. *წასვლა აიტეხა. სიმღერა აიტეხა.* 4. საუბრ. ვინმესთვის ზიანის მიყენება. *თავს რამე არ აუტეხოს!*

**ატირება** *ატირების* (აატირებს, აუტირებს, ატირდება, აუტირდება) ტირილის დაწყება. *ყველა აატირა. ბავშვი ატირდა.* ■ **ატირებული** ვინც აატირეს ან ატირდა. *ატირებული ქალი.*

**ატკივება** *ატკივების* (აატკივებს, აიტკივებს, ასტკივდება) ტკივილის გამოწვევა, დაწყება. *სასმელმა თავი აატკივა. თვალები ასტკივდა.*

**ატლასი**[1] *ატლასის* 1. წიგნად აკინძული რუკების კრებული. *გეოგრაფიული ატლასი.* 2. სპეციალური ნახატების, ტაბულების, ნახაზებისა და მისთ. კრებული, ჩვეულებრივ, დაერთვის სამეცნიერო გამოცემებს. *ანატომიური ატლასი.*

**ატლასი**[2] *ატლასის* აბრეშუმის პრიალა ქსოვილი. *ატლასის კაბა.*

**ატმასნა** *ატმასნის* (აეტმასნება) მთელი სხეულით რაიმეზე აკვრა. *ბიჭი კედელს აეტმასნა.*

**ატმოსფერო** *ატმოსფეროს* 1. აირისებრი გარსი, რომელიც დედამიწას არტყია. *ატმოსფეროს კვლევა.* 2. აირისებრი სხეულების წნევის საზომი ერთეული. 3. გადატ. გარემო პირობები. *მეგობრული ატმოსფერო.* ■ **ატმოსფერული** ატმოსფეროსთან დაკავშირებული. *ატმოსფერული ნალექები. ატმოსფერული წნევა.*

**ატომი** *ატომის* ქიმიური ელემენტის უმცირესი ნაწილი, რომელიც ქიმიური რეაქციის შედეგად შეიძლება დაიშალოს. *ნახშირბადის ატომი.*

**ატომური** *ატომურის* ატომის თვისებების მქონე, ატომთან დაკავშირებული. *ატომური სადგური.*

**ატორღიალება** *ატორღიალების* (აეტორღიალება) საუბრ. არასასურველი ვინმეს ადევნება, აკიდება. *უცხო კაცი აეტორღიალა.*

**ატრაქციონი** *ატრაქციონის* 1. მასობრივი დასვენების ადგილებში მოწყობილი სხვადასხვა გასართობი (კარუსელი, ტირი და მისთ.). *ატრაქციონი მოაწყვეს.* 2. რაიმე წარმოდგენის ეფექტური ნომერი. *საცირკო ატრაქციონი.*

**ატრიბუტი** *ატრიბუტის* ვინმეს ან რაიმეს დამახასიათებელი ნიშანი (ნივთები, საგნები). *მონადირის ატრიბუტები. ხანჯალი მამაკაცის ჩაცმულობის ატრიბუტი იყო.*

**ატროფია** *ატროფიის* მედიც. სხეულის რომელიმე ორგანოს დასუსტება საკვების სიმცირის ან ხანგრძლივი უმოქმედობის გამო. *კუნთის ატროფია.*

**ატროფირებული** *ატროფირებულის* რამაც ატროფია განიცადა. *ატროფირებული სისხლძარღვი.*

**ატუზვა** *ატუზვის* (აიტუზება, აეტუზება) მორიდებით, უძრავად, უხმაუროდ სადმე დადგომა. *კედელთან აიტუზა. ცხვირწინ აეტუზა.* ■ **ატუზული** ვინც აიტუზა. *კართან ატუზული ბიჭი.*

**ატყდომა** *ატყდომის* (ატყდება, აუტყდება) ატეხა (2). *განგაში ატყდა. სროლა ატყდა.*

**ატყორცნა** (ატყორცნის, აიტყორცნება) ძლიერად ასროლა, აგდება. *ქუდი ზევით ატყორცნა.* ■ **ატყორცნილი** რაც ატყორცნეს. *ჰაერში ატყორცნილი ბურთი.*

**აუ** შორისდ. გამოიყენება გაკვირვების, აღტაცების ან დანანების გამოსახატავად. *აუ, რა ლამაზია! აუ, როგორ დამავიწყდა!*

**აუარება** *აუარების* იგივეა, რაც **აუარებელი**. *აუარება ქონება შეიძინა.*

**აუარებელი** *აუარებლის* ძალიან ბევრი. *აუარებელი სიმდიდრე.*

**აუგი** *აუგის* ვინმეს შესახებ ნათქვამი ცუდი. *აუგი თქვა.*

**აუგიანი** *აუგიანის* შერცხვენილი, გასაკიცხი, ვისზეც ან რაზეც აუგი ითქმის. *აუგიანი ცხოვრების გზა. აუგიანი კაცი.*

**აუდიენცია** *აუდიენციის* ოფიციალური შეხვედრა მაღალი თანამდებობის პირთან. *აუდიენცია დაუნიშნეს.* შეცდომაა აუდენცია.

**აუდიოაპარატურა** *აუდიოაპარატურის* აუდიოჩაწერების მოსასმენი მოწყობილობების ერთობლიობა. *უახლესი აუდიოაპარატურა.*

**აუდიოჩანაწერი** *აუდიოჩანაწერის* იგივეა, რაც ფონოგრამა.

**აუდიტი** *აუდიტის* 1. დაწესებულების ფინანსური და საგადასახადო საქმეების კონტროლი და მოწესრიგება. *აუდიტი ჩატარდა.* 2. პირი ან ჯგუფი, რომელიც აუდიტს ახორციელებს. *მოწვეული აუდიტი.*

**აუდიტორია** *აუდიტორიის* 1. სასწავლო დაწესებულების ოთახი ან დარბაზი, სადაც კითხულობენ ლექციებს. *უნივერსიტეტის აუდიტორია.* 2. გადატ. ლექციის, მოხსენების, სანახაობისა და მისთ. მსმენელთა ერთობლიობა. *აუდიტორიას მიმართა. აუდიტორია კმაყოფილი დარჩა.*

**აუდუღარი** *აუდუღარის* რაც ადუღებული არ არის. *აუდუღარი რძე.*


აუზი

**აუზი** *აუზის* 1. ღია ან დახურული ნაგებობა წყლის დასაგროვებლად. *საცურაო აუზი.* 2. ტერიტორია, რომლის მიწისქვეშა და მიწისზედა წყლები ჩაედინება დიდ მდინარეში, ტბაში, ზღვაში. *ხმელთაშუა ზღვის აუზი. შავი ზღვის აუზის ქვეყნები.*

**აუთვისებელი** *აუთვისებლის* რაც არ აუთვისებიათ. *აუთვისებელი მიწები. აუთვისებელი ფინანსები.*

**აული** *აულის* სოფლის ტიპის დასახლება კავკასიაში და შუა აზიაში. *დაღესტნის აული.*

**აურზაური** *აურზაურის* არეულობა, შეხლა-შემოხლა. *დიდი აურზაური. აურზაური ატყდა.*

**აუტანელი** *აუტანლის* ვისი ან რის ატანაც შეუძლებელია, მძიმე, რთული. *აუტანელი ოჯახური პირობები. აუტანელი ცხოვრება.*

**აუტი** *აუტის* ფეხბურთის ან ჩოგბურთის თამაშისას ბურთის გადავარდნა მოედნის ფარგლებს გარეთ. *აუტში გავიდა.*

**აუტკივარი** *აუტკივრის* რაც არ ასტკივებიათ. ⊙ **აუტკივარ თავს აიტკივებს** პრობლემას შეუქმნის საკუთარ თავს.

**აუტსაიდერი** *აუტსაიდერის* შეჯიბრებაში ერთერთ ბოლო ადგილზე მყოფი სპორტსმენი ან გუნდი. *ჩემპიონატის აუტსაიდერი.*

**აუქციონი** *აუქციონის* რაიმე ნივთის, ქონებისა და მისთ. საჯარო გაყიდვა, რომლის დროსაც იგი ყველაზე მეტი საფასურის გადამხდელს ერგება. *აუქციონზე გაიტანეს. აუქციონი გაიმართა.*

**აუღებელი** *აუღებლის* რაც არ (ვერ) აიღეს. *აუღებელი ციხესიმაგრე.*

**აუღელვებელი** *აუღელვებლის* ვინც ან რაც არ ღელავს, მშვიდი. *აუღელვებელი ადამიანი. აუღელვებელი ცხოვრება.*

**აუცილებელი** *აუცილებლის* რის გარეშეც არაფერი მოხდება ან გაკეთდება, ძალიან საჭირო. *აუცილებელი პირობა. აუცილებელი საბუთები.*

**აუცილებლად** ზმნზ. უეჭველად, ნამდვილად. *ლექციებს აუცილებლად დავესწრები. აუცილებლად დაბრუნდება.*

**აუცილებლობა** *აუცილებლობის* გარდაუვალობა, როდესაც აუცილებლად უნდა მოხდეს, შესრულდეს რაიმე. *არჩევნების აუცილებლობა.*

**აუწერელი** *აუწერლის* 1. რაც არ აუწერიათ. *აუწერელი ქონება.* 2. რის აღწერაც შეუძლებელია, წარმოუდგენელი. *აუწერელი სიმდიდრე. აუწერელი სიამოვნება.*

**აუხდენელი** *აუხდენელის* რაც ვერ აიხდინეს. *აუხდენელი ოცნება.*

**აუხსნელი** *აუხსნელის* რაც არ (ვერ) აუხსნიათ, გაურკვეველი, გაუგებარი. *აუხსნელი მოვლენები.*

**აფაზია** *აფაზიის* მეტყველების უნარის დარღვევა, რომელიც, ჩვეულებრივ, გამოწვეულია ტვინის ქერქის გარკვეული ნაწილების დაზიანებით.

**აფანცქალება** *აფანცქალების* (აუფანცქალებს, აუფანცქალდება) ⊙ **გული აუფანცქალდება** იხ. გული.

**აფარება** *აფარების* (ააფარებს, აიფარებს, აეფარება) 1. სხეულის ნაწილზე, ვერტიკალურ ზედაპირსა და მისთ. რაიმეს მიდება. *თვალებზე ხელი ააფარა. წინსაფარი აიფარა.* 2. ვინმეს ან რაიმეს წინ ან უკან დადგომა დაცვის ან დამალვის მიზნით. *ხეს აეფარა. დედა ბავშვებს აეფარა.*

**აფეთქება** *აფეთქების* (ააფეთქებს, აუფეთქებს, აფეთქდება, აუფეთქდება, ააფეთქებინებს) 1. ფეთქებადი ნივთიერების უეცრად, დიდი ძალითა და ხმაურით გასკდომა. *ატომური აფეთქება. ბომბი აფეთქდა.* 2. აფეთქების (1) შედეგად დანგრევა.

*სახლის აფეთქება. რკინიგ ზა ააფეთქეს. ხიდი აფეთქდა.* 3. გადატ. უეცარი, ძლიერი გაბრაზება, გაცეცხლება. *უცებ აფეთქება იცის.* ■ **აფეთქებული** რაც ააფეთქეს ან აფეთქდა. *აფეთქებული ყუმბარა.*

**აფერა** *აფერის* საექვო გარიგება, ფულის შოვნა სხვისი მოტყუების, გაბრიყვების გზით. *გახმაურებული აფერა. შეცდომაა აფიორა.*

**აფერადება** *აფერადების* (ააფერადებს, აუფერადებს, აფერადდება) სხვადასხვა ფერად აჭრელება. *მინდორ-ველი აფერადდა.* ■ **აფერადებული** რაც აფერადდა. *ყვავილებით აფერადებული ჭალა.*

**აფერისტი** *აფერისტის* გაიძვერა, თაღლითი. *აფერისტი კაცი.*

**აფერუმ** შორისდ. ვინმეს საქციელის მოწონების გამომხატველი შეძახილი. *აფერუმ შენს ვაჟკაცობას! აფერუმ, ქალო!*

**აფექტი** *აფექტის* მდგომარეობა, როდესაც ადამიანი ძლიერი განცდის გამო საკუთარ ქცევას ვერ აკონტროლებს. *აფექტში იმყოფება.* შეცდომაა აფეკტი.

**აფექტური** *აფექტურის* აფექტით გამოწვეული, აფექტისთვის დამახასიათებელი. *აფექტური საქციელი.* შეცდომაა აფეკტური.

აფთარი



**აფთარი** *აფთრის* მტაცებელი ცხოველი, იკვებება მძორით. *აფთარი ცხვარს ეცა.*

**აფთიაქი** *აფთიაქის* 1. დაწესებულება, სადაც ყიდიან წამლებს. *სადღეღამისო აფთიაქი. ვეტერინარული აფთიაქი.* 2. მოზრდილი კოლოფი, რომელშიც ინახავენ წამლებს. *სამგ ზავრო აფთიაქი.*

**აფიშა** *აფიშის* ხალხმრავალ ადგილებში გამოკრული საგანგებოდ გაფორმებული განცხადება რაიმე სანახაობის, ღონისძიებისა და მისთ. შესახებ. *თეატრის აფიშა. ფერადი აფიშა.*

**აფორთხება** *აფორთხების* (აფორთხდება) ფორთხვით ასვლა. *სხვენში აფორთხდა. კლდე ზე აფორთხდა.*

**აფორიაქება** *აფორიაქების* (ააფორიაქებს, აუფორიაქებს, აფორიაქდება) ფორიაქის დაწყება, აშფოთება. *ამ ამბავმა ყველა ააფორიაქა. ოჯახი აფორიაქდა.* ■ **აფორიაქებული** ვინც აფორიაქდა. *ქალი აფორიაქებული ჩანდა.*

**აფორიზმი** *აფორიზმის* მოკლე და სხარტი გამონათქვამი, რომლითაც ბრძნული აზრია გამოხატული. *ხალხური აფორიზმი. რუსთველის აფორიზმები.*

**აფოფვრა** *აფოფერის* (აიფოფრება, აეფოფრება) 1. ბუმბულის, ბეწვისა და მისთ. აშლა, ფეხზე დადგომა. *თმა აეფოფრა.* 2. გადატ. გაბრაზება, საჩხუბრად მომზადება. *ქალი უცებ აიფოფრა.*

**აფოფხება** *აფოფხების* (აფოფხდება) ფოფხვით ასვლა. *ბიჭები კლდე ზე აფოფხდნენ.*

**აფრა** *აფრის* იგივეა, რაც იალქანი. *ხომალდ ზე აფრები გაშალეს.* ⊙ **აფრებს აუშვებს** თავშეკავების ზღვარს გადავა.

**აფრაკი** *აფრაკის* 1. გახმობისას გამრუდებული, დაბრეცილი ფიცარი. 2. საუბრ. თავქარიანი, მოსულელო ადამიანი. *დიდი აფრაკი ვინმეა.*

**აფრენა** *აფრენის* (ააფრენს, აფრინდება) ფრენის დაწყება, ფრენით ასვლა. *თვითმფრინავის აფრენა. ჩიტი აფრინდა.*

**აფრთხიალება** *აფრთხიალების* (აფრთხიალდება, აუფრთხიალდება) ფრთხიალის დაწყება. *ჩიტი გალიაში აფრთხიალდა.*

**აფრიალება** *აფრიალების* (ააფრიალებს, აუფრიალებს, აფრიალდება, აუფრიალდება) ფრიალის დაწყება. *ფარდა აფრიალდა. დროშები ააფრიალეს.*

**აფსიდა** *აფსიდის* ნახევარწრედ გამოწეული ნაწილი ბაზილიკურ ნაგებობაში. *საკურთხევლის აფსიდა.*

**აფსკი** *აფსკის* ცელულოიდის გამჭვირვალე, შუქის მიმართ მგრძნობიარე ფირფიტა, იყენებენ ფოტოგრაფიაში, კინოში.

**აფსუს** შორისდ. გამოხატავს დანანებას, შეწუხებას, სინანულს. *აფსუს, რა ქვევრი გატყდა! აფსუს, როგორ არ წაველით!*

**აფსუსი** *აფსუსის* დასანანი, გულსატკენი. *აფსუსი არ არის ამ სახლის დანგრევა? აფსუსია ამ კაცის სიკვდილი.*

**აფუება** *აფუების* (ააფუებს, აფუვდება) 1. ფუილის დაწყება. *ცომი აფუვდა.* 2. იგივეა, რაც **გაფუება**. *მიწა აფუვდა.*

**აფუსფუსება** *აფუსფუსების* (ააფუსფუსებს, აფუსფუსდება) ფუსფუსის დაწყება. *ხალხი აფუსფუსდა. ბებია აფუსფუსდა.*

**აფუტკნა** *აფუტკნის* (აფუტკნის, აიფუტკნება) საუბრ. აბურდვა, აწეწვა, აშლა, ერთმანეთში არევა. *ნაცარი აფუტკნა.*

**აფშეკა** *აფშეკის* (აფშეკს, აიფშიკება, აეფშიკება) კუდის, ფეხისა და მისთ. ზევით აწევა, ამართვა. *ფეხები მაღლა აფშიკა.* ■ **აფშეკილი** რაც აფშიკეს ან აიფშიკა. *აფშეკილი თმა.*

**აფშრუკვა** *აფშრუკვის* (აფშრუკავს) ფხვიერი მასის მცირე წყლით სახელდახელოდ აზელა, არევა. *ფქვილი აფშრუკა.*

**აფცქვნა** *აფცქვნის* (ააფცქვნის, აიფცქვნის, აეფცქვნება) 1. ქერქის, კანის აცლა, მოშორება. *სახე ზე კანი აეფცქვნა. კედლის საღებავი აიფცქვნა.* 2. საუბრ. გადატ. მოტყუებით, მოხერხებით რაიმეს გამოძალება. *ფული ააფცქვნეს.*/

**აფხორება** *აფხორების* (აიფხორება) I. ქოჩრის, ბეწვის, ფრთებისა და მისთ. აშლა და ტანის მაღლა აზიდვა. *ინდაური აიფხორა. კატა საჩხუბრად აიფხორა.* 2. გადატ. გაბრაზება, გაბუტვა. *ბიჭი აიფხორა.*

**აქ** ზმნზ. ამ ადგილას, სადაც მოლაპარაკე პირი იმყოფება. *აქ უნდა გაშენდეს ხეხილის ბაღი.*

**აქა** ზმნზ.||**აქ** ⊙ **აქა მშვიდობა!** მიმართვა, რომლითაც მისვლისას ესალმებიან დამხვდურ საზოგადოებას.

**აქავება** *აქავების* (აექავება) ქავილის დაწყება. *ხელები აექავა.*

**აქა-იქ** ზმნზ. არაყველგან, სხვადასხვა ადგილას. *აქა-იქ ლაქები ეტყობოდა.*

**აქანდაზი** *აქანდაზის* რკინის, პლასტმასისა და მისთ. მასალისგან დამზადებული პატარა ნიჩაბი, რომლითაც ნაგავს იღებენ. *აქანდაზის ტარი.*

აქანდაზი



**აქაური** *აქაურის* I. ვინც აქ, ამ ადგილას ცხოვრობს ან წარმოშობით აქედანაა. *აქაური ხალხი. აქაური მაცხოვრებლები.* 2. რაც ამ ადგილას არის ან ხდება. *აქაური სიტუაცია. აქაური ბუნება.*

**აქაურობა** *აქაურობას* ყველაფერი, რაც აქ არის, ყოველივე აქ არსებული ერთად. *აქაურობას გავეცალოთ!*

**აქაფება** *აქაფების* (ააქაფებს, აიქაფებს, აუქაფებს, აქაფდება, აუქაფდება) ქაფად ქცევა, ქაფის წარმოქმნა. *საპონი ააქაფა. ზღვა აქაფდა.* ■ **აქაფებული** რაც აქაფდა. *აქაფებული ტალღები.*

**აქაფქაფება** *აქაფქაფების* (ააქაფქაფებს, აქაფქაფდება) ძლიერი დუღილი, ქაფქაფის დაწყება. *წყალი აქაფქაფდა.* ■ **აქაფქაფებული** რაც აქაფქაფდა. *აქაფქაფებული რძე.*

**აქეთ** ზმნზ. ამ მხარეს, იმ ადგილისკენ, სადაც მოლაპარაკე პირი იმყოფება. *აქეთ შემოუხვიეთ!* ⊙ **მას აქეთ მას შემდეგ.**

**აქეთა** *აქეთას* აქეთ მყოფი, აქეთ მდგომი. *აქეთა მხარე.*

**აქეთ-იქით** ზმნზ. ხან აქეთ და ხან იქით, სხვადასხვა მხარეს. *თვალებს აქეთ-იქით აცეცებს.*

**აქეთობას** ზმნზ. აქეთა გზაზე, აქეთ წამოსვლისას. *აქეთობას ცუდად იმგ ზავრეს.*

**აქეთობისას** ზმნზ.||აქეთობას *აქეთობისას სოფელში გაჩერდნენ.*

**აქერცვლა** *აქერცვლის* (აუქერცლავს, აიქერცლება, აექერცლება) ქერცლის, გამხმარი კანისა და მისთ. აძრობა, მოშორება. *სახის კანი აექერცლა.* ■ **აქერცლილი** რაც აიქერცლა. *აქერცლილი სახე.*

**აქლემი** *აქლემის* მაღალი მცოხნავი ცხოველი, აქვს ერთი ან ორი კუზი. *აქლემების ქარავანი.*

აქლემი

**აქნა** *აქნის* (აქნის, აიქნება) ხორცის ასო-ასო დაჭრა. *ქათამი აქნეს.* ■ **აქნილი** რაც აქნეს. *აქნილი ხბო.*

**აქნევა** *აქნევის* (აიქნევს, აუქნევს) ქვევიდან ზევით სწრაფად ანევა. *ხელი აიქნია.*

**აქოთება** *აქოთების* (ააქოთებს, აუქოთებს, აქოთდება) I. დალაგებულის, მოწესრიგებულის არევა-დარევა, აყრა, ანგრევა. *სახლი ააქოთეს. ლოგინი ააქოთა. ზღვა აიქოჩრა.* 2. იგივეა, რაც **აყროლება**. *ყველი აქოთდა.* ■ **აქოთებული** რაც ააქოთეს ან აქოთდა. *აქოთებული თევზი. აქოთებული ოთახი.*

**აქოჩრა** *აქოჩრის* (აიქოჩრება, აექოჩრება) I. ბეწვის, ბუმბულის აშლა, ქოჩორივით დადგომა. *თმა აექოჩრა.* 2. გადატ. ძლიერი აღელვება, აშფოთება, საჩხუბრად მომზადება. *ბიჭები აიქოჩრნენ.* ■ **აქოჩრილი** რაც ან ვინც აიქოჩრა. *აქოჩრილი ტალღები.*

**აქროლადი** *აქროლადის* რაც იოლად ორთქლდება. *აქროლადი სითხე.*

**აქსელერაცია** *აქსელერაციის* ზრდა-განვითარების, ფიზიკური და გონებრივი მომწიფების აჩქარება. *მოზარდთა აქსელერაცია.*

**აქსესუარი** *აქსესუარის* I. ოთახის, სცენისა და მისთ. მხატვრული გაფორმების შემადგენელი ნაწილი, რომელსაც ძირითად ფუნქციასთან ერთად ესთეტიკური დატვირთვაც აქვს. *დეკორაციული ფარდა მთავარი აქსესუარია.* 2. ქალის ან მამაკაცის სამოსის ან მორთულობის ნაწილი, რომელსაც ესთეტიკური ფუნქცია აქვს. *მოდური აქსესუარები. მდიდრული აქსესუარი.*

**აქსიომა** *აქსიომის* I. მეცნიერული დებულება, რომელიც არ არის დამტკიცებული, მაგრამ სხვა დებულებათა დამტკიცების საფუძვლად გამოიყენება. *გეომეტრიული აქსიომა.* 2. გადატ. თავისთავად ცხადი აზრი, რომელსაც დამტკიცება არ სჭირდება. *ეს ხომ აქსიომაა!*

**აქსიომური** *აქსიომურის* ⊙ **აქსიომური ჭეშმარიტება** უეჭველი რამ, რაც დამტკიცებას არ საჭიროებს.

**აქტი** *აქტის* I. კონკრეტული ქმედება. *ტერორისტული აქტი.* 2. ოფიციალური დოკუმენტი, რომელიც ამტკიცებს რაიმეს, განსაზღვრავს ვინმეს უფლება-მოვალეობას. *აქტის შედგენა. იურიდიული აქტი.* 3. დრამატული ნაწარმოების დასრულებული ნაწილი, მოქმედება. *პირველი აქტი*

**აქტივი** *აქტივის* I. საზოგადოებრივი ორგანიზაციის ან დაწესებულების მოწინავე, ინიციატივი-

ანი ნაწილი. *პედაგოგთა აქტივი.* 2 (მრ.) წარმოების ბალანსზე არსებული ქონება, საკუთრება. *საწარმოს აქტივები.*

**აქტივიზაცია** *აქტივიზაციის* გააქტიურება, ამოქმედება.

**აქტივისტი** *აქტივისტის* პირი, რომელიც რაიმე საქმეში ინიციატივას იჩენს და აქტიურად ერთვება. *აქტივისტების შეკრება.*

**აქტიორი** *აქტიორის* ძვ. მსახიობი. *წამყვანი აქტიორი.* ■ **აქტიორული** აქტიორისთვის დამახასიათებელი. *აქტიორული ხელოვნება.*

**აქტიური** *აქტიურის* ენერგიული, საქმიანი. *აქტიური თანამშრომელი. აქტიური ცხოვრება.* ▲ **აქტიურად** ზმნზ. ენერგიულად, დაუზარელად, დაუცხრომლად. *აქტიურად ვარჯიშობს. აქტიურად შრომობს.*

**აქტიურობა** *აქტიურობის* (აქტიურობს) აქტიურად, ენერგიულად ყოფნა. *პოლიტიკური აქტიურობა. სტუდენტები აქტიურობენ.*

**აქტუალობა** *აქტუალობის* იგივეა, რაც აქტუალურობა. *პრობლემას აქტუალობა არ დაუკარგავს.*

**აქტუალური** *აქტუალურის* მნიშვნელოვანი, ღირებული, რაც ყურადღებას იმსახურებს. *აქტუალური თემა.*

**აქტუალურობა** *აქტუალურობის* მნიშვნელობის, ღირებულების ქონა. *საკითხის აქტუალურობა გაიზარდა.*

**აქშა** შორისდ. შეძახილი ფრინველების დასაფრთხობად, გასარეკად.

**აქშევა** *აქშევის* (აუქშევს) ფრინველების დაფრთხობა ხელის აქნევით ან შეძახილით. *ქათმებს აუქშია.*

**აქცევა** *აქცევის* (აუქცევს) ⊙ **გზას (გვერდს) აუქცევს** გზიდან გადაუხვევს ისე, რომ ვინმეს ან რაიმეს ასცდეს.

**აქცენტი** *აქცენტის* 1. თავისებური წარმოთქმა, რომელიც შესაძლოა ახასიათებდეს არამშობლიურ ენაზე მოლაპარაკეს. *აქცენტით საუბრობს.* 2. იგივეა, რაც მახვილი². *აქცენტი ბოლო ხმოვანზე გააკეთა.* 2. გადატ. აზრის, იდეის გამოყოფა, გახაზვა, აღნიშვნა (მხატვრულ ნაწარმოებში, სამეცნიერო ნაშრომსა და მისთ.). *აქცენტი ადამიანის უფლებებზე გააკეთა.*

**აქცია¹** *აქციის* ფასიანი ქაღალდი, რომელიც მის მფლობელს აძლევს სააქციო საზოგადოების კაპიტალის მოგებიდან გარკვეული წილის მიღების უფლებას. *აქციები შეიძინა.*

**აქცია²** *აქციის* რაიმე მიზნის მისაღწევად განხორციელებული მოქმედება. *საპროტესტო აქცია.*

**აქციზი** *აქციზის* სახელმწიფო გადასახადი ფართო მოხმარების საგნებზე (თამბაქოზე, ჩაიზე, შაქარსა და მისთ.). *სასმელებზე აქციზი გაიზარდა.*

**აქციონერი** *აქციონერის* აქციების¹ მფლობელი. *აქციონერთა კრება.*

**აღაჟღაჟება** *აღაჟღაჟების* (აღაჟღაჟებს, აუღაჟღაჟებს, აღაჟღაჟდება, აუღაჟღაჟდება) აფერადება, ღაჟღაჟის დაწყება. *ლოყები აუღაჟღაჟდა.* ■ **აღაჟღაჟებული** რაც აღაჟღაჟდა. *აღაჟღაჟებული სახე.*

**აღარ** ნაწილაკ. მეტად არ. *ჭამა აღარ მინდა. აღარ დაიგვიანოთ!*

**აღარავითარი** *აღარავითარის* ნაცვ. საერთოდ არავითარი, მეტი არავითარი. *აღარავითარი შელავათი.*

**აღარავინ** *აღარავისი* ნაცვ. უკვე არავინ, მეტი არავინ. *აღარავინ გამოჩნდა.*

**აღარასდროს** ზმნზ. იგივეა, რაც აღარასოდეს. *აღარასდროს დაბრუნდება.*

**აღარასოდეს** ზმნზ. საერთოდ არასოდეს, უკვე არასოდეს. *აღარასოდეს განმეორდება.*

**აღარაფერი** *აღარაფრის* ნაცვ. მეტი არაფერი, უკვე არაფერი. *აღარაფერი თქვა.*

**აღარსად** ზმნზ. მეტი არსად, უკვე არსად. *აღარსად ჩანდა.*

**აღარსაიდან** ზმნზ. უკვე არსაიდან, მეტი არსაიდან. *ხმა აღარსაიდან ისმოდა.*

**აღბეჭდვა** *აღბეჭდვის* (აღბეჭდავს, აღიბეჭდება, აღებეჭდება) 1. სრულად, ზუსტად ასახვა, გამოხატვა. *ფოტოსურათზე აღიბეჭდა. მომხდარი ფირზე აღბეჭდა.* 2. ამბის, აზრის, ემოციისა და მისთ. მეხსიერებაში ღრმად დარჩენა ან გარეგნულად გამოხატვა. *გონებაში აღებეჭდა. სახეზე ღიმილი აღებეჭდა.* ■ **აღბეჭდილი** რაც აღიბეჭდა. *ყველაფერი ფირზეა აღბეჭდილი.*

**აღგვა** *აღგვის* (აღგვის, აღიგვება) ⊙ **აღიგავა პირისაგან მიწისა** მოისპო, განადგურდა.

**აღგზნება** *აღგზნების* (აღაგზნებს, აღუგზნებს, აღიგზნება, აღეგზნება) ძლიერ აღელვება. *ნერვული აღგზნება. წამალმა აღაგზნო.* ■ **აღგზნებული** ვინც აღეგზნო. *აღგზნებული ავადმყოფი.*

**აღდგენა** *აღდგენის* (აღადგენს, აღიდგენს, აღუდგენს, აღადგენინებს) 1. დანგრეულის, განადგურებულის ხელახლა აგება, განახლება, აღორძინება. *სოფლები აღადგინეს. ურთიერთობა აღადგინეს.* 2. გარიცხულის, გათავისუფლებულის ხელახლა მიღება. *სამსახურში აღადგინეს.* ■ **აღდგენილი** ვინც ან რაც აღადგინეს. *აღდგენილი გზა.*

**აღდგენითი** *აღდგენითის* აღდგენისთვის განკუთვნილი, აღდგენასთან დაკავშირებული. *აღდგენითი სამუშაოები.*

**აღდგომა¹** *აღდგომის* (აღდგება) 1. აღდგენა. *ქალაქი აღდგა.* 2. საეკლესიო დღესასწაული, უკავშირდება იესო ქრისტეს აღდგომას ჯვარცმიდან მესამე დღეს, აღინიშნება გაზაფხულზე. ⊙ **აღდგომა და ხვალეო** საუბრ. ყველაფერი მალე გაირკვევა, ყველაფერს მალე ვნახავთ.

**აღდგომა**[2] *აღდგომის* (აღუდგება) აკრძალვა, ნების არმიცემა, წინააღმდეგობის გაწევა. *მშობლების ნებას წინ აღუდგა.*

**აღება** *აღების* (აიღებს, აუღებს, აიღება, ააღებინებს) 1. რაიმეზე ხელის მოკიდება და აწევა. *მაგიდიდან წიგნი აიღო.* 2. გარკვეული თანხის, დოკუმენტისა და მისთ. გამორთმევა, გამოტანა. *კრედიტის აღება. ხელფასი აიღო.* 3. დასახლებული ან საომარი პუნქტის დაპყრობა. *მტერმა ქალაქი აიღო. ციხესიმაგრე აიღეს.* 4. მოსავლის მოკრეფა. *სიმინდის აღება. ხორბალი კომბაინით აიღეს.* ■ **აღებული** რაც აიღეს. *აღებული ვალდებულება.*

**აღებმიცემობა** *აღებმიცემობის* საუბრ. ყიდვა-გაყიდვა, ვაჭრობა. *დიდი აღებმიცემობა გაჩაღდა.*

**აღებღამე** *აღებღამის* მარხვის დაწყების წინა ღამე.

**აღელვება** *აღელვების* (ააღელვებს, აუღელვებს, აღელდება) 1. ღელვის (1) დაწყება. *ზღვა აღელდა.* 2. ღელვის (2) დაწყება, აშფოთება. *აღელვებით ლაპარაკობდა. ქალი აღელდა.* ■ **აღელვებული** რაც ან ვინც აღელდა. *აღელვებული მდინარე. ბიჭი აღელვებული ჩანდა.*

**აღვირახსნილი** *აღვირახსნილის* თავაშვებული, უზნეო. *აღვირახსნილი ცრემლობა.*

**აღვირახსნილობა** *აღვირახსნილობის* აღვირახსნილი ქცევა, მორალური გადაგვარება. *აღვირახსნილობამ დაღუპა. საყოველთაო აღვირახსნილობა.*

აღვირი

**აღვირი** *აღვირის* ცხენის სამართავი მოწყობილობა, აქვს ლაგამი და სადავის ორი თასმა. *აღვირი მიუშვა.*

**აღვლენა** *აღვლენის* (აღავლენს, აღეღლინება) ⊙ ლოცვებს აღავლენს ილოცებს.

**აღვსება** *აღვსების* (აღავსებს, აღივსებს, აღუვსებს, აღივსება, აღევსება) ავსება. *სიხარულით აღივსო. წარმატებამ იმედით აღავსო.*

**აღზევება** *აღზევების* (აღაზევებს, აღზევდება) დიდი წარმატების მოპოვება, წინსვლა. *ქვეყნის აღზევება დაიწყო.*

**აღზრდა** *აღზრდის* (აღზრდის, აღუზრდის, აღიზრდება) გარკვეული ცოდნის მიცემა, ქცევის წესების სწავლება. *მემკვიდრის აღზრდა. შვილები მკაცრად აღზარდა. მხატვრების წრეში აღიზარდა.* ■ **აღზრდილი** ვინც აღზარდეს ან აღიზარდა. *კარგად აღზრდილი ახალგაზრდა.*

**აღთქმა** *აღთქმის* (აღუთქვამს) 1. პირობის მიცემა, შეპირება. *აღთქმა დადო. დახმარება აღუთქვა. მხარდაჭერა აღუთქვეს.* 2. იუდეველთა და ქრისტიანთა საღრმთო წიგნების საერთო სახელწოდება. *ძველი აღთქმა. ახალი აღთქმა.* პარონიმი აღქმა.

**აღთქმული** *აღთქმულის* რაც აღუთქვეს, დაპირებული. *აღთქმული ბედნიერება.* პარონიმი აღქმული.

**აღიარება** *აღიარების* (აღიარებს) 1. რაიმეს კანონიერად, მართებულად, ჭეშმარიტად მიჩნევა. *შვილად აღიარა. დამოუკიდებელ სახელმწიფოდ აღიარეს.* 2. სიმართლის თქმა, საკუთარი შეცდომის, დანაშაულის გაცხადება. *ყველაფერი აღიარა.*

**აღიარებული** *აღიარებულის* 1. რაც აღიარეს. *აღიარებული შეცდომა.* 2. საყოველთაოდ მიღებული, მოწონებული. *საზოგადოების მიერ აღიარებული. აღიარებული მეცნიერი.*

**აღკვეთა** *აღკვეთის* (აღკვეთს, აღიკვეთება) აკრძალვა, აღმოფხვრა, შეზღუდვა. *თავისუფლების აღკვეთა. ბანდის თარეში აღკვეთეს.*

**აღკვეცა** *აღკვეცის* (აღკვეცს, აღიკვეცება) ბერად, მონაზვნად შედგომა. *შარშან აღიკვეცა.* ■ **აღკვეცილი** ვინც აღკვეცეს ან აღიკვეცა. *ბერად აღკვეცილი მეფე.*

**აღლუმი** *აღლუმის* შეიარაღებული ჯარების საზეიმო დათვალიერება. *აღლუმი გაიმართა.*

**აღმა** ზმნზ. ქვევიდან ზევით. *ორლობეს აღმა აუყვნენ.*

**აღმა-დაღმა** ზმნზ. ქვევიდან ზევით და ზევიდან ქვევით, აღმა და დაღმა. *აღმა-დაღმა ხეტიალი.*

**აღმავალი** *აღმავლის* 1. რაც ქვევიდან ზევით ადის. *აღმავალი გზა. აღმავალი ტალღა.* 2. აღმავლობას განიცდის, ვითარდება. *აღმავალი კარიერა.*

**აღმავლობა** *აღმავლობის* გაუმჯობესება, განვითარება. *ქვეყნის აღმავლობა. აღმავლობის გზაზე დგას.*

**აღმართვა** *აღმართვის* (აღმართავს, აღუმართავს, აღიმართება) ვერტიკალურად დადგმა, დაყენება. *ალპინისტებმა დროშა აღმართეს.* ■ **აღმართული** რაც აღმართეს. *აღმართული კედელი.*

**აღმართი** *აღმართის* გზა, რომელიც მაღალი ადგილისკენ მიემართება. *აღმართი სვენებ-სვენებით აიარა. აღმართს შეუდგა.* ■ **აღმართ-აღმართ** აღმართებით, აღმართების გავლით. *აღმართ-აღმართ მიდიან.*

**აღმასვლა** *აღმასვლის* წინსვლა, განვითარება, პროგრესი. *კულტურის აღმასვლა. სახელმწიფოს აღმასვლა. აღმასვლის პროცესი.*

**აღმატება** *აღმატების* (აღემატება) განსაზღვრული რაოდენობის, სიდიდისა და მისთ. გადამეტება, გადაჭარბება. *ორ ტონას აღემატება. მის ძალებს აღემატება.*

**აღმატებულება** *აღმატებულების* უმაღლესი თანამდებობის პირის აღმნიშვნელი სიტყვა, გამოიყენება მიმართვის ან დასახელების, დროს ნაცვალსახელებთან (მისი, მათი, თქვენი) ერთად. *თქვენო აღმატებულებავ! მისი აღმატებულება საქართველოს პრეზიდენტი.*

**აღმატებული** *აღმატებულის* ამაღლებული, წარჩინებული, აღზევებული, განდიდებული. *აღმატებული პიროვნება.*

**აღმაფრენა** *აღმაფრენის* ბედნიერების, დიდი სიხარულის განცდა. *შემოქმედებითი აღმაფრენა.*

**აღმაშფოთებელი** *აღმაშფოთებლის* რაც აღშფოთებას, განრისხებას იწვევს. *აღმაშფოთებელი ფაქტი. აღმაშფოთებელი ცნობები.*

**აღმგზნები** *აღმგზნების* რაც აღაგზნებს. *აღმგზნები საშუალებები.*

**აღმზრდელი** *აღმზრდელის* 1. ვინც მოზარდის აღზრდაში მონაწილეობს. *აღმზრდელი დეიდა.* 2. მომვლელი ქალი საბავშვო ბაღში. *აღმზრდელმა ბავშვები ეზოში გაიყვანა.*

**აღმზრდელობითი** *აღმზრდელობითის* აღზრდისთვის საჭირო, აღზრდისას გამოსაყენებელი. *აღმზრდელობითი მეთოდი.*

**აღმნიშვნელი** *აღმნიშვნელის* რაც აღნიშნავს, რითაც აღინიშნება. *ხარისხის აღმნიშვნელი.*

**აღმომჩენი** *აღმომჩენის* ვინც აღმოაჩინა, რითაც უნდა აღმოაჩინონ. *ნაღმის აღმომჩენი აპარატი.*

**აღმოსავლეთი** *აღმოსავლეთის* 1. მხარე, საიდანაც მზე ამოდის. *აღმოსავლეთი ვარდისფრად შეიღება.* 2. ქვეყანა ან ქვეყნის ნაწილი, რომელიც აღმოსავლეთის (1) მხარეს მდებარეობს. *ქვეყნის აღმოსავლეთი. შორეული აღმოსავლეთი.* 3. აღმოსავლეთის (1) მხარეს მოქცეული. *შენობის აღმოსავლეთი კედელი.*

**აღმოსავლეთმცოდნეობა** *აღმოსავლეთმცოდნეობის* აღმოსავლეთის ქვეყნების ენის, ისტორიის, ეკონომიკისა და კულტურის შემსწავლელ მეცნიერებათა ერთობლიობა. *აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი.*

**აღმოსავლური** *აღმოსავლურის* რაც აღმოსავლეთის ქვეყნებში შეიქმნა ან ამ ქვეყნებს ახასიათებს. *აღმოსავლური კულტურა. აღმოსავლური ფარჩა.*

**აღმოსაფხვრელი** *აღმოსაფხვრელის* რაც უნდა აღმოიფხვრას. *აღმოსაფხვრელი ნაკლოვანებები.* ▲ **აღმოსაფხვრელად** ზმნ. აღმოფხვრის მიზნით. *ძალადობის აღმოსაფხვრელად.*

**აღმოფხვრა** *აღმოფხვრის* (აღმოფხვრის, აღმოიფხვრება) საფუძვლიანად მოსპობა, ამოძირკვა. *ბოროტების აღმოფხვრა. სიღარიბე აღმოიფხვრა.* ■ **აღმოფხვრილი** რაც აღმოიფხვრა. *აღმოფხვრილი ხარვეზები.*

**აღმოჩენა** *აღმოჩენის* (აღმოაჩენს, აღმოუჩენს, აღმოჩნდება, აღმოაჩნდება) 1. მიგნება, პირველად ნახვა, პოვნა. *შეცდომის აღმოჩენა. პლანეტა აღმოაჩინეს.* 2. ამა თუ იმ თვისების, ნიჭისა და მისთ. გამომჟღავნება, გამოვლენა. *ჭკვიანი აღმოჩნდა. ხატვის ნიჭი აღმოაჩნდა.* 3. გარკვეულ სიტუაციაში მოხვედრა. *მძიმე პირობებში აღმოჩნდა. უცხო გარემოში აღმოჩნდნენ.* 4. გამოდგომა. *უცნობი მისი ნათესავი აღმოჩნდა.* ■ **აღმოჩენილი** რაც აღმოაჩინეს. *აღმოჩენილი განძი.*

**აღმოცენება** *აღმოცენების* (აღმოაცენებს, აღმოცენდება) 1. მიწიდან მცენარის ამოზრდა, გახარება. *ყვავილი აღმოცენდა.* 2. გადატ. წარმოშობა, გაჩენა. *კულტურის აღმოცენება. ქალაქი აღმოცენდა.* ■ **აღმოცენებული** რაც აღმოცენდა. *ახლად აღმოცენებული გაერთიანებები.*

**აღმოხდომა** *აღმოხდომის* (აღმოხდება) გარკვეული ხმის უნებურად გამოცემა, რაიმეს უნებლიეთ თქმა. *კვნესა აღმოხდა. საყვედური აღმოხდა.*

**აღმსარებელი** *აღმსარებლის* ამა თუ იმ რელიგიის მიმდევარი. *სხვადასხვა სარწმუნოების აღმსარებლები.*

**აღმსარებლობა** *აღმსარებლობის* ამა თუ იმ რელიგიის აღიარება. *ქრისტიანული აღმსარებლობა.*

**აღმუვლება** *აღმუვლების* (ააღმუვლებს, აღმუვლდება) ღმუილის დაწყება. *ძროხა აღმუვლდა.*

**აღმშენებლობა** *აღმშენებლობის* ქვეყნის სოციალურ-კულტურული, ეკონომიკური განვითარება. *აღმშენებლობის გზაზე მდგარი.*

**აღნაგობა** *აღნაგობის* ადამიანის სხეულის აგებულება. *მამაკაცური აღნაგობა. მშვენიერი აღნაგობის ქალი.*

**აღნიშვნა** *აღნიშვნის* (აღნიშნავს, აღინიშნება, აღნიშნება) 1. განსაკუთრებული მოვლენის გამო საზეიმო ღონისძიების მოწყობა. *იუბილეს აღნიშვნა. გამარჯვება აღნიშნეს.* 2. გარკვეული ნიშნით გამოყოფა, ნიშნის დასმა. *საზღვრების აღნიშვნა. ტექსტში შეცდომები აღნიშნა.* 3. გამოხატვა. *რას აღინიშნავს ეს სიმბოლო?* 4. საუბრისას რაიმეზე მითითება, ყურადღების გამახვილება. *მოხსენების ღირსებები აღნიშნეს. გეს ფაქტი ხაზგასმით აღნიშნეს.* ■ **აღნიშნული** რაც აღნიშნეს, რაზეც უკვე იყო საუბარი. *აღნიშნული გამოსვლა. ზემოთ აღნიშნული ფაქტი.*

**აღნუსხვა** *აღნუსხვის* (აღნუსხავს, აღინუსხება) დეტალური აღწერა, ჩამოთვლა. *ფაქტების აღნუსხვა. ისტორიული ძეგლები აღნუსხეს.* ■ **აღნუსხული** რაც აღნუსხეს. *აღნუსხული ქონება.*

**აღორძინება** *აღორძინების* (ააღორძინებს, აღორძინდება) განახლება, აღდგენა, განვითარება. *ძველი ტრადიციები ააღორძინეს. კულტურა აღორძინდა.* ■ **აღორძინებული** რაც აღორძინდა. *აღორძინებული ქვეყანა.*

**აღოღება** *აღოღების* (აღოღდება, ააღოღდება) ღოღვით ასვლა. *კიბეზე აღოღდა. მუხლებზე ააღოღდა.*

**აღპყრობა** *აღპყრობის* (აღაპყრობს) აპყრობა. *თვალები ზეცისკენ აღაპყრო. ხელები აღაპყრო.*

**აღრევა** *აღრევის* ნიგნ. იგივეა, რაც **არევა**. *კულტურათა აღრევა.*

**აღრიალება** *აღრიალების* (ააღრიალებს, აღრიალდება) ღრიალის დაწყება. *მთელი ხმით აღრიალდა.*

**აღრიცხვა** *აღრიცხვის* (აღრიცხავს, აღირიცხება, აღერიცხება) რაოდენობის დადგენა, დაანგარიშება, შეჯამება. *დანახარჯის აღრიცხვა. ფაქტები აღრიცხეს.* ■ **აღრიცხული** რაც აღრიცხეს. *აღრიცხული საქონელი.*

**აღსავსე** *აღსავსის* ნიგნ. იგივეა, რაც **სავსე**. *ენერგიით აღსავსე. სიხარულით აღსავსე.*

**აღსავალი** *აღსავლის* ⊙ **აღსავლის კარი** ეკლესიის საკურთხევლის შუა კარი.

**აღსაზრდელი** *აღსაზრდელის* ბავშვი, რომელიც უნდა აღზარდონ. *საბავშვო ბაღის აღსაზრდელები.*

**აღსარება** *აღსარების* ცოდვების აღიარება მოძღვრის წინაშე. *აღსარება თქვა.*

**აღსასრული** *აღსასრულის* სიცოცხლის დასასრული, სიკვდილი, გარდაცვალება. *აღსასრულის მოახლოება იგრძნო.*

**აღსაქმელი** *აღსაქმელის* რაც უნდა აღიქვან. *ძნელად აღსაქმელი ტექსტი.*

**აღსაყდრება** *აღსაყდრების* პატრიარქის კურთხევის ცერემონია.

**აღსრულება** *აღსრულების* (აღასრულებს, აღსრულდება) ნიგნ. 1. ასრულება, შესრულება. *წინასწარმეტყველება აღსრულდა. ლოცვა აღასრულა.* 2. იგივეა, რაც **გარდაცვალება**. *მოწამებრივად აღესრულა.*

**აღტაცება** *აღტაცების* ძლიერი მოწონების, სიამოვნების, სიხარულის განცდა. *საყოველთაო აღტაცება. აღტაცება გამოიწვია.*

**აღტაცებული** *აღტაცებულის* ძალიან გახარებული, ბედნიერი, აღტაცების გამომხატველი. *ნანახით აღტაცებული. აღტაცებული საუბარი.*

**აღტყინება** *აღტყინების* (აღტყინდება) ძლიერი ემოციით შეპყრობა, აღტაცება. *აღტყინებით მუშაობს. შემოქმედებითი აღტყინება.* ■ **აღტყინებული** ვინც აღტყინდა. *აღტყინებული ხალხი.*

**აღუა** *აღუას* საუბრ. რამდენიმე კვირის ან თვის ბავშვი. *აღუასა მოეფერა.*

**აღფრთოვანება** *აღფრთოვანების* (აღაფრთოვანებს, აღფრთოვანდება) სასიამოვნო ემოციით გამსჭვალვა ვინმეს ან რაიმეს მოწონების გამო, აღტაცება. *აღფრთოვანებას ვერ მალავდა. ცეკვამ აღაფრთოვანა.* ■ **აღფრთოვანებული** ვინც აღფრთოვანდა. *აღფთოვანებული მაყურებელი.*

**აღქმა** *აღქმის* (აღიქვამს, აღიქმება) საგნების, მოვლენების, ხმებისა და მისთ. ცნობიერებაში ასახვა, დანახვა, გაგება. *მუსიკის აღქმა. ფაქტებს ზუსტად აღიქვამს.* პარონიმი აღთქმა.

**აღქმადი** *აღქმადის* რის აღქმაც შეიძლება, ცნობიერებისთვის მისაწვდომი, დასანახი, საგრძნობი. *აღქმადი მოვლენები. თვალით აღქმადი.*

**აღქმული** *აღქმულის* რაც აღიქვეს, დანახული, გაგებული. *ბავშვის მიერ აღქმული სამყარო.* პარონიმი აღთქმული.

**აღშფოთება** *აღშფოთების* (აღაშფოთებს, აღშფოთდება) ძლიერი გულისწყრომით, სიბრაზით ავსება, განრისხება. *აღშფოთება გამოხატა. ხალხი აღშფოთდა. მომხდარმა აღაშფოთა.* ■ **აღშფოთებული** ვინც აღშფოთდა. *აღშფოთებული მშობლები.*

**აღძვრა** *აღძვრის* (აღძრავს, აღუძრავს, აღიძვრება, აღეძვრება) 1. გრძნობის, აზრისა და მისთ. წარმოქმნა. *ინტერესი აღუძრა. ეჭვი აღეძრა.* 2. განსახილველად, გადაწყვეტილების გამოსატანად წარდგენა. *შუამდგომლობის აღძვრა. საკითხი აღძრეს.* ■ **აღძრული** რაც აღძრეს ან აღიძრა. *აღძრული საქმე.*

**აღწევა** *აღწევის* (ააღწევს) გაჭირვებით, დაბრკოლებების გადალახვით ასვლა. *მწვერვალამდე ვერ ააღწიეს. სახლამდე ძლივს ააღწია.*

**აღწერა** *აღწერის* (აღწერს, აღუწერს, აღიწერება) 1. ყოველმხივ დახასიათება, ასახვა. *სიტუაციის აღწერა. პეიზაჟი აღწერა.* 2. საქონლის, ნივთებისა და მისთ. სათითაოდ დათვლა და აღრიცხვა. *ქონების აღწერა. მოსახლეობის აღწერა. ინვენტარი აღწერეს.* ■ **აღწერილი** რაც ან ვინც აღწერეს. *წიგნში აღწერილი ამბავი.*

**აღწერილობა** *აღწერილობის* გარეგნული სახის, იერის ან შინაარსის ზოგადი დახასიათება, აღწერა. *ბუნების აღწერილობა. საგნის აღწერილობა.*

**აღჭურვა** *აღჭურვის* (აღჭურვავს, აღიჭურვება) 1. საჭირო იარაღის, ტექნიკისა და მისთ. მიწოდება, შეიარაღება. *ჯარი კარგად აღჭურვეს. თანამედროვე ტექნიკით აღიჭურვა.* 2. გადატ. ძალის, ნდობისა და მისთ. მოპოვება, შეძენა. *მოთმინებით აღიჭურვა. დიდი უფლებებით აღჭურვეს.* ■ **აღჭურვილი** ვინც ან რაც აღიჭურვა. *თანამედროვე აპარატურით აღჭურვილი. ნდობით აღჭურვილი პირი.*

**აღჭურვილობა** *აღჭურვილობის* 1. მეომრის იარაღისა და თავდაცვის საშუალებათა ერთობლიობა, შეიარაღება. *სამხედრო აღჭურვილობა.* 2. სხვადასხვა ინვენტარის, მონყობილობის, ხელსაწყოსა და მისთ. ერთობლიობა. *სამედიცინო აღჭურვილობა. ლაბორატორიული აღჭურვილობა.*

**აყალმაყალი** *აყალმაყალის* ხმაური, ჩხუბი, არეულობა. *აყალმაყალი ატყდა.*

**აყალო** *აყალოს* ⊙ **აყალო მიწა** თიხა.

**აყენება** *აყენების* (ააყენებს) მჯდომარეს ან მწოლიარეს დახმარება ან იძულება, რომ ადგეს. *ავადმყოფი ლოგინიდან ააყენეს. მოსწავლე ფეხზე ააყენა.*

**აყვავება** *აყვავების* (ააყვავებს, აუყვავებს, აყვავდება) 1. ყვავილის (1) გამობმა, ყვავილებით შემოსვა. *მთა-ბარი აყვავდა. ტყემალი აყვავდა.* 2. გადატ. განვითარება, აღორძინება. *ქვეყანა აყვავდა. სოფლის მეურნეობა აყვავდა.* ■ **აყვავებული** რაც აყვავდა ან ააყვავეს. *აყვავებული მინდორი.*

**აყვავილება** *აყვავილების* (აყვავილდება) იგივეა, რაც **აყვავება** (1). *მინდორი აყვავილდა.* ■ **აყვავილებული** რაც აყვავილდა. *აყვავილებული ბუნება.*

**აყვანა** *აყვანის* (აიყვანს, აუყვანს, ააყვანინებს) 1. ქვევიდან ზევით ნაყვანა. *ბავშვები კიბე ზე აიყვანა. სტუმრები სახლში აიყვანა.* 2. ცოცხალი არსების ხელში დაჭერა და აწევა. *ჩვილი საწოლიდან აიყვანა. კნუტი ხელში აიყვანა.* 3. დაპატიმრება. *ექვმიტანილები აიყვანეს. მძევლები აიყვანა.* 4. საუბრ. ვინმეს დაქირავება, სამსახურში მიღება. *დამხმარე აიყვანა. მასწავლებელი აუყვანეს.* ■ **აყვანილი** რაც ან ვინც აიყვანეს. *მთა ზე აყვანილი ტურისტები. აყვანილი ბავშვი.*

**აყვირება** *აყვირების* (ააყვირებს, აყვირდება) ყვირილის დანყება. *უმი ზე ზოდ აყვირდა. მძღოლი ააყვირეს.* ■ **აყვირებული** ვინც ან რაც აყვირდა ან ააყვირეს. *აყვირებული მე ზობლები.*

**აყირავება** *აყირავების* (ააყირავებს, აუყირავებს, აყირავდება, აუყირავდება) გადაბრუნება, ყირაზე დაყენება. *მაგიდა ააყირავეს. ნავი აყირავდა.* ■ **აყირავებული** რაც ან ვინც აყირავდა. *აყირავებული სკამი.*

**აყირო** *აყიროს* 1. გრძელყელიანი გოგრა, რომლისგანაც ამზადებენ ღვინის ამოსაღებ ჭურჭელს. 2. მცოცავღეროიანი და თეთრყვავილებიანი მცენარე, რომელიც ისხამს აყიროს (1).

**აყიყი** *აყიყის* წითელი ფერის ძვირფასი ქვა.

**აყლაყუდა** *აყლაყუდას* უშნოდ მაღალი, მოუქნელი. *აყლაყუდა ბიჭი.*

**აყმუვლება** *აყმუვლების* (ააყმუვლებს, აყმუვლდება) ყმუილის დანყება. *ძაღლი აყმუვლდა.*

**აყოლა** *აყოლის* (აჰყვება, აუყვება) 1. სხვასთან ერთად ასვლა. *მამას სხვენში აჰყვა.* 2. რაიმეს გასწვრივ, გაყოლებით ასვლა. *ტურისტები ხეობას აუყვნენ.* 3. ვინმეს ან რაიმეს ბრმად ნდობა და მისი გავლენით მოქცევა. *ცდუნებას აჰყვა. პროვოკაციას არ აჰყვნენ. გრძნობებს აჰყვება.*

**აყოლება** *აყოლების* (ააყოლებს, აიყოლებს) სიმღერის, ცეკვისა და მისთ. შენყობა მუსიკასთან, დაკვრასთან. *გიტარას ხმა ააყოლა.*

**აყოლიება** *აყოლიების* (აიყოლიებს) ვინმეს იძულება, რომ აჰყვეს, მის ნებაზე მოიქცეს. *მეგობრებმა აიყოლიეს.*

**აყრა** *აყრის* (ა(ჰ)ყრის, აიყრის, აუყრის, აიყრება, აეყრება) 1. ბევრის აგდება. *ბავშვები სკამიდან აყარა.* 2. დაგებულის, აშენებულის ანგრევა, აშლა. *ლიანდაგი აყარეს.* 3. წართმევა, ჩამორთმევა. *იარაღი აჰყარეს. პატივი აჰყარეს.* 4. ვინმეს (ბევრის) იძულება, რომ საცხოვრებელი ადგილი დატოვოს და სხვაგან გადავიდეს. *მოსახლეობა სოფლიდან აყარეს.* ■ **აყრილი** ვინც ან რაც აყარეს, რაც აჰყარეს. *აყრილი იარაღი. აყრილი იატაკი.*

**აყროლება** *აყროლების* (ააყროლებს, აიყროლებს, აუყროლებს, აყროლდება, აუყროლდება) მყრალი სუნის ადენა. *ხორცი აყროლდა. აქაურობა ააყროლა.* ■ **აყროლებული** რაც ან ვინც აყროლდა. *აყროლებული მძორი.*

**აყუდება** *აყუდების* (ააყუდებს, აიყუდებს, აეყუდება) ვერტიკალურ საგანზე მიყრდნობა. *თოფი კედელზე ააყუდა. ბიჭი ხეს აეყუდა.* ■ **აყუდებული** რაც ან ვინც ააყუდეს ან აეყუდა. *აყუდებული ჯოხი.*

**აშარი** *აშარის* ბრაზიანი, ავი, კაპასი, ანჩხლი. *აშარი ქალი.*

**აშენება** *აშენების* (ააშენებს, აიშენებს, აუშენებს, აშენდება, აუშენდება, ააშენებინებს) 1. ნაგებობის, დასახლებული პუნქტისა და მისთ. შექმნა, გაკეთება. *სახლი ააშენა. ქალაქი აშენდა.* 2. საუბრ. გამდიდრება. *აშენდა კაცი!* ■ **აშენებული** რაც ააშენეს ან აშენდა. *აშენებული კედელი.*

**აშვება** *აშვების* (აიშვებს, აუშვებს, აეშვება, ააშვებინებს) 1. ზევით გაგზავნა ან ნების მიცემა, რომ ავიდეს. *ხილის ჩამოსატანად სხვენზე აუშვა. ბავშვები კიბე ზე არ აუშვეს.* 2. დაბმულის ახსნა, გათავისუფლება. *მეჯინიბემ ცხენი აუშვა.* 3. რაიმეზე დაჭერილი ხელის, ფეხის ან საგნის აღება, აწევა. *ღილაკს თითი აუშვა.*

**აშვერა** *აშვერის* (აიშვერს, აუშვერს, ააშვერინებს) ხელის, ფეხისა და მისთ. ზევით აწევა. *ხელები ჰაერში აიშვირა.* ■ **აშვერილი** რაც აიშვირეს. *აშვერილი რქები.*

**აშკარა** *აშკარას* ცხადი, დაუფარავი. *აშკარა ომი. აშკარა ლიდერები.* ▲ **აშკარად** ზმნზ. ნამდვილად, ცხადად, დაუფარავად. *აშკარად იგრძნობა. აშკარად ცრუობს.*

**აშლა** *აშლის* (აშლის, აიშლის, აუშლის, აიშლება, აეშლება, ააშლევინებს) 1. დაწყობილის, დალაგებულის არევა, აწენვა, ანგრევა. *ლოგინი აშალა. კარავი აშალეს.* 2. ბევრის ერთბაშად ადგომა, ადგილიდან დაძვრა, აყრა. *სტუმრები აიშალნენ. ფარა აიშალა. ჯარი აშალეს.* 3. ცხოველის ან ფრინველის ბუმბულისა და მისთ. აწევა. *ბალანი აეშალა.*

**აშლილობა** *აშლილობის* ნორმალური ფუნქციონირების დარღვევა. *ფსიქიკური აშლილობა. ნერვული აშლილობა.*

**აშმორება** *აშმორების* (ააშმორებს, აშმორდება) შმორის სუნის დადგომა, დაყენება. *გუბე აშმორდა.* ■ **აშმორებული** რაც აშმორდა. *აშმორებული პროდუქტი.*

**აშოლტილი** *აშოლტილის* მაღალი, მოხდენილი

ტანის მქონე, სწორად ამართული. *აშოლტილი ქალი. აშოლტილი ხეები.*

**აშრობა** *აშრობის* (ააშრობს, აშრება) სითხის აორთქლება ზედაპირიდან. *მზემ თოვლი ააშრო. რიყეზე წყალი აშრა. ქუჩები აშრა.*

**აშული** *აშულის* ძვ. პოეტი, რომელიც საჯაროდ გამოდის, საკრავზე უკრავს და მღერის თავის ლექსებს (ძირითადად მუსლიმურ ქვეყნებში). *აშულის ლექსები.*

**აშულური** *აშულურის* აშულისთვის დამახასიათებელი. *აშულური პოეზია.*

**აშფოთება** *აშფოთების* (ააშფოთებს, აშფოთდება) შფოთვის დაწყება. *მომხდარმა ყველა ააშფოთა.*

**აჩაბაჩა** ზმნზ. საუბრ. არეულ-დარეულად, დაულაგებლად. *აჩაბაჩა ლაპარაკობს.*

**აჩემება** *აჩემების* (აიჩემებს) 1. ახირება, დაჟინება. *გამგ ზავრება აიჩემა.* 2. იგივეა, რაც **ამოჩემება** (1). *სიმღერა აიჩემა.* 3. იგივეა, რაც **ამოჩემება** (2). *მეზობელმა ბიჭი აიჩემა.* ■ **აჩემებული** რაც ან ვინც აიჩემეს. *აჩემებული მელოდია.*

**აჩეჩა** *აჩეჩის* (აჩეჩს, აიჩეჩს, აიჩეჩება) აწეწვა, აბურდვა. *მატყლი აჩეჩა. თმა აეჩეჩა.* ■ **აჩეჩილი** რაც აჩეჩეს ან აიჩეჩა. *აჩეჩილი თივა.*

**აჩეხა** *აჩეხის* (აჩეხს, აიჩეხება) 1. იგივეა, რაც **გაჩეხა**. *ნაძვები აჩეხეს. ვაზი აჩეხა.* 2. ნაკუწებად ქცევა, დაკეპვა. *ხმლით აჩეხა.* ■ **აჩეხილი** რაც აჩეხეს. *აჩეხილი ტყე.*

**აჩი** შორისდ. შეძახილი თხის გასაგდებად.

**აჩიჩქნა** *აჩიჩქნის* (აჩიჩქნის, აიჩიჩქნება) მცირე ზომის საგნით ზედაპირულად ამოთხრა. *მიწა ჩხირით აჩიჩქნა.* ■ **აჩიჩქნილი** რაც აჩიჩქნეს. *გზა აჩიჩქნილი დატოვეს.*

**აჩრდილი** *აჩრდილის* 1. წარმოსახვითი გამოსახულება, მოჩვენება. *წინაპართა აჩრდილი. აჩრდილის შეეშინდა.* 2. იგივეა, რაც **ჩრდილი** (2). *ხის აჩრდილი. კაცის აჩრდილი.*

**აჩუ** შორისდ. შეძახილი ცხენის გასაგდებად.

**აჩუა** *აჩუას* ბავშვ. ცხენი. *აჩუა მინდა!*

**აჩქარება** *აჩქარების* (ააჩქარებს, აუჩქარებს, აჩქარდება, აუჩქარდება, ააჩქარებინებს) მოძრაობის ან მოქმედების სისწრაფის მომატება, უფრო ჩქარა გაკეთება. *ქალი აჩქარდა. ცხენები ააჩქარეს.*

**აჩქროლება** *აჩქროლების* (ააჩქროლებს, აუჩქროლებს, აუჩქროლდება) ჩქროლვის დაწყება. *გული აუჩქროლდა.*

**აჩხაბაჩხა** *აჩხაბაჩხას* 1. უსწორმასწორო, ულამაზო, უშნო. *აჩხაბაჩხა კბილები.* 2. ზმნზ. უშნოდ, უსწორმასწოროდ. *აჩხაბაჩხა წერია.*

**აცაბაცა** ზმნზ. არეულად, უწესრიგოდ, აქეთიქით. *აცაბაცა სიარული.*

**აცახცახება** *აცახცახების* (ააცახცახებს, აცახცახდება, აუცახცახდება) ცახცახის დაწყება. *სიცივისგან ააცახცახა. შეშინებული ქალი აცახცახდა.*

**აცდენა** *აცდენის* (ააცდენს, აიცდენს, ასცდება, აუცდება) 1. მოქნეულის ან ნასროლის სხვაგან დაცემა, მიზანში ვერ მორტყმა. *ბურთი კარს აცდინა. ტყვია ასცდა.* 2. მოსალოდნელი საფრთხის არიდება, თავის დაღწევა. *ხიფათს აცდინა. ჩხუბს ასცდა.*

**აცე** შორისდ. შეძახილი ვირის გასაგდებად.

**აცეტონი** *აცეტონის* ორგანული ნაერთი, უფერო სითხე, ფართოდ გამოიყენება ტექნიკაში. *აცეტონის სუნი.*

**აცვენა** *აცვენის* (ა(ს)ცვივდება) 1. ბევრის ავარდნა. *ბიჭები კიბეზე აცვივდნენ.* 2. დაკრულის, დამაგრებულის აძრობა, აცილება. *ფილები აცვივდა.*

**აცივება** *აცივების* (აცივდება) სიცივის დადგომა. *საღამოს აცივდა.*

**აცილება** *აცილების* (ააცილებს, აიცილებს, ასცილდება) 1. იგივეა, რაც **აცდენა** (1). *ისარი ააცილა.* 2. იგივეა, რაც **აცდენა** (2). *საფრთხე აიცილა.* 3. ასვლისას გაცილება. *ბოლო სართულამდე ააცილა.*

**აციცქნა** *აციცქნის* (აციცქნის, ააციცქნის, აიციცქნება) ძალიან პატარა ნაწილის აცლა. *ძვალს ხორცი ააციცქნა.*

**აცლა** *აცლის* (ააცლის, აიცლის, აეცლება) 1. ზედაპირიდან აძრობა, აგლეჯა. *ხეს ქერქი ააცალა.* 2. გადატ. მოულოდნელად ან შეუმჩნეველად აღება, მოპარვა, წართმევა. *ბურთი ცხვირწინ ააცალა. იარაღი ააცალეს.*

**აცმა** *აცმის* (ააცვამს) 1. ძაფზე, კანაფზე ან წვეტიან საგანზე აბნევა, წამოგება. *მწვადი შამფურზე ააცვა. ჩირი ძაფზე ააცვეს.* 2. რაიმეზე ასხმული ერთგვაროვანი საგნების ერთობლიობა. *გასაღებების აცმა. მარგალიტების აცმა.* ■ **აცმული** რაც ააცვეს. *ანკესზე აცმული ჭიაყელა.*

**აცოცება** *აცოცების* (ააცოცებს, აცოცდება) ცოცვით ასვლა. *მაგიდაზე აცოცდა.* ■ **აცოცებული** რაც ან ვინც აცოცდა. *ტოტზე აცოცებული ხოჭო.*

**აცრა** *აცრის* (აცრის, აიცრის, აუცრის, აიცრება, ააცრევინებს) ორგანიზმში სპეციალური ნივთიერების შეყვანა იმუნიტეტის ხელოვნურად გამომუშავების მიზნით. *პროფილაქტიკური აცრა. ბავშვები აცრეს.* ■ **აცრილი** ვინც აცრეს. *აცრილი ქათმები.*

**აცრემლებული** *აცრემლებულის* ვისაც ცრემლი მოსდის, მტირალი. *აცრემლებული გოგო.*

**აცრუება** *აცრუების* (აიცრუებს, აუცრუებს, აუცრუდება) ◉ გული **აუცრუვდება** სურვილს, ხალისს დაკარგავს.

**აცუნდრუკება** *აცუნდრუკების* (ააცუნდრუკებს, აცუნდრუკდება) არასერიოზულად, დაუფიქრებელად მოქცევა. *რამ აგაცუნდუკა?!* ■ **აცუნდრუკებ-**

ული ვინც აცუნდრუკდა. *ბავშვივით აცუნდრუკებული იყო.*

**აცურება** *აცურების* (ააცურებს, აცურდება, აუცურდება) 1. ცურვით ან ნელი მოძრაობით ასვლა. *გველი ხეზე აცურდა.* 2. მოლიპულ ზედაპირზე გასრიალება. *ფეხი აუცურდა.*

**აცხა** შორისდ. შეძახილი კატის დასაფრთხობად, გასაგდებად.

**აცხადება** *აცხადების* (აუცხადებს, აცხადდება, აუცხადდება) ნინასწარ ნათქვამის, ნაფიქრისა და მისთ. ცხადად ქცევა, ახდენა, ასრულება. *ოცნება აუცხადდა. მისი წინათგრძნობა აცხადდა.* ■ **აცხადებული** რაც აცხადდა. *აცხადებული სიზმარი.*

**აძაგძაგება** *აძაგძაგების* (ააძაგძაგებს, აძაგძაგდება) ძაგძაგის დაწყება. *სიცივემ აძაგძაგა. გოგო აძაგძაგდა.* ■ **აძაგძაგებული** ვინც ან რაც აძაგძაგდა. *წყლიდან აძაგძაგებული ამოვიდა.*

**აძაღლება** *აძაღლების* (აძაღლდება) ლანძღ. ძლიერ გაავება, ხასიათის გაფუჭება. *მოხუცი აძაღლდა.* ■ **აძაღლებული** ვინც აძაღლდა. *აძაღლებული ქალი.*

**აძგერება** *აძგერების* (აუძგერებს, აძგერდება, აუძგერდება) ძგერის დაწყება. *გული აუძგერდა.*

**აძვრენა** *აძვრენის* (ააძვრენს) ქვევიდან ზევით ძრომით აყვანა, ატანა. *სახურავზე ააძვრინა.*

**აძრობა** *აძრობის* (ააძრობს, აიძრობს, ასძვრება) ზედაპირიდან ძალით აცლა. *კონვერტს მარკები ააძრო. კანი ასძვრა. ცხენს ნალი ასძვრა.*

**აძრომა** *აძრომის* (აძვრება) ძრომით, ხოხვით ასვლა. *ხეზე აძვრება. ბავშვი მაგიდაზე აძვრა.*

**აწ** ზმნზ. ნიგნ. ამ დროისთვის, ამჟამად. *აწ განსვენებული.* ◌ **აწ და მარადის** სამუდამოდ, სამარადისოდ.

**აწაპნა** *აწაპნის* (ასწაპნის) საუბრ. ვინმესთვის ჩუმად, შეუმჩნეველად აცლა, მოპარვა. *ბიჭმა ქალს საფულე ასწაპნა.*

**აწევა** *აწევის* (ასწევს, აიწევს, აუწევს, აიწევა, აეწევა, ააწევინებს) 1. აჭიმვა, აზიდვა. *შვილს წინდები აუწია. ფარდა აიწია. ყური აუწია.* 2. აშვერა, ამართვა. *ხელი ასწია. ფეხის წვერებზე აიწია. წარბი ასწია.* 3. სიმძიმის ან დაბლა დადებულის აღება, აზიდვა. *სკამი ასწია. ჩანთა ასწია.* 4. რაოდენობის, ზომისა და მისთ. მომატება, გაზრდა. *სიცხემ აუწია. ყველაფრის ფასმა აინია. მისმა რეიტინგმა აინია.* ■ **აწეული** რაც აიწიეს ან აინია. *აწეული თმა. აწეული კალთა.*

**აწევ-დაწევა** *აწევ-დაწევის* (ასწევ-დასწევს) აწევა და დაწევა. *შლაგბაუმის აწევა-დაწევა.*

**აწენა** *აწენის* (აწენს, აიწენს, აუწენს, აიწენება, აეწენება, ააწენინებს)||აწენვა.

**აწენვა** *აწენვის* (აწენავს, აიწენავს, აუწენავს, აიწენება, აეწენება, ააწენვინებს) 1. აბურდვა, დახლართვა, ერთმანეთში არევა. *ძაფი აიწენა. თმა აეწენა.* 2. გადატ. დალაგებულის არევა. *საქმე აეწენა.* ■ **აწეწილი** რაც აწენეს ან აიწენა. *აწეწილი ფაფარი.*

**აწვა** *აწვის* (ასწვავს, აუწვავს, აიწვება, აეწვება) წვის, სიმხურვალის შეგრძნება, დაწვა (3). *კვამლმა თვალები აუწვა. ყინვისგან ყურები აეწვა.*

**აწვდა** *აწვდის* (აიწვდის) ზევით აწევა, აშვერა. *ხელებს აიწვდის.*

**აწვდენა** *აწვდენის* (ააწვდენს) ქვევიდან ზევით მიწვდენა. *ხმა ძლივს ააწვდინა.*

**აწვდომა** *აწვდომის* (ასწვდება) აწვდენა. *ტოტს ასწვდა.*

**აწითლება** *აწითლების* (ააწითლებს, აუწითლებს, აწითლდება, აუწითლდება) ოდნავ გაწითლება. *ყურები აუწითლდა.* ■ **აწითლებული** ვინც ან რაც აწითლდა. *აწითლებული ლოყები.*

**აწიოკება** *აწიოკების* (ააწიოკებს, აუწიოკებს, აწიოკდება) დარბევა, აკლება. *მელამ ქათმები ააწიოკა.* ■ **აწიოკებული** ვინც ან რაც ააწიოკეს. *აწიოკებული ხალხი.*

**აწინკნა** *აწინკნის* (ააწინკნის, აიწინკნის, აიწინკნება, აეწინკნება) წინკნით აცლა, აგლეჯა. *თმა ააწინკნა.*

**აწმყო** *აწმყოს* ახლანდელი, ამჟამინდელი დრო. *აწმყო და მომავალი.*

**აწონა** *აწონის* (აწონის, აიწონის, აუწონის, აიწონება, ააწონინებს) წონის დადგენა სასწორის საშუალებით. *ხილი აწონეს. ხორცი აუწონა.* ■ **აწონილი** რაც აწონეს. *აწონილი პროდუქტი.*

**აწრიალება** *აწრიალების* (ააწრიალებს, აწრიალდება) შეშფოთება, აფორიაქება. *ავადმყოფი ლოგინში აწრიალდა. ამ ამბავმა ყველა ააწრიალა.* ■ **აწრიალებული** ვინც აწრიალდა. *აწრიალებული ქალი.*

**აწურვა** *აწურვის* (აიწურავს, აიწურება) უხერხულობისგან მობუზვა, დარცხვენა. *მონაფე აიწურა.*

**აწყდომა** *აწყდომის* (ააწყდება, ასწყდება) აწყვეტა. *კაბას ღილი ასწყდა.*

**აწყვა** *აწყვის* (აწყავს) სითხის ან მარცვლეულის რაოდენობის განსაზღვრა საწყაოს საშუალებით. *ღვინის აწყვა. სიმინდი აწყეს.*

**აწყვეტა** *აწყვეტის* (ა(ს)წყვეტს, ააწყვეტს, აიწყვეტს) 1. დაკერებულის, დამაგრებულის ძალით აძრობა. *ქურთუკს ღილები ააწყვიტა.* 2. დაბმულის თავისით აშვება, გათავისუფლება. *ძაღლმა აიწყვიტა.* ■ **აწყვეტილი** რაც ააწყვიტეს ან რამაც (ვინც) აიწყვიტა. *აწყვეტილი ჯაჭვი.*

**აწყობა** *აწყობის* (ააწყობს, აუწყობს, აეწყობა) 1. ცალკეული ნაწილების შეერთებით რაიმეს შექმნა, აგება. *მაკეტი ააწყო.* 2. საკრავის ხმების გასწორება სიმების ან სხვა ნაწილების მოშვებითა და მოჭერით. *პიანინო ააწყო.* 3. იგივეა, რაც შეწყო-

ბა. *სხვენში ააწყო.* 4. საუბრ. ორგანიზება, მოგვარება. *მუშაობა ააწყვეს. ცხოვრება ვერ ააწყო.* ■ აწყობილი რაც ააწყვეს. *აწყობილი გიტარა.*

აჭარხლება *აჭარხლების* (აჭარხლდება, აუჭარხლდება) განითლება ძლიერი განცდის გამო. *სიბრაზისგან აჭარხლდა. სახე აუჭარხლდა.* ■ აჭარხლებული ვინც ან რაც აჭარხლდა. *აჭარხლებული ლოყები.*

აჭიმი *აჭიმის* შარვლის სათავის დამჭერი, მხარზე გადასაჭიმი რეზინიანი ნაჭრის ზოლი. *აჭიმი დაიმაგრა.*

აჭიმი

აჭიჭყნა *აჭიჭყნის* (აჭიჭყნის, აიჭიჭყნება) უშნოდ აზელა, არევა. *ყველი აჭიჭყნა.*

აჭრა *აჭრის* (ა(ს)ჭრის, ააჭრის, აიჭრის, აუჭრის, აიჭრება, აეჭრება, ააჭრეინებს) 1. მჭრელი იარაღით აცლა, მოშორება, მოკვეთა. *ხეს ტოტი აჭრა. კაბას ღილი აჭრა.* 2. დიდი სისწრაფით მაღლა ასვლა. *თვითმფრინავი ცაში აიჭრა. პოლიციელები მატარებელში აიჭრნენ.* 3. რძის ან რძის პროდუქტის არაერთგვაროვან მასად ქცევა. *რძე აიჭრა.* ■ აჭრილი რაც აჭრეს ან აიჭრა. *აჭრილი კრემი.*

აჭრელება *აჭრელების* (ააჭრელებს, აუჭრელებს, აჭრელდება, აუჭრელდება) სხვადასხვა ფერად შეღებვა, ჭრელად ქცევა. *ნაბატი ააჭრელა.* ■ აჭრელებული რაც ააჭრელეს ან აჭრელდა. *აჭრელებული ველ-მინდორი.*

ახ შორისდ. გამოხატავს დანანებას, გაკვირვებას ან ნატვრას. *ახ, როგორ ვერ მივხვდი! ახ, თქვენ ისევ აქა ხართ?! ახ, ნეტავ, ერთად ვიყოთ!*

ახალბედა *ახალბედას* ვისაც საქმიანობა ახალი დაწყებული აქვს. *ახალბედა ექიმი. ახალბედა დიასახლისი.*

ახალგაზრდა *ახალგაზრდის* 1. ზრდასრული ადამიანი შუახნის ასაკამდე (უპირატესად ვაჟი). *ახალგაზრდის ნამუშევარი. ახალგაზრდებმა მონაწილეობა მიიღეს.* 2. ახალგაზრდობის ასაკში მყოფი. *ახალგაზრდა მშობლები.* 3. გადატ. ახლად შექმნილი, ახლად ჩამოყალიბებული. *ახალგაზრდა სახელმწიფო.*

ახალგაზრდობა *ახალგაზრდობის* 1. ახალგაზრდად ყოფნის პერიოდი. *ახალგაზრდობა გავიდა. ახალგაზრდობის წლები.* 2 (კრებ.) ახალგაზრდები, მოზარდთა და მოწიფულთა თაობა. *თანამედროვე ახალგაზრდობა.* ▲ ახალგაზრდულად ზმნზ. ახალგაზრდის მსგავსად. *ახალგაზრდულად იცვამს.*

ახალგაზრდული *ახალგაზრდულის* 1. ახალგაზრდის დამახასიათებელი, შესაფერისი. *ახალგაზრდული შემართებით.* 2. ახალგაზრდებისგან შემდგარი. *ახალგაზრდული ანსამბლი.* 3. ახალგაზრდებისთვის განკუთვნილი. *ახალგაზრდული გაზეთი.*

ახალთახალი *ახალთახლის* ძალიან ახალი, სულ მთლად ახალი. *ახალთახალი მანქანა. ახალთახალი ფეხსაცმელი.*

ახალი *ახლის* აქამდე არარსებული, ახლახან შექმნილი, ახლახან შეძენილი. *ახალი კოლექცია. ახალი სახელმძღვანელო. ახალი მეგობრები.* ↔ ძველი.

ახალუხი



ახალუხი *ახალუხის* ჩოხის ქვეშ ჩასაცმელი, წელში გამოყვანილი სამოსელი. *ატლასის ახალუხი.*

ახალფეხადგმული *ახალფეხადგმულის* 1. ვინც ფეხი ახლახან აიდგა. *ახალფეხადგმული ბავშვი.* 2. გადატ. ახლახან შექმნილი. *ახალფეხადგმული ორგანიზაცია.*

ახალშენი *ახალშენის* 1. ახლად ჩაყრილი, გაშენებული. *ახალშენი ვენახი.* 2. ადგილი, რომელზეც მოსახლეობა ახალი დასახლებულია. *სანაპიროზე ახალშენები გაჩნდა.* 3. დამპყრობელი ხალხის დასახლება დაპყრობილი ქვეყნის ტერიტორიაზე. *ბერძნული ახალშენები.*

ახალშობილი *ახალშობილის* ბავშვი, რომელიც ახლახან დაიბადა. *ახალშობილის კვება.*

ახალწელიწადი *ახალწელიწადის* წლის პირველი დღე, პირველი იანვარი. *გილოცავთ ახალწელიწადს! ახალწელიწადს ვარ დაბადებული.*

ახალწვეული *ახალწვეულის* არმიაში ახალი გაწვეული. *ეს ჯარისკაცები ახალწვეულები არიან.*

ახაჭოება *ახაჭოების* (ახაჭოვდება) ხაჭოდ ქცევა. *რძე ახაჭოვდა.* ■ ახაჭოებული რაც ახაჭოვდა. *ახაჭოებული დო.*

ახდა *ახდის* (ახდის, აიხდის, აუხდის, აიხდება, აეხდება, აახდევინებს) 1. თავსახურის, ხუფისა და მისთ. აცლა. *სარქველი ახადა. ქვევრს თავი ახადეს.* 2. ჩამოფარებულის აწევა. *ფარდის ახდა. პირბადე აიხადა.* ■ ახდილი რაც ახადეს. *ახდილი სახურავი.*

ახდენა *ახდენის* (აიხდენს, აუხდენს) სურვილის, წინასწარ ნათქვამის, ნაფიქრისა და მისთ. ასრულება, აცხადება. *ნატვრა აიხდინა.* ■ ახდენილი რაც ახდა. *ახდენილი სურვილები.*

ახდომა *ახდომის* (აუხდება) ახდენა. *სურვილი აუხდა. ნატვრა აუხდა.*

ახედ-დახედვა *ახედ-დახედვის* (ახედ-დახედავს) თავიდან ბოლომდე დათვალიერება, დაკვირვებით შეხედვა. *მგ ზავრს ახედ-დახედა.*

ახედვა *ახედვის* (ახედავს, აიხედავს) ქვევიდან ზევით თვალის მიპყრობა. *ცას ახედა. მაღლა აიხედა.*

ახევა *ახევის* (აახევს, აუხევს, აიხევა, აეხევა) 1. ზედაპირიდან ძალით აცლა, აგლეჯა. *კედელს შპალერი*

*აახიეს.* 2. *ჟარგ.* წართმევა, თვალწინ აცლა. *ფული აახიეს. შეყვარებული აახია.*

**ახელა** *ახელის* (აახელს, აუხელს, აეხილება, აახელინებს) იგივეა, რაც გახელა. *ლეკვებს თვალი აეხილათ.*

**ახვევა** *ახვევის* (აახვევს, აიხვევს, აუხვევს, აიხვევა, აეხვევა) 1. ქვევიდან ზევით შემოხვევა, აკვრა. *ყბა აიხვია. თვალები აუხვია.* 2. სიარულისას, მოძრაობისას ზევით შეხვევა. *სახლისკენ აუხვია. მანქანამ სადგურთან აუხვია.* ■ **ახვეული** რაც აიხვიეს. *ახვეული თვალები.*

**ახვეტა** *ახვეტის* (ახვეტს, აიხვეტება) მოხვეტა და აღება. *კიბიდან თოვლი ახვეტა.*

**ახილება** *ახილების* (აახილებს) იგივეა, რაც ახელა. *თვალს აახილებს.*

**ახირება** *ახირების* (აიხირებს, ახირდება, აუხირდება) დაჟინება, ამოჩემება, აკვიატება. *ზღვა ზე წასვლა აიხირა.*

**ახირებული** *ახირებულის* 1. ჯიუტი, თავნება. *ახირებული კაცი.* 2. რაც აიხირეს, დაიჟინეს. *წასვლა აქვს ახირებული.* 3. უცნაური, თავისებური. *ახირებული ხასიათი.*

**ახლა** ზმნზ. იმ დროს, როდესაც საუბარი მიმდინარეობს, ამჟამად. *ახლა გვიანია. ახლა არ მცალია.*

**ახლა** ზმნზ. ამ წუთში, უცბად, დაუყოვნებლივ. *ახლავე მოვალ.*

**ახლანდელი** *ახლანდელის* ახლა, ამჟამად არსებული. *ახლანდელი მდგომარეობა.*

**ახლახან** ზმნზ. სულ ცოტა ხნის წინ. *ახლახან გავიგე.*

**ახლებური** *ახლებურის* ახალი ვითარების შესაბამისი, თანამედროვე. *ახლებური მიდგომა.*

**ახლეჩა** *ახლეჩის* (ახლეჩს, აახლეჩს, აიხლიჩება, აეხლიჩება) ძალით აცლა, აძრობა, აგლეჯა. *ტოტი აახლიჩა.*

**ახლო** *ახლოს* I. მცირე მანძილით დაშორებული. *ახლო მოსახლე.* 2. მცირე დროით დაშორებული. *ახლო წარსული. ახლო მომავალში.* 3. იგივეა, რაც **ახლობელი**. *ახლო მეგობარი. ახლო ნათესავი.* 4. ზმნზ. იგივეა, რაც ახლოს. *ახლო მივიდა.*

**ახლო-ახლო** ზმნზ. ერთმანეთთან მცირე მანძილის დაშორებით. *ახლო-ახლო დასხდნენ. ახლო-ახლო დარგეს.*

**ახლობელი** *ახლობლის* I. ვინმესთან ძალიან დაახლოებული. *ახლობელი ადამიანი.* 2. ნათესავი, მეგობარი, მოკეთე. *ახლობლების წრე.*

**ახლობლური** *ახლობლურის* რაც ახლობელს ახასიათებს, შეეფერება. *ახლობლური დამოკიდებულება.* ▲ **ახლობლურად** ზმნზ. როგორც ახლობელს შეეფერება. *ახლობლურად მომიკითხა.*

**ახლომახლო** *ახლომახლოს* I. მცირე მანძილით დაშორებული. *ახლომახლო დასახლება.* 2. ზმნზ. ახლოს, იქვე. *ახლომახლო არავინ ეგულებოდა.*

**ახლომხედველი** *ახლომხედველის* ვინც შორს კარგად ვერ ხედავს. *ბავშვი ახლომხედველია.*

**ახლომხედველობა** *ახლომხედველობის* მხედველობის დეფექტი, როდესაც შორ მანძილზე საგნების დანახვა, გარჩევა უჭირთ. *ახლომხედველობის დიაგნოზი დაუსვეს.*

**ახლოს** ზმნზ. მცირე მანძილის დაშორებით. *სახლთან ახლოს.* ↔ შორს.

**ახმახი** *ახმახის* მაღალი, უშნო აგებულების მქონე. *ახმახი კაცი.*

**ახმიანება** *ახმიანების* (აახმიანებს, ახმიანდება) იგივეა, რაც ახმაურება. *ქუჩა ახმიანდა. დამსვენებლებმა იქაურობა აახმიანეს.*

**ახო** *ახოს* ტყის გაჩეხვის შედეგად მიღებული საყანე ადგილი. *ახო მოხნეს.*

**ახოვანი** *ახოვნის* მაღალი, მოხდენილი აგებულების მქონე, წარმოსადეგი. *ახოვანი მამაკაცი.*

**ახოხება** *ახოხების* (აახოხებს, ახოხდება) ხოხვით ასვლა. *ძლივს ახოხდა.*

**ახსნა**[1] *ახსნის* (ახსნის, აიხსნის, აეხსნება) I. დაბმულის აშვება, განთავისუფლება. *ძაღლი ახსნეს.* 2. მოცილება, მოხსნა. *ბორკილები ახსნეს. ლუქი ახსნა.*

**ახსნა**[2] *ახსნის* (ახსნის, აუხსნის, აიხსნება, აეხსნება, აახსნევინებს) განმარტება, ვინმესთვის გასაგებად თქმა. *გაკვეთილის ახსნა. მიზეზი აუხსნა.*

**ახსნა-განმარტება** *ახსნა-განმარტების* შინაარსის, მნიშვნელობის ან დანიშნულების მარტივად გადმოცემა უკეთ გაგების მიზნით. *ახსნა-განმარტებას ითხოვს.*

**ახტაჯანა** *ახტაჯანას* საუბრ. ცელქი, მოუსვენარი და თამამი. *ახტაჯანა გოგო. შე ახტაჯანა, შენა!*

**ახტომა** *ახტომის* (ახტება, აახტება) ხტომით ქვევიდან ზევით გადაადგილება. *სკამზე ახტა.*

**ახუნტრუცება** *ახუნტრუცების* (აახუნტრუცებს, ახუნტრუცდება) ხუნტრუცის დაწყება. *ბავშვივით ახუნტრუცდა.* ■ **ახუნტრუცებული** ვინც ახუნტრუცდა. *ახუნტრუცებული იყო.*

**ახურება** *ახურების* (ახურდება) პირუტყვის სქესობრივი აგზნება დამაკების წინ. *ძროხა ახურდა.* ■ **ახურებული** რაც ახურდა. *ახურებული პირუტყვი.*

**აჯამი** *აჯამის* საუბრ. სულელი, უცოდინარი. *აჯამი ბიჭი.*

**აჯანყება** *აჯანყების* (ააჯანყებს, აუჯანყებს, აჯანყდება, აუჯანყდება) მასობრივი შეიარაღებული გამოსვლა ვინმეს წინააღმდეგ. *აჯანყება ჩაახშეს. გლეხობა აჯანყდა.* ■ **აჯანყებული** ვინც აჯანყდა. *აჯანყებული ხალხი.*

**აჯაფსანდალი** *აჯაფსანდლის* ბადრიჯნის, პამიდ-

ერის, ხახვის, კარტოფილისა და მწვანილისგან მომზადებული კერძი.

**აჰ** შორისდ. 1. გამოხატავს დანანებას ან ნატვრას. *აჰ, როგორ არ დარჩი ჩვენთან! აჰ, ნეტა, მეც წამიყვანოს!* 2. გამოხატავს გაკვირვებას, აღტაცებას. *აჰ, რა ლამაზია!*

**აჰა** ნაწილაკ. გამოიყენება ვინმესადმი მიმართვისას რაიმეს მიცემის, მიწვდის დროს. *აჰა, შენი წიგნი! აჰა, გამომართვი!*

# – ბ –

**ბაასი** *ბაასის* (ბაასობს, ებაასება) მშვიდი, წყნარი საუბარი. *ტკბილად ბაასობენ. დიდხანს ებაასა.*

**ბაბანი** *ბაბანის* (ბაბანებს, აბაბანებს) კანკალი, თრთოლა. *სიცივისგან ბაბანი დაიწყო. ბავშვს აბაბანებს.*

**ბაბუა** *ბაბუის* იგივეა, რაც პაპა. *ბაბუა და შვილიშვილი.* ▪ **ბაბუაშენი** შენი ბაბუა. ▪ **ბაბუაჩემი** ჩემი ბაბუა. ☼ **დიდი ბაბუა** ბაბუის ან ბებიის მამა. ⊙ **თოვლის ბაბუა** თოვლის პაპა.

**ბაბუანვერა** *ბაბუანვერას* მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარე, აქვს უფოთლო ღრუ, რძიანი ღერო და ყვითელი ყვავილები, რომლებიც გადაიქცევა ბურთულასავით შეკრულ მფრინავე თესლებად.

ბაბუანვერა

**ბაგა** *ბაგის* პირუტყვის სადგომში საკვების (ჩალის, თივის) ჩასაყრელი ადგილი, უმეტესად წნულით ან ფიცრებით შეკრული. *ძროხა ბაგაზე აბია.*

**ბაგაბუგი** *ბაგაბუგის* I. დარტყმის ყრუ ხმა. *სცენაზე ბაგაბუგი ატყდა. უროს ბაგაბუგი ისმის.* 2. აჩქარებული გულისცემის ხმა. *გულს ბაგაბუგი გააქვს.*

**ბაგაჟი** *ბაგაჟის* მგზავრის ბარგი, შეფუთული ნივთები მატარებლით, გემით, თვითმფრინავითა და მისთ. გადასატანად. *ბაგაჟი ჩაარეს.*

**ბაგე** *ბაგის* იგივეა, რაც ტუჩი. *ვნებიანი ბაგეები.*

**ბაგირი** *ბაგირის* I. მსხვილი თოკი. *ბაგირით შეკრეს. ბაგირზე ცოცვა.* 2. ფოლადის მავთულების წნული. *ხიდზე ბაგირებია გაჭიმული.*


ბაგირი

**ბაგუნი** *ბაგუნის* (ბაგუნობს, უბაგუნებს) I. მძიმე საგნის დარტყმა. *უროს უბაგუნებს.* 2. ბაგუნისას (I) გამოცემული ხმა. *ბაგუნი ისმის.*

**ბადაგი** *ბადაგის* ყურძნის მოდუღებული წვენი, რომლისგანაც მზადდება თათარა. *ბადაგი მოადუღა. ბადაგივით ტკბილი.*

**ბადალი** *ბადლის* შესაფერისი, მსგავსი. *მისი ბადალი არავინაა.*

**ბადახში** *ბადახშის* საუკეთესო ხარისხის ლალი. *ბადახშის ბეჭედი.*

**ბადე** *ბადის* I. თევზის საჭერი მოწყობილობა, რომელიც თანაბარი სიდიდის უჯრედებად იქსოვება სქელი ძაფის ან კანაფისგან. *ბადე ისროლა.* 2. კანაფისგან, ლითონისგან ან სხვა მასალისგან უჯრედებად ნაქსოვი სხვადასხვა დანიშნულების მოწყობილობა. *კალათბურთის ბადე. რკინის ბადე.*


ბადე

**ბადება*** *ბადების* (ბადებს, იბადება, ებადება, აბადია) I. ↑ **დაბადება.** *ეს ამბავი კითხვებს ბადებს.* 2. რაიმეს ქონა (ძირითადად გამოიყენება უარყოფით კონტექსტში). *არაფერი აბადია.*

**ბადე-ბადე** ზმნზ. ბადისებურად, უჯრა-უჯრა. *ბადე-ბადე ნაქსოვი.*

**ბადექონი** *ბადექონის* ქონის ბადისებური ფენა, რომელიც მუცელში შიგნეულზეა შემოხვეული. *ხორცი ბადექონში გაახვია.*

**ბადმინტონი** *ბადმინტონის* სპორტული თამაში – მოთამაშეები ჩოგნით ისვრიან ვოლანს მაღლა გაჭიმული ბადის აქეთ-იქით. *ბადმინტონის ტურნირი.* შეცდომაა ბადმინგტონი.


ბადმინტონი

**ბადრაგი** *ბადრაგის* შეიარაღებული პირი ან რაზმი, რომელსაც ევალება ვინმეს ან რაიმეს გარკვეულ ადგილამდე გაყოლა დაცვის მიზნით. *ბადრაგის თანამშრომელი.*

**ბადრი** *ბადრის* სავსე, სრული (ამბობენ მთვარეზე).

**ბადრიჯანი** *ბადრიჯნის* ერთწლოვანი ფართოფოთლებიანი ბოსტნეული, აქვს მსხვილი, ჩვეულებრივ, მოგრძო ნაყოფი მუქი იისფერი


ბადრიჯანი

კანით და თეთრი შიგთავსით. *ნიგვზიანი ბადრიჯანი.*

**ბავშვი** *ბავშვის* ადამიანი დაბადებიდან ზრდის დასრულებამდე. *ცელქი ბავშვი. განებივრებული ბავშვი. ბავშვივით მიამიტი.* ▪ **ბავშვიანი** ვისაც ბავშვი ჰყავს. *ბავშვიანი ქალი.*

**ბავშვობა** *ბავშვობის* ბავშვად ყოფნის პერიოდი. *ბავშვობის წლები. ბავშვობის მოგონება.*

**ბავშვური** *ბავშვურის* ბავშვისთვის დამახასიათებელი, ბავშვის მსგავსი. ▲ **ბავშვური** ბავშვური ოცნებები. ბავშვის მსგავსად, ბავშვივით. *ბავშვურად იქცევა.*

**ბაზა** *ბაზის* 1. რაიმეს საფუძველი. *საწარმოო ბაზა. მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.* 2. კონკრეტული დანიშნულებისთვის სათანადოდ აღჭურვილი ტერიტორია. *სამხედრო ბაზა. საავიაციო ბაზა.* 3. სხვადასხვა მასალის ან საქონლის მთავარი საწყობი. *ნავთობის ბაზა. სასურსათო ბაზა.* ⊙ **მონაცემთა ბაზა** კომპიუტერში არსებული გარკვეული მონაცემების, ინფორმაციის ორგანიზებული ერთობლიობა.

**ბაზალტი** *ბაზალტის* რკინის შემცველი მუქი ფერის ეულკანუ რი ქანი, იყენებენ ნაგებობათა მოსაპირკეთებლად. *ბაზალტის ფილები.*

**ბაზარი** *ბაზრის* 1. სხვადასხვა სახის საქონლით ვაჭრობისთვის განკუთვნილი ვრცელი ადგილი ან დიდი ნაგებობა. *სასურსათო ბაზარი. ბაზრის გამყიდველი.* 2. საქონელბრუნვის არეალი. *შიდა ბაზარი. მსოფლიო ბაზარი.*

**ბაზიერი** *ბაზიერის* პირი, რომელიც სანადირო ფრინველებს (მიმინოს, ქორს, შევარდენს) გეშავს.

**ბაზილიკა** *ბაზილიკის* უგუმბათო ეკლესია გვერდებზე დახრილი სახურავით. *სამნავიანი ბაზილიკის რესტავრაცია.*

**ბაზისი** *ბაზისის* 1. რაიმეს საწყისი, საფუძველი, საძირკველი. *ეკონომიკური ბაზისი.* 2. სვეტის ქვედა, უფრო მსხვილი ნაწილი.

**ბაზისური** *ბაზისურის* ძირითადი. *ბაზისური ცოდნა.*

**ბაზრობა**[1] *ბაზრობის* გარკვეულ ადგილას გამართული ერთჯერადი ან მუდმივმოქმედი ვაჭრობა. *მანქანების ბაზრობა. წიგნის ბაზრობა. ბაზრობა მოეწყო.*

**ბაზრობა**[2] *ბაზრობის* (ბაზრობს, ებაზრება) ყარგ. ბევრი ლაპარაკი, ლაყბობა. *უბნის ბიჭებს ებაზრება.*

**ბათილი** *ბათილის* გაუქმებული, ძალადაკარგული (დოკუმენტი). *ბათილი საარჩევნო ბიულეტენები. ბათილად ცნეს.*

**ბათისკაფი** *ბათისკაფის* ზღვის სიღრმეების გამოსაკვლევი ჭურვი.

**ბათმანი** *ბათმანის* 1. მარცვლეულის ან ფქვილის საწყაო ერთეული, უდრის დაახლოებით ნახევარ ფუთს. *ერთი ბათმანი სიმინდი.* 2. ბათმანის (1) ზომის ჭურჭელი.

**ბათქაბუთქი** *ბათქაბუთქის* სროლის, სკდომის, დარტყმისა და მისთ. ხმა. *თოფების ბათქაბუთქი ატყდა.*

**ბათქაში** *ბათქაშის* კედლის, ჭერის ან რაიმე ზედაპირის მოსაპირკეთებელი ხსნარი. *ბათქაშით გალესეს.*

**ბაია**[1] *ბაიას* მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარე, აქვს პრიალა ყვითელი ყვავილები, იზრდება ტენიან ადგილებში.

**ბაია**[2] *ბაიას* ბავშვ. მცირეწლოვანი ბავშვი. *ბაიას მიეფერა!*

**ბაია**[3] *ბაიის* იგივეა, რაც გუგა. *თვალის ბაია.*

**ბაიათი** *ბაიათის* 1. აღმოსავლური სასიმღერო ლექსი, რომლის სტროფი ოთხი შვიდმარცვლიანი ტაეპისგან შედგება. *სპარსული ბაიათი.* 2. ლექსი, რომლის თითოეული ტაეპი შვიდმარცვლიანია. *ბაიათის კითხულობს.*

**ბაიბური** *ბაიბურის* ⊙ **ბაიბური არ ისმის** სრული სიჩუმეა. ⊙ **ბაიბურში არ არის** არაფერი გაეგება.

**ბაიდარი** *ბაიდარის* ვიწრო და მსუბუქი სპორტული ერთ- ან ორადგილიანი ნავი.

**ბაირაღი** *ბაირაღის* 1. სამხედრო დროშა. *მტრის ბაირაღი.* 2. საეკლესიო დროშა მაცხოვრის, ღვთისმშობლის ან წმინდანთა გამოსახულებით. *წმინდა გიორგის ბაირაღები გამოფინეს.*

**ბაიტი** *ბაიტის* ინფორმაციის მოცულობის საზომი ერთეული, უდრის 8 ბიტს.

**ბაიყუში** *ბაიყუშის* 1. დიდი ბუ. *ბაიყუში ხეზე შემოჯდა.* 2. გადატ. უხასიათო, უჟმური ადამიანი. *ეს ბაიყუში ვინ არის?!*

**ბაკალავრი** *ბაკალავრის* ბაკალავრიატის კურსდამთავრებული. *ბაკალავრის დიპლომი.*

**ბაკალავრიატი** *ბაკალავრიატის* ორსაფეხურიანი უმაღლესი განათლების პირველი საფეხური. *ბაკალავრიატის სტუდენტი.*

**ბაკანი** *ბაკნის* 1. რქოვანი საფარი კუს ზურგზე. *კუ ბაკანში შეიმალა.* 2. ხის დიდი ჯამი. *ერბოს ბაკანში ინახავენ.*

**ბაკენბარდი** *ბაკენბარდის* ლოყებზე დატოვებული და ნიკაპზე მოპარსული წვერი. *ბაკენბარდები მოუშვა.* ▪ **ბაკენბარდიანი** ბაკენბარდის მქონე. *ბაკენბარდიანი მამაკაცი.*

**ბაკი**[1] *ბაკის* პირუტყვის დასამწყვდევი უსახურავო, შემოღობილი ადგილი. *საქონლის ბაკი. ცხვრის ბაკი.*

**ბაკი**[2] *ბაკის* იგივეა, რაც ავზი. *პლასტმასის ბაკი. წყლის ბაკი.*

**ბაკიბუკი** *ბაკიბუკის* მყარ ზედაპირზე მაგარი რაიმეს (ფეხსაცმლის, ჩლიქებისა და მისთ.) ცემის ხმა. *თხების ბაკიბუკი. ქუსლების ბაკიბუკი.*

**ბაკმი** *ბაკმის* მკრთალი შუქის რკალი მთვარის ან მზის ირგვლივ.

**ბაკუნი** *ბაკუნის* (ბაკუნობს, აბაკუნებს, უბაკუნებს) ბაკიბუკით სიარული. *ქუსლების ბაკუნით დადის. ეზოში თხა ბაკუნობს.*

**ბაკქანალია** *ბაკქანალიის* თავაშვებული, ზღვარგადასული დროსტარება. *რა ბაკქანალიაა?!* შეცდომაა ბაკხანალია; ვაკხანალია.

**ბალაგანი** *ბალაგანის* 1. იაფფასიანი გასართობი სანახაობა, წარმოდგენა. *ბალაგანი მოაწყვეს.* 2. ძვ. დროებითი ნაგებობა სანახაობის გასამართად.

**ბალადა** *ბალადის* 1. ზღაპრული ან ისტორიული სიუჟეტის მქონე ლექსი. *ხალხური ბალადა.*

**ბალავარი** *ბალავრის* მიწის ქვეშ ამოყვანილი ნაწილი, რომელსაც ეყრდნობა ნაგებობა. *მტკიცე ბალავარი. ქვის ბალავარი.*

**ბალამწარა** *ბალამწარას* ტყის ბალი, ისხამს წვრილ, მწარე ნაყოფს, საჭმელად უვარგისია.

**ბალანი** *ბალნის* 1. ცხოველის ბეწვი. *კატის ბალანი.* 2. თმა ადამიანის ტანზე. *ზურგი ბალნით აქვს დაფარული.* ■ **ბალნიანი** ბალნით დაფარული. *ბალნიანი ხელები.*

**ბალანსი** *ბალანსის* შემოსვლისა და გასვლის აღრიცხვა დროის გარკვეულ მონაკვეთში. *წლიური ბალანსი. ბალანსის შეადგინა.*

**ბალასტი** *ბალასტის* 1. ჭარბი ტვირთი, რომელიც წონასწორობის, მდგრადობის შენარჩუნებას უზრუნველყოფს. *წყლის ბალასტი.* 2. გადატ. უსარგებლო რამე. *დანესებულების ბალასტი. სამშენებლო ბალასტი.*

**ბალახბულახი** *ბალახბულახის* უვარგისი ბალახი. *ბალახბულახი მოკრიფა.*

**ბალახეული** *ბალახეულის* სხვადასხვა სახის ბალახი. *ბალახეულის ნაყენი.*

**ბალახეულობა** *ბალახეულობის* იგივეა, რაც ბალახეული. *სამკურნალო ბალახეულობა.*

**ბალახი** *ბალახის* ერთწლოვანი ან მრავალწლოვანი დაბალი უმერქნო მცენარეების საერთო სახელწოდება. *სამკურნალო ბალახი.*

ბალბა



**ბალახობა** *ბალახობის* (ბალახობს, აბალახებს) ბალახის ძოვა. *ძროხა ბალახობს. ბიჭი ხბოს აბალახებს.*

**ბალახოვანი** *ბალახოვანის* 1. რაც ბალახებს მიეკუთვნება. *ბალახოვანი მცენარე.* 2. ბალახის შემცველი. *ბალახოვანი საფარი.*

**ბალბა** *ბალბის* ბალახოვანი მცენარე, აქვს მონითალო ან მოთეთრო ყვავილი, ფოთლები იხმარება მხლად.

**ბალდახინი** *ბალდახინის* 1. მიცვალებულის გასასვენებელი ეტლი. *შავი ბალდახინი.* 2. მდიდრული ჩარდახი (2). *სამეფო ბალდახინი.*

**ბალერინა** *ბალერინის* ბალეტის მოცეკვავე მსახიობი ქალი. *ბალერინის გამოსვლა.*

**ბალეტი** *ბალეტის* 1. სცენური ხელოვნების სახეობა, რომელიც შინაარსს ცეკვის საშუალებით გადმოსცემს. *ბალეტის ოსტატები.* 2. საბალეტო წარმოდგენა. *ბალეტის პრემიერა.* 3. ბალეტისთვის (1) შექმნილი მუსიკალური ნაწარმოები. *ბალეტის ლიბრეტო.*

**ბალეტმაისტერი** *ბალეტმაისტერის* საბალეტო წარმოდგენის დამდგმელი, ხელმძღვანელი. *ბალეტმაისტერმა როლები გაანაწილა.* შეცდომაა ბალეტმეისტერი.

**ბალზამი** *ბალზამის* ზოგიერთი მცენარის სქელი სურნელოვანი წვენი, რომელიც შეიცავს სხვადასხვა ფისსა და ეთეროვან ზეთებს, იყენებენ მედიცინასა და ტექნიკაში.

ბალთა



**ბალთა** *ბალთის* ქამრის, ფეხსაცმლის, ჩანთისა და მისთ. უენო შესაკრავი, მზადდება ლითონის, ხის ან სხვა მასალისგან. *ვერცხლის ბალთა.* ■ **ბალთიანი** ბალთის მქონე. *ბალთიანი მოსართავები.*

ბალი[1] (1)



**ბალი**[1] *ბლის* 1. ფართოდ გავრცელებული პატარა, მრგვალი გრძელყუნწიანი წითელი ან ყვითელი ფერის კურკიანი ხილი. *ბლის კომპოტი.* 2. ხე, რომელიც ისხამს ბალს (1), აქვს თეთრი ყვავილები. *ბლის კენწერო.*

**ბალი**[2] *ბალის* ბუნების მოვლენის (მიწისძვრის, ზღვის ღელვისა და მისთ.) ძალის საზომი ერთეული. *მიწისძვრამ შვიდ ბალს მიაღწია.*

**ბალი**[3] *ბალის* იგივეა, რაც მეჯლისი. *ბალზე მიიპატიჟეს.*

**ბალისტიკა** *ბალისტიკის* მეცნიერება, რომელიც შეისწავლის გასროლილი საარტილერიო ჭურვის, ტყვიის, ნაღმისა და მისთ. მოძრაობის კანონებს. *ბალისტიკის სპეციალისტი.*

ბალიში



**ბალიში** *ბალიშის* ბუმბულით ან სხვა მასალით გატენილი ოთხკუთხა (ზოგჯერ სხვა ფორმის) საგანი, იყენებენ უმეტესად თავის დასადებად. *ფაფუკი ბალიში.* ⊙ **ბალიშის პირი** ბალიშზე ჩამოსაცმელი შალითა. ⊙ **ჟანგბადის ბალიში** ჟანგბადით გავსებული რეზინის ბალიში ავადმყოფისთვის ჟანგბადის სასუნთქებლად.

**ბალკონი** *ბალკონის* მაყურებელთა ადგილები თეატრის შუა და ზედა იარუსებზე. *ბილეთები ბალკონზე ჰქონდათ.*

**ბალ-მასკარადი** *ბალ-მასკარადის* მეჯლისი, რომლის მონაწილეებს ნიღბები უკეთიათ. *ბალ-მასკარადი გაიმართა.*

**ბალნეოლოგია** *ბალნეოლოგიის* მედიცინის დარგი, რომელიც შეისწავლის მინერალური წყლებისა და ტალახის სამკურნალო თვისებებსა და მათ გამოყენებას. ■ **ბალნეოლოგიური** ბალნეოლოგიისთვის განკუთვნილი, ბალნეოლოგიასთან დაკავშირებული. *ბალნეოლოგიური კურორტი.*

ბალონი



**ბალონი** *ბალონის* I. მინის ან ლითონის ვიწროყელიანი ჭურჭელი, გამოიყენება თხევადი პროდუქტების შესანახად. *ღვინის ბალონი.* 2. ცილინდრული ფორმის ლითონის სათავსი შეკუმშული აირის შესანახად. *გაზის ბალონი.*

**ბალღამი** *ბალღამის* I. ღებინებისას ამოსული ნაღვლის წვენი. 2. გადატ. ღვარძლი, გესლი.

**ბალღი** *ბალღის კუთხ.* ბავშვი. *ბალღები თამაშობდნენ. ბალღივით გახარებული.*

**ბალღობა** *ბალღობის* საუბრ. იგივეა, რაც **ბავშვობა**. *ბალღობა აქ გაატარა.*

**ბალღოჯი** *ბალღოჯის* ველური ბლის სახეობა, იზრდება ბუჩქად ან ხედ, ისხამს მწარე შავ ნაყოფს, აქვს თეთრი ყვავილები, გამოიყენება მყნობისას ბლის ან ალუბლის საძირედ. *ბალღოჯის ნერგი.*

ბამბა

**ბამბა** *ბამბის* I. მცენარეული თეთრი ბოჭკო, რომელსაც სპეციალური დამუშავების შემდეგ იყენებენ საფეიქრო მრეწველობასა და მედიცინაში. *ბამბის ქსოვილი. ბამბის ძაფი.* 2. ფართოდ გავრცელებული დატოტვილი ბალახოვანი მცენარე, რომლის ბოჭკოვანი ნაყოფისგან მიიღება ბამბა (1). *ბამბის პლანტაცია.* ◎ **ბამბის ქულა** ერთი ბღუჯა გაპენტილი ბამბა.

ბამბუკი

**ბამბაზია** *ბამბაზიის* ბამბის თბილი ქსოვილი, ცალ მხარეს ხაოიანი. *ბამბაზიის პერანგი.*

**ბამბანარევი** *ბამბანარევის* რასაც ბამბა (1) ურევია. *ბამბანარევი შალი.*

**ბამბეული** *ბამბეულის* ბამბისგან დამზადებული სხვადასხვა ქსოვილი. *ბამბეულის თეთრეული.*

**ბამბუკი** *ბამბუკის* მერქნიანი მცენარე, აქვს მაგარი ღრუ ღეროები, გავრცელებულია ტროპიკულ და სუბტროპიკულ ქვეყნებში. *ბამბუკის სკამი. ბამბუკის ჯოხი.*

**ბანა** *ბანის* (ბანს, იბანს, იბანება, აბანინებს) ↑ **დაბანა**. *პირის ბანა.*

**ბანაკი** *ბანაკის* I. მოგზაურების, ჯარისა და მისთ. დროებითი სადგომი ღია ცის ქვეშ. *მთამსვლელთა ბანაკი.* 2. საერთო მიზნებით გაერთიანებული ადამიანების ჯგუფი. *მოწინააღმდეგეთა ბანაკი.* ◎ **ბანაკს დასცემს** დაბანაკდება.

**ბანალური** *ბანალურის* სიახლესა და ორიგინალობას მოკლებული, არაფრით გამორჩეული. *ბანალური ჭეშმარიტება.*

ბანანი

**ბანანი** *ბანანის* I. მოგრძო ფორმის ყვითელი ტკბილი ნაყოფი, აქვს თეთრი ფქვილოვანი რბილობი. *ბანანის ნამცხვარი.* 2. ტროპიკული მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარე, რომელიც ისხამს ბანანს (1). 3. ვაშლის ერთ-ერთი ჯიში, ყვითელი და ოდნავ წიბოებიანი.

**ბანაობა** *ბანაობის* (ბანაობს, აბანავებს) I. იგივეა, რაც **დაბანა**. *ცივი წყლით ბანაობს.* 2. იგივეა, რაც **ცურვა**. *მდინარეში ბანაობს. ღრმა წყალში ბანაობა უყვარს.*

**ბანგი** *ბანგის* ძილის მომგვრელი სითხე. *ბანგით გაბრუებული.*

**ბანდა** *ბანდის* ბანდიტების ჯგუფი. *ბანდის წევრები დაიჭირეს.*

**ბანდალი** *ბანდალის* (ბანდალებს) I. აქეთ-იქით უაზრო, უმიზნო სიარული. *ბევრი ბანდალი იცის.* 2. გაჭირვებით, ბორძიკით სიარული. *სახლში ბანდალით შევიდა.*

**ბანდაჟი** *ბანდაჟის* ელასტიკური მჭიდრო საცვალი ან სარტყელი, გამოიყენება სამედიცინო ან ესთეტიკური დანიშნულებით. *ბანდაჟი აცვია.*

ბანდეროლი



**ბანდეროლი** *ბანდეროლის* I. ქაღალდში საგანგებოდ შეფუთული საფოსტო გზავნილი. *დაზღვეული ბანდეროლი.* 2. ქაღალდის ლენტი, შემოკრული საფოსტო გზავნილზე ბაჟის გადახდის ნიშნად.

**ბანდიტი** *ბანდიტის* შეიარაღებული მძარცველი, ბოროტმოქმედი. *ბანდიტი დააკავეს.*

**ბანდიტობა** *ბანდიტობის* (ბანდიტობს) ძარცვა, ბოროტმოქმედება. *ახალგაზრდობაში ბანდიტობდა.*

**ბანდული** *ბანდულის* მთაში სასიარულო ქალამანი, რომლის ძირი წვრილი ღვედითაა დაწნული. *მონადირის ბანდული.*

**ბანერი** *ბანერის* I. რეკლამის სახეობა – ინტერნეტში განთავსებული, დეკორატიულად გაფორმებული ბმული, რომელიც მომხმარებელს სხვა საიტების სანახავად ინვევს. 2. თვალსაჩინო ადგილას გაკეთებული დაფა რეკლამის განსათავსებლად.

**ბანი**[1] *ბანის* I. დაბალი ხმა ქართულ სიმღერაში. *ბანი უთხრეს.* 2. მამაკაცის დაბალი სასიმღერო ხმა. *ბანის პარტია.* 3. მომღერალი, რომელსაც ბანი (2) აქვს. *ცნობილი ბანი.*

**ბანი**[2] *ბანის* დატკეპნილი მიწის ბრტყელი სახურავი. *ბანზე გადმოდგნენ.* ■ **ბანიანი** რასაც ბანი აქვს. *ბანიანი სახლი.*

**ბანი**[3] *ბანის* ქართული ანბანის მეორე ასოს (ბ-ს) სახელწოდება.

**ბანკეტი** *ბანკეტის* საზეიმო წვეულება, რომელიც იმართება ვინმეს პატივსაცემად ან რაიმე მოვლენის აღსანიშნავად. *კურსდამთავრებულთა ბანკეტი.*

**ბანკი** *ბანკის* I. დაწესებულება, სადაც ფინანსურ ოპერაციებს აწარმოებენ. *სახელმწიფო ბანკი.* 2. თანხა, რომელიც ბანქოს დამრიგებლის განკარგულებაშია.

**ბანკირი** *ბანკირის* ბანკის (2) მეპატრონე ან მსხვილი აქციების მფლობელი. *ბანკირის ქონება.*

**ბანკნოტი** *ბანკნოტის* საბანკო ბილეთი, რომელიც ოქროს მონეტის მაგივრობას ეწევა. *ძველი ბანკნოტი.* **პარონიმი** ბანკროტი.

**ბანკროტი** *ბანკროტის* გაკოტრებული პირი ან დაწესებულება, რომელსაც ვალის გადახდის უნარი არა აქვს. *ბანკროტად გამოცხადდა.* **პარონიმი** ბანკნოტი.

**ბანოვანი** *ბანოვანის* I. ძვ. მაღალი საზოგადოების ქალი, ქალბატონი. *ბანოვანთა თავყრილობა.* 2. ნიგნ. პატივსაცემი ქალბატონი, მანდილოსანი. *მშვენიერი ბანოვანი.*

**ბანქო** *ბანქოს* იგივეა, რაც **კარტი**. *ბანქოს მოთამაშე.*

**ბანცალი** *ბანცალის* (ბანცალებს) იგივეა, რაც **ბარბაცი**. *სახლში ბანცალით წავიდა. ბანცალით დადის.*

**ბანძი** *ბანძის ჟარგ.* I. უგემოვნო, დაბალი ხარისხის მქონე. *ბანძი ფილმი.* 2. გამოუსვლელი, ხეპრე. *ვინ არიან ეს ბანძები?!*

**ბანჯგვლი** *ბანჯგვლის* I. ცხოველის მსხვილი, ხშირი და გრძელი ბეწვი. 2. მსხვილი და ხშირი თმა ადამიანის ტანზე. *ბანჯგვლით დაფარული მკერდი.* ■ **ბანჯგვლიანი** ვისაც ან რასაც ბანჯგვლი აქვს. *ბანჯგვლიანი ხელი. ბანჯგვლიანი ძაღლი.*

**ბაჟე** *ბაჟის* ნიგზითა და სანელებლებით შეზავებული თხელი სანებელი. *თევზი ბაჟეში.*

**ბაჟი** *ბაჟის* გადასახადი ქვეყანაში შეტანილ ან საზღვარგარეთ გატანილ საქონელზე. *ბაჟი გადაიხადეს.*

**ბარათი** *ბარათის* I. მცირე ზომის წერილი. *ბარათი გაგ ზავნა.* 2. პატარა ოთხკუთხა ქაღალდის ფურცელი მცირე ჩანაწერისთვის. *ფერადი ბარათი. საკატალოგო ბარათი.*

**ბარაკი** *ბარაკის* დროებითი საცხოვრებელი ხის სახლი. *ბარაკებში შეასახლეს.*

**ბარამბო** *ბარამბოს* ტყის ბალახოვანი მცენარე, აქვს თეთრი, ლიმონის მსგავსი სურნელის მქონე ყვავილი, გამოიყენება სამკურნალოდ და კულინარიაში. *ბარამბოს ნაყენი.*

**ბარაქა** *ბარაქის* დიდი შემოსავალი, სიუხვე. *ხვავი და ბარაქა ამ ოჯახს!*

**ბარაქალა** შორისდ. ყოჩაღ. *ბარაქალა შენს კაცობას!*

**ბარაქიანი** *ბარაქიანის* I. უხვი, მდიდარი, ულევი. *ბარაქიანი მოსავალი. ბარაქიანი მიწა.* 2. გადატ. დიდი. *ბარაქიანი ქვაბი.*

**ბარბარიზმი** *ბარბარიზმის* რომელიმე ენაში სხვა ენიდან შემოტანილი სიტყვა ან გამოთქმა, გაუმართლებელი ნასესხობა, რომელსაც ამ ენაში შესატყვისი მოეპოვება. *საუბრისას ბარბარიზმებს იყენებს.*

**ბარბაროზა** *ბარბაროზის* საეკლესიო დღესასწაული, წმინდა ბარბარეს ხსენების დღე, აღინიშნება 17 დეკემბერს. *ბარბაროზას გილოცავ!*

**ბარბაროსი** *ბარბაროსის* უკულტურო, ველური ადამიანი. *ნამდვილი ბარბაროსია.*

**ბარბაროსული** *ბარბაროსულის* სისასტიკითა და ველურობით გამორჩეული. *ბარბაროსული საქციელი.*

**ბარბაცი** *ბარბაცის* (ბარბაცებს) ისეთი სიარული, როდესაც ადამიანს ფეხი ეშლება და წონასწორობის დაცვა უჭირს. *ბარბაცით ავიდა კიბეზე. მთვრალივით ბარბაცებს.*

**ბარგი** *ბარგის* წასაღებად გამზადებული (შეკრული ან რაიმეში ჩალაგებული) ნივთები. *ბარგი ჩაალაგეს.*

**ბარგი-ბარხანა** *ბარგი-ბარხანის* სხვადასხვაგვარი ბარგი. *წაიღო თავისი ბარგი-ბარხანა.*

**ბარდა** *ბარდის* ერთწლოვანი პარკოსანი კულტურული მცენარე, მარცვალი იჭმება, ღეროთი და ფოთლები გამოიყენება საქონლის საკვებად. *ბარდის სუპი.*

ბარდა

**ბარდანი** *ბარდანის* ხის ტოტებსა და ბუჩქებზე დადებული თოვლი. *ხეებს ბარდანი სცვივა.*

**ბარდი** *ბარდის* ბუჩქების ან ბალახეული მცენარეების ერთმანეთში გადახლართული ღეროები. *ასკილის ბარდი.*

ბარდნა *ბარდნის* (ბარდნის) დიდი ფანტელებით თოვა. *დილიდან ბარდნის.*

ბარდნარი *ბარდნარის* ბარდებით დაფარული ვრცელი ადგილი. *ბარდნარი გაკაფეს.*

ბარელი[1] *ბარელის* ბარის[1] მცხოვრები. *ბარელები და მთიელები.*

ბარელი[2] *ბარელის* სითხის მოცულობის საზომი ერთეული. *ერთი ბარელი ნავთობი.*

ბარელიეფი *ბარელიეფის* სკულპტურული გამოსახულება, რომელიც ბრტყელ ზედაპირზე არის ამობურცული. *ტაძრის ბარელიეფი.*

ბარემ ნაწილაკ. 1. რაც არის, არის. *ბარემ ამასაც გავაკეთებ.* 2. დაე, *ბარემ დაიწყოს!*

ბარვა *ბარვის* (ბარავს, უბარავს, იბარება, აბარვინებს) ↑ დაბარვა. *ბოსტანი დაბარა.*

ბარი[1] *ბარის* 1. დაბლობი, ვაკიანი ადგილი, ჩვეულებრივ, დასახლებული. *ბარის მოსახლეობა. მთიდან ბარში ჩამოვიდა.* 2. გადატ. ბარის (1) მცხოვრებლების ერთობლიობა. *ბარი დუმილით შეხვდა ამ ამბავს.*

ბარი



ბარი[2] *ბარის* ხელით სამუშაო იარაღი, აქვს ხის გრძელი ტარი და რკინის ბრტყელი, ბასრი პირი. *მიწას ბარი დაჰკრეს.*

ბარი[3] *ბარის* 1. პატარა რესტორანი, სადაც, ჩვეულებრივ, მსუბუქად ჭამენ. *ლუდის ბარი. ბარში დასხდნენ.* 2. ბარის (1) დახლი, რომელთანაც მაღალი სკამებია დამაგრებული. *ბართან დაჯდა.* 3. სპეციალური კარადა სასმელების შესანახად. *ბარიდან კონიაკი გამოიღო.*

ბარი[4] *ბარის* ატმოსფერული წნევის საზომი ერთეული.

ბარიერი *ბარიერის* 1. რეალური ან წარმოსახვითი წინააღმდეგობა, რომელიც უნდა გადაილახოს. *ბარიერს მიადგა. ხუთპროცენტიანი ბარიერი დაწესდა.* 2. გადატ. იგივეა, რაც ზღუდე. *პოლიციამ ბარიერი აღმართა.*

ბარიკადა *ბარიკადის* ქუჩაში სხვადასხვა საგნისგან საგანგებოდ შექმნილი გროვა, დაბრკოლება, რომლის გადალახვა ძნელია, იყენებენ მოწინააღმდეგისგან თავის დასაცავად. *ბარიკადები აღმართეს.*

ბარიტონი *ბარიტონის* 1. მამაკაცის ხმა ტენორსა და ბანს შორის. *კარგი ბარიტონი.* 2. მომღერალი, რომელსაც ბარიტონი აქვს. *ცნობილი ბარიტონი.*

ბარკალი *ბარკლის* ცხოველის ან ფრინველის ფეხის ნაწილი თეძოს სახსრიდან მუხლამდე. *ქათმის ბარკლები. ღორის ბარკალი.*

ბარკასი *ბარკასის* 1. დიდი მრავალნიჩბიანი ნავი. 2. პატარა დამხმარე გემი, იყენებენ ნავსადგურებში გემების საბუქსიროდ, წვრილმანი გადაზიდვებისთვის და მისთ.

ბაროკამერა *ბაროკამერის* ჰერმეტული კამერა, რომელშიც ქმნიან ატმოსფერულზე დაბალ (ან მაღალ) წნევას, იყენებენ საფრენი აპარატების ხელსაწყოთა გამოსაცდელად, მფრინავებისა და კოსმონავტების საწვრთნელად და მისთ.

ბარომეტრი *ბარომეტრის* ატმოსფერული წნევის საზომი ხელსაწყო, გამოიყენება ამინდის ცვლილების პროგნოზირებისთვის. *ვერცხლისწყლიანი ბარომეტრი.*

ბარონესა *ბარონესას* ბარონის ცოლი. *ბარონესას პორტრეტი.*

ბარონი *ბარონის* მაღალი წოდების წარმომადგენელი დასავლეთ ევროპასა და რევოლუციამდელ რუსეთში. *ბარონის სასახლე. ბარონის შთამომავალი.*

ბარჟა *ბარჟის* სატვირთო გემი, რომელიც ბუქსირით გადაადგილდება. *ტვირთი ბარჟით გადაზიდეს.*

ბარტერი *ბარტერის* ვაჭრობა, რომლის დროსაც საქონელი იცვლება ერთმანეთში ფულადი ანგარიშსწორების გარეშე. ▪ ბარტერული ბარტერთან დაკავშირებული, ბარტერის ტიპისა. *ბარტერული გაცვლა.*

ბარტყი

ბარტყი *ბარტყის* გარეული ფრინველის ნაშიერი (გამოჩეკიდან ფრენის დაწყებამდე). *მერცხლის ბარტყი. კოდალას ბარტყი.*

ბარტყობა *ბარტყობის* (ბარტყობს) 1. გამრავლება (ფრინველისა, მწერისა). *მერცხალმა იბარტყა. ფუტკარმა იბარტყა.* 2. საუბრ. მცენარის ყლორტის გამოსვლა, გამრავლება. *ვარდმა იბარტყა.*

ბარტყულა *ბარტყულას* იგივეა, რაც კუნკული (1).

ბარტყუნი *ბარტყუნის* (აბარტყუნებს, იბარტყუნებს, უბარტყუნებს) 1. სხეულის ნაწილის (ფეხის, ფრთისა და მისთ.) ან რაიმე საგნის მძიმედ დარტყმა, ცემა. *ფეხების ბარტყუნი. ყურებს აბარტყუნებს. დოლს უბარტყუნებს.* 2. ბარტყუნისას (1) გამოცემული ხმა. *ფრთების ბარტყუნი ისმის.*

ბარძიმი

ბარძაყი *ბარძაყის* ადამიანის ფეხის ნაწილი თეძოს სახსრიდან მუხლამდე. *ბარძაყის მოტეხილობა.*

ბარძიმი *ბარძიმის* საეკლ. ზიარებისთვის განკუთვნილი ფეხიანი ჭურჭელი. *ბარძიმი გამოაბრძანეს.*

ბარჯი *ბარჯის* 1. რკინის კავიანი ჯოხი, რომლითაც თევზს იჭერენ. *ბარჯებით*

*ითევ ზაევს.* 2. სატყორცნი იარაღი, რომლითაც ვეშაპებზე ან დიდ თევზებზე ნადირობენ. *ბარჯი ესროლა.*

**ბასი** *ბასის* იგივეა, რაც ბანი (2,3).

**ბასილა** *ბასილას* საახალწლო სარიტუალო პური, რომელსაც ადამიანის გამოსახულება აქვს. *ბასილა კვერები.*

**ბასმა** *ბასმის* 1. შავი საღებავი, იყენებენ თმის შესაღებად. 2. თეთრი წებოვანი საღებავი.

**ბასრი** *ბასრის* ძალიან მჭრელი, ალესილი. *ბასრი დანა. ბასრი ნაჯახი.* ↔ **ბლაგვი.**

**ბასტიბუბუ** *ბასტიბუბუს* დიდი ხმაური, ჟრიამული. *ბასტიბუბუ გამართეს.*

**ბასტიონი** *ბასტიონის* ხუთკუთხედის ფორმის ნაგებობა, რომელიც დატანებულია ციხესიმაგრის გალავნის კუთხეებში. *აუღებელი ბასტიონი.*

**ბასტურმა** *ბასტურმის* მარილით, ხახვით, პილპილითა და ძმრით შეზავებული, შესაწვავად გამზადებული ხორცი. *ხბოს ბასტურმა. ღორის ბასტურმა.*

**ბატალიონი** *ბატალიონის* ქვეითი ჯარის ქვედანაყოფი. *ბატალიონის მეთაური.*

**ბატალური** *ბატალურის* ომის ამსახველი. *ბატალური სცენები. ბატალური ჟანრი.*

**ბატარეა** *ბატარეის* 1. დენის წყარო, რომელშიც ქიმიური რეაქციის შედეგად მიღებული ენერგია ელექტრულ ენერგიად გარდაიქმნება. *ბატარეა გამოცვალა. ბატარეა დასატვირთია.* 2. ქვემეხებით შეიარაღებული სამხედრო ქვედანაყოფი. *ბატარეის მეთაური.* შეცდომაა ბატარია, ბატარეია.

**ბატი** *ბატის* წყალში მცურავი მოზრდილი ფრინველი, ფეხის თითებზე გადაკრული აქვს აპკი. *ბატის ჭუჭული. გარეული ბატი.*

ბატი



**ბატიბუტი** *ბატიბუტის* სპეციალური ჯიშის სიმინდი, რომელიც მოხალვისას სკდება და თეთრად იშლება. *ბატიბუტს მიირთმევენ.*

**ბატისტვინა** *ბატისტვინას* საუბრ. უტვინო, ჩერჩეტი. *ბატისტვინა გოგოა.*

**ბატისტი** *ბატისტის* ბამბის ან სელის თხელი ქსოვილი. *ბატისტის კაბა. ბატისტის თეთრეული. ბატისტის ფარდა.*

**ბატისფეხური** *ბატისფეხურის* ულამაზო, უშნო ასოებით ნაწერი, ნაჯღაბნი. *ვიხილე ბატისფეხური?! ბატისფეხურად წერს.*

**ბატკანი** *ბატკნის* ცხვრის ნაშიერი (დაბადებიდან 5-6 თვემდე). *მამალი ბატკანი.*

ბატკანი

**ბატონები** *ბატონების* (მრ.) საუბრ. ზოგიერთი გადამდები დაავადების (ყბაყურას, ყივანახველას, წითელასა და მისთ.) საერთო სახელწოდება. *ბატონები შეეყარა.*

**ბატონი** *ბატონის* 1. თავაზიანობისა და პატივისცემის გამომხატველი სიტყვა, გამოიყენება ვინმეს (ჩვეულებრივ, მამაკაცის) ხსენებისას ან მიმართვისას, ძირითადად საკუთარ სახელთან ერთად. *ეს ბატონი გელოდებათ. ბატონო პრეზიდენტო! ბატონი გიორგი.* 2. ძვ. მამულებისა და ყმების პატრონი, თავადი ან აზნაური. *ბატონის სახლ-კარი.* ▲ **ბატონო!** საპასუხო სიტყვა დაძახებისას.

**ბატონიშვილი** *ბატონიშვილის* 1. ბატონის (2) შვილი. *ბატონიშვილი მობრძანდა.* 2. მეფის შვილი, უფლისწული. *ვახუშტი ბატონიშვილი. თეკლა ბატონიშვილი.*

**ბატონკაცური** *ბატონკაცურის* ირონ. მაღალი თანამდებობის მქონე, დანინაურებული ადამიანის დამახასიათებელი. *ბატონკაცური ამპარტავნობა. ბატონკაცური ცხოვრება.*

**ბატონობა** *ბატონობის* (ბატონობს) 1. ბატონად ყოფნა. ბატონის მდგომარეობა. *ბატონობა შეიფერა.* 2. მმართველობა, მპყრობელობა, მბრძანებლობა. *მონღოლთა ბატონობა.*

**ბატონ-პატრონი** *ბატონ-პატრონის* რაიმეს მფლობელი, მმართველი. *დიდი ქონების ბატონ-პატრონია.*

**ბატონყმობა** *ბატონყმობის* სოციალური წყობილება, რომლის დროსაც გლეხი (ყმა) და მისი ქონება ბატონს ეკუთვნის. *ბატონყმობის გაუქმება.*

**ბატონყმური** *ბატონყმურის* ბატონყმობის დამახასიათებელი. *ბატონყმური ურთიერთობა. ბატონყმური წყობილება.*

**ბატუტი** *ბატუტის* სპეციალური მოწყობილობა აკრობატული და სხვა სახის ხტომებისთვის – ლითონის ჩარჩოზე გადაჭიმული მკვრივი ბადე.

**ბაფთა** *ბაფთის* თხელი ქსოვილის ვიწრო ზოლი, იყენებენ რაიმეს შესაკრავად. *აბრეშუმის ბაფთა. წითელი ბაფთა.* ■ **ბაფთიანი** ვისაც ან რასაც ბაფთა უკეთია. *ბაფთიანი კაბა. ბაფთიანი გოგონა.*

**ბაქანი** *ბაქნის* 1. რკინიგზის სადგურში ან მეტროპოლიტენში ლიანდაგის გასწვრივი ზოლი მატარებელთან მისასვლელად. *ბაქანზე გაჩერება არ შეიძლება.* 2. მატარებლის ხანმოკლე გაჩერების ადგილი. *ამ ბაქანზე ყველა მატარებელი არ ჩერდება.* 3. კიბის თავებზე ბინების შესასვლელებთან მოქცეული პატარა ფართობი მრავალსართულიან სახლებში. 4. ვაგონის თავსა და ბოლოში გამოყოფილი ადგილი. *მოსაწევად ბაქანზე გავიდნენ. უკანა ბაქანი.*

**ბაქია** *ბაქიას* ტრაბახა, მკვეხარა. *ბაქია კაცია.*

**ბაქიაობა** *ბაქიაობის* (ბაქიაობს) კვეხნა, ტრაბახი. *ბავშვობაში ბაქიაობა უყვარდა. ბევრს ბაქიაობს.*

**ბაქიბუქი** *ბაქიბუქის* (ბაქიბუქობს, ებაქიბუქება) მომეტებულად კვეხნა, ბაქიაობა. *ტყუილად ბაქიბუქობს.*

**ბაქიობა** *ბაქიობის* (ბაქიობს) იგივეა, რაც ბაქიაობა. *ბაქიობამ დაღუპა.*

**ბაქმაზი** *ბაქმაზის* დუღილით შესქელებული ხილის (ყურძნის, თუთისა და მისთ.) წვენი. *ბაქმაზი მიართვეს.*

**ბაქტერია** *ბაქტერიის* ერთუჯრედიანი მიკროსკოპული ორგანიზმი, რომელიც ორგანულ ნივთიერებებსა და ცოცხალ ქსოვილებში გარკვეულ პროცესებს იწვევს. *ლპობის ბაქტერია.*

**ბაქტერიოლოგია** *ბაქტერიოლოგიის* მეცნიერება, რომელიც მიკროორგანიზმებს, უმთავრესად, ბაქტერიებს შეისწავლის. *სამედიცინო ბაქტერიოლოგია.* ▪ **ბაქტერიოლოგიური** ბაქტერიოლოგიასთან დაკავშირებული, ბაქტერიოლოგიისთვის განკუთვნილი. *ბაქტერიოლოგიური გამოკვლევა.*

**ბაღდადი** *ბაღდადის* 1. აბრეშუმის ქსოვილის სადა ან სახეებიანი თავსაფარი, ზოგჯერ ფოჩებიანი. *წითელი ბაღდადი.* 2. მამაკაცის დიდი ხელსახოცი. *კინტოს ბაღდადი.*

**ბაღდადური** *ბაღდადურის* ცეკვა ბაღდადით ხელში. *ბაღდადურის მოცეკვავე.*

**ბაღი** *ბაღის* ადგილი (ჩვეულებრივ, შემოღობილი), სადაც ხეხილი ან ყვავილებია გაშენებული. *ატმის ბაღი.* ⊙ **ბოტანიკური ბაღი** სპეციალური ბაღი, სადაც თავმოყრილია მრავალი სახის, მათ შორის, იშვიათი ჯიშის მცენარეები. ⊙ **საბავშვო ბაღი** სკოლამდელი სასწავლო-აღმზრდელობითი დანესებულება. *ბავშვები ბაღში წაიყვანა.*

**ბაღლინჯო** *ბაღლინჯოს* პარაზიტი მწერი, ძირითადად მრავლდება ადამიანთა საცხოვრებელში. *ბაღლინჯოს ნაკბენი.*

**ბაღნარი** *ბაღნარის* აყვავებული ადგილი. *ბაღნარი გააშენეს.*

ბაღჩა

**ბაღჩა** *ბაღჩის* მიწის ნაკვეთი, რომელზეც სხვადასხვა მცენარე, უპირატესად ბოსტნეულია გაშენებული. *ბაღჩაში ჩავიდნენ.*

**ბაღჩეული** *ბაღჩეულის* ბოსტნეული მცენარეების: საზამთროს, ნესვის, გოგრისა და მისთ. საერთო სახელწოდება.


ბაყაყი

**ბაყაყი** *ბაყაყის* პატარა ოთხფეხა ამფიბია, გადაადგილდება ხტუნვით, ბინადრობს დამდგარ წყლებსა და ჭაობებში. *ბაყაყი ყიყინებს.*

**ბაყაყური** *ბაყაყურის* ცურვის სახეობა, რომლის დროსაც ხელებსა და ფეხებს წყვილ-წყვილად უსვამენ. *ბაყაყურით ცურავს.* ⊙ **მოუსვა ბაყაყური** საუბრ. სწრაფად წავიდა, გაეცალა.

**ბაყბაყდევი** *ბაყბაყდევის* უზარმაზარი დევი. *ბაყბაყდევის ამბავი.*

**ბაცაცა** *ბაცაცას* 1. კურდღლის ბაჭია. *ბაცაცები ბოსტანში შეიპარნენ.* 2. იგივეა, რაც ქურდბაცაცა. *ბაცაცებმა სოფელი გაძარცვეს.*

**ბაცი** *ბაცის* ამა თუ იმ ფერის ღია ელფერი. *ბაცი ლურჯი. ბაცი მწვანე.*

**ბაცილა** *ბაცილის* ავადმყოფობის გამომწვევი ჩხირისებრი ბაქტერია. *ტუბერკულოზის ბაცილა.*

**ბაძგი** *ბაძგის* მარადმწვანე ბუჩქი, აქვს კიდეებზე ეკლიანი ფოთლები, თეთრი ყვავილი, ისხამს მოშავო-წითელ კურკიან ნაყოფს. *კოლხური ბაძგი.*

**ბაძვა** *ბაძვის* (ჰბაძავს) ↑ **მიბაძვა.** *შვილი მამას ჰბაძავს. ერთმანეთს ჰბაძავენ.*

**ბაწარი** *ბაწრის* 1. მატყლის მსხვილი ძაფი. *ბაწრის წინდა.* 2. წვრილი თოკი. *ბაწრით შეკრული.*

**ბაჭია** *ბაჭიის* კურდღლის ნაშიერი. *ნაცრისფერი ბაჭია.*

**ბახაბუხი** *ბახაბუხის* ცეცხლსასროლი იარაღის ხშირი სროლის ხმა. *ბახაბუხი გაისმა.*

**ბახალა** *ბახალის* ყვავის, ყორნის, ქორისა და მისთ. ბარტყი. *ბახალები ბუდეში სხედან.*

**ბახუსი** *ბახუსის* 1. ღვინისა და ლხინის ღმერთი რომაულ მითოლოგიაში. 2. გადატ. ალკოჰოლური სასმელი, ძირითადად ღვინო. *ბახუსს მიეძალა. ბახუსის მოყვარული.*

**ბაჯაღლო** *ბაჯაღლოს* ოქრო მინარევების გარეშე. *ბაჯაღლოს ბეჭედი.*

**ბაჯბაჯი** *ბაჯბაჯის* (ბაჯბაჯებს) ნელი, მოუქნელი მოძრაობით სიარული. *ბაჯბაჯით დადის.*

**ბგერა** *ბგერის* ჰაერის ტალღების რხევა, რომელიც სმენით აღიქმება. *მუსიკალური ბგერა. სამეტყველო ბგერა.*

**ბდღვინვა** *ბდღვინვის* (ბდღვინავს) იგივეა, რაც ბრდღვინვა. *ბდღვინვის ხმა. ვეფხვი ბდღვინავს.*

**ბდღვირი** *ბდღვირის* მტვრის კორიანტელი. *გზას ბდღვირი ასდის.* ⊙ **ბდღვირს აადენს** მოსპობს, გაანადგურებს.

**ბდღვნა** *ბდღვნის* (ბდღვნის, აბდღვნის, იბდღვნის, უბდღვნის, იბდღვნება) 1. ↑ **გაბდღვნა.** *ქათამს ბდღვნის.* 2. ↑ **დაბდღვნა.** *თმას იბდღვნის.*

**ბდღვრიალა** *ბდღვრიალას*||**ბრდღვიალა.** *ბდღვრიალა სინათლე.*

**ბდღვრიალი** *ბდღვრიალის*||**ბრდღვიალი.**

**ბე** *ბეს* თანხის ნაწილი, რომელსაც მყიდველი

ნინასწარ იხდის გარიგების პირობის შესრულების საგარანტიოდ. *ბე დაუტოვა.*

ბებერა *ბებერას* დამწვრობის, დაზიანების შედეგად ამობერილი, წყალჩამდგარი კანი. *ბებერა გაუჩნდა.*

ბებერასოკო *ბებერასოკოს* მონითალო-ნარინჯისფერი ქუდიანი საჭმელი სოკო, იზრდება ჯგუფ-ჯგუფად.

ბებერი *ბებრის* I. ადამიანი შუახნის ასაკს ზევით. *ბებერი კაცი.* 2. დიდი ასაკის მქონე, დიდი ხნისა. *ბებერი ხარი. ბებერი ნაძვი.*

ბებია *ბებიის* I. დედის ან მამის დედა. *ბებია და შვილიშვილი.* ▪ ბებიაშენი შენი ბებია. ▪ ბებიაჩემი ჩემი ბებია. ▪ ბებიკო ალერს. ბებია. ▪ ბებო ალერს. ბებია. ◌ დიდი ბებია ბებიის ან ბაბუის დედა.

ბებიაქალი *ბებიაქალის* ქალი, რომელიც ეხმარება მშობიარეს ბავშვის გაჩენისას და უვლის ახალშობილს. *ბებიაქალმა ჩვილი დედას მიუყვანა.*

ბებიდა *ბებიდის* ბებიის და. *ბებიდას ესტუმრნენ.*

ბებრისკონკა *ბებრისკონკას* ერთწლოვანი დაბალი ბალახოვანი მცენარე, აქვს ვარდისფერი ყვავილები და გულის ფორმის ფოთლები, იხმარება მხლად.

ბებრისჭიპა *ბებრისჭიპას* ერთწლოვანი დაბალი ბალახოვანი მცენარე, იხმარება მხლად.

ბებუთი *ბებუთის* ცივი იარაღი – ბასრი, მოხრილი დანა. *ბებუთის წვეტი.*

ბეგარა *ბეგრის* ძვ. ქვეშევრდომების (ყმების) სავალდებულო შრომა მეპატრონის ან სახელმწიფოს სასარგებლოდ. *საგ ზაო ბეგარა. ბეგარა გადაიხადა.*

ბეგვა *ბეგვის* (ბეგვავს, იბეგვავს, უბეგვავს, იბეგვება, ებეგვება) ↑ დაბეგვა. *ხორცს ბეგვავენ.*

ბეგვრა *ბეგვრის* (ბეგრავს, უბეგრავს, იბეგრება) ↑ დაბეგვრა. *შემოსავალს ბეგრავენ. გრანტი არ იბეგრება.*

ბეგქონდარა *ბეგქონდარას* სურნელოვანი ბალახოვანი მცენარე, აქვს გართხმული ღერო და თეთრი ან ვარდისფერი ყვავილები, გამოიყენება სამკურნალოდ. *ბეგქონდარას ნაყენი.*

ბედაური *ბედაურის* კარგი საჯირითო ცხენი. *ბედაურზე იჯდა.*

ბედენა *ბედენის* ◌ რა ბედენაა?! რა მნიშვნელობა აქვს?! რას წარმოადგენს?!

ბედი *ბედის* წინასწარ განსაზღვრული ცხოვრების გზა. *მისი ბედი ასეთი ყოფილა.* ◌ ბედი სწყალობს საქმე კარგად მისდის, უმართლებს. ◌ ბედი გაუღიმებს საქმე სასიკეთოდ ნაუვა, გაუმართლებს. ◌ ბედი უმტყუნებს (უმუხთლებს) საქმე ცუდად ნაუვა, არ გაუმართლებს.

ბედისწერა *ბედისწერის* ბედი, ხვედრი, რომელსაც ადამიანი ვერ ასცდება. *ეს მისი ბედისწერა იყო.*

ბედკრული *ბედკრულის* უბედური, უიღბლო. *ბედკრული ქვეყანა.*

ბედნიერება *ბედნიერების* დიდი სიხარულის, სრული კმაყოფილების განცდა. *ოჯახური ბედნიერება.*

ბედნიერი *ბედნიერის* I. ბედნიერებით სავსე, კმაყოფილი, გახარებული. *ბედნიერი წყვილი.* 2. ძალიან სასიხარულო, საამო. *ბედნიერი დღე.* 3. კარგი, კეთილი. *ბედნიერი შემთხვევა.* ◌ ბედნიერ ვარსკვლავზე დაბადებული საუბრ. იტყვიან ადამიანზე, რომელსაც იოლად გამოსდის ყველაფერი, დიდ წარმატებებს აღწევს.

ბედობა *ბედობის* ახალწელიწადის მეორე დღე, რომელიც, ხალხის წარმოდგენით, განსაზღვრავს, თუ როგორი იქნება მთელი წელი. *ბედობას ერთად ვყვნენ.*

ბედოვლათი *ბედოვლათის* უუნარო, უშნო, მოუხერხებელი. *დიდი ბედოვლათი ვინმეა.*

ბედოვლათობა *ბედოვლათობის* უუნარობა, მოუხერხებლობა, ბედოვლათივით ქცევა. *ბედოვლათობა გამოიჩინა.*

ბედუინი *ბედუინის* მომთაბარე არაბი. *ბედუინების ტომი.*

ბედუკულმართი *ბედუკულმართის* უბედური, უიღბლო. *ბედუკულმართი წარსული. ბედუკულმართი ცხოვრება.*

ბედშავი *ბედშავის* იგივეა, რაც ბედკრული. *ბედშავი ცხოვრება.*

ბევრგან ზმნზ. ბევრ ადგილას, არაერთგან. *ბევრგან წვიმდა. ბევრგან მუშაობს.*

ბევრგვარი *ბევრგვარის* სხვადასხვა სახისა, სხვადასხვანაირი, მრავალგვარი. *ბევრგვარი ხერხი. ბევრგვარი ადამიანი არსებობს.*

ბევრი *ბევრის* I. დიდი რაოდენობისა, მრავალი. *ბევრი ამხანაგი ჰყავს. ბევრი ხალხი მოგროვდა.* ↔ ცოტა. 2. ძალიან დიდი, ძლიერი. *ბევრი ჯაფა მოელის.* ▲ ბევრს ზმნზ. დიდად, ძალიან. *ბევრს ეცადა.* ▲ ბევრად ზმნზ. უფრო მეტად, გაცილებით, საგრძნობლად. *ბევრად უფროსი.*

ბევრნაირი *ბევრნაირის* სხვადასხვა სახისა, მრავალგვარი. *ბევრნაირი ხილი.*

ბევრჯერ ზმნზ. მრავალჯერ, ხშირად, არაერთხელ. *ბევრჯერ სცადა.*

ბეზე *ბეზეს* ათქვეფილი კვერცხის ცილისა და შაქრისგან მომზადებული ტკბილეული. *ბეზეს ტორტი.*

ბეისბოლი *ბეისბოლის* სპორტული თამაში ბურთითა და ჩოგნით ცხრა-ცხრა კაცისგან შემდგარ ორ გუნდს შორის.

ბეკეკა *ბეკეკას* ალერს. ბატკანი, ციკანი. *ბეკეკა კიკინებს.*

ბელადი *ბელადის* პირი, რომელსაც საზოგადოების გარკვეული ჯგუფი აღიარებს თავის წინამძ-

ღოლად და მიჰყვება მას. *ბელადის სიტყვა.*

ბელადობა *ბელადობის* (ბელადობს) ბელადად ყოფნა. *ბელადობა მოინდომა.*

ბელგა *ბელგის* ძვ. იგივეა, რაც ნიშანი (10). *ბელგა მოუტანა.*

ბელეტაჟი *ბელეტაჟის* 1. სახლის პირველი სართული, რომელიც დაშენებულია ნახევრად სარდაფზე. 2. პირველი იარუსი თეატრში ამფითეატრისა და ბენუარის ზევით.

ბელეტრისტი *ბელეტრისტის* მწერალი, პროზაული ნაწარმოებების ავტორი.

ბელეტრისტიკა *ბელეტრისტიკის* მხატვრული პროზა. *ქართული ბელეტრისტიკა.*

ბელეტრისტული *ბელეტრისტულის* რაც ბელეტრისტიკას მიეკუთვნება, პროზაული. *ბელეტრისტული ნაწარმოები.*

ბელი *ბელის* დათვის ნაშიერი. *ბუნაგიდან ბელის ხმა მოისმა.*

ბელტი *ბელტის* ბარით ან სხვა იარაღით მოჭრილი მიწის ნაწილი, გუნდა. *მსხვილი ბელტი.*

ბენეფისი *ბენეფისის* მსახიობის ან მომღერლის პატივსაცემად გამართული წარმოდგენა. *წარმატებული ბენეფისი.*

ბენეფიციანტი *ბენეფიციანტის* პირი, რომელსაც ბენეფისს უწყობენ. *ბენეფიციანტი ღელავდა.*

ბენზინი *ბენზინის* ადვილად აალებადი უფერული საწვავი სითხე, რომელიც გამოიყენება სატრანსპორტო საშუალებების ასამუშავებლად. *საავიაციო ბენზინი. ბენზინის სუნი.*

ბენზოლი *ბენზოლის* უფერო საწვავი სითხე, რომელსაც იღებენ ქვანახშირის ან ნავთობის გამოხდით, იყენებენ საღებავების, ფეთქებად ნივთიერებათა და მისთ. წარმოებაში.

ბენტერა *ბენტერას* ძალიან დაბნეული, ჩერჩეტი. *ბენტერა კაცი.*

ბენუარი *ბენუარის* პირველი იარუსის ლოჟა თეატრში, პარტერის ან სცენის გასწვრივ.

ბერა *ბერას* იგივეა, რაც ცერი. *ბერა თითი.*

ბერეტი

ბერეტი *ბერეტის* მრგვალი, ბრტყელი ქუდი. *ქალის ბერეტი. ჯარისკაცის ბერეტი.*

ბერვა *ბერვის* (ბერავს, იბერავს, უბერავს, იბერება, ებერება, აბერვინებს) 1. ↑ გაბერვა (1). *ბავშვი ბუშტებს ბერავს.* 2. ↑ დაბერვა (1). *ქარი უბერავს.*

ბერი *ბერის* აღკვეცილი მამაკაცი. *ბერის სამოსი.* ■ ბერული ბერის შესაფერისი, ბერისთვის განკუთვნილი. *ბერული ცხოვრება.*

ბერიკა *ბერიკას* ბერიკაობის მონაწილე. *ბერიკების შეძახილი გაისმა.*

ბერიკაობა *ბერიკაობის* ხალხური სანახაობითი წარმოდგენა ნიღბებით, იმართებოდა დიდმარხვის დაწყებამდე ერთი კვირით ადრე, ყველიერში. *ბერიკაობა გაიმართა.*

ბერიკაცი *ბერიკაცის* მოხუცი, ასაკოვანი მამაკაცი. *დარბაისელი ბერიკაცი. ბერიკაცმა ყველა დალოცა.*

ბერმონაზონი *ბერმონაზვნის* იგივეა, რაც ბერი. *ბერმონაზონთა ცხოვრების წესი.* ■ ბერმონაზვნური ბერების დამახასიათებელი, ბერმონაზვნებისთვის განკუთვნილი. *ბერმონაზვნური კანონი.*

ბერმუხა *ბერმუხის* დიდი ხნის მუხა. *ტყის პირას ბერმუხა იდგა.*

ბერობა *ბერობის* ბერად ყოფნა. *ბერობა გადაწყვიტა.*

ბერსელა *ბერსელას* მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარე, იზრდება ტყეში, გამოიყენება საქონლის საკვებად.

ბერტყვა *ბერტყვის* (ბერტყავს, იბერტყავს, უბერტყავს, იბერტყება, აბერტყვინებს) 1. ↑ გაბერტყვა. *შარვალს ბერტყავს.* 2. ↑ დაბერტყვა. *კაკალს შემოდგომაზე ბერტყავენ.*

ბერყენა *ბერყენას* 1. ველური მსხალი, მოკლეყუნწიანი, მრგვალი, პანტისოდენა მწკლარტე ხილი. 2. პატარა ხე, რომელიც ისხამს ბერყენას (1), აქვს ეკლიანი ტოტები, ვიწრო, მოვერცხლისფრო ფოთლები და თეთრი ყვავილები, იხმარება ნამყენი მსხლის საძირედ.

ბერწი *ბერწის* უშვილო, უნაყოფო. *ბერწი ძროხა.*

ბესტსელერი *ბესტსელერის* წიგნი, რომელიც ძალიან დიდი რაოდენობით იყიდება. *ბესტსელერის ავტორი.* შეცდომაა ბეტსელერი.

ბეტონი *ბეტონის* ცემენტის ხსნარისა და ღორღის, ხრეშის, კენჭებისა და მისთ. ნარევი, რომელიც გაშრობისთანავე ძალიან მაგრდება, გამოიყენება სამშენებლო მასალად. *ბეტონის კედელი.*

ბექთარი *ბექთრის* ძვ. ჯაჭვის პერანგი, რომელიც მეომარს იცავდა ხმლის, დანის ან სხვა. ბასრი იარაღისგან.

ბექი *ბექის* შემაღლებული ადგილი რელიეფზე, ბორცვი. *ბექი გადაიარეს.*

ბექობი *ბექობის* იგივეა, რაც ბექი. *ბექობზე შეისვენეს.*

ბეღელი *ბეღლის* ნაგებობა, სადაც პურეულს ინახავენ. *ხის ბეღელი. ბეღელი აიკოსო.*

ბეღურა *ბეღურის* პატარა მოყავისფრო ჩიტი, ბინადრობს ადამიანთა საცხოვრებლის მახლობლად. *ბეღურებს საკენკი დაუყარა.*

ბეცი *ბეცის* ცუდი მხედველობის მქონე. *ბავშვობიდან ბეცი იყო.*

**ბენვეული** *ბენვეულის* სხვადასხვა ბენვი (1) და მისგან დამზადებული ტანსაცმელი ან თავსაბურავი. *ბენვეულის მაღაზია.*

**ბენვი** *ბენვის* 1. ცხოველის ტყავის თმის მსგავსი საფარველი. *ირმის ბენვი. ბენვი უბზინავს. ბენვი დასცვივდა.* 2. ზოგიერთი ცხოველის ბენვიანი ტყავი, რომლისგანაც ამზადებენ თბილ სამოსს. *ბენვის ქუდი. ბენვის მოსასხამი.* 3. თმის ღერი. *თვალში ბენვი ჩაუვარდა.* ■ **ბენვიანი** რასაც ბენვი აქვს. *ბენვიანი პალტო.* ⊙ **ბენვზე გადარჩა** ძლივს გადარჩა. ⊙ **ბენვზე ჰკიდია** მისი გადარჩენა სათუოა, საეჭვოა.

**ბენო** *ბენოს* ⊙ **ერთი ბენო** ძალიან პატარა, მცირე; ცოტაოდენი. *ერთი ბენო წიწილა.*

**ბეჭდვა** *ბეჭდვის* (ბეჭდავს, იბეჭდავს, უბეჭდავს, იბეჭდება, ებეჭდება, აბეჭდვინებს) 1. ↑ **დაბეჭდვა.** *რომანი იბეჭდება.* 2. ↑ **ჩაბეჭდვა.** გონებაში ებეჭდება.

**ბეჭდვითი** *ბეჭდვითის* ბეჭდვასთან დაკავშირებული, ბეჭდვით შექმნილი. *ბეჭდვითი პროდუქცია.*

**ბეჭდური** *ბეჭდურის* დაბეჭდილი ან დაბეჭდილის მსგავსი. *ბეჭდური ტექსტი. ბეჭდური ასოები.*

**ბეჭედი**[1] *ბეჭდის* სამკაული – ძირითადად ძვირფასი ქვებით შემკული რგოლი, იკეთებენ თითზე. *ოქროს ბეჭედი. ჯვრისწერის ბეჭედი.*

ბეჭედი[1]

**ბეჭედი**[2] *ბეჭდის* 1. ხელსაწყო, რომელზეც ამობურცულია რაიმე წარწერა ან ემბლემა. გამოიყენება ოფიციალური დოკუმენტების დასამოწმებლად. *ბეჭედი მდივანს აბარია.* 2. ამ ხელსაწყოს ანაბეჭდი ქაღალდზე. *საბუთს ბეჭედი აკლია.* 3. გადატ. ზემოქმედების კვალი. *დაღლილობის ბეჭედი ახია.*

ბეჭედი[2]



**ბეჭვა** *ბეჭვის* (ბეჭავს) ↑ **ჩაბეჭვა.** *ქსლის ბეჭვა.*

**ბეჭი**[1] *ბეჭის* 1. ცხოველის წინა ან ადამიანის ზედა კიდურის ნაწილი – სამკუთხედის მოყვანილობის ბრტყელი ძვალი, რომლითაც კიდური ზურგს უერთდება. *მარჯვენა ბეჭი. ბეჭის ძვალი.* 2 (ძირითადად მრ.) ზურგის ზედა ნაწილი. *განიერი ბეჭები. ბეჭებზე დაეცა.*

**ბეჭი**[2] *ბეჭის* საქსოვი დაზგის ნაწილი – სპეციალური სავარცხელი, რომლითაც ქსელს ბეჭავენ. *ნაბლის ხის ბეჭი.*

**ბეხრეკი** *ბეხრეკის* 1. ძალიან გამხდარი, ბებერი. *ბეხრეკი ჯორი.* 2. უპატივც. მოხუცი, ბებერი. *ბეხრეკი კაცი.*

**ბეჯითი** *ბეჯითის* ძალიან მონდომებული, დაუზარელი. *ბეჯითი მოსწავლე.*

**ბეპემოთი** *ბეპემოთის* დიდი ზომის გარეული ცხოველი, ბინადრობს აფრიკაში მტკნარი წყლების მახლობლად, იკვებება ბალახით. *ზოოპარკის ბეპემოთი.* შეცდომაა ბეგემოტი.

ბეპემოთი



**ბზა** *ბზის* დაბალი ან საშუალო სიმაღლის მარადმწვანე წვრილფოთლებიანი ხე ან ბუჩქი, აქვს მაგარი და მძიმე მერქანი. *ბზის ტოტი.*

ბზა

**ბზარვა** *ბზარვის* (ბზარავს, უბზარავს, იბზარება, ებზარება) ↑ **გაბზარვა.** *კედელი თანდათან იბზარება.*

**ბზარი** *ბზარის* გაბზარვის შედეგად გაჩენილი წვრილი ზოლი. *კედელს ბზარი გაუჩნდა.*

**ბზე** *ბზის* პურეულის გალეწვისას დარჩენილი ნამჯისა და თავთავების ნაფშვენი. ⊙ **თავში ბზე უყრია** საუბრ. ჭკუა არა აქვს.

**ბზეკა** *ბზეკის* (ბზეკს, იბზეკს, უბზეკს, იბზიკება, ებზიკება) ↑ **გაბზეკა.** *კუდს ბზეკს ხოლმე.*

**ბზენვია** *ბზენვიას* პატარა გულყვითელა ჩიტი.

**ბზიკი** *ბზიკის* იგივეა, რაც **კრაზანა.** *ბზიკის ნაკბენი.*

**ბზინვა** *ბზინვის* (ბზინავს, უბზინავს) გლუვი ზედაპირის პრიალი, ელვარება. *ფეხსაცმელი უბზინავს. ყველაფერი ბზინავს.*

**ბზობა** *ბზობის* საეკლესიო დღესასწაული, უკავშირდება იესო ქრისტეს დიდებით შესვლას იერუსალიმში, აღინიშნება აღდგომის წინა კვირას. *ბზობა იზეიმეს. ბზობის კვირა.*

**ბზრიალა** *ბზრიალას* კონუსის ფორმის სათამაშო, რომელიც საკუთარი ღერძის გარშემო სწრაფად ბრუნავს. *ბავშვის ბზრიალა.*

ბზრიალა

**ბზრიალი** *ბზრიალის* (ბზრიალებს) სწრაფად ბრუნვა, ჩქარი ტრიალი. *თითისტარი ბზრიალებს.*

**ბზუილი** *ბზუილის* (ბზუის, უბზუის, აბზუვლებს) მწერის ფრენისას დაბალი, გაბმული ხმის გამოცემა. *კოლო ბზუის. ფუტკრების ბზუილი ისმის.*

**ბიბილო** *ბიბილოს* 1. ყურის ქვედა, უხრტილო რბილი ნაწილი. *ლამაზი ბიბილო.* 2. წითელი, დაკბილული, ხორცოვანი ნანაზარდი ზოგიერთი ფრინველის თავზე. *მამლის ბიბილო.*

**ბიბინა** *ბიბინას* რაც ბიბინებს. *ბიბინა ყაყაჩოები.*

**ბიბინი** *ბიბინის* (ბიბინებს) ნიავის ან ქარის ქროლისგან ბალახის, ყვავილებისა და მისთ. ტალღისებური მოძრაობა. *ჯეჯილი ბიბინებს. ყანის ბიბინი.*

**ბიბლია** *ბიბლიის* საღვთო წიგნების კრებული, შედგება ძველი და ახალი აღთქმისაგან. *ბიბლიის*

*თარგმნა.* ■ **ბიბლიური** ბიბლიიდან მომდინარე, ბიბლიასთან დაკავშირებული. *ბიბლიური პერსონაჟები. ბიბლიური გადმოცემა.*

**ბიბლიოგრაფი** *ბიბლიოგრაფის* ბიბლიოგრაფიის სპეციალისტი. *ცნობილი ბიბლიოგრაფი.*

**ბიბლიოგრაფია** *ბიბლიოგრაფიის* 1. წიგნებისა და სხვა გამოცემების სისტემატური აღწერა. *ბიბლიოგრაფიის განყოფილება.* 2. ამა თუ იმ საკითხის შესახებ არსებული ლიტერატურის ჩამონათვალი. *ნაშრომს ბიბლიოგრაფია დაურთო.*

**ბიბლიოთეკა** *ბიბლიოთეკის* 1. დაწესებულება, რომელშიც დაცულია ფართო გამოყენებისთვის განკუთვნილი წიგნები, პერიოდული გამოცემები და მისთ. *ბიბლიოთეკის დარბაზი. ბიბლიოთეკიდან წიგნი გამოიტანა.* 2. ვინმეს საკუთრებაში არსებული წიგნების ერთობლიობა. *მშობლების ბიბლიოთეკა. საკუთარი ბიბლიოთეკა შეავსო.* 3. რაიმე ნიშნის მიხედვით გაერთიანებული წიგნების სერიული გამოცემა. *საბავშვო ბიბლიოთეკა. მსოფლიო ლიტერატურის ბიბლიოთეკა.*

**ბიბლიოთეკათმცოდნეობა** *ბიბლიოთეკათმცოდნეობის* დარგი, რომელიც სწავლობს საბიბლიოთეკო საქმიანობას. *ბიბლიოთეკათმცოდნეობის ლექცია.*

**ბიბლიოთეკარი** *ბიბლიოთეკარის* ბიბლიოთეკის თანამშრომელი, რომელიც აღწერს, გასცემს და იბარებს წიგნებს. *გამოცდილი ბიბლიოთეკარი.*

**ბიბლიოფილი** *ბიბლიოფილის* იშვიათი წიგნების მოყვარული და შემკრები. *ცნობილი ბიბლიოფილი.*

**ბიგა** *ბიგის* იგივეა, რაც **ბიჯგი**. *ბიგებით მიამაგრეს.*

**ბიდონი** *ბიდონის* ცილინდრული ფორმის სარქვლიანი ჭურჭელი, გამოიყენება სითხის ჩასასხმელად. *რძის ბიდონი.*

**ბივრილი** *ბივრილის* იგივეა, რაც **ბივრიტი**.

**ბივრიტი** *ბივრიტის* ცისფერი ძვირფასი ქვა. *ბივრიტის მძივი.*

**ბივშტექსი** *ბივშტექსის* ძროხის ხორცის დაბეგვილი, წინასწარ შეზავებული შემწვარი ნაჭერი. *გემრიელი ბივშტექსი.*

**ბიზნესი** *ბიზნესის* სავაჭრო ან სხვა სახის სამრეწველო საქმიანობა, რომელიც მოგებას იძლევა. *მცირე ბიზნესი.*

**ბიზნესმენი** *ბიზნესმენის* პირი, რომელიც ბიზნესით არის დაკავებული. *ახალგაზრდა ბიზნესმენი.*

**ბითუმი** *ბითუმის* ერთიანი, მთლიანი. ▲ **ბითუმად** ზმნზ. ერთბაშად, მთლიანად. *საქონელი ბითუმად შიაძინა.*

**ბილბორდი** *ბილბორდის* დიდი ზომის სარეკლამო აბრა ქუჩების ან ავტომაგისტრალების გასწვრივ. *ბილბორდები განათავსეს.*

**ბილეთი** *ბილეთის* 1. მცირე ზომის ფურცელი, ბარათი, რომელიც იძლევა სადმე შესვლის, ტრანსპორტით მგზავრობისა და მისთ. უფლებას. *მატარებლის ბილეთი. ბილეთები აიღო.* 2. საბუთი, რომელსაც აძლევს რომელიმე ორგანიზაცია თავის წევრებს. *სამხედრო ბილეთი.*

**ბილიარდი** *ბილიარდის* 1. თამაში სპეციალურ მაგიდაზე მოთავსებული ძვლის ან პლასტმასის ბურთებით. *ბილიარდის ჩემპიონატი.* 2. ბილიარდისთვის (1) საჭირო მოწყობილობა. *ბილიარდის მაგიდა.*

**ბილიკ-ბილიკ** ზმნზ. ბილიკებით, ბილიკებზე გავლით. *ბილიკ-ბილიკ აიარა აღმართი. ბილიკ-ბილიკ მიჰყვა ნადირს.*

ბილიკი

**ბილიკი** *ბილიკის* ვიწრო, საცალფეხო გზა. *ტყის ბილიკი.*

**ბილილა** *ბილილის* მინდვრის ყვავილი. *ბილილა აყვავდა.*

**ბილწი** *ბილწის* გარყვნილი, უხამსი. *ბილწი ენა.*

**ბილწსიტყვაობა** *ბილწსიტყვაობის* უცენზურო სიტყვების გამოყენება. *ბილწსიტყვაობას მიეჩვია.*

**ბინა** *ბინის* 1. სახლში ცალკე გამოყოფილი საცხოვრებელი ფართობი. *ოროთახიანი ბინა. ბინა იყიდა.* 2. დროებითი ან მუდმივი საცხოვრებელი, თავშესაფარი. *ბინა მოძებნა.* 3. მწყემსების დროებითი საცხოვრებელი ადგილი. *მგ ზავრებმა პირველ ბინას მიაღწიეს.* ⊙ **ბინას დაიდებს** დასახლდება, დამკვიდრდება.

**ბინადარი** *ბინადრის* ვინც ამა თუ იმ ადგილას ცხოვრობს, ბინადრობს. *კორპუსის ბინადრები.*

**ბინადრობა** *ბინადრობის* (ბინადრობს) სადმე ცხოვრება. *ადრე აქ სხვები ბინადრობდნენ.*

**ბინდბუნდი** *ბინდბუნდის* იგივეა, რაც **ბინდი**. *ბინდბუნდი ჩამოწვა.*

**ბინდი** *ბინდის* სუსტი განათება დაღამების ან გათენების წინ. *საღამოს ბინდი. სოფელი ბინდმა მოიცვა.*

ბინოკლი

**ბინოკლი** *ბინოკლის* იგივეა, რაც დურბინდი. *თეატრის ბინოკლი.*

**ბინტი** *ბინტის* მარლის გრძელი, ლენტისებური ნაჭერი, გამოიყენება ჭრილობის, მოტეხილობის, ნაღრძობის შესახვევად. *ბინტის სახვევი. სტერილური ბინტი.*

**ბინძური** *ბინძურის* 1. ძალიან ჭუჭყიანი, უსუფთაო. *ბინძური ცხვირსახოცი. ბინძური თმა.*

2. გადატ. გარყვნილი, ბილწი, არანესიერი. *ბინძური საქმე. ბინძური აზრები.*

**ბიოგრაფი** *ბიოგრაფის* პირი, რომელიც ცნობილი ადამიანის ბიოგრაფიას წერს. *მწერალს რამდენიმე ბიოგრაფი ჰყავდა.*

**ბიოგრაფია** *ბიოგრაფიის* ვინმეს ცხოვრების ისტორია, ცხოვრების გზა დაბადებიდან გარდაცვალებამდე. *მეცნიერის ბიოგრაფია. საინტერესო ბიოგრაფია აქვს.* ■ **ბიოგრაფიული** ბიოგრაფიის ამსახველი. *ბიოგრაფიული რომანი. ბიოგრაფიული ცნობები.*

**ბიოლოგი** *ბიოლოგის* ბიოლოგიის სპეციალისტი. *ბიოლოგების სიმპოზიუმი.*

**ბიოლოგია** *ბიოლოგიის* ცოცხალი ბუნების შემსწავლელ მეცნიერებათა ერთობლიობა. *ბიოლოგიის წიგნი.*

**ბიოლოგიური** *ბიოლოგიურის* ბიოლოგიისთვის განკუთვნილი, ბიოლოგიისთვის დამახასიათებელი. *ბიოლოგიური ლექსიკონი.*

**ბიოლოგობა** *ბიოლოგობას* ბიოლოგის საქმიანობა. *ბიოლოგობა გადაწყვიტა.*

**ბიოსფერო** *ბიოსფეროს* დედამიწის გარსი, სადაც არსებობს და ვითარდება სიცოცხლე.

**ბირდაბირი** *ბირდაბირის* გრძელი სახელურებიანი ხერხი, რომლითაც სამუშაოს ორი კაცი ასრულებს. *ბირდაბირით გახერხეს.*

**ბირთვი** *ბირთვის* 1. უჯრედის ან ატომის ცენტრალური ნაწილი. *ბირთვის სტრუქტურა.* 2. გადატ. საზოგადოებრივი ორგანიზაციის ძირითადი, მნიშვნელოვანი ნაწილი. *პარტიის ბირთვი.* 3. სფეროსებური სატყორცნი საგანი. *ბირთვის კვრა.*

**ბირთვული** *ბირთვულის* ატომის ბირთვში მიმდინარე პროცესებზე დაფუძნებული, ამ პროცესებთან დაკავშირებული. *ბირთვული ენერგია. ბირთვული იარაღი.*

**ბირკა** *ბირკის* ზოგიერთი ბალახის კაუჭიანი ეკლებით დაფარული ნაყოფი. *ბირკები აეკრა.*

**ბირჟა** *ბირჟის* 1. დანესებულება, სადაც ხდება მსხვილი ფინანსური და სავაჭრო გარიგებები. *საფონდო ბირჟა.* 2. საუბრ. ადგილი ღია ცის ქვეშ, სადაც მოცლილი ადამიანები იკრიბებიან სალაყბოდ. *სოფლის ბირჟა.* ◇ **შრომის ბირჟა** მუშახელის დასაქირავებელი შუამავალი დანესებულება.

**ბის** შორისდ. მაყურებელთა მოწონების შეძახილი თეატრში, კონცერტზე, გამოხატავს შესრულებული ნომრის (4) გამეორების თხოვნას.

ბისკვიტი

**ბისკვიტი** *ბისკვიტის* 1. მცირე ზომის ბრტყელი მშრალი ნამცხვარი. *შოკოლადის ბისკვიტი.* 2 ტორტის უკრემო და მოურთავი ნაწილი. *ბისკვიტი გამოაცხო.*

**ბისტრი** *ბისტრის* იგივეა, რაც ლიბრი. *თვალზე ბისტრი გადაეკრა.*

**ბიტი** *ბიტის* ინფორმაციის რაოდენობის საზომი ორობითი ერთეული.

**ბიულეტენი** *ბიულეტენის* 1. სპეციალური მცირე ზომის გამოცემა, რომელიც შეიცავს მოკლე ინფორმაციას რომელიმე ორგანიზაციის ან რაიმე ფაქტისა თუ სიახლის შესახებ. *სარეკლამო ბიულეტენი. ყოველთვიური ბიულეტენი.* 2. ექიმის მიერ გაცემული საბუთი, რომლის საფუძველზეც ავადმყოფს გაცდენილი სამუშაო დღეები საპატიოდ ეთვლება. *ბიულეტენი აიღო. სამდღიანი ბიულეტენი.* ◇ **საარჩევნო ბიულეტენი** ფურცელი, რომელზეც ასარჩევი კანდიდატებია ჩამონერილი. შეცდომაა ბიულეტინი.

**ბიურო** *ბიუროს* ზოგიერთი დაწესებულების ან განყოფილების სახელწოდება. *ცნობათა ბიურო.*

**ბიუროკრატი** *ბიუროკრატის* თანამდებობის პირი, რომელიც მოვალეობის შესრულებისას საქმის ფორმალურ (და არა არსებით) მხარეს აქცევს მეტ ყურადღებას. *ბიუროკრატები გააკრიტიკეს.*

**ბიუროკრატია** *ბიუროკრატიის* 1. მმართველობის სტილი, რომელიც უპირატესობას ანიჭებს საჯარო ადმინისტრირებას. 2. ადმინისტრაციულ მოხელეთა ფენა. *ქვეყნის ბიუროკრატია.* 3. საუბრ. იგივეა, რაც **ბიუროკრატიზმი.** ■ **ბიუროკრატიული** ბიუროკრატიასთან დაკავშირებული, ბიუროკრატიისთვის დამახასიათებელი. *ბიუროკრატიული აპარატი.*

**ბიუროკრატიზმი** *ბიუროკრატიზმის* საქმის ფორმალური მხარისთვის უპირატესობის მინიჭება. *ბიუროკრატიზმი იყო გამეფებული.*

**ბიუსტი** *ბიუსტის* 1. ქანდაკება, რომელიც გამოსახავს ადამიანის თავსა და გულმკერდს. *მწერლის ბიუსტი.* 2. ქალის გულმკერდი. *ლამაზი ბიუსტი.*

**ბიუჯეტი** *ბიუჯეტის* სახელმწიფოს, საწარმოს, ორგანიზაციისა და მისთ. შემოსავლებისა და გასავლის აღრიცხვა დროის გარკვეულ მონაკვეთში. *ბიუჯეტი დაამტკიცეს. ბიუჯეტით გათვალისწინებული.*

**ბიცოლა** *ბიცოლას* ბიძის ცოლი. *ბიცოლა გაგვიმასპინძლდა.*

**ბიძა** *ბიძის* მამის ან დედის ძმა, მამის ან დედის ნათესავი მამაკაცი. *ბიძასთან ცხოვრობს.* ■ **ბიძაშენი** შენი ბიძა. ■ **ბიძაჩემი** ჩემი ბიძა.

**ბიძაშვილი** *ბიძაშვილის* ბიძის შვილი. *ბიძაშვილი დედის მხრიდან.*

**ბიძაშვილ-მამიდაშვილი** *ბიძაშვილ-მამიდაშვილის* ბიძაშვილი და მამიდაშვილი. *ბიძაშვილ-მამიდაშვილი არიან.*

**ბიძაშვილობა** *ბიძაშვილობის* ბიძაშვილების ურთიერთობა, ბიძაშვილებს შორის დამოკიდებულება. *კარგი ბიძაშვილობა აქვთ.*

**ბიძგება** *ბიძგების* (უბიძგებს) 1. ხელის კვრა, წინ

ნაგდება. *წინ მდგომს უბიძგა.* 2. გადატ. რაიმე ქმედებისკენ წაქეზება. *ალლომ უბიძგა. დანაშაულისკენ უბიძგეს.*

**ბიძგი** *ბიძგის* უეცარი რყევა. *მიწისქვეშა ბიძგები.* ◎ ბიძგს მისცემს (აძლევს) ხელსაყრელ პირობებს შეუქმნის წინსვლისთვის, ცვლილებებისთვის.

**ბიძია** *ბიძიას* იგივეა, რაც ბიძა. *ბიძია ესტუმრათ.*

**ბიძიკო** *ბიძიკოს* გამოიყენება უმცროსისადმი მიმართვის დროს. *რა გქვია, ბიძიკო?*

**ბიწი** *ბიწის* ზნეობრივი ნაკლი. *ბიწი ვერ უპოვეს.*

**ბიწიერება** *ბიწიერების* უზნეობა, გარყვნილება. *ბიწიერებით სავსე გული.*

**ბიწიერი** *ბიწიერის* უზნეო, გარყვნილი. *ბიწიერი განზრახვა. ბიწიერი მზერა.*

**ბიჭბუჭები** *ბიჭბუჭების* (მრ.) ირონ. ბიჭები. *ბიჭბუჭებს ნუ აჰყვები!*

**ბიჭი** *ბიჭის* 1. მამრობითი სქესის ბავშვი. *ბიჭები ეზოში თამაშობენ. ბიჭი და გოგო.* 2. ახალგაზრდა კაცი. *ოცი წლის ბიჭი.* 3. იგივეა, რაც ვაჟი (3). *ტყუპი ბიჭი ჰყავს.* 4. იგივეა, რაც ვაჟკაცი (1). *თუ ბიჭი ხარ, დამიდექი!* ■ **ბიჭური** ბიჭისთვის დამახასიათებელი. *ბიჭური ვარცხნილობა.* ◎ **ქუჩის ბიჭი** უსაქმური ბიჭი, რომელიც მთელ დროს ქუჩაში ატარებს.

**ბიჭიანობა** *ბიჭიანობის* იგივეა, რაც ვაჟიანობა. *ბიჭიანობას ულოცავენ.*

**ბიჭუნა** *ბიჭუნას* ალერს. პატარა ბიჭი. *ეზოში ბიჭუნები თამაშობდნენ.*

**ბიჯგი** *ბიჯგის* კედლის, ჭერისა და მისთ. გასამაგრებლად შედგმული საყრდენი ბოძი. *ბიჯგი შეუყენა.*

**ბლაგვი** *ბლაგვის* რაც კარგად ან საერთოდ არ ჭრის. *ბლაგვი დანა.* ↔ ბასრი.

**ბლანდვა** *ბლანდვის* (ბლანდავს, იბლანდავს, უბლანდავს, იბლანდება, ებლანდება, აბლანდვინებს) 1. ↑ დაბლანდვა. *ტანსაცმელს ბლანდავს. ძველმანებს ბლანდავდა.* 2. გადატ. საქმიანობაში დაბრკოლების შექმნა, ხელის შეშლა. *თვალებში ნუ მებლანდები! ფეხებში ებლანდება.*

**ბლანდი** *ბლანდის* სახელდახელოდ, არამჭიდროდ ნაკერი. *ბლანდი ეტყობა.*

**ბლანკი** *ბლანკის* 1. სპეციალური ფურცელი, რომელზეც დაბეჭდილია ორგანიზაციის ან დაწესებულების რეკვიზიტები, გამოიყენება ოფიციალური მიწერ-მოწერისთვის ან რაიმე დოკუმენტის შესადგენად. *მიმართვის ბლანკი.* 2. ნაბეჭდი ფურცელი, რომელზეც დატოვებულია ცარიელი ადგილები შესავსებად. *სარეგისტრაციო ბლანკი. ბლანკი შეავსო.*

**ბლანმანჟე** *ბლანმანჟეს* ნაღების ან რძის ჟელე. შეცდომაა ბლამანჟე, ბლომანჟე.

**ბლანტი** *ბლანტის* ოდნავ შესქელებული. *ბლანტი მასა.*

**ბლეფი** *ბლეფის* რაიმეს მოგონება, შეთხზვა ვინმეს მოტყუების მიზნით. *ყველაფერი ბლეფი აღმოჩნდა.*

**ბლითი** *ბლითის* პურის თეთრი ფქვილისგან გამომცხვარი რგოლი. *კანაფზე აცმული ბლითები.*

**ბლინდაჟი** *ბლინდაჟის* მიწისქვეშა თავდაცვითი ნაგებობა ბრძოლის ველზე. *ბლინდაჟების მშენებლობა.*

**ბლინი** *ბლინის* თხელი ცომისგან მომზადებული, ტაფაზე მრგვალად გამომცხვარი თხელი კვერი. *შაქარმოყრილი ბლინები.*

**ბლიცი** *ბლიცის* 1. მოწყობილობა, რომელიც გამოიყენება გადასაღები ობიექტის მეყსეული ძლიერი განათებისთვის. 2. სწრაფად გათამაშებული საჭადრაკო პარტია.

**ბლიცტურნირი** *ბლიცტურნირის* სპორტული შეჯიბრება დროის შეზღუდულ მონაკვეთში.

**ბლობა** *ბლობის* ბლის მწიფობის დრო. *ბლობა მალე დადგება.*

**ბლოგი** *ბლოგის* საიტის სახეობა, ჩვეულებრივ, განკარგავს ერთი პიროვნება, რომელიც რეგულარულად აქვეყნებს კომენტარებს, სტატიებს, გამოსახულებებსა და სხვა მასალებს.

**ბლოკადა** *ბლოკადის* 1. იგივეა, რაც ალყა (1). *ხანგრძლივი ბლოკადა.* 2. პოლიტიკური ზემოქმედების მიზნით სახელმწიფოს ან ქვეყნის ნაწილის ეკონომიკური ან საკომუნიკაციო იზოლაცია. *ბლოკადით დაემუქრა.* 3. მედიც. რომელიმე ორგანოს ფუნქციის ხელოვნური გამოთიშვა. *მკურნალობა ნოვოკაინის ბლოკადით.*

ბლოკი

**ბლოკი** *ბლოკის* 1. სახელმწიფოების, პარტიების, საზოგადოებრივი ჯგუფების გაერთიანება. *ოპოზიციური ბლოკი.* 2. ბეტონის დიდი ზომის ოთხკუთხა ნაჭერი, გამოიყენება საშენ მასალად. *ბლოკის შენობა. ბლოკის კედელი.* 3. დაწესებულებაში სპეციალურად გამოყოფილი ადგილი. *ავადმყოფი ბლოკში გადაიყვანეს. საოპერაციო ბლოკი.*

**ბლოკირება** *ბლოკირების* 1. ბლოკადის (2) მოწყობა. *მაგისტრალის ბლოკირება.* 2. სასიგნალო მოწყობილობათა სისტემა მატარებელთა მიმოსვლის რეგულირებისთვის. *ავტომატური ბლოკირება.*

**ბლოკნოტი** *ბლოკნოტის* მცირე ზომის რვეული რაიმეს ჩასაწერად ან ჩასანიშნად, რომელსაც შესაძლოა ჰქონდეს მოსახვევი ფურცლები. *შენიშვნები ბლოკნოტში ჩაიწერა. სქელყდიანი ბლოკნოტი.*

**ბლომად** ზმნზ. დიდი რაოდენობით, უხვად. *ხილი ბლომად იყო. ბლომად ხალხი მოვიდა.*

**ბლუ** *ბლუს* ვისაც მეტყველება უჭირს, სიტყვებს ძნელად გამოთქვამს. *ბლუ ბიჭი.*

**ბლუზა** *ბლუზის* თხელი ქსოვილისგან შეკერილი ან ნაქსოვი წელს ზედა ჩასაცმელი. *ქალის ბლუზა. მამაკაცის ბლუზა.*

ბლუზა



**ბლუზი** *ბლუზის* მუსიკალური ჟანრი, რომლისთვისაც დამახასიათებელია სევდიანი, ლირიკული მელოდია და შესრულების ნელი ტემპი. *ბლუზის რიტმები.*

**ბლუთუსი** *ბლუთუსის* ულტრამოკლე რადიოტალღების საშუალებით დამყარებული უსადენო კავშირი მობილურ ან სტაციონარულ ელექტრონულ მოწყობილობებს შორის ინფორმაციის გასაცვლელად.

**ბლუკუნა** *ბლუკუნას* ვინც ბლუკუნით ლაპარაკობს. *ბლუკუნა ბავშვი.*

**ბლუკუნი** *ბლუკუნის* (ბლუკუნებს) ენის დაბმით, ბორძიკით ლაპარაკი. *შიშისგან ბლუკუნებს. ბლუკუნი დაიწყო.*

**ბლუყუნი** *ბლუყუნის* (ბლუყუნებს) გაუგებრად ლაპარაკი. *მოსწავლე რაღაცას ბლუყუნებს. რას ბლუყუნებ?!*

**ბმა** *ბმის* (ამაბს, იბამს, უბამს, იბმება, ებმება, აბია, უბია, აბმევინებს) 1. ↑ **დაბმა.** *ცხვარს ეზოში აბამს.* 2. ↑ **გაბმა.** *თოკს აბამს.* 3. ↑ **მობმა.** *ნაყოფს იბამს.* 4. ტექნ. გარკვეული ელემენტების, სიდიდეების, მონაცემებისა და მისთ. დაკავშირება, შეერთება.

**ბმული** *ბმულის* რაც ბმის (4) შედეგად არის მიღებული. *საიტის ბმული.*

**ბნედა** *ბნედის* (ბნედს, იბნიდება, ებნიდება) 1. ↑ **დაბნედა.** გონება ებნიდება. 2. იგივეა, რაც ეპილეფსია. *ბნედა ემართება.*

**ბნედიანი** *ბნედიანის* ბნედით (2) დაავადებული. *ბნედიანი ავადმყოფი. ბნედიანივით დადის.*

**ბნელეთი** *ბნელეთის* 1. ადგილი, სადაც მუდამ ბნელა. 2. გადატ. ჯოჯოხეთი. ⊙ **ბნელეთის მოციქული** სატანა.

**ბნელი** *ბნელის* სადაც (ან როცა) არაფერი ჩანს, გაუნათებელი. *ბნელი ოთახი. ბნელი ღამე.* ↔ **ნათელი.**

**ბობინა** *ბობინის* 1. ლილვი, რომელზეც ეხვევა მავთული, ძაფი, ქსოვილი და მისთ. 2. მრგვალი კოლოფი, რომელშიც იდება გორგოლაჭზე დახვეული კინოფირი. 3. მაგნიტოფონის გორგოლაჭი, რომელზეც ეხვევა ფირი.

**ბობოლა** *ბობოლას* მდიდარი, დიდი ძალისა და გავლენის მქონე პირი. *ბობოლა ხალხი. ბობოლას აგარაკი.*

**ბობოქარი** *ბობოქრის* ძალიან მღელვარე, მშფოთვარე. *ბობოქარი ზღვა. ბობოქარი სული.*

**ბობოქრობა** *ბობოქრობის* (ბობოქრობს) 1. ძლიერი ღელვა. *ზღვა ბობოქრობს.* 2. გადატ. შფოთვა, ყვირილი, ჩხუბი. *დადის და ბობოქრობს.*

**ბობოწვერა** *ბობოწვერას* ხეზე თმასავით ჩამოკიდებული მოთეთრო ხავსი. *ფიჭვს ბობოწვერა ჰკიდია.*

**ბობსლეი** *ბობსლეის* 1. შეჯიბრება საჭიანი მარხილებით მთიდან სწრაფდაშვებაში. 2. მარხილი ასეთი შეჯიბრებისთვის.

**ბობღვა** *ბობღვის* (ბობღავს) ხელების დახმარებით გადაადგილება. *პატარამ ბობღვა ისწავლა.*

**ბოგანო** *ბოგანოს* ძალიან ღარიბი, არაფრის მქონე. *ბოგანო გლეხი.*

**ბოგირი** *ბოგირის* პატარა ხიდი. *ხის ბოგირი. ქვის ბოგირი.*

**ბოდვა** *ბოდვის* (ბოდავს, აბოდებს) 1. უაზროდ, არეულად ლაპარაკი ძილის დროს ან ავადმყოფობისას. *სიცხისგან ბოდავს. ძილში ხშირად ბოდავს.* 2. საუბრ. ყოველგვარ აზრს მოკლებული ლაპარაკი. *მთვრალი რაღაცას ბოდავს. რას ბოდავ?*

**ბოდიალი** *ბოდიალის* (ბოდიალობს) 1. უაზროდ და უმიზნოდ აქეთ-იქით სიარული. *ქუჩაში ბოდიალი უყვარს. დალამებამდე იბოდიალა.* 2. უაზრო და უშინაარსო ლაპარაკი. *მის ბოდიალს არავინ უსმენს.*

**ბოდიში** *ბოდიშის* სიტყვა, რომლითაც შეწუხების, უხერხული საქციელისა და მისთ. გამო პატიებას ითხოვენ. ⊙ **ბოდიშს მოიხდის (მოუხდის ვინმეს)** პატიებას ითხოვს.

**ბოდიშობა** *ბოდიშობის* (ბოდიშობს, ებოდიშება) ბოდიშის თქმა. *ყველასთან ბოდიშობს.*

**ბოზბაში** *ბოზბაშის* ცხვრის ან ბატკნის ხორცისა და დუმისგან მომზადებული, ხახვითა და ქინძით შეზავებული. წვნიანი კერძი. *ცხელი ბოზბაში.*

**ბოთე** *ბოთეს* მოუხერხებელი, მოუქნელი. *ნამდვილი ბოთე ხარ!*

**ბოთლი** *ბოთლის* მინის ან სხვა მასალის ვიწროყელიანი მაღალი ჭურჭელი, გამოიყენება სითხის ჩასასხმელად. *ღვინის ბოთლი.*

ბოთლი

**ბოიკოტი** *ბოიკოტის* ორგანიზაციასთან, სახელმწიფოსთან ან კერძო პირთან ურთიერთობის სრული ან ნაწილობრივი გაწყვეტა პროტესტის ნიშნად. *ბოიკოტი გამოუცხადა.*

**ბოკვერი** *ბოკვრის* დიდი ზომის მტაცებლის (ლომის, ვეფხვისა და მისთ.) ნაშიერი. *ლომის ბოკვერი.*

**ბოკვი** *ბოკვის* ფოთლოვანი მაღალი ხე, ისხამს ფრთიან ნაყოფს, გავრცელებულია მაღალი მთის ტყეებში.

**ბოლვა** *ბოლვის* (ბოლავს) ცუდი წვისას ბოლის გაშვება, ახრჩოლება. *ნედლი შეშა ბოლავს.*

**ბოლთა** *ბოლთის* ⊙ **ბოლთას სცემს** წინ და უკან დადის, ჩვეულებრივ, მღელვარების, ნერვიულობის გამო.

**ბოლი** *ბოლის* წვის შედეგად ჰაერში გამოყოფილი, თეთრი ან მონაცრისფრო ელფერის მქონე აირი. *საკვამურიდან ბოლი ამოდიოდა.*

**ბოლო** *ბოლოს* 1. იგივეა, რაც **დასასრული**. *სოფლის ბოლო.* 2. იგივეა, რაც **უკანასკნელი**. *ბოლო სიტყვა.* 3. ფრინველის ბუმბული კუდზე. *ფარშავანგის ბოლო.* 4. ტანსაცმლის კალთის უკანა ნაწილი. *ჩოხის ბოლო.* 5. გადატ. აღსასრული. *ყველას ბოლო სიკვდილია.* ▲ **ბოლომდე** ზმნზ. სავსებით, მთლიანად. *ბოლომდე შეჭამს.* ▲ **ბოლოს** ზმნზ. უკანასკნელად, დასასრულისას. *ბოლოს სახლს მიადგა.* ⊙ **ბოლო არ უჩანს** არ თავდება. ⊙ **ბოლომდე მიიყვანს** დაწყებულ საქმეს დაამთავრებს. ⊙ **ბოლოს და ბოლოს** სულ ბოლოს, როგორც იქნა. ⊙ **ბოლოს მოუღებს** მოსპობს, მოკლავს.

**ბოლოდროინდელი** *ბოლოდროინდელის* ახლო წარსულში, ცოტა ხნის წინ მომხდარი. *ბოლოდროინდელი ამბები.*

**ბოლოკა** *ბოლოკას* ერთწლოვანი სარეველა ბალახი, აქვს ყვითელი ყვავილი, ნორჩი ინმარება მხლად. *მინდვრის ბოლოკა.*


ბოლოკი

**ბოლოკი** *ბოლოკის* ორწლოვანი ბოსტნეული მცენარე, აქვს მომრგვალო-მოგრძო სხვადასხვა ფერის ბოლქვი, რომელიც იჭმება. *ბოლოკის სალათა.*

**ბოლომძოვარა** *ბოლომძოვარას* თმის დაავადება, რომლის დროსაც თმის ბოლო იყოფა რამდენიმე წვერად და იფშვნება.

**ბოლოსართი** *ბოლოსართის* გრამატ. სიტყვის ნაწილი, რომელსაც დამოუკიდებელი მნიშვნელობა არა აქვს და ფუძეს (3) ბოლოში დაერთვის.

**ბოლოსიტყვაობა** *ბოლოსიტყვაობის* ნაწარმოების ბოლოს დართული ავტორისეული განმარტება. *წიგნის ბოლოსიტყვაობა წაიკითხა.*

**ბოლოქანქარა** *ბოლოქანქარას* პატარა მონაცრისფრო ჩიტი, აქვს გრძელი ბოლო, რომელსაც ხტომის დროს არხევს.

**ბოლოცეცხლა** *ბოლოცეცხლას* პატარა მგალობელი ჩიტი. *ბუჩქზე ბოლოცეცხლა ზის.*

**ბოლქვი** *ბოლქვის* ზოგიერთი ბოსტნეულისა და ბალახოვანი მცენარის მსხვილი, მომრგვალო მიწისქვეშა ნაყოფი. *ხახვის ბოლქვები. ბოლქვით გამრავლება.* ▪ **ბოლქვიანი** რასაც ბოლქვი აქვს. *ბოლქვიანი მცენარე.*

**ბომბდამშენი** *ბომბდამშენის* სამხედრო თვითმფრინავი, რომლითაც მოწინააღმდეგის ობიექტებს ბომბავენ. *მტრის ბომბდამშენები.*

**ბომბი** *ბომბის* ფეთქებადი ნივთიერებით დატენილი ჭურვი. *ქალაქში ბომბები ჩამოყარეს. ატომური ბომბი.*

**ბონდი** *ბონდის* ბაგირებზე დაკიდებული ხიდი. *ბონდზე გადავიდნენ.*

**ბონუსი** *ბონუსის* დამატებითი ფულადი ჯილდო, პრემია, რომელიც გაიცემა კარგად შესრულებული სამუშაოსთვის. *ბონუსების დარიცხვის სისტემა.*

**ბორა**[1] *ბორას* დიდი ბუზი, იკვებება პირუტყვის სისხლით. *ბორამ ნახირი შეაწუხა.*

**ბორა**[2] *ბორას* არწივის მსგავსი მტაცებელი ფრინველი. *ცაზე ბორა გამოჩნდა.*

**ბორანი** *ბორნის* 1. საზღვაო და სამდინარო ტრანსპორტის სახეობა – ბრტყელძირა, ფართო ტივი, რომელიც გამოიყენება მდინარის, ტბის, სრუტის ერთი ნაპირიდან მეორეზე ხალხის გადასაყვანად, ტვირთის გადასაზიდად. *ძველად მტკვარზე ბორნით გადადიოდნენ.* 2. დიდი გემი, რომლითაც სახმელეთო ტრანსპორტი გადაჰყავთ. *მატარებელი ბორნით გადაიყვანეს.*


ბორბალი

**ბორბალი** *ბორბლის* მრგვალი საგანი, რომელიც ბრუნავს საკუთარი ღერძის გარშემო და მანქანებს გადაადგილებს, მექანიზმებს ამუშავებს. *ეტლის ბორბალი. ავტომანქანის ბორბალი. მატარებლის ბორბალი.* ▪ **ბორბლებიანი** ბორბლების მქონე. *ბორბლებიანი სათამაშო. ბორბლებიანი მექანიზმი.*

**ბორგვა** *ბორგვის* (ბორგავს) ღელვა, შფოთვა, მოუსვენრად ყოფნა. *ავადმყოფი დიდხანს ბორგავდა.*

**ბორდიური** *ბორდიურის* ქვის ფილების ზოლი ქუჩის ან გზის ნაპირების გასწვრივ ტროტუარების, გაზონებისა და მისთ. გამოსაყოფად. *ტროტუარის ბორდიური.*

**ბორიალი** *ბორიალის* (ბორიალებს) უაზროდ, უმიზნოდ სიარული. *დილიდან ბორიალი დაიწყო.*

**ბორიო** *ბორიოს* ჩრდილოეთის ძლიერი ცივი ქარი. *ბორიო უბერავს.*


ბორკილი

**ბორკილი** *ბორკილის* ჯაჭვით გადაბმული რკინის ორი რგოლი, რომლებითაც პატიმრებს, ცხოველებს კიდურებს უკრავენ. *ბორკილი დაადეს.*

**ბოროტება** *ბოროტების* დიდი სიავე, ძალიან ცუდის, უკეთურის ქმნა. *ბოროტებას სჩადის.*

**ბოროტი** *ბოროტის* 1. ცუდის, ავის მსურველი, ზიანის მომტანი. *ბოროტი კაცი. ბოროტი ენა. ბოროტი მზერა.* ↔ კეთილი. 2. საუბრ. იგივეა, რაც **ბოროტება**. *ბოროტი ჩაიდო გულში.*

**ბოროტმოქმედება** *ბოროტმოქმედების* მძიმე დანაშაულის ჩადენა. *ბოროტმოქმედება აღკვეთეს.*

ბოროტმოქმედი *ბოროტმოქმედის* ვინც ბოროტმოქმედებას სჩადის. *ბოროტმოქმედი დაიჭირეს.*

ბორტი *ბორტის* 1. გემის გვერდითი ან მისი ზედა კიდე. *ტალღები ბორტს ეხეთქება.* 2. სატვირთო ავტომობილის, ღია სატვირთო ვაგონისა და მისთ. ძარას კედელი. *გადახსნილი ბორტები.* 3. პალტოს, პიჯაკის მარჯვენა ან მარცხენა ნაწილი – გადაკეცილი კიდე. *ვიწრო ბორტები.*

ბორშო *ბორშოს* დაჭრილი ბოსტნეულისგან მომზადებული წვნიანი. *უხორცო ბორშო.*

ბორცვი *ბორცვის* მცირედ შემაღლებული ადგილი. *ბუჩქნარით დაფარული ბორცვი.*

ბორცვი

ბორძიკი *ბორძიკის* (ბორძიკობს) 1. შეფერხება სიარულისას (ფეხის წამოკვრის ან გადაბრუნების გამო). *ბორძიკით დადის.* 2. ენის დაბმით ლაპარაკი. *ბორძიკით ჰყვება ამბავს.*

ბორხვენა *ბორხვენას* იგივეა, რაც ბუერა.

ბორჯი *ბორჯის* იგივეა, რაც ფესვი (1).

ბორჯღალი *ბორჯღალის* მზის გრაფიკული სიმბოლო. *ბორჯღალი ახატია.*

ბორჯღლი *ბორჯღლის* 1. მსხვილი ტოტის განაყოფი, გაშლილი ტოტები. *ვაშლის ბორჯღლი.* 2. გადატ. ძლიერ დატოტვილი ხე ან ირმის რქები.

ბოსელი *ბოსლის* სპეციალური ნაგებობა მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სადგომად. *ხის ბოსელი. ძროხა ბოსელში დააბა.*

ბოსტანა *ბოსტანას* მოზრდილი ყავისფერი ხოჭო, რომელიც ბოსტნეულის ფესვებს აზიანებს. *ბოსტანა შემოგვესია.*

ბოსტანი *ბოსტნის* მინის ნაკვეთი, რომელზეც მოჰყავთ საკვები მცენარეები (პამიდორი, კიტრი, კომბოსტო, მწვანილი და მისთ.). *პატარა ბოსტანი. ბოსტნის კვალი.*

ბოსტანი

ბოსტნეული *ბოსტნეულის* ბოსტანში მოყვანილი მცენარეების (კომბოსტოს, სტაფილოს, ჭარხლისა და მისთ.) საერთო სახელწოდება. *ბოსტნეულის მალაზია. ბოსტნეულის სალათა.*

ბოტანიკა *ბოტანიკის* მცენარეების შემსწავლელი მეცნიერება. *ბოტანიკის გაკვეთილი.* ■ ბოტანიკური ბოტანიკასთან დაკავშირებული. *ბოტანიკური ლიტერატურა.*

ბოტანიკოსი *ბოტანიკოსის* ბოტანიკის სპეციალისტი. *საუკეთესო ბოტანიკოსი.*

ბოტასი *ბოტასის* სპორტული ფეხსაცმელი. *თეთრი ბოტასები.*

ბოტასი

ბოტება *ბოტების* (აბოტებს) დიდი ნაბიჯებით სიარული. *გზაზე დააბოტებს.*

ბოტი[1] *ბოტის* დაუკოდავი მამალი თხა. *ბოტის ხორცი არ იჭმება.*

ბოტი[2] *ბოტის* ავდარში ჩასაცმელი რეზინის მაღალყელიანი ფეხსაცმელი. *წითელი ბოტები.*

ბოქვენი *ბოქვენის* ანატ. მენჯის წინა ძვლების შეერთების ადგილი მუცლის ქვედა ნაწილში. *ბოქვენის ძვალი.*

ბოქლომი *ბოქლომის* ჩამოსაკიდებელი რკინის საკეტი, რომელსაც კაუჭით კიდებენ კარს. *ბოქლომი დაადო.*

ბოქლომი

ბოქსიტი *ბოქსიტის* ნალექი ქანი, ალუმინის მადანი. *ბოქსიტის საბადო.*

ბოღლინო *ბოღლინოს* ღვინოში ჩამბალი პური.

ბოღმა *ბოღმის* ძლიერი წყენა, ჯავრი, შური. *ბოღმას ვერ მალავს. გული ბოღმით აქვს სავსე.* ■ ბოღმიანი ბოღმის მქონე. *ბოღმიანი ადამიანი. ბოღმიანი ნათქვამი.*

ბოყინი *ბოყინის* (აბოყინებს) კუჭში დაგროვილი აირის პირიდან ამოშვება. *ბავშვი ხშირად აბოყინებს. ბოყინი აუტყდა.*

ბოში *ბოშის* სუსტად მოჭერილი, ფომფლე. *ბოში ქამარი.*

ბოჩოლა *ბოჩოლას* ალერს. ხბო. *ბიჭი ბოჩოლას მისდევს.*

ბოცა *ბოცის* მინის ან სხვა მასალის ვიწროყელიანი დიდი ჭურჭელი სითხის ჩასასხმელად. *ათლიტრიანი ბოცა.*

ბოცა

ბოცვერი *ბოცვრის* შინაური კურდღელი. *ბოცვრის ბეწვი.*

ბოცმანი *ბოცმანის* საზღვაო ფლოტის უმცროსი მეთაური (ზემდეგი), რომელსაც ევალება სამეურნეო სამუშაოების ხელმძღვანელობა გემზე.

ბოძება *ბოძების* (უბოძებს, ებოძება) პატივისც. მიცემა, მინიჭება. *თანამდებობა უბოძეს. მეფემ მამულები უბოძა.* ■ ბოძებული რაც უბოძეს. *ღვთისგან ბოძებული ნიჭი.*

ბოძი *ბოძის* სწორი, ვერტიკალური ძელი, საყრდენი. *ბოძები შეუყენეს.* ■ ბოძებიანი ბოძების მქონე. *ბოძებიანი ხიდი.* ⊙ **სამარცხვინო ბოძზე გაკვრა** საქვეყნოდ შერცხვენა, გაკიცხვა.

ბოჭკო *ბოჭკოს* ცოცხალი ორგანიზმებისა და მინერალების შემადგენელი, ან ხელოვნურად მიღებული ძაფისებური წარმონაქმნი. *ბამბის ბოჭკო. ქიმიური ბოჭკო.*

ბოხი *ბოხის* დაბალი და ძლიერი (ხმა). *ბოხი ხმით ლაპარაკობს.*

ბოხოხი *ბოხოხის* ცხვრის ან ბატკნის ტყავისგან

შეკერილი ქუდი. *ბოხოხი ახურავს.*

ბოხოხი

**ბოხჩა** *ბოხჩის* ოთხკუთხა ქსოვილში გამოხვეული ნივთების შეკვრა. *ტანსაცმლის ბოხჩა. ბოხჩაგახსნა.*

**ბოჯგი** *ბოჯგის* გემბანზე ან ნავმისადგომზე ბაგირის, ბუქსირის გამოსაბმელი, პალოს მსგავსი რკინა.

**ბოჰემა** *ბოჰემის* I. ხელმოკლე მსახიობები, მწერლები, მუსიკოსები, მხატვრები, რომელთაც არა აქვთ მუდმივი შემოსავალი. *თბილისური ბოჰემა.* 2. ბოჰემის (1) ცხოვრება. ■ **ბოჰემური** ბოჰემისთვის დამახასიათებელი. *ბოჰემური სტილი.*

**ბუჟილი** *ბუჟილის* (უბუჟის) შემაწუხებელი შეგრძნება, რომელიც სხეულის დაბუჟებულ ადგილზე აქვს ადამიანს. *ხელების ბუჟილი. ფეხი უბუჟის.*

**ბუჟტვა** *ბუჟტვის* (ბუჟტავს, ებუჟტება) ოდნავი ნათება, ცეცხლის, შუქის მინელება. *ჭრაქი ბუჟტავს.*

**ბუჟტური** *ბუჟტურის* (ბუჟტურებს) საუბრ. უაზრო, უთავბოლო ლაპარაკი. *ბუჟტური დაიწყო. რამდენს ბუჟტურებს.*

**ბრა** *ბრის* კედელზე დამაგრებული სანათი. *ბრა აანთო.*

**ბრაგაბრუგი** *ბრაგაბრუგის* მაგარ ზედაპირზე განმეორებადი დარტყმების ხმა. *ჩაქუჩის ბრაგაბრუგი ისმის.*

**ბრაგვანი** *ბრაგვანის* მძიმედ დავარდნის, დაცემის ხმა. *ყრუ ბრაგვანი მოგვესმა.* ⊙ **ბრაგვანს მოადენს** ერთბაშად, ხმაურით დაეცემა, დაენარცხება.

**ბრაგუნი** *ბრაგუნის* (აბრაგუნებს, უბრაგუნებს) მძიმედ და ძლიერად რტყმა ყრუ ხმის გამოცემით. *კარს აბრაგუნებს. ჩექმების ბრაგუნი.*

**ბრავო** შორისდ. მოწონების, აღტაცების გამომხატველი შეძახილი.

**ბრაზი** *ბრაზის* ძლიერი გაჯავრება. *ბრაზი ახრჩობს. ბრაზს ვერ მალავს.* ⊙ **ბრაზი მოერევა** გაბრაზდება.

**ბრაზიანი** *ბრაზიანის* ვინც ხშირად ბრაზდება, ყვირის, ჩხუბობს, ბრაზით აღსავსე. *ბრაზიანი კაცი. ბრაზიანი გამოხედვა.*

**ბრაზობა** *ბრაზობის* (ბრაზობს) ძლიერი გაჯავრება. *რატომ ბრაზობ?*

**ბრაკონიერი** *ბრაკონიერის* პირი, რომელიც ნადირობის ან თევზაობის შესახებ კანონს არღვევს. *ბრაკონიერები დააკავეს.*

**ბრაკონიერობა** *ბრაკონიერობის* (ბრაკონიერობს) ნადირობა ან თევზაობა შესაბამისი კანონმდებლობის დარღვევით. *ნაკრძალში ბრაკონიერობს.*

**ბრალდება** *ბრალდების* დადანაშაულება, ბრალის დადება. *უსამართლო ბრალდება. ბრალდება უარყო.*

**ბრალდებული** *ბრალდებულის* პირი, რომელსაც რაიმე დანაშაულში ედება ბრალი, ვინც სამართალშია მიცემული. *ბრალდებულმა დანაშაული აღიარა.*

**ბრალეულობა** *ბრალეულობის* დანაშაულის არსებობა. *ბრალეულობის დამტკიცება.*

**ბრალი** *ბრალის* იგივეა, რაც **დანაშაული**. *ბავშვების ბრალი იყო. ბრალი მიუძღვის.* ⊙ **ბრალს დასდებს** დაადანაშაულებს.

**ბრალიანი** *ბრალიანის* ვისაც ბრალი მიუძღვის, ბრალის მქონე. *ბრალიანი კაცი.*

**ბრალმდებელი** *ბრალმდებლის* პირი, რომელიც სამართალში მიცემულს ბრალს სდებს, მის ბრალდებას ასაბუთებს. *მოსამართლემ ბრალმდებელს სიტყვა მისცა.*

**ბრახაბრუხი** *ბრახაბრუხის* ძლიერი დარტყმის ხშირად გამეორებისას გამოცემული ხმა. *დერეფანში ბრახაბრუხი ატყდა.*

**ბრახუნი** *ბრახუნის* (აბრახუნებს, უბრახუნებს) ძლიერი დარტყმა მაღალი ხმის გამოცემით. *კარი ბრახუნით გაიღო. ფეხებს ნუ აბრახუნებ!*

**ბრბო** *ბრბოს* უწესრიგოდ, არაორგანიზებულად შეკრებილი ადამიანების დიდი ჯგუფი. *ბრბოს შეჩერება შეუძლებელი იყო. ბრბოში გაერია.*

**ბრგე** *ბრგის* დიდი ტანისა და ძლიერი აღნაგობის მქონე. *ბრგე ვაჟკაცი.*

**ბრდღვიალა** *ბრდღვიალას* რაც ბრდღვიალებს. *ბრდღვიალა სინათლე.*

**ბრდღვიალი** *ბრდღვიალის* (ბრდღვიალებს) ძლიერი ნათება, კაშკაში, ბრწყინვა, ელვარება. *ნათურა ბრდღვიალებს.*

**ბრდღვინვა** *ბრდღვინვის* (ბრდღვინავს) I. ნადირის ღრიალი. *ლომი ბრდღვინავს.* 2. გადატ. განრისხებული ადამიანის ყვირილი. *მამამისი ბრდღვინავს.*

**ბრდღვნა** *ბრდღვნის* (ბრდღვნის, იბრდღვნის, უბრდღვნის, იბრდღვნება) იგივეა, რაც **ბდღვნა**.

**ბრეზენტი** *ბრეზენტის* უხეში წყალგაუმტარი ქსოვილი. *ბრეზენტის ლაბადა. ბრეზენტის კარავი.*

**ბრეცა** *ბრეცის* (ბრეცს, იბრიცება, ებრიცება) ↑ **დაბრეცა**. *ფეხებს ბრეცს. თითები ებრიცება.*

**ბრიალა** *ბრიალას* რაც ბრიალებს. *ბრიალა ცეცხლი.* ⊙ **ბრიალა თვალები** დიდი და მოელვარე, ცოცხალი თვალები.

**ბრიალი** *ბრიალის* (ბრიალებს) ძლიერად, დიდი ალით ნვა. *ბუხარში ცეცხლი ბრიალებს.*

**ბრიგადა** *ბრიგადის* I. ერთი პროფესიის მქონე ადამიანთა ჯგუფი, რომელიც გარკვეულ სამუშაოს ასრულებს. *მევენახეთა ბრიგადა.* 2. ქვეითი ჯარის სამხედრო ნაწილების შენაერთი. *ბრიგადის გენერალი.*

**ბრიკეტი** *ბრიკეტის* აგურის ფორმის დაპრესილი

რაიმე მასალა ან ნივთიერება. *კარაქის ბრიკეტი. ნახერხის ბრიკეტი.*

**ბრილიანტი** *ბრილიანტის* ძვირფასი ქვა, დამუშავებული ალმასი. *ბრილიანტის სამკაული. ბრილიანტის ყელსაბამი.*

**ბრინზა** *ბრინზის* ყველის სახეობა. *ბრინზის ნაჭერი.*

**ბრინჯაო** *ბრინჯაოს* სპილენძის შენადნობი კალასთან, ტყვიასთან და მისთ. *ბრინჯაოს იარაღი. ბრინჯაოს ბიუსტი.*

**ბრინჯაოსფერი** *ბრინჯაოსფრის* ყავისფერი მოწითალო ელფერით. *ბრინჯაოსფერი სხეული.*

**ბრინჯი** *ბრინჯის* ერთწლოვანი პურეული მცენარის თეთრი მოგრძო მარცვლები. *ბრინჯის ფლავი.* ◉ **ბრინჯივით დაიბნა** აღელვებისგან ძლიერ დაიბნა.

**ბრიფინგი** *ბრიფინგის* ოფიციალურ პირთა ხანმოკლე საინფორმაციო შეხვედრა ჟურნალისტებთან. *სამთავრობო ბრიფინგი.*

**ბრიყვი** *ბრიყვის* დაუფიქრებელი, სულელი. *ბრიყვი ბიჭი.*

**ბრიყვული** *ბრიყვულის* ბრიყვისთვის დამახასიათებელი. *ბრიყვული გამოხედვა. ბრიყვული საქციელი.*

**ბრმა** *ბრმის* ვისაც მხედველობა არა აქვს. *ბრმა მოხუცი.*

**ბრმად** ზმნზ. დაუფიქრებლად, გაუაზრებლად. *ბრმად ვენდობი.*

**ბროკერი** *ბროკერის* მაკლერი, შუამავალი ვაჭრობაში, სხვადასხვა გარიგებაში. *ბროკერთა სკოლა.*

**ბროლი** *ბროლის* 1. მაღალი ხარისხის, განსაკუთრებული თვისებების მქონე მინა. *ბროლის ლარნაკი. ბროლის ჭაღი.* 2. უფერო გამჭვირვალე მინერალი. *მთის ბროლი.*

**ბრომი** *ბრომის* უსიამოვნო სუნის მქონე წითელი სითხე, გამოიყენება ფოტოგრაფიაში, საღებავების წარმოებაში, მედიცინაში. *ბრომის ხსნარი.*

**ბრონქი** *ბრონქის* (ძირითადად მრ.) სასუნთქი მილი, რომლითაც ჰაერი მიეწოდება ფილტვებს. *ბრონქების ანთება.*

**ბრონქიტი** *ბრონქიტის* მედიც. ბრონქების ლორწოვანი გარსის ანთება. *ბრონქიტი გაურთულდა.*


ბროში

**ბროში** *ბროშის* გულზე დასაბნევი სამკაული. *ოქროს ბროში.*

**ბროშურა** *ბროშურის* მცირე ზომის წიგნი, რომელიც, ჩვეულებრივ, საინფორმაციო ხასიათისაა. *სააგიტაციო ბროშურა.*

**ბრონეული** *ბრონეულის* 1. მრგვალი, მაგარქერქიანი, ნითელმარცვლებიანი, წვნიანი ხილი. 2. მაღალი ბუჩქი ან ტანდაბალი ხე, რომელიც ისხამს ბრონეულს (1), აქვს ალისფერი ყვავილი.

**ბრტყელ-ბრტყელი** *ბრტყელ-ბრტყელის* საკმაოდ ბრტყელი, ბევრი ბრტყელი. *ბრტყელ-ბრტყელი ლავაშები.* ◉ **ბრტყელ-ბრტყელი სიტყვები (ლაპარაკი)** მაღალფარდოვანი, უსაგნო, გადაპრანჭული სიტყვები (ლაპარაკი).

**ბრტყელი** *ბრტყელის* სწორი ზედაპირის მქონე. *ბრტყელი ფიცარი. ბრტყელი დასაჯდომი.*


ბრტყელტუჩა

**ბრტყელტუჩა** *ბრტყელტუჩას* ბრტყელპირიანი გაზი[2], იხმარება ლითონის საგნების ჩასავლებად, მოსაჭერად, მავთულის დასაჭრელად, დასაგრეხად. *საზეინკლო ბრტყელტუჩა.*

**ბრუალი** *ბრუალის* საუბრ. თავბრუს ხვევის შეგრძნება. *თავის ბრუალი დაეწყო.*

**ბრუნება** *ბრუნების* (აბრუნებს, იბრუნვის) გრამატ. სახელის ცვლა ბრუნვების[1] მიხედვით. *ბრუნებას სწავლობს. სახელს აბრუნებს.*

**ბრუნვა[1]** *ბრუნვის* (ბრუნავს) წრიული მოძრაობა რაიმეს ირგვლივ. *დედამიწა ბრუნავს. წისქვილის ქვა ბრუნავს.*

**ბრუნვა[2]** *ბრუნვის* გრამატ. სახელის შვიდი გრამატიკული ფორმიდან ერთ-ერთი. *მოთხრობითი ბრუნვა.*

**ბრუნვითი** *ბრუნვითის* რასაც ბრუნვა (1) ახლავს, ბრუნვის შედეგად წარმოქმნილი. *ბრუნვითი მოძრაობა.*

**ბრუნი** *ბრუნის* მბრუნავი სხეულის მიერ გაკეთებული ერთი წრე. *ორი ბრუნი გააკეთა.*

**ბრუტიანი** *ბრუტიანის* საუბრ. ვისაც მხედველობა აქვს დაქვეითებული. *ბრუტიანი კაცი.*

**ბრუტო** *ბრუტოს* საქონლის საერთო წონა (ჭურჭლის ან შეფუთვის ჩათვლით).

**ბრუცელოზი** *ბრუცელოზის* საქონლის (თხის, ცხვრის, ძროხის, ღორის) დაავადება, გადადის ადამიანზეც. *ბრუცელოზის ეპიდემია.*

**ბრუციანი** *ბრუციანის* საუბრ. ახლომხედველი. *ბრუციანი გოგო.*

**ბრძამი** *ბრძამის* მრავალწლოვანი მარცვლოვანი ბალახოვანი მცენარე, აქვს მაღალი ღერო და ბევრი ყვავილედი, გავრცელებულია მთის ტყეებში.

**ბრძანება[1]** *ბრძანების* (ბრძანებს, უბრძანებს) 1. უფლებამოსილი პირის მიერ განკარგულების ან დავალების გაცემა, რომლის შესრულებაც სავალდებულოა. *თანამშრომლებს უბრძანა.* 2. იგივეა, რაც ბრძანებულება. *ბრძანება გამოაქვეყნეს. რექტორის ახალი ბრძანება.*

**ბრძანება[2]** *ბრძანების* (ბრძანებს) პატივისც. რაიმეს

თქმა, მიმართვა (2). *რას ბრძანებთ? გისმენთ, ბრძანეთ!*

**ბრძანებულება** *ბრძანებულების* დაწესებულების, ორგანიზაციის ხელმძღვანელობის მიერ მიღებული ოფიციალური წერილობითი გადაწყვეტილება, რომელიც აუცილებლად უნდა შესრულდეს. *მინისტრის ბრძანებულება. ბრძანებულება გამოსცა.*

**ბრძენი** *ბრძენის* ფართო განათლების მქონე, ღრმად მოაზროვნე, გამოცდილი, ნიჭიერებით გამორჩეული. *ბრძენი მოხუცი.*

**ბრძმედი** *ბრძმედის* ლითონის გამოსადნობი ღუმელი. *ბრძმედში გამოდნობილი თუჯი.*

**ბრძნული** *ბრძნულის* სიბრძნის შემცველი, დიდი აზრის მქონე, ჭკვიანური. *ბრძნული გამონათქვამი. ბრძნული გადაწყვეტილება.*

**ბრძოლა** *ბრძოლის* (იბრძვის, ებრძვის) 1. მტერთან შეიარაღებული შეტაკება. *ხელჩართული ბრძოლა. ბრძოლა მოიგეს.* 2. გადატ. ვინმესთან დაპირისპირება რაიმეს მისაღწევად. *უპირატესობისთვის იბრძვის.* 3. გადატ. მოქმედება დაბრკოლების გადასალახავად, მიზნის მისაღწევად. *ბრძოლა არსებობისთვის. საკუთარ თავთან ბრძოლა.*

**ბრძოლისუნარიანი** *ბრძოლისუნარიანის* ვისაც ბრძოლა შეუძლია, ბრძოლის უნარი აქვს. *ბრძოლისუნარიანი გუნდი.*

**ბრძოლისუნარიანობა** *ბრძოლისუნარიანობის* ბრძოლის უნარის ქონა. *ჯარის ბრძოლისუნარიანობა.*

**ბრწყინვა** *ბრწყინვის* (ბრწყინავს, უბრწყინავს) სინათლის გამოცემა, ელვარება. *მყინვარი მზე ზე ბრწყინავდა.*

**ბრწყინვალე** *ბრწყინვალის* 1. რაც ძლიერ ანათებს, ბრწყინავს. *ბრწყინვალე შუქურა. ბრწყინვალე სამკაულო.* 2. გადატ. გამორჩეულად კარგი, თვალსაჩინო, დიდებული. *ბრწყინვალე პიროვნება. ბრწყინვალე ასპარე ზობა.*

**ბრწყინვალება** *ბრწყინვალების* 1. ძლიერი ბრწყინვა. *საოცარი ბრწყინვალება.* 2. ძვ. გამოიყენებოდა ძირითადად დიდი თანამდებობის პირებისადმი მიმართვისას ან მათი დასახელების დროს ნაცვალსახელებთან (მისი, მათი, თქვენი) ერთად. *თქვენო ბრწყინვალებავ! მისი ბრწყინვალება მობრძანდება.*

**ბრჭყალი**[1] *ბრჭყალის* ზოგიერთი ცხოველის ან ფრინველის მოკაუჭებული ბასრი ფრჩხილი. *გრძელი ბრჭყალები. ბრჭყალი ჩამოუსვა.* ⊙ **ბრჭყალებს გამოაჩენს** სიავეს, მტაცებლურ თვისებას, განზრახვას გამოაელენს.

ბრჭყალი

**ბრჭყალი**[2] *ბრჭყალის* სპეციალური ნიშანი („"), რომლითაც გამოყოფენ ციტატას, რაიმეს სახელწოდებასა და მისთ. *ბრჭყალებში ჩასმული.*

**ბრჭყვიალა** *ბრჭყვიალას* რაც **ბრჭყვიალებს**. *ბრჭყვიალა საყურე. ბრჭყვიალა ნათურები.*

**ბრჭყვიალი** *ბრჭყვიალის* (ბრჭყვიალებს, უბრჭყვიალებს) მკვეთრი ფერების გამოცემა, ელვარება. *ლითონი ბრჭყვიალებს. თვალისმომჭრელი ბრჭყვიალი.*

**ბრჭყვინვა** *ბრჭყვინვის* (ბრჭყვინავს, უბრჭყვინავს) იგივეა, რაც **ბრჭყვიალი**. *ბალახზე მზის ნამი ბრჭყვინავდა. ალმასები ლამაზად ბრჭყვინავდნენ.*

ბუ

**ბუ** *ბუს* ღამის მტაცებელი ფრინველი, აქვს დიდი თავი, მოკაუჭებული ნისკარტი და დიდი შავი თვალები. *ბუ ღამით ნადირობს.*

**ბუა** *ბუას* ბავშვების შესაშინებლად მოგონილი მოჩვენებითი არსება. *ბუა მოვიდა!*

**ბუასილი** *ბუასილის* მედიც. დაავადება, რომლისთვისაც დამახასიათებელია სწორი ნაწლავის ვენების პათოლოგიური გაგანიერება და სისხლდენა.

**ბუბკო** *ბუბკოს* ფქვილისგან მომზადებული ნებო.

**ბუბუნი** *ბუბუნის* (ბუბუნებს) 1. გაბმული დაბალი და ძლიერი ხმა. *შორიდან ბუბუნი ისმოდა.* 2. ხარის ხმიანობა ბუღრაობისას.

**ბუგვა** *ბუგვის* (ბუგავს, უბუგავს, იბუგება, ებუგება, აბუგვინებს) ↑ **დაბუგვა**. *ცეცხლში იბუგება.*

ბუდე

**ბუდე** *ბუდის* 1. ფრინველებისა და მწერების ბინა, სადაც ისინი ცხოვრობენ, კვერცხებს დებენ და მრავლდებიან. *ჩიტის ბუდე. კრაზანების ბუდე.* 2. სხვადასხვა ნივთის ჩასადები. *სათვალის ბუდე. დანის ბუდე.* 3. ზოგიერთი მცენარის ნაყოფის გარსი. *თხილის ბუდე.* 4. ღრუ, რომელშიც მოთავსებულია ესა თუ ის ორგანო. *თვალის ბუდე.* 5. გადატ. საცხოვრებელი ადგილი საერთოდ, ბინა, კერა. *ახალგაზრდებმა ბუდე მოიწყვეს.* ■ **ბუდიანი** რასაც ბუდე (2) აქვს. *ბუდიანი დანა.* ⊙ **ბუდეს დაიდებს** თავშესაფარს მოიწყობს, დასახლდება. ⊙ **ბუდეს მოიშლის** მკვიდრ საცხოვრებელს მიატოვებს, სხვაგან წავა.

**ბუდეშური** *ბუდეშურის* 1. ვაზის ჯიში, ისხამს მწვანე ფერის მოგრძომარცვლებიან ტკბილ ყურძენს. *ბუდეშურის ნერგები.* 2. ამ ჯიშის ყურძნისგან დაყენებული ღვინო.

**ბუდიზმი** *ბუდიზმის* რელიგია, რომელიც ეფუძნება ბუდას მოძღვრებას. *ბუდიზმის მიმდევარი.*

**ბუდობა** *ბუდობის* (ბუდობს) 1. ფრინველის, ცხოველისა და მისთ. სადმე ცხოვრება, არსებობა,

მკვიდრობა. *ჯიხვი კლდეებში ბუდობს.* 2. გადატ. ნაშიერთა ერთი თაობა. *ერთი ბუდობის ლეკვები.*

ბუერა



**ბუერა** *ბუერას* მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარე, აქვს დიდი გრძელყუნწიანი ფოთლები და მცოცავი ფესურები, იზრდება ტენიან ადგილებში.

**ბუერავაზი** *ბუერავაზის* თეთრყურძნიანი მსხვილმარცვლიანი და უხვმოსავლიანი ვაზის ჯიში. *ბუერავაზის მტევნები.*

**ბუერალელვი** *ბუერალელვის* ლელვის სახეობა, აქვს მსხვილი, სქელი ფოთოლი, ისხამს მრგვალ, ყვითელ, ძალიან ტკბილ ნაყოფს, ხარობს ნესტიან ადგილებში.

**ბუზანკალი** *ბუზანკლის* ბუზის სახეობა, პირუტყვის მკბენარი. *ბუზანკალი ბზუის.*

ბუზი

**ბუზი** *ბუზის* წყვილფრთიანი მწერების საერთო სახელწოდება. *შემოდგომის ბუზი.* ◊ **ბუზის გაფრენა ისმის** აბსოლუტური სიჩუმეა.

**ბუზმენტი** *ბუზმენტის* ოქრომკედის ან სირმის ფართო ზონარი, რომელსაც ტანსაცმლის არშიად იყენებენ. *ახალუხის ბუზმენტები.* ■ **ბუზმენტიანი** ბუზმენტით შემკული. *ბუზმენტიანი ქუდი.*

**ბუზღუნი** *ბუზღუნის* (ბუზღუნებს, ებუზღუნება) უკმაყოფილოდ, გაჯავრებით ხმადაბლა ლაპარაკი. *ბუზღუნი დაიწყო. მამა ბუზღუნებს.*

**ბუთხუზა** *ბუთხუზას* მსუქანი და პირმრგვალი სახის მქონე. *ბუთხუზა გოგო.*

**ბუკეტი** *ბუკეტის* გემოსა და სურნელების ერთობლიობა. *ჩაის ბუკეტი.*

**ბუკი** *ბუკის* ლითონის ჩასაბერი საკრავი – დიდი საყვირი, უკრავდნენ ზეიმებზე, აღლუმებზე, ლაშქრობებისას, აგრეთვე რაიმე საშიშროების დროს განგაშის ასატეხად. *ბუკი და ნალარა. ბუკის ხმა. ბუკსა ჰკრეს.*

ბუკი



**ბუკინისტი** *ბუკინისტის* პირი, რომელიც ძველი ნიგნებით ვაჭრობს. *ბუკინისტთან შეძენილი წიგნი.*

**ბუკინისტური** *ბუკინისტურის* ძველი, იშვიათი ნიგნების გაყიდვასთან დაკავშირებული. *ბუკინისტური მაღაზია.*

**ბუკიოტი** *ბუკიოტის* პატარა ბუ. *ბუკიოტი კივის.*

**ბუკლე** *ბუკლეს* შალის ან ბამბის სქელი, ოდნავ უხეში ქსოვილი. *ბუკლეს პალტო.*

**ბუკლეტი** *ბუკლეტის* მცირე მოცულობის, მხატვრულად გაფორმებული ნაბეჭდი გამოცემა, გამოიყენება სარეკლამოდ, სააგიტაციოდ და მისთ. *გამოფენის ბუკლეტი.*

**ბუკნაჭო** *ბუკნაჭოს* ბუკიოტზე პატარა ბუ. *ბუკნაჭოსავით დაუჭყეტია თვალები.*

**ბუკნაჭოტი** *ბუკნაჭოტის* იგივეა, რაც ბუკნაჭო.

**ბულანჟე** *ბულანჟეს* ნიკაპზე დატოვებული, მრგვალად შეკრეჭილი წვერი. *ბულანჟე დაიყენა.* შეცდომაა ბლანჟე.

**ბულბული** *ბულბულის* პატარა მონაცრისფრო მგალობელი ჩიტი. *ბულბული გალობს.*

**ბულდოგი** *ბულდოგის* ერთგვარი ჯიშის ძაღლი, აქვს ბრტყელი დრუნჩი, მოკლე მსხვილი თათები და ფართო მკერდი. *ბულდოგის ლეკვი.*

**ბულდოზერი** *ბულდოზერის* მიწის სათხრელი მანქანა წინ დამაგრებული სპეციალურო ფართო დანით. *ბულდოზერით მოედანი მოასწორეს.*

**ბულვარი** *ბულვარის* სასეირნოდ, დასასვენებლად მოწყობილი ხეივანი ქუჩის ან სანაპიროს გასწვრივ. *ზღვისპირა ბულვარი. ქალაქის ბულვარი.*

**ბულვარული** *ბულვარულის* მდარე, უგემოვნო, უხამსი. *ბულვარული რომანი. ბულვარული პრესა.*

**ბულიონი** *ბულიონის* ხორცის შეუნელებელი ან მსუბუქად (დაუჭრელი ბოსტნეულით) შეზავებული ნახარში. *ქათმის ბულიონი.*

**ბულულა** *ბულულის* თივის პატარა ზვინი. *ბულულები დადგეს.*

**ბულული** *ბულულის* იგივეა, რაც ბულულა.

**ბუმბერაზი** *ბუმბერაზის* ძალიან დიდი, უზარმაზარი. *ბუმბერაზი კაცი. ბუმბერაზი მთები.*

**ბუმბული** *ბუმბულის* ფრინველის სხეულის საფარველი. *ქათმის ბუმბული. ბუმბულის ბალიში. ბუმბულივით მსუბუქი.*

ბუმერანგი

**ბუმერანგი** *ბუმერანგის* სატყორცნი სანადირო იარაღი – მოხრილი ჯოხი, რომელიც გატყორცნის შემდეგ მსროლელს უბრუნდება. *სათამაშო ბუმერანგი.*

**ბუმი** *ბუმის* 1. წარმოებისა და ვაჭრობის სწრაფი, უეცარი ზრდა. *ეკონომიკური ბუმი.* 2. გადატ. სენსაცია, აურზაური რაიმე ფაქტის, მოვლენის გამო. *ასტროლოგიური ბუმი.*

**ბუნაგი** *ბუნაგის* 1. გარეული ცხოველის სადგომი, ჩვეულებრივ, მიწაში ან ხის ფუღუროში მოწყობილი. *მგლის ბუნაგი.* 2. გადატ. საეჭვო პირების თავშესაფარი. *ქურდების ბუნაგი.*

**ბუნგალო** *ბუნგალოს* 1. მსუბუქი, ვერანდებიანი

შენობა ქალაქგარეთ. 2. საუბრ. ბუნგალოს (1) ტიპის ნაგებობა კაფე-ბარებისთვის, აშენებენ ძირითადად ზღვისპირეთში. *პლაჟზე ბუნგალო ჩადგეს.*

**ბუნდოვანი** *ბუნდოვნის* 1. რაც მკაფიოდ არ ჩანს, რის დანახვა, კარგად გარჩევა ჭირს. *ბუნდოვანი სურათი. ბუნდოვანი გამოსახულება.* 2. გაურკვეველი, გაუგებარი. *ბუნდოვანი ფაქტი. ბუნდოვანი ლაპარაკი.*

**ბუნება** *ბუნების* 1. ყოველივე, რაც სამყაროში არსებობს – ორგანული და არაორგანული (დედამიწა, ჰაერი, წყალი, მცენარეები და მისთ.). *ლამაზი ბუნება. ბუნების კანონი.* 2. რაიმეს არსი, თვისება. *ადამიანის ბუნება.*

**ბუნებისმეტყველება** *ბუნებისმეტყველების* ბუნების შემსწავლელ მეცნიერებათა (ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიის, გეოგრაფიისა და მისთ.) ერთობლიობა.

**ბუნებრივი** *ბუნებრივის* 1. რაც ბუნებას მიეკუთვნება, ბუნებაში არსებული. *ბუნებრივი რესურსები.* 2. თავისთავად არსებული, ნამდვილი. *ბუნებრივი თმა.* ↔ **ხელოვნური.** 3. ბუნების კანონების შესაბამისი, კანონზომიერი. *ბუნებრივი პირობები. ბუნებრივი შედეგი.*

**ბუნებრიობა** *ბუნებრიობის* ბუნებრივად ყოფნა, მოქცევა. *ბუნებრიობა შეინარჩუნა.*

**ბუნიკი** *ბუნიკის* საგნის ბოლოზე წამოსაცმელი ლითონის ნივთი. *ხელჯოხის ბუნიკი.*

**ბუნიობა** *ბუნიობის* დრო, როდესაც დღისა და ღამის ხანგრძლივობა თანაბრდება. *გაზაფხულის ბუნიობა. შემოდგომის ბუნიობა.*

**ბუნკერი** *ბუნკერის* 1. რაიმეს ჩასაყრელი ან დროებით შესანახი სათავსი, ჩვეულებრივ, ყუთის ფორმისა. *ხორბლის ბუნკერი. ქვანახშირის ბუნკერი.* 2. ნაგვის ჩასაყრელი მოწყობილობა. *კორპუსის ბუნკერი გაასუფთავეს.* 3. საგანგებოდ მოწყობილი ნაგებობა ომიანობის დროს ან სხვა საშიშროებისგან თავის დასაცავად, ჩვეულებრივ, მიწის ქვეშ. *ბუნკერს შეაფარეს თავი.*

**ბუნტი** *ბუნტის* ამბოხი, დიდი არეულობა. *ბუნტი დაიწყო.* ◉ **ბუნტის თავი** ყოველგვარი არეულობის წამომწყები, მოთავე.

**ბუნჩულა** *ბუნჩულას* კეთილი ბუნების მქონე, უწყინარი, ჩუმი. *ბუნჩულა კაცი.*

**ბურანი** *ბურანის* 1. მდგომარეობა დაძინებისას ან გაღვიძებისას, როდესაც ადამიანი ძილ-ღვიძილის ზღვარზე იმყოფება. *ბავშვი ბურანშია.* 2. გადატ. გაურკვეველი მდგომარეობა, როდესაც ადამიანი ადეკვატურად ვერ აღიქვამს გარემოს. *ბურანიდან გამოარკვიეს.*

**ბურახი** *ბურახის* გამაგრილებელი სასმელი, მზადდება ქერის ან ჭვავის ალაოს, შაქრისა და სურნელოვანი ნივთიერებებისგან. *ცივი ბურახი.*

**ბურბუშელა** *ბურბუშელას* მერქნის თხელი, შალაშინით ათლილი შრე. *ბურბუშელა ცეცხლს დაუმატეს.*

**ბურდო** *ბურდოს* პურეული მცენარეების ჩალის ან თივის გროვა.

**ბურდღუნი** *ბურდღუნის* (ბურდღუნებს, ებურდღუნება) იგივეა, რაც **ბურტყუნი.** *უკმაყოფილოდ ბურდღუნებს. ცოლს ებურდღუნება.*

**ბურვაკი** *ბურვაკის* ღორის ნაშიერი (3-4 თვიდან წლამდე). *ბურვაკის ხორცი.*

**ბურთაობა** *ბურთაობის* (ბურთაობს, ებურთავება) ბურთით თამაში. *ბურთაობა დაიწყეს.*

**ბურთი** *ბურთის* დრეკადი ან მკვრივი მასალისგან (ტყავისგან, რეზინისგან, ძვლისა და მისთ.) დამზადებული, ძირითადად მრგვალი საგანი, იყენებენ სათამაშოდ. *ფეხბურთის ბურთი. ბილიარდის ბურთი.*

**ბურნა** *ბურნის* ძალიან წვრილი მწერი, ეხვევა ღვინოს, ძმარს, დამჟავებულ ხილს. *ბურნა დაესია.*

**ბურნუთი** *ბურნუთის* თამბაქო, რომელსაც იყნოსავენ. *მწარე ბურნუთი.*

**ბურჟუა** *ბურჟუის* ბურჟუაზიის წარმომადგენელი, კერძო მესაკუთრე. *მდიდარი ბურჟუა.*

**ბურჟუაზია** *ბურჟუაზიის* 2. მოქალაქეთა საშუალო ფენის წოდება ფეოდალურ საზოგადოებაში. 1. ძირითადი, პრივილეგირებული ფენა კაპიტალისტურ საზოგადოებაში, რომელიც ფლობს საწარმოო საშუალებებს. ■ **ბურჟუაზიული** ბურჟუაზიასთან დაკავშირებული. *ბურჟუაზიული ცხოვრების წესი.*

**ბურტყლი** *ბურტყლის* 1. მსხვილი ბუმბული. *ბურტყლიც არ შეარჩინა.* 2. ბალანი, ბეწვი. *კურდღლის ბურტყლი.*

**ბურტყუნი** *ბურტყუნის* (ბურტყუნებს, ებურტყუნება) ხმადაბლა, გაურკვევლად, გაჯავრებით ლაპარაკი. *თავისთვის ბურტყუნებს. მშობლებს ებურტყუნება.*

**ბურუსი** *ბურუსის* თხელი ნისლი. *ბურუსი ჩამოწვა.* ◉ **ბურუსით მოცული** გაურკვეველი, ბუნდოვანი.

**ბურღვა** *ბურღვის* (ბურღავს, უბურღავს, იბურღება, აბურღვინებს) ↑ **გაბურღვა.** *კლდეს ბურღავენ.*

**ბურღი** *ბურღის* 1. ხელსაწყო, რომლითაც ხვრეტენ სხვადასხვა მასალას. *ლითონის ბურღი.* 2. სტომატოლოგიური იარაღი, გამოიყენება კბილის დასამუშავებლად. *კბილის ბურღი.*

**ბურღულეული** *ბურღულეულის* სხვადასხვა სახის ბურღული. *ბურღულეული მოიმარაგეს.*

**ბურღული** *ბურღულის* საკვებად გამოსაყენებელი, მსხვილად დაღერღილი მარცვლეული. *ბურღულის ფაფა.*

**ბურძგვლა** *ბურძგვლის* (ბურძგლავს) ↑ **დაბურძგვლა.** *მისი ხმის გაგონებაზე მბურძგლავს.*

**ბურძგლი** *ბურძგლის* მსხვილი, ეკალივით ბალანი, თმა.

**ბურჯი** *ბურჯის* I. მტკიცე, მყარი კონსტრუქცია, რომელსაც ეყრდნობა ნაგებობა. *ხიდის ბურჯი. კედლის ბურჯი.* 2. გადატ. საიმედო დასაყრდენი. *ოჯახის ბურჯი.*

**ბუსუსი** *ბუსუსის* I. დაბალი, რბილი ბენვი. *ბიჭს ბუსუსები აეშალა.* 2. ხაოიანი საფარი ზოგიერთი ხილისა და ბალახის ზედაპირზე. *ატმის ბუსუსი. ჭინჭრის ბუსუსი.*

**ბუტაფორია** *ბუტაფორიის* თეატრალურ წარმოდგენაში გამოყენებული საგანი (ავეჯი, ჭურჭელი და მისთ.), რომელსაც ყოფითი დანიშნულება არა აქვს.

**ბუტაფორიული** *ბუტაფორიულის* ცრუ, ყალბი, მოჩვენებითი. *ბუტაფორიული ფასადი.*

**ბუტბუტი** *ბუტბუტის* (ბუტბუტებს, ებუტბუტება) ხმადაბლა, გაურკვეველად ლაპარაკი. *ბუტბუტი ისმის. თავისთვის ბუტბუტებს.*

**ბუტერბროდი** *ბუტერბროდის* პურის ნაჭერი, რომელზეც ნასმულია კარაქი, ხიზილალა ან დადებულია ყველის, ძეხვის, ლორისა და მისთ. თხელი ნაჭერი.

**ბუტია** *ბუტიას* ვინც ხშირად იბუტება. *რა ბუტია ხარ!*

**ბუტიაობა** *ბუტიაობის* (ბუტიაობს) ხშირი გაბუტვა, ადვილად წყენა. *ბუტიაობა იცის.*

**ბუტკო** *ბუტკოს* ყვავილის ცენტრალური ნაწილი, რომლის ქვედა გაფართოებული ნასკვიდან ვითარდება ნაყოფი.

**ბუტუსურა** *ბუტუსურას* მოუქნელი, მოუხერხებელი, უემოციო. *ბუტუსურა ბავშვი.*

**ბუფერი** *ბუფერის* ბიძგის ან შეჯახების ძალის შესამცირებელი, სპეციალური ზამბარიანი მოწყობილობა სარკინიგზო ვაგონებში, ავტომობილებსა და მისთ. *ლოკომოტივის ბუფერი.*

**ბუფეტი** *ბუფეტის* I. პატარა სასადილო. *სკოლის ბუფეტი.* 2. ჭურჭლის შესანახი დიდი კარადა. *ანტიკვარული ბუფეტი.*

**ბუქნა** *ბუქნის* (ბუქნავს) ცეკვის დროს მუხლების სწრაფი ჩახრა და გამართვა. *ბიჭი კარგად ბუქნავს.*

**ბუქი** *ბუქის* ქარისგან ჰაერში ატანილი თოვლი ან მტვერი. *მტვრის ბუქი დადგა.*

**ბუქნა** *ბუქნის* ბუქნით შესრულებული მოძრაობა.

**ბუქნაობა** *ბუქნაობის* (ბუქნაობს) ბუქნით ცეკვა. *დიდხანს ბუქნაობს. ბუქნაობა არ ბეზრდება.*

**ბუქნი** *ბუქნის* იგივეა, რაც ბუქნა. *ათი ბუქნი გააკეთა.*

**ბუქსაობა** *ბუქსაობის* (ბუქსაობს) საუბრ. ერთ ადგილზე ტრიალი, ბრუნვა, როდესაც გადაადგილება ვერ ხერხდება. *მანქანა ბუქსაობს. ავტობუსმა თიხრილში ბევრი იბუქსავა.*

**ბუქსირი** *ბუქსირის* I. გამოსაბმელი ბაგირი დაზიანებული მანქანების, გემების გადასაადგილებლად. *მანქანა ბუქსირით მიჰყავთ.* 2. სპეციალური გემი, რომელზეც აბამენ არათვითმავალ წყლის ტრანსპორტს (ტივს, ბარჟას, დოკს). *ტვირთი ბუქსირზე მიაბეს.*

**ბუღა** *ბუღის* დაუკოდავი მოზვერი, ინახავენ სანაშენედ. *საუკეთესო ბუღა.*

**ბუღალტერი** *ბუღალტრის* ბუღალტერიის სპეციალისტი. *ბუღალტრად მუშაობს.*

**ბუღალტერია** *ბუღალტერიის* I. ანგარიშსწორებისა და აღრიცხვის თეორია და პრაქტიკა. *ბუღალტერია შეისწავლა.* 2. ანგარიშწარმოების განყოფილება დაწესებულებაში. *ბუღალტერიაში დაიბარეს.*

**ბუღალტრობა** *ბუღალტრობის* (ბუღალტრობს) ბუღალტრის საქმიანობა. *ბუღალტრობა დაიწყო.*

**ბუღალტრული** *ბუღალტრულის* იგივეა, რაც საბუღალტრო. *ბუღალტრული აღრიცხვა.*

**ბუღი** *ბუღის* I. მტვრის კორიანტელი, რომელიც ჰაერს გამჭვირვალობას უკარგავს. *ოთახში ბუღი დადგა.* 2. დიდი სიცხისგან გავარვარებული ჰაერის გაუმჭვირვალე მასა. *მიწას ბუღი ასდის.*

**ბუღლამა** *ბუღლამის* ცხვრის წვრილად დაჭრილი ხორცისგან ხახვით, მწვანილებითა და სანელებლებით შეზავებული მცირეწვნიანი კერძი. *ბუღლამას ალუჩა უხდება.*

**ბუღრაობა** *ბუღრაობის* (ბუღრაობს) შერკინების წინ რქოსანი ცხოველის მიერ ჩლიქებითა და რქებით მიწის თხრა და ღრიალი. *ირმების ბუღრაობა. ხარები ბუღრაობენ.*

**ბუყბუყი** *ბუყბუყის* (ბუყბუყებს, უბუყბუყებს) ყრუ, დაბალი ხმის გამოცემა სითხეში აირების მოძრაობისას ან დუღილისას. *წყლის ბუყბუყი. ჭაობი ბუყბუყებს.*

**ბუში** *ბუშის* საუბრ. ქორწინების გარეშე გაჩენილი შვილი.

**ბუშტი** *ბუშტის* თხელკანიანი წელვადი ბურთი, რომელიც გაზით ან სითხით არის გაბერილი. *ფერადი ბუშტები. საპნის ბუშტი.*

ბუჩქი

**ბუჩქი** *ბუჩქის* მერქნიანი მცენარე, რომელიც ძირიდანვე იტოტება, ხისგან განსხვავებით იკეთებს მრავალ ერთნაირ ღეროს. *ასკილის ბუჩქი. ჩაის ბუჩქი.*

**ბუჩქოვანი** *ბუჩქოვანის* რაც ბუჩქად იზრდება, ბუჩქის ფორმისა. *ბუჩქოვანი მცენარე.*

**ბუჩქნარი** *ბუჩქნარის* ბუჩქებით დაფარული. *პატარა ბუჩქნარი.*

**ბუცი** *ბუცის* სპორტული (უმეტესად ფეხბურთელ-

ის) ფეხსაცმელი, რომელსაც ძირებზე შვერილები აქვს მინდორზე ფეხის აცურებისგან დასაცავად. *ტყავის ბუცები.*

**ბუძგი** *ბუძგის* 1. წაბლის (1) ეკლიანი საფარი. 2. ზღარბის ეკლიანი საფარი.

**ბუწკნარი** *ბუწკნარის* წვრილი ბუჩქებით დაფარული ადგილი. *ბუწკნარი გაასუფთავეს.*

**ბუწუწი** *ბუწუწის* თმის წვრილი ღერი. *ბუწუწებს აცლის.*

**ბუხარი** *ბუხრის* კედელში ამოშენებული ქვის ან აგურის ღია ღუმელი. *ბუხარს მიუსხდნენ.* ⊙ **ბუხრის თავი** კედლიდან რამდენადმე გამონეული ბუხრის ზედა ნაწილი, რომელსაც თაროდ იყენებენ.

ბუხარი



**ბუხუნი** *ბუხუნის* (ბუხუნებს) 1. ზოგიერთი ცხოველის ღრიალი, ძლიერი ხმიანობა. *ლომის ბუხუნი.* 2. დაბალი, ბოხი ხმით ლაპარაკი. *ვიღაცის ბუხუნი ისმოდა.*

**ბღავილი** *ბღავილის* (ბღავის) 1. ცხვრის, ირმის ან სხვა რქოსანი ცხოველის ხმიანობა. *ძროხის ბღავილი.* 2. გადატ. ხმამაღლა, მოთქმით ტირილი. *ქალი ბღაოდა.*

**ბღენძა** *ბღენძის* (იბღინძება) ↑ **გაბღენძა.** *თანატოლებთან იბღინძება. ინდაურივით იბღინძება.*

**ბღენძია** *ბღენძიას* ვინც იბღინძება, ამპარტავანი. *დიდი ბღენძია ვინმეა.*

**ბღვერა** *ბღვერის* (უბღვერის, იბღვირება) გაბრაზებით, წარბშეკვრით, წყრომით ყურება. *ერთმანეთს უბღვერენ. ბიჭი იბღვირება.*

**ბღლარძუნი** *ბღლარძუნის* (ებღლარძუნება) ხელის ხუმრობით ან უშნოდ, უხერხულად ნატანება. *გოგოებს ებღლარძუნება.*

**ბღუილი** *ბღუილის* (ბღუის) 1. გაბმული, ხმამაღალი ღმუილი, ღრიალი, ყვირილი. *დათვი ბღუის. კამეჩის ბღუილი.* 2. გადატ. მექანიზმის მუშაობისას გამოცემული ხმა. *ძრავა ბღუის.*

**ბღუჯა** *ბღუჯის* რაც ბღუჯში ჩაეტევა, რასაც ბღუჯით აიღებ. *ერთი ბღუჯა ბალახი. ერთი ბღუჯა მატყლი.*

**ბღუჯა-ბღუჯა** *ბღუჯა-ბღუჯასი* რამდენიმე ბღუჯა ერთად. *ბღუჯა-ბღუჯა ბალახი დაუყარა.*

**ბღუჯვა** *ბღუჯვის* (იბღუჯავს) ↑ **ჩაბღუჯვა.** *პურს იბღუჯავს.*

**ბღუჯი** *ბღუჯის* იგივეა, რაც **მუჭი.** *ბღუჯში ეტევა.*

**ბწკალი** *ბწკლის* წვრილი ბრჭყალი[1], კლანჭი. *ბწკალი გამოსდო.*

**ბჭე** *ბჭის* დიდი კარი. *ქალაქის ბჭენი.*

**ბჭობა** *ბჭობის* (ბჭობს) ერთობლივი მსჯელობა, თათბირი. *ბჭობა გაიმართა. საიდუმლოდ ბჭობდნენ.*

**ბჯენა** *ბჯენის* (აბჯენს, იბჯენს, ებჯინება) 1. ↑ **დაბჯენა.** *შუბს ებჯინება.* 2. ↑ **მიბჯენა.** *ნაძვის ხე ჭერს ებჯინება.*

**ბჯენი** *ბჯენის* სხვადასხვა მასალისგან დამზადებული მოწყობილობა ან დეტალი, რომელიც გამოიყენება რაიმეს საყრდენად. *ხის ბჯენი.*

# – გ –

**გაადვილება** *გაადვილების* (გააადვილებს, გაიადვილებს, გაუადვილებს, გაადვილდება, გაუადვილდება) რაიმეს ადვილად შესასრულებლად გადაქცევა, გაიოლება. *საქმე გაუადვილა. მგ ზავრობა გაადვილდა.*

**გაავდრება** *გაავდრების* (გაავდრდება, გაუავდრდება) ცუდი ამინდის დადგომა. *მოსალოდნელია გაავდრება. გ ზაში გაუავდრდათ.*

**გაავება** *გაავების* (გააავებს, გაავდება, გაუავდება) გაკაპასება, გაანჩხლება. *ცხოვრებამ გააავა. ძაღლი ძალიან გაავდა.* ■ **გაავებული** რაც ან ვინც გაავდა. *გაავებული ქალი.*

**გააზრება** *გააზრების* (გაიაზრებს) გონებაში რაიმეს გაანალიზება, გაგება. *დავალების გაა ზრება. შეცდომები გაიაზრა.* ■ **გააზრებული** რაც გაიაზრეს. *გაა ზრებული საქციელი.*

**გაალმასება** *გაალმასების* (გააალმასებს, გაალმასდება) ძალიან გაბრაზება, განრისხება. *შვილის საქციელმა გააალმასა.* ■ **გაალმასებული** ვინც გაალმასდა. *გაალმასებული ეკვეთა მტერს.*

**გაამაყება** *გაამაყების* (გააამაყებს, გაამაყდება) ამაყად, მედიდურად გახდომა. *გამარჯვებამ გააამაყა. ბიჭი გაამაყდა.* ■ **გაამაყებული** ვინც გაამაყდა. *გაამაყებული შვილი.*

**გაამპარტავნება** *გაამპარტავნების* (გააამპარტავნებს, გაამპარტავნდება) ამპარტავნად გახდომა, გაამაყება. *თანამდებობამ გააამპარტავნა.* ■ **გაამპარტავნებული** ვინც გაამპარტავნდა. *წარმატებით გაამპარტავნებული.*

**გაანალიზება** *გაანალიზების* (გააანალიზებს, გაუანალიზებს, გაანალიზდება) რაიმე საკითხის, ფაქტის, მოვლენის არსში გარკვევა, მისი ცალკეული ნიუანსების შესწავლა, შეფასება. *ფაქტის გაანალიზება. მომხდარი გააანალიზეს.* ■ **გაანალიზებული** რაც გააანალიზეს. *გაანალიზებული ტექსტები.*

**გაანჩხლება** *გაანჩხლების* (გააანჩხლებს, გაანჩხლდება) გაგულისება, გაბრაზება, გაკაპასება. *უმიზეზოდ გაანჩხლდა. ქალი გაანჩხლდა.* ■ **გაანჩხლებული** ვინც გაანჩხლდა. *გაანჩხლებული მეზობლები.*

**გაარშიყება** *გაარშიყების* (გაეარშიყება, გაუარშიყდება) მოწონების, სიყვარულის გამოხატვა. *გოგოებს გაეარშიყა. მე ზობელს გაუარშიყდა.*

**გააფთრება** *გააფთრების* (გააფთრებს, გააფთრდება) ძლიერი გაბრაზება, გამძვინვარება. *მტერს გააფთრებით უტევს.* ■ **გააფთრებული** ვინც გააფთრდა. *გააფთრებული მეომრები.*

**გააქტიურება** *გააქტიურების* (გააქტიურებს, გაუაქტიურებს, გააქტიურდება) 1. უფრო მეტი აქტიურობით ამოქმედება, აქტიურად ქცევა. *სტუდენტთა გააქტიურება. მუშაობა გააააქტიურეს. მტერი გააქტიურდა.* 2. აპარატში სპეციალური კოდის შეყვანით რაიმეს ჩართვა. *ანგარიშის გაააქტიურება. მონობარათი გააააქტიურა.* ■ **გააქტიურებული** რაც ან ვინც გააქტიურდა. *გააქტიურებული ინფექციები.*

**გაახალგაზრდავება** *გაახალგაზრდავების* (გაახალგაზრდავებს, გაუახალგაზრდავებს, გაახალგაზრდავდება) ახალგაზრდული იერის, ენერგიის შეძენა. *კაცი გაახალგაზრდავდა. სიყვარულმა გააახალგაზრდავა.* ■ **გაახალგაზრდავებული** ვინც ან რაც გაახალგაზრდავდა. *გაახალგაზრდავებული ქალი.*

**გაბადვრა** *გაბადვრის* (გაიბადრება) გადატ. სახეზე სიხარულის, აღფრთოვანების გამოსახვა. *სახე გაებადრა. სიხარულისგან გაიბადრა.*

**გაბადრული** *გაბადრულის* 1. გაღიმებული, ბედნიერი, ნასიამოვნები. *გაბადრული სახე ჰქონდა. გაბადრული იყურებოდა.* 2. სავსე, ბადრი მთვარესავით მშვენიერი. *გაბადრული ქალი.*

**გაბათილება** *გაბათილების* (გააბათილებს, გაუბათილებს, გაბათილდება, გაუბათილდება, გააბათილებინებს) ჩვენების, დოკუმენტისა და მისთ. გაუქმება, ბათილად ცნობა. *შედეგები გააბათილეს. არგუმენტი გაუბათილა.* ■ **გაბათილებული** რაც გააბათილეს, ბათილად მიჩნეული. *გაბათილებული ბიულეტენი.*

**გაბალთვა** *გაბალთვის* (გაბალთავს) მჭრელი იარაღით რაიმეს გაჭრა, გაკაფვა. *ტყე გაბალთა.*

**გაბანა** *გაბანის* (გაბანს, გაიბანება) იგივეა, რაც დაბანა. *ბავშვი გაბანა.*

**გაბანება** *გაბანების* (გააბანებს, გაიბანება, გააბანინებს) ვინმეს ან რაიმეს მთლიანად (თავ-ფეხიანად) დაბანა. *დედამ ბავშვი გააბანა. ცხენს ალაზანში გააბანებს.*

**გაბანჯგვლა** *გაბანჯგვლის* (გაიბანჯგვლება, გაებანჯგვლება) უხეში თმით, ბანჯგვლით შემოსვა, დაფარვა. *ლოყა გაებანჯგვლა. მხეცივით გაიბანჯგვლა.* ■ **გაბანჯგვლული** ბანჯგვლით დაფარული. *გაბანჯგვლული მკერდი.*

**გაბარება** *გაბარების* (გააბარებს) აღსაზრდელად ან შესანახად სხვისთვის მიცემა, სხვაგან გაგზავნა. *სოფელში გააბარეს. საქონელი გააბარა.* ■ **გაბარებული** რაც გააბარეს. *გაბარებული ფული.*

**გაბარიტი** *გაბარიტის* საგნის გარე მოხაზულობა. *მცირე გაბარიტის მქონე.* ■ **გაბარიტიანი** დიდი გაბარიტის მქონე. *გაბარიტიანი მანქანა.*

**გაბარტყუნება** *გაბარტყუნების* (გააბარტყუნებს, გაიბარტყუნებს) რაიმეს ბატყუნით ამოძრავება. *ფრთები გააბარტყუნა.*

**გაბატონება** *გაბატონების* (გააბატონებს, გაბატონდება) 1. ვინმეზე, რაიმეზე ძალაუფლების, ბატონობის მოპოვება. *ქალაქში მტერი გაბატონდა.* 2. შეხედულების, მიმდინარეობისა და მისთ. საყოველთაოდ გავრცელება. *რელიგიის გაბატონება. ახალი იდეოლოგია გაბატონდა.* ■ **გაბატონებული** რაც ან ვინც გაბატონდა. *გაბატონებული მომხვდური. გაბატონებული პოზიცია.*

**გაბაწვრა** *გაბაწვრის* (გაბაწრავს) საუბრ. გადატ. დაჭერა, დაპატიმრება. *ქურდები გაბაწრეს.* ■ **გაბაწრული** ვინც ან რაც გაბაწრეს. *გაბაწრული ტყვეები.*

**გაბდღვნა** *გაბდღვნის* (გაბდღვნის) 1. ბუმბულის, ბეწვისა და მისთ. გაცლა, გაპუტვა. *ქალმა დედალი გაბდღვნა.* 2. გადატ. ნაწილებად ქცევა, დაგლეჯა. *ძაღლმა ქათამი გაბდღვნა.* ■ **გაბდღვნილი** რაც გაბდღვნეს. *გაბდღვნილი წიწილა.*

**გაბედვა** *გაბედვის* (გაბედავს, გაუბედავს, გააბედვინებს) თამამად, მოურიდებლად რაიმეს გაკეთება. *მისვლა ძლივს გაბედა. თქმა ვერ გაუბედეს. აბა, ერთი გაბედე!*

**გაბედნიერება** *გაბედნიერების* (გააბედნიერებს, გაბედნიერდება) 1. ბედნიერების განცდა, ბედნიერად გახდომა. *ამ წარმატებამ ყველა გააბედნიერა.* 2. გადატ. იგივეა, რაც დაქორწინება. *გაბედნიერება მიულოცეს. ახლახანს გაბედნიერდნენ.*

**გაბედულება** *გაბედულების* სითამამე, გამბედაობა, შეუპოვრობა. *გაბედულება გამოიჩინა. გაბედულება აკლია.*

**გაბედული** *გაბედულის* თამამი, უშიშარი. *გაბედული ქალიშვილი. გაბედული ნაბიჯი. მტერს გაბედულად შეუტიეს.*

**გაბერვა** *გაბერვის* (გაბერავს, გაუბერავს, გაიბერება, გაებერება, გააბერვინებს) 1. რაიმეში ჰაერის ჩაშვებით მოცულობის გაზრდა, გაფართოება. *ბუშტი გაბერეს.* 2. გადატ. რაოდენობის ხელოვნურად გაზრდა, გაზვიადება. *ფასები გაბერეს.* ■ **გაბერილი** ვინც ან რაც გაბერეს ან გაიბერა. *გაბერილი შტატები. რუმბივით გაბერილი.*

გაბერვა



**გაბერტყვა** *გაბერტყვის* (გაბერტყავს, გაიბერტყავს, გაუბერტყავს, გაიბერტყება) 1. დაქნევით ან დარტყმით მტვრისა და ჭუჭყის გაცლა, გასუფთავება. *ლეიბის გაბერტყვა. ხალიჩა გაბერტყა.* 2. საუბრ. გადატ. ვინმეს ძლიერად ცემა ხელით, ჯოხითა და მისთ. *დაგვიანებისთვის კარგად გაბერტყეს.* ■ **გაბერტყილი** რაც გაბერტყეს. *გაბერტყილი საბანი.*

**გაბერწება** *გაბერწების* (გააბერწებს, გაბერწდება) ნაყოფის, ნაშიერის გარეშე დარჩენა, ბერწად ქცევა. *ძროხა გაბერწდა.*

**გაბზარვა** *გაბზარვის* (გაბზარავს, გაუბზარავს, გაიბზარება, გაებზარება) მკვრივი საგნის ოდნავ, ზედაპირულად გახეთქა, გასკდომა. *თეფში გაიბზარა. ძვალი გაებზარა.* ■ **გაბზარული** რაც გაიბზარა. *გაბზარული ქილა.*

გაბზარვა



**გაბზეკა** *გაბზეკის* (გაბზეკს, გაიბზიკება) კუდის, თითისა და მისთ. გვერდზე გაშვერა, გაჭიმვა. *კუდი გაბზიკა. ნეკი გაბზიკა.* ■ **გაბზეკილი** რაც გაბზიკეს ან გაიბზიკა. *გაბზეკილი ულვაშები.*

**გაბიაბრუება** *გაბიაბრუების* (გააბიაბრუებს) ვინმეს დამცირება, არაფრად ჩაგდება. *ქვეყანა გააბიაბრუეს.*

**გაბინძურება** *გაბინძურების* (გააბინძურებს, გაბინძურდება) ძალიან გაჭუჭყიანება. *ხელები გაიბინძურა. ქუჩა გააბინძურეს.* ■ **გაბინძურებული** რაც გააბინძურეს, დანაგვიანებული. *გაბინძურებული ეზო.*

**გაბლანდვა** *გაბლანდვის* (გაბლანდავს, გაუბლანდავს, გაიბლანდება) 1. იგივეა, რაც დაბლანდვა. *კაბა გაბლანდა.* 2. გადატ. გახლართვა, გაბმა. *ძაფი გაიბლანდა. ფეხში რაღაც გაებლანდა.*

**გაბლანდული** *გაბლანდულის* სახელდახელოდ, დაუდევრად გაკერილი. *გაბლანდული შარვალი.*

**გაბმა** *გაბმის* (გააბამს, გაიბამს, გაუბამს, გაიბმება, გაებმება, გააბმევინებს) 1. თოკის, მავთულისა და მისთ. ერთი ადგილიდან მეორემდე, ორ საგანს შორის გაჭიმვა. *ძაფი გააბეს.* 2. რაიმეს კეთების

დაწყება და დიდხანს გაგრძელება. *ლაპარაკი გააბეს. კავშირი გააბა.* 3. მახეში ან სხვა დასაჭერ მოწყობილობაში მოხვედრა. *თევზი ბადეში გაება.*

**გაბმით** ზმნზ. შეუწყვეტლად, განუწყვეტლივ, შეუჩერებლად. *გაბმით ტირის.*

**გაბმული** *გაბმულის* 1. რაც გააბეს (1). *ბოძებზე გაბმული მავთული.* 2. ვინც ან რაც გაება. *ხაფანგში გაბმული მგელი.* 3. ხანგრძლივი, შეუწყვეტელი. *გაბმული სტვენა. გაბმული გუგუნი.* ▲ **გაბმულად** ზმნზ. განუწყვეტლად, გაუჩერებლად. *გაბმულად წვიმს. გაბმულად ტირის.*

**გაბნევა** *გაბნევის* (გააბნევს, გაიბნევს, გაუბნევს, გაიბნევა, გაებნევა) აქეთ-იქით გაფანტვა. *მძივები გააბნია. მარგალიტი გაიბნა.* ■ **გაბნეული** რაც გაიბნა, დაიკარგა, მიმოიფანტა. *გაბნეული მძივები. გაბნეული ქონება.*

**გაბოლება** *გაბოლების* (გააბოლებს) სიგარეტის, თუთუნისა და მისთ. მოწევა, პირიდან კვამლის გამოშვება. *ჩიბუხის გაბოლება. სიამოვნებით გააბოლა.*

**გაბოლვა** *გაბოლვის* (გაბოლავს, გაიბოლება) ბოლით გაჭუჭყიანება. *კვამლმა ფარდები გაბოლა. სახლი იბოლება.* ■ **გაბოლილი** რაც გაიბოლა. *გაბოლილი ოთახი.*

**გაბოროტება** *გაბოროტების* (გააბოროტებს, გაუბოროტებს, გაბოროტდება) გაავება, სიბრაზით შეპყრობა, ბოროტად გადაქცევა. *უსამართლობით გაბოროტება. ცხოვრებამ გააბოროტა.* ■ **გაბოროტებული** ვინც გაბოროტდა. *გაბოროტებული კაცი.*

**გაბრა** *გაბრის* (გაუბრის, გაებრება) რაიმეს მიცემა სხვა რაღაცის სანაცვლოდ. *ვალში ბინა გაუბარა.*

**გაბრაზება** *გაბრაზების* (გააბრაზებს, გაბრაზდება, გაუბრაზდება) ძლიერი წყენით, ბრაზით ავსება, გაჯავრება. *შვილმა გააბრაზა. მეგობარზე გაბრაზდა.* ■ **გაბრაზებული** ვინც გააბრაზეს ან გაბრაზდა. *გაბრაზებული მასწავლებელი.*

**გაბრიყვება** *გაბრიყვების* (გააბრიყვებს, გაბრიყვდება) მოტყუება, შეცდომაში შეყვანა. *თანატოლებმა გააბრიყვეს.*

**გაბრტყელება** *გაბრტყელების* (გააბრტყელებს, გაუბრტყელებს, გაბრტყელდება) 1. გასწორება, ბრტყლად ქცევა. *ცომი გააბრტყელა.* 2. გადატ. სხეულის ან მისი ნაწილის დაზიანება ძლიერი ცემით. *ბიჭი ხალიჩაზე გააბრტყელა. ცხვირ-პირი გაუბრტყელა.* ■ **გაბრტყელებული** რაც გააბრტყელეს. *ლავაშივით გაბრტყელებული.*

**გაბრუება** *გაბრუების* (გააბრუებს, გაუბრუებს, გაბრუვდება, გაუბრუვდება) მდგომარეობა, როდესაც ადამიანს თავის ტკივილისა და თავბრუს დახვევის შეგრძნება აქვს. *აქეთ-იქით სიარულით გაბრუვდა. ამდენმა ლაპარაკმა გააბრუა.*

**გაბრუნება** *გაბრუნების* (გააბრუნებს, გაუბრუნებს, გაბრუნდება) მიტრიალება და უკან წასვლა, დაბრუნება. *უსიტყვოდ გაბრუნდა.*

**გაბრუჟვა** *გაბრუჟვის* (გაიბრუჟება) იგივეა, რაც გამოთრობა. *არყით გაიბრუჟა.*

**გაბრძანება** *გაბრძანების* (გააბრძანებს, გაბრძანდება) პატივისც. გასვლა, გაყვანა, გატანა. *პროფესორი გარეთ გაბრძანდა. ეკლესიიდან ხატები გააბრძანეს.*

**გაბრძოლება** *გაბრძოლების* (გაიბრძოლებს, გაებრძოლება) სუსტი წინააღმდეგობის გაწევა, მცირედ შებრძოლება. *რამდენჯერმე გაიბრძოლა.*

**გაბრწყინება** *გაბრწყინების* (გააბრწყინებს, გაბრწყინდება, გაუბრწყინდება) ძალიან განათება, ბრწყინვის დაწყება. *არემარე გაბრწყინდა. ბაღშვს თვალები გაუბრწყინდა.* ■ **გაბრწყინებული** ვინც ან რაც გაბრწყინდა. *გაბრწყინებული სახე.*

**გაბურდვა** *გაბურდვის* (გაბურდავს, გაიბურდება, გაებურდება) იგივეა, რაც აბურდვა. *ქალს თმები გაებურდა.* ■ **გაბურდული** რაც გაიბურდა. *გაბურდული წვერ-ულვაში.*

**გაბურღვა** *გაბურღვის* (გაბურღავს, გაუბურღავს, გაიბურღება, გააბურღვინებს) ბურღით გახვრეტა, ამოთხრა. *კედელი გაბურღეს. კბილი გაუბურღა.* ■ **გაბურღული** რაც გაბურღეს. *გაბურღული იატაკი.*

**გაბურძგნა** *გაბურძგნის* (გაბურძგნის, გაიბურძგნება, გაებურძგნება) თმის, ბეწვისა და მისთ. უწესრიგოდ აშლა. *ულვაში გაებურძგნა.* ■ **გაბურძგნული** რაც გაიბურძგნა ან ვისაც გაებურძგნა. *გაბურძგნული თმა. გაბურძგნული კატა.*

**გაბუსხული** *გაბუსხულის* გაბუტული, უკმაყოფილო გამომეტყველების მქონე. *გაბუსხული ბავშვი. გაბუსხული ზის.*

**გაბუტვა** *გაბუტვის* (გაიბუტება, გაებუტება) განაწყენების გამო ვინმესთან ურთიერთობის გაწყვეტა, უთქმელად, ხმის გაუცემლად ყოფნა. *მეგობრები გაიბუტნენ. დედას გაებუტა.*

**გაბღენძა** *გაბღენძის* (გაიბღინძება) მედიდურად წელში გამართვა, მხრების გაშლა, გაჭიმვა. *გამარჯვებული მოჭიდავე გაიბღინძა.* ■ **გაბღენძილი** ვინც გაიბღინძა. *გაბღენძილი ბიჭი.*

**გაგანიერება** *გაგანიერების* (გააგანიერებს, გაუგანიერებს, გაგანიერდება, გაუგანიერდება) იგივეა, რაც გაგანივრება. *კაბა გაუგანიერდა. ჩარჩო გააგანიერეს.* ■ **გაგანიერებული** რაც გაგანიერდა ან გააგანიერეს. *გაგანიერებული გზა.*

**გაგანივრება** *გაგანივრების* (გააგანივრებს, გაუგანივრებს, გაგანივრდება, გაუგანივრდება) სიგანეში მომატება, გაფართოება. *შესასვლელი გააგანივრეს.* ■ **გაგანივრებული** რაც გააგანივრეს ან გაგანივრდა. *გაგანივრებული ხვრელი.*

**გაგარეულება** *გაგარეულების* (გაგარეულდება) 1. გაველურება, გარეულად ქცევა. *კატა გაგარეულდა.* 2. გარე-გარე სიარულის შეჩვევა. *ბიჭი სულ გაგარეულდა.*

**გაგდება** *გაგდების* (გააგდებს, გაიგდებს, გაუგდებს, გააგდებინებს) 1. სადმე მყოფის იძულება, რომ იქიდან გავიდეს. *ბიჭი ოთახიდან გააგდეს. ძაღლი ეზოში გააგდო.* 2. საუბრ. სასწავლებლიდან, სამუშაოდან და მისთ. გარიცხვა, დათხოვნა. *ბიჭი სკოლიდან გააგდეს. სამსახურიდან გააგდეს.* ■ **გაგდებული** ვინც გააგდეს. *მოედნიდან გაგდებული მოთამაშე.*

**გაგება**[1] *გაგების* (გაიგებს, გაუგებს, გაიგება, გაეგება) 1. გააზრება, შეცნობა, მიხვედრა. *აზრის გაგება. გაკვეთილი ვერ გაიგო. არაფერი გაეგება. გაგებით მოეკიდება.* 2. თვალსაზრისი, ინტერპრეტაცია. *მეცნიერული გაგება. ეკლესიური გაგება.* 3. ახალი ამბის, ინფორმაციის მიღება. *კარგი ამბავი გაიგო. გაიგეთ, რა მოხდა?*

**გაგება**[2] *გაგების* (გააგებს, გაიგებს, გაუგებს, გაიგება, გაეგება) იგივეა, რაც დაგება (1). ⊙ **ფეხქვეშ გაეგება** მლიქვნელურად მოექცევა, ელაქუცება.

**გაგებება** *გაგებების* (გააგებებს, გაეგებება) ვინმეს შესახვედრად გასვლა, შეგებება. *სტუმრებს ეზოში გაეგება.*

**გაგებინება** *გაგებინების* (გააგებინებს) 1. ვინმესთვის გასაგებად თქმა, ისე, რომ მიხვდეს, გაიგოს. *მსმენელს საკითხი გააგებინა. ამ ხალხს ვერაფერს გააგებინებ!* 2. ახალი ამბის მიტანა, ცნობება, შეტყობინება. *სოფელს მტრის მოსვლა გააგებინა.*

**გაგებული** *გაგებულის* 1. რაც გაიგეს (1). *არასწორად გაგებული კომენტარი.* 2. რაც გაიგეს (3), გაგონილი. *ეს ამბავი არ ჰქონდა გაგებული.*

**გაგზავნა** *გაგ ზავნის* (გაგზავნის, გააგზავნის, გაუგზავნის, გაიგზავნება, გააგზავნინებს) ვინმეს გაშვება გარკვეული მიზნით ან რაიმეს გატანება, ჩაბარება სადმე მისატანად (მისაყვანად). *ბავშვები სოფელში გაგ ზავნა. წერილი გაუგ ზავნა.* ■ **გაგზავნილი** ვინც ან რაც გაგზავნეს ან გაიგზავნა. *გაგ ზავნილი ნობათი.*

**გაგიჟება** *გაგიჟების* (გააგიჟებს, გაგიჟდება) 1. სიგიჟით დაავადება, ჭკუიდან გადასვლა. *კაცი გაგიჟდა.* 2. გიჟის (2) საქციელი, დაუფიქრებლობა, მოურიდებლობა. *ბავშვი მთლად გაგიჟდა.* 3. საუბრ. ძალიან მოწონება, აღტაცება, აღფრთოვანება. *ნაყინზე გაგიჟდა.*

**გაგიჟებით** ზმნზ. ძალიან, მეტისმეტად. *გაგიჟებით უყვარს.*

**გაგლესა** *გაგლესის* (გაგლესს, გაიგლისება, გაეგლისება) სქელი მასის რაიმეზე წასმა, წაცხება. *ბავშვებმა პლასტილინი იატაკზე გაგლისეს. კედელი ცემენტით გაგლისა.* ■ **გაგლესილი** რაც გაიგლისა. *ცხიმით გაგლესილი სახელსური.*

**გაგლეჯა** *გაგლეჯის* (გაგლეჯს, გაიგლეჯს, გაუგლეჯს, გაიგლიჯება, გაეგლიჯება) ძალით გახევა, გაფხრენა, განგრევა. *წყალმა ჯებირი გაგლიჯა. ბადე გაიგლიჯა.* ■ **გაგლეჯილი** რაც გაგლიჯეს. *შუაზე გაგლეჯილი.*

**გაგონება** *გაგონების* (გააგონებს, გაიგონებს, გაუგონებს) 1. ყურით აღქმა, მოსმენა. *ფეხის ხმა გაიგონა. შორიდან ვერ გააგონა.* 2. დაჯერება, ვინმეს ნათქვამის გათვალისწინება. *არავისი არ გაიგონა.* ■ **გაგონილი** რაც გაიგონეს. *ეს ამბავი გაგონილი ჰქონდა.*

**გაგორება** *გაგორების* (გააგორებს, გაიგორებს, გაუგორებს, გაგორდება, გაუგორდება) 1. გორვით წაღება, გორვით გადაადგილება. *ბურთი გაგორდა. სათამაშო მიწაზე გააგორა.* 2. გადატ. დაცემა, წაქცევა. *მიწაზე გაგორდა.*

**გაგრილება** *გაგრილების* (გააგრილებს, გაიგრილებს, გაუგრილებს, გაგრილდება, გაუგრილდება) ცხელის, გახურებულის გრილად გადაქცევა, გაციება, განელება. *ჩაი გაგრილდა. სახე მარაოთი გაიგრილა.* ■ **გაგრილებული** რაც გააგრილეს ან გაგრილდა. *წვიმით გაგრილებული ჰაერი.*

**გაგრძელება** *გაგრძელების* (გააგრძელებს, გაიგრძელებს, გაუგრძელებს, გაგრძელდება, გაუგრძელდება, გააგრძელებინებს) 1. იგივეა, რაც **დაგრძელება**. *გზა გაუგრძელდათ.* 2. გახანგრძლივება, გაჭიანურება. *ვადა გაუგრძელეს. მოლაპარაკება დიდხანს გაგრძელდა. შეებულება გაიგრძელა.* 3. შეწყვეტილის განახლება, ხელახლა დაწყება. *სწავლის გაგრძელება.* ■ **გაგრძელებული** რაც გააგრძელეს ან გაგრძელდა. *გაგრძელებული საუბარი.*

**გაგუდვა** *გაგუდვის* (გაგუდავს, გაიგუდება, გაეგუდება) სუნთქვის შეკერა და დახრჩობა. *გაზით გაიგუდა. თოკით გაგუდეს.* ■ **გაგუდული** ვინც გაგუდეს ან გაიგუდა. *გაგუდული ნახეს.*

**გაგულისება** *გაგულისების* (გააგულისებს, გაგულისდება) ძალიან გაბრაზება, გულის მოსვლა. *ბიჭი მეგობარზე გაგულისდა.* ■ **გაგულისებული** ვინც გაგულისდა. *გაგულისებული მამა.*

**გადაადგილება** *გადაადგილების* (გადააადგილებს, გადაადგილდება) ერთი ადგილიდან მეორეზე გადასვლა, გადანაცვლება, გადატანა. *ტრანსპორტის გადაადგილება. კარი გადააადგილეს.* ■ **გადაადგილებული** რაც ან ვინც გადაადგილდა ან გადააადგილეს. *ავეჯი გადაადგილებული დახვდა.*

**გადაანგარიშება** *გადაანგარიშების* (გადაიანგარიშებს) ხელახლა გამოანგარიშება. *თანხის გადაანგარიშება. ბიუჯეტი გადაიანგარიშეს.*

**გადაბანა** *გადაბანის* (გადაიბანს) საჩქაროდ, სახელდახელოდ დაბანა. *ხელები გადაიბანა.*

**გადაბარგება** *გადაბარგების* (გადააბარგებს, გადაბარგდება) საცხოვრებლად სხვაგან გადასვლა,

ნასვლა. *გადაბარგება დაიწყეს. ცოლ-შვილი გადააბარგა.* ■ **გადაბარგებული** ვინც გადაბარგდა. *გადაბარგებული მდგმური.*

**გადაბარება** *გადაბარების* (გადააბარებს, გადაიბარებს) კუთვნილის ან ჩაბარებულის ვინმესთვის გადაცემა მოსავლელად, გასაკეთებლად. *ქონების გადაბარება. ფუნქციები გადაიბარა.* ■ **გადაბარებული** რაც გადააბარეს. *გადაბარებული სამუშაო.*

**გადაბერტყვა** *გადაბერტყვის* (გადაბერტყავს, გადაიბერტყავს) მტვრის, ნამცეცებისა და მისთ. ბერტყვით მოცილება, გადაყრა. *ტახტი გადაბერტყა. კალთა გადაიბერტყა.*

**გადაბეჭდვა** *გადაბეჭდვის* (გადაბეჭდავს, გადაიბეჭდება) დაბეჭდილის ხელახლა დაბეჭდვა. *წერილი გადაბეჭდა. სტატია ჟურნალიდან გადაბეჭდეს.* ■ **გადაბეჭდილი** რაც გადაბეჭდეს. *წიგნიდან აქეს გადაბეჭდილი.*

**გადაბირება** *გადაბირების* (გადაიბირებს) თავის მხარეზე გადაყვანა, მიმხრობა. *მეგობრებმა გადაიბირეს. მამამ შვილები გადაიბირა.* ■ **გადაბირებული** ვინც გადაიბირეს. *გადაბირებული მოწმე.*

**გადაბიჯება** *გადაბიჯების* (გადააბიჯებს) 1. ნაბიჯის გადადგმა. *ერთი გადააბიჯა და გაჩერდა.* 2. პატარა წინააღმდეგობის, ზღუდის, შემაღლებული ადგილისა და მისთ. გადავლა ფეხის ერთი გადადგმით. *ქვას გადააბიჯა. ღობეს გადააბიჯა.*

**გადაბმა** *გადაბმის* (გადააბამს, გადაუბამს, გადაიბმება, გადაებმება) ერთმანეთთან მიერთება, შეკავშირება. *ჯაჭვის გადაბმა. თოკები გადააბა.* ■ **გადაბმული** რაც გადააბეს. *გადაბმული ვაგონები.*

**გადაბნევა** *გადაბნევის* (გადააბნევს, გადაუბნევს, გადაიბნევა, გადაებნევა) ზევიდან გადაყრა, გადაფანტვა. *თესლის გადაბნევა. ყვავილები აივნიდან გადააბნიეს.* ■ **გადაბნეული** რაც გადააბნიეს. *გადაბნეული მარცვალი.*

**გადაბოტება** *გადაბოტების* (გადააბოტებს) რაიმეზე დიდი ნაბიჯით გადასვლა. *ღობეს გადააბოტა.*

**გადაბრალება** *გადაბრალების* (გადააბრალებს, გადაიბრალებს, გადაბრალდება) შეცდომის, დანაშაულის სხვისთვის დაბრალება. *ყველაფერი სხვას გადააბრალა.*

**გადაბრეცა** *გადაბრეცის* (გადაბრეცს, გადაიბრიცება, გადაებრიცება) გვერდზე გადახრა, გადაღუნვა. *ხე გადაიბრიცა. კიბე გადაიბრიცა.* ■ **გადაბრეცილი** რაც გადაიბრიცა. *გადაბრეცილი სვეტი.*

**გადაბრიალება** *გადაბრიალების* (გადააბრიალებს, გადაუბრიალებს) ◌ თვალებს **გადაუბრიალებს** ნყრომით, ბრაზით გადახედავს.

**გადაბრუნება** *გადაბრუნების* (გადააბრუნებს, გადაიბრუნებს, გადაუბრუნებს, გადაბრუნდება, გადაუბრუნდება) 1. ქვედა მხარის ზევით მოქცევა, გადატრიალება. *კასრი გადააბრუნა. გვერდზე გადაბრუნდა.* 2. გადატ. რაიმეს საფუძვლიანად, ყველგან მოძებნა. *აქაურობა გადააბრუნა. ოთახი გადააბრუნეს.* ■ **გადაბრუნებული** რაც გადააბრუნეს ან გადაბრუნდა. *გადაბრუნებული ნავი.*

**გადაბრძანება** *გადაბრძანების* (გადააბრძანებს, გადაბრძანდება) პატივისც. გადასვლა, გადაყვანა. *სტუმარი სხვა სავარძელში გადაბრძანდა. ხატები მონასტერში გადააბრძანეს.*

**გადაბუგვა** *გადაბუგვის* (გადაბუგავს, გადაუბუგავს, გადაიბუგება, გადაებუგება) დიდი ფართობის, ვრცელი ტერიტორიის ცეცხლით, გვალვითა და მისთ. გადაწვა, განადგურება. *ხანძარმა ტყე გადაბუგა. ნათესები გადაიბუგა.* ■ **გადაბუგული** რაც გადაბუგეს ან გადაიბუგა. *გადაბუგული სოფლები.*

**გადაბულბულება** *გადაბულბულების* (გადააბულბულებს) საუბრ. რაიმეს ზედმიწევნით კარგად დასწავლა. *წიგნი გადააბულბულა.* ■ **გადაბულბულებული** რაც გადააბულბულეს. *ყველაფერი გადაბულბულებული აქვს.*

**გადაგდება** *გადაგდების* (გადააგდებს, გადაიგდებს, გადაუგდებს, გადააგდებინებს) იგივეა, რაც გადასროლა. *აივნიდან ჯოხი გადააგდო. ბიჭს ბურთი გადაუგდო.* ■ **გადაგდებული** რაც გადააგდეს. *გადაგდებული ბოთლი.*

**გადაგება** *გადაგების* (გადააგებს, გადაეგება) 1. ვინმეზე გადაჭარბებული მზრუნველობა. *ოჯახზე გადაგება. თავისიანებს გადაეგო.* 2. გადაშენება, მოსპობა. *უშვილოდ გადაეგო.*

**გადაგვარება** *გადაგვარების* (გადააგვარებს, გადაგვარდება) 1. ბუნებრივი სახის დაკარგვა, გადაჯიშება. *ხორბლის სახეობა გადაგვარდა.* 2. გადატ. დაკნინება, დაქვეითება, გაუარესება. *ზნეობრივი გადაგვარება. ყველაფერი გადაგვარდა.* ■ **გადაგვარებული** რაც ან ვინც გადაგვარდა. *გადაგვარებული უჯრედი. გადაგვარებული ტრადიციები.*

**გადაგ ზავნა** *გადაგ ზავნის* (გადაგ ზავნის, გადაუგზავნის, გადაიგზავნება, გადააგზავნინებს) ერთი პუნქტიდან მეორეში გაგზავნა. *ტვირთის გადაგ ზავნა. საბუთები გადაუგ ზავნეს. ჯარის ნაწილები გადაიგ ზავნა.* ■ **გადაგზავნილი** რაც გადაგზავნეს. *გადაგ ზავნილი თანხა.*

**გადაგლესა** *გადაგლესის* (გადაგლესს, გადაიგლესს, გადაიგლისება, გადაეგლისება) სქელი მასის ზემოდან გადასმა, გაგლესით დაფარვა. *ბოცას თავი გადაუგლისა. ქვევრი თიხით გადაგლისა.* ■ **გადაგლესილი** რაც გადაგლისეს. *გადაგლესილი ქოთანი.*

**გადაგორება** *გადაგორების* (გადააგორებს, გადაუგორებს, გადაგორდება) 1. გორვით ადგილის შენაცვლება, გადაბრუნება. *საფლავის ქვა გადააგორეს. კაცი ტახტზე გადაგორდა.* 2. რაიმე საქმის მშვიდობით დამთავრება. *ეს დღეც გადავაგორეთ.* ■ **გადაგორებული** რაც ან ვინც გადააგორეს ან გადაგორდა. *გადაგორებული ლოდი.*

**გადაგრეხა** *გადაგრეხის* (გადაგრეხს, გადააგრეხს, გადაიგრეხს, გადაიგრიხება, გადაეგრიხება) გრეხით რაიმეს გადაღუნვა, გადაწევა. *ხელები გადაუგრიხეს. ულვაშები გადაიგრიხა.* ■ **გადაგრეხილი** რაც გადაგრიხეს ან გადაიგრიხა. *გადაგრეხილი მავთული.*

**გადადგმა** *გადადგმის* (გადადგამს, გადაადგამს, გადაიდგამს, გადაუდგამს, გადაიდგმება, გადაადგმევინებს) აღება და სხვა ადგილას დადგმა. *მაგიდა კედელთან გადადგეს.*

**გადადგომა** *გადადგომის* (გადადგება, გადაუდგება) 1. ერთი ადგილიდან მეორეზე გადანაცვლება, სხვაგან დადგომა. *ბიჭი გვერდზე გადადგა.* 2. გადატ. სამსახურის დატოვება მაღალი თანამდებობის პირის მიერ. *მინისტრი გადადგა.*

**გადადება** *გადადების* (გადა(ს)დებს, გადაიდებს, გადაუდებს, გადაიდება, გადაედება) 1. ერთი ადგილიდან აღება და სხვაგან დადება. *ჩანთა სკამზე გადადო.* 2. რაიმეს შესრულების სხვა დროისთვის გადატანა. *სხდომა გადაიდო. მშენებლობა გადადეს.* 3. ავადმყოფობის გადასვლა ერთი ადამიანიდან მეორეზე. *წითელა გადასდო. ვირუსი გადაედო.* ■ **გადადებული** რაც გადადეს ან გადაიდო. *გადადებული შეხვედრა.*

**გადადნობა** *გადადნობის* (გადაადნობს, გადადნება, გადაადნობინებს) ხელახლა გამოდნობა. *სპილენძის გადადნობა. ქანდაკება გადაადნეს.* ■ **გადამდნარი** რაც გადაადნეს. *გადამდნარი ვერცხლი.*

**გადადუღება** *გადადუღების* (გადაადუღებს, გადადუღდება) ხელმეორედ ან ზედმეტად ადუღება. *მურაბა გადაადუღა. ყავა გადადუღდა.* ■ **გადადუღებული** რაც გადაადუღეს. *გადადუღებული ზეთი.*

**გადავარდნა** *გადავარდნის* (გადავარდება, გადაუვარდება) 1. სიმაღლიდან ძირს დაცემა. *სათვალე ფანჯრიდან გადაუვარდა. მანქანა ხიდიდან გადავარდა.* 2. გადატ. გაუქმება, გაქრობა, მოსპობა. *ბატონყმობა გადავარდა. ძველი ჩვეულებები გადავარდა.* ■ **გადავარდნილი** ვინც ან რაც გადავარდა. *აივნიდან გადავარდნილი ჯოხი.*

**გადავარცხნა** *გადავარცხნის* (გადავარცხნის, გადაივარცხნის, გადაუვარცხნის) ცალ მხარეს (უკან ან გვერდზე) დავარცხნა. *ქოჩორი გადაივარცხნა.* ■ **გადავარცხნილი** რაც გადავარცხნეს. *გვერდზე გადავარცხნილი თმა.*

**გადავიწყება** *გადავიწყების* (გადაავიწყებს, გადაივიწყებს, გადაავიწყდება) იგივეა, რაც **დავიწყება**. *მომხდარმა დარდი გადაავიწყა. ნათქვამი გადაავიწყდა.* ■ **გადავიწყებული** რაც გადაავიწყდათ. *გადავიწყებული ამბავი.*

**გადავლა** *გადავლის* (გადაივლის, გადაუვლის) 1. ერთი მხრიდან მეორე მხარეს გადასვლა დაბრკოლების გადალახვით. *ხიდი გადაიარა. მთას გადაივლის.* 2. რაიმეს ან ვინმეს ზევიდან გავლა. *ტანკმა სახლს გადაუარა.* 3. გრძნობის, სურვილისა და მისთ. გავლა, გაქრობა, ჩაწყნარება. *ყველაფერი გადაივლის. ტკივილმა გადაუარა.* 4. საუბრ. მცირედით დაკმაყოფილება. *უბრალო საჭმელზე გადავლა არ შეუძლია.*

**გადავლება** *გადავლების* (გადაავლებს, გადაივლებს, გადაევლება) 1. ზევიდან დასხმით გარეცხვა, დაბანა, გასუფთავება. *თეფშს წყალი გადაავლო. წყალი გადაივლო. თმაზე ბალზამი გადაივლო.* 2. ზევიდან რაიმეს გადატარება, რაიმეზე გადახტომა. *ტალღა თავზე გადაეევლო. ბიჭი ღობეს გადაევლო.*

**გადაზელა** *გადაზელის* (გადაზელს, გადაუზელს, გადაიზილება) ხელახლა მოზელა. *ცომი გადაზილა.* ■ **გადაზელილი** რაც გადაზილეს. *გადაზელილი სულგუნი.*

**გადაზიდვა** *გადაზიდვის* (გადაზიდავს, გადაუზიდავს, გადაიზიდება, გადააზიდვინებს) რამდენიმე გზად, რამდენიმე ჯერზე გადატანა. *ტვირთის გადაზიდვა. ნედლეული გადაზიდეს.* ■ **გადაზიდული** რაც გადაზიდეს. *გადაზიდული საქონელი.*

**გადაზნექა** *გადაზნექის* (გადაზნექს, გადაიზნიქება) გადაღუნვა, გადახრა. *გვერდზე გადაიზნიქა. ტოტი გადაზნიქა.* ■ **გადაზნექილი** რაც ან ვინც გადაიზნიქა. *გადაზნექილი ბოძი.*

**გადაზომვა** *გადაზომვის* (გადაზომავს, გადაიზომავს, გადაუზომავს, გადაიზომება) სიგრძის გაზომვა. *მაგიდა მტკაველით გადაზომა. ხეებს შორის მანძილი გადაზომა.*

**გადაზრდა** *გადაზრდის* (გადაიზრდება) ერთი მდგომარეობის, მოქმედების, გრძნობისა და მისთ. მეორეში გადასვლა. *კამათი ჩხუბში გადაიზარდა. მეგობრობა სიყვარულში გადაიზარდა.*

**გადათარგმნა** *გადათარგმნის* (გადათარგმნის, გადაუთარგმნის, გადაითარგმნება, გადაათარგმნინებს) ტექსტის, საუბრის ერთი ენიდან მეორეზე გადატანა, სხვა ენაზე გადმოცემა. *ლექსები გადათარგმნა. თარჯიმანმა შეკითხვა გადაუთარგმნა.* ■ **გადათარგმნილი** რაც გადათარგმნეს. *გადათარგმნილი რომანი.*

**გადათეთრება** *გადათეთრების* (გადაათეთრებს, გადათეთრდება) 1. მთლიანად თეთრად დაფარვა (ჩვეულებრივ, თოვლით). *მთები გადათეთრდა.* 2. ნაწერის სუფთად, ლამაზად გადაწერა. *ნაშრომი გადაათეთრა.* ■ **გადათეთრებული** რაც გადაათეთრეს ან გადათეთრდა. *გვირილებით გადათეთრებული მინდორი. გადათეთრებული ნაშრომი.*

**გადათელვა** *გადათელვის* (გადათელავს, გადაითელება, გადაათელვინებს) იგივეა, რაც **გათელვა** (1). *ძროხამ ყანა გადათელა.* ■ **გადათელილი** რაც გადათელეს. *გადათელილი ყვავილები.*

**გადათვალიერება** *გადათვალიერების* (გადაათვალიერებს, გადაათვალიერებინებს) ზერელედ დათ-

ვალიერება, გადახედვა. შემოწმება. *გაზეთების გადათვალიერება. საბუთები გადაათვალიერა. ალბომი გადაათვალიერა.*

**გადათვლა** *გადათვლის* (გადათვლის, გადაითვლის, გადაუთვლის, გადაათვლევინებს) ხელახლა დათვლა ან ვინმესთვის თვლით მიცემა. *საარჩევნო ბიულეტენები გადათვალეს. ფული გადაუთვალა.*

**გადათოვლა** *გადათოვლის* (გადათოვლავს) თოვლისგან გაწმენდა, გასუფთავება. *სახლი გადათოვლა.*

**გადათოვლილი** *გადათოვლილის* 1. რაც გადათოვლეს. *გადათოვლილი სახურავი.* 2. თოვლით დაფარული. *გადათოვლილი მწვერვალები.*

**გადათრევა** *გადათრევის* (გადაათრევს, გადაითრევს, გადაუთრევს, გადაეთრევა, გადაათრევინებს) ერთი ადგილიდან მეორეზე ძალით, თრევით გადატანა (გადაყვანა). *მანქანა გზიდან გადაათრიეს. ჩანთა გადაათრია. მთვრალი საწოლზე გადაათრიეს.*

**გადათქმა** *გადათქმის* (გადათქვამს, გადაათქმევინებს) ნათქვამის, დაპირებულის ან გადაწყვეტილების უარყოფა. *მიცემული სიტყვა გადაათქმევინეს. პირობა არ გადათქვა.*

**გადათხრა** *გადათხრის* (გადათხრის, გადაუთხრის, გადაითხრება) მთლიანად, საფუძვლიანად, დიდ მანძილზე გათხრა. *მინდვრები ტრაქტორით გადათხარეს.* ■ **გადათხრილი** რაც გადათხარეს. *გადათხრილი გზა.*

**გადაკარგვა** *გადაკარგვის* (გადაკარგავს, გადაიკარგება) მიუგნებელ ადგილას მიმალვა, გადახვენა. *სადღაც გადაიკარგა. სამუდამოდ გადაიკარგა.*

**გადაკარგული** *გადაკარგულის* 1. ვინც ან რაც გადაიკარგა. *უცხო მხარეში გადაკარგული მეგობრები.* 2. გადატ. შორეული, მიუდგომელი, მივარდნილი. *გადაკარგული სოფელი.*

**გადაკაფვა** *გადაკაფვის* (გადაკაფავს, გადაუკაფავს) მთლიანად გაკაფვა (ბევრისა). *ჭადრები გადაკაფეს.* ■ **გადაკაფული** რაც გადაკაფეს. *გადაკაფული ტყეები.*

**გადაკეთება** *გადაკეთების* (გადააკეთებს, გადაიკეთებს, გადაუკეთებს, გადაკეთდება) გაკეთებულის შეცვლა, სხვაგვარად გაკეთება, სხვა სახის მიცემა. *კაბის გადაკეთება. ბინა გადააკეთეს. სტატია გადააკეთა.* ■ **გადაკეთებული** რაც გადააკეთეს ან გადაკეთდა. *გადაკეთებული პალტო.*

**გადაკერება** *გადაკერების* (გადააკერებს, გადაიკერებს, გადაუკერებს, გადაეკერება) კერვით გადაბმა, შეერთება. *ნაჭრები ერთმანეთზე გადააკერა.*

**გადაკეტვა** *გადაკეტვის* (გადაკეტავს, გადაიკეტავს, გადაუკეტავს, გადაიკეტება, გადაეკეტება) საკეტის გადაბრუნებით დაკეტვა. *კარი გასაღებით გადაკეტა.* ■ **გადაკეტილი** რაც გადაკეტეს. *გადაკეტილი ჭიშკარი.*

**გადაკეცვა** *გადაკეცვის* (გადაკეცავს, გადაიკეცავს, გადაიკეცება) ქსოვილის, ქაღალდისა და მისთ. ერთი ნაწილის მეორეზე გადადება და გასწორება. *ფურცელი გადაკეცა. სახელოები გადაიკეცა.* ■ **გადაკეცილი** რაც გადაკეცეს. *გადაკეცილი საყელო.*

**გადაკვანძვა** *გადაკვანძვის* (გადაკვანძავს, გადაიკვანძება, გადაეკვანძება) თოკების, ძაფებისა და მისთ. ერთმანეთზე კვანძით გადაბმა. *თასმები გადაკვანძა.* ■ **გადაკვანძული** რაც გადაკვანძეს.

**გადაკვდომა** *გადაკვდომის* (გადააკვდება) რაიმეს საკეთებლად მთელი ძალ-ღონის დახარჯვა, თავდაუზოგავად მოქმედება, ვინმეზე ზრუნვა. *საქმეს გადააკვდა. ოჯახს გადააკვდა.*

**გადაკვეთა** *გადაკვეთის* (გადაკვეთს, გადაუკვეთს, გადაიკვეთება) 1. რაიმე სივრცის ან ადგილის გადავლა, გადალახვა. *საზღვრის გადაკვეთა. კაცმა ქუჩა გადაკვეთა.* 2. გზების, ხაზების ჯვარედინად შეერთების ადგილი. *ქუჩების გადაკვეთაზე შუქნიშანია.* ■ **გადაკვეთილი** რაც გადაკვეთეს ან გადაიკვეთა. *გადაკვეთილი გზები.*

**გადაკვრა** *გადაკვრის* (გადაკრავს, გადაჰკრავს, გადააკრავს, გადაიკრავს, გადაუკრავს, გადაეკვრება) 1. ქსოვილის, ცელოფანისა და მისთ. გადაფარება და დამაგრება რაიმეზე. *შალითის გადაკვრა. ბალიშს პირი გადააკრა.* 2. სწრაფად, სულმოუთქმელად დალევა. *არაყი გადაკრა.* 3. მოქნევით დარტყმა. *საქონელს სახრე გადაჰკრა. ზურგზე წკეპლა გადაჰკრა.* 4. რაიმეს უცებ დატყობა (სახეზე). *სიწითლემ გადაჰკრა.*

**გადაკიდება** *გადაკიდების* (გადა(ჰ)კიდებს, გადაიკიდებს, გადაეკიდება) 1. თოკზე, ტოტსა და მისთ. რაიმეს გადაფენა, დაკიდება. *ხალიჩა მოაჯირზე გადაკიდა. მშვილდი მხარზე გადაიკიდა.* 2. უსიამოვნების, განსაცდელის შემთხვევა. *ხიფათს არ გადაეკიდო!* 3. რაიმეს დაძალება, თავის მობეზრება, შეწუხება. *გადაეკიდა, სახლში წამიყვანეო. რას გადამეკიდე!* 4. ურთიერთობის გაფუჭება, გადამტერება. *მეგობრები ერთმანეთს გადაჰკიდა. მასწავლებელი გადაეკიდა.* ■ **გადაკიდებული** რაც გადაკიდეს ან ვინც გადაეკიდა. *გადაკიდებული დროშა. გადაკიდებული მეზობლები.*

**გადაკითხვა** *გადაკითხვის* (გადაიკითხავს, გადაუკითხავს) თავიდან ბოლომდე ზერელედ, თვალის გადავლებით ნაკითხვა. *გაზეთები გადაიკითხა.* ■ **გადაკითხული** რაც გადაიკითხეს. *წიგნი რამდენჯერმე აქვს გადაკითხული.*

**გადაკისკისება** *გადაკისკისების* (გადაიკისკისებს) კისკისით გაცინება. *გულიანად გადაიკისკისა.*

**გადაკოტრიალება** *გადაკოტრიალების* (გადააკოტრიალებს, გადაკოტრიალდება) კოტრიალით გადაბრუნება, გადატრიალება. *ტახტზე გადაკოტრიალდა.*

**გადაკოცნა** *გადაკოცნის* (გადაკოცნის, გადაუკოცნის) რამდენჯერმე კოცნა. *მეგობარი გადაკოცნა. სტუმრები გადაკოცნა.*

**გადაკრული** *გადაკრულის* 1. რაც გადააკრეს. *საარძელზე გადაკრული შალითა.* 2. ორაზროვნად, არაპირდაპირ ნათქვამი. *გადაკრული სიტყვა.* ◎ **გადაკრულშია** საუბრ. მსუბუქად ნასვამია.

**გადაკრუხება** *გადაკრუხების* (გადაკრუხდება) შინაური ფრინველისთვის კრუხობის პერიოდის გადავლა, დასრულება. *ქათამი გადაკრუხდა.*

**გადაკრუხებული** *გადაკრუხებულის* 1. რაც გადაკრუხდა. *გადაკრუხებული დედალი.* 2. საუბრ. გაუთხოვრად დაბერებული. *გადაკრუხებული მამიდა.*

**გადალაგება** *გადალაგების* (გადაალაგებს, გადაილაგებს, გადაულაგებს, გადალაგდება) ბევრის გადადება ერთი ადგილიდან მეორეზე, გადაწყობა. *ავეჯი გადაალაგეს. თეფშები გადაალაგა.*

**გადალაპარაკება** *გადალაპარაკების* (გადაულაპარაკებს) გვერდით მჯდომისთვის ხმადაბლა რაიმეს თქმა ისე, რომ სხვამ არ გაიგონოს. *გადალაპარაკება მოასწრო. მეგობარს ჩუმად გადაულაპარაკა.*

**გადალახვა** *გადალახვის* (გადალახავს) 1. რთული გზის, მნიშვნელოვანი მონაკვეთის გადავლა და სადმე გადასვლა. *საზღვრის გადალახვა. უღელტეხილი გადალახეს.* 2. გადატ. დაბრკოლებების, სირთულეების დაძლევა. *ოჯახმა ბევრი სიძნელე გადალახა.* ■ **გადალახული** რაც გადალახეს. *გადალახული ბარიერი.*

**გადალევა** *გადალევის* (გადაულევს, გადაელევა) ◎ **გული გადაელევა** იხ. გული.

**გადალესვა** *გადალესვის* (გადალესავს, გადაილესება) ზევიდან გალესვა ან ხელმეორედ გალესვა. *ფრესკები გადალესეს. კედელი გაჯით გადალესეს.*

**გადალოცვა** *გადალოცვის* (გადაულოცავს) რაიმეს ჩუქება ან გადაბარება. *სახლი შვილებს გადაულოცა. საქმე სხვას გადაულოცა.*

**გადამალვა** *გადამალვის* (გადამალავს, გადაუმალავს, გადაიმალება) საგანგებოდ დამალვა. *იარაღი გადამალა. ტყვეები გადამალეს.*

**გადამდგარი** *გადამდგარის* ვინც გადადგა, თანამდებობა დატოვა. *გადამდგარი პრეზიდენტი.*

**გადამდები** *გადამდების* რის გადადებაც (3) შესაძლებელია, რაც გადაედებათ. *გადამდები დაავადება.*

**გადამეტება** *გადამეტების* (გადაამეტებს) ზომაზე ან რაიმე ზღვარზე მეტის გაკეთება, გადაჭარბება. *თავის უფლებამოსილებას გადაამეტა.*

**გადამზადება** *გადამზადების* (გადაამზადებს) სწავლება ახალი მეთოდების ათვისების, კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით. *პედაგოგების გადამზადება. მოხელეები გადაამზადეს.*

**გადამთიელი** *გადამთიელის* შორეული, უცხო ქვეყნის, მხარის, უცხო ტომის წარმომადგენელი. *გადამთიელი ხალხი. გადამთიელები ჩამოასახლეს.*

**გადამკვდარი** *გადამკვდრის* ვინც ძალ-ღონეს არ იშურებს, თავდაუზოგავად შრომობს. *სწავლაზე გადამკვდარი. შვილზე გადამკვდარი დედაა.*

**გადამკვეთი** *გადამკვეთის* რაც გადაკვეთს. *გადამკვეთი ქუჩა.*

**გადამკიდე** *გადამკიდის* ზმნზ. საუბრ. ვინმეს ან რაიმეს მიზეზით, ვინმეს ან რაიმეს გამო. *თქვენი გადამკიდე საქმეს ვერ ვამთავრებ!*

**გადამლაშება** *გადამლაშების* (გადაამლაშებს) 1. ზედმეტად დამლაშება. *კერძი გადაუმლაშდა.* 2. საუბრ. ზომაზე მეტის თქმა, ზომიერების დაუცველობა, გადაჭარბება მოქმედებისას. *ორატორმა გადაამლაშა. წესრიგის დამცველებმა გადაამლაშეს.*

**გადამრავლება** *გადამრავლების* (გადაამრავლებს) იგივეა, რაც გამრავლება (2). *რიცხვები ზეპირად გადაამრაელა.*

**გადამტანი** *გადამტანის* ვისაც ან რასაც რაიმე გადააქვს. *ინფექციის გადამტანი მწერები. ბევრი გაჭირვების გადამტანი.*

**გადამტერება** *გადამტერების* (გადაემტერება) ვინმეს მტრად გახდომა. *ძველ მეგობრებს გადაემტერა.*

**გადამტვრევა** *გადამტვრევის* (გადაამტვრევს, გადაიმტვრევს, გადაუმტვრევს, გადაიმტვრევა, გადაემტვრევა) მაგარი, მკვრივი საგნის შუაზე გატეხა ან რაიმეს ზემოდან დამტვრევა. *ჯოხი გადაუმტვრია. ზურგზე სარი გადაამტვრია.*

**გადამუშავება** *გადამუშავების* (გადაამუშავებს, გადამუშავდება) 1. ხელახლა დამუშავება, გადაკეთება. *მოხსენების ტექსტი გადაამუშავა. მინა გადაამუშავეს.* 2. ნედლეულის დამუშავება სხვა სახის მასალის ან პროდუქტის მისაღებად. *ნავთობის გადამუშავება. ჩაი გადაამუშავეს.* ■ **გადამუშავებული** რაც გადაამუშავეს ან გადამუშავდა. *გადამუშავებული საკვები.*

**გადამფრენი** *გადამფრენის* ფრინველი, რომელსაც გადაფრენა (2) ახასიათებს. *გადამფრენი ჩიტები.*

**გადამღერება** *გადამღერების* (გადაამღერებს) საუბრ. ლიტერატურული ან მუსიკალური ნაწარმოების, როლისა და მისთ. გამეორება სხვა ავტორის ან შემსრულებლის მიერ, ორიგინალურობას მოკლებული ნაწარმოების შექმნა. *ძველი თემა გადაამღერეს.* ■ **გადამღერებული** რაც გადაამღერეს. *ათასჯერ გადამღერებული ვარიანტი.*

**გადამღრძვალი** *გადამღრძვალის* უპატივც. ძალიან დაბერებული, დაუძლურებული ან მეტისმეტად დასუსტებული, ძალაგამოცლილი. *გადამღრძვალი ბერიკაცი. სიცხისგან გადამღრძვალი სხეული.*

**გადამყვანი** *გადამყვანის* ვისაც ან რასაც გადა-

ჰყავს. *დენის გადამყვანი. გადამყვანი სისტემა.*

**გადამყიდველი** *გადამყიდველის* პირი, რომელიც რაიმეს ყიდულობს და შემდეგ უფრო ძვირად ყიდის. *გადამყიდველთან შეიძინა.*

**გადამცემი** *გადამცემის* რადიომოწყობილობა, რითაც ინფორმაციას შორ მანძილზე გადასცემენ. *ბანაკში გადამცემი დგას.*

**გადამძვრალი** *გადამძვრალის* რაც გადააძვრეს ან გადასძვრა. *გადამძვრალი კანი.*

**გადამწერი** *გადამწერის* ვინც გადაწერს ან გადანერა (1). *ძველი ტექსტების გადამწერი.*

**გადამწვარი** *გადამწვრის* რაც გადაწვეს ან გადაიწვა. *გადამწვარი ყანა. გადამწვარი უთო.*

**გადამწყვეტი** *გადამწყვეტის* 1. ვინც რაიმეს წყვეტს. *მაგის გადამწყვეტი არავინაა.* 2. მნიშვნელოვანი მომენტი, დრო, როცა რაიმე უნდა გადაწყდეს. *გადამწყვეტი ეტაპი. გადამწყვეტი ჟამი.* 3. დიდი მნიშვნელობის მქონე გადაწყვეტილების მიღებისას. *გადამწყვეტი ხმა. გადამწყვეტი სიტყვა.*

**გადამჭრელი** *გადამჭრელის* დიდად მნიშვნელოვანი, საბოლოო, გადამწყვეტი. *გადამჭრელი მოქმედება. გადამჭრელი ზომები მიიღო. გადამჭრელი ღონისძიება დასახა.*

**გადამხდელი** *გადამხდელის* პირი, რომელიც რაიმეს საფასურს ან გადასახადს იხდის. *გადამხდელებმა თანხა ნაწილ-ნაწილ გადაიხადეს.*

**გადამხობა** *გადამხობის* (გადაამხობს, გადაემხობა) ზევიდან დამხობა. *საფლავს გადაემხო.*

**გადანასკვა** *გადანასკვის* (გადანასკავს, გადაინასკება) ნასკვის საშუალებით გადაბმა. *ლენტები ერთმანეთს გადაანასკვა.*

**გადანაცვლება** *გადანაცვლების* (გადაინაცვლებს) ერთი ადგილიდან მეორეზე გადასვლა, ადგილის შეცვლა. *ხალხმა ტაძართან გადაინაცვლა. დავამ სასამართლოში გადაინაცვლა.*

**გადანაწილება** *გადანაწილების* (გადაანაწილებს, გადანაწილდება) ყველასთვის თავისი წილის მიცემა. *თანამშრომლებს პრემია გადაუნაწილეს. პროდუქტები გადაანაწილეს.*

**გადანაჭერი** *გადანაჭრის* რაიმეს გადაჭრის შედეგად მიღებული ნაწილი, ნაჭერი. *ხის გადანაჭერი. ქათმის ბარკლის გადანაჭერი.*

**გადანახვა** *გადანახვის* (გადაინახავს) რაიმე მიზნით, ვინმესთვის ან რაიმესთვის შენახვა. *ბავშვებს ხილი გადაუნახა. სამგზავრო ფული გადაინახა.*

**გადანგრევა** *გადანგრევის* (გადაანგრევს, გადაუნგრევს, გადაინგრევა) დანგრევა და ნანგრევების ცალ მხარეს გადაყრა. *კედელი მოედნისკენ გადაინგრა.*

**გადანერგვა** *გადანერგვის* (გადანერგავს, გადაუნერგავს, გადაინერგება) ცოცხალი ორგანიზმის რომელიმე ორგანოს, ქსოვილისა და მისთ. ამოკვეთა და სხვა ორგანიზმში დაზიანებული ორგანოს ნაცვლად გადატანა მისი სასიცოცხლო ფუნქციის აღდგენის მიზნით. *თმის გადანერგვა. გული გადაუნერგეს.* ■ **გადანერგილი** რაც გადანერგეს. *გადანერგილი კანი.*

**გადანთხევა** *გადანთხევის* (გადაანთხევს, გადაინთხევა, გადაენთხევა) იგივეა, რაც **ამონთხევა**. *მთელი ბოლმა სხვას გადაანთხია.*

**გადაპარსვა** *გადაპარსვის* (გადაპარსავს, გადაიპარსავს, გადააპარსვინებს) თავზე თმის მთლიანად გაპარსვა. *პარიკმახერმა თავი გადაპარსა.* ■ **გადაპარსული** ვინც ან რაც გადაპარსეს ან გადაიპარსა. *გადაპარსული ბიჭები.*

**გადაპატიჟება** *გადაპატიჟების* (გადაიპატიჟებს) მასპინძლის ან სხვისი სტუმრების თავისთან მიპატიჟება. *მოყვრები გადაიპატიჟეს.*

**გადაპენტვა** *გადაპენტვის* (გადაპენტავს, გადაიპენტება) რაიმეს ზედაპირის დაფარვა თოლით, ყვავილებითა და მისთ. *ხეები თეთრად გადაიპენტა.* ■ **გადაპენტილი** რაც გადაიპენტა. *გადაპენტილი ბაღი.*

**გადაპირქვავება** *გადაპირქვავების* (გადააპირქვავებს, გადაპირქვავდება) დადგმული ჭურჭლის გადაბრუნება, პირქვე დადგმა. *ქვაბი გადაპირქვავდა. ჭურჭელი გადააპირქვავა.* ■ **გადაპირქვავებული** რაც გადააპირქვავეს ან გადაპირქვავდა. *გადაპირქვავებული ქილა.*

**გადაპრანჭვა** *გადაპრანჭვის* (გადაიპრანჭება) ირონ. ძალიან გაპრანჭვა (1). *გადაპრანჭვა უყვარს.*

**გადაპრანჭული** *გადაპრანჭულის* მეტისმეტად, ზედმეტად გაპრანჭული. *გადაპრანჭული გოგო.*

**გადარაზვა** *გადარაზვის* (გადარაზავს, გადაირაზება) რაზით დაკეტვა. *დარაბები გადარაზეს.* ■ **გადარაზული** რაც გადარაზეს. *გადარაზული კარი.*

**გადარბენა** *გადარბენის* (გადაირბენს, გადაურბენს, გადაარბენინებს) 1. სირბილით გადასვლა, სირბილით გავლა. *ქუჩის მეორე მხარეს გადაირბინა.* 2. სადმე, ვინმესთან ცოტა ხნით მისვლა. *სკოლაში გადაირბინა. მე ზოზოსთან გადაირბენს ხოლმე.*

**გადარგვა** *გადარგვის* (გადარგავს, გადაირგვება, გადაარგვევინებს) მცენარის ამოღება ერთი ადგილიდან და მეორე ადგილას დარგვა. *ყვავილი დიდ ქოთანში გადარგო.*

**გადარევა** *გადარევის* (გადარევს, გადაურევს, გადაირევა, გადაერევა) ძლიერი ემოციისგან ჭკუის დაკარგვა, გაგიჟება. *სიხარულით გადაირია. უბედურებამ გადარია. ამ ბავშვმა გადამრია!* ■ **გადარეული** ვინც გადაირია. *გადარეული დადის.*

**გადარეკვა** *გადარეკვის* (გადარეკავს) პირუტყვის ერთი ადგილიდან მეორეზე გადაყვანა. *ცხვრები გადარეკეს.*

**გადარეცხვა** *გადარეცხვის* (გადარეცხავს, გადაურე-

ცხაეს, გადაირეცხება) წყლის დიდი ნაკადით გარეცხვა, გარკვეული ფენის მოცილება. *წვიმამ ნაკვალევი გადარეცხა.*

**გადართვა** *გადართვის* (გადართავს) სხვა სისტემაზე, ფორმაზე გადასვლა, გადაყვანა. *ავტომატური გადართვა. რადიო სხვა არხზე გადართო.*

**გადარიცხვა** *გადარიცხვის* (გადარიცხავს, გადაურიცხავს, გადაირიცხება) თანხის ერთი ანგარიშიდან მეორეზე გადატანა. *გადასახადი გადარიცხა. ხელფასი გადაირიცხა.* ■ **გადარიცხული** რაც გადარიცხეს. *გადარიცხული თანხა.*

**გადარქმევა** *გადარქმევის* (გადაარქმევს, გადაირქმევს, გადაერქმევა) სახელის შეცვლა, ახალი სახელის დარქმევა. *ქალაქს სახელი გადაარქვეს.*

**გადარჩევა** *გადარჩევის* (გადაარჩევს, გადაირჩევს, გადაირჩევა) 1. არჩევა, დახარისხება და ცალკე გადაწყობა. *ტანსაცმელი გადაარჩია. წიგნები გადაარჩიეს.* 2. ძველის გადაყენება, დათხოვნა და ახლის არჩევა. *კომისია გადაირჩიეს.*

**გადარჩენა** *გადარჩენის* (გადაარჩენს, გადაირჩენს, გადაურჩენს, გადარჩება, გადაურჩება) სიკვდილის ან რაიმე ხიფათის (უბედურების) არიდება, აცილება. *ბიჭი დახრჩობას გადაარჩინა. მფრინავი გადარჩა. ქალაქი მტერს გადაურჩა.* ■ **გადარჩენილი** ვინც ან რაც გადარჩა. *გადარჩენილი ჯარისკაცი.*

**გადარწმუნება** *გადარწმუნების* (გადაარწმუნებს) რაიმეში დარწმუნებული ადამიანისთვის აზრის შეცვლა, მისი საწინააღმდეგოში დარწმუნება. *ადვოკატი ვერაფრით გადაარწმუნა.*

**გადასაადგილებელი** *გადასაადგილებლის* რაც უნდა გადაადგილონ. *გადასაადგილებელი ავეჯი.*

**გადასაგდები** *გადასაგდების* უვარგისი, გამოუსადეგარი, რაც უნდა გადააგდონ. *ნაგავში გადასაგდები ყუთი.*

**გადასავარდნი** *გადასავარდნის* საიდანაც შეიძლება გადავარდნა. *გადასავარდნი ადგილი.*

**გადასათარგმნი** *გადასათარგმნის* რაც უნდა გადათარგმნონ. *გადასათარგმნი დოკუმენტები.* ▲ **გადასათარგმნად** ზმნზ. გადათარგმნისთვის, გადათარგმნის მიზნით.

**გადასათეთრებელი** *გადასათეთრებლის* რასაც გადათეთრება სჭირდება. *გადასათეთრებელი სტატია.* ▲ **გადასათეთრებლად** ზმნზ. გადათეთრებისთვის, გადათეთრების მიზნით.

**გადასაკრავი** *გადასაკრავის* 1. რაც უნდა გადააკრან. *გადასაკრავი ქაღალდი.* 2. ქსოვილის, ცელოფანისა და მისთ. მასალისგან დამზადებული სპეციალური შალითა, რომელსაც აკრავენ ნივთს დაზიანებისგან დასაცავად. *რეულის გადასაკრავი.*

**გადასამუშავებელი** *გადასამუშავებლის* რაც უნდა გადაამუშაონ ან სადაც უნდა გადამუშავდეს. *გადასამუშავებელი ნედლეული.*

**გადასანსლა** *გადასანსლის* (გადასანსლავს) საუბრ. ერთბაშად, სწრაფად შეჭმა, გადაყლაპვა. *ყველაფერი გადასანსლა.*

**გადასარევი** *გადასარევის* ძალიან კარგი. *გადასარევი მუსიკა.*

**გადასასვლელი** *გადასასვლელის* ფეხით მოსიარულეთათვის განკუთვნილი სპეციალური ადგილი საავტომობილო გზაზე. *გადასასვლელთან შუქნიშანი გააკეთეს.*

**გადასატანი** *გადასატანის* რაც უნდა გადაიტანონ. *გადასატანი ტვირთი.* ▲ **გადასატანად** ზმნზ. იმისთვის, რომ გადაიტანონ, გადატანის მიზნით.

**გადასაფარებელი** *გადასაფარებლის* ქსოვილისგან შეკერილი სპეციალური ნაჭერი, რომელსაც ავეჯს აფარებენ. *საწოლის გადასაფარებელი. აბრეშუმის გადასაფარებელი.*

**გადასაღები** *გადასაღების* რაც უნდა გადაიღონ, სადაც უნდა გადაიღონ. *გადასაღები კადრი. გადასაღები მოედანი.* ▲ **გადასაღებად** ზმნზ. გადაღებისთვის, გადაღების მიზნით.

**გადასაწყვეტი** *გადასაწყვეტის* რაც უნდა გადაწყვიტონ. *ეს ჩემი გადასაწყვეტი არ არის.* ▲ **გადასაწყვეტად** ზმნზ. გადაწყვეტისთვის, გადაწყვეტის მიზნით.

**გადასაჭრელი** *გადასაჭრელის* რაც უნდა გადაჭრან. *გადასაჭრელი პრობლემა.*

**გადასახადი** *გადასახადის* თანხა, რომელსაც მოქალაქეები იხდიან სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ. *საშემოსავლო გადასახადი. წყლით სარგებლობის გადასახადი.*

**გადასახდელი** *გადასახდელის* რაც უნდა გადაიხადონ. *გადასახდელი ჯარიმა.* ▲ **გადასახდელად** ზმნზ. გადახდისთვის, გადახდის მიზნით.

**გადასახვევი** *გადასახვევის* 1. ადგილი, სადაც გარკვეული მიმართულებით უნდა გადაუხვიონ. *სოფლის გადასახვევი. გადასახვევთან შეხვდნენ.* 2. რაც უნდა გადაახვიონ, რითაც უნდა გადაახვიონ. *გადასახვევი ჭრილობა. გადასახვევი მასალა.*

**გადასახლება** *გადასახლების* (გადაასახლებს, გადასახლდება) 1. ერთი საცხოვრებელი ადგილიდან მეორეზე გადასვლა (გადაყვანა). *ოჯახი ქალაქში გადასახლდა. ახალ რაიონში გადაასახლეს.* 2. დასჯის მიზნით იძულებით გაგზავნა შორეულ ადგილას საცხოვრებლად (ძირითადად, პატიმრებისა). *ციმბირში გადაასახლეს.* ■ **გადასახლებული** ვინც გადასახლდა ან გადაასახლეს. *მშობლები გადასახლებულები იყვნენ.*

**გადასვენება** *გადასვენების* (გადაასვენებს, გადაასვენება) 1. მიცვალებულის ნეშტის გადატანა ერთი ადგილიდან მეორე ადგილას და დაკრძალვა. *სოფელში გადაასვენეს. ახალ სასაფლაოზე გადაასვენეს.* 2. გულწასულის ან ძალიან დაღლილის დაწოლა. *ქალი საწოლზე გადაესვენა.*

**გადასვლა** *გადასვლის* (გადავა, გადაუვა) 1. რაიმეზე გადავლა, რაიმეს გადალახვა. *გადასვლა აკრძალულია! ღობეზე გადავიდა.* 2. ადგილის, საცხოვრებლის შეცვლა, სხვაგან წასვლა. *სხვა ქალაქში გადავიდა. მუზეუმი ახალ შენობაში გადავიდა.* 3. სამსახურის, თანამდებობის, მდგომარეობისა და მისთ. შეცვლა. *შემდეგ კურსზე გადავიდა. სხვა სამსახურში გადავიდა.* 4. რაიმეს მოშორება, მოცილება. *საღებავი გადაუვიდა. ფეხსაცმელს ფერი გადაუვიდა.* ■ **გადასული** რაც ან ვინც გადავიდა. *ახალ ბინაში გადასული.*

**გადასინჯვა** *გადასინჯვის* (გადასინჯავს, გადაუსინჯავს, გადაისინჯება) სრულყოფილად, თავიდან ბოლომდე გასინჯვა. *მონაცემები გადასინჯეს.*

**გადასკუპება** *გადასკუპების* (გადაასკუპებს, გადასკუპდება) ერთი ადგილიდან ადგომა და მეორეზე დასკუპება. *ჩიტი ხეზე გადასკუპდა. ბავშვი სკამზე გადასკუპდა.*

**გადასმა**[1] *გადასმის* (გადასვამს, გადაისვამს) ერთი ადგილიდან მეორეზე გადაყვანა, ადგილის შეცვლა. *უკანა მერხზე გადასვა. დესანტი გადასვეს.*

**გადასმა**[2] *გადასმის* (გადაისვამს, გადაუსვამს, გადაესმება, გადაასმევინებს) ზევიდან წასმა. *შუბლზე ხელი გადაისვა. მაგიდას ტილო გადაუსვა.*

**გადასროლა** *გადასროლის* (გადაისვრის) ზევიდან ქვევით გასროლა, მოქნევით გადაგდება. *სიგარეტის ნამწვი ფანჯრიდან გადაისროლა.*

**გადასუფთავება** *გადასუფთავების* (გადაასუფთავებს, გადაუსუფთავებს) ზედაპირის გასუფთავება ზევიდან გადასმით. *მაგიდა გადაასუფთავა.*

**გადასწორება** *გადასწორების* (გადაასწორებს, გადაისწორებს, გადაუსწორებს, გადასწორდება, გადაასწორებინებს) 1. უსწორო, არათანაბარი ზედაპირის გასწორება. *მოედანი ბულდოზერით გადაასწორეს.* 2. დაწერილში რაიმეს შეცვლა, გასწორება. *თარიღი გადაასწორა. სათაური გადაასწორებინა.*

**გადასხდომა** *გადასხდომის* (გადასხდება, გადაუსხდება) სხვაგან დასხდომა. *ბავშვები უკანა მერხზე გადასხდნენ. სხვა მანქანაში გადასხდნენ.*

**გადასხვაფერება** *გადასხვაფერების* (გადაასხვაფერებს, გადასხვაფერდება) სხვაგვარად შეცვლა, სხვა სახის მიცემა. *ტექსტის გადასხვაფერება. ნათქვამი გადაასხვაფერა.*

**გადასხმა**[1] *გადასხმის* (გადასხამს, გადაუსხამს) ბევრის გადასმა (1). *ჯარისკაცები ნაპირზე გადასხეს. გემიდან ქალები გადასხეს.*

**გადასხმა**[2] *გადასხმის* (გადაასხამს, გადაისხამს, გადაუსხამს, გადაისხმება, გადაესხმება) 1. ერთი ჭურჭლიდან მეორეში სითხის გადატანა, გადაცლა. *ღვინო ბოთლებში გადაასხა. ბენზინი კანისტრაში გადაასხა.* 2. ზევიდან რაიმეს დასხმა. *ცხელი ჩაი გადაესხა.*

**გადატანა** *გადატანის* (გადაიტანს, გადაატანინებს) 1. ნივთის, საგნის ერთი ადგილიდან აღება და მეორეგან მიტანა. *დივანი მისაღებში გადაიტანეს.* 2. დაწესებულების, ორგანიზაციისა და მისთ. ადგილის შეცვლა, სხვაგან განთავსება. *მერია ქალაქის ცენტრში გადაიტანეს.* 3. ღონისძიების, სხდომისა და მისთ. ჩასატარებლად დანიშნული დროის შეცვლა, უფრო გვიან დანიშვნა. *კონფერენცია ორი კვირით გადაიტანეს. ქორწილი გაზაფხულზე გადაიტანეს.* 4. ავადმყოფობის, გაჭირვების, უბედურების გაძლება, ატანა. *მძიმე დაავადება გადაიტანა. შვილის დაკარგვა ვერ გადაიტანა.* ■ **გადატანილი** რაც გადაიტანეს. *გადატანილი ტრაგედია.*

**გადატანითი** *გადატანითის* არაპირდაპირი, შეცვლილი. *გადატანითი მნიშვნელობით.*

**გადატარება** *გადატარების* (გადაატარებს) რაიმეზე ზევიდან გადაყვანა, გადატანა. *ცხვარი უღელტეხილზე გადაატარა.*

**გადატეხა** *გადატეხის* (გადატეხს, გადაატეხს, გადაუტეხს) შუაზე გაყოფა, გადამტვრევა. *ზურგზე ჯოხი გადაატეხა.* ■ **გადატეხილი** რაც გადატეხეს. *გადატეხილი ტოტი.*

**გადატვირთვა** *გადატვირთვის* (გადატვირთავს, გადაიტვირთავს, გადაიტვირთება) 1. ტვირთის ერთი ადგილიდან მეორეზე, ერთი ტრანსპორტიდან სხვაზე გადატანა. *გემზე გადატვირთეს. მანქანიდან საქონელი გადატვირთეს.* 2. ზედმეტად დატვირთვა. *მძიმე შრომით გადაიტვირთა. სუფრა კერძებით გადაიტვირთა.* ■ **გადატვირთული** ვინც ან რაც გადატვირთეს ან გადაიტვირთა. *გადატვირთული გრაფიკი.*

**გადატიხვრა** *გადატიხვრის* (გადატიხრავს, გადაიტიხრება) შენობის, ნაგებობისა და მისთ. გაყოფა ტიხრის საშუალებით. *ოთახი გადატიხრეს. დერეფანი გადაიტიხრა.* ■ **გადატიხრული** რაც გადატიხრეს. *გადატიხრული დარბაზი.*

**გადატრიალება** *გადატრიალების* (გადაატრიალებს, გადაუტრიალებს, გადატრიალდება, გადაუტრიალდება) 1. ტრიალით გადაბრუნება. *შამფური გადაატრიალა. მანქანა გადატრიალდა.* 2. გადატ. მთლიანად, ძირფესვიანად შეცვლა. *სამხედრო გადატრიალება. ქვეყანა გადატრიალდა.* ■ **გადატრიალებული** რაც ან ვინც გადაატრიალეს ან გადატრიალდა. *გადატრიალებული ვაგონი.*

**გადატრუსვა** *გადატრუსვის* (გადატრუსავს, გადაიტრუსება) მინაზე ბალახის, მცენარეების მთლიანად გახმობა, დაწვა სიცხისგან. *მინდვრები გადაიტრუსა.* ■ **გადატრუსული** რაც გადაიტრუსა. *გადატრუსული ბალახი.*

**გადატყავება** *გადატყავების* (გადაატყავებს, გადატყავდება) ტყავის, კანის გადაძრობა. *ბაეშვმა ცხვირი გადაიტყავა. ზურგი გადაუტყავდა.*

■ გადატყავებული რაც გადაატყავეს ან გადატყავდა. *ხელები გადატყავებული ჰქონდა.*

**გადატყდომა** *გადატყდომის* (გადატყდება, გადაუტყდება) ↑ გადატეხა. *ხე გადატყდა. ძელი გადაუტყდა.*

**გადაუდებელი** *გადაუდებლის* რის გადადებაც შეუძლებელია. *გადაუდებელი საქმე.* ▲ **გადაუდებლად** ზმნზ. გადადების გარეშე, დაუყოვნებლად. *გადაუდებლად მოსაგვარებელი პრობლემა.*

**გადაუწყვეტელი** *გადაუწყვეტლის* 1. რაც ვერ გადაწყვიტეს. *გადაუწყვეტელი საკითხი.* 2. ვინც ადვილად ვერ გადაწყვეტს. *გადაუწყვეტელი კაცი.*

**გადაუჭარბებლად** ზმნზ. გადაჭარბების გარეშე, ზომიერად. *გადაუჭარბებლად უნდა ითქვას.*

**გადაუჭრელი** *გადაუჭრელის* ძნელად მოსაგვარებელი, რის გადაჭრაც ჭირს. *გადაუჭრელი პრობლემა.*

**გადაუხდელი** *გადაუხდელის* რაც არ ან ვერ გადაიხადეს. *გადაუხდელი ვალი.*

**გადაფანტვა** *გადაფანტვის* (გადაფანტავს, გადაიფანტება) აქეთ-იქით დაფანტვა. *ღრუბელი გადაიფანტა.*

**გადაფარება** *გადაფარების* (გადააფარებს, გადაიფარებს, გადაუფარებს, გადაეფარება) 1. ზევიდან რაიმეს გადაფენა, დაფარება. *მაგიდას სუფრა გადაფარა. ცას ღრუბელი გადაეფარა.* 2. ვინმეს ან რაიმეს საკუთარი სხეულით დაფარვა მისი დაცვის მიზნით. *ბავშვებს გადაეფარა.* ■ **გადაფარებული** რაც გადააფარეს. *გადაფარებული სუფრა.*

**გადაფასება** *გადაფასების* (გადააფასებს) 1. ფასის შეცვლა. *საქონელი გადაუფასეს.* 2. გადატ. შეხედულებების, დამოკიდებულებისა და მისთ. შეცვლა. *საზოგადოებრივი აზრის გადაფასება. იდეების გადაფასება.* ■ **გადაფასებული** რაც გადააფასეს. *გადაფასებული ღირებულებები.*

**გადაფენა** *გადაფენის* (გადაფენს, გადააფენს, გადაიფენს, გადაუფენს, გადაეფინება) ქსოვილის, ქაღალდისა და მისთ. რაიმეზე გაშლა ან გადაკიდება. *ტახტზე ხალიჩა გადააფინა. საბანი თოკზე გადაფინა.* ■ **გადაფენილი** რაც გადაფინეს. *გადაფენილი ფარდაგი.*

**გადაფერთხვა** *გადაფერთხვის* (გადაფერთხავს) იგივეა, რაც გადაბერტყვა. *სუფრიდან ნამცეცები გადაფერთხეს.*

**გადაფითრებული** *გადაფითრებულის* განცდისგან ან ავადმყოფობისგან სახეზე ფერდაკარგული. *გადაფითრებული სახით იჯდა. გადაფითრებული ყმაწვილი.*

**გადაფიქრება** *გადაფიქრების* (გადაიფიქრებს) განზრახვაზე ხელის აღება, გადაწყვეტილების შეცვლა. *გამგზავრება გადავიფიქრე.*

**გადაფრენა** *გადაფრენის* (გადააფრენს, გადაფრინდება, გადაიფრენს, გადაუფრენს) 1. ფრენით გადაადგილება. *ჩიტი ტოტიდან ტოტზე გადაფრინდა. სხვა ქალაქში გადაფრინდა.* 2. ფრინველების სეზონური გადაადგილება ჩრდილოეთიდან სამხრეთისკენ ან პირიქით. *მერცხლების გადაფრენა.*

**გადაფრიალება** *გადაფრიალების* (გადააფრიალებს, გადაფრიალდება) ფრიალით გადაგდება ან გადავარდნა. *ქარმა ფურცელი გადააფრიალა.*

**გადაფურთხება** *გადაფურთხების* (გადააფურთხებს) ფურთხის, ნერწყვის პირიდან გამოსროლა. *ფანჯრიდან გადააფურთხა.*

**გადაფურჩქნა** *გადაფურჩქნის* (გადაფურჩქნის, გადაიფურჩქნება) ყვავილისა და მისთ. მთლიანად გაშლა. *ტოტებზე კვირტები გადაიფურჩქნა.*

**გადაფურცვლა** *გადაფურცვლის* (გადაფურცლავს, გადაიფურცლება) წიგნის, ჟურნალისა და მისთ. ფურცლის გადაბრუნება, მომდევნო გვერდზე გადაშლა. *ალბომის გადაფურცვლა. ბიჭმა რვეული გადაფურცლა.*

**გადაფხეკა** *გადაფხეკის* (გადაფხეკს, გადაიფხიკება, გადაეფხიკება) რაიმეს ზედა ფენის მოცილება, მოშორება ფხეკით. *საღებავი გადაფხიკა. დამწვარი პური გადაფხიკა.* ■ **გადაფხეკილი** რაც გადაფხიკეს. *გადაფხეკილი ზედაპირი.*

**გადაფხრეწა** *გადაფხრეწის* (გადაფხრეწს, გადაიფხრინება) ფხრეწით ბოლომდე გახევა, გაგლეჯა. *რვეული გადაფხრიწა.*

**გადაქანება** *გადაქანების* (გადააქანებს, გადაექანება, გადაქანდება) გადახრა, გადაწევა ან ერთბაშად გადავარდნა. *მხედარი უკან გადაქანდა. მანქანა ხრამში გადაქანდა.*

**გადაქანცვა** *გადაქანცვის* (გადაქანცავს, გადაიქანცება) ზედმეტად დაღლა, დაქანცვა. *მოხუცი გადაიქანცა.* ■ **გადაქანცული** ვინც გადაიქანცა. *შრომისგან გადაქანცული ჩანდა.*

**გადაქაჩვა** *გადაქაჩვის* (გადაქაჩავს, გადაიქაჩება) საუბრ. სითხის, აირისა და მისთ. გადატანა ერთი ადგილიდან ან ერთი საცავიდან მეორეში მილების საშუალებით. *ნავთობი გადაქაჩეს.*

**გადაქელვა** *გადაქელვის* (გადაქელავს, გადაიქელება) ზემოდან გადავლა და დაზიანება, გასრესა, განადგურება. *ძროხებმა ბოსტანი გადაქელეს.* ■ **გადაქელილი** ვინც ან რაც გადაქელეს. *გადაქელილი ყვავილები.*

**გადაქექვა** *გადაქექვის* (გადაქექავს, გადაიქექება) 1. ფხვიერი ნივთიერების აქეთ-იქით ქექვით გაწევა, გადაშლა. *ქვიშა გადაქექა.* 2. საუბრ. ნივთების მთლიანად, სრულად გადასინჯვა (უმეტესად რაიმეს მოსაძებნად). *პოლიციამ ყველაფერი გადაქექა.* ■ **გადაქექილი** რაც გადაქექეს. *საბუთები გადაქექილი დამხვდა.*

**გადაქნევა** *გადაქნევის* (გადააქნევს, გადაიქნევს)

გარკვეული მიმართულებით მოქნევა. *ხარს სახრე გადაუქნია. ხელი მისკენ გადაიქნია.*

გადაქოთება *გადაქოთების* (გადააქოთებს) ძებნის მიზნით ყველაფრის არევა, აშლა. *გასაღების მოსაძებნად ოთახი გადააქოთა.*

გადაქცევა *გადაქცევის* (გადააქცევს, გადაიქცევს, გადაუქცევს, გადაიქცევა, გადაექცევა) 1. სითხის გადაღვრა, გადასხმა. *წყალი ეზოში გადააქცია. ღვინო შარვალზე გადაექცა.* 2. სხვა რამედ (ვინმედ) ქცევა, შეცვლა, გარდაქმნა. *ქალაქი ბაღნარად გადააქციეს. მათხოვრად გადაიქცა.* 3. გვერდზე გადავარდნა, ნაქცევა. *კაცი ქუჩაში გადაიქცა. ღობე გადაიქცა.* ■ **გადაქცეული** რაც გადააქციეს ან გადაიქცა. *გადაქცეული კედელი.*

გადაღება *გადაღების* (გადაიღებს, გადაუღებს, გადააღებინებს) 1. ერთი ადგილიდან აღება და მეორეგან გადატანა, ჩასხმა. *სტუმარს კერძი გადაუღო. ღვინო ქვევრიდან გადაიღო.* 2. სურათის, ფილმისა და მისთ. ფირზე აღბეჭდვა. *ფინალური სცენა გადაიღეს. ასლი გადაიღო.* 3. ნვიმის, თოვლისა და მისთ. შეწყვეტა. *თოვამ გადაიღო.* ■ **გადაღებული** რაც გადაიღეს. *გადაღებული კადრი.*

გადაღებვა *გადაღებვის* (გადაღებავს, გადაუღებავს, გადაიღებება) შეღებილის ხელახლა, ახალ ფერად შეღებვა. *გადაღებვა სჭირდება. მანქანა გადაღება. თეთრად გადაღებეს.* ■ **გადაღებილი** რაც გადაღებეს. *გადაღებილი შენობები.*

გადაღვრა *გადაღვრის* (გადაღვრის, გადაუღვრის, გადააღვრება, გადააღვრევინებს) სითხის გადასხმა, გადაქცევა. *წყალი გადაღვარა. ჭიქიდან ღვინო გადაღვარა.* ■ **გადაღვრილი** რაც გადაღვარეს. *გადაღვრილი ლუდი.*

გადაღმა იგივეა, რაც გაღმა. *მთის გადაღმა ჩვენი სოფელია. კარვები მდინარის გადაღმა გაშალეს.*

გადაღობვა *გადაღობვის* (გადაღობავს, გადაუღობავს, გადაიღობება, გადაეღობება) 1. ღობით სივრცის გაყოფა, გადატიხვრა. *ეზო გადაღობა. ნაკვეთი გადაღობეს.* 2. გადატ. წინ გადადგომა, მოძრაობის შეფერხება, დაბრკოლება. *გზაზე გადაეღობა. მცველები გადაეღობნენ.* ■ **გადაღობილი** რაც გადაღობეს. *გადაღობილი ქუჩა.*

გადაღრეცა *გადაღრეცის* (გადაღრეცს, გადაიღრიცება, გადაეღრიცება) გვერდზე უშნოდ გადახრა, გადაღუნვა. *კისერი გადაღრიცა.* ■ **გადაღრეცილი** რაც გადაღრიცეს ან გადაიღრიცა. *გადაღრეცილი ღობე.*

გადაღუნვა *გადაღუნვის* (გადაღუნავს, გადაიღუნებს) ცალ მხარეს გადანევით გაღუნვა. *მავთული გადაღუნა. ტოტი გადაიღუნა.* ■ **გადაღუნული** რაც გადაღუნეს ან გადაიღუნა. *გადაღუნული ტოტი.*

გადაყენება *გადაყენების* (გადააყენებს) 1. ერთი ადგილიდან მეორეზე გადაყვანა, გადატანა. *მანქანა ქუჩის გადალმა გადააყენა.* 2. თანამდებობიდან, სამსახურიდან განთავისუფლება. *მინისტრი გადააყენეს. სარდალი გადააყენეს.* 3. საუბრ. ფიზიოლოგიური საჭიროებისთვის ბავშვის დასმა ღამის ქოთანზე, უნიტაზზე. *დედამ ბავშვი გადააყენა.*

გადაყვანა *გადაყვანის* (გადაიყვანს, გადააყვანინებს) 1. გადატარება, დაბრკოლების გადალახვით გაყვანა. *ხიდზე გადაიყვანა. დევნილები საზღვარზე გადაიყვანეს.* 2. ვინმეს წაყვანა საცხოვრებელი ადგილის, სამსახურისა და მისთ. შესაცვლელად. *სამუშაოდ ქალაქში გადაიყვანეს. დაჭრილი საავადმყოფოში გადაიყვანეს.* ■ **გადაყვანილი** რაც ან ვინც გადაიყვანეს. *გადაყვანილი მგზავრები.*

გადაყვლეფა *გადაყვლეფის* (გადაიყვლეფს, გადაყვლიფება) კანის, ტყავის გადაძრობა, გადატყავება. *მუხლი გადაიყვლიფა. ფეხი გადაეყვლიფა.* ■ **გადაყვლეფილი** რაც გადაიყვლიფა. *იდაყვი აქვს გადაყვლეფილი.*

გადაყირავება *გადაყირავების* (გადააყირავებს, გადაყირავდება) თავდაყირა გადაბრუნება. *სკამი გადააყირავა. ველოსიპედი გადაყირავდა.* ■ **გადაყირავებული** რაც ან ვინც გადააყირავეს ან გადაყირავდა. *გადაყირავებული ნავი.*

გადაყლაპვა *გადაყლაპვის* (გადაყლაპავს, გადააყლაპებს, გადაიყლაპება, გადაეყლაპება) საყლაპაეი მილის საშუალებით კუჭში საჭმელის, სასმელის, ნერწყვისა და მისთ. გადატანა. *წამალი გადაყლაპა. ძვალი გადაეყლაპა. ლუკმა გადაყლაპა.*

გადაყლურწვა *გადაყლურწვის* (გადაყლურწავს) საუბრ. ერთბაშად, სწრაფად დალევა. *არაყი გადაყლურწა.*

გადაყოლა *გადაყოლის* (გადაჰყვება) 1. ვინმესთან ერთად გადასვლა. *მეორე ნაპირზე გადაჰყვა.* 2. გადატ. განსაცდელის, უბედურების ვერ გადატანა (4), დაღუპვა. *დარდს გადაჰყვა.* 3. გადატ. ზედმეტად გატაცება ვინმეთი ან რაიმეთი, სხვა ყველაფრის დავიწყება. *მეგობრებს გადაჰყვა. ფეხბურთის თამაშს გადაჰყვა.* ■ **გადაყოლილი** ვინც რაიმეს გადაჰყვა. *სწავლას გადაყოლილი.* ⊙ **ზედ / თან გადაჰყვება** გადაჭარბებულ ზრუნვას გამოიჩენს.

გადაყოლება *გადაყოლების* (გადააყოლებს, გადაიყოლებს) 1. გადასვლისას თან წაყვანა ან წაღება. *მეზობელთან ბავშვიც გადაიყოლა.* 2. გადაგდებისას, გადაყრისას, გადასხმისას და მისთ. სხვა რაიმეს გაყოლება. *ნაგავს სათვალე გადააყოლა. გამყიდველს ოცი ლარი გადააყოლა.*

გადაყოფა *გადაყოფის* (გადაყოფს) 1. თავის, ფეხისა და მისთ. საიდანმე გაყოფა, გადანევა. *თავი ფანჯარაში გადაყო.* 2. იგივეა, რაც გაყოფა. *თმა შუაზე გადაიყო.* ■ **გადაყოფილი** რაც გადაყვეს. *მანქანიდან გადაყოფილი ხელი.*

გადაყრა *გადაყრის* (გადაყრის, გადააყრის,

გადაიყრის, გადაუყრის, გადაიყრება, გადაეყრება, გადააყრევინებს) 1. ბევრის გადაგდება. *ძველი საბუთები გადაყარა.* 2. მოულოდნელად შეხვედრა, ნანყდომა. *გ ზაში ტურისტებს გადაეყარა.* ■ **გადაყრილი** რაც გადაყარეს. *გადაყრილი ნივთები.*

**გადაყრუება** *გადაყრუების* (გადააყრუებს, გადაყრუდება) საუბრ. სიბერისგან აზროვნების უნარის დაკარგვა, გამოჩერჩეტება, გამოშტერება. *მოხუცი გადაყრუდა.* ■ **გადაყრუებული** ვინც გადაყრუდა. *გადაყრუებული დედაბერი.*

**გადაყუდება** *გადაყუდების* (გადააყუდებს, გადაეყუდება) სხეულის რაიმეზე დაყრდნობა და წინ გადაწევა. *მოაჯირს გადაეყუდა.*

**გადაშენება** *გადაშენების* (გადააშენებს, გადაშენდება) ტომის, გვარის, ჯიშისა და მისთ. მოსპობა, გაქრობა. *ომმა სოფელი გადააშენა. ხორბლის ძველი ჯიშები გადაშენდა.*

**გადაშვება** *გადაშვების* (გადაუშვებს, გადაეშვება) 1. სიმაღლიდან ერთბაშად გადავარდნა. *ბიჭი ხიდიდან გადაეშვა.* 2. საუბრ. გადაგდება, გადასროლა. *ჭიქა ფანჯრიდან გადაუშვა.* 3. ნების მიცემა, რომ გადავიდეს. *საზღვარზე არ გადაუშვეს.*

გადაშლა

**გადაშლა** *გადაშლის* (გადაშლის, გადაიშლის, გადაუშლის, გადაიშლება, გადაეშლება) 1. დახურული წიგნის, რვეულისა და მისთ. გახსნა, გადაფურცვლა. *ჟურნალი გადაშალა. გადაშალეთ შემდეგ გვერდზე!* 2. ხაზის გადასმა, ნაშლა. *ერთი აბზაცი გადაშალა. ნაწერი ფანქრით გადაშალა.* ■ **გადაშლილი** რაც გადაშალეს. *გადაშლილი წიგნი.*

**გადაშორება** *გადაშორების* (გადააშორებს, გადაშორდება) 1. გატყორცნილი საგნის ნიშნულის იქით გადაგდება. *ბადრო ნიშნულს გადააშორა.* 2. იგივეა, რაც გადაცილება (2). *საღებავი გადააშორა.*

**გადაშხლართება** *გადაშხლართების* (გადაიშხლართება) იგივეა, რაც გაშხლართვა (2). *დივანზე გადაიშხლართა.*

**გადაჩეხა** *გადაჩეხის* (გადაჩეხს, გადაუჩეხს, გადაიჩეხება) დიდი სიმაღლიდან გადაგდება, გადავარდნა. *მანქანა ხრამში გადაჩეხა. ცხენი კლდეზე გადაიჩეხა.* ■ **გადაჩეხილი** ვინც ან რაც გადაიჩეხა. *გადაჩეხილი მატარებელი.*

**გადაჩვევა** *გადაჩვევის* (გადააჩვევს, გადაეჩვევა) შეჩვეულის მიტოვება, თავის დანებება, ჩვევის მოშლა. *ტყუილის თქმას გადააჩვია. მოწევას გადაეჩვია.*

**გადაჩიჩქნა** *გადაჩიჩქნის* (გადაჩიჩქნის) მსუბუქად გადათხრა. *ეზო გადაჩიჩქნეს. ღორმა ბოსტანი გადაჩიჩქნა.*

**გადაჩურჩულება** *გადაჩურჩულების* (გადაუჩურჩულებს) გვერდით მყოფისთვის ჩურჩულით რაიმეს თქმა. *გადაჩურჩულება მოასწრო. სწრაფად გადაუჩურჩულა.*

**გადაჩხრეკა** *გადაჩხრეკის* (გადაჩხრეკს) 1. გადაქექვა, გადაჩიჩქნა. *ნაკვერჩხლები გადაჩხრიკა.* 2. გადატ. საგულდაგულოდ გაჩხრეკა, გასინჯვა, დათვალიერება. *ყველა კუთხე გადაჩხრიკა.* ■ **გადაჩხრეკილი** რაც გადაჩხრიკეს. *გადაჩხრეკილი ნაცარი. გადაჩხრეკილი სახლი.*

**გადაცდენა** *გადაცდენის* (გადააცდენს, გადაუცდენს, გადასცდება, გადაუცდება) 1. იგივეა, რაც გადაცილება (1). *ბურთი კალათს გადააცდინა. დათქმულ დროს გადასცდა.* 2. ჭამის ან სმის დროს ლუკმის, ნერწყვისა და მისთ. სასულეში უცბად გადავარდნა. *ბავშვს ნამცეცი გადასცდა.*

**გადაცემა** *გადაცემის* (გადასცემს, გადაიცემა, გადაეცემა) 1. ხელიდან ხელში მიცემა, ჩაბარება. *ადრესატს წერილი გადასცა. უფროსს საქაღალდე გადასცა.* 2. საკუთრებაში მიცემა, გადაბარება. *ხელნაწერები არქივს გადაეცა. შენობა უნივერსიტეტს გადასცეს.* 3. შეტყობინება, ცნობება, თქმა. *მოკითხვა გადასცა. დანაბარები გადასცა.* 4. რადიოთი, ტელევიზიით ინფორმაციის, მუსიკის, ფილმისა და მისთ. გაშვება, მიწოდება. *ტელეგრაფით გადაცემა. რადიოთი ახალი ამბები გადასცეს.* ■ **გადაცემული** რაც გადასცეს. *საჩუქრად გადაცემული წიგნი.*

**გადაცვენა** *გადაცვენის* (გადაცვივდება) ბევრის გადავარდნა (1). *მაგიდიდან ფურცლები გადაცვივდა. ბიჭები მდინარეში გადაცვივდნენ.*

**გადაცვლა** *გადაცვლის* (გადაცვლის, გადაუცვლის, გადაიცვლება, გადააცვლევინებს) რაიმეს მიცემა და მისი სანაცვლოს მიღება. *ვალუტის გადაცვლა. ბინა მანქანაში გადაცვალა.*

**გადაცილება** *გადაცილების* (გადააცილებს, გადაიცილებს, გადასცილდება) 1. ადგილის, დროისა და მისთ. ზღვარს იქით გადასვლა, გადაცდენა. *ბურთი კარს გადააცილა. შუაღამეს გადასცილდა.* 2. ზედაპირიდან საღებავის, ლაქისა და მისთ. გადასვლა. *მაისურს წარწერა გადასცილდა.*

**გადაცლა** *გადაცლის* (გადააცლის, გადაუცლის, გადაეცლება) ზევიდან მოშორება. *ატამს კანი გადააცალა.*

**გადაცლა** *გადაცლის* (გადაცლის, გადაუცლის, გადაიცლება) ერთი ჭურჭლიდან მეორეში გადატანა, გადასხმა. *ღვინო კასრებში გადაცალეს.*

**გადაცმა** *გადაცმის* (გადააცმევს, გადაიცვამს) ტანსაცმლის სწრაფად, ნაუცბადევად ჩაცმა. *კაბა გადაიცვა. ბავშვს სვიტერი გადააცვა.*

**გადაცოცება** *გადაცოცების* (გადააცოცებს, გადაცოცდება) ცოცვით გადასვლა. *ბიჭი ღობეზე გადაცოცდა.*

**გადაცურვა** *გადაცურვის* (გადაცურავს) მდინარის, ტბისა და მისთ. გადალახვა, ერთი ნაპირიდან მეორემდე ცურვით გადასვლა. *ყვინთვით გადაცურეს.*

**გადაძალვა** *გადაძალვის* (გადასძალავს) იგივეა, რაც **გადაძლევა**. *თავისკენ გადასძალა.*

**გადაძახება** *გადაძახების* (გადასძახებს, გადაუძახებს) 1. შორს მყოფისთვის ხმამაღლა მიმართვა, დაძახება (ძირითადად, ზევიდან ქვევით). *ხალხს გადასძახა. ფანჯრიდან მეზობლებს გადასძახა.* 2. საუბრ. გადაგდება, გადაყრა. *ნაგავს ურნაში გადაუძახა. ტომარას მდინარეში გადაუძახა.*

**გადაძახილი** *გადაძახილის* ძახილით შეტყობინება. *მწყემსების გადაძახილი.*

**გადაძლევა** *გადაძლევის* (გადასძლევს) რომელიმე მხარეს გადახრა, გადასვლა ზემოქმედების შედეგად, დაძლევა. *მშობლების ნახვის სურვილმა გადასძლია.*

**გადაძრობა** *გადაძრობის* (გადააძრობს, გადაიძრობს, გადასძვრება) გადაფარებულის, გადახურულისა და მისთ. მოშორება. *გოგონამ საბანი გადაიძრო. ბალიშს პირი გადააძრო. სავარძელს შალითა გადასძვრა.*

**გადაძრომა** *გადაძრომის* (გადაძვრება) ძრომით გადასვლა, გადაცოცება. *ეზოში გადაძვრა. ბიჭი მესერზე გადაძვრა.*

**გადაწევა** *გადაწევის* (გადასწევს, გადაიწევს, გადაუწევს, გადაიწევა, გადაეწევა) რაიმეს გადახრა, გვერდზე გაწევა. *თავი გადასწია. საყელო გადაიწია. თმა გადაუწია.* ■ **გადაწეული** რაც გადასწიეს ან გადაიწია. *გადაწეული ფარდა.*

**გადაწერა** *გადაწერის* (გადაწერს, გადასწერს, გადაიწერს, გადაუწერს, გადაიწერება, გადაეწერება, გადაანერინებს) 1. წიგნიდან, ნაწერიდან და მისთ. ტექსტის გადაღება ან ხელახლა დაწერა. *წიგნი მონასტერში გადაიწერა. დაფიდან ფორმულები გადაწერა.* 2. კომპიუტერიდან ან სხვა მონყობილობიდან ინფორმაციის გადატანა. *ფაილები გადაიწერა. ფილმი გადაწერეს. სიმღერა გადაიწერა.* ■ **გადაწერილი** რაც გადაწერეს ან გადაიწერა. *გადაწერილი პოემა.*

**გადაწვა** *გადაწვის* (გადაწვავს, გადაუწვავს, გადაიწვება, გადაეწვება) 1. ცეცხლისგან ან ძლიერი სიცხისგან დაწვა, განადგურება. *სახლ-კარი გადაუწვეს. გვალვამ ყველაფერი გადაწვა. სოფელი გადაწვეს.* 2. ელექტრომონყობილობის, აპარატურის მწყობრიდან გამოსვლა, გაფუჭება. *ნათურა გადაიწვა. ტელევიზორი გადაეწვა.*

**გადაწვდომა** *გადაწვდომის* (გადასწვდება) 1. გადაწევა და მიწვდომა. *მაგიდის ბოლოში დოქს გადასწვდა.* 2. საუბრ. საუბრისას, სიტყვით გამოსვლისას, წერისას ვინმეზე ან რაიმეზე ყურადღების გადატანა, მისი აუგად მოხსენიება. *თავის თანამშრომლებს გადასწვდა. კრიტიკოსი რომანსაც გადასწვდა.*

**გადაწვენა** *გადაწვენის* (გადააწვენს, გადაიწვენს) 1. მწოლიარეს გადაყვანა, სხვა ადგილას დაწვენა. *ბავშვი საწოლზე გადააწვინა.* 2. გადახრა, გადაწევა, გადაქცევა. *ქარმა ყვავილები გადააწვინა.*

**გადაწმენდა** *გადაწმენდის* (გადაწმენდს, გადაიწმენდს, გადაიწმინდება, გადაეწმინდება, გადააწმენდინებს) ზედაპირის გასუფთავება რაიმეს გადასმით. *მაგიდის გადაწმენდა. თარო გადაწმინდა.* ■ **გადაწმენდილი** რაც გადაწმინდეს. *გადაწმენდილი რაფა.*

**გადაწოდება** *გადაწოდების* (გადააწოდებს) მოშორებით მყოფისთვის რაიმეს მიწოდება. *ხურდა გადააწოდეს. ბურთი გადააწოდა.*

**გადაწოლა** *გადაწოლის* (გადაწვება, გადააწვება) 1. ზევიდან დაწოლა. *ბალიშებზე გადაწვა.* 2. მწოლიარეს ადგილის შეცვლა, სხვაგან დაწოლა. *ძმის საწოლში გადაწვა.* 3. ერთ მხარეს გადახრა. *კედელი გადაწვა.*

**გადაწურვა** *გადაწურვის* (გადაწურავს, გადაიწურება, გადაეწურება) ერთი ჭურჭლიდან მეორეში სითხის სუფთად, უნალექოდ გადასხმა. *ნაყენი გადაწურა.* ■ **გადაწურული** რაც გადაწურეს ან გადაიწურა. *გადაწურული სითხე.*

**გადაწყვეტა** *გადაწყვეტის* (გადაწყვეტს, გადაუწყვეტს, გადააწყვეტინებს) საბოლოოდ დადგენა, შეთანხმება, გადაჭრა. *გამგე ზავრება გადაწყვიტა. საკითხი ერთად გადაწყვიტეს.* ■ **გადაწყვეტილი** რაც გადაწყვიტეს. *მისი მომავალი გადაწყვეტილი იყო.*

**გადაწყვეტილად** ზმნზ. გადაჭრით, გადაწყვეტით. *გადაწყვეტილად ითქვა.*

**გადაწყვეტილება** *გადაწყვეტილების* 1. მტკიცე განზრახვა, ჩანაფიქრი. *გადაწყვეტილების მიღება. მტკიცე გადაწყვეტილება.* 2. ოფიციალური ორგანოს დადგენილება. *სასამართლოს გადაწყვეტილება. კომიტეტის გადაწყვეტილება.*

**გადაწყობა** *გადაწყობის* (გადააწყობს, გადაუწყობს, გადაეწყობა) ბევრის გადადება (1). *ტანსაცმელი გადააწყო.* ■ **გადაწყობილი** რაც გადააწყვეს. *გადაწყობილი წიგნები.*

**გადაჭარბება** *გადაჭარბების* (გადააჭარბებს) გარკვეული ზომის, წონის, ნორმის გადამეტება, რაიმესთან შედარებით გაზრდა, მომატება. *გეგმას გადააჭარბა. ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა.* ■ **გადაჭარბებული** რაც გადააჭარბეს. *გადაჭარბებული მზრუნველობა.*

**გადაჭდობა** *გადაჭდობის* (გადააჭდობს, გადაეჭდობა) ერთმანეთზე მჭიდროდ გადახვევა, ერთმანეთთან მყარად დაკავშირება. *თითები გადააჭდო.*

**გადაჭედვა** *გადაჭედვის* (გადაჭედავს, გადაიჭედება)

ბოლომდე გავსება, დატვირთვა. *გ ზა გადაიჭედა. მანქანებმა ქუჩა გადაჭედეს.* ■ **გადაჭედილი** რაც გადაჭედეს ან გადაიჭედა. *მაყურებლებით გადაჭედილი დარბაზი.*

**გადაჭერა** *გადაჭერის* (გადაუჭერს, გადაეჭირება) 1. ზევიდან რაიმეს თოკით, მავთულითა და მისთ. მოჭერა (1) დამაგრების მიზნით. *ტომრებს თოკი გადაუჭირა.* 2. წკეპლის, სახრისა და მისთ. გამეტებით დარტყმა. *სახედარს შოლტი გადაუჭირა.*

**გადაჭიმვა** *გადაჭიმვის* (გადაჭიმავს, გადაიჭიმება) 1. გაჭიმვით (1) რაიმეს გადაკერა, დამაგრება. *ტალავრის მავთულები გადაჭიმა.* 2. გადატ. ვრცელ ფართობზე განლაგება, გავრცელება. *ვენახები გადაიჭიმა. ეზო გ ზამდე გადაჭიმა.* ■ **გადაჭიმული** რაც გადაჭიმეს. *გადაჭიმული თოკი.*

**გადაჭმა** *გადაჭმის* (გადაჭამს, გადაუჭამს) ბევრის ან მთლიანად შეჭმა. *ცხვარმა მთელი საძოვარი გადაჭამა. ყველაფერი გადაჭამა.*

**გადაჭრა** *გადაჭრის* (გადაჭრის, გადაიჭრის, გადაუჭრის, გადაიჭრება, გადაეჭრება, გადააჭრევინებს) 1. იგივეა, რაც **გაჭრა** (1). *თოკი გადაჭრა. დენი გადაუჭრეს.* 2. გზის გადავლა. *ქუჩა გადაჭრა. ცხენოსნებმა მინდორი გადაჭრეს.* 3. რაიმეს გადაწყვეტა, გარკვევა. *პრობლემის გადაჭრა. საკითხი გადაიჭრა.* ■ **გადაჭრილი** რაც გადაჭრეს. *გადაჭრილი მილი.*

**გადაჭრით** ზმნზ. დარწმუნებით, გადაწყვეტილად, მტკიცედ. *გადაჭრით ნათქვამი.*

**გადახაზვა** *გადახაზვის* (გადახაზავს) 1. წიგნიდან, ალბომიდან და მისთ. ნახაზის გადმოღება, ნიმუშის მიხედვით დახაზვა. *შენობის გეგმა გადაიხაზა.* 2. ხაზის გადასმით წაშლა. *არასწორი პასუხი გადახაზა.* ■ **გადახაზული** რაც გადახაზეს. *გადახაზული ბიულეტენი.*

**გადახალისება** *გადახალისების* (გადაახალისებს, გადახალისდება) რაიმეს გაახლება, შეცვლა, გადასხვაფერება, გაუმჯობესება. *ინტერიერი გადაახალისა.*

**გადახარშვა** *გადახარშვის* (გადახარშავს, გადაიხარშება) 1. ზედმეტად მოხარშვა. *ხორცი გადაიხარშა.* 2. გადატ. ახალ (უმთავრესად მიუღებელ) ინფორმაციასთან, აზრთან და მისთ. შეგუება, შეჩვევა. *ამ ამბის გადახარშვა გაუჭირდა. კრიტიკა ადვილად გადახარშა.*

**გადახარხარება** *გადახარხარების* (გადაიხარხარებს) ხარხარით გაცინება. *მოურიდებლად გადაიხარხარა.*

**გადახარჯვა** *გადახარჯვის* (გადახარჯავს, გადაიხარჯება) განსაზღვრულ ნორმაზე მეტის დახარჯვა. *ბიუჯეტის გადახარჯვა. რესურსები გადახარჯეს.*

**გადახატვა** *გადახატვის* (გადახატავს, გადაიხატავს, გადაიხატება, გადაახატვინებს) წიგნიდან, ალბომიდან და მისთ. ნახატის გადაღება, ნიმუშის მიხედვით დახატვა. *სურათიდან ცხენი გადაიხატა. კარიკატურა გადახატა.* ■ **გადახატული** რაც გადაიხატეს. *წიგნიდან გადახატული პეიზაჟი.*

**გადახდა**[1] *გადახდის* (გადახდის, გადაიხდის, გადაეხდება) ზევიდან დაფარებულის, დახურულის გადაცლა, გადაძრობა. *საბანი გადაიხადა.* ■ **გადახდილი** რაც გადახადეს. *გადახდილი სახურავი.*

**გადახდა**[2] *გადახდის* (გადაიხდის, გადაუხდის, გადაახდევინებს) 1. საფასურის, ვალისა და მისთ. ანაზღაურება, მიცემა. *გადასახადი გადაიხადა. დანახარჯი გადაუხადა.* 2. გაწეული საქმიანობისთვის სამაგიეროს მიზღვა. *ამაგი სიკეთით გადაუხადა.* 3. რაიმეს მონყობა ან გამართვა. *ქორწილი გადაიხადეს. იუბილე გადაუხადეს.* ■ **გადახდილი** რაც გადაიხადეს. *გადახდილი თანხა.*

**გადახდისუნარიანი** *გადახდისუნარიანის* ქონებრივად შეძლებული, ვისაც გადახდა შეუძლია. *გადახდისუნარიანი მოსახლეობა.*

**გადახედვა** *გადახედვის* (გადაიხედავს) 1. ზევიდან ქვევით შეხედვა (1). *ბაღს გადახედა. ფანჯრიდან გადაიხედა.* 2. გადაკითხვა, შემოწმება. *სტატიას გადახედა. გაზეთებს გადახედეს.* 3. გვერდით მყოფისთვის შეხედვა. *ერთმანეთს გადახედეს. უკმაყოფილოდ გადახედა. ქალს გაკვირვებით გადახედა.*

**გადახევა** *გადახევის* (გადახევს, გადაახევს, გადაიხევს, გადაიხევა, გადაეხევა) ქაღალდის ან ქსოვილის მკვეთრი მოძრაობით გახევა, გაგლეჯა. *გაზეთი გადახია. წერილი შუაზე გადაუხია.*

**გადახერხვა** *გადახერხვის* (გადახერხავს, გადაიხერხება) ხერხით გადაჭრა. *მამამ ფიცარი შუაზე გადახერხა.*

**გადახვევა**[1] *გადახვევის* (გადაუხვევს) 1. სხვა მიმართულებით წასვლა. *მანქანამ ტყისკენ გადაუხვია. სოფლის გზაზე გადაუხვიეს.* 2. მსჯელობის, საუბრის თემის შეცვლა. *საკითხს გადაუხვია.*

**გადახვევა**[2] *გადახვევის* (გადახვევს, გადაახვევს, გადაიხვევს, გადაუხვევს, გადაეხვევა) 1. ქაღალდში, ქსოვილსა და მისთ. რაიმეს შეხვევა. *პური გაზეთში გადაახვია. ქაბაბი ლავაშში გადაახვია.* 2. ნახვევის შეცვლა, ხელახლა შეხვევა. *ჭრილობის გადახვევა. ხელი ბინტით გადაუხვიეს.* 3. სიხარულის, სიყვარულის გამოსახატავად სხვისთვის ხელების მოხვევა და ჩახუტება. *ერთმანეთს გადაეხვივნენ. მშობლებს გადაეხვია. ხელი მხარზე გადახვია.* 4. თოკის, ძაფისა და მისთ. რაიმეზე დახვევა. *ძაფი მაქოზე გადაახვია. ლენტი გადაახვიეს.* ■ **გადახვეული** რაც გადაახვიეს ან ვინც გადაეხვია. *გადახვეული ძაფი. გადახვეული მეგობრები.*

**გადახვენა** *გადახვენის* (გადახვენს, გადაიხვენება) შორს წასვლა, გადაკარგვა, რაიმე ადგილიდან სამუდამოდ მოშორება. *ქალაქიდან გადაიხვენა.* ■ **გადახვენილი** ვინც გადაიხვენა. *სამშობლოდან გადახვენილი.*

**გადახვნა** *გადახვნის* (გადახნავს, გადაიხვნება) 1. მთლიანად მოხვნა. *ვენახები სულ გადახნეს.* 2. ხელახლა მოხვნა. *ყანა თავიდან გადახნეს.* ■ **გადახნული** რაც გადახნეს. *გადახნული მინდორი.*

**გადახითხითება** *გადახითხითების* (გადაიხითხითებს) ხითხითით გაცინება. *გულიანად გადაიხითხითა.*

**გადახლართვა** *გადახლართვის* (გადახლართავს, გადაიხლართება, გადაეხლართება) ძაფების, თოკებისა და მისთ. ერთმანეთში არევა, აბურდვა, გადახვევა. *მავთულები გადახლართეს. ტოტები გადაიხლართა.* ■ **გადახლართული** რაც გადახლართეს ან გადაიხლართა. *გადახლართული გ ზები.*

**გადახოტვრა** *გადახოტვრის* (გადახოტრავს, გადაიხოტრავს) თავზე თმის გადაპარსვა. *ახალწვეული გადახოტრეს.*

**გადახოხება** *გადახოხების* (გადახოხდება) ხოხვით რაიმეზე გადასვლა. *ბავშვი ხალიჩაზე გადახოხდა.*

**გადახრა** *გადახრის* (გადახრის, გადაიხრება) ერთი მხრიდან მეორე მხარეს გადაწევა, გადაღუნვა. *კედელი გადაიხარა. თავი გადახარა.* ■ **გადახრილი** რაც ან ვინც გადაიხარა ან გადახარეს. *გადახრილი კოშკი.*

**გადახრუკვა** *გადახრუკვის* (გადახრუკავს, გადაიხრუკება) მაღალი ტემპერატურის, ძლიერი სიცხის გამო გახმობა, დაწვა. *მინდორი გადაიხრუკა. მზემ ნარგავები გადახრუკა.* ■ **გადახრუკული** რაც გადაიხრუკა. *გადახრუკული ყანა.*

**გადახსნა** *გადახსნის* (გადახსნის, გადაიხსნის, გადაუხსნის, გადაიხსნება, გადაეხსნება) დახურულის, დაკეცილის, მთლიანის გადაშლა, გაღება. *ფარდის გადახსნა. საქაღალდე გადახსნა.* ■ **გადახსნილი** რაც გადახსნეს ან გადაიხსნა. *გადახსნილი ჭრილობა.*

**გადახტომა** *გადახტომის* (გადახტება, გადაახტება, გადაუხტება) ხტომით გადაადგილება ან რაიმეზე გადასვლა, წინააღმდეგობის გადალახვა. *ღობეზე გადახტა. ღელეს გადაახტა.*

**გადახურვა** *გადახურვის* (გადახურავს, გადაახურავს, გადაიხურავს, გადაიხურება, გადაეხურება) ნაგებობის სახურავით დაფარვა. *სახლი გადახურა.* ■ **გადახურული** რაც გადახურეს. *გადახურული შენობა.*

**გადახუხვა** *გადახუხვის* (გადახუხავს) საუბრ. ალკოჰოლიანი სასმელის ნაჩქარევად დალევა, გადაკვრა. *არაყი გადახუხა.*

**გადაჯაჭვა** *გადაჯაჭვის* (გადაჯაჭვავს, გადაიჯაჭვება, გადაეჯაჭვება) გადატ. მჭიდრო კავშირის, ახლო ურთიერთობის დამყარება. *ინტერესების გადაჯაჭვა. მათი ბედი სამუდამოდ გადაიჯაჭვა.* ■ **გადაჯაჭვული** რაც გადაჯაჭვეს ან გადაიჯაჭვა. *გადაჯაჭვული პრობლემები.*

**გადაჯგუფება** *გადაჯგუფების* (გადაჯგუფებს, გადაჯგუფდება) ცალკეული ჯგუფებისთვის ადგილის შეცვლა, სხვა თანმიმდევრობით განლაგება. *ძალთა გადაჯგუფება. გადაჯგუფების პროცესი.* ■ **გადაჯგუფებული** ვინც ან რაც გადაჯგუფდა ან გადაჯგუფეს. *გადაჯგუფებული სამხედრო ნაწილები.*

**გადაჯდომა** *გადაჯდომის* (გადაჯდება, გადაჯდება) 1. ერთი ადგილიდან ადგომა და სხვაგან დაჯდომა. *წინა მერხზე გადაჯდა.* 2. ერთი ტრანსპორტიდან გადასვლა და მეორეში ჩაჯდომა. *სხვა მატარებელში გადაჯდა.*

**გადაჯეგვა** *გადაჯეგვის* (გადაჯეგავს) საუბრ. იგივეა, რაც გადათელვა. *ყანა გადაჯეგეს.* ■ **გადაჯეგილი** რაც გადაჯეგეს. *გადაჯეგილი ნარგავები.*

**გადაჯვარედინება** *გადაჯვარედინების* (გადაიჯვარედინებს) ერთმანეთზე ჯვარედინად გადადება, ჯვარედინად დაწყობა. *ხელები გადაიჯვარედინა.* ■ **გადაჯვარედინებული** რაც გადაიჯვარედინეს. *გადაჯვარედინებული თითები.*

**გადაჯიშება** *გადაჯიშების* (გადაიჯიშებს, გადაჯიშდება) ჯიშისთვის დამახასიათებელი თვისებების, ნიშნების დაკარგვა. *ატმები გადაჯიშდა.* ■ **გადაჯიშებული** რაც გადაჯიშდა. *გადაჯიშებული ტყემალი.*

**გადგმა** *გადგმის* (გადგამს, გაადგამს, გაიდგამს, გაუდგამს, გაადგმევინებს) გარეთ გატანა და დადგმა. *სკამი აივანზე გადგა.*

**გადგომა** *გადგომის* (გადგება, გაუდგება) განზე, განცალკევებით დადგომა. *გვერდზე გადგა.*

**გადება** *გადების* (გადებს, გაიდებს, გაუდებს, გაიდება) ბოლოებით დადება, დამაგრება ორ მოპირდაპირე მხარეს მოთავსებულ რაიმეზე. *მდინარეზე ხიდი გადეს.* ⊙ **მხარზე გაიდებს** მხარზე გრძელ საგანს (ბარს, ჯოხსა და მისთ.) დაიდებს.

**გადევნება** *გადევნების* (გაადევნებს, გაედევნება) უკან გაყოლა, დადევნება. *ბავშვები მამას გაედევნნენ.*

**გადენა** გადენის (გადენის) საქონლის, შინაური ფრინველისა და მისთ. გაყვანა, გარეკვა. *ძროხები საბალახოდ გადენა.*

**გადია** *გადიის* ჩვილი ან მცირეწლოვანი ბავშვის გამზრდელი. *ბავშვი გადიასთან დატოვეს.*

**გადიდგულება** *გადიდგულების* (გაადიდგულებს, გადიდგულდება) დიდგულად, მედიდურად გახდომა, გაამაყება. *ბიჭი გადიდგულდა. გამარჯვებამ გაადიდგულა.* ■ **გადიდგულებული** ვინც გადიდგულდა. *გადიდგულებული დადის.*

**გადიდება** *გადიდების* (გაადიდებს, გაიდიდებს, გაუდიდებს, გადიდდება, გაუდიდდება) სიდიდეში მომატება, მოცულობაში გაზრდა. *რუკის გადიდება. სურათი გაადიდეს. დღე გადიდდა.* ■ **გადიდებული** რაც გაადიდეს ან გადიდდა. *გადიდებული სამზარეულო.*

**გადიდკაცება** *გადიდკაცების* (გადიდკაცდება) სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებით, ფულის შოვნითა და მისთ. გამედიდურება. *გამდიდრდა და გადიდკაცდა.* ■ **გადიდკაცებული** ვინც გადიდკაცდა. *გადიდკაცებული მდაბიო.*

**გადმობეჭდვა** *გადმობეჭდვის* (გადმობეჭდავს, გადმოიბეჭდავს, გადმოაბეჭდვინებს) უკვე დაბეჭდილის, გამოქვეყნებულის გადმოღება, ხელახლა დაბეჭდვა. *ინტერვიუს გადმობეჭდვა. გა ზეთიდან გადმობეჭდეს.* ■ **გადმობეჭდილი** რაც გადმობეჭდეს. *გადმობეჭდილი სტატია.*

**გადმობირება** *გადმობირების* (გადმოიბირებს) ჩვენს პოზიციაზე, შეხედულებაზე გადმოყვანა, მომხრობა. *ყველა გადმოვიბირეთ.* ■ **გადმობირებული** ვინც გადმოიბირეს. *მე ზობლები გადმობირებული ჰყავს.*

**გადმობრუნება** *გადმობრუნების* (გადმოაბრუნებს, გადმოიბრუნებს, გადმოუბრუნებს, გადმობრუნდება, გადმოუბრუნდება) ქვედა მხარის ზევით მოქცევა, გადმოტრიალება. *თეფში გადმოაბრუნა. აქეთ გადმობრუნდა.* ■ **გადმობრუნებული** რაც გადმოაბრუნეს. *გადმობრუნებული ფინჯანი.*

**გადმობრძანება** *გადმობრძანების* (გადმოაბრძანებს, გადმობრძანდება) პატივისც. აქეთ გადმოსვლა, გადმოყვანა. *მანქანიდან გადმობრძანდა. გთხოვთ, გადმობრძანდეთ!*

**გადმოგდება** *გადმოგდების* (გადმოაგდებს, გადმოიგდებს, გადმოუგდებს, გადმოაგდებინებს) 1. ზევიდან სროლა ისე, რომ გადმოვარდეს. *მიწისძვრამ სანოლიდან გადმოაგდო. ბურთი გადმომიგდო.* 2. გადატ. ქვეყნის მმართველის ძალით გადაყენება. *მეფე გადმოაგდეს.*

**გადმოგზავნა** *გადმოგ ზავნის* (გადმოგზავნის, გადმოუგზავნის, გადმოიგზავნება) ერთი პუნქტიდან მეორეში გამოგზავნა. *ფოსტით გადმოგ ზავნა. მასალები გადმოგ ზავნეს.* ■ **გადმოგზავნილი** რაც გადმოგზავნეს ან გადმოიგზავნა. *გადმოგ ზავნილი დოკუმენტები.*

**გადმოდგმა** *გადმოდგმის* (გადმოდგამს, გადმოადგამს, გადმოუდგამს, გადმოადგმევინებს) აღება და აქეთ დადგმა. *ფეხის გადმოდგმა. თაროდან ქილა გადმოდგა. ჩაიდანი გადმოდგა.*

**გადმოდგომა** *გადმოდგომის* (გადმოდგება) სიმაღლეზე დადგომა და იქიდან გადმოხედვა. *აივანზე გადმოდგა. მთაზე გადმოდგა.*

**გადმოდება** *გადმოდების* (გადმოდებს, გადმოადებს, გადმოუდებს, გადმოედება) 1. სხვა ადგილიდან აღება და აქეთ დადება (1). *თეფში ჩვენს მაგიდაზე გადმოდო.*

**გადმოვარდნა** *გადმოვარდნის* (გადმოვარდება, გადმოუვარდება) ჩვენკენ დავარდნა (1). *გადმოვარდნის ხმა. ფანჯრიდან გადმოვარდა. ბავშვი სკამიდან გადმოვარდა.* ■ **გადმოვარდნილი** ვინც ან რაც გადმოვარდა. *ბუდიდან გადმოვარდნილი ბარტყი.*

**გადმოვლა** *გადმოვლის* (გადმოივლის) რაიმეს (ან ვინმეს) ზევიდან გავლა და გადმოსვლა. *უღელტეხილის გადმოვლა გაუჭირდათ. მთა ფეხით გადმოიარა.*

**გადმოზიდვა** *გადმოზიდვის* (გადმოზიდავს, გადმოუზიდავს) რამდენიმე გზად, რამდენიმე ჯერზე გადმოტანა. *ბარგის გადმოზიდვა. გემიდან ტომრები გადმოზიდეს.*

**გადმოთარგმნა** *გადმოთარგმნის* (გადმოთარგმნის, გადმოუთარგმნის, გადმოითარგმნება, გადმოათარგმნინებს) სხვა ენიდან მშობლიურ ენაზე გადმოტანა, თარგმნა. *ინგლისურიდან გადმოთარგმნა.* ■ **გადმოთარგმნილი** რაც გადმოთარგმნეს. *გადმოთარგმნილი სტატია.*

**გადმოთრევა** *გადმოთრევის* (გადმოათრევს, გადმოითრევს, გადმოუთრევს, გადმოათრევინებს) თრევით წამოღება, გადმოტანა. *მანქანიდან ყუთი გადმოათრიეს. ტომარა გადმოათრია.*

**გადმოკარკვლა** *გადმოკარკვლის* (გადმოკარკლავს) ⊙ **თვალების გადმოკარკვლა** თვალების გაფართოება, გადმოქაჩვა, ჩვეულებრივ, ძლიერი ემოციის (სიბრაზის, შიშისა და მისთ.) დროს.

**გადმოკარკლული** *გადმოკარკლულის* გადმოქაჩული, დაჭყეტილი. *გადმოკარკლული თვალები.*

**გადმოკეცვა** *გადმოკეცვის* (გადმოკეცავს, გადმოიკეცავს) ქსოვილის, ქაღალდისა და მისთ. ერთი ნაწილის მეორეზე გადმოდება და გასწორება. *შარვალი გადმოიკეცა.* ■ **გადმოკეცილი** რაც გადმოკეცეს. *გადმოკეცილი საყელო.*

**გადმოკიდება** *გადმოკიდების* (გადმოკიდებს, გადმოიკიდებს, გადმოეკიდება) თოკზე, ტოტსა და მისთ. რაიმეს გადმოფენა, დაკიდება. *ხალიჩა აივანზე გადმოკიდეს.* ■ **გადმოკიდებული** რაც გადმოკიდეს. *გადმოკიდებული დროშები.*

**გადმოკოტრიალება** *გადმოკოტრიალების* (გადმოაკოტრიალებს) კოტრიალით გადმობრუნება, გადმოტრიალება. *ტაბტ ზე გადმოკოტრიალდა.*

**გადმოლაგება** *გადმოლაგების* (გადმოალაგებს, გადმოილაგებს, გადმოულაგებს, გადმოლაგდება) 1. ბევრის გადმოდება, გადმონყობა. *წიგნები გადმოალაგა.* 2. ჩამოლაგება. *თაროდან ჭურჭელი გადმოალაგა.* 3. საუბრ. გადატ. დაუფიქრებლად ყველაფრის თქმა. *რაც იცოდა, ყველაფერი გადმოალაგა.*

**გადმოლახვა** *გადმოლახვის* (გადმოლახავს) რთული გზის გადმოვლა, გადმოსვლა წინააღმდეგობის დაძლევით. *მდინარე გადმოლახა.*

**გადმომდგარი** *გადმომდგარის* ვინც გადმოდგა. *გემბანიდან გადმომდგარი ზღვას გასცქეროდა.*

**გადმომდინარე** *გადმომდინარის* რაც საიდანმე

გადმოედინება. *კლდეზე გადმომდინარე წყალი.*

**გადმომქუხარე** *გადმომქუხარის* რაც ქუხილით გადმოედინება. *გადმომქუხარე ჩანჩქერი.*

**გადმომჩქეფარე** *გადმომჩქეფარის* რაც ჩქეფით გადმოედინება. *გადმომჩქეფარე ნაკადულები.*

**გადმომხობა** *გადმომხობის* (გადმოამხობს, გადმოიმხობს, გადმოემხობა) ზევიდან დამხობა აქეთ, ჩვენკენ. *ქვაბი თავზე გადმოემხო.*

**გადმონგრევა** *გადმონგრევის* (გადმოანგრევს, გადმოუნგრევს, გადმოინგრევა, გადმოენგრევა) დანგრევა და ნანგრევების აქეთ გადმოყრა. *კედელი გადმოინგრა.*

**გადმონერგვა** *გადმონერგვის* (გადმონერგავს, გადმოინერგება) სხვა ორგანიზმიდან რომელიმე ორგანოს, ქსოვილისა და მისთ. გადმოტანა. *კანი გადმომინერგეს.*

**გადმონთხევა** *გადმონთხევის* (გადმოანთხევს, გადმოინთხევა, გადმოენთხევა, გადმოანთხევინებს) იგივეა, რაც **ამონთხევა**. *სისხლის გადმონთხევა. ბოლმა გადმოანთხია.*

**გადმოპირქვავება** *გადმოპირქვავების* (გადმოაპირქვავებს, გადმოპირქვავდება) დადგმული ჭურჭლის გადმობრუნება, პირქვე დადგმა. *კატამ ქილა გადმოაპირქვავა.* ■ **გადმოპირქვავებული** რაც გადმოაპირქვავეს ან გადმოპირქვავდა. *გადმოპირქვავებული ჭურჭელი.*

**გადმორბენა** *გადმორბენის* (გადმოირბენს, გადმოურბენს) სირბილით გადმოსვლა, გადმოვლა. *ხიდზე გადმოირბინა.* გადმორიცხვა *გადმორიცხვის* (გადმორიცხავს, გადმოურიცხავს, გადმოირიცხება) თანხის ერთი ანგარიშიდან მეორეზე გადმოტანა. *ხელფასი გადმომირიცხეს.* ■ **გადმორიცხული** რაც გადმორიცხეს ან გადმოირიცხა. *გადმორიცხული თანხა.*

**გადმოსახედი** *გადმოსახედის* საიდანაც უნდა გადმოიხედონ. *ამ გადმოსახედიდან კარგად ჩანს.*

**გადმოსახლება** *გადმოსახლების* (გადმოასახლებს, გადმოსახლდება) საცხოვრებელი ადგილიდან აქეთ, ჩვენკენ გადმოსვლა (გადმოყვანა). *ქალაქში გადმოსახლდნენ. დამნაშავეები გადმოასახლეს.* ■ **გადმოსახლებული** ვინც გადმოსახლდა ან გადმოასახლეს. *გადმოსახლებული ოჯახი.*

**გადმოსვენება** *გადმოსვენების* (გადმოასვენებს) მიცვალებულის გადმოყვანა. *უცხოეთიდან გადმოასვენეს.*

**გადმოსვლა** *გადმოსვლის* (გადმოვა, გადმოუვა) 1. რაიმეზე გადმოვლა, რაიმეს გადმოლახვა. *ხიდზე გადმოვიდნენ.* 2. საცხოვრებელი ან სამუშაო ადგილის შეცვლა, ჩვენთან ახლოს მოსვლა. *ჩემს მეზობლად გადმოვიდნენ.* 3. სითხის ამოსვლა პირამდე და გადმოღვრა. *ქვაბიდან რძე გადმოვიდა.*

გადმოსკდომა *გადმოსკდომის* (გადმოსკდება) ნაკადის ერთბაშად, ძლიერად გადმოსვლა, გადმოდინება. *მთაზე წყარო გადმოსკდა. ბიჭს ჭრილობიდან სისხლი გადმოსკდა.*

**გადმოსმა** *გადმოსმის* (გადმოსვამს) თავისი ადგილიდან გადმოყვანა, ადგილის შეცვლა. *კაცი მანქანიდან გადმოსვეს.*

**გადმოსროლა** *გადმოსროლის* (გადმოისვრის) ზევიდან გამოსროლა, მოქნევით გადმოგდება. *აივნიდან ბურთი გადმოისროლა.*

**გადმოსხდომა** *გადმოსხდომის* (გადმოსხდება) ბევრის გადმოჯდომა. *ბავშვები ჩემ გვერდით გადმოსხდნენ. ყველანი შენს მანქანაში გადმოსხდნენ.*

**გადმოსხმა**[1] *გადმოსხმის* (გადმოსხამს, გადმოუსხამს) ბევრის გადმოსმა. *ჯარი ნავსადგურში გადმოსხეს. ბავშვები მანქანებიდან გადმოსხეს.*

**გადმოსხმა**[2] *გადმოსხმის* (გადმოასხამს, გადმოუსხამს, გადმოისხმება) სითხის გადმოტანა ერთი ჭურჭლიდან მეორეში, გადმოღვრა. *ჩაი ლამბაქზე გადმოისხა. მათარიდან წყალი გადმოასხა.*

**გადმოტანა** *გადმოტანის* (გადმოიტანს, გადმოატანინებს) 1. საგნის ან ობიექტის ადგილის შეცვლა, ჩვენკენ წამოღება. *მაგიდა ამ ოთახში გადმოიტანეს. სკოლა ჩვენს ქუჩაზე გადმოიტანეს.* 2. ღონისძიების, სხდომისა და მისთ. ჩასატარებლად დანიშნული დროის შეცვლა, გადმოწევა. *სხდომა დღეისთვის გადმოიტანეს.* ■ **გადმოტანილი** რაც გადმოიტანეს. *გადმოტანილი ნივთები.*

**გადმოტვირთვა** *გადმოტვირთვის* (გადმოტვირთავს, გადმოიტვირთება) ტვირთის გადმოტანა, ტრანსპორტის ტვირთისგან დაცლა. *მანქანიდან აპარატურა გადმოტვირთეს. გემი გადმოტვირთეს.* ■ **გადმოტვირთული** რაც გადმოტვირთეს ან გადმოიტვირთა. *გადმოტვირთული ვაგონი.*

**გადმოტრიალება** *გადმოტრიალების* (გადმოატრიალებს, გადმოიტრიალებს, გადმოტრიალდება) 1. ტრიალით გადმობრუნება. *ავადმყოფი ჩვენკენ გადმოტრიალდა. ხელი გადმოუტრიალა.* 2. გადატ. ყველაფრის გადმოღება, გადმოყრა რაიმეს მოსაძებნად. *სახლი გადმოატრიალა და ვერ იპოვა.* ■ **გადმოტრიალებული** რაც გადმოატრიალეს ან გადმოტრიალდა. *ყველაფერი გადმოტრიალებული დახვდა.*

**გადმოფენა** *გადმოფენის* (გადმოფენს, გადმოაფენს, გადმოიფენს, გადმოიფინება, გადმოეფინება) ჩვენს მხარეს გადაფენა, გადმოკიდება. *ფანჯრიდან დროშა გადმოფინეს.* ■ **გადმოფენილი** რაც გადმოფინეს. *აივანზე გადმოფენილი ხალიჩა.*

**გადმოფურთხება** *გადმოფურთხების* (გადმოაფურთხებს) ჩვენს მხარეს გადაფურთხება. *სისხლი გადმოაფურთხა.*

**გადმოქართულება** *გადმოქართულების* (გადმოაქართულებს) ქართულ ენაზე გადმოთარგმნა, ქართულად გადაკეთება. *პიესა გადმოაქართულეს.*

**გადმოქაჩვა** *გადმოქაჩვის* (გადმოქაჩავს) სითხის, აირისა და მისთ. გადმოტანა მუილების საშუალებით. *ნავთობის გადმოქაჩვა.* ■ **გადმოქაჩული** რაც გადმოქაჩეს ან გადმოიქაჩა. *გადმოქაჩული გაზი.*

**გადმოქცევა** *გადმოქცევის* (გადმოაქცევს, გადმოიქცევა) 1. სითხის გადმოღვრა, გადმოსხმა. *წყალი გადმოაქცია. ბოციდან ღვინო გადმოიქცა.* 2. გვერდზე გადმოვარდნა, წაქცევა. *ზვინი გადმოიქცა.* ■ **გადმოქცეული** რაც გადმოიქცა ან გადმოაქციეს. *გადმოქცეული სითხე.*

**გადმოღება** *გადმოღების* (გადმოიღებს, გადმოუღებს, გადმოაღებინებს) 1. რაიმეს აღება და აქეთ გადმოტანა. *ხურჯინის გადმოღება გაუჭირდა. თაროდან წიგნი გადმოიღო.* 2. ასლის გადმოწერა, გადმობეჭდვა. *ნახატის პირი გადმოიღო.* 3. სხვისი მეთოდის, გამოცდილებისა და მისთ. გამოყენება, შეთვისება. *ცხოვრების წესი გადმოიღეს. ცეკვის მანერა გადმოიღო.* ■ **გადმოღებული** რაც გადმოიღეს. *გადმოღებული სტილი.*

**გადმოღვრა** *გადმოღვრის* (გადმოღვრის, გადმოუღვრის, გადმოიღვრება, გადმოეღვრება) ჭურჭლიდან სითხის გადმოტანა, გადმოღება, გადმოსხმა. *ბოთლიდან წყალი გადმოღვარა. ღვინო სუფრაზე გადმოიღვარა.*

**გადმოღმა** ზმნზ. აქეთ, აქეთა მხარეს.

**გადმოყვანა** *გადმოყვანის* (გადმოიყვანს, გადმოაყვანინებს) 1. დაბრკოლების გადალახვით გამოყვანა. *ხიდზე გადმოიყვანა. ტყვეები გადმოიყვანეს.* 2. ვინმეს წამოყვანა საცხოვრებელი ადგილის, სამსახურისა და მისთ. შესაცვლელად. *სამსახურში გადმოყვანას შეჰპირდა. ჩვენს სკოლაში გადმოიყვანეს.*

**გადმოყოლა** *გადმოყოლის* (გადმოჰყვება) ვინმესთან ერთად გადმოსვლა. *მე ზღვაურებს ნაპირზე გადმოჰყვა.*

**გადმოყოლება** *გადმოყოლების* (გადმოაყოლებს, გადმოიყოლებს) 1. გადმოსვლისას თან წამოყვანა ან წამოღება. *ბავშვიც თან გადმოიყოლა.* 2. შეცდომით მეტის მოცემა. *გამყიდველმა ათი ლარი გადმომაყოლა.*

**გადმოყოფა** *გადმოყოფის* (გადმოყოფს, გადმოუყოფს) თავის, ფეხისა და მისთ. საიდანმე გამოშვერა, გადმონევა. *საწოლიდან ფეხი გადმოყო.* ■ **გადმოყოფილი** რაც გადმოყვეს. *მანქანიდან თავი ჰქონდა გადმოყოფილი.*

**გადმოყრა** *გადმოყრის* (გადმოყრის, გადმოაყრის, გადმოიყრის, გადმოუყრის, გადმოაყრევინებს) ბევრის გადმოგდება (1). *თაროდან ძველი ნივთები გადმოყარა.*

**გადმოშლა** *გადმოშლის* (გადმოშლის, გადმოუშლის, გადმოიშლება) დახურულის, დაკეცილის გახსნა და გადმონევა. *ხალიჩა გადმოშალა.* ■ **გადმოშლილი** რაც გადმოშალეს. *გადმოშლილი თმა.*

**გადმოცემა** *გადმოცემის* (გადმოსცემს, გადმოიცემა, გადმოეცემა) 1. ჩვენთვის მოცემა. *საბუთები გადმოგვცეს. ამბავი გადმომცეს.* 2. იგივეა, რაც **გადაცემა** (4). *რადიოთი მუსიკა გადმოსცეს.* 3. ნაწერით, ნახატით, ნათქვამითა და მისთ. რაიმეს გამოხატვა, ასახვა. *შინაარსის გადმოცემა. ავტორმა ნაწარმოებში ისტორიული ამბები გადმოსცა.* ■ **გადმოცემული** რაც გადმოსცეს. *გადმოცემული ინფორმაცია.*

**გადმოცილება** *გადმოცილების* (გადმოაცილებს, გადმოსცილდება) რაიმე ობიექტის აქეთ გადმოსვლა, გადმოგდება, გადმოვარდნა. *სახლზარს გადმოსცილდა. კედელს გადმოაცილა.*

**გადმოცურვა** *გადმოცურვის* (გადმოცურავს, გადმოცურდება) ცურვით გადმოსვლა. *მდინარე გადმოცურეს.*

**გადმოძახება** *გადმოძახების* (გადმოსძახებს, გადმოიძახებს) ზევიდან დაძახება. *ბავშვებს აივნიდან გადმოსძახა.*

**გადმონევა** *გადმონევის* (გადმოსნევს, გადმოინევს, გადმოუნევს, გადმოინევა) რაიმეს გადმოხრა, გვერდზე გამონევა. *თავშალი გადმოიწია. კედელი აქეთ გადმოსწიეს. აივანზე გადმოიწია.* ■ **გადმონეული** რაც გადმოსწიეს ან გადმოიწია. *გადმონეული ტოტები.*

**გადმონერა** *გადმონერის* (გადმონერს, გადმოინერს, გადმოუნერს) ნაწერიდან ან ნაბეჭდიდან ტექსტის გადმოტანა, გადმოღება. *წიგნიდან ლექსი გადმოინერა.* ■ **გადმონერილი** რაც გადმონერეს. *გადმონერილი ცხრილი.*

**გადმონვენა** *გადმონვენის* (გადმოანვენს) 1. მწოლიარეს გადმოყვანა სხვა ადგილიდან აქეთ, ჩვენთან. *ავადმყოფი პალატაში გადმოანვინეს. დაჭრილი ფრთხილად გადმოანვინეს.* 2. გადმოხრა, გადმონევა, გადმოქცევა. *ზავმა კედელი გადმოანვინა.*

**გადმონწოდება** *გადმონწოდების* (გადმოანწოდებს) შორიდან რაიმეს მონწოდება, გადმოცემა. *ფული გადმომანწოდა. ფანჯრიდან ჩანთა გადმოანწოდა.*

**გადმონწოლა** *გადმონწოლის* (გადმონვება) 1. მწოლიარეს ადგილის შეცვლა, აქეთ დაწოლა. *ჩემს საწოლში გადმონწვა.* 2. გადმოხრა, გადმონევა. *კედელი გადმონწვა.*

**გადმონყობა** *გადმონყობის* (გადმოანყობს, გადმოუნყობს) ბევრის გადმოდება. *თეფშები გადმოანყო.* ■ **გადმონყობილი** რაც გადმოანყვეს. *გადმონყობილი ინსტრუმენტები.*

**გადმოჭრა** *გადმოჭრის* (გადმოჭრის, გადმოიჭრება) გზის გადმოელა. *მოედანი გადმოჭრა.*

**გადმოხატვა** *გადმოხატვის* (გადმოხატავს, გადმოიხატავს, გადმოუხატავს) სხვისი ნახატის გადმოღება, ნიმუშის მიხედვით დახატვა. *წიგნიდან ცხენი გადმოიხატა.* ■ **გადმოხატული** რაც გადმოხატეს. *გადმოხატული პორტრეტი.*

**გადმოხედვა** *გადმოხედვის* (გადმოხედავს, გადმოიხედავს) 1. სიმაღლიდან დახედვა აქ ან მანდ. *ფანჯრიდან გადმოიხედა. მე ზობლებმა გადმოიხედეს.* 2. გვერდით (აქ ან მანდ) მყოფისთვის შეხედვა. *ღიმილით გადმომხედა. მოკამათეებს მკაცრად გადმოხედა.*

**გადმოხეთქა** *გადმოხეთქის* (გადმოხეთქს) ერთბაშად დიდი ნაკადით გადმოსვლა, გადმოსკდომა. *წყალმა გადმოხეთქა. ჭრილობიდან სისხლმა გადმოხეთქა.*

**გადმოხვეწა** *გადმოხვეწის* (გადმოიხვეწება) რაიმე ადგილიდან სამუდამოდ წამოსვლა, მოშორება, აქეთ გადმოსვლა. *შორი ქვეყნიდან გადმოიხვეწა.* ■ **გადმოხვეწილი** ვინც გადმოიხვეწა. *გადმოხვეწილი ხალხი.*

**გადმოხრა** *გადმოხრის* (გადმოხრის, გადმოიხრება) აქეთ გადმოწევა, გადმოღუნვა. *ჩემკენ გადმოიხარა.* ■ **გადმოხრილი** ვინც ან რაც გადმოიხარა. *გადმოხრილი პალმა.*

**გადმოხტომა** *გადმოხტომის* (გადმოხტება) ხტომით გადმოსვლა. *ხიდან გადმოხტა. ღობეს გადმოახტა.*

**გადმოჯდომა** *გადმოჯდომის* (გადმოჯდება) 1. ადგომა და აქ ან მანდ დაჯდომა. *ჩემ გვერდით გადმოჯდა. შენთან გადმოვჯდები.* 2. ერთი ტრანსპორტიდან გადმოსვლა და აქ ან მანდ ჩაჯდომა. *შენს მანქანაში გადმოჯდა.*

**გადნობა** *გადნობის* (გაადნობს, გადნება, გაუდნება) 1. მყარი ნივთიერების თხევად მდგომარეობაში გადასვლა (გადაყვანა). *ყინული გადნა. მჭედელმა რკინა გაადნო.* 2. სითხეში მყარი ნივთიერების გახსნა. *წყალში შაქარი გაადნო.* ■ **გამდნარი** რაც გაადნეს ან გადნა. *გამდნარი კარაქი.*

**გადრეკა** *გადრეკის* (გადრეკს, გაიდრიკება) გაღუნვა, მოხრა. *წელში გაიდრიკა.* ■ **გადრეკილი** ვინც ან რაც გაიდრიკა. *გადრეკილი ქედი.*

**გადღაბნა** *გადღაბნის* (გადღაბნის, გაიდღაბნება, გაედღაბნება) ნაწერის, ნახატისა და მისთ. დასვრა (წერის ან ხატვის დროს). *წერილი გადღაბნა.*

**გაელვება** *გაელვების* (გაიელვებს) 1. ელვით ცის განათება. *ჭექა-ქუხილი გაისმა და გაიელვა.* 2. პრიალა საგნის, ლანდის, აზრის, გრძნობისა და მისთ. ელვასავით სწრაფად გაკრთომა. *ხანჯლის გაელვება. მგლის თვალებმა გაიელვა. უსიამოვნო აზრმა გაუელვა.*

**გაერთიანება** *გაერთიანების* (გააერთიანებს, გაერთიანდება) 1. შეერთება, დაკავშირება, გამთლიანება. *ქვეყნის გაერთიანება. ორი სკოლა გააერთიანეს. ხალხი გაერთიანდა.* 2. ერთი პროფესიის მქონე პირთა კოლექტივი, ორგანიზაცია. *გაერთიანების წევრი.* ■ **გაერთიანებული** რაც ან ვინც გაერთიანდა. *გაერთიანებული სახელმწიფო.*

**გაერთფეროვნება** *გაერთფეროვნების* (გაერთფეროვნდება) ერთფეროვნად გადაქცევა. *კულტურის გაერთფეროვნება. სამყარო გაერთფეროვნდა.*

**გაეშმაკება** *გაეშმაკების* (გაეშმაკდება) გაქნილად, ცბიერად გახდომა. *ხალხი გაეშმაკდა.* ■ **გაეშმაკებული** ვინც გაეშმაკდა. *გაეშმაკებული გოგო.*

**გავა** *გავის* ცხოველის ზურგის ნაწილი შუა წელიდან კუდამდე. *ცხენის გავა. გავაზე მათრახი გადაჰკრა.*

**გავაზი** *გავაზის* ქორის სახეობა. *გავაზივით გაფრინდა.*

**გავაკება** *გავაკების* (გაივაკებს) ვაკე გზაზე გასვლა. *მგზავრებმა გაივაკეს. მდინარემ გაივაკა.*

**გავარდნა** *გავარდნის* (გავარდება, გაუვარდება) 1. დიდი სისწრაფით უცბად გასვლა. *ბიჭი სახლიდან გავარდა. ქუჩაში გავარდა.* 2. ქუხილის მსგავსი ხმის გამოცემა, დაჭექება. *მეხი გავარდა.* 3. ცეცხლსასროლი იარაღის გასროლა. *ზარბაზანი გავარდა. ტყეში თოფი გავარდა.* 4. ხელიდან გასხლტომა, დავარდნა. *ხმალი ხელიდან გაუვარდა. ყურმილი გაუვარდა.* 5. გადატ. ახალი ინფორმაციის, ამბის სწრაფად, ელვისებურად გავრცელება. *ხალხში ხმა გავარდა. სახელი გაუვარდა.*

**გავარვარება** *გავარვარების* (გაავარვარებს, გავარვარდება) ძალიან გაცხელება, გახურება. *ღუმელი გაავარვარა. უთო გავარვარდა.* ■ **გავარვარებული** რაც გავარვარდა. *გავარვარებული ნახშირი.*

**გავარჯიშება** *გავარჯიშების* (გაავარჯიშებს, გაივარჯიშებს) მრავალჯერ გამეორებით გაწაფვა, დახელოვნება. *გონების გავარჯიშება. ხელი გაივარჯიშა.*

**გაველურება** *გაველურების* (გააველურებს, გაველურდება) ველურად, გარეულად ქცევა. *ვაზი გაველურდა. მარტო ყოფნით გაველურდა.* ■ **გაველურებული** ვინც ან რაც გაველურდა. *გაველურებული ძაღლი.*

**გავერანება** *გავერანების* (გაავერანებს, გავერანდება) განადგურება, გაპარტახება, ვერანად ქცევა. *ქვეყნის გავერანება. ეზო გავერანდა. საქონელმა ყანა გაავერანა.* ■ **გაერანებული** რაც გაავერანდა. *გავერანებული კარ-მიდამო.*

**გავლა** *გავლის* (გაივლის) 1. ფეხით ან ტრანსპორტით გადაადგილება. *დიდი მანძილი გაიარა. ქალაქში არ გაუვლიათ.* 2. სიარულისას რაიმეს უკან დატოვება. *სადგური გაიარეს. მჭიდროდ დასახლებული სოფლები გაიარეს.* 3. გზად სადმე მისვლა. *ნაცნობთან გაიარეს. ბებიასთან გაელა მოისურვეს.* 4. დასრულება, დამთავრება. *ამ კვირამაც გაიარა. ეს წელიც მალე გაივლის.* 5. შეწყვეტა, დაწყნარება. *ტკივილი გაივლის. ეს არეულობა გაივლის.* 6. სასწავლო პროგრამის გარკვეული ნაწილის შესწავლა. *ერთი თავი გაიარეს. მასალის გავლას ვერ ასწრებენ.* 7. არხის,

გზის, სადენისა და მისთ. გაყვანა. *ნავთობსადენი ამ სოფელზე არ გაივლის.* 8. გამოცდის ჩაბარება ან შემოწმების ჩატარება. *ატესტაცია გაიარეს.* ■ გავლით გზად. ⊙ ვინმეს ჭკუაზე გაივლის ვინმეს სურვილის, რჩევის მიხედვით მოიქცევა.

**გავლება** *გავლების* (გაავლებს, გაივლებს) 1. რაიმეს გასწვრივ ჰორიზონტალური ზოლის (ხაზის, კვლისა და მისთ.) გატარება, გაყოლება. *რადიუსის გავლება. ვენახებს შორის ზღვარი გააველო.* 2. სარეცხის სუფთა წყალში ამოვლება. *თეთრეული გააველო.* ■ **გავლებული** რაც გაავლეს. *სწორად გავლებული ხაზი.*

**გავლენა** *გავლენის* 1. ზემოქმედება ვინმეზე ან რაიმეზე. *შესამჩნევი გავლენა. აღმზრდელის გავლენა.* 2. ზემოქმედების ძალა. *დიდი გავლენა აქვს.* ■ **გავლენიანი** ვისაც გავლენა (2) აქვს. *გავლენიანი მმართველი.*

**გავრცელება** *გავრცელების* (გაავრცელებს, გავრცელდება, გაავრცელებინებს) 1. ბევრთან მიტანა, ბევრისთვის გაგზავნა, გაგებინება, შეტყობინება. *ყურნალ-გაზეთების გავრცელება. პროკლამაციები გააგრცელეს. ჭორები გაავრცელეს. ხმები გავრცელდა.* 2. მცენარეების, ავადმყოფობის, სტიქიისა და მისთ. ბევრგან გადატანა, ბევრზე გადადება, ბევრგან მოდება. *ეპიდემიის გავრცელება. სწრაფად გავრცელდა.* ■ **გავრცელებული** რაც გაავრცელეს ან გავრცელდა. *გავრცელებული ინფორმაცია. გავრცელებული ჯიშები.*

**გავსება** *გავსების* (გაავსებს, გაივსებს, გაუვსებს, გაივსება, გაევსება, გაავსებინებს) ჭურჭლის, სივრცისა და მისთ. მთლიანად დაკავება, სავსედ ქცევა. *ჭიქის გავსება. დარბაზი ხალხით გაივსო. გოდორი ყურძნით გაავსეს.* ■ **გავსებული** რაც გაავსეს ან გაივსო. *რძით გავსებული ბიდონი. ბავშვებით გავსებული ავტობუსი.*

**გაზავება** *გაზავების* (გააზავებს, გაზავდება) ერთი ნივთიერების მეორეში შერევა განსაზღვრული დოზით. *ბეტონის გაზავება. ატმის წვენი წყლით გააზავეს. სპირტი გააზავა.* ■ **გაზავებული** რაც გააზავეს. *გაზავებული საღებავი.*

**გაზარმაცება** *გაზარმაცების* (გააზარმაცებს, გაზარმაცდება) ზარმაცად გახდომა, გადაქცევა. *რამ გაგაზარმაცა? მოსწავლეები გაზარმაცდნენ.* ■ **გაზარმაცებული** ვინც გაზარმაცდა. *გაზარმაცებული ბიჭი.*

**გაზაფხულება*** *გაზაფხულების* (გაზაფხულდება) გაზაფხულის დადგომა. *წელს ადრე გაზაფხულდა.*

**გაზაფხული** *გაზაფხულის* წელიწადის დრო, რომელიც ზამთარს მოსდევს, მისი თვეებია: მარტი, აპრილი, მაისი. *გაზაფხული დადგა. გაზაფხულის სურნელი.* ■ **გაზაფხულზე** ზმნ. გაზაფხულის დროს, გაზაფხულის განმავლობაში. *გაზაფხულზე ბუნება იღვიძებს.* ■ **გაზაფხულობით** ზმნ. ყოველ გაზაფხულზე. *გაზაფხულობით წყალდიდობა იცის.* ⊙ **გაზაფხულის პირზე** გაზაფხულის დამდეგს.

**გაზეთი** *გაზეთის* დიდი ფორმატის რამდენიმეგვერდიანი პერიოდული გამოცემა, რომელიც ბეჭდავს სხვადასხვა სახის ინფორმაციას, განცხადებასა და მისთ. *ყოველდღიური გაზეთი. ყოველკვირეული გაზეთი. ლიტერატურული გაზეთი.*

**გაზეპირება** *გაზეპირების* (გაიზეპირებს) იგივეა, რაც დაზეპირება. *უცხო სიტყვები გაიზეპირა.* ■ **გაზეპირებული** რაც გაიზეპირეს. *გაზეპირებული ფრაზები.*

**გაზვიადება** *გაზვიადების* (გააზვიადებს, გაზვიადდება) რეალურად არსებულზე უფრო მეტად, მნიშვნელოვნად, გადაჭარბებულად წარმოჩენა. *სათქმელი გააზვიადა. მომხდარი გააზვიადეს.* ■ **გაზვიადებული** რაც გააზვიადეს. *გაზვიადებული ბრალდებები.*

**გაზი**[1] *გაზის* 1. ნივთიერება, რომელსაც საკუთარი ფორმა არა აქვს და თანაბრად ავსებს მისთვის მისაწვდომ სივრცეს. *მხუთავი გაზი.* 2. საწვავი, რომელსაც იყენებენ საყოფაცხოვრებო დანიშნულებით. *თხევადი გაზი. გაზის ღუმელი.* ■ **გაზიანი** გაზის შემცველი. *გაზიანი წყალი.*

**გაზი**[2] *გაზის* ხელსაწყო, რომელიც შედგება ლითონის ორი გადაჯვარედინებული ნაწილისგან, გამოიყენება რაიმეს ამოსაძრობად. *ლურსმანს გაზით აძრობენ.*


გაზი

**გაზიარება** *გაზიარების* (გაიზიარებს, გაუზიარებს) 1. საკუთარი გრძნობის, გულისნადების სხვისთვის განდობა, გამჟღავნება. *თავისი ფიქრები გაუზიარა. სიხარული გაუზიარა.* 2. სხვისი დარდის, აზრისა და მისთ. მიღება, გათავისება. *მეგობრის მწუხარება გაიზიარა. მისი ბედი გაიზიარა. ჩემი შეხედულებები არ გაიზიარეს.* 3. თავისი კუთვნილიდან რაღაც ნაწილის სხვისთვის დათმობა, განაწილება. *ლუკმაპური გაუზიარა. სამუშაო გაუზიარა.* ■ **გაზიარებული** რაც გაიზიარეს ან გაუზიარეს. *გაზიარებული აზრი.* ⊙ **ვიზიარებ** თქვენს მწუხარებას მიმართავენ ჭირისუფალს თანაგრძნობის გამოსახატავად.

**გაზიდვა** *გაზიდვის* (გაზიდავს, გაუზიდავს, გაიზიდება, გააზიდვინებს) ტვირთის რამდენიმე გზად, რამდენიმე ჯერზე გატანა. *ნედლეულის გაზიდვა. მთელი ქონება სახლიდან გაზიდა.* ■ **გაზიდული** რაც გაზიდეს ან გაიზიდა. *გაზიდული საქონელი.*

**გაზინზვლა** *გაზინზვლის* (გაზინზლავს, გაიზინზლება, გაეზინზლება) ოფლსა და ჭუჭყში მთლიანად ამოსერა, ზინზლით გასერა. *შარვალი გაეზინზლა. საბანი გაიზინზლა.* ■ **გაზინზლული** რაც გაიზინზლა. *გაზინზლული ტანსაცმელი.*

**გაზიფიკაცია** *გაზიფიკაციის* იგივეა, რაც **გაზიფიცირება**. *გაზიფიკაციის სამმართველო.*

**გაზიფიცირება** *გაზიფიცირების* ქალაქების, სოფლებისა და მისთ. გაზით (2) მომარაგება, უზრუნველყოფა. *ქალაქის გაზიფიცირება. ბინების გაზიფიცირება.*

გაზმორება

**გაზმორება** *გაზმორების* (გააზმორებს, გაიზმორება) კიდურებისა და ტანის სპეციფიკური მოძრაობა, რომლის დროსაც სხეული იჭიმება, ფხიზლდება (ჩვეულებრივ, გაღვიძებისას). *ბიჭი გაიზმორა. კატა იზმორება.*

**გაზნექა** *გაზნექის* (გაზნექს, გაიზნიქება) სწორის გაღუნვა, გამრუდება. *ძელი გაიზნიქა.* ■ **გაზნექილი** რაც გაიზნიქა. *გაზნექილი ფეხები.*

გაზომვა



**გაზომვა** *გაზომვის* (გაზომავს, გაიზომავს, გაუზომავს, გაიზომება, გააზომვინებს) 1. ზომის, სიდიდის გარკვევა, დადგენა. *წნევის გაზომვა. ნაკვეთი გაზომეს. სიცხე გაიზომა.* 2. გადატ. შეფასება, განსჯა. *ზარალი წინასწარ გაზომა.* ■ **გაზომილი** რაც გაზომეს. *გაზომილი ფართობი.*

**გაზონი** *გაზონის* ზოლად დათესილი მოკლედ შეკრეჭილი ბალახი, ნარგავები ქუჩის, ბაღის გასალამაზებლად. *ყვავილების გაზონები. გზის ნაპირებზე გაზონები გააკეთეს.*

**გაზრდა** *გაზრდის* (გაზრდის, გაიზრდის, გაუზრდის, გაიზრდება, გაეზრდება, გააზრდევინებს) 1. ცოცხალი ორგანიზმის ფიზიკური სიდიდის, უნარის, შესაძლებლობების თანდათანობით მომატება (გაჩენიდან, აღმოცენებიდან გარკვეულ პერიოდამდე). *კარგი შვილი გაზარდა. ვარდი გაიზარდა.* 2. რაოდენობის, მოცულობისა და მისთ. მომატება. *ფასების გაზრდა. მოსახლეობის რიცხვი გაიზარდა.* 3. იგივეა, რაც აღზრდა. *კადრების გაზრდა. კლუბში ბევრი ფეხბურთელი გაიზარდა.* ■ **გაზრდილი** ვინც ან რაც გაზარდეს ან გაიზარდა. *გაზრდილი ბიუჯეტი. შვილები კარგად გაზრდილი ჰყავს.*

**გაზსადენი** *გაზსადენის* მილების სისტემა დიდ მანძილზე სამრეწველო გაზის გადასატანად. *ახალი გაზსადენის მშენებლობა დაიწყეს.*

**გათავება** *გათავების* (გაათავებს, გათავდება, გაუთავდება, გააათავებინებს) 1. დამთავრება, ბოლომდე მისვლა (მიყვანა). *საქმელი გაათავა. ტყვია-წამალი გაუთავდა. წერა გაათავა.* 2. საუბრ. სიკვდილი, მოკვლა. *კაცი გათავდა. ხმლის ერთი მოქნევით გაათავა.* ■ **გათავებული** რაც გაათავეს ან გათავდა. *გათავებული მარაგი.*

**გათავისუფლება** *გათავისუფლების* (გაათავისუფლებს, გაითავისუფლებს, გათავისუფლდება, გააათავისუფლებინებს) თავისუფლების მოპოვება, მინიჭება. *ტყვეობიდან გათავისუფლება. პასუხისმგებლობისგან გათავისუფლდა.* ■ **გათავისუფლებული** ვინც ან რაც გათავისუფლდა. *გათავისუფლებული ტყვე. გათავისუფლებული ადგილი.*

**გათავხედება** *გათავხედების* (გაათავხედებს, გათავხედდება) ზედმეტად გათამამება, მორიდების დაკარგვა, უზრდელურად მოქცევა. *სულ გათავხედდა. პატარა გაათავხედეს.*

**გათათხვა** *გათათხვის* (გათათხავს, გაითათხება) საუბრ. მეტისმეტად გალანძღვა, სიტყვიერი შეურაცხყოფის მიყენება. *ბიჭი უსამართლოდ გათათხეს. გამყიდველმა გათათხა.*

**გათამამება** *გათამამების* (გაათამამებს, გათამამდება, გაუთამამდება) თამამად გახდომა, მოქცევა. *საუბარში გათამამდა. წარმატებამ გაათამამა. მშობლებმა გაათამამეს.* ■ **გათამამებული** ვინც გაათამამეს. *გათამამებული ბავშვები.*

**გათამაშება** *გათამაშების* (გაათამაშებს, გაეთამაშება, გათამაშდება) 1. ლატარიისა და მისთ. თამაშისას თანხის ან რაიმე ნივთის განსაზღვრა, დაწესება მოსაგებად. *ბოლო ტირაჟში ავტომობილი გაათამაშეს.* 2. შეჯიბრების მონყობა პრიზის, ჯილდოს მოსაპოვებლად. *თასის გათამაშება.* 3. უცებ, სახელდახელოდ რაიმეს წარმოდგენა. *ეტიუდის გათამაშება. კომბინაცია გაითამაშეს.* 5. მცირე ხნით, ზერელედ თამაში (ვინმესთან, რაიმესთან). *ბავშვს გაეთამაშა.* ■ **გათამაშებული** რაც გაათამაშეს ან გაითამაშეს. *გათამაშებული საგზურები.*

**გათანაბრება** *გათანაბრების* (გაათანაბრებს, გათანაბრდება, გაუთანაბრდება) თანაბრად, ტოლად, სწორად ქცევა. *უფლებების გათანაბრება. ანგარიში გათანაბრდა. ძალები გაათანაბრეს.* ■ **გათანაბრებული** რაც გაათანაბრეს. *გათანაბრებული ხელფასები.*

**გათანასწორება** *გათანასწორების* (გაათანასწორებს, გათანასწორდება, გაუთანასწორდება) თანასწორად, თანაბრად გახდომა, ქცევა. *კანონმა ყველა გაათანასწორა.* ■ **გათანასწორებული** რაც გაათანასწორეს. *გათანასწორებული უფლებები.*

**გათანგვა** *გათანგვის* (გათანგავს, გაითანგება) დაღლილობისგან, ავადმყოფობისგან და მისთ. ენერგიის, ძალ-ღონის გამოცლა. *ნერვიულობამ გათანგა. სიცხისგან გაითანგა.* ■ **გათანგული** ვინც გაითანგა. *გათანგული ქალი.*

**გათახსირება** *გათახსირების* (გაათახსირებს, გათახსირდება) 1. საუბრ. ზნეობრივად დაცემა, გარყვნა,

გახრწნა. *სულ გათახსირდა ეს ქვეყანა! ქალი ცხოვრებამ გაათახსირა.* 2. საუბრ. გადატ. მეტისმეტად გალანძღვა, შეურაცხყოფის მიყენება, შერცხვენა. *კრება ზე გაათახსირეს.* ■ **გათახსირებული** ვინც გათახსირდა ან გაათახსირეს. *გათახსირებული მეზობელი. შე გათახსირებულო!*

**გათბობა** *გათბობის* (გაათბობს, გაითბობს, გაუთბობს, გათბება, გაუთბება) სითბოს მომატება, თბილად ქცევა. *მინა გათბა. ოთახი გაათბო. ხელები გაითბო.* ■ **გამთბარი** რაც ან ვინც გათბა. *გამთბარი წყალი.*

**გათევა** *გათევის* (გაათევს, გაუთევს, გაათევინებს) ⊙ **ღამის გათევა** 1. ღამის უძილოდ გატარება. 2. ღამის გატარება სადმე, სხვაგან.

**გათეთრება** *გათეთრების* (გაათეთრებს, გაუთეთრებს, გათეთრდება, გაუთეთრდება, გაათეთრებინებს) 1. თეთრად შეღებვა, თეთრი ფერის მიღება. *ჭერის გათეთრება. კედლები გაათეთრეს. სახე გაუთეთრდა.* 2. გადატ. გაჭაღარავება. *წვერი გაუთეთრდა.* ■ **გათეთრებული** რაც ან ვინც გათეთრდა. *თმა სულ გათეთრებული აქვს.*

**გათელვა** *გათელვის* (გათელავს, გაითელება, გაათელვინებს) 1. ზედ გადავლით გაფუჭება, ნახდენა. *ბალახი გათელეს.* 2. გადატ. შეურაცხყოფა, განადგურება. *ოჯახის ღირსება გათელეს. ადამიანის უფლებები გათელეს.* ■ **გათელილი** რაც გათელეს. *ფეხით გათელილი.*

**გათენება** *გათენების* (გაათენებს, გაითენებს, გათენდება, გაუთენდება, გაათენებინებს) 1. დილის დადგომა, ახალი დღის დაწყება. *გათენების ხანს. ადრე გათენდა.* 2. ღამის უძილოდ გატარება. *ღამე მუშაობაში გაათენა.*

**გათენებული** *გათენებულის* 1. გათენების პერიოდი, დრო. *ახლად გათენებული იყო.* 2. რაც გაათენეს. *შრომაში გათენებული ღამეები.*

**გათვალვა** *გათვალვის* (გათვალავს, გაითვალება) ცრურწ. წარუმატებლობის, უბედურების მოტანა, დათარსვა, დანავსვა. *მეზობელმა გათვალა.* ■ **გათვალული** ვინც გათვალეს. *ეს გოგო გათვალული ჩანს.*

**გათვალისწინება** *გათვალისწინების* (გაითვალისწინებს) წინასწარ დაშვება, მხედველობაში მიღება. *შედეგების გათვალისწინება. რეკომენდაციები გაითვალისწინა.* ■ **გათვალისწინებული** რაც გაითვალისწინეს. *გეგმით გათვალისწინებული თანხა.*

**გათვითცნობიერება** *გათვითცნობიერების* (გათვითცნობიერდება) რაიმე საკითხში სხვისი დახმარების გარეშე საფუძვლიანად გარკვევა. *ხალხის გათვითცნობიერება. პოლიტიკაში გათვითცნობიერდა.* ■ **გათვითცნობიერებული** ვინც გაათვითცნობიერეს ან გათვითცნობიერდა. *გათვითცნობიერებული ახალგაზრდა.* პარონიმი გაცნობიერება.

**გათვლა** *გათვლის* (გათვლის, გაითვლის) 1. სათითაოდ დათვლა, გაანგარიშება. *ხარჯები გათვალეს.* 2. გადატ. წინასწარ მიხვედრა, გათვალისწინება. *შედეგების გათვლა. საფრთხე წინასწარ გათვალა.* ■ **გათვლილი** რაც გათვალეს. *ყველაფერი გათვლილი აქვს. სუფრა ას კაც ზეა გათვლილი.*

**გათიბვა** *გათიბვის* (გათიბავს, გაითიბება, გაათიბვინებს) სპეციალური იარაღით (ნამგლით, ცელითა და მისთ.) ბალახის მოჭრა. *ყანის გათიბვა. მინდორი გათიბეს.* ■ **გათიბული** რაც გათიბეს. *გათიბული ეზო.*

**გათითხნა** *გათითხნის* (გათითხნის, გაითითხნის, გაითითხნება) საუბრ. გასვრა, გათხუპვნა. *სკამი საღებავით გათითხნა. ხელები გაეთითხნა.* ■ **გათითხნილი** რაც გათითხნეს. *გათითხნილი კედლები.*

**გათიშვა** *გათიშვის* (გათიშავს, გაითიშება, გაეთიშება, გაათიშვინებს) 1. ერთმანეთისგან დაშორება, დაცილება. *სა ზოგადოება ორ ბანაკად გაითიშა.* 2. ელექტროენერგიისა და მისთ. მიწოდების შეჩერება. *დენი გათიშეს. ტელემაუწყებლობა გაითიშა.* 3. გადატ. გონების დაკარგვა. *ტკივილისგან გაითიშა.* ■ **გათიშული** ვინც ან რაც გაითიშა. *გათიშული ტელეფონი.*

**გათლა** *გათლის* (გათლის, გაითლის, გაუთლის, გათლება, გაათლევინებს) მჭრელი იარაღით კანის აცლა, შრეებად დაჭრა. *ფანქრის გათლა. ვაშლი გათალა.* ■ **გათლილი** რაც გათალეს. *გათლილი ჯოხი.*

**გათოკვა** *გათოკვის* (გათოკავს) თოკით ხელ-ფეხის შეკვრა. *ტყვეები გათოკეს.* ■ **გათოკილი** ვინც გათოკეს. *გათოკილი პატიმარი.*

**გათოშვა** *გათოშვის* (გათოშავს, გაითოშება, გაეთოშება) სიცივისგან გაყინვა, მოძრაობის უნარის დაკარგვა. *ხელები გაეთოშა. ბავშვი გაითოშა.* ■ **გათოშილი** ვინც ან რაც გაითოშა. *გათოშილი მოხუცი.*

**გათოხნა** *გათოხნის* (გათოხნის, გაითოხნება, გაათოხნინებს) ნიადაგის თოხით დამუშავება (გაფხვიერება, ბალახისგან გაწმენდა და მისთ.). *ყანა გათოხნა. ვენახი გათოხა.* ■ **გათოხნილი** რაც გათოხნეს. *გათოხნილი ბოსტანი.*

**გათრევა** *გათრევის* (გაათრევს, გაითრევს, გაეთრევა) 1. თრევით გატანა ან გაყვანა. *ტახტი საწოლ ოთახში გაათრიეს.* 2. უპატივც. გასელა, გაყვანა, გაგდება. *გაეთრიე აქედან!*

**გათქვეფა** *გათქვეფის* (გათქვეფს, გაითქვიფება, გაათქვეფინებს) 1. იგივეა, რაც **ათქვეფა**. *კვერცხი გათქვიფა.* 2. გადატ. სხვებში შერევა, ინდივიდუალობის დაკარგვა. *მეგობრებში გაითქვიფა.* ■ **გათქვეფილი** რაც ან ვინც გაითქვიფა. *გათქვეფილი ნაღები.*

**გათქმა** *გათქმის* (გათქვამს, გაითქვამს, გაუთქვამს,

გაითქმება) სხვისი საიდუმლოს გამჟღავნება. *მეგობრები არ გათქვა.*

**გათხელება** *გათხელების* (გაათხელებს, გაითხელებს, გაუთხელებს, გათხელდება, გაუთხელდება) 1. თხლად ქცევა. *ცომი გაათხელა. ტალახი გათხელდა.* 2. სისქის, სიხშირის შემცირება. *თმა გაუთხელდა.* ■ **გათხელებული** რაც გათხელდა. *გათხელებული კანი.*

**გათხვრა** *გათხვრის* (გათხვრის, გაითხვრება, გაეთხვრება) საუბრ. გასვრა, გაჭუჭყიანება. *ხელები გაითხვარა. შარვალი ტალახით გაეთხვარა.* ■ **გათხვრილი** რაც გაეთხვარათ. *გათხვრილი სახე.*

**გათხოვება** *გათხოვების* (გაათხოვებს, გათხოვდება, გაუთხოვდება) ვინმეს ცოლად გახდომა (ცოლად მიცემა). *ქალიშვილი გაათხოვა. თანაკლასელზე გათხოვდა.* ■ **გათხოვილი** ვინც გათხოვდა. და *გათხოვილი ჰყავდა.*

**გათხრა** *გათხრის* (გათხრის, გაითხრის, გაუთხრის, გაითხრება, გაეთხრება, გაათხრევინებს) 1. მიწაში, თოვლში, კლდესა და მისთ. თხრილის გაკეთება, გაყვანა. *გვირაბის გათხრა. არხი გათხარეს.* 2 (მრ.) სიძველეების, ნამარხი ძეგლების მიწისგან გათავისუფლება. *არქეოლოგიური გათხრები. ძველი ნაქალაქარის გათხრები.* ■ **გათხრილი** რაც გათხარეს. *გათხრილი სანგარი.*

**გათხუპნა** *გათხუპნის* (გათხუპნის, გაითხუპნის, გაითხუპნება, გაეთხუპნება) საუბრ. გასვრა, გათხვრა. *სახე პომადით გაეთხუპნა. ბავშვი გაითხუპნა.* ■ **გათხუპნული** რაც გაითხუპნა. *გათხუპნული ცხვირ-პირი.*

**გაიაფება** *გაიაფების* (გააიაფებს, გაიაფდება) ფასის, ღირებულების დაკლება. *საწვავის გაიაფება. ტანსაცმელი გააიაფეს. ხილი გაიაფდა.* ■ **გაიაფებული** რაც გაიაფდა. *გაიაფებული პროდუქტი.*

**გაიგივება** *გაიგივების* (გააიგივებს, გაიგივდება) წიგნ. ერთი საგნის, მოვლენის, პიროვნებისა და მისთ. მეორესთან გათანაბრება, გატოლება. *ცნებების გაიგივება. მსახიობი როლთან გააიგივეს.* ■ **გაიგივებული** რაც გააიგივეს. *თავისუფლებასთან არის გაიგივებული.*

**გაიოლება** *გაიოლების* (გააიოლებს, გაუიოლებს, გაიოლდება) ძნელის, რთულის ადვილად გადაქცევა, ადვილად მიჩნევა. *სატელეფონო მომსახურება გაიოლდა. საქმე გაუიოლა.*

**გაისად** ზმნზ. მომავალ წელს, ერთი წლის შემდეგ. *მშენებლობა გაისად დასრულდება.*

**გაიშვიათება** *გაიშვიათების* (გაიშვიათდება) 1. სიხშირის, განმეორებადობის შემცირება. *გულისცემის გაიშვიათება.* 2. იგივეა, რაც გაუხშოება. *ჰაერის გაიშვიათება.* ■ **გაიშვიათებული** რაც გაიშვიათდა. *გაიშვიათებული სუნთქვა.*

**გაიძვერა** *გაიძვერას* მატყუარა, ქვეშქვეშა, ეშმაკი. *გაიძვერა კაცი.*

**გაიძვერობა** *გაიძვერობის* გაიძვერას ქცევა, ეშმაკობა. *მისი გაიძვერობა ყველამ იცის.*

**გაკადნიერება** *გაკადნიერების* (გააკადნიერებს, გაკადნიერდება) მოურიდებლობა, ზედმეტად გათამამება. *გაკადნიერდა და საკუთარი ლექსი წაიკითხა. გავკადნიერდები და მოგახსენებთ.* ■ **გაკადნიერებული** ვინც გაკადნიერდა. *გაკადნიერებული თაყვანისმცემელი.*

**გაკავება** *გაკავების* (გააკავებს, გაუკავებს, გაკავდება, გაუკავდება) 1. ვინმეს შეჩერება, შებოჭვა. *ხელები გაუკავეს. დამნაშავე პოლიციელებმა გააკავეს.* 2. ტკივილისგან სხეულის რომელიმე ნაწილის გაშეშება, მოძრაობის შეზღუდვა. *მხარი გაუკავდა.* ■ **გაკავებული** ვინც გააკავეს, რაც გაუკავდათ. *გაკავებული კისერი. გაკავებული მოჰყავდათ.*

**გაკაპასება** *გაკაპასების* (გააკაპასებს, გაკაპასდება) ძლიერ გაბრაზება, გაავება, კაპასად ქცევა (ამბობენ უმეტესად ქალზე). *მეზობელი გაკაპასდა.* ■ **გაკაპასებული** ვინც გაკაპასდა. *გაკაპასებული ცოლი.*

**გაკაჟება** *გაკაჟების* (გააკაჟებს, გაიკაჟებს, გაკაჟდება) ფიზიკური ძალის, ღონის მომატება, გაძლიერება. *სირბილმა გააკაჟა. ახალგაზრდები გაკაჟდნენ.* ■ **გაკაჟებული** რაც ან ვინც გაკაჟდა. *გაკაჟებული სხეული.*

**გაკარება** *გაკარების* (გააკარებს, გაიკარებს, გაეკარება) ახლოს მიშვება, მიახლოება. *შვილი არ გააკარეს. ღვინოს არ გაეკარა. ექიმი არ გაიკარა.*

**გაკაფვა** *გაკაფვის* (გაკაფავს, გაიკაფავს, გაუკაფავს, გაიკაფება, გააკაფვინებს) ტყის, ხეების, ბუჩქებისა და მისთ. გაჩეხა, ერთიანად მოჭრა. *ხეხილის გაკაფვა დაიწყეს. ვაზი გაკაფეს.* ■ **გაკაფული** რაც გაკაფეს. *გაკაფული ბუჩქნარი.*

**გაკაწვრა** *გაკაწვრის* (გაკაწრავს, გაიკაწრავს, გაუკაწრავს, გაიკაწრება, გაეკაწრება) წვეტიანი საგნით გაჩხაპნა, მსუბუქად გასერვა. *ეკალმა გაკაწრა. მინა გაიკაწრა. ლოყა გაეკაწრა.* ■ **გაკაწრული** რაც გაიკაწრა. *გაკაწრული ხელი.*

**გაკბეჩა** *გაკბეჩის* (გაკბეჩს) იგივეა, რაც **მოკბეჩა**. *პური გაკბიჩა.* ■ **გაკბეჩილი** რაც გაკბიჩეს. *გაკბეჩილი ვაშლი.*

**გაკეთება** *გაკეთების* (გააკეთებს, გაიკეთებს, გაუკეთებს, გაკეთდება, გაუკეთდება, გააკეთებინებს) 1. მუშაობით რაიმეს შექმნა, დასრულება. *თარო გააკეთა. სადილი გააკეთა.* 2. დაკიდება, დამაგრება, მიბმა. *საყურე გაიკეთა. ჰალსტუხი გაიკეთა.* 3. საუბრ. გამდიდრება. *გაკეთდა კაცი.* ■ **გაკეთებული** რაც გააკეთეს ან გაკეთდა. *ხელით გაკეთებული ავეჯი.*

**გაკეთილშობილება** *გაკეთილშობილების* (გააკეთილშობილებს) კეთილშობილების შეძენა, გაუმჯობესება. *ოჯახი გააკეთილშობილა. სიყვარულმა გააკეთილშობილა.*

**გაკენწვლა** *გაკენწვლის* (გაკენწლავს) 1. იარაღით მსუბუქად დაჭრა ან გაკაწვრა. *ტყვიით გაკენწლა. დანით გაკენწლეს.* 2. გადატ. მსუბუქი გაკიცხვა, გადაკვრით მინიშნება შეცდომაზე, არასწორ საქციელზე მითითება. *კრიტიკოსებმა გაკენწლეს.*

**გაკერვა** *გაკერვის* (გაკერავს, გაიკერავს, გაუკერავს, გაიკერება) გარღვეული, გაჭრილი ქსოვილის კიდეების ნემსითა და ძაფით შეერთება, გადაბმა. *გარღვეული კაბა გაკერა.* ▪ **გაკერილი** რაც გაკერეს. *გაკერილი ჭრილობა.*

**გაკერპება** *გაკერპების* (გააკერპებს, გაკერპდება) იგივეა, რაც გაჯიუტება. *ბავშვი გაკერპდა.* ▪ **გაკერპებული** ვინც გაკერპდა. *გაკერპებული ხმას არ იღებდა.*

**გაკეცვა** *გაკეცვის* (გაკეცავს, გაიკეცავს, გაიკეცება) ქსოვილის, ქაღალდისა და მისთ. ერთი ნაწილის მეორეზე დადება და გასწორება. *ფურცელი გაკეცა.* ▪ **გაკეცილი** რაც გაკეცეს. *ირიბად გაკეცილი ხელსახოცი.*

**გაკვალვა** *გაკვალვის* (გაკვალავს, გაიკვალავს, გაუკვალავს, გაიკვალება) კვლის გავლება. *თოვლის გაკვალვა. ბოსტანი გაკვალეს.* ▪ **გაკვალული** რაც გაკვალეს. *გაკვალული ბილიკი.*

**გაკვანძვა** *გაკვანძვის* (გაკვანძავს, გაიკვანძება, გაეკვანძება) კვანძის გაკეთება, კვანძით შეკვრა. *თასმა გაკვანძა.* ▪ **გაკვანძული** რაც გაკვანძეს. *გაკვანძული თოკი.*

**გაკეთა** *გაკეთის* (გაკეთს, გაიკეთს, გაუკეთს, გაიკეთება, გააკეთინებს) სხეულის გაჭრა შიგა ორგანოების სანახავად. *ქირურგმა ავადმყოფი გაკეთა. ცხედარი გაკეთეს.*

გაკვირვება

**გაკვირვება** *გაკვირვების* (გააკვირვებს, გაიკვირვებს, გაუკვირდება, გაუკვირდება) არაჩვეულებრივი, მოულოდნელი ამბით, მოვლენით გამოწვეული განცდა. *გაკვირვების გამოხატვა. მიკვირს ეს ამბავი.* ▪ **გაკვირვებული** ვისაც გაუკვირდა. *გაკვირვებული ბავშვი.*

**გაკვლევა** *გაკვლევის* (გაიკვლევს, გაუკვლევს) ⊙ გზას გაიკვლევს გზაზე სწორ მიმართულებას მოძებნის, წინააღმდეგობას დაძლევს და წინ წავა.

**გაკვნეტა** *გაკვნეტის* (გაკვნეტს) მაგარი საგნის (საჭმლის ან რაიმე ნივთის) კბილებით გატეხა. *გოზინაყი გაკვნიტა. თხამ ნეკერი გაკვნიტა.*

**გაკვრა** *გაკვრის* (გაჰკრავს, გააკრავს, გაიკრავს, გაუკრავს, გაეკვრება) 1. რაიმეზე მიწებება, მიმაგრება, მიჭედება. *აფიშის გაკვრა. კედელზე განცხადება გააკრეს.* 2. მაგრად შეკვრა, შეხვევა. *შუბლი გაიკრა.* 3. გარტყმა, მოხვედრება. *ხელის გაკვრა. მხარი გაჰკრა. მუჯლუგუნი გაჰკრა.* ▪ **გაკრული** რაც ან ვინც გააკრეს. *კედელზე გაკრული პლაკატი. ძელზე გაკრული ავა ზაკი.* ⊙ **გაკრული ხელით ნაწერი** ნაჩქარევად ნაწერი.

**გაკვრით ზმნზ.** ზედაპირულად, ისე, უბრალოდ, არა საგანგებოდ. *გაკვრით ნათქვამი. გაკვრით ახსენა.*

**გაკიდება**[1] *გაკიდების* (გაკიდებს, გაიკიდება) გარეთ რაიმეს გაფენა, გატანა. *სარეცხი გაკიდა. ჩირი მზეზე გაკიდეს.*

**გაკიდება**[2] *გაკიდების* (გაეკიდება) სწრაფად უკან დადევნება. *ბიჭი სირბილით გაეკიდა. ბავშვები ძაღლს გაეკიდნენ.*

**გაკითხვა**[1] *გაკითხვის* (გაიკითხავს) 1. მოწყალების მიცემა. *მათხოვარი გაიკითხა.* 2. ვინმეს ან რაიმეს შესახებ ცნობების მოძიება, გაგება. *ოჯახის შესახებ გაიკითხეს.*

**გაკითხვა**[2] *გაკითხვის* (გააკითხავს) გარეთ მყოფთან გასვლა. *მამას გააკითხა. ბიჭებს ქუჩაში გააკითხეს.*

**გაკილვა** *გაკილვის* (გაკილავს, გაიკილება) მსუბუქი დაცინვა, ვინმეზე რაიმეს დამცინავად თქმა. *მწერალი ბევრმა გაკილა.*

**გაკიცხვა** *გაკიცხვის* (გაკიცხავს, გაიკიცხება) ვინმესთვის საყვედურის თქმა ცუდი საქციელის გამო, დაძრახვა. *ამხანაგებმა გაკიცხეს. დამნაშავე ყველამ გაკიცხა.* ▪ **გაკიცხული** ვინც ან რაც გაკიცხეს.

**გაკმენდა** *გაკმენდის* (გაკმენდს, გაიკმენდს, გაიკმინდება, გააკმენდინებს) ⊙ **სულს გაკმენდს** სუნთქვას შეაჩერებს, გაიტრუნება. ⊙ **ხმას გაკმენდს** ლაპარაკს შეწყვეტს, დადუმდება.

**გაკონტროლება** *გაკონტროლების* (გააკონტროლებს, გაუკონტროლებს, გაკონტროლდება) კონტროლის განება, შემოწმება. *საბუთები გააკონტროლა. სამუშაო გაუკონტროლეს.*

**გაკორტნა** *გაკორტნის* (გაკორტნის, გაიკორტნის, გაუკორტნის, გაიკორტნება) 1. ნისკარტით ან პირით გაგლეჯა, განიწკნა. *თხამ ბუჩქი გაკორტნა. ქათმებმა ყვავილები გაკორტნეს.* 2. საუბრ. თმის ძალიან მოკლედ შეჭრა. *ბავშვი გაკორტნეს.* ▪ **გაკორტნილი** რაც ან ვინც გაკორტნეს. *გაკორტნილი ბალახი.*

**გაკოტრება** *გაკოტრების* (გააკოტრებს, გაკოტრდება) ვინმეს ან რაიმეს (ორგანიზაციის, ბანკის, ფირმისა და მისთ.) ფინანსური გაღატაკება, გადახდისუნარიანობის დაკარგვა. *კონკურენტებმა ბანკი გააკოტრეს. საწარმო გაკოტრდა.* ▪ **გაკოტრებული** ვინც ან რაც გაკოტრდა ან გააკოტრეს. *გაკოტრებული ბიზნესმენი.*

**გაკოჭვა** *გაკოჭვის* (გაკოჭავს) საუბრ. ხელ-ფეხის შეკვრა თოკით, ქამრითა და მისთ. *ყაჩაღებმა*

*ცოლ-ქმარი გაკოჭეს.* ■ **გაკოჭილი** ვინც გაკოჭეს. *გაკოჭილი ტყვე.*

**გაკოხტავება** *გაკოხტავების* (გააკოხტავებს, გაკოხტავდება) კოხტად ქცევა, კოხტად გახდომა, გალამაზება. *ოთახი გააკოხტავეს. ეზო გაკოხტავდა.*

**გაკრაჭუნება** *გაკრაჭუნების* (გააკრაჭუნებს) კბილების ერთმანეთზე გასმა უსიამოვნო ხმის (კრაჭუნის) გამოცემით. *ძილში კბილები გააკრაჭუნა.*

**გაკრეფა** *გაკრეფის* (გაკრეფს, გაიკრიფება) 1. ხილის მთლიანად მოკრეფა. *ვენახი გაკრიფეს. ვაშლი გაკრიფა.* 2. გადატ. ნელ-ნელა, შეუმჩნეველად წასვლა, დაშლა (ბევრისა). *მაყურებლები დარბაზიდან გაიკრიფნენ.*

**გაკრეჭა** *გაკრეჭის* (გაკრეჭს, გაიკრეჭს, გაიკრიჭება, გააკრეჭინებს) მაკრატლით ან სხვა იარაღით თმის, წვერისა და მისთ. მოჭრა, შესწორება. *ცხვრის გაკრეჭა. ბიჭი გაკრიჭეს.* ■ **გაკრეჭილი** ვინც ან რაც გაკრიჭეს. *გაკრეჭილი ბუჩქი.*

**გაკრთომა** *გაკრთომის* (გაკრთება, გაუკრთება) სინათლის, ლანდის, აზრისა და მისთ. უცებ გამოჩენა და გაქრობა. *შუქის გაკრთომა. სხივი გაკრთა. გონებაში ეჭვი გაუკრთა.*

**გაკრიალება** *გაკრიალების* (გააკრიალებს, გაუკრიალებს) ძალიან განმენდა, გასუფთავება, კრიალის დაწყება. *ფეხსაცმელი გაუკრიალა. სარკე გააკრიალა.* ■ **გაკრიალებული** რაც გააკრიალეს. *გაკრიალებული მანქანა.*

**გაკრიტიკება** *გაკრიტიკების* (გააკრიტიკებს, გაუკრიტიკებს) ვინმეს ან რაიმეს უარყოფითად შეფასება, ნაკლისა და შეცდომების აღნიშვნა. *მთავრობის გაკრიტიკება. პოეტი გააკრიტიკეს.* ■ **გაკრიტიკებული** ვინც ან რაც გააკრიტიკეს. *გაკრიტიკებული პიესა.*

**გაკუნტრუშება** *გაკუნტრუშების* (გაიკუნტრუშებს, გაკუნტრუშდება) კუნტრუშით წასვლა, გაქცევა. *ბავშვებმა ქუჩაში გაიკუნტრუშეს.*

**გაკურცხლება** *გაკურცხლის* (გაკურცხლავს) იგივეა, რაც მოკურცხლვა. *ბავშვმა შინისკენ გაკურცხლა.*

**გალა** *გალის* ხახვის, ნივრისა და მისთ. ფოჩების გრძელი წნული, კეთდება უკეთ გაშრობისა და შენახვის მიზნით. *ნივრის გალები.*

**გალავანი** *გალავნის* დამცავი კედელი ქალაქის, ციხის, ეზოს გარშემო. *გალავანზე მცველები იდგნენ. სახლს გალავანი შემოარტყეს.*

გალავანი



**გალაზღანდარავება** *გალაზღანდარავების* (გაალაზღანდარებს, გაელაზღანდარავება, გალაზღანდარავდება) ლაზღანდარასავით ქცევა. *ბავშვი გალაზღანდარავდა.* ■ **გალაზღანდარავებული** ვინც გალაზღანდარავდა. *გალაზღანდარავებული ახალგაზრდა.*

**გალამაზება** *გალამაზების* (გაალამაზებს, გაილამაზებს, გაულამაზებს, გალამაზდება) ლამაზად ქცევა, სილამაზის მომატება. *ქალი ძალიან გალამაზდა. ცხოვრება გაულამაზა.* ■ **გალამაზებული** ვინც ან რაც გაალამაზეს ან გალამაზდა. *ლამპიონებით გალამაზებული ქუჩა.*

**გალანტერეა** *გალანტერეის* პირადი მოხმარებისთვის საჭირო საქონელი (ძაფები, სავარცხლები, ღილები, ხელთათმანები, ჰალსტუხები და მისთ.).

**გალანძღვა** *გალანძღვის* (გალანძღავს, გაულანძღავს, გაილანძღება, გაალანძღვინებს, გაელანძღვინება) შეურაცხმყოფელი სიტყვებით მიმართვა ან ვინმეს ამგვარად მოხსენიება სხვასთან საუბრისას. *მეზობელი გალანძღა. დამნაშავე საჯაროდ გალანძღეს.* ■ **გალანძღული** ვინც გალანძღეს. *ყველა გალანძღული ჰყავს.*

**გალაპლაპება** *გალაპლაპების* (გაალაპლაპებს, გალაპლაპდება) ზედაპირის ძალიან გაწმენდა, გაკრიალება, ლაპლაპის დაწყება. *ფეხსაცმელი გაალაპლაპა. ავეჯი გაალაპლაპეს.* ■ **გალაპლაპებული** რაც გაალაპლაპეს. *გალაპლაპებული მინა.*

**გალასლასება** *გალასლასების* (გალასლასდება) უღონოდ, ლასლასით გასვლა. *მოხუცი ეზოში გალასლასდა.*

**გალაქვა** *გალაქვის* (გალაქავს) ავეჯის, იატაკისა და მისთ. ზედაპირზე ლაქის წასმა. *სკამები გალაქეს.* ■ **გალაქული** რაც გალაქეს. *გალაქული პარკეტი.*

**გალაქტიკა** *გალაქტიკის* სამყაროს ნაწილი, პლანეტების ერთიანი სისტემა მზისა და დედამიწის ჩათვლით. *ჩვენი გალაქტიკა.*

**გალაღება** *გალაღების* (გაალაღებს, გაულაღებს, გალაღდება, გაულაღდება) გამხიარულება, გახალისება, ლაღად გახდომა, ლაღად ქცევა. *შვილები გაალაღა.* ■ **გალაღებული** ვინც ან რაც გაალაღეს ან გალაღდა. *გალაღებული ცხოვრება.*

**გალაყება** *გალაყების* (გაალაყებს, გაულაყებს, გალაყდება) კვერცხის ლაყედ (1) ქცევა. *კრუხს კვერცხები გაულაყდა.* ■ **გალაყებული** რაც გალაყდა. *გალაყებული კვერცხი.*

**გალაშქრება** *გალაშქრების* (გაილაშქრებს) 1. სალაშქროდ, საომრად წასვლა. *მეფემ მტერზე გაილაშქრა.* 2. გადატ. ვინმეს, რაიმეს წინააღმდეგ წასვლა საქმით ან სიტყვით. *მთავრობის წინააღმდეგ გაილაშქრეს. ახალი მეთოდის წინააღმდეგ გაილაშქრეს.*

**გალაწუნება** *გალაწუნების* (გაულაწუნებს) ხელის მძლავრად გარტყმა, სილის გაწვნა. *ლოყაში გაულაწუნა.*

**გალახვა** *გალახვის* (გალახავს, გაულახავს, გაილახება, გაალახვინებს, გაელახვინება) იგივეა, რაც ცემა. *დედამ შვილი გალახა.* ■ **გალახული** ვინც ან რაც გალახეს. *გალახული ძაღლი.*

**გალევა** *გალევის* (გალევს, გაილევა) 1. საგნის, ნივთის ხმარებისგან გაცვეთა, დაპატარავება. *დანის პირი გაილია.* 2. გადატ. დარდისგან, სნეულებისგან ადამიანის გახდომა, დაპატარავება. *მწუხარებამ ქალი გალია.* 3. გზის, დროის, სეზონისა და მისთ. დამთავრება, გათავება. *დიდი გ ზა გალიეს. ზამთარი გაილია.*

**გალერეა** *გალერეის* 1. დარბაზი ან შენობა, სადაც ნახატების გამოფენა ეწყობა. 2. შენობის სხვადასხვა ნაწილების დამაკავშირებელი ღია ან დახურული სივრცე. 3. გადატ. საერთო მახასიათებლების მქონე მხატვრული პერსონაჟების ერთობლიობა. *გმირთა გალერეა.*

**გალესვა** *გალესვის* (გალესავს, გაილესავს, გაულესავს, გაილესება, გაალესვინებს) 1. ქვაზე, რკინაზე ან სპეციალურ მასალაზე გასმით პირის (8) გამახვილება, გაპრიალება. *დანის გალესვა. ხმალი გალესეს.* 2. ბათქაშის წასმა. *კედლები გალესეს. ჭერი გაილესა.* ■ **გალესილი** რაც გალესეს. *გალესილი ხანჯალი.*

**გალეული** *გალეულის* 1. რაც, ვინც გალიეს ან გაილია. *გალეული დანა.* 2. გადატ. დაბალი, გამხდარი, ჩია. *გალეული ბიჭი.*

**გალექსვა** *გალექსვის* (გალექსავს) ლექსად გამოთქმა, ლექსად დაწერა. *ხალხმა საგმირო ამბები გალექსა.* ■ **გალექსილი** რაც გალექსეს. *გალექსილი იგავი.*

**გალეშვა** *გალეშვის* (გაილეშება) უზომოდ, მეტისმეტად დათრობა. *ქორწილში გაილეშა.* ■ **გალეშილი** ვინც გაილეშა. *გალეშილი მძღოლი.*

**გალენვა** *გალენვის* (გალენავს, გაულენავს, გაილენება, გაალენვინებს) პურეული მცენარეების დაფშვნა-დამუშავება მარცვლის გამოცალკევების მიზნით. *პური კალოზე გალენეს.* ■ **გალენილი** რაც გალენეს. *გალენილი ხორბალი.*

გალია

**გალია** *გალიის* გისოსებით შემოზღუდული სათავსი ფრინველებისა და ცხოველების ჩასასმელად. *ზოოპარკის გალია. თუთიყუშის გალია.*

**გალიფე** *გალიფეს* ზევით განიერი და მუხლს ქვემოთ ვინროდ მომდგარი შარვალი. *გალიფე უხდებოდა.*

**გალიცლიცება** *გალიცლიცების* (გაალიცლიცებს, გალიცლიცდება) ჭურჭლის სითხით პირამდე გავსება. *ფიალები გაალიცლიცეს. თამადამ ყანწი გაალიცლიცა.* ■ **გალიცლიცებული** რაც გაალიცლიცეს. *გალიცლიცებული ჭიქა მიართვეს.*

**გალობა** *გალობის* (გალობს, უგალობს) 1. იგივეა, რაც *ჭიკჭიკი. ბულბულის გალობა. საამურად გალობს.* 2. ღვთისმსახურებისას შესრულებული რელიგიური ხასიათის სიმღერა. *გუნდმა იგალობა. მრავალხმიანი გალობა. გალობა დაიწყეს.*

**გალოთება** *გალოთების* (გაალოთებს, გაულოთებს, გალოთდება, გაულოთდება) ლოთად ქცევა, ლოთობის დაწყება. *მძიმე ცხოვრებამ გაალოთა. მამამისი გალოთდა.* ■ **გალოთებული** ვინც გალოთდა. *გალოთებული ახალგაზრდა.*

**გალოკვა** *გალოკვის* (გალოკავს, გაილოკავს, გაულოკავს, გაალოკვინებს) ენის გასმით რაიმეს გასუფთავება. *თითები გაილოკა. კოვზი გალოკა.* ■ **გალოკილი** რაც გალოკეს. *გალოკილი თეფში.*

**გალოღნა** *გალოღნის* (გალოღნის) ნელა, უგემურად, გაჭირვებით დაღეჭვა. *ბავშვმა ორცხობილა გალოღნა.*

**გალუმპვა** *გალუმპვის* (გაილუმპება) მთლიანად, თავიდან ფეხებამდე დასველება. *წვიმაში გაილუმპა.* ■ **გალუმპული** ვინც გაილუმპა. *გალუმპული ბავშვები.*

**გალურსვა** *გალურსვის* (გაილურსება) ერთ ადგილას გაჩერება და გაჩუმება. *ძაღლი ყუთში გაილურსა.* ■ **გალურსული** ვინც ან რაც გაილურსა. *გალურსული იჯდა.*

**გალურჯება** *გალურჯების* (გაალურჯებს, გალურჯდება, გაულურჯდება) ლურჯი ფერის მიღება, ლურჯად შეღებვა. *სიცივისგან გალურჯდა.* ■ **გალურჯებული** ვინც ან რაც გალურჯდა. *ტუჩები გალურჯებული ჰქონდა.*

**გალღობა** *გალღობის* (გაალღობს, გალღვება, გაულღვება) ოდნავ გადნობა. *მზემ თოვლი გაალღო. რკინა გალღვა.* ■ **გალღობილი** რაც გაალღვეს.

**გალხობა** *გალხობის* (გაალხობს, გალხვება, გაულხვება) იგივეა, რაც გალღობა. *თოვლი გალხვა.* ■ **გალხობილი** რაც გაალხვეს.

**გამა** *გამის* სამუსიკო ბგერათა თანმიმდევრობა, რიგი, რომელიც მაღლდება ერთი ან ორი ოქტავის ფარგლებში.

**გამაგრება** *გამაგრების* (გაამაგრებს, გაიმაგრებს, გაუმაგრებს, გამაგრდება, გაუმაგრდება) 1. რბილის მაგრად ქცევა, გამკვრივება, გამყარება. *პური გამაგრდა. შენობა გაამაგრეს.* 2. გადატ. გაძლიერება, გამტკიცება. *მწუხარებამ გაამაგრა.* ■ **გამაგრებული** რაც გამაგრდა. *გამაგრებული თიხა.*

**გამაგრილებელი** *გამაგრილებლის* რაც აგრილებს. *გამაგრილებელი სასმელები.*

**გამადიდებელი** *გამადიდებლის* ვინც ან რაც ადიდებს. *გამადიდებელი ხელსაწყო.* ☉ **გამადიდებელი შუშა** შუშა, რომელიც ობიექტებს დიდად აჩენს.

**გამავალი** *გამავალის* 1. რაც სადმე გადის. *ტყეზე გამავალი ბილიკი.* 2. იგივეა, რაც გამჭოლი. *გამავალი ჭრილობა.*

**გამავრცელებელი** *გამავრცელებლის* ვინც ან რაც რაიმეს ავრცელებს. *წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება.*

**გამათბობელი** *გამათბობლის* ხელსაწყო, დანადგარი, რომელიც ათბობს. *გაზის გამათბობელი.*

**გამათრახება** *გამათრახების* (გაამათრახებს) მათრახით ცემა. *დამნაშავე გაამათრახეს.*

**გამაიმუნება** *გამაიმუნების* (გაამაიმუნებს) საუბრ. იგივეა, რაც **გამასხარავება**. *წვეულება ზე გაამაიმუნეს.*

**გამალებით** ზმნზ. ძალიან ჩქარა, მარდად. *გული გამალებით უცემდა. გამალებით გარბის.*

**გამალებული** *გამალებულის* ძალიან სწრაფი, აჩქარებული. *გამალებული მუშაობა.*

**გამარგვლა** *გამარგვლის* (გამარგლავს, გაუმარგლავს, გაიმარგლება, გაამარგვლინებს) ნათესის ან ნარგავების გაწმენდა სარეველა მცენარეებისა და ბალახისგან. *ბოსტნის გამარგვლა. ყანა გამარგლეს.* ■ **გამარგლული** რაც გამარგლეს. *გამარგლული მწვანილი.*

**გამართვა** *გამართვის* (გამართავს, გაიმართავს, გაუმართავს, გაიმართება) 1. გაშლა, გასწორება. *ფეხები გამართა.* 2. შეკეთება, მოწყობა. *მანქანა გამართა. კარავი გამართეს.* 3. ჩატარება, ორგანიზება, გაჩაღება. *მიტინგი გამართეს. კონცერტი გაიმართა. ბრძოლა გამართეს.*

**გამართლება** *გამართლების* (გაამართლებს, გაიმართლებს, გამართლდება, გაუმართლდება) 1. უდანაშაულოდ ცნობა. *ბრალდებული გაამართლეს.* 2. წინასწარ ნათქვამის ახდენა, სინამდვილედ ქცევა. *მისი სიტყვები გამართლდა.* 3. საქმეში ხელსაყრელი სიტუაციის შექმნა, სასურველი შედეგის მიღება. *პირად ცხოვრებაში გაუმართლა. ფეხბურთელებს არ გაუმართლათ.*

**გამართული** *გამართულის* 1. კარგად მოწყობილი. *გამართული სახლ-კარი.* 2. გასწორებული, გაშლილი. *გამართული მკლავი.* 3. სწორი, დახვეწილი. *გამართული მეტყველება.* ▲ **გამართულად** ზმნზ. კარგად, დახვეწილად. *გამართულად წერს.*

**გამარტივება** *გამარტივების* (გაამარტივებს, გაიმარტივებს, გაუმარტივებს, გამარტივდება) რთულის მარტივად ქცევა. *სავარჯიშოები გაამარტივეს. სისტემა გამარტივდა.* ■ **გამარტივებული** რაც გამარტივეს. *გამარტივებული წესები.*

**გამარჯვება** *გამარჯვების* (გაიმარჯვებს, გაამარჯვებინებს) მოწინააღმდეგის დამარცხება. *ბრძოლაში გამარჯვება. გუნდმა შეჯიბრებაში გაიმარჯვა.* ■ **გამარჯვებული** ვინც გაიმარჯვა. *გამარჯვებული ჯარი.*

**გამარჯობა** სიტყვა, რომელსაც ადამიანები მისალმებისას ეუბნებიან ერთმანეთს.

**გამასპინძლება** *გამასპინძლების* (გაუმასპინძლდება) სტუმრების მიღება და პატივისცემა. *ოჯახში კარგად გაუმასპინძლდნენ.*

**გამასხარავება** *გამასხარავების* (გაამასხარავებს, გაიმასხარავებს) ვინმეს მასხარად აგდება. *ოჯახი საქვეყნოდ გაამასხარავეს. თავი საქვეყნოდ გაიმასხარავა.* ■ **გამასხარავებული** ვინც ან რაც გაამასხარავეს. *გამასხარავებული დარჩა.*

**გამასხრება** *გამასხრების* (გაემასხრება) უშნოდ გახუმრება. *ბიჭებს გაემასხრა.*

**გამაძლიერებელი** *გამაძლიერებლის* მოწყობილობა, რომელიც ხმას აძლიერებს. *გამაძლიერებელი ხეზე დაამაგრეს.*

**გამახვილება** *გამახვილების* (გაამახვილებს, გამახვილდება) ⊙ **ყურადღების (გონების, სმენის) გამახვილება** ყურადღების (გონების, სმენის) დაძაბვა.

**გამაჰმადიანება** *გამაჰმადიანების* (გაამაჰმადიანებს, გამაჰმადიანდება) მაჰმადიანობის მიღება. *დაპყრობილი ხალხი გაამაჰმადიანეს. მთელი ოჯახი გამაჰმადიანდა.* ■ **გამაჰმადიანებული** ვინც გამაჰმადიანდა. *გამაჰმადიანებული მოსახლეობა.*

**გამბედავი** *გამბედავის* უშიშარი, გულადი. *გამბედავი ყმაწვილი.*

**გამბუზია** *გამბუზიის* პატარა თევზი, რომელიც კოლოს კვერცხებს ჭამს, იყენებენ კოლოსთან საბრძოლველად.

**გამგე** *გამგის* დაწესებულების, ორგანიზაციის ან მისი ნაწილის უფროსი, ხელმძღვანელი. *განყოფილების გამგე. ფერმის გამგე.*

**გამგებელი** *გამგებლის* ადმინისტრაციული ერთეულის ხელმძღვანელი, მმართველი. *რაიონის გამგებელი.*

**გამგები** *გამგების* ჭკვიანი, ვისაც გაგება შეუძლია. *გამგები ყმაწვილია.*

**გამგეობა** *გამგეობის* მმართველობის ადგილობრივი ორგანო. *ქალაქის გამგეობა. გამგეობაში მუშაობს.*

**გამგზავრება** *გამგზავრების* (გაამგზავრებს, გაემგზავრება) ტრანსპორტით სადმე წასვლა. *თვითმფრინავით გაემგზავრა. ცოლ-შვილი აგარაკზე გაამგზავრა.*

**გამდიდრება** *გამდიდრების* (გაამდიდრებს, გაუმდიდრებს, გამდიდრდება, გაუმდიდრდება) ფულის, ქონების, მასალისა და მისთ. შეძენა, მდიდრად ქცევა (1). *ხალხი გამდიდრდა. სურათების კოლექცია გაამდიდრეს.* ■ **გამდიდრებული** ვინც ან რაც გამდიდრდა ან გაამდიდრეს. *გამდიდრებული ოჯახი.*

**გამდინარე** *გამდინარის*||გამდინარი. *გამდინარე ტბა.*

**გამდინარი** *გამდინარის* რაც გაედინება ან საიდანაც გაედინება. *გამდინარი წყალი. გამდინარი აუზი.*

**გამელოტება** *გამელოტების* (გამელოტდება) თავზე თმის გაცვენა, მელოტად ქცევა. *ადრე გამელოტდა.* ■ **გამელოტებული** ვინც გამელოტდა. *ნახევრად გამელოტებული იყო.*

**გამეორება** *გამეორების* (გაიმეორებს, გაუმეორებს, გამეორდება, გაუმეორდება, გაამეორებინებს) ერთხელ მომხდარის (ნათქვამის, გაკეთებულის...) ხელახლა მოხდენა (თქმა, გაკეთება...). *ქუხილი გამეორდა. ნათქვამი გაიმეორა.* ■ **გამეორებული** რაც გაიმეორეს ან გამეორდა. *გამეორებული რეკორდი.*

**გამეტება** *გამეტების* (გაიმეტებს) 1. ვინმეს მიმართ დაუნდობლობლად, შეუბრალებლად მოქცევა, გაწირვა. *სასიკვდილოდ გაიმეტეს. მეგობარმა გაიმეტა.* 2. დაუზოგავად, დაუნანებლად მიცემა. *მთელი ქონება გაიმეტა. ფული ვერ გაიმეტეს.* ■ **გამეტებული** რაც ან ვინც გაიმეტეს. *სასიკვდილოდ გამეტებული.*

**გამეტებით** ზმნზ. ძალიან ძლიერად, დაუნდობლად, შეუბრალებლად. *გამეტებით ურტყამს.*

**გამეტიჩრება** *გამეტიჩრების* (გაამეტიჩრებს, გამეტიჩრდება) მეტიჩრად ქცევა, მეტიჩრობის დაწყება. *წარმატებამ გაამეტიჩრა.* ■ **გამეტიჩრებული** ვინც გაამეტიჩრეს ან გამეტიჩრდა. *გამეტიჩრებული ბავშვი.*

**გამეფება** *გამეფების* 1. მეფედ დასმა, მეფედ გახდომა. *უმცროსი შვილი გააამეფა. უფლისწული გამეფდა.* 2. ნიგნ. გადატ. დამყარება, დამკვიდრება, გავრცელება. *სოფელში სილარიბე გამეფდა.*

**გამეხებული** *გამეხებულის* მეტისმეტად გაბრაზებული, განრისხებული. *გამეხებული წამოვიდა.*

**გამვლელი** *გამვლელის* ვინც სადმე გაივლის ან გაიარა. *შემთხვევითი გამვლელი.*

**გამზადება** *გამზადების* (გაამზადებს, გაიმზადებს, გაუმზადებს, გაემზადება, გამზადდება) ბოლომდე გაკეთება, დასრულება, მოწესრიგება. *სადილი გაამზადა. სამგზავროდ გაემზადნენ.* ■ **გამზადებული** ვინც, რაც გაამზადეს ან გაემზადა. *ნასაღებად გამზადებული ბარგი.*

**გამზეება** *გამზეების* (გაამზეებს) იგივეა, რაც გამზეურება. *ტანსაცმელი გაამზეებს.*

**გამზეურება** *გამზეურების* (გაამზეურებს) მზეზე გაშლა, გაფენა. *ლოგინი გაამზეურა.*

**გამზითვება** *გამზითვების* (გაამზითვებს) ქალიშვილისთვის მზითვის გატანება. *სამი ქალიშვილი გაამზითვა.* ■ **გამზითვებული** ვინც გაამზითვეს. *გამზითვებული პატარძალი.*

**გამზირი** *გამზირის* იგივეა, რაც პროსპექტი (1). *თამარ მეფის გამზირი.*

**გამზრდელი** *გამზრდელის* პირი, რომელიც ზრდის ბავშვს, მოზარდს. *გამზრდელის მოვალეობა.*

**გამთბარი** *გამთბარის* რაც გათბა. *გამთბარი წყალი.*

**გამთელება** *გამთელების* (გაამთელებს, გაიმთელებს, გაუმთელებს, გამთელდება, გაუმთელდება) გატეხილის, დაზიანებულის აღდგენა, გამთლიანება. *მკურნალმა ძვალი გაუმთელა.* ■ **გამთელებული** რაც გაამთელეს. *გამთელებული დოქი.*

**გამთლიანება** *გამთლიანების* (გაამთლიანებს, გამთლიანდება) გაერთიანება, მთლიანად ქცევა. *ერის გამთლიანება.* ■ **გამთლიანებული** ვინც ან რაც გამთლიანდა. *გამთლიანებული ქვეყანა.*

**გამიზეზება** *გამიზეზების* (გამიზეზდება, გაუმიზეზდება) ჭრილობის, მუწუკისა და მისთ. გართულება. *ტრავმა გაუმიზეზდა.* ■ **გამიზეზებული** რაც გამიზეზდა. *გამიზეზებული იარა.*

**გამიზნული** *გამიზნულის* მიზნად დასახული, წინასწარ განზრახული. *სწავლის გაგრძელება ჰქონდა გამიზნული.* ▲ **გამიზნულად** ზმნზ. გარკვეული მიზნით, წინასწარგანზრახულად. *გამიზნულად ძაბავს სიტუაციას.*

**გამიჯვნა** *გამიჯვნის* (გამიჯნავს, გაიმიჯნება, გაემიჯნება) 1. მიჯნის გავლება, მიჯნით გაყოფა. *ბაღი გამიჯნეს.* 2. გადატ. გამოყოფა, დაცილება, დაცალკევება. *საკითხები მკვეთრად გამიჯნეს. ამხანაგებს გაემიჯნა.*

**გამიჯნურება** *გამიჯნურების* (გამიჯნურდება, გაუმიჯნურდება) ძვ. შეყვარება. *ულამაზეს ქალს გაუმიჯნურდა.* ■ **გამიჯნურებული** ვინც გამიჯნურდა. *გამიჯნურებული რაინდი.*

**გამკაცრება** *გამკაცრების* (გაამკაცრებს, გამკაცრდება) მკაცრად ქცევა (1), სიმკაცრის მომატება. *კანონის გამკაცრება. ტონი გაამკაცრა.* ■ **გამკაცრებული** რაც გაამკაცრეს. *გამკაცრებული რეჟიმი.*

**გამკვრივება** *გამკვრივების* (გაამკვრივებს, გამკვრივდება) გამაგრება, სიმკვრივის მომატება. *კუნთები გაუმკვრივდა.* ■ **გამკვრივებული** რაც გამკვრივდა. *გამკვრივებული ბეტონი.*

**გამკივანი** *გამკივანის* წვრილი, მაღალი (ხმა). *გამკივანი ხმით გასძახა.*

**გამკილავი** *გამკილავის* დამცინავი და დამამცირებელი. *გამკილავი შემოხედვა. გამკილავი სიტყვა.*

**გამკლავება** *გამკლავების* (გაუმკლავდება) წინააღმდეგობის დაძლევა, მოწინააღმდეგის მორევა. *პრობლემებს გაუმკლავდა. მტერს გაუმკლავდა.*

**გამკრთალი** *გამკრთალის* რაც გაკრთა. *გამკრთალი ნაპერწკალი.*

**გამლღვალი** *გამლღვალის* რაც გაალღვეს ან გალღვა. *გამლღვალი ყინული.*

**გამლხვალი** *გამლხვალის* რაც გალხვა. *გამლხვალი კარაქი.*

**გამო** თანდ. რაიმე მიზეზით. *სიბნელის გამო. შენ გამო.*

**გამოანგარიშება** *გამოანგარიშების* (გამოიან-

გარიშებს, გამოუანგარიშებს) რაოდენობის ან სიდიდის დათვლა, განსაზღვრა. *პროცენტის გამოანგარიშება. წლოვანება გამოიანგარიშა.*

**გამოაშკარავება** *გამოაშკარავების* (გამოააშკარავებს, გამოაშკარავდება) დაფარულის გამომჟღავნება. *თავისი ზრახვები გამოააშკარავა. მისი ნამდვილი სახე გამოაშკარავდა.* ■ **გამოაშკარავებული** რაც ან ვინც გამოააშკარავეს. *გამოაშკარავებული სიმართლე. გამოაშკარავებული ვინაობა.*

**გამობანა** *გამობანის* (გამობანს, გამოიბანს) სხეულის ღრუ ნაწილების დაბანა, შიგნიდან ჭუჭყის მოცილება. *ყურები გამოიბანა.*

**გამობენტერება** *გამობენტერების* (გამობენტერდება) საუბრ. გამოშტერება, ბენტერასავით ქცევა. *სიცხისგან გამობენტერდა.* ■ **გამობენტერებული** ვინც გამობენტერდა. *გამობენტერებული დადის.*

**გამობერვა** *გამობერვის* (გამობერავს, გამოიბერება, გამოებერება) სხეულის, შენობისა და მისთ. ზედაპირზე გარკვეული ნაწილის წინ წამოწევა, გამოზნექა. *მუცელი გამოებერა. კედელი გამოიბერა.* ■ **გამობერილი** რაც გამოიბერა. *გამობერილი ჯიბე.*

**გამობერტყვა** *გამობერტყვის* (გამობერტყავს, გამოიბერტყავს, გამოიბერტყება) მტვრის, ნამცეცებისა და მისთ. შიგნიდან ბერტყვით გამოყრა. *ჩიბუხი გამობერტყა.*

**გამობმა** *გამობმის* (გამოაბამს, გამოიბამს, გამოებმება) 1. საგნის (არსების) რაიმეზე მიმაგრება, მიბმა თოკის, ჯაჭვისა და მისთ. საშუალებით. *ცხენი ღობეზე გამოაბა. ნავს ბუქსირი გამოაბეს.* 2. ხილის ნაყოფის გამოტანა. *ვაშლი გამოიბა.* ■ **გამობმული** რაც ან ვინც გამოაბეს ანდა გამოებმა. *ფორანზე გამობმული კვიცი.*

**გამობრა** *გამობრის* (გამოუბრის, გამოებრება) იგივეა, რაც გამოქვითვა. *ჰონორარიდან გამოუბარეს.*

**გამობრუნება** *გამობრუნების* (გამოაბრუნებს, გამობრუნდება) წასულის უკან მობრუნება. *შუა გ ზიდან გამობრუნდა. სა ზღვრიდან გამოაბრუნეს.*

**გამობრუჟვა** *გამობრუჟვის* (გამოიბრუჟება) საუბრ. იგივეა, რაც გამოთრობა. *კაცები არყით გამოიბრუჟნენ.*

**გამობრძანება** *გამობრძანების* (გამოაბრძანებს, გამობრძანდება) პატივისც. გამოსვლა, გამოყვანა, გამოტანა. *მეფე გამობრძანდა. ხატები გამოაბრძანეს.*

**გამობრძმედა** *გამობრძმედის* (გამოიბრძმედება) გამოცდილების შედეგად გაძლიერება, გამტკიცება, გამოწრთობა. *საქმეში გამოიბრძმედა.* ■ **გამობრძმედილი** ვინც გამოიბრძმედა. *გამობრძმედილი მებრძოლები.*

**გამობრწყინება** *გამობრწყინების* (გამობრწყინდება) ბრწყინვით გამოსვლა, გამოჩენა. *ცა ზე მზე გამობრწყინდა.*

**გამობუგვა** *გამობუგვის* (გამობუგავს) დახურულ სივრცეში მთლიანად დაბუგვა, დაწვა. *მთელი ავეჯი გამოებუგა. პირუტყვი ბოსელში გამოიბუგა.*

**გამობურცვა** *გამობურცვის* (გამოიბურცება, გამოებურცება) ცოტათი გამობერვა, გამოზნექა. *ჭრილობა გამოებურცა. კვირტები გამოიბუცა.* ■ **გამობურცული** რაც გამოიბურცა. *გამობურცული შუბლი.*

**გამოგდება** *გამოგდების* (გამოაგდებს, გამოუგდებს) 1. სადმე მყოფის იძულება, რომ იქიდან გამოვიდეს. *ბავშვი ე ზოში გამოაგდო.* 2. სასწავლებლიდან, სამუშაოდან და მისთ. გამორიცხვა, დათხოვნა. *სამსახურიდან გამოაგდეს.*

**გამოგებება** *გამოგებების* (გამოეგებება) ვინმეს შესახვედრად გამოსვლა. *დიასახლისი სტუმრებს გამოეგება.*

გამოგვა



**გამოგვა** *გამოგვის* (გამოგვის, გამოიგვება) ცოცხით, ჯაგრისითა და მისთ. სადგომის დასუფთავება, ნაგვის შიგნიდან გარეთ გამოტანა. *ოთახი გამოგავა.*

**გამოგზავნა** *გამოგ ზავნის* (გამოგზავნის, გამოაგზავნის, გამოუგზავნის, გამოიგზავნება, გამოაგზავნინებს) ვინმეს (რაიმეს) გამოშვება ან გამოტანება ჩვენთან. *ბავშვები სოფელში გამოგ ზავნა. სტუდენტები გამოგ ზავნეს. წერილი გამოგვიგ ზავნა.* ■ **გამოგზავნილი** ვინც ან რაც გამოგზავნეს. *გამოგ ზავნილი ამანათი.*

**გამოგლესა** *გამოგლესის* (გამოგლესს, გამოიგლისება) სქელი მასის შიგნიდან გამოსმა, გაგლესა. *ხის კასრი გამოგლისეს. ქოთანი ცვილით გამოგლისა.* ■ **გამოგლესილი** რაც გამოგლისეს. *გამოგლესილი ქვევრი.*

**გამოგლეჯა** *გამოგლეჯის* (გამოგლეჯს, გამოაგლეჯს, გამოიგლეჯს, გამოიგლიჯება) 1. ხელიდან ან პირიდან ძალით გამოცლა, წართმევა. *მიკროფონი ხელიდან გამოჰგლიჯეს. ძაღლს პირიდან ძვალი გამოჰგლიჯა.* 2. ქსოვილის, ქაღალდისა და მისთ. ნაწილის გამოხევა. *შარვალი გამოეგლიჯა.* ■ **გამოგლეჯილი** რაც გამოიგლიჯა. *გამოგლეჯილი ქურთუკი.*

**გამოგლოვება** *გამოგლოვების* (გამოიგლოვებს) გლოვით გამოთხოვება, გლოვის დამთავრება. *მშობლები გამოიგლოვა. გმირი მთელმა ქვეყანამ გამოიგლოვა.*

**გამოგონება** *გამოგონების* (გამოიგონებს) 1. რაიმე ახლის შექმნა, გაკეთება, შეთხზვა. *მანქანა გამოიგონეს. გამოგონების ავტორი.* 2. საუბრ. ტყუილი ამბის შეთხზვა. *განგებ გამოიგონა.* ■ **გამოგონილი, გამოგონებული** რაც გამოიგონეს. *გამოგონილი ისტორია.*

**გამოდარება** *გამოდარების* (გამოიდარებს) ავდრის შეცვლა კარგი ამინდით, დარის დადგომა. *გამოდარებას ელიან. მთელ თვეს არ გამოიდარებს.*

**გამოდგმა** *გამოდგმის* (გამოდგამს, გამოადგამს, გამოუდგამს) შიგნიდან გამოტანა და დადგმა. *სკამები ოთახიდან გამოდგეს. კარადიდან ვაზა გამოდგა.* ■ **გამოდგმული** რაც გამოდგეს. *აივანზე გამოდგმული სავარძელი.*

**გამოდგომა**[1] *გამოდგომის* (გამოუდგება) იგივეა, რაც **გამოკიდება**[2] (1). *ბავშვები მანქანას გამოუდგნენ.*

**გამოდგომა**[2] *გამოდგომის* (გამოდგება, გამოადგება) 1. ვარგისად მიჩნევა, გამოყენება. *საჭმელად გამოდგება. ფეხსაცმელი გამოადგა.* 2. ვინმეს ან რაიმეს შესახებ რაღაცის გარკვევა, დადგენა. *ჩემი თანაკლასელი გამოდგა. ნათქვამი მართალი გამოდგა.*

**გამოდება**[1] *გამოდების* (გამოსდებს, გამოედება) შეხებისას რაიმეზე გამობმა, მოდება. *ჩანთა ღობეს გამოედო. შარვალი მავთულს გამოსდო.*

**გამოდება**[2] *გამოდების* (გამოდებს) სხეის დასანახად დადება, დაწყობა, გამოფენა. *გამყიდველმა საქონელი დახლზე გამოდო.*

**გამოდევნა** *გამოდევნის* (გამოდევნის) ძალით გამოყვანა, გამოძევება. *მოსახლეობა ქალაქიდან გამოდევნეს.* ■ **გამოდევნილი** ვინც გამოდევნეს. *გამოდევნილი მოქალაქეები.*

**გამოდევნება** *გამოდევნების* (გამოადევნებს, გამოედევნება) 1. უკან გამოყოლა, დადევნება. *ბიჭი მამას გამოედევნა.* 2. გადატ. ბოლომდე, დაწვრილებით გამოკითხვა, გამოკვლევა. *ამ საკითხს აღარ გამოედევნა.*

**გამოდენა**[1] *გამოდენის* (გამოადენს, გამოედინება) სითხის უწყვეტ ნაკადად გამოსვლა, გამოყვანა, დადენა. *წვენი გამოადინა. სისხლი გამოედინა.*

**გამოდენა**[2] *გამოდენის* (გამოდენის) საქონლის, შინაური ფრინველისა და მისთ. საიდანმე გამოყვანა, გამორეკვა. *ინდაურები გამოდენეს. ეზოდან თხები გამოდენა.* ■ **გამოდენილი** რაც გამოდენეს. *გამოდენილი ხარები.*

**გამოდნობა** *გამოდნობის* (გამოადნობს, გამოდნება) მადნიდან ან სხვა მასალიდან ლითონის გამოყოფა დნობით. *ფოლადის გამოდნობა.*

**გამოვარდნა** *გამოვარდნის* (გამოვარდება, გამოუვარდება) სწრაფად, უცებ გამოსვლა. *სახლიდან გამოვარდა. ეზოდან ძაღლი გამოვარდა.*

**გამოვლა** *გამოვლის* (გამოივლის) 1. ცოტა ხნით მოსვლა. *სადილად გამოიარა. ჩვენთან გამოვლა ვერ მოასწრო.* 2. შიშის, გაჭირვების, სატანჯველისა და მისთ. გადატანა, თავს გადახდენა. *ბიფათი გამოიარეს. რაღა არ გამოიარეს.*

**გამოვლება** *გამოვლების* (გამოაყლებს, გამოივლებს) ჭურჭელში, პირში, ყელსა და მისთ. სითხის ჩასხმა, ჩაგუბება, შენჯღრევა და გადმოღვრა. *ბოთლს წყალი გამოავლო. პირში ნაყენი გამოივლო.*

**გამოვლენა** *გამოვლენის* (გამოავლენს, გამოვლინდება) დაფარულის, უხილავის დასანახად ქცევა, გამომჟღავნება, სააშკარაოზე გამოტანა. *ხარვეზები გამოავლინეს. კონკურსში გამარჯვებული გამოავლინდა.* ■ **გამოვლენილი** ვინც ან რაც გამოავლინეს. *გამოვლენილი ფაქტი.*

**გამოვლინება** *გამოვლინების* იგივეა, რაც **გამოვლენა**. *ნათელი გამოვლინება იყო.*

**გამოვსება** *გამოვსების* (გამოავსებს, გამოივსებს, გამოუვსებს, გამოივსება, გამოევსება) სათავსის მთლიანად, ბოლომდე გავსება, გამოტენა. *კარადა ტანსაცმლით გამოავსო.*

**გამოზამთრება** *გამოზამთრების* (გამოაზამთრებს, გამოიზამთრებს) ზამთარში ცხოვრება, ზამთრის გატარება. *ძველ ბინაში გამოიზამთრეს. დათვმა ბუნაგში გამოიზამთრა.*

**გამოზაფხულება** *გამოზაფხულების* (გამოიზაფხულებს, გამოზაფხულდება) 1. ზაფხულის დადგომა. *მალე გამოზაფხულდება.* 2. ზაფხულის შესაფერისად ჩაცმა. *ბავშვებმა უკვე გამოიზაფხულეს.*

**გამოზიდვა** *გამოზიდვის* (გამოზიდავს, გამოუზიდავს, გამოიზიდება) ტვირთის რამდენიმე გზად, რამდენიმე ჯერზე გამოტანა. *სახლიდან ძველი ავეჯი გამოზიდეს.* ■ **გამოზიდული** რაც გამოზიდეს. *გამოზიდული ბარგი.*

**გამოზნექა** *გამოზნექის* (გამოზნექს, გამოიზნიქება, გამოეზნიქება) სხეულის, საგნისა და მისთ. გარკვეული ნაწილის გამოწევა, გაღუნვა, გამობერვა. *გოდორი გამოიზნიქა. ჩანთა გამოიზნიქა.* ■ **გამოზნექილი** რაც გამოიზნიქა. *გამოზნექილი მუცელი.*

**გამოზოგვა** *გამოზოგვის* (გამოიზოგავს, გამოუზოგავს, გამოიზოგება, გამოაზოგვინებს) დაზოგვით გამოყენება, ცოტ-ცოტას დახარჯვა. *ფული გამოიზოგეს.* ■ **გამოზოგილი** რაც გამოიზოგეს. *გამოზოგილი საკვები.*

**გამოზრდა** *გამოზრდის* (გამოზრდის, გამოუზრდის, გამოიზრდება) იგივეა, რაც **გაზრდა** (1), **აღზრდა**. *შვილები გაჭირვებით გამოზარდა. სკოლამ მრავალი თაობა გამოზარდა.* ■ **გამოზრდილი** ვინც ან რაც გამოზარდეს. *სათბურში გამოზრდილი ვარდი.*

**გამოთაყვანება** *გამოთაყვანების* საუბრ. (გამოათაყვანებს, გამოთაყვანდება) იგივეა, რაც **გამოშტერება**. *უსაქმურობისგან გამოთაყვანდა.* ■ **გამოთაყვანებული** ვინც გამოთაყვანდა. *გამოთაყვანებული იყურება.*

**გამოთვლა** *გამოთვლის* (გამოთვლის, გამოითვლის, გამოუთვლის, გამოიითვლება, გამოათვლევინებს) რაოდენობის, ზომისა და მისთ. თვლით განსაზღვრა, გამოანგარიშება. *ავტომატური გამოთვლა. პრო-*

*ცენტი გამოთვალა.* ■ **გამოთვლილი** რაც გამოთვალეს. *გამოთვლილი ფართობი.*

**გამოთიშვა** *გამოთიშვის* (გამოთიშავს, გამოითიშება, გამოეთიშება, გამოათიშვინებს) 1. მასიდან, ჯგუფიდან და მისთ. გამოყოფა, გამოცალკევება, გამიჯვნა. *სა ზოგადოებიდან გამოთიშეს. მეგობრების წრეს გამოეთიშა.* 2. იგივეა, რაც გამორთვა. *მაცივარი გამოთიშა.* ■ **გამოთიშული** ვინც ან რაც გამოთიშეს ან გამოითიშა. *გამოთიშული ტელევიზორი.*

**გამოთლა** *გამოთლის* (გამოთლის, გამოუთლის, გამოითლება, გამოათლევინებს) ხის მასალის გათლით რაიმე საგნის გამოყვანა. *შამფური გამოთალა. ხისგან კოვზი გამოთალა.* ■ **გამოთლილი** რაც გამოთალეს. *გამოთლილი თოჯინა.*

**გამოჭიმვა** *გამოჭიმვის* (გამოჭიმავს, გამოუჭიმაეს, გამოიჭიმება, გამოეჭიმება) 1. გამოწევით გაჭიმვა. *მავთულები გამოჭიმა.* 2. საუბრ. გადატ. გამოსაჩენ, ყველასთვის დასანახ ადგილზე დადგომა ან დაჯდომა. *სუფრის თავში გამოიჭიმა.*

**გამოჭმა** *გამოჭმის* (გამოჭამს, გამოაჭამს) შიგა ნაწილის გამოცლა და შეჭმა. *პურის გული გამოჭამა. ქათამს გვერდი გამოაჭამა.* ■ გამოჭმული რაც გამოჭამეს ან გამოიჭამა. *ჩრჩილისგან გამოჭმული წიგნები.*

**გამოჭრა** *გამოჭრის* (გამოჭრის, გამოიჭრის, გამოუჭრის, გამოიჭრება, გამოაჭრევინებს) 1. ქსოვილის, ტყავის, ქაღალდისა და მისთ. დაჭრა გარკვეული ფორმის მისაცემად. *ქაღალდისგან ყვავილები გამოჭრა.* 2. სპეციალური იარაღით კედელში, კლდესა და მისთ. რაიმეს გამოკვეთა. *სარკმლის გამოჭრა. თაღი გამოჭრეს.* 3. მოულოდნელად, ერთბაშად გამოვარდნა. *ქუჩაში ყვირილით გამოიჭრნენ.* ■ გამოჭრილი რაც გამოჭრეს. *გამოჭრილი თარგი. კედელში გამოჭრილი კარადა.*

**გამოჭყეტა** *გამოჭყეტის* (გამოიჭყეტს) საიდანმე გამოხედვა, გამონათება (ჩვეულებრივ, მალულად). *ოთახიდან ქალმა გამოიჭყიტა.*

**გამოხარშვა** *გამოხარშვის* (გამოხარშავს, გამოუხარშავს, გამოიხარშება, გამოახარშვინებს) მდუღარე სითხეში გაჩერება გარკვეული დროის განმავლობაში გარეცხვის ან დეზინფექციის მიზნით. *ზეწარი გამოხარშა. შპრიცი გამოხარშა.* ■ გამოხარშული რაც გამოხარშეს. *გამოხარშული ტილო.*

**გამოხატვა** *გამოხატვის* (გამოხატავს, გამოიხატავს, გამოუხატავს, გამოიხატება, გამოეხატება, გამოახატვინებს) 1. სიხარულის, ნუხილისა და მისთ. გამომჟღავნება, გამოვლენა. *გულისტკივილის გამოხატვა. კმაყოფილება გამოხატა.* 2. გამოთქმა, გადმოცემა, გამოსახვა. *პროტესტი გამოხატეს. ყველას სურვილი გამოხატა.* ■ გამოხატული რაც ან ვინც გამოხატეს. *გამოხატული გრძნობა.*

**გამოხატულება** *გამოხატულების* რაიმეს გარეგნული გამოვლინება. *სიყვარულის გამოხატულება.*

**გამოხდა** *გამოხდის* (გამოხდის, გამოუხდის, გამოიხდება) 1. სპეციალური წესით (ორთქლის გაციებით) სითხის მიღება. *არყის გამოხდა. წყალი გამოხადეს.* 2. მცენარის გამოწურვით სითხის მიღება. *ზეთის გამოხდა.* ■ გამოხდილი რაც გამოხადეს. *გამოხდილი წყალი.*

**გამოხედვა** *გამოხედვის* (გამოიხედავს) 1. თვალის მიპყრობა. *შორიდან გამოხედავს. ფანჯრიდან გამოიხედაეს.* 2. გარეთ გამოსვლა ვინმეს შესახვედრად. *სტუმარს გამოხედა.*

**გამოხევა** *გამოხევის* (გამოხევს, გამოიხევს, გამოუხევს, გამოიხევა, გამოეხევა) ქსოვილის, ტყავისა და მისთ. გახევა და ნახევის გამოვარდნა, გამოგლეჯა. *ხალიჩა გამოიხა. ძაღლმა შარვალი გამოახია.* ■ **გამოხეული** რაც გამოხიეს. *გამოხეული წინდები.*

**გამოხეხვა** *გამოხეხვის* (გამოხეხავს, გამოიხეხავს, გამოიხეხება) შიგნიდან გახეხვა. *ქვაბი გამოხეხა. კბილები გამოიხეხა.*

**გამოხვევა** *გამოხვევის* (გამოუხვევს) მიმართულების შეცვლა, სხვა მიმართულებით წამოსვლა. *მანქანამ ჩვენს ქუჩაზე გამოუხვია.*

**გამოხვეტა** *გამოხვეტის* (გამოხვეტს, გამოიხვეტება) თოხით, ნიჩბითა და მისთ. ნაგვის გამოტანა, გამოსუფთავება. *საქათმე გამოხვეტა.* ■ **გამოხვეტილი** რაც გამოხვეტეს. *გამოხვეტილი ეზო.*

**გამოხვრა** *გამოხვრის* (გამოხვრავს, გამოიხვრება) 1. კბილებით მაგარი საგნის დაქუცმაცება. *თაგვმა ფიცარი გამოხვრა.* 2. ძვალზე შერჩენილი ხორცის კბილებით მოცილება. *ძაღლმა ძვალი გამოხვრა.* ■ **გამოხვრული** რაც გამოხვრეს. *გამოხვრული ხე.*

**გამოხვრეტა** *გამოხვრეტის* (გამოხვრეტს, გამოიხვრიტება) ხვრელის, ღრუს გაკეთება (აქეთა მიმართულებით). *კედელი ბურღით გამოხვრიტეს.*

**გამოხიზვნა** *გამოხიზვნის* (გამოხიზნავს, გამოიხიზნება) საცხოვრებელი ადგილის დატოვება და წამოსვლა (წამოყვანა) თავდასაცავად, გამორიდება. *ქალები და ბავშვები გამოხიზნეს. ხალხი სოფლიდან გამოიხიზნა.* ■ **გამოხიზნული** ვინც გამოიხიზნა ან გამოხიზნეს. *გამოხიზნული მოხუცები.*

**გამოხმაურება** *გამოხმაურების* (გამოეხმაურება) სიახლის შესახებ შექმნილი აზრის გამოთქმა ზეპირად ან წერილობით. *დიდი გამოხმაურება მოჰყვა. მომხდარს საზოგადოება გამოეხმაურა.*

**გამოხმობა**[1] *გამოხმობის* (გამოახმობს, გამოხმება) გახმობა, გამოშრობა, გამოფიტვა. *პური გამოხმა.*

**გამოხმობა**[2] *გამოხმობის* (გამოიხმობს) შიგნით მყოფის დაძახებით გამოყვანა. *მასპინძელი გამოიხმო.*

**გამოხოხება** *გამოხოხების* (გამოახოხებს, გამოხოხდება) ხოხვით გამოსვლა. *ბავშვი ოთახიდან გამოხოხდა.*

**გამოხსნა** *გამოხსნის* (გამოიხსნის) გაჭირვებული, მძიმე მდგომარეობისგან გათავისუფლება. *ტყვეობიდან გამოიხსნეს. პატიმარი ციხიდან გამოიხსნა.*

**გამოხტომა** *გამოხტომის* (გამოხტება, გამოუხტება) 1. ხტომით გამოსვლა. *ციყვი გზაზე გამოხტა.* 2. საუბრ. გადატ. მოულოდნელად, უეცრად გამოჩენა. *ახალი პრობლემა გამოუხტა.*

**გამოხურვა** *გამოხურვის* (გამოხურავს, გამოიხურავს, გამოიხურება) გამოსვლა და დახურვა. *კარი გამოიხურა.* ■ **გამოხურული** რაც გამოხურეს ან გამოიხურა. *გამოხურული ფანჯარა.*

**გამოჯავრება** *გამოჯავრების* (გამოაჯავრებს) ვინმეს მიბაძვა ხუმრობით ან დაცინვით. *სხვების გამოჯავრება ეხერხება. ახალგაზრდამ მოხუცს გამოაჯავრა.*

**გამოჯანმრთელება** *გამოჯანმრთელების* (გამოაჯანმრთელებს, გამოჯანმრთელდება) ავადმყოფის მორჩენა, ჯანმრთელობის დაბრუნება. *მალე გამოჯანმრთელდა.*

**გამოჯანსაღება** *გამოჯანსაღების* (გამოაჯანსაღებს, გამოჯანსაღდება) გამოჯანმრთელება, კარგად გახდომა. *ავადმყოფი გამოჯანსაღდა.* ■ **გამოჯანსაღებული** ვინც გამოჯანსაღდა. *სახლში გამოჯანსაღებული დაბრუნდა.*

**გამუქლავნება** *გამუქლავნების* (გაამუქლავნებს, გაუმუქლავნებს, გამუქლავნდება) 1. დაფარულის თქმა, გამხელა, გამოაშკარავება. *სურვილი გაუმუქლავნა. ვინაობა არ გაამუქლავნა.* 2. გამოსახულების გამოჩენა ქიმიური დამუშავების საშუალებით. *ფირი გაამუქლავნა.* ■ **გამუქლავნებული** რაც გაამუქლავნეს. *გამუქლავნებული ფოტო. გამუქლავნებული საიდუმლო.*

**გამრავლება** *გამრავლების* (გაამრავლებს, გაიმრავლებს, გამრავლდება) 1. მრავლად, ბევრად ქცევა. *შთამომავლობის გამრავლება. ტყეში ირემი გამრავლდა.* 2. მათემატიკური მოქმედება, ერთი და იმავე რიცხვის რამდენჯერმე აღება და მიმატება. *წილადების გამრავლება.* ■ **გამრავლებული** ვინც ან რაც გაამრავლეს ან გამრავლდა. *ხელოვნურად გამრავლებული ფრინველი.*

**გამრთობი** *გამრთობის* მხიარული, გართობის მოყვარული, ვინც თვითონაც ერთობა და სხვასაცართობს. *გამრთობი კაცი.*

**გამრუდება** *გამრუდების* (გაამრუდებს, გაუმრუდებს, გამრუდდება, გაუმრუდდება) სწორის გაღუნვა, მოხრა. *ხერხემლის გამრუდება. ხაზი გაამრუდა.* ■ **გამრუდებული** რაც გამრუდდა. *გამრუდებული მავთული.*

**გამრჯე** *გამრჯის* მშრომელი, შრომისმოყვარე. *გამრჯე მშობლები ჰყავს.*

**გამსჭვალვა** *გამსჭვალვის* (გამსჭვალავს, გაიმსჭვალება, გაემსჭვალება) იგივეა, რაც **განმსჭვალვა**. *სიყვარულით გაიმსჭვალა. პატივისცემით გაიმსჭვალა.* ■ **გამსჭვალული** ვინც გაიმსჭვალა. *ზიზღით გამსჭვალული. სიამაყით გამსჭვალული.*

**გამსხვილება** *გამსხვილების* (გაამსხვილებს, გამსხვილდება, გაუმსხვილდება) სისქის, მოცულობის მომატება, მსხვილად ქცევა, გადიდება. *ხეს ტოტები გაუმსხვილდა. წარმოება გამსხვილდა.* ■ **გამსხვილებული** რაც გამსხვილდა. *გამსხვილებული ფესვები.*

**გამტანი** *გამტანის* ერთგული, გაჭირვებაში დამხმარე. *მეგობრის გამტანი.*

**გამტარი** *გამტარის* ნივთიერება, რომელიც ატარებს ელექტრობას, სითბოსა და მისთ. *გამტარი მიუერთა. სპილენძის გამტარი.*

**გამტარუნარიანობა** *გამტარუნარიანობის* ნივთიერების თვისება, გაატაროს დენი, სითბო და მისთ. *მაღალი გამტარუნარიანობა. ცუდი გამტარუნარიანობა.*

**გამტვრევა** *გამტვრევის* (გაამტვრევს, გაიმტვრევა) ზღუდის, კედლისა და მისთ. გატეხა. *ფანჯრის მინა გაამტვრია. ლობე გაამტვრიეს.*

**გამტვრიანება** *გამტვრიანების* (გაამტვრიანებს, გამტვრიანდება) მტვრით დაფარვა. *ავეჯი გამტვრიანდა. მუშები გამტვრიანდნენ.* ■ **გამტვრიანებული** რაც ან ვინც გამტვრიანდა. *გამტვრიანებული ფეხსაცმელი.*

**გამტკიცება** *გამტკიცებულის* (გაამტკიცებს, გაიმტკიცებს, გაუმტკიცებს, გამტკიცდება, გაუმტკიცდება) მტკიცედ ქცევა, გაძლიერება. *კანონის გამტკიცება. კავშირი გაამტკიცეს.* ■ **გამტკიცებული** რაც გაამტკიცეს ან გამტკიცდა. *გამტკიცებული მეგობრობა.*

**გამტკნარებული** *გამტკნარებულის* დიდი განცდის ან ავადმყოფობის გამო სახეზე ფერდაკარგული, გაფითრებული. *გამტკნარებული იერი.*

**გამტყუნება** *გამტყუნების* (გაამტყუნებს, გამტყუნდება) ბრალის დადება, დადანაშაულება, მტყუნად გამოყვანა. *მშობლები გაამტყუნა. სასამართლოში გაამტყუნეს.* ■ **გამტყუნებული** ვინც გაამტყუნეს. *გამტყუნებული ქალი.*

**გამუდმებით** ზმნზ. მუდმივად, განუწყვეტლივ. *გამუდმებით ჩასჩიჩინებს.*

**გამუდმებული** *გამუდმებულის* შეუწყვეტელი, ხანგრძლივად მიმდინარე. *გამუდმებული წვიმები. გამუდმებული ფიქრები. გამუდმებული ჯაფა.*

**გამურვა** *გამურვის* (გამურავს, გაიმურება, გაემურება) მურით დაფარვა, გაშავება, გაჭუჭყიანება. *ფანჯარა გაიმურა. ხელები გაემურა.* ■ **გამურული** რაც ან ვინც გაიმურა. *გამურული ჭერი.*

**გამუქება** *გამუქების* (გაამუქებს, გამუქდება) 1. ფერისთვის სიმუქის მომატება. *შრიფტი გაამუქა.* 2. გადატ. გადამეტება, გაზვიადება (უმეტესად უარყოფითი მნიშვნელობით). *სიტუაცია გაამუქეს. მომხდარი შეგნებულად გაამუქა.* ■ **გამუქებული** რაც გაამუქეს. *გამუქებული საღებავი.*

**გამქირდავი** *გამქირდავის* დამცინავი, უპატივცემულობის გამომხატველი. *გამქირდავი ღიმილი. გამქირდავი საუბარი.*

**გამყარება** *გამყარების* (გაამყარებს, გამყარდება) მყარად ქცევა, გამაგრება, გამტკიცება. *მოსაზრება არგუმენტებით გაამყარა. პოზიცია გაიმყარეს. ურთიერთობა გამყარდა.* ■ **გამყარებული** რაც გამყარეს. *გამყარებული ვალუტა.*

**გამყიდველი** *გამყიდველის* 1. მაღაზიის მუშაკი, რომელიც ყიდის საქონელს. *გამყიდველად მუშაობს.* 2. მოღალატე, ორგული. *სამშობლოს გამყიდველი.*

**გამყივანი** *გამყივანის* უსიამოვნოდ მაღალი, ყივილის მსგავსი (ხმა). *გამყივანი ძახილი.*

**გამყინავი** *გამყინავის* ძალიან ცივი, რაც ყინავს. *გამყინავი ქარი.*

**გამყინვარება** *გამყინვარების* ძალიან ძლიერი ყინვა, ყინულით დაფარვა. *გამყინვარების პერიოდი.*

**გამყოლი** *გამყოლის* გზის მაჩვენებელი, თანმხლები. *მთაში გამყოლი ახლდათ.*

**გამყოფი** *გამყოფის* რაც ორად ყოფს. *გამყოფი ზოლი.*

**გამშვენება** *გამშვენების* (გაამშვენებს, გაუმშვენებს, გამშვენდება) შემკობა, მორთვა, გალამაზება. *ქალაქების გამშვენება. გზა ყვავილებით გაამშვენეს.* ■ **გამშვენებული** რაც გაამშვენეს. *ფრესკებით გამშვენებული ტაძარი.*

**გამშრალება** *გამშრალების* (გაამშრალებს, გაიმშრალებს, გაუმშრალებს, გამშრალდება) პირსახოცის, ტილოსა და მისთ. წასმით სისველის მოცილება. *ხელები გაიმშრალა. ბოთლი გაამშრალა.*

**გამშრალი** *გამშრალის* რაც ან ვინც გაშრა. *სარეცხი გაშრა. მიწა გაშრა. კაბა უთოთი გააშრო.*

**გამძაფრება** *გამძაფრების* (გაამძაფრებს, გამძაფრდება) სიმძაფრის მომატება, გაძლიერება. *დისკუსიის გამძაფრება. ტკივილი გაუმძაფრდა. ეჭვი გაუმძაფრდა.* ■ **გამძაფრებული** რაც გამძაფრდა. *გამძაფრებული ყნოსვა.*

**გამძვინვარება** *გამძვინვარების* (გამძვინვარდება) ძლიერ გაბრაზება, მძვინვარედ ქცევა, გაშმაგება. *მტერი გამძვინვარდა.*

**გამძვინვარებული** *გამძვინვარებულის* 1. ძალიან გაბრაზებული, აგრესიული. *გამძვინვარებული ლომი. გამძვინვარებული იბრძოდა.* 2. გადატ. ძალიან აღელვებული, ადიდებული (ზღვა, მდინარე, ამინდი). *გამძვინვარებული ტალღები. გამძვინვარებული ქარი.*

**გამძვრალი** *გამძვრალის* ვინც ან რაც გაძვრა. *სოროდან გამძვრალი თაგვი.*

**გამძლე** *გამძლის* მაგარი, მტკიცე, ამტანი. *გამძლე ფეხსაცმელი. ჭირში გამძლე.*

**გამძლეობა** *გამძლეობის* გაძლების უნარი. *გამძლეობა ახასიათებს. გამძლეობას მიეჩვია.*

**გამძღარი** *გამძღრის* ვინც გაძღა, საკმარისი ჭამა ან დალია. *გამძღარი ცხვარი.*

**გამძღვარება** *გამძღვარების* (გაიმძღვარებს) სხვისი წინ გაშვება და უკან მიყოლა. *შვილი წინ გაიმძღვარა.*

**გამწარება** *გამწარების* (გაამწარებს, გაიმწარებს, გაუმწარებს, გამწარდება, გაუმწარდება) 1. მწარე გე-

მოს მიცემა, მწარედ ქცევა. *საჭმელი გაუმწარდა.* 2. დიდი წყენა, უბედურების განცდა. *ნათქვამმა გაამწარა. სიცოცხლე გაუმწარდა.* ▲ **გამწარებით** ზმნზ. მძაფრად, თავგამოდებით. *გამწარებით იცავდა თავს.*

**გამწარებული** *გამწარებულის* 1. ვინც / რაც გაამწარეს ან გამწარდა. *გამწარებული დედა. წიწაკისგან გამწარებული კერძი.* 2. გადატ. გაცხარებული, გამალებული, აფორიაქებული. *გამწარებული წერდა.*

**გამწესება** *გამწესების* (გაამწესებს) ოფიციალურად ან იძულებით გაგზავნა. *ახალ სამსახურში გაამწესეს. ციმბირში გაამწესეს. კლინიკაში სამკურნალოდ გაამწესეს.* ■ **გამწესებული** ვინც გაამწესეს. *რაიონში გამწესებული მოსამართლე.*

**გამწვავება** *გამწვავების* (გაამწვავებს, გამწვავდება, გაუმწვავდება) სიმწვავის მომატება, გართულება. *ავადმყოფობა გაუმწვავდა. სიტუაციის გამწვავება.* ■ **გამწვავებული** რაც გამწვავდა. *გამწვავებული ურთიერთობები.*

**გამწვანება** *გამწვანების* (გაამწვანებს, გამწვანდება, გაუმწვანდება) 1. მწვანე ფერის მიღება. *ხეები გამწვანდა. საღებავით თითები გაუმწვანდა.* 2. ნარგავების გაშენება. *ქალაქის გამწვანება. ქუჩები გაამწვანეს.* ■ **გამწვანებული** რაც გამწვანდა. *გამწვანებული სკვერი.*

**გამკრივება** *გამკრივების* (გაამკრივებს, გამკრივდება) მკრივად დადგომა ან დაყენება. *სკამები კედლთან გაამკრივეს. ფეხბურთელები კართან გამკრივდნენ.* ■ **გამკრივებული** რაც ან ვინც გამკრივდა. *გამკრივებული ჯარისკაცები.*

**გამმენდი** *გამმენდის* მოწყობილობა, რომელიც დაბინძურებულ წყალს ან სხვა ნივთიერებას მინარევებისგან ასუფთავებს. *გამწმენდი ნაგებობა.*

**გამწყრალი** *გამწყრალის* გაჯავრებული, გაბრაზებული. *ჩემზეა გამწყრალი.*

**გამჭვირვალე** *გამჭვირვალის* ძალიან სუფთა, კამკამა, რაშიც გახედვა ან რაიმეს დანახვა შეიძლება. *გამჭვირვალე სითხე. გამჭვირვალე ქსოვილი. გამჭვირვალე მინა.*

**გამჭვირვალობა** *გამჭვირვალობის* სიცხადე, ყველასთვის ადვილად დასანახობა. *ქსოვილის გამჭვირვალობა. პროცესის გამჭვირვალობა.*

**გამჭიანურებელი** *გამჭიანურებლის* ვინც აჭიანურებს. *საქმის გამჭიანურებელი კაცი.*

**გამჭოლი** *გამჭოლის* რაიმეში გამავალი. *გამჭოლი ჭრილობა.* ◉ **გამჭოლი ქარი** ორპირი, ორივე მხრივ ღია შენობაში გამავალი ქარი.

**გამჭრიახი** *გამჭრიახის* გონიერი, ჭკვიანი, ყველაფრის მხედველი, ძლიერი აზროვნების მქონე. *გამჭრიახი კაცი. გამჭრიახი გონება. გამჭრიახი აზროვნება.*

**გამჭრიახობა** *გამჭრიახობის* გონიერება, ყველაფრის დანახვისა და სიტუაციაში სწორად გარკვევის უნარი. *დიდი გამჭრიახობა გამოიჩინა.*

**გამხდარი** *გამხდრის* ვინც ან რაც გახდა. *გამხდარი ბავშვი. გამხდარი ძაღლი. გამხდარი სახე.* ↔ მსუქანი.

**გამხელა** *გამხელის* (გაამხელს, გაუმხელს) დაფარულის გამოცხადება, გამჟღავნება. *საიდუმლო გაამხილა. სიმართლის გამხელა ვერ გაბედა.* ■ **გამხელილი** რაც გაამხილეს, გამოამჟღავნეს. *გამხელილი დანაშაული.*

**გამხეცება** *გამხეცების* (გაამხეცებს, გამხეცდება) მხეცივით მოქცევა, ადამიანის სახის, შებრალების უნარის დაკარგვა, გამძვინვარება. *შვილის საქციელმა გაამხეცა. სიბრაზისგან გამხეცდა.* ■ **გამხეცებული** ვინც გამხეცდა. *გამხეცებული ბრბო.*

**გამხიარულება** *გამხიარულების* (გაამხიარულებს, გაუმხიარულებს, გამხიარულდება) მხიარულ, ხალისიან გუნებაზე დადგომა. *სიმღერამ გაამხიარულა. ახალგაზრდები გამხიარულდნენ.* ■ **გამხიარულებული** ვინც გამხიარულდა. *გამხიარულებული მგზავრები.*

**გამხმარი** *გამხმარის* რაც ან ვინც გახმა ან გაახმეს. *გამხმარი ხე.*

**გამხნევება** *გამხნევების* (გაამხნევებს, გაუმხნევებს, გამხნევდება, გაუმხნევდება) სიმხნევის მომატება, გაძლიერება, ნუგეშისცემა. *ჭირისუფლები გაამხნევეს. მეომრები გამხნევდნენ.* ■ **გამხნევებული** ვინც გაამხნევეს ან გამხნევდა. *გამხნევებული ფეხბურთელები.*

**გამხსნელი** *გამხსნელის* სითხე, რომელშიც სხვა ნივთიერებები იხსნება. *გამხსნელებს ხმარობს. სპირტი კარგი გამხსნელია.*

**გამჯდარი** *გამჯდარის* ვისაც რაიმე გაუჯდა. *სხეულში სიცივე აქვს გამჯდარი.*

**განა** ნაწილაკ. 1. გამოხატავს გაკვირვებას, კითხვას. *განა ყველანი მოვიდნენ?* 2. გამოიყენება უარყოფითი („არ" და „ვერ" ნაწილაკებით გამოხატული) აზრის გასაბათილებლად. *განა არ მოვიტან! განა ამას ვერ ნახავენ!*

**განაბვა** *განაბვის* (განაბავს, გაინაბავს, გაინაბება) უძრავად, წყნარად გაჩერება და გაჩუმება. *ქალი გაინაბა.* ■ **განაბული** ვინც ან რაც გაინაბა. *მზეზე განაბული კატა.*

**განადგურება** *განადგურების* (გაანადგურებს, გაუნადგურებს, განადგურდება) მთლიანად მოსპობა. *ძეგლების განადგურება. მოსახლეობა გაანადგურეს. ტყე განადგურდა.* ■ **განადგურებული** რაც ან ვინც განადგურდა. *განადგურებული მტერი.*

**განავალი** *განავლის* ორგანიზმიდან საჭმლის მონელების შემდეგ გამოყოფილი ნივთიერება. *კამეჩის განავალი. ძაღლის განავალი.*

**განავარდება** *განავარდების* (გაანავარდებს, გაინავარდებს) ნავარდით წასვლა, თავისუფლად, ლაღად გავლა, გაქცევა. *ცხენმა გაინავარდა. ბავშვებმა ეზოში გაინავარდეს.*

**განაზება** *განაზების* (გაანაზებს, გაინაზება, გაენაზება, განაზდება, გაუნაზდება) 1. სინაზის მომატება. *გოგო განაზდა. კანი გაუნაზდა. ხმა გაუნაზდა.* 2. შეთავაზებულზე დარცხვენით უარის თქმა, გაპრანჭვა. *გაინაზა და ფული არ აიღო. გაინაზა და არ შეჭამა.* ■ **განაზებული** რაც ან ვინც განაზდა. *განაზებული ქალიშვილი.*

**განათება** *განათების* (გაანათებს, გაინათებს, გაუნათებს, განათდება, გაუნათდება) სიბნელის სინათლით შეცვლა, სინათლის მოფენა. *ცა განათდა. მზემ არემარე გაანათა.* ■ **განათებული** რაც განათდა. *განათებული ქუჩები.*

**განათლება** *განათლების* (გაანათლებს, განათლდება) 1. სწავლის გზით ცოდნის მიღება. *კარგი განათლება აქვს მიღებული. პროფესიული განათლება.* 2. იგივეა, რაც ცხონება. *ღმერთმა გაანათლოს!*

**განათლებული** *განათლებულის* ვისაც განათლება აქვს მიღებული. *განათლებული ახალგაზრდობა.*

**განათხოვრება** *განათხოვრების* (გაანათხოვრებს) საუბრ. რაიმეს თხოვება. *წიგნები გაანათხოვრა.* ■ **განათხოვრებული** რაც გაანათხოვრეს. *განათხოვრებული ჩანთა.*

**განაკვეთი** *განაკვეთის* ერთი მომუშავე პირის მიერ შესასრულებელი სამუშაოს მოცულობა, სამუშაო ნორმა. *სრული განაკვეთი. მასწავლებლის განაკვეთი. ნახევარი განაკვეთი.*

**განაპირა** *განაპირას* არა ცენტრალურ ადგილას მყოფი ან არსებული. *განაპირა სახლები. განაპირა ხეები.*

**განაპირება** *განაპირების* (გაინაპირებს, განაპირდება, გაუნაპირდება) ჩამოშორება, განზე გადგომა, გარიყვა. *ოჯახს გაუნაპირდა. ამხანაგებმა გაინაპირეს.* ■ **განაპირებული** ვინც განაპირდა ან გაინაპირეს. *ყველასგან განაპირებული ცხოვრობდა.*

**განასკვა** *განასკვის* (განასკვავს, გაინასკვება, გაენასკვება) ნასკვის გაკეთება, ნასკვით შეკვრა, გადაბმა. *ძაფი განასკვა. თოკები განასკვა.* ■ **განასკვული** რაც განასკვეს. *განასკვული თასმები.*

**განაღდება** *განაღდების* (გაანაღდებს, გაინაღდებს, გაუნაღდებს, განაღდდება, გაანაღდებინებს) 1. საქონლის, ფასიანი ქაღალდების გაყიდვა და ნაღდ ფულად ქცევა. *ჩეკი გაუნაღდეს.* 2. საუბრ. მომავალი გამარჯვების, წარმატებისა და მისთ. უზრუნველყოფა. *ჩემპიონობა გაინაღდა. ოქროს მედალი გაინაღდა.* ■ **განაღდებული** რაც გაანაღდეს ან გაინაღდეს. *განაღდებული კაპიტალი. პირველი ადგილი განაღდებული აქვს.*

**განაღმვა** *განაღმვის* (განაღმავს, გაინაღმება) დანაღმულ ტერიტორიაზე ნაღმების გაუვნებელყოფა. *ხიდის განაღმვა. რკინიგზა განაღმეს.* ■ **განაღმული** რაც განაღმეს. *განაღმული მინდორი.*

**განაყარი** *განაყარის* 1. იგივეა, რაც განაყოფი. *ოჯახის განაყარი. გვარის განაყარი.* 2. განაყარის (1) წარმომადგენელი, შორეული ნათესავი. *ჩემი განაყარია.*

**განაყოფი** *განაყოფის* 1. ოჯახის, გვარის, თემის და მისთ. ნაწილი, რომელიც ძირითადს გამოეყო და ცალკე ცხოვრობს. *ოჯახის განაყოფი.* 2. ერთი რიცხვის მეორეზე გაყოფით მიღებული რიცხვი. *განაყოფი მთელი რიცხვია.*

**განაყოფიერება** *განაყოფიერების* (გაანაყოფიერებს, განაყოფიერდება) 1. მდედრობითი და მამრობითი უჯრედების შერწყმით ნაყოფის წარმოქმნა. *ხელოვნური განაყოფიერება. მცენარეთა განაყოფიერება.* 2. ნაყოფის მოცემის უნარის შეძენა, მომატება. *ნიადაგის განაყოფიერება.* ■ **განაყოფიერებული** რაც ან ვინც განაყოფიერდა. *განაყოფიერებული უჯრედი.*

**განაჩენი** *განაჩენის* სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება. *საბოლოო განაჩენი. სამართლიანი განაჩენი.*

**განაცხადი** *განაცხადის* 1. წინასწარი წერილობითი თხოვნა ან მოთხოვნა რაიმეს მისაღებად. *საქონლის მიღების განაცხადი.* 2. წერილობითი დოკუმენტი რაიმე ღონისძიებაში მონაწილეობის სურვილის შესახებ. *კონკურსში მონაწილეობის განაცხადი.*

**განაწესი** *განაწესის* დაწესებულების ან ორგანიზაციის ხელმძღვანელობის მიერ შედგენილი დოკუმენტი, რომელშიც ასახულია თანამშრომელთა უფლებები და ვალდებულებები. *საწარმოს განაწესი. ინსტიტუტის განაწესი.*

**განაწილება** *განაწილების* (გაანაწილებს, გაინაწილებს, გაუნაწილებს, განაწილდება, გაუნაწილდება) დაყოფა და ყველასთვის თავისი წილის მიცემა. *შემოსავლის განაწილება. საჩუქრები გაუნაწილეს.* ■ **განაწილებული** რაც გაანაწილეს. *განაწილებული ქონება.*

**განაწყენება** *განაწყენების* (გაანაწყენებს) გაბრაზება, წყენა. *მეგობრები გაუნაწყენდნენ. მასწავლებელი გაანაწყენა.* ■ **განაწყენებული** ვინც განაწყენდა. *განაწყენებული სტუმარი.*

**განახევრება** *განახევრების* (გაანახევრებს, გაუნახევრებს, განახევრდება, გაუნახევრდება) მოცულობის, სიგრძისა და მისთ. ნახევრამდე შემცირება, ნახევრად ქცევა. *ქონების განახევრება. სასჯელი გაუნახევრეს.* ■ **განახევრებული** რაც განახევრდა. *განახევრებული ფასები.*

**განახლება** *განახლების* (განაახლებს, განუახლებს, განახლდება, განუახლდება) 1. ხელახლა დაწყება, დაწყებულის გაგრძელება. *შეტევა განაახლეს. ნაცნობობა განაახლეს. ტკივილი განუახლდა.*

*ეჭვი განუახლდა.* 2. ძველის აღდგენა, ახლით შეცვლა ან შევსება, ახლის დამატება. *სისტემის განახლება. დასის შემადგენლობა განაახლეს. ქალაქი განახლდა.* ■ **განახლებული** რაც განაახლეს. *განახლებული წესები.*

**განბანა** *განბანის* (განბანს, განიბანება) რიტუალური დაბანა, გასუფთავება. *ჩვილის განბანა. სინანულით განიბანა.* ■ **განბანილი** ვინც განბანეს. *განბანილი მიცვალებული.*

**გან-გან** ზმნზ. უფრო და უფრო განზე. *გან-გან მიიწევს.*

**განგაში** *განგაშის* I. საყოველთაო გაფრთხილება მოსალოდნელი საშიშროების შესახებ. *განგაშის დაწყება.* 2. რაიმე ფაქტის, მოვლენის გამო ატეხილი ხმაური, აურზაური, მღელვარება. *განგაში ატყდა.*

**განგებ** ზმნზ. საგანგებოდ, განზრახ. *განგებ იგვიანებს.*

**განგება**[1] *განგების* უზენაესის, ღმერთის ნება. *ღვთის განგებით. განგების ძალით.*

**განგება**[2] *განგების* (განაგებს) მართვა, ხელმძღვანელობა. *სამინისტროს განაგებს. საკანცელარიო საქმეებს განაგებს.*

**განგმირვა** *განგმირვის* (განგმირავს, განიგმირება) წიგნ. იარაღით მოკვლა. *დანით გული განუგმირა. ისრით განგმირა.* ■ **განგმირული** ვინც განგმირეს. *ტყვიით განგმირული მეომარი.*

**განგრევა** *განგრევის* (გაანგრევს, გაუნგრევს, გაინგრევა, გაანგრევინებს) ზღუდის შიგნიდან გარეთ დანგრევა. *კედლის განგრევა. ჯებირები გაანგრია.*

**განგრენა** *განგრენის* მედიც. ცოცხალი არსების ქსოვილის კვდომა. *განგრენა დაემართა.*

**განგრძობა** *განგრძობის* (განაგრძობს) გაგრძელება. *კითხვას განაგრძობს.*

**განგსტერი** *განგსტერის* განსაკუთრებით საშიში ბოროტმოქმედი, მძარცველი, ბანდიტი. *განგსტერები დაესხნენ თავს.* ■ **განგსტერული** განგსტერის დამახასიათებელი. *განგსტერული შესახედაობა.* შეცდომაა განქსტერი.

**განდგომა** *განდგომის* (განუდგება) კავშირის გაწყვეტა, დაპირისპირება. *ერისთაველები მეფეს განუდგნენ. მეგობრებს განუდგა.*

**განდეგილი** *განდეგილის* ბერი, რომელიც განცალკევებით ცხოვრობს და მოღვაწეობს. *განდეგილის სენაკი.*

**განდეგილობა** *განდეგილობის* განდეგილად ყოფნა.

**განდევნა** *განდევნის* (განდევნის, განიდევნება) ვინმეს იძულება, რომ დატოვოს ესა თუ ის ადგილი, გაძევება. *სამოთხიდან განდევნა. სახელმწიფოდან განდევნეს.*

**განდიდება** *განდიდების* (განადიდებს, განდიდდება) წიგნ. ქება, დიდება, ხოტბის შესხმა. *ღმერთის განდიდება. პოეტი განადიდეს.* ■ **განდიდებული** რაც ან ვინც განადიდეს. *განდიდებული პიროვნება.*

**განდობა** *განდობის* (გაანდობს, გაენდობა) ვინმესთვის რაიმეს გამჟღავნება, გამხელა, ნდობა. *საიდუმლოს განდობა. გეგმები გაანდო.*

**განებება** *განებების* (გაანებებს) ⊙ **თავს გაანებებს** მიტოვებს, ნებაზე მიუშვებს.

**განებივრება** *განებივრების* (გაანებივრებს, გაუნებივრებს, განებივრდება) გადამეტებული ყურადღებით, ზრუნვით გათამამება. *ფუფუნებამ გაანებივრა. შვილები გაანებივრეს.* ■ **განებივრებული** ვინც გაანებივრეს. *განებივრებული ბავშვი.*

**განედი** *განედის* მანძილი ეკვატორიდან ჩრდილოეთ ან სამხრეთ პოლუსისკენ (მერიდიანის მიმართულებით), გამოიხატება გრადუსებით. *ჩრდილოეთის განედი.*

**განეიტრალება** *განეიტრალების* ძალის, გავლენის მოსპობა, ზემოქმედების გაბათილება. *ბომბის განეიტრალება. სიტუაცია გაანეიტრალეს.* ■ **განეიტრალებული** ვინც ან რაც გაანეიტრალეს. *განეიტრალებული დაძაბულობა.*

**განელება** *განელების* (გაანელებს, გაინელებს, გაუნელებს, განელდება, გაუნელდება) I. ცივის ცხელში შერევა. *წყალი გაანელა.* 2. სიმხურვალის მოკლება, შესუსტება. *ცეცხლი განელდა.* 3. გადატ. გრძნობის, ემოციისა და მისთ. სიმძაფრის შესუსტება. *სევდა გაუნელდა. ინტერესი გაუნელდა.* ■ **განელებული** რაც განელდა. *განელებული გრძნობა.*

**განერბვა** *განერბვის* (განერბავს, გაინერბება) ცხვრის დამაკება. *ცხვარი გაინერბა.*

**განერვიულება** *განერვიულების* (გაანერვიულებს, განერვიულდება) აღელვება, გაბრაზება. *მისმა ქცევამ გაანერვიულა.* ■ **განერვიულებული** ვინც განერვიულდა, გაბრაზდა. *განერვიულებული მოხუცი.*

**განვითარება** *განვითარების* (განავითარებს, განუვითარებს, განვითარდება, განუვითარდება) I. გაუმჯობესება, სრულყოფა, ახალ საფეხურზე გადასვლა. *ცხოვრება განვითარდა.* 2. გაფართოება, გავრცობა, გაძლიერება. *წარმოების განვითარება. სოფლის მეურნეობა განვითარდა.* 3. ფიზიკურად, გონებრივად ან სულიერად გაზრდა. *მოზარდთა განვითარება. ჩანასახი განვითარდა.* ■ **განვითარებული** რაც ან ვინც განვითარდა. *განვითარებული ქვეყნები.*

**განვრცობა** *განვრცობის* (განავრცობს, განივრცობა) წიგნ. ვრცლად გადმოცემა, გაშლა, გაფართოება. *აზრის განვრცობა. თემა განავრცო.*

**განზავება** *განზავების* (განაზავებს, განზავდება) იგივეა, რაც გაზავება. *წამლის განზავება.* ■ **განზავებული** რაც განაზავეს. *განზავებული ხსნარი.*

**განზიდვა** *განზიდვის* (განიზიდავს, განიზიდება) ერთმანეთზე ზემოქმედების ძალა, რომელიც ინვევს დაშორებას. *ნაწილაკების განზიდვა. მთელი ძალით განიზიდავენ.*

**განზოგადება** *განზოგადების* (განაზოგადებს, განზოგადდება) რაიმეს ზოგადი სახით წარმოდგენა. *ფაქტების განზოგადება. სათქმელი განაზოგადა.* ▪ **განზოგადებული** რაც განაზოგადეს. *განზოგადებული თემა.*

**განზრახ** ზმნზ. წინასწარ მოფიქრებით, გამიზნულად. *საქმე განზრახ გააჭიანურეს.*

**განზრახვა** *განზრახვის* (განიზრახავს) რაიმეს გაკეთების სურვილი, გადაწყვეტილება. *ცუდი განზრახვა. სახლის აშენება განი ზრახა.* ▪ **განზრახული** რაც განიზრახეს, ჩაიფიქრეს. *განზრახული აქვს.*

**განთავისუფლება** *განთავისუფლების* (განათავისუფლებს, განთავისუფლდება) იგივეა, რაც გათავისუფლება. *ქვეყნის განთავისუფლება. თანამდებობიდან განთავისუფლდა.* ▪ **განთავისუფლებული** რაც ან ვინც განთავისუფლდა. *განთავისუფლებული მძევლები.*

**განთიადი** *განთიადის* ადრიანი დილა. *განთიადს შეეგებნენ.* ▲ **განთიადზე, განთიადისას** ზმნზ. განთიადის დროს. *განთიადზე მამალმა იყივლა.*

**განთქმული** *განთქმულის* იგივეა, რაც გამოჩენილი. *განთქმული მწერალი. განთქმული ქველმოქმედი. განთქმული მეცნიერი.*

**განი**[1] *განის* სიგანე, სიფართოვე. *ნაჭრის განი 1 მეტრია.*

**განი**[2] *განის* ქართული ანბანის მესამე ასოს (გ-ს) სახელწოდება.

**განიავება** *განიავების* (გაანიავებს, გაუნიავებს, განიავდება, გაანიავებინებს) 1. ჰაერის გაწმენდა, დახურულ სივრცეში სუფთა ჰაერის შეშვება. *ოთახი გაანიავეს.* 2. მარცვლეულის ჰაერში აყრით ზედმეტი ნარჩენების მოშორება. *მარცვლეულის განიავება. ხორბალი გაანიავეს.* 3. საუბრ. ქონების გაფლანგვა, გაჩანაგება. *მთელი ფული გაანიავა.* ▪ **განიავებული** რაც გაანიავეს. *განიავებული სიმდიდრე.*

**განიარაღება** *განიარაღების* (განაიარაღებს, განიარაღდება) 1. იარაღის აყრა, ჩამორთმევა. *განიარაღების ბრძანება გასცეს. ყაჩაღები განაიარაღეს.* 2. საბრძოლო საშუალებების, შეიარაღების აკრძალვა. *საყოველთაო განიარაღება. ბირთვული განიარაღება.*

**განიერი** *განიერის* რასაც დიდი განი აქვს. *განიერი ქუჩა. განიერი პალტო.* ↔ **ვიწრო.**

**განივი** *განივის* სიგანეზე გამავალი, გადამკვეთი. *განივი ხაზები. განივი ქუჩები.*

**განკარგულება** *განკარგულების* იგივეა, რაც ბრძანებულება. *განკარგულება გასცა.*

**განკერძოებული** *განკერძოებულის* ცალკე მდგომი, განმარტოებული. *განკერძოებული სიტყვები.*

**განკვეთა** *განკვეთის* (განკვეთს, განიკვეთება) გარკვეული საზოგადოებიდან განდევნა, გაძევება. *ეკლესიამ განკვეთა. თემიდან განკვეთეს.* ▪ **განკვეთილი** ვინც განკვეთეს. *განკვეთილი მღვდელი.*

**განკითხვა** *განკითხვის* (განიკითხავს) ცუდი საქციელის გამო დაგმობა, აუგის თქმა. *დამნაშავის განკითხვა. ნურავის განიკითხავ!*

**განკიცხვა** *განკიცხვის* (განკიცხავს, განიკიცხება) იგივეა, რაც გაკიცხვა. *საზოგადოებრივი განკიცხვის საგანი. განკიცხვას იმსახურებს.* ▪ **განკიცხული** ვინც ან რაც განკიცხეს. *განკიცხული პიროვნება.*

**განკუთვნილი** *განკუთვნილის* რაც ვინმესთვის, რაიმესთვისაა გამოყოფილი. *ოთახი სტუმრებისთვისაა განკუთვნილი.*

**განკურნება** *განკურნების* (განკურნავს, განიკურნავს, განიკურნება) მორჩენა, გამოჯანმრთელება. *მძიმე სენისგან განკურნეს. ავადმყოფი განიკურნა.* ▪ **განკურნებული** ვინც განიკურნა. *განკურნებული პაციენტი.*

**განმავლობაში** ზმნზ. თანდ. ფუნქც. (+ ნათ.) გარკვეული დროის მსვლელობისას. *ორი კვირის განმავლობაში. დღე-ღამის განმავლობაში.*

**განმარტება** *განმარტების* (განმარტავს, განუმარტავს, განიმარტება) რაიმეს ახსნა, გასაგებად თქმა. *სიტყვის განმარტება. წესები განუმარტა. მნიშვნელობა განმარტა.* ▪ **განმარტებული** რომელიც განმარტეს. *განმარტებული ტექსტი.*

**განმარტებითი** *განმარტებითის* განმარტების მომცემი, განმარტების შინაარსის მქონე. *წიგნის განმარტებითი ნაწილი. განმარტებითი წერილი.* ⊙ **განმარტებითი ლექსიკონი** ლექსიკონი, რომელშიც სიტყვები იმავე ენაზეა განმარტებული.

**განმარტოება** *განმარტოების* (განმარტოვდება) განცალკევება, მარტო ყოფნა. *დიდი ხნით განმარტოვდა. განმარტოებით ცხოვრობს.* ▪ **განმარტოებული** ვინც ან რაც მარტოა, ცალკეა, სხვებისგან მოშორებულია. *განმარტოებული ადამიანი.*

**განმგმირავი** *განმგმირავის* რასაც განგმირვა შეუძლია, მომაკვდინებელი. *განმგმირავი მახვილი. განმგმირავი შემოხედვა.*

**განმეორება** *განმეორების* (განმეორდება, განუმეორდება) იგივეა, რაც გამეორება. *რამდენჯერმე განმეორდა. შეტევა განუმეორდა.* ▲ **განმეორებით** ზმნზ. ხელახლა, კიდევ ერთხელ. *განმეორებით მიიწვიეს. განმეორებით ჩაატარეს.*

**განმეორებითი** *განმეორებითის* რაც უნდა განმეორდეს. *განმეორებითი გამოკვლევა.*

**განმკლავი** *განმკლავის* მკლავების განზე გაწევა ტანვარჯიშში. *განმკლავი გააკეთა.*

**განმსაზღვრელი** *განმსაზღვრელის* რაც განსაზღვრავს. *განმსაზღვრელი ფაქტორები.*

**განმსჭვალვა** *განმსჭვალვის* (განმსჭვალავს, განიმსჭვალება) რაიმე გრძნობის დაუფლება, ემოციით ავსება. *ღვთის შიშით განიმსჭვალა. შურისძიების გრძნობით განიმსჭვალა.* ■ **განმსჭვალული** ვინც ან რაც განიმსჭვალა. *ჰუმანიზმით განმსჭვალული ნაწარმოები.*

**განმტკიცება** *განმტკიცების* (განამტკიცებს, განიმტკიცებს, განუმტკიცებს, განმტკიცდება, განუმტკიცდება) წიგნ. იგივეა, რაც **გამტკიცება**. *რეფორმის განმტკიცება. რწმენა განუმტკიცდა. კავშირი განამტკიცეს.* ■ **განმტკიცებული** რაც განამტკიცეს. *კანონით განმტკიცებული უფლებები.*

**განმუხტვა** *განმუხტვის* (განმუხტავს, განიმუხტება) 1. დამუხტული სხეულის ენერგიისგან დაცლა, გათავისუფლება. *ბატარეის განმუხტვა.* 2. გადატ. დაძაბულობის, საკონფლიქტო სიტუაციის განეიტრალება, დამშვიდება. *სიტუაცია განიმუხტა.* ■ **განმუხტული** რაც განიმუხტა. *განმუხტული აკუმულატორი.*

**განოყიერება** *განოყიერების* (გაანოყიერებს, განოყიერდება) ნოყიერად ქცევა (1). *ნიადაგის განოყიერება. მიწა განოყიერდა. სასუქით გაანოყიერეს.* ■ **განოყიერებული** რაც გაანოყიერეს. *განოყიერებული ნაკვეთი.*

**განოყივრება** *განოყივრების* (გაანოყივრებს, განოყივრდება) ||განოყიერება. *მიწის განოყივრება. ნაკელით გაანოყივრეს.* ■ **განოყივრებული** რაც გაანოყივრეს. *განოყივრებული პლანტაცია.*

**განპირობება** *განპირობების* (განაპირობებს) წიგნ. ერთი მოვლენის მიერ მეორის გამოწვევა, მისთვის საფუძვლის შექმნა. *დიდმა შრომამ წარმატება განაპირობა. კრიზისს მრავალი ფაქტორი განაპირობებს.* ■ **განპირობებული** რაც განაპირობებს. *დაავადებით განპირობებული შედეგები.*

**განრიგი** *განრიგის* ნუსხა, რომელიც შეიცავს ცნობებს რაიმეს შესრულების ადგილის, დროის, თანმიმდევრობის შესახებ. *ფრენის განრიგი. განრიგის შედგენა.*

**განრისხება** *განრისხების* (განარისხებს, განრისხდება, განურისხდება) ძლიერი გაბრაზება. *მშობლები განრისხდნენ. მეფე განრისხდა.* ■ **განრისხებული** ვინც განრისხდა. *განრისხებული კაცი.*

**განსაზღვრა** *განსაზღვრის* (განსაზღვრავს, განისაზღვრება) 1. გარკვევა, დადგენა. *კომისიის შემადგენლობა განსაზღვრეს.* 2. რაიმესთვის საფუძვლის შექმნა, გამოწვევა, განპირობება. *მომავალს განსაზღვრავს.*

**განმსაზღვრელი** *განმსაზღვრელის* რაც განსაზღვრავს. *განმსაზღვრელი ფაქტორები.*

**განსაზღვრება** *განსაზღვრების* 1. იგივეა, რაც განმარტება. *სიტყვის განსაზღვრება. ტერმინის განსაზღვრება.* 2. გრამატ. წინადადების წევრი, რომელიც განსაზღვრავს, ახასიათებს სხვა წევრს რაიმე ნიშნის მიხედვით.

**განსაზღვრული** *განსაზღვრულის* რაც განსაზღვრეს. *განსაზღვრული პირობები.*

**განსაზღვრულობა** *განსაზღვრულობის* სიცხადე, არაორაზროვნება. *საკითხის განსაზღვრულობა.*

**განსაკითხი** *განსაკითხის* ვინც ან რაც უნდა განიკითხონ, განსაჯონ, გაასამართლონ. *ბევრი ვინმეა განსაკითხი.*

**განსაკუთრებული** *განსაკუთრებულის* არაჩვეულებრივი, სხვებისგან გამორჩეული. *განსაკუთრებული სილამაზე. განსაკუთრებული თვისებები. განსაკუთრებული შემთხვევა.*

**განსამარტავი** *განსამარტავის* რაც უნდა განიმარტოს. *განსამარტავი სიტყვა.*

**განსასვენებელი** *განსასვენებლის* 1. საიქიო, სასუფეველი, სადაც გარდაცვლილთა სულები განისვენებენ. *შევიდა განსასვენებელში.* 2. სასაფლაო. *იქაა ჩემი მამა-პაპის განსასვენებელი.*

**განსასჯელი** *განსასჯელის* ადამიანი, რომელიც უნდა გაასამართლონ. *განსასჯელი შემოიყვანეს.*

**განსაცდელი** *განსაცდელის* ხიფათი, გაჭირვება, უბედური შემთხვევა. *განსაცდელი მოელის. განსაცდელს გადაურჩა. ბევრი განსაცდელი გამოიარა.*

**განსაცვიფრებელი** *განსაცვიფრებლის* რაც განცვიფრებას იწვევს, დიდად საკვირველი. *განსაცვიფრებელი სილამაზე. განსაცვიფრებელი ამბები.*

**განსახიერება** *განსახიერების* (განასახიერებს) ვინმეს სახის შექმნა, წარმოდგენა, ცოცხლად გამოსახვა. *მსახიობმა გიორგის როლი განასახიერა. ავტორმა თავისი თავი განასახიერა.* ■ **განსახიერებული** ვინც ან რაც განასახიერეს. *სცენაზე განსახიერებული როლები.*

**განსვენება** *განსვენების* (განისვენებს, განუსვენებს) პატივისც. უშფოთველად ყოფნა. *პანთეონში საზოგადო მოღვაწეები განისვენებენ.* ⊙ **სამუდამოდ განისვენა** გარდაიცვალა.

**განსვენებული** *განსვენებულის* ევფ. მკვდარი, გარდაცვლილი. *განსვენებულს სუდარა გადააფარეს.*

**განსწავლული** *განსწავლულის* ძალიან განათლებული, ნასწავლი. *განსწავლული ახალგაზრდა.*

**განსწავლულობა** *განსწავლულობის* განათლება, დიდი ცოდნა. *თავისი განსწავლულობით იყო ცნობილი.*

**განსხვავება** *განსხვავების* (განასხვავებს, განსხვავდება) სხვებისგან გამორჩევა რაიმე ნიშნით, სხვაობის ქონა. *მწერებს შორის განსხვავება. ტყუპებს ვერ განასხვავებენ. ვარდი სუნით განსხვავდება.*

**განსხვავებული** *განსხვავებულის* რაც სხვებისნაირი არ არის, სხვანაირი, სხვაგვარი. *განსხვავებული ჯიში. განსხვავებული აზრები.* ▲ **განსხვავებულად** ზმნზ. სხვანაირად, სხვაგვარად. *განსხვავებულად წერს.*

**განსჯა** *განსჯის* (განსჯის) I. რაიმე საკითხის გაანალიზება, განხილვა. *განსჯის საგანი გახდა. ობიექტური განსჯა.* 2. სასამართლოს მიერ ვინმეს ბრალეულობაზე მსჯელობა, გასამართლება. *სასამართლომ განსაჯა.* 3. სხვისი საქციელის დაწუნება, სხვაზე ცუდის თქმა. *სხვას ნუ განსჯით.*

**განტევება** *განტევების* (განუტევებს) ⊙ სულს განუტევებს წიგნ. გარდაიცვლება.

**განტვირთვა** *განტვირთვის* (განტვირთავს, განიტვირთება) დატვირთვის შემცირება, ზედმეტისგან განთავისუფლება. *გ ზები ტრანსპორტისგან განტვირთეს.*

**განტოლება** *განტოლების* მათემატიკური ტოლობა, რომელშიც შედის ერთი ან რამდენიმე უცნობი. *კვადრატული განტოლება. განტოლების ამოხსნა.*

**განუვითარებელი** *განუვითარებლის* I. ჩამორჩენილი, რაც ვერ განვითარდა. *განუვითარებელი ინფრასტრუქტურა. განუვითარებელი ყმაწვილი.* 2. რის ზრდაც შეჩერდა, არ აღმოცენდა. *განუვითარებელი თესლი. განუვითარებელი ნაყოფი. განუვითარებელი მცენარე.*

**განუზომელი** *განუზომლის* ძალიან დიდი, უსაზღვრო. *განუზომელი მწუხარება.*

**განუკითხავი** *განუკითხავის* უმოწყალო, შეუბრალებელი. *განუკითხავი ხოცვა-ჟლეტა.* ▲ **განუკითხავად** ზმნზ. განურჩევლად და განუსჯელად, შეუბრალებლად. *განუკითხავად მოქმედებენ.*

**განუკითხაობა** *განუკითხაობის* არეულობა, გაურკვევლობა, ქაოსი, როდესაც სამართლიანობის დაცვა და სიმართლის დადგენა შეუძლებელია. *დიდი განუკითხაობა იყო.*

**განუკურნებელი** *განუკურნებლის* რაც არ იკურნება, მკურნალობას არ ექვემდებარება. *განუკურნებელი სენი.*

**განუმეორებელი** *განუმეორებლის* შეუდარებელი, უბადლო, იშვიათი. *განუმეორებელი სილამაზე.*

**განურჩეველი** *განურჩევლის* ერთნაირი, ყველასთვის საერთო. *განურჩეველი დამოკიდებულება.* ▲ **განურჩევლად** ზმნზ. გაურჩევლად, ერთნაირად, ყოველგვარი შეღავათის გარეშე. *ყველას განურჩევლად ექცევიან. დიდსა და პატარას განურჩევლად სჯიან.*

**განუსაზღვრელი** *განუსაზღვრელის* ძალიან ბევრი, შეუზღუდავი რაოდენობისა და სიდიდისა. *განუსაზღვრელი უფლებები. განუსაზღვრელი რაოდენობა.*

**განუყოფელი** *განუყოფლის* ერთიანი, მთლიანი, რის გაყოფაც არ შეიძლება. *განუყოფელი სიმდიდრე. განუყოფელი ფონდები.*

**განუყრელი** *განუყრელის* მუდამ ერთად მყოფი, ვინც ერთმანეთს არასოდეს გაეყრება. *განუყრელი მეგობრები. განუყრელი ცოლ-ქმარი.*

**განუშორებელი** *განუშორებლის* ვინც ან რაც არ განუშორებიათ, მუდმივად თან ახლავთ. *განუშორებელი მეგობრები.*

**განუწყვეტელი** *განუწყვეტლის* მუდმივი, გაუჩერებელი. *განუწყვეტელი ხმაური. განუწყვეტელი სიმღერა.* ▲ **განუწყვეტლად** ზმნზ. მუდმივად, გაუჩერებლად. *განუწყვეტლად მუშაობენ.*

**განუწყვეტლივ** ზმნზ. || განუწყვეტლად. *განუწყვეტლივ ლაპარაკობს. ფაფას განუწყვეტლივ უნდა ვურიოთ.*

**განუხორციელებელი** *განუხორციელებლის* შეუსრულებელი, რის შესრულებაც, განხორციელებაც შეუძლებელია. *განუხორციელებელი ოცნება. განუხორციელებელი იდეები.*

**განუხრელი** *განუხრელის* შეუფერხებელი, დაუბრკოლებელი. *განუხრელი წინსვლა. განუხრელი წარმატებები.*

**განქარვება** *განქარვების* (განაქარვებს, განიქარვებს, განუქარვებს, განუქარვდება) იგივეა, რაც გაქარვება. *ვნებების განქარვება. ეჭვი განუქარვდა.*

**განქიქება** *განქიქების* (განაქიქებს) წიგნ. საქვეყნოდ გაკილვა, გაკიცხვა, ნაკლოვანების ჩვენება. *რომანის განქიქება. ახალ იდეებს განაქიქებენ.*

**განქორწინება** *განქორწინების* (განაქორწინებს, განქორწინდება) ქორწინების ოფიციალური შეწყვეტა. *მეუღლეები განქორწინდნენ.*

**განყენება** *განყენების* მოვლენის, ფაქტისა და მისთ. განხილვა ზოგადად, ცალკე, სხვა ფაქტორების გარეშე. *განყენების უნარი.*

**განყენებული** *განყენებულის* ზოგადი, არაკონკრეტული, პრაქტიკულობას მოკლებული. *განყენებული მსჯელობა. განყენებული აზრები.*

**განყოფილება** *განყოფილების* I. დაწესებულების, ორგანიზაციის ან საწარმოს ნაწილი. *კრიმინალური განყოფილება.* 2. ჟურნალის, გაზეთის თემატურად გაერთიანებული ნაწილი. *ახალი ამბების განყოფილება.* 3. სპექტაკლის კონცერტისა და მისთ. ნაწილი. *მეორე განყოფილება დაიწყო.*

**განშორება** *განშორების* (განაშორებს, განიშორებს, განშორდება) წიგნ. იგივეა, რაც გაშორება (1). *სამშობლოსთან განშორება. განშორდა წუთისოფელს.*

**განშტოება** *განშტოების* I. მდინარისგან, გზისგან და მისთ. გამოყოფილი ნაწილი, რომელიც სხვა მიმართულებით მიდის. *მაგისტრალის განშტოება. ქუჩის განშტოება.* 2. გადატ. მთელის ნაწილი, განაყოფი, შტო. *ორგანიზაციის განშტოება. რელიგიური მოძღვრების განშტოებები.*

**განჩინება** *განჩინების* იგივეა, რაც განაჩენი. *სასამართლოს განჩინება.*

**განცალკევება** *განცალკევების* (განაცალკევებს, განცალკევდება) 1. გაყოფა, ერთიმეორისგან მოცილება. *ძვალი და კუნთი განაცალკევა.* 2. გამოყოფა, მოცილება, ცალკე გასვლა. *ბიჭი სტუმრებისგან განცალკევდა.*

**განცალკევებული** *განცალკევებულის* ცალკე, სხვებისგან გამოყოფილი, ცალკე მდგომი, ცალკე მყოფი. *განცალკევებული საგნები. განცალკევებული სახელები. განცალკევებული პიროვნება.*

**განცდა** *განცდის* (განიცდის) 1. გრძნობის, ემოციის ქონა. *სიყვარულის განცდა. მწუხარებას განიცდის.* 2. რაიმეს გადატანა, გარკვეული მდგომარეობის, სიტუაციის გამოვლა. *მარცხი განიცადა.* 3. გარკვეულ მდგომარეობაში, სიტუაციაში ყოფნა. *კრიზისს განიცდის. სხვის გავლენას განიცდის.*

**განცვიფრება** *განცვიფრების* (განაცვიფრებს, განცვიფრდება) ძლიერ გაკვირვება, გაოცება. *სტუმრები განცვიფრდნენ. მსახიობმა ყველა განაცვიფრა.* ■ **განცვიფრებული** ვინც განცვიფრდა. *განცვიფრებული ხალხი.*

**განცხადება** *განცხადების* (განაცხადებს, განუცხადებს, განცხადდება, განაცხადებინებს) 1. პირდაპირ, დაუფარავად, ცხადად თქმა. *მშობლებს ყველაფერი განუცხადა. მოთხოვნა ხმამაღლა განაცხადა.* 2. წერილობით ან ზეპირად გადაცემული ცნობა ვინმეს ან რაიმეს შესახებ. *განცხადება ნახა გაზეთში. დირექციის განცხადება. განცხადება გააკეთა.* 3. ოფიციალური მიმართვის ფურცელი, რომელიც შეიცავს თხოვნას ან რაიმე ნინადადებას. *განცხადება შეიტანა. გაცხადება განიხილეს.*

**განცხრომა** *განცხრომის* უზრუნველად, უდარდელად ყოფნა, კმაყოფილება. *განცხრომით ცხოვრება. დიდ განცხრომაში იყვნენ.*

**განძეული** *განძეულის* სხვადასხვა განძი. *დამარხული განძეული.*

**განძი** *განძის* ძვირფასი ნივთები, სიმდიდრე, ქონება. *განძი იპოვეს.*

**განძრევა** *განძრევის* (გაანძრევს, გაინძრევს, გაინძრევა) 1. ამოძრავება, შერხევა. *ფეხი გაანძრია. ფოთოლი გაინძრა.* 2. საუბრ. ამოქმედება, ამოძრავება რაიმეს საკეთებლად. *გაინძერი, რამე გააკეთე!*

**განწირვა** *განწირვის* (განწირავს) ძვ. იგივეა, რაც განწირვა. ■ **განწირული** ვინც განირეს. *სასიკვდილოდ განწირული მეომრები.*

**განწმენდა** *განწმენდის* (განწმენდს, განიწმინდება) ღვთის წინაშე ცოდვების მონანიება. *მარხვით განიწმინდა.* ■ **განწმენდილი** ვინც განიწმინდა. *განწმენდილი ბერი.*

**განწყობა** *განწყობის* (განაწყობს, განეწყობა) შინაგანი მზაობა რაიმეს გასაკეთებლად. *წასასვლელად განეწყო. ასე ნუ განეწყობი! განწყობის თეორია.*

**განწყობილება** *განწყობილების* რაიმეს გაკეთების სურვილი, ხალისი. *საზეიმო განწყობილება.*

**განწყობილი** *განწყობილის* გარკვეული დამოკიდებულების, განწყობილების მქონე. *კეთილად არის განწყობილი. უარყოფითად არის განწყობილი.*

**განჭვრეტა** *განჭვრეტის* (განჭვრეტს) შედეგის წინასწარ განსაზღვრა, გათვალისწინება. *ყველაფერი სწორად განჭვრიტა. საქმის არსის განჭვრეტა.*

**განხეთქილება** *განხეთქილების* ორ ან მეტ მხარეს შორის ურთიერთობის დაძაბვა, უთანხმოება, დაპირისპირება. *განხეთქილება მოხდა. განხეთქილება სახელმწიფოებს შორის.*

**განხილვა** *განხილვის* (განიხილავს, განიხილება) მსჯელობა, რაიმეს გაანალიზება, გარჩევა, გარკვევა. *საკითხები განიხილეს. სასამართლო განხილვა. ტექსტის განხილვა.* ■ **განხილული** რაც განიხილეს. *განხილული თემები. განხილული ნაწარმოები.*

**განხორციელება** *განხორციელების* (განახორციელებს, განხორციელდება) დასახულის რეალობად ქცევა, შექმნა, შესრულება, პრაქტიკული შედეგის მიღება. *გეგმების განხორციელება. მიზანი განახორციელა.* ■ **განხორციელებული** რაც განხორციელდა. *განხორციელებული ოცნება.*

**განხრა** *განხრის* მიმართულება, დარგი. *ჰუმანიტარული მეცნიერების განხრით სწავლობს.*

**განჯინა** *განჯინის* კედელში დატანებული კარადა. *პური განჯინაში დევს.*

**გაოგნება** *გაოგნების* (გააოგნებს, გაოგნდება) რაიმეთი ძალიან გაკვირვება, გაოცება. *მისმა საქციელმა გააოგნა. ნანახით გაოგნდა.* ■ **გაოგნებული** ვინც გაოგნდა. *გაოგნებული მოხუცი.*

**გაორება** *გაორების* (გაორდება) 1. ორად, ორმაგად ქცევა. *მხედველობის გაორება.* 2. გადატ. მდგომარეობა, როდესაც ადამიანს საპირისპირო სურვილები, მოსაზრებები აქვს და არჩევანის გაკეთება, გადაწყვეტილების მიღება უჭირს. *გრძნობების გაორება.* ■ **გაორებული** რაც ან ვინც გაორდა. *გაორებული გამოსახულება. გაორებული ვარ.*

**გაორთქვლა** *გაორთქვლის* (გაიორთქლება) იგივეა, რაც დაორთქვლა. *ფანჯარა გაიორთქლა. ჭიქები გაიორთქლა.* ■ **გაორთქლილი** რაც გაიორთქლა. *გაორთქლილი მინა.*

**გაორკეცება** *გაორკეცების* (გააორკეცებს, გაიორკეცებს, გაუორკეცებს, გაორკეცდება, გაუორკეცდება) ორჯერ გაზრდა, გაორმაგება. *ყურადღება გაორკეცა. სიხარული გაუორკეცდა.* ■ **გაორკეცებული** რაც გაორკეცდა. *გაორკეცებული ენერგია.*

**გაორმაგება** *გაორმაგების* (გააორმაგებს, გაუორმაგებს, გაორმაგდება, გაუორმაგდება) ორჯერ გაზრდა, ორმაგად ქცევა. *თანხის გაორმაგება. გადასახადი გაორმაგდა.* ■ გაორმაგებული რაც გააორმაგეს. *გაორმაგებული ძალისხმევა.*

**გაოფლიანება** *გაოფლიანების* (გააოფლიანებს, გაოფლიანდება, გაუოფლიანდება) ოფლის გამოსვლა, ოფლით დაფარვა. *ხელები გაუოფლიანდა. ცხენი გაოფლიანდა.* ■ გაოფლიანებული ვინც ან რაც გაოფლიანდა. *გაოფლიანებული ბავშვი.*

**გაოცება** *გაოცების* (გააოცებს, გაიოცებს, გაოცდება) ძლიერი გაკვირვება. *მისმა საქციელმა გააოცა.* ■ გაოცებული ვინც გაოცდა. *გაოცებული ბიჭი. გაოცებული დარჩა.*

**გაოხრება** *გაოხრების* (გააოხრებს, გაუოხრებს, გაოხრდება, გაუოხრდება) გაფუჭება, განადგურება. *ყანები გაოხრდა. ჩიტებმა ნათესები გააოხრეს.*

**გაოხრებული** *გაოხრებულის* 1. რაც გაოხრდა. *გაოხრებული ყანა.* 2. ლანძღ. გარყვნილი, გაფუჭებული. *გაოხრებული ქალი.*

**გაპამპულავება** *გაპამპულავების* (გააპამპულავებს, გაპამპულავდება) გამასხარავება, პამპულად ქცევა. *სახალხოდ გააპამპულავეს.* ■ გაპამპულავებული ვინც გააპამპულავეს. *გაპამპულავებული ბიჭი.*

**გაპანღურება** *გაპანღურების* (გააპანღურებს, გაპანღურდება) 1. პანღურის კვრა. *ბიჭი გააპანღურა.* 2. საუბრ. გაგდება, გაშვება. *სამსახურიდან გააპანღურეს.*

**გაპარება** *გაპარების* (გააპარებს) შეუმჩნევლად, ფარულად გაყვანა ან გატანა. *პატიმარი ციხიდან გააპარეს.*

**გაპარვა** *გაპარვის* (გაიპარება, გაეპარება) შეუმჩნევლად, ფარულად გასვლა, წასვლა. *სახლიდან გაიპარა.*

**გაპარპაშება** *გაპარპაშების* (გააპარპაშებს, გაპარპაშდება) თავის ნებაზე მიშვება, შეუზღუდავად მოქცევა, პარპაშის დაწყება. *მტერი მთელ სოფელში გაპარპაშდა.* ■ გაპარპაშებული ვინც გაპარპაშდა. *გაპარპაშებული მოხელე.*

**გაპარსვა** *გაპარსვის* (გაპარსავს, გაიპარსავს, გაიპარსება, გააპარსვინებს) 1. თმის ან წვერის მოცილება ბასრი იარაღით. *წვერი სამართებლით გაიპარსა.* 2. ცხერისთვის მატყლის მოცილება სპეციალური მაკრატლით. *ცხვარი გაზაფხულზე გაპარსეს.* ■ გაპარსული ვინც ან რაც გაპარსეს. *გაპარსული სახე.*

**გაპარტახება** *გაპარტახების* (გააპარტახებს, გაპარტახდება, გაუპარტახდება) განადგურება, გაჩანაგება. *ქვეყნის გაპარტახება. ოჯახი გააპარტახა. ვენახი გაპარტახდა.* ■ გაპარტახებული რაც გაპარტახდა. *გაპარტახებული ეზო.*

**გაპარჭყვა** *გაპარჭყვის* (გაპარჭყავს) საუბრ. ხელფეხის, თითების უშნოდ გაშლა, გაფშეკა. *თითები გაპარჭყა.* ■ გაპარჭყული რაც გაპარჭყეს. *გაპარჭყული ხელები.*

**გაპატიოსნება** *გაპატიოსნების* (გააპატიოსნებს, გაპატიოსნდება) მიცვალებულის დასაკრძალავად მომზადება, წესის შესრულება. *მეზობლებმა გააპატიოსნეს.*

**გაპენტვა** *გაპენტვის* (გაპენტავს, გაიპენტება, გააპენტვინებს) მატყლის, ბამბისა და მისთ. გაშლა და ნკეპლის ცემით გაწეწვა, გაფუმფულება. *ბუმბული გაპენტა.* ■ გაპენტილი რაც გაპენტეს. *გაპენტილი მატყლი.*

**გაპობა** *გაპობის* (გააპობს, გაუპობს, გაიპობა, გაეპობა) ბასრი იარაღის ძლიერი დარტყმით მაგარი საგნის შუაზე გაყოფა, გაჩლეხა. *მორი გააპო. თავი ნაჯახით გაუპო.* ■ გაპობილი რაც გააპეს. *გაპობილი ხე.*

**გაპოხვა** *გაპოხვის* (გაპოხავს, გაიპოხავს, გაიპოხება, გაეპოხება) საპოხის, ცხიმისა და მისთ. წასმა, ცხიმით გაჟღენთა. *კარი გაპოხა. ქონით გაპოხეს.* ■ გაპოხილი რაც გაიპოხა. *გაპოხილი თმა.*

**გაპრანჭვა** *გაპრანჭვის* (გაიპრანჭება, გაეპრანჭება) 1. იგივეა, რაც გამოპრანჭვა. *ქალი სარკის წინ გაიპრანჭა.* 2. გადატ. უარის თქმა იმ მიზნით (იმ იმედით), რომ ხელახლა სთხოვონ. *დაპატიჟებაზე ქალი გაიპრანჭა.* ■ გაპრანჭული ვინც ან რაც გაიპრანჭა. *გაპრანჭული ქალიშვილი.*

**გაპრიალება** *გაპრიალების* (გააპრიალებს, გაიპრიალებს, გაუპრიალებს, გაპრიალდება, გაუპრიალდება) ზედაპირის ზედმიწევნით გაწმენდა, პრიალის დაწყება. *მანქანა გააპრიალა. სარკე გაპრიალდა.* ■ გაპრიალებილი რაც გააპრიალეს. *გაპრიალებული ავეჯი.*

**გაპროტესტება** *გაპროტესტების* (გააპროტესტებს, გაპროტესტდება) 1. პროტესტის გამოთქმა, უკმაყოფილების გამოხატვა. *ორატორის სიტყვა გააპროტესტეს.* 2. საქმის ხელახლა აღძრა, გასაჩივრება. *სასამართლოს გადაწყვეტილება გააპროტესტეს. გაპროტესტების ვადა ამოიწურა.* ■ გაპროტესტებული რაც გააპროტესტეს. *გაპროტესტებული განაჩენი.*

**გაპუდვრა** *გაპუდვრის* (გაიპუდრავს) პუდრის წასმა. *ცხვირი გაიპუდრა.* ■ გაპუდრული ვინც გაიპუდრა, რაც გაპუდრეს. *გაპუდრული სახე.*

**გაპუტვა** *გაპუტვის* (გაპუტავს, გაიპუტება) თმის, ბუმბულის ხელით გაცლა. *ქათამი გაპუტა.* ■ გაპუტული რაც გაპუტეს. *გაპუტული ინდაური.*

**გაჟივება** *გაჟივების* (გააჟივებს, გაჟივდება, გაუჟივდება) ძალიან დასველება, სითხით მთლიანად გაჟღენთა. *წვიმაში ტანსაცმელი გაუჟივდა.* ■ გაჟივებული რაც გაჟივდა. *გაჟივებული მიწა.*

**გაჟლეტა** *გაჟლეტის* (გაჟლეტს, გაუჟლეტს, გაიჟლიტება, გააჟლეტინებს) ბევრის ამოხოცვა, მთლიანად მოსპობა. *ავადმყოფობამ ცხვარი გაუჟლიტა.*

*ხალხი გაიჟლიტა.* ■ **გაჟლეტილი** ვინც ან რაც გაიჟლიტა. *გაჟლეტილი ფრინველი.*

**გაჟონვა** *გაჟონვის* (გაჟონავს) 1. სითხის ან აირის ცოტ-ცოტა, ნელ-ნელა გასვლა. *მილიდან წყალმა გაჟონა. გაზმა გაჟონა.* 2. გადატ. რაიმე ამბის, აზრისა და მისთ. ნაწილობრივ გამოჩენა, გაცხადება საზოგადოებაში. *ინფორმაციამ გაჟონა. პრესაში სიმართლემ გაჟონა.*

**გაჟრჟოლება** *გაჟრჟოლების* (გააჟრჟოლებს) ჟრჟოლის მოგვრა, განცდა. *ქალს გააჟრჟოლა. სიცივისგან გააჟრჟოლა.*

**გაჟუჟუა** *გაჟუჟუის* (გაჟუჟავს, გაიჟუჟუება) იგივეა, რაც **გაჟლეტა**. *კატამ თაგვები გაჟუჟუა. ფრინველი გაჟუჟუეს.*

**გაჟღენთა** *გაჟღენთის* (გაჟღენთს, გაიჟღინთება) სითხით, არომატითა და მისთ. გაჯერება. *ბამბა ზეთით გაიჟღინთა. ოთახი სურნელით გაიჟღინთა.* ■ **გაჟღენთილი** რაც გაიჟღინთა. *ცხიმით გაჟღენთილი ნაჭერი.*

**გარანდვა** *გარანდვის* (გარანდავს, გაირანდება) ზედაპირის რანდით გათლა, გასუფთავება. *გარანდვა აკლია. ფიცარი გარანდეს.* ■ **გარანდული** რაც გარანდეს. *გარანდული ძელი.*

**გარანტია** *გარანტიის* რაიმეს უზრუნველყოფის პირობა. *ერთი წლის გარანტითთ. მშვიდობის გარანტია.* ⊙ **გარანტიის მიცემა** პასუხისმგებლობის აღება.

**გარანტირებული** *გარანტირებულის* უეჭველად შესასრულებელი, უეჭველად მისაღები. *გარანტირებული მოგება. პირველი ადგილი გარანტირებული აქვს.*

**გარაჟი** *გარაჟის* ნაგებობა ავტომანქანის დასაყენებლად ან შესაკეთებლად. *სატვირთო მანქანების გარაჟი.*

გარაჟი

**გარბენა** *გარბენის* (გაირბენს) 1. სირბილით გავლა, ნასვლა. *ეზოში ძაღლმა გაირბინა.* 2. გარკვეული მანძილის გავლა, დაფარვა სირბილით. *ნახევარი კილომეტრი 20 წუთში გაირბინა.*

**გარბენინება** *გარბენინების* (გაარბენინებს, გაურბენინებს) სირბილით, სწრაფად გატანა ან გაყვანა. წყალი ეზოში გაურბენინა.

**გარგარი** *გარგარის* 1. ერთკურკიანი, მომრგვალო ან ოვალური ფორმის, წვნიანი, მოყვითალო ფერის ხილი. *გარგარის მურაბა. გარგარის წვენი.* 2. ხე, რომელიც ისხამს გარგარს (1), აქვს ელიფსური ფორმის ფოთოლი და თეთრი ან ვარდისფერი ყვავილები. *გარგარის ბაღები.*

**გარდა** თანდ. უამისოდ, გარეშე, გამოკლებით. *სტუდენტების გარდა. ამ წიგნის გარდა.*

**გარდამავალი** *გარდამავლის* 1. შუალედური მონაკვეთი ერთი მდგომარეობიდან მეორეზე გადასვლამდე. *გარდამავალი პერიოდი. გარდამავალი საფეხური.* 2. ცვალებადი, არამუდმივი. *შეჯიბრება გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობს.*

**გარდამოხსნა** *გარდამოხსნის* საეკლ. 1. იესო ქრისტეს ჩამოხსნა ჯვრიდან. 2. ქსოვილი, რომელზეც ამოქარგულია ჯვრიდან ჩამოხსნილი იესო ქრისტე. *გარდამოხსნას ემთხვია.*

**გარდასული** *გარდასულის* 1. ჩავლილი, გასული, ისტორიის კუთვნილებად ქცეული. *გარდასული დღეები. გარდასული ეპოქა.* 2. ძველი, დახოცილი, დიდი ხნის ნასული (ადამიანები). *გარდასული გმირები. გარდასულთა სახელები.*

**გარდატეხა** *გარდატეხის* წიგნ. ერთი მდგომარეობიდან მეორეში გადასვლა, საფუძვლიანი ცვლილება. *ეკონომიკაში გარდატეხა მოხდა. გარდატეხა ხალხის ცნობიერებაში.*

**გარდაუვალი** *გარდაუვალის* რაც უეჭველად მოხდება, რის აცილებაც შეუძლებელია. *გარდაუვალი დაღუპვა ელის.*

**გარდაქმნა** *გარდაქმნის* (გარდაქმნის, გარდაუქმნის, გარდაიქმნება, გარდაექმნება) საფუძვლიანად შეცვლა, გადასხვაფერება. *ეკონომიკის გარდაქმნა. დემოკრატიულ ქვეყნად გარდაიქმნა.* ■ **გარდაქმნილი** რაც გარდაიქმნა. *გარდაქმნილი სისტემა.*

**გარდაცვალება** *გარდაცვალების* (გარდაიცვლება, გარდაეცვლება) ადამიანის სიკვდილი. *პოეტი გარდაიცვალა. მშობლები გარდაეცვალა.* ■ **გარდაცვლილი** ვინც გარდაიცვალა. *გარდაცვლილი მეგობარი.*

**გარდერობი** *გარდერობის* 1. ერთი ადამიანის ტანსაცმლის (კაბის, კოსტიუმის, პალტოსა და მისთ.) ერთობლიობა. *ჩემს გარდერობში ასეთი კაბა არ არის.* 2. საზოგადოებრივ დაწესებულებაში პალტოების დასაკიდებელი ადგილი. *თეატრის გარდერობი.* 3. ტანსაცმლის კარადა. *კაბა გარდერობში კიდია.*

გარდერობი



**გარდიგარდმო** ზმნზ. სიგანეზე, განივად. *ხე გარდიგარდმო დადეს.*

**გარე** *გარეს* გარეშე, გარეგანი, გარეთა. *გარე სამყარო. გარე საფრთხე.*

**გარეგანი** *გარეგანის* რაც დასანახია, რაც მხოლოდ გარედან ჩანს, გარეგნული. *გარეგანი სილამაზე. გარეგანი იერი.*

**გარე-გარე** ზმნზ. გან-გან, განზე, გარეთ, შორიშორს. *გარე-გარე სიარული.*

**გარეგნობა** *გარეგნობის* გარეგანი სახე, შესახედაობა. *მშვენიერი გარეგნობა აქვს. გარეგნობით არ დაიწუნება. მისმა გარეგნობამ მომხიბლა.*

**გარეგნული** *გარეგნულის* გარეგნობისთვის დამახასიათებელი, გარედან დასანახი, შესამჩნევი. *გარეგნული თვისებები. გარეგნული ელფერი.* ▲ **გარეგნულად** გარეგანი ფორმით, გარეგნობით. *გარეგნულად კარგ შთაბეჭდილებას ტოვებს.*

**გარედაქტირება** *გარედაქტირების* (გაარედაქტირებს, გარედაქტირდება) ტექსტის შემოწმება და შესწორება გამოქვეყნების წინ. *მასალა გაარედაქტირა.* ■ **გარედაქტირებული** რაც გაარედაქტირეს. *გარედაქტირებული სახით.*

**გარევა** *გარევის* (გარევს, გაირევს, გაურევს, გაერევა) 1. დიდ მასაში რაიმეს მცირე რაოდენობით დამატება, ჩართვა, შერევა. *რძეს ბორჯომი გაურიეს. ნაყინს მურაბა გაურია. თმაში ჭალარა გაერია.* 2. გადატ. მონაწილეობის მიღება, ღონისძიებაში ჩაბმა, სხვებთან ერთად ყოფნა, სხვებთან შეერთება. *პოლიტიკაში გაერია. ბავშვებში გაერია. მაგ საქმეში ნუ გამრევ!*

**გარეთ** ზმნზ. კარში, ცის ქვეშ. *გარეთ ცივა. გარეთ გადი! ძაღლი გარეთ გააგდო.*

**გარეთა** *გარეთას* გარეთ მდებარე, გარეთ მყოფი. *გარეთა მხარე. გარეთა კედელი.*

**გარეკანი** *გარეკანის* იგივეა, რაც ყდა. *პრიალა გარეკანი. წიგნის გარეკანი.*

**გარეკვა** *გარეკვის* (გარეკავს, გაირეკავს, გაურეკავს, გაირეკება) 1. საქონლის გაყრა და უკან გაყოლა. *ძროხები გარეკა. ინდაურები საბალახოდ გარეკა.* 2. უპატივც. ხალხის გაყრა, გაძევება. *მტერმა მოსახლეობა სოფლიდან გარეკა.* 3. ჟარგ. გაგიჟება. *შიშისგან კინალამ გარეკა.* ■ **გარეკილი** ვინც ან რაც გარეკეს. *გარეკილი ნახირი.*

**გარემარბი** *გარემარბის* ფეხბურთში ერთ–ერთი თავდამსხმელი, რომელიც მოედნის ნაპირას თამაშობს. *მარჯვენა გარემარბი.*

**გარემო** *გარემოს* 1. ადგილი, სივრცე რაიმეს სიახლოვეს. *გარემო მოათვალიერა. გარემო არ მოეწონა.* 2. პირობები, რომელშიც იმყოფება ვინმე. *სასიცოცხლოდ აუცილებელი გარემო. სოციალური გარემო.*

**გარემოება** *გარემოების* 1. რაიმე მდგომარეობა, მოქმედების პირობები. *ხელისშემშლელი გარემოება. მძიმე გარემოება.* 2. გრამატ. წინადადების წევრი, რომელიც გამოხატავს შემასმენლით გადმოცემული მოქმედების ადგილს, დროსა და სხვა. *ადგილის გარემოება.*

**გარემონტება** *გარემონტების* (გაარემონტებს, გ-ურემონტებს, გარემონტდება) შეკეთება, რემონტის გაკეთება. *სახლი გაარემონტა. სტადიონი გაარემონტეს.* ■ **გარემონტებული** რაც გაარემონტეს. *გარემონტებული ბინა.*

**გარემოცვა** *გარემოცვის* ვინმეს გარშემო მყოფი ადამიანების ერთობლიობა, წრე. *პრეზიდენტის გარემოცვა. მეგობრული გარემოცვა.*

**გარემოცული** *გარემოცულის* გარკვეული პირობებით ან საზოგადოებით შემოფარგლული, გარშემორტყმული. *მთებით გარემოცული სოფელი. მეგობრებით გარემოცული.*

**გარეუბანი** *გარეუბნის* ქალაქის ცენტრალური ნაწილიდან მოშორებული, განაპირა დასახლებული ადგილი. *გარეუბნის მოსახლეობა.*

**გარეული** *გარეულის* 1. ცხოველი, მცენარე და მისთ. რაც ველურ პირობებში იზრდება, ცხოვრობს. *გარეული კატა. გარეული ცხენი. გარეული ხილი.* 2. ვინც რამეში გაერია. *ცუდ საქმეში იყო გარეული.*

**გარეშე** *გარეშეს* უცხო, არაშინაური. *გარეშე პირი. გარეშე კაცი.*

**გარეშემო** ზმნზ. იგივეა, რაც გარშემო. *გარეშემო მიმოიხედა.*

**გარეცხვა** *გარეცხვის* (გარეცხავს, გაირეცხავს, გაურეცხავს, გაირეცხება, გაარეცხვინებს) წყლით (საპნით, ფხვნილითა და მისთ.) რაიმეს გასუფთავება, ჭუჭყის მოცილება. *შარვლის გარეცხვა. ხილი გარეცხა. მანქანა გაურეცხეს.* ■ **გარეცხილი** რაც გარეცხეს. *გარეცხილი ჭურჭელი.*

**გარეწარი** *გარეწრის* ცუდი, უზნეო, უსინდისო, უმორალო (ადამიანი). *გარეწარი აღმოჩნდა.* ■ **გარეწრული** რაც გარეწარს ახასიათებს, გარეწრის თვისებას წარმოადგენს. *გარეწრული საქციელი. გარეწრული ლაპარაკი.*

**გართმევა** *გართმევის* (გაართმევს, გაერთმევა) ⊙ (საქმისთვის, გრძნობისთვის და მისთ.) თავის გართმევა საქმის, გრძნობისა და მისთ. დაძლევა, მორევა.

**გართობა** *გართობის* (გაართობს, გაირთობს, გაერთობა) 1. დროის გატარება, მხიარულება. *მეგობრებთან გაერთო. სტუმრები გაართო.* 2. რაიმეს კეთებისას მთელი ყურადღების მასზე გადატანა. *საქმეში გაერთო. ქსოვაში გაერთო.*

**გართულება** *გართულების* (გაართულებს, გაირთულებს, გაურთულებს, გართულდება, გაურთულდება) რთულად ქცევა, გაძნელება, გაუარესება. *ურთიერთობების გართულება. ჭრილობა გაურთულდა.* ■ **გართულებული** რაც გართულდა. *გართულებული მდგომარეობა.*

**გართხმა** *გართხმის* (გაართხამს, გაირთხმება, გაერთხმება) ზედაპირზე მთელი ტანით გაკერა, გაშლა. *ბალახზე გაერთხა. იატაკს გაერთხა.* ■ **გართხმული** ვინც გაერთხა. *მიწაზე გართხმული ჯარისკაცი.*

**გარიგება** *გარიგების* (გაარიგებს, გაირიგებს, გაურიგებს, გარიგდება, გაურიგდება) 1. შეთანხმება რაიმე საკითხზე, პირობის დადება. *მუშებს გაურიგდა. გარიგება შედგა.* 2. შუამავლობა ქალსა და ვაჟს შორის მათი დაქორწინების მიზნით. *გარიგებით გათხოვდა. ქალი გაურიგა.*

**გარიდება** *გარიდების* (გაარიდებს, გაერიდება) განზე გადგომა, გაცლა. *იქაურობას გაერიდა. შვილი საფრთხეს გაარიდა.*

**გარითმვა** *გარითმვის* (გარითმავს, გაირითმება) ლექსის რითმებით გაწყობა. *რეკლამა გარითმა. სიტყვა გაურითმა.* ■ **გარითმული** რაც გარითმეს. *გარითმული სტრიქონები.*

**გარინდება** *გარინდების* (გაირინდება, გარინდდება) უძრავად, წყნარად გაჩერება და გაჩუმება, გაყუჩება, განაბვა. *ქალი გაირიდნა. ოთახში ყველა გაირინდა.* ■ **გარინდებული / გარინდული** ვინ ან რაც გაირინდა. *გარინდებული ბიჭი. გარინდული იჯდა.*

**გარიჟრაჟი** *გარიჟრაჟის* გათენების დასაწყისი, სიბნელეს რომ სინათლე შეეპარება. *გარიჟრაჟის მოახლოება.*

**გარისკვა** *გარისკვის* (გარისკავს) რისკის გაწევა, რისკზე წასვლა. *მფრინავმა ვერ გარისკა.*

**გარიყვა** *გარიყვის* (გარიყავს, გაირიყება) 1. მდინარის, ზღვისა და მისთ. მიერ რაიმეს გატანა, გაგდება ნაპირზე. *ტალღებმა ნავი გარიყა.* 2. გადატ. საზოგადოების მიერ ვინმეს მოშორება, ჩამოცილება. *ამხანაგებმა ბიჭი გარიყეს.* ■ **გარიყული** ვინც ან რაც გარიყეს. *ოჯახისგან გარიყული ქალი.*

**გარიცხვა** *გარიცხვის* (გარიცხავს, გაირიცხება) ვინმეს დათხოვა, გაძევება ორგანიზაციიდან (სასწავლებლიდან, სამსახურიდან და მისთ.). *გუნდიდან გარიცხეს. სკოლიდან გაირიცხა.* ■ **გარიცხული** ვინც გარიცხეს. *გარიცხული სტუდენტი.*

**გარკვევა** *გარკვევის* (გაარკვევს, გაირკვევა, გაერკვევა, გაარკვევინებს) მიხვედრა, გაგება, გამოძიება, გამოაშკარავება. *საქმე გაარკვია. ყველაფერი გაირკვა. ვითარებაში გაერკვა.*

**გარკვეული** *გარკვეულის* 1. რაც გაირკვა ან გაარკვიეს. *ამ სფეროში კარგად იყო გარკვეული.* 2. განსაზღვრული, გამოკვეთილი. *გარკვეული ცოდნა დააგროვა. გარკვეული მიზნით.*

**გარკვეულწილად** ზმნზ. რამდენადმე, ნაწილობრივ. *გარკვეულწილად იზიარებს ამ მოსაზრებას. მოსახლეობა გარკვეულწილად დაზარალდა.*

**გარმონი** *გარმონის* ხელით გასაწევი საკრავი მოძრავი საბერველითა და კლავიატურით. *გარმონს უკრავს. რუსული გარმონი.*

**გარნიზონი** *გარნიზონის* სამხედრო ნაწილი, რომელიც მუდმივად დგას ქალაქში ან ციხესიმაგრეში. *გარნიზონში მსახურობს. ციხის გარნიზონი.*

**გარნირი** *გარნირის* ხორცის ან თევზის კერძთან მისაყოლებელი, ბურღულეულისგან ან ბოსტნეულისგან მომზადებული საჭმელი. *წიწიბურას გარნირი.*

**გაროზგვა** *გაროზგვის* (გაროზგავს, გაიროზგება) ძვ. როზგით ცემა. *მოსწავლეები გაროზგეს.* ■ **გაროზგილი** ვინც გაროზგეს. *გაროზგილი ბიჭი.*

**გარს** ზმნზ. გარშემო, ირგვლივ. *ჯარი ქალაქს გარს შემოერტყა.*

**გარსი** *გარსის* გარე შრე, ფენა, რომლითაც დაფარულია რაიმე სხეული, მცენარეული, ცხოველური უჯრედი ან ცალკეული ორგანო. *უჯრედის გარსი. ლორწოვანი გარსი. დედამიწის გარსი. თხელი გარსი.*

**გარტყმა** *გარტყმის* (გაარტყამს, გაირტყამს) მოქნევა და მოხვედრება, დარტყმა. *სახეში ხელი გაარტყა. მუშტი გაარტყა.*

**გარუჯვა** *გარუჯვის* (გარუჯავს, გაირუჯება, გაერუჯება) კანის გამუქება, გაშავება მზის სხივების ზემოქმედებით. *ბავშვები ზღვა ზე გაირუჯნენ.* ■ **გარუჯული** ვინც ან რაც გაირუჯა. *გარუჯული გოგო. გარუჯული სახე.*

**გარღვევა** *გარღვევის* (გაარღვევს, გაურღვევს, გაირღვევა, გაერღვევა) 1. გაკერილის დაშლა, დაცალკევება. *კაბა ნაკერზე გაარღვია. შარვალი გაერღვა.* 2. დიდი ძალის ზემოქმედებით განგრევა. *წყალმა ჯებირი გაარღვია.* 3. ხალხის, წყლისა და მისთ. ნაკადის გაპობა და ძალით შეჭრა. *ალყას გაარღვევს. ტალღები გაარღვია.* ■ **გარღვეული** რაც გაარღვიეს ან გაირღვა. *გარღვეული შარვალი.*

**გარყვნა** *გარყვნის* (გარყვნის, გაირყვნება, გაერყვნება) 1. თავშეუკავებელი სქესობრივი ცხოვრება. *ქალი გაირყვნა.* 2. სულიერად, ზნეობრივად დაცემა. *ქვეყანა გარყვნეს. ახალგაზრდობა გაირყვნა.* ■ **გარყვნილი** ვინც ან რაც გაირყვნა. *გარყვნილი კაცი.*

**გარყვნილება** *გარყვნილების* უზნეობა, უნამუსობა. *გარყვნილებას მიეცა გასაქანი.*

**გარშემო** ზმნზ. 1. ირგვლივ, ყოველ მხარეს. *გარშემო არავინ ცხოვრობს.* 2. თანდ. ფუნქც. (+ ნათ.) ვინმეს ან რაიმეს ირგვლივ, ახლომახლო. *ქალაქის გარშემო ტყეა.*

**გარშემორტყმული** *გარშემორტყმულის* შუაში, რაიმეს გარემოცვაში მყოფი. *წყლით გარშემორტყმული. ხალხით გარშემორტყმული. მთებით გარშემორტყმული.*

**გარჩევა** *გარჩევის* (გაარჩევს, გაურჩევს, გაირჩევა, გაარჩევინებს) 1. მარცვლეულისა და მისთ. გასუფთავება, ნაჭუჭის, ქერქის, უვარგისი ნაწილის მოცილება. *ლობიო გაარჩიეს. ბრინჯი გაარჩია.* 2. რაიმეს განხილვა, გაანალიზება. *სასამართლოში საქმის გარჩევა გადაიდო. ახალი ნაწარმოები გაარჩიეს.* 3. სხვებისგან განსხვავება, გამოყოფა. *ტყუპები ვერ გაარჩია. ერთმანეთისგან არ გაირჩევა.* 4. სმენით, სუნით, თვალით გამოცნობა, შემჩნევა. *ფერი ვერ გაარჩია. სიბნელეში ვერ გაარჩია, ვინ იყო.* ■ **გარჩეული** რაც გაარჩიეს. *გარჩეული ნიგოზი.*

**გარჭობა** *გარჭობის* (გაარჭობს, გაირჭობს, გაურჭობს, გაერჭობა) წვეტიანი საგნის შესობა. *დანა ხეში გაარჭო.* ■ **გარჭობილი** რაც გაერჭო. *გარჭობილი ისარი.*

**გარჯა** *გარჯის* (გაირჯება) შრომა, ენერგიის დახარჯვა რაიმეს გასაკეთებლად. *სხვისი გულისთვის არ გაირჯება.*

**გასაბერი** *გასაბერის* რაც გაბერვას საჭიროებს. *გასაბერი ბურთი.* ▲ **გასაბერად** ზმნზ. გაბერვისთვის, გაბერვის მიზნით. *გასაბერად წაიღო.*

**გასაბმელი** *გასაბმელის* რაც უნდა გააბან. *გასაბმელი მავთული.*

**გასაბრაზებელი** *გასაბრაზებლის* რაზეც უნდა გაბრაზდნენ. *გასაბრაზებელი მიზეზი ჰქონდა.* ▲ **გასაბრაზებლად** ზმნზ. იმისთვის, რომ გააბრაზონ, გაბრაზების მიზნით.

**გასაგები** *გასაგების* რაც უნდა გაიგონ, რის გაგებაც შესაძლებელია. *ყველასთვის გასაგები აზრი.* ■ **გასაგებად** გაგების მიზნით, ისე, რომ ადვილად გაიგონ, ნათლად. *ამბის გასაგებად მოვიდა. გასაგებად აგვიხსნა.*

**გასაგზავნი** *გასაგზავნის* ვინც ან რაც უნდა გაგზავნონ. *გასაგზავნი ბარგი.* ▲ **გასაგზავნად** ზმნზ. იმისთვის, რომ გაგზავნონ, გაგზავნის მიზნით. *გასაგზავნად სჭირდება.*

**გასადიდებელი** *გასადიდებლის* რაც უნდა გაადიდონ. *გასადიდებელი ფოტოები.*

**გასავათება** *გასავათების* (გაასავათებს, გასავათდება) ძალიან დაღლა, დასუსტება, ძალის გამოლევა. *სიცხემ გაასავათა. ზედმეტი მუშაობით გასავათდა.* ■ **გასავათებული** ვინც გასავათდა. *გასავათებული ქალი.*

**გასავალი** *გასავლის* 1. საწარმოს, ობიექტის არსებობისთვის საჭირო მატერიალური, ფინანსური ხარჯი, დანახარჯი. *ყოველწლიური გასავალი. დიდი გასავალი.* 2. საბაზრო მოთხოვნილება. *ჩვენებურ ხილს გასავალი აქვს. განვითარებად ქვეყნებში აქვს გასავალი.*

**გასავსავება** *გასავსავების* (გაასავსავებს) ◎ **ხელებს გასავსავებს** ხელებს გააქნევს, ამ ჟესტით რაიმეს შეუძლებლობას ან უარს გამოხატავს.

**გასაზრდელი** *გასაზრდელი* ვინც ან რაც უნდა გაიზარდოს. *გასაზრდელი ლეკვი.* ▲ **გასაზრდელად** ზმნზ. იმისთვის, რომ გაზარდონ, გაზრდის მიზნით. *სიმაღლეში გასაზრდელად სჭირდება.*

**გასათხოვარი** *გასათხოვრის* ვინც უნდა გათხოვდეს, ვისი გათხოვების დროც დადგა. *გასათხოვარი გოგო.* ■ **გასათხოვრად** გათხოვებისთვის, გათხოვების მიზნით. *გასათხოვრად მზად არის.*

**გასაკილი** *გასაკილის* ვინც ან რაც გაკილვას იმსახურებს. *გასაკილი საქციელი.*

**გასაკიცხი** *გასაკიცხის* ვინც ან რაც უნდა გაკიცხონ. *გასაკიცხი ნაბიჯი.* ▲ **გასაკიცხად** ზმნზ. იმისთვის, რომ გაკიცხონ, გაკიცხვის მიზნით. *სხვის გასაკიცხად.*

**გასალესი** *გასალესის* რაც უნდა გაილესოს. *გასალესი დანა.* ▲ **გასალესად** ზმნზ. იმისთვის, რომ გალესონ, გალესვის მიზნით. *კედლის გასალესად.*

**გასამართლება** *გასამართლების* (გაასამართლებს, გასამართლდება) ბრალდებულის საქმის განხილვა სასამართლოში. *ქურდობისთვის გაასამართლეს.*

**გასამრჯელო** *გასამრჯელოს* გაწეული შრომის საფასური. *გასამრჯელო აუღებელი.*

**გასამხედროება** *გასამხედროების* (გაასამხედროებს, გასამხედროვდება) სამხედრო წესზე გადაყვანა. *მოსახლეობის გასამხედროება.* ■ **გასამხედროებული** ვინც ან რაც გაასამხედროვეს. *გასამხედროებული ორგანიზაცია.*

**გასამხნევებელი** *გასამხნევებლის* ვინც უნდა გამხნევდეს, რითაც უნდა გაამხნეონ. *გასამხნევებელი მოწოდება.* ▲ **გასამხნევებლად** ზმნზ. იმისთვის, რომ გაამხნეონ, გამხნევების მიზნით. *მეგობრების გასამხნევებლად.*

**გასანაღდებელი** *გასანაღდებლის* რაც უნდა გაანაღდონ. *გასანაღდებელი ობლიგაცია.*

**გასაოცარი** *გასაოცარის* გაოცების, გაკვირვების გამომწვევი. *გასაოცარი გარეგნობა აქვს. გასაოცარი რამ მოხდა. გასაოცარ ამბებს ჰყვებიან.*

**გასაპვნა** *გასაპვნის* (გასაპნავს, გაისაპნება) საპნის წასმა. *ღრუბელი გასაპნა. სახე გაისაპნა.* ■ **გასაპნული** რაც ან ვინც გასაპნეს. *გასაპნული ხელები.*

**გასართობი** *გასართობის* რითაც ერთობიან. *ახალი გასართობი. გასართობი გადაცემები.* ▲ **გასართობად** ზმნზ. იმისთვის, რომ გაერთონ, გართობის მიზნით. *გასართობად წავიდნენ.*

**გასარჩევი** *გასარჩევის* რასაც გარჩევა სჭირდება, რაც უნდა გაირჩეს. *გასარჩევი საკითხი.* ▲ **გასარჩევად** ზმნზ. იმისთვის, რომ გაარჩიონ, გარჩევის მიზნით. *სიმინდის გასარჩევად დასხდნენ.*

**გასატანი** *გასატანის* რაც უნდა გაიტანონ. *გამოფენაზე გასატანი ექსპონატი.* ▲ **გასატანად** ზმნზ. იმისთვის, რომ გაიტანონ, გატანის მიზნით. *საზღვარგარეთ გასატანად უნდათ.*

**გასატარებელი** *გასატარებლის* რაც უნდა გაატარონ. *გასატარებელი ღონისძიებების ჩამონათვალი.* ▲ **გასატარებლად** ზმნზ. იმისთვის, რომ გაატარონ, გატარების მიზნით. *არდადეგების გასატარებლად.*

**გასატყეპი** *გასატყეპის* ვინც გატყეპას იმსახურებს. *ნამდვილად გასატყეპი ხარ!*

**გასაუბრება** *გასაუბრების* (გაესაუბრება) 1. ვინმესთან საუბრის გამართვა. *სტუდენტებს გაესაუბრა.* 2. გამოცდის სახეობა – ვინმესთან გასაუბრება (1) მისი ცოდნის, პროფესიული მომზადების შემოწმების მიზნით. *გასაუბრება ჩატარდა. გასაუბრებაზე მიდის.*

**გასაუთოებელი** *გასაუთოებლის* რაც უნდა გააუთოონ. *გასაუთოებელი სარეცხი.* ▲ **გასაუთოე-**

ბლად ზმნზ. იმისთვის, რომ გააუთოონ, გაუთოების მიზნით. *გასაუთოებლად გადადო.*

**გასაღება** *გასაღების* (გაასაღებს, გაუსაღებს, გასაღდება) 1. უხარისხოს, უვარგისის გაყიდვა ან ვინმესთვის მიცემა. *მჟავე ღვინო ძლივს გაასაღა.* 2. საუბრ. გაყიდვა. *საქონლის ახალი პარტია გაასაღა. ფეხსაცმელი კარგად გასაღდა.* 3. გადატ. ტყუილის სიმართლედ მოჩვენება. *მოპარული ნივთები თავისად გაასაღა. ასლი ორიგინალად გაასაღა.* 4. ჟარგ. მოკვლა. *ქურდი ციხეში გაასაღეს.* ■ **გასაღებული** რაც გაასაღეს ან გასაღდა. *გასაღებული პროდუქცია.*

**გასაღები** *გასაღების* სხვადასხვა ფორმის ლითონის საგანი, გამოიყენება კლიტის ჩასაკეტად ან მექანიზმის მოსამართად. *კარის გასაღები. უჯრის გასაღები.*

გასაღები

**გასაყვანი** *გასაყვანის* რაც ან ვინც უნდა გაიყვანონ. *დენი აქვს გასაყვანი.* ▲ **გასაყვანად** ზმნზ. იმისთვის, რომ გაიყვანონ, გაყვანის მიზნით. *გ ზის გასაყვანად შეიკრიბნენ.*

**გასაყოფი**[1] *გასაყოფის* რაც უნდა გაიყონ. *გასაყოფი ქონება.* ▲ **გასაყოფად** ზმნზ. გაყოფისთვის, გაყოფის მიზნით. *ტაბლეტის გასაყოფად.*

**გასაყოფი**[2] *გასაყოფის* რაშიც უნდა გაყონ. *თავის გასაყოფი ადგილი.*

**გასაშლელი** *გასაშლელის* რაც იშლება ან უნდა გაშალონ. *გასაშლელი მაგიდა.* ▲ **გასაშლელად** ზმნზ. იმისთვის, რომ გაშალონ, გაშლის მიზნით. *კარვის გასაშლელად მოემზადნენ.*

**გასაჩივრება** *გასაჩივრების* (გაასაჩივრებს, გასაჩივრდება) საჩივრის ოფიციალურად აღძვრა. *გასაჩივრების ვადა. საქმე გაასაჩივრეს.* ■ **გასაჩივრებული** რაც გაასაჩივრეს. *გასაჩივრებული გადაწყვეტილება.*

**გასაწევი** *გასაწევის* რაც უნდა გასწიონ, რითაც უნდა გასწიონ. *თოკების გასაწევი ჯოხი.*

**გასაჭირი** *გასაჭირის* იგივეა, რაც **გაჭირვება.**

**გასახდელი** *გასახდელის* სპეციალური ოთახი, სადაც სპორტსმენები ტანსაცმელს იცვლიან და სპორტულად ეწყობიან. *სტადიონის გასახდელი.*

**გასახვრეტი** *გასახვრეტის* რაც უნდა გახვრიტონ ან რითაც უნდა გახვრიტონ. *გასახვრეტი ყური. გასახვრეტი მონყობილობა.* ▲ **გასახვრეტად** ზმნზ. იმისთვის, რომ გახვრიტონ, გახვრეტის მიზნით. *კედლის გასახვრეტად.*

**გასახლება** *გასახლების* (გაასახლებს, გასახლდება) საცხოვრებელი ადგილიდან იძულებით გაყვანა, გაძევება. *სასამართლომ ბინიდან გაასახლა. მწერალი სამშობლოდან გაასახლეს.* ■ **გასახლებული** ვინც გაასახლეს. *გასახლებული მოქალაქეები.*

**გასახსნელი** *გასახსნელის* 1. რაც უნდა გახსნან. *წყალში გასახსნელი. გასახსნელი ანგარიში. ლიმონათის გასახსნელი.* 2. საგანი, რითაც რაიმეს ხსნიან. *ლიმონათის გასახსნელი.*

**გასეირნება** *გასეირნების* (გაასეირნებს, გაისეირნებს) გასართობად, დასასვენებლად სადმე წასვლა (ჩვეულებრივ ფეხით). *ქუჩაში გაისეირნეს. ბავშვი ბაღში გაასეირნა. ქალაქგარეთ გასეირნება უნდა.*

**გასესხება** *გასესხების* (გაასესხებს) სესხის გაცემა. *ფულის გასესხება. ორი წლის ვადით გაასესხა.* ■ **გასესხებული** რაც გაასესხეს. *გასესხებული თანხა.*

**გასვენება** *გასვენების* (გაასვენებს) მიცვალებულის გატანა დასაკრძალად. *ახალი ბინიდან გაასვენეს.*

**გასვლა** *გასვლის* (გავა, გაუვა) 1. შიგნიდან გარეთ, აქედან იქით გადაადგილება. *ეზოში გავიდა. სახლიდან გასვლა დააპირა.* 2. დროის მონაკვეთის დამთავრება, მიწურვა. *ზაფხული გავიდა. დრო გადის. ვადა გაუვიდა.* 3. გადატ. რაიმე აზრის, პოზიციის გატანა. *ტყუილი არ გაუვიდა. უარი არ გაუვა.* 4. საუბრ. კონკურსში, შეჯიბრებაში გამარჯვება. *პროექტი გავიდა. მისი წინადადება გავიდა.* ■ **გასული** ვინც ან რაც გავიდა. *გასული წელი.*

**გასვრა** *გასვრის* (გასვრის, გაისვრის, გაისვრება, გაესვრება) 1. ჭუჭყით დაფარვა, დაბინძურება. *ფეხები გაესვარა. ჩანთა გაისვარა. კაბას გასვრის.* 2. გადატ. შერცხვენა, სახელის გატეხა. *ამ საქმეში ბევრი თანამშრომელი გასვარეს.* ■ **გასვრილი** რაც ან ვინც გაისვარა. *გასვრილი ჭურჭელი.*

**გასივება** *გასივების* (გაასივებს, გაისივებს, გაუსივებს, გასივდება, გაუსივდება) სხეულის დასნებოვნებული ორგანოს გაბერვა, გაზრდა. *ხელის გასივება. თვალი გაუსივდა.* ■ **გასივებული** რაც გასივდა. *გასივებული თითი.*

**გასინჯვა** *გასინჯვის* (გაასინჯებს, გასინჯავს, გაისინჯავს, გაუსინჯავს, გაისინჯება, გაესინჯება, გაასინჯებს, გაასინჯვინებს) ყურადღებით ნახვა, დათვალიერება. *საბუთები გაუსინჯეს. ავადმყოფი გასინჯა.* ■ **გასინჯული** რაც ან ვინც გასინჯეს. *გასინჯული პაციენტი.*

**გასისხლიანება** *გასისხლიანების* (გაასისხლიანებს, გაისისხლიანებს, გაუსისხლიანებს, გასისხლიანდება, გაუსისხლიანდება) სისხლით გასვრა. *პირსახოცი გასისხლიანდა. ტუჩი გაუსისხლიანდა.* ■ **გასისხლიანებული** ვინც ან რაც გასისხლიანდა. *გასისხლიანებული სახე.*

**გასკდომა** *გასკდომის* (გასკდება, გაუსკდება) 1. გახლეჩა, გაპობა, გახევა. *ბურთი გასკდა. მილი გასკდა. კედელი გასკდა.* 2. გასროლილი ჭურვის აფეთქება. *ყუმბარა გასკდა.* 3. საუბრ. გადატ. უზომოდ ბევრის ჭამა ან დალევა. *ლუდის სმით გასკდნენ. ჭამით გასკდა.*

**გასკვნა** *გასკვნის* (გასკვნის, გაისკვნის, გაისკვნება, გაესკვნება) იგივეა, რაც **განასკვა.** *თოკი გასკვნა.*

**გასმა**[1] *გასმის* (გასვამს) გარეთ გაყვანა და დასმა. *კატა ეზოში გასვეს.*

**გასმა**[2] *გასმის* (გაისვამს, გაუსვამს, გაესმება) ზედაპირზე ხელის, ფანქრის, ცარცისა და მისთ. გატარება, გაელება. *ქვეშ ხაზი გაუსვა. სახე ზე ხელი გაისვა.*

**გასრესა** *გასრესის* (გასრესს, გაუსრესს, გაისრისება, გაასრესინებს) ზედ დაწოლით გაჭყლეტა. *მანქანამ კატა გასრისა. სიგარეტი ფეხით გასრისა.* ■ გასრესილი ვინც ან რაც გასრისეს. *გასრესილი ბუზი.*

**გასრიალება** *გასრიალების* (გაასრიალებს, გასრიალდება, გაუსრიალდება) 1. სრიალით გავლა. *ციგურებით გასრიალდა. კობრა ბილიკ ზე გასრიალდა.* 2. მოლიპულ ზედაპირზე გასხლტომა. *ყინულ ზე ფეხი გაუსრიალდა.*

**გასროლა** *გასროლის* (გაისვრის) 1. დიდი ძალით შორს გადაგდება. *ბიჭმა ქვა გაისროლა.* 2. იარაღიდან ტყვიის, ჭურვისა და მისთ. გატყორცნა სასხლეტზე ხელის გამოკვრით. *მონადირემ თოფი გაისროლა.* ■ გასროლილი რაც გაისროლეს. *გასროლილი ისარი.*

**გასტერილება** *გასტერილების* (გაასტერილებს, გასტერილდება) იგივეა, რაც სტერილიზაცია. *შპრიცი გაასტერილა.* ■ გასტერილებული რაც გაასტერილეს. *გასტერილებული ბამბა.*

**გასტროლი** *გასტროლის* (ძირითადად მრ.) სხვა ქალაქიდან ან ქვეყნიდან ჩამოსული მსახიობის ან მსახიობთა კოლექტივის გამოსვლა. *გასტროლებზე მიდის.*

**გასტროლიორი** *გასტროლიორის* საგასტროლოდ ჩასული მსახიობი, მომღერალი ან მოცეკვავე. *გასტროლიორის გამოსვლა.*

**გასტრონომი** *გასტრონომის* 1. გემრიელი საჭმელების მცოდნე, მოყვარული. 2. მაღაზია, რომელშიც საკვები პროდუქტები იყიდება. *გასტრონომში შევიდნენ.*

**გასტუმრება** *გასტუმრების* (გაისტუმრებს, გაუსტუმრებს) 1. წინასწარ მომზადება და ისე გაშვება, გაგზავნა. *ბავშვები ბებიასთან გაისტუმრა. ოჯახი სოფელში გაისტუმრა.* 2. გადატ. სავალდებულო თანხის გადახდა, მევალისთვის ვალის მიცემა. *სესხის გასტუმრება. კრედიტორები გაისტუმრა. შვილს ვალი გაუსტუმრა.*

**გასულელება** *გასულელების* (გაასულელებს, გაისულელებს, გასულელდება) 1. მოტყუება, შეცდომაში შეყვანა. *გამოუცდელი კაცი ადვილად გაასულელა.* 2. გადარევა, სულელივით მოქცევა. *ბიჭი სულ გასულელდა. რამ გაასულელა ეს კაცი?!* ■ გასულელებული ვინც გაასულელეს ან გასულელდა. *გასულელებული ხალხი.*

**გასუფთავება** *გასუფთავების* (გაასუფთავებს, გასუფთავებს, გაუსუფთავებს, გასუფთავდება) მტვრისგან, ჭუჭყისგან გაწმენდა. *ფეხსაცმლის გასუფთავება. ქუჩა გაასუფთავეს. ტანსაცმელი გაისუფთავა.*

**გასუქება** *გასუქების* (გაასუქებს, გაუსუქებს, გასუქდება, გაუსუქდება) სიმსუქნის, წონის მომატება. *ღორი გაასუქეს. ლოყები გაუსუქდა.* ■ გასუქებული ვინც ან რაც გასუქდა. *გასუქებული გოგონა.*

**გასქელება** *გასქელების* (გაასქელებს, გაისქელებს, გაუსქელებს, გასქელდება, გაუსქელდება) სისქის მომატება, სქლად ქცევა. *ფაფა გასქელდა. კანი გაუსქელდა.* ■ გასქელებული რაც ან ვინც გასქელდა. *გასქელებული კისერი.*

**გასწვრივ** ზმნზ. (+ ნათ.) რაიმეს გაყოლებით, პარალელურად. *მდინარის გასწვრივ.*

**გასწვრივი** *გასწვრივის* რაიმეს გასწვრივ, პარალელურად გაყვანილი, გავლებული. *გასწვრივი ხაზები. გასწვრივი გზა.*

**გასწორება** *გასწორების* (გაასწორებს, გაისწორებს, გაუსწორებს, გასწორდება, გაუსწორდება, გაასწორებინებს) 1. სწორად დაწყობა, დალაგება, დაყენება. *მაგიდაზე წიგნები გაასწორა. საყელო გაისწორა. ანტენა გაასწორა.* 2. ტექსტში დაშვებული შეცდომების სწორი ფორმებით შეცვლა. *თხზულება გაასწორა.* ■ გასწორებული რაც გაასწორეს. *გასწორებული ნაწერი.*

**გასწრება** *გასწრების* (გაასწრებს, გაუსწრებს) 1. სხვებზე წინ წასვლა. *მანქანით ყველას გაასწრო. კონკურენტს რამდენიმე ქულით გაუსწრო.* 2. სხვის მოსვლამდე წასვლა, გასვლა ან გაცლა, გარიდება. *მატარებელმა გაასწრო. მეზობელს სახლიდან გაასწრო.*

**გასხეპა** *გასხეპის* (გასხეპს) წვრილი, პატარა ტოტების ნაჭრა. *ბუჩქის ტოტები გასხიპეს. მუხა გასხიპა.* ■ გასხეპილი რაც გასხიპეს. *გასხეპილი ხეები.*

**გასხვისება** *გასხვისების* (გაასხვისებს, გაუსხვისებს) სხვისთვის მიცემა, მიყიდვა, მიკუთვნება, სხვისად ქცევა. *ტერიტორიების გასხვისება. სახლი გაასხვისა. მინა გაუსხვისეს.* ■ გასხვისებული რაც გაასხვისეს. *გასხვისებული შენობები.*

**გასხლა** *გასხლის* (გასხლავს, გაისხლება) მცენარისთვის ზედმეტი ტოტების ნაჭრა. *ვენახი გასხლეს. ხეხილის გასხვლის დროა.* ■ გასხლული რაც გასხლეს. *გასხლული ვარდი.*

**გასხივოსნება** *გასხივოსნების* წიგნ. (გაასხივოსნებს) წიგნ. სხივებით განათება, სინათლის მოფენა. *მზემ არემარე გაასხივოსნა.* ■ გასხივოსნებული რაც გაასხივოსნეს ან გასხივოსნდა. *ოცნებით გასხივოსნებული.*

**გასხლტომა** *გასხლტომის* (გასხლტება, გაუსხლტება) 1. დაჭერილის, რაიმეში მოთავსებულის უცებ, სწრაფად გავარდნა, გაშვება. *თევზი გაუსხლტა. საპონი ხელიდან გაუსხლტა.* 2. მოულოდნელად და სწრაფად გაქცევა, გაქრობა. *ბიჭი უცებ გასხლტა.*

**გატალახიანება** *გატალახიანების* (გაატალახიანებს, გაიტალახიანებს, გაუტალახიანებს, გატალახიანდება, გაუტალახიანდება) ტალახით გასვრა, გათხუპნა. *იატაკი გატალახიანდა. ფეხსაცმელი გაუტალახიანდა.* ■ **გატალახიანებული** რაც გატალახიანდა. *გატალახიანებული მანქანა.*

**გატანა** *გატანის* (გაიტანს, გაუტანს, გაატანინებს) 1. აღება და სხვაგან წაღება. *სახლიდან ძველი ავეჯი გაიტანეს. მეზობელს ღვინო გაუტანა.* 2. საკითხის, ნინადადებისა და მისთ. განსახილველად წარდგენა შეკრებაზე, ღონისძიებაზე, თავყრილობაზე. *მოხსენება სხდომაზე გაიტანა.* 3. მიმავალი ტრანსპორტის გადავლა ცოცხალ არსებაზე და მისი მოკვლა. *მანქანამ კატა გაიტანა. ავტობუსმა ქალი გაიტანა.* 4. სადმე მიტანა და დალაგება, დაწყობა, დაკიდება სხვების სანახავად (გაყიდვის ან დათვალიერების მიზნით). *საქონელი ბაზარზე გაიტანეს. ავეჯი აუქციონზე გაიტანეს.* ■ **გატანილი** რაც გაიტანეს. *ბიბლიოთეკიდან გატანილი წიგნები.*

**გატანება** *გატანების* (გაატანს) რაიმეს მიცემა წასაღებად. *შვილს ფული გაატანა. ჩანთა გაატანეს.* ■ **გატანებული** რაც გაატანეს. *ქალისთვის გატანებული მზითევი.*

**გატანჯვა** *გატანჯვის* (გატანჯავს, გაიტანჯება) იგივეა, რაც **დატანჯვა**. *ტკივილმა გატანჯა. მარტოობით გაიტანჯა.* ■ **გატანჯული** ვინც გაიტანჯა. *გატანჯული ხალხი.*

**გატარება** *გატარების* (გაატარებს, გატარდება, გაატარებინებს) 1. განსაზღვრულ ადგილას გავლის უფლების ან საშუალების მიცემა. *სტუმრები გაატარეს. მანქანები არ გაატარეს.* 2. გარკვეული დროით სადმე ყოფნა, დარჩენა. *ორი კვირა ზღვაზე გაატარა. მთელი დღე მეგობრებთან გაატარა.* 3. ვინმეს წაყვანა სასეირნოდ ან რაიმეს დასათვალიერებლად. *ბავშვები პარკში გაატარა. სტუმრები ქალაქში გაატარა.* 4. განხორციელება, შესრულება. *საკადრო ცვლილებები გაატარეს. სამხედრო რეფორმა გატარდა.* 5. გავლება. *ხაზი გაატარა.* ■ **გატარებული** რაც გაატარეს. *სოფელში გატარებული წლები.* ⊙ **ხორცის** (ბოსტნეულის, ნიგვზისა და მისთ.) **გატარება** საკეპ მანქანაში დაჭრა, დამუშავება.

**გატაცება** *გატაცების* (გაიტაცებს, გაატაცებინებს) 1. ძალით ან ფარულად წაყვანა, წაღება. *ქალის გატაცება. მანქანა გაიტაცეს. წყალმა ცხენი გაიტაცა.* 2. ვინმეთი, რაიმეთი მთლიანად მოცვა, დაინტერესება. *წიგნმა გაიტაცა. მუშაობამ გაიტაცა. ფიქრებმა გაიტაცა.* ▲ **გატაცებით** ზმნზ. დიდი ინტერესით, თავდავიწყებით. *გატაცებით საუბრობს.* ■ **გატაცებული** ვინც ან რაც გაიტაცეს. *გატაცებული საგანძური.*

**გატევა** *გატევის* (გაატევს, გაეტევა) ვიწრო ადგილას ძნელად გასვლა, გატანა. *მაგიდა კარში ვერ გაატიეს. კარში ძლივს გაეტია.*

**გატენა** *გატენის* (გატენის, გაიტენის, გაუტენის, გაიტენება, გაეტენება) 1. მთლიანად, ბოლომდე გავსება. *ჩანთა წიგნებით გატენა. სკივრი ძველმანებით გაიტენა.* 2. ცეცხლსასროლ იარაღში ვაზნის ჩადება, სასროლად მომზადება. *რევოლვერი გატენა.* ■ **გატენილი** რაც გატენეს. *გატენილი ჩემოდანი.*

გატეხა



**გატეხა** *გატეხის* (გატეხს, გაიტეხს, გაუტეხს) 1. დარტყმით მაგარი საგნის დაზიანება, ნაწილებად დაყოფა. *ბიჭმა დოქი გატეხა. სკამი გატეხეს. შუბლი გაიტეხა.* 2. გადატ. ფიცის, პირობისა და მისთ. დარღვევა, ჩაშლა. *სიტყვა გატეხეს.* 3. გადატ. ძალ-ღონის, ენერგიის დაკარგვა, დასუსტება. *ქალი დარდმა გატეხა. ავადმყოფობამ გატეხა.* 4. გადატ. გაძარცვა. *ბანკი გატეხეს. სახლი გაუტეხეს.* ■ **გატეხილი** რაც გატეხეს. *გატეხილი ჭიქა.*

**გატვრენა** *გატვრენის* (გაიტვრენს, გაიტვრინება) გაჩუმება, დადუმება. *ბავშვი გაიტვრინა.* ■ **გატვრენილი** ვინც ან რაც გაიტვრინა. *გატვრენილი იყდა.*

**გატიალება** *გატიალების* (გაატიალებს, გატიალდება) 1. განადგურება, მოსპობა. *მტერმა სოფელი გაატიალა. წყალდიდობამ ნახნავები გაატიალა.* 2. საუბრ. გადატ. ზედმეტად დათრობა. *ბიჭები გატიალდნენ.*

**გატიალებული** *გატიალებულის* 1. რაც გაატიალეს ან გატიალდა. *გატიალებული კარ-მიდამო.* 2. საუბრ. სიმთვრალისგან გონებადაკარგული, გალეშილი. *გატიალებული კაცი.*

**გატიკნა** *გატიკნის* (გატიკნის, გაუტიკნის, გაიტიკნება) 1. საუბრ. ძალიან გავსება, გაბერვა. *ჩანთა გატიკნა. პარკი გაიტიკნა.* 2. გადატ. ძალიან გაძღომა. *ხბო გაიტიკნა.* ■ **გატიკნილი** რაც გატიკნეს ან გაიტიკნა. *გატიკნილი მუცელი.*

**გატირება** *გატირების* (გაეტირება) ვინმეს წასვლისას ტირილის დაწყება, გაყოლის ნდომა. *ბავშვი მამას გაეტირა.*

**გატიტვლება** *გატიტვლების* (გაატიტვლებს, გატიტვლდება, გაუტიტვლდება) ტანსაცმლის მთლიანად გახდა, ტიტვლად დარჩენა. *ბავშვი გაატიტვლა. წელზევით გატიტვლდა.* ■ **გატიტვლებული** ვინც გატიტვლდა. *გატიტვლებული ბიჭები.*

**გატიხვრა** *გატიხვრის* (გატიხრავს, გაიტიხრება) იგივეა, რაც გადატიხვრა. *შუშაბანდი ფიცრით გატიხრეს.* ■ **გატიხრული** რაც გატიხრეს. *გატიხრული სამზარეულო.*

**გატკაცუნება** *გატკაცუნების* (გაატკაცუნებს, გაუტკაცუნებს, გატკაცუნდება) ტკაცუნის ხმის გამოცემა. *შოლტი გაატკაცუნა. ხაფანგი გატკაცუნდა. ყურთან გაუტკაცუნა.*

**გატკეპნა** *გატკეპნის* (გატკეპნის, გაიტკეპნება) მინის, თოვლისა და მისთ. გასწორება ფეხის ან მძიმე საგნის მრავალგზის დაჭერით. *თიხა გატკეპნეს. გზა გაიტკეპნა.* ■ **გატკეპნილი** რაც გატკეპნეს ან გაიტკეპნა. *გატკეპნილი ბილიკი.*

**გატკიცინებული** *გატკიცინებულის* საუბრ. ახალი, რასაც ტკიცინი გაუდის. *გატკიცინებული ფულები.*

**გატლეკა**[1] *გატლეკის* (გატლეკს) საუბრ. იგივეა, რაც გალოკვა. *კოვზი გატლიკა.* ■ **გატლეკილი** რაც გატლიკეს. *გატლეკილი თეფში.*

**გატლეკა**[2] *გატლეკის* (გაიტლიკება) საუბრ. გაუჩერებლად, მეტიჩრულად ლაპარაკი. *ბავშვი გაიტლიკა.* ■ **გატლეკილი** ვინც ან რაც გაიტლიკა. *გატლეკილი გოგო. ენა გატლეკილი აქვს.*

**გატოლება** *გატოლების* (გაუტოლებს, გაუტოლდება) ვინმეს ან რაიმეს ტოლად ქცევა. *უფროსებთან გატოლება მოინდომა. ლიდერს გაუტოლდა.*

**გატოპვა** *გატოპვის* (გატოპავს) ფეხით გასვლა დიდ ნყალში. *კაცმა მდინარეში გატოპა. გუბე გატოპა.*

**გატრეტა** *გატრეტის* (გაიტრიტება) საუბრ. უგონოდ დათრობა. *ბარში გაიტრიტა.* ■ **გატრეტილი** ვინც გაიტრიტა. *ღვინისგან გატრეტილები.*

**გატრიალება** *გატრიალების* (გაატრიალებს, გატრიალდება) უკან გაბრუნება. *ცხენი გაატრიალა. სახლისკენ გატრიალდა.*

**გატრუნება** *გატრუნვის* (გაიტრუნება) გაჩუმება, ხმის გაკმენდა. *ბავშვი შიშისგან გაიტრუნა.* ■ **გატრუნული** ვინც ან რაც გაიტრუნა. *გატრუნული კატა.*

**გატრუსვა** *გატრუსვის* (გატრუსავს, გაიტრუსავს, გაუტრუსავს, გაიტრუსება, გაეტრუსება) დაკლული ფრინველის, საქონლის გასუფთავება ბენვებისგან, გინგლისგან ცეცხლის ალზე მოტარებით. *გოჭი გატრუსეს.* ■ **გატრუსული** რაც გატრუსეს. *გატრუსული ინდაური.*

**გატუტუცება** *გატუტუცების* (გაატუტუცებს, გაუტუტუცებს, გატუტუცდება) გათავხედება, ტუტუცად ქცევა. *ბავშვი გაატუტუცეს. ზედმეტი მოფერებით გატუტუცდა.* ■ **გატუტუცებული** ვინც გაატუტუცეს ან გატუტუცდა. *გატუტუცებული გოგო.*

**გატყავება** *გატყავების* (გაატყავებს, გაუტყავებს, გატყავდება, გაატყავებინებს) 1. დაკლული საქონლისთვის, ნანადირევისთვისა და მისთ. ტყავის გაძრობა. *თიკანი გაატყავა. მონადირეებმა დათვი გაატყავეს.* 2. გადატ. ძალიან ბევრი ფულის ან ქონების გამორთმევა. *მშობლები გაატყავა. გადასახადებით ხალხი გაატყავეს.* ■ **გატყავებული** რაც ან ვინც გაატყავეს. *გატყავებული ცხვარი.*

**გატყდომა** *გატყდომის* (გატყდება, გაუტყდება) გატეხა (1). *თეფში გატყდა. სკამი გაუტყდა.*

**გატყეპა** *გატყეპის* (გატყეპს, გაიტყიპება) საუბრ. ხელით ცემა. *მეკარე გატყიპეს. მამამ გატყიპა.* ■ **გატყეპილი** ვინც გატყიპეს. *გატყეპილი ბიჭი.*

**გატყლარჭვა** *გატყლარჭვის* (გაიტყლარჭება) საუბრ. ზედმეტად, უშნოდ გაპრანჭვა. *გოგო გაიტყლარჭა. რას იტყლარჭება?* ■ **გატყლარჭული** ვინც გაიტყლარჭა. *გატყლარჭული იჯდა.*

**გატყლაშუნება** *გატყლაშუნების* (გაატყლაშუნებს, გაუტყლაშუნებს, გატყლაშუნდება) ტყლაშუნით მოქნევა, ტყლაშუნით დარტყმა. *სახრე გაატყლაშუნა. სახედარს მათრახი გაუტყლაშუნა. ხელი გაუტყლაშუნა.*

**გატყორცნა** *გატყორცნის* (გატყორცნის, გაიტყორცნება) ძლიერად და სწრაფად გასროლა, გადაგდება. *ყუმბარის გატყორცნა. ბიჭმა ქვა გატყორცნა.* ■ **გატყორცნილი** რაც გატყორცნეს. *შორს გატყორცნილი ისარი.*

**გატყუება** *გატყუების* (გაიტყუებს) მოტყუებით ან ხათრით, რიდით გაყვანა. *სტუმარი აივანზე გაიტყუა. ქურდებმა კაცი ბაღში გაიტყუეს.*

**გაუაზრებელი** *გაუაზრებლის* რაც არ გაუაზრებიათ. *გაუაზრებელი ნათქვამი.*

**გაუარესება** *გაუარესების* (გააუარესებს, გაიუარესებს, გაუუარესებს, გაუარესდება, გაუუარესდება) უკეთესის უარესად ქცევა. *პირობების გაუარესება. კრი ზისმა მდგომარეობა გააუარესა. შედეგები გაუარესდა.* ■ **გაუარესებული** რაც გაუარესდა. *გაუარესებული ჯანმრთელობა.*

**გაუბედავი** *გაუბედავის* მხდალი, მორცხვი, ვინც რაიმეს (თქმას, მოქმედებას) ვერ ბედავს. *გაუბედავი კაცი.*

**გაუბედაობა** *გაუბედაობის* მორიდება, მორცხვობა, გამბედაობის არქონა. *გაუბედაობა გამოიჩინა.*

**გაუბედურება** *გაუბედურების* (გააუბედურებს, გაიუბედურებს, გაუუბედურებს, გაუბედურდება, გაუუბედურდება) უბედურების დამართება, უბედურად ქცევა. *ხალხი გააუბედურეს. ქალი გაუბედურდა.* ■ **გაუბედურებული** ვინც ან რაც გაუბედურდა. *გაუბედურებული დედა.*

**გაუბრალოება** *გაუბრალოების* (გააუბრალოებს, გაუბრალოვდება) 1. უბრალოდ, მარტივად წარმოდგენა. *საკითხის გაუბრალოება.* 2. გადატ. დაკნინება, დამცირება. *მისი დამსახურება გააუბრალოვეს.* ■ **გაუბრალოებული** რაც გააუბრალოეს. *გაუბრალოებული თემა.*

**გაუგებარი** *გაუგებრის* 1. რაც ვერ გაიგეს. *გაუგებარი საკითხი.* 2. ვინც ვერ გაიგო, ვისაც არ ესმის. *გაუგებარი ადამიანი.*

**გაუგებრად** ზმნზ. ისე, რომ ვერ გაიგებ, არეულ-დარეულად. *გაუგებრად ლაპარაკობს. გაუგებრად არის დანერილი.*

**გაუგებრობა** *გაუგებრობის* იგივეა, რაც გაურკვევლობა. *გაუგებრობის გამო იჩხუბეს.*

**გაუგონარი** *გაუგონრის* 1. დიდად საკვირველი, რაც არავის გაუგონია, არსად გაგონილა, წარმოსადგენადაც ძნელია. *გაუგონარი ბავშვი.* 2. ვინც არავის გაუგონებს, დაუჯერებელი, ჯიუტი. *გაუგონარი ბავშვი.*

**გაუვალი** *გაუვალის* უგზო, ძნელად გასასვლელი, სადაც ადამიანი ვერ გაივლის. *გაუვალი ტყე. გაუვალი კლდეები.*

**გაუზრდელი** *გაუზრდელის* იგივეა, რაც უზრდელი. *გაუზრდელი ყმაწვილი.*

**გაუთავებელი** *გაუთავებლის* რაც არ თავდება, დაუმთავრებელი, დაუსრულებელი. *გაუთავებელი ჩხუბი.* ▲ **გაუთავებლად** ზმნზ. ისე, რომ არ თავდება, განუწყვეტლად. *გაუთავებლად წვიმს.*

**გაუთვალისწინებელი** *გაუთვალისწინებლის* რაც წინასწარ ვერ გაითვალისწინეს, ვერ დაგეგმეს. *გაუთვალისწინებელი ხარჯები.* ▲ **გაუთვალისწინებლად** ზმნზ. ისე, რომ არ გაითვალისწინონ, გათვალისწინების გარეშე. *საკითხის გაუთვალისწინებლად.*

**გაუთოება** *გაუთოების* (გააუთოებს, გაიუთოებს, გაუუთოებს, გაუთოვდება, გააუთოებინებს) ტანსაცმლის, ქსოვილისა და მისთ. ცხელი უთოთო გაშლა, გასწორება. *პიჯაკის გაუთოება. ფარდა გააუთოვა.* ■ **გაუთოებული** რაც გააუთოვეს. *გაუთოებული საყელო.*


გაუთოება

**გაუთხოვარი** *გაუთხოვრის* ვინც არ გათხოვილა. *გაუთხოვარი ქალი.*

**გაუთხოვრობა** *გაუთხოვრობის* გაუთხოვრად ყოფნა. *ქალიშვილის გაუთხოვრობა ძალიან აწუხებდა.*

**გაუკუღმართება** *გაუკუღმართების* (გააუკუღმართებს, გაუკუღმართდება) უკუღმართად ქცევა, დამახინჯება. *ცხოვრების გაუკუღმართება. ურთიერთობები გაუკუღმართდა.* ■ **გაუკუღმართებული** რაც გაუკუღმართდა. *გაუკუღმართებული სისტემა.*

**გაუმართავი** *გაუმართავის* ცუდად მომუშავე, რაც არ გაუმართავთ. *გაუმართავი მანქანა.*

**გაუმაძღარი** *გაუმაძღრის* ხარბი, ბევრის მჭამელი, ვინც ან რაც ვერ ძღება. *გაუმაძღარი სვავი.*

**გაუმაძღრობა** *გაუმაძღრობის* ბევრის ქონის, მოხვეჭის სურვილი, სიხარბე. *თავისმა გაუმაძღრობამ დალუპა.*

**გაუმეტებელი** *გაუმეტებლის* ვისაც გამეტება (2) არ შეუძლია, ძუნწი. *გაუმეტებელი ბავშვია.*

**გაუნელებელი** *გაუნელებლის* მოურჩენელი, რაც არ განელებულა. *გაუნელებელი ტკივილი.*

**გაუპატიურება** *გაუპატიურების* (გააუპატიურებს, გაუუპატიურებს) ძალადობით სქესობრივი კავშირის დამყარება. ■ **გაუპატიურებული** ვინც გააუპატიურეს. *გაუპატიურებული გოგონა.*

**გაურანდავი** *გაურანდავის* რაც არ გაურანდავთ. *გაურანდავი ფიცარი.*

**გაურითმავი** *გაურითმავის* რაც არ გაურითმავთ. *გაურითმავი ლექსი.*

**გაურკვეველი** *გაურკვევლის* 1. რაც არ გარკვეულა, ვინც ვერ გარკვეულა. *გაურკვეველი სიტუაცია. საქმეში გაურკვეველი ადამიანი.* 2. ბუნდოვანი, გაუგებარი. *გაურკვეველი საუბარი.* ▲ **გაურკვევლად** ზმნზ. გაუგებრად, ბუნდოვნად. *გაურკვევლად წერს.*

**გაურკვევლობა** *გაურკვევლობის* ბუნდოვანი და გაუგებარი ვითარება, არეულობა, ქაოსი. *გაურკვევლობის გამო შეყოვნდნენ. დიდ გაურკვევლობაში არიან.*

**გაუტანელი** *გაუტანლის* არაერთგული, არასაიმედო, ვინც გაჭირვებაში, საქმეში არ დაეხმარება, არ გაიტანს. *გაუტანელი კაცია.*

**გაუტეხელი** *გაუტეხლის* გაჭირვებაში მაგარი, ამტანი, შეუპოვარი. *გაუტეხელი გული. გაუტეხელი მებრძოლი.*

**გაუფასურება** *გაუფასურების* (გააუფასურებს, გაუფასურდება) ფასის დაკარგვა ან დაცემა, უფასურად ქცევა. *ვალუტის გაუფასურება. ყველაფერი გააუფასურეს. დოლარი გაუფასურდა.* ■ **გაუფასურებული** რაც გააუფასურეს ან გაუფასურდა. *გაუფასურებული საქონელი.*

**გაუფერულება** *გაუფერულების* (გააუფერულებს, გაიუფერულებს, გაუუფერულებს, გაუფერულდება, გაუუფერულდება) 1. ფერის დაკარგვა, უფეროდ ქცევა. *თმის გაუფერულება. ლაქები გაუუფერულდა.* 2. გადატ. უფერულად (3), უინტერესოდ, უშინაარსოდ ქცევა. *შთაბეჭდილების გაუფერულება. მარცხმა ყველაფერი გააუფერულა.* ■ **გაუფერულებული** რაც გაუფერულდა. *გაუფერულებული გრძნობა.*

**გაუქმება** *გაუქმების* (გააუქმებს, გაუუქმებს, გაუქმდება, გაუუქმდება) რაიმეს არსებობის, ფუნქციონირების შეწყვეტა, ძალის, სამართლებრივი მდგომარეობის დაკარგვა. *კონტრაქტის გაუქმება. განყოფილება გააუქმეს. ლიცენზია გაუქმდა.* ■ **გაუქმებული** რაც გაუქმდა, რამაც ფუნქცია დაკარგა. *გაუქმებული კომპანია. გაუქმებული წისქვილი.*

**გაუჩერებელი** *გაუჩერებლის* რაც არ ჩერდება, განუწყვეტელი. *გაუჩერებელი ლაპარაკი.* ▲ **გაუჩერებლად** ზმნზ. ისე, რომ არ ჩერდება, გაჩერების გარეშე. *გაუჩერებლად დარბის. გაუჩერებლად იცინის.*

**გაუჩინარება** *გაუჩინარების* (გაუჩინარდება) დამალვა, გაქრობა, უჩინრად ქცევა. *გემის გაუჩინარება. დამნაშავე გაუჩინარდა.* ■ **გაუჩინარებული**

დაკარგული, ვინც ან რაც გაუჩინარდა. *გაუჩინარებული ბიჭი.*

**გაუცინარი** *გაუცინარის* ვინც არასოდეს იცინის, სულ მოღუშულია. *გაუცინარი ხელმწიფე.*

**გაუცხოება** *გაუცხოების* (გაუცხოვდება, გაუუცხოვდება) 1. უცხოობის გრძნობის გაჩენა. *გაუცხოების პრობლემა. მკითხველი წიგნს გაუუცხოვდა.* ■ **გაუცხოებული** ვინც ან რაც გაუცხოვდა. *გაუცხოებული გარემო.*

**გაუხედნავი** *გაუხედნავის* რაც არ გაუხედნიათ. *გაუხედნავი ცხენი.*

**გაუხეშება** *გაუხეშების* (გააუხეშებს, გაუუხეშებს, გაუხეშდება, გაუუხეშდება) სინაზის, სირბილის დაკარგვა, უხეშად გადაქცევა. *თმა გაუუხეშდა.* ■ **გაუხეშებული** რაც გაუხეშდა. *გაუხეშებული კანი.*

**გაუხსნელი** *გაუხსნელის* რაც არ გაუხსნიათ. *გაუხსნელი კონვერტი.*

**გაუხუნარი** *გაუხუნარის* მარად ახალი, დაუძველებელი, პროგრესული. *გაუხუნარი აზრები. გაუხუნარი სიყმაწვილე.*

**გაუხშოება** *გაუხშოების* (გაუხშოვდება) სპეც. აირის სიმკვრივის შემცირება. *ჰაერის გაუხშოება.* ■ **გაუხშოებული** რაც გაუხშოვდა. *გაუხშოებული აირის შრე.*

**გაფანტვა** *გაფანტვის* (გაფანტავს, გაიფანტება, გაეფანტება) 1. აქეთ-იქით გადაყრა, გაბნევა. *ქაღალდები გაიფანტა.* 2. ნაწილ-ნაწილ დაშლა, დაქსაქსვა, შეკრებილის დანაწილება, გაბნევა. *ხალხი გაფანტეს. ფარა გაიფანტა.* ■ **გაფანტული** რაც ან ვინც გაიფანტა. *გაფანტული საბუთები. გაფანტული მოსწავლეები.*

**გაფართოება** *გაფართოების* (გააფართოებს, გაიფართოვებს, გაფართოვდება, გაუფართოვდება) 1. სივანეში მომატება, გაგანიერება. *გზა გაფართოვეს.* 2. გადიდება, გაზრდა, მომატება, გაღრმავება. *ორგანიზაცია გაფართოვდა. ურთიერთობები გაფართოვეს.* ■ **გაფართოებული** რაც გაფართოვდა. *გაფართოებული კავშირები.*

**გაფართხალება** *გაფართხალების* (გააფართხალებს, გაიფართხალებს) ფართხალით ამოძრავება. *ბელურამ გაიფართხალა. ჩიტმა ფრთები გააფართხალა.*

**გაფარფაშება** *გაფარფაშების* (გააფარფაშებს, გაფარფაშდება) იგივეა, რაც **გაპარპაშება**. *ქურდები გაფარფაშდნენ.*

**გაფარჩხვა** *გაფარჩხვის* (გაფარჩხავს, გაიფარჩხება) უშნოდ, ულამაზოდ გაშლა, განზე გაწევა, გაშეერა. *ხელები გაფარჩხა. ხის ტოტები გაიფარჩხა.* ■ **გაფარჩხული** რაც გაიფარჩხა. *გაფარჩხული ფეხები.*

**გაფატრა** *გაფატრის* (გაფატრავს, გაუფატრავს, გაიფატრება) მუცლის ღრმად გაჭრა ბასრი იარაღით ან კლანჭებით და შიგნეულის გადმოყრა. *საკლავი გაფატრეს. არწივმა კრავი გაფატრა.* ■ **გაფატრული** რაც ან ვინც გაფატრეს. *გაფატრული ხარი.*

**გაფაშრება** *გაფაშრების* (გაფაშრდება) გამოშრობა, გამოფიტვა. *მინა გაფაშრდა.* ■ **გაფაშრებული** რაც გაფაშრდა. *გაფაშრებული ღვიძლი.*

**გაფაჩუნება** *გაფაჩუნების* (გააფაჩუნებს, გაიფაჩუნებს, გაფაჩუნდება) ნელა, ფრთხილად, ოდნავ განძრევა, ჩუმი ხმის გამოცემა. *თაგვმა გაიფაჩუნა. ბავშვი ლოგინში გაფაჩუნდა.*

**გაფაციცება** *გაფაციცების* (გაფაციცდება) ყურადღების დაძაბვა, სმენისა და თვალის გამახვილება ყველაფრის შესამჩნევად, გასაგებად. *ბავშვები გაფაციცდნენ. ძაღლი გაფაციცდა.* ▲ **გაფაციცებით** ყურადღების განსაკუთრებული დაძაბვით, ყველაფრის გაგების სურვილით. *გაფაციცებით უყურებს.* ■ **გაფაციცებული** ვინც გაფაციცდა. *გაფაციცებული გოგო.*

**გაფენა** *გაფენის* (გაფენს, გააფენს, გაიფენს, გაუფენს, გაიფინება, გაეფინება, გააფენინებს) 1. ქსოვილის, ტანსაცმლისა და მისთ. გადაკიდება გასაშრობად ან გასანიავებლად. *კაბა გაფინა. მატყლი თოკზე გაფინა.* 2. ქსოვილის, ქაღალდისა და მისთ. გაშლა და რაიმეზე დაფენა, დაფარება. *მაგიდაზე ნაჭერი გაფინა.* ■ **გაფენილი** რაც გაფინეს. *გაფენილი თეთრეული.*


გაფერადება

**გაფერადება** *გაფერადების* (გააფერადებს, გაუფერადებს, გაფერადდება) ფერის მიცემა, რაიმე ფერად შეღებვა. *სურათის გაფერადება. ნახატი საღებავებით გააფერადა.* ■ **გაფერადებული** რაც გააფერადეს. *წითლად გაფერადებული ყვავილი.*

**გაფერმკრთალება** *გაფერმკრთალების* (გააფერმკრთალებს, გაფერმკრთალდება, გაუფერმკრთალდება) ფერის, სიმკვეთრის დაკარგვა. *სახე გაუფერმკრთალდა.* ■ **გაფერმკრთალებული** რაც ან ვინც გაფერმკრთალდა. *გაფერმკრთალებული ქალი.*

**გაფითრება** *გაფითრების* (გააფითრებს, გაფითრდება, გაუფითრდება) სახეზე ფერის დაკარგვა. *შიშისგან გაფითრდა.* ■ **გაფითრებული** ვინც გაფითრდა. *გაფითრებული უსმენდა.*

**გაფილტრა** *გაფილტრის* (გაფილტრავს, გაუფილტრავს, გაიფილტრება) სითხის ფილტრით გაწმენდა, მინარევებისგან გასუფთავება. *წყალი გაფილტრა.* ■ **გაფილტრული** რაც გაფილტრეს. *გაფილტრული ხსნარი.*

**გაფისვა** *გაფისვის* (გაფისავს, გაიფისება) ფისის წასმა, ფისით დაფარება. *კასრი გაფისეს.* ■ **გაფისული** რაც გაფისეს. *გაფისული ფიცრები.*

**გაფიქრება** *გაფიქრების* (გაიფიქრებს) აზრის, ფიქრის გაელება. *ათასი რამ გაიფიქრა.*

**გაფიჩხება** *გაფიჩხების* (გაიფიჩხება, გაეფიჩხება) დიდი სიცივისგან გაყინვა, გათოშვა, გაშეშება. *ბელურები გაიფიჩხნენ. ხელები გაეფიჩხა.* ■ **გაფიჩხებული** ვინც ან რაც გაიფიჩხა. *გაფიჩხებული ჩიტი.*

**გაფიცვა** *გაფიცვის* (გაიფიცება, გაეფიცება) ჯგუფურად მუშაობის შეწყვეტა დამქირავებლისადმი გარკვეული მოთხოვნების წამოყენებით. *გაფიცვა მოაწყვეს. მუშები გაიფიცნენ.* ■ **გაფიცული** ვინც გაიფიცა. *გაფიცული თანამშრომლები.*

**გაფიცხება** *გაფიცხების* (გააფიცხებს, გაფიცხდება) 1. ცეცხლზე გაცხელება. *პური გააფიცხეს.* 2. გადატ. გაბრაზება, გაკაპასება. *კაცი გაფიცხდა.* ■ **გაფიცხებული** რაც ან ვინც გაფიცხდა. *გაფიცხებული ხაჭაპური.*

**გაფლანგვა** *გაფლანგვის* (გაფლანგავს, გაიფლანგება, გააფლანგვინებს) 1. ქონების, ფულისა და მისთ. უმიზნოდ, უანგარიშოდ დახარჯვა, განიავება. *მთელი ხელფასი გაფლანგა.* 2. სხვისი ქონების უკანონოდ მითვისება და დახარჯვა. *ბიუჯეტის თანხა გაფლანგეს.* ■ **გაფლანგული** რაც გაფლანგეს. *გაფლანგული ქონება.*

**გაფორთხება** *გაფორთხების* (გაფორთხდება) ფორთხვით გასვლა. *ბავშვი იატაკზე გაფორთხდა. გარეთ გაფორთხდა.*

**გაფორმება** *გაფორმების* (გააფორმებს, გაიფორმებს, გაუფორმებს, გაფორმდება, გააფორმებინებს) 1. გარეგნული სახის, ფორმის მიცემა, მორთვა, გალამაზება. *სახლი გააფორმა. სუფრა გააფორმეს.* 2. კანონიერი, იურიდიული სახის მიცემა. *ხელშეკრულება გააფორმეს. შეთანხმება გააფორმეს.* ■ **გაფორმებული** რაც გააფორმეს. *ლამაზად გაფორმებული წიგნი.*

**გაფრენა** *გაფრენის* (გააფრენს, გაიფრენს, გაფრინდება, გაუფრინდება) 1. ფრენით წასვლა. *წერო გაფრინდა.* 2. თვითმფრინავით გამგზავრება. *ახალგაზრდები ევროპაში გაფრინდნენ.* 3. გადატ. დიდი სისწრაფით წასვლა, გადაადგილება. *ბიჭი სახლისკენ გაფრინდა.* 4. საუბრ. გადატ. სისულელის თქმა ან ჩადენა. *ქალმა სულ გააფრინა.* ■ **გაფრენილი** რაც ან ვინც გაფრინდა. *ბოლო რეისით გაფრენილი მგზავრები.*

**გაფრთხიალება** *გაფრთხიალების* (გაიფრთხიალებს, გაფრთხიალდება) ფრთხიალით ამოძრავება, ფრთხიალის დანყება. *ჩიტი გაფრთხიალდა. მერცხალმა გაიფრთხიალა.*

**გაფრთხილება** *გაფრთხილების* (გააფრთხილებს, გაფრთხილდება, გაუფრთხილდება) 1. წინასწარ თქმა, ცნობება მოსალოდნელი საფრთხის შესახებ. *კაცმა მცველები გააფრთხილა.* 2. სიფრთხილის გამოჩენა, ფრთხილად, ყურადღებით მოქცევა, მოპყრობა. *მგზავრები გაფრთხილდნენ. დედას გაუფრთხილდა.* ■ **გაფრთხილებული** ვინც გააფრთხილეს. *მოსწავლეები გაფრთხილებულები არიან.*

**გაფუება** *გაფუების* (გააფუებს, გაფუვდება) მინის, ცომისა და მისთ. გაბერვა, ამოწევა, გაღვივება. *მალე გაფუვდება.* ■ **გაფუებული** რაც გაფუვდა. *გაფუებული ცომი.*

**გაფუმფულება** *გაფუმფულების* (გააფუმფულებს, გაფუმფულდება) ფუმფულად, ფაფუკად ქცევა. *ბალიში გააფუმფულა.*

**გაფურჩქნა** *გაფურჩქნის* (გაფურჩქნის, გაიფურჩქნება, გაეფურჩქნება) 1. ყვავილისა და მისთ. გაშლა, განვითარება. *კვირტი გაიფურჩქნა. ვარდი გაიფურჩქნა.* 2. მცენარისთვის ზედმეტი ყლორტებისა და ფოთლების მოცლა. *ვაზი გაფურჩქნა.* ■ **გაფურჩქნილი** რაც გაიფურჩქნა. *გაფურჩქნილი ია.*

**გაფუტკნა** *გაფუტკნის* (გაფუტკნის, გაიფუტკნება) ფხვიერი მასის გროვის გაშლა, გაფანტვა. *ქათმებმა ნაცარი გაფუტკნეს.*

**გაფუფუნებული** *გაფუფუნებულის* მატერიალური კეთილდღეობის მქონე. *გაფუფუნებული ოჯახი.*

**გაფუფქვა** *გაფუფქვის* (გაფუფქავს, გაიფუფქება) მდუღარე წყალში დაკლული ქათმის, გოჭისა და მისთ. ჩადება და უცებ ამოღება ბუმბულის ან ბალნის გასაცლელად. *ქალმა დედალი გაფუფქა.* ■ **გაფუფქული** რაც გაფუფქეს. *გაფუფქული ინდაური.*

**გაფუყული** *გაფუყულის* 1. საუბრ. გაფხორილი, გაბერილი. *გაფუყული ინდაური.* 2. გადატ. ამპარტავანი, თავდაჯერებული. *გაფუყული პიროვნება. გაფუყული ზის.*

**გაფუჭება** *გაფუჭების* (გააფუჭებს, გაიფუჭებს, გაუფუჭებს, გაფუჭდება, გაუფუჭდება, გააფუჭებინებს) 1. უვარგისად ქცევა, დაზიანება, მოშლა. *საჭმელი გაფუჭდა. ტელევიზორი გაუფუჭდა. ურთიერთობა გაუფუჭდათ.* 2. საუბრ. გადატ. გარყვნა, უზნეოდ ქცევა. *ბიჭი გაფუჭდა. ბავშვი ზედმეტმა ყურადღებამ გააფუჭა.* ■ **გაფუჭებული** რაც ან ვინც გაფუჭდა. *გაფუჭებული საქმე.*

**გაფშეკა** *გაფშეკის* (გაფშეკს, გაიფშიკება) გაჭიმვა და უშნოდ გაშვერა. *ბავშვმა თითები გაფშიკა. კუდი გაფშიკა.* ■ **გაფშეკილი** რაც გაიფშიკა. *გაფშეკილი თმები.*

**გაფშვნეტა** *გაფშვნეტის* (გაფშვნეტს, გაუფშვნეტს, გაიფშვნიტება) გასრესით დაფხვნა. *ორცხობილა გაფშვნიტა.*

**გაფცქვნა** *გაფცქვნის* (გაფცქვნის, გაიფცქვნება) 1. კანის, ქერქის გაცლა, მოცილება. *ხახვი გაფცქვნა. ლელვი გაფცქვნეს.* 2. საუბრ. გადატ. ფულის ან ქონების გამოძალვა, გაყვლეფა. *კომპანია გაფცქვნეს. ოჯახი სულ გაფცქვნა.* ■ **გაფცქვნილი** რაც გაფცქვნეს. *გაფცქვნილი ბანანი.*

**გაფხაჭნა** *გაფხაჭნის* (გაფხაჭნის, გაიფხაჭნის, გაიფხაჭნება, გაეფხაჭნება) ფრჩხილის ან მაგარი, წვეტიანი საგნის გასმით ზედაპირის მსუბუქად

გაჭრა. *კანი გაუფხაჭნა. მაგიდა გაიფხაჭნა.* ■ გაფხაჭნილი რაც გაიფხაჭნა. *გაფხაჭნილი ხელი.*

გაფხეკა *გაფხეკის* (გაფხეკს, გაიფხეკს, გაიფხიკება, გააფხეკინებს) ბასრი იარაღით კანის, ზედა ფენისა და მისთ. გაცლა, გასუფთავება. *თევზი დანით გაფხიკეს. მაგიდა გაფხიკა.*

გაფხეკილი *გაფხეკილის* 1. რაც გაფხიკეს. *გაფხეკილი სტაფილო.* 2. საუბრ. არაფრის მქონე, ცარიელი. *გაფხეკილი ჯიბე.*

გაფხვიერება *გაფხვიერების* (გააფხვიერებს, გაფხეიერდება) ფხვიერად ქცევა. *მიწა გააფხვიერეს.* ■ გაფხვიერებული რაც გააფხვიერეს. *გაფხვიერებული ნედლეული.*

გაფხორვა *გაფხორვის* (გაიფხორება) 1. იგივეა, რაც აფხორვა. *კრუხი გაიფხორა. მიმინო გაიფხორა.* 2. საუბრ. გადატ. თავმომწონედ, მედიდურად გამოხედვა, გაბღენძა. *კაცი გაიფხორა.* ■ გაფხორილი რაც ან ვინც გაიფხორა. *გაფხორილი მამალი.*

გაფხრენა *გაფხრენის* (გაფხრენს, გაუფხრენს, გაიფხრინება, გაეფხრინება) ერთბაშად, სწრაფად გახევა მკვეთრი ხმის გამოცემით. *ტილო გაფხრინა. კაბა გაეფხრინა.* ■ გაფხრენილი რაც გაიფხრინა. *გაფხრენილი ფარდა.*

გაფხუკიანება *გაფხუკიანების* (გაფხუკიანდება) პატარა, უმნიშვნელო რაიმეზე გაბრაზება, გაბუტვა. *უმიზეზოდ გაფხუკიანდა.* ■ გაფხუკიანებული ვინც გაფხუკიანდა. *გაფხუკიანებული მოხუცი.*

გაქათქათება *გაქათქათების* (გააქათქათებს, გაუქათქათებს, გაქათქათდება) ძალიან კარგად გასუფთავება, გაკრიალება, ქათქათის დაწყება. *ფარდების გაქათქათება. კაბა გააქათქათა.* ■ გაქათქათებული რაც გააქათქათეს. *გაქათქათებული სუფრა.*

გაქანება *გაქანების* (გააქანებს, გაუქანებს, გაექანება) 1. ქანაობის დაწყება. *ჰამაკი გააქანა.* 2. სწრაფად, უცბად, ერთბაშად წასვლა, წაყვანა, წაღება, სროლა. *სახლისკენ გაექანა. მძღოლმა მანქანა გააქანა. ქვა თავში გაუქანა.* 3. გადატ. რაიმეს გაკეთების უნარი, ნიჭი, შესაძლებლობა, მასშტაბი. *დიდი გაქანების ადამიანია.*

გაქანებული *გაქანებულის* 1. ვინც ან რაც გაქანდა. *გაქანებული ავტომობილი.* 2. საუბრ. ჩქარი, ენერგიული, გაცხარებული. *გაქანებული ძებნა.*

გაქარვება *გაქარვების* (გააქარვებს, გაიქარვებს, გაუქარვებს, გაუქარვდება) წიგნ. მძიმე გრძნობის შემსუბუქება, მოშორება, გაქარწყლება. *მწუხარების გაქარვება. დარდს გაუქარვებს.*

გაქარწყლება *გაქარწყლების* (გააქარწყლებს, გაუქარწყლებს, გაქარწყლდება, გაუქარწყლდება) გაბათილება, გაქრობა. *დარდს გაუქარწყლებს. ეჭვი გაუქარწყლდა.*

გაქაჩვა *გაქაჩვის* (გაქაჩავს, გაიქაჩება) 1. მაგრად გაწევა, მიზიდვა (1). *თოკი გაქაჩა.* 2. საუბრ. რაიმე საქმის შესრულება, შეძლება. *გამოცდებს ვერ გაქაჩავს.* 3. საუბრ. რაიმეს გაკეთების ზედმეტად მონდომება, თავის გამოდება. *ბილეთის ასაღებად გაიქაჩა.* 4. საუბრ. ხელის შეწყობა წარმატების მოსაპოვებლად. *სამსახურში მამამისმა გაქაჩა.*

გაქელვა *გაქელვის* (გაქელავს, გაიქელება) 1. ფეხქვეშ გასრესა, გათელვა. *ბალახი გაქელა.* 2. გადატ. ღირსების შელახვა, დამცირება. *ჭეშმარიტება გაქელეს.*

გაქექვა *გაქექვის* (გაქექავს, გაიქექება) ნაცრის, მიწის, თოვლისა და მისთ. გაწევ-გამოწევა. *ბავშვებმა სილა გაქექეს. ნაგავი გაქექა.*

გაქვითვა *გაქვითვის* (გაქვითავს, გაუქვითავს, გაიქვითება) გათანაბრება, გასწორება. *ორი ბურთი გაქვითეს.*

გაქირავება *გაქირავების* (გააქირავებს, გაუქირავებს, გაქირავდება) ნივთის, შენობისა და მისთ. დროებით გაცემა ქირის სანაცვლოდ. *სახლი გაქირავდა. აპარატი გააქირავეს.* ■ გაქირავებული რაც გააქირავეს. *გაქირავებული ობიექტები.*

გაქლიბვა *გაქლიბვის* (გაქლიბავს, გაიქლიბება) ქლიბით გახეხვა, გაფხეკა, გასწორება. *საკეტის გვერდი გაქლიბა. ფრჩხილები გაიქლიბა.*

გაქნა *გაქნის* (გაქნის, გაიქნება) ფაფისებური ან სქელი მასის ათქვეფა, აზელა. *კარაქი გაქნა. ფქვილი კვერცხში უნდა გაიქნას.*

გაქნევა *გაქნევის* (გააქნევს, გაიქნევს, გაუქნევს, გააქნევინებს) საგნის ან სხეულის ნაწილის აქეთ-იქით გაწევა. *კუდი გააქნია. თავი გაიქნია.*

გაქნილი *გაქნილის* 1. რაც გაქნეს. *გაქნილი ხაჭო.* 2. საუბრ. გაიძვერა, მოღალატური ბუნების მქონე. *გაქნილი კაცი. გაქნილი ვაჭარი.*

გაქონვა *გაქონვის* (გაქონავს, გაიქონავს, გაუქონავს, გაიქონება, გაექონება) ქონის, ცხიმის წასმა. *ქაღალდი გაქონა.* ■ გაქონილი რაც გაქონეს ან გაიქონა. *გაქონილი თეფში.*

გაქრობა *გაქრობის* (გააქრობს, გაიქრობს, გაუქრობს, გაქრება, გაუქრება, გააქრობინებს) დაკარგვა, გაუჩინარება, მიმალვა. *მაგიდიდან წიგნი გაქრა. ქურდი უცებ გაქრა.* ■ გამქრალი რაც ან ვინც გაქრა. *უკვალოდ გამქრალი თვითმფრინავი.*

გაქურდვა *გაქურდვის* (გაქურდავს, გაიქურდება, გააქურდვინებს) ვინმეს ან რაიმეს კუთვნილი ნივთის შეუმჩნევლად, ჩუმად აღება, მითვისება. *მალაზია გაქურდეს. ახალგაზრდამ კაცი გაქურდა.*

გაქუსვლა *გაქუსვლის* (გაქუსლავს) 1. ცხენის სწრაფად გაჭენება ფერდებში ქუსლების შემოკვრით. *სწრაფად გაქუსლა.* 2. საუბრ. სწრაფად გაქცევა, მოკურცხვლა. *ბიჭმა სახლისკენ გაქუსლა.*

გაქცევა *გაქცევის* (გაიქცევა, გაექცევა) 1. სირბილით წასვლა. *ბავშვები ეზოში გაიქცნენ. ბიჭი*

დედისკენ გაიქცა. 2. გაცლა, გარიდება, თავის დაღწევა. *პატიმარი ციხიდან გაიქცა. ბავშვები სკოლიდან გაიქცნენ. პასუხისმგებლობას გაექცა.* ■ გაქცეული ვინც გაიქცა. *გაქცეული დამნაშავე.*

**გაღარიბება** *გაღარიბების* (გააღარიბებს, გაღარიბდება) 1. ქონების დაკარგვა, შემოსავლის ძალიან შემცირება. *კრიზისმა ხალხი გააღარიბა.* 2. გადატ. შემცირება, რაიმეს დაკლება. *ბიბლიოთეკა ძალიან გაღარიბდა.* ■ გაღარიბებული ვინც გაღარიბდა. *გაღარიბებული მოსახლეობა.*

**გაღატაკება** *გაღატაკების* (გააღატაკებს, გაღატაკდება) ძალიან გაღარიბება, ღატაკად გადაქცევა. *ოჯახი გაღატაკდა.* ■ გაღატაკებული ვინც გაღატაკდა. *გაღატაკებული გლეხები.*

**გაღება** *გაღების* (გააღებს, გაიღებს, გაუღებს, გაიღება, გაეღება, გააღებინებს) 1. დახურულის, დაკეტილის გახსნა. *ქიშკარი გააღეს. ფანჯარა გაიღო. პირი გააღო.* 2. ფულის, თანხის გამოყოფა, გაცემა. *ფონდისთვის თანხა გაიღეს.* ■ გაღებული რაც გააღეს ან გაიღეს. *ფართოდ გაღებული კარი. გაღებული ხარჯები.*

გაღება



**გაღვივება** *გაღვივების* (გააღვივებს, გაუღვივებს, გაღვივდება, გაუღვივდება) 1. ცეცხლის გაძლიერება, გაჩაღება. *ნაკვერჩხალი გაღვივდა.* 2. გადატ. რაიმე გრძნობის გამოწვევა, გაძლიერება. *მტრობა გააღვივეს.* ■ გაღვივებული რაც გაღვივდა. *გაღვივებული შური.*

**გაღვიძება** *გაღვიძების* (გააღვიძებს, გაიღვიძებს, გაუღვიძებს, გაეღვიძება) 1. მძინარის გამოფხიზლება, ძილის მდგომარეობიდან გამოსვლა, გამოყვანა. *გაღვიძება უჭირს. დედამ გააღვიძა. ადრე გაიღვიძა. ძაღლს გაეღვიძა.* 2. გადატ. სურვილის, გრძნობის გაჩენა, აღძვრა. *სწავლის ინტერესი გაუღვიძა.* ■ გაღვიძებული ვინც ან რამაც გაიღვიძა. *გაღვიძებული ბიჭი. გაღვიძებული სიყვარული.*

**გაღივება** *გაღივების* (გააღივებს, გაღივდება) თესლიდან ღივის გამოსვლა, აღმოცენება. *ბოსტნეული გაღივდა.*

**გაღიმება** *გაღიმების* (გაიღიმებს, გაუღიმებს, გაეღიმება) უხმოდ გაცინება, ემოციის ღიმილით გამოხატვა. *ამის გაგონებაზე გაეღიმა. მასწავლებელმა გაუღიმა.* ■ გაღიმებული ვინც გაიღიმა, ვისაც ან რასაც ღიმილი ეტყობა. *გაღიმებული გოგონა. გაღიმებული სახე.*

**გაღლეტა** *გაღლეტის* (გაღლეტს, გაიღლიტება) საუბრ. იგივეა, რაც გაყვლეფა (2). *ხალხის გაღლეტა. ამხანაგებმა გაღლიტეს.*

**გაღლეტილი** *გაღლეტილის* საუბრ. 1. ვინც გაღლიტეს. *გაღლეტილი დადის.* 2. გადატ. გაიძვერა, გაქნილი. *გაღლეტილი ვაჭარი.*

**გაღმა** ზმნზ. იქითა, მეორე, მოპირდაპირე მხარეს. *გაღმა სოფელი მოჩანს.*

**გაღმერთება** *გაღმერთების* (გააღმერთებს, გაღმერთდება) 1. ღმერთად მიჩნევა, ღმერთივით თაყვანისცემა. *კერპები გააღმერთეს.* 2. გადატ. გადამეტებული თაყვანისცემა, განდიდება. *შვილი გააღმერთა. მომღერალს აღმერთებს.*

**გაღრმავება** *გაღრმავების* (გააღრმავებს, გაიღრმავებს, გაუღრმავებს, გაღრმავდება, გაუღრმავდება) 1. სიღრმის მომატება. *საძირკველი გააღრმავეს.* 2. გადატ. გაზრდა, გაძლიერება, მომატება. *სევდა გაუღრმავდა. ცოდნა გაიღრმავა.* ■ გაღრმავებული რაც გაღრმავდა. *გაღრმავებული კონფლიქტი.*

**გაღრღნა** *გაღრღნის* (გაღრღნის) მაგარი საგნის კბილებით გამოხვრა, დაზიანება. *თაგვმა სადენი გაღრღნა.* ■ გაღრღნილი რაც გაღრღნეს. *გაღრღნილი თოკი.*

**გაღუნვა** *გაღუნვის* (გაღუნავს, გაიღუნება, გაეღუნება) ძალის ზემოქმედებით სწორი, მაგარი საგნის მოხრა, გამრუდება. *მახათი გაიღუნა. შამფური გაიღუნა. კოვზი გაღუნა.* ■ გაღუნული რაც გაიღუნა. *გაღუნული ლურსმანი.*

**გაყვანა** *გაყვანის* (გაიყვანს, გაუყვანს, გააყვანინებს) 1. გასვლისას ვინმეს ან რაიმეს თან გაყოლება. *ბავშვები სასეირნოდ გაიყვანა. ძაღლი ეზოში გაიყვანა.* 2. გაწევევით, გახმობით ვინმეს იძულება, რომ გავიდეს. *მეგობრებმა მოაკითხეს და გაიყვანეს. რინგზე გაიყვანეს.* 3. სადენების, მილებისა და მისთ. გამართვა, გაკეთება. *რკინიგზა გაიყვანეს. ტელეფონის ხაზი გაიყვანეს.* ■ გაყვანილი რაც ან ვინც გაიყვანეს. *გაყვანილი კაბელი.*

**გაყვანილობა** *გაყვანილობის* მავთულების, მილების სისტემა, რომელიც გამოიყენება სხვადასხვა დანიშნულებით. *გაყვანილობა შეცვალეს.*

**გაყვითლება** *გაყვითლების* (გააყვითლებს, გაყვითლდება, გაუყვითლდება) ყვითელი ფერის მიღება. *ნაყოფი გაყვითლდა. გაყვითლება დაიწყო.*

**გაყვლეფა** *გაყვლეფის* (გაყვლეფს, გაიყვლიფება, გაეყვლიფება) 1. იგივეა, რაც გადაყვლეფა. *იდაყვი გაეყვლიფა.* 2. გადატ. ფულის, ქონებისა და მისთ. წართმევა, გამოძალვა. *ამხანაგებმა გაყვლიფეს. გადასახადებით ხალხი გაყვლიფეს.* ■ გაყვლეფილი ვინც ან რაც გაიყვლიფა. *გაყვლეფილი მოსახლეობა.*

**გაყიდვა** *გაყიდვის* (გაყიდის, გაუყიდის, გაიყიდება, გაეყიდება, გააყიდვინებს) 1. ფულის, გარკვეული ფასის სანაცვლოდ რაიმეს გაცემა. *ხილი გაყიდეს. ავეჯი გაიყიდა.* 2. გადატ. ღალატი, გაცემა, გათქმა. *მეგობარი გაყიდა.* 3. ჟარგ. თავის გამჟღავნება, გამოაშკარავება. *ამ ახმახის დანახვაზე უცებ გავიყიდე.* ■ გაყიდული რაც გაყიდეს. *გაყიდული სახლი.*

**გაყინვა** *გაყინვის* (გაყინავს, გაუყინავს, გაიყინება,

გაეყინება) 1. ყინულად ქცევა, ყინულის ფენით დაფარვა. *გ ზები გაიყინა. ონკანში წყალი გაიყინა.* 2. გადატ. ძალიან, მეტისმეტად შეცივება. *ხელები გაეყინა. ბავშვი გაიყინა.* ■ **გაყინული** ვინც ან რაც გაიყინა. *გაყინული ოთახი.*

**გაყოლა** *გაყოლის* (გაჰყვება, გაუყვება) 1. სხვასთან ერთად ან სხვის უკან წასვლა. *ბავშვი დედას თან გაჰყვა. მწყემსი ნახირს გაჰყვა.* 2. უნებლიეთ რაიმე ნივთის თან წაღება. *სათვალე გაჰყვა.* 3. რაიმეს გასწვრივ, გაყოლებით წასვლა. *ბილიკს გაუყვნენ.*

**გაყოლება** *გაყოლების* (გააყოლებს, გაიყოლებს) 1. თან წაყვანა ან ვინმესთან ერთად გაგზავნა. *ჯგუფს მწვრთნელი გააყოლეს. ბიჭი სოფელში გაიყოლა.* 2. რაიმეს გასწვრივ გატარება. *კედელს ბაზი გააყოლა.*

**გაყოფა**[1] *გაყოფის* (გაყოფს, გაიყოფს, გაუყოფს, გაიყოფა, გააყოფინებს) 1. მთლიანის ორ ან რამდენიმე ნაწილად გაჭრა, განაწილება. *პროდუქტის გაყოფა. ფული შუაზე გაყვეს. საზოგადოება ორად გაიყო.* 2. არითმეტიკული მოქმედება, რიცხვის რამდენიმე ნაწილად დაშლა. *ოთხი გავყოთ ორზე.* ■ **გაყოფილი** რაც გაყვეს. *გაყოფილი ქონება.*

**გაყოფა**[2] *გაყოფის* (გაყოფს, გაუყოფს, გააყოფინებს) იგივეა, რაც **გამოყოფა** (1). *ფანჯარაში თავი გაყო. საბნიდან ფეხი გაყო.*

**გაყოყოჩება** *გაყოყოჩების* (გააყოყოჩებს, გაყოყოჩდება) ყოყოჩად ქცევა, გაამპარტავნება. *ბიჭი გაყოყოჩდა. სიმდიდრემ გააყოყოჩა.* ■ **გაყოყოჩებული** ვინც ან რაც გაყოყოჩდა. *გაყოყოჩებული ვაჭარი.*

**გაყოჩაღება** *გაყოჩაღების* (გააყოჩაღებს, გაყოჩაღდება) სიყოჩაღის მომატება, ყოჩაღად ქცევა. *სწავლაში გაყოჩაღება. ბიჭი გაყოჩაღდა. ასე რამ გააყოჩაღა?!*

**გაყრა** *გაყრის* (გაყრის, გაიყრის, გაუყრის, გაიყრება, გაეყრება, გააყრევინებს) 1. ბევრის გაგდება. *ბავშვები ოთახიდან გაყარა.* 2. იგივეა, რაც **განქორწინება**. *მეუღლეები გაიყარნენ.* 3. ერთი რაიმეს მეორეში გატარება, გარჭობა. *ძაფი ნემსში გაუყარა. კარს ურდული გაუყარა.* ■ **გაყრილი** ვინც ან რაც გაყარეს ან რაც გაუყარეს. *გაყრილი ცოლ-ქმარი.*

**გაყრუება** *გაყრუების* (გააყრუებს, გაუყრუებს, გაყრუდება) დიდი ხმაურის გამოცემა, ყველა ხმის ჩახშობა. *ძრავის გრუხუნმა იქაურობა გააყრუა.*

**გაყუჩება** *გაყუჩების* (გააყუჩებს, გაუყუჩებს, გაყუჩდება, გაუყუჩდება) 1. უმოძრაოდ და უხმოდ გაჩერება, გაჩუმება. *ბავშვი გაყუჩდა. ქათმები გაყუჩდნენ.* 2. ტკივილის შეწყვეტა, დაამება. *კბილი გაუყუჩდა. წამალმა ხელი გაუყუჩა.*

**გაშავება** *გაშავების* (გააშავებს, გაიშავებს, გაუშავებს, გაშავედება, გაუშავდება, გააშავებინებს) 1. შავი ფერის მიღება, შავად შეღებვა. *ხელები გაუშავდა. ყურძნის მარცვლები გაშავდა.* 2. იგივეა, რაც **გარუჯვა**. *ზღვაზე გაშავდნენ.* 3. გადატ. კონკურსში, არჩევნებსა და მისთ. დამარცხება, საჭირო რაოდენობის ხმების ვერ მიღება. *დისერტანტი გააშავეს.* ■ **გაშავებული** რაც ან ვინც გაშავდა. *გაშავებული ბიჭი.*

**გაშაირება** *გაშაირების* (გაეშაირება) **შაირების** (1) თქმაში შეჯიბრება. *ერთმანეთს გაეშაირნენ.*

**გაშალაშინება** *გაშალაშინების* (გააშალაშინებს) 1. ხის ზედაპირის შალაშინით გასწორება, დამუშავება. *ფიცრები გააშალაშინა.* 2. გადატ. ტექსტის დახვეწა, ხარვეზების გასწორება. *ნაწერს გაშალაშინება აკლია. თარგმანი გააშალაშინა.* ■ **გაშალაშინებული** რაც გააშალაშინეს. *გაშალაშინებული სტატია.*

**გაშანშალება** *გაშანშალების* საუბრ. გააშანშალებს, გაუშანშალებს, გაშანშალდება) ტექსტის უცებ, სასწრაფოდ დაწერა, მომზადება. *წერილის გაშანშალება. პროექტი გააშანშალა.* ■ **გაშანშალებული** რაც გააშანშალეს. *გაშანშალებული სია დაახვედრეს.*

**გაშარჟება** *გაშარჟების* (გააშარჟებს) პიროვნების, მოვლენისა და მისთ. შარჟის სახით, გადამეტებული იუმორით წარმოდგენა. *ფაქტების გაშარჟება. პოლიტიკოსები გააშარჟეს. ფილმის პერსონაჟები გააშარჟეს.*

**გაშაყირება** *გაშაყირების* (გააშაყირებს) ჟარგ. გამასხარავება, სასაცილოდ აგდება. *მეგობრებმა გააშაყირეს.*

**გაშენება** *გაშენების* (გააშენებს, გაუშენებს, გაშენდება, გააშენებინებს) 1. ქალაქის, სოფლისა და მისთ. აშენება. *სამონასტრო კომპლექსი გააშენეს. ახალი კვარტალი გაშენდა.* 2. ბაღის, ბოსტნისა და მისთ. გაკეთება, მცენარეების დარგვა-გახარება. *სკვერი გააშენეს. ტყე გაშენდა.* ■ **გაშენებული** რაც გაშენდა. *გაშენებული ვენახი.*

**გაშეშება** *გაშეშების* (გააშეშებს, გაუშეშებს, გაშეშდება, გაუშეშდება) ერთბაშად გაჩერება, მოძრაობის უნარის დაკარგვა. *შიშისგან ერთ ადგილზე გაშეშდა. ხელი გაუშეშდა.* ■ **გაშეშებული** ვინც ან რაც გაშეშდა. *მოულოდნელობისგან გაშეშებული იდგა.*

**გაშვება** *გაშვების* (გაუშვებს, გაეშვება) 1. საშუალების, უფლების მიცემა, რომ წავიდეს. *ძროხა საბალახოდ გაუშვა. ბავშვები ეზოში გაუშვა.* 2. დაპატიმრებულის, დამწყვდეულის გათავისუფლება, გასვლის ნების მიცემა. *ტყვეები გაუშვეს. ჩიტი გალიიდან გაუშვა.* 3. ჰაერში, სივრცეში ატყორცნა, გაფრენა. *საპნის ბუშტები გაუშვა. ხომალდი კოსმოსში გაუშვეს.* 4. მოჭერილი ხელის, კლანჭისა და მისთ. გაშლა და მოშორება. *ჩანთას ხელი გაუშვა.* ■ **გაშვებული** ვინც ან რაც გაუშვეს. *ტყეში გაშვებული პირუტყვი.*

**გაშველება** *გაშველების* (გააშველებს) მოჩხუბარი მხარეების დაწყნარება, ჩხუბის შეწყვეტა. *მეზობლების გაშველება ვერ შეძლო. ბავშვები გააშველეს.* ■ **გამშველებელი** ვინც გააშველებს. *გამშველებელი და ზარალდა.*

**გაშვერა** *გაშვერის* (გაიშვერს, გაუშვერს) ხელის, ფეხისა და მისთ. გაწევა გარკვეული მიმართულებით. *თითი სურათისკენ გაიშვირა. ჯოხი წინ გაიშვირა.* ■ **გაშვერილი** რაც გაიშვირეს. *გვერდზე გაშვერილი ხელები.*

**გაშვილება** *გაშვილების* (გააშვილებს) ბავშვის სხვისთვის შვილად მიცემა. *გაშვილების უფლება. დედამ გააშვილა.*

**გაშინაურება** *გაშინაურების* (გაიშინაურებს, გაშინაურდება, გაუშინაურდება) შინაურივით მოქცევა, შინაურად გახდომა, ძალიან დაახლოება. *ახალ სამსახურში გაშინაურდა. უფროსებს გაუშინაურდა.* ■ **გაშინაურებული** ვინც გაშინაურდა. *გაშინაურებული სტუმარი.*

**გაშიფვრა** *გაშიფვრის* (გაშიფრავს, გაუშიფრავს, გაიშიფრება, გააშიფვრინებს) შიფრის, კოდისა და მისთ. ამოცნობა, ნაკითხვა. *იეროგლიფები გაშიფრეს.* ■ **გაშიფრული** რაც გაშიფრეს. *გაშიფრული ტექსტი.*

**გაშიშვლება** *გაშიშვლების* (გააშიშვლებს, გაიშიშვლებს, გაუშიშვლებს, გაშიშვლდება, გაუშიშვლდება) ყველაფრის გახდა, შიშვლად დარჩენა. *ავადმყოფი გააშიშვლეს. ბიჭი გაშიშვლდა.* ■ **გაშიშვლებული** ვინც ან რაც გაშიშვლდა. *გაშიშვლებული ტანი.*

**გაშლა** *გაშლის* (გაშლის, გაიშლის, გაუშლის, გაიშლება, გააშლევინებს) 1. დაკეცილის, დახურულის, შეკრულის გახსნა. *მუჭის გაშლა. წიგნი გაშალა. დროშა გაშალეს. ყვავილი გაიშალა.* 2. დაფენა, დაგება. *ლოგინი გაშალა. საძილე ტომრები გაშალეს.* 3. გაწევა, გაჭიმვა, გამართვა. *ხელები გაშალა. ფრთები გაშალა. მხრებში გაიშალა.* 4. ერთად შეკრულის, შეგროვილის გაცალკევება, გაფანტვა. *ცხვარი გაიშალა. კარტი გაშალეს. მატყლი გაშალა.* 5. ფართომასშტაბიანი ღონისძიების გამართვა, მოწყობა. *კვლევითი მუშაობა გაიშალა. სამონასტრო მშენებლობა გაიშალა.* ■ **გაშლილი** რაც გაიშალა. *გაშლილი თმა.*

**გაშმაგება** *გაშმაგების* (გააშმაგებს, გაშმაგდება) ძალიან გაბრაზება, განრისხება, გამძვინვარება. *სიყვარულმა გააშმაგა. კაცი გაშმაგდა.* ■ **გაშმაგებული** ვინც ან რაც გაშმაგდა. *გაშმაგებული მტერი.*

**გაშოლტვა** *გაშოლტვის* (გაშოლტავს, გაიშოლტება) შოლტით ცემა. *პირუტყვი გაშოლტა.* ■ **გაშოლტილი** ვინც ან რაც გაშოლტეს. *გაშოლტილი გლეხი.*

**გაშორება** *გაშორების* (გააშორებს, გაშორდება) 1. დაშორება, ჩამოცილება. *სოფელს გაშორდა.* 2. იგივეა, რაც განქორწინება. *ცოლი და ქმარი გაშორდნენ.* ■ **გაშორებული** ვინც ან რაც გაშორდა. *ქმარს გაშორებული ქალი.*

**გაშოტვა** *გაშოტვის* (გაიშოტება) 1. საუბრ. მოურიდებლად, მთელი ტანით რაიმეზე დაწოლა. *საწოლზე გაიშოტა.* 2. გადატ. მთელი ტანით დაცემა, დავარდნა. *ფეხი დაუცდა და მიწაზე გაიშოტა.* ■ **გაშოტილი** ვინც ან რაც გაიშოტა. *ტახტზე გაშოტილი კაცი.*

**გაშრიალება** *გაშრიალების* (გააშრიალებს, გაიშრიალებს, გაშრიალდება) შრიალით ამოძრავება. *ბუჩქებში რალაცამ გაიშრიალა.*

**გაშრობა** *გაშრობის* (გააშრობს, გაიშრობს, გაუშრობს, გაშრება, გაუშრება) 1. სველის მშრალად ქცევა. *სარეცხი გაშრა. მიწა გაშრა. კაბა უთოთი გააშრო.* 2. ნერწყვის, რძისა და მისთ. გამყოფის შეწყვეტა. *ნერვიულობისგან პირი გაუშრა. საქონელი გაშრა. დედას რძე გაუშრა.* 3. გადატ. გაკვირვებისგან შეცბუნება, გაჩუმება, გაჩერება. *ქალი მოულოდნელობისგან გაშრა.*

**გაშტერება** *გაშტერების* (გააშტერებს, გაუშტერებს, გაშტერდება, გაუშტერდება) ძალიან გაოცება, გაკვირვება, ლაპარაკის უნარის დაკარგვა. *ამ ამბავმა გააშტერა.* ■ **გაშტერებული** ვინც გაშტერდა. *გაშტერებული უყურებდა.*

**გაშურება** *გაშურების* (გაეშურება) რაიმე მიმართულებით, გარკვეული მიზნით წასვლა. *სახლისკენ გაეშურა. სათევზაოდ გაეშურა. ზღვაზე გაეშურნენ.*

**გაშუქება** *გაშუქების* (გააშუქებს, გაიშუქებს, გაშუქდება, გააშუქებინებს) 1. მზის, ლამპისა და მისთ. შუქის, სხივების მოფენა. *გზა ფარნით გააშუქა.* 2. გადატ. განხილვა, ახსნა. *მომხსენებელმა საკითხი კარგად გააშუქა. პრეზიდენტის ვიზიტი პრესაში გაშუქდა.* 3. სამედიცინო გამოკვლევა რენტგენის სხივებით. *ფილტები გაუშუქა.* ■ **გაშუქებული** რაც გააშუქეს. *ტელევიზიით გაშუქებული ფაქტი.*

**გაშხლართვა** *გაშხლართვის* (გაიშხლართება) 1. ერთბაშად, მოწყვეტით, მთელი ტანით წაქცევა, გაშოტვა. *იატაკზე გაშხლართა. მეკარე გაიშხლართა.* 2. რაიმეზე დაჯდომა ან დაწოლა და ხელფეხის უშნოდ გაშლა. *საწოლზე გაიშხლართა. სავარძელში გაიშხლართა.* ■ **გაშხლართული** ვინც ან რაც გაიშხლართა. *გაშხლართული იჯდა.*

**გაშხუილება** *გაშხუილების* (გაიშხუილებს) შხუილის გამოცემა. *მათრახმა გაიშხუილა.*

**გაჩანაგება** *გაჩანაგების* (გააჩანაგებს, გაუჩანაგებს, გაჩანაგდება) მოსპობა, განადგურება. *სურსათის გაჩანაგება. სეტყვამ ვენახი გააჩანაგა. ქვეყანა გაჩანაგდა.* ■ **გაჩანაგებული** რაც გაჩანაგდა. *გაჩანაგებული ეკონომიკა.*

**გაჩარხვა** *გაჩარხვის* (გაჩარხავს, გაიჩარხება, გაჩარხვინებს) 1. ჩარხის საშუალებით დამზადება, დამუშავება ან გალესვა. *დეტალი გაჩარხა.*

2. საუბრ. გადატ. საქმის მოგვარება. *მაჭანკალმა საქმე გაჩარხა.* ■ გაჩარხული რაც გაიჩარხა. *გაჩარხული ძრავა.*

**გაჩაღება** *გაჩაღების* (გააჩაღებს, გაჩაღდება) I. ცეცხლის ძლიერად ანთება, გაღვივება. *კოცონი გააჩაღეს.* 2. გადატ. საქმიანობის მთელი ძალით დაწყება, გაძლიერება, გაცხოველება. *ომის გაჩაღება. საარჩევნო კამპანია გააჩაღეს. მშენებლობა გაჩაღდა.* ■ გაჩაღებული რაც გააჩაღეს ან გაჩაღდა. *გაჩაღებული ეჭვრობა.*

**გაჩაჩხვა** *გაჩაჩხვის* (გაჩაჩხავს, გაიჩაჩხება) ფეხების ან ხელების ულამაზოდ, მოურიდებლად გაშლა. *ბავშვი გაიჩაჩხა.* ■ გაჩაჩხული ვინც ან რაც გაიჩაჩხა. *გაჩაჩხული ფეხები.*

**გაჩახჩახება** *გაჩახჩახების* (გააჩახჩახებს, გაუჩახჩახებს, გაჩახჩახდება) ძალიან განათება, გაბრწყინება, ჩახჩახის დაწყება. *სტადიონი გააჩახჩახეს. ქალაქი გაჩახჩახდა.* ■ გაჩახჩახებული რაც გაჩახჩახდა. *გაჩახჩახებული ქუჩები.*

**გაჩენა** *გაჩენის* (გააჩენს, გაიჩენს, გაუჩენს, გაჩნდება, გაუჩნდება, გააჩენინებს) I. დაბადება, შობა. *ბევრი შვილი გააჩინა. ვაჟი გაუჩნდა.* 2. წარმოქმნა, წარმოშობა ან გამრავლება. *ბავშვებმა ხანძარი გააჩინეს. ბუზი გაჩნდა. ახალი ავადმყოფობა გაჩნდა.* 3. შეძენა, შემატება, გამონახვა. *მტერი გაიჩინა. ახალი მეგობრები გაიჩინა. თავსატეხი გაუჩნდა.* 4. რაიმეს დამართება, შეყრა (უმეტესად სენისა). *სიმსივნე გაუჩნდა. კუზი გაუჩნდა.* 5. მისწრაფების, გრძნობის წარმოქმნა, დაბადება. *სურვილის გაჩენა. პრენტენზია გაუჩნდა. იმედი გაუჩნდა.* 6. სწრაფად, მოულოდნელად მოსვლა ან რაიმეს მოტანა. *ეს ბიჭი აქ საიდან გაჩნდა? ფული მაშინვე გააჩინა.* ■ გაჩენილი რაც ან ვინც გაჩნდა. *ტყეში გაჩენილი ცეცხლი. ბედნიერ დღე ზეა გაჩენილი.*

**გაჩერება** *გაჩერების* (გააჩერებს, გაუჩერებს, გაჩერდება, გაუჩერდება, გააჩერებინებს) I. მოძრაობის, მოქმედების შეწყვეტა. *მუშაობის გაჩერება. მანქანა გააჩერა. საათი გაჩერდა.* 2. სადმე დაბინავება, რაღაც დროით დარჩენა. *სასტუმროში გაჩერდა.* 3. საგანგებოდ გამოყოფილი ადგილი, სადაც მგზავრები ელოდებიან ტრანსპორტს. *ავტობუსის გაჩერება. გაჩერებასთან შეხვდნენ.* 4. გაზუმება, დამშვიდება, დაწყნარება. *მოჩხუბრები მალე გაჩერდნენ. ატირებული ბავშვი ძლივს გააჩერა.* ■ გაჩერებული ვინც ან რაც გაჩერდა. *გაჩერებული მატარებელი.*

**გაჩეჩა** *გაჩეჩის* (გაჩეჩს, გაიჩეჩს, გაუჩეჩს, გაიჩეჩება, გაეჩეჩება) I. მატყლის, ბამბის ან ბუმბულის დანებვა. *საჩეჩელზე მატყლი გაჩეჩა.* 2. გადატ. თმების დაწინწკნა, ცემა. *ბავშვებმა ერთმანეთი გაჩეჩეს.*

**გაჩეჩქვა** *გაჩეჩქვის* (გაჩეჩქვავს, გაუჩეჩქვავს) იგივეა, რაც დაჩეჩქვა. *ნიორი გაჩეჩქვა.*

**გაჩეხა** *გაჩეხის* (გაჩეხს, გაუჩეხს, გაიჩეხება, გააჩეხინებს) I. ხეების ან სხვა მცენარეების ნაჯახით მოჭრა, გაკაფვა. *ბუჩქნარი გაჩეხეს.* 2. გაპობა, გახლეჩა, გახეთქა. *მორი გაჩეხეს. თავი გაუჩეხა.* ■ გაჩეხილი რაც გაჩეხეს. *გაჩეხილი ვაზი.*

**გაჩვევა** *გაჩვევის* (გააჩვევს, გაეჩვევა) საუბრ. განაფვა, განვრთნა. *ყური გააჩვია. ადვილად გაეჩვია.*

**გაჩვრეტა** *გაჩვრეტის* (გაჩვრეტს, გაიჩვრეტს, გაუჩვრეტს, გაიჩვრიტება) პატარა ნახვრეტის გაკეთება. *ყურები გაიჩვრიტა.* ■ გაჩვრეტილი რაც გაიჩვრიტა. *გაჩვრეტილი ქაღალდი.*

**გაჩითვა** *გაჩითვის* (გაჩითავს, გაიჩითება) ჟარგ. 1. გულდასმით დათვალიერება, გაჩხრეკა. *სახლში ყველაფერი გაჩითა.* 2. პოვნა, შოვნა. *ბილეთები გაჩითა.* 3. მოულოდნელად გამოჩენა, სადმე მოხვედრა. *ეს ტიპი საიდან გაიჩითა? თეატრში გაიჩითა.*

**გაჩირაღდნება** *გაჩირაღდნების* (გააჩირაღდნებს, გაუჩირაღდნებს, გაჩირაღდნდება) ძლიერი შუქით განათება. *მოედანი გააჩირაღდნეს.* ■ გაჩირაღდნებული რაც გააჩირაღდნეს. *სანთლებით გაჩირაღდნებული ტაძარი.*

**გაჩიჩქნა** *გაჩიჩქნის* (გაჩიჩქნის, გაიჩიჩქნება) მცირე სიღრმეზე გათხრა. *ღორმა მიწა გაჩიჩქნა.* ■ გაჩიჩქნილი რაც გაჩიჩქნეს. *გაჩიჩქნილი ნაგავი.*

**გაჩორკნა** *გაჩორკნის* (გაჩორკნის, გაიჩორკნება) უხეშად, უსწორმასწოროდ გათლა. *ხის ტოტი გაჩორკნა.* ■ გაჩორკნილი რაც გაჩორკნეს. *გაჩორკნილი ფიცრები.*

**გაჩოჩება** *გაჩოჩების* (გააჩოჩებს, გაუჩოჩებს, გაჩოჩდება) ჩოჩვით გადაადგილება, ძირიდან აუღებლად ადგილის შენაცვლება. *სკამის გაჩოჩება. მოხუცი ფანჯრისკენ გაჩოჩდა. დივანი კუთხეში გააჩოჩეს.*

**გაჩრა** *გაჩრის* (გაჩრის, გაიჩრის, გაუჩრის, გაეჩრება) საუბრ. უშნოდ გარჭობა, გაჩხირვა. *პირში სიგარა გაიჩარა.* ■ გაჩრილი რაც გაიჩარეს. *ქამარში გაჩრილი ხელსახოცი.*

**გაჩუმება** *გაჩუმების* (გააჩუმებს, გაჩუმდება, გააჩუმებინებს) ლაპარაკის, ტირილის, ყვირილისა და მისთ. შეწყვეტა, დადუმება. *ბავშვი გაჩუმდა. ძაღლები გაჩუმდნენ.* ■ გაჩუმებული ვინც ან რაც გაჩუმდა. *გაჩუმებული ხალხი.*

**გაჩუქება** *გაჩუქების* (გააჩუქებს) საჩუქრად გაცემა. *ქალმა ყველაფერი გააჩუქა.* ■ გაჩუქებული რაც გააჩუქეს. *გაჩუქებული მიწები.*

**გაჩხაკუნება** *გაჩხაკუნების* (გაჩხაკუნდება, გააჩხაკუნებს) ჩხაკუნის გამოცემა. *ჩახმახის გაჩხაკუნება. კარმა გაიჩხაკუნა. გასაღები გაჩხაკუნდა.*

**გაჩხაპნა** *გაჩხაპნის* (გაჩხაპნის, გაიჩხაპნის, გაუჩხაპნის, გაიჩხაპნება, გაეჩხაპნება) წვეტიანი საგნით ზედაპირის ზოლად დასერვა. *მაგიდა გაჩხაპნა. სახე გაეჩხაპნა.* ■ გაჩხაპნილი რაც გაიჩხაპნა. *გაჩხაპნილი სარკე.*

**გაჩხერა** *გაჩხერის* (გაჩხერს, გაიჩხირება, გაეჩხირება) იგივეა, რაც **გაჩხირვა**. *ფხა ყელში გაეჩხირა. ბიჭი კარში გაიჩხირა.* ■ **გაჩხერილი** ვინც ან რაც გაეჩხირა. *მილში გაჩხერილი კატა.*

**გაჩხვლეტა** *გაჩხვლეტის* (გაჩხვლეტს, გაუჩხვლეტს, გაიჩხვლიტება, გაეჩხვლიტება) წვრილი, წვეტიანი საგნით გახვრეტა. *ტყავი გაჩხვლიტა.* ■ **გაჩხვლეტილი** რაც გაჩხვლიტეს. *გაჩხვლეტილი ფურცელი.*

**გაჩხირვა** *გაჩხირვის* (გაჩხირავს, გაიჩხირება, გაეჩხირება) საუბრ. უშნოდ გაჭედვა (1), გარჭობა. *ჯოხი ლობეში გაჩხირა. ქალი კარში გაეჩხირა.* ■ **გაჩხირული** რაც ან ვინც გაეჩხირა. *გასასვლელში გაჩხირული მანქანა.*

**გაჩხრეკა** *გაჩხრეკის* (გაჩხრეკს, გაიჩხრეკს, გაუჩხრეკს) 1. დაკვირვებით დათვალიერება, გასინჯვა, გაქექვა. *კარადა გაჩხრიკა.* 2. ჩხრეკის (2) ჩატარება. *მგზავრები გაჩხრიკეს. ჩანთა გაუჩხრიკეს.* 3. ცეცხლში ნაკვერჩხლისა და მისთ. გაწევ-გამოწევა, გაქექვა. *ბუხარში ნაკვერჩხლები გაჩხრიკა.* ■ **გაჩხრეკილი** რაც ან ვინც გაჩხრიკეს. *გაჩხრეკილი ჩემოდანი.*

**გაცალკევება** *გაცალკევების* (გააცალკევებს, გაცალკევდება) იგივეა, რაც **განცალკევება**. *პარტიების გაცალკევება. ქალები გაცალკევდნენ.* ■ **გაცალკევებული** რაც გაცალკევდა ან გააცალკევეს. *გაცალკევებული ადგილი.*

**გაცამტვერება** *გაცამტვერების* (გააცამტვერებს, გაუცამტვერებს, გაცამტვერდება) მთლიანად განადგურება, მოსპობა. *ყველაფერი გაცამტვერდა. მტერმა ქალაქი გააცამტვერა.* ■ **გაცამტვერებული** რაც გაცამტვერდა. *გაცამტვერებული კარმიდამო.*

**გაცდენა** *გაცდენის* (გააცდენს, გაუცდენს, გაცდება, გაუცდება) 1. დროის ტყუილად დახარჯვა, დაკარგვა, უქმად დარჩენა. *მუშები გაცდნენ.* 2. არჩატარება, არმისვლა, არდასწრება. *ლექცია გაცდა. გაკვეთილი გააცდინა. სხდომა გააცდინა.* 3. ვინმეს ან რაიმეს იქით წასვლა, გაცილება (2), უკან მოტოვება. *ქალაქს გასცდა. მოედანს გასცდნენ. ხალხს გასცდა.*

**გაცელქება** *გაცელქების* (გააცელქებს, გაცელქდება) ცელქობის დაწყება, ცელქად ქცევა. *ბავშვი გაცელქდა.* ■ **გაცელქებული** ვინც გაცელქდა. *გაცელქებული ბიჭი.*

**გაცემა** *გაცემის* (გასცემს, გაიცემა, გაეცემა) 1. სხვისთვის მიცემა, გაღება (2). *კრედიტი გასცა. მონმობები გასცეს.* 2. დასმენა, დაბეზღება, გათქმა. *საიდუმლო გასცა. მეგობარი გასცა.* ■ **გაცემული** რაც გასცეს. *გაცემული ფული.*

**გაცეტება** *გაცეტების* (გააცეტებს, გაცეტდება) დაუფიქრებლად, ცეტივით მოქცევა. *გოგონა გაცეტდა.* ■ **გაცეტებული** ვინც გაცეტდა. *გაცეტებული ბავშვები.*

**გაცეცხლება** *გაცეცხლების* (გააცეცხლებს, გაცეცხლდება) ძალიან გაბრაზება. *გაცეცხლებით საუბარი. ნათქვამმა გააცეცხლა.* ■ **გაცეცხლებული** ძალიან გაბრაზებული. *გაცეცხლებული მიუვარდა.*

**გაცვდომა** *გაცვდომის* (გაცვდება, გაუცვდება) თავისით გაცვეთა. *საბურავი გაცვდა. პალტო გაუცვდა.*

**გაცვეთა** *გაცვეთის* (გაცვეთს, გაუცვეთს, გაცვდება, გაუცვდება) რაიმე ნივთის, საგნის ან სამოსის ხმარებით გაფუჭება, დაძველება. *ტანსაცმელი გაცვითა. ფარდა გაცვდა.* ■ **გაცვეთილი** რაც გაცვდა. *გაცვეთილი ფეხსაცმელი.*

**გაცვენა** *გაცვენის* (გააცვენს, გა(ს)ცვივა, გა(ს)ცვივდება, გაუცვივდება) 1. ბევრის გავარდნა (1). *ბავშვები გარეთ გაცვივდნენ. ხალხი ქუჩაში გაცვივდა.* 2. ბევრის დავარდნა, დაყრა, მოცილება. *ფურცლები ხელიდან გაუცვივდა. ძაღლს ბეწვი გასცვივდა.* ■ **გაცვენილი** რაც გასცვივდა. *გაცვენილი ფოთლები.*

**გაცვლა** *გაცვლის* (გაცვლის, გაუცვლის, გაიცვლება, გააცვლევინებს) 1. ერთის მიცემა და მის სანაცვლოდ მეორის მიღება. *ინფორმაციის გაცვლა. წიგნები გაცვალეს. ქუდი გაუცვალა.* 2. გადატ. ღალატი (2), სხვასთან შედარებით ვინმესთვის (რაიმესთვის) უპირატესობის მინიჭება. *ოჯახი მეგობრებში გაცვალა.*

**გაცვლითი** *გაცვლითის* რაც გაცვლით ხორციელდება. *გაცვლითი პროგრამები.*

**გაციება** *გაციების* (გააციებს, გაცივდება, გაუცივდება) სიცივის გამო ავად გახდომა, ძირითადად, სასუნთქი გზების ანთებით. *ბავშვი გაციდა. გაციების ნიშნები.*

**გაცივება** *გაცივების* (გააცივებს, გაიცივებს, გაუცივებს, გაცივდება, გაუცი ვდება) სითბოს დაკარგვა. *საჭმელი გააცივა. წყლის გაცივებას დაელოდა.* ■ **გაცივებული** რაც გააცივეს ან გაცივდა. *გაცივებული საჭმელი.*

**გაცილება** *გაცილების* (გააცილებს, გაიცილებს, გასცილდება) 1. სტუმრის ან სადმე წამსვლელის გაყოლა გარკვეულ ადგილამდე ყურადღების, პატივისცემის ნიშნად. *სტუმრები გაჩერებამდე გააცილა. მამა აეროპორტში გააცილა.* 2. რაიმეს ან ვინმეს უკან მოტოვება, წინ წასვლა. *დასაბლებულ პუნქტს გასცილდა. დემონსტრანტებს გასცილდა. საზღვარს გასცილდა.* 3. განქორწინება, გაყრა. *ქმარს გასცილდა.* ■ **გაცილებული** ვინც ან რაც გასცილდა. *გაცილებული ცოლ-ქმარი.*

**გაცინება** *გაცინების* (გააცინებს, გაეცინება) მხიარული განწყობილების გამოხატვა სიცილით. *გაცინება ვერ გაბედა. ხმამაღლა გაიცინა. აუდიტორია გააცინა.*

**გაცისკროვნება** *გაცისკროვნების* (გაუცისკრო-

ნებს, გაცისკროვნდება, გაუცისკროვნდება) 1. ძალიან განათება, გაბრწყინება. *ცა გაცისკროვნდა.* 2. გადატ. სიხარულის, ბედნიერების სახეზე გამოხატვა. *ბავშვს თვალები გაუცისკროვნდა.* ■ გაცისკროვნებული რაც გაცისკროვნდა. *გაცისკროვნებული ღიმილი.*

გაცლა *გაცლის* (გაცლის, გააცლის, გაუცლის, გაიცლება, გაეცლება) 1. ზედაპირიდან რაიმეს მოშორება. *ჭუჭყი გააცალა. ქათამს კანი გააცალეს.* 2. ყველაფრის წაღება, ცარიელის დატოვება. *ოთახი გაცალეს. მალა ზია გაცალეს.* 3. ვინმესგან ან რაიმესგან მოშორება, თავის დანებება, გარიდება. *სწრაფად გაეცალა იქაურობას. ხალხს გაეცალა. აქედან გამეცალე!* ■ გაცლილი რაც გააცალეს ან გაცალეს. *გაცლილი კანი.*

გაცმაცუნება *გაცმაცუნების* (გააცმაცუნებს) ცმაცუნით ამოძრავება. *კაცმა პირი გააცმაცუნა.*

გაცნობა *გაცნობის* (გააცნობს, გაიცნობს, გაეცნობა) 1. უცნობის ნაცნობად ქცევა. *ამხანაგი გააცნო. მეზობელი გაიცნო.* 2. ინფორმაციის, ცნობის მინოდება. *დოკუმენტების გაცნობა. ახალ მასალებს გაეცნო. თავისი შეხედულება გააცნო.*

გაცნობიერება *გაცნობიერების* (გააცნობიერებს, გაიცნობიერებს, გაუცნობიერებს) გააზრება, სწორად გაანალიზება. *ყველამ უნდა გააცნობიეროს.* პარონიმი გათვითცნობიერება.

გაცნობიერებული *გაცნობიერებულის* გააზრებული, შეგნებული. *გაცნობიერებული არჩევანი.*

გაცოფება *გაცოფების* (გააცოფებს, გაცოფდება) 1. ცოფით დაავადება. *ძაღლი გაცოფდა.* 2. გადატ. ძალიან გაბრაზება, გაცეცხლება. *ლამის გაცოფდეს.*

გაცოფებული *გაცოფებულის* 1. ვინც ან რაც გაცოფდა. *გაცოფებული მივარდა.* 2. ძალიან გაბრაზებული, გაავებული. *გაცოფებული მეზობელი.*

გაცოცება *გაცოცების* (გააცოცებს, გაცოცდება) ცოცვით გასვლა. *ჭია გაცოცდა.*

გაცოცხლება *გაცოცხლების* (გააცოცხლებს, გაუცოცხლებს, გაცოცხლდება, გაუცოცხლდება) 1. მკვდრის ცოცხლად ქცევა. *უფალმა ლაზარე გააცოცხლა.* 2. სიცოცხლის ძალის, ენერგიის დაბრუნება. *ბუნება გაცოცხლდა.* ■ გაცოცხლებული ვინც ან რაც გაცოცხლდა. *გაცოცხლებული ყვავილები.*

გაცრა *გაცრის* (გაცრის, გაუცრის, გაიცრება, გააცრევინებს) საცერში ფხვიერი მასის გატარება. *ფქვილი გაცრა. მუშებმა სილა გაცრეს.* ■ გაცრილი რაც გაცრეს. *გაცრილი ბაჯი.*

გაცრეცა *გაცრეცის* (გაცრეცს, გაიცრიცება, გაეცრიცება) 1. სიძველისგან ან ხშირი ხმარებისგან ოდნავ გახეხვა, გათხელება. *კაბა გაიცრიცა. ნიგნის ყდა გაიცრიცა.* 2. ფერის გადასვლა. *სიცივისგან სახე გაეცრიცა.* ■ გაცრეცილი რაც გაიცრიცა. *გაცრეცილი ფურცლები.*

გაცრუება *გაცრუების* (გაუცრუებს, გაცრუვდება, გაუცრუვდება) მოლოდინის გამტყუნება. *იმედი გაუცრუვა.* ■ გაცრუებული რაც გაცრუვდა, მოტყუებული. *გაცრუებული დარჩა.*

გაცურება *გაცურების* (გააცურებს, გაუცურებს, გაცურდება, გაუცურდება) 1. ძირიდან აუღებლად გაწევა. *სკამი კედლისკენ გააცურა.* 2. გასრიალება. *ყინულზე ფეხი გაუცურდა.* 3. საუბრ. გადატ. მოტყუება. *თაღლითებმა კაცი გააცურეს.*

გაცურვა *გაცურვის* (გაცურავს) ცურვით გასვლა. *მდინარეში გაცურა. შორს გაცურა.*

გაცუღლუტება *გაცუღლუტების* (გააცუღლუტებს, გაცუღლუტდება) ცუღლუტობის დაწყება, გაეშმაკება. *ბიჭი გაცუღლუტდა.* ■ გაცუღლუტებული ვინც გაცუღლუტდა. *გაცუღლუტებული ბავშვი იყო.*

გაცქრიალება *გაცქრიალების* (გაცქრიალდება) ცქრიალით გასვლა. *გოგონა ეზოში გაცქრიალდა.*

გაცხადება *გაცხადების* (გააცხადებს, გაუცხადებს, გაცხადდება, გაუცხადდება) გამოაშკარავება, გამჟღავნება. *ყველაფერი გაცხადდა. დაფარული გაცხადდა.* ■ გაცხადებული რაც გაცხადდა. *გაცხადებული საიდუმლო.*

გაცხავება *გაცხავების* (გააცხავებს, გაცხავდება) ცხავში გატარება, ცხავით გაწმენდა. *ლობიო გააცხავა.* ■ გაცხავებული რაც გააცხავეს. *გაცხავებული ქვიშა.*

გაცხარება *გაცხარების* (გააცხარებს, გაცხარდება) 1. ძალიან გაბრაზება, გაცეცხლება. *გაცხარება დაეტყო.* 2. გამწვავება, დაძაბვა. *საუბარი გაცხარდა.* ■ გაცხარებული რაც ან ვინც გაცხარდა. *გაცხარებული კამათი. გაცხარებული შეუდგა საქმეს.*

გაცხება *გაცხების* (გასცხებს, გააცხებს, გააცხებინებს) გარტყმა, გაკვრა (3). *კაცმა ბავშვს სილა გასცხო.* ☉ სულს გააცხებინებს მოკლავს.

გაცხელება *გაცხელების* (გააცხელებს, გაიცხელებს, გაუცხელებს, გაცხელდება, გაუცხელდება) ტემპერატურის მომატება, ცივის ან თბილის ცხელად ქცევა. *საჭმელი გააცხელა. უთო გაცხელდა.* ■ გაცხელებული რაც გაცხელდა. *გაცხელებული წყალი.*

გაცხოველება *გაცხოველების* (გააცხოველებს, გაუცხოველებს, გაცხოველდება, გაუცხოველდება) გააქტიურება, გამძაფრება, გაძლიერება. *კამათი გაცხოველდა. მუშაობა გააცხოველეს.* ■ გაცხოველებული რაც გაცხოველდა. *გაცხოველებული ინტერესი.*

გაცხრილვა *გაცხრილვის* (გაცხრილავს, გაუცხრილავს, გაიცხრილება) 1. ცხრილში გატარება, ცხრილით გაწმენდა. *ხორბალი გაცხრილა.* 2. გადატ.

შემცირება, ზედმეტის მოცილება. *სიები გაცხრილეს.* ■ **გაცხრილული** რაც გაცხრილეს. *გაცხრილული შემადგენლობა.*

**გაძალიანება** *გაძალიანების* (გაძალიანდება, გაუძალიანდება) ნინააღმდეგობის გაწევა, გაჯიუტება. *ბავშვი უფროსს გაუძალიანდა. კაცი გაძალიანდა.*

**გაძარცვა** *გაძარცვის* (გაძარცვავს, გაუძარცვავს, გაიძარცვება, გააძარცვინებს) ფულის, ძვირფასეულობისა და მისთ. ნართმევა, მოპარვა. *ყაჩაღებმა ქალი გაძარცვეს. ბანკი გაძარცვეს.* ■ **გაძარცვული** ვინც ან რაც გაიძარცვა. *გაძარცული მგ ზავრები.*

**გაძაღლება** საუბრ. *გაძაღლების* (გაძაღლდება, გაუძაღლდება) გამწარება, გაწვალება, ძალიან ცუდ მდგომარეობაში ყოფნა. *მოხუცს ცხოვრება გაუძაღლდა.* ■ **გაძაღლებული** საუბრ. ძალიან მძიმე, აუტანელი, დამღლელი. *გაძაღლებული ცხოვრება. გაძაღლებული ყოფა.*

**გაძახება** *გაძახების* (გასძახებს, გაიძახებს) 1. შორიდან ხმამაღლა, ძახილით მიმართვა. *სტუმარს გასძახა. ექიმმა ასისტენტს გასძახა.* 2. გაყვანა რაიმეს სათქმელად. *მოსწავლე დაფასთან გაიძახა.* 4. საუბრ. გარეთ უდიერად გაგდება, გაძევება. *კატა გარეთ გაუძახა. მათხოვარი კარში გაუძახა.*

**გაძევება** *გაძევების* (გააძევებს) იგივეა, რაც გაგდება. *მსაჯმა მეკარე გააძევა. დამნაშავე დარბაზიდან გააძევეს.* ■ **გაძევებული** ვინც გააძევეს. *მოედნიდან გაძევებული ფეხბურთელი.*

**გაძენძვა** *გაძენძვის* (გაძენძავს, გაიძენძება) ქსოვილის გაწევნა, დაშლა პატარ-პატარა ძაფებად. *შალი გაიძენძა.* ■ **გაძენძილი** რაც გაიძენძა. *გაძენძილი კაბა.*

**გაძვალტყავება** *გაძვალტყავების* (გააძვალტყავებს, გაძვალტყავდება) მეტისმეტად გახდომა. *ბავშვი გაძვალტყავდა.* ■ **გაძვალტყავებული** ვინც ან რაც გაძვალტყავდა. *გაძვალტყავებული ძაღლი.*

**გაძვირება** *გაძვირების* (გააძვირებს, გაუძვირებს, გაძვირდება, გაუძვირდება, გააძვირებინებს) ფასის მომატება. *ტანსაცმელი გაძვირდა. პური გააძვირეს.* ■ **გაძვირებული** რაც გაძვირდა. *გაძვირებული პროდუქტი.*

**გაძვრენა** *გაძვრენის* (გააძვრენს, გაუძვრენს) ვიწრო ადგილას ძრომით, წვალებით გაყვანა, გატანა. *თოკი ხვრელში გააძვრინა. ბავშვი სკამის ქვეშ გააძვრინა.*

**გაძიძავება** *გაძიძავების* (გააძიძავებს) ბავშვის ძიძისთვის (2) მიბარება. *შვილი გააძიძავა.* ■ **გაძიძავებული** ვინც გააძიძავეს. *გაძიძავებული ჩვილი.*

**გაძიძგნა** *გაძიძგნის* (გაძიძგნის, გაუძიძგნის, გაიძიძგნება) იგივეა, რაც **დაძიძგნა**. *ხორცი გაძიძგნა.* ■ **გაძიძგნილი** რაც გაძიძგნეს. *გაძიძგნილი პური.*

**გაძლება** *გაძლების* (გაძლებს, გაუძლებს, გააძლებინებს) 1. ატანა, მოთმენა, შეგუება. *სახლში დიდხანს ვერ გაძლო. ტკივილს ვეღარ გაუძლო.* 2. პროდუქტის ვარგისიანობის შენარჩუნება. *ღვინო სარდაფში კარგად გაძლებს.*

**გაძლიერება** *გაძლიერების* (გააძლიერებს, გაუძლიერებს, გაძლიერდება, გაუძლიერდება) ძალის მომატება, ფიზიკური, გონებრივი, ფინანსური და მისთ. შესაძლებლობების გაზრდა. *ბიჭი გაძლიერდა. ოჯახი გაძლიერდა. ორგანიზაცია გააძლიერეს.* ■ **გაძლიერებული** ვინც ან რაც გაძლიერდა. *გაძლიერებული გუნდი.*

**გაძნელება** *გაძნელების* (გააძნელებს, გაიძნელებს, გაუძნელებს, გაძნელდება, გაუძნელდება) გართულება, გაჭირვება. *საქმე გაძნელდა. წასვლა გაუძნელდა.* ■ **გაძნელებული** რაც გაძნელდა. *გაძნელებული სუნთქვა.*

**გაძრობა** *გაძრობის* (გააძრობს, გაიძრობს, გასძერება) 1. კანის, ტყავისა და მისთ. მოცილება. *თევზს კანი გააძრო. ძირი გასძერა.* 2. ტანსაცმლის, ფეხსაცმლისა და მისთ. გახდა. *ხელთათმანი გაიძრო. შარვალი გაიძრო. ჩუსტი გასძერა.*

**გაძრომა** *გაძრომის* (გაძვრება, გაუძვრება) 1. ვიწრო ადგილას ძრომით, წვალებით გასვლა. *ხალხში გაძვრა. სკამებს შორის გაძვრა.* 2. საუბრ. გადატუცბად, შეუმჩნეველად წასვლა, მიმალვა. *სად გაძვრა ეს ბიჭი?*

**გაძუნწება** *გაძუნწების* (გააძუნწებს, გაძუნწდება) ძუნწად ქცევა. *ქალი სულ გაძუნწდა.* ■ **გაძუნწებული** ვინც გაძუნწდა. *გაძუნწებული ვაჭარი.*

**გაძურწვა** *გაძურწვის* (გაიძურწება) ჩუმად, ხმის ამოუღებლად წასვლა, გაპარვა, როდესაც საკუთარ დანაშაულს ხვდებიან და სირცხვილს გრძნობენ. *შეუმჩნევლად გაიძურწა ოთახიდან.*

**გაძღოლა** *გაძღოლის* (გაუძღვება) 1. წინ წასვლა, სხვისთვის გზის, მიმართულების ჩვენება. *ხალხს გაუძღვა. მეგობრებს სახლისკენ გაუძღვა.* 2. გადატ. სათავეში ჩადგომა, მართვა, ხელმძღვანელობა. *ორგანიზაციას გაუძღვება. საქმეს კარგად გაუძღვა.*

**გაძღომა** *გაძღომის* (გააძღებს, გაიძღებს, გაუძღებს, გაძღება, გაუძღება) 1. საკვების საკმარისად მიღება, ჭამით დაკმაყოფილება. *პურით გაძღა.* 2. გადატ. სურვილის, ნდომის დაკმაყოფილება. *ცქერით ვერ გაძღა. ერთად ყოფნით ვერ გაძღნენ.*

**განამაწია** *განამაწიის* საუბრ. დიდი ღელვა, ფაცი-ფუცი. *განამაწია შეიქნა.* ⊙ (დიდ/ერთ) განამაწიაშია ამბობენ ადამიანზე, რომელიც საქმეთა სიმრავლის გამო სულ მოუცლელია, უჭირს ყველაფრისთვის თავის გართმევა.

**განამება** *განამების* (განამებს, განამდება, განამდება) ძალიან განვალება, გატანჯვა. *ქალი განამდა. ამდენმა უბედურებამ განამა.* ■ **განამებული** ვინც განამდა. *განამებული მოხუცი.*

**გაწაფვა** *გაწაფვის* (გაწაფავს, გაიწაფავს , გაიწაფება) დაოსტატება, რაიმე საქმეში დახელოვნება. *შეგირდი მალე გაიწაფა. სავარჯიშოების დახმარებით მოსწავლეები გაიწაფებიან.*

**გაწაფული** *გაწაფულის* რაიმეს კეთებაში გავარჯიშებული, ხელგაჩვეული. *წინდის ქსოვაში გაწაფული.*

**გაწბილება** *გაწბილების* (გააწბილებს, გაწბილდება, გაუწბილდება) იმედის, მოლოდინის გაცრუება. *მეგობრებმა გააწბილეს. ბიჭი გაწბილდა.* ■ **გაწბილებული** ვინც გაწბილდა. *გაწბილებული გამყიდველი.*

**გაწევა** *გაწევის* (გასწევს, გაიწევს, გაუწევს, გაიწევა, გაეწევა, გააწევინებს) 1. ერთი ადგილიდან მეორეზე გადანაცვლება ცოტათი, მცირე მანძილით. *ბიჭი გვერდზე გაიწია. სკამი კედლისკენ გასწია.* 2. გაშლა, გაჭიმვა. *ხელები წინ გასწია. ფეხები გასწიეს.* 3. ქსოვილის, ტყავისა და მისთ. გადიდება, გაფართოება. *ფეხსაცმელი ხმარებაში გაიწია. შალი სიგანეში გაიწია.* 4. მზრუნველობის გამოჩენა, მოვალეობის შესრულება. *დედის მაგივრობას გაუწევს. მფარველობა გაუწია.* 5. გზაზე დადგომა, სადმე წასვლა. *შინისკენ გასწია. ქალაქისკენ გასწიეს.* ■ **გაწეული** რაც გასწიეს. *გვერდზე გაწეული მაგიდა.*

**გაწელვა** *გაწელვის* (გაწელავს, გაიწელავს, გაუწელავს, გაიწელება, გაეწელება) 1. გაჭიმვა, დაგრძელება. *რე ზინი გაწელა.* 2. გადატ. მეტისმეტად გაგრძელება, გაჭიანურება. *პროცესი გაიწელა. გაკვეთილი გაიწელა. ზამთარი გაიწელა.* ■ **გაწელილი** რაც გაიწელა. *გაწელილი დრო.*

**გაწერა** *გაწერის* (გაწერს, გაიწერება, გაეწერება) იგივეა, რაც გამოწერა (2). *პაციენტი საავადმყოფოდან გაწერეს. კლინიკიდან გაეწერა.*

**გაწენვა** *გაწენვის* (გაწენავს, გაიწენავს, გაუწენავს, გაიწენება, გაეწენება) 1. მატყლის, ბამბეულისა და მისთ. ხელით გაჩეჩა. *მატყლი გაწენეს.* 2. არევა, ახლართვა. *თმა გაეწენა.* ■ **გაწენილი** რაც გაიწენა ან ვისაც გაეწენა. *გაწენილი გოგონა.*

**გაწვალება** *გაწვალების* (გააწვალებს, გაიწვალებს, განვალდება, გაუწვალდება) 1. დატანჯვა, გაწამება. *მარტოხელა ქალი გაწვალდა.* 2. ვინმეს შეწუხება, გაბრაზება. *ბავშვმა ბებია გააწვალა.* ■ **გაწვალებული** ვინც გაწვალდა. *სიდუხჭირისგან გაწვალებული.*

**გაწედა** *გაწედის* (გაიწედის, გაუწედის) გაწევა, გაშვერა, გაწოდება. *ფეხებს წინ გაიწედის. მეგობარს ხელს გაუწედის.*

**გაწვდენა** *გაწვდენის* (გააწვდენს, გაიწვდენს, გაუწვდენს) 1. გაშლა, გაჭიმვა ისე, რომ გარკვეულ ფართობს ეყოს, თავიდან ბოლომდე დაფაროს. *სუფრა მაგიდას ვერ გააწვდინა.* 2. ისე განაწილება, რომ ყველას, ყველაფერს ეყოს. *ოჯახს ხელფასი გააწვდინა. სახარჯო ფული გაიწვდინა.*

**გაწვდომა** *გაწვდომის* (გასწვდება) 1. მთლიანად, თავიდან ბოლომდე დაფარვა. *ზეწარი საწოლს გასწვდა.* 2. ისეთი ოდენობით ქონა, რომ ყველას, ყველაფერს ეყოს. *ფული მუშების ხელფასს ვერ გასწვდა.* 3. რაიმეს შეძლება, გაკეთება, ბოლომდე შესრულება. *ქალი საქმეს ვერ გასწვდა.*

**გაწევება** *გაწევების* (გაიწევებს) 1. საცეკვაოდ, შესაჯიბრებლად და მისთ. გაყოლის შეთავაზება. *საჭიდაოდ გაიწვია.* 2. სამხედრო ან სამსახურებრივი მოვალეობის შესასრულებლად ოფიციალური გახმობა, გამოძახება. *ახალგაზრდები ჯარში გაიწვიეს. საგაზაფხულო გაწვევა.*

**გაწვნა** *გაწვნის* (გააწნავს) მაგრად გარტყმა, შემოკერა. *სახეში სილა გააწნა. მათრახი გააწნა.*

**გაწვრთნა** *გაწვრთნის* (გაწვრთნის, გაუწვრთნის, გაიწვრთნება) 1. სისტემატური ვარჯიშის, წვრთნის შედეგად ადამიანის ფიზიკური ან გონებრივი შესაძლებლობების გაუმჯობესება, გარკვეული ჩვევების შეძენა. *სწავლაში კარგად გაწვრთნეს.* 2. ცხოველის ან ფრინველისთვის გეშის აღების სწავლება, სანადიროდ მომზადება სისტემატური ვარჯიშის, წვრთნის შედეგად. *მიმინო გაწვრთნა.* ■ **გაწვრთნილი** ვინც ან რაც გაწვრთნეს. *გაწვრთნილი ძაღლი.*

**გაწვრილება** *გაწვრილების* (გაანვრილებს, გაიწვრილებს, გაუწვრილებს, გაწვრილდება, გაუწვრილდება) სისქის, სიმსხოს დაკარგვა, წვრილად გადაქცევა. *კისერი გაუწვრილდა.* ■ **გაწვრილებული** რაც გაწვრილდა. *გაწვრილებული ხმა.*

**გაწითლება** *გაწითლების* (გააწითლებს, გაიწითლებს, გაუწითლებს, გაწითლდება, გაუწითლდება) წითელი ფერის მიღება, წითლად შეღებვა. *ბიჭს სახე გაუწითლდა.* ■ **გაწითლებული** ვინც ან რაც გაწითლდა. *გაწითლებული ვაშლი.*

**გაწირვა** *გაწირვის* (გაწირავს, გაიწირება) გამეტება, მიტოვება. *სასიკვდილოდ გაწირეს.* ■ **გაწირული** ვინც ან რაც გაწირეს. *გაწირული მეომრები.*

**გაწიტება** *გაწიტების* (გააწიტებს) გადაფურთხება ნერწყვის კბილებში გამოტარებით. *ბიჭმა გააწიტა.*

**გაწიწკნა** *გაწიწკნის* (გაწიწკნის, გაიწიწკნის, გაიწიწკნება) კბილებით, ბრჭყალებითა და მისთ. გაწენვა და წვრილ ნაწილებად დაქუცმაცება. *ძერამ ბარტყი გაწიწკნა. ქათმის ფრთა გაწიწკნა.*

**გაწიწმატება** *გაწიწმატების* (გააწიწმატებს, გაწიწმატდება) ძალიან გაბრაზება, ნყრომის ხმამაღლა გამოხატვა. *ქალი გაწიწმატდა.* ■ **გაწიწმატებული** ვინც გაწიწმატდა. *გაწიწმატებული ქალი.*

**გაწკაპუნება** *გაწკაპუნების* (გაანკაპუნებს, გაიწკაპუნებს, გაწკაპუნდება) წკაპუნის გამოცემა. *მონეტამ გაიწკაპუნა.*

**გაწკარუნება** *გაწკარუნების* (გაანკარუნებს, გაიწკარუნებს, გაწკარუნდება) წკარუნის გამოცემა. *ჭაღმა გაიწკარუნა.*

**განკეპვლა** *განკეპვლის* (განკეპლავს, გაინკეპლება) წკეპლით ცემა. *ბავშვი განკეპლეს.* ■ **განკეპლილი** ვინც ან რაც განკეპლეს. *განკეპლილი ძაღლი.*

**განკეპილი** *განკეპილის* გაშვერილი, გაბზეკილი. *განკეპილი ულვაშები.*

**განკლაპუნება** *განკლაპუნების* (გააკლაპუნებს) წკლაპუნის გამოცემა. *პირი გააკლაპუნა.*

**განკრიალება** *განკრიალების* (გააკრიალებს, გაინკრიალებს, განკრიალდება) 1. წკრიალის გამოცემა. *ზარმა გაინკრიალა.* 2. ზედმიწევნით გასუფთავება, განმენდა. *ქალმა სამზარეულო გააკრიალა.* ■ **განკრიალებული** რაც გააკრიალეს. *განკრიალებული ეზო.*

**განმენდა** *განმენდის* (განმენდს, გაინმენდს, გაუნმენდს, გაინმინდება, გაეწმინდება, გააწმენდინებს) 1. ჭუჭყის, მტვრის მოცილება, გასუფთავება. *ფანჯრები განმინდა. თხრილი განმინდეს. ფეხსაცმელი გაინმინდა.* 2. სახის, ხელისა და მისთ. გამშრალება, სისველის მოშორება. *სახე გაინმინდა.* 3. გადატ. არასასურველი ნაწილის მოშორება, მოცილება. *ქვეყანა მტრებისგან განმინდეს.* ■ **განმენდილი** რაც გაინმინდა. *განმენდილი ჰაერი.*

**განოდება** *განოდების* (გაინოდებს, გაუნოდებს) გაშვერა, განევა ვინმესთვის მისაცემად. *ყურნალი გაუნოდა. ფული გაუნოდა.*

**განონასნორება** *განონასნორების* (გააწონასნორებს, გაუწონასნორებს, განონასნორდება) წონასწორობის აღდგენა და შენარჩუნება. *მდგომარეობა გააწონასნორა.* ■ **განონასნორებული** რაც განონასნორდა. *განონასნორებული ძალები.*

**განურვა** *განურვის* (განურავს, გაინურავს, გაუნურავს, გაინურება, გაეწურება) 1. მოჭერით, დაწნეხითა და მისთ. სითხის, წვენის გამოდენა, გამოცლა. *სარეცხის განურვა. პირსახოცი განურა. ხილი განურა.* 2. სითხის გატარება საწურში ან ფილტრში. *ბულიონი განურა.* ■ **განურული** რაც გაინურა. *განურული თეთრეული.*

**განუწვა** *განუწვის* (განუწავს, გაინუწება, გაეწუწება) სითხის შესხმა და დასველება, დასვრა. *ბავშვმა მეგობარი განუწა. შარვალი გაეწუწა.* ■ **განუწული** ვინც ან რაც გაინუწა. *განუწული წინსაფარი.*

**განუწკება** *განუწკების* (გააწუწკებს, განუწკდება) რაიმეზე ზედმეტად მიჩვევა. *ბავშვი განუწკდა.* ■ **განუწკებული** ვინც ან რაც განუწკდა. *განუწკებული ადვოკატი.*

**განყალება** *განყალების* (გააწყალებს, გაინყალებს, გაუნყალებს, განყალდება, გაუნყალდება) წყალივით გახდომა, გემოს დაკარგვა. *ღვინო განყალდა.* ■ **განყალებული** რაც განყალდა. *განყალებული ღვინო.*

**განყდომა** *განყდომის* (განყდება, გაუნყდება) 1. ↑ **განყვეტა** (1). *ბაწარი განყდა. ბაგირი გაუნყდა.* 2. დიდი რაოდენობის ხალხის, პირუტყვისა და მისთ. მოსპობა, განადგურება. *მოსახლეობა შიმშილით განყდა. ნადირი განყდა.* 3. საუბრ. გამოლევა, გაქრობა. *წამალი განყდა. სასმელი განყდა.* ■ **გამწყდარი** რაც ან ვინც განყდა. *გამწყდარი საქონელი.*

**განყვეტა** *განყვეტის* (განყვეტს, გაინყვეტს, გაუნყვეტს, გააწყვეტინებს) 1. თოკის, სიმისა და მისთ. გაჭიმვით ორ ნაწილად გაყოფა, გაცალკევება. *ძაფი განყვიტა.* 2. დიდი რაოდენობის ხალხის, პირუტყვისა და მისთ. მოსპობა, განადგურება. *ჭირმა ქათამი განყვიტა.* 3. შეჩერება, დამთავრება, დასრულება. *კავშირი განყვიტა. შვილთან ურთიერთობა განყვიტა. საუბარი განყვიტა.* ■ **განყვეტილი** რაც ან ვინც განყვიტეს. *განყვეტილი ჯაჭვი.*

**განყობა** *განყობის* (გააწყობს, გაუნყობს, გაეწყობა) 1. გაშლა, დალაგება. *სუფრა გააწყო. ლოგინი განაწყო.* 2. მორთვა, გალამაზება. *კაბა ყვავილებით გააწყო.* 3. საუბრ. მოხერხება, საქმის მოგვარება. *ვერაფერი გააწყო.* ■ **განყობილი** რაც გააწყვეს. *არშიით განყობილი კაბა.* ⊙ **რა გაეწყობა რას** იზამ, სხვა რა გზაა.

**განყრომა** *განყრომის* (განყრება, გაუნყრება) გაბრაზების, გაჯავრების სიტყვიერი გამოხატვა. *კაცი განყრა. მასწავლებელი მოსწავლეებს განუწყრა.*

**განჭანჭყარება** *განჭანჭყარების* (გააჭანჭყარებს, განჭანჭყარდება) ნახევრად სავსე ჭურჭლის აქეთ-იქით გარხევა, შენჯღრევა. *ბოთლი განაჭანჭყარა.*

**განჭაღარავება** *განჭაღარავების* (გააჭაღარავებს, გაუჭაღარავებს, განჭაღარავდება, გაუჭაღარავდება) თმაში ჭაღარის შერევა. *ქალი განაჭაღარავდა. წვერი გაუჭაღარავდა.* ■ **განჭაღარავებული** ვინც განჭაღარავდა ან რაც გაუჭაღარავდათ. *განჭაღარავებული ბებერი. განჭაღარავებული თმა.*

**განჭაჭანება** *განჭაჭანების* (გააჭაჭანებს, გაიჭაჭანებს, განჭაჭანდება) გარკვეულ სივრცეში, გარემოში გამოჩენა, არსებობა, ფეხის მოკიდება (გამოიყენება უარყოფით კონტექსტში). *იქ უცხო ვერ განჭაჭანდება. სახლში ძაღლს არ გააჭაჭანებს.*

**განჭაჭვა** *განჭაჭვის* (გაიჭაჭება) დაძაბულად, მთელი ძალით ყვირილი, ტირილი. *ბავშვი განიჭაჭა.*

**განჭედვა** *განჭედვის* (განჭედავს, გაუჭედავს, გაიჭედება, განჭედება) 1. მჭიდროდ ჩადება, ჩაყრა, გარჭობა. *არხში ნაგავი განაჭედა. განაჭედა საკეტში გასაღები.* 2. ვიწრო ადგილას ან გამოუვალ სიტუაციაში მოხვედრა, გადაადგილების შეზღუდვა. *მანქანა ქუჩაში განაჭედა. ქალი ლიფტში განაჭედა.* 3. ბოლომდე გავსება, გატენა. *ოთახი ხალხით განაჭედა.* ■ **განჭედილი** რაც ან ვინც განაჭედა. *მაყურებლებით განჭედილი დარბაზი.*

**განჭენება** *განჭენების* (განაჭენებს, განჭენდება, გაუჭენდება) ჭენებით წასვლა. *უეცრად განჭენდა.* ■ **განჭენებული** რაც განაჭენეს. *განჭენებული ცხენიდან გადმოხტა.*

**გაჭეჭყვა** *გაჭეჭყვის* (გაჭეჭყავს, გაიჭეჭყავს, გაუჭეჭყავს, გაიჭეჭყება, გაეჭეჭყება) მაგარი საგნის დარტყმით, დაწოლით გასრესა, გაჭყლეტა. *გველს თავი გაუჭეჭყა. თუნუქის ქილა გაჭეჭყა.*

**გაჭვარტვლა** *გაჭვარტვლის* (გაჭვარტლავს, გაიჭვარტლება) ჭვარტლით დაფარვა, დასვრა. *ბუხარი გაიჭვარტლა.* ■ **გაჭვარტლული** რაც გაიჭვარტლა. *გაჭვარტლული ფანჯარა.*

**გაჭვრეტა** *გაჭვრეტის* (გაიჭვრიტება) მოფარებული ადგილიდან გახედვა ვინმეს ან რაიმეს დასანახად. *კარებიდან გაიჭვრიტა. გარეთ გაიჭვრიტა.*

**გაჭიანურება** *გაჭიანურების* (გააჭიანურებს, გაუჭიანურებს, გაჭიანურდება, გაუჭიანურდება) მეტისმეტად გახანგრძლივება, გაგრძელება, დროში განელვა. *საქმე გაჭიანურდა. პროცესი გააჭიანურეს.* ■ **გაჭიანურებული** რაც გაჭიანურდა. *გაჭიანურებული მშენებლობა.*

**გაჭიმვა** *გაჭიმვის* (გაჭიმავს, გაიჭიმავს, გაუჭიმავს, გაიჭიმება, გაეჭიმება, გააჭიმვინებს) 1. ძალიან გაწევა და გასწორება, დაგრძელება, გაწელვა. *სიმების გაჭიმვა. თოკი გაჭიმა.* 2. გადატ. სიგრძეზე განლაგება, დიდ მანძილზე გაყვანა, გაშენება. *ვენახები გაიჭიმა.* 3. წელში გამართვა, მხრების გაშლა, გასწორება. *ბიჭი გაიჭიმა. მთელი ტანით გაიჭიმა.* 4. გადატ. თავის მედიდურად დაჭერა, გაბღენძა. *მანქანა იყიდა და გაიჭიმა.* ■ **გაჭიმული** რაც ან ვინც გაიჭიმა. *გაჭიმული თოკი. გაჭიმული დადის.*

**გაჭინთვა** *გაჭინთვის* (გაიჭინთება) მშობიარობისას ან კუჭში გასვლისას სხეულის დაძაბვა, კუნთების დაჭიმვა, რომელსაც ერთვის ხვნეშა და ძლიერი სუნთქვა. *ბავშვი გაიჭინთა.*

**გაჭირვება** *გაჭირვების* (გაიჭირვებს, გაუჭირვებს, გაჭირდება, გაუჭირდება) 1. რთულ ვითარებაში ყოფნა, სიძნელის შექმნა. *სწავლა გაუჭირდა.* 2. სილარიბე. *გაჭირვებაში ცხოვრობს.*

**გაჭირვებული** *გაჭირვებულის* ვინც გაჭირვებას განიცდის, გაჭირვებაში ცხოვრობს. *გაჭირვებული ოჯახი.*

**გაჭირვეულება** *გაჭირვეულების* (გააჭირვეულებს, გაჭირვეულდება) ჭირვეულობის დაწყება, გაჯიუტება. *ბავშვი გაჭირვეულდა.* ■ **გაჭირვეულებული** ვინც გაჭირვეულდა. *გაჭირვეულებული ავადმყოფი.*

**გაჭიფხვა** *გაჭიფხვის* საუბრ. გაიჭიფხება 1. გაჭინთვა, დაძაბვა. *ბიჭი გაიჭიფხა.* 2. ისეთი რამის შეჭიდება, რის დაძლევის, გაკეთების ძალაც არ შესწევთ. *გაიჭიფხა, მაგრამ ტომარა ადგილიდან ვერ დაძრა.*

**გაჭორვა** *გაჭორვის* (გაჭორავს, გაუჭორავს, გაიჭორება) ვინმეზე ჭორის, ცუდის თქმა. *ქალმა მეზობელი გაჭორა.*

**გაჭრა** *გაჭრის* (გაჭრის, გაიჭრის, გაუჭრის, გაიჭრება, გაჭრევინებს) 1. ბასრი იარაღით გაყოფა, დანაწილება, გაკვეთა. *საზამთრო გაჭრა. თოკი გაჭრა. ძირმაგარა გაუჭრეს. თითი გაეჭრა.* 2. არხის, გზისა და მისთ. გათხრა, გაყვანა. *საძირკველი გაიჭრა. სამარე გაჭრეს.* 3. კარტით თამაშისას უფრო ძლიერი ქაღალდით ნაკლების ჯობნა, გაბათილება. *კოზირით გაჭრა.* 4. გადატ. გარკვეული ზემოქმედებით შედეგის მიღება. *მუქარამ გაჭრა. ეს მეთოდი უთუოდ გაჭრის.* 5. გარეთ გავარდნა, გაქცევა. *ქუჩაში გაიჭრა. მთაში გაიჭრა. წინ გაიჭრა. კარისკენ შურდულივით გაიჭრა.* ■ **გაჭრილი** რაც ან ვინც გაიჭრა. *გაჭრილი ხელი.* ⊙ **გაჭრილი ვაშლივით ჰგავს** ძალიან ჰგავს, მათი გარჩევა შეუძლებელია.

**გაჭრიალება** *გაჭრიალების* (გააჭრიალებს, გაიჭრიალებს, გაჭრიალდება) ჭრიალის გამოცემა. *კარი გაჭრიალდა. საბურავმა გაიჭრიალა.*

**გაჭრიჭინება** *გაჭრიჭინების* (გააჭრიჭინებს, გაიჭრიჭინებს, გაჭრიჭინდება) ჭრიჭინის გამოცემა. *კიბის საფეხურმა გაიჭრიჭინა. ერთხელ გაჭრიჭინდა.*

**გაჭუჭყიანება** *გაჭუჭყიანების* (გააჭუჭყიანებს, გაიჭუჭყიანებს, გაუჭუჭყიანებს, გაჭუჭყიანდება, გაუჭუჭყიანდება) ჭუჭყით დაფარვა, გასვრა, გაბინძურება. *თეთრეული გაჭუჭყიანდა. ბავშვს ხელები გაუჭუჭყიანდა.* ■ **გაჭუჭყიანებული** რაც ან ვინც გაჭუჭყიანდა. *გაჭუჭყიანებული სუფრა.*

**გაჭყეპა** *გაჭყეპის* (გაჭყეპს, გაიჭყიპება) ზომაზე მეტი სითხის (წყლის, წვენისა და მისთ.) დალევა. *ლიმონათით გაიჭყიპა. ღვინით გაჭყიპა სტუმრები.*

**გაჭყეტა** *გაჭყეტის* (გაიჭყეტს) გახედვა, ჩვეულებრივ მალულად. *უკან გაიჭყიტა. ფანჯრიდან გაიჭყიტება.*

**გაჭყლეტა** *გაჭყლეტის* (გაჭყლეტს, გაიჭყლიტება) ფიზიკური ზემოქმედებით (ფეხის დადგმით, ზედ გადავლითა და მისთ.) მძიმე დაზიანება, მოკვლა. *ლოკოკინა ფეხით გაჭყლიტა. მანქანამ ქათამი გაჭყლიტა.* ■ **გაჭყლეტილი** რაც გაჭყლიტეს. *გაჭყლეტილი მსხალი.*

**გახაზვა** *გახაზვის* (გახაზავს, გაიხაზება) 1. ხაზის გასმა, ხაზის დამჩნევა. *მაგიდის ზედაპირი გაიხაზა.* 2. ნაწერის ქვეშ ხაზის გავლება სიტყვის, წინადადებისა და მისთ. მონიშვნის, გამოყოფის მიზნით. *მთელი აბზაცი გახაზა.* ■ **გახაზული** რაც გახაზეს. *ფანქრით გახაზული სიტყვები.*

**გახალისება** *გახალისების* (გაახალისებს, გაუხალისებს, გახალისდება, გაუხალისდება) ხალისიან, კარგ განწყობილებაზე დადგომა. *ავადმყოფი გახალისდა. სტუმრებმა პატარა გაახალისეს.* ■ **გახალისებული** ვინც გახალისდა. *გახალისებული ბავშვები. გახალისებული შეუდგა საქმეს.*

**გახამება** *გახამების* (გაახამებს, გაუხამებს, გახამდება) სახამებლიან წყალში გავლება. *თეთრეული გაახამა.* ■ **გახამებული** რაც გაახამეს. *გახამებული საყელო.*

**გახანგრძლივება** *გახანგრძლივების* (გაახანგრძლივებს, გაიხანგრძლივებს, გაუხანგრძლივებს, გახანგრძლივდება, გაუხანგრძლივდება) დროის გაგრძელება, ხანგრძლივობის გაზრდა. *სამუშაო გახანგრძლივდა. სიცოცხლე გაუხანგრძლივდა.* ■ **გახანგრძლივებული** რაც გახანგრძლივდა. *გახანგრძლივებული მკურნალობა.*

**გახარება** *გახარების* (გაახარებს, გაიხარებს, გაუხარებს, გაუხარდება) 1. სიხარულის განცდა, სიხარულით ავსება. *წარმატებით გაიხარა. ბავშვების ნახვა უხაროდა.* 2. გადარგული ან დათესილი მცენარის ზრდა–განვითარება. *ვაზმა გაიხარა. ვაშლის ნერგები გაახარა. ყვავილების გახარება გაუჭირდა.*

**გახარჯვა** *გახარჯვის* (გახარჯავს, გაიხარჯება) მთელი მარაგის დახარჯვა. *ამ თვეში უკვე ყველაფერი გაიხარჯა.* ■ **გახარჯული** რაც გაიხარჯა. *გახარჯული ღვინო.*

**გახახუნება** *გახახუნების* (გაუხახუნებს, გაეხახუნება) ხახუნით გასმა. შეხება. *ლოყა ზე ხელი გაუხახუნა. ზურგით კარადას გაეხახუნა.*

გახდა



**გახდა** *გახდის* (გახდის, გაიხდის, გაახდევინებს) 1. ჩაცმული ტანსაცმლის ან ფეხსაცმლის სხეულიდან მოშორება. *ბავშვს კაბა გახადა. ტანსაცმელი გაიხადა. ფეხსაცმელი გახადეს.* 2. ვინმეს მდგომარეობის, დამოკიდებულების შეცვლა, სხვად გადაქცევა. *მეგობრად გაიხადა.* ■ **გახდილი** რაც გაიხადეს. *გახდილი პალტო.*

**გახდომა**[1] *გახდომის* (გახდება, გაუხდება) 1. რაიმე თვისების, პროფესიისა და მისთ. შეძენა, გარკვეული მდგომარეობის მიღწევა. *ლაურეატი გახდა. დირექტორის ცოლი გახდა.* 2. გარკვეული ასაკის, დროის შესრულება. *შუაღამე გახდა. თორმეტი საათი გახდა. ორი წლის გახდა.* ◎ **ვერაფერს გახდება (რას გახდება)** ვერაფერს შეძლებს, ვერაფერს გააკეთებს.

**გახდომა**[2] *გახდომის* (გახდება, გაუხდება) წონაში დაკლება. *ქალი ძალიან გახდა. ავადმყოფობისგან გახდა.*

**გახედვა** *გახედვის* (გაახედებს, გაიხედავს) 1. გარკვეული მიმართულებით ყურება, ვინმესთვის ან რაიმესთვის თვალის მიპყრობა. *გარეთ გაიხედა. ალმაცერად გახედა.* 2. ვინმეს შესახვედრად გარეთ გასვლა. *სტუმრებს გახედა.*

**გახედნა** *გახედნის* (გახედნის, გაუხედნის, გაიხედნება, გაახედნინებს) ცხენისა და მისთ. გაწვრთნა. *უკვე დროა გაიხედნოს.* ■ **გახედნილი** გაწვრთნილი, რაც გახედნეს. *გახედნილი რაში.*

**გახევა** *გახევის* (გახევს, გაუხევს, გაახევინებს) ქსოვილის, ქაღალდისა და მისთ. მკვეთრი მოძრაობით, ძალის ზემოქმედებით გაყოფა, განაწილება ან დაზიანება. *კაბა გახია. ფურცელი გახია. სუფრა გაიხა.* ■ **გახეული** რაც გახიეს ან გაიხა. *გახეული შარვალი.*

გახევა

**გახევება** *გახევების* (გაახევებს, გახევდება, გაუხევდება) იგივეა, რაც გაშეშება. *კაცი გახევდა.* ■ **გახევებული** ვინც ან რაც გახევდა. *გახევებული უყურებდა.*

**გახეთქა** *გახეთქის* (გახეთქს, გაუხეთქს) გახლეჩა, გაპობა, გაბზარვა. *ბუშტები გახეთქეს. ღვინომ ქვევრი გახეთქა. ყინვამ მილი გახეთქა.* ■ **გახეთქილი** რაც გახეთქეს. *გახეთქილი ტუჩი.*

**გახელა** *გახელის* (გაახელს, გაუხელს, გაეხილება, გაახელინებს) ქუთუთოების გახსნა, გამოხედვა. *თვალები გაახილა.* ■ **გახელილი** რაც გაახილეს. *ფართოდ გახელილი თვალები.*

**გახელება** *გახელების* (გაახელებს, გახელდება) ვინმეს გაბრაზება, გაღიზიანება მისთვის არასასურველი სიტყვის თქმით ან საქციელით. *ბავშვები ერთმანეთს ახელებენ.*

**გახერხება** *გახერხების* (გაახერხებს) საუბრ. მოხერხება, საქმის მოგვარება. *ქალმა რაღაც მაინც გაახერხა.*

**გახერხვა** *გახერხვის* (გახერხავს, გაუხერხავს, გაიხერხება) ხერხით გაჭრა. *ფიცარი შუა ზე გახერხეს.*

გახეხა

**გახეხა** *გახეხვის* (გახეხავს, გაიხეხავს, გაუხეხავს, გაიხეხება, გაეხეხება) 1. მყარი საგნისთვის ჭუჭყის მოცილება ჯაგრისისა და მისთ. წასმით. *ქალმა ქვაბი გახეხა.* 2. ხილის ან ბოსტნეულის დაქუცმაცება სპეციალურ ხელსაწყოზე გასმით. *დედამ ვაშლი გახეხა.* ■ **გახეხილი** რაც გახეხეს. *გახეხილი სტაფილო.*

**გახვევა**[1] *გახვევის* (გაუხვევს) სხვა მიმართულებით წასვლა. *მანქანამ ტყისკენ გაუხვია. სოფლის გზაზე გაუხვიეს.*

**გახვევა**[2] *გახვევის* (გახვევს, გაახვევს, გაიხვევს, გაუხვევს, გაეხვევა, გაახვევინებს) 1. ქსოვილის, ქაღალდისა და მისთ. ირგვლივ შემოკვრა. *ბავშვი საბანში გაახვია. პური გაუხვია. ნაბადში გაეხვია.* 2. გადატ. უსიამოვნებაში, ცუდ საქმეში გარევა. *შარში გაეხვია. ჩხუბში გაეხვია.* 3. გადატ. ყოველი მხრიდან დაფარვა, გარემოცვა. *ფიქრებში გაეხვია. მთა ნისლში გაეხვია. ტყე ცეცხლში გაეხვია.* ■ **გახვეული** რაც გაახვიეს. *ქაღალდში გახვეული საჩუქარი.*

**გახვეტა** *გახვეტის* (გახვეტს, გაიხვეტება) ბარით, ნიჩბით ან სხვა იარაღით ნაგვის, ნეხვისა და მისთ. გარეთ გაყრა. *ნაგავი გახვეტა. ეზო გახვეტა.*

**გახვრეტა** *გახვრეტის* (გახვრეტს, გაიხვრეტს, გაუხვრეტს, გაიხვრიტება, გაეხვრიტება) ნახვრეტის გაკეთება. *კედელი გახვრიტეს. ყურის გახვრეტა. ქვაბს ძირი გაეხვრიტა.* ■ **გახვრეტილი** რაც გაიხვრიტა. *გახვრეტილი ფიცარი.*

**გახიდვა** *გახიდვის* (გახიდავს, გაიხიდება) გასასვლელში, შუა ადგილზე დადგომით მოძრაობის შეფერხება, გადაკეტვა. *ბიჭი კარში გაიხიდა. მორები შუა ეზოში გახიდა.* ■ **გახიდული** რაც ან ვინც გაიხიდა. *გზაზე გახიდული მანქანა.*

**გახიზვნა** *გახიზვნის* (გახიზნავს, გაიხიზნება) საცხოვრებელი ადგილის დატოვება და სხვაგან წასვლა (წაყვანა) გადარჩენის, საფრთხის არიდების მიზნით. *სოფელი გაიხიზნა. მამამ შვილები გახიზნა.* ■ **გახიზნული** ვინც ან რაც გაიხიზნა. *გახიზნული ოჯახი.*

**გახლართვა** *გახლართვის* (გახლართავს, გაიხლართება, გაეხლართება) 1. ერთმანეთში არევა, აბურდვა, უწესრიგოდ შერევა. *ტოტები გაიხლართა. ძაფები გახლართა.* 2. საუბრ. გადატ. ცუდ, უსიამოვნო საქმეში ჩაბმა, გაუგებრობაში მოხვედრა. *ინტრიგებში გაიხლართა.* ■ **გახლართული** ვინც ან რაც გაიხლართა. *გახლართული თოკები.*

**გახლეჩა** *გახლეჩის* (გახლეჩს, გაუხლეჩს, გაიხლიჩება, გაეხლიჩება) 1. ძალის გამოყენებით ორად გაყოფა, გაპობა. *ვაშლი შუაზე გახლიჩა.* 2. გადატ. საზოგადოების გაყოფა, ურთიერთდაპირისპირება. *ერის გახლეჩა. საზოგადოება გაიხლიჩა.* ■ **გახლეჩილი** რაც გახლიჩეს. *გახლეჩილი ატამი.*

**გახმაურება** *გახმაურების* (გაახმაურებს, გახმაურდება) საქვეყნოდ გამჟღავნება, სააშკარაოზე გამოტანა, ყურადღების ცენტრში მოხვედრა. *ამ ამბის გახმაურება არ უნდოდა. საქმე გახმაურდა. მისი ჩამოსვლა არ გაახმაურეს.* ■ **გახმაურებული** რაც გახმაურდა ან გაახმაურეს. *გახმაურებული შეხვედრა. გახმაურებული პროცესი.*

**გახმობა**[1] *გახმობის* (გაახმობს, გაიხმობს, გაუხმობს, გახმება, გაუხმება) ნედლის ხმელად ქცევა. *ნარგავმა გახმობა დაიწყო. ხე გახმა. ფოთლები გაუხმა.*

**გახმობა**[2] *გახმობის* (გაიხმობს) დაძახება, ცალკე გაყვანა. *კაცი გვერდზე გაიხმო.*

**გახმოვანება** *გახმოვანების* (გაახმოვანებს, გახმოვანდება) 1. გამოსახულებისთვის ხმის დადება კინემატოგრაფიაში. *ფილმის გახმოვანება დაიწყო.* 2. ვინმეს მოსაზრების საქვეყნოდ თქმა, გამოცხადება. *ორგანიზაციის გეგმები გაახმოვანა.*

**გახოხება** *გახოხების* (გაახოხებს, გახოხდება) ხოხვით გადაადგილება. *ბავშვი იატაკზე გახოხდა.*

**გახრიოკება** *გახრიოკების* (გაახრიოკებს, გახრიოკდება) მიწის ხრიოკად ქცევა. *ეზო გახრიოკდა.* ■ **გახრიოკებული** რაც გახრიოკდა. *გახრიოკებული მინდორი.*

**გახრწნა** *გახრწნის* (გახრწნის, გაიხრწნება) 1. ორგანიზმის დალპობა. *ლეში გაიხრწნა.* 2. ზნეობრივი გადაგვარება, გარყვნა. *საზოგადოების გახრწნა.* ■ **გახრწნილი** რაც ან ვინც გაიხრწნა. *გახრწნილი გვამი.*

**გახსენება** *გახსენების* (გაახსენებს, გაიხსენებს, გაუხსენებს) მეხსიერებაში აღდგენა. *ძველი ამბების გახსენება. დედა გაახსენდა. ლექსი გაიხსენა.*

**გახსნა** *გახსნის* (გახსნის, გაიხსნის, გაუხსნის, გაიხსნება, გაეხსნება, გაახსნევინებს) 1. დახურულის, ჩაკეტილის გაღება. *ფანჯრები გახსნეს. ბოთლი გახსნა. ჩემოდანი გახსნა.* 2. შეკრულის, გაკვანძულის გაშლა, ბოლოების გაცალკევება. *კვანძი გახსნა. ჭრილობა გაიხსნა.* 3. დაფუძნება, დაარსება. *სკოლა გახსნეს. უნივერსიტეტი გაიხსნა. ახალი სადგური გახსნეს.* 4. სითხეში გაზავება, გაქნა. *შაქარი წყალში გახსნა.* 5. ღონისძიების, შეკრების დაწყება. *ყრილობის გახსნა. კონფერენცია გაიხსნა.* ■ **გახსნილი** რაც გახსნეს ან გაიხსნა. *გახსნილი სკივრი.*

**გახსნილება** *გახსნილების* (გაახსნილებს, გაიხსნილებს, გახსნილდება, გაუხსნილდება) მარხვის დამთავრება. *ერთ კვირაში გახსნილდება.*

**გახტომა** *გახტომის* (გახტება, გაუხტება) ხტომით გადაადგილება (ჩვეულებრივ, გვერდზე ან წინ). *ბიჭი ხისკენ გახტა. კვიცი განზე გახტა.*

**გახუმრება** *გახუმრების* (გაიხუმრებს, გაეხუმრება) ვინმესთან ხუმრობით საუბარი, ხუმრობის თქმა. *თამამი გახუმრება. ბავშვებმა გაიხუმრეს. ერთმანეთს გაეხუმრნენ.*

**გახუნება** *გახუნების* (გაახუნებს, გაუხუნებს, გახუნდება, გაუხუნდება) ფერის გაღიავება, ელვარების, ბრწყინვალების დაკარგვა, გაუფერულება. *კაბა გახუნდა.* ■ **გახუნებული** რაც გახუნდა. *გახუნებული ტანსაცმელი.*

**გახურება** *გახურების* (გაახურებს, გაუხურებს, გახურდება, გაუხურდება, გაახურებინებს) 1. ტემპერატურის მომატება, გაცხელება, მხურვალების მომატება. *ღუმელი გახურდა. თონე გაახურეს.* 2. საუბრ. გადატ. გამძაფრება, გაძლიერება. *ქეიფი გახურდა. მუშაობა გაახურეს.* 3. ყარგ. რაიმეს გაუთავებლად მტკიცება, ბევრი ლაპარაკით სხვების შეწუხება. *ნუ გამიხურე!* ■ **გახურებული** რაც გაახურეს. *გახურებული თონე.*

**გახურვა** *გახურვის* (გაიხურავს) გასვლისას კარის დახურვა. *მამამ კარი გაიხურა.*

**გახუხვა** *გახუხვის* (გახუხავს, გაიხუხავს, გაუხუხავს, გაიხუხება, გაეხუხება) გაცხელება ან ოდნავ შეწვა ცხიმის გარეშე, გაფიცხება. *პური გაიხუხა.* ■ **გახუხული** რაც გაიხუხა. *გახუხული ხინკალი.*

**გახშირება** *გახშირების* (გაახშირებს, გაუხშირებს, გახშირდება, გაუხშირდება) სიხშირის მომატება. *დანაშაული გახშირდა. თმა გაუხშირდა.* ■ **გახშირებული** რაც გახშირდა. *გახშირებული სუნთქვა.*

**გაჯავრება** *გაჯავრების* (გააჯავრებს, გაჯავრდება, გაუჯავრდება) ვინმეს სიტყვით ან საქციელით გამოწვეული უკმაყოფილება, გაბრაზება. *კაცი გაჯავრდა. ბავშვებს გაუჯავრდა. ამ სიტყვებმა გააჯავრეს.* ■ **გაჯავრებული** ვინც გააჯავრეს. *გოგო გაჯავრებული ჩანდა.*

**გაჯანჯლება** *გაჯანჯლების* (გააჯანჯლებს, გაუჯანჯლებს, გაჯანჯლდება, გაუჯანჯლდება) საუბრ. გაჭიანურება, გაგრძელება, გართულება. *მშენებლობა გაჯანჯლდა. პასუხი გააჯანჯლეს.* ■ **გაჯანჯლებული** რაც გაჯანჯლდა. *გაჯანჯლებული საქმე.*

**გაჯახირება** *გაჯახირების* (გააჯახირებს, გაჯახირდება) საუბრ. ჯახირით, წვალებით გაკეთება, დამთავრება, ბოლომდე მიყვანა. *საქმე გააჯახირა. ზამთარიც გაჯახირდა.*

**გაჯახუნება** *გაჯახუნების* (გააჯახუნებს, გაიჯახუნებს, გაჯახუნდება) ჯახუნით გახურვა. *გაბრაზებულმა კარი გაიჯახუნა.*

**გაჯგიმვა** *გაჯგიმვის* (გაიჯგიმება, გაეჯგიმება) თავმომწონედ წელში გამართვა, მხრების გაშლა, გაბღენძა. *ბიჭი გაიჯგიმა.* ■ **გაჯგიმული** ვინც გაიჯგიმა. *გაჯგიმული დადის და ზედ არავის უყურებს.*

**გაჯდომა** *გაჯდომის* (გაუჯდება) სითხით, სუნითა და მისთ. გაჟღენთა. *ფითილს ნავთი გაუჯდა.*

**გაჯერება** *გაჯერების* (გააჯერებს, გაჯერდება) 1. სითხეში ნივთიერების გახსნა მაქსიმალური ოდენობით (რის მერეც გახსნა შეუძლებელია). *წყალი მარილით გაჯერდა.* 2. საკმარისი რაოდენობით მიღება, ბოლომდე დაკმაყოფილება. *მიწა სასუქით გააჯერეს. ბაზარი ფქვილით გაჯერდა.* ■ **გაჯერებული** რაც გაჯერდა. *ჟანგბადით გაჯერებული ჰაერი.*

**გაჯეჯილება** *გაჯეჯილების* (გააჯეჯილებს, გაიჯეჯილებს, გაჯეჯილდება) ჟარგ. ზედმეტად გათამამება, გალაღება. *სად გაგონილა ასეთი გაჯეჯილება?!* ■ **გაჯეჯილებული** ზედმეტად გალაღებული, თავგასული. *გოგოებში არის გაჯეჯილებული.*

**გაჯი** *გაჯის* თაბაშირისა და თიხის შემცველი ნივთიერება, გამოიყენება კედლების შესალესად. *გაჯით გალესილი.*

**გაჯიბრება** *გაჯიბრების* (გააჯიბრებს, გაეჯიბრება) იგივეა, რაც **შეჯიბრება**. *მეგობარს გაეჯიბრა. ბიჭები სირბილში გააჯიბრეს.*

**გაჯირჯვება** *გაჯირჯვების* (გააჯირჯვებს, გაჯირჯვდება, გაუჯირჯვდება) 1. მარცვლეულის სითხით გაჟღენთა და გაბერვა, გადიდება. *სიმინდი გაჯირჯვდა.* 2. გასიება, შეშუპება და გამაგრება. *თითი გაუჯირჯვდა.*

**გაჯიუტება** *გაჯიუტების* (გააჯიუტებს, გაჯიუტდება) ჯიუტად მოქცევა. *ბავშვი გაჯიუტდა.* ■ **გაჯიუტებული** ვინც გაჯიუტდა. *გაჯიუტებული გამყიდველი.*

**გაჯიქება** *გაჯიქების* (გაჯიქდება) იგივეა, რაც **გაჯიუტება**. *თხასავით გაჯიქდა.* ■ **გაჯიქებული** ვინც გაჯიქდა. *გაჯიქებული ბავშვი.*

**გაჯიჯგნა** *გაჯიჯგნის* (გაჯიჯგნის, გაუჯიჯგნის, გაიჯიჯგნება) ნისკარტით, კბილებით, ბრჭყალებითა და მისთ. დაქუცმაცება, დაგლეჯა. *თევზი გაჯიჯგნა.* ■ **გაჯიჯგნილი** რაც გაჯიჯგნეს. *გაჯიჯგნილი ხორცი.*

**გაჯორვა** *გაჯორვის* (გაჯორავს, გაუჯორავს, გაიჯორება) საუბრ. გალანძღვა, მკაცრად დატუქსვა. *დედამ შვილი გაჯორა.*

**გაჯოხვა** *გაჯოხვის* (გაჯოხავს, გაიჯოხება) ჯოხით ცემა. *ბავშვი ცუდი საქციელისთვის გაჯოხეს.*

**გდება** *გდების* (აგდებს, იგდებს, უგდებს, გდია, აგდია, უგდია) 1. ↑ აგდება. *ბურთს მაღლა აგდებს.* 2. ↑ გადაგდება. *ფანჯრიდან სიგარეტს აგდებს.* 3. ↑ დაგდება. *ჩანთას მაგიდაზე აგდებს.* 4. ↑ გაგდება. *მოსწავლეს ოთახიდან აგდებს.*

**გება** *გების* (აგებს, უგებს, იგება, ეგება, აგია, უგია) ↑ დაგება. *იატაკზე ხალიჩას აგებს.*

**გეგმა** *გეგმის* 1. ნახაზი, რომელიც სიბრტყეზე გამოსახავს რაიმე ადგილს ან ნაგებობას. *შენობის გეგმა.* 2. წინასწარ შემუშავებულ ღონისძიებათა სისტემა, რომელიც გარკვეულ წესს, თანამიმდევრობასა და ვადებს ითვალისწინებს. *სტრატეგიული გეგმა.* 3. ნაწარმოების, გამოკვლევისა და მისთ. მოკლე აღწერა. *ნაწარმოების გეგმა. თემის გეგმა.* 4. წინასწარ მოფიქრებული რამ, რაც უნდა განხორციელდეს. *მოქმედების გეგმა.* ■ **გეგმაზომიერი** გეგმის შესაბამისი, გეგმით გათვალისწინებული. *გეგმაზომიერი მშენებლობა.*

გედი

**გედი** *გედის* წყალში მცურავი ფრინველი, აქვს ლამაზი მაღალი ყელი. *თეთრი გედი. გედივით მიცურავს.*

**გეზი** *გეზის* 1. გზა, მიმართულება გარკვეული პუნქტისკენ. *გეზს არ გადაუხვიეს.* 2. გადატ. მოქმედების ან მსჯელობის მიმართულება. *გეზის მიმცემი.* ⊙ **გეზი უჭირავს/გეზი აიღო** გარკვეული მიმართულებით მიემართება.

**გეთაყვა** შორისდ. პატივისც. გენაცვალე! *მომაწოდეთ, გეთაყვა, ეს წიგნი!*

**გეიზერი** *გეიზერის* ცხელი მინერალური წყარო, რომელიც შადრევანივით ამოდის. *ისლანდია გეიზერებით არის ცნობილი.*

**გეიმი** *გეიმის* ჩოგბურთისა და ზოგიერთი სხვა სპორტული თამაშის პარტიის ნაწილი, გამოიყოფა ქულების მიხედვით და არ არის დამოკიდებული თამაშის ხანგრძლივობაზე.

**გემა** *გემის* ძვირფასი ქვა, რომელზეც ამოკვეთილია გამოსახულება ან წარწერა. *ბეჭედში ჩასმული გემა.*

**გემბანი** *გემბანის* გემის ღია ნაწილი. *გემბანზე გადმოდგა.*

**გემება*** *გემების* (აგემებს, იგემებს) 1. გემოს გასინჯვა, შეჭმა ან შესმა. *ღვინო იგემა.* 2. გადატ. განცდა, წვნევა. *სიკვდილს აგემებს. მარცხი იგემა.*

**გემი** *გემის* საზღვაო ტრანსპორტის ძირითადი სახეობა, წყალზე ან წყალქვეშ მცურავი ნაგებობა, რომელსაც იყენებენ მგზავრების გადასაყვანად, ტვირთის გადასაზიდად, სარეწაო და სამხედრო დანიშნულებით. *სამგზავრო გემი. სამხედრო გემი. იალქნიანი გემი.*

**გემო** *გემოს* რაიმე ნივთიერების ან საჭმლის თვისება, რომელიც ენისა და პირის ღრუს მეშვეობით აღიქმება. *მწარე გემო. კარგი გემო აქვს.* ⊙ **გემოს გაუგებს** ნახავს, გასინჯავს. ⊙ **გემოს ჩაატანს** გემრიელად შეჭამს.

**გემოვნება** *გემოვნების* სილამაზის, მშვენიერების აღქმა. *კარგი გემოვნება. გემოვნებით იცვამს.*

**გემოვნებიანი** *გემოვნებიანის* კარგი გემოვნების მქონე. *გემოვნებიანი მაყურებელი.*

**გემოზე** ზმნზ. როგორც სურს, გულიანად, კარგად, საგულდაგულოდ. *თავის გემოზე ცხოვრობს. გემოზე იძინა.*

**გემრიელი** *გემრიელის* კარგი გემოს მქონე. *გემრიელი საჭმელი.* ▲ **გემრიელად** ზმნზ. სიამოვნებით, მადიანად. *გემრიელად მიირთმევს.*

**გენაცვალე** შორისდ. ალერს. საალერსო მიმართვა (უპირატესად, უმცროსის ან თანატოლის მიმართ). *მოდი, გენაცვალე, ჩემთან! არ გაცივდე, გენაცვალე!*

**გენდერი** *გენდერის* პიროვნების სოციალურ-კულტურული, ეკონომიკური და სხვ. სტატუსი, რომელიც განპირობებულია მისი სქესით. *გენდერის კვლევა.* ▪ **გენდერული** გენდერთან დაკავშირებული. *გენდერული თანასწორობა.*

**გენეალოგია** *გენეალოგიის* გვარის, ტომის ისტორია, წარმომავლობა. *გენეალოგია უცნობია.* ▪ **გენეალოგიური** გენეალოგიასთან დაკავშირებული. *გენეალოგიური ხე.* შეცდომაა გენიალოგია.

**გენეზისი** *გენეზისის* წარმოშობა, ჩასახვის ისტორია. *კულტურის გენეზისი.*

**გენერალი** *გენერლის* უმაღლესი სამხედრო წოდების პირი. *გენერლის ბრძანება.*

**გენერალისიმუსი** *გენერალისიმუსის* ზოგიერთ ქვეყანაში უმაღლესი სამხედრო წოდებულება, რომელსაც ანიჭებენ განსაკუთრებული სამხედრო დამსახურებისთვის.

**გენერალიტეტი** *გენერალიტეტის* არმიის უმაღლესი სარდლობა, გენერლების ერთობლიობა. *გენერალიტეტის გადაწყვეტილებით.*

**გენერალური** *გენერალურის* მთავარი, ძირითადი. *გენერალური გეგმა. გენერალური ბრძოლა.*

**გენერატორი** *გენერატორის* დანადგარი, რომელიც ელექტროენერგიას გამოიმუშავებს. *მუდმივი დენის გენერატორი.*

**გენერლობა** *გენერლობის* გენერლის წოდება.

**გენეტიკა** *გენეტიკის* მეცნიერება, რომელიც შეისწავლის ორგანიზმების მემკვიდრეობისა და ცვალებადობის კანონებს. *გენეტიკის კურსი.*

**გენეტიკური** *გენეტიკურის* 1. გენეტიკასთან დაკავშირებული. *გენეტიკური კვლევა.* 2. გენებთან დაკავშირებული. *გენეტიკური დაავადება.*

**გენი** *გენის* (ძირითადად მრ.) მემკვიდრული ინფორმაციის შემცველი ერთეული, რომელიც თაობიდან თაობას გადაეცემა. *მამის გენები. გენებმა განაპირობეს.*

**გენია** *გენიის* დიდი შემოქმედებითი ნიჭი, ტალანტი. *პოეტური გენია.*

**გენიალობა** *გენიალობის* რაიმეს შექმნის დიდი ნიჭი, უნარი. *გენიალობის გამოვლენა.*

**გენიალური** *გენიალურის* 1. დიდი ნიჭის, ტალანტის მქონე. *გენიალური ავტორი. გენიალური მუსიკოსი.* 2. დიდი შემოქმედებითი ნიჭით შექმნილი. *გენიალური ნაწარმოები. გენიალური სცენარი.*

**გენიოსი** *გენიოსის* განსაკუთრებული შემოქმედებითი ნიჭის, აზროვნების ადამიანი. *გენიოსის შექმნილი.*

**გენიოსობა** *გენიოსობის* (გენიოსობს) გენიოსად ყოფნა. *გენიოსობა მოინდომა.*

**გენოციდი** *გენოციდის* მოსახლეობის ცალკეული ჯგუფების, მთელი ხალხის გაჟლეტა რასობრივ, ეროვნულ ან რელიგიურ ნიადაგზე. *გენოციდის მსხვერპლი.*

**გეოგრაფი** *გეოგრაფის* გეოგრაფიის სპეციალისტი. *ცნობილი გეოგრაფი.*

**გეოგრაფია** *გეოგრაფიის* მეცნიერებათა ერთობლიობა, რომელიც შეისწავლის დედამიწის ზედაპირს, ბუნებრივ პირობებს, ეკონომიკურ რესურსებსა და მისთ. *ფიზიკური გეოგრაფია. ეკონომიკური გეოგრაფია.* ▪ **გეოგრაფიული** გეოგრაფიისთვის დამახასიათებელი, გეოგრაფიასთან დაკავშირებული. *გეოგრაფიული რუკა.*

**გეოდეზია** *გეოდეზიის* მეცნიერება, რომელიც შეისწავლის დედამიწის ფორმებსა და ზომებს. ▪ **გეოდეზიური** გეოდეზიასთან დაკავშირებული, გეოდეზიისთვის დამახასიათებელი. *გეოდეზიური ხელსაწყოები.*

**გეოლოგი** *გეოლოგის* გეოლოგიის სპეციალისტი. *მამამისი გეოლოგი იყო.*

**გეოლოგია** *გეოლოგიის* მეცნიერება, რომელიც შეისწავლის დედამიწის ქერქის აგებულებას, შემადგენლობასა და სასარგებლო წიაღისეულის ძიების მეთოდებს. *გეოლოგიის ლექცია.* ▪ **გეოლოგიური** გეოლოგიისთვის დამახასიათებელი, გეოლოგიასთან დაკავშირებული. *გეოლოგიური ექსპედიცია.*

**გეოლოგობა** *გეოლოგობის* გეოლოგის სპეციალობით მუშაობა. *გეოლოგობა უნდა.*

**გეომეტრია** *გეომეტრიის* მათემატიკის ნაწილი, რომელიც შეისწავლის სხეულების სივრცით ფორმებსა და მათი გაზომვის მეთოდებს. *გეომეტრიის გაკვეთილი.* ▪ გეომეტრიული გეომეტრიასთან დაკავშირებული. *გეომეტრიული ფიგურა.*

**გეოპოლიტიკა** *გეოპოლიტიკის* პოლიტიკური სტრატეგიის გეოგრაფიულ თავისებურებათა შესწავლა. *გეოპოლიტიკის გათვალისწინებით.*

**გეორგინი** *გეორგინის* ბალახოვანი დეკორატიული მცენარე, იკეთებს დიდ ხასხასა ყვავილს.

**გეოფიზიკა** *გეოფიზიკის* მეცნიერება, რომელიც შეისწავლის დედამიწის ფიზიკურ თვისებებს და ფიზიკურ პროცესებს. ▪ გეოფიზიკური გეოფიზიკისთვის დამახასიათებელი. *გეოფიზიკური ობსერვატორია.*

**გეპარდი** *გეპარდის* იგივეა, რაც ავაზა.

**გერანი** *გერანის* ბალახოვანი მცენარე, აქვს ღრმად დანაკვთული, სურნელოვანი ფოთლები და მსხვილი, ვარდისფერი ყვავილები, შეიცავს ეთეროვან ზეთს, რომელიც გამოიყენება პარფიუმერიასა და კულინარიაში. *გერანის ყვავილები.*

**გერბი** *გერბის* პირობითი გამოსახულება, სიმბოლო, რომელიც მიკუთვნებული აქვს ამა თუ იმ სახელმწიფოს, ორგანიზაციას ან საგვარეულოს. *საქართველოს სახელმწიფო გერბი.*

**გერი** *გერის* ცოლის ან ქმრის შვილი, რომელიც მას სხვა მეუღლისგან ჰყავს. *მე ზობლის გერი. გერებს შვილებში არ არჩევს.*

**გესვლა** *გესვლის* (გესლავს, იგესლება) 1. ↑ დაგესვლა (1). *გველი მსხვერპლს გესლავს.* 2. გადატ. ↑ დაგესვლა (2). *ქალი იგესლება.*

**გესლი** *გესლის* 1. ქვეწარმავალთა და ზოგიერთი მწერის შხამი. *გველის გესლი.* 2. გადატ. ბოროტება, ღვარძლი. *გესლს ანთხევს.*

**გესლიანი** *გესლიანის* გადატ. ბოროტი, ავი, ღვარძლიანი. *გესლიანი ენა. გესლიანი სიტყვა.*

**გეტო** *გეტოს* დიდ ქალაქებში საგანგებოდ გამოყოფილი უბანი, სადაც ასახლებენ უფლებებშეზღუდულ ეროვნულ უმცირესობებს. *ზანგთა გეტო. ებრაელთა გეტო.*

**გეტრი** *გეტრის* ტყავის ან ქსოვილის სანვივე, მაღალყელიანი წინდა. *ფეხბურთელის გეტრები. გოგონას გეტრები.*

გეტრი

**გეშე** *გეშის* 1. მიგნების, აღმოჩენის, მიკვლევის უნარი. *კარგი გეშე აქვს.* 2. ნიშანი (კვალი, სუნი), რომელიც რაიმეს მიკვლევას, პოვნას აადვილებს. ◌ გეშს აიღებს. გეშს (2) აღიქვამს, იგრძნობს.

**გეჯა** *გეჯის* ხის ნავისებური ჭურჭელი, რომელიც გამოიყენება ცხოველების საკვების ჩასასხმელად. *ნარჩენებით სავსე გეჯა.*

გეჯა



**გვა** *გვის* (გვის, უგვის, იგვება, აგვეევინებს) ↑ დაგვა[1]. *დედა ოთახს გვის. ქუჩებს დილაობით გვიან.*

**გვალვა** *გვალვის* ხანგრძლივად უნალექო, ცხელი ამინდი, რომელიც იწვევს ნიადაგის გამოშრობას. *გვალვამ მოსავალი გაანახევრა.*

**გვალვაგამძლე** *გვალვაგამძლის* მცენარე, რომელიც დიდ გვალვებს უძლებს. *გვალვაგამძლე ჯიშები.*

**გვალვიანი** *გვალვიანის* უნალექო და ცხელი ამინდი, კლიმატი. *გვალვიანი ზაფხული. გვალვიანი ადგილი.*

**გვამი** *გვამის* გარდაცვლილი ადამიანის სხეული. *გვამი გაკვეთეს.*

**გვარდია** *გვარდიის* ჯარის საუკეთესო, რჩეული ნაწილი. *გვარდიის კაპიტანი.*

**გვარდიელი** *გვარდიელის* გვარდიის ჯარისკაცი. *გვარდიელის ფორმა.*

**გვარი** *გვარის* 1. საკუთარი სახელი, რომელიც გამოხატავს პიროვნების მიკუთვნებას გარკვეული ნათესაური წრისადმი და რომელსაც მემკვიდრეობით იღებს შვილი მამისგან (ან დედისგან) ან დაქორწინებისას ცოლი – ქმრისგან. *რა გვარი ხარ?* 2. (კრებ.) ერთი გვარის მქონე ადამიანები. *სახელოვანი გვარის წარმომადგენელი.* 3. მონათესავე დიდი ოჯახების გაერთიანება პირველყოფილი თემური წყობილების დროს. *მე ზობელი გვარები ტომებად ერთიანდებოდნენ.* ◌ გვარის გამგრძელებელი მემკვიდრე ვაჟი.

**გვარიანად** ზმნზ. საკმაოდ კარგად, ძლიერად. *გვარიანად იქეიფეს. გვარიანად თოვს.*

**გვარიანი** *გვარიანის* 1. საკმაოდ კარგი. *გვარიანი შემოსავალი აქვს.* 2. ერთობ დიდი, მნიშვნელოვანი. *წინ გვარიანი გ ზა უდევს.*

**გვარიშვილი** *გვარიშვილის* რომელიმე (უპირატესად წარჩინებული) გვარის წარმომადგენელი. *კარგი გვარიშვილი.*

**გვარიშვილობა** *გვარიშვილობის* წარჩინებული, კარგი გვარის ქონა. *გვარიშვილობით ვერ დაიწუნებ.*

**გვაროვნული** *გვაროვნულის* საზოგადოებრივი წყობილება, როცა საზოგადოების ძირითად უჯრედს გვარი წარმოადგენდა. *გვაროვნული წყობა. გვაროვნული თემი.*

**გვარჯილა** *გვარჯილის* სხვადასხვა სახის აზოტმჟავა მარილი, იყენებენ მინერალურ სასუქად, ფეთქებად ნივთიერებათა წარმოებაში. *კალიუმის გვარჯილა.*

გველანა *გველანას* მურწას მსგავსი მცირე ზომის თევზია.

გველგესლა *გველგესლას* შხამიანი გველის სახეობა. *ველის გველგესლა.*

გველეშაპი *გველეშაპის* ზღაპრული ცხოველი, უზარმაზარი, ფრთიანი გველი. *გველეშაპის კუდი.*

გველთევზა *გველთევზას* თევზის სახეობა, აქვს გრძელი, გველისებური სხეული. *ზღვის გველთევზა.*

გველი *გველის* 1. ქვეწარმავალი, აქვს გლუვი, წაგრძელებული სხეული კიდურების გარეშე, სახეობათა უმეტესობა შხამიანია. *გველის სისინი. გველივით იკლაკნება.* 2. გადატ. ბოროტი ადამიანი. *რა გითხრა იმ გველმა?* ⊙ **გველის წინილა** ლანძღ. ამბობენ ცუდი ზნის ბავშვზე, რომელსაც ავი, ბოროტი მშობლები ჰყავს.

გველი



გველიყლაპია *გველიყლაპიას* ქორისებრთა ოჯახის საშუალო ზომის მტაცებელი ფრინველი, ძირითადად იკვებება გველებით. *გველიყლაპია მოფრინდა.*

გველობა *გველობის* ბოროტება, ფლიდობა. *ეგ თავის გველობას არ მოიშლის.*

გველხოკერა *გველხოკერას* მოზრდილი უფეხო ხელიკი გველისებურად წაგრძელებული სხეულით. *გველხოკერა უვნებელია.*

გვემა *გვემის* (გვემს, იგვემს, იგვემება) ნიგნ. ძლიერი ტანჯვა. *სულიერად იგვემება.*

გვერგვი *გვერგვის* 1. კასრზე შემოჭერილი სალტე. *ლითონის გვერგვი.* 2. წნელის რგოლი, რომელსაც ჩამოაცვამენ ღობის ორ სარს გასამაგრებლად. *გვერგვით გამაგრებული ღობე.*

გვერდელა *გვერდელას* ერთ მხარეს, ცალ გვერდზე გადახრილი (შენობა). *გვერდელა სახლი. გვერდელა ქოხი.*

გვერდი *გვერდის* 1. სხეულის მარჯვენა ან მარცხენა ნაწილი. *გვერდი დაეჟეჟა.* 2. წიგნის, გაზეთის და მისთ. ფურცლის ერთი მხარე. *ასი გვერდი.* ▪ **გვერდზე** ზმნზ. ცალ მხარეს. *გვერდზე გაიხედა. ჭიქა გვერდზე გასწია.* ⊙ **გვერდიდან არ იშორებს** ვინმეს ან რაიმეს გარეშე ვერ ძლებს. ⊙ **გვერდს აუვლის ყურადღებას** არ მიაქცევს, არ გაითვალისწინებს. ⊙ **გვერდს იცვლის** მეორე გვერდზე გადაბრუნდება.

გვერდიგვერდ ზმნზ. ერთმანეთის გვერდით. *გვერდიგვერდ ისხდნენ.*

გვერდით 1. ზმნზ. ვინმესთან ახლოს, ვინმესთან ერთად. *შვილი სულ გვერდით ჰყავს.* 2. თანდ. ფუნქც. (+ ნათ.) ვინმეს ან რაიმეს გვერდში (უშუალო მეზობლად). *ოთახის გვერდით სამზარეულოა. მამამისის გვერდით იჯდა.*

გვერდითი *გვერდითის* გვერდზე არსებული, არაცენტრალური, არაძირითადი. *გვერდითი ხაზები. გვერდითი გზები. გვერდითი მოვლენები.*

გვერდული *გვერდულის* 1. ცურვა გვერდზე წოლითა და ცალი ხელის მოძრაობით. *გვერდულით გაცურა.* 2. იგივეა, რაც მოგვერდი. ▲ **გვერდულად** ზმნზ. ირიბად, არაპირდაპირ. *ქალი გვერდულად დაჯდა.*

გვიან ზმნზ. 1. დროის მიხედვით ვინმეს ან რაიმეს შემდგომ (არა ადრე). *დილით გვიან დგება.* ↔ ადრე. 2. საჭირო ან დათქმული დროის გადაცილებით. *გვიან მოვიდა. ლექცია გვიან დაიწყო.* ↔ ადრე. 3. გარკვეული დროის, დღე-ღამის, კვირის, წლის ბოლოს, მიწურულში. *გვიან გაზაფხულზე. გვიან ღამით.* ▪ **გვიან-გვიან** დროის დიდი შუალედით, იშვიათად. *გვიან-გვიან გამოჩნდებოდა ხოლმე.* ⊙ **ადრე თუ გვიან** როცა იქნება, ოდესმე მაინც, ერთხელაც იქნება. ⊙ **გვიანღა არის** აღარაფერი ეშველება, საჭირო აღარ არის.

გვიანდელი *გვიანდლის* არცთუ დიდი ხნის, შედარებით ახალი. *გვიანდელი ამბები. გვიანდელი მოვლენები.*

გვიანი *გვიანის* 1. დროის რაიმე მონაკვეთის ბოლო პერიოდი. *გვიანი შემოდგომა. გვიანი გაზაფხული.* 2. მოვლენა, ამბავი, რაც სხვაზე გვიან მოხდა. *გვიანმა ამბებმა დაადასტურა.* 3. ნელი, დაგვიანებული, არადროული. *გვიანი ხილი. გვიანი ბატკანი.*

გვიმრა *გვიმრის* უყვავილო, სპოროვანი ბალახოვანი მცენარე, აქვს დიდი, დაკბილული ფოთლები, მისი ზოგიერთი სახეობა იხმარება მხლად.

გვიმრიანი *გვიმრიანის* გვიმრით დაფარული ადგილი. *ვარდი გვიმრიანში ამოსულიყო.*

გვირაბი *გვირაბის* მთის სიღრმეში შესასვლელი ან ერთი მხრიდან მეორე მხარეს გასასვლელი ხვრელი, რომელშიც გაყვანილია გზა. *ბნელი გვირაბი.*

გვირგვინი *გვირგვინის* 1. მონარქის ძვირფასი ლითონისგან დამზადებული, თვლებით შემკული თავსაბურავი, ძალაუფლების ერთ-ერთი სიმბოლო. 2. სასიძოსა და საპატარძლოს თავსამკაული ჯვრისწერის დროს. *გვირგვინი დაადგეს.* 3. ყვავილების ან ფოთლებისგან დაწნული რგოლი. *დაფნის გვირგვინი.* 4. კბილის ღია, ნუნებსზედა ნაწილი. *გვირგვინის დაზიანება.* 5. დაზიანებული კბილის დასაცავი ან ხელოვნური კბილის გასამაგრებელი ლითონის ბუდე. *გვირგვინის გადაკერა.*

გვირგვინი

გვირგვინოსანი *გვირგვინოსნის* ძვ. მეფე ან დედოფალი.

გვირილა *გვირილის* ბალახოვანი მცენარე, აქვს

ყვითელგულიანი, უმეტესად თეთრი, ზოგჯერ – წითელი, რთული ყვავილები, გამოიყენება სამკურნალოდ. *გვირილის ნაყენი.*

**გვირისტი** *გვირისტის* მჭიდროდ, უხარვეზოდ ნაკერი. *გვირისტის ოსტატი.*

**გვრემა** *გვრემის* (გვრემს) ⊙ **ვიცი, რა მუცლის გვრემაც აქვს!** ირონ. ვიცი, რაც უნდა! ⊙ **მუცლის გვრემა** მუცლის ტკივილი.

**გვრიტი** *გვრიტის* მტრედის მსგავსი ტყის ფრინველი, აქვს მონაცრისფრო-მოყავისფრო ბუმბული. *გვრიტის ბარტყი.*

**გზა** *გზის* 1. მიწის ზედაპირზე გაყვანილი ან ჰაერსა და წყალში მონიშნული ზოლი, რომელიც განკუთვნილია მიმოსვლისთვის. *საავტომობილო გზა. საცალფეხო გზა. საზღვაო გზა.* 2. გადატ. გამოსავალი, საშუალება, შესაძლებლობა. *მეტი გზა არ იყო. სხვა რა გზაა.* 3. გადატ. რაიმეს გაკეთების ხერხი, მეთოდი. *ამოცანის ამოხსნის გზა. პრობლემის გადაჭრის გზა.* ▲ **გზად ზმნზ.** გაელით, მგზავრობისას. *გზად შემოივლის. გზად ამასაც გაიყოლებს.* ▲ **გზაში, გზაზე ზმნზ.** სიარულისას, მგზავრობისას. *გზაში შეხვდა. გზაზე წააწყდა.* ⊙ **გზა მშვიდობისა!** მგზავრის დალოცვა ნასვლის წინ. ⊙ **გზას ასცდება (აცდენს)** შეცდება, რაიმე ცუდს ჩაიდენს (ჩაადენინებს). ⊙ **გზას გადაუღობავს** წინ გადაუდგება, ხელს შეუშლის, წინსვლის საშუალებას არ მისცემს. ⊙ **გზას გაუკაფავს** თავისი საქმიანობით სხვას მომავალში შრომას გაუადვილებს. ⊙ **გზიდან გადააცდენს** შეაცდენს, რაიმე ცუდს ჩაადენინებს. ⊙ **გზის მიცემა** ვინმესთვის სწორი რჩევის მიცემა, სწორად მითითება. ⊙ **შენ იქით გზა არა მაქვს** შენი დახმარების გარეშე ვერაფერს შევძლებ.

**გზა-გზა ზმნზ.** გზის გასწვრივ, გზაზე. *გზა-გზა ვარეს.*

**გზადაგზა ზმნზ.** 1. გზაში ყოფნისას. *გზადაგზა ისვენებდნენ.* 2. გადატ. რაიმეს კეთების პარალელურად. *კითხულობდა და გზადაგზა შეცდომებს ასწორებდა.*

**გზავნილი** *გზავნილის* რაც იგზავნება (ფული, ამანათი, შეტყობინება და მისთ.). *საბანკო გზავნილი. გზავნილის კოდი.*

**გზა-კვალი** 1. იგივეა, რაც **გზა.** *გზა-კვალი გაიგნო.* 2. ვინმეს ადგილსამყოფელი, ამბავი. *მისი გზა-კვალი არ იცოდა. მოხუცის გზა-კვალს ველარ მიაგნეს.* ◦ **გზა-კვალს აურევს** დააბნევს, გზას ააცდენს.

**გზამკვლევი** *გზამკვლევის* წიგნი, რომელიც მოგზაურს ეხმარება ამა თუ იმ ობიექტის ან გარემოს გაცნობაში, გზის გაკვლევაში. *ტურისტის გზამკვლევი.*

**გზატკეცილი** *გზატკეცილის* ფართო გზა ხელოვნური საფარით. *შარაგზიდან გზატკეცილზე გავიდნენ.*

**გზაჯვარედინი** *გზაჯვარედინის* ადგილი, სადაც ორი ან მეტი გზა კვეთს ერთმანეთს. *გზაჯვარედინთან შუქნიშანი დგას.*

**გზნება** *გზნების* (აგზნებს, უგზნებს, იგზნება, ეგზნება) გატაცება, აღფრთოვანება, მონდომება. *გზნებით მღერის. გზნებით შეუდგა საქმეს.*

**გზობა** *გზობის* ⊙ **ერთი (ორი) გზობა** ერთ (ორ) ჯერზე მოსატანი ან მოსაყვანი.

**გიგანტური** *გიგანტურის* ძალიან დიდი. *გიგანტური ნაბიჯი. გიგანტური ნაგებობა.*

**გიდი** *გიდის* იგივეა, რაც **ექსკურსიამძღოლი.** *გიდის პროფესია.*

**გიზგიზა** *გიზგიზას* რაც გიზგიზებს. *გიზგიზა კოცონი.*

**გიზგიზი** *გიზგიზის* (გიზგიზებს) ცეცხლის ძლიერი ნათება. *ცეცხლი აგიზგიზდა.*

**გილდია** *გილდიის* რევოლუციამდელ რუსეთში ვაჭართა წოდებრივი იერარქია კაპიტალის რაოდენობის მიხედვით. *პირველი გილდიის ვაჭარი.*

**გიმნაზია** *გიმნაზიის* საშუალო განათლების სასწავლო დაწესებულების ერთ-ერთი ტიპი. *კლასიკური გიმნაზია.*

**გიმნასტიკა** *გიმნასტიკის* იგივეა, რაც **ტანვარჯიში.** *გიმნასტიკის დარბაზი.*

**გინგლი** *გინგლის* იგივეა, რაც **ღინღლი.** *ბარტყის გინგლი.* ■ **გინგლიანი** გინგლის მქონე. *გინგლიანი ბიჭი.*

**გინდ** კავშ. 1. გამოიყენება ისეთი ქმედების დასახელებისას, რომლის მიუხედავად აუცილებლად მოხდება რაიმე. *გინდ გაწვიმდეს, მე მაინც წავალ.* 2. გამოიყენება, როცა სურთ გამოხატონ საპირისპირო ქმედებების ან მოვლენების მიმართ განურჩეველი დამოკიდებულება. *გინდ წადი, გინდ დარჩი.*

**გინდა** კავშ. 1. ||**გინდ** (1). *გინდა დამაძალონ, მე მაინც არ წავყვები.* 2. ||**გინდ** (2). *გინდა მოიყვანე, გინდა ნუ მოიყვან.*

**გინება** *გინების* (აგინებს, უგინებს, იგინება) ვინმეს მისამართით უცენზურო, შეურაცხმყოფელი სიტყვების თქმა. *გინება არ აპატია. გაბრაზებულმა შეიგინა.*

**გინეკოლოგი** *გინეკოლოგის* ექიმი, გინეკოლოგიის სპეციალისტი. შეცდომაა გინიკოლოგი.

**გინეკოლოგია** *გინეკოლოგიის* მედიცინის დარგი, რომელიც შეისწავლის ქალურ დაავადებებსა და მათი მკურნალობის წესებს. *გინეკოლოგიის სახელმძღვანელო.* ■ **გინეკოლოგიური** გინეკოლოგიისთვის განკუთვნილი, გინეკოლოგიასთან დაკავშირებული. *გინეკოლოგიური დაავადებები. გინეკოლოგიური განყოფილება.* შეცდომაა გინიკოლოგია.

**გინეკოლოგობა** *გინეკოლოგობის* გინეკოლოგის სპეციალობით მუშაობა.

**გიორგობა** *გიორგობის* 1. წმინდა გიორგის სახელობის დღესასწაული, აღინიშნება 23 ნოემბერსა და 6 მაისს. *გიორგობას წვიმდა.* 2. იგივეა, რაც **გიორგობისთვე**.

**გიორგობისთვე** *გიორგობისთვის* ძვ. ნოემბერი. *გიორგობისთვის ქარი.*

**გიჟი** *გიჟის* 1. საუბრ. სულიერად დაავადებული. *გიჟის მკურნალობა.* 2. გადატ. სულელი, თავზე ხელაღებული, მოურიდებელი. *გიჟი ახალგაზრდა.* 3. ალერს. გადატ. ცელქი, მოუსვენარი. *გიჟი ბავშვი.*

**გიჟმაჟი** *გიჟმაჟის* ცელქი, მოუსვენარი, ხალისიანი. *გიჟმაჟი ყმაწვილი. გიჟმაჟი ახალგაზრდები.*

**გიჟური** *გიჟურის* 1. არაგონივრული, უჭკუო. *გიჟური ქცევა.* 2. გადატ. ენერგიული, მეტად სწრაფი. *გიჟური ტემპი. გიჟური რბოლა.*

**გირავნობა** *გირავნობის* გირაოს მიცემა ვალის აღებისას. *გირავნობის ფურცელი.*

**გირაო** *გირაოს* მევალისთვის ვალის გადახდის უზრუნველსაყოფად ჩაბარებული უძრავი ან მოძრავი ქონება. *გირაო გადავიხადე.*

**გირვანქა** *გირვანქის* ძვ. წონის ერთეული, უდრის 409,5 გრ. *სამი გირვანქა.* ■ **გირვანქიანი** ძვ. ერთი გირვანქის ოდენობის. *გირვანქიანი საწონი.*

გირლანდა

**გირლანდა** *გირლანდის* ყვავილების, ფოთლების ან ფერადი ქაღალდებისგან დაწნული მსხვილი ლენტი, რომლითაც რთავენ ზეიმისთვის განკუთვნილ ადგილს. *დარბაზში გირლანდები იყო გაბმული.*

**გირჩა** *გირჩის* წიწვოვანი მცენარეების მომრგვალო ან კვერცხის მოყვანილობის ნაყოფი. *ნაძვის გირჩა. ფიჭვის გირჩა.*

გისოსი



**გისოსი** *გისოსის* (ძირითადად მრ.) ბადის მსგავსად შეკრული ხის ან ლითონის ღეროები. *ფანჯრის გისოსი.*

**გიტარა** *გიტარის* სიმიებიანი საკრავი, რომელსაც აქვს შუაში ორი მხრიდან შეზნექილი კორპუსი და გრძელი ყელი, უკრავენ სიმებზე თითების ან სპეციალური ფირფიტის ჩამოკერით. *გიტარის აკომპანემენტი.*

გიტარა

**გიტარისტი** *გიტარისტის* მუსიკოსი, გიტარაზე დამკვრელი. *ცნობილი გიტარისტი. გიტარისტის კონცერტი.*

**გიშერი** *გიშრის* ქვანახშირის სახეობა, რომელიც ადვილად მუშავდება, გამოიყენება სამკაულების დასამზადებლად. *გიშრის მძივი. გიშრის კრიალოსანი.*

**გლანდი** *გლანდის* (ძირითადად მრ.) წყვილი ნუშისებრი ჯირკვალი ყელში, ხახის ორივე მხარეს. *გლანდების ოპერაცია. გლანდების ანთება.*

**გლასე** *გლასეს* ნაყინშერეული ყავა. *გლასეთი გაუმასპინძლდა.*

**გლასუნი** *გლასუნის* (უგლასუნებს) რბილი, ფაფუკი, სრიალა ზედაპირის მქონე საგნის ოდნავ, ფრთხილად გასმა რაიმეზე. *ფისომ კუდის გლასუნი დაიწყო.*

**გლახა** *გლახის* საუბრ. იგივეა, რაც **გლახაკი** (1). *კარს გლახა მოადგა.*

**გლახაკი** *გლახაკის* 1. მათხოვარი. *გლახაკები გაიკითხა.* 2. საუბრ. დაბეჩავებული, არაფრის მაქნისი. *შე გლახაკო!*

**გლესა** *გლესის* (გლესს, აგლესს, იგლესს, იგლისება, ეგლისება) ↑ **გაგლესა**. *თიხა ძნელად იგლისება. ტალახს ფეხით გლესს.*

**გლეხი** *გლეხის* ადამიანი, რომელიც სოფელში ცხოვრობს და სოფლის მეურნეობას მისდევს. *გლეხის კარმიდამო. გლეხის ოჯახი.* ■ **გლეხური** გლეხის დამახასიათებელი. *გლეხური ყოფა. გლეხური ჩაცმულობა.*

**გლეხკაცი** *გლეხკაცის* იგივეა, რაც **გლეხი**. *ღარიბი გლეხკაცები.* ■ **გლეხკაცური** გლეხკაცისთვის დამახასიათებელი.

**გლეხკაცობა** *გლეხკაცობის* იგივეა, რაც **გლეხობა** (2). *ჩვენი სოფლის გლეხკაცობა.*

**გლეხობა** *გლეხობის* 1. გლეხად ყოფნა. *გლეხობა იოლი არ არის.* 2. ბევრი გლეხი ერთად. *გლეხობა შეიკრიბა.*

**გლეჯა** *გლეჯის* (გლეჯს, აგლეჯს, იგლეჯს, უგლეჯს, იგლიჯება, ეგლიჯება, აგლეჯინებს) ძალით ხევა, ფხრეწა, წყვეტა. *ყვავილებს გლეჯს.*

**გლისერი** *გლისერის* სწრაფმავალი ძრავიანი ნავი, რომელიც მისრიალებს წყლის ზედაპირზე.

**გლიცერინი** *გლიცერინის* უფერო, უსუნო, ბლანტი სითხე, გამოიყენება პოლიგრაფიულ, ტყავის, საფეიქრო და ქაღალდის მრეწველობაში, მედიცინაში. *გლიცერინის ხსნარი.*

**გლიჯინი** *გლიჯინის* საუბრ. სწრაფი, მოურიდებელი სირბილი. *გლიჯინით გადაირბინა მინდორი.*

**გლობალური** *გლობალურის* რაც მთელ მსოფლიოს, მთელ დედამიწას მოიცავს, საყოველთაო. *გლობალური პოლიტიკა. გლობალური პრობლემები.*

გლობუსი

**გლობალიზაცია** *გლობალიზაციის* მსოფლიო მასშტაბით მიმდინარე ინტეგრაციისა და უნიფიკაციის პროცესი პოლიტიკის, ეკონომიკისა და კულტურის სფეროებში. *გლობალიზაციის შედეგები.*

**გლობუსი** *გლობუსის* დედამიწის მოდელი, სადგარზე დამაგრებუ-

ლი მრგვალი საგანი, რომელიც ბრუნავს ღერძის გარშემო. *სკოლის გლობუსი.*

**გლოვა** *გლოვის* (გლოვობს) დიდი მწუხარება რაიმე უბედურების, ჩვეულებრივ, ახლობლის გარდაცვალების გამო, ასეთი მწუხარების გამოხატულება. *ხანგრძლივი გლოვა. მამას გლოვობს. დაღუპულებს იგლოვდნენ.*

**გლოსარიუმი** *გლოსარიუმის* ტექსტს დართული ლექსიკონი, რომელშიც ახსნილია გაუგებარი სიტყვები.

**გლუვი** *გლუვის* სწორი, პრიალა, ხორკლების გარეშე. *გლუვი ზედაპირი.*

**გლუკოზა** *გლუკოზის* ყურძნის შაქარი. *გლუკოზის შემცველობა სისხლში.*

**გმადლობ** მადლობის გამოსახატავი სიტყვა, გამოიყენება მიმართვისას. *გმადლობ, ჩემო კარგო!*

**გმადლობთ** პატივისც. გმადლობ. *გმადლობთ, ბატონო დავით!*

**გმინვა** *გმინვის* (გმინავს) ძლიერი ტანჯვის, ტკივილის, ღრმა მწუხარების გამოხატვა ხმით. *გმინვა ისმის. ავადმყოფი გმინავს.*

**გმირი** *გმირის* უშიშარი, შეუპოვარი, სასახელო საქმეების ჩამდენი. *კრწანისის გმირები. გმირი წინაპრები.* ■ **გმირული** გმირის შესაფერისი, გმირის დამახასიათებელი. *გმირული ბრძოლები. გმირული საქციელი.*

**გმირობა** *გმირობის* რაიმეს კეთების დროს თავგანწირვა, თავდადება, ღირსეული ქმედება. *გმირობა ჩაიდინა. მისი გმირობა არ დაივიწყეს.*

**გმობა** *გმობის* (გმობს, უგმობს) კიცხვა, ძრახვა. *ღვთის გმობა. კანონებს გმობენ. მის საქციელს გმობს.*

**გნიასი** *გნიასის* (გნიასებს) დიდი ხმაური, აურზაური. *ბავშვების გნიასი. ფრინველები გნიასობენ.*

**გნოლი** *გნოლის* ქათმის მსგავსი მცირე ზომის გარეული ფრინველი. *გნოლივით დაგოგმანებს.*

**გობელენი** *გობელენის* ნაქსოვი სურათი, რომელსაც კედელზე აკრავენ. *ხელით ნაქსოვი გობელენი.*

გობი



**გობი** *გობის* ხის დიდი ჯამი. *ხორცი გობით ჩადგეს. რძე გობში ჩაასხა.*

**გოგირდი** *გოგირდის* ყვითელი ფერის კრისტალური ნივთიერება, გამოიყენება ნარმოებასა და მედიცინაში. *გოგირდი აახრჩოლეს.* ■ **გოგირდიანი** გოგირდის შემცველი. *გოგირდიანი წყალი.*

**გოგირდმჟავა** *გოგირდმჟავას* გოგირდის მჟავა, ზეთისებრი უფერო სითხე, რომელსაც იყენებენ ნარმოებაში, სოფლის მეურნეობაში. *გოგირდმჟავა მარილები.*

**გოგლიმოგლი** *გოგლიმოგლის* კვერცხის გულისა და შაქრის ფხვნილის ათქვეფით მიღებული საჭმელი.

**გოგმანი** *გოგმანის* (გოგმანებს) მოხდენილად, ლამაზად, ნარნარით სიარული. *მოცეკვავეების გოგმანი. მწყერი გოგმანებს.*

**გოგო** *გოგოს* 1. მდედრობითი სქესის ბავშვი. *ლამაზი გოგო. გოგო და ბიჭი. გოგოები თამაშობენ.* 2. ახალგაზრდა ქალი. *უკვე გასათხოვარი გოგოა.* 3. მდედრობითი სქესის შვილი. *ცოლ-ქმარს ორი გოგო ჰყავდა.*

**გოგონა** *გოგონას* ალერს. იგივეა, რაც გოგო. *ლამაზი გოგონა. გოგონა შეეძინათ.*

გოგრა

**გოგრა** *გოგრის* 1. ერთწლოვანი კულტურული მცენარე, აქვს დატოტვილი და მცოცავი ღერო, გრძელყუნწიანი და ბუსუსიანი, ფართო ფოთოლი და დიდი ყვითელი ზარისებური ყვავილები, ისხამს მსხვილ, სხვადასხვა ფორმისა და შეფერილობის ნაყოფს. *თაფლა გოგრა. მოხარშული გოგრა.* 2. საუბრ. გადატ. ადამიანის თავი. *მაგ გოგრაში რა გიყრია?*

**გოდება** *გოდების* (გოდებს) ხმამაღლა, მოთქმით ტირილი. *მწარედ გოდებს. გოდება გაისმა.*

**გოდოლი** *გოდოლის* ციხე-გალავნის კედელში ჩაშენებული, მრგვალი ან ოთკუთხედი ფორმის მაღალი საომარი ნაგებობა. *ციხის გოდოლი.*

გოდორი



**გოდორი** *გოდრის* წნელისგან დამზადებული მოზრდილი ცილინდრული ჭურჭელი, გამოიყენება ხილის ან მარცვლეულის ჩასაყრელად. *გოდრის დაწნა. ყურძნის გოდორი.*

**გოზინაყი** *გოზინაყის* თაფლთან ერთად მოდუღებული წვრილად დაჭრილი ნიგოზი, ნუში ან თხილი, რომელსაც აბრტყელებენ და თხელ, პატარა ფირფიტებად ჭრიან. *საახალწლო გოზინაყი.*

**გოიმი** *გოიმის* ჟარგ. უგემოვნებო, გამოუსვლელი (2). *ამდენი გოიმი სად შეიკრიბა?!* ■ **გოიმური** გოიმისთვის დამახასიათებელი. *გოიმური ქორწილი.*

**გოლეული** *გოლეულის* სკიდან ფიჭიანად ამოღებული თაფლი. *გოლეული მოგვართვეს.*

**გოლი** *გოლის* ფეხბურთის, ჰოკეისა და მისთ. თამაშისას ბურთის ან შაიბის შეგდება კარში, რაც გუნდს აძლევს დამატებით ქულას. *ლამაზი გოლები. გადამწყვეტი გოლი.*

**გოლიათი** *გოლიათის* ძალიან დიდი, უზარმაზარი ტანის კაცი. *გამოჩნდა სამი გოლიათი.* ■ **გოლიათური** გოლიათის დამახასიათებელი. *გოლიათური აღნაგობა.*

**გომბეშო** *გომბეშოს* ბაყაყის მსგავსი მოზრდილი ამფიბია, აქვს მომწვანო, ხორკლიანი კანი. *გომბეშოს ყიყინი.*

**გომბიო** *გომბიოს* ირონ. გოგო. *ამ გომბიოს ვერ უყურებთ?!*

**გომი** *გომის* მსხვილფეხა პირუტყვის გამოსაზამთრებელი ნაგებობა, ჩვეულებრივ მიწური. *ახალი გომი გააკეთეს.*

**გომური** იგივეა, რაც გომი. *გომში დაამწყვდია.*

**გონგი** *გონგის* თეფშისებური ფორმის, სპილენძის დასარტყამი საკრავი, რომელზეც რბილთავიანი ჯოხით უკრავენ, გამოიყენება სასიგნალო დანიშნულებითაც. *გონგის ხმა გაისმა. გონგს შემოჰკრა.*

**გონგოლა** *გონგოლას* ერთწლოვანი სარეველა მცენარე, აქვს ყვითელი ყვავილები, ისხამს გრძელ, წვრილ ნაყოფს.

**გონდოლა** *გონდოლის* 1. ერთნიჩბიანი გრძელი, ბრტყელძირა ვენეციური ნავი, აქვს აწეული ფიგურული ცხვირი და მაღალი კიჩო. *გონდოლით გაისეირნეს.* 2. აეროსტატისა და დირიჟაბლის სათავსი ადამიანებისა და ხელსაწყო-მექანიზმებისთვის.

**გონება**[1] *გონების* 1. ადამიანის აზროვნების უნარი. *ძლიერი გონება. სუსტი გონება.* 2. იგივეა, რაც ცნობიერება. *გონება დაკარგა. გონებაზე არ არის.*

**გონება**[2]* *გონების* (ჰგონია) აზრის ქონა, მიჩნევა. *ეს საქმე ადვილი ჰგონია. თავი ვინ გგონია?!*

**გონებადაკარგული** *გონებადაკარგულის* უგონოდ მყოფი, გულშეღონებული, გულწასული. *გონებადაკარგულმა თვალი გაახილა.*

**გონებადამჯდარი** *გონებადამჯდარის* ჭკვიანი, სერიოზული, გონივრულად განმსჯელი და მოქმედი. *გონებადამჯდარი პიროვნება.*

**გონებამახვილი** *გონებამახვილის* ჭკვიანი, ადვილად მიმხვედრი, სხარტი აზროვნების მქონე. *გონებამახვილი ყმაწვილი.*

**გონებაშეზღუდული** *გონებაშეზღუდულის* სუსტი აზროვნების, შეზღუდული გონებრივი შესაძლებლობების მქონე. *გონებაშეზღუდული კაცი.*

**გონებაჩლუნგი** *გონებაჩლუნგის* იგივეა, რაც გონებაშეზღუდული. *გონებაჩლუნგის საქციელი.*

**გონებრივი** *გონებრივის* გონებაზე, აზროვნებაზე დამყარებული. *გონებრივი შრომა. გონებრივი ძალა.*

**გონი** *გონის* იგივეა, რაც ცნობიერება. *გონი დაკარგა. გონს მოვიდა.*

**გონიერება** *გონიერების* ჭკვიანურად, აზრიანად, დაფიქრებულად მოქცევის უნარი. *გონიერება გამოიჩინა.*

**გონიერი** *გონიერის* ჭკვიანი, ნათელი გონების მქონე. *გონიერი ბიჭი.*

**გონივრული** *გონივრულის* ჭკვიანური, აზრიანი, ფიქრისა და განსჯის შედეგად მიღებული. *გონივრული გადაწყვეტილება. გონივრული ნაბიჯი.*

**გონიო** *გონიოს* ხის ან ლითონის სწორკუთხა სახაზავი, გამოიყენება ნაგებობების კუთხეების გამოსაყვანად. *გონიოს იყენებს.*

**გონჯი** *გონჯის* გარეგნულად უშნო, შეუხედავი. *გონჯი ქალი.*

**გორა** *გორას* 1. დაბალი მთა. *ამწვანებული გორები.* 2. გადატ. მაღალი გროვა. *ვაშლის გორა იდგა.*

**გორაკი** *გორაკის* მრგვალი ამაღლებული ადგილი მიწის ზედაპირზე. *გორაკი გადაიარა.*

**გორაობა** *გორაობის* (გორაობს, აგორავებს) დაწოლილის ტრიალი, ბრუნვა. *ბიჭი საწოლში გორაობს. ღორი ტალახში გორაობს.*

**გორგოლა** *გორგოლას* იგივეა, რაც **გორგოლაჭი**. *სათამაშო გორგოლა.*

**გორგოლაჭი** *გორგოლაჭის* პატარა ბორბალი, საგორავი თვალი[2] (1), უკეთდება მძიმე საგნებს გადაადგილების გასაადვილებლად. *მაგიდის გორგოლაჭი.* ■ **გორგოლაჭებიანი** რასაც გორგოლაჭები აქვს. *გორგოლაჭებიანი ჩანთა.*

**გორვა** *გორვის* (გორავს, აგორებს) მძიმე საგნის ხელში აუღებლად, ბრუნვით გადაადგილება ან დაწოლილის კოტრიალით ადგილის შეცვლა. *ქვა გორავს. ერთ ადგილზე გორავს.*

**გორველა** *გორველას* სარეველა მცენარის მრგვალი, მუქი ფერის მარცვლები, რომლებიც ერევა ხორბალსა და ქერს.

**გორილა** *გორილის* ადამიანის მსგავსი ყველაზე დიდი მაიმუნი, ბინადრობს ცენტრალურ აფრიკაში. *გორილების საშენი.*

**გოროზი** *გოროზის* მკაცრი შესახედაობის მქონე. *გოროზი პიროვნება. გოროზი მამაკაცი.*

**გოროხი** *გოროხის* გვალვისგან გამხმარი, გამაგრებული მიწის ნატეხი. *მიწა გოროხებად ეყარა.*

**გოქშო** *გოქშოს* ორწლოვანი ბალახოვანი მცენარე, აქვს ეკლიანი ღერო, საპირისპიროდ განლაგებული ფოთლები და თავებად შეკრებილი ყვავილები.

**გოშია** *გოშიის* იგივეა, რაც ფინია. *გოშიასავით კუდს აქიცინებს.*

**გოჭა** *გოჭას* იგივეა, რაც კობრი. *ბადეს გოჭა ამოჰყვა.*

**გოჭი** *გოჭის* ღორის ნაშიერი (დაბადებიდან 3-4 თვემდე). *გოჭები ჭყვიტინებენ.*

**გოხი** *გოხის* დიდი ქვა, კლდის ნატეხი. *გოხებზე ხტომით გადაიარა.* ⊙ **გოხი მარილი** იგივეა, რაც ქვამარილი.

**გოჯი** *გოჯის* 1. ძვ. მანძილი ცერის ბოლო სახსრიდან ფრჩხილის წვერამდე, გამოიყენებოდა სიგ-

რძის საზომ ერთეულად, უდრიდა დაახლოებით 4 სმ-ს. 2. გადატ. ძალიან ცოტა. ძალიან პატარა. *ერთი გოჯი მიწა.*

**გრაგნა** *გრაგნის* (გრაგნის, იგრაგნება) ↑ დაგრაგნა. *ცხვირსახოცს გრაგნის. ეტრატი იგრაგნება.*

**გრაგნილი** *გრაგნილის* ძვ. დახვეული ხელნაწერი ფურცელი, ეტრატი ან სხვა საწერი მასალა. *გრაგნილი გაშალა.*

**გრადაცია** *გრადაციის* ერთი მდგომარეობიდან მეორეზე თანდათანობით გადასვლა. *ფერების გრადაცია.*

**გრადუსი** *გრადუსის* 1. ტემპერატურის საზომი ერთეული. *37 გრადუსი აქვს.* 2. კუთხის საზომი ერთეული, უდრის წრეხაზის 1/360 ნაწილს. 3. ალკოჰოლიანი სასმელების სიმაგრის აღმნიშვნელი ერთეული. *არაყს მაღალი გრადუსი აქვს.*

**გრავიტაცია** *გრავიტაციის* სხეულების ურთიერთმიზიდულობა. *გრავიტაციის ძალა.*

**გრავიურა** *გრავიურის* 1. მაგარი მასალის (ხის, ქვის, ლითონის, ძვლის და მისთ.) ზედაპირზე ამოკვეთილი ნახატი. *გრავიურის ოსტატები.* 2. ფირფიტა, რომელზეც შესრულებულია გრავიურა (1). *გრავიურა მაჩუქა.*

**გრამატიკა** *გრამატიკის* ენათმეცნიერების დარგი, რომელიც შეისწავლის ამა თუ იმ ენის აგებულებას. *ქართული ენის გრამატიკა.* ■ **გრამატიკული** გრამატიკასთან დაკავშირებული. *გრამატიკული ფორმები.*

**გრამატიკოსი** *გრამატიკოსის* გრამატიკის სპეციალისტი. *ბერძენი გრამატიკოსი.*

**გრამი** *გრამის* წონის საზომი ერთეული. *200 გრამი კარაქი.*

**გრამოფონი** *გრამოფონის* ფირფიტების დასაკრავი ძველებური, რუპორიანი აპარატი. *გრამოფონის ხმა ისმოდა.*

გრამოფონი



**გრანატა** *გრანატის* მსკდომი საარტილერიო ჭურვი. *ხელის გრანატა.*

**გრანდიოზული** *გრანდიოზულის* უზარმაზარი, დიადი, დიდებული. *გრანდიოზული მშენებლობა.*

**გრანიტი** *გრანიტის* მაგარი კრისტალური ქანი, იყენებენ შენობების მოსაპირკეთებლად და ქანდაკებების შესაქმნელად. *გრანიტის ქანდაკება. გრანიტის ფილები.*

**გრანტი** *გრანტის* ნარმოების, ორგანიზაციებისა და ფიზიკური პირების უსასყიდლო სუბსიდირება სამეცნიერო-კვლევითი, სასწავლო და სხვა მსგავსი საქმიანობისთვის. *სასწავლო გრანტი.*

**გრაფა** *გრაფის* ფურცელზე ვერტიკალური ან ჰორიზონტალური ხაზებით გამოყოფილი ადგილი მონაცემების შესატანად. *პირველი გრაფა. გრაფა შეავსო.*

**გრაფი** *გრაფის* უმაღლესი წოდების წარმომადგენელი დასავლეთ ევროპასა და რუსეთში.

**გრაფიკა** *გრაფიკის* 1. ხაზებითა და შტრიხებით ხატვის ხელოვნება. *გრაფიკა და ფერწერა.* 2. ასეთი მხატვრობის ნიმუშები. *ქართული გრაფიკა.* 3. ხელნაწერი ან ნაბეჭდი ნიშნების, ასოების მოხაზულობა. ■ **გრაფიკული** გრაფიკასთან დაკავშირებული. *გრაფიკული ნახატი. გრაფიკული გამოსახულება.*

**გრაფიკი** *გრაფიკის* ნახაზი, რომელზეც მრუდეების საშუალებით არის ნაჩვენები რაიმეს განვითარების ან მდგომარეობის რაოდენობრივი მაჩვენებლები. *წნევის ცვალებადობის გრაფიკი.*

**გრაფიკოსი** *გრაფიკოსის* მხატვარი, რომელიც გრაფიკაში მუშაობს.

**გრაფინი** *გრაფინის* მინის ყელიანი ჭურჭელი, გამოიყენება სასმელის ჩასასხმელად. *ბროლის გრაფინი. ღვინის გრაფინი.*

გრაფინი



**გრაფინია** *გრაფინიას* გრაფის ცოლი ან ქალიშვილი.

**გრაფიტი** *გრაფიტის* შავი, რბილი მინერალი, რომლისგანაც ამზადებენ ფანქრის გულებს, ცეცხლგამძლე ჭურჭელსა და მისთ. *გრაფიტის საბადო.*

**გრაციოზული** *გრაციოზულის* ნარნარი, მოხდენილი. *გრაციოზული მანერები.*

**გრგვინვა** *გრგვინვის* (გრგვინავს) ძლიერი, გამაყრუებელი ხმის გამოცემა. *ზვავის გრგვინვა. ქვემები გრგვინავს.*

**გრდემლი** *გრდემლის* მჭედლის ხელსაწყო, რომელზეც ლითონს ჭედავენ. *პატარა გრდემლი. მჭედლის გრდემლი.*

გრდემლი



**გრეიდერი** *გრეიდერის* მიწის სათხრელი და სასწორებელი მანქანა, იყენებენ გზების, აეროდრომებისა და მისთ. მშენებლობაში.

**გრეიპფრუტი** *გრეიპფრუტის* 1. ყვითელკანიანი, ფორთოხალზე მსხვილი, მომრგვალო და წვნიანი ციტრუსოვანი ხილი. *გრეიპფრუტის წვენი.* 2. მაღალი ხე, რომელიც ისხამს გრეიპფრუტს (1), აქვს დიდი, ოვალური, ტყავისებური ფოთლები და თეთრი ყვავილები.

**გრეხა** *გრეხის* (გრეხს, აგრეხს, იგრეხს, იგრიხება, ეგრიხება, აგრეხინებს) 1. ↑ დაგრეხა (1). *ბაწარს გრეხს.* 2. ↑ დაგრეხა (2). *ტკივილისგან იგრიხება. თითები ეგრიხება.* 3. გადატ. უშნოდ, ულამაზოდ პრანჭვა. *ლაპარაკისას იგრიხება. რას იგრიხები?!*

**გრიალი** *გრიალის* (გრიალებს) 1. დიდი, გამაყრუებელი ხმაური. *გრიალი გაისმა. თოფმა იგრიალა. გრიალით ჩამოინგრა.* 2. ჟარგ. ქეიფი, დროსტარება. *მაგრად იგრიალეს. სხვისი ფულით გრიალებს.*

**გრიგალი** *გრიგალის* ძალიან ძლიერი, დამანგრეველი ქარი. *გრიგალმა გადაუარა.*

**გრიგალისებრი** *გრიგალისებრის* გრიგალის მსგავსი, უძლიერესი, დამანგრეველი. *გრიგალისებრი შტეგა.*

**გრილი** *გრილის* ოდნავ დაბალი ტემპერატურის მქონე. *გრილი სიო. გრილი სასმელი. გრილი ამინდი.*

**გრილო** *გრილოს* მზისგან დაცული ადგილი. *პირუტყვმა გრილოს მიაშურა.*

**გრიმასა** *გრიმასის* სახის მანჭვა განზრახ ან უნებლიეთ. *სასაცილო გრიმასა ჰქონდა.*

**გრიმი** *გრიმის* 1. სპეციალური საღებავები და რბილი ფანქრები, რომლებითაც მსახიობები სხვადასხვა როლისთვის სახეს იცვლიან. *გრიმი მოიცილა.* 2. გრიმით (1) სახის შეცვლა.

**გრიმიორი** *გრიმიორის* თეატრის მუშაკი, რომელიც მსახიობებს გრიმს უკეთებს. *მოხუცი გრიმიორი.*

**გრიპი** *გრიპის* მწვავე ინფექციური დაავადება, რომლისთვისაც დამახასიათებელია სასუნთქი გზების ლორწოვანი გარსის ანთება. *გრიპი შეხვდა.*

**გრიფი**[1] *გრიფის* 1. სიმებიანი საკრავის დანაყოფებიანი ყელი, რომლის გაყოლებაზეც გაჭიმულია სიმები. 2. ჭიდაობაში მოწინააღმდეგის ხელის გაკავება.

**გრიფი**[2] *გრიფის* 1. ბეჭედი ოფიციალური პირის ხელმოწერით ან მისი ანაბეჭდი. 2. საბუთზე, გამოცემაზე გაკეთებული წარწერა ორგანიზაციის აღნიშვნით. ■ **გრიფიანი** რასაც გრიფი აქვს. *გრიფიანი საბუთი.*

**გროვა** *გროვის* ერთად დაყრილი საგნები, ნივთები. *ნაგვის გროვა. ქვების გროვა.*

**გროტესკი** *გროტესკის* 1. მხატვრული ხერხი, რომელიც დამყარებულია მეტისმეტ გაზვიადებაზე, მკვეთრი კონტრასტების შეხამებაზე. *გროტესკს მიმართავს.* 2. ნაწარმოები, რომელშიც გამოყენებულია გროტესკი (1).

**გროში** *გროშის* საუბრ. ძალიან ცოტა ფული. *გროშებიც გადაუხადა.* ⊙ **გროშად არ ღირს** საუბრ. არაფრად ვარგა. ⊙ **გროშის ფასად.** საუბრ. ძალიან იაფად.

**გრუნტი** *გრუნტის* 1. ნებისმიერი ქანი, რომელიც ნარმოადგენს ნიადაგის, ნაგებობისა და მისთ. საფუძველს. *კლდოვანი გრუნტი. რბილი გრუნტი.* 2. საღებავის პირველი ფენა ზედაპირზე, რომელზეც სრულდება ნახატი. *ტილო გრუნტით დაფარა.*

**გრუხუნი** *გრუხუნის* (გრუხუნებს) გამაყრუებელი ხმაური. *გრუხუნი გაისმა. უეცრად იგრუხუნა.*

**გრძედი** *გრძედის* მანძილი ნულოვანი მერიდიანიდან პარალელების მიმართულებით, გამოიხატება გრადუსებით.

**გრძელვადიანი** *გრძელვადიანის* დიდი ხნით სარგებლობისთვის განკუთვნილი. *გრძელვადიანი სესხი.*

**გრძელი** *გრძელის* დიდი სიგრძის მქონე. *გრძელი გზა. გრძელი კვალი.* ↔ **მოკლე.** ⊙ **გრძელი ენა აქვს** საუბრ. ზედმეტი ლაპარაკი იცის.

**გრძივი** *გრძივის* რაც სიგრძეზეა აღებული. *გრძივი ზოლები.* შდრ. განივი.

**გრძნეულება** *გრძნეულების* ჯადოქრობა, მისნობა, კუდიანობა. *გრძნეულებით იყო ცნობილი.*

**გრძნეული** *გრძნეულის* ჯადოქარი, წინასწარმეტყველური თვისებების მქონე. *გრძნეული რაში. გრძნეული კაცი.*

**გრძნობა** *გრძნობის* (გრძნობს, უგრძნობს, იგრძნობა, აგრძნობინებს) 1. რაიმე ემოციის ქონა, განცდა. *სიხარული იგრძნო.* 2. სხეულით ან რომელიმე ორგანოთი რაიმეს შეგრძნება, აღქმა. *ტკივილს გრძნობს. სუნი იგრძნო.*

**გრძნობადი** *გრძნობადის* რის შეგრძნებაც, გონებრივი წვდომაც შეიძლება. *გრძნობადი სამყარო.*

**გრძნობამიხდილი** *გრძნობამიხდილის* გულწასული, შეგრძნების უნარდაკარგული. *გრძნობამიხდილი ტახტზე მიესვენა.*

**გუაში** *გუაშის* 1. წყალსა და წებოში გაქნილი საღებავი. 2. გუაშით (1) დახატული სურათი.

**გუბე** *გუბის* პატარა ზომის ჩაღრმავებაში ჩამდგარი წყალი. *გუბიდან ბაყაყების ხმა ისმის.*

**გუბერნატორი** *გუბერნატორის* ზოგიერთ ქვეყანაში ადმინისტრაციული ერთეულის უფროსი, მმართველი. *გუბერნატორს დიდი პატივით ხვდებოდნენ.*

**გუბურა** *გუბურას* პატარა გუბე. *გუბურა მზეს აეშრო.*

**გუგა** *გუგის* მრგვალი, პატარა ხვრელი თვალის ფერად გარსში, რომლის საშუალებით თვალში შედის სინათლის სხივი. *გუგა გააფართოვეს. გუგის შევიწროება.*

**გუგული** *გუგულის* ტყის ფრინველი. *გუგული კვერცხებს სხვის ბუდეში დებს.*

**გუგულისკაბა** *გუგულისკაბის* ბალახოვანი მცენარე, აქვს ნაგრძელებული ფოთლები და წითელწინწკლებიანი ყვავილები, იზრდება ტყეში.



გუდა

**გუგუნი** *გუგუნის* (გუგუნებს, აგუგუნებს, უგუგუნებს) ყრუ, გაბმული ხმა. *ელმავლის გუგუნი. ღუმელი გუგუნებს.*

**გუდა** *გუდის* ცხვრის, თხის ან ხბოს მთლიანი ტყავის ჭურ-

ჭელი, რომელშიც ცხოველურ პროდუქტებს ინახავენ. *მწყემსის გუდა.* ◉ გუდას პირს მოხსნის გაუთავებელ ლაპარაკს დაიწყებს. ◉ **ტყუილების გუდა** მატყუარა.

**გუდალეღვი** *გუდალეღვის* ლეღვის სახეობა, რომელიც ზაფხულის დასაწყისში მწიფდება.

**გუდა-ნაბადი** იგივეა, რაც **ბარგი-ბარხანა**. ◉ **გუდა-ნაბადს აიკრავს** აიბარგება, წავა.

**გუდასტვირი** *გუდასტვირის* ქართული ჩასაბერი საკრავი, შედგება გუდისა და სტვირისგან, სტვირი ხმას გამოსცემს გუდაში დაგროვილი ჰაერის ნაკადით. *რაჭული გუდასტვირი.*

**გუდაფშუტა** *გუდაფშუტას* 1. მრგვალი თეთრი საჭმელი სოკო, მომწიფებისას ხმება, იკეთებს ტყავისებურ ყავისფერ კანს, გავსებულია ყავისფერი სპორებით. 2. სოკოთი გამოწვეული მცენარეთა დაავადება. 3. გუდაფშუტათი (2) დაავადებული მარცვალი, უპირატესად პურეული.

**გუდრონი** *გუდრონის* შავი ფისოვანი ნივთიერება, ილებენ ნავთობის გამოხდის ნარჩენებისგან, გამოიყენება საგზაო მშენებლობაში, დასახური და საიზოლაციო მასალებისა და მისთ. ნარმოებაში.

**გუდურა** *გუდურას* ერთად შეკრული წვრილი ფიჩხი, შეშა. *მოხუცს ერთი გუდურა მოჰქონდა.*

**გუზგუზა** *გუზგუზას* რაც **გუზგუზებს**. *გუზგუზა ლუმელი.*

**გუზგუზი** *გუზგუზის* (გუზგუზებს, აგუზგუზებს) ძლიერი ცეცხლისგან ხმის გამოცემა. *ბუხარი გუზგუზებს.*

**გუთანი** *გუთნის* მიწის სახნავი სასოფლო-სამეურნეო იარაღი (2). *პაპის გუთანი.*

გუთანი



**გუთნეული** *გუთნეულის* ძვ. გუთანი და მასში შებმული ხარ-კამეჩი. *ძლიერ ოჯახს გუთნეული ჰყავდა.*

**გუთნური** *გუთნურის* შრომის სიმღერა, სრულდებოდა გუთნით ხვნისას. *გუთნური შემოსძახეს.*

**გულაბი** *გულაბის* მსხლის ჯიში, ისხამს მოყვითალო ან მომწვანო, წვნიან და ტკბილ ნაყოფს, აქვს ნაზი კანი. *გულაბი დამწიფდა.*

**გულადი** *გულადის* უშიშარი, მამაცი. *გულადი ყმანვილი. გულადი მონადირე.*

**გულამოვარდნილი** *გულამოვარდნილის* ვისაც გულისცემა აქვს გახშირებული. *სირბილისგან გულამოვარდნილი.*

**გულამომჯდარი** *გულამომჯდარის* ◉ **გულამომჯდარი ტირის** ტირილისგან სუნთქვა ეკვრის.

**გულამოსკვნილი** *გულამოსკვნილის* ◉ **გულამოსკვნილი ტირის** ტირილისგან სუნთქვაშეკრული, გულამომჯდარი.

**გულამღვრეული** *გულამღვრეულის* ცუდ გუნებაზე მყოფი. *გულამღვრეული იჯდა.*

**გულანთებული** *გულანთებულის* ძლიერი გრძნობით შეპყრობილი. *სამშობლოსთვის გულანთებული. სიყვრულით გულანთებული.*

**გულასუყებული** *გულასუყებულის* ნოყიერი საჭმლისგან მადანართმეული. *ვისაც გული აუსუყდა.*

**გულაღმა** ზმნზ. ზურგზე, გულმკერდით ზევით. *გულაღმა წევს.*

**გულაყრილი** *გულაყრილის* ვინც რაღაცაზე გული აიყარა, ვისაც ვინმეს ან რაიმეს სიყვარული გაუნელდა. *მეგობარზე გულაყრილია.*

**გულაჩუყებული** *გულაჩუყებულის* სიბრალულის გრძნობით შეპყრობილი. *გულაჩვილებული ქალი.*

**გულაცრუებული** *გულაცრუებულის* გულგატეხილი, იმედგაცრუებული. *სწავლაზე გულაცრუებული.*

**გულახდილი** *გულახდილის* იგივეა, რაც **გულწრფელი**. *გულახდილი საუბარი. გულახდილი კაცია.*

**გულგანგმირული** *გულგანგმირულის* გულში დაჭრილი, ამ ჭრილობით გარდაცვლილი. *გულგანგმირული დაეცა. ტყვიით გულგანგმირული.*

**გულგატეხილი** *გულგატეხილის* იმედდაკარგული, უიმედობით შეპყრობილი, ვისაც რაიმეზე გული გაუტყდა. *გულგატეხილი საქმეს ხელს აღარ ჰკიდებს.*

**გულგაუტეხელი** *გულგაუტეხლის* იმედიანი, იმედებით აღსავსე, ვისაც მარცხი, წარუმატებლობა არ აშინებს. *გულგაუტეხელი მოხუცი.*

**გულგაღეღილი** *გულგაღეღილის* ვისაც საკინძე აქვს შეხსნილი. *გულგაღეღილი იჯდა.*

**გულგახეთქილი** *გულგახეთქილის* ძალიან შეშინებული. *მელა გულგახეთქილი გაიქცა.*

**გულგახსნილი** *გულგახსნილის* ლაღი, ხალისიანი, გულღია. *გულგახსნილი მოსაუბრე.*

**გულგრილი** *გულგრილის* ვინც არაფერზე დარდობს, ვისაც არაფერი აღელვებს. *გულგრილი დამოკიდებულება. გულგრილი კაცია.*

**გულგრილობა** *გულგრილობის* გულგრილის ქმედება, თვისება. *მისმა გულგრილობამ გამაოცა.*

**გულდაგულ** ზმნზ. 1. მთელი ძალით, შეუდრეკლად, უშიშრად. *მტერს გულდაგულ შეება.* 2. მონდომებით, გულდასმით. *გულდაგულ მოემზადა.*

**გულდათუთქული** *გულდათუთქულის* რაღაცის გამო ძალიან შეწუხებული. *გულდათუთქული მგლოვიარე.*

**გულდამშვიდებით** ზმნზ. წყნარად, მშვიდად. *გულდამშვიდებით იცდის. გულდამშვიდებით ლაპარაკობს.*

**გულდამშვიდებული** *გულდამშვიდებულის* დამშვიდებული, კმაყოფილი. *გულდამშვიდებული წავიდა.*

**გულდამძიმებული** *გულდამძიმებულის* დარდით, ფიქრით ძალიან შეწუხებული. *გულდამძიმებული ჩანდა.*

**გულდამწვარი** *გულდამწვრის* იგივეა, რაც გულდათუთქული. *გულდამწვარი ჭირისუფალი.*

**გულდასაწყვეტი** *გულდასაწყვეტის* რაც გულის დაწყვეტას იწვევს. *გულდასაწყვეტი შედეგი.*

**გულდასმით** ზმნზ. დიდი ყურადღებით, გულმოდგინედ. *გულდასმით დაათვალიერა.*

**გულდაწყვეტით** ზმნზ. დანანებით. *გულდაწყვეტით ამოიოხრა.*

**გულდაწყვეტილი** *გულდაწყვეტილის* რაღაცის გამო ნაწყენი, გულნაკლული. *ჩემზეა გულდაწყვეტილი.*

**გულდახურული** *გულდახურულის* იგივეა, რაც გულჩათხრობილი. *გულდახურული კაცი.*

**გულდაჯერებული** *გულდაჯერებულის* ვისაც თავის შესაძლებლობებში ეჭვი არ ეპარება. *გულდაჯერებული ახალგაზრდა.*

**გულდინჯი** *გულდინჯის* აუჩქარებელი, აუღელვებელი. *გულდინჯი კაცის საქციელი.*

**გულვება** *გულვების* (იგულებს, ეგულება) 1. ვარაუდით ცოდნა. *წიგნი სახლში ეგულება. ტყეში წყარო ეგულებათ.* 2. ვინმეს თავისიანად მიჩნევა. *მეგობრად იგულებს. დად იგულა.*

**გულთამხილავი** *გულთამხილავის* ყველაფრის მხედველი (ღმერთი). *გულთამხილავმა ხომ იცის.*

**გულთამხილველი** *გულთამხილველის* იგივეა, რაც გულთამხილავი.

**გულთბილი** *გულთბილის* მოსიყვარულე, კეთილგანწყობილი. *გულთბილი მოკითხვა. გულთბილი ბავშვი.*

**გულთმისანი** *გულთმისნის* წინასწარმეტყველი, მოვლენების წინასწარ გაგების უნარით დაჯილდოებული. *გულთმისანი ხარ? გულთმისანი ქალი.*

**გული** *გულის* 1. ადამიანის ან ცხოველის უმთავრესი სასიცოცხლო ორგანო, რომელიც უზრუნველყოფს სისხლის მიმოქცევას მთელ ორგანიზმში. *გული მუშაობს. გულის კუნთი.* 2. ადამიანის განცდების, გრძნობებისა და განწყობილების სიმბოლო. *გული კარნახობს. კეთილი გული აქვს.* 3. იგივეა, რაც მკერდი. *გულში ჩაიკრა.* 4. რაიმეს შიგნითა ნაწილი, შიგთავსი. *თხილის გული. ხინკლის გული. ქადის გული.* 5. რაიმეს ცენტრალური, მნიშვნელოვანი ნაწილი. *დედამიწის გული. ქვეყნის გული.* 6. ბანქოს სათამაშო ქაღალდი, რომელზეც გულის წითელი სიმბოლოა გამოსახული. *გულის ათიანი. გულის ტუზი.* ◌ გულზე დაადგება გადაყლაპვა გაუჭირდება. ◌ გულზე მოეშვება დამშვიდდება. ⊙ გულზე მოხვდება ძალიან განიცდის. ⊙ გულზე შემოანვება (დარდი, ნაღველი, ფიქრი) დადარდიანდება, ძლიერ განიცდის. ⊙ გულზე ცეცხლის მოკიდება ძალიან გაბრაზება, გაცეცხლება. ⊙ გულთან ახლოს მიიტანს დაინტერესდება, გულისყურით მოეკიდება. ⊙ გული ამოვარდნაზე აქვს ძალიან დაღლილია, განერვიულებულია. ⊙ გული ამოუჯდება ატირდება. ⊙ გული აუფანცქალდება ძლიერი ემოციისგან გულისცემა აუჩქარდება. ⊙ გული აუჩვილდება ვინმე შეებრალება. ⊙ გული აუცრუვდება მობეზრდება, ინტერესი გაუქრება. ⊙ გული გადაელევა ლოდინისგან, შიმშილისგან და მისთ. ძალიან დაიღლება, შეწუხდება. ⊙ გული გაუტყდება იმედს დაკარგავს. ⊙ გული ერევა აღებინებს. ⊙ გული ერჩის ძალას, ენერგიას გრძნობს. ⊙ გული ეწვის ებრალება, განიცდის. ⊙ გული მიუვა მოეწონება. ⊙ გული მოუბრუნდება გაბრაზება გაუვლის. ⊙ გული მოუვა გაბრაზდება. ⊙ გული მოულბება ვინმეს მიმართ თანაგრძნობა გაუჩნდება, შეეცოდება. ⊙ გული საგულეს აქვს არაფრის ეშინია, არ ედარდება. ⊙ გული უძგერს სიცოცხლის ხალისი აქვს. ⊙ გული ყელში ებჯინება ძლიერი განცდისგან სუნთქვა ეკვრის. ⊙ გული შესტკივა (ვინმეზე) ებრალება, მისთვის კარგი უნდა. ⊙ გული წაუვა/გული შეუწუხდება გონებას დაკარგავს. ⊙ გულიდან გადაიგდებს დაივიწყებს. ⊙ გულის მოგება კეთილგანწყობის მოპოვება, სიყვარულის, ყურადღების, პატივისცემის დამსახურება. ⊙ გულის მოსვლა გაბრაზება. ⊙ გულის სწორი სატრფო, შეყვარებული. ⊙ გულს გადააყოლებს გაერთობა. ⊙ გულს გადაუშალის ნაფიქრს გაუმჟღავნებს. ⊙ გულს გაუკეთებს გაამხნევებს, წააქეზებს. ⊙ გულს გაუწყალებს ძალიან შეაწუხებს. ⊙ გულს დაუდებს მოინდომებს. ⊙ გულს ვერ უდებს (რაიმე საქმეს) ხალისი არა აქვს. ⊙ გულს მოუკლავს მეტისმეტად აწყენინებს, გაამწარებს. ⊙ გულში ჩაიდებს მუდამ ეხსომება.

**გულიანი** *გულიანის* 1. გულის მქონე. *გულიანი ქადა.* 2. მთელი არსებით, მთელი განცდით გამსჭვალული. *გულიანი სიცილი. სტუმრის გულიანი დახვედრა.* 3. იგივეა, რაც გულთბილი. *გულიანი კაცია.*

**გულითადი** *გულითადის* კეთილგანწყობილი, გულწრფელი. *გულითადი მასპინძელი.*

**გულისაბა** *გულისაბას* მრავალწლოვანი დეკორატიული ბალახოვანი მცენარე, აქვს ოვალური ფოთლები და თეთრი, ყვითელი ან წითელი ყვავილები, იშლება ღამ-ღამობით, დღისით კი იხურება.

**გულისთქმა** *გულისთქმის* სურვილი, რომელიც ჩვეულებრივ სხვებისთვის დაფარულია. *გულისთქმას მიუხვდა. გულისთქმას აჰყვა.*

**გულისნადები** *გულისნადების* დაფარული, დამალული ფიქრი (სურვილი, დარდი და მისთ.). *გულისნადები გაამჟღავნა.*

**გულისყური** *გულისყურის* ყურადღება, ინტერესი, მონდომება, გულისხმიერება. *გულისყური მიაპყრო. გულისყურით მოისმინა.*

**გულისცემა** *გულისცემის* გულის მუშაობა, ფეთქვა. *გულისცემა შესუსტდა.*

**გულისწყრომა** *გულისწყრომის* განაწყენება, გაბრაზება. *გულისწყრომას გამოხატავს.*

**გულისხმიერება** *გულისხმიერების* ყურადღება, თანაგრძნობა. *გულისხმიერება გამოიჩინა.*

**გულისხმიერი** *გულისხმიერის* ყურადღებიანი, მზრუნველი. *გულისხმიერი ექიმი. გულისხმიერად მოექცა.*

**გულისხმობა*** *გულისხმობის* (გულისხმობს) ვარაუდი ვინმეს ან რაიმეს შესახებ, გათვალისწინება. *რას გულისხმობს ეს შეთანხმება?*

**გულკეთილი** *გულკეთილის* იგივეა, რაც კეთილი. *გულკეთილი მე ზობელი.*

**გულმაგარი** *გულმაგარის* უშიშარი, შეუდრეკელი. *გულმაგარი ბიჭები.*

**გულმავიწყი** *გულმავიწყის* ვისაც მეხსიერება არ უვარგა, ყველაფერი ადვილად ავიწყდება. *გულმავიწყი მოხუცი.*

**გულმართალი** *გულმართლის* პატიოსანი, ალალი, სანდო. *გულმართალი კაცია.*

**გულმკერდი** *გულმკერდის* იგივეა, რაც მკერდი. *გულმკერდი ტყვიას მიუშვირა. გულმკერდი გადაიღეღა.*

**გულმკვდარი** *გულმკვდრის* ძალიან დარდიანი, მნუხარე, ვისაც აღარაფერი ახარებს. *გულმკვდარი დედა.*

**გულმოდგინე** *გულმოდგინის* ბეჯითი, ვინც საქმეს დიდი მონდომებით აკეთებს. *გულმოდგინე მუშაკი.*

**გულმოდგინედ** ზმნზ. დიდი მონდომებით, ბეჯითად. *გულმოდგინედ მუშაობს. გულმოდგინედ სწავლობს.*

**გულმოკლული** *გულმოკლულის* ძალიან დაღონებული, დამწუხრებული. *იმის გამოა გულმოკლული.*

**გულმოსაკლავი** *გულმოსაკლავის* დიდად საწყენი. *გულმოსაკლავი ამბავი შეემთხვა.*

**გულმოსული** *გულმოსულის* გაბრაზებული, გაჯავრებული. *გულმოსული ჩანდა. გულმოსული იყო.*

**გულმოცემული** *გულმოცემულის* წაქეზებული, გამხნევებული. *ძმისგან გულმოცემული.*

**გულმოწყალე** *გულმოწყალის* შემბრალებელი, მზრუნველი. მოწყალების გამცემი. *გულმოწყალე ხელმწიფე.*

**გულ-მუცელი** *გულ-მუცლის* მუცლის ღრუს ყველა ორგანო ნაწლავებითურთ. *გულ-მუცელი ეწვის.*

**გულმხიარული** *გულმხიარულის* მხიარული, უდარდელი. *გულმხიარული კაცი.*

**გულმხურვალე** *გულმხურვალის* მთლიანად მოცული რაიმე გრძნობით. *გულმხურვალე მლოცველი. გულმხურვალე პატრიოტი.*

**გულნაკლული** *გულნაკლულის* ცოტათი ნაწყენი, უკმაყოფილო. *დედაზე არის გულნაკლული.*

**გულნამცეცა** *გულნამცეცას* მხდალი, სულმდაბალი, კეთილშობილებას მოკლებული. *გულნამცეცა პიროვნება.*

**გულნატკენი** *გულნატკენის* იგივეა, რაც გულნაკლული. *გულნატკენმა დატოვა დარბაზი.*

**გულოვანი** *გულოვნის* იგივეა, რაც გულადი. *გულოვანი მეომარი.*

**გულსაკიდი** *გულსაკიდის* გულზე დასაკიდი სამკაული. *ოქროს გულსაკიდი.*

**გულსაკლავი** *გულსაკლავის* ძალიან შესაცოდი, შესაბრალისი. *გულსაკლავი შესახედაობა აქვს.*

**გულუბრყვილო** *გულუბრყვილოს* მიმნდობი, ყველაფრის მალე დამჯერებელი, ადვილად მოსატყუებელი. *გულუბრყვილო ბავშვია.*

**გულუხვი** *გულუხვის* ყველაფრის უხვად გამცემი, ვინც სხვისთვის არაფერს იშურებს. *გულუხვი მასპინძელი.*

**გულფიცხი** *გულფიცხის* ვინც სწრაფად ბრაზდება. *გულფიცხი კაცი.*

**გულქართლი** *გულქართლის* კაცთმოყვარე, კეთილი, ალალი. *გულქართლი პიროვნება.*

**გულქვა** *გულქვას* შეუბრალებელი, დაუნდობელი. *გულქვა მეპატრონე.*

**გულღვარძლიანი** *გულღვარძლიანის* ბოროტი, ღვარძლიანი გულის მქონე. *გულღვარძლიანი.*

**გულ-ღვიძლი** *გულ-ღვიძლის* გული და ღვიძლი ფილტვებთან და ელენთასთან ერთად. *გულ-ღვიძლი ამოაცალა. გულ-ღვიძლი ააწონინა.*

**გულღია** *გულღიას* მხიარული და გულწრფელი. *გულღია მასპინძელი.*

**გულღრძო** *გულღრძოს* ვინც ცუდ აზრებს, ფიქრებს გულში ინახავს, გულღვარძლიანი. *გულღრძო კაცია.*

**გულყვითელა** *გულყვითელას* იგივეა, რაც მოლაღური.

**გულყრა** *გულყრის* გულის წასვლა, გონების დაკარგვა. *სიცხის გამო გულყრა დაემართა.*

**გულშემატკივარი** *გულშემატკივრის* 1. ვინმეს სიკეთის მოსურნე, ვინმეს გაჭირვების გამზიარებელი. *ბევრი გულშემატკივარი ჰყავს.* 2. სპორტულ შეჯიბრებაში რომელიმე გუნდის ან მონაწილის მხარდამჭერი. *გულშემატკივართა კლუბი.*

**გულშემოყრილი** *გულშემოყრილის* გადატ. ძალიან შეწუხებული, დადარდიანებული. *ამ ამბის გამო გულშემოყრილი იყო.*

**გულშეღონებული** *გულშეღონებულის* იგივეა, რაც

**გულწასული.** *გულშეღონებული მოასულიერეს.*

**გულჩათხრობილი** *გულჩათხრობილის* ვინც თავის დარდს, ფიქრს არავის უზიარებს. *გულჩათხრობილი ბიჭი.*

**გულჩახვეული** *გულჩახვეულის* იგივეა, რაც **გულჩათხრობილი.**

**გულჩვილი** *გულჩვილის* უაღრესად ლმობიერი, შემბრალე, სხვისი თანამგრძნობელი. *გულჩვილი მოხუცი.*

**გულცივი** *გულცივის* იგივეა, რაც **გულგრილი.** *გულცივი მეზობელი.*

**გულძმარვა** *გულძმარვის* იგივეა, რაც **ძმარვა.** *გულძმარვა აწუხებს.*

**გულწასული** *გულწასულის* გრძნობადაკარგული. *გულწასული გრძნობაზე მოვიდა.*

**გულწითელა** *გულწითელას* მონაცრისფრო-მოყავისფრო ჩიტი, მკერდზე აქვს წითელი ბუმბული.

**გულწრფელი** *გულწრფელის* 1. ვინც თავის გრძნობებს არ ფარავს, ყველაფერს ღიად გამოხატავს. *გულწრფელი პიროვნება.* 2. ალალად, დაუფარავად გამოხატული. *გულწრფელი სიხარული. გულწრფელი აღტაცება.*

**გულხარბი** *გულხარბის* იგივეა, რაც **ხარბი.** *გულხარბი კაცი.*

**გულხელდაკრეფილი** *გულხელდაკრეფილის* 1. ვისაც გულ-ხელი აქვს დაკრეფილი. *გულხელდაკრეფილი იწვა.* 2. გადატ. ვინც არაფერს აკეთებს, უსაქმური. *ზის გულხელდაკრეფილი.*

**გულ-ხელი** *გულ-ხელის* ⊙ **გულ-ხელს დაიკრეფს.** 1. გულზე, მკერდზე ხელებს დაიწყობს. 2. არაფერს მოიმოქმედებს.

**გულჯავრიანი** *გულჯავრიანის* დარდიანი, ვინმეზე გაჯავრებული. *გულჯავრიანი ხევსური.*

**გუმანი** *გუმანის* ეჭვი, ვარაუდი, ალღო. *გუმანმა უკარნახა. გუმანით მიხვედა.*

**გუმბათი** *გუმბათის* ნაგებობის სვეტებზე დაყრდნობილი კონუსის ან ნახევარსფეროს ფორმის მაღალი თაღი. *ტაძრის გუმბათი.* ■ **გუმბათიანი** რასაც გუმბათი აქვს. *გუმბათიანი ტაძარი.*

**გუმბათოვანი** *გუმბათოვანის* გუმბათის ფორმის, გუმბათის მოყვანილობის მქონე. *გუმბათოვანი სახურავი.*

**გუნდა** *გუნდის* ბურთივით დამრგვალებული რაიმე ნივთიერება. *თოვლის გუნდა. ცომის გუნდა.*

**გუნდაობა** *გუნდაობის* (გუნდაობს, აგუნდავებს) ერთმანეთისთვის თოვლის გუნდების სროლა. *ბავშვები გუნდაობენ. ეზოში გუნდაობა დაიწყეს.*

**გუნდ-გუნდად** ზმნზ. ცალკე გუნდებად, ჯგუფ-ჯგუფად. *ფრინველები გუნდ-გუნდად მიფრინავენ.*

**გუნდი** *გუნდის* (კრებ.) 1. რაიმე ნიშნით გაერთიანებულ ადამიანთა ჯგუფი. *მომღერალთა გუნდი. ფეხბურთელთა გუნდი.* 2. ფრინველთა კრებული. *მერცხლების გუნდი.*

**გუნდრუკი** *გუნდრუკის* იგივეა, რაც **საკმეველი.** *გუნდრუკის სუნი.* ⊙ **გუნდრუკის კმევა** გამორჩენის მიზნით ქება-დიდების შესხმა, პირფერობა, მლიქვნელობა.

**გუნდური** *გუნდურის* ერთობლივი, ჯგუფური, არაინდივიდუალური (მოქმედება). *გუნდური თამაში.*

**გუნება** *გუნების* განწყობილება, სულიერი მდგომარეობა. *გუნება გაუფუჭდა. გუნება გამოუკეთდა. სიცილის გუნებაზე დადგა.*

**გუნებანაქცევი** *გუნებანაქცევის* იტყვიან ფეხმძიმე ქალზე. *გუნებანაქცევი მჟავეს ეტანებოდა.*

**გურგური** *გურგურის* (გურგურებს) ცეცხლის ხმა, გუზგუზი. *სასიამოვნო გურგური.*

**გუფთა** *გუფთის* სანელებლებით შეზავებულ წვენში მოხარშული დაკეპილი ხორცის გუნდები. *ხბოს ხორცის გუფთა. ცხელი გუფთა.*

**გუშაგი** *გუშაგის* ძვ. დანესებულების ან ობიექტის შეიარაღებული მცველი. *ციხის გუშაგი.*

**გუშაგობა** *გუშაგობის* ((ი)გუშაგობს) გუშაგად ყოფნა. *სამშობლოს ჰგუშაგობენ.*

**გუშინ** ზმნზ. დღეევანდელი დღის წინა დღეს. *გუშინ ჩამოვიდა. კრება გუშინ ჩატარდა.*

**გუშინდელი** *გუშინდლის* რაც გუშინ იყო, რაც გუშინ მოხდა. *გუშინდელი ამბავი.* ⊙ **გუშინდელი ბავშვი** ძალიან ახალგაზრდა, გამოუცდელი.

**გუშინღამ** ზმნზ. გუშინდელი დღის წინა ღამეს. *გუშინღამ იწვიმა.*

**გუშინწინ** ზმნზ. გუშინდელი დღის წინა დღეს. *გუშინწინ ერთად ვიყავით.*

**გუშინწინდელი** *გუშინწინდლის* რაც გუშინწინ იყო, რაც გუშინწინ მოხდა. *გუშინწინდელი კამათი.*

**გუჯარი** *გუჯრის* ძვ. მეფის ან მემამულის მიერ გაცემული საბუთი, რომელშიც განსაზღვრული იყო ეკლესიის მეურნეობისთვის სავალდებულო წესები.

# – დ –

**და**[1] *დის* ქალიშვილი (2) თავისი მშობლების სხვა შვილების მიმართ. *უმცროსი და.*

**და**[2] კავშ. გამოიყენება წინადადების ორი წევრის ან ორი წინადადების დასაკავშირებლად. *მთა და ბარი. მზე ამოვიდა და ნისლი გაიფანტა.*

**დაავადება** *დაავადების* (დააავადებს, დაიავადებს, დაუავადებს, დაავადდება, დაუავადდება) 1. ავადმყოფობის, სენის შეყრა. *კაცი დაავადდა.* 2. ორგანიზმში წარმოქმნილი ან სხვისგან გადადებით განვითარებული პროცესი, რომელიც ავადმყოფობას იწვევს. *მძიმე დაავადება.* ■ **დაავადებული** ვინც ან რაც დაავადდა. *დაავადებული ხორცი.*

**დაამება** *დაამების* (დააამებს, დაიამებს, დაუამებს, დაამდება, დაუამდება) ტკივილის გაჩერება, გაყუჩება. *წამალმა ტკივილი დაუამა. თავი დაუამდა.* ■ **დაამებული** რაც დაუამდათ. *დაამებული ჭრილობა.*

**დაამხანაგება** *დაამხანაგების* (დაიამხანაგებს, დაუამხანაგდება) ამხანაგად გახდომა, ამხანაგობის დაწყება. *ყველას ადვილად დაიამხანაგებს. მუსიკოსებს დაუამხანაგდა.*

**დაანგარიშება** *დაანგარიშების* (დაიანგარიშებს, დაუანგარიშებს) გარკვეული მონაცემების საფუძველზე ჯამის, შედეგის გამოანგარიშება. *ზარალის დაანგარიშება. საერთო თანხა დაიანგარიშა.* ■ **დაანგარიშებული** რაც დაიანგარიშეს. *დაანგარიშებული ბიუჯეტი.*

**დაარსება** *დაარსების* (დააარსებს, დაუარსებს, დაარსდება, დააარსებინებს) რაიმე ობიექტის, ორგანიზაციის შექმნა, ჩამოყალიბება. *საქველმოქმედო საზოგადოების დაარსება. მონასტერი დააარსეს. ფონდი დაარსდა.* ■ **დაარსებული** რაც დააარსეს. *ახლად დაარსებული ჟურნალი.*

**დაახლოება** *დაახლოების* (დააახლოებს, დაიახლოებს, დაუახლოებს, დაახლოვდება, დაუახლოვდება) ახლო ურთიერთობის დამყარება, ახლობლად გახდომა. *ოჯახებით დაახლოვდნენ. ძმასავით დაუახლოვდა. საქმემ დააახლოვა.*

**დაახლოებით** ზმნზ. არაზუსტად, სავარაუდოდ. *დაახლოებით 2 საათზე მოვა.*

**დაახლოებული** *დაახლოებულის* ახლო ურთიერთობაში მყოფი. *მთავრობასთან დაახლოებული პირი.*

**დაბა** *დაბის* დიდი სოფელი ან პატარა ქალაქი. *დაბის მოსახლეობა.*

**დაბადება** *დაბადების* (დაბადებს, დაიბადება, დაებადება) 1. ცოცხალი არსების გაჩენა, შობა. *დაბადების დღე. ბიჭი დაიბადა.* 2. აზრის, ეჭვისა და მისთ. გაჩენა, წარმოშობა. *კითხვა დაებადა. ახალი იდეა დაებადა.* ■ **დაბადებული** ვინც ან რაც დაიბადა. *აგვისტოში დაბადებული.*

**დაბაკუნება** *დაბაკუნების* (დააბაკუნებს, დაუბაკუნებს) მაგარ ზედაპირზე დარტყმა, დაკვრა ხმის გამოცემით. *ფეხები იატაკ ზე დააბაკუნა. ჯოხი დააბაკუნა.*

**დაბალანსება** *დაბალანსების* (დააბალანსებს, დაბალანსდება) 1. ბალანსის შედგენა. *ბუღალტერმა თანხა დააბალანსა.* 2. გადატ. რაიმე პროცესში, მდგომარეობაში წონასწორობის დაცვა, შენარჩუნება. *ურთიერთობები დააბალანსეს. ფასები დაბალანსეს. ვითარება დაბალანსდა.* ■ **დაბალანსებული** რაც დააბალანსეს. *დაბალანსებული პოლიტიკა.*

**დაბალ-დაბალი** *დაბალ-დაბლის* საკმაოდ დაბალი ან ბევრი დაბალი ერთად. *დაბალ-დაბალი კაცი. დაბალ-დაბალი ბიჭები.*

**დაბალი** *დაბლის* 1. ვისაც ან რასაც პატარა სიმაღლე აქვს. *დაბალი კაცი. დაბალი სახლი.* ↔ მაღალი. 2. ჩვეულებრივზე ნაკლები, პატარა, ცუდი. *დაბალი ტემპერატურა. დაბალი ხარისხი. დაბალი მაჩვენებელი.* ↔ მაღალი. ⊙ **დაბალი ღობეა საუბრ.** ამბობენ ადამიანზე, რომელსაც ყველა ჩაგრავს, იოლად იბრიყვებს.

**დაბამბვა** *დაბამბვის* (დაბამბავს, დაუბამბავს, დაიბამბება) ტანსაცმლის დათბილვა, შიგნიდან ბამბის გამოკერება. *პალტო დაბამბა.* ■ **დაბამბული** რაც დაბამბეს. *დაბამბული შარვალი.*

**დაბანა** *დაბანის* (დაბანს, დაიბანს, დაიბანება, დაბანინებს) სხეულის ნაწილის ან მთელი სხეულის წყლით (საპნით, შამპუნითა და მისთ.) გასუფთავება, ჭუჭყის მოცილება. *პირის დაბანა. ბავშვი დაბანა. თავი დაიბანა.* ■ **დაბანილი** ვინც ან რაც დაბანეს, დაიბანეს. *დაბანილი ხელები.*

**დაბანაკება** *დაბანაკების* (დააბანაკებს, დაბანაკდება) ბანაკში დაბინავება. *ალპინისტები მთის ძირში დაბანაკდნენ.* ■ **დაბანაკებული** ვინც დაბანაკდა. *დაბანაკებული ჯარი.*

**დაბანგვა** *დაბანგვის* (დაბანგავს, დაიბანგება) სპირტიანი სასმლით ან რაიმე წამლით გაბრუება. *სტუმრები ღვინით დაიბანგნენ.* ■ **დაბანგული** ვინც დაიბანგა. *სასმლით დაბანგული ახალგაზრდები.*

**დაბანდება** *დაბანდების* (დააბანდებს, დაუბანდებს, დაბანდდება) ფულის, კაპიტალის ჩადება რაიმე საქმეში. *ხელსაყრელი დაბანდება. ფული წარმოებაში დააბანდა.* ■ **დაბანდებული** რაც დააბანდეს. *დაბანდებული თანხა.*

**დაბარბაცება** *დაბარბაცების* (დააბარბაცებს, დაბარბაცდება) ბარბაცის დაწყება. *მთვრალი დაბარბაცდა.*

**დაბარდნა** *დაბარდნის* (დაბარდნის, დაიბარდნება) თოვლით დაფარვა. *სოფელი დაიბარდნა.* ■ **დაბარდნილი** რაც დაიბარდნა. *დაბარდნილი ხეები.*

**დაბარება** *დაბარების* (დააბარებს, დაიბარებს, დაუბარებს, დააბარებინებს) I. სიტყვიერად რაიმეს გადაცემის, რაიმეს შესრულების თხოვნა. *პასუხი მეზობელს დააბარა. მეგობრებთან მოკითხვა დააბარა. პურის ყიდვა დააბარა.* 2. ვინმესთვის შეთვლა, რომ მოვიდეს. *მოწმედ დაიბარეს. ამხანაგები დაიბარა.* ■ **დაბარებული** ვინც ან რაც დაიბარეს. *დაბარებული კაცი. დაბარებული სიტყვა.*

**დაბარვა** *დაბარვის* (დაბარავს, დაუბარავს, დაიბარება, დააბარვინებს) მიწის დამუშავება ბარით². *ნაკვეთის დაბარვა. ბოსტანი დაბარეს.* ■ **დაბარული** რაც დაბარეს. *ახალი დაბარული ეზო.*

**დაბარტყუნება** *დაბარტყუნების* (დააბარტყუნებს, დაუბარტყუნებს) ბარტყუნით დაქნევა, ამოძრავება. *ფეხები დააბარტყუნა. ძაღლმა ყურები დააბარტყუნა.*

**დაბასტურმება** *დაბასტურმების* (დააბასტურმებს, დაბასტურმდება) ხორცის ბასტურმად მომზადება. *სუკი დააბასტურმეს.* ■ **დაბასტურმებული** რაც დააბასტურმეს. *დაბასტურმებული ორაგული.*

**დაბდურა** *დაბდურას* უშნო, უნიათო, უმარიფათო. *დიდი დაბდურა ვინმეა.*

**დაბდღვნა** *დაბდღვნის* (დაბდღვნის, დააბდღვნის, დაიბდღვნის) ფრჩხილებით, ბრჭყალებით დაგლეჯა. *ბალიში სიბრაზისგან დაბდღვნა. თმები დაიბდღვნა.*

**დაბეგვა** *დაბეგვის* (დაბეგვავს, დაიბეგვავს, დაუბეგვავს, დაიბეგვება, დაებეგვება) I. ჯოხის ან სპეციალური იარაღის ცემით დარბილება. *ხორცი დაბეგვა.* 2. გადატ. მაგრად ცემა. *მაგრად დაბეგვეს.* ■ **დაბეგვილი** რაც ან ვინც დაბეგვეს. *დაბეგვილი გვერდები.*

**დაბეგვრა** *დაბეგვრის* (დაბეგრავს, დაუბეგრავს, დაიბეგრება, დააბეგვრინებს) გადასახადის დაკისრება შემოსავლებიდან, მოგებიდან. *ხელფასები დაიბეგრა. საქონელი დაბეგრეს.* ■ **დაბეგრილი** რაც დაბეგრეს. *დაბეგრილი საქონელი.*

**დაბედება** *დაბედების* (დააბედებს, დაებედება) ცუდის ან კარგის ბედად დაყოლა, იღბლად ქცევა. *უიღბლობა დაებედა. მარტოობა დაებედა. სიხარული დაგებედოს!*

**დაბევება** *დაბევების* (დაიბევებს, დაუბევებს) ბეს მიცემა შესასყიდი საქონლის შენახვის პირობით. *სახლი დაიბევა.* ■ **დაბეული** რაც დაიბევეს. *დაბევებული მიწის ნაკვეთი.*

**დაბეზღება** *დაბეზღების* (დააბეზღებს) დაფარულად, საიდუმლოდ ნათქვამის ან ნამოქმედარის სხვისთვის გაგებინება, გაცემა. *მეზობელი დააბეზღა. ხელისუფლებასთან დააბეზღეს. მშობლებთან დააბეზღა.*

**დაბეჟვა** *დაბეჟვის* (დაბეჟავს, დაიბეჟება, დაებეჟება) I. ხილის, ბოსტნეულისა და მისთ. ჩამოყრით, დარტყმით დაზიანება, დარბილება. *ვაშლი დაიბეჟა. პამიდორი დაიბეჟა.* 2. სხეულის ნაწილის რაიმეზე მირტყმით დაზიანება. *ფეხი დაებეჟა.* 3. გადატ. მაგრად ცემა, დაბეგვა. *უფროსკლასელებმა ბიჭი დაბეჟეს.* ■ **დაბეჟილი** რაც ან ვინც დაიბეჟა. *დაბეჟილი ხილი.*

**დაბერება** *დაბერების* (დააბერებს, დაუბერებს, დაბერდება, დაუბერდება) სიბერის ასაკში შესვლა. *ქალი დაბერდა. გაჭირვებამ ადრე დააბერა.* ■ **დაბერებული** ვინც ან რაც დაბერდა. *დაბერებული მშობლები.* ⊙ **ასე ტკბილად დამიბერდი!** საახალწლო დალოცვა გოზინაყის ან სხვა ტკბილეულის მირთმევისას.

**დაბერვა** *დაბერვის* (დაბერავს, დაიბერავს, დაუბერავს, დაიბერება, დაებერება) I. მსუბუქი ქარის, ნიავის ამოვარდნა. *ნიავმა დაუბერა.* 2. ბევრის გაბერვა. *ბუშტები დაბერა. ძარღვები დაებერა.* ■ **დაბერილი** რაც დაიბერა. *დაბერილი ლოყები.*

**დაბერტყება** *დაბერტყების* (დააბერტყებს, დაებერტყება) მოწყვეტით დაცემა, დახეთქება. *ძირს დაებერტყა.*

**დაბერტყვა** *დაბერტყვის* (დაბერტყავს, დაუბერტყავს, დაიბერტყება, დააბერტყვინებს) I. დაქნევით ან რაიმეს დარტყმით ჭუჭყის მოცილება, გასუფთავება. *ჩანთა დაბერტყა.* 2. ჭოკის, ჯოხისა და მისთ. ცემით ხეხილიდან ნაყოფის ჩამოყრა. *კაკალს დაბერტყავს. თუთა დაბერტყეს.* ■ **დაბერტყილი** რაც დაბერტყეს. *დაბერტყილი ვაშლი.*

**დაბეტონება** *დაბეტონების* (დააბეტონებს, დაბეტონდება) ბეტონის ჩასხმა, დაგება. *გზა დააბეტონეს.* ■ **დაბეტონებული** რაც დააბეტონეს. *დაბეტონებული მოედანი.*

**დაბეჩავება** *დაბეჩავების* (დააბეჩავებს, დაიბეჩავება,

დაბეჩავდება) დაუძლურება, გასაცოდავება. *სიცარიბემ დააბეჩავა. კაცი დაბეჩავდა.* ■ **დაბეჩავებული** ვინც დაბეჩავდა. *დაბეჩავებული მოხუცი.*

**დაბეჭდვა** *დაბეჭდვის* (დაბეჭდავს, დაუბეჭდავს, დაიბეჭდება, დააბეჭდვინებს) 1. ნაშრომის, წიგნისა და მისთ. სტამბურად გამოცემა. *კრებული დაბეჭდეს. მწერლის თხზულებები დაიბეჭდა.* 2. ქაღალდზე სხვადასხვა ბეჭდვითი საშუალებით ასოების, სურათების, ნახაზებისა და მისთ. გამოსახვა. *ასლი დაბეჭდეს. ფოტოსურათები დაუბეჭდეს.* 3. იგივეა, რაც დალუქვა. *ამანათი დაბეჭდეს.* ■ **დაბეჭდილი** რაც დაბეჭდეს. *გაზეთში დაბეჭდილი განცხადება.*

**დაბეჯითებით** ზმნზ. დარწმუნებით, დანამდვილებით, დაჟინებით. *დაბეჯითებით ვერ ვიტყვით. დაბეჯითებით იმეორებს.*

**დაბზარვა** *დაბზარვის* (დაბზარავს, დაიბზარება, დაებზარება) ბევრის ან ბევრგან გაბზარვა, ბზარის გაჩენა. *შენობა დაიბზარა. ჭურჭელი დაიბზარა.* ■ **დაბზარული** რაც დაიბზარა. *დაბზარული კედლები.*

**დაბზრიალება** *დაბზრიალების* (დააბზრიალებს, დაბზრიალდება) 1. ბზრიალის დაწყება. *ყინულზე დაბზრიალდა. თითისტარი დააბზრიალა.* 2. გადატ. საქმის უცებ, სწრაფად დაწყება. *ქალი დაბზრიალდა და სუფრა გაშალა.*

**დაბინავება** *დაბინავების* (დააბინავებს, დაბინავდება, დააბინავებინებს) 1. საცხოვრებლად მოწყობა, ბინის მიჩენა. *სასტუმროში დაბინავდნენ. ლტოლვილები დააბინავეს.* 2. პირუტყვისთვის, ფრინველისთვის სადგომში ადგილის მიჩენა. *ცხენები დააბინავეს. საქონელი დააბინავა.* 3. შენახვა, მოთავსება. *ჭირნახული დააბინავა. მოსავალი დააბინავეს.* 4. შვილების პატრონობა, დაოჯახება. *ქალიშვილები კარგად დააბინავა.* ■ **დაბინავებული** ვინც ან რაც დაბინავდა. *დაბინავებული სტუმრები.*

**დაბინდება** *დაბინდების* (დაბინდდება) დაღამება, ბინდის დადგომა. *ადრე დაბინდდა.*

**დაბინდვა** *დაბინდვის* (დაბინდავს, დაუბინდავს, დაიბინდება, დაებინდება) ბინდის გადაკერა, ბინდით მოცვა, დაფარვა. *გონებას დაუბინდავს. არემარე დაიბინდა.*

**დაბინდული** *დაბინდულის* 1. ბინდიანი, ბინდით მოცული. *დაბინდული გარემო.* 2. გაურკვეველი, ამღვრეული. *დაბინდული მზერა.*

**დაბინძურება** *დაბინძურების* (დააბინძურებს, დაუბინძურებს, დაბინძურდება) გაჭუჭყიანება, გაბინძურება. *გარემოს დაბინძურება. ყველაფერი დააბინძურეს.* ■ **დაბინძურებული** რაც დაბინძურდა. *დაბინძურებული პლაჟი.*

**დაბიჯება** *დაბიჯების* (დააბიჯებს) ფეხის დადგმა. *ქალს შემთხვევით დააბიჯა.*

**დაბლა** 1. ზმნზ. ქვევით, ძირს. *დაბლა გდია. თავი დაბლა დახარა.* ↔ მაღლა. 2. ქვედა, ქვემო. *დაბლა სართული.*

**დაბლაგვება** *დაბლაგვების* (დააბლაგვებს, დაბლაგვდება, დაუბლაგვდება) მჭრელი იარაღის ბლაგვად ქცევა, დაჩლუნგება. *დანა დაბლაგვდა. ხმალი დაუბლაგვდა.* ■ **დაბლაგვებული** რაც დაბლაგვდა. *დაბლაგვებული ნაჯახი.*

**დაბლანდვა** *დაბლანდვის* (დაბლანდავს, დაიბლანდავს, დაუბლანდავს, დაიბლანდება, დააბლანდვინებს) გამოჭრილი ტანსაცმლის ნაწილებზე ბლანდის გავლება. *კაბა დაბლანდა.* ■ **დაბლანდული** რაც დაბლანდეს. *დაბლანდული პერანგი.*

**დაბლობი** *დაბლობის* სწორი რელიეფის მქონე ვრცელი, ზღვის დონეს მიახლოებული ადგილი. *კოლხეთის დაბლობი. დაბლობი დაიტბორა.*

**დაბმა** *დაბმის* (დააბამს, დაუბამს, დაიბმება, დაებმება, დააბმევინებს) თოკით, ჯაჭვითა და მისთ. დამაგრება. *ხბო ძროხასთან დააბეს. ნავი დააბა.* ■ **დაბმული** რაც დააბეს. *თაელაში დაბმული ცხენი.*

**დაბნედა** *დაბნედის* (დაბნედს, დაიბნიდება) გრძნობის, გონების დაკარგვა, ჩვეულებრივ, დიდი ემოციის ან ფიზიკური ზემოქმედების გამო. *სუნმა დაბნიდა.*

**დაბნევა**[1] *დაბნევის* (დააბნევს, დაუბნევს, დაიბნევა, დაებნევა) 1. დაფანტვა, დაყრა. *ბრინჯი დაიბნა. მძივის მარცვლები დაებნა.* 2. გადატ. აზრის, გონების გაფანტვა. *მოულოდნელმა ამბავმა დააბნია. ქალი დაიბნა.*

**დაბნევა**[2] *დაბნევის* (დააბნევს, დაიბნევს, დაებნევა, დააბნევინებს) რაიმეზე დამაგრება, მიკერება. *კაბას ქინძისთავი დააბნია.*

**დაბნელება** *დაბნელების* (დააბნელებს, დაიბნელებს, დაუბნელებს, დაბნელდება, დაუბნელდება, დააბნელებინებს) სიბნელის დადგომა. *ოთახის დაბნელება. სოფელში მალე დაბნელდა.* ⊙ **გონების დაბნელება** აზროვნების უნარის დაკარგვა.

**დაბნეული** *დაბნეულის* 1. რაც დააბნიეს (1). *დაბნეული მარცვლები.* 2. ვისაც გონება დაფანტული აქვს, ვერ გადაუწყვეტია, როგორ მოიქცეს. *დაბნეული გოგონა.*

**დაბნეულობა** *დაბნეულობის* მდგომარეობა, როდესაც ადამიანი სიტუაციაში ვერ ერკვევა, აზრები ეფანტება და სწორად საუბარსა და მოქმედებას ვეღარ ახერხებს. *დაბნეულობა დაეტყო.*

**დაბოლება** *დაბოლების* ჟარგ. მოტყუება, გასულელება. *გუშინ ის ქალი მაგრად დავაბოლე.*

**დაბოლოება** *დაბოლოების* (დააბოლოებს, დაბოლოვდება) 1. ბოლომდე მიყვანა, დამთავრება. *კარგად დააბოლოვა.* 2. ბოლო ნაწილი. *ნაწარმოების დაბოლოება კარგი გამოვიდა.* ■ **დაბოლოებული** რაც დააბოლოვეს. *საქმე დაბოლოებულია.*

**დაბომბვა** *დაბომბვის* (დაბომბავს, დაიბომბება, დააბომბვინებს) ბომბების სროლა, ჩამოყრა. *ქალაქი ღამით დაბომბეს. ხეობა დაბომბეს. ტყეები დაიბომბა.* ■ **დაბომბილი** რაც დაბომბეს. *დაბომბილი ტერიტორია.*

**დაბოყინება** *დაბოყინების* (დააბოყინებს) კუჭში დაგროვილი აირის საყლაპავიდან ამოსვლა, ბოყინის ხმის გამოცემა. *მთვრალმა დააბოყინა.*

**დაბრალება** *დაბრალების* (დააბრალებს, დაიბრალებს, დაჰბრალდება) ბრალის დადება, დადანაშაულება. *ქურდობა დააბრალეს. მკვლელობა დაჰბრალდა.*

**დაბრაწვა** *დაბრაწვის* (დაბრაწავს, დაიბრაწავს, დაუბრაწავს, დაიბრაწება, დაებრაწება) ძლიერ ცეცხლზე კარგად შეწვა, დაწითლება. *გოჭი დაბრაწეს. ბორცი დაიბრაწა.* ■ **დაბრაწული** რაც დაიბრაწა. *დაბრაწული წინილა.*

**დაბრახუნება** *დაბრახუნების* (დააბრახუნებს, დაუბრახუნებს, დაბრახუნდება) მაგარ საგანზე ძლიერი დარტყმა, ბრახუნის ხმის გამოცემა. *მუშტი დააბრახუნა. კარზე დააბრახუნეს.*

**დაბრეცა** *დაბრეცის* (დაბრეცს, დაიბრიცება, დაებრიცება) ფორმის შეცვლა, გამრუდება. *კარი დაიბრიცა. თითები დაებრიცა. ფიცარი დაიბრიცა.* ■ **დაბრეცილი** რაც დაიბრიცა. *დაბრეცილი ფეხები.*

**დაბრიალება** *დაბრიალების* (დააბრიალებს, დაუბრიალებს) ☉ თვალების **დაბრიალება** წყრომით, მუქარით შეხედვა.

**დაბრიყვება** *დაბრიყვების* (დაიბრიყვებს, დააბრიყვებინებს) სუსტის დაჩაგვრა. *ბავშვის დაბრიყვებას ცდილობს. თავი არ დააბრიყვებინა.* ■ **დაბრიყვებული** ვინც დაიბრიყვეს. *დაბრიყვებული ჰყავთ.*

**დაბრკოლება** *დაბრკოლების* (დააბრკოლებს, დაბრკოლდება, დაუბრკოლდება) 1. ხელის შეშლა, შეფერხება რაიმეს კეთების დროს. *უამინდობამ დააბრკოლა. თავისი საქციელით დააბრკოლებს.* 2. ბუნებრივი ან ხელოვნურად შექმნილი წინააღმდეგობა მოძრაობის შესაფერხებლად. *შეჯიბრება დაბრკოლებების გადალახვაში.*

**დაბრმავება** *დაბრმავების* (დააბრმავებს, დაიბრმავებს, დაუბრმავებს, დაბრმავდება, დაუბრმავდება) 1. მხედველობის დაკარგვა. *სიბერეში დაბრმავდა. ავადმყოფობამ დააბრმავა.* 2. გადატ. სინამდვილის სწორად აღქმისა და შეფასების უნარის დაკარგვა. *სიყვარულმა დააბრმავა.* ■ **დაბრმავებული** ვინც დაბრმავდა. *შურით დაბრმავებული.*

**დაბრუნება** *დაბრუნების* (დააბრუნებს, დაიბრუნებს, დაუბრუნებს, დაბრუნდება, დაუბრუნდება, დააბრუნებინებს) 1. წასულის ან გაგზავნილის უკანვე მოსვლა ან მოყვანა. *სახლში დაბრუნდა. სამსახურიდან მალე დავბრუნდები. წერილი უკან დამიბრუნდა.* 2. შეწყვეტილი ურთიერთობის, საქმიანობისა და მისთ. აღდგენა, განახლება. *ოჯახს დაუბრუნდა. სცენას დაუბრუნდა. ჩვენს საუბარს დავუბრუნდეთ.* 3. განწყობილების, ჯანმრთელობის, ძალ-ღონის, მადისა და მისთ. განახლება. *ფერი დაუბრუნდა. იმედი დაუბრუნდა. ჯანმრთელობა დავიბრუნე. სიცოცხლე დამიბრუნდა.* 4. დაკარგული ქონების ან ნასესხები ფულის უკანვე მიღება. *ვალის დაბრუნება. სახლი დავიბრუნე.* ■ **დაბრუნებული** რაც ან ვინც დაბრუნდა. *უკან დაბრუნებული ამანათი.*

**დაბრძანება** *დაბრძანების* (დააბრძანებს, დაბრძანდება) პატივისც. დაჯდომა, დასმა. *თამადა სუფრის თავში დაბრძანდა. მეფე ტახტზე დააბრძანეს.*

**დაბუგვა** *დაბუგვის* (დაბუგავს, დაუბუგავს, დაიბუგება, დაებუგება, დააბუგვინებს) ცეცხლით მთლიანად დაწვა, განადგურება. *სახლი დაიბუგა.* ■ **დაბუგული** რაც დაიბუგა. *ცეცხლში დაბუგული საბუთები.*

**დაბუდება** *დაბუდების* (დააბუდებს, დაიბუდებს) ფრინველის, ქვეწარმავლის ან მწერის მიერ ბუდის გაკეთება, ბინის დადება. *მერცხლებმა სხვენში დაიბუდეს.*

**დაბუჟება** *დაბუჟების* (დაუბუჟებს, დაუბუჟდება) სხეულის რომელიმე ნაწილში მცირე ხნით შეგრძნების შესუსტება, დაკარგვა, ჩხვლეტის მსგავსი შეგრძნება. *ხელის დაბუჟება. თითები დაუბუჟდა.* ■ **დაბუჟებული** რაც დაუბუჟდათ. *დაბუჟებული ადგილი დაიზილა.*

**დაბურდვა** *დაბურდვის* (დაბურდავს, დაუბურდავს, დაიბურდება, დაებურდება, დააბურდვინებს) დახლართვა, არევა, აწეწვა. *ბავშვმა ძაფი დაბურდა. თმა დაებურდა.* ■ **დაბურდული** რაც დაიბურდა. *დაბურდული კანაფი.*

**დაბურვა** *დაბურვის* (დაბურავს, დაიბურავს, დაიბურება, დაებურება) ბურუსითა და მისთ. დაფარვა. *ფანჯრები ორთქლით დაიბურა. მიდამო ნისლით დაიბურა.*

**დაბურული** *დაბურულის* 1. რაც დაიბურა. *ორთქლით დაბურული მინები.* 2. ხშირი, გაუვალი. *დაბურული ტყე.*

**დაბურძგვლა** *დაბურძგვლის* (დაბურძგლავს) ძლიერი განცდისგან კანზე ბეწვის აშლა. *ამის გაგონებაზე დამბურძგლა.*

**დაბღავლება** *დაბღავლების* (დააბღავლებს, დაიბღავლებს) ბღავილის ხმის ამოშვება. *ხბომ დაიბღავლა.*

**დაბღაუჭება** *დაბღაუჭების* (დაებღაუჭება) დიდი ძალით მოჭიდება, ხელის ჩავლება. *უზამზარლოდს დაებღაუჭა.*

**დაბღაჯნა** *დაბღაჯნის* (დაბღაჯნის, დაუბღაჯნის, დაიბღაჯნება, დააბღაჯნინებს) იგივეა, რაც **დაჯღაბნა**. *ფურცელი დაბღაჯნა.* ■ **დაბღაჯნილი** რაც დაბღაჯნეს. *დაბღაჯნილი წერილი.*

**დაბღვერა** *დაბღვერის* (დაუბღვერს, დაიბღვირება) ნარბშეკვრით, წყრომით შეხედვა, გაბრაზებული გამომეტყველების მიღება. *ბიჭი დაიბღვირა. მამას დაუბღვირა.* ■ **დაბღვერილი** ვინც იბღვირება. *დაბღვერილი კაცი. დაბღვერილი დადის.*

**დაბჯენა** *დაბჯენის* (დააბჯენს, დაიბჯენს, დაებჯინება) ხელის, ფეხისა და მისთ. რაიმეზე დაჭერა ისე, რომ მთელი სიმძიმე მასზე გადავიდეს. *მაგიდას იდაყვებით დაებჯინა.* ■ **დაბჯენილი** რაც ან ვინც დაებჯინა. *აივანზე დაბჯენილი ბიჭი.*

**დაგადუგი** *დაგადუგის* ხმა, რომელსაც მუშაობისას გამოსცემს რაიმე მექანიზმი (დაზგა, ძრავი და მისთ.). *გამაყრუებელი დაგადუგი. დაზგების დაგადუგი.*

**დაგდება** *დაგდების* (დააგდებს, დაუგდებს, დაეგდება, დააგდებინებს) 1. რაიმეზე ხელის გაშვება ისე, რომ დავარდეს, დაეცეს. *წიგნი დააგდო. ჩანთა იატაკზე დააგდო.* 2. უპატივც. მოწყვეტით, ერთბაშად დაჯდომა ან დაწოლა. *მთვრალი საწოლზე დაეგდო.*

**დაგება** *დაგების* (დააგებს, დაიგებს, დაუგებს, დაიგება, დაეგება, დააგებინებს) 1. დაფენა, გაშლა, გაწყობა. *ნოხის დაგება. ფარდაგი დააგეს.* 2. ასფალტით, ფილებითა და მისთ. დაფარვა, გაწყობა. *ლიანდაგი დააგეს. იატაკზე პარკეტი დააგეს.* ■ **დაგებული** რაც დააგეს. *ახლად დაგებული ასფალტი.*

**დაგეგმარება** *დაგეგმარების* (დააგეგმარებს, დაგეგმარდება) გეგმის, პროექტის შედგენა რაიმეს ასაშენებლად, მოსაწყობად. *ქალაქის დაგეგმარება. სახლი დააგეგმარეს.* ■ **დაგეგმარებული** რაც დააგეგმარეს. *დაგეგმარებული კვარტალი.*

**დაგეგმვა** *დაგეგმვის* (დაგეგმავს, დაუგეგმავს, დაიგეგმება, დააგეგმვინებს) სამუშაოს, მოქმედების წინასწარ გააზრება, გეგმის შედგენა. *სამშენებლო სამუშაოები დაგეგმეს. სამუშაო დღე დაგეგმა.* ■ **დაგეგმილი** რაც დაგეგმეს. *დაგეგმილი კონცერტი.*

**დაგესვლა** *დაგესვლის* (დაგესლავს, დაიგესლება) 1. კბენისას გესლის, შხამის შეშვება. *გველმა დაგესლა. მორიელმა დაგესლა.* 2. გადატ. ვინმესთვის სიტყვით გულის ტკენა, განწყობილების გაფუჭება. *მეგობარი ნათქვამით დაგესლა.* ■ **დაგესლილი** რაც ან ვინც დაგესლეს. *შხამით დაგესლილი კაცი.*

**დაგეშვა** *დაგეშვის* (დაგეშავს, დაიგეშება, დააგეშვინებს) ცხოველის, მტაცებელი ფრინველის სანადიროდ გაწვრთნა. *შევარდენი დაგეშეს. ძაღლი მელიებზე დაგეშეს.* ■ **დაგეშილი** რაც დაგეშეს. *დაგეშილი მიმინო.*

**დაგვა**[1] *დაგვის* (დაგვის, დაუგვის, დაიგვება, დააგვევინებს) ცოცხით სახლის, ეზოს, ქუჩისა და მისთ. დასუფთავება. *ოთახის დაგვა დაიწყო. ბილიკი დაგავა.* ■ **დაგვილი** რაც დაგავეს. *დაგვილი დერეფანი.*

**დაგვა**[2] *დაგვის* (დაგავს, იდაგება, ედაგება) დიდი გრძნობის გამო ტანჯვა, წამება. *სიყვარულით იდაგება.*

**დაგვალვა** *დაგვალვის* (დაგვალავს, დაიგვალება) გვალვისგან მიწის გამოშრობა, მცენარეულის გახმობა, დაჭკნობა. *მინდვრები დაიგვალა.*

**დაგვიანება** *დაგვიანების* (დააგვიანებს, დაიგვიანებს, დაგვიანდება, დააგვიანდება, დაუგვიანდება) 1. გვიან მისვლა. *მატარებელზე დააგვიანეს. პაემანზე დააგვიანა. ლექციაზე დაიგვიანა.* 2. გვიან გაკეთება, გვიან შესრულება. *ვალის დაბრუნება დააგვიანა. პასუხი დაუგვიანა. სადილი დაუგვიანდათ.* ■ **დაგვიანებული** ვინც დაიგვიანა, რაც დააგვიანეს. *დაგვიანებული მგზავრი. დაგვიანებული წერილი.*

**დაგვირგვინება** *დაგვირგვინების* (დააგვირგვინებს, დაგვირგვინდება) ნიგნ. საქმის წარმატებით დასრულება, დამთავრება. *სამუშაო წარმატებით დააგვირგვინა. ფესტივალი კონცერტით დაგვირგვინდა.*

**დაგვირისტება** *დაგვირისტების* (დააგვირისტებს, დაგვირისტდება) გვირისტით შეკერვა. *საყელო დააგვირისტა.* ■ **დაგვირისტებული** რაც დააგვირისტეს. *დაგვირისტებული პიჯაკი.*

**დაგზავნა** *დაგზავნის* (დაგზავნის, დააგზავნის, დაუგზავნის, დაიგზავნება, დააგზავნინებს) ბევრის გაგზავნა. *მოსაწვევი ბარათები დაგზავნა. ჯარისკაცები ყველგან დაგზავნეს.*

**დაგიდუგი** *დაგიდუგის* იგივეა, რაც **დაგადუგი**. *მატარებლის დაგიდუგი ისმის.*

**დაგირავება** *დაგირავების* (დააგირავებს, დაიგირავებს, დაუგირავებს, დაგირავდება, დააგირავებინებს) უძრავი ქონების, ძვირფასეულობისა და მისთ. დროებით გასხვისება სესხის ასაღებად. *სახლი დააგირავა. ოქროულობა დააგირავა.* ■ **დაგირავებული** რაც დააგირავეს. *დაგირავებული ბეჭედი.*

**დაგლახავება** *დაგლახავების* (დააგლახავებს, დაგლახავდება) 1. გაღარიბება, გაღატაკება. *ისე დაგლახავდა, პურის ფულიც აღარ აქვს.* 2. გასაცოდავება, დაბეჩავება. *სულიერად დაგლახავდნენ.* ■ **დაგლახავებული** ვინც დაგლახავდა. *დაგლახავებული ხალხი.*

**დაგლეჯა** *დაგლეჯის* (დაგლეჯს, დააგლეჯს, დაიგლეჯს, დაუგლეჯს, დაიგლიჯება, დაეგლიჯება, დააგლეჯინებს) 1. ბევრ ადგილას დახევა, ნაგლეჯებად ქცევა. *შარვალი დაეგლიჯა. ფარდა დაიგლიჯა.* 2. ბევრ ადგილას დაკბენა. *მგელმა ცხვარი დაგლიჯა.* ■ **დაგლეჯილი** რაც დაიგლიჯა. *დაგლეჯილი ფეხსაცმელი.*

**დაგმანება** *დაგმანების* (დაგმანავს, დაიგმანავს, დაიგმანება) 1. ხვრელის, ჭუჭრუტანისა და მისთ. ამოვსება შიგ ნაჭრის, ბამბის ან სხვა მასალის ჩატენით. *თაგვების სორო დაგმანეს.* 2. კარის,

ფანჯრისა და მისთ. მჭიდროდ, საგანგებოდ დაკეტვა. *ჭიშკარი დაგმანეს.* ■ **დაგმანული** რაც დაგმანეს. *დაგმანული კარი.*

**დაგმობა** *დაგმობის* (დაგმობს, დაუგმობს, დაიგმობა) უარყოფა, გაკიცხვა, დაძრახვა. *ძველი ჩვეულება დაგმეს. აგრესია დაიგმო.*

**დაგოიმება** *დაგოიმების* (დააგოიმებს, დაგოიმდება) ჯარგ. საქმეში ჩაუხედავის, უცოდინრის მოტყუება. *ჩემი დაგოიმება უნდოდათ.*

**დაგორება** *დაგორების* (დააგორებს, დაიგორებს, დაუგორებს, დაგორდება, დაუგორდება) სიმაღლიდან გორვით წამოსვლა. *კიბიდან დაგორდა. მანქანა დააგორეს.* ■ **დაგორებული** რაც ან ვინც დაგორდა. *დაგორებული ბურთი.*

**დაგრაგნა** *დაგრაგნის* (დაგრაგნის, დაიგრაგნება) მრგვლად დახვევა. *ტილო დაგრაგნეს. ქაღალდი დაგრაგნა.* ■ **დაგრაგნილი** რაც დაგრაგნეს. *დაგრაგნილი პერგამენტი.*

**დაგრეხა** *დაგრეხის* (დაგრეხს, დაიგრეხს, დაუგრეხს, დაგრიხება, დაეგრიხება, დააგრეხინებს) 1. რამდენიმე წვერი ძაფის, თოკისა და მისთ. ტრიალით, გრეხით ერთმანეთში ჩაწვნა, ჩახვევა. *ბაწარი დაგრიხა.* 2. გადატ. დაკლაკნა, დაკრუნჩხვა, გამრუდება. *ტკივილისგან დაიგრიხა. ფეხები დაეგრიხა.* ■ **დაგრეხილი** რაც ან ვინც დაიგრიხა. *დაგრეხილი რქები.*

**დაგრილება** *დაგრილების* (დაგრილდება) მსხვილფეხა პირუტყვის სქესობრივი შეწყვეტილება. *ძროხა დაგრილდა.*

**დაგროვება** *დაგროვების* (დააგროვებს, დაიგროვებს, დაუგროვებს, დაგროვდება, დაუგროვდება, დააგროვებინებს) ბევრის ერთად შეკრება, თავმოყრა. *ქონება დააგროვა. ასი ქულა დააგროვა. ჯამში წყალი დაგროვდა.* ■ **დაგროვილი** რაც დააგროვეს ან დაგროვდა. *დაგროვილი ნივთები.*

**დაგრძელება** *დაგრძელების* (დააგრძელებს, დაიგრძელებს, დაუგრძელებს, დაგრძელდება, დაუგრძელდება, დააგრძელებინებს) სიგრძეში გაზრდა, სიგრძის მომატება. *თოკი დააგრძელა. თმა დაუგრძელდა.* ■ **დაგრძელებული** რაც დაგრძელდა. *დაგრძელებული კაბა.*

**დაგუბება** *დაგუბების* (დააგუბებს, დაიგუბებს, დაგუბდება, დაუგუბდება) წყლის დაგროვება ერთ ადგილას. *ტროტუარზე წყალი დაგუბდა. მდინარის წყალი დააგუბეს.* ■ **დაგუბებული** რაც დააგუბეს. *დაგუბებული წყალი.*

**დაგუგუნება** *დაგუგუნების* (დააგუგუნებს, დაიგუგუნებს) 1. გუგუნის ხმის გამოცემა. *მატარებელმა დაიგუგუნა.* 2. ძლიერად, ომახიანად სიმღერის დწყება ან მუსიკის დაკვრა. *მრავალჟამიერი დაგუგუნეს. ორკესტრმა მარში დააგუგუნა.*

**დაგუზგუზება** *დაგუზგუზების* (დააგუზგუზებს, დაგუზგუზდება) ცეცხლის გაჩაღება. *კოცონი დააგუზგუზა.* ■ **დაგუზგუზებული** რაც დააგუზგუზეს. *ბუხარში დაგუზგუზებული ცეცხლი.*

**დაგულება** *დაგულების* (დაიგულებს) თავისად მიჩნევა. *თავი მარტო დაიგულა. ქალი დაიგულა.*

**დაგუნდავება** *დაგუნდავების* (დააგუნდავებს, დაგუნდავდება) დამრგვალება, გუნდის გაკეთება. *თოლის დაგუნდავება. პურის გული დააგუნდავა.* ■ **დაგუნდავებული** რაც დააგუნდავეს. *დაგუნდავებული ცომი.*

**დადაბლება** *დადაბლების* (დაადაბლებს, დაიდაბლებს, დაუდაბლებს, დადაბლდება, დაუდაბლდება, დაადაბლებინებს) სიმაღლის მოკლება, შემცირება. *სკამი დაადაბლა. ჭერი დაადაბლეს.* ■ **დადაბლებული** რაც დადაბლდა. *დადაბლებული ბორცვი.*

**დადაგვა** *დადაგვის* (დადაგავს, დაუდაგავს, დაიდაგება, დაედაგება) დიდი გრძნობით, ემოციით დატანჯვა. *ობლების ცოდვით დაიდაგა.* ■ **დადაგული** ვინც ან რაც დაიდაგა. *სიყვარულით დადაგული გული.*

**დადამბლავება** *დადამბლავების* (დაადამბლავებს, დადამბლავდება, დაუდამბლავდება) დამბლით დაავადება, მოძრაობის უნარის დაკარგვა. *ხელები დაუდამბლავდა.* ■ **დადამბლავებული** რაც დაუდამბლავდათ. *სხეული დადამბლავებული ჰქონდა.*

**დადანაშაულება** *დადანაშაულების* (დაადანაშაულებს, დაიდანაშაულებს) ვინმესთვის ბრალის დადება, დამნაშავედ მიჩნევა. *შვილი დაადანაშაულა. მკვლელობაში დაადანაშაულეს. თავი დაიდანაშაულა.*

**დადარაჯება** *დადარაჯების* (დაუდარაჯებს, დაუდარაჯდება) თვალთვალის დაწყება, ჩასაფრება. *მტერს დაუდარაჯდნენ. კაცი ქურდს დაუდარაჯდა.* ■ **დადარაჯებული** ვინც დაუდარაჯდა. *დადარაჯებული ჯარი.*

**დადარდიანება** *დადარდიანების* (დაადარდიანებს, დაიდარდიანებს, დადარდიანდება, დაუდარდიანდება) დარდის, ნაღველის გაჩენა. *ამ ამბავმა დაადარდიანა. უცებ დადარდიანდა.* ■ **დადარდიანებული** ვინც დადარდიანდა. *დადარდიანებული ბავშვი.*

**დადასტურება** *დადასტურების* (დაადასტურებს, დაუდასტურებს, დადასტურდება, დაუდასტურდება) რაიმეს სისწორის, სიმართლის დამოწმება, დამტკიცება. *ექიმმა დიაგნოზი დაადასტურა. ნათქვამი დაუდასტურა.* ■ **დადასტურებული** რაც დადასტურდა. *დადასტურებული ფაქტი.*

**დადაღვა** *დადაღვის* (დადაღავს, დაიდაღავს, დაუდაღავს, დაიდაღება) დაღის დასმა. *შანთით დადაღეს.* ■ **დადაღული** რაც დაიდაღა. *დადაღული ცხენი.*

**დადგენა** *დადგენის* (დაადგენს, დაუდგენს, დადგინდება, დაუდგინდება, დაადგენინებს) 1. გადაწყვეტილების, დასკვნისა და მისთ. ოფიციალურად მიღება, გამოტანა. *კრებამ დაადგინა. წესები დაადგინეს.* 2. გამოკვლევა, გარკვევა. *გარდაცვლილის ასაკი დადგინდა. გაქცეულის ვინაობა დაადგინეს.* ■ **დადგენილი** რაც დაადგინეს. *დადგენილი ნორმა.*

**დადგენილება** *დადგენილების* 1. ოფიციალური ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, რომელიც უნდა შესრულდეს. *პარლამენტის დადგენილება. სასამართლოს დადგენილება.* 2. ოფიციალური შეხვედრის, შეკრების დროს მიღებული გადაწყვეტილება ამა თუ იმ საკითხის თაობაზე. *კრების დადგენილება. სხდომაზე დადგენილება მიიღეს.*

**დადგმა** *დადგმის* (დადგამს, დაადგამს, დაიდგამს, დაუდგამს, დაიდგმება, დაედგმება, დაადგმევინებს) 1. რაიმეს ვერტიკალურ მდგომარეობაში დაყენება, მოთავსება. *სკამი კუთხეში დადგეს. ჭიქა მაგიდაზე დადგა.* 2. წარმოდგენის, სპექტაკლისა და მისთ. განხორციელება. *თეატრში ახალი პიესა დაიდგა.* 3. აშენება, აღმართვა. *ზვინი დადგა, კოშკი დადგა.* ■ **დადგმული** რაც დადგეს ან დაიდგა. *რეჟისორის დადგმული სპექტაკლი.*

**დადგომა** *დადგომის* (დადგება, დაადგება, დაუდგება) 1. ვერტიკალურ მდგომარეობაში, ფეხზე გაჩერება. *ოთახის შესასვლელთან დადგა.* 2. გარკვეული სეზონის, დროის მოსვლა. *მალე შემოდგომა დადგება. თბილი საღამო დადგა.* 3. რაიმეს მცოდნედ, სპეციალისტად და მისთ. ქცევა, გახდომა. *ამისგან ექიმი არ დადგება. კარგი მეოჯახე დადგა.*

**დადება** *დადების* (დადებს, დაადებს, დაიდებს, დაუდებს, დაიდება, დაედება) 1. საგნის მოთავსება რაიმე სიბრტყეზე, ზედაპირზე. *წიგნი მაგიდაზე დადო.* 2. პირობის, ფიცისა და მისთ. მიცემა. *ღვთის წინაშე ფიცს დადებს.* 3. შეთანხმების ოფიციალურად გაფორმება. *ხელშეკრულება დაუდეს.* ■ **დადებული** რაც დადეს. *მაგიდაზე დადებული ჩანთა.*

**დადებითი** *დადებითის* 1. ყოველმხრივ კარგი, სანიმუშო. *დადებითი პიროვნება. დადებითი თვისებები.* ↔ **უარყოფითი.** 2. თანხმობის შემცველი, დამადასტურებელი. *დადებითი პასუხი.* 3. ნულზე მეტი (რიცხვი). *დადებითი რიცხვები.*

**დადევნება** *დადევნების* (დაადევნებს, დაედევნება) წასულის უკან გაყოლა. *მტერს ჯარი დაადევნეს. პოლიცია მანქანით დაედევნა.*

**დადენა** *დადენის* (დაადენს, დაიდენს, დაედინება) სითხის უწყვეტ ნაკადად გამოსვლა, გამოყვანა. *სისხლი დაედინა.*

**დადინჯება** *დადინჯების* (დაადინჯებს, დადინჯდება) სიდინჯის მომატება, დაჭკვიანება. *გაიზარდა და დადინჯდა.* ■ **დადინჯებული** ვინც დადინჯდა. *ბიჭი დადინჯებული ჩანდა.*

**დადნობა** *დადნობის* (დაადნობს, დაუდნობს, დადნება, დაადნება, დაუდნება) 1. იგივეა, რაც გადნობა (1). *თოვლი დადნა.* 2. გადატ. ნელ-ნელა გახდომა, დაპატარავება, დასუსტება. *ქვრივი დარდისგან დადნა. კაცი ჯავრმა დაადნო.*

**დადუმება** *დადუმების* (დაადუმებს, დადუმდება) ხმიანობის შეწყვეტა, გაჩუმება. *ზარი დაადუმეს. ბიჭი დადუმდა.* ■ **დადუმებული** ვინც ან რაც დადუმდა. *დადუმებული საკრავი.*

**დადუღება** *დადუღების* (დაადუღებს, დადუღდება, დაუდუღდება) 1. დუღილის დამთავრება. *მაჭარი დადუღდა.* 2. ლითონის საგნების შეერთება, მირჩილვა. *ფირფიტები ერთმანეთს დაადუღა.* 3. გადატ. დადინჯება, ჭკუაში ჩავარდნა, დავაჟკაცება. *გაიზრდება და დადუღდება. ყმაწვილი დადუღდა.* ■ **დადუღებული** რაც დაადუღეს. *დადუღებული წვენი.*

**დაე** შორისდ. 1. გამოხატავს მთქმელის სურვილს, რომ შესრულდეს ან გაგრძელდეს რაიმე მოქმედება (გამოიყენება მოწოდებისას). *დაე, მარად იყოს მშვიდობა! დაე, იდიდოს სამშობლომ!* 2. გამოხატავს დათმობას, დათანხმებას. *დაე, დაწეროს, როგორც უნდა!* 3. გამოხატავს მუქარას. *დაე, იცოდნენ, რომ ამას არ შევარჩენთ!*

**დაელმება** *დაელმების* (დააელმებს, დაიელმებს, დაუელმებს, დაელმდება, დაუელმდება) ელმად გადაქცევა. *თვალები დაუელმდა.*

**დაეჭვება** *დაეჭვების* (დააეჭვებს, დაეჭვდება) ეჭვის გაჩენა. *მისმა საქციელმა დააეჭვა. ქალი დაეჭვდა.*

**დავა** *დავის* (დაობს) კამათი, დაპირისპირება, ჩხუბი. *პრინციპული დავა. ყველანი პოლიტიკაზე დაობენ.*

**დავაკება** *დავაკების* (დაავაკებს) 1. რელიეფის გასწორება, ვაკედ ქცევა. *მშენებლობის ადგილი დავაკეს.* 2. ვაკე ადგილი. *პატარა დავაკება.* ■ **დავაკებული** რაც დაავაკეს. *დავაკებული ადგილი.*

**დავალდებულება** *დავალდებულების* (დაავალდებულებს, დაივალდებულებს) ვალდებულების დაკისრება, ვალდებულად გახდომა. *გადასახადის გადახდა დაავალდებულეს.*

**დავალება** *დავალების* (დაავალებს, დაივალებს, დაევალება) რაიმეს შესრულების წინასწარ დაკისრება ან მოთხოვნა. *საშინაო დავალება. წასვლა დაავალეს. მოხსენების წაკითხვა დაავალეს.* ⊙ **ძალიან დამავალებთ** პატივისც. დიდ სამსახურს გამიწევთ.

**დავალებული** *დავალებულის* 1. რაც დაავალეს. *დავალებული საქმე.* 2. ვინც სიკეთისთვის ვალშია ვინმესთან, სამაგიერო სიკეთის გადახდა სურს. *თქვენგან დავალებული ვარ!*

**დავალიანება** *დავალიანების* გადასახადის გადაუხდელობით დაგროვილი ვალი. *ბანკის დავალიანება. საბიუჯეტო დავალიანება. სატელეფონო დავალიანება.*

**დავაჟკაცება** *დავაჟკაცების* (დაავაჟკაცებს, დავაჟკაცდება) ვაჟკაცად (1) ქცევა, ვაჟკაცად გახდომა. *უცებ დავაჟკაცდა. დავაჟკაცება დაეტყო.* ■ **დავაჟკაცებული** ვინც დავაჟკაცდა. *ნაადრევად დავაჟკაცებული.*

**დავარდნა** *დავარდნის* (დავარდება, დაუვარდება) 1. *ძირს* დაცემა. *ჭიქა იატაკზე დავარდა. წიგნი დაუვარდა.* 2. ნაქცევა, დაცემა. *მიწაზე დავარდა. ცუდად დავარდა და ხელი მოიტეხა.* 3. ძალის, ღონის გამოლევა, ძალიან დაღლა, დაუძლურება. *ტვირთმა დაღალა და დავარდა. მოხუცი მთლად დაუარდა.* 4. ტემპერატურის, ფასის, მოცულობისა და მისთ. დაკლება, დაპატარავება, შემცირება. *სიცხე დაუვარდა. წყლის დონე დავარდა.*

**დავარდნილი** *დავარდნილის* 1. რაც დავარდა. *ძირს დავარდნილი.* 2. გადატ. ულონო, დაუძლურებული. *დავარდნილი მოხუცი.*

**დავარცხნა** *დავარცხნის* (დავარცხნის, დაივარცხნის, დაუვარცხნის, დაივარცხნება, დაავარცხნინებს) სავარცხლის ჩამოსმით თმის გასწორება, წესრიგში მოყვანა, ფორმის მიცემა. *ბავშვი დავარცხნა. თმა სალონში დაივარცხნა.* ■ **დავარცხნილი** ვინც დაივარცხნა, რაც დავარცხნეს. *მოდურად დავარცხნილი.*

**დავასება** *დავასების* (დაევასება) ჟარგ. მოწონება. *ერთი გოგო ევასება. ეს ფილმი არ დამევასა.*

**დავთარი** *დავთრის* დიდი ზომის რვეული, ჟურნალი და მისთ. საჭირო ინფორმაციის ჩასანიშნად, ალსარიცხად. *დავთარში ჩაწერა.* ⊙ **დავთრები** აურია საუბრ. დააბნია.

**დავიდარაბა** *დავიდარაბის* ჩხუბი, აყალმაყალი, აურზაური, დავა. *ერთი დავიდარაბა ატეხა.*

**დავიწროება** *დავიწროების* (დაავიწროებს, დაივიწროებს, დაუვიწროებს, დავიწროვდება, დაუვიწროვდება, დაავიწროებინებს) სიგანეში მოკლება, ვიწროდ ქცევა. *შესასვლელი კარი დაავიწროვეს. ბილიკი დავიწროვდა. კაბა დაუვიწროვდა.* ■ **დავიწროებული** რაც დაავიწროვეს ან დავიწროვდა. *დავიწროებული შესასვლელი.*

**დავიწყება** *დავიწყების* (დაავიწყებს, დაივიწყებს, დაავიწყდება, დაავიწყებინებს) მეხსიერებიდან რაიმეს ამოვარდნა, წაშლა. *წიგნის წაღება დაავიწყდა. წყენა მალე დაივიწყა. სიხარულმა ტკივილი დაავიწყა.* ■ **დავიწყებული** რაც დაავიწყდათ. *დავიწყებული ამბავი.*

**დავლა**[1] *დავლის* (დაივლის, დაუვლის) სხვადასხვა ადგილას მისვლა, ვინმეს ან რაიმეს ნახვა, დათვალიერება. *ყველა სკოლა დაიარეს.*

**დავლა**[2] *დავლის* იგივეა, რაც **ნადავლი**. *დიდი დაელა წამოიღეს.*

**დავლება** *დავლების* (დაავლებს) ხელის, პირისა და მისთ. ჩაჭიდებით სწრაფად, ერთბაშად აღება. *ფულს ხელი დაავლო. ძაღლმა ძვალს პირი დაავლო.*

**დავრდომილი** *დავრდომილის* უკიდურესად დასუსტებული, დაუძლურებული, ვინც ვერ დადის. *დავრდომილი მოხუცი.*

**დავსება** *დავსების* (დაავსებს, დაივსებს, დაუვსებს, დაივსება, დაევსება) ჩაქრობა, დაშრეტა. *ცეცხლი დაივსო.* ⊙ **თვალები დაევსება** დაბრმავდება.

**დაზავება** *დაზავების* (დააზავებს, დაზავდება, დაუზავდება) ზავის დადება, შერიგება. *მტერთან დაზავება. მოკამათეები დაზავდნენ.*

**დაზამთრება** *დაზამთრების* (დაზამთრდება) 1. ზამთრის დადგომა. *მალე დაზამთრდება.* 2. ზამთრის სადმე გატარება. *ოჯახმა სოფელში დაიზამთრა.*

**დაზარალება** *დაზარალების* (დააზარალებს, დაუზარალებს, დაზარალდება, დაუზარალდება) ზარალის მიღება, მიყენება. *წყალდიდობამ სოფელი დააზარალა.*

**დაზარალებული** *დაზარალებულის* 1. ვინც ან რაც დაზარალდა. *დაზარალებული მოსახლეობა.* 2. ძალადობის მსხვერპლი, გაქურდული, დაყაჩაღებული და მისთ. *გამომძიებელმა დაზარალებული დაკითხა.*

**დაზარება** *დაზარების* (დაიზარებს, დაეზარება) მოქმედების, შრომის სურვილის დაკარგვა, გაქრობა. *წაკითხვა დაეზარა. წასვლა დაეზარა.*

**დაზაფვრა** *დაზაფვრის* (დაზაფრავს, დაიზაფრება) ძლიერ გაოგნება, მეტყველების უნარის დაკარგვა მოულოდნელი (ხშირად უსიამოვნო) ამბისგან, საზარელი სანახაობისგან და მისთ. *შიშისგან დაიზაფრა.* ■ **დაზაფრული** ვინც დაიზაფრა. *დაზაფრული ქალი.*

**დაზეთვა** *დაზეთვის* (დაზეთავს, დაიზეთება) ზეთის წასმა, წაცხება. *ურდული დაზეთა. დაზგა დაზეთეს.* ■ **დაზეთილი** რაც დაზეთეს. *დაზეთილი დანადგარი.*

**დაზელა** *დაზელის* (დაზელს, დაიზელს, დაუზელს, დაიზილება, დააზელინებს) 1. ხელის ნელა სმით, დაჭერით სხეულის მცირედ დასრესა. *ავადმყოფი ძმრით დაზილეს. კაცმა ფეხი დაიზილა. წელი დაუზილა.* 2. გადატ. მაგრად ცემა. *ბიჭს ქუჩაში დახვდნენ და კარგად დაზილეს.* ■ **დაზელილი** რაც ან ვინც დაზილეს. *დაზელილი თიხა.*

**დაზეპირება** *დაზეპირების* (დაიზეპირებს, დააზეპირებინებს) ზეპირად სწავლა. *ლექსი დაიზეპირა. გამრავლების ტაბულა დაიზეპირა.* ■ **დაზეპირებული** რაც დაიზეპირეს. *ტექსტი დაზეპირებული აქვს.*

**დაზვავება** *დაზვავების* (დააზვავებს, დაზვავდება, დაუზვავდება) გროვად დაყრა, ჩამოყრა. *ეზოში აგური დააზვავეს. სახურავიდან კრამიტი დაზვავდა.* ■ **დაზვავებული** რაც დაზვავდა. *დაზვავებული ქვები.*

**დაზვერვა** *დაზვერვის* (დაზვერავს) 1. გარკვეულ ტერიტორიაზე ან ობიექტზე ფარული დაკვირვება, დათვალიერება სამხედრო მიზნით. *ჯარისკაცებმა გარემო დაზვერეს. მტრის ბანაკი დაზვერეს.* 2. სახელმწიფოს მტრების ფარული

საქმიანობის გამოსავლენად შექმნილი სახელმწიფო უშიშროების სამსახური. *დაზვერვის სამმართველო. სახელმწიფო დაზვერვა.* 3. გარკვეული მიზნით რაიმეს წინასწარ დათვალიერება, შესწავლა. *მშენებლებმა იქაურობა დაზვერეს. ჟურნალისტმა სიტუაცია დაზვერა.*

**დაზიანება** *დაზიანების* (დააზიანებს, დაიზიანებს, დაუზიანებს, დაზიანდება, დაუზიანდება) 1. გაფუჭება, მოშლა. *ტელეფონის ხაზი დაზიანდა. შტორმმა გემი დააზიანა.* 2. სხეულის რომელიმე ნაწილის დაშავება. *ხელი დაიზიანა. თვალი დაუზიანდა.* ■ **დაზიანებული** რაც დაზიანდა. *დაზიანებული მანქანა.*

**დაზმანვა** *დაზმანვის* (დაიზმანება) ჟარგ. ძვირფასს ტანსაცმელში გამოწყობა. *კონცერტისთვის დაიზმანა.* ■ **დაზმანული** ვინც დაიზმანა. *მაგარი დაზმანული იყო.*

**დაზმუვლება** *დაზმუვლების* (დააზმუვლებს, დაიზმუვლებს) ზმუილის ხმის გამოცემა. *კამეჩმა დაიზმუვლა.*

**დაზნექა** *დაზნექის* (დაზნექს, დაიზნიქება, დაეზნიქება) სიმძიმისგან ძირს დაწევა, დახრა. *ტოტები დაიზნიქა.*

**დაზოგვა** *დაზოგვის* (დაზოგავს, დაიზოგავს, დაუზოგავს, დაიზოგება, დაეზოგება, დააზოგვინებს) 1. მომჭირნედ ხარჯვით გარკვეული ნაწილის გადარჩენა, შენარჩუნება. *ფულის დაზოგვა. ენერგია დაზოგეს.* 2. შებრალება, დანდობა. *მტერმა ქალაქი არ დაზოგა. მეგობრებმა დაზოგეს.* 3. დაშურება, დანანება. *გმირმა სიცოცხლე არ დაზოგა.* ■ **დაზოგილი** რაც დაზოგეს. *დაზოგილი ქონება.*

**დაზომება** *დაზომების* (დააზომებს, დაიზომებს, დაეზომება) ერთის მეორეზე დადება ზომაში სხვაობის (ან ტოლობის) გასარკვევად, დატოლება. *ფარდები ერთმანეთს დააზომა.*

**დაზრდა** *დაზრდის* (დაზრდის, დაუზრდის, დაიზრდება, დაეზრდება, დააზრდევინებს) ბევრის გაზრდა. *შვილები დაზარდა. ლეკვები დაიზარდნენ.* ■ **დაზრდილი** ვინც ან რაც დაიზარდა. *ერთად დაზრდილი მეგობრები.*

**დაზრობა** *დაზრობის* (დააზრობს, დაუზრობს, დაზრება, დააზრება, დაუზრება) ყინვისგან, სუსხისგან მოყინვა. *ბიჭს ფეხები დაუზრა. ყინვამ ვარდი დააზრო.*

**დაზუზუნება** *დაზუზუნების* (დაიზუზუნებს) ზუზუნის (1) გამოცემა. *ქარმა დაიზუზუნა.*

**დაზუთხვა** *დაზუთხვის* (დაიზუთხავს) გაუაზრებლად დაზეპირება. *კანონები დაიზუთხა. ლექსები დაიზუთხა.* ■ **დაზუთხული** რაც დაიზუთხეს. *დაზუთხული ტექსტი.*

**დაზუსტება** *დაზუსტების* (დააზუსტებს, დაუზუსტებს, დაზუსტდება, დააზუსტებინებს) რაიმეს სისწორის გარკვევა, შემოწმება. *ფაქტები დააზუსტა. შეხვედრის ადგილი დააზუსტეს. მისი ვინაობა დაზუსტდა.* ■ **დაზუსტებული** რაც დააზუსტეს. *დაზუსტებული მონაცემები. დაზუსტებული დრო.*

**დაზღვევა** *დაზღვევის* (დააზღვევს, დაიზღვევს, დაუზღვევს, დაიზღვევა, დაეზღვევა, დააზღვევინებს) 1. სპეციალური ხელშეკრულების საფუძველზე განსაზღვრული თანხის თანდათან გადახდა სამედიცინო მომსახურების უზრუნველყოფის, მატერიალური ზარალის ანაზღაურების მიზნით. *სამედიცინო დაზღვევა. ავტომობილი დააზღვია. ქონება დააზღვია.* 2. წინასწარი ზომების მიღება უარყოფითი შედეგების თავიდან ასაცილებლად. *ჩხუბისგან თავი დაიზღვია.* ■ **დაზღვეული** რაც ან ვინც დააზღვიეს. *დაზღვეული მანქანა.*

**დათანხმება** *დათანხმების* (დაითანხმებს, დაეთანხმება, და(ს)თანხმდება) თანხმობის მიცემა. *შეხვედრაზე დასთანხმდა. მეგობარს დაეთანხმა.*

**დათარიღება** *დათარიღების* (დაათარიღებს, დათარიღდება, დაათარიღებინებს) თარიღის განსაზღვრა, დადგენა, თარიღის დასმა. *წარწერა დაათარიღეს. დოკუმენტი ძველი რიცხვით დათარიღდა.* ■ **დათარიღებული** რაც დაათარიღეს. *დათარიღებული ხელნაწერები.*

**დათარსვა** *დათარსვის* (დათარსავს, დაუთარსავს, დაითარსება) ცრურწ. ვინმესთან შეხვედრის, რაიმეს დანახვისა და მისთ. გამო საქმეში ხელის შეშლა, საქმის გაფუჭება. *მე ზობელმა დათარსა. წერილმა დათარსა. მეკარე დაითარსა.* ■ **დათარსული** ვინც ან რაც დაითარსა. *დათარსული კაცი. დათარსული ადგილი.*

**დათაფლული** *დათაფლულის* 1. თაფლით დამტკბარი. *დათაფლული ჩაი. დათაფლული არაყი.* 2. სიმწიფისგან ძალზე დამტკბარი (ხილი). *დათაფლული ქლიავი.*

**დათბილვა** *დათბილვის* (დათბილავს, დაითბილავს, დაუთბილავს, დაითბილება) ტანსაცმლისთვის, ფეხსაცმლისთვის შიგნიდან თბილი მასალის გამოკერება. *პალტოს დათბილავს.* ■ **დათბილული** რაც დათბილეს. *დათბილული ქურთუკი.*

**დათბობა** *დათბობის* (დაათბობს, დათბება, დაუთბება) 1. საწყ. სითბოს მომატება, თბილი ამინდის დადგომა. *ოთახში დათბა. მარტის ბოლოს დათბა.* 2. გადატ. ბევრის გათბობა. *ბავშვები ცეცხლთან დათბნენ.*

**დათბუნება** *დათბუნების* (დაათბუნებს, დაუთბუნებს) სადგომში სითბოს შენარჩუნება ჭუჭრუტანების ამოვსებით, კარ-ფანჯრის მჭიდროდ დაკეტვითა და მისთ. *ოთახი დაათბუნა.* ■ **დათბუნებული** რაც დაათბუნეს. *დათბუნებული ბინა.*

**დათეთქვა** *დათეთქვის* (დათეთქვავს, დაუთეთქვავს, დაითეთქვება, დაეთეთქვება) 1. ძაღლის მიერ სხვა ცხოველის ქვეშ ამოდება და დაკბენა. *ძაღლმა*

*ლეკვი დათეთქვა.* 2. საუბრ. მაგრად ცემა, მიბეგვა. *ბიჭებმა ქურდი დათეთქვეს.* ■ **დათეთქვილი** რაც ან ვინც დათეთქვეს. *დათეთქვილი ბიჭი.*

**დათესვა** *დათესვის* (დათესავს, დაუთესავს, დაითესება, დაათესვინებს) მოხნულ ნიადაგში თესლის ჩაყრა, მიმობნევა. *სიმინდი დაითესა. ყვავილები დათესეს.* ■ **დათესილი** რაც დათესეს. *დათესილი ხორბალი.*

**დათვალიერება** *დათვალიერების* (დაათვალიერებს, დაათვალიერებინებს) რაიმეს ნახვა, დაკვირვება, თვალით გასინჯვა. *სურათები დაათვალიერა. გაფუჭებული აპარატი დაათვალიერა..*


დათვი

**დათვი** *დათვის* I. დიდი ზომის მტაცებელი ცხოველი. იკვებება ხორცით, ბალახით, ტყის ხილით. *მურა დათვი. დათვის ბუნაგი.* 2. გადატ. უხეში ძალის, მოძალადე ადამიანი. *ნელა, შე დათვო, ხელი არ მომტეხო!*

**დათვიმხალა** *დათვიმხალას* ბალახოვანი მცენარე, აქვს მსხვილი ფოთლები, ღეროში რძიანი წვენი და ლურჯი ყვავილები, გამოიყენება სამკურნალოდ.

**დათვლა** *დათვლის* (დათვლის, დაითვლის, დაუთვლის, დაითვლება, დაათვლევინებს) რაოდენობის გარკვევა. *დათვლა შეეშალა. რვეულები დათვალა. ბავშვები დათვალეს.* ■ **დათვლილი** ვინც ან რაც დათვალეს. *დათვლილი ბიულეტენები.*

**დათვური** *დათვურის* I. დათვისთვის დამახასიათებელი, დათვის მსგავსი. *დათვური სიარული.* ⊙ **დათვური სამსახური** გაუწია თავისი დახმარებით სიკეთის მოტანის ნაცვლად ზიანი მიაყენა.

**დათლა** *დათლის* (დათლის, დაათლის, დაითლის, დაუთლის, დაითლება, დაეთლება, დაათლევინებს) ბევრის გათლა. *ჩხირები დათალა.* ■ **დათლილი** რაც დათალეს. *დათლილი ფანქრები.*

**დათმობა** *დათმობის* (დათმობს, დაუთმობს, დაითმობა, დაეთმობა, დაათმობინებს) სხვის სასარგებლოდ რაიმეზე უარის თქმა, უკან დახევა. *დათმობა არ იცის. ძმას სახლი დაუთმო. თანამდებობა დათმო.*

**დათოვა** *დათოვის* (დათოვს, დაათოვს, დაითოვება) თოვლით დაფარვა, თოვლის დადება. *გ ზები დათოვა. ხეებს დაათოვა.*

**დათოვლილი** *დათოვლილის* თოვლით დაფარული. *დათოვლილი ხეები. დათოვლილი მთა.*

**დათრგუნვა** *დათრგუნვის* (დათრგუნავს, დაუთრგუნავს, დაითრგუნება) 1. დაძლევა, დამორჩილება. *შიში დათრგუნა. მტერი დათრგუნეს.* 2. ნანახით, გაგონილითა და მისთ. შეწუხება, შეზღუდვა, შებოჭვა. *სანახაობამ ქალი დათრგუნა. ახალ გარემოში ბიჭი დაითრგუნა.* ■ **დათრგუნვილი** // **დათრგუნული** ვინც ან რაც დაითრგუნა. *დათრგუნვილი ვნებები.*

**დათრევა** *დათრევის* (დაითრევს) თრევით წაღება. *მელამ მამალი დაითრია.*

**დათრობა** *დათრობის* (დაათრობს, დაითრობს, დაუთრობს, დათვრება) 1. ალკოჰოლიანი სასმლის დალევის შედეგად გაბრუება, გონების არევა. *სტუმრები დათვრნენ. ღვინომ მალე დაათრო.* 2. გადატ. გრძნობით, ემოციით გაბრუება. *სიყვარულით დათვრება. პოე ზიამ დაათრო.*

**დათუთქვა** *დათუთქვის* (დათუთქავს, დაითუთქავს, დაუთუთქავს, დაითუთქება, დაეთუთქება) ცხელი სითხით, ორთქლითა და მისთ. ძალიან დაწვა. *ხელები დაეთუთქა. პირი დაეთუთქა.* ■ **დათუთქული** რაც დაითუთქა. *დათუთქული სხეული.*

**დათქმა** *დათქმის* (დათქვამს, დაუთქვამს, დაითქმება) წინასწარ რაიმეზე მოლაპარაკება, პირობის დადება. *თარიღი დათქვეს. ვადა დაუთქვა.* ■ **დათქმული** რაც დათქვეს. *დათქმული ადგილი.*

**დათხევა** *დათხევის* (დაათხევს, დაითხევა, დაათხევინებს) იგივეა, რაც **დანთხევა**. *ტკინი დაათხია. სისხლი დაათხია.* ■ **დათხეული** რაც დაათხიეს. *დათხეული ცრემლი.*

**დათხოვება** *დათხოვების* (დაეთხოვება) წასვლის ნებართვის აღება. *მეფეს დაეთხოვა. ჯარისკაცი ოფიცრებს დაეთხოვა.*

**დათხოვნა** *დათხოვნის* (დაითხოვს) 1. წასვლის ნებართვის მიცემა, გაშვება. *მოსწავლეები არდადეგებზე დაითხოვეს. ამხანაგები სახლიდან დაითხოვა.* 2. სამსახურიდან, სასწავლებლიდან და მისთ. გათავისუფლება, გაშვება. *თანამშრომელი დაითხოვეს. მეკარე ნაკრებიდან დაითხოვეს.*

**დათხრა** *დათხრის* (დათხრის, დაითხრის, დაითხრება, დაეთხრება, დაათხრევინებს) ბევრგან გათხრა. *ღორებმა მთელი ეზო დათხარეს.* ■ **დათხრილი** რაც დათხარეს. *დათხრილი მინდორი.*

**დათხუპნა** *დათხუპნის* (დათხუპნის, დაითხუპნის, დაუთხუპნის, დაითხუპნება, დაეთხუპნება) იგივეა, რაც **გათხუპნა**. *კიბეები ტალახით დაითხუპნა. ხელები დაეთხუპნა.* ■ **დათხუპნილი** რაც დაითხუპნა. *დათხუპნილი სარკე.*

**დაიმედება** *დაიმედების* (დააიმედებს, დაიიმედებს, დაუიმედებს, დაიმედდება, დაუიმედდება) იმედის მიცემა. *მასწავლებელმა დააიმედა. გული დაიიმედა. ავადმყოფი დაიიმედეს.* ■ **დაიმედებული** ვინც დააიმედეს. *დაიმედებული ქალი.*

**დაინვალიდება** *დაინვალიდების* (დააინვალიდებს, დაიინვალიდებს, დაინვალიდდება, დაუინვალიდდება) ინვალიდად ქცევა, დახეიბრება. *ბავშვი დაინვალიდდა. სამუდამოდ დაინვალიდდა.* ■ **დაინვალიდებული** ვინც დაინვალიდდა. *დაინვალიდებული ჯარისკაცი.*

**დაინსტალირება** *დაინსტალირების* (დააინსტალირებს, დაუინსტალირებს, დაინსტალირდება) კომ-

პიუტერში პროგრამული პროდუქტის დაყენება, ინსტალაცია. *ახალი პროგრამა დააინსტალირა.*

**დაინტერესება** *დაინტერესების* (დააინტერესებს, დაინტერესდება) ინტერესის გაჩენა. *ამ ამბავმა დააინტერესა. მუსიკით დაინტერესდა.* ■ **დაინტერესებული** ვინც დაინტერესდა. *ფეხბურთით დაინტერესებული ბიჭი.*

**დაინფიცირება** *დაინფიცირების* (დააინფიცირებს, დაინფიცირდება) რაიმე ინფექციით, ვირუსითა და მისთ. დასნეულება. *სისხლის გადასხმის შედეგად დაინფიცირდა.* ■ **დაინფიცირებული** ვინც დაინფიცირდა. *ჰეპატიტით დაინფიცირებული.*

დაირა

**დაირა** *დაირის* დასარტყამი საკრავი – ტყავგადაკრული ხის რგოლი, რომელსაც გარშემო მიმაგრებული აქვს ეჟვნები ან მონეტები.

**დაისი** *დაისის* ნიგნ. მზის ჩასვლის დრო, საღამო ხანი. *დაისმა მოაღწია.*

**დაკაბადონება** *დაკაბადონების* (დააკაბადონებს, დაუკაბადონებს, დაკაბადონდება) ნაბეჭდი ტექსტის გვერდებად გაფორმება. *გაზეთის დაკაბადონება. წიგნი დააკაბადონეს.* ■ **დაკაბადონებული** რაც დააკაბადონეს. *დაკაბადონებული გვერდები.*

**დაკა-დაკა** *დაკა-დაკას* საუბრ. ჩხუბი, ერთმანეთის ცემა, აურზაური. *დაკა-დაკა გაამართეს.*

**დაკავება** *დაკავების* (დააკავებს, დაიკავებს, დაუკავებს, დააკავებინებს) 1. ხელში აღება, დაჭერა. *ჩანთა დაიკავა.* 2. დაპატიმრება, დაჭერა. *კონტრაბანდისტები საზღვართან დააკავეს.* 3. სპეციალური დანიშნულების პუნქტის, ქალაქისა და მისთ. ძალით აღება, დამორჩილება. *მტერმა სამხედრო ბაზა დაიკავა.* 4. შეჯიბრების ან კონკურსის დროს რომელიმე ადგილის მოპოვება. *საპრიზო ადგილი დაიკავეს. გუნდმა მესამე ადგილი დაიკავა.* 5. სხვისთვის სკამის, ადგილისა და მისთ. შენახვა. *რიგი დაუკავა.* 6. ვინმეს იძულებით დატოვება, არგაშვება. *ბიჭი სახლში ვერ დააკავეს.* 7. ასაღები თანხიდან განსაზღვრული რაოდენობის ჩამოკლება. *საშემოსავლო დაუკავეს. ხელფასიდან ასი ლარი დაუკავეს.*

**დაკავებული** *დაკავებულის* 1. ვინც დააკავეს, რაც დაიკავეს. *დაკავებული ადგილი. დაკავებული ქურდები. დაკავებული ტერიტორია.* 2. საქმეებით, სამუშაოთი დატვირთული. *საღამოს დაკავებული ვარ. სამსახურში ძალიან დაკავებულია.* 3. ზედმეტად გადატვირთული (ხაზი, გზა, ლიანდაგი და მისთ.). *ტელეფონი დაკავებულია.*

**დაკავშირება** *დაკავშირების* (დააკავშირებს, დაუკავშირებს, დაკავშირდება, დაუკავშირდება, დააკავშირებინებს) კავშირის დამყარება. *საქმემ დააკავშირა. მეგობრებს დაუკავშირდა.*

**დაკავშირებით** ზმნზ. რაიმესთან კავშირში, რაიმეს მიზეზით. *არჩევნებთან დაკავშირებით. სხდომასთან დაკავშირებით.*

**დაკავშირებული** *დაკავშირებულის* ვინმესთან ან რაიმესთან კავშირში მყოფი. *გრიპთან დაკავშირებული პრობლემები.*

**დაკაკუნება** *დაკაკუნების* (დააკაკუნებს, დაუკაკუნებს) მაგარ საგანზე მსუბუქად დარტყმა, კაკუნის ხმის გამოცემა. *რამდენჯერმე დააკაკუნეს. კარზე დაუკაკუნა.*

**დაკანონება** *დაკანონების* (დააკანონებს, დაიკანონებს, დაუკანონებს, დაკანონდება, დაუკანონდება) 1. კანონად, სავალდებულოდ ქცევა. *ახალი საარჩევნო სისტემა დაკანონდა. უფლებები დაიკანონეს.* 2. რაიმეს საკუთრებად გაფორმება. *სახლი დაიკანონა. მიწა დაუკანონეს.* ■ **დაკანონებული** რაც დააკანონეს. *დაკანონებული ტერიტორია.*

**დაკაპიწება** *დაკაპიწების* (დაიკაპიწებს) ხელებზე, მკლავებზე ტანსაცმლის ქვედა ნაწილის აწევა საქმის უკეთესად შესასრულებლად. *სახელოები დაიკაპიწა. მკლავები დაიკაპიწა.* ■ **დაკაპიწებული** რაც დაიკაპიწეს. *დაკაპიწებული ხელები.*

**დაკარგვა** *დაკარგვის* (დაკარგავს, დაუკარგავს, დაიკარგება, დაეკარგება, დააკარგვინებს) 1. შეუმჩნევლად, გაურკვევლად გაქრობა, გაუჩინარება. *პასპორტი დაკარგა. ბეჭედი დაეკარგა. ძაღლი დაიკარგა.* 2. კუთვნილის, არსებულის გარეშე დარჩენა, ჩამორთმევა, წართმევა. *მიწა დაკარგა. თანამდებობა დაკარგა.* 3. გადატ. ოჯახის წევრის, ახლობლის გარდაცვალება. *მეუღლე დაკარგა. შვილი ომში დაეკარგა.* ■ **დაკარგული** რაც ან ვინც დაიკარგა. *დაკარგული ტერიტორიები.*

**დაკარება** *დაკარების* (დააკარებს, დაეკარება, დააკარებინებს) ხელით, ფეხითა და მისთ. შეხება. *წაქცეულს ხელი არ დააკარა. საჭმელს პირი არ დააკარა. მიწას ფეხი არ დააკარა.*

**დაკაცება** *დაკაცების* (დააკაცებს, დაკაცდება) კაცობის ასაკში შესვლა, კაცად ქცევა. *ბიჭი დაკაცდა.* ■ **დაკაცებული** ვინც დაკაცდა. *ნაადრევად დაკაცებული.*

**დაკაწვრა** *დაკაწვრის* (დაკაწრავს, დააკაწრავს, დაიკაწრავს, დაუკაწრავს, დაიკაწრება, დაეკაწრება, დააკაწვრინებს) ბევრ ადგილას გაკაწვრა, დასერვა. *ეკლებით ფეხები დაეკაწრა. სახე დაეკაწრა.* ■ **დაკაწრული** რაც დაიკაწრა. *დაკაწრული ლოყა.*

**დაკბილული** *დაკბილულის* კბილებივით შეწეულშემოწეული კიდის მქონე. *დაკბილული რგოლი.*

**დაკემსვა** *დაკემსვის* (დაკემსავს, დაიკემსავს, დაუკემსავს, დაიკემსება) ქსოვილზე, ტყავსა და მისთ. გაცვეთილი ან ამოგლეჯილი ადგილის ძაფით წმინდად ამოკერვა. *შარვალი დაკემსა. ძმას წინდები დაუკემსა.* ■ **დაკემსილი** რაც დაკემსეს. *დაკემსილი საყელო.*

**დაკეპვა** *დაკეპვის* (დაკეპავს, დაიკეპავს, დაუკეპავს, დაიკეპება, დააკეპვინებს) საკვების მჭრელი იარაღით ნვრილად დაჭრა, დაქუცმაცება. *ხორცი დაკეპეს. მწვანილი კარგად დაკეპა.* ■ **დაკეპილი** რაც დაკეპეს. *დაკეპილი ხახვი.*

**დაკერება** *დაკერების* (დააკერებს, დაიკერებს, დაუკერებს, დაეკერება, დააკერებინებს) 1. ნემსითა და ძაფით ზევიდან რაიმეს დამაგრება. *კაბას ღილები დააკერა. პალტოს ჯიბეები დააკერა.* 2. ჟარგ. დარტყმა. *ერთი მაგრად დააკერა.* ■ **დაკერებული** რაც დააკერეს. *დაკერებული კაბა.*

**დაკეტვა** *დაკეტვის* (დაკეტავს, დაუკეტავს, დაიკეტება, დაეკეტება, დააკეტვინებს) 1. გასაღებით, ბოქლომითა და მისთ. დამაგრება, შეერთება. *კარის დაკეტვა. ჭიშკარი დაკეტეს.* 2. ორგანიზაციის გაუქმება ან მუშაობის დროებით შეწყვეტა. *გაკოტრებული ფირმა დაკეტეს. არდადეგებზე სკოლები დაიკეტა. სტადიონი ორი თვით დაკეტეს.* ■ **დაკეტილი** რაც დაიკეტა. *დაკეტილი ფანჯრები.*

**დაკეცვა** *დაკეცვის* (დაკეცავს, დაიკეცავს, დაუკეცავს, დაიკეცება, დააკეცვინებს) 1. ქსოვილის, ქაღალდისა და მისთ. რამდენიმე ფენად მოკეცვა. *ტანსაცმელი დაკეცა. ფარდები დაკეცა.* 2. გაშლილის დაკეტვა, დახურვა. *წიგნი დაკეცა. ქოლგა დაიკეცა.* ■ **დაკეცილი** რაც დაკეცეს. *დაკეცილი კაბა.*

**დაკვალვა** *დაკვალვის* (დაკვალავს, დაუკვალავს, დაიკვალება) კვლების (2) გავლება. *ნახნავი დაკვალეს. გაზონი დაიკვალა.* ■ **დაკვალული** რაც დაკვალეს. *დაკვალული ბოსტანი.*

**დაკვდომა** *დაკვდომის* (დააკვდება) 1. მკვდარზე ან მომაკვდავზე დაცემა და გარდაცვალება. *შვილს ზედ დააკვდა. საფლავს დააკვდა. მეუღლის ცხედარს დააკვდა.* 2. გადატ. თავდაუზოგავად კეთება, მთელი ძალ-ღონის შელევა. *წიგნებს დააკვდა. საქმეს დააკვდა.*

**დაკვებება** *დაკვებების* (დაეკვებება) ცრურწ. ახალ წელს მომხდარის, გაკეთებულის მთელი წლის მანძილზე გამეორება, წესად ქცევა. *სიხარული დაეკვება. საჩუქარი დაეკვება.*

**დაკვეთა** *დაკვეთის* (დაუკვეთს) 1. წინასწარ შეთანხმება რაიმეს გასაკეთებლად, შეკვეთა. *საქონლის დიდი პარტია დაუკვეთეს. ავეჯი დაუკვეთა.* 2. დაკვეთის (1) პირობა. *დაკვეთები შეასრულა.*

**დაკვესება** *დაკვესების* (დააკვესებს, დაეკვესება) ნაპერწკლის გაჩენა კვესის ჩამოკვრით. *აბედი ამოილო და ტალი დააკვესა.*

**დაკვეხება** *დაკვეხების* (დაიკვეხებს) საკუთარი წარმატების თქმა, აღნიშვნა სხვებისთვის თავის მოსაწონებლად, დატრაბახება. *ბევრს ვერაფერს დაიკვეხებს.*

**დაკვეხნა** *დაკვეხნის* (დაიკვეხნის) იგივეა, რაც დაკვეხება. *ვაუკაცობას დაიკვეხნის.*

**დაკვირვება** *დაკვირვების* (დააკვირვებს, დააკვირდება, დაუკვირდება) 1. ყურადღებით შეხედვა, დათვალიერება. *გამვლელს დააკვირდა. ნაწერს დააკვირდა.* 2. ობიექტზე თვალყურის დევნება მეცნიერული გამოკვლევის, შესწავლის მიზნით. *მიკროსკოპით დაკვირვება. ვარსკვლავებზე დაკვირვება.*

**დაკვირვებით** ზმნზ. ყურადღებით, გულდასმით. *განცხადება დაკვირვებით წაიკითხა.*

**დაკვირვებული** *დაკვირვებულის* დაკვირვების უნარის მქონე, ყველაფრის მიმხვედრი, ადვილად გამგები. *დაკვირვებული ბავშვი. მეტისმეტად დაკვირვებული.*

**დაკვლა** *დაკვლის* (დაკლავს, დააკლავს, დაუკლავს, დაიკვლება, დააკვლევინებს) შინაური ცხოველის ან ფრინველის მოკვლა ხორცის საკვებად გამოყენების მიზნით. *ქათმები დაკლეს. ხბო დაკლეს.* ■ **დაკლული** რაც დაკლეს. *დაკლული ბატკანი.*

**დაკვნესება** *დაკვნესების* (დააკვნესებს, დაიკვნესებს) კვნესის ამოთქმა. *ავადმყოფმა დაიკვნესა. სიმწრით დაიკვნესა.*

**დაკვნეტა** *დაკვნეტის* (დაკვნეტს, დაიკვნეტს, დაუკვნეტს, დაიკვნიტება) ბევრის მოკვნეტა ან კვნეტით დამტვრევა. *ფრჩხილები დაიკვნიტა. ნეკნები დაკვნიტა.* ■ **დაკვნეტილი** რაც დაკვნიტეს. *დაკვნეტილი თხილი.*

**დაკვრა**[1] *დაკვრის* (დაჰკრავს, დააკრავს, დაიკრავს, დაუკრავს, დაიკვრება, დაეკვრება, დააკვრევინებს) 1. რამეზე დამაგრება, დაბმა, დანებება. *ნალის დაკვრა. ბოთლებს ეტიკეტები დააკრეს. ფურცლები ერთმანეთს დაეკვრება.* 2. უცებ დარტყმა. *მიწას ფეხი დაჰკრა. ხელზე ხელი დაჰკრა. ბეჭზე ხელი დაჰკრა.*

**დაკვრა**[2] *დაკვრის* (დაუკრავს, დაიკვრება, დააკვრევინებს) მუსიკალური ინსტრუმენტის ახმიანება. *პიანინოზე დაუკრა.*

**დაკიდება** *დაკიდების* (და(ჰ)კიდებს, დაიკიდებს, დაიკიდება, დაეკიდება, დააკიდებინებს) რაიმეს ზედა ნაწილის დამაგრება ისე, რომ ბოლო ძირს დაეშვას. *ფარდები დაკიდეს. ძელს დაეკიდა. ხანჯალი დაიკიდა.* ■ **დაკიდებული** რაც დაკიდეს. *დაკიდებული ჭაღი.*

**დაკივლება** *დაკივლების* (დაჰკივლებს, დაიკივლებს, დაუკივლებს, დააკივლებს) კივილის ხმის გამოცემა, კივილით დაძახება. *ორთქლმავალმა დაიკივლა. ქალმა ბავშვს დაუკივლა.*

**დაკითხება** *დაკითხების* (დაეკითხება) ვინმესთვის რჩევის კითხვა, ნებართვის აღება. *დედას დაეკითხა და ისე წავიდა.*

**დაკითხვა** *დაკითხვის* (დაკითხავს) ვინმესთვის შეკითხვების დასმა საქმის გამოსარკვევად, დანაშაულის გამოსაძიებლად. *პატიმრის დაკითხვა. ეჭვმიტანილი დაკითხეს.*

**დაკისრება** *დაკისრების* (დააკისრებს, დაეკისრება) ვინმესთვის აუცილებლად შესასრულებელი დავალების მიცემა. *პასუხისმგებლობის დაკისრება. დიდი საქმე დააკისრეს. თანხის გადახდა დაეკისრა.* ■ **დაკისრებული** რაც დააკისრეს. *დაკისრებული მოვალეობები. დაკისრებული ჯარიმა.*

**დაკლაკნა** *დაკლაკნის* (დაკლაკნის, დაიკლაკნება, დაეკლაკნება) სხეულის უსწორმასწოროდ ამოძრავება, მიგრეხ-მოგრეხა. *გველი დაიკლაკნა. ბიჭი ტკივილისგან დაიკლაკნა.*

**დაკლაკნილი** *დაკლაკნილის* 1. ვინც ან რაც დაიკლაკნა. *დაკლაკნილი გველი.* 2. მიხვეულ-მოხვეული, მიგრეხილ-მოგრეხილი. *დაკლაკნილი ბილიკი. დაკლაკნილი ტოტები.*

**დაკლება** *დაკლების* (დააკლებს, დაიკლებს, დაუკლებს, დააკლდება, დაიკლებინებს) 1. ზომის, წონის, ტემპერატურისა და მისთ. შემცირება. *კაბამ სიგრძეში დაიკლო. დღემ დაიკლო.* 2. კუთვნილზე, საკმარისზე ნაკლების მიცემა, განსაზღვრულ რაოდენობაზე ნაკლების დარჩენა. *გამყიდველმა ფული დააკლო. საქონელი დააკლდათ. სუფრაზე ღვინო დააკლდათ.* ■ **დაკლებული** რაც დააკლდათ. *დაკლებული ხელფასი.*

**დაკმაყოფილება** *დაკმაყოფილების* (დააკმაყოფილებს, დაიკმაყოფილებს, დაუკმაყოფილებს, დაკმაყოფილდება, დაუკმაყოფილდება) 1. სურვილის, მოთხოვნილებისა და მისთ. შესრულება. *სარჩელის დაკმაყოფილება. წყურვილი დაიკმაყოფილა. ცნობისმოყვარეობა დაიკმაყოფილა.* 2. სასურველზე ნაკლების, მცირედის საკმარისად მიჩნევა. *ვერცხლის მედლით დაკმაყოფილდა. ნახევარი გასამრჯელოთი დაკმაყოფილდა.* ■ **დაკმაყოფილებული** ვინც ან რაც დაკმაყოფილდა. *დაკმაყოფილებული მყიდველი.*

**დაკნავლება** *დაკნავლების* (დააკნავლებს, დაიკნავლებს) კნავილის ხმის გამოცემა. *კატამ დაიკნავლა.*

**დაკნინება** *დაკნინების* (დააკნინებს, დაუკნინებს, დაკნინდება) დამცირება, დაცემა, დაქვეითება, ღირებულებისა და მნიშვნელობის გაუფასურება. *ენა დააკნინეს. ერი დაკნინდა.* ■ **დაკნინებული** ვინც ან რაც დაკნინდა. *დაკნინებული კულტურა.*

**დაკოდვა** *დაკოდვის* (დაკოდავს, დაუკოდავს, დაიკოდება, დააკოდვინებს) 1. საქონლისთვის სასქესო ჯირკვლების ამოკვეთა. *ღორის დაკოდვა. მოზვერი დაკოდეს.* 2. დაჭრა, ჭრილობის მიყენება. *ირემი დაკოდა. ისრით დაიკოდა.* ■ **დაკოდილი** რაც დაკოდეს. *დაკოდილი ხარი.*

**დაკომპლექტება** *დაკომპლექტების* (დააკომპლექტებს, დაუკომპლექტებს, დაკომპლექტდება) ადამიანთა, საგანთა საჭირო რაოდენობის თავმოყრა კონკრეტული საქმიანობისა თუ დანიშნულებისთვის. *კომისიის დაკომპლექტება. მაშველთა ჯგუფი დააკომპლექტეს.* ■ **დაკომპლექტებული** რაც დააკომპლექტეს. *თანამედროვე ლიტერატურით დაკომპლექტებული ბიბლიოთეკა.*

**დაკონება** *დაკონების* (დაეკონება) 1. ვინმეზე, რაიმეზე დამხობა, ხელების შემოხვევა. *მომაკვდავს დაეკონა.* 2. დიდი გრძნობით კოცნა. *მის ბაგეებს დაეკონა. ქალის ხელს დაეკონა.*

**დაკონკვა** *დაკონკვის* (დაკონკავს, დაუკონკავს, დაიკონკება, დაეკონკება) ძალიან დახევა, დაფლეთა, კონკებად ქცევა. *შარვალი დაეკონკა.*

**დაკონკილი** *დაკონკილის* ძალიან ძველი, დახეული. *დაკონკილი ტანსაცმელი.*

**დაკონკრეტება** *დაკონკრეტების* (დააკონკრეტებს, დაუკონკრეტებს, დაკონკრეტდება) კონკრეტული ფაქტების, მონაცემების დასახელება, დაზუსტება. *ვადები დააკონკრეტეს. ნათქვამი დააკონკრეტა.* ■ **დაკონკრეტებული** რაც დააკონკრეტეს. *დაკონკრეტებული აზრი.*

**დაკონსერვება** *დაკონსერვების* (დააკონსერვებს, დაუკონსერვებს, დაკონსერვდება) 1. კონსერვის დამზადება. *კიტრი დააკონსერვა. თევზი დააკონსერვეს.* 2. გადატ. დაწყებული საქმის, პროცესის დროებით შეჩერება. *მშენებლობის დაკონსერვება. საბადო დააკონსერვეს.* ■ **დაკონსერვებული** რაც დააკონსერვეს. *დაკონსერვებული ბარდა.*

**დაკოჟრება** *დაკოჟრების* (დააკოჟრებს, დაუკოჟრებს, დაუკოჟრდება) კოჟრების გაჩენა. *ხელები დაუკოჟრდება.* ■ **დაკოჟრებული** რაც დაუკოჟრდათ. *დაკოჟრებული ფეხები.*

**დაკორტნა** *დაკორტნის* (დაკორტნის, დაიკორტნის, დაუკორტნის, დაიკორტნება, დაეკორტნება) ნისკარტით ადგილ-ადგილ ამოგლეჯა, ამოცლა. *ჩიტმა ბალი დაკორტნა. ყვავმა ლეში დაკორტნა.* ■ **დაკორტნილი** რაც დაკორტნეს. *დაკორტნილი ხილი.*

**დაკორძება** *დაკორძების* (დაკორძდება, დაუკორძდება) კორძების გაჩენა. *ხე დაკორძდა. კანი დაუკორძდა.* ■ **დაკორძებული** რაც დაკორძდა. *დაკორძებული მუხა.*

**დაკოსება** *დაკოსების* (დააკოსებს, დაიკოსებს, დაეკოსება) საუბრ. უშნოდ, დაუდევრად დადება, დახურვა. *ცხვირზე სათვალე დაიკოსა.* ■ **დაკოსებული** რაც დაიკოსეს. *დაკოსებული ქუდი.*

**დაკოშტება** *დაკოშტების* (დაკოშტდება) კოშტებად შეკვრა. *ფქვილი დაკოშტდა.* ■ **დაკოშტებული** რაც დაკოშტდა. *დაკოშტებული თიხა.*

**დაკოცნა** *დაკოცნის* (დაკოცნის, დაუკოცნის, დააკოცნინებს) ბევრჯერ კოცნა. *ხელები დაუკოცნა. ცოლ-შვილი დაკოცნა. ლოყები დაუკოცნა.*

**დაკოჭლება** *დაკოჭლების* (დააკოჭლებს, დაუკოჭლებს, დაკოჭლდება, დაუკოჭლდება) კოჭლობის დაწყება, კოჭლად ქცევა. *ქალი დაკოჭლდა.* ■ **დაკოჭლებული** ვინც ან რაც დაკოჭლდა. *დაკოჭლებული ძაღლი.*

**დაკრაჭუნება** *დაკრაჭუნების* (დააკრაჭუნებს) ⊙ კბილების დაკრაჭუნება კბილების ერთმანეთზე გასმით უსიამოვნო ხმის (კრაჭუნის) გამოცემა.

**დაკრეფა** *დაკრეფის* (დაკრეფს, დაიკრეფს, დაუკრეფს, დაიკრიფება, დააკრეფინებს) ბევრის მოკრეფა. *ვარდები დაკრიფეს. ხილი დაიკრიფა.* ■ **დაკრეფილი** რაც დაკრიფეს. *დილით დაკრეფილი კიტრი.*

**დაკრეჭა** *დაკრეჭის* (დაკრეჭს, დაუკრეჭს, დააკრეჭინებს) ⊙ კბილების დაკრეჭა ტუჩების განზე გაწევით კბილების გამოჩენა.

**დაკრეჭილი** *დაკრეჭილის* ტუჩების განზე გაწევისას გამოჩენილი (კბილები).

**დაკრიალება** *დაკრიალების* (დააკრიალებს, დაუკრიალებს, დაკრიალდება) ბევრის გაკრიალება. *ჭიქები დააკრიალა.* ■ **დაკრიალებული** რაც დააკრიალეს. *დაკრიალებული სკამები.*

**დაკრისტალება** *დაკრისტალების* (დააკრისტალებს, დაკრისტალდება) კრისტალებად ქცევა. *მარილი დაკრისტალდა. ხსნარი დაკრისტალდა.* ■ **დაკრისტალებული** რაც დაკრისტალდა. *დაკრისტალებული მინერალი.*

**დაკრუნჩხვა** *დაკრუნჩხვის* (დაკრუნჩხავს, დაუკრუნჩხავს, დაიკრუნჩხება, დაეკრუნჩხება) ტკივილისგან, ავადმყოფობისგან სხეულის რომელიმე ნაწილის დაგრეხა. *მწვავე ტკივილმა დაკრუნჩხა. თითები დაეკრუნჩხა.* ■ **დაკრუნჩხული** რაც დაიკრუნჩხა. *დაკრუნჩხული ხელები.*

**დაკრძალვა** *დაკრძალვის* (დაკრძალავს, დაიკრძალება) პატივისც. დამარხვა, დასაფლავება. *დაკრძალვის ცერემონიალი. დიდი პატივით დაკრძალეს.* ■ **დაკრძალული** ვინც დაკრძალეს. *მწერალი პანთეონშია დაკრძალული.*

**დაკუზვა** *დაკუზვის* (დაიკუზება) მთელი სხეულით დახრა, დაღუნვა. *დაკუზვა გაუჭირდა. ბურთის ასაღებად დაიკუზა.* ■ **დაკუზული** ვინც დაიკუზა. *დაკუზული ბიჭი.*

**დაკულულება** *დაკულულების* (დაიკულულებს, დაუკულულდება) კულულებად დახვევა. *თმა დაიკულულა.*

**დაკუნტება** *დაკუნტების* (დაიკუნტება) მუხლებში მოხრა და ჩაჯდომა, ჩაცუცქება. *ბავშვი დაიკუნტა.*

**დაკუტება** *დაკუტების* (დააკუტებს, დაკუტდება) მოძრაობის უნარის დაკარგვა, კუტად (1) ქცევა. *დედაბერი დაკუტდა. დიდხანს ჯდომით ლამის დავკუტდი.*

**დაკუწვა** *დაკუწვის* (დაკუწავს, დაუკუწავს, დაიკუწება) წვრილ-წვრილ ნაჭრებად დაჭრა, დაქუცმაცება. *ქაღალდები დაკუწეს. ფარდა მაკრატლით დაკუწა.* ■ **დაკუწული** რაც დაკუწეს. *დაკუწული ხორცი.*

**დალაგება** *დალაგების* (დაალაგებს, დაილაგებს, დაულაგებს, დალაგდება, დაალაგებინებს) 1. საფუძვლიანად დასუფთავება, მოწესრიგება. *სახლი დაალაგა. კარადა დაალაგა.* 2. რიგის, წესის მიხედვით დაწყობა. *ანბანზე დალაგება. მაგიდაზე ჭიქები დაალაგეს. წიგნები თაროებზე დაალაგა.*

**დალაგებული** *დალაგებულის* 1. რაც დაალაგეს. *დალაგებული ბინა.* 2. აზრიანი, თანმიმდევრული, გამართული. *დალაგებული მსჯელობა.*

**დალალი** *დალალის* გრძელი ნაწნავი. *დალალები ამშვენებდა.*

**დალანძღვა** *დალანძღვის* (დალანძღავს, დაულანძღავს, დაილანძღება) ბევრის გალანძღვა. *მე ზობლები დალანძღა.* ■ **დალანძღული** ვინც დალანძღეს. *დალანძღული ქალები.*

**დალაპარაკება** *დალაპარაკების* (დაალაპარაკებს, დაილაპარაკებს, დაელაპარაკება) ლაპარაკის დაწყება, რაიმეს თქმა. *მეგობარს დაელაპარაკა. ტელეფონით დაელაპარაკნენ. ინგლისურად დაილაპარაკა. მეც დამალაპარაკე.*

**დალაქავება** *დალაქავების* (დაალაქავებს, დაილაქავებს, დალაქავდება, დაულაქავდება) გაჭუჭყიანება, ლაქების დატყობა. *კაბა დაალაქავა. სუფრა დალაქავდა.* ■ **დალაქავებული** რაც დალაქავდა. *დალაქავებული ხალათი.*

**დალაშქრა** *დალაშქრის* (დალაშქრავს, დაილაშქრება) 1. გადატ. მთაზე, მწვერვალზე ასასვლელად ჯგუფურად წასვლა, სიმაღლის დაპყრობა. *მოსწავლეებმა მთა დალაშქრეს.* 2. სამხედრო თავდასხმა, შეტევა. *მეზობელი სახელმწიფო დალაშქრა.* ■ **დალაშქრული** რაც დალაშქრეს. *დალაშქრული მწვერვალი.*

**დალახვრა** *დალახვრის* (დალახვრავს, დაილახვრება) ლახვრით დაჭრა, გაპობა. *მოწინააღმდეგე დალახვრა.* ⊙ **ეშმაკმა დალახვროს!** მეტისმეტი უკმაყოფილების, აღშფოთების გამომხატველი წამოძახილი.

**დალბობა** *დალბობის* (დაალბობს, დაილბობს, დაულბობს, დალბება, დაულბება) სითხით გაჟღენთის შედეგად დარბილება. *პური დაალბო. წვიმამ მინა დაალბო.*

**დალევა**[1] *დალევის* (დალევს, დაულევს, დაილევა, დაალევინებს) სითხის მიღება. *ღვინის დალევა. არაყი დალიეს. ყავა დამალევინა.*

**დალევა**[2] *დალევის* (დალევს, დაულევს, დაილევა, დაელევა) 1. გათავება, დახარჯვა. *ქონება დაელია. მის ზე ზები არ დაელევა. საყვედურებს არ დაულევს.* 2. გადატ. დაპატარავება, დაჩიავება. *ქალი დარდისგან დაილია.*

**დალევინება** *დალევინების* (დაალევინებს) დალევაში მიხმარება ან იძულება, რომ დალიოს. *წყალი დაალევინა. წამალი დაალევინეს.*

**დალექვა** *დალექვის* (დალექავს, დაილექება) ძირზე,

ფსკერზე ნალექის ან გაუხსნელი მინარევების ფენად დადება. *მარილების დალექვა. ქვიშა დაილექა.* ■ **დალექილი** რაც დაილექა. *დალექილი სილა.*

**დალეწვა** *დალეწვის* (დალეწავს, დაილეწავს, დაულეწავს, დაილეწება, დაალეწვინებს) ერთიანად დამსხვრევა, დამტვრევა. *ბავშვმა სათამაშოები დალეწა. ჭურჭელი დაილეწა.* ■ **დალეწილი** რაც დალეწეს ან დაილეწა. *დალეწილი მანქანა.*

**დალიანდაგება** *დალიანდაგების* (დაალიანდაგებს) საბანზე, ლეიბსა და მისთ. ლიანდაგის (2) გავლება. *საბანი დაალიანდაგეს.* ■ **დალიანდაგებული** რაც დაალიანდაგეს. *დალიანდაგებული ქურთუკი.*

**დალილავება** *დალილავების* (დაალილავებს, დაულილავებს, დაულილავდება) ცემით დალურჯება. *სახე დაულილავა.* ■ **დალილავებული** რაც ან ვინც დაალილავეს. *დალილავებული მკლავები.*

**დალოდება** *დალოდების* (დაელოდება) ვინმეს ან რაიმეს ლოდინი, დაცდა. *ცოტა ხანს დაელოდა. მატარებელს დაელოდებიან. დამელოდე, მეც წამოვალ.*

**დალოშნა** *დალოშნის* (დალოშნის, დაულოშნის) უხეში კოცნა. *ბავშვი დალოშნა. მთვრალმა ხელები დაულოშნა.*

**დალოცვა** *დალოცვის* (დალოცავს, დაულოცავს, დაილოცება, დაელოცება, დაალოცვინებს) 1. სიკეთის, ბედნიერებისა და მისთ. სურვება. *ოჯახის დალოცვა. გზა დაულოცეს. შვილები დაულოცა.* 2. ღვთის მსახურის მიერ ლოცვის წარმოთქმა ღმერთისთვის ვინმეს შესაევედრებლად. *პატრიარქმა მრევლი დალოცა. მღვდელმა ბავშვები დალოცა.*

**დალოცვილი** *დალოცვილის* 1. ვინც დალოცეს. *დალოცვილი ბავშვები.* 2. საუკეთესო, გამორჩეული, მშვენიერი. *დალოცვილი მხარე.* ▲ **დალოცვილო** სასაყვედურო მიმართვის ფორმა საყვედურის თქმისას. *სად იყავი აქამდე, შე დალოცვილო! დალოცვილო, აქამდე გეთქვა!*

**დალპობა** *დალპობის* (დაალპობს, დაულპობს, დალპება, დაულპება) გახრწნა, გაფუჭება. *ვაშლი დალპა. ხეს ფესვები დაულპა.*

**დალურსმვა** *დალურსმვის* (დალურსმავს) ლურსმნით დამაგრება, დაჭედება. *ყუთები დალურსმეს.* ■ **დალურსმული** რაც დალურსმეს. *დალურსმული სკამები.*

**დალურჯება** *დალურჯების* (დაალურჯებს, დაილურჯებს, დაულურჯებს, დალურჯდება, დაულურჯდება) დარტყმის, ცემის, ჩქმეტისა და მისთ. შედეგად კანზე ლურჯი ლაქების გაჩენა. *სახე დაულურჯა. თითი დაულურჯდა.* ■ **დალურჯებული** რაც დაულურჯდათ. *დალურჯებული ხელი.*

**დალუქვა** *დალუქვის* (დალუქავს, დაულუქავს, დაილუქება, დაალუქვინებს) ლუქის დადება რაიმეზე მისი გამოყენების აკრძალვის ან დროებით შეჩერების მიზნით. *საარჩევნო ყუთები დალუქეს. მაღაზია დალუქეს. პოლიციამ საწყობი დალუქა.* ■ **დალუქული** რაც დალუქეს. *დალუქული კონვერტი.*

**დალხენილი** *დალხენილის* ბედნიერი, გახარებული, უზრუნველი. *დალხენილი ცხოვრება.*

**დამაგვირგვინებელი** *დამაგვირგვინებლის* საბოლოო, დამამთავრებელი. *შემოქმედების დამაგვირგვინებელი ეტაპი.*

**დამაგრება** *დამაგრების* (დაამაგრებს, დაიმაგრებს, დაუმაგრებს, დამაგრდება, დაუმაგრდება) მჭიდროდ, მყარად დაკავშირება, მიბმა, მიკერება. *კედელზე თარო დაამაგრა. შარვალზე ღილი დაუმაგრა.* ■ **დამაგრებული** რაც დაამაგრეს. *ხომალდზე დამაგრებული ანძა.*

**დამადლება** *დამადლების* (დაამადლებს) ვინმესთვის გაკეთებული სიკეთის, გაწეული დახმარების დაყვედრება. *დამადლება იცის. ამაგი დაამადლა.* ■ **დამადლებული** რაც დაამადლეს. *დამადლებული ლუკმა.*

**დამაიმედებელი** *დამაიმედებლის* იმედის მომცემი. *დამაიმედებელი პასუხი.*

**დამაკება** *დამაკების* (დაამაკებს, დამაკდება, დაუმაკდება) ცხოველის მაკედ ქცევა. *მოზვერმა ძროხა დაამაკა. ცხვარი დამაკდა.* ■ **დამაკებული** რაც დამაკდა. *დამაკებული საქონელი.*

**დამაკმაყოფილებელი** *დამაკმაყოფილებლის* რაც აუცილებელ მოთხოვნილებას აკმაყოფილებს, საკმაოდ კარგი. *დამაკმაყოფილებელი პასუხი. დამაკმაყოფილებელი პირობები.*

**დამალვა** *დამალვის* (დამალავს, დაიმალავს, დაუმალავს, დაიმალება, დაემალება, დაამალვინებს) 1. რაიმეს შენახვა ან ვინმეს შეყვანა (შესვლა) ისეთ ადგილას, რომ ვერ მიაგნონ. *ნაქურდალი დამალა. ბავშვი დაიმალა. ბიჭი ამხანაგებს დაემალა.* 2. საიდუმლოდ შენახვა, არგამხელა. *თავისი ვინაობა დამალა. ეს ამბავი ყველას დაუმალა.* ■ **დამალული** ვინც, რაც დამალეს ან დაიმალა. *დამალული ნივთები.*

**დამალობანა** *დამალობანას* საბავშვო თამაშობა, რომლის დროსაც ერთი ბავშვი იხუჭება, ხოლო დანარჩენები იმალებიან, შემდეგ თვალდახუჭული თვალს გაახელს და დანარჩენებს ეძებს. *დამალობანას ვთამაშობთ.*

**დამამცირებელი** *დამამცირებლის* რაც შეურაცხყოფს, დაამცირებს. *დამამცირებელი სიტყვები.*

**დამანგრეველი** *დამანგრეველის* ნგრევის გამომწვევი. *დამანგრეველი სტიქიური მოვლენები.*

**დამანჭვა** *დამანჭვის* (დამანჭავს, დაიმანჭება, დაემანჭება) სახის, ტუჩების უშნოდ, ულაზათოდ მობრეცა. *მაიმუნი დაიმანჭა. სახე დაემანჭა.* ■ **დამანჭული** რაც ან ვინც დაიმანჭა. *დამანჭული გოგო.*

**დამართება** *დამართების* (დამართებს, დაემართა) ცუდი, უსიამოვნო რამის მოწევა, შემთხვევა. *ბევრი უბედურება დამართეს. გრიპი დაემართა. სამარცხვინო საქმე დაემართათ.*

**დამარილება** *დამარილების* (დაამარილებს, დაიმარილებს, დაუმარილებს, დამარილდება) პროდუქტისთვის მარილის დაყრა შესანახად. *ხორცი დაამარილეს.* ■ **დამარილებული** რაც დაამარილეს. *დამარილებული თევზი.*

**დამარტოხელება** *დამარტოხელების* (დაიმარტოხელებს) ვინმეს მარტო მოხელთება, გამოჭერა. *მეგობარი დაიმარტოხელა. გოგონები დაიმარტოხელეს.*

**დამარცვლა** *დამარცვლის* (დამარცვლავს, დაიმარცვლება) 1. მარცვლების გამოცლა, გამოშორება. *ლობიო დამარცვლა.* 2. სიტყვების მარცვლებად დანაწევრება. *ლექსი დამარცვლით წაიკითხა. სიტყვა დამარცვლა.* ■ **დამარცვლული** რაც დამარცვლეს. *დამარცვლული ყურძენი.*

**დამარცხება** *დამარცხების* (დაამარცხებს, დაუმარცხებს, დამარცხდება) 1. მოწინააღმდეგის ძლევა. *მოჭადრაკემ ყველა დაამარცხა.* 2. მარცხის განცდა. *ბრძოლის ველზე დამარცხდა.* ■ **დამარცხებული** ვინც დამარცხდა. *დამარცხებული ჯარი.*

**დამარხვა** *დამარხვის* (დამარხავს, დაიმარხავს, დაუმარხავს, დაიმარხება, დაამარხვინებს) მიწაში ჩაფვლა, მიწით დაფარვა. *მიცვალებული დამარხეს. განძი დამარხა.* ■ **დამარხული** რაც დამარხეს. *დამარხული ქალაქი.*

**დამარხვება** *დამარხვების* (დამარხვდება, დაუმარხვდება) მარხვის პერიოდის დაწყება. *ნოემბრის ბოლოს დამარხვდა.*

**დამატება** *დამატების* (დაამატებს, დაიმატებს, დაუმატებს, დაემატება, დაამატებინებს) არსებულის შევსება ახლის დადებით, დასხმით, მოტანით, მოყვანითა და მისთ. *ფული დაამატეს. ცომს ფქვილი დაუმატა. ღვინო დაამატა. ახალი მოსწავლე დაემატათ.* ■ **დამატებული** რაც დაამატეს. *დამატებული საჭმელი.*

**დამატებით** ზმნზ. ნორმაზე, განსაზღვრულზე მეტად, ზედმეტად. *დამატებით ამეცადინებს. დამატებით მუშაობს.*

**დამატებითი** *დამატებითის* რასაც დამატებით აკეთებენ. *დამატებითი გაკვეთილები.*

**დამაფიქრებელი** *დამაფიქრებლის* რაც დაფიქრების საფუძველს იძლევა. *დამაფიქრებელი გარემოება. ყველაფერი ეს დამაფიქრებელია.*

**დამაქცევარი** *დამაქცევრის* მავნებელი, დამღუპველი, დამქცევი. *ქვეყნის დამაქცევარი.*

**დამაშვრალი** *დამაშვრალის* ძვ. დაღლილი. *ცხოვრებისგან დამაშვრალი კაცი.*

**დამაჭრება** *დამაჭრების* (დაამაჭრებს, დამაჭრდება, დაუმაჭრდება) ყურძნის წვნის დადუღება, მაჭრად ქცევა. *ტკბილი დამაჭრდა.*

**დამახასიათებელი** *დამახასიათებლის* რაც ვინმეს ახასიათებს, ვინმეს თვისებას წარმოადგენს. *დამახასიათებელი მოძრაობა. დამახასიათებელი მეტყველება.*

**დამახინჯება** *დამახინჯების* (დაამახინჯებს, დაიმახინჯებს, დაუმახინჯებს, დამახინჯდება, დაუმახინჯდება) 1. მახინჯი სახის მიღება, მახინჯად ქცევა. *შენობები დაამახინჯეს. ქალი დამახინჯდა. ქალაქი დამახინჯდა.* 2. აზრის, ნათქვამისა და მისთ. არასწორად, მცდარად წარმოდგენა, გამოხატვა. *შინაარსი დამახინჯდა.* ■ **დამახინჯებული** ვინც ან რაც დამახინჯდა. *დამახინჯებული ფაქტები.*

**დამახსოვრება** *დამახსოვრების* (დაიმახსოვრებს, დაამახსოვრდება) მეხსიერებაში აღბეჭდვა, შენახვა. *ლექსის დამახსოვრება. მისამართი დაიმახსოვრა.* ■ **დამახსოვრებული** რაც დაიმახსოვრეს. *დამახსოვრებული ამბავი.*

**დამაჯერებელი** *დამაჯერებლის* რასაც დარწმუნების ძალა აქვს, დამაჯერებლობა ახასიათებს. *დამაჯერებელი საუბარი.*

**დამაჯერებლობა** *დამაჯერებლობის* სარწმუნოობა; რაიმეში სხვისი დარწმუნების უნარი. *დამაჯერებლობა აკლია.*

**დამბალი** *დამბალის* რაც დალბა. *დამბალი ქერი.*

**დამბაჩა** *დამბაჩის* 1. ცეცხლსასროლი იარაღი, გამოიყენება მოკლე მანძილზე სასროლად. *კაჟიანი დამბაჩა. ძველებური დამბაჩა.* 2. იგივეა, რაც პისტოლეტი. ■ **დამბაჩიანი** დამბაჩით შეიარაღებული. *დამბაჩიანი მეკობრე.*

**დამბლა** *დამბლის* დაავადება, როდესაც მთელი სხეული ან რომელიმე ორგანო კარგავს მოქმედების უნარს. *ფეხების დამბლა.* ◎ **დამბლა დაეცემა** ტვინში სისხლი ჩაექცევა.

**დამდაბლება** *დამდაბლების* (დაამდაბლებს, დაიმდაბლებს, დამდაბლდება) დამცირება, დაკნინება, ღირსების შელახვა. *სკოლის როლი დაამდაბლეს. მეგობრების თვალში დამდაბლდა.*

**დამდეგი** *დამდეგის* დროის რომელიმე მონაკვეთის – წლის, თვის, კვირის, დღისა და მისთ. დასაწყისი პერიოდი. *შემოდგომის დამდეგი. წლის დამდეგი. აპრილის დამდეგი იყო.*

**დამდნარი** *დამდნარის* რაც დადნა. *დამდნარი ნაყინი.*

**დამდურება** *დამდურების* (დაამდურებს, დაიმდურებს, დაემდურება) ვინმეზე განაწყენება, გაბუტვა. *შვილს დაემდურა. მეგობარი დაემდურა.* ■ **დამდურებული** ვინც დაემდურა. *მე ზობელი დამდურებული ჰყავს.*

**დამდუღრება** *დამდუღრების* (დამდუღრავს, დაიმდუღრავს, დაუმდუღრავს, დაიმდუღრება, დაემდუღრება) 1. ჭურჭლის, ხელსაწყოს, პროდუქტისა და მისთ.

თერმული დამუშავება მდუღარე წყლის გამოვლებით. *ჭიქები დამდუღრა.* 2. მდუღარეს დასხმით კანის ძლიერი დაწვა. *ხელები დაემდუღრა.* ■ **დამდუღრული** რაც დამდუღრეს ან დაიმდუღრა. *დამდუღრული ქილა.*

**დამეგობრება** *დამეგობრების* (დაამეგობრებს, დაიმეგობრებს, დაუმეგობრებს, დამეგობრდება, დაუმეგობრდება) მეგობრად გახდომა. *ბიჭები დამეგობრდნენ. მე ზობელს დაუმეგობრდა.* ■ **დამეგობრებული** ვინც დამეგობრდა. *დამეგობრებული ბავშვები.*

**დამესიჯება** *დამესიჯების* (დაუმესიჯებს) საუბრ. მესიჯის გაგზავნა. *მეგობარს დაუმესიჯა.*

**დამზადება** *დამზადების* (დაამზადებს, დაიმზადებს, დაუმზადებს, დამზადდება, დაუმზადდება, დაამზადებინებს) პროდუქციის შექმნა. *ავტომობილების დამზადება. წამლები დაამზადეს.* ■ **დამზადებული** რაც დაამზადეს. *დამზადებული მოდელი.*

**დამზრალი** *დამზრალის* რაც დაზრა, სიცივისგან დაზიანებული. *დამზრალი თითები.*

**დამზღვევი** *დამზღვევის* ვინც დაეზღვია. *დამზღვევის უფლებები.*

**დამთავრება** *დამთავრების* (დაამთავრებს, დაუმთავრებს, დამთავრდება, დაუმთავრდება, დაამთავრებინებს) საქმის ბოლომდე მიყვანა, გარკვეული პროცესის ან დროის სრულად გასვლა. *მუშაობა დაამთავრა. უნივერსიტეტი დაამთავრა. საბუთების მილება დამთავრდა. სეზონი დამთავრდა.*

**დამთბარი** *დამთბარის* რაც დაათბეს ან დათბა. *დამთბარი ოთახი.*

**დამთმობი** *დამთმობის* ვინც ადვილად თმობს, ვისი დათანხმებაც ადვილად შეიძლება, დამყოლი. *მეგობრებთან დამთბობი იყო.*

**დამთქნარება** *დამთქნარების* (დაამთქნარებს) უნებურად პირის ფართოდ გაღება და ჰაერის ღრმად, ხანგრძლივად ჩასუნთქვა. *ნამძინარევმა ბიჭმა დაამთქნარა.*

**დამთხვევა** *დამთხვევის* (დაამთხვევს, დაემთხვევა) 1. ორ ან მეტ საგანს, მოვლენასა და მისთ. შორის მსგავსების ან იგივეობის აღმოჩენა. *ციფრები დაემთხვა. ინტერესები ერთმანეთს დაემთხვა. შედეგები პროგნოზს დაემთხვა.* 2. ორი ან მეტი საქმიანობის, ღონისძიებისა და მისთ. შესასრულებლად დათქმული დროის ერთმანეთთან თანხვედრა. *ქორნილი საეკლესიო დღესასწაულს დაემთხვა.*

**დამთხვეული** *დამთხვეულის* 1. რაც დაემთხვა. *დამთხვეული თარიღი.* 2. საუბრ. უცნაური, გიჟი, გადარეული. *დამთხვეული კაცი. დამთხვეულივით გამოვარდა.*

**დამიზნება** *დამიზნების* (დაიმიზნებს, დაუმიზნებს, დაუმიზნება) მიზანში (2) ამოღება. *იარაღი დაუმიზნა. ბურთი კარს დაუმიზნა.* ■ **დამიზნებული** რაც დაუმიზნეს. *დამიზნებული თოფი.*

**დამიწება** *დამიწების* (დაამიწებს, დამიწდება) სადენების მიერთება მიწასთან ან დენგაუმტარ მასალასთან უსაფრთხოების მიზნით. *ელექტროპარატურის დამიწება. კაბელი დაამიწეს.* ■ **დამიწებული** რაც დაამიწეს. *დამიწებული სადენები.*

**დამკვეთი** *დამკვეთის* შეკვეთის მიმცემი. *დამკვეთი ფირმა.*

**დამკვიდრება** *დამკვიდრების* (დაამკვიდრებს, დაიმკვიდრებს, დაუმკვიდრებს, დამკვიდრდება, დაუმკვიდრდება) 1. მოპოვება, დანერგვა, განმტკიცება. *ღირსეული ადგილი დაიმკვიდრა. წესად დამკვიდრდა. ახალი მოდა დაამკვიდრეს.* 2. საფუძვლიანად დასახლება, ფეხის მოკიდება. *ქალაქში დამკვიდრდა. მთაში დამკვიდრდნენ.* ■ **დამკვიდრებული** რაც ან ვინც დამკვიდრდა. *დამკვიდრებული ტრადიციები.*

**დამკვირვებელი** *დამკვირვებლის* პირი, რომელიც აკვირდება რაიმე პროცესს, ოფიციალურ ღონისძიებას. *არჩევნების საერთაშორისო დამკვირვებლები. დამკვირვებლის სტატუსი.*

**დამკრძალავი** *დამკრძალავის* დაკრძალვის პროცესის ხელშემწყობი, ორგანიზატორი. *დამკრძალავი ბიურო.*

**დამლაგებელი** *დამლაგებლის* პირი, რომელსაც თანამდებობრივად ევალება სახლის, ოთახის, დაწესებულების დასუფთავება, დალაგება. *დამლაგებელი შემოვიდა.*

**დამლაშება** *დამლაშების* (დაამლაშებს, დაიმლაშებს, დაუმლაშებს, დამლაშდება, დაუმლაშდება) ზედმეტი მარილის ჩაყრა, მლაშედ ქცევა. *კერძი დაუმლაშდა.* ■ **დამლაშებული** რაც დამლაშდა. *დამლაშებული წვნიანი.*

**დამნაშავე** *დამნაშავის* ვინც დანაშაული ჩაიდინა. *დამნაშავე დაისაჯა.*

**დამოკიდებული** *დამოკიდებულის* ვინც ან რაც თავისუფალი არ არის, სხვაზე დაქვემდებარებული. *მშობლებზე არის დამოკიდებული.*

**დამოკლება** *დამოკლების* (დაამოკლებს, დაიმოკლებს, დაუმოკლებს, დამოკლდება, დაუმოკლდება) სიგრძის შემცირება, მოკლედ ქცევა. *კაბა დაამოკლა. თმა დაიმოკლა. ფეხი დაუმოკლდა.* ■ **დამოკლებული** რაც დამოკლდა. *დამოკლებული შარვალი.*

**დამონება** *დამონების* (დაამონებს, დაიმონებს, დაუმონებს, დაემონება) თავისუფლების წართმევა, უსიტყვო მორჩილების იძულება, მონად ქცევა. *ხალხის დამონება. ცოლი დაიმონა. ქვეყანა დაიმონეს.* ■ **დამონებული** ვინც ან რაც დაიმონეს ან რასაც დაემონნენ. *დამონებული ტყვეები.*

**დამონტაჟება** *დამონტაჟების* (დაამონტაჟებს, დაუმონტაჟებს, დამონტაჟდება) მონტაჟის გაკეთება. *ფილმის დამონტაჟება. გადაცემა დაამონტაჟეს. სარეცხი მანქანა დაამონტაჟეს.* ■ **დამონტაჟებული** რაც დაამონტაჟეს. *დამონტაჟებული აპარატი.*

**დამორჩილება** *დამორჩილების* (დაიმორჩილებს, დაუმორჩილებს, დაემორჩილება, დამორჩილდება) 1. ვინმეს ან რაიმეს გავლენის ქვეშ მოქცევა, დაქვემდებარება, დანებება. *ქალაქი ძალით დაიმორჩილეს. მტერს არ დამორჩილდა. ბრძანებას დაემორჩილა.* 2. დაჯერება, დათმობა, შეგუება. *მშობლებს დაემორჩილა. ბედს დამორჩილდა.* ■ **დამორჩილებული** ვინც ან რაც დაემორჩილა. *დამორჩილებული ჯარი.*

**დამორცხვება** *დამორცხვების* (დაიმორცხვებს) მორიდებით მოქცევა, სიმორცხვის გამოჩენა. *გოგონამ სტუმრებთან დაიმორცხვა.*

**დამოუკიდებელი** *დამოუკიდებლის* ვინც ან რაც სხვაზე დამოკიდებული არ არის, თავისუფალი. *დამოუკიდებელი სახელმწიფო. დამოუკიდებელი მეწარმე.*

**დამოუკიდებლად** ზმნზ. თვითონ, სხვის გარეშე. *დამოუკიდებლად გადაწყვიტა.*

**დამოუკიდებლობა** *დამოუკიდებლობის* თავისუფლება, ვინმეზე დამოკიდებულებისგან განთავისუფლება. *დამოუკიდებლობის ფასი. დამოუკიდებლობა მოიპოვა.*

**დამოყვრება** *დამოყვრების* (დაამოყვრებს, დაიმოყვრებს, დაემოყვრება, დამოყვრდება, დაუმოყვრდება) მოყვრად გახდომა, დანათესავება. *მე ზობლები დამოყვრდნენ. ცნობილ ოჯახს დაუმოყვრდა.*

**დამოწმება** *დამოწმების* (დაამოწმებს, დაიმოწმებს, დაუმოწმებს, დაემოწმება, დაამოწმებინებს) სიმართლის, სისწორის დამტკიცება, დადასტურება. *მეგობარს დაემოწმა. მაგალითი დაიმოწმა. ნოტარიუსმა დოკუმენტი დაუმოწმა.* ■ **დამოწმებული** რაც დაამოწმეს ან დაიმოწმეს. *დამოწმებული ასლები.*

**დამპალი** *დამპლის* რაც დალპა. *დამპალი ხილი.*

**დამპყრობი** *დამპყრობის* ვინც იპყრობს, ძალით იმორჩილებს. *დამპყრობი ქვეყანა.*

**დამუავება** *დამუავების* (დაამუავებს, დაუმუავებს, დამუავდება, დაუმუავდება) 1. მწნილად ჩადება. *კიტრი დაამუავა.* 2. საკვების გაფუჭება, მუავე გემოს მიღება. *ლობიო დამუავდა.* ■ **დამუავებული** რაც დაამუავეს ან დამუავდა. *დამუავებული კომბოსტო.*

**დამრგვალება** *დამრგვალების* (დაამრგვალებს, დაუმრგვალებს, დამრგვალდება, დაუმრგვალდება) მრგვალი ფორმის მიღება, მიცემა. *ცომი დაამრგვალა. სახე დაუმრგვალდა.* ■ **დამრგვალებული** რაც ან ვინც დამრგვალდა. *ბურთივით დამრგვალებული კაცი.*

**დამრეცი** *დამრეცის* დახრილი, დაქანებული (რელიეფი, ზედაპირი). *დამრეცი ფერდობი. მთის დამრეცი კალთა. დამრეცი სიბრტყე.*

**დამრიგებელი** *დამრიგებლის* 1. რჩევის მიმცემი. *ბევრი დამრიგებელი ჰყავს.* 2. სკოლის პედაგოგი, რომელიც ერთი კლასის სასწავლო პროცესს ხელმძღვანელობს, წარმართავს. *დამრიგებელს დაეთხოვა.*

**დამსახურება** *დამსახურების* (დაიმსახურებს) 1. კუთვნილი პატივისცემის, შეფასების, საზოგადოების დამოკიდებულებისა და მისთ. მიღება, მოპოვება. *ხალხის სიყვარული დაიმსახურა. პრემია დაიმსახურა. ჯარიმა დაიმსახურა.* 2. ღვაწლი, ამაგი. *სამშობლოს წინაშე დამსახურება. გამარჯვება მეკარის დამსახურება იყო.*

**დამსახურებული** *დამსახურებულის* 1. ვისაც დიდი ღვაწლი, დამსახურება მიუძღვის ამა თუ იმ სფეროში. *დამსახურებული არტისტი. დამსახურებული მასწავლებელი. დამსახურებული ოსტატი. დამსახურებული პენსიონერი.* 2. რაც დაიმსახურეს. *დამსახურებული პატივისცემა. დამსახურებული სასჯელი.*

**დამსგავსება** *დამსგავსების* (დაამსგავსებს, დაიმსგავსებს, დაემსგავსება) ვინმეს ან რაიმეს მსგავსად ქცევა. *მამას დაემსგავსა. ქალაქი ბაღს დაამსგავსეს. ცოლ-ქმარი ერთმანეთს დაემსგავსა.*

**დამსვენებელი** *დამსვენებლის* საკურორტო ადგილას მყოფი პირი, ვინც ისვენებს. *სანატორიუმის დამსვენებლები.*

**დამსკდარი** *დამსკდარის* რაც დასკდა. *დამსკდარი ჭერი.*

**დამსწრე** *დამსწრის* ვინც რაიმე ღონისძიებას, შეკრებასა და მისთ. ესწრება. *დამსწრე საზოგადოება.*

**დამსხვრევა** *დამსხვრევის* (დაამსხვრევს, დაუმსხვრევს, დაიმსხვრევა, დაემსხვრევა) 1. დარტყმით ნაწილებად დამტვრევა. *კომპიუტერი დაამსხვრია. ჭიქა დაიმსხვრა.* 2. გადატ. აზრის, შეხედულების, გრძნობისა და მისთ. ერთიანად უარყოფა, განადგურება. *ტრადიციები დაამსხვრიეს. იმედები დაემსხვრა.* ■ **დამსხვრეული** რაც ან ვინც დაიმსხვრა. *დამსხვრეული მინა.*

**დამტანჯველი** *დამტანჯველის* ტანჯვის გამომწვევი. *დამტანჯველი გრძნობა. დამტანჯველი ფიქრები.*

**დამტვერვა** *დამტვერვის* (დაიმტვერება) 1. მტვრით დაფარვა. *ფარდები დაიმტვერა. არქივში საბუთები დაიმტვერა.* 2. მცენარის სათესლე ყვავილის განაყოფიერება სხვა ყვავილის მტვრით. *ყვავილების დამტვერვა.* ■ **დამტვერილი** რაც დაიმტვერა. *დამტვერილი თაროები.*

**დამტვერიანება** *დამტვერიანების* (დამტვერიანდება) იგივეა, რაც დამტვერვა (2). *ყვავილების დამტვერიანება.*

**დამტვრევა** *დამტვრევის* (დაამტვრევს, დაიმტვრევს, დაუმტვრევს, დაიმტვრევა, დაემტვრევა) ნაწილებად დატეხვა. *კაკლის დამტვრევა. ჭურჭელი დაამტვრია. სკამი დაამტვრიეს.*

**დამტვრეული** *დამტვრეულის* 1. რაც დაამტვრიეს ან დაიმტვრა. *დამტვრეული აივენი.* 2. გადატ. გაუმართავი (უცხოური). *დამტვრეული ინგლისურით ლაპარაკობს.*

**დამტკბარი** *დამტკბარის* 1. რაც დაატკბეს (1). *დამტკბარი ჩაი.* 2. ვინც დატკბა (2). *სილამაზით დამტკბარი.*

**დამტკიცება** *დამტკიცების* (დაამტკიცებს, დაიმტკიცებს, დაუმტკიცებს, დამტკიცდება, დაუმტკიცდება) 1. სიმართლის, სისწორის დასაბუთება. *თეორემის დამტკიცება. უდანაშაულობა დაამტკიცა. ერთგულება დაუმტკიცა.* 2. ოფიციალურად მიღება, ნებადართულად გამოცხადება. *ბიუჯეტის დამტკიცება. კანონპროექტი დაამტკიცეს.* ■ **დამტკიცებული** რაც ან ვინც დაამტკიცეს. *დამტკიცებული პროექტი.*

**დამუნათება** *დამუნათების* (დაამუნათებს, დამუნათდება) საუბრ. დამადლება, დაყვედრება. *მშობლებმა დაამუნათეს. ცოლი დაამუნათა.*

**დამუნჯება** *დამუნჯების* (დაამუნჯებს, დაუმუნჯებს, დამუნჯდება, დაუმუნჯდება) მეტყველების უნარის დაკარგვა. *ბავშვი დამუნჯდა. შიშისგან დამუნჯდა. სიხარულმა დაამუნჯა.* ■ **დამუნჯებული** ვინც დამუნჯდა. *დამუნჯებული ქალი.*

**დამუქრება** *დამუქრების* (დაიმუქრება, დაემუქრება) 1. მუქარის თქმა, მუქარით მიმართვა. *ცოლს დაემუქრა. იარაღით დაემუქრა.* 2. მოსალოდნელი ხიფათის, საშიშროების გაჩენა. *ოჯახს საფრთხე დაემუქრა. ხალხს უმუშევრობა დაემუქრა.*

**დამულამება** *დამულამების* (დაამულამებს) 1. ჟარგ. რაიმეს კარგად ათვისება, სიამოვნების მიღება. *თევზაობა დაამულამა.* ■ **დამულამებული** ათვისებული, რასაც მუღამი აქვს. *კარგად მაქვს დამულამებული.*

**დამუშავება** *დამუშავების* (დაამუშავებს, დაუმუშავებს, დამუშავდება) 1. მასალაზე, ნედლეულსა და მისთ. პირველადი სამუშაოს შესრულება, სხვა სამუშაოსათვის მომზადება. *მიწა დაამუშავეს. ჭრილობა დაუმუშავა. ექიმმა კბილი დაუმუშავა.* 2. საუბრ. საჯაროდ გაკიცხვა, გაკრიტიკება. *კრებაზე დაამუშავეს.* ■ **დამუშავებული** რაც დაამუშავეს. *დამუშავებული ყანა.*

**დამუწუკება** *დამუწუკების* (დამუწუკდება, დაუმუწუკდება) მუწუკად ქცევა, მუწუკების გამოსვლა. *სახე დაუმუწუკდა. კანი დაუმუწუკდა.* ■ **დამუწუკებული** რაც დაუმუწუკდათ. *დამუწუკებული ხელი.*

**დამუხრუჭება** *დამუხრუჭების* (დაამუხრუჭებს, დამუხრუჭდება) 1. ტრანსპორტის მუხრუჭით შეჩერება. *მძღოლმა დაამუხრუჭა. შუქნიშანზე დაამუხრუჭა. ავტომობილი დამუხრუჭდა.* 2. გადატ. რაიმე პროცესის შეფერხება ან შეჩერება. *აზროვნების დამუხრუჭება. სამუშაო დამუხრუჭდა.* ■ **დამუხრუჭებული** რაც დაამუხრუჭეს ან დამუხრუჭდა. *დამუხრუჭებული მანქანა.*

**დამუხტვა** *დამუხტვის* (დამუხტავს, დაიმუხტება, დაემუხტება) 1. ელექტრული მუხტების დაგროვება, გადაცემა. *ბატარეის დამუხტვა. აკუმულატორი დამუხტეს. თმა დაემუხტა.* 2. საუბრ. გადატ. ენერგიის, ძალის მომატება. *ემოციებით დაიმუხტა.* ■ **დამუხტული** რაც დაიმუხტა. *დამუხტული ნაწილაკები.*

**დამფრთხალი** *დამფრთხალის* ვინც ან რაც დაფრთხა, შეშინებული, დაფეთებული. *დამფრთხალი მტრედები.*

**დამფუძნებელი** *დამფუძნებლის* დამაარსებელი, საფუძვლის ჩამყრელი. *პარტიის დამფუძნებელი. ორგანიზაციის დამფუძნებლები.*

**დამქანცველი** *დამქანცველის* რაც ქანცავს, ძალიან დამღლელი. *დამქანცველი საქმე.*

**დამქაში** *დამქაშის* ცუდ საქმეში ამყოლი, თანამოაზრე. *დამქაშების თანხლებით.*

**დამქირავებელი** *დამქირავებლის* ვისაც ქირით აქვს აღებული რაიმე ან აყვანილი ჰყავს ვინმე. *საწარმოს დამქირავებელი.*

**დამქცევი** *დამქცევის* 1. ვინც დააქცია. *ღვინის დამქცევი.* 2. დამანგრეველი, დამღუპველი. *ოჯახის დამქცევი.*

**დამღა** *დამღის* 1. ცხოველის სხეულის რომელიმე ნაწილზე (ყურზე, მხარზე, ბარკალზე) გახურებული შანთით ამომწვარი ნიშანი. *ცხენს დამღა დაასვეს.* 2. ხარისხის, სადაურობის ან მწარმოებლის აღმნიშვნელი რაიმე ნიშანი. *ფაბერჟეს დამღა. კუზნეცოვის დამღა.* ■ **დამღიანი** დამღის მქონე. *დამღიანი ჭურჭელი.*

**დამღერება** *დამღერების* (დაამღერებს) 1. საკრავის ხმაზე სიმღერის აყოლება. *გიტარაზე დაამღერა. ლექსი ფანდურზე დაამღერა.* 3. საუბრ. ფულის დახარჯვა ქეიფსა და დროსტარებაში. *მთელი ხელფასი რესტორანში დაამღერა.*

**დამყარება** *დამყარების* (დაამყარებს, დაემყარება, დამყარდება) 1. გარკვეული მდგომარეობის, ურთიერთობის, წყობილებისა და მისთ. შექმნა, დაკანონება. *წესრიგი დაამყარა. დიქტატურა დამყარდა. კავშირი დაამყარა.* 2. რაიმეს საფუძვლად გახდომა. *ხელისუფლება ძალადობას დაემყარა.* ■ **დამყარებული** რაც დაამყარეს. *სკოლაში დამყარებული წესრიგი.*

**დამყაყება** *დამყაყების* (დაამყაყებს, დამყაყდება) დამდგარი წყლის დალპობა, აშმორება. *გუბე დამყაყდა.*

**დამყაყებული** *დამყაყებულის* 1. რაც დამყაყდა. *დამყაყებული ტბა.* 2. გადატ. დრომოჭმული, მოძველებული. *დამყაყებული ყოფა.*

**დამყნობა** *დამყნობის* (დაამყნობს, დაუმყნობს, დაიმყნობა, დაემყნობა) ერთი მცენარის კალმის (2) ან კვირტის გადანერგვა მეორეზე ჯიშის თვისებების

გასაუმჯობესებლად. *ვაზი დაამყნეს. ვარდები დაამყნო.* ■ **დამყნობილი** რაც დაამყნეს. *დამყნობილი მსხალი.*

**დამყოლი** *დამყოლის* ვისი დაყოლიება, დათანხმება ადვილად შეიძლება. *ძალიან დამყოლი იყო.*

**დამშევა** *დამშევის* (დაამშევს, დაიმშევა, დაემშევა) უსმელ-უჭმელად დიდხანს გაჩერება, დატოვება. *ხალხი დაამშიეს. პირუტყვი დაიმშა.* ■ **დამშეული** ვინც ან რაც დაიმშა. *დამშეული ბავშვები.*

**დამშვენება** *დამშვენების* (დაამშვენებს, დაიმშვენებს, დაუმშვენებს, დამშვენდება, დაუმშვენდება) მშვენების, სილამაზის მომატება. *ქალი დამშვენდა. ქალაქი დაამშვენეს.* ■ **დამშვენებული** ვინც ან რაც დამშვენდა. *აივნებით დამშვენებული სახლი.*

**დამშვიდება** *დამშვიდების* (დაამშვიდებს, დაიმშვიდებს, დაუმშვიდებს, დამშვიდდება, დაუმშვიდდება, დაამშვიდებინებს) 1. სიმშვიდის (2) დაუფლება, დაწყნარება. *ბავშვი დამშვიდდა.* 2. ვინმესთვის იმედის მიცემა, სანუგეშო სიტყვების თქმა. *მოხუცს დამშვიდება დაუწყო. დედამ დაამშვიდა.* ■ **დამშვიდებული** ვინც დამშვიდდა. *დამშვიდებული ქალი.*

**დამშვიდობება** *დამშვიდობების* (დაემშვიდობება) ნასვლის წინ ვინმესთვის კარგად ყოფნის, მშვიდობით დარჩენის სურვება. *მეგობრებს დაემშვიდობა. დამშვიდობებისას მითხრა.*

**დამშრალი** *დამშრალის* რაც დაშრა. *დამშრალი გუბე.*

**დამჩნევა** *დამჩნევის* (დაამჩნევს, დაიმჩნევს, დაემჩნევა) კვალის დატოვება, დატყობა. *ნაიარევი დაემჩნა. ცხოვრებამ დალი დაამჩნია. მუცელი დაემჩნა.* ■ **დამჩნეული** რაც დაამჩნიეს ან დაემჩნა. *სუფრაზე დამჩნეული ლაქები.*

**დამცინავი** *დამცინავის* 1. ვინც ვინმეს დასცინის. *დამცინავი პიროვნება.* 2. დაცინვის გამომხატველი. *დამცინავი გამოხედვა. დამცინავი ღიმილი.*

**დამცირება** *დამცირების* (დაამცირებს, დაიმცირებს, დამცირდება, დაუმცირდება) თავმოყვარეობის, ღირსების შელახვა. *საქვეყნოდ დაამცირეს. მეგობრების წინაშე დაამცირა.* ■ **დამცირებული** ვინც ან რაც დაამცირეს. *დამცირებული თანამშრომელი.*

**დამცხრალი** *დამცხრალის* რაც დაცხრა. *დამცხრალი სიმსივნე.*

**დამძაღება** *დამძაღების* (დაამძაღებს, დამძაღდება, დაუმძაღდება) გაფუჭებულ საკვებზე მძაღე გემოსა და არასასიამოვნო, მკვეთრი სუნის გაჩენა. *კარაქი დამძაღდა. ნიგოზი დაუმძაღდა. ყველი დამძაღდა.* ■ **დამძაღებული** რაც დამძაღდა. *დამძაღებული ზეთი.*

**დამძიმება** *დამძიმების* (დაამძიმებს, დაიმძიმებს, დაუმძიმებს, დამძიმდება, დაუმძიმდება) 1. წონის, სიმძიმის მომატება, მძიმედ ქცევა. *ტვირთი დაუმძიმდა. ჩანთამ დაამძიმა.* 2. გადატ. მდგომარეობის, ვითარებისა და მისთ. გართულება, გამწვავება. *ავადმყოფი დამძიმდა. ბრალდება დაუმძიმდა. სიტუაცია დამძიმდა.* ■ **დამძიმებული** რაც დამძიმდა. *ცოდვებით დამძიმებული.*

**დამწერლობა** *დამწერლობის* ამა თუ იმ ენის ასოთა (1) სისტემა. *დამწერლობის შექმნა. ანბანური დამწერლობა.*

**დამწვარი** *დამწვრის* რაც ან ვინც დაიწვა. *დამწვარი სახლი.*

**დამწვრობა** *დამწვრობის* სხეულის დაზიანება დაწვის შედეგად. *ღრმა დამწვრობა. დამწვრობის მალამო.*

**დამწიფება** *დამწიფების* (დაამწიფებს, დამწიფდება, დაუმწიფდება) სიმწიფეში შესვლა. *ვაშლი დამწიფდა. ყურძენმა დამწიფება დაიწყო.*

**დამწკრივება** *დამწკრივების* (დაამწკრივებს, დამწკრივდება) მწკრივში, ერთ რიგზე დაჯდომა, დადგომა ან დაწყობა. *ბავშვები დამწკრივდნენ. ახალგაზრდები დაამწკრივეს.*

**დამწნილება** *დამწნილების* (დაამწნილებს, დამწნილდება, დაუმწნილდება) ბოსტნეულის მარილიან სითხეში ჩადება დასამჟავებლად, მწნილად ქცევა. *კიტრი დაამწნილა. კომბოსტო დამწნილდა.* ■ **დამწნილებული** რაც დამწნილდა. *დამწნილებული პამიდორი.*

**დამწუხრება** *დამწუხრების* (დაამწუხრებს, დამწუხრდება) მწუხარების, დარდის დაუფლება. *ამ ამბის გამო ძალიან დამწუხრდა. მისმა სიტყვებმა დაამწუხრა.*

**დამწყალობება** *დამწყალობების* (დაამწყალობებს) ხატობებში, დღეობებზე ღვთის მსახურის მიერ შესრულებული რიტუალი, ღვთისთვის, ხატისთვის წყალობის თხოვნა. *დეკანოზმა ლაშქარი დაამწყალობა. პირველად სოფელს დაამწყალობებენ.*

**დამწყდარი** *დამწყდარის* რაც ან ვინც დაწყდა. *დამწყდარი თოკები.*

**დამწყემსვა** *დამწყემსვის* (დამწყემსავს, დაიმწყემსება) 1. საძოვარზე გაშვებული საქონლის, ფრინველის მოვლა-პატრონობა, დაცვა. *ფარა დამწყემსა.* 2. გადატ. ვინმეს მოვლა-პატრონობა, დაცვა. *ერის დამწყემსვა შეძლო.*

**დამწყვდევა** *დამწყვდევის* (დაამწყვდევს, დაიმწყვდევს, დაუმწყვდევს, დაემწყვდევა) ძალით ჩასმა და ჩაკეტვა ისეთ ადგილას, საიდანაც ვეღარ გამოვა. *ციხეში დაამწყვდიეს. ჩიტი გალიაში დაამწყვდია.* ■ **დამწყვდეული** ვინც ან რაც დაამწყვდიეს. *დამწყვდეული ნადირი.*

**დამჭლევება** *დამჭლევების* (დაამჭლევებს, დამჭლევდება) ძალიან გახდომა, მჭლედ ქცევა. *ძროხა დამჭლევდა.* ■ **დამჭლევებული** რაც ან ვინც დამჭლევდა. *დამჭლევებული საქონელი.*

**დამხეცება** *დამხეცების* (დაამხეცებს) ჟარგ. რაიმეს კარგად ათვისება, შესწავლა. *კომპიუტერი დაამხეცა.*

**დამხობა** *დამხობის* (დაამხობს, დაიმხობს, დაიმხობა, დაემხობა) 1. რაიმეზე დაცემა, დავარდნა (ჩვეულებრივ, პირქვე). *საწოლზე დაემხო.* 2. პირქვე დადება, გადაბრუნება. *ჯამი მაგიდაზე დაამხო.* 3. დანგრევა, დაშლა, განადგურება. *ხელისუფლება დაემხო. ყველაფერი თავზე დაემხო.* ■ **დამხობილი** ვინც ან რაც დაემხო ან დაამხეს. *მიწაზე დამხობილი ქალი.*

**დამხრჩვალი** *დამხრჩვალის* ვინც ან რაც დაიხრჩო. *დამხრჩვალი პირუტყვი.*

**დამჯდარი** *დამჯდარის* ვინც დაჯდა. *სკამზე დამჯდარი ბიჭი.*

**დამჯერე** *დამჯერის* ვინც სხვას ადვილად უჯერებს, ნინააღმდეგობას არ უწევს. *დამჯერე ბავშვი.*


დანა

**დანა** *დანის* სხვადასხვა სახისა და დანიშნულების მოგრძო, ბრტყელი საჭრელი იარაღი. *სანადირო დანა. ჯიბის დანა.* ⊙ **დანა პირს არ უხსნის** ხმას ვერ იღებს, ძალიან შეწუხებულია, დარდისგან შეპყრობილია.

**დანაგვიანება** *დანაგვიანების* (დაანაგვიანებს, დაუნაგვიანებს, დანაგვიანდება) დაბინძურება, ნაგვით ავსება. *ეზო დანაგვიანდა. ქალაქი დაანაგვიანეს. სკვერი დაანაგვიანეს.* ■ **დანაგვიანებული** რაც დანაგვიანდა. *დანაგვიანებული სადარბაზო.*

**დანადგარი** *დანადგარის* ადგილზე გამართული მექანიზმი ან მექანიზმთა სისტემა. *წყლის საქაჩი დანადგარი.*

**დანავსება** *დანავსების* (დანავსავს, დაინავსება, დაენავსება) ცრურწ. ცუდის, ავის დაბედება, დათარსვა. *კაცი დაინავსა. მე ზობელმა დანავსა.* ■ **დანავსული** ვინც ან რაც დაინავსა. *დანავსული საქმე. დანავსული დღე. ქალი დანავსული იყო.*

**დანაზოგი** *დანაზოგის* ხელმომჭირნეობით, დაზოგვით შეგროვილი ფული, ქონება. *დანაზოგი ბანკში შეიტანა. დანაზოგით იყიდა. ხელფასის დანაზოგი.*

**დანათესავება** *დანათესავების* (დაანათესავებს, დაინათესავებს, დაუნათესავებს, დანათესავდება, დაუნათესავდება) ნათესავად გახდომა. *ოჯახებით დანათესავდნენ. მეგობარი დაინათესავა.* ■ **დანათესავებული** ვინც დანათესავდა. *დანათესავებული მეზობლები.*

**დანათლება** *დანათლების* (დაანათლებს) ვინმესთვის ნიჭის, სიკეთისა და მისთ. ბოძება, დაბედება. *ღმერთმა ნიჭი დაანათლა. ბედნიერება დაანათლეს.*

**დანაკარგი** *დანაკარგის* 1. რაც დაკარგეს, რაც დაიკარგა. *დანაკარგმა ქალს გული ატკინა.* 2. არაა-უცილებელი ხარჯები წარმოებაში, მეურნეობაში. *მოსავლის დანაკარგი. დანაკარგის გარეშე მუშაობენ.*

**დანაკვერჩხლება** *დანაკვერჩხლების* (დაანაკვერჩხლებს, დანაკვერჩხლდება) შეშის ჩაწვა, ნაკვერჩხლად ქცევა. *ბუხარში შეშა დანაკვერჩხლდა.*

**დანაკლისი** *დანაკლისის* 1. ზარალი, სიკვდილიანობა. *ოჯახმა დიდი დანაკლისი განიცადა.* 2. რაც განსაზღვრულ ოდენობას დააკლდა. *ხელფასის დანაკლისი. პროდუქციის დანაკლისი.*

**დანაკუწება** *დანაკუწების* (დაანაკუწებს, დაუნაკუწებს, დანაკუწდება) დაჭრა, დახევა, ნაკუწებად ქცევა. *წერილი დაანაკუწა. ზეწარი დაანაკუწეს.* ■ **დანაკუწებული** რაც დაანაკუწეს. *დანაკუწებული ქაღალდი.*

**დანამატი** *დანამატის* დამატებული, დამატებით მიღებული რამ. *ხელფასის დანამატი.*

**დანამდვილებით** ზმნზ. ნამდვილად, ზუსტად. *დანამდვილებით შეიძლება ითქვას. დანამდვილებით იციან.*

**დანამვა** *დანამვის* (დანამავს, დაინამება, დაენამება) მცირედ დასველება, სითხის დაპკურება. *წვიმამ მინდორი დანამა. სარეცხი დანამეს. შუბლი ოფლით დაენამა.* ■ **დანამული** რაც დანამეს. *ცრემლით დანამული სახე.*

**დანამუსება** *დანამუსების* (დაანამუსებს) პატიოსანი, ნამუსიანი საქციელისკენ წაქეზება, მოწოდება. *ბავშვები დაანამუსა.*

**დანამცეცება** *დანამცეცების* (დაანამცეცებს, დანამცეცდება) ნამცეცებად ქცევა. *ჩიტებს პური დაუნამცეცა.* ■ **დანამცეცებული** რაც დაანამცეცეს. *დანამცეცებული მჭადი.*

**დანანება** *დანანების* (დაენანება) 1. ვერ გამეტება, სინანულით, სიბრალულით გამსჭვალვა. *ირემი მოსაკლავად დაენანა. ყვავილები მოსაკრეფად დაენანა.* 2. მისაცემად არგამეტება, დაზოგვა. *ფული დაენანა. მეგობრისთვის წიგნი დაენანა. კეთილი სიტყვა დაენანა.*

**დანაობა** *დანაობის* საბავშვო თამაშობა, რომლის დროსაც მოთამაშეები სხვადასხვა წესით ისვრიან წვერიან დანას, ისე რომ მიწაში ჩაესოს. *ბავშვები დანაობას თამაშობენ.*

**დანაოჭება** *დანაოჭების* (დაანაოჭებს, დაუნაოჭებს, დანაოჭდება, დაუნაოჭდება) სახეზე, ხელებსა და მისთ. ნაოჭების გაჩენა. *კანის დანაოჭება. სახე დაუნაოჭდა.* ■ **დანაოჭებული** რაც ან ვინც დანაოჭდა. *დანაოჭებული ქალი.*

**დანართი** *დანართის* მხატვრული ან სამეცნიერო ლიტერატურის ბოლოს დართული ტექსტი, რომელიც შეიცავს დამატებით ინფორმაციას. *ვრცელი დანართი.*

**დანარცხება** *დანარცხების* (დაანარცხებს, დაენარცხება) მთელი ძალით დაცემა, დავარდნა, დახეთქება. *ქუდი ძირს დაანარცხა. ბავშვი მიწაზე დაენარცხა.*

**დანასკვი** *დანასკვის* წიგნ. იგივეა, რაც **დასკვნა**.

**დანასობია** *დანასობიის* იგივეა, რაც **დანაობა**.

**დანატოვარი** *დანატოვრის* შთამომავლობისთვის დატოვებული ქონება, მემკვიდრეობა. *წინაპართა დანატოვარი. დანატოვარს ვერ მოუარა.*

**დანატრებული** *დანატრებულის* ვისთვისაც სანატრელია ვინმე ან რაიმე. *შვილებს დანატრებული დედა. ტკბილეულს დანატრებული ბავშვები.*

**დანაღლიანება** *დანაღლიანების* (დაანაღლიანებს, დანაღლიანდება, დაუნაღლიანდება) ნაღველის, დარდის დაუფლება. *ქალი უცბად დანაღლიანდა.* ■ **დანაღლიანებული** ვინც დანაღლიანდა. *დანაღლიანებული ბავშვი.*

**დანაღმვა** *დანაღმვის* (დანაღმავს, დაინაღმება) ნაღმის ჩადება. *ხიდის დანაღმვა. სანაპირო დანაღმეს.* ■ **დანაღმული** რაც დანაღმეს. *დანაღმული მინდორი.*

**დანაყვა** *დანაყვის* (დანაყავს, დაუნაყავს, დაინაყება) 1. მძიმე საგნის დარტყმით დარბილება, დაბეგვა, დაფშხვნა. *ნიორი დანაყა. მწვანილი დანაყა. ორცხობილა დანაყა.* 2. საუბრ. გადატ. მაგრად ცემა. *ცხვირ-პირი დაუნაყა.* ■ **დანაყილი** რაც დანაყეს. *დანაყილი სუნელი.*

**დანაყრება** *დანაყრების* (დაანაყრებს, დანაყრდება) მაძღრისად ჭამა, შიმშილის დაკმაყოფილება. *კაცი დანაყრდა. სტუმრები დაანაყრეს.* ■ **დანაყრებული** ვინც დანაყრდა. *დანაყრებული მგ ზავრები.*

**დანაშაული** *დანაშაულის* 1. კანონდარღვევა, რომელიც ისჯება. *დანაშაული ჩაიდინა. მძიმე დანაშაული.* 2. ზიანის, ზარალის მომტანი საქციელი. *ამ დანაშაულს ვერ გამოისყიდის.*

**დანა-ჩანგალი** *დანა-ჩანგლის* დანებისა და ჩანგლების კომპლექტი. *დანა-ჩანგალი დაალაგა.*

**დანაცრება** *დანაცრების* (დაანაცრებს, დანაცრდება) დაწვა (1), ნაცრად ქცევა, ჩაფერფლა. *შეშა დანაცრდა.* ■ **დანაცრებული** რაც დანაცრდა. *დანაცრებული ნასახლარები.*

**დანაძლევება** *დანაძლევების* (დაენაძლევება, დანაძლევდება) სანაძლეოს დადება. *ფულ ზე დაენაძლევა. ძმაკაცები დანაძლევდნენ.* ■ **დანაძლევებული** ვინც დაენაძლევა. *დანაძლევებული გულშემატკივრები.*

**დანაწევრება** *დანაწევრების* (დაანაწევრებს, დანაწევრდება) მთელის, ერთიანის ნაწილებად დაყოფა. *ტერიტორიის დანაწევრება.* ■ **დანაწევრებული** რაც დაანაწევრეს. *დანაწევრებული სხეული.*

**დანაწილება** *დანაწილების* (დაანაწილებს, დაინაწილებს, დაუნაწილებს, დანაწილდება, დაუნაწილდება) ნაწილებად დაყოფა და დარიგება. *საქმის დანაწილება. ქონება დაინაწილეს.* ■ **დანაწილებული** რაც დაინაწილეს. *დანაწილებული ადგილები.*

**დანახარჯი** *დანახარჯის* 1. რაიმე საქმის გასაკეთებლად საჭირო ხარჯები. *წარმოების აწყობა დანახარჯებს მოითხოვს.* 2. რაც დახარჯეს ან დაიხარჯა. *სუფრის დანახარჯი გადაიხადა.*

**დანახვა** *დანახვის* (დაინახავს) 1. თვალით აღქმა, მხედველობის არეში მოქცევა. *ნაცნობი სახე დაინახა. სიბნელეში ვერაფერი დაინახა.* 2. გადატ. მიხვედრა, გაგება, გააზრება. *სიმართლის დანახვა არ უნდა.*

**დანახვება** *დანახვების* (დაანახვებს, დაენახვება) 1. ვინმეზე ან რაიმეზე მითითება დანახვის მიზნით, ჩვენება. *კოშკი დაანახვა. ნაცნობი დაანახვა.* 2. გადატ. ახსნა, გაგებინება, მიხვედრება. *შეცდომა დაანახვა. საფრთხე დაანახვა. გამოსავალი დაანახვა.*

**დანახშირება** *დანახშირების* (დაანახშირებს, დანახშირდება, დაუნახშირდება) დაწვა, ნახშირად ქცევა. *მწვადი დანახშირდა. ხანძარმა ყველაფერი დაანახშირა.* ■ **დანახშირებული** რაც დანახშირდა. *დანახშირებული ხორცი.*

**დანგრევა** *დანგრევის* (დაანგრევს, დაუნგრევს, დაინგრევა, დაენგრევა, დაანგრევინებს) აშენებულის, აგებულის დაშლა, განადგურება. *სახლი დაანგრიეს. ქალაქი მიწისძვრისგან დაინგრა.* ■ **დანგრეული** რაც დაანგრიეს ან დაინგრა. *დანგრეული შენობა.*

**დანდობა**[1] *დანდობის* (დაინდობს) შებრალება, პატიება. *დანდობა არ იცის. მეგობარმა დაინდო.*

**დანდობა**[2] *დანდობის* (დაანდობს, დაენდობა) 1. ვინმეს ან რაიმეს ნდობა, მინდობა, დაჯერება. *ძმას დაენდო.* 2. რაიმეზე დაყრდნობა. *ჯოხს დაენდო.*

**დანდური** *დანდურის* ერთწლოვანი ბალახოვანი მცენარე, აქვს მიწაზე გართხმული ხორციანი ღერო და ფოთლები და წვრილი წითელი ყვავილები, იყენებენ მხლად.

**დანებება** *დანებების* (დაანებებს, დანებდება) 1. თავის ნებაზე მოქმედების საშუალების მიცემა, დათმობა. *ფულის გადახდა არ დაანება.* 2. წინააღმდეგობის გაწევის შეწყვეტა, დამარცხების აღიარება. *მტერს დანებდა.* ⊙ **თავს დაანებებს** რაიმეზე ან ვინმეზე უარს იტყვის, მიატოვებს.

**დანერგვა** *დანერგვის* (დანერგავს, დაუნერგავს, დაინერგება) სიახლის შეტანა, დამკვიდრება. *ახალი ტექნოლოგიები დანერგეს.* ■ **დანერგილი** რაც დანერგეს. *ახლად დანერგილი მეთოდი.*

**დანერწყვა** *დანერწყვის* (დაანერწყვავს, დაინერწყვავს) ნერწვით დასველება. *მიწაზე დაანერწყვა. ხელები დაინერწყვა.*

**დანესტიანება** *დანესტიანების* (დაანესტიანებს, დანესტიანდება, დაუნესტიანდება) ნესტით, სისველით გაჟღენთა. *კედლები დანესტიანდა. მარილი*

*დანესტიანდა.* ■ **დანესტიანებული** რაც დანესტიანდა. *დანესტიანებული ოთახი.*

**დანთება** *დანთების* (დაანთებს, დაინთებს, დაუნთებს, დაინთება, დაენთება, დაანთებინებს) 1. იგივეა, რაც ანთება[1] (1). *სანთლები დაანთო. კოცონი დაანთეს.* ■ **დანთებული** რაც დაანთეს. *დანთებული ცეცხლი.*

**დანთქმა** *დანთქმის* (დანთქავს, დაინთქმება) წიგნ. მთლიანად გაქრობა, ჩაძირვა. *გემი ზღვაში დაინთქა. სახლი ცეცხლში დაინთქა.*

**დანთხევა** *დანთხევის* (დაანთხევს, დაინთხევა, დაენთხევა, დაანთხევინებს) სისხლის, ცრემლის, ტვინისა და მისთ. დაღვრა, დაქცევა. *სისხლი დაანთხია.*

**დანიავება** *დანიავების* (დაანიავებს, დაუნიავებს, დანიავდება) 1. სახესთან რაიმეს აფრიალება სიცხის შესამცირებლად, გასაგრილებლად. *მარაო დაინიავა. გაზეთი დაუნიავა.* 2. საუბრ. განიავება (3). *ქონება დაანიავა.* ■ **დანიავებული** რაც დაანიავეს. *დანიავებული ფული.*

**დანიშვნა** *დანიშვნის* (დანიშნავს, დაინიშნავს, დაუნიშნავს, დაინიშნება, დაენიშნება, დაანიშვნინებს) 1. ნიშნის დადება, ნიშნით გამოყოფა. *თავისი წიგნები დანიშნა. ყუთი დანიშნა.* 2. ოფიციალური სამუშაოს, თანამდებობის ჩაბარება. *დირექტორად დანიშნეს. ელჩად დაინიშნა.* 3. ვინმესთვის კუთვნილი თანხის, შესაფერისი წესისა და მისთ. განსაზღვრა და მიცემა. *წამლების დანიშვნა. მაღალი ხელფასი დაუნიშნეს. წოლითი რეჟიმი დაუნიშნეს.* 4. საცოლისთვის ნიშნის (10) მირთმევა. *ქალი დანიშნეს.* 5. დროის, ადგილის განსაზღვრა, შერჩევა. *პაემნის დანიშვნა. დრო დაინიშნა. კრება ოთხ საათზე დანიშნეს.* ■ **დანიშნული** რაც ან ვინც დანიშნეს. *დანიშნული პენსია.*

**დანიშნულება** *დანიშნულების* მიზანი, რისთვისაც არის რაიმე განკუთვნილი, ფუნქცია. *მექანიზმის დანიშნულება. ჯგუფის დანიშნულება.* ⊙ **დანიშნულების ადგილი** ადგილი, სადაც უნდა მივიდეს გაგზავნილი რაიმე ან ვინმე.

**დანომვრა** *დანომვრის* (დანომრავს, დაუნომრავს, დაინომრება, დაანომვრინებს) სიმრავლიდან თითოეულისთვის ნომრის მინიჭება, ნომრით აღნიშვნა. *ფურცლები დანომრეს.* ■ **დანომრილი** რაც დანომრეს. *დანომრილი სკამები.*

**დანჯღრევა** *დანჯღრევის* (დაანჯღრევს, დაუნჯღრევს, დაინჯღრევა, დაენჯღრევა) ნჯღრევისგან ძლიერი შერყევა. *მგ ზავრები დაინჯღრნენ.*

**დანჯღრეული** *დანჯღრეულის* მორყეული, მოშლილი. *დანჯღრეული ტახტი. დანჯღრეული სკამები. დანჯღრეული მანქანა.*

**დაობება** *დაობების* (დააობებს, დაობდება, დაუობდება) რაიმეზე ობის გაჩენა. *წიგნები ნესტისგან დაობდა. პური დაობდა.* ■ **დაობებული** რაც დაობდა. *დაობებული კედლები.*

**დაობლება** *დაობლების* (დააობლებს, დაუობლებს, დაობლდება, დაუობლდება) ობლად დარჩენა. *ბავშვები დაობლდნენ. დედამ შვილები დააობლა.* ■ **დაობლებული** ვინც დაობლდა. *დაობლებული ბიჭი.*

**დაოკება** *დაოკების* (დააოკებს, დაიოკებს, დაოკდება, დაუოკდება) მოზღვავებული გრძნობების, ემოციების შეკავება, დამორჩილება. *ვნებები დაიოკა. ბავშვი ძლივს დააოკეს.* ■ **დაოკებული** ვინც დაოკდა, რაც დაიოკეს. *დაოკებული ქალი. დაოკებული ბრაზი.*

**დაორთქვლა** *დაორთქვლის* (დაორთქლავს, დაიორთქლება) ორთქლით დაფარვა. *მინები დაიორთქლა. სარკე დაიორთქლა.* ■ **დაორთქლილი** რაც დაიორთქლა. *დაორთქლილი ბოთლი.*

**დაორსულება** *დაორსულების* (დააორსულებს, დაორსულდება) ორსულობის დაწყება. *ქალი დაორსულდა.* ■ **დაორსულებული** ვინც დაორსულდა. *დაორსულებული ცოლი.*

**დაოსება** *დაოსების* (დააოსებს, დაოსდება) ძალის გამოლევა, დასუსტება, დაქანცვა. *კაცი დაოსდა. მხედრებმა ცხენები დაოსეს.* ■ **დაოსებული** ვინც დაოსდა. *დაღლილობისგან დაოსებული ქალი.*

**დაოსტატება** *დაოსტატების* (დააოსტატებს, დაოსტატდება) ხელობის, საქმისა და მისთ. ზედმიწევნით კარგად დაუფლება, შესწავლა. *პროფესიული დაოსტატება. ფერწერაში დაოსტატდა. კერვაში დაოსტატდა.* ■ **დაოსტატებული** ვინც დაოსტატდა. *დაოსტატებული მზარეული.*

**დაოჯახება** *დაოჯახების* (დააოჯახებს, დაოჯახდება) ოჯახის შექმნა, დაქორწინება. *დაოჯახებაზე არ ფიქრობს. მისი ძმა დაოჯახდა.* ■ **დაოჯახებული** ვინც დაოჯახდა. *დაოჯახებული კაცი.*

**დაპატარავება** *დაპატარავების* (დააპატარავებს, დაიპატარავებს, დაუპატარავებს, დაპატარავდება, დაუპატარავდება) სიდიდეში შემცირება, პატარად ქცევა. *შრიფტის დაპატარავება. სურათი დაპატარავეს. კაბა დაუპატარავდა.* ■ **დაპატარავებული** რაც ან ვინც დაპატარავდა. *დაპატარავებული ეკრანი.*

**დაპატენტება** *დაპატენტების* (დააპატენტებს, დაუპატენტებს, დაპატენტდება) პატენტის ოფიციალურად გაფორმება. *გამოგონება დააპატენტა. სასმელი დააპატენტეს.* ■ **დაპატენტებული** რაც დააპატენტეს. *დაპატენტებული აპარატი.*

**დაპატიმრება** *დაპატიმრების* (დააპატიმრებს, დაუპატიმრებს) თავისუფლების აღკვეთა, დაკავება, ციხეში ჩასმა. *ეჭვმიტანილი დააპატიმრეს.* ■ **დაპატიმრებული** ვინც დააპატიმრეს. *დაპატიმრებული ახალგაზრდა.*

**დაპატიჟება** *დაპატიჟების* (დაპატიჟებს, დაუპატიჟებს, დააპატიჟებინებს) 1. სტუმრად მიწვევა. *მეგობრები ახალ ბინაში დაპატიჟა.* 2. სადმე წასვლის შეთავაზება. *რესტორანში დაპატიჟა. გამოფენაზე*

*დაპატიჟეს.* ■ **დაპატიჟებული** ვინც დაპატიჟეს. *დაპატიჟებული თანამშრომლები.*

**დაპატრონება** *დაპატრონების* (დაეპატრონება) რაიმეს მთლიანად ხელში ჩაგდება, დასაკუთრება. *სახლ-კარს დაეპატრონა. სხვის ქონებას დაეპატრონა. ქალაქს დაეპატრონნენ.*

**დაპაჭუნება** *დაპაჭუნების* (დააპაჭუნებს) იგივეა, რაც პაჭუნი.

**დაპეპვლა** *დაპეპვლის* (დაპეპლავს, დაიპეპლება) დედალი ფრინველის ან მწერის განაყოფიერება მამლის მიერ. *მამალმა ქათამი დაპეპლა.*

**დაპირება** *დაპირების* (დააპირებს, დაიპირებს, დაუპირებს, დაპპირდება) რაიმეს გაკეთების, შესრულების პირობის მიცემა. *მეგობარს წიგნს დაპპირდა. დაპირება შეასრულა.*

**დაპირისპირება** *დაპირისპირების* (დააპირისპირებს, დაიპირისპირებს, დაუპირისპირებს, დაუპირისპირდება) 1. წინააღმდეგობა, რაიმეში შეუთანხმებლობა, კამათი. *დაპირისპირება შეწყვიტეს. მწვავე დაპირისპირება. დაპირისპირება გაგრძელდა.* 2. ვინმეს ან რაიმეს საწინააღმდეგოს თქმა, გაკეთება, საწინააღმდეგო მხარის მოძებნა. *მოსაზრებები დაუპირისპირეს.* ■ **დაპირისპირებული** ვინც ან რაც დაუპირისპირდა. *დაპირისპირებული მხარეები.*

**დაპირქვავება** *დაპირქვავების* (დააპირქვავებს, დაპირქვავდება) იგივეა, რაც **გადაპირქვავება**. *ქვაბის დაპირქვავება. ქილა დააპირქვავა.* ■ **დაპირქვავებული** რაც დააპირქვავეს. *დაპირქვავებული ჯამები.*

**დაპკურება** *დაპკურების* (დააპკურებს, დაეპკურება) სითხის მცირე ნაკადად, წვეთებად დასხმა, დასხურება. *წყალი დააპკურა. მიწას ნამი დაეპკურა. პურზე ღვინო დააპკურა.* ■ **დაპკურებული** რაც დაეპკურა. *დაპკურებული ცვარი.*

**დაპლომბვა** *დაპლომბვის* (დაპლომბავს, დაიპლომბავს, დაუპლომბავს, დაიპლომბება, დააპლომბვინებს) 1. პლომბის (1) დადება. *კარი დაპლომბეს.* 2. პლომბის (2) ჩადება. *კბილის დაპლომბვა. არხი დაუპლომბა.* ■ **დაპლომბილი** რაც დაპლომბეს. *დაპლომბილი ამანათი.*

**დაპობა** *დაპობის* (დააპობს, დაუპობს, დაიპობა) ბევრის გაპობა. *შეშა დააპეს.* ■ **დაპობილი** რაც დააპეს. *დაპობილი კუნძები.*

**დაპრესვა** *დაპრესვის* (დაპრესავს, დაიპრესება) სპეციალური მანქანით რაიმეს მჭიდრო კონებად შეკვრა. *ჩალა დაპრესეს. თამბაქო დაპრესეს.* ■ **დაპრესილი** რაც დაპრესეს. *დაპრესილი ქაღალდი.*

**დაპროგრამება** *დაპროგრამების* (დააპროგრამებს, დაუპროგრამებს) სპეციალური პროგრამის შექმნა, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია თანმიმდევრულად შესრულდეს გარკვეული მოქმედებები.

**დაპროექტება** *დაპროექტების* (დააპროექტებს) პროექტის (1) შედგენა. *გზების დაპროექტება. შენობა დააპროექტეს.* ■ **დაპროექტებული** რაც დააპროექტეს. *დაპროექტებული სტადიონი.*

**დაპურება** *დაპურების* (დააპურებს, დაპურდება) მშიერისთვის საჭმლის ჭმევა. *ქმარ-შვილი დააპურა. ქათმები დააპურა. მგ ზავრები დააპურა.*

**დაპყრობა** *დაპყრობის* (დაიპყრობს, დააპყრობინებს) 1. ძალით, ომით დამორჩილება, მისაკუთრება. *მტერმა ქვეყანა დაიპყრო. ახალი მიწები დაიპყრეს.* 2. გადატ. ათვისება, დაძლევა. *ადამიანმა კოსმოსი დაიპყრო. მთასვლელებმა მწვერვალი დაიპყრეს.* ■ **დაპყრობილი** რაც ან ვინც დაიპყრეს. *დაპყრობილი ხალხი.*

**დაპყრობითი** *დაპყრობითის* დაპყრობის მიზნით წარმოებული. *დაპყრობითი ომები.*

**დაჟანგვა** *დაჟანგვის* (დაჟანგავს, დაუჟანგავს, დაიჟანგება, დაეჟანგება) ჟანგის მოკიდება, ჟანგით დაფარვა. *თოფი დაიჟანგა. მილები დაიჟანგა.* ■ **დაჟანგული** რაც დაიჟანგა. *დაჟანგული ხმალი.*

**დაჟეჟვა** *დაჟეჟვის* (დაჟეჟავს, დაიჟეჟავს, დაუჟეჟავს, დაიჟეჟება, დაეჟეჟება) 1. დარტყმით ან ძირს დაცემით რბილი რაიმეს დაბეგვა, დაზიანება. *ხილი დაიჟეჟა. გვერდები დაეჟეჟა.* 2. საუბრ. გადატ. მაგრად ცემა. *ბიჭი გვარიანად დაჟეჟეს.* ■ **დაჟეჟილი** რაც ან ვინც დაიჟეჟა. *დაჟეჟილი ატამი.*

**დაჟეჟილობა** *დაჟეჟილობის* სხეულის დაზიანება მძიმე საგნის დარტყმით ან მაგარ რაიმეზე დაცემით. *დაჟეჟილობას მკურნალობს.*

**დაჟინება** *დაჟინების* (დაიჟინებს) რაიმეს გაკეთების ჯიუტად ცდა, აკვიატება. *სახლში წასვლა დაიჟინა. ჩანთის ყიდვა დაიჟინა.* ▲ **დაჟინებით** ზმნზ. ჯიუტად, ჩაციებით. *დაჟინებით მიაჩერდა. დაჟინებით სთხოვდა.*

**დაჟინებული** *დაჟინებულის* 1. რაც დაიჟინეს. *წასვლა ჰქონდა დაჟინებული. დაჟინებული ნათქვამი.* 2. ერთ რაიმეზე ძლიერად მიმართული, გამახვილებული. *დაჟინებული მზერა.*

**დაჟღრიალება** *დაჟღრიალების* (დააჟღრიალებს, დაიჟღრიალებს) ჟღრიალის გამოცემა. *ზარმა დაიჟღრიალა.*

**დარაბა** *დარაბის* ხის დასაკეცი საფარი, რომელსაც ფანჯარას ან კარს უკეთებენ. *დარაბები დახურა.*


დარაბა

**დარაზვა** *დარაზვის* (დარაზავს, დაირაზება) რაზით დაკეტვა. *ფანჯრები დარაზეს.* ■ **დარაზული** რაც დარაზეს. *დარაზული კარი.*

**დარაზმვა** *დარაზმვის* (დარაზმავს, დაირაზმება) წიგნ. ერთი მიზნით, იდეით შეკავშირება, გაერთიანება. *მტრის წინააღმდეგ დაირაზმნენ. საზოგადოება დაირაზმა.* ■ **დარაზმული** ვინც დაირაზმა. *დარაზმული ხალხი.*

**დარაკუნება** *დარაკუნების* (დაარაკუნებს, დაურაკუნებს, დარაკუნდება) დარტყმით რაკუნის ხმის გამოცემა. *კოვზი დაარაკუნა. კედელზე დარაკუნა. ჩაქუჩი დარაკუნდა.*

**დარაწკუნება** *დარაწკუნების* (დაარაწკუნებს, დარაწკუნდება) რაწკუნის ხმის გამოცემა. *ზარმა დარაწკუნა. ჩანგალი თეფშზე დაარაწკუნა.*

**დარახუნება** *დარახუნების* (დაარახუნებს, დაურახუნებს, დარახუნდება) იგივეა, რაც **დაბრახუნება**. *კარზე დაარახუნეს. ქარისგან ფანჯარა დარახუნდა.*

**დარაჯი** *დარაჯის* რაიმე ობიექტის, ორგანიზაციისა და მისთ. მცველი. *სკოლის დარაჯი. ღამის დარაჯი.*

**დარაჯობა** *დარაჯობის* (დარაჯობს) დარაჯად, ყარაულად ყოფნა, დგომა. *დარაჯობა დაეკისრა. სახლს სდარაჯობს.*

**დარბაზი** *დარბაზის* 1. სხვადასხვა დანიშნულებით მოწყობილი დიდი ოთახი რაიმე დაწესებულებაში. *სამკითხველო დარბაზი. სააქტო დარბაზი. მაყურებელთა დარბაზი. სასამართლო დარბაზი.* 2. სტუმრების მისაღებად განკუთვნილი დიდი ოთახი. *საქორწილო დარბაზი.* 3. ისტორიულად სამეფო კარზე უმაღლესი სათათბირო ორგანო. *მეფემ დარბაზი მოიწვია.*

**დარბაზობა** *დარბაზობის* ძვ. 1. სტუმრების ოფიციალური მიღება. *დარბაზობა გაიმართა.* 2. სამეფო საბჭოს სხდომა.

**დარბაისელი** *დარბაისლის* დინჯი, გაწონასწორებული, თავშეკავებული, თავაზიანი. *დარბაისელი კაცი.*

**დარბევა** *დარბევის* (დაარბევს, დაურბევს, დაირბევა, დაარბევინებს) აკლება, აწიოკება, გაყრა. *ქალაქების დარბევა. მიტინგი დაარბიეს.* ■ **დარბეული** რაც ან ვინც დააბიეს. *დარბეული მონასტერი.*

**დარბენა** *დარბენის* (დაირბენს, დაურბენს) სირბილით ბევრი ადგილის მოვლა. *მთელი სოფელი დაირბინა. ოთახები დაირბინა.*

**დარბილება** *დარბილების* (დაარბილებს, დაირბილებს, დაურბილებს, დარბილდება) მკვრივის, მაგრის რბილად ქცევა. *სიმხურვალემ რკინა დაარბილა. პლასტილინი დარბილდა.* ■ **დარბილებული** რაც დარბილდა. *დარბილებული კარაქი.*

**დარგვა** *დარგვის* (დარგავს, დაურგავს, დაირგვება, დაარგვევინებს) ნიადაგში ნერგის ჩაფვლა ფესვებით გასახარებლად. *ჩითილი დარგეს.* ■ **დარგული** რაც დარგეს. *დარგული ნაძვი.*

**დარგი** *დარგის* მეცნიერების, ხელოვნების, ტექნიკის ან წარმოების დამოუკიდებელი სფერო. *ენათმეცნიერების დარგი.*

**დარგობრივი** *დარგობრივის* დარგების მიხედვით განსაზღვრული ან დაყოფილი. *მეურნეობის დარგობრივი განანილება. დარგობრივი მიდგომა.*

**დარდი** *დარდის* (დარდობს, ადარდებს, ედარდება) 1. გრძნობა, რომელიც ადამიანს ეუფლება რაიმე ცუდი, სამწუხარო ამბის გაგების, მძიმე მდგომარეობისა და მისთ. გამო. *დიდი დარდი აქვს. არაფერი ადარდებს. ძალიან დარდობს.* 2. ფიქრი, ჯავრი, ზრუნვა ვინმეზე ან რაიმეზე. *შვილების დარდი აქვს. მოხუცებზე დარდობს. არაფერი ადარდებს.*

**დარდიანი** *დარდიანის* ვინც დარდობს, დარდით სავსე. *დარდიანი ქალი. დარდიანი თვალები.*

**დარდიმანდი** *დარდიმანდის* უდარდელი, უზრუნველი, მოლხენის მოყვარული. *დარდიმანდი სასიძო.*

**დარდუბალა** *დარდუბალის* საუბრ. უბედურება, ჯანდაბა. *ეს რა დარდუბალაა!*

**დარეგულირება** *დარეგულირების* (დაარეგულირებს, დარეგულირდება) მოწესრიგება, მოგვარება, შესაბამისობაში მოყვანა. *წნევის დარეგულირება. სიტუაცია დარეგულირდა.* ■ **დარეგულირებული** რაც დაარეგულირეს. *დარეგულირებული ურთიერთობები.*

**დარევა** *დარევის* (დარევს, დაურევს, დაირევა, დაერევა) 1. ბევრთან ჩხუბის, აყალმაყალის ატეხვა, დაწიოკება. *მთვრალი მოქეიფეებს დაერია. ერთმანეთს დაერივნენ.* 2. სენის, ავადმყოფობის მოდება, გავრცელება. *სოფელს ჭირი დაერია.*

**დარეკვა** *დარეკვის* (დარეკავს, დაურეკავს, დაირეკება, დაარეკვინებს) 1. ზარის ახმიანება. *ეკლესიის ზარები დარეკეს. მაღვიძარამ დარეკა. სკოლის ზარი დაირეკა.* 2. ტელეფონით დაკავშირება. *მეგობართან დარეკა. დედამ დაურეკა.*

**დარეტიანება** *დარეტიანების* (დაარეტიანებს, დაურეტიანებს, დარეტიანდება, დაურეტიანდება) თავბრუს დასხმა, წონასწორობის დაკარგვა. *ნათქვამმა დაარეტიანა. სიხარულისგან დარეტიანდა.* ■ **დარეტიანებული** ვინც ან რაც დარეტიანდა. *დარეტიანებული კაცი.*

**დარეცხვა** *დარეცხვის* (დარეცხავს, დაირეცხავს, დაურეცხავს, დაირეცხება, დაარეცხვინებს) ბევრის გარეცხვა. *თეფშები დარეცხა. წინდები დარეცხა.* ■ **დარეცხილი** რაც დარეცხეს. *დარეცხილი ტანსაცმელი.*

**დარეხვა** *დარეხვის* (დაირეხვება) ჟარგ. გაგიჟება, გადარევა. *შენ რა, დაირეხვე?!*

**დართვა**[1] *დართვის* (დაართავს, დაურთავს, დაირთვება, დაართვევინებს) ბამბისგან, მატყლისგან და მისთ. ძაფის გაკეთება. *ბამბა დაართეს.* ■ **დართული** რაც დაართეს. *დართული ძაფი.*

**დართვა**[2] *დართვის* (დართავს, დაურთავს, დაერთვება) დამატება, თან მიყოლება. *საბუთებს ფოტოსურათი დაურთო. ტექსტს შენიშვნები დაურთო. პრობლემებს კრიზისიც დაერთო.* ■ **დართული** რაც დაურთეს. *განცხადებაზე დართული ასლი.*

**დარი**[1] *დარის* მზიანი, უწვიმო, უთოვლო ამინდი. *მშვენიერი დარი იდგა.*

**დარი**[2] *დარის* წიგნ. მსგავსი. *მზის დარი. ლომის დარი.*

**დარიანი** *დარიანის* მზიანი, კარგი (ამინდი). *დარიანი დღე.*

**დარიგება**[1] *დარიგების* (დაარიგებს, დაირიგებს, დაურიგებს, დარიგდება, დაურიგდება) ბევრისთვის სათითაოდ მიცემა ან ბევრგან სათითაოდ მიტანა, მიყვანა. *ხელფასი დაარიგეს. მათხოვრებს ფული დაურიგა. ბავშვები სახლებში დაარიგეს.* ■ **დარიგებული** რაც ან ვინც დაარიგეს. *დარიგებული იარალი.*

**დარიგება**[2] *დარიგების* (დაარიგებს) რჩევის მიცემა, სწავლება. *ყმაწვილები დაარიგა. მასწავლებელმა დაარიგა.*

**დარიდება** *დარიდების* (დაარიდებს, დაერიდება) იგივეა, რაც **მორიდება** (1). *კრიტიკას არ დაერიდნენ. არაფერს დაერიდება.*

**დარიშხანი** *დარიშხანის* ძლიერი შხამიანი ნივთიერება, რომელიც შედის სხვადასხვა მინერალში, გამოიყენება წარმოებასა და მედიცინაში. *დარიშხანის საბადო. დარიშხანის ფხვნილები.*

**დარიჩინი** *დარიჩინის* მარადმწვანე მერქნიანი მცენარე, ტოტების გამხმარი, სურნელოვანი ქერქი იხმარება სანელებლად.

**დარიცხვა** *დარიცხვის* (დაარიცხავს, დაურიცხავს, დაერიცხება) არსებულ თანხაზე რაიმე გადასახადის, ჯარიმისა და მისთ. დამატება. *პროცენტი დაერიცხა.* ■ **დარიცხული** რაც დაარიცხეს ან დაერიცხა. *დარიცხული საშემოსავლო გადასახადი.*

**დაროშვა** *დაროშვის* (დაროშავს) მარცვლეულის მსხვილად დაფქვა. *ხორბალი დაროშა.*

**დარტყმა** *დარტყმის* (დაარტყამს, დაირტყამს, დაურტყამს) მკვეთრი მოძრაობით ძლიერად დაკვრა. *ჯოხი დაარტყა. მაგიდას მუშტი დაარტყა.*

**დარტყმული** *დარტყმულის* 1. რაც დაარტყეს. *კარში დარტყმული ბურთი. თავი აქვს დარტყმული.* 2. საუბრ. ფსიქიკურად ცოტა გადახრილი, გაუწონასწორებელი. *ვინ არის ეს დარტყმული?!*

**დარქმევა** *დარქმევის* (დაარქმევს, დაირქმევს, დაერქმევა) სახელის მიცემა. *შვილს პაპის სახელი დაარქვეს.*

**დარღვევა** *დარღვევის* (დაარღვევს, დაურღვევს, დაირღვევა, დაერღვევა, დაარღვევინებს) 1. შეკერილის ან მოქსოვილის დაშლა. *კაბა დაარღვია. სვიტერი დაარღვია.* 2. რაიმეს უგულებელყოფა, საწინააღმდეგოდ მოქცევა. *კანონის დარღვევა. თამაშის წესები დაარღვია. ზავი დაირღვა. ხელშეკრულება დაარღვიეს.* 3. გარკვეული მდგომარეობის მოშლა, შეწყვეტა. *დუმილი დაარღვია. სიმყუდროვე დაურღვია.* ■ **დარღვეული** რაც დაარღვიეს ან დაირღვა. *დარღვეული წინდა.*

**დარჩევა** *დარჩევის* (დაარჩევს, დაურჩევს, დაირჩევა, დაარჩევინებს) იგივეა, რაც **გარჩევა** (1). *ბრინჯი დაარჩია. წიწიბურა დაარჩიეს.* ■ **დარჩეული** რაც დაარჩიეს. *დარჩეული ლობიო.*

**დარჩენა** *დარჩენის* (დაარჩენს, დაირჩენს, დაურჩენს, დარჩება, დაურჩება) 1. სადმე გარკვეული დროით გაჩერება, არსად წასვლა. *ბავშვი ე ზოში დარჩა. მეგობართან დარჩა.* 2. რაიმეს გაკეთების ან წაღების დავიწყება. *სათვალე სახლში დარჩა. ფანჯარა ღია დარჩა.* 3. რაიმეს კიდევ ქონა, დატოვება. *ცოტა ფული დარჩა.* 4. ვინმეს საკუთრებაში გადასვლა, წილად რგება. *მამის ქონება დარჩა.* 5. ვინმეს პატრონობა, გამოკვება. *თავს როგორღაც დაირჩენს.* ■ **დარჩენილი** ვინც ან რაც დარჩა. *დარჩენილი სამუშაო. მარტო დარჩენილი ქალი.*

**დარჩილვა** *დარჩილვის* (დარჩილავს) სპეციალური აპარატით ლითონების ერთმანეთთან მიდუღება, მიწებება. *ლითონების დარჩილვა.* ■ **დარჩილული** რაც დარჩილეს. *დარჩილული მავთულები.*

**დარცხვენა** *დარცხვენის* (დაირცხვენს) სირცხვილის გრძნობის დაუფლება. *ბავშვმა დაირცხვინა.* ■ **დარცხვენილი** ვინც დაირცხვინა. *დარცხვენილი იჯდა.*

**დარწევა** *დარწევის* (დაარწევს, დაურწევს, დაირწევა) რწევით ამოძრავება, აქეთ-იქით გაქანება. *აკვანი დაარწია. ჰამაკი დაარწია.*

**დარწმუნება** *დარწმუნების* (დაარწმუნებს, დაირწმუნებს, დაერწმუნება, დარწმუნდება) რაიმეს სარწმუნოდ მიჩნევა. *ბოლოს დარწმუნდა მის სიმართლეში. მოსამართლის დარწმუნება შეძლო. ძლივს დაარწმუნა.*

**დარწმუნებით** ზმნზ. საკუთარი აზრის, სიმართლის რწმენით. *დარწმუნებით შემიძლია ვთქვა. დარწმუნებით იცის.*

**დარწმუნებული** *დარწმუნებულის* ვინც რაიმეში დარწმუნდა, რაიმე დაიჯერა. *დარწმუნებული იყო თავის შესაძლებლობებში.*

**დარჭობა** *დარჭობის* (დაარჭობს, დაურჭობს, დაერჭობა) წვეტიანი ან ბასრი საგნის რაიმეში ჩასმა, ჩამაგრება. *ნემსი ბალიშზე დაარჭო. პალო დაარჭო.* ■ **დარჭობილი** რაც დაარჭვეს. *მიწაზე დარჭობილი დროშა.*

**დარხევა** *დარხევის* (დაარხევს, დაირხევა) დარტყმით, დაწოლითა და მისთ. ამოძრავება, გაქანება. *ტოტი დაარხია. ბიჭმა ვაშლის ხე დაარხია.*

**დასაბამი** *დასაბამის* წიგნ. დასაწყისი, სათავე. *ამ საქმეს დასაბამი მისცა.*

**დასაბეჭდი** *დასაბეჭდის* რაც უნდა დაბეჭდონ. *დასაბეჭდი სტატია.* ▲ **დასაბეჭდად** ზმნზ. დაბეჭდვისთვის, დაბეჭდვის მიზნით. *დასაბეჭდად მიიტანა.*

**დასაბმელი** *დასაბმელის* 1. ვინც ან რაც უნდა დააბან. *დასაბმელი ძაღლი.* 2. საუბრ. ძალიან გაბრაზებული, თავშეუკავებელი. ▲ **დასაბმელად** ზმნზ. იმისთვის, რომ დააბან, დაბმის მიზნით. *ძაღლის დასაბმელად სჭირდება.*

**დასაბრუნებელი** *დასაბრუნებლის* რაც უნდა დააბრუნონ ან რითაც უნდა დაბრუნდნენ. *დასაბრუნებელი წიგნი. უკან დასაბრუნებელი ბილეთი.* ▲ **დასაბრუნებლად** ზმნზ. იმისთვის, რომ დააბრუნონ, დაბრუნების მიზნით. *ვალის დასაბრუნებლად მიაკითხა.*

**დასაბუთება** *დასაბუთების* (დაასაბუთებს, დაუსაბუთებს, დასაბუთდება, დაასაბუთებინებს) რაიმეს სისწორის, სიმართლის დამტკიცება საბუთების მოყვანით. *მოსაზრების დასაბუთება. მეცნიერულად დაასაბუთა.* ■ **დასაბუთებული** რაც დაასაბუთეს. *დასაბუთებული თეორია.*

**დასაგველი** *დასაგველის* რაც უნდა დაგავონ ან რითაც უნდა დაგავონ. *დასაგველი ბინა. ეზოს დასაგველი ცოცხი.*

**დასაგირავებელი** *დასაგირავებლის* რაც უნდა დააგირავონ. *დასაგირავებელი სახლი.* ▲ **დასაგირავებლად** ზმნზ. დაგირავებისთვის, დაგირავების მიზნით. *დასაგირავებლად შეარჩიეს.*

**დასაგმობი** *დასაგმობის* ვინც ან რაც უნდა დაგმონ, დაგმობის ღირსი. *დასაგმობი საქციელი.*

**დასადგურება** *დასადგურების* (დაისადგურებს) ნიგნ. გავრცელება, დამყარება, დამკვიდრება. *სიჩუმემ დაისადგურა. წყვდიადმა დაისადგურა. მის გულში სიყვარულმა დაისადგურა.*

**დასავლეთი** *დასავლეთის* 1. მხარე, საითაც მზე ჩადის. *დასავლეთი ვარდისფრად შეიღება. დასავლეთიდან ღრუბელი მოდის.* 2. დედამიწის ან ქვეყნის ნაწილი, რომელიც დასავლეთის (1) მხარეს მდებარეობს. *დასავლეთი საქართველო.* 3. უძრავი საგნის ან ნაგებობის ის ნაწილი, რომელიც დასავლეთის (1) მხარესაა მოქცეული. *ტაძრის დასავლეთი კედელი.*

**დასავლური** *დასავლურის* რაც დასავლეთში შეიქმნა; დასავლეთ ევროპის ქვეყნებისთვის დამახასიათებელი. *დასავლური კილო. დასავლური კულტურა. დასავლური აზროვნება.*

**დასაზელი** *დასაზელის* რაც, ვინც უნდა დაზილონ ან რითაც უნდა დაზილონ. *წელის დასაზელი მალამო.* ▲ **დასაზელად** ზმნზ. იმისთვის, რომ დაზილონ, დაზელის მიზნით. *გამოიყენება ტანის დასაზელად.*

**დასაზერი** *დასაზერის* 1. რაც უნდა დაზერონ. *დასაზერი ტერიტორია.* 2. დაზვერვისთვის განკუთვნილი. *დასაზერი სამუშაოები.* ▲ **დასაზერად** ზმნზ. იმისთვის, რომ დაზვერონ, დაზვერვის მიზნით. *დასაზერად წავიდნენ.*

**დასაზუთხი** *დასაზუთხის* რაც უნდა დაიზუთხონ. *დასაზუთხი ტექსტი.*

**დასაზუსტებელი** *დასაზუსტებლის* რასაც დაზუსტება სჭირდება, რაც უნდა დაზუსტდეს. *დასაზუსტებელი საკითხები. დასაზუსტებელი სიები.* ▲ **დასაზუსტებლად** ზმნზ. დაზუსტებისთვის, დაზუსტების მიზნით. *პასუხის დასაზუსტებლად დაამატა.*

**დასაზღვევი** *დასაზღვევის* რაც უნდა დააზღვიონ ან რითაც უნდა დააზღვიონ. *დასაზღვევი სახლი. დასაზღვევი თანხა.* ▲ **დასაზღვევად** ზმნზ. დაზღვევისთვის, დაზღვევის მიზნით. *მანქანის დასაზღვევად.*

**დასათაურება** *დასათაურების* (დაასათაურებს) სათაურის მიცემა. *წიგნის დასათაურება. სტატიები დაასათაურა.* ■ **დასათაურებული** რაც დაასათაურეს. *დასათაურებული ლექსი.*

**დასათესი** *დასათესის* რაც უნდა დათესონ ან საც უნდა დათესონ. *დასათესი მარცვლეული. დასათესი მინდორი.* ▲ **დასათესად** ზმნზ. იმისთვის, რომ დათესონ, დათესვის მიზნით. *სიმინდის დასათესად.*

**დასათმობი** *დასათმობის* რაც უნდა დათმონ. *დასათმობი ქონება. დასათმობი აღარაფერია.*

**დასაკარგი** *დასაკარგის* რაც უნდა დაიკარგოს ან შეიძლება დაიკარგოს. *დასაკარგი დრო. დასაკარგი არაფერი აქვს.*

**დასაკეპი** *დასაკეპის* რაც უნდა დაკეპონ. *დასაკეპი ხორცი.*

**დასაკეტი** *დასაკეტის* რაც უნდა დაკეტონ, რასაც დაკეტვა სჭირდება. *მანქანა დასაკეტი აქვს.* ▲ **დასაკეტად** ზმნზ. იმისთვის, რომ დაკეტონ, დაკეტვის მიზნით. *კარის დასაკეტად მიბრუნდა.*

**დასაკეცი** *დასაკეცის* რაც უნდა დაკეცონ, რაც იკეცება. *დასაკეცი დანა.*

**დასაკითხი** *დასაკითხის* ვინც უნდა დაკითხონ. *დასაკითხი პატიმარი.* ▲ **დასაკითხად** ზმნზ. იმისთვის, რომ დაკითხონ, დაკითხვის მიზნით. *დასაკითხად დაიბარეს.*

**დასაკლავი** *დასაკლავის* რაც უნდა დაკლან. *დასაკლავი ღორი.* ▲ **დასაკლავად** ზმნზ. დაკვლისთვის, დაკვლის მიზნით.

**დასაკმაყოფილებელი** *დასაკმაყოფილებლის* ვინც ან რაც უნდა დააკმაყოფილონ, ვისაც ან რასაც დაკმაყოფილება სჭირდება. *ბინით დასაკმაყოფილებელი ოჯახები.* ▲ **დასაკმაყოფილებლად** ზმნზ. იმისთვის, რომ დააკმაყოფილონ, დაკმაყოფილების მიზნით. *მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად.*

**დასაკოდი** *დასაკოდის* რაც უნდა დაკოდონ. *დასაკოდი ულაყი.*

**დასაკომპლექტებელი** *დასაკომპლექტებლის* რაც უნდა დააკომპლექტონ. *დასაკომპლექტებელი საბჭო.* ▲ **დასაკომპლექტებლად** ზმნზ. დაკომპლე-

ქტებისთვის, დაკომპლექტების მიზნით. *ჯგუფის დასაკომპლექტებლად.*

**დასაკონკრეტებელი** *დასაკონკრეტებლის* რაც უნდა დააკონკრეტონ, რასაც დაკონკრეტება სჭირდება. *დასაკონკრეტებელი საკითხი.* ▲ **დასაკონკრეტებლად** ზმნზ. დაკონკრეტებისთვის, დაკონკრეტების მიზნით. *დასაკონკრეტებლად დასძინა.*

**დასაკრავი** *დასაკრავის* რასაც უკრავენ. *დასაკრავი ინსტრუმენტი.* ▲ **დასაკრავად** ზმნზ. დაკვრისთვის, დაკერის მიზნით.

**დასაკრეფი** *დასაკრეფის* რაც უნდა დაკრიფონ. *დასაკრეფი ვენახი.* ▲ **დასაკრეფად** ზმნზ. იმისთვის, რომ დაკრიფონ, დაკრეფის მიზნით. *ხილის დასაკრეფად წავიდნენ.*

**დასაკუთრება** *დასაკუთრების* (დაისაკუთრებს) 1. თავის საკუთრებად გახდომა, მითვისება. *ძმის სახლ-კარი დაისაკუთრა.* 2. გადატ. ჯილდოს, საპატიო ადგილის მოპოვება. *გუნდმა პირველი ადგილი დაისაკუთრა. მედალი დაისაკუთრა.* ▮ **დასაკუთრებული** რაც დაისაკუთრეს. *დასაკუთრებული ქონება.*

**დასალაგებელი** *დასალაგებლის* რაც უნდა დაალაგონ, რასაც დალაგება სჭირდება. *სახლი დასალაგებელი აქვს.* ▲ **დასალაგებლად** ზმნზ. იმისთვის, რომ დაალაგონ, დალაგების მიზნით. *ოფისის დასალაგებლად.*

**დასალაშქრი** *დასალაშქრის* რაც უნდა დალაშქრონ. *დასალაშქრი მწვერვალი.*

**დასალიერი** *დასალიერის* ნიგნ. სივრცის, დასახლებული პუნქტისა და მისთ. ბოლო, უკიდურესი წერტილი. *ცის დასალიერი. ქვეყნის დასალიერი.*

**დასალუქი** *დასალუქის* რაც უნდა დალუქონ. *დასალუქი კარი.* ▲ **დასალუქად** ზმნზ. დალუქვისთვის, დალუქვის მიზნით. *დასალუქად მოვიდნენ.*

**დასამალი** *დასამალის* რაც უნდა დამალონ ან სადაც უნდა დამალონ. *დასამალი არაფერი აქვს. დასამალი ადგილი.* ▲ **დასამალად** ზმნზ. იმისთვის, რომ დაიმალოს (ან დამალოს), დამალვის მიზნით. *დასამალად აქვს საქმე.*

**დასამარება** *დასამარების* (დაასამარებს, დასამარდება) განადგურება, მოსპობა. *ქვეყნის ინტერესები დაასამარეს. მისი ოცნება დასამარდა.* ▮ **დასამარებული** რაც დაასამარეს. *დასამარებული იდეები.*

**დასამატებელი** *დასამატებლის* რაც უნდა დაამატონ. *დასამატებელი თანხა.* ▲ **დასამატებლად** ზმნზ. იმისთვის, რომ დაამატონ, დამატების მიზნით. *ადგილების დასამატებლად.*

**დასამახსოვრებელი** *დასამახსოვრებლის* 1. რაც უნდა დაიმახსოვრონ. *დასამახსოვრებელი რიცხვები.* 2. მნიშვნელოვანი, რის დამახსოვრებაც ღირს. *დასამახსოვრებელი დღე.*

**დასამზადებელი** *დასამზადებლის* რითაც უნდა დაამზადონ ან რაც უნდა დაამზადონ. *ნაყინის დასამზადებელი დანადგარი.* ▲ **დასამზადებლად** ზმნზ. იმისთვის, რომ დაამზადონ, დამზადების მიზნით. *წვენის დასამზადებლად.*

**დასამოკლებელი** *დასამოკლებლის* რაც უნდა დაამოკლონ, რასაც დამოკლება სჭირდება. *დასამოკლებელი შარვალი.*

**დასამოწმებელი** *დასამოწმებლის* რაც უნდა დაამოწმონ, რასაც დამოწმება სჭირდება. *დასამოწმებელი დოკუმენტები.*

**დასამტკიცებელი** *დასამტკიცებლის* რაც ან ვინც უნდა დაამტკიცონ. *დასამტკიცებელი კანონი.* ▲ **დასამტკიცებლად** ზმნზ. დამტკიცებისთვის, დამტკიცების მიზნით. *დასამტკიცებლად წარადგინეს.*

**დასამუშავებელი** *დასამუშავებლის* რაც უნდა დაამუშაონ, რასაც დამუშავება სჭირდება. *დასამუშავებელი მასალა. დასამუშავებელი ტექსტი.* ▲ **დასამუშავებლად** ზმნზ. დამუშავებისთვის, დამუშავების მიზნით. *საკითხის დასამუშავებლად.*

**დასამყნობი** *დასამყნობის* რაც უნდა დაამყნონ. *დასამყნობი ხე.*

**დასამწყვდევი** *დასამწყვდევის* ვინც, რაც უნდა დაამწყვდიონ ან სადაც უნდა დაამწყვდიონ. *დასამწყვდევი საქონელი. დასამწყვდევი ბაკი.* ▲ **დასამწყვდევად** ზმნზ. იმისთვის, რომ დაამწყვდიონ, დამწყვდევის მიზნით. *ძაღლი დასამწყვდევად წაიყვანა.*

**დასანამი** *დასანამის* რაც უნდა დანამონ. *დასანამი თეთრეული.*

**დასანანი** *დასანანის* რაც დანანებას (1) იწვევს, გულდასაწყვეტი. *დასანანი შეცდომა.*

**დასანაყი** *დასანაყის* რაც უნდა დანაყონ. *დასანაყი ნივთი.* ▲ **დასანაყად** ზმნზ. იმისთვის, რომ დანაყონ, დანაყვის მიზნით. *ნივრის დასანაყად სჭირდება.*

**დასანახავი** *დასანახავის* ვინც ან რაც უნდა დაინახონ. *კარგი დასანახავი იყო.* ▲ **დასანახავად** ზმნზ. დანახვისთვის, დანახვის მიზნით. *სხვების დასანახავად.*

**დასანახი** *დასანახის*||დასანახავი. *ადვილად დასანახი.* ▲**დასანახად** ზმნზ. ||დასანახავად. *ყველას დასანახად.*

**დასანთები** *დასანთების* რაც უნდა დაანთონ. *დასანთები სანთლები.*

**დასანიშნი** *დასანიშნის* რაც ან ვინც უნდა დანიშნონ. *დასანიშნი ქალი.* ▲ **დასანიშნად** ზმნზ. იმისთვის, რომ დანიშნონ, დანიშვნის მიზნით. *დასანიშნად წავიდნენ.*

**დასაოჯახებელი** *დასაოჯახებლის* ვინც არ დაოჯახებულა, ვინც ოჯახი უნდა შექმნას. *დასაოჯახებელი ახალგაზრდა.*

**დასაპვნა** *დასაპვნის* (დასაპნავს, დაისაპნება, დაასაპვნინებს) ბევრის გასაპვნა. *სარეცხი დასაპნა.*

**დასაპლომბი** *დასაპლომბის* რაც უნდა დაპლომბონ, რასაც დაპლომბვა სჭირდება. *დასაპლომბი კბილი.*

**დასაპროექტებელი** *დასაპროექტებლის* რაც უნდა დააპროექტონ. *დასაპროექტებელი ობიექტი.*

**დასარეცხი** *დასარეცხის* რაც უნდა დარეცხონ. *დასარეცხი ჭურჭელი.*

**დასართავი** *დასართავის* რაც უნდა დაართან. *დასართავი მატყლი.*

**დასარიგებელი** *დასარიგებლის* რაც უნდა დაარიგონ. *დასარიგებელი წერილები.* ▲ **დასარიგებლად** ზმნზ. დარიგებისთვის, დარიგების მიზნით. *მეგობრის დასარიგებლად წავიდა.*

**დასარტყამი** *დასარტყამის* რაც ან რითაც უნდა დაარტყან. *დასარტყამი ინსტრუმენტები.*

**დასარჩევი** *დასარჩევის* რაც უნდა დაარჩიონ. *დასარჩევი ხორბალი.*

**დასასრული** *დასასრულის* რაიმეს დაბოლოება, ბოლო ნაწილი. *ცხოვრების დასასრული. ბედნიერი დასასრული. ნაწარმოების დასასრული.*

**დასასჯელი** *დასასჯელის* ვინც უნდა დაისაჯოს, ვინც დასჯას იმსახურებს. *დასასჯელი მოსწავლე.* ▲ **დასასჯელად** ზმნზ. დასჯისთვის, დასჯის მიზნით. *დამნაშავის დასასჯელად.*

**დასაუთოებელი** *დასაუთოებლის* რაც უნდა დააუთოონ. *დასაუთოებელი თეთრეული.*

**დასაფასებელი** *დასაფასებლის* ვინც ან რაც დაფასებას იმსახურებს, დაფასების ღირსი. *დასაფასებელი ადამიანი. დასაფასებელი თვისება.*

**დასაფლავება** *დასაფლავების* (დაასაფლავებს, დაუსაფლავებს, დასაფლავდება) მიცვალებულის დამარხვა. *ნათესავებმა დაასაფლავეს.* ■ **დასაფლავებული** ვინც დაასაფლავეს. *ელკესიის ეზოშია დასაფლავებული.*

**დასაქმება** *დასაქმების* (დაასაქმებს, დასაქმდება) საქმეში ჩაბმა, საქმის შოვნა. *უმუშევართა დასაქმება. სტუდენტები დაასაქმეს. ხალხი დასაქმდა.* ■ **დასაქმებული** ვინც დაასაქმეს ან დასაქმდა. *დასაქმებული სპეციალისტები.*

**დასაღვრელი** *დასაღვრელის* რაც უნდა დაღვარონ. *დასაღვრელი სითხე.*

**დასაყენებელი** *დასაყენებლის* რაც უნდა დააყენონ ან რითაც უნდა დაიყენონ. *ჩაის დასაყენებელი მოწყობილობა.* ▲ **დასაყენებლად** ზმნზ. იმისთვის, რომ დააყენონ, დაყენების მიზნით. *მრიცხველის დასაყენებლად მოვიდნენ.*

**დასაყრდენი** *დასაყრდენის* 1. რაზეც დაყრდნობილია რაიმე ან ვინმე. *დასაყრდენი სვეტები.* 2. საიმედო, რის ან ვისი იმედიც აქვთ. *დასაყრდენი ძალა.*

**დასაშვები** *დასაშვების* ნებადართული, შესაძლო. *დასაშვები სიჩქარე. დასაშვები ვარაუდი.*

**დასაშრობი** *დასაშრობის* რაც უნდა დააშრონ. *დასაშრობი ჭაობი.*

**დასაჩუქრება** *დასაჩუქრების* (დაასაჩუქრებს, დასაჩუქრდება) საჩუქრის მიცემა. *გამარჯვებულთა დასაჩუქრება. წიგნებით დაასაჩუქრეს.* ■ **დასაჩუქრებული** ვინც დაასაჩუქრეს. *დასაჩუქრებული იუბილარი.*

**დასაცლელი** *დასაცლელის* რაც უნდა დაცალონ. *დასაცლელი საბარგული. დასაცლელი ფიალა.* ▲ **დასაცლელად** ზმნზ. იმისთვის, რომ დაცალონ, დაცლის მიზნით. *სახლის დასაცლელად მოვიდნენ.*

**დასაძრახი** *დასაძრახის* ვინც ან რაც დაძრახვას, გაკიცხვას იმსახურებს. *დასაძრახი საქციელი.*

**დასაწერი** *დასაწერის* რაც უნდა დაწერონ. *დავალება აქვს დასაწერი.* ▲ **დასაწერად** ზმნზ. დაწერისთვის, დაწერის მიზნით. *სტატიის დასაწერად.*

**დასაწვავი** *დასაწვავის* რაც უნდა დაიწვას. *დასაწვავი შეშა.* ▲ **დასაწვავად** ზმნზ. იმისთვის, რომ დაწვან, დაწვის მიზნით. *დასაწვავად ვერ გაიმეტა.*

**დასაწმენდი** *დასაწმენდის* რაც უნდა დაწმინდონ. *დასაწმენდი ჭურჭელი.*

**დასაწყისი** *დასაწყისის* ქმედების, მოვლენის, ნაწარმოებისა და მისთ. პირველი ნაწილი. *მოთხრობის დასაწყისი. კარგი დასაწყისი.*

**დასაწყობი** *დასაწყობის* რაც უნდა დააწყონ, დაალაგონ. *თაროზე დასაწყობი წიგნები.* ▲ **დასაწყობად** ზმნზ. იმისთვის, რომ დააწყონ, დაწყობის მიზნით.

**დასაჭრელი** *დასაჭრელის* რაც უნდა დაჭრან. *დასაჭრელი პური.* ▲ **დასაჭრელად** ზმნზ. იმისთვის, რომ დაჭრან, დაჭრის მიზნით. *ბოსტნეულის დასაჭრელად.*

**დასაჭურისება** *დასაჭურისების* (დაასაჭურისებს, დასაჭურისდება) საჭურისად ქცევა. *ტყვე დაასაჭურისეს.* ■ **დასაჭურისებული** ვინც დაასაჭურისეს. *დასაჭურისებული მონა.*

**დასახატავი** *დასახატავის*||დასახატი. *ცოტაღა დარჩა დასახატავი.*

**დასახატი** *დასახატის* რაც უნდა დახატონ, რითაც უნდა დახატონ. *დასახატი ფიგურები.* ▲ **დასახატავად** ზმნზ. დახატვისთვის, დახატვის მიზნით. *სურათის დასახატად.*

**დასახელება** *დასახელების* (დაასახელებს, დაუსახელებს) 1. საზოგადოებისთვის ვინმეს წარდგენა, რაიმეს მითითება. *მოწმედ დაასახელეს. საჭირო ლიტერატურა დაუსახელა.* 2. იგივეა, რაც სახელწოდება. *ფირმის დასახელება. ადგილის დასახელება.* ■ **დასახელებული** ვინც ან რაც დაასახელეს. *დასახელებული კანდიდატი. დასახელებული სახელმძღვანელო.*

**დასახვა** *დასახვის* (დასახავს, დაისახავს, დაუსახავს, დაისახება, დაესახება) რაიმეს შესრულების წინასწარ განსაზღვრა, წარმოდგენა, გეგმის ჩამოყალიბება. *მიზნად დაისახა. მოქმედების გზა დასახა.* ■ **დასახული** რაც დაისახეს. *დასახული მიზნისკენ მიდის.*

**დასახვევი** *დასახვევის* რაც უნდა დაახვიონ ან რითაც უნდა დაახვიონ. *დასახვევი თოკი. თმის დასახვევი საშუალება.*

**დასახიჩრება** *დასახიჩრების* (დაასახიჩრებს, დაისახიჩრებს, დაუსახიჩრებს, დასახიჩრდება, დაუსახიჩრდება) ფიზიკურად დამახინჯება, სახიჩრად ქცევა. *დათვმა მონადირე დაასახიჩრა. ჯარისკაცი ომში დასახიჩრდა.* ■ **დასახიჩრებული** ვინც ან რაც დასახიჩრდა. *დასახიჩრებული სხეული.*

**დასახლება** *დასახლების* (დაასახლებს, დასახლდება, დაუსახლდება) 1. საცხოვრებლად დაფუძნება. *დაზარალებულები სოფელში დაასახლეს. ბერები უდაბნოში დასახლდნენ.* 2. ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული. *სამხედრო დასახლება.* ■ **დასახლებული** ვინც დაასახლეს ან დასახლდა. *ქალაქში დასახლებული ოჯახი.*

**დასაჯდომი** *დასაჯდომის* რაზეც უნდა დაჯდეს ვინმე. *დასაჯდომი ადგილი.* ▲ **დასაჯდომად** ზმნ. იმისთვის, რომ დაჯდეს, დაჯდომის მიზნით. *დასაჯდომად არ მცალია.*

**დასევა** *დასევის* (დაასევს, დაისევს, დაესევა) ბევრის ერთბაშად მიგროვება, დახვევა (2) საჩხუბრად ან რაიმეს წაღების, წართმევის, გამოძალვის მიზნით. *ხალხი დამნაშავეს დაესია. ძაღლები საჭმელს დაესივნენ.*

**დასევდიანება** *დასევდიანების* (დაასევდიანებს, დასევდიანდება) სევდის დაუფლება. *უმიზეზოდ დასევდიანდა.*

**დასერვა** *დასერვის* (დასერავს, დაუსერავს, დაისერება, დაესერება) 1. ბასრი იარაღით რამდენიმეგან გაჭრა ზედაპირულად (ზოლებად). *სახე დაუსერა. თითები დაესერა.* 2. გადატ. ზედაპირზე კვალის ზოლებად დამჩნევა. *ცა ვარსკვლავებით დაისერა.* 3. პირუტყვისთვის ყურზე პატრონის ნიშნის, სერის, დადება. *ცხვარი დასერა.* ■ **დასერილი** რაც დაისერა. *დასერილი ტანი.*

**დასესხება** *დასესხების* (დაესესხება) სესხად გამორთმევა. *მეზობელს ფულს დაესესხა.*

**დასეტყვა** *დასეტყვის* (დასეტყვავს, დაისეტყვება, დაესეტყვება) სეტყვით დაზიანება, გაფუჭება. *ნათესები დასეტყვას გადაურჩა. ვენახი დაისეტყვა.* ■ **დასეტყვილი** რაც დაისეტყვა. *დასეტყვილი ხეხილი.*

**დასველება** *დასველების* (დაასველებს, დაისველებს, დაუსველებს, დასველდება, დაუსველდება) მშრალის სველად ქცევა, სითხით გაჟღენთა. *ქუდი დაუსველდა. ბამბა სპირტში დაასველა. თავი დაისველა.* 1. საუბრ. რაიმეს შეძენის ან მნიშვნელოვანი ამბის აღნიშვნა ქეიფით. *ახალი ბინა როდის უნდა დავასველოთ?!* ■ **დასველებული** რაც ან ვინც დასველდა. *დასველებული ჩანთა. წვიმაში დასველებული ბიჭი.*

**დასვენება** *დასვენების* (დაასვენებს, დაისვენებს, დაესვენება) 1. გარკვეული ხნით გაჩერება დახარჯული ენერგიის, ძალის აღსადგენად. *ჩრდილში დაისვენეს. დასვენება ვერ მოასწრო. ცხენები არ დაასვენა.* 2. დროის პატარა მონაკვეთი მეცადინეობებს შორის სასწავლო დაწესებულებაში. *დიდი დასვენება. ბავშვები დასვენებაზე ეზოში გავიდნენ.* 3. პატივისც. ცხედრის, ხატისა და მისთ. დადება, გარკვეულ ადგილას მოთავსება. *მიცვალებული დარბაზში დაასვენეს. ხატები საკურთხეველში დაასვენეს.* ■ **დასვენებული** ვინც ან რამაც დაისვენა, რაც დაასვენეს. *დასვენებული ხარი. დასვენებული ცხედარი.*

**დასვრა** *დასვრის* (დასვრის, დაისვრის, დაუსვრის, დაისვრება, დაესვრება) იგივეა, რაც **გასვრა** (1). *მაგიდა დაისვარა. ხელები საღებავით დაესვარა.* ■ **დასვრილი** რაც ან ვინც დაისვარა. *დასვრილი იატაკი.*

**დასი** *დასის* 1. თეატრის მსახიობთა კოლექტივი. *დასი საგასტროლოდ მიემგზავრება.* 2. ძვ. გუნდი (1); კრებული (2). 3. საზოგადოებრივი დაჯგუფება. *სახალხო დასი.*

**დასივება** *დასივების* (დაასივებს, დაისივებს, დაუსივებს, დასივდება, დაუსივდება) იგივეა, რაც **გასივება**. *ხელი დაუსივდა. ტანზე დასივდა.* ■ **დასივებული** რაც დასივდა. *დასივებული თვალები. დასივებული სახე.*

**დასიზმრება** *დასიზმრების* (დაასიზმრებს, დაესიზმრება) სიზმარში ნახვა. *დედა ესიზმრება. ამხანაგები დაესიზმრა.*

**დასისხლიანება** *დასისხლიანების* (დაასისხლიანებს, დაისისხლიანებს, დაუსისხლიანებს, დასისხლიანდება, დაუსისხლიანდება) სისხლის დადენით სხეულის დასვრა. *სახე დაუსისხლიანდა.* ■ **დასისხლიანებული** ვინც ან რაც დასისხლიანდა. *სულ დასისხლიანებული იყო.*

**დასიცხვა** *დასიცხვის* (დასიცხავს, დაისიცხება) მზის სხივების ზემოქმედების გამო ავად გახდომა. *ბავშვი დაისიცხა. მზემ მუშები დასიცხა.* ■ **დასიცხული** ვინც ან რაც დაისიცხა. *დასიცხული პირუტყვი.*

**დასკდომა** *დასკდომის* (დასკდება, დაუსკდება) 1. ბევრ ადგილას გახეთქა. *მინა დასკდა. ხელები დაუსკდა.* 2. ძირს დანარცხება, დახეთქება. *კიბეს დაასკდა.*

**დასკვნა** *დასკვნის* (დაასკვნის) 1. მსჯელობის შედეგად მიღებული შემაჯამებელი აზრი, საბოლოო გადაწყვეტილება რაიმე საკითხზე. *ლოგიკური დასკვნა. არასწორი დასკვნა. დასკვნა გამოიტანა.*

2. ნაწარმოების ბოლო, შემაჯამებელი ნაწილი. *ვრცელი დასკვნა. დისერტაციის დასკვნა.*

**დასკვნითი** *დასკვნითის* დასკვნის სახით მოცემული, შემაჯამებელი. *დასკვნითი დებულებები. დასკვნითი კონცერტი.*

**დასკუპება** *დასკუპების* (დაასკუპებს, დასკუპდება, დაუსკუპდება) 1. პატარა ზომის ფრინველის ან ცხოველის ჩამოჯდომა. *ბელურა ხის ტოტზე დასკუპდა. კატა კიბეზე დასკუპდა.* 2. გადატ. შეუფერებელ ადგილას, შეუფერებელ დროს დაჯდომა. *უფროსებში დასკუპდა.*

**დასლოკინება** *დასლოკინების* (დაასლოკინებს) სლოკინის გამოცემა. *ბავშვს დაასლოკინა.*

**დასლუკუნება** *დასლუკუნების* (დაისლუკუნებს) სლუკუნის ხმის გამოცემა. *დასლუკუნებას ვერ ბედავდა. ბავშვმა დაისლუკუნა.*

**დასმა** *დასმის* (დასვამს, დაასვამს, დაისვამს, დაუსვამს, დაისმება, დაესმება, დაასმევინებს) 1. ვინმეს დახმარება, რომ დაჯდეს, მოთავსდეს გარკვეულ ადგილას. *ტახტზე დასვა. პატარა მუხლებზე დაისვა.* 2. წერისა და თხრობის დროს სასვენი ნიშნის ან მახვილის გამოყენება. *მძიმეები დასვა. მახვილი სიტყვის ბოლოს დასვა.* 3. რაიმეზე ყურადღების გამახვილება, სამსჯელო თემად ქცევა. *საკითხი დასვა.*

**დასმენა** *დასმენის* (დაასმენს) იგივეა, რაც **დაბეზღება**. *ამხანაგები დაასმინა.*

**დასნეულება** *დასნეულების* (დაასნეულებს, დაისნეულებს, დასნეულდება) რაიმე სნეულებით დაავადება. *კაცი დასნეულდა. ასთმით დასნეულდა.* ■ **დასნეულებული** ვინც დასნეულდა. *დასნეულებული მოხუცი.*

**დასობა** *დასობის* (დაასობს, დაესობა) წვეტიანი საგნის სადმე, რაიმეში ჩარჭობა. *ხმლის დასობა. პალო დაასო.*

**დასპირტვა** *დასპირტვის* (დასპირტავს, დაისპირტება) სითხის სპირტით გაზავება, სპირტის შერევა. *ხილის ნაყენი დასპირტა.* ■ **დასპირტული** რაც დასპირტეს. *დასპირტული სასმელი.*

**დასრესა** *დასრესის* (დასრესს, დაისრესს, დაუსრესს, დაისრისება) 1. ბევრის გასრესა. *ფოთლები ხელით დასრისა.* 2. ძლიერ დაჭმუჭვნა. *ტანსაცმელი დაესრისა.* 3. ტანის, ხელისა და მისთ. დაზელა. *ყურები დაუსრისა.* ■ **დასრესილი** რაც დაისრისა. *დასრესილი კაბა.*

**დასრიალება** *დასრიალების* (დაასრიალებს, დასრიალდება, დაუსრიალდება) მოლიპულ ზედაპირზე დასხლტომა, დაცურება. *მანქანა ფერდობზე დასრიალდა. ყინულზე ფეხი დაუსრიალდა.*

**დასრულება** *დასრულების* (დაასრულებს, დაისრულებს, დაუსრულებს, დასრულდება, დაუსრულდება, დაასრულებინებს) სრულად, მთლიანად გაკეთება, დამთავრება. *ვარჯიში დაასრულა. მშენებლობა დასრულდა. კონკურსი დასრულდა.* ■ **დასრულებული** რაც დაასრულეს ან დასრულდა. *დასრულებული სამუშაო.*

**დასტა** *დასტის* 1. ქაღალდის ნაწარმის შეკვრა. *ფულის დასტა. გაზეთების დასტა.* 2. აღმოსავლური მუსიკალური საკრავების დამკვრელთა გუნდი. *მედუდუკეთა დასტა.* 3. ძვ. დასი (3), გუნდი, ჯგუფი. ■ **დასტა-დასტა** დასტებად, დასტების სახით. *ფული დასტა-დასტა მოიტანეს.*

**დასტამბვა** *დასტამბვის* (დასტამბავს, დაისტამბება) სტამბური წესით დაბეჭდვა. *მაღალი ხარისხით დასტამბვა. ლექსიკონი დასტამბეს. გამომცემლობაში დაისტამბა.* ■ **დასტამბული** რაც დაისტამბა. *დასტამბული კრებული.*

**დასტამბო** *დასტამბოს* ნესვის სახეობა. პატარა, მრგვალი, ზოლებიანი, სურნელოვანი, მაგრამ ნაკლებად ტკბილი ბაღჩეული.

**დასტაქარი** *დასტაქრის* ძვ. ექიმი, რომელიც ოპერაციებს აკეთებს.

**დასტვენა** *დასტვენის* (დასტვენს, დაისტვენს, დაუსტვენს) სტვენის ხმის გამოცემა. *ჩუმად დაუსტვინა. ჩიტივით დაისტვინა.*

**დასტური** *დასტურის* იგივეა, რაც **თანხმობა** (2). *დასტური მიიღო. დასტურს მისცემს.*

**დასუნვა** *დასუნვის* (დასუნავს) რაიმეს ცხვირთან ახლოს მიტანა სუნის შეგრძნების მიზნით. *საჭმელს დასუნა.*

**დასურათება** *დასურათების* (დაასურათებს, დაუსურათებს, დასურათდება) ტექსტისთვის შინაარსის შესაბამისი სურათების დართვა. *წიგნის დასურათება. ლექსების კრებული დაასურათა.* ■ **დასურათებული** რაც დაასურათეს. *დასურათებული ზღაპრები.*

**დასუსტება** *დასუსტების* (დაასუსტებს, დაუსუსტებს, დასუსტდება, დაუსუსტდება, დაასუსტებინებს) სიძლიერის, ღონის მოკლება, სუსტად გახდომა. *მხედველობის დასუსტება. ომმა ქვეყანა დაასუსტა. ხმა დაუსუსტდა.* ■ **დასუსტებული** რაც ან ვინც დასუსტდა. *დასუსტებული ავადმყოფი.*

**დასუსხვა** *დასუსხვის* (დასუსხავს, დაუსუსხავს, დაისუსხება, დაესუსხება) ჭინჭრის (ან მედუზას) შეხებისას კანის გაღიზიანება და დანვა. *ჭინჭარმა დასუსხა. ფეხები დაესუსხა.* ■ **დასუსხული** რაც დაისუსხა. *დასუსხული სახე.*

**დასუფთავება** *დასუფთავების* (დაასუფთავებს, დაისუფთავებს, დაუსუფთავებს, დასუფთავდება, დაასუფთავებინებს) დიდი ფართობის განმენდა, დალაგება. *ქუჩის დასუფთავება. ოთახები დაასუფთავეს. ეზო დაასუფთავა.* ■ **დასუფთავებული** რაც დაასუფთავეს. *დასუფთავებული სახლი.*

**დასუქება** *დასუქების* (დაასუქებს, დაუსუქებს,

დასუქდება) ბევრის გასუქება. *ქათმები დაასუქა. ცხვრები დასუქდნენ.* ■ დასუქებული ვინც ან რაც დასუქდა. *ცომით დასუქებული ჭუკები.*

**დასწავლა** *დასწავლის* (დაისწავლის) სწავლა, დამახსოვრება. *ლექსი ზეპირად დაისწავლა. ფორმულები დაისწავლა.* ■ დასწავლილი რაც დაისწავლეს. *დასწავლილი წესები.*

**დასწრება** *დასწრების* (დაასწრებს, დაისწრებს, დაესწრება) 1. სხვაზე ადრე გაკეთება. *ყველას დაასწრო მისვლა. მეგობარს ფულის გადახდა დაასწრო.* 2. რაიმეს მიმდინარეობისას იქ ყოფნა, მონაწილეობის მიღება. *კრებას დაესწრო. ლექციაზე დაისწრო. დამკვირვებელი არჩევნებს დაესწრო.* ⊙ მრავალს დაესწარით! დალოცვ. ღმერთმა მრავალჯერ დაგაბეროთ ამ დღეს!

**დასხდომა** *დასხდომის* (დასხდება, დაასხდება, დაუსხდება) ბევრის დაჯდომა. *სტუმრები მაგიდასთან დასხდნენ.*

**დასხლტომა** *დასხლტომის* (დასხლტება, დაუსხლტება) მოლიპულ, სრიალა ზედაპირზე დაცურება. *ყინულზე ფეხი დაუსხლტა.*

**დასხმა**[1] *დასხმის* (დაასხამს, დაისხამს, დაუსხამს, დაისხმება, დაესხმება, დაასხმევინებს) 1. სითხის დიდი ჭურჭლიდან უფრო პატარაში ჩაშვება. *წყალი დაისხა. ღვინო დაასხა. ჩაი დაუსხა.* 2. მცირე რაოდენობით სითხის დაღვრა, დანვეთება. *კაბაზე ყავა დაესხა. სუნამო დაისხა.* ■ დასხმული რაც დაასხეს. *ჭიქებში დასხმული ღვინო.*

**დასხმა**[2] *დასხმის* (დასხამს, დაისხამს, დაუსხამს, დაისხმება, დაასხმევინებს) ბევრის დასმა. *ბავშვები მაგიდასთან დასხა. პაციენტები მოსაცდელში დასხეს.*

**დასხმა**[3] *დასხმის* (დაისხამს, დაესხმება) ბევრი ნაყოფის გამობმა. *ვაშლმა დაისხა. ჭერამმა წელს კარგად დაისხა.*

**დასხმა**[4] *დასხმის* (დაესხმება) ბევრის თავზე დაცემა (5). *მოულოდნელად დაესხნენ თავს.*

**დასხურება** *დასხურების* (დაასხურებს, დაისხურებს, დაესხურება) სითხის დასხმა წვეთებად ან მცირე ნაკადად, დაპკურება. *სუნამოს დასხურება. ყვავილს წყალი დაასხურა.*

**დასჯა** *დასჯის* (დასჯის, დაუსჯის, დაისჯება, დაასჯევინებს) დამნაშავის მიმართ გარკვეული ქმედების განხორციელება, სასჯელის სისრულეში მოყვანა. *სიკვდილით დასჯა. მშობლებმა ბავშვი დასაჯეს. დამნაშავე დაისაჯა.* ■ დასჯილი ვინც დაისაჯა. *დასჯილი მეკარე.*

**დატაკება** *დატაკების* (დაატაკებს, დაეტაკება) 1. უცბად, მთელი ძალით მირტყმა, დაჯახება. *მუცელში მუშტი დაატაკა. კაცს მანქანა დაეტაკა.* 2. გადატ. მივარდნა და წაჩხუბება. *ქალი მე ზობელს დაეტაკა.*

**დატანება** *დატანების* (დაატანს, დაიტანს, დაეტანება) რაიმეს შიგნით, სიღრმეში ჩასმა, ჩაყოლება. *გალავანში კოშკი დაატანეს. კედელში სათოფურები დაატანეს.* ■ დატანებული რაც დაატანეს. *კედელში დატანებული საკვამური.*

**დატანჯვა** *დატანჯვის* (დატანჯავს, დაიტანჯავს, დაუტანჯავს, დაიტანჯება, დაეტანჯება, დაატანჯვინებს) ტანჯვის მიყენება, გაწვალება. *ხალხის დატანჯვა. ტკივილმა დატანჯა. ეჭვიანობით დაიტანჯა.* ■ დატანჯული ვინც დაიტანჯა. *დატანჯული ქალი.*

**დატატანება** *დატატანების* (დაუტატანებს) დაყვირება, ხმამაღალი გაწყრომა. *დარაჯმა ბავშვებს დაუტატანა.*

**დატაცება** *დატაცების* (დასტაცებს, დაიტაცებს) 1. ბევრის გატაცება, მისაკუთრება, ძალით წაღება. *ნათესავებმა მთელი ქონება დაიტაცეს. ნაკვეთები დაიტაცეს. ძვირფასი ნივთები დაიტაცეს.* 2. ხელის, პირისა და მისთ. სწრაფად, მოულოდნელად დაველება და აღება. *ჩანთას ხელი დასტაცა. ძაღლმა ძვალს პირი დასტაცა.* 3. საუბრ. გადატ. ერთბაშად ბევრის ყიდვა. *ტანსაცმელი ჩალის ფასად დაიტაცეს. პური დაიტაცეს.* ■ დატაცებული რაც დაიტაცეს. *დატაცებული მიწები.*

**დატბორვა** *დატბორვის* (დატბორავს, დაიტბორება) ნაგებობების, მინის ფართობისა და მისთ. წყლით დაფარვა. *დატბორვის საფრთხე. სახლები დაიტბორა. წყალდიდობის შედეგად დაიტბორა.* ■ დატბორილი რაც დაიტბორა. *დატბორილი ნათესები.*

**დატევა** *დატევის* (დაატევს, დაიტევს, დაეტევა) რაიმეში მოთავსება, საკმარისი ადგილის აღმოჩენა. *სუფრასთან სტუმრები დაატიეს. მანქანა ეზოში ვერ დაეტია. ტექსტი ერთ გვერდზე დაეტია.*

**დატენა** *დატენის* (დატენის, დაიტენის, დაუტენის, დაიტენება, დაეტენება) 1. იგივეა, რაც გატენა (1). *ჯიბეები დაიტენა.* 2. იგივეა, რაც გატენა (2). *თოფი დატენეს.* ■ დატენილი რაც დაიტენა. *თუთუნით დატენილი ჩიბუხი.*

**დატენიანება** *დატენიანების* (დაატენიანებს, დატენიანდება) ტენით გაჟღენთა. *ჰაერის დატენიანება. ნიადაგი დატენიანდა.* ■ დატენიანებული რაც დატენიანდა. *დატენიანებული ადგილები.*

**დატეხა** *დატეხის* (დატეხს, დაატეხს, დაიტეხს, დაუტეხს) ბევრ ნაწილად გატეხა, დამტვრევა. *პური დატეხა.*

**დატვირთვა** *დატვირთვის* (დატვირთავს, დაიტვირთავს, დაუტვირთავს, დაიტვირთება) 1. ტრანსპორტზე ტვირთის დაწყობა გადასაზიდად. *ვაგონები სამშენებლო მასალით დატვირთეს. გემი საწვავით დატვირთეს.* 2. ბევრი დავალების მიცემა, ბევრი საქმის გაჩენა. *სამსახურში ძალიან დატვირთეს. საოჯახო საქმით დაიტვირთა.* ■ დატვირთული ვინც ან რაც დაიტვირთა. *დატვირთული მანქანა.*

**დატვიფვრა** *დატვიფვრის* (დატვიფრავს, დაიტვიფრე-

ბა) ტვიფრის დასმა, ტვიფრით დამზადება. *ბეჭდით დატვიფრა. დეტალები დატვიფრეს.* ■ **დატვიფრული** რაც დატვიფრეს. *დატვიფრული ლითონი.*

**დატირება** *დატირების* (დაატირებს, დაიტირებს) ვინმეს გარდაცვალებით გამოწვეული მწუხარების ტირილით ხმამაღლა გამოთქმა. *გულით დატირა.*

**დატიტვლება** *დატიტვლების* (დაატიტვლებს, დატიტვლდება) ბევრის გატიტვლება. *ბავშვები დატიტვლდნენ.* ■ **დატიტვლებული** ვინც დაატიტვლეს ან დატიტვლდა. *დატიტვლებული ბიჭები.*

**დატკაცუნება** *დატკაცუნების* (დაატკაცუნებს, დატკაცუნდება) ტკაცუნის ხმის გამოცემა. *თითი დაატკაცუნა. მათრახი დაატკაცუნა.*

**დატკბობა** *დატკბობის* (დაატკბობს, დაიტკბობს, დაუტკბობს, დატკბება, დაუტკბება, დაატკბობინებს) 1. სიტკბოს მომატება. *ყურძენი ძალიან დატკბა. ჩაი შაქრით დაატკბო.* 2. გადატ. რაიმესგან ან ვინმესგან სიამოვნების მიღება, მოხიბვლა. *პეი ზაჟმა დაატკბო. სიმღერის მოსმენით დატკბა.*

**დატკეპნა** *დატკეპნის* (დატკეპნის, დაუტკეპნის, დაიტკეპნება, დაატკეპნინებს) რბილი მასის (მიწის, თოვლის, ცომისა და მისთ.) გასწორება და გამაგრება ხელის, ფეხის ან მძიმე საგნის დაჭერით. *სილის დატკეპნა. გ ზა დაიტკეპნა.* ■ **დატკეპნილი** რაც დატკეპნეს ან დაიტკეპნა. *დატკეპნილი მიწა.*

**დატოვება** *დატოვების* (დატოვებს, დაიტოვებს, დაუტოვებს, დაატოვებინებს) 1. წასვლა ისე, რომ თან არ გაიყოლოს ვინმე ან რაიმე. *ჩანთა სახლში დატოვა. ბავშვები ბებიას დაუტოვა.* 2. გარკვეული პროცესის, საქმიანობის მიტოვება და წასვლა, გარიდება. *სხდომა დატოვა. თანამდებობა დატოვა.* ■ **დატოვებული** რაც ან ვინც დატოვეს. *მეგობრისთვის დატოვებული წიგნი.*

**დატოლება** *დატოლების* (დაატოლებს, დაიტოლებს, დაეტოლება) ერთის მეორესთან შედარება მათი ზომაში სხვაობის ან ტოლობის გასარკვევად. *ფეხსაცმელები დაატოლა. ბიჭი მამას დაეტოლა.*

**დატორვა** *დატორვის* (დატორავს, დაიტორება) ტორების დარტყმა, დაკვრა. *დათვმა ძროხა დატორა.*

**დატოტვილი** *დატოტვილის* ბევრი ტოტის მქონე, ტოტებად გაშლილი. *დატოტვილი ხე. ირმის დატოტვილი რქები.*

**დატრაბახება** *დატრაბახების* (დაიტრაბახებს) ტრაბახით თქმა, კვეხნა. *დატრაბახება უყვარდა. მეგობრებთან დაიტრაბახა.*

**დატრიალება** *დატრიალების* (დაატრიალებს, დაიტრიალებს, დაუტრიალებს, დატრიალდება, დაუტრიალდება) 1. ტრიალის დაწყება, ტრიალით ამოძრავება. *ქარმა ფოთლები ჰაერში დაატრიალა. კარუსელი დატრიალდა.* 2. რაიმე ამბის, მდგომარეობისა და მისთ. გავრცელება გარკვეულ ადგილას, ყველაფრის მოცვა. *უბედურება დატრიალდა. სახლში სითბო დატრიალდა.* ■ **დატრიალებული** რაც დაატრიალეს ან დატრიალდა. *დატრიალებული ბორბალი.*

**დატუმბვა** *დატუმბვის* (დატუმბავს, დაიტუმბება) ტუმბოს საშუალებით გავსება, დატენა. *მილები წყლით დატუმბეს.* ■ **დატუმბული** რაც დატუმბეს. *ჟანგბადით დატუმბული ბალონი.*

**დატუსაღება** *დატუსაღების* (დაატუსაღებს, დაატუსაღებინებს) იგივეა, რაც **დაპატიმრება**. *დატუსაღების ფაქტი. დამნაშავე დაატუსაღეს.* ■ **დატუსაღებული** ვინც დაატუსაღეს. *დატუსაღებული ქურდი.*

**დატუქსვა** *დატუქსვის* (დატუქსავს, დაუტუქსავს, დაიტუქსება) ვინმესთვის გასაკიცხი რაიმეს თქმა, გაწყრომა, გაჯავრება. *მოსწავლეები დატუქსა. მშობლებმა დატუქსეს.*

**დატყავება** *დატყავების* (დაატყავებს) ბევრის გატყავება. *ბატკნები დაატყავეს.* ■ **დატყავებული** რაც დაატყავეს. *დატყავებული ცხვრები.*

**დატყდომა** *დატყდომის* (დაატყდება) ⊙ **თავს დატყდება** იხ. თავი.

**დატყვევება** *დატყვევების* (დაატყვევებს) 1. ტყვედ აყვანა, დამწყვდევა. *მეკობრეებმა დაატყვევეს. ნადირი დაატყვევეს.* 2. გადატ. მეტისმეტად მოხიბვლა. *მუსიკამ დაატყვევა.* ■ **დატყვევებული** ვინც ან რაც დაატყვევეს. *დატყვევებული ქალი.*

**დატყუება** *დატყუების* (დასტყუებს) მოტყუებით, მოხერხებით გამორთმევა ან ვინმესგან რაიმე ცნობის, ამბის გაგება. *საბუთი დასტყუა. ფული დასტყუა. ქალს სახელი დასტყუა.*

**დაუამებელი** *დაუამებლის* რასაც ვერ დაუამებენ, ძლიერი, მძაფრი. *დაუამებელი ტკივილი.*

**დაუგეგმავი** *დაუგეგმავის* რაც არ დაუგეგმავთ, გაუთვალისწინებელი. *დაუგეგმავი ვიზიტი.* ▲ **დაუგეგმავად** ზმნზ. ისე, რომ არ დაუგეგმავთ, დაგეგმვის გარეშე. *დაუგეგმავად შეამოწმეს.*

**დაუგველი** *დაუგველის* რაც არ დაუგვიათ. *დაუგველი ოთახი.*

**დაუდგენელი** *დაუდგენლის* რაც ან ვინც არ დაუდგენიათ. *დაუდგენელი დაავადება. დაუდგენელ პირები.*

**დაუდგრომელი** *დაუდგრომლის* მეტად აქტიური, მოუსვენარი. *დაუდგრომელი პიროვნება.*

**დაუდეგარი** *დაუდეგარის* ძალიან მოძრავი, მოუსვენარი. *დაუდეგარი ბავშვი.*

**დაუდევარი** *დაუდევრის* უდარდელი, ვინც განსაკუთრებულ ყურადღებას არაფერს აქცევს, არაფერს უფრთხილდება. *დაუდევარი კაცი. ჩაცმაში დაუდევარი.* ▲ **დაუდევრად** ზმნზ. უყურადღებოდ, გაუფრთხილებლად. *დაუდევრად იცის საქმის კეთება. დაუდევრად მოიქცა.*

**დაუვიწყარი** *დაუვიწყარის* რაც არასოდეს დაავიწყდებათ, ძალიან კარგი, სასიამოვნო. *დაუვიწყარი დღეები. დაუვიწყარი შეხვედრა.*

**დაუზარებელი** *დაუზარებლის* ||დაუზარელი *დაუზარებელი ახალგაზრდა.* ▲ **დაუზარებლად** ზმნზ. დაზარების გარეშე. *დაუზარებლად შრომობს.*

**დაუზარელი** *დაუზარლის* ვისაც არაფერი ეზარება, ყოჩაღი. *შრომაში დაუზარელი. დაუზარელი ბავშვი.* ▲ **დაუზარლად** ზმნზ. დაზარების გარეშე. *დაუზარლად აკეთებს ყველაფერს.*

**დაუზუსტებელი** *დაუზუსტებლის* რაც არ დაუზუსტებიათ, ზუსტად არ არის ცნობილი. *დაუზუსტებელი ინფორმაცია. თარიღები დაუზუსტებელია.* ▲ **დაუზუსტებლად** ზმნზ. ისე, რომ არ დაუზუსტებიათ, დაზუსტების გარეშე. *საკითხის დაუზუსტებლად.*

**დაუთარიღებელი** *დაუთარიღებლის* რაც არ დაუთარიღებიათ, რასაც თარიღი არ აქვს. *დაუთარიღებელი ხელნაწერი.*

**დაუთოება** *დაუთოების* (დააუთოებს, დაიუთოებს, დაუუთოებს, დაუთოვდება, დააუთოებინებს) 1. ბევრის გაუთოება. *სარეცხის დაუთოება. თეთრეული დააუთოვა.* 2. იგივეა, რაც **გაუთოება**. *კაბა დააუთოვა.* ▮ **დაუთოებული** რაც დააუთოვეს. *დაუთოებული ზეწარი.*

**დაუკანონებელი** *დაუკანონებლის* რაც დაკანონებული არ არის. *დაუკანონებელი ქონება.*

**დაუკვირვებელი** *დაუკვირვებლის* 1. ვისაც დაკვირვების უნარი არა აქვს, ვინც დაკვირვებით არ იქცევა. *დაუკვირვებელი ახალგაზრდა.* 2. დაკვირვების გარეშე ჩადენილი, გაკეთებული და მისთ. *დაუკვირვებელი ნათქვამი. დაუკვირვებელი საქციელი.* ▲ **დაუკვირვებლად** ზმნზ. დაკვირვების გარეშე, უყურადღებოდ. *დაუკვირვებლად წერს.*

**დაუკმაყოფილებელი** *დაუკმაყოფილებლის* რაც ან ვინც დაკმაყოფილებული არ არის. *დაუკმაყოფილებელი მობინადრეები.*

**დაუკოდავი** *დაუკოდავის* რაც არ დაუკოდავთ. *დაუკოდავი ხარი.*

**დაუკომპლექტებელი** *დაუკომპლექტებლის* რაც დაკომპლექტებული არ არის. *დაუკომპლექტებელი ტურისტული ჯგუფი.*

**დაუკონკრეტებელი** *დაუკონკრეტებლის* რაც დაკონკრეტებული არ არის. *დაუკონკრეტებელი მონაცემები.*

**დაუკრეფავი** *დაუკრეფავის* რაც არ დაუკრეფავთ. *დაუკრეფავი ხილი.* ◎ **დაუკრეფავში გადადის** საუბრ. შეუფერებლად იქცევა, ზედმეტს ლაპარაკობს.

**დაულაგებელი** *დაულაგებლის* 1. რაც არ დაულაგებიათ. *დაულაგებელი ოთახი.* 2. გადატ. უაზრო, არეული, გაუგებარი. *დაულაგებელი ლაპარაკი.*

**დაუმთავრებელი** *დაუმთავრებლის* რაც არ დაუმთავრებიათ, დაუსრულებელი. *დაუმთავრებელი მშენებლობა.*

**დაუმორჩილებელი** *დაუმორჩილებლის* თავისუფლებისმოყვარე, ვისაც ვერავინ იმორჩილებს. *დაუმორჩილებელი ხალხი.*

**დაუმორჩილებლობა** *დაუმორჩილებლობის* 1. დაუმორჩილებლად ყოფნა, არდამორჩილება. *ბავშვის დაუმორჩილებლობა.* 2. გადატ. პოლიტიკური პროტესტის გამოხატვა დაუმორჩილებლად ყოფნის განცხადებით. *საყოველთაო დაუმორჩილებლობა. დაუმორჩილებლობა გამოაცხადეს.*

**დაუმსახურებელი** *დაუმსახურებლის* რაც არ დაუმსახურებიათ. *დაუმსახურებელი საყვედური. დაუმსახურებელი პრიზი.* ▲ **დაუმსახურებლად** ზმნზ. ისე, რომ არ დაუმსახურებიათ, დამსახურების გარეშე. *დაუმსახურებლად გაკიცხეს.*

**დაუმუშავებელი** *დაუმუშავებლის* რაც დამუშავებული არ არის. *დაუმუშავებელი ტყავი.*

**დაუნახაობა** *დაუნახაობის* უმადურობა, სიკეთის არდანახვა. *რა დაუნახაობაა!*

**დაუნდობელი** *დაუნდობლის* ვინც არავის დაინდობს, შეუბრალებელი. *მტერი დაუნდობელია.* ▲ **დაუნდობლად** ზმნზ. შეუბრალებლად. *დაუნდობლად მოექცა.*

**დაუნომრავი** *დაუნომრავის* რასაც ნომრები არა აქვს, რაც დანომრილი არ არის. *დაუნომრავი სია.*

**დაუნჯებული** *დაუნჯებულის* წიგნ. ძვირფას განძად, საუნჯედ ქცეული. *დაუნჯებული სიმდიდრე.*

**დაუოკებელი** *დაუოკებლის* ძალზე ენერგიული, აქტიური, შეუკავებელი. *დაუოკებელი ენერგიის მქონე. დაუოკებელი სურვილი. დაუოკებელი ბავშვი.*

**დაუპატიჟებელი** *დაუპატიჟებლის* ვინც არ დაუპატიჟიათ. *დაუპატიჟებელი სტუმრები.* ▲ **დაუპატიჟებლად** ზმნზ. დაპატიჟების გარეშე. *დაუპატიჟებლად მივიდნენ.*

**დაუჟანგავი** *დაუჟანგავის* რაც არ დაჟანგულა. *დაუჟანგავი ლითონი.*

**დაურვება** *დაურვების* (დააურვებს, დაიურვებს) 1. ცხენის, ხარისა და მისთ. გაწმენდა, გასუფთავება. *კვიცი კარგად დააურვა.* 2. დამორჩილება, დაოკება. *ცხენი დაიურვა.* ▮ **დაურვებული** რაც ან ვინც დააურვეს. *დაურვებული სული.*

**დაუსაბამო** *დაუსაბამოს* წიგნ. უსასრულო, რასაც არც დასაწყისი აქვს, არც დასასრული. *დაუსაბამო სამყარო.*

**დაუსაბუთებელი** *დაუსაბუთებლის* რაც არ დაუსაბუთებიათ ან რასაც ვერ ასაბუთებენ, უსაფუძვლო. *დაუსაბუთებელი თვალსაზრისი.* ▲ **დაუსაბუთებლად** ზმნზ. დასაბუთების გარეშე. *დაუსაბუთებლად გააკრიტიკა.*

**დაუსრულებელი** *დაუსრულებლის* რაც არ და-

უსრულებიათ, დაუმთავრებელი. *დაუსრულებელი სტატია.* ▲ **დაუსრულებლად** ზმნზ. მუდმივად, განუწყვეტლად. *დაუსრულებლად ლაპარაკობს.*

**დაუსწრებელი** *დაუსწრებლის* რაც დასწრების გარეშე ხდება. *დაუსწრებელი სწავლება.*

**დაუსწრებლად** ზმნზ. დასწრების, შეხვედრის გარეშე. *დაუსწრებლად იცნობენ ერთმანეთს.*

**დაუსჯელი** *დაუსჯელის* ვინც ან რაც არ დაუსჯიათ, რისთვისაც არავინ დასჯილა. *დაუსჯელი დანაშაული.*

**დაუსჯელობა** *დაუსჯელობის* ყველაფრის პატიება, არდასჯა. *დაუსჯელობის იმედი აქვს. დაუსჯელობამ გაათამამა.*

**დაუუთოებელი** *დაუუთოებლის* რაც არ დაუუთოებიათ. *დაუუთოებელი პერანგი.*

**დაუფასებელი** *დაუფასებლის* რაც არავინ დააფასა, რისთვისაც მადლობა არ უთქვამთ. *დაუფასებელი შრომა.*

**დაუფიქრებელი** *დაუფიქრებლის* 1. ვისაც დაფიქრების უნარი არა აქვს, ვინც დაფიქრებით არ იქცევა. *დაუფიქრებელი ქალი.* 2. ფიქრის, წინასწარ განსჯის გარეშე ჩადენილი, გაკეთებული და მისთ. *დაუფიქრებელი სიტყვა, დაუფიქრებელი ნაბიჯი.* ▲ **დაუფიქრებლად** ზმნზ. დაფიქრების გარეშე. *დაუფიქრებლად უპასუხა.*

**დაუფლება** *დაუფლების* (დაეუფლება) 1. უფლების, გავლენის მოპოვება, დაპატრონება. *მთელ ქვეყანას დაეუფლა. დიდძალ სიმდიდრეს დაეუფლა.* 2. ცოდნის, ხელობისა და მისთ. შეძენა, ათვისება. *მუსიკის დაუფლება. დურგლობას დაეუფლა.* 3. წიგნ. რაიმე გრძნობით მოცვა. *ქალს სიხარული დაეუფლა.*

**დაუღლელი** *დაუღლელის* 1. დიდი ენერგიის მქონე, ვინც არ იღლება. *დაუღლელი მუშა. დაუღლელი მშრომელი.* 2. შეუნელებელი, მუდმივი. *დაუღლელი ზრუნვა.* ▲ **დაუღლელად** ზმნზ. ისე, რომ არ იღლება. *დაუღლელად შრომობს.*

**დაუყოვნებელი** *დაუყოვნებელის* დაყოვნების გარეშე, მაშინვე მომხდარი. *დაუყოვნებელი რეაქცია. დაუყოვნებელი პასუხი.* ▲ **დაუყოვნებლად** ზმნზ. მაშინვე, იმავდროულად. *დაუყოვნებლად უპასუხა. დაუყოვნებლად წავიდა.*

**დაუყოვნებლივ** ზმნზ.||**დაუყოვნებლად**. *საქმე დაუყოვნებლივ უნდა გამოიძიონ. დაუყოვნებლივ აცნობეს.*

**დაუშვებელი** *დაუშვებლის* აკრძალული, რაც არ შეიძლება. *დაუშვებელი მოქმედება. დაუშვებელი საქციელი.*

**დაუშნოება** *დაუშნობის* (დააუშნოებს, დაუშნოებს, დაუუშნოებს, დაუშნოვდება, დაუუშნოვდება) უშნოდ ქცევა, დამახინჯება. *სახის დაუშნოება. სიგამხდრემ დააუშნოვა. ქუჩა დაუშნოვდა.* ▪ **დაუშნოებული** ვინც ან რაც დაუშნოვდა. *დაუშნოებული ქალი.*

**დაუშრეტელი** *დაუშრეტლის* მუდმივი, გამოულეველი, გაუთავებელი. *დაუშრეტელი ენერგია. ქონების დაუშრეტელი წყარო.*

**დაუცხრომელი** *დაუცხრომლის* 1. დაუღალავი, ენერგიული, აქტიური. *დაუცხრომელი მოღვაწე.* 2. მუდმივი, განუწყვეტელი. *დაუცხრომელი ფიქრი.*

**დაუძინარი** *დაუძინარის* იგივეა, რაც **დაუძინებელი**. *დაუძინარი დარაჯი.*

**დაუძინებელი** *დაუძინებლის* მუდამ ფხიზელი, ვისაც არასდროს სძინავს. *დაუძინებელი მტერი.*

**დაუძლურება** *დაუძლურების* ძალ-ღონის გამოლევა, დასუსტება. *შიმშილისგან დაუძლურდა.* ▪ **დაუძლურებული** ვინც დაუძლურდა. *დაუძლურებული მოხუცი.*

**დაუწერელი** *დაუწერლის* 1. რაც არ დაუწერიათ, რაზეც არ დაუწერიათ. *დაუწერელი ისტორიები. დაუწერელი ფურცელი.* ⊙ **დაუწერელი კანონი** არაიურიდიული, ხალხის მიერ დადგენილი წესი.

**დაუჯერებელი** *დაუჯერებლის* 1. მეტად საკვირველი, რის დაჯერებაც ძნელია. *დაუჯერებელი ამბავი თქვა.* 2. ვისაც სხვისი დაჯერება არ უნდა, ვერაფერს დააჯერებენ. *დაუჯერებელი ბავშვი.*


დაფა

**დაფა** *დაფის* 1. ბრტყელი ოთხკუთხა საგანი, რომელიც გამოიყენება საწერად. *სასკოლო დაფა. ხის დაფა.* 2. სპეციალურად გაფორმებული ბრტყელი საგანი, რომელსაც სხვადასხვა დანიშნულებით იყენებენ. *ჭადრაკის დაფა. მემორიალური დაფა.*

**დაფანტვა** *დაფანტვის* (დაფანტავს, დაუფანტავს, დაიფანტება, დაეფანტება, დააფანტვინებს) 1. აქეთ-იქით დაყრა, დაბნევა. *მძივები დაეფანტა.* 2. დაშლა, დაქსაქსვა. *ხალხი დაიფანტა.* ▪ **დაფანტული** ვინც ან რაც დაიფანტა. *დაფანტული ფურცლები.*

**დაფარება** *დაფარების* (დააფარებს, დაიფარებს, დაეფარება, დააფარებინებს) ზემოდან დადება, დაფენა დაფარვის, დაცვის მიზნით. *ჭას ხუფი დააფარეს. საბანი დაიფარა.*

**დაფარვა** *დაფარვის* (დაფარავს, დაიფარავს, დაუფარავს, დაიფარება, დაეფარება, დააფარვინებს) 1. რაიმეს ჩამოფარებით, დაკიდებით, დაფენითა და მისთ. ვინმეს ან რაიმეს დამალვა. *სცენა ფარდამ დაფარა. ხეები თოვლით დაიფარა.* 2. სიძლიერით გადაჭარბება, ჩახშობა. *საყვირის ხმამ ხალხის გუგუნი დაფარა.* 3. საიდუმლოდ შენახვა, ართქმა. *თავისი ვინაობა დაფარა.* 4. გაფრთხილება, დაც-

ვა, მფარველობა. *ღმერთმა დაიფაროს!* ■ **დაფარული** რაც დაფარეს ან დაიფარა. *წყლით დაფარული მინდორი. დაფარული გრძნობა.* □ **აფარია** დაფარებული აქვს.

**დაფარნა** *დაფარნის* საეკლ. ბარძიმისა და ფეშხუმის დასაფარებელი ქსოვილი. *მოქარგული დაფარნა.*

**დაფარცხვა** *დაფარცხვის* (დაფარცხავს, დაუფარცხავს, დაიფარცხება, დააფარცხვინებს) ფარცხით მიწის გაფხვიერება, გადასწორება და თესლის დაფარვა. *ნახნავი დაფარცხა.* ■ **დაფარცხული** რაც დაფარცხეს. *დაფარცხული ნაკვეთი.*

**დაფასება** *დაფასების* (დააფასებს, დაიფასებს, დაუფასებს, დაფასდება, დაუფასდება, დააფასებინებს) 1. შრომის, ღვაწლის, დამსახურებისა და მისთ. სათანადოდ აღნიშვნა, ღირსეულად მიჩნევა. *ცოდნის დაფასება. მშობლები დააფასა. ამაგი დაუფასდა.* 2. რაიმეზე ფასის დადება, ფასის თქმა. *გამყიდველმა ვაშლი დააფასა.* ■ **დაფასებული** რაც დააფასეს. *დაფასებული საქმე.*

**დაფაშრება** *დაფაშრების* (დააფაშრებს, დაფაშრდება) გამოშრობა, ფაშრად ქცევა. *მიწა დაფაშრდა.*

**დაფაცურება** *დაფაცურების* (დააფაცურებს, დაფაცურდება) რაღაცის გასაკეთებლად აჩქარება. *ქალები დაფაცურდნენ. დაფაცურება გვიანი იყო.*

**დაფდაფი** *დაფდაფის* სასიგნალო დოლი. *დაფდაფების ხმა.*

**დაფეთება** *დაფეთების* (დააფეთებს, დაფეთდება) 1. უცბად შეშინება, დაფრთხობა. *ძაღლმა ბავშვები დააფეთა. ინდაურები დაფეთდნენ.* 2. საუბრ. რაიმეთი უცბად მოხიბვლა, გადარევა. *ახალ სახლზე დაფეთდა. სიმდიდრემ დააფეთა.* ■ **დაფეთებული** ვინც ან რაც დაფეთდა. *დაფეთებული ცხვრები.*

**დაფენა** *დაფენის* (დაფენს, დააფენს, დაიფენს, დაუფენს, დაიფინება, დაეფინება, დააფენინებს) ქსოვილის, ქაღალდისა და მისთ. ჰორიზონტალურ ზედაპირზე გაშლა, დაფარება. *ხალიჩა დაფინა. ნატკენზე ცივი ტილო დაიფინა.* ■ **დაფენილი** რაც დაფინეს. *დაფენილი ხალიჩა.*

**დაფერვა** *დაფერვის* (დაფერავს, დაიფერება, დააფერვინებს) ოქროს, ვერცხლისა და მისთ. თხელი ფენით დაფარვა. *ხანჯალი დაფერა.* ■ **დაფერილი** რაც დაფერეს. *დაფერილი სამკაული.*

**დაფერფვლა** *დაფერფვლის* (დაფერფლავს, დაიფერფლება) ფერფლად ქცევა, ბოლომდე დაწვა. *ქაღალდი დაიფერფლა.* ■ **დაფერფლილი** რაც დაიფერფლა. *დაფერფლილი სიგარეტი.*

**დაფესვიანება** *დაფესვიანების* (დააფესვიანებს, დაუფესვიანებს, დაფესვიანდება) ფესვის გამოღება. *მცენარე დაფესვიანდა. ყლორტი წყალში დააფესვიანეს.* ■ **დაფესვიანებული** რაც დაფესვიანდა ან დააფესვიანეს. *დაფესვიანებული ნერგი.*

**დაფეხმძიმება** *დაფეხმძიმების* (დააფეხმძიმებს, დაფეხმძიმდება) იგივეა, რაც დაორსულება. მალე დაფეხმძიმდა.

**დაფვლა** *დაფვლის* (დაფლავს) რაიმეს მოთავსება მიწისა და მისთ. სიღრმეში. *კაცმა ჩითილები მიწაში დაფლა. ოქრო მიწაში დაფლა.* ■ **დაფლული** რაც დაფლეს. *დაფლული განძი.*

**დაფი** *დაფის* დასარტყამი საკრავი, დაირა ეუვნებისა და მონეტების გარეშე. *დაფი და ნაღარა.*

**დაფინანსება** *დაფინანსების* (დააფინანსებს, დაუფინანსებს, დაფინანსდება, დაუფინანსდება, დააფინანსებინებს) რაიმე საქმიანობისთვის ფულის გამოყოფა, ფულით უზრუნველყოფა. *პროექტის დაფინანსება. სახელმწიფომ მშენებლობა დააფინანსა.* ■ **დაფინანსებული** რაც დააფინანსეს. *დაფინანსებული საქმე.*

**დაფიქრება** *დაფიქრების* (დააფიქრებს, დაფიქრდება, დაუფიქრდება) ფიქრის დაწყება. *კაცი დაფიქრდა. დასმულ შეკითხვაზე დაფიქრდა.*

**დაფიქრებული** *დაფიქრებულის* 1. ვინც ფიქრი დაიწყო, ვინც ფიქრობს. *დაფიქრებული გაუდგა გზას. დაფიქრებული იჯდა.* 2. დინჯი, გონიერი, ჭკვიანური. *დაფიქრებული კაცია. დაფიქრებული საქციელი.*

**დაფიქსირება** *დაფიქსირების* (დააფიქსირებს, დაუფიქსირებს, დაფიქსირდება, დაუფიქსირდება) მოვლენის, ფაქტის, თვალსაზრისისა და მისთ. რაიმე სახით აღნიშვნა, აღბეჭდვა. *თავისი პოზიცია დააფიქსირა.*

**დაფიცება** *დაფიცების* (დააფიცებს, დაიფიცებს) ფიცის თქმა, ფიცით რაიმეს დამტკიცება. *დედა დააფიცა. ყველას წინაშე დაიფიცა.*

**დაფლეთა** *დაფლეთის* (დაფლეთს, დაუფლეთს, დაიფლითება, დაეფლითება, დააფლეთინებს) დაგლეჯა, დანაკუნება, ადგილ-ადგილ დახევა. *ხალიჩა დაფლითა. კაბა დაეფლითა.* ■ **დაფლეთილი** რაც დაფლითეს ან დაიფლითა. *დაფლეთილი ქუდი.*

**დაფნა** *დაფნის* მარადმწვანე ხე ან ბუჩქი, აქვს მომწვანო-ყვითელი ყვავილები, მოლურჯო-შავი, კურკიანი ნაყოფი და სურნელოვანი ფოთლები, რომლებსაც სანელებლად იყენებენ. *დაფნის ფოთოლი.* ⊙ **დაფნის გვირგვინი** გამარჯვების, დიდების სიმბოლო.

**დაფორეჯება** *დაფორეჯების* (დაუფორეჯებს, დაფორეჯდება, დაუფორეჯდება) ფორეჯების გაჩენა. *სახე დაუფორეჯდა.* ■ **დაფორეჯებული** რაც დაფორეჯდა. *დაფორეჯებული სხეული.*

**დაფრენა** *დაფრენის* (დააფრენს, დაფრინდება, დააფრინდება) 1. ფრენით დაშვება, დაჯდომა. *ჩიტების გუნდი მინდორზე დაფრინდა. თვითმფრინავი აეროპორტში დაფრინდა.* 2. ბარტყებისთვის ფრენის სწავლება, ბუდიდან გაშვება. *მერცხალმა ბარტყები დააფრინა.*

**დაფრთიანება** *დაფრთიანების* (დააფრთიანებს, დაფრთიანდება) წამოზრდა, ფრთების შესხმა, ფრენის სწავლა. *მერცხალმა ბარტყები დააფრთიანა. წიწილები დაფრთიანდნენ.* ■ **დაფრთიანებული** რაც დაფრთიანდა. *დაფრთიანებული ჩიტები.*

**დაფრთხობა** *დაფრთხობის* (დააფრთხობს, დაიფრთხობს, დაუფრთხობს, დაფრთხება, დაუფრთხება, დააფრთხობინებს) შეშინება, დაფეთება. *ქათმები დაფრთხნენ. ქორმა წიწილები დააფრთხო.*

**დაფრუტუნება** *დაფრუტუნების* (დაიფრუტუნებს) ფრუტუნის (1) ხმის გამოცემა. *ცხენმა დაიფრუტუნა.*

**დაფრქვევა** *დაფრქვევის* (დააფრქვევს, დაიფრქვევა, დაეფრქვევა, დააფრქვევინებს) 1. სითხის მსხვილ წვეთებად დასხმა, დასხურება. *მომაკვდავს ცრემლი დააფრქვია. სუნამო დააფრქვია. ცრემლი უხვად დაიფრქვა.* 2. სურნელის, შუქის უხვად მოფენა. *ირგვლივ ყვავილების სურნელი დაიფრქვა. მზემ გარემოს სხივები დააფრქვია.*

**დაფურთხება** *დაფურთხების* (დააფურთხებს, დაიფურთხებს) ფურთხის რაიმეზე დანთხევა. *მიწაზე დააფურთხა.*

**დაფურცვლა** *დაფურცვლის* (დაფურცლავს, დაიფურცლება) ფურცლებად დაშლა. *წიგნი დაფურცლეს. ვარდი დაიფურცლა.* ■ **დაფურცლული** რაც დაფურცლეს ან დაიფურცლა. *დაფურცლული ალბომი.*

**დაფუფქვა** *დაფუფქვის* (დაფუფქავს, დაიფუფქავს, დაუფუფქავს, დაიფუფქება, დაეფუფქება) მდუღარე, ცხელი წყლის დასხმით დაწვა, დათუთქვა. *ფეხი დაიფუფქა.* ■ **დაფუფქული** რაც დაიფუფქა. *დაფუფქული სხეული.*

**დაფუშვა** *დაფუშვის* (დაფუშავს, დაუფუშავს, დაიფუშება, დაეფუშება) დაშლა, დანგრევა, დაჩუტვა. *საბურავი დაფუშა.* ■ **დაფუშული** რაც დაფუშეს ან დაიფუშა. *დაფუშული ბუშტი.*

**დაფუძნება** *დაფუძნების* (დააფუძნებს, დაეფუძნება, დაფუძნდება) დაარსება, შექმნა, საფუძვლის ჩაყრა. *გაერთიანების დაფუძნება. საწარმო დააფუძნეს.* ■ **დაფუძნებული** რაც დააფუძნეს. *დაფუძნებული ორგანიზაცია.*

**დაფქვა** *დაფქვის* (დაფქვავს, დაუფქვავს, დაიფქვება, დააფქვევინებს) 1. მარცვლეულის ფხვიერ მასად, ფქვილად ქცევა. *სიმინდი დაფქვა.* 2. საუბრ. გადატ. ყველაფრის თქმა, დაწვრილებით მოყოლა. *საიდუმლო დაფქვა.* ■ **დაფქული** რაც დაფქვეს. *დაფქული მარცვლეული.*

**დაფშვნა** *დაფშვნის* (დაფშვნის, დაუფშვნის, დაიფშვნება, დაეფშვნება, დააფშვნევინებს) ძალიან წვრილ ნაწილებად ქცევა, დაქუცმაცება, დაფხვნა. *აგური დაფშვნა. კედელი დაიფშვნა.* ■ **დაფშვნილი** რაც დაფშვნეს ან დაიფშვნა. *დაფშვნილი კლდე.*

**დაფშვნეტა** *დაფშვნეტის* (დაფშვნეტს, დაიფშვნეტს, დაიფშვნიტება) ხელში სრესით დაფხვნა. *გამხმარი ღეროები დაფშვნიტა.*

**დაფშხვნა** *დაფშხვნის* (დაფშხვნის, დაიფშხვნება) // **დაფშვნა.** *აგური დაფშხვნა.* ■ **დაფშხვნილი** რაც დაიფშხვნა. *დაფშხვნილი ქვა.*

**დაფჩენა** *დაფჩენის* (დააფჩენს) საუბრ. ფართოდ, უშნოდ გაღება (პირისა). *პირი დააფჩინა.*

**დაფცქვნა** *დაფცქვნის* (დაფცქვნის, დაიფცქვნის, დაუფცქვნის, დაიფცქვნება, დააფცქვნევინებს) ბევრის გაფცქვნა. *ბოსტნეული დაფცქვნეს. ნიორი დაფცქვნა.* ■ **დაფცქვნილი** რაც დაფცქვნეს. *დაფცქვნილი ხახვი.*

**დაფხაჭნა** *დაფხაჭნის* (დაფხაჭნის, დაიფხაჭნის, დაუფხაჭნის, დაიფხაჭნება, დაეფხაჭნება, დააფხაჭნინებს) ფრჩხილებით, ბრჭყალებით, წვეტიანი საგნით ზედაპირის დასერვა, დაკაწვრა. *მერხი დაფხაჭნა. სახე დაუფხაჭნა.* ■ **დაფხაჭნილი** რაც დაფხაჭნეს. *დაფხაჭნილი კედელი.*

**დაფხვნა** *დაფხვნის* (დაფხვნის, დაუფხვნის, დაიფხვნება) ფხვნილად ქცევა, დანამცეცება, დაფშვნა. *წამალი დაფხვნა. აგური დაფხვნა.* ■ **დაფხვნილი** რაც დაფხვნეს. *დაფხვნილი მარილი.*

**დაფხრენა** *დაფხრენის* (დაფხრენს, დაიფხრენს, დაუფხრენს, დაიფხრინება, დაეფხრინება, დააფხრენინებს) ბევრ ადგილას ან ბევრად დახევა. *კონვერტი დაფხრინა. კაბა დაეფხრინა.* ■ **დაფხრენილი** რაც დაფხრინეს ან დაიფხრინა. *დაფხრენილი თეთრეული.*

**დაქადება** *დაქადების* (დაიქადებს) ქადილით, ტრაბახით რაიმეს თქმა. *მეგობრებთან დაიქადა.*

**დაქადნება** *დაქადნების* (დაექადნება) დამუქრება. *მე ზობელს დაექადნა.*

**დაქალება** *დაქალების* (დააქალებს, დაქალდება) ქალობის ასაკში შესვლა. *ქალიშვილი დაქალდა.* ■ **დაქალებული** ვინც დაქალდა. *დაქალებული გოგო.*

**დაქანება** *დაქანების* (დააქანებს, დაექანება, დაქანდება) 1. დაღმართზე სწრაფად წასვლა, ზევიდან ქვევით დაშვება. *კიბე ზე დაქანდა. ფერდობზე დაექანა.* 2. სიბრტყის ქვევით დახრა. *სახურავი აღმოსავლეთისკენ დააქანეს.* 3. დახრილი, დამრეცი ადგილი, მცირე დაღმართი. *დაქანების ბოლოს ტყე იწყება.* ■ **დაქანებული** რაც დაქანდა. *დაქანებული გზა.*

**დაქანცვა** *დაქანცვის* (დაქანცავს, დაიქანცება, დაექანცება) ძალიან დაღლა, ძალ-ღონის გამოლევა. *უძილობამ დაქანცა. სირბილით დაიქანცა.* ■ **დაქანცული** ვინც დაიქანცა. *დაქანცული მგზავრები.*

**დაქარგვა** *დაქარგვის* (დაქარგავს, დაუქარგავს, დაიქარგება) იგივეა, რაც მოქარგვა. *ქისას ინიციალები დააქარგეს. ყაბალახი დაქარგა.* ■ **დაქარგული** რაც დაქარგეს. *ლამაზად დაქარგული ჩანთა.*

**დაქაჩვა** *დაქაჩვის* (დაქაჩავს, დაიქაჩება, დაექაჩება)

საუბრ. ხელის მოკიდება რაიმეზე და დაბლა დაწევა. *თოკი დაქაჩა.*

**დაქვეითება** *დაქვეითების* (დააქვეითებს, დაუქვეითებს, დაქვეითდება, დაუქვეითდება) 1. ცხენიდან ჩამოსვლა, ჩამოქვეითება (1). *კაცი დაქვეითდა და გზა განაგრძო.* 2. მაღალი თანამდებობიდან დაბალზე გადაყვანა, სტატუსის დადაბლება. *მეთაური დააქვეითეს.* ■ **დაქვეითებული** ვინც დაქვეითდა ან დააქვეითეს. *დაქვეითებული ოფიცერი.*

**დაქვემდებარება** *დაქვემდებარების* (დაიქვემდებარებს, დაუქვემდებარებს, დაექვემდებარება) ვინმეს ან რაიმეს გამგებლობაში მოქცევა, დამორჩილება. *ადმინისტრაციული დაქვემდებარება. დირექტორის დაქვემდებარებაში მყოფი. სამინისტროს დაექვემდებარა.*

**დაქვემდებარებული** *დაქვემდებარებულის* დაქვემდებარებაში მყოფი, დამოკიდებული. *დაქვემდებარებული ორგანიზაცია. დაქვემდებარებული თანამშრომლები.*

**დაქვითვა** *დაქვითვის* (დაქვითავს, დაუქვითავს, დაიქვითება, დაექვითება) ფულადი შემოსავლიდან გარკვეული თანხის დაკავება, გამოკლება სპეციალური დანიშნულებით. *ხელფასი დაუქვითეს.* ■ **დაქვითული** რაც დაქვითეს. *დაქვითული თანხა.*

**დაქვრიება** *დაქვრიების* (დააქვრიებს, დაქვრივდება) ქვრივად, მეუღლის გარეშე დარჩენა. *ქალი დაქვრივდა. დაქვრიების შემდეგ სულ მარტო დარჩა.* ■ **დაქვრივებული** ვინც დაქვრივდა. *დაქვრივებული მოხუცი.*

**დაქირავება** *დაქირავების* (დაიქირავებს, დაუქირაებს) ქირით რაიმეს აღება ან ვინმეს აყვანა. *ბინის დაქირავება. აპარატი დაიქირავეს. მასწავლებელი დაიქირავა.* ■ **დაქირავებული** რაც ან ვინც დაიქირავეს. *დაქირავებული სახლი.*

**დაქნევა** *დაქნევის* (დააქნევს, დაიქნევს, დაუქნევს, დააქნევინებს) სხეულის ნაწილის ზევიდან ქვევით სწრაფად დაშვება, დაწევა. *თავი დააქნია. ხელი დაუქნია.*

**დაქორწინება** *დაქორწინების* (დააქორწინებს, დაქორწინდება) ცოლის შერთვა ან გათხოვება, დოჯახება. *შვილი დააქორწინა. შემოდგომაზე დაქორწინდება.* ■ **დაქორწინებული** ვინც დაქორწინდა. *დაქორწინებული წყვილი.*

**დაქოქვა** *დაქოქვის* (დაქოქავს, დაუქოქავს, დაიქოქება) რაიმე მექანიზმის (მანქანის, საათისა და მისთ.) ამუშავება, მომართვა. *ტრაქტორი დაქოქა.*

**დაქოქილი** *დაქოქილის* 1. რაც დაქოქეს. *დაქოქილი მანქანა.* 2. საუბრ. ვინც განუწყვეტლივ ლაპარაკობს ან საქმიანობს, ვერ ჩერდება. *დიდი დაქოქილი ვინმეა.*

**დაქსაქსვა** *დაქსაქსვის* (დაქსაქსავს, დაუქსაქსავს, დაიქსაქსება, დაექსაქსება) ერთმანეთისგან დაშორება, ნაწილებად დაშლა, გაფანტვა. *ძალების დაქსაქსვა. პარტიები დაქსაქსეს. ჯარი დაიქსაქსა.* ■ **დაქსაქსული** ვინც ან რაც დაიქსაქსა. *დაქსაქსული ქვეყანა.*

**დაქსაქსულობა** *დაქსაქსულობის* ერთმანეთთან კავშირის გაწყვეტა, დაქსაქსულ მდგომარეობაში ყოფნა. *სამხედრო ძალების დაქსაქსულობა.*

**დაქსელვა** *დაქსელვის* (დაქსელავს, დაიქსელება) 1. ქსელის გაბმა, ქსელის საქსოვად გამართვა. *ობობამ ოთახის კუთხე დაქსელა. ქალმა ხალიჩა დაქსელა.* 2. საკომუნიკაციო არხების, სადენების, გზებისა და მისთ. გაყვანით ვრცელი ტერიტორიის დაფარვა. *გაზსადენით მინდორი დაიქსელა. ფერდობი არხებით დაქსელეს.* ■ **დაქსელილი** რაც დაქსელეს. *მავთულხლართებით დაქსელილი სამხედრო ბაზა.*

**დაქუცმაცება** *დაქუცმაცების* (დააქუცმაცებს, დაუქუცმაცებს, დაქუცმაცდება) ძალიან მცირე ნაწილებად დაყოფა, დაშლა. *ქაღალდის დაქუცმაცება. ფოთლები დააქუცმაცა.* ■ **დაქუცმაცებული** რაც დააქუცმაცეს ან დაქუცმაცდა. *დაქუცმაცებული ქვეყანა.*

**დაქუხება** *დაქუხების* (დააქუხებს, დაიქუხებს) ქუხილის ხმის გამოცემა. *თოფი დააქუხა. დაიქუხა.*

**დაქცევა** *დაქცევის* (დააქცევს, დაუქცევს, დაიქცევა, დაექცევა, დააქცევინებს) 1. ჭურჭლიდან სითხის გადმოსვლა და ძირს დაღვრა. *წვენი დააქცია. ზეთი იატაკზე დაიქცა. სპირტი ხელზე დაექცა.* 2. დანგრევა, დაშლა. *ციხესიმაგრე დაიქცა.* 3. გადატ. მოსპობა, განადგურება. *მტერმა ქვეყანა დააქცია. ოჯახი დაექცა.* ■ **დაქცეული** რაც დააქციეს ან დაიქცა. *დაქცეული შენობა.*

**დაღადვრა** *დაღადვრის* (დაღადრავს, დაიღადრავს, დაუღადრავს, დაიღადრება, დაეღადრება) ფრჩხილებით სხეულის ნაწილის ძლიერად დაკაწვრა, დაწყლულება. *სახე დაუღადრა.*

**დაღამება** *დაღამების* (დააღამებს, დაიღამებს, დაღამდება, დაუღამდება) დღის დასრულება, ღამის დადგომა. *დაღამების მოლოდინი. გზაში დაუღამდა. ადრე დაღამდა.*

**დაღარვა** *დაღარვის* (დაღარავს, დაუღარავს, დაიღარება, დაეღარება) ღარების გაჩენა, გავლება, გაკეთება. *კლდე დაიღარა. ქალს შუბლი დაეღარა.* ■ **დაღარული** რაც დაიღარა. *დაღარული სახე.*

**დაღდასმული** *დაღდასმულის* ვისაც ან რასაც რაიმე დაღი (3), ნიშანი აქვს, დაღი აჩნია. *სიბერისგან დაღდასმული ქალი.*

**დაღება** *დაღების* (დააღებს, დაუღებს, დაიღება, დააღებინებს) ბევრის გაღება. *უჯრები დააღო.*

**დაღერღვა** *დაღერღვის* (დაღერღავს, დაუღერღავს, დაიღერღება) მარცვლეულის მსხვილად დაფქვა, ღერღილად ქცევა. *სიმინდი დაღერღა.* ■ **დაღერღილი** რაც დაღერღეს. *დაღერღილი პური.*

**დაღეჭვა** *დაღეჭვის* (დაღეჭავს, დაუღეჭავს, დაიღეჭება, დააღეჭვინებს) კბილებით დაქუცმაცება, დანაწევრება. *ხორცის დაღეჭვა. ლუკმა კარგად დაღეჭა.* ■ **დაღეჭილი** რაც დაღეჭეს. *დაღეჭილი მწვანილი.*

**დაღვენთება** *დაღვენთების* (დააღვენთებს, დაეღვენთება) ღვენთის დაცემა, ღვენთებად ჩამოსვლა. *ფურცელ ზე სანთელი დაეღვენთა.*

**დაღვინება** *დაღვინების* (დააღვინებს, დაღვინდება) 1. მაჭრის დადუღება და ღვინოდ ქცევა. *დაღვინების პროცესი. მუხის კასრში დააღვინეს.* 2. გადატ. ზრდის, განვითარების დასრულება, ჩამოყალიბება. *ბიჭი დაღვინდა. ახალი გუნდი ჯერ არ დაღვინებულა.*

**დაღვიძება** *დაღვიძების* (დააღვიძებს, დაეღვიძება) ბევრის გაღვიძება. *ბავშვები დაააღვიძა.*

**დაღვლარჭნა** *დაღვლარჭნის* (დაღვლარჭნის, დაიღვლარჭნება) მიგრეხ-მოგრეხა, სხვადასხვაგვარად დაგრეხა, დაკლაკნა. *სიმწრისგან დაიღვლარჭნა.* ▲ **დაღვლარჭნილი** რაც დაიღვლარჭნა. *დაღვლარჭნილი მავთული.*

**დაღვრა** *დაღვრის* (დაღვრის, დააღვრის, დაუღვრის, დაიღვრება, დაეღვრება, დააღვრევინებს) სითხის დაქცევა, დასხმა. *სისხლის დაღვრა. ღვინო დაიღვარა. ბავშვს წვენი დაეღვარა.* ■ **დაღვრილი** რაც დაიღვარა. *დაღვრილი ცრემლი.*

**დაღვრემილი** *დაღვრემილის* მოწყენილი, დაღონებული, დამწუხრებული. *დაღვრემილი სახე. დაღვრემილი გოგო.*

**დაღი** *დაღის* 1. გახურებული რკინის იარაღით დასმული ნიშანი რაიმე საგანზე, ვინმეს ან რაიმეს სხეულზე. *ცხენს დაღი დაასვა.* 2. იარაღი, რომლითაც აკეთებენ დაღს (1). 3. გადატ. რაიმეს კვალი, ნიშანი, ანაბეჭდი. *მწუხარების დაღი.* ⊙ **დაღს დაასვამს** კვალს დააჩნევს.

**დაღლა** *დაღლის* (დაღლის, დაიღლის, დაუღლის, დაიღლება, დაეღლება) რაიმეს კეთებით, შრომით, სიარულითა და მისთ. ძალ-ღონის გამოლევა. *ბიჭი დაიღალა. ცხოვრებამ დაღალა.* ■ **დაღლილი** ვინც დაიღალა. *დაღლილი მგ ზავრები.*

**დაღლეტილი** საუბრ. ტყავგადამძვრალი, დაწყლულებული. *დაღლეტილი ზურგი. დაღლეტილი ხელები.*

**დაღლილობა** *დაღლილობის* დაღლით გამოწვეული მდგომარეობა, დაღლის შეგრძნება. *დაღლილობა მოეძალა.*

**დაღმა** ზმნზ. ზევიდან ქვევით, დაბლა. *დაღმა ჩაუყვება ფერდობს.* ↔ **აღმა**.

**დაღმართი** *დაღმართის* დაქანებული ადგილი, გზა. *დაღმართი სირბილით ჩაიარეს.* ■ **დაღმართ-დაღმართ** დაღმართი გზით. *დაღმართ-დაღმართ სიარული გაგვიჭირდა.*

**დაღმეჭა** *დაღმეჭის* (დაღმეჭს, დაიღმიჭება, დაეღმიჭება) სახის უშნოდ დამანჭვა, დაღრეჯა. *ტკივილისგან სახე დაეღმიჭა. უსიამოვნოდ დაიღმიჭა.* ■ **დაღმეჭილი** ვინც ან რაც დაიღმიჭა. *დაღმეჭილი იჯდა.*

**დაღმუვლება** *დაღმუვლების* (დაიღმუვლებს, დაუღმუვლებს) ღმუილის ხმის გამოცემა. *ნადირმა დაიღმუვლა.*

**დაღონება** *დაღონების* (დააღონებს, დაიღონებს, დაუღონებს, დაღონდება, დაუღონდება) მოწყენა, დადარდიანება. *ქალი დაღონდა.* ■ **დაღონებული** ვინც დაღონდა. *დაღონებული ბიჭი. დაღონებულმა გახედა გ ზას.*

**დაღორღვა** *დაღორღვის* (დაღორღავს, დაიღორღება) ღორღად ქცევა, დამტვრევა, დამსხვრევა. *ქვები დაღორღეს.*

**დაღრეცა** *დაღრეცის* (დაღრეცს, დაუღრეცს, დაიღრიცება, დაეღრიცება) გამრუდება, მოხრა, დაბრეცა. *კიბე დაიღრიცა. სახე დაეღრიცა.*

**დაღრეცილი** *დაღრეცილის* 1. რაც დაიღრიცა. *დაღრეცილი ფეხსაცმელი.* 2. გამრუდებული, მიხვეულ-მოხვეული. *დაღრეცილი გ ზა.*

**დაღრეჭა** *დაღრეჭის* (დაღრეჭს, დაიღრიჭება) დამანჭვა, დაღრეჯა. *ბავშვი დაიღრიჭა. ურცხვად დაიღრიჭა.* ■ **დაღრეჭილი** ვინც ან რაც დაიღრიჭა. *დაღრეჭილი სახე.*

**დაღრეჯა** *დაღრეჯის* (დაღრეჯს, დაიღრიჯება, დაეღრიჯება) სახის უშნოდ დამანჭვა. *ბიჭი ტკივილისგან დაიღრიჯა.* ■ **დაღრეჯილი** ვინც ან რაც დაიღრიჯა. *დაღრეჯილი უყურებდა.*

**დაღრღნა** *დაღრღნის* (დაღრღნის, დაუღრღნის, დაიღრღნება) ბევრის ან ბევრგან გაღრღნა. *ძაღლმა ძვლები დაღრღნა. ვირთხამ კედელი დაღრღნა.* ■ **დაღრღნილი** რაც დაღრღნეს. *დაღრღნილი ფიცრები.*

**დაღრჭენა** *დაღრჭენის* (დააღრჭენს, დაუღრჭენს) ⊙ **კბილებს დააღრჭენს** კბილებს დააკრაჭუნებს.

**დაღუნვა** *დაღუნვის* (დაღუნავს, დაიღუნება) დაბლა დაწევა, დახრა. *ქალმა თავი დაღუნა. ბიჭი დაიღუნა.* ■ **დაღუნული** რაც ან ვინც დაიღუნა. *დაღუნული ტოტები.*

**დაღუპვა** *დაღუპვის* (დაღუპავს, დაიღუპავს, დაუღუპავს, დაიღუპება, დაეღუპება) 1. განადგურება, მოსპობა. *გემი დაიღუპა.* 2. გადატ. გარდაცვალება. *ძმა ომში დაეღუპა.* ■ **დაღუპული** ვინც ან რაც დაიღუპა. *უდროოდ დაღუპული ახალგა ზრდა.*

**დაღწევა** *დაღწევის* (დააღწევს, დაეღწევა) საიდანმე ან ვინმესგან თავის დახსნა, მოშორება. *ქურდებს თავი დააღწია.*

**დაყაბულება** *დაყაბულების* (დაიყაბულებს, დაყაბულდება) თანხმობის თქმა, დათანხმება. *პირობას დაყაბულდა.*

**დაყადაღება** *დაყადაღების* (დააყადაღებს, დაუყადაღებს, დაყადაღდება) ყადაღის დადება. *საბანკო ანგარიში დაუყადაღეს.* ■ **დაყადაღებული** რაც დააყადაღეს. *დაყადაღებული ქონება.*

**დაყაჩაღება** *დაყაჩაღების* (დააყაჩაღებს) საუბრ. თავდასხმა, გაძარცვა. *ბანკი დააყაჩაღეს. ქალი დააყაჩაღა.*

**დაყაჭვა** *დაყაჭვის* საუბრ. (დაყაჭავს, დაიყაჭება) 1. იგივეა, რაც **ამოყაჭვა**. *ფული დაყაჭა.* 2. გადატ. გულახდილად ყველაფრის თქმა, გამჟღავნება. *ეს ამბავი მეგობრებთან დაყაჭა.*

**დაყენება** *დაყენების* (დააყენებს, დაიყენებს, დაუყენებს, დააყენებინებს) 1. იძულება ან ხელის შეწყობა, რომ ვერტიკალურ მდგომარეობაში გაჩერდეს. *კუთხეში დააყენეს. ბავშვი წინ დაიყენა. კართან მცველები დააყენეს.* 2. ხელსაწყოს, აპარატისა და მისთ. გამართვა. *სიგნალი ზაციის დაყენება. კარზე საკეტი დააყენა. მრიცხველი დააყენეს.* 3. სასმლის სპეციალური წესით დამზადება. *კონიაკი დააყენეს. ჩაი დააყენა.* 4. ტრანსპორტის გაჩერება. *მანქანა ეზოში დააყენა.* 5. დამუშავება, ფორმის მიცემა. *წვერი დაიყენა. ხმა დაიყენა.* ■ **დაყენებული** რაც დააყენეს. *ტრადიციული წესით დაყენებული ღვინო.*

**დაყეფება** *დაყეფების* (დააყეფებს, დაიყეფებს, დაუყეფს) ყეფის ხმის გამოცემა. *ძაღლმა დაიყეფა.*

**დაყვავება** *დაყვავების* (დაუყვავებს) მოსაფერებელი სიტყვებით დამშვიდება. *დედამ დაუყვავა. ბავშვებს დაუყვავებს.*

**დაყვავილება** *დაყვავილების* (დაიყვავილებს) ყვავილობის დასრულება. *ნუშმა დაიყვავილა. ცაცხვი მალე დაიყვავილებს.*

**დაყვანა** *დაყვანის* (დაიყვანს, დააყვანინებს) ხელის შეწყობა, რომ გარკვეულ მდგომარეობამდე მივიდეს, ზღვრულ დონემდე დავიდეს. *ტემპერატურა ოცამდე დაიყვანეს.*

**დაყვედრება** *დაყვედრების* (დააყვედრებს, დააყვედრის) გაკეთებული სიკეთის, განეული დახმარების შეხსენება, საყვედურის ტონით თქმა. *საჭმელი დააყვედრა.* ■ **დაყვედრებული** რაც დააყვედრეს. *დაყვედრებული სიკეთე.*

**დაყვირება** *დაყვირების* (დააყვირებს, დაჰყვირებს, დაიყვირებს, დაუყვირებს) ხმამაღლა დაძახება, ყვირილით განყრომა. *დაყვირება ვერ მოასწრო. შვილს დაუყვირა.*

**დაყიდვა** *დაყიდვის* (დაყიდის, დაუყიდის, დაიყიდება, დააყიდვინებს) ბევრის გაყიდვა. *ქათმები დაყიდა.*

**დაყივლება** *დაყივლების* (დააყივლებს, დაჰყივლებს, დაიყივლებს) ყივილის ხმის გამოცემა. *მამალმა დაიყივლა.*

**დაყმუვლება** *დაყმუვლების* (დაიყმუვლებს, დაჰყმუვლებს) ყმუილის გამოცემა. *ძაღლებმა დაიყმუვლეს.*

**დაყნოსვა** *დაყნოსვის* (დაყნოსავს) რაიმეს სურნელის შეგრძნება მისი ცხვირთან ახლოს მიტანით. *ყვავილი დაყნოსა.*

**დაყოვნება** *დაყოვნების* (დააყოვნებს, დაყოვნდება) მცირე ხნით შეჩერება, დაბრკოლება. *გ ზაში დაყოვნდა.*

**დაყოლა** *დაყოლის* (დაჰყვება, დაუყვება) 1. ვინმესთვის დაჯერება, დათმობა, მისი სურვილის მიხედვით მოქცევა. *მეგობრის ნებას დაჰყვა და წავიდა.* 2. დაბადებიდან, ბავშვობიდან რაიმე თვისების მიღება და მუდმივად ქონა. *მამის ხასიათი დაჰყვა. ხატვის ნიჭი დაჰყვა.* 3. რაიმეს გასწვრივ, დაყოლებით (ზევიდან ქვევით) წასვლა. *მდინარეს დაუყვა. მგ ზავრები გ ზას დაუყვნენ.*

**დაყოლება** *დაყოლების* (დააყოლებს, დააყოლებინებს) 1. ზედ დართვა, დამატება. *სადღეგრძელოს ლექსი დააყოლა.* 2. ერთის მომდევნოდ მეორის შეჭმა ან დალევა. *სადილს დესერტი დააყოლა. ხინკალს არაყი დააყოლა.*

**დაყოლებით** ზმნზ. რაიმეს გასწვრივ, პარალელურად. *მდინარის დაყოლებით ხეები დარგეს. გ ზის დაყოლებით.*

**დაყოლიება** *დაყოლიების* (დაიყოლიებს) იძულება, რომ რაიმეზე დაჰყვეს, დასთანხმდეს. *წასვლაზე დაიყოლია. მეგობრებმა ქეიფზე დაიყოლიეს.*

**დაყოფა**[1] *დაყოფის* (დაყოფს, დაიყოფს, დაუყოფს, დაიყოფა) ერთიანის, მთლიანის დაშლა, დანაწილება. *ჯარი ნაწილებად დაყვეს. საზოგადოება ფენებად დაიყო.* ■ **დაყოფილი** რაც დაყვეს. *დაყოფილი ქონება.*

**დაყოფა**[2] *დაყოფის* (დაყოფს) გარკვეული დროის განმავლობაში სადმე (რაიმე მდგომარეობაში) ყოფნა, გაჩერება. *უცხოეთში კარგა ხანს დაყო.*

**დაყრა** *დაყრის* (დაყრის, დააყრის, დაიყრის, დაუყრის, დაიყრება, დაეყრება, დააყრევინებს) 1. ბევრის დაგდება. *ფურცლები მაგიდაზე დაყარა. ნაფცქვენები ძირს დაყარა.* 2. ცხოველის მიერ ნაშიერის გაჩენა ან თესლის, ქვირითის გამოყოფა. *ძაღლმა ლეკვები დაყარა. თევზმა ქვირითი დაყარა.* ■ **დაყრილი** რაც დაყარეს. *დაყრილი კნუტები.*

**დაყრანტალება** *დაყრანტალების* (დააყრანტალებს, დაიყრანტალებს) 1. ყრანტალის ხმის გამოცემა. *ყვავმა დაიყრანტალა.* 2. გადატ. უადგილოდ, უაზროდ რაიმეს თქმა. *ეს ამბავი მეზობლებთან დააყრანტალა.*

**დაყრდნობა** *დაყრდნობის* (დააყრდნობს, დაიყრდნობს, დაეყრდნობა) 1. რაიმეზე დაბჯენა, დანდობა. *ხელები სკამს დააყრდნო. რაფას იდაყვებით დაეყრდნო.* 2. გადატ. რაიმეს ან ვინმეს იმედად ყოფნა, საფუძვლად გამოყენება. *მეგობრებს დაეყრდნო. საბუთზე დაყრდნობით განაცხადა.* ■ **დაყრდნობილი** ვინც ან რაც დაეყრდნო. *მოაჯირზე იყო დაყრდნობილი.*

**დაყრუება** *დაყრუების* (დააყრუებს, დაიყრუებს, დაყრუვდება) 1. სმენის დაკარგვა. *მოხუცი დაყრუვდა.* 2. გადატ. დადუმება, ხმაურის შეწყვეტა. *არემარე დაყრუვდა.*

**დაყუდება** *დაყუდების* (დააყუდებს, დაეყუდება) 1. საუბრ. ერთ ადგილას გაუნძრევლად გაჩერება. *რას დაყუდებულხარ მანდ?!* 2. ბერის ერთ ადგილას მოღვაწეობა განმარტოებით, სხვაგან წაუსვლელად. *განდეგილი გამოქვაბულში დაეყუდა.*

**დაყუდებული** *დაყუდებულის* რაც დააყუდეს, ვინც დაეყუდა. *ქუჩაში დაყუდებული ბიჭი.*

**დაყურსული** *დაყურსულის* 1. ძალიან დატვირთული, რასაც ბევრი ბარგი აქვს აკიდებული. *დაყურსული სახედარი.* 2. გადატ. რასაც ბევრი ნაყოფი ასხია. *ყურძნით დაყურსული ვაზი. დაყურსული ვაშლის ხე.*

**დაყუჩება** *დაყუჩების* (დააყუჩებს, დაუყუჩებს, დაყუჩდება, დაუყუჩდება) 1. ხმაურის შეწყვეტა, გაჩუმება. *ბავშვები დაყუჩდნენ.* 2. ტკივილის დაამება, გაყუჩება. *კბილი დაუყუჩდა.*

**დაშავება** *დაშავების* (დააშავებს, დაიშავებს, დაუშავებს, დაშავდება, დაუშავდება) 1. ცუდი საქციელის ჩადენა, საქმის წახდენა, გაფუჭება. *რა დააშავა? ამათ არაფერი დაუშავდათ.* 2. ფიზიკურად დაზიანება, ტრავმის მიღება. *ავარიის შედეგად დაშავდნენ. ჩხუბში ორი კაცი დააშავა. ხელი დაუშავდა.* ■ დაშავებული ვინც ან რაც დაშავდა. *დაშავებული ფეხბურთელი.*

**დაშამათება** *დაშამათების* (დააშამათებს, დაშამათდება) ჭადრაკის თამაშისას მოწინააღმდეგის მოქცევა შამათში. *დაშამათება ვერ შეძლო. მეფე დააშამათა.*

**დაშანთვა** *დაშანთვის* (დაშანთავს, დაიშანთება) შანთით დამღის დასმა, დადაღვა. *ცხენები დაშანთეს.* ■ დაშანთული რაც დაშანთეს. *დაშანთული სხეული.*

**დაშაქვრა** *დაშაქვრის* (დაშაქრავს, დაიშაქრავს, დაუშაქრავს, დაიშაქრება) შაქრით დატკბობა. *ჩაი დაშაქრა.* ■ დაშაქრული რაც დაშაქრეს. *დაშაქრული ხილი.*

**დაშაქრება** *დაშაქრების* (დაშაქრდება) ტკბილი ნივთიერების გამაგრება, ჭარბი შაქრის გამოყოფა, დაკრისტალება. *თაფლი დაშაქრდა.* ■ დაშაქრებული რაც დაშაქრდა. *დაშაქრებული მურაბა.*

**დაშაშვრა** *დაშაშვრის* (დაუშაშრავს, დაიშაშრება, დაეშაშრება) კანის გამოშრობა, დასკდომა. *ხელების დაშაშვრა. ტუჩები დაეშაშრა.* ■ დაშაშრული რაც დაიშაშრა. *დაშაშრული სახე.*

**დაშაშხვა** *დაშაშხვის* (დაშაშხავს) შაშხად გამოყვანა. *ხორცის დაშაშხვა. თევზი დაშაშხეს.* ■ დაშაშხული რაც დაშაშხეს. *დაშაშხული ინდაური.*

**დაშენა** *დაშენის* (დაიშენს, დაუშენს) ზედიზედ დარტყმა, ცემა, სროლა. *ქვები დაუშინა. მოწინააღმდეგეს ტყვიები დაუშინეს. ბიჭს მუშტები დაუშინა.*

**დაშენება** *დაშენების* (დააშენებს, დაშენდება, დააშენდება) ნაგებობაზე ზევიდან ახალი ნაწილის აშენება. *სახლს ორი სართული დააშენეს. ეკლესიას გუმბათი დააშენა.*

**დაშვება** *დაშვების* (დაუშვებს, დაიშვება, დაეშვება, დააშვებინებს) 1. აწეულის ან აკეცილის ჩამოშლა, დაბლა დაწევა. *ფარდა დაუშვეს.* 2. ზევიდან ქვევით წამოსვლა, დაქანება. *ბიჭი ფერდობზე დაეშვა. თვითმფრინავი აეროპორტში დაეშვა. კაცი სავარძელში დაეშვა.* 3. ნების მიცემა რაიმეზე დასასწრებად, მონაწილეობის მისაღებად. *სპექტაკლზე არ დაუშვეს. გუნდი ჩემპიონატზე არ დაუშვეს.* 4. შესაძლებლად მიჩნევა, ვარაუდი. *ვერ დაუშვა, რომ ყველა მოვიდოდა.* ■ დაშვებული რაც ან ვინც დაუშვეს. *გამოცდაზე დაშვებული სტუდენტები.*

**დაშინება** *დაშინების* (დააშინებს, დაშინდება, დაუშინდება) დამუქრებით შეშინება. *ხალხის დაშინება. შანტაჟით დააშინეს. ქალი დაშინდა.* ■ დაშინებული ვინც დააშინეს ან დაშინდა. *დაშინებული მეზობლები.*

**დაშიფრა** *დაშიფრის* (დაშიფრავს, დაიშიფრება) შიფრით დაწერა, შიფრის გამოყენება. *ტექსტის დაშიფრა. დოკუმენტი დაშიფრა.* ■ დაშიფრული რაც დაშიფრეს. *დაშიფრული ინფორმაცია.*

**დაშიშვლება** *დაშიშვლების* (დააშიშვლებს, დაშიშვლდება) ბევრის გაშიშვლება. *ბავშვები დაშიშვლდნენ.*

**დაშლა** *დაშლის* (დაშლის, დაიშლის, დაუშლის, დაიშლება, დაეშლება, დააშლევინებს) 1. ერთიანის, მთლიანის ცალკეულ ნაწილებად დაყოფა. *სახლი დაშალეს. მესაათემ საათი დაშალა.* 2. დაფანტვა, დაქსაქსვა. *მიტინგი დაშალეს.* 3. დარღვევა, მოსპობა, გაუქმება. *კოალიცია დაიშალა.* 4. ხელის შეშლა, რაიმეს აკრძალვა. *წასვლა დაუშალეს. თამაში დაუშალა. სცენაზე გამოსვლა დაუშალეს.* ■ დაშლილი რაც დაშალეს ან დაიშალა. *დაშლილი აპარატი.* ⊙ **არ დაიშლის** (რაიმეს გაკეთებას) არ გადათქვამს, შეასრულებს.

**დაშნა** *დაშნის* ციცი იარაღი, მოკლე, სწორი, ბასრი ხმალი. *დაშნა იხმარა. დაშნით დაჭრილი.*

**დაშორება** *დაშორების* (დააშორებს, დაიშორებს, დაშორდება, დააშორებინებს) 1. შორს წასვლა, გადანაცვლება. *მანქანა სოფელს მალე დაშორდა.* 2. ურთიერთობის შეწყვეტა, დაცილება, გაყრა. *ცოლისა და ქმრის დაშორება. მეგობრები დაშორდნენ ერთმანეთს.* 3. შორიშორს გაწევა, გაყვანა, გატანა და მისთ. *სკამები დააშორა ერთმანეთს.* ■ დაშორებული ვინც ან რაც დაშორდა. *დაშორებული წყვილი.*

**დაშოშმინება** *დაშოშმინების* (დააშოშმინებს, დაიშო-

შვინებს, დაუშოშმინებს, დაშოშმინდება) აღელვებულის, აფორიაქებულის დაწყნარება, დამშვიდება. *ბალხი დაშოშმინდა. მე ზობლები დააშოშმინეს.* ■ **დაშოშმინებული** ვინც დაშოშმინდა. *დაშოშმინებული მგ ზავრები.*

**დაშრეტა** *დაშრეტის* (დაშრეტს, დაუშრეტს, დაიშრიტება, დაეშრიტება) 1. გაქრობა, ჩაქრობა, გამოლევა. *ცეცხლი დაიშრიტა.* 2. დაშრობა, დანრეტა. *არხი დაშრიტეს. ნაკადული დაიშრიტა.* ■ **დაშრეტილი** რაც დაშრიტეს ან დაიშრიტა. *დაშრეტილი წყარო.*

**დაშრობა** *დაშრობის* (დააშრობს, დაიშრობს, დაუშრობს, დაშრება, დაუშრება) 1. წყლის, ტენის აორთქლება, გაქრობა. *ჭა დაშრა. გვალვამ წყარო დააშრო. წყალი დუღილით დაშრა.* 2. ბევრი სარეცხის გაშრობა. *თეთრეული დააშრო. ტანსაცმელი მზე ზე დაშრა.*

**დაშტამპვა** *დაშტამპვის* (დაშტამპავს, დაიშტამპება) შტამპის (1) დასმა. *დოკუმენტი დაშტამპა.*

**დაშტამპული** *დაშტამპულის* 1. რაც დაიშტამპა ან დაშტამპეს. *დაშტამპული ფურცელი.* 2. ტრაფარეტული, ბანალური, არაშემოქმედებითი. *დაშტამპული აზროვნება. დაშტამპული მეტყველება.*

**დაშტერება** *დაშტერების* (დააშტერებს, დაუშტერებს, დაშტერდება) დაჟინებით, თვალის მოუშორებლად დახედვა, ყურება. *ნახატს დააშტერდა.*

**დაშტვენა** იგივეა, რაც დასტვენა.

**დაშურება**[1] *დაშურების* (დააშურებს, დაეშურება) რაიმეს გაკეთების დაჩქარება, სასწრაფოდ, გადაუდებლად შესრულება. *მოსავლის აღება დააშურეს. ზღვა ზე წასვლას დაეშურა.*

**დაშურება**[2] *დაშურების* (დაიშურებს) დანანება (2), დაზოგვა, არგამეტება. *ფული დაიშურა. მეგობრისთვის არაფერი დაიშურა.*

**დაშუშხვა** *დაშუშხვის* (დაშუშხავს, დაუშუშხავს, დაიშუშხება, დაეშუშხება) სხეულზე უსიამოვნო შეგრძნების გაჩენა, დანვა, დასუსხვა. *ენა დაეშუშხა. ბალახმა ხელი დაუშუშხა.* ■ **დაშუშხული** რაც დაშუშხეს ან დაეშუშხათ. *დაშუშხული სხეული.*

**დაშხეფება** *დაშხეფების* (დააშხეფებს, დაეშხეფება) შხეფებად დასხმა, დასხურება. *ყვავილებს წყალი დააშხეფა. შარვალზე სისხლი დაეშხეფა.*

**დაჩაგვრა** *დაჩაგვრის* (დაჩაგრავს, დაიჩაგრავს, დაუჩაგრავს, დაიჩაგრება, დაეჩაგრება, დააჩაგვრინებს, დაეჩაგვრინება) სუსტის, დამარცხებულისა და ქმისთ. შეზღუდვა, დაბრიყვება. *კაცმა კაცი დაჩაგრა. ცხოვრებამ დაჩაგრა.* ■ **დაჩაგრული** ვინც დაიჩაგრა ან დაჩაგრეს. *დაჩაგრული ადამიანი.*

**დაჩამიჩებული** *დაჩამიჩებულის* 1. დამჭკნარი, ჩამიჩად ქცეული. *დაჩამიჩებული ყურძენი. დაჩამიჩებული ხილი.* 2. გადატ. ძალიან დაბერებული, ცხოვრისგან სახედანაოჭებული. *დაჩამიჩებული დედაბერი.*

**დაჩაჩანაკება** *დაჩაჩანაკების* (დააჩაჩანაკებს, დაჩაჩანაკდება) ძალიან დაუძლურება, დასუსტება. *მოხუცი დაჩაჩანაკდა. ავადმყოფობისგან დაჩაჩანაკდა.* ■ **დაჩაჩანაკებული** ვინც ან რაც დაჩაჩანაკდა. *დაჩაჩანაკებული ცხენი.*

**დაჩეკა** *დაჩეკის* (დაჩეკს, დაიჩეკება, დააჩეკინებს) ბევრის გამოჩეკა. *ჩიტმა ბარტყები დაჩეკა.*

**დაჩემება** *დაჩემების* (დაიჩემებს, დასჩემდება) 1. იგივეა, რაც დაჟინება. *წასვლა დაიჩემა. ნუ იცი ასე დაჩემება!* 2. ჩვეულებად გადაქცევა. *უხასიათობა დასჩემდა. უძილობა დასჩემდა.*

**დაჩერება** *დაჩერების* (დააჩერდება) დაჟინებით, თვალის მოუშორებლად ყურების დაწყება, დაშტერება. *ტილოს დაჟინებით დააჩერდა. საკუთარ ხელებს დააჩერდა.*

**დაჩეჩა** *დაჩეჩის* (დაჩეჩს, დაუჩეჩს, დაიჩეჩება) საჩეჩლის საშუალებით მატყლისა და მისთ. დანებვა, გაჩეჩა. *ბამბა დაჩეჩა.* ■ **დაჩეჩილი** რაც დაჩეჩეს.

**დაჩეჩქვა** *დაჩეჩქვის* (დაჩეჩქვავს, დაუჩეჩქვავს, დაიჩეჩქვება, დაეჩეჩქვება) მაგარი საგნის დარტყმით დაბეგვა, დაჟეჟვა, დანაყვა. *ხელი დაიჩეჩქვა.*

**დაჩეხა** *დაჩეხის* (დაჩეხს, დაუჩეხს, დაიჩეხება, დაეჩეხება, დააჩეხინებს) 1. დაჭრა, დაპობა, ნაწილებად ქცევა. *შეშა დაჩეხეს.* 2. გადატ. ბევრი ჭრილობის მიყენება. *დამნაშავემ კაცი დაჩეხა.* ■ **დაჩეხილი** რაც დაჩეხეს. *დაჩეხილი მორები.*

**დაჩვევა** *დაჩვევის* (დააჩვევს, დაეჩვევა) იგივეა, რაც მიჩვევა (1). *ტყუილებს დაეჩვია.*

**დაჩვრეტა** *დაჩვრეტის* (დაჩვრეტს, დაუჩვრეტს, დაიჩვრიტება, დაეჩვრიტება) ბევრგან გაჩვრეტა. *სახურავი დაიჩვრიტა.* ■ **დაჩვრეტილი** რაც დაჩვრიტეს ან დაიჩვრიტა. *დაჩვრეტილი კოვზი.*

**დაჩიავება** *დაჩიავების* (დააჩიავებს, დაჩიავდება) დაპატარავება, დასუსტება, დაკნინება. *კაცი დაჩიავდა.* ■ **დაჩიავებული** ვინც ან რაც დაჩიავდა. *დაჩიავებული მოხუცი.*

**დაჩივლება** *დაჩივლების* (დაიჩივლებს) ჩივილით (1) თქმა, უკმაყოფილების გამოხატვა. *ქალმა თავის სიღარიბე ზე დაიჩივლა.*

**დაჩითული** იგივეა, რაც მოჩითული. *დაჩითული კაბა.*

**დაჩირვა** *დაჩირვის* (დაჩირავს, დაიჩირება) ხილის მომზადება გასახმობად, ჩირის გასაკეთებლად. *ქალმა ქლიავი დაჩირა.* ■ **დაჩირული** რაც დაჩირეს. *დაჩირული ატამი.*

**დაჩირქება** *დაჩირქების* (დააჩირქებს, დაუჩირქებს, დაჩირქდება, დაუჩირქდება) ჩირქის გაჩენა, ჩირქად ქცევა. *ჭრილობის დაჩირქება. თითი დაუჩირქდა.* ■ **დაჩირქებული** რაც დაჩირქდა. *დაჩირქებული ფეხი.*

**დაჩლუნგება** *დაჩლუნგების* (დააჩლუნგებს, დაუჩლუნგებს, დაჩლუნგდება, დაუჩლუნგდება) 1. მჭრელი

იარაღის გაფუჭება, ჩლუნგად ქცევა. *ხმლის დაჩლუნგება. დანა დაჩლუნგდა.* 2. გადატ. გონების, აზროვნების ან გრძნობის დასუსტება, მოდუნება. *ხალხის დაჩლუნგება. ბიჭი სულ დაჩლუნგდა.* ■ **დაჩლუნგებული** ვინც ან რაც დაჩლუნგდა. *დაჩლუნგებული იარაღი.*

**დაჩნევა** *დაჩნევის* (დააჩნევს, დაიჩნევს, დაეჩნევა) იგივეა, რაც დამჩნევა. *კვალი დააჩნია. საქმეს მისი ხელი დაეჩნევა.* ■ **დაჩნეული** რაც დააჩნიეს. *თოვლზე დაჩნეული ნაფეხურები.*

**დაჩოქება** *დაჩოქების* (დააჩოქებს, დაიჩოქებს, დაუჩოქებს) 1. მუხლისთავებზე დაყრდნობით დადგომა. *ხატის წინ დაიჩოქა. ქალს დაუჩოქა.* 2. გადატ. დამორჩილება, დამარცხება. *მოწინააღმდეგე ადვილად დააჩოქა.* ■ **დაჩოქებული** ვინც დააჩოქეს (2). *დაჩოქებული მტერი.* ■ **დაჩოქილი** ვინც დაიჩოქა (1). *დაჩოქილი ბავშვი.*

**დაჩრდილვა** *დაჩრდილვის* (დაჩრდილავს, დაიჩრდილავს, დაუჩრდილავს, დაიჩრდილება) 1. ჩრდილით დაფარვა. *შენობამ ბაღი დაჩრდილა. ყვავილები დაიჩრდილა.* 2. გადატ. სხვისი ჯობნა, მისი ღირსების, მნიშვნელობის დაფარვა. *ქალმა სილამაზით ყველა დაჩრდილა. ფესტივალმა სხვა მოვლენები დაჩრდილა.* ■ **დაჩრდილული** რაც დაიჩრდილა (1). *დაჩრდილული ხეივანი.*

**დაჩურჩვა** *დაჩურჩვის* (დაჩურჩავს, დაუჩურჩავს, დაიჩურჩება) 1. ჩურჩის გაშორება, მარცვლის გამოცლა. *ლობიოს დაჩურჩვა.* 2. კურკის გამოცლა. *ქლიავი დაჩურჩეს.* ■ **დაჩურჩული** რაც დაჩურჩეს. *დაჩურჩული ხილი.*

**დაჩურჩულება** *დაჩურჩულების* (დაიჩურჩულებს) ჩურჩულით თქმა. *ბავშვმა დაიჩურჩულა.*

**დაჩუტვა** *დაჩუტვის* (დაჩუტავს, დაუჩუტავს, დაიჩუტება, დაეჩუტება) ჰაერით, გაზით, წყლითა და მისთ. გავსებულის დაცლა, დაცარიელება. *საბურავი დაიჩუტა. ბუშტები დაჩუტა.* ■ **დაჩუტული** რაც დაჩუტეს ან დაიჩუტა. *დაჩუტული ტომარა.*

**დაჩქარება** *დაჩქარების* (დააჩქარებს, დაუჩქარებს, დაჩქარდება, დააჩქარებინებს) სისწრაფის მომატება, ჩქარა შესრულება. *გამგ ზავრება დააჩქარეს. პროექტის შესრულება დააჩქარეს. მოვლენები დაჩქარდა.* ■ **დაჩქარებული** რაც დაჩქარდა. *დაჩქარებული ტემპი.*

**დაჩხავლება** *დაჩხავლების* (დააჩხავლებს, დასჩხავლებს, დაიჩხავლებს) ჩხავილის ხმის გამოცემა. *ყვავმა დაიჩხავლა.*

**დაჩხაპნა** *დაჩხაპნის* (დაჩხაპნის, დაიჩხაპნის, დაუჩხაპნის, დაიჩხაპნება, დაეჩხაპნება) 1. ბევრგან გაჩხაპნა. *მაგიდა დაჩხაპნა.* 2. იგივეა, რაც **დაჯღაბნა**. *ფურცელი დაჩხაპნა. სტატია დაჩხაპნა.* ■ **დაჩხაპნილი** რაც დაჩხაპნეს. *დაჩხაპნილი კედლები.*

**დაჩხვლეტა** *დაჩხვლეტის* (დაჩხვლეტს, დაიჩხვლეტს, დაუჩხვლეტს, დაიჩხვლიტება, დაეჩხვლიტება) ბევრ ადგილას გაჩხვლეტა, ჩხვლეტით დაზიანება. *მუყაო დაჩხვლიტა. თითი ნემსით დაეჩხვლიტა.* ■ **დაჩხვლეტილი** რაც დაჩხვლიტეს ან დაიჩხვლიტა. *ეკლებით დაჩხვლეტილი ხელები.*

**დაჩხრეკა** *დაჩხრეკის* (დაჩხრეკს, დაიჩხრეკს, დაუჩხრეკს, დაიჩხრიკება) ბევრის გაჩხრეკა. *მგ ზავრები დაჩხრიკეს. ჯიბეები დაიჩხრიკა.*

**დაცალკევება** *დაცალკევების* (დააცალკევებს, დაცალკევდება) ერთმანეთისგან დაშორება, გაყოფა, ცალ-ცალკე მოთავსება. *საწოლები დააცალკევა. პარტიები დაცალკევდნენ.*

**დაცარიელება** *დაცარიელების* (დააცარიელებს, დაიცარიელებს, დაუცარიელებს, დაცარიელდება, დაუცარიელდება) მთლიანად დაცლა, ცარიელად ქცევა. *კასრი დააცარიელეს. ყუთი დაცარიელდა. ქუჩა დაცარიელდა.* ■ **დაცარიელებული** რაც დაცარიელდა. *დაცარიელებული სახლი.*

**დაცაცხანება** *დაცაცხანების* (დაუცაცხანებს) გაბრაზებით, ცაცხანით თქმა, გაწყრომა. *ბავშვებს დაუცაცხანა.*

**დაცდა**[1] *დაცდის* (დააცდის, დაიცდის, დაუცდის, დააცდევინებს) 1. დალოდება, მოცდა. *დედას დაუცდის. თავის რიგს დაუცადა.* 2. ვინმესთვის დროის, საშუალების მიცემა რაიმეს გასაკეთებლად. *მუშაობის დამთავრება დააცადა.*

**დაცდა**[2] *დაცდის* (დასცდის) წყენა (2) შეუჩვეველი კლიმატისგან. *მთის ჰაერმა დაცადა. ზღვამ დაცადა.*

**დაცდენა** *დაცდენის* (დააცდენს, დასცდება, დაუცდება) 1. მოქნეულის ან ნასროლის მიზნისგან დაშორება, სხვაგან მოხვედრება. *ჩოგანი ბურთს დააცდინა.* 2. უნებურად თქმა, წამოცდენა. *სიტყვა არ დასცდა. ბავშვს ვერაფერი დააცდენინა.*

**დაცემა** *დაცემის* (დასცემს, დაეცემა) 1. ფეხზე მდგომის ან დამჯდარის წაქცევა, დავარდნა. *ბავშვი დაეცა.* 2. ზევიდან ჩამოგდებულის რაიმეზე დავარდნა. *ქვა სახურავს დაეცა. ვაშლი თავში დაეცა.* 3. გადატ. დაბლა დაწევა, მოკლება, შემცირება. *ფასების დაცემას ელოდებიან. წყლის დონე დაეცა.* 4. გადატ. გარყვნა, სინდისის, ზნეობის დაკარგვა. *სულიერად დაეცა.* 5. გადატ. თავდასხმა, ძგერება. *მტერი სოფელს დაეცა.* 6. გადატ. დაღუპვა, განადგურება, დამარცხება. *ბრძოლაში გმირულად დაეცა. იმპერია დაეცა.*

**დაცემენტება** *დაცემენტების* (დააცემენტებს, დაცემენტდება) ცემენტით გამაგრება, შეერთება. *ბოძები დააცემენტეს.* ■ **დაცემენტებული** რაც დააცემენტეს. *დაცემენტებული საძირკველი.*

**დაცემინება** *დაცემინების* (დააცემინებს) პირიდან და ცხვირიდან ჰაერის დიდი ნაკადის უნებლიეთ, სწრაფად, ერთბაშად გამოშვება სპეციფიკური ხმის გამოცემით. *ბავშვმა დააცემინა.*

**დაცემული** *დაცემულის* 1. ვინც ან რაც დაეცა. *მი-*

*ნდორზე დაცემული ფეხბურთელი. დაცემული რეიტინგი.* 2. მოსწორებული, დაბალი. *დაცემული ადგილი.*

**დაცეხვა** *დაცეხვის* (დაცეხვავს) მაგარი საგნის ცემით მარცვლეულისთვის კანის გაცლა ან მარცვლეულის უფრო პატარა ნაწილებად დამტვრევა. *ლობიო დაცეხვა.*

**დაცვა** *დაცვის* (დაიცავს) 1. უსაფრთხოების, ხელშეუხებლობის უზრუნველყოფა. *ქვეყნის დაცვა. ბავშვებს დაიცავს.* 2. მოვლა, პატრონობა, შენახვა, გაფრთხილება. *ეროვნული საგანძურის დაცვა. ისტორიული ძეგლების დაცვა.* 3. ვინმეს მხარეს დადგომა, გამოქომაგება. *თავისი მეგობრები დაიცვა.* 4. ნაშრომის დებულებების საჯაროდ დამტკიცება არგუმენტების მოყვანით, საწინააღმდეგო თვალსაზრისის გაბათილება. *დისერტაციის დაცვა.* ■ **დაცული** რაც დაიცვეს. *კარგად დაცული სახლი.*

**დაცვარვა** *დაცვარვის* (დაცვარავს, დაიცვარება, დაეცვარება) ცვრით დაფარვა. *ბალახი დაიცვარა.* ■ **დაცვარული** რაც დაიცვარა. *დაცვარული მინდორი.*

**დაცვდომა** *დაცვდომის* (დაცვდება, დაუცვდება) იხ. დაცვეთა. *ფეხსაცმელები დაუცვდა.*

**დაცვეთა** *დაცვეთის* (დაცვეთს) ბევრის გაცვეთა. *წინდები დაცვითა.*

**დაცვენა** *დაცვენის* (დააცვენს) იგივეა, რაც **დაცვივნა**. *ქარი ხეებს ფოთლებს დააცვენს.*

**დაცვივნა** *დაცვივნის* (დასცვივა, დასცვივდება, დაუცვივდება) ბევრის დავარდნა, ჩამოყრა. *მძივები იატაკზე დაცვივდა. ხეს ყვავილი დასცვივდა. ფანქრები დაუცვივდა.*

**დაცილება** *დაცილების* (დააცილებს, დაიცილებს, დასცილდება) 1. დაშორება, დაცალკევება, გაყრა. *მერხები დააცილეს. შვილები დედას დააცილეს. ცოლ-ქმარი ერთმანეთს დასცილდა.* 2. მიზნისგან დაშორება, დაცდენა. *ტყვია მიზანს დააცილა.*

**დაცილებული** *დაცილებულის* 1. რაც ან ვინც დააცილეს. *დაცილებული ცოლ-ქმარი.* 2. რაიმე ადგილიდან შორს მყოფი, მოშორებით მდებარე. *ცენტრიდან დაცილებული უბანი.*

**დაცინცვლა** *დაცინცვლის* (დასცინცლავს) მოტყუებით გამორთმევა. *ახალი ამბები დასცინცლა. კანფეტი დასცინცლა.*

**დაცლა** *დაცლის* (დაცლის, დააცლის, დაუცლის, დაიცლება, დაეცლება, დააცლევინებს) 1. ჭურჭლის, სათავსოსა და მისთ. განთავისუფლება, შიგ მოთავსებულის გადმოყრა, გადმოსხმა. *ნაგვის ურნები დაცალეს. ჭიქები დაცალეს. ტომრები დაიცალა.* 2. ბინის, ქალაქის, გზისა და მისთ. გათავისუფლება იქ მყოფთა წასვლით ან გაყვანით. *სოფელი დაიცალა. ჯარებმა ტერიტორია დაცალეს. ბინა დაცალეს.* 3. სამყოფი დროის, საშუალების მიცემა, დაცდა[1] (2). *ლაპარაკი არ დააცალა.* 4. ბევრის ამოძრობა. *თუთიყუშს ფრთები დააცალა. კბილები სულ დააცალეს. სამაჯურს თვლები დააცალა.* 5. ცეცხლსასროლი იარაღის გასროლა. *დამბაჩა დაცალა.* ■ **დაცლილი** რაც დაცალეს. *დაცლილი ოთახი. დაცლილი ბოთლები.*

**დაცობა** *დაცობის* (დააცობს, დაიცობს, დაუცობს, დაეცობა) თავის მჭიდროდ, მაგრად დახურება. *ბოთლს სახურავი დააცო.*

**დაცოლშვილება** *დაცოლშვილების* ცოლ-შვილის გაჩენა, ცოლის შერთვა და შვილების ყოლა. *დიდი ხანია, რაც დაცოლშვილდა.* ■ **დაცოლშვილებული** ვინც დაცოლშვილდა. *დაცოლშვილებული კაცი.*

**დაცოტავება** *დაცოტავების* (დააცოტავებს, დაცოტავდება) რაოდენობის შემცირება. *წყალი დაცოტავდა. ფარა დაუცოტავდა.*

**დაცურება** *დაცურების* (დააცურებს, დაცურდება, დაუცურდება) ცურვით, სრიალით დაშვება, ქვევით წამოსვლა. *ბავშვი კიბეზე დაცურდა. შენობის სახურავი დაცურდა.* ■ **დაცურებული** ვინც ან რაც დაცურდა. *დაცურებული ფიცრები.*

**დაცუცქება** *დაცუცქების* (დააცუცქებს, დაცუცქდება) ფეხების მუხლებში ჩაკეცვა და ჩაჯდომა. *ბავშვი დაცუცქდა.* ■ **დაცუცქებული** ვინც ან რაც დაცუცქდა. *დაცუცქებული ძაღლი.*

**დაცქერება** *დაცქერების* (დააცქერდება) დაკვირვებით დახედვა, ცქერის დაწყება. *ნაწერს დააცქერდა.*

**დაცქვეტა** *დაცქვეტის* (დაცქვეტს) ☉ ყურებს დაცქვეტს ყურებს ასწევს, დაძაბავს უკეთ გასაგონად.

**დაცხავება** *დაცხავების* (დააცხავებს, დაცხავდება) იგივეა, რაც **დაცხრილვა** (1). *თექა ჩრჩილისგან დაცხავდა.* ■ **დაცხავებული** რაც დააცხავეს. *დაცხავებული ქუდი.*

**დაცხება** *დაცხების* (დასცხებს) 1. ჯოხის, ფეხისა და მისთ. ძლიერად დარტყმა, დაშენა. *ზურგში მუშტები დასცხო.* 2. საუბრ. ერთბაშად, დიდი ძალით რაიმე ხმის გამოცემა. *მქუხარე ტაში დასცხეს. მაყრიონმა სიმღერა დასცხო.*

**დაცხობა** *დაცხობის* (დააცხობს, დაუცხობს, დაცხვება) ბევრის გამოცხობა. *პურები დააცხო.*

**დაცხომა** *დაცხომის* (და(ს)ცხება, (ს)ცხელა) 1. სიცხის დადგომა, ჩამოცხომა. *ოთახში დაცხა.* 2. სიცხის გრძნობა, სიცხით შეწუხება. *მგ ზავრებს ძალიან დასცხათ.* ☉ ვინმესთვის ან რაიმესთვის არა სცხელა ვინმესთვის ან რაიმესთვის დრო არა აქვს, რაიმეს კეთების ხასიათზე არ არის.

**დაცხრილვა** *დაცხრილვის* (დაცხრილავს, დაუცხრილავს, დაიცხრილება) 1. ბევრ ადგილას გახვრეტა. *ჭერი სულ დაიცხრილა.* 2. ბევრი ტყვიის მოხვედრება. *მანქანა დაცხრილა. კაცი დაცხრილეს.* ■ **დაცხრილული** რაც დაცხრილეს. *დაცხრილული კედელი.*

**დაცხრობა** *დაცხრობის* (დააცხრობს, დაიცხრობს,

დაუცხრობს) 1. გასივებულის დაპატარავება, შემცირება. *საფენმა სიმსივნე დაუცხრო.* 2. დაამება, გაყუჩება. *წამალმა ტკივილი დაუცხრო.* 3. გადატ. დამშვიდება, დაწყნარება, შენელება. *შფოთი დააცხრეს. სიბრაზე დაიცხრო.*

**დაცხრომა** *დაცხრომის* (დაცხრება, დააცხრება, დაუცხრება) 1. დაცხრობა (1). *ხელი დაუცხრა.* 2. დაცხრობა (2). *ტკივილი დაუცხრა.* 3. დაცხრობა (3). *წადილი დაუცხრა. ჩხუბის შემდეგ დაცხრა.* 4. ხარბად დაწაფება, დაძგერება (ძირითადად, საჭმელზე). *მშივრები ხინკალს დააცხრნენ.*

**დაძაბვა** *დაძაბვის* (დაძაბავს, დაიძაბება, დაეძაბება) 1. დაჭიმვა, გაძლიერება, გამახვილება. *გონება დაძაბა.* 2. გადატ. გამწვავება. *სიტუაცია დაიძაბა.* ■ **დაძაბული** ვინც ან რაც დაიძაბა. *შიშისგან დაძაბული ბავშვი.*

**დაძაბულობა** *დაძაბულობის* დაძაბვით გამოწვეული მდგომარეობა. *დაძაბულობამ გაიარა. დაძაბულობა არ იგრძნობოდა. პოლიტიკური დაძაბულობა.*

**დაძაბუნება** *დაძაბუნების* (დააძაბუნებს, დაძაბუნდება) ძალის გამოცლა, დასუსტება, დაუძლურება. *ავადმყოფობამ დააძაბუნა. სიბერით დაძაბუნდა.* ■ **დაძაბუნებული** ვინც დაძაბუნდა. *დაძაბუნებული კაცი.*

**დაძაგვრა** *დაძაგვრის* (დაძაგრავს, დაიძაგრება, დაეძაგრება) ძლიერ დაჭიმვა, დაძაბვა. *კუნთები დაძაგრა.* ■ **დაძაგრული** რაც დაიძაგრა. *დაძაგრული სხეული.*

**დაძალება** *დაძალების* (დააძალებს, დაეძალება) ვინმესთვის ძალის დატანება რაიმეს გასაკეთებლად. *დაძალებით არაფერი გამოდის. წასვლა დააძალეს.*

**დაძახება** *დაძახების* (დაიძახებს, დაუძახებს) 1. ხმამაღლა რაიმეს თქმა შორ მანძილზე ვინმეს გასაგონად, მოსახმობად. *ჭიშკრიდან დაიძახა. მეზობელს დაუძახა.* 2. სახელის დარქმევა. *ბავშვს პაპის სახელი დაუძახეს.*

**დაძახვა** *დაძახვის* (დაძახავს, დაიძახება) რამდენიმე წვერი ძაფის დაგრეხით (1) მსხვილი ძაფის მიღება. *ბამბის ძაფი დაძახა.*

**დაძგერება** *დაძგერების* (დააძგერებს, დაეძგერება) ერთბაშად მივარდნა, დატაკება, შეხლა. *ბავშვები ერთმანეთს დაეძგერნენ. კაცი ჩანთას დაეძგერა.*

**დაძენა** *დაძენის* (დასძენს) წიგნ. ნათქვამის მერე რაიმეს დამატება, კიდევ თქმა. *მომხსენებელმა ბოლოს დასძინა.*

**დაძენძვა** *დაძენძვის* (დაძენძავს, დაიძენძება) ქსოვილისა და მისთ. პატარ-პატარა ძაფებად დაშლა, დანენვა. *შარვალი დაეძენძა.* ■ **დაძენძილი** რაც დაიძენძა. *დაძენძილი ფარდა.*

**დაძველება** *დაძველების* (დააძველებს, დაძველდება, დაუძველდება) სიახლის დაკარგვა, ძველი იერის მიღება, ძველად ქცევა. *პროგრამა დაძველდა. ტანსაცმელი დაუძველდა.* ■ **დაძველებული** რაც დაძველდა. *დაძველებული ფარდები.*

**დაძვირება** *დაძვირების* (დააძვირებს, დაუძვირებს, დაძვირდება, დაუძვირდება) იგივეა, რაც გაძვირება. *ხილი დაძვირდა.* ■ **დაძვირებული** რაც დაძვირდა. *დაძვირებული პროდუქტი.*

**დაძვრა** *დაძვრის* (დაძრავს, დაიძვრება, დააძვრეინებს) 1. ამოძრავება ადგილის შესაცვლელად (წასასვლელად, წასაყვანად და მისთ.). *ჯარები მტრისკენ დაძრეს. მატარებელი დაიძრა.* 2. სიმძიმის აწევა, ადგილის შენაცვლება. *ჩანთა ვერ დაძრა. ტომარა ძლივს დაძრეს.* ■ **დაძრული** რაც ან ვინც დაიძრა. *ქალაქისკენ დაძრული მანქანები.*

**დაძვრენა** *დაძვრენის* (დაიძვრენს) ⊙ თავს დაიძვრენს საუბრ. არასასურველ მდგომარეობას მოხერხებით თავს დააღწევს, თავს აარიდებს.

**დაძინება** *დაძინების* (დააძინებს, დაიძინებს, დაეძინება) ძილის მდგომარეობაში გადასვლა. *დაღლილმა დაიძინა. ბავშვი დააძინა. ადრე დაეძინა.* ■ **დაძინებული** ვინც დაიძინა. *ახლად დაძინებული ვიყავი.*

**დაძირვა** *დაძირვის* (დაძირავს, დაიძირება) იგივეა, რაც ჩაძირვა. *კატერი დაიძირა.*

**დაძიძგნა** *დაძიძგნის* (დაძიძგნის, დაიძიძგნის, დაუძიძგნის, დაიძიძგნება) ნვრილ-ნვრილ ნაწილებად დაგლეჯა (ჩვეულებრივ, კბილებით, ფრჩხილებით ან ნისკარტით). *სვავებმა ლეში დაძიძგნეს.* ■ **დაძიძგნილი** რაც დაძიძგნეს ან დაიძიძგნა. *დაძიძგნილი ხორცი.*

**დაძლევა** *დაძლევის* (დასძლევს, დაიძლევა) 1. მოწინააღმდეგის მორევა, ჯობნა. *მტერი დაძლია.* 2. გადატ. სირთულის, პრობლემის მორევა, თავის გართმევა. *დიდი სამუშაო დაძლია.* ■ **დაძლეული** ვინც ან რაც დაძლიეს. *დაძლეული სიღარიბე.*

**და-ძმა** *და-ძმის* და და ძმა. *და-ძმა ესტუმრა.*

**დაძმარება** *დაძმარების* (დააძმარებს, დაძმარდება, დაუძმარდება) ღვინის ან ხილის წვენის დამჟავება, ძმრად ქცევა. *ღვინო დაძმარდა.*

**დაძმარებული** *დაძმარებულის* 1. რაც დაძმარდა. *დაძმარებული ღვინო.* 2. გადატ. შეწუხებული, დაღონებული. *დაძმარებული სახე. კაცი დილიდან დაძმარებული იყო.*

**დაძმობა** *დაძმობის* დისა და ძმის ურთიერთობა. *კარგი დაძმობა აქვთ.*

**დაძმობილება** *დაძმობილების* (დააძმობილებს, დაიძმობილებს, დაძმობილდება, დაუძმობილდება) ძმობილად გახდომა, დამეგობრება. *კლასელები დაძმობილდნენ.*

**დაძმობილებული** *დაძმობილებულის* დამეგობრებული. *დაძმობილებული ქალაქები.*

**დაძმური** *დაძმურის* ახლომეგობრული, და-ძმის

ურთიერთობისთვის დამახასიათებელი. *დაძმური ურთიერთობა. დაძმური სიყვარული.*

**დაძრახვა** *დაძრახვის* (დაძრახავს, დაუძრახავს, დაიძრახება, დაეძრახება) ვინმეზე ცუდის თქმა, ვინმეს გაკიცხვა. *არავის დაგძრახავთ.*

**დაძრობა** *დაძრობის* (დააძრობს, დაიძრობს, დასძვრება, დააძრობინებს) 1. ბევრის გამოძრობა ან ამოძრობა. *კბილები დააძრო. მანქანას ნაწილები დასძვრა.* 2. ბევრის გახდა. *წინდები დაიძრო. საცვლები დაიძრო.* 3. საუბრ. უცებ, მოულოდნელად ამოღება. *დანა დააძრო. საფულე დააძრო.*

**დაძრომა** *დაძრომის* (დაუძვრება) სწრაფად, მოულოდნელად წასვლა, თავის დაღწევა. *მეტოქეს დაუძვრა. მოხერხებულად დაუძვრა ხელიდან.*

**დაძღომა** *დაძღომის* (დააძღობს, დაძღება, დააძღება) 1. ბევრის გაძღომა. *ხალხი დაძღა. სტუმრები დაძღნენ.* 2. საჭმელზე ხარბად დაძგერება, დაცხრომა. *სვაი ლეშს დააძღა.*

**დაწამება** *დაწამების* (დასწამებს) ტყუილად, უსაფუძვლოდ დადანაშაულება, დაბრალება. *ქალმა ბიჭს ქურდობა დასწამა.*

**დაწამვლა** *დაწამლის* (დაწამლავს, დაიწამლება, დაწამლინებს) ბევრის მოწამვლა. *ხალხი დაინამლა.*

**დაწებება** *დაწებების* (დააწებებს, დაეწებება) წებოთი და მისთ. დაკერა ან ნაწილების შეერთება, გამთლიანება. *წიგნის ყდა დააწება.* ■ **დაწებებული** რაც დააწებეს. *დაწებებული ფურცლები.*

**დაწევა** *დაწევის* (დასწევს, დაიწევს, დაუწევს, დაიწევა, დაწევა, დააწევინებს) 1. ზევიდან ქვევით დახრა, დაშვება. *თოკი დაბლა დასწია. თავი დასწია.* 2. წინ მიმავალთან ახლოს მისვლა, მიახლოება. *გაქცეულს დაეწია. ავტობუსს მანქანით დაეწიენ.* 3. შემცირება, დაკლება. *წყლის დონემ დაიწია. ფასებმა დაიწია. სიცხემ დაიწია.* 4. უკან დახევა, გადაადგილება. *ხალხმა შენობისკენ დაიწია.* ■ **დაწეული** რაც დასწიეს, რამაც დაიწია. *დაწეული ნხევა.*

**დაწერა** *დაწერის* (დაწერს, დასწერს, დააწერს, დაიწერს, დაუწერს, დაიწერება, დაეწერება, დააწერინებს) 1. ასოების, რიცხვების, სიმბოლოებისა და მისთ. გრაფიკული გამოსახვა. *განცხადება დაწერა. დავალება დაწერა.* 2. ნაწარმოების, ტექსტის შექმნა, შეთხზვა. *თხზულების დაწერა. მწერალმა ახალი წიგნი დაწერა. მუსიკა დაწერა.* ■ **დაწერილი** რაც დაწერეს. *დაწერილი მოთხრობა.*

**დაწერილობა** *დაწერილობის* 1. იგივეა, რაც დამწერლობა. *არაბული დაწერილობა.* 2. დაწერილის სახეობა, დაწერის ფორმა. *უცხოენოვანი დაწერილობა. სიტყვის სწორი დაწერილობა.*

**დაწესება** *დაწესების* (დააწესებს, დაუწესებს, დაწესდება, დაანესებინებს) წესად შემოღება, დადგენა, დაკანონება. *გადასახადები დაწესდა. ფულადი ჯარიმები დააწესეს.* ■ **დაწესებული** რაც დააწესეს. *დაწესებული ჯილდო.*

**დაწესებულება** *დაწესებულების* ორგანიზაცია, რომელიც განაგებს ცხოვრების ან მეურნეობის გარკვეულ სფეროს. *სახელმწიფო დაწესებულება. სავაჭრო დაწესებულება.*

**დაწენვა** *დაწენვის* (დაწენავს, დაუწენავს, დაიწენება, დაეწენება, დააწენვინებს) მატყლის, ბამბისა და მისთ. ბოჭკოებად დაშლა, ხელით გაჩეჩვა. *მატყლი დაწენა.*

**დაწვა** *დაწვის* (დაწვავს, დაიწვავს, დაუწვავს, დაიწვება, დაეწვება, დააწვევინებს) 1. ცეცხლით განადგურება, მოსპობა. *სახლი დაწვეს. ქალაქი დაწვა. ტყე დაიწვა.* 2. ზედმეტად შეწვით ან გამოცხობით დახრუკვა, დანახშირება. *ხაჭაპური დაეწვა. მწვადი დაეწვა.* 3. საკვებით, მწველი ნივთიერებით ან ცხელი საგნით სხეულის ნაწილის დაზიანება, გაღიზიანება. *უთო ზე ხელი დაიწვა. მზემ სახე დასწვა. წიწაკამ პირი დაუწვა.* 4. გადატ. ღრმა გრძნობით, განცდითა და მისთ. გამსჭვალვა. *სირცხვილით დაიწვა. სიყვარულით დაიწვა. იმისმა საცოდაობამ გული დასწვა.*

**დაწვდომა** *დაწვდომის* (დასწვდება) ხელის უცბად დავლება ასაღებად, ასაწევად. *ბიჭი ბურთს დასწვდა.*

**დაწვევა** *დაწვევის* (დაიწვევს, დაეწვევა) სუფრასთან მსხდომებთან შეერთება საჭმელად ან სასმელად. *ჩაიზე დაეწვია. სადილზე დაეწვივნენ.*

**დაწვეთება** *დაწვეთების* (დააწვეთებს, დაეწვეთება) წვეთის დაცემა. *ლამბაქზე სიროფი დააწვეთა. კაბაზე ღვინო დაეწვეთა.*

**დაწვენა** *დაწვენის* (დაავენს, დაიწვენს) ვინმეს ან რაიმეს ჰორიზონტალურ მდგომარეობაში მოთავსება. *ბავშვი საწოლზე დააწვინა. ხე მიწაზე დააწვინა.*

**დაწვნა** *დაწვნის* (დაწნავს, დაიწნავს, დაიწვნება, დაეწვნება, დააწვნევინებს) ძაფის, თმის, წნელისა და მისთ. რამდენიმე წვერის (ნაწილის) ერთმანეთში გადახლართვით შეკვრა, გარკვეული ფორმის მიცემა. *თმა დაიწნა. კალათა დაწნა.* ■ **დაწნული** რაც დაწნეს. *დაწნული ღობე.*

**დაწვრილება** *დაწვრილების* (დააწვრილებს, დაწვრილდება, დაუწვრილდება) სისქის მოკლება, წვრილად ქცევა. *ჯოხი დააწვრილა.* ■ **დაწვრილებული** რაც დაწვრილდა ან დააწვრილეს. *დაწვრილებული თოკი.*

**დაწვრილებით** ზმნზ. ამომწურავად, ყველა წვრილმანის გათვალისწინებით. *დაწვრილებით მოუყვა ყველაფერს.*

**დაწვრილებითი** *დაწვრილებითის* სრული, ყოველმხრივი, წვრილმანების გათვალისწინებით შესრულებული. *დაწვრილებითი განხილვა. დაწვრილებითი ანალიზი.*

**დაწვრილმანება** *დაწვრილმანების* (დააწვრილმანებს, დაწვრილმანდება) წვრილმანებზე, უმნიშვნელო რაიმეზე ყურადღების გამახვილება. *კაცი დაწვრილმანდა.* ■ **დაწვრილმანებული** ვინც დაწვრილმანდა. *დაწვრილმანებული ვაჭარი.*

**დაწივლება** *დაწივლების* (დააწივლებს, დაიწივლებს, დასწივლებს) წივილის ხმის გამოცემა, წივილით დაძახება. *ბავშვმა დაიწივლა.*

**დაწინაურება** *დაწინაურების* (დააწინაურებს, დაწინაურდება) 1. შეჯიბრებაში სხვებზე წინ წასვლა, სხვებისთვის გასწრება. *ნახევარფინალში გუნდი დაწინაურდა.* 2. მაღალი თანამდებობის მიღება. *სამსახურში დააწინაურეს.* ■ **დაწინაურებული** ვინც ან რაც დაწინაურდა. *დაწინაურებული თანამშრომელი.*

**დაწინდვა** *დაწინდვის* (დაწინდავს, დაიწინდება) ძვ. დანიშვნა (4). *ქალი დაწინდეს.*

**დაწინწკლული** *დაწინწკლულის* 1. წინწკლებით (1) დაფარული, წინწკლებიანი. *დაწინწკლული ტყავი. შავად დაწინწკლული ყაყაჩო.* 2. რასაც წინწკლები (2) დაესხა. *წვიმით დაწინწკლული ყვავილები.*

**დაწიოკება** *დაწიოკების* (დააწიოკებს, დაუწიოკებს, დაწიოკდება) თავდასხმა და აწიოკება. *მოსახლეობა დააწიოკეს.* ■ **დაწიოკებული** ვინც ან რაც დააწიოკეს. *დაწიოკებული სოფელი.*

**დაწირპლიანება** *დაწირპლიანების* (დააწირპლიანებს, დაუწირპლიანებს, დაწირპლიანდება, დაუწირპლიანდება) წირპლის გაჩენა. *ბავშვი დაწირპლიანდა.* ■ **დაწირპლიანებული** ვინც ან რაც დაწირპლიანდა. *დაწირპლიანებული თვალები.*

**დაწიტება** *დაწიტების* (დააწიტებს) საუბრ. კბილებში ნერწყვის გამოტარებით დაფურთხება. *ბიჭმა დააწიტა.*

**დაწინკნა** *დაწინკნის* (დაწინკნის, დააწინკნის, დაწინკნის, დაინინკნება, დაეწინკნება) ნისკარტით, ფრჩხილებით, კბილებითა და მისთ. დაგლეჯა, წვრილ ნაწილებად დაქუცმაცება. *ფოთლები დაწინკნა. თმები დაიწინკნა.*

**დაწიხვლა** *დაწიხვლის* (დაწიხლავს, დაუწიხლავს, დაიწიხლება) 1. ნიხლის ჩარტყმა, ნიხლით გათელვა. *ცხენმა კაცი დაწიხლა.* 2. გადატ. შეურაცხყოფა, ღირსების შელახვა. *მთელი საზოგადოება დაწიხლა.* ■ **დაწიხლული** ვინც ან რაც დაწიხლეს. *დაწიხლული ერი.*

**დაწკარუნება** *დაწკარუნების* (დააწკარუნებს, დაიწკარუნებს) წკარუნის გამოცემა. *გასაღები დააწკარუნა. ზარმა დაიწკარუნა.*

**დაწკეპილი** *დაწკეპილის* დაგრეხილი და ზევით აშვერილი. *დაწკეპილი ულვაშები.*

**დაწკურვა** *დაწკურვის* (დაწკურავს) მოჭუტვა, დაწვრილება. *თვალები დაწკურა.*

**დაწმენდა** *დაწმენდის* (დაწმენდს, დაიწმენდს, დაუწმენდს, დაიწმინდება, დაეწმინდება, დააწმენდინებს) 1. ბევრის გაწმენდა. *ჭიქები დაწმინდა. ფანჯრები დაწმინდეს.* 2. სითხის გასუფთავება მინარევების დალექვით. *წყალი დაიწმინდა. ძმარი დაიწმინდა.* ■ **დაწმენდილი** რაც დაწმინდეს. *დაწმენდილი სკამები.*

**დაწმინდავება** *დაწმინდავების* (დააწმინდავებს, დაწმინდავდება) ამღვრეულის (ძირითადად, სითხის) გასუფთავება, დაწმენდა. *წყალი დაწმინდავდა. ღვინის დაწმინდავებას დაელოდა.*

**დაწნეხა** *დაწნეხის* (დაწნეხს, დაიწნიხება) წნეხით დატკეპნა, დაწურვა, გამოხდა, დაპრესვა. *ყურძნის დაწნეხა. მერქანი დაწნიხეს.* ■ **დაწნეხილი** რაც დაიწნიხა. *დაწნეხილი თივა.*

**დაწოლა**[1] *დაწოლის* (დაწვება, დააწვება, დაუწვება) ჰორიზონტალური მდგომარეობის მიღება, მთელი ტანით სიბრტყეზე მოთავსება. *დაწოლა უჭირს. საწოლზე დაწვა.* ■ **დაწოლილი** ვინც ან რაც დაწვა. *დაწოლილი კამეჩი.*

**დაწოლა**[2] *დაწოლის* (დააწვება) რაიმეზე ხელის, ფეხისა და მისთ. მთელი ძალით დადება, ძალის დატანება. *კლავიშს თითით დააწვა. საცობს დააწვა.*

**დაწრეტა** *დაწრეტის* (დაწრეტს, დაიწრიტება, დაეწრიტება) 1. სითხისგან ჭურჭლის დაცლა, მთლიანად გათავისუფლება. *ბოთლი დაიწრიტა.* 2. მდინარის, რუსა და მისთ. დაშრობა სხვა კალაპოტში გადაგდებით. *არხი დაწრიტეს.* ■ **დაწრეტილი** რაც დაიწრიტა. *დაწრეტილი ქილა.*

**დაწუნება** *დაწუნების* (დაიწუნებს, დაუწუნებს) ვინმეს ან რაიმეს ცუდად მიჩნევა, უვარგისად ჩათვლა. *საქონელი დაიწუნა. საქციელი დაუწუნა.* ■ **დაწუნებული** ვინც ან რაც დაიწუნეს. *დაწუნებული პროექტი.*

**დაწურვა** *დაწურვის* (დაწურავს, დააწურავს, დაუწურავს, დაიწურება, დააწურვინებს) მოჭერით, დაწნეხითა და მისთ. წვენის გამოდენა, გამოცლა. *რქაწითელი დაწურეს.* ■ **დაწურული** რაც დაწურეს. *დაწურული ყურძენი.*

**დაწუწუნება** *დაწუწუნების* (დაიწუწუნებს) წუწუნით თქმა. *ქალმა დაიწუწუნა.*

**დაწყდომა** *დაწყდომის* (და(ს)წყდება, დაანყდება, დაუწყდება) 1. ბევრის ან ბევრგან გაწყდომა. *გიტარას სიმები დაუწყდა. ძარღვები დააწყდა.* 2. ბევრის მოსპობა, დახოცვა. *ღორები დაწყდა.* 3. დინების შეჩერება. *წყალი დაუწყდათ. ნაკადული დაწყდა.*

**დაწყება** *დაწყების* (დაიწყებს, დაუწყებს, დაიწყება, დაეწყება, დააწყებინებს) მსვლელობის მიცემა, ამოქმედება, ამუშავება. *საქმის დაწყება. ფილმი დაიწყო. კამათი დაიწყეს.* ■ **დაწყებული** რაც დაიწყო ან დაიწყეს. *დაწყებული მუშაობა.*

**დაწყებითი** *დაწყებითის* დაწყების ეტაპზე, დაწყების სტადიაში მყოფი. *დაწყებითი სკოლა. დაწყებითი განათლება.*

**დაწყევლა** *დაწყევლის* (დაწყევლის, დაიწყევლის, დაუწყევლის, დაიწყევლება, დააწყევლინებს, დაეწყევლინება) ცუდის, უბედურების სურვება. *ქალმა მეზობელი დაწყევლა. ბავშვი დაწყევლეს.*

**დაწყევლილი** *დაწყევლილის* 1. ვინც ან რაც დაწყევლეს. *დაწყევლილი ოჯახი.* 2. გადატ. უბედური, შეჩვენებული, მოსარიდებელი. *დაწყევლილი ადგილი. დაწყევლილი საქმე.*

**დაწყვეტა** *დაწყვეტის* (დაწყვეტს, დაანყვეტს, დაიწყვეტს, დაუწყვეტს, დაანწყვეტინებს) 1. ბევრის აწყვეტა, გაწყვეტა. *ღილები დააწყვიტა. თოკები დაწყვიტეს.* 2. ბევრის მოსპობა, განადგურება. *ხალხი შიმშილით დაწყვიტეს.* 3. დინების შეჩერება. *წყალი დაწყვიტეს.* ■ **დაწყვეტილი** რაც ან ვინც დაწყვიტეს. *დაწყვეტილი თასმები.*

**დაწყვილება** *დაწყვილების* (დააწყვილებს, დაუწყვილებს, დაწყვილდება) 1. წყვილებად დაყოფა, წყვილებად განლაგება. *ბავშვები დააწყვილეს.* 2. ქალ-ვაჟის შეერთება, შეუღლება. *ახალგაზრდები დაწყვილდნენ.* ■ **დაწყვილებული** რაც ან ვინც დაწყვილდა. *დაწყვილებული ნავები.*

**დაწყლულება** *დაწყლულების* (დააწყლულებს, დაიწყლულებს, დაუწყლულებს, დაწყლულდება, დაუწყლულდება) წყლულის გაჩენა. *ხელი დაუწყლულდა.* ■ **დაწყლულებული** რაც დაწყლულდა. *დაწყლულებული კანი.*

**დაწყნარება** *დაწყნარების* (დააწყნარებს, დაუწყნარებს, დაწყნარდება, დაუწყნარდება) დამშვიდება, დაშოშმინება. *ქალი დაწყნარდა. აღელვებულები დააწყნარეს.* ■ **დაწყნარებული** ვინც ან რაც დაწყნარდა. *დაწყნარებული ზღვა.*

**დაწყობა** *დაწყობის* (დააწყობს, დაიწყობს, დაუწყობს, დაიწყობა, დაეწყობა, დააწყობინებს) ბევრის დადება ან დადგმა. *წიგნები დააწყო. ბოთლები მაგიდაზე დააწყო.* ■ **დაწყობილი** რაც დააწყვეს. *დაწყობილი ფიცრები.*

**დაჭანგება** *დაჭანგების* (დააჭანგებს, დაჭანგდება) ღვინოში სიმჟავის შეპარება, ჭანგის მოკიდება. *ღვინო დაჭანგდა.* ■ **დაჭანგებული** რაც დაჭანგდა. *დაჭანგებული საფერავი.*

**დაჭაობება** *დაჭაობების* (დააჭაობებს, დაჭაობდება) ჭაობის გაჩენა, ჭაობად ქცევა. *ნიადაგი დაჭაობდა.* ■ **დაჭაობებული** რაც დაჭაობდა. *დაჭაობებული ადგილები.*

**დაჭაშნიკება** *დაჭაშნიკების* (დააჭაშნიკებს) სასმლის გემოს გასინჯვა, ჭაშნიკის ნახვა. *ღვინო დააჭაშნიკა.*

**დაჭდეება** *დაჭდეების* (დააჭდევს, დაიჭდევს) ზედაპირზე ბასრი იარაღით ნიშნის ამოკვეთა, ამოჭრა, ნაჭდევის გაკეთება. *ჯოხზე ჯვარი დააჭდია.*

**დაჭედება** *დაჭედების* (დააჭედებს, დაუჭედებს, დაეჭედება) ჩაქუჩისა და მისთ. დარტყმით რაიმეზე დაკერა, დამაგრება. *ფიცარს ლურსმანი დააჭედა.* ■ **დაჭედებული** რაც დააჭედეს. *დაჭედებული სახელური.*

**დაჭედვა** *დაჭედვის* (დაჭედავს, დაუჭედავს, დაიჭედება, დააჭედვინებს) ნალის დაკერა. *ცხენი დაჭედა. ხარები დაჭედეს.* ■ **დაჭედილი** რაც დაჭედეს. *დაჭედილი ბედაური.*

**დაჭერა**[1] *დაჭერის* (დაიჭერს, დაუჭერს) 1. ხელში აღება და გაჩერება, დაკავება. *ჭიქა ხელში დაიჭირა.* 2. იგივეა, რაც **დაპატიმრება**. *პოლიციამ ქურდი დაიჭირა.* 3. ერთგვარი ამინდის დიდი ხნით გაგრძელება. *წვიმები დაიჭირა. სიცხე დაიჭირა.* ■ **დაჭერილი** ვინც ან რაც დაიჭირეს. *დაჭერილი დამნაშავე.*

**დაჭერა**[2] *დაჭერის* (დააჭერს, დაეჭირება) თითით, ხელითა და მისთ. რაიმეზე დაწოლა[2]. *ღილაკს თითი დააჭირა.*

**დაჭექება** *დაჭექების* (დაიჭექებს) 1. ძლიერი ხმის, ჭექის გამოცემა. *ზარბაზანმა დაიჭექა.* 2. გადატ. მაღალი ხმით დაძახება, ხმამაღალი სიმღერა. *მრავალჟამიერი დასჭექეს.*

**დაჭეჭყვა** *დაჭეჭყვის* (დაჭეჭყავს, დაიჭეჭყავს, დაუჭეჭყავს, დაიჭეჭყება, დაეჭეჭყება) მაგარი საგნის დარტყმით, დანოლით ზედაპირის დაზიანება, დაჭყლეტა. *სათამაშო დაჭეჭყა. მანქანას საბარგული დაეჭეჭყა.* ■ **დაჭეჭყილი** რაც დაჭეჭყეს. *დაჭეჭყილი ტაშტი.*

**დაჭიანება** *დაჭიანების* (დააჭიანებს, დაჭიანდება) ჭიის გაჩენა. *ხილი დაჭიანდა. თხილს გული დაუჭიანდა.* ■ **დაჭიანებული** რაც დაჭიანდა. *დაჭიანებული ვაშლი.*

**დაჭიდება** *დაჭიდების* (დააჭიდებს, დაეჭიდება) 1. ჭიდაობის გამართვა, შეჭიდება. *მასთან დაჭიდება არ მოინდომა. ბიჭი უფროსს დაეჭიდა.* 2. სიმძიმეზე ხელის მოკიდება ასაღებად, სხვა ადგილზე გადასატანად. *ტომარას დაეჭიდა.*

**დაჭიმვა** *დაჭიმვის* (დაჭიმავს, დაიჭიმავს, დაუჭიმავს, დაიჭიმება, დაეჭიმება, დააჭიმვინებს) 1. ძალიან გაწევა და დაგრძელება, გაწელვა. *სიმები დაჭიმა. თოკები დაიჭიმა.* 2. ძლიერ დაძაბვა. *კუნთი დაეჭიმა.* ■ **დაჭიმული** რაც დაჭიმეს ან დაიჭიმა. *დაჭიმული ძარღვები.*

**დაჭირიანება** *დაჭირიანების* (დააჭირიანებს, დაჭირიანდება) ჭირის (1) გაჩენა, მოდება. *საქონელი დაჭირიანდა.*

**დაჭკვიანება** *დაჭკვიანების* (დააჭკვიანებს, დაჭკვიანდება) ჭკუის მომატება, დადინჯება. *ბავშვი დაჭკვიანდა.* ■ **დაჭკვიანებული** ვინც დაჭკვიანდა. *დაჭკვიანებული მეჩვენა.*

**დაჭკნობა** *დაჭკნობის* (დააჭკნობს, დაუჭკნობს, დაჭკნება, დაუჭკნება) სინედლისა და სინორჩის დაკარგვა. *იები დაჭკნა. მწვანილი დაჭკნა. სიბერისგან*

*კანი დაუჭკნა.* ■ **დამჭკნარი** რაც დაჭკნა, სინორჩე დაკარგა. *დამჭკნარი ყვავილები.*

**დაჭლექება** *დაჭლექების* (დააჭლექებს, დაუჭლექებს, დაჭლექდება, დაუჭლექდება) ჭლექით დაავადება. *დარდით დაჭლექდა.*

**დაჭმა** *დაჭმის* (დაჭამს, დაიჭამს, დაუჭამს) 1. ბევრის შეჭმა. *მელიამ წიწილები დაჭამა.* 2. გადატ. დიდი ჩხუბი. *ქონების გამო დაჭამეს ერთმანეთი.*

**დაჭმუჭნა** *დაჭმუჭნის* (დაჭმუჭნის, დაიჭმუჭნის, დაუჭმუჭნის, დაიჭმუჭნება, დაეჭმუჭნება) ქსოვილის, ქაღალდისა და მისთ. დასრესა, ნაკეცებისა და ნაოჭების გაჩენა. *ფურცელი დაჭმუჭნა. ტანსაცმელი დაეჭმუჭნა.* ■ **დაჭმუჭნილი** რაც დაიჭმუჭნა. *დაჭმუჭნილი ფურცლები.*

**დაჭრა** *დაჭრის* (დაჭრის, დააჭრის, დაიჭრის, დაუჭრის, დაიჭრება, დაეჭრება, დააჭრევინებს) 1. მჭრელი იარაღით მთელის დანაწილება, დაქუცმაცება ან ნანილის მოჭრა, მოცილება. *შეშის დაჭრა. მწვანილი დაჭრა. ფრჩხილები დაიჭრა. ხეს ტოტები დააჭრეს.* 2. ცეცხლსასროლი ან ცივი იარაღით სხეულის დაზიანება. *ომში დაჭრეს. კაცი თავში დაჭრეს. მხარში დაიჭრა.* ■ **დაჭრილი** რაც ან ვინც დაიჭრა. *დაჭრილი ჯარისკაცი.*

**დაჭრეთა** *დაჭრეთის* (დაჭრეთს, დაიჭრითება) საჭრეთლით რაიმეს ამოჭრა. *ქვა დაჭრითა.* ■ **დაჭრეთილი** რაც დაჭრითეს. *დაჭრეთილი ხე.*

**დაჭრელება** *დაჭრელების* (დააჭრელებს, დაუჭრელებს, დაჭრელდება) აჭრელება (1), სხვადასხვა ფიგურის, სახის გამოკვეთა. *ქსოვილი დააჭრელა. ჯოხი დააჭრელა.* ■ **დაჭრელებული** რაც დააჭრელეს ან დაჭრელდა. *დაჭრელებული ფასადი.*

**დაჭრიალება** *დაჭრიალების* (დაჭრიალებს, დაიჭრიალებს) ჭრიალის ხმის გამოცემა. *კარმა დაიჭრიალა.*

**დაჭუპრება** *დაჭუპრების* (დააჭუპრებს, დაჭუპრდება) ჭუპრად გადაქცევა. *მატლი დაჭუპრდა.*

**დაჭუტება** *დაჭუტების* (დაჭუტავს, დაუჭუტავს, დაეჭუტება) იგივეა, რაც მოჭუტვა. *თვალები დაჭუტა.*

**დაჭყანვა** *დაჭყანვის* (დაჭყანავს, დაიჭყანება, დაეჭყანება) უშნო, უსიამოვნო გამომეტყველების მიღება. *ტკივილისგან დაიჭყანა. სახე დაეჭყანა.*

**დაჭყეტა** *დაჭყეტის* (დაჭყეტს, დააჭყეტს) ფართოდ გახელა. *თვალები დააჭყიტა.*

**დაჭყეტილი** *დაჭყეტილის* ფართოდ გახელილი. *ბუს დაჭყეტილი თვალები აქვს.*

**დაჭყივლება** *დაჭყივლების* (დააჭყივლებს, დასჭყივლებს, დაიჭყივლებს) ჭყივილით დაძახება. *შორს მყოფებს დასჭყივლა. გალმიდან ვიღაცამ დაიჭყივლა.*

**დაჭყლეტა** *დაჭყლეტის* (დაჭყლეტს, დაიჭყლეტს, დაუჭყლეტს, დაიჭყლიტება, დაეჭყლიტება) დარტყმით, დაწოლითა და მისთ. დასრესა, დაჭეჭყვა. *პამიდორი დაიჭყლიტა.* ■ **დაჭყლეტილი** რაც დაჭყლიტეს. *დაჭყლეტილი ნიორი.*

**დახავსება** *დახავსების* (დაახავსებს, დახავსდება, დაუხავსდება) ხავსის მოდება, ხავსით დაფარვა. *ქვა დახავსდა.*

**დახავსებული** *დახავსებულის* 1. ხავსით დაფარული. *დახავსებული ლოდი.* 2. გადატ. დრომოჭმული, მოძველებული. *დახავსებული სისტემა.*

**დახაზვა** *დახაზვის* (დახაზავს, დაუხაზავს, დაიხაზება, დაახაზვინებს) ფიგურის, ცხრილისა და მისთ. აგება ხაზების მეშვეობით. *სახლის გეგმა დახაზა.*

**დახამება** *დახამების* (დაახამებს, დახამდება) ბევრის მონდომება, რაიმეზე დახარბება, ისე მოქცევა, თითქოს პირველად ხედავს. *საჭმელს დახამდა. ტანსაცმელს დახამდა.* ■ **დახამებული** ვინც რაიმეს დახამდა. *დახამებული ჭამდა ტკბილეულს.*

**დახამხამება** *დახამხამების* (დაახამხამებს) ქუთუთოების ამოძრავება, თვალის წამიერი დახუჭვა და გახელა. *თვალი დაახამხამა.* ⊙ **თვალის დახამხამებაში** უცებ, ერთ წამში.

**დახანება** *დახანების* (დაახანებს) დროის გაყვანა, დაგვიანება, დაყოვნება. *პასუხმა არ დაახანა.*

**დახარბება** *დახარბების* (დაახარბებს, დაეხარბება, დახარბდება) ბევრის მონდომება, სიხარბით განმსჭვალვა. *ფულს დახარბდა.*

**დახარისხება** *დახარისხების* (დაახარისხებს, დაუხარისხებს, დახარისხდება) გადარჩევა, ხარისხის მიხედვით დანაწილება, დაწყობა. *პროდუქტის დახარისხება. ტანსაცმელი დაახარისხა.* ■ **დახარისხებული** რაც დაახარისხეს. *დახარისხებული პური.*

**დახარჯება** *დახარჯების* (დაახარჯებს) ვინმესთვის დახარჯვა, ვინმეს გულისთვის ხარჯის გაღება. *მეგობრებს დიდძალი ფული დაახარჯა.*

**დახარჯვა** *დახარჯვის* (დახარჯავს, დაახარჯავს, დაუხარჯავს, დაიხარჯება, დაეხარჯება, დაახარჯვინებს) მატერიალური ან ფიზიკური რესურსის გამოყენება, გაცემა. *ფულის დახარჯვა. ძალღონე დახარჯა. მარაგი დაიხარჯა.* ■ **დახარჯული** რაც დახარჯეს ან დაიხარჯა. *დახარჯული თანხა.*

**დახასიათება** *დახასიათების* (დაახასიათებს, დახასიათდება) 1. არსებითი თვისებების დასახელება, აღნიშვნა. *თანამშრომლებმა კარგად დაახასიათეს.* 2. ოფიციალური დოკუმენტი, რომელშიც ვინმეს პიროვნული და პროფესიული ღირსებებია აღწერილი. *კონკურსისთვის დახასიათება მოსთხოვეს.*

**დახატვა** *დახატვის* (დახატავს, დაახატავს, დაიხატავს, დაუხატავს, დაიხატება, დაეხატება, დაახატვინებს) 1. ხაზებისა და ფერების საშუალებით რაიმეს გამოსახვა. *პეიზაჟი დახატა.* 2. გადატ. წარმოჩენა, ნათლად აღწერა. *ავტორმა შესანიშნავად დახატა პერსონაჟი.*

**დახატული** *დახატულის* 1. რაც დახატეს ან დაიხატა. *დახატული პორტრეტი.* 2. გადატ. ძალიან ლამაზი. *დახატული ბავშვია.*

**დახედვა** *დახედვის* (დახედავს, დაიხედავს) დაბლა მყოფისთვის მზერის მიპყრობა, ზევიდან ქვევით შეხედვა. *საათს დახედა. ხელებზე დაიხედა. წიგნს დახედა.*

**დახევა**[1] *დახევის* (დახევს, დაახევს, დაიხევს, დაუხევს, დაიხევა, დაეხევა, დაახევინებს) ბევრ ადგილას გახევა, დაზიანება. *ფურცლები დახია. განცხადება დახია. ტანსაცმელი დაეხა.* ■ **დახეული** რაც დახიეს ან დაიხა. *დახეული კაბა.*

**დახევა**[2] *დახევის* (დახევს, დაიხევს, დაახევინებს) ◎ **უკან დაიხევს** 1. უკან წავა. 2. ბრძოლისას პოზიციის დათმობს.

**დახეთქება** *დახეთქების* (დაახეთქებს, დაეხეთქება) მთელი ძალით დაცემა ან დაგდება. *მიწაზე დაეხეთქა. ჩანთა მაგიდაზე დაახეთქა.* 1. ჟარგ. ტყუილის, დაუჯერებელი ამბისა და მისთ. თქმა. *რაღაც სისულელე დაახეთქა.*

**დახელთება** *დახელთების* (დაიხელთებს) ხელში ჩაგდება, გამოჭერა. *მეტოქე მარტო დაიხელთა. თანამშრომელმა დაიხელთა.*

**დახელოვნება** *დახელოვნების* (დაახელოვნებს, დახელოვნდება) გაწაფვა, გაწვრთნა, დაოსტატება. *მედიცინაში დახელოვნდა.* ■ **დახელოვნებული** ვინც დახელოვნდა. *დახელოვნებული ჟურნალისტი.*

**დახერხვა** *დახერხვის* (დახერხავს, დაუხერხავს, დაიხერხება) ფიცრების ან მორების დაჭრა ხერხით. *მამამ შეშა დახერხა.* ■ **დახერხილი** რაც დახერხეს. *დახერხილი ფიცრები.*

**დახეხვა** *დახეხვის* (დახეხავს, დაიხეხავს, დაუხეხავს, დაიხეხება, დაახეხვინებს) ბევრის გახეხვა. *ქვაბები დახეხა.*

**დახვავება** *დახვავების* (დაახვავებს, დაუხვავებს, დახვავდება) 1. მარცვლეულის ხვავად დაგროვება. *სიმინდი დაახვავა.* 2. გადატ. ბევრის ერთად დაწყობა, დაყრა. *პურმარილი დაახვავეს. შეშა დაახვავა.* ■ **დახვავებული** რაც დაახვავეს. *დახვავებული პური.*

**დახვალიება** *დახვალიების* (დაიხვალიებს, დაუხვალიებს) სამომავლოდ, ხვალისთვის გადადება. *დახვალიებით საქმე არ კეთდება. არ დაიხვალიებს.*

**დახვედრა** *დახვედრის* (დახვდება, დაუხვდება) 1. ადგილზე ყოფნა ვინმეს ან რაიმეს მოსვლისას. *სტუმრებს საკადრისად დახვდნენ. მეგობარი სახლში დახვდა. მშობლებს აეროპორტში დახვდა.* 2. ვინმეს მისვლისას გარკვეული სიტუაციის, მდგომარეობის არსებობა. *სახლი დანგრეული დახვდათ. ბარგი წაღებული დახვდა.*

**დახვედრება** *დახვედრების* (დაახვედრებს) წინასწარ მომზადება მომსვლელისთვის რაიმეს გადასაცემად, საჩვენებლად ან გარკვეული სიტუაციის შესაქმნელად. მომზადებული დახვდეს. *სახლი დალაგებული დაახვედრა. მასწავლებელმა წიგნი დაახვედრა. მეგობრები დაახვედრა.*

**დახვევა** *დახვევის* (დაახვევს, დაიხვევს, დაუხვევს, დაიხვევა, დაეხვევა, დაახვევინებს) 1. ძაფისა და მისთ. რაიმეზე წრიულად შემოვლება, შემოხვევა. *თოკი დაახვია. თმა დაიხვია.* 2. ვინმეს ან რაიმეს გარშემო თავის მოყრა, მოგროვება. *ხალხი დაეხვია. ექიმები დაახვიეს. მატლი დაეხვია.* ■ **დახვეული** რაც დაახვიეს. *ბოძზე დახვეული მავთული.*

**დახველება** *დახველების* (დაახველებს) ხველის გამოცემა, ხველების დაწყება. *ბავშვმა დაახველა. ზედიზედ დაახველა.*

**დახვეტა** *დახვეტის* (დახვეტს, დაუხვეტს, დაიხვეტება) გახვეტით დასუფთავება. *ეზო დახვეტა. ქუჩა დახვეტეს.* ■ **დახვეტილი** რაც დახვეტეს. *დახვეტილი ბოსელი.*

**დახვენა** *დახვენის* (დახვენს, დაიხვენს, დაუხვენს, დაიხვენება, დაეხვენება) 1. რაიმეს ხარისხის გაუმჯობესება, სრულყოფა. *მუშაობის სტილი დახვენა. მეტყველება დაეხვენა.* 2. უხეში ძაფისა და მისთ. გაწმენდა, გასუფთავება. ■ **დახვენილი** რაც დახვენეს. *დახვენილი ძაფი. დახვენილი გემოვნება.*

**დახვლანჯვა** *დახვლანჯვის* (დახვლანჯავს, დაიხვლანჯება) ერთმანეთში არევა, ერთმანეთზე გადაბმა, აბურდვა. *ძაფი დაიხვლანჯა.* ■ **დახვლანჯული** რაც დაიხვლანჯა. *დახვლანჯული გზები. დახვლანჯული ძაფი.*

**დახვრეტა** *დახვრეტის* (დახვრეტს, დაუხვრეტს, დაიხვრიტება, დაახვრეტინებს) 1. ბევრგან გახვრეტა, ნახვრეტების გაკეთება. *ჩარჩო დახვრიტა. მილი დაიხვრიტა.* 2. სიკვდილით დასჯა ცეცხლსასროლი იარაღით. *დახვრეტა მიუსაჯეს. ტყვეები დახვრიტეს.* ■ **დახვრეტილი** რაც დაიხვრიტა, ვინც დახვრიტეს. *დახვრეტილი პატიმარი.*

**დახლა** *დახლის* (დაახლის, დაიხლის, დაეხლება) ერთბაშად, დამიზნებით სროლა. *ტყვია დაახალა.*

**დახლართვა** *დახლართვის* (დახლართავს, დაუხლართავს, დაიხლართება, დაეხლართება) ერთმანეთში არევა, აბურდვა. *ძაფი დაიხლართა.*

**დახლართული** *დახლართულის* 1. რაც დაიხლართა. *დახლართული ძაფი.* 2. ძალიან არეული, მიხვეულ-მოხვეული. *დახლართული გზებით იარა.*

**დახლეჩა** *დახლეჩის* (დახლეჩს, დაიხლიჩება) ბევრის გახლეჩა, ბევრ ნაწილად გახლეჩა. *ატმები დახლიჩა. ქვეყანა დაიხლიჩა.*

**დახლი** *დახლის* ვიწრო, გრძელი მაგიდა სავაჭრო ადგილზე, რომელთანაც დგას გამყიდველი. *დახლებზე ელაგა გასაყიდი საქონელი. ხალხი დახლებთან ირეოდა.*

**დახმარება** *დახმარების* (დაახმარებს, დაახმარს, დაიხმარს, დაეხმარება) რაიმეს კეთებაში მიშველება, საქმის გაადვილება. *ბიჭი მოხუცს დაეხმარა.*

**დახოკვა** *დახოკვის* (დაიხოკავს, დაეხოკება) ფრჩხილებით სახის დაკაწვრა. *ლოყები დაიხოკა.*

**დახოცვა** *დახოცვის* (დახოცავს, დაიხოცავს, დაუხოცავს, დაიხოცება, დაეხოცება, დაახოცვინებს) 1. ბევრის მოკვლა, გაჟლეტა. *ხალხი დახოცეს. მანანწალა ძაღლები დახოცეს. პირუტყვი დაიხოცა.* 2. გადატ. მეტისმეტად გადაღლა, ძალ-ღონის გამოლევა. *მუშაობით დაიხოცნენ. ხალხი შიმშილით დახოცეს.* ■ **დახოცილი** ვინც ან რაც დაიხოცა. *დახოცილი ფრინველი.*

**დახრა** *დახრის* (დახრის, დაიხრის, დაუხრის, დაიხრება, დაეხრება, დაახრევინებს) დაბლა დაწევა, დაშვება, დაღუნვა. *დახრა უჭირს. თავი დახარა.*

**დახრაკვა** *დახრაკვის* (დახრაკავს, დაიხრაკება) ზედმეტად შეწვა, დაწვა. *ხახვი დაიხრაკა.* ■ **დახრაკული** რაც დაიხრაკა. *დახრაკული ხორცი.*

**დახრამვა** *დახრამვის* (დახრამავს, დაიხრამება) ხრამის გაჩენა. *ნიაღვარმა გზა დახრამა. პლატო დაიხრამა.* ■ **დახრამული** რაც დაიხრამა. *დახრამული ფერდობი.*

**დახრილი** *დახრილის* 1. რაც ან ვინც დაიხარა. *დახრილი ტოტი.* 2. დაქანებული, ოდნავ დამრეცი. *დახრილი ხაზი.*

**დახრუკვა** *დახრუკვის* (დახრუკავს, დაიხრუკება, დაეხრუკება) 1. ძალიან დაწვა, დანახშირება. *პური დაიხრუკა.* 2. საუბრ. გადატ. ზედმეტად გაშავება, კანის დაწვა. *ბიჭი მზე ზე დაიხრუკა.* ■ **დახრუკული** რაც დაიხრუკა. *დახრუკული ხახვი.*

**დახრჩობა** *დახრჩობის* (დაახრჩობს, დაიხრჩობს, დაიხრჩობა, დაეხრჩობა, დაახრჩობინებს) სულის შეხუთვით ან წყალში ჩაძირვით სიკვდილი. *ყელში ხელი წაუჭირა და დაახრჩო. ადიდებულ მდინარეში დაიხრჩო.*

**დახრჩოლება** *დახრჩოლების* (დაახრჩოლებს, დაუხრჩოლებს, დახრჩოლდება) კვამლის დაყენება. *გოგირდი დაახრჩოლეს.*

**დახსნა** *დახსნის* (დახსნის, დაიხსნის, დაუხსნის, დაიხსნება, დაეხსნება, დაახსნევინებს) 1. გაჭირვებაში, განსაცდელში ჩავარდნილის გადარჩენა, შველა, გათავისუფლება. *მძევლების დახსნა. ტყვეობიდან დაიხსნეს. ცეცხლისგან დაიხსნა.* 2. თავის დანებება, ჩამოცილება. *კატა თაგვს დაეხსნა.* 3. ბევრის გახსნა. *ფანჯრები დახსნეს.* ■ **დახსნილი** ვინც დაიხსნეს ან რაც დახსნეს. *დახსნილი დარაბები.*

**დახსომება** *დახსომების* (დაახსომებს, დაიხსომებს) იგივეა, რაც **დამახსოვრება**. *პატარამ ყველაფერი დაიხსომა.*

**დახტომა** *დახტომის* (დახტება, დაახტება) ახტომა და ძირს დაშვება, ხტომით დაშვება, დაცემა. *გოგონა საწოლ ზე დახტა. ბავშვი ძმას თავ ზე დაახტა.*

**დახუთვა** *დახუთვის* (დახუთავს, დაუხუთავს, დაიხუთება, დაეხუთება) ჩაკეტილ სივრცეში ჰაერის გაიშვიათება, უჰაეროდ ქცევა. *ჰაერი საშინლად დაიხუთა.* ■ **დახუთული** რაც დაიხუთა. *დახუთული შენობა.*

**დახუნძვლა** *დახუნძლის* (დახუნძლავს, დაიხუნძლება) ბევრის მოსხმა, გამოსხმა. *ხე ნაყოფით დაიხუნძლა. ვაზი დაიხუნძლა.* ■ **დახუნძლული** რაც დაიხუნძლა. *დახუნძლული ალუბალი.*

**დახურდავება** *დახურდავების* (დაახურდავებს, დაუხურდავებს, დახურდავდება, დაახურდავებინებს) მსხვილი ფულის დაშლა უფრო წვრილ ფულად. *ათლარიანი დაახურდავა.* ■ **დახურდავებული** რაც დაახურდავეს. *დახურდავებული ფული.*

**დახურვა** *დახურვის* (დახურავს, დაახურავს, დაიხურავს, დაიხურება, დაეხურება) 1. დაკეტვა, დახშობა. *ჭიშკარი დახურა.* 2. დაფარება, დადება. *ბავშვს ქუდი დაახურა. ქვაბს სახურავი დაახურა.* 3. დამთავრება, დასრულება. *კრება დახურეს.* 4. არსებობის, ფუნქციონირების შეწყვეტა, გაუქმება. *ორგანიზაცია დახურეს.* ■ **დახურული** რაც დახურეს. *დახურული ფანჯრები. დახურული სხდომა.*

**დახუჭვა** *დახუჭვის* (დახუჭავს, დაუხუჭავს, დაიხუჭება, დაეხუჭება, დაახუჭვინებს) ქუთუთოების ერთმანეთზე დადება, თვალზე დაფარება. *ქალმა თვალები დახუჭა. თვალები ეხუჭება.*

**დახშვა** *დახშვის* (დახშავს, დაიხშვება) ძვ. მჭიდროდ დახურვა, დაკეტვა. *კარი დახშეს.*

**დახშობა** *დახშობის* (დაახშობს, დაიხშობს, დაუხშობს, დაიხშობა, დაეხშობა) 1. დაკეტვა, ამოქოლვა. *ყველა ჭუჭრუტანა დაახშვეს.* 2. ძლიერი ხმით სხვა ხმების დაფარვა. *დოლის ხმამ გუგუნი დაახშო.* ■ **დახშული** რაც დაახშვეს. *დახშული სივრცე.*

**დახშული** *დახშულის* 1. მჭიდროდ დახურული, დაგმანული, შემოსაზღვრული. *დახშული ფანჯრები. დახშული სივრცე.* 2. გადატ. დახუთული, დამძიმებული (ჰაერი). 3. გადატ. შეზღუდული, განუვითარებელი, გათიშული, *დახშული აზროვნება. დახშული გონება.*

**დაჯაბნა** *დაჯაბნის* (დაჯაბნის, დაიჯაბნება, დააჯაბნინებს) მორევა, ჯობნა. *მოწინააღმდეგე დაჯაბნა. ბიჭმა ამხანაგი დაჯაბნა.* ■ **დაჯაბნილი** ვინც დაჯაბნეს. *დაჯაბნილი მოჭიდავე.*

**დაჯავშნა** *დაჯავშნის* (დაჯავშნის, დაუჯავშნის, დაიჯავშნება) ჯავშნის (4) დადება. *ბილეთის დაჯავშნა. სასტუმროში ოთახი დაჯავშნეს.* ■ **დაჯავშნილი** რაც დაჯავშნეს. *დაჯავშნილი ადგილები.*

**დაჯამება** *დაჯამების* (დააჯამებს, დაჯამდება) ჯამის[2] მიღება. *რიცხვები დააჯამა.*

**დაჯარიმება** *დაჯარიმების* (დააჯარიმებს, დაჯარიმდება) ჯარიმის დადება, მიცემა. *უბილეთო მგზა-*

*ერი დააჯარიმეს. მსაჯმა მოკრიეე დააჯარიმა.* ▪ **დაჯარიმებული** ვინც დააჯარიმეს. *დაჯარიმებული ფეხბურთელი.*

**დაჯახება** *დაჯახების* (დააჯახებს, დაეჯახება) მთელი ძალით დატაკება, მიჯახება. *დაჯახების ხმა. მანქანა ხეს დააჯახა. კაცი კედელს დაეჯახა.*

**დაჯახუნება** *დაჯახუნების* (დააჯახუნებს, დაჯახუნდება) ჯახუნით გაღება ან დახურვა. *ფანჯარა დააჯახუნა. კარი დაჯახუნდა.*

**დაჯაჯგურება** *დაჯაჯგურების* (დაეჯაჯგურება) ჯაჯგურით დაჭიდება. *კარადას დაეჯაჯგურა.*

**დაჯგუფება** *დაჯგუფების* (დააჯგუფებს, დაჯგუფდება) 1. ჯგუფებად დაყოფა, დალაგება (ჩვეულებრივ, გარკვეული ნიშნით). *მოსწავლეები სიმაღლის მიხედვით დააჯგუფა. ხალხი დაჯგუფდა.* 2. ადამიანთა ჯგუფი (2), გაერთიანება. *ოპოზიციური დაჯგუფება. ახალგაზრდული დაჯგუფება.* ▪ **დაჯგუფებული** ვინც ან რაც დაჯგუფდა. *დაჯგუფებული ხალხი.*

**დაჯდომა** *დაჯდომის* (დაჯდება, დააჯდება, დაუჯდება) 1. სკამზე, სავარძელში და მისთ. დაშვება და მოთავსება ისე, რომ ტანის ქვედა ნაწილი (საჯდომი) მას ეყრდნობოდეს. *მერხზე დაჯდა. დედის გვერდით დაჯდა.* 2. იგივეა, რაც დაფრენა (1). *თვითმფრინავი დაჯდა.* 3. გადატ. თანამდებობის დაკავება. *უფროსად დაჯდა.* 4. მოცულობაში მოკლება, დაპატარავება. *ხის მასალა დაჯდა.* 5. რაიმეს ყიდვისას, გაკეთებისას და ა.შ. მთლიანი ხარჯის შეფასება. *იაფი დაჯდა. ფილმის გადაღება ძვირი დაუჯდათ.* ⊙ **რადაც უნდა დამიჯდეს** რის გაკეთებაც უნდა დამჭირდეს. ⊙ **ძვირად დაუჯდება** ბევრი სიძნელე შეექმნება.

**დაჯერება**[1] *დაჯერების* (დააჯერებს, დაიჯერებს, დაუჯერებს) სხვისი ნათქვამის სწორად, მართებულად მიჩნევა. *ნათქვამი დაიჯერა. მამას დაუჯერა. მსმენელი დააჯერა.*

**დაჯერება**[2] *დაჯერების* (დააჯერებს, დასჯერდება) საკმარისად მიჩნევა, დაკმაყოფილება. *პასუხს არ დასჯერდა. მცირე გასამრჯელოს დასჯერდა.*

**დაჯილდოება** *დაჯილდოების* (დააჯილდოებს, დაჯილდოვდება) ჯილდოს გადაცემა, ჯილდოს მინება. *მეომარი დააჯილდოვეს. მოჭიდავე დაჯილდოვდა.*

**დაჯილდოებული** *დაჯილდოებულის* 1. ვინც დააჯილდოვეს. *დაჯილდოებული სპორტსმენები.* 2. გადატ. დადებითი თვისებების, გამორჩეული ნიჭის მქონე. *ბუნებისგან დაჯილდოებული გოგონა.*

**დაჯიჯგნა** *დაჯიჯგნის* (დაჯიჯგნის, დაიჯიჯგნება) ნისკარტით, კბილებით, ბრჭყალებითა და მისთ. დანაწევრება, დაქუცმაცება. *ბარკალი დაჯიჯგნა.* ▪ **დაჯიჯგნილი** რაც დაჯიჯგნეს. *დაჯიჯგნილი ხორცი.*

**დაჯმუჯნა** *დაჯმუჯნის* (დაჯმუჯნის, დაიჯმუჯნება) რბილი მასის ხელით დასრესა, დაჭყლეტა. *საბანი დაჯმუჯნა.*

**დაჯღაბნა** *დაჯღაბნის* (დაჯღაბნის, დაუჯღაბნის, დაიჯღაბნება) 1. უშნოდ, ულამაზოდ დაწერა. *წერილი დაჯღაბნა.* 2. უშნოდ დახატვა ან უაზრო ფიგურების, ხაზების, ასოებისა და მისთ. გამოყვანა. *კედლები დაჯღაბნა.* 3. უპატივც. რაიმეს უნიჭოდ, უვარგისად დაწერა. *სცენარი დაჯღაბნა.* ▪ **დაჯღაბნილი** რაც დაჯღაბნეს. *დაჯღაბნილი მერხი.*

**დაჯღანვა** *დაჯღანვის* (დაჯღანავს, დაუჯღანავს, დაიჯღანება, დაეჯღანება) 1. სახის უშნოდ მობრეცა, დამანჭვა. *კაცი დაიჯღანა.* 2. უხეშად, ულამაზოდ შეკერვა. *ფეხსაცმელი დაჯღანა.*

**დაჯღანული** *დაჯღანულის* 1. ვინც დაიჯღანა. *დაჯღანული გოგო.* 2. რაც დაჯღანეს. *დაჯღანული ტანსაცმელი.*

**დგაფუნი** *დგაფუნის* (დგაფუნობს, ადგაფუნებს) ზღვის ან მდინარის ტალღების ურთიერთშეხლის ხმა. *დგაფუნი ისმოდა.*

**დგიმი** *დგიმის* ჰორიზონტალური საქსოვი დაზგის ნანილი, ქსლის ძაფების ამწევ-დამწევი. *დგიმის თვალი. დგიმის ჯოხი.*

**დგომა** *დგომის* (დგას, ადგას, უდგას) 1. ვერტიკალურ მდგომარეობაში ყოფნა. *ფეხზე დგას. დგომით დაიღალა.* 2. უძრავად ყოფნა. *მანქანა დგას. ტბორი დგას. ბოთლში ღვინო დგას.* 3. ჰაერში ბოლის, სუნისა და მისთ. არსებობა. *კვამლი იდგა. სასიამოვნო სუნი დგას.*

**დგომელა** ზმნზ. ფეხზე დგომით, ფეხზე დამდგარ მდგომარეობაში. *დგომელა ჭამდნენ.*

**დგუში** *დგუშის* ზოგიერთი ცილინდრული მოწყობილობის მოძრავი დეტალი, რომლითაც შეჰყავთ ან გამოჰყავთ სითხე, აირი, ორთქლი. *ტუმბოს დგუში. ძრავას დგუში.* ▪ **დგუშიანი** დგუშის მქონე. *დგუშიანი ტუმბო. დგუშიანი მანქანა.*

**დება** *დების* (დევს, ადევს, უდევს) ↑ **დადება**. *წიგნი მაგიდაზე დევს.*

**დებატები** *დებატების* (მრ.) რაიმე საკითხის საჯარო განხილვა, კამათი, მსჯელობა. *დებატები გაიმართა. პოლიტიკური დებატები.*

**დებილი** *დებილის* გონებასუსტი, გონებაჩლუნგი. *დებილი ბავშვი.*

**დებიუტანტი** *დებიუტანტის* პირი, რომელსაც დებიუტი (1) აქვს. *დებიუტანტის წარმატება.*

**დებიუტი** *დებიუტის* 1. მსახიობის, მწერლის პირველი გამოსვლა სცენაზე ან სამოღვაწეო ასპარეზზე. *დებიუტი შედგა.* 2. ჭადრაკის პარტიის დასაწყისი სტადია. *დებიუტი გაითამაშეს.*

**დებოში** *დებოშის* უწესრიგობა საზოგადოების თავშეყრის ადგილებში. *ახლგაზრდებმა დებოში ატეხეს.*

**დებულება** *დებულების* 1. ჩამოყალიბებული აზრი, მოსაზრება, რომელსაც ეყრდნობა მსჯელობა. *დებულების საფუძველზე დამტკიცდა. მცდარი დებულება.* 2. დოკუმენტი, რომელიც გარკვეულ წესებს, ნორმებსა და კანონებს მოიცავს. *დებულება მიიღეს. სასამართლოს დებულება.*

**დეგრადაცია** *დეგრადაციის* თანდათანობით გაუარესება, დაქვეითება. *საზოგადოების დეგრადაცია.*

**დეგუსტატორი** *დეგუსტატორის* დეგუსტაციის სპეციალისტი. *დეგუსტატორებმა შეაფასეს.*

**დეგუსტაცია** *დეგუსტაციის* პროდუქტის გემოს გასინჯვა მისი ხარისხის გამოსავლენად. *ღვინის დეგუსტაცია.*

**დედა** *დედის* 1. მშობელი ქალი. *დედა და შვილი. დედის ალერსი.* 2. მონაზონი ქალი. *დედა ეფემია. დედათა მონასტერი.* 3. ზოგი საჭმლის ან სასმლის (პურის, მაწვნის, ღვინის) დასამზადებლად აუცილებელი მასალა. *მაწვნის დედა.* 4. შორისდ. ფუნქც. გამოხატავს გაკვირვებას, გაოცებას. *დედა, რა ვნახე!* ▪ **დედიკო, დედილო** ალერს. დედა ⊙ **დედა ენა** მშობლიური ენა. ⊙ **დედას ბიჭი** ირონ. განებივრებული და მშიშარა ბიჭი.

**დედააზრი** *დედააზრის* მთავარი, ყველაზე მნიშვნელოვანი აზრი. *ნაწარმოების დედააზრი. საკითხის დედააზრი.*

**დედაბერი** *დედაბრის* საუბრ. მოხუცი ქალი. *ბრმა დედაბერი.*

**დედაბრული** *დედაბრულის* დედაბრისნაირი, დედაბრის დამახასიათებელი. *დედაბრული სიარული. დედაბრული ჩიფჩიფი.*

**დედაბუდიანად** ზმნზ. მთლიანად, ყველა ერთად, ძირფესვიანად. *დედაბუდიანად აიყარნენ.*

**დედაკაცი** *დედაკაცის* საუბრ. გათხოვილი ქალი. *ქვრივი დედაკაცი. ყოჩაღი დედაკაცი.* ▪ **დედაკაცობა** დედაკაცად ყოფნა. ▪ **დედაკაცური** დედაკაცის თვისების, ხასიათის მქონე. *დედაკაცური ქცევა.*

**დედალი** *დედლის* 1. მდედრობითი სქესის ზრდასრული ქათამი. *შავი დედალი. დედალმა კვერცხი დადო.* 2. მდედრობითი სქესის არსება ზოგადად (ადამიანის გარდა). *დედალი დათვი. დედალი სპილო. დედალი ხოხობი.* 3. დამცირ. ამბობენ მხდალ კაცზე, ბიჭზე. *შე დედალო!*

**დედამთილი** *დედამთილის* ქმრის დედა. *რძალი და დედამთილი.*

**დედამიწა** *დედამიწის* 1. პლანეტა, რომელზეც ადამიანები ცხოვრობენ. *დედამიწის მოსახლეობა.* 2. მიწა, ნიადაგი. *დედამიწა ასაზრდოებდა.* ⊙ **დედამიწის ზურგზე** მთელ ქვეყანაზე, მთელ მსოფლიოში.

**დედანი** *დედნის* ტექსტის დასრულებული ვარიანტი, რომელიც გამოიყენება თარგმანის, ასლის ან გადამუშავების საფუძვლად. *ასლი დედანს შეუდარა.*

**დედაქალაქი** *დედაქალაქის* ქვეყნის მთავარი ქალაქი, ადმინისტრაციული ცენტრი. *თბილისი საქართველოს დედაქალაქია.*

**დედინაცვალი** *დედინაცვლის* მამის ცოლი წინა ქორწინებიდან შეძენილი შვილებისთვის. *დედინაცვალი და გერი. უშვილო დედინაცვალი.*

**დედისერთა** *დედისერთას* ვისაც და-ძმები არა ჰყავს. *დედისერთა ვაჟკაცი. დედისერთა ქალიშვილი.*

**დედისეული** *დედისეულის* დედის ნაქონი. *დედისეული მანდილი.*

**დედიშობილა** *დედიშობილას* სულმთლად ტიტველი, უტანსაცმლო. *ბავშვი დედიშობილა დარბის.*

**დედლობა** *დედლობის* საუბრ. სიმხდალე, მშიშრობა. *დედლობა არ შეგშვენის.*

**დედლური** *დედლურის* 1. დედლის შესაფერისი, არავაჟკაცური. *დედლური საქციელი.* 2. დედლის დამახასიათებელი.

**დედ-მამა** *დედ-მამის* დედა და მამა. *მოხუცი დედ-მამა. დედ-მამის სიყვარული.*

**დედმამიშვილი** *დედმამიშვილის* და, ძმა. *დედმამიშვილებში უმცროსი იყო.* ▪ **დედმამიშვილური** დედმამიშვილების დამახასიათებელი. *დედმამიშვილური სიყვარული.*

**დედობა** *დედობის* (დედობს) დედად ყოფნა, დედის მოვალეობა. *დედობას მალე მოესწრები! დედობა გაუნია.*

**დედობილი** *დედობილის* ქალი, რომელიც სხვის შვილს დედის მოვალეობას უწევს. *დედობილის გაზრდილი.*

**დედობილ-მამობილი** *დედობილ-მამობილის* ცოლი-ქმარი, რომლებიც სხვის შვილს მშობლის მოვალეობას უწევენ.

**დედოფალა**[1] *დედოფალას* კვერნის მსგავსი პატარა მტაცებელი ცხოველი. *დედოფალა თაგვებს იჭერს.*

**დედოფალა**[2] *დედოფალას* იგივეა, რაც თოჯინა (I). *ახალი დედოფალა.*

**დედოფალი** *დედოფლის* 1. მეფის ცოლი. *მეფე და დედოფალი.* 2. ქვეყნის ხელისუფალი ქალი. *ინგლისის დედოფალი.* 3. იგივეა, რაც პატარძალი. *დედოფლის მაყრები. ნეფე და დედოფალი.* 4. ჭადრაკის ერთ-ერთი ფიგურა, ლაზიერი. *დედოფლით ითამაშა. დედოფალი დაკარგა.* ▪ **დედოფლობა** დედოფლად ყოფნა. ▪ **დედოფლური** დედოფლის დამახასიათებელი, შესაფერი. *დედოფლური ცხოვრება.*

**დედულეთი** *დედულეთის* დედის სოფელი ან ის ადგილი, საიდანაც არის დედა წარმოშობით. *ჩემი დედულეთი.*

**დედული** *დედულის* I. ძვ. დედის ქონება, რომელზეც შვილებს მემკვიდრეობის უფლება ჰქონდათ. 2. იგივეა, რაც დედულეთი.

**დედუქცია** *დედუქციის* ზოგადი დებულებიდან კერძო დასკვნის გამოყვანა. *დედუქციის შედეგად.* ■ **დედუქციური** დედუქციასთან დაკავშირებული, დედუქციის შედეგად მიღებული. *დედუქციური მეთოდი. დედუქციური დასკვნა.*

**დევგმირი** *დევგმირის* დიდი, ძლიერი და გულადი. *ნამდვილი დევგმირი იყო.*

**დევი** *დევის* ზღაპრული არსება, რომელსაც ადამიანის სახე აქვს. *დევების ბრძოლა.*

**დევიზი** *დევიზის* სიტყვა ან მოკლე გამონათქვამი, რომელიც გამოხატავს ადამიანთა ჯგუფის ან ორგანიზაციის მოქმედების ძირითად მიზანს, იდეას. *პარტიის დევიზი.*

**დევკაცი** *დევკაცის* იგივეა, რაც დევგმირი. *დევკაცს ჰგავს.*

**დევნა** *დევნის* (დევნის) რაიმე მოსაზრებით ვინმეს შევიწროება ისე, რომ იძულებული გახდეს მიატოვოს საქმე, საცხოვრებელი და მისთ. *რელიგიური დევნა. განსხვავებული აზრისთვის არ უნდა იდევნებოდნენ.*

**დევნილი** *დევნილის* ვისაც სდევნიან, ვინც განდევნეს. *დევნილთა ბანაკი. პოლიტიკური დევნილი. დევნილი მოსახლეობა.*

**დეზერტირი** *დეზერტირის* პირი, რომელიც სავალდებულო სამხედრო სამსახურს თავს არიდებს. *დეზერტირები დააკავეს.*

**დეზერტირობა** *დეზერტირობის* (დეზერტირობს) დეზერტირად ყოფნა. *ბიჭი დეზერტირობს.*

**დეზი** *დეზის* I. რქოვანი წვეტიანი წანაზარდი ზოგიერთი მამალი ფრინველის ფეხზე. *მამლის დეზები.* 2. ლითონის რკალი, რომელსაც იკეთებს მხედარი ფეხსაცმლის ქუსლზე ცხენის გასაჭენებლად. *დეზები დაიმაგრა.* ■ **დეზებიანი** დეზების მქონე. *დეზებიანი მამალი.*

**დეზინფექცია** *დეზინფექციის* ავადმყოფობის გამომწვევ მიკრობთა მოსპობა სპეციალური საშუალებებით. *დეზინფექცია ჩაუტარდა.*

**დეზინფორმაცია** *დეზინფორმაციის* არასწორი ინფორმაციის გავრცელება საზოგადოების შეცდომაში შეყვანის მიზნით. *მოსახლეობის დეზინფორმაცია.*

**დეზორგანიზაცია** *დეზორგანიზაციის* სახელმწიფო, ადმინისტრაციული, სამეურნეო და სხვა ორგანოების ნორმალური საქმიანობის მოშლა.

**დეიდა** *დეიდის* დედის და. *დეიდამ გაზარდა.*

**დეიდაშვილი** *დეიდაშვილის* დეიდის შვილი. *დეიდა და დეიდაშვილები ესტუმრნენ.*

**დეკა** *დეკის* მარადმწვანე ბუჩქი, აქვს მოგრძო ფოთლები და მსხვილი, ლამაზი, მოთეთრო ან მოვარდისფრო ყვავილები, ხარობს მაღალ მთაში. *დეკის ჩაი.*

**დეკადა** *დეკადის* I. დროის ათდღიანი მონაკვეთი. *სექტემბრის პირველი დეკადა.* 2. დროის მონაკვეთი, რომელიც საზოგადოებრივად მნიშვნელოვან მოვლენას ეძღვნება. *ქართული კულტურის დეკადა.*

**დეკადანსი** *დეკადანსის* კულტურის დაქვეითება, დაცემა.

**დეკალიტრი** *დეკალიტრის* სითხის საზომი ერთეული უდრის ათ ლიტრს. *ორი დეკალიტრი.*

**დეკანატი** *დეკანატის* I. ფაკულტეტის ადმინისტრაცია დეკანის ხელმძღვანელობით. *დეკანატმა ცხრილი შეადგინა.* 2. ფაკულტეტის ხელმძღვანელობისთვის გამოყოფილი შენობა ან ოთახი (ოთახები). *დეკანატში შევედი.*

**დეკანი** *დეკანის* ფაკულტეტის ხელმძღვანელი უმაღლეს სასწავლებელში. *დეკანის მოვალეობა.*

**დეკანოზი** *დეკანოზის* I. უფროსი მღვდელი. *დეკანოზად აკურთხეს.* 2. ხატის მსახური საქართველოს მთიანეთის ზოგ კუთხეში. *დეკანოზებმა ხატები გამოასვენეს.*

**დეკანოზობა** *დეკანოზობის* (დეკანოზობს) დეკანოზად ყოფნა. *დეკანოზობა დაიწყო.*

**დეკემბერი** *დეკემბრის* წელიწადის მეთორმეტე თვე. *დეკემბრის ყინვები.*

**დეკეული** *დეკეულის* ფური (1) პირველი ხბოს მოგებამდე. *ჯიშიანი დეკეული.*

**დეკლამატორი** *დეკლამატორის* პირი, რომელიც მხატვრულად, გამომეტყველებით კითხულობს ტექსტს. *დეკლამატორის ხელოვნება.*

**დეკლამაცია** *დეკლამაციის* ლიტერატურული ნაწარმოების გამომეტყველებით კითხვა. *დეკლამაციის ოსტატი.*

**დეკლარაცია** *დეკლარაციის* I. ოფიციალური განცხადება რაიმე გადაწყვეტილების შესახებ. *მთავრობის დეკლარაცია.* 2. ოფიციალური დოკუმენტი, რომელშიც რაიმე სფეროსათვის საჭირო ცნობებია მოცემული. *საბაჟო დეკლარაცია. სავაჭრო დეკლარაცია.*

**დეკოლტე** *დეკოლტეს* ღრმად ამოჭრილი გული ქალის ზედა ტანსაცმელზე. *დეკოლტეთი იწონებს თავს.*

**დეკორატიული** *დეკორატიულის* ლამაზი, ესთეტიკური დანიშნულების მქონე. *დეკორატიული ყვავილები. დეკორატიული ფილები.*

**დეკორატორი** *დეკორატორის* სპეციალისტი, რომელიც მხატვრულად აფორმებს სცენას ან სხვადასხვა დანიშნულების ადგილებს (ბინას, ოფისს, ბაღსა და მისთ.). *თეატრის დეკორატორი.*

**დეკორაცია** *დეკორაციის* მოქმედების ადგილის მხატვრული გაფორმება სცენაზე, გადასაღებ მოედანზე. *სასცენო დეკორაცია.* ■ **დეკორაციული** დეკორაციასთან დაკავშირებული. *დეკორაციული მხატვრობა.*

**დეკრეტი** *დეკრეტის* უმაღლესი ხელისუფლების დადგენილება, რომელსაც კანონის ძალა აქვს. *პრეზიდენტმა დეკრეტი გამოსცა.* ■ **დეკრეტული** დეკრეტით დადგენილი. *დეკრეტული შვებულება.*

**დელგმა** *დელგმის* ძლიერი წვიმა ქარითა და ჭექა-ქუხილით. *დელგმა წამოვიდა. დელგმა შეწყდა.*

**დელეგატი** *დელეგატის* ოფიციალური შეკრების (ყრილობის, კონფერენციის) მონაწილე პირი, რომელიც არჩეულია ან დანიშნულია რომელიმე ორგანიზაციის ან სახელმწიფოს წარმომადგენლად. *სხვადასხვა ქვეყნის დელეგატები. დელეგატის უფლებები.*

**დელეგაცია** *დელეგაციის* სახელმწიფოს, ორგანიზაციის, საწარმოს მიერ რაიმე მიზნით არჩეულ ან დანიშნულ წარმომადგენელთა ჯგუფი. *საქართველოს დელეგაცია.*

**დელიკატესი** *დელიკატესის* განსაკუთრებული, იშვიათი, გამორჩეულად გემრიელი საჭმელი. *დელიკატესებით გაუმასპინძლდა.*

**დელიკატური** *დელიკატურის* 1. თავაზიანი, ზრდილობიანი. *დელიკატური ადამიანი.* 2. რაც ფრთხილ, წინდახედულ მოპყრობას მოითხოვს. *დელიკატური საკითხი.*

**დელტა** *დელტის* მდინარის შესართავთან შენაკადის განშტოებებად დაყოფილი სივრცე. *დელტას ქმნის. ნილოსის დელტა.*

**დელტაპლანი** *დელტაპლანის* მარტივი სასპორტო საფრენი აპარატი, აქვს სამკუთხედის ფორმის ზედაპირი, რომლის ქვეშ თავსდება სპორტსმენი და ისე მიფრინავს.

**დელფინარიუმი** *დელფინარიუმის* ზღვის პირას მონყობილი დიდი აკვარიუმი, რომელშიც წვრთნიან და შეისწავლიან დელფინებს.

**დელფინი** *დელფინის* ვეშაპის მსგავსი ზღვის ძუძუმწოვარი ცხოველი. *დელფინი კარგად იწვრთნება.*

დელფინი



**დემაგოგი** *დემაგოგის* პირი, რომელიც მოჩვენებითი ლოგიკურობით არასწორად ნარმოადგენს ფაქტებსა და მოვლენებს ვინმეზე გავლენის მოხდენის მიზნით.

**დემაგოგია** *დემაგოგიის* წინასწარ განსაზღვრული ყალბი ქმედება (ცრუ დაპირებები, ფაქტების განზრახ დამახინჯება და მისთ.) ვინმეზე გავლენის მოხდენის მიზნით. *დემაგოგიას ეწევა.* ■ **დემაგოგიური** დემაგოგიის დამახასიათებელი. *დემაგოგიური გამოსვლა.*

**დემარკაცია** *დემარკაციის* სახელმწიფოებს შორის საზღვრის დადგენა ადგილზე სათანადო ნიშნებით. *საზღვრების დემარკაცია.*

**დემარში** *დემარშის* ერთი სახელმწიფოს მთავრობის დიპლომატიური მიმართვა მეორისადმი. *დემარშით უპასუხეს.*

**დემილიტარიზაცია** *დემილიტარიზაციის* სახელმწიფოს განიარაღება, მისთვის სამხედრო მრენველობისა და შეიარაღებული ძალების ყოლის აკრძალვა.

**დემობილიზაცია** *დემობილიზაციის* იგივეა, რაც **დემობილიზება**. *დემობილიზაცია გამოცხადდა.*

**დემობილიზება** *დემობილიზების* სამხედრო მოსამსახურეთა დათხოვნა, განთავისუფლება. *დემობილიზება დაიწყო.* ■ **დემობილიზებული** ვისაც დემობილიზება შეეხება. *დემობილიზებული ჯარისკაცები.*

**დემოგრაფია** *დემოგრაფიის* მეცნიერება, რომელიც შეისწავლის მოსახლეობის შემადგენლობასა და მისი მოძრაობის კანონზომიერებას. *დემოგრაფიის კურსი.* ■ **დემოგრაფიული** დემოგრაფიასთან დაკავშირებული, დემოგრაფიისთვის განკუთვნილი. *დემოგრაფიული პოლიტიკა.*

**დემოკრატი** *დემოკრატის* 1. პირი, რომელიც იცავს, ემხრობა დემოკრატიული მმართველობის წესს. 2. დემოკრატიული პარტიის წევრი. *დემოკრატების ყრილობა.*

**დემოკრატია** *დემოკრატიის* 1. პოლიტიკური მმართველობის ფორმა, რომლის დროსაც უმაღლესი ხელისუფლება ეკუთვნის ხალხს. *დემოკრატიის განვითარება.* 2. გუნდური მუშაობის ორგანიზების ფორმა, რომლის დროსაც უზრუნველყოფილია გუნდის ყველა წევრის თანასწორუფლებიანი მონაწილეობა.

**დემოკრატიზაცია** *დემოკრატიზაციის* სახელმწიფოს, საზოგადოების, კანონებისა და მისთ. გარდაქმნა დემოკრატიის საფუძველზე.

**დემონი** *დემონის* ბოროტი სული, ეშმაკი.

**დემონსტრანტი** *დემონსტრანტის* პირი, რომელიც დემონსტრაციაში მონაწილეობს. *დემონსტრანტებმა ქუჩა გადაკეტეს. დემონსტრანტების გამოსვლა.*

**დემონსტრაცია** *დემონსტრაციის* 1. მასობრივი მსვლელობა გარკვეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობის, მიმართულების მხარდასაჭერად. *დემონსტრაცია გაიმართა.* 2. საჯარო ჩვენება. *მოდების დემონსტრაცია.*

**დემონსტრაციული** *დემონსტრაციულის* 1. გამომწვევი, რაიმეს დემონსტრირების მიზნით ჩადენილი. *დემონსტრაციული ნაბიჯი.* 2. დემონსტრაციაზე

(2) დამყარებული. *სწავლების დემონსტრაციული მეთოდი.* ▲ **დემონსტრაციულად** ზმნზ. გამომწვევად, პროტესტის გამოსახატავად. *დემონსტრაციულად თქვეს უარი.*

**დემონსტრირება** *დემონსტრირების* იგივეა, რაც დემონსტრაცია (2). *ძალების დემონსტრირება.*

**დემონტაჟი** *დემონტაჟის* მანქანის, აგრეგატის, რაიმე მოწყობილობისა და მისთ. ნაწილებად დაშლა რემონტის, სხვა ადგილას გადატანის ან სხვა მიზნით. *კომბაინის დემონტაჟი. ქარხნის დემონტაჟი.*

**დემონური** *დემონურის* დემონის დამახასიათებელი, არამიწიერი, არაადამიანური, ბოროტი. *დემონური ძალები. დემონური ხარხარი.*

**დენა** *დენის* (ადენს, იდენს, (ს)დის) სითხის უწყვეტ ნაკადად მოძრაობა. *სისხლი სდის.*

**დენადი** *დენადის* რაც დის, მიედინება, რასაც დენის უნარი აქვს. *დენადი მასა.*

**დენაციონალიზაცია** *დენაციონალიზაციის* სახელმწიფო ქონების დაბრუნება უწინდელი პატრონებისთვის. *საწარმოს დენაციონალიზაცია.*

**დენდრარიუმი** *დენდრარიუმის* სამეცნიერო-კვლევითი მიზნით გაშენებული ხეებისა და მცენარეების კოლექცია. *დენდრარიუმის თანამშრომელი.*

**დენდროლოგია** *დენდროლოგიის* ბოტანიკის დარგი, რომელიც სწავლობს ხეებსა და ბუჩქებს.

**დენთი** *დენთის* ფეთქებადი ნივთიერება, ასაფეთქებელი საშუალებებისა (ბომბის, ყუმბარის, ჭურვისა და მისთ.) და ცეცხლსასროლი იარაღების ვაზნის ძირითადი კომპონენტი. *უკვამლო დენთი.* ⊙ **დენთივით აფეთქდება** უცებ გაბრაზდება. ⊙ **დენთის კასრზე ზის** სახიფათო მდგომარეობაშია.

**დენი** *დენის* ელექტრონების მიმართული მოძრაობა სადენებში. *დენის წყარო.*

**დენონსაცია** *დენონსაციის* იგივეა, რაც **დენონსირება**.

**დენონსირება** *დენონსირების* სახელმწიფოს განცხადება საერთაშორისო ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტის თაობაზე.

**დეპარტამენტი** *დეპარტამენტის* რაიმე ორგანიზაციის, დაწესებულების განყოფილება, რომელიც გარკვეულ სფეროს უძღვება. *სასაზღვრო დეპარტამენტი.*

**დეპეშა** *დეპეშის* ცნობა, რომელიც ტელეგრაფით გადაიცემა. *დეპეშის მიღება. სამძიმრის დეპეშა.*

**დეპო** *დეპოს* 1. ნაგებობა ვაგონებისა და ელმავლების სადგომად და შესაკეთებლად. *საორთქლმავლო დეპო.* 2. სახანძრო მანქანების სადგომი. *სახანძრო დეპო.*

**დეპოზიტი** *დეპოზიტის* 1. თანხა ან ფასიანი ქაღალდები, რომლებიც შეაქვთ ბანკში ან სხვა საკრედიტო დაწესებულებაში გარკვეული პირობებით. *ვადიანი დეპოზიტი.* 2. ანგარიში, რომელზეც დებს ადამიანი გარკვეული მომსახურების საფასურს. *დეპოზიტი შეავსო.* ■ **დეპოზიტური** დეპოზიტის ხასიათისა. *დეპოზიტური ანგარიში.*

**დეპორტაცია** *დეპორტაციის* იგივეა, რაც **დეპორტირება**.

**დეპორტირება** *დეპორტირების* სახელმწიფოდან გაძევება ან სხვა ადგილას იძულებით დასახლება. ■ **დეპორტირებული** ვისაც დეპორტირება შეეხო. *დეპორტირებულები ჩამოიყვანეს.*

**დეპრესია** *დეპრესიის* მძიმე, დამთრგუნველი ფსიქიკური მდგომარეობა. *დეპრესიაში ჩავარდა.* ■ **დეპრესიული** ვისაც ან რასაც დეპრესია ახასიათებს. *დეპრესიული ავადმყოფი.*

**დეპუტატი** *დეპუტატის* პირი, რომელიც არჩეულია საზოგადოების გარკვეული ნაწილის წარმომადგენლად სახელმწიფო საკანონმდებლო ორგანოში, რაიმე ორგანიზაციაში და ა.შ. *დამოუკიდებელი დეპუტატი. დეპუტატთა საბჭო.*

**დეპუტატობა** *დეპუტატობის* დეპუტატად ყოფნა. *დეპუტატობის ვადა.*

**დეპუტაცია** *დეპუტაციის* დეპუტატთა ჯგუფი, რომელიც მოქმედებს რომელიმე ქვეყნის, რაიმე ორგანიზაციის, დაწესებულების ან კრების დავალებით.

**დერგი** *დერგის* ქვევრის ფორმის დიდი ქილა. *თიხის დერგი.*

**დერეფანი** *დერეფნის* 1. შენობის შიდა ნაწილში მოქცეული გასასვლელი, რომელიც ოთახებთან არის დაკავშირებული. *დერეფნის კარი დარბაზში გადიოდა.* 2. საცხოვრებელი სახლის წინა მხარეს მიდგმული, სვეტებზე დაყრდნობილი გადახურული ნაწილი. *ღია დერეფანი.*

**დერვიში** *დერვიშის* მოხეტიალე მუსულმანი ბერი. *დერვიშმა ჩამოიარა.*

**დერმატინი** *დერმატინის* ხელოვნური ტყავი, გამოიყენება ავეჯზე გადასაკრავად, წიგნის ყდისთვის და მისთ. *მწვანე დერმატინი.*

**დერმატოლოგია** *დერმატოლოგიის* მედიცინის დარგი, რომელიც კანის დაავადებებს შეისწავლის.

**დესანტი** *დესანტის* მოწინააღმდეგის ტერიტორიაზე გადასხმული სპეციალურად მომზადებული ჯარის ნაწილები. *საზღვაო დესანტი. დესანტი გადასხეს.*

**დესერტი** *დესერტის* სადილზე დასაყოლებელი ხილი ან ტკბილეული. *დესერტად ნაყინი მოგვიტანეს.*

**დესპანი** *დესპანის* 1. ერთი სახელმწიფოს დიპლომატიური წარმომადგენელი მეორე სახელმწიფოში. *სრულუფლებიანი დესპანი.* 2. ერთი სახელმწიფოს მიერ მეორეში საგანგებო მისიით წარგზავნილი პირი. *მეფის დესპანი.*

**დესპანობა** *დესპანობის* (დესპანობს) დესპანად ყოფნა. *შორეულ ქვეყნებში დესპანობდა.*

**დესპოტი** *დესპოტის* 1. ძველი აღმოსავლეთის მონათმფლობელური სახელმწიფოს უმაღლესი მმართველი, რომელსაც შეუზღუდავი ძალაუფლება ჰქონდა. 2. მოძალადე ადამიანი, რომელიც უხეშად ზემოქმედებს სხვებზე, უგულებელყოფს მათ აზრსა და სურვილებს. *დესპოტი თანამშრომელი.*

**დესტაბილიზაცია** *დესტაბილიზაციის* არეულობა, არასტაბილური ვითარება. *წარმოების დესტაბილიზაცია.*

**დეტალი** *დეტალის* 1. მანქანა-დანადგარის, ხელსაწყოსი და მისთ. ცალკეული ნაწილი. *აპარატის დეტალი. დეტალი გამოჩარხა.* 2. რაიმეს შემადგენელი ნაწილი. *მნიშვნელოვანი დეტალი.*

**დეტალური** *დეტალურის* საფუძვლიანი, სრულყოფილი, დაწვრილებითი. *დეტალური ანალიზი. დეტალური განხილვა.*

**დეტექტივი** *დეტექტივის* 1. ნაწარმოები, რომელშიც გადმოცემულია საიდუმლო დანაშაულის გახსნის ისტორია. *პოპულარული დეტექტივი.* 2. პირი, რომელიც საგანგებო დავალებით იძიებს დანაშაულებრივ ფაქტს და რომელიც ფლობს გამოძიების განსაკუთრებულ ხერხებსა და მეთოდებს. *კერძო დეტექტივი.*

**დეტონატორი** *დეტონატორის* ფეთქებადი მოწყობილობის მცირე მუხტი, რომლის მოქმედება იწვევს ძირითადი მუხტის უსწრაფეს აფეთქებას. *დეტონატორის კაფსული.*

**დეტონაცია** *დეტონაციის* ფეთქებადი ნივთიერების მეყსეული აალება, რაც გამოწვეულია სხვა ნივთიერების აფეთქებით ან შერყევით, დარტყმით.

**დეფექტი** *დეფექტის* ნაკლი, ხარვეზი. *დეფექტი აღმოაჩნდა.* ■ **დეფექტიანი** დეფექტის მქონე. *დეფექტიანი ნიგნი.*

**დეფექტური** *დეფექტურის* ნორმიდან გადახრილი, არასრულფასოვანი. *დეფექტური მეტყველება.*

**დეფინიცია** *დეფინიციის* ცნების განსაზღვრა მისი ყველაზე არსებითი ნიშნების საშუალებით. *ტერმინის დეფინიცია.*

**დეფისი** *დეფისის* სპეციალური ნიშანი (-), რომელიც გამოიყენება რთული სიტყვის შემადგენელი ნაწილების შესაერთებლად, სიტყვის ნაწილის მომდევნო სტრიქონზე გადასატანად და მისთ. *დეფისით გამოყოფილი.*

**დეფიციტი** *დეფიციტის* 1. გასავლის მეტობა შემოსავალზე, დანაკლისი. *ბიუჯეტის დეფიციტი.* 2. რაიმე საქონლის ნაკლებობა ბაზარზე. *საკვები პროდუქტების დეფიციტი.*

**დეფიციტური** *დეფიციტურის* არასაკმარისი რაოდენობისა, ძნელად საშოვნელი. *დეფიციტური საქონელი.*

**დეფორმაცია** *დეფორმაციის* იგივეა, რაც დეფორმირება. *ნაგებობის დეფორმაცია.*

**დეფორმირება** *დეფორმირების* (დეფორმირდება) პირვანდელი სახის, ფორმის ცვლილება, დამახინჯება. ■ **დეფორმირებული** რაც დეფორმირდა. *დეფორმირებული ზედაპირი.*

**დეცენტრალიზაცია** *დეცენტრალიზაციის* იგივეა, რაც დეცენტრალიზება. *მმართველობის დეცენტრალიზაცია.*

**დეცენტრალიზება** *დეცენტრალიზების* ცენტრალიზაციის გაუქმება ან შესუსტება. *მმართველობის დეცენტრალიზება.*

**დეციმეტრი** *დეციმეტრის* მეტრის მეათედი, უდრის ათ სანტიმეტრს. *ხუთი დეციმეტრი.*

**დვრილი** *დვრილის* ანატ. სარძევე ჯირკვლის დაბოლოება, რძის სადინარი. *წვრილი დვრილი.*

**დვრინი** *დვრინის* მამაკაცის დაბალი სასიმღერო ხმა. *დვრინით ამღერდა.*

**დვრიტა** *დვრიტის* მცოხნავი პირუტყვის კუჭის ნაწილი, რომელიც შეიცავს რძისგან ყველის მისაღებ სადედებელ ნივთიერებას.

**დიაბეტი** *დიაბეტის* მედიც. დაავადება, რომლის დროსაც შეფერხებულია ორგანიზმში ნახშირწყლების გადამუშავება, რაც იწვევს სისხლში შაქრის მომატებას.

**დიაგნოზი** *დიაგნოზის* დაავადების დადგენა ავადმყოფის გამოკვლევის შედეგად. *სწორი დიაგნოზი.*

**დიაგნოსტიკა** *დიაგნოსტიკის* 1. მედიცინის დარგი, რომელიც შეისწავლის ავადმყოფობის ნიშანთვისებებს, დიაგნოზის დასმის მეთოდებსა და ხერხებს. *პროფილაქტიკური დიაგნოსტიკა.* 2. დიაგნოზის დასმა. *ზუსტი დიაგნოსტიკა.* ■ **დიაგნოსტიკური** დიაგნოსტიკისთვის დამახასიათებელი, დიაგნოსტიკასთან დაკავშირებული. *დიაგნოსტიკური განყოფილება.*

**დიაგონალი** *დიაგონალის* მათ. სწორი ხაზი, რომელიც აერთებს მრავალკუთხედის არამომიჯნავე წეროებს. *მართკუთხედის დიაგონალი.* ■ **დიაგონალური** დიაგონალზე გამავალი. *დიაგონალური ხაზი. დიაგონალური მიმართულება.*

**დიაგრამა** *დიაგრამის* ნახაზი, რომელიც გრაფიკულად გამოხატავს გარკვეული სიდიდეების შეფარდებას. *ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლების დიაგრამა.*

**დიადემა** *დიადემის* 1. სამკაული, რომელსაც შუბლზე იმაგრებენ. *ბრილიანტის დიადემა. ლალისთვლებიანი დიადემა.* 2. მეფეთა თავსამკაული, სამეფო ხელისუფლების სიმბოლო. *მეფის დიადემა.*

**დიადი** *დიადის* შესანიშნავი, დიდებული, ღირ-

სეული, ამაღლებული. *დიადი საქმე. დიადი დრო.*

**დიაკვანი** *დიაკვნის* ეკლესიის მსახური, მღვდლის დამხმარე ღვთისმსახურების დროს. *დიაკვნის სტიქარი.*

**დიაკვნობა** *დიაკვნობის* დიაკვნად ყოფნა. *მისი დიაკვნობის დროს.*

**დიალექტი** *დიალექტის* საერთო სახალხო ენის განშტოება, რომელზეც საუბრობენ ამა თუ იმ კუთხეში. *ხევსურული დიალექტი.* ■ **დიალექტური** დიალექტისთვის დამახასიათებელი. *დიალექტური მეტყველება.*

**დიალექტიზმი** *დიალექტიზმის* დიალექტური სიტყვა ან გამოთქმა სალიტერატურო ენაში. *მოთხრობაში უხვად გვხვდება დიალექტიზმები.*

**დიალექტიკა** *დიალექტიკის* ფილოსოფიური მოძღვრება ბუნების, საზოგადოებისა და აზროვნების განვითარების საყოველთაო კანონების შესახებ. *ისტორიული დიალექტიკა.* ■ **დიალექტიკური** დიალექტიკისთვის დამახასიათებელი, დიალექტიკასთან დაკავშირებული. *დიალექტიკური მოძღვრება.*

**დიალექტოლოგია** *დიალექტოლოგიის* ენათმეცნიერების დარგი, რომელიც დიალექტებს შეისწავლის.

**დიალოგი** *დიალოგის* საუბარი ორ ან მეტ ადამიანს შორის. *დიალოგის დაწყება. ხანგრძლივი დიალოგი.*

**დიამეტრი** *დიამეტრის* მათ. მონაკვეთი, რომელიც აერთებს წრეხაზის ორ წერტილს და გადის მის ცენტრზე.

**დიაპაზონი** *დიაპაზონის* 1. სხვადასხვა სიმაღლის ყველა ბგერის ერთობლიობა, რომელიც მისაწვდომია ამა თუ იმ საკრავის ან მომღერლის ხმისთვის. *დიდი დიაპაზონის ხმა.* 2. გადატ. ცოდნის, მოქმედების, ინტერესებისა და მისთ. მოცულობა. *ფართო დიაპაზონის მოღვაწე.*

**დიასახლისი** *დიასახლისის* 1. ქალი, რომელიც საოჯახო საქმეებს უძღვება. *დიასახლისის შრომა.* 2. ქალი, რომელიც ოჯახს უვლის და არ მსახურობს. *დედამისი დიასახლისია.* 3. ქალი, რომელიც რომელიმე დაწესებულებაში სამეურნეო საქმეებს ანესრიგებს. *სასტუმროს დიასახლისი. საბავშვო ბაღის დიასახლისი.*

**დიასახლისობა** *დიასახლისობის* (დიასახლისობს) დიასახლისის საქმიანობა, საოჯახო საქმეების გაძღოლა. *რძალი დიასახლისობს.*

**დიასპორა** *დიასპორის* ნაციონალურ-კულტურული უმცირესობის სტატუსის მქონე რელიგიური და ეთნიკური ჯგუფები, რომელთა საცხოვრობელი ადგილი მათ ისტორიულ სამშობლოს არ წარმოადგენს. *დიასპორის პრობლემები. ქართველთა დიასპორა.*

**დიაფრაგმა** *დიაფრაგმის* ანატ. 1. კუნთოვან-მყესოვანი ძგიდე, რომელიც გულმკერდისა და მუცლის ღრუებს ერთმანეთისგან გამოყოფს. *დიაფრაგმის დაზიანება.* 2. ტექნ. ოპტიკური ხელსაწყოების ფირფიტა, რომელსაც აქვს ნახვრეტი სინათლის სხივების კონის სიგანის შესაცვლელად. *მიკროსკოპის დიაფრაგმა.*

**დიაქრონია** *დიაქრონიის* ენობრივ მოვლენათა განვითარების ისტორიული თანამიმდევრობა. ■ **დიაქრონიული** დიაქრონიასთან დაკავშირებული. *დიაქრონიული შესწავლა.*

**დიაცი** *დიაცის* ძვ. იგივეა, რაც ქალი. ■ **დიაცური** დიაცის შესაფერისი, დიაცის დამახასიათებელი. *დიაცური საქციელი.*

**დიახ** ნაწილაკ. პატივისც. გამოხატავს დასტურს კითხვაზე საპასუხოდ. *– მოდიხართ? – დიახ!*

**დიახაც** ნაწილაკ. სწორედ რომ, მართლაც, ნამდვილად (გამოიყენება საწინააღმდეგო აზრის გასაბათილებლად). *დიახაც დაისჯება დამნაშავე. დიახაც გაიმარჯვებს ჩვენი გუნდი!*

**დიდად** ზმნზ. ძალიან, მეტად. *დიდად არ განიცდის.*

**დიდაქტიკა** *დიდაქტიკის* პედაგოგიკის ნაწილი, რომელიც შეისწავლის სწავლების თეორიას. *დიდაქტიკის კურსი.* ■ **დიდაქტიკური** დიდაქტიკასთან დაკავშირებული. *დიდაქტიკური ლიტერატურა.*

**დიდბუნებოვანი** *დიდბუნებოვნის* ყველანაირი ადამიანური ღირსების მქონე, სულიერად მდიდარი. *დიდბუნებოვანი პიროვნება.*

**დიდგვაროვანი** *დიდგვაროვნის* ფეოდალურ ეპოქაში უმაღლესი საზოგადოებრივი წრის, დაწინაურებული გვარის წარმომადგენელი. *დიდგვაროვანი ფეოდალი.*

**დიდგული**[1] *დიდგულას* მაღალი ბუჩქი ან დაბალი ხე, რომლის ტოტებს აქვს რბილი და თეთრი გული, მისი ტოტებისგან ამზადებენ უენო სალამურს.

**დიდგული**[2] *დიდგულას* რასაც დიდი გული აქვს. *დიდგული თხილი. დიდგული კაკალი.*

**დიდგული** *დიდგულის* ამპარტავანი, მედიდური. *დიდგული კაცი.*

**დიდგულობა** *დიდგულობის* (დიდგულობს) ამპარტავნობა, თავის უშიშრად მოჩვენება, დიდგულად ქცევა. *ბიჭი დიდგულობს.*

**დიდ-დიდი** *დიდ-დიდის* ბევრი დიდი, დიდები. *დიდ-დიდი ნაჭრები. დიდ-დიდი ხეები.*

**დიდება** *დიდების* (ადიდებს, იდიდება) 1. სახელი, პატივი, ღირსება. *დიდება მოიპოვა.* 2. გადაჭარბებული ქება. *აქებს და ადიდებს.*

**დიდებულება** *დიდებულების* მშვენიერება, მიმზიდველობა, გამორჩეულობა. *მისი დიდებულებით გაოცდნენ. გამოჩნდა მთელი თავისი დიდებულებით.*

**დიდებული** *დიდებულის* 1. მშვენიერი, გამორჩეულად კარგი, შესანიშნავი. *დიდებული სურათი. დიდებული ამბავი.* 2. ფეოდალურ საქართველოში წარჩინებული გვარის მქონე პირი. *ქართლის დიდებულები.*

**დიდედა** *დიდედის* იგივეა, რაც ბებია. *პაპა და დიდედა.*

**დიდი** *დიდის* 1. ზომით, წონით, მოცულობით ჩვეულებრივზე მეტი. *დიდი გ ზა. დიდი სახლი. დიდი თოვლი.* ↔ **პატარა.** 2. ძლიერი, განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე. *დიდი წარმატება. დიდი ემოცია.* 3. ბევრი, ხანგრძლივი. *დიდი დრო გავიდა.* ↔ **მცირე.** 4. ასაკით უფროსი, მოზრდილი. *დიდი ბიჭი.* ↔ **პატარა.** 5. იგივეა, რაც **გამოჩენილი.** *დიდი მწერალი. დიდი სა ზოგადო მოღვაწე.* ⊙ **დიდ ამბავშია** ბევრ საქმეს აკეთებს, ჩქარობს. ⊙ **დიდ გულზეა** ყოყოჩობს, საჩხუბრად ემზადება. ⊙ **დიდი ამბით** ხმაურით, აჟიოტაჟით, სიხარულით, პატივისცემით. ⊙ **დიდი გული აქვს** არავისი ეშინია, მედიდურობს.

**დიდიან-პატარიანად** ზმნზ. უკლებლივ ყველა, ასაკის მიუხედავად. *დიდიან-პატარიანად აიყარნენ.*

**დიდი-დიდი** საუბრ. ყველაზე მეტი რომ ვთქვათ, ყველაზე მეტი რომ წარმოვიდგინოთ, ბევრი-ბევრი (გამოხატავს მთქმელის დამოკიდებულებას). *დიდი-დიდი, ოთხი კაცი დასჭირდება. დიდი-დიდი, სკოლიდან გარიცხავენ.*

**დიდკაცობა** *დიდკაცობის* საზოგადოების ზედა, დაწინაურებული ფენა. *დიდკაცობა მოგროვდა.*

**დიდმარხვა** *დიდმარხვის* შვიდკვირიანი მარხვა აღდგომის წინ. *დიდმარხვა ახლოვდება.*

**დიდოსტატი** *დიდოსტატის* 1. რაიმე საქმის საუკეთესო სპეციალისტი. *მხატვრული კითხვის დიდოსტატი.* 2. უმაღლესი კვალიფიკაციის მოჭადრაკე. *დიდოსტატი გახდა.*

**დიდ-პატარა** *დიდ-პატარის* უკლებლივ ყველა, დიდიც და პატარაც. *საქმეში დიდ-პატარა ჩაერთო.*

**დიდრონი** *დიდრონის* საკმაოდ დიდი. *დიდრონი ლოდები ყრია. დიდრონი მთები.*

**დიდსულოვანი** *დიდსულოვნის* მიმტევებელი, ყველაფრის მპატიებელი. *დიდსულოვანი პიროვნება.*

**დიდსულოვნება** *დიდსულოვნების* კაცთმოყვარეობა, მიმტევებლობა. *დიდსულოვნება ახასიათებს.*

**დიდძალი** *დიდძალის* ძალიან ბევრი. *დიდძალი ხალხი მოვიდა.*

**დიდხანს** ზმნზ. დიდი დროის განმავლობაში, ხანგრძლივად. *დიდხანს უყურა. დიდხანს მუშაობს.*

**დიეზი** *დიეზის* მუსიკალური ბგერის ნახევარტონით ასამაღლებელი სანოტო ნიშანი. *ფა დიე ზი.*

**დიეტა** *დიეტის* კვების გარკვეული რეჟიმი (2). *ექიმმა მკაცრი დიეტა დაუნიშნა.* ■ **დიეტური** დიეტისთვის განკუთვნილი. *დიეტური სასადილო. დიეტური საჭმელი.*

დივანი

**დივანი** *დივნის* საზურგიანი მოგრძო რბილი ავეჯი დასაჯდომად ან დასაწოლად. *გასაშლელი დივანი. დივანზე იჯდა.*

**დივერსანტი** *დივერსანტის* დივერსიის მომწყობი. *დივერსანტებმა ხიდი აიფეთქეს.*

**დივერსანტობა** *დივერსანტობის* დივერსანტის საქმიანობა. *დივერსანტობა დააბრალეს.*

**დივერსია** *დივერსიის* წინასწარ მომზადებული ქმედება სამხედრო და სახელმწიფო მნიშვნელობის ობიექტების დასანგრევად, მწყობრიდან გამოსაყვანად. *დივერსიის მოწყობა.* ■ **დივერსიული** დივერსიასთან დაკავშირებული. *დივერსიული აქტი.*

**დივიდენდი** *დივიდენდის* მოგების ნაწილი, რომელსაც აქციონერი იღებს მის მიერ დაბანდებული კაპიტალის შესაბამისად. *მაღალი დივიდენდი.*

**დივიზია** *დივიზიის* საჯარისო შენაერთი, რომელიც შედგება რამდენიმე პოლკისგან ან ბრიგადისგან.

**დიზაინერი** *დიზაინერის* მხატვარი, დიზაინის სპეციალისტი. *ცნობილი დიზაინერი.*

**დიზაინი** *დიზაინის* ინტერიერის, ყოფითი ნივთების მხატვრული გაფორმება. *თანამედროვე დიზაინი.*

**დიზელი** *დიზელის* შიგაწვის ძრავა, რომელიც მუშაობს მძიმე თხევადი საწვავით.

**დიზენტერია** *დიზენტერიის* მედიც. მწვავე ინფექციური დაავადება, რომელიც აზიანებს მსხვილ ნაწლავებს, დამახასიათებელია კუჭის ხშირი მოქმედება, რასაც თან სდევს სისხლისა და ლორწოს გამოყოფა. *დიზენტერიის ხსნარი.* შეცდომაა დიზინტერია, დეზინტერია.

**დითირამბი** *დითირამბის* 1. სახოტბო ლექსი. *დითირამბების ავტორი.* 2. გადატ. გადაჭარბებული ქება. *დითირამბებით შეამკო.*

**დიკა** *დიკის* საგაზაფხულო ხორბლის სახეობა, გავრცელებულია საქართველოს მთიანეთში.

**დილა** *დილის* დღის დასაწყისი. *დილის მზე.* ▲ **დილით, დილას** ზმნზ. როცა დილაა. *დილით წავიდა. დილას ვნახე.* ■ **დილაობით, დილდილობით** ზმნზ. ყოველ დილით, როცა დილაა. *დილაობით ცივა. დილაობით ვარჯიშობს.* ⊙ **დილა მშვიდობისა!** მისალმება დილით. ⊙ **სისხამ დილით** ძალიან ადრე დილას.

**დილაადრიან** ზმნზ. დილით ადრე, ადრიანად. *დილაადრიან მოვიდნენ.*

**დილაადრიანად** ზმნზ. იგივეა, რაც დილაადრიან. *დილაადრიანად შეიკრიბა ხალხი.*

**დილა-საღამოს** ზმნზ. დილასა და საღამოს, დილითა და საღამოთი, დილითაც და საღამოთიც. *ძროხებს დილა-საღამოს წველიან.*

**დილეგი** *დილეგის* შენობის ქვედა ბნელი ნაწილი, რომელიც გამოიყენებოდა საპატიმროდ. *დილეგში გამომწყვდიეს.*

**დილემა** *დილემის* წიგნ. რთული, გაძნელებული არჩევანი ორ შესაძლებელ ვარიანტს შორის. *დილემის წინაშე დგას.*

**დილეტანტი** *დილეტანტის* მეცნიერების ან ხელოვნების რომელიმე დარგით დაინტერესებული პირი, რომელიც არ არის ამ დარგის სპეციალისტი და მხოლოდ ზერელე ცოდნა აქვს მის შესახებ. ■ **დილეტანტური** დილეტანტის დამახასიათებელი. *დილეტანტური ცოდნა.*

**დილეტანტობა** *დილეტანტობის* დილეტანტის თვისება, საქმისადმი ზერელე დამოკიდებულება. *დილეტანტობა გამოიჩინა.*

**დინამიზმი** *დინამიზმის* იგივეა, რაც დინამიკა.

**დინამიკა** *დინამიკის* რაიმეს განვითარების, ცვალებადობის პროცესი, ტემპი. *მოვლენების დინამიკა. ზრდის დინამიკა. სწრაფი დინამიკა.*

**დინამიკური** *დინამიკურის* მოძრავი, მოვლენებით დატვირთული. *დინამიკური თხრობა. დინამიკური ცხოვრება.*

**დინამიტი** *დინამიტის* ძლიერი ფეთქებადი ნივთიერებით გავსებული მასრა, გამოიყენება სამთო-საინჟინრო საქმეში. *კლდე დინამიტით ააფეთქეს.*

**დინასტია** *დინასტიის* სამეფო გვარი, რომლის ნარმომადგენლები თანმიმდევრობით ცვლიან ტახტზე ერთმანეთს. *ბაგრატიონთა დინასტია.*

**დინგი** *დინგის* 1. ზოგიერთი ცხოველის (უპირატესად, ღორის) ნაგრძელებული ცხვირი. *დინგით მინას ჩიჩქნის. საჭმელში დინგი ჩაყო.* 2. ბოტან. მცენარის ბუტკოს ზედა, გაფართოებული ნაწილი.

**დინდგელი** *დინდგელის* ფუტკრის მიერ გამოყოფილი წებოვანი, ცვილისებური ნივთიერება, რომლითაც ფუტკრები ზამთარში სკებს ათბუნებენ, გამოიყენება სამკურნალოდ. *დინდგელის მალამო.*

**დინება** *დინების* (დს) 1. იგივეა, რაც დენა. *მდინარის დინება.* 2. წყლის ან ჰაერის ნაკადის (1) მოძრაობა. *თბილი დინება. ზღვის დინება.*


დინოზავრი

**დინოზავრი** *დინოზავრის* გადაშენებული გიგანტური ქვეწარმავალი. *დინოზავრის ნაკვალევი. დინოზავრის ჩონჩხი.*

**დინჯი** *დინჯის* მშვიდი, უჩქარებელი. *დინჯი ადამიანი. დინჯი საუბარი.*

**დიპლიპიტო** *დიპლიპიტოს* დასარტყამი საკრავი, შედგება თავზე ტყავგადაკრული სხვადასხვა სიგანისა და ერთნაირი სიმაღლის ორი პატარა თიხის ჭურჭლისგან, დასარტყამად იყენებენ პატარა ჯოხებს. *დიპლიპიტოს უკრავენ. დიპლიპიტოს ხმა.*

**დიპლომანტი** *დიპლომანტის* 1. სტუდენტი, რომელიც სადიპლომო ნაშრომზე მუშაობს. *უნივერსიტეტის დიპლომანტი.* 2. პირი, რომელიც დიპლომით არის დაჯილდოებული. *ფესტივალის დიპლომანტი.* პარონიმი დიპლომატი.

**დიპლომატი** *დიპლომატის* 1. პირი, რომელიც სახელმწიფოს დიპლომატიური სამსახურის თანამშრომელია და დიპლომატიურ საქმიანობას ეწევა. *სხვადასხვა ქვეყნის დიპლომატები.* 2. გადატ. ადამიანი, რომელიც მოხერხებულობას, გამჭრიახობას იჩენს სხვებთან ურთიერთობისას. პარონიმი დიპლომანტი.

**დიპლომატია** *დიპლომატიის* 1. მთავრობის ოფიციალური საქმიანობა სახელმწიფოს საგარეო, საერთაშორისო პოლიტიკის განსახორციელებლად. 2. გადატ. ადამიანის სწორი, გონივრული ქმედება, რომლითაც ის დასახულ მიზანს აღწევს. ■ **დიპლომატიური** დიპლომატიასთან დაკავშირებული. *დიპლომატიური მისია. დიპლომატიური ურთიერთობები.*

**დიპლომი** *დიპლომის* ოფიციალური მონმობა, რომელიც ეძლევათ სასწავლებლის დასრულების, რაიმე წოდების ან სამეცნიერო ხარისხის მინიჭების, კონკურსში გამარჯვებისა და მისთ. დამადასტურებლად. *უმაღლესი სასწავლებლის დიპლომი. პირველი ხარისხის დიპლომი.*

**დირე** *დირის* ხისგან გამოთლილი საყრდენი, რომელიც ნაგებობის სხვადასხვა ნაწილის საძირკვლად ან სარტყლად გამოიყენება. *დირე ზე ჩამოჯდა.*

**დირექტივა** *დირექტივის* ხელმძღვანელი პირის ან უმაღლესი ორგანოს ოფიციალური მითითება, რომელიც უნდა შესრულდეს. *მინისტრის დირექტივა. დირექტივები არ სრულდება.*

**დირექტორი** *დირექტორის* დაწესებულების, ორგანიზაციის ხელმძღვანელი, უფროსი. *ქარხნის დირექტორი. ინსტიტუტის დირექტორი.*

**დირექტორობა** *დირექტორობის* დირექტორის საქმიანობა, დირექტორად ყოფნა. *დირექტორობის კანდიდატი.*

**დირექცია** *დირექციის* საწარმოს, დაწესებულების ხელმძღვანელობა დირექტორის მეთაურობით. *დირექციის გადაწყვეტილება.*


დირიჟაბლი

**დირიჟაბლი** *დირიჟაბლის* ჰაერზე უფრო მსუბუქი საფრენი აპარატი, რომელსაც საავიაციო ძრავა აქვს. *სამხედრო დირიჟაბლი.*

**დირიჟორი** *დირიჟორის* მუსიკოსი, რომელიც ორკესტრს ან გუნდს ხელმძღვანელობს. *ოპერის დირიჟორი. დირიჟორის ჯოხი.*

**დირიჟორობა** *დირიჟორობის* ((ს)დირიჟორობს) დირიჟორის საქმიანობა. *ორკესტრს უდირიჟორა.*

**დისბალანსი** *დისბალანსის* ბალანსის, წონასწორობის დარღვევა. *ჰორმონალური დისბალანსი.*

**დისერტანტი** *დისერტანტის* პირი, რომელიც დისერტაციას იცავს. *დისერტანტის გამოსვლა. დისერტანტის ნაშრომი.*

**დისერტაცია** *დისერტაციის* სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი ნაშრომი. *სადოქტორო დისერტაცია.*

**დისიდენტი** *დისიდენტის* პირი, რომელიც არ ემხრობა ქვეყანაში არსებულ პოლიტიკურ სისტემას, იდეოლოგიას და გამოხატავს პროტესტს. *დისიდენტად ჩათვალეს.* ■ **დისიდენტური** დისიდენტის დამახასიათებელი. *დისიდენტური მოძრაობა.*

**დისიდენტობა** *დისიდენტობის* (დისიდენტობს) დისიდენტად ყოფნა. *ახალგაზრდობაში დისიდენტობდა.*

**დისკვალიფიკაცია** *დისკვალიფიკაციის* 1. შეჯიბრებაში ან კონკურსში მონაწილეობის უფლების ჩამორთმევა გარკვეული დროით. *დისკვალიფიკაციის გამო ვერ ითამაშებს.* 2. კვალიფიკაციის (2) დაკარგვა. *დისკვალიფიკაცია განიცადა.*

**დისკი** *დისკის* 1. ფირფიტა, რომელიც რაიმე ინფორმაციის ჩასაწერად გამოიყენება. *მაგნიტური დისკი. კომპიუტერის დისკი.* 2. მანქანის ან რაიმე მოწყობილობის მრგვალი ბრტყელი დეტალი. *აპარატის დისკი.*

**დისკო** *დისკოს* მზის, მთავრის მოხაზულობა. *მზის დისკო.*

**დისკოთეკა** *დისკოთეკის* ახალგაზრდული კლუბი, კაფე და მისთ., სადაც უკრავენ და ცეკვავენ. *დისკოთეკა ზე წავიდნენ.* შეცდომაა დისკოტეკა.

**დისკომფორტი** *დისკომფორტის* ცხოვრების, მუშაობის, დასვენების ცუდი პირობები, კომფორტის არქონა. *დისკომფორტს ვერ ეგუება.*

**დისკრედიტაცია** *დისკრედიტაციის* იგივეა, რაც **დისკრედიტირება**. *მის დისკრედიტაციას შეეცადა.*

**დისკრედიტირება** *დისკრედიტირების* ვინმეს, რაიმეს ღირსების, ავტორიტეტის შელახვა, სახელის გატეხა. *გუნდის დისკრედიტირება განიზრახა.* ■ **დისკრედიტირებული** ვისი ან რის დისკრედიტირებაც მოხდა. *დისკრედიტირებული პიროვნება.*

**დისკრიმინაცია** *დისკრიმინაციის* უფლებების შეზღუდვა, თანასწორუფლებიანობის ნართმევა. *რასობრივი დისკრიმინაცია.*

**დისკუსია** *დისკუსიის* კამათი, აზრების გაცვლა-გამოცვლა სადავო საკითხებზე. *ხანგრძლივი დისკუსია. დისკუსიაში ჩაერთო.*

**დისლოკაცია** *დისლოკაციის* ჯარების განლაგება რომელიმე ტერიტორიაზე. *დისლოკაციის ადგილი.*

**დისონანსი** *დისონანსის* 1. კეთილხმოვანების დარღვევა, ბგერათა არაჰარმონიული შეხამება. 2. გადატ. შეუთანხმებლობა, შეუწყობლობა. *ჯგუფში დისონანსი შეიტანა.*

**დისპანსერი** *დისპანსერის* სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულება. *ტუბერკულოზის დისპანსერი.*

**დისპეტჩერი** *დისპეტჩერის* პირი, რომელიც ერთი ადგილიდან მართავს, აწესრიგებს ტრანსპორტის მოძრაობას ან დაწესებულებაში სხვადასხვა სტრუქტურის მუშაობას. *სადგურის დისპეტჩერი.*

**დისპეტჩერობა** დისპეტჩერის საქმიანობა. შეცდომაა დისპეჩერი.

**დისპლეი** *დისპლეის* იგივეა, რაც **მონიტორი**. *დისპლეიზე გამოჩნდა.*

**დისპროპორცია** *დისპროპორციის* პროპორციის დარღვევა, მთელის ცალკეული ნაწილების ერთმანეთთან შეუფარდებლობა. *დისპროპორცია აღენიშნება.*

**დისპროპორციული** *დისპროპორციულის* არაპროპორციული. *დისპროპორციული განვითარება.*

**დისტანცია** *დისტანციის* 1. მანძილი ორ პუნქტს შორის. *დაიცავით დისტანცია! მოკლე დისტანცია.* 2. ადმინისტრაციულ-ტექნიკური უბანი რკინიგზის ხაზზე.

**დისტანციური** *დისტანციურის* გარკვეული მანძილით დაშორებული. *დისტანციური მართვა. დისტანციური ურთიერთობა.*

**დისტილატორი** *დისტილატორის* დისტილაციისთვის საჭირო აპარატი.

**დისტილაცია** *დისტილაციის* სითხის გამოხდა გაწმენდის მიზნით. *წყლის დისტილაცია.*

**დისშვილი** *დისშვილის* დის შვილი. *დეიდა და დისშვილი.*

**დისციპლინა**[1] *დისციპლინის* წესრიგი, რომლის დაცვა სავალდებულოა ამა თუ იმ კოლექტივის ყველა წევრისთვის. *დისციპლინის დარღვევა.*

**დისციპლინა**[2] *დისციპლინის* მეცნიერების რომელიმე დარგი. *ჰუმანიტარული დისციპლინები.*

**დისწული** *დისწულის* ძვ. იგივეა, რაც **დისშვილი**. *ბიძა და დისწული.*

**დიფერენციაცია** *დიფერენციაციის* მთელის დაყოფა, დანაწევრება ცალკეულ, ერთმანეთისგან განსხვავებულ ნაწილებად, ელემენტებად. *მოვლენათა დიფერენციაცია.*

**დიფთერია** *დიფთერიის* მედიც. მწვავე ინფექციური დაავადება, უპირატესად, ბავშვებში, ახასიათებს ცხვირის, ხორხისა და ხახის ლორწოვანი გარსების ანთება და ორგანიზმის საერთო მოწამვლა. *დიფთერია შეეყარა.* შეცდომაა დიფტერია.

**დიქტატი** *დიქტატის* ძლიერი სახელმწიფოს მიერ საკუთარი პირობების, მოთხოვნების უფრო სუსტისთვის თავს მოხვევა. *დიქტატის ქვეშ იმყოფება.*

**დიქტატორი** *დიქტატორის* ერთპიროვნული მმართველი, რომელსაც აქვს განუსაზღვრელი, შეუზღუდავი ძალაუფლება. *დიქტატორივით იქცევა.*

**დიქტატორობა** *დიქტატორობის* (დიქტატორობს) დიქტატორად ყოფნა. *ოჯახში დიქტატორობს.*

**დიქტატორული** *დიქტატორულის* დიქტატორის მიერ დამყარებული, მართული. *დიქტატორული რეჟიმი.*

**დიქტატურა** *დიქტატურის* შეუზღუდავი, განუსაზღვრელი ძალაუფლება, რომელიც დამყარებულია ძალადობაზე. *სამხედრო დიქტატურა.*

**დიქტატურული** *დიქტატურულის* დიქტატურაზე დამყარებული, დიქტატურის ხასიათის მქონე. *დიქტატურული მმართველობა. დიქტატურული სახელმწიფო.*

**დიქტი** *დიქტის* მრავალშრიანი დაპრესილი ფანერა, გამოიყენება წარმოებაში. *დიქტის კარადა.*

**დიქტორი** *დიქტორის* რადიოს ან ტელევიზიის მუშაკი, რომელიც კითხულობს გადაცემის ან დოკუმენტური ფილმის ტექსტს. *საინფორმაციო გადაცემის დიქტორი. დიქტორის ხმა.*

**დიქტოფონი** *დიქტოფონის* აპარატი, რომლითაც ხდება ზეპირი მეტყველების ჩაწერა და შემდგომ მოსმენა. *ინტერვიუ დიქტოფონით ჩაიწერეს.* შეცდომაა დიქტაფონი.

**დიქცია** *დიქციის* სიტყვების წარმოთქმის მანერა, თვისებურება. *კარგი დიქციით ლაპარაკობს.*

**დიყი** *დიყის* მაღალი ბალახოვანი მცენარე, აქვს ღრუ ღერო, მსხვილი დანაკვეთული ფოთლები და ჭოლგებად შეკრებილი პატარა ყვავილები, გაფცქვნილი ღერი იჭმება, გავრცელებულია მაღალ მთაში.

**დიჯეი** *დიჯეის* I. პირი, რომელსაც დისკოთეკა მიჰყავს, ცვლის მელოდიებს. *პოპულარული დიჯეი.* 2. ულტრამოკლე ტალღების დიაპაზონში მუსიკალურ-გასართობი სტერეორადიოგადაცემების წამყვანი.



დნობა

**დნობა** *დნობის* (ადნობს, უდნობს, დნება, უდნება) ↑ გადნობა. *ყინული დნება. შაქარი დნება.*

**დო**[1] *დოს* კარაქის გაკეთების შემდეგ დარჩენილი მომჟავო სითხე. *დო დაგლიე.*

**დო**[2] *დოს* მუსიკალური გამის ერთ-ერთი ნოტი, მუსიკალური ანბანის პირველი ტონის სახელწოდება.

**დობა** *დობის* დების ურთიერთობა. დის დამოკიდებულება დედმამიშვილებისადმი. *კარგ დობას უწევს.*

**დობილი** *დობილის* დასავით დაახლოებული მეგობარი ქალი. *ჩემი დობილი. დობილები არიან.*

**დოგი** *დოგის* დიდი და ღონიერი ძაღლი.

**დოგმა** *დოგმის* დაუსაბუთებელი დებულება, რომელსაც უკრიტიკოდ იღებენ. *დოგმებზე დამყარებული.*

**დოგმატი** *დოგმატის* რელიგიური მოძღვრების ძირითადი დებულება, რომელიც ჭეშმარიტებად არის აღიარებული და საყოველთაოა მორწმუნეთათვის. *ქრისტიანული დოგმატები.*

**დოგმატიზმი** *დოგმატიზმის* დოგმებზე დამყარებული აზროვნება.

**დოგმატიკოსი** *დოგმატიკოსის* 1. დოგმატური ღვთისმეტყველების სპეციალისტი. 2. დოგმებით მოაზროვნე.

**დოგმატიკური** *დოგმატიკურის* იგივეა, რაც დოგმატური.

**დოგმატური** *დოგმატურის* დოგმებზე დაფუძნებული, ცოცხალ მსჯელობას მოკლებული. *დოგმატური აზროვნება.*

**დოვლათი** *დოვლათის* სიმდიდრე, სიუხვე. *შრომით შექმნილი დოვლათი.*

**დოვლათიანი** *დოვლათიანის* მდიდარი, უხვი; დოვლათის მომცემი. *დოვლათიანი მიწა. დოვლათიანი მხარე.*

**დოზა** *დოზის* ნივთიერების, წამლის, საკვებისა და მისთ. განსაზღვრული ოდენობა. *ორმაგი დოზა. მცირე დოზით.*

**დოზანა** *დოზანის* საუბრ. წყევლა. *ჯანდაბა და დოზანა შენ!*

**დოზიმეტრი** *დოზიმეტრის* ხელსაწყო რადიოაქტიური გამოსხივების რაოდენობის გასაზომად.

**დოზირება** *დოზირების* დოზებად დაყოფა. *წამლის დოზირება.*

**დოინჯი** *დოინჯის* წელზე ხელების შემოდება განზე გაწეული იდაყვებით. *დოინჯი შემოიყარა.*

**დოკერი** *დოკერის* მუშა, რომელიც დოკში მუშაობს. *დოკერების გაფიცვა.*

**დოკი** *დოკის* ნაგებობა, სადაც გემებს არემონტებენ.

**დოკუმენტაცია** *დოკუმენტაციის* დოკუმენტების ერთობლიობა. *იურიდიული დოკუმენტაცია.*

**დოკუმენტი** *დოკუმენტის* I. რაიმეს დამადასტურებელი ოფიციალური საბუთი (1). *ხელმოწე-*

*რილი დოკუმენტი. სამთავრობო დოკუმენტი.* 2. წერილობითი ცნობა რაიმე ფაქტის, მოვლენის შესახებ. *ისტორიული დოკუმენტი. უძველესი დოკუმენტი.*

**დოკუმენტური** *დოკუმენტურის* დოკუმენტებზე, რეალურ ფაქტებზე დაფუძნებული, დოკუმენტების მიხედვით შექმნილი, შესრულებული. *დოკუმენტური მასალა. დოკუმენტური ფილმი.*

**დოლა** *დოლას* ურქო ან მოკლერქიანი (პირუტყვი). *დოლა ცხვარი.*

**დოლაბი** *დოლაბის* წყლის წისქვილის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი, ფართო, ბრტყელი, მრგვალი ქვა, რომელიც აქუცმაცებს მარცვლეულს. *დიდი დოლაბი. დოლაბივით ბრუნავს.*

**დოლარი** *დოლარის* ფულის ერთეული ამერიკის შეერთებულ შტატებში, კანადაში, ავსტრალიასა და ზოგ სხვა ქვეყანაში. *ათი დოლარი.*

**დოლბანდი** *დოლბანდის* 1. თეთრი, რბილი, თხელი, გამჭვირვალე ქსოვილი. *დოლბანდით თავი შეუხვიეს.* 2. იგივეა, რაც ჩალმა. *დოლბანდიანი მხედრები.*

**დოლ-გარმონი** *დოლ-გარმონის* დოლი და გარმონი ერთად. *დოლ-გარმონზე ცეკვავს.*

**დოლი**[1] *დოლის* დასარტყამი საკრავი – ორივე მხარეს ტყავგადაკრული ცილინდრი, რომელსაც უკრავენ ხელით ან ჯოხებით. *დოლის ხმა. დოლის დამკვრელი.*


დოლი

**დოლი**[2] *დოლის* დრო, როცა ცხვრის ფარაში მასობრივად იწყება ბატკნების მოგება. *დოლი თებერვალში დაიწყება.*

**დოლისპური** *დოლისპურის* ხორბლის სახეობა, აქვს ფხიანი თავთავი და მსხვილი მარცვალი, თესავენ შემოდგომით.

**დომბა** *დომბის* ძროხის მსგავსი გარეული ცხოველი. *დომბა გადაშენების გ ზაზეა.*

**დომინო** *დომინოს* სათამაშო ქვა ცალ მხარეს დასმული მსხვილი წერტილებით; ამ ქვების კომპლექტი. *დომინოს თამაშობენ.*

**დომკრატი** *დომკრატის* სიმძიმეების (ავტომობილების, ვაგონებისა და მისთ.) მცირე სიმაღლეზე ასაწევი ხელსაწყო. *მანქანის დომკრატი.*

**დომხალი** *დომხლის* 1. მხალეულ-მწვანილეულით შეზავებული დოს კერძი. 2. გადატ. გაურკვეველობა, არეულობა. *დიდი დომხალი იყო.*

**დონ** 1. ესპანეთსა და ესპანურენოვან ქვეყნებში მამაკაცის მოხსენიება ან მისდამი მიმართვა (ჩვეულებრივ, სახელთან ერთად). *დონ კარლოსი.* 2. სასულიერო პირისადმი მიმართვა იტალიაში.

**დონდლო** *დონდლოს* უშნო, მოუქნელი. *დონდლო ბაღშვი.*

**დონე** *დონის* 1. ჰორიზონტალური სიბრტყე, რომელიც წარმოადგენს პირობით საზღვარს რაიმეს სიმაღლის დასადგენად. *წყლის დონემ მოიმატა.* 2. გადატ. გარკვეული მოვლენის, პროცესისა და მისთ. განვითარების, ხარისხის მაჩვენებელი. *ცხოვრების დონე. წიგნიერების დონე.*

**დონი** *დონის* ქართული ანბანის მეოთხე ასოს (დ-ს) სახელწოდება.

**დონორი** *დონორის* 1. პირი, რომელიც თავის სისხლს იძლევა დაავადებული ადამიანისთვის გადასასხმელად. *დონორი მოძებნეს.* 2. ორგანიზაცია, პირი და მისთ., რომელიც სახსრებს აბანდებს რაიმე საქმეში მატერიალური უკუგების მოთხოვნის გარეშე. *დონორი ქვეყნები.*

**დორბლი** *დორბლის* პირზე მომდგარი ან პირიდან გადმოსული ნერწყვი. *დორბლი მოსდის.*

**დოსიე** *დოსიეს* რაიმე საკითხთან, საქმესთან დაკავშირებული დოკუმენტების ერთობლიობა. *მინისტრის დოსიე.*

**დოტაცია** *დოტაციის* სახელმწიფო ფულადი დახმარება, რომელიც ეძლევა ორგანიზაციას, დანესებულებას ან საწარმოს გარკვეული ხარჯების ასანაზღაურებლად. *დოტაცია ზე მყოფი საწარმოები.*

**დოქი** *დოქის* სხვადასხვა ზომის სახელურიანი თიხის ჭურჭელი, გამოიყენება სასმლის ჩასასხმელად. *ღვინის დოქი.*


დოქი

**დოქტორანტი** *დოქტორანტის* მეცნიერი თანამშრომელი, რომელიც ირიცხება დოქტორანტურაში. *დოქტორანტების მომზადება.*

**დოქტორანტურა** *დოქტორანტურის* მოსამზადებელი სისტემა უმაღლესი სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. *დოქტორანტურაში ვსწავლობ.*

**დოქტორობა** *დოქტორობის* დოქტორად ყოფნა, დოქტორის სამეცნიერო ხარისხი.

**დოქტრინა** *დოქტრინის* მოძღვრება, მეცნიერული თეორია. *სამხედრო დოქტრინა.*

**დოღი** *დოღის* ცხენების შეჯიბრება მოკლე და გრძელ მანძილზე ჭენებაში. *დოღში მონაწილეობს.*

**დოღრიალა** *დოღრიალას* საუბრ. უხეში, მოურიდებელი, თავხედური ქცევის მქონე. *დოღრიალა ქალი.*

**დოყლაპია** *დოყლაპიას* უშნო და უჭკუო, მიუხვედრელი. *ნუ ხარ დოყლაპია!*

**დოში** *დოშის* შებოლილი ზუთხის გვერდების ანაჭერი. *დოშის ნაჭერი.*

**დოცენტი** *დოცენტის* სამეცნიერო ხარისხის მქონე პედაგოგი უმაღლეს სასწავლებელში, პროფესორზე დაბალი წოდებისა. *დოცენტის თანამდებობა.*

**დრაკონი** *დრაკონის* ზღაპრული არსება, გიგანტური ფრთიანი გველი. *ცეცხლოვანი დრაკონი.*

**დრაკონული** *დრაკონულის* მკაცრი, ულმობელი. *დრაკონული კანონები.*

**დრამა**[1] *დრამის* 1. დიალოგებად დაწერილი ლიტერატურული თხზულება, რომელიც სცენაზე წარმოდგენისთვისაა გამიზნული. *დრამის პერსონაჟი. შექსპირის დრამა.* 2. გადატ. ცხოვრებაში მომხდარი მძიმე შემთხვევა, ამაღელვებელი ამბავი. *ცხოვრებისეული დრამა.*

**დრამა**[2] *დრამის* ძვ. 1. ვერცხლის ფული, უდრიდა 20-25 კაპიკს. 2. წონის ერთეული, დაახლოებით 3,5 გრამი.

**დრამატიზმი** *დრამატიზმის* 1. მოქმედების დაძაბულობა ლიტერატურულ თხზულებაში. *სიუჟეტის დრამატიზმი.* 2. გადატ. მდგომარეობის უკიდურესი დაძაბულობა, სიმძაფრე. *დრამატიზმით აღსავსე ცხოვრება.*

**დრამატული** *დრამატულის* 1. დრამის[2] სახით დაწერილი. *დრამატული ნაწარმოები.* 2. გადატ. მძიმე, მღელვარებით აღსავსე. *დრამატული მოვლენები.*

**დრამატურგი** *დრამატურგის* დრამატული ნაწარმოებების მწერალი. *დრამატურგის შემოქმედება.*

**დრამატურგია** *დრამატურგიის* 1. დრამატულ ნაწარმოებათა შექმნის ხელოვნება. *დრამატურგიის ოსტატები.* 2. დრამატულ ნაწარმოებათა ერთობლიობა. *ქართული დრამატურგია.*

**დრაჟე** *დრაჟეს* წერილი მრგვალი კანფეტი. *შოკოლადის დრაჟე. ვიტამინიანი დრაჟე.*

**დრეიფი** *დრეიფის* გემის, ყინულისა და მისთ. მოძრაობა ქარის ან წყლის დინების ზეგავლენით. *ხანმოკლე დრეიფი.*

**დრეკა** *დრეკის* (დრეკს, იდრეკს, უდრეკს, იდრიკება) ↑ მოდრეკა. *ნაძვი იდრიკება. მუხლი ედრიკება.*

**დრეკადი** *დრეკადის* რაც ადვილად იცვლის ფორმას (იდრიკება, იღუნება) გარკვეული ძალის ზემოქმედებით და ისევ უბრუნდება საწყის მდგომარეობას მისი შეწყვეტის შედეგად. *დრეკადი ზამბარა. დრეკადი ღერო.*

**დრეკადობა** *დრეკადობის* დრეკადის თვისება. *ზამბარის დრეკადობა.*

**დრელი** *დრელის* ბურღის საბრუნებელი მექანიზმი. *ელექტრული დრელი. პნევმატიკური დრელი.*

**დრენაჟი** *დრენაჟის* 1. დატენიანებული მიწების ამოშრობა ხელოვნური სადინარების (მილების, არხების, თხრილების) სისტემის საშუალებით; თავად ეს სისტემა. *ჭაობების დრენაჟით დაშრობა.* 2. ჭრილობიდან სითხის ან ჩირქის დასაწრეტი ხელოვნური სადინარი (მილი ან დოლბანდი). *კბილის დრენაჟი. მუცლის დრენაჟი.*

**დრიბლინგი** *დრიბლინგის* ბურთის ოსტატური ტარება ფეხბურთში. *დრიბლინგი განახორციელა.*

**დრო** *დროის/დროს* 1. წელიწადის, თვის, დღე-ღამისა და მისთ. გარკვეული მონაკვეთი, როდესაც რაიმე ხდება, აკეთებენ. *შვებულების დრო. გაკვეთილის დაწყების დრო.* 2. დღე-ღამის განსაზღვრული მომენტი, რომელიც განსხვავებულია დედამიწის სხვადასხვა სასაათო სარტყელში. *თბილისის დროით სამი საათია.* 3. ხანა, ეპოქა კაცობრიობის, საზოგადოების ცხოვრებაში. *უხსოვარი დროიდან. თამარ მეფის დროს.* ■ **დროზე ზმნზ.** საჭირო დროს, შესაფერ დროს, დროულად, სწრაფად. *დროზე წადი! ავტობუსს დროზე მიუსწრო.* ■ **დროით ზმნზ.** დროის მიხედვით. *ბერლინის დროით.* ⊙ **დროთა ვითარებაში** დროის ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში. ⊙ **დროს ატარებს** ერთობა, მხიარულობს. ⊙ **თავისი დრო მოჭამა** უსარგებლო გახდა. ⊙ **წელიწადის დრო** წელიწადის მონაკვეთი, რომელიც სამი თვისგან შედგება.

**დროგადასული** *დროგადასულის* მოძველებული, აწმყოში გამოუსადეგარი. *დროგადასული საგნები. დროგადასული სიმღერები.*

**დროგამოშვებით** ზმნზ. ხანდახან, ზოგჯერ. *დროგამოშვებით ისმის ძაღლის ყეფა.*

**დროდადრო** ზმნზ. ხანდახან, რამდენიმე ხანში ერთხელ, დროგამოშვებით. *დროდადრო ისვენებდა.*

**დროება**[1] *დროების* წიგნ. ვითარება, რომელიც ამა თუ იმ პერიოდისთვისაა დამახასიათებელი. *დროება შეიცვალა. ჩვენი დროება.*

**დროება**[2] დროების (ადროებს) დროის მიცემა, დაცდა[1] (2). ცოტა ხანს ადროვა.

**დროებით** ზმნზ. გარკვეული დროით, რამდენიმე ხნით, ცოტა ხნით. *დროებით სროლა შეწყდა. დროებით წავიდა.*

**დროებითი** *დროებითის* არასამუდამო, მოკლე ხნის, წარმავალი. *დროებითი თავშესაფარი. დროებითი მოვლენები.*

**დრომოჭმული** *დრომოჭმულის* დაძველებული, ხმარებიდან გამოსული. *დრომოჭმული ჩვეულებები.*

**დროსტარება** *დროსტარების* გართობა, მხიარულება.

**დროულად** ზმნზ. თავის დროზე, დათქმული დროის მიხედვით. *დროულად მოვიდა. სხდომა დროულად დაიწყო.*

**დროული** *დროულის* 1. ხნიერი, დიდი ხნისა. *დროული კაცი.* 2. საჭირო დროს მომხდარი. *დროული გაფრთხილება. დროული ნათქვამი.*

**დროშა** *დროშის* 1. ტარზე დამაგრებული ერთფერი ან მრავალფერი ქსოვილი ემბლემით, რომელიც სახელმწიფოს, ჯარის ან ორგანიზაციის სიმბოლოა. *სახელმწიფო დროშა. დროშა აღმართეს. დროშის ფრიალი.* 2. ტარზე დამაგრებული ნაჭრები და ზანზალაკები, გამოიყენება საკულტო

დანიშნულებისთვის მთიელთა ხატობებზე, სალოცავში. *ხევისბერი დროშას ემთხვია.* ■ **დროშიანი** ვისაც დროშა უჭირავს. *დროშიანი მხედარი.*

**დრტვინვა** *დრტვინვის* (დრტვინავს) უკმაყოფილების გამოხატვა, შფოთვა, წუხილი. *ხალხი დრტვინავს.*

**დრუნჩი** *დრუნჩის* ზოგიერთი ცხოველის ცხვირი და პირი. *ხბოს დრუნჩი. დრუნჩზე მოეფერა.*

**დუბელა** *დუბელის* თბილი, უგემური წყალი. *დუბელით წყურვილს ვერ მოიკლავ.*

**დუბლი** *დუბლის* ფილმის ეპიზოდის ხელახლა გადაღება რამდენიმედან საუკეთესოს შერჩევის მიზნით. *მეათე დუბლი.*

**დუბლიკატი** *დუბლიკატის* საბუთის ან ნივთის მეორე ცალი. *პასპორტის დუბლიკატი.*

**დუბლიორი** *დუბლიორის* 1. მსახიობი, რომელიც ცვლის ამა თუ იმ როლის შემსრულებელს. *დუბლიორის დებიუტი.* 2. სათადარიგო მოთამაშე ფეხბურთში. *დუბლიორთა გუნდი.*

**დუბლირება** *დუბლირების* 1. ერთი სამუშაოს პარალელურად სხვის მიერ იმავე სამუშაოს შესრულება. 2. კინოფილმის სხვა ენაზე გახმოვანება. *სერიალის დუბლირება.*

**დუბლირებული** *დუბლირებულის* სხვა ენაზე გახმოვანებული (ფილმი). *დუბლირებულია ქართულად.*

**დუგმა** *დუგმის* ტანსაცმლის ერთგვარი შესაკრავი – შედგება ერთმანეთზე გამოსადები ორი ნანილისგან. *კაბის დუგმა. ვერცხლის დუგმა.* ■ **დუგმებიანი** რასაც დუგმები აქვს. *დუგმებიანი საყელო.*

**დუდუკი** *დუდუკის* კავკასიური ჩასაბერი საკრავი – ხის მილი, რომელსაც ცხრა ნახვრეტი აქვს. *დუდუკის ტკბილი ხმა.*

**დუდუნი** *დუდუნის* (დუდუნებს) ყრუ, დაბალი, გაბმული ხმის გამოცემა. *მდინარის დუდუნი. ქალი თავისთვის დუდუნებდა.*

**დუდღუბო** *დუდღუბოს* დაბალი, მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარე, აქვს თხილისოდენა, მოწითალო-ნარინჯისფერი, წვნიანი ნაყოფი.

**დუელი** *დუელის* ძვ. გარკვეული წესების დაცვითა და სეკუნდანტების თანდასწრებით გამართული ორთაბრძოლა წინასწარ შერჩეული იარაღით. *დუელში გამოიწვია.*

**დუეტი** *დუეტის* 1. მუსიკალური ნაწარმოები, რომელიც სრულდება ორი ხმის ან ორი საკრავის მონაწილეობით. *საოპერო დუეტი.* 2. დუეტის (1) შემსრულებელი ორი პირი. *პოპულარული დუეტი.*

**დუიმი** *დუიმის* სიგრძის საზომი, უდრის 2,54 სმ-ს, გამოიყენებოდა მეტრული სისტემის შემოღებამდე.

**დუმა** *დუმის* ცხვრის კუდის ცხიმოვანი ნაწილი. *დუმას ძლივს მიათრევს.*

**დუმილი** *დუმილის* (დუმს) უხმოდ, ჩუმად ყოფნა. *დუმილი დაარღვია. კაცი დუმს.*

**დუმფარა** *დუმფარას* წყლის მრავალწლოვანი მცენარე, აქვს წყლის ზედაპირზე მოტივტივე ფოთლები და ყვავილები. *თეთრი დუმფარა.*

**დუნდულა** *დუნდულას* 1. დიდი და რბილი (ადამიანის სხეულის ნაწილი). *დუნდულა მკლავები. დუნდულა ლოყები.* 2. იგივეა, რაც **დუნდული**. *დუნდულაში ნემსი გაუკეთა.*

**დუნდული** *დუნდულის* საჯდომის (2) მომრგვალებული ნაწილი.

**დუნე** *დუნის* 1. დაუჭიმავი, მოშვებული. *დუნე თოკი.* 2. რაც ძალიან ნელა მიედინება. *დუნე მდინარე.* 3. ნელი, სუსტი. *დუნე აზროვნება.*

**დუნია** *დუნიის* ძვ. იგივეა, რაც **ქვეყანა** (2). *მთელი დუნია მოიარა. დუნიაზე არ არის მისი მსგავსი.*

**დუპლექსი** *დუპლექსის* ორსართულიანი საცხოვრებელი, სადაც სართულები შიდა კიბით უკავშირდება ერთმანეთს.

**დუჟი** *დუჟის* ქაფად გადმოსული წვენი ადამიანის ან ცხოველის პირიდან, დამახასიათებელია ზოგიერთი ავადმყოფობის დროს. *პირიდან დუჟი გადმოსდიოდა.*

**დურა** *დურას* ცხვრის ტყავის მოსასხამი, რომელსაც ბეწვი შიგნით აქვს მოქცეული და რომელსაც მთიელები საძილედაც იყენებენ. *დურაში გაეხვია.*

**დურაჯი** *დურაჯის* მცირე ზომის გარეული ფრინველი. *დურაჯი ჭალებში ბინადრობს.*

**დურბინდი** *დურბინდის* ორმილიანი ოპტიკური ხელსაწყო, რომელსაც შორ მანძილზე მყოფთა დასანახად იყენებენ. *მონადირის დურბინდი. საველე დურბინდი.*


დურბინდი

**დურგალი** *დურგლის* ხელოსანი, რომელიც ხის მასალაზე მუშაობს. *დურგლის იარაღი.*

**დურგლობა** *დურგლობის* დურგლის ხელობა, დურგლის საქმიანობა. *დურგლობით ირჩენდა თავს.*

**დუქანი** *დუქნის* ძვ. პატარა ნაგებობა სავაჭროდ ან სასადილოდ. *დუქანს ხალხი მიაწყდა.*

**დუქარდი** *დუქარდის* მატყლის საკრეჭი დიდი მაკრატელი. *ცხვარს დუქარდით პარსავენ.*

**დუღაბი** *დუღაბის* ქვიშის, კირის, ცემენტის თხელი ნარევი, გამოიყენება მშენებლობაში ქვების, აგურის, ბლოკებისა და მისთ. შესაკავშირებლად. *მტკიცე დუღაბი.*

**დუღება** *დუღების* (ადუღებს, დუღდება) ↑ **ადუღება**. *მურაბა დუღს.*

**დუღილი** *დუღილის* (დუღს, უდუღს) 1. პროცესი, რომელიც იწყება სითხის გარკვეულ ტემპერატურამდე გაცხელების შედეგად, ახლავს სპეცი-

ფიკური ხმა. *წყლის დუღილი. ყავა დუღს.* 2. გარკვეულ თხევად ნარევებში მიმდინარე ბიოქიმიური პროცესი, რომლის დროსაც ორგანული ნიეთიერებები იშლება. *ლუდი დუღს.*

**დუყი** *დუყის* ახლად გამოტანილი ყლორტი. *ჩაის დუყი.*

**დუშმანი** *დუშმანის* ძვ. იგივეა, რაც მტერი. *დუშმანი ვერ მოერევა.*

**დუცი** *დუცის* მთის ბალახოვანი მცენარე, აქვს ღრუ ღერო, დიდი გრძელი ყუნწიანი დანაკვთული ფოთლები და ქოლგად შეკრებილი ყვავილები, ფოთლის გაფცქვნილი ყუნწები იჭმება.

**დუხჭირი** *დუხჭირის* გაჭირვებული, ძალიან ღარიბული. *დუხჭირი ყოფა.*

**დღაბნა** *დღაბნის* (დღაბნის, იდღაბნება) უშნოდ, უსუფთაოდ წერა ან ხატვა; მელნით ან საღებავით რაიმეს (ნაწერის, ნახატისა და მისთ.) დასვრა. *ფურცელზე დღაბნის. ნაწერი დაედღაბნა.*

**დღე** *დღის* I. დროის 24-საათიანი მონაკვეთის ის ნაწილი, როცა სინათლეა. *დღე და ღამე. დღის შუქი.* 2. იგივეა, რაც დღე-ღამე. *იანვარში 31 დღეა.* 3. დროის 24-საათიანი მონაკვეთი, რომელიც განსაზღვრულია რაიმეს გასაკეთებლად, დაკავშირებულია რაიმე თარიღთან. *დაბადების დღე. დასვენების დღე.* ⊙ **დღეის ამას იქით** საუბრ. ამ დღიდან მოყოლებული, ამ დღის მერე. ⊙ **დღეის სწორს** ზუსტად ერთი კვირის შემდეგ ან წინ. ⊙ **დღესა და ღამეს ასწორებს** თავდაუზოგავად შრომობს, ზედმეტად ბევრს მუშაობს. ⊙ **დღესავით ნათელი** ყველასთვის გასაგები, ცხადი. ⊙ **დღითი დღე** დღიდან დღემდე, თანდათანობით, სულ უფრო მეტად. ⊙ **დღის სინათლეზე გამოიტანს** საქვეყნოდ გამოიტანს, გამოამჟღავნებს. ⊙ **დღის წესრიგი** კრებაზე, სხდომასა და მისთ. განსახილველი საკითხების ჩამონათვალი. ⊙ **მისი დღეები დათვლილია** სიკვდილის პირასაა, მალე გარდაიცვლება.

**დღეგამოშვებით** ზმნზ. ყოველ მეორე დღეს. *დღეგამოშვებით წვიმს.*

**დღეგრძელი** *დღეგრძელის* ვინც დიდხანს ცოცხლობს. *დღეგრძელი კაცი.*

**დღეგრძელობა** *დღეგრძელობის* (ადღეგრძელებს, უდღეგრძელებს) I. დიდხანს სიცოცხლე. *დღეგრძელობას უსურვებს.* 2. სადღეგრძელოს თქმა, კარგის, სიკეთის სურვება. *მეგობრები ადღეგრძელა.*

**დღედაღამ** ზმნზ. დღისითაც და ღამითაც, მუდმივად, განუწყვეტლივ. *დღედაღამ მუშაობს.*

**დღე-დღეზე** ზმნზ. ამ დღეებში, დღეს თუ არა, ხვალ ან ზეგ. *დღე-დღე ზე გამოჩნდება.*

**დღევანდელი** *დღევანდლის* დღეს მომხდარი, დღეს გაკეთებული ან დღეს არსებული. *დღევანდელი ამბები. დღევანდელი სხდომა.*

**დღევანდელობა** *დღევანდელობის* ახლანდელი, თანადროული ვითარება. *დღევანდელობას კარგად ასახავს.*

**დღემეხვალიე** *დღემეხვალიეს* ვისაც საქმის გადადება უყვარს. *დღემეხვალიე კაცი.*

**დღემოკლე** *დღემოკლის* ვინც ცოტა ხანს ცოცხლობს. *დღემოკლე აღმოჩნდა.*

**დღენაკლი** *დღენაკლის* განუვითარებელი, საშოში ზრდადაუსრულებელი. *დღენაკლი დაიბადა. დღენაკლი ბატკანი.*

**დღენაკლული** *დღენაკლულის* იგივეა, რაც დღენაკლი.

**დღენიადაგ** ზმნზ. ყოველდღე, მუდმივად. *დღენიადაგ შრომობს.*

**დღეობა** *დღეობის* I. ვინმეს დაბადების ან სახელობის (ანგელოზის ხსენების) დღე. *დღეს ჩემი დღეობაა.* 2. ამა თუ იმ რელიგიურ წარმოდგენასთან დაკავშირებული დღესასწაული. *მთიელთა დღეობები.*

**დღეს** ზმნზ. I. იმ დღის განმავლობაში, როდესაც საუბარია. *დღეს იწვიმებს.* 2. გადატ. ახლა, ამჟამად, ამ მომენტში. *დღეს უკვე ყველა იყენებს კომპიუტერს.*

**დღესასწაული** *დღესასწაულის* ღირსშესანიშნავი მოვლენის საზეიმოდ აღნიშვნა. *შობის დღესასწაული.*

**დღესდღეობით** ზმნზ. ამჟამად, დღემდე, აქამდე, დღევანდლამდე. *დღესდღეობით კიდევ არ არის ცნობილი.*

**დღეს-ხვალ** ზმნზ. დღეს ან ხვალ, ამ დღეებში, ამ მოკლე ხანში. *დღეს-ხვალ მეცოდინება პასუხი.*

**დღე-ღამე** *დღე-ღამის* დროის 24-საათიანი მონაკვეთი. *ორი დღე-ღამის განმავლობაში.*

**დღევება** *დღევების* (დღევებს, იდღვიბება) ↑ შედღვება. *კარაქს დღევებს. ნაღებს დღევებენ.*

**დღისით** ზმნზ. როცა დღეა. *დღისით მუშაობს.*

**დღისით-მზისით** ზმნზ. დღის სინათლეზე, ყველას დასანახად, აშკარად. *დღისით-მზისით გაქურდეს.*

**დღიური** *დღიურის* I. ერთი დღის ნორმა, ერთი დღისთვის განკუთვნილი. *დღიური ხარჯი.* 2. მწერლის, მოგზაურისა და მისთ. ჩანაწერები, კრებული, რომელშიც ავტორის ყოველი დღის თავგადასავალია აღწერილი. *დღიურებს წერდა.* 3. ვინც ყოველდღიური გასამრჯელოს ფასად მუშაობს. *დღიური მუშა.*

# – ე –

**ეგ** ნაცვ. რაც ან ვინც მანდ, შენთან (თქვენთან) იმყოფება. *ეგ სახლი. ეგ ბიჭი. ეგ მომეცი.*

**ეგება** ნაწილაკ. იქნებ, იმედია, შესაძლებელია. *ეგებ დროზე დაბრუნდნენ.*

**ეგებაა** ნაწილაკ.||ეგებ. *ეგებაა დაგვეხმაროთ!*

**ეგენი** ნაცვ. რაც ან ვინც (მრავალი) მანდ, შენთან (თქვენთან) არის (არიან). *ეგენი შემოიყვანეთ. ეგენი მომეცი.*

**ეგვტერი** *ეგვტერის* ქვით ამოყვანილი სპეციალური სამარხი. *ეგვტერი გახსნეს.*

**ეგზემა** *ეგზემის* მედიც. კანის ანთებითი დაავადება, ახასიათებს გამონაყარი და ქავილი. შეცდომაა ეკზემა.

**ეგზემპლარი** *ეგზემპლარის* ერთგვაროვანი ობიექტების ცალკე აღებული ნიმუში, ცალი. *წიგნის ორი ეგზემპლარი. იშვიათი ეგზემპლარი.* შეცდომაა ეკზემპლარი, ეგზემპლიარი.

**ეგზოგამია** *ეგზოგამიის* ჩვეულება, რომლის მიხედვითაც აკრძალულია ერთი გვარის წარმომადგენლებს შორის ქორწინება.

**ეგზოტიკა** *ეგზოტიკის* უჩვეულო, მიმზიდველი თავისებურებანი, რომლებიც დამახასიათებელია ნაკლებად ცნობილი ქვეყნებისთვის. *ეგზოტიკის მოყვარულები.* შეცდომაა ეკზოტიკა.

**ეგზოტიკური** *ეგზოტიკურის* უჩვეულო, უცხო, მიმზიდველი. *ეგზოტიკური ბუნება.* შეცდომაა ეკზოტიკური.

**ეგიდა** *ეგიდის* ▲ **ეგიდით** ხელშეწყობით, ხელმძღვანელობით. *ფედერაციის ეგიდით. საპატრიარქოს ეგიდით.* ◄ **ეგიდის ქვეშ** იგივეა, რაც ეგიდით.

**ეგოიზმი** *ეგოიზმის* მხოლოდ საკუთარ ინტერესებზე, პირად კეთილდღეობაზე ზრუნვა. *ეგოიზმით შეპყრობილი.*

**ეგოისტი** *ეგოისტის* ვისაც ეგოიზმი ახასიათებს. *ეგოისტი ადამიანი.*

**ეგოცენტრიზმი** ეგოცენტრიზმის ინდივიდუალიზმის უკიდურესი ფორმა, ეგოიზმი. მკვეთრად გამოხატული ეგოცენტრიზმი.

**ეგრე** ზმნზ. მაგნაირად, მაგის მსგავსად. *მეც ეგრე გამოვიყურები?*

**ეგრეთ** ⊙ **ეგრეთ წოდებული** (შემოკლებით – ე. წ.) 1. გამოიყენება უცნობი ან ნაკლებად ცნობილი სახელწოდების ან ტერმინის დასახელებისას. ეგრეთ წოდებული ვარდების ომი. 2. ამბობენ, როდესაც ნათქვამი ირონიული მნიშვნელობისაა. ეგრეთ წოდებული „მშვიდობის მომხრეები".

**ედელვაისი** *ედელვაისის* ალპური, მრავალწლოვანი დაბალი, ბალახოვანი მცენარე, რომელიც მთლიანად თეთრი ბუსუსებითაა დაფარული, იკეთებს მოყვითალო-თეთრ ლამაზ ყვავილს.

**ევაკუაცია** *ევაკუაციის* იგივეა, რაც **ევაკუირება**. *ევაკუაცია გადაწყდა.*

**ევაკუირება** *ევაკუირების* ადამიანების გამოყვანა, დაწესებულებათა ქონების გადატანა იმ ადგილიდან, სადაც რაიმე საფრთხეა მოსალოდნელი. *დაჭრილების ევაკუირება. ქარხნის ევაკუირება.*

**ევკალიპტი** *ევკალიპტის* მარადმწვანე ხე, აქვს მთლიანი, ეთეროვანი ზეთით მდიდარი ფოთლები, გამოიყენება სამკურნალოდ. *ევკალიპტის ნაყენი.*

**ევოლუცია** *ევოლუციის* 1. განვითარების პროცესი. *ადამიანის ევოლუცია.* 2. ფილოს. თანდათანობითი განვითარება, რომელიც განაპირობებს თვისობრივ ცვლილებებს. ■ **ევოლუციური** ევოლუციისთვის დამახასიათებელი, ევოლუციისთვის განკუთვნილი. *ევოლუციური განვითარება.*

**ევრო** *ევროს* გაერთიანებული ევროპის ფულის ერთეული. *ათასი ევროს ღირებულების საქონელი.*

**ევფემიზმი** *ევფემიზმის* მორიდებული, საყოველთაოდ მიღებული გამონათქვამი, რომელიც უხეში, ვულგარული სიტყვის ან გამოთქმის ნაცვლად გამოიყენება. *ლიტერატურული ევფემიზმი.*

**ეზო** *ეზოს* შენობის მიმდებარე შემოსაზღერული ადგილი. *ბავშვები სკოლის ეზოში თამაშობდნენ.* ■ **ეზოიანი** რასაც ეზო აქვს. *ეზოიანი სახლი.*

**ეზო-ეზო** ზმნზ. ერთი ეზოდან მეორეში, ეზოებზე გაელით. *ეზო-ეზო შეიმოკლა გზა. უბანი ეზო-ეზო შემოიარა.*

**ეზო-ყურე** *ეზო-ყურის* იგივეა, რაც **კარ-მიდამო**. *მიტოვებული ეზო-ყურე.*

ეზოთერიკული *ეზოთერიკულის* საიდუმლო, დაფარული.

ეთერი *ეთერის* I. მძაფრი სუნის უფერო აქროლადი სითხე, გამოიყენება მედიცინაში, პარფიუმერიაში, ტექნიკაში. *ეთერის ზეთი.* 2. საჰაერო სივრცე, რომელშიც ვრცელდება ელექტრომაგნიტური ტალღები. *ეთერი ახალგაზრდებს დაუთმეს.*

ეთიკა *ეთიკის* I. ქცევის წესების ერთობლიობა, რომელიც სავალდებულოა მთელი საზოგადოებისთვის ან მისი გარკვეული წრისთვის. *ეთიკის დაცვა. ჟურნალისტური ეთიკა.* 2. მეცნიერების დარგი, რომელიც სწავლობს ადამიანის ქცევის ნესებს, მორალს. *ეთიკის კურსი.*

ეთიკური *ეთიკურის* ეთიკის თვალსაზრისით მისაღები. *ეთიკური საქციელი.*

ეთილი *ეთილის* ნახშირბადისა და წყალბადის ნაერთი. *ეთილის სპირტი.*

ეთნიკური *ეთნიკურის* ამა თუ იმ ხალხთან დაკავშირებული, მისთვის დამახასიათებელი. *ეთნიკური ჯგუფი. ეთნიკური განსხვავებები.*

ეთნოგრაფი *ეთნოგრაფის* ეთნოგრაფიის სპეციალისტი. *ეთნოგრაფის ჩანაწერები.* ■ **ეთნოგრაფობა** ეთნოგრაფიის დარგში მუშაობა.

ეთნოგრაფია *ეთნოგრაფიის* მეცნიერება, რომელიც შეისწავლის ხალხთა ყოფა-ცხოვრებას, მათ კულტურას.

ეიფორია *ეიფორიის* ემოციური მდგომარეობა, რომელიც დაკავშირებულია სიამოვნებისა და ბედნიერების გაურკვეველ, გაუაზრებელ განცდასთან. *ნარკოტიკით გამოწვეული ეიფორია. ეიფორიამ მოიცვა.*

ეკალა *ეკალას* მაღალი, ეკლიანი ხვიარა ბუჩქი, აქვს მცოცავი ღეროები და მრგვალი, წითელი ნაყოფი, ნორჩი ყლორტებისგან ამზადებენ მზალს. *ეკალა ნიგვზით.*

ეკალი *ეკლის* I. მაგარი, წვეტიანი გამონაზარდი, რომელიც ზოგიერთ მცენარეს აქვს. *აკაციის ეკალი.* 2. მცენარე, რომელიც ეკალს (1) ისხამს. *ეკლებში გავლა გაუჭირდათ.* 3 (ძირითადად მრ.) გადატ. ზღარბის ტანზე განვითარებული წვეტიანი დამცავი გამონაზარდი. ⊙ **ეკლებზე ზის** მოუსვენრადაა. ⊙ **ეკლის გვირგვინი** მონამებრივი ცხოვრების ან აღსასრულის სიმბოლო.

ეკვატორი *ეკვატორის* წარმოსახვითი ხაზი, რომელიც დედამიწას ჩრდილოეთ და სამხრეთ ნახევარსფეროებად ყოფს. *ეკვატორზე გადავიდნენ.*

ეკვივალენტი *ეკვივალენტის* რაიმეს ტოლფასი, თანაბარი მნიშვნელობისა ან ღირებულების მქონე. *დოლარის ეკვივალენტი.* ■ **ეკვივალენტური** ეკვივალენტის შესაბამისი. *ეკვივალენტური გაცვლა.* **შეცდომაა ექვივალენტი.**

ეკიპაჟი *ეკიპაჟის* სამგზავრო ან სამხედრო ტრანსპორტის მოსამსახურე პერსონალი. *გემის ეკიპაჟი. თვითმფრინავის ეკიპაჟი.*

ეკლესია *ეკლესიის* I. შენობა, რომელშიც ქრისტიანთა ღვთისმსახურება აღესრულება. *ამ ეკლესიაში წირავს.* 2. მორწმუნეთა გაერთიანება. *საქართველოს ეკლესია.*

ეკლესიური *ეკლესიურის* I. ეკლესიასთან (2) დაკავშირებული. *ეკლესიური ცხოვრება.* 2. მორწმუნე, ეკლესიის მრევლი. *ეკლესიური ახალგაზრდა.*

ეკლექტიკა *ეკლექტიკის* სხვადასხვა შეხედულებათა, თეორიათა მექანიკური შეერთება.

ეკლექტიკური *ეკლექტიკურის* არამწყობრი, ეკლექტიკისთვის დამახასიათებელი. *ეკლექტიკური ნაშრომი.*

ეკლიანი *ეკლიანის* I. რასაც ეკალი (1) აქვს. *ეკლიანი ბუჩქი.* 2. სადაც ეკალი (2) იზრდება. *ეკლიანი ფერდობი.*

ეკოლოგია *ეკოლოგიის* მეცნიერება, რომელიც შეისწავლის მცენარეთა და ცხოველთა დამოკიდებულებას ერთმანეთთან და საარსებო გარემოსთან. ■ **ეკოლოგიური** ეკოლოგიასთან დაკავშირებული. *ეკოლოგიური პრობლემები.*

ეკონომია *ეკონომიის* I. ხელმომჭირნედ ხარჯვა. *დიდი ეკონომია გასწია.* 2. ეკონომიის (1) გზით მიღებული სარგებლობა. *დროის ეკონომია.* ■ **ეკონომიური** ეკონომიის მომცემი. *ეკონომიური ხარჯვა.* **პარონიმი ეკონომიკური.**

ეკონომიკა *ეკონომიკის* I. წარმოებითი ურთიერთობანი, რომლებიც შეესაბამება საზოგადოების სანარმოო ძალთა განვითარებას. *ქვეყნის ეკონომიკა.* 2. სახალხო მეურნეობის, მისი ცალკეული დარგების ორგანიზაცია, სტრუქტურა და მდგომარეობა. *ტრანსპორტის ეკონომიკა.* 3. მეცნიერება, რომელიც შეისწავლის სამეურნეო ცხოვრების ამა თუ იმ დარგს. *ეკონომიკის დოქტორი.* ■ **ეკონომიკური** ეკონომიკასთან დაკავშირებული. *ეკონომიკური გეოგრაფია.* **პარონიმი ეკონომიური.**

ეკონომისტი *ეკონომისტის* ეკონომიკის სპეციალისტი. *კარგი ეკონომისტი.*

ეკრანი *ეკრანის* სიბრტყე, რომელზეც ჩნდება გამოსახულება. *სატელევიზიო ეკრანი. კინოთეატრის ეკრანი.*

ეკრანიზაცია *ეკრანიზაციის* კინოსურათის შექმნა თეატრალური დადგმის ან ლიტერატურული ნაწარმოების საფუძველზე. *რომანის ეკრანიზაცია.*

ელამი *ელმის* ელამი თვალების მქონე. *ელამი ქალი.* ⊙ **ელამი თვალები** თვალები, რომელთა გუგების ნორმალური მიმართულება დარღვეულია.

ელასტიკური *ელასტიკურის* დრეკადი, მოქნილი. *ელასტიკური სარტყელი.*

ელდა *ელდის* განცდა, რომელიც გამოწვეულია შეშინებით, მოულოდნელი (ხშირად უსიამოვნო)

ამბით, საზარელი სანახაობითა და მისთ. *ელდამ დაადუმა.* ⊙ ელდა ეცემა ძალიან შეწუხდება, გაოგნდება.

**ელდანაცემი** *ელდანაცემის* მოულოდნელი სიახლით, საზარელი სანახაობით გაოგნებული, გაოცებული. *ელდანაცემი შეჰყურებდა.*

**ელეგანტური** *ელეგანტურის* მოხდენილი, კოხტა, ნატიფი. *ელეგანტური ჩაცმულობა.*

**ელეგია** *ელეგიის* ლირიკული ლექსი, რომელშიც მწუხარე, სევდიანი განწყობილებაა გადმოცემული. *ელეგიის ავტორი.*

**ელევატორი** *ელევატორის* 1. მარცვალსაცავი ნაგებობა მარცვლეულის ასაწონი, გადასამუშავებელი და გადმოსატვირთი მექანიზმით. *ხორბლეულის ელევატორი.* 2. მონყობილობა სიმაღლეზე ტვირთის უწყვეტი გადატანისთვის. *ხრეშის გადატანა ელევატორით.*

**ელეთმელეთი** *ელეთმელეთის* ⊙ ელეთმელეთი მოსდის საუბრ. ძალიან ეშინია, თავზარი ეცემა.

**ელემენტარული** *ელემენტარულის* 1. მარტივი ელემენტების შემცველი. *ელემენტარული მათემატიკა. ელემენტარული ქიმია.* 2. უბრალო, საყოველთაოდ ცნობილი. *ელემენტარული ჭეშმარიტება.* შეცდომაა ელემენტალური.

**ელემენტი** *ელემენტის* 1. საგნის შემადგენელი ნაწილი. *მანქანის ელემენტები.* 2. შინაარსის თვისობრივი მახასიათებელი. *ფოლკლორული ელემენტები.* 3. მარტივი ქიმიური ნივთიერება, რომელიც ჩვეულებრივი ქიმიური მეთოდებით არ იშლება შემადგენელ ნაწილებად. *ქიმიური ელემენტი.*

**ელენთა** *ელენთის* ანატ. სისხლმბადი ორგანო, რომელიც მოთავსებულია მუცლის ღრუში მარცხენა მხარეს, წარმოშობს სისხლის თეთრ ბურთულებს. *ელენთის დაზიანება.*

**ელექსირი** *ელექსირის* სპირტზე ან მჟავებზე დამზადებული ნაყენი, გამოიყენება მედიცინაში, პარფიუმერიაში. *ახალგაზრდობის ელექსირი.*

**ელექტორატი** *ელექტორატის* ამომრჩეველთა ჯგუფი, რომელიც ერთსა და იმავე კანდიდატს ან პარტიას უჭერს მხარს. *შეხვედრა ელექტორატთან.*

**ელექტრიკოსი** *ელექტრიკოსის* ელექტროტექნიკის დარგის მუშაკი. *დანადგარების ელექტრიკოსი.*

**ელექტრიკოსობა** *ელექტრიკოსობის* ელექტრიკოსის საქმიანობა. *ელექტრიკოსობა გადაწყვიტა.*

**ელექტრობა** *ელექტრობის* ენერგიის ფორმა, რომელიც წარმოიქმნება დამუხტული ნაწილაკების მოძრაობით. *ელექტრობის თეორია.*

**ელექტროგამტარობა** *ელექტროგამტარობის* სხეულის თვისება, გაატაროს ელექტრობა.

**ელექტროენერგია** *ელექტროენერგიის* ელექტრული მუხტის ძალით წარმოქმნილი ენერგია. *ქალაქი ელექტროენერგიით მარაგდება. ჰესები ელექტროენერგიას გამოიმუშავებენ.*

**ელექტრონი** *ელექტრონის* უაროფითი მუხტის მქონე ელემენტარული ნაწილაკი ატომის შემადგენლობაში.

**ელექტრონიკა** *ელექტრონიკის* მეცნიერებისა და ტექნიკის დარგი, რომელიც დაკავშირებულია ელექტრული ენერგიის პრაქტიკული მიზნით გამოყენებასთან.

**ელექტრონული** *ელექტრონული* ელექტრონთან დაკავშირებული, ელექტრონზე დამყარებული. *ელექტრონული ფიზიკა.* ⊙ ელექტრონული ფოსტა. მიმოწერა, რომელიც წარმოებს ინტერნეტის საშუალებით. პარონიმი ელექტრული.

**ელექტროსადგური** *ელექტროსადგურის* საწარმო, რომელიც ელექტროენერგიას გამოიმუშავებს. *ელექტროსადგურის აშენება გადაწყდა.*

**ელექტრული** *ელექტრულის* ელექტრობასთან დაკავშირებული. *ელექტრული ღუმელი.* პარონიმი ელექტრონული.

**ელვა**[1] *ელვის* (ელავს, უელავს) უამინდობის დროს ცაზე გაჩენილი კლაკნილი ხაზის მსგავსი ძლიერი ნათება, გამოწვეული ელექტრონების სწრაფი განმუხტვით. *ელვამ ცა გაანათა. უეცრად იელვა. მთელი ღამე ელავდა.*

**ელვა**[2] *ელვის* ტანსაცმლის შესაკრავი, შედგება ორ რიგად განლაგებული კბილანებისგან, რომლებიც ერთმანეთში ჯდება სპეციალური ფირფიტის მეშვეობით.

**ელვარე** *ელვარის* რასაც ელვარება ახასიათებს. *ელვარე ლითონი.*

**ელვარება** *ელვარების* (ელვარებს) თვალისმომჭრელი სინათლის გამოცემა. *ცეცხლის ალი ელვარებს.*

**ელვისებური** *ელვისებურის* ძალიან სწრაფი, მოულოდნელი. *ელვისებური შეტევა.*

**ელიტა** *ელიტის* საზოგადოების რჩეული ნაწილი. *პოლიტიკური ელიტა.*

**ელიტარული** *ელიტარულის* იგივეა, რაც ელიტური. *ელიტარული სასტუმრო.*

**ელიტური** *ელიტურის* ელიტასთან დაკავშირებული, ელიტის შესაფერისი. *ელიტური საზოგადოება.*

**ელიფსი** *ელიფსის* მათ. შეკრული მრუდი, რომელიც მიიღება კონუსის სიბრტყესთან გადაკვეთით.

**ელმავალი** *ელმავლის* ლოკომოტივის სახეობა, გადაადგილდება ელექტრული ძრავას მეშვეობით. *მატარებელი ელმავალს მიჰყავს. ელმავლების წარმოება.*

ელფერი *ელფერის* 1. იერი, შესახედაობა, გარეგნული მხარე. *სადღესასწაულო ელფერი.* 2. ძირითადი ფერის ოდნავ განსხვავებული ვარიანტი. *სხვადასხვა ელფერის ძაფები.*

ელჩი *ელჩის* 1. სახელმწიფოს მუდმივი, უმაღლესი რანგის დიპლომატიური წარმომადგენელი სხვა სახელმწიფოში. *საქართველოს ელჩი. ელჩებთან შეხვედრა.* 2. პირი, რომელიც ერთი სახელმწიფოს მიერ მეორეშია წარგზავნილი გარკვეული მისიით. *ელჩად მიავლინეს.*

ელჩობა *ელჩობის* სხვა სახელმწიფოში დიპლომატიური მისიით გაგზავნილ პირთა ერთობა. *რუსთა ელჩობა ჩამოვიდა.*

ემალი *ემალის* იგივეა, რაც მინანქარი. *კბილის ემალი.*

ემანსიპაცია *ემანსიპაციის* უფლებრივად გათანასწორება. *ქალთა ემანსიპაცია.*

ემბაზი *ემბაზის* საეკლ. თასის ფორმის დიდი ჭურჭელი, გამოიყენება ნათლობის დროს. *დიდი ემბაზი.*

ემბარგო *ემბარგოს* ქვეყანაში ზოგიერთი საქონლის შეტანის ან საზღვარგარეთ გატანის აკრძალვა. *იარალის ემბარგო.*

ემბლემა *ემბლემის* საგანი ან გამოსახულება, რომელიც რაიმე იდეის, ცნების სიმბოლოდ, პირობით ნიშნად არის გამოყენებული. *მედიცინის ემბლემა.*

ემბრიონი *ემბრიონის* იგივეა, რაც ჩანასახი. *ემბრიონის განვითარება.*

ემიგრანტი *ემიგრანტის* სამშობლოდან სხვა ქვეყანაში საცხოვრებლად გადასული პირი, ემიგრაციაში მყოფი. *ემიგრანტთა უფლებები. ემიგრანტების შეკრება.*

ემიგრანტობა *ემიგრანტობის* ემიგრანტად ყოფნა. *ემიგრანტობის პერიოდი.*

ემიგრანტული *ემიგრანტულის* ემიგრანტებთან დაკავშირებული. *ემიგრანტული პრობა.*

ემიგრაცია *ემიგრაციის* უცხო ქვეყანაში გადასახლება. *ემიგრაციაში წავიდა.* ■ ემიგრაციული ემიგრაციისთვის დამახასიათებელი, ემიგრაციასთან დაკავშირებული. *ემიგრაციული კანონი.*

ემისარი *ემისრის* პირი, რომელიც სხვა ქვეყანაშია გაგზავნილი საიდუმლო სახელმწიფო ან პოლიტიკური დავალებით.

ემისია *ემისიის* ქაღალდის ფულის, ფასიანი ქაღალდების გამოშვება. *ემისია განხორციელდა.*

ემოცია *ემოციის* ადამიანის განცდა, გრძნობა. *ემოციის გამოხატვა. მძაფრი ემოცია.*

ემოციური *ემოციურის* ვისაც ან რასაც ძლიერი განცდა, გრძნობა ახასიათებს. *ემოციური პიროვნება. ემოციური საუბარი.* ▲ ემოციურად ზმნზ. ძლიერი გრძნობით. *ემოციურად ლაპარაკობს.*

ემპირიული *ემპირიულის* 1. ბუნებრივ პირობებში არსებული. *ემპირიული სინამდვილე.* 2. ცოდნა, რომელიც სინამდვილეზე დაკვირვებითაა მიღებული, არაექსპერიმენტული. *ემპირიული ანალიზი.*

ემულსია *ემულსიის* ორი ერთმანეთში გაუხსნელი სითხისგან შედგენილი ნივთიერება, რომელიც გამოიყენება ფარმაცევტულ წარმოებაში, ფერწერაში, ფოტოგრაფიაში. *ზეთის ემულსია. რძის ემულსია.*

ენა *ენის* 1. ადამიანისა და ცხოველის პირის ღრუში მოთავსებული კუნთოვანი ორგანო, რომელიც მონაწილეობს ღეჭვაში, გემოს აღქმასა და სამეტყველო ბგერების წარმოთქმაში. *ენა დაეწვა. ენის წვერი გამოყო.* 2. აზროვნებისა და ადამიანთა შორის ურთიერთობის საშუალება. *მშობლიური ენა. უცხოური ენა. რამდენ ენას ფლობთ?* 3. მეტყველება, ლაპარაკი. *ენით მოხიბლა.* 4. წერისა და მეტყველების განსხვავებული მანერა, სტილი. *მწერლის ენა. ბავშვის ენა.* 5. მოგრძო და მოძრავი ნაწილი რაიმეს შიგნით, შუაში. *ფეხსაცმლის ენა. საკეტს ენა ჩაუტყდა.* 6. ინფორმაციის გადაცემის ნებისმიერი საშუალება. *მუსიკის ენა. ფუტკრების ენა. ციფრების ენაზე.* ⊙ ენა არ მოუტრიალდება ვერ გაბედავს და ვერ იტყვის (ტყუილს, ცუდს). ⊙ ენა აქვს ამოსაგლეჯი არ უნდა ეთქვა, დასჯას იმსახურებს. ⊙ ენა დაება მკაფიოდ, გასაგებად ვეღარ შეძლო ლაპარაკის გაგრძელება. ⊙ ენა დაიმოკლე ბევრს ნუ ლაპარაკობ, გაჩუმდი. ⊙ ენა მოიქავა ლაპარაკით გული იჯერა. ⊙ ენა მუცელში ჩაუვარდა ვერაფერი თქვა, გაჩუმდა. ⊙ ენა უყივლებს უნებურად, წინასწარ იტყვის იმას, რაც მართლა მოხდება. ⊙ ენა უჭრის კარგი მოლაპარაკეა. ⊙ ენა წინ უსწრებს დაუფიქრებელი ლაპარაკი იცის. ⊙ ენად გაიკრიფება ძალიან ბევრს ილაპარაკებს, ლაპარაკით არ დაიღლება. ⊙ ენაზე აკერია სულ ერთსა და იმავეს ლაპარაკობს, გაიძახის. ⊙ ენას ამოიდგამს ლაპარაკს დაიწყებს. ⊙ ენას მიუტანს დააბეზღებს. ⊙ ენას უკიდებს გაუგებრად, ბორძიკით ლაპარაკობს. ⊙ ენის აყოლა სხვისი ნათქვამის დაჯერება. ⊙ ენის გასატეხი მეტყველების გასავითარებელი სავარჯიშო. ⊙ ენის წვერზე ადგას იცის, მაგრამ ვერ იხსენებს, ვერ ამბობს.

ენაბლუ *ენაბლუს* იგივეა, რაც ბლუ.

ენაგატლეკილი *ენაგატლეკილის* ვინც ძალიან ბევრს ლაპარაკობს. *ენაგატლეკილი ყმაწვილი.*

ენაგრძელი *ენაგრძელის* 1. იგივეა, რაც ენაგატლეკილი. *ენაგრძელი ბავშვი.* 2. ვინც ხშირად იმას ლაპარაკობს, რაც არ უნდა თქვას. *ნუ ხარ ენაგრძელი!*

ენათმეცნიერება *ენათმეცნიერების* მეცნიერება ენის შესახებ. *ენათმეცნიერების დარგი.* ■ ენათმეცნიერული ენათმეცნიერებასთან დაკავშირებული. *ენათმეცნიერული გამოკვლევა.*

ენათმეცნიერი *ენათმეცნიერის* ენათმეცნიერების

სპეციალისტი. *ენათმეცნიერის ნაშრომი. ენათმეცნიერთა თვალსაზრისით.*

**ენამახვილი** *ენამახვილის* კარგი მოსაუბრე, ვისაც აზრების ზუსტად და ეფექტურად გამოთქმა ემარჯვება. *ენამახვილი ოპონენტი.*

**ენამზე** *ენამზის* ლამაზად მეტყველი, მეტყველების ხელოვანი. *ენამზე ლექტორი.*

**ენამოსწრებული** *ენამოსწრებულის* ვისაც სიტუაციის შესაფერისი სიტყვის მონახვა ემარჯვება. *ენამოსწრებული ყმაწვილი.*

**ენამოქარგული** *ენამოქარგულის* ლამაზად მეტყველი. *ენამოქარგული ჩანდა.*

**ენამყრალი** *ენამყრალის* უცენზურო, ბინძური სიტყვებით მოლაპარაკე. *ენამყრალი კაცია.*

**ენამწარე** *ენამწარის* საუბარში მოურიდებელი, პირდაპირი, ნაკლის პირში მთქმელი. *რა ენამწარე ხარ.*

**ენამჭევრი** *ენამჭევრის* იგივეა, რაც მჭევრმეტყველი. *ენამჭევრი ორატორი.*

**ენამჭევრობა** *ენამჭევრობის* იგივეა, რაც მჭევრმეტყველება.

**ენატანია** *ენატანიას* მაბეზღარი, დამსმენი, ენის მიტანას ჩვეული. *ენატანია ბავშვი.*

**ენატარტარა** *ენატარტარას* ყბედი, ყველაფრის სახალხოდ მოლაპარაკე. *ენატარტარა ქალები.*

**ენატკბილი** *ენატკბილის* ტკბილად, ალერსიანად მოლაპარაკე. *ენატკბილი მოხუცი.*

**ენაჩავარდნილი** *ენაჩავარდნილის* ვისაც შეკრთომისგან, შიშისგან მეტყველების უნარი აქვს დაკარგული. *ზის ენაჩავარდნილი.*

**ენაწაგდებული** *ენაწაგდებულის* დაუფიქრებლად მოლაპარაკე. *მაგ ენაწაგდებულს რა გააჩერებს?*

**ენაწყლიანი** *ენაწყლიანის* კარგი მოსაუბრე. *ენაწყლიანი კაცი.*

**ენაჭარტალა** *ენაჭარტალას* ჭორიკანა, ბევრი ლაპარაკის მოყვარული. *ენაჭარტალა გოგოები.*

**ენაჭიკჭიკა** *ენაჭიკჭიკას* სასიამოვნოდ მოსაუბრე. *ენაჭიკჭიკა გოგონა.*

**ენდოკრინოლოგი** *ენდოკრინოლოგის* ენდოკრინოლოგიის სპეციალისტი. *ცნობილი ენდოკრინოლოგი.*

**ენდოკრინოლოგია** *ენდოკრინოლოგიის* მედიც. მეცნიერება შიდა სეკრეციის ორგანოების ფუნქციასა და წყობაზე, აგრეთვე დაავადებების შესახებ, რომლებსაც ამ ორგანოების ფუნქციის მოშლა იწვევს.

**ენდრო** *ენდროს* მრავალწლოვანი მცენარე, აქვს მონარინჯისფრო-წითელი ფესვი, გრძელი, მცოცავი ღერო, მოყვითალო ყვავილი და შავი წვნიანი ნაყოფი, ფესვი გამოიყენება საღებავად. *სააღდგომო კვერცხს ენდროში ღებავენ.*

**ენდშპილი** *ენდშპილის* საჭადრაკო პარტიის ბოლო სტადია. *თამაში ენდშპილში გადავიდა.*

**ენერგეტიკა** *ენერგეტიკის* I. მეურნეობის დარგი, რომელიც მოიცავს ენერგიის რესურსებს, მისი სხვადასხვა სახეობის გამომუშავებას, გარდაქმნას, გადაცემასა და გამოყენებას. 2. ფიზიკის დარგი, რომელიც შეისწავლის ენერგიას. ■ **ენერგეტიკული** ენერგეტიკასთან დაკავშირებული. *ენერგეტიკული კრიზისი.*

**ენერგეტიკოსი** *ენერგეტიკოსის* ენერგეტიკის დარგის სპეციალისტი. *ღვაწლმოსილი ენერგეტიკოსი.*

**ენერგია** *ენერგიის* I. მოქმედების, რაიმეს კეთების უნარი, ძალა. *უშრეტი ენერგია. ენერგიით შეუდგა საქმეს.* 2. მატერიის ერთ-ერთი ძირითადი ფორმა. *მექანიკური ენერგია. ატომური ენერგია. მზის ენერგია.*

**ენერგიული** *ენერგიულის* დიდი ენერგიის მქონე, დაუღლელი. *ენერგიული პიროვნება.*

**ენერგომატარებელი** *ენერგომატარებლის* ბუნებრივი რესურსი (ნავთობი, ქვანახშირი), რომლის გადამუშავებითაც მიიღება ელექტროენერგია.

**ენთუზიაზმი** *ენთუზიაზმის* რაიმე საქმიანობით აღფრთოვანება და ძლიერი გატაცება. *ახალგაზრდული ენთუზიაზმი. მზადებას ენთუზიაზმით შეუდგნენ.*

**ენთუზიასტი** *ენთუზიასტის* პირი, რომელიც საქმეს ენთუზიაზმით აკეთებს. *გამოჩნდნენ ამ საქმის ენთუზიასტები.*

**ენი** *ენის* ქართული ანბანის მეხუთე ასოს (ე-ს) სახელწოდება.

**ენკენისთვე** *ენკენისთვის* ძვ. სექტემბერი.

**ენობრივი** *ენობრივის* ენასთან (2, 4) დაკავშირებული. *ენობრივი ბარიერი. ენობრივი დაბრკოლება. მოთხრობის ენობრივი მხარე.*

**ენციკლოპედია** *ენციკლოპედიის* ლექსიკონი, რომელშიც თავმოყრილია ცნობები ცოდნის ყველა ან რომელიმე დარგიდან. *ქართული ენციკლოპედია. ტექნიკური ენციკლოპედია.*

**ენციკლოპედიური** *ენციკლოპედიურის* ენციკლოპედიის ხასიათისა. *ენციკლოპედიური ლექსიკონი.* ⊙ **ენციკლოპედიური განათლება** მრავალმხრივი განათლება.

**ენძელა** *ენძელას* გაზაფხულის ერთ-ერთი პირველი ყვავილი, აქვს დაბალი, ბოლქვიანი, უღერო ტანი, თეთრი ან ვარდისფერი ყვავილები.

**ეპარქია** *ეპარქიის* იგივეა, რაც საეპისკოპოსო. *უძველესი ეპარქია.*

**ეპიგრამა** *ეპიგრამის* მცირე ზომის სატირული ლექსი. *ეპიგრამების კრებული.*

**ეპიგრაფი** *ეპიგრაფის* ნაწარმოების ან მისი

ცალკეული თავის წინ წამძღვარებული ციტატა (აფორიზმი, ანდაზა, სხვა ავტორის სიტყვები), რომელიც გამოხატავს თხზულების მთავარ იდეას. *ლექსის ეპიგრაფი.*

**ეპიგრაფიკა** *ეპიგრაფიკის* მეცნიერება ძველი წარწერების შესახებ. ■ **ეპიგრაფიკული** ეპიგრაფიკასთან დაკავშირებული. *ეპიგრაფიკული მასალა. ეპიგრაფიკული ტექსტი.*

**ეპიდემია** *ეპიდემიის* მედიც. გადამდები დაავადების ფართოდ გავრცელება. *ქოლერის ეპიდემია.*

**ეპიზოდი** *ეპიზოდის* 1. ამბავი, ცალკეული შემთხვევა, ცხოვრების გარკვეული მონაკვეთი. *ერთი ეპიზოდი გაიხსენა.* 2. მხატვრული ნაწარმოების მეტ-ნაკლებად დამოუკიდებელი შინარსის ნაწყვეტი. *რომანის ეპიზოდი.*

**ეპიზოდური** *ეპიზოდურის* 1. არამუდმივი, დროის მცირე მონაკვეთში ან ხანდახან მიმდინარე. *ეპიზოდური გამოსვლები. ეპიზოდური ხასიათის მქონე.* 2. არაძირითადი. *ეპიზოდური როლი.*

**ეპითეტი** *ეპითეტის* მსაზღვრელი სიტყვა, რომელიც ემოციურად ახასიათებს, ხაზს უსვამს ვინმეს ან რაიმეს ძირითად თვისებას. *ეპითეტებით შეამკო. დადებითი ეპითეტი. უარყოფითი ეპითეტი.*

**ეპიკური** *ეპიკურის* ეპოსთან დაკავშირებული, თხრობითი. *ეპიკური პოემა.* შეცდომაა ეპიური.

**ეპილეფსია** *ეპილეფსიის* მედიც. ქრონიკული ნერვული დაავადება, რომელსაც ახასიათებს პერიოდულად გონების დაკარგვა და კრუნჩხვა. *ეპილეფსიით დაავადებული.* ■ **ეპილეფსიური** ეპილეფსიისთვის დამახასიათებელი. *ეპილეფსიური შეტევა.*

**ეპილოგი** *ეპილოგის* მხატვრული ნაწარმოების ბოლო, დასკვნითი ნაწილი. *პოემის ეპილოგი.*

**ეპისკოპოსი** *ეპისკოპოსის* უმაღლესი სასულიერო წოდების მქონე პირი, ეპარქიის მეთაური ან მისი თანაშემწე. *მცხეთა-თბილისის ეპისკოპოსი. ეპისკოპოსად კურთხევა.*

**ეპისტოლე** *ეპისტოლის* ძვ. იგივეა, რაც წერილი. *ეპისტოლე გაუგ ზავნა.*

**ეპიტაფია** *ეპიტაფიის* საფლავის ქვის წარწერა (ხშირად ლექსის სახით), რომელიც მიცვალებულის შესახებ მოგვითხრობს. *ვრცელი ეპიტაფია.*

**ეპიცენტრი** *ეპიცენტრის* ამა თუ იმ მოვლენის შუაგული. *მიწისძვრის ეპიცენტრი ქალაქგარეთ იყო.*

**ეპოპეა** *ეპოპეის* ვრცელი ლიტერატურული ნაწარმოები, რომელშიც მნიშვნელოვანი ისტორიული ამბებია ასახული. *ეპოპეის ავტორი.*

**ეპოსი** *ეპოსის* მხატვრული ლიტერატურის ჟანრი, რომელიც თხრობას შეიცავს. *პოეტური ეპოსი. პროზაული ეპოსი.*

**ეპოქა** *ეპოქის* იგივეა, რაც ხანა. *უახლესი ეპოქა.*

**ეპოქალური** *ეპოქალურის* ამა თუ იმ ეპოქისთვის დამახასიათებელი, ეპოქის თვალსაზრისით მნიშვნელოვანი. *ეპოქალური მოვლენა. ეპოქალური ნაწარმოები.*

**ეჟვანი** *ეჟვნის* ლითონის ღრუ საგანი, რომელიც მასში მოთავსებული ლითონის ბურთულების შეჯახებით გამოსცემს ხმას, ჟღარუნებს. *ეჟვნების ჟღარუნი ისმოდა.* ■ **ეჟვნებიანი** ეჟვნების მქონე. *ეჟვნებიანი დაირა. ეჟვნებიანი აკვანი.* ⊙ **ეჟვანს შეაბამს** დაითანხმებს, დაიყოლიებს.

**ერა** *ერას* ხანგრძლივი ისტორიული პერიოდი. *ახალი ერა დაიწყო.*

**ერბო** *ერბოს* კარაქის გადადნობით მიღებული ცხიმი. *ერბოში შემწვარი.*

**ერბოკვერცხი** *ერბოკვერცხის* ცხიმში შემწვარი კვერცხი.

**ერდო** *ერდოს* 1. დატკეპნილი მიწის ბრტყელი სახურავი. *ერდოზე თამაშობდნენ.* 2. შუაცეცხლის თავზე ამოჭრილი ადგილი, საიდანაც გადის კვამლი და შემოდის სინათლე.

**ერესი** *ერესის* რელიგიური მოძღვრება, რომელიც ეწინააღმდეგება საეკლესიო დოგმებს.

**ერეტიკოსი** *ერეტიკოსის* ერესის მიმდევარი. *ერეტიკოსთა შეკრება.*

**ერეტიკოსობა** *ერეტიკოსობის* ერეტიკოსად ყოფნა. *ერეტიკოსობა დასწამეს.*

**ერთად** ზმნზ. 1. ერთმანეთის თანხლებით, ერთმანეთის გვერდით. *ერთად მიდიან.* 2. თანამონაწილეობით, საერთო ძალით. *თქვენთან ერთად ვიმუშავებ. ერთად ვაშენებთ.*

**ერთადერთი** *ერთადერთის* მხოლოდ ერთი. *ერთადერთი შემთხვევა. ერთადერთი პიროვნება. ერთადერთი ეგ ზემპლარი.*

**ერთარსება** *ერთარსების* ღმერთი, სამყაროს შემოქმედი ქრისტიანული სამების მიხედვით. *ერთარსება ღვთაება.*

**ერთბაშად** ზმნზ. უცებ, უეცრად, სწრაფად. *ყველაფერი ერთბაშად მოხდა.*

**ერთგან** ზმნზ. ერთ ადგილას. *ერთგან შეისვენეს.*

**ერთგვარი** *ერთგვარის* ერთმანეთის მსგავსი. *ერთგვარი მოვლენები. ერთგვარი საგნები. ერთგვარი ფიგურები.* ▲ **ერთგვარად** ზმნზ. ერთმანეთის მსგავსად. *ერთგვარად მსჯელობენ.*

**ერთგვაროვანი** *ერთგვაროვნის* იგივეა, რაც ერთგვარი. *ერთგვაროვანი შედეგები.*

**ერთგვაროვნება** *ერთგვაროვნების*||ერთგვაროვნობა. *ერთგვაროვნება შეინიშნება.*

**ერთგვაროვნობა** *ერთგვაროვნობის* საგანთა, მოვლენათა მსგავსება. *პოზიციათა ერთგვაროვნობა.*

**ერთგულება** *ერთგულების* ვინმეს ან რაიმეს დიდი სიყვარული, მისთვის თავდადება. *საქმის ერთგულება. მეგობრის ერთგულება.*

**ერთგული** *ერთგულის* ვინმეს ან რაიმეს მიმართ სიყვარულით აღსავსე, მისთვის თავდადებული, საიმედო. *ერთგული ადამიანი. ერთგული ძაღლი.* ▲ **ერთგულად** ზმნზ. თავდადებულად, საიმედოდ. *ერთგულად ემსახურება.*

**ერთდროული** *ერთდროულის* ერთსა და იმავე დროს მომხდარი, ერთ დროს მიმდინარე. *ერთდროული მოვლენები. ჭადრაკის ერთდროული სეანსი.*

**ერთ-ერთი** *ერთ-ერთის* რამდენიმედან (ბევრიდან) რომელიმე ერთი. *ერთ-ერთი მათგანი. ერთ-ერთი მოვიდეს.*

**ერთეული** *ერთეულის* 1. ერთნიშნა რიცხვი, ან მრავალნიშნა რიცხვის უკანასკნელი ციფრი. 2. სიდიდე, რომელიც სხვა ერთგვაროვან სიდიდეთა საზომად გამოიყენება. *წონის ერთეული.* 3. მთელის დაყოფის შედეგად მიღებული ნაწილი. *ტერიტორიული ერთეული.*

**ერთთავად** ზმნზ. განუწყვეტლივ, გამუდმებით, სულ მუდამ. *ერთთავად ქეიფობენ. ერთთავად ვალებს იღებს.*

**ერთი** *ერთის* რიცხვი 1. *ერთი თვე. ერთი ოთახი.*

**ერთიათად** ზმნზ. ათჯერ მეტად, ათმაგად. *მომხმარებელთა რაოდენობა ერთიათად გაიზარდა.*

**ერთიანად** ზმნზ. მთლიანად, სულ მთლად. *მინდვრები ერთიანად გადახნეს. ერთიანად გაიყიდა.*

**ერთიანი** *ერთიანის* 1. არადაყოფილი, არადანაწევრებული, მთლიანი, განუყოფელი. *ერთიანი სამყარო. ერთიანი სახელმწიფო. ერთიანი სისტემა.* 2. ერთი რიცხვის გამომხატველი ციფრული გამოსახულება. *ერთიანები ჩამოწერა.*

**ერთიანობა** *ერთიანობის* განუყოფლობა, თანხმობით არსებობა. *ხალხების ერთიანობა. ქვეყნის ერთიანობის საფუძველი.*

**ერთიმეორე** *ერთიმეორის* ნაცვ. იგივეა, რაც ერთმანეთი. *ერთიმეორეს პატივს სცემენ. ერთიმეორის ამბავი იკითხეს.*

**ერთიორად** ზმნზ. ორჯერ მეტად, ორმაგად. *ფასები ერთიორად გაიზარდა.*

**ერთმაგი** *ერთმაგის* იგივეა, რაც ცალმაგი.

**ერთმანეთი** *ერთმანეთის* ნაცვ. ორი ან მეტი ვინმე ან რაიმე ურთიერთკავშირში. *ერთმანეთს მიესალმნენ. ერთმანეთი გაიცნეს. სკამები ერთმანეთის გვერდით დადგეს.*

**ერთმმართველობა** *ერთმმართველობის* მმართველობის ფორმა, როცა ქვეყანას, ორგანიზაციას, პოლიტიკურ-ადმინისტრაციულ ერთეულს ერთი პირი მართავს. *ერთმმართველობის პირობები. ერთმმართველობის ხანა.*

**ერთმნიშვნელოვანი** *ერთმნიშვნელოვნის* ერთი მნიშვნელობის მქონე. *ერთმნიშვნელოვანი ფაქტები. ერთმნიშვნელოვანი მოვლენები.*

**ერთმორწმუნე** *ერთმორწმუნის* ერთი და იგივე რელიგიური აღმსარებლობის მქონე. *ერთმორწმუნე რუსეთი. ერთმორწმუნე ხალხები.*

**ერთნაირი** *ერთნაირის* იგივეა, რაც ერთგვარი. *ერთნაირი სიდიდეები.* ▲ **ერთნაირად** ზმნზ. ერთმანეთის მსგავსად. *ერთნაირად ლაპარაკობენ.*

**ერთ-ნახევარი** *ერთ-ნახევრის* წონის, მოცულობის ზომა, რაც უტოლდება ზომის ერთეულს მიმატებული მისი ნახევარი. *ერთ-ნახევარი აბი.*

**ერთნიშნა** *ერთნიშნას* ერთი ნიშნით (ციფრით) გამოხატული. *ერთნიშნა რიცხვები.*

**ერთობ** ზმნზ. საკმაოდ, ძალიან. *ერთობ ბევრი იმუშავა. ერთობ მოილხინეს.*

**ერთობა** *ერთობის* იგივეა, რაც ერთიანობა. *ძალა ერთობაშია. დიდი ერთობა აქვთ.*

**ერთობლივი** *ერთობლივის* რამდენიმე მონაწილის მიერ ერთად, თანაბარი დანახარჯებით გაკეთებული ან გასაკეთებელი. *ერთობლივი გეგმა. ერთობლივი პროექტი. ერთობლივი ნამუშევარი.*

**ერთობლიობა** *ერთობლიობის* სხვადასხვა რაიმეს ან ვინმეს ერთად წარმოდგენით მიღებული ერთიანობა, მთლიანობა. *პროგრამების ერთობლიობა.*

**ერთპიროვნული** *ერთპიროვნულის* ერთი პირის მიერ სხვათა უკითხავად, სხვებთან შეუთანხმებლად განხორციელებული, გაკეთებული. *ერთპიროვნული გადაწყვეტილება.*

**ერთრიგად** ზმნზ. ერთ ხაზზე, ერთმანეთის მიყოლებით. *ერთრიგად დადგნენ.*

**ერთსულოვანი** *ერთსულოვნის* ერთად, თანხმობით, ყველას მოწონებით. *ერთსულოვანი გადაწყვეტილება. ერთსულოვანი მხარდაჭერა.*

**ერთსულოვნება** *ერთსულოვნების* სრული თანხმობა, აზრთა სრული თანხვედრა. *ერთსულოვნება სუფევს. ერთსულოვნების პირობებში.*

**ერთურთი** *ერთურთის* ნაცვ. იგივეა, რაც ერთმანეთი. *მოინახულეს ერთურთი.*

**ერთფეროვანი** *ერთფეროვნის* 1. ერთნაირი, მსგავსი, ერთგვაროვანი. *ერთფეროვანი დროები. ერთფეროვანი შემოქმედება.* 2. უინტერესო, მოსაწყენი. *ერთფეროვანი ცხოვრება.*

**ერთფეროვნება** *ერთფეროვნების* მოსაწყენი, უინტერესო ყოფა. *ერთფეროვნება მობეზრდა. დამღლელი ერთფეროვნება.*

**ერთხანს** ზმნზ. გარკვეულ ხანს, გარკვეული დროის განმავლობაში. *ერთხანს არაფერი უთქვამს.*

**ერთხელ** ზმნზ. 1. ერთ ჯერზე, ერთჯერ. *ერთხელ შენც მესტუმრე.* 2. უწინ, ერთ დღეს. *ერთხელ*

*სკოლაში მივდიოდი.* ⊙ ათასში ერთხელ ძალიან იშვიათად. ⊙ ერთხელ და სამუდამოდ საბოლოოდ, გადაწყვეტილად.

ერთხმად ზმნზ. 1. ერთდროულად, ერთად. *ერთხმად ყვირიან. ყველა ერთხმად მღერის.* 2. ყველას თანხმობით. *ერთხმად გადაწყვიტეს. კანდიდატურა ერთხმად დაამტკიცეს.*

ერთხმიანი *ერთხმიანის* ერთ ხმაში შესრულებული. *ერთხმიანი სიმღერები.*

ერთჯერადი *ერთჯერადის* ერთხელ მოხმარებისთვის განკუთვნილი. *ერთჯერადი ჭიქები.*

ერი *ერის* ადამიანთა საზოგადოების ერთი ნაწილის ისტორიულად ჩამოყალიბებული მყარი ერთობა, რომელიც გამოხატულია ფსიქიკური წყობის, კულტურისა და ენის ერთიანობაში. *ქართველი ერი. დამსახურება ერის წინაშე.*

ერითროციტები *ერითროციტების* (ძირითადად მრ.) წითელი ბურთულები სისხლში. *ერითროციტების ზრდა.* შეცდომაა ერიტროციტები.

ერისთავი *ერისთავის* დიდი ადმინისტრაციული ერთეულის მმართველი ფეოდალურ საქართველოში. *ქსნის ერისთავი. ერისთავის ასული.*

ერისკაცი *ერისკაცის* 1. ადამიანი, რომელიც თავისი ხალხისთვის სასარგებლო საქმეს აკეთებს, ერზე ზრუნავს. *ნამდვილი ერისკაცია.* 2. ძვ. არასასულიერო, საერო პირი. *კათალიკოსს სასულიერო პირებიც ახლდნენ და ერისკაცებიც.*

ერისკაცობა *ერისკაცობის* ერისკაცად ყოფნა. *ერისკაცობაში გიორგი ერქვა.*

ერიჰა შორისდ. გამოხატავს გაკვირვებას, დანანებას, წყენას. *ერიჰა, ეს რამდენი ხალხი მოსულა! ერიჰა, როგორ დანგრეულა სახლი!*

ერკემალი *ერკემლის* იგივეა, რაც ყოჩი (1).

ეროვნება *ეროვნების* ადამიანის მიკუთვნებულობა ამა თუ იმ ერისადმი. *ეროვნებით ქართველი.*

ეროვნული *ეროვნულის* ამა თუ იმ ერისთვის დამახასიათებელი. *ეროვნული კულტურა. ეროვნული თავისებურება.*

ეროზია *ეროზიის* ზედაპირის დაზიანება, რღვევა. *ნიადაგის ეროზია. ეროზიის მიზეზები.*

ეროტიკა *ეროტიკის* ვნებიანობა. ■ ეროტიკული ვნებიანი. *ეროტიკული სცენები.*

ერუდირებული *ერუდირებულის* განათლებული, განსწავლული, ბევრის მცოდნე, დიდი ერუდიციის მქონე. *ერუდირებული ახალგაზრდა.*

ერუდიტი *ერუდიტის* ერუდიციით გამორჩეული ადამიანი. *ნორჩი ერუდიტები. ერუდიტთა კონკურსი.*

ერუდიცია *ერუდიციის* საფუძვლიანი განათლება, ღრმა ცოდნა. *დიდი ერუდიციის მქონე.*

ეს ნაცვ. რაც ან ვინც აქ, ჩემთან (ჩვენთან) იმყოფება. *ეს წიგნი. ეს ბავშვი. ეს მომწონს.* ⊙ ესა თუ ის ან ის, რომელიღაც.

ესე[1] *ესეს* ლიტ. ლიტერატურული კრიტიკის, ფილოსოფიის, პუბლიცისტიკისა და მისთ. ჟანრი, რომელსაც ახასიათებს ფორმის თავისუფლება და ავტორის სუბიექტური დამოკიდებულების წარმოჩენა. *ამ პრობლემას ეძღვნება მეცნიერის ესე.* შეცდომაა ესსე.

ესე[2] ⊙ ესე იგი ეს იგივეა, რაც... (ანუ)

ესეი *ესეის* იგივეა, რაც ესე[1].

ესეისტი *ესეისტის* ესეების ავტორი. *ნიჭიერი ესეისტი.* შეცდომაა ესსეისტი.

ესენი ნაცვ. რაც ან ვინც (მრავალი) აქ, ჩემთან (ჩვენთან) არის (არიან). *ესენი გააკეთებენ. ესენი წამოიღე.*

ესენცია *ესენციის* აქროლად ნივთიერებათა კონცენტრირებული ხსნარი, გამოიყენება კვების, პარფიუმერულ და ფარმაცევტულ წარმოებაში. *ძმრის ესენცია. რომის ესენცია.*

ესთეტიკა *ესთეტიკის* 1. ფილოსოფიური მოძღვრება ხელოვნებისა და, საერთოდ, მშვენიერების შესახებ. *ესთეტიკის კურსი.* 2. ნიგნ. გადატ. რაიმეს სილამაზე, მაღალმხატვრულობა. *ყოფიერების ესთეტიკა. კარნავალური ესთეტიკა.*

ესთეტიკური *ესთეტიკურის* მშვენიერების შეგრძნებასთან, ესთეტიკასთან დაკავშირებული. *ესთეტიკური გრძნობა. ესთეტიკური სიამოვნება.* შეცდომაა ესთეტიური.

ესკადრა *ესკადრის* სამხედრო-საზღვაო გემების დიდი შენაერთი. *ესკადრა დაიძრა.*

ესკადრილია *ესკადრილიის* სამხედრო ავიაციის ქვეგანაყოფი, რომელიც თვითმფრინავების რამდენიმე რაზმისგან შედგება. *მებრძოლი ესკადრილია.*

ესკალატორი *ესკალატორის* მოძრავი კიბე ან ბილიკი, რომლითაც ადამიანები გადაადგილდებიან. *მეტროპოლიტენის ესკალატორი.*

ესკალაცია *ესკალაციის* გაზრდა, გაფართოება. *ომის ესკალაცია. აგრესიის ესკალაცია.*

ესკიზი *ესკიზის* წინასწარი მონახაზი, გეგმა, ჩანაწერი. *სურათის ესკიზი. ნაწარმოების ესკიზი.*

ესკორტი *ესკორტის* ვინმეს ან რაიმეს თანმხლები სამხედრო დაცვა. *პრეზიდენტის ესკორტი.*

ესოდენ ზმნზ. ნიგნ. ასე ძალიან, ამდენად. *ესოდენ მოკლე ხანში.*

ესტაკადა *ესტაკადის* ხიდისებური ნაგებობა, რომელზეც გაყვანილია გზა. *რკინაბეტონის ესტაკადა.*

ესტაფეტა *ესტაფეტის* 1. გუნდური შეჯიბრება ზოგიერთ სპორტულ სახეობაში (სირბილში, ცურვასა და მისთ.), რომლის დროსაც სპორტს-

მენი გზის გარკვეულ მონაკვეთზე ცვლის თავის თანაგუნდელს და იღებს მისგან გარკვეულ ნიშანს. *ესტაფეტა მოეწყო.* 2. ნიშანი, რომელსაც ესტაფეტის (1) დროს ერთი სპორტსმენი გადასცემს მეორეს. *ესტაფეტა გადაულოცა.*

**ესტრადა** *ესტრადის* 1. მუსიკალური ხელოვნების ჟანრი, რომელიც შედგება ცალკეული მცირე ნომრებისგან. *ესტრადის მომღერალი.* 2. ამაღლებული ადგილი, სცენა შემსრულებლებისთვის, რომლებიც გამოდიან მაყურებელთა წინაშე.

**ეტალონი** *ეტალონის* 1. დადგენილი საზომი ერთეულის ზუსტი ნიმუში, რომლითაც მოწმდება ხელსაწყოთა სისწორე. *კილოგრამის ეტალონი.* 2. გადატ. მისაბაძი, სამაგალითო. *ცოდნის ეტალონი.*

**ეტაპი** *ეტაპის* 1. დისტანციის ცალკეული მონაკვეთი. *ესტაფეტის პირველი ეტაპი.* 2. გადატ. ცალკეული მონაკვეთი რაიმე მოვლენის, პროცესის განვითარებაში. *სწავლის ბოლო ეტაპი.*

**ეტაპობრივი** *ეტაპობრივის* თანდათანობითი, ერთი ეტაპიდან მეორე, უფრო მაღალ ეტაპზე გადასასვლელი. *ეტაპობრივი განვითარება.*

**ეტიკეტი**[1] *ეტიკეტის* საზოგადოებაში ქცევის, თავის დაჭერის წესები. *ეტიკეტის დაცვა. დიპლომატიური ეტიკეტი.* შეცდომაა ეთიკეტი.

**ეტიკეტი**[2] *ეტიკეტის* იგივეა, რაც იარლიყი.

**ეტიმოლოგია** *ეტიმოლოგიის* ენათმეცნიერების დარგი, რომელიც სწავლობს სიტყვის წარმომავლობას, შედგენილობასა და თავდაპირველ მნიშვნელობას. ■ **ეტიმოლოგიური** ეტიმოლოგიასთან დაკავშირებული. *ეტიმოლოგიური კვლევა. ეტიმოლოგიური ლექსიკონი.*

**ეტიუდი** *ეტიუდის* 1. კონკრეტული საკითხისადმი მიძღვნილი მცირე ზომის ლიტერატურული თხზულება ან მეცნიერული ნაშრომი. *ლიტერატურული ეტიუდი. კრიტიკული ეტიუდი.* 2. სახვითი ხელოვნების ნაწარმოების ან მისი ნაწილის წინასწარი მონახაზი. 3. მცირე ზომის მუსიკალური ნაწარმოები, რომელიც დაკვრის მაღალ ტექნიკას მოითხოვს. *შოპენის ეტიუდები.* 4. ჭადრაკის ფიგურების ხელოვნურად შედგენილი განლაგება, რომელშიც უნდა მოიძებნოს ერთადერთი სწორი გზა მოგების ან ყაიმის მისაღწევად. *საჭადრაკო ეტიუდი.*

**ეტლი** *ეტლის* 1. სამგზავრო ტრანსპორტის ძველებური სახეობა, რომელშიც ცხენებს აბამენ. *ეტლით სეირნობა.* 2. ჩვილი ბავშვის გასასეირნებელი, ბორბლებიანი კალათა. *ჩვილი ეტლით მიჰყავდათ.* 3. ბორბლებიანი სავარძელი. *ინვალიდის ეტლი.* 4. ჭადრაკის ერთ-ერთი ფიგურა. *ეტლის სვლა.*

**ეტრატი** *ეტრატის* საგანგებოდ დამუშავებული ტყავი, რომელიც ძველად საწერ მასალად გამოიყენებოდა. *უძველესი ეტრატი.*

**ეული** *ეულის* უპატრონო, უთვისტომო, უნათესავო. *ეული კაცი. ეულად დარჩენილი.*

**ეფემერა** *ეფემერის* 1. ფრთოსანი მწერი, რომელიც ძალიან ცოტა ხანს (ერთ ან რამდენიმე დღეს) ცოცხლობს. 2. გადატ. მოჩვენება, ილუზია. ■ **ეფემერული** სწრაფად წარმავალი, ძალიან ხანმოკლე. *ცხოვრება ეფემერულია.*

**ეფექტი** *ეფექტის* 1. შთაბეჭდილება, გრძნობებსა და აღქმაზე ზემოქმედება. *ეფექტი მოახდინა. ხმაურის ეფექტი.* 2. მოქმედების შედეგი, გავლენა. *წამლის ეფექტი.*

**ეფექტური** *ეფექტურის* 1. დიდი ეფექტის (1) მქონე. *ეფექტური ღონისძიება. ეფექტური გამოსვლა.* 2. ეფექტის (2) მომცემი. *ეფექტური საშუალება. ეფექტური მედიკამენტები.*

**ექვსასი** *ექვსასის* რიცხვი 600. *ექვსასი კაცი.*

**ექვსი** *ექვსის* რიცხვი 6. *ექვსი ბილეთი. ექვსი თანამშრომელი.*

**ექვსიოდე** *ექვსიოდეს* დაახლოებით ექვსი. *ექვსიოდე დღე დასჭირდა.*

**ექთანი** *ექთანის* ექიმის თანაშემწე. *ექთანად მუშაობს.*

**ექიმბაში** *ექიმბაშის* პირი, რომელსაც არა აქვს სათანადო განათლება და მკურნალობს ავადმყოფებს პრიმიტიულად დამზადებული წამლებით და არასამედიცინო მეთოდებით. *ავადმყოფს ექიმბაში მოუყვანეს.*

**ექიმი** *ექიმის* სამედიცინო დარგის სპეციალისტი, რომელიც ავადმყოფებს მკურნალობს. *ექიმმა წამალი გამოუწერა. ექიმის კაბინეტი. კბილის ექიმი.*

**ექიმობა** *ექიმობის* ექიმის საქმიანობა. *ექიმობა ბავშვობიდან უნდოდა.*

**ექო** *ექოს* ხმის უკუგამოძახილი გარემოში. *მთების ექო. ექო გამოსცა.* შეცდომაა ეხო.

**ექოსკოპია** *ექოსკოპიის* საუბრ. იგივეა, რაც ულტრასონოგრაფია. შეცდომაა ეხოსკოპია.

**ექსკავატორი** *ექსკავატორის* მიწის სათხრელა მანქანა, აქვს ამწე, რომელზეც დამაგრებულია კბილებიანი ციცხვი, იყენებენ მიწის მცირე მანძილზე გადასატანადაც. *ექსკავატორით ორმო ამოთხარეს.*

**ექსკლუზიური** *ექსკლუზიურის* ერთი სუბიექტისთვის ან სუბიექტთა შეზღუდული ჯგუფისთვის განკუთვნილი. *ექსკლუზიური უფლება. ექსკლუზიური რეპორტაჟი.*

**ექსკურსანტი** *ექსკურსანტის* ექსკურსიის მონაწილე. *ექსკურსანტები შემოვიდნენ.*

**ექსკურსი** *ექსკურსის* მსჯელობის ძირითადი საკითხიდან გადახვევა თანმხლები საკითხების განსახილველად. *მცირე ექსკურსი.*

**ექსკურსია** *ექსკურსიის* ჯგუფური გამგზავრე-

ბა, გასეირნება, რაიმეს დათვალიერება სასწავლო, საგანმანათლებლო ან გართობის მიზნით. *ექსკურსია კახეთში. ექსკურსიის მოწყობა.*

**ექსკურსიამძღოლი** *ექსკურსიამძღოლის* ტურისტული სააგენტოს, მუზეუმისა და მისთ. თანამშრომელი, რომელიც დაჰყვება დამთვალიერებელთა ჯგუფებს და აცნობს მათ სათანადო ობიექტს. *ექსკურსიამძღოლად დაიწყო მუშაობა.*

**ექსპანსია** *ექსპანსიის* საკუთარი გავლენის გავრცელება სხვა ქვეყნებში. *კულტურული ექსპანსია.*

**ექსპედიტორი** *ექსპედიტორის* მუშაკი, რომელსაც რაიმეს გაგზავნა და მიღება ევალება. *ფოსტის ექსპედიტორი. ბაზის ექსპედიტორი.*

**ექსპედიცია** *ექსპედიციის* 1. ადამიანთა ჯგუფის გამგზავრება სპეციალური დავალების შესასრულებლად. *სამეცნიერო ექსპედიცია.* 2. ამ მიზნით გამგზავრებულ ადამიანთა ჯგუფი. *ექსპედიციის (1) მონაწილეები.*

**ექსპერიმენტატორი** *ექსპერიმენტატორის* პირი, რომელიც ექსპერიმენტს ატარებს, ექსპერიმენტს ემყარება. *ბრწყინვალე ექსპერიმენტატორი.*

**ექსპერიმენტი** *ექსპერიმენტის* ცდა მეცნიერული მოსაზრების ან სხვა რაიმე თვალსაზრისის დასამტკიცებლად. *ექსპერიმენტის ჩატარება. ექსპერიმენტის შედეგები.*

**ექსპერტი** *ექსპერტის* რომელიმე დარგის სპეციალისტი, რომლის მოვალეობაა რაიმეს განხილვა და შეფასება. *ექსპერტის დასკვნა. სასამართლოს ექსპერტი.*

**ექსპერტიზა** *ექსპერტიზის* ექსპერტების მიერ რაიმე საკითხის განხილვა ან გამოკვლევა დასკვნის გამოსატანად. *სამედიცინო ექსპერტიზა.*

**ექსპლუატატორი** *ექსპლუატატორის* პირი, რომელიც ექსპლუატაციას უწევს სხვებს, ითვისებს მათი შრომის ნაყოფს. *ექსპლუატატორების წინააღმდეგ ბრძოლა.*

**ექსპლუატაცია** *ექსპლუატაციის* 1. ვინმეს მიერ სხვისი შრომის გამოყენება სათანადო ანაზღაურების გარეშე. *ექსპლუატაციას უწევს.* 2. წიაღისეულის, ნაგებობების, დანადგარებისა და მისთ. გამოყენება გარკვეული მიზნით. *ლიფტის ექსპლუატაცია.* შეცდომაა ექსპლოატაცია.

**ექსპლუატირება** *ექსპლუატირების* იგივეა, რაც ექსპლუატაცია. *ექსპლუატირებას უწევს.*

**ექსპოზიცია** *ექსპოზიციის* იგივეა, რაც გამოფენა (3). *საინტერესო ექსპოზიცია.*

**ექსპონატი** *ექსპონატის* საგანი, რომელიც გამოფენილია მუზეუმში ან გამოფენაზე. *სამუზეუმო ექსპონატი.*

**ექსპორტი** *ექსპორტის* საქონლის გატანა საზღვარგარეთ გასაყიდად. *მანქანების ექსპორტი.*

**ექსპორტიორი** *ექსპორტიორის* პირი, ორგანიზაცია ან ქვეყანა, რომელიც ექსპორტს აწარმოებს. *ოქროს ექსპორტიორი.*

**ექსპრესი** *ექსპრესის* 1. სამგზავრო მატარებელი, რომელიც დადის დიდი სისწრაფით და ჩერდება მხოლოდ დიდ სადგურებში. *ბათუმის ექსპრესი.* 2. სარეისო გემები, ავტობუსები, რომლებსაც იშვითად აქვთ გაჩერება.

**ექსპრესია** *ექსპრესიის* საკუთარი განცდის, გრძნობის, განწყობილების, აზრების მძაფრად გამოხატვა. *ექსპრესია ახასიათებს.*

**ექსპრესიული** *ექსპრესიულის* განცდების, აზრების მძაფრად გამომხატველი, ექსპრესიის შემცველი. *ექსპრესიული შემოქმედი.*

**ექსპრომტი** *ექსპრომტის* სახელდახელოდ შეთხზული ლექსი, მუსიკალური ნაწარმოები და მისთ. *ექსპრომტი მიუძღვნა.*

**ექსპროპრიაცია** *ექსპროპრიაციის* საკუთრების იძულებითი გასხვისება, წართმევა. *ქონების ექსპროპრიაცია.*

**ექსტაზი** *ექსტაზის* გარემომცველი რეალობისგან სრული მოწყვეტა, აღტაცება, აღფრთოვანება. *ექსტაზში იმყოფება.*

**ექსტერნი** *ექსტერნის* პირი, რომელიც სასწავლებელში არ ირიცხება და ისე აბარებს გამოცდებს. *ექსტერნის წესით აბარებს.*

**ექსტრადიცია** *ექსტრადიციის* სხვა სახელმწიფოსთვის იმ პირის გადაცემა, რომელმაც ამ სახელმწიფოს კანონი დაარღვია. *დამნაშავის ექსტრადიცია გადაწყდა.* შეცდომაა ექსტრადაცია.

**ექსტრავაგანტური** *ექსტრავაგანტურის* უჩვეულო, უცნაური. *ექსტრავაგანტური ჩაცმულობა.* შეცდომაა ექსტრავაგანტული.

**ექსტრაორდინარული** *ექსტრაორდინარულის* გამორჩეული, საგანგებო, განსაკუთრებული. *ექსტრაორდინარული შემთხვევა.* შეცდომაა ექსტრაორდინალური.

**ექსტრაქტი** *ექსტრაქტის* ნივთიერება, რომელიც მიიღება მცენარის გამონურვის შედეგად. *კენკროვნების ექსტრაქტი. ასკილის ექსტრაქტი.*

**ექსტრემალური** *ექსტრემალურის* უკიდურესად დაძაბული, მეტისმეტად რთული, საშიში. *ექსტრემალური სიტუაცია.*

**ექსტრემიზმი** *ექსტრემიზმის* რადიკალური, უკიდურესი დამოკიდებულება პოლიტიკური, საზოგადოებრივი და სხვა სახის პრობლემების მიმართ. *რელიგიური ექსტრემიზმი.*

**ექსტრემისტი** *ექსტრემისტი* პირი, რომელსაც ექსტრემიზმი ახასიათებს, უკიდურესი, რადიკალური საშუალებების მომხრე. *ექსტრემისტთა გამოსვლები.*

**ექსტრემული** *ექსტრემულის*||ექსტრემალური. *სპორტის ექსტრემული სახეობა.*

**ექსჩემპიონი** *ექსჩემპიონის* ყოფილი ჩემპიონი. *შეხვედრა ექსჩემპიონთან.*

**ექსცენტრიკული** *ექსცენტრიკულის* 1. მკვეთრი ბგერითი ან მხედველობითი კონტრასტების, სასაციილო ხერხების შემცველი. *ექსცენტრიკული საცირკო ნომერი. ექსცენტრიკული ტრიუკი.* 2. გადატ. უკიდურესად თავისებური, არაჩვეულებრივი. *ექსცენტრიკული ჩაცმულობა. ექსცენტრიკული ადამიანი.* შეცდომაა ექსცენტრიული.

**ექსცესი** *ექსცესის* უწესრიგობა, არეულობა, გამონვეული არასასიამოვნო ფაქტით, მოვლენით. *შეხვედრას ექსცესების გარეშე არ ჩაუვლია.*

**ექსჰუმაცია** *ექსჰუმაციის* ნეშტის ამოღება საფლავიდან. შეცდომაა ექსგუმაცია.

**ეშაფოტი** *ეშაფოტის* ამაღლებული ფიცარნაგი, რომელზეც ადამიანებს სიკვდილით სჯიდნენ. *სიკვდილმისჯილი ეშაფოტ ზე აიყვანეს.*

**ეშელონი** *ეშელონის* 1. მატარებელი, ავტოკოლონა ან თვითმფრინავთა ჯგუფი, რომელსაც გადააქვს ტვირთი ან გადაჰყავს ხალხი სპეციალური დანიშნულებით. *სამხედრო ეშელონი.* 2. საბრძოლო ჯარების კოლონა. *ეშელონი დაიძრა.*

**ეშვი** *ეშვის* მეოთხე ყველაზე გრძელი და მაგარი კბილი ადამიანისა და ცხოველის ზედა და ქვედა ყბის ორივე მხარეს. *ეშვი მაგრად ჩაასო. ეშვი გაჰკრა.*

**ეშმაკეული** *ეშმაკეულის* 1. ავი სული, ეშმაკის თანაზიარი. *ეშმაკეული დაეპატრონა.* 2. ეშმაკისგან მომდინარე. *ეშმაკეული ფიქრები.*

**ეშმაკი** *ეშმაკის* 1. ბოროტი სული. *ეშმაკმა მაცდუნა.* 2. საუბრ. გაქნილი, მატყუარა, ცბიერი. *ძალიან ეშმაკი კაცია.* 3. ალერს. ცელქი, ცუღლუტი. *შე ეშმაკო, შენა!* ⊙ **ეშმაკი შეუჯდება** მაცდური, არასასურველი რამ აეკვიატება, შეცდება. ⊙ **ეშმაკის კერძი** საუბრ. ეშმაკის წილი. ⊙ **ეშმაკის ფეხი** საუბრ. იგივეა, რაც ეშმაკი (3) ⊙ **ეშმაკმა წაიღოს (ეშმაკსაც წაუღია)** ამბობენ გაბრაზებით ვინმეზე. ⊙ **რა ეშმაკად უნდა?** საუბრ. რაში სჭირდება? რად უნდა? რაში გამოიყენებს? ⊙ **სად ეშმაკ(ებ)შია!** საუბრ. სად არის! სად დაიკარგა! სად გაუჩინარდა!

**ეშმაკობა** *ეშმაკობის* (ეშმაკობს) ეშმაკურად მოქცევა, მოხერხებულობა. *ეშმაკობა იხმარა.*

**ეშმაკური** *ეშმაკურის* ეშმაკისთვის (2) დამახასიათებელი. *ეშმაკური საქციელი.* ▲ **ეშმაკურად** ზმნზ. ეშმაკივით (2), ცბიერად. *ეშმაკურად უცინის.*

**ეშხი** *ეშხის* სილამაზე, მომხიბვლელობა. *მისმა ეშხმა მოხიბლა.* ⊙ **ეშხში შევა** რაიმე პროცესი, მოვლენა თავისი განვითარების კულმინაციას მიაღწევს.

**ეშხიანი** *ეშხიანის* მომხიბვლელი, ლამაზი. *ეშხიანი ქალი. ეშხიანი სახე.*

**ეჩო** *ეჩოს* პატარა, თოხის მსგავსი ხის სათლელი იარაღი, რომელსაც ბრტყელი, გალესილი პირი აქვს.

**ეწერი** *ეწრის* უნაყოფო, მცირემოსავლიანი მინა. *ეწერი ნიადაგები.*

**ეჭვგარეშე** ზმნზ. ეჭვის გარეშე, უეჭველად. *ეჭვგარეშე უნდა ითქვას.*

**ეჭვი** *ეჭვის* 1. რაიმეს დაუჯერებლობა, რაიმეში დაურწმუნებლობა, უნდობლობა. *ეჭვი გაუჩნდა. ეჭვი შეეპარა. ყველაფერი ეეჭვება. ვეჭვობ, რომ მოგისწროთ.* 2. ვარაუდი, რაიმეს წინასწარი მოლოდინი, ფიქრი. *ეჭვი არ გამართლდა.* ⊙ **ეჭვის თვალით უყურებს** არ ენდობა.

**ეჭვიანი** *ეჭვიანის* ვისაც ეჭვიანობა ახასიათებს. *ეჭვიანი ადამიანი.*

**ეჭვიანობა** *ეჭვიანობის* (ეჭვიანობს) ყველაფერში ეჭვის შეტანა, უნდობლობა ვინმეს ან რაიმეს მიმართ. *ეჭვიანობა დაიწყო. დიდხანს ეჭვიანობდა.*

**ეჭვმიტანილი** *ეჭვმიტანილის* პირი, რომელსაც დანაშაულის მონაწილედ თვლიან. *ეჭვმიტანილი დააკავეს.*

**ეჭვქვეშ** ზმნზ. ეჭვის ქვეშ, საეჭვოდ. *ეს საკითხი ეჭვქვეშ დააყენა.*

# – 3 –

**ვაბანკი** *ვაბანკის* კარტის თამაშისას ბანკში (2) არსებული მთელი თანხის ფსონზე (2) დადება. ◎ ვაბანკზე წასვლა ყველაფრის გარისკვა.

**ვაგზალი** *ვაგ ზლის* შენობა, დიდი სადგური, საიდანაც მატარებლები ან ავტობუსები გადის. *რკინიგ ზის ვაგ ზალი.* შეცდომაა ვაკზალი, ვოგზალი.

**ვაგლახი** *ვაგლახის* 1. ტანჯვა, წვალება, გაჭირვება. *დიდ ვაგლახში არიან.* 2. ცუდი, უხეირო. *ვაგლახი ამბები ესმის.*

**ვაგონეტი** *ვაგონეტის* ტვირთის გადასატანი პატარა ვაგონი ან პლატფორმა ვიწროლიანდაგიანი გზებისთვის. *შახტის ვაგონეტი.*


ვაგონი

**ვაგონი** *ვაგონის* 1. მატარებლის შემადგენელი ნაწილი, რომლითაც მგზავრები გადაჰყავთ ან ტვირთი გადააქვთ. *სამგ ზაერო ვაგონი. სატვირთო ვაგონი.* 2. ტვირთის რაოდენობა, რასაც იტევს სატვირთო ვაგონი. *ერთი ვაგონი შეშა.*

**ვადა**[1] *ვადის* 1. რაიმე საქმიანობისთვის საჭირო დროის მონაკვეთი. *ორი თვის ვადაში შეასრულა.* 2. დროის შუალედი, რომლის განმავლობაშიც რაიმეს მოქმედება კანონით ან საექსპლუატაციო პირობებით არის ნებადართული. *პირადობის მოწმობას ვადა გაუვიდა. საგარანტიო ვადა.*

**ვადა**[2] *ვადის* ხმლის, მახვილის, ხანჯლისა და მისთ. ტარისა და პირის შეერთების ადგილი. *ხმალი ვადაში გადატყდა.*

**ვადიანი** *ვადიანის* ვადით[1] განსაზღვრული. *ვადიანი საბანკო ანაბარი.*

**ვაება** *ვაების* (ვაებს) წუხილი, ჩივილი უბედურების, გაჭირვების გამო. *მისი ვაება დამთავრდა.*

ვაზა

**ვაზა** *ვაზის* სხვადასხვა მოყვანილობის ჭურჭელი, გამოიყენება ყვავილების ან ხილის ჩასაწყობად. *დეკორატიული ვაზა. ბროლის ვა ზა.*

**ვაზელინი** *ვაზელინის* ნავთობისგან მიღებული ერთგვარი საცხი, გამოიყენება მედიცინაში, პარფიუმერიასა და ტექნიკაში. *ვა ზელინის შემცველობა.*

**ვაზი** *ვაზის* მცოცავღეროიანი მცენარე, რომელიც ყურძენს ისხამს. *ვა ზის ნერგი.* ◎ ვაზის ტირილი გაზაფხულზე ახლად გასხლული ვაზიდან სითხის დენა.

**ვაზნა** *ვაზნის* დენთითა და ტყვიით გატენილი მასრა, რომელსაც ცეცხლსასროლ იარაღში დებენ. *თოფის ვა ზნა. სასწავლო ვა ზნა.*

**ვაი** შორისდ. 1. გამოხატავს მძიმე ფიზიკურ შეგრძნებას (ტკივილს, წვასა და მისთ.). *ვაი, როგორ მტკივა!* 2. გამოხატავს მწუხარებას, სინანულს. *ვაი, რა უბედური ვარ!* 3. გამოხატავს წუხილს, თანაგრძნობას ვინმეს უბედურების, გაჭირვების გამო. *ვაი შენს მშობლებს! ვაი ჩემს თავს!*

**ვაი-ვაგლახი** *ვაი-ვაგლახის* 1. ტანჯვა, წვალება, გაჭირვება. *დიდი ვაი-ვაგლახი გამოიარეს.* 2. მოთქმა, ტირილი, ჩივილი. *ვაი-ვაგლახს მოჰყვა.* ◎ რის ვაი-ვაგლახით დიდი გაჭირვებით.

**ვაითუ** ნაწილაკ. გამოხატავს შიშს მოსალოდნელი არასასურველი ფაქტის მიმართ. *ვაითუ ვერ დაბრუნდნენ! ვაითუ დავმარცხდით!*

**ვაიმე** შორისდ. 1. გამოხატავს შიშს. *ვაიმე, არ წაიქცეს! ვაიმე, მიშველეთ!* 2. გამოხატავს სინანულს, მწუხარებას. *ვაიმე, როგორ მოგატყუეს! ვაიმე, ჩემო შვილებო!*

**ვაი-უშველებელი** *ვაი-უშველებლის* აურზაური, შეხლა-შემოხლა. *ატყდა ერთი ვაი-უშველებელი.*

**ვაკანსია** *ვაკანსიის* დაუკავებელი ადგილი დაწესებულებაში ან სასწავლებელში. *ბანკში ორი ვაკანსია არის.*

**ვაკანტური** *ვაკანტურის* დაუკავებელი, თავისუფალი. *ვაკანტური თანამდებობა.*

**ვაკე** *ვაკის* 1. დედამიწის სწორი, გაშლილი, ბრტყელი ზედაპირი. *ვაკე ზე მიდიოდნენ.* 2. სწორი საკალი. *სოფლამდე გ ზა სულ ვაკე იყო.*

**ვაკუუმი** *ვაკუუმის* უჰაერო სივრცე. *ვაკუუმში მოათავსეს.* ◎ ინფორმაციული ვაკუუმი ინფორმაციის უქონლობა.

**ვალდებულება** *ვალდებულების* აუცილებლად შესასრულებელი პირობა, მოვალეობა. *ვალდებულება აკისრია.*

**ვალდებული** *ვალდებულის* ვინც რაიმე უნდა შეასრულოს, ვისაც ვალდებულება აკისრია. *ვალდებული ხარ!*

**ვალერიანი** *ვალერიანის* იგივეა, რაც **კატაბალახა**. *ვალერიანის წვეთები.*

**ვალეტი** *ვალეტის* ერთ-ერთი ფიგურა კარტში ან ბანქოში. *აგურის ვალეტი.*

**ვალი** *ვალის* 1. სესხად აღებული ფული. *ვალი აი ღო.* 2. იგივეა, რაც მოვალეობა. *ქვეყნის ვალი.* ⊙ **ვალად ადევს** მოეთხოვება რაიმე მოვალეობის შესრულება. ⊙ **ვალებში ჩავარდება** დიდ ვალს (1) აიღებს. ⊙ **ვალს დაიდებს** ვალს (1) აიღებს. ⊙ **ვალში არ დარჩება** სამაგიერო სიკეთეს გადაუხდის. ⊙ **ვალშია ვინმეს ან რაიმეს წინაშე** მოსახდელი აქვს ვალი (2) ვინმეს ან რაიმეს წინაშე.

**ვალმოხდილი** *ვალმოხდილის* ვინც თავისი მოვალეობა ღირსეულად მოიხადა. *ვალმოხდილი კაცი. ვალმოხდილი მშობელი.*

**ვალსი** *ვალსის* 1. ფართოდ გავრცელებული ევროპული ცეკვა, რომელსაც წყვილები ასრულებენ. *ვალსი იცეკვეს.* 2. მუსიკა ამ ცეკვისთვის. *ვალსი დაუკრეს.* 3. ამ ცეკვის რიტმის საკონცერტო ნაწარმოები. *შოპენის ვალსები.*

**ვალტორნა** *ვალტორნის* უძველესი ჩასაბერი საკრავი, სპილენძის მორკალული მილი, რომელიც ბოლოში ფართოვდება. *ვალტორნის ჰანგები.*

**ვალუტა** *ვალუტის* 1. ამა თუ იმ ქვეყნის ფულადი სისტემის ერთეული. *ეროვნული ვალუტა.* 2. უცხო სახელმწიფოს ფული. *ვალუტის კურსი.* **შეცდომაა ვალიუტა.**

**ვანდალი** *ვანდალის* (ძირითადად მრ.) ადამიანი, რომელიც კულტურულ ფასეულობებს ანადგურებს. *ეს ვანდალები ვინ არიან?!*

**ვანდალიზმი** *ვანდალიზმის* კულტურული ფასეულობების (ისტორიული ძეგლების, ხელოვნების ნიმუშების) განადგურება. *გაუგონარი ვანდალიზმი.*

**ვანდალური** *ვანდალურის* ვანდალების დამახასიათებელი. *ვანდალური საქციელი.*

**ვანილი** *ვანილის* ტროპიკული მცენარის სურნელოვანი ნაყოფი, გამოიყენება კვებისა და პარფიუმერულ წარმოებაში. *ვანილის სურნელი.* ▪ **ვანილიანი** რასაც ვანილი აქვს. *ვანილიანი ნამცხვარი. ვანილიანი კრემი.*

**ვაუბატონი** *ვაუბატონის* ირონ. კაცი, ვაჟი. *ერთი ამ ვაუბატონს დამიხედეთ!*

**ვაჟი** *ვაჟის* 1. ახალგაზრდა მამაკაცი. *სტუდენტი ვაჟები.* 2. მამაკაცი. *მომლერალ ვაჟთა გუნდი. ვაჟები და ქალები.* 3. მამრობითი სქესის შვილი. *ორი ვაჟი ჰყავს.*

**ვაჟიშვილი** *ვაჟიშვილის* იგივეა, რაც **ვაჟი** (3). *ვაჟიშვილი შეეძინათ.*

**ვაჟკაცი** *ვაჟკაცის* 1. მამაცი, უშიშარი მამაკაცი. *ბევრი ვაჟკაცი დაეცა ბრძოლის ველზე.* 2. იგივეა, რაც **მამაკაცი**. *ეს ვაჟკაცის საქმეა არ არის.* ▪ **ვაჟკაცური** ვაჟკაცის შესაფერი, დამახასიათებელი. *ვაჟკაცური საქციელი. ვაჟკაცური ბუნების ადამიანი.*

**ვაჟკაცობა** *ვაჟკაცობის* (ვაჟკაცობს) გულადობა, შეუპოვრობა. *ვაჟკაცობით ცნობილი. ვაჟკაცობა გამოიჩინა.*

**ვარამი** *ვარამის* მძიმე დარდი, მწუხარება. *დარდი და ვარამი გაუზიარა.*

**ვარაუდი** *ვარაუდის* (ვარაუდობს) წინასწარი აზრი რაიმეს ან ვინმეს შესახებ, ამგვარი აზრის ქონა, დაშვება. *თავისი ვარაუდი გამოთქვა. მეცნიერები ვარაუდობენ.*

**ვარაყი** *ვარაყის* 1. ძვირფასი ლითონების (ვერცხლის, ოქროსა და მისთ.) ორნამენტებიანი თხელი ფენა, რომლითაც ნივთებს ამკობენ. *ოქროს ვარაყი.* 2. ოქროსფერი საღებავით შესრულებული შემკულობა წიგნის ყდაზე ან წარწერებზე. *ვარაყით შემკული წიგნი.* ▪ **ვარაყიანი** ვარაყით დაფარული. *ვარაყიანი ჭიქები.*

**ვარგისი** *ვარგისის* კარგი, გამოსადეგი, რაც ვარგა. *ვარგისი საქონელი. ვარგისი პროდუქტები.*

**ვარგისიანობა** *ვარგისიანობის* ვარგისად, გამოსადეგად ყოფნის თვისება, სიკარგე. *საქმეების ვარგისიანობა.*

**ვარგობა*** *ვარგობის* (ვარგობს, ვარგა) ვარგისად ყოფნა, გამოდგომა[2] (1). *მეკარემ ივარგა. აპარატმა ვერ ივარგა.*

**ვარდი** *ვარდის* 1. ეკლიანი ბუჩქი, აქვს რთული ფოთლები და ლამაზი, სურნელოვანი ფართოფურცლიანი ყვავილები. *ვარდი აყვავილდა.* 2. ვარდის (1) ყვავილი. *ვარდების თაიგული.* ▪ **ვარდებიანი** ვისაც ან რასაც ვარდები აქვს. *ვარდებიანი ქსოვილი.*

**ვარდისფერი** *ვარდისფრის* ღია მოწითალო ფერი. *ვარდისფერი პერანგი.*

**ვარდკანაფა** *ვარდკანაფას* კანაფის მაგვარი ბოჭკოვანი მცენარე, ხარობს ტენიან ადგილებში, გამოიყენება სამკურნალოდ. *ვარდკანაფას ნაყენი.*

**ვარდკაჭაჭა** *ვარდკაჭაჭას* ორ- ან მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარე, აქვს განშტოებული ღერო და ცისფერი ყვავილები.

**ვარდნა** *ვარდნის* (ვარდება, უვარდება) 1. ↑ გადავარდნა (1). *მანქანა ხიდიდან ვარდება.* 2. ↑ დავარდნა (1). *ქალი ძირს ვარდება. წიგნი მაგიდიდან ვარდება.* 3. ↑ დავარდნა (4). *ფასების ვარდნა. ავადმყოფს სიცხე უვარდება.*

**ვარდნარი** *ვარდნარის* ვარდებით (1) დაფარული ერცელი ადგილი. *ვარდნარი გააშენეს.*

**ვარვარი** *ვარვარის* (ვარვარებს, უვარვარებს) საგნის, სხეულის ელვარება, ჩვეულებრივ, ძლიერი გახურების გამო. *ნაკვერჩხალი ვარვარებს. რკინა ვარვარებს.*

**ვარია** *ვარიის* დედალი ქათამი (2-3 თვიდან კვერცხის დადებამდე). *თეთრი ვარია. ვარია დამიკლა.* ▪ **ვარიკა/ვარიკელა** ალერს. ვარია. *ვარიკა გადმოფრინდა. ჭრელი ვარიკელა.*

**ვარიანტი** *ვარიანტის* რაიმეს ნაირსახეობა, ბევრი ნიმუშიდან ერთ-ერთი. *პროექტის შესწორებული ვარიანტი. მოთხრობის რამდენიმე ვარიანტი არსებობს.*

**ვარიაცია** *ვარიაციის* 1. (ძირითადად მრ.) ერთი და იმავე მუსიკალური თემის სახესხვაობა. *პიესის ვარიაციები. თემა ვარიაციებით.* 2. წიგნ. იგივეა, რაც ვარიანტი. *ლექსის რამდენიმე ვარიაცია.*

**ვარიეტე** *ვარიეტეს* მსუბუქი ჟანრის საესტრადო თეატრი. *ვარიეტეს მოცეკვავე.*

**ვარსკვლავთმრიცხველი** *ვარსკვლავთმრიცხველის* ძვ. ასტროლოგი და ასტრონომი.

**ვარსკვლავთმრიცხველობა** *ვარსკვლავთმრიცხველობის* ვარსკვლავთმრიცხველის საქმიანობა. *ვარსკვლავთმრიცხველობამ გაიტაცა.*

ვარსკვლავი

**ვარსკვლავი** *ვარსკვლავის* 1. ციური სხეული, რომელიც ანათებს. *ვარსკვლავებით მოჭედილი ცა.* 2. გადატ. სახელგანთქმული ადამიანი. *ესტრადის ვარსკვლავი.* ⊙ **ბედნიერ ვარსკვლავზეა დაბადებული** იღბლიანია. ⊙ **კუდიანი ვარსკვლავი** კომეტა.

**ვარცლი** *ვარცლის* ხის მოგრძო და ღრმა ჭურჭელი, გამოიყენება ცომის მოსაზელად. *ძველი ვარცლი.*

**ვარცხნა** *ვარცხნის* (ვარცხნის, ივარცხნის, უვარცხნის, ივარცხნება, ევარცხნება, ავარცხნინებს) ↑ დავარცხნა. *თმას ივარცხნის. ქოჩორს ივარცხნის.*

**ვარცხნილობა** *ვარცხნილობის* თმის ფორმა შეჭრის, საგანგებოდ დავარცხნის შემდეგ. *ლამაზი ვარცხნილობა.*

**ვარხვი** *ვარხვის* წყლის დიდი, გრძელფეხება და დიდნისკარტა ფრინველი. *ვარხვი ტბებთან ბინადრობს.*

**ვარჯი** *ვარჯის* ხის განშტოებული ნაწილი ქვედა ტოტებიდან კენწერომდე. *გაშლილი ვარჯი.*

**ვარჯიში** *ვარჯიშის* 1. ერთი და იმავე მოძრაობის, მოქმედების მრავალჯერ გამეორება რაიმეს შესწავლის ან რაიმეში დახელოვნების, განაფენის მიზნით. *დაკვრაში ვარჯიში.* 2. იგივეა, რაც ტანვარჯიში. *დილის ვარჯიში.*

**ვასაკა** *ვასაკას* პატარა მწვანე ბაყაყი, ბინადრობს ხეებზე. *ვასაკას ყიყინი ისმოდა.*

**ვასალი** *ვასალის* ისტ. 1. მემამულე შუა საუკუნეებში, რომელიც ექვემდებარებოდა სხვა, უფრო მსხვილ ფეოდალს და სარგებლობდა მისი მფარველობით. *ვასალად მიღება.* 2. სხვაზე დამოკიდებული ქვეყანა. *ვასალი სახელმწიფო.* ▪ **ვასალური** ვასალის დამახასიათებელი, მსგავსი. *ვასალური დამოკიდებულება.*

**ვასალობა** *ვასალობის* ვასალად ყოფნა. *დამპყრობლების ვასალობა აღიარა.*

**ვაუჩერი** *ვაუჩერის* ფასიანი ქაღალდი, რომელიც იძლევა გარკვეული მომსახურების ან ქონების მიღების უფლებას. *საპრივატიზაციო ვაუჩერი.*

**ვაფლი** *ვაფლის* თხელი, მსუბუქი ნამცხვარი უჯრედებად დაჭრელებული ზედაპირით. *ვაფლი შოკოლადით.*

**ვაქცინა** *ვაქცინის* წამალი, რომელიც შეჰყავთ ადამიანის ან ცხოველის ორგანიზმში გადამდები დაავადებისგან დაცვის მიზნით. *გრიპის სანინააღმდეგო ვაქცინა.*

**ვაშა** შორისდ. მოწონების, აღტაცების გამომხატველი შეძახილი (გამოიყენება მოწოდებისას). *ვაშა ჩვენს გუნდს! გაუმარჯოს ძლევამოსილ არმიას, ვაშა!*

**ვაშლატამა** *ვაშლატამას* 1. ატმის ერთ-ერთი სახეობა, ვაშლის მსგავსი, უმეტესად მუქი წითელი ფერის ხილი. *ვაშლატამას წვენი.* 2. ხე, რომელიც ისხამს ვაშლატამას (1). *ვაშლატამა დარგო.*


ვაშლი

**ვაშლი** *ვაშლის* 1. ფართოდ გავრცელებული, მომრგვალო ან ოვალური ფორმის, სხვადასხვა ზომისა და შეფერილობის მქონე, წვრილკურკებიანი და წვნიანი ხილი. *წითელი ვაშლი.* 2. ხე, რომელიც ისხამს ვაშლს (1), აქვს თეთრი ან ვარდისფერი ყვავილები. *ვაშლის ბაღი.*

**ვაცი** *ვაცის* დაკოდილი მამალი თხა. *ფარას ვაცი მიუძღვის.*

**ვაციწვერა** *ვაციწვერას* მრავალწლოვანი მარცვლოვანი ბალახი, აქვს წვრილი ფოთლები და გრძელი, ბუმბულის მსგავსი ფხა.

**ვაჭარი** *ვაჭრის* პირი, რომლის საქმიანობა არის საქონლის შეძენა და გაყიდვა მოგების მიზნით. *მდიდარი ვაჭარი.* ▪ **ვაჭრული** ვაჭრის დამახასიათებელი. *ვაჭრული ბუნება. ვაჭრული ხასიათი.*

**ვაჭრობა** *ვაჭრობის* (ვაჭრობს, ევაჭრება) 1. ყიდვა-გაყიდვასთან დაკავშირებული საქმიანობა. *სახელმწიფო ვაჭრობა. ვაჭრობის ქსელი. გლეხები ბაზარში ვაჭრობენ.* 2. გამყიდველსა და მყიდველს შორის საუბარი ფასის დაკლების მიზნით. *ყასაბს ევაჭრება.*

**ვაჭრუკანა** *ვაჭრუკანა* ირონ. წვრილი ვაჭარი, ჩარჩი. *ნამდვილი ვაჭრუკანა გახდა.*

**ვახტიორი** *ვახტიორის* მორიგე დარაჯი დაწესებულებაში, საწარმოში. *მოხუცი ვახტიორი.*

**ვახშამი** *ვახშმის* I. საკვების მიღება საღამოს. *ვახშმად დაპატიჟეს.* 2. საღამოს მისაღები საჭმელი. *ვახშამი მოამზადეს.*

**ვახში** *ვახშის* ძვ. სესხის ძალიან დიდი სარგებელი. *ვახშით გამდიდრებული.*

**ვახშმობა** *ვახშმობის* (ვახშმობს, ავახშმებს) ვახშმის მიღება. *ერთად ივახშმეს. გ ზა ვახშმობის მერე გააგრძელეს.*

**ვეგეტარიანელი** *ვეგეტარიანელის* ადამიანი, რომელიც ხორცს არ ჭამს. *ვეგეტარიანელთა კლუბი.*

**ვეგეტარიანული** *ვეგეტარიანულის* I. მარტოოდენ მცენარეული შემადგენლობის მქონე. *ვეგეტარიანული საჭმელები. ვეგეტარიანული სასადილო.* 2. ვეგეტარიანელთა ცხოვრების წესთან დაკავშირებული.

**ვეგეტატიური** *ვეგეტატიურის* ცხოველებისა და მცენარეების კვებასთან, მათ ზრდა-განვითარებასთან დაკავშირებული. *ვეგეტატიური ორგანოები. ვეგეტატიური ნერვული სისტემა.* პარონიმი ვეგეტაციური.

**ვეგეტაცია** *ვეგეტაციის* მცენარის ზრდის პროცესი. *ყვავილის ვეგეტაცია.*

**ვეგეტაციური** *ვეგეტაციურის* ვეგეტაციასთან დაკავშირებული. *ვეგეტაციური პერიოდი.* პარონიმი ვეგეტატიური.

**ვედრება** *ვედრების* (ავედრებს, ევედრება) ძლიერი თხოვნა, მუდარა. *ღმერთს ევედრება. მეგობარს დახმარებას ევედრება.*


ვედრო

**ვედრო** *ვედროს* სხვადასხვა მასალის (ლითონის, პლასტმასისა და მისთ.) მაღალი, მრგვალი, ბოლოში ვიწრო ჭურჭელი, გამოიყენება სითხის ჩასასხმელად ან რაიმეს ჩასაყრელად. *წყლის ვედრო. ნაგვის ვედრო. რკინის ვედრო.*

**ვეება** *ვეებას* ძალიან დიდი. *ვეება მთა. ვეება ლოდი.*

**ვეებერთელა** *ვეებერთელას* მეტისმეტად დიდი. *ვეებერთელა ბურთი.*

**ვეზირი** *ვეზირის* ძვ. მეფის მრჩეველი აღმოსავლურ ქვეყნებში. *ბრძენი ვეზირი.*

**ველი** *ველის* I. სწორი ზედაპირის მქონე გაშლილი ადგილი, ჩვეულებრივ, ბალახით დაფარული. *ველი მწვანედ ბიბინებს. ალაზნის ველი.* 2. რაიმეს გავრცელების არეალი ან მოქმედების ადგილი. *რადიაციული ველი. ბრძოლის ველი.*

**ველ-მინდორი** *ველ-მინდვრის* გაშლილი ტერიტორია, ველები და მინდვრები ერთად. *ველ-მინდორი ამწვანდა.*

**ველოდრომი** *ველოდრომის* ველოსიპედებით შეჯიბრებისთვის განკუთვნილი სპორტული ნაგებობა. *ძველი ველოდრომი.*

**ველორბოლა** *ველორბოლის* შეჯიბრება ველოსიპედებით რბოლაში. *ველორბოლა გაიმართა.*

**ველოსიპედი** *ველოსიპედის* ჩვეულებრივ ორთვლიანი და ერთ- ან ორადგილიანი სატრანსპორტო საშუალება, რომელიც პედლების ტრიალით გადაადგილდება. *სპორტული ველოსიპედი. წყლის ველოსიპედი.*

**ველოტრეკი** *ველოტრეკის* ველოსიპედისტების შეჯიბრებისთვის განკუთვნილი წრისებური გზა. *ახალი ველოტრეკი.*

**ველური** *ველურის* I. რაც ველზე, ტყეში იზრდება, ხარობს, ცხოვრობს. *ველური ვაზი.* 2. განვითარების, კულტურის დაბალ საფეხურზე მდგომი ადამიანი. *კუნძულზე ველურები ცხოვრობდნენ.* 3. გადატ. უზრდელი, უხეში. *ველური საქციელი. ველური ყიჟინა.*

**ვენა** *ვენის* სისხლძარღვი, რომლითაც სისხლი მიედინება სხეულის ყველა ორგანოდან გულისკენ. *ვენების გაგანიერება.* ■ **ვენური** ვენას გამავალი, ვენასთან დაკავშირებული. *ვენური სისხლი.*

ვენახი

**ვენახი** *ვენახის* მიწის ნაკვეთი, სადაც ვაზია გაშენებული. *ვენახი გათოხნეს.*

**ვენერა** *ვენერას* მზის სისტემის პლანეტა, სიშორით მეორე ადგილზეა მზიდან.

**ვენეროლოგი** *ვენეროლოგის* ვენეროლოგიის სპეციალისტი. *ვენეროლოგთან მკურნალობს.*

**ვენეროლოგია** *ვენეროლოგიის* მედიცინის დარგი, რომელიც შეისწავლის ვენერულ დაავადებებს. *ვენეროლოგიის კურსი.*

**ვენერული** *ვენერულის* ⊙ **ვენერული დაავადებები** დაავადებები, რომლებიც უპირატესად სქესობრივი გზით გადადის.

**ვენტილატორი** *ვენტილატორის* ჰაერის გამაგრილებელი და გამწმენდი მოწყობილობა. *მაგიდის ვენტილატორი.*

**ვენტილაცია** *ვენტილაციის* დახურული სივრცის განიავება ვენტილატორის საშუალებით. *საჭირო დარბაზის ვენტილაცია.*

**ვენტილი** *ვენტილის* I. ტექნ. სითხის ან აირის ჩასაკეტი სარქველი. *ფოლადის ვენტილი.* 2. ბგერის სიმაღლის შესაცვლელი ერთგვარი სარქველი სასულე მუსიკალურ საკრავებში.

**ვერ** ნაწილაკ. გამოიყენება ისეთი მოქმედების უარსაყოფად, რომლის შესრულებაც არ შეუძლიათ. *ვერ მოვიდა. დავალება ვერ დაწერა.*

**ვერა** ნაწილაკ. გამოიყენება კითხვაზე პასუხის გაცემისას, ისეთი მოქმედების უარსაყოფად

რომლის შესრულებაც არ შეუძლიათ. – *სკოლაში წამოხვალ? – ვერა.*

**ვერაგი** *ვერაგის* ბოროტების, სიავის ფარულად ჩამდენი. *ვერაგი მტერი. ვერაგი ცხოველი.*

**ვერაგობა** *ვერაგობის* ფარული მტრობა, ღალატი. *ვერაგობა ჩაიდინა. ვერაგობით ჩაიგდო ხელში.*

**ვერაგული** *ვერაგულის* ვერაგისთვის დამახასიათებელი, მზაკვრული. *ვერაგული თავდასხმა.* ▲ **ვერაგულად** ზმნზ. მზაკვრულად. *ვერაგულად მოაკლევინა.*

**ვერავინ** *ვერავისი* ნაცვ. ვერც ერთი ვინმე. *ვერავინ გაბედა ახლოს მისვლა.*

**ვერანდა** *ვერანდის* სახლის გარშემო ან ერთ-ერთი კედლის გასწვრივ მიშენებული აივანი. *ვერანდა ზე ნარდს თამაშობდნენ.*

**ვერანი** *ვერანის* უპატრონობით, მოუვლელობით დანგრეული, აოხრებული, გაპარტახებული. *ვერანი სოფელი. ვერანი მინდვრები. ვერანად ქმნილი.*

**ვერასდროს** ზმნზ. იგივეა, რაც **ვერასოდეს**. *ვერასდროს იფიქრებდა.*

**ვერასოდეს** ზმნზ. ვერც ერთ დროს, ვერც ერთ შემთხვევაში, ვერავითარ შემთხვევაში. *ვერასოდეს აპატიებს. ვერასოდეს დაივიწყებს.*

**ვერაფერი** *ვერაფრის* 1. ვერც ერთი რამე. *ვერაფერი უთხრა. ვერაფერი უშველა.* 2. არც ისე კარგი. *ვერაფერი მოსავალი მივიღეთ.*

**ვერბალური** *ვერბალურის* სიტყვიერი. *ვერბალური გამოხატულება.*

**ვერდიქტი** *ვერდიქტის* სასამართლოს გადაწყვეტილება. *ვერდიქტი გამოიტანეს.*

**ვერვინ** ნაცვ. || **ვერავინ** *ვერვინ ეტყვის უარს.*

**ვერმიშელი** *ვერმიშელის* ხორბლის ფქვილისგან დამზადებული წვრილი, მოკლე ჩხირები. *ვერმიშელის ფაფა.*

**ვერნისაჟი** *ვერნისაჟის* სამხატვრო გამოფენის გახსნის პირველი დღე. *ვერნისაჟ ზე შევხვდებით.*

**ვერსად** ზმნზ. ვერც ერთ ადგილას, ვერც ერთ მხარეს. *ვერსად გაექცევა.*

**ვერსაიდან** ზმნზ. ვერც ერთი ადგილიდან, ვერც ერთი მხრიდან. *ვერსაიდან შემოვლენ.*

**ვერსაით** ზმნზ. ვერც ერთ მხარეს. *ვერსაით წაუხვალ.*

**ვერსია** *ვერსიის* ამა თუ იმ ფაქტის ან მოვლენის ერთ-ერთი შესაძლო გადმოცემა, ახსნა, აღწერა. *სწორი ვერსია. სხვადასხვა ვერსია.*

**ვერტიკალი** *ვერტიკალის* მათ. ვერტიკალური ხაზი. *ვერტიკალი გააველო.*

**ვერტიკალური** *ვერტიკალურის* რაც ჰორიზონტალურ სიბრტყესთან ქმნის მართ კუთხეს. *ვერტიკალური ხაზი.*

**ვერტმფრენი** *ვერტმფრენის* საჰაერო ტრანსპორტის სახეობა – პროპელერიანი საფრენი აპარატი, რომელსაც შეუძლია ვერტიკალურად აფრენა გარბენის გარეშე. *სამხედრო ვერტმფრენი. ვერტმფრენის პილოტი.*

**ვერცხლეულობა** *ვერცხლეულობის* ვერცხლის ნაკეთობანი. *ვერცხლეულობის მაღაზია.*

**ვერცხლი** *ვერცხლის* ნაცრისფერი ძვირფასი ლითონი, გამოიყენება საიუველირო ნაწარმის, ჭურჭლის, მონეტების დასამზადებლად. *ვერცხლის ყელსაბამი.*

**ვერცხლისფერი** *ვერცხლისფრის* ელვარე ნაცრისფერი, რასაც ვერცხლის ფერი აქვს. *ვერცხლისფერი ავტომობილი.*

**ვერცხლისწყალი** *ვერცხლისწყლის* მბზინავი, ვერცხლისფერი თხევადი ლითონი, რომლის ორთქლი მომწამლავია. *ვერცხლისწყლის მადანი.*

**ვერძი** *ვერძის* 1. იგივეა, რაც **ყოჩი** (1). 2. ზოდიაქოს ნიშანი. *ვერძის ნიშნით დაბადებული.*

**ვერხვი** *ვერხვის* ტირიფისებრთა ოჯახის ხე, აქვს ნაცრისფერი ქერქი და გრძელყუნწიანი, მთრთოლავი ფოთლები. *ჭალის ვერხვი.*

**ვესტიბიული** *ვესტიბიულის* დიდი ოთახი შენობის მთავარი შესასვლელის შიგნით, საიდანაც შედიხარ შენობის სიღრმეში. *ვესტიბიულში იცდის. თეატრის ვესტიბიული.*

**ვეტერანი** *ვეტერანის* 1. ნაომარი მებრძოლი. *სამამულო ომის ვეტერანი.* 2. რაიმე საქმეში დიდი გამოცდილების მქონე პირი. *შრომის ვეტერანი. ვეტერანი ფეხბურთელები.*

**ვეტერინარი** *ვეტერინარის* ცხოველების ექიმი, ვეტერინარიის სპეციალისტი. *სოფლის ვეტერინარი.*

**ვეტერინარია** *ვეტერინარიის* მეცნიერება ცხოველების დაავადებათა და მათი მკურნალობის შესახებ. *ვეტერინარიის კურსი.*

**ვეტო** *ვეტოს* რაიმე გადაწყვეტილების აკრძალვა, გაუქმება საერთაშორისო და სახელმწიფო სამართლის სფეროში. *ვეტოს უფლება.* ⊙ **ვეტოს დაადებს** აკრძალავს.

**ვეფხვი** *ვეფხვის* დიდი ზომის მტაცებელი ცხოველი კატისებრთა ოჯახიდან. *ვეფხვის კლანჭები.*


ვეფხვი

**ვექილი** *ვექილის* ძვ. ადვოკატი. *გამოცდილი ვექილი. ვექილის გასამრჯელო.*

**ვექილობა** *ვექილობის* ვექილის სპეციალობით მუშაობა.

**ვექტორი** *ვექტორის* მათ. წრფის მონაკვეთი, რომელსაც გარკვეული რიცხობრივი მნიშვნელობა და მიმართულება აქვს. *ვექტორის სიგრძე.*

**ველარავინ** *ველარავისი* ნაცვ. უკვე ვერავინ, მეტი ვერავინ. *ველარავინ დაეწევა.*

**ველარასდროს** ზმნზ. იგივეა, რაც ველარასოდეს. *ველარასდროს შევხვდებით.*

**ველარასოდეს** ზმნზ. უკვე ვერასოდეს, ვერც ერთ დროს. *ველარასოდეს დაბრუნდება.*

**ველარაფერი** *ველარაფრის* ნაცვ. უკვე ვერაფერი, მეტი ვერაფერი. *ველარაფერი უშველის.*

**ველარსად** ზმნზ. უკვე ვერსად, მეტი ვერსად. *ველარსად დაემალება.*

**ვეშაპი** *ვეშაპის* ზღვის ყველაზე დიდი ძუძუმწოვარი ცხოველი. *თეთრი ვეშაპი. ვეშაპის ქონი.*

ვეშაპი

**ვიბრატორი** *ვიბრატორის* ტექნ. რხევითი მოძრაობის წარმოსაქმნელი მოწყობილობა.

**ვიბრაცია** *ვიბრაციის* დრეკადი სხეულის რხევითი მოძრაობა. *ძლიერი ვიბრაცია.*

**ვიგინდარა** *ვიგინდარას* უსაქმური, არაფრის მაქნისი, ულირსი ადამიანი. *ვიღაც ვიგინდარებს აჰყვა.*

**ვიგინდარაობა** *ვიგინდარაობის* ვიგინდარად ყოფნა, ვიგინდარას საქციელი. *რას ვიგინდარაობთ?!*

**ვიდეომაგნიტოფონი** *ვიდეომაგნიტოფონის* აპარატი, რომლითაც ხდება გამოსახულების, მოქმედების ჩაწერა და ჩვენება. *ვიდეომაგნიტოფონი შეიძინა.*

**ვიდრე** კავშ. სანამ (მიუთითებს მოქმედებაზე, რომლის შესრულებამდე ან შესრულებისას ხორციელდება სხვა მოქმედება). *ვიდრე ინათებს, უნდა წავიდეთ. ვიდრე სახლში იყო, წიგნს კითხულობდა.*

**ვიზა** *ვიზის* I. ქვეყანაში შესვლის, მის ტერიტორიაზე ყოფნისა და იქიდან გამგზავრების უფლება, რომელსაც იძლევა ამ ქვეყნის ხელისუფლება. *ტურისტული ვიზა. ერთწლიანი ვიზა.* 2. თანამდებობის პირის წარწერა რაიმე დოკუმენტზე იმის ნიშნად, რომ იგი ეთანხმება დოკუმენტის შინაარსს. *დირექტორის ვიზა.*

**ვიზიტი** *ვიზიტის* სტუმრობა, ჩვეულებრივ, ოფიციალური. *დელეგაციის ვიზიტი.*

**ვიზუალური** *ვიზუალურის* თვალის[1] (1) საშუალებით აღქმული, მხედველობითი. *ვიზუალური დაკვირვება.*

**ვითარება** *ვითარების* მდგომარეობა, გარემო. *სამუშაო ვითარება. მძიმე ვითარება. საზეიმო ვითარება.*

**ვითარებითი** *ვითარებითის* გრამატ. სახელის ბრუნვის ერთ-ერთი ფორმა.

**ვითომ** ნაწილაკ. გამოიყენება ისეთი მოქმედების დასახელებისას, რომელიც რეალურად არ ხდება (არ მომხდარა) და წარმოსახვით უნდა დაეუშვათ. *ვითომ ჩვენც ვმუშაობთ. ვითომ წვიმს. ისე იქცევა, ვითომ არაფერი მომხდარა.*

**ვილა** *ვილის* კეთილმოწყობილი, მდიდრული სახლი ქალაქგარეთ. *მეწარმის ვილა.*

**ვიმპელი** *ვიმპელის* I. ბოლოში ორად გაყოფილი გრძელი და ვიწრო ალამი, რომელიც აღმართულია სამხედრო გემის ანძაზე. 2. პატარა სამკუთხედი ალამი, გადაეცემათ რაიმეს აღსანიშნავად. *გარდამავალი ვიმპელი.*

**ვინ** *ვისი* ნაცვ. გამოხატავს კითხვას ადამიანის მიმართ. *ვინ კითხულობს? ვის ელოდები?*

**ვინაიდან** კავშ. წიგნ. რადგან. *სამუშაო ვერ შესრულდა, ვინაიდან სათანადო პირობები არ იყო.*

**ვინაობა** *ვინაობის* ადამიანის გვარი, სახელი და სხვა ზოგადი მონაცემები. *ვინაობა უცნობია. ვინაობა გამოიკითხეს.*

**ვინეგრეტი** *ვინეგრეტის* ცივად საჭმელი კერძი, წვრილად დაჭრილი სხვადასხვა ბოსტნეული, შენელებული ძმრით, ზეთითა და სხვა საკაზმით.

**ვინი** *ვინის* ქართული ანბანის მეექვსე ასოს (ვ-ს) სახელწოდება.

**ვინიცობაა** იმ შემთხვევაში, თუ... *ვინიცობაა, დავიგვიანოთ, ნუ დაგველოდებით.*

**ვინმე** *ვინმეს* ნაცვ. რომელიღაც ადამიანი, განუსაზღვრელი პირი. *ვინმე უნდა იყოს სახლში. ვინმემ უნდა გააცილოს.*

**ვინღა** ნაცვ. იგივეა, რაც ვიღა. *ვინღა მოვა ჩვენს სანახავად?*

**ვინც** ნაცვ. ის ადამიანი, რომელიც. *ვინც გაიმარჯვებს, პრიზს მიიღებს.*

**ვინძლო** ნაწილაკ. გაფრთხილდი! ეცადე! (გამოიყენება, როდესაც სურთ ვინმეს წაქეზება, გამხნევება). *ვინძლო არ წაიქცე! ვინძლო დროზე დაამთავრო!*

**ვიოლინო** *ვიოლინოს* ყველაზე მაღალტემბრიანი, ოთხსიმიანი საკრავი, რომელსაც ხემით აუღერებენ. *კონცერტი ვიოლინოსა და ორკესტრისთვის.* ◎ **ვიოლინოს გასაღები** სანოტო სტრიქონის თავში დასმული მაღალი ნოტის აღმნიშვნელი ნიშანი.

ვიოლინო

**ვიოლონჩელო** *ვიოლონჩელოს* ვიოლინოს ტიპის დიდი, ოთხსიმიანი საკრავი, აქვს იატაკზე დასადგმელი სპეციალური ფეხი. *ვიოლონჩელოს ხმა.*

ვიოლონჩელო

**ვირაჟი** *ვირაჟის* I. მრუდხაზოვანი მოძრაობა მკვეთრი ბრუნებით. *თვითმფრინავმა ვირაჟი გააკეთა.* 2. საავტომობილო გზის, ტრეკის ან სპორტული ბილიკის მონაკვეთი, რომელიც შიგნით არის დახრილი. *ციცაბო ვირაჟი.*

**ვირგლა** *ვირგლას* ტანად დიდი, ღონიერი, თან ბრიყვი, უზრდელი, უსაქციელო. *ვირგლა ბიჭები.*

**ვირეშმაკა** *ვირეშმაკას* ბრიყვი და გაიძვერა, ეშმაკი ადამიანი. *დიდი ვირეშმაკაა.* ■ **ვირეშმაკური** ვირეშმაკას დამახასიათებელი. *ვირეშმაკური საქციელი.*

**ვირეშმაკობა** *ვირეშმაკობის* (ვირეშმაკობს) ვირეშმაკას ქცევა, გაიძვერობა. *ვირეშმაკობას მიუხვდა. ნუ ვირეშმაკობ!*

**ვირთაგვა** *ვირთაგვას* იგივეა, რაც ვირთხა. *კატას ვირთაგვასი ეშინია.*

ვირთხა

**ვირთხა** *ვირთხის* საშუალო ზომის მღრღნელი, ბინადრობს ადამიანის საცხოვრებლის მახლობლად. *ვირთხები მომრავლდნენ.*

ვირი



**ვირი** *ვირის* 1. ცხენის მსგავსი, შედარებით პატარა შინაური ცხოველი, აქვს გრძელი ყურები, მოკლე ფაფარი, გამოიყენება ტვირთის გადასაზიდად. *ვირის ყროყინი.* 2. ლანძღ. უზრდელი, უსაქციელო ადამიანი. *შე ვირო, შენა!*

**ვირისთავი** *ვირისთავის* ლანძღ. უსაქციელო, ცუდის ჩამდენი. *შე ვირისთავო! ვერ უყურებთ ამ ვირისთავს?!*

**ვირისტერფა** *ვირისტერფას* მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარე, აქვს მომრგვალო, დიდი, ქვევიდან თეთრი ფოთლები და რთული ყვავილები, გამოიყენება სამკურნალოდ. *ვირისტერფას ნაყენი.*

**ვირტუალური** *ვირტუალურის* რეალურად არარსებული ან რეალურისგან განსხვავებულად აღქმული, წარმოსახვითი. *ვირტუალური სამყარო.*

**ვირტუოზი** *ვირტუოზის* 1. მსახიობი (ძირითადად, მუსიკოსი), რომელიც სრულყოფილად ფლობს შესრულების ტექნიკას. *ვირტუოზი შემსრულებელი.* 2. გადატ. ადამიანი, რომელიც დიდად არის დახელოვნებული თავის საქმეში. *ვირტუოზის ნახელავი.*

**ვირტუოზული** *ვირტუოზულის* მაღალი ოსტატობით შესრულებული. *ვირტუოზული ნამუშევარი.*

**ვირული** *ვირულის* ბრიყვული, უკულტურო, უზრდელური. *ვირული ქცევა.*

**ვირუსი** *ვირუსის* 1. გადამდები დაავადების გამომწვევი მიკროორგანიზმი. *ვირუსის საწინააღმდეგო ვაქცინა.* 2. კომპიუტერული პროგრამა, რომელიც მრავლდება და აზიანებს კომპიუტერის პროგრამულ ან აპარატურულ ნაწილს. *ვირუსმა ინფორმაცია წაშალა.* ■ **ვირუსული** ვირუსით გამოწვეული. *ვირუსული გრიპი. მცენარეთა ვირუსული დაავადებანი.*

**ვირუსული** *ვირუსულის* ვირუსით გამოწვეული. *ვირუსული გრიპი. მცენარეთა ვირუსული დაავადებანი.*

**ვისი** ნაცვ. რომელი ადამიანისა. *ვისი ჩანთაა? ვისი მეგობარია?*

**ვიტამინი** *ვიტამინის* ორგანული ნივთიერება, რომელიც აუცილებელია ადამიანის, ცხოველებისა და მიკროორგანიზმების ნივთიერებათა ცვლისა და ნორმალური ფუნქციონირებისთვის. *ვიტამინებით მდიდარი.* ■ **ვიტამინებიანი** ვიტამინების შემცველი. *ვიტამინებიანი საკვები.*

**ვიტრაჟი** *ვიტრაჟის* ფერადი მინებისგან გამოყვანილი სურათი ან ორნამენტი. *ვიტრაჟებით მორთული.*

**ვიტრინა** *ვიტრინის* 1. მინიანი თარო ან დიდი ფანჯარა, რომელშიც გამოფენილია გასაყიდი საქონელი. *ვიტრინები დაათვალიერეს. ვიტრინაში ჩანს.* 2. სხვადასხვა დანიშნულების შემინული ავეჯი, რომელშიც გამოფენილია ნივთები. *ჭიქა ვიტრინიდან გამოიღო.*

**ვიქტორინა** *ვიქტორინის* ინტელექტუალური თამაში, რომლის დროსაც მონაწილეებმა უნდა უპასუხონ სხვადასხვა კითხვას. *საბავშვო ვიქტორინა.*

**ვილა** *ვილას* ნაცვ. მეტი ვინ, სხვა ვინ, მაშ ვინ. *ვილა გააკეთებს საქმეს? ვილას იმედი უნდა გქონდეს?*

**ვილაც** ნაცვ.||ვილაცა *ქუჩაში ვილაც მღერის.*

**ვილაცა** *ვილაცის* ნაცვ. რომელილაც ადამიანი, განუსაზღვრელი ვინმე. *ე ზოში ვილაცა დადის. კაცი ვილაცას მიესალმა.*

**ვიშვიში** *ვიშვიშის* (ვიშვიშებს) ჩივილი, წუწუნი. *ვიშვიში მორთო. გაუთავებლად ვიშვიშებს.*

**ვიცე-პრეზიდენტი** *ვიცე-პრეზიდენტის* პრეზიდენტის მოადგილე. *ვიცე-პრეზიდენტის თანამდებობა. ვიცე-პრეზიდენტის კაბინეტი.*

**ვიწრო** *ვიწროს* 1. რასაც პატარა განი, ფართობი აქვს. *ვიწრო გზა. ვიწრო შესასვლელი. ვიწრო ოთახი.* ↔ **ფართო, განიერი.** 2. ტანზე ან ფეხზე მჭიდროდ მომდგარი ჩასაცმელი. *ვიწრო კაბა.* ↔ **ფართო, განიერი.** 3. გადატ. გარკვეულ ფარგლებში მოქცეული, შეზღუდული. *სიტყვის ვიწრო მნიშვნელობა. ვიწრო გაგებით.* ↔ **ფართო.** 4. გადატ. შეზღუდული რაოდენობის, განსაზღვრული. *ადამიანების ვიწრო წრე.* ↔ **ფართო.**

**ვნება**[1] *ვნების* 1. ხორციელი ლტოლვა. *ვნება ამოძრავებს.* 2. დიდი გრძნობა, განცდა, ემოცია. ⊙ **ვნებათა ღელვა** ვნებების სიჭარბე, დიდი მღელვარება.

**ვნება**[2] *ვნების* (ვნებს, ავნებს, ივნებს) ვინმესთვის რაიმეს დაშავება, ზიანის მიყენება. *ალკოჰოლი ვნებს. ამან ბავშვს ძალიან ავნო.*

**ვნებიანი** *ვნებიანის* ვნების (1) გამომხატველი, გამომწვევი. *ვნებიანი გამოხედვა. ვნებიანი ტუჩები.*

**ვოდევილი** *ვოდევილის* მცირე ზომის კომიკური პიესა კეთილი დასასრულით, ჩვეულებრივ, შეიცავს სასიმღერო სტროფებს და სრულდება მუსიკის თანხლებით. *ქართული ვოდევილი.*

**ვოიაჟი** *ვოიაჟის* ირონ. მოგზაურობა. *ისტორიული ვოიაჟი.*

**ვოკალისტი** *ვოკალისტის* პროფესიონალი მომღერალი. *ვოკალისტთა კონკურსი.*

**ვოკალური** *ვოკალურის* სასიმღერო, ხმით შესასრულებელი. *ვოკალური მონაცემები. ვოკალური ნაწარმოები.*

**ვოლანი** *ვოლანის* ფრთების ან ტალღოვანი ჩარჩოს მქონე მსუბუქი, ძაბრისებრი ბურთი ბადმინტონის სათამაშოდ.

**ვოლიერი** *ვოლიერის* შემოღობილი ადგილი (ცირკში, ზოოპარკში) ცხოველებისთვის. *ლომები ვოლიერში მოათავსეს.*

**ვოლონტიორი** *ვოლონტიორის* იგივეა, რაც მოხალისე (2). *ვოლონტიორების რაზმი.*

**ვოლტი** *ვოლტის* ელექტროდენის ძაბვის საზომი ერთეული. *ორასი ვოლტი.*

**ვოლტმეტრი** *ვოლტმეტრის* ელექტროწრედის ორ წერტილს შორის არსებული დენის ძაბვის საზომი ხელსაწყო.

**ვოლუნტარისტი** *ვოლუნტარისტის* პირი, რომელიც გადაწყვეტილებას იღებს მხოლოდ სუბიექტური შეხედულებებით, საკუთარი ნების კარნახით. *ვოლუნტარისტივით იქცევა.*

**ვოტუმი** *ვოტუმის* კენჭისყრით მიღებული გადაწყვეტილება.

**ვრცელი** *ვრცელის* 1. დიდი ფართობის მქონე, ფართოდ გაშლილი. *ვრცელი მინდორი. ვრცელი სახნავი.* 2. დაწვრილებითი, ყველაფრის მომცველი. *ვრცელი მსჯელობა. ვრცელი მეცნიერული გამოკვლევა.* ▲ **ვრცლად** ზმნ. დაწვრილებით, მრავლის მომცველად. *მომხსენებლებმა ვრცლად ისაუბრეს.*

**ვუალი** *ვუალის* გამჭვირვალე ქსოვილი ან ბადე, რომელიც უკეთდება ქალის ქუდს სახის დასაფარავად.

**ვულგარიზმი** *ვულგარიზმის* ვულგარული სიტყვა ან გამოთქმა სალიტერატურო ენაში.

**ვულგარული** *ვულგარულის* უხამსი, უხეში. *ვულგარული გამოთქმა. ვულგარული მანერები.*

**ვულკანი** *ვულკანის* მთა, რომლის ნიაღიდანაც პერიოდულად ცეცხლი, გავარვარებული ლავა და ფერფლი ჰაერში ამოიფრქვევა. *ჩამქრალი ვულკანი. ვულკანი გააქტიურდა.*

ვულკანი

**ვულკანიზაცია** *ვულკანიზაციის* ტექნ. კაუჩუკის დამუშავება მაღალი ტემპერატურის პირობებში მისგან რეზინის მისაღებად.

**ვულკანური** *ვულკანურის* ვულკანის ამოფრქვევის შედეგად ჩამოყალიბებული. *ვულკანური ქანები.*

**ვუნდერკინდი** *ვუნდერკინდის* გასაკუთრებული, არაჩვეულებრივი ნიჭის მქონე ბავშვი. *ვუნდერკინდის წარმატება.*

# – ზ –

**ზადი** *ზადის* ნაკლი, წუნი. *ზადი ვერ უპოვა.*

**ზავი** *ზავის* შეთანხმება, რომელიც იდება დაპირისპირებულ, მეომარ მხარეთა შორის მშვიდობის დამყარების მიზნით. *დროებითი ზავი. ზავის პირობები.*

**ზაზუნა** *ზაზუნას* მინდვრის მღრღნელი. *ზაზუნას სორო.*

**ზათქი** *ზათქის* დიდი ხმაური, ძლიერი შეჯახების ხმა. *ტალღების ზათქი.*

**ზალპი** *ზალპის* რამდენიმე ცეცხლსასროლი იარაღიდან ერთდროულად გასროლა. *საარტილერიო ზალპი.*

**ზამბარა** *ზამბარის* სპირალისებურად დახვეული დრეკადი მავთული. *საათის ზამბარა.* ▪ **ზამბარიანი** რასაც ზამბარა აქვს. *ზამბარიანი მოწყობილობა.*

**ზამბახი** *ზამბახის* მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარე, აქვს გრძელი ფოთლები და მსხვილი, იისფერი, თეთრი ან ყვითელი ყვავილები. *ქართული ზამბახი.*

**ზამთარ-ზაფხულ** ზმნზ. მთელი წლის განმავლობაში. *ზამთარ-ზაფხულ ყვავის.*

**ზამთარი** *ზამთრის* წელიწადის დრო, რომელიც მოსდევს შემოდგომას, მისი თვეებია: დეკემბერი, იანვარი, თებერვალი. *ზამთარი დადგა. ზამთრის კურორტი.* ▪ **ზამთარში** ზმნზ. ზამთრის განმავლობაში, როცა ზამთარია. *ზამთარში თოვს.* ▪ **ზამთრობით** ზმნზ. ყოველ ზამთარს. *ზამთრობით დათვი იძინებს.* ⊙ **ზამთრის პირი** გვიანი შემოდგომა,ზამთრის დასაწყისი.

**ზამში** *ზამშის* ირმის, ცხვრის ან სხვა ცხოველის ტყავის დამუშავებით მიღებული რბილი, ხავერდოვანი, წყალგაუმტარი მასალა, გამოიყენება ფეხსაცმლის, ტანსაცმლისა და მისთ. წარმოებაში. *ზამშის ხელთათმანი. ხელოვნური ზამში.*

**ზანგი** *ზანგის* საუბრ. იგივეა, რაც შავკანიანი. *ზანგების პრობლემა ამერიკაში წარსულს ჩაჰბარდა.*

**ზანდუკი** *ზანდუკის* იგივეა, რაც სკივრი. *ბებოს ზანდუკი.*

**ზანდური** *ზანდურის* კილიანი ხორბლის ძველი ქართული ჯიში, თავთავი ადვილად ემტვრევა.

**ზანზალაკი** *ზანზალაკის* მცირე ზომის ზარი. *ვერცხლის ზანზალაკი.* ▪ **ზანზალაკებიანი** ზანზალაკების მქონე. *ზანზალაკებიანი ზარდახშა.*

**ზანზარი** *ზანზარის* დიდი ზომის საგნების ძლიერი რყევა, რხევა. *ხიდი ზანზარებს.*

**ზანტი** *ზანტის* ძალიან ზარმაცი, მოძრაობაში მოუქნელი. *ზანტი ხარი.*

**ზარალი** *ზარალის* (ზარალობს) დანაკარგი, დანაკლისი (ქონებისა, ადამიანებისა და მისთ.). *დიდი ზარალი მიაყენა. ფირმამ ი ზარალა.*

**ზარაფხანა** *ზარაფხანის* დაწესებულება, სადაც ფულს ამზადებენ.

**ზარბაზანი** *ზარბაზნის* ჭურვის, ნაღმის სატყორცნი გრძელლულიანი საარტილერიო იარაღი. *ზარბაზნის გასროლა. ზარბაზნის ცეცხლი.*

**ზარდაცემული** *ზარდაცემულის* იგივეა, რაც თავზარდაცემული. *ზარდაცემული შეჰყურებს.*

**ზარდახშა** *ზარდახშის* სამკაულების შესანახი პატარა ყუთი. *ოქროულის ზარდახშა.*

**ზარ-ზეიმი** *ზარ-ზეიმის* დიდი მხიარულება, საყოველთაო ზეიმი. *გამარჯვება ზარ-ზეიმით აღნიშნეს.*

**ზარი**[1] *ზარის* 1. ლითონისგან ჩამოსხმული კონუსის ფორმის საგანი, რომელიც ხმას გამოსცემს შუაში ჩამოკიდებული ღეროს კედლებზე მირტყმით. *ზარების რეკვა.* 2. მოწყობილობა, რომელიც ბგერებს გამოსცემს, გამოიყენება სასიგნალოდ. *ზარის წკრიალი. ელექტრონული ზარი. ტელეფონის ზარი.*

ზარი



**ზარი**[2] *ზარის* მოთქმით ტირილი, გლოვა, დიდი მწუხარება. ⊙ **შიშის ზარი ელდა, შეშფოთება, რასაც ინვევს ძლიერი შიშის, საშინელების განცდა.**

**ზარმაცი** *ზარმაცის* ვისაც რაიმეს კეთება, შრომა ეზარება. *ზარმაცი ბავშვი.*

**ზარნაშო** *ზარნაშოს* დიდი ბუ. *ზარნაშოს ბუდე.*

**ზარნიში** *ზარნიშის* ლითონის ნივთებზე ამოჭრილი სხვადასხვა სახე, ოქროთი და ვერცხლით ამოვსებული. *ზარნიშის ოსტატი.* ▪ **ზარნიშიანი** ზარნიშის მქონე. *ზარნიშიანი ხანჯალი.*

**ზარფუში** *ზარფუშის* საარყე ქვაბის მაღალი თაუსახური.

**ზარხოში** *ზარხოშის* მცირე სიმთვრალე. *ზარხოში მოერია.*

**ზარხუფი** *ზარხუფის* კონუსის ფორმის ხუფი, გამოიყენება სხვადასხვა ტექნიკური დანიშნულებით. *ლითონის ზარხუფი.*

**ზაფრანა** *ზაფრანის* ფართოდ გავრცელებული ყვავილოვანი, სურნელოვანი მცენარე, გამოიყენება სანელებლად. *ზაფრანის ყვავილი.*

**ზაფხული** *ზაფხულის* წელიწადის დრო, რომელიც მოსდევს გაზაფხულს, მისი თვეებია: ივნისი, ივლისი, აგვისტო. *ცხელი ზაფხული. ზაფხული მოდის.* ▪ **ზაფხულობით** ზმნზ. ყოველთვის, როცა ზაფხულია, ჩვეულებრივ, ზაფხულში. *ზაფხულობით ზღვაზე დადის.* ▪ **ზაფხულში** ზმნზ. ზაფხულის განმავლობაში, როცა ზაფხულია. *ზაფხულში ცხელა.*

**ზაქი** *ზაქის* კამეჩის ნაშიერი (დაბადებიდან 3 წლამდე). *ზაქი გადენეს.*


ზებრა

**ზებრა** *ზებრის* ცხენის მსგავსი გარეული ცხოველი, აქვს თეთრი და შავი ზოლები. *ზებრების ჯოგი.*

**ზებუ** *ზებუს* შინაური კუზიანი ცხოველი, ჰგავს ხარს, გავრცელებულია აფრიკასა და ცენტრალურ აზიაში. *ზებუს მოკლე ფეხები აქვს.*

**ზებუნებრივი** *ზებუნებრივის* შეუცნობელი, ამოუხსნელი. *ზებუნებრივი ძალები. ზებუნებრივი მოვლენა.*

**ზეგ** ზმნზ. დღეიდან მესამე, ხვალის მომდევნო დღეს. *ზეგ გელოდები.* ⊙ **ხვალ არა – ზეგ / ხვალ თუ ზეგ** ძალიან მალე, ახლო მომავალში.

**ზეგავლენა** *ზეგავლენის* გავლენა, ზემოქმედება. *მავნე ზეგავლენა. მსმენელზე ზეგავლენა მოახდინა. დიდი ზეგავლენა აქვს.*

**ზეგანი** *ზეგნის* 1. ვრცელი სწორი ადგილი მთიან რელიეფში. *თრიალეთის ზეგანი.* 2. პატარა მოსწორებული ადგილი მთაზე. *კარავი ზეგანზე გაშალეს.*

**ზეგინდელი** *ზეგინდელის* რაც ზეგ იქნება. *ზეგინდელი დილა.*

**ზედ** ზმნზ. 1. ზევიდან, გარედან. *ზედ მეორე სართული დაადგა. ზედ მიიკრა.* 2. ახლოს, მჭიდროდ. *სახლი ზედ მდინარის პირას დგას.* 3. თან, კიდევ, შემდეგ. *ზედ დესერტიც დააყოლა.*

**ზედა** *ზედას* იგივეა, რაც ზევითა. *ზედა კბილები. ნიადაგის ზედა ფენები. ზედა სართული.* ↔ **ქვედა.**

**ზედადგარი** *ზედადგრის* რკინის სამფეხა სადგამი, რომელიც გამოიყენება ქვაბის ცეცხლზე შესადგმელად.

**ზედამხედველი** *ზედამხედველის* ორგანიზაციის თანამშრომელი, რომელსაც ევალება ვინმეს ან რაიმეს მეთვალყურეობა. *ციხის ზედამხედველი. ბაზრის ზედამხედველი.*

**ზედამხედველობა** *ზედამხედველობის* (ზედამხედველობს) თვალყურის დევნება, წესრიგის დაცვა. *ზედამხედველობა დაავალეს. სასწავლო პროცესს ზედამხედველობს.*

**ზედაპირი** *ზედაპირის* რაიმეს ზედა ნაწილი, გარეთა მხარე. *წყლის ზედაპირი. რელიეფური ზედაპირი.* ⊙ **ზედაპირზე დევს** ადვილად შესამჩნევი, დასანახი, ამოსაცნობია.

**ზედაპირული** *ზედაპირულის* მეტისმეტად მარტივი, არასიღრმისეული, არასაფუძვლიანი. *ზედაპირული მიდგომა. საკითხის ზედაპირული განხილვა.*

**ზედაშე** *ზედაშის* 1. საუკეთესო ხარისხის ნითელი ღვინო, რომელსაც იყენებენ საეკლესიო რიტუალების შესრულების (ზიარების, ჯვრისწერისა და მისთ.) დროს. 2. საგანგებო ქვევრი, რომელშიც ზედაშეს (1) ინახავენ. *ზედაშეს თავი მოხადა.*

**ზედახორა** *ზედახორას* 1. ერთმანეთზე უწესრიგოდ დაყრილი, ერთმანეთში არეული საგნების გროვა. *რა ზედახორაა!* 2. გადატ. ადამიანების უწესრიგო, არეული მოძრაობა შემოსაზღვრულ სივრცეში. *დარბაზში ზედახორა იდგა.*

**ზედგამოჭრილი** *ზედგამოჭრილის* უაღრესად, მეტისმეტად მსგავსი. *ზედგამოჭრილი მამამისია.*

**ზედიზედ** ზმნზ. ერთიმეორის შემდეგ, სწრაფად, მიყოლებით. *ზედიზედ იმეორებს.*

**ზედმეტი** *ზედმეტის* არასაჭირო, საკმარისზე მეტი. *ზედმეტი წონა. ზედმეტი სიფრთხილე.* ⊙ **ზედმეტი ბარგი** უსარგებლო, არაფრისთვის საჭირო.

**ზედმიწევნით** ზმნზ. საფუძვლიანად, გულდასმით, ამომწურავად. *ზედმიწევნით იმახსოვრებს.*

**ზედნადები** *ზედნადების* რაიმე საქონელზე (2) ან გადასაზიდ ტვირთზე დართული საბუთი, რომელშიც აღნიშნულია საქონლის (ტვირთის) დასახელება, რაოდენობა და ფასი. *ზედნადები შეავსო.*

**ზედნაშენი** *ზედნაშენის* ფილოს. ამა თუ იმ საზოგადოებრივი წყობილების საფუძველზე წარმოშობილი პოლიტიკური, უფლებრივი, რელიგიური, მხატვრული, ფილოსოფიური და სხვა შეხედულებანი.

**ზედსართავი** *ზედსართავის* ⊙ **ზედსართავი სახ-**

ელი გრამატ. მეტყველების ნაწილი, რომელიც გამოხატავს საგნის ნიშან-თვისებას.

**ზედსიძე** *ზედსიძის* სიძე, რომელიც სიმამრის ოჯახში ცხოვრობს. *ზედსიძედ შევიდა ოჯახში.*

**ზევით** ზმნ. ზედა ნაწილში, მაღლა. *ზევით ამობრძანდით!* ↔ ქვევით. ■ **ზევით-ზევით** უფრო და უფრო ზევით, მაღლა-მაღლა. *ზევით-ზევით მიიწევს.*

**ზევითა** *ზევითას* ზევით მყოფი, რაც ზევით არის. *ზევითა მხარე. ზევითა მინები.*

**ზეზე** ზმნ. ფეხზე. *ზე ზე წამოხტა.*

**ზეზეურად** ზმნ. ფეხზე დგომით, დაუჯდომლად. *ზე ზეურად დანაყრდა. ზე ზეურად ეძინება.*

**ზეთი** *ზეთის* ბლანტი ცხიმოვანი სითხე, რომელიც მიიღება მცენარეული ან მინერალური ნედლეულის გადამუშავების შედეგად. *ზეითუნის ზეთი. სელის ზეთი. მანქანის ზეთი.* ⊙ **სახეზე ზეთი ჩამოსდის** სულ მოღუშულია, დაღვრემილია.

ზეთისხილი

**ზეთისხილი** *ზეთისხილის* 1. ზეთით მდიდარი კურკოვანი ხილი, იჭმება დამარილებული. 2. საშუალო სიმაღლის მარადმწვანე ხე, რომელიც ისხამს ზეთისხილს. აქვს სურნელოვანი, თეთრი ყვავილები. *ზეთისხილის ბაღები.*

**ზეთოვანი** *ზეთოვანის* ზეთის შემცველი. *ზეთოვანი ნივთიერება.*

**ზეიმი** *ზეიმის* (ზეიმობს, აზეიმებს) ღირსშესანიშნავი ამბის, მოვლენის, თარიღის აღნიშვნა ხალხმრავალი სამხიარულო-გასართობი ღონისძიებით. *ზეიმი გაიმართა.*

**ზეინკალი** *ზეინკლის* ხელოსანი, რომელიც ლითონის მასალაზე მუშაობს. *ზეინკლის იარაღი.*

**ზეინკლობა** *ზეინკლობის* ზეინკლის ხელობა, ზეინკლის სპეციალობით მუშაობა. *ზეინკლობა შეისწავლა.*

**ზელა** *ზელის* (ზელს, აზელს, იზელს, უზელს, იზილება, აზელინებს) 1. ↑ აზელა. *თიხასავით იზილება.* 2. ↑ მოზელა. *ცომს დიდხანს უნდა ზელა. ხელით ზელს.* 3. ↑ დაზელა. *ავადმყოფს საფეთქლებს უზელს.*

**ზემდგომი** *ზემდგომის* თანამდებობრივად ან ადმინისტრაციულად უფროსი, ხელმძღვანელი. *ზემდგომი პირი. ზემდგომი ინსტანცია. ზემდგომი ორგანოები.*

**ზემდეგი** *ზემდეგის* უმცროს მეთაურთა შორის ყველაზე მაღალი წოდება. *ზემდეგმა ჯარისკაცების სია ამოიკითხა.*

**ზემო** *ზემოს* ზევით, ზედა მხარეს მყოფი, არსებული. *ზემო სოფელი.* ↔ ქვემო.

**ზემოთ** ზმნ. იგივეა, რაც ზევით. *ზემოთ იყურება.*

**ზემოთა** *ზემოთას* ის, რაც მაღლა, ზემოთაა. *ზემოთა ადგილი. ზემოთა სართული.* ↔ ქვემოთა.

**ზემოური** *ზემოურის* ზემო მხარის, კუთხისა და მისთ. წარმომადგენელი, კუთვნილი, დამახასიათებელი. *ზემოური სიძე.*

**ზემოხსენებული** *ზემოხსენებულის* ის, რაზეც უკვე ვილაპარაკეთ. *ზემოხსენებული საკითხები. ზემოხსენებული პიროვნება.*

**ზენა** *ზენას* 1. იგივეა, რაც ზემოური. *ზენა ქარი.* 2. გადატ. ღვთაება, ზეციური ძალა. *ზენამ გიკურთხოს მარჯვენა! ზენა გწყალობდეს.*

**ზენი** *ზენის* ქართული ანბანის მეშვიდე ასოს (ზ-ს) სახელწოდება.

**ზენიტი** *ზენიტის* 1. ცის უმაღლესი წარმოსახვითი წერტილი დამკვირვებლის თავზე. *მზე ზენიტში არის.* 2. გადატ. რაიმეს განვითარების უმაღლესი საფეხური. *შემოქმედების ზენიტში იმყოფება.*

**ზეპირად** ზმნ. ნაწერში ჩაუხედავად. *ზეპირად იცის. ზეპირად უპასუხა.*

**ზეპირი** *ზეპირის* ჩაუწერლად (ან წაუკითხავად) ნათქვამი, გადმოცემული. *ზეპირი ანგარიში. ზეპირი მეტყველება.*

**ზეპირობა** *ზეპირობის* (ზეპირობს) იგივეა, რაც დაზეპირება. *ლექსს ზეპირობს.*

**ზეპირსიტყვაობა** *ზეპირსიტყვაობის* იგივეა, რაც **ზეპირსიტყვიერება**. *ზეპირსიტყვაობის საუკეთესო ნიმუშები.*

**ზეპირსიტყვიერება** *ზეპირსიტყვიერების* ხალხური სიტყვიერი ხელოვნება, რომელიც ზეპირად ვრცელდება და გადაეცემა თაობიდან თაობას. *ზეპირსიტყვიერების მარგალიტები.*

**ზერელე** *ზერელეს* არასაფუძვლიანი, დაუდევარი, არაღრმა. *ზერელე ნახნავი. საკითხის ზერელე განხილვა.* ▲ **ზერელედ** ზმნ. ზედაპირულად, არასაფუძვლიანად. *ზერელედ იცის.*

**ზეშთაგონება** *ზეშთაგონების* შემოქმედებითი ნიჭი, შემოქმედებითი აღტაცება. *ზეშთაგონების ნაყოფი.*

**ზეცა** *ზეცის* იგივეა, რაც ცა. *ზეცაში გაფრინდა.*

**ზეციური** *ზეციურის* ზეცაში მყოფი, ზეცის ბინადარი. *ზეციური ანგელოზი. ზეციური ძალები.*

**ზეწარი** *ზეწრის* ლეიბზე გადასაფარებელი ქსოვილი. *თეთრი ზეწარი. ჩითის ზეწარი.*

**ზვავი** *ზვავის* 1. მთიდან ან ფერდობებიდან გროვად წამოსული და დიდი ძალით დაქანებული თოვლი. *ზვავი გ ზადაგ ზა ყველაფერს ანადგურებდა.* 2. ღრმა ხევებსა და ჭალებში ჩაგროვილი თოვლის დიდი მასა. *ცხვარი ზვავ ზე ყრია.*

**ზვარაკი** *ზვარაკის* 1. ძვ. მსხვერპლშეწირვისთვის განკუთვნილი ცხოველი. *ზვარაკი შესწირეს.* 2. გადატ. მსხვერპლი. *მამულს ზვარაკად შეეწირა.*

**ზვარი** *ზვრის* დიდი ვენახი. *დიდი ზვრები. ზვრები დაიკრიფა.*

**ზვიადი** *ზვიადის* ქედმაღალი, ამპარტავანი. *ზვიადი გამოხედვა.*

**ზვიგენი** *ზვიგენის* ზღვის დიდი მტაცებელი თევზი. *ზვიგენი ძალიან საშიშია.*



ზვიგენი

**ზვინი** *ზვინის* თივის, ძნის ან ჩალის მაღალი, სპეციალურად დადგმული გროვა. *ზვინს ცეცხლი წაეკიდა.*

ზვინი

**ზვირთი** *ზვირთის* დიდი ტალღა. *ზვირთებში ჩაიკარგა.*

**ზიანი** *ზიანის* გაფუჭება, ნახდენა. *ზიანი მიაყენა.*

**ზიარება** *ზიარების* (აზიარებს, ეზიარება) 1. ქრისტიანული რელიგიის ერთ-ერთი უდიდესი საიდუმლო, წირვაზე ქრისტეს წმინდა სისხლისა და ხორცის მიღება პურისა და ღვინის სახით. *ზიარების საიდუმლო. ზიარება დაიწყო. მოძღვარმა აზიარა.* 2. ახალი სფეროს, დარგისა და მისთ. გაცნობა, რაიმეს მონაწილედ გახდომა. *პოეზიას ეზიარა. დიდ ხელოვნებას ეზიარა.*

**ზიარი** *ზიარის* ის, რაც ორ ან მეტ ვინმეს თანაბრად ეკუთვნის, რასაც თანაბრად ფლობენ. *ზიარი ქონება. ზიარი ყანები.*

**ზიარჭურჭელი** *ზიარჭურჭლის* ორი ან მეტი ერთმანეთთან შეერთებული ჭურჭელი, რომელშიც სითხეს ასხამენ. *ზიარჭურჭელი გაავსეს.*

**ზიგზაგი** *ზიგზაგის* დატეხილი, დაკლაკნილი, უწყვეტი ხაზი. *ზიგზაგი ბილიკი. ზიგზაგებით გარბოდა.*

**ზიდება** *ზიდების* (აზიდებს) ღებინების შეგრძნება. *ავადმყოფს აზიდებს.*

**ზიდვა** *ზიდვის* (ზიდავს, უზიდავს, ეზიდება, აზიდვინებს) სიმძიმის, ტვირთის ტარება. *ჯვრის ზიდვა. შეშას ეზიდებიან.*

**ზიზია** *ზიზიის* ბავშვ. ახალი, ლამაზი. *ზიზია ტანსაცმელი.*

**ზიზილ-პიპილო** *ზიზილ-პიპილოს* უგემოვნოდ ჭრელი (ტანსაცმელი). *ზიზილ-პიპილოები აცვია.*

**ზიზღი** *ზიზღის* (ეზიზღება) უარყოფითი გრძნობა, რომელსაც იწვევს რაიმე ბინძურის, უწმინდურის დანახვა, შეხება ან შეგრძნება. *ზიზღი ვერ დაფარა. ბავშვობიდან ეზიზღება.*

**ზიმზიმი** *ზიმზიმის* ჩოჩქოლი, ურიამული, ხმაური. *სტადიონზე ხალხის ზიმზიმი იყო.*

**ზინზლი** *ზინზლის* ოფლისა და ცხიმისგან გაჩენილი ჭუჭყი. *ზინზლის სუნი.* ■ **ზინზლიანი** ზინზლით დაფარული. *ზინზლიანი კაბა.*

**ზირა** *ზირას* ერთწლოვანი მცენარე, იკეთებს ქოლგებად შეკრებილ პატარა ყვავილებს, მისი სურნელოვანი ნაყოფი გამოიყენება სანელებლად.

**ზლაზვნა** *ზლაზვნის* (იზლაზნება) უხალისო, ნელი, უსიცოცხლო მოძრაობა. *კარისკენ ზლაზვნით გაემართა.*

**ზლაზნია** *ზლაზნიას* ვინც იზლაზნება, ზარმაცობს. *ზლაზნია ბავშვი.*

**ზლუქუნი** *ზლუქუნის* (ზლუქუნებს) ხმამაღალი, გულამოსკვნილი ტირილი. *ზლუქუნი დაიწყო. ბავშვი ზლუქუნებს. დიდხანს იზლუქუნა.*

**ზმანება** *ზმანების* (ეზმანება) მოჩვენება, სიზმარი, მოლანდება. *ზმანება ნახა. სატრფო ეზმანება.*

**ზმნა** *ზმნის* გრამატ. მეტყველების ნაწილი, რომელიც აღნიშნავს მოქმედებას ან მდგომარეობას.

**ზმნიზედა** *ზმნიზედის* გრამატ. მეტყველების ნაწილი, რომელიც განსაზღვრავს ზმნით (აგრეთვე სახელზმნით) გამოხატულ მოქმედებას.

**ზმნისართი** *ზმნისართის* გრამატ. იგივეა, რაც ზმნიზედა.

**ზმნისწინი** *ზმნისწინის* გრამატ. ზმნის თავსართი.

**ზმორება** *ზმორების* (აზმორებს, იზმორება) ↑ გაზმორება. *ბავშვი იზმორება.*

**ზმუილი** *ზმუილის* (ზმუის, აზმუილებს, აზმუვლებს) ძროხის, ხბოსა და მისთ. დამახასიათებელი გაბმული ხმადაბალი ბღავილი. *კამეჩი ზმუის. ზმუილი გაისმა.*

**ზმუკუნი** *ზმუკუნის* (ზმუკუნებს, აზმუკუნებს) ჭირვეული, მოჩვენებითი ტირილი, ჩვეულებრივ, უკმაყოფილების გამოხატვის მიზნით. *დიდხანს იზმუკუნა.*

**ზნე** *ზნის* იგივეა, რაც ხასიათი (1). *ცუდი ზნის ბავშვია.*

**ზნედაცემული** *ზნედაცემულის* უზნეო (1), ცუდი ყოფა-ქცევის, ამორალური. *ზნედაცემული კაცია.*

**ზნეობა** *ზნეობის* იმ წესებისა და ნორმების (2) ერთობლიობა, რომლებიც მისაღებია და აღიარებულია ამა თუ იმ საზოგადოებაში. *მაღალი ზნეობა. ზნეობა არა აქვს.*

**ზნეობრივი** *ზნეობრივის* ზნეობასთან დაკავშირებული, მაღალი ზნეობის მქონე. *ზნეობრივი საქციელი. ზნეობრივი პიროვნება.*

**ზნეობრიობა** *ზნეობრიობის* მაღალი ზნეობის ქონა, ზნეობის დაცვა. *ზნეობრიობით გამოირჩევა.*

**ზნექა** *ზნექის* (ზნექს, იზნიქება, ეზნიქება) ↑ მოზნექა. *გოგონა წელში იზნიქება. ქარი ხეებს ზნექდა.*

**ზოგადი** *ზოგადის* 1. საერთო, ყველას დამახასიათებელი. *ზოგადი თვისებები.* 2. თეორიული, არაკონკრეტული. *ზოგადი ხასიათის მიმოხილვა. ზოგადი მსჯელობა.*

**ზოგადკაცობრიული** *ზოგადკაცობრიულის* რაც მთელი კაცობრიობისთვისაა მნიშვნელოვანი. *ზოგადკაცობრიული იდეები.*

**ზოგან** ზმნზ. ზოგ ადგილას. *ზოგან თოვს. ზოგან დაარიგეს ბარათები.*

**ზოგი** *ზოგის* ნაცვ. არა ყველა, ყველადან რომელიმე. *ზოგი მოსწავლე. ზოგი ქალაქი.*

**ზოგიერთი** *ზოგიერთის* ნაცვ. იგივეა, რაც ზოგი. *ზოგიერთი ადამიანი. ზოგიერთი სკოლა.*

**ზოგჯერ** ზმნზ. ზოგ შემთხვევაში, ხანდახან, არაყოველთვის. *ზოგჯერ ცხელა. ზოგჯერ შემოიღის ხოლმე.*

**ზოდი** *ზოდის* I. გამოდნობით მიღებული ლითონის ნაჭერი. *ოქროს ზოდები.* 2. ზოგადად, მკვრივი ნივთიერების მთლიანი ნაჭერი. *ქვანახშირის ზოდები.*

**ზოდიაქო** *ზოდიაქოს* თორმეტი თანავარსკვლავედის ერთიანობა, რომლის გავლითაც მოძრაობს მზე წლის განმავლობაში. *მზე კირჩხიბის ზოდიაქოში შევიდა.* ⊙ ზოდიაქოს ნიშანი ზოდიაქოში შემავალი თითოეული თანავარსკვლავედის აღნიშვნა.

**ზოზინი** ზოზინებს ძალიან ნელი, უსიცოცხლო მოძრაობა. *ზოზინით დადის. ზოზინით აკეთებს საქმეს. ნუ ზოზინებ!*

**ზოლი** *ზოლის* I. ვიწრო და გრძელი სიბრტყე ან რაიმეზე გავლებული ხაზი. *თეთრი ზოლი.* 2. ვიწრო და გრძელი ფართობი, რომელიც გამოიყენება სხვადასხვა დანიშნულებით. *ქარსაცავი ზოლი.* ▮ ზოლიანი ზოლების მქონე. *ზოლიანი შარვალი.*

**ზომა** *ზომის* I. რაიმეს სიდიდე, განსაზღვრული ოდენობა. *დიდი ზომა. ერთი ზომის.* 2. რაიმეს დასაშვები რაოდენობა. *ზომაზე მეტი დალია.* 3. ხერხი, ღონისძიება. *გადამჭრელი ზომები.* 4. ლიტ. ლექსწყობაში მარცვლების ესა თუ ის რაოდენობა და სტრიქონებში მათი განლაგება. *თორმეტმარცვლიანი ზომა.* ⊙ იმ ზომამდე იმდენად რომ...

**ზომვა** *ზომვის* (ზომავს, იზომავს, უზომავს, იზომება, ეზომება, აზომვინებს) ↑ გაზომვა (1). *მანძილს ზომავენ. წნევას უზომავს.*

**ზომიერება** *ზომიერების* თავშეკავებულობა, მიღებული ნორმებისა და წესების დაცვა. *ყველაფერში ზომიერება იცის. ზომიერების გრძნობას არ კარგავს.*

**ზომიერი** *ზომიერის* გარკვეული ნორმის ფარგლებში მოქცეული. *ზომიერი მოლხენა. ზომიერი საქციელი. ზომიერი ჰავა.*

**ზონა** *ზონის* ადგილი, სივრცე გარკვეულ საზღვრებს შორის, რაიმეს სიახლოვეს, რაიმეს გასწვრივ. *სასაზღვრო ზონა. ნეიტრალური ზონა. დასახლებული ზონა.*

**ზონარი** *ზონრის* ძაფის რამდენიმე წვერის შეგრეხით ან დაწნვით მიღებული წვრილი ზოლი. *აბრეშუმის ზონარი. ბამბის ზონარი. ფეხსაცმლის ზონარი.*

**ზონდი** *ზონდის* I. სამედიცინო იარაღი, წვრილი მილი ადამიანის შინაგანი ორგანოების გამოსაკვლევად, სამკურნალოდ. *ზონდი გადაყლაპა.* 2. ნიადაგის, წყლის სიღრმის, ჭაბურღილების გამოსაკვლევი სხვადასხვა ტიპის ინსტრუმენტების საერთო სახელწოდება. 3. მეტეოროლოგიური დაკვირვების ხელსაწყოებით აღჭურვილი საჰაერო ბურთი.

**ზონდირება** *ზონდირების* I. კვლევა ზონდის საშუალებით. 2. გადატ. წინასწარ გარკვევა, დაზვერვა. *პრობლემის ზონდირება დაევალა.*

**ზონზროხა** *ზონზროხას* საუბრ. დიდი ტანის, ტლანქი, უშნოდ მსუქანი. *ზონზროხა გოგო.*

**ზოოლოგი** *ზოოლოგის* ზოოლოგიის სპეციალისტი. *ზოოლოგთა ექსპედიცია.*

**ზოოლოგია** *ზოოლოგიის* მეცნიერება, რომელიც შეისწავლის ცხოველთა სამყაროს. *ზოოლოგიის წიგნი.*

**ზოოპარკი** *ზოოპარკის* შემოსაზღვრული ტერიტორია, სადაც ველური ცხოველები ბუნებრივ პირობებში ან გალიებსა და ვოლიერებში ცხოვრობენ. *ზოოპარკში სპილოები ჰყავთ.*

**ზორბა** *ზორბას* საუბრ. დიდი ტანის, ახოვანი. *ზორბა ბიჭი.*

**ზორტი** *ზორტის* ქსოვილის ვიწრო ზოლი, რომლითაც იმაგრებენ ტანსაცმლის ნაწილებს. *კაბის ზორტი. პერანგის ზორტი.*

**ზრახვა** *ზრახვის* ↑ განზრახვა. *ავი ზრახვები.*

**ზრდა** *ზრდის* (ზრდის, იზრდის, უზრდის, იზრდება, ეზრდება, აზრდევინებს) I. ↑ გაზრდა. *ბავშვები იზრდებიან. ხე იზრდება. ორი შვილი ეზრდება.* 2. რაოდენობის, მოცულობისა და მისთ. მატება. *ფასების ზრდა. ხელფასები იზრდება.*

**ზრდადი** *ზრდადის* რაც იზრდება, თანდათანობით იმატებს. *ზრდადი ტემპი. ზრდადი შემოსავალი.*

**ზრდილი** *ზრდილის* კარგად აღზრდილი, კულტურული. *ზრდილი ყმაწვილი.*

**ზრდილობა** *ზრდილობის* საზოგადოებაში მიღებული ქცევის წესების ცოდნა და დაცვა. *ზრდილობა არ აკლია. ზრდილობა გამოიჩინა.*

**ზრდილობიანი** *ზრდილობიანის* ვისაც ზრდილობა ახასიათებს, ზრდილობის შესაბამისი. *ზრდილობიანი ბავშვი. ზრდილობიანი საუბარი.*

**ზრიალი** *ზრიალის* ადვილად მსხვრევადი საგნების მიერ რყევის დროს გამოცემული ხმა. *ფანჯრის მინების ზრიალი. ჭურჭელმა ზრიალი დაიწყო.*

**ზრუნვა** *ზრუნვის* (ზრუნავს) განსაკუთრებული ყურადღება, ფიქრი, შრომა ვინმესთვის ან რაიმესთვის. *მომავლისთვის ზრუნვა. ბავშვებზე ზრუნავს. სადილზე იზრუნეს.*

**ზუზუნი** *ზუზუნის* (ზუზუნებს) I. ჰაერში დიდი სიჩქარით მოძრავი საგნის ან ჰაერის ძლიერი ნაკადის მიერ გამოცემული გაბმული ხმა. *ქარის ზუზუნი. ტყვიები ზუზუნებენ.* 2. იგივეა, რაც ბზუილი. *ფუტკრები ზუზუნებენ.*

**ზუთხვა** *ზუთხვის* (იზუთხავს) ↑ დაზუთხვა. *გაკვეთილებს იზუთხავს. ლექსებს იზუთხავს.*

**ზუთხი** *ზუთხის* მსხვილი სარეწაო თევზი, აქვს მაღალი ხარისხის ხორცი. *ზუთხის ქვირითი.*

**ზუმბა** *ზუმბის* ლითონის წვრილი, გრძელი ღერო, რომელიც გამოიყენება თოფის ლულის შიგნიდან გასაწმენდად.

**ზუმერი**[1] *ზუმერის* ელექტრული ხელსაწყო ხმოვანი სიგნალების მისაღებად. *ტელეფონის ზუმერი.*

**ზუმფარა** *ზუმფარის* მაგარი მინერალი, გამოიყენება ლითონის ნაკეთობათა გასაწმენდად და გასაპრიალებლად.

**ზურგი** *ზურგის* 1. ადამიანის ტანის უკანა მხარე კისრიდან წელამდე; ცხოველის სხეულის ზედა ნაწილი კისრიდან ბოლომდე (კუდამდე). *აქლემის ზურგი. ზურგის ტკივილი. ზურგით მოიტანა. ზურგიდან ტვირთი მოიხსნა.* 2. რაიმეს ზედა, ამოზნექილი ნაწილი. *ხელის ზურგი.* 3. უკანა მხარე. *ზურგიდან მიეპარა. ზურგის ქარი.* 4. სკამის ან სავარძლის ნაწილი, რომელსაც ზურგს (1) აყრდნობენ. *მაღალი ზურგი.* 5. საბრძოლო ხაზის, ფრონტის უკანა მხარე, სადაც ბრძოლა არ მიმდინარეობს. *მტრის ზურგში მოქმედებს.* ⊙ **ზურგი ექავება** საუბრ. ცუდად იქცევა, ამიტომ ცემა არ ასცდება. ⊙ **ზურგს უკან** ფარულად, მალულად. ⊙ **ზურგს უმაგრებს** ეხმარება, იმედად ჰყავს. ⊙ **ზურგს უჩვენებს** გაიქცევა, შეშინდება. ⊙ **ზურგს შეაქცევს** მიატოვებს.

**ზურგიელი** *ზურგიელის* დამარილებული ზუთხის, ორაგულის ან ზოგიერთი სხვა დიდი თევზის ზურგის ანაჭერი.

**ზურგული** *ზურგულის* 1. ქართული ჭიდაობის ერთ-ერთი ილეთი, მოწინააღმდეგის ზურგით გადმოტანა. 2. ზურგზე წოლით ცურვა.

**ზურგშექცევით** ზმნზ. მიბრუნებული ზურგით. *ზურგშექცევით ზის.*

**ზურგჩანთა** *ზურგჩანთის* ზურგზე მოსაკიდებელი სამხრეებიანი ჩანთა. *მოსწავლის ზურგჩანთა. ტურისტული ზურგჩანთა.*

**ზურმუხტი** *ზურმუხტის* მწვანე, გამჭვირვალე ძვირფასი ქვა. *ზურმუხტის ბეჭედი.*

**ზურმუხტისფერი** *ზურმუხტისფრის* მოცისფრო მწვანე, რასაც ზურმუხტის ფერი აქვს. *ზურმუხტისფერი დაჰკრავს.*

**ზურნა** *ზურნის* აღმოსავლური ჩასაბერი საკრავი, ხის მილი, რომელზეც თვლებია ამოჭრილი. *ზურნის ხმა. ზურნის დაკვრა.*

ზურნა



**ზუსტი** *ზუსტის* ზედმიწევნით სწორი, ნამდვილი. *ზუსტი ინფორმაცია. ზუსტი პარამეტრები.* ▲ **ზუსტად** სწორად, ზედმიწევნით. *ზუსტად შეასრულა.*

**ზღაპარი** *ზღაპრის* 1. გამონაგონზე, ფანტასტიკურ ამბავზე აგებული მხატვრული ნაწარმოები, რომელსაც აუცილებლად კეთილი დასასრული აქვს. *ხალხური ზღაპარი. ჯადოსნური ზღაპრები.* 2. გადატ. ტყუილი, დაუჯერებელი ამბავი. *ზღაპრები ილაპარაკა. ამ ზღაპარს არავინ დაიჯერებს.*

**ზღაპრული** *ზღაპრულის* 1. ზღაპრის (1) შესაფერისი, ზღაპრისთვის დამახასიათებელი. *ზღაპრული გმირი. ზღაპრული ამბავი.* 2. გადატ. მეტისმეტად კარგი, ძალიან ლამაზი. *ზღაპრული გარეგნობა. ზღაპრული სიმდიდრე.*

**ზღარბი** *ზღარბის* პატარა ცხოველი, აქვს ეკლებით დაფარული კანი. *ზღარბი თაგვებით იკვებება.*

ზღარბი

**ზღვა**[1] *ზღვის* 1. წყლის დიდი მასა, რომელიც ხმელეთით არის შემოსაზღვრული და ოკეანესაც უკავშირდება. *შავი ზღვა. ზღვის ნაპირი.* 2. ხელოვნურად შექმნილი დიდი წყალსაცავი. *თბილისის ზღვა.* 3. გადატ. უამრავი, ძალიან ბევრი. *ზღვა ხალხი. ზღვა სიხარული.* ⊙ **ზღვის დონე** ხმელეთზე სიმაღლეებისა და ზღვაში სიღრმეების გასაზომად შემოღებული, პირობითი ათვლის წერტილი ზღვის ზედაპირზე.

**ზღვა**[2] *ზღვის* (ზღავს, უზღავს, აზღვევინებს) ზარალის ანაზღაურება, სანაცვლოს გადახდა. *დანაშაული ზღო. ხალხმა სისხლით ზღო.*

**ზღვაოსნობა** *ზღვაოსნობის* 1. გემებით მიმოსვლა ზღვებზე. *დიდი ზღვაოსნობა.* 2. ზღვებზე გემების ტარების ხელოვნება. *ზღვაოსნობას სწავლობს.*

**ზღვარი** *ზღვარის* 1. ტერიტორიის ან სიბრტყის ნაწილების გამყოფი ზოლი. *ზღვარი გაავლო.* 2. რაიმეს უმაღლესი საფეხური. 3. მათ. მუდმივი სიდიდე, რომელსაც უსაზღვროდ უახლოვდება ცვალებადი სიდიდე. 4. გადატ. განსხვავება, დაშორება, მიჯნა. *დიდი ზღვარი. ასაკობრივი ზღვარი დაწესდა.*

**ზღვევა** *ზღვევის* (აზღვევს, იზღვევს, უზღვევს, იზღვევა, ეზღვევა, აზღვევინებს) ↑ დაზღვევა. *მანქანას აზღვევს.*

**ზღვისპირეთი** *ზღვისპირეთის* ზღვის მიმდებარე ადგილები. *ზღვისპირეთი ზაფხულში ხალხით ივსება.*

**ზღმარტლი** *ზღმარტლის* 1. მომრგვალო, ხუთკურკიანი ხილი. 2. ბუჩქი ან ხე, რომელიც ისხამს ზღმარტლს (1), აქვს თეთრი, მსხვილი ყვავილები.

**ზღმურდლი** *ზღმურდლის* 1. ბორას (1) ჭუპრი, რომელიც ჩნდება საქონლის კანსა და ხორცს შუა. 2. კანზე გაჩენილი მსხვილი მუწუკი.

**ზღუდე** *ზღუდის* დამცავი ღობე, კედელი. *ქალაქის ზღუდე.*

**ზღურბლი** *ზღურბლის* იატაკის განიერი ზოლი, რომელიც უნდა გაიარონ შენობაში ან ოთახში შესვლისას. *ზღურბლს გადააბიჯა.*

# – თ –

**თაბაშირი** *თაბაშირის* თეთრი ან რუხი კრისტალური ნივთიერება, წყალში აზელისას სწრაფად მაგრდება, გამოიყენება მედიცინაში, წარმოებაში, სახვით ხელოვნებაში. *თაბაშირის სახვევი. თაბაშირის ბიუსტი.*

**თაბახი** *თაბახის* 1. სტანდარტული ზომის საწერი ან საბეჭდი ფურცელი. *მთელი თაბახი შეავსო.* 2. ნაბეჭდი პროდუქციის საზომი ერთეული (თექვსმეტი გვერდი). *წივნის 10 თაბახი.* 3. ძვ. მრგვალი, ოდნავ ჩაღრმავებული, უმეტესად ხის ჭურჭელი. *ხინკალი თაბახს ზე ამოყარეს.*

თაგვი

**თაგვი** *თაგვის* პატარა ძუძუმწოვარი მღრღნელი. *მინდვრის თაგვი.*

**თაგვისარა** *თაგვისარას* ეკლიანი მცენარე, აქვს ბრტყელი, ეკლით დაბოლოებული ტოტები, ისხამს ნითელ, მრგვალ, კენკროვან ნაყოფს.

**თაგვისყანა** *თაგვისყანის* ერთწლოვანი მარცვლოვანი სარეველა ბალახი, იზრდება ბაღებსა და ეზოებში.

**თადარიგი** *თადარიგის* წინასწარ მომზადება რაიმეს გასაკეთებლად. *თადარიგი დაიჭირა.*

**თადარიგიანი** *თადარიგიანის* ვისაც თადარიგის დაჭერა შეუძლია. *თადარიგიანი დიასახლისი.*

**თავად** ნაცვ. იგივეა, რაც თვითონ. *თავად მოვიდა. თავად მან მითხრა.*

**თავადაზნაურობა** *თავადაზნაურობის* (კრებ.) ძვ. მაღალი სოციალური ფენა ფეოდალურ საქართველოში, თავადები და აზნაურები ერთად. *საქართველოს თავადაზნაურობა.*

**თავადი** *თავადის* ძვ. უმაღლესი სოციალური ფენის წარმომადგენელი ფეოდალურ საქართველოში. *თავადის მამული. თავადების ლხინი.* ■ **თავადური** თავადის დამახასიათებელი. *თავადური გარეგნობა. თავადური წარმოშობა.*

**თავადიშვილი** *თავადიშვილის* ძვ. იგივეა, რაც თავადი. *თავადიშვილები მობრძანდნენ. თავადიშვილის სასახლე.*

**თავადიშვილური** *თავადიშვილურის* თავადიშვილისთვის დამახასიათებელი, არისტოკრატიული. *თავადიშვილური გარეგნობა.*

**თავადობა** *თავადობის* 1. თავადის წოდება. *თავადობით მოჰქონდა თავი.* 2. (კრებ.) თავადთა საზოგადოება. *თავადობა შეიკრიბა.*

**თავაზიანი** *თავაზიანის* მორიდებული, ყურადღებიანი, ზრდილობიანი. *თავაზიანი მიმართვა. თავაზიანი ყმაწვილი.*

**თავაზიანობა** *თავაზიანობის* ვინმეს მიმართ ყურადღების გამოჩენა, ზრდილობიანად, მოკრძალებულად მოქცევა. *თავაზიანობით გამოირჩევა.*

**თავანკარა** *თავანკარას* ნამდვილი, წმინდა, შეურეველი. *თავანკარა ღვინო.*

**თავაუღებლად** ზმნზ. განუწყვეტლივ, დაუსვენებლად. *თავაუღებლად მუშაობს.*

**თავაღებით** ზმნზ. ამაყად, თამამად, კადნიერად. *თავაღებით დადის.*

**თავაღებული** *თავაღებულის* ვისაც, რასაც თავი მაღლა აქვს აწეული. *თავაღებული მიდის.*

**თავაშვებული** *თავაშვებულის* თავგასული, თავხედი. *თავაშვებული ბავშვი. თავაშვებული ქმედება.*

**თავაშვებულობა** *თავაშვებულობის* უზრდელობა, თავხედობა, საზოგადოებაში მოურიდებლად მოქცევა. *სრული თავაშვებულობა.*

**თავაწყვეტილი** *თავაწყვეტილის* თავშეუკავებელი, მეტისმეტად თავისუფალი. *ახალგაზრდების თავაწყვეტილი მხიარულება.*

**თავბედი** *თავბედის* საკუთარი ბედი, საკუთარი ხვედრი. *თავბედს იწყევლის.*

თავბრუ

**თავბრუ** *თავბრუს* მდგომარეობა, როდესაც წონაწორობის დაცვა უჭირთ და ეჩვენებათ, რომ ირგვლივ ყველაფერი ტრიალებს. *თავბრუ ეხვევა.* ⊙ **თავბრუს დაახვევს** აღაფრთოვანებს, ძალიან გაახარებს, სწორად განსჯის უნარს დააკარგვინებს.

**თავბრუდამხვევი** *თავბრუდამხვევის* რაც თავბრუს ახვევს ადამიანს. *თავბრუდამხვევი სიჩქარე. თავბრუდამხვევი სურნელი. თავბრუდამხვევი წარმატება.*

**თავბრუდასხმული** *თავბრუდასხმულის* იგივეა, რაც **თავბრუდახვეული**.

**თავბრუდახვეული** *თავბრუდახვეულის* 1. ვისაც თავბრუ დაეხვა. *სიჩქარისგან თავბრუდახვეული.* 2. გადატ. ნარმატებებით, მიღწევებით ზედმეტად აღფრთოვანებული. *გამარჯვებით თავბრუდახვეული.*

**თავგადაკლული** *თავგადაკლულის* მეტისმეტად მონდომებული, თავდაუზოგავი. *თავგადაკლული შრომა. თავგადაკლული მეცადინეობა.*

**თავგადასავალი** *თავგადასავლის* ამბავი ვინმეს ცხოვრების ცალკეული მონაკვეთის, შემთხვევის ან მთელი ცხოვრების შესახებ. *თავისი თავგადასავალი გვიამბო. საინტერესო თავგადასავალი.*

**თავგამეტება** *თავგამეტების* მეტისმეტი მონდომება მიზნის მისაღწევად. *საქმისთვის თავგამეტება შეუძლია. თავგამეტებით შრომობს.* ▲ **თავგამეტებით** ზმნზ. მონდომებულად, თავდაუზოგავად.

**თავგამეტებული** *თავგამეტებულის* ვისაც თავგამეტება, თავგანწირვა შეუძლია. *თავგამეტებული ადამიანია.*

**თავგამოდება** *თავგამოდების* დიდი მონდომება, რაიმეს გულმოდგინედ კეთება. ▲ **თავგამოდებით** ზმნზ. მეტისმეტად მონდომებით, თავდაუზოგავად. *თავგამოდებით დაუწყო დაცვა. თავგამოდებით მუშაობდა.*

**თავგამოდებული** *თავგამოდებულის* ვისაც თავგამოდება შეუძლია. *თავგამოდებული დამცველი.*

**თავგანწირვა** *თავგანწირვის* სხვისი კეთილდღეობისთვის საკუთარი სიცოცხლის დათმობის უნარი. *თავგანწირვა დაუფასდა. თავგანწირვით იბრძოდა.*

**თავგანწირული** *თავგანწირულის* ვინც თავი განირა. *სამშობლოსთვის თავგანწირული.*

**თავგასული** *თავგასულის* უზრდელი, თავხედი, ზედმეტად გათამამებული. *თავგასული ბავშვი.*

**თავგასულობა** *თავგასულობის* მეტისმეტი სითამამე, თავხედობა. *თავგასულობით ყველა შეაწუხა.*

**თავგზა** ⊙ **თავგზა აერევა** დაიბნევა, გზა-კვალი აერევა.

**თავგზააბნეული** *თავგზააბნეულის* ვინც არ იცის რა გააკეთოს, როგორ მოიქცეს. *თავგზააბნეული ახალგაზრდა.*

**თავდადება** *თავდადების* ვინმეს ან რაიმეს ერთგულება, მისთვის თავგანწირვა. *მამულისთვის თავდადება.*

**თავდადებული** *თავდადებულის* უაღრესად ერთგული, თავგანწირული, თავდაუზოგავი. *სამშობლოსთვის თავდადებული. მეგობრებისთვის თავდადებული.*

**თავდავიწყება** *თავდავიწყების* მეტისმეტად ძლიერი გატაცება, როცა ყველაფერი სხვა ავიწყდებათ. *სიყვარულით თავდავიწყება.*

**თავდამსხმელი** *თავდამსხმელის* 1. ვინც თავს ესხმის. *თავდამსხმელები დააკავეს.* 2. სპორტსმენი, რომელიც თავდასხმაში (2) თამაშობს. *თავდამსხმელმა გოლი გაიტანა.*

**თავდაპირველი** *თავდაპირველის* ყველაზე პირველი, ადრინდელი, ყველაზე ძველი. *თავდაპირველი მაცხოვრებელი. თავდაპირველი მოსახლეობა.*

**თავდასხმა** *თავდასხმის* 1. ძალადობრივი მოქმედება ვინმეს ან რაიმეს წინააღმდეგ გაქურდვის, განადგურების მიზნით. *ყაჩაღური თავდასხმა. თავდასხმა განიზრახეს. მგლების თავდასხმა.* 2. ფეხბურთის, კალათბურთისა და მისთ. მოთამაშეთა გუნდის ის ნაწილი, რომელსაც უშუალოდ ევალება ბურთის მოწინააღმდეგეთა კარში შეგდება. *თავდასხმაში თამაშობს.*

**თავდაუზოგავი** *თავდაუზოგავის* ვინც ძალას, შესაძლებლობას არ იშურებს, თავს არ ზოგავს. *თავდაუზოგავი მშრომელი. თავდაუზოგავი მებრძოლი.* ▲ **თავდაუზოგავად** ზმნზ. თავგამეტებით. *თავდაუზოგავად იბრძვის.*

**თავდაუჭერელი** *თავდაუჭერლის* იგივეა, რაც **თავშეუკავებელი**. *თავდაუჭერელი ყმანვილი. თავდაუჭერელი ქცევა.*

**თავდაღმა** ზმნზ. 1. იგივეა, რაც **დაღმა**. *თავდაღმა დაეშვა.* 2. თავით ძირს, პირქვე. *ნანადირევი თავდაღმა დაკიდეს.*

**თავდაღმართი** *თავდაღმართის* იგივეა, რაც **დაღმართი**.

**თავდაყირა** ზმნზ. თავით ქვევით. *თავდაყირა გადმოვარდა. თავდაყირა დავკიდეთ.* ⊙ **ყველაფერს თავდაყირა დააყენებს** ყველაფერს აურევს.

**თავდაცვა** *თავდაცვის* 1. საკუთარ უსაფრთხოებაზე ზრუნვა, მოსალოდნელი საფრთხის თავიდან აცილება. *თავდაცვის ინსტინქტი.* 2. ქვეყნის უსაფრთხოების დაცვა. *საჰაერო თავდაცვა. თავდაცვის სამინისტრო.*

**თავდაცვითი** *თავდაცვითის* რაც თავდაცვისთვის (2) არის საჭირო. *თავდაცვითი ნაგებობა.*

**თავდაცვისუნარიანობა** *თავდაცვისუნარიანობის* უნარი, შესაძლებლობა დაიცვა თავი, საკუთარი ინტერესები მოსალოდნელი საფრთხისგან. *ქვეყნის თავდაცვისუნარიანობა.*

**თავდაჭერილი** *თავდაჭერილის* გაწონასწორებული, დინჯი. *თავდაჭერილი ადამიანი.*

**თავდაჭერილობა** *თავდაჭერილობის* თავშეკავება, მორიდება, წონასწორობის შენარჩუნება. *თავდაჭერილობითა და ზრდილობით გამოირჩევა.*

**თავდახრილი** *თავდახრილის* 1. ვისაც ან რასაც თავი აქვს დახრილი. *თავდახრილი ია.* 2. გადატ.

მორიდებული, მოკრძალებული, მორჩილი. *თავდახრილი მშრომელი.*

**თავდაჯერება** *თავდაჯერების* საკუთარი შესაძლებლობების რწმენა. *მეტისმეტი თავდაჯერება.*

**თავდაჯერებული** *თავდაჯერებულის* საკუთარ ძალებში, შესაძლებლობებში დარწმუნებული. *მეტისმეტად თავდაჯერებული.*

**თავდები** *თავდების* პირი, რომელიც სხვის საქციელზე პასუხისმგებლობას იღებს. *დამნაშავეს თავდებად დაუდგა.*

**თავდებობა** *თავდებობის* (თავდებობს) ვინმეს საქციელზე პასუხისმგებლობის აღება, თავდებად დადგომა. *თავდებობა იკისრა. მეგობარს თავდებობს.*

**თაველი** *თაველის* ღომისა და ზოგიერთი სხვა მარცვლოვნის ყვავილედი. *სავსე თაველი.*

**თავზარდამცემი** *თავ ზარდამცემის* საშინელი, საზარელი, შემაძრწუნებელი. *თავ ზარდამცემი ფაქტი.*

**თავზარდაცემული** *თავ ზარდაცემულის* ძალიან შეშინებული, შეძრწუნებული. *თავ ზარდაცემული ქალი. ამ ამბით თავ ზარდაცემული დარჩა.*

**თავზარი** ⊙ **თავზარი დაეცემა** ძალიან შეშინდება, შეძრწუნდება.

**თავზევით** ზმნზ. ზევიდან, თავზე. *თავ ზევით დაჰყურებს.* ⊙ **თავზევით ძალა (ღონე) არ არის** შეუძლებელია, სხვა გზა არ არის.

**თავთავი** *თავთავის* მარცვლოვანი და ზოგიერთი სხვა მცენარის ყვავილედი ან ღეროს თავზე მოთავსებულ ბუდეებში ჩალაგებული მარცვლები. *სავსე თავთავი.* ■ **თავთავიანი** რასაც თავთავი აქვს. *თავთავიანი ყანა.*

**თავ-თავიანთი** *თავ-თავიანთის* ნაცვ. თავ-თავისი. *თავ-თავიანთი ნივთები აიღეს.*

**თავ-თავისი** *თავ-თავისის* ნაცვ. თითოეულის კუთვნილი. *თავ-თავის გასაჭირს ჰყვებოდნენ.*

**თავთუხი** *თავთუხის* ხორბლის სახეობა, აქვს მკვრივი, ფხიანი თავთავი და მსხვილი მარცვალი. *თავთუხის ყანები.*

**თავთხელი** *თავთხელის* იგივეა, რაც ფონი[1]. *თავთხელს ვერ მიაგნეს.*

**თავი** *თავის* 1. ადამიანის ან ცხოველის ყელსზედა ნაწილი, რომელიც შედგება ქალასა და სახისგან. მასში მოთავსებულია ტვინი, მხედველობის, სმენისა და მეტყველების ორგანოები. *თავი დახარა. თავზე ხელი დაადო.* 2. თავის (1) ზედა ნაწილი, რომელიც თმით არის დაფარული. *თავი სტკივა.* 3. ზედა ნაწილი ან ზედა მხარე. *სოფლის თავში. კლდის თავი. კარადის თავ ზე.* 4. ტექსტის, თხზულების ერთგვარად დასრულებული, გამოყოფილი ნაწილი. *ბოლო თავი. თავებად დაყოფა.* 5. ზედა, ასახდელი ნაწილი. *კიდობნის თავი. ქვევრის თავი.* 6. რაიმეს დასაწყისი ნაწილი. *სუფრის თავში. ვენახის თავში.* ↔ ბოლო. 7. რაიმეს წამომწყები, ხელმძღვანელი, წინამძღოლი. *ოჯახის თავი. ჩხუბის თავი.* 8. ერთი მთლიანი რამ (ბოსტნეული, ხილი და მისთ.). *ერთი თავი ყველი. რამდენიმე თავი ხახვი.* 9. სხვადასხვა სახის გამზადებული საჭმელი. *ერთი თავი კერძი.* 10. ნაცვ. ფუნქც. თვითონ, თავად ის. *თავი მოიკლა. თავი გაწირა.* ⊙ **თავზე (თავს) ლაფს დაასხამს** საჯაროდ შეარცხვენს. ⊙ **თავზე (თავს) შემოევლება** იზრუნებს მასზე, უპატრონებს. ⊙ **თავზე ბუზს არ ისვამს** ამაყია. ⊙ **თავზე გადასდის** ბევრი აქვს, ძალიან მდიდარია. ⊙ **თავზე დაადგება** 1. ავადმყოფს უპატრონებს, მოუვლის. 2. ვინმესთან მოულოდნელად მივა. ⊙ **თავზე დააჯდება** მეტისმეტად გაუთამამდება. ⊙ **თავზე ხელს აიღებს** ყველაფერს იკადრებს. ⊙ **თავი არა აქვს** არ შეუძლია, ეზარება. ⊙ **თავი და ბოლო** დასაწყისი და დასასრული. ⊙ **თავი და თავი** ყველაზე მთავარი. ⊙ **თავი მოაქვს** თავს იქებს, ამაყობს, თავი დიდი ვინმე ჰგონია. ⊙ **თავიდან ფეხებამდე** მთლიანად. ⊙ **თავის აგდება** გამასხარავება, ღირსების დაკარგვა. ⊙ **თავის ატკიება** ზედმეტი ზრუნვა, შეწუხება ვინმესთვის. ⊙ **თავის აშვება** მეტისმეტი თავისუფლება, დაუმორჩილებლობა. ⊙ **თავის გადაქნევა** უკმაყოფილების გამოხატვა თავის აქეთ-იქით მოძრაობით. ⊙ **თავის გამოდება** განსაკუთრებული მონდომება, თავდაუზოგავობა საქმის გასაკეთებლად, მიზნის მისაღწევად. ⊙ **თავის გატანა** თავის შენახვა, თავის დაცვა. ⊙ **თავის დადება** ვინმესთვის თავის გაწირვა, სხვის გამო საკუთარი ინტერესის დავიწყება, ერთგულება. ⊙ **თავის დაკვრა** მისალმება. ⊙ **თავის დაჭერა** ზომიერება, თავშეკავებულობა. ⊙ **თავის ხელში აყვანა** სიმშვიდის შენარჩუნება, ნერვების მოთოკვა. ⊙ **თავს არ შეაწყენს** თავს არ მოაბეზრებს. ⊙ **თავს დასტრიალებს** უვლის, პატრონობს, ზრუნავს. ⊙ **თავს იმტვრევს** ბევრს ფიქრობს, უჭირს გადაწყვეტილების მიღება. ⊙ **თავს მოაბამს** რაიმეს დაამთავრებს, დაასრულებს, მოაგვარებს. ⊙ **თავს მოახვევს** (საკუთარ აზრს, სურვილს) საკუთარი აზრის, სურვილის მიხედვით გააკეთებინებს რაიმეს. ⊙ **თავს მოუქონავს** ტკბილი სიტყვით, ლაქუცით გადაიბირებს. ⊙ **თავს ხელში აიყვანს** საკუთარ ქცევას, ემოციებს მართავს. ⊙ **თავში აუვარდება** გაამაყდება, გაყოყოჩდება, საკუთარ თავზე დიდი წარმოდგენა შეექმნება. ⊙ **თავში მოუვა** (აზრი, ფიქრი) გაახსენდება, იფიქრებს. ⊙ **თავში საცემი საზრუნავი, სადარდებელი.** ⊙ **თავში ქვა გიხლია** საუბრ. რაც გინდა, ის ქენი, რაც გინდა მოგივიდეს, არ ვდარდობ, არ მენაღვლება.


თავი

**თავიანი** *თავიანის* 1. თავის მქონე. 2. საქმეში ყოჩაღი, საქმის ცოდნით მკეთებელი, მოხერხებული, მარჯვე. *თავიანი კაცია.*

**თავიდან** ზმნზ. კიდევ ერთხელ, ხელახლა. *თავიდან გადა ზომა.*

**თავისებურება** *თავისებურების* ვინმეს ან რაიმეს დამახასიათებელი, სხვებისგან განმასხვავებელი ნიშანი, თვისება. *კლიმატის თავისებურება. მეტყველების თავისებურება.*

**თავისებური** *თავისებურის* სხვებისგან განსხვავებული. *თავისებური ადამიანი. თავისებური სიცილი.* ▲ **თავისებურად** ზმნზ. მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ჩვევით, მანერით. *თავისებურად მიუალერსა. თავისებურად გააკეთა ყველაფერი.*

**თავისთავად** ზმნზ. სხვის ჩაურევლად, ისედაც, თავისით. *ყველაფერი თავისთავად მოხდა.*

**თავისთავადი** *თავისთავადის* თავისებური, თვითმყოფადი, ორიგინალური. *თავისთავადი კულტურა.*

**თავისთავადობა** *თავისთავადობის* იგივეა, რაც **თვითმყოფადობა.**

**თავისი** ნაცვ. საკუთრივ მისი. *თავისი წიგნი მათხოვა. თავის მშობლებს ჰგავს.*

**თავისიანი** *თავისიანის* ნათესავი, ახლობელი, მოკეთე. *უკვე თავისიანად თვლიდა.*

**თავისით** ზმნზ. სხვისი ზემოქმედების ან ძალდატანების გარეშე. *თავისით ისწავლა.*

**თავისნათქვამა** *თავისნათქვამას* იგივეა, რაც **თავნება.** *თავისნათქვამა ვინმეა.*

**თავისუფალი** *თავისუფლის* 1. ვინც სხვის გავლენას, ზემოქმედებას არ განიცდის, დამოუკიდებელი. *თავისუფალი ხალხი. თავისუფალი კაცია.* 2. რასაც ან ვისაც არავინ და არაფერი აფერხებს, არაფერი ზღუდავს. *თავისუფალი მოქმედება. თავისუფალი პრესა.* 3. ცარიელი, რაც არ დაუკავებიათ. *თავისუფალი სკამი. თავისუფალი ადგილი.* 4. ვინც საქმით დაკავებული არ არის, ვისაც დრო აქვს. *ხვალიდან თავისუფალი ვარ. საღამოს თავისუფალი ხარ?* ▲ **თავისუფლად** ზმნზ. შეუზღუდავად, დაუბრკოლებლად. *თავისუფლად დადის. თავისუფლად ლაპარაკობს. თავისუფლად იქცევა.*

**თავისუფლება** *თავისუფლების* საკუთარი სურვილის მიხედვით მოქმედების შესაძლებლობა, შეუზღუდაობა. *აზრის გამოთქმის თავისუფლება. ახალგაზრდებს სრული თავისუფლება მიანიჭეს.* ◇ **თავისუფლების აღკვეთა** დაპატიმრება.

**თავისუფლებისმოყვარე** *თავისუფლებისმოყვარის* ვისაც თავისუფლება უყვარს, ვინც თავისუფლების მოპოვებას ცდილობს. *თავისუფლებისმოყვარე ხალხი.*

**თავკაცი** *თავკაცის* საზოგადოებაში დაფასებული, აღიარებული, ანგარიშგასაწევი პირი, რაიმე საქმის ხელმძღვანელი. *სოფლის თავკაცი. საქმის თავკაცი.*

**თავკაცობა** *თავკაცობის* (თავკაცობს) 1. (კრებ.) თავკაცების ერთობლიობა. *სოფლის თავკაცობა შეიკრიბა.* 2. თავკაცად ყოფნა. *თავკაცობა შეიფერა. ჩვენში ეგ თავკაცობს.*

**თავკერძა** *თავკერძას* მხოლოდ საკუთარ თავზე მზრუნველი. *თავკერძა ახალგაზრდა.*

**თავკვერი** *თავკვერის* მსხვილმარცვლიანი შავი ყურძნის ჯიში, გავრცელებულია უპირატესად ქართლ-კახეთში.

**თავკომბალა** *თავკომბალას* 1. ბაყაყის კვერცხიდან ახლად გამოჩეკილი ნაშიერი. *გუბე თავკომბალათია სავსე.* 2. ვისაც, რასაც კომბალივით წვრილი ტანი და დიდი თავი აქვს. *თავკომბალა ყმაწვილი.*

**თავლა** *თავლის* პირუტყვის გასაჩერებელი ნაგებობა, სადგომი. *ცხენები თავლაში შეიყვანეს.*

**თავლაფდასხმული** *თავლაფდასხმულის* გადატ. საქვეყნოდ შერცხვენილი. *თავლაფდასხმული დადის.*

**თავმდაბალი** *თავმდაბლის* მოკრძალებული, მორიდებული. *თავმდაბალი ადამიანი.*

**თავმდაბლობა** *თავმდაბლობის* (თავმდაბლობს) თავმდაბლად ქცევა, საკუთარი პიროვნების მოკრძალებულად წარმოჩენა. *თავმდაბლობა გამოიჩინა.*

**თავმინებებული** *თავმინებებულის* უპატრონოდ დატოვებული. *თავმინებებული კარ-მიდამო.*

**თავმობმული** *თავმობმულის* 1. პირამდე სავსე. *ხორბლით თავმობმული ჯამი.* 2. გადატ. კარგად დასრულებული, ბოლომდე მიყვანილი. *თავმობმული საქმე.*

**თავმომწონე** *თავმომწონის* საკუთარი თავით კმაყოფილი. *თავმომწონე ქალი.*

**თავმომწონეობა** *თავმომწონეობის* საკუთარი თავით, საკუთარი ღირსებებით სიამაყე. *თავმომწონეობა ემჩნეოდა.*

**თავმოსაწონი** *თავმოსაწონის* საამაყო, რაც თავის მოწონების საშუალებას იძლევა. *თავმოსაწონი შვილები. თავმოსაწონი საქმეები.*

**თავმოტვლეპილი** *თავმოტვლეპილის* საუბრ. იგივეა, რაც **მელოტი.** *თავმოტვლეპილი კაცი.*

**თავმოყვარე** *თავმოყვარის* საკუთარი თავის დამფასებელი, თავმოყვარეობის მქონე. *თავმოყვარე ბიჭი.*

**თავმოყვარეობა** *თავმოყვარეობის* ღირსების გრძნობა, საკუთარი თავის დაფასების უნარი. *თავმოყვარეობა დაკარგა. თავმოყვარეობა შეულახეს.*

**თავმოყრა** *თავმოყრის* ბევრის ერთად შეკრება. *მასალის თავმოყრა. ა ზრების თავმოყრა უჭირს. მძიმე ტექნიკის თავმოყრა.* ■ **თავმოყრილი** რასაც თავი მოუყარეს. *არქივში თავმოყრილი დოკუმენტები. თავმოყრილი ჯარი.*

**თავმოწონება** *თავმოწონების* იგივეა, რაც თავმომწონეობა. *თავმოწონებით გადახედა.*

**თავმჯდომარე** *თავმჯდომარის* პირი, რომელსაც ირჩევენ რაიმე შეკრების ან ორგანიზაციის ხელმძღვანელად. *კრების თავმჯდომარე. სხდომის თავმჯდომარე. პარლამენტის თავმჯდომარე.*

**თავნება** *თავნებას* ჯიუტი, ვინც სხვის რჩევას არ იჯერებს. *თავნება ყმაწვილი.*

**თავნებობა** *თავნებობის* (თავნებობს) ჯიუტობა, ახირებულობა. *თავნებობას არ იშლის. ნუ თავნებობ!*

**თავპატიჟი** ⊙ **თავპატიჟს დაიდებს** ყასიდად იტყვის უარს შეთავაზებაზე.

**თავპირდამტვრეული** *თავპირდამტვრეულის* მაგრად ნაცემი ან ვისაც ტრავმის შედეგები სახეზე ემჩნევა.

**თავ-პირი** *თავ-პირის* იგივეა, რაც სახე (1). *თავ-პირი დაუსისხლიანა. თავ-პირი არ უჩანდა.* ⊙ **თავ-პირი ჩამოსტირის** დაღვრემილია, მოწყენილია. ⊙ **თავ-პირის მტვრევით** ძალიან სწრაფად.

**თავრეტდასხმული** *თავრეტდასხმულის* იგივეა, რაც თავბრუდახვეული. *ტრიალით თავრეტდასხმული.*

**თავსაბურავი** *თავსაბურავის* ქალის ან მამაკაცის თავის შესამოსი (მანდილი, ქუდი და მისთ.). *ძვირფასი თავსაბურავები.*

**თავსატეხი** *თავსატეხის* I. ძნელად გადასაწყვეტი, ძნელად შესასრულებელი, ძნელად ამოსახსნელი. *დიდი თავსატეხი აღმოჩნდა.* 2. სადარდებელი, საზრუნავი. *ახალი თავსატეხი გაუჩნდა.*

**თავსაფარი** *თავსაფრის.* ქალის თავსაბურავი. *აბრეშუმის თავსაფარი.* ■ **თავსაფრიანი** ვისაც თავსაფარი ახურავს. *თავსაფრიანი ქალი.*

**თავსაყრელი** *თავსაყრელის* ძალზე ბევრი, უხვი, საკმარისზე მეტი. *თავსაყრელი საქმე. ხილი თავსაყრელი აქვს.*

**თავსახური** *თავსახურის* ჭურჭლის თავზე დასაფარებელი. *ქვაბის თავსახური.*

**თავსისხლა** *თავსისხლას* მრავალწლოვანი ბუჩქბალახოვანი მცენარე, აქვს რთული ფოთლები და მუქი წითელი, წვრილი ყვავილები, გამოიყენება სამკურნალოდ. *თავსისხლას ნაყენი.*

**თავსხმა** *თავსხმის* ძლიერი წვიმა. *თავსხმაში ვარეს. თავსხმა დაიწყო.*

**თავური** *თავურის* ჩხუბში თავის დარტყმა. *თავური იხმარა.*

**თავ-ფეხი** *თავ-ფეხის* დაკლული პირუტყვის თავი და ფეხები. *ღორის თავ-ფეხი მოხარშა.*

**თავფურცელი** *თავფურცლის* წიგნის ან რაიმე გამოცემის პირველი ფურცელი, რომელზეც აღნიშნულია სათაური, ავტორის ვინაობა, გამოცემის თარიღი და მისთ. *ჟურნალის თავფურცელი.*

**თავქარიანი** *თავქარიანის* არასერიოზული, ზერელე, ქარაფშუტა. *თავქარიანი გოგო.*

**თავქარიანობა** *თავქარიანობის* არასერიოზულობა, ქარაფშუტობა. *თავქარიანობამ დაღუპა. შეცდომა თავქარიანობით მოუვიდა.*

**თავქვე** ზმნზ. ზევიდან ქვევით, დაღმართზე. *თავქვე გაიქცა. ლოდები თავქვე დაგორდა.*

**თავქვეშ** ზმნზ. თავის ქვეშ. *თავქვეშ მუთაქა უდევს.*

**თავქოჩორა** *თავქოჩორას* იგივეა, რაც ქოჩორა. *თავქოჩორა ბიჭი. თავქოჩორა ვარია.*

**თავქუდმოგლეჯით** ზმნზ. ძალიან სწრაფად, გამალებით. *თავქუდმოგლეჯით გამოიქცნენ.*

**თავქუდმოგლეჯილი** *თავქუდმოგლეჯილის* იგივეა, რაც თავქუდმოგლეჯით. *თავქუდმოგლეჯილი გარბოდა.*

**თავღია** *თავღიას* რასაც თავი (5) არ ახურავს. *თავღია ქვაბი. თავღია ქვევრი.*

**თავყვითელა** *თავყვითელას* ბალახოვანი მცენარე, აქვს რთული, ყვითელი ყვავილები, ხარობს სუბალპურ და ალპურ მდელოებზე.

**თავყრილობა** *თავყრილობის* საქმიანი შეკრება. *თავყრილობა მოეწყო.*

**თავშავა** *თავშავას* მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარე, აქვს ორტუჩა, მოწითალო ან მოთეთრო ყვავილები, გამოიყენება სამკურნალოდ და ქსოვილების საღებავად. *თავშავას ნაყენი.*

**თავშალი** *თავშლის* სქელი თავსაფარი, უმეტესად შალისა. *შავი თავშალი.*

თავშალი

**თავშეკავება** *თავშეკავების* ემოციების გამოუმჟღავნებლობა, მოთმენის უნარი. *თავშეკავება არ აკლია.*

**თავშეკავებული** *თავშეკავებულის* I. ზომიერი, დინჯი, თავშეკავების უნარის მქონე. *თავშეკავებული ადამიანი.* 2. ჩუმი, წყნარი, მორიდებული. *თავშეკავებული საუბარი. თავშეკავებული სიცილი.*

**თავშენახული** *თავშენახულის* I. საუბრ. ყაირათიანი, თადარიგიანი, ვისაც ყველაფრის მარაგი საკმარისად აქვს. *თავშენახული დიასახლისი.* 2. ვინც

ჯანმრთელობას უფრთხილდება, ჯანი ბოლომდის გასდევს. *თავშენახული მოხუცი.*

**თავშესაფარი** *თავშესაფრის* 1. სახლი, ნაგებობა, სადაც დროებით ცხოვრება შეიძლება. *თავშესაფარი არა აქვს.* 2. საგანგებოდ მოწყობილი სადგომი, რომელიც განკუთვნილია საომარ პირობებში დაბობვისგან მოსახლეობის გადასარჩენად. *თავშესაფრები მოაწყვეს.* 3. საგანგებო სახლი, სადაც სახელმწიფოს ხარჯზე ცხოვრობენ უპატრონო მოხუცები და მზრუნველობას მოკლებული ბავშვები. *მოხუცთა თავშესაფარი.*

**თავშესაქცევი** *თავშესაქცევის* გასართობი, სამხიარულო. *თავშესაქცევი მუსიკა. თავშესაქცევი ამბები.*

**თავშეუკავებელი** *თავშეუკავებლის* 1. ვინც თავს არაფრისგან იკავებს, თავს ყველაფრის უფლებას აძლევს. *თავშეუკავებელი პიროვნება.* 2. მოურიდებელი, თავისუფალი (საქციელი). *თავშეუკავებელი მხიარულება.*

**თავშეფარებული** *თავშეფარებულის* ვინც სადმე, რაღაცას თავი შეაფარა, ხიფათისგან თავი დაიცავა. *ტყეში თავშეფარებული ხალხი.*

**თავშეყრა** *თავშეყრის* ხალხის შეგროვება, შეკრება. *თავშეყრის მიზეზი.*

**თავშეყრილი** *თავშეყრილის* ერთად შეკრებილი. *თავშეყრილი ხალხი.*

**თავშიშველი** *თავშიშველის* ვისაც თავზე არაფერი ახურავს. *თავშიშველი დაიარება.*

**თავჩარგული** *თავჩარგულის* 1. თავით რაღაცაში ჩამხობილი. *ბალიშში თავჩარგული. ბალახებში თავჩარგული.* 2. გადატ. რაღაცის ბეჯითად მკეთებელი. *საქმეში თავჩარგული. წიგნში თავჩარგული.*

**თავჩაქინდრული** *თავჩაქინდრულის* თავჩამოშვებული, თავდახრილი. *დაჰყურებს თავჩაქინდრული.*

**თავცარიელი** *თავცარიელის* უცოდინარი, უჭკუო. *მაგ თავცარიელს რა ჭკუა მოეკითხება.*

**თავწაკრული** *თავწაკრულის* ვისაც თავი რაიმეთი აქვს შეკრული. *ხილაბანდით თავწაკრული. თავწაკრული დედაბერი.*

**თავხე** *თავხის* სახლის ორფერდა სახურავის ცენტრალურ ნაწილში გადებული მთავარი კოჭი. *თავხე გაუტყდა.*

**თავხედი** *თავხედის* მოურიდებელი, მეტისმეტად თამამი, უზრდელი. *თავხედი ბავშვი.*

**თავხედობა** *თავხედობის* (თავხედობს, ეთავხედება) მოურიდებლობა, მეტისმეტი სითამამე, სხვების არაფრად ჩაგდება. *ნუ თავხედობ! თავხედობა ეყო.*

**თავხედური** *თავხედურის* თავხედისთვის დამახასიათებელი, უზრდელური. *თავხედური გამოხედვა.*

**თათაბო** *თათაბოს* ერთწლოვანი სარეველა მცენარე, აქვს ფქვილოვანი ბუსუსებით დაფარული ფოთლები და თავთავისებური ყვავილედები, ზოგიერთი სახეობა იხმარება მხლად.

**თათარა** *თათარის* ყურძნის წვნითა და პურის ფქვილით მომზადებული ტკბილი, ფაფისებური მასა. *თათარა მოადუღეს.*

**თათარიახნად** ზმნზ. საუბრ. სახელდახელოდ, ნაჩქარევად. *თათარიახნად გააკეთა.*

**თათარიახნი** *თათარიახნის* ძროხის ხორცის მცირედ (მხოლოდ ხახვითა და ნიახურით) შეზავებული წვნიანი კერძი, რომელსაც სახელდახელოდ ამზადებენ. *თათარიახნით გაუმასპინძლდა.*

**თათბირი** *თათბირის* (თათბირობს, ეთათბირება) 1. საქმიანი საუბარი, განსჯა, განხილვა. *მეგობრული თათბირი. დიდხანს ითათბირეს.* 2. სხდომა, რომელზეც რაიმე საკითხს განიხილავენ. *თათბირი დანიშნეს.*

**თათი** *თათის* ზოგი ცხოველის კიდურის ბოლო, თითებიანი ნაწილი. *თათი ჩამოუსვა. დათვის თათი.*

**თათმანი** *თათმანის* იგივეა, რაც ხელთათმანი.

**თათუნი** *თათუნის* (უთათუნებს) მსუბუქი, ნაზი მოფერება ხელის გადასმით. *მხარზე ხელს უთათუნებს. ლოყაზე უთათუნებს.*

**თათხვა** *თათხვის* (თათხავს) საუბრ. ↑ გათათხვა. *ყველას თათხავს. ერთმანეთს თათხავენ.*

**თაიგული** *თაიგულის* ყვავილების კონა. *იების თაიგული.*

**თაკარა** *თაკარის* მეტისმეტად ცხელი, მწველი. *თაკარა მზე. თაკარა შუადღე.*

**თაკვერი** *თაკვერის* იგივეა, რაც თავკვერი.

**თაკილი** *თაკილის* (თაკილობს, ეთაკილება) სასირცხვილოდ, შეუფერებლად, უკადრისად მიჩნევა. *საქმე ეთაკილება. ამის ჩაცმას თაკილობს.*

**თალგამი** *თალგამის* ერთწლოვანი ბოსტნეული მცენარე, აქვს თავისებური გემოს მქონე მოყვითალო ან თეთრი, გამსხვილებული ფესვი. *თალგამის ძირები.*

**თალგამურა** *თალგამურას* ორწლოვანი ძირხვენა მცენარე, ფესვი იჭმება, გამოიყენება საქონლის საკვებად.

**თალხი** *თალხის* მუქი, სამგლოვიარო ფერი; ასეთი ფერის სამოსი. *თალხი კაბა. თალხი გაიხადა.*

**თამადა** *თამადის* პირი, რომელიც წარმართავს, ხელმძღვანელობს ქეიფს, ნადიმს, ლხინს. *თამადის სადღეგრძელო. ცნობილი თამადა.*

**თამადობა** *თამადობის* (თამადობს) თამადად ყოფნა. *კარგად ითამადა.*

**თამამი** *თამამის* გამბედავი, ლაღი. *თამამი ბავშვი. თამამი საქციელი.* ▲ **თამამად** ზმნზ. ლაღად, თავი-

სუფლად, მორიდების გარეშე. *ნაბიჯი თამამად გადადგა. თამამად განაცხადა.*

**თამასა** *თამასის* I. ვიწრო თხელი ფიცრის ზოლი, რომელსაც კარის ჩარჩოს სიგრძეზე აკრავენ. გამოიყენება სხვადასხვა დანიშნულებით. 2. სპორტული მოწყობილობის ნაწილი, ორ ნიშნულს შორის გადებული წვრილი, გრძელი ძელი, რომელსაც გადაევლება სიმაღლეზე მხტომელი. 3. გადატ. ნიშნული, ზღვარი, რომელიც უნდა გადაილახოს. *თამასა დაანესა.*

**თამასუქი** *თამასუქის* ძვ. ხელწერილი, რომლითაც ვალის გადახდას განსაზღვრულ ვადაში კისრულობენ. *თამასუქი გაანაღდა.*

**თამაშგარე** *თამაშგარეს* I. მდგომარეობა ფეხბურთში, როცა ბურთის დარტყმის მომენტში თავდამსხმელი მოწინააღმდეგის დამცველის წინა პოზიციაში აღმოჩნდება. *თამაშგარე მდგომარეობა.* 2. გადატ. როცა ვინმე უნებურად საერთო საქმეს გამოეთიშება. *თამაშგარე დატოვეს.*

**თამაში** *თამაშის* (თამაშობს, ათამაშებს, უთამაშებს, ეთამაშება) I. გართობა, თავის შექცევა რაიმეთი. *ბავშვები თამაშობენ. ბურთი ითამაშა.* 2. შეჯიბრება სპორტის ზოგიერთ სახეობაში. *თამაშის მსაჯი. ჭადრაკი ითამაშეს.* 3. სხეულის ნაწილის უნებურად თრთოლა, ცემა. *თვალი უთამაშებს.* 4. წარმოდგენაში, ფილმსა და მისთ. როლის შესრულება. *სპექტაკლში ცნობილი მსახიობები თამაშობდნენ.*

**თამაშობა** *თამაშობის* (ძირითადად მრ.) შეჯიბრება სპორტის ზოგიერთ სახეობაში. *ოლიმპიური თამაშობები.*

**თამბაქო** *თამბაქოს* I. ნიკოტინის შემცველი ფართოდ გავრცელებული კულტურული ბალახოვანი მცენარე. *თამბაქოს ნათესები.* 2. თამბაქოს (1) ფოთლებისგან მოსაწევად დამზადებული ნაწარმი. *თამბაქოს მაღაზია.*

**თამელი** *თამელის* ველური ხეხილი, აქვს გრძელყუნწნიანი ფოთოლი, თეთრი ყვავილი და წვრილი, ნაბლისფერი ნაყოფი.

**თამთამი** *თამთამის* (თამთამებს, უთამთამებს) იგივეა, რაც თიმთიმი. *ლოყები უთამთამებს. სიარულისას მკერდი უთამთამებდა.*

**თან** ზმნზ. I. ვინმესთან ან რაიმესთან ერთად. *თან არ წაიყვანეს.* 2. იმავდროულად. *სწავლობს და თან მუშაობს.*

**თანაავტორი** *თანაავტორის* პირი, რომელიც სხვასთან ერთად არის რაიმეს ავტორი. *სახელმძღვანელოს თანაავტორები.*

**თანაარსებობა** *თანაარსებობის* ვინმესთან ან რაიმესთან ერთად არსებობა, ერთად ცხოვრება. *თანაარსებობას შეეჩვივნენ.*

**თანაბარი** *თანაბრის* ერთნაირი, ერთიმეორის ტოლი. *თანაბარი ძალები. თანაბარი სიდიდეები.*

**თანაგრძნობა** *თანაგრძნობის* (თანაუგრძნობს) სხვისი გასაჭირის, დარდის გაზიარება. *თანაგრძნობა გამოიჩინა. მწუხარების დროს თანაუგრძნო.*

**თანადგომა** *თანადგომის* დახმარება, საქმეში ხელის შეწყობა. *თანადგომა გაუწია. მეგობრის თანადგომის იმედი აქვს.*

**თანადროული** *თანადროულის* ერთსა და იმავე დროს მიმდინარე. *თანადროული მოქმედება.*

**თანავარსკვლავედი** *თანავარსკვლავედის* ერთი სახელწოდებით გაერთიანებულ ვარსკვლავთა ჯგუფი. *დიდი დათვის თანავარსკვლავედი.*

**თანაზიარი** *თანაზიარის* თანამგრძნობი, თანამონაწილე. *გაჭირვების თანაზიარი.*

**თანაზომიერი** *თანაზომიერის* ერთიმეორის შესაბამისი, ერთიმეორის ტოლი. *თანაზომიერი ძალები. თანაზომიერი შემადგენლობა.*

**თანაკლასელი** *თანაკლასელის* ადამიანი იმ პირის მიმართ, რომელთანაც ერთ კლასში სწავლობს ან სწავლობდა. *თანაკლასელი შემხვდა. თანაკლასელები შეიკრიბნენ.*

**თანაკურსელი** *თანაკურსელის* ადამიანი იმ პირის მიმართ, რომელთანაც ერთ კურსზე სწავლობს ან სწავლობდა. *ჩემი თანაკურსელი.*

**თანამგზავრი** *თანამგზავრის* I. ვინმესთან ერთად მიმავალი, გზაში მყოფი. *თანამგზავრებს გამოესაუბრა.* 2. ციური სხეული ან ხელოვნური მოწყობილობა, რომელიც რომელიმე პლანეტასთან ერთად მოძრაობს. *დედამიწის თანამგზავრი.* ◎ **ცხოვრების თანამგზავრი** მეუღლე.

**თანამგრძნობი** *თანამგრძნობის* თანაგრძნობის გამომხატველი. *თანამგრძნობები გამოუჩნდა.*

**თანამდგომი** *თანამდგომის* ვინც თანადგომას უწევს ვინმეს, დამხმარე. *ბევრი თანამდგომი ჰყავს.*

**თანამდებობა** *თანამდებობის* სამსახურეობრივი მოვალეობა. *მაღალი თანამდებობა.*

**თანამდებობრივი** *თანამდებობრივის* თანამდებობის შესაბამისი. *თანამდებობრივი მდგომარეობა. თანამდებობრივი სტატუსი.*

**თანამდევი** *თანამდევის* რაც რაიმეს თან ახლავს, თან სდევს. *თანამდევი ფიქრები. თანამდევი პროცესები.*

**თანამებრძოლი** *თანამებრძოლის* I. პირი, რომელიც ვინმესთან ერთად იბრძვის. *თანამებრძოლები ერთმანეთს ულოცავდნენ გამარჯვებას.* 2. გადატ. პირი, რომელიც ვინმესთან ერთად მოღვაწეობს. *პარტიის ლიდერის თანამებრძოლები.*

**თანამედროვე** *თანამედროვის* I. ამჟამად არსებული, ახლანდელი. *თანამედროვე პოეზია. თანამედროვე მწერლები.* 2. დროის მოთხოვნათა შესაბამისი. *თანამედროვე ტექნიკა. თანამედროვე მომღერალი.* 3. ვინმეს მოღვაწეობის დროს მცხოვრები. *რუსთაველის თანამედროვე ისტორიკოსი.*

**თანამედროვეობა** *თანამედროვეობის* ამჟამინდელი ცხოვრება, არსებული ყოფა. *ტრადიცია და თანამედროვეობა.*

**თანამეინახე** *თანამეინახის* სუფრაზე (2) ერთად მყოფი, ერთად მოქეიფე. *თანამეინახეები სუფრას მიუსხდნენ.*

**თანამემამულე** *თანამემამულის* ადამიანი იმ პირის მიმართ, რომელთანაც საერთო სამშობლო აქვს. *თანამემამულეების შეხვედრა.*

**თანამესაკუთრე** *თანამესაკუთრის* იგივეა, რაც **თანამფლობელი**. *ქარხნის თანამესაკუთრე.*

**თანამესაყდრე** *თანამესაყდრის* ისტ. პირი, რომელიც მეფესთან ერთად მართავს ქვეყანას, მის ტახტს ინაწილებს. *მეფის თანამესაყდრე.*

**თანამეცხედრე** *თანამეცხედრის* ძვ. იგივეა, რაც მეუღლე. *თამარის თანამეცხედრე.*

**თანამზრახველი** *თანამზრახველის* ვინმესთან საერთო აზი ზრახვის მქონე, ცუდ საქმეში ხელის შემწყობი. *ქურდობის თანამზრახველი. ბოროტების თანამზრახველი.* შდრ. **თანამოაზრე**.

**ıანამიმდევრობა** *თანამიმდევრობის* ერთიმეორის მიყოლება, სიმწყობრე. *თანამიმდევრობა დაიცვეს. ლოგიკური თანამიმდევრობა.*

**თანამიმდევრული** *თანამიმდევრულის* არაწინააღმდეგობრივი, რასაც თანამიმდევრულობა ახასიათებს, მწყობრი. *თანამიმდევრული საუბარი.*

**თანამიმდევრულობა** *თანამიმდევრულობის* როდესაც რაიმე ერთმანეთს მოსდევს გარკვეული წესის, კანონზომიერების მიხედვით. *მსჯელობის თანამიმდევრულობა. თანამიმდევრულობა დაირღვა.*

**თანამოაზრე** *თანამოაზრის* რაიმე საქმეში ან საკითხზე ერთგვარი აზრის მქონე, ერთმანეთის აზრის გამზიარებელი. *ჩემი თანამოაზრე. თანამოაზრეები არიან.*

**თანამომხსენებელი** *თანამომხსენებლის* მოხსენების თანამონაწილე. *ამ კითხვაზე ჩემი თანამომხსენებელი გიპასუხებთ.*

**თანამონაწილე** *თანამონაწილის* პირი, რომელიც სხვასთან ერთად მონაწილეობს რაიმეში. *საქმის თანამონაწილე.*

**თანამონაწილეობა** *თანამონაწილეობის* თანამონაწილედ ყოფნა. *მისი თანამონაწილეობით განხორციელდა.*

**თანამოძმე** *თანამოძმის* იგივეა, რაც მოძმე.

**თანამფლობელი** *თანამფლობელის* საერთო ქონების ერთ-ერთი მფლობელი. *აქციების თანამფლობელი. საწარმოს თანამფლობელები.*

**თანამშრომელი** *თანამშრომლის* 1. პირი, რომელიც ამა თუ იმ დანესებულებაში მსახურობს. *სამინისტროს თანამშრომელი.* 2. ვინმესთან ერთად მომუშავე ადამიანი. *ჩემი თანამშრომელი.*

**თანამშრომლობა** *თანამშრომლობის* (თანამშრომლობს) საქმის ერთად კეთება, საქმეში თანამონაწილეობა. *ხელისუფლებასთან თანამშრომლობენ.*

**თანასოფლელი** *თანასოფლელის* სოფლის მკვიდრი თავისივე სოფლის სხვა მცხოვრებლების მიმართ. *ჩემი თანასოფლელი.*

**თანასწორი** *თანასწორის* ხარისხობრივად ან სიდიდით ვინმეს, რაიმეს ტოლი. *თანასწორი სიდიდეები. მისი თანასწორი.*

**თანასწორობა** *თანასწორობის* ერთი სიდიდის, მდგომარეობის, ხარისხის, მნიშვნელობის, შესაძლებლობების ქონა. *თანასწორობას მიაღწიეს. უფლებების თანასწორობა.*

**თანასწორუფლებიანი** *თანასწორუფლებიანის* ერთი და იმავე უფლების მქონე სხვადასხვა სუბიექტი. *თანასწორუფლებიანობის პრინციპი.*

**თანასწორუფლებიანობა** *თანასწორუფლებიანობის* ერთი და იმავე უფლებების ქონა. *ხალხის თანასწორუფლებიანობა.*

**თანატოლი** *თანატოლის* 1. ასაკით ან მდგომარეობით ვინმეს ტოლი. *თანატოლები არიან.* 2. იგივეა, რაც თანასწორი. *თანატოლი ხაზები.*

**თანაფარდი** *თანაფარდის* წიგნ. შესაფერისი, ერთიმეორის ფარდი. *თანაფარდი სიდიდეები.*

**თანაფარდობა** *თანაფარდობის* მიმართება, შეფარდება მდგომარეობის, რაოდენობის, ხარისხისა და მისთ. მიხედვით. *მონაცემების თანაფარდობა. ძალთა თანაფარდობა.*

**თანაშემწე** *თანაშემწის* ვინმეს დამხმარე ამა თუ იმ საქმიანობაში. *რეჟისორის თანაშემწე.*

**თანაც** ამავე დროს, ამასთან ერთად.

**თანაცხოვრება** *თანაცხოვრების* წიგნ. ერთად ყოფნა, ერთად ცხოვრება. *დიდი ხნის თანაცხოვრება აკავშირებთ. თანაცხოვრების პერიოდში.*

**თანახმა** ⊙ **თანახმაა (თანახმა არის)** რაიმეს მომხრეა, რაიმეზე დადებით პასუხს იძლევა.

**თანდათან** ზმნზ. ნელ-ნელა, უფრო და უფრო. *ხმაური თანდათან გაძლიერდა. ფასები თანდათან იკლებს.*

**თანდათანობით** ზმნზ. იგივეა, რაც **თანდათან**. *თანდათანობით ყველაფერი გამოსწორდება.*

**თანდართული** *თანდართულის* რაც თან ერთვის, თან ახლავს. *თანდართული სქემა.*

**თანდაყოლილი** *თანდაყოლილის* რაც დაბადებიდან თან დაჰყვა. *თანდაყოლილი დეფექტი. თანდაყოლილი ავადმყოფობა.*

**თანდებული** *თანდებულის* გრამატ. მეტყველების ნაწილი, რომელიც დაერთვის სახელის გარკვეული ბრუნვის ფორმას და ამყარებს სხვადასხვა სახის მიმართებას სახელსა და სახელს, ან სახელსა და ზმნას შორის.

**თანი** *თანის* ქართული ანბანის მერვე ასოს (თ-ს) სახელწოდება.

**თანმიმდევრობა** *თანმიმდევრობის* || თანამიმდევრობა.

**თანმიმდევრობით** ზმნზ. ერთიმეორის მიყოლებით. *თანმიმდევრობით აწყობს.*

**თანმიმდევრული** *თანმიმდევრულის* ერთიმეორიდან გამომდინარე, არაწინააღმდეგობრივი. *თანმიმდევრული მსჯელობა.*

**თანმხლები** *თანმხლების* ვინც ან რაც თან ახლავს. *დედოფლის თანმხლები პირები. ავადმყოფობის თანმხლები ნიშნები.*

**თანრიგი** *თანრიგის* ხარისხი, კვალიფიკაცია. *პირველი თანრიგის სპორტსმენი.*

**თანრიგოსანი** *თანრიგოსნის* სპორტული თანრიგის მქონე პირი. *თანრიგოსანი მოჭადრაკე. თანრიგოსანი მძლეოსანი.*

**თანშეზრდილი** *თანშეზრდილის* ვინც ვინმესთან ერთად იზრდებოდა. *თანშეზრდილი მეგობარი.*

**თანხა** *თანხის* ფულის გარკვეული რაოდენობა. *დიდი თანხის გადარიცხვა. საჭირო თანხა შეგროვდა.*

**თანხვედენილი** *თანხვედენილის* რაც ერთმანეთს თანხვედება, ემთხვევა. *თანხვედენილი ფაქტები. თანხვედენილი მიმართულება.*

**თანხვედრა** *თანხვედრის* (თანხვდება) სხვადასხვა მოვლენის, მოქმედებისა და მისთ. ერთიმეორესთან დამთხვევა. *თანხვედრა მოხდა. მოვლენები თანხვდება.*

**თანხლება** *თანხლების* ვინმესთან ერთად ყოფნა, სადმე წასვლა. *ვინმეს თანხლება არ სჭირდება. მეგობრების თანხლებით მოვიდა.*

**თანხმობა** *თანხმობის* 1. აზრთა, შეხედულებათა ერთიანობა. *თანხმობით ცხოვრობდნენ. თანხმობას მიაღწიეს.* 2. დადებითი პასუხი, დასტური. *თანხმობა მიიღო.*

**თანხმოვანი** *თანხმოვნის* სამეტყველო ბგერა, რომლის წარმოთქმის დროსაც ჰაერნაკადს დაბრკოლება ხვდება. *თანხმოვნებს კარგად გამოთქვამს. მყღერი თანხმოვნები.*

**თაობა**[1] *თაობის* 1. შთამომავლობის თითოეული საფეხური. *მოხუცი მეოთხე თაობას მოესწრო.* 2. (კრებ.) დაახლოებით ერთი ასაკის ადამიანების ერთობლიობა. *ჩვენი თაობა. ჩვენი მშობლების თაობა.*

**თაობა**[2] *თაობის* (თაობს) რაიმე საქმის წამოწყება, ხელმძღვანელობა, მოთავედ ყოფნა. *სალამოს ორგანიზება ითავა. სპონსორობა კომპანიამ ითავა.*

**თაობაზე** ზმნზ. (+ ნათ.) შესახებ. *ახალი წიგნის თაობაზე მსჯელობდნენ.*

**თაოსანი** *თაოსნის* მოთავე, წამომწყები. *საქმის თაოსანი.*

**თაოსნობა** *თაოსნობის* (თაოსნობს) რაიმეს წამოწყება, თაოსნად ყოფნა. *საქმის თაოსნობა. მშენებლობას თაოსნობს.*

**თარაზო** *თარაზოს* ხაზის, ზედაპირის ჰორიზონტალურობის შესამოწმებელი ხელსაწყო.

**თარაზული** *თარაზულის* იგივეა, რაც ჰორიზონტალური. *თარაზული სიბრტყე.*

**თარგი** *თარგის* ტანსაცმლის ან ფეხსაცმლის დეტალის ნიმუში, რომელიც გამოჭრილია ქაღალდისგან ან მუყაოსგან. *შარვლის თარგი. პალტოს კალთის თარგი. თარგით კერავს.*

**თარგმანი** *თარგმანის* ერთი ენიდან სხვა ენაზე გადატანილი ტექსტი. *სიტყვასიტყვითი თარგმანი. რომანის თარგმანი.* ☉ **თავისუფალი თარგმანი** თარგმანი, რომელიც სიტყვასიტყვით არ მისდევს დედანს.

**თარგმნა** *თარგმნის* (თარგმნის, უთარგმნის, ითარგმნება, ათარგმნინებს) ↑ გადათარგმნა. *თარგმნის უფლება. ლექსები თარგმნა. ქართულ ენაზე ითარგმნა.* ■ **თარგმნილი** რაც თარგმნეს. *თარგმნილი ლიტერატურა.*

**თარგმნითი** *თარგმნითის* თარგმნასთან დაკავშირებული. ☉ **თარგმნითი ლექსიკონი** ლექსიკონი, რომელშიც სიტყვები ერთი ენიდან მეორე ენაზეა თარგმნილი.

**თარეში** *თარეშის* (თარეშობს) შესევა და დარბევა, აკლება, ძარცვა-გლეჯა. *მტრის თარეში. ბანდები თარეშობენ.*

**თარი** *თარის* უძველესი აღმოსავლური სიმებიანი საკრავი, ხმას გამოსცემს თითების ან სპეციალური ფირფიტის ჩამოკვრით.

**თარიღი** *თარიღის* ზუსტი დრო, როდესაც რაიმე მოვლენა მოხდა. *დაბადების თარიღი. ნაწარმოების შექმნის თარიღი. განცხადებას თარიღი დაუსვეს.*

**თარიღიანი** *თარიღიანის* რაზეც თარიღია აღნიშნული. *თარიღიანი ხელნაწერი.*


თარო

**თარო** *თაროს* კედელზე მიმაგრებული ან კარადაში მოთავსებული ყუთი, გამოიყენება სხვადასხვა სახის ნივთების დასაწყობად. *წიგნების თარო.*

**თარსვა** *თარსვის* (თარსავს, ითარსავს, ითარსება, ეთარსება) ↑ დათარსვა. *ნუ ითარსებით!*

**თარსი** *თარსის* ვინც ვინმეს თარსავს, ვინმეს მარცხს წინასწარმეტყველებს. *რა თარსი ხარ!*

**თარჯიმანი** *თარჯიმნის* პირი, რომელიც სხვის ნათქვამს ერთი ენიდან მეორეზე თარგმნის. *თარჯიმნის დახმარებით საუბრობდნენ.*

**თარჯიმნობა** *თარჯიმნობის* (თარჯიმნობს) ზეპირი

მთარგმნელობა, თარჯიმნად ყოფნა. *დელეგაციას თარჯიმნობს.*

**თასი** *თასის* 1. ჯამის ფორმის მაღალი სასმისი. *ღვინით სავსე თასი.* 2. ნაკეთობა, რომლითაც სპორტულ შეჯიბრებაში გამარჯვებულებს აჯილდოებენ. *ოქროს თასი. გარდამავალი თასი.*

თასი

**თასმა** *თასმის* ქსოვილის, ტყავისა და მისთ. ვიწრო და გრძელი ნაჭერი რაიმეს შესაკრავად, დასამაგრებლად. *ფეხსაცმლის თასმა. თასმები შეიკრა.*

**თაფლი** *თაფლის* ტკბილი, მოსქო, ბლანტი საკვები პროდუქტი, რომელსაც ფუტკარი ამზადებს ყვავილის ნექტრისგან. ▪ **თაფლიანი** რასაც თაფლი ურევია, რასაც თაფლი აცხია. *თაფლიანი პური. თაფლიანი წყალი.* ⊙ **თაფლის სანთელი** ცვილის სანთელი.

**თაფლისფერი** *თაფლისფერის* ყავისფრის ღია ელფერი. *თაფლისფერი თვალები.*

**თაფლობისთვე** *თაფლობისთვის* ახალშეუღლებულთა ერთად ცხოვრების პირველი თვე. *თაფლობისთვე ზღვაზე გაატარეს.*

**თაფლუჭი** *თაფლუჭის* თაფლისგან მომზადებული მათრობელი სასმელი. *თაფლუჭით გაუმასპინძლდა.*

**თაქება** *თაქების* (უთაქებს) საუბრ. ხელის გაკვრა, წარტყმა. *ერთი ლაზათიანად უთაქა.*

**თაღი** *თაღის* შენობის გადახურვის სახეობა, ნაგებობის კედლების, საყრდენების შემაერთებელი რკალი. *ტაძრის თაღი.* ▪ **თაღიანი** რასაც თაღი აქვს. *თაღებიანი შენობა.*

**თაღლითი** *თაღლითის* მოტყუებით, სხვისი გაბრიყვებით საქმის მკეთებელი. *თაღლითი კაცი.*

**თაღლითური** *თაღლითურის* თაღლითის დამახასიათებელი. *თაღლითური საქციელი. თაღლითური მიდგომა.*

**თაყვანი** *თაყვანის* ⊙ **თაყვანს სცემს** დიდ პატივს სცემს, ემსახურება, განსაკუთრებით აფასებს.

**თაყვანისმცემელი** *თაყვანისმცემლის* 1. ვინმეს ან რაიმეს მეტისმეტად მოყვარული, დამფასებელი, პატივისმცემელი. *მომღერლის თაყვანისმცემელი.* 2. ვინმეს მოტრფიალე, შეყვარებული. *ეს თაიგული ჩემმა თაყვანისმცემელმა მომართვა.*

**თაყვანისცემა** *თაყვანისცემის* მოწიწების, უაღრესი პატივისცემის გამოხატვა. *ხატების თაყვანისცემა.*

**თახვი** *თახვის* ძვირფასბეწვიანი მოზრდილი მღრღნელი. *თახვის ქურქი.*

**თახთახი** *თახთახის* (თახთახებს, უთახთახებს) თრთოლა, ცახცახი. *ერთიანად თახთახებს. შიშით თახთახებდა.*

**თბილად** ზმნზ. 1. ისე, რომ სითბოს (1) გრძნობდეს. *თბილად ჩაიცვა.* 2. სიყვარულით, სითბოს (2) გამომჟღავნებით. *თბილად ესაუბრა. თბილად მოეკიდა.*

**თბილი** *თბილის* 1. რასაც სითბო (1) აქვს. *თბილი წყალი. თბილი რძე.* 2. სიცივისგან დამცავი სამოსი. *თბილი ქუდი. თბილი პალტო.* 3. გადატ. მოსიყვარულე, ალერსიანი. *თბილი სიტყვა. თბილი ბავშვი.*

**თბოგამტარი** *თბოგამტარის* მასალა, ნივთიერება, რომელიც სითბოს ატარებს. *თბოგამტარი ლითონები. ვერცხლი კარგი თბოგამტარია.*

**თეატრალური** *თეატრალურის* 1. თეატრთან დაკავშირებული. *თეატრალური წარმოდგენა.* 2. გადატ. ხელოვნური, არტისტული. *თეატრალური მანერები.*

**თეატრი** *თეატრის* 1. დრამატული ნაწარმოებების სცენაზე განსახიერება. *თეატრის მოყვარული.* 2. ორგანიზაცია, რომელიც დრამატულ ნაწარმოებებს დგამს სცენაზე. *თეატრის გასტროლები. თეატრის მსახიობი.* 3. შენობა, სადაც დრამატულ ნაწარმოებებს წარმოადგენენ, სპექტაკლებს მართავენ. *თეატრში შევიდნენ.*

**თეატრმცოდნეობა** *თეატრმცოდნეობის* ხელოვნებათმცოდნეობის დარგი, რომელიც შეისწავლის თეატრის ისტორიასა და თეორიას. *თეატრმცოდნეობის ლექცია.*

**თებერვალი** *თებერვლის* წელიწადის მეორე თვე. *გამოფენა თებერვალში გაიხსნება.*

**თებო** *თებოს* თმის ცხიმი. *თებომ საყელო გაუსვარა.*

**თეგი** *თეგის* ტარიანი რკინის საჭრისი, რომელსაც ბასრი პირი აქვს, იყენებენ ლითონზე რაიმეს ამოსატვიფრად ან მოსავარაყებლად. *წვეტიანი თეგი.*

**თევა** *თევის* (ათევს, უთევს, ათევინებს) ↑ გათევა. *ღამეს ათევენ.*

**თევზაობა** *თევზაობის* (თევზაობს, ათევზაებს) ანკესით ან ბადით თევზის ჭერა. *თევზაობა უყვარს. მდინარეზე თევზაობს. ბადით ითევზავეს.*

**თევზეული** *თევზეულის* სხვადასხვა თევზის პროდუქტი. *სუფრაზე უხვად ეწყო თევზეული.*

**თევზი** *თევზის* წყლის ხერხემლიანი ცხოველების საერთო სახელწოდება. *ზღვის თევზი. მდინარის თევზი.* 2. (მრ) ზოდიაქოს ნიშანი.


თევზი

**თევზსაჭერი** *თევზსაჭერის* რაც თევზის დასაჭერად გამოიყენება. *თევზსაჭერი მოწყობილობა. თევზსაჭერი გემი.*

**თევზჭერა** *თევზჭერის* დიდი რაოდენობით თევზის დაჭერა, რეწვა. *თევზჭერას მისდევენ. თევზჭერის ნებართვა. უკანონო თევზჭერა.*

**თეზისი** *თეზისის* 1. (ძირითადად მრ.) დებულება,

რომელიც მოკლედ გადმოსცემს მოხსენების, ლექციისა და მისთ. არსს. *სათქმელი თეზისებად ჩამოაყალიბა.* 2. დებულება (1), რომელიც უნდა დამტკიცდეს. *მთავარი თეზისი.*

**თეთრა** *თეთრას* 1. თეთრყურძნიანი ვაზის ჯიში, გავრცელებულია რაჭა-ლეჩხუმში. 2. ამ ჯიშის ყურძნისგან დაყენებული ღვინო.

**თეთრგულა** *თეთრგულას* რასაც თეთრი გული აქვს. *თეთრგულა ატამი.*

**თეთრეული** *თეთრეულის* 1. ლოგინზე გადასაკრავი საფარებლების (ზეწრის, შალითის, ბალიშის პირის) საერთო სახელწოდება. *ტილოს თეთრეული.* 2. იგივეა, რაც საცვლები. *ქალის თეთრეული.*

**თეთრი** *თეთრის* 1. რძის, თოვლის, ბამბის ფერი. *თეთრი პერანგი. თეთრი ავტომობილი.* 2. სხვებთან შედარებით ყველაზე ღია ფერისა. *თეთრი პური. თეთრი თუთა. თეთრი ბიჭი.*

**თეთრკანიანი** *თეთრკანიანის* ევროპეიდული რასის წარმოადგენელი, ახასიათებს ღია ფერის (თეთრი) კანი. *ამ უბანში მხოლოდ თეთრკანიანები ცხოვრობენ.*

**თეთრყვავილა** *თეთრყვავილას* ბოლქვიანი პატარა მცენარე, აქვს ერთი თავდახრილი, თეთრი ყვავილი, ყვავის ადრე გაზაფხულზე.

**თეთრწვერა** *თეთრწვერას* ვისაც თეთრი (ჭაღარა) წვერი აქვს. *თეთრწვერა მოხუცი.*

**თეთქვა** *თეთქვის* (თეთქვავს, ითეთქვება) ↑ **დათეთქვა**. *თავხედობისთვის თეთქვეს.*

**თელა** *თელის* მაღალი ხე, აქვს ასიმეტრიული ფოთლები, ჯგუფ-ჯგუფად შეკრებილი ყვავილები და ფრთიანი ნაყოფი, მერქანი გამოიყენება სამშენებლო მასალად და ავეჯის დასამზადებლად. *თელის ხე.*

**თელვა** *თელვის* (თელავს, უთელავს, ითელება, ეთელება, ათელვინებს, ეთელვინება) 1. ↑ **გათელვა** (1). *ყვავილებს თელავს.* 2. ↑ **მოთელვა** (1). *ქერის თელვა. მატყლს თელავენ.*

**თემა** *თემის* 1. ძირითადი საკითხი, რომელსაც ეხება მსჯელობა, გამოკვლევა, თხზულება და მისთ. *ნაწარმოების თემა. ლექცია სხვა თემაზე გაგრძელდა.* 2. წერილობითი მსჯელობა რაიმე საკითხის შესახებ. *თემის დაწერა.*

**თემატიკა** *თემატიკის* მსგავსი, რაიმე ნიშნით შერჩეული თემების ერთობლიობა. *საბავშვო წიგნების თემატიკა. ისტორიული თემატიკა.*

**თემატური** *თემატურის* თემიდან გამომდინარე, თემასთან დაკავშირებული, თემების მიხედვით შერჩეული. *თემატური საავარჯიშო.*

**თემი** *თემის* 1. საერთო წეს-ჩვეულებების მქონე ადამიანთა ერთობა საქართველოს მთიანეთში. *ფშავის თემი. ხევსურთა თემი. თემის დროშა.* 2. ადამიანთა ერთობა, ძირითადი სოციალური ჯგუფი წინარეისტორიულ ხანაში.

**თემური** *თემურის* თემის დამახასიათებელი. თემებზე დამყარებული. *თემური მმართველობა. თემური საკუთრება. თემური მეურნეობა.*

**თენება** *თენების* (ათენებს, უთენებს, ათენებინებს) ↑ **გათენება** (2). *ღამეების თენებამ დაღალა.*

**თეო** *თეოს* მწყემსისა და ძაღლის სადარაჯო ადგილი ცხვრის ფარის ღამის სადგომთან. *თეოზე გავიდა.*

**თეოლოგი** *თეოლოგის* იგივეა, რაც ღვთისმეტყველი.

**თეოლოგია** *თეოლოგიის* იგივეა, რაც ღვთისმეტყველება. *თეოლოგიის წიგნი.* ■ **თეოლოგიური** თეოლოგიასთან დაკავშირებული, თეოლოგიისთვის განკუთვნილი. *თეოლოგიური ლიტერატურა.*

**თეორემა** *თეორემის* დებულება, რომლის მართებულობის დასაბუთება ხდება უკვე დამტკიცებულ დებულებებსა და აქსიომებზე დაყრდნობით. *პითაგორას თეორემა.*

**თეორეტიკოსი** *თეორეტიკოსის* მეცნიერების რომელიმე დარგის თეორიული საკითხების მკვლევარი. *თეორეტიკოსის მსჯელობა.*

**თეორია** *თეორიის* 1. მეცნიერული პრინციპებისა და იდეების სისტემა, რომელიც აყალიბებს საზოგადოების, ცხოვრებისა და ბუნების განვითარების თავისებურ ხედვას. *ალბათობის თეორია. საერთაშორისო ურთიერთობების თეორიები. მოძველებული თეორია.* 2. წესების ერთობლიობა, რომელიც აუცილებელია რაიმეს შესასწავლად. *თეორია და პრაქტიკა. მუსიკის თეორია.*

**თეორიული** *თეორიულის* თეორიაზე (2) დამყარებული, თეორიით გამართლებული. *თეორიული ცოდნა. თეორიული მსჯელობა.*

**თერაპევტი** *თერაპევტის* ექიმი, თერაპიის სპეციალისტი. *თერაპევტის კაბინეტი.*

**თერაპია** *თერაპიის* მედიცინის დარგი, რომელიც შეისწავლის შინაგან სნეულებებსა და მათ მკურნალობას არაქირურგიული მეთოდებით. ■ **თერაპიული** თერაპიასთან დაკავშირებული. თერაპიისთვის განკუთვნილი. *თერაპიული განყოფილება.*

**თერთმეტი** *თერთმეტის* რიცხვი 11. *თერთმეტი მოსწავლე.*

**თერმომეტრი** *თერმომეტრის* ტემპერატურის საზომი ხელსაწყო. *სამედიცინო თერმომეტრი. ოთახის თერმომეტრი.*

თერმოსი

**თერმოსი** *თერმოსის* სპეციალური ჭურჭელი, რომელიც მასში მოთავსებულ პროდუქტს ტემპერატურას უნარჩუნებს. *სამგ ზავრო თერმოსი.*

**თერმული** *თერმულის* სპეც. სითბური ენერგიის გამოყენებასთან დაკავშირებული. *თერმული რეჟიმი. ლითონთა თერმული დამუშავება.*

**თერო** *თეროს* მრავალნლოვანი პარკოსანი მცენარე, აქვს წითელი ყვავილები და ფესვებზე ქლიავისოდენა გამსხვილება, რომელიც იჭმება.

**თერძი** *თერძის* ძვ. მამაკაცის ტანსაცმლის მკერავი. *თერძის მაკრატელი.*

**თესვა** *თესვის* (თესავს, ითესავს, უთესავს, ითესება, ეთესება, თესია, უთესია, ათესვინებს) ↑ დათესვა. *ხორბალს თესავს. ლობიო გვიან ითესება. მიკრობებს თესავენ.*

**თესლი** *თესლის* 1. მცენარის დასათესად განკუთვნილი ნაყოფი. *ხახვის თესლი. ლობიოს თესლი. თესლით გამრავლება.* 2. სასქესო უჯრედების შემცველი ნივთიერება, რომელსაც გამოყოფს მამაკაცის ან მამრობითი სქესის ცხოველის სასქესო ორგანოები, აქვს გამრავლების უნარი. 3. მნერების კვერცხები. *აბრეშუმის ჭიის თესლი.* ■ თესლეული სხვადასხვა სახის თესლი (1). *საჭირო თესლეული შეიძინა.* ■ თესლიანი თესლის მქონე, თესლის შემცველი. *თესლიანი ნაყოფი.*

**თესლკვირტი** *თესლკვირტის* ყვავილის ნაწილი, რომლისგანაც განაყოფიერების შემდეგ ვითარდება თესლი.


თეფში

**თეფში** *თეფშის* გაშლილი, ოდნავ ჩაღრმავებული ჭურჭელი, გამოიყენება საჭმლის დასადებად. *ფაიფურის თეფში.*

**თექა** *თექის* 1. ნაბდისგან (1) შეკერილი ზედა ჩასაცმელი, ნაბდის პალტო. 2. იგივეა, რაც ნაბადი (1). *თექის ოსტატები.*

**თექვსმეტი** *თექვსმეტის* რიცხვი 16. *თექვსმეტი სკამი.*

**თეძო** *თეძოს* ადამიანის ან ცხოველის ფეხის ნაწილი მენჯთან. *თეძოს ძვალი. მაღალი თეძოები.*

**თვალადი** *თვალადის* ლამაზი, კარგი შესახედაობის, მოხდენილი გარეგნობის მქონე. *თვალადი ყმაწვილი.*

**თვალანთებული** *თვალანთებულის* გახარებული, ვის თვალებშიც კმაყოფილების, სიხარულის, მონონების გრძნობა ჩანს. *თვალანთებული გოგო. თვალანთებული შეჰყურებს.*

**თვალახელილი** *თვალახელილის* ვინც ან რამაც თვალი აახილა. *თვალახელილი კნუტები.*

**თვალახვეული** *თვალახვეულის* ვისაც თვალები აქვს ახვეული. *თვალახვეული მოთამაშე.*

**თვალუწვდენელი** *თვალუწვდენლის* ფართო, ძალიან ვრცელი, რასაც თვალი ვერ სწვდება. *თვალუწვდენელი მინდორი. თვალუწვდენელი ველები.*

**თვალგაშტერებული** *თვალგაშტერებულის* გაკვირვებული, ვისაც გაკვირვების ან მოულოდნელობისგან თვალები გაუშტერდა. *თვალგაშტერებული შეჰყურებს.*

**თვალგახელილი** *თვალგახელილის* ვინც თვალი გაახილა, ვისაც თვალები გახელილი აქვს. *თვალგახელილს სძინავს.*

**თვალდავსებული** *თვალდავსებულის* დაბრმავებული, მხედველობადაკარგული. *თვალდავსებული მოხუცი.*

**თვალდათვალ** ზმნზ. თვალწინ, აშკარად, შესამჩნევად. *ქალაქი თვალდათვალ იცვლება.*

**თვალდასავსები** *თვალდასავსების* წყევ. *შე თვალდასავსებო!*

**თვალდაუხამხამებლად** ზმნზ. სწრაფად, დაუყოვნებლივ, დაუფიქრებლად. *თვალდაუხამხამებლად გადასანსლა.*

**თვალებამოღამებული** *თვალებამოღამებულის* ვისაც თვალის უპეები, თვალის გარშემო ბუდე ჩაშავებული აქვს. *კითხვით თვალებამოღამებული.*

**თვალებგადმოკარკლული** *თვალებგადმოკარკლულის* თვალებდაჭყეტილი, დიდთვალებიანი, თითქოს თვალები ბუდეებიდან უნდა ამოუცვივდესო. *თვალებგადმოკარკლული გოგო.*

**თვალებჩალურჯებული** *თვალებჩალურჯებულის* ნაცემი, ვისაც თვალის გარშემო კანი აქვს ჩალურჯებული. *თვალებჩალურჯებული მოვიდა.*

**თვალზომა** *თვალზომის* რაიმეს მოცულობის, წონის, სიგრძის თვალით განსაზღვრის უნარი. *კარგი თვალზომა აქვს. თვალზომით დიდი ჩანს.*

**თვალთახედვა** *თვალთახედვის* 1. სივრცე, რომელსაც თვალით აღიქვამ. *თვალთახედვის არე. თვალთახედვიდან გაქრა.* 2. შეხედულება, თვალსაზრისი. *ყველაფერს საკუთარი თვალთახედვით აფასებს.*

**თვალთვალი** *თვალთვალის* (უთვალთვალებს) ფარულად ყურება. *თვალთვალი დაუწყო. დიდხანს უთვალთვალა.*

**თვალთმაქცი** *თვალთმაქცის* მატყუარა, ცბიერი. *თვალთმაქცი ადამიანი.*

**თვალთმაქცობა** *თვალთმაქცობის* (თვალთმაქცობს) ეშმაკობა, ცბიერება. *თვალთმაქცობა დაიწყო. თვალთმაქცობაში გამოიჭირეს.*

**თვალთმაქცური** *თვალთმაქცურის* მოჩვენებითი, ყალბი, ეშმაკური. *თვალთმაქცური საუბარი. თვალთმაქცური მხარდაჭერა.*

**თვალი**[1] *თვალის* 1. მხედველობის ორგანო. *თვალი გაახილა. თვალები დახუჭა. თვალით უხილავი.* 2. გადატ. საზოგადოების, ქვეყნის, ოჯახის და მისთ. გამორჩეული, საუკეთესო წევრი. *ქვეყნის თვალი. კლასის თვალი.* ■ თვალად შესახედავად, გარეგნულად. *თვალად კარგი ვაჟკაცია.* ■ თვალში ნაცრის შეყრა მოტყუება, აშკარა ტყუილის ვინმესთვის დაჯერების ცდა. ⊙ თვალები ამოუღამდება დაღლილობის, უძილობის, დარდისა და მისთ. გამო თვალები ჩაულურჯდება, ჩაუშა-

ვდება. ⊙ **თვალებს გადაუბრიალებს.** იხ. გადაბრიალება. ⊙ **თვალებს დაითხრის** 1. ბევრი კითხვით, წერით, ტირილით თვალები გადაეღლება. 2. შურით, ვინმეს ჯიბრით მოიქცევა. ⊙ **თვალებში უყურებს** ემორჩილება, ცდილობს ასიამოვნოს. ⊙ **თვალთ დააკლდება** მხედველობა დააკლდება. ⊙ **თვალი აეხილება** ყოველივეს მიხვდება, რეალურად, სწორად შეაფასებს. ⊙ **თვალი ატყუებს** არასწორად ეჩვენება. ⊙ **თვალი გაუშტერდება** დაჟინებით შეხედავს, მიაჩერდება. ⊙ **თვალი დაგიდგეს წყევლა.** ⊙ **თვალი ეცემა** ცრურწ. ავი თვალის ზემოქმედებით რაიმე შეემთხვევა. ⊙ **თვალი ზედ რჩება** მოსწონს, თვალს ვერ აშორებს. ⊙ **თვალი უთამაშებს** თვალის გარშემო ქუთუთოს კანი უთრთის, რაც რაიმე კარგის ან ცუდის მომასწავებლად მიიჩნევა. ⊙ **თვალი უჭირავს** მოსწონს, ყურადღებას აქცევს. ⊙ **თვალი უჭრის** კარგი მხედველობა აქვს. ⊙ **თვალის გადავლება** გადათვალიერება, ზერელედ წაკითხვა. ⊙ **თვალის შევლება** იხ. შევლება. ⊙ **თვალს აარიდებს** გვერდზე გაიხედავს, ეცდება, არ შეხედოს, არ დაინახოს. ⊙ **თვალს აუბამს** სიმართლეს არ დაანახვებს, გააცურებს, მოატყუებს. ⊙ **თვალს გაუსწორებს** გაბედულად, თამამად შეხედავს. ⊙ **თვალს დაადგამს** მოეწონება, ამოირჩევს. ⊙ **თვალს დახუჭავს** არ შეიმჩნევს, წაუყრუებს. ⊙ **თვალს ვერ მოსწყვეტს** დაჟინებით უყურებს, თვალს ვერ მოაშორებს. ⊙ **თვალს ვერ უსწორებს** რცხვენია ვინმეს შეხედვის, ნახვის. ⊙ **თვალს მიმოავლებს** აქეთ-იქით მიმოიხედავს. ⊙ **თვალს მოსჭრის** ვინმეს სილამაზე ან ძლიერი შუქი რაიმეს დანახვას გაუძნელებს. ⊙ **თვალს მოჰკრავს** უეცრად დაინახავს. ⊙ **თვალს შეაჩვევს** შეეგუება, რაიმეს ყურებას მიეჩვევა. ⊙ **თვალს ჩაუკრავს** ერთი თვალის ოდნავი მოხუჭვით მიანიშნებს რაიმეს. ⊙ **თვალს წყალს დაალევინებს** მიიხედ-მოიხედავს, გაერთობა რაიმეს თვალიერებით. ⊙ **თვალსა და ხელს შუა უცებ,** მოულოდნელად, ყველას თვალწინ, აშკარად. ⊙ **თვალში გამოიხედავს** ავადმყოფი მომჯობინდება. ⊙ **თვალში მოაკლდება** ვინმეს მოისაკლისებს, მის არყოფნას განიცდის. ⊙ **თვალში საცემი** მომხიბლავი, გამორჩეული, შესამჩნევი.

**თვალი²** *თვლის* 1. წრის ფორმის რგოლი, რომელიც ბრუნავს ღერძის გარშემო და ამოძრავებს რაიმე მექანიზმს ან სატრანსპორტო საშუალებას. *მანქანის თვლები. ურმის თვალი. თვლებზე დგას.* 2. დამუშავებული ძვირფასი ქვა. *ბეჭდის თვალი. თვლებით მოჭედილი გვირგვინი.* 3. ჩასაბერი საკრავის ნახვრეტი, რომელზე თითის დადება-აღებით გამოაცემინებენ საჭირო მელოდიას. *სალამურის თვლები.* 4. გარკვეული სახის ნაქსოვის, წნულის ერთი რგოლი (უჯრედი) ან საქსოვ ჩხირზე წამოცმული ყულფი, მარყუჟი. *წინდის თვალი. თვალი წაუვიდა. თვლები ამოკრიფა.* ■ **თვლიანი** თვლის მქონე. *თვლიანი ბეჭედი.*


თვალი² (1)

**თვალიერება** *თვალიერების* (ათვალიერებს, ათვალიერებინებს) ↑ **დათვალიერება.** *წიგნის თვალიერება დაიწყო. ეზოს ათვალიერებს.*

**თვალ-მარგალიტი** *თვალ-მარგალიტის* ძვირფასი ქვები. *თვალ-მარგალიტით შემკული ხატი. თვალ-მარგალიტით გაწყობილი კაბა.*

**თვალმიუწვდენელი** *თვალმიუწვდენლის* ძალიან შორეული, შორს ან დიდ სიმაღლეზე მყოფი, რასაც მხედველობა ვერ სწვდება. *თვალმიუწვდენელი სიმაღლე. თვალმიუწვდენელი მანძილი.*

**თვალმოუშორებლად** ზმნზ. თვალის მოუშორებლად, დაჟინებით. *თვალმოუშორებლად დასცქერის საათს.*

**თვალმოუხუჭავი** *თვალმოუხუჭავის* ვისაც მუდმივად ღვიძავს, ვინც მუდმივად ფხიზლობს. *მთელი ღამე თვალმოუხუჭავი ზის.*

**თვალნათლად** ზმნზ.||**თვალნათლივ** *თვალნათლად დაგვანახა თავისი სიმართლე.*

**თვალნათლივ** ზმნზ. ცხადად, ნათლად, თვალსაჩინოდ, აშკარად. *თვალნათლივ გამოჩნდა მისი მნიშვნელობა.*

**თვალნაცემი** *თვალნაცემის* ცრურწ. ვინც ავი თვალის ზეგავლენით ავად გახდა. *თვალნაცემს ლოცვით მკურნალობენ.*

**თვალჟუჟუნა** *თვალჟუჟუნას* ვისაც ლამაზად მოჟუჟუნე თვალები აქვს. ვინც მხიარულად გამოიყურება. *თვალჟუჟუნა ქალი.*

**თვალსაზრისი** *თვალსაზრისის* შეხედულება რაიმეს შესახებ. *განსხვავებული თვალსაზრისი. თავისი თვალსაზრისი გამოთქვა.*

**თვალსაჩინო** *თვალსაჩინოს* 1. ადვილად დასანახი, შესამჩნევი. *თვალსაჩინო ადგილზე ზის.* 2. ძალიან მნიშვნელოვანი. *თვალსაჩინო მიღწევები.*

**თვალსაჩინოება** *თვალსაჩინოების* სწავლების პროცესში გამოსაყენებელი პრაქტიკული საშუალებები, რომლებიც ადამიანს ეხმარება თეორიული მასალის გაგებასა და დამახსოვრებაში. *გაკვეთილზე თვალსაჩინოება გამოიყენა.*

**თვალსაწიერი** *თვალსაწიერის* 1. მანძილი, სადამდეც ადამიანის მხედველობა სწვდება. *თვალსაწიერს იქით.* 2. გადატ. ცოდნის სიღრმე, გონებრივი შესაძლებლობები. *ფართო თვალსაწიერი აქვს.*

**თვალტანადი** *თვალტანადის* შესახედაობით და ტანადობით ლამაზი, სახით და აღნაგობით კარგი. *თვალტანადი ქალია.*

**თვალღია** *თვალღიას* ვისაც თვალები დახუჭული არა აქვს. *კურდღელი თვალღია იძინებს.*

**თვალყური** *თვალყურის* ◌ თვალყურს ადევნებს 1. პატრონობს, ზრუნავს მასზე. 2. უთვალთვალებს.

**თვალციმციმა** *თვალციმციმას* ვისაც თვალები უციმციმებს, ვის თვალებშიც სიცოცხლის ხალისი მოჩანს. *თვალციმციმა გოგონები.*

**თვალცრემლიანი** *თვალცრემლიანის* ატირებული, ვისაც თვალებში ცრემლი აქვს ჩამდგარი.

**თვალ-ნარბი** *თვალ-წარბის* თვალები და წარბები. *შავი თვალ-წარბი. მიმზიდველი თვალ-წარბი.*

**თვალწარმტაცი** *თვალწარმტაცის* ძალიან ლამაზი. *თვალწარმტაცი მიდამო. თვალწარმტაცი მთაბარი.*

**თვალჭრელი** *თვალჭრელის* იგივეა, რაც ჭრელთვალა. *თვალჭრელი ქალი. თვალჭრელი კატა.*

**თვალხარბი** *თვალხარბის* ხარბი, გაუმაძღარი, მომხვეჭელი. *თვალხარბი პიროვნება.*

**თვე** *თვის* დროის მონაკვეთი, წელიწადის თორმეტი ნაწილიდან ერთ-ერთი. *მთელი თვე წვიმდა. ორი თვით ისვენებს. სამ თვეში აშენდა.* ▮ **თვეობით** ზმნ. თვეების განმავლობაში, თვეების მანძილზე. *თვეობით მიდის სახლიდან.*

**თვე-ნახევარი** *თვე-ნახევრის* დროის მონაკვეთი, რომელიც ერთ თვესა და თხუთმეტ დღეს მოიცავს. *თვე-ნახევარი გავიდა.*

**თვით** ნაცვ. თავად ის (გამოიყენება ვინმეზე ან რაიმეზე მისათითებლად მისი მნიშვნელობის ხაზგასმის მიზნით). *თვით მეფეც არ დაიწუნებდა.*

**თვითგამორკვევა** *თვითგამორკვევის* ერის ნების გამოხატვა საკუთარი სახელმწიფოებრივი მოწყობის ან ეროვნული მნიშვნელობის საკითხში. *თვითგამორკვევის უფლება.*

**თვითგვემა** *თვითგვემის* საკუთარი თავის წვალება, ტანჯვა, გვემა. *თვითგვემას მიმართა.*

**თვითდინება** *თვითდინების* პროცესის მიმდინარეობა წინასწარ დასახული გეგმის გარეშე. *თვითდინებას მიჰყვა. თვითდინებით ცხოვრობს.*

**თვითკმაყოფილება** *თვითკმაყოფილების* თავისი თავით, თავისი მდგომარეობით კმაყოფილება. *თვითკმაყოფილება ვერ დამალა.*

**თვითკმაყოფილი** *თვითკმაყოფილის* საკუთარი თავით კმაყოფილი. *თვითკმაყოფილი იერი.*

**თვითკრიტიკა** *თვითკრიტიკის* საკუთარ საქმიანობაში ნაკლოვანებათა აღმოჩენა, საკუთარი შეცდომების აღიარება. ▮ **თვითკრიტიკული** ვისაც თვითკრიტიკის უნარი აქვს, რაც თვითკრიტიკას შეიცავს. *თვითკრიტიკული ადამიანი. თვითკრიტიკული გამოსვლა.*

**თვითმავალი** *თვითმავალის* რაც თვითონ გადაადგილდება ძრავის მეშვეობით (მანქანა). *თვითმავალი ქვემეხი.*

**თვითმარქვია** *თვითმარქვიას* ვინც სხვა პირონებად ასაღებს თავს, სხვისი სახელი, წოდება და მისთ. აქვს მითვისებული. *თვითმარქვია მეთაური. თვითმარქვია მეფე.*

**თვითმასწავლებელი** *თვითმასწავლებლის* სახელმძღვანელო, რომელიც განკუთვნილია რაიმეს დამოუკიდებლად (მასწავლებლის დაუხმარებლად) შესწავლისთვის. *ინგლისური ენის თვითმასწავლებელი.*

**თვითმიზანი** *თვითმიზნის* მიზანი, რომელსაც არა აქვს რაიმე საფუძველი, ახირება. *ეს მისი თვითმიზანი იყო.*

**თვითმკვლელობა** *თვითმკვლელობის* საკუთარი სიცოცხლის გამიზნულად, განზრახ მოსპობა, სიკვდილი საკუთარი ხელით. *თვითმკვლელობა დიდი ცოდვაა. სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა.*

**თვითმმართველობა** *თვითმმართველობის* რაიმე ადმინისტრაციული ერთეულის ცენტრალური ხელისუფლებისგან დამოუკიდებელი, ავტონომიური მართვა. *ქალაქის თვითმმართველობა. რაიონის თვითმმართველობა.*

**თვითმომსახურება** *თვითმომსახურების* საკუთარი თავის მომსახურება. *კაფეში თვითმომსახურებაა.*

**თვითმოქმედება** *თვითმოქმედების* არაპროფესიონალთა, მოყვარულთა საქმიანობა ხელოვნების რომელიმე დარგში. *ხალხური თვითმოქმედება. თვითმოქმედების ტრადიცია.*

**თვითმოქმედი** *თვითმოქმედის* დამოუკიდებლად, სხვის დაუხმარებლად მოქმედი. *მომღერალთა თვითმოქმედი ანსამბლი. თვითმოქმედი ჯგუფი.*

**თვითმპყრობელური** *თვითმპყრობელურის* სახელმწიფოს მართვის სისტემა, რომელიც ერთი მეთაურის, თვითმპყრობლის შეუზღუდავ უფლებებზეა დამყარებული. *თვითმპყრობელური სახელმწიფო.*

**თვითმფრინავი** *თვითმფრინავის* საჰაერო ტრანსპორტის ძირითადი სახეობა, საფრენი აპარატი, რომელიც ძრავებისა და უძრავი ფრთების მეშვეობით გადაადგილდება ატმოსფეროში. *სამგზავრო თვითმფრინავი. სამხედრო თვითმფრინავი.*

**თვითმყოფადი** *თვითმყოფადის* რასაც თვითმყოფობა ახასიათებს. *თვითმყოფადი კულტურა. თვითმყოფადი შემოქმედება.*

**თვითმყოფადობა** *თვითმყოფადობის* განვითარების საკუთარი გზის, საკუთარი მახასიათებლების ქონა. *თვითმყოფადობა შეინარჩუნეს.*

**თვითმხილველი** *თვითმხილველის* ვინც თვითონ დაინახა ყველაფერი. *თვითმხილველები დაკითხეს.*

**თვითნაბადი** *თვითნაბადის* 1. ბუნებრივ პირობებში წარმოშობილი, დაუმუშავებელი. *ოქროს თვითნაბადი ზოდი.* 2. გადატ. ბუნებრივი, თანდაყოლილი. *თვითნაბადი ნიჭი.*

**თვითნაკეთი** *თვითნაკეთის* ხელით გაკეთებული, რაც ქარხნული წესით, დაზგაზე არ არის დამზადებული. *თვითნაკეთი ხელსაწყო. თვითნაკეთი პისტოლეტი.*

**თვითნასწავლი** *თვითნასწავლის* დამოუკიდებლად, სპეციალური სკოლის გავლის გარეშე ნასწავლი. *თვითნასწავლი მხატვარი.*

**თვითნებობა** *თვითნებობის* (თვითნებობს) სხვისთვის, უფროსისთვის ანგარიშის გაუწევლობა, მხოლოდ საკუთარი ნების, სურვილის მიხედვით მოქმედება. *თვითნებობამ დაღუპა. ბავშვი თვითნებობს.*

**თვითნებური** *თვითნებურის* მხოლოდ საკუთარ ნება-სურვილზე დამყარებული (საქციელი, მოქმედება). *თვითნებური გადაწყვეტილება. თვითნებურად მოქმედებს.*

**თვითონ** ნაცვ. სხვისი დახმარების გარეშე, თავისით. *თვითონ გადაწყვიტა. თვითონ დაწერა. მე თვითონ მოვიტან.*

**თვითღირებულება** *თვითღირებულების* თანხა, რომელიც დაიხარჯა საქონლის (პროდუქციის) წარმოებაზე. *წიგნის თვითღირებულება.*

**თვითშეგნება** *თვითშეგნების* საზოგადოებაში საკუთარი ადგილის, როლის, მნიშვნელობის, უფლებებისა და მოვალეობების გრძნობა. *საზოგადოებრივი თვითშეგნება. ეროვნული თვითშეგნება.*

**თვითშემოქმედება** *თვითშემოქმედების* დამოუკიდებლად, საკუთარი ფანტაზიით, სხვის დაუხმარებლად რაიმეს შექმნა. *მისი თვითშემოქმედების ნაყოფია.*

**თვინიერება** *თვინიერების* სიმშვიდე, სიწყნარე. *თვინიერებით გამოირჩევა.*

**თვინიერი** *თვინიერის* კარგი ზნის მქონე, წყნარი, მშვიდი. *თვინიერი ცხენი. თვინიერი ცხოველი.*

**თვისება** *თვისების* ვინმეს ან რაიმეს დამახასიათებელი ნიშანი, ჩვევა, ხასიათი. *კარგი თვისება. უცნაური თვისება აქვს.*

**თვისებრივი** *თვისებრივის* თვისების მიხედვით, თვისებებით განსაზღვრული. *თვისებრივი დახასიათება. თვისებრივად გამორჩეული.*

**თვისებრიობა** *თვისებრიობის* ისეთი ნიშანი, თვისება, რომელიც რაიმეს თავისებურებას განაპირობებს, მას სხვებისგან გამოარჩევს.

**თვისი** *თვისის* ნაცვ. წიგნ. თავისი. *თვისი სამშობლო.*

**თვისტომი** *თვისტომის* ადამიანი თავისი გვარის, ტომის სხვა ადამიანების მიმართ. *თვისტომთა შორის იმყოფება.*

**თვიური** *თვიურის* 1. თვეების მიხედვით განსაზღვრული. *თვიური ხელფასი. თვიური შემოსავალი. თვიური ნალექი. თვიური ხარჯი.* 2. საუბარ. მენსტრუაცია.

**თელა** *თელის* (თელის, ათვლის, ითვლის, უთვლის, ითვლება, ეთვლება, ათვლევინებს) 1. რიცხვების თანამიმდევრობით თქმა. *ბავშვმა თვლა ისწავლა.* 2. საგნების, ნივთიერებისა და მისთ. რაოდენობის გარკვევა. *ფულს თვლის. ქათმებს ითვლის.*

**თვლადი** *თვლადის* რაც ითვლება, რის დათვლაც შეიძლება. *თვლადი სიდიდეები.*

**თვლემა** *თვლემის* (თვლემს) ძილმორეულის მდგომარეობა. *მოხუცი თვლემს. დროდადრო ჩათვლემს ხოლმე.*

**თვლიანი** *თვლიანის* რასაც თვალი აქვს, თვალი[2] (2) უზის. *თვლიანი ბეჭედი.*

**თვრამეტი** *თვრამეტის* რიცხვი 18. *თვრამეტი სტუდენტი.*

**თიაქარი** *თიაქრის* მედიც. 1. მუცლის ღრუს კუნთოვანი ქსოვილის დაზიანება, რომლის დროსაც შინაგანი ორგანოები, ძირითადად, წვრილი ნაწლავები კანქვეშ გამოიბერება. 2. ამ დაზიანებისას გამობერილი ორგანო.

**თიბათვე** *თიბათვის* ძვ. ივნისი. *თიბათვის მზე.*

**თიბვა** *თიბვის* (თიბავს, უთიბავს, ითიბება, ათიბვინებს) სპეციალური იარაღით (ნამგლით, ცელითა და მისთ.) ბალახის ჭრა. *მთელი ღამე თიბავდნენ.*

**თივა** *თივის* მოთიბული და გამხმარი ბალახი. *თივის ზვინი.*

**თივთიკი** *თივთიკის* 1. ზოგი ცხოველის (ცხვრის, თხის, სიასამურის) ნაზი, წვრილი ბეწვი, რომელიც ამოსულია უხეში, მსხვილი მატყლის ქვეშ. *თივთიკით ნაქსოვი. თივთიკივით რბილი. თივთიკის ძაფი.* 2. ფრინველის ნაზი ბუმბული. *თივთიკის ბალიში.*

**თითა** *თითას* თეთრყურძნიანი ვაზის ჯიში. ისხამს მსხვილ, მოგრძომარცვლებიან მტევანს. *თითა დამწიფდა.*

**თითბერი** *თითბრის* ლითონის, სპილენძისა და თუთიის შენადნობი, გამოიყენება მანქანათმშენებლობაში, ხელსაწყოებისა და საყოფაცხოვრებო ნივთების დასამზადებლად. *თითბრის სინი. თითბრის რადიატორი.*

**თითი** *თითის* ხელის ან ფეხის მტევნის შემადგენელი ხუთი მოძრავი ნაწილიდან ერთ-ერთი. *თით ზე ბეჭედი ეკეთა. გრძელი თითები. თითები მოეყინა.* ⊙ **თითებს ჩაიკვნეტს** ძალიან მოეწონება (საჭმელი). ⊙ **თითზე კბენა** სინანული. ⊙ **თითზე ჩამოსათვლელი** ძალიან ცოტა. ⊙ **თითით საჩვენებელი** სამაგალითო, ძალიან კარგი. ⊙ **თითის სიგრძე** ძალიან პატარა. ⊙ **თითს არ დააკარებს** არაფერს დაუშავებს. ⊙ **თითს მოკაკვავს** დამარცხებას აღიარებს, დანებდება.

თითისტარი

**თითისტარი** *თითისტარის* 1. ხელით მატყლის სართავი ხის ღერო, აქვს

კონუსისებური ძირი და წამახვილებული თავი. 2. სართავი, საგრეხი მანქანების ძირითადი ნაწილი, გრეხს ნართს და ახვევს კოჭზე, მასრაზე, ვაზნაზე.

**თითო** *თითოს* ნაცვ. ცალ-ცალკე ერთი. *თითო წიგნი აიღეს. თითო შვილი ჰყავთ.*

**თითოეული** *თითოეულის* ნაცვ. ყველადან ცალ-ცალკე თითო, ყველადან ცალ-ცალკე აღებული ერთი. *თითოეული სტუდენტი. თითოეული სიტყვა.*

**თითო-თითო** *თითო-თითოს* ნაცვ. თითო და თითო, ყველასთვის თითო. *თითო-თითო ბილეთი დაურიგეს.*

**თითო-ოროლა** *თითო-ოროლას* ნაცვ. რამდენიმე, შიგადაშიგ, აქა-იქ თითო. *დარბაზში თითო-ოროლა მაყურებელი იჯდა. სახლში თითო-ოროლა ოჯახი ცხოვრობს.*

**თითოჯერ** ზმნზ. თითოეული ერთხელ, თითოეულ ადგილას, თითოეულ დროს ერთხელ. *ყველამ თითოჯერ ითამაშა ჩემპიონთან. თვეში თითოჯერ უნევს მორიგეობა.*

**თითქმის** ზმნზ. ისე, რომ ცოტაღა აკლდეს, კინაღამ, ლამის. *გასტროლებმა თითქმის ერთ თვეს გასტანა.*

**თითქო** ნაწილაკ.||თითქოს *თითქო რალაცამ გაიელვა.*

**თითქოს** ნაწილაკ. მიუთითებს ისეთ საგანზე, მოქმედებასა და მისთ., რომელიც მთქმელს ვარაუდით ჰგონია, მაგრამ დარწმუნებული არ არის. *თითქოს წვიმს. თითქოს მანქანის ხმა მოისმა.*

**თითხნა** *თითხნის* (თითხნის, ითითხნის, ითითხნება, ეთითხნება) 1. თხუპნა, სვრა. *ყველაფერს თითხნის.* 2. უხეიროდ წასმა. *ფასადებს თითხნიან.*

**თიკანი** *თიკნის* იგივეა, რაც ციკანი.

**თიკუნი** *თიკუნის* ადამიანის მეტსახელი, შერქმეული სახელი. *თიკუნად ურგებია ჰქვია.*

**თილისმა** *თილისმის* მცირე ზომის ნივთი, რომელსაც, ადამიანთა წარმოდგენით, ბედნიერება და წარმატება მოაქვს. *თილისმას ატარებს.*

**თიმთიმი** *თიმთიმის* (თიმთიმებს, უთიმთიმებს) ადამიანის ან ცხოველის სხეულის მსუქანი ნაწილისთვის დამახასიათებელი რხევა, თრთოლა. *ქონი თიმთიმებს. ლოყები უთიმთიმებს.*

**თინეიჯერი** *თინეიჯერის* მოზარდი 13 წლის ასაკიდან 19 წლამდე. *თინეიჯერების კლუბი.*

**თირკმელა** *თირკმელას* საჭმელი სოკო.

**თირკმელი** *თირკმლის* ადამიანისა და ცხოველის შარდის წარმომქმნელი და გამომყოფი ორგანო. *ცალი თირკმელი. თირკმლის დაავადება.*

**თიხა** *თიხის* რბილი ქანი, რომელიც წყალთან შერევისას იქცევა ცომისებურ მასად, მისგან ამზადებენ ჭურჭელს, ქანდაკებებს, გამოიყენება მშენებლობაში. *თიხის ქოთანი. თიხა მოზილეს.* ■ **თიხანარევი** რასაც თიხა ურევია. *თიხანარევი მიწა.* ■ **თიხიანი** თიხის შემცველი.

**თიხამიწა** *თიხამიწის* ნიადაგში არსებული თეთრი, კრისტალური ნივთიერება.

**თიხნარი** *თიხნარის* თიხის შემცველი ნიადაგი. *თიხნარი მიწა.*

**თლა** *თლის* (თლის, ათლის, ითლის, უთლის, ითლება, ეთლება, ათლევინებს) ↑ გათლა. *ხილის თლა. ფანქარს თლის.*

**თლილი** *თლილის* ზედაპირის გათლით, დამუშავებით მიღებული. *თლილი მარმარილო. თლილი ჭიქა.*

**თმა** *თმის* წვრილი, ძაფისებრი საფარველი ადამიანის თავზე და კანზე. *ჭაღარა თმა. ხშირი თმა. თმა გაიშალა.* ⊙ **თმა ყალყზე დაუდგება** შეეშინდება, აღელდება.

**თმააბურძგნული** *თმააბურძგნულის* ვისაც თმა აქვს აბურძგნული. *თმააბურძგნული გოგო.*

**თმააწეწილი** *თმააწეწილის* იგივეა, რაც თმაგაწეწილი. *თმააწეწილი ქალიშვილი.*

**თმაგაშლილი** *თმაგაშლილის* ვისაც თმები აქვს გაშლილი, დაუწნავი, შეუკრავი. *თმაგაშლილი ქალი.*

**თმაგაჩეჩილი** *თმაგაჩეჩილის* იგივეა, რაც თმაგაწეწილი. *თმაგაჩეჩილი ბიჭი.*

**თმაგაწეწილი** *თმაგაწეწილის* თმადაუვარცხნელი, ვისაც თმა გაწეწილი აქვს. ქარისგან *თმაგაწეწილი.*

**თმაშეევერცხლილი** *თმაშეევერცხლილის* ვისაც თმაში ჭაღარა ურევია. *თმაშეევერცხლილი კაცი.*

**თმენა** *თმენის* (ითმენს, უთმენს) ↑ მოთმენა. *ტკივილს ითმენს.*

**თმიანი** *თმიანის* ხშირი, გრძელი თმის მქონე. *თმიანი ქალი.*

**თმობა** *თმობის* (თმობს, უთმობს, ეთმობა, ათმობინებს) ↑ დათმობა. *არაფერს თმობენ.*

**თოვა** *თოვის* (თოვს, ათოვს, ითოვება) ციდან თოვლის ფიფქების ცვენა. *თოვა შეწყდა. მთელი ღამე თოვდა.*

**თოვლი** *თოვლის* ნალექი, რომელიც მოდის ფიფქების სახით. *თოვლის გუნდა. თოვლით დაფარული.*

**თოვლსაწმენდი** *თოვლსაწმენდის* მოწყობილობა, რომლითაც გზებზე თოვლს ხვეტავენ, გზებს თოვლისგან ათავისუფლებენ. *თოვლსაწმენდი მანქანა.*

**თოვლ-ჭყაპი** *თოვლ-ჭყაპის* ცუდი ამინდი, როცა თოვლი და წვიმა ერთმანეთშია არეული. *თებერვალში თოვლ-ჭყაპი იცის.*

**თოთო** *თოთოს* ძალიან პატარა, ახალშობილი. *თოთო ბიჭი.*

**თოთხმეტი** *თოთხმეტის* რიცხვი 14. *თოთხმეტი სახლი.*

**თოკი** *თოკის* მსხვილად დაგრეხილი ან დაწნული კანაფი, სელი, კაპრონი. *სარეცხის თოკი. თოკით შეკრული.*

თოლია



**თოლია** *თოლიას* თეთრი ფერის წყლის ფრინველი, იკვებება თევზებით. *თოლიების გუნდი.*

**თონე** *თონის* გამომწვარი თიხის უძირო, ცილინდრული ღუმელი, რომელშიც პურს აცხობენ, დგამენ მიწაში ან მიწის ზედაპირზე. *თონეს ახურებენ. თონის პური.*

**თონეული** *თონეულის* თონეში გამომცხვარი ლავაში, ნაზუქი და მისთ. *სუფრას თონეული არ მოჰკლებია.*

**თონთლო** *თონთლოს* რბილი, მოშვებული. *თონთლო ნაქსოვი.*

**თორემ** კავშ. გამოიყენება ისეთ მოქმედებასთან დასაპირისპირებლად, რომლის შეუსრულებლობის შემთხვევაში სხვა (არასასურველი) რამ მოხდება. *ნამოდი, თორემ ინანებ! აჩქარდით, თორემ დავიგვიანებთ!*

**თორმეტგოჯა** *თორმეტგოჯას* ანატ. მსხვილი ნაწლავი, იწყება კუჭიდან. *თორმეტგოჯას წყლული.*

**თორმეტი** *თორმეტის* რიცხვი 12. *თორმეტი თევში.*

**თოფი**[1] *თოფის* ხელის გრძელლულიანი, ცეცხლსასროლი იარაღი. *თოფის გასროლა. თოფის დატენა. თოფის ლულა.* ■ **თოფიანი** თოფით შეიარაღებული. *თოფიანი დარაჯი.* ⊙ **თოფი ფეხზე შეაყენა** თოფი გასასროლად მოამზადა.

თოფი



**თოფი**[2] *თოფის* დიდ გორგლად გადახვეული ქსოვილი. *ერთი თოფი საკაბე.*

**თოფ-იარაღი** *თოფ-იარაღის* საომარი იარაღის ერთობლიობა. *თოფ-იარაღი აისხა.*

**თოფისწამალი** *თოფისწამლის* ფხვიერი ფეთქებადი ნივთიერება, გამოიყენება ცეცხლსასროლი იარაღის ვაზნების დასამზადებლად. *თოფისწამალი გამოილია.*

**თოფრა** *თოფრის* პატარა ტომარა. *შაქარი თოფრაში ჩაყარა.*

**თოში** *თოშის* დამტვრეული ყინული, რომელიც მდინარეს მოაქვს გაზაფხულზე.

**თოხარიკი** *თოხარიკის* 1. ცხენის მოხდენილად, მარდად სიარული, ნელი სირბილი. *თოხარიკით ჩაიარა.* 2. რაც თოხარიკით (1) დადის. *თოხარიკი ცხენი.*

**თოხი** *თოხის* სამინათმოქმედო იარაღი, აქვს ხის ტარი და რკინის მოხრილი პირი, გამოიყენება მიწის დასამუშავებლად, ნათესის სარეველა ბალახისგან გასასუფთავებლად. *თოხით სამუშაო.*

თოხი



**თოხიტარა** *თოხიტარას* იგივეა, რაც ბოლოქანქარა.

**თოხლი** *თოხლის* ცხვრის ნაშიერი (6 თვიდან წლამდე). *მამალი თოხლი. დედალი თოხლი.*

**თოხლო** *თოხლოს* ოდნავ მოხარშული კვერცხი. *ჯერ თოხლოა.*

**თოხნა** *თოხნის* (თოხნის, უთოხნის, ითოხნება, ათოხნინებს) ↑ **გათოხნა**. *სიმინდის თოხნა. ყანას თოხნის.*

**თოჯინა** *თოჯინის* 1. სათამაშო ფიგურა, ძირითადად, ადამიანის მსგავსი. *ლამაზი თოჯინა. პატარა თოჯინა.* 2. ადამიანის ან ცხოველის მსგავსი ფიგურა თეატრალური წარმოდგენებისთვის. *თოჯინების თეატრი.*

**თრევა** *თრევის* (ათრევს, ითრევს, უთრევს, ეთრევა, ათრევინებს, ეთრევინება) სიმძიმის გაჭირვებით ტარება ან აუღებლად, გაცურებით გადაადგილება. *ბარგს ხელით ათრევს. ტომარას მინაზე ათრევს. თრევით მიაქვს.*

**თრთვილი** *თრთვილის* გაყინული ორთქლი, რომელიც ბალახს, ხეებსა და მისთ. ზედაპირზე თეთრად ედება. *თრთვილით დაფარული.*

**თრთოლა** *თრთოლის* (თრთის, უთრთის, ათრთოლებს, უთრთოლებს) ცახცახი, მსუბუქი რხევა, კანკალი. *შეშინებული ქალი თრთოდა.*

**თრიაქი** *თრიაქის* იგივეა, რაც **ოპიუმი**.

**თრითინა** *თრითინას* იგივეა, რაც **დედოფალა**[1].

**თრილერი** *თრილერის* ლიტერატურისა და კინოს ჟანრი, ხასიათდება სიუჟეტის მძაფრი განვითარებითა და მუდმივი დაძაბულობით. *თრილერების დიდოსტატი.*

**თრიმლი** *თრიმლის* ხე ან ბუჩქი, აქვს პატარა მოყვითალო-მომწვანო ყვავილები, ფოთლებსა და ქერქს ტყავის გამოსაყვანად ხმარობენ, მერქანს – საღებავად.

**თრობა** *თრობის* (ათრობს, ითრობს, უთრობს, თვრება) 1. ↑ **დათრობა**. *თრობა დაეტყო. მალე თვრება.* 2. გადატ. სასიამოვნო გრძნობით, განცდით აღვსება. *სიყვარულით თვრება. ვარდის სურნელი ათრობს.*

**თრომბი** *თრომბის* მედიც. შედედებული სისხლი, რომელიც ჩნდება სისხლძარღვებში ან გულის ღრუში. *შეცდომაა ტრომბი.*

**თრომბოზი** *თრომბოზის* სისხლძარღვებში თრომბის გაჩენა. *თრომბოზი დაემართა. შეცდომაა ტრომბოზი.*

**თუ**[1] კავშ. 1. გამოიყენება კითხვით წინადადებაში სიტყვების ან წინადადებების დასაკავშირებლად (როდესაც არჩევანია მოცემული). *წამოხვალ თუ არა? ვაშლს მიირთმევთ თუ მსხალს?* 2. და (გამოიყენება საპირისპირო სიტყვების დასაკავშირებლად, როდესაც სრულის, ყველას, ყველაფრის გამოხატვა სურთ). *მობუცი თუ ახალგაზრდა – ყველა იქ იყო. ჭირში თუ ლხინში ერთად არიან.* 3. მიუთითებს პირობაზე, რომელსაც გარკვეული შედეგი მოჰყვება. *თუ მობრძანდით, ყველას გაუხარდება. თუ შეგიძლია, დამეხმარე.*

**თუ**[2] ნაწილაკ. 1. იქნებ, ხომ არ (გამოიყენება კითხვით წინადადებაში). *ბილეთს თუ იშოვი? ამას თუ იცნობ?* 2. ყველაზე მეტი, ბევრი-ბევრი, დიდიდიდი. *ორი კილოგრამი თუ გამოვა.*

**თუთა** *თუთის* 1. წვნიანი, ტკბილი, თეთრი ან შავი ხილი. *თუთა დაკრიფა.* 2. ფოთლოვანი ხე, რომელიც ისხამს თუთას (1), აქვს მთლიანი ან დაკბილული ფოთლები და მოკლე, მტევნებად შეკრებილი პატარა ყვავილები, ფოთლები გამოიყენება აბრეშუმის ჭიის საკვებად. *თუთა დარგო.*

**თუთია** *თუთიის* მოცისფრო-თეთრი ლითონი, რომელიც ადვილად მუშავდება. *თუთიის შენადნობი. თუთიის ყანგი.*

თუთიყუში

**თუთიყუში** *თუთიყუშის* ტროპიკული ტყეების ფრინველი, ზოგიერთ სახეობას აქვს სიტყვების გამეორების უნარი. *თუთიყუშის გალია.*

**თუთუბო** *თუთუბოს* დაბალი ხე ან ბუჩქი, იკეთებს რთულ ფოთლებს და პატარა ყვავილებს, ნაყოფის მჟავე ქერქი გამოიყენება სანელებლად.

**თუთქვა** *თუთქვის* (თუთქავს, ითუთქავს, უთუთქავს, ითუთქება, ეთუთქება) ↑ დათუთქვა. *პირი ეთუთქება.*

**თუთქი** *თუთქის* წყალში არეული ნაცარი, რომლითაც აქრობენ თონის ნაკვერჩხალს.

**თუკი** კავშ. თუ[1] (3). *თუკი მოგწონს, გაჩუქებ!*

**თუმანი** *თუმნის* ძვ. ათი მანეთი. *თუმანი გადაიხადა.*

**თუმც** კავშ. || **თუმცა**. *თუმც გაუჭირდა, მაინც დაამთავრა სამუშაო.*

**თუმცა** კავშ. მართალია, მიუხედავად იმისა, რომ... *თუმცა არაფერი მითქვამს.*

**თუმცალა** კავშ. თუმცა. *ინფორმაცია გამოქვეყნდა, თუმცალა დეტალები და ზუსტებას მოითხოვს.*

თუნგი

**თუნგი** *თუნგის* სპილენძის ვიწროყელიანი ჭურჭელი. *წყლის თუნგი.*

**თუნდ** კავშ. 1. იგივეა, რაც **გინდ** (1). *თუნდ უარი მითხრას, მე მაინც ვნავალ.* 2. იგივეა, რაც **გინდ** (2). *თუნდ დამეთანხმეთ, თუნდ – არა.*

**თუნდა** კავშ. 1. || თუნდ (1). *თუნდა დამარცხდეს, მაინც არ შეშინდება.* 2. || თუნდ (2). *თუნდა წაიღოს, თუნდა დატოვოს.*

**თუნდაც** კავშ. თუნდ (1). *თუნდაც არ დაეთანხმონ, თავის აზრს ბოლომდე დაიცავს.*

**თუნუქი** *თუნუქის* რკინის ძალიან თხელი ფირფიტა. *თუნუქის სახურავი. თუნუქის ღუმელი.*

**თურაშაული** *თურაშაულის* ვაშლის ჯიში, ისხამს საშუალო ზომის, სქელკანიან, ნაწილობრივ წითლად შეფერილ ნაყოფს, აქვს თეთრი, ტკბილი, წვნიანი რბილობი. *თურაშაულის მოსავალი.*

**თურინჯი** *თურინჯის* იგივეა, რაც გრეიპფრუტი.

**თურმე** ნაწილაკ. გამოიყენება ისეთი ამბის გადმოცემისას, რომელიც მთქმელს თვითონ არ უნახავს ან არ ახსოვს. *ამ სახლში ადრე თურმე გიმნაზია იყო. ფეხი თურმე ადრე ავიდგი.*

**თუშვა** *თუშვის* (თუშავს, ითუშება) ↑ მოთუშვა. *ბოსტნეული ნელ ცეცხლზე ითუშება.*


თუშფალანგი

**თუშფალანგი** *თუშფალანგის* ნახვრეტებიანი ჯამი, გამოიყენება ზოგიერთი პროდუქტის გასაწურად. *ალუმინის თუშფალანგი.*

**თუხთუხი** *თუხთუხის* (თუხთუხებს, ათუხთუხებს) სქელი, ფაფისებური მასის დუღილი ყრუ ხმის გამოცემით. *წვნიანმა თუხთუხი დაიწყო.*

**თუჯი** *თუჯის* ლითონი, რომელიც მიიღება რკინის მადნის გამოდნობით, რკინაზე მსხვრევადია და უფრო ძნელად მუშავდება, ვიდრე ფოლადი. *თუჯის ქვაბი.*

**თქარათქური** *თქარათქურის* მორბენალი პირუტყვის (ძირითადად, ცხენის) ფეხის ხმა. *თქარათქური გაისმა.*

**თქარუნი** *თქარუნის* იგივეა, რაც **თქარათქური**. *ცხენების თქარუნი.*

**თქაფათქუფი** *თქაფათქუფის* ძლიერი თქაფუნი. *ჯოგმა მდინარე თქაფათქუფით გაიარა.*

**თქაფუნი** *თქაფუნის* წყალში გავლისას, წყლის დაღვრისას ან მასში რაიმეს ჩავარდნისას გამოცემული ხმა. *თქაფუნით მოდის.*

**თქეში** *თქეშის* ძლიერი წვიმა. *თქეში წამოვიდა.*

**თქვენ** ნაცვ. 1. ორი ან მეტი პირი, რომლებსაც მოსაუბრე მიმართავს. *თქვენ გიყვართ სიმღერა?* 2. გამოიყენება ერთი პირისადმი მიმიმართვისას ზრდილობიანი საუბრის დროს. *ბატონო გიორგი, თქვენ გელოდებოდით.*

**თქვენგანი** *თქვენგანის* ნაცვ. თქვენგან რომელიმე (ერთი ან მეტი). *ორი თქვენგანი. ყველა თქვენგანი.*

**თქვენგვარი** *თქვენგვარის* თქვენ რომ გგავთ, ისეთი. *თქვენგვარი ჭკვიანი.*

**თქვენებური** *თქვენებურის* 1. თქვენთვის ჩვეული, თქვენთვის დამახასიათებელი. *თქვენებური ქცევა.* 2. თქვენი თანამემამულე, თქვენი სოფლელი. *თქვენებურები ვნახე. თქვენებური კაცი.* ▲ **თქვენებურად** ზმნზ. როგორც თქვენ გჩვევიათ, თქვენსავით. *ისიც თქვენებურად მოიქცა.*

**თქვენეული** *თქვენეულის* რაც თქვენ გეკუთვნოდათ, თქვენი ნაქონი. *თქვენეული სახლი. თქვენეული ეზო.*

**თქვენი** *თქვენის* ნაცვ. ვინც, რაც თქვენ გეკუთვნით. *თქვენი მეგობარი.*

**თქვენისთანა** *თქვენისთანას* თქვენნაირი, თქვენი მსგავსი. *თქვენისთანა მოგზაურები შეგვხვდნენ.*

**თქვენნაირი** *თქვენნაირის* 1. თქვენი მსგავსი, თქვენისთანა. *აქაც თქვენნაირი ბავშვები სწავლობენ.* 2. ისეთი, როგორიც თქვენ გაქვთ (გყავთ). *თქვენნაირი მანქანა იყიდეს.* ▲ **თქვენნაირად** ზმნზ. თქვენსავით, თქვენს მსგავსად. *მეც თქვენნაირად მიყვარს გართობა.*

**თქვენობით** ⊙ **თქვენობით საუბარი** (მიმართვა) ვინმესთან საუბრისას პატივისცემის ნიშნად „შენ"-ის ნაცვლად „თქვენ" ნაცვალსახელით მიმართვა.

**თქვენოდენა** *თქვენოდენის* 1. ასაკით თქვენი ტოლი, თქვენი კუთვნილი რაიმეს ზომისა, წონისა. *ეს კაცი თქვენოდენაა. თქვენოდენა მამული არავის აქვს.* 2. იგივეა, რაც **თქვენოდენი**. *თქვენოდენა ქონება. თქვენოდენა წიგნები.*

**თქვენოდენი** *თქვენოდენის* თქვენ რომ გაქვთ ან გყავთ, იმ რაოდენობისა, თქვენსავით ბევრი. *თქვენოდენი ცხვარი ჰყავს.*

**თქვენხელა** *თქვენხელას* იგივეა, რაც **თქვენოდენა** (1). *თქვენხელა ბიჭები.*

**თქვეფა** *თქვეფის* (თქვეფს, უთქვეფს, ითქვიფება, ეთქვიფება) ↑ **ათქვეფა**. *კვერცხის ცილას თქვეფს.*

**თქვლეფა** *თქვლეფის* (თქვლეფს) წვნიანი საჭმლის ჩქარა და ხმაურით ჭამა; ამ დროს გამოცემული ხმა. *სალაფავის თქვლეფა დაიწყო. ძაღლი საჭმელს თქვლეფს.*

**თქლაფუნი** *თქლაფუნის* იგივეა, რაც **თქაფუნი**. *თქლაფუნი ისმის.*

**თქმა** *თქმის* (ამბობს) აზრის, ემოციის, ამბისა და მისთ. სიტყვიერად გადმოცემა. *ერთი სიტყვა თქვა. კაცმა ყველაფერი თქვა. თქმა ვერ გაბედა.* ⊙ **კაცმა რომ თქვას** გულახდილად (გულწრფელად) თუ ვიტყვით.

**თქმევინება** *თქმევინების* (ათქმევინებს) ვინმეს იძულება, რომ თქვას მნიშვნელოვანი რამ. *სიმართლე ათქმევინეს.*

**თქმულება** *თქმულების* ზეპირი გზით შემონახული მონათხრობი, რომელსაც საფუძვლად რეალური ფაქტი (იშვიათად, გამოგონილი ამბავი) უდევს. *საისტორიო თქმულება. სასიყვარულო თქმულება.*

**თქრიალი** *თქრიალის* (თქრიალებს) დიდი რაოდენობით სითხის სწრაფად დენა საიდანმე. *ჭრილობიდან სისხლი თქრიალით წამოვიდა.*

**თხა** *თხის* შინაური წვრილფეხა რქოსანი ცხოველი. *თხის რძე. თხის ქონი.* ⊙ **თხის რქა ზოდიაქოს ნიშანი.**

თხა



**თხევადი** *თხევადის* ისეთი ნივთიერება, რომელსაც დინების უნარი აქვს. *თხევადი მასა.*

**თხელ-თხელი** *თხელ-თხელის* 1. არამსუქანი, თხელი აღნაგობის მქონე. *თხელ-თხელი ყმაწვილი.* 2. ცოტათი თხელი, მოთხელო. *თხელ-თხელი პურები.*

**თხელი** *თხელის* 1. მცირე სისქისა. *თხელი წიგნი. თხელი საბანი.* ↔ **სქელი**. 2. შეუსქელებელი, უფრო თხევადი. *თხელი ფაფა. თხელი წვნიანი.* ↔ **სქელი**. 3. არახშირი. *თხელი თმა.* ↔ **სქელი, ხშირი**. 4. სუსტი აღნაგობის მქონე, გამხდარი. *თხელი გოგო.*

**თხელტანიანი** *თხელტანიანის* რასაც თხელი ტანი აქვს (ითქმის წიგნზე). *თხელტანიანი რომანი.*

**თხემი** *თხემის* 1. თავის ქალას ზედა ნაწილი. *თხემის ძვალი.* 2. მთის ზედა ნაწილი, შემაღლებული ადგილი. *გეოლოგები თხემზე გავიდნენ.* ⊙ **თხემით ტერფამდე** მთლიანად, სრულად.

**თხემლა** *თხემლის* იგივეა, რაც **მურყანი**.

**თხზვა** *თხზვის* (თხზავს, ითხზვება) ↑ **შეთხზვა**. *ლექსების თხზვა. პიესას თხზავს.*

**თხზულება** *თხზულების* ნებისმიერი შინაარსის (მხატვრული, მეცნიერული და მისთ.) ნაწარმოები. *მწერლის თხზულებათა კრებული. მეცნიერული თხზულებანი.*

**თხილამური** *თხილამურის* ფეხზე მისამაგრებელი გრძელი და ბრტყელი მოწყობილობა, გამოიყენება თოვლზე ან წყალზე სასრიალოდ. *თხილამურებით დაეშვა. წყლის თხილამურები.*

თხილამური



**თხილი** *თხილის* 1. მაგარნაჭუჭიანი, მრგვალი ან წაგრძელებული ფორმის, ყავისფერკანიანი, თეთრგულიანი ხილი. *თხილის ჩურჩხელა.* 2. ფოთლოვანი ბუჩქი, რომელიც ისხამს თხილს (1), აქვს მოკლეყუნწიანი, მომრგვალო, მსხვილკბილა ფოთლები. *თხილის წნელი.* ⊙ **მიწის თხილი** იგივეა, რაც **არაქისი**.

**თხილიანი** *თხილიანის* 1. რასაც თხილი ურევია. *თხილიანი ნამცხვარი.* 2. სადაც თხილი იზრდება. *თხილიანი ტყე.*

**თხილნარი** *თხილნარის* თხილის ბუჩქებით დაფარული ვრცელი ტერიტორია. *თხილნარს ბავშვები შეესივნენ.*

**თხლაშანი** *თხლაშანის* გამეტებით დარტყმის, ან სველ, ნოტიო ადგილზე დაცემის ხმა. *გუბეში თხლაშანი გაადინა.*

**თხლე** *თხლის* 1. ღვინის ან ლუდის დუღილისას დალექილი ან თავზე მოყენებული, ბლანტი მასა. 2. გადატ. უშნო, უნიათო, მოუხერხებელი ადამიანი. *რა უპასუხა იმ თხლემ?*

**თხლეშა** *თხლეშის* (სთხლეშს) საუბრ. ძლიერად, გამეტებით ჩარტყმა. *მუშტი სთხლიშა. თავში სთხლიშეს.*

**თხოვა** *თხოვის* (სთხოვს, ითხოვს) 1. ცოლად მოყვანა, შერთვა. *თავისი კურსელი ითხოვა.* 2. იგივეა, რაც თხოვნა.

**თხოვება** *თხოვების* (ათხოვებს, ითხოვებს) დროებით სარგებლობაში მიცემა. *ცხენს ათხოვებს. ქუდი ათხოვა.*

**თხოვნა** *თხოვნის* (სთხოვს, ითხოვს, ათხოვნინებს) ვინმესადმი მიმართვა, რომ სურვილი შეუსრულოს ან რაიმე საქმეში დაეხმაროს. *ფულის თხოვნა. მოწყალება სთხოვა. დახმარება სთხოვა.*

**თხრა** *თხრის* (თხრის, ითხრის, უთხრის, ითხრება, ეთხრება, ათხრევინებს) 1. ↑ **ამოთხრა**. *ბუჩქებს თხრიან.* 2. ↑ **გამოთხრა**. *ძირს უთხრიან.* 3. ↑ **გათხრა** (1). *საფლავს თხრიან.*

**თხრილი** *თხრილის* გარკვეულ სიღრმესა და სიგანეზე მიწის ამოღებით მიღებული ღრმული. *თხრილში წყალი ჩადგა.*

**თხრობა** *თხრობის* ამბის სიტყვიერი გადმოცემა, მოყოლა. *ზღაპარს მოუთხრობს. კარგი თხრობა იცის.*

**თხუთმეტი** *თხუთმეტის* რიცხვი 15. *თხუთმეტი კაცი.*

**თხუნელა** *თხუნელის* მცირე ზომის ძუძუმწოვარა ცხოველი, აქვს დინგი, მოკლე, ნიჩბისებური თათები, შავი, რუხი ან მოწაბლისფრო მოკლე ბეწვი, ცხოვრობს მიწაში. *თხუნელა ბოსტანს შემოეჭვია.*

**თხუპნა** *თხუპნის* (თხუპნის, ითხუპნის, უთხუპნის, ითხუპნება, ეთხუპნება) ↑ **გათხუპნა**. *ტანსაცმელს ითხუპნის. საღებავებით ითხუპნება.*

**თხუპნია** *თხუპნიას* ვინც სულ ითხუპნება. *თხუპნია ბავშვი.*

**ია** *იის* ერთ- ან მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარე, აქვს მუქი ლურჯი, სურნელოვანი ყვავილები, ყვავის ადრე გაზაფხულზე. *იების თაიგული.*

**იაბო** *იაბოს* დაკოდილი ცხენი. *ლურჯი იაბო.*

**იაგუარი** *იაგუარის* დიდი ზომის მტაცებელი ცხოველი კატისებრთა ოჯახიდან, აქვს შავლაქებიანი ბეწვი.

**იაგუნდი** *იაგუნდის* ძვირფასი ქვა, ძირითადად წითელი ფერისა. *იაგუნდის ბეჭედი.*

**იადონი** *იადონის* 1. მცირე ზომის მგალობელი ჩიტი. *ყვითელგულა იადონი.* 2. იგივეა, რაც ბულბული. *იადონის გალობა.*

**იავარქმნილი** *იავარქმნილის* აოხრებული, განადგურებული. *იავარქმნილი სოფელი. იავარქმნილი სახლ-კარი.*

**იავარყოფა** *იავარყოფის* (იავარყოფს) ძვ. მოსპობა, განადგურება. *ქალაქების იავარყოფა. ეკლესია-მონასტრები იავარყვეს.*

**იავნანა** *იავნანას* სიმღერა, რომელსაც ბავშვს ძილის წინ უმღერიან. *ხალხური იავნანა. დედის იავნანა.*

**იალაღი** *იალაღის* საზაფხულო საძოვრების ქვედა ზოლი. *ცხვარი იალაღზე არეკეს.*

**იალქანი** *იალქნის* ანძაზე დამაგრებული სპეციალური გამძლე ქსოვილი, რომელიც ხომალდს ან ნავს ქარის ენერგიით გადააადგილებს. *იალქანი აუშვეს.* ■ **იალქნიანი** იალქნის მქონე. *იალქნიანი ხომალდი. იალქნიანი ნავი.*


იალქანი

**იამანი** *იამანის* იგივეა, რაც აყიყი.

**იანვარი** *იანვრის* წელიწადის პირველი თვე. *იანვრის ყინვები.*

**იარ** შორისდ. ⊙ **ნაბიჯით იარ!** განკარგულება: წადით! სიარული დაიწყეთ!

**იარა** *იარის* 1. იგივეა, რაც ჭრილობა. *იარა არ შეუხორცდა. იარები გაუჩნდა.* 2. გადატ. სულიერი ტკივილი. *იარა განუახლდა.*

**იარაღასხმული** *იარაღასხმულის* შეიარაღებული. *იარაღასხმული მეომრები.*

**იარაღი** *იარაღის* 1. საბრძოლო საშუალებების საერთო სახელწოდება. *ცეცხლსასროლი იარაღი. ბირთვული იარაღი. ლაზერული იარაღი.* 2. გარკვეული სამუშაოს შესასრულებლად საჭირო საგანი ან მოწყობილობა. *სასოფლო-სამეურნეო იარაღი. სამედიცინო იარაღები.* ⊙ **ცივი იარაღი** თავდასხმისა და თავდაცვისთვის გამოყენებული მჭრელი (დანა, ხმალი, ხანჯალი და მისთ.) და დამრტყმელი (კომბალი, მათრახი და მისთ.) იარაღების საერთო სახელწოდება. ⊙ **იარაღში ჩამჯდარი** სრულად შეიარაღებული.

**იარლიყი** *იარლიყის* საქონელზე, პროდუქტზე ჩამოკიდებული ან მიკრული ფურცელი ან ფირფიტა, რომელზეც აღნიშნულია საქონლის ფასი, ხარისხი, რაოდენობა და მისთ. *საქონელს იარლიყები დააკრეს.*

**იარუსი** *იარუსის* მაყურებლებისთვის განკუთვნილი სართული თეატრში ან საკონცერტო დარბაზში. *პირველი იარუსი. იარუსზე ყველა ბილეთი გაიყიდა.*

**იასამანი** *იასამნის* დეკორატიული ბუჩქი, იკეთებს მტევნებად შეკრულ, წვრილ, სურნელოვან, იისფერ ან თეთრ ყვავილებს. *იასამანი აყვავდა.*

**იასამნისფერი** *იასამნისფრის* იისფერი, რაც ფერით იასამანს ჰგავს. *იასამნისფერი კაბა.*

**იასპი** *იასპის* ძვირფასი ქვა, კვარცის ნაირსახეობა, ჭრელი ან მოწითალო ფერისა. *იასპის თვალი.*

**იატაკი** *იატაკის* შენობაში ძირს დაგებული ფიცრის, აგურის, ქვის ფილების ან სხვა მასალის ფენა. *ხის იატაკი. მარმარილოს იატაკი.*

იატაკი

**იატაკქვეშა** *იატაკქვეშას* არალეგალური, ხელისუფლებისგან დაფარული, საიდუმლო. *იატაკქვეშა ორგანიზაცია. იატაკქვეშ მომუშავე.*

**იატაკქვეშეთი** *იატაკქვეშეთის* ხელისუფლების მოწინააღმდეგე ფარულად მოღვაწე ორგა-

ნიზაციების ერთობლიობა. *რევოლუციური იატაკქვეშეთი. იატაკქვეშეთში მოღვაწეობს.*

**იაფი** *იაფის* მცირეფასიანი, მცირე ღირებულების მქონე. *იაფი საქონელი.* ↔ *ძვირი.*

**იაღლიში** *იაღლიშის* საუბრ. უნებლიე, მსუბუქი შეცდომა. *იაღლიში მოუვიდა. ასეთი იაღლიშები ხშირია.*

**იახტა** *იახტის* საზღვაო ტრანსპორტის სახეობა, იალქნიანი ან მოტორიანი პატარა კეთილმოწყობილი გემი, გამოიყენება სპორტულ შეჯიბრებებში. *იახტით მოგზაურობა. იახტის იალქნები.*

**იახტსმენი** *იახტსმენის* სპორტსმენი, რომელიც იახტის მართვის შეჯიბრებებში მონაწილეობს.

**იგავი** *იგავის* მცირე ზომის მხატვრული ნაწარმოები, რომელიც ალეგორიული ხასიათისაა და აღმზრდელობითი დანიშნულება აქვს. *აღმოსავლური იგავი. ძველი იგავი.*

**იგი** ნაცვ. ვინც ჩემთან და შენთან არ არის. *იგი მოვიდა. მან თქვა.*

**იგივე** *იმავეს* ნაცვ. ისევ ის. *იგივე უპასუხა. იგივე ამოარჩია.*

**იგივეობა** *იგივეობის* სრული მსგავსება, თანხვედრა. *მსოფლმხედველობათა იგივეობა.*

**იგნორირება** *იგნორირების* ნიგნ. არაფრად ჩაგდება, უგულებელყოფა. *ფაქტების იგნორირება.*

**იდაყვი** *იდაყვის* მკლავის მოღუნვის ადგილი (გარედან), სადაც მხრის ძვალი წინა მხრის ძვალს უერთდება. *იდაყვით დაეყრდნო. იდაყვი გაჰკრა.*

**იდეა** *იდეის* I. მნიშვნელოვანი აზრი, მოსაზრება, ჩანაფიქრი. *კარგი იდეა. იდეა ჩამოაყალიბა. იდეის განხორციელება.* 2. ხელოვნების ნაწარმოების აზრი. *მოთხრობის იდეა. სურათის იდეას ჩასწვდა.*

**იდეალი** *იდეალის* ყველაზე საუკეთესო რამ, რის წარმოდგენაც ადამიანს შეუძლია და რისკენაც ის მიისწრაფვის, რაც შთააგონებს მის მოქმედებას. *ქალის იდეალი. მაღალი იდეალები.*

**იდეალიზაცია** *იდეალიზაციის* იგივეა, რაც იდეალიზება. *გმირების იდეალიზაცია.*

**იდეალიზება** *იდეალიზების* ვინმეს ან რაიმეს იდეალად ქცევა, იმაზე უკეთ წარმოდგენა, ვიდრე სინამდვილეშია. *წარსულის იდეალიზება.*

**იდეალიზმი** *იდეალიზმის* I. ფილოსოფიური მიმდინარეობა, რომლის მიხედვითაც იდეა, ცნობიერება, სული არის პირველადი, ხოლო მატერია, ბუნება, ყოფიერება – მეორეული. 2. ზნეობრივი იდეალების ერთგულება.

**იდეალისტი** *იდეალისტის* I. იდეალიზმის (1) მიმდევარი. 2. ადამიანი, რომელიც მაღალი იდეალებით ხელმძღვანელობს თავის ცხოვრებაში, საქმიანობაში. ■ **იდეალისტური** იდეალიზმისთვის (1) დამახასიათებელი. *იდეალისტური შეხედულებები.*

**იდეალური** *იდეალურის* საუკეთესო, სრულყოფილი. *იდეალური საქციელი. იდეალური ურთიერთობა.*

**იდენტიფიკაცია** *იდენტიფიკაციის* იგივეა, რაც იდენტიფიცირება. *გენდერული იდენტიფიკაცია.*

**იდენტიფიცირება** *იდენტიფიცირების* საგანთა ან მოვლენათა შორის შესაბამისობის, იგივეობის დადგენა, ამოცნობა. *იდენტიფიცირება თითის ანაბეჭდით.*

**იდენტობა** *იდენტობის* I. ნიგნ. იგივეობა. *ფაქტების იდენტობა.* 2. პიროვნების გარკვეულ ჯგუფებთან თავის მიკუთვნების, საკუთარი თავის იგივეობის განცდა. *ეთნიკური იდენტობა. რელიგიური იდენტობა.*

**იდენტური** *იდენტურის* ნიგნ. სავსებით მსგავსი. *იდენტური ტექსტი. იდენტური თარგმანი.*

**იდეოგრამა** *იდეოგრამის* პირობითი წერილობითი ნიშანი, რომელიც ცნებას გამოხატავს.

**იდეოგრაფია** *იდეოგრაფიის* დამწერლობის სახეობა, რომელიც გრაფიკულ სიმბოლოდ იდეოგრამებს იყენებს.

**იდეოგრაფიული** *იდეოგრაფიულის* იდეოგრამებით შექმნილი, იდეოგრამების შემცველი. *იდეოგრაფიული დამწერლობა.*

**იდეოლოგი** *იდეოლოგის* რომელიმე საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჯგუფის, მიმართულების, იდეოლოგიის გამომხატველი, მისი შემქმნელი. *პარტიის იდეოლოგი. დემოკრატიის იდეოლოგი.*

**იდეოლოგია** *იდეოლოგიის* რომელიმე საზოგადოებრივი ფენის ან პოლიტიკური პარტიის იდეათა, შეხედულებათა სისტემა. ■ **იდეოლოგიური** იდეოლოგიასთან დაკავშირებული. *იდეოლოგიური შეხედულებები. იდეოლოგიური მუშაობა.*

**იდეური** *იდეურის* იდეებით გამართლებული, იდეების შემცველი. *იდეური აღზრდა.*

**იდილია** *იდილიის* წყნარი, მშვიდი, სასიამოვნო განცდებით აღსავსე, ჰარმონიული ცხოვრება. *სოფლის იდილია. ოჯახური იდილია.*

**იდილიური** *იდილიურის* მშვიდი, უშფოთველი, წყნარი, ჰარმონიული. *იდილიური ცხოვრება.*

**იდიომი** *იდიომის* გამოთქმა, რომლის მნიშვნელობა არ გამომდინარეობს მასში შემავალი სიტყვების პირდაპირი მნიშვნელობებისგან. *ქართული იდიომები. იდიომების ლექსიკონი.*

**იდიოტი** *იდიოტის* უჭკუო, გონებასუსტი. *იდიოტის ნამოქმედარი.*

**იდიოტური** *იდიოტურის* სულელური, უჭკუო. *იდიოტური შეკითხვა. იდიოტური საქციელი.*

**იდუმალება** *იდუმალების* მყუდროება, რომელიც ადამიანში აღძრავს გამოუცნობ განცდებს, ფიქრებს. *იდუმალებით მოცული. ავისმომასწავებელი იდუმალება.*

**იდუმალი** *იდუმალის* გამოუცნობი, საიდუმლოებებით მოცული. *იდუმალი საღამო. იდუმალი ხმა.*

**იელი** *იელის* ფოთლოვანი ბუჩქი, აქვს ყვითელი მათრობელა ყვავილი, იზრდება ტყის პირას.

**იერარქია** *იერარქიის* თანამდებობათა, წოდებათა დაქვემდებარების წესი უდაბლესიდან უმაღლესისკენ. *წოდებრივი იერარქია.* ■ **იერარქიული** იერარქიასთან დაკავშირებული. *იერარქიული საფეხური.*

**იერი** *იერის* გარეგნული მახასიათებელი, შესახედაობა. *მედიდური იერი.*

**იერიში** *იერიშის* მოწინააღმდეგეზე თავდასხმა, ბრძოლის დაწყება. *იერიში მიიტანა. ციხე იერიშით აიღეს.*

**იეროგლიფი** *იეროგლიფის* ცალკეული მარცვლის ან ცნების გამომხატველი ნიშანი ზოგიერთ დამწერლობაში. *ჩინური იეროგლიფები.*

**ივლისი** *ივლისის* წელიწადის მეშვიდე თვე. *ივლისის ბოლო.*

**ივნისი** *ივნისის* წელიწადის მეექვსე თვე. *ივნისში ოცდაათი დღეა.*

**იზაბელა** *იზაბელას* იგივეა, რაც ადესა.

**იზოლატორი** *იზოლატორის* სპეციალურად გამოყოფილი ადგილი შენობაში, სადაც ადამიანებს სხვებისგან განცალკევებით ამყოფებენ. *ციხის იზოლატორი. საავადმყოფოს იზოლატორი.*

**იზოლაცია** *იზოლაციის* იგივეა, რაც **იზოლირება**. *ავადმყოფის იზოლაცია. საშიში დამნაშავის იზოლაცია.*

**იზოლირება** *იზოლირების* რაიმეს ან ვინმეს განცალკევება, გამოყოფა. *საზოგადოებისგან იზოლირება. ავადმყოფის იზოლირებაა საჭირო.* ■ **იზოლირებული** განცალკევებული, გამოყოფილი. *იზოლირებული ბინა. ადამიანებისგან იზოლირებული.*

**იზომორფიზმი** *იზომორფიზმის* 1. მიმართება, შესაბამისობა მსგავსი სტრუქტურის მქონე ობიექტებს შორის. 2. სხვადასხვა ობიექტის სტრუქტურული მსგავსება. *იზომორფიზმი ახასიათებთ.*

**იზომორფული** *იზომორფულის* ერთნაირი ფორმის, ერთნაირი აგებულების მქონე. *იზომორფული მინარევები.*

**იზოტოპი** *იზოტოპის* (ძირითადად მრ.) ერთი და იმავე ქიმიური ელემენტის ატომები, რომელთაც აქვთ სხვადასხვა ატომური წონა.

**იისფერი** *იისფრის* მონითალო ლურჯი. *იისფერი პერანგი.*

**იკლიკანტური** *იკლიკანტურის* საუბრ. გაუგებარი, მიკიბულ-მოკიბული, არაპირდაპირი. *იკლიკანტური საუბარი. იკლიკანტური აზრები.*

**ილაჯგაწყვეტილი** *ილაჯგაწყვეტილის* ძალიან დაღლილი, ვისაც მეტი ღონე აღარ აქვს. *ილაჯგაწყვეტილი გლეხები.*

**ილაჯი** *ილაჯის* ძალა, ენერგია, ღონე. *ილაჯი აღარ შერჩა.* ⊙ **ილაჯი გაუწყდება** ძალიან დაიღლება, ღონე გამოელევა.

**ილეთი** *ილეთის* ცალკეული მოძრაობა სპორტის ან ცეკვის ზოგიერთ სახეობაში. *ჭიდაობის ილეთი.*

**ილუზია** *ილუზიის* 1. რეალობის არასწორი აღქმა. *ფრენის ილუზია.* 2. გადატ. წარმოსახვა, ოცნება. *ილუზიებით ცხოვრობს.*

**ილუზიონისტი** *ილუზიონისტის* მსახიობი, რომელიც ფოკუსებს ატარებს. *ილუზიონისტის გამოსვლა.*

**ილუზორული** *ილუზორულის* წიგნ. მოჩვენებითი, განუხორციელებელი. *ილუზორული იმედი. ილუზორული წარმოდგენები.*

**ილუმინატორი** *ილუმინატორის* გემებისა და თვითმფრინავების მრგვალი, გერმეტულად დახურული ფანჯრები. *წყალქვეშა გემის ილუმინატორი. კოსმოსური ხომალდის ილუმინატორი.*

**ილუმინაცია** *ილუმინაციის* დეკორატიული საზეიმო განათება. *საშობაო ილუმინაცია.*

**ილუსტრატორი** *ილუსტრატორის* ილუსტრაციების მხატვარი. *ცნობილი ილუსტრატორი.*

**ილუსტრაცია** *ილუსტრაციის* 1. სურათი, ნახატი ან ნახაზი, რომელიც ჩართულია რაიმე ტექსტში და უშუალოდ ამ ტექსტის შინაარსს უკავშირდება. *წიგნის ილუსტრაცია. მოთხრობის ილუსტრაცია.* 2. რაიმე მოსაზრების, დებულების დასაზუსტებლად ან დასასაბუთებლად მოყვანილი კონკრეტული მაგალითი. *დამაჯერებელი ილუსტრაცია.*

**ილუსტრირება** *ილუსტრირების* 1. ილუსტრაციებით (1) გაფორმება. *ზღაპრების ილუსტრირება გადაწყვიტა.* 2. რაიმეს დასაბუთება ილუსტრაციების (2) მოხმობით. *ილუსტრირებისთვის საჭირო ფაქტები.*

**ილუსტრირებული** *ილუსტრირებულის* ილუსტრაციებით გაფორმებული, რასაც ილუსტრაციები აქვს დართული. *ილუსტრირებული გამოცემა.*

**იმავდროული** *იმავდროულის* რაიმეს თანადროული, ერთდროული. *იმავდროული მოქმედება.* ▲ **იმავდროულად** მაშინვე, იმავე დროს. *იმავდროულად გაიელვა.*

**იმათებრი** *იმათებრის* იმათნაირი, იმათ რომ სჩევიათ, ისეთი. *იმათებრი სიმღერა.*

**იმათებური** *იმათებურის* იმათი ქვეყნის, იმათი ეროვნების, იმათი სოფლელი. *იმათებური კაცი.*

**იმათი** ნაცვ. რაც ან ვინც იმათ ეკუთვნის. *იმათი ოთახი. იმათი მეზობელი.*

**იმანენტური** *იმანენტურის* შინაგანი, სიღრმისეული. *მოვლენის იმანენტური არსი.*

**იმგვარი** *იმგვარის* იმის მსგავსი, იმნაირი. *იმგვარი ხასიათი. იმგვარი მოვლენა.*

**იმდენი** *იმდენის* 1. იმ რაოდენობისა. *იმდენი კაცი მოვა, რამდენსაც დავპატიჟებთ.* 2. ისე ბევრი. *იმდენი ირბინა, რომ ბოლოს დაიღალა. იმდენი ხილი მოიტანა, რომ ყველას ეყო.*

**იმდროინდელი** *იმდროინდელის* ვინც ან რაც იმ დროს იყო, მაშინდელი. *იმდროინდელი პრესა. იმდროინდელი მხატვრები.*

**იმდღევანდელი** *იმდღევანდლის* რაც იმ დღეს, რამდენიმე დღის წინ იყო. *იმდღევანდელი გადაცემა. იმდღევანდელი შეკრება.*

**იმედი** *იმედის* 1. კარგი, სასიამოვნო რაიმეს მოლოდინი, რაიმეს შესრულების, განხორციელების რწმენა. *გამარჯვების იმედი აქვთ. იმედის მომცემი ახალგაზრდა.* 2. გადატ. ადამიანი ვისიც სჯერათ, ვისაც ენდობიან, ვისგანაც შველასა და დახმარებას მოელიან. *ჩემო იმედო!* ⊙ **იმედი გადაეწურა** იმედი დაკარგა, არაფრის იმედი არა აქვს.

**იმედიანი** *იმედიანის* იმედის მქონე, ვისაც ან რასაც იმედის მოცემა შეუძლია. *იმედიანი ადამიანი. იმედიანი სიტყვა.*

**იმედოვნება** *იმედოვნების* (იმედოვნებს) იმედის ქონა. *ვიმედოვნებ, ყველაფერი კარგად იქნება.*

**იმეილი** *იმეილის* იგივეა, რაც მეილი. *იმეილით შეატყობინეს.*

**იმიგრანტი** *იმიგრანტის* უცხოელი, რომელიც ხანგრძლივად ცხოვრობს ამა თუ იმ ქვეყანაში.

**იმიგრაცია** *იმიგრაციის* იგივეა, რაც იმიგრირება. *იმიგრაციის მიზეზები.*

**იმიგრირება** *იმიგრირების* უცხოელთა შესვლა ამა თუ იმ ქვეყანაში იქ ჩასახლების მიზნით. *იმიგრირების მასშტაბები.*

**იმიერი** *იმიერის* იქაური, იქითა მხრისა. *იმიერი მცხოვრები. იმიერი ამბები.*

**იმისეული** *იმისეულის* იმის ნაქონი, იმის ნაყოლი. *იმისეული თოფი. იმისეული ცხენი.*

**იმისთანა** *იმისთანას* იმის მსგავსი, იმნაირი. *იმისთანა ამბავი. იმისთანა ხასიათი.*

**იმისი** ნაცვ. რაც ან ვინც იმას ეკუთვნის. *იმისი ჩანთა. იმისი საცოლე.*

**იმიტატორი** *იმიტატორის* მსახიობი, რომელიც ვინმეს ან რაიმეს ბაძავს.

**იმიტაცია** *იმიტაციის* 1. ვინმეს ჟესტ-მიმიკის, ხმის ტემბრისა და მისთ. მიბაძვა. *იმიტაციის ოსტატი.* 2. ბუნებრივის, ნამდვილის მსგავსი. *ტყავის იმიტაცია.*

**იმიტომ** ზმნზ. იმის გამო, იმ მიზეზით. *იმიტომ ვერ ვნახედი, რომ წვიმდა.*

**იმიჯი** *იმიჯის* იგივეა, რაც რეპუტაცია. *საკუთარ იმიჯზე ზრუნავენ.*

**იმნაირი** *იმნაირის* იმის მსგავსი, იმისთანა. *იმნაირი ამბები. იმნაირი საქონელი.*

**იმოდენა** *იმოდენას* 1. იმ ზომისა, იმ სიდიდისა, იმხელა. *იმოდენა ჩანთა შეარჩია, რამოდენასაც კარგად დაძრავდა.* 2. ისე ბევრი, ისე დიდი რაოდენობით. *იმოდენა ხალხი მოგროვდა, რომ დარბაზი გაიცსო.*

**იმპერატიული** *იმპერატიულის* ბრძანების შემცველი. *იმპერატიული ტონი.*

**იმპერატორი** *იმპერატორის* იმპერიის მმართველი მეფე. *ჩინეთის იმპერატორი. იმპერატორის ტიტული.*

**იმპერატორობა** *იმპერატორობის* იმპერატორად ყოფნა. *მისი იმპერატორობის დროს.*

**იმპერია** *იმპერიის* სახელმწიფო, რომელსაც აქვს დაპყრობილი ტერიტორიები, სათავეში იმპერატორი უდგას. *რომის იმპერია.*

**იმპერიალიზმი** *იმპერიალიზმის* ქვეყნების დაპყრობის პოლიტიკა.

**იმპერიალისტი** *იმპერიალისტის* იმპერიალიზმის წარმომადგენელი, მისი მომხრე.

**იმპერიალისტური** *იმპერიალისტურის* იმპერიალიზმის დამახასიათებელი. *იმპერიალისტური პოლიტიკა.*

**იმპიჩმენტი** *იმპიჩმენტის* უმაღლესი თანამდებობის პირისთვის უფლებამოსილების ჩამორთმევა მის მიერ კანონის უხეშად დარღვევის გამო. *იმპიჩმენტის პროცედურა.*

**იმპოზანტური** *იმპოზანტურის* შთამბეჭდავი გარეგნობის მქონე. *იმპოზანტური მამაკაცი.*

**იმპორტი** *იმპორტის* საქონლის შემოტანა სხვა ქვეყნიდან. *ღვინის იმპორტი.*

**იმპორტიორი** *იმპორტიორის* პირი, ორგანიზაცია ან ქვეყანა, რომელიც იმპორტს აწარმოებს. *ნავთობის იმპორტიორი.*

**იმპორტირება** *იმპორტირების* უცხოეთიდან შემოტანა. *კვების პროდუქტების იმპორტირება.*

**იმპორტული** *იმპორტულის* სხვა ქვეყნებიდან შემოტანილი. *იმპორტული საქონელი.*

**იმპოტენტი** *იმპოტენტის* სქესობრივად უძლური.

**იმპოტენცია** *იმპოტენციის* მამაკაცის სქესობრივი უძლურება. *იმპოტენციის მკურნალობა.*

**იმპრესარიო** *იმპრესარიოს* პირი, რომელიც ორგანიზებას უწევს კონცერტების, თეატრალური წარმოდგენების, სანახაობების ჩატარებას, ცალკეული მსახიობების გასტროლებს. *ოპერის იმპრესარიო.*

**იმპროვიზატორი** *იმპროვიზატორის* პირი, რომელიც იმპროვიზაციებს წარმოადგენს. *იმპროვიზატორი მუსიკოსი.* ■ **იმპროვიზატორული** იმპროვიზატორის დამახასიათებელი. *იმპროვიზატორული ნიჭი.*

**იმპროვიზაცია** *იმპროვიზაციის* 1. მხატვრული ნაწარმოების (ლექსის, სიმღერისა და მისთ.) სახელდახელოდ შეთხზვა და წინასწარი მომზადების გარეშე შესრულება. *იმპროვიზაციის უნარი.* 2. სახელდახელოდ შექმნილი ან შესრულებული მხატვრული ნაწარმოები. *საოცარი იმპროვიზაცია.* ■ **იმპროვიზაციული** იმპროვიზაციის ხასიათისა, იმპროვიზაციისთვის განკუთვნილი. *იმპროვიზაციული გამოსვლა.*

**იმპროვიზირებული** *იმპროვიზირებულის* სახელდახელოდ, წინასწარი მომზადების გარეშე შექმნილი და წარმოდგენილი. *იმპროვიზირებული სიტუაცია. იმპროვიზირებული თეატრალური ნომერი.*

**იმპულსი** *იმპულსის* ამა თუ იმ მოქმედების ხელშემწყობი, ბიძგის მიმცემი ფაქტორი, გამომწვევი მიზეზი. *შემოქმედებითი იმპულსი.*

**იმპულსური** *იმპულსურის* 1. ძალიან ემოციური, ფეთქებადი ხასიათის მქონე, ვისზეც გარეგანი გამაღიზიანებლები იოლად ახდენს ზეგავლენას. *იმპულსური პიროვნება.* 2. იმპულსით გამოწვეული. *იმპულსური საქციელი. იმპულსური გადაწყვეტილება.*

**იმჟამად** ზმნზ. წიგნ. იმ დროს, მაშინ. *იმჟამად ქალაქში მუშაობდა. იმჟამად ცნობილი მუსიკოსი იყო.*

**იმუნიტეტი** *იმუნიტეტის* 1. ორგანიზმის უნარი, ნინააღმდეგობა გაუწიოს ამა თუ იმ გადამდებ დაავადებას. *მყარი იმუნიტეტი. შეძენილი იმუნიტეტი.* 2. ამა თუ იმ პიროვნების ხელშეუხებლობა, მასზე ზოგიერთი კანონის გაუვრცელებლობა. *დიპლომატიური იმუნიტეტი.*

**იმუნური** *იმუნურის* იმუნიტეტის (1) მქონე. *იმუნური სისტემა.*

**იმხანად** ზმნზ. წიგნ. იმჟამად, იმ დროს, მაშინ. *იმხანად კონსულად მუშაობდა.*

**იმხელა** *იმხელას* 1. იმ ზომისა, იმ სიდიდისა, იმოდენა. *იმხელა მაგიდა შეარჩია, რამხელაც ოთახში დაეტეოდა.* 2. ისეთი დიდი. *იმხელა შვილი ჰყავს, ყველას უკვირს.*

**ინა** *ინის* მცენარეული საღებავი, რომელიც გამოიყენება თმის, ფრჩხილებისა და მისთ. შესაღებად.

**ინაუგურაცია** *ინაუგურაციის* ახალი პრეზიდენტის სახელმწიფოს სათავეში მოსვლის აღსანიშნავი ცერემონია. *ინაუგურაციის დღე დანიშნეს.* შეცდომაა ინაგურაცია.

**ინგრედიენტი** *ინგრედიენტის* რაიმე ნივთიერების, ნარევის შემადგენელი ნაწილი. *აუცილებელი ინგრედიენტი.*

**ინდაური** *ინდაურის* მოზრდილი შინაური ფრინველი, ნისკარტის ზემოთ აქვს ხორცოვანი წანაზარდი. *ინდაურის საცივი. ინდაურის ჭუკი.*

**ინდექსი** *ინდექსის* 1. რიცხვითი ან ასოითი მაჩვენებელი, რომელიც აღნიშნავს რაიმეს ცვალებადობას, თანმიმდევრობასა და მისთ. *ფასების ინდექსი. სატელეფონო ინდექსი.* 2. გარკვეული ჩამონათვალი, სია. *წიგნების ინდექსი.* ◎ **საფოსტო ინდექსი** ციფრებით გამოსახული პირობითი ნიშანი, რომელიც მიკუთვნებული აქვს ამა თუ იმ ტერიტორიულ ერთეულს (რესპუბლიკას, ქალაქს, რაიონსა და მისთ.).

**ინდიგო** *ინდიგოს* მუქი ლურჯი კრისტალური ნივთიერება, გამოიყენება ბამბისა და შალის შესაღებად.

**ინდივიდი** *ინდივიდის* ცალკეული არსება, პიროვნება. *ინდივიდების შესწავლა. გამორჩეული ინდივიდი.*

**ინდივიდუალიზმი** *ინდივიდუალიზმის* პიროვნების ინტერესების დაყენება საზოგადოების ინტერესებზე მაღლა. *ინდივიდუალიზმით გამორჩეული.*

**ინდივიდუალური** *ინდივიდუალურის* 1. ცალკეული პიროვნების დამახასიათებელი, განმასხვავებელი. *ინდივიდუალური თავისებურებანი. ინდივიდუალური მონაცემები.* 2. ცალკეული პირის მიერ წარმოებული, შესრულებული. *ინდივიდუალური შრომა. ინდივიდუალური მეურნეობა. ინდივიდუალური მშენებლობა.* 3. ცალკეული პირისთვის განკუთვნილი. *ინდივიდუალური მომსახურება. ინდივიდუალური მიდგომა.*

**ინდიკატორი** *ინდიკატორის* 1. ფიზიკური სიდიდეების გასაზომი ხელსაწყო. *ციფრული ინდიკატორი.* 2. ნივთიერება, რომელიც გამოიყენება ხსნარში ქიმიური პროცესების გამოსამჟღავნებლად. 3. გადატ. მახასიათებელი, რომელიც გამოიყენება ამა თუ იმ მოვლენის, პროცესისა და მისთ. შესაფასებლად. *მრეწველობის განვითარების ინდიკატორი.*

**ინდისხურმა** *ინდისხურმის* იგივეა, რაც **ფინიკი.**

**ინდიფერენტიზმი** *ინდიფერენტიზმის* გულგრილი, უემოციო დამოკიდებულება, ყოველგვარი ინტერესის დაკარგვა. *ინდიფერენტიზმი ახასიათებს.*

**ინდიფერენტული** *ინდიფერენტულის* გულგრილი, უემოციო, უინტერესო. *ინდიფერენტული პიროვნება. ინდიფერენტული განწყობა.*

**ინდიფერენტულობა** *ინდიფერენტულობის* იგივეა, რაც **ინდიფერენტიზმი.**

**ინდუსტრია** *ინდუსტრიის* სპეციალური ტექნიკით აღჭურვილი მრეწველობა. *მსუბუქი ინდუსტრია.* ■ **ინდუსტრიული** ინდუსტრიასთან დაკავშირებული, ინდუსტრიისთვის განკუთვნილი. *ინდუსტრიული ობიექტები.*

**ინდუქცია** *ინდუქციის* კერძო ფაქტებიდან, ცალკეული დებულებებიდან ზოგადი დასკვნის გამოყვანა.

**ინდუქციური** *ინდუქციურის* ინდუქციის შედეგად მიღებული. *ინდუქციური მეთოდი.*

**ინერტული** *ინერტულის* უმოქმედო, დუნე. *ინერტული ადამიანი.*

**ინერცია** *ინერციის* სხეულის თვისება, შეინარჩუნოს მდგომარეობა (მოძრაობა ან უძრაობა), სანამ რაიმე გარეშე ფაქტორი არ იმოქმედებს მასზე. *ინერციით მიდის.*

**ინვალიდი** *ინვალიდის* ადამიანი, რომელსაც შრომის უნარი დაკარგული ან დაქვეითებული აქვს. *ომის ინვალიდი. ინვალიდის ეტლი.*

**ინვენტარი** *ინვენტარის* ყველა იმ ნივთის ერთობლიობა, რომელიც რომელიმე დაწესებულების, საწარმოს ან ორგანიზაციის ქონებას შეადგენს. *სასკოლო ინვენტარი. ოფისის ინვენტარი.*

**ინვენტარიზაცია** *ინვენტარიზაციის* ინვენტარის აღრიცხვა, აღწერა. *ინვენტარიზაცია გაუკეთდა.*

**ინვესტირება** *ინვესტირების* კაპიტალის დაბანდება წარმოებაში. *ინვესტირება განხორციელდა.*

**ინვესტიცია** *ინვესტიციის* იგივეა, რაც ინვესტირება. *ხელსაყრელი ინვესტიცია.*

**ინთრონიზაცია** *ინთრონიზაციის* ახლადარჩეული პატრიარქის ან პაპის კურთხევის ცერემონია. შეცდომაა ინტრონიზაცია.

**ინი** *ინის* ქართული ანბანის მეცხრე ასოს (ი-ს) სახელწოდება.

**ინიექცია** *ინიექციის* მცირე რაოდენობის სამკურნალო ხსნარის შეყვანა კანქვეშ, კუნთში ან ვენაში. *ინიექცია გაუკეთდა.* შეცდომაა ინექცია.

**ინიცირება** *ინიცირების* ინიციატივის გამოჩენა, ხელის შეწყობა.

**ინიციალი** *ინიციალის* (ძირითადად მრ.) სახელის, გვარის ან მამის სახელის პირველი ასო. *ინიციალები დააწერა.*

**ინიციატივა** *ინიციატივის* ამა თუ იმ საქმის თაოსნობა, რაიმეს წამოწყება. *ინიციატივა გამოიჩინა. ინიციატივით გამოვიდა.* ■ **ინიციატივიანი** ვისაც ინიციატივა აქვს. *ინიციატივიანი მოსწავლე.*

**ინიციატორი** *ინიციატორის* პირი, რომელიც ინიციატივას იჩენს, რაიმე საქმის მოთავე, წამომწყები. *შეხვედრის ინიციატორები. პროექტის ინიციატორები.*

**ინიცირება** *ინიცირების* ინიციატივის გამოჩენა, ხელის შეწყობა. *პროექტის ინიცირება მოხდა.*

**ინკასატორი** *ინკასატორის* პირი, რომელიც აგროვებს საგადასახადო თანხას ორგანიზაციებისგან ან კერძო პირებისგან ბანკში შესატანად. *ინკასატორად დაიწყო მუშაობა.*

**ინკასატორობა** *ინკასატორობის* ინკასატორის საქმიანობა, ინკასატორად ყოფნა. *ინკასატორობა დაიწყო.*

**ინკასო** *ინკასოს* ფულის მიღება ბანკის დავალებით.

**ინკოგნიტო** *ინკოგნიტოს* პირი, რომელიც მალავს თავის ვინაობას. *სურს ინკოგნიტოდ დარჩეს.*

**ინკრუსტაცია** *ინკრუსტაციის* ზედაპირის მოპირკეთება ძვლის, სადაფის, ლითონისა და მისთ. ფიგურებით.

**ინკუბატორი** *ინკუბატორის* 1. მოწყობილობა, რომელშიც ხელოვნურად იჩეკება წიწილები. 2. საგანგებო აპარატი, რომელშიც ხელოვნურად ქმნიან საარსებო პირობებს დროზე ადრე დაბადებული ახალშობილისთვის.

**ინკუბაცია** *ინკუბაციის* 1. კვერცხიდან წიწილის გამოჩეკა. 2. მედიც. ავადმყოფობის ფარული პერიოდი, რომელიც გრძელდება დასნებოვნების მომენტიდან პირველი სიმპტომების გამოჩენამდე. ■ **ინკუბაციური** ინკუბაციისთვის განკუთვნილი. *ინკუბაციური პერიოდი.*

**ინჟინერი** *ინჟინრის* უმაღლესი ტექნიკური განათლების მქონე სპეციალისტი. *ქარხნის ინჟინერი.*

**ინჟინრობა** *ინჟინრობის* ინჟინრის საქმიანობა, ინჟინრის სპეციალობით მუშაობა. *ინჟინრობა სურს.*

**ინსინუაცია** *ინსინუაციის* ჭორის გავრცელება ვინმეს სახელის გასატეხად, ცილისწამება.

**ინსპექტირება** *ინსპექტირების* იგივეა, რაც ინსპექცია (1). *ჯარების ინსპექტირება დაიწყო.*

**ინსპექტორი** *ინსპექტორის* პირი, რომელიც ამოწმებს, აკონტროლებს დაქვემდებარებული ორგანიზაციის ან ადამიანების საქმიანობას. *უბნის ინსპექტორი. საფინანსო ინსპექტორი.*

**ინსპექტორობა** *ინსპექტორობის* ინსპექტორის საქმიანობა, ინსპექტორად ყოფნა. *ინსპექტორობა უნდა.*

**ინსპექცია** *ინსპექციის* 1. ვინმეს ან რაიმეს მოქმედებათა მართებულობის შემოწმება. *ინსპექციის გაწევა.* 2. სპეციალური ორგანო, რომელიც ახორციელებს შემოწმებას. *გენერალური ინსპექცია.*

**ინსპირირება** *ინსპირირების* ვინმეს ან რაიმეს წაქეზება გარკვეული ქმედებისკენ. *დაპირისპირების ინსპირირება. ომის ინსპირირება მოახერხეს.*

**ინსპირირებული** *ინსპირირებულის* ხელოვნურად, წაქეზებით გამოწვეული. *ინსპირირებული მოქმედება. ინსპირირებული კონფლიქტი.*

**ინსტალაცია** *ინსტალაციის* პროცესი, რომელიც უზრუნველყოფს პროგრამული პროდუქტის დაყენებასა და ამოქმედებას კომპიუტერში. შეცდომაა ინსტალიაცია.

**ინსტანცია** *ინსტანციის* სახელმწიფო მმართველობის, სამხედრო, სასამართლო და სხვა ორგანოების ერთმანეთთან დაქვემდებარებული ცალ-

კეული საფეხური. *ზემდგომ ინსტანციაში გასაჩივრება.*

**ინსტინქტი** *ინსტინქტის* ამა თუ იმ სიტუაციაში მიზანშეწონილი ქმედების თანდაყოლილი, გაუცნობიერებელი ჩვევა. *თავდაცვის ინსტინქტი. ნადირის ინსტინქტი.* შეცდომაა ინსტიქტი.

**ინსტინქტური** *ინსტინქტურის* ინსტინქტით გამონვეული. *ინსტინქტური საქციელი.* შეცდომაა ინსტიქტური.

**ინსტიტუტი** *ინსტიტუტის* I. ზოგიერთი სამეცნიერო-კვლევითი ან სასწავლო დაწესებულება. *ლიტერატურის ინსტიტუტი.* 2. კანონების ან ზნეობრივი ნორმების ერთობლიობა, რომელიც აწესრიგებს საზოგადოებრივ ურთიერთობებს გარკვეულ სფეროში. *ქორწინების ინსტიტუტი. ძმადნაფიცობის ინსტიტუტი.*

**ინსტრუმენტალისტი** *ინსტრუმენტალისტის* მუსიკოსი, ამა თუ იმ მუსიკალურ ინსტრუმენტზე დამკვრელი.

**ინსტრუმენტი** *ინსტრუმენტის* I. იგივეა, რაც ხელსაწყო. *ქირურგიული ინსტრუმენტი. საზეინკლო ინსტრუმენტი.* 2. იგივეა, რაც საკრავი. *სიმებიანი ინსტრუმენტი. დასარტყამი ინსტრუმენტი. ჩასაბერი ინსტრუმენტი.*

**ინსტრუმენტული** *ინსტრუმენტულის* I. ინსტრუმენტების დამამზადებელი. *ინსტრუმენტული ქარხანა.* 2. ინსტრუმენტებით (2) შესრულებული. *ინსტრუმენტული მუსიკა.*

**ინსტრუქტორი** *ინსტრუქტორის* რომელიმე დარგის სპეციალისტი, რომელიც ინსტრუქციას აძლევს კერძო პირებს ან ორგანიზაციებს და აკონტროლებს მათ საქმიანობას. *ცურვის ინსტრუქტორი.*

**ინსტრუქტორობა** *ინსტრუქტორობის* ინსტრუქტორად ყოფნა, ინსტრუქტორის საქმიანობა. *ინსტრუქტორობა შესთავაზეს.*

**ინსტრუქცია** *ინსტრუქციის* რაიმეს შესასრულებლად საჭირო მითითება ან მითითებებისა და წესების კრებული. *ინსტრუქციას გაეცნო. ინსტრუქციის მიხედვით მოქმედებს.*

**ინსულინი** *ინსულინის* ჰორმონი, რომელსაც გამოყოფს პანკრეასი. *ინსულინის დონე.*

**ინსულტი** *ინსულტის* მედიც. ტვინში სისხლის მიმოქცევის დარღვევა, რომელსაც თან სდევს უეცარი გულის წასვლა და დამბლა. *ინსულტი დაემართა.*

**ინსცენირება** *ინსცენირების* I. ლიტერატურული ნაწარმოების გადაკეთება სცენაზე დასადგმელად. *ინსცენირება წარმოადგინეს. ინსცენირების ავტორი.* 2. გადატ. რაც ვინმეს მოსატყუებლად, თვალის ასახვევად არის გათამაშებული. *ჩხუბის ინსცენირება.*

**ინსცენირებული** *ინსცენირებულის* I. სცენაზე გადატანილი, დადგმული (ლიტერატურული თხზულება). *ინსცენირებული მოთხრობა.* 2. საგანგებოდ მოწყობილი, გათამაშებული. *ინსცენირებული კონფლიქტი. ინსცენირებული თავდასხმა.*

**ინტეგრაცია** *ინტეგრაციის* იგივეა, რაც ინტეგრირება.

**ინტეგრირება** *ინტეგრირების* (ინტეგრირდება) გაერთიანება, შეერთება. *ინტეგრირების პროცესი.*

**ინტეგრირებული** *ინტეგრირებულის* რაიმეში ჩართული, რაიმესთან გაერთიანებული, გამთლიანებული. *ინტეგრირებული საგნები.*

**ინტელექტი** *ინტელექტის* ადამიანის აზროვნების უნარი, გონებრივი განვითარებისა და ცოდნის დონე. *დიდი ინტელექტი.*

**ინტელექტუალური** *ინტელექტუალურის* I. ცოდნასთან, აზროვნებასთან, ინტელექტთან დაკავშირებული. *ინტელექტუალური თამაშები. ინტელექტუალური გადაცემები.* 2. ვისაც ინტელექტი აქვს. *ინტელექტუალური ადამიანი.*

**ინტელიგენტი** *ინტელიგენტის* I. სპეციალური განათლების და ცოდნის მქონე ადამიანი, რომელიც გონებრივ შრომას ეწევა, ინტელიგენციის წარმომადგენელი. *ინტელიგენტთა წრე.* 2. გადატ. კულტურული, გონიერი, პატივსაცემი ადამიანი. ■ **ინტელიგენტური** ინტელიგენტის დამახასიათებელი. *ინტელიგენტური გარეგნობა.* შეცდომაა ინტილიგენტი.

**ინტელიგენცია** *ინტელიგენციის* სოციალური ფენა, რომელიც აერთიანებს შემოქმედებითი, სამეცნიერო და პედაგოგიური საქმიანობით დაკავებულ პირებს. შეცდომაა ინტილიგენცია.

**ინტენსივობა** *ინტენსივობის* ინტენსიურის თვისება, ხანგრძლივობა, სიძლიერე. *მოძრაობის ინტენსივობა.*

**ინტენსიური** *ინტენსიურის* I. დაძაბული, გაძლიერებული. *ინტენსიური შრომა.* 2. უკეთესი შედეგის, ნაყოფიერების მომცემი. *ინტენსიური მიწათმოქმედება.*

**ინტერაქტიული** *ინტერაქტიულის* მკითხველთან, მაყურებელთან, მსმენელთან ურთიერთობისას უკუკავშირზე დამყარებული. *ინტერაქტიული მეთოდი.*

**ინტერესი** *ინტერესის* I. რაიმეს გაგების, სწავლის, გაცნობის სურვილი. *ამ საკითხის მიმართ ინტერესს იჩენს.* 2. რაიმეს გაკეთების, მიღწევის სურვილი; მიზანი, მისწრაფება. *თავის ინტერესებს იცავს.*

**ინტერვალი** *ინტერვალის* I. მანძილი ორ საგანს, პუნქტს შორის. *სტრიქონებს შორის ინტერვალი.* 2. დროის შუალედი. *ათწუთიანი ინტერვალი.*

**ინტერვენცია** *ინტერვენციის* ერთი ან რამდენიმე სახელმწიფოს ძალადობრივი შეჭრა სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე და მის საშინაო საქმეებში ჩარევა.

**ინტერვიუ** *ინტერვიუს* ამა თუ იმ პიროვნებასთან ჟურნალისტის საუბარი, რომელიც გამიზნულია გამოსაქვეყნებლად ან ტელევიზიით, რადიოთი გადასაცემად. *სატელევიზიო ინტერვიუ. ინტერვიუს ჩაწერა.*

**ინტერვიუერი** *ინტერვიუერის* ჟურნალისტი, რომელიც ინტერვიუს იღებს.

**ინტერიერი** *ინტერიერის* შენობის შიგნითა ნაწილი. *ინტერიერის მოწყობა. ლამაზი ინტერიერი.*

**ინტერმედია** *ინტერმედიის* დრამატულ ან საოპერო ნაწარმოებში ჩართული პატარა სცენა ან პიესა, ჩვეულებრივ, კომიკური ხასიათისა.

**ინტერნატი** *ინტერნატის* სკოლასთან არსებული საერთო საცხოვრებელი მოსწავლეთათვის. *სოფლის სკოლის ინტერნატი.*

**ინტერნატურა** *ინტერნატურის* კურსდამთავრებულ ექიმთა სტაჟირება სამკურნალო დაწესებულებაში. *ინტერნატურას საავადმყოფოში გადის.*

**ინტერნაციონალიზმი** *ინტერნაციონალიზმის* 1. საერთაშორისო ერთიანობა, ყველა ადამიანის თავისუფლებისა და ერთიანობის დაცვა. *ინტერნაციონალიზმის იდეებს ქადაგებს.* 2. საერთაშორისო სიტყვა, მომდინარეობს, უპირატესად, ბერძნული, ლათინური, ინგლისური ენებიდან.

**ინტერნაციონალური** *ინტერნაციონალურის* სხვადასხვა ხალხის წარმომადგენლებისგან შემდგარი, მათთვის დამახასიათებელი. *ინტერნაციონალური ეკიპაჟი.*

**ინტერნეტი** *ინტერნეტის* ერთმანეთზე მიერთებული კომპიუტერების მსოფლიო განფენილობის მქონე საჯაროდ ხელმისაწვდომი ქსელი, რომელშიც შესაძლებელია ინფორმაციის შენახვა და მოძიება. *ინტერნეტში ჩართვა. ინტერნეტით სარგებლობს.*

**ინტერნი** *ინტერნის* ექიმი, რომელიც ინტერნატურას გადის. *ინტერნების შეკრება.*

**ინტერპრეტატორი** *ინტერპრეტატორის* ლიტ. ტექსტების განმმარტებელი. *საუკეთესო ინტერპრეტატორი.*

**ინტერპრეტაცია** *ინტერპრეტაციის* 1. იგივეა, რაც **ინტერპრეტირება** (1). *კონსტიტუციის ზოგიერთი მუხლის ინტერპრეტაცია.* 2. იგივეა, რაც **ინტერპრეტირება** (2). *რეჟისორის ინტერპრეტაცია.*

**ინტერპრეტირება** *ინტერპრეტირების* 1. აზრის, გამონათქვამის, დოკუმენტის ახსნა, განმარტება. *კანონის ინტერპრეტირება.* 2. მხატვრული ან მუსიკალური ნაწარმოების თავისებური შესრულება. *ოპერის თანამედროვე ინტერპრეტირება.*

**ინტერფეისი** *ინტერფეისის* გარკვეულ საშუალებათა ერთობლიობა, რომლითაც მომხმარებელი ამყარებს ურთიერთობას სხვადასხვა კომპიუტერულ პროგრამასთან.

**ინტიმური** *ინტიმურის* 1. ადამიანის გრძნობებთან, სულიერ სამყაროსთან დაკავშირებული. *ინტიმური ურთიერთობა. ინტიმური თემა.* 2. შინაურული, მეგობრული, გულითადი. *ინტიმური საუბარი.*

**ინტონაცია** *ინტონაციის* ხმის აწევ-დაწევა, ტონის ცვლა მეტყველებისას. *მკაცრი ინტონაცია. კითხვის გამომხატველი ინტონაცია.*

**ინტოქსიკაცია** *ინტოქსიკაციის* შხამიანი ნივთიერებებით ორგანიზმის მოწამვლა.

**ინტრიგა** *ინტრიგის* ფარული, ეშმაკური მოქმედება მიზნის მისაღწევად, ჩვეულებრივ, ვინმეს საზიანოდ. *ინტრიგების ქსელს ხლართავს. ინტრიგას არ მოერიდა.*

**ინტრიგანი** *ინტრიგანის* ადამიანი, რომელიც ვინმეს ინტრიგას უწყობს. ■ **ინტრიგანული** ინტრიგანის დამახასიათებელი. *ინტრიგანული გამოსელა. ინტრიგანული საქციელი.*

**ინტრიგანობა** *ინტრიგანობის* (ინტრიგანობს) ინტრიგანის ქცევა. *თავისი ინტრიგანობით არის ცნობილი. ერთი თანამშრომელი ინტრიგანობს.*

**ინტუიცია** *ინტუიციის* მიხვედრის, გარემოში გარკვევის, მოვლენებში წვდომის უნარი. *კარგი ინტუიცია. ინტუიციით ხვდება.*

**ინტუიციური** *ინტუიციურის* ინტუიციაზე დამყარებული. *ინტუიციური შეფასება.* შეცდომაა ინტუიტიური.

**ინფანტილიზმი** *ინფანტილიზმის* ადამიანის ფიზიკური ან ფსიქიკური განვითარების შეჩერება ბავშვობის საფეხურზე, გონებრივი უმწიფრობა. *ინფანტილიზმი სჭირს.* შეცდომაა იმფანტილიზმი.

**ინფანტილური** *ინფანტილურის* ვისაც ინფანტილიზმი ახასიათებს, ინფანტილიზმთან დაკავშირებული. *ინფანტილური ახალგაზრდა. ინფანტილური საქციელი.* შეცდომაა იმფანტილური.

**ინფარქტი** *ინფარქტის* მედიც. სისხლის მიწოდების შეწყვეტა არტერიების შევიწროების ან მათი დაცობის შედეგად. შეცდომაა იმფარქტი.

**ინფექცია** *ინფექციის* დაავადების გამომწვევი მიკრობების ორგანიზმში მოხვედრა. *ინფექცია შეეჭრა.* ■ **ინფექციური** ინფექციისთვის დამახასიათებელი, ინფექციისთვის განკუთვნილი. *ინფექციური საავადმყოფო.* შეცდომაა იმფექცია, იმფექციური.

**ინფიცირება** *ინფიცირების* (ინფიცირდება) ↑ დაინფიცირება. *ბავშვთა ინფიცირება. ტუბერკულოზით ინფიცირება.*

**ინფიცირებული** *ინფიცირებულის* ინფექციით დაავადებული, დასნებოვნებული. *შიდსით ინფიცირებული.*

**ინფლაცია** *ინფლაციის* ქაღალდის ფულის გაუფასურება, გამონვეული ფულის ჭარბი გამოშვებით. *ინფლაციის დონე.* ■ **ინფლაციური** ინფლაციასთან დაკავშირებული. *ინფლაციური პროცესები.* შეცდომაა იმფლაცია.

**ინფორმატიკა** *ინფორმატიკის* დისციპლინა, რომელიც შეისწავლის ინფორმაციის გამოყენებას ადამიანის საქმიანობის სხვადასხვა სფეროში და მის დამუშავებას პერსონალური კომპიუტერების საშუალებით. შეცდომაა იმფორმატიკა.

**ინფორმატორი** *ინფორმატორის* პირი, რომელიც რაიმე ინფორმაციას აწვდის ვინმეს. *ინფორმატორის ცნობა.*

**ინფორმატორობა** *ინფორმატორობის* ინფორმატორის საქმიანობა. *ინფორმატორობა დაიწყო.*

**ინფორმაცია** *ინფორმაციის* ამბავი, ცნობა, შეტყობინება მომხდარის ან მოსალოდნელის შესახებ. *ინფორმაცია გაავრცელა. სარწმუნო ინფორმაციას ეყრდნობა. ინფორმაციას ფლობს.* შეცდომაა იმფორმაცია.

**ინფორმაციული** *ინფორმაციულის* ინფორმაციასთან დაკავშირებული, დიდი ინფორმაციის შემცველი. *ინფორმაციული სტატია.* შეცდომაა იმფორმაციული.

**ინფორმირება** *ინფორმირების* ინფორმაციის მიწოდება ან მიღება. *საზოგადოების ინფორმირება. აბიტურიენტების ინფორმირება. ინფორმირების მიზნით.* შეცდომაა იმფორმირება.

**ინფორმირებული** *ინფორმირებულის* ვისაც სრულყოფილი, მრავალმხრივი ინფორმაცია აქვს მიღებული. *ინფორმირებული მოქალაქეები. ინფორმირებული თაობა.*

**ინფრასტრუქტურა** *ინფრასტრუქტურის* ეკონომიკის, ტექნიკისა და სოციალური სფეროს სხვადასხვა დარგის ერთობლიობა, რომელიც უზრუნველყოფს საზოგადოებრივი ცხოვრების ნორმალურ განვითარებას. *ქალაქის ინფრასტრუქტურა. ინფრასტრუქტურის განვითარება.* ■ **ინფრასტრუქტურული** *ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებული.*

**ინფუზორია** *ინფუზორიის* მიკროსკოპული ერთუჯრედიანი ცხოველი, ცხოვრობს მტკნარ და მლაშე წყლებში.

**ინჩი-ბინჩი** *ინჩი-ბინჩის* ⊙ **ინჩი-ბინჩი არ გაეგება (არ ესმის)** არაფერი არ იცის (არ ესმის).

**ინციდენტი** *ინციდენტის* მოულოდნელი შემთხვევა (ჩვეულებრივ, უსიამოვნო), გაუგებრობა. *ქუჩის ინციდენტი. ინციდენტს მსხვერპლი მოჰყვა.* შეცდომაა ინცინდენტი.

**ინჰალაცია** *ინჰალაციის* ზედა სასუნთქი გზების მკურნალობა სამკურნალო ნივთიერებათა შესუნთქვით. *ინჰალაცია გაუკეთდა.* შეცდომაა ინგალაცია.

**იოგი** *იოგის* ანატ. (ძირითადად მრ.) ბოჭკოვანი ქსოვილი, რომელიც აერთებს ჩონჩხის ცალკეულ ნაწილებს, სხეულის ცალკეულ ორგანოებს. *მენჯბარძაყის იოგები. იოგები დაეჭიმა.* ⊙ **ხმის იოგები** ორი პარალელური კუნთი ხორხში, რომელთა რხევაც ამოსუნთქვისას წარმოქმნის ხმას.

**იოდი** *იოდის* მოშავო-მორუხო ფერის ბზინვარე კრისტალური ნივთიერება, გამოიყენება მედიცინაში, ფოტოგრაფიასა და მრეწველობაში. *იოდის ხსნარი.*

**იოლი** *იოლის* იგივეა, რაც ადვილი. *იოლი შეკითხვა. იოლი არ გეგონოს!* ↔ **რთული.** ▲ **იოლად** ადვილად, ძალისხმევის გარეშე. *იოლად მიხვდა. იოლად დაბეჭდა.*

**იონი** *იონის* დამუხტული ატომი ან ატომთა ჯგუფი, რომელშიც ერთი ან რამდენიმე ელექტრონი ნორმაზე მეტია ან ნაკლები.

**იონური** *იონურის* იონების შემცველი. *იონური გამოსხივება. იონური ნივთიერება.*

**იონჯა** *იონჯის* პარკოსანი ბალახოვანი მცენარე, აქვს სამყურა ფოთლები, მტევნებად შეკრებილი ყვავილები, გამოიყენება ცხოველების საკვებად.

**იორდასალამი** *იორდასალმის* მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარე, აქვს დანაკვთული ფოთლები და მსხვილი, ჩვეულებრივ, წითელი ყვავილები, გამოიყენება სამკურნალოდ.

**იორღა** *იორღის* 1. კარგად მოსიარულე ცხენი. *იორღაზე ზის.* 2. იგივეა, რაც **თოხარიკი.** *იორღით დადის.*

**იპოდრომი** *იპოდრომის* საგანგებოდ მოწყობილი მოედანი საცხენოსნო სპორტში შეჯიბრების გასამართავად. *იპოდრომის ტერიტორია.*

**იპოთეკა** *იპოთეკის* სესხი, რომელიც გაიცემა უძრავი ქონების დაგირავებით, რის საფუძველზეც ქონება რჩება მოვალეს საკუთრების უფლებების გარკვეული შეზღუდვით.

**იპოთეკური** *იპოთეკურის* იპოთეკით განსაზღვრული. *იპოთეკური სესხი.*

**ირაო** *ირაოს* მტაცებელი ფრინველის ლაღი, ნელი ფრენა. *მიმინოს ირაო.*

**ირაციონალური** *ირაციონალურის* გონებისთვის მიუწვდომელი. *ირაციონალური მოვლენები.*

**ირგვლივ** ზმნზ. 1. გარშემო, ყოველი მხრიდან. *ტბის ირგვლივ ტყე გაშენდა. ხალხი მომღერალს ირგვლივ შემოეხვია.* 2. შესახებ, თაობაზე. *რეფორმის ირგვლივ ბევრს საუბრობენ.*

**ირეალური** *ირეალურის* არარეალური, რეალობაში არარსებული. *ირეალური სამყარო. ირეალური სინამდვილე.*

**ირემი** *ირმის* დიდი ტანის გარეული ცხოველი. მამრს


ირემი

აქვს დიდი, დატოტვილი რქები. *კავკასიის ირემი. ჩრდილოეთის ირემი.* ◉ ირმის ნახტომი უამრავი ვარსკვლავისგან შემდგარი მკრთალად მოელვარე ზოლი ცაზე.

**ირიბად** ზმნზ. ალმაცერად, დახრილად. *ირიბად გავლებული ხაზი.*

**ირიბი** *ირიბის* არაპირდაპირი. *ირიბი ხაზი. ირიბი გამოხედვა.*

**ირიგაცია** *ირიგაციის* მინების ხელოვნური რწყვის სისტემა. *ირიგაციის შედეგები.*

**ირმისენა** *ირმისენის* ბალახოვანი მცენარე, აქვს მთლიანი ფოთლები, გავრცელებულია კლდოვან ადგილებსა და ტყის პირას.

**ირონია** *ირონიის* ფარული, შენიღბული დაცინვა. *ხმაში ირონია გაურია.*

**ირონიული** *ირონიულის* ირონიის შემცველი, ირონიის გამომხატველი. *ირონიული საუბარი. ირონიული მზერა.*

**ის** ნაცვ. ვინც ან რაც ჩემთან და შენთან არ არის. *ის მოსწონს. ის წაიღო.*

**ისარა** *ისარას* წყლის ან ჭაობის მრავალწლოვანი, ისრის მოყვანილობის ბალახოვანი მცენარე, აქვს პატარა ყვავილები.

**ისარი** *ისრის* I. წამახულწვერიანი წვრილი ჯოხი, რომელსაც მშვილდით ისვრიან. *ისრის წვერი. ისრით დაჭრილი. ისრის ტყორცნა.* 2. დროის, ზომისა და მიმართულების მაჩვენებელი წვრილი, წვეტიანი რკინის ღერო სხვადასხვა ხელსაწყოში. *საათის ისარი. კომპასის ისარი.* 3. სპეციალური მიმართულების მაჩვენებელი ნიშანი. *გასასვლელს ისრის მიმართულება აჩვენებს.*

**ისე** ზმნზ. 1. იმის მსგავსად, იმგვარად, იმნაირად. *როგორც უნდა, ისე დადის.* 2. სხვათა შორის, უბრალოდ. *ისე, ბევრი მეგობარი ჰყავს.* 3. უმიზეზოდ, უმიზნოდ, უსაქმოდ. *ისე დავეხეტებოდი. ისე დაურეკა.* ⊙ არც ისე ძალიანაც არ.

**ისედაც** ზმნზ.||ისეც. *ყველაფერი ისედაც ცხადია.*

**ისევ** ზმნზ. I. როგორც ადრე, კვლავ, კიდევ. *ისევ წვიმს. ისევ დაბრუნდა.* 2. უფრო მეტად, სხვაზე მეტად. *ისევ სახლში დარჩენა მირჩევნია.* ⊙ ისევ ისე როგორც ადრე, ძველებურად.

**ისევე** ზმნზ. სწორედ ისე, იმგვარადვე. *ისევე დამარცხდნენ, როგორც ადრე. ჩვენც ისევე გვიყვარს სპორტი, როგორც თქვენ.*

**ისეთი** *ისეთის* იმის მსგავსი, იმნაირი. *ისეთი კაბა. ისეთი შვილი.*

**ისემც** გამოიყენება წყევლისას ან დალოცვისას. *ისემც კარგი დაგემართოს! ისემც უქნია, უკან აღარ მობრუნებულა!*

**ისეც** ზმნზ. სხვა რამის გარეშეც, თავისთავად. *სალათა ისეც გემრიელია. შენ ისეც დაგპატიჟებენ.*

**ისინდი** *ისინდის* I. ძვ. ქართული გუნდური შეჯიბრება ჯირითში. 2. ჯოხი, რომელსაც ამ შეჯიბრებაში რიგრიგობით ესვრიან ერთმანეთს მოწინააღმდეგენი.

**ისინი** ნაცვ. ვინც ან რაც (მრავალი) ჩემთან და შენთან არ არის (არ არიან). *ისინი მოდიან. ისინი ჩააწყო.*

**ის-ის** ⊙ ის-ის იყო სწორედ მაშინ, სწორედ იმ მომენტში.

**ისლამი** *ისლამის* რელიგია, რომელიც ეფუძნება წინასწარმეტყველ მაჰმადის (მუჰამედის) მოძღვრებას. *ისლამის მიმდევარი.*

**ისლი** *ისლის* მრავალწლოვანი მცენარე, აქვს გრძელი და ვიწრო ფოთლები, გამოიყენება ჩანთების, ჭილობისა და მისთ. მოსაქსოვად ან ნაგებობების გადასახურად. *ისლის სახლი. ისლის ქუდი.*

**ისლიანი** *ისლიანის* I. ადგილი, სადაც ბევრი ისლი იზრდება. *ისლიანი დაბლობი.* 2. ისლით დახურული. *ისლიანი სახლები.*

**ისპანახი** *ისპანახის* ერთწლოვანი ფოთლოვანი ბოსტნეული, აქვს წაგრძელებული ფორმის დიდი ფოთლები, იხმარება მხლად.

**ისრიმი** *ისრიმის* მკვახე, დაუმწიფებელი ყურძენი, გამოიყენება სანელებლად. *ისრიმის წვენი.*

**ისტერია** *ისტერიის* ფსიქიკური დაავადება. *ისტერიის შეტევა.*

**ისტერიკა** *ისტერიკის* ძლიერი ნერვული აღგზნება, წონასწორობის დაკარგვა. *ისტერიკა დაემართა.*

**ისტერიკული** *ისტერიკულის* ისტერიკისთვის დამახასიათებელი, ისტერიკით გამოწვეული. *ისტერიკული ყვირილი.* პარონიმი ისტერიული.

**ისტერიული** *ისტერიულის* ისტერიასთან დაკავშირებული, ისტერიით გამოწვეული. *ისტერიული ავადმყოფი.* პარონიმი ისტერიკული.

**ისტორია** *ისტორიის* 1. კაცობრიობის მიერ განვლილი გზა, ყველაფერი, რაც წარსულში მოხდა. *საქართველოს ისტორია. აღმოსავლეთის ხალხთა ისტორია.* 2. ერთი კონკრეტული ფაქტი, მოვლენა, რომელიც მოხდა. *სასაცილო ისტორია.* 3. მეცნიერება, რომელიც შეისწავლის საზოგადოებისა და კულტურის სხვადასხვა დარგის წარმოშობასა და განვითარებას. *მუსიკის ისტორია. სამართლის ისტორია.* 4. რაიმეს მიმდინარეობის, განვითარების პროცესი. *ავადმყოფობის ისტორია.*

**ისტორიამდელი** *ისტორიამდელის* იგივეა, რაც წინარეისტორიული. *ისტორიამდელი ეპოქები.*

**ისტორიზმი** *ისტორიზმის* მოვლენათა განხილვა ისტორიული განვითარების გათვალისწინებით. *ისტორიზმის პრინციპი.*

**ისტორიკოსი** *ისტორიკოსის* I. ისტორიის დარგის სპეციალისტი. *ისტორიკოსის თხზულება.* 2. ძვ. ისტორიული ამბების აღმწერი, შემკრები. *ბერძენი ისტორიკოსები.*

**ისტორიკოსობა** *ისტორიკოსობის* ისტორიის დარგში მუშაობა.

**ისტორიული** *ისტორიულის* ისტორიაში არსებული. *ისტორიული მოვლენები.*

**იუბილარი** *იუბილარის* პირი ან ორგანიზაცია, რომელსაც იუბილეს უხდიან. *იუბილარს მიესალმნენ. იუბილარისადმი მიძღვნილი.*

**იუბილე** *იუბილეს* პირის ან დაწესებულების არსებობის რომელიმე წლისთავის აღსანიშნავი ზეიმი. *იუბილე გადაიხადა.*

**იუდა** *იუდას* I. ქრისტეს ერთ-ერთი მოწაფე, რომელმაც იგი 30 ვერცხლად გაყიდა. 2. გადატ. მოღალატე, გამცემი, გამყიდველი. *შე იუდა!* ⊙ **იუდას კერძი** ძვ. შეჩვენებული, დანყევლილი.

**იუდაიზმი** *იუდაიზმის* ებრაელთა (იუდეველთა) რელიგია. *იუდაიზმის მიმდევარი.*

**იუდაისტური** *იუდაისტურის* იუდაიზმთან დაკავშირებული, იუდაიზმისთვის დამახასიათებელი. *იუდაისტური წესი.*

**იუველირი** *იუველირის* I. იგივეა, რაც **ოქრომჭედელი**. *იუველირის ნამუშევარი.* 2. ძვირფასი სამკაულებით მოვაჭრე. *იუველირთან შეიძინა.*

**იუმორი** *იუმორის* I. მსუბუქი, უწყინარი ხასიათის, ოდნავ დამცინავი დამოკიდებულება. *კარგი იუმორი აქვს.* 2. ფაქტის, მოვლენის სასაცილოდ წარმოდგენა ხელოვნებაში. *იუმორის გვერდი.*

**იუმორისტი** *იუმორისტის* იუმორისტული ნაწარმოებების ავტორი ან შემსრულებელი. *იუმორისტის გამოსვლა. იუმორისტის ნიჭი.*

**იუმორისტული** *იუმორისტულის* იუმორის შემცველი. *იუმორისტული მოთხრობა. იუმორისტული ნახატები.*

**იუნგა** *იუნგის* I. ბიჭი, რომელიც გემზე ემზადება მატროსობისთვის და სწავლობს ზღვაოსნობას. 2. უმცროსი მატროსი ზოგი ქვეყნის ფლოტში.

**იუპიტერი** *იუპიტერის* მზის სისტემის პლანეტა, სიშორით მეხუთე ადგილზეა მზიდან.

**იურიდიული** *იურიდიულის* უფლებრივ და სამართლის ნორმებთან, ამ ნორმების შესწავლა-გამოყენებასთან დაკავშირებული. ⊙ **იურიდიული პირი** ორგანიზაცია ან დაწესებულება, რომელსაც შეუძლია ფლობდეს ქონებას, იკისროს ვალდებულებანი, დადოს ხელშეკრულებები, გამოვიდეს სასამართლოში მოსარჩელედ ან მოპასუხედ და მისთ.

**იურისდიქცია** *იურისდიქციის* სასამართლო საქმის წარმოების უფლება. *სახელმწიფოს იურისდიქცია.*

**იურისკონსულტი** *იურისკონსულტის* იურისტი, რომელიც კერძო პირს ან ორგანიზაციას რჩევას აძლევს იურიდიულ საკითხებში. *იურისკონსულტის დახმარება.*

**იურისპრუდენცია** *იურისპრუდენციის* იურიდიულ მეცნიერებათა ერთობლიობა. *იურისპრუდენციას ეუფლება.*

**იურისტი** *იურისტის* სამართლის დარგის სპეციალისტი. *იურისტის თანამდებობა.*

**იურისტობა** *იურისტობის* იურისტად მუშაობა. *ბავშვობიდან უნდოდა იურისტობა.*

**იუსტიცია** *იუსტიციის* სასამართლო დაწესებულებათა სისტემა. *იუსტიციის სამინისტრო.*

**იფ** შორისდ. გამოხატავს მოწონებას, სიამოვნებას. *იფ, რა კარგია! იფ, იფ, რა გემრიელია!*

**იფანი** *იფნის* საშუალო სიმაღლის ან მაღალი ხე, აქვს რთული ფოთლები, პატარა ყვავილები, ფრთიანი ნაყოფი და მაღალხარისხიანი მერქანი, იზრდება ტყეებში.

**იფქლი** *იფქლის* საშემოდგომო ხორბლის ჯიში. *იფქლის ნათესები.*

**იქ** ზმნზ. იმ ადგილას. *იქ სწავლობს. იქ წავალთ.*

**იქამდე** ზმნზ. 1. იმ ადგილამდე. *იქამდე ძლივს მივაღწიეთ.* 2. იმ დრომდე. *იქამდე ათი დღეა.* 3. იმგვარ ვითარებამდე, იმ მდგომარეობამდე. *ჯოხი იქამდე ურტყა, სანამ არ ჩამოაგდო.*

**იქამდის** ზმნზ.||იქამდე.

**იქაური** *იქაურის* ვინც ან რაც იქიდან არის ან იმ ადგილს უკავშირდება, იქ მცხოვრები ან წარმოშობით იქიდან მყოფი. *იქაური ხალხი. იქაური ხილი. იქაური ტრადიციები.*

**იქაურობა** *იქაურობის* იქ არსებული ყველაფერი ერთად. *იქაურობა დავათვალიერე.*

**იქედნური** *იქედნურის* თვალთმაქცური, დამცინავი. *იქედნური ღიმილი. იქედნური საქციელი.*

**იქვე** ზმნზ. ისევე იქ, იმავე ადგილას. *ბავშვი იქვე იჯდა. მისი დაც იქვე სწავლობდა.*

**იქთიოზავრი** *იქთიოზავრის* ძალიან დიდი ზომის გადაშენებული ცხოველი, ბინადრობდა ზღვაში. *იქთიოზავრის ნამარხი.* შეცდომაა იხთიოზავრი, იხტიოზავრი.

**იქთიოლოგია** *იქთიოლოგიის* ზოოლოგიის ნაწილი, რომელიც შეისწავლის თევზებს. *იქთიოლოგიის წიგნი.* შეცდომაა იხთიოლოგია, იხტიოლოგია.

**იქით** ზმნზ. 1. იმ ადგილისკენ, იმ მიმართულებით. *იქით წავიდა. იქით მიიხედე!* 2. თანდ. ფუნქც. (+ ნათ.) მეორე მხარეს, გადაღმა. *ამ მთის იქით. კარის იქით.* ⊙ **დღეის იქით / დღეის ამას იქით** ამ დღიდან მოყოლებული, დღეის შემდეგ, დღეიდან, ამიერიდან. ⊙ **თავს იქით ძალა არა აქვს** რაც შეუძლია, აკეთებს, მეტი ძალა, მეტი ღონე აღარა აქვს.

**იქითა** *იქითას* იმ მხარეს მყოფი. *იქითა მინები. იქითა ოთახი.*

**იქითკენ** ზმნზ. იქითა მიმართულებით. *იქითკენ გაიქცა. იქითკენ მიიხედე!*

**იქითობას** ზმნზ. იქითა გზაზე, იქით წასვლისას. *იქითობას მშობლებთან შეიარა.*

**იქითობისას** ზმნზ.||იქითობას. *იქითობისას ერთად ვიმგზავრებთ.*

**იქითური** *იქითურის* იმ მხარეს მყოფი, იმ მხარეს მცხოვრები, იქიდან მომდინარე. *იქითური გლეხობა. იქითური ამბები.*

**იქნებ** ნაწილაკ. ეგებ, ვინ იცის, ვინიცობაა. *იქნებ მოთოვოს. იქნებ დათანხმდეს.*

**იქნება** ნაწილაკ.||იქნებ. *იქნება ჩვენც გვესტუმრონ!*

**იღბალი** *იღბლის* კარგი ბედი. *იღბალი აქვს.*

**იღბლად** ზმნზ. ბედად, საბედნიეროდ. *იღბლად ექიმი სახლში დახვდათ.*

**იღბლიანი** *იღბლიანის* 1. ვისაც ბედი სწყალობს, იღბალი აქვს. *იღბლიანი ბიჭია.* 2. რასაც იღბალი ახლავს, კარგი, წარმატების მომტანი. *იღბლიანი დღე. იღბლიანი შეხვედრა.*

**იღლია** *იღლიის* ადამიანის მკლავის ტანთან შეერთების ქვედა ადგილი. *იღლია ეტკინა. იღლიაში ამოიჩარა.* ⊙ ერთი (ორი) იღლია რაც ერთ (ორ) იღლიაში მოთავსდება, რასაც ერთი იღლია დაიტევს.

**იღუმენი** *იღუმენის* მართლმადიდებლური მონასტრის წინამძღვარი. *იღუმენად აკურთხეს.*

**იშვიათი** *იშვიათის* 1. ის, რაც ხშირი არ არის, ან ხშირად არ ხდება. *იშვიათი შემთხვევა. იშვიათი ვინმე.* 2. უჩვეულო, არაჩვეულებრივი. *იშვიათი სილამაზის ქალი. იშვიათი ძალის კაცი.*

**იშიასი** *იშიასის* მედიც. საჯდომი ნერვის ანთება, დამახასიათებელია ძლიერი ტკივილი წელის მიდამოებში და საჯდომი ნერვის გასწვრივ. *იშიასი დაემართა.* შეცდომაა იშიაზი.

**იშტა** *იშტის* საუბრ. რაიმეს ძლიერი სურვილი, ნდომა რაიმესი. *იშტა ზე მოვიდა.*

**იშხანი** *იშხნის* კალმახის სახეობა, გავრცელებულია სევანის ტბაში.

**იძულება** *იძულების* (აიძულებს) რაიმეს საკუთარი ნება-სურვილის საწინააღმდეგოდ გაკეთებინება, ძალდატანება. *მკურნალობა აიძულეს. ქვეყნის დატოვება აიძულეს. იძულების წესით. იძულებით გადაადგილებული პირი.* ■ **იძულებული** ვინც აიძულეს. *იძულებული გახდა ოჯახიდან წასულიყო. იძულებული ვარ, უარი ვთქვა.*

**იძულებითი** *იძულებითის* არანებითი, ვინმესგან ძალის დატანებითი. *თვითმფრინავის იძულებითი დაჯდომა. იძულებითი გადასახლება.*

**იწილო-ბიწილო** *იწილო-ბიწილოს* 1. საბავშვო თამაშობა. 2. გადატ. უაზრო, მოსაბეზრებელი ლაპარაკი. *არ დამიწყო იწილო -ბიწილო!*


იხვი

**იხვი** *იხვის* წყალში მცურავი ფრინველი. *იხვის ჭუჭული. გარეული იხვი. იხვივით ჩაყვინთა.*

**იხტიბარგატეხილი** *იხტიბარგატეხილის* გაწბილებული, უხერხულობის გრძნობით შეპყრობილი. *იხტიბარგატეხილად გამოიყურება.*

**იხტიბარი** ⊙ იხტიბარს არ გაიტეხს უხერხულობას, გაწბილებას არ შეიმჩნევს.

**იჯარა** *იჯარის* 1. უძრავი ქონების დროებით დაქირავება სათანადო ხელშეკრულების საფუძველზე. *შენობა იჯარით აიღო.* 2. ამგვარად დაქირავებული ქონების გადასახადი. *იჯარა გადაიხადა.*

**იჯრა** *იჯრის* 1. საჭმელ-სასმლის ერთ ჯერზე მისაღები ოდენობა. *სამი კაცის იჯრა.* 2. ჭამის, სმის ერთი ჯერი. *ღვინო ერთ იჯრა ზე დაილია.*

# — კ —

**კაბა** *კაბის* ქალის მთლიანი ჩასაცმელი. *აბრეშუმის კაბა.*

**კაბალა** *კაბალის* მონური დამოკიდებულება. ▪ **კაბალური** კაბალის შემცველი. *კაბალური ხელშეკრულება.*

**კაბელი** *კაბელის* ჰერმეტულად იზოლირებული ელექტრული სადენი. *ტელეფონის კაბელი. ტელეგრაფის საზღვაო კაბელი.*

**კაბინა** *კაბინის* სპეციალური დანიშნულების პატარა სათავსი. *ტელეფონის კაბინა. სატვირთო ავტომობილის კაბინა. მფრინავის კაბინა.*

**კაბინეტი** *კაბინეტის* 1. უპირატესად ერთი პირის სამუშაოდ განკუთვნილი ოთახი ბინაში ან დაწესებულებაში. *დირექტორის კაბინეტი. მამა კაბინეტში მუშობს.* 2. სათანადო აპარატურით მოწყობილი ოთახი სპეციალური დანიშნულებით. *ფიზიკის კაბინეტი. რენტგენის კაბინეტი. ექიმის კაბინეტი.* 3. მინისტრთა ერთობლიობა, მთავრობა. *შეიქმნა მინისტრთა ახალი კაბინეტი.*

**კაბრიოლეტი** *კაბრიოლეტის* მსუბუქი ავტომობილი ასახდელი სახურავით.

**კადრება** *კადრების* (კადრულობს, ჰკადრებს, აკადრებს, ეკადრება) 1. შეუფერებელი, სამარცხვინო საქმის ჩადენა. *ამას როგორ კადრულობთ?!* 2. ვინმესთვის შეუფერებელი სიტყვის ან საქმის გაბედვა. *მოხუცს ამას ვერ აკადრებს.* 3. პატივსაცემი ადამიანისთვის რაიმეს თქმის შებედვა. *მოძღვარს ურიგო სიტყვა ჰკადრა.*

**კადრი**[1] *კადრის* 1. კინო- ან ფოტოფირის ცალკეული სურათი. 2. კინოფილმის ცალკე სცენა ან ეპიზოდი. *კინოჟურნალის კადრები.*

**კადრი**[2] *კადრის* (ძირითადად მრ.) ამა თუ იმ დარგის წარმომადგენელთა ან ორგანიზაციის, დაწესებულების თანამშრომელთა, სპეციალისტთა ერთობლიობა. *კვალიფიციური კადრები. ახალგაზრდა კადრები. კადრების შერჩევა.*

**კაეშანი** *კაეშნის* მძიმე დარდი, ნაღველი. *კაეშანმა მოიცვა. კაეშანი მოეძალა.*

**კავალერი** *კავალერის* 1. ქალის პარტნიორი მამაკაცი ცეკვის დროს. *ჩემი კავალერი მშვენივრად ცეკვავდა.* 2. მამაკაცი, რომელიც საზოგადოებაში ახლავს ქალს და ყურადღებას იჩენს მის მიმართ. ◎ **ორდენის კავალერი** იგივეა, რაც ორდენოსანი.

**კავალერია** *კავალერიის* ცხენოსანი ჯარი. *კავალერიის ოფიცერი.*

**კავალერისტი** *კავალერისტის* კავალერიაში მყოფი სამხედრო პირი. *ძველი კავალერისტი.*

**კავალრობა** *კავალრობის* კავალრის ქცევა. *კავალრობა გაუწია.*

**კავი**[1] *კავის* 1. იგივეა, რაც კაუჭი. *კავზე ჩამოკიდა.* 2. მიწის სახნავი ძველებური იარაღი, მარტივი გუთანი, გამოიყენებოდა ბელტიანი და ფერდობიანი ადგილების დასამუშავებლად. *თუშური კავი. იმერული კავი.*

კავი

**კავი**[2] *კავის* ზოგიერთი მცენარის ულვაში ან ხვიარა ღერო, რომლითაც ის ეხვევა ჭიგოს, სარს ან სხვა მცენარეს. *ლობიოს კავი.*

**კავშირგაბმულობა** *კავშირგაბმულობის* შორ მანძილზე ინფორმაციის გადაცემის სხვადასხვა საშუალების (ფოსტის, ტელეგრაფის, ტელეფონისა და მისთ.) ერთობლიობა. *კავშირგაბმულობის კომპანია.*

**კავშირი** *კავშირის* 1. ორი ან მეტი ვინმეს, რაიმეს ურთიერთობა, სიახლოვე, ერთმანეთზე დამოკიდებულება. *კავშირი დაამყარა. ნაცნობებთან კავშირი გაწყვიტა. ამ მოვლენებს ერთმანეთთან კავშირი არა აქვს.* 2. გაერთიანება, რომელიც საერთო ინტერესების მქონე ადამიანებისგან შედგება. *მონადირეთა კავშირი.* 3. გრამატ. მეტყველების ნაწილი, რომელიც ერთმანეთთან აკავშირებს წინადადების ორ წევრს ან ორ წინადადებას. ◎ **სატელეფონო კავშირი** ტელეფონის საშუალებით ვინმესთან ურთიერთობა.

**კაზინო** *კაზინოს* იგივეა, რაც სამორინე. *კაზინოს თანამშრომელი.*

**კაზმვა** *კაზმვის* (კაზმავს, უკაზმავს, იკაზმება) 1. ↑ **მოკაზმვა**. *მთელი დღე იკაზმება.* 2. ↑ **შეკაზმვა**. *ცხენებს კაზმავენ.*

**კათალიკოსი** *კათალიკოსის* ქართული მართლმადიდებელი (აგრეთვე სომხურ-გრიგორიანული) ეკლესიის მეთაური. *კათალიკოსად კურთხევა.*

**კათედრა** *კათედრის* 1. მაღალი, მაგიდის მსგავსი საგანი, რომელთანაც დგება ორატორი ან ლექტორი სიტყვის წარმოთქმის ან ლექციის კითხვისას. *მომხსენებელი კათედრასთან მივიდა.* 2. განყოფილება უმაღლეს სასწავლებელში, რომელიც ხელმძღვანელობს რომელიმე დარგის სამეცნიერო მუშაობასა და სასწავლო პროცესს. *ისტორიის კათედრა. კათედრის გამგე.*

**კათეტერი** *კათეტერის* სამედიცინო იარაღი, სპეციალური მილი სხეულის არხებისა და ღრუების გამოსარეცხად ან შიგთავსისგან დასაცლელად. *შარდის ბუშტის კათეტერი.*

**კათოლიკე** *კათოლიკეს* პირი, რომელიც კათოლიციზმს აღიარებს. *კათოლიკე მღვდელი.*

**კათოლიკობა** *კათოლიკობის* 1. კათოლიკედ ყოფნა. 2. იგივეა, რაც კათოლიციზმი.

**კათოლიკოსი** *კათოლიკოსის* იგივეა, რაც კათალიკოსი.

**კათოლიკური** *კათოლიკურის* კათოლიციზმთან, კათოლიკეებთან დაკავშირებული. *კათოლიკური ეკლესია.*

**კათოლიციზმი** *კათოლიციზმის* ქრისტიანული სარწმუნოების ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება, რომელსაც ხელმძღვანელობს რომის პაპი. *კათოლიციზმის გავრცელება.*

კათხა

**კათხა** *კათხის* 1. სახელურიანი მოზრდილი სასმისი. *ლუდის კათხა.* 2. ხის ჭურჭელი, რომელშიც ძროხას, თხას წველიან. *კათხით რძე მოიტანა. სავსე კათხა.*

**კაიკაცობა** *კაიკაცობის* კარგი ადამიანობა, ღირსეული ადამიანური თვისებების ქონა. *მისი კაიკაცობა ცნობილია. შენს კაიკაცობას ვაფასებ.*

**კაიუტა** *კაიუტის* ოთახი გემზე. *კაპიტნის კაიუტა. პირველი კლასის კაიუტა.*

**კაიფი** *კაიფის* (კაიფობს, ეკაიფება) 1. მდგომარეობა, რომელსაც ნარკოტიკის მოწევა იწვევს. *კაიფში იყო.* 2. გადატ. სიამოვნების, ნეტარების განცდა. *ინტერნეტ ზე კაიფობს.* 3. უშნოდ ხუმრობა, სასაცილოდ აგდება. *რას მეკაიფები?!*

**კაკა** *კაკის* ბავშვ. ტკბილეული.

**კაკაბი** *კაკბის* ქათმის მსგავსი გარეული ფრინველი. *კაკბის წიწილა. კაკბებზე ნადირობა.*

**კაკადუ** *კაკადუს* ქოჩრიანი თუთიყუში, ბინადრობს ავსტრალიაში და წყნარი ოკეანის კუნძულებზე. *შავი კაკადუ.*

**კაკალი** 1. მაგარნაჭუჭიანი ხმელი ხილი, აქვს მაღალკალორული ზეთოვანი გული, ფართოდ გამოიყენება კულინარიაში. *კაკლის ლებანი. კაკალი დაამტვრია.* 2. მაღალი, ფართოფოთლებიანი ხე, რომელიც ისხამს კაკალს (1), აქვს მაგარი და მძიმე მერქანი, რომლისგანაც ამზადებენ ავეჯს. *კაკლის მურაბა.* ⊙ **კაკალ გულში** საუბრ. შიგ შუა გულში. ⊙ **უყარე კაკალი!** საუბრ. რაც გინდა, ის ქენი, არაფერი ეშველება.

**კაკანათი** *კაკანათის* ჩიტების საჭერი მახე. *კაკანათი დაუგო.*

**კაკანი** *კაკანის* (კაკანებს, აკაკანებს) 1. ქათმის, კაკბისა და ზოგიერთი სხვა ფრინველის ხმიანობა. *საქათმიდან კაკანი ისმოდა. დედალი კაკანებს.* 2. გადატ. გაბმული სროლის ხმა. *ავტომატის კაკანი.*

**კაკაო** *კაკაოს* 1. ერთგვარი ტროპიკული ხის თესლის ფხვნილი, რომელიც გამოიყენება საკონდიტრო წარმოებაში. *კაკაოს ნამცხვარი.* 2. ცხელი სასმელი, რომელიც კაკაოსგან (1) მზადდება. *ცხელი კაკაო.*

**კაკაჩა** *კაკაჩას* შევარდნის მსგავსი მტაცებელი ფრინველი.

**კაკლიანი** *კაკლიანის* კაკლით დაფარული ადგილი. *კაკლიანში სასიამოვნო სიგრილე იყო.*

**კაკოფონია** *კაკოფონიის* ბგერათა უხეში ხმიანობა, არაკეთილხმოვანება. ■ **კაკოფონიური** კაკოფონიისთვის დამახასიათებელი. *კაკოფონიური მუსიკა.*

**კაკუნი** *კაკუნის* (აკაკუნებს, უკაკუნებს) მყარ ზედაპირზე მაგარი საგნის დარტყმის ხმის გამოცემა. *კაკუნი შემოესმა. კარზე აკაკუნებენ. კოდალა ხეს უკაკუნებს.*

**კალა** *კალის* მოვერცხლისფრო, რბილი, მძიმე და ადვილად დნობადი ლითონი, გამოიყენება სპილენძის ჭურჭლის დასაფარად, შენადნობების დასამზადებლად. *კალის მადანი.*

**კალათა** *კალათის* წნელის, ტკეჩის ან სხვა მასალისგან დაწნული ჭურჭელი, უმეტესად სახელურიანი, საკვების ან რაიმე ნივთების ჩასაწყობად. *ტკბილეულით სავსე კალათა. ხილის კალათა.*

**კალათბურთელი** *კალათბურთელის* სპორტსმენი, კალათბურთის მოთამაშე. *კალათბურთელთა ნაკრები. ცნობილი კალათბურთელი.*

**კალათბურთი** *კალათბურთის* სპორტის სახეობა, გუნდური თამაში, რომლის მოთამაშეები ბურთს აგდებენ ჩამოკიდებულ ბადეში (კალათში). *კალათბურთის მატჩი.*

**კალათი** *კალათის* 1. იგივეა, რაც კალათა. *მოწნული კალათი.* 2. კალათბურთის მოედანზე გამართული მოწყობილობის ნაწილი – ფარზე[1] (2) დამაგრებული ბადე, რომელშიც ბურთს აგდებენ.

**კალამბური** *კალამბურის* სიტყვების თამაში, ემყარება მსგავსი ჟღერადობის, მაგრამ განსხვავებული

მნიშვნელობის მქონე სიტყვების გამოყენებას, რაც მძაფრ ემოციურ ელფერს აძლევს გამონათქვამს.

**კალამი** *კალმის* I. ხელით საწერი საგანი. *მელნიანი კალმი.* 2. ხეხილის ახლად ამონაყარი, დასამყნობი რტო. *კალმით მყნობა.* ⊙ **კალამი უჭრის** წერა ეხერხება. ⊙ **კალმის ერთი მოსმით** სხარტად, ლაკონიურად.

**კალაპოტი** *კალაპოტის* I. მიწის ჩაღრმავებული ზედაპირი, რომელშიც წყალი მიედინება. *მდინარის კალაპოტი.* 2. ფეხის ტერფის მოყვანილობის ხის ფორმა, რომელსაც ხმარობენ მეწაღეები ფეხსაცმლის კერვის დროს. 3. იგივეა, რაც ყალიბი. *კალაპოტში ჩაასხა.* ⊙ **კალაპოტიდან ამოვარდა** ცხოვრების ჩვეულ წესს გადაუხვია. ⊙ **კალაპოტში ჩადგა** ცხოვრების ჩვეულ წესს დაუბრუნდა.

**კალატოზი** *კალატოზის* ხელოსანი, რომელიც ქვით, აგურითა და მისთ. აგებს შენობას. *კალატოზებმა მშენებლობა დაამთავრეს.*

**კალატოზობა** *კალატოზობის* (კალატოზობს) კალატოზის საქმიანობა, შენება. *კალატოზობა შეისწავლა.*

**კალეიდოსკოპი** *კალეიდოსკოპის* I. სათამაშო ოპტიკური მილი, რომელშიც სხვადასხვაგვარი ფერადი მინის ფიგურები სწრაფად მონაცვლეობენ. 2. გადატ. მოვლენების, ამბებისა და მისთ. სწრაფი ცვლა. *ახალი ამბების კალეიდოსკოპი.*

**კალენდარი** *კალენდრის* I. თარიღების ცხრილი, რომელშიც მოცემულია წელიწადის ყველა დღის ჩამონათვალი თვეებისა და კვირების მიხედვით. *საეკლესიო კალენდარი. კედლის კალენდარი.* 2. წელიწადის დღეების აღრიცხვის სისტემა. *გრიგორიანული კალენდარი.*

**კალენდარული** *კალენდარულის* კალენდრით განსაზღვრული. *კალენდარული წელი. კალენდარული კვირა. კალენდარული დღესასწაული.*

**კალთა** *კალთის* I. კაბის, ჩოხისა და მისთ. წელსქვედა ჩაშვებული ნაწილი. *ჩოხის კალთები შემოცეთოდა.* 2. მთის, კარვისა და მისთ. დამრეცი გვერდი. *მთის კალთები ამწვანდა.* ⊙ **ვინმეს კალთას ამოეფარება** ვინმეს მფარველობით ისარგებლებს, პასუხისმგებლობას აიცილებს. ⊙ **კალთაზე გამობმული** მფარველობაში მყოფი. ⊙ **კალთას გადააფარებს** დაიფარავს, დაიცავს. ⊙ **კალთას დააგლეჯს** ძალიან შეეხვეწება.

**კალია** *კალიის* მოზრდილი მავნებელი მწერი, ანადგურებს ნათესებს. *კალიების შემოსევა.*

კალია



**კალიბრი** *კალიბრის* I. ცეცხლსასროლი იარაღის ლულის ან ჭურვის დიამეტრი. *მსხვილი კალიბრის ჭურვი.* 2. ნაკეთობათა ზომისა და ფორმის შესამოწმებელი საზომი იარაღი. *საკონტროლო კალიბრი.*

**კალიგრაფი** *კალიგრაფი* კალიგრაფიის ოსტატი. *კალიგრაფთა კონკურსი.*

**კალიგრაფია** *კალიგრაფიის* წერის ხელოვნება. *კარგი კალიგრაფია.*

**კალიგრაფიული** *კალიგრაფიულის* I. ლამაზად ნაწერი. *კარგი კალიგრაფიით შესრულებული. კალიგრაფიული ასოები. კალიგრაფიული ხელმოწერა.* 2. ნაწერის მიხედვით განსაზღვრული. *კალიგრაფიული ნიშნები.*

**კალიუმი** *კალიუმის* მოვერცხლისფრო-თეთრი, მსუბუქი, რბილი და ადვილად დნობადი ლითონი. *კალიუმის ქლორიდი. კალიუმის სასუქი.* ■ **კალიუმიანი** კალიუმის შემცველი. *კალიუმიანი მარილები.*

**კალკი** *კალკის* I. გამჭვირვალე ქაღალდი ან ქსოვილი, რომელიც გამოიყენება ნახაზის ასლის გადასაღებად. 2. ლინგ. ამა თუ იმ ენაში სხვა ენის მიხედვით ნაწარმოები სიტყვა ან გამოთქმა, რომელიც მსესხებელი ენისთვის ბუნებრივი არ არის. *ინგლისურის კალკი.*

**კალკულატორი** *კალკულატორის* მარტივი გამოთვლების შესასრულებელი მცირე ზომის ელექტროგამომთველი მანქანა. *კალკულატორით ანგარიშობს. ჯიბის კალკულატორი.*

**კალკულაცია** *კალკულაციის* საქონლის თვითღირებულებისა და გასაყიდი ფასის გამოანგარიშება.

**კალმახი** *კალმახის* მთის ცივი მდინარეების თევზი, აქვს წითელი ან შავი ლაქები. *შემწვარი კალმახი.*

**კალმოსანი** *კალმოსნის* იგივეა, რაც მწერალი. *კალმოსანი კოლეგა. კალმოსანთა შეკრება.*

**კალო** *კალოს* სპეციალური ადგილი, სადაც მარცვლეულს ლეწავენ. *კალოზე ძნა გაშალეს.*

**კალოობა** *კალოობის* პურეულის აღებისა და გალეწვის დრო. *კალოობა დადგა.*

**კალორია** *კალორიის* I. სითბოს რაოდენობის ერთეული. 2. იმ ენერგიის საზომი ერთეული, რომელსაც ორგანიზმი გამოიმუშავებს ამა თუ იმ საკვების მიღებისას. *ათი კალორია.*

**კალორიმეტრი** *კალორიმეტრის* ხელსაწყო, რომლითაც ზომავენ რომელიმე სხეულის მიერ გამოყოფილ ან შთანთქმულ სითბოს რაოდენობას.

**კალორიული** *კალორიულის* მაღალი კვებითი ღირებულების მქონე. *კალორიული საკვები.*

**კალორიულობა** *კალორიულობის* ორგანიზმში საკვები პროდუქტების გადამუშავებისას გამოყოფილი სითბოს რაოდენობა (გამოიხატება კალორიებით). *მაღალი კალორიულობა.*

**კალოში** *კალოშის* ავდარში ჩასაცმელი რეზინის ფეხსაცმელი. ■ **კალოშებიანი** ვისაც კალოშები აცვია.

კალოში



**კალციუმი** *კალციუმის* ქიმიური ელემენტი, მოვერცხლისფრო, ბზინვარე ლითონი, რომელიც შედის კირქვის, მარმარილოს, ცარცის, თაბაშირის და მისთ. შემადგენლობაში.

**კამა** *კამის* ერთწლოვანი სურნელოვანი მცენარე, აქვს დანაკვთული ფოთლები და ქოლგისებური ყვავილები, გამოიყენება სანელებლად.

კამათელი

**კამათელი** *კამათლის* მკვრივი მასალისგან, ძირითადად, ძვლისგან გაკეთებული პატარა კუბი, რომლის გვერდებზე დაჩნეულია ნერტილები ერთიდან ექვსამდე, გამოიყენება ნარდის ან სხვა აზარტული თამაშისას. *კამათლის გაგორება.*

**კამათი** *კამათის* (კამათობს, ეკამათება) განსხვავებული აზრების გამოთქმა, ხმამაღლა მსჯელობა, რაიმე საკითხის განსჯა-განხილვა. *ცხარე კამათი. მეგობრები კამათობენ. ერთმანეთს ეკამათებიან.*

**კამარა** *კამარის* ნაგებობის, შენობის გადახურვის სახეობა, კედლებსა და სვეტებზე დაყრდნობილი რკალისებური ნაწილი.

**კამაროვანი** *კამაროვანის* იგივეა, რაც თაღოვანი. *კამაროვანი ნაგებობა.*

**კამბალა** *კამბალას* ზღვის სარეწაო ბრტყელი ფორმის თევზი, რომელსაც ორივე თვალი ცალ მხარეს აქვს. *კამბალას კონსერვი.*

**კამეა** *კამეის* 1. ქვა ან ნიჟარა, რომელზეც რელიეფურად არის ამოკვეთილი რაიმე გამოსახულება, სვამენ ბეჭედში, ბროშში. *ძველებური კამეა.* 2. ასეთი ქვით გაწყობილი ბროში.

**კამელია** *კამელიის* მარადმწვანე დეკორატიული მცენარე, აქვს ტყავისებური პრიალა ფოთლები და მსხვილი ნითელი ან თეთრი ყვავილები.

**კამერა** *კამერის* 1. იგივეა, რაც საკანი. *ციხის კამერა. კამერაში გადაიყვანეს.* 2. სპეციალური დანიშნულების ოთახი, სათავსი, სადაც რაიმეს ინახავენ. *ბარგის შესანახი კამერა. სადე ზინფექციო კამერა.* 3. ფოტო, კინო, ტელეაპარატისა და მისთ. ნაწილი ან თვით ეს აპარატი. *კამერით გადაიღო.* 4. სხვადასხვა დანიშნულებისა და მასალის გასაბერი პარკი. *რეზინის კამერა. საბურავის კამერა.*

კამერტონი

**კამერტონი** *კამერტონის* ლითონის ხელსანყო, რომელიც გამოსცემს გარკვეული სიმაღლის ბგერას, გამოიყენება მუსიკალური საკრავებისა და ადამიანის ხმის შესამოწმებლად.

**კამერული** *კამერულის* 1. ერთი ან რამდენიმე შემსრულებლისთვის განკუთვნილი. *კამერული მუსიკა.* 2. ასეთი ნაწარმოების, ასეთი მუსიკის შემსრულებელი. *კამერული მომღერალი. კამერული ორკესტრი.* 3. მცირერიცხოვანი მსმენელებისთვის, ვიწრო წრისთვის განკუთვნილი. *კამერული პოეზია. კამერული ხელოვნება.*

კამეჩი

**კამეჩი** *კამეჩის* დიდი ზომის მსხვილფეხა რქოსანი ცხოველი. *შინაური კამეჩი. კამეჩის მაწონი.*

**კამკამა** *კამკამას* წმინდა, გამჭვირვალე. *კამკამა წყალი.*

**კამკამი** *კამკამის* (კამკამებს) სუსტი ნათება, ახასიათებს რაიმე სუფთა, გამჭვირვალე ნივთიერებას, როდესაც მასში მზის ან სინათლის სხივი ირეკლება.

**კამპანია** *კამპანიის* საქმიანობა, რომელიც გრძელდება გარკვეული პერიოდის განმავლობაში რაიმე მნიშვნელოვანი ამოცანის შესასრულებლად. *საარჩევნო კამპანია.*

**კამპანიური** *კამპანიურის* გარკვეული ხანგრძლივობის მქონე, არასისტემური. *კამპანიური შეხვედრები.*

**კამპანიურობა** *კამპანიურობის* კამპანიური მუშაობა. *კამპანიურობა ახასიათებს.*

**კამუფლაჟი** *კამუფლაჟის* შენიღბვის ერთ-ერთი სახე – ქვემეხების, ტანკების, თვითმფრინავების, ნაგებობების დაფარვა ლაქებით, ზოლებით და მისთ. ისე, რომ გაძნელდეს მათი ცნობა.

**კამფეტი** *კამფეტის* იგივეა, რაც **კანფეტი**. *ბავშვებს კამფეტები დაურიგეს.*

**კანალიზაცია** *კანალიზაციის* მიწისქვეშა არხებისა და მილების სისტემა, რომლის საშუალებითაც ბინძური, თხევადი მასა გაედინება. *კანალიზაციის შესაკეთებელი სამუშაოები.*

**კანაფი** *კანაფის* 1. ერთწლოვანი ბოჭკოვანი მცენარე, აქვს მაღალი ღერო, რომლისგანაც ამზადებენ სართავ მასალას. 2. კანაფის (1) ღეროზე აცლილი კანისგან დაგრეხილი წვრილი თოკი. *კანაფით შეკრა.*

**კანდელი** *კანდელის* იგივეა, რაც ლამპარი. *კანდელი ანთია.*

**კანდიდატი** *კანდიდატის* პირი, რომელიც დასახელებულია, ნავარაუდევია რაიმე თანამდებობაზე ასარჩევად, დასანიშნად, სადმე მისაღებად და მისთ. *დეპუტატობის კანდიდატი.*

**კანდიდატურა** *კანდიდატურის* ვინმეს უფლება ან შესაძლებლობა იყოს რაიმეს კანდიდატი. *ჩემი კანდიდატურა. კანდიდატურების დასახელება.*

**კანავა** *კანავის* უხეში ბადისებრი ქსოვილი, რომელზეც ქარგავენ. *კანავაზე შესრულებული.*

**კანი**[1] *კანის* 1. გარსი, რომლითაც დაფარულია ადამიანის, ცხოველის სხეული. *სახის კანი. მშრალი კანი. კანის ექიმი.* 2. ქერქი, საფარი. *ხეზამთროს კანი.* ⊙ **კანში არ (ვერ) ეტევა** საუბრ. ძალიან გასუქებულია.

**კანი**[2] *კანის* ქართული ანბანის მეათე ასოს (კ-ს) სახელწოდება.

**კანიბალი** *კანიბალის* 1. იგივეა, რაც კაციჭამია. *კანიბალთა ტომი.* 2. გადატ. დაუნდობელი, სასტიკი, სისხლისმსმელი ადამიანი.

**კანიბალიზმი** *კანიბალიზმის* 1. კაციჭამიობა. 2. გადატ. ველურობა, მხეცობა, ბარბაროსობა.

**კანიბალური** *კანიბალურის* დაუნდობელი, სასტიკი, კანიბალის დამახასიათებელი. *კანიბალური საქციელი.*

**კანიონი** *კანიონის* ღრმა და ვიწრო ხეობა. *თვალუწვდენელი კანიონები.*

**კანისტრა** *კანისტრის* სითხეების გადასატანი ჭურჭელი, რომელიც მჭიდროდ იხურება.

**კანკალი** *კანკალის* (კანკალებს, აკანკალებს, უკანკალებს) სხეულის ან მისი რომელიმე ნაწილის უნებური მოძრაობა, გამოწვეული სიცივით, შიშით ან სხვა ძლიერი განცდით. *კანკალი დაიწყო. ხელი უკანკალებს. ბრაზისგან კანკალებს.*

**კანკელი** *კანკელის* ხატებიანი ტიხარი, რომელიც საკურთხეველს გამოყოფს ტაძრის დანარჩენი ნაწილისგან. *ქვის კანკელი. ხის კანკელი.*

**კანოე** *კანოეს* სპორტული ნავი, რომელშიც ცალ მუხლზე დგებიან და ისე უსვამენ ნიჩბებს.

**კანონადა** *კანონადის* ხშირი სროლა, ერთდროულად რამდენიმე ქვემეხიდან.

**კანონგარეშე** *კანონგარეშეს* ვისაც ან რასაც კანონი არ იცავს, უკანონო. *კანონგარეშე მცხოვრები. კანონგარეშე პიროვნება. კანონგარეშედ გამოაცხადეს.*

**კანონზომიერება** *კანონზომიერების* მოვლენების განვითარების ლოგიკურობა, ბუნებაში არსებულ წესრიგთან შესაბამისობა. *კანონზომიერება არ ჩანს.*

**კანონზომიერი** *კანონზომიერის* რასაც კანონზომიერება ახასიათებს, რაც კანონზომიერებიდან გამომდინარეობს. *კანონზომიერი მოვლენები. კანონზომიერი შედეგი.*

**კანონი** *კანონის* 1. საკანონმდებლო ორგანოს მიერ მიღებული და დამტკიცებული საყოველთაოდ სავალდებულო წესი. *საარჩევნო კანონი. სამეწარმეო კანონი.* 2. საგნებსა და მოვლენებს შორის არსებული კავშირი, რომელიც გარკვეული კანონზომიერებით ვლინდება. *მიზიდულობის კანონი.* 3. ამა თუ იმ საზოგადოების მიერ შემუშავებული წესი, რომელიც მისი წევრებისთვის სავალდებულოა. *მორალური კანონები.*

**კანონიერება** *კანონიერების* სახელმწიფოსა და საზოგადოებრივი ცხოვრების წარმართვა კანონების შესაბამისად. *კანონიერების აღიარება.*

**კანონიერი** *კანონიერის* 1. კანონის შესაბამისი, კანონით დამტკიცებული. *კანონიერი საბუთი. კანონიერი მეუღლე. კანონიერი მემკვიდრეობა.* 2. სამართლიანი. *კანონიერი მოთხოვნა. კანონიერი სურვილი.*

**კანონიკური** *კანონიკურის* ეკლესიის მიერ დადგენილი ნორმების შესაბამისი. *კანონიკური ტექსტები. კანონიკური საგალობლები.*

**კანონმდებელი** *კანონმდებლის* პირი ან ორგანო, რომელიც კანონებს შეიმუშავებს. *კანონმდებელი სტრუქტურები.*

**კანონმდებლობა** *კანონმდებლობის* 1. კანონების (1) მომზადება და გამოცემა. *სახელმწიფო კანონმდებლობა.* 2. კანონების ერთობლიობა. *კანონმდებლობის მიღება.*

**კანონპროექტი** *კანონპროექტის* საკანონმდებლო ორგანოში განსახილველად შესული პროექტი. *კანონპროექტის განხილვა.*

**კანტატა** *კანტატის* საზეიმო ხასიათის მუსიკალური ნაწარმოები სოლისტების, გუნდისა და ორკესტრისთვის. *კანტატა შეასრულეს.*

**კანტი** *კანტის* ტანსაცმლის კიდეზე მოვლებული ან ნაკერში ჩაყოლებული ქსოვილის ვიწრო ზოლი. *ქუდის კანტი. საყელოს კანტი. კანტით გაწყობილი.*

**კანტიკუნტი** *კანტიკუნტის* იშვიათი, აქა-იქ, შიგადაშიგ არსებული. *კანტიკუნტი გამვლელი.* ▲ **კანტიკუნტად** ზმნ. იშვიათად, აქა-იქ, ნაწყვეტ-ნაწყვეტ. *კანტიკუნტად თუ გამოჩნდებოდა ვინმე. კანტიკუნტად ისროდნენ.*

**კანტური** *კანტურის* (აკანტურებს) ძილმორეულის თავის მოძრაობა. *თავს აკანტურებს.*

**კანფეტი** *კანფეტის* შაქრის სიროფისა და სხვა საკვები ნედლეულისგან დამზადებული მცირე ზომის ტკბილეული. *ხილის კანფეტი.*

**კანცელარია** *კანცელარიის* განყოფილება დაწესებულებაში, რომელიც აწესრიგებს თანამშრომლებთან ან სხვა დაწესებულებებთან საქმიან ურთიერთობებს. *უნივერსიტეტის კანცელარია. პარლამენტის კანცელარია.*

**კანცელარიზმი** *კანცელარიზმის* 1. საქმის წარმართვა მიწერ-მოწერის საშუალებით. 2. გადატ. საქმისადმი ფორმალური, უგულისყურო დამოკიდებულება.

**კანცელარიული** *კანცელარიულის* კანცელარიისთვის დამახასიათებელი, ოფიციალური, საქმიანი. *კანცელარიული სტილი.*

**კანცეროგენი** *კანცეროგენის* ნივთიერება, რომელიც ხელს უწყობს ავთვისებიან სიმსივნეთა წარმოქმნას. *ეს პროდუქტი კანცეროგენებს შეიცავს.* ■ **კანცეროგენული** კანცეროგენების შემცველი. *კანცეროგენული საღებავი.*

**კანცლერი** *კანცლერის* მთავრობის ხელმძღვანელი ან უმაღლესი წოდების მქონე თანამდებობის პირი ზოგიერთ ქვეყანაში. *გერმანიის კანცლერი.*

**კანჭი** *კანჭის* ფეხის ნაწილი მუხლიდან კოჭამდე. *მაღალი კანჭები. საქონლის კანჭი.*

**კანჭმაღალი** *კანჭმაღლის* გრძელი კანჭების მქონე, მაღალი და გამხდარი. *კანჭმაღალი გოგო.*

**კანჯო** *კანჯოს* საზღვაო ტრანსპორტის სახეობა, ნიჩბიანი ან თვითმავალი ნავი, იყენებენ სამაშველო დანიშნულებით, ხალხის გადასაყვანად, ტვირთის გადასაზიდად. *სამაშველო კანჯო. გემის კანჯო.*

**კაპაკუპი** *კაპაკუპის* კბილების ერთმანეთზე ცემის დროს გამოცემული ხმა. *კაპაკუპი მოესმა.*

**კაპარი** *კაპარის* მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარე, აქვს გართხმული, ეკლებიანი ღერო, მთლიანი ფოთლები და მსხვილი თეთრი ყვავილები, გაუშლელ კოკრებს ამწნილებენ.

**კაპარჩხანა** *კაპარჩხანას* საუბრ. ანჩხლი, ბრაზიანი. *კაპარჩხანა გოგო.*

**კაპარჭი** *კაპარჭის* სპეციალური ბუდე (2), რომელშიც მშვილდის ისრებს აწყობენ. *მხარზე კაპარჭი გადაიკიდა.*

**კაპასი** *კაპასის* ძალიან ავი, მოჩხუბარი. *კაპასი დედაკაცი.*

**კაპასობა** *კაპასობის* (კაპასობს, ეკაპასება) კაპასის ქცევა, ჩხუბი. *ქალი კაპასობს.*

**კაპელა** *კაპელის* მომღერლების გუნდი. *სახელმწიფო კაპელა. საეკლესიო კაპელა.*

**კაპი** *კაპის* მოჭრილი ხის ბოლოში გამოშვერილი ორი-სამი ტოტის მოკლე გადანაჭერი, იყენებენ რაიმეს ჩამოსაკიდად. ▪ **კაპებიანი** რასაც კაპები აქვს. *კაპებიანი ჯოხი.*

**კაპიკი** *კაპიკის* ძვ. ფულის ერთეული, უდრის მანეთის მეასედს. *ათი კაპიკი.* ▪ **კაპიკიანი** კაპიკის ღირებულების მონეტა. *ოც კაპიკიანი.*

**კაპილარი** *კაპილარის* ანატ. უწვრილესი სისხლძარღვი. *კაპილარი გაუწყდა. კაპილარის კედლის გათხელება.* ▪ **კაპილარული** კაპილართან დაკავშირებული. *კაპილარული სისხლდენა. კაპილარული სისხლჩაქცევები.*

**კაპიტალდაბანდება** *კაპიტალდაბანდების* ამა თუ იმ საქმეში დაბანდებული სახსრები. *ეფექტური კაპიტალდაბანდება.*

**კაპიტალი** *კაპიტალის* 1. გადატ. მეწარმის, კომპანიისა და მისთ. ძირითადი და საბრუნავი საშუალებების საერთო ღირებულება. *სამრეწველო კაპიტალი. უცხოური კაპიტალი.* 2. გადატ. თანხა, ფული. *დიდი კაპიტალი დააგროვა.*

**კაპიტალიზმი** *კაპიტალიზმის* საზოგადოებრივ-ეკონომიკური წყობილება, რომლის დროსაც წარმოების საშუალებები ეკუთვნით კერძო პირებს. *კაპიტალიზმის ეპოქა.*

**კაპიტალისტი** *კაპიტალისტის* გაბატონებული კლასის ნარმომადგენელი კაპიტალიზმში.

**კაპიტალისტური** *კაპიტალისტურის* კაპიტალიზმისთვის დამახასიათებელი.

**კაპიტალური** *კაპიტალურის* 1. საფუძვლიანი, ფუნდამენტური, არა მსუბუქი. *კაპიტალური ნაგებობა. კაპიტალური შენობა.* 2. დიდად მნიშვნელოვანი. *კაპიტალური ნაშრომი.*

**კაპიტანი** *კაპიტნის* 1. სამხედრო პირი, ლეიტენანტზე მაღალი წოდების ოფიცერი. *კაპიტნის ბრძანება.* 2. გემის ეკიპაჟის მეთაური. *შორეული ნაოსნობის კაპიტანი.* 3. სპორტული გუნდის მოთამაშე მეთაური. *ფეხბურთის გუნდის კაპიტანი. ნაკრების კაპიტანი.*

**კაპიტნობა** *კაპიტნობის* კაპიტნის საქმიანობა, კაპიტნად ყოფნა. *გუნდის კაპიტნობა შესთავაზეს.*

**კაპიტულანტი** *კაპიტულანტის* პირი, რომელიც კაპიტულაციას ახდენს ან მხარს უჭერს. ▪ **კაპიტულანტური** *კაპიტულანტური პოლიტიკა.*

**კაპიტულაცია** *კაპიტულაციის* საომარი მოქმედების შეწყვეტა და თავის აღიარება დამარცხებულად. *არმიის კაპიტულაცია. უსიტყვო კაპიტულაცია.*

**კაპიტულირება** *კაპიტულირება* იგივეა, რაც კაპიტულაცია.

**კაპიუშონი** *კაპიუშონის* ტანსაცმლის საყელოზე მიკერებული თავსაბურავი. *საწვიმრის კაპიუშონი.* შეცდომაა კაპიშონი.

**კაპოტი** *კაპოტის* ზოგიერთი მანქანის სპეციალური ასახდელი ნაწილი, რომელიც შიგა მექანიზმს იცავს მტვრისა და ატმოსფერული ნალექებისგან. *ავტომობილის კაპოტი. თვითმფრინავის კაპოტი.*

**კაპრიზი** *კაპრიზის* ახირებული, გაუგებარი სურვილი. *ბავშვს კაპრიზი შეუსრულეს. გაუთავებელი კაპრიზები.*

**კაპუეტა** *კაპუეტას* მრავაწლოვანი მარცვლოვან-ბალახოვანი მცენარე, აქვს ვიწრო ფოთლები და სავარცხლისებური თავთავი.

**კაპუეტი**[1] *კაპუეტის* მდინარის ერთგვარი თევზი. *ალაზნის კაპუეტი.*

**კაპუეტი**[2] *კაპუეტის* ქორის სახეობა. *კაპუეტს წვრთნის.*

**კაჟი** *კაჟის* ძალიან მაგარი ქვა, გამოიყენებოდა ცეცხლის დასანთებად, ამაგრებდნენ კევრის ძირზე. *კაჟის ქვა. კაჟიანი თოფი.* ⊙ **კაჟივით მაგარი** ამბობენ ადამიანზე, რომელიც ძალიან ძლიერია და კარგი ჯანმრთელობა აქვს.


კარადა

**კარაბინი** *კარაბინის* მოკლელულიანი მსუბუქი შაშხანა. *საფანტიანი კარაბინი. კარაბინის ტყვია.* ▪ **კარაბინიანი** კარაბინით შეიარაღებული. *კარაბინიანი მონადირე.*

**კარადა** *კარადის* ავეჯი, მაღალი, კარებიანი სათავსი, უპირატეს-

ად – ხისა, გამოიყენება სხვადასხვა სახის ნივთების შესანახად. *წიგნების კარადა. ტანსაცმლის კარადა. უჯრებიანი კარადა.*

კარავი

**კარავი** *კარვის* მსუბუქი კონსტრუქციის დროებითი თავშესაფარი საველე პირობებში. *გასაშლელი კარავი. მწყემსის კარავი.*

**კარაკული** *კარაკულის* ცხვრის ჯიში, რომლის ბატკნის ტყავიც გამოირჩევა მაღალი ხარისხით, გამოიყენება ძვირფასი ქურქებისა და ქუდების შესაკერად. *კარაკულის ქუდი. კარაკულის ქურქი.*

**კარალიოკი** *კარალიოკის* 1. სუბტროპიკული ხურმის ერთი-ერთი სახეობა, მრგვალი, კურკებიანი, ყვითელი ან სტაფილოსფერი ხილი. *მწიფე კარალიოკი.* 2. ხე, რომელიც ისხამს კარალიოკს (1). *კარალიოკი გახმა.*

**კარამელი** *კარამელის* ხილის, კენკრის, ნიგვზის, კაკაოს და მისთ. კანფეტი.

**კარანტინი** *კარანტინის* 1. ადამიანებისა და ცხოველების გადაადგილების შეზღუდვა, იზოლაცია გადამდები დაავადებების გავრცელების თავიდან აცილების მიზნით. *კარანტინი გამოაცხადეს. ფერმებს კარანტინი დაუწესეს.* 2. პუნქტი, სადაც გარკვეული დროით ათავსებენ ეპიდემიის გავრცელების ადგილიდან გამოსულ ადამიანებს, პირუტყვს. *ორი კვირა კარანტინში გაატარა.*

**კარატი** *კარატის* ძვირფასი ქვების წონის საზომი ერთეული, უდრის 200 მილიგრამს.

**კარაქი** *კარაქის* რძის (მაწვნის) შედღვებით მიღებული ცხიმი. *კარაქიანი პური.*

**კარგა** ზმნ. საკმაოდ, მნიშვნელოვნად. *კარგა დიდ ხანს ეძინა. მამამისი კარგა მაღალი კაცი იყო.*

**კარგვა** *კარგვის* (კარგავს, უკარგავს, იკარგება, ეკარგება, აკარგვინებს) ↑ **დაკარგვა**. *ფულს კარგავს. სიკეთე არ იკარგება.*

**კარგი** *კარგის* 1. მოსაწონი, ხარისხიანი. *კარგი ბიჭი. კარგი ცხენი. კარგი ამბავი.* ↔ ცუდი. 2. მოსწავლის შეფასების ნიშანი. *კარგი დაიმსახურა.* 3. დასტურის ნაწილაკი. *კარგი, თანახმა ვარ.* ▲ **კარგად** ზმნ. მოსაწონად, ხარისხიანად. *კარგად მუშაობს.* ⊙ **ისემც კარგი დაგემართოს** კარგი იქნება, ნეტა, ასე მოხდებოდეს. ⊙ **კარგად მეყოლე!** სიკეთეს ნუ ელი, კარგი არაფერი მოხდება. ⊙ **კარგი ერთი!** დაუჯერებელია, ვერ დავიჯერებ. ⊙ **კარგი თვალით უყურებს** კარგად ეპყრობა, მასზე ზრუნავს. ⊙ **კარგი პირი უჩანს** საქმე კარგად მიდის. ⊙ **კარგი ფეხი აქვს** ცრურწ. მის მოსვლას სიკეთე მოაქვს.

**კარდაკარ** ზმნ. ერთი სახლიდან მეორეში, ერთი ოჯახიდან მეორეში. *კარდაკარ სიარულით დაიღალა.*

**კარდინალი** *კარდინალის* კათოლიკური ეკლესიის უმაღლესი წოდების სასულიერო პირი. *კარდინალთა კრება. კარდინალის ქუდი.*

**კარდინალური** *კარდინალურის* ძირითადი, უმთავრესი, უმნიშვნელოვანესი. *კარდინალური საკითხი. კარდინალური ცვლილებანი.*

**კარდიოგრამა** *კარდიოგრამის* გულის მუშაობის გრაფიკული გამოსახულება, რომელსაც სპეციალური აპარატით იღებენ. *კარდიოგრამა გადაუღო.*

**კარდიოგრაფი** *კარდიოგრაფის* გულის მოძრაობის ჩამწერი ხელსაწყო.

**კარდიოლოგია** *კარდიოლოგიის* მედიცინის დარგი, რომელიც შეისწავლის გულის დაავადებებს. ■ **კარდიოლოგიური** კარდიოლოგიისთვის განკუთვნილი. *კარდიოლოგიური კლინიკა.*

**კარეტა** *კარეტის* ძველი სატრანსპორტო საშუალება, დახურული, სარკმლებიანი, კომფორტული სამგზავრო ეტლი. *დედოფლის კარეტა. კარეტაში ცხენები შეაბეს.*

**კარი** *კარის* 1. შენობის, ოთახის, ავეჯისა და მისთ. მოძრავი ნაწილი, რომელიც ცალი გვერდით მიმაგრებულია კედელზე ან ჩარჩოზე, მზადდება სხვადასხვა მასალისგან. *ხის კარი. კაბინეტის კარი. კარი დახურა.* 2. ადგილი, საიდანაც შეიძლება სადმე შესვლა, გადასვლა. *ხეობის კარი. დარიალის კარი.* 3. ზოგიერთ თამაშში (ფეხბურთსა და მისთ.) ორი ბოძით შემოფარგლული ადგილი, რომელშიც ბურთი უნდა შეაგდონ. *მოწინააღმდეგის კარი.* 4. ერცელტანიანი ლიტერატურული ნაწარმოების დიდი მონაკვეთი. *სამი კარისგან შედგება.* ⊙ **კარზე მიადგება** ვინმესთან მივა. ⊙ **კარზე მიაყენებს** მოულოდნელად სტუმარს მიუყვანს. ⊙ **კარის მეზობელი** ახლოს, გვერდით მცხოვრები მეზობელი. ⊙ **კარს აუტალახებს** ხშირად ესტუმრება. ⊙ **სამეფო კარი** მეფე და დიდებულთა წრე.

**კარიბჭე** *კარიბჭის* ძვ. შესასვლელი ციხის, ქალაქის, სასახლის გალავანში. *კარიბჭე ჩარაზეს.*

**კარიერა** *კარიერის* 1. დაწინაურება, წარმატების მიღწევა სამსახურში, სხვა საქმიანობაში. *ბრწყინვალე კარიერა.* 2. საქმიანობა, მოღვაწეობა გარკვეულ სფეროში. *სამსახიობო კარიერა.*

**კარიერი** *კარიერის* საგანგებო თხრილი მიწაში, სადაც მოიპოვებენ მადნეულს. *ქვანახშირის კარიერი. მარმარილოს კარიერი.*

**კარიერიზმი** *კარიერიზმის* სწრაფვა სამსახურში დაწინაურებისკენ; რაიმე საქმიანობაში მხოლოდ პირადი ნარჩინების ძიება და საზოგადოების ინტერესების უგულებელყოფა. *კარიერიზმი დამღუპველია.*

**კარიერისტი** *კარიერისტის* ადამიანი, რომელსაც ახასიათებს კარიერიზმი. *ახალგაზრდობიდან კარიერისტი იყო.*

**კარიკატურა** *კარიკატურის* ნახატი, რომელზეც ვინმე ან რაიმე განგებ დამახინჯებულად, სასაცილოდ არის ნარმოდგენილი. *ცნობილი ადამიანების კარიკატურები.* ■ **კარიკატურული** კარიკატურისთვის დამახასიათებელი. *კარიკატურული გამოსახულება.*

**კარიკატურისტი** *კარიკატურისტის* მხატვარი, კარიკატურების ავტორი. *კარიკატურისტის ნახატი.*

**კარისკაცი** *კარისკაცის* 1. პირი, რომელიც დგას რომელიმე დანესებულების შესასვლელში (კარში) და თვალყურს ადევნებს შემსვლელ-გამსვლელებს. 2. ძვ. თანამდებობის პირი სამეფო კარზე. *მეფის ერთგული კარისკაცი.*

**კარისკაცობა** *კარისკაცობის* კარისკაცად ყოფნა. *კარისკაცობა დაიწყო.*

**კარკასი** *კარკასის* ხის ან ლითონის კონსტრუქცია, რაიმე ნაგებობის ან ნაკეთობის ჩონჩხი. *სახლის კარკასი. გემის კარკასი.*

**კარკვლა** *კარკვლის* (კარკლავს) თვალების სპეციფიკური ტრიალი, ჩვეულებრივ, ძლიერი ემოციის (ბრაზის, გაკვირვებისა და მისთ.) დროს. *თვალებს კარკლავს.*

**კარ-მიდამო** *კარ-მიდამოს* საცხოვრებელი სახლი ეზოთი და სამეურნეო ნაგებობებით. *კარგად მოვლილი კარ-მიდამო.*

**კარნავალი** *კარნავალის* საყოველთაო მასკარადი, სიმღერებით, ცეკვა-თამაშითა და მსვლელობებით. *კარნავალი მოეწყო.*

**კარნახი** *კარნახის* (უკარნახებს) 1. რაიმეს ნარმოთქმა, საუბარი (ჩვეულებრივ, ნელა და გარკვევით) იმ მიზნით, რომ მსმენელმა ჩაიწეროს. *მასწავლებელი ბავშვებს დავალებას კარნახობს.* 2. დავიწყებული სათქმელის შეხსენება ვინმესთვის. *ტექსტის დასაწყისი უკარნახა.* 3. გადატ. რაიმე აზრის ჩაგონება, თავს მოხვევა. *სხვისი კარნახით მოქმედებს.*

**კარნიზი** *კარნიზის* 1. ნაგებობის კედლის, კარის ან ფანჯრის ნაპირებზე შემოვლებული დამცავი ჩარჩო. *კარნიზები შელებეს.* 2. ფარდის დასაკიდებელი ძელი. *ლითონის კარნიზი.*

**კარტი** *კარტის* სათამაშო ქაღალდი – ოთხკუთხა ბარათი, რომელზეც გამოსახულია სხვადასხვა სახის სიმბოლური ფიგურები. *კარტი დაარიგა.*

**კარტოგრაფია** *კარტოგრაფიის* გეოგრაფიული რუკების შედგენა. *კარტოგრაფიით დაინტერესდა.* ■ **კარტოგრაფიული** კარტოგრაფიისთვის განკუთვნილი. *კარტოგრაფიული განყოფილება.*

**კარტოთეკა** *კარტოთეკის* გარკვეული ინფორმაციის შემცველი ბარათების მოწესრიგებული ერთობლიობა, რომელიც შედგენილია სპეციალური სისტემით. *ბიბლიოთეკის კარტოთეკა.* შეცდომაა კარტოტეკა.

**კარტოფილი** *კარტოფილის* ფართოდ გავრცელებული ბოსტნეული, იკეთებს სახამებლით მდიდარ მიწისქვეშა ბოლქვებს. *ახალი კარტოფილი.*


კარტოფილი

**კარუსელი** *კარუსელის* გასართობი მოწყობილობა – ნრიულად მბრუნავი მექანიზმი, რომელზეც დამაგრებულია დასაჯდომები (ზოგჯერ ცხოველების, ეტლების, ნავების სახით). *ბავშები კარუსელზე ტრიალებენ.*


კარუსელი

**კარ-ფანჯარა** *კარ-ფანჯრის* შენობის კარები და ფანჯრები. *ხის კარ-ფანჯარა.*

**კარჩაკეტილი** *კარჩაკეტილის* 1. რასაც კარი ჩაკეტილი აქვს. *კარჩაკეტილი ოთახი.* 2. გადატ. ვინც სულ შინ ზის, არავის ხვდება. *კარჩაკეტილი ცხოვრებით ცხოვრობს. კარჩაკეტილი კაცია.* 3. გადატ. იზოლირებული, განცალკევებული. *კარჩაკეტილი მეურნეობა.*

**კარჩაკეტილობა** *კარჩაკეტილობის* ცხოვრებისგან, საზოგადოებისგან მოწყვეტა, განდგომა. *კარჩაკეტილობის შედეგები.*

**კარცერი** *კარცერის* ციხის სპეციალური საკანი, სადაც დროებით ათავსებენ პატიმრებს მკაცრად დასჯის მიზნით. *კარცერში ჩხუბის გამო მოხვდა.*

**კარჭაპი** *კარჭაპის* საზღვაო ტრანსპორტის სახეობა, ორ- ან სამაფრიანი ნავი, იყენებენ სპორტული შეჯიბრებისთვის, საბადრაგოდ და მისთ. *სპორტული კარჭაპი.*

**კასაცია** *კასაციის* 1. სასამართლოს განაჩენის ან გადაწყვეტილების გასაჩივრება და გადასინჯვა ზემდგომ ინსტანციაში. *განაჩენის კასაცია.* 2. საუბრ. განცხადება სასამართლოს გადაწყვეტილების გადასინჯვის შესახებ. *კასაცია მოითხოვეს.*

**კასეტა** *კასეტის* 1. ბრტყელი, კოლოფისებური ბუდე, რომელშიც ვიდეო- ან აუდიომაგნიტოფონის ფირია მოთავსებული. *ამ კასეტაზე ახალი ფილმი ჩავწერე.* 2. კინო- ან ფოტოფირის ჩასადები ცილინდრული ბუდე, რომელშიც შუქი ვერ აღწევს. *ფოტოაპარატის კასეტა.*

**კასკადი** *კასკადის* 1. ბუნებრივი ან ხელოვნური ჩანჩქერი, რომელიც საფეხურებად გადმოედინება. 2. აკრობატული ილეთი ცირკში, საიდანმე (ცხენიდან, ველოსიპედიდან, რაიმე სიმაღლიდან) გადმოვარდნის იმიტაცია. *ეფექტური კასკადი.* 3. ოპერეტაში სწრაფი სიმღერა და ცეკვა ერთდროულად. ■ **კასკადური** კასკადისთვის დამახასიათებელი. *კასკადური ჩანჩქერი.*

**კასკადიორი** *კასკადიორის* კინომსახიობის დუბლიორი, რომელიც ასრულებს ძალიან რთულ, სახიფათო ტრიუკებს. *ცნობილი კასკადიორი.*

**კასრი** *კასრის* ხის ან ლითონის ან სხვა მასალის ცილინდრული ჭურჭელი, გამოიყენება პროდუქ-

ტების (2) შესანახად. *ღვინის კასრი. მწნილის კასრი.*


კასრი

**კასტა** *კასტის* საზოგადოებრივი ჯგუფი, რომელშიც ადამიანები გაერთიანებულნი არიან წარმოშობის, საქმიანობისა და უფლებრივი მდგომარეობის მიხედვით. *სამეფო კასტა.* ■ **კასტური** კასტისთვის დამახასიათებელი. *კასტური იერარქია.*

**კასტრაცია** *კასტრაციის* იგივეა, რაც **კასტრირება**. *კასტრაციის ოპერაცია.*

**კასტრირება** *კასტრირების* სასქესო ჯირკვლების ამოკვეთა, დასაჭურისება. *ცხოველის კასტრირება გადაწყვიტეს.* ■ **კასტრირებული** ვისაც, რასაც კასტრირება ჩაუტარდა. *კასტრირებული ძაღლი.*

კატა

**კატა** *კატის* პატარა შინაური ცხოველი, ნადირობს თაგვებზე. *მჩხავანა კატა.*

**კატაბალახა** *კატაბალახას* რთულფოთლებიანი მცენარე, იკეთებს მოვარდისფრო, პატარა ზომის ყვავილებს, ფესურებისგან ამზადებენ სამკურნალო წვეთებს. *კატაბალახას ძირები.* = ვალერიანი.

**კატაბარდა** *კატაბარდას* მრავაწლოვანი ბუჩქოვანი მცენარე, აქვს გრძელი, მცოცავი, წიბოებიანი ღერო და სურნელოვანი, მოყვითალო ყვავილები, ნორჩი ყლორტებისგან ამზადებენ მხალს.

**კატათაგვობანა** *კატათაგვობანას* საბავშვო თამაშობა – ხელიხელჩაკიდებული ბავშვები აკეთებენ წრეს, ერთი ბავშვი (კატა) დასდევს დასაჭერად მეორე ბავშვს (თაგვს). *კატათაგვობანას ვთამაშობთ.*

**კატაკლიზმი** *კატაკლიზმის* (ძირითადად მრ.) მკვეთრი, გამანადგურებელი ცვლილება ბუნებაში ან საზოგადოებაში. *მოსალოდნელი კატაკლიზმები.*

**კატაკომბა** *კატაკომბის* (ძირითადად მრ.) მიწისქვეშა სადგომი, თავშესაფარი, მიტოვებული შახტა და მისთ., რომელსაც აქვს რთული, დახლართული სათავსოები, საიდანაც გამოსვლა ჭირს.

**კატალიზატორი** *კატალიზატორის* 1. ნივთიერება, რომელიც აჩქარებს ან ანელებს ქიმიური რეაქციის მიმდინარეობას. *სტაბილური კატალიზატორი. სპეციფიკური კატალიზატორი.* 2. გადატ. რაიმე პროცესის დამაჩქარებელი ფაქტი ან მოვლენა. *ეს ფაქტი სახალხო მღელვარების კატალიზატორად იქცა.*

**კატალოგი** *კატალოგის* 1. გარკვეული წესით შედგენილი სია, ერთგვაროვანი საგნების ჩამონათვალი. *წიგნების კატალოგი. სურათების კატალოგი.* 2. სარეკლამო ბუკლეტი, ჟურნალი, რომელშიც რაიმეს ჩამონათვალი, ნიმუშებია მოცემული. *ავეჯის კატალოგი. სალებავების კატალოგი.*

**კატაპიტნა** *კატაპიტნას* მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარე, გავრცელებულია ბუჩქნარებსა და ნათესებში, გამოიყენება სამკურნალოდ.

**კატარაქტა** *კატარაქტის* მედიც. მხედველობის შესუსტება ან დაკარგვა, რომელიც გამოწვეულია თვალის ბროლის შემღვრევით. *კატარაქტის ოპერაცია. შეცდომაა კატარაკტა.*

**კატარი** *კატარის* მედიც. რაიმე ორგანოს ლორწოვანი გარსის ანთება. *ყელის კატარი.*

**კატარღა** *კატარღის* საზღვაო ტრანსპორტის სახეობა, მცირე ზომის გემი, რომელიც მოკლე მანძილზე მოძრაობს დიდი სისწრაფით, იყენებენ სამრეწველო, საბრძოლო, სპორტული ან ტურისტული დანიშნულებით. *საგუშაგო კატარღა. თევზსაჭერი კატარღა. სპორტული კატარღა.*

**კატასტროფა** *კატასტროფის* მოვლენა ან შემთხვევა, რომელსაც მოსდევს ტრაგიკული შედეგი. *ეკოლოგიური კატასტროფა. კატასტროფა განიცადა.*

**კატასტროფული** *კატასტროფულის* ძალიან ცუდი, საშინელი, ტრაგიკული. *კატასტროფული შედეგები.*

**კატაფალკი** *კატაფალკის* ცხედრის გადასატანი, სამგლოვიარო პროცესიისთვის საგანგებოდ მორთული ეტლი ან ავტომობილი.

**კატეგორია** *კატეგორიის* 1. ცნება, რომელიც ასახავს სამყაროში მოვლენათა ზოგად თვისებებსა და მათ ურთიერთკავშირს. *ძირითადი კატეგორია.* 2. ხარისხი, თანრიგი. *უმაღლესი კატეგორია.*

**კატეგორიულად** ზმნზ. მტკიცედ, მკაცრად. *კატეგორიულად გადაწყვიტეს.*

**კატეგორიული** *კატეგორიულის* 1. მკაცრი, მომთხოვნი. *კატეგორიული პიროვნება.* 2. მტკიცე, აუცილებლად შესასრულებელი. *კატეგორიული მოთხოვნა.*

**კატეგორიულობა** *კატეგორიულობის* სიმტკიცე, მკაცრი მოთხოვნა. *კატეგორიულობა გამოიჩინა.*

**კატერი** *კატერის* იგივეა, რაც **კატარღა**. *სამგ ზავრო კატერი.*

**კატეხიზმო** *კატეხიზმოს* ქრისტიანული ღვთისმეტყველების მოკლე გადმოცემა კითხვა-პასუხის სახით. *კატეხიზმოს კითხულობს.*

**კატლეტი** *კატლეტის* ძალიან წვრილად დაჭრილი ხორცის შეზავებული და გაბრტყელებული მოგრძო გუნდა, ცხიმში შემწვარი. *ღორის ხორცის კატლეტი.*

**კატორღა** *კატორღის* ადგილი, სადაც პატიმრები მძიმე სამუშაოს ასრულებენ განსაკუთრებით მკაცრ პირობებში. *კატორღაში იხდიდა სასჯელს. სამუდამო კატორღა.*

**კატორღელი** *კატორღელის* კატორღაში მყოფი ან ნამყოფი. *კატორღელი მუშები.*

**კატორღული** *კატორღულის* მძიმე, აუტანელი. *კატორღული შრომა. კატორღული პირობები.*

**კატუნი** *კატუნის* გარეული კატა, ნადირობს ფრინველებზე.

**კაუჩუკი** *კაუჩუკის* მცენარეული წარმოშობის ნივთიერება, რომლის გადამუშავებითაც მიიღება რეზინი. *კაუჩუკის საბურავი. კაუჩუკის ლანჩა.*

**კაუჭა** *კაუჭას* მოხრილი, კაუჭის მქონე. *კაუჭა ჯო ხი. კაუჭა რკინა. კაუჭა ცხვირი.*

**კაუჭი** *კაუჭის* 1. ლითონის ან სხვა მასალის მოხრილი ღერო, რომელზეც რაიმეს კიდებენ. *კაუჭი დაამაგრა.* 2. პატარა ნვეტიანი რკინა, რომელზეც თევზაობისას ჭიაღუას ნამოაცვამენ. *სამთავა კაუჭი. ანკესის კაუჭი.* ■ **კაუჭიანი** კაუჭის მქონე. *კაუჭიანი საკიდი.*

**კაფანდარა** *კაფანდარას* სუსტი აგებულების, გამხდარი. *კაფანდარა მოხუცი.*

**კაფე** *კაფეს* პატარა რესტორანი, სადაც მსუბუქად სადილობენ, სვამენ ყავას, ჩაისა და მისთ. *ახალი კაფე. კაფეში შევიდნენ.*

**კაფელი** *კაფელის* ცალ მხარეს მოჭიქული, გამომწვარი თიხის ფირფიტა, გამოიყენება კედლების მოსაპირკეთებლად. *კაფელის სახლი. კაფელის ღუმელი.*

**კაფეტერია** *კაფეტერიის* კაფე, სადაც, ჩვეულებრივ, თვითმომსახურებაა. *უნივერსიტეტის კაფეტერია.*

**კაფვა** *კაფვის* (კაფავს, იკაფავს, უკაფავს, იკაფება, აკაფვინებს) ↑ **გაკაფვა**. *ტყეები იკაფება. ვენახს კაფავენ.*

**კაფია** *კაფიას* სატირულ-იუმორისტული ხასიათის ლექსი, რომელიც სახელდახელოდ იქმნება ლექსებით შეჯიბრებისას. *კაფიების თქმა. ფშაური კაფია.*

**კაფიაობა** *კაფიაობის* (კაფიაობს, ეკაფიავება) კაფიებით შეჯიბრება, კაფიების თქმა. *კაფიაობა გაიმართა.*

**კაფსული** *კაფსულის* ჟელატინის ან სახამებლის ბუდე, რომელშიც დასალევი წამალია მოთავსებული. *სამი კაფსული.*

**კაქტუსი** *კაქტუსის* ტროპიკული მცენარე, აქვს დამახასიათებელი სქელი, ხორცოვანი ღერო, რომელსაც ფოთლების ნაცვლად ეკლები ასხია, იკეთებს დიდ, კაშკაშა ყვავილებს. შეცდომაა კაკტუსი.

**კაშალოტი** *კაშალოტის* ზღვის დიდი ძუძუმწოვარი კბილებიანი ცხოველი, ვეშაპის სახეობა.

**კაშკაშა** *კაშკაშას* რაც ძლიერ შუქს გამოსცემს, კაშკაშებს, ბრწყინავს. *კაშკაშა ვარსკვლავი.*

**კაშკაში** *კაშკაშის* (კაშკაშებს) სხივების გამოცემა, ძლიერი ნათება, ელვარება. *მზე კაშკაშებს. კაშკაში შორიდან მოჩანს.*

**კაშნე** *კაშნეს* ქსოვილის ვიწრო და მოგრძო ნაჭერი, რომელსაც ყელზე იხვევენ. *შალის კაშნე. აბრეშუმის კაშნე.*

კაშნე

**კაშხალი** *კაშხალის* სპეციალური ნაგებობა, რომლითაც ხდება მდინარის შეკავება წყლის დონის ამაღლების მიზნით. *კაშხალი ააგეს. ჰიდროელექტროსადგურის კაშხალი.*

**კაცთმოყვარე** *კაცთმოყვარის* სათნო, კეთილი, ადამიანების მოყვარული. *კაცთმოყვარე ადამიანი.*

**კაცთმოყვარეობა** *კაცთმოყვარეობის* სიკეთე, სათნოება. *კაცთმოყვარეობით ხასიათდება.*

**კაცთმოყვარული** *კაცთმოყვარულის* კაცთმოყვარეთათვის დამახასიათებელი. *კაცთმოყვარული ხასიათი. კაცთმოყვარული საქციელი.*

**კაცთმოძულე** *კაცთმოძულის* ავი, ბოროტი, ადამიანთა მოძულე. *კაცთმოძულე პიროვნება.*

**კაცთმოძულეობა** *კაცთმოძულეობის* ბოროტება, სიავე. *კაცთმოძულეობით გამოირჩევა.*

**კაცი** *კაცის* 1. მამრობითი სქესის ზრდასრული ადამიანი. *ახალგაზრდა კაცი. კაცი და ქალი. ჭალარა კაცი.* 2. იგივეა, რაც **ადამიანი** (1). *სუფრასთან ათი კაცი ზის. კაცთა მოდგმა.* 3. ნაცვ. ფუნქც. ვინმე. *კაცმა რომ თქვას, მართალია. კაცი ვერ გაიგებს, რა ხდება.*

**კაცისმკვლელი** *კაცისმკვლელის* ვისაც კაცი მოუკლავს ან შეუძლია მოკლას. *კაცისმკვლელი გაასამართლეს.*

**კაციშვილი** *კაციშვილის* ნაცვ. ფუნქც. არავინ (გამოიყენება უარყოფით სიტყვასთან ერთად). *კაციშვილმა არ მოაკითხა. ამაზე კაციშვილი არ ფიქრობს.*

**კაციჭამია** *კაციჭამიას* ველური ადამიანი, რომელიც ადამიანის ხორცს ჭამს. *კაციჭამიების ტომი.*

**კაცობა** *კაცობის* მამაკაცური ღირსება, სიკეთე. *კაცობა დიდად ფასობს. კაცობას უწუნებს.*

**კაცობრივი** *კაცობრივის* ადამიანური. *კაცობრივი სიკეთე.*

**კაცობრიობა** *კაცობრიობის* მთელი დედამიწის მოსახლეობა. *კაცობრიობის განვითარება. კაცობრიობის მიღწევები.*

**კაცუნა** *კაცუნას* 1. დამცირ. აღნაგობით პატარა, სუსტი, ღირსებას მოკლებული კაცი. *მაგ კაცუნასგან რას ელი?* 2. ამბობენ პატარა ბიჭზე. *კაცუნა თავისთვის თამაშობს.*

**კაცური** *კაცურის* ნამუსიანი, ზნეობრივი, ადამიანური. *კაცური საქციელი. კაცური ხასიათი.*

**კაცურკაცობა** *კაცურკაცობის* მაღალზნეობრიობა, პატიოსნება. *ცნობილია თავისი კაცურკაცობით.*

**კანვრა** *კანვრის* (კანრავს, აკანრავს, იკანრავს, უკანრავს, იკანრება, ეკანრება, აკანვრინებს) 1. ↑ გაკანვრა. *კნუტი ხელებს უკანრავს.* 2. ↑ დაკანვრა. *საწყალი ქალი სახეს იკანრავდა.* 3. ↑ ამოკანვრა. *ქვაზე ინიციალებს კანრავს.*

**კანკანი** *კანკანის* (აკანკანებს, უკანკანებს) კბილების ერთმანეთზე რტყმა ხმის გამოცემით, ჩვეულებრივ, შიშის ან ძლიერი სურვილის დროს. *მგელი კბილებს აკანკანებს.* ⊙ **სული უკანკანებს** რაიმეს მოუთმენლად ელის.

**კაჭაჭი** *კაჭაჭის* მაღალი, მსხვილღეროიანი ბალახის გამხმარი ღეროები. *მზესუმზირის კაჭაჭი.*

**კაჭკაჭი** *კაჭკაჭის* 1. საშუალო ზომის გრძელკუდა ფრინველი. *კაჭკაჭის ენა.* 2. გადატ. ენაჭარტალა. *რა გითხრა იმ კაჭკაჭმა?*

**კახპა** *კახპის* საკუთარი სხეულით მოვაჭრე ქალი. *ქუჩის კახპა.*

**კბენა** *კბენის* (ჰკბენს, იკბენს, იკბინება, აკბენინებს) 1. ცხოველის, ქვეწარმავლის, მწერისა და მისთ. კბილებით, ნესტრით ჭრილობის მიყენება. *ბავშვს ძაღლმა უკბინა. გველმა უკბინა. კოლომ მიკბინა.* 2. გადატ. მზით, ყინვით, ქსოვილითა და მისთ. დასუსხვა. *მზე იკბინება. ჭინჭარი იკბინება. წინდები მკბენს.*

**კბენია** *კბენიას* 1. რაც იკბინება, რასაც კბენა ახასიათებს. *კბენია ცხენი.* 2. უხეში, მჩხვლეტავი (ქსოვილი). *კბენია შალი.*

**კბეჩა** *კბეჩის* (კბეჩს) ↑ მოკბეჩა. *პურს კბეჩს. ვაშლს კბეჩს.*

**კბილა** *კბილას* საუბრ. ნლოვანებით ტოლი. *ჩემი კბილა.*

**კბილანა** *კბილანას* დაკბილულკიდეებიანი თვალი[2] (I), რომელიც ბრუნვით მოძრაობას ერთი ლილვიდან მეორეზე გადასცემს. *საათის კბილანა.*

**კბილბასარი** *კბილბასრის* 1. ბასრი, მჭრელი, მახვილი კბილების მქონე. *კბილბასრი ძაღლი.* 2. გადატ. ძალიან მჭრელი ცივი იარაღი. *კბილბასრი ხმალი.*

**კბილებდაკრეჭილი** *კბილებდაკრეჭილის* კბილებგამოჩენილი, ვისაც კბილები აქვს დაკრეჭილი. *კბილებდაკრეჭილი კაცი. კბილებდაკრეჭილი ძაღლი.*

**კბილებჩაცვივნული** *კბილებჩაცვივნულის* უკბილო, ვისაც პირში ძალიან ცოტა კბილი აქვს. *კბილებჩაცვივნული ბებერი.*

**კბილი** *კბილის* 1. ძვლოვანი წარმონაქმნი, ამონაზარდი ადამიანისა და ცხოველის ყბაზე, პირის ღრუში, მისი დანიშნულებაა საჭმლის ღეჭვა, დაქუცმაცება. *წინა კბილები. საღეჭი კბილები.* 2. ზოგიერთი იარაღის ან საყოფაცხოვრებო ნივთის წაწვეტებული, გამოშვერილი ნაწილი (ბევრიდან ერთი). *სავარცხლის კბილები. ხერხის კბილები.* 3. ზოგიერთი მცენარის ბოლქვის შემადგენელი ნაწილი. *ნივრის კბილი.* ⊙ **კბილს გაუსინჯავს** ღირსება-ნაკლოვანებას აწონ-დაწონის, კარგად დააკვირდება. ⊙ **კბილებს ილესავს** ვინმესთვის ზიანის მისაყენებლად ემზადება. ⊙ **კბილის მოკვეთა, მოჭრა** კბილის ემალის გაღიზიანება მჟავე ხილის ჭამისას. ⊙ **კბილს გაჰკავს** 1. შეჭამს, მოიტაცებს, დააზიანებს. 2. ავად მოიხსენიებს, გაკენწლავს, გაჭორავს.

**კბოდე** *კბოდის* კლდის კიდე, ციცაბო გვერდობის თავი. *კბოდეზე იდგა.*

**კდემა** *კდემის* სინაზე, დამორცხვება, მოკრძალება. *კდემით დახარა თავი.*

**კდემამოსილება** *კდემამოსილების* იგივეა, რაც კდემა. *კდემამოსილება ქალს ალამაზებს.*

**კდემამოსილი** *კდემამოსილის* მორცხვი, მოკრძალებული, მორიდებული. *კდემამოსილი ქალბატონი.*

**კეგლი** *კეგლის* ერთგვარი თამაში, მოწინააღმდეგეები ბოთლის მოყვანილობის ხის ფიგურებს აწყობენ მწკრივად და გარკვეული მანძილიდან ხისავე ბურთით ცდილობენ მათ წაქცევას. *კეგლის თამაშობენ.*

**კედარი** *კედრის* მარადმწვანე წიწვოვანი ხე, აქვს ჯგუფ-ჯგუფად განლაგებული წიწვები და მაგარი, მკვრივი და გამძლე მერქანი, რომელსაც იყენებენ ავეჯის დასამზადებლად.

**კედელი** *კედლის* 1. შენობის, სახლის უმთავრესი ვერტიკალური ნაწილი, რომელსაც ჭერი, სახურავი ეყრდნობა. *სქელი კედელი. ოთახის კედელი.* 2. სხვადასხვა დანიშნულების მყარი შემოღობვა. *ციხის კედელი. დამცავი კედელი.* 3. რაიმეს ვერტიკალური გვერდი. *კარადის კედელი. თბრილის კედელი.* ■ **კედელ-კედელ** კედლების გაყოლებაზე. *კედელ-კედელ მიდიოდა.* ⊙ **ოთხ კედელს შუა შეზღუდულ გარემოში**, დახურულ სივრცეში. ⊙ **შეაყარე კედელს ცერცვი** რამდენიც უნდა ელაპარაკო, ვერაფერს შეაგნებინებ.

**კედი** *კედის* (ძირითადად მრ.) რეზინის ძირიანი მსუბუქი სპორტული ფეხსაცმელი. *თეთრი კედები.*

**კევი** *კევის* მცენარის ფისი, რომელსაც საღეჭად იყენებენ. *ფიჭვის კევი.*

**კევრი** *კევრის* პურეულის სალეწი ძველებური იარაღი – წინ დავიწროებული და თავაწეული ბრტყელი ფიცარი, რომელსაც ფსკერზე კაუის კენჭები აქვს ჩასმული, მასში აბამდნენ ხარს ან ცხენს და კალოზე ატარებდნენ მარცვლეულის გასალეწად. *ქართული კევრი.*

**კეთება** *კეთების* (აკეთებს, იკეთებს, უკეთებს, კეთდება, უკეთდება, უკეთია, აკეთებინებს) ↑ გაკეთება. *საქმის კეთება.*

**კეთილგანწყობილება** *კეთილგანწყობილების* ვინმეს ან რაიმეს მიმართ კარგი, კეთილი დამოკი-

დებულება. *მე ზობლების მიმართ კეთილგანწყობილება. კეთილგანწყობილების გამოჩენა.*

**კეთილგანწყობილი** *კეთილგანწყობილის* კარგი, კეთილი განწყობილების, დამოკიდებულების მქონე. *კეთილგანწყობილია ჩემ მიმართ. კეთილგანწყობილი საუბარი.*

**კეთილგონიერება** *კეთილგონიერების* ჭკვიანური, გონივრული მოქმედება, სიდინჯე. *კეთილგონიერება გამოიჩინა.*

**კეთილგონიერი** *კეთილგონიერის* დინჯი, დაფიქრებული, გონიერი. *კეთილგონიერი ადამიანი.*

**კეთილგონივრული** *კეთილგონივრულის* ჭკვიანური, კარგად მოფიქრებული, გააზრებული. *კეთილგონივრული რჩევა.*

**კეთილდღეობა** *კეთილდღეობის* ბედნიერი, უზრუნველყოფილი ცხოვრება. *დროებითი კეთილდღეობა. ქვეყნის კეთილდღეობისთვის ბრძოლა.*

**კეთილთვისებიანი** *კეთილთვისებიანის* რაც მკურნალობას ექვემდებარება, რის განკურნებაც შესაძლებელია. *კეთილთვისებიანი სიმსივნე.* ↔ **ავთვისებიანი.**

**კეთილი** *კეთილის* კარგი, სხვისთვის კარგის მდომელი, სხვის სიკეთეზე მზრუნველი. *კეთილი სული. კეთილი ადამიანი.* ↔ **ბოროტი.**

**კეთილისმყოფელი** *კეთილისმყოფლის* 1. ვინც სხვას სიკეთეს უკეთებს, ეხმარება. *ჩემი კეთილისმყოფელი.* 2. რაც გაუმჯობესებას იწვევს. *კეთილისმყოფელ გავლენას ახდენს.*

**კეთილმოსურნე** *კეთილმოსურნის* ვისაც სხვისთვის კარგი უნდა, ვინც ვინმეს მიმართ კარგადაა განწყობილი. *კეთილმოსურნე ადამიანი. კეთილმოსურნე მეგობარი.*

**კეთილმოწყობა** *კეთილმოწყობის* საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება, ყველანაირი აღჭურვილობით უზრუნველყოფა. *სტადიონების კეთილმოწყობა. კეთილმოწყობის სამსახური.*

**კეთილმოწყობილი** *კეთილმოწყობილის* კარგად მოწყობილი, კარგად გამართული. *კეთილმოწყობილი სასტუმრო. კეთილმოწყობილი სახლ-კარი.*

**კეთილსინდისიერება** *კეთილსინდისიერების* პატიოსნება, საქმის ერთგულება. *კეთილსინდისიერება გამოიჩინა.*

**კეთილსინდისიერი** *კეთილსინდისიერის* ვისაც ან რასაც კეთილსინდისიერება ახასიათებს. *კეთილსინდისიერი კაცი.*

**კეთილსურნელება** *კეთილსურნელების* კარგი, საამო სურნელი.

**კეთილშობილება** *კეთილშობილების* პატიოსნება, დიდსულოვნება. *კეთილშობილებით აღსავსე.*

**კეთილშობილი** *კეთილშობილის* პატიოსანი, დიდსულოვანი. *კეთილშობილი ადამიანი. კეთილშობილი საქციელი.* ⊙ **კეთილშობილი ლითონი** ოქრო, ვერცხლი და მისთ.

**კეთილშობილური** *კეთილშობილურის* დიდსულოვნებით ნაკარნახევი. *კეთილშობილური საქციელი.*

**კეთილხმოვანი** *კეთილხმოვნის* კარგი ხმის მქონე, სასიამოვნო მოსასმენი. *კეთილხმოვანი ინსტრუმენტი.*

**კეთრი** *კეთრის* კანის მძიმე, გადამდები დაავადება. *კეთრი შეეყარა.*

**კეთროვანი** *კეთროვნის* კეთრით დაავადებული ადამიანი. *კეთროვნების თავშესაფარი.*

**კეისარი** *კეისრის* იმპერატორის ტიტული ძველ რომში. *ბიზანტიის კეისარი. კეისრის სასახლე.*

**კეკელა** *კეკელას* პრანჭია, კეკლუცი. *კეკელა ქალი.*

**კეკელაობა** *კეკელაობის* (კეკელაობს) პრანჭიაობა, კეკლუცობა. *კეკელაობა უყვარს. სარკის წინ კეკელაობს.*

**კეკლუცი** *კეკლუცის* 1. ლამაზი, კოხტა, თავმოვლილი, ლამაზად ჩაცმულ-დახურული. *კეკლუცი ქალიშვილი.* 2. გადატ. ნაზი და ლამაზი (ბუნება). *კეკლუცი გაზაფხული.*

**კეკლუცობა** *კეკლუცობის* (კეკლუცობს, ეკეკლუცება) კეკლუცური ქცევა. *სარკესთან კეკლუცობს. ყველას ეკეკლუცება.*

**კელა** *კელას* იგივეა, რაც **კრაზანა.**

**კელაპტარი** *კელაპტრის* ცვილის დიდი სანთელი. *კელაპტარივით იწვის. კელაპტრის ალი.*

**კემპინგი** *კემპინგის* ავტოტურისტებისთვის მოწყობილი ბანაკი, სადგომი, სასტუმრო. *სანაპიროზე ახალი კემპინგები გაჩნდა.*

**კემსვა** *კემსვის* (კემსავს, იკემსავს, უკემსავს, იკემსება, აკემსვინებს) ↑ **დაკემსვა.** *კაბას კემსავდა. ნაბადს კემსავს.*

**კენარი** *კენარის* იგივეა, რაც **ტანკენარი.** *კენარი აღნაგობა.*

**კენაფი** *კენაფის* ერთწლოვანი, მაღალღეროიანი ბოჭკოვანი მცენარე, ბოჭკოსგან ამზადებენ ქსოვილებსა და თოკებს.

კენგურუ



**კენგურუ** *კენგურუს* ჩანთოსანი ძუძუმწოვარი ცხოველი, გადაადგილდება ხტომით. *კენგურუ ავსტრალიის ბინადარია.*

**კენკეშა** *კენკეშას* მთის მრავალწლოვანი, მოტკბო გემოს მქონე ბალახი, აქვს ზარის მოყვანილობის ყვავილები და მოგრძო, დაკბილული ფოთლები.

**კენკვა** *კენკვის* (კენკავს) ↑ **აკენკვა.** *ქათამი სიმინდს კენკავს.*

**კენკრა** *კენკრის* ნვრილთესლიანი ხილის (მარწყვის, ჟოლოს, მაყვლისა და მისთ.) საერთო სახელწოდება. *ტყის კენკრა.*

**კენკროვანი** *კენკროვნის* რაც კენკრას ისხამს. *კენკროვანი კულტურები.*

**კენტად** ზმნზ. მარტო, სხვების გარეშე, ცალად. *კენტად დარჩა.*

**კენტი** *კენტის* ისეთი რიცხვი, რომელიც ორზე არ იყოფა ნაშთის გარეშე. *კენტი რიცხვი.*

**კენწერო** *კენწეროს* მცენარის (უპირატესად ხის) ყველაზე მაღალი ნაწილი, წვერი. *ბლის კენწერო. კენწეროში მოექცა.*

**კენწლა** *კენწლის* (კენწლავს) ↑ **გაკენწლა**. *ხანჯლით კენწლავს.*

**კენჭაობა** *კენჭაობის* (კენჭაობს, ეკენჭავება) საბავშვო თამაშობა კენჭებით. *ბავშვები კენჭაობას თამაშობენ.*

**კენჭი** *კენჭის* I. ძალიან პატარა ქვა. *ზღვის კენჭი. მდინარის კენჭი.* 2. კენჭის მსგავსი წარმონაქმნი თირკმელში ან ნაღვლის ბუშტში. *კენჭის გავლა.* ■ **კენჭ[ებ]იანი** კენჭების მქონე. *კენჭებიანი ნაპირი.*

**კენჭისყრა** *კენჭისყრის* ყრილობაზე, სხდომაზე, კრებაზე და მისთ. ხმის მიცემა მონაწილეთა მიერ რაიმე საკითხის გადასაწყვეტად, ვინმეს ასარჩევად. *კენჭისყრა დაიწყო. კენჭისყრის შედეგები. საკითხი კენჭისყრაზე დააყენეს.*

**კენჭოვანი** *კენჭოვნის* კენჭ[ებ]ის შემცველი, კენჭ[ებ]თან (2) დაკავშირებული. *კენჭოვანი დაავადება.*

**კეპვა** *კეპვის* (კეპავს, უკეპავს, იკეპება, აკეპვინებს) ↑ **დაკეპვა**. *წვრილად კეპავს. ზოგი კერძისთვის ჯერ ხორცი იკეპება.*

**კეპი** *კეპის* კაცის რბილი ქუდი, წინ წამოწეული ერთგვარი საჩრდილობლით. *მოდური კეპი.*

**კეჟერა** *კეჟერის* ორწლოვანი, კომბოსტოს მსგავსი ბოსტნეული, თავს არ იხვევს, იხმარება მხლად და მწნილად. *კეჟერა მხალი.*

**კერა** *კერის* I. საცხოვრებელ სახლში ცეცხლის დასანთები ადგილი მიწის იატაკზე. *კერასთან ზის.* 2. ოჯახი, სახლ-კარი. *კერას დაუბრუნდა.* 3. გადატ. რაიმეს წარმოშობისა და გავრცელების ადგილი. *ავადმყოფობის კერა. განათლების კერა.*

**კერამიკა** *კერამიკის* გამომწვარი თიხის ნაკეთობა. *კერამიკის წარმოება.* ■ **კერამიკული** კერამიკისგან გაკეთებული, კერამიკასთან დაკავშირებული. *კერამიკული ნაწარმი.*

**კერატი** *კერატის* დაუკოდავი ღორი. *შავი კერატი.*

**კერვა** *კერვის* (კერავს, იკერავს, უკერავს, იკერება, ეკერება, აკერვინებს) ↑ **შეკერვა**. *კერვა ბებიამ ასწავლა. ფარდებს კერავს. პატარძლის კაბა იკერება.*

**კერკეტი** *კერკეტის* I. მაგარქერქიანი, ძნელად გასატეხი (კაკალი). 2. გადატ. ჯანმაგარი, მკვრივი აღნაგობის მქონე. *კერკეტი ბიჭი.*

**კერკი** *კერკის* გამხმარი წვრილნაყოფიანი კურკოვანი ხილი. *შინდის კერკი.*

**კერპთაყვანისმცემლობა** *კერპთაყვანისმცემლობის* წარმართული სარწმუნოება, რომელიც კერპების (1) თაყვანისცემას მოითხოვს. *კერპთაყვანისმცემლობა მიიღო.*

**კერპი** *კერპის* I. წარმართული ღვთაების ქანდაკება. *ზადენის კერპი.* 2. გადატ. პიროვნება, რომელსაც ვინმე (გარკვეული ჯგუფი) თაყვანს სცემს. *ახალგაზრდობის კერპი.* 3. გადატ. ძალიან ჯიუტი. *კერპი კაცი.*

**კერპობა** *კერპობის* კერპის (2) თვისება, სიჯიუტე. *კერპობა გამოიჩინა.*

**კერტი** *კერტის* ანატ. ძუძუს თავი. *წვრილი კერტები.*

**კერძი** *კერძის* სხვადასხვა პროდუქტის მოხარშვით, შენვით მომზადებული, სათანადოდ შეზავებული საჭმელი. *ბოსტნეულის კერძი. ხორციანი კერძი.*

**კერძო** *კერძოს* I. რომელიმე ერთი პიროვნების, არასაერთო საკუთრება. *კერძო სახლები.* 2. ერთი პირის, არაკოლექტიური, არა რომელიმე დაწესებულების მიერ შესრულებული. *კერძო სამუშაო. კერძო გაკვეთილები. ექიმის კერძო პრაქტიკა.* 3. რაც პიროვნებას ეხება. *კერძო წერილები. კერძო საქმეები.* 4. ცალკეული, არასაყოველთაო. *კერძო შემთხვევებში.*

**კერძოდ** ზმნზ. საკუთრივ, სახელდობრ (გამოიყენება ნათქვამის დასაზუსტებლად). *ისაუბრეს ეკოლოგიაზე, კერძოდ, გარემოს დაცვაზე.*

**კესანე** *კესანის* ბალახოვანი მცენარე, აქვს წვრილი, ცისფერი ყვავილები.

**კეტი** *კეტის* დიდი, მსხვილი, მაგარი ჯოხი. *წაბლის კეტი. რკინის კეტი.* ■ **კეტიანი** კეტის მქონე. *კეტიანი კაცი.*

**კეფა** *კეფის* ადამიანის თავის უკანა ნაწილი. *კეფის ტკივილი. კეფაზე ცივი ტილო დაადო.*

**კეფალი** *კეფალის* ზღვის თევზი. *შემწვარი კეფალი.*

**კეფირი** *კეფირის* რძისგან დამზადებული მომჟავო, თხელი საჭმელი.

**კექსი** *კექსის* მშრალი, უკრემო ნამცხვარი. *ქიშმიშებიანი კექსი. ნიგვზიანი კექსი.*

**კეცვა** *კეცვის* (კეცავს, იკეცავს, უკეცავს, იკეცება, ეკეცება) I. ↑ **გაკეცვა**. *ფურცელს კეცავს.* 2. ↑ **დაკეცვა**. *ტანსაცმელს კეცავს.*

**კეცი** *კეცის* მრგვალი, დაბალგვერდებიანი, თიხის ჭურჭელი, რომელშიც აცხობენ მჭადს, პურს ან ამზადებენ სხვადასხვა კერძს. *კეცზე შემწვარი სოკო.*

**კენერა** *კენერის* პატარა, ბუჩქოვანი მცენარე, აქვს მიწაზე გართხმული ღეროები, წითელი ყვავილი და წვნიანი, შავი ნაყოფი. გავრცელებულია მაღალ მთებში.

**კეხი** *კეხის* 1. უნაგირის ხის ჩონჩხი. *ცხენს კეხი დაადგეს.* 2. გადატ. ამოწეული ნაწილი ადამიანის ცხვირზე. *კეხი გაუტყდა.*

**კეხიანი** *კეხიანის* კეხის, პატარა ამოწეული ადგილის მქონე. *კეხიანი ცხვირი.*

**კეხურა** *კეხურას* ვაშლის ჯიში, გავრცელებულია უპირატესად ქართლში.

**კვადრატი** *კვადრატის* 1. ტოლგვერდებიანი სწორკუთხედი. *კვადრატი დახაზა.* 2. ნამრავლი, რომელიც მიიღება რიცხვის თავისთავზე გამრავლებით. *სამის კვადრატი.* ▪ **კვადრატული** კვადრატის (1) ფორმის მქონე, კვადრატთან (2) დაკავშირებული. *კვადრატული განტოლება.*




**კვადრატურა** *კვადრატურის* ამა თუ იმ ფართობის სიდიდე, რომელიც გამოხატულია კვადრატულ ერთეულებში. *ოთახის კვადრატურა.*

**კვალდაკვალ** ზმნზ. 1. სიარულისას, სვლისას ვინმეს ან რაიმეს უკან, სულ ახლოს. *კვალდაკვალ მისდევენ.* 2. რაიმე მოვლენის, პროცესის თანხლებით, მიდევნებით. *რეფორმის კვალდაკვალ.*

**კვალი** *კვალის* 1. რაიმე ზედაპირზე, გზაზე დატოვებული ანაბეჭდი, ნავალი. *ირმის კვალი. მანქანის კვალი.* 2. დამუშავებული მიწის ზოლი ნარგავის ან ნათესისთვის. *ბოსტნის კვალი. ვენახის კვალი.* 3. გადატ. ვინმეს ან რაიმეს გავლენის შედეგი. *ნანახმა მას ზე წარუშლელი კვალი დატოვა.* ⊙ **კვალს გაჰყვება** ვინმეს გზით წავა, დაწყებულს გააგრძელებს. ⊙ **კვალს მიაგნებს** დამალულს იპოვის. ⊙ **კვალში ჩაუდგება** საფუძვლიანად გამოიკვლევს.

**კვალიტატიური** *კვალიტატიურის* ნიგნ. თვისებრივი. *კვალიტატიური მეთოდი.*

**კვალიფიკაცია** *კვალიფიკაციის* 1. ამა თუ იმ თვისების, თავისებურების განსაზღვრა, შეფასება, დახასიათება. *ამ ფაქტს სათანადო კვალიფიკაცია მისცეს.* 2. რაიმე საქმიანობისთვის, პროფესიისთვის შესაბამისობის, მისთვის მომზადების ხარისხი. *უმაღლესი კვალიფიკაცია. კვალიფიკაციის ამაღლება.*

**კვალიფიციური** *კვალიფიციურის* საქმის მცოდნე. *კვალიფიციური მუშაკი.*

**კვამლი** *კვამლის* იგივეა, რაც ბოლი. *ბუხრიდან კვამლი ამოდის.*

**კვანტიტატიური** *კვანტიტატიურის* ნიგნ. რაოდენობითი, რაოდენობრივი. *კვანტიტატიური მეთოდი.*

**კვანძვა** *კვანძვის* (კვანძავს, იკვანძავს, უკვანძავს, იკვანძება, ეკვანძება) ↑ **გაკვანძვა.** *ძაფს კვანძავს.*

**კვანძი** *კვანძის* 1. თოკის, ძაფისა და მისთ. ერთმანეთთან გადაბმის ადგილი. *კვანძის შეკვრა.* 2. ადგილი, სადაც ერთმანეთს უერთდება რამდენიმე გზა, კავშირგაბმულობის ხაზი და მისთ. *სარკინიგზო კვანძი.* ▪ **კვანძიანი** კვანძის (1) მქონე. *კვანძიანი ძაფი.* ▪ **კვანძური** კვანძისთვის (2) დამახასიათებელი, კვანძის მსგავსი. *კვანძური ქსელები.*

**კვართი** *კვართის* ძვ. იგივეა, რაც პერანგი (2). *ქრისტეს კვართი.*

**კვარი** *კვარის* ფიჭვის ან ნაძვის ფისიანი ნაჭერი, რომელსაც ცეცხლს უკიდებენ და გასანათებლად იყენებენ. *კვარით განათებული ოთახი.*

**კვარტალი** *კვარტალის* 1. ქალაქის ნაწილი, რომელიც მოქცეულია ოთხი ურთიერთგადამკვეთი ქუჩის შიგნით. *მეორე კვარტალი. ახალი კვარტალი.* 2. წლის მეოთხედი, სამი თვე. *პირველი კვარტლის სამუშაო დასრულდა.*

**კვარტეტი** *კვარტეტის* 1. ოთხი შემსრულებლისგან შემდგარი მუსიკალური ჯგუფი. *სიმფონიური კვარტეტი.* 2. მუსიკალური ნაწარმოები, რომელიც შექმნილია ოთხი ხმის ან ოთხი საკრავისთვის.

**კვარცი** *კვარცის* მინერალი, უმეტესად უფერო და გამჭვირვალე, იშვიათად თეთრი ან ნაცრისფერი. *კვარცის ქვიშა. კვარცის საბადო.*

**კვარცხლბეკი** *კვარცხლბეკის* ძეგლის, ქანდაკებისა და მისთ. საფუძველი, ძირი. *მაღალი კვარცხლბეკი. მარმარილოს კვარცხლბეკი.* ⊙ **დიდების კვარცხლბეკზე შედგება** სახელოვანი გახდება.

**კვაწარახი** *კვაწარახის* ტყემლის წვენის დუღილის შედეგად მიღებული მჟავე სქელი მასა. *კვაწარახი უხდება.*

**კვაჭი** *კვაჭის* საუბრ. ეშმაკი და მოხერხებული, საქმის ადვილად მომგვარებელი. *დიდი კვაჭი ვინმეა.*

**კვდომა** *კვდომის* (კვდება, აკვდება, უკვდება) 1. ↑ **მოკვდომა.** *შიშით ეკვდები. ძაღლი კვდებოდა.* 2. ↑ **ჩაკვდომა.** *ვაჭრობა კვდება. ხალისი კვდება.* 3. რომელიმე ორგანოში, ქსოვილში სისხლის მიმოქცევის შეწყვეტა, სიცოცხლისუნარიანობის შეჩერება. *ქსოვილების კვდომა. უჯრედების კვდომა.*

**კვება** *კვების* (კვებავს, იკვებება) საჭმლის, საზრდოს მიღება (მიცემა). *ბავშვის კვება. ზოოპარკში ცხოველებს კვებავენ. მცენარე ნიადაგიდან იკვებება.*

**კვეთა** *კვეთის* ((ს)კვეთს, იკვეთს, უკვეთს, იკვეთება, ეკვეთება) 1. ↑ **გაკვეთა.** *დანით კვეთს.* 2. ↑ **გადაკვეთა** (2). *ბილიკი მინდორს კვეთს.* 3. ↑ **გამოკვეთა.** *მომავლის გეგმა იკვეთება. ხე ზე კვეთა.* 4. ↑ **მოკვეთა** (1). *ფეხს ჰკვეთენ.*

**კვეთება** *კვეთების* (ეკვეთება) თავდასხმა, შეტევა. *ჯარი მტერს ეკვეთა.*

**კვეთი** *კვეთის* რძისგან ყველის შესადედებელი (ამოსაყვანი) ნივთიერება.

**კვეჟო** *კვეჟოს* ხის სოკო, რომლისგანაც მიიღება აბედი.

**კვერთხი** *კვერთხის* ხელში დასაჭერი ჯოხი, საერო და სასულიერო წარჩინებულ პირთა ძალაუფლების ნიშანი. *კათალიკოსის კვერთხი. მეფის კვერთხი.*

**კვერი**[1] *კვერის* მჭედლის იარაღი, უროს მსგავსი პატარა ჩაქუჩი. *მჭედელმა გრდემლს კვერი დაჰკრა.* ⊙ **კვერი დაუკრა** დაუდასტურა.

**კვერი**[2] *კვერის* მცირე ზომის ბრტყელი, მრგვალი პური, მჭადი, ქადა და მისთ. *კვერები გამოაცხო.*

**კვერნა** *კვერნის* მცირე ზომის, ძვირფასბეწვიანი მტაცებელი ცხოველი, ბინადრობს ტყეებში, იკვებება წერილი ცხოველებითა და ტყის ხილით. *კვერნის ტყავი.*

**კვერცხი** *კვერცხის* მდედრობითი სქესის ფრინველისა და ზოგი სხვა ცოცხალი ორგანიზმის (კუს, გველის...) მიერ გამოყოფილი, ნაჭუჭის გარსში მოთავსებული უჯრედი, რომლიდანაც ახალი ორგანიზმი იბადება, გამოიყენება საკვებად. *ქათმის კვერცხი. კუს კვერცხები.*

**კვერცხისმდებელი** *კვერცხისმდებლის* რაც კვერცხს დებს. *კვერცხისმდებელი დედალი. კვერცხისმდებელი ინდაური.*

**კვერცხუჯრედი** *კვერცხუჯრედის* ანატ. ადამიანის, ცხოველის, მცენარის მდედრობითი სასქესო უჯრედი, რომლისგანაც ახალი ორგანიზმი ვითარდება. *კვერცხუჯრედის განაყოფიერება. მცენარის კვერცხუჯრედი.*

**კვესება** *კვესების* (აკვესებს) ↑ **დაკვესება**. *თვალებს ბოროტად აკვესებს. ცეცხლმა იკვესა.*

**კვესი** *კვესის* ფოლადის საგანი, რომლის კაჟზე ჩამოკვრით ცეცხლი ჩნდება.

**კვეცა** *კვეცის* (კვეცს, აკვეცს, იკვეცს, უკვეცს, იკვეცება, ეკვეცება) 1. ↑ **მოკვეცა**. *წვერს იკვეცს.* 2. ↑ **შეკვეცა**. *უფლებებს უკვეცენ.* 3. გრამატ. ფუძის ბოლოკიდური ხმოვნის ჩამოცილება. *ფუძე ორ ბრუნვაში იკვეცება.*

**კვეხნა** *კვეხნის* (იკვეხნის, იკვეხის) საკუთარი მიღწევებით, თვისებებით თავის მოწონება, ტრაბახი. *კვეხნა დაიწყო. წარმატებას იკვეხნის. კვეხნა უყვარს.*

**კვიმატი** *კვიმატის* 1. მარცხიანი, ფათერაკიანი, არახელსაყრელი. *კვიმატი დღე.* 2. ენამახვილი, ენამოსწრებული. *კვიმატი კაცი.*

**კვიმატობა** *კვიმატობის* (კვიმატობს) სხარტად, მოსწრებულად ლაპარაკი. *კვიმატობით გამორჩევა. ბევრს კვიმატობს.*

**კვინტესენცია** *კვინტესენციის* რაიმეს საფუძველი, არსი.

**კვინტეტი** *კვინტეტის* 1. ხუთი შემსრულებლისგან შემდგარი მუსიკალური ჯგუფი. *ეოკალური კვინტეტი.* 2. მუსიკალური ნაწარმოები, რომელიც შექმნილია ხუთი ხმის ან ხუთი საკრავისთვის.

**კვიპაროსი** *კვიპაროსის* მარადმწვანე წიწვოვანი ხე, აქვს სწორი, პირამიდის მსგავსი ფორმა, ისხამს მრგვალ გირჩებს. *აქ კვიპაროსი კარგად ხარობს.*

**კვირა** *კვირის* 1. დროის საზომი ერთეული, რომელიც შვიდ განსაზღვრულ დღეს (ორშაბათიდან მეორე ორშაბათამდე) მოიცავს. *შემდეგ კვირას გამოიდარებს. არდადეგები იმ კვირიდან იწყება.* 2. კვირის (1) მეშვიდე დღის სახელწოდება. *კვირას ვისვენებთ. კვირა დილით.* 3. დროის შვიდდღიანი მონაკვეთი ზოგადად. *გამოფენა ერთ კვირას გასტანს. შვებულება ორი კვირით აიღო.* ⊙ **ვნების კვირა** დიდმარხვის ბოლო კვირა (1). ⊙ **კვირაში შვიდი პარასკევი აქვს** საუბრ. შეხედულებას, გადაწყვეტილებას ხშირად იცვლის.

**კვირაობით** ზმნზ. 1. ყოველ კვირა დღეს. *წარმოდგენები კვირაობით იმართება.* 2. რამდენიმე კვირის განმავლობაში, კვირიდან კვირამდე. *კვირაობით ვერ ნახულობს მშობლებს. კვირაობით მარხულობს.*

**კვირაცხოვლობა** *კვირაცხოვლობის* ქრისტიანული რელიგიური დღესასწაული, აღინიშნება აღდგომის შემდგომ კვირა დღეს.

**კვირაძალი** *კვირაძალის* შაბათის საღამო (დაახლოებით, მზის ჩასვლის შემდგომ). *კვირაძალი დადგა.*

**კვირეული** *კვირეულის* ღონისძიება, რომელიც ერთ კვირას გრძელდება. *სტუდენტური კვირეული. კლასიკური მუსიკის კვირეული.*

**კვირიონი** *კვირიონის* საშუალოზე მომცრო ფრინველი, იკვებება მწერებით.

**კვირისტავი** *კვირისტავის* 1. ანატ. მუხლის თავის მრგვალი ძვალი. 2. თითისტარის ბოლოზე წამოსაცმელი (ხის, ლითონის, თიხის) რგოლი, რომელიც ბრუნვას აადვილებს.

**კვირტი** *კვირტის* 1. გაუშლელი ყვავილი ან ფოთოლი. *კვირტით მყნობა.* 2. მატყლის ჩეჩისას საჩეჩლის კბილებზე დარჩენილი მოკლე ბოჭკოები, ამ მასალისგან დართული სქელი ძაფი. *კვირტის ბაწარი.* ■ **კვირტ(ებ)იანი** რასაც კვირტ(ებ)ი აქვს. *კვირტებიანი ტოტი.*

**კვიცი** *კვიცის* ცხენის ნაშიერი (დაბადებიდან 2 წლამდე). *თეთრი კვიცი.*

**კვლა** *კვლის* (კლავს, აკლავს, იკლავს, უკლავს, იკვლება, აკვლევინებს, ეკვლევინება) 1. ↑ **დაკვლა**. *ინდაურს კლავენ. ბევრი საკლავი იკვლება.* 2. ↑ **მოკვლა**. *კაცს კლავს. წყურვილს იკლავს.* 3. ↑ **ჩაკვლა**. *დარდს ღვინით იკლავს. ბოლმას გულში იკლავს.*

**კვლავ** ზმნზ. ისევ, კიდევ. *გუნდი კვლავ ლიდერობს. კვლავ დაუბრუნდა სამსახურს.*

**კვლავაც** ზმნზ. ისევ, ჯერ კიდევ, როგორც ადრე. *ეს საკითხი კვლავაც აქტუალურია.*

**კვლავინდებური** *კვლავინდებურის* ძველებური, უნინდელი, წინათ რომ იყო, ისეთი. *კვლავინდებური შემართებით მუშაობს.* ▲ **კვლავინდებურად** ზმნზ. ძველებურად, უწინდებურად. *კვლავინდებურად მხნედ არის.*

**კვლევა** *კვლევის* (იკვლევს, უკვლევს, აკვლევინებს) 1. რაიმეს დაწვრილებით, ბოლომდე შესწავლა. *მეცნიერული კვლევა. ისტორიულ წყაროებს იკვლევს.* 2. ↑ გაკვლევა. *გ ზას იკვლევს.*

**კვლევა-ძიება** *კვლევა-ძიების* ამა თუ იმ საკითხის მეცნიერული შესწავლა. *არქეოლოგიური კვლევა-ძიება. ისტორიული კვლევა-ძიება. კვლევა-ძიება გრძელდება.*

**კვლევითი** *კვლევითის* მეცნიერული, გამოკვლევების შემცველი. *კვლევითი ნაშრომი. კვლევითი სამუშაოები.*

**კვლიავი** *კვლიავის* ორწლოვანი სურნელოვანი მცენარე, აქვს ქოლგებად შეკრებილი ყვავილები, თესლები მდიდარია ეთეროვანი ზეთით, გამოიყენება სანელებლად და სამკურნალოდ, გავრცელებულია მთიან ადგილებში.

**კვნესა** *კვნესის* (კვნესის, უკვნესის) წვრილი გაბმული ხმა, რომელსაც გამოსცემენ ძლიერი ტკივილის ან წუხილის დროს. *კვნესა დაიწყო. საცოდავად კვნესის.*

**კვნეტა** *კვნეტის* (კვნეტს, აკვნეტს, იკვნეტს, იკვნიტება) მაგარი საგნის (საჭმლის ან რაიმე ნივთის) კბილებით კბეჩა და მტვრევა. *შაქრის კვნეტა. ფრჩხილებს იკვნეტს.*

**კვნინი** *კვნინის* რაიმეს ძალიან პატარა ნატეხი. *კვნინი მარილი. შაქრის კვნინი.*

**კვორუმი** *კვორუმის* დამსწრეთა, მონაწილეთა ის მინიმალური რაოდენობა, რომელიც აუცილებელია, რათა ამა თუ იმ კრების, სხდომის ან რომელიმე ორგანოს (პარლამენტის, საბჭოსა მისთ.) დადგენილება კანონიერად იყოს აღიარებული. *შეცდომაა ქვორუმი.*

**კვოტა** *კვოტის* გარკვეული საქმიანობისთვის ვინმეს, რაიმეს განსაზღვრული წილი, ნორმა. *ოპოზიციის კვოტა. შეცდომაა ქვოტა.*

**კვრა** *კვრის* ((ს)კრავს, აკრავს, იკრავს, უკრავს, იკვრება, ეკვრება, აკვრევინებს) 1. რაიმეს სროლა, ტყორცნა, მოხვედრება, დარტყმა. *ბირთვის კვრა. წიხლის კვრა. ხელი ჰკრა და წააქცია.* 2. ↑ დაკვრა. *გიტარას უკრავს.* 3. ↑ შეკვრა. *ღილებს იკრავს.* 4. ↑ გაკვრა. *აფიშას აკრავს.*

**კვრინჩხი** *კვრინჩხის* დაბალი ბუჩქოვანი მცენარე, აქვს განშტოებული ეკლიანი ტოტები, შავი, მრგვალი, კურკიანი ნაყოფი, რომელიც იჭმება.

**კი**[1] ნაწილაკ. გამოიყენება დასტურის გამოსახატავად. *კი, მინდა. – მოგწონს? – კი.*

**კი**[2] კავშ. ხოლო. *მე წავალ, შენ კი აქ დარჩი.*

**კიაფი** *კიაფის* (კიაფობს) მკრთალი შუქის ციმციმი, კრთომა სიბნელეში. *ვარსკვლავის კიაფი. შორს სინათლე კიაფობს.*

**კიბე** *კიბის* საფეხურებიანი ნაგებობა ან კონსტრუქცია რაიმეზე ასასვლელ-ჩამოსასვლელად. *ქვის კიბე. კიბის საფეხური. მისადგმელი კიბე.*

**კიბე-კიბე** კიბის ერთი საფეხურიდან მეორეზე. *კიბე-კიბე ადის.*

**კიბერნეტიკა** *კიბერნეტიკის* მეცნიერება მართვის პროცესების ზოგად კანონზომიერებათა შესახებ ორგანიზებულ სისტემებში (მანქანებში, ცოცხალ ორგანიზმებსა და საზოგადოებაში). ■ **კიბერნეტიკული** კიბერნეტიკასთან დაკავშირებული. *კიბერნეტიკული მანქანა. კიბერნეტიკული ავტომატი.*


კიბო

**კიბო**[1] *კიბოს* 1. წყლის ათფეხა, მარწუხებიანი ცხოველი, ტანის ზედა ნაწილი დაფარული აქვს რქოვანი საფარველით, გამოიყენება საჭმელად. *მოხარშული კიბო.* 2. ზოდიაქოს ნიშანი.

**კიბო**[2] *კიბოს* ამა თუ იმ ორგანოს ავთვისებიანი სიმსივნე. *კუჭის კიბო. ფილტვის კიბო.*

**კიბორჩხალა** *კიბორჩხალას* მდინარის ცხრაფეხა, პატარა კიბო. *ბადეს კიბორჩხალა ამოჰყვა.*

**კიბური** *კიბურის* კიბის მსგავსი. *კიბური გზა.*

**კიდე** *კიდის* 1. ბრტყელი ზედაპირის გვერდითი ნაწილი. *რვეულის კიდე. მაგიდის კიდე.* 2. განაპირა მხარე, კუთხე. *სოფლის კიდეში ცხოვრობს. ტყის კიდემდე მივიდნენ.* 3. ზოგადად, რაიმეს ნაპირი (ჭურჭლის, მდინარის, კლდისა და მისთ.). *ცის კიდე.* ⊙ **კიდით კიდემდე** თავიდან ბოლომდე, ყველგან.

**კიდება*** *კიდების* ((ს)კიდებს) იკიდებს, იკიდება, ეკიდება, (ს)კიდია, აკიდებინებს) 1. ↑ აკიდება. *ცხენს ბარგს ჰკიდებენ.* 2. ↑ დაკიდება. *ფარდას კიდებს.* 3. ↑ მოკიდება. *ხელს ჰკიდებს.*

**კიდევ** ზმნზ. 1. კვლავ, ჯერ ისევ. *ბიჭს კიდევ სძინავს. კიდევ წვიმს.* 2. განმეორებით, ხელახლა. *გაზეთები კიდევ მოიტანეს. გუნდმა კიდევ გაიმარჯვა.* 3. ამის გარდა, დამატებით. *კიდევ რა მოგიტანო?* 4. ხოლო, კი. *შენ წადი, მე კიდევ სახლში დავრჩები.*

**კიდეც** ზმნზ. 1. თანაც, ამავე დროს, ამასთან ერთად. *კიდეც დალიეს, კიდეც მოილხინეს. აცივდა, კიდეც გაწვიმდა.* 2. მართლაც. *კიდეც გაჯაკეთებთ, რაც ჩაფიქრებული გვაქვს.* 3. თუნდაც. *კიდეც რომ შევურიგდე, ველარ ვიმეგობრებთ.*

**კიდობანი** *კიდობნის* ხის დიდი, სახურავიანი და

ფეხებიანი ყუთი, გამოიყენება სურსათისა და საყოფაცხოვრებო ნივთების შესანახად. *მარცვლეულის კიდობანი. ტანსაცმლის კიდობანი.*

**კიდური** *კიდურის* 1. ადამიანის ხელი ან ფეხი, ცხოველის ფეხი. *ზედა და ქვედა კიდურები. წინა და უკანა კიდურები. კიდურის მოტეხილობა.* 2. იგივეა, რაც კიდე (3). *ცის კიდური.*

**კივი** *კივის* მრგვალი ან მოგრძო ფორმის ხილი, რომელსაც აქვს ბუსუსიანი, ყავისფერი კანი, მწვანე, წვნიანი რბილობი და შავი, ძალიან პატარა თესლები. *კივის კომპოტი.*

**კივილი** *კივილის* (კივის, უკივის) წვრილი, მაღალი, გაბმული ხმის გამოცემა. *ადამიანის კივილი. შემზარავად კივის.*

**კივკივი** *კივკივის* (კივკივებს) ინდაურისა და ზოგი სხვა ფრინველის ხმიანობა. *შურთხი კივკივებს.*

**კითხვა** *კითხვის* (ჰკითხავს, უკითხავს, კითხულობს, იკითხება, ეკითხება) 1. ნათქვამი ან წერილობითი ტექსტი, რომელიც პასუხს მოითხოვს. *კითხვები დაუსვეს. კითხვას უპასუხა.* 2. ვინმესადმი კითხვით (1) მიმართვა, კითხვის (1) დასმა. *დედას ეკითხება. არავის არაფერი ჰკითხა. მისამართი იკითხა.* 3. ასოების ამოცნობითა და სიტყვების გაგებით დაწერილი ტექსტის აღქმა. *წიგნს კითხულობს.* 4. ლექციის, მოხსენებისა და მისთ. ზეპირად გადაცემა მსმენელებისთვის. *მათემატიკის კურსს კითხულობს.*

**კითხვა-კითხვით** ზმნზ. გამოკითხვის საშუალებით, კითხვების დასმით. *კითხვა-კითხვით მივაგენით სახლს.*

**კითხვა-პასუხი** *კითხვა-პასუხის* გასაუბრება კითხვების დასმითა და მათზე პასუხების გაცემით. *კითხვა-პასუხი გაიმართა.*

**კითხვარი** *კითხვარის* კითხვების ერთობლიობა, რომელიც კონკრეტულ დარგს, სფეროს, საკითხს ეხება. *კითხვარის შედგენა. დიალექტოლოგიური კითხვარი.*

**კითხვითი** *კითხვითის* კითხვის შემცველი, კითხვის გამომხატველი. *კითხვითი წინადადება. კითხვითი ნაცვალსახელი.*

**კიკინი**[1] *კიკინის* (კიკინებს) თხის ხმიანობა. *ციკანი კიკინებს.*

**კიკინი**[2] *კიკინის* ყურებთან ჩამოშვებული (ზოგჯერ დახუჭუჭებული) ან შეკრული თმა. *გრძელი კიკინები.* ■ **კიკინებიანი** კიკინების მქონე. *კიკინებიანი გოგონა.*

**კიკნა** *კიკნის* (კიკნის, იკიკნება) ↑ **მოკიკნა**. *ბალახს კიკნიდა. ჩიტივით იკიკნება.*

**კიკო** *კიკოს* 1. ბანქოს სათამაშო ქაღალდი მხოლოდ ერთი გამოსახულებით (ერთი ჯვარი, ერთი გული...). 2. საუბრ. ცალი, კენტი. *ასე კიკოდ დაიარება.*

**კილამურა** *კილამურას* გვიმრის დაბალი და ფრთისებურფოთლიანი სახეობა, აქვს ტკბილი ფესურები, გამოიყენება სამკურნალოდ, იზრდება კლდოვან ადგილებში.

**კილერი** *კილერის* დაქირავებული მკვლელი. *შეცდომაა ქილერი.*

**კილვა** *კილვის* (კილავს) ↑ **გაკილვა**. *მე ზობელს კილავს. პრესაში კილავენ.*

**კილი** *კილის* თავთავიან მცენარეთა მარცვლის ბუდე. *ქერის კილი.* ■ **კილიანი** რასაც კილი აქვს. *კილიანი ხორბალი.*

**კილო**[1] *კილოს* 1. იგივეა, რაც დიალექტი. *კახური კილო.* 2. თავისებური გამოთქმა, ინტონაცია, რომელიც ახასიათებს ამა თუ იმ კუთხის მოსახლეობას. *იმერული კილო. თუშური კილო.* 3. გადატ. საუბრის შინაარსის ემოციური მხარე, ელფერი. *დაცინვის კილო. ირონიული კილო.*

**კილო**[2] *კილოს* იგივეა, რაც კილოგრამი. *ხუთი კილო მსხალი.* ■ **კილოიანი** კილოს მოცულობისა. *კილოიანი გირი.*

**კილოგრამი** *კილოგრამის* წონის ერთეული, შეესაბამება ერთი ლიტრი გამოხდილი წყლის მასას. *სამი კილოგრამი.* ■ **კილოგრამიანი** კილოგრამის შემცველი. *კილოგრამიანი ჰანტელი.*

**კილოვატი** *კილოვატის* ელექტროენერგიის სიმძლავრის საზომი ერთეული, უდრის 1000 ვატს. *ასი კილოვატი ელექტროენერგია.*

**კილოვოლტი** *კილოვოლტის* ელექტროძაბვის ერთეული. უდრის 1000 ვოლტს. *სამი კილოვოლტი.*

**კილომეტრი** *კილომეტრის* სიგრძის საზომი ერთეული, უდრის 1000 მეტრს. *კილომეტრი ფეხით გავიარეთ.* ■ **კილომეტრიანი** კილომეტრის სიგრძის. *კილომეტრიანი რიგი.*

**კიმპალი** *კიმპლის* ყურძნის მტევნის პატარა ნაწილი, რომელზეც ორი-სამი მარცვალია. *თითას კიმპალი.*

**კინაღამ** ზმნზ. თითქმის, ლამის. *კინაღამ ჩამოვარდა. ლუკმა კინაღამ გადამცდა.*

**კინემატოგრაფი** *კინემატოგრაფის* მოძრავ გამოსახულებათა ფირზე ასახვით სინამდვილის შთაბეჭდილების შექმნა.

**კინემატოგრაფია** *კინემატოგრაფიის* ხელოვნებისა და მრეწველობის დარგი, რომელიც ქმნის ფილმებს და უზრუნველყოფს მაყურებლისთვის მათ ჩვენებას.

**კინესკოპი** *კინესკოპის* ტელევიზორის ელექტრონულ-სხივური მიმღები მილაკი, რომელიც იძლევა გამოსახულებას.

**კინკილა** *კინკილას* მხოლოდ ერთი, სულ ერთი. *ერთი კინკილა კაცი მოვიდა. კინკილა ცხვარი შემორჩა.*

**კინკილი** *კინკილის* ას კინკილით ხტომა. *კინკილით სიარული უყვარს.*

**კინკლაობა** *კინკლაობის* (კინკლაობს, ეკინკლავება) უმნიშვნელო რაიმეზე კამათი, ჩხუბი. *გაუთავებლად კინკლაობენ. ძმას ეკინკლავება.*

**კინკრიხო** *კინკრიხოს* საუბრ. ადამიანის თავის ზე და ნაწილი. *ეს ქუდი კინკრიხოსაც ვერ უფარავს.*

**კინო** *კინოს* 1. იგივეა, რაც კინოთეატრი. *კინოში წავიდნენ.* 2. იგივეა, რაც ფილმი. *ახალი კინო გადის.* 3. იგივეა, რაც კინოხელოვნება. *ქართული კინოს ოსტატები.*

**კინოვარსკვლავი** *კინოვარსკვლავის* საყოველთაოდ ცნობილი კინომსახიობი. *კინოვარსკვლავის ფოტო. კინოვარსკვლავი გახდა.*

**კინოთეატრი** *კინოთეატრის* შენობა, სადაც კინოფილმებს აჩვენებენ. *კინოთეატრის დარბაზი. კინოთეატრში წავიდნენ.*

**კინოსეანსი** *კინოსეანსის* 1. დროის მონაკვეთი, რომლის განმავლობაშიც კინოფილმი გადის. 2. კინოფილმის ჩვენება. *კინოსეანსი დაიწყო.*

**კინოსტუდია** *კინოსტუდიის* დაწესებულება, სადაც კინოფილმებს იღებენ. *კინოსტუდიის პავილიონი.*

**კინოფესტივალი** *კინოფესტივალის* 1. საერთო თემატიკის ფილმების ჩვენება. *დოკუმენტური ფილმების კინოფესტივალი.* 2. სხვადასხვა ქვეყნის საუკეთესო ფილმების ჩვენება. *საერთაშორისო კინოფესტივალი.*

**კინოფილმი** *კინოფილმის* იგივეა, რაც ფილმი. *კინოფილმი გადაიღეს. კინოფილმის ჩვენება.*

**კინძვა** *კინძვის* (კინძავს, უკინძავს, იკინძება) ↑ აკინძვა. *წიგნის კინძვა დაიწყეს. ფურცლებს კინძავს.*

**კიოსკი** *კიოსკის* პატარა ნაგებობა შეზღუდული ვაჭრობისთვის. *გაზეთების კიოსკი.*

**კირი** *კირის* კირქვის გამონვით მიღებული მასალა, გამოიყენება მშენებლობაში, ქიმიურ მრეწველობაში, შაქრის, ქაღალდისა და მინის წარმოებაში. *კირის ხსნარი. კირით შეთეთრება. კირით დამუშავება.*

**კირკაჟი** *კირკაჟის* იგივეა, რაც სირსვალი. *კირკაჟით გაუმასპინძლდა.*

**კირკიტა** *კირკიტას* ვისაც კირკიტი (2) უყვარს. *კირკიტა ბავშვი.*

**კირკიტი**[1] *კირკიტის* იგივეა, რაც კერკეტი.

**კირკიტი**[2] *კირკიტის* (უკირკიტებს) რაიმეს ყურადღებით თვალიერება, სინჯვა. *მთელი დღე უკირკიტა. ტელევიზორს უკირკიტებს.*

**კირქვა** *კირქვის* დანალექი ქანი, რომელიც შეიცავს კირს. *კირქვის მადანი.*

**კირჩხიბი** *კირჩხიბის* იგივეა, რაც კიბო[1] (1).

**კირწყვლა** *კირწყვლის* (კირწყლავს, იკირწყლება) ↑ მოკირწყვლა. *გაზონებს აგურით კირწყლავენ.*

**კისერი** *კისრის* ადამიანისა და ცხოველის სხეულის ნაწილი, რომელიც თავს აერთებს ტანთან. *მაღალი კისერი. კისერი მოეღრიცა.* ⊙ კისერზე ჩამოეკიდება ყველანაირად ეცდება დაუახლოვდეს ვინმეს. ⊙ კისერი მოსწყდება დაიღლება, დასუსტდება, ძალა გამოეცლება. ⊙ კისერი უტეხია ნყევ. რაც უნდა ქნას, რაც გინდა მოუვიდეს, არ მენაღვლება. ⊙ კისერს მოიტეხს წაიცევა, დაშავდება. ⊙ მის კისერზე გადაივლის საქმის მთელი სიმძიმე მხოლოდ მას დააწვება. ⊙ შენი ხმალი და ჩემი კისერი გემორჩილები, ყველაფრისთვის მზადა ვარ, რაც გინდა, ის მიყავი.

**კისკისა** *კისკისას* ვინც სულ კისკისებს. *კისკისა გოგო.*

**კისკისი** *კისკისის* (კისკისებს) მაღალი, წვრილი ხმით სიცილი. *გოგონა კისკისებს.*

**კისრება** *კისრების* (კისრულობს, აკისრებს, აკისრებინებს) 1. რაიმეს გაკეთების, შესრულების თავის თავზე აღება, პირობის დადება. *საქმის ბოლომდე მიყვანას კისრულობს.* 2. საუბრ. ცუდი საქმის ჩადენა. *მანქანის მოპარვა იკისრა.*

**კისრისტეხა** *კისრისტეხის* საუბრ. ძალიან აჩქარებული, სწრაფად რაიმეს კეთება, უპირატესად სირბილი. *რა კისრისტეხა აგიტყდა?* ▲ კისრისტეხით ძალიან სწრაფად. *კისრისტეხით მირბის.*

**კისრული** *კისრულის* ჭიდაობის ილეთი, მოწინააღმდეგის ზურგზე წამოკიდება და მხარზე (კისრით) გადმოყირავება. *კისრული გაუკეთა.*

**კისტა** *კისტის* ღრუ სიმსივნური წარმონაქმნი ადამიანისა და ცხოველის ორგანიზმში. *კისტის ოპერაცია.*

**კიტრა** *კიტრას* ვაშლის ჯიში, აქვს მომრგვალო ან მოგრძო, მოტკბო-მომჟავო ნაყოფი.

**კიტრავაშლი** *კიტრავაშლის* იგივეა, რაც კიტრა.

**კიტრანა** *კიტრანას* მრავალწლოვანი ველური მცენარე, ისხამს კიტრის ფორმის პატარა ნაყოფს, ხარობს მშრალსა და ხრიოკ ადგილებში.

**კიტრი** *კიტრის* ერთწლოვანი ბოსტნეული მცენარე, აქვს გართხმული ღერო და ხაოიანი ფოთლები, ისხამს გრძელ, მწვანე ნაყოფს. *კიტრის მწნილი.*

**კიჩო** *კიჩოს* გემებისა და თვითმფრინავების უკანა ნაწილი. *გემის კიჩო.*

**კიცხვა** *კიცხვის* (კიცხავს, იკიცხება) ↑ გაკიცხვა. *სახალხოდ კიცხავდნენ. მის საქციელს კიცხავს.*

**კიჭი** *კიჭის* ბავშვ. კბილი. *კიჭები ამოსდის. კიჭები არ მოუცვლია.*

**კლავესინი** *კლავესინის* ძველებური სიმებიან-კლავიშებიანი მუსიკალური საკრავი.

**კლავიატურა** *კლავიატურის* 1. სამუსიკო საკრავების გარკვეული თანმიმდევრობით განლაგებულ კლავიშთა სისტემა. *როიალის კლავიატურა. ორგანის კლავიატურა.* 2. ზოგიერთი აპარატის

(კომპიუტერის, საბეჭდი მანქანის, კალკულატორისა და მისთ.) კლავიშთა ერთობლიობა. *კომპიუტერის კლავიატურა. საბეჭდი მანქანის კლავიატურა.*

**კლავიში** *კლავიშის* 1. ზოგიერთი სამუსიკო საკრავის ფირფიტა, რომელზე თითის დაკვრითაც ინსტრუმენტი ბგერას გამოსცემს. *თეთრი და შავი კლავიშები. გარმონის კლავიშები.* 2. კლავიატურის (2) დაფაზე მოთავსებული ღილაკი, რომელზე თითის დაჭერითაც მიიღება რაიმე გამოსახულება.

**კლაკნა** *კლაკნის* (კლაკნის, იკლაკნება, ეკლაკნება) ↑ დაკლაკნა. *ტკივილისგან იკლაკნებოდა. გ ზა მთებისკენ მიიკლაკნება.*

**კლაკნილი** *კლაკნილის* არასწორი, მიხვეულ-მოხვეული. *კლაკნილი ხაზი. კლაკნილი გზა.*

**კლანი** *კლანის* 1. გვაროვნული თემის სახელწოდება სკანდინავიის ქვეყნებში. 2. ადამიანთა შეზღუდული წრე, რომლის წარმომადგენლებიც ემიჯნებიან საზოგადოებას და თავს რჩეულ ნაწილად მიიჩნევენ. *ქურდული კლანი.* ■ **კლანური** კლანთან დაკავშირებული. *კლანური ინტერესები.*

**კლანჭი** *კლანჭის* ზოგიერთი ცხოველისა და ფრინველის ბასრი, მოკაუჭებული ფრჩხილი. *კლანჭები ჩაასო. არწივის კლანჭები.*

**კლარნეტი** *კლარნეტის* ჩასაბერი საკრავი – ბოლოში ოდნავ გაფართოებული მილი სარქველთა სისტემით. *კლარნეტის პარტია.*

**კლასგარეშე** *კლასგარეშეს* რაც სასკოლო პროგრამაში არ შედის. *კლასგარეშე საკითხავი.*

**კლასი** *კლასის* 1. სასკოლო განათლების საფეხური, რომელიც ერთ სასწავლო წელს მოიცავს. *მეშვიდე კლასი.* 2. მოსწავლეთა ცალკეული ჯგუფი, რომელიც ამ საფეხურზე მყოფ თანატოლებს აერთიანებს. 3. მოსწავლეთა ჯგუფი, რომელიც გარკვეული დროის განმავლობაში ერთი და იმავე მასწავლებლის ხელმძღვანელობით სწავლობს რაიმეს. *ფორტეპიანოს კლასი. ფოტოგრაფიის კლასი.* 4. ოთახი, რომელშიც გაკვეთილები ტარდება. *მოსწავლეები კლასში შევიდნენ.* 5. საწარმოო საშუალებებთან ერთნაირი დამოკიდებულების მქონე სოციალური ფენა. *მუშათა კლასი.* 6. გემის კაიუტის, მატარებლის ვაგონის ტიპი, განსხვავებული მომსახურების ხარისხისა და ფასის მიხედვით. *მაღალი კლასის კუპე.* 7. გარკვეული ხარისხი, მომზადების დონე. *მაღალი კლასის თამაში. პირველი კლასის მძღოლი.*

**კლასიკოსი** *კლასიკოსის* საყოველთაოდ ცნობილი და აღიარებული ხელოვანი ან მეცნიერი. *კლასიკოსი პოეტი. პედაგოგიკის კლასიკოსები.*

**კლასიკური** *კლასიკურის* 1. კლასიკოსის მიერ შექმნილი, სრულყოფილი, სანიმუშო. *კლასიკური ნაწარმოები. კლასიკური ლიტერატურა.* 2. იგივეა, რაც ანტიკური. *კლასიკური ენები.* 3. ანტიკური ენებისა და კულტურის შესწავლასთან დაკავშირებული. *კლასიკური ფილოლოგია. კლასიკური განათლება.*

**კლასიფიკაცია** *კლასიფიკაციის* საგნების, მოვლენების, ცნებებისა და მისთ. კლასებად, ჯგუფებად დაყოფა მათი განმასხვავებელი ნიშან-თვისებების საფუძველზე. *ენათა კლასიფიკაცია.*

**კლასიფიცირება** *კლასიფიცირების* იგივეა, რაც კლასიფიკაცია. *მცენარეთა კლასიფიცირება.*

**კლასობრივი** *კლასობრივის* კლასების (5) მიხედვით დაყოფილი, ორგანიზებული. *კლასობრივი წყობილება.*

**კლდე** *კლდის* სხვადასხვა ფორმის ქვიანი რელიეფი, ქვის შვერილები და ამონაზარდები მთის დაქანებულ ფერდობზე. *ციცაბო კლდე. კლდის ქიმი.* ■ **კლდოვანი, კლდიანი** სადაც ბევრი კლდეა. *კლდოვანი სანაპირო. მთის კლდიანი კალთა.*

**კლდე-ღრე** *კლდე-ღრის* მიუვალი, კლდიანი, ძნელადსავალი ადგილი. *კლდე-ღრეში დაეხეტებოდა.*

**კლდისდუმა** *კლდისდუმის* მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარე, აქვს მსხვილი ფესვი, სქელი მომრგვალო ფოთლები და მოთეთრო ყვავილები, იზრდება კლდოვან ადგილებში.

**კლება** *კლების* (აკლებს, იკლებს, უკლებს, აკლდება, აკლებინებს, აკლია, უკლია) 1. ↑ **დაკლება**. *ხურდას აკლებს. თვალს აკლია. ვარჯიშს უკლო. წინდახედულება აკლია.* 2. ↑ **აკლება** (2). *ძაღლი ყეფით იკლებს ეზოს.* ⊙ **ეგღა მაკლია** მეტი საქმე არა მაქვს.

**კლებადი** *კლებადის* რაც თანდათანობით იკლებს. *კლებადი სიდიდე. კლებადი სიჩქარე.*

**კლეპტომანი** *კლეპტომანის* მედიც. პირი, რომელიც კლეპტომანიითაა დაავადებული.

**კლეპტომანია** *კლეპტომანიის* მედიც. ფსიქიკური დაავადება, რომლისთვისაც დამახასიათებელია რაიმეს მოპარვის ავადმყოფური მოთხოვნილება. *კლეპტომანიის დიაგნოზი.*

**კლერტი** *კლერტის* 1. მარცვალგაცლილი ყურძნის მტევანი. 2. ფოთოლგაცლილი წვრილი შტო. *თხილის კლერტი. თამბაქოს კლერტი.* 3. ზოგიერთი ბალახის ფესვი. *შალაფას კლერტი.*

**კლიენტი** *კლიენტის* პირი, რომელიც რაიმე დაწესებულების (ბანკის, მაღაზიის, ბიუროსა და მისთ.) ან კერძო პირის მომსახურებით სარგებლობს. *პარიკმახერის კლიენტი. ადვოკატის კლიენტი. ბანკის კლიენტი.* 1. ჟარგ. ადამიანი, ტიპი (3). *მაგარი კლიენტია.*

**კლიენტურა** *კლიენტურის* კლიენტების ერთობლიობა, სხვადასხვა კლიენტი ერთად. *კლიენტურის ნაკლებობა.*

**კლიმატი** *კლიმატის* იგივეა, რაც ჰავა. *თბილი და მშრალი კლიმატი. ზღვის კლიმატი. მთის კლი-*

*მატი.* ▪ **კლიმატური** კლიმატის დამახასიათებელი. *კლიმატური პირობები.*

**კლიმატოლოგია** *კლიმატოლოგიის* მეცნიერება, რომელიც შეისწავლის კლიმატს.

**კლინიკა** *კლინიკის* სამკურნალო დაწესებულება, სადაც სამეცნიერო მუშაობა და სწავლება მიმდინარეობს. *ქირურგიული კლინიკა. ახალი კლინიკა გაიხსნა.*

**კლინიკური** *კლინიკურის* კლინიკასთან დაკავშირებული. *კლინიკური გამოკვლევა. კლინიკური მკურნალობა.*

**კლიპი** *კლიპის* მოკლემეტრაჟიანი ვიდეოფილმი, რომლითაც ერთი სიმღერის დემონსტრირება ხდება. *პოპულარული კლიპები.*

**კლიტე** *კლიტის* 1. უჯრის, მაგიდისა და მისთ. საკეტი მოწყობილობა. *ძველებური კლიტე.* 2. იგივეა, რაც ბოქლომი. *კარს კლიტე ადევს.* ⊙ **პირზე კლიტე ადევს** თქმას ვერ ბედავს.

**კლიფსი** *კლიფსის* საყურე, რომელიც დამჭერით მაგრდება ყურის ბიბილოზე.

**კლიშე** *კლიშეს* 1. სპეციალურ ფირფიტაზე გამოყვანილი რელიეფური გამოსახულება, გამოიყენება სტამბური ბეჭდვისას, ილუსტრაციების რეპროდუქციებისთვის. *კლიშეს დამზადება.* 2. გადატ. მოარული, გაცვეთილი სიტყვა ან გამოთქმა. *ენობრივი კლიშე. კლიშეებით მეტყველება.*

**კლონი** *კლონის* კლონირების შედეგად მიღებული ორგანიზმი.

**კლონირება** *კლონირების* რამდენიმე იდენტური ორგანიზმის მიღების მეთოდი უსქესო (მათ შორის ვეგეტატიური) გამრავლების გზით.

**კლოუნადა** *კლოუნადის* საცირკო წარმოდგენა, რომელშიც კლოუნები მონაწილეობენ.

**კლოუნი** *კლოუნის* ცირკის მსახიობი, რომელიც ამხიარულებს მაყურებლებს. *კლოუნების გამოსვლა. კლოუნის ტანსაცმელი.*

**კლუბი** *კლუბის* 1. კულტურულ-საგანმანათლებლო, პოლიტიკური, სპორტული და სხვა მსგავსი საზოგადოებრივი ორგანიზაცია. *ახალგაზრდული კლუბი.* 2. შენობა, სადაც კლუბი (1) არის განთავსებული. *სოფლის კლუბი. შეჯიბრება კლუბში მოეწყო.*

**კლუმბი** *კლუმბის* გარკვეული ფორმის, სახის მქონე კვალი, სადაც ყვავილებია დარგული. *ეზო კლუმბებით გაალამაზეს.*

**კმაზვა** *კმაზვის* (კმაზავს, იკმაზება) ↑ **შეკმაზვა**. *სადილს თავისი გემოვნებით კმაზავს.*

**კმარება** *კმარების* (კმარობს, აკმარებს, კმარა) რაიმეს სამყოფად, საკმარისად მიჩნევა. *სასჯელი არ აკმარეს. თანხა უნდა იკმაროს.*

**კმაყოფა** *კმაყოფის* 1. საარსებო საშუალებებით ვინმეს მომარაგება, უზრუნველყოფა. ⊙ **ვინმეს კმაყოფაზეა** ვინმეს სარჩენია, სხვაზეა დამოკიდებული.

**კმაყოფილება** *კმაყოფილების* სიამოვნების განცდა, რომელსაც იწვევს კარგი ამბის გაგება, სურვილის ასრულება, საწადელის მიღწევა და მისთ. *კმაყოფილება დაეტყო. კმაყოფილებით მოუსმინა.*

**კმაყოფილი** *კმაყოფილის* ვინც სჯერდება იმას, რაც აქვს, ვინც კმაყოფილებას განიცდის. *მცირედით კმაყოფილი. კმაყოფილი ჩანს.*

**კმევა** *კმევის* (აკმევს, უკმევს, იკმევა) სურნელოვანი ნივთიერების დაწვით კეთილსურნელების ფრქვევა. *კეთილსურნელებას აკმევს.* ⊙ **გუნდრუკის კმევა** გამორჩენის მიზნით ვინმეს ქება-დიდება, მლიქვნელობა.

**კნავილი** *კნავილის* (კნავის, აკნავლებს) კატის ხმიანობა. *კნუტი კნავის. კნავილი გაისმა.*

**კნაპა** *კნაპას* დაბალი ხე ან ბუჩქი, აქვს დანაკვთული და ბუსუსიანი ფოთლები, ისხამს ბლის ზომის წითელ ნაყოფს, რომელიც იჭმება.

**კნატაკნუტი** *კნატაკნუტის* კნატუნის ხმა. *კნატაკნუტი გაჰქონდა.*

**კნატუნი** *კნატუნის* (აკნატუნებს) ხმელი, მაგარი, ნაჭუჭიანი რაიმეს ჭამა. *თხილს აკნატუნებს.*

**კნაწაკნუწი** *კნაწაკნუწის* კნაწუნის ხმა. *კნაწაკნუწი გაჰქონდა.*

**კნაწუნი** *კნაწუნის* (აკნაწუნებს) იგივეა, რაც **კნატუნი**. *ორცხობილას აკნაწუნებს.*

**კნაჭა** *კნაჭას* გამხდარი, კანჭმაღალი გოგო. *ოი, შე კნაჭა!*

**კნოპი** *კნოპის* 1. იგივეა, რაც **ჭიკარტი**. *რუკა კნოპით მიაკრეს კედელზე.* 2. ლითონის ან პლასტმასის მრგვალი შესაკვრელი ტანსაცმლზე. *კაბის კნოპი.* ▪ **კნოპიანი** რასაც კნოპი აქვს. *კნოპიანი ქურთუკი.*

**კნუტი** *კნუტის* კატის ნაშიერი. *თვალაუხელელი კნუტი. მოთამაშე კნუტი.*

**კოალა** *კოალის* ჩანთოსანი ძუძუმწოვარი, ბინადრობს ხეზე, იკვებება ფოთლებით, გავრცელებულია აღმოსავლეთ ავსტრალიის ტყეებში.

**კოალიცია** *კოალიციის* სახელმწიფოების, პარტიების ან ორგანიზაციების გაერთიანება საერთო მიზნის მისაღწევად. *ოპოზიციური კოალიცია.*

**კობალტი** *კობალტის* მოვერცხლისფრო ლითონი, გამოიყენება მინის, მინანქრისა და მისთ. საღებავების დასამზადებლად.

**კობრა** *კობრას* შხამიანი დიდი გველი, კისერზე აქვს ლაქები, გავრცელებულია ცხელ ქვეყნებში.

**კობრი** *კობრის* მდინარის თევზი, აშენებენ ხელოვნურ ტბებშიც. *მოხარშულ კობრს მიირთმევს.*

**კოგნიტური** *კოგნიტურის* შემეცნებითი. *კოგნიტური პროცესი. კოგნიტური უნარი.*

**კოდალა** *კოდალას* გრძელნისკარტა, ლამაზი, ჭრელი ჩიტი, იკვებება ხის მატლებით. *კოდალას კაკუნი ისმის.*

კოდალა

**კოდექსი** *კოდექსის* კანონების კრებული. *სამოქალაქო სამართლის კოდექსი. სისხლის სამართლის კოდექსი.*

**კოდი**[1] *კოდის* I. გულამოღებული მორისგან გაკეთებული დიდი ჭურჭელი. *მარცვლეულის კოდი.* 2. მარცვლეულის საწყაო (დაახლ. 4-5 ფუთი). *ერთი კოდი ფქვილი.* 3. წყლის სადენად წყაროში ჩადგმული გულამოღებული მორი. *კოდის წისქვილი.*

**კოდი**[2] *კოდის* პირობით ნიშანთა სისტემა, რომელსაც იყენებენ ინფორმაციის შენახვის, დამუშავებისა და გადაცემისთვის (2). *ციფრული კოდი. საიდუმლო კოდი.*

**კოდური** *კოდურის* I. რაც კოდით აღინიშნება. 2. რაც კოდს წარმოადგენს, კოდთან დაკავშირებული. *კოდური სიტყვა.*

**კოეფიციენტი** *კოეფიციენტის* I. მათ. რიცხვითი ან ასოითი მამრავლი ალგებრულ გამოსახულებაში. 2. სიდიდე, რომელიც განსაზღვრავს ფიზიკური სხეულის რაიმე თვისებას. *ხახუნის კოეფიციენტი.*

**კოვზი** *კოვზის* პატარა, ჩაღრმავებული, გრძელტარიანი საგანი, გამოიყენება წვნიანის საჭმელად. *სუფრის კოვზი. ჩაის კოვზი.*

კოვზი

**კოზაკი** *კოზაკის* აქლემის ნაშიერი.

**კოზირი** *კოზირის* კარტის ერთი რომელიმე სახეობის (აგურის, ჯვრისა და მისთ.) ქაღალდი, რომელიც ერთი ხელი თამაშის დროს სარგებლობს უპირატესობით და ჭრის ყველა სხვა სახეობის კარტს. *კოზირი მიუვიდა.*

**კოთხუჯი** *კოთხუჯის* მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარე, აქვს ხმლის ფორმის ფოთლები და თავთავად შეკრებილი პატარა ყვავილები, იზრდება მდინარისა და ტბის სანაპიროებზე, გამოიყენება სამკურნალოდ და საკონდიტრო წარმოებაში.

**კოინდარი** *კოინდრის* მრავალწლოვანი ბალახოვან-მარცვლოვანი მცენარე, გამოიყენება საქონლის საკვებად, ეზოების გასამწვანებლად. *ბაღში კოინდარი დათესეს.*

**კოკა** *კოკის* ფართომუცლიანი, ვიწროყელიანი და ცალყურიანი თიხის ჭურჭელი, გამოიყენება ღვინის, წყლის ჩასასხმელად. *პატარა კოკა.*

კოკა

**კოკაინი** *კოკაინის* შხამიანი ნივთიერება, რომელიც მიიღება ზოგი ტროპიკული მცენარისგან, გამოიყენება როგორც ტკივილგამაყუჩებელი და ნარკოტიკული საშუალება. *კოკაინის ხე. კოკაინის ინიექცია.*

**კოკისპირული** *კოკისპირულის* ძლიერი წვიმა. *კოკისპირული წამოვიდა. კოკისპირულად დაუშვა.*

**კოკობი** *კოკობის* იგივეა, რაც კოკორი (1) ⊙ **კოკობი** ულვაში ახლად ამოსული ულვაში.

**კოკოლა** *კოკოლას* კონუსისებურად ამაღლებული გროვა. *ქვიშის კოკოლა. მინის კოკოლა.*

**კოკორი** *კოკრის* I. საყვავილე კვირტი, გაუშლელი ყვავილი. *ვარდის კოკრები.* 2. ცომეულის (მჭადის, პურის) პატარა კვერი. *კოკრები დააცხო.*

**კოკროჭინა** *კოკროჭინას* საუბრ. პატარა და კოხტა. *კოკროჭინა კოლოფი. კოკროჭინა სახე.*

**კოლბა** *კოლბის* მაღალყელიანი და ფართომუცლიანი მინის ჭურჭელი, გამოიყენება ლაბორატორიებში. *კოლბები შეიძინეს.*


კოლბა

**კოლბოხი** *კოლბოხის* მინის გამომშრალი, გამაგრებული გუნდა. *ფეხი კოლბოხს წამოჰკრა.*

**კოლეგა** *კოლეგის* პირი თავისი სპეციალობის, პროფესიის სხვა პირების ან თანამშრომლებისთვის. *უცხოელი კოლეგა.*

**კოლეგია** *კოლეგიის* I. თანამდებობის პირთა ჯგუფი, რომელიც ქმნის ადმინისტრაციულ, სათათბირო ან განმკარგულებელ ორგანოს. *მინისტრთა კოლეგია.* 2. ზოგი პროფესიის ადამიანთა გაერთიანება. *სარედაქციო კოლეგია.*

**კოლეგიალობა** *კოლეგიალობის* იგივეა, რაც კოლეგიურობა.

**კოლეგიური** *კოლეგიურის* სხვებთან შეთანხმებული, ამხანაგური. *კოლეგიური დამოკიდებულება.*

**კოლეგიურობა** *კოლეგიურობის* ურთიერთშეთანხმებულად მუშაობა, საქმიანობა. *კოლეგიურობა ახასიათებს.*

**კოლექტივი** *კოლექტივის* საერთო საქმიანობით, ინტერესებით, მიზნებით დაკავშირებული ადამიანების ჯგუფი. *სკოლის კოლექტივი. კოლექტივის წევრი.*

**კოლექტიური** *კოლექტიურის* ერთობლივი. *ტექსტზე კოლექტიურად მუშაობდნენ. კოლექტიური გადაწყვეტილება.*

**კოლექტორი** *კოლექტორის* I. სპეციალური დაწესებულება ან მოწყობილობა, რომელიც რაიმეს თავს უყრის და შემდგომ ანაწილებს. *საბიბლიოთეკო კოლექტორი.* 2. დიდი მინისქვეშა გვირაბი მილებისა და კაბელების ჩასაწყობად. *წყალსადენის კოლექტორი. საკაბელო კოლექტორი. თბოგაყვანილობის კოლექტორი.*

**კოლექცია** *კოლექციის* გარკვეული ნიშნით შეგროვებული და ერთად თავმოყრილი ერთგვარი საგნები. *მონეტების კოლექცია.*

**კოლექციონერი** *კოლექციონერის* პირი, რომელიც რაიმეს კოლექციას აგროვებს. *ნახატების კოლექციონერი.*

**კოლექციონერობა** *კოლექციონერობის* კოლექციონერის საქმიანობა. *კოლექციონერობა დაიწყო.*

**კოლეჯი** *კოლეჯის* გარკვეული პროფილის საშუალო პროფესიული სასწავლებელი. *კოლეჯის მოსწავლე. სამედიცინო კოლეჯი.*

**კოლიზია** *კოლიზიის* 1. წიგნ. საპირისპირო შეხედულებათა, მისწრაფებათა, ინტერესთა შეჯახება. *ცხოვრებისეული კოლიზიები.* 2. ლიტ. ცხოვრებისეული კონფლიქტებისა და ბრძოლის ასახვა მხატვრულ ლიტერატურაში.

**კოლიო** *კოლიოს* იგივეა, რაც წანდილი. *კოლიო მოამზადა.*

**კოლიტი** *კოლიტის* მედიც. მსხვილი ნაწლავის ანთებითი დაავადება. *კოლიტი აწუხებს.*

**კოლოკვიუმი** *კოლოკვიუმი* 1. წერითი ან ზეპირი გამოკითხვა ამა თუ იმ საგანში სტუდენტების ცოდნის შესამოწმებლად. *მათემატიკის კოლოკვიუმი. კოლოკვიუმის ნიშანი.* 2. სამეცნიერო შეკრება, რომელზეც ისმენენ და განიხილავენ მოხსენებებს გარკვეულ თემაზე. *ქიმიკოსების კოლოკვიუმი.* შეცდომაა კოლოქვიუმი.

**კოლონა** *კოლონის* 1. ერთმანეთის მიყოლებით მიმავალი ადამიანების ან ავტომანქანების სიმრავლე, რიგი. *სატვირთო მანქანების კოლონა. დემონსტრანტების კოლონა.* 2. სვეტების რიგი, რომელსაც შენობის ჭერი ან თაღები ეყრდნობა.

**კოლონადა** *კოლონადის* ერთი გადახურვის ქვეშ მოქცეული ნაგებობების ერთობლიობა, რიგი.

**კოლონია** *კოლონიის* 1. სხვა ქვეყნის მიერ დაპყრობილი ტერიტორია, ქვეყანა ან მხარე. *საფრანგეთის კოლონიები. აფრიკული კოლონიები.* 2. დაპყრობილ ტერიტორიაზე დამპყრობელი ხალხის დასახლებები ძველად. *საბერძნეთის კოლონიები.* 3. ადგილი, სადაც პატიმრები იძულებითი შრომით იხდიან სასჯელს. *შრომა-გასწორებითი კოლონია.* ■ **კოლონიური** კოლონიასთან დაკავშირებული, კოლონიისთვის დამახასიათებელი. *კოლონიური ჩაგვრა.*

**კოლონიალიზმი** *კოლონიალიზმის* ერთი სახელმწიფოს მიერ სხვა ქვეყნების კოლონიური ჩაგვრის პოლიტიკა.

**კოლონიზატორი** *კოლონიზატორის* პირი ან ქვეყანა, რომელიც კოლონიზაციას ახდენს. *ევროპელი კოლონიზატორები.* ■ **კოლონიზატორული** კოლონიზატორებისთვის დამახასიათებელი. *კოლონიზატორული პოლიტიკა.*

**კოლონიზაცია** *კოლონიზაციის* 1. ქვეყნის დაპყრობა და მისი გადაქცევა კოლონიად (1). 2. კოლონისტებით დასახლება.

**კოლონისტი** *კოლონისტის* კოლონიის (2) მცხოვრები.

**კოლორიტი** *კოლორიტის* 1. ფერების შეხამება, რომელიც ნახატის მთლიანობას ქმნის. *ნათელი კოლორიტი.* 2. გადატ. ეპოქის, რეგიონის, ქვეყნის, ადამიანების თვისებათა ერთობლიობა. *აღმოსავლური კოლორიტი.*

**კოლორიტული** *კოლორიტულის* 1. კოლორიტის მქონე. 2. გამორჩეული, ორიგინალური. *კოლორიტული ფიგურა. კოლორიტული სახე.*

**კოლოსალური** *კოლოსალურის* წიგნ. ძალიან დიდი, უზარმაზარი. *კოლოსალური სასახლე. წარმოდგენას კოლოსალური წარმატება ჰქონდა.*

**კოლოფი** *კოლოფის* სხვადასხვა მასალისგან დამზადებული პატარა ყუთი. *სიგარეტის კოლოფი. ასანთის კოლოფი.*

კოლოფი



**კოლტი**[1] *კოლტის* ღორების ფარა.

**კოლტი**[2] *კოლტის* შედედებული სისხლის გროვა. *მსხვილი კოლტი.*

**კოლტ-კოლტი** *კოლტ-კოლტის* კოლტებად შეკრული, შედედებული, შესქელებული სისხლი, რძე და მისთ. *კოლტ-კოლტი რძე გადმოიღვარა.*

**კომბაინერი** *კომბაინერის* კომბაინის მემანქანე. *კომბაინერები და ტრაქტორისტები. კომბაინერები დაიქირავეს.*

**კომბაინი** *კომბაინის* რთული აგებულების მანქანა, მექანიზმების ერთობლიობა, რომელიც ერთდროულად რამდენიმე სხვადასხვა სახის სამუშაოს ასრულებს.

**კომბალი** *კომბლის* დიდი მრგვალთავიანი ჯოხი, იყენებენ პირუტყვის გასადენად, ხელჩართულ ბრძოლაში იარაღად. *მხარზე გადებული კომბალი.* ■ **კომბლიანი** ვისაც კომბალი აქვს. *კომბლიანი მეცხვარე.*

**კომბინატი** *კომბინატის* სხვადასხვა მონათესაეე დარგის წვრილ საწარმოთა გაერთიანება. *საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატი.*

**კომბინაცია** *კომბინაციის* 1. რაიმეს ურთიერთგანლაგება, შეხამება. *ციფრების კომბინაცია. ფერების კომბინაცია.* 2. ზოგიერთ სპორტულ თამაშში საერთო ჩანაფიქრით გაერთიანებული სხვადასხვა ილეთი, რომელთა მიზანია უპირატესობის მოპოვება და გამარჯვება. *საჭადრაკო კომბინაცია.* ■ **კომბინაციური** კომბინაციისთვის დამახასიათებელი, კომბინაციის შემცველი. *კომბინაციური თამაში.*

კომბინეზონი

**კომბინეზონი** *კომბინეზონის* გარკ-

ვეულ პირობებში ჩასაცმელი ერთიანი სამოსი, რომელიც შედგება შარვლისა და ზედა ნაწილისგან. *ტრაქტორისტის კომბინე ზონი.* შეცდომაა კომბინიზონი.

**კომბინირებული** *კომბინირებულის* კომბინაციის (1) შედეგად მიღებული. *კომბინირებული საკვები.*

**კომბოსტო** *კომბოსტოს* ერთ-, ორ- ან მრავალწლოვანი ბოსტნეული, რომელიც თავს იხვევს. *კომბოსტოს მწნილი.*

კომბოსტო

**კომედია** *კომედიის* იუმორისტული დრამატული ნაწარმოები. *შექსპირის კომედია.*

**კომედიანტი** *კომედიანტის* ძვ. იგივეა, რაც კომიკოსი. *მოხეტიალე კომედიანტები.*

**კომედიოგრაფი** *კომედიოგრაფის* დრამატურგი, რომელიც კომედიებს წერს. *ქართველი კომედიოგრაფი.*

**კომენდანტი** *კომენდანტის* 1. სამხედრო პირი, რომელსაც ევალება ქალაქის სამხედრო ნაწილში, რკინიგზის სადგურსა ან ნავსადგურში სამხედრო მოსამსახურეების დისციპლინაზე, საქმიანობაზე თვალყურის დევნება. *ქალაქის კომენდანტი. სადგურის კომენდანტი.* 2. დაწესებულების ან საცხოვრებლის მეთვალყურე. *საერთო საცხოვრებლის კომენდანტი.* ◎ კომენდანტის საათი დროის მონაკვეთი, როდესაც მოსახლეობის გადაადგილება იკრძალება ადმინისტრაციული წესით, ინიშნება საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების შემთხვევაში. შეცდომაა კომენდატი.

**კომენტარი** *კომენტარის* შენიშვნა ან რაიმეს განსამარტავად გამოთქმული აზრი. *ოფიციალური კომენტარი. რედაქტორის კომენტარი.* ◎ კომენტარი ზედმეტია ამბობენ, როდესაც ყველაფერი გასაგებია და დამატებითი ახსნა-განმარტება საჭირო არ არის.

**კომენტატორი** *კომენტატორის* პირი, რომელიც რაიმეს (თხზულებას, გადაცემას, მატჩსა და მისთ.) კომენტარს უკეთებს. *ბიბლიის კომენტატორები. ფეხბურთის მატჩის კომენტატორი.*

**კომენტატორობა** *კომენტატორობის* კომენტატორად ყოფნა, კომენტატორის საქმიანობა. *კომენტატორობა გადაწყვიტა.*

**კომერსანტი** *კომერსანტის* პირი, რომელიც კომერციულ საქმიანობას ეწევა. *უცხოელი კომერსანტები.*

**კომერცია** *კომერციის* ვაჭრობა, სავაჭრო ოპერაციები. *კომერციას მიჰყო ხელი.* ■ **კომერციული** კომერციასთან დაკავშირებული. *კომერციული გადასახადი.*

**კომეტა** *კომეტის* ციური სხეული, რომელსაც კუდივით მიჰყვება ნისლისმაგვარი ნათება. *კაშკაშა კომეტა.*

**კომიკოსი** *კომიკოსის* კომიკური როლების შემსრულებელი, მსახიობი. *ცნობილი კომიკოსი.*

**კომიკური** *კომიკურის* სასაცილო, სიცილის გამომწვევი. *კომიკური მდგომარეობა. კომიკური შესახედაობა.*

**კომისარი** *კომისრის* თანამდებობის პირი, რომელსაც მთავრობისგან მინიჭებული აქვს განსაზღვრული ადმინისტრაციული და მისთ. უფლებები. *სამხედრო კომისარი.*

**კომისარიატი** *კომისარიატის* სახელმწიფო თუ ადმინისტრაციული დაწესებულების სახელწოდება, რომელსაც ხელმძღვანელობს კომისარი. *სამხედრო კომისარიატი.*

**კომისია** *კომისიის* ადამიანთა ჯგუფი, რომელიც სპეციალურადაა შექმნილი გარკვეული დავალების შესასრულებლად. *საარჩევნო კომისია. საგამოცდო კომისია.*

**კომიტეტი** *კომიტეტის* არჩევითი ორგანო, რომელიც ხელმძღვანელობს რაიმე საზოგადოებრივი ორგანიზაციის საქმიანობას. *მშობელთა კომიტეტი. პარტიული კომიტეტი.*

**კომიქსი** *კომიქსის* მსუბუქი, ჩვეულებრივ, სათავგადასავლო შინაარსის მქონე პატარა, ილუსტრირებული წიგნი ან ნახატების სერია.

**კომლი** *კომლის* სოფლად მცხოვრები ოჯახი. *ხუთი კომლი.*

**კომლობრივი** *კომლობრივის* რაც ყოველ კომლზეა დაკისრებული. *კომლობრივი გადასახადი.*

**კომპანია** *კომპანიის* 1. ბიზნესმენთა, მეწარმეთა სავაჭრო ან სამრეწველო გაერთიანება. *სამშენებლო კომპანია.* 2. საუბრ. ჯგუფი ადამიანებისა, რომლებიც ერთად ატარებენ დროს. *მხიარული კომპანია.* პარონიმი კამპანია.

**კომპანიონი** *კომპანიონის* 1. კომპანიის (1) თანამფლობელი. *ფირმის კომპანიონები.* 2. კომპანიის (2), რაიმე საქმის თანამონაწილე. *ზღვაზე კომპანიონი სჭირდება.* შეცდომაა კამპანიონი.

**კომპასი** *კომპასის* ჰორიზონტის მხარეთა მაჩვენებელი ხელსაწყო. *კომპასით ორიენტირება. კომპასის ისარი.*

**კომპაქტდისკი** *კომპაქტდისკის* ტექსტური, გრაფიკული ან სხვა სახის ინფორმაციის ჩასაწერი თხელი დისკი.

**კომპაქტური** *კომპაქტურის* მჭიდრო, შეკუმშული, რასაც ცოტა ადგილი უჭირავს. *კომპაქტური მასა. კომპაქტური შრიფტი.*

**კომპენსაცია** *კომპენსაციის* 1. იგივეა, რაც კომპენსირება. *ფულადი კომპენსაცია.* 2. სისტემატურად ვინმეს ფულადი უზრუნველყოფა წინასწარ განსაზღვრული წესით. *კომპენსაცია მიიღო.* 3. ორგანიზმის დარღვეული ფუნქციის აღდგენა. *სისხლის მიმოქცევის კომპენსაცია.*

**კომპენსირება** *კომპენსირების* ზარალის ანაზღაურება. *თანხის კომპენსირება.*

**კომპეტენტური** *კომპეტენტურის* 1. საფუძვლიანი ცოდნის მქონე რომელიმე დარგში. *კომპეტენტური სპეციალისტი.* 2. ავტორიტეტული, ღრმა ცოდნაზე დამყარებული. *კომპეტენტური აზრი. კომპეტენტური მსჯელობა.* 3. კომპეტენციის (2) მქონე. *კომპეტენტური ორგანიზაცია. კომპეტენტური კომისია.* შეცდომაა კომპენტენტური.

**კომპეტენცია** *კომპეტენციის* 1. საკითხთა წყება, რომელთა სიღმისეული ცოდნა მოეპოვება ვინმეს. *სათანადო კომპეტენცია.* 2. სფერო, რომელშიც უფლებამოსილია რაიმე დაწესებულება ან თანამდებობის პირი. *ჩემს კომპეტენციას სცილდება.* შეცდომაა კომპენტენცია.

**კომპილაცია** *კომპილაციის* 1. ნაშრომის შექმნა მხოლოდ სხვადასხვა ავტორისგან ნასესხები მონაცემებით მასალის დამოუკიდებელი კვლევისა და საკუთარი დასკვნების გარეშე. 2. ასეთი მეთოდით შექმნილი ნაშრომი.

**კომპიუტერი** *კომპიუტერის* ელექტრონული მანქანა, რომელსაც შეუძლია სხვადასხვა სახის დიდი ინფორმაციის, მონაცემების დამახსოვრება, მათი სწრაფი მოძებნა გარკვეული სისტემით და ეკრანზე ჩვენება. *პერსონალური კომპიუტერი. კომპიუტერის პროგრამა.* ■ **კომპიუტერული** კომპიუტერთან დაკავშირებული, კომპიუტერით შესრულებული. *კომპიუტერული გრაფიკა. კომპიუტერული თამაშები.* ⊙ **კომპიუტერული ქსელი** ერთმანეთთან დაკავშირებული კომპიუტერების ერთობლიობა.

**კომპლექსი** *კომპლექსის* საგნების, მოვლენების, თვისებების ერთობლიობა, რომელიც გარკვეულ მთლიანობას ქმნის. *შენობების კომპლექსი.*

**კომპლექსური** *კომპლექსურის* მთლიანი, ერთიანი, რაც კომპლექსს ქმნის. *კომპლექსური მოქმედება.*

**კომპლექტი** *კომპლექტის* გარკვეული დანიშნულების საგანთა ერთობლიობა, შემადგენლობა. *სრული კომპლექტი. ჭიქების კომპლექტი.*

**კომპლექცია** *კომპლექციის* სხეულის აგებულება, მოყვანილობა. *სპორტული კომპლექცია.*

**კომპლიმენტი** *კომპლიმენტის* ვინმეს მიმართ გამოთქმული მონონების გამომხატველი სიტყვა, შექება, ჩვეულებრივ, მისი გულის მოგების მიზნით. *კომპლიმენტი უთხრა. კომპლიმენტებით გააბრუა.*

**კომპოზიტი** *კომპოზიტის* სიტყვა, რომელიც შედგება ერთზე მეტი ფუძისგან.

**კომპოზიტორი** *კომპოზიტორის* მუსიკალური ნაწარმოებების ავტორი. *თანამედროვე კომპოზიტორი. ფილმის კომპოზიტორი.*

**კომპოზიტორობა** *კომპოზიტორობის* კომპოზიტორად ყოფნა, კომპოზიტორის მოღვაწეობა.

**კომპოზიცია** *კომპოზიციის* 1. ხელოვნების ნაწარმოების (რომანის, ნახატისა და მისთ.) აგებულება. *სპექტაკლის კომპოზიცია.* 2. მუსიკალურ ნაწარმოებთა შეთხზვის თეორია.

**კომპოზიციური** *კომპოზიციურის* კომპოზიციასთან დაკავშირებული. *ნაწარმოების კომპოზიციური გადაწყვეტა.* ■ **კომპოზიციურად** ზმნზ. აგებულების მხრივ. *ნაწარმოები კომპოზიციურად გამართულია.*

**კომპონენტი** *კომპონენტის* რაიმეს შემადგენელი ნაწილი. *შენადნობის კომპონენტები. მნიშვნელოვანი კომპონენტი.*

**კომპოტი** *კომპოტის* სხვადასხვა ხილის დამტკბარი ნახარში, სადესერტო სასმელი. *ვაშლის კომპოტი. ატმის კომპოტი.*

**კომპრესი** *კომპრესის* სველი საფენი, რომელსაც სამკურნალო მიზნით ადებენ დაშავებულ ადგილზე. *არყის კომპრესი.*

**კომპრესორი** *კომპრესორის* ჰაერის ან სხვა აირის მაღალი წნევის პირობებში შესაკუმშავი და მიმწოდებელი მექანიზმი. *დგუშიანი კომპრესორი. კომპრესორის ძრავა.*

**კომპრომატი** *კომპრომატის* სამხილი, მასალები ვინმეს კომპრომეტირებისთვის. *საეჭვო კომპრომატი.*

**კომპრომეტაცია** *კომპრომეტაციის* იგივეა, რაც კომპრომეტირება. *მისი კომპრომეტაცია ვერ შეძლო.* შეცდომაა კომპრომენტაცია.

**კომპრომეტირება** *კომპრომეტირების* წიგნ. ვინმესთვის სახელის გატეხა. *მისი კომპრომეტირება სურდათ.* ■ **კომპრომეტირებული** ვისი კომპრომეტირებაც მოხდა. *საზოგადოების თვალში კომპრომეტირებული იყო.* შეცდომაა კომპრომენტირება.

**კომპრომისი** *კომპრომისის* დათმობა შეთანხმების მიღწევის მიზნით. *მხარეები კომპრომისზე წავიდნენ.*

**კომპრომისული** *კომპრომისულის* კომპრომისის შედეგად მიღწეული. *კომპრომისული შეთანხმება. კომპრომისული გადაწყვეტილება.*

**კომუნალური** *კომუნალურის* ქალაქის მეურნეობასთან დაკავშირებული. *კომუნალური მშენებლობა. კომუნალური ბინა.*

**კომუნიზმი** *კომუნიზმის* 1. საზოგადოებრივ-ეკონომიკური წყობილება, რომელიც დაფუძნებულია წარმოების საშუალებათა საზოგადოებრივ საკუთრებაზე. *კომუნიზმის ეპოქა.* 2. პოლიტიკური იდეოლოგია ან ფილოსოფიური მიმდინარეობა, რომელიც მხარს უჭერს ასეთ საზოგადოებრივ წყობას.

**კომუნიკაბელური** *კომუნიკაბელურის* ვისაც

სხვასთან ურთიერთობის დამყარება ემარჯვება. *კომუნიკაბელური კაცი.*

**კომუნიკაცია** *კომუნიკაციის* (ძირითადად მრ.) 1. ადამიანთა შორის ინფორმაციის, იდეების, დამოკიდებულებების ურთიერთგაცვლა სიტყვიერად ან სიმბოლოთა მეშვეობით. *ეფექტური კომუნიკაცია.* 2. ერთი ადგილის მეორესთან დამაკავშირებელი გზა ან კავშირგაბმულობის საშუალება. *ქალაქის კომუნიკაციები. მიწისქვეშა კომუნიკაციები.*

**კომუნიკე** *კომუნიკეს* ოფიციალური ცნობა საერთაშორისო მოლაპარაკების მიმდინარეობისა და შედეგების შესახებ. *კომუნიკე გამოქვეყნდა.*

**კომუნისტი** *კომუნისტის* კომუნიზმის (2) მიმდევარი, კომუნისტური პარტიის წევრი.

**კომუნისტური** *კომუნისტურის* კომუნიზმისთვის დამახასიათებელი, კომუნიზმთან დაკავშირებული, ამ იდეოლოგიის მიმდევარი. *კომუნისტური წყობილება. კომუნისტური პარტია.*

**კომუტატორი** *კომუტატორის* კავშირგაბმულობაში სატელეფონო ხაზების ხელით შესაერთებელი, ინფორმაციის დისტანციურად გადამცემი მოწყობილობა. *სასტუმროებში კომუტატორია ჩართული.*

**კომუტაცია** *კომუტაციის* ცვალებადი ელექტროდენის მუდმივ დენად გარდაქმნა. ■ **კომუტაციური** კომუტაციისთვის განკუთვნილი. *კომუტაციური ხელსაწყო.*

**კომფორტაბელური** *კომფორტაბელურის* იგივეა, რაც კომფორტული. *კომფორტაბელური ბინა.*

**კომფორტი** *კომფორტის* კეთილმოწყობილი საყოფაცხოვრებო პირობების ერთობლიობა. *კომფორტი შეუქმნა.*

**კომფორტული** *კომფორტულის* კეთილმოწყობილი. *კომფორტული სახლი. კომფორტული მანქანა.*

**კომში** *კომშის* 1. მრგვალი ან ოვალური ფორმის, ყვითელი, სურნელოვანი, მოტკბო-მომჟავო გემოს მქონე ხილი. *კომშის მურაბა.* 2. საშუალო სიმაღლის ხე ან ბუჩქი, რომელიც ისხამს კომშს (1), აქვს ქვევიდან ბუსუსებიანი მთლიანი ფოთლები და მკრთალი ვარდისფერი ყვავილები.

კომში

**კონა** *კონის* თივის, ფიჩხის, მწვანილისა და მისთ. შეკვრა. *ერთი კონა ქინძი.*

**კონგენიალური** *კონგენიალურის* აზროვნებით, ნიჭიერებით რაიმესთან ძალზე ახლოს მყოფი. *კონგენიალური თარგმანი.*

**კონგლომერატი** *კონგლომერატის* 1. რაიმეს მექანიური, შემთხვევითი, უწესრიგო ნაერთი. *იდეების კონგლომერატი, ხალხების კონგლომერატი.* 2. ნაღექი ქანი, რომელიც შედგება სხვადასხვა სახის ნამსხვრევების, კენჭებისა და ქვებისგან.

**კონგრესი** *კონგრესის* 1. საერთაშორისო დონის შეხვედრა, თათბირი, ყრილობა. *მედიკოსთა კონგრესი. მეცნიერთა კონგრესი.* 2. უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს, პარლამენტის სახელწოდება ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ლათინური ამერიკის ბევრ ქვეყანაში. *კონგრესმა ახალი კანონი მიიღო.*

**კონგრესმენი** *კონგრესმენის* კონგრესის (2) წევრი. *კონგრესმენთა ვიზიტი.*

**კონდახი** *კონდახის* თოფის ნაწილი, რომელსაც სროლისას მხარზე იბჯენენ. ამზადებენ მოგრძო, გათლილი ხისგან. *კონდახი ჩაარტყა.* ■ **კონდახიანი** რასაც კონდახი აქვს. *კონდახიანი დამბაჩა.*

**კონდენსატორი** *კონდენსატორის* 1. მოწყობილობა, რომელშიც ორთქლი ცივდება და წყლად იქცევა. *მაცივრის კონდენსატორი.* 2. მანქანებში ელექტრობის დამგროვებელი მოწყობილობა. *მანქანის ძრავას კონდენსატორი. კონდენსატორის ზეთი.* შეცდომაა კონდესატორი.

**კონდენსაცია** *კონდენსაციის* 1. იგივეა, რაც კონდენსირება (1). 2. იგივეა, რაც კონდენსირება (2)

**კონდენსირება** *კონდენსირების* 1. დაგროვება, შეგროვება. *ენერგიის კონდენსირება.* 2. ნივთიერების გადაყვანა გაზისებურიდან თხევად მდგომარეობაში. *ორთქლის კონდენსირება.*

**კონდიტერი** *კონდიტერის* სპეციალისტი, რომელიც ტკბილეულს ამზადებს. *კონდიტერთა ნაწარმის გამოფენა.*

**კონდიციონერი** *კონდიციონერის* აპარატი ჰაერის კონდიცირებისთვის.

**კონდიცირება** *კონდიცირების* ხელსაყრელი კლიმატური პირობების (ჰაერის ნორმალური ტემპერატურის, ტენიანობისა და წნევის) შექმნა დახურულ სადგომებში. *ჰაერის კონდიცირება.*

**კონვეიერი** *კონვეიერის* მოძრავი მექანიზმი ფაბრიკებსა და ქარხნებში, რომელსაც დასამუშავებელი მასალა, ტვირთი უწყვეტად გადააქვს ერთი ადგილიდან მეორეზე. *ქარხნის კონვეიერი.* შეცდომაა კონვეირი.

**კონვენცია** *კონვენციის* სახელმწიფოთა შორის რაიმე მნიშვნელოვან საკითხზე დადებული ხელშეკრულება. *უსაფრთხოების კონვენცია.*

**კონვერტი** *კონვერტის* ქაღალდის ოთხკუთხა პარკი, რომელიც განკუთვნილია წერილის, ბარათის, დოკუმენტისა და მისთ. ჩასადებად. *ფერადი კონვერტი. კონვერტს მარკა დააკრა.*

**კონვერტირება** *კონვერტირების* ამა თუ იმ ქვეყნის ვალუტის გადაცვლა სხვა ქვეყნის ვალუტაზე.

**კონიაკი** *კონიაკის* ალკოჰოლიანი არომატული სასმელი, რომელიც მზადდება ღვინის სპირტისგან. *კონიაკის ქარხანა.*

**კონიუნქტურა** *კონიუნქტურის* საზოგადოებრივი ცხოვრების რომელიმე სფეროში შექმნილი ვითარება, მდგომარეობა, რომელსაც შეუძლია გავლენა იქონიოს ამა თუ იმ პროცესის მიმდინარეობაზე. *საკანონმდებლო კონიუნქტურა.* ■ **კონიუნქტურული** კონიუნქტურასთან დაკავშირებული. *კონიუნქტურული გადაწყვეტილება.*

**კონკი** *კონკის* (ძირითადად მრ.) ძველი, გაცვეთილი, დახეულ-დაკერებული ტანსაცმელი. *კონკების გარდა არაფერი გააჩნდა.*

**კონკრეტული** *კონკრეტულის* რეალურად არსებული, ზუსტი, თვალსაჩინო, ხელშესახები. *კონკრეტული ამოცანები. კონკრეტული მაგალითი.*

**კონკურენტი** *კონკურენტის* პირი, რომელიც კონკურენციას უწევს ვინმეს. *ჩემი კონკურენტი.*

**კონკურენტული** *კონკურენტულის* კონკურენციის შემცველი, კონკურენციისთვის დამახასიათებელი. *კონკურენტული გარემო.*

**კონკურენცია** *კონკურენციის* ბრძოლა უპირატესობის მოსაპოვებლად რაიმე ასპარეზზე. *მძაფრი კონკურენცია. კონკურენციას უწევს.*

**კონკურსანტი** *კონკურსანტის* კონკურსის მონაწილე. *კონკურსანტების გამოსვლა.*

**კონკურსი** *კონკურსის* შეჯიბრება, რომელიც ტარდება საუკეთესო მონაწილეების ან საუკეთესო ნამუშევრების გამოვლენის მიზნით. *ლიტერატურული კონკურსი.*

**კონსენსუსი** *კონსენსუსის* ნიგნ. შეთანხმება, თანხმობა. *შეცდომაა კონსესუსი.*

**კონსერვატიზმი** *კონსერვატიზმის* ტრადიციულის, ძველის დაცვა.

**კონსერვატიული** *კონსერვატიულის* ძველის, ტრადიციულის დამცველი. *კონსერვატიული შეხედულებანი.*

**კონსერვატორი** *კონსერვატორის* კონსერვატიული შეხედულებების ადამიანი. *ამ საკითხში ნამდვილი კონსერვატორი იყო.*

**კონსერვატორია** *კონსერვატორიის* უმაღლესი სამუსიკო სასწავლებელი. *თბილისის კონსერვატორია. კონსერვატორიის სტუდენტი.*

**კონსერვაცია** *კონსერვაციის* 1. გაფუჭებისგან დაცვა სპეციალური დამუშავებით, საგანგებო პირობების შექმნით. *არქეოლოგიური ექსპონატების კონსერვაცია.* 2. მოქმედების, რაიმეს განვითარების დროებით შეჩერება. *მშენებლობის კონსერვაცია. შახტის კონსერვაცია.*

**კონსერვი** *კონსერვის* ხანგრძლივი შენახვისთვის საგანგებოდ დამუშავებული საკვები პროდუქტი (ხორცი, თევზეული, ბოსტნეული და მისთ.), რომელიც მოთავსებულია ჰერმეტულად დახურულ ჭურჭელში. *ლობიოს კონსერვი.*

**კონსილიუმი** *კონსილიუმის* სპეციალურად მოწვეული ექიმების შეკრება მძიმე ან გაურკვეველი დაავადების დადგენისა და მკურნალობის გზების დასახვის მიზნით. *კონსილიუმი მოიწვიეს.*

**კონსისტენცია** *კონსისტენციის* ბლანტი სითხეებისა და ფაფისებურ ნივთიერებათა (მალამოების, პასტებისა და მისთ.) სისქის, სიმკვრივის ხარისხი. *ნახევრად თხევადი კონსისტენცია.*

**კონსოლიდაცია** *კონსოლიდაციის* ადამიანების, ორგანიზაციების ან ქვეყნების გაერთიანება, მჭიდროდ შეკავშირება. *სა ზოგადოების კონსოლიდაცია.*

**კონსოლიდირებული** *კონსოლიდირებულის* გაერთიანებული, გამთლიანებული, შეკრული. *კონსოლიდირებული ძალები.*

**კონსორციუმი** *კონსორციუმის* რამდენიმე მსხვილი ბანკის ან კომპანიის დროებითი გაერთიანება გარკვეული ფინანსური ოპერაციის ჩატარების მიზნით. *კონსორციუმი შეიქმნა.*

**კონსპექტი** *კონსპექტის* ამა თუ იმ ტექსტის ან ზეპირი საუბრის მოკლე ჩანაწერი, მოკლედ გადმოცემული შინაარსი. *ლექციის კონსპექტი.*

**კონსპირაცია** *კონსპირაციის* სისტემა, რომელსაც იყენებს არალეგალური ორგანიზაცია თავისი საქმიანობის გასაიდუმლოების მიზნით. *კონსპირაციის სრული დაცვით.* ■ **კონსპირაციული** კონსპირაციისთვის დამახასიათებელი, კონსპირაციასთან დაკავშირებული. *კონსპირაციული კრება. კონსპირაციული ბინა.*

**კონსტატაცია** *კონსტატაციის* რაიმეს დადგენა, რაიმეს არსებობის დადასტურება. *ფაქტის კონსტატაცია.*

**კონსტიტუცია** *კონსტიტუციის* სახელმწიფოს ძირითადი კანონი. *საქართველოს კონსტიტუცია.* ■ **კონსტიტუციური** კონსტიტუციასთან დაკავშირებული, კონსტიტუციით განსაზღვრული. *კონსტიტუციური წყობილება. კონსტიტუციური უფლება.*

**კონსტრუირება** *კონსტრუირების* კონსტრუქციის შექმნა, აგება. *მანქანის კონსტრუირება. რადიომიმღების კონსტრუირება.*

**კონსტრუქტორი** *კონსტრუქტორის* 1. სპეციალისტი, რომელიც ახალ კონსტრუქციებს ქმნის. *თვითმფრინავების კონსტრუქტორი. ორთქლმავლების კონსტრუქტორი.* 2. სათამაშო, სხვადასხვა კონსტრუქციის ასაწყობი დეტალების კომპლექტი. *ბიჭს ახალი კონსტრუქტორი უყიდეს.*

**კონსტრუქტორობა** *კონსტრუქტორობის* კონსტრუქტორის საქმიანობა. *კონსტრუქტორობაზე ოცნებობს.*

**კონსტრუქცია** *კონსტრუქციის* 1. ამა თუ იმ ნაგებობის, მანქანის, მექანიზმის აგებულება, შემადგენელ ნაწილთა ურთიერთგანლაგება. *შენობის კონსტრუქცია. მანქანის კონსტრუქცია.* 2. ნაგე-

ბობა ან მისი შემადგენელი ცალკეული ნაწილი. *რკინის კონსტრუქცია.*

**კონსტრუქციული** *კონსტრუქციულის* 1. კონსტრუქციის მიხედვით შექმნილი, აგებული, აშენებული. *კონსტრუქციული მხარე.* 2. აზრიანი, შედეგის მომტანი. *კონსტრუქციული მსჯელობა. კონსტრუქციული დიალოგი.*

**კონსული** *კონსულის* თანამდებობის პირი, რომელიც ნარგზავნილია სხვა ქვეყანაში, სადაც თავისი სახელმწიფოსა და მოქალაქეების ინტერესებს იცავს. *კონსულად დაინიშნა.*

**კონსულტანტი** *კონსულტანტის* სპეციალისტი, რომელიც კონსულტაციას უწევს ვინმეს. *კონსულტანტის რჩევა.*

**კონსულტანტობა** *კონსულტანტობის* კონსულტანტად ყოფნა, კონსულტანტის საქმიანობა. *კონსულტანტობა შესთავაზეს.*

**კონსულტაცია** *კონსულტაციის* 1. რჩევა-დარიგება, რომელსაც სპეციალისტი იძლევა. *კონსულტაცია გაუწია.* 2. დაწესებულება, სადაც სათანადო სპეციალისტები რჩევა-დარიგებას იძლევიან. *ქალთა კონსულტაცია. იურიდიული კონსულტაცია.*

**კონტაქტი** *კონტაქტის* უშუალო კავშირი, ურთიერთობა. *ყოველდღიური კონტაქტი. საქმიანი კონტაქტი.*

**კონტაქტური** *კონტაქტურის* კონტაქტის, შეხების მქონე. *კონტაქტური ლინზა.*

**კონტეინერი** *კონტეინერის* სპეციალური ყუთი სხვადასხვა ზომის ტვირთის გადასატანად ხელით, სატვირთო მანქანით, გემით ან რკინიგზით. *გემი კონტეინერებით დატვირთეს.*

**კონტექსტი** *კონტექსტის* 1. ტექსტის შინაარსობრივად შეკრული მონაკვეთი, რომლის საერთო აზრი შესაძლებლობას იძლევა დაზუსტდეს მასში შემავალი სიტყვების, წინადადებებისა და მისთ. მნიშვნელობა. *კონტექსტს არ შეესაბამება. კონტექსტიდან ჩანს.* 2. გადატ. გარემო, ფონი, რომლის გათვალისწინებაც აუცილებელია ამა თუ იმ ფაქტის, მოვლენის ასახსნელად, უკეთ გასაგებად. *ისტორიული კონტექსტი.*

**კონტინგენტი** *კონტინგენტის* ადამიანთა ერთობლიობა, რომელიც წარმოადგენს გარკვეული თვალსაზრისით ერთგვაროვან ჯგუფს. *აბიტურიენტთა კონტინგენტი. მასწავლებელთა კონტინგენტი.* შეცდომაა კონტიგენტი.

**კონტინენტი** *კონტინენტის* ხმელეთის დიდი ნაწილი, რომელსაც ზღვები და ოკეანეები აკრავს. *აფრიკის კონტინენტი. კონტინენტის მოსახლეობა.*

**კონტინენტური** *კონტინენტურის* კონტინენტისთვის დამახასიათებელი. *კონტინენტური კლიმატი.*

**კონტრაბანდა** *კონტრაბანდის* 1. საქონლის (2) ფარულად, კანონმდებლობის დარღვევით გადატანა სახელმწიფო საზღვარზე. *სიგარეტის კონტრაბანდა.* 2. კონტრაბანდის (1) გზით გადატანილი საქონელი. *დაკავებული კონტრაბანდა.*

**კონტრაბანდისტი** *კონტრაბანდისტის* პირი, რომელსაც კონტრაბანდა (2) გადააქვს, ვინც კონტრაბანდით ვაჭრობს. *საზღვარზე კონტრაბანდისტები დააკავეს.*

**კონტრაბანდისტობა** *კონტრაბანდისტობის* კონტრაბანდისტის საქმიანობა. *კონტრაბანდისტობა დაიწყო.*

**კონტრაბანდული** *კონტრაბანდულის* კონტრაბანდის გზით შემოტანილი ან გატანილი საქონელი. *კონტრაბანდული ტვირთი.*

**კონტრაბასი** *კონტრაბასის* ყველაზე დიდი ზომისა და ყველაზე დაბალი ჟღერადობის ხემიანი, ჩვეულებრივ, ოთხსიმიანი საკრავი. *კონტრაბასის დამკვრელი.*

**კონტრალტო** *კონტრალტოს* ქალის ყველაზე დაბალი სასიმღერო ხმა.

**კონტრარგუმენტი** *კონტრარგუმენტი* მსჯელობისას რაიმე დებულების საწინააღმდეგო საბუთი, არგუმენტი. *დამაჯერებელი კონტრარგუმენტი.*

**კონტრასტი** *კონტრასტის* მკვეთრად გამოხატული განსხვავებულობა, დაპირისპირებულობა. *კონტრასტი შეიმჩნევა.* ■ **კონტრასტული** კონტრასტის თვისების მქონე. *კონტრასტული ფერები.*

**კონტრაქტი** *კონტრაქტის* იგივეა, რაც ხელშეკრულება. *გრძელვადიანი კონტრაქტი. კონტრაქტის პირობები.*

**კონტრდაზვერვა** *კონტრდაზვერვის* საგანგებო უწყება, რომლის მიზანია მოწინააღმდეგის დაზვერვასთან, დივერსიებთან ბრძოლა. *კონტრდაზვერვის ხელმძღვანელი.*

**კონტრდარტყმა** *კონტრდარტყმის* საპასუხო დარტყმა. *კონტრდარტყმა განხორციელდა.*

**კონტრიბუცია** *კონტრიბუციის* გადასახადი, რომელსაც ომის შემდეგ გამარჯვებული აკისრებს დამარცხებულს.

**კონტროლი** *კონტროლის* ზედამხედველობა შემოწმების მიზნით. *კონტროლი დააწესა.*

**კონტრრევოლუცია** *კონტრრევოლუციის* რევოლუციის შედეგად დამარცხებული ძალების ბრძოლა რევოლუციამდელი წესწყობილების აღსადგენად. ■ **კონტრრევოლუციური** კონტრრევოლუციასთან დაკავშირებული. *კონტრრევოლუციური ორგანიზაცია. კონტრრევოლუციური ამბოხება.*

**კონტრრევოლუციონერი** *კონტრრევოლუციონერის* კონტრრევოლუციის მონაწილე, მისი მომხრე. *კონტრრევოლუციონერთა ჯგუფი.*

**კონტრშეტევა** *კონტრშეტევის* შეტევა, რომელსაც აწარმოებს ომში თავდაცვის მდგომარეობაში მყოფი მხარე მოწინააღმდეგის საპასუხოდ. *კონტრშეტევა განხორციელდა.*

**კონტუზია** *კონტუზიის* მედიც. ორგანიზმის ტრავმული დაზიანება, უმეტესად ახასიათებს უნებლიე მოძრაობები. *კონტუზია მიიღო.*

**კონტური** *კონტურის* საგნის, სხეულის საერთო მოხაზულობა. *მკაფიო კონტური.*

**კონუსი** *კონუსის* გეომეტრიული სხეული წრის ფორმის ძირითა და თანაბრად დახრილი გვერდებით, რომლებიც წვეროს ერთ წერტილში იკვეთება.

**კონუსისებური** *კონუსისებურის* კონუსის ფორმის მქონე. *კონუსისებური ქუდი.*

**კონუსური** *კონუსურის* კონუსის მსგავსი. *კონუსური გადახურვა.*

**კონფედერაცია** *კონფედერაციის* I. საზოგადოებრივ ორგანიზაციათა გაერთიანება. *მსოფლიო კონფედერაცია.* 2. დამოუკიდებელ სახელმწიფოთა კავშირი. *ამერკავკასიის კონფედერაცია.* შეცდომაა კომფედერაცია.

**კონფერანსიე** *კონფერანსიეს* პირი, რომელსაც მიჰყავს საკონცერტო წარმოდგენა. *სცენაზე კონფერანსიე გამოვიდა.*

**კონფერენცია** *კონფერენციის* საზოგადოებრივ, სამეცნიერო ან სხვა ტიპის ორგანიზაციების წარმომადგენელთა შეკრება. *საერთაშორისო კონფერენცია. სამეცნიერო კონფერენცია.*

**კონფესია** *კონფესიის* რელიგიური მოძღვრება, აღმსარებლობა, ამ მოძღვრების მიმდევართა ერთობლიობა. *პროტესტანტული კონფესიები.*

**კონფეტი** *კონფეტის* ფერად-ფერადი ქაღალდის პატარა, მრგვალი ფირფიტები, რომლებსაც გასართობად აყრიან თავზე ერთმანეთს ბალებსა და მასკარადებზე.

**კონფიგურაცია** *კონფიგურაციის* საგნების ამა თუ იმ ფორმით განლაგება. *ლამაზი კონფიგურაცია. ფერადი ქვების კონფიგურაცია.* შეცდომაა კომფიგურაცია.

**კონფიდენციალური** *კონფიდენციალურის* ნიგნ. საიდუმლო, რაც არ უნდა გამჟღავნდეს. *კონფიდენციალური საუბარი.* შეცდომაა კომფიდენციალური.

**კონფისკაცია** *კონფისკაციის* პიროვნებისთვის ან ორგანიზაციისთვის ქონების ჩამორთმევა სახელმწიფოს სასარგებლოდ. *შენობის კონფისკაცია.* შეცდომაა კომფისკაცია.

**კონფლიქტი** *კონფლიქტის* საწინააღმდეგო ინტერესთა საფუძველზე წარმოშობილი სერიოზული უთანხმოება, განხეთქილება, დავა. *კონფლიქტის მიზეზები.* ■ **კონფლიქტური** კონფლიქტთან დაკავშირებული, კონფლიქტის შემცველი. *კონფლიქტური სიტუაცია.* შეცდომაა კომფლიქტი.

**კონფორმიზმი** *კონფორმიზმის* შემგუებლობა, გაბატონებული შეხედულებების მხარდაჭერა საკუთარი პოზიციის საწინააღმდეგოდ. *კონფორმიზმის წინააღმდეგ გაილაშქრა.* შეცდომაა კომფორმიზმი.

**კონფორმისტი** *კონფორმისტის* ვისაც კონფორმიზმი ახასიათებს. *კონორმისტები მომრავლდნენ.*

**კონფრონტაცია** *კონფრონტაციის* წინააღმდეგობა, დაპირისპირება, შეხლა-შემოხლა. *მათ შორის არსებული კონფრონტაცია.* ■ **კონფრონტაციული** კონფრონტაციის მქონე. *კონფრონტაციული დამოკიდებულება.* შეცდომაა კომფრონტაცია.

**კონცენტრატი** *კონცენტრატის* I. გამომშრალი მცენარეული და ცხოველური პროდუქტების შეზავებული ნარევი, რომლისგანაც სწრაფად და ადვილად მზადდება საჭმელი. *კონცენტრატებით იკვებებიან.* 2. საქონლისთვის განკუთვნილი მცენარეული და ცხოველური წარმოშობის კომბინირებული საკვები, რომელიც დიდი რაოდენობით შეიცავს ყუათიან ნივთიერებებს.

**კონცენტრაცია** *კონცენტრაციის* I. მოგროვება, თავმოყრა, ერთად დაჯგუფება. *ჯარების კონცენტრაცია. წარმოების კონცენტრაცია.* 2. ხსნარის გაჯერების ხარისხი. *მარილის კონცენტრაცია გაიზარდა.* ⊙ **ყურადღების კონცენტრაცია** ყურადღების გამახვილება.

**კონცერნი** *კონცერნის* სავაჭრო-სამრეწველო საწარმოთა მსხვილი გაერთიანება. *კონცერნის პრეზიდენტი.*

**კონცერტი** *კონცერტის* I. მუსიკალურ ნაწარმოებთა ან სხვა ნომრების საჯარო შესრულება. *საესტრადო კონცერტი. კონცერტს დაესწრო.* 2. დიდი მუსიკალური ნაწარმოები, რომელიც იქმნება ერთი საკრავისთვის და სრულდება ორკესტრთან ერთად. *საფორტეპიანო კონცერტი.*

**კონცერტმაისტერი** *კონცერტმაისტერის* I. შემსრულებელთა ჯგუფის ხელმძღვანელი სიმფონიურ ორკესტრში. 2. პიანისტი აკომპანიატორი.

**კონცეფცია** *კონცეფციის* რაიმეს შესახებ არსებული შეხედულებების სისტემური ერთობლიობა. *ნაშრომის კონცეფცია.*

**კონცხი** *კონცხის* I. ზღვაში შეჭრილი მიწის ნაწილი. *ნავი კონცხთან მიცურდა.* 2. კლდის ან მთის წამოშვერილი ნაწილი. *კონცხზე შედგა და გადაიხედა.*

**კონწიალი** *კონწიალის* (კონწიალობს, აკონწიალებს) საუბრ. ჩამოკიდებული საგნის მოძრაობა, ქანაობა. *საქანელას აკონწიალებენ. ჭერზე ობობა კონწიალობს.*

**კოოპერაცია** *კოოპერაციის* I. შრომის ორგანიზაციის თავისებური ფორმა, რომლის დროსაც ბევრი ადამიანი ერთად მონაწილეობს ერთსა და იმავე ან ერთმანეთთან დაკავშირებულ პროცესებში. 2. კოლექტიური საწარმოო, სავაჭრო და სხვა გაერთიანება, რომელიც იქმნება მისი წევრების სახსრებით. *საბინაო კოოპერაცია.*

*სამომხმარებლო კოოპერაცია.* ■ **კოოპერაციული** კოოპერაციასთან დაკავშირებული, კოოპერაციით შექმნილი. *კოოპერაციული მაღაზია.*

**კოორდინატი** *კოორდინატის* 1. სიდიდე, რომელიც განსაზღვრავს წერტილის მდებარეობას სიბრტყეზე ან სივრცეში. *ასტრონომიული კოორდინატი.* 2. (ძირითადად მრ.) ამა თუ იმ პირის ძირითადი მონაცემები (მისამართი, ტელეფონის ნომერი და მისთ.). *დირექტორის კოორდინატები.*

**კოორდინაცია** *კოორდინაციის* მოქმედების, საქმიანობის შეთანხმებულად წარმართვა. *სამეცნიერო სამუშაოების კოორდინაცია. ჯარის ნაწილების მოქმედების კოორდინაცია.*

**კოპი**[1] *კოპის* დარტყმის შედეგად ამობურცული ადგილი თავზე და შუბლზე. *კოპზე ცივი ტილო დაადო.* ⊙ **კოპებს შეკრავს შუბლს შეიჭმუხნის** გაბრაზების, წყენის ნიშნად.

**კოპი**[2] *კოპის* ტყავის წვრილი ნაჭერი, ქალამნების ამოსასხმელი.

**კოპიტი** *კოპიტის* იგივეა, რაც **იფანი**. *კოპიტის პარკეტი.*

**კოპტონი** *კოპტონის* ზეთოვანი მცენარეებისგან (მზესუმზირა, სიმინდი და მისთ.) ზეთის გამონურვის შემდეგ დარჩენილი ჩენჩო. *საქონელს კოპტონი აჭამეს.*

**კოპწია** *კოპწიას* პატარა და ლამაზი, კოხტად მორთული. *კოპწია სახლი. კოპწია ქალი.*

**კოპწიაობა** *კოპწიაობის* (კოპწიაობს) ჩაცმით, სამკაულით და მისთ. თავის მოწონება. *კოპწიაობა უყვარს. გოგო კოპწიაობს.*

**კოჟიჟი** *კოჟიჟის* კანის გასქელება, ჩნდება ძირითადად ხელებზე, ბევრი მუშაობის შედეგად. *კოჟიჟები მოურჩა.*

**კოჭრი** *კოჭრის* 1. იგივეა, რაც **კოჟიჟი**. *ხელებზე კოჭრები გაუჩნდა.* 2. ხის პატარა, არაჯანსაღი ამონაზარდი.

**კორა** *კორის* პატარა ნაჭდევი თოფის ლულაზე ობიექტის მიზანში ამოსაღებად.

**კორდებალეტი** *კორდებალეტის* ბალეტის მოცეკვავეები, რომლებიც ასრულებენ ჯგუფურ ცეკვებს.

**კორდი** *კორდის* მიწის დაუმუშავებელი, ბალახით დაფარული მონაკვეთი. *კორდი ამწვანდა.*

**კორდონი** *კორდონის* 1. სასაზღვრო ან რაიმეს (ხალხის ნაკადის, ტრანსპორტისა და მისთ.) შემაკავებელი, გადამღობი რაზმი. *პოლიციის კორდონი.* 2. ადგილი, სადაც კორდონი (1) არის განლაგებული. *კორდონის ხაზი.*

**კორელაცია** *კორელაციის* საგნების, ცნებების, მოვლენების ურთიერთმიმართება, შეფარდება. *კორელაციაში მყოფი.*

**კორესპონდენტი** *კორესპონდენტის* 1. ჟურნალისტი, რომელიც ამა თუ იმ ადგილიდან აწვდის ინფორმაციას თავის რედაქციას. *ჟურნალის კორესპონდენტი. ტელევიზიის კორესპონდენტი.* 2. პირი, რომელსაც მიმოწერა აქვს ვინმესთან. *კორესპონდენტისგან წერილი მიიღო.* შეცდომაა კორესპოდენტი.

**კორესპონდენცია** *კორესპონდენციის* 1. კორესპონდენტის (1) მიერ გაზეთის, ჟურნალის ან რადიო-ტელევიზიისთვის მიწოდებული წერილი. *კრიტიკული კორესპონდენცია.* 2. საფოსტო გზავნილების (წერილების, დეპეშების და მისთ.) ერთობლიობა. შეცდომაა კორესპოდენცია.

**კორექტივი** *კორექტივის* რაიმეს ნაწილობრივ შეცვლა ან შესწორება. *კანონში კორექტივების შეტანა.*

**კორექტირება** *კორექტირების* შესწორება, კორექტივის შეტანა. *ნაშრომის კორექტირება.*

**კორექტორი** *კორექტორის* სპეციალისტი, რომელიც გამოსაქვეყნებელი მასალის კორექტურას აკეთებს. *გაზეთის რედაქციის კორექტორი. გამომცემლობის კორექტორი.*

**კორექტორობა** *კორექტორობის* კორექტორის საქმიანობა. *კორექტორობა შესთავაზეს.*

**კორექტული** *კორექტულის* ნიგნ. სწორი, მოთხოვნებისა და წესების შესაბამისი. *კორექტული ადამიანი. კორექტული საქციელი.* ■ **კორექტულად** ზმნზ. სწორად, მოთხოვნების ან წესების შესაბამისად. *კორექტულად იქცევა.*

**კორექტურა** *კორექტურის* ნაბეჭდ ტექსტში შეცდომების გასწორება. *კორექტურის გაკეთება.* ■ **კორექტურული** კორექტურასთან დაკავშირებული. *კორექტურული შეცდომა.*

**კორექცია** *კორექციის* რაიმეს შესწორება, გასწორება უკეთესი ფორმის მისაღებად. *სხეულის კორექცია. მხედველობის კორექცია.*

**კორიანტელი** *კორიანტელის* ჰაერში ავარდნილი მტვერი. *ქარმა კორიანტელი დააყენა.*

**კორიდორი** *კორიდორის* იგივეა, რაც **დერეფანი**.

**კორიფე** *კორიფეს* 1. საყოველთაოდ აღიარებული მოღვაწე. *ხელოვნების კორიფე.* 2. ძველ ბერძნულ ტრაგედიაში გუნდის ხელმძღვანელი.

**კორკოტი** *კორკოტის* კანგაცლილი ხორბლისგან ან ხორბლის ბურღულისგან მომზადებული ფაფისებური საჭმელი, ერბოთი (ნიგვზით) შეზავებული.

**კოროზია** *კოროზიის* ლითონის ქიმიური დაშლა. *რკინის კოროზია.*

**კორომი** *კორომის* ჯგუფად მდგარი ხეებით დაფარული მიწის პატარა მონაკვეთი. *ფიჭვების კორომი. არყების კორომი.*

**კორპი** *კორპის* ზოგიერთი მცენარის, უპირატესად, მუხის, რბილი მერქანი, გამოიყენება ბოთლის საცობის დასამზადებლად.

**კორპორაცია** *კორპორაციის* გაერთიანება პროფესიული ან ნოდებრივი ინტერესების საფუძველზე. *მშენებელთა კორპორაცია.* ■ **კორპორაციული** კორპორაციასთან დაკავშირებული. *კორპორაციული კავშირი.*

**კორპუსი** *კორპუსის* 1. ნაგებობათა კომპლექსში შემავალი ცალკეული შენობა. *მეთორმეტე კორპუსი. კორპუსში ცხოვრობს.* 2. მსხვილი საჯარისო შენაერთი, რომელიც შედგება რამდენიმე დივიზიისგან. *სატანკო კორპუსი.* 3. ერთი და იმავე სპეციალობის ან ოფიციალური სტატუსის მქონე პირთა ერთობა. *დიპლომატიური კორპუსი. ურნალისტთა კორპუსი.*

**კორსეტი** *კორსეტის* 1. ელასტიკური სარტყელი, რომელსაც ქალები იკრავენ წელსა და მუცელზე ტანსაცმლის შიგნით. *კორსეტის მოჭერა.* 2. თაბაშირის, ტყავის ან სხვა მაგარი მასალის სამკურნალო მჭიდრო სარტყელი ტანის ზედა ნაწილზე შემოსაკრავად, რომელსაც იყენებენ ხერხემლის დაავადებების დროს.

**კორტეჟი** *კორტეჟის* საზეიმო სვლა, პროცესია. *პრეზიდენტის კორტეჟი.*

**კორტი** *კორტის* ჩოგბურთის სათამაშო მოედანი. *ახალი კორტი.*

**კორტნა** *კორტნის* (კორტნის, იკორტნის, უკორტნის, იკორტნება) ↑ **გაკორტნა.** *ინდაური ბალახს კორტნიდა. ბატი ბუმბულს იკორტნის.*

**კორტოხი** *კორტოხის* მცირე ზომის შემაღლებული ადგილი მიწის ზედაპირზე. *კორტოხზე შედგა. სახლი კორტოხზე იდგა.*

**კორუმპირებული** *კორუმპირებულის* კორუფციაში ჩართული, მოსყიდული, მოქრთამული. *კორუმპირებული ჩინოვნიკი.*

**კორუფცია** *კორუფციის* თანამდებობის პირთა, პოლიტიკოსთა მოსყიდვა, მოქრთამვა. *კორუფციასთან ბრძოლა.* ■ **კორუფციული** კორუფციასთან დაკავშირებული. *კორუფციული გარიგება.*

**კორძი** *კორძის* 1. გამაგრებული გამკვრივებული ადგილი, წანაზარდი ადამიანისა და ცხოველის სხეულზე. *ხელები კორძებით აქვს სავსე.* 2. ხის კოჟრი. *კორძებით დაფარული.* ■ **კორძიანი** რასაც კორძები აქვს. *კორძიანი ტანი. კორძებიანი ხე.*

**კოსმეტიკა** *კოსმეტიკის* 1. საერთო სახელწოდება სპეციალურად დამზადებული საცხებისა, ხსნარებისა და მისთ., რომლებსაც იყენებენ სახისა და სხეულის მოსავლელად, გასალამაზებლად. *საუკეთესო ფრანგული კოსმეტიკა.* 2. სახისა და სხეულის მოვლა-გალამაზების ხელოვნება. *კოსმეტიკის სპეციალისტი.* ■ **კოსმეტიკური** კოსმეტიკისთვის განკუთვნილი. *კოსმეტიკური საშუალებები.*

**კოსმიური** *კოსმიურის* კოსმოსთან დაკავშირებული, კოსმოსიდან მომდინარე. *კოსმიური სამყარო. კოსმიური ძალები.*

**კოსმოდრომი** *კოსმოდრომის* სათანადოდ მოწყობილი მოედანი, საიდანაც უშვებენ კოსმოსურ ხომალდებსა და დედამიწის ხელოვნურ თანამგზავრებს.

**კოსმონავტი** *კოსმონავტის* ადამიანი, რომელიც დაფრინავს კოსმოსში.

**კოსმონავტიკა** *კოსმონავტიკის* კოსმოსში ფრენის თეორია და პრაქტიკა.

**კოსმოპოლიტი** *კოსმოპოლიტის* კოსმოპოლიტიზმის მიმდევარი. *ჭეშმარიტი კოსმოპოლიტი.* ■ **კოსმოპოლიტური** კოსმოპოლიტის დამახასიათებელი. *კოსმოპოლური შეხედულებები.*

**კოსმოპოლიტიზმი** *კოსმოპოლიტიზმის* იდეოლოგია, რომელიც უპირისპირდება ეროვნულ თვითმყოფადობას და მსოფლიო მოქალაქეობის იდეას ქადაგებს.

**კოსმოპოლიტობა** *კოსმოპოლიტობის* კოსმოპოლიტური იდეების გაზიარება. *კოსმოპოლიტობა დასწამეს.*

**კოსმოპოლიტური** *კოსმოპოლიტურის* კოსმოპოლიტიზმისთვის დამახასიათებელი, კოსმოპოლიტიზმთან დაკავშირებული. *კოსმოპოლიტური აზროვნება.*

**კოსმოსი** *კოსმოსის* სამყარო, მასში არსებული ობიექტების, პლანეტების, სხეულების ერთობლიობა, მათი მოწესრიგებული სისტემა. *კოსმოსი უსასრულოა. კოსმოსში გაფრინდა.*

**კოსმოსური** *კოსმოსურის* კოსმოსში არსებული, კოსმოსისთვის დამახასიათებელი. *კოსმოსური სხეულები. კოსმოსური ხომალდი. კოსმოსური სიჩქარე.*

კოსტიუმი

**კოსტიუმი** 1. მამაკაცისა და ქალის ტანსაცმელი, პიჯაკი და შარვალი. *კოსტიუმი შეიკერა.* 2. ტანსაცმელი, რომელსაც იცვამენ გარკვეული ნიშნით (ეროვნებით, პროფესიით და მისთ.) გაერთიანებული ადამიანები. *ნაციონალური კოსტიუმი. თეატრალური კოსტიუმი.* შეცდომაა კოსტუმი.

**კოტეჯი** *კოტეჯის* პატარა სააგარაკო სახლი. *ყველა კოტეჯი ერთმანეთს ჰგავს.*

**კოტიტა** *კოტიტას* მოკლე და მსხვილი (კიდურები). *კოტიტა თითები. კოტიტა ხელები.*

**კოტოში** *კოტოშის* მინის პატარა ფართომუცლიანი ქილა, რომელიც სამკურნალო დანიშნულებით გამოიყენება. *კოტოში დაასვა.*

**კოტრანა** *კოტრანას* ნიგვზითა და ძმრით შეზავებული მოხარშული კომბოსტო.

**კოტრიალი** *კოტრიალის* (კოტრიალობს, აკოტრია-

ლებს) დანოლილის ერთი გვერდიდან მეორეზე ტრიალი. *ტახტ ზე კოტრიალობს.*

**კოფეინი** *კოფეინის* ცენტრალური ნერვული სისტემის აღმგზნები ნივთიერება, რომლსაც შეიცავს ჩაის ფოთლები და ყავის მარცვლები, გამოიყენება მედიცინასა და კვების მრეწველობაში. *კოფეინის ხსნარი. კოფეინის ინიექცია.*

**კოფო** *კოფოს* 1. ურმის ჭალებზე ჩამოცმული, განივად გადებული ფიცარი. *კოფოზე დაჯდა.* 2. ეტლის ან ფაეტონის წინა ნაწილი, რომელიც სპეციალურად არის ამაღლებული მეეტლის, მეფაეტონის დასაჯდომად.

**კოფრჩხილა** *კოფრჩხილას* ორწლოვანი ბალახოვანი მცენარე, აქვს ქოლგებად შეკრებილი ყვავილები, იზრდება ტყის პირებზე, იყენებენ მხლად და მწნილად.

**კოქსი** *კოქსის* მყარი ხელოვნური საწვავი, რომელიც მიიღება ქვანახშირის, ტორფის, ნავთობისა და მისთ. მაღალ ტემპერატურაზე უჰაეროდ გახურებით. *ქვანახშირის კოქსი. ნავთობის კოქსი.*

**კოქტეილი** *კოქტეილის* სასმელი, რომელიც მზადდება რამდენიმე მაგარი სასმლის, შაქრისა და სანელებლების ერთმანეთში შერევით. შეცდომაა კოკტეილი.

კოღო

**კოღო** *კოღოს* გრძელფეხება პატარა მწერი, მწარედ იკბინება. *კოღო ბზუის.*

კოშკი

**კოშკი** *კოშკის* 1. ვიწრო და მაღალი თავდაცვითი ნაგებობა, უმეტესად ოთხკუთხედის ფორმისა. *სვანური კოშკი.* 2. სხვადასხვა დანიშნულების ვიწრო და მაღალი ნაგებობა. *სათვალთვალო კოშკი.*

**კოშკურა** *კოშკურას* მცირე ზომის კოშკი (2). *კოშკურიდან ზღვას აკვირდებიან.*

**კოშმარი** *კოშმარის* 1. მძიმე, სულის შემხუთავი სიზმარი. *ღამე კოშმარებში გაატარა.* 2. გადატ. საზარელი, საშინელი რამ. *ომის კოშმარი.* ■ **კოშმარული** კოშმარის შემცველი, კოშმართან დაკავშირებული. *კოშმარული სიზმარი. კოშმარული სანახაობა.*

**კოშტი** *კოშტის* გამკვრივებული გუნდა ან ნაჭერი (1). *მიწის კოშტი. ქონის კოშტი.* ■ **კოშტ-კოშტად** კოშტებად. *კრემში ფქვილი კოშტ-კოშტად ურევია.*

**კოცნა** *კოცნის* (კოცნის, უკოცნის, აკოცებს, აკოცნებს) ტუჩების შეხება სიყვარულის, თაყვანისცემის, პატივისცემის გამოხატვის მიზნით. *ლოყაზე კოცნა. ბავშვს აკოცა. ხელზე კოცნის.*

**კოცონი** *კოცონის* დიდი ცეცხლი, რომელიც ღიაცის ქვეშ არის დანთებული. *ბავშვები კოცონის ირგვლივ ისხდნენ.*

**კოწახური** *კოწახურის* ეკლიანი ბუჩქი ან საშუალო სიმაღლის ხე, აქვს ყვითელი ყვავილები, ისხამს წითელ მჟავე ნაყოფს, რომელიც იჭმება.

**კოჭა** *კოჭას* ეთერზეთოვანი ტროპიკული მცენარე, ფესვი გამოიყენება სანელებლად.

**კოჭაობა** *კოჭაობის* (კოჭაობს) კოჭის[1] (2) თამაში. *ბავშვები კოჭაობენ.*

**კოჭდაბალი** *კოჭდაბლის* საუბრ. დაბალი, მოკლეფეხება. *კოჭდაბალი დედაკაცი.*

**კოჭი**[1] *კოჭის* 1. ფეხის წვივისა და ტერფის შემაერთებელი ძვალი, რომელიც ქმნის სახსარს. *კოჭის მოტეხილობა. წყალი კოჭამდე ძლივს სწვდება.* 2. ცხვრის, ძროხისა და მისთ. ხორცგაცლილი, გასუფთავებული კოჭი (1), გამოიყენება სათამაშოდ. *კოჭი გადაუგდო.* ■ **კოჭს უგორებს** საუბრ. ეპირფერება. ⊙ **კოჭებში (კოჭებზე) ეტყობა** აშკარაა, ცხადად ჩანს. ⊙ **წითელი კოჭია** ირონ. გამორჩეულია, ყველაზე უკეთესია.

**კოჭი**[2] *კოჭის* სახლის სახურავზე ან იატაკზე ფიცრების დასაკრავი ძელი. *მუხის კოჭი. ლითონის კოჭი.*

**კოჭი**[3] *კოჭის* 1. ხის ან სხვა მასალის პატარა, მრგვალი ან კუბის ფორმის საგანი, გამოიყენება ზოგიერთი თამაშისთვის. *ნარდის კოჭი.* 2. საანგარიშოს (4) ნაწილი – შუაში გახვრეტილი ხის რგოლი, რომელიც ლითონის ღეროზეა აცმული.

კოჭი

**კოჭი**[4] *კოჭის* პატარა ღრუ ცილინდრი, თავსა და ბოლოში გაგანიერებული, გამოიყენება ძაფის დასახვევად. ⊙ **კოჭის ძაფი კოჭზე** დახვეული წმინდა ძაფი.

**კოჭლი** *კოჭლის* ვისაც (რასაც) ერთი ფეხი მეორეზე მოკლე აქვს ან რაიმე სხვა მიზეზის გამო სიარული უჭირს. *კოჭლი კაცი. კოჭლი ცხენი.*

**კოჭლობა** *კოჭლობის* (კოჭლობს) კოჭლის სიარული. *მარცხენა ფეხით კოჭლობს. კოჭლობა ეტყობა.*

**კოხტა** *კოხტის* სასიამოვნო გარეგნობის, მოხდენილი. *კოხტა ქალი. კოხტა ეზო.* ▲ **კოხტად** ზმნზ. ლამაზად, მოხდენილად. *კოხტად იცვამს.*

**კოხტაობა** *კოხტაობის* (კოხტაობს) მცდელობა, კოხტად გამოიყურებოდეს. *კოხტაობა უყვარს. გოგო კოხტაობს.*

**კოხტაპრუწა** *კოხტაპრუწას* საუბრ. მეტისმეტად პრანჭია. *კოხტაპრუწა გოგო.*

**კოჰორტა** *კოჰორტის* 1. ძველ რომში ქვეითი რაზმი, ლეგიონის მეათედი ნაწილი. 2. გადატ. საერთო იდეებით მჭიდროდ შეკავშირებული ჯგუფი. *პროზაიკოსთა კოჰორტა.*

**კრაველი** *კრაველის* 1. ბატკნის მატყლი. 2. იგივეა, რაც კარაკული. *კრაველის ქუდი.*

**კრავი** *კრავის* იგივეა, რაც ბატკანი. *კრავივით უწყინარი.*

**კრაზანა**[1] *კრაზანის* ფუტკრის მსგავსი მწერი. *კრაზანის ნაკბენი.*

**კრაზანა**[2] *კრაზანის* მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარე, იკეთებს ყვითელ ყვავილს, გამოიყენება სამკურნალოდ. *კრაზანას ნაყენი.*

**კრამიტი** *კრამიტის* თიხის გამომწვარი ფირფიტა, გამოიყენება შენობების გადასახურავად. *მოჭიქული კრამიტი. კრამიტის სახურავი.*

**კრატერი** *კრატერის* ძაბრისებრი ჩაღრმავება ვულკანის თავზე, საიდანაც ამოიფრქვევა ლავა.

**კრაჭუნი** *კრაჭუნის* (აკრაჭუნებს, უკრაჭუნებს) კბილების ერთმანეთზე გასმა უსიამოვნო ხმის გამოცემით. *ბრაზისგან კბილებს აკრაჭუნებს.*

**კრახი** *კრახის* სრული მარცხი. *კრახი განიცადა.*

**კრება** *კრების* (კრებს, იკრებს, უკრებს, იკრიბება) 1. იგივეა, რაც შეკრება. *მეგობრებს იკრებს გარშემო.* 2. ორგანიზაციის წევრთა თავმოყრა რაიმე საკითხის გადასაწყვეტად. *თანამშრომელთა საერთო კრება. კრების ოქმი.* 3. ზოგიერთი არჩევითი ორგანოს სახელწოდება. *დამფუძნებელთა კრება.*

**კრებსითი** *კრებსითის* შეკრებილი, გაერთიანებული. *კრებსითი ლექსიკონი. კრებსითი ტერმინოლოგია.*

**კრებული** *კრებულის* 1. წიგნი, რომელშიც თავმოყრილია მხატვრული ან სამეცნიერო ნაწარმოებები, დოკუმენტები და მისთ. *ლექსების კრებული. რჩეული ნაწერების კრებული. ამოცანების კრებული.* 2. ერთად თავმოყრილი ადამიანები, ჩვეულებრივ, საგანგებოდ მოწვეული. *უხუცესთა კრებული.*

**კრედიტი** *კრედიტის* ბანკისგან სესხად გაცემული თანხა. *მოკლევადიანი კრედიტი. კრედიტი დაფარა.*

**კრედიტორი** *კრედიტორის* კრედიტის გამცემი პირი ან დაწესებულება. *კრედიტორებთან დადებული ხელშეკრულება.*

**კრედო** *კრედოს* იგივეა, რაც მრწამსი. *ეს მისი კრედოა.*

**კრეისერი** *კრეისერის* სწრაფმავალი სამხედრო გემი, რომელიც აღჭურვილია სხვადასხვაგვარი საომარი ტექნიკით. *მსუბუქი კრეისერი. სარაკეტო კრეისერი.*

**კრემატორიუმი** *კრემატორიუმის* სპეციალური შენობა, სადაც გვამებს წვავენ, ფერფლად აქცევენ.

**კრემაცია** *კრემაციის* მიცვალებულის გვამის ფერფლად ქცევა კრემატორიუმში.

**კრემი** *კრემის* 1. ტკბილი საჭმელი – რძის ან ათქვეფილი ნაღების, კვერცხის, ფქვილის, კარაქისა და მისთ. შესქელებული ნაზავი. *მოხარშული კრემი. მოსართავი კრემი.* 2. კოსმეტიკური საცხი. *საბის კრემი. ხელის კრემი.* ■ **კრემიანი** რასაც კრემი აქვს. *კრემიანი ნამცხვარი.*

**კრეტინი** *კრეტინის* უპატივც. სულელი, გონებასუსტი, უჭკუო. *ნამდვილი კრეტინია.*

**კრეფა** *კრეფის* (კრეფს, უკრეფს, იკრიფება, აკრეფინებს) 1. ↑ მოკრეფა (1). *ყურძნის კრეფა დაიწყო.* 2. ↑ აკრეფა (3). *იატაკზე დაყრილ ფურცლებს კრეფს.*

**კრეჭა**[1] *კრეჭის* (კრეჭს, იკრეჭს, იკრიჭება, აკრეჭინებს) ↑ გაკრეჭა (1). *თმებს იკრეჭს.*

**კრეჭა**[2] *კრეჭის* (კრეჭს, უკრეჭს, იკრიჭება) 1. ↑ გაკრეჭა (2). *რას იკრიჭები?* 2. ↑ დაკრეჭა. *ბავშვი კბილებს კრეჭს.*

**კრთობა** *კრთობის* (აკრთობს, იკრთობს, უკრთობს) ↑ შეკრთობა. *ქალს ხმაური აკრთობს.*

**კრთოლა** *კრთოლის* (კრთის, უკრთის, კრთება) 1. იგივეა, რაც კრთომა (1). *ძილში კრთის.* 2. იგივეა, რაც კრთომა (2). *ფანჯარაში შუქი კრთის.*

**კრთომა** *კრთომის* (კრთის, უკრთის, კრთება) 1. სხეულის რეაქცია, რომელსაც იწვევს შიში ან რაიმე უსიამოვნო გრძნობა. *ყველა გაფაჩუნებაზე კრთება.* 2. გადატ. შორიდან შუქის სუსტი ნათება. *ვარსკვლავების კრთომა.*

**კრიალა** *კრიალას* რაც კრიალებს, ბრწყინავს, ბზინავს. *კრიალა ზედაპირი. კრიალა ფეხსაცმელი.*

**კრიალი** *კრიალის* (კრიალებს) სისუფთავისგან ბრწყინვა. *ხმლის კრიალი. ჭურჭელი კრიალებს.* ⊙ **კრიალი გააქვს / კრიალი გაუდის** კრიალებს.

**კრიალოსანი** *კრიალოსნის* გიშრის, ქარვისა და მისთ. მოკლე მძივი, რომლის მარცვლების რაოდენობის მიხედვით ნარმოსათქმელ ლოცვებს ითვლიან.

**კრიახი** *კრიახის* (კრიახებს) დამფრთხალი ფრინველის (ქათმის, ინდაურისა და მისთ.) მიერ ხმის გამოცემა. *ქათმების კრიახი გაისმა. დედალი კრიახებს.*

**კრივი** *კრივის* 1. სპორტის სახეობა, მუშტებით ორთაბრძოლა. *შეჯიბრება კრივში.* 2. ზოგადად, მუშტებით ცემა. *ბიჭებმა კრივი გამართეს.*

**კრიზი** *კრიზის* ადამიანის ორგანიზმში უეცრად განვითარებული სპაზმი. *ჰიპერტონიული კრიზი.*

**კრიზისი** *კრიზისის* 1. მწვავე ეტაპი რაიმეს მიმდინარეობის პროცესში, რომლის შემდეგაც ხდება გარდატეხა და არსებითად იცვლება ვითარება. *კრიზისი ჰქონდა. კრიზისი გადალახა.* 2. გადატ. ძლიერი გაჭირვება. *ეკონომიკური კრიზისი.*

**კრიზისული** *კრიზისულის* უკიდურესად დაძაბული, საშიში. *კრიზისული ვითარება.*

**კრიკინა** *კრიკინას* იგივეა, რაც უსურვაზი.

**კრიმანჭული** *კრიმანჭულის* გურულ მრავალხმიან სიმღერებში თავისებური მაღალი ხმა.

**კრიმინალი** *კრიმინალის* სისხლის სამართლის დანაშაული. *კრიმინალი ჩაიდინა.* ▪ **კრიმინალური** კრიმინალთან დაკავშირებული. *კრიმინალური პოლიცია. კრიმინალური საქმე.*

**კრიმინალისტიკა** *კრიმინალისტიკის* იურიდიული მეცნიერება, რომელიც შეისწავლის სისხლის სამართლის დანაშაულთა გამოძიების მეთოდებს. *კრიმინალისტიკის სპეციალისტი.*

**კრინტი** *კრინტის* დაბალი ხმა, ჩქამი. *კრინტს არ ძრავს.*

**კრიპტოგრამა** *კრიპტოგრამის* პირობითი ასონიშნებით შესრულებული საიდუმლო ნარწერა, ჩანაწერი. *კრიპტოგრამის გაშიფრა.*

**კრიპტოგრაფია** *კრიპტოგრაფიის* კრიპტოგრამებით წერა. *კრიპტოგრაფიას შეისწავლის.* ▪ **კრიპტოგრაფიული** კრიპტოგრაფიასთან დაკავშირებული. *კრიპტოგრაფიული სისტემა.*

**კრიჟანგი** *კრიჟანგის* ჟარგ. ხარბი, ვინც სხვისთვის იოლად ვერაფერს გაიმეტებს. *კრიჟანგი კაცია.*

**კრისტალი** *კრისტალის* მყარი სხეული, რომელიც ბუნებრივადაა დანახნაგებული. *ბროლის კრისტალი. მარილის კრისტალი.*

**კრისტალიზაცია** *კრისტალიზაციის* აირისებრი ან თხევადი მდგომარებიდან ნივთიერების კრისტალურ მდგომარეობაში გადასვლის პროცესი. *მარილების კრისტალიზაცია.*

**კრისტალოგრაფია** *კრისტალოგრაფიის* მეცნიერება, რომელიც შეისწავლის კრისტალებს, მათ აგებულებასა და ფიზიკურ და ქიმიურ თვისებებს. ▪ **კრისტალოგრაფიული** კრისტალოგრაფიასთან დაკავშირებული. *კრისტალოგრაფიული ცდა.*

**კრიტერიუმი** *კრიტერიუმის* მახასიათებელი, რომლის მიხედვითაც რაიმეს აფასებენ, განსაზღვრავენ. *ობიექტური კრიტერიუმი.*

**კრიტიკა** *კრიტიკის* I. მსჯელობა ვინმეს ან რაიმეს შესახებ ნაკლოვანებათა გამოვლენის მიზნით. *უსაფუძვლო კრიტიკა.* 2. ლიტერატურული ჟანრი, რომელიც ეძღვნება მხატვრული ნაწარმოების განხილვას შეფასების მიზნით. *თანამედროვე კრიტიკა.*

**კრიტიკოსი** *კრიტიკოსის* ლიტერატორი, რომელიც კრიტიკულად განიხილავს მხატვრულ ნაწარმოებებს. *კრიტიკოსის გამოხმაურება.*

**კრიტიკული**[1] *კრიტიკულის* კრიტიკის (1) შემცველი. *კრიტიკული შეფასება. კრიტიკული დამოკიდებულება.*

**კრიტიკული**[2] *კრიტიკულის* იგივეა, რაც კრიზისული. *კრიტიკული სიტუაცია.*

**კრიჭა** *კრიჭის* ზედა და ქვედა ყბა ერთად. *კრიჭა გაუხსნეს.* ⊙ **კრიჭაში** I. ლაპარაკის უნარს დაკარგავს, გაჩუმდება. 2. მადას დაკარგავს. ⊙ **კრიჭაში უდგას ყველაფერზე** წინააღმდეგობას უწევს, ექიშპება.

**კროკეტი** *კროკეტის* ერთგვარი თამაში, ხის ჩაქუჩებით ცდილობენ ხის ბურთები შეაგდონ გარკვეული წესით დადგმულ რამდენიმე კარში.

**კრონშტეინი** *კრონშტეინის* ფიქსირებული ბჯენი კედელზე, კონსტრუქციასა და მისთ. რაიმე ნაწილის, დეტალის დასამაგრებლად. *თაროს კრონშტეინი. კარნიზის კრონშტეინი.*

**კროსვორდი** *კროსვორდის* გასართობი ამოცანა – კვადრატების გადაჯვარედინებული რიგებისგან შემდგარი გამოსახულება, რომელიც უნდა შეივსოს ასოებით, რომ მივიღოთ ამოსაცნობი სიტყვები. *კროსვორდის ამოხსნა. კროსვორდი შეადგინა.*

**კროსი** *კროსის* სპორტული სირბილი ან რბოლა უსწორმასწორო ადგილებზე დაბრკოლებათა გადალახვით. *კროსი მოეწყო.*

**კრუიზი** *კრუიზის* საზღვაო მოგზაურობა წრიულ მარშრუტზე. *კრუიზი ხმელთაშუა ზღვაზე.*

**კრულვა** *კრულვის* (კრულავს) ძლიერი წყევლა. *წყეველა და კრულვა არ დააკლო.*

**კრული** *კრულის* დაწყეველილი, წყეული. *კრულ იყოს მისი სახელი!*

**კრუნჩხვა** *კრუნჩხვის* (კრუნჩხავს, იკრუნჩხება, ეკრუნჩხება) მთელი სხეულის ან მისი რომელიმე ნაწილის მოკუნტვა, გრეხა, რასაც ინვევს ძლიერი ტკივილი. *კრუნჩხვა დაეწყო. მთელი ტანით იკრუნჩხება.*

**კრუსუნი** *კრუსუნის* (კრუსუნებს) ჩუმი კვნესა. *ბავშვის კრუსუნი. ავადმყოფი კრუსუნებს.*

**კრუტუნი** *კრუტუნის* (კრუტუნებს) ხმა, რომელსაც ზოგიერთი ფრინველი ან ცხოველი (ძირითადად კატა) მშვიდ, ნებიერ მდგომარეობაში გამოსცემს. *კატის კრუტუნი.*

**კრუხი** *კრუხის* I. ქათამი, რომელიც კვერცხებზე ზის, წინილებს ჩეკს და ზრდის. *კრუხი და წიწილა.* 2. ზოგადად, შინაური ფრინველი კვერცხებზე ჯდომის პერიოდში. *ინდაურის კრუხი. კრუხად ზის.*

**კრუხობა** *კრუხობის* ფრინველის კვერცხებზე ჯდომისა და ნაშიერზე ზრუნვის პერიოდი. *ქათამმა კრუხობა დაამთავრა.*

**კრუხუნი** *კრუხუნის* (კრუხუნებს) კრუხის ან კრუხობისთვის გამზადებული ფრინველის მიერ ხმის გამოცემა. *მინდორში კრუხუნი გაისმა. ქათამი კრუხუნებს.*

**კრძალვა** *კრძალვის* (ეკრძალება) პატივისცემა, მორიდება, მოწინება ვინმეს მიმართ. *დედისადმი კრძალვა. ყველას კრძალვით ექცევა.*

**კუ** *კუს* I. ქვეწარმავალი, რომელ-

კუ

საც ზურგზე ძვლოვანი ფარი, ბაკანი აქვს, ბინადრობს ხმელეთზეც და ზღვაშიც. *ზღვის კუ.* 2. საჭადრაკო ფიგურა. *კუს სვლა.* ◉ **კუს ნაბიჯით** ძალიან ნელა.


კუბი

**კუბი** *კუბის* 1. ექვსი წახნაგის მქონე გეომეტრიული სხეული, რომლის ყველა წახნაგი კვადრატია. *კუბის ფორმის.* 2. რაიმე რიცხვის მესამე ხარისხი. *სამის კუბი. კუბში აყვანა.*

**კუბიკი** *კუბიკის* 1. პატარა კუბი. *კუბიკებად დაჭრილი ბოსტნეული.* 2. (ძირითადად მრ.) კუბის ფორმის ხის ან მუყაოს სათამაშო რაიმეს ასაგებად, ხშირად ყველა მხრიდან დაკრული აქვს ასო ან რაიმე სურათის ნაწილი, რომელთა შეერთებით სიტყვებს ან გამოსახულებას იღებენ. *კუბიკებით თამაში.*

**კუბო** *კუბოს* მიცვალებულის ჩასასვენებელი ხის (ზოგჯერ სხვა მასალის) ყუთი. *კუბო ასწიეს.* ◉ **კუბოს კარამდე** სიკვდილამდე.

**კუბოკრული** *კუბოკრულის* უჯრედებიანი, უჯრედებად ჭრელი (ქსოვილი). *კუბოკრული ხალათი აცვია.*

**კუბური** *კუბურის* მოცულობის საწყაო. *კუბური მეტრი. კუბური სანტიმეტრი.*

**კუდა** *კუდას* უკუდო, რასაც კუდი აქვს მოჭრილი. *კუდა ბარი. კუდა ძაღლი.*

**კუდაბზიკა** *კუდაბზიკას* უსაფუძვლოდ ამპარტავანი, პრეტენზიული. *კუდაბზიკა ახალგაზრდა.*

**კუდაბზიკობა** *კუდაბზიკობის* (კუდაბზიკობს) ამპარტავნობა, თავის თავზე დიდი წარმოდგენის ქონა. *კუდაბზიკობა უყვარს. ყველასთან კუდაბზიკობს.*

**კუდამოძუებული** *კუდამოძუებულის* გადატ. გაწბილებული, იხტიბარგატეხილი. *კუდამოძუებული წავიდა.*

**კუდვარდა** *კუდვარდას* ბირკის მსგავსი სარეველა მცენარე.

**კუდი** *კუდის* 1. ცხოველის სხეულის წაგრძელებული, მოძრავი, ხრტილოვანი დანამატი კუდუსუნის ძვალზე. *ძაღლს კუდი მოაჭრეს. კუდს აქიცინებს.* 2. გადატ. რაიმეს ბოლო, ნარჩენი. *ჩურჩხელის კუდები. ავტოკოლონის კუდიღა მოჩანდა.* ◉ **ვინმეს კუდია** მუდამ თან ახლავს, მას ემხრობა, მისიანია. ◉ **კუდი ეწვის** ეშინია, რომ მისი ტყუილი, დანაშაული გამომჟღავნდება. ◉ **კუდი კუდზე აქვთ გადაბმული** ყველაფერში ერთმანეთს ემხრობიან, ერთობლივად მოქმედებენ. ◉ **კუდი ყავარზე აქვს გადებული** ამაყია, ამპარტავანია. ◉ **კუდით ქვას ასროლინებს** გააქცევს, დაამარცხებს, შეაშინებს. ◉ **კუდს გამოაბამს** უმნიშვნელო ამბავს, ნათქვამს გააზვიადებს, არასწორად გაავრცელებს.

**კუდიანი** *კუდიანის* 1. რასაც კუდი აქვს. *კუდიანი კომეტა.* 2. გადატ. ეშმაკი, ავსული. *კუდიანი დედაბერი.*

**კუდმაკრატელა** *კუდმაკრატელას* მაკრატელივით კუდის მქონე ფრინველი. *კუდმაკრატელა მერცხალი.*

**კუდრაჭა** *კუდრაჭას* ცელქი, მოუსვენარი, ენამოჭიკჭიკე (გოგო). *რაო, შე კუდრაჭა?!*

**კუდუსუნი** *კუდუსუნის* ანატ. ხერხემლის ბოლო ძვალი. *კუდუსუნი გაებზარა.*

**კუზი** *კუზის* 1. ხერხემლის პათოლოგიით გამოწვეული ამოზნექილობა ადამიანის ზურგზე. 2. ბუნებრივი ამოზნექილობა ზოგიერთი ცხოველის ზურგზე. *აქლემის კუზი.* ■ **კუზიანი კუზის** მქონე. *კუზიანი კაცი.*

**კუთვნება** *კუთვნების* (ეკუთვნის) 1. ვინმეს ან რაიმეს საკუთრების სახით (კუთვნილად) არსებობა. *ეს ბინა მე მეკუთვნის.* 2. ვინმეს ან რაიმეს ღირსად, შესაფერისად ყოფნა, არსებობა. *სტუდენტს მაღალი ნიშანი არ ეკუთვნის.*

**კუთვნილება** *კუთვნილების* ვინმეს კუთვნილი რამ. *ეს სახლი მისი კუთვნილება გახდა.*

**კუთვნილი** *კუთვნილის* რაც ვინმეს ეკუთვნის, მისი საკუთრებაა. *ჩემი კუთვნილი მამული.*

**კუთხე** *კუთხის* 1. ორი სიბრტყის გადაკვეთას შორის მოქცეული სივრცე. *ოთახის კუთხე. კარადის კუთხე.* 2. ერთი წერტილიდან გამოსულ ორ სწორ ხაზს შორის მოქცეული ფართობი. *მახვილი კუთხე. სამკუთხედის კუთხე.* 3. ქვეყნის ნაწილი, ტერიტორია. *საქართველოს სხვადასხვა კუთხე.* 4. გადატ. ვინმესთვის ან რაიმესთვის გამოყოფილი პატარა ადგილი. *მყუდრო კუთხე. კუთხე მიუჩინა.* ■ **კუთხე-კუთხე** ზმნზ. ერთი კუთხიდან მეორეში, კუთხეებში. *ოთახი კუთხე-კუთხე დაათვალიერა.*

**კუთხედი** *კუთხედის* 1. იგივეა, რაც გონიო. 2. სწორკუთხა ფირფიტა, რომელსაც აჭედებენ შეერთების ადგილის გასამაგრებლად.

**კუთხე-კუნჭული** *კუთხე-კუნჭულის* მიდამოს, რაიმე ადგილის ყველა ნაწილი. *კუთხე-კუნჭული მოიარა.*

**კუთხური** *კუთხურის* 1. ამა თუ იმ კუთხისთვის (3) დამახასიათებელი. *კუთხური თავისებურება. კუთხური მეტყველება.* 2. საჯარიმო დარტყმა ფეხბურთში მოედნის კუთხიდან. *კუთხური ჩამოაწოდა.*

**კუკუმალობანა** *კუკუმალობანას* იგივეა, რაც დამალობანა.

**კულა** *კულის* ბრტყელი ქვების ოთხკუთხა სვეტი, ბოძი, რომელსაც ემყარება სახლის თავზე. *სახლს შუაში კულას აუგებდნენ.*

**კულინარი** *კულინარის* კულინარიის სპეციალისტი. *კულინარის ოსტატობა.*

**კულინარია** *კულინარიის* საჭმლის მომზადების ოსტატობა. *კულინარიის საუკეთესო ნიმუში.*

▪ **კულინარიული** კულინარიასთან დაკავშირებული. *კულინარიული რჩევები.*

**კულინარობა** *კულინარობის* კულინარის საქმიანობა. *კულინარობა დაიწყო.*

**კულისები** *კულისების* (მრ.) სცენის მიღმა, მაყურებლისთვის დაფარული ადგილი. *რეჟისორი კულისებიდან ადევნებდა თვალს.*

**კულმინაცია** *კულმინაციის* მოქმედების განვითარების ან ვითარების დაძაბულობის უმაღლესი წერტილი. *მღელვარებამ კულმინაციას მიაღწია.*

▪ **კულმინაციური** კულმინაციისთვის დამახასიათებელი. *კულმინაციური მომენტი.*

**კულმუხო** *კულმუხოს* მაღალი მრავალწლოვანი ბალახი, აქვს დიდი ფოთლები და ყვითელი ყვავილები, გამოიყენება სამკურნალოდ.

**კულონი**[1] *კულონის* ძვირფასი ქვა ან ნაკეთობა, რომელსაც ყელზე ძენკვით იკიდებენ. *ოქროს კულონი.*

**კულონი**[2] *კულონის* ელექტროობის რაოდენობის საზომი ერთეული.

**კულტი** *კულტის* 1. რელიგიური მსახურება და მასთან დაკავშირებული წეს-ჩვეულებანი. *აპოლონის კულტი.* 2. გადატ. ვინმეს ან რაიმეს გაღმერთება, თაყვანისცემა. *პიროვნების კულტი.* ⊙ **კულტის მსახური** პირი, რომელიც ასრულებს კულტთან (1) დაკავშირებულ ღვთისმსახურებას.

**კულტივატორი** *კულტივატორის* სასოფლო-სამეურნეო მექანიზმი, რომელიც ერთდროულად რამდენიმე ოპერაციას ასრულებს. იყენებენ ნიადაგის გასაფხვიერებლად, სარეველების მოსათხრელად, ნიადაგში სასუქის შესატანად. *ბოსტნის კულტივატორი. მინდვრის კულტივატორი.*

**კულტივაცია** *კულტივაციის* მოხნული ნიადაგის გაფხვიერება. *კულტივაცია ჩაუტარდა.*

**კულტურა** *კულტურის* 1. საზოგადოების მიღწევათა ერთობლიობა განათლების, ტექნიკის, მეცნიერებისა და ხელოვნების სხვადასხვა დარგში. *ეროვნული კულტურა. კულტურის მოღვაწე.* 2. ცოდნისა და შრომის სხვადასხვა დარგის განვითარების დონე. *მეტყველების კულტურა. ქცევის კულტურა.* 3. ხელოვნურად მოშენებული მცენარის რომელიმე სახეობა. *ვაზის კულტურა. ბოსტნეული კულტურები.*

**კულტურული** *კულტურულის* 1. კულტურასთან დაკავშირებული, კულტურის მაჩვენებელი. *ნიადაგის კულტურული ფენები. კულტურული დონე.* 2. კარგად აღზრდილი, განათლებული, განსწავლული (ადამიანი). *კულტურული კაცი. კულტურული პიროვნება.* 3. შინაური, ადამიანის ხელით გამოყვანილი და მოშენებული (მცენარეები). *კულტურული ჯიში.*

**კულუარი** *კულუარის* უმაღლეს სახელმწიფო უწყებებში (პარლამენტში, მინისტრთა კაბინეტსა და მისთ.) ოთახი ან დარბაზი, სადაც იკრიბებიან აქ მოღვაწე ადამიანები შესვენების დროს და მიმდინარეობს არაოფიციალური შეხვედრები. *კულუარებში საუბრობენ.*

**კულული** *კულულის* თმის ხვეული. *ლამაზი კულულები.*

**კუმისი** *კუმისის* ცხენის ან აქლემის რძისგან დამზადებული სასმელი.

**კუმსი** *კუმსის* ხშირმარცვლიანი. *კუმსი მტევანი.*

**კუმშვა** *კუმშვის* (კუმშავს, უკუმშავს, იკუმშება, ეკუმშება) 1. ↑ შეკუმშვა. *გული იკუმშება.* 2. გრამატ. სიტყვის ფუძიდან ხმოვნის ამოვარდნა. *ფუძე იკუმშება.*

**კუმშვადი** *კუმშვადის* რაც იკუმშება. *კუმშვადი ნივთიერება. კუმშვადი ფუძეები.*

**კუნაპეტი** *კუნაპეტის* ძალიან ბნელი (ღამე). *კუნაპეტი სიბნელე.*

**კუნელი** *კუნელის* 1. შავი ან წითელი, მრგვალი, ძალიან პატარა ხილი. *კუნელის ნაყენი.* 2. საშუალო სიმაღლის ეკლიანი ხე ან ბუჩქი, რომელიც ისხამს კუნელს (1).

**კუნთი** *კუნთის* ადამიანის ან ცხოველის სხეულის ნაწილი, შედგება შეკუმშვის უნარის მქონე ქსოვილებისგან. *გულის კუნთი. კუნთის დაჭიმვა.*

**კუნთმაგარი** *კუნთმაგრის* ფიზიკურად ძლიერი, მაგარი კუნთების მქონე. *კუნთმაგარი ბიჭები.*

**კუნთოვანი** *კუნთოვანის* კუნთებისგან შემდგარი. *კუნთოვანი ქსოვილი.*

**კუნკული**[1] *კუნკულის* ბავშვის ან მოხუცის სიარული. *პატარამ კუნკულით გაიარა.*

**კუნკული**[2] *კუნკულის* 1. ბერების მაღალი ქუდი უკან ჩამოშვებული საბურავით. 2. ქსოვილი, რომელშიც ახვევდნენ ემბაზიდან ამოყვანილ ახალმონათლულ ბავშვს.

**კუნტრუშა** *კუნტრუშას* რასაც კუნტრუში უყვარს. *კუნტრუშა ხბო. კუნტრუშა ბატკანი.*

**კუნტრუში** *კუნტრუშის* (კუნტრუშებს) ჰაერში შეხტომით, თამაშით სირბილი. *თხები კუნტრუშებენ. ბავშვი კუნტრუშით დადის.*

კუნძი



**კუნძი** *კუნძის* 1. მოკლე და მსხვილი მორი. *წიფლის კუნძი.* 2. ხის მოჭრის შემდეგ მიწაში დარჩენილი ფესვებიანი ნაწილი. *კუნძზე ჩამოჯდა.*

კუნძული

**კუნძული** *კუნძულის* ხმელეთის ნაწილი, რომელსაც ყოველი მხრიდან აკრავს ზღვა. *კუნძულის მოსახლეობა.*

**კუნწულა** *კუნწულას* ყუნწებით გადაბმული რამდენიმე ნაყოფი. *ბლის კუნწულა.*

**კუნჭული** *კუნჭულის* პატარა ნაწილი კუთხის (4) სიღრმეში. *თაგვი კუნჭულში მიიმწყვდიეს.*

**კუპაჟი** *კუპაჟის* სხვადასხვა ხარისხის ღვინის ერთმანეთში შერევა.

**კუპატი** *კუპატის* ძალიან წვრილად დაჭრილი და შეზავებული ხორცით ან შიგნეულით გატენილი ნაწლავი. *შემწვარი კუპატი. ღორის კუპატი.*

**კუპე** *კუპეს* რამდენიმე ადამიანისთვის განკუთვნილი განყოფილება სამგზავრო მატარებელში. *მატარებლის კუპე.*

**კუპიურა** *კუპიურის* 1. გარკვეული ღირებულების მქონე ქაღალდის ფული. *ხუთლარიანი კუპიურა.* 2. ტექსტის ან მუსიკის შემოკლება გარკვეული ნაწილის ამოღებით. *არია კუპიურებით შეასრულეს.*

**კუპრი** *კუპრის* შავი ფისოვანი ნივთიერება, რომელიც მიიღება ხის, ტორფის, ქვანახშირის მშრალი გადამუშავებით. *კუპრი წაუსვეს.*

**კურანტი** *კურანტის* კოშკის საათი, რომელიც რეკავს და თან ასრულებს რაიმე მუსიკას. *კურანტის ხმა.*

**კურატი** *კურატის* დაუკოდავი ხარი (3-5 წლისა). *სალოცავს კურატი შეუთქვეს.*

**კურატორი** *კურატორის* პირი, რომელსაც მინდობილი აქვს ვინმეს ან რაიმეს მეთვალყურეობა. *სტუდენტების კურატორი.*

**კურდღელი** *კურდღლის* ძუძუმწოვარი მღრღნელი, აქვს გრძელი ყურები, დარბის სწრაფად. *კურდღელივით მშიშარა. კურდღლის ხორცი.*

**კურთხევა** *კურთხევის* (აკურთხებს, უკურთხებს, იკურთხება, ეკურთხება, აკურთხებინებს) 1. მღვდელმსახურის მიერ ხალხის, მრევლის დალოცვა ჯვრის გადასახვით. *კათალიკოსმა ხალხი აკურთხა.* 2. მღვდელმსახურის მიერ სპეციალური საეკლესიო წესების შესრულება. *წყლის კურთხევა. ზეთის კურთხევა. სახლი უკურთხა. ხატების კურთხევა.* 3. მღვდელმთავრის (ეპისკოპოსის, მთავარეპისკოპოსის, მიტროპოლიტის...) მიერ მღვდლობის საიდუმლოს აღსრულება. *მღვდლად კურთხევა. დიაკვნად აკურთხეს.*

**კურთხეული** *კურთხეულის* ღმერთისგან დალოცვილი, მადლიანი, ბარაქიანი. *კურთხეული მხარე. კურთხეულია ეს მინა!*

**კურიერი** *კურიერის* რომელიმე დაწესებულების თანამშრომელი, რომელსაც ევალება საქმიანი ქაღალდების მიტანა დანიშნულების ადგილზე. *კურიერად აიყვანეს.*

**კურიერობა** *კურიერობის* კურიერის საქმიანობა. *კურიერობა დაიწყო.*

**კურიოზი** *კურიოზის* სასაცილო, უცნაური შემთხვევა. *კურიოზი გადახდა. ნამდვილი კურიოზია.* ■ **კურიოზული** კურიოზის შემცველი, კურიოზისთვის დამახასიათებელი. *კურიოზული ამბავი.*

**კურკა** *კურკის* ზოგიერთი ხეხილის ნაყოფის მაგარნაჭუჭიანი თესლი. *ბლის კურკა. ატმის კურკა.*

**კურკლი** *კურკლის* თხის ან ცხვრის განავალი.

**კურკოვანი** *კურკოვანის* კურკების მქონე.

**კურკური** *კურკურის* (კურკურებს, ეკურკურება) 1. ალერსიანი საუბარი ვინმესთან თავის მოწონების მიზნით. *ქალს ეკურკურება.* 2. ზოგიერთი ფრინველის ხმიანობა. *ქათმები კურკურებენ.*

**კუროსი** *კუროსის* 1. იგივეა, რაც ბუღა. 2. ზოდიაქოს ნიშანი. *კუროსის ნიშნით დაბადებული.* 3. საუბრ. გადატ. ქალის საყვარელი. *კუროსი სახლში დაუდის.*

**კურორტი** *კურორტის* დასასვენებელი ადგილი, სადაც არის ბუნებრივი სამკურნალო პირობები. *საქართველოს კურორტები.*

**კურორტოლოგია** *კურორტოლოგიის* მედიცინის დარგი, რომელიც შეისწავლის კურორტების სამკურნალო თვისებებს. ■ **კურორტოლოგიური** კურორტოლოგიასთან დაკავშირებული. *კურორტოლოგიური კვლევა.*

**კუროსთავი** *კუროსთავის* ერთწლოვანი სარეველა მცენარე, აქვს გართხმული ღეროები და რთული ფოთლები, ისხამს ეკლებიან ნაყოფს.

**კურსანტი** *კურსანტის* სამხედრო ან გასამხედროებული სასწავლებლის მსმენელი. *საარტილერიო სასწავლებლის კურსანტები.*

**კურსდამთავრებული** *კურსდამთავრებულის* პირი, რომელმაც რაიმე სასწავლებლის სრული კურსი დაასრულა. *კონსერვატორიის კურსდამთავრებული.*

**კურსი** *კურსის* 1. მოძრაობის მიმართულება, გეზი (მანქანის, თვითმფრინავის, გემისა და მისთ.). *კურსი აიღო.* 2. გადატ. მიმართულება, გეზი რაიმე სფეროში. *პოლიტიკური კურსი. ეკონომიკური კურსი.* 3. ფასიანი ქაღალდების ღირებულება. *ლარის კურსი.* 4. უმაღლეს ან სპეციალურ სასწავლებელში სწავლების ესა თუ ის წელი. *პირველი კურსის სტუდენტი.* 5. რომელიმე მეცნიერების ან მისი ნაწილის სისტემური გადმოცემა უმაღლეს სასწავლებელში, სახელმძღვანელო, რომელიც ასეთ გადმოცემას შეიცავს. *ლიტერატურის კურსი.* 6. სწავლების ან სამკურნალო პროცედურათა დასრულებული ციკლი. *მკურნალობის კურსი.* 7. (ძირითადად მრ.) მოკლევადიანი სასწავლებელი, რომელიც მსმენელებს რაიმე ვიწრო სპეციალობაში ამზადებს. *საბუღალტრო კურსები. ფოტოგრაფიის კურსები.* 8. სასწავლო საგნები, რომლებსაც გადიან რომელიმე სასწავლებელში. *საუნივერსიტეტო კურსი.*

**კურსორი** *კურსორის* კომპიუტერის ეკრანზე მოძრავი სანიშნი, რომლითაც ხდება საჭირო წერტილის, ადგილის გააქტიურება.

**კურტანი** *კურტნის* ზურგით ტვირთის საზიდავი უნაგირის მსგავსი ხის საგანი. *ვირის კურტანი.*

*ცხენის კურტანი.* ▪ **კურტნიანი** რასაც ან ვისაც კურტანი ადგას. *კურტნიანი ცხენი. კურტნიანი მუშა.*

**კურტუმი** *კურტუმის* ფრინველის ტანის ბოლო, ცხიმოვანი ნაწილი. *ჩასუქებული კურტუმი.*

**კურცხალი** *კურცხლის* ერთი წვეთი ცრემლი. *თვალზე კურცხალი მოადგა. კურცხალი მოიწმინდა.*

**კუსტარული** *კუსტარულის* არაფაბრიკული, არაქარხნული, შინამრეწველური. *კუსტარული ნაწარმი. კუსტარული სახელოსნო.*

**კუტი** *კუტის* 1. ადამიანი, რომელსაც სიარული არ შეუძლია. *კუტი ვერსად გაიქცევა.* 2. თონეში ჩავარდნილი პური, რომელიც ნაკვერჩხლებზე გამოცხვა. *კუტი პურები ამოყარა.*

**კუტკალია** *კუტკალიის* კალიის სახეობა.

**კუტკუტი** *კუტკუტის* (კუტკუტებს) ზოგიერთი ფრინველის ხმიანობა. *მწყრის კუტკუტი. კრუხი კუტკუტებს.*

**კუფხალი** *კუფხლის* ყურძნის მტევნის ნაწილი, რომელზეც ორი-სამი კიმპალია.

**კუშტი** *კუშტის* მკაცრი შესახედაობის მქონე. *კუშტი სახე.*

**კუწვა** *კუწვის* (კუწავს, იკუწება) ↑ **დაკუწვა.** *ხორცს კუწავს.*

**კუწუბი** *კუწუბის* 1. დაკბილული ნივთის, ქსოვილისა და მისთ. თითოეული ნაწილი, ნაკეთი, ნვერი. *თავსაფრის კუწუბი.* 2. იგივეა, რაც ქიმი. *ვარსკვლავის კუწუბი.*

**კუჭი** *კუჭის* ადამიანისა და ცხოველის საჭმლის მომნელებელი სისტემის ძირითადი ორგანო. *კუჭის წყლული. კუჭის ტკივილი.* ⊙ **კუჭი ამოივსო** დანაყრდა, გაძღა. ⊙ **კუჭი უხმება** არაფერი აბადია, ღარიბია. ⊙ **კუჭის აშლა** ფაღარათი. ⊙ **რა კუჭი ეწვის** რა მაგის საქმეა (სადარდებელია).

**კუჭკუჭი** *კუჭკუჭის* (კუჭკუჭებს) ხმადაბალი, გულიანი სიცილი. *ოთახიდან ბავშვების კუჭკუჭი ისმოდა.*

**კუჭმაჭი** *კუჭმაჭის* ღორის, ძროხის ან ფრინველის კუჭი და ნაწლავები. *ნიგვ ზიანი კუჭმაჭი. ქათმის კუჭმაჭი.*

**კუჭ-ნაწლავი** *კუჭ-ნაწლავის* ანატ. საჭმლის მომნელებელი ორგანოების ერთობლიობა. *კუჭ-ნაწლავის დაავადებები. კუჭ-ნაწლავის ანთება.*

# – ლ –

**ლაბა**[1] *ლაბის* დაბალი ბუჩქი, აქვს მტევნებად შეკრებილი ყვავილები და დანაკვთული ფოთლები, ისხამს წვრილ, მრგვალ, წითელ ნაყოფს, რომელიც იჭმება.

**ლაბა**[2] *ლაბის* ხორცის, თევზისა და მისთ. შესქელებული ნახარში, რომელშიც ჩაწყობილია მოხარშული ნაჭრები.

**ლაბადა** *ლაბადის* თხელი, გარედან ჩასაცმელი, ჩვეულებრივ, გრძელი სამოსი. *ლაბადა მოისხა.*

**ლაბი** *ლაბის* 1. ლობიოს, კორკოტის, ბრინჯისა და მისთ. ხარშვისას წარმოქმნილი თხელი ფენა. *ლაბი მოიგდო.* 2. ლობიოსა და მისთ. შესქელებული ნახარში. *ლაბში ჩასრესილი მარცვალი.*

**ლაბილური** *ლაბილურის* ნიგნ. მოძრავი, არამდგრადი. *ლაბილური ნერვული სისტემა.*

**ლაბირინთი** *ლაბირინთის* 1. დახლართული, ძნელად გასაველელი გზების ერთობლიობა. *ლაბირინთებით იარეს.* 2. გადატ. იტყვიან ძნელად თავგასართმევ, რთულ სიტუაციაზე. *ლაბირინთს თავი დააღწია.*

**ლაბლაბო** *ლაბლაბოს* მაღალი ხვიარა პარკოსანი მცენარე, თესლი გამოიყენება კულინარიაში.

**ლაბორანტი** *ლაბორანტის* 1. ლაბორატორიის თანამშრომელი. *ლაბორანტმა მასალა მოამზადა.* 2. სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულების ან უმაღლესი სასწავლებლის თანამშრომელი, რომელიც სამეცნიერო-ტექნიკურ სამუშაოს ასრულებს. *კათედრის ლაბორანტი.*

**ლაბორანტობა** *ლაბორანტობის* ლაბორანტის საქმიანობა. *ლაბორანტობა უნდა.*

**ლაბორატორია** *ლაბორატორიის* სათანადოდ აღჭურვილი სპეციალური შენობა ან ოთახი, სადაც სხვადასხვა სახის ცდა და დაკვირვება ტარდება სადიაგნოსტიკო, კვლევითი ან სასწავლო მიზნით. *ქიმიური ლაბორატორია.*

**ლაგამი** *ლაგმის* აღვირის ნაწილი, ცხენის პირში ამოსადები რკინა შუაში სახსრით. *ცხენს ლაგამი ამოსდეს. რ ლაგამი ამოსდო დაიმორჩილა.*

**ლაგება** *ლაგების* (ალაგია, ულაგია, ალაგებს, ილაგებს, ულაგებს, ლაგდება, ულაგდება, ალაგებინებს) ↑ დალაგება. *სადარბაზოს ალაგებს. სახლის ლაგება. ყველაფერი თავისით ლაგდება.*

**ლაგუნა** *ლაგუნის* ზღვის ნაწილი, წყალმარჩხი ყურე მარჯნის რიფებსა და ნაპირს შორის.

**ლავა** *ლავის* ცეცხლოვანი მასა, რომელიც ამოინთხევა დედამიწის ზედაპირზე ვულკანის ამოფრქვევისას. *ლავის ნაკადი. ლავის ფენა.*

**ლავაში** *ლავაშის* თონეში გამომცხვარი თხელი პური. *ცხელი ლავაში.*

ლავაში

**ლავირება** *ლავირების* რთული ვითარებიდან მოხერხებულად თავის დაღწევა, კონფლიქტისთვის თავის არიდება. *ლავირების უნარი. ოსტატურად შეუძლია ლავირება.*

**ლავიწი** *ლავიწის* ანატ. ადამიანის მკერდისა და მხრის თავის შემაერთებელი ძვალი. *ლავიწი გაებზარა.*

**ლავრა** *ლავრის* მამათა დიდი მონასტერი ან სამონასტრო კომპლექსი. *ლავრაში მოღვაწე ბერები.*

**ლავური** *ლავურის* ვულკანის ამოფრქვევის შედეგად წარმოშობილი. *ლავური ქანები.*

**ლაზათი** *ლაზათის* გარეგნული სილამაზე, მოხდენილობა. *სუფრის ლაზათი.*

**ლაზათიანად** ზმნზ. კარგად, გულიანად, გემოზე. *ლაზათიანად მოილხინეს. ლაზათიანად გამოლანძღა.*

**ლაზათიანი** *ლაზათიანის* 1. ლამაზი, მოხდენილი. *ლაზათიანი ქცევა. ლაზათიანი საუბარი.* 2. საუბრ. საკმაოდ ძლიერი, კარგი, გვარიანი. *ლაზათიანი სილა უთავაზა. ლაზათიანი ქეიფი იცოდა.*

**ლაზარეთი** *ლაზარეთის* სამხედრო ნანილთან არსებული პატარა საავადმყოფო. *ლაზარეთის პერსონალი.*

**ლაზერი** *ლაზერის* ხელსაწყო, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია გამოსხივების ნაკადის გამოყენება სხვადასხვა დანიშნულებით. *ლაზერის სხივები.* ■ **ლაზერული** ლაზერის გამოყენებით მიღნეული, წარმოებული. *თვალის ლაზერული ოპერაცია. ლაზერული ეპილაცია.*

**ლაზიერი** *ლაზიერის* ჭადრაკში ყველაზე ძლიერი ფიგურა. *ლაზიერის სვლა.*

**ლაზღანდარა** *ლაზღანდარას* ვინც უაზროდ ლაპარაკობს, თავის შესაქცევად უშნოდ ხუმრობს. *ლაზღანდარა ბიჭები.*

**ლაზღანდარაობა** *ლაზღანდარაობის* (ლაზღანდარაობს, ელაზღანდარავება) უსაგნო ლაპარაკი, უშნო ხუმრობა. *ნუ მელაზღანდარავები!*

**ლაზღანდარობა** *ლაზღანდარობის* (ლაზღანდარობს, ელაზღანდარება) || **ლაზღანდარაობა.**

**ლაილაი** *ლაილაის* საუბრ. გაუთავებელი, უაზრო ლაპარაკი. *ლაილაის მოჰყვა. მისმა ლაილაიმ დამღალა.*

**ლაინერი** *ლაინერის* 1. დიდი სწრაფმავალი გემი. *სამგზავრო ლაინერი. საოკეანო ლაინერი.* 2. დიდი სამგზავრო თვითმფრინავი. *ლაინერის ეკიპაჟი.*

**ლაიტმოტივი** *ლაიტმოტივის* 1. ძირითადი თემა, მოტივი, რომელიც თავიდან ბოლომდე მიჰყვება მუსიკალურ ნაწარმოებს. *ოპერის ლაიტმოტივი.* 2. გადატ. ძირითადი აზრი, თემა, რომელიც საგანგებოდ არის გამოკვეთილი და არაერთხელ ხაზგასმით მეორდება. *ნაწარმოების ლაიტმოტივი.* შეცდომაა ლეიტმოტივი.

**ლაკარტია** *ლაკარტიის* მარცვლოვანი სარეველა მცენარე.

**ლაკმუსი** *ლაკმუსის* საღებავი მცენარეული ნივთიერება, რომელიც მჟავა და ტუტე გარემოში ფერს იცვლის. ⊙ **ლაკმუსის ქაღალდი** ლაკმუსის ხსნარით გაჟღენთილი ქაღალდი, რომელსაც ინდიკატორად (2) იყენებენ.

**ლაკონიური** *ლაკონიურის* მოკლე და აზრიანი ნათქვამი. *ლაკონიური გამოთქმა. ლაკონიური აზრი.* ▲ **ლაკონიურად** მოკლედ და ცხადად. *ლაკონიურად მეტყველებს.*

**ლაკონიურობა** *ლაკონიურობის* აზრის მოკლედ და ნათლად გამოხატვა. *ლაკონიურობა ახასიათებს.*

**ლალი** *ლალის* წითელი შეფერილობის ძვირფასი ქვა. *ლალის ბეჭედი.*

**ლალისფერი** *ლალისფერის* მუქი წითელი. *ლალისფერი ღვინო.*

**ლამა** *ლამის* გარეული ძვირფასბეწვიანი ცხოველი, აქვს გრძელი კისერი და წვრილი ფეხები, ცხოვრობს სამხრეთ ამერიკაში. *ლამის ბეწვი.*

**ლამაზი** *ლამაზის* შესახედავად სასიამოვნო, მოსაწონი. *ლამაზი ქალი. ლამაზი ბუნება. ლამაზი ცხენი.* ▲ **ლამაზად** ზმნზ. კარგად, სასიამოვნოდ. *ლამაზად წერს. ლამაზად ნაგები შენობა.*

**ლამაზ-ლამაზი** *ლამაზ-ლამაზის* ბევრი ლამაზი. *ლამაზ-ლამაზი გოგოები.*

**ლამაზმანი** *ლამაზმანის* საუბრ. ლამაზი ქალი. *ლამაზმანები ქუჩაში გამოეფინნენ.*

**ლამბაქი** *ლამბაქის* პატარა თეფში, გამოიყენება უპირატესად ჭიქის ან ფინჯნის დასადგმელად. *ფაიფურის ლამბაქი.*

**ლამბვა** *ლამბვის* (ლამბავს, ილამბავს, ულამბავს, ილამბება, ალამბვინებს) იგივეა, რაც **დაბლანდვა.** *ფარდებს ლამბავს. თეთრეულს ლამბავდა.*

**ლამბი** *ლამბის* იგივეა, რაც **ბლანდი.**

**ლამი** *ლამის* წყლის დანალექი სილა. *ტბის ლამი. მდინარის ლამი.* ■ **ლამიანი** რაც ლამით არის დაფარული. *ლამიანი ნაპირი.*

**ლამის** ნაწილაკ. კინაღამ, ცოტაღა აკლია, რომ... *ლამის გადავარდეს. ლამის გული გამისკდეს!*

ლამპა

**ლამპა** *ლამპის* გასანათებელი მოწყობილობა. *ნავთის ლამპა.*

**ლამპარი** *ლამპრის* პატრუქიანი სანათი, რომელშიც ზეთს ასხამენ. *ლამპარი აანთეს.*

**ლამპიონი** *ლამპიონის* ქუჩის გასანათებელი მოწყობილობა. *ლამპიონები აინთო.*

ლამპიონი

**ლამუნი** *ლამუნის* (ელამუნება) ნაზად შეხება, მოფერება, ალერსი. *ნიავი ელამუნება.*

**ლამფა** *ლამფის* თხელი ფიცარი, რომელსაც ჭერისთვის იყენებენ.

**ლანგარი** *ლანგრის* სხვადასხვა ფორმის დიდი, ბრტყელი თეფში. *მოვერცხლილი ლანგარი.*

ლანგარი

**ლანდი** *ლანდის* 1. ცუდი განათების გამო ბუნდოვანი გამოსახულება. *შორიდან ვიღაცის ლანდი შენიშნა.* 2. იგივეა, რაც მოჩვენება. *მისი ლანდი მოსვენებას არ აძლევს.*

**ლანდშაფტი** *ლანდშაფტის* დედამიწის ზედაპირის, ადგილის ხედი. *მთაგორიანი ლანდშაფტი.*

**ლანქერი** *ლანქერის* თოლის დნობით გამონაწეური ღვარი. *ლანქერები დაიძრა.*

**ლანჩა** *ლანჩის* ფეხსაცმლის ძირი. *სქელი ლანჩა. ჩექმის ლანჩა.*

**ლანცეტი** *ლანცეტის* ქირურგიული ორპირა დანა. *ლანცეტით გაკვეთა.*

**ლანძღვა** *ლანძღვის* (ლანძღავს, ილანძღავს, ულანძღავს, ილანძღება, ალანძღვინებს, ელანძღვინება) † გალანძღვა. *მოურიდებლად ლანძღავს ყველას.*

**ლაპარაკი** *ლაპარაკის* (ლაპარაკობს, ელაპარაკება) სიტყვებით აზრის, ნაფიქრის გადმოცემა, მეტყველება. *ლაპარაკი დაიწყო. ხმამაღლა ლაპარაკი. გაუთავებლად ლაპარაკობს.*

**ლაპი** *ლაპის* ზოგიერთი ფრინველის (მწყრის, ხოხბის, კაკბისა და მისთ.) ბარტყი. *ბუდეში ორი ლაპი იჯდა.*

**ლაპიდარული** *ლაპიდარულის* მოკლე, სხარტი, იოლად გასაგები. *ლაპიდარული გამონათქვამი.*

**ლაპლაპა** *ლაპლაპას* რაც ლაპლაპებს, ბრწყინავს. *ტბის ლაპლაპა ზედაპირი. ლაპლაპა რკინა.*

**ლაპლაპი** *ლაპლაპის* (ლაპლაპებს, ულაპლაპებს, ალაპლაპებს) გამჭვირვალე ან პრიალა ზედაპირის მქონე საგნის ელვარება. *მარმარილო ლაპლაპებს. ლითონის ლაპლაპი.*

**ლაჟვარდი** *ლაჟვარდის* ღია ცისფერი ძვირფასი ქვა. ◉ ცის ლაჟვარდი ცის უკიდეგანო სივრცე.

**ლაჟვარდოვანი** *ლაჟვარდოვნის* რასაც ლაჟვარდის ფერი აქვს. *ლაჟვარდოვანი ცა. ლაჟვარდოვანი ტბა.*

**ლართხი** *ლართხის* თხელი, გაურანდავი ფიცარი, რომელსაც ხმარობენ მშენებლობაში ბეტონის ფორმების შესაკრავად და თუნუქის სახურავის ქვეშ დასაგებად. *ფიჭვის ლართხი. წიფლის ლართხი. ურემზე ლართხი გააწყვეს.*

**ლარი**[1] *ლარის* 1. იგივეა, რაც სიმი. *ფანდურის ლარი.* 2. სხვადასხვა დანიშნულებით გაჭიმული თოკი ან ძაფი. *კედლის ამოსაყვანი ლარი. ვაზის ლარზე გაბმა.* ◉ ლარივით სწორი ძალიან სწორი, გაჭიმული. ◉ რა ლარი და ხაზი უნდა რაც თავისთავად ცხადია, მტკიცება არ სჭირდება.

**ლარი**[2] *ლარის* ქართული ფულის ერთეული, უდრის 100 თეთრს. *ხუთი ლარი.*

**ლარიქსი** *ლარიქსის* წიწვოვანი მცენარე, აქვს ჯგუფ-ჯგუფად განლაგებული რბილი წიწვები და მაღალხარისხიანი მერქანი, რომელიც გამოიყენება მშენებლობაში.


ლარნაკი

**ლარნაკი** *ლარნაკის* ყვავილების ვაზა. *ბროლის ლარნაკი.*

**ლასი** *ლასის* ქართული ანბანის მეთერთმეტე ასოს (ლ-ს) სახელწოდება.

**ლასლასი** *ლასლასის* (ლასლასებს) უღონოდ, ძლივძლივობით სიარული. *ლასლასით დადის. მოხუცი ლასლასებს.*

**ლასტი** *ლასტის* ხის ვწრილი ტოტებისგან დაწნული სხვადასხვა დანიშნულების ბრტყელი საგანი. *ლასტებზე ჩირს ახმობენ.*

**ლატანი** *ლატნის* წვრილი და გრძელი ძელი. *ბეღლის ლატანი.*

**ლატარია** *ლატარიის* ნივთებისა და ფულის გათამაშება ბილეთების საშუალებით. *ლატარიაში მოიგო.*

**ლაურეატი** *ლაურეატის* პირი, რომელსაც მინიჭებული აქვს მეცნიერების, ხელოვნების, ტექნიკის რომელიმე დარგში დაწესებული პრემია. *ნობელის პრემიის ლაურეატი. საერთაშორისო კონკურსის ლაურეატი.*

**ლაურეატობა** *ლაურეატობის* ლაურეატის წოდება, ლაურეატად ყოფნა. *ლაურეატობა სურს.*

**ლაფანი** *ლაფნის* 1. საშუალო სიმაღლის ხე, აქვს რთული ფოთლები, მტევნებად შეკრებილი ყვავილები, ფრთიანი ნაყოფი და რბილი, მსუბუქი მერქანი, იზრდება მდინარის ნაპირებზე. 2. ზოგიერთი ფოთლოვანი მცენარის ქერქქვეშა ბოჭკოვანი ნაწილი, რომლისგანაც გრეხენ თოკს.

**ლაფეტი** *ლაფეტის* 1. სპეციალური დაზგა ქვემეხის ლულის დასამაგრებლად. *ზარბაზნის ლაფეტი.* 2. ტრანსპორტზე მიბმული ბორბლებიანი ღია საბარგე. *ტრაქტორის ლაფეტი.*

**ლაფი** *ლაფის* იგივეა, რაც ტალახი. *ღორი ლაფში ჩაწვა.* ◉ თავს ლაფს დაასხამს დაამცირებს, საქვეყნოდ შეარცხვენს. ◉ ლაფში ამოსვრის სახელს გაუტეხს.

**ლაფნიჭამია** *ლაფნიჭამიის* პატარა მავნებელი ხოჭო, ჩნდება ხის ლაფანში. *ლაფნიჭამიამ ტყეები დაა ზიანა.*

**ლაფსუსი** *ლაფსუსის* ნაწერში ან მეტყველებაში დაშვებული უმნიშვნელო შეცდომა. *ლაფსუსი გამოასწორა.*

**ლაფშა** *ლაფშის* იგივეა, რაც იაბო. *ლაფშა ზე იჯდა.*

**ლაქა** *ლაქის* 1. სხვა შეფერილობის ადგილი რაიმეს ზედაპირზე. *მზის ლაქა.* 2. ქსოვილზე ჭუჭყის ან რაიმე ნივთიერების კვალი. *ღვინის ლაქა. სისხლის ლაქა.*

**ლაქაში** *ლაქაშის* ჭაობის მრავალწლოვანი მცენარე, აქვს გრძელი, ხაზებიანი ფოთლები და უმეტესად მაღალი ღერო, იკეთებს ხავერდოვან, ნაბლისფერ თავთავს.

**ლაქი** *ლაქის* ფისის სპირტში ან ზეთში გახსნით მიღებული ხსნარი, რომლითაც ფარავენ სხვადასხვა ზედაპირს ბზინვარების მისანიჭებლად. *იატაკის ლაქი. ფეხსაცმლის ლაქი. ფრჩხილის ლაქი.*

**ლაქია** *ლაქიის* 1. ძვ. ვინმეს მიერ დაქირავებული მოსამსახურე. *სტუმარს კარი ლაქიამ გაუღო. ლაქია დაიქირავა.* 2. გადატ. ადამიანი, რომელიც ვინმეს ეპირფერება პირადი გამორჩენის მიზნით. *დირექტორის ლაქია.*

**ლაქლაქა** *ლაქლაქას* ვინც სულ ლაქლაქებს. *ლაქლაქა გოგო.*

**ლაქლაქი** *ლაქლაქის* (ლაქლაქებს, ალაქლაქებს, ელაქლაქება) უაზროდ, უშინაარსოდ, გაუთავებლად ლაპარაკი. *გაუჩერებლად ლაქლაქებს. ლაქლაქი დაიწყო.*

**ლაქუცა** *ლაქუცას* ლაქუცის მოყვარული. *ლაქუცა ძაღლი. ლაქუცა პიროვნება.*

**ლაქუცი** *ლაქუცის* (ელაქუცება) 1. ძაღლის თამაში ან მიალერსება ხტომითა და კუდის ქნევით. *ლეკვებმა ლაქუცი დაიწყეს. ძაღლი ლაქუცით შემხვდა.* 2. გადატ. ალერსიანი მოპყრობა გამორჩენის მიზნით. *უფროსს ლაქუცი დაუწყო. პირში ელაქუცება.*

**ლაღი** *ლაღის* თავისუფალი, ამაყი. *ბავშვივით ლაღი. ლაღი სიმღერა.* ▲ **ლაღად** ზმნზ. თავისუფლად. *ლაღად გრძნობს თავს.*

**ლაღობა** *ლაღობის* (ლაღობს) ლხენა, მხიარულობა. *სტუმრები ლაღობენ. მეგობრებთან ერთად ლაღობს.*

**ლაყაფი** *ლაყაფის* იგივეა, რაც **ლაყბობა**. *ლაყაფი არ გაათავა. უაზრო ლაყაფი.*

**ლაყბობა** *ლაყბობის* (ლაყბობს) ბევრი და უშინაარსო, უაზრო ლაპარაკი. *დიდხანს ილაყბა. ლაყბობა აღარ მობეზრდა.*

**ლაყე** *ლაყის* 1. გაფუჭებული კვერცხი. 2. გადატ. უნდილი, უნიათო პიროვნება. *ვინ არის ეს ლაყე?!*

**ლაყლაყი** *ლაყლაყის* (ლაყლაყებს, ალაყლაყებს) 1. ნახევრად სავსე ჭურჭელში სითხის ნჯღრევა ხმის გამოცემით. *დოქში ღვინო ლაყლაყებს.* 2. მიწაში ან რაიმე მყარ ზედაპირზე დასობილი საგნის რყევა. *სარი ლაყლაყებს.*

**ლაყუნი** *ლაყუნის* 1. ნელი, ზანტი სიარული. *დაღმართზე მილაყუნებს.* 2. უსაქმოდ სიარული, ხეტიალი. *რას დალაყუნებ მთელი დღე?*

**ლაყუჩი** *ლაყუჩის* თევზისა და წყლის ზოგიერთი სხვა ცხოველის სასუნთქი ორგანო. *ლაყუჩებს ამოძრავებს.*

**ლაში** *ლაშის* 1. ზოგიერთი ცხოველის ყბა. *ცხენის ლაში. მგლის ლაშები.* 2. ირონ. გადატ. ადამიანის ზედმეტად დიდი პირი. *ლაშებს უშნოდ ამოძრავებს.*

**ლაშქარა** *ლაშქარას* მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარე, აქვს დაბლა დახრილი, ცისფერი ყვავილები, იზრდება ბუჩქნარებში, მინდვრებსა და ნათესებში.

**ლაშქარი** *ლაშქრის* წიგნ. იგივეა, რაც **ჯარი**. *მტრის ლაშქარი.*

**ლაშქრობა** *ლაშქრობის* 1. ვინმეს წინააღმდეგ საბრძოლველად წასვლა. *სამხედრო ლაშქრობა. ჯვაროსნული ლაშქრობა.* 2. საინტერესო ადგილების, ღირშესანიშნაობის ჯგუფურად მონახულება. *ბორჯომის ხეობაში ლაშქრობა მოაწყეს. ტურისტული ლაშქრობა.*

**ლაჩარი** *ლაჩრის* მხდალი, მშიშარა. *ლაჩარი კაცი. ლაჩარი მეომარი.*

**ლაციცი** *ლაციცის* (ელაციცება) ნაზად შეხება, მოფერების მსგავსი მოძრაობა. *სხივები სახეზე ელაციცება.*

**ლაწალუწი** *ლაწალუწის* მტვრევის, ადვილად მსხვრევადი საგნების ერთმანეთზე მირტყმის ხმა. *ჭურჭლის ლაწალუწი გაიმა.*

**ლაწანი** *ლაწანის* 1. რაიმეს გატეხის, მტვრევის ხმა. *ტყიდან ლაწანი გაისმა. ტოტების ლაწანი.* 2. სილის გარტყმის ხმა. *ლაწანი გაადინა.*

**ლაწირაკი** *ლაწირაკის* ლანძღ. ულირსი, უკადრისი საქმის ჩამდენი (ახალგაზრდა). *შე ლაწირაკო!*

**ლაწუნი** *ლაწუნის* (ალაწუნებს, ულაწუნებს) მაგარ საგანზე დარტყმა ხმის გამოცემით. *ტოტების ლაწუნი.*

**ლახანა** *ლახანის* კომბოსტოს ყველაზე გავრცელებული სახეობა.

**ლახვარი** *ლახვრის* უძველესი საბრძოლო ციცი იარაღი, მოკლე, გრძელტარიანი, ფართოპირიანი და ბასრი ხმალი. *ლახვრით განგმირული. ლახვარი მოუქნია.* ⊙ **ზურგში ლახვარს ჩასცემს** უმუხთლებს, უღალატებს. ⊙ **ლახვარივით გულზე მოხვედრა** ძალზე საწყენი ამბის გაგება.

**ლახტაობა** *ლახტაობის* საბავშვო თამაშობა, რომლის დროსაც ერთი გუნდი ცდილობს წრეში მყოფ მოწინააღმდეგე გუნდს ლახტები გამოსტაცოს.

**ლახტი** *ლახტის* 1. ტყავის გრძელი ქამარი, რომელსაც ლახტაობის თამაშისას იყენებენ. *ლახტი მოარტყა.* 2. გრძელი უტარო მათრახი, გამოიყენებოდა ბრძოლაში. *ლახტის შხუილი.* 3. იგივეა, რაც **ლახტაობა**. *ლახტი გაიმართა.* ■ **ლახტიანი** ლახტის მქონე. *ლახტიანი მოწინააღმდეგე.*

**ლაჯი** *ლაჯის* 1. (ძირითადად მრ.) ბარძაყის შიგნითა მხარე. *ლაჯებს შუა მოიქცია.* 2. დიდი ნაბიჯი. *ლაჯებით მოსიარულე.*

**ლაჯუნი** *ლაჯუნის* უშნოდ, დიდი ნაბიჯებით სიარული.

**ლბილი** *ლბილის* იგივეა, რაც **რბილი**. *ლბილი თათები.*

**ლებანი** *ლებნის* რთული თესლის ერთი ან რამდენიმე ნაწილი. *ლობიოს ლებანი.* ⊙ **კაკლის ლებანი** კაკლის გულის ნახევარი.

**ლები** *ლების* 1. დარტყმის ან დაცემის შედეგად დალურჯებული ადგილი სხეულზე. 2. ჭაობიანი ნიადაგის ფენა, რომელსაც ლურჯი ფერი დაჰკრავს.

**ლეგა** *ლეგას* ნაცრისფერი, რუხი. *ლეგა ღრუბლები. ლეგა მიმინო.*

**ლეგალიზაცია** *ლეგალიზაციის* ლეგალურ მდგომარეობაში გადასვლა ან გადაყვანა.

**ლეგალიზებული** *ლეგალიზებულის* ლეგალურ მდგომარეობაში გადაყვანილი.

**ლეგალური** *ლეგალურის* კანონით აღიარებული, ნებადართული. *ლეგალური პარტია. ლეგალური გაზეთი.*

**ლეგენდა** *ლეგენდის* 1. ზეპირი გზით შემონახული მონათხრობი, რომლის სიუჟეტი ზღაპრულ, ფანტასტიკურ ამბავზეა აგებული. *თბილისის დაარსების ლეგენდა.* 2. გადატ. შელამაზებული, გაზვიადებული ისტორია, რომელიც რაიმე ფაქტის ან ვინმეს ცხოვრების შესახებ შეიქმნა. *მისი თავდადება ლეგენდად იქცა.*

**ლეგენდარული** *ლეგენდარულის* 1. *ლეგენდარულის* არაჩვეულებრივი, საარაკო, ლეგენდის მსგავსი. *ლეგენდარული საქციელი.*

**ლეგიონერი** *ლეგიონერის* 1. ლეგიონის (2) ჯარისკაცი. 2. ლეგიონის (3) წევრი.

**ლეგიონი** *ლეგიონის* 1. იგივეა, რაც პოლკი. *ლეგიონის მეთაური.* 2. ძველ რომში მსხვილი საჯარისო შენაერთი. *გამარჯვებული ლეგიონები.* 3. ზოგიერთ ქვეყანაში საგანგებო სამხედრო ნაწილი ან სამოქალაქო ორგანიზაცია. *ლეგიონის წევრი.*

**ლეგიტიმური** *ლეგიტიმურის* რაც კანონით გათვალისწინებულ მდგომარეობას ან პირობებს შეესაბამება. *ლეგიტიმური ძალაუფლება.*

**ლევა** *ლევის* (ლევს, ილევს, ულევს, ილევა, ელევა) 1. ↑ გადალევა. *გული ელეოდა.* 2. ↑ გამოლევა. *სურსათი ილევა. ფული ელევა.* 3. ↑ შელევა (2). *ამ წიგნებს ვერ ველევი. შვილს ვერ ელევა.*

**ლეთარგია** *ლეთარგიის* ავადმყოფური მდგომარეობა, რომელიც ჰგავს ღრმა ძილს. ■ **ლეთარგიული** ლეთარგიისთვის დამახასიათებელი. *ლეთარგიული ძილი.*

ლეიბი



**ლეიბი** *ლეიბის* 1. მატყლით ან ბამბით გატენილი ნაჭრის ოთხკუთხა საგანი, რომელსაც საწოლზე აგებენ და ზედ წვებიან. *ლეიბები შეკერეს.* 2. სპორტის ზოგიერთ სახეობაში შეჯიბრების არენის რბილი საფენი. *საჭიდაო ლეიბი.* შეცდომაა ლები.

**ლეიკოციტები** *ლეიკოციტების* თეთრი ბურთულები სისხლში. *ლეიკოციტების მომატება.*

**ლეიტენანტი** *ლეიტენანტის* სამხედრო წოდების ოფიცერი. *უფროსი ლეიტენანტი. უმცროსი ლეიტენანტი.*

**ლეიტენანტობა** *ლეიტენანტობის* ლეიტენანტის წოდება, ლეიტენანტად ყოფნა. *ლეიტენანტობა მიანიჭეს.*

**ლეკა** *ლეკის* იგივეა, რაც ლეკისხე.

**ლეკვი** *ლეკვის* ძაღლის, მგლის, მელიისა და მისთ. ნაშიერი. *ლეკვების წკავწკავი.*

**ლეკისხე** *ლეკისხის* ნეკერჩხლისებრთა ოჯახის ხე, აქვს ბრტყელი ფოთლები, ორფრთიანი ნაყოფი და მოთეთრო მერქანი.

**ლელი** *ლელის* მრავალწლოვანი ბალახოვანი მარცვლოვანი მცენარე, აქვს მაღალი, ნვრილი ღერო და მის წვერზე მსხვილი, დატოტვილი ყვავილედი, გავრცელებულია ჭაობიან ადგილებში.

**ლელიანი** *ლელიანის* ადგილი, სადაც ლელი იზრდება. *ლელიანი მინდორი. ლელიანი სანაპირო.*

**ლელო** *ლელოს* 1. სპეციალური ადგილი რაგბიში და მსგავს თამაშებში, სადაც მოწინააღმდეგემ ბურთი უნდა მიიტანოს. *ლელო მოიგო. ლელოს მიუახლოვდა.* 2. ბურთის თამაშის ძველებური სახეობა. ⊙ **ლელოს გაიტანს მიზანს მიაღწევს,** თავისას გაიტანს, გაიმარჯვებს.

**ლელქაში** *ლელქაშის* მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარე, აქვს ცილინდრული ღერო და პატარა კონებად შეკრებილი ყვავილები, გავრცელებულია ჭაობიან ადგილებში.

**ლემა** *ლემის* ერთწლოვანი შხამიანი მცენარე, აქვს ძაბრისებური თეთრი ყვავილები და ეკლებიანი, მრავალთესლიანი ნაყოფი, გამოიყენება სამკურნალოდ.

**ლენტი** *ლენტის* ქსოვილის ან სხვა მასალის ნვრილი ზოლი. *ატლასის ლენტი. მაგნიტოფონის ლენტი. საიზოლაციო ლენტი.*

**ლენჩი** *ლენჩის* გონებასუსტი, გონებაჩლუნგი. *ლენჩი ყმაწვილი.*

**ლენცოფა** *ლენცოფას* ერთწლოვანი შხამიანი მცენარე, აქვს მკრთალი ყვითელი ყვავილები და მრავალთესლიანი ნაყოფი, გამოიყენება სამკურნალოდ.

**ლეოპარდი** *ლეოპარდის* დიდი მტაცებელი ძუძუმნოვარი კატისებრთა ოჯახიდან, აქვს შავლაქებიანი ყვითელი ბეწვი.

**ლეპტოპი** *ლეპტოპის* პორტატიული პერსონალური კომპიუტერი.

**ლერწამი** *ლერწმის* მაღალი მარცვლოვანი მცენარე, იზრდება მდინარეებისა და ტბების ნაპირებზე. ⊙ **შაქრის ლერწამი** მცენარე, რომლიდანაც იღებენ შაქარს.

**ლერწი** *ლერწის* ვაზის ერთწლიანი ტოტი. *ლერწი ააჭრა.*

**ლესვა** *ლესვის* (ლესავს, ილესავს, ულესავს, ილესება, ალესვინებს) ↑ გალესვა (1). *დანას ლესავს.*

**ლექი** *ლექის* სითხეში არსებული ნაწილაკების დანალექი ფსკერზე. *სილის ლექი. ღვინის ლექი. მარილის ლექი.*

**ლექსაობა** *ლექსაობის* (ლექსაობს) იგივეა, რაც შაირობა.

**ლექსვა** *ლექსვის* (ლექსავს) ↑ გალექსვა. *ამ ამბავს ლექსავენ.*

**ლექსი** *ლექსის* 1. პოეტური ნაწარმოები, რიტმულად მოწესრიგებული, უმეტესად გარითმული ტექსტი. *გალაკტიონის ლექსები. ხალხური ლექსი.*

**ლექსიკა** *ლექსიკის* ამა თუ იმ ენის (დიალექტის) ან რომელიმე მწერლის (პიროვნების) სიტყვათა მარაგი. *ქართული ენის ლექსიკა. პოეტის ლექსიკა. მდიდარი ლექსიკა.* ■ **ლექსიკური** ლექსიკისთვის დამახასიათებელი, ლექსიკასთან დაკავშირებული. *ლექსიკური შეცდომა. ლექსიკური მარაგი. თავისებური ლექსიკა.*

**ლექსიკოგრაფი** *ლექსიკოგრაფის* ლექსიკოგრაფიის სპეციალისტი. *გამოჩენილი ლექსიკოგრაფი.*

**ლექსიკოგრაფია** *ლექსიკოგრაფიის* ლექსიკონების შედგენის თეორია და პრაქტიკა. *ქართული ლექსიკოგრაფია.* ■ **ლექსიკოგრაფიული** და **სალექსიკოგრაფიო** ლექსიკოგრაფიასთან დაკავშირებული. *ლექსიკოგრაფიული მუშაობა.*

**ლექსიკოლოგი** *ლექსიკოლოგის* ლექსიკოლოგიის სპეციალისტი.

**ლექსიკოლოგია** *ლექსიკოლოგიის* ენათმეცნიერების დარგი, რომელიც სწავლობს ლექსიკას. ■ **ლექსიკოლოგიური** ლექსიკოლოგიასთან დაკავშირებული. *ლექსიკოლოგიური შრომები.*

**ლექსიკონი** *ლექსიკონის* წიგნი, რომელშიც ანბანის რიგზე გაწყობილი სიტყვები ახსნილია იმავე ენაზე ან თარგმნილია რომელიმე სხვა (ერთ ან რამდენიმე) ენაზე. *სასწავლო ლექსიკონი. ტერმინთა ლექსიკონი.*

**ლექტორი** *ლექტორის* პირი, რომელიც ლექციას ატარებს. *უნივერსიტეტის ლექტორი.*

**ლექცია** *ლექციის* ზეპირი გამოსვლა, საუბარი, მსჯელობა მსმენელთა წინაშე სწავლების ან გამოცდილების გაზიარების მიზნით. *ლექციის მოსმენა. პოლიტოლოგიის ლექციები.*


ლეღვი

**ლეღვი** *ლეღვის* 1. მოყვითალო, მწვანე ან შავი, მომრგვალო ან მსხლის ფორმის რბილი ხილი. *ლეღვის მურაბა. ლეღვის ჩირი.* 2. საშუალო სიმაღლის ხე ან ბუჩქი, რომელიც ისხამს ლეღვს (1), აქვს გლუვი, ნაცრისფერი ქერქი და ხაოიანი, მსხვილი ფოთლები.

**ლეში** *ლეშის* მკვდარი ცხოველის სხეული. *ლეშის მჭამელი ცხოველები.*

**ლეშურა** *ლეშურის* მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარე, აქვს გამსხვილებული ფესვი, მცოცავი ღეროები და ხაოიანი ფოთლები, ისხამს შავ ან წითელ ნაყოფს.

**ლეჩაქი** *ლეჩაქის* ქართველი ქალის თავსაბურავი, აბრეშუმის ბადისებრი ქსოვილი, იხურავდნენ ჩიხტიკოპთან და ბაღდადთან ერთად. *ლეჩაქი მოიხდინა.*

**ლენვა** *ლენვის* (ლენავს, ილენავს, ულენავს, ილენება, ალენვინებს) 1. ↑ **გალენვა**. *პური კალოზე ილენებოდა.* 2. ↑ **დალენვა**. *ყველაფერს ლენავს.*

**ლიანა** *ლიანის* ტროპიკული და სამხრეთის ქვეყნების ხვიარა, ზევით მცოცავი მცენარეების ზოგადი სახელწოდება. *დახლართული ლიანები.*

**ლიანდაგი** *ლიანდაგის* 1. რკინის ორი პარალელური ხაზი, რომელზეც ზოგიერთი ტრანსპორტი გადაადგილდება. 2. ბამბის ან მატყლის დასამაგრებლად საბანზე, ლეიბსა და მისთ. გავლებული ნაკერი.

**ლიბერალი** *ლიბერალის* ადამიანი, რომელიც უარყოფითი მოვლენებისადმი შემწყნარებლობას, შემგუებლობას იჩენს. *ამ საქმეში ლიბერალი არ გამოდგება.*

**ლიბერალიზმი** *ლიბერალიზმის* სოციალურ-პოლიტიკური მოძრაობა, რომლის ძირითად მიზანს წარმოადგენს პიროვნების თავისუფლების დაცვა. *ლიბერალიზმის თვალსაჩინო წარმომადგენლები.*

**ლიბერალობა** *ლიბერალობის* 1. ლიბერალიზმის გამოჩენა. *მის საუბარში ჩანს ლიბერალობა.* 2. მეტისმეტი შემწყნარებლობა, მოთმენა, ნებაზე მიშვება. *ასეთი ლიბერალობაც არ შეიძლება.*

**ლიბერალური** *ლიბერალურის* შემრიგებლური, შემგუებლური. *ლიბერალური განწყობა.*

**ლიბო** *ლიბოს* შენობის კედლის საძირკველი. *მყარი ლიბო.*

**ლიბრეტო** *ლიბრეტოს* 1. დიდი მუსიკალური ნაწარმოების (ჩვეულებრივ, ოპერისა და ბალეტის) ტექსტი. *ლიბრეტოს ავტორი.* 2. ოპერის, ბალეტისა და მისთ. მოკლე შინაარსი, რომელიც ცალკე ან თეატრალურ პროგრამასთან ერთად არის დაბეჭდილი.

**ლიბრი** *ლიბრის* თეთრი გამჭვირვალე ლაქა, რომელიც ფარავს თვალის გუგას და აფერხებს მხედველობას. *ლიბრი მოაშორეს.* ⊙ **თვალებზე ლიბრი გადაეკვრება** რაიმეს დანახვის, აღქმის უნარი დაეკარგება.

**ლიგა** *ლიგის* ადამიანების, ორგანიზაციების, სახელმწიფოთა გაერთიანება, კავშირი. *საფეხბურთო ლიგა.*

**ლიდერი** *ლიდერის* 1. რომელიმე დაჯგუფების, პოლიტიკური პარტიის, საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციის მეთაური, წინამძღოლი. *პარტიის ლიდერი. ახალგაზრდების ლიდერი. ლიდერის თვისებები.* 2. სპორტსმენი ან სპორტსმენთა გუნდი, რომელიც შეჯიბრებაში წინ უსწრებს სხვებს. *ჩემპიონატის ლიდერი.*

**ლიდერობა** *ლიდერობის* (ლიდერობს) ლიდერად ყოფნა. *გუნდი ლიდერობს.*

**ლივლივი** *ლივლივის* (ლივლივებს, ულივლივებს, ალივლივებს) წყლის ზედაპირის წყნარი, ნელი რხევა. *აუზში წყალი ლივლივებს. ზღვა ლივლივებს.*

**ლითონი** *ლითონის* მყარ, გაუმჭვირვალე ნივთიერებათა საერთო სახელწოდება, ახასიათებთ მაღალი ელექტრო- და თბოგამტარობა, უმეტესობა ადვილად მუშავდება. *ფერადი ლითონები. ძვირფასი ლითონი.*

**ლიკვიდაცია** *ლიკვიდაციის* 1. საქმიანობის შეწყვეტა, დახურვა, გაუქმება. *ტრესტის ლიკვიდაცია.* 2. მოსპობა, აღმოფხვრა, განადგურება. *ტერორისტების ლიკვიდაცია. უცოდინარობის ლიკვიდაცია.*

**ლიკვიდირება** *ლიკვიდირების* იგივეა, რაც ლიკვი-

დაცია. *საწარმოს ლიკვიდირება გადაწყვიტეს.*

**ლიკვიდირებული** *ლიკვიდირებულის* 1. გაუქმებული, რის ლიკვიდაციაც მოხდა. *ლიკვიდირებული საწარმო. ლიკვიდირებული დაწესებულება.* 2. მოსპობილი, განადგურებული. *ლიკვიდირებული ბანდა. მტერი ლიკვიდირებულია.*

**ლიკვიდური** *ლიკვიდურის* რის განაღდებაც, ფულად ქცევა შეიძლება. *ლიკვიდური საქონელი.*

**ლიკლიკა** *ლიკლიკას* 1. ლიკლიკით მომდინარე ნაკადული, წყარო. *ლიკლიკა ნაკადი.* 2. ვინც სულ ლიკლიკებს (2). *დიდი ლიკლიკა ვინმეა.*

**ლიკლიკი** *ლიკლიკის* (ლიკლიკებს, ელიკლიკება) 1. წყლის მცირე ნაკადის დენისას გამოცემული ხმა. *წყალი ლიკლიკით გადმოვიდა.* 2. გადატ. ბავშვის გაუთავებელი ლაპარაკი. *რას ლიკლიკებ?*

**ლილა** *ლილის* ლურჯი მინერალური საღებავი, გამოიყენება ქსოვილის ან ქაღალდის შესაღებად, აგრეთვე თეთრეულის რეცხვისას. *ლილაში გავლება.*

**ლილვი** *ლილვის* სხვადასხვა მანქანის ღერძის მბრუნავი ნაწილი. *ურმის ლილვი. საქსოვი დაზგის ლილვი. გადამცემი ლილვი.*

**ლილიპუტი** *ლილიპუტის* არანორმალურად პატარა ტანის ადამიანი.

**ლილოჭრელი** *ლილოჭრელის* ალაგ-ალაგ თოვლიანი მიდამო. *ლილოჭრელი მინდორი.*

**ლიმიტი** *ლიმიტის* ნორმა, რომლის ფარგლებშიც შეიძლება რაიმეთი სარგებლობა, რაიმეს ხარჯვა. *ელექტროენერგიის ლიმიტი.*

**ლიმიტირებული** *ლიმიტირებულის* ლიმიტით განსაზღვრული, რაოდენობრივად ან მოცულობით შეზღუდული. *ლიმიტირებული საქონელი. ლიმიტირებული რაოდენობა.*

**ლიმონათი** *ლიმონათის* უალკოჰოლო, ტკბილი, გაზიანი გამაგრილებელი სასმელი. *ნაღების ლიმონათი.*

**ლიმონი** *ლიმონის* 1. ყვითელი მჟავე სურნელოვანი ციტრუსი. *ლიმონის წვენი.* 2. ციტრუსოვანი მარადმწვანე ხე, რომელიც ისხამს ლიმონს (1), აქვს ეკლიანი ტოტები და თეთრი, ოდნავ მოვარდისფრო ყვავილები. *ლიმონის პლანტაცია.* ▪ **ლიმონიანი** ლიმონის შემცველი. *ლიმონიანი ჩაი.*

**ლიმონმჟავა** *ლიმონმჟავას* ბუნებაში ფართოდ გავრცელებული ორგანული მჟავა, რომელიც კარგად იხსნება წყალსა და სპირტში, გამოიყენება მედიცინაში, კვების მრეწველობასა და ფოტოგრაფიაში. *ლიმონმჟავას ხსნარი. ლიმონმჟავას კრისტალები.*

**ლიმონურა** *ლიმონურას* მცოცავი მერქნიანი მცენარე, აქვს გრძელი ტოტები, ელიფსური ფოთლები, თეთრი ან მოვარდისფრო ყვავილები და მრგვალი, მჟავე ნაყოფი, გამოიყენება სამკურნალოდ.

**ლიმუზინი** *ლიმუზინის* დახურული, შემინული, შიდა ტიხრის მქონე მსუბუქი ავტომობილი.

**ლიმფა** *ლიმფის* უფერული სითხე, რომელიც მიმოიქცევა ადამიანისა და ცხოველის ორგანიზმის უჯრედშორის სივრცეებსა და სადინარებში. *ჭრილობიდან ლიმფა სდის.*

**ლიმფური** *ლიმფურის* ლიმფის შემცველი, ლიმფასთან დაკავშირებული. *ლიმფური ჯირკვლები.*

**ლინგვისტი** *ლინგვისტის* იგივეა, რაც ენათმეცნიერი. *ლინგვისტთა კონფერენცია.*

**ლინგვისტიკა** *ლინგვისტიკის* იგივეა, რაც ენათმეცნიერება.

**ლინზა** *ლინზის* ორმხრივ ამობურცული ოპტიკური მინა. *სათვალის ლინზა. მიკროსკოპის ლინზა.*

**ლინოლეუმი** *ლინოლეუმის* სპეციალური ხსნარით გაჟღენთილი სქელი, მკვრივი ქსოვილი, გამოიყენება იატაკზე დასაფენად.

**ლინჩი** *ლინჩის* ბრბოს მიერ დამნაშავის დასჯა გამოძიებისა და გასამართლების გარეშე. *ლინჩის წესით დასაჯეს.*

ლირა



**ლირა** *ლირის* ძველი ბერძნების სიმებიანი საკრავი, მიიჩნევა პოეტური შემოქმედების, შთაგონების სიმბოლოდ.

**ლირიზმი** *ლირიზმის* სინაზე, მგრძნობიარობა, ლირიკული ხასიათი. *ლირიზმით აღსავსე.*

**ლირიკა** *ლირიკის* პოეზია, რომელიც ავტორის გრძნობებსა და განცდებს გადმოსცემს. *ვაჟას ლირიკა.*

**ლირიკოსი** *ლირიკოსის* პოეტი, რომელიც ლირიკულ ლექსებს წერს. *ლირიკოსის შემოქმედება.*

**ლირიკული** *ლირიკულის* ნაზი, გრძნობიერი. *ლირიკული განწყობა. ლირიკული პოეზია.*

**ლისი** *ლისის* მრავალწლოვანი მცენარე, აქვს უფოთლო ღერო და თავთავად შეკრებილი ყვავილები, იზრდება ტენიან ადგილებში.

**ლიტანია** *ლიტანიის* საყოველთაო ლოცვა, რომლის დროსაც ეკლესიას გარს უვლიან, იმართება დიდ დღესასწაულებზე ან დიდი განსაცდელის დროს. *სააღდგომო ლიტანია.*

**ლიტანიობა** *ლიტანიობის* ლიტანიის შესრულება. *ლიტანიობას დაესწრო.*

**ლიტერატორი** *ლიტერატორის* ლიტერატურის დარგის სპეციალისტი. *ლიტერატორის სტატია.*

**ლიტერატურა** *ლიტერატურის* 1. მხატვრული ნაწარმოებების ერთობლიობა. *ქართული ლიტერატურა. თანამედროვე ლიტერატურა.* 2. რომელიმე დარგის შესახებ არსებული ნაშრომების ერ-

თობლიობა. *სამეცნიერო ლიტერატურა. თეატრალური ლიტერატურა.* ■ **ლიტერატურული** ლიტერატურისთვის დამახასიათებელი, ლიტერატურასთან დაკავშირებული. *ლიტერატურული საღამო. ლიტერატურული პრემია.*

**ლიტერატურათმცოდნეობა** *ლიტერატურათმცოდნეობის* მეცნიერება, რომელიც შეისწავლის, იკვლევს მხატვრულ ლიტერატურას, შემოქმედებით ხერხებსა და მეთოდებს. *ლიტერატურათმცოდნეობის კურსი.*

**ლიტონი** *ლიტონის* 1. უსაბუთო, მხოლოდ სიტყვაზე დამყარებული. *ლიტონი აზრები. ლიტონი განცხადება.* 2. მარტოსული, უთვისტომო. *ლიტონი კაცი.* 3. უბრალო, უმნიშვნელო. *ლიტონი ბედი.*

**ლიტრა** *ლიტრის* ერთი ლიტრის ტევადობის ვიწროყელიანი თიხის ჭურჭელი. *წყლის ლიტრა.*

**ლიტრი** *ლიტრის* სითხის საზომი ერთეული, შეესაბამება 1000 კუბური სანტიმეტრის მოცულობის სითხეს. *ხუთი ლიტრი წყალი.*

**ლიტურგია** *ლიტურგიის* ქრისტიანული მღვდელმსახურება. *ლიტურგია დაიწყო.*

**ლიტურგიკული** *ლიტურგიკულის* ლიტურგიკის, მღვდელმსახურების წესების შემცველი. *ლიტურგიკული კრებული.*

**ლიტურგიული** *ლიტურგიულის* იგივეა, რაც **ლიტურგიკული.**

**ლიფი** *ლიფის* ქალის მკერდის დამჭერი. *ტილოს ლიფი.*

**ლიფსიტა** *ლიფსიტის* ახლადგამოჩეკილი თევზი. *ლიფსიტების ქარავანი.*

**ლიფტი** *ლიფტის* მრავალსართულიან შენობებსა და შახტებში ვერტიკალურად მოძრავი კაბინა, გამოიყენება სიმაღლეზე ხალხის გადასაყვანად და ტვირთის გადასაზიდად. *სატვირთო ლიფტი. სამგზავრო ლიფტი.* ■ **ლიფტიანი** ლიფტის მქონე. *ლიფტიანი სახლი.*

**ლიქიორი** *ლიქიორის* ტკბილეულით შესქელებული ალკოჰოლიანი სასმელი. *ალუბლის ლიქიორი. შოკოლადის ლიქიორი.*

**ლიქნა** *ლიქნის* (ლიქნის) არაგულწრფელი ქება, მლიქვნელობა. *მის ლიქნას და პირფერობას ბოლო არ უჩანდა.*

**ლიცენზია** *ლიცენზიის* ოფიციალური დოკუმენტი, რომელიც იძლევა რაიმეს გაკეთების, რაიმეთი სარგებლობის უფლებას. *სავაჭრო ლიცენზია. ლიცენზიის გაცემა.*

**ლიცენზირება** *ლიცენზირების* გარკვეული საქმიანობისთვის ლიცენზიის აღება. *ექიმთა ლიცენზირება. პროგრამის ლიცენზირება.* ■ **ლიცენზირებული** ლიცენზიის მქონე. *ლიცენზირებული საქმიანობა. ლიცენზირებული საქონელი.*

**ლიცეუმი** *ლიცეუმის* საშუალო განათლების სასწავლო დაწესებულების ერთ-ერთი ტიპი. *ლიცეუმში სწავლობს.*

**ლიცლიცა** *ლიცლიცას* 1. სითხით პირამდე სავსე ჭურჭელი. *ლიცლიცა ქვაბი.* 2. მოციმციმე, მკრთალად მანათობელი. *ლიცლიცა სინათლე.* 3. წყალსატევის (ტბის, ზღვის, მდინარის) მოციმციმე ზედაპირი. *ლიცლიცა ტბა.*

**ლიცლიცი** *ლიცლიცის* (ლიცლიცებს) 1. სავსე ჭურჭელში სითხის ზედაპირის რხევა. *ჭიქაში წყალი ლიცლიცებს.* 2. იგივეა, რაც ციმციმი. *სხივი ლიცლიცებს.*

**ლიწინი** *ლიწინის* რაიმეს მტვრევის, მსხვრევის, ერთმანეთზე მიჯახების ხმა. *ლიწინი გაისმა. ჭურჭელს ლიწინი აუტეხა.*

**ლმობიერება** *ლმობიერების* მიმტევებლობა, გულკეთილობა. *ლმობიერება ახასიათებს.*

**ლმობიერი** *ლმობიერის* ვისაც დანდობა, შებრალება შეუძლია, გულკეთილი, მიმტევებელი. *ლმობიერი პიროვნება.*

**ლობი** *ლობის* პიროვნებათა ჯგუფი, რომელსაც შესწევს ძალა გავლენა მოახდინოს საკანონმდებლო საქმიანობაზე, მთავრობის ან საჯარო მმართველობის სხვა ორგანოთა გადაწყვეტილებებზე. *ძლიერი ლობი.*

**ლობიანი** *ლობიანის* პური ცხიმით შეზავებული ლობიოს შიგთავსით. *ლობიანები დააცხო.*

**ლობიო** *ლობიოს* 1. ერთწლოვანი პარკოსანი კულტურული მცენარე, იკეთებს მრავალთესლიან პარკს და სხვადასხვა ფორმისა და შეფერილობის მარცვლებს. *ჭრელი ლობიო. სარის ლობიო.* 2. ლობიოსგან (1) მომზადებული საჭმელი. *ქოთნის ლობიო. ნიგვზიანი ლობიო.* 3. გადატ. უფხო, უნიათო ადამიანი. *შე ლობიო!*

**ლობირება** *ლობირების* საქმიანობა, რომელსაც ნარმართავს ლობი. *ბანკების ლობირება.*

**ლოგიკა** *ლოგიკის* 1. მეცნიერება აზროვნების ფორმებისა და კანონების შესახებ. *ლოგიკის ლექცია.* 2. მოვლენის, მოქმედების, პროცესისა და მისთ. კანონზომიერება. *მოვლენათა ლოგიკა. მსჯელობის ლოგიკა.*

**ლოგიკოსი** *ლოგიკოსის* მეცნიერი, ლოგიკის სპეციალისტი.

**ლოგიკური** *ლოგიკურის* ლოგიკაზე, ფაქტების კანონზომიერ მიმართებებზე დაფუძნებული. *ლოგიკური მსჯელობა. ლოგიკური აზროვნება.*

**ლოგინი** *ლოგინის* საწოლის გასაწყობი საგნების (ლეიბის, საბნისა და ბალიშის) ერთობლიობა. *ლოგინი გაშალა. ლოგინი აალაგეს.*

**ლოგოპედი** *ლოგოპედის* სპეციალისტი, რომელიც მეტყველების დეფექტებს მკურნალობს. *ლოგოპედის რჩევა.*

**ლოგოპედობა** *ლოგოპედობის* ლოგოპედის საქმიანობა. *ლოგოპედობა გადაწყვიტა.*

**ლოდი** *ლოდის* ძალიან დიდი ქვა. *საფლავის ლოდი.* ☉ **გულზე ლოდი აწევს** ძალიან დარდობს. ⊙ **გულიდან ლოდი მოეხსნა** დარდისგან, უსიამოვნო ფიქრებისგან განთავისუფლდა.

**ლოდინი** *ლოდინის* (ელის, ელოდება) ერთ ადგილას ყოფნა ვინმეს ან რაიმეს მოლოდინში. *ლოდინით დაიღალა. წერილს ელოდება.*

**ლოზუნგი** *ლოზუნგის* მოკლე ფრაზა ან სიტყვა, რომელიც გამოხატავს მთავარ იდეას, მოწოდებას, მიმართვას, მოთხოვნას. *პოლიტიკური ლოზუნგი. სარეკლამო ლოზუნგი.*

**ლოთი** *ლოთის* ალკოჰოლური სასმელების მოყვარული, სასმელზე ავადმყოფურად დამოკიდებული. *ლოთი კინტო. ლოთი მათხოვარი.* ■ **ლოთური** ლოთისთვის დამახასიათებელი. *ლოთური იერი.*

**ლოთობა** *ლოთობის* (ლოთობს) ალკოჰოლიანი სასმელების სიყვარული, ხშირი თრობა. *ლოთობა მავნე ჩვევაა.*

**ლოიალური** *ლოიალურის* ფორმალურად კანონიერების ფარგლებში მყოფი, რაიმეს ან ვინმეს მიმართ კეთილგანწყობილი ან ნეიტრალური.

**ლოკალური** *ლოკალურის* რაც გარკვეულ ადგილს არ სცილდება, ადგილობრივი. *ლოკალური ომი.*

**ლოკატორი** *ლოკატორის* აპარატი, რომლის საშუალებითაც არკვევენ ამა თუ იმ ობიექტის ადგილმდებარეობას.

**ლოკვა** *ლოკვის* (ლოკავს, ილოკავს, ულოკავს, ალოკვინებს) ↑ **გალოკვა.** *კოვზს ლოკავს. ცხვარი ბატკანს ლოკავს. თითს ილოკავს.*

ლოკოკინა

**ლოკოკინა** *ლოკოკინას* უხერხემლო ცხოველი, ცხოვრობს საკუთარ ნიჟარაში. *ლოკოკინას კვალი.*

**ლოკომოტივი** *ლოკომოტივის* ლიანდაგზე მოძრავი ტრანსპორტის გამწევი, გადასაადგილებელი საშუალება. *რამდენიმე ვაგონს ლოკომოტივი ჩააბეს.*

**ლოლიაობა** *ლოლიაობის* (ულოლიავებს, ელოლიავება) ზედმეტად ზრუნვა, გაფრთხილება, მოვლა, მოფერება. *ლოლიაობას მიაჩვია. შვილებს ელოლიავება.*

ლოლო

**ლოლო** *ლოლოს* წვეთებად ჩამონადენი წყლის გაყინვის შედეგად წარმოქმნილი გრძელი წვეტიანი ჩხირი. *სახურავზე ლოლოები კიდია.*

**ლოლუა** *ლოლუას* იგივეა, რაც ლოლო. *ყინულის ლოლუები.*

**ლომბარდი** *ლომბარდის* დაწესებულება, რომელიც გასცემს სესხს მოძრავი ქონების დაგირავებით. *ოქრო ლომბარდში ჩააბარეს.*

**ლომგული** *ლომგულის* უშიშარი, შეუდრეკელი, შეუპოვარი. *ლომგული მეომარი.*


ლომი

**ლომი** *ლომის* 1. დიდი მტაცებელი ცხოველი კატისებრთა ოჯახიდან. *ლომი ღრიალებს. ლომის ფაფარი.* 2. ზოდიაქოს ნიშანი. *ლომის ნიშნითაა დაბადებული.*

**ლომისკბილა** *ლომისკბილას* მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარე, აქვს უფოთლო ღერო და რთული ფოთლები, იკეთებს ღეროს წვერზე კალათებად შეკრებილ ყვითელ ყვავილებს.

**ლოპიანი** *ლოპიანის* ლორწოთი დაფარული. *ხის ლოპიანი კანი. ლოპიანი ბატკანი.*

**ლოპო** *ლოპოს* 1. სისველე, რომელიც ხის ქერქსა და მერქანს შორის დგება გაზაფხულზე. 2. ზოგი ხის ან ბუჩქის ნორჩი ყლორტისგან მრგვალად, სიგრძეზე გაძრობილი ქერქი. *ტირიფის ლოპო.*

**ლოპრი** *ლოპრის* 1. ცხოველთა დუჟი. *ხბოს ლოპრი გადმოსდიოდა.* 2. ახალშობილი ცხოველის ლორწოვანი სისველე. *ბატკნის ლოპრი.*

**ლოჟა** *ლოჟის* რამდენიმე ადგილიანი გამოყოფილი ნაწილი მაყურებელთა დარბაზში. *ლოჟაში დასხდნენ.*

**ლორდი** *ლორდის* უმაღლესი წოდების წარმომადგენელთა მემკვიდრეობითი ტიტული დიდ ბრიტანეთში. *ლორდთა პალატა. ლორდის მამული.*

**ლორთქო** *ლორთქოს* ახლადამოყრილი, ნორჩი და მსუყე (ბალახი, ყლორტი). *ლორთქო მწვანილი.*

**ლორი** *ლორის* დამარილებული და შებოლილი ღორის ხორცი. *რაჭული ლორი.*

**ლორნეტი** *ლორნეტის* ძველებური სახელურიანი, დასაკეცი სათვალე. *ლორნეტით დაათვალიერა. ლორნეტში გაიხედა.* ■ **ლორნეტიანი** ვისაც ლორნეტი უკეთია. *ლორნეტიანი ქალბატონი.*

**ლორწო** *ლორწოს* წებოვანი სითხე, რომელსაც გამოყოფს ადამიანის, ცხოველის ან მცენარის ორგანიზმის ზოგიერთი უჯრედი. *პირიდან ლორწო გადმოსდიოდა.* ■ **ლორწოვანი** ლორწოს შემცველი, ლორწოს თვისების მქონე. *ლორწოვანი გარსი.*

**ლოსიონი** *ლოსიონის* სპეციალური წესით დამზადებული სურნელოვანი წყალი, გამოიყენება ჰიგიენური და კოსმეტიკური მიზნით. *ვარდის ლოსიონი.*

**ლოტბარი** *ლოტბარის* მომღერალთა გუნდის ხელმძღვანელი. *ცნობილი ლოტბარი.*

**ლოტო** *ლოტოს* თამაში, რომლის მონაწილეებიც ავსებენ (ფარავენ) ბარათებზე გამოსახულ ციფრებს ან ნახატებს, რომლებიც წამყვანის მიერ ამოძახებულ სიმბოლოს შეესაბამება.

**ლოტოსი** *ლოტოსის* წყლის მცენარე, აქვს გრძელყუნწიანი, მომრგვალო ფოთლები და თასივით გაშლილი, სქელი ყვავილები. *ეგვიპტური ლოტოსი. ცისფერი ლოტოსი.*

**ლოქო** *ლოქოს* I. მტკნარი წყლების დიდი, ბრტყელთავა თევზი. *ლოქოს ალა ზანში იჭერენ.* 2. საუბრ. მოუქნელი, დონდლო ადამიანი. *რაო, იმ ლოქომ?*

**ლოღნა** *ლოღნის* (ლოღნის, ილოღნება) ↑ **გალოღნა**. *მოხუცი პურს ლოღნის. ბავშვი ვაშლს ლოღნიდა.*

**ლოყა** *ლოყის* ადამიანის სახის ნაწილი პირიდან ყურამდე. *ფერმკრთალი ლოყები. ლოყები აუღაჟღაჟდა. ლოყა ზე აკოცა.*

**ლოყაწითელი** *ლოყაწითლის* ვისაც ან რასაც წითელი ლოყები აქვს. *ლოყაწითელი ქალიშვილი. ლოყაწითელი ვაშლი.*

**ლოშნა** *ლოშნის* (ლოშნის, ულოშნის) ↑ **დალოშნა**. *ლოშნა დაუწყო.*

**ლოცვა** *ლოცვის* (ლოცულობს, ლოცავს) I. უფლის მიმართ სავედრებელი სიტყვების წარმოთქმა. *ხატის წინ ლოცულობს.* 2. ლოცვის დროს წარმოსათქმელი ტექსტი. *ლოცვების წიგნი.* 3. საეკლესიო ღვთისმსახურება, რომელიც დღის გარკვეულ მონაკვეთში სრულდება. *ლოცვა ზე იყვნენ. დილის ლოცვა დასრულდა.* 4. ↑ **დალოცვა**. *შვილს ლოცავს.*

**ლოცმანი** *ლოცმანის* სპეციალისტი, რომელიც მართავს გემს სახიფათო, ძნელად გასავლელ ადგილებში. *გამოცდილი ლოცმანი.*

**ლოხი** *ლოხის* ტანად დიდი და გამხდარი, ახმახი. *ლოხი კამეჩი. ლოხი ცხენი.*

**ლოჯია** *ლოჯიის* შენობის გარეთა მხრიდან ამოყვანილი ღია ნაწილი.

**ლპობა** *ლპობის* (ალპობს, ულპობს, ლპება, ულპება) ↑ **დალპობა**. *ხილი ლპება. ხეს ფესვები ულპება. ლპობა შეეპარა.*

**ლპობადი** *ლპობადის* რაც ადვილად ლპება. *ლპობადი პროდუქტი.*

**ლტოლვა** *ლტოლვის* (ილტვის) ძლიერი სურვილი, რაიმესკენ სწრაფვა. *გამარჯვებისკენ ილტვის. ლტოლვას ვერ მალავს.*

**ლტოლვილი** *ლტოლვილის* I. გაქცეული, გადახვენილი, ვინც მდევარს გაურბის. *ლტოლვილები სამშვიდობოს გავიდნენ.* 2. მუდმივი საცხოვრებლიდან ძალით განდევნილი. *ლტოლვილთა ბანაკი. ლტოლვილი მოსახლეობა.*

**ლუდი** *ლუდის* სუსტი ალკოჰოლიანი სასმელი, რომელიც მზადდება მარცვლეულის ფქვილის ალაოსა და სვიის ყვავილისგან. *ერთი კათხა ლუდი.* ⊙ **ლუდის გამოხდა** ლუდის დამზადება.

**ლუდხანა** *ლუდხანის* ადგილი, სადაც ლუდს სვამენ. *ლუდხანა ხალხით ივსება.*

**ლუკი** *ლუკის* ქვედა დახურული სივრცედან მაღლა ასასვლელი ჭრილი. *კაიუტის ლუკი. სცენის ლუკი.*

**ლუკმა** *ლუკმის* საჭმლის ნაწილი, რომელსაც ერთ ჯერზე ჩაიდებენ პირში. *დიდი ლუკმა გადაყლაპა.* ⊙ **ერთ ლუკმად არ ეყოფა** I. ძალიან ცოტაა საჭმელად, უმნიშვნელოა მისთვის. 2. ადვილად მოერევა, ადვილად დაამარცხებს (ჩხუბში). ⊙ **ლუკმას უთვლის** საჭმელს აყვედრის.

**ლუკმა-ლუკმა** ზმნ. ლუკმებად. *ლუკმა-ლუკმა შესანსლა.*

**ლუკმაპური** *ლუკმაპურის* არსებობისთვის აუცილებელი საკვები, საზრდო. *ლუკმაპურის შოვნა.*

**ლულა** *ლულის* ცეცხლსასროლი იარაღების მილისებური ნაწილი, რომელსაც გაივლის ტყვია ან ყუმბარა. *ტყვიამფრქვევის ლულა. თოფის ლულა.*

**ლულაქაბაბი** *ლულაქაბაბის* ლავაშში გახვეული ქაბაბი.

**ლუმინისცენცია** *ლუმინისცენციის* ცივი ნათება, გამოწვეული ელექტრული, ქიმიური ან სხვა პროცესებით.


ლუპა

**ლუპა** *ლუპის* ჩარჩოში ჩასმული გამადიდებელი შუშა. *ხელნაწერებს ლუპით კითხულობენ.*

**ლურთი** *ლურთის* ხორცის დიდი და მსუქანი ნაჭერი. *ღორის ლურთები.*


ლურსმანი

**ლურსმანი** *ლურსმნის* თავიანი, ბოლოში წაწვეტებული ლითონის ღერო, გამოიყენება რაიმეს დასაჭედებლად, დასამაგრებლად. *მსხვილი ლურსმანი. ლურსმანი მიაჭედა.*

**ლურჯა** *ლურჯა* მორუხო ფერის თეთრი ცხენი. *ლურჯას მიაგელვებს.*

**ლურჯი** *ლურჯის* მუქი ცისფერი. *ლურჯი კაბა. ლურჯი სუფრა.*

**ლუსტრაცია** *ლუსტრაციის* საკანონმდებლო დონეზე განხორციელებულ ღონისძიებათა პრაქტიკა, რომელიც სახელმწიფო აპარატსა და ზოგიერთ საზოგადოებრივ ორგანიზაციაში მუშაობას უკრძალავს მმართველი წრეებისთვის პოლიტიკური, რელიგიური ან სხვა თვალსაზრისით მიუღებელ პირებს.

**ლუფა** *ლუფის* ერთწლოვანი მცენარე, აქვს ულვაშებიანი მცოცავი ღერო და მსხვილი, ყვითელი ყვავილები, ისხამს კიტრის ფორმის დიდ, თავდაკიდებულ ნაყოფს, რომელსაც დამუშავების შემდეგ ტანის გასახეხად ხმარობენ.

**ლუქი** *ლუქის* მუქი წითელი ფისი, გამოიყენება კარის, პაკეტის, წერილის დასაბეჭდად. *ლუქის დადება.*

**ლუქსი** *ლუქსის* ძალიან კარგად, კომფორტულად მოწყობილი. *სასტუმროს ლუქსი.*

**ლულლული** *ლულლულის* (ლულლულებს) გაჭირვებით, გაურკვევლად ლაპარაკი. *მოხუცი ლულლულებს. ავადმყოფის ლულლული ვერ გაარჩია.*

**ლუნი** *ლუნის* რიცხვი, რომელიც იყოფა ორზე. *ლუნი რიცხვები.*

**ლღობა** *ლღობის* (ალღობს, ღვება, ულღვება) ↑ გალღობა. *ყინულმა ლღობა დაიწყო. სანთელი ლღვება.*

**ლხენა** *ლხენის* (ალხენს, ულხენს, ილხენს, ელხინება) ↑ მოლხენა. *ყმაწვილი კარგად ილხენს.*

**ლხინი** *ლხინის* ქეიფი, გართობა ცეკვა-სიმღერით, ჩვეულებრივ, ხალხმრავალი. *დიდი ლხინი გამართეს.*

**ლხობა** *ლხობის* (ალხობს, ლხვება, ულხვება) ↑ გალხობა. *თოვლი ლხვება.*

# – მ –

**მაამებელი** *მაამებლის* I. სასიამოვნო, სიამოვნების მიმნიჭებელი, დამატკბობელი. *გულის მაამებელი სიტყვები.* 2. იგივეა, რაც მლიქვნელი. *ბევრი მაამებელი გამოჩნდება.* ■ **მაამებლური** მლიქვნელური. *მაამებლური სიტყვები. მაამებლური დამოკიდებულება.*

**მაბეზღარა** *მაბეზღარას* ვისაც დაბეზღება სჩვევია, უყვარს. *მაბეზღარა ბავშვი.*

**მაგალითი** *მაგალითის* I. რაიმეს ნათელსაყოფად მოყვანილი ფაქტი. *ნათელი მაგალითი.* 2. სხვისთვის მისაბაძი საქციელი, მოქმედება. *პირადი მაგალითი.* 3. მათემატიკური გამოსახულება, რომელიც უნდა ამოიხსნას. *რთული მაგალითი.* ▲ **მაგალითად** ზმნზ. ნიმუშად, მაგალითისთვის. *მაგალითად გამოდგება.*

**მაგარი** *მაგრის* I. მტკიცე, მყარი, გამძლე. *მაგარი აეჟი.* ↔ **რბილი.** 2. ძლიერი, ღონიერი. *მაგარი მუხლი. მაგარი სპორტსმენი.* 3. ჟარგ. კარგი. *მაგარი ფილმია.* 4. დიდი რაოდენობით ალკოჰოლის შემცველი. *მაგარი სასმელი. მაგარი არაყი.* ▲ **მაგრად** ზმნზ. მტკიცედ, მყარად. *მაგრად ურტყამს.* ■ **მაგარ-მაგარი** საუბრ. ძალიან ღონიერი. *მაგარ-მაგარი ბიჭები.*

**მაგდენი** *მაგდენის* რაოდენობით მაგის ტოლი. *მაგდენი ფული არ დაგჭირდება.*

**მაგია** *მაგიის* მისტიკური, ჯადოსნური ძალა. *მაგიას ფლობს.*

**მაგიდა** *მაგიდის* ხის, ლითონისა და მისთ. ავეჯი, აქვს ერთი ან რამდენიმე ფეხი, რომლებზეც ჰორიზონტალურად დამაგრებულია სხვადასხვა ფორმის (მრგვალი, ოთხკუთხა, ოვალური) ბრტყელი ზედაპირი. *საოფისე მაგიდა. საწერი მაგიდა.*


მაგიდა

**მაგიერ** თანდ. (+ ნათ.) ნაცვლად, მაგივრად. *მეგობრის მაგიერ იმორიგეევა.*

**მაგიერი** *მაგიერის* რაიმეს ან ვინმეს სამაგიერო, შემცვლელი, სანაცვლო. *დედის მაგიერი.*

**მაგივრად** თანდ. (+ ნათ.) მაგიერ, ნაცვლად, სანაცვლოდ. *ჩემ მაგივრად ლაპარაკობს. წიგნის მაგივრად ალბომი დაუბრუნა.*

**მაგივრობა** *მაგივრობის* ვინმეს ან რამის მაგივრად, სანაცვლოდ ყოფნა. *ძმის მაგივრობას უწევს. სკამის მაგივრობას ასრულებს.*

**მაგისთანა** *მაგისთანას* მაგის მსგავსი, მაგნაირი. *მაგისთანა მეგობარი. მაგისთანა სახლი.*

**მაგისტრალი** *მაგისტრალის* მთავარი, ძირითადი ხაზი საკომუნიკაციო სისტემაში. *გაზსადენის მაგისტრალი. რკინიგზის მაგისტრალი.*

**მაგისტრალური** *მაგისტრალურის* მთავარი, ძირითადი. *მაგისტრალური მილი. მაგისტრალური მიმართულება.*

**მაგისტრანტი** *მაგისტრანტის* პირი, რომელიც მაგისტრატურაში სწავლობს. *მაგისტრანტებს უკითხავს ლექციას.*

**მაგისტრატურა** *მაგისტრატურის* სწავლების მეორე საფეხური უმაღლეს სასწავლებელში. *მაგისტრატურა დაამთავრა.*

**მაგისტრი** *მაგისტრის* პირი, რომელსაც დაცული აქვს სამაგისტრო დისერტაცია და მინიჭებული აქვს სამეცნიერო ხარისხი.

**მაგიტომ** ზმნზ. მაგ მიზეზით, მაგის გამო. *არ იცოდი და მაგიტომ გეპატიება.*

**მაგიური** *მაგიურის* მაგიის ძალისა, მაგიით გამოწვეული. *მაგიური ზემოქმედება.*

**მაგნაირი** *მაგნაირის* მაგის მსგავსი. *მაგნაირი კაბა. მაგნაირი მუქთახორა.*

**მაგნატი** *მაგნატის* დიდი ქონების მფლობელი, გავლენიანი კაპიტალისტი. *მრეწველობის მაგნატი. ნავთობის მაგნატი.*

**მაგნიტი** *მაგნიტის* რკინის ან ფოლადის საგანი, რომელსაც ზოგიერთი ლითონის მიზიდვის უნარი აქვს. *ნალისებური მაგნიტი.* ■ **მაგნიტიანი** მაგნიტის მქონე. *მაგნიტიანი სათამაშო.*

**მაგნიტოფონი** *მაგნიტოფონის* აპარატი, რომლის საშუალებითაც ხდება ბგერების ელექტრომაგნიტური გზით ჩაწერა და შემდეგ მათი აღდგენა (მოსმენა). *მაგნიტოფონი ჩართო. ჯიბის მაგნიტოფონი.*

**მაგნიტური** *მაგნიტურის* მაგნიტის ძალის მქონე. *მაგნიტური ენერგია. მაგნიტური ტალღა.*

**მაგნიუმი** *მაგნიუმის* ქიმიური ელემენტი, რბილი, მსუბუქი, მოვერცხლისფრო თეთრი ლითონი, წვისას გამოსცემს თეთრ კაშკაშა ალს. *მაგნიუმის უანგი. მაგნიუმის მადანი.*

**მაგნოლია** *მაგნოლიის* მარადმწვანე ხე ან ბუჩქი, აქვს მთლიანი პრიალა ფოთლები და დიდი, თეთრი, სურნელოვანი ყვავილები.

**მაგრამ** კავშ. გამოიყენება საწინააღმდეგო მნიშვნელობის სიტყვების ან წინადადებების დასაკავშირებლად. *პატარა, მაგრამ ნათელი ოთახი ჰქონდათ. ქარი ჩადგა, მაგრამ მაინც ცივა.*

**მაგრილებელი** *მაგრილებლის* რაც აგრილებს, სიგრილეს იწვევს. *მაგრილებელი ნიავი.*

**მადა** *მადის* ჭამის სურვილი. *კარგი მადა. ცუდი მადა.* ⊙ **მადა გაეხსნება** 1. ჭამის სურვილი გაუჩნდება. 2. რაიმე სურვილი აღეძვრება.

**მადანი** *მადნის* ლითონის ან სხვა ნედლეულის შემცველი ბუნებრივი მინერალური წარმონაქმნი მიწის წიაღში. *რკინის მადანი. სპილენძის მადანი. გოგირდის მადანი.*

**მადიდებელი** *მადიდებლის* ვინც ვინმეს ხოტბას ასხამს. *მაქებარი და მადიდებელი არ აკლია.*

**მადლი** *მადლის* 1. დიდი სიკეთე, მოწყალება. *მადლის ჩამდენი.* 2. ღმერთისა და ციურ ძალთა შენევნა, წყალობა. *ღვთის მადლით.* ⊙ **მადლით მოსილი** სიკეთით აღსავსე. ⊙ **მადლს მოისხამს** დახმარებას გაუწევს.

**მადლიანი** *მადლიანის* 1. სიკეთის, მადლის მქნელი. *მადლიანი ქალი.* 2. გადატ. ნოყიერი, უხვმოსავლიანი (მიწა). *მადლიანი მამული.*

**მადლიერება** *მადლიერების* (ემადლიერება) მადლობის გრძნობა, მადლიერი დამოკიდებულება ვინმეს მიმართ. *მადლიერება გამოხატა. შვილებს ემადლიერება.*

**მადლიერი** *მადლიერის* ვინც კმაყოფილებას გამოხატავს მის მიმართ გაწეული სიკეთისთვის, დახმარებისთვის, ზრუნვისთვის. *მადლიერი შთამომავლობა. მამის მადლიერი.*

**მადლობა** *მადლობის* (მადლობს) კარგი საქმის, ნამოქმედარის გამო კმაყოფილების სიტყვიერი გამოხატვა. *მადლობა გადაუხადა. მადლობას ეტყვის.*

**მადლობელი** *მადლობელის* იგივეა, რაც მადლიერი. *მშობლების მადლობელი იყო.*

**მადნეული** *მადნეულის* დედამიწის ზედაპირზე ან მის ნიაღში დაგროვილი მადნის მარაგი, რომლის დამუშავებითაც სხვადასხვა ლითონი მიიღება. *შავი ლითონების მადნეული. მადნეულის საბადოები.*

**მაესტრო** *მაესტროს* დიდი ხელოვნის (კომპოზიტორის, მუსიკოსის, მხატვრისა და მისთ.) არაოფიციალური საპატიო წოდება. *დიდი მაესტრო.*

**მავანი** *მავანის* ნაცვ. საუბრ. ვიღაც, რომელიღაც. *მავანმა მითხრა. მავანი კაცი. მავანი გაზეთის რედაქტორი.*

**მავედრებელი** *მავედრებლის* ვინც ვინმეს ევედრება, ეხვეწება, სთხოვს. *მავედრებელი დედა.*

**მავზოლეუმი** *მავზოლეუმის* მნიშვნელოვანი პიროვნების საფლავზე აგებული არქიტექტურული ნაგებობა. *იმპერატორის მავზოლეუმი.*

**მავთული** *მავთულის* ლითონის გრძელი, სხვადასხვა სისქის ძაფი, გამოიყენება ელექტროსადენების, ზამბარების, ბადეების დასამზადებლად. *სპილენძის მავთული. ოქროს მავთული. მავთულის ღობე.*

**მავთულხლართი** *მავთულხლართის* ეკლიანი მავთულით გაკეთებული ძნელად გადასალახი ღობე. *ეზოს მავთულხლართი შემოავლეს.*

**მავნე** *მავნის* იგივეა, რაც მავნებელი. *მავნე სული.*

**მავნებელი** *მავნებლის* ცუდის მოქმედი, ვნების, ზიანის მომტანი. *მავნებელი ძალები.*

**მავნებლობა** *მავნებლობის* (მავნებლობს) ზიანის მოტანა, ვნება². *თამბაქოს მავნებლობაზე ისაუბრა.*

**მაზალო** *მაზალოს* საუბრ. დიდად უცნაური, უცნაურ საქმეთა ჩამდენი. *დიდი მაზალო ვინმეა.*

**მაზანდა** *მაზანდის* ძვ. რაიმეს ფასი ბაზარში.

**მაზდეანობა** *მაზდეანობის* იგივეა, რაც ცეცხლთაყვანისმცემლობა

**მაზეგ** ზმნზ. ზეგინდელი დღის მომდევნო დღეს. *მაზეგ ჩემი ძმა ჩამოდის.*

**მაზიარებელი** *მაზიარებლის* ვინც ეზიარება ან აზიარებს. *მაზიარებელი მრევლი. მაზიარებელი მოძღვარი.*

**მაზლი** *მაზლის* ქმრის ძმა. *უფროსი მაზლი.*

**მაზლიშვილი** *მაზლიშვილის* მაზლის შვილი. *ბიცოლა და მაზლიშვილი.*

**მაზუთი** *მაზუთის* ნავთობის გამოხდის შედეგად მიღებული პროდუქტი, გამოიყენება საწვავად. *მაზუთის ავზი.* ▪ **მაზუთიანი** რაც მაზუთით არის დასვრილი. *მაზუთიანი ტანსაცმელი.*


მათარა

**მათარა** *მათარის* ქამარზე დასაკიდი საგზაო ჭურჭელი. *მათარა წყლით აავსო. ალუმინის მათარა.*

**მათემატიკა** *მათემატიკის* მეცნიერება, რომელიც შეისწავლის სიდიდეებს, რაოდენობრივ ფარდობებსა და სივრცით ფორმებს. *მათემატიკის წიგნი.* ▪ **მათემატიკური** მათემატიკასთან დაკავშირებული. *მათემატიკური მეთოდი.*

**მათემატიკოსი** *მათემატიკოსის* მათემატიკის სპეციალისტი. *გამოჩენილი მათემატიკოსი.*

მათი ნაცვ. რაც ან ვინც მათ ეკუთვნის. *მათი სოფელი. მათი შვილები.*

მათლაფა *მათლაფის* წვნიანი კერძის დასასხმელი ღრმა თეფში. *ფაიფურის მათლაფა.*


მათლაფა

მათრახი *მათრახის* ხის ტარის მქონე, თასმებისგან დაწნული ღეედი, ბოლოში ტყავის ენით. *მათრახი გადაჰკრა.* ■ მათრახიანი მათრახის მქონე. *მათრახიანი მხედარი.*


მათრახი

მათრობელა *მათრობელას* რაც თრობას იწვევს. *მათრობელა ღვინო. მათრობელა ნივთიერება.*

მათუთა *მათუთას* მიწაზე გართხმული ერთწლოვანი ბალახოვანი მცენარე, აქვს თუთის მსგავსი წითელი ნაყოფი, ნორჩი გამოიყენება მხლად.

მათხოვარი *მათხოვრის* ადამიანი, რომელიც მოწყალებას ითხოვს. *მათხოვარი გაიკითხა.* ■ მათხოვრული მათხოვრის დამახასიათებლი, მათხოვრის შესაფერისი. *მათხოვრული ყოფა. მათხოვრულად ჩაცმული.*

მათხოვრობა *მათხოვრობის* (მათხოვრობს) მოწყალების, შემწეობის თხოვნა. *მათხოვრობა დაიწყო. ქუჩაში მათხოვრობს.*

მაიმუნი *მაიმუნის* 1. გარეული ძუძუმწოვარი ცხოველი, ცხოვრობს აფრიკისა და სამხრეთ აზიის ტყეებში. *მაიმუნები ბანანს ჭამენ. მაიმუნის კუდი.* 2. გადატ. არასერიოზული ქცევის ადამიანი. *მაგისთანა მაიმუნებს მე ყურს არ ვუგდებ.*

მაიმუნი

მაიმუნობა *მაიმუნობის* (მაიმუნობს) გადამეტებული ოხუნჯობა, არასერიოზული მოქცევა. *მაიმუნობა აღარ შეეფერება. ბევრი ვიმაიმუნეთ. რას მაიმუნობ?!*

მაინც ნაწილაკ. 1. ყველა შემთხვევაში, რაც არ უნდა იყოს. *გაუჭირდა, მაგრამ საქმე მაინც ბოლომდე მიიყვანა. გული მაინც არ გაიტეხა.* 2. სხვა თუ არა, სხვაგან თუ არა, სხვა დროს თუ არა. *შენ მაინც მომეხმარე! ხვალ მაინც მოვიდეს! წიგნი მაინც წაიკითხოს!*

მაინცადამაინც ნაწილაკ.||მაინცდამაინც. *მაინცდამაინც ნუ ენდობი.*

მაინცდამაინც ზმნზ. 1. ნაწილაკ. სწორედ, აუცილებლად, უეჭველად. *მაინცდამაინც ჩემთან უნდა მოსვლა. მაინცდამაინც ხვალ უნდათ შეკრება.* 2. დიდად, მნიშვნელოვნად (არ, ვერ). *მაინცდამაინც კარგად ვერ უკრავს.*

მაიორი *მაიორის* სამხედრო პირი, კაპიტანზე მაღალი წოდების ოფიცერი. *უფროსი მაიორი.*

მაისი *მაისის* წელინადის მეხუთე თვე. *მაისის წვიმა.*

მაისური *მაისურის* თხელი ზედა სამოსი ან საცვალი. *ფეხბურთელის მაისური. ბავშვის მაისური.*

მაისური

მაკარონი *მაკარონის* ხორბლის ფქვილისგან დამზადებული გამხმარი (უპირატესად, გრძელი) ღრუ ჩხირები. *მაკარონის სუპი. მაკარონის ფაფა.*

მაკე *მაკის* ცხოველი, რომელმაც შვილი უნდა გააჩინოს. *მაკე ძროხა. მაკე ცხვარი. მაკე ღორი.*

მაკეტი *მაკეტის* რაიმეს მოდელი (2), ნიმუში, რის მიხედვითაც იგი უნდა გაკეთდეს ან აშენდეს. *სახლის მაკეტი. დეკორაციის მაკეტი. წიგნის მაკეტი.*

მაკიაჟი *მაკიაჟის* 1. კოსმეტიკური საშუალებებით სახის გალამაზების ხელოვნება. *მაკიაჟის ტენდენციები. სალამოს მაკიაჟი.* 2. სახის გასალამაზებელი კოსმეტიკური საშუალებები (საღებავები, საცხები და მისთ.). *მაკიაჟი გაიკეთა. მაკიაჟი მოიშორა.*

მაკლერი *მაკლერის* შუამავალი სავაჭრო გარიგების დროს. *ბირჟის მაკლერი. მაკლერის გასამრჯელო.*

მაკლერობა *მაკლერობის* მაკლერის საქმიანობა. *მაკლერობა დაიწყო.*

მაკრატელა *მაკრატელას* 1. ერთწლოვანი თეთრყვავილა ბალახოვანი მცენარე, იხმარება მხლად. 2. მაკრატლის მსგავსი. *მაკრატელა ფოთოლი.*

მაკრატელი *მაკრატლის* იარაღი, რომელიც შედგება ორი გადაჯვარედინებული მოძრავი დანისგან, იყენებენ სხვადასხვა მასალის საჭრელად. *სამედიცინო მაკრატელი. მკერავის მაკრატელი.*


მაკრატელი

მაკულატურა *მაკულატურის* გამოუსადეგარი ქაღალდი, მუყაო, პოლიგრაფიული ნარჩენები, გამოიყენება ქაღალდის წარმოებაში. *მაკულატურის გადამუშავება.*

მალა *მალის* ხერხემლის შემადგენელი ძვალი. *კისრის მალები. გულმკერდის მალები.*

მალამო *მალამოს* სამკურნალო ნივთიერებების ცხიმში შერევით დამზადებული, გარეგანი მოხმარებისთვის განკუთვნილი საცხი. *სურნელოვანი მალამო. დამწვრობის მალამო.*

მალარია *მალარიის* მედიც. ინფექციური დაავადება, რომელსაც ახასიათებს პერიოდულად ძლიერი შეცივება, მაღალი ტემპერატურა და გაძლიერებული ოფლის დენა. *ტროპიკული მალარია.*

მალაქიტი *მალაქიტის* მწვანე შეფერილობის გაუმჭვირვალე მინერალი, ნახევრად ძვირფასი ქვა, გამოიყენება საიუველირო წარმოებაში, ინტერიერის მოსაპირკეთებლად და მისთ. *მალაქიტის ზარდახშა.*

მალაყი *მალაყის* ფეხზე მდგომის მოძრაობა ახტომითა და ჰაერში გადატრიალებით. *მალაყი გააკეთა.*

მალე ზმნზ. მცირე ხნის შემდეგ, მოკლე დროში. *მალე აცივდა. გაკეეთილი მალე დამთავრდება.*

მალვა *მალვის* (მალავს, იმალავს, უმალავს, იმალება, ემალება, ამალვინებს) ↑ დამალვა. *ინფორმაციას მალავენ. ბავშვები იმალებიან.*

მალი *მალის* სწრაფი, სწრაფად მორბენალი. *მალი ცხენი. მალი ბედაური.*

მალიმალ ზმნზ. იგივეა, რაც მალ-მალე. *მალიმალ უკან იხედებოდა.*

მალ-მალე ზმნზ. მცირე დროის გამოშვებით, ხშირ-ხშირად. *დედა მალ-მალე ურეკავს. მალ-მალე ნახულობს.*

მალული *მალულის* იდუმალი, სხვათაგან დაფარული. *მალული მზერა. მალული გრძნობები.* ▲ მალულად ზმნზ. ფარულად, შეუმჩნეველად. *მალულად უსმენენ.*

მალფუჭებადი *მალფუჭებადის* რაც მალე ფუჭდება, უვარგისი ხდება. *მალფუჭებადი პროდუქტები.*

მალხაზი *მალხაზის* დიდად ხალისიანი, მოძრავი. *მალხაზი ბიჭი. მალხაზი ცხენი.*

მამა *მამის* 1. მშობელი კაცი. *მამის სახლი.* 2. იგივეა, რაც მოძღვარი. *წმინდა მამები. მამა დავითი.* ▪ მამაამისი მისი მამა. ▪ მამაჩემი ჩემი მამა. ▪ მამიკო ალერს. მამა. ▪ მამობრივი მამის დამახასიათებელი. *მამობრივი გრძნობა.*

მამაზეციერი *მამაზეციერის* იგივეა, რაც ღმერთი. *მამაზეციერმა დაგვიფაროს!*

მამაკაცი *მამაკაცის* იგივეა, რაც კაცი (1). *ქალი და მამაკაცი. მამაკაცის ტანსაცმელი. მამაკაცთა სალონი.* ▪ მამაკაცური მამაკაცის დამახასიათებელი, მამაკაცის შესაფერისი. *მამაკაცური გარეგნობა. მამაკაცური ქცევა.*

მამალი *მამლის* 1. მამრობითი სქესის ქათამი. *მამალი ყივის. წითელი მამალი.* 2. მამრობითი სქესის არსება ზოგადად (ადამიანის გარდა). *მამალი ჯიხვი.*

მამამთავარი *მამამთავრის* რაიმეს წამომწყები, ფუძემდებელი. *ისტორიის მამამთავარი. პედაგოგიკის მამამთავარი.*

მამამთილი *მამამთილის* ქმრის მამა. *დედამთილი და მამამთილი.*

მამა-პაპა *მამა-პაპის* (კრებ.) წინაპრები. *მამა-პაპის ხელობა აირჩია.*

მამაპაპეული *მამაპაპეულის* მამა-პაპის ნაქონი, მამა-პაპისგან გადმოცემული. *მამაპაპეული სახლი.*

მამაპაპისეული *მამაპაპისეულის* იგივეა, რაც მამაპაპეული. *მამაპაპისეული ქონება.*

მამაპაპური *მამაპაპურის* მამა-პაპის შესაფერისი, ძველებური, წინანდებური. *მამაპაპური ქეიფი.* ▲ მამაპაპურად ზმნზ. ძველებურად, კარგად, რიგიანად. *მამაპაპურად მოილხინა.*

მამასახლისი *მამასახლისის* 1. ძვ. ადმინისტრაციული მოხელე – სოფლის მმართველი. 2. ძვ. ოჯახის (გვარის, თემის) უფროსი მამაკაცი. *ოჯახის მამასახლისი.*

მამასისხლად ზმნზ. ძალიან ძვირად. *სურსათი მამასისხლად იყიდება.*

მამა-შვილი *მამა-შვილის* მამა და შვილი. *მამა-შვილი სასეირნოდ წავიდა.*

მამაშვილობა *მამაშვილობის* მამისა და შვილის ურთიერთობა. *კარგი მამაშვილობა აქვთ.*

მამაცი *მამაცის* უშიშარი, გულადი. *მამაცი მებრძოლი.*

მამაცობა *მამაცობის* (მამაცობს) მამაცურად ქცევა, სიმამაცე. *მამაცობით გამოირჩევა.*

მამაცური *მამაცურის* მტკიცე, ვაჟკაცური. *მამაცური საქციელი. მამაცური გამომეტყველება.* ▲ მამაცურად ზმნზ. მამაცის შესაფერისად. *მამაცურად იქცევა. მამაცურად უძლებს.*

მამაცხონებული *მამაცხონებულის* საუბრ. დალოცვილი, კარგი ადამიანი. (გამოიყენება მიმართვის დროს ან ვინმეს მოსახსენიებლად ქების ან საყვედურის თქმის დროს.) *შე მამაცხონებულო, აქამდე სად იყავი?!*

მამაძაღლი *მამაძაღლის* 1. ლანძღვა. *მამაძაღლი ყაჩაღი.* 2. პატარა ბიჭი (ხუმრობით მისამართი ან მოსახსენიებელი სიტყვა). *გაჩერდი, შე მამაძაღლო! რა ქნა ამ მამაძაღლმა!*

მამაძაღლობა *მამაძაღლობის* (მამაძაღლობს) ლანძღ. არაკეთილსინდისიერად, გაიძვერულად მოქცევა. *ფული მამაძაღლობით იშოვა. ესენი რაღაცას მამაძაღლობენ.*

მამიდა *მამიდის* მამის და. *გამზრდელი მამიდა.*

მამიდაშვილი *მამიდაშვილის* მამიდის შვილი. *მამიდაშვილი ესტუმრა.*

მამითადი *მამითადის* ვინმეს დამხმარე მუშახელი (ჩვეულებრივ, მეზობლები) ყანის მკის დროს ან სხვა სახის საქმიანობაში. *მამითადი ჰყავდათ. მამითადში იყო წასული.*

მამინაცვალი *მამინაცვლის* დედის ქმარი ნინა ქორწინებიდან შეძენილი შვილებისთვის. *მამინაცვალი და გერი. მამინაცვლის სახლი.*

მამისეული *მამისეულის* მამის ნაქონი, რაც ოდესღაც მამას ეკუთვნოდა. *მამისეული ხანჯალი.*

**მამლაყინწა** *მამლაყინწას* 1. საუბრ. იგივეა, რაც ყვინჩილა. *მამლაყინწა აჩუქეს.* 2. გადატ. ამპარტავანი ყმაწვილი. *დიდი მამლაყინწა ვინმეა.*

**მამლაყინწობა** *მამლაყინწობის* (მამლაყინწობს) თამამად, ამპარტავნულად ქცევა. *ბიჭები მამლაყინწობენ.*

**მამობა** *მამობის* მამის მოვალეობა, მამის დამოკიდებულება შვილებისადმი.

**მამობილი** *მამობილის* კაცი, რომელიც სხვის შვილს მამის მოვალეობას უწევს. *დედობილმა და მამობილმა გა ზარდეს.*

**მამობრივი** *მამობრივის* მამისთვის დამახასიათებელი. *მამობრივი სიყვარული. მამობრივი გრძნობა.*

**მამონტი** *მამონტის* სპილოს მსგავსი გადაშენებული ცხოველი. *მამონტის ჩონჩხი. მამონტის ეშვები.*

**მამოძრავებელი** *მამოძრავებლის* ძალა ან მექანიზმი, რაც რაიმეს ამოძრავებს. *მამოძრავებელი ღერძი. მამოძრავებელი ენერგია.*

**მამრავალი** *მამრავალის* მათემ. რიცხვი, რომელზეც სხვა რიცხვი მრავლდება.

**მამრი** *მამრის* 1. მამრობითი სქესის ადამიანი. *ოჯახში ხუთი მამრია.* 2. იგივეა, რაც მამალი (2). *მამრი ცხოველი.*

**მამრობითი** *მამრობითის* რასაც მდედრის განაყოფიერება შეუძლია. *მამრობითი ცხოველი. მამრობითი კვერცხუჯრედი.*

**მამულა** *მამულას* მრავალწლოვანი ბალახოვანი სარეველა მცენარე, აქვს ქვემოდან თეთრი, დანაკეთული ფოთლები და რთული ყვავილები.

**მამული** *მამულის* 1. იგივეა, რაც სამშობლო (1). *მამულზე ზრუნვა.* 2. სახნავ-სათესი მიწა, რომელიც ვინმეს საკუთრებაა. *დიდი მამული აქვს. ბაბუის დანატოვარი მამული.*

**მამულიშვილი** *მამულიშვილის* თავისი ქვეყნის ერთგული, ქვეყნისთვის თავდადებული. *ღირსეული მამულიშვილი.* ◆ **მამულიშვილური** მამულიშვილის დამახასიათებელი, მამულიშვილის შესაფერი. *მამულიშვილური გრძნობა. მამულიშვილური საქმე.*

**მამულიშვილობა** *მამულიშვილობის* სამშობლოსთვის თავდადება, ქვეყნის კეთილდღეობაზე ზრუნვა.

**მამხილებელი** *მამხილებლის* რაც ვინმეს დანაშაულს, ულირს საქციელს ადასტურებს, ამხელს. *მამხილებელი ფაქტები.*

**მანა** *მანის* მოკლე, ბოლოში წათლილი სარი, იყენებენ შესაღობად ან პირუტყვის დასაბმელად. *ღობის მანა. ვირის მანა.*

**მანათობელი** *მანათობლის* რაც ანათებს. *მანათობელი ვარსკვლავი.*

**მანამ** ზმნზ. იმ დრომდე, რაიმეს მოხდენამდე. *თამაში გრძელდება მანამ, სანამ რომელიმე გუნდი ბურთს არ გაიტანს.*

**მანანა** *მანანის* 1. ბიბლიის მიხედვით, ტკბილი საჭმელი, რომელიც ზეციდან ცვიოდა უდაბნოში ისრაელიანების გამოსაკვებად. *ციდან მოვლენილი მანანა.* 2. ხორბლის წმინდა ბურღული. *მანანის ფაფა.*

**მანგანა** *მანგანის* მჭედლის იარაღი, რკინის ნაჭრის დასაჭერი ან გასასწორებელი მოწყობილობა. *ხელის მანგანა.*

**მანგანუმი** *მანგანუმის* ქიმიური ელემენტი, მოვერცხლისფრო ლითონი, იყენებენ მეტალურგიასა და მრეწველობის სხვა დარგებში. *მანგანუმის მადანი. ჭიათურის მრეწველობის მანგანუმი.*

მანგო

**მანგო** *მანგოს* 1. მომჟავო ან ტკბილი, სურნელოვანი, კურკიანი ხილი. *მანგოს წვენი.* 2. მარადმწვანე ხე, რომელიც ისხამს მანგოს (1), აქვს ხშირი ვარჯი, ხაზებიანი მოგრძო ან ელიფსური ფოთლები და წვრილი ყვავილები, ხარობს ტროპიკულ ქვეყნებში.

**მანდ** ზმნზ. მაგ ადგილას. *მანდ დარჩი! მანდ უფრო ცხელა.*

**მანდარინი** *მანდარინის* 1. მომრგვალო, ნარინჯისფერი, მოტკბო, გლუვკანიანი ციტრუსი, რბილობი დაყოფილია პატარა ნაწილებად. 2. დაბალი ხე, რომელიც ისხამს მანდარინს (1), ხარობს სუბტროპიკულ ქვეყნებში. *მანდარინის ხე.*

**მანდატი** *მანდატის* საბუთი, რომელიც ეძლევა პირს რაიმე უფლებამოსილების აღსანიშნავად. *დეპუტატის მანდატი. პარტიის მანდატი.*

**მანდეთ** ზმნზ. მაგ მხარეს, მაგ მიმართულებით. *მანდეთ წამოვიდა.*

**მანდილი** *მანდილის* ქალის თავსაბურავი. *თეთრი მანდილი.*

**მანდილოსანი** *მანდილოსნის* პატივისც. ქალი. *ვაჟი მანდილოსნებს მიესალმა. დარბაისელი მანდილოსანი.*

**მანდოლინა** *მანდოლინის* მუსიკალური საკრავი, აქვს ოვალური კორპუსი და ოთხი წყვილი სიმი, აყუერებენ პატარა, თხელი ფირფიტით.

**მანევრი** *მანევრის* 1. საომარი ძალების გადაადგილება შეტევისთვის ხელსაყრელი პოზიციის დასაკავებლად. *მოწინააღმდეგის მანევრი.* 2. (ძირითადად მრ.) ჯარის ტაქტიკური სწავლება, მეცადინეობა. *შემოდგომის მანევრები.*

**მანეთი** *მანეთის* 1. ძვ. ფულის ერთეული, უდრიდა 100 კაპიკს. *სამი მანეთი.* 2. იგივეა, რაც მანეთიანი (1). *მანეთი მისცა.*

**მანეთიანი** *მანეთიანის* 1. მანეთის ღირებულების

ქაღალდის ფული ან რკინის მონეტა. *რკინის მანეთიანი.* 2. რაც მანეთი ღირს. *მანეთიანი რვეული.*

**მანეკენი** *მანეკენის* 1. ადამიანის სხეულის ფორმის ფიგურა ტანსაცმლის საჩვენებლად (მაღაზიებში, ატელიეებში). 2. იგივეა, რაც მოდელი.. შეცდომაა მანიკენი.

**მანეჟი** *მანეჟის* 1. საგანგებოდ შემოღობილი ადგილი ან შენობა ცხენების საწვრთნელად, ცხენოსნობის სასწავლად. 2. ცირკის წრე, მოედანი, რომელზეც წარმოდგენა იმართება. 3. სპეციალური თავღია გალია, რომელშიც სვამენ ფეხაუდგმელ ბავშვებს.

**მანერა** *მანერის* ვინმეს ქცევის, მოქმედების თავისებურება. *კარგი მანერები. მოძრაობის მანერა.*

**მანერულობა** *მანერულობის* იაფფასიან ეფექტზე გაანგარიშებული ქცევა, მოქმედება. *მანერულობა ახასიათებს.*

**მანი** *მანის* ქართული ანბანის მეთორმეტე ასოს (მ-ს) სახელწოდება.

**მანია** *მანიის* რაიმეს დაუოკებელი, ავადმყოფური სურვილი. *განდიდების მანია.*

**მანიაკი**[1] *მანიაკის* სულით ავადმყოფი, რომელსაც ახასიათებს აკვიატებული აზრები, ავადმყოფური მიდრეკილება რაიმესადმი. *საშიში მანიაკი.*

**მანიაკი**[2] *მანიაკის* ოქრომკედით, ძვირფასი ქვებითა და მარგალიტებით შემკული ქსოვილის საყელო, რომელიც ფარავს მხრებსა და გულს. *ალმასების მანიაკი.*

**მანიკიური** *მანიკიურის* ხელის ფრჩხილების დამუშავება, გაწმენდა-გაპრიალება. შეცდომაა მანიკური.

**მანიპულაცია** *მანიპულაციის* 1. რთული ხერხის გამოყენება ხელით მუშაობისას, რთული ქმედება. *სტომატოლოგიური მანიპულაცია.* 2. გადატ. რაიმე ფანდის გამოყენება, ყალთაბანდობა. *ისტორიით მანიპულაცია.* შეცდომაა მანიპულიაცია.

**მანიფესტაცია** *მანიფესტაციის* მასობრივი სელა ქუჩაში სოლიდარობის ან პროტესტის გამოსახატავად. *ხალხმრავალი მანიფესტაცია.*

**მანიფესტი** *მანიფესტის* ხელისუფლების, პარტიის, საზოგადოებრივი ორგანიზაციისა და მისთ. წერილობითი მიმართვა, განცხადება მნიშვნელოვან საკითხთან დაკავშირებით. *პრეზიდენტის მანიფესტი. მანიფესტი გამოქვეყნდა.*

**მანიშნებელი** *მანიშნებლის* რაც რაიმეზე მიანიშნებს, რაიმე ინფორმაციას შეიცავს. *მანიშნებელი წარწერა.*

**მანკი** *მანკის* უარყოფითი თვისება, ნაკლი. ⊙ **გულის მანკი** გულის დაავადება.

**მანკიერება** *მანკიერების* უარყოფითი თვისება, უზნეობა. *ბევრი მანკიერება ახასიათებს.*

**მანკიერი** *მანკიერის* ცუდი, ნაკლოვანი, არაჯანსაღი. *მანკიერი ცხოვრება. მანკიერი მხარეები.*

**მანომეტრი** *მანომეტრის* დახშულ სივრცეში ჰაერისა და სითხის წნევის გასაზომი ხელსაწყო. *ერცხლისწყლის მანომეტრი. სითხიანი მანომეტრი.*

**მანუეტი** *მანუეტის* პერანგის სახელოზე მიკერებული ან მიბმული მაჯა (3). *თეთრი მანუეტები.*

**მანსარდა** *მანსარდის* სახურავის ქვეშ სხვენის სივრცეში მოქცეული სადგომი, ოთახი. *მანსარდა მოაწყო.*

**მანტია** *მანტიის* ფართო გრძელი წამოსასხამი. *მონა ზვნის მანტია.*

**მანუგეშებელი** *მანუგეშებლის* ვინც, რაც ნუგეშს იძლევა, ნუგეშის, იმედის მომცემი. *დედის მანუგეშებელი შვილი. მანუგეშებელი ფიქრები.*

**მანქანა** *მანქანის* 1. იგივეა, რაც **ავტომობილი**. *უკანასკნელი მოდელის მანქანა. სპორტული მანქანა. ახალი მანქანა.* 2. მექანიზმი ან მექანიზმთა ერთობლიობა, რომელიც რაიმე სამუშაოს ასრულებს. *სარეცხი მანქანა. ხორცის საკეპი მანქანა.* ▪ **მანქანიანი** მანქანის მქონე. *მანქანიანი ქალი.*

**მანძილზე** ზმნზ. 1. სივრცის გარკვეულ მონაკვეთზე. *ორი კილომეტრის მანძილზე.* 2. გარკვეული დროის განმავლობაში. *ამ ხნის მანძილზე. ორი წლის მანძილზე.*

**მანძილი** *მანძილის* ორ პუნქტს შორის არსებული სივრცის მონაკვეთი. *მანძილის გაზომვა.*

**მანჭვა** *მანჭვის* (მანჭავს, იმანჭავს, იმანჭა, ემანჭება) ↑ **დამანჭვა**. *მაიმუნივით იმანჭება. ტუჩებს მანჭავს.*

**მანჭია** *მანჭიის* ვინც იმანჭება. *მანჭია მაიმუნი.*

**მანჭკვალა** *მანჭკვალას* ყვითელი ან მოყვითალო-ყავისფერი საჭმელი სოკო, ქუდის ზედა მხარეს მურა ქერცლები უკეთდება, ქვემოდან – მოთეთრო-მოყვითალო ფირფიტები, იზრდება ხის ძირში.

**მაოხრებელი** *მაოხრებლის* ვინც აოხრებს, აქცევს. *მაოხრებელი მტერი.*

**მაჟალო** *მაჟალოს* 1. პატარა, მომჟავო ხილი, ტყის ვაშლი. 2. საშუალო სიმაღლის ან მაღალი ხე, რომელიც ისხამს მაჟალოს (1), გამოიყენება ნამყენი ვაშლის საძირედ.

**მაჟორი** *მაჟორის* მუსიკალური წყობა, რომლის ბგერები ქმნის მხიარული ჟღერადობის აკორდს.

**მაჟორიტარი** *მაჟორიტარის* მაჟორიტარული სისტემით არჩეული დეპუტატი.

**მაჟორიტარული** *მაჟორიტარულის* უმრავლესობაზე დაფუძნებული. *მაჟორიტარული პრინციპი. მაჟორიტარული სია. მაჟორიტარული საარჩევნო სისტემა.*

**მაჟორული** *მაჟორულის* ხალისიანი, მხიარული. *მაჟორული სიმღერა.*

**მარაგი** *მარაგის* პროდუქტის, სანვავისა და მისთ. გარკვეული ოდენობა, რომელსაც ინახავენ საჭიროების შემთხვევაში გამოსაყენებლად. *ფქვილის მარაგი. მარაგი გამოილია.*

**მარად** ზმნზ. მუდამ, ყოველთვის. *მარად ახალგაზრდა. მარად ერთად ვიქნებით.*

**მარადის** ზმნზ. იგივეა, რაც **მარად**. *მარადის თქვენზე მლოცველი.* ⊙ **აწ და მარადის** ახლაც და მომავალშიც, სამუდამოდ.

**მარადისობა** *მარადისობის* მარადიულად არსებობა. *მარადისობისკენ სწრაფვა. სიცოცხლის მარადისობა.*

**მარადიული** *მარადიულის* რაც მუდმივია, არასოდეს გაქრება. *მარადიული სამყარო. მარადიული ყოფა. მარადიული სიცოცხლე.* ▲ **მარადიულად** ზმნზ. ყოველთვის, მუდმივად. *მარადიულად იარსებებს.*

**მარადმწვანე** *მარადმწვანის* რასაც ფოთლები ზამთარშიც და ზაფხულშიც მწვანე აქვს. *მარადმწვანე ხეები. მარადმწვანე ბუჩქები.*

**მარაზმი** *მარაზმის* 1. მედიც. ადამიანის ფსიქიკური და ფიზიკური მოქმედების დაქვეითება მოხუცებულობის ან ხანგრძლივი ქრონიკული ავადმყოფობის შედეგად. 2. გადატ. ქაოსი, უწესრიგობა, უუნარობა. ■ **მარაზმული** მარაზმის ხასიათისა. *მარაზმული მდგომარეობა.*

**მართონული** *მართონულის* ძალიან გრძელ დისტანციებთან დაკავშირებული. *მართონული გაცურვა. მართონული რბენა.*

**მარანი** *მარნის* ღვინის შესანახად განკუთვნილი შენობა ან შენობაში გამოყოფილი ადგილი. *მარნიდან ღვინო გამოიტანა. მარანი სარდაფში ჰქონდა მოწყობილი.*

მარანი

**მარაო** *მარაოს* ნახევარწრის ფორმის გასაშლელ-დასაკეცი სანიავებელი. *ფარშევანგის ბუმბულის მარაო.*

მარაო

**მარაქა** *მარაქის* ⊙ **მარაქაში** გარევა სხვების მსგავსად მოქცევა, სხვების მიბაძვა, სხვებისთვის თავის გათანაბრება.

**მარბიელი** *მარბიელის* ძვ. ჯარის ნაწილი, რომელიც დაპყრობილ ტერიტორიაზე მოსახლეობას არბევდა, ძარცვავდა. *ქალაქს მარბიელი შეესია.*

**მარგალიტა** *მარგალიტას* დაბალი გვიმრა, გავრცელებულია მთაში, გამოიყენება ჭრილობების სამკურნალოდ.

**მარგალიტი** *მარგალიტის* ძვირფასი ქვა, მინერალური წარმონაქმნი, რომელიც ვითარდება ზოგიერთი მოლუსკის ნიჟარაში მოხვედრილ უცხო სხეულზე სადაფის შემოზრდით. *ზღვის მარგალიტი. შავი მარგალიტი. მარგალიტის მძივი.*

**მარგანეცი** *მარგანეცის* მოვერცხლისფრო-მოთეთრო ლითონი. *მარგანეცის საბადო.*

**მარგარინი** *მარგარინის* მცენარეული ან ცხოველური ცხიმის, რძისა და კვერცხისგან დამზადებული პროდუქტი. *მარგარინი გაადნო.*

**მარგებელი** *მარგებლის* რაც არგებს, სასარგებლო. *ძროხის ხორცი მარგებელია. მარგებელი პროდუქტი.*

**მარგვლა** *მარგვლის* (მარგლავს, უმარგლავს, იმარგლება, ამარგვლინებს) ↑ **გამარგვლა**. *ბოსტანს მარგლავენ.*

**მარგილი** *მარგილის* მსხვილი, ბოლოში წათლილი მიწაში ჩასარჭობი სარი, იყენებენ ღობის გასაკეთებლად, რაიმეს დასამაგრებლად ან დასაბმელად. *ღობის მარგილი.*

**მარგინალი** *მარგინალის* პიროვნება, რომელიც საზოგადოების მიღმა აღმოჩნდა სოციალურ-პოლიტიკური, ეკონომიკური, მორალურ-ეთიკური ან სხვა მიზეზის გამო. *მარგინალის მდგომარეობაში ყოფნა.* ■ **მარგინალური** მარგინალთან დაკავშირებული, მარგინალისთვის დამახასიათებელი. *მარგინალური ცნობიერება.*

**მარდი** *მარდის* მკვირცხლი, სწრაფი. *მარდი ბაეშვი.* ▲ **მარდად** ზმნზ. სწრაფად, მკვირცხლად. *მარდად გაიქცა.*

**მართალი** *მართლის* 1. ნამდვილი, უეჭველი. *მართალი ამბავი. მართალი ინფორმაცია.* 2. პატიოსანი, სიმართლის მოყვარული. *მართალი კაცი.*

**მართებული** *მართებულის* სწორი, დასაშვები, სიმართლის შესაფერისი. *მართებული მსჯელობა. მართებული საქციელი.*

**მართვა** *მართვის* (მართავს, იმართება) 1. საერთო საქმის გაძღოლა, ორგანიზება. *სახელმწიფოს მართვა. ფირმას მენეჯერი მართავს.* 2. ტრანსპორტის ამუშავება, ტარება. *მანქანას კარგად მართავს.*

**მართვე** *მართვეს* მტაცებელი ფრინველის ბარტყი. *არწივის მართვე. ქორის მართვე.*

**მართი** *მართის* სწორი. ⊙ **მართი კუთხე** ოთხმოცდაათგრადუსიანი კუთხე.

**მართკუთხა** *მართკუთხას* რასაც მართი (სწორი) კუთხეები აქვს. *მართკუთხა სამკუთხედი.*

**მართკუთხედი** *მართკუთხედის* ოთხკუთხედი, რომელსაც ოთხივე კუთხე მართი აქვს. *მართკუთხედის ფართობი.*

**მართლა** ზმნზ. ნამდვილად, სიმართლის შესაფერისად. *მართლა ასე თქვა? მართლა მოეწონა.*

**მართლაც** იგივეა, რაც მართლა. *მართლაც რომ არ გელოდი.*

**მართლმადიდებელი** *მართლმადიდებლის* ვინც მართლმადიდებლობას აღიარებს. *მართლმადიდებელი მოსახლეობა.*

**მართლმადიდებლობა** *მართლმადიდებლობის* ქრისტიანული რელიგიის ერთ-ერთი მთავარი მიმდინარეობა. *მართლმადიდებლობას იცავს.*

**მართლმორწმუნე** *მართლმორწმუნის* რომელიმე რელიგიის დოგმატების ზუსტი შემსრულებელი. *მართლმორწმუნე ქრისტიანი.*

**მართლმსაჯულება** *მართლმსაჯულების* სამართალი, კანონიერება. *მართლმსაჯულების აღსრულება. მართლმსაჯულების ორგანო.*

**მართლწერა** *მართლწერის* წერის დადგენილი წესების ერთობლიობა. *მართლწერის სავარჯიშოები.*

**მარიამობა** *მარიამობის* ქრისტიანული რელიგიური დღესასწაული, ღვთისმშობლის მიძინების დღე, აღინიშნება 28 აგვისტოს. *მარიამობის წირვას დაესწრო.*

**მარიამობისთვე** *მარიამობისთვის* ძვ. აგვისტო. *მარიამობისთვის სიცხე.*

**მარიამსაკმელა** *მარიამსაკმელას* დაბალი მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარე, აქვს თეთრი ან მოყვითალო ყვავილები, ისხამს მრგვალ კოლოფა ნაყოფს, თესლისგან ამზადებენ წითელ საღებავს.

**მარიაჟობა** *მარიაჟობის* (მარიაჟობს, ემარიაჟება) ჟარგ. თავის მოწონება, პრანჭვა. *ახალი მანქანით მარიაჟობს. რას მარიაჟობ?!*

**მარილი** *მარილის* თეთრი, კრისტალური ნივთიერება, რომელსაც მლაშე გემო აქვს, გამოიყენება საჭმლის შესაზავებლად. *სუფრის მარილი. მარილის საბადო.* ◎ მარილზე წავა საუბრ. გარდაიცვლება.

**მარილიანი** *მარილიანის* 1. მარილის შემცველი. *მარილიანი საჭმელი.* 2. გადატ. ეშხიანი, სანდომიანი. *მარილიანი გარეგნობა.*

**მარილწყალი** *მარილწყლის* წყალი, რომელშიც მარილია გახსნილი. *ყველი მარილწყალში ინახება.*

**მარიონეტი** *მარიონეტის* 1. მოძრავი თოჯინა, რომელსაც ძაფებზე ჩამოკიდებულს ათამაშებენ. *მარიონეტების თეატრი.* 2. გადატ. ადამიანი, რომელიც ვინმეს ნება-სურვილს უსიტყვოდ, მორჩილად ასრულებს. *ხელისუფლების მარიონეტები.*

**მარიონეტული** *მარიონეტულის* სხვისი ნების უსიტყვოდ აღმასრულებელი. *მარიონეტული მთავრობა.*

**მარიფათი** *მარიფათის* საუბრ. უნარი, შნო. *მარიფათი გამოიჩინა. ვაჭრობის მარიფათი არა აქვს.*

**მარიფათიანი** *მარიფათიანის* ვისაც მარიფათი აქვს, მოხერხებული. *მარიფათიანი ბიჭი.*

**მარკა** *მარკის* 1. პატარა ოთხკუთხი ქაღალდი, რომელზეც რაიმე გამოსახულება და ფასია აღნიშნული, აკრავენ საფოსტო და ზოგიერთ სხვა გზავნილს საფასურის გადახდის აღსანიშნავად. *იშვიათი მარკა. მარკების კოლექცია.* 2. სამრეწველო ნაწარმის ხარისხი, ტიპი. *უმაღლესი მარკის პროდუქტი. ფორდის მარკის ავტომანქანა.*

**მარკეტი** *მარკეტის* სავაჭრო დაწესებულება, სადაც იყიდება ფართო ასორტიმენტის საქონელი. *ახალი მარკეტი გაიხსნა.*

**მარკეტინგი** *მარკეტინგის* სისტემა, რომელიც გულისხმობს მომხმარებელთა მოთხოვნილებებისა და ბაზრის შესწავლას წარმოების ეფექტურად მართვის მიზნით. *კომერციული მარკეტინგი.*

**მარკიზა** *მარკიზას* მარკიზის ცოლი ან ქალიშვილი. *ახალგაზრდა მარკიზა.*

**მარკიზი** *მარკიზის* თავადაზნაურთა ტიტული დასავლეთ ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში. *მარკიზის სასახლე.*

**მარლა** *მარლის* ბამბის თხელი წვრილბადისებური ქსოვილი, გამოიყენება მედიცინაში, სამკერვალო წარმოებასა და მისთ. *მარლის ნაჭერი. მარლის სახვევი.*

**მარმარილო** *მარმარილოს* სხვადასხვა შეფერილობის კირქვის გაკრისტალების შედეგად მიღებული ქანი, გამოიყენება ქანდაკებაში, შენობების მოსაპირკეთებლად და მისთ. *მარმარილოს კიბე. მარმარილოს ბიუსტი. მარმარილოს მაგიდა.*

**მარმელადი** *მარმელადის* ხილის წვენის, კარტოფილის ფქვილისა და შაქრისგან დამზადებული ჟელესებური ტკბილეული. *მარმელადით გაუმასპინძლდა.*

**მაროდიორი** *მაროდიორის* ადამიანი, რომელიც ძარცვავს მოსახლეობას, დაღუპულებს ან დაჭრილებს საბრძოლო მოქმედებების, სტიქიური უბედურებების ან სხვა საგანგებო ვითარების დროს. *მაროდიორები გამოჩნდნენ.* შეცდომაა მარადიორი.

**მაროდიორობა** *მაროდიორობის* (მაროდიორობს) საგანგებო ვითარებაში მოსახლეობის ძარცვა მაროდიორების მიერ. *მაროდიორობა გახშირდა. ჯარისკაცები მაროდიორობენ.* შეცდომაა მარადიორობა.

**მარსი**[1] *მარსის* მზის სისტემის პლანეტა, სიშორით მზიდან მეოთხე ადგილზეა.

**მარსი**[2] *მარსის* ნარდის თამაშის ისეთი დაბოლოება, რომელიც მოგებულს ორ ქულას აძენს.

**მარტვილი** *მარტვილის* ძვ. იგივეა, რაც მოწამე. *მარტვილის ღვაწლი.*

**მარტვილობა** *მარტვილობის* ქრისტიანობისთვის წამება, ტანჯვა. *მარტვილობის აღწერა.*

**მარტი** *მარტის* წელიწადის მესამე თვე. *მარტში იქორწინეს.*

**მარტივი** *მარტივის* ძალიან ადვილი, იოლად შესასრულებელი. *მარტივი საქმე.*

**მარტო** *მარტოს* I. მხოლოდ თვითონ, ვინმეს თანხლების გარეშე. *მარტო დადის. ყველაფერი მარტომ მოამზადა.* 2. ნაწილაკ. მხოლოდ. *მარტო ერთი ქუდი აქვს. მარტო თავისი მეგობრები დაპატიჟა.*

**მარტოდმარტო** ზმნზ. სრულიად მარტო. *მარტოდმარტო მუშაობს.*

**მარტოკა** *მარტოკას* იგივეა, რაც მარტო. *მარტოკა ცხოვრობს.*

**მარტოობა** *მარტოობის* მარტო ყოფნა, ნათესავების, ახლობლების გარეშე ცხოვრება. *მარტოობა ძნელია. მარტოობის ეშინია.*

**მარტოოდენ** ზმნზ. მხოლოდ, მხოლოდ და მხოლოდ. *მარტოოდენ დედას ენდობა.*

**მარტორქა** *მარტორქის* დიდი ზომის ბალახისმჭამელი გარეული ცხოველი, ცხვირზე აქვს ერთი ან ორი რქა, ბინადრობს აფრიკაში. *მარტორქა ადამიანისთვის საშიშია.*

მარტორქა



**მარტოხელა** *მარტოხელას* I. ვისაც ოჯახში არავინ ჰყავს, ვინც მარტო ცხოვრობს. *მარტოხელა მოხუცი.* 2. უქმრო ან უცოლო, ვინც შვილებს მარტო ზრდის. *მარტოხელა დედა. მარტოხელა ქალი.*

**მარულა** *მარულის* ცხენების შეჯიბრება დიდ მანძილზე რბოლაში. *მარულა გაიმართა.*

**მარქაფა** *მარქაფის* წყობიდან გამოსულის შემცვლელი, სათადარიგო. *მარქაფა ცხენი.*

**მარღი** *მარღის* გუგის გარშემო თეთრი რკალის მქონე (თვალი).

**მარყუჟი** *მარყუჟის* ძაფის ან თოკის გამონასკვით გაკეთებული რგოლი, რომელიც ადვილად იხსნება ერთი წვერის გამოწევით. *მარყუჟი გააკეთა.*

**მარშალი** *მარშლის* გენერალზე მაღალი წოდების სამხედრო პირი. *არმიის მარშალი.*

**მარში** *მარშის* I. რიტმულად, მწყობრი ნაბიჯით სიარული. *ჯარმა მარშით ჩაიარა.* 2. მუსიკალური ნაწარმოები, რომელსაც განსაკუთრებული რიტმი და ტაქტი აქვს. *მარშს უკრავენ. საზეიმო მარში.*

**მარშლობა** *მარშლობის* მარშლად ყოფნა, მარშლის წოდება.

**მარშრუტი** *მარშრუტის* ფეხით მოსიარულის ან ტრანსპორტის გადაადგილების წინასწარ დასახული გზა, რომელზეც აღნიშნულია გასაჩერებელი პუნქტები. *ახალი მარშრუტი. ავტობუსის მარშრუტი.* შეცდომაა მარშუტი.

**მარჩენალი** *მარჩენლის* ვინც (რაც) ოჯახს არჩენს, ინახავს. *მარჩენალი მოუკვდა. ოჯახის მარჩენალი ფური.*

**მარჩიელი** *მარჩიელის* იგივეა, რაც მკითხავი. *მარჩიელის ნათქვამი.*

**მარჩიელობა** *მარჩიელობის* (მარჩიელობს) იგივეა, რაც მკითხაობა. *კარტით მარჩიელობს.*

**მარჩხი** *მარჩხის* თხელი, არაღრმა (წყალი). *მარჩხი ადგილი. მარჩხი ფონი.*

**მარცვალი**[1] *მარცვლის* I. ზოგიერთი მცენარის (უპირატესად პურეულის) თესლი. *ქერის მარცვალი.* 2. პატარა მრგვალი ან მომრგვალო რაიმე. *ქვიშის მარცვლები. სეტყვის მარცვლები.*

**მარცვალი**[2] *მარცვლის* გრამატ. სიტყვის ნაწილი, ბგერა ან ბგერათა ჯგუფი, რომელიც ერთი ამოსუნთქვით წარმოითქმება. *დახურული მარცვალი. ღია მარცვალი.*

**მარცვალ-მარცვალ** ზმნზ. ცალ-ცალკე მარცვლებად, თითოეული მარცვლის გამორჩევით. *ლობიო მარცვალ-მარცვალ დაარჩია.*

**მარცვლა** *მარცვლის* (მარცვლავს, უმარცვლავს, იმარცვლება, ამარცვლინებს) I. ↑ დამარცვლა (1). *კრიალოსანს მარცვლავს.* 2. ↑ დამარცვლა (2). *სიტყვას მარცვლავს.*

**მარცვლეული** *მარცვლეულის* ხორბლის, ქერის, ჭვავისა და მისთ. თესლების ერთობლიობა. *მარცვლეულის მარაგი.*

**მარცვლოვანი** *მარცვლოვნის* რაც მარცვალს[1] იკეთებს (ხორბალი, ქერი, სიმინდი, ფეტვი). *მარცვლოვანი კულტურები.*

**მარცხენა** *მარცხენის* I. რაც გულის (1) მხარეს არის (სხეულის ნაწილი). *მარცხენა თვალი.* ↔ მარჯვენა. 2. მარცხენა (1) ხელი. *მარცხენით წერს.* 3. იმ ადგილას არსებული, მდებარე, რომელიც ადამიანის მარცხენა მხარეს შეესაბამება. *შენობის მარცხენა ნაწილი. მარცხენა სვეტი.*

**მარცხი** *მარცხის* I. იგივეა, რაც დამარცხება. *მტერმა პირველი მარცხი აგემა.* 2. რაიმე საქმის, წამოწყების ჩაშლა, წარუმატებლობა. *მარცხი განიცადეს.* 3. უბედური შემთხვევა, ხიფათი. *გზაში მარცხი მოუვიდა.*

**მარცხიანი** *მარცხიანის* ვისაც მარცხი ხშირად მოსდის, ხიფათიანი. *მარცხიანი ადამიანი.*

**მარცხნივ** ზმნზ. მარცხენა მხარეს, მარცხენა მიმართულებით. *სკოლის მარცხნივ სკვერია.*

**მარწუხი** *მარწუხის* I. მჭედლის იარაღი, გამოიყენება გახურებული რკინის ქურიდან ასაღებად და სატრიალებლად. 2. გადატ. კიბოსნაირების კიდურის ბოლო ნაწილი, რომელიც ფორმით მარწუხს (1) ჰგავს. *კიბოს ძლიერი მარწუხები აქვს.*

**მარწყვაბალახა** *მარწყვაბალახას* მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარე, აქვს მხოხავი ღერო, ხუთთითა ფოთლები და ყვითელი ყვავილები, გამოიყენება სამკურნალოდ.

**მარწყვი** *მარწყვის* I. ტკბილი, წვნიანი, მოწითალო

კენკროვანი ხილი. *მარწყვის ტორტი. მარწყვის მურაბა.* 2. ბალახოვანი მცენარე, რომელიც ისხამს მარწყვს (1), აქვს სამყურა ფოთლები და თეთრი ყვავილები.

**მარხვა**[1] *მარხვის* (მარხავს, უმარხავს, იმარხება, მარხია, ამარხვინებს) ↑ დამარხვა. *მიცვალებულს მარხავენ.*

**მარხვა**[2] *მარხვის* I. ხორცეულისა (ზოგჯერ თევზეულის) და რძის პროდუქტების მიღებისგან თავის შეკავება ეკლესიის მიერ დადგენილი წესით. *მარხვა უჭირს.* 2. დროის მონაკვეთი, რომლის განმავლობაშიც მორწმუნეები მარხულობენ. *მარხვა დაიწყო.* ⊙ მარხვას გატეხს მარხვის წესს დაარღვევს. ⊙ მარხვას ინახავს მარხვის წესს იცავს.

**მარხილი** *მარხილის* მიწაზე ან თოვლზე სასრიალო უბორბლო ტრანსპორტი, რომელშიც გამწევ ძალად აბამენ ხარებს ან ცხენებს. *ცხენის მარხილი. პატარა მარხილი.*

**მარხულობა** *მარხულობის* (მარხულობს, ამარხულებს) მარხვის[2] შენახვა. *მთელი ოჯახი მარხულობს. ერთი კვირა იმარხულა.*

**მარჯანი** *მარჯნის* მუქი წითელი, ვარდისფერი ან თეთრი ქვა, რომელიც წარმოიქმნება ზღვაში, გამოიყენება სამშენებლო მასალად და საიუველირო წარმოებაში. *მარჯნის რიფი. მარჯნის მძივი.*

**მარჯვე** *მარჯვის* I. მოხერხებული, ყოჩაღი. *მარჯვე ბიჭი.* 2. შესაფერისი, ხელსაყრელი. *მარჯვე შემთხვევა.* ▲ მარჯვედ ზმნზ. მოხერხებულად, ყოჩაღად. *მარჯვედ აკეთებს.*

**მარჯვენა** *მარჯვენას* I. რაც გულის (1) საპირისპირო მხარეს არის (სხეულის ნაწილი). *მარჯვენა ყური.* ↔ მარცხენა. 2. მარჯვენა (1) ხელი. *მარჯვენა მოიტეხა.* 3. იმ ადგილას არსებული, მდებარე, რომელიც ადამიანის მარჯვენა მხარეს შეესაბამება. *მაგიდის მარჯვენა უჯრა.*

**მარჯვნივ** ზმნზ. მარჯვენა მხარეს, მარჯვენა მიმართულებით. *მარჯვნივ მოხვევა აკრძალულია.*

**მასა** *მასის* I. მატერიის ერთ-ერთი ძირითადი მახასიათებელი, რომელიც განსაზღვრავს მის ინერციულ და გრავიტაციულ თვისებებს, ერთეულთა სისტემაში გამოიხატება გრამებითა და კილოგრამებით. *დედამიწის მასა. ქვის მასა.* 2. ნივთიერების, ნარევისა და მისთ. განუსაზღვრელი ფორმა. *თუჯის მასა. ფოლადის მასა.* 3. რაიმეს დიდი ოდენობა. *ხალხის მასები.*

**მასაზრდოებელი** *მასაზრდოებლის* ვინც, რაც საზრდოს აძლევს, კვებავს, ზრდის ვინმეს ან რაიმეს. *მასაზრდოებელი მიწა. მასაზრდოებელი ფესვები.*

**მასალა** *მასალის* I. პროდუქტი, ნივთიერება, საგანი და მისთ., რომელიც საჭიროა ახალი პროდუქციის შესაქმნელად, რაიმეს დასამზადებლად ან ასაშენებლად. *საშენი მასალა. შესახვევი მასალა.* 2. ფაქტები, მონაცემები, რომლებსაც იყენებენ სამეცნიერო ნაშრომების, საგაზეთო სტატიების მოსამზადებლად, გამოკვლევების ჩასატარებლად და მისთ. *დისერტაციის მასალა. ექსპერიმენტის მასალა.*

**მასაჟი** *მასაჟის* ადამიანის მთელი სხეულის ან მისი რომელიმე ნაწილის დაზელა სამკურნალო ან კოსმეტიკური მიზნით. *ზურგის მასაჟი. მასაჟს უკეთებს.*

**მასივი** *მასივის* ვრცელი, ერთგვაროვანი სივრცე. *ტყის მასივი. დასახლებული მასივი.*

**მასიური** *მასიურის* დიდი, მძიმე. *მასიური კარი. მასიური სვეტები.* პარონიმი მასობრივი.

**მასკარადი** *მასკარადის* გასართობი საღამო, რომლის მონაწილეებს უკეთიათ ნიღბები და აცვიათ საზეიმო სამოსი. *მასკარადი გაიმართა.*

**მასლაათი** *მასლაათის* (მასლაათობს) მშვიდი, წყნარი საუბარი. *მასლაათი გაუგრძელდათ. დიდხანს იმასლაათეს.*

**მასმედია** *მასმედიის* საინფორმაციო საშუალებათა (პრესის, რადიოს, ტელევიზიისა და მისთ.) საერთო სახელწოდება. *ამ ფაქტმა მასმედიის ყურადღება მიიქცია.*

**მასობრივი** *მასობრივის* ბევრი ადამიანის მონაწილეობით შექმნილი, შესრულებული. *მასობრივი ცეკვები. მასობრივი ორგანიზაციები. მასობრივი დემონსტრაცია.* პარონიმი მასიური.

**მასპინძელი** *მასპინძლის* ადამიანი, რომელიც იღებს სტუმრებს. *მასპინძელმა სტუმრები სუფრასთან მიიპატიჟა.*

**მასპინძლობა** *მასპინძლობის* (მასპინძლობს) სტუმრის დახვედრა, სტუმრის მიღება. *კარგი მასპინძლობა გაუწია. მეგობრებს მასპინძლობს.*

**მასრა** *მასრის* I. ცილინდრის ფორმის ღრუ საგანი. 2. დაცლილი ვაზნა. *პისტოლეტის მასრა. სანადირო თოფის მასრა.* 3 (ძირითადად მრ.) ჩოხის აუცილებელი ატრიბუტი – საგანგებოდ შეკერილ ბუდეებში ჩაწყობლი მოკლე მილაკები. 4. საქსოვი ან სართავი დაზგის დეტალი; ძაფის დასახვევი მოკლე კოჭა. *ძაფს მასრაზე ახვევს.*

მასრა

**მასულდგმულებელი** *მასულდგმულებლის* რაც სიცოცხლის ძალას აძლევს ვინმეს, რაიმეს. *შვილია მისი მასულდგმულებელი.*

**მასშტაბი** *მასშტაბის* I. ნახაზზე, რუკაზე ან გეგმაზე გამოსახული ობიექტის (რელიეფის, შენობისა და მისთ.) ზომების (ხაზების სიგრძის) შეფარდება რეალურ ზომებთან. *გეგმის მასშტაბია 1 სმ X 1 სმ.* 2. ნიგნ. გადატ. რაიმეს მნიშვნელობა, მოცულობა, გავრცელების არეალი. *ნგრევის*

*მასშტაბები. ფართო მასშტაბის მოაზროვნე.* ▪ მასშტაბური დიდი მასშტაბის (2) მქონე. *მასშტაბური სამუშაოები.* შეცდომაა მაშტაბი.

**მასწავლებელი** *მასწავლებლის* პირი, რომელიც ვინმეს რაიმეს ასწავლის. *სკოლის მასწავლებელი. უცხო ენის მასწავლებელი. საბავშვო ბაღის მასწავლებელი. ხატვის მასწავლებელი.* = პედაგოგი.

**მასწავლებლობა** *მასწავლებლობის* (მასწავლებლობს) მასწავლებლად ყოფნა, მასწავლებლის საქმიანობა. *მასწავლებლობა უნდოდა.*

**მასხარა** *მასხარის* 1. ხუმარა ადამიანი. *რა მასხარა ყოფილხარ!* 2. იგივეა, რაც კლოუნი. *ცირკის მასხარა.* ⊙ **მასხრად აიგდებს** დასცინებს, გააბასხარავებს.

**მასხარაობა** *მასხარაობის* (მასხარაობს) გასართობად, თავშესაქცევად ხუმრობა. *ახალგაზრდები მასხარაობდნენ.*

**მასხრობა** *მასხრობის* (მასხრობს, ემასხრება) ხუმრობა, ოხუნჯობა. *მასხრობით თავი მოაბეზრა. გოგონებს ემასხრება.*

**მატარებელი** *მატარებლის* სარკინიგზო ტრანსპორტი – ერთმანეთზე გადაბმული ვაგონების შემადგენლობა, რომელიც ლოკომოტივის საშუალებით გადაადგილდება, იყენებენ მგზავრების გადასაყვანად, ტვირთის გადასაზიდად. *სამგზავრო მატარებელი. მატარებლის განრიგი.*

**მატება** *მატების* (მატებს, ამატებს, იმატებს, უმატებს, ემატება) 1. ↑ **მომატება** (1). *დღემ იმატა. წლები წლებს ემატება.* 2. ↑ **შემატება**. *ოჯახში მატება გვაქვს. იმედი ძალას მატებს.*

**მატერია** *მატერიის* 1. ობიექტური რეალობა, რომელიც არსებობს ადამიანის ცნობიერებისგან დამოუკიდებლად. *მატერიის მოძრაობის კანონები.* 2. ნივთიერება, რომლისგანაც შედგება ყველა ფიზიკური სხეული. 3. იგივეა, რაც ქსოვილი. *საკაბე მატერია.*

**მატერიალიზმი** *მატერიალიზმის* ერთ-ერთი ფილოსოფიური მიმდინარეობა, რომლის მიხედვითაც მატერია, ბუნება, ყოფიერება არის პირველადი, ხოლო იდეა, ცნობიერება, სული – მეორეული. *მატერიალიზმის მიმდევარი.*

**მატერიალისტი** *მატერიალისტის* მატერიალისტური მსოფლმხედველობის ადამიანი. *მატერიალისტები და იდეალისტები.*

**მატერიალისტური** *მატერიალისტურის* მატერიალიზმთან დაკავშირებული. *მატერიალისტური ფილოსოფია.*

**მატერიალური** *მატერიალურის* 1. რეალურად არსებული, ხელშესახები. *მატერიალური სამყარო.* 2. საარსებო საშუალებებთან დაკავშირებული, ქონებრივი. *ხალხის მატერიალური კეთილდღეობა. მატერიალური მდგომარეობა.*

**მატიანე** *მატიანის* 1. ისტორიული მოვლენების თანამიმდევრული ჩანაწერი. *აღორძინების ხანის მატიანე.* 2. იგივეა, რაც ისტორია (1). *ჩვენი ქვეყნის მატიანე.*

**მატიტელა** *მატიტელას* ერთწლოვანი ბალახი, აქვს დატოტვილი, მეტწილად გართხმული ღერო და ფოთლებზე განლაგებული პატარა ყვავილები, ისხამს სამწახნაგოვან ნაყოფს.

**მატლი** *მატლის* 1. მწერის კვერცხიდან გამოსული ჭია. *მატლი ბუზად გადაიქცევა.* 2. იგივეა, რაც ჭია. *ხორცს მატლი გაუჩნდა.*

**მატრაბაზი** *მატრაბაზის* საუბრ. ვითომ ხუმარა, მეტიჩარა, მატრაკვეცა. *მატრაბაზი კაცია.*

**მატრაბაზობა** *მატრაბაზობის* (მატრაბაზობს) საუბრ. მატრაბაზივით ქცევა, მეტიჩრობა, გადაჭარბებულად თავის გამოჩენა. *ნუ მატრაბაზობ! ბიჭმა ბევრი იმატრაბაზა.*

**მატრაკვეცა** *მატრაკვეცას* მეტიჩარა, საუბრისას თავშეუკავებელი. *მატრაკვეცა გოგო.*

**მატრაკვეცობა** *მატრაკვეცობის* (მატრაკვეცობს) საუბრ. მატრაკვეცასავით მოქცევა, გადამეტებული მეტიჩრობა. *მატრაკვეცობა უყვარს. მეგობრებთან მატრაკვეცობს.*

**მატრიარქალური** *მატრიარქალურის* მატრიარქატისთვის დამახასიათებელი. *მატრიარქალური ტრადიციები. მატრიარქალური ოჯახი.*

**მატრიარქატი** *მატრიარქატის* პირველყოფილი თემური წყობილების ადრეული ფორმა, რომლის დროსაც გვაროვნული ჯგუფები იქმნებოდა ქალის ხაზით ნათესაობის საფუძველზე, სამეურნეო და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ქალი იყო გაბატონებული. *მატრიარქატი პატრიარქატმა შეცვალა.* შდრ. პატრიარქატი.

**მატროსი** *მატროსის* რიგითი მეზღვაური. *მატროსები გემბანზე იდგნენ. მატროსის ფორმა.*

**მატყლი** *მატყლის* ცხოველის (ძირითადად, ცხვრის) ბეწვიანი საფარი; მისგან მზადდება შალი, ნაბადი, კერავენ საბნებსა და ლეიბებს. *მატყლის დამზადება.*

**მატყუარა** *მატყუარას* ვისაც ტყუილების თქმა უყვარს. *მატყუარა კაცი.*

**მატჩი** *მატჩის* ორ მოწინააღმდეგეს ან ორ გუნდს შორის გამართული შეჯიბრება სპორტის რომელიმე სახეობაში. *საფეხბურთო მატჩი.*

**მაუდი** *მაუდის* შალის ან ნახევრად შალის ხაოიანი ქსოვილი. *მაუდის შალითა. მაუდის წარმოება.*

**მაუსი** *მაუსის* კომპიუტერის სისტემის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი, რომელიც დაკავშირებულია პროცესორთან და ხელის მოძრაობით მართავს კურსორის მოძრაობას ეკრანზე. *მაუსის მარცხენა ღილაკი.*

**მაუწყებელი** *მაუწყებლის* ვინც ან რაც აუწყებს. *ახალი ამბის მაუწყებელი.*

**მაუწყებლობა** *მაუწყებლობის* (მაუწყებლობს) ცნობების, ინფორმაციის გავრცელება რადიოს, ტელევიზიისა და მისთ. საშუალებით. *ახალი ტელეკომპანია ბევრ ქვეყანაში მაუწყებლობს.*

**მაფია** *მაფიის* საიდუმლო დანაშაულებრივი ორგანიზაცია რთული სტრუქტურითა და იერარქიით, რომელიც აკონტროლებს უკანონო ეკონომიკურ საქმიანობას და ცდილობს გავლენა მოახდინოს პოლიტიკურ პროცესებზე. *იტალიური მაფია.*

**მაქებარი** *მაქებრის* ვინც ვინმეს ან რაიმეს აქებს. *მაქებარი ბევრი ჰყავს.*

**მაქებელი** *მაქებლის* იგივეა, რაც მაქებარი. *სულ შენი მაქებელია.*

**მაქინაცია** *მაქინაციის* არაკეთილსინდისიერი ხერხი რაიმეს მისაღწევად. *მაქინაციას მიმართა.* შეცდომაა მახინაცია.

**მაქმანი** *მაქმანის* ორნამენტებიანი თხელი ქსოვილი, გამოიყენება ტანსაცმლის, თეთრეულის გასაფორმებლად, ყოფითი საგნების მოსართავად. *მაქმანების ოსტატი. მაქმანებით შეამკო.* ▪ **მაქმან[ებ]იანი** მაქმან[ებ]ის მქონე. *მაქმანებიანი საყელო.*

**მაქნისი** *მაქნისის* გამოსადეგი, საჭირო, სასარგებლო (გამოიყენება მხოლოდ უარყოფით კონტექსტში). *არაფრის მაქნისი. რის მაქნისია?*

**მაქო** *მაქოს* 1. საქსოვი დაზგის ნაწილი – ოვალური ან მრგვალი კოლოფი, რომელშიც იდება ძაფიანი მასრა. *საფეიქრო მაქო. ავტომატური მაქო.* 2. საკერავი მანქანის ნაწილი – ქვედა ძაფის ბუდე. *ოვალური მაქო. მრგვალი მაქო.*

**მაქსიმალიზმი** *მაქსიმალიზმის* წიგნ. შეხედულებების, მოთხოვნებისა და მისთ. უკიდურესობა. *ახალგაზრდული მაქსიმალიზმი. მაქსიმალიზმი ახასიათებს.*

**მაქსიმალისტი** *მაქსიმალისტის* ვისაც მაქსიმალიზმი ახასიათებს. *მაქსიმალისტის თვალით დანახული.*

**მაქსიმალური** *მაქსიმალურის* ყველაზე მეტი, ყველაზე ბევრი. *მაქსიმალური რაოდენობა.* ↔ მინიმალური

**მაქსიმუმი** *მაქსიმუმის* რაიმეს ყველაზე დიდი ოდენობა. *წონის მაქსიმუმი.* ↔ მინიმუმი

**მაღაზია** *მაღაზიის* შენობა, სადაც რაიმეს ყიდიან. *წიგნების მაღაზია. სურსათის მაღაზია.*

**მაღალი** *მაღლის* 1. დიდი სიმაღლის (1) მქონე. *მაღალი შენობა. მაღალი ბავშვი.* ↔ დაბალი. 2. რაც დიდ ციფრებშია გამოხატული. *მაღალი შეფასება. მაღალი ტემპერატურა.* ↔ დაბალი. 3. მნიშვნელოვანი, დიდი (2), საპატიო. *მაღალი თანამდებობა. მაღალი ჯილდო.*

**მაღალ-მაღალი** *მაღალ-მაღლის* საკმაოდ მაღალი, ერთობ მაღალი. *მაღალ-მაღალი კაცი. მაღალ-მაღალი გოგო.*

**მაღალმთიანი** *მაღალმთიანის* სადაც მაღალი მთებია. *მაღალმთიანი კუთხე. მაღალმთიანი რეგიონები.*

**მაღალფარდოვანი** *მაღალფარდოვნის* ხელოვნურად, განგებ მხატვრული, ხატოვანი სახით წარმოდგენილი. *მაღალფარდოვანი ფრაზები.*

**მაღალჩინოსანი** *მაღალჩინოსნის* 1. მაღალი ჩინის მქონე პირი. *სამხედრო მაღალჩინოსნები.* 2. გადატ. მაღალი თანამდებობის პირი. *სამინისტროს მაღალჩინოსნები.*

**მაღარიჩი** *მაღარიჩის* საუბრ. კარგად დასრულებული საქმის აღსანიშნავი წვეულება. *მაღარიჩი გადაიხადა.*

**მაღარო** *მაღაროს* მიწაში გაყვანილი სპეციალური თხრილი, საიდანაც წიაღისეულს იღებენ. *ქვანახშირის მაღარო. სპილენძის მაღარო.*

**მაღაროელი** *მაღაროელის* მაღაროში მომუშავე ადამიანი. *მაღაროელის ჩაფხუტი.*

**მაღვიძარა** *მაღვიძარას* მოსამართი საათი, რომელიც დანიშნულ დროს ზარს რეკავს. *მაღვიძარამ 7 საათზე დარეკა. ელექტრონული მაღვიძარა.*

**მაღლა** ზმნ. მაღალ ადგილას, ზევით. *თარო მაღლა დაკიდა. მაღლა ლიფტით ავიდა.* ↔ დაბლა

**მაღლა-მაღლა** ზმნ. უფრო და უფრო მაღლა, სულ უფრო მაღლა. *ალპინისტები მაღლა-მაღლა მიიწევენ.*

**მაღლარი** *მაღლარის* ხეზე ან სპეციალურ ჩარდახზე ასული ვაზი.

**მაღლობი** *მაღლობის* შემაღლებული ადგილი მიწის ზედაპირზე. *მაღლობიდან მთელი სოფელი ჩანდა. მაღლობი ბუჩქნარმა დაფარა.*

**მაღმერთებელი** *მაღმერთებლის* ვინც ვინმეს გადაჭარბებულად აქებს, ეთაყვანება, მასზე უკეთესი რომ არავინ ჰგონია. *შვილის მაღმერთებელი.*

**მაღნარი** *მაღნარის* ხშირი და გაუვალი ტყე. *მაღნარში სიარული წვიმაში ძალიან გაჭირდა.*

**მაყალი** *მაყალის* ნაკვერჩხლის გასაღვივებელი პატარა, თავღია ყუთისმაგვარი მოწყობილობა, ჩვეულებრივ, გამოიყენება მწვადის შესანვავად.

**მაყარი** *მაყრის* მეფის ან დედოფლის თანმხლები სტუმრები ქორწილში. *მაყრებმა მოილხინეს.*

**მაყვალი** *მაყვლის* 1. შავი, ტკბილი, წვნიანი კენკროვანი ხილი. *მაყვლის მურაბა. მაყვლის წვენი.* 2. ეკლიანი ბუჩქი, რომელიც ისხამს მაყვალს (1), აქვს რთული ფოთლები და თეთრი ან მონითალო, მეტწილად მტევნებად შეკრებილი ყვავილები.

**მაყვედრებელი** *მაყვედრებლის* ვინც ვინმეს რაიმეს აყვედრის. *ბევრი მაყვედრებელი ჰყავს.*

**მაყვლიანი** *მაყვლიანის* ადგილი, სადაც მაყვალი იზრდება. *მაყვლიანი გაიარეს.*

**მაყვლოვანი** იგივეა, რაც მაყვლიანი

**მაყული** *მაყულის* ქართული ხალხური სიმღერა, რომელსაც მაყრები მღერიან ქორწილში. *მაყული გაისმა.*

**მაყურებელი** *მაყურებლის* 1. ვინც ვინმეს ან რაიმეს უყურებს. *შორიდან მაყურებელი. ამ ამბის მაყურებელი.* 2. ვინც თეატრალურ წარმოდგენას, ტელეგადაცემასა და მისთ. უყურებს. *ოპერის თეატრის მაყურებელი.*

**მაშ** ნაწილაკ. გამოიყენება გაკვირვების, დადასტურებისა და მისთ. გამოხატვისას. მაშ, რა უნდა მექნა? ⊙ მაშ არა და საუბრ. რასაკვირველია, აბა, რა გეგონა.

**მაშარაბი** *მაშარაბის* საწებლად მოდუღებული ბრონეულის წვენი. *ზუთხი მაშარაბით.*

**მაშასადამე** 1. გამოიყენება დასკვნის, შემაჯამებელი ნათქვამის დაწყების წინ. *მაშასადამე, ყველაფერი ცხადია.* 2. კავშ. ფუნქც. ანუ, ესე იგი. *ვაზროვნებ, მაშასადამე, ვარსებობ.*

**მაშველი** *მაშველის* პირი, მოსამსახურე, რომლის მოვალეობასაც უბედურებაში ჩავარდნილის გადარჩენა წარმოადგენს. *წყალში მაშველები გამოჩნდნენ.*

**მაშერალი** *მაშერალის* ძვ. ნაჯაფი, შრომაში დაღლილი. *მაშერალთა იმედი.*

**მაშინ** ზმნზ. იმ დროს, იმ მომენტში (წარსულში). *მაშინ გაჭირვება იყო. მაშინ ახალგა ზრდა ვიყავი.*

**მაშინდელი** *მაშინდელის* ვინც ან რაც მაშინ იყო, იმდროინდელი. *მაშინდელი მდგომარეობა. მაშინდელი მთავრობა.*

**მაშინვე** ზმნზ. ძალიან მალე, იმავე წუთს. *დამინახა თუ არა, მაშინვე მომესალმა. მაშინვე წავიდა დასახმარებლად.*

**მაშხალა** *მაშხალის* იგივეა, რაც ჩირაღდანი. *მაშხალები აანთეს.*

მაშხალა

**მაჩანჩალა** *მაჩანჩალას* 1. ვინც ყველაზე ბოლოსაა, ყველაზე უკანაა (სირბილში, სიარულში, რაიმეს კეთებაში). *მაჩანჩალა კაცი.* 2. გადატ. ვისაც მაჩანჩალობა ახასიათებს. *მაჩანჩალად დარჩა.*

**მაჩანჩალობა** *მაჩანჩალობის* მაჩანჩალად ყოფნა. *მაჩანჩალობა მობეზრდა.*

**მაჩვენებელი** *მაჩვენებლის* რაც რაიმეზე (ძირითადად, გზაზე) მიუთითებს, მიანიშნებს. *ახალი მაჩვენებლები დააყენეს.*

**მაჩვი** *მაჩვის* მცირე ზომის მტაცებელი ცხოველი, საცხოვრებლად სოროს იკეთებს, ძირითადად იკვებება მცენარეთა ძირებით. *მაჩვი მიწას თხრის.*

**მაჩიტა** *მაჩიტას* მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარე, აქვს ზარის მოყვანილობის ყვავილები და თეთრი ფესვი, რომელიც იჭმება.

**მაცდუნებელი** *მაცდუნებლის* ვისაც ან რასაც ვინმეს ცდუნება შეუძლია. *მაცდუნებელი ქალი. მაცდუნებელი ღიმილი.*

**მაცდური** *მაცდურის* 1. იგივეა, რაც მაცდუნებელი. *მაცდური კაცი.* 2. გადატ. ეშმაკი, ავსული, რაც ადამიანს ცუდ გზაზე აყენებს. *მაცდური აჰყვა.*

**მაცივარი** *მაცივრის* ელექტროდანადგარი, სპეციალური კამერა, რომელშიც ხელოვნურად წარმოიქმნება დაბალი ტემპერატურა, ძირითადად იყენებენ საკვები პროდუქტების შესანახად, გასაცივებლად. *ორკამერიანი მაცივარი.*

**მაცნე** *მაცნის* ძვ. ამბის მომტანი. *მაცნე გაგ ზავნეს.*

**მაცოცხლებელი** *მაცოცხლებლის* სიცოცხლის ძალის, სიცოცხლის ხალისის მომცემი. *მაცოცხლებელი ნიავი. მაცოცხლებელი წყარო.*

**მაცხოვარი** *მაცხოვრის* იესო ქრისტე. *მაცხოვრის სახელობის ეკლესია.*

**მაცხოვრებელი** *მაცხოვრებლის* ამა თუ იმ ადგილის მცხოვრები. *ქალაქის მაცხოვრებლები. სოფლის მაცხოვრებლები.*

**მაცხონებელი** *მაცხონებლის* სულის გადამრჩენი, სულის სასუფეველში გადამყვანი. *ეგაა შენი მაცხონებელი.*

**მაძებარი** *მაძებრის* 1. იგივეა, რაც მეძებარი. 2. იგივეა, რაც მძებნელი. *სიმართლის მაძებარი.*

**მაძიებელი** *მაძიებლის* ვინც რაიმეს მოძიებას, მოპოვებას ცდილობს. *ხარისხის მაძიებელი. განძის მაძიებელი.*

**მაძღარი** *მაძღრის* 1. კარგად დანაყრებული. *მაძღარი ადამიანი. მაძღარი ძაღლი.* ↔ მშიერი. 2. გადატ. უხვი, მოსავლიანი. *მაძღარი შემოდგომა.*

**მაძღრისად** ზმნზ. გაძღომისთვის სამყოფად. *მაძღრისად ჭამეს.*

**მაწანწალა** *მაწანწალის* 1. ვინც, რაც უმიზნოდ, უსაქმურად დადის. *მაწანწალა კაცი. მაწანწალა ძაღლი.* 2. საუბრ. ღარიბი, ღატაკი ადამიანი, რომელსაც სახლ-კარი არა აქვს და აქეთ-იქით დაეხეტება. *მაწანწალების თავშესაფარი.*

**მაწაქი** *მაწაქის* 1. მრავალწლოვანი ფესურიანი სარეველა ბალახი, აქვს ხეშეში ფოთლები და ღეროს წვერზე ბენვიანი საგველა. 2. მრავალწლოვანი ველური პარკოსანი შხამიანი მცენარე, იკეთებს მტევნებად შეკრულ, მკრთალ ყვითელ ყვავილებს, გავრცელებულია მინდვრებსა და ნათესებში.

**მაწიერი** *მაწიერის* ნოყიერი, მაღალკალორიული (საჭმელი). *მაწიერი საკვები. ნიგოზი ძალზე მაწიერია.*

**მაწოვარი** *მაწოვრის* 1. ვინც ან რაც ძუძუს აწოვებს. *მაწოვარი ირემი.* 2. ვინც ან რაც ძუძუს სწოვს. *მაწოვარი ბავშვი. მაწოვარი ხბო.*

**მაწონი** *მაწვნის* რძისგან სპეციალური ხერხით მიღებული სქელი მომჟავო საჭმელი. *კამეჩის მაწო-*

*ნი.* ◌ მანვნის დედა მცირე რაოდენობის მანონი, რომელიც ნელთბილ რძეს მანვნად შეადედებს.

**მანყევარი** *მანყევრის* ვინც ვინმეს წყევლის. *მუდამ მისი მანყევარია.*

**მანყინარი** *მანყინარის* რაც ჯანმრთელობისთვის მავნებელია. *მკვახე ყურძენი მანყინარია.*

**მაჭანკალი** *მაჭანკლის* პირი, რომელიც ქალ-ვაჟის დაქორწინების საქმეს აგვარებს. *მაჭანკლის გარიგებული საქმე. მაჭანკლის გასამრჯელო.*

**მაჭანკლობა** *მაჭანკლობის* (მაჭანკლობს) მაჭანკლად ყოფნა, მაჭანკლის საქმიანობა. *მაჭანკლობა ეხერხება. ძმას მაჭანკლობს.*

**მაჭარი** *მაჭრის* ახალი, ბოლომდე დაუდუღარი ღვინო. *მაჭარი დუღს.*

**მაჭიკი** *მაჭიკის* იგივეა, რაც დერიტა. *ყველი მაჭიკით ამოჰყავს.*

**მახა** *მახას* ხორბლის უძველესი სახეობა, აქვს ფხიანი, მკვრივი და ადვილად მტვრევადი თავთავი, შემორჩენილია მხოლოდ საქართველოში.


მახათი

**მახათი** *მახათის* მსხვილი ნემსი, გამოიყენება სქელი ქსოვილების, ტყავეულის საკერად. *ბეწვეული მახათით იკერება.*

**მახარებელი** *მახარებლის* სახარების დამწერი. *ლუკა მახარებელი. იოანე მახარებლის სახელობის ტაძარი.*

**მახარობელი** *მახარობლის* 1. სასიხარულო ამბის მომტანი. *გამარჯვების მახარობელი.* 2. ერთ-ერთი მაყარი, რომელიც მეფე-დედოფლის ჯვრისწერის შემდეგ პირველი მიდის ოჯახში და დაქორწინებულების მოსვლას ატყობინებს. *მახარობელს თასი მიაწოდეს.*

**მახარობლობა** *მახარობლობის* მახარობლის მოვალეობა. *მახარობლობა ითავა.*

**მახასიათებელი** *მახასიათებლის* რაიმე საგნის ან მოვლენის არსის განმსაზღვრელი ნიშანი (ნიშნები). *ბგერითი მახასიათებლები. რიცხვითი მახასიათებლები.*

**მახე** *მახის* 1. ფრინველებისა და ცხოველების დასაჭერი მოწყობილობა. *ჩიტებს მახე დაუგეს.* 2. გადატ. ფარული საფრთხე, ხიფათი. *მახე ელოდება.*

**მახვეწარი** *მახვეწრის* სალოცავის კარზე მისული მლოცველი. *წელს ბევრი მახვეწარი მოვიდა.*

**მახვილგონიერება** *მახვილგონიერების* ყველაფრის გაგებისა და მიხვედრის უნარი. *მისი მახვილგონიერების იმედი მაქვს.*

**მახვილგონიერი** *მახვილგონიერის* ნიჭიერი, ძლიერი გონების პიროვნება. *მახვილგონიერი მეცნიერი.*

**მახვილი**[1] *მახვილის* 1. წვეტიანი, ბასრი. *სარის მახვილი ბოლო.* 2. წვეტიანი, ორპირი, ბასრი, ხანჯლის მსგავსი ცივი იარაღი. *ფარი და მახვილი. მახვილი იშიშვლა.* 3. გადატ. ძალიან კარგი, ძლიერი, გამჭრიახი. *მახვილი სმენა. მახვილი ყნოსვა. მახვილი ჭკუა.* ⊙ **მახვილი კუთხე** 90 გრადუსზე ნაკლები კუთხე. ⊙ ცეცხლითა და მახვილით დაუნდობლად, სასტიკად.

**მახვილი**[2] *მახვილის* ენათმეცნ. ტონის ამაღლება გარკვეულ მარცვალზე. *სიტყვის მახვილი. ფრაზის მახვილი.*

**მახვილსიტყვაობა** *მახვილსიტყვაობის* (მახვილსიტყვაობს) მოხერხებულად, მარჯვედ ხუმრობა ან საუბარი. *მახვილსიტყვაობა უყვარს. თამადა მახვილსიტყვაობს.*

**მახინჯი** *მახინჯის* ვისაც ფიზიკური ნაკლი აქვს, უშნო. *მახინჯი კაცი. მახინჯი სახე. მახინჯი თითები.*

**მახლობელი** *მახლობლის* ახლოს მყოფი (რაიმე ობიექტი). *მახლობელი სოფლები.*

**მახლობლად** ზმნზ. თანდ. ფუნქც. (+ ნათ.) ახლოს, იქვე, იმავე ტერიტორიაზე. *აგარაკი ქალაქის მახლობლად აქვთ. სახლი უნივერსიტეტის მახლობლად იქირავა.*

**მახობელა** *მახობელას* ||**მახობელი**

**მახობელი** *მახობლის* ყანის ერთწლოვანი სარეველა ბალახი, იზრდება ხორბლის ნათესებში.

**მახოხი** *მახოხის* ქინძითა და ნივრით შეზავებული ქატოს მჟავე შეჭამანდი.

**მახრა** *მახრის* იგივეა, რაც ბოსტანა

**მახსოვრობა** *მახსოვრობის* იგივეა, რაც მეხსიერება. *კარგი მახსოვრობა.*

**მაჯა** *მაჯის* 1. ხელის ნაწილი მკლავსა და მტევანს შორის. *მაჯა ეტკინა. მაჯაზე სამკაული ეკეთა.* 2. საუბრ. იგივეა, რაც პულსი. *ექიმმა ავადმყოფს მაჯა გაუსინჯა.* 3. ტანსაცმლის სახელოს ის ნაწილი, რომელიც ფარავს მაჯას. *მაჯები აიწია. მაჯა შეიკრა.*

**მაჯამა** *მაჯამის* ლექსი, რომლის რითმებსაც ომონიმები ქმნის. *რუსთაველის მაჯამა.*

**მაჯისცემა** *მაჯისცემის* იგივეა, რაც პულსი. *სუსტი მაჯისცემა აქვს.*

**მაჯლაჯუნა** *მაჯლაჯუნას* საუბრ. უხილავი არსება, რომელიც მძინარს სულს უხუთავს. *მაჯლაჯუნა დააწვა.*

**მაჰმადიანი** *მაჰმადიანის* ისლამის მიმდევარი. *მაჰმადიანთა ლაშქარი.*

**მაჰმადიანობა** *მაჰმადიანობის* იგივეა, რაც ისლამი

**მბაძველი** *მბაძველის* ვინც ვილაცას ბაძავს. *ბევრი მბაძველი გამოუჩნდა.*

**მბეჭდავი** *მბეჭდავის* ვინც ბეჭდავს. *მბეჭდავი ქალი.*

**მბზინავი** *მბზინავის* რაც ბზინავს, ელვარებს. *მზეზე მბზინავი ნამი.*

**მბობა** *მბობის* (უამბობს) თხრობა, მოყოლა. *ამბის მბობა. ზღაპარს უამბობს.*

**მბჟუტავი** *მბჟუტავის* რაც ბჟუტავს, ოდნავ ანთია, სუსტად ანათებს. *მბჟუტავი გაზი. მბჟუტავი ალი.*

**მბრუნავი** *მბრუნავის* რაც ბრუნავს. *მბრუნავი სხეული.*

**მბრძანებელი** *მბრძანებლის* ხელისუფალი, ვინც ბრძანებას გასცემს, ვისი სიტყვაც მაშინვე სრულდება. *ქვეყნის მბრძანებელი.*

**მბრძანებლობა** *მბრძანებლობის* (მბრძანებლობს) უფროსობა, ბრძანებების გაცემა. *მბრძანებლობა უყვარს. ნუ მბრძანებლობ!*

**მგალობელი** *მგალობლის* 1. ვინც საგალობლებს ასრულებს. *ტაძრის მგალობელი. მგალობელთა გუნდი.* 2. რაც გალობს. *მგალობელი ფრინველი.*

**მგელი** *მგლის* ძაღლის მსგავსი საშუალო ზომის მტაცებელი ცხოველი. *რუხი მგელი. მგლის ლეკვები.* ■ **მგლური** მგლისთვის დამახასიათებელი. *მგლური ნაბიჯი. მგლური მადა.*

მგელი

**მგზავრი** *მგზავრის* გზაში მყოფი ადამიანი. *მგზავრების ბარგი. მგზავრების მოსაცდელი დარბაზი.*

**მგზავრობა** *მგზავრობის* (მგზავრობს, ამგზავრებს) ტრანსპორტით გადაადგილება. *მგზავრობით დაიღალა. მანქანით მგზავრობს. ღამე იმგზავრეს.*

**მგზავრული** *მგზავრულის* ქართული ხალხური მრავალხმიანი სიმღერა, რომელსაც მღეროდნენ მგზავრობის დროს. *მგზავრული გაისმა.*

**მგზნებარე** *მგზნებარის* 1. რაც ძლიერი ალით იწვის, ანთია. *მგზნებარე ცეცხლი. მგზნებარე კოცონი.* 2. გადატ. დიდი, მხურვალე გრძნობებით აღსავსე, რაიმეთი უზომოდ გატაცებული. *მგზნებარე პატრიოტი. მგზნებარე შეყვარებული.* ▲ **მგზნებარედ** ზმნზ. მხურვალედ, ძლიერი გრძნობით. *მგზნებარედ წარმოთქვა სიტყვა.*

**მგლოვიარე** *მგლოვიარის* ვინც ვიღაცას გლოვობს. *მგლოვიარე ქალი.*

**მგონი** ალბათ, შეიძლება (გამოხატავს მთქმელის ვარაუდს). *მგონი, ხვალ იწვიმებს. მგონი, კმაყოფილი დარჩა.*

**მგოსანი** *მგოსნის* იგივეა, რაც პოეტი. *სახალხო მგოსანი.*

**მგრძნობელობა** *მგრძნობელობის* იგივეა, რაც მგრძნობიარობა. *მგრძნობელობა არა აქვს.*

**მგრძნობიარე** *მგრძნობიარის* ვინც ან რაც სწრაფად რეაგირებს გარეგან გაღიზიანებაზე. *მგრძნობიარე პიროვნება. მგრძნობიარე გული აქვს. მგრძნობიარე კბილი.*

**მგრძნობიარობა** *მგრძნობიარობის* შეგრძნების უნარი. *მგრძნობიარობა დაკარგა. მგრძნობიარობა აღუდგა.*

**მდაბალი** *მდაბლის* ნიგნ. 1. თავმდაბალი. *მდაბალი და სულგრძელი იყო.* 2. ქვენა, სულმდაბალი. *მდაბალი მიზნები. მდაბალი გრძნობები.*

**მდაბიო** *მდაბიოს* დაბალი სოციალური ფენის წარმომადგენელი. *დიდგვაროვანი და მდაბიო. მდაბიო ხალხი.* ■ **მდაბიური** მდაბიოს შესაფერი, მდაბიოსთვის დამახასიათებელი. *მდაბიური ენით ლაპარაკობს.*

**მდაბლად** ზმნზ. მოკრძალებით, მორიდებით, პატივისცემით. *მდაბლად დაუკრა თავი.*

**მდარე** *მდარის* უხარისხო, ცუდი ხარისხისა. *მდარე საქონელი.*

**მდგმური** *მდგმურის* პირი, რომელიც სხვის ბინაში ქირით ცხოვრობს. *სახლში მდგმურები ჰყავს.*

**მდგომარეობა** *მდგომარეობის* (მდგომარეობს) 1. ვინმეს ან რაიმეს არსებობის პირობები, საერთო გარემოება, ვითარება. *ოჯახური მდგომარეობა. საბრძოლო მდგომარეობა.* 2. ამა თუ იმ სახით არსებობა, ყოფნა.

**მდგომი** *მდგომის* ვინც დგას. *ხესთან მდგომი კაცი.*

**მდებარეობა** *მდებარეობის* (მდებარეობს) 1. გარკვეულ ადგილას არსებობა რაიმესი. *ჩვენი სკოლა ცენტრში მდებარეობს.* 2. რაიმეს მდებარეობის (1) ადგილი. *კარგი მდებარეობა. ქალაქის მდებარეობა.*

**მდედრი** *მდედრის* 1. ძვ. ქალი, დედაკაცი. 2. იგივეა, რაც დედალი (2). *მდედრი ცხოველი.*

**მდედრობითი** *მდედრობითის* რაც მამრისგან ნაყოფიერდება და რაშიც ნაყოფი ვითარდება. *მდედრობითი სქესის ცხოველი. მდედრობითი კვერცხუჯრედი.*

**მდევარი** *მდევრის* 1. ვინც დევნილს მისდევს და ცდილობს მის დაჭერას ან მოსპობას. *მდევარი წამოეწია. მდევარს გაურბის.* 2. მუდამ თანმხლები, თანამდევი. *მდევარი ბედი. მუდამ ჩემი მდევარია.*

**მდელო** *მდელოს* მწვანე ბალახით დაფარული მიწის პატარა მონაკვეთი. *მდელო ყვავილებით მოირთო. აყვავდა მდელო.* ■ **მდელოიანი** ადგილი, სივრცე, სადაც მდელოებია. *მდელოიანი ტყე. მდინარის მდელოიანი ნაპირი.*

**მდიდარი** *მდიდრის* 1. ვისაც ან რასაც დიდი ქონება აქვს. *მდიდარი კაცი. მდიდარი საწარმო.* ↔ ღარიბი. 2. მრავალფეროვანი, მრავლის მქონე. *მდიდარი ბუნება. მდიდარი ლექსიკა.*

**მდიდრული** *მდიდრულის* ძვირფასი, გამორჩეული. *მდიდრული სახლი. მდიდრული ჩასაცმელი.* ▲ **მდიდრულად** ზმნზ. ძვირფასად, გამორჩეულად,

როგორც მდიდარს შეეფერება. *მდიდრულად ცხოვრობს.*

**მდივანი** *მდივნის* 1. პირი, რომელიც აწარმოებს კერძო პირის, ორგანიზაციის ან დაწესებულების საქმიან მიმოწერას, ანესრიგებს დოკუმენტებს. *პირადი მდივანი. განყოფილების მდივანი.* 2. პირი, რომელიც წერს კრების ან სხდომის ოქმს. *თავმჯდომარე და მდივანი აირჩიეს.* 3. პირი, რომელიც განაგებს, ხელმძღვანელობს რომელიმე ორგანიზაციის, დაწესებულების, სახელმწიფო აპარატის საქმიანობას. *სახელმწიფო მდივანი.*

**მდინარე** *მდინარის* ბუნებრივ კალაპოტში მიმდინარე დიდი მოცულობის წყლის ნაკადი. *მთის მდინარე. წყალუხვი მდინარე. მდინარის წყალი.*

**მდნარი** *მდნარის* იგივეა, რაც გამდნარი. მდგომარეობაში მყოფი. *მდნარი ყველი.*

**მდოგვი** *მდოგვის* 1. ცხიმით მდიდარი, მრგვალი, ცხარე თესლი, რომლისგანაც მზადდება სანელებელი. *მდოგვის მარცვლები.* 2. ერთწლოვანი მცენარე, რომელიც ისხამს მდოგვს (1).

**მდორე** *მდორის* 1. არაჩქარი, ნელა მიმავალი (წყალი). *მტკვარი ალაგ-ალაგ ძალზე მდორეა.* 2. გადატ. უხალისო, მოსაწყენი, უღიმღამო (ცხოვრება). *მოვლენები მდორედ ვითარდება. დაიწყო მდორე დღეები.*

**მდუმარე** *მდუმარის* ვინც ან რაც დუმს, ჩუმი, უხმაურო. *მდუმარე მიდამო. მდუმარე ავადმყოფი.*

**მდუმარება** *მდუმარების* სრული სიჩუმე. *ირგვლივ მდუმარებამ დაისადგურა.*

**მდურვა** *მდურვის* (ემდურის) ვინმეს მიმართ უკმაყოფილების გამოხატვა, სამდურავის თქმა. *ყველას ემდურის.*

**მდუღარე** *მდუღარის* რაც დუღს, ადუღებული. *მდუღარე წყალი.*

**მდუღვრა** *მდუღვრის* (მდუღრავს, იმდუღრავს, იმდუღრება) ↑ დამდუღვრა. *ქილას მდუღრავს.*

**მე** ნაცვ. მოსაუბრე პირი. *მე ვხატავ. მე მომწონს.*

**მეაბრეშუმეობა** *მეაბრეშუმეობის* მეურნეობის დარგი – აბრეშუმის ჭიის მოვლა-მოყვანა. *მეაბრეშუმეობას მისდევს.*

**მეამბოხე** *მეამბოხის* ამბოხების, აჯანყების მონაწილე. *მეამბოხეების რიცხვი სულ უფრო მატულობდა.*

**მეანაბრე** *მეანაბრის* პირი, რომელსაც შემნახველ სალაროში ფულადი ანაბარი აქვს. *მეანაბრის ანგარიში.*

**მეანი** *მეანის* ექიმი, რომელიც სამედიცინო სამსახურს უწევს ორსულს, მშობიარეს, მელოგინეს. *მეანის კაბინეტი.*

**მეანობა** *მეანობის* სამედიცინო დახმარება ორსულობის, მშობიარობისა და შემდგომ პერიოდში.

**მეარღნე** *მეარღნის* არღნის დამკვრელი. *მოხუცი მეარღნე.*

**მებადური** *მებადურის* მეთევზე, რომელიც ბადით იჭერს თევზს. *მებადურმა წყალში ბადე ისროლა.*

**მებაირახტრე** *მებაირახტრის* რაიმეს წინამძღოლი. *სტუდენტური მოძრაობის მებაირახტრე.*

**მებაჟე** *მებაჟის* საბაჟოს მოხელე, რომელიც ბაჟს იღებს. *მებაჟედ მუშაობს.*

**მებარგული** *მებარგულის* ბარგის მზიდავი, ბარგის გადამტანი. *მებარგული დაიქირავეს.*

**მებაღე** *მებაღის* ბაღის გამშენებელი და მომვლელი. *მებაღემ ახალი ნერგები დარგო.*

**მებაღეობა** *მებაღეობის* 1. სოფლის მეურნეობის დარგი – ბაღის (1) გაშენება და მოვლა. *მებაღეობა კარგად გამოსდის.* 2. აგრონომიის დარგი, რომელიც ბაღის მცენარეების გაშენებასა და მოვლას სწავლობს.

**მებორნე** *მებორნის* პირი, რომელიც ბორანს მართავს. *მებორნემ ბარგი გადაგვატანინა.*

**მებოსტნეობა** *მებოსტნეობის* სოფლის მეურნეობის დარგი – ბოსტნეულის გაშენება და მოვლა.

**მებრძოლი** *მებრძოლის* ვინც იბრძვის. *არმიის მებრძოლი. მებრძოლთა ბრიგადა.*

**მებუფეტე** *მებუფეტის* ბუფეტში მომსახურე პირი. *სკოლის მებუფეტე.*

**მებუხრე** *მებუხრის* ხელოსანი, რომელიც ბუხრებს აშენებს. *ცნობილი მებუხრე.*

**მეგაპოლისი** *მეგაპოლისის* მრავალმილიონიანი ქალაქი, რომელიც სხვადასხვა ქალაქისა და დასახლებული პუნქტის შერწყმის შედეგად წარმოიშვა.

**მეგზური** *მეგზურის* 1. მოგზაურის თანმხლები პირი, რომელიც გზის მაჩვენებლად მიჰყვება ვინმეს. *საუკეთესო მეგზური გვყავდა.* 2. იგივეა, რაც გზამკვლევი. *მეგზური შევიძინეთ.*

**მეგზურობა** *მეგზურობის* მეგზურად ყოფნა, მეგზურის საქმიანობა. *მეგზურობა გაუწია.*

**მეგობარი** *მეგობრის* უახლოესი ადამიანი, ერთგული, სანდო, საყვარელი ამხანაგი. *უფროსი მეგობარი. ბავშვობის მეგობარი.* ■ მეგობრული მეგობრის დამახასიათებელი. *მეგობრული დამოკიდებულება. მეგობრული დახმარება.*

**მეგობრობა** *მეგობრობის* (მეგობრობს) ურთიერთობა, რომელიც ემყარება საერთო ინტერესებს, შეხედულებებს, სულიერ სიახლოვეს. *კარგი მეგობრობა აქვთ. მათი შვილები მეგობრობენ.*

**მედავითნე** *მედავითნის* ეკლესიის მსახური, რომელიც ღვთისმსახურების დროს გარკვეულ მონაკვეთებს კითხულობს საღვთო წიგნებიდან. *მედავითნის ხმა.*

**მედალი** *მედლის* მრგვალი ფირფიტა რელიეფური გამოსახულებით, გადასცემენ ჯილდოდ ამა თუ

იმ სფეროში წარმატებულ ადამიანებს. *ოქროს მედალი. მედალი დაიმსახურა.*

**მედალიონი** *მედალიონის* ყელზე ჩამოსაკიდებელი სამკაული – ძვირფასი ლითონის სხვადასხვა ფორმის ფირფიტა ან ბუდე რაიმე გამოსახულებით.

**მედალოსანი** *მედალოსნის* მედლით დაჯილდოებული პირი, მედლის მფლობელი. *ოქროს მედალოსანი.*

**მედგარი** *მედგრის* 1. ძლიერი, შეუპოვარი. *მედგარი წინააღმდეგობა. მედგარი ომი.* 2. უშიშარი, ძლიერი (პიროვნება). *მედგარი კაცი.* ▲ **მედგრად** ზმნზ. უშიშრად, შეუპოვრად. *მტერს მედგრად შეხვდა.*

**მედესანტე** *მედესანტის* დესანტის წევრი. *საზღვაო მედესანტე.*

**მედია** *მედიის* იგივეა, რაც მასმედია

**მედიატორი** *მედიატორის* შუამავალი საქმიანი გარიგების დროს. *გამოცდილი მედიატორი.*

**მედიატორობა** *მედიატორობის* (მედიატორობს) მედიატორად ყოფნა, შუამავლობა. *მედიატორობა იკისრა.*

**მედიდური** *მედიდურის* ამაყი, ამპარტავანი, ქედმაღალი. *მედიდური გამოხედვა.*

**მედიდურობა** *მედიდურობის* (მედიდურობს) ამპარტავნობა, სიამაყე, ქედმაღლობა. *ყველასთან მედიდურობს.*

**მედიკამენტი** *მედიკამენტის* სამკურნალო საშუალება, წამალი. *ახალი მედიკამენტებით მკურნალობს.*

**მედიკოსი** *მედიკოსის* მედიცინის სპეციალისტი.

**მედიტაცია** *მედიტაციის* ზოგიერთი აღმოსავლური რელიგიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ელემენტი – მდგომარეობა, როდესაც ადამიანი სრულად სწყდება გარემოს თვითჩაღრმავების, ყურადღების კონცენტრირების შედეგად, რასაც ახლავს სხეულის მოდუნება.

**მედიუმი** *მედიუმის* პირი, რომელიც სპირიტიზმით არის დაკავებული.

**მედიცინა** *მედიცინის* ადამიანის დაავადებების, მათი მკურნალობისა და თავიდან აცილების გზების შემსწავლელ მეცნიერებათა ერთობლიობა. *საოჯახო მედიცინა. მედიცინის დარგი.*

**მედოლე** *მედოლის* მუსიკოსი, რომელიც დოლზე უკრავს. *მედოლემ საცეკვაო დაუკრა.*

**მედროშე** *მედროშის* პირი, რომელსაც დროშა უჭირავს ბრძოლაში, დემონსტრაციის დროს და მისთ. *მედროშე დროშას აფრიალებდა.*

**მედუდუკე** *მედუდუკის* მუსიკოსი, რომელიც დუდუკს უკრავს. *მედუდუკეების გამოსვლა.*

**მედუზა** *მედუზის* სხვადასხვა ფორმის ზღვის ცხოველი, აქვს მსუსხავი ლორწოვანი გარსი. *მედუზას შეეხო.*

მედუზა

**მედუქნე** *მედუქნის* ძვ. პირი, რომელიც დუქანში ვაჭრობს. *მედუქნეს სუფრა გააშლევინეს.*

**მედღეხვალიე** *მედღეხვალიის* ზარმაცი, საქმის გადადების მოყვარული. *მედღეხვალიე კაცია.*

**მეეზოვე** *მეეზოვის* პირი, რომელიც ქუჩას ან ეზოს ასუფთავებს. *მეეზოვის ცოცხი.*

**მეეტლე** *მეეტლის* პირი, რომელსაც ეტლი დაჰყავს. *მეეტლემ ცხენს მათრახი გადაჰკრა.*

**მევალე** *მევალის* პირი, რომლისგანაც ვინმეს ფული აქვს ნასესხები. *მევალე გაისტუმრა. პარონიმი მოვალე.*

**მევახშე** *მევახშის* პირი, რომელიც ფულის გასესხებისთვის ვახშს, სარგებელს იღებს. *ხარბი მევახშე.*

**მევახშეობა** *მევახშეობის* (მევახშეობს) ძვ. მევახშის საქმიანობა. *მევახშეობას თავი დაანება.*

**მეველე** *მეველის* ნათესი მინდვრის, ხეხილის ბაღის ან ვენახის მცველი. *მეველემ ქურდი დაიჭირა.*

**მევენახე** *მევენახის* ვაზის მოვლა-გაშენების სპეციალისტი. *კახელი მევენახე.*

**მევენახეობა** *მევენახეობის* სოფლის მეურნეობის დარგი – ვენახის გაშენება და მოვლა. *მევენახეობა განვითარდა. მევენახეობას ეწევა.*

**მევიოლინე** *მევიოლინის* მუსიკოსი, რომელიც ვიოლინოს უკრავს. *ცნობილი მევიოლინე.*

**მეზვრე** *მეზვრის* ზვრის მომვლელი და მეთვალყურე. *გამოცდილი მეზვრე.*

**მეზობელი** *მეზობლის* 1. პირი, რომელიც ვინმეს გვერდით ცხოვრობს. *ახლო მეზობელი. კარის მეზობელი.* 2. ვინმეს ან რაიმეს მახლობლად მყოფი, მახლობლად მდებარე, მოსაზღვრე. *მეზობელი ოთახი. მეზობელი ქვეყანა. მეზობელი სოფელი.* ■ **მეზობლური** მეზობლის დამახასიათებელი, მეზობლის შესაფერისი. *მეზობლური ურთიერთობა.*

**მეზობლობა** *მეზობლობის* (მეზობლობს, ემეზობლება) ახლობლობა, რომელიც მყარდება ერთმანეთის მეზობლად მცხოვრებ ადამიანებს შორის. *კარგი მეზობლობა აქვთ. არავისთან მეზობლობს.*

**მეზურნე** *მეზურნის* მუსიკოსი, რომელიც ზურნას უკრავს. *მეზურნესავით აქვს გაბერილი ლოყები.*

**მეზღაპრე** *მეზღაპრის* პირი, რომელიც ზღაპრებს იგონებს ან ჰყვება. *ბავშვების საყვარელი მეზღაპრე.*

**მეზღვაური** *მეზღვაურის* პირი, რომელიც საზღვაო სამსახურში მსახურობს. *მეზღვაურის ქუდი.*

**მეზღვაურობა** *მეზღვაურობის* მეზღვაურად ყოფნა, მეზღვაურის პროფესია. *მეზღვაურობა მოსწონს.*

**მეთაური** *მეთაურის* პირი, რომელიც წინ უძღვის

და ხელმძღვანელობს რაიმეს. *რაზმის მეთაური. საქმის მეთაური. სახელმწიფოს მეთაური.*

**მეთაურობა** *მეთაურობის* (მეთაურობს) მეთაურად ყოფნა, ხელმძღვანელობა. *ჯარს მეთაურობს.*

**მეთევზე** *მეთევზის* პირი, რომელიც თევზს იჭერს. *მეთევზეები გამთენიისას გაიდნენ ზღვაში.*

**მეთევზეობა** *მეთევზეობის* მეურნეობის დარგი – თევზის ჭერა ან მოშენება.

**მეთვალყურე** *მეთვალყურის* პირი, რომელიც ვინმეს ან რაიმეს თვალყურს ადევნებს, ზედამხედველობს.

**მეთვალყურეობა** *მეთვალყურეობის* (მეთვალყურეობს) თვალყურის დევნება. *მეთვალყურეობა დაუწესეს.*

**მეთოდი** *მეთოდის* თეორიული გამოკვლევის ან რაიმე პრაქტიკული საქმიანობის განხორციელების ხერხი. *სწავლების თანამედროვე მეთოდები.* ■ მეთოდური მეთოდთან დაკავშირებული, მეთოდის მიხედვით შესრულებული. *მეთოდური შენიშვნები.*

**მეთოდიკა** *მეთოდიკის* 1. მეთოდების ერთობლიობა. *კვლევის მეთოდიკა.* 2. პედაგოგიკის დარგი, რომელიც შეისწავლის სწავლების მეთოდებს. *მეთოდიკის სახელმძღვანელო.*

**მეთოდისტი** *მეთოდისტის* მეთოდიკის სპეციალისტი. *საბავშვო ბაღის მეთოდისტი.*

**მეთოდოლოგია** *მეთოდოლოგიის* 1. მოძღვრება შემეცნების მეცნიერული მეთოდების შესახებ. *კვლევის მეთოდოლოგია.* 2. ცალკეულ მეცნიერებაში გამოყენებული კვლევის მეთოდთა ერთობლიობა. *მათემატიკის მეთოდოლოგია.* ■ მეთოდოლოგიური მეთოდოლოგიასთან დაკავშირებული. *ნაშრომის მეთოდოლოგიური მხარე.*

**მეთუნე** *მეთუნის* სპეციალისტი, რომელიც თიხისგან ამზადებს ჭურჭელს. *მეთუნის ნახელავი.*

**მეთუნეობა** *მეთუნეობის* კერამიკული ნივთების გაკეთება; მეთუნის ხელობა. *მეთუნეობა შევისწავლე. მეთუნეობას მისდევს.*

**მეთუნუქე** *მეთუნუქის* ხელოსანი, რომელიც თუნუქის მასალაზე მუშაობს. *მეთუნუქეები დაიქირავეს.*

**მეიგავე** *მეიგავის* მწერალი, რომელიც იგავებს თხზავს. *ცნობილი მეიგავე.*

**მეილი** *მეილის* ელექტრონული წერილი, იგზავნება ინტერნეტის საშუალებით. *მეილი მისწერა.*

**მეისრე** *მეისრის* რკინიგზის (2) მუშა, რომელსაც სპეციალური ისრით გადაჰყავს ლიანდაგის მოძრავი ნაწილები ერთი ხაზიდან მეორეზე. *სადგურის მეისრე.*

**მეკავშირე** *მეკავშირის* სამხედრო პირი, რომელიც ბრძოლის დროს სამხედრო ნაწილებს შორის კავშირს ამყარებს. *მეკავშირემ დავალება წარმატებით შეასრულა.*

**მეკარე** *მეკარის* 1. დაწესებულების (შენობის, დაცული ტერიტორიისა და მისთ.) შესასვლელ კართან მდგომი მეთვალყურე. *სკოლის მეკარე. საავადმყოფოს მეკარე. მეკარემ ჭიშკარი გააღო.* 2. ფეხბურთის, ჰოკეისა და მისთ. გუნდის მოთამაშე, რომელიც კარში დგას და იცავს მას. *მეკარემ ბურთი აიღო.*

**მეკვლე** *მეკვლის* ადამიანი, რომელიც ახალ წელს ოჯახში პირველი შედის მისალოცად. *ოჯახის მეკვლე. მეკვლეს ტკბილეული მიართვეს.*

**მეკვლეობა** *მეკვლეობის* მეკვლედ ყოფნა. *მეკვლეობა სთხოვა.*

**მეკობრე** *მეკობრის* ზღვის ან ველის ყაჩაღი. *მეკობრეების გემი.*

**მეკობრეობა** *მეკობრეობის* (მეკობრეობს) მეკობრედ ყოფნა. *დიდხანს მეკობრეობდნენ.*

**მეკომური** *მეკომურის* სოფელში მცხოვრები ოჯახი, კომლი. *მეკომურთა სია. რამდენიმე მეკომური.*

**მეკუბოე** *მეკუბოის* ხელოსანი, რომელიც კუბოებს აკეთებს.

**მელა** *მელას* 1. ძაღლის მსგავსი მომცრო ზომის მტაცებელი ცხოველი, იკვებება მღრღნელებითა და ფრინველებით. *მელა ქათმებს დაერია.* 2. გადატ. ცბიერი ადამიანი. *ეს კაცი დიდი მელაა.*

**მელაკუდა** *მელაკუდას* საუბრ. იგივეა, რაც მელა. *მელაკუდა სოროში შეძვრა.*

**მელანი** *მელნის* სხვადასხვა ფერის სითხე, გამოიყენება საწერად. *წითელი მელანი. მელნის ლაქა.* ■ მელნიანი მელნით დასვრილი. *მელნიანი პერანგი.*

**მელანქოლია** *მელანქოლიის* ფსიქიკური მდგომარეობა, რომელსაც ახასიათებს სევდიანი განწყობილება, ხალისის დაკარგვა, მოდუნება. *მელანქოლიამ შეიპყრო. მელანქოლია ტანჯავს.* ■ მელანქოლიური ვისაც მელანქოლია დაეუფლა, მელაქოლიის გამომხატველი. *მელანქოლიური მზერა.*

**მელაძუა** *მელაძუას* ეშმაკი, არასანდო, გაიძვერა. *მელაძუა პიროვნება.*

**მელია** *მელიის* იგივეა, რაც მელა. *მელიის ქურქი. მელიის სორო.*

მელია

**მელიორატორი** *მელიორატორის* მელიორაციის სპეციალისტი. *მელიორატორთა შეკრება.*

**მელიორაცია** *მელიორაციის* მიწის ნაყოფიერების გაუმჯობესება მისი მორწყვით ან ამოშრობით. *დაჭაობებული მიწების მელიორაცია.*

**მელოგინე** *მელოგინის* ახლადშვილნაყოლი ან შვილის გასაჩენად მწოლიარე ქალი. *მელოგინე დედა.*

**მელოდია** *მელოდიის* მუსიკალური ბგერების ერთობლიობა, რომელიც ქმნის გარკვეულ რიტმულ, ჰარმონიულ ჟღერადობას. *სასიამოვნო მელოდია. ნაცნობი მელოდია.*

**მელოდიური** *მელოდიურის* სასიამოვნო მოსასმენი, კეთილხმოვანი. *მელოდიური ჰანგები.*

**მელოდრამა** *მელოდრამის* დრამატული ნაწარმოები, რომელსაც ახასიათებს ემოციების გადაჭარბებულად გამოხატვა. *მელოდრამებს წერს.*

**მელოდრამატული** *მელოდრამატულის* მელოდრამისთვის დამახასიათებელი, მელოდრამის სახით შექმნილი. *მელოდრამატული სიუჟეტი.*

**მელომანი** *მელომანის* მუსიკის მოყვარული, მუსიკით გატაცებული. *ჩემი ძმა მელომანია.*

**მელოტი** *მელოტის* უთმო ან თავზე თმაგაცვენილი. *მელოტი ექიმი. მელოტი თავი.*

**მემამულე** *მემამულის* თავადაზნაურთა წრის ნარმომადგენელი, მიწათმფლობელი, დიდი მამულების პატრონი. *გავლენიანი მემამულე. მემამულის კარ-მიდამო.*

**მემანქანე** *მემანქანის* ლოკომოტივის, ელმავლისა და მისთ. ნამყვანი. *მემანქანემ სიჩქარეს უკლო.*

**მემატიანე** *მემატიანის* მატიანის ავტორი, მატიანის შემდგენელი. *„ქართლის ცხოვრების“ მემატიანე. მემატიანის ცნობით.*

**მემაწვნე** *მემაწვნის* ვინც მაწონს ამზადებს და ყიდის. *მემაწვნეს სოფლიდან ჩამოაქვს მაწონი.*

**მემბრანა** *მემბრანის* 1. თხელი, დრეკადი ფირფიტა, რომელიც ელექტრონულ სიგნალებს გარდაქმნის ხმოვან სიგნალებად და პირიქით, იყენებენ ტელეფონის აპარატებში, დიქტოფონებში. *ტელეფონის მემბრანა. მიკროფონის მემბრანა.* 2. ცოცხალი უჯრედის დამცავი გარსი. *უჯრედის მემბრანა. ბირთვის მემბრანა.* ■ **მემბრანიანი** მემბრანის მქონე. *მემბრანიანი აპარატი.*

**მემინდვრეობა** *მემინდვრეობის* სოფლის მეურნეობის დარგი – მინდვრის კულტურების მოვლა-მოყვანა. *მემინდვრეობა განვითარდა.*

**მემკვიდრე** *მემკვიდრის* 1. პირი, რომელსაც რჩება ვინმეს ქონება მისი გარდაცვალების მერე. *მემკვიდრეებმა ქონება გაიყვეს.* 2. ვინმეს საქმის გამგრძელებელი. *საქმე მემკვიდრეებს გადააბარა.*

**მემკვიდრეობა** *მემკვიდრეობის* 1. ქონება, რომელიც პატრონის სიკვდილის შემდეგ ახალ პატრონს გადაეცემა. *დიდი მემკვიდრეობა. მამის მემკვიდრეობა მიიღო.* 2. წინაპრების მიერ შექმნილი რამ, რასაც მატერიალური თუ კულტურული ღირებულება აქვს. *სულიერი მემკვიდრეობა.* 3. ცოცხალი არსების თვისება, რომელიც განსაზღვრავს მისი ფიზიკური, ფიზიოლოგიური და ფსიქოლოგიური მახასიათებლების გადაცემას შთამომავლებისთვის. *მუსიკის ნიჭი მემკვიდრეობით დაჰყვა.*

**მემკვიდრეობითი** *მემკვიდრეობითის* 1. რაც შთამომავალს მემკვიდრეობით გადაეცემა. *მემკვიდრეობითი ძალაუფლება. მემკვიდრეობითი დაავადება.*

**მემონტაჟე** *მემონტაჟის* სპეციალისტი, რომელიც მონტაჟს აკეთებს. *მანქანების მემონტაჟე. ფილმის მემონტაჟე.*

**მემორანდუმი** *მემორანდუმის* 1. დიპლომატიური დოკუმენტი, რომელშიც გამოხატულია მთავრობის აზრი ამა თუ იმ საკითხის შესახებ. *ერთობლივი მემორანდუმი.* 2. დაწესებულების, ორგანიზაციის მიერ მიღებული დოკუმენტი, რომელშიც მოცემულია ახსნა-განმარტება რაიმე საკითხის შესახებ. *მემორანდუმზე ხელი მოაწერა.*

**მემორიალი** *მემორიალის* 1. არქიტექტურული ნაგებობა, აღმართული ვინმეს ან რაიმეს უკვდავსაყოფად. *საბრძოლო დიდების მემორიალი.* 2. სპორტული შეჯიბრება, რომელიც გამოჩენილი სპორტსმენის ხსოვნას ეძღვნება. *მიხეილ მესხის მემორიალი.*

**მემორიალური** *მემორიალურის* ვინმეს ან რაიმეს ხსოვნის აღსანიშნავად შექმნილი, შესრულებული. *მემორიალური დაფა.*

**მემუარი** *მემუარის* (ძირითადად მრ.) ნაწარმოები, რომელშიც ავტორი ჰყვება პირადი ცხოვრების შესახებ ან იგონებს თავისი დროის მნიშვნელოვან პიროვნებებსა და მნიშვნელოვან ამბებს. *მწერლის მემუარები. მემუარები გამოაქვეყნა.*

**მემუარული** *მემუარული* მემუარების შინაარსის, ხასიათის მქონე. *მემუარული ლიტერატურა.*

**მემცენარეობა** *მემცენარეობის* 1. სოფლის მეურნეობის დარგი – მცენარეების მოვლა-გაშენება. 2. აგრონომიის დარგი, რომელიც შეისწავლის მცენარეების გაშენებას.

**მემწვანილე** *მემწვანილის* მწვანილის მომყვანი ან გამყიდველი. *ბაზრის შესასვლელთან მემწვანილეები იდგნენ.*

**მენაგვე** *მენაგვის* პირი, რომელსაც საყოფაცხოვრებო ნაგავი გააქვს. *მენაგვეები დილით ჩამოიარეს.*

**მენავე** *მენავის* ნავის პატრონი, ნავის წამყვანი. *მენავემ ნიჩბები მოუსვა.*

**მენავთობე** *მენავთობის* ნავთობის მრეწველობის მუშაკი. *მენავთობეთა წარმატება.*

**მენახირე** *მენახირის* ვინც ნახირს უვლის, მწყემსავს. *მენახირემ ნახირი დააბინავა.*

**მენახირეობა** *მენახირეობის* მენახირედ ყოფნა, მენახირის საქმიანობა. *მენახირეობა ძნელია.*

მენეჯერი *მენეჯერის* 1. კომპანიის, საწარმოს, ბანკისა და მისთ. მართვის სპეციალისტი. *გამოცდილი მენეჯერი.* 2. სპეციალისტი სპორტსა და შოუბიზნესში, რომელიც ორგანიზებას უწევს სპორტსმენთა და მსახიობთა მომზადებასა და გამოსვლებს.

მენეჯმენტი *მენეჯმენტის* მართვის პრინციპებისა და მეთოდების ერთობლიობა, რომელიც ხელს უწყობს წარმოების ეფექტურობის ზრდასა და დანახარჯების შემცირებას. *საწარმოს მენეჯმენტი.*

მენზურა *მენზურის* სითხეების ასაწყავი დანაყოფებიანი ჭურჭელი.

მენთოლი *მენთოლის* გამჭვირვალე სურნელოვანი ნივთიერება, რომელიც მიიღება პიტნის ან წინაკის ეთერზეთებისგან. *მენთოლის მალამო. მენთოლის საფენი. მენთოლის სუნი.* ■ მენთოლიანი მენთოლის შემცველი. *მენთოლიანი ტაბლეტები.*

მენინგიტი *მენინგიტის* მედიც. თავისა და ზურგის ტვინის გარსის ანთება. *მენინგიტი დაემართა.* შეცდომაა მინინგიტი.

მენისკი *მენისკის* მედიც. მუხლის სახსრის სახსარშიგა ნახევარმთვარისებრი წყვილი ხრტილოვანი ფირფიტა.

მენიუ *მენიუს* 1. სასადილოს ან რესტორნის მიერ შემოთავაზებული საჭმელების, სასმელებისა და მათი ფასების ნუსხა. *მენიუს მოგართმევთ. მენიუ მაგიდაზეა.* 2. სუფრაზე მოსატანად შერჩეული საჭმელების ჩამონათვალი. *მენიუ შეადგინა.*

მენსტრუაცია *მენსტრუაციის* ყოველთვიური სისხლდენა საშვილოსნოდან.

მენტალიტეტი *მენტალიტეტის* ინტელექტუალურ და ემოციურ თავისებურებათა ერთობლიობა, აზროვნების წესი, რომელიც ახასიათებს ამა თუ იმ ინდივიდს, სოციალურ ჯგუფს. *საზოგადოების მენტალიტეტი.*

მენტალობა *მენტალობის* მსოფლაღქმა, ფუნდამენტურ შეხედულებათა ერთობლიობა, რომელიც განსაზღვრავს ინდივიდის ან კოლექტივის ქცევას ცხოვრებისეული პრობლემების გადაწყვეტისას ან სხვა ადამიანებთან ურთიერთობაში. *ცხოვრების წესი და მენტალობა.*

მენტორი *მენტორის* პირი, რომელიც არიგებს, რჩევებს აძლევს სხვებს. ■ მენტორული დამრიგებლური. *მენტორული ტონი.*

მენჯი *მენჯის* ანატ. თეძოს ძვლოვანი ნაწილი. *მენჯის მოტეხილობა.*

მეომარი *მეომრის* ვინც ომობს. *მეომრები გმირულად იბრძოდნენ.*

მეორეული *მეორეულის* არათავდაპირველი, რაიმესგან განვითარებული, გამომდინარე. *მეორეული ქანები. მეორეული მოვლენები.*

მეორეხარისხოვანი *მეორეხარისხოვნის* შედარებით მდარე, ხარისხით საუკეთესოზე ნაკლები. *მეორეხარისხოვანი საქონელი. მეორეხარისხოვანი როლი.*

მეოცნებე *მეოცნების* 1. ვინც ბევრს ოცნებობს. *მეოცნებე ბიჭი.* 2. ოცნებისთვის დამახასიათებელი, ოცნების შემცველი. *მეოცნებე თვალები. მეოცნებე გამომეტყველება.*

მეოხება *მეოხების* შველა, შემწეობა, დახმარება, მფარველობა. *მეოხებას უწევს.*

მეოხებით ზმნზ. თანდ. ფუნქც. (+ ნათ.) წიგნ. დახმარებით, შემწეობით, წყალობით. *ღვთის მეოხებით.*

მეოხი *მეოხის* ძვ. დამხმარე, შემწე. *ეგაა ჩვენი მეოხი.*

მეოჯახე *მეოჯახის* ოჯახის პატრონი, ოჯახზე მზრუნველი. *კარგი მეოჯახე.*

მეოჯახეობა *მეოჯახეობის* ოჯახის მოვლა-პატრონობა. *მეოჯახეობით არის ცნობილი.*

მეპაიე *მეპაიის* პაის გადამხდელი. *კოოპერატივის მეპაიე.*

მეპატრონე *მეპატრონის* რაიმეს მფლობელი, მესაკუთრე, პატრონი. *სახლის მეპატრონე. ქარხნის მეპატრონე.*

მეპურე *მეპურის* პურის მცხობელი.

მერამდენე *მერამდენის* ნაცვ. რიგით რომელი. *მერამდენე ხარ სიაში?*

მერანი *მერნის* სწრაფი საჯირითო ცხენი. *მერანს მიაქროლებს.*

მერდინი *მერდინის* აბრეშუმის თხელი ქსოვილი. *მერდინის თავშალი.*

მერე ზმნზ. 1. შემდეგ, მომდევნოდ. *სამსახურის მერე შინ დაბრუნდა. ჯერ მოიფიქრე, მერე გადაწყვიტე.* 2. სხვა დროს, გარკვეული დროის შემდეგ. *მერე მოგიყვები.* 3. ნაწილაკ. ფუნქც. ამ შემთხვევაში, ასეთ შემთხვევაში (გამოიყენება რიტორიკულ კითხვებში). *მერე მე რა ვქნა?! მერე რას უშველი?!*

მერეხი *მერეხის* ძლიერი წვიმა. *მერეხი წამოვიდა.*

მერი *მერის* ქალაქის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელი. *თბილისის მერი.*

მერია *მერიის* ქალაქის თვითმმართველობის ორგანო. *მერიის შენობა. თბილისის მერია.*

მერიდიანი *მერიდიანის* წარმოსახვითი წრიული ხაზი, რომელიც გადის დედამიწის პოლუსებზე და სწორი კუთხით გადაკვეთს ეკვატორს. *გრინვიჩის მერიდიანი.*

მერინოსი *მერინოსის* ნაზმატყლიანი ცხვრის ჯიში. *მერინოსის ძაფი.*

მერიქიფე *მერიქიფის* პირი, რომელიც ღვინოს ასხამს და აწვდის სუფრის წევრებს. *მერიქიფემ ყანწი გაავსო.*

**მერიქიფეობა** *მერიქიფეობის* მერიქიფედ ყოფნა. *მერიქიფეობა დაავალეს.*

**მერკური** *მერკურის* მზის სისტემის პლანეტა, მზესთან ყველაზე ახლოს მყოფი.

**მერმის** ზმნზ. გაისად, მომავალ წელს ან მომავალში. *მერმის მსოფლიო ჩემპიონატი იქნება.*

**მერმისი** *მერმისის* წიგნ. იგივეა, რაც მომავალი. *უკეთესი მერმისი.*

**მერქანი** *მერქნის* მკვრივი ნაწილი, ფენა ხის ან ბუჩქის ქერქის ქვეშ. *მუხის მერქანი. კაკლის მერქანი.* ■ **მერქნიანი** რასაც მერქანი აქვს. *მერქნიანი ხეები.*

**მერყევი** *მერყევის* არამტკიცე, სუსტი. *მერყევი ხასიათი. მერყევი ბუნება.*

**მერყეობა** *მერყეობის* (მერყეობს) 1. არამყარი, ცვალებადი შეხედულებების, პრინციპებისა და მისთ. ქონა, ორჭოფობა. *პასუხის გაცემისას მერყეობს. მერყეობა ახასიათებს.* 2. რაიმე სიდიდის, რაოდენობისა და მისთ. ცვალებადობა. *ტემპერატურა მერყეობს.*

**მერცხალი** *მერცხლის* პატარა ტანის ფრინველი, აქვს შავი ზურგი და წვეტიანი ფრთები, მოთეთრო-მოყავისფრო მკერდი, გაშლილი მაკრატლის მსგავსი კუდი. *მოჭიკჭიკე მერცხალი.*

მერცხალი

**მერძევე** *მერძევის* რძის გამყიდველი. *მერძევე მოდის.*

**მერძეული** *მერძეულის* რძის მომცემი (პირუტყვი). *მერძეული საქონელი. კარგი მერძეული ფური.*

**მერწყული** *მერწყულის* ზოდიაქოს ნიშანი.

**მერხი** *მერხის* 1. საწერი მაგიდა ზედ მიმაგრებული სკამით, ძირითადად გამოიყენება სასწავლო დანესებულებებში. *სასკოლო მერხი.* 2. რამდენიმე კაცის დასაჯდომი გრძელი სკამი. *მოხუცი მერხზე ჩამოჯდა.*

მერხი



**მესა** *მესის* კათოლიკური წირვა. *პაპმა მესა აღასრულა.*

**მესაათე** *მესაათის* საათის შემკეთებელი ხელოსანი. *მაღვიძარა მესაათეს მიუტანა.*

**მესაზღვრე** *მესაზღვრის* სამხედრო პირი, რომელიც სახელმწიფოს საზღვარს იცავს. *მესაზღვრემ გამაფრთხილებლად გაისროლა.*

**მესაიდუმლე** *მესაიდუმლის* ახლობელი ადამიანი, რომელსაც საიდუმლოს ანდობენ. *მეგობარი და მესაიდუმლე. გულის მესაიდუმლე.*

**მესაკუთრე** *მესაკუთრის* პირი, რომელსაც კერძო საკუთრება აქვს. *წარმოების მესაკუთრე. აქციების მესაკუთრე.*

**მესანგრე** *მესანგრის* სამხედრო პირი, რომელიც სანგრებს ან სხვა მსგავს ნაგებობებს აშენებს.

**მესანთლე** *მესანთლის* ვინც სანთლებს ამზადებს ან ყიდის. *ეკლესიის მესანთლე.*

**მესაფლავე** *მესაფლავის* სასაფლაოს თანამშრომელი, რომელიც საფლავებს თხრის.

**მესაქონლეობა** *მესაქონლეობის* მეცხოველეობის დარგი – მსხვილფეხა საქონლის მოვლა-მოშენება. *მესაქონლეობის განვითარება.*

**მესაჭე** *მესაჭის* პირი, რომელიც მატარებლის, გემის, თვითმფრინავის საჭეს მართავს.

**მესერი** *მესრის* მიწაში ერთმანეთთან ახლოს დარჭობილი ძელების ღობე. *ბოსტნის მესერი.*

მესერი



**მესვეური** *მესვეურის* 1. თოხნაში, მკასა და მისთ. მუშაობის დამწყები, რომელსაც სხვა მუშები მიჰყვებიან. 2. წინამძღოლი, მეთაური. *ეკლესიის მესვეურები. თეატრის მესვეურები.*

**მესია** *მესიის* იუდეველთა და ქრისტიანთა რელიგიის მიხედვით, მხსნელი, რომელიც მოევლინება ქვეყნიერებას. *მესიის მახვილი.* შეცდომაა მესსია.

**მესიჯი** *მესიჯის* მოკლე ტექსტური შეტყობინება, უპირატესად ელექტრონული. *მესიჯი გაუგ ზავნა.*

**მესტვირე** *მესტვირის* მუსიკოსი, რომელიც სტვირს უკრავს.

**მეტად** ზმნზ. ძალიან, ძლიერად. *მეტად მოსწონს. მეტად დიდ დროს უთმობს.*

**მეტადრე** ზმნზ. უფრო მეტად, განსაკუთრებით. *ფილმი ძალიან საინტერესოა, მეტადრე – ახალგაზრდებისთვის.*

**მეტალურგი** *მეტალურგის* მეტალურგიის სპეციალისტი. *მეტალურგის პროფესია.*

**მეტალურგია** *მეტალურგიის* 1. მრეწველობის დარგი, ლითონების მიღება და დამუშავება. *ფერადი მეტალურგია.* 2. მეცნიერება, რომელიც შეისწავლის ლითონების წარმოებისა და დამუშავების მეთოდებს. *მეტალურგიის კურსი.* ■ **მეტალურგიული** მეტალურგიასთან დაკავშირებული, მეტალურგიისთვის განკუთვნილი. *მეტალურგიული ქარხანა.*

**მეტალურგობა** *მეტალურგობის* მეტალურგის საქმიანობა. *მეტალურგობა ისწავლა.*

**მეტამორფოზა** *მეტამორფოზის* გარდაქმნა, გადასხვაფერება, რაიმე შესამჩნევი ცვლილება. *საოცარი მეტამორფოზა მოხდა.*

**მეტანია** *მეტანიის* უფლის წინაშე მუხლმოდრეკა სინანულის ან თაყვანისცემის ნიშნად. *მეტანიებს ასრულებს. მცირე მეტანია.*

**მეტასტაზი** *მეტასტაზის* 1. ბაქტერიებისა და სიმ-

სივნური უჯრედების გავრცელება ორგანიზმში სისხლის ან ლიმფის ნაკადით. 2. მედიც. (ძირითადად მრ.) მეტასტაზის (1) გზით გაჩენილი დაავადების ახალი კერა (3). *მკერდში მეტასტაზები აქვს.*

**მეტაფორა** *მეტაფორის* ლიტ. სიტყვა ან გამოთქმა, რომელიც ემყარება ანალოგიას, მიმსგავსებას, კონტრასტს. *პოეტური მეტაფორა. მეტაფორებით მეტყველება.*

**მეტეორი** *მეტეორის* დედამიწის ატმოსფეროში შემოჭრილი კოსმოსური წარმოშობის გავარვარებული სხეული. *მეტეორის ნამსხვრევი.*

**მეტეორიტი** *მეტეორიტის* კოსმოსიდან დედამიწაზე ჩამოვარდნილი ქვის ან რკინის სხეული. *მეტეორიტების წვიმა.*

**მეტეოროლოგი** *მეტეოროლოგის* მეტეოროლოგიის სპეციალისტი. *მეტეოროლოგების ცნობა.*

**მეტეოროლოგია** *მეტეოროლოგიის* მეცნიერება, რომელიც შეისწავლის ატმოსფერულ მოვლენებს. ▪ **მეტეოროლოგიური** მეტეოროლოგიასთან დაკავშირებული, მეტეოროლოგიისთვის განკუთვნილი. *მეტეოროლოგიური პირობები. მეტეოროლოგიური სადგური.*

**მეტი** *მეტის* 1. რაიმეზე უფრო ბევრი, უფრო დიდი. *მეტი მონდომება. მეტს არ გთხოვ.* ↔ ნაკლები. 2. ზომაზე ჭარბი. *სასმელი მეტი მოუვიდა.* 3. გარდა, გარეშე, სხვა. *ჩემ მეტი იქ არავინ იყო.*

**მეტივე** *მეტივის* ტივის წამყვანი, ტივის პატრონი.

**მეტისი** *მეტისის* სხვადასხვა რასის წარმომადგენელთა (უპირატესად, თეთრკანიანისა და ინდიელის) ნაჯვარი. *მეტისების დასახლება.*

**მეტისმეტი** *მეტისმეტის* ზომაზე მეტი, გადაჭარბებული. *მეტისმეტი მოუვიდა.* ▲ **მეტისმეტად** ზმნზ. ზომაზე მეტად, გადაჭარბებულად. *მეტისმეტად ბევრს ლაპარაკობს.*

**მეტიჩარა** *მეტიჩრის* ვისაც ბევრის მცოდნედ მოაქვს თავი, ვინც ყველა საქმეში ერევა, აქტიურობს. *მეტიჩარა ქალი.*

**მეტიჩრობა** *მეტიჩრობის* (მეტიჩრობს) ზედმეტი აქტიურობა თავის გამოჩენის მიზნით. *ნუ მეტიჩრობ! მეტიჩრობა დაიწყო. სტუმრებთან მეტიჩრობდა.*

**მეტიჩრული** *მეტიჩრულის* მეტიჩრისთვის დამახასიათებელი. *მეტიჩრული ნაბიჯი. მეტიჩრული გამოხტომა.*

**მეტლახი** *მეტლახის* გამომწვარი კერამიკული ფილა, აგებენ იატაკზე. *ფერადი მეტლახი. მეტლახით მოპირკეთეს.*

**მეტ-ნაკლებად** ზმნზ. ნაწილობრივ, რამდენადმე. *მეტ-ნაკლებად დამაკმაყოფილებელი.*

**მეტ-ნაკლები** *მეტ-ნაკლების* ნაწილობრივ მიახლოებული. *მეტ-ნაკლები სიზუსტით.*

**მეტოქე** *მეტოქის* ვინმეს მონინააღმდეგე, მოცილე (სპორტში, შეჯიბრებაში, ჩხუბსა და მისთ.). *ძლიერი მეტოქე. მეტოქეს აჯობა.*

**მეტოქეობა** *მეტოქეობის* (მეტოქეობს) მეტოქედ ყოფნა, ქიშპი. *ჩემპიონს მეტოქეობა გაუწია. გუნდი ლიდერთან მეტოქეობს.*

**მეტრი**[1] *მეტრის* სიგრძის საზომი ერთეული, უდრის 100 სანტიმეტრს. *ოთხი მეტრი.*

**მეტრი**[2] *მეტრის* ლექსწყობის ზომა. *იამბიკური მეტრი.*

**მეტრიანი** *მეტრიანის* ერთი მეტრის სიგრძის საზომი საგანი. *მეტრიანი მომიტანე!*

**მეტრო** *მეტროს* იგივეა, რაც მეტროპოლიტენი

**მეტრონომი** *მეტრონომის* მექანიკური ხელსაწყო, რომელიც დარტყმებით აღნიშნავს დროის მცირე შუალედებს, იყენებენ მუსიკალური ნაწარმოების ზუსტი ტემპით შესასრულებლად, აგრეთვე ფიზკულტურული ვარჯიშის, ლაბორატორიული ცდებისა და მისთ. დროს.

**მეტროპოლიტენი** *მეტროპოლიტენის* საქალაქო ტრანსპორტის სახეობა – მიწისქვეშა გვირაბში ან ღია ცის ქვეშ ლიანდაგებზე მოძრავი მატარებელი, რომელიც ელექტროენერგიის მეშვეობით გადაადგილდება. *მეტროპოლიტენის სადგური. თბილისის მეტროპოლიტენი.*

**მეტსახელი** *მეტსახელის* ადამიანისთვის დამატებით (მოსაფერებლად, დასაცინად და მისთ.) შერქმეული სახელი. *კლასში ყველას მეტსახელი აქვს.*

**მეტყევე** *მეტყევის* 1. ტყის მოვლა-გაშენების სპეციალისტი. 2. ტყის მცველი. *მეტყევის სახლი.*

**მეტყევეობა** *მეტყევეობის* 1. ტყის დაცვა, მოვლა და გაშენება. 2. მეცნიერების დარგი, რომელიც ტყეების მოვლას სწავლობს.

**მეტყველება** *მეტყველების* (მეტყველებს) აზრის სიტყვებით გადმოცემა. *კარგად მეტყველებს. ზეპირი მეტყველება. წერითი მეტყველება.*

**მეტყველი** *მეტყველის* 1. ვინც მეტყველებს, ვისაც მეტყველება შეუძლია. *ადამიანი მეტყველი არსებაა.* 2. გადატ. რაიმე გრძნობის, განცდის მკაფიოდ გამომხატველი. *მეტყველი მზერა. მეტყველი სახე.*

**მეტყვიამფრქვევე** *მეტყვიამფრქვევის* სამხედრო პირი, ტყვიამფრქვევის მსროლელი. *გამოცდილი მეტყვიამფრქვევე.*

**მეტწილად** ზმნზ. უფრო მეტად, უმეტესად, უმეტეს შემთხვევაში. *მეტწილად სახლში მუშაობს. მეტწილად ზღვაზე ისვენებს.*

**მეტხანს** ზმნზ. მეტი დროით, უფრო დიდხანს. *მეტხანს ვეღარ გაძლო.*

**მეუდაბნოე** *მეუდაბნოის* ბერი, რომელიც უდაბნოში მოღვაწეობს. *მეუდაბნოე ლოცულობდა.*

**მეუდაბნოეობა** *მეუდაბნოეობის* მეუდაბნოედ

ყოფნა. *მეუდაბნოეობა სამონაზვნო წესად იქცა.*

**მეურვე** *მეურვის* ვინმეს მზრუნველად დანიშნული პირი, მფარველი. *მცირეწლოვნის მეურვე.*

**მეურვეობა** *მეურვეობის* (მეურვეობს) მფარველობა, მზრუნველობა, ხელშეწყობა. *მეურვეობას უნევს.*

**მეურმე** *მეურმის* პირი, რომელსაც ურემი მიჰყავს, ურმის პატრონი. *მეურმეს ტყიდან შეშა მოჰქონდა.*

**მეურნე** *მეურნის* პირი, რომელიც მეურნეობას ენევა. *სოფლის მეურნე. კარგი მეურნე.*

**მეურნეობა** *მეურნეობის* (მეურნეობს) 1. საწარმო. *მეურნეობის დირექტორი.* 2. პროდუქციის შექმნის პროცესი, ორგანიზება. *სოფლის მეურნეობა.* 3. ორგანიზაციის მთელი საქმიანი მხარე. *მოწესრიგებული მეურნეობა.*

**მეუფე** *მეუფის* 1. ღმერთი, უფალი. 2. ეპისკოპოსის მოსახსენიებელი სიტყვა. *მეუფე დიმიტრი.*

**მეუღლე** *მეუღლის* ცოლი ან ქმარი. *მეუღლის ნათესავები.*

**მეფანდურე** *მეფანდურის* ფანდურის დამკვრელი. *განთქმული მეფანდურე.*

**მეფე** *მეფის* 1. სახელმწიფოს ერთპიროვნული მმართველი, რომლის უფლებები ძირითადად მემკვიდრეობით გადაეცემა. *მეფე და დედოფალი. მეფის ხელისუფლება.* 2. მამაკაცი, რომელსაც ქორწილი აქვს. *მეფის მაყრები.* 3. ჭადრაკის ფიგურა. *მეფით ითამაშა.* ⊙ **მეფე-დედოფალი** მეფე და დედოფალი. *მეფე-დედოფალი მობრძანდა.*

**მეფიონი** *მეფიონის* მეფე (2) მაყრებითურთ. *მეფიონი მოახლოვდა.*

**მეფისწული** *მეფისწულის* მეფის შვილი, უფლისწული.

**მეფობა** *მეფობის* (მეფობს) 1. მეფედ ყოფნა, სამეფო ტახტის ფლობა. *მეფობის ტვირთი. ოცი წელი იმეფა.* 2. გადატ. გავრცელება, გაძლიერება, დასადგურება. *ბოროტება მეფობს.*

**მეფრინველე** *მეფრინველის* შინაური ფრინველების მოვლა-მოშენების სპეციალისტი. *მეფრინველეთა საქმიანობა.*

**მეფრინველეობა** *მეფრინველეობის* სოფლის მეურნეობის დარგი – შინაური ფრინველების მოშენება და მოვლა. *მეფრინველეობის ფაბრიკა.*

**მეფუნთუშე** *მეფუნთუშის* ფუნთუშეების მცხობელი, ფუნთუშების გამყიდველი.

**მეფუტკრე** *მეფუტკრის* ფუტკრის მოვლა-მოშენების სპეციალისტი.

**მეფუტკრეობა** *მეფუტკრეობის* 1. სოფლის მეურნეობის დარგი – ფუტკრის მოვლა-მოშენება. *მეფუტკრეობა განავითარეს.* 2. მეფუტკრის საქმიანობა. *მამამისმა მეფუტკრეობა დაიწყო.*

**მექანიზატორი** *მექანიზატორის* სპეციალისტი, რომელიც ემსახურება სასოფლო-სამეურნეო მანქანებსა და მექანიზმებს. *სოფლის მექანიზატორები.*

**მექანიზაცია** *მექანიზაციის* ადამიანის საქმიანობის სხვადასხვა სფეროში ტექნიკური საშუალებების დანერგვა, წარმოების აღჭურვა მანქანებითა და მექანიზმებით. *სოფლის მეურნეობის მექანიზაცია.*

**მექანიზებული** *მექანიზებულის* მანქანა-დანადგარებითა და მექანიზმებით აღჭურვილი. *მექანიზებული სანარმო.*

**მექანიზმი** *მექანიზმის* 1. მანქანების ან გარკვეული ნივთების (საათის, აპარატის) ასამუშავებელი სპეციალური მონყობილობა. *საათის მექანიზმი. მანქანის მექანიზმი. ლიფტის მექანიზმი.* 2. გადატ. გარკვეული სისტემის მოქმედების შინაგანი თავისებურება. *აზროვნების მექანიზმი. მართვის მექანიზმი. მეტყველების მექანიზმი.*

**მექანიკოსი** *მექანიკოსის* სპეციალისტი, რომელიც თვალყურს ადევნებს და უზრუნველყოფს მანქანა-დანადგარების გამართულ მუშაობას. *ლაბორატორიის მექანიკოსი.*

**მექანიკური** *მექანიკურის* 1. მექანიზმების საშუალებით მოქმედი. *მექანიკური საპარსი.* 2. გადატ. ავტომატური, უნებური, გაუაზრებელი. *ხელის მექანიკური მოძრაობა.* ▲ **მექანიკურად** ზმნზ. გაუაზრებლად, ავტომატურად. *მექანიკურად უპასუხა.*

**მექისე** *მექისის* აბანოში მომუშავე, რომელიც მობანავეებს ტანზე ქისას უსვამს.

**მექოთნე** *მექოთნის* ხელოსანი, რომელიც ქოთნებს, თიხის ჭურჭელს ამზადებს. *მექოთნეების ნაწარმი.*

**მექორწილე** *მექორწილის* ქორწილში მყოფი. *მექორწილეები გვიან დაიშალნენ.*

**მექრთამე** *მექრთამის* ვინც ქრთამს იღებს. *მექრთამე დასაჯეს.*

**მექრთამეობა** *მექრთამეობის* ქრთამის აღება. *მექრთამეობა დასწამეს.*

**მექუდე** *მექუდის* ხელოსანი, რომელიც ქუდებს კერავს.

**მეღვინე** *მეღვინის* ღვინის დაყენების, ღვინის წარმოების სპეციალისტი. *გამოცდილი მეღვინე. ქართველი მეღვინეები.*

**მეღვინეობა** *მეღვინეობის* სოფლის მეურნეობის დარგი – ღვინის წარმოება. *მეღვინეობას მისდევენ.*

**მეღორე** *მეღორის* 1. ღორების მომვლელი, ღორების მწყემსი. 2. ღორების მოვლა-მოშენების სპეციალისტი.

**მეღორეობა** *მეღორეობის* მეცხოველეობის დარგი – ღორების მოვლა-მოშენება.

მეყვავილე *მეყვავილის* 1. ყვავილების მოვლა-მოშენების სპეციალისტი. *მებაღე და მეყვავილე.* 2. ყვავილების გამყიდველი. *მეყვავილემ ხურდა დაუბრუნა.*

მეყსეული *მეყსეულის* უეცარი, უცაბედი, წამიერი. *მეყსეული მოძრაობა.*

მეშახტე *მეშახტის* ვინც შახტში მუშაობს. *მეშახტეთა დასახლება.*

მეშვეობით ზმნზ. დახმარებით, საშუალებით. *ლექსიკონის მეშვეობით თარგმნის. კიბის მეშვეობით ავიდა.*

მეშუშე *მეშუშის* ხელოსანი, რომელიც მინებს სვამს.

მეშჩანი *მეშჩანის* ადამიანი, რომელსაც შეზღუდული ინტერესები და ვიწრო თვალთახედვა აქვს. *მეშჩანის მორალი.* ■ მეშჩანური მეშჩანისთვის დამახასიათებელი. *მეშჩანური გემოვნება.*

მეჩაიე *მეჩაიის* 1. ჩაის მკრეფავი. *მეჩაიეებმა რამდენიმე ტონა ჩაი ჩააბარეს.* 2. ჩაის მოვლა-მოშენების სპეციალისტი.

მეჩეთი *მეჩეთის* მაჰმადიანთა სამლოცველო.

მეჩეჩი *მეჩეჩის* ქანების დანალექით შექმნილი თხელწყლიანი ადგილი ზღვებში, მდინარეებსა და ტბებში. *გემი მეჩეჩს მიუახლოვდა.*

მეჩონგურე *მეჩონგურის* ჩონგურის დამკვრელი. *მეჩონგურის სიმღერა.*

მეჩხერი *მეჩხერის* თხელი, არახშირი, არამჭიდრო. *მეჩხერი ტყე. მეჩხერი ყანა. მეჩხერი კბილები.*

მეცადინე *მეცადინის* 1. ვინც ბევრს მეცადინეობს, ბეჯითი. *მეცადინე ბავშვი.* 2. ვინც ცდილობს, მოწადინებულია რაიმეს გასაკეთებლად. *მეცადინე მუშაკი.*

მეცადინეობა *მეცადინეობის* (მეცადინეობს) 1. სწავლა. *კარგად იმეცადინა. მუსიკას მეცადინეობს.* 2. რაიმეს გაკეთების, შესრულების მცდელობა, მონდომება, გულმოდგინედ კეთება. *ყველას მეცადინეობით მშენებლობა დასრულდა.*

მეცენატი *მეცენატის* ქველმოქმედი ადამიანი, რომელიც მატერიალურად ეხმარება მეცნიერებს, ხელოვნების მუშაკებს, სპორტსმენებს. *ცნობილი მეცენატი.*

მეცენატობა *მეცენატობის* (მეცენატობს) მეცენატის საქმიანობა, მეცენატად ყოფნა. *მხატვრებს მეცენატობა გაუწია. დიდი ხანია მეცენატობს.*

მეციხოვნე *მეციხოვნის ძვ.* ციხესიმაგრის მცველი, ციხეში გამაგრებული მეომარი. *უშიშარი მეციხოვნე.*

მეცნიერება *მეცნიერების* შემოქმედებითი საქმიანობა, რომლის მიზანია ბუნების, საზოგადოებისა და აზროვნების სხვადასხვა სფეროში კანონზომიერებების შესწავლა-დადგენა და გარე სამყაროს შესახებ ზუსტი ცოდნის მიღება. *ფილოლოგიური მეცნიერება. მეცნიერებათა აკადემია.*

მეცნიერი *მეცნიერის* მეცნიერების რომელიმე დარგის სპეციალისტი. *მეცნიერთა საბჭო.* ■ მეცნიერი თანამშრომელი სამეცნიერო დაწესებულების თანამშრომელი.

მეცნიერული *მეცნიერულის* მეცნიერებასთან დაკავშირებული, მეცნიერებაზე დაფუძნებული. *მეცნიერული კვლევები. მეცნიერული მიდგომა.*

მეცხვარე *მეცხვარის* ცხვრის მწყემსი ან ცხვრის პატრონი. *მეცხვარის ძაღლი.*

მეცხვარეობა *მეცხვარეობის* 1. მეცხოველეობის დარგი – ცხვრის მოვლა-მოშენება. *მეცხვარეობის განვითარება.* 2. მეცხვარის საქმიანობა. *მეცხვარეობას მიჰყო ხელი.*

მეცხოველეობა *მეცხოველეობის* სოფლის მეურნეობის დარგი – სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა მოვლა-მოშენება.

მეძავი *მეძავის* ვინც საკუთარი სხეულით ვაჭრობს. *მეძავი ქალი.*

მეძაობა *მეძაობის* (მეძაობს) მეძავად ყოფნა. *ქალმა მეძაობა დაიწყო. მეძაობით ირჩენდა თავს.*

მეძებარი *მეძებრის* ძაღლის ჯიში, გამოირჩევა ნადირის ძებნის განსაკუთრებული ალღოთი. *მეძებრის ყნოსვა.*

მეძვირე *მეძვირის* ვინც თავის საქონელს ძვირად აფასებს, ძვირად ყიდის. *მეძვირე კაცია.*

მეძროხე *მეძროხის* ძროხების, ნახირის მწყემსი.

მეძუძური *მეძუძურის* ქალი, რომელიც ბავშვს ძუძუს აწოვებს. *მეძუძურებისთვის განსაკუთრებული კვებაა საჭირო.*

მეწამული *მეწამულის* წითლად შეფერილი. *მეწამული ღრუბელი.*

მეწარმე *მეწარმის* საწარმოს მფლობელი, რაიმეს მწარმოებელი. *წვრილი მეწარმე. მეწარმეთა კავშირი.*

მეწაღე *მეწაღის* ხელოსანი, რომელიც ფეხსაცმელს კერავს ან ძველ ფეხსაცმელს შეაკეთებს. *მეწაღის ჯიხური.*

მეწველი *მეწველის* რაც იწველება (პირუტყვი). *მეწველი ფური. მეწველი თხა.*

მეწვრილმანე *მეწვრილმანის* 1. წვრილმანი საქონლით მოვაჭრე. *მეწვრილმანე ვაჭარი.* 2. ვინც უმნიშვნელო, არაარსებით, წვრილმან რამეებს აქცევს ყურადღებას. *ძალიან მეწვრილმანეა.*

მეწილე *მეწილის* ვისაც საქმეში, წარმოებასა და მისთ. წილი აქვს. *ფირმის მეწილე.*

მეწინავე *მეწინავის* იგივეა, რაც მოწინავე. *მეწინავე მუშა.*

მეწისქვილე *მეწისქვილის* წისქვილის პატრონი ან წისქვილში მომუშავე. *ბიჭმა მეწისქვილეს საფქვავი დაუტოვა.*

მეწყერი *მეწყრის* დიდ ავდრებში მთის ფერდობზე მორღვეული და დაქანებული მიწის დიდი მასა. *მეწყერი ჩამოწვა.*

მეწყვილე *მეწყვილის* ვინმესთან წყვილში მყოფი (მუშაობისას, თამაშისას). *მემანქანე მეწყვილემ შეცვალა.*

მეჭეჭი *მეჭეჭის* პატარა, მრგვალი მაგარი ხორცმატი კანზე. *ხელზე მეჭეჭი გაუჩნდა. მეჭეჭების ნამალი.* ■ მეჭეჭებიანი ვისაც ან რასაც მეჭეჭები აქვს. *მეჭეჭებიანი ხელები.*

მეჭურჭლე *მეჭურჭლის* თიხის ჭურჭლის მკეთებელი ოსტატი. *დოქი მეჭურჭლესთან იყიდა.*

მეჭურჭლეობა *მეჭურჭლეობის* კერამიკის, თიხის ჭურჭლის, ნაკეთობების დამზადება. *მეჭურჭლეობას მისდევს. მეჭურჭლეობის დარგი. მეჭურჭლეობის განვითარება.*

მეხამრიდი *მეხამრიდის* მოწყობილობა, რომელსაც დგამენ შენობა-ნაგებობებზე მეხისგან დასაცავად. *სახლზე მეხამრიდი დააყენეს.*

მეხანძრე *მეხანძრის* სახანძრო რაზმის ნევრი, რომელიც ხანძარს აქრობს. *მეხანძრის გმირობა.*

მეხაშე *მეხაშის* მზარეული, რომელიც ხაშს ამზადებს.

მეხი *მეხის* ღრუბლებში ელექტროძაბვის განმუხტვის შედეგად წარმოქმნილი ძალა, რომელიც მიწიერ სხეულებთან შეხებისას იწვევს ხანძარს, ნგრევას. *მეხი ჩამოვარდა.* ⊙ **თავს მეხი დაეცა** დიდი უბედურება შეემთხვა. ⊙ **მეხი კი დაგეცა!** წყევლა.

მეხორცული *მეხორცულის* მხოლოდ ხორცის მისაღებად მოშენებული. *მეხორცული საქონელი. მეხორცული ფრინველი.*

მეხოტბე *მეხოტბის* ადამიანი, რომელიც ვინმეს ან რაიმეს აქებს, ხოტბას ასხამს. *სამშობლოს მეხოტბე.*

მეხრე *მეხრის* ის, ვინც ხარებს ერეკება, სახნავში ან საძოვარზე აძოვებს. *დღის მეხრე. ღამის მეხრე.*

მეხსიერება *მეხსიერების* ფაქტებისა და მოვლენების დამახსოვრების უნარი. *კარგი მეხსიერება.*

მეჯვარე *მეჯვარის* ჯვრისწერის დროს სიძის ან პატარძლის თანმხლები პირი, რომელიც მონაწილეობს ჯვრისწერის რიტუალში. *პატარძლის მეჯვარე.*

მეჯინიბე *მეჯინიბის* პირი, რომელიც საჯინიბოში ცხენებს უვლის. *მეჯინიბემ ცხენი შეკა ზმა.*

მეჯლისი *მეჯლისის* დიდი წვეულება, დიდი საცეკვაო საღამო. *მეჯლისს ზე მიიწვიეს.*

მეჯოგე *მეჯოგის* ჯოგის მწყემსი ან ჯოგის პატრონი. *მეჯოგეების სადგომი.*

მეჯოგეობა *მეჯოგეობის* სოფლის მეურნეობის დარგი – ჯოგის მოვლა-მოშენება.

მეჯღანე *მეჯღანის* ხელოსანი, რომელიც ძველ ფეხსაცმელს აკერებს, შეაკეთებს.

მზა *მზას* გამოსაყენებლად გამზადებული. *მზა ნაწარმი. მზა პროდუქტები.*

მზად ზმნზ. გამზადებული, მზა ფორმით. *სადილი მზად არის.*

მზადება *მზადების* (ამზადებს, იმზადებს, უმზადებს, ემზადება, მზადდება, ამზადებინებს) წინასწარი საქმიანობა, რაიმეს კეთება გარკვეული მიზნის მისაღწევად. *საკონკურსო მზადება. სადილს უმზადებს. ბრძოლისთვის ემზადებიან.*

მზადყოფნა *მზადყოფნის* რაიმე მოქმედებისთვის წინასწარ მომზადება და ლოდინი. *საბრძოლო მზადყოფნა. მზადყოფნას აცხადებენ. დიალოგისთვის მზადყოფნა.*

მზაკვარი *მზაკვრის* ვერაგი, მოღალატე, მოჩვენებით კეთილისმყოფელი, ვინც ნამდვილ ზრახვებს საგულდაგულოდ ფარავს. *მზაკვარი მეზობელი.* ■ მზაკვრული მზაკვრისთვის დამახასიათებელი. *მზაკვრული ღიმილი.*

მზამზარეული *მზამზარეულის* უშრომლად, უწვალებლად მიღებული, მოპოვებული. *მზამზარეული სახლ-კარი ერგო.*

მზარდი *მზარდის* რაც თანდათანობით, მუდმივად იზრდება, მატულობს. *მზარდი შემოსავალი. მზარდი ხელფასი.*

მზარეული *მზარეულის* პირი, რომელიც საჭმელს ამზადებს. *მზარეულის პროფესია.*

მზარეულობა *მზარეულობის* (მზარეულობს) მზარეულის საქმიანობა, მზარეულად ყოფნა. *მზარეულობა მოსწონს.*

მზე *მზის* I. ციური სხეული, გიგანტური გავარვარებული მნათობი, რომლის გარშემო მოძრაობენ დედამიწა და სხვა პლანეტები. *მზის სხივი. მზის ამოსვლა. მზის ჩასვლა.* 2. მზიდან (1) წამოსული სხივი, სინათლე, სითბო. *მზეში ზის. მზე ზე დიდხანს ნუ გაჩერდებით!* ⊙ **მზე (და მთვარე) ამოსდის ვინმეზე** ძალიან უყვარს ვინმე. ⊙ **მზე მოეკიდა** მზის სხივებისგან კანი გაუმუქდა, მზეზე გაშავდა. ⊙ **მზე პირს იბანს** ამბობენ, როცა მზიან ამინდში წვიმს. ⊙ **მზე შუბის (ან თოხის)ტარზეა** ამბობენ, როცა საღამოს ან დილას მზე ჰორიზონტთან ახლოსაა. ⊙ **მზით გაცვითე!** საუბრ. ბედნიერად გეტარებინოს, ბედნიერებაში გაგეცვითოს (ახალი ტანსაცმელი, ფეხსაცმელი)! ⊙ **მზის გული** ადგილი, რომელსაც მზე ძალიან აცხუნებს. ⊙ **მზის დაბნელება** მზის დროებითი დაჩრდილვა მთვარისგან. ⊙ **მზის დაკვრა** ცენტრალური ნერვული სისტემის დაზიანება მზის სხივების ზემოქმედებით. ⊙ **მზის სინათლეზე გამოიტანს** სააშკარაოდ გამოიტანს, დაფარულს გააცხადებს. ⊙ **ჩემმა (შენმა) მზემ დაფიცება.**

მზეგრძელი *მზეგრძელის* იგივეა, რაც დღეგრძელი. *მზეგრძელი მოხუცი.*

**მზედასაბნელებელი** *მზედასაბნელებლის* ნყევ. სასიკვდილე, მოსასპობი. *შე მზედასაბნელებელო! ეგ მზედასაბნელებელი!*

**მზეთუნახავი** *მზეთუნახავის* ძალიან ლამაზი ქალი. *ნამდვილი მზეთუნახავი იყო.*

**მზეთუნახაობა** *მზეთუნახაობის* არაჩვეულებრივი სილამაზე.

**მზერა** *მზერის* (უმზერს, იმზირება) იგივეა, რაც ყურება. *ფანჯრიდან იმზირება. ეზოს უმზერს.*

**მზესუმზირა** *მზესუმზირას* 1. პატარა შავჩენჩოიანი და თეთრგულიანი, წაგრძელებული, ზეთოვანი თესლი. *მზესუმზირას ზეთი.* 2. ერთწლოვანი, ყოველთვის მზისკენ მიმართული მცენარე, რომელიც ისხამს მზესუმზირას (1), აქვს მაღალი ღერო და დიდი ყვითელი ყვავილი. *მზესუმზირას ყანა.*

მზესუმზირა

**მზეწვია** *მზეწვიას* პატარა ჩიტი, ბუდობს წყალსატევებთან.

**მზვარე** *მზვარის* მზის მხარეს მიქცეული უჩრდილო ადგილი. *მზვარეში პურის ყანა ბიბინებს.*

**მზვერავი** *მზვერავის* მეომარი ან სხვა პირი, რომელიც იგზავნება მოწინააღმდეგის განლაგების ადგილზე ცნობების მოსაპოვებლად. *ახალგაზრდა მზვერავი. მზვერავთა ოცეული. მზვერავს ნააწყდა.*

**მზიანი** *მზიანის* 1. *მზიანის* რასაც (როცა) მზე ანათებს. *მზიანი დღე. მზიანი დილა.* 2. მზის სხივებით მოფენილი. *მზიანი ფერდობი. მზიანი ოთახი.*

**მზიდავი** *მზიდავის* ვისაც ან რასაც რაიმე ტვირთი გადააქვს. *მზიდავი დაიქირავეს.*

**მზითევი** *მზითვის* ქონება, რომელსაც მშობლები ქალს გათხოვებისას ატანენ. *ქალიშვილს მზითევი გაუმზადა.*

**მზიური** *მზიურის* სადაც მუდამ მზეა. *მზიური ადგილი.*

**მზრალი** *მზრალის* შემოდგომის ნახნავი, რომელიც გაზაფხულზე უნდა დაითესოს. *მზრალები დათესეს.*

**მზრუნველი** *მზრუნველის* ვინც ვინმეზე ზრუნავს. *მზრუნველი მშობლები. მზრუნველი ბიძა.*

**მზრუნველობა** *მზრუნველობის* (მზრუნველობს) მზრუნველად, ყურადღებით მოქცევა. *მზრუნველობა გამოიჩინა. ბავშვებს მზრუნველობას არ აკლებს. მოხუცებს მზრუნველობს.*

**მთა** *მთის* 1. ძალიან ამაღლებული ადგილი დედამიწის ზედაპირზე. *მაღალი მთა. მთის მწვერვალი.* 2. ქვეყნის მთიანი ნაწილი. *მთის ტრადიციები.* ▪ **მთა-მთა** ერთი მთიდან მეორეზე, მთის თხემზე გავლით. *მთა-მთა გადაკვეთეს საზღვარი.* ⊙ **მთა და ბარი გასწორდა** ყველაფერი გათანაბრდა. ⊙ **ცხრა მთას იქით** ძალიან შორს, გადაკარგულში.

**მთა-ბარი** *მთა-ბარის* მთელი მიდამო. *მთა-ბარი ამწვანდა. მთა-ბარს გადახედა.*

**მთა-გორი** *მთა-გორის* მთიანი და გორიანი მიდამო. *მთა-გორებში მიდიოდა გზა.*

**მთაგორიანი** *მთაგორიანის* სადაც მთები და გორებია. *მთაგორიანი მხარე.*

**მთაგრეხილი** *მთაგრეხილის* ერთმანეთთან დაკავშირებული მთების სისტემა. *კავკასიონის მთაგრეხილი.*

**მთავარანგელოზი** *მთავარანგელოზის* ქრისტიანულ რელიგიაში – ანგელოზთა დასის მთავარი ანგელოზი. *მთავარანგელოზმა დაგლოცოთ!*

**მთავარი** *მთავარის* 1. ყველაზე მნიშვნელოვანი, ძირითადი. *მთავარი ქუჩა. მთავარი ორგანო.* 2. (ისტ.) ქვეყნის რომელიმე კუთხის, მნიშვნელოვანი ნაწილის მფლობელი, მმართველი ფეოდალურ ეპოქაში. *სამეგრელოს მთავარი. აფხაზეთის მთავარი.*

**მთავარსარდალი** *მთავარსარდლის* უმაღლესი თანამდებობის სამხედრო პირი, შეიარაღებული ძალების უფროსი. *მთავარსარდლის ბრძანება.*

**მთავარსარდლობა** *მთავარსარდლობის* 1. მთავარსარდლის მოვალეობის შესრულება. *მთავარსარდლობა დაევალა.* 2. მთავარსარდალთა ერთობა. *მთავარსარდლობის შეკრება.*

**მთა-ველი** *მთა-ველის* ვრცელი ადგილი მთებითა და ველებით. *მთა-ველს მოედო ფარა.*

**მთავრობა** *მთავრობის* სახელმწიფო ხელისუფლების ცენტრალური აღმასრულებელი ორგანო. *მთავრობის სხდომა. მთავრობის შემადგენლობა.*

**მთავრული** *მთავრულის* ჩვეულებრივ შრიფტთან შედარებით დიდი ასო, რომელიც იწერება ზოგიერთი სიტყვის დასაწყისში. *რუსული ანბანის მთავრული.*

**მთამსვლელი** *მთამსვლელის* სპორტსმენი, რომელიც მაღალ მთებზე, მწვერვალებზე ადის. *ცნობილი მთამსვლელი.* = **ალპინისტი**

**მთამსვლელობა** *მთამსვლელობის* იგივეა, რაც ალპინიზმი. *მთამსვლელობამ გაიტაცა.*

**მთარგმნელი** *მთარგმნელის* პირი, რომელიც რაიმე ტექსტს ერთი ენიდან მეორეზე თარგმნის. *მწერალი და მთარგმნელი. მთარგმნელთა კავშირი.*

**მთელი** *მთელის* 1. ერთიანი, დაუნაწევრებელი. *მთელი ქვეყანა. მთელი ქონება.* 2. დაუზიანებელი, მთლიანი. *მხოლოდ სავარძელია მთელი.*

**მთელ-მთელი** *მთელ-მთელის* სულ მთლად მთელი, ბევრი მთელი. *ქვაბიდან მთელ-მთელი ხინკლები ამოიღო.*

**მთესავი** *მთესავის* იგივეა, რაც მთესველი

მთესველი *მთესველის* ვინც რაიმეს თესავს. *ყანის მთესველი.* ⊙ სიკეთის მთესველი კეთილი საქმეების ჩამდენი.

მთვარე *მთვარის* ციური სხეული, რომელიც დედამიწის გარშემო ბრუნავს, ანათებს ღამით მზის სინათლის ანარეკლი შუქით. *ახალი მთვარე. მთვარე ამოვიდა.*

მთვარეული *მთვარეულის* პიროვნება, რომელიც ღამით მძინარი დადის, საუბრობს, მოქმედებს. *მთვარეული ბავშვი. მთვარეულივით იქცევა.*

მთვარიანი *მთვარიანის* მთვარით განათებული. *მთვარიანი ღამე. მთვარიანი ველები.*

მთვრალი *მთვრალის* 1. ვინც დათვრა, ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ მყოფი,. *მთვრალი კაცი.* 2. გადატ. გრძნობამორეული. *სიყვარულით მთვრალი.*

მთიანი *მთიანის* სადაც მთებია. *მთიანი კუთხე. მთიანი სოფელი.*

მთიბავი *მთიბავის* ვინც თიბავს. *მთიბავი არ ჰყავთ.*

მთიები *მთიების* წიგნ. იგივეა, რაც ცისკარი (1). *მთიების ამობრწყინება.*

მთიელი *მთიელის* ვინც მთაში ცხოვრობს, მთიანი მხარის მაცხოვრებელი. *მთიელი გლეხი. მთიელი მწყემსები. მთიელი მეომარი.*

მთლად ზმნზ. მთლიანად, სულ, სრულიად. *მთლად დასველდა. ეს ხალხი მთლად გაგიჟდა.*

მთლიანი *მთლიანის* დაუნაწევრებელი, სრული. *მთლიანი ხე. მთლიანი კედელი.* ▲ მთლიანად ზმნზ. სრულად, თავიდან ბოლომდე. *სიტუაციას მთლიანად აკონტროლებს.*

მთლიანობა *მთლიანობის* სისრულე, ერთიანობა. *მონაცემთა მთლიანობა.*

მთრთოლვარე *მთრთოლვარის* რაც თრთის. *მთრთოლვარე ფოთოლი.*

მთრიმლავი *მთრიმლავის* რასაც დათრიმლვა შეუძლია. *მთრიმლავი მარილები.*

მთქმელი *მთქმელის* ვინც რაიმეს ამბობს. *მაგის მთქმელი ვინაა?*

მთქნარება

მთქნარება *მთქნარების* (ამთქნარებს) † დამთქნარება. *მთქნარება აუტყდა. მოწყენილობისგან ვამთქნარებდი.*

მთხვევა *მთხვევის* (ემთხვევა) დიდი მონინებით, სიყვარულით ამბორი. *ჯვარზე მთხვევა. შუბლზე ემთხვია.*

მთხოვნელი *მთხოვნელის* ვინც რაიმეს ითხოვს. დახმარების *მთხოვნელი. მოწყალების მთხოვნელი.* ⊙ ხელის მთხოვნელი ქალის შერთვის მსურველი ვაჟი.

მთხრელი *მთხრელის* ვინც თხრის. *გვირაბის მთხრელები.*

მთხრობელი *მთხრობლის* ვინც რაიმეს ჰყვება, ვინმეს რაიმეს მოუთხრობს. *კარგი მთხრობელი.*

მიალერსება *მიალერსების* (მიუალერსებს, მიეალერსება) ალერსის, სიყვარულის, სითბოს გამოხატვა (უმეტესად, ხელის გადასმით). *ნაზად მიეალერსა. ლოყაზე მიუალერსა.*

მიამიტი *მიამიტის* ვინც ყველაფერს ადვილად იჯერებს, ადვილად ტყუვდება, უეშმაკო, გულუბრყვილო. *მიამიტი ბუნებისაა. მიამიტი ქალი.*

მიახლოება *მიახლოების* (მიაახლოებს, მიიახლოებს, მიუახლოებს, მიუახლოვდება) ახლოს მისვლა ან მიტანა რაიმესი. *სახლს მიუახლოვდა. სახე მიუახლოვა. საზღვარს მიუახლოვდა.* ▲ მიახლოებით ზმნზ. იგივეა, რაც დაახლოებით. *მიახლოებით ერთ წელიწადში.* ■ მიახლოებული ვინც ან რაც მიუახლოვდა. *მიახლოებული მონაცემები.*

მიახლოებითი *მიახლოებითის* არაზუსტი, ნაწილობრივ ზუსტი. *მიახლობითი პასუხი.*

მიბარება *მიბარების* (მიაბარებს, მიიბარებს, მიებარება) 1. მოსავლელად, შესანახად მიცემა. *ფული მიაბარეს. სამკაული მიაბარა.* 2. აღსაზრდელად ჩაბარება. *შვილი სკოლაში მიაბარა. შეგირდად მიებარა.* ■ მიბარებული რაც ან ვინც მიაბარეს. *თავშესაფარში მიბარებული.*

მიბაძვა *მიბაძვის* (მიჰბაძავს) სხვის მსგავსად მოქცევა, სხვისი მოქმედების, მეტყველებისა და მისთ. გამეორება, გადაღება. *ხმის მიბაძვა. მშობლებს მიჰბაძა. ცნობილ მსახიობს მიჰბაძა.*

მიბეგვა *მიბეგვის* (მიბეგვავს) მაგრად ცემა, დაბეგვა (2). *ბევრჯერ მიბეგვეს. კარგა გვარიანად მიბეგვა.*

მიბმა *მიბმის* (მიაბამს, მიიბამს, მიუბამს, მიებმება) თოკით, ჯაჭვით, მავთულითა და მისთ. რაიმეზე მიმაგრება, მიერთება. *ნავის მიბმა დაავიწყდა. ცხენი ღობეზე მიაბა. დეტალები ერთმანეთს მიებმება.* ■ მიბმული რაც მიაბეს. *ხეზე მიბმული ჯორი.*

მიბნედა *მიბნედის* (მიბნედს, მიიბნიდება, მიებნიდება) 1. ძალ-ღონის გამოცლა, მისუსტება. *ავადმყოფი მიიბნიდა.* 2. ნელ-ნელა დახუჭვა (თვალებისა). *თვალები თანდათან მიებნიდა.*

მიბნედილი *მიბნედილის* 1. დასუსტებული, ღონეგამოცლილი. *მიბნედილი ქალი.* 2. მოთენთილი, მინაზებული. *მიბნედილი მზერა. მიბნედილი თვალები.*

მიბნევა *მიბნევის* (მიაბნევს, მიიბნევს) სახელდახელოდ მიმაგრება. *სამკერდე ნიშანი მიაბნიეს. ქალმა ბროში მიიბნია.*

მიბრუნება *მიბრუნების* (მიაბრუნებს, მიიბრუნებს, მიუბრუნებს, მიბრუნდება, მიუბრუნდება) 1. სხვა მხა-

რეს მიტრიალება. *თავი მიაბრუნე! იქით მიბრუნდა. პირი მოსაუბრისკენ მიაბრუნა.* 2. იგივეა, რაც დაბრუნება (2). *ოჯახს მიუბრუნდა. ძველ ხელობას მიუბრუნდა.* 3. რაიმეს უკან გაგზავნა, დაბრუნება (1). *ბეჭედი მიუბრუნა. მზითევი უკან მიუბრუნეს.* ■ მიბრუნებული ვინც, რაც მიაბრუნეს ან მიბრუნდა. *სახლში მიბრუნებული ბიჭი.*

მიბრძანება *მიბრძანების* (მიაბრძანებს, მიბრძანდება) პატივისც. მისვლა, მიყვანა, მიტანა. *გთხოვთ მიბრძანდეთ! ხატები ეკლესიაში მიაბრძანეს.*

მიბჯენა *მიბჯენის* (მიაბჯენს, მიიბჯენს, მიებჯინება) რაიმეს მჭიდროდ მიდება, მიჭერა. *პისტოლეტი შუბლზე მიაბჯინა. ნიკაპი მუხლებს მიაბჯინა.* ■ მიბჯენილი რაც მიაბჯინეს. *მკერდზე მიბჯენილი ლულა. მიბჯენილი დანა.*

მიგდება *მიგდების* (მიაგდებს, მიუგდებს, მიეგდება) 1. რაიმეს დაუდევრად დაგდება. *ჩანთა კუთხეში მიაგდო.* 2. უპატრონოდ მიტოვება. *მოხუცი მარტო მიაგდო.* 3. იგივეა, რაც დაგდება (2). *ბიჭი ხის ძირში მიეგდო.*

მიგდებული *მიგდებულის* 1. ვინც, რაც მიაგდეს ან მიეგდო. *კუთხეშო მიგდებული სკამი.* 2. უპატრონოდ მიტოვებული. *მიგდებული ოჯახი. მიგდებული სახლი.*

მიგება *მიგების* (მიაგებს, მიუგებს) 1. პასუხის გაცემა. *გეთანხმები, – მიუგო შვილმა.* 2. სამაგიეროს გადახდა. *საკადრისი მიაგო.*

მიგებება *მიგებების* (მიაგებებს, მიეგებება) იგივეა, რაც შეგებება. *მამას ბავშვები მიაგებეს. მზეს ღიმილით მიეგებება.*

მიგვრა *მიგვრის* (მიჰგვრის) ვინმესთან მიყვანა. *შვილი მოძღვარს მიჰგვარა.*

მიგზავნა *მიგ ზავნის* (მიგზავნის, მიაგზავნის, მიუგზავნის) ვინმესთან გაგზავნა რაიმე დავალებით. *სასიმამროს შუამავალი მიუგ ზავნა.* ■ მიგზავნილი ვინც მიგზავნეს. *მიგ ზავნილი კაცი.*

მიგნება *მიგნების* (მიაგნებს, მიაგნებინებს) ძებნის შედეგად რაიმეს ან ვინმეს პოვნა. *მონადირემ კვალს მიაგნო. გამოსავალს მიაგნო. დამნაშავეს ვერ მიაგნეს.*

მიგორება *მიგორების* (მიაგორებს, მიუგორებს, მიგორდება, მიუგორდება) სადმე გორვით მისვლა ან მიტანა. *მანქანა კედელთან მიაგორეს. ბურთი კართან მიგორდა.*

მიგრაცია *მიგრაციის* 1. მოსახლეობის მიერ საცხოვრებელი ადგილის შეცვლა ქვეყნის შიგნით ან გადაადგილება ერთი ქვეყნიდან მეორეში. *შინაგანი მიგრაცია. საერთაშორისო მიგრაცია.* 2. ცხოველების გადაადგილება ერთი ადგილიდან მეორეზე. *თევზების მიგრაცია. ცხოველების სეზონური მიგრაცია.* ■ მიგრაციული მიგრაციასთან დაკავშირებული. *მიგრაციული თეორია.*

მიდამო *მიდამოს* იგივეა, რაც არემარე. *მიდამო მოათვალიერა. ქალაქის მიდამოები.*

მიდგომა *მიდგომის* (მიდგება, მიადგება, მიუდგება) 1. რაიმესთან ახლოს მისვლა ან გვერდზე დადგომა. *ბავშვები კედელთან მიდგნენ. კუთხეში მიდგა.* 2. მოულოდნელად რაიმესთან ან ვინმესთან მისვლა. *მონადირეები ბილიკს მიადგნენ. მგ ზავრი სოფელს მიადგა.* 3. მოპყრობა, დამოკიდებულება. *მოსწავლეებს კარგად მიუდგა. სხვაგვარი მიდგომა სჭირდება.*

მიდგომ-მოდგომა *მიდგომ-მოდგომის* (მიდგებ–მოდგება) საქმიანი მისვლა-მოსვლა სხვადასხვა ადგილას. *ყველგან მიდგებ-მოდგება.*

მიდება *მიდების* (მიდებს, მიადებს, მიიდებს, მიუდებს, მიედება) 1. გვერდზე დადება. *გაზეთი კუთხეში მიდო. ბალიში გვერდზე მიუდო.* 2. მიყრდნობა. *დედას თავი მიადო.*

მიდებ-მოდება *მიდებ-მოდების* (მიედ-მოედება) უაზროდ, უთავბოლოდ ლაპარაკი. *თვითონაც არ იცის, რას მიედ-მოედება.*

მიდევნა *მიდევნის* (მისდევს) 1. გაქცეულის დასაწევად ან დასაჭერად უკან კვალდაკვალ სირბილით მიყოლა. *ქურდს მისდევენ. ბავშვები ძაღლს მისდევდნენ.* 2. მომავლის შორიახლოს მიყოლა. *გვერდით მისდევდა. ფეხდაფეხ მისდევდა. დედას ჩუმად მისდევდა.* 3. ერთმანეთის მიყოლებით, თანმიმდევრობით რაიმეს მონაცვლეობა. *კვირა კვირას მისდევდა. წელიწადი წელიწადს მისდევდა. კადრი კადრს მისდევს.* 4. რაიმე წესის, მოძღვრების, საქმიანობისა და მისთ. შესრულება, დაცვა. *ძველ ტრადიციებს მისდევენ. მეცხვარეობას მისდევენ.*

მიდევნება *მიდევნების* (მიადევნებს) იგივეა, რაც დადევნება. *მათ კვალს მეომრები მიადევნეს. სიტყვები უკან მიადევნა.* ■ მიდევნებული რაც მიადევნეს. *უკან მიდევნებული ძახილი.*

მიდენა *მიდენის* (მიდენის) მირეკვა (საქონლისა, შინაური ფრინველისა). *ბატებს მიდენის.*

მიდრეკილება *მიდრეკილების* 1. რაიმეს კეთების უნარი, ნიჭი. *მუსიკის მიდრეკილება აქვს.* 2. ნდომა, სურვილი, ლტოლვა რაიმესკენ. *ჩხუბისადმი აქვს მიდრეკილება. სასმლისკენ მიდრეკილება.*

მიდუღება *მიდუღების* (მიადუღებს) მაღალ ტემპერატურაზე გახურებით ლითონის ნაწილების ერთმანეთზე მიმაგრება, მიწებება. *ქვაბს ტარი მიადუღეს.*

მიეთ-მოეთი *მიეთ-მოეთის* უაზრო ლაპარაკი. *დაიწყო მიეთ-მოეთი.*

მიერ თანდ. (+ ნათ.) ვინმესგან ან რაიმესგან, ვინმეს ან რაიმეს საშუალებით. *სტუდენტების მიერ დადგმული სპექტაკლი. ბანკის მიერ გაცემული კრედიტი.*

**მიერთება** *მიერთების* (მიაერთებს, მიიერთებს, მიუერთებს, მიუერთდება) 1. რაიმესთან დაკავშირება, მიბმა. *სადენები მიაერთეს. კაბელი ვერ მიაერთეს.* 2. იგივეა, რაც შეერთება. *ოთახი მიიერთა. ტერიტორიები მიიერთეს. თავისი ნაწილიც მისას მიუერთა.* ▪ მიერთებული რაც მიაერთეს. *მიერთებული კომპიუტერი.*

**მივარდნა** *მივარდნის* (მივარდება, მიუვარდება) 1. ვინმესთან საჩხუბრად, ჯავრის ამოსაყრელად მისვლა. *მევალე მიუვარდა. სამსახურში რამდენჯერმე მიუვარდა.* 2. ვინმეზე ან რაიმეზე დაძგერება. *ბავშვს მივარდა. მოშიებული საჭმელს მივარდა. ძაღლი უცხო კაცს მივარდა.*

**მივარდნილი** *მივარდნილის* ძნელად მისასვლელი, შორეული, მიუდგომელი. *მივარდნილი კუთხეები. მივარდნილი სოფელი.*

**მივიწყება** *მივიწყების* (მიავიწყებს, მიივიწყებს, მიავიწყდება) ნელ-ნელა, თანდათანობით დავიწყება. *უსიამოვნება მივიწყეს.* ▪ მივიწყებული რაც ან ვინც მიავიწყდათ. *მივიწყებული მწერალი. დიდი ხნის მივიწყებული ამბები.*

**მიელენა** *მივლენის* (მიაელენს) ვინმეს ოფიციალურად გაგზავნა გარკვეული მიზნით ან დავალებით. *ექსპედიციაში მიავლინეს. ელჩად მიავლინეს.* ▪ მივლენილი ვინც მიავლინეს. *სასწავლებლად მივლენილი სტუდენტები.*

**მივლინება** *მივლინების* (მიაელინებს) ვინმეს გაგზავნა განსაზღვრულ ადგილას სამსახურებრივი დავალებით, სასწავლო, სამეცნიერო ან სხვა მიზნით. *მივლინებაში წავიდა.*

**მიზანდასახული** *მიზანდასახულის* 1. ცხადი მიზნის მქონე, მიზნის შესაბამისად მოქმედი. *მიზანდასახული ადამიანი.* 2. კარგად გააზრებული, გარკვეული მიზნისკენ მიმართული. *მიზანდასახული ქმედება.*

**მიზანთროპი** *მიზანთროპის* ვისაც ადამიანები სძულს. შეცდომაა მიზანტროპი.

**მიზანთროპია** *მიზანთროპიის* ადამიანთა სიძულვილი. კაცთმოძულეობა. *მიზანთროპიით არის შეპყრობილი.* შეცდომაა მიზანტროპია.

**მიზანი** *მიზნის* 1. მოქმედების, საქმიანობის წინასწარ განსაზღვრული შედეგი, რომელსაც უნდა მიაღწიონ. *მიზნისთვის იბრძვის. დიდი მიზნები აქვს. მიზნად დაისახა.* 2. იგივეა, რაც **სამიზნე (2)**. *მიზანს ააცილა. მიზანში მოარტყა.*

**მიზანმიმართული** *მიზანმიმართულის* გააზრებული, დასახული მიზნის შესაბამისი. *მიზანმიმართული საქმიანობა.*

**მიზანსცენა** *მიზანსცენის* მსახიობების განლაგება წარმოდგენის ამა თუ იმ მომენტში. *მთავარი მიზანსცენა.*

**მიზანშეწონილი** *მიზანშეწონილის* დასახული მიზნით გამართლებული, მიზნის შესაბამისი. *მიზანშეწონილი მოქმედება. მიზანშეწონილი გადაწყვეტილება.*

**მიზეზი** *მიზეზის* 1. რაიმე ქმედების, მოვლენის გამომწვევი გარემოება. *ხანძრის მიზეზი.* 2. რაიმეს საფუძველი, საბაბი. *მიზეზები არ გამოიღევა. საპატიო მიზეზი.* ⊙ **მიზეზს მოუდებს** ვინმეს უსამართლოდ დააბრალებს რაიმეს. ⊙ **ყოველ მიზეზს გარეშე** აუცილებლად, უეჭველად.

**მიზეზობა** *მიზეზობის* (მიზეზობს) ფეხმძიმე ქალის ჭირვეულობა. *ხომ არ მიზეზობს?*

**მიზიდვა** *მიზიდვის* (მიზიდავს, მიიზიდავს, მიუზიდავს, მიიზიდება, მიეზიდება) 1. რაიმეს თავისკენ მინევა, თავისთვის მიტანა. *შეშა სახლში მიზიდა. მისი ხელი მიიზიდა. ტოტი მიიზიდა.* 2. სურვილი, ინტერესი ვინმეს ან რაიმეს მიმართ. *ლიტერატურა იზიდავს.*

**მიზიდულობა** *მიზიდულობის* ერთი სხეულის მიერ მეორის მიზიდვა. *დედამიწის მიზიდულობა. მიზიდულობის ხარისხი. მიზიდულობის კანონი.*

**მიზნობრივი** *მიზნობრივის* განსაზღვრული მიზნით შექმნილი, რაიმე მიზნის მისაღწევად განკუთვნილი. *მიზნობრივი ჯგუფი. მიზნობრივი ქმედებები.*

**მიზომება** *მიზომების* (მიაზომებს, მიიზომებს) ტანზე მიდება ზომის გასარკვევად, მიტოლება. *შარვლის მიზომება დასჭირდა. კაბა მიიზომე?*

**მიზღვა** *მიზღვის* (მიუზღავს, მიეზღვება) ჩადენილი ბოროტებისთვის სამაგიეროს გადახდა. *ღმერთი მიუზღავს. თავისი მიეზღვება. ცოდვებისთვის მიეზღო.*

**მითვისება** *მითვისების* (მიითვისებს) იმის მისაკუთრება, რაც სხვას ეკუთვნის. *სხვისი გამოგონება მითვისა. სოფლის მინები მითვისეს.* ▪ მითვისებული რაც მიითვისეს. *მითვისებული ქონება.*

**მითვლა** *მითვლის* (მიათვლის, მიითვლის, მიუთვლის, მიითვლება) დათვლის დროს მიმატება. *ფულს სხვა თანხაც მიათვალა. სხვისი ქულები მიათვალეს.* ▪ მითვლილი რაც მიათვალეს. *მითვლილი ხმები.*

**მითი** *მითის* უძველესი ხალხური თქმულება ღმერთებზე, სამყაროს შექმნასა და გმირებზე. *ბერძნული მითები. მითების სამყარო.*

**მითითება** *მითითების* (მიუთითებს) 1. ჟესტით, მზერით ან სიტყვით რაიმეზე მინიშნება. *კარისკენ მიუთითა. ნახატ ზე მიუთითა. ბიჭმა სათამაშოსკენ მიუთითა.* 2. სიტყვიერი განკარგულების ან მცირე შენიშვნის მიცემა. *სამსახურში მითითება მისცეს. სასწრაფო მითითებები მიიღო.* 3. ყურადღების გამახვილება რაიმეზე. *ნაკლ ზე მიუთითა. ზომიერებისკენ მიუთითეს.* 4. რაიმეს დამოწმება, დასახელება. *რამდენიმე ფაკულტეტი მიუთითა. ინფორმაციის წყარო მიუთითეს. დაბადების ადგილი მიუთითა.* ▲ **მითითებით ზმნზ.**

ვინმეს განკარგულებით. *პირდაპირი მითითებებით მოქმედებენ. ხელმძღვანელობის მითითებით.* ■ მითითებული რაზეც მიუთითეს. *ზუსტად მითითებული ადგილი.*

**მითიური** *მითიურის* დაუჯერებელი, მითის მსგავსი, მითის ხასიათისა, ლეგენდარული, არამიწიერი. *მითიური გმირი. მითიური ამბავი. მითიური პერსონაჟი.*

**მითოლოგია** *მითოლოგიის* 1. მითების ერთობლიობა. *ქართული მითოლოგია.* 2. მეცნიერება, რომელიც შეისწავლის მითებს. ■ **მითოლოგიური** მითოლოგიასთან დაკავშირებული. *მითოლოგიური ლექსიკონი.*

**მითრევა** *მითრევის* (მიათრევს, მიითრევს, მიუთრევს, მიეთრევა, მიათრევინებს) 1. დიდი სიმძიმის ძლივს, გაჭირვებით მიტანა. *როგორმე სახლამდე მიათრიე! კარადა კედელთან მიათრია.* 2. უპატივც. მისვლა, მიყვანა ან მიტანა. *დროზე მიეთრიე სახლში!*

**მითური** *მითურის* იგივეა, რაც **მითიური**

**მითქმა-მოთქმა** *მითქმა-მოთქმის* ბევრი ლაპარაკი, მსჯელობა ვინმეს ან რაიმეს შესახებ. *ამ ამბავმა დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია.*

**მითხოვება** *მითხოვების* (მიათხოვებს, მისთხოვდება) ვინმეზე გათხოვება, ვინმეს შერთვა. *ქალი ექიმს მიათხოვეს. მე ზობელს მისთხოვდა.*

**მიკარგული** *მიკარგულის* დასახლებებიდან შორს მდებარე, ძნელად მისასვლელი, მიუდგომელი. *მიკარგული სოფელი.*

**მიკარება** *მიკარების* (მიაკარებს, მიიკარებს, მიეკარება) ახლოს მიშვება, მიახლოება, შეხება (გამოიყენება უარყოფის დროს). *ცეცხლს არ მიეკარო! ბავშვებს არ მიაკარეს. ახლოს ვერ მიეკარები.*

**მიკედლება** *მიკედლების* (მიიკედლებს, მიეკედლება) 1. ვინმესთან თავის შეფარება. *ქვრივ ქალს მიეკედლა. მონასტერს მიეკედლა.* 2. მიმხრობა, ვინმესთან შეერთება, გაამხანაგება. *პარტიზანებს მიეკედლა. შეიარაღებულ დაჯგუფებას მიეკედლა.*

**მიკერება** *მიკერების* (მიაკერებს, მიიკერებს, მიუკერებს, მიეკერება, მიაკერებინებს) ნემსით და ძაფით ქსოვილზე, ტყავსა და მისთ. რაიმეს მიმაგრება. *კაბას იარლიყი მიაკერა. ქუდს ყვავილი მიაკერა.* ■ **მიკერებული** რაც მიაკერეს. *მიკერებული საყელო.*

**მიკერძოება** *მიკერძოების* ვინმესთვის ან რაიმესთვის არაობიექტურად, უსამართლოდ უპირატესობის მინიჭება. *მიკერძოება ახასიათებს. მიკერძოება დასწამეს.*

**მიკერძოებული** *მიკერძოებულის* არაობიექტური, უსამართლო. *მიკერძოებული სტატიები. მიკერძოებული ადამიანი.*

**მიკეტვა** *მიკეტვის* (მიკეტავს, მიიკეტავს, მიუკეტავს) მიხურვა და დაკეტვა. *კარის მიკეტვა. დარაბები მიკეტა.* ■ **მიკეტილი** რაც მიკეტეს. *მიკეტილი ფანჯარა.*

**მიკვლევა** *მიკვლევის* (მიაკვლევს) ძებნის შედეგად ვინმეს ან რაიმეს პოვნა. *გზის მიკვლევა. დამნაშავეს მიაკვლიეს.* ■ **მიკვლეული** რასაც ან ვისაც მიაკვლიეს. *მიკვლეული საბუთი.*

**მიკვრა** *მიკვრის* (მიაკრავს, მიიკრავს, მიეკვრება) 1. რაიმეზე მიმაგრება, მიწებება, მიჭედება. *კედელს კალენდარი მიაკრა. ფეხსაცმელს ტალახი მიეკრო. სახლს აბრა მიაკრეს.* 2. თავისთან ძალიან ახლოს მიტანა, მიყვანა, მიხუტება. *წიგნები მკერდზე მიიკრა.* ■ **მიკრული** რაც ან ვინც მიეკრო. *დაფაზე მიკრული წერილები.*

**მიკიბ-მოკიბვა** *მიკიბ-მოკიბვის* (მიკიბ-მოკიბავს, მიუკიბ-მოუკიბავს) არეულად, განგებ გაურკვევლად ლაპარაკი სიმართლის დამალვის მიზნით. *პასუხი მიკიბ-მოკიბა. სათქმელი მიუკიბ-მოუკიბა.*

**მიკიბ-მოკიბული** *მიკიბ-მოკიბულის* იგივეა, რაც **მიკიბულ-მოკიბული**

**მიკიბულ-მოკიბული** *მიკიბულ-მოკიბულის* სახელდახელოდ მოგონილი, შეთხზული, არაპირდაპირი ნათქვამი. *მიკიბულ-მოკიბული ამბავი.*

**მიკითხვა** *მიკითხვის* (მიაკითხავს) ვინმესთან მისვლა მოსანახულებლად ან საქმის გასარკვევად. *სახლში მიაკითხე! ცოლს სამსახურში მიაკითხა.*

**მიკიოტი** *მიკიოტის* იგივეა, რაც **ბუკიოტი**

**მიკიტანი** *მიკიტნის* ძვ. პირი, რომელიც დუქანში ვაჭრობს. *მიკიტანივით მსუქანი.*

**მიკნავება** *მიკნავების* (მიკნავდება) ძლიერ დასუსტება, ძალ-ღონის გამოცლა. *როგორ მიკნავდა!*

**მიკნავებული** *მიკნავებულის* ძალიან დასუსტებული, ღონეგამოლეული. *ლოგინში მიკნავებული ინვა. მიკნავებული ხმით იკითხა.*

**მიკრობი** *მიკრობის* ავადმყოფობის გამომწვევი უმცირესი ორგანიზმი, რომელიც მხოლოდ მიკროსკოპში ჩანს. *დაავადებები მიკრობებით ვრცელდება.*

**მიკროკლიმატი** *მიკროკლიმატის* შედარებით მცირე არეალის კლიმატი, რომლის თავისებურება განპირობებულია ადგილმდებარეობის სპეციფიკით (ზღვის, ჭაობის, ტყისა და მისთ. სიახლოვით). *ჯანსაღი მიკროკლიმატი.*

**მიკროორგანიზმი** *მიკროორგანიზმის* უმცირესი, ძირითადად, ერთუჯრედიანი ცოცხალი ორგანიზმი. *მიკროორგანიზმები სწრაფად მრავლდებიან.*

**მიკროსკოპი** *მიკროსკოპის* ოპტიკური ხელსაწყო, გამოიყენება თვალისთვის უხილავი ნაწილაკების დასანახავად, მათზე დასაკვირვებლად. *მიკროსკოპით დაკვირვება.*

**მიკროსკოპული** *მიკროსკოპულის* რაც მხოლოდ მიკროსკოპში ჩანს, ძალიან პატარა, თვალით უხი-

ლავი. *მიკროსკოპული სხეული. მიკროსკოპული ნაწილაკები.*

**მიკროფონი** *მიკროფონის* ხმის გასაძლიერებელი ან დიდ მანძილზე გადამცემი მოწყობილობა. *მიკროფონში ლაპარაკობს. მიკროფონი დადგეს.*

**მიკუთვნება** *მიკუთვნების* (მიაკუთვნებს, მიეკუთვნება) 1. ვინმეს საკუთრების აღიარება. *შვილი დედას მიაკუთვნეს. სახლი სხვას მიაკუთვნეს.* 2. ნაშრომის, ნაწარმოებისა და მისთ. ვინმესთვის, რაიმესთვის მიწერა. *ხელნაწერი მე-15 საუკუნეს მიაკუთვნეს. ძეგლი ადრინდელ ეპოქას მიეკუთვნება.* 3. წოდების, სახელის, ჯილდოს მინიჭება, მიცემა. *პირველი ადგილი მიაკუთვნეს.* ■ **მიკუთვნებული** რაც მიაკუთვნეს. *მიკუთვნებული ჯილდო.*

**მიკუნტვა** *მიკუნტვის* (მიკუნტავს, მიიკუნტება) შეშინებულის კუთხეში, მოფარებულში დაჯდომა, მიმალვა. *კურდღელი ბექის ძირას მიიკუნტა.* ■ **მიკუნტული** ვინც, რაც მიიკუნტა. *კუთხეში მიკუნტული ბავშვი.*

**მიკუნჭვა** *მიკუნჭვის* (მიკუნჭავს, მიიკუნჭება) კუთხეში, მოფარებულ კუნჭულში მიმალვა, შეძრომა. *ბავშვი საწოლში მიიკუნჭა.* ■ **მიკუნჭული** ვინც მიიკუნჭა. *ტახტ ზე მიკუნჭული მოხუცი.*

**მილაგება** *მილაგების* (მიალაგებს, მიულაგებს, მილაგდება) 1. ზედაპირულად დალაგება, მონესრიგება-დასუფთავება. *მაგიდა მიალაგა. ყველაფერი უკვე მილაგდა.* 2. რაიმეს გვერდზე, განზე მიწყობა. *სკამები კედელთან მიალაგეს. შეშა კუთხეში მიალაგა.* ■ **მილაგებული** რაც მიალაგეს. *ყველაფერი მილაგებული დახვდა.*

**მილასლასება** *მილასლასების* (მილასლასდება) ლასლასით მისვლა. *მოხუცი მაგიდასთან მილასლასდა.*

**მილაქუცება** *მილაქუცების* (მილაქუცება) ლაქუცის დაწყება. *ძაღლი პატრონს მილაქუცა.*

**მილევა** *მილევის* (მიილევა, მიელევა) 1. დროის მონაკვეთის (დღის, თვის, წელიწადისა და მისთ.) ნელ-ნელა, თანდათანობით გასვლა, დასრულება. *ზამთარი მიილია. სექტემბერი ისე მიილია, ვერ გავიგე.* 2. დაკლება, დაპატარავება, დასუსტება. *წყალი ხევში მიილია.*

**მილი**[1] *მილის* 1. გრძელი, ჩვეულებრივ, მრგვალი, ღრუ საგანი, რომელიც გამოიყენება სითხის, გაზის, კვამლის სადენად. *წყალი მილებით მიეწოდება. გაზის მილი. ცხელი წყლის მილი.* 2. ადამიანის ან ცხოველის შიგა ორგანოების დამაკავშირებელი არხი. *საყლაპავი მილი. საკვერცხის მილი.*

**მილი**[2] *მილის* მანძილის საზომი ერთეული ზოგიერთ ქვეყანაში, უდრის 1609 მეტრს. *ხუთი მილი.*

**მილიარდერი** *მილიარდერის* მდიდარი ადამიანი, რომლის ქონება ერთი ან რამდენიმე მილიარდის ღირებულებისაა. *მილიარდერის სასახლე.*

**მილიარდი** *მილიარდის* რიცხვი 1 000 000 000. *მილიარდი წლის წინ.*

**მილიგრამი** *მილიგრამის* წონის საზომი ერთეული, უდრის გრამის მეათასედს. *ასი მილიგრამი.*

**მილილიტრი** *მილილიტრის* სითხის საზომი ერთეული, უდრის ლიტრის მეათასედს. *ხუთასი მილილიტრი.*

**მილიმეტრი** *მილიმეტრის* სიგრძის საზომი ერთეული, უდრის მეტრის მეათასედს. *სამი მილიმეტრი.*

**მილიონერი** *მილიონერის* მდიდარი ადამიანი, რომლის ქონება ერთი ან რამდენიმე მილიონის ღირებულებისაა. *ამერიკელი მილიონერი.*

**მილიონი** *მილიონის* რიცხვი 1 000 000. *მილიონი მგ ზავრი.*

**მილიონიანი** *მილიონიანის* მილიონის შემცველი. *გაზეთის მილიონიანი ტირაჟი. მილიონიანი ქალაქი.*

**მილიონობით** ზმნზ. ორი ან მეტი მილიონის ოდენობით. *ყოველწლიურად მილიონობით ტურისტი ჩამოდის. მილიონობით ლარი იხარჯება.*

**მილიტარიზაცია** *მილიტარიზაციის* ქვეყნის ეკონომიკური, პოლიტიკური და საზოგადოებრივი ცხოვრების დაქვემდებარება სამხედრო მიზნებისთვის.

**მილიტარიზმი** *მილიტარიზმის* პოლიტიკურ, ეკონომიკურ და იდეოლოგიურ საშუალებათა სისტემა, რომელიც პოლიტიკური მიზნების მისაღწევად უპირველეს მნიშვნელობას ომს, სამხედრო ძალის გამოყენებას ან მუქარას ანიჭებს.

**მილიტარისტი** *მილიტარისტის* პირი, რომელიც მილიტარიზმის პოლიტიკას მისდევს.

**მილიტარისტული** *მილიტარისტულის* მილიტარიზმისთვის დამახასიათებელი, მილიტარიზმის შემცველი. *მილიტარისტული პოლიტიკა. მილიტარისტული სახელმწიფო.*

**მილიცია** *მილიციის* 1. საზოგადოებრივი წესრიგისა და უშიშროების დაცვის ადმინისტრაციული ორგანო ყოფილ საბჭოთა კავშირში. 2. განსაკუთრებულ პირობებში შექმნილი არამუდმივი ჯარი.

**მილოცვა** *მილოცვის* (მიულოცავს) ვინმესთვის დადებითი განწყობილების, სიხარულის გამოხატვა მიღწეული წარმატების გამო, დღესასწაულის ან მნიშვნელოვანი თარიღის დროს. *დაბადების დღე მიულოცეს. იუბილე მიულოცა. ახალი წლის მილოცვა.*

**მილსადენი** *მილსადენის* მილებისგან შექმნილი კონსტრუქცია სხვადასხვა ნივთიერების გადასატანად გარკვეულ მაძილზე. *გაზის მილსადენი. წყლის მილსადენი.*

**მილულვა** *მილულვის* (მილულავს, მიელულება) ⊙ **თვალების მილულვა** თვალების ოდნავ, ნახევრად მოხუჭვა.

მილურსმვა *მილურსმვის* (მიალურსმავს, მიელურსმება) 1. ლურსმნით რაიმეს მიმაგრება, მიკვრა. *ფიცარი კედელს მიალურსმა.* 2. გადატ. უმოძრაოდ ერთ ადგილზე გაშეშება. *შიშისგან ერთ ადგილს მიელურსმა. სკამს მიელურსმა.* ■ მილურსმული რაც ან ვინც მიელურსმა. *მილურსმულივით იდგა.*

მიმაგრება *მიმაგრების* (მიამაგრებს, მიიმაგრებს, მიმაგრდება, მიემაგრება) 1. ვერტიკალურ ზედაპირზე დამაგრება, მიბმა, მიკვრა. *კედელზე სურათის მიმაგრება გაუჭირდა.* 2. ვინმესთან გაგზავნა, დაკავშირება გარკვეული საქმის შესასრულებლად ან შესასწავლად. *ახალგაზრდა გამოცდილ თანამშრომელს მიამაგრეს.* ■ მიმაგრებული ვინც ან რაც მიამაგრეს. *მიმაგრებული ღილი.*

მიმავალი *მიმავლის* ვინც ან რაც მიდის. *ტრასაზე მიმავალი მანქანა. შინ მიმავალი კაცი.*

მიმალვა *მიმალვის* (მიმალავს, მიიმალაეს, მიიმალება, მიემალება) 1. უცბად, საჩქაროდ დამალვა. *ცოცხი კუთხეში მიმალა.* 2. ვინმეს ან რაიმეს გაუჩინარება, გაქრობა. *მზე ღრუბლებში მიიმალა. დამნაშავე მიიმალა.* ■ მიმალული ვინც ან რაც მიიმალა. *ბუჩქებში მიმალული კურდღელი.*

მიმართ თანდ. (+ ნათ.) ვინმესთან ან რაიმესთან დამოკიდებულებაში, ვინმესთან დაკავშირებით. *ყურადღებას იჩენს მშობლების მიმართ. პრეტენზიას აცხადებს თანამშრომლების მიმართ.*

მიმართება *მიმართების* შეფარდება, თანაფარდობა; ურთიერთდამოკიდებულება. *ლოგიკური მიმართება.*

მიმართვა *მიმართვის* (მიმართავს, მიემართება) 1. მიმართულების მიცემა. *ქვემეხები ზღვისკენ მიმართეს. ყურადღება სხვისკენ მიმართა. ძალები მტრის წინააღმდეგ მიმართეს.* 2. რჩევისთვის ვინმესთან მისვლა, სიტყვით ან წერილობით შეკითხვა. *დირექტორს წერილობით მიმართა. ექიმს მიმართა.* 3. მიზნის მისაღწევად რაიმე საშუალების გამოყენება. *ძალას მიმართა. იარაღს მიმართეს.*

მიმართულება *მიმართულების* მოძრაობის კურსი, გეზი, მხარე. *მდინარის დინების მიმართულება. ქარის მიმართულებით ფრენა.*

მიმართული *მიმართულის* რაც რაიმე მხარეს მიმართეს. *მტრისკენ მიმართული თოფი.*

მიმატება *მიმატების* (მიამატებს, მიიმატებს, მიუმატებს, მიემატება) 1. არსებულისთვის ახლის დამატება, მიერთება. *ჯილდოებს ოქროს მედალიც მიამატა. ახალი წევრი მიემატა.* 2. არითმეტიკული მოქმედება, რიცხვების შეკრება. *ორს მივუმატოთ სამი.* ■ მიმატებული რაც მიამატეს. *მიმატებული ოთახი.*

მიმბაძველი *მიმბაძველის* ვინც სხვას ბაძავს. სხვის საქციელს, მოქმედებას იმეორებს. *მიმბაძველები გამოუჩნდა.*

მიმბაძველობა *მიმბაძველობის* მიმბაძველის თვისება, მიბაძვით მოქმედება. *მიმბაძველობა ახასიათებს.*

მიმგვანება *მიმგვანების* (მიამგვანებს, მიემგვანება) იგივეა, რაც მიმსგავსება. *ვერ მივამგვანე. შვილს მიამგვანა. ერთმანეთს მიამგვანეს.* ■ მიმგვანებული ვინც ან რაც მიამგვანეს. *მიმგვანებული ხმა.*

მიმდევარი *მიმდევრის* ვინმეს იდეების, თვალსაზრისის გამზიარებელი. *ბევრი მიმდევარი ჰყავს.*

მიმდევრობა *მიმდევრობის* საგნების, მოვლენების ერთმანეთის მიყოლებით განლაგება, რიგი. *ფაქტების ლოგიკური მიმდევრობა.*

მიმდევრობითი *მიმდევრობითის* რიგის მიმდევრობის მიხედვით განლაგებული. *მიმდევრობითი დასახელება. მიმდევრობითი ჩამონათვალი.*

მიმდინარე *მიმდინარის* 1. რაც ახლა, დღეს ხდება, მოქმედების პროცესშია. *მიმდინარე ამბები. მიმდინარე თვის გეგმები.* 2. რაც მიედინება. *მიმდინარე წყალი.*

მიმდინარეობა *მიმდინარეობის* (მიმდინარეობს) 1. რაიმეს კეთების, განვითარების პროცესი, მსვლელობა. *ბრძოლის მიმდინარეობა. რთველი მიმდინარეობს.* 2. მიმართულება ხელოვნების, მეცნიერების რომელიმე დარგში. *ლიტერატურული მიმდინარეობა. ფილოსოფიური მიმდინარეობა.*

მიმზიდველი *მიმზიდველის* ძალიან კარგი, ლამაზი, მომხიბლავი. *მიმზიდველი გარეგნობა. მიმზიდველი სანახაობა.*

მიმიკა *მიმიკის* სახის კუნთების მოძრაობა, რომელიც ადამიანის შინაგან განცდებსა და განწყობილებას გამოხატავს. *მიმიკით მიახვედრა.*

მიმინო *მიმინოს* პატარა ზომის მტაცებელი ფრინველი, კარგად იწვრთნება, გამოიყენება მწყერზე, კაკაბსა და მისთ. სანადიროდ. *მიმინოს ბუდე.*

მიმკვდარება *მიმკვდარების* (მიამკვდარებს, მიმკვდრდება) მკვდარს დამსგავსება, ენერგიის, სასიცოცხლო ძალების დაკარგვა. *ცემით მიამკვდარა.* ■ მიმკვდარებული ვინც მიმკვდარდა. *კაცი მიმკვდარებული იწვა.*

მიმნდობი *მიმნდობის* ვინც ყველას ადვილად ენდობა, ვისაც ყველასი სჯერა, ნდობით გამსჭვალული. *მიმნდობი ბუნების. მიმნდობი ხასიათი. მიმნდობი პიროვნება.*

მიმობნევა *მიმობნევის* (მიმოაბნევს, მიმოიბნევა) აქეთ-იქით დაბნევა, მიმოყრა, მიმოფანტვა. *ხნულში თესლი მიმოაბნიეს. სიმინდის მარცვლები ოთახში მიმოიბნა.* ■ მიმობნეული რაც მიმოაბნიეს. *მიმობნეული სათამაშოები.*

მიმოზა *მიმოზის* მრავალწლოვანი ხე ან ბუჩქი, აქვს პატარა ფოთლები და წვრილი, ყვითელი სურნელოვანი ყვავილები. *მიმოზები მოართვეს.*

მიმომხილველი *მიმომხილველის* პრესის მუშაკი,

რომელიც ახალ ამბებს მიმოიხილავს. *სპორტული მიმომხილველი.*

მიმოსვლა *მიმოსვლის* სხვადასხვა ტრანსპორტის მოძრაობა. *რკინიგზაზე მიმოსვლა შეფერხდა.*

მიმოფანტვა *მიმოფანტვის* (მიმოფანტავს, მიმოიფანტება) გარშემო, აქეთ-იქით დაყრა, გაფანტვა. *ხალხი მიმოიფანტა.* ■ მიმოფანტული რაც მიმოიფანტა. *მიმოფანტული ფურცლები.*

მიმოფენილი *მიმოფენილის* აქა-იქ გაფენილი, დაფენილი. *გასაშრობად მიმოფენილი ტანსაცმელი.*

მიმოფრქვევა *მიმოფრქვევის* (მიმოაფრქვევს, მიმოიფრქვევა) გარშემო ფხვიერის ან თხევადის მიფრქვევა, მიშხეფება. *ირგვლივ სასიამოვნო სურნელი მიმოაფრქვია.*

მიმოქცევა *მიმოქცევის* (მიმოიქცევა) 1. ზღვაში წყლის დონის პერიოდული კლებისა და მატების ციკლი. *ზღვის მიმოქცევა. წყლის მიმოქცევა.* 2. ფულის, საქონლისა და მისთ. ტრიალი, მოძრაობა. *პროდუქციის მიმოქცევა. ახალი მონეტების მიმოქცევა დაიწყო.* 3. სითხის აქეთ-იქით მისხმა. *ეზოში წყალი მიმოაქცია.*

მიმოყრა *მიმოყრის* (მიმოყრის, მიმოიყრება) აქა-იქ დაუდევრად დაყრა. *ნივთები მიმოყარა.* ■ მიმოყრილი რაც მიმოიყარა. *მიმოყრილი სათამაშოები.*

მიმოშლა *მიმოშლის* (მიმოშლის, მიმოიშლება) აქა-იქ გაშლილი. *თივა მიმოშალა.* ■ მიმოშლილი რაც მიმოიშალა. *მიმოშლილი ქვები.*

მიმოწერა *მიმოწერის* წერილების გაგზავნა და გამოგზავნა, წერილებით ურთიერთობა. *ერთმანეთთან მიმოწერა აქვთ. მიმოწერა არ შეუწყვეტიათ.*

მიმოხილვა *მიმოხილვის* (მიმოიხილავს) რაიმე საგნის, მოვლენის, ვინმეს შემოქმედებისა და მისთ. შესახებ მსჯელობა, განხილვა. *ერცელი მიმოხილვა. პოლიტიკური მიმოხილვა.*

მიმოხილვითი *მიმოხილვითის* მიმოხილვის ხასიათისა. *მიმოხილვითი სტატია.*

მიმოხრა *მიმოხრის* (მიმოხრის) ადამიანის მთელი სხეულის ან მისი ცალკეული ნაწილის მოძრაობა რაიმეს კეთების დროს. *ნაზი მიმოხრა.*

მიმსგავსება *მიმსგავსების* (მიამსგავსებს, მიიმსგავსებს, მიემსგავსება) ვინმეს ან რაიმეს მსგავსად მიჩნევა. *სხვას მივამსგავსე. ხმით მიამსგავსეს. ხელნერა მიამსგავსა.* ■ მიმსგავსებული ვინც ან რაც მიემსგავსა. *მიმსგავსებული სიარული.*

მიმსვლელ-მომსვლელი *მიმსვლელ-მომსვლელის* საქმეზე მომსვლელი ან სტუმარი. *მიმსვლელ-მომსვლელი ბევრი ჰყავს.*

მიმტანი *მიმტანის* სასადილოს, რესტორნის მუშაკი, რომელსაც სუფრაზე საჭმელები მიაქვს. *მიმტანად მუშაობს.*

მიმტაცებელი *მიმტაცებლის* ვინც სხვის საკუთრებას ითვისებს, იტაცებს.

მიმტევებელი *მიმტევებლის* ვისაც დანაშაულის, ცოდვების მიტევება, პატიება შეუძლია, დიდსულოვანი. *მიმტევებელი პიროვნება. მიმტევებელი ხასიათი.*

მიმქრალი *მიმქრალის* ფერდაკარგული, გაუფერულებული. *მიმქრალი ფერები. მიმქრალი სახე.*

მიმღები *მიმღების* ვინც რაიმეს ან ვინმეს მიიღებს. *მიმღები კომისია.*

მიმცხრალი *მიმცხრალის* იგივეა, რაც ჩამცხრალი. *მიმცხრალი შუქი.*

მიმწვარი *მიმწვრის* რაც მიიწვა, ჭურჭელზე დაწვით მიკრული. *მიმწვარი ტაფა. მიმწვარი კვერცხი.*

მიმწოლი *მიმწოლის* 1. ვინც მიაწვება. 2. საუბრ. გადატ. მოძალადე, ძალის დამტანებელი. *მიმწოლი კაცი.*

მიმწყვდევა *მიმწყვდევის* (მიამწყვდევს, მიიმწყვდევს) უკან მიდევნებით ისეთ ადგილას მიყვანა, საიდანაც გამოსვლას ვერ შეძლებს. *ჯარი ხეობაში მიიმწყვდიეს. ბიჭი კუთხეში მიამწყვდია.*

მიმხედავი *მიმხედავის* ვინც მიხედავს, მოუვლის. *ბავშვების მიმხედავი.*

მიმხვდარი *მიმხვდარის* ვინც რაიმეს მიხვდა. *აშკარად მიმხვდარი იყო.*

მიმხმარი *მიმხმარის* რაც მიახმა, გახმობით მიკრული. *ქვაზე მიმხმარი ტალახი.*

მიმხრობა *მიმხრობის* (მიიმხრობს, მიემხრობა) ვინმეს გადაყვანა საკუთარ შეხედულებაზე, ვინმეს მომხრედ გახდომა. *შვილები მიიმხრო. აჯანყებულებს მიემხრო.*

მიმჯდარი *მიმჯდარის* ვინც სადმე მიჯდა ან ვინმეს მიუჯდა. *ცეცხლთან მიმჯდარი.*

მინა *მინის* გამჭვირვალე ნივთიერება, რომელიც მიიღება კვარცის სილის გადადნობის შედეგად; ამ ნივთიერებით დამზადებული სხვადასხვა ფორმის ნაკეთობა. *სათვალის მინა. ფანჯრის მინა. ფერადი მინა. მინის კოლბა.* ■ მინებიანი მინების მქონე. *მინებიანი ჩარჩო.*

მინაბვა *მინაბვის* (მინაბავს, მიინაბება) ⊙ თვალების მინაბვა თვალების ნაზად მოხუჭვა სიამოვნების, კმაყოფილების ნიშნად. ■ მინაბული რაც მიინაბა. *თვალები მინაბული ჰქონდა.*

მინავლებული *მინავლებულის* ნავლად, ფერფლად ქცეული. *მინავლებული კოცონი.*

მინაზებული *მინაზებულის* ვისაც ნაზი, სასიამოვნო გარეგნობა აქვს. *მინაზებული ქალი.*

მინათება *მინათების* (მიანათებს, მიუნათებს) შუქის მიმართვა აქედან იქით, რაიმე ობიექტისკენ. *გასასვლელს მიანათე! ფარნით მიანათა.*

მინამქრული *მინამქრულის* ქარისგან მოტანილი

თოვლით, ნამქრით დაფარული. *მინამქრული გზები.*

მინანქარი *მინანქრის* 1. გაუმჭვირვალე, ფერადი მინისებრი ნივთიერება, რომლითაც ფარავენ ლითონის ზედაპირს. *მინანქრით შემკული ხატი.* 2. თეთრი მყარი ნივთიერება, რომლითაც დაფარულია კბილის ზედაპირი. *მინანქარი დაუზიანდა.*

მინანქრული *მინანქრულის* მინანქრით ნაკეთები, მინანქრით შემკობილი. *მინანქრული სამკაული.*

მინარევი *მინარევის* ერთი (ან რამდენიმე) ნივთიერება, რომელიც სხვა ნივთიერებაშია შერეული. *მინარევი მოაშორა. მინარევის დალექვა.*

მინარეთი *მინარეთის* მეჩეთის კოშკი, საიდანაც მუსლიმებს მოუწოდებენ სალოცავად.

მინარცხება *მინარცხების* (მიანარცხებს, მიენარცხება) რაიმეზე მთელი ძალით მიხეთქება. *კედელს მიენარცხა. ჩანთა კარს მიანარცხა.* ■ მინარცხებული ვინც ან რაც მიენარცხა ან მიანარცხეს.

მინაწერი *მინაწერის* რაიმეზე შესრულებული წარწერა. *კიდეზე მინაწერები. კედელზე მინაწერი.*

მინდობა *მინდობის* (მიანდობს, მიინდობს, მიენდობა) ვინმეს ან რაიმეს მიმართ ნდობის, რწმენის გამოჩენა. *ბედს მიენდო. მშენებლობა მიანდვეს. საქმე პროფესიონალებს მიანდო.*

მინდობილი *მინდობილის* ვინც ვინმეს ან რაიმეს მიენდო. *ცხენს მინდობილი.*

მინდობილობა *მინდობილობის* საბუთი, რომლითაც ვინმეს აძლევენ უფლებას იმოქმედოს საბუთის მიმცემის სახელით. *მინდობილობა დაუტოვა.*

მინდორ-ველი *მინდორ-ველის* ვრცელი ტერიტორია, გაშლილი ადგილები. *მინდორ-ველი ამწვანდა.*

მინდორი *მინდვრის* 1. ბალახით დაფარული სწორი ადგილი. *მწვანე მინდორი. მინდვრის ყვავილები.* 2. ადგილი, რომელსაც სახნავ-სათესად იყენებენ. *მინდვრის სამუშაოები. მინდვრები დათესეს.* 3. ცარიელი ადგილი ფურცლის კიდეზე. *რვეულის მინდორზე არ დაწეროთ!* ■ მინდორ-მინდორ ზმნზ. მინდვრების გავლით, მინდვრებზე. *მინდორ-მინდორ იარეს.*

მინებება *მინებების* (მიანებებს, მინებდება) სხვის ნებაზე დამორჩილება, წინააღმდეგობის შეწყვეტა. *ბედს მინებდა. ტალღებს მინებდა.* ■ მინებებული ვინც მინებდა. *ცხოვრებას მინებებული. ძილს მინებებული.*

მინერალი *მინერალის* ბუნებრივი არაორგანული ნივთიერება, რომელიც წარმოიქმნება დედამიწის ზედაპირზე ან მის ნიაღში. *თხევადი მინერალი. მინერალების მოპოვება.*

მინერალოგია *მინერალოგიის* მეცნიერება მინერალების შესახებ.

მინერალური *მინერალურის* მინერალების შემცველი. *მინერალური წყალი.*

მინიატიურა *მინიატიურის* 1. პატარა, ოსტატურად შესრულებული, ჩვეულებრივ, ფერადი ნახატი რაიმე ნაკეთობაზე ან ძველ ხელნაწერებში. *მინიატიურებით გაფორმებული.* 2. მცირე ზომის ლიტერატურული ან მუსიკალური ნაწარმოები. *მინიატიურების თეატრი.* შეცდომაა მინიატურა.

მინიატიურული *მინიატიურულის* 1. მინიატიურის სახისა. *მინიატიურული ლექსები.* 2. ძალიან პატარა, მცირე ზომისა. *მინიატიურული მოდელი.* შეცდომაა მინიატურული.

მინიმალური *მინიმალურის* ძალიან ცოტა, ყველაზე ნაკლები. *მინიმუმალური რაოდენობა.*

მინისებრი *მინისებრის* მინის მსგავსი, გამჭვირვალე. *მინისებრი სხეული. მინისებრი ნივთიერება.*

მინისებური *მინისებურის* იგივეა, რაც მინისებრი

მინისტრი *მინისტრის* სამინისტროს ხელმძღვანელი. *მინისტრის მოადგილე. მინისტრის ბრძანება. მინისტრთა საბჭო.*

მინიშნება *მინიშნების* (მიანიშნებს) რაიმეს არაპირდაპირ თქმა ან ჩვენება. *შეცდომებზე მიანიშნეს. პასუხი მხოლოდ მიანიშნა.*

მინიჭება *მინიჭების* (მიანიჭებს, მიენიჭება) 1. განსაკუთრებული დამსახურების გამო დაჯილდოება, საპატიო წოდების მიკუთვნება. *ხარისხის ნიშანი მიანიჭეს. გენერლის წოდება მიანიჭეს.* 2. რაიმეზე განსაკუთრებული ყურადღების გამახვილება, უკეთესად მიჩნევა. *უპირატესობა სხვას მიანიჭა. დიდი მნიშვნელობა მიანიჭა.* ■ მინიჭებული რაც მიანიჭეს. *მინიჭებული უფლებები. მინიჭებული ხარისხი.*

მინორი *მინორის* მუსიკალური წყობა, რომლის ბგერები ქმნის ნაღვლიანი ჟღერადობის აკორდს.

მინორული *მინორულის* სევდიანი, ნაღვლიანი. *მინორული სიმღერა.*

მინუსი *მინუსის* 1. მათ. გამოკლების ან უარყოფითი სიდიდის ნიშანი (-); ტემპერატურაზე მითითებისას ნიშნავს ნულს ქვევით. *მინუს ხუთი გრადუსი.* 2. გადატ. ნაკლი, ხარვეზი. *წიგნს ბევრი მინუსი აღმოაჩნდა.*

მიპარვა *მიპარვის* (მიიპარება, მიეპარება) შეუმჩნევლად, ფარულად მისვლა, მიახლოება. *ბიჭი მეგობარს მიეპარა.*

მიპატიჟება *მიპატიჟების* (მიიპატიჟებს) ვინმესთან დაპატიჟება. *მე ზობლები თავისთან მიიპატიჟა. საცოლე მშობლებთან მიიპატიჟა.* ■ მიპატიჟებული ვინც მიიპატიჟეს. *მიპატიჟებული სტუმარი.*

მიპკურება *მიპკურების* (მიაპკურებს, მიიპკურებს, მიეპკურება) რაიმეზე მცირეოდენი სითხის შხეფად მისხმა. *ვარდის წყალი მიიპკურა.*

მიპყრობა *მიპყრობის* (მიაპყრობს, მიიპყრობს,

მიეპყრობა, მიაპყრობინებს) თვალის, ყურის, ყურადღების ვინმესკენ ან რაიმესკენ მიმართვა. *ხალხის ყურადღება უცებ მიიპყრეს. თვალები ზღვას მიაპყრო.*

მირაჟი *მირაჟის* საგნების მოჩვენებითი გამოსახულება, რომელსაც იწვევს გახურებულ ჰაერში სხივების გარდატეხა. *მირაჟი გაქრა.*

მირბენინება *მირბენინების* (მიარბენინებს, მიურბენინებს) სირბილით, სწრაფად მიტანა ან მიყვანა. *ახალი გაზეთები მიურბენინა.*

მირეკვა *მირეკვის* (მირეკავს) ცხოველების (ბევრის) მიყვანა. *ცხვრები მირეკეს.*

მირბენა *მირბენის* (მიირბენს) სირბილით მისვლა. *მანქანასთან მიირბინა.*

მირთმევა *მირთმევის* (მიართმევს, მიირთმევს, მიერთმევა) 1. პატივისც. რაიმეს მიცემა ან მიტანა. *მეფეს ბედაური მიართვეს. ძვირფასი საჩუქარი მიართვეს.* 2. პატივისც. საჭმლის ჭამა ან სასმლის შესმა. *პური მიირთვა. მადიანად მიირთმევს.* ■ მიირთვით! საჭმლის ან სასმლის შეთავაზება (თავაზიანი მიმართვის ფორმა). ■ მირთმეული რაც მიართვეს. *მირთმეულისთვის პირი არ დაუკარებია.* ⊙ ვერ მიართვეს! ტყუილად აქვს რაიმეს იმედი, არ გამოუვა. ⊙ ლანგრით (ხონჩით) მირთმევა მზამზარეულად მიცემა, უშრომლად, გაუჭირვებლად მიღება.

მირონი *მირონის* მცენარეული სურნელოვანი ზეთი, რომელიც გამოიყენება ქრისტიანულ ეკლესიაში ღვთისმსახურებისას. *მირონის ხარშვა. მირონის ცხება. მირონის კურთხევა.*

მირონცხებული *მირონცხებულის* 1. მონათლული, ვისაც მოძღვარმა მირონი აცხო. 2. (მეფედ) კურთხეული. *მირონცხებული მონარქი.*

მირტყმა *მირტყმის* (მიარტყამს, მიირტყამს, მიურტყამს) რაიმეს მოხვედრება, დაჯახება. *გულზე ხელი მიარტყა. თავი ხეს მიარტყა.* ■ მირტყმული რაც მიარტყეს. *მირტყმული შუბლი.*

მირქმა *მირქმის* ქრისტიანული დღესასწაული, უკავშირდება ჩვილი იესოს იერუსალიმის ტაძარში მიყვანას, აღინიშნება შობის მეორმოცე დღეს.

მირჩილვა *მირჩილვის* იგივეა, რაც დარჩილვა. *ქვაბს ყური მიარჩილა. გატეხილი ბეჭედი მიარჩილეს.* ■ მირჩილული რაც მიარჩილეს. *მირჩილული სადენები. მირჩილული მილები.*

მირჭობა *მირჭობის* (მიარჭობს) რაიმეზე წვეტიანი, ბასრი საგნის მიმაგრება. *ნაჯახი ხეს მიარჭო.*

მისაბაძად ზმნზ. 1. მიბაძვისთვის, მიბაძვის მიზნით. *მისაბაძად უფროსი სჭირდება.* 2. კარგად, სამაგალითოდ. *სხვებისთვის მისაბაძად იქცა.*

მისაბაძი *მისაბაძის* ვისაც ან რასაც უნდა მიბაძონ, მიბაძვის ღირსი, სამაგალითო. *მისაბაძი საქციელი.*

მისაბმელი *მისაბმელის* 1. რასაც აბამენ ან რითაც აბამენ. *მისაბმელი თოკი.* 2. დამატებითი საბარგული, რომელსაც ტრანსპორტს აბამენ. *ავტომანქანის მისაბმელი.*

მისადგომი *მისადგომის* 1. რასაც უნდა მიადგნენ. *კარგი მისადგომი ადგილი. ძნელად მისადგომი სახლი.* 2. ადგილი, საიდანაც შეიძლება რაიმე ობიექტს მიადგე. *ქალაქის მისადგომებთან ბრძოლა გაჩაღდა. გემი მისადგომთან გაჩერდა.* ▲ მისადგომად ზმნზ. მიდგომისთვის, მიდგომის მიზნით. *ეს ბაზარი ჩემთვის მისადგომად მოუხერხებელია.*

მისათითებელი *მისათითებლის* რაც უნდა მიუთითონ. *მისათითებელი ლიტერატურა.* ▲ მისათითებლად ზმნზ. მითითებისთვის, მითითების მიზნით. *აკრძალვების მისათითებლად.*

მისაკუთრება *მისაკუთრების* (მიისაკუთრებს) იგივეა, რაც დასაკუთრება. *ტერიტორიის მისაკუთრება. სხვისი ნაშრომი მიისაკუთრა.* ■ მისაკუთრებული რაც მიისაკუთრეს. *მისაკუთრებული ნივთები.*

მისალაგებელი *მისალაგებლის* რაც უნდა მიალაგონ. *სახლი მისალაგებელია.*

მისალმება *მისალმების* (მიესალმება) 1. ვინმესთან შეხვედრისას სალმის თქმა. *მეზობლებს მიესალმა.* 2. რაიმე ღონისძიების მონაწილეებისთვის მხარდასაჭერი, პატივსაცემი სიტყვით მიმართვა (ზეპირად ან წერილობით). *კონფერენციის მონაწილეებს მიესალმა.* 3. ნიგნ. რაიმე ქმედების, აზრისა და მისთ. მხარდაჭერა, თანაგრძნობა. *მის გადაწყვეტილებას ბევრი მიესალმება.*

მისალოცი *მისალოცის* მილოცვისთვის განკუთვნილი. *მისალოცი სიტყვები. მისალოცი დეპეშა.* ▲ მისალოცად ზმნზ. მილოცვისთვის, მილოცვის მიზნით. *მისალოცად მივიდა.*

მისამართი *მისამართის* ვინმეს ან რაიმეს ზუსტი ადგილსამყოფელის აღმნიშვნელი მონაცემები. *სახლის მისამართი. მისამართი შეუცვალეს.*

მისამძიმრება *მისამძიმრების* (მიუსამძიმრებს) სამძიმრის თქმა. *ოჯახს მიუსამძიმრა.*

მისანი *მისნის* იგივეა, რაც გულთმისანი

მისასალმებელი *მისასალმებლის* რასაც მისალმების დანიშნულება აქვს, მისალმებისთვის განკუთვნილი. *მისასალმებელი სიტყვა.* ▲ მისასალმებლად ზმნზ. მისალმებისთვის, მისალმების მიზნით. *მისასალმებლად მივიდა.*

მისასამძიმრებელი *მისასამძიმრებლი* რასაც სამძიმრის დანიშნულება აქვს, სამძიმრისთვის განკუთვნილი. *მისასამძიმრებელი სიტყვა. მისასამძიმრებელი წერილი.* ▲ მისასამძიმრებლად ზმნზ. მისამძიმრებისთვის, მისამძიმრების მიზნით. *მისასამძიმრებლად მივიდნენ.*

მისასვლელი *მისასვლელის* მისვლისთვის გან-

კუთვნილი, რითაც უნდა მივიდნენ. *მისასვლელი ბილიკი.* ▲ მისასვლელად ზმნზ. მისვლისთვის, მისვლის მიზნით. *მისასვლელად დიდი დრო არ დასჭირდათ.*

მისატევებელი *მისატევებლის* რაც უნდა მიუტევონ, საპატიებელი. *მისატევებელი ცოდვა. მისატევებელი დანაშაული.* ▲ მისატევებლად ზმნზ. მიტევებისთვის, მიტევების მიზნით. *ცოდვების მისატევებლად.*

მისაღები *მისაღების* I. ვინც ან რაც უნდა მიიღონ ან შესაძლოა, რომ მიიღონ. *სკოლაში მისაღები ბავშვები. მისაღები ასაკი.* ▲ მისაღებად ზმნზ. მიღებისთვის, მიღების მიზნით. *სტუმრების მისაღებად.*

მისაყვანი *მისაყვანის* ვინც ან რაც უნდა მიიყვანონ. *ექიმთან არის მისაყვანი. ბოლომდე მისაყვანი საქმე.* ▲ მისაყვანად ზმნზ. მიყვანისთვის, მიყვანის მიზნით. *ბავშვის მისაყვანად.*

მისაწერი *მისაწერის* რაც უნდა მისწერონ ან მიაწერონ. *წერილი მაქვს მისაწერი.*

მისახედი *მისახედის* რასაც მიხედვა, მოვლა-პატრონობა სჭირდება. *მისახედი ავადმყოფი. მისახედი საქმეები.*

მისებური *მისებურის* მისი მსგავსი, მისნაირი. *წერის მისებური სტილი.*

მისევა *მისევის* (მიუსევს, მიესევა) ბევრის ერთბაშად მიცვენა. მოგროვება. *ხალხი შესასვლელს მიესია.*

მისეული *მისეულის* მისი ნაქონი ან მისგან მომდინარე. *მისეული ნივთები. მისეული განმარტება.*

მისვენება *მისვენების* (მიასვენებს, მიესვენება) I. მიცვალებულის მიტანა. *ცხედარი სახლში მიასვენეს.* 2. დაღლილის, დაუძლურებულის რამეზე (ვინმეზე) მიყრდნობა ან სადმე მიწოლა დასასვენებლად. *გოგონა დედას მიესვენა. ქალი საწოლზე მიესვენა.*

მისვლა *მისვლის* (მივა) სადმე, გარკვეულ ადგილამდე მიღწევა. *დანიშნულ დროზე მივა. სახლამდე ვერ მივიდა.* ■ მისული ვინც ან რაც მივიდა. *შეხვედრაზე მისული სტუდენტები*

მისვლა-მოსვლა *მისვლა-მოსვლის* საუბრ. ერთმანეთთან სიარული, ახლობლობა. *დიდი ხანია მისვლა-მოსვლა აქვთ.*

მისი ნაცვ. ვინც ან რაც მას ეკუთვნის. *მისი სახლი. მისი ძმა.*

მისია *მისიის* I. საპასუხისმგებლო მოვალეობა, დავალება. *განსაკუთრებული მისია აკისრია.* 2. მუდმივი დიპლომატიური წარმომადგენლობა ელჩის მეთაურობით. *მისიის წევრები.* 3. დიპლომატიური დელეგაცია საგანგებო დავალებით. *სამშვიდობო მისია გაემგზავრა.*

მისიანი *მისიანის* მისი ნათესავი ან ახლობელი. *მისიანები მოინახულა.*

მისიონერი *მისიონერის* პირი, რომელიც გარკვეული მისიით (უმეტესად, რაიმე რელიგიის საქადაგებლად) არის წარგზავნილი სადმე. *იტალიელი მისიონერები.* ■ მისიონერული მისიონერის დამახასიათებელი. *მისიონერული მოღვაწეობა.*

მისიონერობა *მისიონერობის* (მისიონერობს) მისიონერად ყოფნა, მისიონერის საქმიანობა. *მისიონერობა გადაწყვიტა. მისი მშობლები მისიონერობენ.*

მისკდომა *მისკდომის* (მიასკდება) I. რაიმეზე მიხეთქება, მინარცხება. *კედელს მიასკდა.* 2. საუბრ. ერთბაშად ბევრის შეჭმა. *ხილს მიასკდა. თევზეულს მიასკდა.*

მისნაირი *მისნაირის* მისი მსგავსი. *მისნაირი ახალგაზრდა ცოტაა.*

მისნობა *მისნობის* (მისნობს) იგივეა, რაც მკითხაობა. *მისნობით გაითქვა სახელი.*

მისრესა *მისრესის* (მიასრესს) რაიმეზე მიჭყლეტა. *სიგარეტი კედელს მიასრისა.*

მისტიკა *მისტიკის* უხილავ, მიღმურ სამყაროსთან და ზებუნებრივ ძალებთან კავშირის შესაძლებლობის რწმენა. *მისტიკაში გადადის.* ■ მისტიკური მისტიკასთან დაკავშირებული. *მისტიკური აზრები.*

მისტიკოსი *მისტიკოსის* პირი, რომელსაც მისტიკისადმი მიდრეკილება ახასიათებს, მისტიციზმის მიმდევარი. *მისტიკოსი პოეტი.*

მისტიფიკაცია *მისტიფიკაციის* განზრახ ვინმეს შეცდომაში შეყვანის მცდელობა ჭეშმარიტი ფაქტების დამახინჯების გზით. *აზრების მისტიფიკაცია.*

მისტიციზმი *მისტიციზმის* მისტიკაზე დაფუძნებული რელიგიური მსოფლმხედველობა; მისტიკისადმი მიდრეკილება. *მისტიციზმით გატაცებული.*

მისუსტებული *მისუსტებულის* უღონო, ძალაგამოცლილი. *მისუსტებული ავადმყოფი.*

მისწავლება *მისწავლების* (მიასწავლებს) გზის, მიმართულების ან რაიმე ობიექტის ადგილმდებარეობის სწავლება. *გზა მიასწავლეს. ქალაქის ცენტრი მიასწავლა.*

მისწრაფება *მისწრაფების* (მიისწრაფვის) ვინმესკენ ან რაიმესკენ სწრაფვა, ლტოლვა. *წარმატებისკენ მისწრაფება. ერთმანეთისკენ მიისწრაფვიან.*

მისწრება *მისწრების* (მიასწრებს, მიუსწრებს) I. სადმე დროულად მისვლა ან რაიმეს გაკეთება. *ავადმყოფს დროზე მიუსწრო. ცოცხალს ვერ მიეუსწარი. ავტობუსს მიუსწრო.* 2. სხვაზე ადრე მისვლა. *ყველას მიასწრო.* ⊙ მისწრებაა დროულია, ძალიან სასურველია. *ზაფხულში ნაყინი მისწრებაა.*

**მისხალი** *მისხლის* 1. ძვ. წონის ერთეული. უდრის დაახლოებით 4,25 გრამს. 2. გადატ. ძალიან ცოტა, სულ ცოტა. *ერთი მისხალი არ დამიტოვა.*

**მისხალ-მისხალ** ზმნზ. დიდი სიზუსტით. *მისხალ-მისხალ უანგარიშა.*

**მისხდომა** *მისხდომის* (მისხდება, მიასხდება, მიუსხდება) ბევრის მიჯდომა. *სტუმრები მაგიდას მიუსხდნენ. ბავშვები დედას მიუსხდნენ.*

**მისხლობით** ზმნზ. მისხლის ოდენობით. *ოქრო მისხლობით იწონება.*

**მისხმა**[1] *მისხმის* (მიასხამს, მიისხამს, მიუსხამს, მიესხმება) სითხის დასხმა აქედან იქით. *კედელს წყალი მიესხა. ყვავილებს წყალი მიასხა.*

**მისხმა**[2] *მისხმის* (მიასხამს) ბევრის სადმე მიყვანა. *საქონელი მიასხა.*

**მისხურება** *მისხურების* (მიასხურებს, მიისხურებს, მიესხურება) სითხის მისხმა წვეთებად ან მცირე ნაკადად. *ბავშვებს წყაროს წყალი მიასხურა.*

**მისჯა** *მისჯის* (მიუსჯის, მიესჯება) სასამართლოს მიერ ვინმესთვის სასჯელის გამოტანა. *სამუდამო პატიმრობა მიესაჯა. თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს.* ■ **მისჯილი** რაც მიუსაჯეს. *გადასახლება აქვს მისჯილი.*

**მიტანა** *მიტანის* (მიიტანს, მიუტანს, მიატანინებს) 1. რაიმეს წაღება გარკვეულ ადგილას. *სახლში შეშა მიიტანა. წერილი ადრესატს მიუტანა.* 2. რაიმესთან მიახლოება. *ტელეფონი ყურთან მიიტანა. ხელები გასათბობად ცეცხლთან მიიტანა.* ■ **მისატანი** რაც უნდა მიიტანონ. *ბიბლიოთეკაში მისატანი წიგნები.*

**მიტანება** *მიტანების* (მიატანს, მიეტანება) 1. გარკვეულ დრომდე ან ადგილამდე მისვლა, მიღწევა. *სოფელს ძლივს მიატანეს. მოქეიფეებმა დილამდე მიატანეს.* 2. იგივეა, რაც შეტანება. *მჭადს ყველი მიატანა.* 3. იგივეა, რაც წატანება. *დასაჭერად მიეტანა. ხელი მიატანა.*

**მიტანებული** *მიტანებულის* 1. რაც მიატანეს. *ყავასთან მიტანებული ნამცხვარი.* 2. ვინც გარკვეულ ასაკამდე მიაღწია. *ოთხმოც წელს მიტანებული მოხუცი.*

**მიტაცება** *მიტაცების* (მიიტაცებს) რაიმეს ძალით დაუფლება, მითვისება. *საერისთაოები მიიტაცეს. მეფის ტახტი მიიტაცეს.* ■ **მიტაცებული** რაც მიიტაცეს. *მიტაცებული ტერიტორიები.*

**მიტევება** *მიტევების* (მიუტევებს) ძვ. პატიება, შენდობა. *მიტევება სთხოვა. უფალი მიუტევებს.* ■ **მიტევებული** რაც მიუტევეს, ვისაც მიუტევეს. *მიტევებული ცოდვები.*

**მიტელშპილი** *მიტელშპილის* ჭადრაკის პარტიის შუა ნაწილი. *თამაში მიტელშპილში გადავიდა.*

**მიტინგი** *მიტინგის* მასობრივი შეკრება პოლიტიკური, სოციალური და მისთ. საკითხების განსახილველად. *მიტინგის მონაწილენი. მიტინგი დაიშალა.*

**მიტკალი** *მიტკლის* ტილონარევი ბამბის თეთრი ქსოვილი. *მიტკლის ზენარი.*

**მიტმასნა** *მიტმასნის* (მიეტმასნება) 1. მთელი სხეულით ვინმეზე ან რაიმეზე მიკვრა. *ერთმანეთს მიეტმასნენ. ძაღლი ფეხებზე მიეტმასნა.* 2. გადატ. ანგარების მიზნით მიმხრობა, გაერთიანება რაიმე წრეში. *ხელისუფლებას მიეტმასნა. გამარჯვებულებს მიეტმასნა.* ■ **მიტმასნილი** ვინც მიეტმასნა. *უფროსობას მიტმასნილი.*

**მიტოვება** *მიტოვების* (მიატოვებს, მიატოვებინებს) ვინმეზე ან რაიმეზე უარის თქმა და დატოვება. *ცოლ-შვილის მიტოვება. სპორტი მიატოვა. მშობლებმა მიატოვეს.*

**მიტოვებული** *მიტოვებულის* ვინც ან რაც მიატოვეს. *მიტოვებული ბავშვები. მიტოვებული სახლკარი.*

**მიტოლება** *მიტოლების* (მიატოლებს, მიეტოლება) იგივეა, რაც დატოლება. *ხელები მიატოლეს ერთმანეთს. კაბა თარგს მიატოლა.*

**მიტრიალება** *მიტრიალების* (მიატრიალებს, მიტრიალდება, მიუტრიალდება) სხვა მხარეს მიბრუნება. *სარკე გვერდზე მიატრიალა. დაფისკენ მიტრიალდა.*

**მიტროპოლიტი** *მიტროპოლიტის* უმაღლესი წოდების ეპისკოპოსი მართლმადიდებლურ ეკლესიაში. *მიტროპოლიტად აკურთხეს.*

**მიტყეპა** *მიტყეპის* საუბრ. (მიტყეპს, მიიტყიპება) მსუბუქად გატყეპა. *დედამ მიტყიპა. გაჩერდი, თორემ მიიტყიპები!*

**მიტყუება** *მიტყუების* (მიიტყუებს) მოტყუებით მიყვანა, მიზიდვა. *მტრის მიტყუება სცადა. ჩიტი საკენკით მიიტყუა.*

**მიტყუპება** *მიტყუპების* (მიატყუპებს) ორი საგნის, ნივთისა და მისთ. ერთმანეთთან ძალიან ახლოს, მჭიდროდ მიტანა, მიდგმა. *მუხლები მიატყუპა. სკამი კედელთან მიატყუპა.* ■ **მიტყუპებული** რაც მიატყუპეს. *მიტყუპებული საწოლები.*

**მიუდგომელი** *მიუდგომლის* 1. ძნელად მისასვლელი. *მიუდგომელი სანაპირო.* 2. მიუკერძოებელი. *მიუდგომელი კაცია.*

**მიუვალი** *მიუვალის* იგივეა, რაც მიუდგომელი (1). *მიუვალი მწვერვალები. მიუვალი ტყეები.*

**მიუზიკლი** *მიუზიკლის* მუსიკალური სპექტაკლი. *საბავშვო მიუზიკლი.*

**მიუკარებელი** *მიუკარებლის* 1. რასაც არავინ მიჰკარებია, არავინ შეხებია. *მიუკარებელი ადგილები.* 2. ვინც ახლოს არავის იკარებს, ძნელად საურთიერთო. *მიუკარებელი ქალი.*

**მიუკერძოებელი** *მიუკერძოებლის* სამართლიანი, ობიექტური. *მიუკერძოებელი მსაჯული.* ▲ **მიუკე-**

რძოებლად ზმნზ. მიკერძოების გარეშე. *მიუკერძოებლად გადაწყვიტა.*

მიუკერძოებლობა *მიუკერძოებლობის* სამართლიანობა, ობიექტურობა. *მიუკერძოებლობა გამოიჩინა.*

მიუსაფარი *მიუსაფრის* 1. ვისაც თავშესაფარი არ გააჩნია, ახლობელი არ ჰყავს. *მიუსაფარი დარჩა. მიუსაფრად გრძნობს თავს.* 2. სადაც თავშესაფარს ვერ იპოვი, ცარიელი. *მიუსაფარი ადგილი.*

მიუსაფრობა *მიუსაფრობის* მდგომარეობა, როდესაც ადამიანს თავშესაფარი არა აქვს, ახლობელი, გულშემატკივარი არა ჰყავს. *მისმა მიუსაფრობამ შეანუხა.*

მიუსვლელობა *მიუსვლელობის* სადმე არმისვლა. *მიუსვლელობა არ იყარგებს. მისი მიუსვლელობა ეწყინა.*

მიუტევებელი *მიუტევებლის* რის მიტევებაც, პატიებაც არ შეიძლება, უპატიებელი. *მიუტევებელი ცოდვა.*

მიუღებელი *მიუღებლის* რის მიღებაც არ შეიძლება, დაუშვებელი. *მიუღებელი აზრები. მიუღებელი წინადადება.*

მიუღწეველი *მიუღწეველის* რის მიღწევაც შეუძლებელია, ძნელად შესასრულებელი. *მიუღწეველი სურვილი.*

მიუჩვეველი *მიუჩვეველს* ვინც რაღაცას (ან ვიღაცას) მიჩვეული არ არის. *შრომას მიუჩვეველი. მამასთან მიუჩვეველი იყო.*

მიუწვდომელი *მიუწვდომლის* რის მიწვდომაც შეუძლებელია. *მიუწვდომელი სურვილი.*

მიუხედავად თანდ. (+ ნათ.) რაიმეს გათვალისწინების, ყურადღების მიქცევის გარეშე. *მისი ახირებული ხასიათის მიუხედავად, ყველას უყვარს. ჩემი თხოვნის მიუხედავად მაინც წავიდა.* ⊙ მიუხედავად იმისა, რომ... თუმცა, მართალია. *მიუხედავად იმისა, რომ ცუდი ამინდი იყო, სტუმარი მაინც ბევრი მოვიდა.*

მიუხედავი *მიუხედავის* ვისაც ან რასაც ვერ მიხედეს, არ მოუარეს. *მუზეუმი მიუხედავი იყო. მიუხედავი ყანები. მიუხედავი სოფლები.*

მიუხვედრელი *მიუხვედრლის* ვინც ვერ ხვდება, ადვილად ვერ იგებს. *მიუხვედრელი ქალი.*

მიუხვედრელობა *მიუხვედრელობის* რაიმეს მიხვედრის, გაგების უნარის არქონა. *მიუხვედრელობით საქმე წაახდინა.*

მიფარება *მიფარების* (მიაფარებს, მიიფარება, მიეფარება) 1. იგივეა, რაც **აფარება** (1). *თვალებზე ხელი მიიფარა. მძინარეს პალტო მიაფარა.* 2. გაუჩინარება, მიმალვა. *თვალს მიეფარა. მთვარე ღრუბელს მიეფარა.*

მიფერება *მიფერების* (მიეფერება) იგივეა, რაც **მოფერება**. *ბავშვს მიეფერა.*

მიფიცხება *მიფიცხების* (მიაფიცხებს, მიუფიცხებს, მიეფიცხება) ცეცხლთან, ღუმელთან ან მზის გულზე დაჯდომა ან რაიმეს დადება გასათბობად, გასახურებლად, გასაშრობად. *ზურგი ცეცხლს მიუფიცხა.* ▪ მიფიცხებული ვინც ან რაც მიეფიცხა ან მიაფიცხეს. *მზეს მიფიცხებული მოხუცი. ბუხართან მიფიცხებული ფეხსაცმელი.*

მიფრატუნება *მიფრატუნების* (მიფრატუნდება) ფრატუნით სადმე მისვლა. *ქალი სახლთან მიფრატუნდა.*

მიფურთხება *მიფურთხების* (მიაფურთხებს) 1. პირიდან ფურთხის სროლა და რაიმეზე (ვინმეზე) მიგდება. *კედელს მიაფურთხა.* 2. გადატ. რაიმეს უარყოფა, მიტოვება. *ყველაფერს მიაფურთხა და წავიდა.*

მიფუჩეჩება *მიფუჩეჩების* (მიაფუჩეჩებს, მიფუჩეჩდება) რაიმეს ნაჩქარევად, უყურადღებოდ, უგულოდ გაკეთება. *საქმე მიაფუჩეჩა.* ▪ მიფუჩეჩებული რაც მიაფუჩეჩეს. *მიფუჩეჩებული სტატია.*

მიქარვა *მიქარვის* საუბრ. (მიქარავს) სისულელის, უაზრობის თქმა ან ბრიყვულად, ტუტუცურად მოქცევა. *რას მიქარავ?! თვითონაც იციან, რომ მიქარეს.*

მიქირავება *მიქირავების* (მიაქირავებს) ვინმესთვის რაიმეს ქირით მიცემა. *მე ზობლებს ფარეხი მიაქირავა.*

მიქლიო *მიქლიოს* მკრთალი ყვითელი ფერის ქუდიანი საჭმელი სოკო, იზრდება ჯგუფ-ჯგუფად ფოთლოვან და შერეულ ტყეებში. *შემწვარი მიქლიო.*

მიქსტურა *მიქსტურის* თხევადი დასალევი წამალი, სხვადასხვა ნივთიერების ნარევი. *მიქსტურა დაამზადა.*

მიქცევა *მიქცევის* (მიაქცევს, მიიქცევს, მიექცევა) 1. მიბრუნება, მიტრიალება. *პირი იქით მიიქცია.* 2. ზღვის დონის პერიოდული კლება. ⊙ ყურადღებას მიაქცევს ყურადღებას გამოიჩენს, ყურადღებით მოეკიდება.

მიღება *მიღების* (მიიღებს, მიიღება, მიაღებინებს) 1. კუთვნილის, გამოგზავნილის ჩაბარება, გამორთმევა. *დეპეშა მიიღო. ამანათი მიიღო. ბინა მიიღო.* 2. რაიმეს მოპოვება, მიღწევა, მოწევა. *უფლება მიიღო. მოსავალი მიიღეს. განათლება მიიღო. კარგი ნიშანი მიიღო.* 3. რაიმე პროცედურის ჩატარება, წამლის დალევა ან გადაყლაპვა. *აბა ზანა მიიღო. ბევრი სითხე მიიღოს. ეს აბები ჭამის წინ უნდა მიიღოს.* 4. რაიმეს გამოცხადება ან დამტკიცება. *საყვედური მიიღო. პროექტი მიიღეს. უარი მიიღო. გადაწყვეტილება მიიღეს.* 5. სადმე გაწევრიანება, გაერთიანება, ჩარიცხვა. *პარტიაში მიიღეს. უნივერსიტეტში მიიღეს. ქრისტიანობა მიიღო.* 6. ვინმესთან შეხვედრა, მიგება. *სტუმრები მიიღეს. პრეზიდენტმა დელეგაცია მიიღო. ექიმმა მიმიღო.* 7. შეცვლა, გადასხ-

ვაფერება. *ქალაქმა სხვა იერი მიიღო. მხიარული გამომეტყველება მიიღო.*

მიღმა ზმნზ. (+ მიც.) იქით, მეორე მხარეს. *კადრს მიღმა. დარაბებს მიღმა.*

მიღწევა *მიღწევის* (მიაღწევს, მიიღწევა) 1. რაიმე ადგილამდე გაჭირვებით, წინააღმდეგობების გადალახვით მისვლა. *სოფლამდე მიაღწია.* 2. მისვლა, მიტანება. *ხმამ იქამდე ვერ მიაღწია. ამ ამბავმა ყველას ყურამდე მიაღწია.* 3. გარკვეულ ასაკამდე სიცოცხლე. *მოხუცებულობას მიაღწია.* 4. დასახულ მიზნამდე მისვლა, ჩანაფიქრის განხორციელება. *ამის მიღწევა ადვილი არ იყო. დიდ თანამდებობას მიაღწია. სანადელს მიაღწია.* შეცდომაა მიხწევა.

მიღწეული *მიღწეულის* 1. რასაც მიაღწიეს. *მიღწეული წარმატება. მიღწეულით არ კმაყოფილდება.* 2. ვინც გარკვეულ ასაკამდე მიაღწია. *ოთხმოც წელს მიღწეული.*

მიყენება *მიყენების* (მიაყენებს, მიიყენებს, მიუყენებს) 1. რაიმესთან ახლოს მიყვანა და გაჩერება. *მანქანა ჭიშკართან მიაყენა. გემი ნაპირს მიაყენეს.* 2. ვინმესთვის რაიმეს შემთხვევა (უმეტესად ცუდისა). *შეურაცხყოფა მიაყენეს. დიდი ტკივილი მიაყენა.* ■ მიყენებული რაც მიაყენეს. *მიყენებული ტრავმა.*

მიყვანა *მიყვანის* (მიიყვანს, მიუყვანს, მიაყვანინებს) 1. გარკვეულ პუნქტამდე წაყვანა. *მეგობრები სახლში მიიყვანა. მანქანამდე მიიყვანა.* 2. ვინმეს გარკვეულ მდგომარეობაში ჩაგდება. *სასოწარკვეთილებამდე მიიყვანა. სიკვდილის პირამდე მიიყვანეს.* ■ მიყვანილი ვინც ან რაც მიიყვანეს. *სახლში მიყვანილი ჩვილი. გზა სოფლამდეა მიყვანილი.*

მიყიდვა *მიყიდვის* (მიჰყიდის, მიაყიდვინებს) ვინმესთვის რაიმეს მიცემა გარკვეული საფასურის სანაცვლოდ. *ბავშვებს ხილი მიჰყიდა. იაფად მიჰყიდის.* ■ მიყიდული რაც მიჰყიდეს. *მიყიდული საქონელი.*

მიყინვა *მიყინვის* (მიიყინება, მიეყინება) ყინვის (1) შედეგად რაიმეზე მინებება, მიკრობა. *წვეთი მინას მიეყინა.* ■ მიყინული რაც მიეყინა. *მიყინული ფიფქები.*

მიყოლა *მიყოლის* (მიჰყვება) 1. ვინმესთან ან რაიმესთან ერთად მისვლა, ვინმეს ან რაიმეს უკან სიარული. *დირექტორთან მიჰყვა. ძაღლი პატრონს მიჰყვება.* 2. რაიმეს გასწვრივ, გაყოლებით სიარული. *ბიჭი ბილიკს მიჰყვება.*

მიყოლება *მიყოლების* (მიაყოლებს, მიიყოლებს) 1. რაიმეს გასწვრივ გაყოლება (2), მიდევნება. *ნარგავები ღობეს მიაყოლა.* 2. რაიმესთან ერთად გაკეთება, მიდევნება. *თავის საქმეს სხვისიც მიაყოლა.* 3. რაიმესთან ერთად ჭამა, მიტანება. *პურს ყველი მიაყოლა.*

მიყრა *მიყრის* (მიყრის, მიაყრის, მიიყრის, მიუყრის, მიიყრება, მიეყრება) 1. ბევრის დაუდეგრად დაგდება ერთ ადგილას. *ფეხსაცმელი კუთხეში მიყარა.* 2. ფხვიერი მასის ზედ დაყრა. *ხის ფესვებს მიწა მიაყარა.* 3. ბევრის სროლა. *ისრები მიაყარეს.* 4. გადატ. ძალიან ჩქარა, ერთბაშად თქმა. *მომხსენებელს შენიშვნები მიაყარეს.* ■ მიყრილი რაც მიაყარეს. *მიყრილი თოვლი.*

მიყრდნობა *მიყრდნობის* (მიაყრდნობს, მიიყრდნობს, მიეყრდნობა) ვერტიკალურად მდგომზე მიბჯენა. *ბიჭი დედას მიეყრდნო. კედელს მიეყრდნო.*

მიყრუებული *მიყრუებულის* შორეული, ქვეყნის ცენტრს მოშორებული, ჩამორჩენილი (ადგილი). *მიყრუებული სოფელი. მიყრუებული კუთხე.*

მიყუდება *მიყუდების* (მიაყუდებს, მიიყუდებს, მიეყუდება) ვინმეს ან რაიმეს მიდგმა, მიბჯენა. *კიბე კედელს მიაყუდა. ბიჭი ხეს მიეყუდა.* ■ მიყუდებული რაც მიაყუდეს ან ვინც მიეყუდა. *მიყუდებული კიბე.*

მიყუჟვა *მიყუჟვის* (მიიყუჟება) სადმე თავის შესაფარებლად მობუზვა, მოკუნტვა. *შესცივდა და კუთხეში მიიყუჟა.* ■ მიყუჟული ვინც ან რაც მიიყუჟა. *მიყუჟული ბავშვები.*

მიყუჩება *მიყუჩების* (მიაყუჩებს, მიუყუჩებს, მიყუჩდება, მიუყუჩდება) 1. დაწყნარება, გაჩუმება. *ავადმყოფი მიყუჩდა. კამათი მიყუჩდა.* 2. ტკივილის ნელა, თანდათანობით დაამება, დაცხრომა. *ტკივილი ცოტა ხნით მიუყუჩდა.*

მიშავება *მიშავების* (მიაშავებს, მიშავდება) უპატივც. 1. ვინმესთვის რაიმეს მიცემა. *თოფი მიაშავა.* 2. მისვლა. *სახლში მთვრალი მიშავდა.*

მიშენება *მიშენების* (მიაშენებს, მიუშენებს) ნაგებობაზე ახალი ნაწილის მიმატება, აშენება. *ტაძარს სამლოცველო მიაშენეს. სახლს ფლიგელი მიაშენა.* ■ მიშენებული რაც მიაშენეს. *მიშენებული აივანი.*

მიშვება *მიშვების* (მიუშვებს) 1. ვინმესთან ან რაიმესთან მისვლის ნების მიცემა. *ბუხართან მიუშვა. დირექტორთან არ მიუშვეს.* 2. უფლების მიცემა, რომ თავის ნებაზე მოიქცეს. *ბავშვი რომ მიუშვა, ყველაფერს აურევს.* ■ მიშვებული ვინც მიუშვეს. *შვილი მიშვებული ჰყავდათ.*

მიშველება *მიშველების* (მიაშველებს, მიიშველებს, მიეშველება) დახმარება, შველა. *მიშველება ვერ მოასწრო. წაქცეულ კაცს მიეშველა.*

მიშველიება *მიშველიების* (მიიშველიებს) იგივეა, რაც მიშველება. *მე ზობლები მიიშველია.*

მიშერა *მიშერის* (მიაშერს, მიიშერს, მიუშერს) 1. რაიმეს გაწევა, გაწვდა გარკვეული მიმართულებით, რაიმე მიმართულებით მიბრუნება. *ლოყა საკოცნელად მიუშვირა. ხელები ცეცხლს მიუშვირა.* 2. საუბრ. იარაღის მიბრუნება ვინმეს ან რაიმეს მიმართულებით. *ქურდს თოფი მიუშვირა.*

▪ მიშვერილი რაც მიუშვირეს. *მზისკენ მიშვერილი სახე.*

მიშტერება *მიშტერების* (მიაშტერებს, მიაშტერდება) დაჟინებით, თვალის მოუშორებლად ცქერა. *კედელს მიაშტერდა.*

მიშურება *მიშურების* (მიაშურებს, მიეშურება) ვინმესკენ ან რაიმესკენ წასვლა. *ქალმა ოთახს მიაშურა.*

მიშუქება *მიშუქების* (მიაშუქებს) ვინმესკენ ან რაიმესკენ შუქის, სინათლის მიმართვა, მინათება. *გზად მიმავალს ნათურა მიაშუქა. ფარები ჭიშკარს მიაშუქა.*

მიჩენა *მიჩენის* (მიუჩენს) 1. ვინმესთვის რაიმეს გამოყოფა, განკუთვნება. *სამუშაო მაგიდა მიუჩინეს. კუთხე მიუჩინა. ღირსეული ადგილი მიუჩინეს.* 2. ვინმესთვის ყარაულის, ზედამხედველისა და მისთ. გამოყოფა, დაყენება, მიგზავნა. *მცველები მიუჩინეს.* ▪ მიჩენილი ვინც ან რაც მიუჩინეს. *ბავშვისთვის მიჩენილი ადგილი.*

მიჩერება *მიჩერების* (მიაჩერდება, მისჩერებია) თვალის მოუცილებლად ცქერა, ყურება. *ეკრანს მიაჩერდა. დედას თვალებში მისჩერებია.*

მიჩერჩეტება *მიჩერჩეტების* (მიჩერჩეტდება) უაზროდ, უმიზნოდ მისვლა. *მეგობართან მიჩერჩეტდა.*

მიჩეჩება *მიჩეჩების* (მიაჩეჩებს) რაიმეს ნაუცბადევად და ძალით მიცემა. *ბილეთი ხელში მიაჩეჩა. ჩანთა მიაჩეჩეს.*

მიჩვევა *მიჩვევის* (მიაჩვევს, მიიჩვევს, მიეჩვევა) 1. რაღაცის ჩვევად გადაქცევა. *ადრე ადგომას მიეჩვია.* 2. ვინმეს ან რაიმეს შეგუება, შეთვისება. *ახალ გარემოს მიეჩვია. თანაკლასელებს მიეჩვია.* ▪ მიჩვეული ვინც მიეჩვია. *რეჟიმს მიჩვეული ბავშვი.*

მიჩნევა *მიჩნევის* (მიიჩნევს, მიაჩნია) ვინმეზე ან რაიმეზე გარკვეული აზრის შექმნა, რაიმედ ცნობა. *გამარჯვება შესაძლებლად მიიჩნია. გადაწყვეტილება სამართლიანად მიიჩნიეს. წასვლა მიზანშეწონილად მიაჩნია.*

მიჩნეული *მიჩნეულის* რაც რაიმედ მიაჩნიათ. *მტრედი მშვიდობის სიმბოლოდ არის მიჩნეული.*

მიჩოჩება *მიჩოჩების* (მიაჩოჩებს, მიჩოჩდება, მიუჩოჩდება) ჩოჩვით მისვლა. *ბუხარს მიუჩოჩდა. მაგიდა ფანჯარასთან მიაჩოჩა.* ▪ მიჩოჩებული ვინც ან რაც მიაჩოჩეს. *კედელთან მიჩოჩებული საწოლი.*

მიჩუმება *მიჩუმების* (მიაჩუმებს, მიჩუმდება) თანდათანობით გაჩუმება, ხმის დასუსტება, შეწყვეტა. *ფრინველების ხმა მიჩუმდა. ბავშვები მიაჩუმა.* ▪ მიჩუმებული ვინც ან რაც მიჩუმდა. *მიჩუმებული ხალხი.*

მიჩქმალვა *მიჩქმალვის* (მიჩქმალავს, მიიჩქმალება) რაიმეს დაფარვა, საგულდაგულოდ მიმალვა, რომ სხვებისთვის დასანახი არ იყოს. *თავისი შეცდომები მიჩქმალა. სიმართლე არ მიიჩქმალება.* ▪ მიჩქმალული რაც მიჩქმალეს. *მიჩქმალული ამბები.*

მიცემა *მიცემის* (მისცემს, მიეცემა, მიაცემინებს) ვინმესთვის რაიმეს ჩაბარება (2), მიკუთვნება (2). *ბავშვს სათამაშო მისცა. გამარჯვებულებს ჯილდო მისცეს.*

მიცემითი *მიცემითის* გრამატ. სახელის ბრუნვის ერთ-ერთი ფორმა.

მიცვალებული *მიცვალებულის* მკვდარი, გარდაცვლილი (ადამიანი). *მიცვალებული გაასვენეს.*

მიცვენა *მიცვენის* (მი(ს)ცვივდება, მიუცვივდება) 1. ბევრის სწრაფად მისვლა, მირბენა. *ბავშვები კიბეს მისცვივდნენ. საშველად მისცვივდნენ. მსახიობს ჟურნალისტები მისცვივდნენ.* 2. ბევრის ვინმესთან მიჭრა, მივარდნა (უმეტესად მტრული განზრახვით). *მევალეები მიუცვივდნენ. მკვლელები სახლში მიუცვივდნენ.*

მიცვივნა *მიცვივნის* (მი(ს)ცვივდება, მიუცვივდება) იგივეა, რაც მიცვენა

მიციება *მიციების* (მიაციებს, მიაცივდება) დაჟინებულად, თვალმოუშორებლად ცქერა. *ბავშვი ერთ ადგილს მიაციდა.*

მიცილება *მიცილების* (მიაცილებს) სადმე მიმავლის განსაზღვრულ ადგილამდე გაყოლა. *სახლამდე მიაცილეს. გზამდე მიაცილა.*

მიცოცება *მიცოცების* (მიცოცდება) ცოცვით მისვლა. *სკამთან ძლივს მიცოცდა.*

მიცუნცულება *მიცუნცულების* (მიცუნცულდება) ცუნცულით მისვლა. *ბავშვი ბებიასთან მიცუნცულდა.*

მიცურება *მიცურების* (მიაცურებს, მიიცურებს, მიუცურებს, მიცურდება) 1. ცურვით სადმე მისვლა, რაიმეს მიტანა. *ტივი ნაპირთან მიაცურა. ბავშვი მამასთან მიცურდა.* 2. მიჩოჩება, მიცოცება. *სკამი ფანჯარასთან მიაცურა.* ▪ მიცურებული ვინც, რაც მიცურდა ან მიაცურეს. *ნაპირთან მიცურებული ნავი.*

მიცუცქება *მიცუცქების* (მიცუცქდება, მიუცუცქდება) რაიმესთან ან ვინმესთან ახლოს დაცუცქება. *შვილი დედასთან მიცუცქდა. კნუტი ცეცხლს მიუცუცქდა.*

მიცხება *მიცხების* (მისცხებს, მიაცხებს, მიეცხება) 1. იგივეა, რაც მოცხება (1). *კედელს ქონი მიეცხო.* 2. იგივეა, რაც მოცხება (2). *ერთი მაგრად მისცხე მაგას!*

მიძალება *მიძალების* (მიეძალება) რაიმეს თავდაუნებებლად კეთება. *შრომას მიეძალა. სმას მიეძალა.*

მიძახება *მიძახების* (მიაძახებს) წასულისთვის რაიმე სათქმელის დაძახება. *ბავშვმა ტირილით მიაძახა.*

**მიძინება** *მიძინების* (მიაძინებს, მიიძინებს, მიეძინება) 1. მშვიდად, თანდათანობით დაძინება. *საწოლზე ტანსაცმლით მიიძინა. ბავშვი ჰამაკში მიაძინა.* 2. ღვთისმშობლის გარდაცვალება. *ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ტაძარი.* ■ **მიძინებული** ვინც მიიძინა. *მიძინებული ბავშვი.*

**მიძღვნა** *მიძღვნის* (მიუძღვნის, მიეძღვნება) 1. საჩუქრად, ძღვნად მიცემა. *დედას ყვავილები მიუძღვნა.* 2. ვინმეს ან რაიმეს პატივსაცემად, სამახსოვროდ რაიმეს გაკეთება, მონყობა, შექმნა. *ისტორიულ თარიღს ლექსი მიუძღვნა. მის ხსოვნას ნაშრომი მიუძღვნა. საღამო გამოჩენილ მსახიობს მიეძღვნა.* ■ **მიძღვნილი** რაც მიუძღვნეს. *დაღუპულთა ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამო.*

**მიძღომა** *მიძღომის* (მიაძღება) გამალებით, გაუჩერებლად ჭამა. *ხორცს მიაძღა.*

**მიწა** *მიწის* 1. დედამიწის ზედაპირის მყარი ფენა. *მიწაში დარგო. მიწა დაამუშავა.* 2. რუხი ფერის ფხვიერი ნივთიერება, რომლისგანაც ნიადაგი შედგება. *მიწა ამოიღეს. მიწა გადაყარეს.* 3. იგივეა, რაც დედამიწა. *ცა და მიწა.* 4. სახნავ-სათესი ფართობი. *მიწები დაამუშავა.* ⊙ **მიწა გაუსკდეს** ნყევ. მოკვდეს, დაიღუპოს. ⊙ **მიწამ პირი უყო უგზოუკლოდ** გაქრა, დაიკარგა. ⊙ **მიწას მიაბარეს** დაასაფლავეს. ⊙ **მიწას ფეხს არ აკარებს** სწრაფად გარბის. ⊙ **მიწასთან გაასწორებს** მოსპობს, გაანადგურებს. ⊙ **მიწის მუშა** მეურნე ადამიანი, რომელიც მიწაზე მუშაობს.

**მიწაგასახეთქი** *მიწაგასახეთქის* ნყევ. სასიკვდილე. *მომხედე, შე მიწაგასახეთქო!*

**მიწადასაყრელი** *მიწადასაყრელის* ნყევ. სასიკვდილე. *მიწადასაყრელი ბიჭი.*

**მიწავაშლა** *მიწავაშლას* ბალახოვანი მცენარე, აქვს მაღალი ღერო და კალათებად შეკრებილი ყვითელი ყვავილები, მინის ქვეშ იკეთებს კარტოფილის მსგავს ბოლქვებს, რომლებსაც იყენებენ საქონლის საკვებად.

**მიწათმომწყობი** *მიწათმომწყობის* მიწათმოწყობის სპეციალისტი. *მიწათმომწყობთა კავშირი.*

**მიწათმოქმედება** *მიწათმოქმედების* სოფლის მეურნეობის დარგი – მინის დამუშავება სასოფლო-სამეურნეო მცენარეების მოყვანის მიზნით. *პირველყოფილი მიწათმოქმედება.*

**მიწათმოქმედი** *მიწათმოქმედის* ადამიანი, რომელიც მიწას ამუშავებს, მიწათმოქმედებას მისდევს. *ჩვენი წინაპრები მიწათმოქმედები იყვნენ.*

**მიწათმოწყობა** *მიწათმოწყობის* მიწის გამოყენების მომწესრიგებელ ღონისძიებათა სისტემა. *მიწათმოწყობის სამსახური.*

**მიწათსარგებლობა** *მიწათსარგებლობის* მიწით სარგებლობა. *მიწათსარგებლობის კანონები.*

**მიწაყრილი** *მიწაყრილის* მიწის (2) მოზრდილი, ხელოვნურად შექმნილი გროვა. *მიწაყრილი მოასწორეს. მიწაყრილი ბალახით დაიფარა.*

**მიწა-წყალი** *მიწა-წყლის* 1. რომელიმე ქვეყნის ტერიტორია, სამშობლო, მამული. *საქართველოს მიწა-წყალი. ჩვენი მიწა-წყალი.* 2. ვინმეს კუთვნილი სახნავ-სათესი მინა თავისი ტყეებითა და საძოვრებით.

**მიწებება** *მიწებების* (მიანებებს, მიინებებს, მიენებება) ზედაპირზე რაიმეს წებოთი დაკვრა, მიკვრა. *სურათი კედელზე მიანება.* ■ **მიწებებული** რაც მიანებეს ან მიენება. *მიწებებული ეტიკეტი.*

**მიწევა** *მიწევის* (მისწევს, მიიწევს, მიუწევს, მიიწევა, მიეწევა, მიანევინებს) 1. ადგილის გადანაცვლება, მიახლოება. *საწოლი მისწია. მაგიდა კედლისკენ მისწია. კარისკენ მიიწია. თეფში მიუწია.* 2. წინ წასულთან მიახლოება. *გაქცეულს ძლივს მიეწია. ლაშქარს მდევარი მიეწია.* 3. სწრაფვა რაიმეს გაკეთებისკენ. *საჩხუბრად მიიწევდა.*

**მიწერა** *მიწერის* (მისწერს, მიაწერს, მიიწერს, მიუწერს, მიეწერება, მიანერინებს) 1. სხვაგან მყოფისთვის წერილობით მიმართვა, წერილის გაგზავნა. *დედას წერილი მისწერა. ოფიციალური წერილი მისწერეს. პასუხი მისწერა.* 2. დაწერილისთვის რაიმეს მიმატება. *სიას ერთი გვარიც მიაწერა. წერილს ბოლოში მიაწერა. წიგნზე მიაწერა.* 3. რაიმეს მიზეზად ჩათვლა. *მის გულუბრყვილობას მიაწერეს. რას მივაწერო მისი ნათქვამი?* 4. საკუთარი საქციელის, ქმედების, ნათქვამის სხვისთვის მიკუთვნება, სხვის ნამოქმედრად ჩათვლა ან – პირიქით. *ყველაფერი სხვას მიაწერა. დამსახურება თვითონ მიიწერა.* ■ **მიწერილი** რაც მისწერეს. *მიწერილი პასუხი.*

**მიწვა** *მიწვის* (მიიწვავს, მიეწვება) ხარშვისას ან შეწვისას პროდუქტის დაწვა და ჭურჭლის ძირზე მიკვრა, მიწებება. *ღვე ზელი მიიწვა. რძე მიიწვა. ფლავი მიმეწვა.*

**მიწვდა** *მიწვდის* (მიაწვდის) ხელში მოთავსებული რაიმეს გაშვერა სხვისთვის მისაცემად. *ჭიქას მიაწვდის. წიგნი მიაწოდა.*

**მიწვდენა** *მიწვდენის* (მიაწვდენს, მიუწვდენს) 1. შორს მყოფ ადამიანამდე რაიმეს გაგზავნა. *ხმა მიაწვდინა. ამბავი მიაწვდინა.* 2. შორს მოთავსებულ საგანზე შეხება, ჩვეულებრივ, დიდი ძალისხმევის შედეგად. *ჯოხი კარს მიაწვდინა. ხელი ხის ტოტს მიაწვდინა.*

**მიწვდომა** *მიწვდომის* (მისწვდება) 1. რაიმესთან მიახლოება, მიღწევა ისე, რომ შესაძლებელი იყოს შეხება. *ჭერს ხელით მისწვდა. ძაღლი კაცს ფეხზე მისწვდა.* 2. რაღაც მანძილამდე მიღწევა, მისელა. *ტყეია გაქცეულს ვერ მისწვდა. წყალი ჯებირს ვერ მისწვდა.*

**მიწვევა** *მიწვევის* (მიიწვევს) 1. ვინმესთვის სადმე

მისვლის თხოვნა, სადმე დაპატიჟება. *სტუმარი სახლში მიიწვია. გამოფენაზე მიიწვია.* 2. ვინმესთვის რაიმე საქმის, თანამდებობის შეთავაზება. *ჯგუფის ხელმძღვანელად მიიწვია.* ■ **მიწვეული** ვინც მიიწვიეს. *კონფერენციაზე მიწვეული მეცნიერები.*

**მიწვენა** *მინვენის* (მიანვენს, მიიწვენს) 1. ფრთხილად, სანახევროდ დაწვენა; გადახრა და რაიმეზე მიყრდნობა. *ტახტზე ჩაცმული მიაწვინა. ტომარა კედელთან მიანვინა.* 2. იგივეა, რაც **დაწვენა**. *ბიჭი სანოლზე მიანვინა. შვილი თავისთან მიიწვინა.*

**მინიანი** *მინიანის* რასაც მინა ურევია, აყრია, აცხია. *მინიანი ხელები. მინიანი ბოსტნეული.*

**მინიერება** *მინიერების* ამქვეყნიურობა, არაღვთაებრიობა.

**მინიერი** *მინიერის* ამქვეყნიური, არაღვთაებრივი, ადამიანური. *მინიერი გრძნობები. მინიერი არსება.*

**მინისზედა** *მინის ზედას* რაც მინის ზევითაა, მინით არ არის დაფარული. *მინის ზედა აკლდამები. შენობის მინის ზედა ნაწილი.*

**მინისქვეშა** *მინისქვეშას* რაც მინის ზედაპირზე არ ჩანს, მინით არის დაფარული. *მინისქვეშა სამყარო. მინისქვეშა წყლები. შენობის მინისქვეშა ნაწილი.*

**მინისძვრა** *მინისძვრის* მინისქვეშა ბიძგები, რომლებიც დედამინის ზედაპირის რყევას იწვევს. *ძლიერი მინისძვრა. მინისძვრით გამოწვეული ზარალი.*

**მინოდება** *მინოდების* (მიანოდებს, მიენოდება) 1. ვინმესთვის რაიმეს მიცემა, შეთავაზება. *სკამი მიანოდა. წიგნი მიანოდა.* 2. ვინმესთვის რაიმეს გაგზავნა, რაიმეთი მომარაგება. *ახალი ცნობები მიანოდა. მოსახლეობას წყალი მიენოდება.*

**მინოლა**[1] *მინოლის* (მინვება, მიუნვება) ცოტა ხნით, ნაუცბადევად ან ვინმეს გვერდზე დაწოლა (1). *ტახტზე მიწვა. ბავშვს მიუნვა.*

**მინოლა**[2] *მინოლის* (მიანვება) 1. ძალის გამოყენება რაიმეს დაძვრის, გადაადგილების მიზნით. *მანქანას მიანვნენ.* 2. ჟარგ. შეტევაზე გადასვლა, დამუქრება. *რა ვქნა, ბიჭები მანვებიან!*

**მინურვა** *მინურვის* (მიინურება) თვის, წლისა და მისთ. დასასრულის მოახლოება. *ზაფხული მიინურა. ორი კვირა მიინურა. იანვარიც მიინურა.*

**მინური** *მინურის* 1. მინაში ამოთხრილი და მინითვე გადახურული სადგომი (ადამიანისა, პირუტყვისა). *მინური ქოხი. მინური ფარეხი.* 2. მინით დაფარული. *მინური იატაკი. მინური სახურავი.*

**მინურული** *მინურულის* გარკვეული დროის დასასრული. *თამაშის მინურული. ტაიმის მინურული.*

**მინყდომა** *მინყდომის* (მინყდება, მიანყდება) 1. რაიმეზე მიხეთქება. *ტალღა ნაპირს მიანყდა. ქარი კლდეს მიანყდა.* 2. ბევრის ერთბაშად მისვლა, მიცვენა. *ხალხი მაღაზიებს მიანყდა. ბავშვები სანახაობას მიანყდნენ.* 3. ხმაურის, სიმღერისა და მისთ. თანდათან მინელება, შეწყვეტა. *მუსიკის ხმა მინყდა. ჩოჩქოლი მინყდა.*

**მინყვა** *მინყვის* (მიუნყავს) 1. აწონვით, აწყვით რაიმეს მიცემა. *ხორბალს მიუნყავს.*

**მინყნარება** *მინყნარების* (მიანყნარებს, მინყნარდება) ცოტათი დაწყნარება, მიჩუმება, დამშვიდება, დაშოშმინება. *ხალხი მინყნარდა.*

**მინყობა** *მინყობის* (მიანყობს, მიუნყობს, მიენყობა) საგნების, ნივთების ერთმანეთის გვერდიგვერდ მილაგება. *ფიჩხი თონესთან მიაწყო. სკამები კუთხეში მიანყო.* ■ **მინყობილი** რაც მიანყვეს. *მინყობილი შეშა.*

**მიჭედება** *მიჭედების* (მიაჭედებს) იგივეა, რაც **დაჭედება**. *ლურსმანი კედელზე მიაჭედა.* ■ **მიჭედებული** რაც მიაჭედეს. *მიჭედებული ჩარჩო.*

**მიჭენება** *მიჭენების* (მიაჭენებს, მიჭენდება) ჭენებით მისვლა ან მიყვანა. *ცხენი მიაჭენა.*

**მიჭერა** *მიჭერის* (მიაჭერს, მიიჭერს) თითით, ხელითა და მისთ. რაიმეზე მინოლა. *ზარის ღილაკს თითი მიაჭირა. შუბლზე ხელი მიიჭირა.*

**მიჭეჭყვა** *მიჭეჭყვის* (მიჭეჭყავს, მიაჭეჭყავს, მიუჭეჭყავს, მიიჭეჭყება) იგივეა, რაც **დაჭეჭყვა**. *მანქანა მიუჭეჭყა.*

**მიჭრა** *მიჭრის* (მიიჭრება, მიეჭრება) 1. სადმე, ვინმესთან ან რაიმესთან სწრაფად მისვლა, მირბენა, მივარდნა. *კაცი კართან მიიჭრა.* 2. ვინმესთან საჩხუბრად მივარდნა. *ქალი მეზობელს სახლში მიეჭრა.*

**მიჭყლეტა** *მიჭყლეტის* (მიჭყლეტს, მიიჭყლეტს, მიიჭყლიტება) რაიმეზე მინოლით გაჭყლეტა, გასრესა. *კედელზე მიაჭყლიტა.* ■ **მიჭყლეტილი** რაც მიჭყლიტეს. *ცხვირი ფანჯრის მინაზე აქვს მიჭყლეტილი.*

**მიხაკ-დარიჩინი** *მიხაკ-დარიჩინის* სანელებლები – მიხაკი (2) და დარიჩინი. *მიხაკ-დარიჩინით ვაჭრობს.*

**მიხაკი** *მიხაკის* 1. ბაღის მრავალწლოვანი მცენარე, აქვს წვრილი ღერო, ვინრო ფოთლები და სურნელოვანი, მსხვილი, წითელი ან თეთრი ყვავილი. 2. გავრცელებული სურნელოვანი სანელებელი, ტროპიკული მიხაკის ხის გამხმარი კოკრები.

**მიხარება** *მიხარების* (მიახარებს) იგივეა, რაც **ხარება** (1). *დედას ახალი ამბავი მიახარა.*

**მიხატვა** *მიხატვის* (მიახატავს) ფურცლის ნაპირზე ან დასრულებულ ნახატზე მცირე დეტალის დამატება. ■ **მიხატული** რაც მიახატეს. *წერილის ბოლოს ყვავილია მიხატული.*

**მიხედვა** *მიხედვის* (მიხედავს, მიიხედავს, მიუხედავს) 1. გვერდით ან უკან თვალის მიპყრობა. *გვერდზე*

*მიიხედე! უკან მიახედა.* 2. ვინმეს მოვლა-პატრონობა, ყურადღების მიქცევა. *დაჭრილებს მიხედეს. ქვეყანას კარგად მიხედავენ. წიწილებს მიხედეთ!*

**მიხედვით** თანდ. (+ ნათ.) გათვალისწინებით, შესაბამისად. *სახელმძღვანელოს მიხედვით სწავლობენ. სიტყვები ანბანის მიხედვით არის დალაგებული.*

**მიხედ-მოხედვა** *მიხედ-მოხედვის* (მიიხედ-მოიხედავს) აქეთ-იქით ყურება. *გადასასვლელზე მიიხედ-მოიხედე. ვაგონიდან გამოვიდა და მიიხედ-მოიხედა.*

**მიხეთქება** *მიხეთქების* (მიახეთქებს, მიეხეთქება) მთელი ძალით მინარცხება, მიჯახება, მისკდომა. *ქარმა კარი მიახეთქა. ნავი ჯებირს მიეხეთქა.*

**მიხვედრა** *მიხვედრის* (მიხვდება, მიუხვდება) რაიმეს გაგება, გამოცნობა, გააზრება. *ბავშვი ყველაფერს მიხვდა. ტყუილს მიუხვდა.*

**მიხვედრება** *მიხვედრების* (მიახვედრებს) ვინმესთვის რაიმეს გაგებინება, საშუალების მიცემა, რომ გაიაზროს. *ქალმა შვილს ვერაფერი მიახვედრა.*

**მიხვედრილი** *მიხვედრილის* მიხვედრის უნარის მქონე, ადვილად გამგები. *მიხვედრილი ბავშვი.*

**მიხვედრილობა** *მიხვედრილობის* მიხვედრის უნარი. *მიხვედრილობა ახასიათებს.*

**მიხვევა** *მიხვევის* (მიახვევს, მიუხვევს, მიეხვევა) 1. იგივეა, რაც დახვევა (2). *გულწასულს ხალხი მიეხვია. ბავშვები ბაბუას მიეხვივნენ.* 2. იგივეა, რაც გახვევა[1]. *მძღოლმა მარჯვნივ მიუხვია.*

**მიხვეულ-მოხვეული** *მიხვეულ-მოხვეულის* დაკლაკნილი, ბევრი მოსახვევის მქონე. *მიხვეულ-მოხვეული ბილიკი.*

**მიხლა** *მიხლის* (მიახლის, მიეხლება) 1. მთელი ძალით მიხლა, მიხეთქება. *თავი კედელს მიახალა.* 2. გადატ. პირდაპირ, მოურიდებლად რაიმეს თქმა. *ყველაფერი მიახალა.*

**მიხმარება** *მიხმარების* (მიახმარებს, მიიხმარებს, მიეხმარება) იგივეა, რაც დახმარება. *დედა შვილს მიეხმარა.*

**მიხმობა**[1] *მიხმობის* (მიახმება) რაიმეზე გახმობა. *ვაშლს ნაყოფი მიახმა. ტალახი კედელს მიახმა.*

**მიხმობა**[2] *მიხმობის* (მიიხმობს) თავისთან დაძახება, მინვევა. *მეგობარი ოთახში მიიხმო.*

**მიხოხება** მიახოხებს, მიხოხდება) ხოხვით მისვლა. *ბავშვი სავარძელთან მიხოხდა.*

**მიხრა-მოხრა** *მიხრა-მოხრის* ტანის რხევა სიარულის დროს, მოძრაობის მანერა. *ლამაზი მიხრა-მოხრა.*

**მიხრახნა** *მიხრახნის* ჭანჭიკის დამაგრება სპეციალური ხელსაწყოთი. *კარს სახელური მიახრახნა.*

**მიხრჩობა** *მიხრჩობის* (მიახრჩობს) იგივეა, რაც მოხრჩობა. *კაცი კინალამ მიახრჩო.*

**მიხრწნა** *მიხრწნის* (მიიხრწნება) სიბერისგან დასუსტება, ღონის გამოცლა, დაუძლურება. *მოხუცი მიიხრწნა.*

**მიხრწნილი** *მიხრწნილის* ძალიან ხნიერი, ღრმად დაბერებული (ადამიანი). *მიხრწნილი კაცი.*

**მიხტომა** *მიხტომის* (მიახტება, მიუხტება) 1. ახტომა და სადმე, რაიმეზე მიჯდომა, მისკუპება. *რწყილი კედელს მიახტა.* 2. გადატ. ვინმესთან საჩხუბრად მისვლა, მივარდნა. *გაბრაზებული კაცი მეზობელს მიუხტა.*

**მიხურვა** *მიხურვის* (მიხურავს, მიიხურავს, მიიხურება) იგივეა, რაც დახურვა (1). *კარი მიხურა.* ■ **მიხურული** რაც მიხურეს ან მიიხურა. *მიხურული ფანჯარა.*

**მიხუტება** *მიხუტების* (მიიხუტებს, მიეხუტება) იგივეა, რაც ჩახუტება. *ბავშვი მიიხუტა. მამას მიეხუტა.* ■ **მიხუტებული** ვინც მიეხუტა ან მიიხუტეს. *დედასთან მიხუტებული იჯდა.*

**მიხუჭვა** *მიხუჭვის* (მიხუჭავს, მიეხუჭება) იგივეა, რაც დახუჭვა. *თვალები მიეხუჭა.*

**მიჯაჭვა** *მიჯაჭვის* (მიაჯაჭვავს, მიეჯაჭვება) 1. ჯაჭვით მიბმა. *დამნაშავე ბოძს მიაჯაჭვეს.* 2. გადატ. ძალიან შეჩვევა, როდესაც ვინმეს ან რაიმეს გარეშე ყოფნა, არსებობა არ შეუძლიათ. *კომპიუტერს მიეჯაჭვა. მშობლებს მიეჯაჭვა.* ■ **მიჯაჭვული** ვინც ან რაც მიეჯაჭვა. *მიჯაჭვული პატიმარი. საწოლს მიჯაჭვული ავადმყოფი.*

**მიჯახება** *მიჯახების* (მიაჯახებს, მიეჯახება) მთელი ძალით მირტყმა, მიხეთქება, დაჯახება. *მანქანა ბოძს მიაჯახა. ბიჭი კედელს მიეჯახა.*

**მიჯახუნება** *მიჯახუნების* (მიაჯახუნებს, მიეჯახუნებს, მიუჯახუნებს, მიჯახუნდება) ჯახუნით მიხურვა. *კარი მიუჯახუნა.*

**მიჯდომა** *მიჯდომის* (მიჯდება, მიაჯდება, მიუჯდება) 1. დაჯდომა ვინმეს ან რაიმეს ახლოს, გვერდით. *ბუხართან მიჯდა. დედას მიუჯდა.* 2. რაიმეს გასაკეთებლად მომზადება და დაჯდომა. *ხელსაქმეს მიუჯდა. წერილს მიუჯდა.*

**მიჯვნა** *მიჯვნის* (მიჯნავს, იმიჯნება, ემიჯნება) ↑ გამიჯვნა. *სადავო ტერიტორიას მიჯნავენ.*

**მიჯნა** *მიჯნის* ზღვარი, საზღვარი. *მიჯნა გააველეს.*

**მიჯნური** *მიჯნურის* ძვ. ადამიანი, რომელიც ვინმეს ეტრფის, შეყვარებული. *მიჯნურის წერილი.*

**მიჯნურობა** *მიჯნურობის* ძვ. ქალ-ვაჟთა სიყვარული. *მიჯნურობის სენი.*

**მიჯრა** *მიჯრის* 1. ერთმანეთთან ძალიან მიახლოება, შემჭიდროება. *წიგნებს მიჯრის.* ▲ **მიჯრით ზმნზ.** ერთმანეთთან ძალიან ახლოს, მჭიდროდ, მიყოლებით. *სახლები მიჯრით იდგა.* ■ **მიჯრილი** ერთმანეთთან ძალიან ახლოს მყოფი, მჭიდროდ მინყობილი. *მიჯრილი სკამები.*

**მკა** *მკის* (მკის, იმკის, უმკის, იმკება) ↑ მომკა. *მკა დაიწყო. პურს მკიან.*

**მკათათვე** *მკათათვის* ძვ. ივლისი. *მკათათვეში იქორწინეს.*

**მკაფიო** *მკაფიოს* გამოკვეთილი, კარგად დასანახი, კარგად გასაგები. *მკაფიო სურათი. მკაფიო აზრები. მკაფიო მეტყველება.* ▲ **მკაფიოდ** ზმნზ. გამოკვეთილად, გასაგებად. *მკაფიოდ თქვა.*

**მკაცრი** *მკაცრის* 1. ვინც დამთმობი არ არის, მეტისმეტად მომთხოვნი. *მკაცრი მშობლები. მკაცრი მასწავლებელი.* 2. მძიმე, სასტიკი. *მკაცრი პირობები. მკაცრი განაჩენი.* 3. ძალიან ცივი, სუსხიანი. *მკაცრი ზამთარი. მკაცრი კლიმატი.* ▲ **მკაცრად** ზმნზ. მძიმედ, სასტიკად. *მკაცრად დასჯეს.*

**მკბენარა** *მკბენარას* რაც იკბინება. *მკბენარა ცხენი.*

**მკბენარი** *მკბენარის* ევფ. ტილი. *მკბენარი დაესია.*

**მკერავი** *მკერავის* ხელოსანი, რომელიც ტანსაცმელს კერავს. *მკერავის სახელოსნო.*

**მკერდი** *მკერდის* 1. ტანის ზედა წინა ნაწილი ლავიწებიდან მუცლამდე. *მკერდზე მიიკრა.* 2. ქალის ძუძუები და მკერდის ზედა ნაწილი. *ლამაზი მკერდი.*

**მკვახე** *მკვახის* 1. დაუმწიფებელი. *მკვახე ვაშლი.* ↔ მწიფე. 2. გადატ. უხეში, მოურიდებელი. *მკვახე პასუხი დაუბრუნა.* ▲ **მკვახედ** ზმნზ. უხეშად, მოურიდებლად. *მკვახედ მიუგო.*

**მკვდარი** *მკვდრის* ვინც, რაც მოკვდა ან მოკლეს. *მკვდარი კაცი. მკვდარი ცხენი.*

**მკვეთრი** *მკვეთრის* 1. იგივეა, რაც მკაფიო. *მკვეთრი გამოსახულება.* ▲ **მკვეთრად** ზმნზ. მკაფიოდ. *მკვეთრად ჩანს.*

**მკვეხარა** *მკვეხარას* ვინც ხშირად იკვეხნის, ტრაბახობს, ტრაბახა. *მკვეხარა კაცი.*

**მკვიდრი** *მკვიდრის* 1. ქვეყნის, ქალაქისა და მისთ. ადგილობრივი მოსახლე. *ამ სოფლის მკვიდრი.* 2. მტკიცე, მაგარი. *მკვიდრი საძირკველი.* 3. ალალი, უახლოესი (ნათესავი). *მკვიდრი ბიძაშვილი.*

**მკვიდრობა** *მკვიდრობის* (მკვიდრობს) სადმე მუდმივი ყოფნა, ცხოვრება. *ჩვენი წინაპრები აქ მკვიდრობდნენ.*

**მკვირცხლი** *მკვირცხლის* სწრაფი, მარდი, მოძრავი. *მკვირცხლი ბავშვი.* ▲ **მკვირცხლად** ზმნზ. სწრაფად, მარდად. *მკვირცხლად ახტა ხეზე. მკვირცხლად ჩამოირბინა.*

**მკვლევარი** *მკვლევრის* პირი, რომელიც სამეცნიერო კვლევა-ძიებას ეწევა. *მკვლევართა თვალსაზრისი.*

**მკვლელი** *მკვლელის* ვინც ვინმე მოკლა. *მკვლელი დააკავეს.*

**მკვლელობა** *მკვლელობის* ვინმეს სიცოცხლის მოსპობა, მოკვლის ფაქტი. *მკვლელობა ჩაიდინა. პროკურატურა მკვლელობას იძიებს.*

**მკვრივი** *მკვრივის* მჭიდრო, მყარი, მტკიცე. *მკვრივი სხეული. მკვრივი ნივთიერება.*

**მკივანა** *მკივანას* 1. ვინც ან რაც კივის. *მკივანა მიკიოტი.* 2. კივილისთვის დამახასიათებელი, კივილისას გამოცემული. *მკივანა ხმა.*

**მკითხავი** *მკითხავის* ადამიანი, რომელიც სხვადასხვა ხერხით (კარტის გაშლით, ჯადოქრული წესების შესრულებით) ვითომ წინასწარ იგებს ვინმეს მომავალს, ბედს. *მკითხავებთან დაიწყო სიარული.*

**მკითხაობა** *მკითხაობის* (მკითხაობს) მომავლის წინასწარ გაგება, მოსალოდნელი მოვლენების წინასწარმეტყველება. *დედა-შვილი მკითხაობს.*

**მკითხველი** *მკითხველის* პირი, რომელიც სისტემატურად კითხულობს. *მწერალმა უპასუხა მკითხველთა შეკითხვებს. ბიბლიოთეკის მკითხველები.*

**მკლავი** *მკლავის* 1. ხელის ნაწილი მხრიდან მაჯამდე. *მკლავები გაშალა. მკლავზე ჩამოეკიდა. მკლავში ღონე გამომელია.* 2. იგივეა, რაც სახელო. *პერანგს განიერი მკლავები აქვს.*

**მკლავმაგარი** *მკლავმაგარის* ძლიერი, მაგარი კუნთების მქონე. *მკლავმაგარი ბიჭები.*

**მკრეხელი** *მკრეხელის* ცოდვის მოქმედი, ვინც მკრეხელობს. *მკრეხელის ნათქვამი.*

**მკრეხელობა** *მკრეხელობის* (მკრეხელობს) ღვთის გმობა, ღვთის საგმობი საქციელი. *მკრეხელობა დიდი ცოდვაა.*

**მკრთალი** *მკრთალის* არამკვეთრი, ოდნავ შესამჩნევი. *მკრთალი სხივი. მკრთალი ფერები.* ▲ **მკრთალად** ზმნზ. არამკვეთრად, ოდნავ შესამჩნევად. *მკრთალად ანათებს. მკრთალად წერია.*

**მკურნალი** *მკურნალის* იგივეა, რაც ექიმი. *ოჯახის მკურნალი.*

**მკურნალობა** *მკურნალობის* (მკურნალობს) სამედიცინო ან სხვა საშუალებების გამოყენება დაავადების საწინააღმდეგოდ. *მკურნალობა ჩაიტარა. მზის აბაზანებით მკურნალობს.*

**მლაშე** *მლაშის* ზედმეტი მარილის შემცველი. *მლაშე წყალი. მლაშე საჭმელი.*

**მლაშობი** *მლაშობის* მლაშე ნიადაგი ან სველი ადგილი. *პირუტყვი მლაშობს ეტანება.*

**მლესავი** *მლესავის* ვინც ლესავს. *დანების მლესავი.*

**მლიქვნელი** *მლიქვნელის* ვინც გადაჭარბებულად აქებს, თავს ერთგულად აჩვენებს იმათ, ვისგანაც სარგებელს მოელის (უფროსებს, თანამდებობით ზემდგომ პირებსა და მისთ.). *მლიქვნელი კაცი. მლიქვნელი თანამშრომელი.*

**მლიქვნელობა** *მლიქვნელობის* (მლიქვნელობს) მლიქვნელის ქცევა. *მლიქვნელობა ახასიათებს. დირექტორთან მლიქვნელობს.*

**მლოცველი** *მლოცველის* ვინც ლოცულობს. *მლოცველებმა დაიჩოქეს.*

**მმართველი** *მმართველის* პირი, რომელიც მართავს, ხელმძღვანელობს რაიმეს (ორგანიზაციას, ქვეყანასა და მისთ). *ბანკის მმართველი. ქვეყნის მმართველი. საქმეთა მმართველი.* შეცდომაა მართველი.

**მმართველობა** *მმართველობის* 1. დაწესებულების, ორგანიზაციისა და მისთ. ხელმძღვანელობა, გამგებლობა. *სკოლის მმართველობა ჩააბარეს.* 2. მართვის სისტემა. *მკაცრი მმართველობა. მმართველობის ორგანოები.* შეცდომაა მართველობა.

**მნათე** *მნათის* ეკლესიის მსახური, რომელიც სანთლებს ანთებს და ზარებს რეკავს.

**მნათობი** *მნათობის* ციური მანათობელი სხეული (მზე, მთვარე, ვარსკვლავი).

**მნე** *მნის* პირი, რომელიც განაგებს დაწესებულების, ორგანიზაციის სამეურნეო საქმეებს. *სკოლის მნე. მნემ ახალი ინვენტარი მოიტანა.*

**მნიშვნელობა** *მნიშვნელობის* 1. სიტყვის, საგნის, მოვლენის აზრი, შინაარსი. *ნათქვამის მნიშვნელობა. გადატანითი მნიშვნელობა.* 2. ღირებულება, დანიშნულება. *სწავლის მნიშვნელობა.*

**მნიშვნელოვანი** *მნიშვნელოვანის* 1. ზომით, შინაარსით, შესაძლებლობით დიდი. *მნიშვნელოვანი დახმარება. მნიშვნელოვანი ქალაქი.* 2. საგულისხმო, გასათვალისწინებელი, ანგარიშგასაწევი. *მნიშვნელოვანი შემთხვევა. მნიშვნელოვანი შენიშვნა.* ▲ **მნიშვნელოვნად** ზმნ. საგულისხმოდ, ანგარიშგასაწევად, საკმაოდ. *მნიშვნელოვნად გაიზარდა.*

**მოაგარაკე** *მოაგარაკის* აგარაკზე მყოფი დამსვენებელი. *მოაგარაკეები ერთობიან.*

**მოადგილე** *მოადგილის* თანამდებობის პირი, რომელიც უშუალოდ ექვემდებარება უფროსს და მისი არყოფნის დროს ცვლის მას. *დირექტორის მოადგილე. მინისტრის მოადგილე.*

**მოაზრება** *მოაზრების* (მოიაზრებს, მოიაზრება) მოფიქრება, გააზრება. *სწრაფად მოიაზრა.* ■ **მოაზრებული** ვინც ან რაც მოიაზრება. *განსხვავებულად აქვს მოაზრებული.*

**მოაზროვნე** *მოაზროვნის* 1. ვინც აზროვნებს. *მოაზროვნე პიროვნება.* 2. ძლიერი მეცნიერი, აზროვნების სფეროში წარმატებით მომუშავე, ბევრის მცოდნე და ბევრის შემქმნელი. *დიდი მოაზროვნე.*

**მოალერსე** *მოალერსის* ვინც ეალერსება, ვისაც ალერსი უყვარს. *მოალერსე მშობლები.*

**მოამაგე** *მოამაგის* სასიკეთო საქმეთა მოქმედი, ამაგდარი. *ქვეყნის მოამაგე. სოფლის მოამაგე.*

**მოამბე** *მოამბის* ძვ. რაიმე ამბის მომტანი, მთქმელი.

**მოარული** *მოარულის* ხალხში გავრცელებული. *მოარული ხმები.*

**მოარშიყე** *მოარშიყის* ვინც არშიყობს. *მოარშიყე ახალგაზრდები.*

**მოასპარეზე** *მოასპარეზის* ასპარეზობის მონაწილე. *მოასპარეზე გუნდი. მოასპარეზეთა წარმატება.*

**მოასფალტება** *მოასფალტების* (მოაასფალტებს) ასფალტით დაფარვა. *ქუჩების მოასფალტება დაიწყეს.* ■ **მოასფალტებული** რაც მოაასფალტეს. *მოასფალტებული გზები.*

**მოახლოება** *მოახლოების* (მოაახლოებს, მოიახლოებს, მოუახლოებს, მოახლოვდება, მოუახლოვდება) 1. ახლოს მოსვლა ან რაიმეს მოტანა. *უცნობი მომიახლოვდა. სახლს მოუახლოვდა.* 2. დროის, ვადისა და მისთ. ახლოს მოსვლა. *ღამე მოახლოვდა. ქირის გადახდის დრო მოახლოვდა. გამოცდები მოახლოვდა.* ■ **მოახლოებული** რაც ან ვინც მოახლოვდა. *მოახლოებული ზამთარი. მოახლოებული მატარებელი.*

**მოაჯირი** *მოაჯირის* აივნის, კიბისა და მისთ. ნაპირზე გავლებული ზღუდე. *რკინის მოაჯირი. ხის მოაჯირი.*

**მობათქაშება** *მობათქაშების* (მოაბათქაშებს) ბათქაშით დაფარვა. *კედლები მოაბათქაშეს.* ■ **მობათქაშებული** რაც მოაბათქაშეს. *მობათქაშებული ჭერი.*

**მობალახე** *მობალახის* რაც ბალახს ძოვს, ბალახობს. *მობალახე ნახირი. მობალახე ფარა.*

**მობანა** *მობანის* (მობანს, მოიბანს) სხეულიდან ჭუჭყის, სისხლისა და მისთ. მოცილება წყლით ან სხვა სითხით. *თვალების მობანა არ დაგავიწყდეს! ჭრილობა ხსნარით მოიბანა.*

**მობანე** *მობანის* მომღერალთა გუნდის წევრი, რომელიც ბანს ამბობს. *მობანეები უკან იდგნენ.*

**მობეზრება** *მობეზრების* (მოაბეზრებს, მოჰბეზრდება) რაიმეს მიმართ უარყოფითი დამოკიდებულების გაჩენა ერთფეროვნების, ხშირი გამეორების გამო. *ლოდინი მომბეზრდა. ასეთი ცხოვრება მოჰბეზრდა.* ■ **მობეზრებული** რაც ან ვინც მოჰბეზრდათ. *სიცოცხლე მობეზრებული აქვს. მობეზრებული საქმე.* ⊙ **თავს მოაბეზრებს** შეაწუხებს.

**მობერება** *მობერების* (მოაბერებს, მობერდება, მოუბერდება) ცოტათი დაბერება, სიბერის დატყობა. *დარდმა მოაბერა. უცებ მობერდა.* ■ **მობერებული** ვინც მობერდა. *მობერებული მშობლები.*

**მობილიზაცია** *მობილიზაციის* 1. თადარიგის სამხედრო ვალდებულთა გაწვევა არმიაში ომის გამოცხადებასთან დაკავშირებით. *საყოველთაო მობილიზაცია.* 2. გადატ. ძალების ან სახსრების თავმოყრა რაიმე ამოცანის გადასაწყვეტად. *არსებული რესურსების მობილიზაცია.*

**მობილიზება** *მობილიზების* იგივეა, რაც მობილიზაცია (2). *ყურადღების მობილიზება ვერ შეძლო.*

**მობილიზებული** *მობილიზებულის* მობილიზაციასთან დაკავშირებული, მობილიზაციის შედეგად მილებული. *მობილიზებული თანხები.*

**მობილური** *მობილურის* რაც ადვილად გადაადგილდება, მოძრავი. *მობილური დანადგარი. მობილური ტელეფონი.*

**მობინადრე** *მობინადრის* ბინადარი, მცხოვრები. *მეხუთე სართულზე ახალი მობინადრეები გადმოვიდნენ.*

**მობმა** *მობმის* (მოაბამს, მოიბამს, მოუბამს, მოებმება, მოაბმევინებს) 1. ↑ გამობმა (1). *თოკის მობმა. ერკემალს რქებზე თოკი მოაბეს.* 2. ↑ გამობმა (2). *ეს ხე ნაყოფს მოიბამს.* ■ **მობმული** რაც მოაბეს. *ბაწარი ჰქონდა მობმული.*

**მობნევა** *მობნევის* (მოაბნევს, მოიბნევა) მოფანტვა, სხვადასხვა ადგილას დაყრა. *ფერფლი მოაბნიეს.* ■ **მობნეული** რაც მოაბნიეს. *მობნეული მარცვალი ჩიტებმა აკენკეს.*

**მობოდიშება** *მობოდიშების* (მოიბოდიშებს, მოუბოდიშებს) ბოდიშის მოხდა. *სტუმრებს მოუბოდიშა. შერცხვენილმა მოიბოდიშა.*

**მობოშება** *მობოშების* (მოაბოშებს, მობოშდება) მაგრად შეკრულის, მოჭერილის ოდნავ მოშვება. *ლაგამს მობოშება დასჭირდა.*

**მობრეცა** *მობრეცის* (მობრეცს, მოიბრეცს, მოუბრეცს, მოიბრიცება, მოებრიცება) საგნის ან სხეულის უშნოდ გამრუდება, მოხრა. *მოხუცი სულ მოიბრიცა. სახე მოებრიცა. ტუჩები მობრიცა.* ■ **მობრეცილი** რაც ან ვინც მოიბრიცა. *მობრეცილი ცხვირი.*

**მობრუნება** *მობრუნების* (მოაბრუნებს, მოიბრუნებს, მოუბრუნებს, მობრუნდება, მოუბრუნდება) 1. მოტრიალება. *სწრაფად მობრუნდა. თავი მოაბრუნა.* 2. უკან დაბრუნება. *სახლში მობრუნდა.* 3. მძიმე მდგომარეობიდან გამოსვლა. *გულწასული ძლივს მოვაბრუნეთ.* ■ **მობრუნებული** ვინც მობრუნდა. *ქალაქიდან მობრუნებული.*

**მობრძანება** *მობრძანების* (მოაბრძანებს, მობრძანდება) პატივისც. მოსვლა, მოყვანა. *პრეზიდენტის მობრძანება აცნობეს. ნეფე-პატარძალი მანქანით მობრძანდა.*

**მობუზვა** *მობუზვის* (მოიბუზება) 1. სიცივისგან, ტკივილისგან, ემოციისგან მოკუნტვა, მოწყენა. *ბავშვები საცოდავად მოიბუზნენ. ბელურა მოიბუზა.* ■ **მობუზული** რაც ან ვინც მოიბუზა. *მობუზული ქათმები.*

**მობურვა** *მობურვის* (მობურავს, მოიბურავს, მოიბურება, მოებურება) 1. სხეულის ან თავის თავსაფრით, მოსასხამით დაფარვა. *თავშალი მოიბურა. პირბადე მოიბურა.* 2. იგივეა, რაც **დაბურვა**. *ცა ღრუბლებით მოიბურა. ტყე ნისლით მოიბურა.* ■ **მობურული** რაც მოიბურეს ან მოიბურა. *მობურული სახე.*

**მობღაუჭება** *მობღაუჭების* (მოებღაუჭება) რაიმეზე ხელით მოჭიდება. *სახელურს მოებღაუჭა.*

**მოგდება** *მოგდების* (მოაგდებს, მოიგდებს, მოუგდებს) 1. ნაჩქარევად, დაუდევრად, უხეშად მოცემა, დატოვება. *ჩანთა მომიგდო და წავიდა.* 2. ზურგზე ან მხრებზე რაიმეს მოდება ან მოხურვა. *შარფი მოიგდო.* 3. სითხის ზედაპირზე ქაფის, ცხიმისა და მისთ. გაჩენა. *რძემ ნაღები მოიგდო.*

**მოგება** *მოგების* (მოიგებს, მოუგებს) 1. სარგებლის ნახვა. *ფული მოიგო. მოვაჭრემ დიდი მოგება ნახა.* 2. გამარჯვება ბრძოლაში, შეჯიბრებაში. *გადამწყვეტი ბრძოლის მოგება. ფეხბურთელებმა მატჩი მოიგეს.* 3. შობა, გაჩენა (ითქმის საქონელზე). *ძროხამ ხბო მოიგო.* 4. პასუხის თქმა, პასუხის მოცემა. *კითხვაზე უცებ მომიგო.* ■ **მოგებული** რაც მოიგეს. *მოგებული თანხა.*

**მოგებება** *მოგებების* (მოაგებებს, მოეგებება) ვინმეს ან რაიმეს შესახვედრად მოსვლა ან სხვისი გამოგზავნა. *სტუმარს ეზოში მოეგება. ბავშვები მომაგებეს.*

**მოგელვება** *მოგელვების* (მოაგელვებს) ცხენის ლამაზად, შნოიანად ჭენებით მოყვანა. *თეთრი ცხენი მოაგელვა.*

**მოგერიება** *მოგერიების* (მოიგერიებს, მოუგერიებს) შეტევის, დარტყმის უკუგდება, თავიდან მოცილება. *მტერი მოიგერიეს. ბურთი მოიგერიეს.* ■ **მოგერიებული** რაც ან ვინც მოიგერიეს. *მოგერიებული შეტევა.*

**მოგვა** *მოგვის* (მოგვის, მოიგვება) იგივეა, რაც დაგვა. *ეზო მოგავა. ოთახები მოგავა.* ■ **მოგვილი** რაც მოგავეს. *მოგვილი სადარბაზო.*

**მოგვარე** *მოგვარის* ერთი გვარის ადამიანთაგან თითოეული დანარჩენების მიმართ. *ჩემი მოგვარე.*

**მოგვარება** *მოგვარების* (მოაგვარებს, მოიგვარებს, მოუგვარებს, მოგვარდება, მოუგვარდება, მოაგვარებინებს) მოწესრიგება, ბოლომდე მიყვანა. *საქმე მოაგვარა.* ■ **მოგვარებული** რაც მოაგვარეს. *მოგვარებული პრობლემა.*

**მოგეერდი** *მოგეერდის* ჭიდაობის ილეთი, მონააღმდეგის თეძოზე გადმოგდება. *მოგეერდით წამოიღო. მოგეერდი გაუკეთა.*

**მოგვიანებით** ზმნზ. ცოტა გვიან, ცოტა ხნის შემდეგ. *ჩვენც მოგვიანებით შემოგიერთდებით. წერილზე მოგვიანებით უპასუხა.*

**მოგვრა** *მოგვრის* (მოჰგვრის) 1. ვინმეს ან რაიმეს მოყვანა. *მეფეს ტყვეები მოჰგვარეს. ცხენი მოჰგვარეს.* 2. სევდის, სიხარულისა და მისთ. გამოწვევა. *ღიმილი მოჰგვარა. შიში მოჰგვარა. ჟრუანტელი მოჰგვარა.* ■ **მოგვრილი** რაც მოჰგვარეს.

*მოგვრილი სიამოვნება. მოგვრილი ნეტარება.*

**მოგზავნა** *მოგზავნის* (მოგზავნის, მოაგზავნის, მოუგზავნის) ვინმესთან გამოგზავნა სათვალთვალოდ. *ჯაშუშები მოუგზავნეს.* ■ **მოგზავნილი** ვინც მოგზავნეს. *მოგზავნილი კაცი.*

**მოგზაური** *მოგზაურის* პირი, რომელიც ამა თუ იმ ქვეყანაში, მხარეში მოგზაურობს. *ფრანგი მოგზაური. მოგზაურის ჩანაწერები.*

**მოგზაურობა** *მოგზაურობის* (მოგზაურობს) სხვადასხვა ქალაქში, ქვეყანაში, მხარეში ჩასვლა დათვალიერების, გაცნობის, შესწავლის მიზნით. *აღმოსავლეთში მოგზაურობს. მოგზაურობა უყვარს.*

**მოგიზგიზე** *მოგიზგიზის* რაც გიზგიზებს, ელვარედ ანთია. *მოგიზგიზე კოცონი.*

**მოგლეჯა** *მოგლეჯის* (მოგლეჯს, მოაგლეჯს, მოიგლეჯს, მოუგლეჯს, მოიგლიჯება, მოეგლიჯება) ძალით მოცლა, მოწყვეტა. *ბალახი მოგლიჯა. ქარმა ფარდულს კარი მოჰგლიჯა.* ■ **მოგლეჯილი** რაც მოგლიჯეს ან მოიგლიჯა. *მოგლეჯილი ხე.*

**მოგნება** *მოგნების* (მოაგნებს) ძებნის შედეგად პოვნა (აქ ან მანდ). *ადვილად ვერ მოგვაგნეს. მანქანას ეზოში მოაგნეს.*

**მოგონება** *მოგონების* (მოაგონებს, მოიგონებს, მოუგონებს, მოაგონდება) 1. წარსული ამბების გახსენება. *ტკბილი მოგონება. ბავშვობა მოიგონეს.* 2. იგივეა, რაც გამოგონება (1). *პატარებმა თამაში მოიგონეს.* 3. იგივეა, რაც გამოგონება (2). *ტყუილი მოიგონა. ჭორები მოუგონეს.*

**მოგონილი** *მოგონილის* ცრუ, გამოგონილი, არარეალური, მოჩვენებითი. *მოგონილი ამბავი.*

**მოგრეხა** *მოგრეხის* (მოგრეხს, მოიგრეხს, მოუგრეხს, მოიგრიხება, მოეგრიხება) გრეხით მოღრეცა. *ხელი მოუგრიხა. კისერი მოეგრიხა.* ■ **მოგრეხილი** რაც მოგრიხეს ან მოიგრიხა. *მოგრეხილი ცხვირი.*

**მოგროვება** *მოგროვების* (მოაგროვებს, მოიგროვებს, მოუგროვებს, მოგროვდება, მოუგროვდება, მოაგროვებინებს) 1. ერთ ადგილზე თავის მოყრა. *ფოთლები მოაგროვეს. ფიჩხი მოაგროვა. ხალხი მოგროვდა.* 2. განსაზღვრული მიზნისთვის ფულის, ხმებისა და მისთ. შეკრება. *საჭირო ქულები ვერ მოაგროვა. დიდი თანხა მოგროვდა.* ■ **მოგროვილი** რაც ან ვინც მოგროვდა ან მოაგროვეს. *მოგროვილი მასალა.*

**მოგრძო** *მოგრძოს* ოდნავ გრძელი. *მოგრძო კონვერტი. მოგრძო ჩანთა.*

**მოგუდვა** *მოგუდვის* (მოგუდავს, მოიგუდება) იგივეა, რაც გაგუდვა. *ძილში მოიგუდა.*

**მოგუდული** *მოგუდულის* 1. ვინც, რაც მოგუდეს, მოიგუდა. *მოგუდული ქალი.* 2. გადატ. ყრუ, დახშული (ხმა). *მოგუდული სიმღერა.*

**მოდა** *მოდის* ჩაცმა-დახურვისა და ქცევის სტილი, მანერა, რომელიც გარკვეულ პერიოდში არის მიღებული, გავრცელებული ამა თუ იმ საზოგადოებაში. *მოდას მისდევს. მოდაში შემოვიდა.*

**მოდავე** *მოდავის* პირი, რომელიც ვინმეს ედავება, ეკამათება. *მოდავეები დააწყნარეს.*

**მოდგმა** *მოდგმის* (მოდგამს, მოადგამს, მოიდგამს, მოუდგამს, მოიდგმება, მოედგმება) 1. ჩემკენ ან შენკენ დადგმა, გამოწევა. *სკამი აქეთ მოდგი.* 2. იგივეა, რაც მოშენება (1). *ერთი ოთახი მოადგა.* 3. საერთო წინაპრის შთამომავლობა. *აზნაურთა მოდგმა.*

**მოდგომა** *მოდგომის* (მოდგება, მოადგება, მოუდგება) 1. ჩემკენ ან შენკენ გამოწევა, დადგმა. *აქეთ მოდგა.* 2. მოულოდნელად, გაუთვალისწინებლად ვინმესთან ან რაიმესთან მოსვლა. *ექიმს გვიან მოადგა. ტურისტები სოფელს მოადგნენ.* 3. სითხის ზედაპირზე ცხიმის, ჭუჭყისა და მისთ. გაჩენა. *წყალს ქაფი მოადგა. რძეს ნაღები მოადგა.*

**მოდება** *მოდების* (მოსდებს, მოადებს, მოიდებს, მოუდებს, მოედება) რაიმეზე ისე მოჭიდება, რომ გამოებას, გამოედოს. *თოკს კაუჭი მოსდო.*

**მოდელი** *მოდელის* 1. ნაკეთობის სანიმუშო ეგზემპლარი. *მოდელების დათვალიერება.* 2. საგნის შემცირებული ნიმუში. *მანქანის მოდელი.* 3. პირი, რომელიც დიზაინერის მიერ შექმნილ ტანსაცმელს ან ფეხსაცმელს წარადგენს. *მოდელები სცენაზე გამოვიდნენ.*

**მოდელიერი** *მოდელიერის* ტანსაცმლის ნიმუშების, რაიმე ნაკეთობის მოდელის დამზადების სპეციალისტი. *ცნობილი მოდელიერი.*

**მოდემი** *მოდემის* კომპიუტერის პერიფერიული მოწყობილობა, გამოიყენება ასეთივე მოწყობილობით აღჭურვილ სხვა კომპიუტერებთან კავშირის დასამყარებლად სატელეფონო ან საკაბელო ქსელის საშუალებით.

**მოდენა**[1] *მოდენის* (მოადენს, მოიდენს, მოედინება) 1. სითხის ძალდატანებით გამოსვლა. *ოფლი მოიდინა. თვალზე ცრემლს მოადენს.* 2. ხმაურით დაცემა. *ზღართანი მოადინა.*

**მოდენა**[2] *მოდენის* (მოდენის) საქონლის მორეკვა. *ძროხებს მოდენის.*

**მოდერნიზაცია** *მოდერნიზაციის* განახლება (2) თანამედროვე მოთხოვნათა შესაბამისად. *ქარხნის მოდერნიზაცია.*

**მოდერნიზებული** *მოდერნიზებულის* მოდერნიზაციის შედეგად მიღებული, განახლებული. *მოდერნიზებული საწარმო.*

**მოდიდო** *მოდიდოს* რაიმეზე ცოტათი დიდი. *მოდიდო სა ზამთრო.*

**მოდრეიფე** *მოდრეიფის* ზღვის ზედაპირზე მოტივტივე. *მოდრეიფე ყინული.*

**მოდრეკა** *მოდრეკის* (მოდრეკს, მოიდრეკს, მოუდრეკს, მოიდრიკება, მოედრიკება, მოადრეკინებს) მოხრა, მოღუნვა. *მშვილდი მოდრიკა. წელში მოიდრიკა.*

მოდუდუნე *მოდუდუნის* ვინც ან რაც დუდუნებს. *მოდუდუნე წყალი.*

მოდული *მოდულის* 1. ზოგიერთი კოეფიციენტის სახელწოდება. 2. რიცხვი, რომელზეც უნდა გავამრავლოთ ერთი სისტემის ლოგარითმი მეორე სისტემის ლოგარითმის მისაღებად. 3. სწავლების დამოუკიდებელი მიმართულება, რომელიც მონათესავე საგნებს აერთიანებს. *ჰუმანიტარული მოდული. ფიზიკის მოდული. ტრენინგის მოდული.*

მოდუნება *მოდუნების* (მოადუნებს, მოუდუნებს, მოდუნდება, მოუდუნდება) 1. სიმხნევის, ენერგიის მოკლება ან დაკარგვა. *სიცხისგან მოდუნდა.* 2. დუნედ გახდომა, ქცევა. *ყურადღება მოადუნა. სხეული მოადუნა. გულის კუნთის მოდუნება.* ■ მოდუნებული ვინც, რაც მოდუნდა ან მოადუნეს. *მოდუნებული სიარული. მოდუნებული კიდურები.*

მოდური *მოდურის* რაც მოდაშია, მოდის შესაფერისი. *მოდური ვარცხნილობა. მოდური ფეხსაცმელი.*

მოდუღება *მოდუღების* (მოადუღებს, მოიდუღებს, მოუდუღებს, მოდუღდება) დუღილით რაიმეს მომზადება. *ყავის მოდუღება. მურაბა მოადუღეს.* ■ მოდუღებული რაც მოადუღეს. *კარგად მოდუღებული.*

მოდღლეზილი *მოდღლეზილის* 1. ჟარგ. დიდი, უშველებელი. *მოდღლეზილი ბიჭები იცავენ.*

მოედანი *მოედნის* 1. ქალაქის, დაბისა და მისთ. ნაწილი, გაშლილი სივრცე, სწორი ადგილი. *ჩვეულებრივ, მომრგვალებული ფორმისა. მოედნის შუაგული. ქალაქის მოედანი.* 2. ერცელი, სწორი ადგილი საავარჯიშოდ, სათამაშოდ და მისთ. *ფრენბურთის მოედანი.*

მოელვარე *მოელვარის* იგივეა, რაც ელვარე. *მოელვარე მზე.*

მოვალე *მოვალის* 1. პირი, რომელსაც რაიმე ევალება. *მოვალეა ყველა მოთხოვნა გაითვალისწინოს.* 2. პირი, რომელსაც ვინმეს ვალი აქვს. *მოვალემ ფული ვერ დაუბრუნა.*

მოვალეობა *მოვალეობის* რაც ევალება, რაც აუცილებლად უნდა აღასრულოს. *მშობლების მოვალეობა. თავის მოვალეობას ასრულებს.*

მოვარაყება *მოვარაყების* (მოავარაყებს, მოვარაყდება) ოქროს ან ვერცხლის თხელი ფენით მორთვა, ვარაყით შემკობა. *წიგნის ყდა მოავარაყეს. ეკლესიის გუმბათი მოავარაყეს.* ■ მოვარაყებული რაც მოავარაყეს. *მოვარაყებული სარკე. მოვარაყებული ხანჯალი.*

მოვარდნა *მოვარდნის* (მოვარდება, მოუვარდება) 1. დიდი სისწრაფით მოსვლა, მორბენა. *ქალი აღელვებული მოვარდა. სკოლიდან გახარებული მოვარდა.* 2. ვინმესთან საჩხუბრად, საკამათოდ და მისთ. მოსვლა, დაძგერება. *ძალლი ყეფით მომვარდა. ყვირილით მომვარდა.* 3. წყლის ნაკადის, მეწყრის დიდი ძალით მოსვლა. *მდინარე მოვარდა.* ■ მოვარდნილი რაც ან ვინც მოვარდა. *ზღვიდან მოვარდნილი ქარი.*

მოვარვარე *მოვარვარის* რაც ვარვარებს. *მოვარვარე ლითონი.*

მოვაჭრე *მოვაჭრის* ვინც ვაჭრობს, ყიდულობს და ყიდის. *მოვაჭრის დახლი. ყველით მოვაჭრე.*

მოვერცხვლა *მოვერცხვლის* (მოვერცხლავს, მოივერცხლება) ნაკეთობის ვერცხლით დაფარვა. *ქარქაშის მოვერცხვლა. სამკაულები მოვერცხლეს.*

მოვერცხლილი *მოვერცხლილის* რაც მოვერცხლეს. *მოვერცხლილი ბეჭედი.*

მოვლა[1] *მოვლის* (მოუვლის, მოევლება, მოავლევინებს) 1. ვინმეზე ზრუნვა, პატრონობა. *ავადმყოფის მოვლა. ოჯახს ვერ მოუარა.* 2. გადატ. არეული საქმის, მდგომარეობის გამოსწორება. *ყველაფერს მოევლება. პრობლემებს ასე არ მოევლება.*

მოვლა[2] *მოვლის* (მოივლის, მოუვლის) 1. დიდი მანძილის გავლა, ბევრი ადგილის მონახულება. *მსოფლიო მოიარა. საქართველო ფეხით მოიარა.* 2. იგივეა, რაც შემოვლა (2). *მარცხნიდან მოუარა. შენობას მოუარა.* 3. რაიმე სურვილის, ახირების, შეგრძნებისა და მისთ. გაჩენა. *სიგიჟემ მოუარა. წასვლის სურვილმა მოუარა.* ■ მოვლილი რაც მოიარეს. *მთელი ევროპა მოვლილი აქვს.*

მოვლება *მოვლების* (მოავლებს, მოივლებს) 1. იგივეა, რაც მოკიდება (2). *ხელი მოავლო.* 2. იგივეა, რაც შემოვლება (1). *ეზოს ღობე მოავლო.*

მოვლენა *მოვლენის* რაიმე ამბავი, შემთხვევა. *სტიქიური მოვლენები. მნიშვნელოვანი მოვლენა.*

მოვლინება *მოვლინების* (მოავლენს, მოევლინება) 1. საგანგებო დავალებით გამოგზავნა. *წარმომადგენლები მოავლინეს. შემოწმებაზე მოავლინეს. ელჩად მოავლინეს.* 2. გამორჩეული პიროვნების მოულოდნელად გამოჩენა გარკვეულ საზოგადოებაში. *მწერლობას მოევლინა. მხსნელად მოგვევლინა. ქვეყანას გმირად მოევლინა.* ■ მოვლინებული ვინც მოავლიეს ან მოევლინა. *ღვთისგან მოვლინებული. მოვლინებული მოსამართლე.*

მოზაიკა *მოზაიკის* წვრილად დამტვრეული ფერადი ქვებით, მინით, კერამიკული ფილებით შესრულებული გამოსახულება ან ორნამენტი. *მოზაიკის კედელი.*

მოზარდი *მოზარდის* 1. ვინც ან რაც იზრდება, ზრდის პროცესში მყოფი. *მოზარდი ახალგაზრდობა. მოზარდი მცენარე.* 2. ბავშვი სასკოლო ასაკიდან სრულწლოვანებამდე. *მოზარდებისთვის განკუთვნილი.*

მოზარე *მოზარის* ხმით, მოთქმით მოტირალი.

მოზელა *მოზელის* (მოზელს, მოიზელს, მოუზელს, მოაზელინებს) ფხვიერი ნივთიერების (ფქვილის,

მინის) წყალთან შერევითა და სრესით სქელი მასის მიღება. *ცომი მოზილეს. მჭადი მოზილა.* ■ მოზელილი რაც მოზილეს ან მოიზილა. *ცომი უკვე მოზელილია. მოზელილი თიხა.*

**მოზვავება** *მოზვავების* (მოზვავდება) I. ზვავად ჩამოწოლა. *თოვლი მოზვავდა.* 2. გადატ. ბევრის მოსვლა, თავშეყრა. *ხალხი მოზვავდა.*

**მოზვერი** *მოზვერის* ძროხის მამრი ნაშიერი ერთი წლიდან ხარად გახდომამდე. *გაწვრთნილი მოზვერი.*

**მოზიარე** *მოზიარის* I. პირი, რომელსაც სხვასთან საზიაროდ აქვს, სხვასთან ერთად ეკუთვნის რაიმე. *საზღვრის მოზიარე. მოსავალი მოზიარეებმა შუაზე გაიყვეს.* 2. პირი, რომელიც თანაუგრძნობს ვინმეს, იზიარებს მის მდგომარეობას. *მწუხარების მოზიარე. სიხარულის მოზიარე.*

**მოზიდვა** *მოზიდვის* (მოზიდავს, მოიზიდავს, მოუზიდავს, მოიზიდება, მოაზიდვინებს) I. ტვირთის რამდენიმე გზად, რამდენიმე ჯერზე მოტანა. *სამშენებლო მასალა მოზიდა.* 2. რაიმეს თავისკენ გამოწვევა. *ლაგამი მოზიდა. თმებით მოზიდა.* 3. ვინმეს (რაიმეს) დაინტერესება და თავისკენ წამოყვანა (წამოღება). *პარტნიორების მოზიდვა. ფინანსები მოიზიდეს.* ■ მოზიდული რაც მოზიდეს ან ვინც მოიზიდეს. *მოზიდული აგური. მოზიდული ინვესტიციები.*

**მოზნექა** *მოზნექის* (მოზნექს, მოიზნიქება) რაიმეს მოხრა, მოღუნვა. *ტოტი ხელით მოზნიქა.*

**მოზომება** *მოზომების* (მოაზომებს, მოიზომებს) ტანსაცმლის ან ფეხსაცმლის ჩაცმა იმის გასარკვევად, ერგება თუ არა. *კაბა მოვიზომე. შვილს შარვალი მოაზომა.*

**მოზომვა** *მოზომვის* (მოზომავს, მოუზომავს) I. იგივეა, რაც გაზომვა. *მიწები მოუზომეს.* 2. გადატ. ანონ-დანონა, ზომიერების დაცვა. *სათქმელი უნდა მოზომო.*

**მოზომილი** *მოზომილის* I. რაც მოზომეს. *მოზომილი ნაკვეთი.* 2. ზომიერი, გადაუჭარბებელი. *მოზომილი სიტყვა. მოზომილი ნაბიჯები.*

**მოზრდა** *მოზრდის* (მოზრდის, მოიზრდის, მოიზრდება, მოეზრდება) ცოტათი გაზრდა. *ბარტყები მოიზარდნენ. თმა მოეზარდა.*

**მოზრდილი** *მოზრდილის* I. ზრდასრული, ბავშვობის ასაკიდან გამოსული. *მოზრდილი ადამიანი.* 2. საკმაოდ დიდი. *მოზრდილი ქვაბი.*

**მოზღვავება** *მოზღვავების* (მოზღვავდება) ხალხის, საქმის, ფიქრისა და მისთ. დიდი რაოდენობით მოწოლა, თავმოყრა. *სტადიონზე მაყურებელი მოზღვავდა. ემოციები მომიზღვავდა.* ■ მოზღვავებული რაც მოზღვავდა. *მოზღვავებული ენერგია. მოზღვავებული ტემპერამენტი.*

**მოთავე** *მოთავის* რაიმე საქმის წამომწყები, ორგანიზატორი. *ყურნალის დაარსების მოთავე.*

**მოთავება** *მოთავების* (მოათავებს, მოითავებს, მოთავდება, მოუთავდება, მოათავებინებს) რაიმეს ბოლომდე მიყვანა, დამთავრება. *საქმე მალე მოითავა. სამხედრო სამსახური მოათავა.*

**მოთავეობა** *მოთავეობის* (მოთავეობს) მოთავედ ყოფნა, მეთაურობა. *კრებულის გამოცემას მოთავეობს.*

**მოთავსება** *მოთავსების* (მოათავსებს, მოუთავსებს, მოთავსდება, მოათავსებინებს) I. დაბინავება, განთავსება, ადგილზე განაწილება. *ბავშვები მეორე სართულზე მოათავსეს. კარგად მოვთავსდით. ავადმყოფი კლინიკაში მოათავსეს.* 2. სრულად ჩაწყობა, ჩატევა. *წიგნები ყუთებში მოათავსეს. ჭურჭელი კარადაში მოთავსდა.* ■ მოთავსებული რაც მოათავსეს. *დაჭრილი ჰოსპიტალშია მოთავსებული.*

**მოთათბირება** *მოთათბირების* (მოითათბირებს, მოეთათბირება) ერთად მოლაპარაკება, ერთ გადაწყვეტილებამდე მისვლა. *კომისიის წევრებმა მოითათბირეს. თანამშრომლებს მოეთათბირა.*

**მოთათუნება** *მოთათუნების* (მოითათუნებს, მოუთათუნებს) თათუნით ხელის მოსმა. *ბავშვს ხელი მოუთათუნა.*

**მოთამაშე** *მოთამაშის* ვინც თამაშობს. *ფეხბურთის მოთამაშე. მოთამაშეები დააჯილდოვეს.*

**მოთარეშე** *მოთარეშის* ვინც თარეშობს. *მოთარეშე რაზმები.*

**მოთაფვლა** *მოთაფვლის* (მოთაფლავს, მოუთაფლავს, მოითაფლება) ტკბილი სიტყვით, პირფერობით ვინმეს დაყოლიება, გულის მოგება. *ღიმილით მოთაფლა.* ■ მოთაფლული ვინც მოთაფლეს. *ტკბილეულით მოთაფლული პატარები.*

**მოთბო** *მოთბოს* ოდნავ თბილი, ნელთბილი. *მოთბო რძე. მოთბო საჭმელი.*

**მოთბობა** *მოთბობის* (მოითბობს, მოთბება) ოდნავ გათბობა, დათბობა. *მარტის ბოლოს ცოტა მოთბა.*

**მოთელვა** *მოთელვის* (მოთელავს, მოითელავს, მოითელება) I. მატყლის სპეციალური დამუშავება ქეჩის, მაუდისა და მისთ. მისაღებად. *ნაბადი მოთელეს.* 2. რეცხვისგან ნაქსოვის, ძაფის შემჭიდროვება, დაპატარავება. *შალი მოითელა.* 2. მსუბუქი გავარჯიშება. *მოთელვის დროს დაშავდა.* ■ მოთელილი რაც მოთელეს ან მოითელა. *მოთელილი თექა. მოთელილი ჯემპრი.*

**მოთენთვა** *მოთენთვის* (მოთენთავს, მოითენთება) ენერგიის, ძალ-ღონის გამოცლა, ზედმეტად მოდუნება. *ღვინომ მომთენთა. სიცხისგან მოითენთა.* ■ მოთენთილი ვინც მოითენთა. *დილიდან მოთენთილი ვარ.*

**მოთენთილობა** *მოთენთილობის* მდგომარეობა, როდესაც ადამიანი სისუსტეს, მოდუნებას, უღონობას გრძნობს. *მოთენთილობას უჩივის.*

**მოთვალთვალე** *მოთვალთვალის* ვინც ვინმეს ან რაიმეს უთვალთვალებს. *მოთვალთვალე ჯარისკაცი.*

**მოთვინიერება** *მოთვინიერების* (მოათვინიერებს, მოთვინიერდება) გაწვრთნა, თავის ნება-სურვილისთვის დამორჩილება, თვინიერად ქცევა. *სპილო მოათვინიერა. ბავშვი მოთვინიერდა.* ■ **მოთვინიერებული** რაც მოათვინიერეს. *მოთვინიერებული ლომი.*

**მოთიბვა** *მოთიბვის* (მოთიბავს, მოითიბება, მოათიბვინებს) იგივეა, რაც **გათიბვა**. *ბალახი მოთიბა.* ■ **მოთიბული** რაც მოთიბეს. *მოთიბული თავთავი. მოთიბული მინდვრები.*

**მოთლა** *მოთლის* (მოთლის, მოათლის, მოითლის, მოითლება, მოეთლება) რაიმედან თხელი ნაწილის ჩამოჭრა ბასრი იარაღით. *ყველს ერთი ნაჭერი მოათალა. ხეს ქერქს მოათლის.*

**მოთმენა** *მოთმენის* (მოითმენს, მოუთმენს, მოათმენინებს) ატანა, გაძლება, თავის შეკავება. *ტკივილი მოითმინა. შეურაცხყოფა არ მოითმინა. მეტის მოთმენა აღარ შემიძლია.*

**მოთმინება** *მოთმინების* მოთმენის უნარი. *მოთმინებით უსმენს.* ⊙ **მოთმინების ფიალა აევსება/მოთმინების ძაფი გაუწყდება** მეტის მოთმენას ვეღარ შეძლებს.

**მოთოკვა** *მოთოკვის* 1. ვინმეს დამორჩილება, მოთვინიერება. *ხალხი ვერ მოთოკეს. დიდებულები მოთოკა.* 2. გადატ. ძლიერი ემოციისგან თავის შეკავება. *თავი ძლივს მოვთოკე. ნერვები ვერ მოთოკა.*

**მოთოხნა** *მოთოხნის* (მოთოხნის, მოუთოხნის, მოითოხნება) პატარა ადგილის გათოხნა. *ხეებს ძირები მოუთოხნა.* ■ **მოთოხნილი** რაც მოთოხნეს. *მოთოხნილი ყანა.*

**მოთრევა** *მოთრევის* (მოათრევს, მოუთრევს, მოეთრევა, მოათრევინებს) 1. დიდი სიმძიმის გაჭირვებით, თრევით მოტანა. *კასრი ღობემდე ძლივს მიათრია.* 2. უპატივც. მოსვლა, მოყვანა ან მოტანა. *ეს ვინ მოთრეულა? ყველაფერს სახლში მოათრევს. ვილაც მოათრია.*

**მოთრეული** *მოთრეულის* 1. რაც ან ვინც მოათრიეს. *ზურგით მოთრეული შეშა.* 2. უპატივც. გადმოსახლებული, მოსული. *ახლად მოთრეული.* ⊙ **ყურით მოთრეული** მოგონილი, უსაფუძვლო.

**მოთუშვა** *მოთუშვის* (მოთუშავს, მოუთუშავს, მოითუშება) საკვების დაბალ ცეცხლზე მომზადება ცხიმსა და მცირეოდენ წყალში. *ხორცი ხახვში მოითუშა.* ■ **მოთუშული** რაც მოთუშეს. *მოთუშული სტაფილო. მოთუშული კომბოსტო.*

**მოთქმა** *მოთქმის* (მოთქვამს, მოითქვამს, მოათქმევინებს) 1. ხმამაღლა, სიტყვებით ტირილი. *მოთქმით ტირილი. ხმამაღლა მოთქვამს.* ⊙ **სულს მოითქვამს** ცოტათი დაისვენებს.

**მოთხვრა** მოთხვრის (მოთხვრის, მოითხვრის, მოუთხვრის, მოითხვრება, მოეთხვრება) საუბრ. იგივეა, რაც **მოთხუპნა**. *კაბა მოითხვარა. პირი მოეთხვარა. ნიკაპი მოითხვარა.* ■ **მოთხვრილი** რაც მოეთხვარათ. *მოთხვრილი შარვალი.*

**მოთხილამურე** *მოთხილამურის* სპორტსმენი, რომელიც თხილამურით სრიალებს. *მოთხილამურეთა შეჯიბრება.*

**მოთხოვნა** *მოთხოვნის* (მოსთხოვს, მოითხოვს, მოეთხოვება) 1. კატეგორიული თხოვნა. *კანონის დაცვას მოითხოვს. პირობის შესრულება მოითხოვა.* 2. ოფიციალური მიმართვა ვინმესადმი, ვისგანაც რაიმეს ითხოვენ. *ოპოზიციის მოთხოვნები.* პარონიმი მოთხოვნილება.

**მოთხოვნილება** *მოთხოვნილების* 1. იგივეა, რაც **საჭიროება**. *საკვების მოთხოვნილება. ყოველდღიური მოთხოვნილებები.* 2. სურვილი, რაიმეს ნდომა. *გართობის მოთხოვნილება.* პარონიმი მოთხოვნა.

**მოთხრა** *მოთხრის* (მოთხრის, მოითხრის, მოუთხრის, მოითხრება, მოათხრევინებს) 1. რაიმეს ძირფესვიანად ამოღება, ამოგდება. *ქარმა ხეები მოთხარა.* 2. გადატ. გალანძღვა, ზედმეტად გაკრიტიკება. *მეგობარი ერთიანად მოთხარა.* ■ **მოთხრილი** რაც მოთხარეს. *მოთხრილი ბუჩქი.*

**მოთხრობა** *მოთხრობის* (მოუთხრობს) 1. საშუალო მოცულობის თხრობითი ხასიათის მხატვრული ნაწარმოები. *საბავშვო მოთხრობა. მოთხრობების კრებული.* 2. ამბის მოყოლა, გადმოცემა. *ზღაპარს მოუთხრობს.*

**მოთხრობითი** *მოთხრობითის* გრამატ. სახელის ბრუნვის ერთ-ერთი ფორმა.

**მოთხუპნა** *მოთხუპნის* (მოთხუპნის, მოითხუპნის, მოუთხუპნის, მოითხუპნება, მოეთხუპნება) იგივეა, რაც **გათხუპნა**. *ცხვირ-პირი მოითხუპნა.* ■ **მოთხუპნილი/მოთხუპნული** რაც მოთხუპნეს. *მელნით მოთხუპნული თითები. ფაფით არის მოთხუპნილი.*

**მოიერიშე** *მოიერიშის* ვინც იერიშზე, შეტევაზე მიდის. *მოიერიშე რაზმები. მოიერიშე თვითმფრინავი.*

**მოიმედე** *მოიმედის* ვისაც იმედი აქვს, იმედის მქონე. *გამარჯვების მოიმედე.*

**მოიჯარე** *მოიჯარის* პირი, რომელსაც იჯარით, არენდით აქვს აღებული რაიმე. *მიწის ნაკვეთის მოიჯარე.*

**მოკავება** *მოკავების* (მოაკავებს, მოიკავებს) გარკვეული ტერიტორიის, ფართობის შემოზღუდვა, შემოღობვა. *ბოსტანი მოაკავა. ეზო მესრით მოაკავა.*

**მოკავშირე** *მოკავშირის* ვინც, რაც საერთო ინტერესებით, საერთო საქმით არის დაკავშირებული სხვასთან. *ფარული მოკავშირე. მოკავშირე სახელმწიფოები.*

**მოკაზმვა** *მოკაზმვის* (მოკაზმავს, მოუკაზმავს, მოიკაზმება, მოაკაზმვინებს) ვინმეს ან რაიმეს მორთვა. *ქალი მოიკაზმა. პატარძალი მოკაზმეს. ნაძვის ხე მოკაზმეს.* ▪ **მოკაზმული** ვინც ან რაც მოკაზმეს. *მოკაზმული ეტლი.*

**მოკაზმულობა** *მოკაზმულობის* იგივეა, რაც მორთულობა. *პატარძლის მოკაზმულობა.*

**მოკაკვა** *მოკაკვის* (მოკაკვავს, მოიკაკვავს, მოიკაკვება, მოაკაკვინებს) საუბრ. სხეულის ან მისი რომელიმე ნაწილის მოხრა, მოღუნვა. *ტკივილისგან მოიკაკვა. წელში მოიკაკვა.* ▪ **მოკაკული** რაც ან ვინც მოიკაკვა. *მოკაკული მოდიოდა.*

**მოკაკუნება** *მოკაკუნების* (მოაკაკუნებს, მოუკაკუნებს) I. მორტყმით კაკუნის ხმის გამოცემა. *კარზე მოაკაკუნეს. ფანჯარაზე მომიკაკუნა.* 2. გადატ. რაიმეს მოახლოება. *სიბერემ მომიკაკუნა. ზამთარმა მოაკაკუნა.*

**მოკალათება** *მოკალათების* (მოიკალათებს, მოკალათდება) მოხერხებულად დაჯდომა, მოწყობა. *საარძელში მოიკალათა. კაკლის ჩრდილში მოკალათდა.* ▪ **მოკალათებული** ვინც ან რაც მოკალათდა. *კატა ბუხართან იყო მოკალათებული.*

**მოკალვა** *მოკალვის* (მოკალავს, მოიკალება) ჭურჭლის კალით დაფარვა. *ქვაბები მოკალეს.* ▪ **მოკალული** რაც მოკალეს. *მოკალული თასი.*

**მოკამათე** *მოკამათის* პირი, რომელიც ვინმეს ეკამათება. *მოკამათეები გაცხარდნენ.*

**მოკამკამე** *მოკამკამის* რაც კამკამებს. *მოკამკამე ნაკადული.*

**მოკარება** *მოკარების* (მოაკარებს, მოიკარებს, მოეკარება) მოახლოება, შეხება. *არ მომეკარო! არავინ მომეკარა.*

**მოკარნახე** *მოკარნახის* I. ვინც ვინმეს კარნახობს. *მასწავლებელმა მოკარნახე დასაჯა.* 2. იგივეა, რაც სუფლიორი

**მოკატუნება** *მოკატუნების* (მოიკატუნებს) ◉ **თავის მოკატუნება** თავის მიამიტად, უცოდველად მოჩვენება.

**მოკაუჭება** *მოკაუჭების* (მოაკაუჭებს, მოუკაუჭებს) კაუჭივით მოხრა. *მავთულს ბოლოები მოუკაუჭა.*

**მოკაშკაშე** *მოკაშკაშის* რაც კაშკაშებს. *მოკაშკაშე ვარსკვლავი.*

**მოკანკრა** *მოკანკრის* (მოჰკანკრავს, მოიკანკრავს, მოეკანკრება) ფრჩხილით ან ბასრი საგნით დაკაწრა. *ჩვილმა ლოყა მოიკაწრა.*

მოკბეჩა

**მოკბეჩა** *მოკბეჩის* (მოკბეჩს) კბილებით ლუკმის. *ვაშლი მოკბიჩა.* ▪ **მოკბეჩილი** რაც მოკბიჩეს. *მოკბეჩილი მსხალი.*

**მოკეთე** *მოკეთის* ვინმესთვის სიკეთის მოსურნე, მის მიმართ კეთილად განწყობილი. *ბევრი მოკეთე ჰყავს.*

**მოკეთება** *მოკეთების* (მოიკეთებს) I. ავადმყოფის ცოტათი გამოკეთება (2). *მკურნალობის მერე მოიკეთა.* 2. ცოტათი გასუქება. *ქალმა სოფელში მოიკეთა.*

**მოკერება** *მოკერების* (მოაკერებს, მოუკერებს) ირგვლივ შემოკერება. *საყელო მოაკერა. კაბას არშია მოაკერა.* ▪ **მოკერებული** რაც მოაკერეს. *პალტოზე მოკერებული ბენზი.*

**მოკეტვა** *მოკეტვის* (მოკეტავს, მოიკეტავს, მოუკეტავს, მოიკეტება) I. კარის, ფანჯრისა და მისთ. მოხურვა. *მანქანის კარი მოკეტა.* 2. ჟარგ. ლაპარაკის შეწყვეტა. *ხმას ნუ იღებ, მოკეტე!*


მოკეცვა

**მოკეცვა** *მოკეცვის* (მოკეცავს, მოიკეცავს, მოიკეცება, მოეკეცება) I. იგივეა, რაც გაკეცვა. *პალტო მოკეცა.* 2. მოხრა, მოღუნვა. *ფეხი მოკეცა და ტახტზე დაჯდა. წელში მოიკეცა.* ▪ **მოკეცილი** ვინც ან რაც მოიკეცა. *მოკეცილი ფურცელი.*

**მოკვარახჭინება** *მოკვარახჭინების* (მოაკვარახჭინებს) საუბრ. საქმის მოხერხებულად მოგვარება (უმეტესად, არაკანონიერი გზით). *ყველაფერი უცებ მოაკვარახჭინა.*

**მოკვდავი** *მოკვდავის* ვინც, რაც აუცილებლად მოკვდება, ხორციელი. *ყველა სულდგმული მოკვდავია.*

**მოკვდომა** *მოკვდომის* (მოკვდება, მოუკვდება) სიცოცხლის დასრულება. *შვილი მოუკვდა. ძალიან ახალგაზრდა მოკვდა.*

**მოკვეთა** *მოკვეთის* (მო(ჰ)კვეთს, მოიკვეთს, მოიკვეთება, მოეკვეთება) I. ქირურგიული ჩარევით (ან დასჯის მიზნით) სხეულის რომელიმე ნაწილის მოცილება. *ფეხი მოჰკვეთეს. თავი მოჰკვეთა.* 2. იგივეა, რაც განკვეთა. *დამნაშავე ხალხმა მოკვეთა. სოფელმა მოიკვეთა.* ▪ **მოკვეთილი** რაც მოჰკვეთეს ან ვინც მოიკვეთეს. *მოკვეთილი ხელი. საზოგადოებისგან მოკვეთილი.*

**მოკვეცა** *მოკვეცის* (მოჰკვეცს, მოაკვეცს, მოიკვეცს, მოიკვეცება, მოეკვეცება) თმის, წვერისა და მისთ. დამოკლება, მოჭრა. *თმა მოიკვეცა. ნაწნავები მოჰკვეცეს.*

**მოკვლა** *მოკვლის* (მოკლავს, მოიკლავს, მოუკლავს, მოიკვლება, მოაკვლევინებს, მოეკვლევინება) I. ვინმესთვის (რაიმესთვის) სიცოცხლის წართმევა. *ქალი ყაჩაღებმა მოკლეს. ცემით მოკლა. ბუზი მოკლა.* 2. მოთხოვნილების ან დიდი სურვილის დაკმაყოფილება. *წყურვილი მოიკლა. მისი ნახვის ჟინი მოიკლა.* ▪ **მოკლული** ვინც ან რაც მოკლეს. *ომში მოკლული.*

**მოკვნეტა** *მოკვნეტის* (მოკვნეტს, მოაკვნეტს, მოიკვნეტს) კვნეტით მოტეხა. *თევზს კუდი მოაკვნიტა. ტუჩი მოიკვნიტა.* ▪ **მოკვნეტილი** რაც მოკვნიტეს. *მოკვნეტილი ფრჩხილი.*

**მოკვრა** *მოკვრის* (მოჰკრავს, მოაკრავს, მოიკრავს, მოუკრავს, მოეკვრება) 1. მომაგრება, მოწებება. *ხელზე ცელოფანი მომაკრა.* 2. ტომრის, ჩანთისა და მისთ. პირზე შესაკრავის მოხვევა. *გუდას მოაკრა. ტიკს მოაკრა.*

**მოკიაფე** *მოკიაფის* რაც კიაფობს. *მოკიაფე სანთელი.*

**მოკიდება**[1] *მოკიდების* (მოჰკიდებს, მოიკიდებს, მოეკიდება, მოაკიდებინებს) 1. ზურგზე სიმძიმის მოგდება. *ტომარა მოვიკიდე. ტვირთი მოიკიდა.* 2. შეხება, ხელის მოვლება, მოჭიდება. *ლოყაზე ხელი მოიკიდა. ხელი მოჰკიდე!* 3. რაიმეს მოდება, მორევა. *რკინას ჟანგი მოეკიდა. პურს ობი მოეკიდა.*

**მოკიდება**[2] *მოკიდების* (მოუკიდებს, მოეკიდება, მოაკიდებინებს) ცეცხლის ანთება, გაჩაღება. *სიგარეტს მოუკიდა.*

**მოკიდება**[3] (მოეკიდება) 1. რაიმე დამოკიდებულების გამომჟღავნება. *საქმეს კეთილსინდისიერად მოეკიდა. უნდობლობით მოეკიდა.* 2. საქმიანობის დაწყება, ურთიერთობის დამყარება. *საქმეს მოეკიდა. ოჯახს მოეკიდა.*

**მოკითხება** *მოკითხების* (მოაკითხებს) მოსანახულებლად ან საქმის გასარკვევად ვინმესთან მოსვლა. *მეგობრებმა მომაკითხეს.*

**მოკითხვა** *მოკითხვის* (მოჰკითხავს, მოიკითხავს, მოუკითხავს, მოეკითხება) 1. შეხვედრისას, მისალმებისას ამბის გამოკითხვა. *ოჯახი მოიკითხა. ერთმანეთი მოიკითხეს.* 2. ვინმესთან სალმის დაბარება. *დედა მომიკითხე! თქვენები მოიკითხე!* 3. ვინმეს, რაიმეს მოძიება. *ჩანთა მოიკითხა. ბავშვები გვიან მოიკითხეს.* 4. დანაშაულისთვის, ცოდვისთვის პასუხის მოთხოვნა. *ყველაფერი შენ მოგეკითხება! მკვლელობა მას მოჰკითხეს.*

**მოკიკნა** *მოკიკნის* (მოკიკნის) 1. მცირე ლუკმის მოცლა შესაჭმელად. *საჭმელი მოკიკნა. ძლივს რაღაც მოკიკნა.* 2. ცოტაოდენი ბალახის, ფოთლისა და მისთ. მოწინკნა. *ინდაურმა ბალახი მოკიკნა.*

**მოკინკლავე** *მოკინკლავის* ვინც სულ კინკლაობს, ვისაც კინკლაობა უყვარს. *მოკინკლავე ბავშვები.*

**მოკირწყვლა** *მოკირწყვლის* (მოკირწყლავს, მოიკირწყლება) გზების, ქუჩების ქვით მოპირკეთება. *ქუჩები რიყის ქვით მოკირწყლეს. ტროტუარების მოკირწყვლა.* ■ **მოკირწყლული** რაც მოკირწყლეს. *მოკირწყლული ხიდი.*

**მოკისკისე** *მოკისკისის* ვინც კისკისებს. *მოკისკისე ბავშვი.*

**მოკლე** *მოკლის* 1. პატარა სიგრძის მქონე. *მოკლე ქურთუკი. მოკლე ჯოხი.* ↔ გრძელი. 2. მცირე მოცულობის მქონე. *მოკლე ზღაპარი.* ▲ **მოკლედ** ზმნზ. არაგრძლად, არავრცლად. *მოკლედ უპასუხა.*

**მოკლება** *მოკლების* (მოაკლებს, მოიკლებს, მოუკლებს, მოაკლდება, მოაკლებინებს) 1. რაოდენობის ან სიდიდის შემცირება. *დღემ მოიკლო. ცოტა სიგრძეში მოაკელი! წონაში მოიკლო.* 2. ვინმეს ან რაიმეს დაკარგვა. *ოჯახს მარჩენალი მოაკლდა. ქალს ყურადღება მოაკლდა.*

**მოკლებული** *მოკლებულის* ვისაც ან რასაც აკლია, არ ჰყავს ვინმე, არ აქვს რაიმე. *მზრუნველობას მოკლებული ბავშვები.*

**მოკორტნა** *მოკორტნის* (მოკორტნის) ნისკარტით ან პირით მოგლეჯა, მოწიწკნა. *თხამ ბალახი მოკორტნა.* ■ **მოკორტნილი** რაც მოკორტნეს. *მოკორტნილი მინდორი. მოკორტნილი ნათესები.*

**მოკოწიწება** *მოკოწიწების* (მოაკოწიწებს) იგივეა, რაც **შეკოწიწება**. *ფული ძლივს მოვაკოწიწე.* ■ **მოკოწიწებული** რაც მოაკოწიწეს. *მოკოწიწებული თანხა.*

**მოკრეფა** *მოკრეფის* (მოკრეფს, მოიკრეფს, მოუკრეფს, მოიკრიფება, მოაკრეფინებს) 1. ხილის, ბალახის, ყვავილისა და მისთ. მოწყვეტა. *ყურძენი უკვე მოიკრიფა. ხილი მოკრიფეს.* 2. რაიმეს შეგროვება, მოგროვება. *მოკრიფე შენი ნივთები და წადი!* ■ **მოკრეფილი** რაც მოკრიფეს. *ახლად მოკრეფილი მარწყვი.*

**მოკრიალება** *მოკრიალების* (მოაკრიალებს, მოკრიალდება) გასუფთავება, ზედაპირის გაკრიალება. *ქალაქის ქუჩები მოაკრიალეს.* ■ **მოკრიალებული** რაც მოაკრიალეს. *მოკრიალებული იატაკი.*

**მოკრივე** *მოკრივის* სპორტსმენი, რომელიც კრივს მისდევს. *მოკრივის ხელთათმანი.*

**მოკრუნჩხვა** *მოკრუნჩხვის* (მოკრუნჩხავს, მოიკრუნჩხება) უშნოდ მოხრა, მოკუნტვა. *სიცივისგან მოიკრუნჩხა. მუცლის ტკივილმა მოკრუნჩხა.* ■ **მოკრუნჩხული** ვინც ან რაც მოიკრუნჩხა. *მოკრუნჩხული იჯდა.*

**მოკრუხება** *მოკრუხების* (მოაკრუხებს, მოკრუხდება) ფრინველის დაჯდომა (დასმა) კვერცხებზე წინდების გამოსაჩეკად. *ქათმები მოაკრუხა.* ■ **მოკრუხებული** რაც მოკრუხდა. *მოკრუხებული დედალი.*

**მოკრძალება** *მოკრძალების* მორიდება, მორცხვობა. *მოკრძლება საჭიროა. მოკრძალებით მიესალმა.*

**მოკრძალებული** *მოკრძალებულის* მორიდებული, მორცხვი. *მოკრძალებული ქალი. მოკრძალებული სიარული.*

**მოკუზვა** *მოკუზვის* (მოიკუზება) წელში, მხრებში მოხრა. *ძალიან მოიკუზა.* ■ **მოკუზული** ვინც მოიკუზა. *მოკუზული ქალი.*

**მოკუმვა** *მოკუმვის* (მოკუმავს) ტუჩების ერთმანეთზე მჭიდროდ მიკვრა, მიწებება. *ტუჩები მოკუმა.* ■ **მოკუმული** რაც მოკუმეს. *მოკუმული პირი.*

**მოკუმშვა** *მოკუმშვის* (მოკუმშავს, მოიკუმშავს, მოიკუმშება, მოეკუმშება) მუშტში რაიმეს ჩაბღუჯა, ხელში მაგრად დაჭერა.

**მოკუნტვა** *მოკუნტვის* (მოკუნტავს, მოიკუნტება) მოხრა, მოღუნვა. *სიცივით მოიკუნტა. სიმწრით მოიკუნტა. ბავშვი საწოლში მოიკუნტა.* ■ **მოკუნტული** ვინც მოიკუნტა. *სავარძელში მოკუნტული იჯდა.*

**მოკუნტრუშე** *მოკუნტრუშის* ვინც ან რაც კუნტრუშებს. *მოკუნტრუშე ხბო.*

**მოკუპვრა** *მოკუპვრის* (მოიკუპრება) შიგნიდან კუპრის წასმა. *კასრები მოკუპრეს.*

**მოკურცხვლა** *მოკურცხვლის* (მოკურცხლავს) უცებ და სწრაფად გაქცევა. *შეშინებულმა კურდღელმა მოკურცხლა.*

**მოლა** *მოლის* მუსულმანთა რელიგიური კულტის მსახური. *სოფლის მოლა.*

**მოლალვა** *მოლალვის* (მოლალავს) სხვადასხვა ადგილზე გაბნეული პირუტყვის ერთ ადგილზე მოყვანა, მოგროვება, თავმოყრა. *ცხვრებს მოლალავს. საქონელი მთიდან მოლალეს.*

**მოლანდება** *მოლანდების* (მოელანდება) არარსებულის, არარეალურის დანახვა, მოჩვენება. *კართან ვიღაც მომელანდა. ბებია მოელანდა.*

**მოლაპარაკე** *მოლაპარაკის* ვინც ლაპარაკობს. *მოლაპარაკე თუთიყუში. დაბეჯითებით მოლაპარაკე ქალი.*

**მოლაპარაკება** *მოლაპარაკების* (მოილაპარაკებს, მოელაპარაკება) 1. რაიმე საკითხზე დალაპარაკება და შეთანხმება. *მეგობრებმა მოილაპარაკეს. თანამშრომელს მოელაპარაკა.* 2. სხვადასხვა შეხედულების მქონეთა, მოწინააღმდეგეთა პოზიციების შეჯერება, შეთანხმება. *მოლაპარაკება გაიმართა. მოლაპარაკებამ შედეგი გამოიღო.*

**მოლარე** *მოლარის* სალაროში მომუშავე პირი, რომელიც იღებს და გასცემს ფულს ან ყიდის ბილეთებს. *ბანკის მოლარე. სადგურის მოლარე. თეატრის მოლარე.*

**მოლაქლაქე** *მოლაქლაქის* ვინც ლაქლაქებს. *მოლაქლაქე ქალები.*

**მოლაღური** *მოლაღურის* ბელურას მსგავსი მგალობელი ჩიტი, აქვს ყვითელი და შავი ბუმბული. *მოლაღურის ბუდე.*

**მოლაყბე** *მოლაყბის* ვინც ბევრს ლაყბობს. *მოლაყბე კაცი.*

**მოლაშქრე** *მოლაშქრის* 1. ძვ. იგივეა, რაც მეომარი. 2. ლაშქრობის მონაწილე. *მოლაშქრეებმა კარვები გაშალეს.*

**მოლბერტი** *მოლბერტის* ხის საყრდენი, რომელზეც მხატვარი ათავსებს ნახატს მუშაობის დროს.

**მოლბობა** *მოლბობის* (მოალბობს, მოილბობს, მოულბობს, მოლბება, მოულბება) 1. ცოტათი დალბობა. *მიწა მოლბა. გამხმარი საღებავი წყლით მოალბო.* 2. გადატ. სიჯიუტის დათმობა, მრისხანების, სიბრაზის დაცხრომა. *ქალი თანდათან მოლბა. მისმა სიტყვებმა მოალბო.*

**მოლევა** *მოლევის* (მოლევს, მოილევს, მოილევა) 1. გასაკეთებელი საქმის ბოლომდე მიყვანა, მოთავება. *ყველა სამუშაო მოილია.* 2. ხილის მწიფობის სეზონის გასვლა. *ბალი მოილია. საზამთრო მოილია.* ■ **მოლეული** რაც მოილია. *მოლეული ხილი.*

**მოლეკულა** *მოლეკულის* ნივთიერების უმცირესი ნაწილაკი, რომელსაც აქვს ამ ნივთიერების ქიმიური თვისებები. *მოლეკულის აგებულება.* ■ **მოლეკულური** მოლეკულასთან დაკავშირებული. *მოლეკულური მასა.*

**მოლექსე** *მოლექსის* ვინც ხალხურ ლექსებს თხზავს და საჯაროდ ამბობს. *განთქმული მოლექსე.*

**მოლი** *მოლის* ახლად ამოსული ხშირი და წმინდა ბალახი. *ცვრიანი მოლი.*

**მოლივლივე** *მოლივლივის* რაც ლივლივებს. *მოლივლივე ტბა.*

**მოლიპული** *მოლიპულის* მოყინული და ძალიან სრიალა. *მოლიპული კიბეები. მოლიპული გზა.*

**მოლიცლიცე** *მოლიცლიცის* რაც ლიცლიცებს. *მოლიცლიცე სხივი.*

**მოლოგინება** *მოლოგინების* (მოილოგინებს) იგივეა, რაც მომშობიარება. *ქალმა გუშინ მოილოგინა.* ■ **მოლოგინებული** ვინც მოილოგინა. *ახალი მოლოგინებული.*

**მოლოდინი** *მოლოდინის* (მოელის) 1. იგივეა, რაც ლოდინი. *მოლოდინმა დაღალა.* 2. იგივეა, რაც იმედი. *ბევრის მოლოდინი ჰქონდა. მოლოდინი გაუცრუვდა.*

**მოლოზანა** *მოლოზანას* დაბალი ან საშუალო სიმაღლის ბუჩქი, აქვს სამნაკვთიანი ფოთლები, ისხამს წითელ, წვნიან, ერთკურკიან ნაყოფს.

**მოლოკვა** *მოლოკვის* (მოლოკავს, მოილოკავს, მოულოკავს, მოილოკება) ზედაპირის მოწმენდა ენის მოსმით. *ძაღლმა ჭრილობა მოილოკა. ლამბაქი მოლოკა. ტუჩები მოილოკა.* ■ **მოლოკილი** რაც მოლოკეს. *მოლოკილი ჯამი.*

**მოლოცვა** *მოლოცვის* (მოილოცავს, მოულოცავს) 1. ჩემთვის ან შენთვის რაიმეს მილოცვა. *შობა გვიან მოგვილოცეს. შენი მოლოცვა წავიკითხე.* 2. წმინდა ადგილების, ეკლესია-მონასტრების მონახულება სალოცავად. *მცხეთის ტაძრები მოილოცეს.*

**მოლუსკი** *მოლუსკის* უხერხემლო ცხოველი, აქვს რბილი ქსოვილი, უმეტესად მოთავსებულია ნიჟარაში. *ზღვის მოლუსკები.*

**მოლხენა** *მოლხენის* (მოალხენს, მოილხენს, მოულხ-

ენს, მოელხინება) გამხიარულება, მხიარულად დროის გატარება, გართობა, ქეიფი. *მოლხენა უყვარს. სტუმრებმა კარგად მოილხინეს.* ■ მოლხენილი ვინც მოილხინა. *მოლხენილი მეგობრები.*

მოლხობა *მოლხობის* (მოალხობს, მოლხვება) ცოტათი გალხობა. *ყინულის ზედაპირი მოლხვა.*

მომაბეზრებელი *მომაბეზრებლის* მოსაწყენი, შემანუხებელი. *მომაბეზრებელი ლაპარაკი. მომაბეზრებელი მუსიკა.*

მომაგრება *მომაგრების* (მოამაგრებს, მოიმაგრებს, მომაგრდება, მოუმაგრდება) 1. საქმის შესასრულებლად ან შესასწავლად გამოგზავნა. *სამინისტროდან მოამაგრეს.* 2. ავადმყოფი, დასუსტებული ადამიანის მომჯობინება, ღონის, ძალის მომატება. *მოხუცი მომაგრდა. წამლებმა მოამაგრა.* ■ მომაგრებული ვინც მომაგრდა (2). *მომაგრებული ავადმყოფი.*

მომადლება *მომადლების* (მომადლებს) მადლის, წყალობის ბოძება, მინიჭება. *უფალმა გონიერება მომადლა.* ■ მომადლებული რაც მომადლეს. *ღვთით მომადლებული ნიჭი.*

მომადლიერება *მომადლიერების* (მოიმადლიერებს) ზრუნვით, სამსახურის გაწევითა და მისთ. კეთილგანწყობის მოპოვება. *თანამშრომლები მოიმადლიერა. ხალხი მოვიმადლიერე.*

მომავალი *მომავლის* 1. ახლანდელის, ამჟამინდელის მომდევნო. *ქვეყნის მომავალი. მომავლის იმედი.* 2. ვინც, რაც მოდის. *თბილისიდან მომავალი ტრანსპორტი.*

მომაკვდავი *მომაკვდავის* ვინც კვდება, სიკვდილსიცოცხლის ზღვარზე მყოფი. *მომაკვდავმა მოიხედა. მომაკვდავი წვალობდა.*

მომაკვდინებელი *მომაკვდინებლის* 1. რასაც მოკვლის უნარი აქვს. *მომაკვდინებელი საწამლავი.* 2. გადატ. ძალიან მძიმე, სავალალო. *მომაკვდინებელი შეცდომა.*

მომარაგება *მომარაგების* (მოამარაგებს, მოიმარაგებს, მოუმარაგებს, მომარაგდება) მარაგის მოტანა, მარაგით უზრუნველყოფა. *საწვავით მომარაგება. შეშა მოიმარაგა.* ■ მომარაგებული რაც მოიმარაგეს ან რითაც მოამარაგეს. *მომარაგებული ტყვიები. მომარაგებული თივა.*

მომართვა *მომართვის* (მომართავს, მოიმართავს, მოუმართავს) 1. რაიმეს აქეთ მოშვერა, დამიზნება. *ავტომატი ჩემკენ მომართა.* 2. რაიმე ინსტრუმენტის ან ხელსაწყოს სამუშაოდ მომზადება, გამართვა, დაქოქვა, ამუშავება. *საათი მომართა. ჩანგი მომართა.* ■ მომართული რაც მომართეს. *საათი მომართულია.* ■ მოსამართი რაც უნდა მომართონ, რაც მომართვით მუშაობს. *მოსამართი თოჯინა.*

მომარხულე *მომარხულის* ვინც მარხულობს. *მომარხულე ბერი.*

მომარჯვება *მომარჯვების* (მოიმარჯვებს, მოუმარჯვებს) რაიმე საგნის მოხერხებულად დაჭერა გამოყენების მიზნით. *კეტი მოიმარჯვა. მათრახი მოიმარჯვა.* ■ მომარჯვებული რაც მოიმარჯვეს. *კომბალი მომარჯვებული აქვს.*

მომასწავებელი *მომასწავებლის* რაც მოსალოდნელს წინასწარ მოასწავებს. *ავდრის მომასწავებელი ნიშანი.*

მომატება *მომატების* (მოამატებს, მოიმატებს, მოუმატებს, მოემატება, მოამატებინებს) 1. გაზრდა, გადიდება. *წონაში მოიმატა. ჭამას მოუმატა.* 2. გაძლიერება, გახშირება. *სიჩქარეს მოუმატა. ძალ-ღონე მოემატა.* ■ მომატებული რაც მოუმატეს ან მოემატა. *მომატებული ხელფასი. მომატებული წონა.*

მომაღლო *მომაღლოს* ცოტათი მაღალი. *მომაღლო გორაკი.*

მომაჯადოებელი *მომაჯადოებლის* იგივეა, რაც მომხიბვლელი. *მომაჯადოებელი სილამაზე.*

მომგებიანი *მომგებიანის* რამაც უნდა მოიგოს, მოგების მომტანი. *მომგებიანი ანაბარი. მომგებიანი საქმე. მომგებიანი სესხი.*

მომგვრელი *მომგვრელის* გამომწვევი, აღმძვრელი. *ღიმილის მომგვრელი.*

მომგონებელი *მომგონებლის* 1. ვინც რაიმეს, ვინმეს მოიგონებს, გამხსენებელი. *ამ ამბის მომგონებელი აღარავინ არის. მომგონებელი არ დაგლეოდეთ!* 2. ვინც რაიმე მოიგონა. *ტყუილის მომგონებელი.*

მომგონი *მომგონის* იგივეა, რაც მომგონებელი (1). *ამბის მომგონი.*

მომდგარი *მომდგარის* რაც მოადგეს, ვინც მოადგა. *კარზე მომდგარი სტუმარი.*

მომდევნო *მომდევნოს* 1. რაღაცის შემდეგი, რიგით მომყოლი. *მომდევნო წელს. მომდევნო წერილი.* 2. ასაკით მომყოლი. *მომდევნო ძმა.*

მომდევნოდ ზმნზ. (+ ნათ.) შემდეგ, მერე. *გვარის მომდევნოდ სახელი წერია. ბავშვები ერთმანეთის მომდევნოდ შემოდიოდნენ.*

მომდინარე *მომდინარის* 1. რაც საიდანმე ან სადმე მოედინება. *ჭალაზე მომდინარე ალა ზანი.* 2. რაც რაიმე საფუძველს ემყარება. *ერთი ფუძიდან მომდინარე გვარები.*

მომდინარეობა *მომდინარეობის* (მომდინარეობს) საიდანმე წარმოშობა, სათავის აღება. *სახელწოდება ლათინურიდან მომდინარეობს. საფრთხე აღმოსავლეთიდან მომდინარეობდა.*

მომდურავი *მომდურავის* ვინც ემდურის. *მომდურავი არავინ ჰყოლია.*

მომდურება *მომდურების* (მოიმდურებს, მოემდურება) წყენის გამო ურთიერთობის გაწყვეტა, უკმაყოფილების ჩამოგდება. *თანამშრომლები*

*მოიმდურა.* ■ მომდურებული ვინც მოიმდურეს. *სოფლელები მომდურებული ჰყავდა.*

**მომენტალური** *მომენტალურის* ძალიან სწრაფი, ერთბაშიი, წამიერი. *მომენტალური რეაქცია.* ■ მომენტალურად ძალიან სწრაფად, წამიერად. *მომენტალურად გაჩერდა.*

**მომენტი** *მომენტის* დროის ძალიან მცირე კონკრეტული მონაკვეთი, როცა ხდება რაიმე. *გარდაცვალების მომენტი. გადამწყვეტი მომენტი.*

**მომეტებული** *მომეტებულის* გადაჭარბებული, საჭიროზე მეტი. *მომეტებული ავდრები. მომეტებული აქტიურობა.*

**მომველელი** *მომველელის* პირი, რომელიც ვინმეს, რაიმეს უვლის. *ბავშვის მომველელი. ავადმყოფის მომველელი.*

**მომზადება** *მომზადების* (მოამზადებს, მოიმზადებს, მოუმზადებს, მოემზადება, მომზადდება, მოამზადებინებს) 1. იგივეა, რაც გამზადება. *ბავშვები ნასასელელად მოემზადნენ. სადილი მოამზადა.* 2. მეცადინეობა, წვრთნა რაიმეში. *გამოცდებისთვის მოემზადა. კარგი სპორტსმენები მოამზადა.* ■ მომზადებული ვინც ან რაც მოამზადეს ან მოემზადა. *მომზადებული კონფერენცია. მომზადებული ახალგაზრდა.*

**მომზირალი** *მომზირალის* ვინც რაიმეს უყურებს, უმზერს. *ფანჯრიდან მომზირალი გოგონა.*

**მომზღვლევა** *მომზღვლევის* (მოიმზღვლევა) მიწის დიდი მასის დაზვავება, მეწყერის ჩამოსვლა. *მთელი გორი მოიმზღვლა. ფერდობი მოიმზღვლა.*

**მომთაბარე** *მომთაბარის* ვინც საცხოვრებელ ადგილს პერიოდულად იცვლის, სხვაგან გადადის. *მომთაბარე ტომები.*

**მომთაბარეობა** *მომთაბარეობის* (მომთაბარეობს) მომთაბარედ ყოფნა, მომთაბარეთა ცხოვრების წესი. *მონღოლები მომთაბარეობდნენ.*

**მომთმენი** *მომთმენის* ვინც ითმენს. *ხალხი მომთმენია.*

**მომთხოვნი** *მომთხოვნის* ვინც რაიმეს შესრულებას, გაკეთებას მკაცრად მოითხოვს. *მომთხოვნი ხელმძღვანელი. მომთხოვნი პედაგოგი.*

**მომიზეზება** *მომიზეზების* (მოიმიზეზებს) რაიმე მიზეზის მოგონება თავის გასამართლებლად. *თავის ტკივილი მოიმიზეზა.*

**მომინანქრება** *მომინანქრების* (მოამინანქრებს) ზედაპირის მინანქრით დაფარვა. *ბეჭედი მოამინანქრა.* ■ მომინანქრებული მინანქრით დაფარული. *მომინანქრებული ფილები. მომინანქრებული ჯვარი.*

**მომიტინგე** *მომიტინგის* მიტინგის მონაწილე. *მომიტინგეები დაიშალნენ.*

**მომიჯნავე** *მომიჯნავის* ვისთანაც საზიარო მიჯნა აქვთ. *მომიჯნავე მოსახლენი.*

**მომიჯნე** *მომიჯნის* //მომიჯნავე

**მომკა** *მომკის* (მომკის, მოუმკის, მოიმკება) პურეული მცენარის მოჭრა, მოსავლის აღება. *ნამგლით მომკეს. ყანა მომკეს.* ■ მომკილი რაც მომკეს. *მომკილი თავთავი.*

**მომკვდარუნება** *მომკვდარუნების* (მოიმკვდარუნებს) თავის მოჩვენება, ვითომ მკვდარია. *მელიამ თავი მოიმკვდარუნა. დაჭრილმა თავი მოიმკვდარუნა.*

**მომლხენი** *მომლხენის* მხიარული, ლხინის, ქეიფის მოყვარული. *მომლხენი ბიჭები.*

**მომმარაგებელი** *მომმარაგებლის* პირი, რომელიც ამარაგებს ვინმეს ან რაიმეს. *მაღაზიის მომმარაგებელი.*

**მომნელებელი** *მომნელებლის* რითაც ინელებენ. *საჭმლის მომნელებელი სისტემა.*

**მომნუსხველი** *მომნუსხველის* მომხიბვლელი, მომაჯადოებელი. *მომნუსხველი ღიმილი.*

**მომპარავი** *მომპარავის* ვინც მოიპარა. *სურათის მომპარავი.*

**მომჟავო** *მომჟავოს* ოდნავ მჟავე გემოს მქონე. *მომჟავო ხილი.*

**მომრავლება** *მომრავლების* (მოამრავლებს, მოიმრავლებს, მოუმრავლებს, მომრავლდება, მოუმრავლდება) იგივეა, რაც გამრავლება (1). *ხალხი მომრავლდა. ხელოვნურად მოამრავლეს.*

**მომრგვალება** *მომრგვალების* (მოამრგვალებს, მოუმრგვალებს, მომრგვალდება) რაიმეს ოდნავ დამრგვალება. *კუთხეების მომრგვალება. ტუჩები მოამრგვალა.* ■ მომრგვალებული რაც მოამრგვალეს. *მომრგვალებული აივნები. მომრგვალებული თალი.*

**მომრგვალო** *მომრგვალოს* ცოტათი მრგვალი. *მომრგვალო საგანი.*

**მომრევი** *მომრევის* ვინც (რაც) სხვას ერევა, სჯობნის. *გოლიათის მომრევი. ყველას მომრევი.*

**მომრიგებელი** *მომრიგებლის* პირი, რომელიც დაპირისპირებულ (მოდავე) მხარეებს მოარიგებს, სადავო საკითხებს მოაგვარებს. *მომრიგებელი არავინ ჰყავდათ.*

**მომსახურე** *მომსახურის* პირი, რომელიც ვინმეს ემსახურება. *სასტუმროს მომსახურე პერსონალი. სუფრის მომსახურე ქალი.*

**მომსახურება** *მომსახურების* (მოიმსახურებს, მოემსახურება) სამსახურის გაწევა. *კლიენტის მომსახურება. იურიდიული მომსახურება. სუფრას მოემსახურა.*

**მომსვლელი** *მომსვლელის* ვინც მოდის, უნდა მოვიდეს ან შეიძლება, რომ მოვიდეს ვინმესთან ან სადმე. *მომსვლელი მოვიდა. ბევრი მომსვლელი ჰყავთ.*

**მომსუყება** *მომსუყების* (მოამსუყებს, მოუმსუყებს, მოუმსუყდება) არასასიამოვნო შეგრძნება ტკბილი ან ცხიმიანი საკვების ზედმეტი ჭამის გამო. *ტორტმა გული მოუმსუყა.*

**მომსწრე** *მომსწრის* ვინც რაღაცას მოესწრო. *ბევრი ჭირისა და ლხინის მომსწრე.*

**მომსხო** *მომსხოს* ცოტათი მსხვილი. *მომსხო ხე. მომსხო თოკი.*

**მომტვრევა** *მომტვრევის* (მოამტვრევს, მოიმტვრევს, მოუმტვრევს, მოიმტვრევა, მოემტვრევა) მთელიდან ნაწილის ძალით მოცილება. *სკამს ფეხი მოამტვრია. ჩაიდანს ცხვირი მოემტვრა.* ▪ **მომტვრეული** რაც მოამტვრიეს. *მომტვრეული ქუსლი.*

**მომუჭვა** *მომუჭვის* (მომუჭავს) 1. ხელის მტევნის მუჭად შეკვრა. *ხელი მომუჭა.* 2. მუჭაში რაიმეს დაჭერა, ჩაბღუჯვა. *ქალალდი მომუჭა. ყვავილები მომუჭა.* ▪ **მომუჭული** რაც მომუჭეს. *მომუჭული ფული.*

**მომქანცველი** *მომქანცველის* ძალიან დამღლელი, ძალის გამომცლელი. *მომქანცველი შრომა. მომქანცველი გზა.*

**მომღერალი** *მომღერლის* 1. პროფესიონალი ხელოვანი, რომელიც მღერის. *მომღერლის გამოსვლა.* 2. ვინც მღერის, სიმღერის პროცესშია. *მომღერალი გოგონა.*

**მოღიმარე** *მოღიმარის*||მოღიმარი. *მოღიმარე ქალი.*

**მოღიმარი** *მოღიმრის* ვინც იღიმება, ღიმილის გამომხატველი. *მოღიმარი ახალგაზრდა. მოღიმარი სახით უყურებდა.*

**მომყოლი**[1] *მომყოლის* 1. ვინც ვიღაცას უკან მოჰყვება, მოსდევს. *მისი მომყოლიც გამოჩნდა.* 2. ვინც რაღაცას ჰყვება, მოუთხრობს. *ზღაპრის მომყოლი.*

**მომყოლი**[2] *მომყოლის* გარსი, აპკი, რომელშიც ნაყოფია საშვილოსნოში მოთავსებული და ახალშობილს მოჰყვება დაბადების შემდეგ. *ბავშვის მომყოლი. ხბოს მომყოლი.*

**მომშევა** *მომშევის* (მოამშევს, მოიმშევს) შიმშილის გრძნობის გაჩენა, ჭამის მონდომება. *ჰაერზე ყოფნამ მოგვამშია. სტუმრები მოამშიეს.* ▪ **მომშეული** ვინც მოიმშა. *მომშეული მუშები.*

**მომშობიარება** *მომშობიარების* (მოიმშობიარებს) ბავშვის გაჩენა. *ძნელად მოიმშობიარა.* ▪ **მომშობიარებული** ვინც მოიმშობიარა. *ახლად მომშობიარებული ქალი.*

**მომშრალება** *მომშრალების* (მოამშრალებს, მოიმშრალებს, მოუმშრალებს, მომშრალდება) რაიმეს ზედაპირის გამშრალება. *იატაკი მოამშრალა. ჭრილობა მოუმშრალა.*

**მომჩვარული** *მომჩვარულის* მჩვარივით მოშვებული, რბილი. *მომჩვარული კუნთები.*

**მომჩივანი** *მომჩივნის* პირი, ვინც ვინმეს უჩივის. *მომჩივანი მხარე.*

**მომცველი** *მომცველის* რაც რაიმეს მოიცავს. *ყველაფრის მომცველი.*

**მომცრო** *მომცროს* ცოტათი პატარა, უფრო პატარა. *მომცრო ჯამი.*

**მომძვრალი** *მომძვრალის* რაც მოაძრეს. *მომძვრალი ღილი. მომძვრალი ბორბალი.*

**მომძლავრება** *მომძლავრების* (მოამძლავრებს, მომძლავრდება) ცოტათი გახშირება, გაძლიერება. *ემოციების მომძლავრება. უსამართლობა მომძლავრდა. ძალადობა მომძლავრდა.* ▪ **მომძლავრებული** რაც მომძლავრდა. *მომძლავრებული ბოროტება. მომძლავრებული ეპიდემია. მომძლავრებული უმუშევრობა.*

**მომწამვლელი** *მომწამვლელის* რაც წამლავს, შხამიანი. *მომწამვლელი აირები.*

**მომწამლავი** *მომწამლავის* იგივეა, რაც მომწამვლელი. *მომწამლავი ნივთიერება.*

**მომწესრიგებელი** *მომწესრიგებლის* ვინც რაიმეს აწესრიგებს, მოძრაობის მომწესრიგებელი.

**მომწვარი** *მომწვარის* რაც მოწვეს ან მოიწვა. *მომწვარი ხახვი. მომწვარი ხალი.*

**მომწიფება** *მომწიფების* (მოამწიფებს, მომწიფდება, მოუმწიფდება) 1. იგივეა, რაც დამწიფება. *ნაყოფი მომწიფდა.* 2. ზრდის, განვითარების დასრულება. *სქესობრივი მომწიფება. მომწიფების პერიოდი. ნაყოფის მომწიფება.* 3. გადატ. საკითხის, მოვლენის, ვითარებისა და მისთ. იმ მდგომარეობამდე მისვლა, როცა მისი გადაწყვეტა აუცილებელია. *კონფლიქტი მომწიფდა. სიტუაცია მომწიფდა.*

**მომწიფებული** *მომწიფებულის* 1. ზრდადამთავრებული, ასაკში შესული. *მომწიფებული ქალი.* 3. დროული, გადასაწყვეტად, მოსაგვარებლად მომზადებული. *მომწიფებული საკითხი.*

**მომწოდებელი** *მომწოდებლის* ვისაც სავაჭრო ქსელში საქონელი შემოაქვს. *მომწოდებელი სანარმო. მაღაზიის მომწოდებელი.*

**მომწყემსვა** *მომწყემსვის* (მომწყემსავს) საძოვარზე გაშვებული პირუტყვის მოვლა, მეთვალყურეობის გაწევა. *ბატებს მომწყემსავს.*

**მომწყვდევა** *მომწყვდევის* (მოამწყვდევს, მოიმწყვდევს, მოემწყვდევა) შემთხვევით ან იძულებით მოხვედრა ისეთ ადგილას, საიდანაც გამოსვლის საშუალება არ არის. *თოვლის გამო სოფელში მოემწყვდევა. ბიჭები კაცს შემოეხვივნენ და მოიმწყვდიეს.* ▪ **მომწყვდეული** ვინც მოამწყვდიეს ან მოემწყვდა. *წრეში მომწყვდეული ბავშვი.*

**მომწყობი** *მომწყობის* ვინც რაიმეს აწყობს, აწესრიგებს. *საღამოს მომწყობი.*

**მომჭირნე** *მომჭირნის* არამფლანგველი, ვინც გამოზოგვით, გონივრულად ხარჯავს. *მომჭირნე*

*დიასახლისი.* ▲ მომჭირნედ ზმნზ. გამოზოგვით. *მომჭირნედ ცხოვრობს.*

მომხდური *მომხდურის* მოძალადე, თავდამსხმელი. *მომხდური მტერი.*

მომხვეჭი *მომხვეჭის* ვისაც მოხვეჭა უყვარს. *მომხვეჭი კაცია.*

მომხიბვლელი *მომხიბვლელის* ძალიან ლამაზი, მიმზიდველი, ეშხიანი. *მომხიბვლელი ქალი. მომხიბვლელი გამოხედვა.*

მომხიბვლელობა *მომხიბვლელობის* სილამაზე, ეშხი, მიმზიდველობა. *მომხიბვლელობა არ აკლია.*

მომხიბლავი *მომხიბლავის* იგივეა, რაც მომხიბვლელი. *მომხიბლავი გარეგნობა.*

მომხიბლაობა *მომხიბლაობის* იგივეა, რაც მომხიბვლელობა.

მომხმარე *მომხმარის* ვინც ვიღაცას ეხმარება, შველის. *მომხმარე ბევრი ჰყავს. საქმეში მომხმარე გამოუჩნდა.*

მომხმარებელი *მომხმარებლის* 1. ვინც რაიმეს ხმარობს, იყენებს. *მანქანის მომხმარებელი.* 2. იგივეა, რაც კლიენტი

მომხრე *მომხრის* თანამოაზრე, მიმდევარი, მოკავშირე. *ჩემი მომხრეები.*

მომხრობა *მომხრობის* (მოიმხრობს, მოემხრობა) ვინმეს გადმოყვანა ჩვენს შეხედულებაზე, ჩვენს მომხრედ გახდომა. *აუდიტორია მოიმხრო. ქალები მოიმხრო.*

მომხსენებელი *მომხსენებლის* 1. პირი, რომელიც მოხსენებას აკეთებს, სიტყვით გამოდის. *მომხსენებლის გამოსვლა. მომხსენებელმა აღნიშნა.* 2. იგივეა, რაც მომგონებელი (1). *ამის მომხსენებელი არავინაა.*

მომჯდარი *მომჯდარის* 1. ვინც რაღაცას მოაჯდა. *ცხენზე მომჯდარი ბიჭი.* 2. კარგად მორგებული, ზომაში ზუსტი (ტანსაცმელი). *მომჯდარი კაბა.*

მომჯობინება *მომჯობინების* (მოამჯობინებს, მომჯობინდება) ავადმყოფის უკეთ გახდომა. *ექიმის დანახვაზე მომჯობინდა.* ■ მომჯობინებული ვინც მომჯობინდა. *ბავშვი მომჯობინებული დახვდა.*

მონა *მონის* 1. ადამიანი, რომელიც მონათმფლობელობის დროს სხვის (მონათმფლობელის) საკუთრებას წარმოადგენდა და არანაირი უფლება არ გააჩნდა. *ტაძრის მშენებლობაზე რამდენიმე ათასი მონა მუშაობდა. მონათა აჯანყება.* 2. გადატ. უუფლებო, დაჩაგრული ადამიანი, სხვისი მორჩილი, სხვისი ნების ამსრულებელი. *უფროსის მონა გახდა.* ■ მონური მონისთვის დამახასიათებელი. *მონური ყოფა. მონური მორჩილება.* ⊙ ყურმოჭრილი მონა სხვისი მორჩილი, სხვისი ნების უსიტყვოდ ამსრულებელი.

მონაბერი *მონაბერის* რაც უბერავს. *ზღვიდან მონაბერი ქარი.*

მონაგარი *მონაგარის* 1. შრომით მოპოვებული ქონება. *მონაგარი შვილებს დაუტოვა.* 2. გადატ. იგივეა, რაც შთამომავლობა. *დიდი მონაგარი ჰყავს.*

მონაგონი *მონაგონის* იგივეა, რაც მოგონილი

მონადირე *მონადირის* ვინც ნადირობს. *მონადირე კვალს გაჰყვა. მონადირეთა კავშირი.* ⊙ მონადირე ძაღლი ზოგიერთი ჯიშის ძაღლი, რომელიც სანადიროდ იწვრთნება.

მონადირება *მონადირების* (მოინადირებს) 1. ნადირობისას ფრინველის, ცხოველის მოკვლა. *მიმინომ ხოხობი მოინადირა. კურდღელი მოინადირეს.* 2. გადატ. ვინმეს კეთილგანწყობის მოპოვება, სიმპათიის გამოწვევა, თავის მოწონება. *ჩემი გული მოინადირა.* ■ მონადირებული ვინც ან რაც მოინადირეს. *მონადირებული მწყერი.*

მონაზვნობა *მონაზვნობის* მონაზვნად ყოფნა. *მონაზვნობა გადაწყვიტა.*

მონაზონი *მონაზვნის* 1. აღკვეცილი ქალი. *მონაზონთა გალობა.* 2. იგივეა, რაც ბერი. ■ მონაზვნური მონაზვნის დამახასიათებელი. *მონაზვნური ცხოვრება.*

მონათვლა *მონათვლის* (მონათლავს, მოუნათლავს, მოინათლება, მოანათვლინებს) 1. ნათლობის რიტუალის შესრულება. *ახალშობილები მონათლეს. მონათვლას აპირებს.* 2. სხვა სახელის წოდება, შერქმევა. *პროვოკაციად მონათლეს. გიჟად მონათლეს.* ■ მონათლული ვინც მონათლეს. *მონათლული არ იყო.* ■ მოუნათლავი ვინც არ მოუნათლავთ. *მოუნათლავი ჩვილი.*

მონათმფლობელი *მონათმფლობლის* მონათმფლობელობის დროს პრივილეგირებული ფენის წარმომადგენელი, რომელსაც ჰყავს მონები და სარგებლობს მათი შრომის ნაყოფით.

მონათმფლობელობა *მონათმფლობელობის* სოციალური წყობა, რომლის დროსაც წარმოების საშუალებები ეკუთვნის მონათმფლობელს.

მონაკვეთი *მონაკვეთის* რაიმეს ნაწილი. *ტექსტის მონაკვეთი. რამდენიმე მონაკვეთი.*

მონა-მორჩილი *მონა-მორჩილის* სხვისი მორჩილი, სხვისი ნების უსიტყვოდ ამსრულებელი. ⊙ თქვენი მონა-მორჩილი საკუთარ თავზე ამბობენ თავმდაბლობის, სხვების პატივისცემის ნიშნად.

მონანიე *მონანიის* ვინც ინანიებს. *მონანიე დამნაშავე.*

მონანიება *მონანიების* (მოინანიებს) ჩადენილი დანაშაულის, ცოდვის, შეცდომის სინანულით აღიარება. *დანაშაული მოინანია.* ■ მონანიებული რაც მოინანიეს. *მონანიებული ცოდვები.*

მონაპოვარი *მონაპოვრის* რაც ძიების ან შრომის შედეგად მოიპოვეს. *არქეოლოგიური მონაპოვარი. ძვირფასი მონაპოვარი.*

მონარდე *მონარდის* ვინც ნარდს თამაშობს. *კარგი მონარდე.*

**მონარქი** *მონარქის* მონარქიის ერთპიროვნული მმართველი. *ახალგაზრდა მონარქი.*

**მონარქია** *მონარქიის* 1. მმართველობის ფორმა, როდესაც სახელმწიფოს სათავეში დგას ერთი პირი – მონარქი. *კონსტიტუციური მონარქია.* 2. სახელმწიფო, რომელსაც მონარქი განაგებს. ■ **მონარქიული** მონარქიის ხასიათისა. *მონარქიული წყობის.*

**მონარქიზმი** *მონარქიზმის* პოლიტიკური მიმდინარეობა, რომელსაც მონარქია მიაჩნია სახელმწიფო ხელისუფლების ერთადერთ მიზანშეწონილ ფორმად.

**მონარქისტი** *მონარქისტის* მონარქიზმის მიმდევარი.

**მონარქისტული** *მონარქისტულის* მონარქიზმისთვის დამახასიათებელი. *მონარქისტული შეხედულებანი.*

**მონასტერი** *მონასტრის* ღვთისმსახურთა გაერთიანება, რომელსაც აქვს ეკლესია და ბერ-მონაზონთა საცხოვრებელი ნაგებობები, სამეურნეო მამული. *დედათა მონასტერი. მონასტრის წინამძღვარი.* ■ *აირია მონასტერი დიდი არეულობაა, დაძაბული და გაურკვეველი მდგომარეობაა.*

**მონატრება** *მონატრების* (მოანატრებს, მოენატრება) ვინმეს ან რაიმეს ნახვის, მასთან შეხვედრის ძლიერი სურვილი. *დედა მოენატრა. მეგობრები მოენატრა.*

**მონატრებული** *მონატრებულის* 1. რაც ენატრებათ. *მონატრებული სახლი.* 2. ვისაც ენატრება. *მშობლიურ კერას მონატრებული ბავშვი.*

**მონატრული** *მონატრულის* ვისაც ენატრება, ვინც ნატრობს. *დედის მონატრული შვილი.*

**მონაყოლი** *მონაყოლის* ნაამბობი, მოყოლილი. *მეზობლის მონაყოლი.*

**მონაჩმახი** *მონაჩმახის* განგებ დამახინჯებული, არასწორი ამბავი, ტყუილი. *მაგ მონაჩმახს ვინ დაიჯერებს.*

**მონაცვლე** *მონაცვლის* შემცვლელი, როცა ერთი რაიმე მეორეს ცვლის, ენაცვლება. *მონაცვლე ბგერები.*

**მონაცვლება** *მონაცვლების* (მოინაცვლებს, მოუნაცვლებს) ◉ **ადგილს მოინაცვლებს** ადგილს შეიცვლის.

**მონაცვლეობა** *მონაცვლეობის* (მონაცვლეობს) ერთი ვინმეს ან რაიმეს მეორით შეცვლა გარკვეული რიგის, თანმიმდევრობის მიხედვით. *ფერების მონაცვლეობა. მოსწავლეების მონაცვლეობა.*

**მონაწილე** *მონაწილის* პირი, რომელიც რაიმე საქმეში, რაიმე ღონისძიებაშია ჩართული სხვებთან ერთად. *შეჯიბრების მონაწილე. კონფერენციის მონაწილე. სპექტაკლის მონაწილე მსახიობები.*

**მონაწილეობა** *მონაწილეობის* (მონაწილეობს) რაიმე ღონისძიებაში სხვებთან ერთად ჩაბმა. *კონცერტში მონაწილეობდნენ. მონაწილეობა მიიღო. კონფერენციაში მონაწილეობს.*

**მონაჭორი** *მონაჭორის* სიცრუე, ჭორად მოგონილი ტყუილი. *მონაჭორს ნუ დაიჯერებ!*

**მონახაზი** *მონახაზის* რაიმეს წინასწარი გეგმა. *სცენარის მონახაზი. მონახაზი შეადგინა.*

**მონახვა** *მონახვის* (მონახავს, მოუნახავს, მოინახება) ვინმეს ან რაიმეს პოვნა ძებნის შედეგად. *სამსახური მონახა. საცოლე მონახა.*

**მონახულება** *მონახულების* (მოინახულებს) ვინმეს ან რაიმეს სანახავად საგანგებოდ მისვლა. *მშობლები მოინახულა. პატიმრები მოინახულეს.*

**მონგრევა** *მონგრევის* (მოანგრევს, მოუნგრევს, მოინგრევა, მოენგრევა) რაიმეს ნაწილის დანგრევა. *სახლის კედელი მოანგრიეს.*

**მონდობა** *მონდობის* (მოანდობს, მოენდობა) იგივეა, რაც მინდობა. *ძნელი საქმე მომანდეს. გულით მოგენდო. არჩევანი შენთვის უნდა მოენდო.* ■ **მონდობილი** ვინც მოენდო. *შენზე მონდობილი ვარ.*

**მონდომება** *მონდომების* (მოანდომებს, მოინდომებს, მოუნდება) 1. სურვილის აღძრა. *დიდი მონდომება. წყალი მომანდომა. ხილი მოინდომა.* 2. რაიმესთვის გარკვეული დროის დათმობა. *დიდი დრო მოანდომა. ორი წელი მოანდომა.* ▲ **მონდომებით ზმნზ.** მთელი ძალით, გულმოდგინედ. *მონდომებით სწავლობს.*

**მონდომებული** *მონდომებულის* ბეჯითი, საქმის გაკეთების მსურველი. *ძალიან მონდომებული ვიყავი. მონდომებული ყმაწვილი ჩანს.*

**მონელება** *მონელების* (მოინელებს, მოანელებინებს) 1. მიღებული საკვების კუჭში გადამუშავება. *სადილი ვერ მოინელა. საჭმელი იოლად მოინელა.* 2. გადატ. დარდისგან განთავისუფლება, თავის დაღწევა, გადატანა. *უბედურება ადვილად მოინელა. ბევრი რამ მოინელა.* 3. გადატ. ტანჯვისგან, მწუხარებისგან და მისთ. ბოლოს მოღება. *ღალატმა მოინელა. მწუხარებამ მოინელა. ჯავრმა მოინელა.* ■ **მონელებული** რაც მოინელეს. *მონელებული პური.*

**მონეტა** *მონეტის* ლითონის ფული. *ვერცხლის მონეტა.*

**მონიკელება** *მონიკელების* (მოანიკელებს) ლითონის ზედაპირის ნიკელით დაფარვა. *სადენები მოანიკელა. ქვაბების მონიკელება.* ■ **მონიკელებული** რაც მოანიკელეს. *მონიკელებული ჩაიდანი. მონიკელებული დანა-ჩანგალი.*

**მონიტორი** *მონიტორის* მოწყობილობა, რომელიც ეკრანზე გამოსახულებას იძლევა გრაფიკულად. *მონიტორზე ჩანს.*

**მონიტორინგი** *მონიტორინგის* აღებული ვალდებულებების (პროექტის, ხელშეკრულებისა და

მისთ.) შესრულებაზე დაწესებული კონტროლი კომპეტენტური ორგანიზაციის მხრიდან. *მონიტორინგი ჩაატარეს.*

**მონიშვნა** *მონიშვნის* (მონიშნავს, მოინიშნავს, მოუნიშნავს, მოინიშნება) ადგილის, თარიღისა და მისთ. საგანგებოდ აღნიშვნა. *გვერდი მონიშნა. სათაური მონიშნა.* ■ მონიშნული რაც მონიშნეს. *მონიშნული ტექსტი.*

**მონობა** *მონობის* მონად ყოფნა. *მონობის წინააღმდეგ ბრძოლა.*

**მონოგამია** *მონოგამიის* ქორწინების წესი, რომელიც პიროვნებას მხოლოდ ერთი მეუღლის ყოლის უფლებას აძლევს.

**მონოგამიური** *მონოგამიურის* მონოგამიაზე დამყარებული. *მონოგამიური წესები.*

**მონოგრამა** *მონოგრამის* ორი ან რამდენიმე ასოსგან შეთხზული ნიშანი. *ხელსახოცზე მონოგრამა ამოქარგა.*

**მონოგრაფია** *მონოგრაფიის* მეცნიერული ნაშრომი, რომელშიც დამუშავებულია ერთი თემა, ერთი საკითხი. *ვრცელი მონოგრაფია.*

**მონოლითური** *მონოლითურის* ერთიანი, ურღვევი, შეკრული. *მონოლითური სახელმწიფო.*

**მონოლოგი** *მონოლოგის* ერთი ადამიანის საუბარი საკუთარ თავთან. *მთავარი გმირის მონოლოგი.*

**მონოპოლია** *მონოპოლიის* 1. რაიმეთი სარგებლობის, წარმოების ან გარკვეული სახის საქონლით ვაჭრობის განსაკუთრებული უფლება. *წარმოების მონოპოლია.* 2. წარმოებისა და კაპიტალის თავმოყრა ერთი ორგანიზაციის ან ერთი ადამიანის ხელში მაქსიმალური მოგების მიღების მიზნით. *მონოპოლია დაამყარა.* ■ მონოპოლიური მონოპოლიისთვის (1) დამახასიათებელი. *მონოპოლიური სარგებლობა.*

**მონოპოლიზაცია** *მონოპოლიზაციის* მონოპოლიის (2) დამყარება წარმოების ან ბიზნესის რომელიმე სფეროში. *ბიზნესის მონოპოლიზაცია.*

**მონოპოლისტი** *მონოპოლისტის* კაპიტალისტი, რომელსაც მონოპოლია აქვს რაიმეზე. *მსხვილი მონოპოლისტი.*

**მონოპოლისტური** *მონოპოლისტურის* მონოპოლიისთვის (2) დამახასიათებელი, მონოპოლიასთან დაკავშირებული. *მონოპოლისტური გაერთიანებები. მონოპოლისტური სახელმწიფო.*

**მონოტონური** *მონოტონურის* ერთფეროვანი, მოსაწყენი. *მონოტონური ხმა. მონოტონური სიმღერა.*

**მონტაჟი** *მონტაჟის* 1. მანქანების, ნაგებობებისა და მისთ. აწყობა, გამართვა. *სარეცხის მანქანის მონტაჟი.* 2. სხვადასხვა ნაწილის შერჩევა და შეერთება. *კინოფილმის მონტაჟი. გადაცემის მონტაჟი.*

**მონტიორი** *მონტიორის* ხელოსანი, რომელიც ამონტაჟებს ან შეაკეთებს სხვადასხვა სახის ელექტროგაყვანილობას. *მონტიორის ხელსაწყო.*

**მონუმენტი** *მონუმენტის* ისტორიული ამბის აღსანიშნავად ან გამოჩენილი პიროვნების უკვდავსაყოფად აღმართული ნაგებობა, დიდი ქანდაკება. *მონუმენტი დადგეს.*

**მონუმენტური** *მონუმენტურის* ძლიერ დიდი, შთამბეჭდავი, დიდი შთაბეჭდილების მომხდენი. *მონუმენტური ქანდაკება. მონუმენტური ნაგებობა. მონუმენტური ნაშრომი.*

**მონუსხვა** *მონუსხვის* (მონუსხავს, მოინუსხება) მოჯადოება, მოხიბვლა. *მის მონუსხვას ცდილობდა. ლაპარაკით მონუსხა. მუსიკამ მონუსხა.* ■ მონუსხული ვინც ან რაც მონუსხეს. *მონუსხული უსმენდა.*

**მოოქროვება** *მოოქროვების* (მოაოქროვებს) რაიმეს ოქროთი დაფარვა. *ჯვარი მოაოქროვეს. გუმბათის მოოქროვება.* ■ მოოქროვებული რაც მოაოქროვეს. *მოოქროვებული ჩარჩო. მოოქროვებული კოვზები.*

**მოოქროსფრო** *მოოქროსფროს* ფერით ოქროს მიმსგავსებული. *მოოქროსფრო ლითონი.*

**მოოჭვა** *მოოჭვის* (მოოჭავს) ძვირფასი თვლებით მორთვა, შემკობა. *თვალმარგალიტით მოოჭვა.*

**მოოჭვილი** *მოოჭვილის* ძვირფასად მორთული, შემკული. *მოოჭვილი ჩარჩო. მოოჭვილი ნაკეთობა.*

**მოოხება** *მოოხების* (მოიოხებს) მწუხარების, დარდის, საწუხარის გამოხატვით შვების განცდა. *ტირილით გული მოიოხა. ლაპარაკით გულის მოოხება.* ■ მოოხებული რაც მოიოხეს. *მოოხებული გული.*

**მოოხრება** *მოოხრების* (მოაოხრებს, მოოხრდება) იგივეა, რაც აოხრება. *არაბებმა მოაოხრეს ყველაფერი. ზღვისპირა მხარე მოოხრდა. გზები მოოხრდა.* ■ მოოხრებული რაც მოაოხრეს ან მოოხრდა. *მოოხრებული ტყეები. მოოხრებული ციხე-ქალაქი.*

**მოპაექრე** *მოპაექრის* ვინც პაექრობს. *მოპაექრე მხარეები.*

**მოპარება** *მოპარების* (მოიპარება, მოეპარება) ჩუმად, მალულად მოსვლა. *ფრთხილად მოიპარა. კატასავით მოიპარება. ფეხაკრეფით მოეპარა.*

**მოპარვა** *მოპარვის* (მოპარავს, მოიპარავს, მოაპარვინებს) ვინმეს ქონების, საკუთრების ჩუმად წაღება (წაყვანა) და მითვისება. *მანქანის მოპარვა. ქათამი მოიპარა.* ■ მოპარული რაც ან ვინც მოიპარეს. *მოპარული ნივთები.*

**მოპარსვა** *მოპარსვის* (მოპარსავს, მოიპარსავს, მოაპარსვინებს) იგივეა, რაც გაპარსვა 1. *ულვაში მოიპარსა.* ■ მოპარსული ვინც ან რაც მოპარსეს ან

მოიპარსა. *მოპარსული წვერი. მოპარსული სახე.*

მოპასუხე *მოპასუხის* 1. პირი, რომელიც ვინმეს პასუხს აძლევს, უპასუხებს. 2. პირი, რომლის წინააღმდეგ სასამართლოში აღძრულია საქმე. *მოპასუხე მხარე.*

მოპატიჟე *მოპატიჟის* სტუმრების დასაპატიჟებლად გაგზავნილი პირი. *მოპატიჟე მოვიდა.*

მოპატიჟება *მოპატიჟების* (მოიპატიჟებს) თავისთან დაპატიჟება, მონვევა. *სტუმრები მოვიპატიჟეთ.*

მოპიკეტე *მოპიკეტის* პიკეტის მონაწილე. *მოპიკეტეებმა ქუჩა გადაკეტეს.*

მოპირდაპირე *მოპირდაპირის* გასწვრივ, პირდაპირ მყოფი ან მდებარე. *მოპირდაპირე მხარე. მოპირდაპირე ნაპირი.*

მოპირვა *მოპირვის* (მოპირავს, მოუპირავს) რკინის იარაღებზე ფოლადის თხელი ფენის დადება. *ცულის მოპირვა.*

მოპირკეთება *მოპირკეთების* ზედაპირის გარედან მორთვა ლითონით, ხით, ქვითა და მისთ. *სახლის ფასადი მოაპირკეთეს. ქვით მოპირკეთება.* ▪ მოპირკეთებული რაც მოაპირკეთეს. *ოქროთი მოპირკეთებული. სპილოს ძვლით მოპირკეთებული.*

მოპირქვავება *მოპირქვავების* (მოაპირქვავებს, მოპირქვავდება) სავსე ჭურჭლის პირქვე გადაბრუნება ისე, რომ დაიცალოს. *ეედრო კასრში მოაპირქვავა.*

მოპკურება *მოპკურების* (მოაპკურებს, მოეპკურება) სითხის მოსხმა ზემოდან და ირგვლივ შხეფებად. *იატაკს წყალი მოაპკურა.*

მოპოვება *მოპოვების* (მოიპოვებს, მოუპოვებს, მოიპოვება, მოეპოვება) 1. დედამიწის წიაღიდან მადნეულის, ნავთობისა და მისთ. ამოღება. *ნავთობის მოპოვება. გაზის მოპოვება. ოქროს მოპოვება.* 2. დიდი ბრძოლით, განსაკუთრებული მიზანსწრაფვით რაიმეს მიღწევა. *დამოუკიდებლობის მოპოვება. წარმატების მოპოვება. ავტორიტეტი მოიპოვა.*

მოპრანჭვა *მოპრანჭვის* (მოპრანჭავს, მოიპრანჭება) იგივეა, რაც გაპრანჭვა (1). *ქალი წასასვლელად მოიპრანჭა.* ▪ მოპრანჭული ვინც მოიპრანჭა. *მოპრანჭული პატარძალი.*

მოპრიანება *მოპრიანების* (მოიპრიანებს, მოეპრიანება) საუბრ. თავნებურად რაიმეს მონდომება. *გასეირნება მოეპრიანა.*

მოპრუწვა *მოპრუწვის* (მოპრუწავს, მოიპრუწავს, მოიპრუწება, მოეპრუწება) უშნოდ შეკუმშვა, მოკუმვა. *ტუჩები მოპრუწა.* ▪ მოპრუწული რაც მოპრუწეს. *მოპრუწული თვალები.*

მოპყრობა[1] *მოპყრობის* (მოეპყრობა) გარკვეული დამოკიდებულების გამომჟღავნება, გამოვლენა ვინმეს ან რაიმეს მიმართ. *ქალს სათუთად მოეპყრო. ცივად მოეპყრნენ. პატივისცემით მოეპყრობიან.*

მოპყრობა[2] *მოპყრობის* (მოაპყრობს) შემოხედვა, მზერა. *თვალი მომაპყრო.*

მორაგბე *მორაგბის* რაგბის მოთამაშე. *მორაგბეთა ნაკრები.* = რაგბისტი.

მორაგვა *მორაგვის* (მორაგვავს) იგივეა, რაც შემორაგვა. *ბოსტანი მორაგვა.*

მორაკრაკე *მორაკრაკის* რაც რაკრაკებს. *მორაკრაკე ნაკადული.*

მორალი *მორალის* 1. იგივეა, რაც ზნეობა. *ადამიანის მორალი. მორალი კარნახობს.* 2. მოთხრობის, იგავისა და მისთ. მთავარი სათქმელი, ზნეობრივი შეგონება. *ნაწარმოების მორალი.*

მორალური *მორალურის* იგივეა, რაც ზნეობრივი. *მორალური კანონები. მორალური საქციელი.*

მორატორიუმი *მორატორიუმის* 1. საგადასახადო ვალდებულებათა შესრულების ვადის გადაწევა მთავრობის მიერ საგანგებო სიტუაციაში (ომის, კრიზისის ან სტიქიური უბედურების დროს). *მთავრობის მორატორიუმი.* 2. გარკვეული სახის იარაღის გამოცდისა და განლაგების შეჩერება, პროცესის გადადება. *მორატორიუმი გრძელდება.*

მორბედი *მორბედის* 1. ძვ. რაც მორბის, მორბენალი, სირბილით მომავალი. *გამოჩნდნენ მორბედი მხედრები.* 2. კარგი სირბილის უნარის მქონე. *მორბედი ცხენი. მორბედი აქლემი.* 3. გასაგზავნ-გამოსაგზავნი მოსამსახურე, შიკრიკი. *მორბედი გაგ ზავნა.*

მორბევა *მორბევის* (მოარბევს) იგივეა, რაც დარბევა. *ქართლი მოარბიეს. ლაშქარმა სოფლები მოარბია.* ▪ მორბეული რაც მოარბიეს. *მორბეული ქალაქები.*

მორბენა *მორბენის* (მოირბენს, მოურბენს) 1. სირბილით მოსვლა. *სახლში მოირბინა.* 2. სირბილით მოვლა[2] (1, 2), შემოვლა. *მთელი უბანი მოირბინა. სახლს წინიდან მოურბინა.*

მორბენალი *მორბენალის* ვინც ან რაც დარბის. *მორბენალი სპორტსმენები.*

მორბენინება *მორბენინების* (მოარბენინებს, მოურბენინებს) სირბილით, სწრაფად მოტანა ან მოყვანა. *ლუდი მოგვირბენინა.*

მორბილება *მორბილების* (მოარბილებს, მორბილდება) 1. ცოტათი დარბილება. *ტყავი მორბილდა.* 2. გადატ. მძიმე ხასიათის, მკაცრი თვისებებისა და მისთ. შესუსტება, მოლბობა. *სიბრალულმა მოარბილა.*

მორგება *მორგების* (მოარგებს, მოირგებს, მოერგება) ვინმესთვის ან რაიმესთვის შესაფერისი ზომის ჩასაცმელის, ჩასადებისა და მისთ. შერჩევა. *პალტო მოერგო. სურათს ჩარჩო მოარგო.* ▪ მორგე-

ბული ვინ ან რაც მოერგო. *კარგად მორგებული ტანსაცმელი.*

მორგვი *მორგვის* I. ურმის თვლის, ბორბლის ან დაზგის მრგვალი ნაწილი, რომელშიც გაყრილია ღერძის თავი. 2. მოკლე მორი, კუნძი. *მორგვი დაჩეხა.*

მორგი *მორგის* ადგილი, შენობა, სადაც ათავსებენ გარდაცვლილთა გვამებს. *მორგში დაუწყეს ძებნა. მორგში დაასვენეს.*

მორეგვა *მორეგვის* (მორეგვავს) ნათესის, ბოსტნის, ვენახისა და მისთ. განადგურება სეტყვის, ქარიშხლის, გრიგალის მიერ. *სეტყვამ ყანები მორეგვა. გრიგალი ტყეს მორეგვავს.*

მორევა[1] *მორევის* (მოერევა) I. ვინმეზე ან რაიმეზე გამარჯვება, ჯობნა (ძალით, ჭკუით, ხერხით), რაიმეს დაძლევა. *მტერს მოერია. ჩანთას ვერ მოერია. საქმეს მოერია.* 2. გადატ. რაიმეს მოძალება, მომატება, მოკიდება. *სევდა მომერია. ძილი მოერია.* ■ მორეული რაც მოერია. *მორეული გრძნობები. მორეული ცრემლი.*

მორევა[2] *მორევის* (მოურევს) თხევად ან ფაფისებურ მასაში კოვზის, ქაფქირის და მისთ. დატრიალება. *ყავას მოურია.*

მორევი *მორევის* მდინარის გარკვეული მონაკვეთი, ადგილი მდინარეში, სადაც წყალი ღრმაა და წრიულად ტრიალებს. *მორევმა ჩაითრია.*

მორეკა *მორეკის* (მორეკს, მოურეკს, მოირეკება||მორეკვა. *ცხვრები მორეკეს.*

მორეკვა *მორეკვის* (მორეკავს, მოურეკავს, მოირეკება) ცხოველების (ბევრის) მოყვანა. *ძროხები მორეკეს. თხები მორეკა.* ■ მორეკილი რაც მორეკეს. *მორეკილი ჯოგი.*

მორეცხვა *მორეცხვის* (მორეცხავს, მოირეცხავს, მოურეცხავს, მოირეცხება, მოარეცხვინებს) ჰორიზონტალური ზედაპირის გარეცხვა. *იატაკის მორეცხვა.*

მორთვა *მორთვის* (მორთავს, მოირთავს, მოურთავს, მოირთვება) I. შემკობა, გამშვენება. *ოთახი ყვავილებით მორთეს. ტორტი მორთო. ნაძვის ხე მორთეს.* 2. გადატ. გაბმით ტირილის, ყვირილის, სიცილისა და მისთ. დაწყება. *ტირილი მორთო. ყვირილი მორთო. ღრიალი მორთო.* ■ მორთული რაც ან ვინც მორთეს. *მორთული პატარძალი. ხალიჩებით მორთული ოთახი.*

მორთმევა *მორთმევის* (მოართმევს, მოერთმევა) რაიმეს მოცემა, მოტანა ან მოყვანა (გამოიყენება თავაზიანობის, პატივისცემის გამოსახატად). *ცხენი მოართვით ბატონს! საუზმე უკვე მოგართვათ?* ■ მორთმეული რაც მოართვეს. *მორთმეული ხილი.*

მორთულობა *მორთულობის* სამკაულების ერთობლიობა, რომლითაც მორთულია, შემკულია ვინმე ან რაიმე. *ნაძვის ხის მორთულობა.*

მორთხმა *მორთხმის* (მოირთხამს) ფეხებმოკეცილი დაჯდომა. *ტახტზე მოირთხა. ფეხები მოირთხა.* ■ მორთხმული ვინც მოირთხა. *მორთხმული იჯდა.*

მორი *მორის* მოჭრილი მსხვილი ხის ტოტებგაცლილი ტანი. *მორი გადაჭრეს.*

მორიგე *მორიგის* პირი ან დაწესებულება, რომელიც მორიგეობს. *მორიგე ექიმი. მორიგე აფთიაქი. კლასის მორიგე.*

მორიგება *მორიგების* (მოარიგებს, მორიგდება, მოურიგდება) სხვადასხვა საკითხზე შეთანხმება, ერთ აზრამდე მისვლა. *პირობებზე მოურიგდა. ერთმანეთში მორიგდნენ. მოდავეები მოარიგა.* ■ მორიგებული ვინც მორიგდა. *მორიგებული მხარეები. ყველაფერზე მორიგებული ვიყავით.*

მორიგეობა *მორიგეობის* (მორიგეობს) რაიმე მოვალეობის შესრულება გარკვეული პერიოდების მონაცვლეობით. *საწყობში მორიგეობენ. მორიგეობა დააწესეს. ღამით მორიგეობს.*

მორიგი *მორიგის* შემდეგი, მომდევნო. *მორიგი საკითხი. მორიგი ამოცანა.*

მორიდება *მორიდების* (მოარიდებს, მოირიდებს, მოერიდება) I. დამორცხვება, მოკრძალების გამოჩენა. *არ მოგერიდოს! სტუმრების მოერიდა.* 2. იგივეა, რაც გარიდება. *ბავშვი ავადმყოფს მოარიდეს. სიმძიმის ანევას მოვერიდე.*

მორიდებული *მორიდებულის* მორცხვი, მოკრძალებული. *მორიდებული ყმაწვილი.* ▲ მორიდებულად ზმნზ. მორცხვად, მოკრძალებულად. *მორიდებულად საუბრობს.*

მორიელი *მორიელის* I. ძლიერ შხამიანი ობობასნაირი ცხოველი, ნესტარი აქვს კუდზე. *მორიელის ნაკბენი.* 2. გადატ. ზოდიაქოს ნიშანი.

მორკინალი *მორკინალის* ნიგნ. ორთაბრძოლის მონაწილე.

მორტყმა *მორტყმის* (მოარტყამს, მოირტყამს, მოერტყმება) რაიმეს მოხვედრება. *ისარი მოარტყეს. მიზანში მოარტყა.*

მორფი *მორფის* იგივეა, რაც მორფინი. *მორფის ამპულები.*

მორფინი *მორფინის* ძლიერი ტკივილგამაყუჩებელი ნარკოტიკული ნივთიერება. *მორფინის ინიექცია.*

მორფინისტი *მორფინისტის* საუბრ. იგივეა, რაც ნარკომანი

მორფინისტობა *მორფინისტობის* მორფინისტად ყოფნა.

მორფოლოგია *მორფოლოგიის* I. მეცნიერება, რომელიც შეისწავლის ორგანიზმებისა და მინერალური ნივთიერებების აგებულებას. *ცხოველთა მორფოლოგია.* 2. გრამატიკის დარგი, რომელიც სწავლობს სიტყვის ფორმას, მის სტრუქტურას. *მორფოლოგია და სინტაქსი.* ■ მორფოლოგიური

მორფოლოგიასთან დაკავშირებული. *მორფოლოგიური ანალიზი.*

მორღვევა *მორღვევის* (მოარღვევს, მოირღვევა, მოერღვევა) 1. შეკერილისთვის, ნაქსოვისთვის ნაწილის ჩამოშორება. *საყელო მოარღვია. სახელოები მოარღვია.* 2. ნაგებობის ნაწილის დანგრევა, მოშლა. *გალავანი მოარღვია. კედელი მოარღვიეს.* ■ მორღვეული რაც მოარღვიეს. *მორღვეული ჯებირი.*

მორყევა *მორყევის* (მოარყევს, მოირყევა, მოერყევა) რაიმეს სიმყარის, სიმაგრის მოშლა აქეთ-იქით ხშირი მოძრაობით. *სკამი მოირყა. კბილი მოერყა.* ■ მორყეული რაც მოირყა. *მორყეული კიბე.*

მორჩენა *მორჩენის* (მოარჩენს, მოირჩენს, მოურჩენს, მორჩება, მოურჩება) 1. ავადმყოფის გამოჯანმრთელება, კარგად გახდომა. *ექიმმა მოარჩინა. წამლებით მალე მორჩა.* 2. რაიმეს კეთების დასრულება, დამთავრება. *საქმეს მორჩა. წერას მორჩა.* 3. თანხის, პროდუქტისა და მისთ. დახარჯვის მერე ნაწილის დარჩენა. *ხელფასიდან ცოტა ფული მომრჩა.* ■ მორჩენილი ვინც ან რაც მორჩა. *მორჩენილი პაციენტი. მორჩენილი თანხა.*

მორჩი *მორჩის* მცენარის ახლად ამოსული ყლორტი. *ალვისხის მორჩი. ვაზის მორჩი.*

მორჩილება *მორჩილების* მორჩილად (1, 2) ყოფნა, სხვისი ნების ასრულება. *ღვთის მორჩილება.*

მორჩილი *მორჩილის* 1. ვინც ვიღაცას ემორჩილება, სხვისი ნების ამსრულებელი. *მორჩილი ბავშვი.* 2. ეკლესიაში ან მონასტერში მყოფი პირი, რომელსაც რაიმე საეკლესიო ხარისხი არა აქვს და ემზადება ბერობისთვის, მონაზვნობისთვის. *მორჩილის სენაკი.* 3. შედარებით პატარა, მცირე ზომის მქონე. *მორჩილი ქვა.*

მორცხვი *მორცხვის* მორიდებული, მოკრძალებული, არათამამი. *მორცხვი პატარძალი.* ▲ მორცხვად ზმნზ. მორიდებულად, მოკრძალებულად. *მორცხვად გაიღიმა.*

მორცხვობა *მორცხვობის* (მორცხვობს) ძლიერი მორიდების, მოკრძალების განცდა. *ბავშვი მორცხვობს. მორცხვობა სჩვევია.*

მორწმუნე *მორწმუნის* 1. რომელიმე აღმსარებლობის მიმდევარი. *მორწმუნე ქრისტიანი. მორწმუნე მაჰმადიანი.* 2. ზოგადად სარწმუნოების მიმდევარი, ღვთისმოსავი. *მორწმუნე ერი.*

მორწყვა *მორწყვის* (მორწყავს, მოურწყავს, მოირწყვება) 1. წყლის მიწოდება, წყლით გაჟღენთა. *ხეხილის მორწყვა. ყვავილები მორწყო.* 2. გადატ. ბევრი სისხლის, ცრემლის დაღვრა. *ბრძოლის ველი სისხლით მოირწყო.* ■ მორწყული რაც მორწყეს. *მორწყული მინდვრები.*

მორჯულება *მორჯულების* (მოარჯულებს, მორჯულდება) ურჩის, დაუმორჩილებლის დამორჩილება, მოთვინიერება. *ჭირვეულის მორჯულება. ცოლი მოარჯულა.* ■ მორჯულებული ვინც მოარჯულეს. *მორჯულებული ჰყავდა.*

მოსაბეზრებელი *მოსაბეზრებლის* რაც მობეზრებას იწვევს, ერთფეროვანი. *მოსაბეზრებელი ცხოვრება. მოსაბეზრებელი ლექცია.*

მოსაბმელი *მოსაბმელის* რაც უნდა მოაბან. *მოსაბმელი ეტლი.*

მოსაბოდიშებელი *მოსაბოდიშებლის* რის გამოც უნდა მოიბოდიშო. *მოსაბოდიშებელი არაფერი მაქვს.* ▲ მოსაბოდიშებლად ზმნზ. მობოდიშებისთვის, მობოდიშების მიზნით. *მოსაბოდიშებლად დაურეკა.*

მოსაგერიებელი *მოსაგერიებლის* რაც ან რითაც უნდა მოიგერიო. *მოსაგერიებელი თავდასხმა. რაკეტების მოსაგერიებელი სისტემა.* ▲ მოსაგერიებლად ზმნზ. იმისთვის, რომ მოიგერიო. *მტრის მოსაგერიებლად.*

მოსაგვარებელი *მოსაგვარებლის* რაც უნდა მოაგვარო. *მოსაგვარებელი საქმე.* ▲ მოსაგვარებლად ზმნზ. იმისთვის, რომ მოაგვარო. *პრობლემის მოსაგვარებლად.*

მოსაგველი *მოსაგველის* რაც უნდა მოგავო. *მოსაგველი იატაკი.*

მოსაგონარი *მოსაგონრის* სუფრაზე ნათქვამი მიცვალებულის სახსენებელი სადღეგრძელო. *ბევრი მოსაგონარი შეისვა. მშობლების მოსაგონარი.*

მოსაგროვებელი *მოსაგროვებლის* რაც უნდა მოაგროვო. *მოსაგროვებელი ხელმოწერები. მოსაგროვებელი ფიჩხი.* ▲ მოსაგროვებლად ზმნზ. მოგროვებისთვის, მოგროვების მიზნით.

მოსავალი *მოსავლის* ერთ წელს მიღებული მცენარეული პროდუქტის მთელი ოდენობა. *ყურძნის მოსავალი. მოსავლის აღება.*

მოსაზელი *მოსაზელის* რაც უნდა მოზილონ ან რაშიც უნდა მოზილონ. *მოსაზელი ფქვილი. მოსაზელი ვარცლი.* ▲ მოსაზელად ზმნზ. იმისთვის, რომ მოზილონ. *ცომის მოსაზელად.*

მოსაზრება *მოსაზრების* (მოისაზრებს) 1. რაიმე აზრის გაჩენა, მოფიქრება. *ახალი გეგმის მოსაზრება. მაშინვე მოისაზრა, რა უნდა ექნათ.* 2. თვალსაზრისი, აზრი. *განსხვავებული მოსაზრება. თავისი მოსაზრება გაუზიარა.*

მოსაზრებული *მოსაზრებულის* 1. გონიერი, მოსაზრების უნარის მქონე. *მოსაზრებული ბიჭი.* 2. რაც მოისაზრეს. *მისი მოსაზრებული საქმე.*

მოსაზღვრე *მოსაზღვრის* 1. რაც ან ვინც ესაზღვრება ვინმეს ან რაიმეს. *მოსაზღვრე ქვეყნები. მოსაზღვრე კუთხეები.* 2. გადატ. ახლო მდგომი, მონათესავე, მომიჯნავე (დარგი ან სფერო). *მოსაზღვრე მეცნიერებები.*

მოსათმენი *მოსათმენის* რის მოთმენაც, ატანაც შეიძლება. *მოსათმენი ტკივილი.*

მოსაკეთი *მოსაკეთის* რაც უნდა მოჰკეთონ. *ფეხი მოსაკეთი აქვს.*

მოსაკითხავი *მოსაკითხავის* იგივეა, რაც მოსაკითხი

მოსაკითხი *მოსაკითხის* ნათესავის ან ავადმყოფის მონახულებისას მიტანილი სასმელ-საჭმელი. *მოსაკითხი მოიტანა. მოსაკითხით ხელდამშვენებული.* ▲ მოსაკითხად ზმნზ. მოკითხვისთვის, მოკითხვის მიზნით. *მოსაკითხად მოვიდნენ.*

მოსაკლავი *მოსაკლავის* 1. ვინც ან რაც უნდა მოკლან, ვინც მოკვლას იმსახურებს. *მოსაკლავი ნადირი. მოსაკლავი ხარ!* 2. რითაც უნდა მოკლან. *მოსაკლავი იარაღი.* ▲ მოსაკლავად ზმნზ. მოკვლის მიზნით. *მოსაკლავად გაიმეტა.*

მოსაკრებელი *მოსაკრებლის* მოსახლეობისგან გადასახადის სახით აკრეფილი თანხა. *ბიუჯეტში მოსაკრებელი შევიდა. მოსაკრებელმა გვარიანი თანხა შეადგინა.*

მოსაკრეფი *მოსაკრეფის* რაც უნდა მოკრიფონ. *ყურძენი მოსაკრეფი დარჩა.* ▲ მოსაკრეფად ზმნზ. იმისთვის, რომ მოკრიფონ. *ყვავილების მოსაკრეფად.*

მოსალოდნელი *მოსალოდნელის* რაც უნდა მოხდეს ან შეიძლება მოხდეს. *მოსალოდნელი უბედურება. მოსალოდნელი სეტყვა. დიდი ძვრებია მოსალოდნელი.*

მოსალოცი *მოსალოცის* 1. რაც უნდა მოულოცონ ან მოილოცონ. *მოსალოცი ამბავი.* 2. რითაც უნდა მოულოცონ. *მოსალოცი ბარათი.* ▲ მოსალოცად ზმნზ. მოლოცვისთვის, მოლოცვის მიზნით. *დაბადების დღის მოსალოცად.*

მოსალხენი *მოსალხენის* სადაც ან რითაც უნდა მოილხინონ. *მოსალხენი მიზეზი.*

მოსამართლე *მოსამართლის* თანამდებობის პირი, რომელიც სასამართლოში შეტანილ საქმეს არჩევს და გასამართლების პროცესს ხელმძღვანელობს. *მოსამართლემ წაიკითხა განაჩენი.*

მოსამატებელი *მოსამატებლის* რაც ან რითაც უნდა მოუმატონ. *მადის მოსამატებელი. მოსამატებელი თანხა.* ▲ მოსამატებლად ზმნზ. მომატებისთვის, მომატების მიზნით. *რძის მოსამატებლად.*

მოსამზადებელი *მოსამზადებლის* მომზადებისთვის განკუთვნილი. *მოსამზადებელი განყოფილება.* ▲ მოსამზადებლად ზმნზ. მომზადებისთვის, მომზადების მიზნით. *გაკვეთილის მოსამზადებლად.*

მოსამსახურე *მოსამსახურის* 1. პირი, რომელიც რაიმე ორგანიზაციაში ან დაწესებულებაში მსახურობს. *დირექტორმა რამდენიმე მოსამსახურე გაათავისუფლა.* 2. იგივეა, რაც მსახური. *შეძლებულ ოჯახებს მოსამსახურე ჰყავთ.*

მოსამშობიარებელი *მოსამშობიარებელის* ვინც უნდა იმშობიაროს. *მოსამშობიარებელი ქალი.*

მოსანათლი *მოსანათლის* ვინც უნდა მონათლონ. *შვილი მოსანათლი ჰყავს.*

მოსანანიებელი *მოსანანიებლის* რაც უნდა მოინანიონ. *მოსანანიებელი არაფერი მაქვს.* ▲ მოსანანიებლად ზმნზ. მონანიებისთვის, მონანიების მიზნით.

მოსანელებელი *მოსანელებლის* რაც უნდა მოინელონ. *მძიმედ მოსანელებელი პროდუქტი.* ▲ მოსანელებლად ზმნზ. მონელებისთვის, მონელების მიზნით.

მოსაოხებელი *მოსაოხებლის* რაც მოუოხებს, შვებას მოჰგვრის. *გულის მოსაოხებელი სიტყვა.* ▲ მოსაოხებლად ზმნზ. მოოხების მიზნით. *გულის მოსაოხებლად თქვა.*

მოსაპირკეთებელი *მოსაპირკეთებლის* რაც/რითაც უნდა მოაპირკეთონ. *მოსაპირკეთებელი აგური. მოსაპირკეთებელი ტროტუარი.*

მოსაპოვებელი *მოსაპოვებლის* რაც უნდა მოიპოვონ. *ხარისხის მოსაპოვებელი ნაშრომი.*

მოსარევი *მოსარევის* რასაც უნდა მოურიონ, რითაც უნდა მოურიონ. *ღომის მოსარევი ჯოხი.*

მოსართავი *მოსართავის* 1. რაც ან რითაც უნდა მორთონ. *მოსართავი ნაძვის ხე. ტორტის მოსართავი კრემი.* 2. სპეციალური ღვედი, რომლითაც უნაგირს ცხენზე ამაგრებენ. *ცხენის მოსართავი. მოსართავი უჭერს.*

მოსარიდებელი *მოსარიდებლის* რასაც ან ვისაც უნდა მოერიდონ. *მოსარიდებელი კაცი. ამაში მოსარიდებელი არაფერია! მოსარიდებელი რა გაქვს?*

მოსარჩელე *მოსარჩელის* პირი, რომელსაც სარჩელი აქვს აღძრული სასამართლოში. *მოსარჩელე და მოპასუხე.*

მოსარჩლე *მოსარჩლის* პირი, რომელიც ვინმეს ესარჩლება, ექომაგება. *გაჭირვებულთა მოსარჩლე.*

მოსარწყავი *მოსარწყავის* რაც ან რითაც უნდა მოირწყას. *მოსარწყავი სისტემა. მოსარწყავი ყანა.* ▲ მოსარწყავად ზმნზ. მორწყვისთვის, მორწყვის მიზნით. *ბაღის მოსარწყავად.*

მოსასვენებელი *მოსასვენებლის* სადაც უნდა მოისვენონ. *მოსასვენებელი ოთახი.*

მოსასპობი *მოსასპობის* მოსპობის ღირსი (გამოიყენება წყევლისას). *სად წავიდა ის მოსასპობი?*

მოსასხამი *მოსასხამის* გარე სამოსი სახელოების გარეშე. *აბრეშუმის მოსასხამი.*

მოსატანი *მოსატანის* რაც უნდა მოიტანონ. *ბაზრიდან მოსატანი პროდუქტები.* ▲ მოსატანად ზმნზ. იმისთვის, რომ მოიტანონ. *პურის მოსატანად წავიდა.*

**მოსაუბრე** *მოსაუბრის* ვინც ვინმეს ესაუბრება. *ბავშვებთან მოსაუბრე. ქართულად მოსაუბრე.*

**მოსაფრთხილებელი** *მოსაფრთხილებლის* 1. რასაც ან ვისაც უნდა მოუფრთხილდნენ. *მოსაფრთხილებელი გრძნობა.* ▲ **მოსაფრთხილებლად** ზმნზ. მოფრთხილებისთვის.

**მოსაქმე** *მოსაქმის* საქმის მკეთებელი, ვინც საქმიანობს. *მოსაქმე კაცი. კარგი მოსაქმეა.*

**მოსაქმება** *მოსაქმების* (მოისაქმებს) 1. საუბრ. საქმის დასრულება, მოთავება. *მოისაქმა და დაისვენა.* 2. ევფ. კუჭში გასვლა.

**მოსაღამოება** *მოსაღამოების* (მოსაღამოვდება) საღამოს მოახლოება, საღამოს დადგომა. *ამასობაში მოსაღამოვდა.*

**მოსაღამოებული** *მოსაღამოებულის* საღამო ხანი. *მოსაღამოებული იყო.* ▲ **მოსაღამოებულზე** ზმნზ. მოსაღამოების დროს. *მოსაღამოებულზე ჩავიდნენ სოფელში.*

**მოსაშლელი** *მოსაშლელის* რითაც ან რაც უნდა მოშალოს. *მუცლის მოსაშლელი წამალი. ძნელად მოსაშლელი ღობე.*

**მოსაშუშებელი** *მოსაშუშებლის* რაც უნდა მოშუშდეს, ჯერ მოურჩენელი. *მოსაშუშებელი ჭრილობა.*

**მოსაცდელი** *მოსაცდელის* შენობის ნაწილი, სადაც იცდიან. *მოსაცდელში შევიდა. მოსაცდელი დარბაზი.*

**მოსაცილებელი** *მოსაცილებლის* რაც უნდა მოაცილონ ან რითაც უნდა მოაცილონ. *მაკიაჟის მოსაცილებელი ლოსიონი.* ▲ **მოსაცილებლად** ზმნზ. იმისთვის, რომ მოაცილონ. *ლაქების მოსაცილებლად.*

**მოსაწვევი** *მოსაწვევის* სპეციალური ბარათი, რომლითაც რაიმე ღონისძიებაზე სტუმრებს იწვევენ. *კონცერტის მოსაწვევი. მოსაწვევები დაურიგეს.*

**მოსაწონი** *მოსაწონის* რაც შეიძლება მოიწონონ, მოწონების ღირსი. *მოსაწონი საქციელი. მოსაწონი კონცერტი.*

**მოსაწყენი** *მოსაწყენის* მოსაბეზრებელი, ერთფეროვანი. *მოსაწყენი დღეები. მოსაწყენი მუსიკა. მოსაწყენი საუბარი.* ▲ **მოსაწყენად** ზმნზ. მოწყენისთვის. *მოსაწყენად არ სცალია.*

**მოსაწყვეტი** *მოსაწყვეტის* რაც უნდა მოწყვიტონ. *ადვილად მოსაწყვეტი.*

**მოსაწყლება** *მოსაწყლების* (მოისაწყლებს) ⊙ თავის მოსაწყლება თავის საწყლად მოჩვენება.

**მოსაჭრელი** *მოსაჭრელის* რაც უნდა მოჭრან. *მოსაჭრელი ხეები. მოსაჭრელი ვარდები.*

**მოსახარში** *მოსახარშის* რაც უნდა მოხარშონ. *მოსახარში ხორცი.* ▲ **მოსახარშად** ზმნზ. იმისთვის, რომ მოხარშონ. *კვერცხი მოსახარშად დადგა.*

**მოსახევი** *მოსახევის* რაც უნდა მოხიონ. *მოსახევი ბილეთი.*

**მოსახელე** *მოსახელის* იგივეა, რაც სეხნია. *პაპის მოსახელე.*

**მოსახერხებელი** *მოსახერხებლის* რაც მოხერხდება, რის გაკეთებაც შესაძლებელია, ადვილად მოსახმარი. *მოსახერხებელი საქმე. ეს ჩანთა სამგზავროდ მოსახერხებელია.*

**მოსახვევი**[1] *მოსახვევის* ადგილი, სადაც გზა მიმართულებას იცვლის. *მკვეთრი მოსახვევი.*

**მოსახვევი**[2] *მოსახვევის* დიდი თავშალი. *შალის მოსახვევი.*

**მოსახლე** *მოსახლის* ოჯახი, მეკომური. *რამდენიმე მოსახლეღა დარჩა.*

**მოსახლეობა** *მოსახლეობის* ამა თუ იმ ადგილას (ქალაქში, სოფელში, ქვეყანაში...) მცხოვრები ხალხი. *მოსახლეობის აღწერა. მრავალეროვანი მოსახლეობა.*

**მოსახმარი** *მოსახმარის* რაც უნდა მოიხმარონ. *ადვილად მოსახმარი.*

**მოსახსენებელი** *მოსახსენებლის* 1. მოხსენიებისთვის, მოხსენიების მიზნით. *გარდაცვლილთა მოსახსენიებელი სუფრა.* 2. იგივეა, რაც მოსაგონარი. *მოსახსენებელი შესვა.*

**მოსახსნელი** *მოსახსნელის* ვინც ან რაც უნდა მოიხსნას. *მოსახსნელი კიბე.*

**მოსევადება** *მოსევადების* (მოასევადებს, მოსევადდება) ნაკეთობის სევადით შემკობა. *იარაღის მოსევადება. ბეჭედი მოასევადა.* ■ **მოსევადებული** რაც მოასევადეს. *მოსევადებული ქამარი.*

**მოსეირე** *მოსეირის* სეირის მაყურებელი, გართობისთვის მოსული. *მოსეირე წყვილები.*

**მოსეირნე** *მოსეირნის* ვინც სეირნობს. *მოსეირნე ხალხი.*

**მოსვენება** *მოსვენების* (მოასვენებს, მოისვენებს) 1. დამშვიდება, დაწყნარება. *საქმე დაამთავრა და მოისვენა. ექიმი არ მოასვენეს.* 2. პატივისც. დაძინება. *ამაღამ აქ მოისვენეთ!* 3. მიცვალებულის ნეშტის გადმოტანა. *მიცვალებული ახლობლებმა მოასვენეს.*

**მოსვენებული** *მოსვენებულის* ვინც მოისვენა ან მოასვენეს. *მოსვენებული ქალი.*

**მოსვლა** *მოსვლის* (მოვა, მოუვა) 1. სიარულით, სვლით ჩემამდე ან შენამდე მოღწევა. *სტუმრები მოვიდნენ. მატარებელი მოვიდა.* 2. გარკვეული დროის, სეზონის დადგომა. *ზამთარი მალე მოვა.* 3. მოსავლის, ჭირნახულის მოწევა. *წელს კარგი სიმინდი მოვიდა.* 4. რაიმეს დამართება, შემთხვევა. *რა მოგივიდა?* ■ **მოსული** ვინც ან რაც მოვიდა. *ადრე მოსული სტუმრები.*

**მოსვლეპა** *მოსვლეპის* (მოსვლეპს) სვლეპით შეჭმა. *კერძი მოსვლიპა.*

**მოსვრა**[1] *მოსვრის* (მოსვრის, მოისვრის, მოუსვრის, მოისვრება, მოესვრება) იგივეა, რაც დასვრა. *სახე მოისვარა. იატაკი სალებავით მოსვარა.* ▪ **მოსვრილი** რაც ან ვინც მოისვარა. *სისხლით მოსვრილი ტანსაცმელი.*

**მოსვრა**[2] *მოსვრის* (მოსრავს, მოისვრება) ძვ. მთლიანად მოსპობა, განადგურება, ამოჟლეტა. *მტერი მოსრეს. ხალხი მოისრა.*

**მოსიარულე** *მოსიარულის* ვინც დადის. *ქუჩაში მოსიარულე ხალხი.*

**მოსინჯვა** *მოსინჯვის* (მოსინჯავს, მოისინჯავს, მოუსინჯავს) წინასწარ გასინჯვა, ცდა. *საქმის გაკეთება სხვანაირად მოსინჯა. თავისი ძალა მოსინჯა.* ▪ **მოსინჯული** რაც მოსინჯეს. *ყველა ვარიანტი მოსინჯული ჰქონდა.*

**მოსისხლე** *მოსისხლის* ◉ **მოსისხლე მტერი** შეურიგებელი მტერი, რომელიც სიკვდილს იმსახურებს.

**მოსიყვარულე** *მოსიყვარულის* ვისაც ყველა უყვარს, კეთილი. *მოსიყვარულე მშობელი. მოსიყვარულე გული აქვს.*

**მოსიყვარულება** *მოსიყვარულების* (მოესიყვარულება) სიყვარულით მოპყრობა, მოფერება. *შვილებს მოესიყვარულა.*

**მოსკდომა** *მოსკდომის* (მოსკდება, მოასკდება) 1. ერთბაშად, დიდი ძალით მოჯახება რაიმეზე. *ბურთი ფანჯარას მოასკდა.* 2. ძლიერ ნაკადად ნამოსულა. *მეწყერი მოსკდა.*

**მოსმა**[1] *მოსმის* (მოისვამს, მოუსვამს) 1. იგივეა, რაც გადასმა[2]. *ცხვირზე ხელი მოისვა. იოდი მოუსვა. იატაკს ცოცხი მოუსვა.* 2. ხელის, ფეხის, ნიჩბის ნყალში მოძრაობა გადასაადგილებად. *ნიჩბის მოსმა. ხელი მძლავრად მოუსვა.* 3. საუბრ. გადატ. გაქცევა, სწრაფად გაცლა. *ისე მოუსვა, უკან არ მოუხედავს!*

**მოსმა**[2] *მოსმის* (მოისვამს, მოუსვამს) გვერდით დასმა. *მამამ გვერდით მოისვა.*

**მოსმა**[3] *მოსმის* (მოსვამს) სითხის დალევა მცირე რაოდენობით. *ორი ყლუპი მოსვა. არაყი მოსვა.*

**მოსმენა** *მოსმენის* (მოისმენს, მოუსმენს) ხმის ყურით აღქმა, გაგონება. *მუსიკის მოსმენა. ახალი ამბავი მოისმინა.* ▪ **მოსმენილი** რაც მოისმინეს. *მოსმენილი საუბარი.*

**მოსპობა** *მოსპობის* (მოსპობს, მოუსპობს, მოისპობა, მოესპობა, მოასპობინებს) მთლიანად განადგურება (დახოცვა, გაჟლეტა, დანგრევა და მისთ.). *მტრის ჯარი მოსპეს. ჭირმა საქონელი მოსპო. ქურდობა მოისპო.*

**მოსრესა** *მოსრესის* (მოსრესს, მოისრესს, მოუსრესს) მსუბუქად დასრესა, დაზელა. *ნიკაპი მოისრისა. შუბლი ხელით მოისრისა. ცხვირი მოისრისა.*

**მოსრიალება** *მოსრიალების* (მოასრიალებს, მოსრიალდება) იგივეა, რაც მოცურება (2). *ავტობუსი ყინულზე მოსრიალდა.*

**მოსულიერება** *მოსულიერების* (მოასულიერებს, მოსულიერდება) გონზე მოსვლა, ცნობიერების დაბრუნება, მოცოცხლება. *ბავშვი ძლივს მოასულიერეს. ავადმყოფი მოსულიერდა.* ▪ **მოსულიერებული** ვინც მოასულიერეს ან მოსულიერდა. *მოსულიერებული ქალი.*

**მოსურვება** *მოსურვების* (მოისურვებს, მოესურვება) იგივეა, რაც მონდომება (1). *სახლში წასვლა მოისურვა.*

**მოსურნე** *მოსურნის* მსურველი, ვისაც რაიმე სურს ან სხვას უსურვებს რაიმეს. *სიკეთის მოსურნე. გართობის მოსურნე.*

**მოსუფთავება** *მოსუფთავების* (მოასუფთავებს, მოისუფთავებს, მოუსუფთავებს, მოსუფთავდება) იგივეა, რაც დასუფთავება. *მაგიდა მოასუფთავა. სამზარეულო მოასუფთავა.*

**მოსუქება** *მოსუქების* (მოასუქებს, მოსუქდება) ოდნავ გასუქება. *ჰაერზე ცოტა მოსუქდა. ბავშვი მოასუქა.* ▪ **მოსუქებული** ვინც ან რაც მოასუქეს ან მოსუქდა. *მოსუქებული ბიჭი.*

**მოსქო** *მოსქოს* ცოტა სქელი. *მოსქო ძაფი.*

**მოსყიდვა** *მოსყიდვის* (მოისყიდის) გარკვეული საფასურით, ქრთამით ვინმესთვის რაიმე საქმის გაკეთებინება, გადმობირება. *ამომრჩევლების მოსყიდვა. მსაჯი მოისყიდეს.* ▪ **მოსყიდული** ვინც მოისყიდეს. *მოსყიდული მოსამართლე.*

**მოსწავება** *მოსწავების* (მოასწავებს) წინასწარ მინიშნება მოსახდენ ფაქტზე, მოვლენაზე. *ეს კარგს არაფერს მოასწავებს.*

**მოსწავლე** *მოსწავლის* ვინც სასწავლო დაწესებულებაში ან კერძო მასწავლებელთან სწავლობს. *სკოლის მოსწავლე. მოსწავლის ჩანთა.*

**მოსწორება** *მოსწორების* (მოასწორებს, მოისწორებს, მოუსწორებს, მოსწორდება) ზედაპირის გასწორება. *სამშენებლო ადგილი მოასწორეს.* ▪ **მოსწორებული** რაც მოასწორეს. *მოსწორებული ეზო.*

**მოსწრაფება** *მოსწრაფების* (მოისწრაფებს, მოუსწრაფებს, მოესწრაფება) ▪ **სიცოცხლეს მოუსწრაფებს** სიცოცხლეს შეუმოკლებს.

**მოსწრება** *მოსწრების* (მოასწრებს, მოუსწრებს, მოესწრება) 1. დროზე, საჭირო ვადაში გაკეთება. *დალაგება მოვასწარი. საღამომდე ვერ მოესწრება. თქმა ვერ მოასწრო.* 2. იგივეა, რაც დასწრება (1). *მოსვლა სხვებს მოასწრო. მეგობარმა მოგასწრო.* 3. გზაში ყოფნისას ამინდის შეცვლა ან დაღამება. *წვიმამ მოგვისწრო. ღამემ მოგვისწრო.* 4. მოლოდინის გამართლება, სურვილის ახდენა. *ამას რას მოვესწარი! შვილის ბედნიერებას მოესწრო.* ◉ **თავის დღე და მოსწრება** მთელი თავისი სიცოცხლის განმავლობაში.

**მოსწრებული**[1] 1. *მოსწრებულის* მარჯვედ ნათქვამი. *მოსწრებული სიტყვა.* 2. დროზე გაკეთებული. *მოსწრებული საქმე.*

მოსწრებული[2] *მოსწრებულის* მოზრდილი, სრულასაკოვანი. *მოსწრებული შვილები ჰყავს.*

მოსხდომა *მოსხდომის* (მოასხდება, მოუსხდება) ბევრის მოჯდომა. *ბავშვები გარშემო მომისხდნენ. ახალგაზრდები ცხენებს მოასხდნენ.*

მოსხეპა *მოსხეპის* (მოსხეპს, მოასხეპს) სწრაფი დარტყმით მოჭრა. *ხეს წვრილი ტოტები მოასხიპა.*

მოსხლეტა *მოსხლეტის* (მოსხლეტს) ადგილიდან სწრაფად დაძვრა. *მხედარმა ცხენი მოსხლიტა.*

მოსხლეტით ზმნზ. სწრაფად. *სკამზე მოსხლეტით დაეცა.*

მოსხლტომა *მოსხლტომის* (მოსხლტება) მოსხლეტა. *მანქანა ადგილიდან მოსხლტა.*

მოსხმა[1] *მოსხმის* (მოასხამს, მოისხამს, მოუსხამს, მოესხმება) 1. ზეციდან სითხის ნელ-ნელა, პკურებით დასხმა. *სალათას მაიონეზი მოასხა.* 2. რაიმეს წამოხურება, წამოფარება. *პალტო მოისხა. თავშალი მოისხა.*

მოსხმა[2] *მოსხმის* (მოისხამს, მოესხმება) ბევრი ნაყოფის, ყვავილისა და მისთ. გამოტანა, გამობმა. *ვაზმა მოისხა. ხეხილმა ნაყოფი მოისხა.*

მოსხურება *მოსხურების* (მოასხურებს) სითხის მოსხმა წვეთებად ან მცირე ნაკადად. *თევზს ლიმონის წვენი მოასხურა. იატაკზე ხსნარი მოასხურა.*

მოტანა *მოტანის* (მოიტანს, მოუტანს, მოატანინებს) წამოღება განსაზღვრულ ადგილზე ან ვინმესთვის მოცემა. *სკოლაში ახალი მერხები მოიტანეს. დედამ საჩუქრები მოგვიტანა.* ■ მოტანილი რაც მოიტანეს. *სუფრასთან მოტანილი კერძები.*

მოტანება *მოტანების* (მოატანს, მოიტანს, მოეტანება) 1. რაიმეს ქვეშ ან გარკვეულ საგნებს, ნაწილებს შორის მოყოლა. *კაბა მანქანის კარში მოეტანა. თითი უჯრაში მოეტანა.* 2. გარკვეული დროის მოახლოება, ვინმეს ან რაიმეს მიღწევა, მისვლა გარკვეულ დრომდე. *წასვლის დრომ მოატანა. გაზაფხულმა მოატანა. მოხუცმა აქამდე მოატანა.* ■ მოტანებული რაც მოეტანა, რამაც მოატანა. *შუალამე იყო მოტანებული.*

მოტარება *მოტარების* (მოატარებს, მოუტარებს) ბევრ ადგილას მიყვანა (მიტანა) სანახავად, დასათვალიერებლად. *ბავშვებს ყველა კუთხე მოატარა. სტუმრებს მუზეუმები მოატარა.*

მოტაცება *მოტაცების* (მოსტაცებს, მოიტაცებს) იგივეა, რაც გატაცება (1). *შვილი მოსტაცეს. მგელმა ბატკანი მოიტაცა.* ■ მოტაცებული რაც ან ვინც მოიტაცეს. *მოტაცებული პატარძალი.*

მოტევება *მოტევების* (მოუტევებს) პატიება, დანაშაულის შენდობა. *ჩემგან მოტევებას ნუ ელი!*

მოტეხა *მოტეხის* (მოტეხს, მოატეხს, მოიტეხს, მოუტეხს, მოატეხინებს) 1. საგნისთვის ნაწილის მომტვრევა, მოცილება. *სიმინდი მოტეხეს. ხეს ტოტი მოატეხა.* 2. კიდურების დაზიანება. *ფეხი მოიტეხა. ჩხუბში ხელი მოსტეხეს.* 3. გადატ. დაბერება, დაუძლურება. *ჯავრმა მოტეხა. წლებმა მოტეხეს.* 4. ჟარგ. ვინმეს უგულებელყოფა, საქმიდან ჩამოშორება ან რაიმეს მითვისება. *ფული მოუტეხეს.*

მოტეხილი *მოტეხილის* 1. რაც მოტეხეს. *მოტეხილი ტოტი.* 2. დაბერებული, დაუძლურებული. *მოხუცი ძალიან არის მოტეხილი.*

მოტვლეპა *მოტვლეპის* (მოტვლეპს, მოეტვლიპება) 1. ტვლეპით შეჭმა. *კატამ რძე მოტვლიპა.* 2. თმის გაცვენა, გატიტვლება. *თავი მოეტვლიპა.*

მოტვლეპილი *მოტვლეპილის* უთმო, თმაგაცვენილი. *მოტვლეპილი თავი.*

მოტივაცია *მოტივაციის* მიზეზთა ერთობლიობა, რომელიც განსაზღვრავს ინდივიდის ან კოლექტივის ამა თუ იმ მოქმედებას ან გადაწყვეტილებას. *სწავლის მოტივაცია.*

მოტივი *მოტივის* 1. რაიმე ქმედების მიზეზი. *მისი საქციელის მოტივი.* 2. მუსიკალური ჰანგი, ჰარმონია. *სიმღერების მოტივი.* 3. თემა ლიტერატურაში. *სიყვარულის მოტივი. პატრიოტული მოტივი.*

მოტივირება *მოტივირების* მოტივაციის შექმნა დარწმუნებით ან გარკვეულ პირობებში ჩაყენებით. *თანამშრომელთა მოტივირება.*

მოტივირებული *მოტივირებულის* მოტივაციის მქონე. *მოტივირებული საქციელი.*

მოტირალი *მოტირალის* მიცვალებულის დამტირებელი. *მოტირალი ქალები.*

მოტიტვლება *მოტიტვლების* (მოატიტვლებს, მოტიტვლდება, მოუტიტვლდება) სხეულის ნაწილის ან მიწის ზედაპირის გაშიშვლება. *მთის ფერდობი მოტიტვლდა. თავი მოუტიტვლდა.* ■ მოტიტვლებული რაც მოატიტვლეს ან მოტიტვლდა. *მოტიტვლებული კისერი.*

მოტკბო *მოტკბოს* რასაც ოდნავ ტკბილი გემო აქვს. *მოტკბო ჩაი. მოტკბო სასმელი.*

მოტმასნა *მოტმასნის* (მოეტმასნება) 1. მთელი სხეულით ვინმეზე ან რაიმეზე მოკვრა. *ბავშვი მომეტმასნა.* 2. გადატ. ანგარების მიზნით ჩემკენ ან შენკენ მომხრობა. *ჩვენს ორგანიზაციას მოეტმასნა.* ■ მოტმასნილი ვინც მოეტმასნა. *რამდენიმე მოტმასნილი პიროვნება.*

მოტორი *მოტორის* იგივეა, რაც ძრავა. *ტრაქტორის მოტორი. მოტორი აგუგუნდა.* ■ მოტორიანი რასაც მოტორი აქვს. *მოტორიანი ნავი.*

მოტოროლერი *მოტოროლერის* ორთვლიანი მოტოციკლის მცირე ზომის ნაირსახეობა.

მოტორული *მოტორულის* მამოძრავებელი, მოძრაობაში მომყვანი. *ტვინის მოტორული ცენტრები.*

მოტოციკლეტი *მოტოციკლეტის* ორ- ან სამთვლიანი ღია სატრანსპორტო საშუალება, რომელიც ძრავას მეშვეობით გადაადგილდება. *სპორტული მოტოციკლეტი.*

მოტოციკლი *მოტოციკლის* იგივეა, რაც მოტოციკლეტი.

მოტოციკლისტი *მოტოციკლისტის* პირი ან სპორტსმენი, რომელიც მოტოციკლს მართავს. *მოტოციკლისტების შეჯიბრება.*

მოტრიალება *მოტრიალების* (მოატრიალებს, მოუტრიალებს, მოტრიალდება, მოუტრიალდება) ტრიალით მობრუნება. *საჭე მოატრიალა. ბიჭი ჩემკენ მოტრიალდა.*

მოტრფიალე *მოტრფიალის* ვინც ვინმეს ეტრფის, ვისაც ვინმე უყვარს. *მოტრფიალე გოგო-ბიჭები.*

მოტყდომა *მოტყდომის* (მო(ს)ტყდება, მოატყდება, მოუტყდება) 1. თავისით მოტეხა. *ხეს ტოტი მოსტყდა. ფეხი მოსტყდა. სახელური მოუტყდა. დარდით მოტყდა.* 2. ჟარგ. გაპარვა, ჩუმად ნასვლა. *ისე მოტყდა, ვერავინ დაინახა.*

მოტყუება *მოტყუების* (მოატყუებს, მოიტყუებს, მოტყუვდება, მოატყუებინებს) 1. ტყუილის თქმა, ტყუილით ვინმეს შეცდომაში შეყვანა, შეცდენა. *ხალხის მოტყუება. ცრუ დაპირებებით მოატყუეს.* 2. ტყუილის საშუალებით ვინმეს მოყვანა, მოზიდვა. *ბევრი კლიენტი მოიტყუა.* ▪ მოტყუებული ვინც მოატყუეს, მოტყუედა ან მოიტყუეს. *მოტყუებული ბავშვი. მოტყუებული დარჩა.*

მოუბარი *მოუბრის* ძვ. იგივეა, რაც მოსაუბრე. *ტკბილად მოუბარი კაცი.*

მოუგვარებელი *მოუგვარებლის* გაუკეთებელი ან ძნელად გასაკეთებელი. *მოუგვარებელი საქმე.*

მოუვლელი *მოუვლელის* რასაც მოვლა აკლია, რაც მოვლილი არ არის. *მოუვლელი ვენახი.*

მოუთავებელი *მოუთავებლის* რაც მოთავებული, დამთავრებული არ არის. *მოუთავებელი მშენებლობა.*

მოუთიბავი *მოუთიბავის* რაც არ მოუთიბავთ. *მოუთიბავი ბალახი.*

მოუთმენარი *მოუთმენარის* იგივეა, რაც მოუთმენელი (1). *მოუთმენარი ბავშვი.*

მოუთმენელი *მოუთმენლის* 1. ვინც ვერ ითმენს, ვისაც მოთმენა არ შეუძლია, სულსწრაფი. *რა მოუთმენელი ხარ!* 2. რის მოთმენაც არ შეიძლება. *მოუთმენელი ტკივილი.* ▲ მოუთმენლად ზმნზ. მოთმინების გარეშე. *პასუხს მოუთმენლად ელის.*

მოუკრეფავი *მოუკრეფავის* რაც მოკრეფილი არ არის. *მოუკრეფავი ვენახი.*

მოულოდნელი *მოულოდნელის* რასაც, ვისაც არ მოელოდნენ, უეცრად მომხდარი. *მოულოდნელი სტუმარი. მოულოდნელი საჩუქარი. მოულოდნელი დაბრკოლება.* ▲ მოულოდნლად ზმნზ. უეცრად, უცბად. *მოულოდნელად ჩამოვიდა.*

მოულოდნელობა *მოულოდნელობის* უეცარი შემთხვევა, რასაც არ ელოდნენ. *ეს ჩემთვის მოულოდნელობა იყო.*

მოუმზადებელი *მოუმზადებლის* რაც ვერ მოამზადეს, ვინც ვერ მოემზადა. *მოუმზადებელი ლექცია. მოუმზადებელი სტუდენტი.* ▲ მოუმზადებლად ზმნზ. ისე, რომ არ მომზადებულა. *ზამთარს მოუმზადებლად შეხვდა.*

მოუმწიფებელი *მოუმწიფებლის* რაც ჯერ არ მომწიფდა. *მოუმწიფებელი ხილი. მოუმწიფებელი უჯრედი.*

მოუნათლავი *მოუნათლავის* ვინც მონათლული არ არის. *მოუნათლავი ბავშვი.*

მოუნანიებელი *მოუნანიებლის* 1. რაც არ მოუნანიებიათ. *მოუნანიებელი ცოდვა.* 2. ვისაც არ მოუნანიებია. *მოუნანიებელი წავიდა.*

მოუნელებელი *მოუნელებლის* მუდმივი, გაუყუჩებელი, გაუნელებელი. *მოუნელებელი ტკივილი.*

მოურავი *მოურავის* ძვ. პირი, რომელიც მებაღტონის სამეურნეო და საოჯახო საქმეებს განაგებს. *ერთგული მოურავი.*

მოურავობა *მოურავობის* ძვ. მოურავის თანამდებობა. *მოურავობა უბოძეს.*

მოურიდებელი *მოურიდებლის* ვინც მორიდება არ იცის, თამამი, თავხედი. *მოურიდებელი ყმაწვილი.* ▲ მოურიდებლად ზმნზ. მორიდების გარეშე. *მოურიდებლად იქცევა.*

მოურჩენელი *მოურჩენელის* რაც არ რჩება, არ იკურნება. *მოურჩენელი სენი.*

მოურჯულებელი *მოურჯულებლის* ჯიუტი, თავნება. *დიდი მოურჯულებელი ვინმეა. მოურჯულებელი ბავშვი.*

მოუსავლეთი *მოუსავლეთის* ადგილი, საიდანაც ვეღარ ბრუნდებიან, საიქიო. ⊙ მოუსავლეთში წავიდა მოკვდა.

მოუსავლიანი *მოუსავლიანის* 1. რაც კარგ მოსავალს არ იძლევა. *მოუსავლიანი ნიადაგი. მოუსავლიანი მხარე.* 2. როდესაც კარგი მოსავალი არ არის. *მოუსავლიანი წელი.*

მოუსავლიანობა *მოუსავლიანობის* მოსავლის სიმცირე. *ასეთი მოუსავლიანობა სხვა დროს არ ყოფილა.*

მოუსაზრებელი *მოუსაზრებლის* მოსაზრების, მოფიქრების უნარს მოკლებული, უჭკუო. *მოუსაზრებელი ბავშვი.*

მოუსვენარი *მოუსვენარის* 1. ვინც არასოდეს ისვენებს, გამრჯე. *მოუსვენარი მშობელი.* 2. ცელქი, გაუჩერებელი. *მოუსვენარი ბიჭი. ნუ ხარ მოუსვენარი!*

მოუსვენრობა *მოუსვენრობის* სიმშვიდის, მოსვენების დაკარგვა, შფოთვა, ღელვა. *თავისი მოუსვენრობით ყველა შეაწუხა.*

მოუსყიდავი *მოუსყიდავის* იგივეა, რაც მოუსყიდველი

მოუსყიდველი *მოუსყიდველის* პატიოსანი, ერთ-

გული, ვისი მოსყიდვაც შეუძლებელია. *მოუსყიდველი მცველი.*

**მოუფიქრებელი** *მოუფიქრებლის* ვინც ვერ მოიფიქრებს, ვერ მიხვდება, რა უნდა ქნას. *მოუფიქრებელი ბავშვი.*

**მოუქნელი** *მოუქნელის* 1. რაც მოქნილი არ არის, უხეში. *მოუქნელი ტყავი. მოუქნელი კისერი.* 2. გადატ. არამარჯვე, მოუხერხებელი, ზანტი. *მოუქნელი კაცი. მოუქნელი პოლიტიკა.* ▲ **მოუქნელად** ზმნზ. მოუხერხებლად, ზანტად. *მოუქნელად მუშაობს.*

**მოუღალავი** *მოუღალავის* ენერგიული, შრომასა და საქმიანობაში დაუღლელი. *მოუღალავი მუშა. მოუღალავი მარჯვენა.*

**მოუშორებელი** *მოუშორებლის* რასაც ან ვისაც ადვილად ვერ მოიშორებ. *მოუშორებელი ჭირი.*

**მოუშუშებელი** *მოუშუშებლის* რაც არ მოშუშებულა, რის მოშუშებაც შეუძლებელია. *მოუშუშებელი იარა.*

**მოუცლელი** *მოუცლელის* ვისაც ბევრი საქმის გამო თავისუფალი დრო არა აქვს, დაკავებულია. *სულ მოუცლელი იყო.*

**მოუცლელობა** *მოუცლელობის* თავისუფალი დროის უქონლობა. *მოუცლელობას უჩიოდა.*

**მოუწესრიგებელი** *მოუწესრიგებლის* არეულ-დარეული, წესრიგს მოკლებული. *მოუწესრიგებელი საქმეები.*

**მოუხარშავი** *მოუხარშავის* რასაც მოხარშვა აკლია. *მოუხარშავი ბოსტნეული.*

**მოუხდელი** *მოუხდელის* რაც არ მოუხდიათ ან რისთვისაც არ მოუხდიათ. *მოუხდელი რძე. მოუხდელი ქაფი.*

**მოუხერხებელი** *მოუხერხებლის* ვინც ადვილად ვერ ახერხებს, საქმე არ გამოსდის. *დიდი მოუხერხებელი ვინმეა.*

**მოუხეშავი** *მოუხეშავის* უხეში, მოუქნელი, ტლანქი. *მოუხეშავი ხელები.*

**მოფანტვა** *მოფანტვის* (მოფანტავს, მოიფანტება) რაიმეს გაბნევა, გაფანტვა (2). *ოთახში ტანსაცმელი მოფანტა.* ■ **მოფანტული** რაც ან ვინც მოფანტეს ან მოიფანტა. *მოფანტული წიგნები.*

**მოფარება** *მოფარების* (მოაფარებს, მოიფარებს, მოეფარება) 1. წამოსხმა, მოხურვა. *მხრებზე შალი მოიფარა. წვიმს, რაიმე მოიფარე!* 2. იგივეა, რაც მიფარება. *ხეს მოეფარა. მზე ღრუბელს მოეფარა. ცოტა მომეფარე!*

**მოფარებული** *მოფარებულის* 1. რაც მოაფარეს. *მოფარებული შალი.* 2. ადგილი, რომელიც დაფარულია, არსაიდან ჩანს. *მოფარებულში დაიმალა. მოფარებულში გაჩერდა.*

**მოფარიკავე** *მოფარიკავის* ვინც ფარიკაობს, სპორტსმენი. *მოფარიკაველებმა შეწყვიტეს ბრძოლა. მოფარიკაველთა შეჯიბრება.*

**მოფარფატე** *მოფარფატის* რაც ფარფატებს, ფარფატით დაფრინავს, დადის. *ფაერში მოფარფატე ფოთლები.*

**მოფენა** *მოფენის* (მოფენს, მოაფენს, მოიფენს, მოიფინება, მოეფინება, მოაფენინებს) 1. ბევრი რაიმეთი დაფარვა. *ტყე ფოთლებით მოიფინა. გზაზე ყვავილები მოფინეს.* 2. გადატ. ბევრის გამოჩენა ერთ ადგილას. *ბავშვები ეზოს მოეფინნენ.* ■ **მოფენილი** რაც მოფინეს ან მოიფინა. *ბილიკზე მოფენილი კენჭები.*

**მოფერება** *მოფერების* (მოეფერება) სითბოს, სიყვარულის გამოხატვა ვინმეს ან რაიმეს მიმართ (უმეტესად, ხელის გადასმით). *მასწავლებელი გოგონას მოეფერა. მოფერება ესიამოვნა.*

**მოფერხულე** *მოფერხულის* ფერხულის მონაწილე. *ახალგაზრდები მოფერხულეებს შეუერთდნენ.*

**მოფისვა** *მოფისვის* (მოფისავს) ზედაპირზე ფისის წასმა, ფისით დაფარვა.

**მოფიქრება** *მოფიქრების* (მოაფიქრებს, მოიფიქრებს, მოაფიქრებინებს) იგივეა, რაც მოსაზრება. *კარგი რამ მოიფიქრა.* ■ **მოფიქრებული** რაც მოიფიქრეს. *მოფიქრებული გეგმა.*

**მოფონება** *მოფონების* (მოუფონებს, მოეფონება) მოშვება, მოდუნება, შემსუბუქება, შვების მიცემა, გაქარვება. *გულზე მოეფონა. მისმა სიტყვებმა მოუფონა.*

**მოფოცხვა** *მოფოცხვის* (მოფოცხავს) ფოცხით მოგროვება, გაფხვიერება, გასწორება. *ქალმა ეზო მოფოცხა.* ■ **მოფოცხილი** რაც მოფოცხეს. *მოფოცხილი მინა.*

**მოფრთხილება** *მოფრთხილების* (მოუფრთხილდება) იგივეა, რაც გაფრთხილება (2). *ყველაფრის მოფრთხილება იცის. საათს მოუფრთხილდა.*

**მოფრქვევა** *მოფრქვევის* (მოაფრქვევს, მოიფრქვევა, მოეფრქვევა) შუქის, სუნისა და მისთ. მოფენა. *მზემ ხეობას სხივები მოაფრქვია. გაზაფხულის სურნელი მოიფრქვა.*

**მოფუთნა** *მოფუთნის* (მოფუთნის, მოიფუთნება) თბილი რაიმეს შემოხვევა, თბილად ჩაცმა, ჩაფუთნა. *მოხუცი მოიფუთნა. დედამ შვილი მოფუთნა.* ■ **მოფუთნული** ვინც მოფუთნეს ან მოიფუთნა. *მოფუთნული დადის.*

**მოფუსფუსე** *მოფუსფუსის* ვინც ან რაც ფუსფუსებს. *მოფუსფუსე მწერები.*

**მოფშვნა** *მოფშვნის* (მოფშვნის, მოაფშვნის, მოეფშვნება) 1. მცირე ნაწილის ცოტათი დაფშვნა. 2. მარცვლების ფშვნით მოცლა. *სიმინდის ტარო მოფშვნა.*

**მოფშვნეტა** *მოფშვნეტის* (მოფშვნეტს, მოიფშვნეტს) 1. ხელების თვალებში მოსმა, თვალების მოსრესა. *თვალები მოიფშვნიტა.* 2. იგივეა, რაც დაფშვნეტა.

*გამხმარი მწვანილი მოფშვნიტა.* ■ მოფშვნეტილი რაც მოფშვნიტეს ან მოიფშვნიტა. *მოფშვნეტილი ბალახი.*

მოფხანა *მოფხანის* (მოჰფხანს, მოიფხანს, მოეფხანება) ფრჩხილის მოსმა ფხანით. *კაცმა თავი მოიფხანა. დედამ ბავშვს ხელზე მოჰფხანა.*

მოფხეკა *მოფხეკის* (მოფხეკს, მოაფხეკს, მოიფხიკება) ზედაპირის გასუფთავება ფხეკით. *მაგიდა მოფხიკა.*

მოფხვნა *მოფხვნის* (მოფხვნის, მოაფხვნის, მოიფხვნება) მცირე ნაწილის დაფხვნა და მოცლა.

მოფხოჭნა *მოფხოჭნის* (მოფხოჭნის, მოიფხოჭნის) ფრჩხილების ან ბრჭყალების მაგრად მოსმით კვალის დატოვება. *სახე მოიფხოჭნა.* ■ მოფხოჭნილი რაც მოფხოჭნეს. *მოფხოჭნილი მიწა.*

მოქავება *მოქავების* (მოიქავებს, მოექავება) ქავილის დაწყება, მსუბუქად მოფხანა. *თავი მოიქავა. ნაკბენი მოექავა.*

მოქალაქე *მოქალაქის* პირი, რომელიც სამართლებრივ საფუძველზე მიეკუთვნება რომელიმე სახელმწიფოს, აქვს გარკვეული უფლებები და მოვალეობები, რაც ამ ქვეყნის კონსტიტუციით არის განსაზღვრული.

მოქალაქეობა *მოქალაქეობის* ამა თუ იმ სახელმწიფოში კანონმდებლობით ადამიანისთვის გათვალისწინებული უფლებებისა და მოვალეობების სრულად ფლობა. *საქართველოს მოქალაქეობა მიიღო.*

მოქალაქეობრივი *მოქალაქეობრივის* მოქალაქისთვის დამახასიათებელი, რაც მოქალაქეს ევალება, მოეთხოვება. *მოქალაქეობრივი ვალი. მოქალაქეობრივი გრძნობა.*

მოქანდაკე *მოქანდაკის* ხელოვანი, რომელიც ქანდაკებებს ქმნის. *მოქანდაკის შემოქმედება.*

მოქანცვა *მოქანცვის* (მოქანცავს, მოიქანცება, მოექანცება) ძალიან დაღლა, დაქანცვა. *ბრძოლით მოიქანცა. გზამ მოქანცა. სიცხისგან მოიქანცა.* ■ მოქანცული ვინც მოიქანცა. *მოქანცული ქალი.*

მოქარავნე *მოქარავნის* ძვ. ქარავნის პატრონი, ვინც ქარავნით მგზავრობს. *მოქარავნეებმა ჩაიარეს.*

მოქარგვა *მოქარგვის* (მოქარგავს, მოიქარგავს, მოუქარგავს, მოიქარგება, მოაქარგვინებს) ქსოვილზე ძაფით ფიგურების, ორნამენტებისა და მისთ. გამოყვანა. *სუფრა მოვქარგეთ.* ■ მოქარგული რაც მოქარგეს. *მოქარგული პერანგი.*

მოქართულე *მოქართულის* ქართულ ენაზე კარგად მოლაპარაკე, კარგი მოსაუბრე. *საუცხოო მოქართულეა.*

მოქაფვა *მოქაფვის* (მოქაფავს, მოიქაფება) ხარშვისას მომდგარი ქაფის მოხდა, მოცილება. *ხაშლამა მოქაფა.*

მოქაჩლება *მოქაჩლების* (მოიქაჩლებს) ◉ თავს მოიქაჩლებს ყველაფერს ეცდება, ძალიან მოინდომებს რაიმეს გაკეთებას.

მოქეიფე *მოქეიფის* 1. ქეიფის მონაწილე. *მოქეიფეები გვიან დაიშალნენ.* 2. ქეიფის მოყვარული. *მოქეიფე კაცია.*

მოქიშპე *მოქიშპის* ვინც ვინმეს ექიშპება. *მოქიშპეები შერიგდნენ.*

მოქლიბვა *მოქლიბვის* (მოქლიბავს) ზედაპირის ქლიბით გაფხეკა, გასწორება.

მოქმედება *მოქმედების* (მოქმედებს,ამოქმედებს) 1. რაიმეს კეთება, აქტიურობა, შრომა. *დაუღალავი მოქმედება. ბიჭი სწორად მოქმედებს.* 2. ვინმეზე ან რაიმეზე ზეგავლენის მოხდენა. *ხალხზე იმოქმედა მისმა სიტყვებმა.* 3. ლიტერატურულ ნაწარმოებში (მის რომელიმე ეპიზოდში) განვითარებული მოვლენების მსვლელობა. *მოქმედება სოფელში მიმდინარეობს.* 4. დრამატული ნაწარმოების ან სპექტაკლის ნაწილი. *პირველი მოქმედება.* 5. მათემატიკური გამოთვლის ერთ-ერთი სახეობა – მიმატება, გამოკლება და მისთ.

მოქმედებითი *მოქმედებითის* გრამატ. სახელის ბრუნვის ერთ-ერთი ფორმა.

მოქმედი *მოქმედის* ვინც ან რაც ამჟამად მოქმედებს. *მოქმედი ეკლესია.* შეცდომაა მომქმედი.

მოქნევა *მოქნევის* (მოიქნევს, მოუქნევს) იარაღის, თოკისა და მისთ. ჰაერში სწრაფად აწევა და გარკვეული მიმართულებით გაქანება დასარტყმელად. *ხმალი მოიქნია. მუშტი მოუქნია.* ■ მოქნეული რაც მოიქნიეს. *მოქნეული წიხლი.*

მოქნილი *მოქნილის* 1. რაც იდრიკება და არ ტყდება, დრეკადი. *მოქნილი სახრე. მოქნილი წნელი. მოქნილი ტყავი.* 2. გადატ. ყოჩაღი, მარჯვე, მოხერხებული. *მოქნილი კაცი.*

მოქონვა *მოქონვის* (მოქონავს, მოუქონავს) ქონის წასმა დარბილების მიზნით. *ტყავი მოქონა.*

მოქრთამვა *მოქრთამვის* (მოქრთამავს) ვინმესთვის ქრთამის მიცემა რაიმე სამსახურის გაწევის სანაცვლოდ, მოსყიდვა. *მცველები მოქრთამეს. გამომძიებელი მოქრთამა.*

მოქსოვა *მოქსოვის* (მოქსოვს, მოიქსოვს, მოუქსოვს, მოიქსოვება, მოაქსოვინებს) ქსოვით ტანსაცმლის, ხალიჩისა და მისთ. დამზადება. *კაბა მოქსოვა. ფარდაგი მოქსოვა.* ■ მოქსოვილი რაც მოქსოვეს. *მოქსოვილი ხელთათმანი.*

მოქუსვლა *მოქუსვლის* (მოქუსლავს) საუბრ. სწრაფად გაქცევა. *უცბად მოქუსლა.*

მოქუფრვა *მოქუფრის* (მოიქუფრება) 1. მოღრუბლვა, ჩამობნელება (ცისა). *ცა საავდროდ მოიქუფრა.* 2. გადატ. იგივეა, რაც მოღუშვა. *ქალი მოიქუფრა. სახე მოექუფრა.*

მოქუფრული *მოქუფრულის* 1. ღრუბლებით დაფარული, ბნელით მოცული. *მოქუფრული ცა.* 2. გადატ. მოღუშული, შეწუხებული. *ბიჭი მოქუფრული იჯდა.*

მოქუჩება *მოქუჩების* საუბრ. (მოაქუჩებს, მოქუჩდება) საუბრ. იგივეა, რაც მოგროვება. *ფოთლები მოაქუჩა. ხალხი მოქუჩდა.* ■ მოქუჩებული ვინც ან რაც მოქუჩდა. *ცეცხლთან მოქუჩებული ქალები.*

მოქცევა *მოქცევის* (მოაქცევს, მოიქცევს, მოიქცევა, მოექცევა) 1. სადმე მოთავსება, რაიმე მდგომარეობაში ჩაყენება. *შვილი მკლავებში მოიქცია. მარცვლები ტომარაში მოაქცია. ქვეყანა ჩიხში მოაქციეს.* 2. გარკვეული საქციელის ჩადენა, გარკვეული დამოკიდებულების გამოხატვა ვინმეს, რაიმეს მიმართ. *ვაჟკაცურად მოიქცა. სწორად მოიქცა. მეგობარს არასწორად მოექცა.* 3. სარწმუნოების მიღება. *ქრისტიანობაზე მოაქციეს. მან მრავალი ურწმუნო მოაქცია.* 4. სახის ნაკვთების, ტანსაცმლის, ფეხსაცმლისა და მისთ. მობრეცა, მოღრეცა. *ყბა მოექცა. ქუდი გვერდზე მოექცა.* 5. შემთხვევით, მოულოდნელად გარკვეულ მდგომარეობაში მოხვედრა. *ქვეყნის სათავეში მოექცა. ყურადღების ცენტრში მოექცა. კრიტიკის ქარცეცხლში მოექცა.* 6. ზღვის დონის პერიოდული მატება. *წყლის მოქცევას ელოდა.*

მოღალატე *მოღალატის* ვინც ვინმეს ან რაიმეს ღალატობს. *საქმის მოღალატე.*

მოღაღადე *მოღაღადის* ხმამაღლა, გულმხურვალედ მლოცველი. *ღვთის წინაშე მოღაღადე.*

მოღაღანე *მოღაღანის* მწვანედ მობიბინე, მოლივლივე. *მოღაღანე ყანები.*

მოღება *მოღების* (მოიღებს, მოუღებს, მოეღება) ◎ **ბოლოს მოუღებს** მოსპობს, გაანადგურებს. ◎ **მოწყალებას მოიღებს** მოწყალებას გასცემს. ◎ **პირს მოაღებს** ყველაფერს დაუფარავად იტყვის, საიდუმლოს გაამჟღავნებს.

მოღერება *მოღერების* (მოიღერებს, მოუღერებს) 1. კისრის, ყელის, თავის ლამაზად დაჭერა, ამართვა. *ყელი მოიღერა.* 2. ხელის, ჯოხისა და მისთ. დასარტყმელად აწევა, დამიზნება. *ძაღლს ჯოხი მოუღერა. მუშტი მოუღერა.* ■ მოღერებული რაც მოიღერეს ან მოუღერეს. *მოღერებული ყელი. მოღერებული ხანჯალი.*

მოღვაწე *მოღვაწის* პირი, რომელიც თავისი შრომით ემსახურება საზოგადოებრივ, საქვეყნო საქმეს. *სახელმწიფო მოღვაწე. საზოგადო მოღვაწე.*

მოღვაწეობა *მოღვაწეობის* (მოღვაწეობს) რომელიმე სფეროში განსაკუთრებული, შემოქმედებითი საქმიანობა. *პედაგოგიური მოღვაწეობა. უცხოეთში მოღვაწეობს. თეატრში მოღვაწეობდა.*

მოღიმარი *მოღიმარის* ვინც იღიმება. *მოღიმარი ბიჭი. მოღიმარი სახით უყურებს.*

მოღონიერება *მოღონიერების* (მოაღონიერებს, მოღონიერდება) უძლურის, სუსტის გაძლიერება, ღონის მომატება. *სუფთა ჰაერმა მოაღონიერა. ქვეყანა მოღონიერდა.* ■ მოღონიერებული ვინც ან რაც მოაღონიერეს ან მოღონივრდა. *მოღონიერებული ოჯახი. მოღონიერებული მოხუცი.*

მოღონივრება *მოღონივრების* // მოღონიერება

მოღონივრებული *მოღონივრებულის* // მოღონიერებული

მოღორება *მოღორების* (მოაღორებს, მოღორდება) საუბრ. ვინმეს მოტყუება, შეცდენა. *ბავშვი ადვილად მოაღორა. კაცი მოღორდა.*

მოღრეცა *მოღრეცის* (მოღრეცს, მოიღრეცს, მოღრეცს, მოიღრიცება, მოეღრიცება) უშნოდ მოხრა, მოღუნვა, სისწორის დაკარგვა. *ჯოხი მოღრიცა. დანას წვერი მოუღრიცა.* ■ მოღრეცილი რაც მოღრიცეს ან მოიღრიცა. *მოღრეცილი ფეხსაცმელი. მოღრეცილი ხე.*

მოღრუბვლა *მოღრუბვლის* (მოიღრუბლება, მოეღრუბლება) 1. ღრუბლებით დაფარვა. *ცა მოიღრუბლა.* 2. გადატ. იგივეა, რაც მოღუშვა. *სახე მოეღრუბლა.* ■ მოღრუბლული რაც ან ვინც მოიღრუბლა. *მოღრუბლული ამინდი.*

მოღუნვა *მოღუნვის* (მოღუნავს, მოიღუნება) 1. იგივეა, რაც გაღუნვა. *ხმალი მოიღუნა. რკინა მოღუნა.* 2. მოხრა. *ცხვირი მოეღუნა. წელში მოიღუნა.* ■ მოღუნული რაც მოღუნეს ან მოიღუნა. *მოღუნული მავთული.*

მოღუღუნე *მოღუღუნის* რაც ღუღუნებს. *მოღუღუნე მტრედი.*

მოღუშვა *მოღუშვის* (მოღუშავს, მოიღუშება, მოეღუშება) შუბლისა და წარბების შეკვრა, სახის მოჭმუხვნა. *ქალი მოიღუშა. სახე მოეღუშა.*

მოღუშული *მოღუშულის* 1. ვინც მოიღუშა. *მოღუშული გოგო.* 2. რაც მოეღუშათ. *მოღუშული სახე.*

მოღწევა *მოღწევის* (მოაღწევს) გაჭირვებით, წინააღმდეგობების გადალახვით მოსვლა ამა თუ იმ ადგილამდე ან გარკვეულ დრომდე. *სახლამდე ძლივს მოაღწია. მისმა შთამომავლობამ დღემდე მოაღწია.*

მოყენება *მოყენების* (მოაყენებს, მოიყენებს, მოუყენებს) 1. რაიმესთან ახლოს მოყვანა და გაჩერება. *სატვირთო მანქანა კართან მოაყენეს.* 2. ჩემთვის ან შენთვის რაიმეს (უმეტესად, ცუდის) შემთხვევა. *შეურაცხყოფა მომაყენა.*

მოყვანა *მოყვანის* (მოიყვანს, მოუყვანს, მოაყვანინებს) 1. მოსვლისას ვინმეს თან ხლება, გამოყოლება. *სტუმრები მოიყვანეს. მეგობარი მოიყვანა.* 2. რაიმეს დამოწმება საუბრისას. *მაგალითი მოიყვანა. ციტატა მოიყვანა.* 3. მოსავლის მოწევა. *ბოსტნეული მოჰყავს.* ■ მოყვანილი რაც ან ვინც მოიყვანეს. *მოყვანილი ხილი. მოყვანილი სტუმრები.*

მოყვარე *მოყვრის* I. ცოლის და ქმრის ნათესავები ერთმანეთისთვის. *მოყვრებს ესტუმრა.* 2. იგივეა, რაც მოკეთე (I). *მტერიც ბევრი ჰყავს და მოყვარეც.*

მოყვარული *მოყვარულის* ვისაც ვინმე ან რაიმე უყვარს. *დედ-მამის მოყვარული. სამშობლოს მოყვარული. ღვინის მოყვარული.*

მოყვასი *მოყვასის* ძვ. ვინმეს ახლობელი, გულშემატკივარი და სიკეთის მოსურნე ადამიანი. *მოყვასის სიყვარული.*

მოყვლეფა *მოყვლეფის* (მოეყვლიფება) იგივეა, რაც გადაყვლეფა. *კისერი მოეყვლიფა.*

მოყვრობა *მოყვრობის* (მოყვრობს, ემოყვრება) ქორწინების შედეგად ცოლისა და ქმრის ნათესავებს შორის წარმოქმნილი ურთიერთობა, მოყვრად (2) გახდომა. *მოყვრობა გვაკავშირებს. კარგი მოყვრობა ჰქონდათ.*

მოყვრული *მოყვრულის* მოყვარეთათვის დამახასიათებელი. *მოყვრული ურთიერთობა.*

მოყიდვა *მოყიდვის* (მოჰყიდის) რაიმეს მოცემა გარკვეული საფასურის სანაცვლოდ. *უთხარი, რომ მომყიდოს. მანქანა მომყიდა.*

მოყინვა *მოყინვის* (მოყინავს, მოუყინავს, მოიყინება, მოეყინება) I. ზედაპირის გაყინვა. *კიბე მოიყინა.* 2. ძლიერი სიცივის გამო სხეულის რომელიმე ნაწილში შეგრძნების დაკარგვა. *ფეხები მოეყინა.* ■ მოყინული რაც მოიყინა. *მოყინული თითები.*

მოყირჭება *მოყირჭების* (მოჰყირჭდება) მეტისმეტად მობეზრება, შეჯავრება. *ქეიფის მოყირჭება. მგ ზავრობა მოჰყირჭდა.* ■ მოყირჭებული რაც მოჰყირჭდათ. *მოყირჭებული საქმე.*

მოყოლა[1] *მოყოლის* (მოჰყვება) I. ვინმესთან ერთად მოსვლა. *მეგობრები თან მოჰყვნენ.* 2. ვინმეს, რაიმეს უკან სიარული. *ბავშვი დედას მოჰყვება.* 3. რაიმეს მოხდენა, ჩადენა სხვა ქმედების შედეგად. *წერილს პრესაში დიდი გამოხმაურება მოჰყვა. მომღერლის გამოსვლას აპლოდისმენტები მოჰყვა.*

მოყოლა[2] *მოყოლის* (მოჰყვება, მოუყვება) ვინმესთვის გრძელი ამბის თქმა. *ისტორიის მოყოლა. ბავშვი დედას სიზმარს მოუყვა.*

მოყოლება *მოყოლების* (მოაყოლებს, მოიყოლებს) I. რაიმეს თან მოტანა, მოდევნება. *სასმელი მოაყოლა.* 2. მომწყვდევა, მოქცევა. *თევზი ბადეში მოაყოლა. თითი კარში მოიყოლა.*

მოყრა *მოყრის* (მოყრის, მოაყრის, მოიყრის, მოუყრის, მოიყრება, მოეყრება) I. ცოტ-ცოტა და თანაბრად დაყრა რაიმეს ზედაპირზე (უპირატესად, ფხვიერი მასისა). *მარილის მოყრა. ქვიშა მოაყარეს.* 2. გარკვეული ასაკის შესრულება, გარკვეულ წლოვანებამდე მისვლა. *პაპაშენის ხნის მოიყარე!* ⊙ თავს მოიყრიან ბევრნი ერთ ადგილას შეგროვდებიან, შეიკრიბებიან.

მოყრდნობა *მოყრდნობის* (მოაყრდნობს, მოეყრდნობა) მიყრდნობა შენკენ ან ჩემკენ მდგომ ობიექტზე. *კედელს მოეყრდნო. ღობეს მოეყრდნობა.*

მოყრუება *მოყრუების* (მოიყრუებს, მოუყრუებს) თავის ისე დაჭერა, თითქოს არ ესმის. *ნათქვამს მოუყრუა.*

მოყუდება *მოყუდების* (მოაყუდებს, მოიყუდებს, მოეყუდება) I. მიყუდება აქეთ ან მანდეთ. *ჯოხი მაგიდაზე მოაყუდა. ბავშვი მომეყუდა.* 2. საუბრ. ჭიქის, თასისა და მისთ. პირთან მიტანა და თავის გადანევა სასმლის ერთბაშად დასალევად. *თამადამ ყანწი მოიყუდა.* ■ მოყუდებული რაც ან ვინც მოეყუდა. *მოყუდებული კიბე.*

მოყურადე *მოყურადის* ყურის მგდებელი, თვალყურის მადევნებელი. *მოყურადე ბევრი გამოჩნდება.*

მოყუჩება *მოყუჩების* (მოყუჩდება) ჟარგ. კარგად მონყობა, წყნარი გარემოს შექმნა. *თავისთვის მოყუჩდა.*

მოშაირე *მოშაირის* შაირების მთხზველი. *მოშაირეთა შეჯიბრება.*

მოშარდვა *მოშარდვის* (მოშარდავს) შარდის გამოყოფა. *მოშარდვის პროცესი.*

მოშენება *მოშენების* (მოაშენებს, მოიშენებს, მოშენდება) I. ნაგებობაზე ახალი ნაწილის მომატება, აშენება. *სახლს აივანი მოვაშენე.* 2. ცხოველების სპეციალურად გამრავლება ან მცენარეების დარგვა-გახარება. *ტბაში თევზი მოაშენეს. ვაზი მოაშენა.* ■ მოშენებული რაც მოაშენეს. *მოშენებული კიბე. მოშენებული საქონელი.*

მოშვება *მოშვების* (მოიშვებს, მოუშვებს, მოეშვება, მოაშვებინებს) I. ნების ან საშუალების მიცემა, რომ რაიმესთან, ვინმესთან მოვიდეს. *ახლოს არ მოვუშვი.* 2. მოდუნება, მოსუსტება. *დაღლილი დაჯდა და მოეშვა.* 3. ჩაკეტილის ან ჩახრახნილის მოტრიალება და გახსნა. *ონკანი მოუშვა.* 4. თმის, წვერისა და მისთ. გაზრდა. *წვერი მოუშვა.* ■ მოშვებული რაც მოუშვეს ან ვინც მოეშვა. *მოშვებული ჩანს.*

მოშველება *მოშველების* (მოაშველებს, მოეშველება) ჩემი, შენი ან აქეთ, მანდეთ მყოფის მიშველება. *ფული მომაშველა. ხრამში ჩავარდნილს მოეშველა.*

მოშველიება *მოშველიების* (მოიშველიებს) ვინმეს ან რაიმეს გამოყენება საშველად, დასახმარებლად. *საქმეში მეგობრები მოიშველია. ფანტაზია მოიშველია.*

მოშვერა *მოშვერის* (მოაშვერს, მოიშვერს, მოუშვერს) რაიმეს მობრუნება, მომართვა ჩემკენ ან შენკენ. *თითს მოაშვერს. ავტომატი მომიშვირა.* ■ მოშვერილი რაც მოიშვირეს. *თქვენკენ მოშვერილი ხელები.*

**მოშვლეპა** *მოშვლეპის* (მოშვლეპს, მოიშვლეპს) საუბრ. რაიმეს უცბად გახდა, მოშორება. *ქუდი მოიშვლიპა.* ■ **მოშვლეპილი** რაც მოიშვლიპეს. *მოშვლეპილი თავი.*

**მოშივება** *მოშივების* (მოშივდება) ჭამის სურვილის გაჩენა. *მოშივება ვერ მოასწრო. ბიჭს მოშივდა.* ■ **მოშივებული** ვისაც მოშივდა. *მოშივებული ბავშვები.*

**მოშილიფება** *მოშილიფების* (მოიშილიფებს) თბილი ტანსაცმლის გახდა, თბილი სამოსისგან განთავისუფლება. ■ **მოშილიფებული** ვინც მოიშილიფა. *მოშილიფებული დადის.*

**მოშინაურება** *მოშინაურების* (მოაშინაურებს, მოიშინაურებს, მოშინაურდება) 1. გარეული ცხოველის შინაურად ქცევა, ადამიანთან მიჩვევა, გაწვრთნა. *მგელი მოიშინაურა. მტრედები მოაშინაურა.* 2. იგივეა, რაც გაშინაურება. *ბავშვები მოშინაურდნენ.* ■ **მოშინაურებული** რაც მოაშინაურეს. *მოშინაურებული ირემი.*

**მოშიშვლება** *მოშიშვლების* (მოაშიშვლებს, მოიშიშვლებს) სხეულის ნაწილის გაშიშვლება. *მხრები მოიშიშვლა.*

**მოშიში** *მოშიშის* შიშის, რიდის მქონე. *ღვთის მოშიში.*

**მოშლა** *მოშლის* (მოშლის, მოიშლის, მოუშლის, მოიშლება, მოეშლება, მოაშლევინებს) 1. მექანიზმისა და მისთ. წყობიდან გამოსვლა, გაფუჭება. *სასწორი მოიშალა. საკეტი მოიშალა. ჩამრთველი ბავშვებმა მოშალეს.* 2. სისტემის დარღვევა. *ტრადიციის მოშლა. ეკონომიკა მოიშალა. სოფლის მეურნეობა მოიშალა.* 3. რაიმეზე უარის თქმა, შეწყვეტა. *ხეტიალი არ მოიშალა. როგორც იქნა, წუწუნი მოიშალა. ხმამაღალი სიცილი მოიშალა.* 4. რაიმეს დანგრევა, მოსპობა. *სალოცავები მოშალეს. აივნები მოშალეს. ღობე მოშალეს.* ■ **მოშლილი** რაც მოშალეს ან მოიშალა. *მოშლილი მექანიზმი.*

**მოშორება** *მოშორების* (მოაშორებს, მოიშორებს, მოშორდება, მოაშორებინებს) 1. ვინმესგან (რაიმესგან) ან საიდანმე წამოსვლა, მოცილება. *ახლობლებს მოაშორეს. ძველ ნაცნობებს მოშორდა.* 2. რაიმეს მოცლა, აძრობა. *ლაქის მოშორება. კაბას საყელო მოაშორა.*

**მოშორებით** ზმნზ. ცოტათი შორს, შორიახლო. *მოშორებით დგას. ჩემგან მოშორებით ცხოვრობს.*

**მოშურნე** *მოშურნის* ვისაც ვინმესი შურს. *მისი მოშურნე. მოშურნეები ბევრი ჰყავს.*

**მოშურნეობა** *მოშურნეობის* იგივეა, რაც შურიანობა. *მოშურნეობა მანკიერი თვისებაა.*

**მოშუქება** *მოშუქების* (მოაშუქებს) ჩემკენ ან შენკენ შუქის, სინათლის მომართვა, მონათება. *გარედან ფანჯრებს მოაშუქეს.*

**მოშუშება** *მოშუშების* (მოაშუშებს, მოიშუშებს, მოუშუშებს, მოშუშდება, მოუშუშდება) დაზიანებული ადგილის (ჭრილობის, ტრავმისა და მისთ.) მორჩენა. *წყლულის მოშუშება. დამწვარი თითი მოუშუშდა. მალამომ მოუშუშა.* ■ **მოშუშებული** რაც მოშუშდა. *მოშუშებული ტრავმა.*

**მოშუშვა** *მოშუშვის* (მოშუშავს) 1. დაბალ ცეცხლზე მოწვა, მოხალვა. *ხახვი მოშუშა. ხორცი მოშუშა.* 2. მაღალი ტემპერატურის დროს მცენარეების გახმობა. *სიმინდი მოიშუშა.* ■ **მოშუშული** რაც მოშუშეს ან მოიშუშა. *მოშუშული სტაფილო.*

**მოშხამვა** *მოშხამვის* (მოშხამავს, მოუშხამავს, მოიშხამება, მოეშხამება) 1. მოწამვლა. *ორგანიზმი მოიშხამა.* 2. გადატ. სიტყვით გამწარება, დაგესლა. *მე ზოგელმა მოშხამა.* ■ **მოშხამული** რაც მოიშხამა. *მოშხამული სიცოცხლე.*

**მოჩანგვლა** *მოჩანგვლის* (მოჩანგლავს) ჟარგ. მოხიბვლა, შებმა (4). *მაგარი გოგო მოჩანგლა.*

**მოჩვენება**[1] *მოჩვენების* (მოაჩვენებს, მოეჩვენება) 1. არარსებულის, არარეალურის დანახვა, მოლანდება. *სიბნელეში დათვი მოეჩვენა.* 2. ვინმეს ან რაიმეს სხვად მიჩნევა, სხვად წარმოდგენა. *თავი სულელად მოაჩვენა. მეგობარი უცნობად მოეჩვენა. ამოცანა მარტივად მოეჩვენა.*

**მოჩვენება**[2] *მოჩვენების* გაურკვეველი ლანდი, რაიმეს აჩრდილი. *მოჩვენება გამოეცხადა. მამის მოჩვენება.*

**მოჩვენებითი** *მოჩვენებითის* არანამდვილი, მხოლოდ სხვის დასანახად გაკეთებული, ჩადენილი. *მოჩვენებითი კეთილდღეობა. მოჩვენებითი სიყვარული. ყველაფერი მოჩვენებითია.*

**მოჩითული** *მოჩითულის* სხვადასხვა ფერითა და ფიგურებით ლამაზად აჭრელებული. *მოჩითული საკაბე. ყვავილებით მოჩითული ველი.*

**მოჩიტვა** *მოჩიტვის* (მოიჩიტება) იგივეა, რაც წამოჩიტვა. *ბავშვი მოიჩიტა. ბარტყები მოიჩიტნენ.* ■ **მოჩიტული** ვინც ან რაც მოიჩიტა. *მოჩიტული ბიჭი.*

**მოჩიჩქნა** *მოჩიჩქნის* (მოჩიჩქნის, მოიჩიჩქნის) ცოტათი მოთხრა, გაქექვა. *ყური მოიჩიჩქნა. მიწა ფრჩხილით მოჩიჩქნა.* ■ **მოჩიჩქნილი** რაც მოჩიჩქნეს. *მოჩიჩქნილი ქვიშა.*

**მოჩლექა** *მოჩლექის* (მოიჩლექს, მოუჩლექს) ⊙ ენის მოჩლექა განგებ ბავშვივით გაუმართავი ენით ლაპარაკი, ბგერების არასწორად წარმოთქმა.

**მოჩმახვა** *მოჩმახვის* (მოჩმახავს) საუბრ. ისეთი რაიმეს თქმა, რაც რეალობას არ შეესაბამება, ტყუილის მოგონება. *რალაცების მოჩმახვა უყვარს. სისულელე მოჩმახა.* ■ **მოჩმახული** რაც მოჩმახეს. *მოჩმახული ამბავი.*

**მოჩრდილება** *მოჩრდილების* (მოიჩრდილებს, მოუჩრდილებს) ჩრდილის მოყენება (თვალებზე ან სახეზე). *ხელით მოიჩრდილა. სახე გაზეთით მოიჩრდილა.*

**მოჩუხჩუხე** *მოჩუხჩუხის* რაც ჩუხჩუხებს, ჩუხჩუხით მოდის. *მოჩუხჩუხე ნაკადული.*

**მოჩხრეკა** *მოჩხრეკის* (მოჩხრეკს, მოიჩხრეკს, მოიჩხრიკება) ზედაპირულად, ზერელედ გაჩხრეკა. *ჯიბე მოიჩხრიკა. მიწა მოჩხრიკა.*

**მოჩხუბარი** *მოჩხუბრის* 1. ჩხუბის მოყვარული. *მოჩხუბარი ბიჭია.* 2. ვინც ჩხუბობს. *მოჩხუბრები გააშველეს.*

**მოცარვა** *მოცარვის* (მოეცარება) ⊙ ხელის მოცარვა საქმეში წარუმატებლობა, რაიმეს ჩაშლა, ჩაფლავება.

**მოცდა** *მოცდის* (მოიცდის, მოუცდის, მოაცდევინებს) დალოდება, დაცდა. *მეგობრების მოსვლამდე მოიცადა. ზამთრამდე მოიცდის.*

**მოცდენა** *მოცდენის* (მოაცდენს, მოცდება, მოუცდება) რაღაც მიზეზით საქმის გაჩერება, დროის დაკარგვა. *ბავშვებმა მოაცდინეს. მუშები ტყუილად მოცდნენ. ტრაქტორი მოაცდინა.*

**მოცეკვავე** *მოცეკვავის* 1. ვინც ცეკვავს. *მოცეკვავეებს უყურებდა.* 2. ცეკვის სპეციალისტი. *ბალეტის მოცეკვავე. მოცეკვავეთა ანსამბლი.*

**მოცელვა** *მოცელვის* (მოცელავს, მოიცელება) 1. ცელით მოჭრა, მოთიბვა. *ღობესთან ბალახი მოცელა.* 2. გადატ. უცბად წაქცევა. *ავტომატის ჯერით მოცელა.*

**მოცემა** *მოცემის* (მომცემს, მოეცემა, მოაცემინებს) ჩემთვის ან შენთვის რაიმეს ჩაბარება(2), მიკუთვნება(3). *წიგნი მომცა.*

**მოცემულობა** *მოცემულობის* განსაზღვრულ მონაცემთა ერთობლიობა, პირობა, რომლის საფუძველზეც უნდა ამოიხსნას ამოცანა, გაკეთდეს დასკვნა. *მოცემულობას გაეცნო.*

**მოცვა** *მოცვის* (მოიცავს) 1. მთლიანად დაუფლება, მთლიანად შეპყრობა (2), განმსჭვალვა. *ქალი დარდმა მოიცვა. ყველაფერი სიჩუმეს მოუცავს.* 2. რაიმეს შემადგენლობაში ყოფნა, მის ფარგლებში მოქცევა. *წამალი ვიტამინების დიდ ჯგუფს მოიცავს. თემა რამდენიმე საკითხს მოიცავს.*

**მოცვეთა** *მოცვეთის* (მოცვეთს, მოცვდება, მოუცვდება) იგივეა, რაც გაცვეთა. *დანას პირი გაუცვდა.* ■ მოცვეთილი რაც მოცვდა. *მოცვეთილი კბილები.*

**მოცვენა** *მოცვენის* (მოცვივდება, მოუცვივდება) იგივეა, რაც მოცვივნა (1). *ბავშვები სახლში მოცვივდნენ.*

**მოცვი** *მოცვის* 1. შავი მოტკბო კენკროვანი ხილი. *მოცვის მურაბა.* 2. დაბალი ბუჩქი, რომელიც ისხამს მოცვს (1). *ე ზოში რამდენიმე მოცვი იდგა.*

**მოცვივნა** *მოცვივნის* (მოცვივდება, მოუცვივდება) ბევრის სწრაფად მოსვლა, მორბენა. *მეზობლები მოცვივდნენ.*

**მოცვლა** *მოცვლის* (მოიცვლის, მოაცვლევინებს) ⊙ კბილ(ებ)ის მოცვლა სარძევე კბილ(ებ)ის ნაცვლად ახლის ამოსვლა.

**მოციგურავე** *მოციგურავის* ვინც ციგურებით სრიალებს. *მოციგურავეების გამოსვლა. მოციგურავე წყვილი.*

**მოცილე** *მოცილის* ვინც ვინმეს ეცილება. *მოცილე გამოუჩნდა. საქმეში მოცილე.*

**მოცილება** *მოცილების* (მოაცილებს, მოიცილებს, მოსცილდება) 1. აქეთ მომავალის გამოყოლა. *ბიჭი გოგოს მოაცილებდა.* 2. რაიმეს გაცლა, მოშორება. *ჭუჭყი მოაცილეს. გრიმი მოიცილა. ფეხსაცმელს ტალახი მოსცილდა.* 3. რაიმესგან დაშორება ან ვინმესთან ჩამოცილება. *თავიდან მოიცილა. მოსწავლე დაფას მოსცილდა. ნავი ნაპირს მოსცილდა.* ■ მოცილებული რაც ან ვინც მოსცილდა. *სახლ-კარს მოცილებული.*

**მოციმციმე** *მოციმციმის* რაც ციმციმებს. *მოციმციმე ნათურები.*

**მოცინარი** *მოცინარის* 1. ვინც იცინის. *მოცინარი ბავშვი. მოცინარი ქალები.* 2. მხიარული, სიცილის გამომხატველი. *მოცინარი სახით.*

**მოციქული** *მოციქულის* 1. პირი, რომელიც რაიმე ამბის შესატყობინებლად ან მოსალაპაკებლად არის გაგზავნილი. *მეფის მოციქული.* 2. იესო ქრისტეს მოწაფე, მისი მოძღვრების გამავრცელებელი. *თორმეტი მოციქული. ანდრია მოციქული.* ⊙ ბნელეთის მოციქული საშიში, შავბნელი ადამიანი.

**მოციცქნა** *მოციცქნის* (მო(ს)ციცქნის, მოაციცქნის) ნამცეცის მოცლა, მოტეხა ან შეჭმა. *საზამთრო მოციცქნა. ხაჭაპურს ცოტა მოაციცქნა.*

**მოცლა**[1] *მოცლის* (მოიცლის) თავისუფალი დროის გამონახვა. *შენთვის ველარ მოვიცალე. საღამოს მოიცალა.*

**მოცლა**[2] *მოცლის* (მოაცლის, მოიცლის, მოეცლება) რაიმეს მოშორება, მოგლეჯა, მოძრობა. *მანქანას საბარგული მოაცალა. ხეს ქერქი მოაცალა.*

**მოცლილი** *მოცლილის* ვინც მოიცალა, დაკავებული (2) არ არის. *მოცლილი კი არა ვარ!*

**მოცოცება** *მოცოცების* (მოცოცდება) ცოცვით მოსვლა, მოახლოვება. *სარკმელთან მოცოცდა.*

**მოცოცხლება** *მოცოცხლების* (მოაცოცხლებს, მოცოცხლდება) მოსულიერება, ძალის მოკრება, ენერგიის აღდგენა. *გულწასული მოცოცხლდა.* ■ მოცოცხლებული ვინც ან რაც მოცოცხლდა. *მოცოცხლებული კაცი.*

**მოცული** *მოცულის* რაიმე გრძნობით აღვსილი. *შიშით მოცული. სიხარულით მოცული. დუმილით მოცული.*

**მოცულობა** *მოცულობის* 1. სივრცის ნაწილის სიდიდე, რომელიც იზომება და გამოისახება კუბურ ერთეულებში. *სახლის მოცულობა. ჭურჭლის*

*მოცულობა*. 2. რაიმეს სიდიდე, რაოდენობა, ზომა. *სამუშაოს მოცულობა. ტექსტის მოცულობა.*

**მოცურავე** *მოცურავის* I. ვინც ან რაც ცურავს. *ტბაში მოცურავე გედი.* 2. სპორტსმენი, ცურვის ოსტატი. *მოცურავეთა შეჯიბრება.*

**მოცურება** *მოცურების* (მოაცურებს, მოცურდება, მოუცურდება) I. ცურვით მოსვლა. *გემი ნაპირთან მოცურდა.* 2. ნონასწორობის დაკარგვა, დასრიალება, აცურება. *მანქანა მოცურდა.* ■ **მოცურებული** ვინც ან რაც მოცურდა. *მოცურებული მანქანა. ნაპირთან მოცურებული ბავშვები.*

**მოცურცვლა** *მოცურცვლის* (მოცურცლავს) ცურცლის დაყრა. *კურდღელმა მოცურცლა.*

**მოცუცქნული** *მოცუცქნულის* ძალიან პატარა. *მოცუცქნული სახლი. მოცუცქნული ქალი.*

**მოცხარი** *მოცხარის* I. წვრილი, მრგვალი, წვნიანი კენკროვანი ხილი. *მოცხარის ჩაი.* 2. დაბალი ბუჩქი, რომელიც ისხამს მოცხარს (1).

**მოცხება** *მოცხების* (მოსცხებს, მოაცხებს, მოიცხებს, მოეცხება) I. უნებურად, შემთხვევით რაიმეს წასმა. *ტალახი მოეცხო.* 2. მაგრად ცემა. *მათრახი მოსცხეს.*

**მოძალადე** *მოძალადის* ვინც ძალადობს. *მოძალადეებმა გაიმარჯვეს.*

**მოძალება** *მოძალების* (მოეძალება) რაიმეს ერთბაშად მომატება, გაძლიერება. *მტერი მოეძალა. ქალს ემოცია მოეძალა.* ■ **მოძალებული** რაც მოეძალათ. *მოძალებული საქმე.*

**მოძახება** *მოძახების* (მოაძახებს) აქეთ მომავალისთვის დაძახება. *ორი სიტყვა კიდევ მოაძახა.*

**მოძახილი** *მოძახილის* ქართული ხალხური სიმღერის ერთ-ერთი მაღალი ხმა. *მოძახილი თქვა.*

**მოძებნა** *მოძებნის* (მოძებნის, მოიძებნის, მოუძებნის, მოიძებნება, მოაძებნინებს) I. ძებნა ვინმეს ან რამის მოსანახად, საპოვნელად. *ყველგან მოძებნეთ!* 2. ძებნის შედეგად პოვნა. *საბუთი ძლივს მოძებნა.*

**მოძველება** *მოძველების* (მოაძველებს, მოძველდება) ცოტათი დაძველება. *მანქანა მოუძველდა. იდეა მოძველდა.* ■ **მოძველებული** რაც მოძველდა. *მოძველებული აზრები.*

**მოძმე** *მოძმის* ვინმეს ახლობელი, მეგობარი. *მოძმისთვის თავდადებული. მოძმე ერი.*

**მოძოვა** *მოძოვის* (მოძოვს) პირუტყვის მიერ ბალახის გლეჯა და ჭამა. *ცხენი მოძოვს. ძროხებმა ახალი ბალახი მოძოვეს.*

**მოძოვება** *მოძოვების* (მოაძოვებს) პირუტყვისთვის ძოვის საშუალების მიცემა, საძოვარზე გაშვება. *ხარები მოაძოვა.*

**მოძრავი** *მოძრავის* რაც მოძრაობს. *მოძრავი საგანი.*

**მოძრაობა** *მოძრაობის* (მოძრაობს) I. ადგილის ცვლა, გარკვეული მიმართულებით სვლა. *ხელების მოძრაობა. მანქანა საწინააღმდეგო მიმართულებით მოძრაობს.* 2. გარკვეული ჯგუფის საზოგადოებრივი საქმიანობა. *რევოლუციური მოძრაობა. სტუდენტური მოძრაობის ლიდერი.*

**მოძრობა** *მოძრობის* (მოაძრობს, მოიძრობს, მოსძვრება) მიმაგრებულის, მიწებებულისა და მისთ. მოცილება ან მოგლეჯა. *ფეხსაცმელს ქუსლი მოძვრა. წიგნს ყდა მოაძრო. ქარმა ქუდი მოაძრო.*

**მოძულე** *მოძულის* ვისაც ვინმე სძულს. *კაცის მოძულე.*

**მოძულება** *მოძულების* (მოაძულებს, მოიძულებს, მოსძულდება) მობეზრება, შეჯავრება. *ყველა მომძულდა. ოჯახმა მოიძულა. თავი მოაძულა.* ■ **მოძულებული** ვინც ან რაც მოიძულეს. *ხალხისგან მოძულებული. მოძულებული სიცოცხლე.*

**მოძურწვა** *მოძურწვის* (მოძურწავს) საუბრ. იგივეა, რაც გაძურწვა. *ბიჭმა იმ ადგილიდან მოძურწა.*

**მოძუძგული** *მოძუძგულის* წელში მოხრილი და მობუზული. *სიცივისგან მოძუძგული. მოძუძგული მოდის.*

**მოძღვარი** *მოძღვრის* I. იგივეა, რაც მღვდელი. *მოძღვრის კურთხევა.* 2. მასწავლებელი, აღმზრდელი, დამრიგებელი. *მასწავლებელი მისი ცხოვრების მოძღვარიც იყო.*

**მოძღვრება** *მოძღვრების* I. მეცნიერულ, თეორიულ შეხედულებათა, დებულებათა ერთობლიობა. *ფილოსოფიური მოძღვრება.* 2. რელიგიურ დოგმათა ერთობლიობა, რელიგიური სისტემა. *ქრისტიანული მოძღვრება. ბუდისტური მოძღვრება.*

**მოწადინება** *მოწადინების* (მოიწადინებს) რაიმეს ძალიან მონდომება, მოსურვება. *გოგონამ სწავლა მოიწადინა. შვილმა დედის გახარება მოიწადინა.*

**მოწადინებული** *მოწადინებულის* ვინც რაიმე მოიწადინა, მონდომებული. *მოწადინებული ახალგაზრდა.*

**მოწამე** *მოწამის* ქრისტიანობისთვის წამებული, ტანჯული. *მოწამის ღვაწლი.*

**მოწამებრივი** *მოწამებრივის* მოწამის მსგავსი, მოწამისთვის დამახასიათებელი. *მოწამებრივი აღსასრული. მოწამებრივი თავდადება.*

**მოწამეობა** *მოწამეობის* სარწმუნოებისთვის წამება, ტანჯვა.

**მოწამვლა** *მოწამვლის* (მოწამლავს, მოიწამლავს, მოუწამლავს, მოიწამლება, მოეწამლება, მოაწამვლინებს) I. საწამლავით ან სხვა მავნე ნივთიერებით ვინმესთვის ზიანის მიყენება ან მოკვლა. *ძლიერი მოწამვლა. ბავშვი საკვებმა მოწამლა.* 2. იგივეა, რაც შეწამვლა. *ვაზის მოწამვლის დრო დადგა.* ■ **მოწამლული** ვინც მოიწამლა ან რაც მოწამლეს. *მოწამლული ქალი.*

**მოწაფე** *მოწაფის* I. სკოლის მოსწავლე. *მოწაფის*

*ჩანთა.* 2. ვინმეს თეორიის, მოძღვრების მიმდევარი, საქმის გამგრძელებელი. *ქრისტეს მოწაფე. ჩემი მოწაფეები.*

მოწებება *მოწებების* (მოაწებებს, მოეწებება) შენსაზე ან ჩემსაზე დაწებება. *ზურგ ზე მოგაწებებს.*

მოწევა *მოწევის* (მოსწევს, მოიწევს, მოუწევს, მოიწევა, მოეწევა, მოაწევინებს) 1. იგივეა, რაც მიწევა. 1. *ნიგნები ჩემკენ მოსწია. მაგიდა აქეთ მოსწიეთ. ტახტი მოსწიეთ.* 2. რაიმეს მოჭიმვა ან მოზიდვა. *თოკი მოსწია. მშვილდი მოსწია. სადავე მოსწია.* 3. საუბრ. რაიმეს დამართება, შემთხვევა. *ბავშვებს არაფერი მოეწიოთ!* 4. თუთუნის, თამბაქოსა და მისთ. გამოყოფილი ნივთიერების შესუნთქვა. *სიგარეტი მოსწია. მოწევას თავი დაანება.* 5. მოსაელის, ჭირნახულის აღება ან ნაყოფის დამწიფება. *მოსავალი მოიწიეს. ვაშლი მოიწიეს.* 6. გარკვეული დროის, პერიოდის დადგომა, მოსვლა. *საღამომ მოაწია. რიყრაჟმა მოაწია.* 7. რაიმეს გარდაუვლად მოხდენა მომავალში. *უცხოეთში გამგზავრება ხშირად მიწევს. მომიწევს ღამის გათენება. ლოდინი მოუწევს.* ■ მოწეული რაც მოსწიეს ან მოიწია. *მოწეული სიგარა. მოწეული მოსავალი. მოწეული სავარძელი.*

მოწევნა *მოწევნის* იგივეა, რაც დაწევა (2). *ჩვენამდე ძლივს მოაწია. უკან ვილაც მომეწია.*

მოწერა *მოწერის* (მოსწერს, მოაწერს, მოიწერს, მოუწერს, მოიწერება, მოეწერება, მოაწერინებს) 1. წერილის გამოგზავნა. *მამამ წერილი მოსწერა. პასუხი მომწერა.* 2. სიტყვის, აზრისა და მისთ. ვინმესთვის მიკუთვნება. *ყველაფერს მე ნუ მომაწერთ. მკვლელობა მომაწერეს.* ⊙ ხელის მოწერა 1. სამოქალაქო წესით დაქორწინება. 2. რაიმე დოკუმენტის ბოლოს საკუთარი გვარის დაწერა.

მოწესრიგება *მოწესრიგების* (მოაწესრიგებს, მოიწესრიგებს, მოუწესრიგებს, მოწესრიგდება, მოუწესრიგდება) დალაგება, წესრიგში მოყვანა. *სახლი მოაწესრიგა. საბუთები მოაწესრიგა.*

მოწვა *მოწვის* (მოწვავს, მოიწვავს, მოუწვავს, მოიწვება) 1. ცოტათი შეწვა, მოხრაკვა. *ერბოკვერცხი მოიწვა.* 2. სპეციალური თერმული პროცედურით რაიმე წარმონაქმნის მოცილება. *წყლული მოიწვა. მეჭეჭი მოუწვეს.*

მოწვდა *მოწვდის* (მოაწვდის) ხელში მოთავსებული რაიმეს გამოშვერა ვინმესთვის მოსაცემად. *წიგნი მომაწოდა. ბილეთს მოაწვდის.*

მოწვდენა *მოწვდენის* (მოაწვდენს) ჩემკენ ან შენკენ მიწვდენა. *ხელი მოაწვდინა. ხმა მოგვაწვდინა.*

მოწვდომა *მოწვდომის* (მოსწვდება) შენკენ ან ჩემკენ მყოფისთვის მიწვდომა. *აქამდის მოსწვდება.*

მოწვევა *მოწვევის* (მოიწვევს, მოაწვევინებს) 1. ვინმესთვის სადმე მოსვლის თხოვნა, მოპატიჟება. *საპატიო სტუმრები მოიწვია. ხალხი ქორწილში მოიწვია.* 2. რაიმე საქმის, თანამდებობის შეთავაზება აქ ან მანდ მყოფების მიერ. *ლექციების წასაკითხად მოიწვიეს.* 3. რაიმეს მოწყობა, გამართვა. *სესია მოიწვია. კრება მოიწვიეს.* ■ მოწვეული ვინც მოიწვიეს. *მოწვეული სტუმრები. მოწვეული ლექტორი.*

მოწველა *მოწველის* (მოწველის, მოიწველის, მოიწველება) ძუძუზე ხელის ჩამოსმით რძის გამოდენა, საქონლის ცურის დაცლა. *ძროხა მოწველა.* ■ მოწველილი რაც მოწველეს. *მოწველილი თხა.*

მოწვნა *მოწვნის* (მოწნავს) წნელით რაიმეს დაწვნა. *კალათა მოწნა.* ■ მოწნული რაც მოწნეს. *მოწნული გოდორი.*

მოწილე *მოწილის* ვინმესთან საქმის ნილში მყოფი. *მოწილეების შეთანხმება.*

მოწინააღმდეგე *მოწინააღმდეგის* ვინც რაიმეს წინააღმდეგია, არ უნდა, რომ გაკეთდეს, განხორციელდეს. *პროექტის მოწინააღმდეგე.*

მოწინავე *მოწინავის* 1. ვინც სხვებზე წინ მიდის, წინ მიმავალი. *მოწინავე რაზმი.* 2. შეგნებული, პროგრესული, გამორჩეული. *მოწინავე იდეები.* 3. სოციალურად, კულტურულად განვითარებული, განვითარების მაღალ საფეხურზე მდგომი. *მოწინავე ქვეყნები.*

მოწიფული *მოწიფულის* ზრდასრული, სრულწლოვან ასაკს მიღწეული. *მოწიფული ბიჭი.*

მოწიფულობა *მოწიფულობის* სრულწლოვანების პერიოდი. *მოწიფულობაში შევიდა.*

მოწიწება *მოწიწების* ვინმეს მიმართ დიდი პატივისცემის გამოხატვა, მორიდება, მოკრძალება. *მოწიწებით მიესალმა.*

მოწიწებული *მოწიწებულის* უაღრესად მორიდებული, მოკრძალებული. *მოწიწებული დამოკიდებულება.*

მოწიწკნა *მოწიწკნის* (მოწიწკნის, მოაწიწკნის, მოიწიწკნის) წიწკნით მოწევა, მოგლეჯა. *თმა მოიწიწკნა.*

მოწმე *მოწმის* 1. პირი, რომელიც შეესწრო რაიმე ამბავს. *უნებური მოწმე. მოწმეების გარეშე.* 2. პირი, რომელიც სასამართლოში, საგამომძიებლო ორგანოებში ჩვენებას იძლევა, როგორც გასარჩევი საქმის შესახებ რაიმეს მცოდნე. *მოწმის ჩვენება. მოწმეები დაკითხეს.*

მოწმენდა *მოწმენდის* (მოწმენდს, მოიწმენდს, მოიწმინდება, მოეწმინდება, მოაწმენდინებს) მოსუფთავება, გაშრალება. *შუბლი მოიწმინდა. ცხვირი მოიწმინდა. ცრემლი მოიწმინდა. იატაკი მოწმინდა.* ■ მოწმენდილი რაც მოწმინდეს ან მოიწმინდა. *მოწმენდილი ცა.*

მოწმობა[1] *მოწმობის* (მოწმობს) დადასტურება, ცხადყოფა. *შედეგები მოწმობს, რომ გუნდი გაიმარჯვებს.*

მოწმობა[2] *მოწმობის* რაიმეს დამადასტურებელი ოფიციალური დოკუმენტი. *დაბადების მოწმობა. პირადობის მოწმობა.*

**მოწოდება**[1] *მოწოდების* (მოუწოდებს) 1. რაიმე მიზნით ფართო აუდიტორიისთვის მიმართვა. *ხმამაღალი მოწოდება გაისმა. ხალხს სიმშვიდისკენ მოუწოდა.* 2. მოკლედ ჩამოყალიბებული იდეა, ლოზუნგი. 3. რაიმეს კეთების, შექმნის სურვილი. *ხატვა მისი მოწოდება იყო.* ◉ მოწოდების სიმაღლეზე დგას თავის საქმეს კარგად აკეთებს.

**მოწოდება**[2] *მოწოდების* (მოაწოდებს) 1. რაიმეს მოცემა, გამოწევა გამოსართმევად. *წიგნი მოაწოდა.* 2. სავაჭრო ქსელში საქონლის შემოტანა. *პროდუქტების მოწოდება.* ■ მოწოდებული რაც მოაწოდეს. *მოწოდებული საქონელი.*

**მოწოვა** *მოწოვის* (მოწოვს, მოაწოვებს) ბაგეების მოჭერით სითხის გამოღება, გამოწურვა და შესრუტვა. *ბავშვმა ძუძუ მოწოვა.*

**მოწოვება** *მოწოვების* (მოაწოვებს) ძუძუთი კვება ან რძის მიცემა საწოვარათი. *დედამ ბავშვს ძუძუ მოაწოვა.*

**მოწოლა**[1] *მოწოლის* (მოუწვება) აქ ან მანდ მყოფის გვერდით დაწოლა. *ბავშვი საწოლში მომიწვა.*

**მოწოლა**[2] *მოწოლის* (მოაწვება) მიწოლა ჩემკენ ან შენკენ. *მაგიდას მოაწვა. ხალხი მოგვაწვა.*

**მოწონება** *მოწონების* (მოაწონებს, მოიწონებს, მოუწონებს) ვინმეს ან რაიმეს კარგად ჩათვლა, დადებითად შეფასება. *ბიჭს გოგო მოეწონა. სახლი მოეწონათ.* ■ მოწონებული ვინც ან რაც მოიწონეს. *მოწონებული აზრი. მოწონებული სარძლო.*

**მოწრუპვა** *მოწრუპვის* (მოწრუპავს) წრუპვით დალევა, მოსმა. *ღვინო მოწრუპა.*

**მოწუწვა** *მოწუწვის* (მოწუწავს, მოიწუწება) სითხის დასხმით დასველება, დასვრა. *ბიჭმა ყველაფერი მოწუწა. გადასაფარებელი მოიწუწა.* ■ მოწუწული რაც მოწუწეს ან მოიწუწა. *მოწუწული აივანი.*

**მოწუწნა** *მოწუწნის* (მოწუწნის) პირში ჩადებულის მოწოვა, წუწნით შესრუტვა. *კანფეტი მოწუწნა. ტაბლეტი მოწუწნა.*

**მოწყალე** *მოწყალის* ვინც ვიღაცას სწყალობს, მწყალობელი. *ბევრი ჰყავს მოწყალე.*

**მოწყალება** *მოწყალების* მატერიალურად გაჭირვებული ადამიანისთვის გაწეული დახმარება. *მოწყალება გაიღო. მოწყალება გამოიჩინა.*

**მოწყდომა** *მოწყდომის* (მოწყდება, მოაწყდება, მოუწყდება) 1. რაიმეს თავისით მოწყვეტა (1). *კაბას ღილი მოსწყდა.* 2. მოულოდნელად ძალ-ღონის გამოცლა. *ქალი მოწყდა და დავარდა.* 3. ბევრი ვინმეს ან რამის ერთდროულად, ერთბაშად მოსვლა. *შენობას ხალხი მოაწყდა. ცხვრები ღობეს მოაწყდნენ.* 4. მოხეთქება, მოჯახება, მოსკდომა. *ტალღა ნაპირს მოაწყდა.*

**მოწყენა** *მოწყენის* (მოაწყენს, მოიწყენს, მოეწყინება, მოსწყინდება) 1. დაღონება, დადარდიანება, ხალისის დაკარგვა. *გოგომ მოიწყინა.* 2. რაიმეს მობეზრება, შეძულება, მოყირჭება. *ძველი ამბების მოსმენა მოსწყინდა.*

**მოწყენილი** *მოწყენილის* 1. ნაღვლიანი, დადარდიანებული. *მოწყენილი ბავშვი.* 2. რაც მოიწყინეს. *მოწყენილი სანახაობა.*

**მოწყენილობა** *მოწყენილობის* მოწყენილად, დადარდიანებულად, უხალისოდ ყოფნა. *მოწყენილობა დაეუფლა. მოწყენილობამ დაისადგურა.*

**მოწყვეტა** *მოწყვეტის* (მოწყვეტს, მოაწყვეტს, მოიწყვეტს, მოუწყვეტს, მოაწყვეტინებს) 1. მცირე ძალდატანებით ღეროსგან ყვავილის, ფოთლის, ნაყოფის მოცილება, მოგლეჯა. *ვარდი მოუწყვიტა. ფოთოლი მოწყვიტა. ნაყოფი ყუნწში მოწყვიტა.* 2. ერთბაშად ადგილიდან დაძვრა. *მანქანა ადგილიდან მოწყვიტა. ბედაურები ადგილს მოსწყვიტეს.* 3. რაიმეს მოგლეჯა ან ჩამოშორება. *მელას კუდი მოაწყვიტეს. სნავლას მოსწყვიტეს.* ■ მოწყვეტილი რაც მოწყვიტეს. *ახალი მოწყვეტილი.*

**მოწყვეტით** უცბად, მოულოდნელად (წაქცევა, დაცემა). *სკამზე მოწყვეტით დაეშვა. მოწყვეტით დაჯდა.*

**მოწყლიანება** *მოწყლიანების* (მოუწყლიანდება) თვალზე ცრემლის მოდგომა. *ბავშვს თვალები მოუწყლიანდა.*

**მოწყობა** *მოწყობის* (მოაწყობს, მოუწყობს, მოეწყობა) 1. რაიმეს საჭირო ნივთებით შევსება, გამართვა. *სამუშაო ოთახი მოაწყო. სახლი მოიწყო.* 2. გამართვა, ჩატარება. *საღამოს მოწყობა. შეხვედრა მოაწყო.* 3. მოგვარება, წესრიგში მოყვანა. *საქმე მოაწყო.* 4. საუბრ. მუშაობის დაწყება, სასწავლებელში მიღება. *კარგ თანამდებობაზე მოაწყო. უმაღლესში მოეწყო.* 5. სადმე მოთავსება. *ბუხართან მოეწყო.* ■ მოწყობილი რაც მოაწყვეს. *კარგად მოწყობილი ბინა.*

**მოწყობილობა** *მოწყობილობის* მექანიზმის ან დანადგარის ასამუშავებლად საჭირო დეტალებისა და ნაწილების ერთობლიობა. *ტექნიკური მოწყობილობა. სამართავი მოწყობილობა. საბეჭდი მოწყობილობა.*

**მოწყურება** *მოწყურების* (მოაწყურებს, მოსწყურდება) 1. წყლის მონდომება. *მგ ზავრს მოსწყურდა.* 2. გადატ. რაიმეს სურვილით, წადილით შეპყრობა. *სახლში დაბრუნება მოსწყურდა.* ■ მოწყურებული ვისაც მოსწყურდა. *ცოლ-შვილის ნახვას იყო მოწყურებული.*

**მოჭადრაკე** *მოჭადრაკის* სპორტსმენი, რომელიც ჭადრაკს თამაშობს, ჭადრაკის მცოდნე. *მოჭადრაკეთა შეჯიბრება.*

**მოჭარბება** *მოჭარბების* (მოაჭარბებს) ჭარბი რაოდენობით დაგროვება. *ცილების მოჭარბება.*

**მოჭარბებული** *მოჭარბებულის* ზედმეტი, ზომაზე მეტი. *მოჭარბებული ენერგია. მოჭარბებული სმაჭამა.*

**მოჭახრაკება** *მოჭახრაკების* (მოაჭახრაკებს) საუბრ. რაიმე საქმის ეშმაკობით, ცბიერებით მოგვარება, გაკეთება. *ყველაფერი უცებ მოაჭახრაკა.*

**მოჭდობა** *მოჭდობის* (მოეჭდობა) რაიმეზე ან ვინმეზე ხელის მაგრად მოკიდება, მოხვევა. *ხეს მოეჭდო და გაჩერდა.*

**მოჭედვა** *მოჭედვის* (მოჭედავს, მოუჭედავს, მოიჭედება, მოაჭედვინებს) ლითონის ნაკეთობის ზედაპირის თელებით, ოქროთი და მისთ. შემკობა. *ხმალი მოჭედა. ძველი ქამარი მოუჭედა.* ■ **მოჭედილი** რაც მოჭედეს. *მოჭედილი იარაღი.*

**მოჭენება** (მოაჭენებს, მოჭენდება) ჭენებით მოსვლა, მოყვანა. *ცხენი მოაჭენა.*

**მოჭერა** *მოჭერის* (მოიჭერს, მოუჭერს, მოეჭირება) 1. გარშემო რაიმეს მჭიდროდ შემორტყმა, შემოკვრა. *ხელი მოუჭირა. თოკი მოუჭირა.* 2. ტრიალითა და ძალის მიხმარებით რაიმეში მჭიდროდ, მყარად ჩასმა. *ხრახნს მოუჭირა.* 3. უსიამოვნო შეგრძნება, როდესაც ჩასაცმელი პატარაა და ზომაზე მეტად მჭიდროდ აქვთ. *ფეხსაცმელმა მოუჭირა.* ■ **მოჭერილი** რასაც მოუჭირეს ან რამაც მოუჭირა. *მოჭერილი ქამარი.*

**მოჭვრეთა** *მოჭვრეთის* (მოჭვრეთს) საჭრეთლით ნაკეთობაზე ღრმულების გაკეთება. *ფიცარი მოჭვრითა.*

**მოჭიდავე** *მოჭიდავის* 1. ვინც ჭიდაობს. *ერთმანეთთან მოჭიდავე ბიჭები.* 2. სპორტსმენი, რომელიც ჭიდაობას მისდევს. *მოჭიდავეთა ტურნირი.*

**მოჭიდება** *მოჭიდების* (მოსჭიდებს, მოეჭიდება) ხელის ან კბილის მაგრად მოკიდება, წავლება, ჩაჭიდება. *ტოტს ხელი მოსჭიდა. დედის ხელს მოეჭიდა.* ■ **მოჭიდებული** ვინც მოეჭიდა. *სახელურს მოჭიდებული კაცი.*

**მოჭიკჭიკე** *მოჭიკჭიკის* რაც (ვინც) ჭიკჭიკებს. *მოჭიკჭიკე მერცხლები.*

**მოჭიმვა** *მოჭიმვის* (მოჭიმავს, მოიჭიმება, მოეჭიმება) 1. თავისკენ მოწევა (2) და გაჭიმვა. 2. მცირე ძალით დაჭიმვა. *სიმები მოჭიმა.* ■ **მოჭიმული** რაც მოჭიმეს. *მოჭიმული ჭერი.*

**მოჭიქვა** *მოჭიქვის* (მოჭიქავს, მოიჭიქება) ჭიქურით დაფარვა. ■ **მოჭიქული** რაც მოჭიქეს. *მოჭიქული კერამიკა.*

**მოჭმა** *მოჭმის* (მოჭამს, მოაჭამს, მოიჭამს) 1. რაიმე ნაწილის მოცლა და შეჭმა (1). *კუდი მოაჭამა.* 2. გადატ. დროის გატარება, მოხმარება. *სიცოცხლე მოჭამა. წუთისოფელი მოჭამა.*

**მოჭმუჭნა** *მოჭმუჭნის* (მოჭმუჭნის, მოიჭმუჭნება) იგივეა, რაც **დაჭმუჭნა**. *ქალალდი ხელში მოჭმუჭნა.*

**მოჭმუხნა** *მოჭმუხნის* (მოჭმუხნის, მოიჭმუხნის, მოეჭმუხნება) სახის ნაკვთების უშნოდ შეკვრა, მოღუშვა. *შუბლი მოჭმუხნა.* ■ **მოჭმუხნილი** რაც მოჭმუხნეს. *მოჭმუხნილი წარბები.*

**მოჭორება** *მოჭორების* (მოჭორავს) ჭორის მოგონება. *ეგ ამბავი მე ზობლებმა მოჭორეს.*

**მოჭორილი** *მოჭორილის* განგებ მოგონილი, ჭორად ნათქვამი. *მოჭორილი საქმე.*

**მოჭრა** *მოჭრის* (მოჭრის, მოაჭრის, მოიჭრის, მოუჭრის, მოიჭრება, მოეჭრება, მოაჭრევინებს) 1. მჭრელი იარაღით მთელიდან ნაწილის ჩამოცილება. *ფრჩხილი მოიჭრა. ხეები მოჭრეს.* 2. საუბრ. მოკლედ, მკვახედ შეპასუხება. *სიტყვა მოუჭრა. მოკლედ მოუჭრა.* 3. უცებ მოვარდნა, მორბენა. *ცხენით მოიჭრა. მეკალეები მოეჭრნენ.* 4. ახალი ფულის ან მონეტების გამოშვება. *ახალი მონეტები მოჭრეს.* ■ **მოჭრილი** რაც მოჭრეს. *მოჭრილი ბუჩქი.* ⊙ **თავის მოჭრა** საქვეყნოდ შერცხვენა.

**მოჭუტვა** *მოჭუტვის* (მოჭუტავს, მოიჭუტება, მოეჭუტება) ყურებისას თვალის ჭრილის დავიწროვება, ქუთუთოების ერთმანეთთან მიახლოება. *თვალები მოეჭუტა.* ■ **მოჭუტული** რაც მოიჭუტა. *მოჭუტული თვალები.*

**მოხაზვა** *მოხაზვის* (მოხაზავს, მოიხაზება) 1. იგივეა, რაც შემოხაზვა. *საინტერესო პუნქტები მოხაზა.* 2. გამოსახვა. *ჰაერში წრე მოხაზა.* 3. გეგმისა და მისთ. შემუშავება. *სამუშაო გეგმა მოხაზა. საკითხები წინასწარ მოხაზა.*

**მოხაზულობა** *მოხაზულობის* რაიმე საგნის გარეგნული ფორმა, გამოსახული ხაზებით. *ასოთა მოხაზულობა. შენობის მოხაზულობა.*

**მოხათრება** *მოხათრების* (მოეხათრება) მორიდება (1), ვინმეს მიმართ ხათრის, მოკრძალების გამოჩენა. *ბავშვს უფროსისა მოეხათრა.*

**მოხათრებული** *მოხათრებულის* მორიდებული, მოკრძალებული, არათამამი. *მოხათრებული ბიჭია.*

**მოხალვა** *მოხალვის* (მოხალავს) ფქვილის ან მარცვლეულის ნელ ცეცხლზე ოდნავ შეწვა. *ყავის მარცვლები მოხალა.* ■ **მოხალული** რაც მოხალეს. *მოხალული მზესუმზირა.*

**მოხალისე** *მოხალისის* 1. პირი, რომელიც თავისი სურვილით მსახურობს არმიაში. *მოხალისედ წავიდა.* 2. პირი, რომელსაც არ ევალება რაიმე საქმის შესრულება და საკუთარი სურვილით ასრულებს მას. *მოხალისეთა რაზმი.*

**მოხარული** *მოხარულის* ვისაც რაიმე უხარია, კმაყოფილია. *მოხარული ვარ.*

**მოხარშვა** *მოხარშვის* (მოხარშავს, მოიხარშავს, მოუხარშავს, მოიხარშება, მოახარშვინებს) დუღილის შედეგად პროდუქტის საჭმელად ან დასალევად მომზადება. *ქათამი მოიხარშა.* ■ **მოხარშული** რაც მოიხარშა. *მოხარშული ხორცი.*

**მოხასიათება** *მოხასიათების* (მოეხასიათება) მოსურვება, მოწადინება. *ნასვამს სიმღერა მოეხასიათა.*

**მოხატვა** *მოხატვის* (მოხატავს, მოუხატავს, მოიხატება) კედელზე, იატაკზე, ჭერსა და მისთ. დახატვა,

ნახატების, ფრესკების შესრულება. *ეკლესიის მოხატვა მალე დასრულდება.* ■ მოხატული რაც მოხატეს. *სტუდენტებმა მთელი კედელი მოხატეს.*

მოხდა *მოხდის* (მოხდის, მოიხდის, მოუხდის, მოეხდება, მოახდევინებს) 1. სახურავის, თავსაბურავისა და მისთ. მოცლა, მოშორება. *კასრს თავსახური მოხადეს. ქვევრი მოხადა. ქუდი მოიხადა.* 2. ზედაპირიდან აცლა, ამოღება. *რძეს ცხიმი მოხადა. მურაბას ქაფი მოხადეს.* 3. სახადის, ავადმყოფობის გადატანა. *წითელა მოიხადა. ქუნთრუშა მოიხადა.* 4. ვალდებულების, სასჯელისა და მისთ. შესრულება. *სავალდებულო სამხედრო სამსახური მოიხადა. თავისი ვალი მოიხადა.* ■ მოხდილი რაც მოხადეს ან მოიხადეს. *მოხდილი ქვევრი. მოხდილი ნაღები.*

მოხდენა[1] *მოხდენის* (მოიხდენს, მოუხდება) რაიმეთი დამშვენება, გალამაზება. *ბიჭს ჩოხა მოუხდება. სამკაული ძლიერ მოუხდა.*

მოხდენა[2] *მოხდენის* (მოახდენს, მოხდება, მოუხდება) საქმის, ამბის განვითარება, შესრულება. *რა მოხდა?*

მოხდენილი *მოხდენილის* ლამაზი, კარგი გარეგნობისა. *მოხდენილი ვაჟკაცი. მოხდენილი ჩაცმადაბურვა.* ▲ მოხდენილად ზმნზ. ლამაზად, სასიამოვნოდ. *მოხდენილად გამოიყურება.*

მოხედება *მოხედების* (მოახედებს) ვინმეს იძულება, რომ მოიხედოს. *კაცი მოახედა. ჩვენკენ მოახედეს.*

მოხედვა *მოხედვის* (მოხედავს, მოიხედავს) 1. იქიდან აქეთ ან უკან თვალის მოპყრობა. *ჩემკენ მოიხედე. ქალმა უკან მოიხედა.* 2. ავადმყოფის მომჯობინება, უკეთესად გახდომა. *ავადმყოფმა მოიხედა.* 3. ყურადღების მოქცევა, პატრონობა. *ბავშვს მოხედეთ! აქაურობას მოხედეს.*

მოხევა *მოხევის* (მოხევს, მოახევს, მოიხევს, მოუხევს, მოეხევა) 1. ქაღალდიდან, ქსოვილიდან პატარა ნაწილის ხელით მოცლა. *ქაღალდი მოხია. პლაკატი მოხიეს.* 2. ჟარგ. გაქცევა, წასვლა. *სუფრიდან მოიხა.* ■ მოხეული რაც მოხიეს. *მოხეული ფურცლები.*

მოხეთქა *მოხეთქის* (მოხეთქს, მოახეთქს) რაიმესთვის ნაწილის მოცილება მჭრელი სოლით, ცულით ან მსგავსი იარაღით. *ხის ნაჭერს ნაპირი მოახეთქა.*

მოხეთქება *მოხეთქების* (მოახეთქებს, მოეხეთქება) აქეთ ან მანდეთ მიხეთქება. *ტალღები ნაპირს მოეხეთქა.*

მოხელე *მოხელის* პირი, რომელიც სახელმწიფო დაწესებულებაში მსახურობს. *კანცელარიის მოხელე.*

მოხელთება *მოხელთების* (მოიხელთებს) იგივეა, რაც დახელთება. *სალაპარაკოდ ვერ მოიხელთა.*

მოხერხება *მოხერხების* (მოახერხებს, მოუხერხებს, მოეხერხება, მოხერხდება, მოუხერხდება) 1. მოგვარება, მოწყობა, გაკეთება. *გამოცდის ჩაბარება მოახერხა. ბოქლომის გაღება ვერ მოახერხა.* 2. უნარი, სიყოჩაღე, შნო. *მოხერხება არ აკლია.* ▲ მოხერხებით კარგად, შნოიანად, მარჯვედ, ოსტატურად. *მოხერხებით იცის ყველაფრის გაკეთება.*

მოხერხებულად ზმნზ. 1. გონივრულად, ოსტატურად. *მოხერხებულად მოიქცა.* 2. ისე, რომ კარგად, თავისუფლად გრძნობდეს თავს. *მოხერხებულად ზის.*

მოხერხებული *მოხერხებულის* 1. ვისაც რაიმეს გაკეთება, გამოსავლის პოვნა ადვილად შეუძლია, ყოჩაღი. *მოხერხებული კაცი.* 2. შესაფერისი, ხელსაყრელი. *მოხერხებულ დროს დაელოდა.*

მოხერხებულობა *მოხერხებულობის* რაიმეს გაკეთების, მიღწევის, გამოსავლის პოვნის უნარი. *მოხერხებულობა გამოიჩინა.*

მოხერხვა *მოხერხვის* (მოხერხავს, მოახერხავს, მოხერხება) ხერხით მოჭრა. *მამამ ხეს ტოტი მოახერხა.*

მოხეტება *მოხეტების* (მოეხეტება) საუბრ. ტყუილად, უმიზნოდ მოსვლა. *კაცი წყაროსთან მოეხეტა.*

მოხეტიალე *მოხეტიალის* ვინც ხეტიალობს, აქა-იქ უმიზნოდ დადის. *მოხეტიალე ჯგუფი. მოხეტიალე ადამიანი.*

მოხეხვა *მოხეხვის* (მოხეხავს, მოიხეხება) ხეხვით მოსუფთავება, ჭუჭყის მოცილება. *დედამ იატაკი მოხეხა.*

მოხვედრა *მოხვედრის* (მოხვდება, მოახვედრებს) 1. გამოსროლილის რაიმეზე (ვინმეზე) დაცემა, მორტყმა. *ტყვია მიზანში მოახვედრა. თავში რაღაც მოხვდა.* 2. უნებურად სადმე აღმოჩენა, რაღაც გარემოში მოქცევა. *ქალაქში პირველად მოხვდა. უხერხულ სიტუაციაში მოხვდა.* 3. საუბრ. იგივეა, რაც ცემა. *მათრახი მოხვდა.* 4. საუბრ. გადატდატუქსვა, დასჯა. *ტყუილისთვის მოხვდა.* ■ მოხვედრილი რაც მოხვდა (1) ვინმეს; ვინც სადმე მოხვდა (2). *ხელზე მოხვედრილი ქვა. გაურკვევლობაში მოხვედრილი ქალი.*

მოხვედრება *მოხვედრების* (მოახვედრებს) იგივეა, რაც მორტყმა. *ბურთი მიზანში მოახვედრა.*

მოხვევა *მოხვევის* (მოხვევს, მოახვევს, მოიხვევს, მოუხვევს, მოეხვევა) 1. ყელზე, თავზე, მხრებზე რაიმეს შემოვლება, შემოხვევა. *ყელზე შალი მოიხვია. თავშალი მოიხვია.* 2. სინაზის, სიყვარულის გამოსახატავად ხელების შემოვლება, ჩახუტება. *ხელი მოხვია. ერთმანეთს მოეხვივნენ.* 3. სიარულისას, მოძრაობისას მიმართულების შეცვლა. *მანქანამ მოუხვია.* ■ მოხვეული რაც მოიხვიეს. *მოხვეული შალი.*

მოხვეტა *მოხვეტის* (მოხვეტს) 1. ფოთლების, ნაგვისა და მისთ. ბარით, ნიჩბით ან სხვა იარაღით მოგროვება. *ქალალდები მოხვეტა.* 2. საუბრ. გადატ. მოგროვება, ერთად თავმოყრა. *გაზეთები მოხ-*

*ვეტა და ჩანთაში ჩაიწყო.* ■ **მოხვეტილი** რაც მოხვეტეს. *მოხვეტილი ნაგავი.*

**მოხვეწა** *მოხვეწის* (მოხვეწს) სპეციალური ხელსანყოთი ხის გაპრიალება. *იატაკი მოხვეწეს.*

**მოხვეჭა** *მოხვეჭის* (მოხვეჭს, მოიხვეჭს, მოუხვეჭს) მოპოვება, შეძენა. *ქონების მოხვეჭა. სახელი მოიხვეჭა.* ■ **მოხვეჭილი** რაც მოიხვეჭეს. *სახელი ჰქონდა მოხვეჭილი.*

**მოხვნა** *მოხვნის* (მოხნავს, მოუხნავს, მოიხვნება, მოახვნევინებს) გუთნით ან სხვა მანქანა-იარაღით მიწის დამუშავება. *ტრაქტორით მოხვნეს.* ■ **მოხნული** რაც მოხნეს. *მოხნული ვენახი.*

**მოხიბვლა** *მოხიბვლის* (მოხიბლავს, მოიხიბლება) ძლიერ მოწონება, მონუსხვა. *ქალის სილამაზით მოიხიბლა.* ■ **მოხიბლული** ვინც მოიხიბლა. *ამ ბავშვით მოხიბლული ვარ.*

**მოხლა** *მოხლის* (მოახლის) 1. შენკენ ან ჩემკენ თოფის სროლა, მორტყმა. *ჩემს კარს თოფი მოახალა.* 2. მოურიდებლად, პირდაპირ თქმა. *სიმართლეს მოგახლის.*

**მოხლართვა** *მოხლართვის* (მოხლართავს) დაუდევრად, სახელდახელოდ მოქსოვა ან დაწნა. *წინდები მოუხლართა.*

**მოხლეჩა** *მოხლეჩის* (მოხლეჩს, მოახლეჩს) ძალის გამოყენებით ნაწილის მოტეხა. *პურს ყუა მოახლიჩა.* ■ **მოხლეჩილი** რაც მოხლიჩეს. *მოხლეჩილი ნაფოტი.*

**მოხმარება**[1] *მოხმარების* (მოეხმარება) აქ ან მანდ მყოფისთვის დახმარება. *მომეხმარე, თუ შეგიძლია! მშენებლობაში მოგვეხმარნენ.*

**მოხმარება**[2] *მოხმარების* (მოახმარს, მოახმარებს, მოიხმარს, მოხმარდება, მოახმარებინებს) რაიმეს გამოყენება. *ქალაქმა დიდი რაოდენობით ელექტროენერგია მოიხმარა. მთელი პროდუქტი მოიხმარეს.*

**მოხმობა**[1] *მოხმობის* (მოიხმობს, მოუხმობს) აქ ან მანდ მიხმობა. *ხალხი მოიხმო. ყველას მოუხმო.*

**მოხმობა**[2] *მოხმობის* (მოხმება, მოახმება) ზევიდან ოდნავ გახმობა. *მუწუკი მოახმა.*

**მოხოცვა** *მოხოცვის* (მოიხოცავს) ცრემლის, ოფლისა და მისთ. მოწმენდა, მოცილება. *ცხვირი მოიხოცა.*

**მოხოხება** *მოხოხების* (მოახოხებს, მოხოხდება) ხოხვით მოსვლა. *ბავშვი კართან მოხოხდა.*

**მოხოხნა** *მოხოხნის* (მოხოხნის) საუბრ. ძირამდის მოძოვა. *ბალახი მოხოხნა. ცხენებმა მინდორი მოხოხნეს.*

**მოხრა** *მოხრის* (მოხრის, მოიხრის, მოუხრის, მოიხრება, მოეხრება, მოახრევინებს) მოღუნვა, მოდრეკა, მოკაკვა. *მავთულის მოხრა გაუჭირდა. ჯოხი მოხარა. წელში მოიხარა.* ■ **მოხრილი** რაც ან ვინც მოიხარა. *მოხრილი ქალი. მოხრილი ხე.*

**მოხრაკვა** *მოხრაკვის* (მოხრაკავს, მოუხრაკავს, მოიხრაკება, მოახრაკვინებს) ხორცის ან ბოსტნეულის შენვა ცხიმში. *ბადრიჯანი მოხრაკა.* ■ **მოხრაკული** რაც მოხრაკეს. *მოხრაკული ხახვი.*

**მოხრჩობა** *მოხრჩობის* (მოახრჩობს, მოიხრჩობა) 1. ვინმეს დახრჩობა, მოგუდვა. *შეუბრალებლად მოახრჩო.* 2. საუბრ. გადატ. საქმის მოთავება, დამთავრება. *დავალება მოახრჩო.*

**მოხსენება** *მოხსენების* (მოახსენებს, მოხსენდება) 1. ვინმესთვის რაიმეს თქმა, ანგარიშის ჩაბარება. *მომახსენე, რა გეგმები გაქვს.* 2. აუდიტორიის წინაშე წარმოთქმული წინასწარ მომზადებული სიტყვა. *მოხსენება წაიკითხა. მოხსენებით წარდგა.*

**მოხსენიება** *მოხსენიების* (მოიხსენიებს) ვინმეს ან რაიმეს ხსენება. *აუგად მოიხსენია. საუბარში მოიხსენიეს.*

**მოხსნა** *მოხსნის* (მოხსნის, მოიხსნის, მოუხსნის, მოიხსნება, მოეხსნება, მოახსნევინებს) 1. მოცილება, მოშორება. *ქამარი მოიხსნა. ბეჭედი მოიხსნა. ზურგჩანთა მოიხსნა.* 2. თანამდებობიდან დათხოვნა, მოვალეობისგან განთავისუფლება. *პასუხისმგებლობა მოიხსნა. დირექტორი მოხსნეს.* 3. იგივეა, რაც გახსნა (1). *ჭას თავი მოხსნა. ქილას თავი მოხსნა.* ■ **მოხსნილი** რაც ან ვინც მოხსნეს. *მოხსნილი ყელსაბამი.*

**მოხტომა** *მოხტომის* (მოახტება, მოუხტება) 1. სწრაფად ახტომა და შეჯდომა. *ბიჭი ცხენს მოახტა.* 2. საუბრ. ვინმესთან საჩხუბრად მოსვლა, მოვარდნა. *კაცს მევალე მოუხტა.*

**მოხურვა** *მოხურვის* (მოხურავს, მოახურავს, მოიხურავს) 1. შემოსელისას დახურვა. *კარი მოხურა.* 2. რაიმეს მოსხმა[1] (2), მოფარება (1). *ნაბადი მოიხურა. ბავშვს ქურქი მოახურა.* ■ **მოხურული** რაც მოხურეს (1) ან მოიხურეს (2). *მოხურული ფანჯარა. მოხურული პიჯაკი.*

**მოხუცება** *მოხუცების* (მოხუცდება) დაბერება. *კაცი მოხუცდა.*

**მოხუცებული** *მოხუცებულის* შუახანს გადაცილებული, ასაკოვანი. *მოხუცებული მშობლები. მოხუცებული გლეხი.*

**მოხუცი** *მოხუცის* იგივეა, რაც **მოხუცებული**

**მოხუჭვა** *მოხუჭვის* (მოხუჭავს, მოუხუჭავს, მოეხუჭება) იგივეა, რაც **დახუჭვა**. *თვალები მოეხუჭა.*

**მოხშირება** *მოხშირების* (მოუხშირებს, მოხშირდება) უფრო ხშირად გაკეთება (ვიდრე მანამდე). *ბიჭმა სოფელში სიარულს მოუხშირა.*

**მოჯადოება** *მოჯადოების* (მოაჯადოებს, მოჯადოვდება) 1. ჯადოთი შებოჭვა, ჯადოს გაკეთება. *მკითხავმა კაცი მოაჯადოვა.* 2. გადატ. მოხიბვლა, ძლიერ მოწონება. *ქალის სილამაზემ მოაჯადოვა.* ■ **მოჯადოებული** ვინც ან რაც მოჯადოვდა. *მოჯადოებული არსებები.*

**მოჯამაგირე** *მოჯამაგირის ძვ.* დაქირავებული მუშა ან მსახური. *მოჯამაგირედ დაუდგა.*

**მოჯახება** *მოჯახების* (მოაჯახებს, მოეჯახება) აქეთ ან მანდეთ მიჯახება. *კედელს მოეჯახა.*

**მოჯახუნება** *მოჯახუნების* (მოაჯახუნებს) აქეთ ან მანდეთ მიჯახუნება. *კარი მომიჯახუნა.*

**მოჯდომა** *მოჯდომის* (მოჯდება, მოაჯდება, მოუჯდება) 1. აქ ან მანდ მყოფის ახლოს, გვერდით დაჯდომა. *ბიჭი მერხზე მომიჯდა.* 2. რაიმეზე დაჯდომა. *ცხენს მოაჯდა.*

**მოჯერება** *მოჯერების* (მოიჯერებს) ⊙ **გულის მოჯერება** დაკმაყოფილება, გულის წადილის ასრულება.

**მპოვნელი** *მპოვნელის* ვინც იპოვა ან იპოვის. *მანქანის მპოვნელი დასაჩუქრდება.*

**მჟავა** *მჟავას* ქიმიური ნაერთი, რომელიც შეიცავს წყალბადს. წყალში გახსნილს მჟავე გემო აქვს. *ლიმონის მჟავა. ძმრის მჟავა.*

**მჟავე** *მჟავის* 1. სპეციფიკური გემო, რომელიც ზოგიერთ მკვახე ხილს, ძმარსა და მისთ. აქვს. *მჟავე ტყემალი.* 2. იგივეა, რაც მწნილი. *კიტრის მჟავე.*

**მჟაველა** *მჟაველას* დაბალი ბალახოვანი მცენარე, აქვს მჟავე ფოთლები და პატარა, ყვითელი ყვავილები.

**მჟაუნა** *მჟაუნას* ფართოდ გავრცელებული ბოსტნეული, აქვს მოგრძო, მჟავე ფოთლები. *მჟაუნას სუპი.*

**მრავალგვარი** *მრავალგვარის* ბევრნაირი, არაერთგვარი. *მრავალგვარი ცხოველი. მრავალგვარი ხერხი. მრავალგვარი ბოსტნეული.*

**მრავალგზის** ზმნზ. მრავალჯერ, ბევრჯერ. *მრავალგზის შეუმოწმებია.*

**მრავალგზისი** *მრავალგზისის* მრავალჯერ გამეორებული, მრავალჯერ მომხდარი. *მრავალგზისი შეტევა. მრავალგზისი მცდელობა.*

**მრავალეროვანი** *მრავალეროვანის* მრავალი ერისგან შემდგარი. *მრავალეროვანი ქვეყნები.*

**მრავალი** *მრავლის* დიდი რაოდენობისა, ბევრი. *მრავალი მეცნიერი. მრავალი წლის წინ.*

**მრავალკეცი** *მრავალკეცის* მრავალი ფენისგან, მრავალი ნვერისგან შემდგარი. *მრავალკეცი ძაფი.*

**მრავალკუთხედი** *მრავალკუთხედის* სიბრტყეზე განთავსებული გეომეტრიული ფიგურა, შემოსაზღვრული გარკვეული რაოდენობის სწორი ხაზებით, რომლებიც ერთმანეთს კვეთენ და კუთხეებს ქმნიან. *მრავალკუთხედის ფართობი.*

**მრავალმნიშვნელოვანი** *მრავალმნიშვნელოვნის* ბევრი მნიშვნელობის მქონე, რაშიც ბევრი რამ იგულისხმება. *მრავალმნიშვნელოვანი ჟესტი.*
▲ **მრავალმნიშვნელოვნად** ზმნზ. რაიმეზე მისანიშნებლად, საგულისხმოდ. *მრავალმნიშვნელოვნად გადახედა.*

**მრავალმხრივი** *მრავალმხრივის* სხვადასხვაგვარი, სხვადასხვა მიმართების მქონე, მრავალნაირი. *მრავალმხრივი თვალსაზრისი. მრავალმხრივი განათლება.*

**მრავალნაირი** *მრავალნაირის* სხვადასხვაგვარი, არაერთნაირი, ბევრი სახეობისა. *მრავალნაირი ფრინველი. მრავალნაირი სასმელ-საჭმელი.*

**მრავალნაცადი** *მრავალნაცადის* ბევრჯერ გამოცდილი, დიდი გამოცდილების მქონე. *მრავალნაცადი ხერხი. მრავალნაცადი კაცი.*

**მრავალნიშნა** *მრავალნიშნას* რის აღსანიშნად, ჩასაწერადაც ბევრი ციფრული ნიშანია საჭირო. *მრავალნიშნა რიცხვები.*

**მრავალჟამიერ** ზმნზ. ძალიან დიდხანს, მარადის. *მრავალჟამიერ იხაროს ერმა!*

**მრავალჟამიერი** *მრავალჟამიერის* ქართული ხალხური მრავალხმიანი სიმღერა. *კახური მრავალჟამიერი.*

**მრავალრიცხოვანი** *მრავალრიცხოვნის* დიდი რაოდენობისა. *მრავალრიცხოვანი მტერი. მრავალრიცხოვანი ჯარი.*

**მრავალსიტყვაობა** *მრავალსიტყვაობის* ბევრი და უაზრო, უშინაარსო ლაპარაკი. *მრავალსიტყვაობა ახასიათებს. ფუჭი მრავალსიტყვაობა.*

**მრავალსულიანი** *მრავალსულიანის* ბევრი სულისგან შემდგარი. *მრავალსულიანი ოჯახი.*

**მრავალტანჯული** *მრავალტანჯულის* ვისაც ბევრი სატანჯველი, უბედურება გადახდა თავს. *მრავალტანჯული ერი. მრავალტანჯული კაცი.*

**მრავალფეროვანი** *მრავალფეროვნის* 1. სხვადასხვა ფერით აჭრელებული. *მრავალფეროვანი ხალიჩა.* 2. არაერთგვაროვანი, არაერთფეროვანი. *მრავალფეროვანი საზოგადოება.*

**მრავალფეროვნება** *მრავალფეროვნების* არაერთფეროვნება. *აზრთა მრავალფეროვნება.*

**მრავალძარღვა** *მრავალძარღვას* მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარე, აქვს მომრგვალო-კვერცხისებური, ძარღვიანი ფოთლები, გამოიყენება სამკურნალოდ. *მრავალძარღვას ნაყენი.*

**მრავალწერტილი** *მრავალწერტილის* სასვენი ნიშანი (...), რომელიც გამოიყენება დაუმთავრებელი ფრაზის ან სიტყვის შემდეგ.

**მრავალწლოვანი** *მრავალწლოვანის* 1. ბევრი წლისა, დიდი ხნისა. *მრავალწლოვანი გამოცდილება.* 2. რაც ბევრ წელს ხარობს, ცოცხლობს. *მრავალწლოვანი მცენარე.*

**მრავალხმიანი** *მრავალხმიანის* რაც მრავალი ხმის ჰარმონიით იქმნება. *მრავალხმიანი სიმღერები. მუსიკის მრავალხმიანი ჰანგები.*

**მრავალხმიანობა** *მრავალხმიანობის* იგივეა, რაც პოლიფონია. *სიმღერის მრავალხმიანობა.*

**მრავალჯერ** ზმნზ. ბევრჯერ, არაერთხელ. *მრავალჯერ მითქვამს და გავიმეორებ. მრავალჯერ მომინია მასთან მისვლა.*

**მრავლად** ზმნზ. დიდი რაოდენობით. *ნადირი მრავლად იყო.*

**მრავლისმეტყველი** *მრავლისმეტყველის* ბევრის მთქმელი; ღრმა აზრის, გრძნობის, განცდის გამომხატველი. *მრავლისმეტყველი ფრაზა. მრავლისმეტყველი ჟესტი.*

**მრავლობითი** *მრავლობითის* გრამატ. სახელის ფორმა, რომელიც ბევრ საგანს აღნიშნავს. *მრავლობითი რიცხვი.*

**მრგვალი** *მრგვლის* წრის ან სფეროს მსგავსი მოყვანილობის მქონე. *მრგვალი მაგიდა. მრგვალი სათამაშო.*

**მრგვლად** 1. ზმნზ. წრის მსგავსად. *ადგილი მრგვლად შემოლოობა.* 2. მთლიანად, დაუჭრელად. *მრგვლად მოხარშული ქათამი.*

**მრგლოვანი** *მრგლოვანის* 1. რასაც მრგვალი ფორმა აქვს. *მრგლოვანი საგანი.* 2. ძველი ქართული ანბანის თავდაპირველი სახეობა. *მრგლოვანი ანბანი.*

**მრევლი** *მრევლის* მორწმუნეთა ჯგუფი, რომელიც ერთ ეკლესიაში (ან ერთ მოძღვართან) დადის. *ჩვენი ტაძრის მრევლი.*

**მრეცხავი** *მრეცხავის* ვინც რეცხავს, ვისი ხელობაც რეცხვაა. *მრეცხავი ქალი.*

**მრეწველი** *მრეწველის* სამრეწველო საწარმოს მფლობელი. *მრეწველთა გაერთიანება. მრეწველი კაპიტალისტი.*

**მრეწველობა** *მრეწველობის* მეურნეობის დარგი – ნიადაგისეულის ან ნედლეულის გადამუშავება, წარმოება. *მძიმე მრეწველობა. მსუბუქი მრეწველობა.*

**მრისხანე** *მრისხანის* 1. ავი, მკაცრი, შიშისმომგვრელი. *მრისხანე პიროვნება. მრისხანე ბატონი.* 2. რისხვის გამომხატველი, გაჯავრებული. *მრისხანე იერი. მრისხანე თვალები.*

**მრისხანება** *მრისხანების* (მრისხანებს) ძლიერი ნყრომა, სიბრაზე, აღშფოთება. *მრისხანება დაეუფლა.*

**მრიცხველი** *მრიცხველის* სპეციალური მოწყობილობა, რომლითაც დახარჯული ელექტროენერგია, გაზი და მისთ. აღირიცხება. *გაზის მრიცხველი. წყლის მრიცხველი.*

**მრუდე** *მრუდის* 1. არასწორი, გაღუნული, მოხრილი. *მრუდე ხაზი.* 2. გადატ. უკუღმართი, უმართებულო, არასწორი, ცუდი. *მრუდე საქმე.*

**მრუდი** *მრუდის* 1. იგივეა, რაც **მრუდე**. 2. რაიმე პროცესის რიცხობრივი მაჩვენებლების გამოხატვა მრუდე ხაზით. *სიჩქარის მრუდი.*

**მრუმე** *მრუმის* ჩაშავებული, ბნელი, გაუმჭვირვალე. *მრუმე ღამე. მრუმე ფერები.*

**მრუში** *მრუშის* სექსუალურად თავშეუკავებელი, გარყვნილი. *მრუში დედაკაცი.*

**მრუშობა** *მრუშობის* (მრუშობს) უწესო, ამორალური ცხოვრება. *მრუშობის ცოდვა. ერთხელ იმრუშა.*

**მრჩეველი** *მრჩევლის* 1. ვინც ვინმეს ურჩევს. *მრჩეველი ბევრი ჰყავს.* 2. მაღალი თანამდებობის პირის დამხმარე. *პრეზიდენტის მრჩეველი.*

**მრწამსი** *მრწამსის* რწმენა, მსოფლმხედველობა. *ქრისტიანული მრწამსი. მრწამსის ერთგული.*

**მსახიობი** *მსახიობის* პირი, რომელიც რაიმე როლს ასრულებს სცენაზე ან კინოფილმში. *თეატრის მსახიობი. ცირკის მსახიობი. მოხეტიალე მსახიობთა დასი.* ▪ **მსახიობური** მსახიობის დამახასიათებელი. *მსახიობური მონაცემები.*

**მსახიობობა** *მსახიობობის* (მსახიობობს) მსახიობად ყოფნა, მსახიობის საქმიანობა. *მსახიობობა მოსწონს.*

**მსახურება** *მსახურების* (იმსახურებს, ემსახურება) 1. ვინმეს სამსახურში ყოფნა, გარკვეული ვალდებულებების შესრულება. *უფალს ემსახურებოდა. ხალხს ემსახურება.* 2.↑ **მომსახურება**. *ბატონს ემსახურებოდა.* 3. იგივეა, რაც **ღვთისმსახურება**. *სააღდგომო მსახურება.*

**მსახური** *მსახურის* პირი, რომელიც ვინმეს ემსახურება, ვინმეს დავალებებს ასრულებს. *მეფის მსახური. ბატონის მსახური.*

**მსახურობა** *მსახურობის* (მსახურობს) სამსახურებრივი მოვალეობის შესრულება დაწესებულებაში, საწარმოში, ორგანიზაციასა და მისთ. *ჯარში მსახურობდა. ელჩად დიდხანს იმსახურა. ექიმად მსახურობს.*

**მსაჯი** *მსაჯის* პირი, რომელიც სპეციალური წესების მიხედვით წარმართავს სპორტული თამაშის, შეჯიბრების მსვლელობას. *მსაჯმა საჯარიმო დანიშნა. მთავარი მსაჯი.*

**მსაჯობა** *მსაჯობის* (მსაჯობს) მსაჯის მოვალეობის შესრულება. *მსაჯობა მოუწევს. კარგად მსაჯობს.*

**მსაჯული** *მსაჯულის* იგივეა, რაც **მოსამართლე**. *სამართლიანი მსაჯული.*

**მსგავსება** *მსგავსების* ადამიანებს, საგნებსა და მისთ. შორის საერთო ნიშან-თვისებების ქონა. *გარეგნული მსგავსება. მოვლენათა მსგავსება.*

**მსგავსი** *მსგავსის* ვინც ან რაც ვინმეს ან რაიმეს ჰგავს. *დედის მსგავსი. მსგავსი შემთხვევა.* ▲ **მსგავსად** ზმნზ. ისე, როგორც ვინმე ან რაიმე. *მეგობრის მსგავსად. შეცდომაა მზგავსი.*

მსვლელობა *მსვლელობის* 1. იგივეა, რაც მიმდინარეობა (1). *კონცერტის მსვლელობა.* 2. ადამიანების გარკვეული ჯგუფის ფეხით სიარული განსაზღვრულ მანძილზე რაიმე საზოგადოებრივი აზრის გამოსახატავად. *სამშვიდობო მსვლელობა. მსვლელობა ქალაქის მთავარ გამზირზე. საზეიმო მსვლელობა.*

მსმელი *მსმელის* ალკოჰოლიანი სასმელების მოყვარული. *მსმელი კაცი.*

მსოფლიო *მსოფლიოს* 1. დედამიწა, ქვეყნიერება. *მომხდარმა მსოფლიო შეძრა. მსოფლიომ გაიგო.* 2. რაც ან ვინც მთელ დედამიწას ეკუთვნის. *მსოფლიო ჩემპიონატი. მსოფლიო რუკა.* 3. დედამიწაზე მცხოვრები მოსახლეობა. *მთელი მსოფლიო შენ გიყურებს.*

მსოფლმხედველობა *მსოფლმხედველობის* შეხედულებათა სისტემა ბუნებისა და საზოგადოების განვითარების კანონზომიერებათა შესახებ. *მწერლის მსოფლმხედველობა. პოლიტიკური მსოფლმხედველობა.*

მსროლელი *მსროლელის* 1. ქვეითი ჯარის მებრძოლი, რომელიც ცეცხლსასროლი იარაღიდან ისვრის. *მსროლელთა რაზმი. მსროლელთა დივიზია. რაზმში ხუთი მსროლელი დარჩა.* 2. სპორტსმენი, რომელიც სპორტული იარაღიდან ისვრის. *პისტოლეტის მსროლელი. შაშხანის მსროლელი. ჩემპიონი მსროლელი.*

მსტოვარი *მსტოვრის* ძვ. იგივეა, რაც ჯაშუში. *მეფის მსტოვარი. მსტოვრები ჰყავდათ გაგ ზავნილი.*

მსუბუქი *მსუბუქის* 1. რასაც მცირე წონა აქვს. *მსუბუქი ჩანთა. მსუბუქი ტვირთი.* ↔ მძიმე. 2. მცირე, ადვილი. *მსუბუქი საკითხავი. მსუბუქი საკვები.* 3. ზერელე, არასერიოზული. *მსუბუქი დამოკიდებულება.* ▲ მსუბუქად ზმნზ. ადვილად, მარტივად, ზერელედ. *მსუბუქად უყურებს ამ საკითხს.*

მსუნაგი *მსუნაგის* საჭმლის თავშეუკავებელი მოყვარული. *მსუნაგი კატა. მსუნაგი ძაღლი. მსუნაგი ბავშვი.*

მსუნაგობა *მსუნაგობის* (მსუნაგობს) მსუნაგის ქცევა, საჭმლის გემრიელად, თავშეუკავებლად ჭამა. *მსუნაგობას არ იშლის.*

მსურველი *მსურველის* ვისაც რაიმე სურს, უნდა. *მოგ ზაურობის მსურველი. მსურველი ბევრი გამოჩნდა.*

მსუქანა *მსუქანას* მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარე, აქვს სქელი ფოთლები, ღეროს წვეროზე იკეთებს ქოლგებად შეკრებილ მოვარდისფრო ყვავილებს, იხმარება მხლად.

მსუქანი *მსუქნის* 1. ჭარბი წონის მქონე. *მსუქანი ადამიანი.* ↔ გამხდარი. 2. ჭარბი ქონის მქონე, ცხიმიანი. *მსუქანი ხორცი.* ↔ მჭლე

მსუყე *მსუყის* ზედმეტად ცხიმიანი. *მსუყე საუზმე.*

მსყიდველობითი *მსყიდველობითის* ყიდვასთან, შეძენასთან დაკავშირებული. *ფულის მსყიდველობითი ძალა. მსყიდველობითი უნარი.*

მსხალი *მსხლის* 1. ფართოდ გავრცელებული სხვადასხვა ზომის, ყუნწისკენ შევიწროვებული, კურკებიანი, წვნიანი, თეთრგულიანი ტკბილი ხილი. *გემრიელი მსხალი.* 2. ხე, რომელიც ისხამს მსხალს (1), აქვს თეთრი ან ვარდისფერი ყვავილები. *მსხალი დარგო.*

მსხალი

მსხვერპლი *მსხვერპლის* 1. უბედური შემთხვევის ან ძალადობის შედეგად დაღუპული ან დაზარალებული. *აგრესიის მსხვერპლი.* 2. რომელიმე ღვთაებისთვის შეწირული ცოცხალი არსება ან ნივთი. *მსხვერპლის შეწირვა.* ⊙ მსხვერპლს გაიღებს ნებაყოფლობით უარს იტყვის რაიმეზე ან ვინმეზე სხვის სასარგებლოდ.

მსხვერპლობა* *მსხვერპლობის* (იმსხვერპლებს, ემსხვერპლება) მსხვერპლად ქცევა, შეწირვა. *ოჯახი იმსხვერპლა. მგ ზავრი ემსხვერპლა.*

მსხვილი *მსხვილის* 1. დიდი სისქის, დიდი დიამეტრის მქონე. *მსხვილი ძაფი. მსხვილი ტოტი.* ↔ წვრილი. 2. დიდი ზომის მქონე. *მსხვილი ქლიავი.* ↔ წვრილი. 3. დიდი მასშტაბის, მოცულობის მქონე. *მსხვილი საწარმო. მსხვილი მეურნეობა.* ↔ წვრილი. ▲ მსხვილად ზმნზ. დიდი ზომის ნაწილებად. *მსხვილად დაფქული.*

მსხვილკალიბრიანი *მსხვილკალიბრიანის* მსხვილი კალიბრის (1) მქონე. *მსხვილკალიბრიანი ტყვიამფრქვევი.*

მსხვილფეხა *მსხვილფეხას* ვისაც ან რასაც მსხვილი ფეხები აქვს. ⊙ მსხვილფეხა საქონელი დიდი ზომის შინაური პირუტყვი: ძროხა, ხარი, კამეჩი.

მსხვრევა *მსხვრევის* (ამსხვრევს, უმსხვრევს, იმსხვრევა, ემსხვრევა) ↑ დამსხვრევა. *ოცნებების მსხვრევა. მინები იმსხვრევა.*

მსხვრევადი *მსხვრევადის* რაც ადვილად იმსხვრევა. *მსხვრევადი ნივთები.*

მსხმოიარე *მსხმოიარის* რასაც ნაყოფი ასხია; რაც საერთოდ ნაყოფს იძლევა, ისხამს. *მსხმოიარე ვაზი. მსხმოიარე ხეხილი.*

მსჯავრდებული *მსჯავრდებულის* პასუხისგებაში მიცემული პირი, რომელსაც სასამართლომ განაჩენი გამოუტანა. *მსჯავრდებულმა განაჩენი გაასაჩივრა. მსჯავრდებულთა საკანი.*

მსჯავრი *მსჯავრის* დამნაშავისთვის გამოტანილი სასჯელი, განაჩენი. *სასამართლოს მსჯავრი. ხალხის მსჯავრი.* შეცდომაა მშჯავრი.

მსჯავრმდებელი *მსჯავრმდებლის* პირი, რომელსაც განაჩენი გამოაქვს, ვინც მსჯავრს სდებს. *მსჯავრმდებლის გამოსვლა.*

მსჯელობა *მსჯელობის* (მსჯელობს) აზრების გამოთქმა გარკვეული საგნის, მოვლენის, ფაქტისა და მისთ. შესახებ. *მსჯელობა გაიმართა. პრობლემის შესახებ იმსჯელეს.*

მტანჯველი *მტანჯველის* რაც ვინმეს ტანჯავს. *მტანჯველი ფიქრი.*

მტარვალი *მტარვალის* შეუბრალებელი, მტანჯველი. *მტარვალი მებატონე. ნამდვილი მტარვალია.*

მტაცებელი *მტაცებლის* გარეული ცხოველი ან ფრინველი, რომელიც საკვებად თავისზე სუსტ ცხოველს ან ფრინველს იტაცებს და ჭამს. *მგელი მტაცებელია.*

მტაცებლობა *მტაცებლობის* (მტაცებლობს) 1. მტაცებელთა ნადირობა სხვა ცხოველებსა და ფრინველებზე თავის გამოსაკვებად. *დათვმა სოფელში მტაცებლობა დაიწყო.* 2. გადატ. ძარცვა-გლეჯა, რაიმეს მიტაცება, ქონების არაკანონიერი მითვისება. *ხალხი მტაცებლობით ირჩენს თავს.*

მტაცებლური *მტაცებლურის* მტაცებლის მსგავსი, მტაცებლის დამახასიათებელი. *მტაცებლური მადა. მტაცებლური ბუნება.*

მტევანი *მტევნის* 1. ზოგიერთი მცენარის (უპირატესად, ვაზის) ნაყოფი, აქვს დატოტვილი ღერო, რომელსაც ყუნწიანი მარცვლები ასხია. 2. ვაზის ყვავილედი. 3. ხელის ნაწილი მაჯიდან თითის წვერებამდე.

მტერი *მტრის* 1. პირი, რომელსაც ვინმესთვის ცუდი სურს, მისთვის ავის ჩამდენი. 2. მოწინააღმდეგე, დაპირისპირებული მხარე ბრძოლაში. *მტერი დაამარცხა. მტრის ბანაკი.*

მტვერი *მტვრის* უწვრილესი მშრალი ნაწილაკები, რომლებიც გაბნეულია ჰაერში ან დაგროვებულია რაიმეს ზედაპირზე. *მტვრის ფენა. წიგნის მტვერი.* ◎ მტვრად აქცევს გაანადგურებს, ააწიოკებს, მოსპობს.

მტვერსასრუტი *მტვერსასრუტის* ხელსაწყო, რომელიც მტვერს ისრუტავს, გამოიყენება საყოფაცხოვრებო დანიშნულებით. გასაწმენდად. *ხალიჩები მტვერსასრუტით გაწმინდა.*

მტვირთავი *მტვირთავის* პირი, რომლის საქმიანობაც არის ტვირთის ერთი ადგილიდან მეორეზე ხელით გადატანა. *პორტის მტვირთავები.*

მტვრევა *მტვრევის* (ამტვრევს, იმტვრევს, უმტვრევს, იმტვრევა, ემტვრევა) 1. ↑ დამტვრევა. *ჭურჭელს ამტვრევს. სკამი იმტვრევა.* 2. ↑ შემტვრევა. *კარს ამტვრევს.*

მტვრევადი *მტვრევადის* რაც ადვილად იმტვრევა. *მტვრევადი საგნები.*

მტვრიანა *მტვრიანას* ყვავილის ნაწილი, შედგება ნერილი ძაფისა და მის წვერზე განვითარებული სამტვრე პარკისგან, რომელშიც წარმოიქმნება მამრობითი უჯრედები. *ყვავილის მტვრიანა.*

მტვრიანი *მტვრიანის* რასაც მტვერი აქვს დადებული, რაც მტვრით არის დაფარული. *მტვრიანი ავეჯი.*

მტირალა *მტირალას* 1. ვისაც ტირილი უყვარს, ხშირად ტირის. *მტირალა ბავშვი.*

მტირალი *მტირალის* ვინც ტირის. *მტირალი ქალი.*

მტკაველი *მტკაველის* მანძილი გაშლილი ხელის ცერის წვერიდან ნეკის წვერამდე. გამოიყენება სიგრძის საზომად. *სამი მტკაველი.*

მტკივანი *მტკივანის* რაც სტკივათ. *მტკივანი თავი. მტკივანი ფეხი.*

მტკივნეული *მტკივნეულის* 1. იგივეა, რაც მტკივანი. *მტკივნეული ორგანო.* 2. ტკივილის გამომწვევი. *მტკივნეული საქციელი. მტკივნეული ილეთი.* ▲ მტკივნეულად ზმნზ. მწვავედ. *მტკივნეულად განიცდის.*

მტკიცე *მტკიცის* მაგარი, ურყევი, უდრეკი. *მტკიცე გადაწყვეტილება. მტკიცე ადამიანი.* ▲ მტკიცედ ზმნზ. მყარად, ურყევად, მაგრად. *მტკიცედ ააგო. მტკიცედ გადაწყვიტა.*

მტკიცება *მტკიცების* (ამტკიცებს, იმტკიცებს, უმტკიცებს, მტკიცდება, უმტკიცდება) ↑ დამტკიცება. *მტკიცება არ სჭირდება. სიყვარულს უმტკიცებდა. მტკიცება დაუწყო.*

მტკიცებულება *მტკიცებულების* რაიმეს დამამტკიცებელი საბუთი, ფაქტი. *ბრალდების მტკიცებულება. მტკიცებულებები წარმოადგინა.*

მტკნარი *მტკნარის* 1. არამლაშე. *მტკნარი წყლები. მტკნარი წყლის თევზები.* 2. გადატ. ნამდვილი, აშკარა. *მტკნარი სიცრუე.*

მტრედი

მტრედი *მტრედის* საშუალო ზომის სხვადასხვა ფერის ფრინველი. *მტრედების გუნდი.*

მტრობა *მტრობის* (მტრობს) ვინმესთვის შეგნებულად ზიანის მიყენება, დაუნდობლობა. *ძველი მტრობა. მეზობლებმა უმტრეს. ყველას მტრობდა.*

მტრული *მტრულის* არაკეთილმოსურნე, საზიანო, ბოროტი. *მტრული დამოკიდებულება. მტრული გამოხედვა.*

მტყუანი *მტყუანის* ვინც იცრუა, მართალი არ აღმოჩნდა. *მტყუანი გამოდგა.*

მტყუნება *მტყუნების* (უმტყუნებს) 1. იმედის გაცრუება, ღალატი. *მეგობარმა უმტყუნა.* 2. მწყობრიდან გამოსვლა, მოშლა. *თოფმა უმტყუნა. მუხრუჭებმა უმტყუნა.*

მუგუზალი *მუგუზლის* ცეცხლმოკიდებული ან თავმომწვარი, ჩამქრალი ხის ნაჭერი. *ბუხარში მუგუზლები ეწყო.*

მუდამ ზმნზ. ყოველთვის, მარად, განუწყვეტლივ.

*მუდამ ერთად იყვნენ. მუდამ ემახსოვრება.*

მუდარა *მუდარის* (ემუდარება) დაჟინებული, ძლიერი თხოვნა, ხვეწნა. *მუდარა დაუწყო. გემუდარებით, მომისმინეთ!*

მუდმივი *მუდმივის* მუდამ არსებული, მოქმედი, განუწყვეტელი. *მუდმივი დენი. მუდმივი პასპორტი. მუდმივი გაუგებრობა.*

მუდმივმოქმედი *მუდმივმოქმედის* რაც მუდმივად მოქმედებს. *მუდმივმოქმედი საწარმო. მუდმივმოქმედი სემინარი.*

მუდმივობა *მუდმივობის* არაცვალებადობა, არანარმავლობა, მუდმივად ყოფნა. *სიცოცხლის მუდმივობა.*

მუდო *მუდოს* საუბრ. უხასიათო, ძნელად საურთიერთო ადამიანი. *დიდი მუდო ვინმეა.*

მუდრეგი *მუდრეგის* საუბრ. ოხერი, მავნე. *მუდრეგი კაცი.*

მუზა *მუზის* 1. გადატ. პოეტური შთაგონების წყარო, პოეტური შთაგონება. *ბარათაშვილის მუზა.*

მუზარადი *მუზარადის* იგივეა, რაც ჩაფხუტი (1). *მუზარადი მოიხადა. მუზარადი დაიხურა.*

მუზეუმი *მუზეუმის* დაწესებულება, სადაც გროვდება, ინახება და გამოიფინება ისტორიული მნიშვნელობის, სამეცნიერო თუ კულტურული ღირებულების მქონე საგნები. *სახელმწიფო მუზეუმი. მუზეუმის დამთვალიერებლები.*


მუთაქა

მუთაქა *მუთაქის* მოგრძო, მრგვალი, მაგარი ბალიში, ძირითადად გატენილია მატყლით ან ბამბით. *თავი მუთაქაზე დადო.*

მულატი *მულატის* თეთრკანიანისა და ფერადკანიანის ნაჯვარი. *სამხრეთამერიკელი მულატები.*

მული *მულის* ქმრის და. *მული და რძალი.*

მულისშვილი *მულისშვილის* მულის შვილი. *მულისშვილი და ბიცოლა.*

მულტიმედია *მულტიმედიის* ინფორმაციის შენახვისა და დემონსტრირების სხვადასხვა (აუდიო და ვიზუალური) ხერხის ერთობლიობა. ■ მულტიმედიური მულტიმედიისთვის დამახასიათებელი, მულტიმედიასთან დაკავშირებული. *მულტიმედიური საშუალებები.*

მულტიპლიკატორი *მულტიპლიკატორის* მულტიპლიკაციის სპეციალისტი. *გამოცდილი მულტიპლიკატორები.*

მულტიპლიკაცია *მულტიპლიკაციის* ცალკეული ნახატების ან თოჯინების კინოფირზე გადაღება მათი მოძრაობის თანამიმდევრული ფაზების ჩვენებით, რაც ეკრანზე ქმნის ობიექტების მოძრაობის ილუზიას. *ქართული მულტიპლიკაცია.* ■ მულტიპლიკაციური მულტიპლიკაციით შექმნილი, მულტიპლიკაციასთან დაკავშირებული. *მულტიპლიკაციური ფილმი.*

მულტფილმი *მულტფილმის* მულტიპლიკაციური ფილმი. *მულტფილმს უყურებს.*

მუმია *მუმიის* ხრწნისგან სპეციალური ნივთიერებებით დაცული გამომშრალი გვამი. *ფარაონის მუმია.*

მუმლი *მუმლის* წვრილი მწერი, გუნდად ირევა ჰაერში, ასევე გუნდად ეხვევა და აწუხებს ცხოველს ან ადამიანს.

მუნდირი *მუნდირის* სამხედრო ან ზოგიერთი სამოქალაქო ფორმის ტანსაცმელი. *ოფიცრის მუნდირი.*

მუნდშტუკი *მუნდშტუკის* 1. სიგარეტის ან პაპიროსის მოსაწევად შესარჭობი პატარა მილი. *ქარვის მუნდშტუკი.* 2. პაპიროსის ნაწილი, რომელშიც თამბაქო არ არის და რომელსაც პირში იდებენ. *მუნდშტუკი ხელით დასრისა.* 3. ჩასაბერი მუსიკალური საკრავის სატუჩე. *კლარნეტის მუნდშტუკი.*

მუნი *მუნის* მედიც. კანის გადამდები დაავადება, დამახასიათებელია წვრილი გამონაყარი და ქავილი. *მუნი შეეყარა.*

მუნიანი *მუნიანის* მუნით დაავადებული. *მუნიანი კაცი.*

მუნიციპალიტეტი *მუნიციპალიტეტის* ქალაქის ან სოფლის თვითმმართველობის ორგანო. *მუნიციპალიტეტში მუშაობს. მუნიციპალიტეტის გადაწყვეტილება.*

მუნჯი *მუნჯის* მეტყველების უნარს მოკლებული. *მუნჯი ბავშვი.* ■ მუნჯური მუნჯისთვის დამახასიათებელი. *მუნჯებისთვის განკუთვნილი პროგრამა.*

მუშუში *მუშუშის* ღორის, ქათმის, ინდაურისა და მისთ. მოხარშული ფეხების ხორცი, რომელიც ძმრით, ნივრითა და სანელებლებით არის შეზავებული.

მურა *მურას* მუქი ნაცრისფერი, თითქმის შავი. *მურა ძაღლი.*

მურაბა *მურაბის* დამტკბარ წყალში ან საკუთარ წვენში მოხარშული ხილის, კენკრის ან ზოგიერთი ბოსტნეულის ტკბილეული. *კაკლის მურაბა. ბადრიჯნის მურაბა. მარწყვის მურაბა.*

მურდალი *მურდლის* ჭუჭყიანი, ბილწი, საზიზღარი. *მურდალი კაცია. მურდალი სასმელი. მურდალი ხორცი.*

მურდლად ზმნ. 1. უწმინდურად, საზიზღრად. *მარტოობაში მურდლად მოკვდა.* 2. უსისხლოდ, დაუკლავად. *ძროხას ყელი გამოსჭრეს, რომ მურდლად არ მომკვდარიყო.*

მურვა *მურვის* (მურავს, იმურება, ემურება) † გამურვა. *კედელი იმურება.*

მური *მურის* საწვავის არასრული წვის შედეგად გაჩენილი შავი ნაღები. *კედელ ზე მური უსვია.*

მურიანი *მურიანის* მურით დასვრილი. *მურიანი სახე.*

მურტალი *მურტლის* იგივეა, რაც მურდალი. *შე მურტალო!*

მურყანი *მურყნის* საშუალო სიმაღლის ან მაღალი ხე, აქვს მომრგვალო ფოთლები და რბილი და მსუბუქი მერქანი, ქერქი იხმარება საღებავად.

მურყნარი *მურყნარის* მურყნით დაფარული ვრცელი ადგილი. *სოფელს მურყნარი აკრავს.*

მურწა *მურწას* მცირე ზომის მდინარის თევზი. *ბადეს მურწა ამოჰყვა.*

მუსაიფი *მუსაიფის* (მუსაიფობს, ემუსაიფება) იგივეა, რაც ბაასი. *მუსაიფი გააბეს. ბევრი იმუსაიფეს.*

მუსვრა *მუსვრის* (მუსრავს, იმუსრება) ↑ შემუსვრა. *მტერს მუსრავდა.*

მუსიკა *მუსიკის* ხელოვნების დარგი, რომელიც მბატერულ სახეებს ბგერათა ჰარმონიით გადმოსცემს. *მუსიკის მოყვარულები.*

მუსიკათმცოდნე *მუსიკათმცოდნის* მუსიკათმცოდნეობის სპეციალისტი. *დედამისი მუსიკათმცოდნეა.*

მუსიკათმცოდნეობა *მუსიკათმცოდნეობის* ხელოვნებათმცოდნეობის დარგი, რომელიც შეისწავლის მუსიკის ისტორიასა და თეორიას.

მუსიკალური *მუსიკალურის* მუსიკასთან დაკავშირებული. *მუსიკალური განათლება.*

მუსიკოსი *მუსიკოსის* ვინც რომელიმე ინსტრუმენტს უკრავს, მუსიკის სპეციალისტი. *მუსიკოსების ოჯახი.*

მუსიკოსობა *მუსიკოსობის* (მუსიკოსობს) მუსიკოსის სპეციალობა, მუსიკოსად ყოფნა. *ბავშვობიდან მუსიკოსობა ზე ოცნებობდა.*

მუსლიმანი *მუსლიმანის* იგივეა, რაც მუსლიმი

მუსლიმანობა *მუსლიმანობის* იგივეა, რაც ისლამი. *მუსლიმანობა მიიღო.*

მუსლიმი *მუსლიმის* ისლამის მიმდევარი. ■ მუსლიმური მუსლიმთან დაკავშირებული. *მუსლიმური რელიგია. მუსლიმური წეს-ჩვეულებანი.*

მუსრი *მუსრის* ⊙ მუსრის გავლება მოსპობა, განადგურება.

მუსულმანი *მუსულმანის* იგივეა, რაც მაჰმადიანი. *დედამისი მუსულმანი იყო.* ■ მუსულმანური მუსულმანებისა. *მუსულმანური რელიგია.*

მუსულმანობა *მუსულმანობის* იგივეა, რაც მუსლიმანობა. *მუსულმანობა მიიღო.*

მუსუსი *მუსუსის* რაიმეს ძლიერ მნდომელი, მსუნაგურად მოყვარე. *ღვინის მუსუსი.*

მუტაცია *მუტაციის* ორგანიზმის მემკვიდრული თვისებების უეცარი ნახტომისებური ცვლილება, გამოწვეული შინაგანი ფაქტორებით ან ხელოვნური ჩარევით.

მუტრუკი *მუტრუკის* 1. ვირის მოზრდილი ნაშიერი, ახალგაზრდა ვირი. *მუტრუკი ე ზოში დააბა.* 2. გადატ. დიდი ტანის უხეში ახალგაზრდა კაცი. *მუტრუკი ბიჭია. ნამდვილი მუტრუკია.*

მუქარა *მუქარის* (ემუქრება) დაშინების მცდელობა, ავის გაკეთების დაპირება. *საშიში მუქარა. მუქარის არ ეშინია. ნუ მემუქრები!*

მუქთა *მუქთის* უფასოდ, უშრომელად, გაურჯელად მიღებული. *მუქთი სასმელ-საჭმელი. ყველაფერი მუქთაა.*

მუქთამჭამელი *მუქთამჭამლის* იგივეა, რაც მუქთახორა. *ბევრ მუქთამჭამელს არჩენს.*

მუქთახორა *მუქთახორას* ვინც სხვის ხარჯზე ცხოვრობს, უქნარა. *მუქთახორა შვილი ჰყავს. დიდი მუქთახორა ვინმეა.*

მუქთი *მუქთის* იგივეა, რაც მუქთა

მუქი *მუქის* რომელიმე ფერის ნაკლებად ნათელი ელფერი. *მუქი ტანსაცმელი. მუქი წითელი.* ↔ ღია

მუღამი *მუღამის* ჟარგ. რაიმე საქმიანობით სიამოვნების მიღება, რაიმეს კეთების დიდი სურვილი. *ამ თამაშის მუღამი ვერ გავიგე. ცეკვის მუღამში შევიდა.*

მუყაითი *მუყაითის* ბეჯითი, საქმის ერთგული, მშრომელი. *მუყაითი კაცია. მუყაითი მოსწავლე.*

მუყაო *მუყაოს* მკვრივი და სქელი ქაღალდი. *მუყაოს ყუთი. მუყაოს ყდა.*

მუშა *მუშის* პირი, რომელიც ფიზიკურად შრომობს საწარმოში, ფაბრიკაში, ქარხანაში, მშენებლობაზე და მისთ. *ქარხნის მუშები. მუშა და გლეხი. მუშათა ორგანიზაცია.* ⊙ მუშა ფუტკარი ფუტკარი, რომელიც თაფლს აკეთებს.

მუშაკი *მუშაკის* რაიმე დარგის სპეციალისტი, რომელიც პროფესიულ საქმიანობას ეწევა. *მედიცინის მუშაკი. ხელოვნების მუშაკი. მეცნიერი მუშაკი.*

მუშამბა *მუშამბის* ქსოვილი, რომლის ერთი პირი გაჟღენთილია წყალგაუმტარი ნივთიერებით. *მუშამბის სუფრა. მუშამბის ჩანთა.*

მუშაობა *მუშაობის* (მუშაობს, ამუშავებს) 1. ფიზიკური ან გონებრივი შრომა. *ბევრს მუშაობს. მზის ჩასვლამდე იმუშავა.* 2. რაიმე განხრით საქმიანობა. *აღმზრდელობითი მუშაობა. მეცნიერული მუშაობა.* 3. რაიმეს გამართული მოქმედება. *საათი მუშაობს. მაცივარი კარგად მუშაობს. უნივერმაღი მუშაობს.*

მუშახელი *მუშახელის* მომუშავე ადამიანები, მუშები. *მუშახელი გვაკლია. უფრო მეტი მუშახელი გვჭირდება.*

**მუშმალა** *მუშმალას* 1. მრგვალი ან ოვალური, წვნიანი, მომჟავო-მოტკბო, ნარინჯისფერი ან ყვითელი, კურკოვანი ხილი. 2. მარადმწვანე ხე ან ბუჩქი, რომელიც ისხამს მუშმალას (1).

**მუშტარი** *მუშტრის* რაიმეს მყიდველი, მომხმარებელი. *ბევრი მუშტარი ჰყავს. თაფლის მუშტარი. ხორცის მუშტარი.* ⊙ **მუშტრის თვალით** განსაკუთრებული ყურადღებით, შემფასებლურად.

**მუშტი** *მუშტის* შეკრული ხელის მტევანი. *მუშტი დაარტყა. მუშტი მოხვდა.*

**მუშტი-კრივი** *მუშტი-კრივის* ჩხუბი, მუშტებით ცემა. *მუშტი-კრივი გაიმართა.*

**მუცელი** *მუცლის* 1. ადამიანის ან ცხოველის სხეულის შუა ნაწილი, რომელშიც მოთავსებულია საჭმლის მომნელებელი ორგანოები. *მუცლის ღრუ.* 2. რაიმე ჭურჭლის გამობერილი ნაწილი. *ქვევრის მუცელი. დოქის მუცელი.* ⊙ **ენა მუცელში ჩაუვარდება** შეკრთება, დადუმდება, ლაპარაკს შეწყვიტს. ⊙ **მუცელს ამოიყორავს** საუბრ. ძალიან ბევრს, უთავბოლოდ შეჭამს, მუცელს საჭმლით ამოივსებს. ⊙ **მუცელს გადაყოლილი უსაქმური**, მოქეიფე. ⊙ **მუცელს მოიღორებს** ძალიან ბევრს შეჭამს. ⊙ **მუცლის მოშლა** ორსულობის ნაადრევი შენყვეტა.

**მუწუკი** *მუწუკის* ამობურცული გამონაყარი (ხშირად ჩირქოვანი) კანზე. *მუწუკი ამოუვიდა. მუწუკზე მალამო წაუსვა.* ■ **მუწუკ[ებ]იანი** მუწუკ[ებ]ის მქონე. *მუწუკებიანი სახე.*

**მუჭა** *მუჭის* რაც მუჭში ეტევა. *ერთი მუჭა ბალახი. სამი მუჭა ფქვილი.*

**მუჭი** *მუჭის* თითებმოხრილი, რაიმეს დასაჭერად ან ასაღებად მოღუნული ხელის მტევანი. *მუჭით იღებს. მუჭში არ ეტევა.*

მუხა

**მუხა** *მუხის* მსხვილი, მაგარმერქნიანი ხე, ისხამს რკოს, მერქანს იყენებენ ავეჯის დასამზადებლად და მშენებლობაში. *მუხის მაგიდა.*

**მუხამბაზი** *მუხამბაზის* ლექსი, რომელიც შედგება ხუთტაეპიანი სტროფებისგან, პირველი სტროფის ერთიანი რითმა მომდევნო სტროფების ბოლო ტაეპებში მეორდება. *სპარსული მუხამბაზი. გრიგოლ ორბელიანის მუხამბაზები.*

**მუხანათი** *მუხანათის* ვინც ფარულად ღალატობს, მოჩვენებითი კეთილისმყოფელი. *მუხანათი მეზობელი.* ■ **მუხანათური** მუხანათის დამახასიათებელი. *მუხანათური საქციელი.*

**მუხანათობა** *მუხანათობის* (მუხანათობს) მუხანათურად მოქმედება. *მუხანათობა ახასიათებს. მტრის მუხანათობა.*

**მუხთალი** *მუხთლის* მოღალატე, არასანდო. *მუხთალი ბედი. მუხთალი წუთისოფელი.*

**მუხთლობა** *მუხთლობის* (მუხთლობს) ვერაგობა, ღალატი. *ბედმა უმუხთლა.*

**მუხიანი** *მუხიანის* იგივეა, რაც **მუხნარი**

**მუხლი** *მუხლის* 1. ფეხის შუა სახრელი, რომელიც აერთებს ბარძაყის და წვივის ძვლებს. *მუხლების ტკივილი. მუხლის სახსარი.* 2. ოფიციალური დოკუმენტის ცალკეული დანაყოფი. *კონსტიტუციის მე-5 მუხლი.* 3. გადაბმის ადგილი ან რგოლი რაიმეს მოსახრელად. *საკვამლე მილის მუხლი. წყლის მილის მუხლი.* ⊙ **მუხლებში ჩაუვარდება** ხვეწნა-მუდარას დაუწყებს, თავს შეაცოდებს. ⊙ **მუხლი მოეკვეთება** ფეხებში ძალა გამოეცლება. ⊙ **მუხლის მოყრა (მოდრეკა)** დაჩოქება.

**მუხლისთავი** *მუხლისთავის* მუხლის ზედა, მომრგვალო ძვალი. *მუხლისთავებით დაეყრდნო.*

**მუხლმაგარი** *მუხლმაგრის* სიარულსა და სირბილში დაუღლელი, კარგი მოსიარულე. *მუხლმაგარი ბედაური. მუხლმაგარი მოჭიდავე.*

**მუხლმოდრეკა** *მუხლმოდრეკის* ვინმეს ან რაიმეს წინაშე მუხლებზე დადგომა განსაკუთრებული რიდის, პატივისცემის ან თხოვნის გამოსახატავად. *მუხლმოდრეკით გევედრები. მუხლმოდრეკა მოუნდა.*

**მუხლმოდრეკილი** *მუხლმოდრეკილის* ვინც ვინმეს წინაშე მუხლი მოიდრიკა, მორჩილება გამოხატა ან თაყვანი სცა. *სალოცავთან მუხლმოდრეკილი იდგა.*

**მუხლმოკვეთილი** *მუხლმოკვეთილის* მუხლში ძალანართმეული. *მუხლმოკვეთილი იქვე წაიქცა.*

**მუხლმოყრილი** *მუხლმოყრილის* იგივეა, რაც **მუხლმოდრეკილი**. *ხატის წინ მუხლმოყრილი იდგა.*

**მუხლუხი** *მუხლუხის* სახსრულად შეერთებული ლითონის ფირფიტების ფართო, უწყვეტი ჯაჭვი, რომელიც ზოგი მძიმე თვითმავალი მანქანის (ტრაქტორის, ტანკის...) თვლებზეა გადაცმული.

**მუხლჩაუხრელად** ზმნზ. შეუსვენებლად, დაუღლელად. *მუხლჩაუხრელად იშრომეს.*

**მუხნარი** *მუხნარის* მუხის ხეებით დაფარული ვრცელი ადგილი. *კარავი მუხნარში გაშალეს.*

**მუხრუჭი** *მუხრუჭის* მექანიზმი, რომელიც ანელებს ან აჩერებს მანქანის სვლას. *ხელის მუხრუჭი. მექანიკური მუხრუჭი. მანქანას მუხრუჭმა უმტყუნა.* ■ **მუხრუჭიანი** რასაც მუხრუჭი აქვს. *მუხრუჭიანი ველოსიპედი.*

**მუხტვა** *მუხტვის* (მუხტავს, იმუხტება) ↑ **დამუხტვა**. *აკუმულატორი იმუხტება. ენერგიით იმუხტება.*

**მუხტი** *მუხტის* 1. ელექტრული ურთიერთქმედების დამახასიათებელი სიდიდე. *დადებითი მუხტი.* 2. აფეთქების ძალა, რომელსაც შეიცავს ჭურვი, ვაზნა და მისთ. *მცირე მუხტი.*

მუხუდო *მუხუდოს* ერთწლოვანი პარკოსანი მცენარე, მარცვლები იხმარება საჭმელად. *მუხუდოს შეჭამანდი.*

მუჯლუგუნი *მუჯლუგუნის* იდაყვის ან მუშტის მირტყმა. *ბიჭი მუჯლუგუნებით გააგდო.*

მუჰაჯირი *მუჰაჯირის* სამშობლოდან რელიგიურ ნიადაგზე ნებაყოფლობით გადასახლებული პიროვნება, ოჯახი. *ქართველი მუჰაჯირები. აფხაზი მუჰაჯირები.*

მფარველი *მფარველის* ვინმეს სიკეთისთვის მზრუნველი, მფარველობის გამწევი, გასაჭირში მშველელი. *მფარველი ანგელოზი. ძლიერი მფარველი.*

მფარველობა *მფარველობის* (მფარველობს) ვინმეზე ზრუნვა, მისი კეთილდღეობის უზრუნველყოფა. *ოჯახს მფარველობს. მფარველობა გაუწია.*

მფლანგველი *მფლანგველის* არახელმომჭირნე, უყაირათო. *მფლანგველი კაცი.*

მფლობელი *მფლობელის* ვინც რაიმეს ფლობს, ვისაც საკუთრად აქვს რაიმე. *მიწის მფლობელი. ქონების მფლობელი.*

მფლობელობა *მფლობელობის* რაიმეს საკუთრებაში ქონა, რაიმეს პატრონობა, ფლობა. *ჩემს მფლობელობაში შემოდის.*

მფრინავი *მფრინავის* 1. პილოტი, თვითმფრინავის ნამყვანი. *მისი ძმა მფრინავია.* 2. რაც დაფრინავს. *მფრინავი ხალიჩა. მფრინავი მანქანა.*

მქადაგებელი *მქადაგებლის* ვინც რაიმეს ქადაგებს, თავის თვალსაზრისს, შეხედულებას აცნობს სხვებს. *ახალი იდეების მქადაგებელი.*

მქისე *მქისის* 1. უხეში, არანაზი. *მქისე მატყლი. მქისე ქსოვილი.* 2. გადატ. უკმეხი, უხეში, მკვახე. *მქისე ნათქვამი.*

მქნელი *მქნელის* რაიმეს ჩამდენი, გამკეთებელი. *სიკეთის მქნელი.*

მქონე *მქონის* ვისაც რაიმე აქვს. *წიგნების მქონე.*

მქრქალი *მქრქალის* არამკვეთრი, გახუნებულივით უფერული. *მქრქალი ფერები. მქრქალი სახე.*

მქსოველი *მქსოველის* ქსოვის ოსტატი, საქსოვ დაზგასთან მომუშავე. *მქსოველთა გაერთიანება.*

მქუხარე *მქუხარის* რაც ქუხს, ქუხილის ხმას გამოსცემს. *მქუხარე ჩანჩქერი.*

მქუხარება *მქუხარების* ძლიერი გრგვინვა, ხმაური. *ზღვის მქუხარება.*

მღაღადებელი *მღაღადებლის* ვინც ღაღადებს. *სიმართლის მღაღადებელი. ღვთის წინაშე მღაღადებელი.*

მღებავი *მღებავის* ღებვის ოსტატი. *მღებავები დაიქირავეს.*

მღელვარე *მღელვარის* ვინც ან რაც ღელავს. *მღელვარე ბრბო. მღელვარე ზღვა. მღელვარე ჯეჯილი.*

მღელვარება *მღელვარების* (მღელვარებს) 1. დიდი ღელვის განცდა. *შინაგანი მღელვარება. მღელვარებით მოცული. სულიერი მღელვარება.* 2. მასობრივი არეულობის, უკმაყოფილების გამოხატვა. *ხალხში მღელვარება დაიწყო. სტუდენტური მღელვარება. მღელვარება ჩააქრეს. სახალხო მღელვარება.*

მღერა *მღერის* (მღერის, უმღერის, ამღერებს) სიმღერის შესრულება. *გუნდი მღერის. ბავშვები მღერიან.*

მღერი *მღერის* იგივეა, რაც მუნი

მღვდელი *მღვდლის* ღვთისმსახურების შემსრულებელი სასულიერო პირი ქრისტიანულ ეკლესიაში. *მღვდლის ქადაგება.*

მღვდელმთავარი *მღვდელმთავრის* უმაღლესი სასულიერო პირი მართლმადიდებლურ ეკლესიაში (ეპისკოპოსი, მიტროპოლიტი, კათალიკოსი). *წირვას მღვდელმთავარი ატარებდა.*

მღვდელმონაზონი *მღვდელმონაზვნის* ბერი, რომელიც მღვდლად აკურთხეს.

მღვდელმსახურება *მღვდელმსახურების* საეკლესიო წესების აღსრულება ტაძარში სასულიერო პირის მიერ. *მღვდელმსახურება დაიწყო. მღვდელმსახურების უფლება.*

მღვდელმსახური *მღვდელმსახურის* ეკლესიის მსახური. სასულიერო პირი.

მღვდლობა *მღვდლობის* მღვდლად ყოფნა.

მღვიმე *მღვიმის* მიწისქვეშ არსებული სივრცე, რომელიც დედამიწის ქერქში მიმდინარე ბუნებრივი პროცესების შედეგად არის წარმოქმნილი.

მღვიძარე *მღვიძარის* ვისაც არ სძინავს, ვინც ფხიზლადაა. *მღვიძარე არაენ იყო.*

მღვრევა *მღვრევის* (ამღვრევს, უმღვრევს, იმღვრევა, ემღვრევა) ↑ ამღვრევა. *წყალი იმღვრევა. ღვინო იმღვრევა.*

მღვრიე *მღვრიის* 1. რაშიც რაიმეს დანახვა ჭირს ან შეუძლებელია, უსუფთაო (სითხე). *მღვრიე წყალი.* 2. გადატ. რასაც ბრწყინვა, ელვარება აკლია. *მღვრიე თვალები. მღვრიე ფერი.*

მღილი *მღილის* ხის მღრღნელი ჭია. *ავეჯის მღილი.*

მღრღნელი *მღრღნელის* ზოგადი სახელი ძუძუმწოვარი ცხოველებისა, რომლებიც მცენარეებს ღრღნიან და აზიანებენ. *თხუნელა მღრღნელია.*

მყარი *მყარის* მაგარი, მტკიცე, ურყევი. *მყარი ნაგებობა. მყარი გადაწყვეტილება.* ▲ მყარად ზმნზ. მტკიცედ, ურყევად, მაგრად. *მყარად ააშენა. მყარად დგას.*

მყაყე *მყაყის* სიძველისგან გაფუჭებული, დამძაღებული გემოს მქონე. *მყაყე წყალი.*

მყესი *მყესის* კუნთის შემადგენელი მკვრივი,

დრეკადი ქსოვილი, რომელიც ძვალზე ამაგრებს კუნთს და შეკუმშვისას ამოძრავებს მას. *მყესის დაზიანება. მყესის დაჭიმვა.*

მყვინთავი *მყვინთავის* მოცურავე, რომელიც ყვინთავს. *მყვინთავებმა ჩაძირული გემი იპოვეს.*

მყვირალობა *მყვირალობის* ირმების შეწყვილების პერიოდი. *მყვირალობა დაიწყო.*

მყიდველი *მყიდველის* პირი, რომელიც რაიმეს ყიდულობს. *ამ წიგნს ბევრი მყიდველი ჰყავს.*

მყივანი *მყივანის* რაც ყივის. *მყივანი ხოხობი.*

მყინვარი *მყინვარის* მარადთოვლიან მთებში წარმოქმნილი ყინულის დიდი მოძრავი მასა.

მყის ზმნ. ძვ. მაშინვე, იმავ წამს. *მყის ამისრულა სურვილი.*

მყიფე *მყიფის* რაც ადვილად ტყდება, იმსხვრევა. *მყიფე ჭურჭელი. მყიფე ყინული.*

მყნობა *მყნობის* (ამყნობს, უმყნობს, იმყნობა, ემყნობა) ↑ დამყნობა. *მყნობის დრო. ხილს ამყნობს.*

მყობადი *მყობადის* მომავალი დრო, რაც ჯერ არ ყოფილა და უნდა იყოს. *ქვეყნის მყობადი.*

მყოფადი *მყოფადის* წიგნ. იგივეა, რაც მომავალი. *უკეთესი მყოფადის მოლოდინში.*

მყოფი *მყოფის* ვინც, რაც სადმე ან რაიმე მდგომარეობაში არის, იმყოფება. *საზღვარგარეთ მყოფი დელეგაცია. საფრთხეში მყოფი ცხოველები.*

მყოფობა *მყოფობის* (იმყოფება) ყოფნა, არსებობა. *შვებულებაში იმყოფება.*

მყრალა *მყრალას* სპეციფიკური, უსიამოვნო სუნის მქონე ზოგიერთი მცენარის საერთო სახელწოდება.

მყრალი *მყრალის* I. რასაც ცუდი, არასასიამოვნო სუნი აქვს. *მყრალი ბალახი.* 2. გადატ. საძაგელი, საზიზღარი, ბოროტი. *მყრალი ხასიათი. მყრალი ენა.*

მყუდრო *მყუდროს* მშვიდი, წყნარი, სასიამოვნო. *მყუდრო ცხოვრება. მყუდრო ბინა.*

მყუდროება *მყუდროების* სინყნარე, სიმშვიდე. *მყუდროებამ დაისადგურა. მყუდროება დაურღვიეს.*

მშენებელი *მშენებლის* სპეციალისტი, რომელიც რაიმეს აშენებს. *ხიდის მშენებელი. მშენებელი ინჟინერი.*

მშენებლობა *მშენებლობის* I. შენობების, ნაგებობების და მისთ. აგება. *მაგისტრალის მშენებლობა. მშენებლობის თანხები.* 2. შექმნა, ორგანიზება. *სახელმწიფოს მშენებლობა.*

მშველელი *მშველელის* ვინც ვინმეს შველის, ეხმარება, მიმხმარე. *მეც შენი მშველელი ვიქნებიო.*

მშვენება *მშვენების* სილამაზე, მოხდენილობა. *ქალის მშვენებამ მოხიბლა.*

მშვენიერება *მშვენიერების* სილამაზე, ხიბლი. *ბუნების მშვენიერება. მშვენიერებამ გააოცა.*

მშვენიერი *მშვენიერის* I. ძალიან ლამაზი, მოხდენილი. *მშვენიერი ქალი. მშვენიერი ყვავილი.* 2. ძალიან კარგი, საუცხოო. *მშვენიერი ღონისძიება. მშვენიერ ხასიათზე ვარ.* ▲ მშვენივრად ზმნ. ძალიან კარგად, საუცხოოდ. *ვენახი მშვენივრად არის მოვლილი.* ⊙ ერთ მშვენიერ დღეს ერთ დღეს, ერთხელ, ოდესღაც.

მშვიდი *მშვიდის* წყნარი, აუღელვებელი, მყუდრო. *მშვიდი ადამიანი. მშვიდი ცხოვრება.* ▲ მშვიდად ზმნ. წყნარად, აუღელვებლად. *მშვიდად სძინავს.*

მშვიდობა *მშვიდობის* I. მდგომარეობა, როდესაც ომი არ არის. *ხანგრძლივი მშვიდობა დამყარდა.* 2. იგივეა, რაც სიმშვიდე. *ოჯახში მშვიდობა აქვთ.*

მშვიდობიანი *მშვიდობიანის* რაც მშვიდობის დროს, მშვიდ გარემოში ხდება. *მშვიდობიანი მოლაპარაკება. მშვიდობიანი პერიოდი.*

მშვიდობიანობა *მშვიდობიანობის* დრო, პერიოდი, როდესაც არეულობა, ომი არ არის. *მშვიდობიანობა ჩამოვარდა. მშვიდობიანობის ხანა.*

მშვიდობისმყოფელი *მშვიდობისმყოფელის* მშვიდობის დამამყარებელი, მშვიდობის დამცველი.

მშვილდი *მშვილდის* ისრის სატყორცნი მოწყობილობა, მზადდება დრეკადი მასალისგან (ხის ან რქისგან), რომელსაც ბოლოებზე ღარი აქვს გადაჭიმული, ძველად იყენებდნენ ბრძოლისა და ნადირობის დროს, ამჟამად სპორტული იარაღია. *მონადირეს მხარზე მშვილდი ეკიდა.*

მშვილდ-ისარი *მშვილდ-ისრის* მშვილდი და ისარი ერთად. *სათამაშო მშვილდ-ისარი.*

მშვილდ-ისარი

მშვილდოსანი *მშვილდოსნის* I. მშვილდ-ისრის მსროლელი. *კარგი მშვილდოსანი.* 2. ზოდიაქოს ნიშანი. *მშვილდოსნის ნიშანი.*

მშვილდოსნობა *მშვილდოსნობის* სპორტის სახეობა, ისრის მშვილდით სროლა მიზანში. *შეჯიბრება მშვილდოსნობაში.*

მშიერი *მშივრის* ვისაც (რასაც) შიმშილი ანუხებს. *მშიერი ბავშვი. მშიერი ძაღლი.* ↔ მაძღარი

მშიშარა *მშიშარას* ვისაც ყველაფრის ეშინია.

მშობელი *მშობლის* ის, ვისგანაც ცოცხალი არსება იშვა. *ბავშვის მშობლები. მშობლის ალერსი.*

მშობიარე *მშობიარის* ვინც, რაც შვილს აჩენს. *მშობიარე დედა. მშობიარეთა პალატა.*

მშობიარობა *მშობიარობის* (მშობიარობს) შვილის გაჩენის ფიზიოლოგიური პროცესი. *მშობიაროა დაეწყო. ქალი მშობიარობს.*

მშობლიური *მშობლიურის* I. მშობელთან და სამშობლოსთან დაკავშირებული. *მშობლიური სახ-*

*ლი. მშობლიური კერა.* 2. დიდი ხნის მიჩვეული, სანატრელი, ტკბილი გრძნობების აღმძვრელი. *მშობლიური ხმები. მშობლიური გარემო. მშობლიური ზრუნვა.*

**მშრალი** *მშრალის* რაც გახმა, სველი, ნოტიო არ არის. *მშრალი სამოსი. მშრალი მინა.* ⊙ **მშრალზე დასვამს ყველაფერს წაართმევს, ყველაფერს დააკარგვინებს.** ⊙ **მშრალი ამინდი** (კლიმატი) უნალექო ამინდი (კლიმატი).

**მშრომელი** *მშრომელის* 1. ვინც შრომობს, ფიზიკურ ან გონებრივ საქმიანობას ეწევა. *მშრომელთა უფლებები.* 2. გამრჯე, შრომისმოყვარე. *მშრომელი კაცია.*

**მშფოთვარე** *მშფოთვარის* შფოთიანი, მღელვარე. *მშფოთვარე ცხოვრება.*

**მჩაგვრელი** *მჩაგვრელის* ვინც სხვას ჩაგრავს, ექსპლუატატორი. *ხალხის მჩაგვრელი. მჩაგვრელების წინააღმდეგ ბრძოლა.*

**მჩატე** *მჩატის* საუბრ. 1. იგივეა, რაც მსუბუქი. *მჩატე ჩანთა.* 2. გადატ. ქარაფშუტა, დაუფიქრებელი. *მჩატე საქციელი. მჩატე სიტყვა.*

**მჩქეფარე** *მჩქეფარის* რაც ჩქეფს. *მჩქეფარე წყალი. მჩქეფარე სიცოცხლე.*

**მცდარი** *მცდარის* არასწორი, შემცდარი, შეცდომებზე დამყარებული. *მცდარი დასკვნა. მცდარი ფიქრები.*

**მცდელობა** *მცდელობის* ცდა. *თავის მოკვლის მცდელობა. გაპარვის მცდელობა.*

**მცენარე** *მცენარის* ორგანიზმი, რომელიც ნიადაგისა და ჰაერის არაორგანული ნივთიერებებით იკვებება. *ოთახის მცენარეები.*

**მცენარეული** *მცენარეულის* 1. მცენარისგან მიღებული. *მცენარეული ზეთი. მცენარეული ბოჭკო. მცენარეული პროდუქტები.* 2. მცენარეების შემცველი. *მცენარეული საფარი.*

**მცენარეულობა** *მცენარეულობის* მცენარეთა ერთობლიობა. *საქართველოს მცენარეულობა.*

**მცველი** *მცველის* პირი, რომელიც რაიმეს ან ვინმეს იცავს. *პირადი მცველი. ტყის მცველი. მეფის მცველები.*

**მცივანა** *მცივანას* ვისაც მუდამ სცივა, ვინც სიცივეს ვერ იტანს. *კატასავით მცივანა. მცივანა გოგო.*

**მცინარი** *მცინარის* იგივეა, რაც **მოცინარი**

**მცირე** *მცირის* ცოტა პატარა. *მცირე მოცულობა. მცირე რაოდენობის პროდუქტი.* ↔ **დიდი**

**მცირედ** ზმნზ. მცირე ოდენობით, ცოტათი, ოდნავ. *მცირედ განსხვავდებიან ერთმანეთისგან. ფასები მცირედ გაიზარდა.*

**მცირედი** *მცირედის* იგივეა, რაც **მცირე**. *მცირედი ლოდინის შემდეგ. მცირედი უზუსტობა.*

**მცირეკალიბრიანი** *მცირეკალიბრიანის* მცირე კალიბრის (I) მქონე. *მცირეკალიბრიანი შაშხანა.*

**მცირეოდენი** *მცირეოდენის* ძალიან ცოტა, სულ მცირე. *მცირეოდენი საჭმელი. მცირეოდენი ცელილება.*

**მცირერიცხოვანი** *მცირერიცხოვნის* ცოტა, მცირე რაოდენობისა. *მცირერიცხოვანი ლაშქარი.*

**მცირეწლოვანი** *მცირეწლოვნის* ასაკით (წლოვანებით) პატარა. *მცირეწლოვანი შვილები ჰყავს.*

**მცნება** *მცნების* ზნეობრივი ხასიათის შეგონება. *წმინდა მცნება. ათი მცნება.* **პარონიმი** ცნება.

**მცნობა** *მცნობის* (ამცნობს) შეტყობინება, გაგებინება. *მოსვლა ამცნო.*

**მცნობი** *მცნობის* ვინც იცნობს. *მისი მცნობი ვერავინ ნახეს.*

**მცოდნე** *მცოდნის* ვისაც რაიმეს შესახებ ცოდნა აქვს, ვინც რაიმე იცის. *უცხოური ენის მცოდნე.*

**მცონარა** *მცონარას* ზარმაცი, უსაქმური, უნიათო. *მცონარა რას გაგიკეთებს!*

**მცონარება** *მცონარების* უსაქმურობა, არაფრის კეთება, უნიათობა. *მცონარება ქვეყანას დაღუპავს.*

**მცოცავი** *მცოცავის* ვინც, რაც ცოცავს. *მცოცავი მწერი. მცოცავი მცენარე.*

**მცოხნავი** *მცოხნავის* რაც იცოხნება. *მცოხნავი ცხოველები.*

**მცოხნელი** *მცოხნელის*||**მცოხნავი.**

**მცურავი** *მცურავის* 1. რაც ცურავს. *მცურავი ყინული. მცურავი საგანი.* 2. ევფ. გველი. *მცურავმა დაკბინა.*

**მცხოვრები** *მცხოვრების* ვინც ამა თუ იმ ადგილას ცხოვრობს, ბინადარი. *ჩვენს სადარბაზოში მცხოვრები ოჯახები.*

**მცხრალი** *მცხრალის* ჩამქრალი, არაკაშკაშა, არამოელვარე. *მცხრალი მთვარე. მცხრალი ნათება.*

**მცხუნვარე** *მცხუნვარის* რაც აცხუნებს, ძალიან ცხელი, მწველი. *მცხუნვარე მზე. მცხუნვარე ღუმელი.*

**მცხუნვარება** *მცხუნვარების* დიდი სიცხის გამოცემა, მხურვალება. *მზის მცხუნვარება. ბუხრის მცხუნვარება.*

**მძარცველი** *მძარცველის* ვინც ძარცვავს, ძალით ართმევს ვინმეს. *მძარცველები მუზეუმში შეცვივდნენ.*

**მძაფრი** *მძაფრის* მკვეთრი, ძლიერი. *მძაფრი სუნი.* ▲ **მძაფრად** ზმნზ. მკვეთრად, ძლიერად. *მძაფრად განიცდის.*

**მძაღე** *მძაღის* გემო, რომელიც ახასიათებს ძველ, გაფუჭებულ საჭმელს. *მძაღე ნიგოზი. მძაღე ყველი.*

მძახალი *მძახლის* შვილის მეუღლის მშობელი. *მძახლები ეწვიენენ.*

მძევალი *მძევლის* პირი, რომელიც შეპყრობილი ჰყავს ვინმეს, სანამ დაინტერესებული მხარე რაიმე პირობას, მოთხოვნას არ შეასრულებს. *მძევლები გაათავისუფლა. მძევლად დაიტოვეს.*

მძვინვარე *მძვინვარის* ვინც ან რაც მძვინვარებს, ძლიერ გაბრაზებული, საშიში. *მძვინვარე მხეცი. მძვინვარე ლომი.*

მძვინვარება *მძვინვარების* (მძვინვარებს) 1. განსაკუთრებული სიავის, გააფთრების გამოვლინება. *მხეცივით მძვინვარებდა. ლომივით მძვინვარებს.* 2. სტიქიის, ავადმყოფობის, ეპიდემიის დიდი ძალით მოქმედება ან გავრცელება. *ქარიშხალი მძვინვარებს. ხანძარი მძვინვარებდა. ქოლერა მძვინვარებს.*

მძივი *მძივის* ყელის სამკაული – ძაფზე ასხმული ძვირფასი ქვების მარცვლები. *მარგალიტის მძივი. გიშრის მძივი.*

მძივი

მძიმე[1] *მძიმის* 1. დიდი წონის მქონე. *მძიმე ხურჯინი. ტყვიასავით მძიმე.* ↔ მსუბუქი. 2. დინჯი, ნელი, აუჩქარებელი. *მძიმე ნაბიჯები.* 3. რასაც დიდი ძალა, ენერგია სჭირდება, ძნელად შესასრულებელი. *მძიმე სამუშაო. მძიმე ამოცანა დააკისრა.* 4. სქელი, ხშირი, დახშული. *მძიმე ღრუბელი. მძიმე ჰაერი.* 5. გადატ. დიდი, ბევრი, რთული. *მძიმე ვალი. მძიმე გადასახადი. მძიმე ავადმყოფობა. მძიმე მდგომარეობა.* 6. გადატ. შემაწუხებელი, ძნელად ასატანი. *მძიმე სუნი. მძიმე ხასიათი.* ▲ მძიმედ ზმნზ. ნელა, ძნელად, გაჭირვებით. *მძიმედ სუნთქავს.*

მძიმე[2] *მძიმის* სასვენი ნიშანი (,), რომელიც ერთმანეთისგან გამოყოფს სიტყვებს ან წინადადებებს.

მძიმე-მძიმედ ზმნზ. ნელა, დუნედ, მოშვებით, მძიმედ. *მძიმე-მძიმედ მოაბიჯებდნენ.*

მძინარე *მძინარის* ვისაც სძინავს, დაძინებული. *მძინარე მზეთუნახავი.*

მძლავრი *მძლავრის* ძლიერი, მრავლის შემძლე, ღონიერი. *მძლავრი იარაღი.*

მძლავრობა *მძლავრობის* (მძლავრობს) 1. ძალადობა, ძალით დაჩაგვრა. *მტერმა იმძლავრა. ბოროტება მძლავრობს.* 2. გადატ. გაძლიერება, გავრცელება, დასადგურება. *ზამთარმა იმძლავრა. სიცხემ იმძლავრა.*

მძლე *მძლის* ძლიერი, მძლავრი, მძლეველი. *მძლე მარჯვენა. მძლე ლაშქარი.*

მძლეთამძლე *მძლეთამძლის* ძლიერთა შორის უძლიერესი, ყველას მომრევი, უძლეველი. *მძლეთამძლე მოჭიდავე. მძლეთამძლე რაინდი.*

მძლეოსანი *მძლეოსნის* სპორტსმენი, რომელიც მძლეოსნობას მისდევს. *მძლეოსანთა გუნდი.*

მძლეოსნობა *მძლეოსნობის* სპორტის სახეობა, რომელშიც შედის სირბილი, ხტომა, ბადროსა და შუბის ტყორცნა. *შეჯიბრება მძლეოსნობაში.*

მძორი *მძორის* მკვდარი, ხრწნადი სხეული. *კატის მძორი. მძორის სუნი.*

მძუვნობა *მძუვნობის* (მძუვნობს) ცხოველთა სქესობრივი აგზნების პერიოდი. *ძაღლის მძუვნობა. მგელი მძუვნობისას საშიშია.*

მძუნაობა *მძუნაობის* (მძუნაობს) // მძუვნობა.

მძღოლი *მძღოლის* პირი, რომელიც მართავს ტრანსპორტს. *მანქანის მძღოლი. ავტობუსის მძღოლი.*

მძღოლობა *მძღოლობის* მძღოლად ყოფნა, მძღოლის საქმიანობა. *ტაქსის მძღოლობა დაიწყო.*

მწარე *მწარის* 1. არასასიამოვნო გემო, რომელიც ენას სუსხავს, წვავს და პირში უსიამოვნო შეგრძნებას ტოვებს; ასეთი გემოს მქონე. *მწარე საჭმელი. მწარე წამალი.* ↔ ტკბილი. 2. გადატ. არასასიამოვნო, მძიმე. *მწარე სიტყვები, მწარე ფიქრები.*

მწარედ ზმნზ. ძალიან ცუდად, მტკივნეულად. *მწარედ ახსენდება.*

მწევარი *მწევრის* სანადირო ძაღლის ჯიში, დარბის სწრაფად და ნადირს ადვილად ეწევა. *მწევარი არ სუქდება.*

მწერალი *მწერლის* ხელოვანი, რომელიც ლიტერატურულ ნაწარმოებებს ქმნის. *მწერლის არქივი. მწერალთა კავშირი.* ■ მწერლური მწერლის დამახასიათებელი. *მწერლური ნიჭი.*

მწერი *მწერის* პატარა უხერხემლო ცხოველების (ბუზის, ფუტკრისა და მისთ.) საერთო სახელწოდება. *ფრთიანი მწერები. პარაზიტი მწერები.*

მწერლობა *მწერლობის* 1. ლიტერატურულ-შემოქმედებითი საქმიანობა. *მწერლობა ადრეულ ასაკში დაიწყო. მწერლობით ირჩენს თავს. მწერლობა ჩემი მოწოდებაა.* 2. ერთი რომელიმე ეპოქის, ერის, მიმდინარეობისა და მისთ. ლიტერატურული ნაწარმოებების ერთობლიობა. *ქართული მწერლობა. სასულიერო მწერლობა. საერო მწერლობა.*

მწვადი *მწვადის* შამფურზე შემწვარი ხორცი. *სუკის მწვადი.*

მწვავე *მწვავის* მძაფრი, ძლიერი, აქტუალური. *მწვავე კამათი. მწვავე საკითხი.*

მწვალებელი *მწვალებლის* 1. ვინც ან რაც აწვალებს. *ცხოველების მწვალებელი.* 2. მწვალებლობის მიმდევარი. *მწვალებლები ამხილეს.*

მწვალებლობა *მწვალებლობის* ქრისტიანულ-სარწმუნოებრივი სწავლება, რომელიც ეწინააღმდეგება მართლმადიდებელი ეკლესიის დოგმატებს. *მწვალებლობა დასწამეს.*

**მწვანე** *მწვანის* ნედლი ბალახის, ფოთლისა და მისთ. ფერი. *მწვანე ბალახი.*

**მწვანილეული** *მწვანილეულის* მწვანილების ერთობლიობა.

**მწვანილი** *მწვანილის* ბოსტნის ბალახეულ მცენარეთა საერთო სახელწოდება, აქვთ სურნელოვანი ფოთლები, გამოიყენება უმად საჭმელად ან სანელებლად. *ახალი მწვანილი. მწვანილი დაჭრეს.* ■ **მწვანილიანი** რასაც მწვანილი აქვს. *მწვანილიანი საჭმელი. მწვანილიანი ლობიო.*

**მწველავი** *მწველავის* პირი, რომელიც პირუტყვს წველის. *ყოჩაღი მწველავი.*

**მწველი** *მწველის* 1. რაც წვავს. *მწველი მზე.*

**მწვერვალი** *მწვერვალის* 1. მთის ყველაზე მაღალი ნაწილი, დაბოლოება. *თოვლიანი მწვერვალი.* 2. გადატ. რაიმეს განვითარების უმაღლესი საფეხური. *მეცნიერების მწვერვალი.*

**მწვრთნელი** *მწვრთნელის* სპეციალისტი, რომელიც სპორტსმენის ან სპორტული გუნდის ვარჯიშებს ხელმძღვანელობს. *მოჭიდავის მწვრთნელი. ფეხბურთის გუნდის მწვრთნელი. მთავარი მწვრთნელი.*

**მწიგნობარი** *მწიგნობრის* წიგნების, მწერლობის მოყვარული და კარგი მცოდნე.

**მწიგნობრობა** *მწიგნობრობის* 1. იგივეა, რაც მწერლობა. *ქართული მწიგნობრობა. არაბული მწიგნობრობა.* 2. ღრმა განსწავლულობა, წიგნიერება. *მწიგნობრობის წყურვილი.*

**მწიგნობრული** *მწიგნობრულის* მწიგნობრობასთან დაკავშირებული. *მწიგნობრული სტილი.*

**მწიკვი** *მწიკვის* თითის წვერებით აღებული ფხვიერი ნივთიერება. *ერთი მწიკვი მარილი.*

**მწიკვლი** *მწიკვლის* უწმინდურება, ჭუჭყი, სიბინძურე. *მწიკვლი შეეპარა. მწიკვლი მოეცხო.*

**მწირი**[1] *მწირის* 1. სამშობლოდან გადახვეწილი, უცხო, უთვისტომო ადამიანი. *სოფელს ერთი მწირი შეეხიზნა.* 2. სასულიერო პირი, რომელიც მონაზვნობისთვის ემზადება. *მწირი დღედაღამ ლოცულობდა.*

**მწირი**[2] *მწირის* 1. მცირე, ცოტა. *მწირი შემოსავალი.* 2. უნაყოფო, მოუსავლიანი. *მწირი მიწა.*

**მწიფე** *მწიფის* საჭმელად ვარგისი, სიმწიფეში შესული. *მწიფე ყურძენი. მწიფე პამიდორი.* ↔ მკვახე

**მწიფობა** *მწიფობის* დრო, პერიოდი, როცა ხილი, მოსავალი სიმწიფეში შედის. *ხილის მწიფობა. ყურძნის მწიფობა.*

**მწკლარტე** *მწკლარტის* მომჟავო-მომწარო გემო, რომელიც აქვს მკვახე ხილს, ზოგიერთი ჯიშის ტყემალს, ლიმონს. *მწკლარტე კომში.*

**მწკრივი** *მწკრივის* 1. ერთ ზოლზე, ერთმანეთის მიყოლებით განლაგებული ობიექტების, ადამიანების ერთობლიობა. *მოსწავლეთა მწკრივი. ვაზის მწკრივი. მწკრივში ჩადგა.*

**მწკრივ-მწკრივად** ზმნზ. მწკრივებად, მწკრივების მიხედვით. *ბავშვები მწკრივ-მწკრივად დაეწყვნენ.*

**მწნილი** *მწნილის* შესანახად დამჟავებული ბოსტნეული. *კომბოსტოს მწნილი.*

**მწოლი** *მწოლის* იგივეა, რაც მწოლიარე. *საწოლ ზე მწოლი სტუმარი.*

**მწოლიარე** *მწოლიარის* ვინც წევს, დაწოლილ მდგომარეობაში მყოფი. *მწოლიარე ავადმყოფი.*

**მწუთხე** *მწუთხის* ძალიან მლაშე. *მწუთხე ყველი.*

**მწუხარე** *მწუხარის* 1. ვინც წუხს, დარდობს. *მწუხარე დედა.* 2. მწუხარების გამომხატველი. *მწუხარე თვალები. მწუხარე ჰანგები.*

**მწუხარება** *მწუხარების* დიდი სულიერი ტკივილის, წუხილის განცდა. *მწუხარებამ მოიცვა. ღრმა მწუხარებას განიცდის.*

**მწუხრი** *მწუხრის* 1. ძვ. შეღამების ხანი. *მწუხრი ჩამოწვა.* 2. საღამოს ლოცვა. *მწუხრი აღასრულეს.*

**მწყაზარი** *მწყაზარის* წიგნ. ლამაზი, კოხტა, მშვენიერი. *მწყაზარი სახე. მწყაზარი ბუნება.*

**მწყემსვა** *მწყემსვის* (მწყემსავს, იმწყემსება) საძოვარზე გაშვებული საქონლის, ფრინველის თვალყურის დევნება. *მწყემსვა სჭირდება. თხებს მწყემსავს.*

**მწყემსი** *მწყემსის* პირი, რომელიც საქონელს, პირუტყვს უვლის. *მწყემსების სადგომი. მწყემსებს მატყლი ჩამოაქვთ გასაყიდად.*

**მწყემსობა** *მწყემსობის* (მწყემსობს) მწყემსის საქმიანობა. *მწყემსობას ვეღარ შეძლებს.*

**მწყერი** *მწყრის* ხოხბის მსგავსი პატარა ფრინველი, ბუდობს მარცვლეულის ყანებსა და სათიბებში. *მსუქანი მწყერი.* ⊙ **მწყრებს ააფრენს** საუბრ. უჭკუოდ მოიქცევა, სისულელეს ჩაიდენს.

**მწყერფეხა** *მწყერფეხას* ერთწლოვანი მარცვლოვანი სარეველა ბალახი, ღეროს წვერზე აქვს წვრილი თავთავები, გამოიყენება საქონლის საკვებად.

**მწყერჩიტა** *მწყერჩიტას* მინდვრის ჩიტი, წააგავს ბოლოქანქარას. *მწყერჩიტა ბუდეს მიწაზე იკეთებს.*

**მწყვდევა** *მწყვდევის* (ამწყვდევს, იმწყვდევს, ემწყვდევა) 1. ↑ **დამწყვდევა**. *ციხეში ამწყვდევს.* 2. ↑ **მომწყვდევა**. *კუთხეში იმწყვდევს. მახეში ემწყვდევა.*

**მწყობრი** *მწყობრის* თანმიმდევრული, მოწესრიგებული, შეწყობილი. *მწყობრი ნაბიჯი. მწყობრი რაზმი.* ▲ **მწყობრად** ზმნზ. შეწყობილად, მოწესრიგებულად. *მწყობრად სიარული. მწყობრად განალაგეს.* ⊙ **მწყობრიდან გამოვა** გაფუჭდება, დაზიანდება. ⊙ **მწყობრში ჩადგება** ამუშავდება, გასწორდება, გაკეთდება.

მწყრალი *მწყრალის* გამწყრალი, ბრაზიანი. *მწყრალი გამოხედვა, მწყრალი საუბარი.*

მჭადასოკო *მჭადასოკოს* საჭმელი სოკო, აქვს მონარინჯისფრო-ნითელი ქუდი და ფეხი, იზრდება წიწვოვან ტყეებში.

მჭადი *მჭადის* სიმინდის ფქვილისგან გამომცხვარი კვერი. *მჭადი და ყველი.* შეცდომაა ჭადი.

მჭამელა *მჭამელას* მედიც. დაავადება, რომელიც აზიანებს კანსა და ძვალს.

მჭამელი *მჭამელის* ვინც ან რაც ჭამს. *ხორცის მჭამელი. ბალახის მჭამელი. ეს ბავშვი კარგი მჭამელია.*

მჭახე *მჭახის* I. იგივეა, რაც მკვეთრი. *მჭახე ფერი.* 2. იგივეა, რაც მუავე. *მჭახე სასმელი.* 3. მჭექარე, მკაცრი. *მჭახე ხმა.*

მჭედელი *მჭედლის* ხელოსანი, რომელიც ლითონს ამუშავებს, ლითონის საგნებს ამზადებს. *მჭედლის იარაღი.*

მჭედლობა *მჭედლობის* მჭედლის საქმიანობა. *მჭედლობა დაიწყო. მჭედლობას შეუდგა.*

მჭევრმეტყველება *მჭევრმეტყველების* (მჭევრმეტყველებს) გასაგებად, დამაჯერებლად, ლამაზად მეტყველების უნარი. *მჭევრმეტყველების სწავლება.* შეცდომაა მჭერმეტყველება.

მჭევრმეტყველი *მჭევრმეტყველის* ნათლად, გასაგებად, დახვეწილად მოსაუბრე, კარგად მეტყველი. *მჭევრმეტყველი ახალგაზრდა.* შეცდომაა მჭერმეტყველი.

მჭექარე *მჭექარის* ძლიერი, ხმამაღალი, ჭექის მსგავსი. *მჭექარე ხმა. მჭექარე სიმღერა.*

მჭიდრო *მჭიდროს* ერთმანეთთან ძალიან ახლოს მყოფი, განლაგებული. *მჭიდრო დასახლება. მჭიდრო კავშირი.* ▲ მჭიდროდ ზმნზ. ერთმანეთთან ძალიან ახლოს, მიჯრით. *მჭიდროდ თანამშრომლობა.*

მჭლე *მჭლის* გამხდარი, არამსუქანი (ცხოველი). *მჭლე ხარი. მჭლე ხორცი.* ↔ გამხდარი

მჭმუნვარე *მჭმუნვარის* ძვ. მწუხარე, ნაღვლიანი. *მჭმუნვარე სახე. მჭმუნვარე ფიქრები.*

მჭმუნვარება *მჭმუნვარების* (მჭმუნვარებს) ძვ. მწუხარება, დარდი. *სულის მჭმუნვარება.*

მჭრელი *მჭრელის* რაც კარგად ჭრის. *მჭრელი იარაღი. მჭრელი ცული.*

მხალეული *მხალეულის* სხვადასხვა სახის ბოსტნეული ან ველურად მოზარდი საკვებად ვარგისი ბალახები. *მხალეულს თესავს.*

მხალი *მხლის* ბოსტნის ან მინდვრის ბალახოვანი მცენარეებისგან დამზადებული საჭმელი. *ჭინჭრის მხალი. კომბოსტოს მხალი.*

მხარ-ბეჭი *მხარ-ბეჭის* ადამიანის მხრები და ბეჭები. *ლამაზი მხარ-ბეჭი.*

მხარბეჭიანი *მხარბეჭიანის* ფართო, განიერი მხარ-ბეჭის მქონე. *მხარბეჭიანი ვაჟკაცი.*

მხარდამჭერი *მხარდამჭერის* ვინც ვინმეს ემხრობა, მხარს უჭერს, მომხრე. *ბევრი მხარდამჭერი ჰყავს.*

მხარდამხარ ზმნზ. გვერდიგვერდ, ერთად. *მხარდამხარ იბრძოდნენ.*

მხარდაჭერა *მხარდაჭერის* დახმარება, თანადგომა, ვინმეს მხარეს ყოფნა. *მშობლის მხარდაჭერა. მხარდაჭერა აღუთქვა. სიტყვიერი მხარდაჭერა.*

მხარე *მხარის* I. მიმართულება, ადგილმდებარეობა ვინმეს ან რაიმეს მიმართ. *მარჯვენა მხარე. წინა მხარე.* 2. რაიმეს ნაწილი, გვერდი, კიდე, ნაპირი. *ქუჩის მეორე მხარე. კარადის ერთი მხარე.* 3. დაპირისპირებულთა, დავაში მონაწილეთა ერთი ნაწილი მეორის მიმართ. *გამარჯვებული მხარე. მომჩივანი მხარე.* 4. ქვეყანა, მინა-წყალი. *მშობლიური მხარე. მთიანი მხარე.* 5. გადატ. რაიმე საგნისა თუ მოვლენის ნაწილი, ნიშან-თვისება. *ადამიანის ცხოვრების უცნობი მხარე. საქმის ფორმალური მხარე. დადებითი და უარყოფითი მხარეები.*

მხარეთმცოდნეობა *მხარეთმცოდნეობის* მეცნიერების დარგი, რომელიც შეისწავლის ამა თუ იმ მხარის ისტორიას, ბუნებას, ხალხის ყოფასა და მისთ. *მხარეთმცოდნეობის ლექცია.*

მხარი *მხრის* I. ადამიანის სხეულის ნაწილი კისრიდან მკლავამდე. *მხარზე შეისვა. მხარზე გაიდო. განიერი მხრები.* 2. ხელის ნაწილი იდაყვიდან ლავიწის ძვლამდე. *მხრის ძვალი. მხარი გამრა.* 3. ცხოველის წინა კიდურის ზედა ნაწილი ბეჭიანად. *ცხვრის მხარი ააწონინა.* 4. ფრინველის ფრთა. *ქათამს მხარი მოსტეხა.* ⊙ მხარი ექცა ორიენტაცია დაკარგა. ⊙ მხარს აუბამს თანადგომას, დახმარებას გაუწევს. ⊙ მხარს დაუჭერს დაეთანხმება, დაეხმარება. ⊙ მხარს უმშვენებს გვერდით ჰყავს, ახლავს. ⊙ მხარში ამოუდგება მიეხმარება. ⊙ მხრებზე აწევს რაიმეზე პასუხისმგებელია, საქმე ძირითადად მისი გასაკეთებელია. ⊙ მხრების აჩეჩვა მხრების მოძრაობა ყოყმანის, გაკვირვების გამოსახატავად. ⊙ მხრების ჩამოყრა დაღონება, გულის გატეხა.

მხარ-მკლავი *მხარ-მკლავის* მხრები და მკლავები. *ძლიერი მხარ-მკლავი.*

მხარჯველი *მხარჯველის* ვინც ბევრს ხარჯავს, უყაირათო. *მხარჯველი კაცია.*

მხატვარი *მხატვრის* პროფესიონალი ხელოვანი, რომელიც ხატავს. *მხატვრის სახელოსნო. მხატვართა გამოფენა. თეატრის მხატვარი.*

მხატვრობა *მხატვრობის* I. ხელოვნების დარგი, რომელიც გამომსახველობით საშუალებად ფერებსა და ხაზებს იყენებს. *კედლის მხატვრობა.* 2. მხატვრის პროფესია, მხატვრად ყოფნა. *მხატ-*

*ვრობა შევისწავლე.* 3. მხატვრის შემოქმედება. *ფიროსმანის მხატვრობა.*

**მხატვრული** *მხატვრულის* 1. მხატვრის შექმნილი, მხატვრობასთან დაკავშირებული. *მხატვრული ტილო.* 2. სახეების (3), სიმბოლოების საშუალებით გამოხატული, ესთეტიკური ღირებულების მქონე. *მხატვრული ლიტერატურა.*

**მხდალი** *მხდალის* ვისაც ყველაფრის ეშინია. *მხდალი კაცი.*

**მხედართმთავარი** *მხედართმთავრის* იგივეა, რაც სარდალი. *მხედართმთავრის გმირობა.*

**მხედართმთავრობა** *მხედართმთავრობის* ჯარის ნინამძღოლობა, უფროსობა. *მხედართმთავრობა უბოძეს. მხედართმთავრობა მიატოვა.*

**მხედარი** *მხედრის* 1. ცხენზე მჯდომი. *მხედარმა ცხენი გააჭენა.* 2. ჭადრაკის ერთ-ერთი ფიგურა. *მხედრით ითამაშა.* 3. ძვ. ცხენზე მჯდომი მებრძოლი. *სარდალი წინ მიუძღოდა მხედრებს.*

**მხედველობა** *მხედველობის* თვალით აღქმა, დანახვა. *კარგი მხედველობა აქვს. მხედველობის დაქვეითება.* ⊙ **მხედველობაში აქვს** ითვალისწინებს, ანგარიშს უწევს.

**მხედველობითი** *მხედველობითის* მხედველობასთან დაკავშირებული. *მხედველობითი აღქმა. მხედველობითი მეხსიერება.*

**მხედრული** *მხედრულის* ქართული ანბანის თანამედროვე სახეობა. *მხედრული ანბანი.*

**მხევალი** *მხევლის* ძვ. ხელზე მოსამსახურე ქალი. *დედოფლის მხევალი.*

**მხელა** *მხელის* (ამხელს) იგივეა, რაც მხილება. *დამნაშავეს ამხელს.*

**მხეცი** *მხეცის* 1. მსხვილი მტაცებელი ცხოველების საერთო სახელწოდება. *აფთარი მხეცია.* 2. გადატ. დაუნდობელი, უხეში, მოძალადე ადამიანი. *ნამდვილი მხეცია.* ▪ **მხეცური** მხეცისთვის დამახასიათებელი. *მხეცური საქციელი.*

**მხეცობა** *მხეცობის* (მხეცობს) 1. მხეცურად მოქცევა. *ნუ მხეცობ!* 2. გადატ. შეუბრალებლობა, სიავე, სისასტიკე. *მხეცობა ჩაიდინა.*

**მხიარულება** *მხიარულების* (მხიარულობს) მოლხენა, გართობა, კარგ ხასიათზე ყოფნა. *მხიარულების მიზეზი აქვთ. დილამდე იმხიარულეს.*

**მხიარული** *მხიარულის* ხალისიანი, უდარდელი. *მხიარული ბავშვი. მხიარულ მოხუცი.* ▲ **მხიარულად** ზმნზ. ხალისიანად, უდარდელად. *დროს მხიარულად ატარებენ.*

**მხილება** *მხილების* (ამხილებს) ვინმეს ფარული ბოროტმოქმედების, უკანონო ქმედებების გამოაშკარავება. *მოღალატის მხილება. ჯაშუშობაში ამხილეს.* ▪ **მხილებული** ვინც ამხილეს. *მხილებული ქურდი. საჯაროდ მხილებული დამნაშავე.*

**მხლოვანი** *მხლოვანის* პური მხლის შიგთავსით. *მხლოვანები ფშავ-ხევსურეთსა და მთიულეთში იციან.*

**მხნე** *მხნის* ძლიერი, დაუღლელი, გულგაუტეხელი. *მხნე მოხუცი. მხნე მეომარი. მხნე მშრომელი.*

**მხნეობა** *მხნეობის* (მხნეობს) ენერგიულობა, გაუტეხლობა, სიმტკიცე. *მხნეობას არ კარგავს. სულიერი მხნეობა. ჯერ კიდევ მხნეობს.*

**მხოლოდ** ნაწილაკ. 1. მარტო, იმაზე მეტი არა (იმის გარდა სხვა არა). *მხოლოდ სამი დღე გაგრძელდა. მხოლოდ ახალგაზრდები დაპატიჟა.* 2. იგივეა, რაც ოღონდ. *გეტყვი, მხოლოდ სხვას არავის უთხრა!* ▪ **მხოლოდ და მხოლოდ** მარტოოდენ.

**მხოლობითი** *მხოლობითის* / **მხოლოობითი**

**მხოლოობითი** *მხოლოობითის* ⊙ **მხოლობითი** რიცხვი გრამატიკული ფორმა, რომელიც აჩვენებს, რომ საგანი, მოქმედი ან სამოქმედო პირი ერთია.

**მხრივ** ზმნზ. მხრიდან, ადგილიდან. *ყველა მხრივ შეაკვიწროვეს.*

**მხუთავი** *მხუთავის* რაც სულს ხუთავს, სუნთქვის გაძნელებას იწვევს. *მხუთავი გაზი. სულის მხუთავი ატმოსფერო.*

**მხურვალე** *მხურვალის* 1. რაც ხურს, ძალიან ცხელი, მწველი. *მხურვალე ღუმელი.* 2. გადატ. დიდი, ძლიერი, ნრფელი. *მხურვალე გრძნობა. მხურვალე სიყვარული.* ▲ **მხურვალედ** ზმნზ. დიდი გრძნობით, განცდით. *მხურვალედ ეეედრება.*

**მხურვალება** *მხურვალების* ძლიერი სიცხის გამოცემა, მცხუნვარება. *მზის მხურვალება. ზაფხულის მხურვალება.*

**მხცოვანი** *მხცოვანის* მოხუცი, ხანდაზმული. *მხცოვანი პოეტი. მხცოვანი მხატვარი.*

**მჯდომარე** *მჯდომარის* იგივეა, რაც მჯდომი. *ბუხართან მჯდომარე ქალი.*

**მჯდომი** *მჯდომის* ვინც ზის. *საავარძელში მჯდომი მოხუცი.*

**მჯიღი** *მჯიღის* იგივეა, რაც მუშტი. *მკერდზე მჯიღი დაირტყა.*

**მჯობი** *მჯობის* ვინც სხვას სჯობს, სხვაზე უკეთესია. *თავისი მჯობი არავინ ჰგონია.*

**მჯობინება** *მჯობინების* (ამჯობინებს, ემჯობინება) ვინმესთვის ან რაიმესთვის უპირატესობის მინიჭება, სხვებთან შედარებით უკეთესად აღიარება. *წასვლა ამჯობინა. გაჩუმება ამჯობინა. ძველ ღვინოს ამჯობინებს.*

# – ნ –

**ნააზრევი** *ნააზრევის* აზროვნების შედეგი, ჩამოყალიბებული აზრი. *მნიშვნელოვანი ნააზრევი.*

**ნაალაფარი** *ნაალაფარის* სამხედრო ნადავლი, მტრისთვის წართმეული, ალაფად ნამოღებული. *დიდძალი ნაალაფარი მიართვეს.*

**ნაამაგარი** *ნაამაგარის* I. ვისზეც ან რაზეც ამაგი გასწიეს. *ნაამაგარი ოჯახი.* 2. ამაგის, შრომის შედეგი, ნაყოფი. *წინაპრების ნაამაგარი.* 3. ვინც ამაგი გასწია. *ნაამაგარი კაცი.*

**ნაანდერძევი** *ნაანდერძევის* ანდერძით დატოვებული. *ნაანდერძევი სახლ-კარი.*

**ნაარმევი** *ნაარმევის* უპატიოსნო გზით (ქურდობით, გამოძალვითა და მისთ.) შეძენილი. *ნაარმევი ქონება.*

**ნააღდგომევს** ზმნზ. აღდგომის შემდეგ. *ნააღდგომევს გამოიდარა.*

**ნაახალწლევს** ზმნზ. ახალი წლის შემდეგ. *ნაახალწლევს მოთოვა.*

**ნაბადი** *ნაბდის* I. მატყლის მოთელვით მიღებული ნაწარმი. *სათექე ნაბადი. დეკორაციული ნაბადი.* 2. ნაბდის (1) საველე მოსასხამი. *მწყემსის ნაბადი. ლეკური ნაბადი.*


ნაბადი

**ნაბანი** *ნაბანის* დაბანის შემდეგ დარჩენილი (სითხე). *პირის ნაბანი წყალი. მზეთუნახავის ნაბანი.*

**ნაბახუსევი** *ნაბახუსევის* საუბრ. ნამთვრალევი, ნაქეიფარი. *ნაბახუსევმა გაიღვიძა.*

**ნაბდიანი** *ნაბდიანის* ვისაც ნაბადი აქვს მოსხმული ან ვინც ნაბადშია გახვეული. *ნაბდიანი კაცები ცეცხლთან სხედან.*

**ნაბეჭდი** *ნაბეჭდის* რაც დაბეჭდეს, ბეჭდვით შესრულებული. *ნაბეჭდი ასოები. ნაბეჭდი ტექსტი.*

**ნაბვა** *ნაბვის* (ნაბავს, ინაბება) 1. ↑ **მინაბვა**. *თვალების ნაბვა.* 2. ↑ **განაბვა**. *კურდღელი ბუჩქებში ინაბება.*

**ნაბია** *ნაბიას* ვინც ან რაც ინაბება; ვისაც ან რასაც ნაბვა უყვარს. *ნაბია ჩიტი.*

**ნაბიჭვარი** *ნაბიჭვრის* ლანძღ. იგივეა, რაც ბუში.

**ნაბიჯი** *ნაბიჯის* 1. ფეხის ერთი გადადგმა. *სამი ნაბიჯი. დიდი ნაბიჯებით დადის.* 2. მანძილი, რომელიც უდრის ფეხის ერთ გადადგმას. *ეზოდან ათ ნაბიჯზე რუ ჩამოდიოდა.* 3. ფეხით სიარული, მოძრაობა. *ნაბიჯი ააჩქარა.* ⊙ **ნაბიჯით იარ|** სამხედრო წვრთნების დროს ან სპორტში სიარულის დაწყების განკარგულება. ⊙ **ორ ნაბიჯზე** ძალიან ახლოს. ⊙ **პირველი ნაბიჯი** რაიმე საქმიანობის დასაწყისი. ⊙ **ყოველ ნაბიჯზე** ირგვლივ ყველგან, ბევრ ადგილას.

**ნაბიჯ-ნაბიჯ** ზმნზ. ნელა-ნელა, თანამიმდევრობით. *კითხვა ნაბიჯ-ნაბიჯ შეასწავლა.*

**ნაბოლარა** *ნაბოლარას* ყველაზე უმცროსი, ბოლოს გაჩენილი. *ნაბოლარა ვაჟი. ნაბოლარა გოჭი.*

**ნაბოძები** *ნაბოძების* რაც უბოძეს, ნაწყალობევი. *მეფისგან ნაბოძები მიწა.*

**ნაბრძანები** *ნაბრძანების* რაც უბრძანეს. *მეფისგან ჰქონდა ნაბრძანები.*

**ნაბული** *ნაბულის* მონადირე ძაღლის დგომის მანერა, რითაც პატრონს ანიშნებს ნანადირევის სიახლოვეს. *ძაღლი ნაბულზე შედგა. ნაბული გააკეთა.*

**ნაბუქარი** *ნაბუქრის* ქარისგან მოგროვილი თოვლი. *ორმო ნაბუქარმა დაფარა.*

**ნაბუქი** *ნაბუქის*||**ნაბუქარი.**

**ნაბუშარი** *ნაბუშარის* საუბრ. იგივეა, რაც ბუში.

**ნაგავი** *ნაგვის* რაც უსუფთაობას ქმნის: საკვების ნარჩენი, ჭუჭყი, მტვერი და მისთ. *ნაგავი გადაყარა. ნაგვის ყუთი.*

**ნაგავსაყარი** *ნაგავსაყარის* ნაგვის გადასაყრელი ადგილი. *ეზო ნაგავსაყარს დაამსგავსეს.*

**ნაგაზი** *ნაგაზის* დიდი ტანის ავი ძაღლი. *მეცხვარული ნაგაზი. გერმანული ნაგაზი.*

**ნაგალა** *ნაგალას* ძალიან პატარა, განუვითარებელი. *ნაგალა ბიჭი. ნაგალა ბატკნები. ნაგალა კიტრები.*

**ნაგდები** *ნაგდების* რაც სადმე ეგდო. *ტალახში ნაგდები.*

ნაგებობა *ნაგებობის* რაც საშენი მასალისგან არის აგებული. *სპორტული ნაგებობა. თავდაცვითი ნაგებობა. ნაგებობას საფუძველი ჩაუყარეს.*

ნაგერალი *ნაგერალის* მოსავლის აღებისას მინაში ჩაბნეული თესლიდან აღმოცენებული მცენარე. *ნაგერალი ხორბალი. ნაგერალი კარტოფილი.*

ნაგვალევი *ნაგვალევის* დიდი ხნის უწვიმარი ან მოურწყავი (მინა). *ნაგვალევი მინდვრები.*

ნაგვალი *ნაგვალის* იგივეა, რაც ნაგვალევი. *ნაგვალი ყანები.*

ნაგვერდული *ნაგვერდულის* მორის გვერდებიდან ჩამოხერხილი ფიცარი. *ნაგვერდულებისგან ყუთი შეკრა.*

ნაგვიანევი *ნაგვიანევის* 1. გვიან დამწიფებული, გვიან შემოსული (მოსავალი). *ნაგვიანევი ხილი. ნაგვიანევი ხორბალი.* 2. გვიანი. *ნაგვიანევი გაზაფხული.* ▲ ნაგვიანევად ზმნზ. გვიან, არადროულად. *ნაგვიანევად დაბრუნდნენ.*

ნაგზაური *ნაგზაურის* ყოფილი გზა, ადგილი, სადაც გზა გადიოდა. *ნაგზაურში ჩაჯდა.*

ნაგიჟარი *ნაგიჟრის* ამბობენ მეტისმეტად ნერვიულ, გაუწონასწორებელ ადამიანზე. *ნაგიჟარს ჰგავს.*

ნაგლეჯი *ნაგლეჯის* ქსოვილის, ტყავის, ქაღალდისა და მისთ. მოგლეჯილი ნაჭერი, ნაფლეთი, ნახევი, ნაწყვეტი. *ფარდის ნაგლეჯი. თოკის ნაგლეჯი.*

ნაგლეჯ-ნაგლეჯ ზმნზ. ნაგლეჯებად. *ნაგლეჯ-ნაგლეჯ ყრია.*

ნაგლეჯ-ნაგლეჯი *ნაგლეჯ-ნაგლეჯის* არამთლიანი, ნაგლეჯებად ქცეული. *ნაგლეჯ-ნაგლეჯი სამოსი.*

ნაგრძნობი *ნაგრძნობის* რაც იგრძნეს, განიცადეს. *ნაგრძნობი და ნაფიქრალი. ნაგრძნობი დედას გაუზიარა.*

ნადავლი *ნადავლის* 1. ომის დროს ნაშოვნი ქონება. *დიდი ნადავლი ჩაიგდეს ხელში.* 2. გადატ. ქურდობითა და ძარცვით ნაშოვნი ქონება. *ყაჩაღებმა ნადავლი გაიყვეს.*

ნადი *ნადის* იგივეა, რაც მამითადი. *ნადი მოიწვიეს.*

ნადიმი *ნადიმის* საზეიმო წვეულება, ქეიფი. *ნადიმზე დაპატიჟეს.*

ნადიმობა *ნადიმობის* (ნადიმობს) ქეიფი, მხიარულება სუფრასთან. *მთელი ღამე ინადიმეს.*

ნადირი *ნადირის* გარეული ცხოველების საერთო სახელწოდება. *ტყეში ნადირი გამრავლდა.*

ნადირობა *ნადირობის* (ნადირობს, ანადირებს) ცხოველის, ფრინველის დევნა დასაჭერად ან მოსაკლავად. *ნადირობა უყვარს. დათვზე ნადირობს.*

ნადური *ნადურის* შრომის სიმღერა, რომელსაც ნადში მღეროდნენ. *ნადური წამოიწყეს. ნადური დასძახეს.*

ნადუღი *ნადუღის* ყველის შრატის ადუღებით მიღებული პროდუქტი. *ნადუღი პიტნით შეა ზავა.*

ნაეკლესიარი *ნაეკლესიარის* ადგილი, სადაც ეკლესია მდგარა. *ნაეკლესიარი წმინდა ადგილია.*

ნაერთგულევი *ნაერთგულევის* ერთგულებაში გამოცდილი, ნამდვილად ერთგული. *ნაერთგულევი ყმა.*

ნაერთი *ნაერთის* ნივთიერება, რომელიც მიღებულია სხვადასხვა ნივთიერების ერთმანეთში შერევით. *ნაერთების შედგენილობა.*

ნაეშმაკარი *ნაეშმაკარის* ეშმაკობით, მოხერხებულობით გაკეთებული რაიმე. *ჩანდა, მისი ნაეშმაკარი იყო.*

ნაეშმაკევი *ნაეშმაკევის*||ნაეშმაკარი. *ნაეშმაკევი საქმე.*

ნავალი *ნავალის* კვალი, ნაფეხურები ვინმეს ან რაიმეს გავლის ადგილზე. *მგლის ნავალი. კაცის ნავალი. ნადირის ნავალი.*

ნავარდი *ნავარდის* 1. ლაღი, ხალისიანი ფრენა, სირბილი. *ცაში ნავარდი არ სწყინდება.* 2. გადატ. შეუზღუდავი, თავისუფალი მოქმედება, მხიარული დროსტარება. *ახალგაზრდების ნავარდი.*

ნავარდობა *ნავარდობის* (ნავარდობს) იგივეა, რაც ნავარდი. *ირმები ნავარდობენ. ამხანაგებთან ერთად ნავარდობს.*

ნავაჭრი *ნავაჭრის* 1. ნაყიდი ნივთები, საკვები და მისთ. *კარგი ნავაჭრი.* 2. ვაჭრობის შედეგად აღებული ფული. *ნავაჭრი გადათვალა.*

ნავახშმევს ზმნზ. ვახშმობის შემდეგ. *ნავახშმევს სასეირნოდ წავიდნენ.*

ნავახშმი *ნავახშმის* ვინც ივახშმა. *ნავახშმი ვარ.*

ნავთი *ნავთის* ნავთობის გადამუშავებით მიღებული საწვავი. *ნავთის ლამფა.* ▪ ნავთიანი რასაც ნავთი აცხია, რაშიც ნავთია. *ნავთიანი ხელები. ნავთიანი ჭურჭელი.*

ნავთობი *ნავთობის* მუქი ყავისფერი ან მომწვანო ფერის ზეთოვანი, სპეციფიკური სუნის მქონე წიაღისეული, რომლის გადამუშავებითაც მიიღება ნავთი, ბენზინი, ზეთი და მისთ. *ნავთობის საბადო. ნავთობის ჭაბურღილი. ნავთობის მოპოვება.*

ნავთობსადენი *ნავთობსადენის* მილსადენი, რომლითაც ნავთობი დიდ მანძილზე გადააქვთ. *ნავთობსადენის მშენებლობა დაიწყეს. ნავთობსადენი და ზიანდა.*

ნავთქურა *ნავთქურის* საყოფაცხოვრებო დანიშნულების მოწყობილობა, რომელიც ნავთით მუშაობს, იყენებენ საჭმლის მოსამზადებლად და ოთახის გასათბობად. *ნავთქურა აანთო.*

ნავი *ნავის* 1. საზღვაო-სამდინარო ტრანსპორ-

ტის სახეობა - მცირე ზომის მარტივი გემი წყლის ზედაპირზე გადასაადგილებლად. იყენებენ სარეწაო, სასპორტო და სხვა დანიშნულებით. *ნიჩბიანი ნავი. ძრავიანი ნავი. ნავით სეირნობა.* 2. ბაზილიკური ნაგებობის შიდა სივრცის ნაწილი.

**ნავიგაცია** *ნავიგაციის* I. იგივეა, რაც ნაოსნობა (1). 2. პერიოდი, რომლის განმავლობაშიც შესაძლებელია ნაოსნობა (1). *ზამთრის ნავიგაცია. ნავიგაცია გაიხსნა.* 3. მეცნიერება, რომელიც სწავლობს ნაოსნობას (1). *პრაქტიკული ნავიგაცია. ნავიგაციის სახელმძღვანელო.*

**ნავისებური** *ნავისებურის* ნავის მსგავსი, რაც ფორმით ნავს ჰგავს. *ნავისებური ჭურჭელი.*

**ნავსადგური** *ნავსადგურის* ზღვის სანაპიროზე მონყობილი ადგილი, რომელიც განკუთვნილია გემების მისაღებად, გასამგზავრებლად, დასატვირთად ან გადმოსატვირთად. *ნავსადგურს ხალხი მიაწყდა.*

**ნავსაყუდელი** *ნავსაყუდლის* I. იგივეა, რაც ნავსადგური. 2. გადატ. ადგილი, სადაც თავს მყუდროდ გრძნობ, ისვენებ. *სულის ნავსაყუდელი. ნავსაყუდელი იპოვა.*

**ნავსვა** *ნავსვის* (ნავსავს, ინავსება) ↑ დანავსვა. *ყველას ნავსავს. დილიდან ინავსება.*

**ნავსი** *ნავსის* ცრურწ. ვისი ან რის დანახვა ან შეხვედრა თუ მასთან საქმის დაჭერა ავის მომასწავებელია, ცუდის ნიშანია. *ნავსად გადამეყარა. ნამდვილი ნავსია.* ⊙ ნავსი გატყდება საუბრ. ბოლოს და ბოლოს გაკეთდება ის, რაც მანამდე არ კეთდებოდა.

**ნავსიანი** *ნავსიანის* ავის მომასწავებელი. *ნავსიანი დღე.*

**ნაზავი** *ნაზავის* ერთმანეთში შერეული სხვადასხვა ნივთიერება. *წყლისა და ღვინის ნაზავი. მიწისა და სილის ნაზავი.*

**ნაზამთრალი** *ნაზამთრალის* ზამთარგამოვლილი, ზამთრიდან შემორჩენილი. *ნაზამთრალი პირუტყვი. ნაზამთრალი ხილი.*

**ნაზამთრევი** *ნაზამთრევის*||ნაზამთრალი. *ნაზამთრევი ბალანი.*

**ნაზამთრი** *ნაზამთრის*||ნაზამთრალი. *ნაზამთრი მსხალი ტკბილია.*

**ნაზბენვიანი** *ნაზბენვიანის* რასაც ნაზი ბენვი (მატყლი) აქვს. *ნაზბენვიანი ცხვარი. ნაზბენვიანი ჯიშები.*

**ნაზვავარი** *ნაზვავრის* ადგილი (ხევი, ფერდობი), სადაც ზვავმა ჩაიარა. *ნაზვავარზე გაიარეს. ნაზვავარში ჭინჭარი ამოსულიყო.*

**ნაზი** *ნაზის* I. სასიამოვნო, სათუთი, მიმზიდველი. *ნაზი არსება. ნაზი ხმა.* 2. სითბოს, სიყვარულის გამომხატველი, სათნო. *ნაზი გული.* ▲ ნაზად ზმნზ. სათუთად, სითბოსა და სიყვარულის გამოხატვით. *ნაზად შეეხო. ნაზად მოეფერა.*

**ნაზუქი** *ნაზუქის* თონეში გამომცხვარი ტკბილი პური.

**ნათაგვარი** *ნათაგვარის* რასაც თაგვი შეეხო, თაგვისგან დაზიანებული. *ნათაგვარი პური.*

**ნათავადარი** *ნათავადარის* ყოფილი თავადი. *ნათავადარი ოჯახი.*

**ნათავხედარი** *ნათავხედრის* თავხედობის შედეგი. *ეს მისი ნათავხედარია.*

**ნათათრალი** *ნათათრალის* I. თათრებში ნამყოფი. *ნათათრალი ბიჭი.* 2. მაჰმადიანობიდან ქრისტიანულ სარწმუნოებაზე მოქცეული. *ნათათრალი მონათლა.*

**ნათალი** *ნათალის* I. ხის მჭრელი იარაღით გათლისას აცვენილი თხელი ფირფიტები - ნაფოტები. *ხის ნათალი.* 2. ხილის და ბოსტნეულის გაცლილი კანი. *ატმის ნათალი. კარტოფილის ნათალი.*

**ნათება** *ნათების* (ანათებს, ინათებს, უნათებს, ნათდება, უნათდება) I. ↑ განათება. *მზე ანათებს. ლამპიონები ქუჩას ანათებენ. სახე უნათდება.* 2. გათენების დაწყება. *მალევე ინათა.*

**ნათელი** *ნათლის* I. სინათლით სავსე, განათებული. *ნათელი ოთახი.* ↔ ბნელი. 2. სინათლე, შუქი. *მზის ნათელი.* 3. ღია, მხიარული. *ნათელი ფერი.* 4. ცხადი, გასაგები. *ნათელი წარმოდგენა შეექმნა.* ▲ ნათლად ზმნზ. ცხადად, გარკვევით. *ნათლად ასახავს სინამდვილეს. ეს ამბავი ნათლად ახსოვს.* ⊙ ნათელს მოჰფენს გასაგებს გახდის, გაარკვევს.

**ნათელ-მირონი** *ნათელ-მირონის* ნათლიისა და ნათლულის ოჯახის წევრები ერთმანეთის მიმართ. *ნათელ-მირონები ვართ.*

**ნათელმირონობა** *ნათელმირონობის* ნათესაობა, რომელიც მონათვლით მყარდება ნათლიისა და ნათლულის ოჯახებს შორის. *ნათელმირონობა აკავშირებთ.*

**ნათელმოსილი** *ნათელმოსილის* ნათლით მოსილი, შემკობილი. *ნათელმოსილი ხატი.*

**ნათელსაყოფად** ზმნზ. ნათელყოფის მიზნით, გასარკვევად, სიცხადისთვის. *ნათქვამის ნათელსაყოფად.*

**ნათელყოფა** *ნათელყოფის* (ნათელყოფს) ნიგნ. რაიმე საკითხში სიცხადის, სიაშკარავის შეტანა, დამტკიცება. *ფაქტებით ნათელყოფა. საკითხს ნათელყოფს.*

**ნათესავი** *ნათესავის* ერთი ადამიანი მეორისთვის, როდესაც მათ უშუალო საერთო წინაპრები ჰყავთ. *ახლო ნათესავი. შორეული ნათესავი. სისხლით ნათესავი.* ■ ნათესაური ნათესავების დამახასიათებელი. *ნათესაური ურთიერთობა. ნათესაური კავშირი.*

**ნათესაობა** *ნათესაობის* (ნათესაობს, ენათესავება) 1. ნათესავად ყოფნა, ნათესავების ურთიერთობა. *ენათესავებიან ერთმანეთს.* 2. (კრებ.) ნათესავების ერთობლიობა. *დიდი ნათესაობა ჰყავს.*

ნათესაობითი *ნათესაობითის* გრამატ. სახელის ბრუნვის ერთ-ერთი ფორმა.

ნათესი *ნათესის* I. მიწის ნაკვეთი, რომელზეც რაიმე (უმეტესად პურეული) არის დათესილი. *ქერის ნათესი. ნათესებში ბევრი მწყერია.* 2. რაც დაითესა, დათესილია. *ნათესი მზესუმზირა. ნათესი მიწა.*

ნათვლა *ნათვლის* (ნათლავს, უნათლავს, ინათლება, ანათვლინებს) ↑ მონათვლა. *მდინარეში ინათლებიან. შვილს ნათლავს.*

ნათლია *ნათლიის* პირი, რომელიც ნათლობის რიტუალის შედეგად მონათლულის სულიერი მშობელი ხდება. *ნათლიის ნაჩუქარი ჯვარი.*

ნათლიდედა *ნათლიდედის* ნათლულის დედა. *ნათლიდედამ უმასპინძლა.*

ნათლიმამა *ნათლიმამის* ნათლულის მამა. *ნათლიმამას დიდ პატივს სცემდა.*

ნათლისმცემელი *ნათლისმცემლის* ⊙ იოანე ნათლისმცემელი ვინც იესო ქრისტე მონათლა მდინარე იორდანეში.

ნათლისღება *ნათლისღების* ქრისტიანული საეკლესიო დღესასწაული, რომელიც უკავშირდება ქრისტეს ნათლობას, აღინიშნება 19 იანვარს.

ნათლობა *ნათლობის* ქრისტიანული რელიგიის ერთ-ერთი უდიდესი საიდუმლო, რომლის შესრულების შედეგადაც ადამიანი ქრისტიანი ხდება.

ნათლული *ნათლულის* მონათლული ადამიანი თავისი ნათლიისთვის. *პატრიარქის ნათლული.*

ნათრევი *ნათრევის* I. რაც ათრიეს, თრევით მოიტანეს. *ნათრევი მორები.* 2. გადატ. მანანწალა, ბევრგან ნამყოფი, ბევრგან ნავალი, ამორალური ცხოვრებით ნაცხოვრები. *ქალებში ნათრევი.* 3. რაიმეს გათრევის კვალი. *მიწას ხის ნათრევი აჩნდა.*


ნათურა

ნათურა *ნათურის* მინის ჰერმეტულად დახურული კოლბა ლითონის სპირალით, რომელშიც დენი გაივლის და სინათლეს წარმოქმნის. *ნათურა აინთო. ნათურა გადაიწვა.*

ნათქვამი *ნათქვამის* რაც თქვეს, რაც ითქვა. *მისი ნათქვამის არ სჯერა.*

ნაიალაღარი *ნაიალაღარის* იალაღზე თავისუფლად ნამყოფი (პირუტყვი). *ნაიალაღარი ხარი. ნაიალაღარი ცხენი.*

ნაიარევი *ნაიარევის* იარის, ჭრილობის კვალი. *სახეზე ნაიარევი აჩნდა.*

ნაირგვარი *ნაირგვარის* სხვადასხვანაირი. *ნაირგვარი ბოსტნეული.*

ნაირ-ნაირი *ნაირ-ნაირის* ბევრნაირი. *ნაირ-ნაირი საჭმელი. ნაირ-ნაირი ყვავილები.*

ნაირსახეობა *ნაირსახეობის* იგივეა, რაც სახესხვაობა.

ნაირფერი *ნაირფერის* სხვადასხვა ფერის მქონე, ჭრელი. *ნაირფერი სამოსი. ნაირფერი ქსოვილები.*

ნაირხმიანი *ნაირხმიანის* სხვადასხვანაირი, ბევრნაირი ხმის მქონე. *ნაირხმიანი საკრავები.*

ნაკადი *ნაკადის* I. სწრაფად მომდინარე სითხის, აირისა და მისთ. მასა. *წყლის ნაკადი. გაზის ნაკადი.* 2. ადამიანების ერთი წყება, ერთი რიგი, ერთი ჯგუფი. *სტუდენტთა პირველი ნაკადი.* ▲ ნაკადად ზმნზ. ნაკადის მსგავსად. *ხალხი ნაკადად მოდიოდა.*

ნაკადული *ნაკადულის* წყლის პატარა ნაკადი, რომელიც ბუნებრივ კალაპოტში მიედინება. *ნაკადული მოჩუხჩუხებს.*

ნაკარნახევი *ნაკარნახევის* რაც უკარნახეს. *ნაკარნახევი ზუსტად ჩაიწერეს.*

ნაკატორღალი *ნაკატორღალის* კატორღაში ნამყოფი. *ნაკატორღალი კაცი.*

ნაკაფი *ნაკაფის* რაც გაკაფეს. *ნაკაფი ადგილები.*

ნაკაფიანი *ნაკაფიანის* ტყე, სადაც ბევრი ნაკაფია. *საქონელი ნაკაფიანებში ძოვდა.*

ნაკაწრი *ნაკაწრის* I. გაკაწვრის ნაკვალევი. *ნაკაწრი გაუწითლდა.* 2. ამოკაწვრით ნანერი. *ქვაზე ნაკაწრი ტექსტი.*

ნაკბენი *ნაკბენის* კბენის შედეგად დაზიანებული ადგილი. *კატის ნაკბენი. ნაკბენი დაუსივდა.*

ნაკბილარი *ნაკბილარის* I. კბილის ჩასობის შედეგად დარჩენილი კვალი რაიმეზე. *ძაღლის ნაკბილარი.* 2. კბილის ამოღების შემდეგ დარჩენილი ცარიელი ადგილი. *ნაკბილარი მტკივა.*

ნაკეთობა *ნაკეთობის* ხელით გაკეთებული ნივთი, ნაწარმი. *ძვირფასი ნაკეთობა. ვერცხლის ნაკეთობა.*

ნაკელი *ნაკელის* შინაური პირუტყვის განავალი, რომელსაც სასუქად იყენებენ. *ყანაში ნაკელი გავიტანეთ.*

ნაკეპი *ნაკეპის* დაკეპილი, დაკეპვით დაქუცმაცებული, წვრილად დაჭრილი. *ნაკეპი მხალი.*

ნაკერი *ნაკერის* I. რაც გაკერეს, შეკერეს; გადაკერების ადგილი. *ხელით ნაკერი პერანგი. შარვლის ნაკერი. ჩანთის ნაკერი.* 2. ქირურგიული ოპერაციის შემდეგ კანის გაკერვის შედეგად დარჩენილი ნაწიბური. *მუცელზე ნაკერი ეტყობა.*

ნაკეცი *ნაკეცის* ქსოვილის, ტყავის, ქაღალდისა და მისთ. გადაკეცვის ადგილი. *მუყაოს ნაკეცი. კაბის ნაკეცი.*

ნაკვალევი *ნაკვალევის* იგივეა, რაც კვალი (1). *დინოზავრის ნაკვალევი. მგლის ნაკვალევი.*

ნაკვამლი *ნაკვამლის* სადაც კვამლმა იდინა, კვამლით გამურული. *ნაკვამლი მილები. ნაკვამლი კედელი.*

ნაკვეთი[1] *ნაკვეთის* I. მიწის ნაწილი, გარკვეული

ტერიტორია, რომელიც ვინმეს საკუთრებაა. *საბოსტნე ნაკვეთი. სკოლის ნაკვეთი. ნაკვეთში ნავიდნენ.* 2. თხზულების, პერიოდული გამოცემისა და მისთ. ნაწილი, რომელიც ცალკე ქვეყნდება. *რომანი ნაკვეთებად იბეჭდება.*

ნაკვეთი[2] *ნაკვეთის* რაც გამოკვეთილია, გამოჭრილია. *კლდეში ნაკვეთი ქალაქი. ქვაში ნაკვეთი ჩუქურთმა.*

ნაკვერჩხალი *ნაკვერჩხლის* ხის წვისას მიღებული დანახშირებული, გავარვარებული ნარჩენი, რომელსაც ცეცხლი უკიდია. *ბუხრიდან ნაკვერჩხალი გამოიღო.*

ნაკვერცხალი *ნაკვერცხლის* იგივეა, რაც ნაკვერჩხალი.

ნაკვესი *ნაკვესის* 1. დაკვესებისას გაჩენილი ნაპერწკალი. *ნაკვესები ცვიოდა.* 2. (მრ.) იუმორისტული შინაარსის მოკლე, გონებამახვილური, მოსწრებული გამონათქვამი. *ლიტერატურული ნაკვესები.*

ნაკვთი *ნაკვთის* სახის ან სხეულის გარეგანი ნაწილი. *ლამაზი ნაკვთები. თითოეული ნაკვთი.*

ნაკი *ნაკის* ნაკლი, წუნი, ხარვეზი. *ჭიქას ნაკი ეუპოვე.*

ნაკიანი *ნაკიანის* რასაც ნაკი აქვს. ⊙ ნაკიანი წელიწადი ყოველი მეოთხე წელიწადი, როცა თებერვალში 29 დღეა.

ნაკითხი *ნაკითხის* ვისაც ბევრი რამ აქვს წაკითხული. *ნაკითხი ადამიანი.*

ნაკისრი *ნაკისრის* რაც იკისრეს. *ნაკისრი მოვალეობა.*

ნაკლებ ზმნზ. იგივეა, რაც ნაკლებად. *ნაკლებ სავარაუდოა. ნაკლებ საშიში.*

ნაკლები *ნაკლების* 1. სხვაზე ცოტა. *ნაკლები რაოდენობა. ნაკლები წონა.* 2. სხვაზე ცუდი, უარესი. *ჩემი ცხენები შენსაზე ნაკლები არ არის.* ▲ ნაკლებად ზმნზ. ცოტათი, ნაკლები რაოდენობით. *ამ ტურნირში ნაკლებად მონაწილეობენ.*

ნაკლებობა *ნაკლებობის* რაიმეს სიმცირე, როდესაც რაიმე საკმარისი არ არის. *სურსათის ნაკლებობა. ფულის ნაკლებობა.*

ნაკლი *ნაკლის* წუნი, დეფექტი, ხარვეზი. *ნაკლს ვერ უპოვი. ნამუშევრის ნაკლი.*

ნაკლოვანება *ნაკლოვანების* ნაკლის, დეფექტის ქონა. *ნაკლოვანების აღმოფხვრა.*

ნაკლოვანი *ნაკლოვანის* ნაკლის მქონე. *სიტუაციის ნაკლოვანი მხარე.*

ნაკლული *ნაკლულის* რაც სავსე არ არის, რასაც აკლია. *ნაკლული ქვევრი. ნაკლული ქილა.*

ნაკლულოვანი *ნაკლულოვანის* იგივეა, რაც ნაკლოვანი. *ნაკლულოვანი დოკუმენტი.*

ნაკოდალი *ნაკოდალის* ხის მოჭრისას ან გადაჭრისას აცვენილი ნაფოტი. *ბევრი ნაკოდალი ყრია.*

ნაკორტნი *ნაკორტნის* რაც გაკორტნეს. *ნაკორტნი ბუჩქი.*

ნაკრები *ნაკრების* 1. გარკვეული პრინციპით შეკრებილი სხვადასხვა საგნის, მასალისა და მისთ. ერთობლიობა. *ჭიქების ნაკრები. საღებავების ნაკრები.* 2. რჩეულ სპორტსმენთა გუნდი, რომელიც სხვადასხვა გუნდის წევრებისგან არის შედგენილი. *საქართველოს ნაკრები. მოჭიდავეთა ნაკრები.*

ნაკრუხალი *ნაკრუხალის* რაც კრუხი იყო. *ნაკრუხალი დედალი.*

ნაკრძალი *ნაკრძალის* ტერიტორიის ნაწილი, რომელიც იშვიათი მცენარეებისა და ცხოველების დასაცავად და გასამრავლებლად არის გამოყოფილი და საგანგებოდ დაცული. *ნაკრძალში ხის ჭრა აკრძალულია.*

ნაკურთხი *ნაკურთხის* რაც აკურთხეს. *ნაკურთხი ბზა. ნაკურთხი პური. ნაკურთხი წყალი.*

ნაკუწი *ნაკუწის* ქსოვილის ან ქაღალდის პატარა ნაჭერი. *ქაღალდის ნაკუწი.*

ნაკუწ-ნაკუწ ზმნზ. ნაკუწებად. *ნაწერი ნაკუწ-ნაკუწ დახია.*

ნაკუწ-ნაკუწი *ნაკუწ-ნაკუწის* ნაკუწებად ქცეული. *ნაკუწ-ნაკუწი ქაღალდი.*

ნალბანდი *ნალბანდის* მჭედელი, რომელიც ნალებს აკეთებს და პირუტყვს აკრავს ჩლიქებზე. *კარგი ნალბანდი.*

ნალექი *ნალექის* 1. ატმოსფერული ტენი, რომელიც წვიმის, თოვლის, სეტყვის სახით მოდის. *დიდი რაოდენობით ნალექი.* 2. დუღილის ან ბუნებრივი პროცესების შედეგად წარმოქმნილი მყარი ნივთიერებების ფენა, რომელიც გროვდება ჭურჭლის, მდინარის, ტბისა და მისთ. ფსკერსა და კედლებზე. *მარილების ნალექი.* ■ ნალექიანი რასაც ნალექი აქვს. *ნალექიანი ყავა.*

ნალექიანობა *ნალექიანობის* ნალექის (1) შემცველობა, ოდენობა. *ნალექიანობის სიმცირით გამოირჩევა.*

ნალეწი *ნალეწის* რაც გალეწეს, რაც გალეწილია.

ნალი *ნალის* სპეციალურად გამოჭედილი ფოლადის ფირფიტა, რომელსაც ფეხზე აკრავენ ხარს, ცხენსა და მისთ. ჩლიქის დასაცავად. *ნალი მოსძვრა. ცხენის ნალი.*


ნალი

ნალია *ნალიის* კუთხ. იგივეა, რაც სასიმინდე.

ნალოლიავები *ნალოლიავების* ვისაც ან რასაც ძალიან უფრთხილდებოდნენ, ელოლიავებოდნენ. *ნალოლიავები შვილები.*

ნალოშნი *ნალოშნის* რაც დალოშნეს, დალოშნილი. *ნალოშნი ლოყები.*

ნალოცი *ნალოცის* რასაც ან ვისაც შეულოცეს. *ნალოცი იარაღი. ნალოცი სამკაული.*

ნალურსმი *ნალურსმის* I. ლურსმნებით შეკრული, დაჭედებული. *ნალურსმი ყუთი.* 2. სადაც ლურსმნები იყო ჩარჭობილი. *ნალურსმი ადგილები.*

ნამარილევი *ნამარილევის* I. ადგილი, სადაც მწყემსები პირუტყვს მარილს აჭმევენ. *ცხენები ნამარილევზე არიან.* 2. რასაც მარილი აქვს ნაჭამი. *ნამარილევი ნახირი.*

ნამარხი *ნამარხის* I. გადაშენებული მცენარის, ცხოველის ნაშთი ან ანაბეჭდი, რომელიც შემორჩენილია დედამიწის ფენებში. 2. მატერიალური კულტურის ძეგლი, რომელიც მიწითაა დაფარული. *არქეოლოგიური ნამარხი.*

ნამარხულევი *ნამარხულევის* ვინც იმარხულა, მარხვა შეინახა. *ნამარხულევმა გაიხსნილა.* ▲ ნამარხულევს ზმნზ. მარხვის შემდგომ. *ნამარხულევს ვუმასპინძლებ.*

ნამატი *ნამატის* I. რამაც მოიმატა, მომატებული. *ნამატი წონა.* 2. შინაური პირუტყვის ნაშიერი. *ძროხის ნამატი. საქონლის ნამატი.*

ნამგალა[1] *ნამგალას* მერცხლის მსგავსი ჩიტი, აქვს მოკლე კუდი და ჭყივის. *ნამგალა მოფრინდა.*

ნამგალა[2] *ნამგალას* ნამგლის მსგავსი. *ნამგალა მთვარე.*

ნამგალი *ნამგლის* ხელის მოკლეტარიანი სამუშაო იარაღი, აქვს რკალისებური ფორმა და მჭრელი პირი, იყენებენ სათიბად, სამკალად. *ნამგალი გალესა.*

ნამგლისებრი *ნამგლისებრის* ნამგლის მსგავსი. *ნამგლისებრი რკინა.*

ნამგლისებური *ნამგლისებურის*||ნამგლისებრი. *ნამგლისებური ფორმა აქვს.*

ნამდვილი *ნამდვილის* I. მართალი, სწორი, ჭეშმარიტი. *ნამდვილი ამბავი.* 2. სწორედ ისეთი, როგორიც უნდა იყოს; ვიღაცის ან რაღაცის მსგავსი. *ნამდვილი ვაჟკაცი. ეს კაცი ნამდვილი მხეცია.* ▲ ნამდვილად ზმნზ. მართლა, ზუსტად. *ნამდვილად ვიცი. ნამდვილად ნახეს.*

ნამდინარევი *ნამდინარევის* ადგილი, სადაც მდინარე მოდიოდა, მდინარის ყოფილი კალაპოტი. *ნამდინარევში წყალი ჩამდგარიყო.*

ნამემკვიდრები *ნამემკვიდრების* მემკვიდრეობით მიღებული. *ნამემკვიდრები მამული.*

ნამეტანი *ნამეტანის* საჭიროზე მეტი, მეტისმეტი. *ნამეტანი სიმორცხვე.*

ნამეტი *ნამეტის* ზედმეტი, ჭარბი. *ნამეტი პროდუქტი. ნამეტი თანხა.*

ნამეტნავად ზმნზ. საუბრ. ძალიან, ზომაზე მეტად. *ნამეტნავად შენუხდა. ტკივილმა ნამეტნავად შემაწუხა.*

ნამეწყრალი *ნამეწყრალის* ადგილი, სადაც მეწყერი იყო. *ნამეწყრალში წყალი ნამოვიდა.*

ნამეხარი *ნამეხარის* რასაც მეხი დაეცა, მეხდაცემული. *ნამეხარი ჭადარი.*

ნამვა *ნამვის* (ნამაეს, ინამება, ენამება) ↑ დანამვა. *წვიმა ყანებს ნამავს. თვალები ცრემლით ენამება.*

ნამზადი *ნამზადის* რაც გაამზადეს, გამზადებული. *კარგად ნამზადი კერძები.*

ნამზითევი *ნამზითევის* მზითვად გატანებული. *ნამზითევი ლოგინი.*

ნამზითვი *ნამზითვის* იგივეა, რაც ნამზითევი.

ნამთვრალევი *ნამთვრალევის* ვინც მთვრალი იყო და გამოფხიზლდა, ვისაც სიმთვრალემ გაუარა. *ნამთვრალევი სტუმრები. ნამთვრალევს თავი უბრუის.*

ნამი *ნამის* ტენიანი ჰაერის გაცივების შედეგად ბალახზე, ფოთლებსა და მისთ. გაჩენილი წვრილი წვეთები. *ნამით დაფარული.* ■ ნამიანი რასაც ნამი ადევს. *ნამიანი კოინდარი.*

ნამიკრეფია *ნამიკრეფიას* წვრილღეროიანი ბალახოვანი მცენარე, აქვს პატარა, მრგვალი, ყუნწთან დავიწროებული ფოთლები, რომლებშიც ღამით ტენისგან დანალექი წვეთები გროვდება, იზრდება სათიბებსა და საძოვრებზე.

ნამინისტრალი *ნამინისტრალის* მინისტრად ნამყოფი, ყოფილი მინისტრი. *ნამინისტრალი ახალ პარტიაში მიიღეს.*

ნამკალი *ნამკლის* რაც მომკეს, მომკილი. *ცხენი ნამკალში დააბეს. ნამკალი გადახნეს.*

ნამკუდი *ნამკუდის* მარცვლეულის დარჩევის, განიავებისას დარჩენილი უხარისხო მარცვალი. *ქერის ნამკუდი.*

ნამოსახლარი *ნამოსახლარის* ადგილი, სადაც ადრე ვიღაც სახლობდა, ვიღაცის კარ-მიდამო იყო. *თავადის ნამოსახლარი. ძველი ნამოსახლარი.*

ნამოქმედარი *ნამოქმედარის* ვინმეს მიერ გაკეთებული, ჩადენილი. *ბიჭის ნამოქმედარი. ვისი ნამოქმედარია?!*

ნამოღვაწარი *ნამოღვაწარის* მოღვაწეობის შედეგი, ნაკეთები საქმეები. *მისი ნამოღვაწარი ყველამ იცის.*

ნამოწაფარი *ნამოწაფარის* ყოფილი მოწაფე. *ჩემი ნამოწაფარი.*

ნამრავლი *ნამრავლის* მათ. ერთი რიცხვის მეორეზე გამრავლების შედეგად მიღებული რიცხვი. *3-ისა და 5-ის ნამრავლი.*

ნამსახური *ნამსახურის* ვისაც რაიმე სამსახური გაუწევია, სასარგებლო საქმე უკეთებია. *ნამსახური კაცია. ქვეყნისთვის ნამსახური პიროვნება.*

ნამტირალევი *ნამტირალევის* ვისაც ან რასაც ტირილის კვალი ეტყობა. *ნამტირალევი ქალი. ნამტირალევი თვალები. ნამტირალევი ხმა აქვს.*

ნამუსგარეცხილი *ნამუსგარეცხილის* უნამუსო, უსინდისო, ნამუსდაკარგული. *ნამუსგარეცხილი ადამიანი.*

ნამუსი *ნამუსის* იგივეა, რაც სინდისი. *ნამუსი არა გაქვს?!* ◉ ნამუსის ქუდი ახურავს პატიოსანია, წესიერია. ◉ ნამუსს ახდის გააუპატიურებს. ◉ ნამუსს მოსწმენდს უდანაშაულოდ გამოიყვანს, გაამართლებს. ◉ ნამუსს შეუნახავს მის ცუდ საქციელს, საიდუმლოს არ გაამხელს.

ნამუსიანი *ნამუსიანის* ვისაც ნამუსი აქვს, წესიერი, პატიოსანი. *ნამუსიანი კაცი.* ▲ ნამუსიანად ზმნზ. წესიერად, პატიოსნად. *ნამუსიანად ცხოვრობს.*

ნამუსრევი *ნამუსრევის* საჭმლის ნარჩენები. *სუფრაზე ნამუსრევი ეყარა.*

ნამუსრი *ნამუსრის* რასაც მუსრი გაავლეს. *ნამუსრი ყურძენი.*

ნამუწუკარი *ნამუწუკარის* მუწუკის მორჩენის შემდეგ დარჩენილი ლაქა კანზე. *ნამუწუკარი ეტყობა.*

ნამქერი *ნამქრის* ქარისგან ჰაერში ატანილი თოვლი. *ნამქერი დატრიალდა.*

ნამყენი *ნამყენის* მყნობით მიღებული, დამყნობილი. *ნამყენი ვაშლები.*

ნამყო *ნამყოს* ძვ. ძველი, განვლილი, წარსული დრო. *ქვეყნის ნამყო.*

ნამყოფი *ნამყოფის* 1. ვინც სადღაც იყო. *იაპონიაში ნამყოფი. ომში ნამყოფი.* 2. ვინც წინათ რაიმე იყო. *დირექტორად არის ნამყოფი. მძღოლად ნამყოფი.*

ნამცეცა *ნამცეცას* ძალიან პატარა ტანისა, ცეროდენა. *ნამცეცა ბავშვი.*

ნამცეცი *ნამცეცის* 1. პურის, მჭადისა და მისთ. ძალიან მცირე ნაწილი. *ნამცხვრის ნამცეცები.* 2. გადატ. ძალიან ცოტა, ძალიან პატარა. *წელს ნამცეცი თოვლი არ მოსულა.* :

ნამცვრევი *ნამცვრევის* წიგნ. წვეთებად ჩამონადენი, დაცვარული. *ცის ნამცვრევი.*

ნამცხვარი *ნამცხვრის* ცომისგან მომზადებული სხვადასხვა ზომის, სახისა და შედგენილობის საკონდიტრო ნაწარმი. *საშობაო ნამცხვარი. შვრიის ნამცხვარი.*

ნამძინარევი *ნამძინარევის* ძილიდან ახლად გამოღვიძებული, გამოუფხიზლებელი. *ნამძინარევი კაცი. ნამძინარევი თვალები.*

ნამწვი *ნამწვის* დაწვის შემდეგ დარჩენილი ნაწილი. *ასანთის ნამწვი. სანთლის ნამწვი. სიგარეტის ნამწვი.*

ნამწყემსარი *ნამწყემსარის* ყოფილი მწყემსი, მწყემსად ნამყოფი. *ნამწყემსარი მოხუცი.*

ნამხრევი *ნამხრევის* 1. ერთი მთიბელის მიერ მოთიბული ბალახის ზოლი. *ფართო ნამხრევი.* 2. მცენარის მთავარი ღეროს გვერდზე, ფოთლების იღლიებში ამონაყარი ზედმეტი ყლორტი. *ნამხრევი შეაცალა.*

ნამჯა *ნამჯის* 1. მომკილი მარცვლეულის (ხორბლის, ქერის, ჭვავის) უთავთავო და თავთავიანი ღეროები. 2. მარცვლეულ მცენარეთა ღეროების ქვედა ნაწილი.

ნანადირევი *ნანადირევის* ნადირობის დროს მოკლული ცხოველი ან ფრინველი. *ნანადირევით დაბრუნდა.*

ნანამქერალი *ნანამქერალის* ნამქერისგან მოტანილი. *ნანამქერალი თოვლი.*

ნანგრევი *ნანგრევის* 1. ნაგებობის დანგრევის შემდეგ დარჩენილი ნაწილი. *ციხის ნანგრევი გამოჩნდა. ქალაქი ნანგრევებად ქცეულიყო.* 2. ნგრევისას გაჩენილი ნამტვრევებისა და საშენი მასალის უწესრიგო მასა. *ნანგრევებში მოყვა. კედლის ნანგრევები ორ დღეს გაჰქონდათ.*

ნანდობი *ნანდობის* ვინც ან რაც მიანდეს. *სხვისთვის ნანდობი ბავშვი.*

ნანემსარი *ნანემსარის* ადგილი, სადაც ნემსი გაუკეთეს. *ნანემსარი დაუჩირქდა. ნანემსარი სტკივა.*

ნანინა *ნანინას* იგივეა, რაც იავნანა. *ნანინას უმღერის.*

ნანინანატრი *ნანინანატრის* დიდი ლოდინის, დიდი ნატვრის შემდეგ ნაყოლი (შვილი). *ნანინანატრი ბიჭი ეყოლა.*

ნაომარი *ნაომრის* ომში ნამყოფი, ომგადახდილი. *ნაომარი ქვეყანა. ნაომარი კაცი.*

ნაოპერაციევი *ნაოპერაციევის* 1. ვინც ოპერაცია გაიკეთა. *ნაოპერაციევი ქალი.* 2. ორგანო, რომელზეც ოპერაცია გაკეთდა. *ნაოპერაციევი კუჭი.* 3. ოპერაციის ნაკვალევი კანზე. *ნაოპერაციევი ემჩნევა.*

ნაოსნობა *ნაოსნობის* 1. იგივეა, რაც ზღვაოსნობა (1). 2. სპორტის სახეობა, ნავის მართვის ხელოვნება. *ნაოსნობა მოსწონს. ნაოსნობამ გაიტაცა.*

ნაოსტატარი *ნაოსტატარის* ვინმეს ოსტატობის შედეგი, ვინმეს გაკეთებული. *ეს სკამები ჩემი ნაოსტატარია.*

ნაოფიცრალი *ნაოფიცრალის* ყოფილი ოფიცერი, ოფიცრად ნამყოფი. *მამამისი ნაოფიცრალია.*

ნაოფლარი *ნაოფლარის* ნაშრომი, გარჯის, ოფლის ღვრის შედეგი. *თავისი ნაოფლარით ჭამს პურს.*

ნაოცნებარი *ნაოცნებარის* რაც ოცნებად ჰქონდათ, რაზეც ოცნებობდნენ. *ნაოცნებარი აუხდა.*

**ნაოჭასხმული** *ნაოჭასხმულის* ნაოჭებით შეკერილი, ნაოჭებით მორთული (სამოსი). *ნაოჭასხმული ჩოხა.*

**ნაოჭი** *ნაოჭის* 1. რაიმეზე თანმიმდევრობით და სიმეტრიულად გაკეთებული ნაკეცები. *საბნის ნაოჭი.* 2. კანის ნაკეცი ადამიანის სახეზე, სხეულზე. *ნაოჭები გაუჩნდა. ნაოჭების გასწორება.* ■ **ნაოჭ[ებ]იანი** რასაც ნაოჭი, ნაოჭები აქვს. *ნაოჭებიანი კაბა. ნაოჭებიანი სახე.*

**ნაოხარი** *ნაოხრის* აოხრებული, უპატრონოდ მიტოვებული, ნანგრევებად ქცეული. *ნაოხარი სახლ-კარი. ნაოხარი სოფელი.*

**ნაოხრალი** *ნაოხრალის* უპატიოსნო გზით, ქურდობით, სხვისთვის წართმევით მოპოვებული. *ნაოხრალი კაცს არ შერჩება. ნაოხრალი ქონება.*

**ნაპარავი** *ნაპარავის* რაც მოიპარეს, მოპარული. *ნაპარავი ცხენი.*

**ნაპარტახალი** *ნაპარტახალის* გაპარტახებული, უპატრონობით ნანგრევებად ქცეული, მოუვლელი (ადგილი). *ნაპარტახალი სახლ-კარი.*

**ნაპარტახევი** *ნაპარტახევის* იგივეა, რაც ნაპარტახალი. *ნაპარტახევი მამულები.*

**ნაპატიები** *ნაპატიების* ვისაც დანაშაული აპატიეს. *ნაპატიები მობრუნდა.*

**ნაპატივები** *ნაპატივების* კარგად მოვლილი, კარგად ნაკეები, პატივში მყოფი. *ნაპატივები პირუტყვი. ნაპატივები მშობლები.*

**ნაპერწკალი** *ნაპერწკლის* 1. უმცირესი ნანილაკი, რომელიც ცეცხლმოკიდებული ან გავარვარებული ნივთიერებიდან ვარდება. *ნაპერწკლები სცვივა.* 2. გადატ. რაიმეს ძალიან მცირე ნაწილი, ნიშანი. *სიყვარულის ნაპერწკალია.*

**ნაპირა** *ნაპირას* განაპირა მხარეს, კიდეზე მდებარე. *ნაპირა სახლი. ნაპირა კუთხე.*

**ნაპირალი** *ნაპირალის* პირშეხებული ან პირში ნადები. *სხვისი ნაპირალი. ძაღლის ნაპირალი.*

**ნაპირას** ზმნზ. ნაპირზე, ნაპირთან ახლოს. *მდინარის ნაპირას.*

**ნაპირი** *ნაპირის* 1. სიერცის, საგნისა და მისთ. უკიდურესი გარეთა ნაწილი. *მინდვრის ნაპირი. ტყის ნაპირი. ქაღალდის ნაპირი.* 2. მიწის ზოლი ხმელეთისა და წყლის საზღვართან. *მდინარის ნაპირი სილითაა დაფარული.*

**ნაპირ-ნაპირ** ზმნზ. რაიმეს ნაპირზე, ნაპირის გაყოლებაზე. *ნაპირ-ნაპირ იარეს.*

**ნაპოვნი** *ნაპოვნის* რაც იპოვეს. *ნაპოვნი ნივთები.*

**ნაპრალი** *ნაპრალის* დიდი და ღრმა ბზარი მყინვარიან ან კლდოვან ადგილებში. *კლდის ნაპრალი. მყინვარის ნაპრალი.*

**ნაპრალოვანი** *ნაპრალოვნის* სადაც ბევრი ნაპრალია. *ნაპრალოვანი მყინვარი.*

**ნაპურალი** *ნაპურალის* მომკილი ადგილი, სადაც პური (ხორბალი) ეთესა. *ნაპურალი გადახნეს. ცხვარი ნაპურალებში გაიშალა.*

**ნაპურმარილევი** *ნაპურმარილევის* 1. ვინც პურმარილი მიირთვა, სუფრასთან იჯდა. *ნაპურმარილევი სტუმრები წავიდ-წამოვიდნენ.* 2. სადაც პურმარილი იყო გამართული. *ნაპურმარილევი მაგიდები ჯერ არ აულაგებიათ.*

**ნაჟონი** *ნაჟონი* რაც ჟონვით გამოვიდა. *კლდიდან ნაჟონი წყალი.*

**ნაჟური** *ნაჟურის* რაიმედან გამონადენი, გამონურული სითხე. *ვაზის ნაჟური. მთებიდან ნაჟური წყალი.*

**ნარგავი** *ნარგავის* ახალგაზრდა კულტურული (3) მცენარე, რომელსაც ფესვის გამოღების შემდეგ საგანგებოდ მომზადებულ ფართობზე რგავენ. *ხეხილის ნარგავები. მრავალწლოვანი ნარგავები.*

**ნარგიზი** *ნარგიზის* ყვავილოვანი მცენარე, აქვს ბოლქვები და მოთეთრო, მოყვითალო ან მონარინჯისფრო ყვავილები.

**ნარდი**[1] *ნარდის* თამაში ბრტყელი და მოგრძო ფორმის, უპირატესად, ხის ყუთის გადახსნილ ფრთებზე წყვილი კამათლითა და 30 კოჭით. *ნარდში შეჯიბრება. ნარდით თავი შეიქციეს.*

**ნარდი**[2] *ნარდის* პირობა, სამუშაოს შემკვეთსა და შემსრულებელს შორის, როცა ანაზღაურება ხდება არა დახარჯული დროის, არამედ ნამუშევრის რაოდენობის მიხედვით. *ნარდად მოურიგდა.*

**ნარევი** *ნარევის* ერთიმეორეში არეული სხვადასხვა ნივთიერების, მასალისა და მისთ. ერთობლიობა. *ქვიშისა და ცემენტის ნარევი. ნარევი ხსნარი.*

**ნარ-ეკალი** *ნარ-ეკლის* ეკლიანი ბალახების საერთო სახელწოდება. ■ **ნარეკლიანი** ნარ-ეკლით დაფარული. *ნარეკლიანი ფერდობი.*

**ნართაული** *ნართაულის* შეფარული, არაპირდაპირ ნათქვამი. *ნართაული სიტყვები. ნართაულად იხუმრა.*

**ნართვლევი** *ნართვლევის* რთვლის ჩატარების მომდევნო დრო, პერიოდი. ▲ **ნართვლევს** ზმნზ. რთვლის შემდეგ. *ნართვლევს ჩამოვიდა.*

**ნართი** *ნართის* ერთ წვერად დართული ბამბის ან მატყლის ძაფი. *ნართის გორგალი.*

**ნარი**[1] *ნარის* ეკლებიანი ბალახოვანი მცენარე, აქვს რთული ყვავილები, გავრცელებულია მინდვრებში, მდელოებსა და ნათესებში. ⊙ სხვისი ხელით ნარის გლეჯა სხვისი ხელით რთული საქმის კეთება.

**ნარი**[2] *ნარის* ქართული ანბანის მეცამეტე ასოს (ნ-ს) სახელწოდება.

**ნარიანი** *ნარიანის* სადაც ბევრი ნარი[1] ხარობს, ნარით[1] დაფარული. *ნარიანი ტაფობი.*

**ნარინჯი** *ნარინჯის* 1. მომწარო-მომჟავო ციტრუსი. 2. ხე, რომელიც ისხამს ნარინჯს (1), აქვს სურნელოვანი, თეთრი ყვავილები.

**ნარინჯისფერი** *ნარინჯისფრის* მოწითალო ყვითელი. *ნარინჯისფერი პერანგი.*

**ნარინჯოვანი** *ნარინჯოვნის* 1. რასაც ნარინჯის ფერი აქვს. *ნარინჯოვანი შემოდგომა.* 2. იგივეა, რაც ციტრუსოვანი. *ნარინჯოვანი კულტურები.*

**ნარიყი** *ნარიყის* ადიდებული წყლისგან მოტანილი და სანაპიროზე გამოყრილი შეშა. *ნარიყი შეაგროვეს.*

**ნარკვევი** *ნარკვევის* 1. მცირე ზომის ნაწარმოები, რომელსაც საფუძვლად ნამდვილი ამბავი უდევს. *პუბლიცისტური ნარკვევი. მხატვრული ნარკვევი.* 2. (მრ.) რაიმე საკითხის ზოგადი მიმოხილვა. *საქართველოს ისტორიის ნარკვევები.*

**ნარკოზი** *ნარკოზის* მედიც. ხელოვნურად გამოწვეული ძილი, რომელსაც თან ახლავს მგრძნობელობის დაკარგვა, იყენებენ ქირურგიული ოპერაციების დროს. *ნარკოზიდან გამოვიდა.* ■ **ნარკოზული** ნარკოზთან დაკავშირებული. *ნარკოზული მდგომარეობა.*

**ნარკომანი** *ნარკომანის* ადამიანი, რომელიც ნარკოტიკულ საშუალებებს ხმარობს, ნარკომანიით დაავადებული. *ნარკომანების რიცხვი გაიზარდა.*

**ნარკომანია** *ნარკომანიის* ნარკოტიკების მოხმარებისადმი ძლიერი მიდრეკილება. *ნარკომანია მძიმე სენია.*

**ნარკომანობა** *ნარკომანობის* (ნარკომანობს) ნარკომანად ყოფნა, ნარკომანიით დაავადება. *ნარკომანობას სავალალო შედეგი მოჰყვა. დიდხანს ნარკომანობდა.*

**ნარკოტიკი** *ნარკოტიკის* მცენარეული ან ქიმიური ნივთიერება, რომელიც მოქმედებს ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე და იწვევს გაბრუებასა და გაუტკივარებას. *ნარკოტიკის ზემოქმედება. ნარკოტიკების მომხმარებელი.*

**ნარკოტიკული** *ნარკოტიკულის* ნარკოტიკის შემცველი. *ნარკოტიკული პრეპარატი. ნარკოტიკული საშუალებები.*

**ნარნარა** *ნარნარას* რაც ნარნარებს, ნაზად, მოხდენილად დადის. *ნარნარა ქალიშვილები.*

**ნარნარი** *ნარნარის* (ნარნარებს) 1. ლამაზად, კეკლუცად სიარული. *ქალი ნარნარით მოდის.* 2. ტკბილად მოსასმენი, სასიამოვნო. *ნარნარი ხმა.*

**ნაროკალი** *ნაროკალის* ხეზე გაჩენილი ადგილი, სადაც როკი იყო. *ნაროკალებში ხშირად ფუღურო ჩნდება.*

**ნარუალი** *ნარუალის* ადგილი, სადაც რუ მოედინებოდა. *ნარუალში ბალახი ამოვიდა.*

**ნარშავი** *ნარშავის* ეკლიანი სარეველა ბალახი, აქვს რთული ყვავილები.

**ნარჩევი** *ნარჩევის* 1. არჩეული, ყველაზე კარგი. *ნარჩევი ხილი. ნარჩევი ქალ-ვაჟები.* 2. არჩევის შემდეგ დარჩენილი, დაბალი ხარისხისა. *ლობიოს ნარჩევი.* 3. რჩევა, დარიგება. *დედის ნარჩევს მიჰყვება. მეგობრის ნარჩევი მოეწონა.*

**ნარჩენი** *ნარჩენის* 1. რაც დარჩათ ან დატოვეს. *საჭმლის ნარჩენი.* 2. რაიმეს გამოყენების, დამუშავების შედეგად დარჩენილი უვარგისი ნაწილი. *ქიმიური ნარჩენები.*

**ნარჩიტა** *ნარჩიტას* მთის პატარა ჩიტი, რომელიც ფერს იცვლის.

**ნარცეცხლა** *ნარცეცხლას* ეკლებიანი მცენარე, აქვს წითელი ყვავილები, იზრდება გზის პირებზე, ეზოებსა და ნათესებში.

**ნასადილევი** *ნასადილევის* 1. ვინც ისადილა. *სახლში ნასადილევი დაბრუნდა.* 2. სადილობის მომდევნო დრო. *ნასადილევის მერე აგრძელებს მუშაობას.* ▲ **ნასადილევს** ზმნზ. სადილობის შემდეგ. *ნასადილევს გაემგზავრა. ნასადილევს დაიძინეს.*

**ნასათუთარი** *ნასათუთარის* რასაც სათუთად, ნაზად, სიფრთხილით, დიდი ზრუნვით ექცევიან, ინახავენ. *ნასათუთარი შვილი. ნასათუთარი გრძნობა.*

**ნასათუთევი** *ნასათუთევის*||**ნასათუთარი** *ნასათუთევი სიყვარული.*

**ნასალდათარი** *ნასალდათარის* ყოფილი ჯარისკაცი.

**ნასამხრალი** *ნასამხრალის* იგივეა, რაც ნასამხრევი. ■ **ნასამხრალზე** სამხრის შემდეგ. *ნასამხრალზე წვიმა წამოვიდა.*

**ნასამხრევი** *ნასამხრევის* სამხრობის შემდგომი დრო. *ნასამხრევის მერე სტუმრად წავიდნენ.* ▲ **ნასამხრევს** ზმნზ. სამხრის შემდეგ. *ნასამხრევს შეიკრიბნენ.*

**ნასაუზმევი** *ნასაუზმევის* 1. ვინც ისაუზმა. *სამსახურში ნასაუზმევი წავიდა.* 2. საუზმობის შემდეგი დრო. ▲ **ნასაუზმევს** საუზმის შემდეგ. *ნასაუზმევს წავლენ.*

**ნასაყდრალი** *ნასაყდრალის* ადგილი, სადაც საყდარი იყო, საყდრის ნანგრევი. *გორაკზე ნასაყდრალი იდგა.*

**ნასახელარი** *ნასახელარის* ვინც თავი ისახელა, გამარჯვებული. *ნასახელარი სპორტსმენი.*

**ნასახი** *ნასახის* კვალი, ნატამალი. *ადამიანის ნასახი არ იყო. სიცოცხლის ნასახი არ ეტყობოდა.*

**ნასახლარი** *ნასახლარის* ადგილი, სადაც სახლი იყო, სახლის ნანგრევი. *ძველი ნასახლარი.*

**ნასვამი** *ნასვამის* 1. ვინც ალკოჰოლიანი სასმელი დალია. *ნასვამი მძღოლი.* 2. საიდანაც დალიეს, მოსვეს. *მისი ნასვამი ჭიქა.*

**ნასვენი** *ნასვენის* დიდი ხნის დაუმუშავებელი (მინა). *ნასვენი ბოსტანი.*

**ნასვრეტი** *ნასვრეტის* ნვრილი ნახვრეტი. *ყველის ნასვრეტები.* ■ **ნასვრეტებიანი** ნასვრეტების მქონე. *ნასვრეტებიანი ფირფიტა.*

**ნასიამოვნები** *ნასიამოვნების* ვინც ისიამოვნა. *ნასიამოვნები სტუმრები.*

**ნასიცხარი** *ნასიცხარის* ვისაც სიცხე, მაღალი ტემპერატურა ჰქონდა. *ნასიცხარი ავადმყოფი.*

**ნასიცხი** *ნასიცხის* 1. სხეულზე ნითელი გამონაყარი სიცხის გამო. *ნასიცხი გაუჩნდა.* 2. ვინც ან რაც დაისიცხა. *ნასიცხი საქონელი.*

**ნასკვი** *ნასკვის* 1. იგივეა, რაც კვანძი (1). *ნასკვი გააკეთა.* 2. ბოტან. ბუტკოს ნაწილი, რომლიდანაც ნაყოფი ვითარდება. ■ **ნასკვიანი** ნასკვის მქონე. *ნასკვიანი ძაფი.*

**ნასოფლარი** *ნასოფლარის* ადგილი, სადაც ადრე სოფელი იყო. *ნასოფლარზე ბუჩქნარი გაჩნდა.*

**ნასუფრალი** *ნასუფრალის* ჭამის შემდეგ სუფრაზე დარჩენილი საჭმელ-სასმელი. *სტუმრები ნასუფრალზე მივიდნენ.*

**ნასუქი** *ნასუქის* საგანგებოდ გასუქებული, ნაკვები. *ნასუქი ღორი. ნასუქი კურატი.*

**ნასყიდობა** *ნასყიდობის* სათანადოდ გაფორმებული სავაჭრო გარიგება. *ნასყიდობის ფურცელი.*

**ნასხვისარი** *ნასხვისარის* სხვისი ნაქონი, რაც სხვას ეკუთვნოდა. *ნასხვისარი არაფერი მინდა.*

**ნასხლევი** *ნასხლევის* გასხვლისას აჭრილი ტოტი. *ნასხლევები აკრიფა.*

**ნატამალი** *ნატამალის* ძალიან მცირე კვალი, ნიშანი, ნასახი. *სიხარულის ნატამალი არ ემჩნევა.*

**ნატერფალი** *ნატერფალის* ნაფეხური, ფეხის ანაბეჭდი მიწაზე, გზაზე. *დიდი ნატერფალები.*

**ნატეხი** *ნატეხის* რაც მოტყდა ან მოატეხეს. *აგურის ნატეხი. ჭადის ნატეხი.*

**ნატვირთი** *ნატვირთის* რაც იტვირთეს, ივალდებულეს, რაზეც პასუხისმგებლობა აიღეს. *ნატვირთი საქმე.*

**ნატვრა** *ნატვრის* (ნატრობს, ნატრულობს) დიდი სურვილი, მძაფრი ნდომა. *ნატვრა აუხდა. სამშობლოში დაბრუნებას ნატრობს.*

**ნატირალი** *ნატირალის* იგივეა, რაც ნამტირალევი.

**ნატიფი** *ნატიფის* დახვეწილი, ფაქიზი. *ნატიფი თასი. ნატიფი ქანდაკება. ნატიფი თითები.*

**ნატკენი** *ნატკენის* რაც ეტკინათ, რაც დაუზიანდათ. *ნატკენი ფეხი.*

**ნატრული** *ნატრულის* ვინც ნატრულობს, ვისაც ენატრება. *შვილების ნატრული.*

**ნატურა** *ნატურის* 1. ცოცხალი ნიმუში, რომელსაც ხატავენ ან აქანდაკებენ. *ნატურიდან ხატვა.* 2. ადამიანის ხასიათი, ტემპერამენტი. *სუსტი ნატურა. ძლიერი ნატურა.* 3. საკვები პროდუქტი და მისთ., რომელიც გამოიყენება საგადასახადო საშუალებად ფულის ნაცვლად. *ნატურით გადაუხადა.*

**ნატურალიზმი** *ნატურალიზმის* მიმდინარეობა ხელოვნებაში (მხატვრობასა და ლიტერატურაში), რომლისთვისაც დამახასიათებელია სინამდვილის ფოტოგრაფიული სიზუსტით გადმოცემა.

**ნატურალისტური** *ნატურალისტურის* ნატურალიზმთან დაკავშირებული. *ნატურალისტური მიმართულება.*

**ნატურალური** *ნატურალურის* ნამდვილი, ბუნებრივი. *ნატურალური თაფლი. ნატურალური წვენი.*

**ნატურმორტი** *ნატურმორტის* სურათი, რომელზეც გამოსახულია უსულო საგნები: ხილი, ყვავილები, გაწყობილი სუფრა და მისთ. *კედელზე ნატურმორტი ეკიდა.*

**ნატუსალი** *ნატუსლის* 1. ცეცხლით გადამწვარი, გატუსული. *ნატუსალი ფერდობი.* 2. ხეები ნახანძრალ ტყეში. *ნატუსალის შეშა.*

**ნატუსაღარი** *ნატუსაღარის* ტუსაღად, პატიმრად ნამყოფი. *ნატუსაღარი კაცი.*

**ნატუსაღევი** *ნატუსაღევის*||ნატუსაღარი. *ნატუსაღევი ბევრს ფიქრობდა.*

**ნატუჩარი** *ნატუჩარის* რასაც ტუჩებით შეეხნენ. *სხვისი ნატუჩარი არ სიამოვნებს.*

**ნატყვევარი** *ნატყვევარის* ტყვედ ნამყოფი. *ნატყვევარი თავის ამბებს ჰყვებოდა.*

**ნატყვიარი** *ნატყვიარის* 1. ტყვიის მოხვედრის ადგილი. *ნატყვიარი მოურჩა.* 2. რასაც ტყვია მოხვდა. *ნატყვიარი ჩოხა.*

**ნაუკუღმართევი** *ნაუკუღმართევის* არაპატიოსანი, უკუღმართი გზებით შეძენილი. *ნაუკუღმართევი ქონება.*

**ნაურმალი** *ნაურმალის* ადგილი, სადაც ურემმა გაირა, ურმის ნაკვალევი. *ნაურმალი გზა.*

**ნაუცბადევი** *ნაუცბადევის* უცბად, ნაჩქარევად გაკეთებული, მიღებული. *ნაუცბადევი წვეულება.* ▲ **ნაუცბადევად** ზმნზ. უცბად, დაუგეგმავად, ნაჩქარევად. *ნაუცბადევად გადაწყვიტეს.* შეცდომაა ნაუცფათევი.

**ნაფაზი** *ნაფაზის* თამბაქოს ბოლის ღრმად ჩასუნთქვა და ამოსუნთქვა. *ნაფაზით ეწევა.* ◉ **ნაფაზს** დაარტყამს თამბაქოს ბოლს ღრმად ჩაისუნთქავს და ამოისუნთქავს.

**ნაფასური** *ნაფასურის* იგივეა, რაც საფასური.

**ნაფერდალი** *ნაფერდლის* მუცლის, ფერდების ქონი. *ღორის ნაფერდალი. ნაფერდლები ამოაცალა.*

**ნაფერი** *ნაფერის* დაფერილი, შეფერილი. *სისხლით ნაფერი დროშა.*

**ნაფეხური** *ნაფეხურის* ფეხის კვალი. *ადამიანის ნაფეხური. ძაღლის ნაფეხური.*

**ნაფთალინი** *ნაფთალინის* მძაფრი სუნის მქონე თეთრი კრისტალური ნივთიერება, გამოიყენება ტექნიკაში, აგრეთვე შალეულისა და ბეწვეულის ჩრჩილისგან დასაცავად. *ნაფთალინის ფხვნილი. ნაფთალინის სუნი.* შეცდომაა ნაფტალინი.

**ნაფიქრალი** *ნაფიქრალის* ფიქრის შედეგი, ნააზრევი. *ნაფიქრალი ქაღალდზე გადაიტანა. დიდი ხნის ნაფიქრალი.*

**ნაფიქრი**[1] *ნაფიქრის* იგივეა, რაც **ნაფიქრალი**. *წინასწარ ჰქონდა ნაფიქრი.*

**ნაფლეთი** *ნაფლეთის* მოფლეთილი ნაწილი, ნაგლეჯი. *ქაღალდის ნაფლეთი.*

**ნაფლეთ-ნაფლეთ** ზმნზ. ნაფლეთებად. *მატყლი ნაფლეთ-ნაფლეთ ეყარა.*

**ნაფლეთ-ნაფლეთი** *ნაფლეთ-ნაფლეთის* ნაფლეთებად ქცეული, დაფლეთილი. *ნაფლეთ-ნაფლეთი თეთრეული.*

**ნაფოტა** *ნაფოტას* თბილი მდინარეებისა და ფშანების პატარა ბრტყელი თევზი. *ნაფოტას ნემსკავით იჭერენ.*

**ნაფოტი** *ნაფოტის* ხიდან ათლილი თხელი ნაწილი. *ნაფოტები აკრიფა.*

**ნაფრენი** *ნაფრენის* 1. ფრენის ნაკვალევი. *ქორის ნაფრენი.* 2. გადატ. ნახტომი.

**ნაფუძარი** *ნაფუძრის* წინაპართა ნასახლარი; ადგილი, სადაც მამაპაპისეული სახლ-კარი იყო. *პაპის ნაფუძარზე.*

**ნაფშვენი** *ნაფშვენის* რაიმეს დაფშვნის შედეგად მიღებული მასა. *კლდის ნაფშვენი. პურის ნაფშვენები.*

**ნაფცქვენი** *ნაფცქვენის* ხილის ან ბოსტნეულის გაფცქვნისას მოცილებული კანი. *ვაშლის ნაფცქვენი.*

**ნაფხვენი** *ნაფხვენის* დაფხვნის შედეგად მიღებული მასა. *ცარცის ნაფხვენი.*

**ნაქადაგარი** *ნაქადაგარის* რაც იქადაგეს. *მოძღვრის ნაქადაგარი.*

**ნაქალაქარი** *ნაქალაქარის* ადგილი, სადაც ადრე ქალაქი იყო, ქალაქის ნანგრევები. *ნაქალაქარის გათხრები.*

**ნაქანდაკარი** *ნაქანდაკარის* იგივეა, რაც **ნაქანდაკები**. *ნაქანდაკარი ფიგურები.*

**ნაქანდაკები** *ნაქანდაკების* გამოქანდაკებული, რაც გამოაქანდაკეს. *დიდი ოსტატობით ნაქანდაკები.*

**ნაქანდაკევი** *ნაქანდაკევის* იგივეა, რაც **ნაქანდაკები**. *ძველი ნაქანდაკევი.*

**ნაქარგი** *ნაქარგის* ქარგვით შესრულებული გამოსახულება. *ნაქარგი აჩუქეს.*

**ნაქარგობა** *ნაქარგობის* მოქარგული ნივთი, რაც მოიქარგა. *ძველი ნაქარგობა.*

**ნაქარი** *ნაქარის* 1. ქარისგან ჩამოყრილი ხილი. *ნაქარი მსხლები. ნაქარი ვაშლი.* 2. ქარისგან მოტანილი, შეგროვებული (თოვლი, ქვიშა და მისთ.). *ორღობეები ნაქარს ამოევსო.*

**ნაქები** *ნაქების* ვინც ან რაც აქეს. *ნაქები თამადა. თქვენი ნაქები ფილმი.*

**ნაქი** *ნაქის* რბილი სასის წაგრძელებული ბოლო, რომელიც ყლაპვის დროს სასუნთქ მილს ფარავს. *შესიებული ნაქი.*

**ნაქმარები** *ნაქმარების* ვისაც ქმარი ჰყავდა, ქმართან გაცილებული. *სხვისი ნაქმარები მოიყვანა.*

**ნაქმრევი** *ნაქმრევის* ყოფილი ქმარი. *ქალის ნაქმრევი.*

**ნაქონი** *ნაქონის* რაც ჰქონდათ. *დედის ნაქონი ჩანთა.*

**ნაქორწილევი** *ნაქორწილევის*| |ნაქორწინევი.

**ნაქორწინევი** *ნაქორწინევის* ვინც იქორწინა, დაქორწინებული. *დიდი ხნის ნაქორწინევი იყო.*

**ნაქრთამევი** *ნაქრთამევის* ქრთამში აღებული (ფული). *ნაქრთამევი მალე გამოელია.*

**ნაქსოვი** *ნაქსოვის* მოქსოვილი. *ნაქსოვი კაბა. ნაქსოვი ფარდაგი.*

**ნაქურდალი** *ნაქურდლის* ქურდობით ნაშოვნი. *ნაქურდალი გაიყვეს. ნაქურდალი ნივთები.*

**ნაქუჩი** *ნაქუჩის* სიმინდის ტარო, რომელსაც მარცვლები აქვს გაცლილი. *ნაქუჩები ცალკე ეყარა.*

**ნაღარა** *ნაღარის* დასარტყამი საკრავი, შედგება თავზე ტყავგადაკრული ორი მოზრდილი (თიხის, სპილენძის, ხის ან მრგვალძირიანი ქვევრის ფორმის) ნაწილისგან, დასარტყამად იყენებენ მრგვალთავიან ჯოხებს. *დაფი და ნაღარა. ნაღარის ხმა.*

**ნაღდი** *ნაღდის* 1. ნამდვილად არსებული, ნამდვილად ნაქონი (თანხა). *ნაღდი ოთხასი ლარი გადაიხადა.* 2. საუბრ. უეჭველი, ნამდვილი. *ნაღდი კაცი. ნაღდი სიტყვა.* ▲ **ნაღდად** ზმნზ. საუბრ. ნამდვილად, უეჭველად. *ნაღდად მოვა?*

**ნაღები** *ნაღების* 1. რძის ზედაპირზე სქლად მოგდებული ცხიმი. *ნაღები მოხადა.* 2. გადატ. საუკეთესო ნაწილი. *ნაღები საზოგადოება.*

**ნაღვარევი** *ნაღვარევის* ადგილი, სადაც ღვარი მიდიოდა, ღვარის მშრალი კალაპოტი. *ნაღვარევს ჩაუყვნენ.*

**ნაღვარი** *ნაღვარის* ავდარში წამოსული ღვარისგან გათხრილი ფლატე, ღრმა რუ. *ნაღვარში ჩავარდა.*

**ნაღვაწი** *ნაღვაწის* 1. ვინც იშრომა, იღვაწა. *ნაღვაწი კაცი. ნაღვაწი ქალი.* 2. ღვაწლის შედეგი. *წინაპართა ნაღვაწი.*

**ნაღველა** *ნაღველას* იგივეა, რაც **ნაღველი** (1).

**ნაღველი** *ნაღლის* 1. მომწვანო-მოყვითალო ფერის სითხე, რომელსაც გამოიმუშავებს ღვიძლი. *ნაღლის გამოყოფა. ნაღველივით მწარეა.* 2. დარდი, სევდა. *ნაღველი მოეძალა.* ⊙ **ნაღვლის ბუშტი** ადამიანის ან ცხოველის ორგანო, რომელშიც გროვდება ნაღველი (1).

**ნაღვერდალი** *ნაღვერდლის* ერთად შეგროვილი ბევრი ნაკვერჩხალი. *ბუხარში ნაღვერდალი ღვიოდა.*

**ნაღვინარი** *ნაღვინარის*||**ნაღვინევი.**

**ნაღვინევი** *ნაღვინევის* 1. ვინც ღვინო დალია, ნაქეიფარი. *ნაღვინევს ფიქრი მოეძალა.* 2. რაშიც ღვინო ესხა. *ნაღვინევი დოქი.*

**ნაღვლიანი** *ნაღვლიანის* ვინც ნაღვლობს, ნაღვლით სავსე, დარდიანი. *ნაღვლიანი კაცი. ნაღვლიანი მზერა.*

**ნაღვლობა** *ნაღვლობის* (ნაღვლობს, ანაღვლებს, უნაღვლება) მძიმე დარდის, სევდის განცდა. *დედას ნაღვლობს. მარტოობა არ ანაღვლებს.*

**ნაღმი** *ნაღმის* საგანგებო დანიშნულების ასაფეთქებელი საშუალება, შედგება ფეთქებადი ნივთიერებისა და სარეაგირებელი მოწყობილობისგან, ფეთქდება ავტომატურად, ვიბრაციის ძალით ან მექანიკური ასაფეთქებელი მოწყობილობით, ჩვეულებრივ, გამოიყენება სამხედრო დანიშნულებით. *სახმელეთო ნაღმი. მცურავი ნაღმი. მანქანა ნაღმზე აფეთქდა.*

**ნაღმისებური** *ნაღმისებურის* ნაღმის მსგავსი. *ნაღმისებური ასაფეთქებელი მოწყობილობა.*

**ნაღმმტყორცნი** *ნაღმმტყორცნის* ნაღმის ჰაერში სასროლი გლუვლულიანი საარტილერიო იარაღი. *თვითმავალი ნაღმმტყორცნი.*

**ნაღმოსანი** *ნაღმოსნის* სამხედრო გემი, რომელზეც ნაღმმტყორცნებია დადგმული. *ნაღმოსანი ზღვაში შეცურდა.*

**ნაღმსატყორცნი** *ნაღმსატყორცნის* ტექნ. იგივეა, რაც **ნაღმმტყორცნი.**

**ნაღობარი** *ნაღობარის* 1. ადგილი, სადაც ღობე იყო. *ნაღობარი გადაიარა.* 2. რაც ღობედ იყო, ღობედ ნაქონი. *ნაღობარი ფიჩხი.*

**ნაღომარი** *ნაღომარის* ადგილი, სადაც ღომი ეთესა. *ნაღომარში საქონელი ძოვდა.*

**ნაღრანტი** *ნაღრანტის* ნაწვიმარი ღვარებისგან დაღარული ადგილი. *ნაღრანტი ფერდობი.*

**ნაღრძობი** *ნაღრძობის* რაც იღრძეს ან ეღრძოთ. *ნაღრძობი ხელი.*

**ნაყალბევი** *ნაყალბევის* ყალბად შესრულებული, გაყალბებული. *ნაყალბევი დოკუმენტი.*

**ნაყამირალი** *ნაყამირალის* პირველად მოხნული ადგილი. *ნაყამირალი ნაკვეთი. ნაყამირალში კარგი მოსავალი მოდის.*

**ნაყანევი** *ნაყანევის* ადგილი, სადაც ყანა იყო. *ცხენი ნაყანევში დააბა.*

**ნაყარი** *ნაყარის* 1. ძირს დაყრილი. *ნაყარი ვაშლი. ნაყარი ქვიშა.* 2. ხის ძირიდან ან გადაჭრილი ტოტიდან ახლად ამოყრილი ყლორტი. 3. ახლად გამოჩეკილი ფუტკარი. *ნაყარი გამოვიდა.*

**ნაყარნუყარი** *ნაყარნუყარის* უხარისხო, უბრალო, უვარგისი. *ნაყარნუყარი მსხალი. ნაყარნუყარი საჭმელი.*

**ნაყაჩაღარი** *ნაყაჩაღარის* 1. ყოფილი ყაჩაღი, ყაჩაღად ნამყოფი. *ნაყაჩაღარი შინ მობრუნდა.* 2. ყაჩაღობით შეძენილი. *ნაყაჩაღარი საქონელი.*

**ნაყაჩაღევი** *ნაყაჩაღევის*||**ნაყაჩაღარი** (2). *ნაყაჩაღევი არ შერჩა.*

**ნაყენი** *ნაყენის* 1. არაყში ან სპირტში ნადები ხილის, კენკრის ან სხვა მცენარის (პიტნის, ვარდის...) დაშაქრული წვენი. 2. ზოგიერთი (უპირატესად სამკურნალო) მცენარის წყალში ნამოდუღებით ან ხარშვით მიღებული სითხე. *გვირილის ნაყენი.*

**ნაყვა** *ნაყვის* (ნაყავს, უნაყავს, ინაყება) ↑ **დანაყვა.** *ნიგოზს ნაყავს.*

**ნაყვავილარი** *ნაყვავილარის* 1. ადგილი, სადაც ყვავილები (1) იყო. *ნაყვავილარი ფერდობი.* 2. ყვავილისგან (2) კანზე გაჩენილი წვრილი ღრმულები. *ნაყვავილარი ეტყობა.* 3. რასაც (ვისაც) ყვავილის (2) კვალი ემჩნევა. *ნაყვავილარი სახე.*

**ნაყვავილევი** *ნაყვავილევის*||**ნაყვავილარი** (3). *ნაყვავილევი ეტყობა.*

**ნაყიდი** *ნაყიდის* რაც იყიდეს. *ნაყიდი პროდუქტი.*

**ნაყინი** *ნაყინის* რძისგან, ნაღებისგან, სხვადასხვა ხილის წვენებისგან და მისთ. დამზადებული გაყინული ტკბილეული. *ყოლოს ნაყინი.*

ნაყინი

**ნაყოლი** *ნაყოლის* ვინც ჰყავდათ. *სხვისი ნაყოლი ცხენი.*

**ნაყოფი** *ნაყოფის* 1. მცენარის ნაწილი, რომელიც განაყოფიერების შედეგად ყვავილიდან ვითარდება. *მწიფე ნაყოფი.* 2. ადამიანის ან ძუძუმწოვრების ჩანასახი დედის მუცელში. *ნაყოფს კარგი მდებარეობა აქვს.* 3. რაიმე საქმის შედეგი. *შრომის ნაყოფი.*

**ნაყოფიერება** *ნაყოფიერების* 1. ნაყოფის მოცემის უნარი. *მიწის ნაყოფიერება.*

**ნაყოფიერი** *ნაყოფიერის* 1. მოსავლის მომცემი, ნოყიერი. *ნაყოფიერი ნიადაგი.* 2. შედეგის მომცემი, წარმატების მომტანი. *ნაყოფიერი შრომა.* ▲ **ნაყოფიერად ზმნზ.** შედეგიანად. *ნაყოფიერად იკვლევს.*

**ნაყროვანი** *ნაყროვნის* ბევრი ჭამა-სმის მოყვარული, ჭამით კმაყოფილი. *ნაყროვანი გამოხედვა. ნაყროვანი კაცი.*

**ნაშა** *ნაშის* ჟარგ. ახალგაზრდა ქალი; შეყვარებული. *მაგარი ნაშა შეაბა. ჩემმა ნაშამ მომაკითხა.*

**ნაშალი** *ნაშალის* დაშლის, დანგრევის შედეგად მიღებული. *ნაშალი მიწა. ნაშალი მასალა.*

**ნაშეგირდალი** *ნაშეგირდალის* ყოფილი შეგირდი. *ოქრომჭედლის ნაშეგირდალი.*

**ნაშენი** *ნაშენის* 1. რაც ააშენეს, აშენებული. *აგურით ნაშენი სახლი.* 2. პირუტყვის ნამატი. *ცხვრის ნაშენი.*

**ნაშენიანი** *ნაშენიანის* ადგილი, სადაც რაიმეა გაშენებული. *ნაშენიანი მინდვრები.*

**ნაშვილები** *ნაშვილების* შვილად აყვანილი, შვილობილი. *გოგო ჰყავს ნაშვილები.*

**ნაშვილევი** *ნაშვილევის* იგივეა, რაც **ნაშვილები**.

**ნაშთი** *ნაშთის* 1. ადრე არსებულის კვალი, ნარჩენი. *ცხოველების ნაშთები.* 2. მათ. რიცხვი, რომელიც რჩება, როდესაც ერთი რიცხვი მეორეზე ზუსტად არ იყოფა. *ნაშთი არის 5.*

**ნაშიერი** *ნაშიერის* 1. ცხოველის შვილი. *მგლის ნაშიერი.* 2. იგივეა, რაც შთამომავალი. *თავადთა ნაშიერი.*

**ნაშობევი** *ნაშობევის* ქრისტეს შობის დღესასწაულის შემდეგი დრო. ▲ **ნაშობევს ზმნზ.** შობის შემდეგ. *ნაშობევს არდადეგები მთავრდება.*

**ნაშოვნი** *ნაშოვნის* რაც იშოვეს. *ნაშოვნი ქონება. ძნელად ნაშოვნი ფული.*

**ნაშრომი** *ნაშრომის* 1. შრომით მოპოვებული, შექმნილი. *მრავალი წლის ნაშრომი.* 2. სამეცნიერო თხზულება, გამოკვლევა. *ფილოსოფიური ნაშრომი.*

**ნაჩვევი** *ნაჩვევის* 1. ვინც შეეჩვია. *მბრძანებლობას იყო ნაჩვევი.* 2. რასაც შეეჩვივნენ, ნაცადი, გამოცდილი. *ნაჩვევი გზა.*

**ნაჩვრეტი** *ნაჩვრეტის* ოდნავ წვრილი ნახვრეტი. *სახე ზე ნაჩვრეტები ემჩნევა.*

**ნაჩინჩხალი** *ნაჩინჩხლის* ცეცხლის მსხვილი ნაპერწკლები, როცა მუგუზლებს შეუჩიჩხინებენ. *ნაჩინჩხლები სცვივა.*

**ნაჩლიქარი** *ნაჩლიქარის* ჩლიქოსანი პირუტყვის ნაკვალევი. *ცხენის ნაჩლიქარი. ხარის ნაჩლიქარი.*

**ნაჩუმათევი** *ნაჩუმათევის* ჩუმად, საიდუმლოდ გაკეთებული. *ნაჩუმათევი მოქმედება.* ▲ **ნაჩუმათევად ზმნზ.** ჩუმად, სხვებისთვის შეუმჩნევლად. *ნაჩუმათევად გავიდა სახლიდან.*

**ნაჩქარევი** *ნაჩქარევის* საჩქაროდ, სახელდახელოდ გაკეთებული. *ნაჩქარევი დასკვნები. ნაჩქარევი გადაწყვეტილება.* ▲ **ნაჩქარევად ზმნზ.** საჩქაროდ, სახელდახელოდ. *ნაჩქარევად მომზადებული გადაცემა.*

**ნაჩხუბარი** *ნაჩხუბარის* ვინც იჩხუბა. *ნაჩხუბარი ძმები. ნაჩხუბარი მამალი.*

**ნაცადი** *ნაცადის* რაც გამოსცადეს, გამოცდილი. *ნაცადი იარაღი.*

**ნაცარი** *ნაცრის* წვის შედეგად დარჩენილი რუხი ფერის მტვრისებური მასა. *ნაცრის გროვა.* ◉ **თვალში ნაცარს აყრის აშკარად ატყუებს.**

**ნაცარტუტა** *ნაცარტუტის* წყალში მოდუღებული ნაცარი, გამოიყენება სარეცხ საშუალებად. ◉ **ნაცარტუტად იქცევა** მთლიანად განადგურება, მოსპობა.

**ნაცარქათამა** *ნაცარქათამას* ერთწლოვანი სარეველა ბალახოვანი მცენარე, აქვს მონაცრისფრო ფოთლები და ძალიან წვრილი ყვავილები, ფოთლები იხმარება მხლად.

**ნაცემი** *ნაცემის* ვინც ან რაც სცემეს. *ნაცემი ძალლი.*

**ნაცვალი** *ნაცვლის* 1. სამაგიერო, მონაცვალე. 2. ძვ. სოფლის მოხელე, მამასახლისის თანაშემწე. *ნაცვალმა ჩამოიარა და გადასახადი აკრიბა.*

**ნაცვალსახელი** *ნაცვალსახელის* გრამატ. მეტყველების ნაწილი, რომელიც მიუთითებს საგანზე ან მის თვისებაზე, წინადადებაში უმთავრესად გამოიყენება არსებითის, ზედსართავის ან რიცხვითი სახელის ნაცვლად. *პირის ნაცვალსახელი. ჩვენებითი ნაცვალსახელი.*

**ნაცვლად ზმნზ.** (+ ნათ.) მაგივრად, სამაგიეროდ. *ნუგეშის ნაცვლად. ძმის ნაცვლად წავიდა.*

**ნაციზმი** *ნაციზმის* გერმანული ფაშიზმი. *ნაციზმის პერიოდი.*

**ნაციონალიზაცია** *ნაციონალიზაციის* კერძო საკუთრების, უძრავი ქონების სახელმწიფოსთვის გადაცემა. *ტრანსპორტის ნაციონალიზაცია. მიწის ნაციონალიზაცია.*

**ნაციონალიზებული** *ნაციონალიზებულის* განსახელმწიფოებრივებული, სახელმწიფო საკუთრებად ქცეული. *ნაციონალიზებული საწარმო.*

**ნაციონალიზმი** *ნაციონალიზმის* 1. საკუთარი ეროვნების გამო განსაკუთრებულობის შეგრძნება და სხვებთან უპირატესობის ქადაგება. *ნაციონალიზმი ახასიათებს.* 2. სახალხო პოლიტიკური მოძრაობა დაპყრობილ ქვეყნებში ეროვნული დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად. *ნაციონალიზმი აერთიანებს.*

**ნაციონალისტური** *ნაციონალისტურის* ნაციონალიზმთან დაკავშირებული, ნაციონალიზმისთვის დამახასიათებელი. *ნაციონალისტური მოძრაობა. ნაციონალისტური იდეები.*

**ნაციონალური** *ნაციონალურის* იგივეა, რაც ეროვნული. *ნაციონალური საკითხი.*

**ნაცისტური** *ნაცისტურის* ნაციზმისთვის დამახასიათებელი. *ნაცისტური იდეები.*

**ნაციხარი** *ნაციხარის* ციხეში, პატიმრობაში ნამყოფი. *ნაციხარი კაცი.*

**ნაცნობი** *ნაცნობის* ვისაც ან რასაც იცნობენ. *ნაცნობი კაცი. ნაცნობი გარემო. ნაცნობი გრძნობა.*

**ნაცნობობა** *ნაცნობობის* 1. ვინმეს ცნობა, ვინმესთან ურთიერთობა. *ძველი ნაცნობობა გაიხსენეს.* 2. ნაცნობების წრე. *საერთო ნაცნობობა ჰყავთ. მთელი ნაცნობობა შეკრიბა.*

**ნაცოდვილარი** *ნაცოდვილარის* დიდი გაჭირვებით, ცოდვილობით გაკეთებული, შექმნილი, შეძენილი. *ნაცოდვილარი ქონება. ნაცოდვილარი სახლ-კარი.*

**ნაცოლარი** *ნაცოლარის* ქალი, რომელიც ვინმეს ცოლი იყო. *მეგობრის ნაცოლარი.*

**ნაცრემლი** *ნაცრემლის* ცრემლის ნაკვალევი, ცრემლით დასველებული. *ნაცრემლი სახე.*

**ნაცრისფერი** *ნაცრისფრის* რაც ფერით ნაცარს ჰგავს. *ნაცრისფერი კაბა. ნაცრისფერი კედელი.*

**ნაცხავები** *ნაცხავების* ცხავით გაწმენდილი, დასუფთავებული (მარცვლეული). *ნაცხავები ხორბალი.*

**ნაცხი** *ნაცხის* ორგანიზმიდან აღებული თხევადი გამონაყოფი, რომელსაც ბაქტერიოლოგიურად იკვლევენ. *ნაცხის აღება. ნაცხის ანალიზი.*

**ნაძალადევი** *ნაძალადევის* 1. ძალით, ძალადობით მოპოვებული, მიღებული. *ნაძალადევი ქონება.* 2. ძალდატანებით გამოწვეული, უნდომელი, არაბუნებრივი. *ნაძალადევი ქორწინება.* ▲ **ნაძალადევად ზმნზ.** ძალით, საკუთარი სურვილის საწინააღმდეგოდ. *ნაძალადევად ილიმის.*

**ნაძარცვი** *ნაძარცვის* ძარცვით, ყაჩაღობით ნაშოვნი. *ნაძარცვი ნივთები. ნაძარცვი ოქროული.*

**ნაძერწი** *ნაძერწის* ძერწვით შექმნილი, გამოძერწილი. *ნაძერწი ფიგურები. თიხით ნაძერწი.*

ნაძვი

**ნაძვი** *ნაძვის* წიწვოვანი ხე, აქვს ნახნაგოვანი წიწვები და მოგრძო გირჩები, მერქანს იყენებენ სამშენებლო მასალად და მუსიკალური საკრავების დასამზადებლად. ⊙ **საახალწლო ნაძვის ხე** ახალი წლისთვის საზეიმოდ მორთული ნაძვი.

**ნაძვნარი** *ნაძვნარის* ნაძვის ხეებით დაფარული ვრცელი ადგილი. *გზა ნაძვნარს მიუყვებოდა.*

**ნაძირალა** *ნაძირალას, ნაძირალები* 1. დანალექი, ძირში დარჩენილი, უვარგისი. *ნაძირალა ღვინო. ლუდის ნაძირალა.* 2. ლანძღ. გადატ. ყოვლად ცუდი, ამორალური, უზნეო, სოციალურად ყველაზე მდაბიო. *ნაძირალა პიროვნება. ეს ნაძირალა რამდენს ბედავს!*

**ნაძირალი** *ნაძირალის* იგივეა, რაც **ნაძირალა** (1). *ნაძირალი ხაჭო.*

**ნაძრახი** *ნაძრახის* გალანძღული, გაკიცხული, შერცხვენილი. *ნაძრახი ქალი.*

**ნაძღვენი** *ნაძღვნის*||**ნაძღვნევი.**

**ნაძღვნევი** *ნაძღვნევის* საჩუქრად, ძღვნად მიტანილი, ნაჩუქარი. *ნაძღვნევი სამკაული. მეფის მიერ ნაძღვნევი.*

**ნაწამები** *ნაწამების* 1. ვინც ტანჯეს, აწამეს. *ნაწამები პატიმარი. ნაწამები ტყვეები.* 2. რასაც წამების კვალი აჩნია. *ნაწამები სახე. ნაწამები გამოხედვა. ნაწამები იერი.*

**ნაწარმი** *ნაწარმის* წარმოების, გადამუშავების შედეგად შექმნილი საქონელი (3), ნივთი, საკვები და მისთ. *საკონდიტრო ნაწარმი. რძის ნაწარმი. საიუველირო ნაწარმი.*

**ნაწარმოები** *ნაწარმოების* მხატვრული შემოქმედების ნაყოფი. *მუსიკალური ნაწარმოები. ლიტერატურული ნაწარმოები.*

**ნაწერი** *ნაწერის* 1. რაც დაწერეს, დაწერილი. *ხელით ნაწერი. ფანქრით ნაწერი.* 2. იგივეა, რაც კალიგრაფია. *ლამაზი ნაწერი აქვს.*

**ნაწვალები** *ნაწვალების* 1. ვინც ან რაც აწვალეს, ტანჯეს. *ნაწვალები ცხენი. ნაწვალები ხარები.* 2. მძიმე შრომის, ტანჯვის შედეგად გაკეთებული, მოპოვებული. *ნაწვალები ქონება გაანიავეს.*

**ნაწვეთი** *ნაწვეთის* წვეთებად ჩამოსული, წვეთი. *წყლის ნაწვეთი.*

**ნაწველი** *ნაწველის* მოწველის შედეგად მიღებული. *ძროხამ ნაწველი დააქცია.*

**ნაწვერალი** *ნაწვერალის* 1. მომკილი ყანისგან დარჩენილი ნაშთი, ნამჯა. 2. მინდორი, რომელზეც ჯერ კიდევ არის მომკილი პურეულის ნაშთი. *ნაწვერალზე დათესეს.*

**ნაწვიმარი** *ნაწვიმრის* 1. დრო, როცა წვიმამ გადაიღო. *ახალი ნაწვიმარი იყო. ნაწვიმარზე მზემ გამოიხედა.* 2. წვიმით დასველებული, რასაც წვიმა დაედინა. *ნაწვიმარი ველ-მინდვრები. ნაწვიმარი ჯეჯილი.* 3. წვიმისგან გაჩენილი. *ნაწვიმარი ნაკადულები.*

**ნაწვიმი** *ნაწვიმის* იგივეა, რაც **ნაწვიმარი** (2). *ნაწვიმი ხილი. ნაწვიმი თივა.*

**ნაწვნევი** *ნაწვნევის* რაც იწვნიეს. *ბევრი მარცხი აქვს ნაწვნევი.*

**ნაწიბური** *ნაწიბურის* 1. ნაპირი, კიდე. *კაბის ნაწიბური.* 2. ჭრილობის მორჩენის შედეგად სხეულზე დარჩენილი ზოლი, კვალი. *ლოყაზე ნაწიბურები ემჩნევა.*

**ნაწილაკი** *ნაწილაკის* 1. რაიმეს ძალიან პატარა (ჩვეულებრივ, უხილავი) ნაწილი. *მტვრის ნაწილაკები.* 2. გრამატ. დამოუკიდებელ მნიშვნელობას მოკლებული სიტყვა, ბგერა ან ბგერათა კომპლექსი, რომელიც დაერთვის წინადადების წევრს ან მთელ წინადადებას და სხვადასხვა ელფერი შეაქვს მის მნიშვნელობაში.

**ნაწილი** *ნაწილის* 1. მთლიანობის, ერთიანი სისტე-

მის შემადგენელი ერთეული, რომლის ცალკე გამოყოფაც შესაძლებელია. *სხეულის ნაწილები.* 2. ორგანიზაციის, დაწესებულებისა და მისთ. სტრუქტურული ერთეული. *სამეცნიერო ნაწილი. სატანკო ნაწილი.* 3. ნაწარმოების, თხზულების შემადგენელი ერთეული, დასრულებული მონაკვეთი. *წიგნი სამი ნაწილისგან შედგება. პირველი ნაწილი დღეს წავიკითხე.*

**ნაწილ-ნაწილ** ზმნზ. ცალ-ცალკე, ცალკე ნაწილებად. *ფული ნაწილ-ნაწილ დამიბრუნა.*

**ნაწილობრივ** ზმნზ. არასრულად, არამთლიანად. *ვარაუდი ნაწილობრივ გამართლდა. ნაწილობრივ იღებს მონაწილეობას.*

**ნაწილობრივი** *ნაწილობრივის* არამთლიანი, არასრული. *ნაწილობრივი ცვლილებები. ნაწილობრივი დაფინანსება.*

**ნაწინასწარმეტყველევი** *ნაწინასწარმეტყველევის* რაც ინინასწარმეტყველეს. *მოხუცის ნაწინასწარმეტყველევი აუხდა.*

**ნაწლავი** *ნაწლავის* საჭმლის მომნელებელი ორგანო, რბილი, ელასტიკური, გრძელი და ხვეული მილი მუცლის ღრუში. *წვრილი ნაწლავი. მსხვილი ნაწლავი.*

**ნაწნავი** *ნაწნავის* დაწნული თმა. *გრძელი ნაწნავი. ოქროსფერი ნაწნავები.*

**ნაწოლი** *ნაწოლის* 1. ადგილი, სადაც ვიღაც იწვა. *კაცის ნაწოლი ლოგინი. დათვის ნაწოლი.* 2. ვინც იწვა. *აივანზე ბევრჯერ ვარ ნაწოლი.* 3. (ძირითადად მრ.) ავადმყოფის კანზე დიდი ხნის წოლით გაჩენილი წყლული. *ნაწოლები გაუჩნდა. ნაწოლები მოურჩა.*

**ნაწყალობევი** *ნაწყალობევის* რაც უწყალობეს, წყალობის სახით მისცეს, ნაბოძები. *ნაწყალობევი სარჩო. ნაწყალობევი პირუტყვი.*

**ნაწყენი** *ნაწყენის* 1. ვისაც ეწყინა, გაჯავრებული, გულდაწყვეტილი. *მშობლებზე ნაწყენი. ნაწყენი მეგობარი.* 2. რასაც წყენა ემჩნევა, წყენის გამომხატველი. *ნაწყენი იერი.*

**ნაწყვეტი** *ნაწყვეტის* 1. ნაწილი, რომელიც მოსწყდა ან მოსწყვიტეს მთელს, ჩვეულებრივ, მცირე ზომისა. *ძაფის ნაწყვეტი. თოკის ნაწყვეტი.* 2. ნაწარმოებიდან, ფილმიდან და მისთ. ამოღებული ნაწილი. *პიესის ნაწყვეტი. ფილმის ნაწყვეტი. სტატიის ნაწყვეტი.*

**ნაწყვეტ-ნაწყვეტ** ზმნზ. ნაწყვეტების, პატარ-პატარა ნაწილების სახით. *ნაწყვეტ-ნაწყვეტ საუბარი.*

**ნაწყვეტ-ნაწყვეტი** *ნაწყვეტ-ნაწყვეტის* ნაწყვეტების, პატარ-პატარა ნაწილების სახით არსებული. *ნაწყვეტ-ნაწყვეტი ღრუბელი.* ▲ **ნაწყვეტ-ნაწყვეტად** ზმნზ. იგივეა, რაც ნაწყვეტ-ნაწყვეტ. *ხმა ნაწყვეტ-ნაწყვეტად ისმოდა.*

**ნაჭამი** *ნაჭამის* 1. რაც ჭამეს ან ნაწილობრივ არის შეჭმული. *ჭიის ნაჭამი ვაშლი.* 2. ვინც ან რამაც ჭამა. *ნაჭამი გახლავართ.*

**ნაჭაობარი** *ნაჭაობრის* სადაც ადრე ჭაობი იყო. *ნაჭაობარი ადგილები. ნაჭაობარზე სიმინდი თესია.*

**ნაჭარბი** *ნაჭარბის* ზედმეტი, მოჭარბებული. *ნაჭარბი პროდუქტი. მოსავლის ნაჭარბი.*

**ნაჭდევი** *ნაჭდევის* ბასრი იარაღით ხეზე ან ლითონზე ამოკვეთილი რაიმე ნიშანი, სახე და მისთ. *ხანჯალს ნაჭდევები აქვს.*

**ნაჭერი** *ნაჭრის* 1. მთელიდან მოჭრილი პატარა ნაწილი. *პურის ნაჭერი. ძეხვის ნაჭერი.* 2. იგივეა, რაც ქსოვილი. *ფერადი ნაჭრები.*

**ნაჭერ-ნაჭერ** ზმნზ. ნაჭრებად, ნაჭრების სახით. *ტორტი ნაჭერ-ნაჭერ ჩამოურიგეს.*

**ნაჭირნახულევი** *ნაჭირნახულევის* 1. დიდი შრომის, გარჯის შედეგად მიღებული, მოპოვებული. *მთელი წლის ნაჭირნახულევი.* 2. ვინც ბევრი იშრომა, იღვაწა, გაისარჯა. *ქვეყნისთვის ნაჭირნახულევი კაცია.*

**ნაჭრილობევი** *ნაჭრილობევის* ჭრილობის მორჩენის მერე დარჩენილი კვალი. *ნაჭრილობევი გაუმი ზე ზდა.*

**ნაჭუჭი** *ნაჭუჭის* რბილი ან თხევადი შიგთავსის მაგარი გარსი. *კაკლის ნაჭუჭი. კვერცხის ნაჭუჭი.*

**ნახადი** *ნახადის* 1. რაც გამოხადეს, გამოხდილი. *შინ ნახადი არაყი.* 2. გამოხდის შემდეგ დარჩენილი მასა, ნარჩენი. *ლუდის ნახადი.*

**ნახაზი** *ნახაზის* რაიმე ობიექტის გეგმა, გამოსახული ხაზებითა და კონტურებით. *რთული ნახაზი. დეტალის ნახაზი.*

**ნახანჯლარი** *ნახანჯლარის* ხანჯლით გამოწვეული ჭრილობა ან ჭრილობის კვალი. *ნახანჯლარები მოურჩა.*

**ნახარები** *ნახარების* რამაც გაიხარა, ზრდა დაიწყო. *ნახარები ატმები.*

**ნახარში** *ნახარშის* წვენი, რომელშიც რაიმე პროდუქტი მოიხარშა. *ხორცის ნახარში. ბოსტნეულის ნახარში.*

**ნახატი** *ნახატის* 1. მხატვრის შემოქმედების ნაყოფი, მხატვრობის ნიმუში. *ცნობილი ნახატი. ნახატების გამოფენა.* 2. რაც დახატეს. *ფანქრით ნახატი.* ⊙ **კალმით ნახატი** ძალიან ლამაზი, მშვენიერი.

**ნახედნი** *ნახედნის* რაც გახედნეს, გახედნილი. *ნახედნი ცხენი. ნახედნი ჯორი. ცხენი ნახედნი ჯობია.*

**ნახევარდა** *ნახევარდის* და თავისი და-ძმებისთვის, როდესაც მათ მხოლოდ ერთი საერთო მშობელი ჰყავთ.

**ნახევარი** *ნახევრის* შუაზე გაყოფილი მთელის ერთი ნაწილი. *ნახევარი ტომარა. ნახევარი დღე.*

**ნახევარკუნძული** *ნახევარკუნძულის* ხმელეთის ნანილი, რომელსაც სამი მხრიდან წყალი აკრავს. *ნახევარკუნძული წყლით დაიფარა. ბალკანეთის ნახევარკუნძული.*

ნახევარკუნძული

**ნახევარმთვარე** *ნახევარმთვარის* ნაწილობრივ შევსებული მთვარე, ნახევარწრის ფორმისა. *ცაზე ნახევარმთვარე გამოჩნდა.*

**ნახევარსაუკუნოვანი** *ნახევარსაუკუნოვანის* რაც ნახევარი საუკუნე გრძელდება, ასაკით ნახევარი საუკუნისა. *ნახევარსაუკუნოვანი ჭადრები. ნახევარსაუკუნოვანი ისტორია.*

**ნახევარსფერო** *ნახევარსფეროს* 1. სფეროს ან სფეროს მსგავსი საგნის ნახევარი. *თავის ტვინის მარცხენა ნახევარსფერო.* 2. პლანეტის სფეროს ნახევარი ნანილი. *დედამიწის სამხრეთი ნახევარსფერო. მარსის ნახევარსფერო.*

**ნახევარფაბრიკატი** *ნახევარფაბრიკატის* ნახევრად დამუშავებული საკვები პროდუქტი, რომელსაც საბოლოო სახის მიღებამდე კიდევ სჭირდება მომზადება. *ნახევარფაბრიკატებს იყენებს.*

**ნახევარფინალი** *ნახევარფინალის* სპორტული შეჯიბრება, რომლის შედეგად გადაწყდება, თუ ვინ ითამაშებს ფინალში. *ნაკრებმა ნახევარფინალში მოიგო.*

**ნახევარძმა** *ნახევარძმის* ძმა თავისი და-ძმებისთვის, როდესაც მათ მხოლოდ ერთი საერთო მშობელი ჰყავთ.

**ნახევარწრე** *ნახევარწრის* წრის ნახევარი ნანილი. *ნახევარწრე შემოხაზა.*

**ნახევი** *ნახევის* რაიმესგან მოხეული პატარა ნანილი. *კაბის ნახევი. ქაღალდის ნახევი.*

**ნახელავი** *ნახელავის* ხელით გაკეთებული, შექმნილი, მომზადებული რამ. *ვისი ნახელავია? პატარების ნახელავი.*

**ნახერხი** *ნახერხის* 1. ხის გახერხვის შედეგად დარჩენილი ფხვიერი მასა. *ნახერხი კარგად იწვის.* 2. რაც გახერხეს. *ნახერხი მორი.*

**ნახვა** *ნახვის* (ნახავს, ანახვებს, ენახვება) 1. თვალით აღქმა, დანახვა. *ბავშვმა ზღვა პირველად ნახა.* 2. ვინმესთან შეხვედრა ან ვინმეს სანახავად მისვლა. *დიდი ხანია არ მინახავს. გუშინ საღამოს ვნახე.* 3. გადატ. ცდა, სინჯვა. *ვნახოთ, რა გამოვა. ნახე, იქნებ გააკეთო.*

**ნახვამდის** სიტყვა, რომლითაც ერთმანეთს ემშვიდობებიან.

**ნახვევი** *ნახვევის* დაზიანებულ სხეულის ნაწილზე (ჭრილობაზე, დამწვარ ადგილზე.) შემოხვეული ბინტი, მარლა და მისთ. *მჭიდრო ნახვევი. ნახვევი დაადო.*

**ნახველი** *ნახველის* ხველის შედეგად ფილტვებიდან და ბრონქებიდან გამოყოფილი ლორწო. *სისხლიანი ნახველი.*

**ნახვრეტი** *ნახვრეტის* საგნის ან სიბრტყის გახვრეტით გაკეთებული პატარა ხვრელი. *ნახვრეტიდან სითხე იღვრებოდა.* ■ **ნახვრეტ[ებ]იანი** რასაც ნახვრეტ[ებ]ი აქვს. *ნახვრეტებიანი კედელი.*

**ნახირი** *ნახირის* მსხვილფეხა რქოსანი საქონლის ჯოგი. *სოფლის ნახირი.*

**ნახმარი** *ნახმარის* რაც იხმარეს, ძველი, არაახალი. *ნახმარი ფეხსაცმელი.*

**ნახმლევი** *ნახმლევის* ხმლით მიყენებული ჭრილობა ან ჭრილობის კვალი. *სახე ზე ნახმლევი ეტყობოდა.*

**ნახნავი** *ნახნავის* მოხნული მინა. *ნახნავში ქათმები შევიდნენ.*

**ნახტომი** *ნახტომის* 1. მანძილი, რომელიც ვინმეს (რაიმეს) ერთი გადახტომით გაიზომება. *გრძელი ნახტომი. ნახტომი გააკეთა. ძაღლის ნახტომი.* 2. გადატ. სწრაფი, ერთბაშად მომხდარი ცვლილება რაიმეს მიმდინარეობის, განვითარების პროცესში. *ნახტომი ფიზიკაში.*

**ნახშირბადი** *ნახშირბადის* უმნიშვნელოვანესი ქიმიური ელემენტი ორგანული ნივთიერების შემადგენლობაში. *ნახშირბადის შემცველობა.*

**ნახშირი** *ნახშირის* 1. ხის დაწვის ნაშთი ნაცრად ქცევამდე. *ნახშირად იქცა.* 2. იგივეა, რაც ქვანახშირი. *ნახშირის საბადო. ნახშირის მოპოვება.*

**ნახშირჟანგი** *ნახშირჟანგის* უსუნო, უფერული მხუთავი აირი, ნახშირბადის ჟანგბადთან ნაერთი. *ნახშირჟანგით მოწამვლა.*

**ნახშირწყლები** *ნახშირწყლების* ორგანულ ნაერთთა ჯგუფი, რომელიც ყველა ცოცხალი ორგანიზმის შემადგენლობაშია.

**ნაჯაფი** *ნაჯაფის* 1. ვინც ძალიან ბევრი იშრომა. *ნაჯაფი კაცი.* 2. დიდი შრომის, ჯაფის გზით მოპოვებული (ქონება). *მთელი ნაჯაფი დაკარგა.*

ნაჯახი



**ნაჯახი** *ნაჯახის* ხელის სამუშაო იარაღი, რომელსაც აქვს ხის ტარი და რკინის სქელი, გალესილი პირი. იყენებენ შეშის, ტყის საჭრელად, საჩეხად. *შეშა ნაჯახით დაჩეხეს. პატარა ნაჯახი.*

**ნაჯერი** *ნაჯერის* რაშიც მაქსიმალური დოზით არის გახსნილი რაიმე ნივთიერება. *მარილის ნაჯერი. ნაჯერი ხსნარი.*

**ნაჯვარი** *ნაჯვარის* სხვადასხვა ჯიშის შეჯვარებით მიღებული ახალი ჯიში. *ნაჯვარი პირუტყვი. ნაჯვარი ხორბალი.*

**ნაჯღაბნი** *ნაჯღაბნის* ცუდად, დაუდევრად ნაწერი, დაჯღაბნილი. *ნაჯღაბნი ფურცელი.*

**ნაჯღანი** *ნაჯღანის* ცუდად, დაუდევრად ნაკერი, ნაკეთები. *ნაჯღანი წინდები.*

**ნგრევა** *ნგრევის* (ანგრევს, უნგრევს, ინგრევა, ენგრევა, ანგრევინებს) ↑ **დანგრევა**. *სახლი ინგრევა.*

**ნდობა** *ნდობის* (ანდობს, ინდობს, ენდობა) ვინმეს გულწრფელობის, პატიოსნების, სიმართლის დაჯერება, იმედის ქონა. *ნდობა გამოუცხადა. არავის ენდობა. მეგობარს ენდო.*

**ნდომა** *ნდომის* (უნდა) რაიმე სურვილის, მოთხოვნილების, განზრახვის ქონა. *წასვლა უნდა. ჩაი უნდოდა.*

**ნება** *ნების* (ნებავს) 1. საკუთარი სურვილის შესაბამისად მოქმედების უფლება. *ნება დართეს.* 2. პატივისც. სურვილი, ნდომა. *რა გნებავთ? თუ გნებავთ, მოვიტან.*

**ნებადართული** *ნებადართულის* რის უფლებაც აქვთ, რაც დასაშვებია. *ნებადართული საქმიანობა.*

**ნება-ნება** ზმნზ. ნელა, აუჩქარებლად, წყნარად, მშვიდად. *ნება-ნება მიდის. ნება-ნება საუბარი.*

**ნებართვა** *ნებართვის* სიტყვიერი დასტური ან წერილობითი დოკუმენტი რაიმეს ფლობის ან გარკვეული საქმიანობის უფლების შესახებ, იღებენ კერძო პირისგან ან ოფიციალური ორგანოსგან. *ნებართვის აღება. წასვლის ნებართვა. მშენებლობის ნებართვა.*

**ნება-სურვილი** *ნება-სურვილის* იგივეა, რაც **ნება** (2). *მის ნება-სურვილზეა დამოკიდებული.*

**ნებაყოფლობით** ზმნზ. თავისი ნებით, ყოველგვარი ძალდატანების გარეშე. *ნებაყოფლობით ჩაბარდა.*

**ნებაყოფლობითი** *ნებაყოფლობითის* ძალდატანების გარეშე შესრულებული, სურვილის შესაბამისი. *ნაბაყოფლობითი სამუშაო.*

**ნები** *ნების* იგივეა, რაც ხელისგული. *ნები ექავება.*

**ნებიერი** *ნებიერის* 1. მეტისმეტი მზრუნველობით გაზრდილი, უზრუნველად ნაცხოვრები. *ნებიერი შვილი. დედის ნებიერი.* 2. ლაღი, უზრუნველი. *ნებიერი ბუნება. ნებიერი ხასიათი. ნებიერი ცხოვრება.*

**ნებივრობა** *ნებივრობის* (ნებივრობს) სიამოვნებაში, განცხრომაში ყოფნა. *აბა ზანაში ნებივრობს. მზეზე ნებივრობს.*

**ნებისმიერი** *ნებისმიერის* ყველადან რომელიმე, რომელსაც აირჩევენ; სულ ერთია, რომელი. *ნებისმიერი ნივთი. ნებისმიერი მოსწავლე. ნებისმიერი საქციელი.*

**ნებისყოფა** *ნებისყოფის* მიზნის მისაღწევად დაბრკოლების გადალახვის უნარი. *მტკიცე ნებისყოფა. ნებისყოფამ ულალატა.* ■ **ნებისყოფიანი** ვისაც ნებისყოფა აქვს. *ნებისყოფიანი ადამიანი.*

**ნებსით** ⊙ **ნებსით თუ უნებლიეთ** წიგნ. თავისი ნებით ან უნებურად, შემთხვევით.

**ნეგატივი** *ნეგატივის* გამოსახულება შუქმგრძნობიარე ფირფიტაზე ან ფირზე, რომელზეც ნათელი ადგილები შავადაა აღბეჭდილი, ხოლო ბნელი - თეთრად. *ნეგატივის გამჟღავნება.*

**ნეგატიური** *ნეგატიურის* ცუდი, უარყოფითი, არადადებითი. *ნეგატიური მოვლენები. ნეგატიური პასუხი.* ↔ **პოზიტიური**.

**ნეგო** *ნეგოს* იგივეა, რაც უკვდავა. *ნეგოს ნაყენი.*

**ნედლეული** *ნედლეულის* დაუმუშავებელი მასალა, რომელიც საჭიროა რაიმეს დასამზადებლად, პროდუქციის შესაქმნელად. *საკვები ნედლეული. ნედლეულის მოპოვება.*

**ნედლი** *ნედლის* 1. რაც გამომშრალი არ არის, ტენს შეიცავს. *ნედლი შეშა. ნედლი ბალახი.* 2. ზოგიერთი მცენარის ახალშემოსული ნაყოფი. *ნედლი ტარო. ნედლი ლობიო.*

**ნევრასთენიული** მედიც. *ნევრასთენიულის* აგზნებული, ნერვული. *ნევრასთენიული მდგომარეობა.*

**ნევროზი** *ნევროზის* ნერვული სისტემის დაავადება, რომლისთვისაც დამახასიათებელია შფოთვა, ნერვული აშლილობა და მისთ. *ნევროზი გაუმწვავდა.* შეცდომაა ნერვოზი.

**ნევროლოგი** *ნევროლოგის* ნევროლოგიის სპეციალისტი. *გამოცდილი ნევროლოგი.*

**ნევროლოგია** *ნევროლოგიის* მედიცინის დარგი, რომელიც შეისწავლის ნერვულ სისტემასა და მის დაავადებებს. ■ **ნევროლოგიური** ნევროლოგიასთან დაკავშირებული. *ნევროლოგიური კლინიკა.*

**ნეზვი** *ნეზვის* დედალი ღორი. *ნეზვს თორმეტი ძუძუ აქვს.*

**ნეილონი** *ნეილონის* სინთეზური ბოჭკო, ამ ბოჭკოს ქსოვილი. *ნეილონის პერანგი.*

**ნეიტრალიზაცია** *ნეიტრალიზაციის* რაიმეს ზემოქმედების, გავლენის გაბათილება, განეიტრალება. *საფრთხის ნეიტრალიზაცია.*

**ნეიტრალიზება** *ნეიტრალიზების* იგივეა, რაც **განეიტრალება**. *მტრის ნეიტრალიზებას ცდილობენ.*

**ნეიტრალიზებული** *ნეიტრალიზებულის* რის ნეიტრალიზებაც განხორციელდა. *ნეიტრალიზებული ტერორისტი.*

**ნეიტრალიტეტი** *ნეიტრალიტეტის* საერთაშორისო სამართლებრივი ვითარება სახელმწიფოსი, რომელიც სხვა სახელმწიფოებს შორის წარმოებულ ომში არ ერევა და თითოეულ მათგანთან ინარჩუნებს მშვიდობიან დამოკიდებულებას. *ნეიტრალიტეტი გამოაცხადეს.*

**ნეიტრალური** *ნეიტრალურის* რაზეც ნეიტრალიტეტი ვრცელდება, ნეიტრალიტეტის დამცველი. *ნეიტრალური ტერიტორია. ნეიტრალური სახელმწიფო.*

**ნეკერი** *ნეკერის* ხის ნორჩი ტოტები, რომლებიც გამოიყენება საქონლის საკეებად. *თხა ნეკერს კორტნის.*

**ნეკერჩხალი** *ნეკერჩხლის* ფოთლოვანი ხე, აქვს სამ-ხუთნაკვთიანი ფოთლები, ორფრთიანი ნაყოფი და მკვრივი და გამძლე მერქანი, იყენებენ ავეჯის, სპორტული ნივთებისა და მუსიკალური საკრავების დასამზადებლად.

**ნეკი** *ნეკის* ადამიანის ხელის ან ფეხის ყველაზე პატარა (ცერიდან მეხუთე) თითი. *ნეკი იღრძო.* ◎ **ნეკზე არ მიკბინო!** ეუბნებიან ადამიანს, რომელიც ასაკისთვის შეუფერებლად, ბავშვურად იქცევა ან ლაპარაკობს.

**ნეკნი** *ნეკნის* ადამიანისა და ცხოველის ხერხემლისა და გულმკერდის ძვლის შემაერთებელი რკალისებური ძვალი. *ნეკნის მოტეხილობა. ღორის ნეკნები.*

**ნეკრესი** მედიც. ◎ **ნეკრესის ქარები** სახსრების ქრონიკული დაავადება.

**ნეკროლოგი** *ნეკროლოგის* ვინმეს გარდაცვალებასთან დაკავშირებით პერიოდულ გამოცემაში გამოქვეყნებული სამგლოვიარო წერილი, რომელშიც გარდაცვლილის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზეა საუბარი. *თანამშრომელთა ნეკროლოგი.*

**ნელა** ზმნზ. 1. აუჩქარებლად, დინჯად. *მანქანა ნელა მიდის.* ↔ **ჩქარა.** 2. გადატ. ფრთხილად. *ნელა, ხელი არ გაიჭრა!*

**ნელა-ნელა** ზმნზ. ძალიან ნელა, თანდათანობით. *ხალხი ნელა-ნელა იშლებოდა.*

**ნელთბილი** *ნელთბილის* ოდნავ თბილი, მოთბო. *ნელთბილი რძე.*

**ნელი** *ნელის* I. აუჩქარებელი, მშვიდი. *ნელი მოძრაობა. ნელი საუბარი.* ↔ **ჩქარი.**

**ნელსაცხებელი** *ნელსაცხებლის* სხეულზე წასასმელი სხვადასხვა კოსმეტიკური საშუალების ზოგადი სახელწოდება. *ნელსაცხებლის დამზადება. ნელსაცხებლის არომატი.*

**ნემსი** *ნემსის* I. ხელით საკერავი იარაღი, ლითონის წვრილი ჩხირი, რომელსაც აქვს წვეტიანი თავი და ძაფის გასაყრელი გახვრეტილი ბოლო. *ნემსის ყუნწი. წვრილი ნემსი.* 2. სხვადასხვა დანიშნულების გრძელი, წვრილი ლითონის ჩხირი. *გრამაფონის ნემსი. სამედიცინო ნემსი.* ◎ **ნემსი არ ჩავარდება** ხალხმრავლობაა. ◎ **ნემსის ყუნწში ძვრება** ყველა საშუალებას იყენებს მიზნის მისაღწევად.

**ნემსკავი** *ნემსკავის* პატარა ანკესი. *ნემსკავზე კალია წამოაცვეს. ნემსკავით თევზაობს.*

**ნეოლოგიზმი** *ნეოლოგიზმის* სალიტერატურო ენაში გაჩენილი ახალი სიტყვა ან გამოთქმა. *მწერლის მიერ შემოტანილი ნეოლოგიზმები. ნეოლოგიზმებს ხშირად იყენებს.*

**ნეონი** *ნეონის* ქიმიური ელემენტი, უფერო და უსუნო გაზი, რომელიც წითლად ანათებს, გამოიყენება სარეკლამო განათებისთვის. *ნეონის შუქი.*

**ნეპტუნი** *ნეპტუნის* მზის სისტემის პლანეტა, სიშორით მერვე ადგილზეა მზიდან.

**ნერბი** *ნერბის* ზრდასრული დედალი ცხვარი.

**ნერგი** *ნერგის* დასარგავად განკუთვნილი ნორჩი მცენარე. *მსხლის ნერგი.*

**ნერვი** *ნერვის* უწვრილესი ბოჭკოვანი წარმონაქმნი ადამიანისა და ცხოველის ორგანიზმში, რომელიც მიემართება თავის ტვინიდან ცალკეულ ორგანოში და წარმართავს მის მოქმედებას. *მხედველობის ნერვი. სმენის ნერვი.* ◎ **ნერვებმა უმტყუნა** თავი ვერ შეიკავა. ◎ **ნერვებს უშლის** საუბრ. აღიზიანებს.

**ნერვიული** *ნერვიულის* I. ვინც ადვილად ნერვიულდება. *ნერვიული ბავშვი. ნერვიული ავადმყოფი.* 2. გაღიზიანების გამომხატველი, აღგზნებული. *ნერვიული ტონი. ნერვიული გამომეტყველება.* **პარონიმი ნერვული.**

**ნერვიულობა** *ნერვიულობის* (ნერვიულობს) ნერვების აშლა, შფოთვა, გაღიზიანება. *დიდი ნერვიულობა გადაიტანეს. დედა ნერვიულობს.*

**ნერვული** *ნერვულის* ნერვებთან დაკავშირებული. *ნერვული დაავადებები. ნერვული სისტემა.* **პარონიმი ნერვიული.**

**ნერწყვა** *ნერწყვის* (ნერწყვავს) ↑ **დანერწყვა.** *ყველაფერს ნერწყვავს.*

**ნერწყვი** *ნერწყვის* პირის ღრუში გამოყოფილი უფერო ბლანტი სითხე. ◎ **ნერწყვი მოსდის/ნერწყვს ყლაპავს** ძალიან უნდა რაიმეს ჭამა.

**ნესესერი** *ნესესერის* კოლოფი, ბუდე ან პატარა ჩანთა, რომელსაც იყენებენ პარფიუმერიის ან ხელსაქმისთვის საჭირო ნივთების ჩასაწყობად. *სამგზავრო ნესესერი.*


ნესვი

**ნესვი** *ნესვის* მრგვალი ან ოვალური ფორმის, წვნიანი, ტკბილი და სურნელოვანი, მრავალთესლიანი ბაღჩეული ხილი. *ნესვის თესლი.*

**ნესტარი** *ნესტრის* ზოგიერთი მწერისა და ცხოველის (ფუტკრის, მორიელის, ობობას) მჩხელეტავი ორგანო, რომელსაც თავდაცვისა და თავდასხმისთვის იყენებენ. *ფუტკრის ნესტარი. მორიელის ნესტარი.*

**ნესტი** *ნესტის* ჭარბი ტენი. *ნესტმა კედელი გააფუჭა.* ■ **ნესტიანი** ნესტის შემცველი. *ნესტიანი ნიადაგი.*

**ნესტო** *ნესტოს* ცხვირის გარეთა ხვრელი. *ნესტოები დაბერა. ნესტოებით შეისუნთქა.*

**ნეტა** შორისდ. 1. გამოხატავს ნატვრას (რა კარგი იქნება, რომ...). *ნეტა, მეც წამიყვანოს! ნეტა, კარგი ამინდი იყოს!* 2. გამოხატავს ინტერესს, გაგების სურვილს კითხვის დასმის დროს. *ნეტა რა ამბავია?!*

**ნეტავი** შორისდ. იგივეა, რაც ნეტა. *ნეტავი სახლში დამხვდეს! ნეტავი, რა უნდა ჩემგან?*

**ნეტამც** შორისდ. იგივეა, რაც ნეტა (1). *ნეტამც, არ გათენდებოდეს!*

**ნეტარება** *ნეტარების* (ნეტარებს) დიდი სიამოვნების, განცხრომის განცდა. *ხანმოკლე ნეტარება. წყალში ნეტარებს.*

**ნეტარი** *ნეტარის* სიამოვნებით სავსე, სრულიად ბედნიერი. *ნეტარი კაცი.*

**ნეტარხსენებული** *ნეტარხსენებულის* პატივისც. ნეტარებით სახსენებელი, ცხონებული (ამბობენ გარდაცვლილზე). *ნეტარხსენებული მეფე.*

**ნეტო** *ნეტოს* საქონლის სუფთა წონა, ჭურჭლისა და შეფუთვის გარეშე. *ეტიკეტზე ნეტო არის მითითებული.*

**ნეფე** *ნეფის* იგივეა, რაც მეფე (2). *ნეფე და დედოფალი ტაძარში შევიდნენ.*

**ნეფიონი** *ნეფიონის* ნეფის მაყრები. *მოვიდა სასიძო თავისი ნეფიონით.*

**ნეფრიტი**[1] *ნეფრიტის* მედიც. თირკმლების ინფექციურ-ალერგიული ანთება, ახასიათებს სახის, ზოგჯერ მთლიანი სხეულის შეშუპება, ქოშინი. *ნეფრიტი დაემართა.*

**ნეფრიტი**[2] *ნეფრიტის* მომწვანო ფერის ძვირფასი ქვა. *ნეფრიტის ბეჭედი.*

**ნექტარი** *ნექტრის* ყვავილის წვენი, რომლისგანაც ფუტკარი თაფლს აკეთებს.

**ნეშო** *ნეშოს* ჩამოცვენილი ძველი ფოთლები.

**ნეშომპალა** *ნეშომპალას* ნიადაგის ორგანული შემადგენელი ნაწილი, რომელიც მცენარეული და ცხოველური ნარჩენების ლპობის შედეგად მიიღება. *ნეშომპალა ნიადაგი.*

**ნეშტი** *ნეშტის* წიგნ. იგივეა, რაც ცხედარი. *ნეშტის გადმოსვენება.*

**ნეხვი** *ნეხვის* საქონლის განავალი, ნაკელი. *ნეხვის სუნი.*

**ნთება** *ნთების* (ანთებს, ინთებს, უნთებს, ინთება, ენთება, ანთია, უნთია, ანთებინებს) ↑ **ანთება**. *ცეცხლს ანთებს. ლამპიონები ინთება. მაგიდაზე სანთელი ენთო.*

**ნთხევა** *ნთხევის* (ანთხევს, ინთხევა, ენთხევა, ანთხევინებს) 1. ↑ **დანთხევა**. *პირიდან სისხლს ანთხევდა.* 2. ↑ **ამონთხევა**. *შხამს ანთხევს.*

**ნიადაგ** ზმნზ. წიგნ. მუდამ, ყოველთვის. *ნიადაგ საქმისთვის ზრუნავს.*

**ნიადაგი** *ნიადაგის* 1. დედამიწის ზედაპირის ფენა, რომელშიც მცენარე ფესვს იდგამს. *ნოყიერი ნიადაგი. შავი ნიადაგი.* 2. გადატ. წინაპირობა, საფუძველი. *შეხვედრისთვის ნიადაგი მოამზადა.* ⊙ **ნიადაგს მოსინჯავს** წინასწარ ნახავს, შეისწავლის ვითარებას, რაიმეს განხორციელების შესაძლებლობას შეამოწმებს.

**ნიადაგქვეშა** *ნიადაგქვეშას* რაც ნიადაგის ქვეშ მდებარეობს. *მიწის ნიადაგქვეშა ფენები.*

**ნიავი** *ნიავის* სუსტი ქარი. *დილის ნიავი. ნიავი ქროდა.* ⊙ **ცივ ნიავს არ მიაკარებს** ძალიან გაუფრთხილდება, სათუთად მოეპყრობა.

**ნიავქარი** *ნიავქარის* ძლიერი ქარი. *ატყდა ნიავქარი.*

**ნიამორი** *ნიამორის* გარეული თხა. *ნიამორის რქები.*

**ნიანგი** *ნიანგის* ტროპიკული მდინარეების დიდი ზომის ქვეწარმავალი. *ნიანგის ტყავი.*

ნიანგი



**ნიაღვარი** *ნიაღვრის* დიდი წვიმების ან უხვი თოვლის დნობის შედეგად მოვარდნილი წყალი. *მთიდან მომსკდარი ნიაღვარი.* ⊙ **სისხლის ნიაღვარი** დიდი რაოდენობით დაღვრილი სისხლი. ⊙ **ცრემლის ნიაღვარი** დიდი რაოდენობის ცრემლი.

**ნიახურა** *ნიახურა* ბალახოვანი მცენარე, აქვს ნიახურის მსგავსი ფოთლები, მხოხავი ღერო და ყვითელი ყვავილები, ფოთლები იხმარება მხლად.

**ნიახური** *ნიახურის* ფართოდ გავრცელებული მწვანილი, იკეთებს ქოლგებად შეკრებილ ყვავილებს, აქვს სპეციფიკური სუნი და გემო, გამოიყენება სანელებლად. *ნიახურის ძირები.*

**ნიბლია** *ნიბლიას* პატარა მგალობელი ჩიტი.

**ნიგოზი** *ნიგოზის* კაკლის გული. *დანაყილი ნიგოზი.*

**ნიველირება** *ნიველირების* (ნიველირდება) განსხვავებების მოსპობა, გათანაბრება, გაერთფეროვნება. *ნიველირება მოხდა.*

**ნივთი** *ნივთის* გარკვეული დანიშნულების უსულო საგანი. *ანტიკვარული ნივთი. საკანცელარიო ნივთები. საოჯახო ნივთები.*

**ნივთიერება** *ნივთიერების* ის, რისგანაც შედგება ნებისმიერი საგანი, სხეული, ობიექტი (მყარი, თხევადი ან გაზისებრი). *აქროლადი ნივთიერება. ფეთქებადი ნივთიერება.*

**ნივთიერი** *ნივთიერის* ქონებრივი, მატერიალური. *ნივთიერი უზრუნველყოფა. ნივთიერი სიმდიდრე.*

**ნიკაპი** *ნიკაპის* ქვედა ყბის გამოწეული, მომრგვალებული ნაწილი (ტუჩის ქვევით). *ნიკაპი გაიტეხა. ბრტყელი ნიკაპი.*

**ნიკელი** *ნიკელის* ქიმიური ელემენტი, ვერცხლისფერი ძნელად დნობადი ლითონი. *ნიკელის სახელური.*

**ნიკოტინი** *ნიკოტინის* ნარკოტიკული ნივთიერება, რომელსაც შეიცავს თამბაქოს ფოთლები და თესლი. *ნიკოტინის მუავა. ნიკოტინის შემცველობა.*

**ნიმუში** *ნიმუშის* 1. საჩვენებლად, საცდელად გაკეთებული რამ. *ქაღალდის ნიმუში. ფეხსაცმლის ნიმუში.* 2. ცალკეული საგანი, რომლის მიხედვითაც შესაძლებელია რაიმეზე წარმოდგენის შექმნა. *დამწერლობის ნიმუში. არქიტექტურის ნიმუში.*

ნიორი

**ნიორი** *ნივრის* ბოსტნეული მცენარე, იკეთებს სპეციფიკური სუნისა და გემოს მქონე ბოლქვებს, გამოიყენება სანელებლად. *დანაყილი ნიორი. ერთი კბილი ნიორი. ნივრის მწნილი.* ■ **ნივრიანი** რასაც ნიორი აქვს. *ნივრიანი მხალი.*

**ნიორწყალი** *ნიორწყლის* წყალში გახსნილი და მარილით (ზოგჯერ ქინძითაც) შეზავებული დანაყილი ნიორი, რომელშიც ქათმის, თევზის და მისთ. ნაჭრებს აწყობენ.

ნიჟარა

**ნიჟარა** *ნიჟარის* 1. ზოგიერთი უხერხემლო ცხოველის რქოვანი საფარი. *ლოკოკინას ნიჟარა.* 2. ყურის გარეთა ხრტილოვანი საფარი. *ყურის ნიჟარა.* 3. ხელსაბანის ჯამი. *ფაიფურის ნიჟარა. ნიჟარა გაიბზარა.*

**ნირი** *ნირის* 1. წესი, რიგი. *ცხოვრების ნირი.* 2. ხასიათი, გუნება. *ცუდი ნირი. ნირი არ შეიცვალა.* ⊙ **ნირი წაუხდება** შერცხვება, ცუდ ხასიათზე დადგება.

**ნირწამხდარი** *ნირწამხდარის* შემკრთალი, შერცხვენილი, სითამამედაკარგული. *ნირწამხდარი ჩუმად დგას.*

**ნისია** *ნისიის* რაიმეს საფასური, რომელსაც მოგვიანებით იხდიან. *ნისია საქონელი.* ■ **ნისიად** ნისიის სახით, ვალად. *პროდუქტი ნისიად წამოვიღე.*

**ნისკარტი** *ნისკარტის* ფრინველის პირის წაგრძელებული რქოვანი ნაწილი. *ქათმის ნისკარტი. მოკაუჭებული ნისკარტი.*

**ნისლი** *ნისლის* ჰაერში დამდგარი მონაცრისფრო ორთქლი, რომელიც ჰაერს გამჭვირვალობას უკარგავს. *ნისლი ჩამოწვა. ნისლმა დაფარა.*

**ნისლიანი** *ნისლიანის* ნისლით მოცული, ნისლით დაფარული. *ნისლიანი დილა. ნისლიანი მთები.*

**ნისლოვანი** *ნისლოვანის* იგივეა, რაც **ნისლიანი**. *ნისლოვანი გორები.*

**ნიტრატი** *ნიტრატის* უფერული კრისტალური ნივთიერება, აზოტმჟავა მარილები, გამოიყენება აზოტიან სასუქად, ფეთქებად ნივთიერებათა სანარმოებლად. *ნიტრატების შემცველობა.*

**ნიუანსი** *ნიუანსის* სულ მცირე, ოდნავ შესამჩნევი სხვაობა რაიმეში, რაიმეს ელფერი. *აუცილებელი ნიუანსი. საუბრის ნიუანსები.* ■ **ნიუანსური** ნიუანს(ებ)ის მქონე, ნიუანს(ებ)ის შემცველი. *ნიუანსური ცვლილება. ნიუანსური განსხვავება.*

**ნიუკა** *ნიუკას* ტყის მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარე, აქვს ტაროდ შეკრებილი პატარა ყვავილები და ფრთის ფორმის, დაძარღვული, გრძელყუნწნიანი ფოთოლი.

**ნიფხავი** *ნიფხვის* საუბრ. შიშველ სხეულზე ჩასაცმელი ტოტებიანი ქვედა საცვალი. *თეთრი ნიფხავი.*

**ნიღაბი** *ნიღბის* 1. სხვადასხვა მასალისგან დამზადებული სახეზე ასაფარებელი ნივთი ადამიანის კომიკური სახის, ცხოველის თავისა და მისთ. გამოსახულებით, იყენებენ მასკარადის, წარმოდგენის დროს. *თეატრალური ნიღაბი. ნიღბების ოსტატი.* 2. სპეციალური საბურველი, რომელსაც სახის დასაფარავად ან დასაცავად იკეთებენ. *თავდამსხმელებს ნიღბები ეკეთათ. მეფუტკრის ნიღაბი.* 3. კოსმეტიკური საშუალება, რომლითაც გარკვეული დროით სახის კანს მთლიანად იფარავენ. *მარწყვის ნიღაბი.* ■ **ნიღბიანი/ნიღბოსანი** ვისაც ნიღაბი უკეთია. *თავს ნიღბიანები დაესხნენ. ვილაც ნიღბოსანი შემოვიდა.* ⊙ **ნიღაბს ჩამოხსნის** გამოააშკარავებს ვინმეს ფარულ ზრახვებს.

**ნიყვი** *ნიყვის* საჭმელი სოკო, აქვს წითელი ფერის მომრგვალო ქუდი და მოყვითალო გრძელი ფეხი.

**ნიშა** *ნიშის* შეღრმავებული ადგილი კედელში. *სანთელი ნიშაში შედგეს.*

**ნიშადური** *ნიშადურის* უფერო, კრისტალური, მძაფრსუნიანი მარილი, რომელიც კარგად იხსნება წყალში, გამოიყენება მრეწველობასა და მედიცინაში. *ნიშადურის სპირტი.*

**ნიშანდებული** *ნიშანდებულის* დანიშნული, რაღაც ნიშნის მქონე. *ნიშანდებული საგნები.*

**ნიშანდობლივი** *ნიშანდობლივის* 1. ზუსტი, ზუსტად ნაჩვენები, ნიშნებით მითითებული. *ნიშანდობლივი აღწერა.* 2. მნიშვნელოვანი, არსებითი. *ნიშანდობლივი ცვლილებები. ნიშანდობლივი მიღწევები.*

**ნიშანი** *ნიშნის* 1. საგნის ან მოვლენის დამახასიათებელი თვისება. *სხვადასხვა ნიშნით გამორჩეული.* 2. რაიმეს მიმანიშნებელი, მაჩვენებელი. *თაყვანისცემის ნიშნად. ინფექციის ნიშნები.* 3. წინასწარ დათქმული მოქმედება, რითაც ამცნობენ, მიახვედრებენ რაიმეს. *თამაშის დაწყების*

*ნიშანი.* 4. ნივთი ან სიმბოლური გამოსახულება, რომელსაც უკეთებენ საგანს სხვათაგან გამოსარჩევად. *სამკერდე ნიშანი. ძროხას ნიშანი შეაბა.* 5. კვალი, დაღი, ნაჭრილობევი. *ლოყა ზე ნიშანი ჰქონდა.* 6. სხვადასხვა მოყვანილობის ლითონის პატარა ზომის საგანი, რომელზეც რაიმე გამოსახულებაა, გამოიყენება უპირატესად მკერდზე სატარებლად. *მფრინავის ნიშანი.* 7. პირობითი გამოსახულება. *გამოკლების ნიშანი. სანოტო ნიშნები.* 8. მოსწავლის ცოდნის შეფასების პირობითი აღნიშვნა. *კარგი ნიშნები.* 9. იგივეა, რაც მიზანი (2). *ნიშანში მოარტყა.* 10. სასიძოს მიერ საპატარძლოსთვის მირთმეული სამკაული, იმის დასტურად, რომ ცოლად ირთავს. *სამამამთილომ ნიშანი მოუტანა.* ■ ნიშნიანი რასაც ნიშანი (4) აქვს. *ნიშნიანი ძროხა.* ⊙ ნიშანს აძლევს ანიშნებს. ⊙ ნიშანში ამოიღებს მიზანში ამოიღებს, დაუმიზნებს. ▲ ნიშნად რაიმეს გამოსახატავად, აღსანიშნად, საჩვენებლად. *სიყვარულის ნიშნად.*

ნიშანსვეტი *ნიშანსვეტის* 1. ძვ. სასიგნალო მოწყობილობა: ბოძი ან ანძა, რომელიც დგას რკინიგზაზე, აქვს მოძრავი ფრთები. 2. ნიგნ. მნიშვნელოვანი ეტაპი რაიმეს განვითარებაში. *ნიშნასვეტად იქცა.*

ნიშანწყალი *ნიშანწყლის* ძალიან მცირე რამ, რაიმეს მანიშნებელი, რაიმეს კვალი, ჩანასახი, ნატამალი. *სიცოცხლის ნიშანწყალი აღარ ეტყობოდა.*

ნიში *ნიშის* ნიშის იგივეა, რაც ნიშა.

ნიშნება *ნიშნების* (ანიშნებს, ენიშნება) ნიშნის მიცემით რაღაცის მიხვედრება. *ჩემკენ ანიშნებს. თვალებით რაღაც ანიშნა.*

ნიშნი *ნიშნის* ⊙ ნიშნს მოუგებს საყვედურით, დაცინვით ეტყვის, რომ ის გამტყუნდა და თვითონ მართალია.

ნიშნობა *ნიშნობის* საპატარძლოსთან ნიშნის (10) მიტანის საზეიმოდ აღნიშვნა. *ნიშნობა გადაიხადეს. ნიშნობის დღე დათქვეს.*

ნიშნული *ნიშნულის* მონიშნული რამ. *მოედანზე დასმული ნიშნულები. რუკის ნიშნული. დროის ნიშნული.*

ნიჩაბი *ნიჩბის* 1. ხელის სამუშაო იარაღი, რომელსაც ხის ტარი და რკინის ბრტყელი პირი აქვს. გამოიყენება ფხვიერი მასის ან მარცვლეულის ასაღებად. *ნიჩბის პირი. სილას ნიჩბით იღებენ.* 2. ფართობოლოიანი ბრტყელი ძელი, რომლის წყალში მოსმითაც ნავი გადაადგილდება. *ნიჩბები მოუსვა.*

ნიჩბიანი *ნიჩბიანის* ნიჩბების (2) მქონე, ნიჩბებით (2) ნასაყვანი. *ნიჩბიანი ნავი.*

ნიჩბოსანი *ნიჩბოსნის* სპორტსმენი, რომელიც ნიჩბოსნობას მისდევს. *ნიჩბოსანთა შეჯიბრება.*

ნიჩბოსნობა *ნიჩბოსნობის* სპორტის სახეობა, ნიჩბიანი ნავების მართვის ოსტატობა. *შეჯიბრება ნიჩბოსნობაში.*

ნიძლავი *ნიძლავის* იგივეა, რაც სანაძლეო. *ნიძლავი დადეს.*

ნიჭი *ნიჭის* გონებრივი შესაძლებლობა, რაიმეს კეთების, შექმნის განსაკუთრებული უნარი. *ხატვის ნიჭი. ნიჭი გამოაელინა.*

ნიჭიერება *ნიჭიერების* ნიჭის ქონა. *ნიჭიერებით გამორჩეული.*

ნიჭიერი *ნიჭიერის* ვისაც ნიჭი აქვს, გონიერი, ჭკვიანი. *ნიჭიერი ადამიანი. ნიჭიერი ხელოვანი.*

ნიხრი *ნიხრის* იგივეა, რაც ტარიფი. *სატრანსპორტო ნიხრი.*

ნიჰილიზმი *ნიჰილიზმის* ყველაფრის ხელაღებით უარყოფა. *საზოგადოებრივი ნიჰილიზმი. ნიჰილიზმი მოეძალა.*

ნიჰილისტი *ნიჰილისტის* პირი, რომელსაც უარყოფითი დამოკიდებულება აქვს ყველაფრის მიმართ.

ნიჰილისტური *ნიჰილისტურის* ნიჰილისტისთვის დამახასიათებელი. *ნიჰილისტური შეხედულებები.*

ნობათი *ნობათის* ნიგნ. საჩუქარი, ძღვენი. *საშემოდგომო ნობათი. საახალწლო ნობათი.* ⊙ სოფლის ნობათი პროდუქტი, რომელიც სოფლიდან შემოდის.

ნოემბერი *ნოემბრის* წელიწადის მეთერთმეტე თვე. *ნოემბრის სუსხი.*

ნოვატორი *ნოვატორის* პირი, რომელსაც რაიმე საქმეში სიახლე შემოაქვს. *ნოვატორი მეცნიერი.* ■ ნოვატორული ნოვატორის დამახასიათებელი, სიახლის შემცველი. *ნოვატორული აზრი.*

ნოვატორობა *ნოვატორობის* ნოვატორის საქმიანობა, ნოვატორად ყოფნა.

ნოველა *ნოველის* მცირე ზომის პროზაული ნაწარმოები. *ქართული ნოველების კრებული. ნოველის ავტორი.*

ნოკაუტი *ნოკაუტის* მდგომარეობა კრივში, როდესაც მოკრივე მოწინააღმდეგის დარტყმისგან ძირს არის დაცემული, 10 წამის განმავლობაში ვერ დგება და ამიტომ დამარცხებულად ითვლება. *ნოკაუტში ჩააგდო.*

ნოკაუტირებული *ნოკაუტირებულის* ვინც ნოკაუტშია ჩავარდნილი.

ნოკდაუნი *ნოკდაუნის* მდგომარეობა კრივში, როდესაც მოკრივე მოწინააღმდეგის დარტყმისგან ძირს არის დაცემული, მაგრამ 10 წამის განმავლობაში შეუძლია ადგეს ბრძოლის გასაგრძელებლად.

ნომერი *ნომრის* 1. ერთგვაროვანი საგნების რიგის მაჩვენებელი რიცხვი. *ბინის ნომერი. ვაგონის ნომერი.* 2. პერიოდული გამოცემის რიგითობის აღმნიშვნელი რიცხვი. *გაზეთის პირველი ნომერი.*

3. ცალკე ოთახი (ოთახები) სასტუმროში. *ნომერი გამოუყვეს.* 4. სანახაობის, წარმოდგენის, კონცერტის ნაწილი, რომელიც ცალკე სრულდება. *საესტრადო ნომერი.* ■ **ნომრიანი** რასაც ნომერი (1) აქვს. *ნომრიანი ბილეთი.*

**ნომვრა** *ნომვრის* (ნომრავს, უნომრავს, ინომრება, ანომვრინებს) ↑ **დანომვრა**. *თანმიმდევრობით ნომრავს. ოქმებს ნომრავენ. ბრძანებები ინომრება.*

**ნომინალი** *ნომინალის* ღირებულება, რომელიც აღნიშნულია ქაღალდის ფულის ნიშნებზე ან ფასიან ქაღალდებზე.

**ნომინალური** *ნომინალურის* ამა თუ იმ ფულადი ღირებულებით გამოხატული. *ნომინალის ხელფასი.*

**ნომინანტი** *ნომინანტის* საკონკურსო ნომინაციაზე წარდგენილი პიროვნება ან პიროვნებათა ჯგუფი. *ნომინანტები დაასახელეს.*

**ნომინაცია** *ნომინაციის* საქმიანობის სახეობა ან გარკვეული მიღწევა, რის გამოც დანესებულია ესა თუ ის ჯილდო, ძირითადად, კონკურსებზე. *ამ ნომინაციაზე წარდგენილია ოთხი ფილმი.*

**ნონსენსი** *ნონსენსის* უაზრობა, გაუგებრობა. *სრული ნონსენსია.*

**ნორმა** *ნორმის* 1. რაიმეს დანესებული რაოდენობა, სიდიდე. *საკვების ნორმა. ნალექების წლიური ნორმა.* 2. დაკანონებული, სავალდებულო წესი. *საკანონმდებლო ნორმა. სალიტერატურო ენის ნორმები.*

**ნორმალიზებული** *ნორმალიზებულის* მოწესრიგებული, ნორმებში მოქცეული, ნორმით განსაზღვრული. *ნორმალიზებული სამუშაო.*

**ნორმალური** *ნორმალურის* 1. ჩვეულებრივი, ბუნებრივი. *ნორმალური სიმაღლე. ნორმალური ტემპერატურა.* 2. კარგი, დამაკმაყოფილებელი. *ნორმალური გარემო.* ▲ **ნორმალურად** ზმნზ. კარგად, დამაკმაყოფილებლად. *ნორმალურად ცხოვრობს.*

**ნორმატივი** *ნორმატივის* დანესებული ნორმების მაჩვენებელი, რომლის მიხედვითაც მიმდინარეობს სამუშაო პროცესი. *ნორმატივების დაცვა.*

**ნორმატიული** *ნორმატიულის* ნორმატივის სახით არსებული, ნორმის დამდგენი. *ნორმატიული აქტები. ნორმატიული წესები.*

**ნორმირება** *ნორმირების* ნორმის მიხედვით მოწესრიგება. *სამუშაოს ნორმირება.*

**ნორმირებული** *ნორმირებულის* ნორმით განსაზღვრული. *ნორმირებული სამუშაო. ნორმირებული გადასახადი.*

**ნორჩი** *ნორჩის* 1. ახალი, ახალამოსული (მცენარე, ყლორტი და მისთ.). *ნორჩი ბალახი.* 2. გადატ. ასაკით პატარა. *ნორჩი ყმაწვილი. ნორჩი ბატკანი.*

**ნოსტალგია** *ნოსტალგიის* სამშობლოს მონატრების სევდა. *ნოსტალგიამ შეიპყრო.*

**ნოსტალგიური** *ნოსტალგიურის* ნოსტალგიით გამოწვეული. *ნოსტალგიური გრძნობა.*

**ნოსტრიფიკაცია** *ნოსტრიფიკაციის* იგივეა, რაც **ნოსტრიფიცირება**.

**ნოსტრიფიცირება** *ნოსტრიფიცირების* სხვა სახელმწიფოში გაცემული სერტიფიკატის აღიარება, ცნობა. *დიპლომის ნოსტრიფიცირება.*

**ნოტა** *ნოტის* ერთი ქვეყნის ოფიციალური მიმართვა მეორე ქვეყნისადმი რაიმე მნიშვნელოვან საკითხთან დაკავშირებით. *ნოტა გაუგზავნა.*

**ნოტარიალური** *ნოტარიალურის* ნოტარიუსისგან დამტკიცებული. *ნოტარიალური აქტი.*

**ნოტარიუსი** *ნოტარიუსის* თანამდებობის პირი, რომელიც იურიდიულ აქტებს აფორმებს. *ნოტარიუსის დამოწმებული საბუთი.*

**ნოტაცია** *ნოტაციის* 1. პირობითი აღნიშვნების წერილობითი სისტემა. *საჭადრაკო ნოტაცია. მუსიკალური ნოტაცია.* 2. (ძირითადად მრ.) საუბრ. დარიგება, ჭკუის სწავლება. *ნოტაციებს უკითხავს. შეცდომაა ნატაცია.*

**ნოტი** *ნოტის* 1. მუსიკალური ბგერა. *მაღალი ნოტი.* 2. მუსიკალური ბგერის გრაფიკული გამოსახულება. *ნოტების რვეული. ნოტების გარჩევა.*

**ნოტიო** *ნოტიოს* ოდნავ სველი, ნესტიანი. *ნოტიო მიწა. ნოტიო თივა.*

**ნოუტბუკი** *ნოუტბუკის* იგივეა, რაც **ლეპტოპი**. *ნოუტბუკის ეკრანი.*

**ნოღა** *ნოღა* იგივეა, რაც **პაჭუა**. *ნოღა ცხვირი.*

**ნოყიერი** *ნოყიერის* 1. ცხიმიანი, ყუათიანი, სასარგებლო (საკვები). *ნოყიერი სადილი.* 2. მინერალებით მდიდარი, კარგი მოსავლის მომცემი. *ნოყიერი ნიადაგი.*

**ნოხი** *ნოხის* იგივეა, რაც **ხალიჩა**. *ძვირფასი ნოხი.*



ნოხი

**ნუ** ნაწილაკ. გამოიყენება ისეთი მოქმედების უარსაყოფად, რომელსაც უკრძალავენ. *ნუ ხმაურობ! ნუ მოსწევთ!*

**ნუგბარი** *ნუგბარის* ძალიან გემრიელი საჭმელი. *აღმოსავლური ნუგბარი.*

**ნუგეში** *ნუგეშის* (ანუგეშებს, ინუგეშებს) 1. იმედის მიცემა, დამშვიდება, დაწყნარება. *სიტყვიერი ნუგეში. შვილებმა ანუგეშეს. თავს ინუგეშებს.* 2. გადატ. ადამიანი, რომლის იმედიც აქვთ. *ჩემო ნუგეშო.*

**ნუგეშისმცემელი** *ნუგეშისმცემლის* ვინც ნუგეშს აძლევს, ამშვიდებს, აიმედებს. *გაჭირვებულის ნუგეშისმცემელი.*

**ნუგეშობა** *ნუგეშობის* (ნუგეშობს) საკუთარი თავისთვის ნუგეშის მიცემა. *შვილებით ნუგეშობს.*

ნუვინ *ნუვის* ნაცვ. დაე, არავინ. *ნუვინ იტყვის.*

ნუთუ ნაწილაკ. გამოხატავს გაკვირვებას მოსალოდნელი, დასაშვები ფაქტის მიმართ. *ნუთუ არ მოგენატრე? ნუთუ მართლა მოვა?!*

ნუკრი *ნუკრის* ირმის ან შვლის ნაშიერი. *მინდორში ნუკრი გამოჩნდა.*

ნული *ნულის* 1. ციფრი 0. 2. პირობითი სიდიდე, რომელთან მიმართებითაც იანგარიშება ტემპერატურა. *ნული გრადუსი. ნულს ზევით. ნულს ქვევით.*

ნუმერაცია *ნუმერაციის* ნომრების თანმიმდევრულად დასმა, დანომვრა. *დოკუმენტების ნუმერაცია.*

ნუმიზმატიკა *ნუმიზმატიკის* მეცნიერება, რომელიც შეისწავლის ძველ მონეტებს. *ნუმიზმატიკის სპეციალისტი.*

ნუმც ნაწილაკ. დაე, ნუ. *ნუმც გაიხარებს.*

ნუნა *ნუნის* 1. კანი ფრჩხილის ირგვლივ. *ნუნა გაუნითლდა.* 2. ღრძილის ნაწილი კბილის ირგვლივ. *ნუნები შეუსივდა.*

ნუჟრი *ნუჟრის* ამობურცული ადგილი ხის ტანზე. *ნუჟრები აქვს.* ■ ნუჟრ[ებ]იანი რასაც ნუჟრ[ებ]ი აქვს. *ნუჟრებიანი მუხა.*

ნურავინ *ნურავის* ნაცვ. ნურც ერთი ვინმე. *ნურავის ეწყინება.*

ნურასდროს ზმნზ. იგივეა, რაც ნურასოდეს.

ნურასოდეს ზმნზ. არასოდეს, არც როდის (იხმარება აკრძალვისას). *ნურასოდეს დაკარგავ იმედს!*

ნურაფერი *ნურაფრის* ნაცვ. ნურც ერთი რამე. *ნურაფერი შეგაშინებთ! ნურაფერი გიკვირს!*

ნურსად ზმნზ. ნურც ერთ ადგილას, ნურც ერთ მხარეს. *ნურსად წახვალ!*

ნურც ნაწილაკ. სულ ნუ. *ნურც დათანხმდება.*

ნუსხა *ნუსხის* იგივეა, რაც სია. *ძველი წიგნების ნუსხა.*

ნუსხახუცური *ნუსხახუცურის* იგივეა, რაც ნუსხური. *ნუსხახუცური დამწერლობა.*

ნუსხური *ნუსხურის* ქართული დამწერლობის ძველი სახეობა. *ნუსხურით შესრულებული ხელნაწერი.*

ნუტრია *ნუტრიის* მღრღნელი ცხოველი, რომელიც სანახევროდ წყალში ცხოვრობს, აქვს ძვირფასი ბეწვი.

ნუღარ ნაწილაკ. მეტად ნუ. *ნუღარ შეწუხდები!*

ნუღარავინ *ნუღარავისი* ნაცვ. მეტი ნურავინ, უკვე ნურავინ. *ნუღარავინ შემოვა.*

ნუღარასოდეს ზმნზ. მეტი ნურასოდეს. *ნუღარასოდეს იქნება ომი!*

ნუღარაფერი *ნუღარაფრის* ნაცვ. მეტი ნურაფერი, უკვე ნურაფერი. *ნუღარაფრის იმედი ნუ გაქვთ.*

ნუღარსად ზმნზ. უკვე ნურსად, მეტი ნურსად. *ნუღარსად წახვალ!*

ნუღარც ნაწილაკ. დაე, ნულარ. *ნუღარც იკითხავს ჩემს ამბავს.*

ნუში

ნუში *ნუშის* 1. მაგარნაჭუჭიანი, ოვალური ფორმის, მოტკბო და გემრიელი ხილი, იხმარება კულინარიასა და მედიცინაში. *ნუშის ნამცხვარი. ნუშის გული.* 2. საშუალო სიმაღლის ხე, რომელიც ნუშს (1) ისხამს, იკეთებს თეთრ ან მოვარდისფრო ყვავილებს.

ნძრევა *ნძრევის* (ანძრევს, ინძრევს, ინძრევა, უნძრევა) ↑ განძრევა. *ხე არ ინძრევა. თავს არ ანძრევს.*

ნჯღრევა *ნჯღრევის* (ანჯღრევს, უნჯღრევს, ინჯღრევა) ↑ შენჯღრევა. *დედა მძინარეს ანჯღრევს. ბოცა ინჯღრევა.*

# – ო –

**ო** შორისდ. 1. გამოხატავს სიხარულს, აღტაცებას. *ო, რა მშვენიერი დილაა!* 2. გამოხატავს გაკვირვებას, გაოცებას. *ო, როგორ გაზრდილა ატმის ხე!* 3. გამოხატავს წუხილს, სინანულს. *ო, რა ძნელია მარტო დარჩენა!*

**ოაზისი** *ოაზისის* 1. უდაბნოში არსებული ადგილი, სადაც წყალია და მცენარეები ხარობს. *ოაზისში ფინიკის პალმებს აშენებენ.* 2. გადატ. საერთო გარემოდან დადებითი კუთხით გამორჩეული ადგილი ან სიტუაცია. *ოაზისად აქცია თავის ირგვლივ ყველაფერი. მათი ოჯახი ჩემთვის ნამდვილი ოაზისი იყო.*

**ობელისკი** *ობელისკის* მაღალი, სამახსოვრო (მემორიალური) სვეტი, რომელიც ზევით თანდათან ვიწროვდება. *ილიას ობელისკი.*

**ობი** *ობის* სპეციფიკური სუნის მქონე სოკოვანი წარმონაქმნი, რომელიც ლაქების სახით უჩნდება კედლების პროდუქტებს ან ნოტიო საგნებს. *ობი მოეკიდა.* ▪ **ობიანი** რასაც ობი აქვს. *ობიანი პური. ობიანი ფურცელი.*

**ობიექტი** *ობიექტის* 1. პიროვნების ცნობიერებისგან დამოუკიდებლად, მატერიალურად არსებული სამყარო. 2. ის, რაზეც (ვისზეც) სრულდება რაიმე მოქმედება. *ცდის ობიექტი. კვლევის ობიექტი.* 3. გარკვეული დანიშნულების მქონე საწარმო, დაწესებულება და მისთ. *სამშენებლო ობიექტი.*

**ობიექტივი** *ობიექტივის* ოპტიკური ხელსაწყოს ნაწილი, რომელიც ერთი ან რამდენიმე ლინზისგან შედგება და დაკვირვების ობიექტისკენაა მიმართული. *ფოტოაპარატის ობიექტივი. ობიექტივში გამოჩნდა.*

**ობიექტური** *ობიექტურის* 1. თავისთავად, რაიმეს ზეგავლენისგან თავისუფალი. *ობიექტური ვითარება. ობიექტური რეალობა.* 2. სამართლიანი, მიუკერძოებელი. *ობიექტური შეფასება. ობიექტური მსჯელობა.* ▲ **ობიექტურად** ზმნზ. სამართლიანად, მიუკერძოებლად. *კონკურსი ობიექტურად ჩატარდა.*

**ობიექტურობა** *ობიექტურობის* სინამდვილის შეუღამაზებლად, დაუმახინჯებლად გადმოცემა, მიუკერძოებლობა. *მოსამართლის ობიექტურობის იმედი აქვს. ობიექტურობას იჩენს.*

**ობლიგაცია** *ობლიგაციის* ფასიანი ქაღალდი, რომლის მფლობელიც განსაზღვრულ შემოსავალს იღებს მოგების ან პროცენტის სახით. *ობლიგაციის გამოშვება. ბანკის ობლიგაციები.*

**ობლობა** *ობლობის* ობლად ყოფნა, ობლის მდგომარეობა. *ობლობაში გაიზარდა.*

**ობობა** *ობობას* შხამიანი ცხოველი, რომელიც აბამს აბლაბუდას და მასში მოხვედრილი მწერებით იკვებება. *ობობას ქსელი.*


ობობა

**ობოლი** *ობლის* ბავშვი, რომელსაც მშობლები (ან ერთ-ერთი მშობელი) არა ჰყავს. *დარჩა ობლად.*

**ობსერვატორია** *ობსერვატორიის* შენობა, რომელიც აღჭურვილია სპეციალური მონყობილობებით ასტრონომიული, სეისმური და მისთ. დაკვირვებებისთვის.

**ობსტრუქცია** *ობსტრუქციის* რაიმე ღონისძიების (კრების, სხდომის.) წინასწარგანზრახული ჩაშლა შეძახილით, ხმაურითა და მისთ. *ობსტრუქცია მოუწყვეს.*

**ოდა**[1] *ოდის* საყრდენებზე დადგმული ხის პატარა სახლი. *იმერული ოდა.*

**ოდა**[2] *ოდის* სახოტბო ლირიკული ლექსი. *ოდა მეფეზე.*

**ოდეკოლონი** *ოდეკოლონის* სურნელოვან ნივთიერებათა სპირტზე დამზადებული ჰიგიენური და გამაგრილებელი კოსმეტიკური ხსნარი. *ვარდის ოდეკოლონი. ოდეკოლონი შეისხურა.*

**ოდენობა** *ოდენობის* სიდიდე, მოცულობა, რაოდენობა. *თანხის ოდენობა.*

**ოდესმე** წიგნ. იგივეა, რაც როდისმე. *ოდესმე მოვესწრებით ამას.*

**ოდესღაც** ზმნზ. უხსოვარ დროს, ძველად, წინათ. *ოდესღაც მათი წინაპრები აქ ცხოვრობდნენ.*

**ოდიოზური** *ოდიოზურის* ვინც ან რაც საყოველთაო ანტიპათიას იმსახურებს. *ოდიოზური პიროვნება.*

**ოდნავ** ზმნზ. ძალიან ცოტათი, მცირედ. *ცეცხლი ოდნავ ბუჟუტავს. ოდნავ მაღალი.*

**ოდნავი** *ოდნავის* მცირედი, ძნელად შესამჩნევი. *ოდნავი შეხება იგრძნო. ოდნავი მსგავსება.*

**ოდოში** *ოდოშის* მოუმნიფებელი, რბილი, რძიანი (მარცვლოვანი მცენარის ნაყოფი ან თესლი). *ოდოში ლობიო.*

**ოვალი** *ოვალის* წაგრძელებული, მომრგვალო, ჩაკეტილი მრუდის მოხაზულობა, რომელიც ფორმით კვერცხს ჰგავს. *სახის ოვალი. თვალის ოვალი.*

**ოვალური** *ოვალურის* ოვალის ფორმისა. *ოვალური ბურთი. ოვალური წრე.*

**ოვაცია** *ოვაციის* რაიმეთი გამონვეული აღტაცების, სიხარულის, მოწონების გამოხატვა ტაშითა და შეძახილებით. *ოვაციით დახვდნენ. ოვაცია გამართეს.*

**ოზონი** *ოზონის* ლურჯი ფერის, მკვეთრი სუნის მქონე ფეთქებადი აირი, გამოიყენება ჰაერისა და წყლის გასაწმენდად. ⊙ **ოზონის ფენა** აირის ფენა, რომელიც გარს ეკვრის დედამიწას და იცავს მას მზის რადიაციული გამოსხივებისგან.

**ოთახი** *ოთახის* შენობის შემადგენელი ნაწილი, სადგომი, სათავსი, რომელიც კედლებითაა გამოყოფილი. *საკლასო ოთახი. ნათელი ოთახი.*

**ოთხასი** *ოთხასის* რიცხვი 400. *ოთხასი ჯარისკაცი.*

**ოთხგვერდა** *ოთხგვერდას* რასაც ოთხი გვერდი აქვს. *ოთხგვერდა ფიგურა.*

**ოთხეული** *ოთხეულის* ოთხი რამისგან ან ვინმესგან შემდგარი კომპლექტი, ჯგუფი და მისთ. *შეჯიბრებაში ოთხეული ლიდერობს.*

**ოთხთავი** *ოთხთავის* იგივეა, რაც სახარება.

**ოთხთვალა** *ოთხთვალა* პირუტყვის შესაბმელი ოთხბორბლიანი სატრანსპორტო საშუალება. *ოთხთვალაში ცხენები აბია.*

**ოთხი** *ოთხის* რიცხვი 4. *ოთხი რვეული. ოთხი ცხვარი.* ■ **ოთხ-ოთხი** რამდენჯერმე ოთხი, თითო ჯერზე ოთხი. *ოთხ-ოთხი მოსწავლე დასხა.* ⊙ **ოთხით მიჰყავს (ცხენი)** ჭენებით მიჰყავს (ცხენი). ⊙ **ოთხში ამოიღებს** 1. კისრიდან ისე გაატყავებს საქონელს, რომ ტყავს არ გაჭრის. 2. გადატ. დაუზოგავად, ძლიერად სცემს.

**ოთხიოდ**||ოთხიოდე. *ოთხიოდ დღის წინ მოვიდა.*

**ოთხიოდე** *ოთხიოდეს* დაახლოებით ოთხი. *ოთხიოდე ქათამი ჰყავდა.*

**ოთხკეცი** *ოთხკეცის* ოთხჯერ, ოთხ ფენად აღებული, ოთხმაგი. *ოთხკეცი ძაფი.*

**ოთხკუთხა** *ოთხკუთხა* რასაც ოთხი კუთხე აქვს. *ოთხკუთხა ჩანთა.*

**ოთხკუთხედი** *ოთხკუთხედის* ოთხი კუთხის მქონე გეომეტრიული ფიგურა. *ოთხკუთხედის ფართობი.*

**ოთხმაგი** *ოთხმაგის* ოთხჯერ აღებული, ოთხჯერ მეტი. *ოთხმაგი ნაჭერი. ოთხმაგი სიჩქარე.* ■ **ოთხმაგად** ოთხჯერ მეტად. *ოთხმაგად დაუჯდა.*

**ოთხმოცდაათი** *ოთხმოცდაათის* რიცხვი 90. *ოთხმოცდაათი ამომრჩეველი.*

**ოთხმოცი** *ოთხმოცის* რიცხვი 80. *ოთხმოცი ძირი ნერგი.*

**ოთხფეხი** *ოთხფეხის* შინაური სამეურნეო ცხოველების საერთო სახელწოდება. *ოთხფეხი მრავლად ჰყავს.*

**ოთხშაბათი** *ოთხშაბათის* კვირის (1) მესამე დღის სახელწოდება. *სხდომა ოთხშაბათს დანიშნეს.* ■ **ოთხშაბათობით** ზმნზ. ყოველ ოთხშაბათს. *გა ზეთი ოთხშაბათობით გამოდის.*

**ოთხწახნაგა** *ოთხწახნაგას* რასაც ოთხი წახნაგი აქვს (ფიგურა). *ლითონის ოთხწახნაგა ღერო.*

**ოთხწახნაგოვანი** *ოთხწახნაგოვანის* იგივეა, რაც **ოთხწახნაგა**. *ოთხწახნაგოვანი ნაგებობა.*

**ოთხჯერ** ზმნზ. ოთხ ჯერზე განმეორებით. *ოთხჯერ სცადეს.*

**ოი** შორისდ. 1. გამოხატავს სინანულს, წუხილს. *ოი, როგორ მომნატრებია ეს ყველაფერი! ოი, რა დიდხანს გეძებდი!* 2. გამოხატავს სიხარულს, მოწონებას, აღტაცებას. *ოი, რა კარგია აქ ყოფნა!* 3. გამოიყენება, როცა საყვედურობენ, უჯავრდებიან, წყევლიან ვინმეს. *ოი, შე საძაგელო! ოი, გაგიხმეს ეგ ხელები!*

**ოიმე** შორისდ. გამოხატავს წუხილს, სინანულს. *ოიმე, როგორ მოვტყუვდი!*

**ოინბაზი** *ოინბაზის* ოინების ჩამდენი, მატყუარა. *დიდი ოინბაზი ვინმეა.*

**ოინბაზობა** *ოინბაზობის* (ოინბაზობს) ოინების ჩადენა. *ოინბაზობით ერთობა. ბიჭი ოინბაზობს.*

**ოინბაზური** *ოინბაზურის* ოინბაზისთვის დამახასიათებელი. *ოინბაზური საქციელი.*

**ოინი** *ოინის* 1. ეშმაკობა, ცელქობა, ხრიკი. *ბავშვური ოინი. ოინი ჩაიდინა. ოინებს მიუხვდა.* 2. ნარდის თამაშის ისეთი დაბოლოება, რომელიც მოგებულს ერთ ქულას სძენს. *ოინით დამთავრდა.*

**ოკეანარიუმი** *ოკეანარიუმის* ოკეანის (ზღვის) პირას მოწყობილი ხელოვნური წყალსატევი ზღვის ცხოველებზე დაკვირვებისთვის. *ოკეანარიუმში დელფინი ჰყავთ.*

**ოკეანე** *ოკეანის* დედამიწის წყლით დაფარული ვრცელი ნაწილი. *წყნარი ოკეანე. ოკეანის სანაპირო.*

**ოკრობოკრო** *ოკრობოკროს* 1. უსწორ-მასწორო, მაღალ-დაბალი (ზედაპირი). *ოკრობოკრო ქუჩა. ოკრობოკრო ე ზო.* 2. გადატ. არასწორი, დაუდევრად შესრულებული. *ოკრობოკრო კიდეები. ოკრობოკრო წარწერები.*

**ოკუპანტი** *ოკუპანტის* ოკუპაციის მომწყობი, ოკუპაციის მონაწილე. *ოკუპანტებთან თანამშრომლობს.*

**ოკუპაცია** *ოკუპაციის* რომელიმე სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების მიერ სხვა ქვეყნის ტერიტორიის დაკავება. *კუნძულის ოკუპაცია მოხდა.*

**ოკუპირება** *ოკუპირების* იგივეა, რაც ოკუპაცია. *მტერმა ქვეყნის ოკუპირება ვერ შეძლო.*

**ოკუპირებული** *ოკუპირებულის* დაპყრობილი, რის ოკუპაციაც მოხდა. *ოკუპირებული ქალაქი.*

**ოლარი** *ოლარის* მღვდლის შესამოსელის ნაწილი, კისერზე ჩამოსაცმელი გრძელი, დაქარგული ნიშნაფარი. *თეთრი ოლარი. ოლარის კალთა.*

**ოლე** *ოლეს* I. პატარა ტყე გაშლილ ადგილას, მინდორში, მდინარის პირას და მისთ. 2. გაკაფულ ტყეში საჩრდილობლად დატოვებული ხე ან ბუჩქი.

**ოლიგარქი** *ოლიგარქის* მსხვილი კაპიტალისტი, რომელიც ოლიგარქიის წევრია. *ოლიგარქების თავყრილობა.*

**ოლიგარქია** *ოლიგარქიის* მცირერიცხოვანი ჯგუფის პოლიტიკური და ეკონომიკური ბატონობა მათ მიერ მსხვილი კაპიტალის ხელში ჩაგდების გზით. *პოლიტიკური ოლიგარქია.* ■ **ოლიგარქიული** ოლიგარქიასთან დაკავშირებული. *ოლიგარქიული ხელისუფლება.*

**ოლიმპიადა** *ოლიმპიადის* I. დიდი საერთაშორისო შეჯიბრება სპორტის სხვადასხვა სახეობაში, იმართება ოთხ წელიწადში ერთხელ. *ზამთრის ოლიმპიადა.* 2. თეატრალური, სასწავლო და სხვა სახის შეჯიბრება. *მოსწავლეთა ოლიმპიადა.*

**ოლიმპიელი** *ოლიმპიელის* ოლიმპიური თამაშების მონაწილე. *ქართველი ოლიმპიელები.*

**ოლიმპიური** *ოლიმპიურის* ოლიმპიადასთან (I) დაკავშირებული, ოლიმპიადისთვის (I) შექმნილი. *ოლიმპიური ჩემპიონი. ოლიმპიური სტადიონი.*

**ოლოლო** შორისდ. ეგეც შენ! ეგეც იმას! (გამოიყენება ნიშნის მოგებისას). *ოლოლო შენ! ოლოლო მაგას!*

**ოლქი** *ოლქის* ადმინისტრაციულ-პოლიტიკური, სამეურნეო ან სამხედრო ერთეული. *ავტონომიური ოლქი. საარჩევნო ოლქი. სამხედრო ოლქი.*

**ომახიანი** *ომახიანის* ძლიერი, ვაჟკაცური, რიხიანი. *ომახიანი ხმა. ომახიანი სიმღერა.* ▲ **ომახიანად** ზმნზ. ვაჟკაცურად, რიხიანად. *ომახიანად შესძახა.*

**ომბალო** *ომბალოს* სურნელოვანი ბალახოვანი მცენარე, აქვს მომრგვალო ან მოგრძო-ოვალური ფოთლები, იზრდება ტენიან ადგილებში, გამოიყენება სანელებლად. *ომბალოს ფოთოლი.*

**ომბუდსმენი** *ომბუდსმენის* სახელმწიფო მოხელე სამოქალაქო დამცველის ფუნქციით. *ომბუდსმენის ოფისი.* შეცდომაა ომბუცმენი

**ომგადახდილი** *ომგადახდილის* ვინც იომა, ომი გამოიარა. *ომგადახდილი ქვეყანა. ომგადახდილი ვაჟკაცი.*

**ომი** *ომის* (ომობს, ეომება) I. შეიარაღებული დაპირისპირება სახელმწიფოებს ან საზოგადოებრივ კლასებს შორის. *ბირთვული ომი. სამოქალაქო ომი. ომი გამოუცხადა.* 2. გადატ. ბრძოლა ვინმეს ან რაიმეს წინააღმდეგ. *ყველას ეომება.*

**ომიანობა** *ომიანობის* ომის მიმდინარეობის დრო, ომის პერიოდი, განუწყვეტელი ომები. *ომიანობა დიდხანს გაგრძელდა. ქვეყანამ ომიანობა გადაიტანა.*

**ომობანა** *ომობანას* საბავშვო თამაშობა, რომლის მონაწილენიც ომის იმიტაციას ახდენენ.

**ომონიმი** *ომონიმის* ლინგ. სიტყვა, რომელიც ბგერითი შედგენილობით ემთხვევა სხვა სიტყვას, მნიშვნელობითა და წარმოშობით კი განსხვავდება მისგან.

**ონავარი** *ონავრის* ცელქი, მოუსვენარი. *ონავარი გოგო. ონავარი კვიცი.*

**ონავრობა** *ონავრობის* (ონავრობს) სიცელქე, ხალისიანობა. *ყმაწვილს ონავრობა შეშვენის. ბავშვები ონავრობენ.*

**ონი** *ონის* ქართული ანბანის მეთოთხმეტე ასოს (ო-ს) სახელწოდება.


ონკანი

**ონკანი** *ონკანის* სითხის ან გაზის სადენი მილის დასაკეტი მოწყობილობა. *ონკანი შეაკეთა.*

**ონკოლოგია** *ონკოლოგიის* მედიც. მედიცინის დარგი, რომელიც შეისწავლის სიმსივნეებსა და მათი მკურნალობის მეთოდებსა და საშუალებებს. ■ **ონკოლოგიური** ონკოლოგიასთან დაკავშირებული. *ონკოლოგიური დაავადებები.*

**ონჭო** *ონჭოს* ბალახოვანი მცენარე, იკეთებს ვიწრო, სურნელოვან ფოთლებსა და თეთრ ყვავილებს.

**ოო** შორისდ. I. გამოხატავს გაკვირვებას, გაოცებას. *ოო, როგორ შეცვლილა ყველაფერი!* 2. გამოხატავს მწუხარებას, სინანულს. *ოო, რა ძნელია მეგობრის დაკარგვა!*

**ოოხ** შორისდ. გამოხატავს მწუხარებას, სინანულს. *ოოხ, რა უბედური ვარ! ოოხ, რა ძნელია განშორება!*

**ოპერა** *ოპერის* I. მუსიკალურ-დრამატული ნაწარმოები. *ოპერის ავტორი. ოპერა შექმნა.* 2. თეატრალური წარმოდგენა, რომლის მონაწილენიც მღერიან ორკესტრის თანხლებით. *ოპერის დამდგმელი რეჟისორი.* 3. შენობა, რომელშიც ასეთი წარმოდგენა იმართება. *ოპერაში ვნახეთ.*

**ოპერატიული** *ოპერატიულის* დროული, საქმის დაუყოვნებლად შესრულებისთვის საჭირო. *ოპერატიული გადაწყვეტილება. ოპერატიული რეაგირება.* ▲ **ოპერატიულად** ზმნზ. დროულად. *დავალება ოპერატიულად შეასრულა.*

**ოპერატიულობა** *ოპერატიულობის* სწრაფად მოქმედების, პრაქტიკული ამოცანების სწრაფად გადაწყვეტის უნარი. *ოპერატიულობით გამოირჩევა.*

**ოპერატორი** *ოპერატორის* 1. სპეციალისტი, რომელიც აპარატით იღებს კინოფილმს ან სატელევიზიო გადაცემას. *კინოს ოპერატორი.* 2. პირი, რომელიც დანესებულებაში გარკვეულ ოპერაციებს (3) ასრულებს. *სალაროს ოპერატორი.* 3. იგივეა, რაც ქირურგი. *კარგი ოპერატორი.*

**ოპერაცია** *ოპერაციის* 1. ავადმყოფის გაკვეთა დაავადების მკურნალობის მიზნით. *გულის ოპერაცია. ოპერაცია გაუკეთეს.* 2. ერთი მიზნის, ერთი ამოცანის მქონე საომარ მოქმედებათა ერთობლიობა. *სადესანტო ოპერაცია. ოპერაციის გეგმა შეადგინეს.* 3. ერთჯერადი საფინანსო, სავაჭრო და მისთ. ქმედება. *საბანკო ოპერაცია. საფოსტო ოპერაცია.* ■ **ოპერაციული** ოპერაციის (1) საშუალებით შესრულებული, ოპერაციასთან (1) დაკავშირებული. *ოპერაციული ჩარევა.*

**ოპერეტა** *ოპერეტის* კომიკური მუსიკალური წარმოდგენა, რომელშიც ერთმანეთს ენაცვლება სიმღერა, ცეკვა და საუბარი. *სამმოქმედებიანი ოპერეტა.*

**ოპიუმი** *ოპიუმის* ნარკოტიკული ნივთიერება, მიიღება ხაშხაშის უმწიფარი თესლის წვენისგან, მედიცინაში გამოიყენება ტკივილგამაყუჩებელ საშუალებად. *ოპიუმის ინიექცია.*

**ოპოზიცია** *ოპოზიციის* სახელმწიფოში არსებული პოლიტიკური პარტია, საზოგადოებრივი გაერთიანება ან რაიმე ორგანიზაციის შიგნით შექმნილი ჯგუფი, რომელიც უპირისპირდება უმრავლესობის შეხედულებებსა და პოლიტიკას. *ოპოზიციის ლიდერი.*

**ოპოზიციური** *ოპოზიციურის* 1. ოპოზიციასთან დაკავშირებული. *ოპოზიციური პარტია.* 2. დაპირისპირებული, საწინააღმდეგო. *ოპოზიციური აზრი.*

**ოპოზიციონერი** *ოპოზიციონერის* პირი, რომელიც უმრავლესობის საწინააღმდეგო თვალსაზრისს იცავს, საწინააღმდეგო პოლიტიკას ატარებს. *ოპოზიციონერთა მიტინგი.*

**ოპონენტი** *ოპონენტის* კამათის დროს ვინმეს მოწინააღმდეგე, საპირისპირო აზრის მქონე. *ხელისუფლების ოპონენტი.*

**ოპტიკა** *ოპტიკის* 1. ფიზიკის დარგი, რომელიც სინათლეს შეისწავლის. 2. ხელსაწყო-იარაღები, რომელთა მოქმედება ემყარება სინათლის არეკვლისა და გარდატეხის კანონებს. *ოპტიკის მაღაზია.*

**ოპტიკური** *ოპტიკურის* ოპტიკასთან დაკავშირებული. *ოპტიკური ლინზები.* ◎ **ოპტიკური ილუზია** არასწორი მხედველობითი აღქმა, გამოწვეული ფიზიოლოგიური ან ფსიქოლოგიური ფაქტორებით.

**ოპტიმალური** *ოპტიმალურის* არსებულთა, დასაშვებთა შორის ყველაზე ხელსაყრელი, ყველაზე უფრო შესაფერი, საუკეთესო. *ოპტიმალური პირობები. თესვის ოპტიმალური ვადები.*

**ოპტიმიზმი** *ოპტიმიზმის* მომავლის რწმენა, ყველაფერში დადებითის აღმოჩენა, კარგ განწყობილებაზე ყოფნა. *ოპტიმიზმი ახასიათებს.*

**ოპტიმისტი** *ოპტიმისტის* ადამიანი, რომელსაც უკეთესი მომავლის იმედი აქვს. *დიდი ოპტიმისტია.* ■ **ოპტიმისტური** ოპტიმისტის დამახასიათებელი. *ოპტიმისტური მსჯელობა.*

**ორაგული** *ორაგულის* ზღვის მოზრდილი სარეწაო თევზი, რომელიც ქვირითს მდინარეში ყრის, აქვს მაღალი ხარისხის ხორცი. *ბადეს ორაგული ამოჰყვა.*

**ორაზროვანი** *ორაზროვნის* გაურკვეველი, სიცხადეს მოკლებული. *ორაზროვანი სიტყვა. ორაზროვანი დებულება.*

**ორაზროვნება** *ორაზროვნების* გაურკვევლობა, ბუნდოვანება. *საკითხის ორაზროვნება.*

**ორანგუტანგი** *ორანგუტანგის* ადამიანის მსგავსი დიდი მაიმუნი.

**ორანჟერეა** *ორანჟერეის* იგივეა, რაც სათბური.

**ორასი** *ორასის* რიცხვი 200. *ორასი აბიტურიენტი.*

**ორატორი** *ორატორის* 1. პირი, რომელიც საჯარო შეკრებაზე სიტყვით გამოდის. *ორატორები ერთმანეთს ენაცვლებოდნენ.* 2. იგივეა, რაც მჭევრმეტყველი. *ეს კაცი ნამდვილი ორატორია.* ■ **ორატორული** ორატორის დამახასიათებელი. *ორატორული ნიჭი.*

**ორატორია** *ორატორიის* მრავალნაწილიანი მუსიკალური ნაწარმოები, რომელიც დაწერილია გუნდის, სოლისტისა და ორკესტრისთვის, ახასიათებს დრამატული სიუჟეტი, განკუთვნილია საკონცერტო შესრულებისთვის.

**ორბი** *ორბის* დიდი ზომის მტაცებელი ფრინველი, იკვებება მძორით, ბინადრობს მაღალ მთებში. *ორბი სვავს ჰგავს. ორბი არწივზე დიდია.*

**ორბიტა** *ორბიტის* ციური სხეულის სამოძრაო გზა. *დედამიწის ორბიტა. მთვარის ორბიტა.*

**ორგან** ზმნზ. ორ ადგილას. *მილი ორგან იყო დაზიანებული.*

**ორგანი**[1] *ორგანის* რთული აგებულების კლავიშიანი და სასულე სამუსიკო ინსტრუმენტი, შედგება სხვადასხვა ზომის ლითონის მილებისა და კლავიატურისგან. *მექანიკური ორგანი. ორგანზე სასულიერო ჰიმნები სრულდება.* შეად. ომაა ორღანი

**ორგანი**[2] *ორგანის* ორმაგი სიგანის მქონე (ნაჭერი). *ორგანი ჩითი.*

**ორგანიზატორი** *ორგანიზატორის* პირი, რომელიც რაიმე ღონისძიებას ორგანიზებას უწევს, წარმართავს. *შეხვედრის ორგანიზატორები.*

**ორგანიზაცია** *ორგანიზაციის* I. იგივეა, რაც ორგანიზება. *სწავლების ორგანიზაცია.* 2. სახელმწიფოს ან კერძი პირთა მიერ შექმნილი გაერთიანება, რომელიც წარმართავს მეურნეობის, წარმოების, განათლებისა და მისთ. გარკვეულ სფეროს. *არასამთავრობო ორგანიზაცია. საბიუჯეტო ორგანიზაცია.* ■ **ორგანიზაციული** ორგანიზაციასთან დაკავშირებული. *ორგანიზაციული საკითხები.*

**ორგანიზება** *ორგანიზების* მოწყობა, მოწესრიგება. *შრომის ორგანიზება. საქმის ორგანიზება.*

**ორგანიზებული** *ორგანიზებულის* კარგად მომზადებული, მოწესრიგებული. *ორგანიზებული შეკრება. ორგანიზებული პიროვნება.* ▲ **ორგანიზებულად** ზმნზ. მომზადებულად, სრული წესრიგით. *შეჯიბრება ორგანიზებულად ტარდება.*

**ორგანიზმი** *ორგანიზმის* ერთმანეთთან სისტემურად დაკავშირებული ორგანოების ერთიანობა. *ცოცხალი ორგანიზმი. ორგანიზმის განვითარება.*

**ორგანო** *ორგანოს* I. ორგანიზმის შემადგენელი ნანილი, რომელსაც გარკვეული ფუნქცია აქვს. *სმენის ორგანო. გრძნობათა ორგანოები.* 2. სახელმნიფო ან საზოგადოებრივი დაწესებულება. *მმართველობის უმაღლესი ორგანო. ზემდგომი ორგანოები.* 3. პერიოდული ბეჭდვითი გამოცემა. *ყოველთვიური ორგანო.*

**ორგანული** *ორგანულის* I. ცოცხალი ორგანიზმების დაშლის შედეგად მიღებული, ცოცხალ ორგანიზმებთან დაკავშირებული, არაქიმიური. *ორგანული ნივთიერებები. ორგანული სასუქი. ორგანული ნარჩენები.* 2. ორგანოებთან დაკავშირებული, ორგანოებიდან მომდინარე. *ორგანული დაავადებები. ორგანული ტკივილები.* 3. შინაგანი ბუნებიდან, არსიდან მომდინარე, სისტემის სტრუქტურით განპირობებული. *ორგანული კავშირი. ორგანული ნაწილი.*

**ორგვარი** *ორგვარის* იგივეა, რაც ორნაირი. *ორგვარი ნივთიერება. ორგვარი მიდგომა. ორგვარი პასუხი.*

**ორგია** *ორგიის* ზღვარგადასული დროსტარება, მოლხენა. *ორგიებს მართავენ.*

**ორგული** *ორგულის* მოღალატე, ვინმეს მიმართ მტრულად განწყობილი. *ორგული ამხანაგი. ორგული ცოლი.*

**ორგულობა** *ორგულობის* (ორგულობს) ღალატი. *ორგულობას სწამებენ.*

**ორდენი** *ორდენის* I. სხვადასხვა ხარისხისა და სახელნოდების ნიშანი, რომლითაც ხელისუფლება აჯილდოებს განსაკუთრებული დამსახურებისთვის. *წმინდა გიორგის ორდენი.* 2. ზოგიერთი ორგანიზაციის, საზოგადოების სახელწოდება. *მასონთა ორდენი. იე ზუიტთა ორდენი.*

**ორდენოსანი** *ორდენოსნის* ვინც ორდენი დაიმსახურა. *ორდენოსანი მუშაკი.*

**ორდერი** *ორდრის* წერილობითი საბუთი, რომელიც რაიმეს უფლებას იძლევა. *მოსამართლის ორდერი. ჩხრეკის ორდერი.*

**ორდინარული** *ორდინარულის* არაფრით გამორჩეული, ჩვეულებრივი. *ორდინარული შემთხვევა.*

**ორდინატურა** *ორდინატურის* პრაქტიკული სამედიცინო სასწავლო საფეხური, რომლის დროსაც სწავლება მიმდინარეობს ხელმძღვანელის უშუალო მითითებებით. *ორდინატურაში სწავლობს.*

**ორენოვანი** *ორენოვანის* I. ვინც ორი ენა თანაბრად იცის, ვინც ორ ენაზე მეტყველებს, ფიქრობს, წერს. *ორენოვანი მოსახლეობა. ორენოვანი მწერალი.* 2. ორ ენაზე შექმნილი, დაწერილი. *ორენოვანი წარწერა. ორენოვანი ლექსიკონი.*

**ორეული** *ორეულის* ადამიანი, რომელიც მეორე ადამიანს ძალიან ჰგავს. *ორეული ჰყავს. ორეულს ეძებენ.*

**ორთაბრძოლა** *ორთაბრძოლის* ბრძოლა მხოლოდ ორ მოწინააღმდეგეს შორის. *ორთაბრძოლა გაიმართა.*

**ორთავა** *ორთავას* იგივეა, რაც ორთავიანი. *ორთავა მწვერვალი.*

**ორთავიანი** *ორთავიანის* რასაც ორი თავი აქვს. *ორთავიანი დევი.*

**ორთაყვირი** *ორთაყვირის* ტივის ან ბორნის სამართავი, წყალში მოსასმელი ძელი. *ტივი ნაპირთან ორთაყვირებით მიაყენეს.*

**ორთვალა** *ორთვალას* პირუტყვის შესაბმელი ორბორბლიანი სატრანსპორტო საშუალება. *ცხენის ორთვალა. ორთვალაში კამეჩსაც აბამენ.*

**ორთვიანი** *ორთვიანის* I. ორი თვის ასაკისა. *ორთვიანი გოჭები. ორთვიანი ხბო.* 2. რაც ორ თვეში მოდის და მწიფდება (ხილი ან ბოსტნეული). *ორთვიანი ხახვი.*

**ორთითი** *ორთითის* ხელის სამუშაო იარაღი, ხის ორკაპიანი ფიწალი, იყენებენ ბზის, ჩალის, თივის ასაღებად. *შინდის ორთითი.*

**ორთოგრაფია** *ორთოგრაფიის* იგივეა, რაც მართლწერა. ■ **ორთოგრაფიული** ორთოგრაფიის ხასიათისა. *ორთოგრაფიული შეცდომა.*

**ორთოდოქსი** *ორთოდოქსის* რაიმე მოძღვრების, შეხედულების ურყევად, ზედმიწევნით ზუსტად მიმდევარი, გამტარებელი. *ორთოდოქსი ქრისტიანი.* ■ **ორთოდოქსული** ორთოდოქსისთვის დამახასიათებელი. *ორთოდოქსული სარწმუნოება. ორთოდოქსული აზრები.*

**ორთოპედია** *ორთოპედიის* მედიც. მედიცინის დარგი, რომელიც შეისწავლის ხერხემლისა და კიდურების დეფორმაციასა და მათი მკურნალობის მეთოდებს.

**ორთქლი** *ორთქლის* სითხის გათბობის შედეგად წარმოქმნილი უმცირესი ნაწილაკებით გაჯერებული აირი. *ორთქლი ასდის. ცხელი ორთქლი.*

**ორთქლმავალი** *ორთქლმავლის* ლოკომოტივი, რომელსაც ორთქლის ძრავა აქვს. *ძველებური ორთქლმავალი.*

**ორი** *ორის* რიცხვი 2. *ორი მეგობარი. ორი წყვილი ფეხსაცმელი.* ■ **ორ-ორი** რამდენჯერმე ორი, თითო ჯერზე ორი, თითოსთვის ორი. *ორ-ორი წიგნი დაურიგეს.*

**ორიგინალი** *ორიგინალის* იგივეა, რაც **დედანი**. *ნახატის ორიგინალი.*

**ორიგინალური** *ორიგინალურის* 1. რაც ნათარგმნი, ნასესხები არ არის. *ორიგინალური თხზულება. ორიგინალური ლიტერატურა.* 2. განსხვავებული, განსაკუთრებული. *ორიგინალური შეხედულება. ორიგინალური კონსტრუქცია.* ▲ **ორიგინალურად** ზმნზ. თავისებურად, განსაკუთრებულად. *ორიგინალურად მსჯელობს.* შეცდომაა ორგინალური

**ორიგინალურობა** *ორიგინალურობის* (ორიგინალურობს) 1. თავისთავადობა, გამორჩეულობა. *ორიგინალურობა მოსწონს.* 2. ორიგინალურად მოქცევა, ორიგინალურობით (1) თავის მოწონება. *ახალგაზრდა ორიგინალურობს.* შეცდომაა ორგინალურობა

**ორიენტაცია** *ორიენტაციის* 1. ადგილმდებარეობაში, სივრცეში გარკვევა. *ორიენტაციით სახლს მალე მიაგნო.* 2. გადატ. სიტუაციაში, პრობლემებში გარკვევა. *ამ საკითხებში ორიენტაცია უჭირს.* 3. გადატ. გარკვეული მოქმედების მიმართულება. *ტრადიციული ორიენტაცია. პოლიტიკური ორიენტაცია.*

**ორიენტირება** *ორიენტირების* იგივეა, რაც **ორიენტაცია** (1, 2). *უცხო ქალაქში ორიენტირებას კარგად ახერხებს.*

**ორიენტირებული** *ორიენტირებულის* ვინმეზე ან რაიმეზე მიმართული. *მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლება. შედეგზე ორიენტირებული პროცესი.*

**ორიენტირი** *ორიენტირის* ცალკე მდგომი ან რაიმეთი გამორჩეული ნაგებობა, ხე, მთა და მისთ., რომლის მიხედვითაც შესაძლებელია ადგილმდებარეობაში გარკვევა. *ორიენტირად ანძა ჰქონდათ.*

**ორივე** *ორივეს* ისიც და ისიც, ერთიც და მეორეც. *ორივე მოვიდა.*

**ორიოდ**||**ორიოდე**. *მშენებლობა ორიოდ თვეში დამთავრდება.*

**ორიოდე** *ორიოდეს* დაახლოებით ორი. *ორიოდე ლარი ჰქონდა დარჩენილი.*

**ორკაპა** *ორკაპას* ბოლოში ორად გაყოფილი (ღერო, ჯოხი და მისთ.). *ორკაპა ტოტი.*

**ორკაპი** *ორკაპის* იგივეა, რაც **ორკაპა**. *ორკაპი ფიწალი.*

**ორკესტრი** *ორკესტრის* მუსიკოსთა კრებული, რომლის წევრებიც ერთდროულად ასრულებენ ნაწარმოებებს სხვადასხვა საკრავზე. *სიმფონიური ორკესტრი.*

**ორკეცი** *ორკეცის* ორ ფენად აღებული, ორად მოკეცილი. *ორკეცი ტილო. ორკეცი ბაწარი.*

**ორლესული** *ორლესულის* ორივე მხარეს ალესილი, ორივე მხარეს მჭრელი (იარაღი). *ორლესული ხანჯალი. ორლესული დაშნა.*

**ორლულიანი** *ორლულიანის* რასაც ორი ლულა აქვს. *ორლულიანი თოფი.*

**ორმაგი** *ორმაგის* 1. ორჯერ აღებული, ორჯერ მეტი. *ორმაგი ტილო. ორმაგი ენერგია. ორმაგი ძალით.* ▲ **ორმაგად** ზმნზ. ორად, ორჯერ მეტად. *ორმაგად გაუხარდა.*

**ორმო** *ორმოს* მიწის ამოთხრით მიღებული ღრმული. *ღრმა ორმო.* ⊙ **ორმოს უთხრის** ფარულად მტრობს, ბოროტებას უკეთებს, ღუპავს.

**ორმოცდაათი** *ორმოცდაათის* რიცხვი 50. *ორმოცდაათი ავტობუსი.*

**ორმოცი** *ორმოცის* რიცხვი 40. *ორმოცი ექიმი.*

**ორმხრივი** *ორმხრივის* 1. ორ საპირისპირო მხარეს მიმართული. *ორმხრივი მიმოსვლა.* 2. ორივე მხარის თანხმობით, შეთანხმებით მიღებული. *ორმხრივი თანხმობა. ორმხრივი ხელმოწერა.* ▲ **ორმხრივად** ზმნზ. ორ მხარეს, ორი მიმართულებით. *მატარებლები ორმხრივად მოძრაობენ.*

**ორნაირი** *ორნაირის* ორი სახის, ორი ფორმის, ორი სხვადასხვა თვისების მქონე. *ორნაირი აპარატი. ორნაირი მეთოდი.*

**ორნამენტი** *ორნამენტის* გეომეტრიული ფიგურების, ცხოველების, მცენარეების ფერწერული, გრაფიკული ან სკულპტურული გამოსახულება, რომლითაც ამკობენ საგნებს, შენობებსა და მისთ. *კედელზე შემორჩენილი ორნამენტი. ორნამენტებით შემკობა.*

**ორნახადი** *ორნახადის* ორჯერ გამოხდით მიღებული. *ორნახადი არაყი.*

**ორ-ნახევარი** *ორ-ნახევრის* ორი და ნახევარი. *ორ-ნახევარი ქულით ჩამორჩა.*

**ოროვანდი** *ოროვანდის* ორწლოვანი ბალახოვანი მცენარე, აქვს პატარა, მომრგვალო, კალათებად შეკრებილი მოწითალო ყვავილები.

**ოროველა** *ოროველას* ქართული ხალხური სიმღერა, რომელსაც მღეროდა მეხრე მინის ხარ-გუთნით ხვნის დროს (გავრცელებულია აღმოსავლეთ საქართველოში). *ოროველა დასძახეს.*

**ორომი** *ორომის* ცომის გუნდების გასაბრტყელებელი თხელი ფიცარი, გამოიყენება პურის ცხობისას.

ორომი

**ორომტრიალი** *ორომტრიალის* არეულობა, აურზაური,

აყალმაყალი. *დიდი ორომტრიალი ატყდა.*

**ორპირი**[1] *ორპირის* იგივეა, რაც ორლესული. *ორპირი იარაღი.*

**ორპირი**[2] *ორპირის* სიტყვის გამტეხი, პირობის არშემსრულებელი, მოღალატე. *ორპირი კაცი.*

**ორპირობა** *ორპირობის* (ორპირობს) არასანდოობა, პირობის შეუსრულებლობა, ორპირი ადამიანის თვისება. *ორპირობა შეატყო. ცნობილია თავისი ორპირობით.*

**ორსული** *ორსულის* ვინც მუცლით ნაყოფს ატარებს. *ორსული ქალი.*

**ორსულობა** *ორსულობის* ორსულის მდგომარეობა. *მძიმე ორსულობა აქვს.*

**ორტოტა** *ორტოტას* ორ ნაწილად გაყოფილი, ორტოტიანი. *ორტოტა მდინარე. ორტოტა ხე.*

**ორფა** *ორფას* იგივეა, რაც ორმაგი. *ორფა ბაწარი. ორფად გააბა.*

**ორფეხა** *ორფეხას* რასაც ორი ფეხი აქვს. *ორფეხა სკამი.*

**ორქიდეა** *ორქიდეის* ბალახოვანი მცენარე, აქვს სხვადასხვა ფორმისა და შეფერილობის სურნელოვანი ყვავილები. *თეთრი ორქიდეა. შეცდომაა ორხიდეა*

**ორღობე** *ორღობის* ღობეებს შორის მიმავალი გზა. *ვიწრო ორღობე. ორღობეში ჩაიარეს.*

**ორშაბათი** *ორშაბათის* კვირის (1) პირველი დღის სახელწოდება. *ჩემპიონატი ორშაბათს იწყება.* ▪ **ორშაბათობით** ზმნზ. ყოველ ორშაბათს. *ლექცია ორშაბათობით ტარდება.*

**ორშიმო** *ორშიმოს* აყიროსგან გაკეთებული გრძელტარიანი ჭურჭელი, გამოიყენება ქვევრიდან ღვინის ამოსაღებად

**ორცხობილა** *ორცხობილას* ღუმელში გამომშრალი პურის ნაჭრები. *ორცხობილას აკნატუნებს.*

**ორწერტილი** *ორწერტილის* სასვენი ნიშანი (:), გამოიყენება რაიმეს ჩამოთვლისას, ახსნა-განმარტებისას და მისთ.

**ორწვერა** *ორწვერას* რაც ორი წვერის შეწყვილებითაა მიღებული. *ორწვერა ძაფი.*

**ორწოხი** *ორწოხის* (ძირითადად მრ.) ვიწრო, კლდოვანი ადგილები მთებსა და ხევებში. *ორწოხებშიც შეჰყვა ნადირს.*

**ორწყალშუა** ◉ **ორწყალშუა დგას (არის)** 1. არჩევანის გაკეთება უჭირს, გადაწყვეტილებას ვერ იღებს. 2. გამოუვალ, უიმედო მდგომარეობაშია.

**ორჭიდი** *ორჭიდის* შეჯიბრება სპორტის ორ სახეობაში.

**ორჭოფობა** *ორჭოფობის* (ორჭოფობს) ყოყმანი, მერყეობა. *ბევრს ორჭოფობს. ორჭოფობის დრო აღარ არის.*

**ორჭოფული** *ორჭოფულის* ორაზროვანი, ბუნდოვანი, საეჭვო, გაურკვეველი. *ორჭოფული პასუხი.*

**ორხევი** *ორხევის* ორი ხევის შეერთების ადგილი. *გაიარა ორხევი და გაშლილ გზას დაადგა.*

**ორხმიანი** *ორხმიანის* რაც ორი სხვადასხვა ტონალობის ხმის შეწყობით სრულდება (სიმღერა, ჰანგი). *ორხმიანი სიმღერა. ორხმიანი მელოდიები.*

**ოსპი** *ოსპის* დაბალი, ერთწლოვანი კულტურული პარკოსანი მცენარე, აქვს თეთრი, ვარდისფერი ან ლურჯი ყვავილები და სხვადასხვა ფერის ბრტყელი ან ამობურცული მარცვლები. *ოსპის სუპი.*

**ოსტატი** *ოსტატის* 1. ხელოსანი, რომელიც კარგად ფლობს თავის ხელობას. *ოსტატის შეგირდი.* 2. თავისი საქმის კარგად მცოდნე, სპეციალისტი. *მხატვრული სიტყვის ოსტატი.* ◉ **სპორტის ოსტატი** სპორტსმენთა წოდება, თანრიგი.

**ოსტატობა** *ოსტატობის* (ოსტატობს) 1. სახელოსნო საქმის კეთება. *მამა სახლში ოსტატობს.* 2. საქმეში სიმარჯვე, კარგად კეთების უნარი. *ოსტატობა გამოიჩინა.*

**ოსტატურად** ზმნზ. 1. ოსტატის შესაფერისად, ხარისხიანად. *ოსტატურად ძერწავს.* 2. გადატ. მოხერხებულად, მარჯვედ. *ოსტატურად აუარა გვერდი.*

**ოსტატური** *ოსტატურის* 1. ოსტატის დამახასიათებელი, ხარისხიანად, კარგად შესრულებული. *ოსტატური ნაქსოვი.* 2. გადატ. მოხერხებული, მარჯვე, ეშმაკური. *ოსტატური ხერხი იხმარა. ოსტატური ტყუილი თქვა.*

**ოფი** *ოფის* საშუალო სიმაღლის ან მაღალი ხე, აქვს გაშლილი ვარჯი, ნაცრისფერი ქერქი და თავწაწვეტებული ფოთლები, იზრდება წყლის პირებზე.

**ოფისი** *ოფისის* უწყების, სამსახურის, ორგანიზაციის, ფირმისა და მისთ. საქმიანობის ადგილი. *ახალი ოფისი. ოფისის მისამართი.*

**ოფიცერი** *ოფიცრის* მეთაურთა წოდება არმიასა და ფლოტში. *გვარდიის ოფიცერი. პოლიციის ოფიცერი.*

**ოფიციალური** *ოფიციალურის* 1. მთავრობის ან თანამდებობის პირისგან მომდინარე. *ოფიციალური მიწვევა. ოფიციალური მიღება. ოფიციალური ვიზიტი.* 2. რაც ყოველგვარი წესის დაცვით ხდება. *ოფიციალური ურთიერთობა.*

**ოფიციანტი** *ოფიციანტის* რესტორნის, სასადილოს, კაფესა და მისთ. თანამშრომელი, რომელიც კლიენტებს ემსახურება. *ოფიციანტმა შეკვეთა მიიღო.*

**ოფიციოზი** *ოფიციოზის* ფორმალურად მთავრობისგან დამოუკიდებელი, მაგრამ რეალურად მისი თვალსაზრისის გამომხატველი ბეჭდვითი ორგანო (გაზეთი, ჟურნალი და მისთ.).

ოფიცრობა *ოფიცრობის* ოფიცრად ყოფნა, ოფიცრის წოდება. *ოფიცრობა მიიღო.*

ოფლი *ოფლის* უფერული, მლაშე სითხე, რომელსაც დიდი ფიზიკური დატვირთვისას ან ორგანიზმის ავადმყოფური მდგომარეობისას გამოყოფს საოფლე ჯირკვლები. *ოფლი მოიდინა. ოფლმა დაასხა. ოფლის მონმენდა.* ▪ ოფლიანი ვისაც ან რასაც ოფლი აქვს გამოსული. *ოფლიანი ხელისგული.*

ოფლიანობა *ოფლიანობის* ოფლის გამოსვლა. *ამ დაავადებამ ოფლიანობა იცის.*

ოფოფი *ოფოფის* მტრედზე მომცრო ფრინველი, თავზე აქვს სავარცხლის მსგავსი ქოჩორი. ☉ ოფოფები ჰყავს საუბრ. არასერიოზულია, უმიზეზოდ ბრაზიანია.

ოქმი *ოქმის* ოფიციალური წერილობითი საბუთი, რომელიც ადასტურებს რაიმე ფაქტსა თუ მოვლენას ან აღწერს რაიმე პროცესს (სხდომას, დაკითხვასა და მისთ.). *კრების ოქმი. გამოძიების ოქმი.*

ოქრო *ოქროს* 1. ყვითელი ფერის ძვირფასი ლითონი, გამოიყენება მონეტების მოსაჭრელად, სამკაულების დასამზადებლად, ასევე მატერიალური ღირებულების საზომად. *ოქროს საყურე. ოქროს ზოდი. ოქროს მედალი.* 2. გადატ. ძალიან კარგი, ძვირფასი. *ოქროს ხელები აქვს. ოქრო ბიჭია.* ☉ ოქროს ქორწილი ცოლქმრული თანაცხოვრების 50 წლისთავის აღსანიშნავი წვეულება. ⊙ ოქროს ხანა განსაკუთრებული მიღწევების, აყვავების ხანა ამა თუ იმ ქვეყნის ისტორიაში.

ოქრომკედი *ოქრომკედის* აბრეშუმის ძაფთან შეგრეხილი ოქროს ან ვერცხლის ძაფი, გამოიყენება საქარგავად. *ოქრომკედით ნაქარგი დაფარნა.*

ოქრომჭედელი *ოქრომჭედლის* ხელოსანი, რომელიც ძვირფასი ლითონებისგან ამზადებს სამკაულებსა და სხვა ნივთებს. *ოქრომჭედლის ხელსაწყო.*

ოქრომჭედლობა *ოქრომჭედლობის* ოქრომჭედლის ხელობა, ოქრომჭედლად ყოფნა. *ოქრომჭედლობა დაიწყო. ოქრომჭედლობას სწავლობს.*

ოქროპირი *ოქროპირის* ლამაზად მოსაუბრე, კარგი ორატორი. *ოქროპირი თამადა.*

ოქროსფერი *ოქროსფრის* ელვარე ყვითელი. *ოქროსფერი ჯვარი.*

ოქროული *ოქროულის* ოქროს სამკაულების ერთობლიობა. *ოქროულის მაღაზია.*

ოქროულობა *ოქროულობის* იგივეა, რაც ოქროული. *ოქროულობა გამოფინეს.*

ოქროშვრია *ოქროშვრიის* მრავალწლოვანი ბალახოვანი მარცვლოვანი მცენარე, გამოიყენება საქონლის საკვებად.

ოქროშინდა *ოქროშინდას* შინდის სახეობა, ისხამს ყვითელ ნაყოფს.

ოქროცოცხა *ოქროცოცხას* ერთწლოვანი ბალახოვანი მცენარე, აქვს კალათებად შეკრებილი პატარა ყვავილები, გამოიყენება სამკურნალოდ.

ოქროცურვილი *ოქროცურვილის* ოქროთი დაფერილი, ოქროში ამოვლებული. *ოქროცურვილი სამკაული.*

ოქტავა *ოქტავის* ინტერვალი გამის პირველ ბგერასა და მერვე ბგერას შორის.

ოქტომბერი *ოქტომბრის* წელიწადის მეათე თვე. *სამ ოქტომბერს პრემიერაა.*

ოღონდ კავშ. იქნებ როგორმე, მაგრამ როგორმე (გამოიყენება ისეთი თხოვნის ან სურვილის გამოხატვისას, რომლის შესასრულებლად ხდება რაიმეს დათმობა, დაშვება). *ოღონდ მოვიდეს, მე არაფერს ვეტყვი. წიგნს გათხოვებ, ოღონდ მალე დამიბრუნე.*

ოღონდაც კავშ. იგივეა, რაც ოღონდ. *ოღონდაც მომეცი, მეტს არაფერს გთხოვ.*

ოღროჩოღრო *ოღროჩოღროს* რასაც უსწორმასწორო ზედაპირი აქვს. *ოღროჩოღრო იატაკი. ოღროჩოღრო გზა.*

ოყნა *ოყნის* სწორი ნაწლავიდან ორგანიზმში სითხის შესაყვანი ხელსაწყო, იყენებენ ნაწლავების გასაწმენდად ან სამკურნალოდ. *გამწმენდი ოყნა. გამხსნელი ოყნა.*

ოყრაყი *ოყრაყის* უშნოდ დიდი ტანის მქონე. *ვინ არის ეს ოყრაყი?*

ოშოშა *ოშოშას* მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარე, აქვს გრძელი, მხოხავი ღერო და მონითალო-იისფერი ყვავილები, ყვავილობს ადრე გაზაფხულზე, გამოიყენება სამკურნალოდ.

ოჩანი *ოჩნის* გაუწვრთნელი, ჯიუტი (ცხენი, ჯორი, ხარი). *ოჩანი ჯორივით დადგა.*

ოცდაათი *ოცდაათის* რიცხვი 30. *ოცდაათი თანამშრომელი.*

ოცეული *ოცეულის* 1. ოცი ცალისგან შემდგარი ერთეული. *სამი ოცეული.* 2. ასეულის, ესკადრონის ან ბატალიონის ქვედანაყოფი. *საარტილერიო ოცეული. ოცეულის მეთაური.*

ოცი *ოცის* რიცხვი 20. *ოცი ქულა. ოცი ბიჭი.* ▪ ოცოცი რამდენჯერმე ოცი, თითო ჯერზე ოცი, ყველგან ოცი. *უფროს კლასებში ოც-ოცი ბავშვია.*

ოციოდ||ოციოდე. *ოციოდ დღე დარჩა.*

ოციოდე *ოციოდეს* დაახლოებით ოცი. *ოციოდე კაცი დაპატიჟა.*

ოცმეთაური *ოცმეთაურის* სამხედრო პირი, რომელიც ოცეულს (2) მეთაურობს.

ოცნება *ოცნების* (ოცნებობს) სასურველის, სასიამოვნოს წარმოდგენა, წარმოსახვა ფიქრში. *ოცნება უყვარს. მოგზაურობაზე ოცნებობს.*

ოწინარი *ოწინარის* ჭიდან წყლის ამოსაღები მოწყობილობა – მაღალ ბოძებში გაყრილ ღერძზე დამაგრებული ძელი, რომლის ბოლოში ჩამოკიდე-

ბულია ჭიდან წყლის ამოსაღები ჭურჭელი. *ონინარზე მიბმული ვედრო.*

**ოხ** შორისდ. 1. გამოხატავს მწუხარებას, სინანულს. *ოხ, როგორ დავკარგეთ ერთმანეთი!* 2. გამოხატავს მონონებას, აღტაცებას. *ოხ, რა მშვენიერია ეს ბუნება!*

**ოხერი** *ოხრის* 1. უპატრონო, უთვისტომო. *ოხერი ქვრივი.* 2. ეშმაკი, მოხერხებული. *ოხერი ბავშვია.* 3. ლანძღ. ცუდი, საზიზღარი (ამბობენ გაბრაზებისას). *გამაწამა ამ ოხერმა ცხენმა!* ⊙ **ოხრად დასარჩენი** წყევ. უპატრონოდ დასარჩენი, მოსასპობი. ⊙ **ოხრად დაურჩება** ვერ მოიხმარს, უპატრონოდ დარჩება.

**ოხერ-ტიალი** *ოხერ-ტიალის* 1. იგივეა, რაც **ოხერი** (1). 2. ლანძღ. ცუდი, ოხერი, საზიზღარი. *შე ოხერ-ტიალო! რას მერჩის ეს ოხერ-ტიალი!*

**ოხვრა** *ოხვრის* (ოხრავს) მწუხარების, დარდის გამომხატველი უსიტყვო ამოძახილი. *მძიმედ ოხრავს. ოხვრა აღმოხდა.*

**ოხრახუში** *ოხრახუშის* ფართოდ გავრცელებული მწვანილი, აქვს სპეციფიკური სუნი და გემო, გამოიყენება სანელებლად. *ოხრახუშის კონა. ახალი ოხრახუში.*

**ოხრობა** *ოხრობის* საუბრ. ცუდი, მიუღებელი რამ (ამბობენ გაბრაზებისას). *ეს რა ოხრობაა! რაღაც ოხრობა მოიფიქრეს.*

**ოხტი** ⊙ **ვინმეს ოხტში ამოვა** ვინეს სამაგიეროს გადაუხდის, ჯავრს ამოიყრის.

**ოხუნჯი** *ოხუნჯის* ვისაც ხუმრობით ლაპარაკი უყვარს. *ოხუნჯი კაცი.*

**ოხუნჯობა** *ოხუნჯობის* (ოხუნჯობს, ეოხუნჯება) ხუმრობით ლაპარაკი. *მეგობრებთან ოხუნჯობს. დას ეოხუნჯება.*

**ოხშივარი** *ოხშივრის* ძლიერი გახურების შედეგად ნარმოქმნილი ორთქლი. *ქვაბს ოხშივარი ასდის.*

**ოჯალეში** *ოჯალეშის* 1. წითელყურძნიანი ვაზის ჯიში, აქვს სამად დანაკვთული, ქვევიდან მონაცრისფრო ბუსუსებით დაფარული პატარა ფოთლები და მოკლე მტევნები, გავრცელებულია სამეგრელოში. 2. ოჯალეშისგან (1) დაყენებული ღვინო. *ოჯალეში ესვით.*

**ოჯახაშენებული** *ოჯახაშენებულის* სიტყვა, რომელიც გამოხატავს უკმაყოფილებას, საყვედურს იმ ადამიანისადმი, რომელსაც, ჩვეულებრივ, პატივისცემით ეკიდებიან. *მე რას მერჩის ეგ ოჯახაშენებული! ეს ოჯახაშენებული დროზე მაინც მოსულიყო!*

**ოჯახდასაქცევი** *ოჯახდასაქცევის* წყევ. ოჯახის დაქცევის ღირსი, მოსასპობი. *რას მერჩის, ეგ ოჯახდასაქცევი!*

**ოჯახდაქცეული** *ოჯახდაქცეულის* წყევ. იგივეა, რაც **ოჯახდასაქცევი**. *რა გინდა, შე ოჯახდაქცეულო!*

**ოჯახი** *ოჯახის* 1. ერთად მცხოვრები უახლოესი ნათესავების (მშობლების, შვილების, შვილიშვილების) ერთობლიობა. *დიდი ოჯახი. მრავალრიცხოვანი ოჯახი. ოჯახის წევრები.* 2. ცხოველთა ან ფრინველთა ჯგუფი, რომელიც შედგება მამლის, დედლისა და მათი ნაშიერისგან. *მგლის ოჯახი. მერცხლის ოჯახი.* 3. ფრინველთა ან ცხოველთა სახეობა. *ქორისებრთა ოჯახი. ძაღლისებრთა ოჯახი.* ⊙ **ოჯახს შექმნის/ოჯახს მოეკიდება** დაოჯახდება, დაქორწინდება. ⊙ **ოჯახს დაანგრევს** ოჯახს მიატოვებს, განქორწინდება.

**ოჯახისთავი** *ოჯახისთავის* ოჯახის უფროსი. *ოჯახისთავი შინ არ არის.*

**ოჯახიშვილი** ძვ. ვინც კარგი, შეძლებული ოჯახიდან არის.

**ოჯახიშვილობა** *ოჯახიშვილობის* რჩეული ოჯახიდან წარმომავლობა. *ოჯახიშვილობით ამაყობს.*

**ოჯახობა** *ოჯახობის* 1. იგივეა, რაც **ოჯახი**. *მთელი ოჯახობა გაემგზავრა.* 2. ძვ. იგივეა, რაც **ცოლი**. *თავისი ოჯახობა გააცნო.*

**ოჯახური** *ოჯახურის* 1. ოჯახში გაკეთებული, ოჯახში მომზადებული. *ოჯახური სადილი.* 2. ოჯახის დამახასიათებელი, ოჯახის შესაფერისი. *ოჯახური გარემო.*

**ოჰ** შორისდ. 1. გამოხატავს გაკვირვებას, გაოცებას. *ოჰ, ეს საიდან გაჩნდა?!* 2. გამოხატავს სიხარულს, მოწონებას, აღტაცებას. *ოჰ, რა ლამაზია ზღვა!* 3. გამოხატავს წუხილს, სინანულს. *ოჰ, როგორ მივატოვე მარტო!*

**ოჰო** შორისდ. გამოხატავს გაკვირვებას. *ოჰო, ამას თქვენგან არ ველოდი!*

# — პ —

**პაგინაცია** *პაგინაციის* ნაბეჭდი გვერდების დანომვრა.

**პაემანი** *პაემნის* 1. შეყვარებულების წინასწარ დათქმული შეხვედრა. *პაემანი დაუნიშნა.* 2. ორი ან მეტი პირის წინასწარ შეთანხმებული შეხვედრა. *საქმიანი პაემანი.*

**პაექრობა** *პაექრობის* (პაექრობს, ეპაექრება) კამათი სხვადასხვა აზრის მქონე ადამიანებს შორის. *ლიტერატურული პაექრობა. ოპონენტს ეპაექრება.*

**პავილიონი** *პავილიონის* 1. დროებითი ან მუდმივი შენობა გამოფენისთვის, კინო- ან ფოტოგადაღებისთვის, ხმის ჩაწერისთვის. *საგამოფენო პავილიონი.* 2. მსუბუქი კონსტრუქციის ნაგებობა. *ყვავილების პავილიონი. ბაღში პავილიონი ჩადგეს.*

**პათეტიკური** *პათეტიკურის* ამაღელვებელი, მგზნებარე. *პათეტიკური ტონი. პათეტიკური სიტყვა.* შეცდომაა პათეტიური

**პათოლოგია** *პათოლოგიის* 1. მეცნიერება, რომელიც შეისწავლის ორგანიზმში სხვადასხვა დაავადების წარმოშობასა და მიმდინარეობას, ნორმისგან გადახრას. 2. ორგანიზმის ან მისი ამა თუ იმ ორგანოს მაჩვენებლების ნორმიდან გადახრა. *ფილტვების პათოლოგია.* ■ **პათოლოგიური** პათოლოგიისთვის დამახასიათებელი, პათოლოგიასთან დაკავშირებული. *პათოლოგიური პროცესები.*

**პათოსი** *პათოსის* აღფრთოვანება, აღმაფრენა. *ახალგაზრდული პათოსი. პათოსით მოქმედებს.*

**პაი** *პაის* საერთო საქმეში თითოეული თანამოსაქმის მიერ შეტანილი წილი.

**პაიკი** *პაიკის* ყველაზე მცირე მნიშვნელობის მქონე ფიგურა ჭადრაკში. *გამსვლელი პაიკი.*

პაიკი



**პაკეტი** *პაკეტის* 1. კონვერტი, რომელშიც ჩადებულია ოფიციალური საქმიანი წერილი ან სხვა დოკუმენტი. *დალუქული პაკეტი.* 2. ოფიციალური დოკუმენტების ერთობლიობა. *კანონპროექტების პაკეტი.*

**პაკიპუკი** *პაკიპუკის* იგივეა, რაც ბაკიბუკი. *პაკიპუკით დადის.*

**პალატა** *პალატის* 1. ავადმყოფებისთვის განკუთვნილი ოთახი საავადმყოფოში. *პალატაში გადაყვანეს.* 2. წარმომადგენლობითი საკანონმდებლო დაწესებულება ზოგიერთი ქვეყნის სახელმწიფო მმართველობის სისტემაში. *თემთა პალატა. ლორდთა პალატა.* 3. ზოგიერთი სახელმწიფო დაწესებულების სახელწოდება. *სავაჭრო პალატა. წიგნის პალატა.*

**პალეოგრაფია** *პალეოგრაფიის* მეცნიერება, რომელიც სწავლობს ძველი ხელნაწერების გარეგნულ მხარეს – ასოთა მოხაზულობას, სანერ მასალასა და მისთ. *პალეოგრაფიის სპეციალისტი.*

**პალეონტოლოგია** *პალეონტოლოგიის* მეცნიერება გადაშენებულ ცხოველთა და მცენარეთა შესახებ. ■ **პალეონტოლოგიური** პალეონტოლოგიასთან დაკავშირებული. *პალეონტოლოგიური მუზეუმი. პალეონტოლოგიური ატლასი.*

**პალიმფსესტი** *პალიმფსესტის* ერთხელ დაწერილ და გადაფხეკილ ეტრატზე ხელახლა შესრულებული ხელნაწერი. *უძველესი პალიმფსესტი.*

**პალიტრა** *პალიტრის* 1. მცირე ზომის ხის თხელი დაფა ან ლითონის, ფაიფურის და მისთ. ფირფიტა სპეციალური ცერის გასაყრელით, იყენებენ მხატვრები მუშობის დროს საღებავების შესაზავებლად. *ფუნჯი პალიტრაზე დადო.* 2. გადატ. ხელოვანთა (მხატვრების, პოეტების.) დამახასიათებელ გამომსახველობით საშუალებათა მრავალფეროვნება. *პოეტის პალიტრა.*

**პალმა** *პალმის* ტროპიკული ქვეყნების ხე, აქვს მაღალი, დაუტოტავი ღერო და წვერზე ჯგუფად შეკრებილი მარადმწვანე, მარაოს ფორმის ან ფრთისებური, მსხვილი ფოთლები. *ქოქოსის პალმა. ფინიკის პალმა.*

პალტო



**პალტო** *პალტოს* თბილი, გრძელი, გარედან ჩასაცმელი სამოსი. *პალტოს საყელო.*

**პამიდორი** *პამიდვრის* 1. ფართოდ

გავრცელებული მრგვალი ან წაგრძელებული, ნითელი (იშვიათად ყვითელი) ნვნიანი ბოსტნეული. *პამიდვრის სალათა.* 2. მცენარე, რომელიც პამიდორს (1) ისხამს. *პამიდვრის ჩითილი.*

**პამპულა** *პამპულას* ვინც სხვის გასართობად, სასაცილოდ იქცევა, იმანჭება, ვისაც მასხრად იგდებენ. *კლასის პამპულა.*

**პამპულაობა** *პამპულაობის* (პამპულაობს, ეპამპულავება) სხვის გასართობად მანჭვა, გრეხა, ლაზღანდარობა. *უაზროდ პამპულაობს. პამპულაობა დაიწყო.*

**პამფლეტი** *პამფლეტის* მძაფრი სატირული მანერით დაწერილი პუბლიცისტური თხზულება, რომელიც მიმართულია რაიმე მოვლენის, საზოგადოების გარკვეული ნაწილისა თუ ცალკეული პირის წინააღმდეგ. *პოლიტიკური პამფლეტი.*

**პანაშვიდი** *პანაშვიდის* 1. მიცვალებულის სულისთვის აღვლენილი ნირვა-ლოცვა. *პანაშვიდი გადაუხადეს.* 2. ხალხის მისვლა სამძიმრის სათქმელად ჭირისუფალთან. *სამოქალაქო პანაშვიდი.*

**პანაცეა** *პანაცეის* საშუალება, რომელიც თითქოს ყველა შემთხვევაში ყველაფერს შველის. *პანაცეად თელის.*

**პანდემია** *პანდემიის* ეპიდემია, რომელიც ვრცელდება მოსახლეობის დიდ ნაწილში, მთელ ქვეყანაში ან ქვეყნების უმეტესობაში. *პანდემიის საშიშროება.*

**პანთეონი** მედიც. *პანთეონის* სასაფლაო ან აკლდამა, სადაც გამოჩენილ ადამიანებს ასაფლავებენ. *მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონი.*

**პანთერა** *პანთერის* იგივეა, რაც ლეოპარდი.

**პანიკა** *პანიკის* ძლიერი შიში, მღელვარება, რომელიც ეუფლება ადამიანს ან ადამიანების ჯგუფს რაიმე მოულოდნელობის გამო; ამ დროს შექმნილი არეულობა. *საზოგადოება პანიკამ მოიცვა. პანიკა ატყდა.* ■ **პანიკური** პანიკისთვის დამახასიათებელი. *პანიკური შიში. პანიკური მდგომარეობა.*

**პანკრეასი** *პანკრეასის* ანატ. კუჭთან მდებარე ჯირკვალი, რომელიც არეგულირებს სისხლში შაქრის შემცველობას. *პანკრეასის ანთება.*

**პანო** *პანოს* 1. ჩარჩოთი ან სხვა რამით გამოყოფილი კედელი, რომელზეც მოთავსებულია სურათი, სკულპტურული გამოსახულება და მისთ. 2. ტილოზე ან კედლის ნაწილზე შესრულებული დიდი ზომის მხატვრული სურათი, რომელზეც გამოსახულია რაიმე პანორამა. *მთაწმინდის პანო.*

**პანორამა** *პანორამის* რაიმე ადგილის ფართო ხედი ზემოდან. *თბილისის პანორამა.*

**პანსიონატი** *პანსიონატის* სასტუმრო სახლი, ჩვეულებრივ, კურორტზე. *პანსიონატის პერსონალი.*

**პანსიონი** *პანსიონის* 1. სასწავლებელი, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეებს საცხოვრებლითა და კვებით. *პანსიონში სწავლობს.* 2. პატარა კერძო სასტუმრო ან დასასვენებელი სახლი, სადაც სტუმრებს საკვებითაც უზრუნველყოფენ.

**პანტა** *პანტის* 1. ტყის მსხალი – ყუნწიანი, საშუალო ან პატარა ზომის ხილი. 2. საშუალო სიმაღლის ან მაღალი ხე, რომელიც ისხამს პანტას (1).

**პანტომიმა** *პანტომიმის* უსიტყვო თეატრალური წარმოდგენა, რომელიც ჟესტებით, მიმიკითა და პლასტიკით სრულდება. ■ **პანტომიმური** პანტომიმის ხასიათისა. *პანტომიმური სცენები.*

**პანტურა** *პანტურას* ვინც ყურებს აპანტურებს. *პანტურა ვირი.*

**პანტური** *პანტურის* (აპანტურებს) ◎ ყურების პანტური ყურების აქეთ-იქით, ზევით-ქვევით მოძრაობა.

**პანღური** *პანღურის* უკნიდან ფეხის ამოკვრა. *პანღური ამოარტყა.*

**პანჩური** *პანჩურის* იგივეა, რაც პანღური.

**პაპა** *პაპის* მამის ან დედის მამა. = ბაბუა. *პაპა და შვილიშვილი. პაპის ხურჯინი.* ■ **პაპამისი** მისი პაპა. ■ **პაპაშენი** შენი პაპა. ■ **პაპაჩემი** ჩემი პაპა. ◎ **დიდი პაპა** პაპის ან ბებიის მამა. ◎ **თოვლის პაპა** ბავშვების წარმოდგენით, მოხუცი კაცი, რომელიც ახალ წელს მოდის და საჩუქრები მოაქვს.

**პაპანაქება** *პაპანაქების* ძალიან ძლიერი სიცხე. *ივლისის პაპანაქება.*

**პაპი** *პაპის* კათოლიკური ეკლესიის მეთაური. *პაპის რეზიდენცია.*

**პაპიდა** *პაპიდის* პაპის და. *პაპიდა პაპაზე უმცროსია.*

**პაპიდაშვილი** *პაპიდაშვილის* პაპიდის შვილი. *პაპიდა და პაპიდაშვილები გვეწვივნენ.*

**პაპიროსი** *პაპიროსის* თამბაქოთი ნაწილობრივ ამოვსებული ქაღალდის მილი, ეწევიან მუნდშტუკით (2). *პაპიროსის კვამლი.*

**პაპირუსი** *პაპირუსის* 1. მრავალწლოვანი ტროპიკული ბალახოვანი მცენარე. 2. გადატ. პაპირუსის (1) ღეროებისგან დამზადებული საწერი მასალა, იყენებდნენ ეგვიპტელები და სხვა ძველი ხალხები. *პაპირუსზე წერია.* 3. პაპირუსზე (1) შესრულებული ხელნაწერი. *პაპირუსს კითხულობს.*

**პაპისეული** *პაპისეულის* პაპის ნაქონი. *პაპისეული ხანჯალი.*

**პაპისპაპა** *პაპისპაპის* დიდი პაპის წინა თაობა. *მისი პაპისპაპაც ამ ქალაქში ცხოვრობდა.*

**პარაგრაფი** *პარაგრაფის* ტექსტის გარკვეულ-

ნილად დამოუკიდებელი ნაწილი, რომელიც სპეციალური ნიშნითა და ნუმერაციით გამოიყოფა. *პარაგრაფის თემა. ვრცელი პარაგრაფი.*

**პარადი** *პარადის* იგივეა, რაც აღლუმი.

**პარადიგმა** *პარადიგმის* 1. კულტურის, ცივილიზაციის, მეცნიერების განვითარების გარკვეული ეტაპისთვის დამახასიათებელი კონცეპტუალური შეხედულებების სისტემა. *ახალი პარადიგმა.* 2. გრამატ. ცხრილის ან ტაბულის სახით წარმოდგენილი ნიმუში, რომელიც ასახავს გარკვეული დონის ენობრივ ელემენტთა კანონზომიერ მიმართებებს. *სახელის ბრუნების პარადიგმა. ზმნის უღლების პარადიგმა.*

**პარადოქსი** *პარადოქსის* აზრი, მსჯელობა, რომელიც მკვეთრად განსხვავდება საყოველთაოდ აღიარებული თვალსაზრისისგან, შეხედულებისგან. *ნამდვილი პარადოქსია. პარადოქსებით აღსავსე ცხოვრება.* ■ **პარადოქსული** პარადოქსის შემცველი. *პარადოქსული მსჯელობა. პარადოქსული ნაშრომი.*

**პარადული** *პარადულის* 1. საზეიმო, პარადისთვის დამახასიათებელი. *პარადული განწყობილება.* 2. გარეგნულად, მოჩვენებითად მორთული. *პარადული იერი.*

**პარაზიტი** *პარაზიტის* 1. ორგანიზმი, რომელიც სხვა ორგანიზმში (ან ორგანიზმზე) ცხოვრობს და მის ხარჯზე საზრდოობს. *პარაზიტი ჭიები. ხის პარაზიტი.* 2. გადატ. ადამიანი, რომელიც სხვის ხარჯზე ცხოვრობს. *სოფელს ბევრი პარაზიტი ჰყავს.*

**პარაკლისი** *პარაკლისის* საეკლესიო მღვდელმსახურება, სავედრებელი ან სამადლობელი ლოცვა. *პარაკლისი გადაიხადა.*

**პარალელი** *პარალელის* 1. მათ. ხაზი, რომელიც მოთავსებულია სხვა ხაზთან ერთ სიბრტყეზე და მას არ კვეთს. *მართკუთხედის პარალელები.* 2. ეკვატორის გასწვრივ გავლებული წარმოსახვითი ხაზი დედამიწის ზედაპირზე. *პარალელები და მერიდიანები.* ⊙ **პარალელს ავლებს** მსგავს მოვლენებს ადარებს.

**პარალელიზმი** *პარალელიზმის* სრული დამთხვევა, გამეორება, დუბლირება. *ნაშრომში ბევრი პარალელიზმია.*

**პარალელოგრამი** *პარალელოგრამის* მათ. ოთხკუთხედი, რომლის მოპირდაპირე გვერდები ერთმანეთის ტოლია.

**პარალელური** *პარალელურის* 1. რაც ერთიმეორის გასწვრივ მდებარეობს და ერთიმეორეს არსად გადაკვეთს. *პარალელური ქუჩები.* 2. თანადროული, ერთდროულად მიმდინარე. *პარალელური საქმიანობა.*

**პარალიზება** *პარალიზების* (პარალიზდება) 1. ანატ. დადამბლავება, მოძრაობის უნარის დაკარგვა. *ფეხის პარალიზება.* 2. გადატ. მოქმედების უნარის დაკარგვა, ფუნქციონირების შეწყვეტა, მწყობრიდან გამოსვლა. *მუშაობის პარალიზება. ტრანსპორტის მოძრაობის პარალიზება.*

**პარალიზებული** *პარალიზებულის* 1. დადამბლავებული. *ხელი ჰქონდა პარალიზებული.* 2. რის პარალიზებაც (2) მოხდა. *პარალიზებული ქუჩა.*

**პარამეტრი** *პარამეტრის* 1. სიდიდე, რომელიც შედის მათემატიკურ ფორმულაში და თავის მუდმივ მნიშვნელობას ინარჩუნებს მხოლოდ მოცემული ამოცანის პირობებში. 2. საგნის ან მოვლენის ძირითადი თვისებების გამომსახველი სიდიდე (ან სიდიდეები). *შენობის პარამეტრები. მთავარი პარამეტრები.*

**პარანოია** *პარანოიის* მედიც. ფსიქიკური დაავადება, დამახასიათებელია ბოდვა, ზოგჯერ ჰალუცინაცია. *პარანოია დაემართა.*

**პარასკევი** *პარასკევის* კვირის (1) მეხუთე დღის სახელწოდება. *ექსკურსია ზე პარასკევს მიდიან.* ■ **პარასკეობით** ზმნ. ყოველ პარასკევს. *პარასკეობით მარხულობს.* ⊙ **წითელი პარასკევი** ვნების კვირის პარასკევი.

**პარაფინი** *პარაფინის* ცვილისებური ნივთიერება, გამოიყენება მრეწველობასა და მედიცინაში. *პარაფინის სახვევი. პარაფინის სანთელი.*

პარაშუტი

**პარაშუტი** *პარაშუტის* თვითმფრინავიდან გადმოსახტომი ან ტვირთის გადმოსაგდები მოწყობილობა, რომელიც ჰაერში ქოლგისებურად იხსნება. *სპორტული პარაშუტი. პარაშუტით გადმოხტა.*

**პარაშუტისტი** *პარაშუტისტის* ადამიანი, რომელიც დიდი სიმაღლიდან პარაშუტით ეშვება. *პარაშუტისტების შეჯიბრება.*

**პარვა** *პარვის* (ჰპარავს, იპარავს) ↑ **მოპარვა.** *ბავშვები ხილს იპარავენ. ფულს ჰპარავენ.*

**პარი** *პარის* ქართული ანბანის მეთხუთმეტე ასოს (პ-ს) სახელწოდება.

პარიკი

**პარიკი** *პარიკის* ხელოვნური თმა, რომელსაც იყენებენ სიქაჩლის დასაფარავად ან ვარცხნილობის შესაცვლელად. *პარიკი უკეთია.*

**პარიკმახერი** *პარიკმახერის* ხელოსანი, რომელიც კლიენტს აჭრის, ვარცხნის, უღებავს თმას ან პარსავს. *პირადი პარიკმახერი. ქალთა პარიკმახერი.*

**პარიტეტი** *პარიტეტის* 1. მხარეთა თანასწორობის პრინციპი. *პარიტეტი დაიცვეს. პარიტეტი დარღვა.* 2. სხვადასხვა ქვეყნის ვალუტის შეფარდება ძვირფასი ლითონით (ოქროთი). ■ **პარიტეტული**

პარიტეტზე (1) დაფუძნებული. *პარიტეტული შეთანხმება.*

პარკეტი *პარკეტის* ხის პატარა, მოგრძო ფირფიტებით დაგებული იატაკი. *პარკეტს აპრიალებს.*

პარკი[1] *პარკის* 1. პოლიეთილენის, ქაღალდის ან ქსოვილისგან დამზადებული ტომრის მსგავსი ჩანთა, გამოიყენება პროდუქტის ან ნივთების ჩასანყობად. *ცელოფნის პარკი. პარკი გახსნა.* 2. წვრილი ბოჭკოებისგან შემდგარი ნახვევი, რომელსაც თავის გარშემო აკეთებს აბრეშუმის ჭია და მისთ. *ჭუპრად გადაქცევამდე. აბრეშუმის პარკი.*

პარკი[2] *პარკის* 1. დიდი ბაღი ბუნებრივი ან ხელოვნური ნარგავებით, ხეივნებით, ყვავილნარებით, გასართობი მოედნებითა და მისთ. *პარკში სეირნობენ.* 2. სარკინიგზო და საგზაო ტრანსპორტის სადგომი, სადაც მათ აწესრიგებენ, არემონტებენ. *ავტობუსების პარკი.*

პარკოსანი *პარკოსნის* მცენარეები, რომლებსაც პარკის ფორმის ნაყოფი აქვთ. *პარკოსანი მცენარე.*

პარკუჭი *პარკუჭის* მედიც. გულის ერთ-ერთი განყოფილება. *მარჯვენა პარკუჭი.*

პარლამენტარი *პარლამენტარის* პარლამენტის ნევრი. *პარლამენტარის მანდატი.*

პარლამენტი *პარლამენტის* სახელმწიფოს უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო. *პარლამენტის სხდომა.*

პარმაღი *პარმაღის* ღია ან დახურული აივანი, წინკარი. *პარმაღზე გავიდნენ.*

პაროდია *პაროდიის* ნაწარმოები, რომელშიც ბაძავენ ვინმეს ან რაიმეს კომიკურ-სატირული სახით. *პაროდიების ოსტატი.* ■ პაროდიული პაროდიის ხასიათისა. *პაროდიული სცენა.*

პაროლი *პაროლის* წინასწარ შეთანხმებული საიდუმლო სიტყვა, ფრაზა ან სიმბოლო, რომელსაც იყენებენ თავისიანების ამოსაცნობად, ინფორმაციის კონფიდენციალობის დასაცავად (სამხედრო სამსახურში, კონსპირაციულ ორგანიზაციებში, კომპიუტერულ სისტემებსა და მისთ.). *პაროლი უთხრა.*

პარპალი *პარპალის* (პარპალებს, აპარპალებს) 1. ცეცხლის ალის რხევა. *სანთელი პარპალებს.* 2. თვალების ხშირი ხამხამი. *შეშინებული თვალებს აპარპალებდა.*

პარპაში *პარპაშის* (პარპაშებს) შეუზღუდავი, თვითნებური მოქმედება. *მტრის პარპაში. ქალაქში ბანდები დაუსჯელად პარპაშებენ.*

პარსვა *პარსვის* (პარსავს, იპარსავს, იპარსება, აპარსვინებს) ↑ გაპარსვა. *წვერს იპარსავს. ცხვარს პარსავენ.*

პარტახი *პარტახის* უპატრონოდ მიგდებული, განადგურებული (ადგილ-მამული). *პარტახი სახლ-კარი.*

პარტერი *პარტერის* მაყურებლებისთვის განკუთვნილი ადგილი თეატრის დარბაზში, სცენის დონის დაბლა. *პარტერის ბილეთები აიღო. პარტერში დასხდნენ.*

პარტია *პარტიის* 1. პოლიტიკური ორგანიზაცია, რომელიც გამოხატავს რომელიმე საზოგადოებრივი ჯგუფის, სოციალური ფენის ინტერესებს.. *მემარჯვენე პარტიები. პარტიის ლიდერი.* 2. ერთი ხელი თამაში (ჭადრაკისა და მისთ.). *პარტია ყაიმით დასრულდა.* 3. საქონლის (3), პროდუქციის გარკვეული რაოდენობა. *ტანსაცმლის პარტია. ფეხსაცმლის ახალი პარტია.* 4. მრავალხმიანი მუსიკალური ნაწარმოების ცალკეული ნაწილი, რომელიც სრულდება ერთი მომღერლის ან ერთი საკრავის მიერ. *ვიოლინოს პარტია. ჩელოს პარტია.*

პარტიზანი *პარტიზანის* მტრის ზურგში ნებაყოფლობით, დამოუკიდებლად მებრძოლთა რაზმის ნევრი. *პარტიზანთა წინააღმდეგობა.*

პარტიზანული *პარტიზანულის* პარტიზანთა დამახასიათებელი, პარტიზანთა მიერ შესრულებული. იხ. პარტიზანი *პარტიზანული ბრძოლა.*

პარტიკულარული *პარტიკულარულის* გამოცალკევებული, განკერძოებული. *პარტიკულარული საქმიანობა.*

პარტიტურა *პარტიტურის* მრავალხმიანი მუსიკალური ნაწარმოების ჩანაწერი, რომელიც შეიცავს ყველა ინსტრუმენტული თუ ვოკალური პარტიის ნოტებს (2). *ოპერის პარტიტურა.*

პარტიული *პარტიულის* 1. პარტიასთან დაკავშირებული, პარტიისთვის განკუთვნილი. *პარტიული დავალება. პარტიული კრება.* 2. რომელიმე პარტიის ნევრი. *პარტიული მუშაკი.*

პარტნიორი *პარტნიორის* პირი, რომელიც ვინმესთან ერთად ასრულებს რაიმე საქმიანობას, თანამონაწილე, თანამოსაქმე. *მოცეკვავის პარტნიორი. პარტნიორი ორგანიზაცია.*

პარტნიორობა *პარტნიორობის* (პარტნიორობს) პარტნიორად ყოფნა. *პარტნიორობა გაუწია. სადა ზღვევო კომპანიასთან პარტნიორობს.*

პარტყუნი *პარტყუნის* (აპარტყუნებს, უპარტყუნებს) 1. საუბრ. რტყმა, ცემა. *მაგიდაზე ხელს აპარტყუნებს. თავში უპარტყუნებს.* 2. დიდყურება ცხოველის ყურების მოძრაობა. *ვირი ყურებს აპარტყუნებს.*

პარფიუმერია *პარფიუმერიის* არომატული ნივთიერებები და საცხები, რომლებსაც იყენებენ ჰიგიენური და კოსმეტიკური მიზნით, სუნამო, პუდრი და მისთ. *პარფიუმერიის მაღაზია.*

**პასაჟი**[1] *პასაჟის* დახურული გალერეა, რომელშიც ორივე მხარეს მაღაზიებია. *პასაჟში იყიდა.*

**პასაჟი**[2] *პასაჟის* მუსიკალური ნაწარმოების ნაწილი, ბგერების აღმავალი ან დაღმავალი მიმდევრობა. *ძნელი პასაჟი.*

**პასი** *პასის* ბურთის გადაცემა, გადაგდება მოთამაშის მიერ თავისი თანაგუნდელისთვის. *ზუსტი პასი.*

**პასიანსი** *პასიანსის* კარტის გაშლა გარკვეული წესით. *პასიანსს აწყობს.*

**პასიური** *პასიურის* ვინც არ ცდილობს რაიმეში მონაწილეობის მიღებას, არ მოქმედებს, ინიციატივას არ იჩენს. *პასიური გუნდი. პასიური სტუდენტი.* ↔ აქტიური.

**პასიურობა** *პასიურობის* (პასიურობს) პასიურად, უმოქმედოდ ყოფნა. *მოსწავლე პასიურობს.*

**პასკვილი** *პასკვილის* ცილისმწამებლური, შეურაცხმყოფელი შინაარსის ნაწარმოები ან ჟურნალისტური სტატია. *პასკვილებს თხზავს.*

**პასპორტი** *პასპორტის* 1. ვინმეს პირადობის, ვინაობის, მოქალაქეობის დამადასტურებელი ოფიციალური საბუთი. *პასპორტი აიღო. საქართველოს პასპორტი.* 2. მოწმობა, რომელიც მოჰყვება რაიმე ნივთს, აპარატს და შეიცავს ცნობებს მისი წარმოების, აგებულების, მოხმარების წესისა და მისთ. შესახებ. *მაცივრის პასპორტი.* 3. ტრანსპორტის სარეგისტრაციო მოწმობა, რომელშიც მოცემულია მისი ტექნიკური მონაცემები და მფლობელის ვინაობა. *ავტომანქანის პასპორტი.*

**პასტა** *პასტის* რაიმე ნივთიერების ცომისებური მასა, გამოიყენება პარფიუმერიაში, კულინარიაში, მედიცინაში. *კბილის პასტა. ტომატის პასტა.*

**პასტელი** *პასტელის* 1. მშრალი, რბილი ფერადი სახატავი ცარცი. *პასტელით ხატავს.* 2. პასტელით (1) შესრულებული ნახატი. *პასტელი გამოფინა.*

**პასტერიზაცია** *პასტერიზაციის* იგივეა, რაც პასტერიზება.

**პასტერიზება** *პასტერიზების* საკვები პროდუქტის (სასმლის) თერმული დამუშავება მავნე მიკროორგანიზმების მოსასპობად. *ლუდის პასტერიზება.*

**პასტერიზებული** *პასტერიზებულის* რასაც პასტერიზება გაუკეთდა. *პასტერიზებული რძე.*

**პასტორი** *პასტორის* სასულიერო პირი, რომელიც საეკლესიო წესს ასრულებს პროტესტანტულ ეკლესიაში.

**პასუხი** *პასუხის* (პასუხობს) 1. ვინმესთვის შეკითხვის დასმისას, დაძახებისას შესაბამისი რაიმეს თქმა. *პასუხის გაცემა. პასუხი დააგვიანა. ვინ მიპასუხებს?* 2. მათემატიკური ამოცანის, გამოცანისა და მისთ. ამოხსნის შედეგი. *არასწორი პასუხი. პასუხზე დიდხანს იფიქრა.* ⊙ **პასუხს აგებს** თავისი საქციელის გამო დაისჯება.

**პასუხისგება** *პასუხისგების* ჩადენილი დანაშაულის ან შეცდომისთვის პასუხის გაცემა, თავის გამართლება სამსჯავროს წინაშე. *პასუხისგებაში მისცეს. პასუხისგება მოუწევს.*

**პასუხისმგებელი** *პასუხისმგებლის* ვისაც პასუხისმგებლობა აკისრია, ვინც პასუხს აგებს რაიმეს ად-კარგზე. *პასუხისმგებელი პირი.*

**პასუხისმგებლობა** *პასუხისმგებლობის* რაიმე საქმის შესრულების ვალდებულება, მოვალეობა. *მთელი პასუხისმგებლობა ხელმძღვანელს დაეკისრა. პასუხისმგებლობას გრძნობს.*

**პასუხსაგები** *პასუხსაგების* იგივეა, რაც საპასუხისმგებლო. *პასუხსაგები თანამდებობა.*

**პასქა** *პასქის* ცილინდრული ფორმის ქიშმიშიანი ტკბილი ნამცხვარი, რომელსაც ამზადებენ საღდგომოდ. *პასქა გამოაცხო.* შეცდომაა პასკა

**პატაკი** *პატაკის* 1. სამხედრო მოსამსახურის სავალდებულო მოხსენება უფროსისადმი. *პატაკი ჩააბარა.* 2. სავალდებულო მოხსენება ხელმძღვანელი პირის მიმართ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებასთან დაკავშირებით. *მინისტრის პატაკი.*

**პატარა** *პატარის* ჩვეულებრივზე ნაკლები სიდიდისა, ზომისა, მოცულობისა, ასაკისა. *პატარა ეზო. პატარა ჩანთა. პატარა ბიჭი.* ↔ დიდი.

**პატარაობა** *პატარაობის* იგივეა, რაც ბავშვობა. *პატარაობას იხსენებს.*

**პატარახანს** საუბრ. მცირე ხანს, ცოტა ხნით. *პატარახანს იქ დარჩნენ.*

**პატარძალა** *პატარძალას* ორ- ან მრავალწლოვანი მცენარე, აქვს ხაოიანი ფოთლები და დატოტვილი ღერო, იკეთებს ლურჯ ყვავილს.

**პატარძალი** *პატარძლის* ქალი, რომელიც ქორწინდება. *პატარძლის მაყრები. სიძე და პატარძალი.*

**პატენტი** *პატენტის* 1. საბუთი, რომელიც ადასტურებს გამომგონებლის უფლებას გამოგონებაზე. *პატენტი აიღო.* 2. საბუთი, რომელიც ადასტურებს კერძო ვაჭრობის ან რაიმე საქმიანობის უფლებას. *პატენტი გაიცა.*

**პატეფონი** *პატეფონის* ფირფიტების დასაკრავი ძველებური ურუპორო სამუსიკო აპარატი. *სახლიდან პატეფონის ხმა ისმოდა.*

**პატიება** *პატიების* (აპატიებს, ეპატიება) დამნაშავის დაუსჯელად დატოვება, შებრალება. *პატიება შეძლო. ძმას ყველაფერი აპატია.*

**პატივი**[1] *პატივის* დაფასება, აღიარება, ღირსება. *პატივი არ აკლია.* ⊙ **პატივს დასდებს** დააფასებს. ⊙ **პატივს სცემს** პატივით ეპყრობა.

**პატივი**[2] *პატივის* ევფ. პირუტყვის განავალი, რომელსაც ნიადაგის გასანოყიერებლად იყენებენ. *ნახნავს პატივი დააყარეს.*

**პატივისცემა** *პატივისცემის* დაფასება, ვინმეს

ღირსების აღიარება. *პატივისცემას იმსახურებს.*

**პატივმოყვარე** *პატივმოყვარის* ვისაც პატივი, განდიდება უყვარს. *პატივმოყვარე პიროვნება.*

**პატივმოყვარეობა** *პატივმოყვარეობის* პატივის, განდიდების სიყვარული. *პატივმოყვარეობა ახასიათებს.*

**პატივსაცემი** *პატივსაცემის* ვისაც პატივს სცემენ, პატივისცემის ღირსი. *პატივსაცემი პიროვნება. პატივსაცემი ოჯახი.*

**პატივცემული** *პატივცემულის* საზოგადოებაში დფასებული, ვისაც ყველა აფასებს, ყველა პატივს სცემს. *პატივცემული პიროვნება. პატივცემული მასწავლებელი.*

**პატიმარი** *პატიმრის* პირი, რომელიც დაპატიმრებულია. *პატიმართა საკანი. სიკვდილმისჯილი პატიმარი.*

**პატიმრობა** *პატიმრობის* პატიმრად ყოფნა. *პატიმრობა მიუსაჯეს. პატიმრობის ვადა.*

**პატიოსანი** *პატიოსნის* წესიერი, მართალი, უანგარო. *პატიოსანი დირექტორი. პატიოსანი გადაწყვეტილება.*

**პატიოსნება** *პატიოსნების* სინდისიერება, ნამუსიანობა, კარგი საქციელი. *პატიოსნება დიდად ფასობს.*

**პატიჟი** *პატიჟის* (პატიჟებს, ეპატიჟება) სტუმრად მინვევა, დაპატიჟება. *ბევრი პატიჟი არ დასჭირდა. სახლში პატიჟებს. თეატრში ეპატიჟება.*

**პატრიარქალური** *პატრიარქალურის* 1. პატრიარქატისთვის დამახასიათებელი. *პატრიარქალური ოჯახი.* 2. ძველებური, ტრადიციული. *პატრიარქალური ყოფა.*

**პატრიარქატი** *პატრიარქატის* ისტ. პირველყოფილი გვაროვნული წყობილების ფორმა, რომლის დროსაც სამეურნეო და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მამაკაცი იყო გაბატონებული. შდრ. მატრიარქატი.

**პატრიარქი** *პატრიარქის* უმაღლესი წოდების სასულიერო პირი მართლმადიდებლურ ეკლესიაში. *პატრიარქის ლოცვა-კურთხევა.*

**პატრიოტი** *პატრიოტის* თავისი ქვეყნის, ხალხის მოყვარული და ერთგული ადამიანი. *პატრიოტი პოეტი.*

**პატრიოტიზმი** *პატრიოტიზმის* საკუთარი ქვეყნისა და ხალხის სიყვარული, ერთგულება. *პატრიოტიზმით გამსჭვალული შემოქმედება.*

**პატრიოტობა** *პატრიოტობის* იგივეა, რაც პატრიოტიზმი. *პატრიოტობით მოაქვს თავი.*

**პატრიოტული** *პატრიოტულის* პატრიოტიზმის დამახასიათებელი, პატრიოტიზმით აღსავსე. *პატრიოტული გრძნობა. პატრიოტული პოეზია. პატრიოტული საქციელი.*

**პატრონაჟი** *პატრონაჟის* 1. კერძო პირის ან დაწესებულების მიერ ვინმეს ან რაიმეს (ორგანიზაციის, ხელოვნების მუშაკებისა და მისთ.) დახმარება, მხარდაჭერა, ფინანსური უზრუნველყოფა. *აქცია ჩატარდა თბილისის მერიის პატრონაჟით.* 2. ავადმყოფებისა და ბავშვების ორგანიზებული სამედიცინო მომსახურება ოჯახის პირობებში.

**პატრონი** *პატრონის* 1. პირი, რომელსაც რაიმე ეკუთვნის. *სახლის პატრონი. ძაღლის პატრონი.* 2. პირი, რომელიც ზრუნავს ვინმეზე, მფარველობას უწევს მას. *ოჯახის პატრონი. ბავშვების პატრონი.* ⊙ **სიტყვის პატრონი** პირობის შემსრულებელი. ⊙ **ჩაბარდა პატრონს** საუბრ. გარდაიცვალა.

**პატრონობა** *პატრონობის* (პპატრონობს) ყურადღების მიქცევა, მიხედვა, მოვლა, დაცვა. *სახლკარს პპატრონობს. ყველას პატრონობას უნევს.*

**პატრონყმობა** *პატრონყმობის* ისტ. ბატონყმობის ადრინდელი საფეხური, იერარქიული ურთიერთობა ფეოდალსა და ყმას, ასევე თავად ფეოდალებს შორის.

**პატრული** *პატრულის* მცირერიცხოვანი რაზმი, რომელიც თვალყურს ადევნებს და იცავს წესრიგს გარკვეულ ტერიტორიაზე. *პატრული გამოიძახეს.*

**პატრულირება** *პატრულირების* პატრულის მიერ სამსახურის შესრულება. *საზღვრის პატრულირება.*

**პატრუქი** *პატრუქის* გასანათებელ ან გასათბობ მოწყობილობაში მოთავსებული დაგრეხილი ბამბის ძაფი ან ბამბისგან დამზადებული ქსოვილის ზოლი, რომელსაც ცეცხლს უკიდებენ. *პატრუქი იწვის. პატრუქი ბჟუტავს.*

**პაუზა** *პაუზის* ხანმოკლე შეჩერება საუბრის, სიმღერის, მუშაობისა და მისთ. დროს. *ათწუთიანი პაუზა. მუსიკალური პაუზა.*

**პაქტი** *პაქტის* საერთაშორისო ხელშეკრულება. *ადამიანების უფლებათა პაქტი. თავდაუსხმელობის პაქტი.*

**პაშტეტი** *პაშტეტის* ხორცის, თევზის ან სხვა პროდუქტის ძალიან წვრილად დაჭრილი და შეზავებული პასტისებური საჭმელი. *ქათმის პაშტეტი. ღორის პაშტეტი.*

**პაციენტი** *პაციენტის* პირი, რომელსაც ექიმი მკურნალობს. *პაციენტთა მომსახურება. კონსულტაცია პაციენტებისთვის.*

**პაწაწა** *პაწაწას* ძალიან პატარა. *პაწაწა მწერი.*

**პაწაწინა** *პაწაწინას* იგივეა, რაც პაწაწა. *პაწაწინა ფოთოლი.*

**პაწაწუნა** *პაწაწუნას* იგივეა, რაც პაწაწა. *პაწაწუნა გოგო.*

**პაწია** *პაწიას* იგივეა, რაც პაწაწა. *პაწია ბიჭი. პაწია კარ-მიდამო.*

**პაჭიჭი** *პაჭიჭის* ქართული სამოსლის ნაწილი - წვივზე წამოსაცმელი, წვივის საფარი ფეხის კოჭ-

იდან მუხლამდე. *პაჭიჭებს ქალებიც იცვამდნენ.*

პაჭუა *პაჭუას* I. ცხვირის ფორმა - პატარა და ნვერაწეული. 2. ვისაც პაჭუა (1) ცხვირი აქვს. *პაჭუა გოგო.*

პაჭუნი *პაჭუნის* (პაჭუნებს, უპაჭუნებს) იგივეა, რაც ჩაპაჭუნება. *თვალს უპაჭუნებს. თვალების პაჭუნი ისწავლა.*

პედაგოგი *პედაგოგის* იგივეა, რაც მასწავლებელი. *უნივერსიტეტის პედაგოგი. გამოცდილი პედაგოგი.*

პედაგოგიკა *პედაგოგიკის* მეცნიერება აღზრდის და სწავლების მეთოდების შესახებ. *პედაგოგიკის სახელმძღვანელო.* ■ პედაგოგიკური პედაგოგიკასთან დაკავშირებული. *პედაგოგიკური მეცნიერებანი.*

პედაგოგიური *პედაგოგიურის* I. სასწავლო, აღმზრდელობითი ხასიათისა. *პედაგოგიური მიდგომა. პედაგოგიური დამოკიდებულება.* 2. პედაგოგებთან დაკავშირებული. *პედაგოგიური ინსტიტუტი. პედაგოგიური საბჭო.*

პედაგოგობა *პედაგოგობის* (პედაგოგობს) მასწავლებლობა, პედაგოგად მუშაობა. *სამი წელი პედაგოგობდა.*

პედალი *პედლის* I. მანქანის ნაწილი, რომელზე ფეხის დაჭერაც ამუშავებს მექანიზმს. *ავტომანქანის პედალი. საკერავი მანქანის პედალი. თვითმფრინავის პედალი.* 2. ზოგიერთი მუსიკალური ინსტრუმენტის ყღერადობის ფეხით სარეგულირებელი მოწყობილობა. *პიანინოს პედალი. ორგანის პედალი.*

პედანტი *პედანტის* ვინც ფორმალურ წესებს მკაცრად იცავს, წვრილმანებსაც დიდ ყურადღებას აქცევს, ყველა მოთხოვნას მეტისმეტი სიზუსტით ასრულებს. *პედანტი დირექტორი.* ■ პედანტური პედანტის დამახასიათებელი. *პედანტური დამოკიდებულება. პედანტური სიზუსტე.*

პედანტობა *პედანტობის* (პედანტობს) პედანტის ქცევა, არაშემოქმედებითი დამოკიდებულება. *პედანტობას იჩენს.*

პედიატრი *პედიატრის* მედიც. ბავშვთა ექიმი. *პედიატრმა გასინჯა.*

პედიატრია *პედიატრიის* მედიცინის დარგი, რომელიც შეისწავლის ბავშვთა დაავადებებსა და მათი მკურნალობის მეთოდებს. *პედიატრიის კურსი.* ■ პედიატრიული პედიატრიასთან დაკავშირებული. *პედიატრიული განყოფილება.*

პედიკიური *პედიკიურის* ფეხის ფრჩხილების დამუშავება, განმენდა-გაპრიალება. შეცდომაა პედიკური

პეიზაჟი *პეიზაჟის* I. რაიმე ადგილის საერთო ხედი, ბუნების სურათი. *ზამთრის პეიზაჟი. ზღვის პეიზაჟი.* 2. ნახატი, სურათი, რომელზეც ბუნებაა ასახული. *ფერწერული პეიზაჟები.*

პელმენი *პელმენის* პატარა ზომის მოხარშული კვერები ხორცის ან ხაჭოს შიგთავსით. *ხორციანი პელმენები. ხაჭოიანი პელმენები.*

პენალი *პენალის* კალმისტრების, ფანქრებისა და მისთ. შესანახი მოგრძო კოლოფი. *პლასტმასის პენალი.*

პენალტი *პენალტის* საჯარიმო დარტყმა ფეხბურთში თერთმეტი მეტრის სიშორიდან. *პენალტი დაინიშნა.*

პენიტენციალური *პენიტენციალურის* იგივეა, რაც სასჯელაღმასრულებელი. *პენიტენციალური სისტემა.*

პენსია *პენსიის* ფულადი უზრუნველყოფა, რომელსაც სახელმწიფოსგან რეგულარულად იღებენ მოქალაქეები (მოხუცები, ინვალიდები, სოციალურად დაუცველი ადამიანები). *პენსია დაუნიშნეს.*

პენსიონერი *პენსიონერის* პირი, რომელიც პენსიას იღებს. *პენსიონერთა სასადილო.*

პენსნე *პენსნეს* ძველებური სათვალე, რომელიც მაგრდება ცხვირზე სპეციალური ზამბარით. *ოქროსფერი პენსნე.*

პენტვა *პენტვის* (პენტავს, იპენტება) ↑ გაპენტვა. *ბამბის პენტვა. დედა მატყლს პენტავს.*

პეპელა *პეპლის* მფრინავი მწერი, აქვს დიდი, სხვადასხვა ფერის ფრთები. *ჭრელი პეპელა.*

პეპელა

პეპვლა *პეპვლის* (პეპლავს, იპეპლება) ფრინველების განაყოფიერება. *მამალი ქათმებს პეპლავს.*

პეპლაობა *პეპლაობის* (პეპლაობს) ფრინველთა შეწყვილების მომენტი. *პეპლაობა დაიწყეს.*

პერანგი *პერანგის* I. შიშველ ტანზე ჩასაცმელი ზედა სამოსი, ზედა საცვალი. *ღამის პერანგი.* 2. მსუბუქი ქსოვილის ზედა ტანსაცმელი. *პერანგი შეიკრა.* ■ პერანგიანი ვისაც პერანგი აცვია. ⊙ გველის პერანგი ტყავი, რომელიც გველს სძვრება. ⊙ გულის პერანგი გარსი, რომელშიც გულია მოთავსებული. ⊙ ჯაჭვის პერანგი მეომრის დამცავი ჯაჭვის წვრილი რგოლებით ნაქსოვი ზედა ჩასაცმელი.

პერგამენტი *პერგამენტის* I. საგანგებო წესით დამუშავებული ხბოს ტყავი, რომელსაც ქაღალდის გამოგონებამდე საწერად იყენებდნენ. *პერგამენტის გრაგნილი.* 2. ქაღალდი, რომელიც არ ატარებს წყალსა და ცხიმს. *პერგამენტში გაახვია.*

პერიმეტრი *პერიმეტრის* მათ. ბრტყელი გეომეტრიული ფიგურის გვერდების სიგრძის ჯამი. *კვადრატის პერიმეტრი.*

პერიოდი *პერიოდის* რაიმე ნიშნით გამოყოფილი დროის განსაზღვრული მონაკვეთი. *მოსავლის აღების პერიოდი. არდადეგების პერიოდი.*

**პერიოდიზაცია** *პერიოდიზაციის* პერიოდებად დაყოფა. *ისტორიის პერიოდიზაცია.*

**პერიოდიკა** *პერიოდიკის* პერიოდული გამოცემები (გაზეთები, ჟურნალები). *პერიოდიკის განყოფილება.*

**პერიოდული** *პერიოდულის* დროის გარკვეული შუალედებით განმეორებადი. *პერიოდული დასწრება. პერიოდული ვიზიტები.* ▲ **პერიოდულად** ზმნზ. დროდადრო. *პერიოდულად ამოწმებს.*

**პერიოდულობა** *პერიოდულობის* მოვლენების გამეორება განსაზღვრული დროის გამოშვებით. *პერიოდულობა დაიცავი!*

**პერიპეტია** *პერიპეტიის* (ძირითადად მრ.) სწრაფი ცვლილება, მოულოდნელი გართულება ცხოვრებაში, სიტუაციასა და მისთ. *პერიპეტიებით აღსავსე.*

**პერიტონიტი** *პერიტონიტის* მედიც. მუცლის აპკის ანთება, დამახასიათებელია ტკივილი მუცლის არეში, ზოგჯერ პირღებინება, მუცლის შებერვა, ტემპერატურის მომატება და მისთ. *პერიტონიტი დაემართა.*

**პერიფერია** *პერიფერიის* 1. ქვეყნის, ქალაქის ცენტრალური ნაწილიდან დაშორებული ადგილი. *პერიფერიაში ცხოვრობს.* 2. რაიმე ცენტრიდან დაშორებული ნაწილი.

**პერიფერიული** *პერიფერიულის* პერიფერიაში მყოფი, არსებული, მდებარე. *პერიფერიული ორგანოები. პერიფერიული უბნები.*

**პერიფრაზი** *პერიფრაზის* 1. გამოთქმა, რომელიც აღწერით, ვრცლად გადმოსცემს სხვის ნათქვამს ან ცალკეულ სიტყვებს. *ციტატის პერიფრაზი.* 2. მუსიკალური ნაწარმოებიდან აღებული თემის დამუშავება.

**პერმანენტული** *პერმანენტულის* მუდმივი, განუწყვეტელი. *პერმანენტული მდგომარეობა.* ■ **პერმანენტულად** განუწყვეტლად. *გაფიცვები პერმანენტულად გაგრძელდება.*

**პერპენდიკულარული** *პერპენდიკულარულის* ზედაპირის მიმართ მართი კუთხით დახრილი. *პერპენდიკულარული ხაზი.*

**პერსონა** *პერსონის* პირი, პიროვნება. *საკუთარი პერსონა.*

**პერსონალი** *პერსონალის* დაწესებულების თანამშრომელთა ერთობლიობა, გარკვეული პროფესიის ადამიანთა ერთობლიობა. *საავადმყოფოს პერსონალი. ტექნიკური პერსონალი.*

**პერსონალური** *პერსონალურის* მხოლოდ ერთი პირისთვის განკუთვნილი, ერთი პირის სახმარი. *პერსონალური ტელეფონი. პერსონალური მანქანა.*

**პერსონაჟი** *პერსონაჟის* მხატვრული ნაწარმოების მოქმედი პირი. *პიესის პერსონაჟები. კომიკური პერსონაჟი.*

**პერსპექტივა** *პერსპექტივის* 1. დასაშვები შესაძლებლობანი მომავალში. *სწავლის გაგრძელების პერსპექტივა. ბიზნესის დაწყების პერსპექტივა.* 2. საგნების სიდიდის, ფორმის, მდგომარეობის მოჩვენებითი ცვალებადობა, განპირობებული დამკვირვებლისგან დაშორების ხარისხით. *სინათლის პერსპექტივა.* 3. შორეული სივრცე.

**პერსპექტიული** *პერსპექტიულის* 1. კარგი პერსპექტივის (1) მქონე. *პერსპექტიული ახალგაზრდა.* 2. სამომავლო. *პერსპექტიული გეგმები.*

**პესიმიზმი** *პესიმიზმის* უიმედობა, გულგატეხილობა, მომავლის რწმენის უქონლობა. *პესიმიზმმა მოიცვა.*

**პესიმისტი** *პესიმისტის* ადამიანი, რომელიც ყველაფერში ცუდ მხარეს ხედავს და რომელსაც მომავლის იმედი არა აქვს.

**პესიმისტური** *პესიმისტურის* პესიმიზმის დამახასიათებელი, უიმედო. *პესიმისტური აზრები.*

**პეტიცია** *პეტიციის* ადამიანთა ჯგუფის წერილობითი თხოვნა ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების, მთავრობის მეთაურის მიმართ, ერთობლივი შუამდგომლობა. *პეტიციით მიმართეს.*

**პეშვი** *პეშვის* 1. ნაწილობრივ მოხრილი ხელის მტევანი რაიმეს ჩასაყრელად ან ჩასასხმელად. *პეშვით დალია. პეშვით აიღო.* 2. რაც პეშვში ჩაეტევა. *ერთი პეშვი წყალი. ორი პეშვი ფქვილი.*

**პეწენიკა** *პეწენიკას* საუბრ. ზედმეტად ფაქიზი ჩაცმის მოყვარე, პრანჭია, ვინც საკუთარ გარეგნობაზე გადაჭარბებულად ზრუნავს. *პეწენიკა გოგო.*

**პეწი** *პეწის* კარგი შესახედაობა, სიკოხტავე. *თავისებური პეწი აქვს.* ■ **პეწიანი** პეწის მქონე. *პეწიანი ფეხსაცმელი.*

**პიანინო** *პიანინოს* დიდი ზომის, მაღალი სამუსიკო ინსტრუმენტი, რომელიც ბგერას გამოსცემს ვერტიკალურად გაჭიმულ სიმებზე კლავიშის დარტყმით. *პიანინოს დაკვრა. პიანინოს აკომპანემენტი.*

პიანინო

**პიანისტი** *პიანისტის* მუსიკოსი, რომელიც პიანინოს ან როიალს უკრავს. *პიანისტთა კონკურსი.*

**პიგმენტი** *პიგმენტის* ორგანოთა ქსოვილებში შემავალი ფერადი ნივთიერება, რომელიც აძლევს ფერს ორგანიზმების გარეგან საფარველსა და ზოგიერთ შინაგან ორგანოს. *სხვადასხვა ფერის პიგმენტი.* ■ **პიგმენტური** პიგმენტთან დაკავშირებული, პიგმენტის სახისა. *პიგმენტური ლაქები.*

**პიედესტალი** *პიედესტალის* იგივეა, რაც კვარცხლბეკი. *გრანიტის პიედესტალი. საპატიო პიედესტალი.* შეცდომაა პედესტალი

**პიესა** *პიესის* 1. დრამატურგიული ნაწარმოები, რომელსაც სცენაზე წარმოადგენენ. *თანამედროვე პიესა დადგეს.* 2. პატარა მუსიკალური ნაწარმოები. *საფორტეპიანო პიესა.*

**პიკანტური** *პიკანტურის* 1. გამორჩეული, საინტერესო, ინტერესის აღმძვრელი. *პიკანტური გარეგნობა. პიკანტური ჩაცმულობა.* 2. ცხარე და სურნელოვანი (სასმელი, საჭმელი). *პიკანტური სანელებლები.*

**პიკეტი** *პიკეტის* 1. პატარა საგუშაგო ჯგუფი. *პიკეტის წევრი.* 2. დემონსტრანტთა ჯგუფი, რომელიც სხვა დემონსტრანტების წინ (ან უკან) დგას და იცავს მათ თავდასხმისგან. *პიკეტის მონაწილე.*

**პიკეტირება** *პიკეტირების* რაიმე ობიექტის გარემოცვა, მისი მისასვლელების გადაკეტვა, პიკეტის საშუალებით. *შენობის პიკეტირება. დაწესებულების პიკეტირება.* ■ **პიკეტირებული** რის პიკეტირებაც მოხდა. *პიკეტირებული საწარმო.*

**პიკი** *პიკის* 1. მთის უმაღლესი წერტილი, მწვერვალი. *პიკზე გამოჩნდა.* 2. გადატ. პროცესის განვითარების უმაღლესი ფაზა. *მღელვარებამ პიკს მიაღწია.* ⊙ **პიკის საათი** დიდ ქალაქებში სამუშაოს დაწყების ან დამთავრების დრო, როდესაც ხდება ტრანსპორტით ქუჩების გადატვირთვა.

**პიკნიკი** *პიკნიკის* ქალაქგარეთ გასეირნება და დროსტარება. *ახალგაზრდების პიკნიკი.*

**პილიგრიმი** *პილიგრიმის* 1. შორეულ წმინდა ადგილებში სალოცავად მიმავალი მორწმუნე. *პილიგრიმების ნაკადი.* 2. მოხეტიალე მოგზაური. *პილიგრიმი აღმოჩნდა.*

**პილოტაჟი** *პილოტაჟის* საფრენი აპარატის მართვის ოსტატობა. *უმაღლესი პილოტაჟი. ჯგუფური პილოტაჟი.*

**პილოტი** *პილოტის* სპეციალისტი, რომელიც საფრენოსნო აპარატებს (თვითმფრინავს, ვერტმფრენს) მართავს. *პილოტის კაბინა.*

**პილპილი** *პილპილის* 1. მრგვალი, მოშავო, ცხარე სანელებელი. *პილპილი მოაყარა.* 2. ტროპიკული მცენარის მცოცავი ბუჩქი, რომელიც პილპილს (1) ისხამს, აქვს სუსტი ღერო, პირისპირ განლაგებული ფოთლები და წვრილყვავილიანი თავთავები. ■ **პილპილიანი** რასაც პილპილი აქვს. *პილპილიანი კერძი.*

**პინა** *პინის* სასწორის თეფში. *პინაზე დადო.*

პინგვინი

**პინგვინი** *პინგვინის* ზღვის ფრინველი, რომელსაც ფრენა არ შეუძლია, ბინადრობს ანტარქტიდაში.

**პინცეტი** *პინცეტის* ლითონის,პატარა მაშა, რომლის წვრილი ბოლოებითაც იღებენ ძნელად ხელმოსაკიდებელ საგნებს. *ქირურგიული პინცეტი. კოსმეტოლოგიური პინცეტი. მესაათის პინცეტი.*

**პიონერი** *პიონერის* პირი, რომელიც რაიმე საქმეში პირველია, საქმის წამომწყებია. *ავიაციის პიონერი.*

**პიპეტი** *პიპეტის* რეზინისთავიანი მინის წვრილი მილაკი, იყენებენ მცირე რაოდენობის სითხის ამოსაღებად და წვეთობით გამოსაშვებად. *პიპეტით თვალში წამალს აწვეთებენ. წამალს პიპეტით ამოიღებს.*

**პიპინი** *პიპინის* (აპიპინებს, უპიპინებს) სასიგნალო ხმის გამოცემა. *მძღოლი აპიპინებს.*

**პიჟამა** *პიჟამის* მსუბუქი ქსოვილის საშინაო, სპორტული ან ლოგინში ჩასაცმელი ტანსაცმელი, შედგება შარვლისა და მოკლე ხალათისგან. *ბატისტის პიჟამა.*

**პიჟონი** *პიჟონის* საუბრ. კარგი ჩაცმა-დახურვისა და გარეგნული ეფექტების მოყვარული ახალგაზრდა. *პიჟონივით იცვამს.*

**პირადად** ზმნზ. საკუთრივ თვითონ. *პირადად მიიღებს მონაწილეობას.*

**პირადი** *პირადის* ერთი პიროვნების კუთვნილი. *პირადი ქონება. პირადი ნივთები. პირადი აზრი.* ⊙ **პირადი საქმე** სამსახურებრივი ჩანაწერების ნიგნი, რომელიც ერთი პირის შესახებ ცნობებს შეიცავს. ⊙ **პირადი შემადგენლობა** დაწესებულების, ორგანიზაციის, საჯარისო ფორმირების წევრთა ერთობლიობა.

**პირადული** *პირადულის* იგივეა, რაც პირადი. *პირადული მოსაზრებები. პირადული დამოკიდებულება.*


პირამიდა

**პირამიდა** *პირამიდის* 1. მათ. გეომეტრიული ფიგურა, რომლის ფუძე მრავალკუთხედია, წახნაგები კი – საერთო წვეროს მქონე სამკუთხედები. 2. განსაკუთრებული ფორმის ქვის უზარმაზარი აკლდამა ძველ ეგვიპტეში, აგებდნენ ფარაონებისთვის.

**პირატი** *პირატის* იგივეა, რაც მეკობრე. *პირატების გემი.*

**პირატობა** *პირატობის* მეკობრეობა, მძარცველობა.

**პირაქეთ** ზმნზ. აქეთა მხარეს, ამ მხარეს, აქეთ. *პირაქეთ გადმობრუნდა.* ↔ **პირიქით.**

**პირაქეთი** *პირაქეთის* მთის, ქედის აქეთა, გადმოღმა მხარე. *პირაქეთის სოფლები.*

**პირალმა** ზმნზ. 1. პირით, სახით ზევით. *პირალმა წევს.* ↔ **პირდაღმა.** 2. ზევითა მიმართულებით, ზევითკენ. *პირალმა აუყვნენ აღმართს.*

**პირბადე** *პირბადის* სახეზე ჩამოსაფარებელი გამჭვირვალე ქსოვილი. *პირბადე უკეთია. სამედიცინო პირბადე.*

**პირბასრი** *პირბასრის* ძალიან ბასრი, მჭრელი. *პირბასრი ხმალი.*

**პირბლაგვი** *პირბლაგვის* ჩლუნგი, არამჭრელი, გაულესავი. *პირბლაგვი ცული.*

**პირგამეხებული** *პირგამეხებულის* ძალიან გაჯავრებული, მრისხანე სახის მქონე. *პირგამეხებული ქალი.*

**პირგამშრალი** *პირგამშრალის* 1. მოწყურებული, ვისაც პირში სიმშრალის შეგრძნება აქვს. *პირგამშრალი მოქეიფე.* 2. გადატ. შემკრთალი, ძალიან გაკვირვებული, მეტყველების უნარდაკარგული. *პირგამშრალი შეჰყურებს.*

**პირგასამტეხლო** *პირგასამტეხლოს* ჯარიმა პირის გატეხისთვის, პირობის შეუსრულებლობისთვის. *პირგასამტეხლო გადაახდევინეს.*

**პირდაპირ** ზმნზ. 1. ზუსტად რაიმეს წინ, გასწვრივ. *სახლის პირდაპირ სკოლა აშენდა.* 2. დამალვის, დაფარვის გარეშე. *პირდაპირ ჰკითხა.*

**პირდაპირი** *პირდაპირის* 1. სწორი, არა მიხვეულ-მოხვეული. *პირდაპირი ბილიკი.* 2. აშკარა, არაორაზროვანი. *პირდაპირი ნათქვამი.* 3. ვინც აშკარად, დაუფარავად ამბობს ყველაფერს. *პირდაპირი კაცია.*

**პირდაპირობა** *პირდაპირობის* პირდაპირ, დაუფარავად ყველაფრის თქმა. *პირდაპირობა ახასიათებს. მისმა პირდაპირობამ გააოცა.*

**პირდაპირპროპორციული** *პირდაპირპროპორციულის* სიდიდეთა დამოკიდებულება, როცა ერთის ცვლა მეორის ამავე ხარისხით ცვლას იწვევს. *პირდაპირპროპორციული არ არის.*

**პირდაღმა** ზმნზ. პირით, სახით ქვევით. *პირდაღმა ინვა.* ↔ პირაღმა.

**პირვანდელი** *პირვანდლის* ყველაზე ადრეული, პირველად არსებული. *პირვანდელი მდგომარეობა. პირვანდელი ფაქტები.*

**პირველად** ზმნზ. 1. ყველაზე ადრე, ყველაზე წინ. *წერა პირველად მე დავამთავრე.* 2. პირველ ჯერზე, პირველ ცდაზე. *სახლი პირველად არ მოენონა. პირველად იყო ჩვენთან სტუმრად.*

**პირველადი** *პირველადის* პირველად, სხვაზე წინ არსებული, შესრულებული. *პირველადი ვარიანტი. პირველადი დამუშავება.*

**პირველი** *პირველის* 1. რიგობითი ნომერი ერთისა. *პირველი სართული.* 2. ყველაზე კარგი, წარმატებული. *საქმეში ყოველთვის პირველია.* ⊙ **პირველ რიგში/პირველ ყოვლისა** ყველაზე ადრე, ყველაზე წინ.

**პირველკლასელი** *პირველკლასელის* მოსწავლე, რომელიც პირველ კლასში სწავლობს. *პირველკლასელები ექსკურსიაზე წაიყვანეს.*

**პირველკურსელი** *პირველკურსელის* სტუდენტი, რომელიც პირველ კურსზე სწავლობს. *პირველკურსელთა შეკრება.*

**პირველობა** *პირველობის* (პირველობს) 1. პირველ ადგილზე ყოფნა, ყველას ჯობნა. *პირველობას არ თმობს. თავის ტოლებში პირველობს.* 2. შეჯიბრება სპორტის რომელიმე სახეობაში. *პირველობა კლასიკურ ჭიდაობაში. პირველობა ჩატარდა.*

**პირველსაცხოვრისი** *პირველსაცხოვრისის* ადგილი, სადაც ადამიანთა ესა თუ ის ჯგუფი თავდაპირველად ცხოვრობდა. *არქეოლოგები აქაური მოსახლეობის პირველსაცხოვრისს ეძებენ.*

**პირველყოფილი** *პირველყოფილის* საზოგადოების განვითარების ყველაზე დაბალ საფეხურზე მყოფი. *პირველყოფილი ადამიანი.*

**პირველხარისხოვანი** *პირველხარისხოვნის* ხარისხით საუკეთესო, ყველაზე კარგი. *პირველხარისხოვანი პროდუქცია.*

**პირთხელი** *პირთხელის* თხელი სახის მქონე. *პირთხელი ჭაბუკი.*

**პირი** *პირის* 1. ჭრილი სახეზე, ზედა და ქვედა ყბას შორის. *პირი დააღო.* 2. ღრუ, რომელშიც მოთავსებულია კბილები, ენა. *პირი გამოტენილი აქვს.* 3. იგივეა, რაც სახე (1). *პირი უცინის.* 4. პიროვნება. *სამხედრო პირი.* 5. იგივეა, რაც ასლი. *პირი გადაიღო.* 6. იგივეა, რაც ზედაპირი. *პრიალა პირი.* 7. იგივეა, რაც ნაპირი (2). *ზღვის პირას ვისხედით.* 8. მჭრელი იარაღის ბასრი მხარე. *დანის პირი.* 9. წყება, რიგი. *ერთი პირი ცოლ-შვილი.* ⊙ **ბალიშის (საბნის, ლეიბის) პირი** შალითა, რომელშიც ბალიშს (საბანს, ლეიბს) სვამენ. ⊙ **ვინმეს პირით შეუთვლის** ვინმეს დააბარებს სათქმელს. ⊙ **პირზე დაადგება** პირადად ამხელს. ⊙ **პირის გატეხა** პირობის დარღვევა. ⊙ **პირს დააღებს.** ხმას ვერ ამოიღებს, გაჩერდება, გაშტერდება. ⊙ **პირს შეაჩვევს** გაუთამამდება, თავს ყველაფრის თქმის უფლებას მისცემს. ⊙ **პირს შეკრავენ** მოილაპარაკებენ, შეთანხმდებიან. ⊙ **პირში ეტყვის** დაუფარავად ეტყვის სიმართლეს პირადად. ⊙ **პირში სული უდგას** ცოცხალია. ⊙ **საღამოს (შემოდგომისა და მისთ.) პირზე საღამოს (შემოდგომისა და მისთ.)** დამდეგს.

**პირიანი** *პირიანის* პირობის შემსრულებელი, პირის არგამტეხი. *პირიანი კაცია.*

**პირიმზე** *პირიმზის* ყვავილოვანი მცენარე, აქვს უფოთლო, დაუტოტავი ღერო და წვერში ერთი მსხვილი წითელი ყვავილი, რომელიც ყოველთვის მზისკენაა მიქცეული.

**პირისახე** *პირისახის* იგივეა, რაც სახე. *მთელი პირისახე უცინის.*

**პირისპირ** ზმნზ. 1. ერთმანეთის საწინააღმდეგო მხარეს, საპირისპიროდ. *სახლები პირისპირ დგას.* 2. პირადად, უშუალოდ. *ამომრჩევლებს პირისპირ შეხვდა.*

**პირიქით** ზმნზ. 1. რაიმე ფაქტის, ამბის საპირისპიროდ, საწინააღმდეგოდ. *კი არ მოდის, პირიქით, ჩვენც იქ გვეპატიჟება.* 2. იქითა მხარეს, იმ მხარეს, იქით. *კაცი პირიქით შებრუნდა.*

**პირიქითა** *პირიქითას* იგივეა, რაც პირიქითი.

**პირიქითელი** *პირიქითელის* ქედის გადაღმა, მეორე მხარეს მცხოვრები. *პირიქითელები მოვიდნენ.*

**პირიქითი** *პირიქითის* მთის, ქედის გადაღმა, იქითა მხარე. *პირიქითი ტყიანია. პირიქითი ჯერაც თოვლიანია.*

**პირკატა** *პირკატის* ◉ პირკატა ეცემა საუბრ. გაოგნდება, ძალიან შეწუხდება მოულოდნელი (უსიამოვნო) შემთხვევის გამო.

**პირმართალი** *პირმართლის* სიმართლის მოყვარული, სანდო, მართალი. *პირმართალი კაცი.*

**პირმოთნე** *პირმოთნის* პირფერი, მლიქვნელი. *პირმოთნე პიროვნება.*

**პირმოთნეობა** *პირმოთნეობის* პირფერობა, მლიქვნელობა, მოჩვენებითი კეთილისმყოფელობა. *პირმოთნეობა ახასიათებს.*

**პირმოცინარი** *პირმოცინარის* მოცინარი, ღიმილიანი. *პირმოცინარი ქალიშვილი.*

**პირმტკიცე** *პირმტკიცის* ვინც პირობას ყოველთვის ასრულებს, სიტყვას არ ტეხს. *პირმტკიცე კაცია.*

**პირმლიმარი** *პირმლიმარის* იგივეა, რაც პირმოცინარი. *პირმლიმარი ჭაბუკი.*

**პირმყრალი** *პირმყრალის* ცუდი სიტყვების მოყვარული, ბილწად მოსაუბრე. *პირმყრალი კაცი.*

**პირმშვენიერი** *პირმშვენიერის* ლამაზი სახის მქონე. *პირმშვენიერი ქალიშვილი.*

**პირმშო** *პირმშოს* პირველი შვილი. *დედა თავის პირმშოს ეალერსება.*

**პირმცინარი** *პირმცინარის* იგივეა, რაც პირმოცინარი. *პირმცინარი გოგონა.*

**პირნაბანი** *პირნაბანის* წყალი, რომლითაც პირი დაიბანეს. *მზეთუნახავის პირნაბანი.*

**პირნათელი** *პირნათლის* 1. ნათელი სახის მქონე. *პირნათელი ქალიშვილი.* 2. პირობის შემსრულებელი, შეურცხვენელი. *მის წინაშე პირნათელია.* ▲ **პირნათლად** ზმნზ. კეთილსინდისიერად, პირობის მიხედვით. *მოვალეობა პირნათლად მოიხადა.*

**პირობა** *პირობის* 1. იგივეა, რაც შეთანხმება. *მტკიცე პირობა. პირობის დადება.* 2. იგივეა, რაც დაპირება (1). *პირობის შესრულება. პირობა მისცა.* 3. იგივეა, რაც მოთხოვნა. *მკაცრი პირობა. პირობა წამოაყენა. პირობის დაკმაყოფილება.* 4. (მრ.) გარემო, რომელშიც რაიმე ხდება, ვინმეს უწევს ყოფნა. *ცუდი პირობები. პირობები გამოსწორდა.* 5. გარემოება, რომელზეც დამოკიდებულია რაიმეს შესრულება. *უმთავრესი პირობა.* ▲ **პირობაზე** ზმნზ. შესაბამისად. *მოხუცის პირობაზე კარგად გამოიყურება.* ◉ **ამოცანის პირობა** მათემატიკის, ფიზიკისა და მისთ. ამოცანის შინაარსი, რომლის საფუძველზეც უნდა ამოიხსნას იგი. ◉ **ერთი პირობა ერთხანობას, ერთ მომენტში.** ◉ **პირობას გადავა** შეთანხმებას დაარღვევს, დაპირებას არ შეასრულებს.

**პირობითი** *პირობითის* სიმბოლური, შეთანხმებით მიღებული. *პირობითი ნიშნები.*

**პირობითობა** *პირობითობის* სიმბოლური, პირობითი ხასიათის ქონა. *გარკვეული პირობითობა ახასიათებს.*

**პიროვნება** *პიროვნების* ადამიანი, ინდივიდი. *პიროვნების თავისუფლება. პატივსაცემი პიროვნება.*

**პიროვნული** *პიროვნულის* მხოლოდ გარკვეული პიროვნებისთვის დამახასიათებელი. *პიროვნული ხასიათი. პიროვნული თვისებები.*

პირსაბანი



**პირსაბანი** *პირსაბანის* ხელ-პირის დასაბანი მოწყობილობა ონკანითა და ნიჟარით. *პირსაბანში წყალი ჩაასხა.*

**პირსაქმება** *პირსაქმების* იგივეა, რაც პირღებინება.

**პირსახოცი** *პირსახოცის* ხელ-პირის (სხეულის) გასამშრალებელი ქსოვილი. *ტილოს პირსახოცი. ხაოიანი პირსახოცი.*

პირსახოცი

**პირსისხლიანი** *პირსისხლიანის* სასტიკი, დაუნდობელი, სისხლისღვრის მოყვარული. *პირსისხლიანი მტარვალი.*

**პირტიტველა** *პირტიტველას* ახალგაზრდა, რომელსაც ჯერ წვერი არ ამოსვლია. *პირტიტველა ჭაბუკი.*

**პირუთვნელი** *პირუთვნელის* პირდაპირ მთქმელი, სამართლიანი. *პირუთვნელი ადამიანი.*

**პირუთვნელობა** *პირუთვნელობის* სამართლიანობა, მიუკერძოებლობა. *პირუთვნელობითაა ცნობილი.*

**პირუკუ** ზმნზ. პირიქით, საწინააღმდეგოდ. *ყველაფერი პირუკუ მოხდა.*

**პირუკულმა** ზმნზ. 1. იგივეა, რაც უკულმა. *საქმე პირუკულმა წაუვიდა.* 2. პირით ქვევით, პირქვე. *პირუკულმა იწვა.*

**პირუმტკიცობა** *პირუმტკიცობის* მატყუარობა, პირობის შეუსრულებლობა. *მეგობრის პირუმტკიცობა.*

**პირუტყვი** *პირუტყვის* იგივეა, რაც საქონელი. *პირუტყვის საკვები.*

**პირუტყუარი** *პირუტყუარის* სიტყვის შემსრულებელი, ვინც მიცემულ პირობას ყოველთვის ასრულებს. *პირუტყუარი კაცია.*

**პირფერი** *პირფერის* ვინც პირში აქებს გამორჩენის მიზნით. *პირფერი კაცი არასაიმედოა.*

**პირფერობა** *პირფერობის* (პირფერობს, ეპირფერება) მოჩვენებითად სიკეთის გამოჩენა, პირში ქება. *რას მეპირფერები!*

**პირქარი** *პირქარის* ქარი, რომელიც აქეთ უბერავს. *პირქარი ამოვარდა.*

პირქვე ზმნზ. პირით, სახით ქვევით. *პირქვე დაეგდო.* ↔ პირაღმა.

პირქუში *პირქუშის* არამხიარული, მრისხანე შესახედაობის მქონე. *პირქუში კაცი. პირქუში კლდეები.*

პირღებინება *პირღებინების* გულის არევა, ნაჭამის პირიდან უკან ამოსვლა. *პირღებინება აუტყდა.*

პირღია *პირღიას* ვისაც პირი აქვს დაღებული. *პირღიას სძინავს.*

პირშავი *პირშავის* ფიცის გამტეხი, მოღალატე. *პირშავი კაცია.* ⊙ პირშავად არის ვინმეს წინაშე შერცხვენილია.

პირშაობა *პირშაობის* მიცემული სიტყვის, პირობის გატეხა, ღალატი. *მისი პირშაობა ყველამ გაიგო.*

პირშიშველა *პირშიშველას* იგივეა, რაც პირტიტველა. *პირშიშველა ყმაწვილი.*

პირშუშხა *პირშუშხას* ბოსტნეული მცენარე, ფესვს აქვს ცხარე გემო, იყენებენ სანელებლად. *დანაყილი პირშუშხა.*

პირწავარდნილი *პირწავარდნილის* ნამდვილი, ძალიან მსგავსი. *პირწავარდნილი ბაბუამისია.*

პირხმელი *პირხმელის* ხმელი, გამხდარი სახის მქონე. *პირხმელი კაცია.*

პირჯვარი *პირჯვრის* ჯვარი, რომელსაც გამოისახავს მორწმუნე შუბლზე, მკერდსა და მხრებზე თითების მიდებით. *პირჯვარი გადაიწერა.*

პისტოლეტი *პისტოლეტის* ხელის მოკლელულიანი ცეცხლსასროლი იარაღი, გამოიყენება მოკლე მანძილზე სასროლად. *პისტოლეტი დაუმიზნა. პისტოლეტის ტყვია. ავტომატური პისტოლეტი.* ▪ პისტოლეტიანი პისტოლეტით შეიარაღებული. ⊙ სპორტული პისტოლეტი პისტოლეტი ფუჭი ვაზნებით, გამოიყენება სასიგნალოდ სპორტული შეჯიბრებისას.

პიტალო *პიტალოს* შიშველი, უბალახო (კლდე).

პიტნა *პიტნის* მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარე, აქვს სპეციფიკური სუნის მქონე ფოთლები, რომლებსაც იყენებენ კულინარიაში, მედიცინასა და პარფიუმერიაში. *პიტნის ჩაი.*

პიურე *პიურეს* ზოგიერთი ბოსტნეულის (ან ხილის) ჩახარშვით (ან გახეხვით) დამზადებული ფაფისებრი საჭმელი. *ვაშლის პიურე. კარტოფილის პიურე.*

პიჯაკი *პიჯაკის* მამაკაცის კოსტიუმის ნაწილი, ზედა ჩასაცმელი. *პიჯაკი მოიხურა.*

პკურება *პკურების* (აპკურებს, იპკურებს, ეპკურება) ⟨ მიპკურება. *წყალი აპკურეს. სუნამო იპკურა.*

პლაგიატი *პლაგიატის* სხვისი ნაწარმოების მითვისება, თავისი სახელით გამოქვეყნება. *პლაგიატს აბრალებენ.*

პლაგიატორი *პლაგიატორის* პლაგიატის ჩამდენი.

პლაგიატორობა *პლაგიატორობის* სხვისი ნაწერის, ნაშრომის მიმთვისებლობა. *მისი პლაგიატორობა ყველამ იცის.*

პლაკატი *პლაკატის* დიდი ზომის ნახატი ან სურათი, რომელსაც ახლავს სარეკლამო თუ სხვა სახის ნარწერა. *სააგიტაციო პლაკატი.*

პლანერი *პლანერის* მსუბუქი, უმოტორო საფრენი აპარატი, რომელიც მოძრაობს აკრეფილი სიჩქარისა და ჰაერის ნაკადის მეშვეობით. *სპორტული პლანერი. პლანერის გაშვება. ერთადგილიანი პლანერი.*

პლანეტა *პლანეტის* მზის გარშემო მოძრავი ციური სხეული. *პლანეტის ორბიტა.*

პლანეტარიუმი *პლანეტარიუმის* I. აპარატი, რომლითაც გუმბათისებრ ეკრანზე აჩვენებენ პლანეტებისა და სხვა ციური სხეულების მოძრაობას. *პლანეტარიუმში წავიდნენ.* 2. შენობა, რომელშიც პლანეტარიუმი (1) არის დადგმული ასტრონომიის, კოსმონავტიკისა და მისთ. სწავლების მიზნით.

პლანტატორი *პლანტატორის* პლანტაციის, დიდი სამიწათმოქმედო მეურნეობის პატრონი. *მდიდარი პლანტატორი.*

პლანტაცია *პლანტაციის* მიწის დიდი ნაკვეთი, რომელზეც გაშენებულია ერთი სახეობის სასოფლო-სამეურნეო კულტურა. *თამბაქოს პლანტაცია. ჩაის პლანტაცია.*

პლაჟი *პლაჟის* ზღვის, ტბის, მდინარის სანაპირო ზოლი, უპირატესად ქვიშით ან ხილით დაფარული. *პლაჟზე წავიდა. პლაჟი ხალხით გაივსო.* შეცდომაა პლიაჟი

პლასტიკა *პლასტიკის* I. სხეულის მოხდენილი, რიტმული მოძრაობის ხელოვნება. *ბალერინის პლასტიკა.* 2. ქანდაკების შექმნის ხელოვნება.

პლასტიკური *პლასტიკურის* I. პლასტიკაზე დაფუძნებული. *პლასტიკური ხელოვნება.* 2. რაც მიზნად ისახავს სხეულის, სახის ნაკვთების შესწორებას, შეცვლას. *პლასტიკური ქირურგია.* 3. დრეკადი, ადვილად დასამუშავებელი (მყარი მასალები). *პლასტიკური ფირფიტა.* შეცდომაა პლასტიური

პლასტილინი *პლასტილინის* საძერწი მასალა, მზადდება თიხის, სანთლის, ქონის ან სხვა ცხიმოვანი ნივთიერების შერევით. *პლასტილინის ფიგურა. პლასტილინით ძერწავს.* შეცდომაა პლასტელინი

პლასტმასა *პლასტმასის* სინთეზური მასალა, რომელიც გახურებისას ადვილად იღებს და ინარჩუნებს სხვადასხვა ფორმას. *პლასტმასის თეფში. პლასტმასის სათამაშო.*

პლატინა *პლატინის* მოვერცხლისფრო, ძნელად დნობადი ძვირფასი ლითონი, ძირითადად გამოი-

ყენება საიუველირო ნაკეთობების დასამზადებლად და სამეცნიერო მიზნებისთვის. *პლატინის ბეჭედი.*

**პლატო** *პლატოს* გაშლილი ვაკე ადგილი მთაზე. *მთაწმინდის პლატო. პლატოზე შენობები გაშენდა.*

**პლატფორმა** *პლატფორმის* I. იგივეა, რაც ბაქანი. *პლატფორმაზე ხალხი ირეოდა.* 2. იდეების ერთობლიობა, რომლის საფუძველზეც იქმნება პარტიის ან საზოგადოებრივი დაჯგუფების პოლიტიკური პროგრამა. *სამოქმედო პლატფორმა.*

**პლაცდარმი** *პლაცდარმის* საომარი მოქმედებების მომზადებისა და დაწყების ადგილი. *პლაცდარმი შეიქმნა.*

**პლაცკარტი** *პლაცკარტის* სამგზავრო ბილეთის დანართი შორი მიმოსვლის მატარებლის ვაგონში საწოლი ადგილის დასაკავებლად. *პლაცკარტი შეიძინა.*

**პლებისციტი** *პლებისციტის* იგივეა, რაც რეფერენდუმი. *პლებისციტი მოეწყო.*

**პლევრა** *პლევრის* აპკი, რომელიც ფარავს ფილტვებისა და გულ-მკერდის ღრუს კედლებს. *პლევრის დაზიანება.*

**პლევრიტი** *პლევრიტის* პლევრის ანთება. *მშრალი პლევრიტი. სველი პლევრიტი.*

**პლენარული** *პლენარულის* ორგანიზაციის ან არჩევითი ორგანოს ყველა წევრის მონაწილეობით გამართული. *კონფერენციის პლენარული სხდომა.*

**პლინთუსი** *პლინთუსის* თამასა, რომელიც გასდევს იატაკის კიდეს კედლის ძირთან. *ხის პლინთუსი.* შეცდომაა პლინტუსი

**პლომბავა** *პლომბავის* (პლომბავს, იპლომბავს, უპლომბავს) ↑ დაპლომბვა. *კბილს უპლომბავს.*

**პლომბი** *პლომბის* I. სპეციალური ბეჭდით ჩაჭყლეტილი ტყვიის ან სხვა ლითონის პატარა ნაჭერი, რომელსაც ადებენ დაკეტილ კარს ან შეფუთულ საქონელს, მისი ხელშეუხებლობის უზრუნველსაყოფად. *პლომბი დაადეს.* 2. მკვრივი ნივთიერება, რომლითაც ავსებენ დაზიანებული კბილის ღრუს. *დროებითი პლომბი.* ■ პლომბიანი რასაც პლომბი ადევს. *პლომბიანი ამანათი. პლომბიანი კარი.*

**პლომბირი** *პლომბირის* ნაღებისგან დამზადებული ნაყინი, რომელსაც ურევია ხილი, წვენი, შოკოლადი და მისთ.

**პლურალიზმი** *პლურალიზმის* სახელმწიფოს მმართველობის მრავალპარტიული სისტემა. *პოლიტიკური პლურალიზმი.*

**პლუსი** *პლუსის* შეკრების (მიმატების) ან დადებითი სიდიდის ნიშანი (+) მათემატიკაში. *პლუს ოცი გრადუსი.* შეცდომაა პლიუსი

**პნევმატიკური** *პნევმატიკურის* შეკუმშული ჰაერით მოქმედი. *პნევმატიკური ტუმბო. პნევმატიკური ჩაქუჩი.*

**პოდპოლკოვნიკი** *პოდპოლკოვნიკის* ოფიცრის წოდებულება ზოგიერთ ქვეყანაში, მაიორზე მეტი და პოლკოვნიკზე ნაკლები.

**პოეზია** *პოეზიის* სიტყვიერი ხელოვნება, რომელშიც სათქმელი ლექსის ფორმით გადმოიცემა. *ხალხური პოეზია. მეოცე საუკუნის პოეზია.*

**პოემა** *პოემის* ლექსად დანერილი სიუჟეტიანი მხატვრული ნაწარმოები. *ისტორიული პოემა. პოემის პერსონაჟი.*

**პოეტი** *პოეტის* მწერალი, რომელიც ლექსებს ქმნის. *პოეტის ფსევდონიმი.*

**პოეტური** *პოეტურის* I. პოეტისთვის, პოეზიისთვის დამახასიათებელი. *პოეტური სიტყვა.* 2. შთაგონებული, ემოციური, ამაღლებული. *პოეტური ადამიანი. პოეტური განწყობილება.*

**პოვნა** *პოვნის* (იპოვის, უპოვის, აპოვნინებს) დაკარგულის, დამალულის ან უცნობი რაიმეს (ვინმეს) მონახვა, აღმოჩენა. *მამის საფლავი იპოვა. დამნაშავე იპოვეს.*

**პოზა** *პოზის* ადამიანის სხეულის ან სახის გარკვეული მდგომარეობა, გარეგნული ფორმა, დგომის მანერა. *დამახასიათებელი პოზა. ბუნებრივი პოზა.*

**პოზიორი** *პოზიორის* ვისაც სურს თავისი გარეგნობით, ჩაცმულობით, რაიმე ქმედებით მიიქციოს ყურადღება. *დიდი პოზიორი ვინმეა.*

**პოზიორობა** *პოზიორობის* (პოზიორობს) პოზიორისთვის დამახასიათებელი ქცევა. *პოზიორობა უყვარს. ტელეკამერის წინ პოზიორობს.*

**პოზიტიური** *პოზიტიურის* დადებითი. *პოზიტიური მსჯელობა. საკითხის პოზიტიური გადაწყვეტა.*

**პოზიცია** *პოზიციის* I. ვინმეს ან რაიმეს მდებარეობა, მდგომარეობა, განლაგება. *ჯარმა პოზიცია შეიცვალა. მოწინავე პოზიცია.* 2. გადატ. აზრი, თვალსაზრისი, გაცნობიერებული დამოკიდებულება ვინმეს ან რაიმეს მიმართ. *ჩემი პოზიცია უცვლელია. თავისი პოზიცია დაიცვა.*

**პოლარული** *პოლარულის* I. პოლუსთან (I) დაკავშირებული, პოლუსზე არსებული. *პოლარული ექსპედიცია. პოლარული ღამე. პოლარული ყინულები.* 2. წიგნ. გადატ. სრულიად სხვაგვარი, საპირისპირო, საწინააღმდეგო. *პოლარული აზრები.* ⊙ პოლარული ვარსკვლავი ჩრდილოეთის მხარის მიმანიშნებელი დიდი ვარსკვლავი.

**პოლემიკა** *პოლემიკის* კამათი, დავა რაიმე საკითხის შესახებ. *ლიტერატურული პოლემიკა. პოლემიკაში ჩაერთო.* ■ პოლემიკური პოლემიკასთან დაკავშირებული, პოლემიკის ხასიათისა. *პოლემიკური წერილი.*

პოლიგამია *პოლიგამიის* ქორწინების წესი, რომელიც პიროვნებას რამდენიმე მეუღლის ყოლის უფლებას აძლევს. *პოლიგამიას აღიარებს.*

პოლიგლოტი *პოლიგლოტის* პირი, რომელმაც ბევრი ენა იცის.

პოლიგონი *პოლიგონის* საბრძოლო მეცადინეობებისა და საომარი იარაღის გამოცდისთვის განკუთვნილი ადგილი. *საბერთნელი პოლიგონი. პოლიგონზე თვითმფრინავები გამოიყვანეს.*

პოლიგრაფია *პოლიგრაფიის* მრეწველობის დარგი, რომელიც მოიცავს ბეჭდური პროდუქციის ნარმოების ყველა სახეობას. ■ პოლიგრაფიული პოლიგრაფიასთან დაკავშირებული. *მაღალი პოლიგრაფიული ხარისხის გამოცემა. პოლიგრაფიული ბაზა.*

პოლიგრაფისტი *პოლიგრაფისტის* პოლიგრაფიის სპეციალისტი. *ნიჭიერი პოლიგრაფისტი.*

პოლიეთილენი *პოლიეთილენის* ელასტიკური სინთეზური ნივთიერება, ფართოდ გამოიყენება სამრეწველო და საყოფაცხოვრებო ნაწარმის დასამზადებლად. *პოლიეთილენის ბოთლი.*

პოლითეიზმი *პოლითეიზმის* რელიგია, რომელიც მრავალ ღმერთს აღიარებს. *პოლითეიზმის მიმდევრები.*

პოლიკლინიკა *პოლიკლინიკის* სამკურნალო-პროფილაქტიკური დანესებულება, სადაც სამედიცინო დახმარებას უწევენ პაციენტებს. *ბავშვთა პოლიკლინიკა. პოლიკლინიკის ექიმი.*

პოლიპი *პოლიპის* ლორწოვანი გარსის, უპირატესად ცხვირის ღრუს კეთილთვისებიანი სიმსივნე. *პოლიპები ამოიჭრა.*

პოლისი *პოლისის* ჯანმრთელობის, ქონებისა და მისთ. დაზღვევის მონმობა. *პოლისით სარგებლობს.*

პოლიტექნიკური *პოლიტექნიკურის* ტექნიკის სხვადასხვა დარგთან დაკავშირებული. *პოლიტექნიკური ინსტიტუტი. პოლიტექნიკური სწავლება.*

პოლიტიკა *პოლიტიკის* 1. სახელმწიფო ხელისუფლების, პარტიის ან საზოგადოებრივი ჯგუფის მოღვაწეობა ქვეყნის საშინაო და საგარეო ურთიერთობების მართვის სფეროში. *საშინაო პოლიტიკა. ეკონომიკური პოლიტიკა.* 2. გადატ. მოქმედება, ადამიანებთან ურთიერთობის ნარმართვა რაიმე მიზნის მისაღწევად. *დირექტორმა პოლიტიკა შეცვალა.*

პოლიტიკოსი *პოლიტიკოსის* პირი, რომელიც პოლიტიკის სფეროში მოღვაწეობს. *პოლიტიკოსების აზრით.*

პოლიფონია *პოლიფონიის* ერთდროულად რამდენიმე ხმის შეწყობა მუსიკალური ნაწარმოების შესრულებისას. *ქართული პოლიფონია.* ■ პოლიფონიური პოლიფონიისთვის დამახასიათებელი, პოლიფონიასთან დაკავშირებული. *პოლიფონიური სიმღერები. პოლიფონიური ნაწარმოები.*

პოლიცია *პოლიციის* სახელმწიფო ორგანო, რომელსაც ევალება საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა. *პოლიცია სიტუაციას აკონტროლებს. პოლიციამ დემონსტრანტებს გზა გადაუკეტა.*

პოლიციელი *პოლიციელის* პოლიციის თანამშრომელი. *პოლიციელებმა ბოროტმოქმედი დააკავეს.*

პოლკი *პოლკის* სამხედრო ნაწილი, რომელიც, ჩვეულებრივ, შედის დივიზიის ან ბრიგადის შემადგენლობაში. *პოლკის მეთაური.*

პოლკოვნიკი *პოლკოვნიკის* სამხედრო პირი, გენერალზე დაბალი წოდების ოფიცერი.

პოლორჭიკი *პოლორჭიკის* ხის მრგვალი კიდეებამოღარული ფირფიტა, რომლითაც ტიკის ან გუდის გახვრეტილ ადგილებს გმანავენ. *პოლორჭიკი გამოაკრა.*

პოლუსი *პოლუსის* 1. დედამიწის ბრუნვის წარმოსახვითი ღერძის ორ უკიდურეს წერტილთაგან ერთ-ერთი; ამ წერტილთან ახლოს მდებარე ადგილი. *ჩრდილოეთის პოლუსი.* 2. ელექტრული წრედის, მაგნიტის ან ელექტრომაგნიტის ორი ბოლოდან ერთ-ერთი. *დადებითი პოლუსი.* 3. გადატ. ძალიან განსხვავებული საპირისპირო, საწინააღმდეგო რამ. შეცდომაა პოლიუსი

პომადა *პომადის* ტუჩის კოსმეტიკური საცხი. *წითელი პომადა.* შეცდომაა პამადა.

პომიდორი *პომიდვრის*||პამიდორი.

პომიდორი

პონი *პონის* ხელოვნურად გამოყვანილი მცირე ზომის ცხენის ჯიში. *პონის ეტლი.*

პოპულარიზატორი *პოპულარიზატორის* პირი, რომელიც რაიმეს პოპულარიზაციას ეწევა. *ქართული ღვინის პოპულარიზატორი.*

პოპულარიზაცია *პოპულარიზაციის* საყოველთაოდ გავრცელება, საზოგადოების ფართო ფენებამდე მიტანა. *ხალხური სიმღერების პოპულარიზაცია.*

პოპულარობა *პოპულარობის* საყოველთაო აღიარება, დაფასება. *პოპულარობა მოიპოვა.*

პოპულარული *პოპულარულის* 1. ვინც ან რაც პოპულარობით სარგებლობს, საყოველთაოდ ცნობილი. *პოპულარული მსახიობი. პოპულარული ენით არის დაწერილი.* 2. მარტივად გადმოცემული, ბევრისთვის ადვილად გასაგები, ხელმისანვდომი. *პოპულარული ლექცია.*

პოპულაცია *პოპულაციის* ერთი სახეობის ეგზემპლართა დიდი ხნის განმავლობაში არსებული ერთობლიობა. *მგლების პოპულაცია.*

პოპულიზმი *პოპულიზმის* ხალხისთვის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის ადვილად მოგვარების თაობაზე დემაგოგიური დაპირებების

მიცემა საკუთარი პოლიტიკური მიზნების მისაღწევად. *პოპულიზმის მსხვერპლი.*

**პოპულისტი** *პოპულისტის* ვინც პოპულიზმს მიმართავს. *პოპულისტი მთავრობა.* ■ პოპულისტური პოპულიზმის დამახასიათებელი. *პოპულისტური დაპირებები.*

**პოპური** *პოპურის* სხვადასხვა პოპულარული მუსიკალური ნაწარმოების ნაწყვეტთა ნაკრები.

**პორნოგრაფია** *პორნოგრაფიის* უხამსი სექსუალური სცენების გამოსახვა ფოტო- და კინოსაშუალებებით, ნახატით და მისთ. ■ პორნოგრაფიული პორნოგრაფიის შემცველი. *პორნოგრაფიული ფილმი. პორნოგრაფიული ჟურნალი.*

**პორტალი** *პორტალის* საიტი, რომელიც მომხმარებელს სთავაზობს ქსელური ძიების ერთ ან მეტ საშუალებას, სხვა საიტებთან დაკავშირებული ბმულების ფართო არჩევანს.

**პორტატიული** *პორტატიულის* პატარა ზომის მქონე, თან სატარებლად მოხერხებული. *პორტატიული აპარატი. პორტატიული მაგნიტოფონი.*

**პორტვეინი** *პორტვეინის* განსაკუთრებული წესით დაყენებული დასპირტული ღვინო. *პორტვეინს მიირთმევს.*

**პორტი** *პორტის* იგივეა, რაც ნავსადგური. *პორტს გემი მოადგა. პორტში დახვდნენ მე ზღვაურებს.*

**პორტრეტი** *პორტრეტის* 1. ადამიანის ან ადამიანთა ჯგუფის მხატვრული ან ფოტოგრაფიული გამოსახულება. *ძველი პორტრეტი. პორტრეტების გამოფენა.* 2. ლიტ. პერსონაჟის გარეგნობის აღწერა მხატვრულ ნაწარმოებში. *მთავარი გმირის პორტრეტი.*


პორტფელი

**პორტფელი** *პორტფელის* ოთხკუთხა ჩანთა საქმიანი ქაღალდების სატარებლად. *ტყავის პორტფელი.*

**პორფირი** *პორფირის* ძვირფასი ნითწლი მოსასხამი, მეფის ძალაუფლების სიმბოლო.

**პოსტი** *პოსტის* 1. სადარაჯო ადგილი, საიდანაც თვალყურს ადევნებენ ან იცავენ რაიმეს (ვინმეს). *პოსტ ზე დგას.* 2. იგივეა, რაც თანამდებობა. *მინისტრის პოსტი. დირექტორის პოსტი.*

**პოსტსკრიპტუმი** *პოსტსკრიპტუმის* წიგნ. წერილის ბოლოს, ხელმოწერის შემდეგ გაკეთებული მინაწერი, ტექსტისგან, ჩვეულებრივ, გამოიყოფა აღინიშვნით - P. S.

**პოსტულატი** *პოსტულატის* დებულება, რომელიც დასაბუთების გარეშე საფუძვლად ედება გარკვეულ თეორიას, მსჯელობასა და მისთ. *რამდენიმე პოსტულატს ეყრდნობა.*

**პოტენცია** *პოტენციის* ფარული უნარი, რომელიც შეიძლება გამოვლინდეს ხელშემწყობ გარემოსა და პირობებში. *დიდი პოტენცია აღმოაჩნდა. ამოუწურავი პოტენცია.*

**პოტენციალი** *პოტენციალის* რაიმეს გასაკეთებლად საჭირო ძალა, შესაძლებლობები. *გონებრივი პოტენციალი. ეკონომიკური პოტენციალი.*

**პოტენციური** *პოტენციურის* სავარაუდო, შესაძლებელი. *პოტენციური მეტოქე.*

**პოტინი** *პოტინის* (ეპოტინება) 1. რაიმესთვის ან ვინმესთვის ხელის მოკიდების, ხელის წავლების ცდა. *ხის ტოტს ეპოტინება.* 2. საუბრ. გადატ. რაიმეს დასაკუთრების, მიღწევის ცდა. *სხვის ადგილს ეპოტინება. თანამდებობას ეპოტინება.*

**პოშოლა** *პოშოლას* ხორბლის საგაზაფხულო, უფხო ჯიში, გავრცელებულია ქართლსა და კახეთში. *პოშოლა დათესა.*

**პოხვა** *პოხვის* (პოხავს, იპოხავს, იპოხება, ეპობება) ↑ გაპოხვა. *ტყავს პოხავს. ურმის თვლებს პოხავენ.*

**პოხიერი** *პოხიერის* უხვმოსავლიანი, კარგი სამეურნეო ღირებულების მქონე (მინები). *პოხიერი ნიადაგები. პოხიერი ნაკვეთები.*

**პოხონდრია** *პოხონდრიის* საუბრ. არასერიოზული, ახირებული. *პოხონდრია ბიჭი.*

**პრაგმატიზმი** *პრაგმატიზმის* 1. ფილოსოფიური მიმართულება, რომელიც აღიარებს ჭეშმარიტებად იმას, რაც პრაქტიკულად სასარგებლოა და უარყოფს ობიექტურ ჭეშმარიტებას. 3. იგივეა, რაც პრაგმატულობა. *პრაგმატიზმით გამოირჩევა.*

**პრაგმატიკოსი** *პრაგმატიკოსის* პირი, რომელიც ყველაფერში თავისთვის სასარგებლოს ეძებს. *თავისი პრაგმატულობით ბევრს მიაღწია.*

**პრაგმატულობა** ყველაფერში პრაქტიკულად სასარგებლოს ძიება, გამორჩენის კუთხით შეფასება. *თავისი პრაგმატულობით ბევრს მიაღწია.*

**პრაისკურანტი** *პრაისკურანტის* იგივეა, რაც პრეისკურანტი.

**პრანჭვა** *პრანჭვის* (იპრანჭება, ეპრანჭება) ↑ გაპრანჭვა. *პრანჭვა უყვარს. სულ იპრანჭება. ნუ იპრანჭები!*

**პრანჭია** *პრანჭიას* ვინც სულ იპრანჭება, ზედმეტად კოხტაობს. *პრანჭია გოგო.*

პრასი

**პრასი** *პრასის* ბოსტნეული მცენარე, აქვს ბრტყელი ფოთლები და განუვითარებელი, მოგრძო ბოლქვი, გამოიყენება მხლად, სანელებლად და მწნილად. *პრასი მოკრიფა.*

**პრაქტიკა** *პრაქტიკის* 1. თეორიული ცოდნის გამოყენება ცხოვრებაში, კონკრეტულ საქმეში. *პრაქტიკამ დაადასტურა.* 2. გამოცდილება, დაოსტატება გარკვეულ საქმეში. *დიდი ხნის პრაქტიკა აქვს.* 3. სასწავლო პროცესის ნაწილი, რომელიც გულისხმობს თეორიული ცოდნის გამოყენებას, განმტკიცებას. *სტუდენტური პრაქტიკა. საველე*

*პრაქტიკა*. 4. ადამიანთა მოქმედება, რომლითაც ისინი ზეგავლენას ახდენენ ობიექტურ სამყაროზე და გარდაქმნიან მას. *თეორია და პრაქტიკა*.

**პრაქტიკანტი** *პრაქტიკანტის* პირი, რომელიც პრაქტიკას გადის. *პრაქტიკანტთა მეცადინეობა. პრაქტიკანტი ექიმი.*

**პრაქტიკოსი** *პრაქტიკოსის* სპეციალისტი, რომელსაც თავის დარგში პრაქტიკული საქმიანობის გამოცდილება აქვს. *პრაქტიკოსი ადვოკატი. პრაქტიკოსი ექიმი.*

**პრაქტიკული** *პრაქტიკულის* 1. რაც პრაქტიკასთანაა დაკავშირებული. *პრაქტიკული მეცადინეობა. პრაქტიკული მოღვაწეობა*. 2. ვინც ცხოვრებისეულ ცოდნას კარგად იყენებს, საყოფაცხოვრებო საკითხებს ადვილად აგვარებს. *პრაქტიკული ადამიანი.*

**პრაქტიციზმი** *პრაქტიციზმის* საქმიანი, პრაქტიკული დამოკიდებულება რაიმესადმი. *პრაქტიციზმი ახასიათებს.*

**პრეამბულა** *პრეამბულის* მნიშვნელოვანი, ოფიციალური დოკუმენტის შესავალი ნაწილი. *პრეამბულაში მითითებულია*. შეცდომაა პრიამბულა

**პრეევენცია** *პრეევენციის* წინასწარი მოქმედება არასასურველი ან საშიში მოვლენების გაჩენის ან გაერცელების აღსაკვეთად. *ტუბერკულოზის პრეევენცია. დანაშაულის პრეევენცია.*

**პრეზენტაცია** *პრეზენტაციის* სარეკლამო ხასიათის ღონისძიება ახალი ფილმის, წიგნის, შენობის, ორგანიზაციისა და მისთ. ფართო საზოგადოებისთვის წარსადგენად. *პრეზენტაცია გაიმართა. პროექტის პრეზენტაცია.*

**პრეზერვატივი** *პრეზერვატივის* რეზინის თხელი აპკი, ვენერული დაავადებებისა და ფეხმძიმობისგან თავდასაცავი საშუალება სქესობრივი კონტაქტის დროს. *პრეზერვატივს ხმარობს.*

**პრეზიდენტი** *პრეზიდენტის* 1. ზოგიერთი რესპუბლიკური სახელმწიფოს მეთაური. *პრეზიდენტის გამოსვლა*. 2. ზოგიერთი დაწესებულების, ფირმის, საზოგადოების ხელმძღვანელი. *ასოციაციის პრეზიდენტი.*

**პრეზიდიუმი** *პრეზიდიუმის* 1. არჩევითი ორგანო, რომელიც ხელმძღვანელობს კრებას, თათბირს. *პრეზიდიუმის სხდომა*. 2. ზოგიერთი ორგანიზაციის ან დაწესებულების ხელმძღვანელი ორგანო. *პრეზიდიუმის გადაწყვეტილება.*

**პრეისკურანტი** *პრეისკურანტის* გასაყიდი საქონლის (2) ფასების ცნობარი. *პრეისკურანტი მომიტანეს.*

**პრეისტორია** *პრეისტორიის* საზოგადოების განვითარების უძველესი ხანა, რომლის შესახებაც წერილობითი ძეგლები არ მოიპოვება, წინარე ისტორია. ■ **პრეისტორიული** პრეისტორიასთან დაკავშირებული. *პრეისტორიული ექსპონატები.*

**პრელუდია** *პრელუდიის* 1. მუსიკალური ნაწარმოების შესავალი ნაწილი. *პრელუდია დაუკრეს*. 2. მცირე ზომის მუსიკალური ნაწარმოები, ჩვეულებრივ, ფორტეპიანოსთვის დაწერილი. 3. გადატ. რაიმეს დასაწყისი, შესავალი. *ეს მხოლოდ პრელუდიაა.*

**პრემია** *პრემიის* 1. ფულადი ან ნივთიერი ჯილდო რაიმე დამსახურებისთვის, წარმატებისთვის. *სახელმწიფო პრემია მიენიჭა. ლიტერატურული პრემია.*

**პრემიერა** *პრემიერის* წარმოდგენის ან ფილმის პირველი ჩვენება. *სპექტაკლის პრემიერა გაიმართა.*

**პრემიერი** *პრემიერის* იგივეა, რაც პრემიერ-მინისტრი

**პრემიერ-მინისტრი** *პრემიერ-მინისტრის* ზოგიერთი ქვეყნის მთავრობის მეთაური. *პრემიერ-მინისტრის ვიზიტი.*

**პრეპარატი** *პრეპარატის* ფაბრიკული წესით ან ლაბორატორიაში დამზადებული ქიმიური ან ფარმაცევტული პროდუქტი. *სამედიცინო პრეპარატი. ახალი პრეპარატი.*

**პრეროგატივა** *პრეროგატივის* ვინმესთვის ან რაიმესთვის მინიჭებული განსაკუთრებული უფლება, უპირატესობა. *მინისტრის პრეროგატივა. ეს მისი პრეროგატივაა.*

**პრესა** *პრესის* პერიოდულ გამოცემათა (გაზეთების, ჟურნალების) ერთობლიობა. *პრესის წარმომადგენლები. ქართული პრესა.*

**პრესი** *პრესის* 1. იგივეა, რაც წნეხი. *მძიმე პრესს გაუძლო.* ⊙ მუცლის პრესი მუცლისა და დიაფრაგმის კუნთების ერთობლიობა, რომელიც შეკუმშვისას აწვება მუცლის ღრუს და აძლიერებს მასში წნევას.

**პრესკონფერენცია** *პრესკონფერენციის* სახელმწიფო, პოლიტიკურ და მისთ. მოღვაწეთა საუბარი პრესის წარმომადგენლებთან საზოგადოებისთვის საინტერესო საკითხებზე. *პრეზიდენტის პრესკონფერენცია.*

**პრესტიჟი** *პრესტიჟის* ავტორიტეტი, გავლენა. *ხელმძღვანელის პრესტიჟი. პრესტიჟით სარგებლობს.*

**პრესტიჟული** *პრესტიჟულის* პრესტიჟის მქონე, ავტორიტეტული. *პრესტიჟული პროფესიები. პრესტიჟული ფესტივალი.*

**პრეტენდენტი** *პრეტენდენტის* პირი, რომელიც რაიმეზე აცხადებს პრეტენზიას (1). *ჩემპიონობის პრეტენდენტები.*

**პრეტენზია** *პრეტენზიის* 1. რაიმეს მიღწევის სურვილი, რაიმეზე თავისი უფლების გამოცხადება. *არჩევნებში მონაწილეობის პრეტენზია*. 2. უკმაყოფილების გამოხატვა ვინმეს მისამართით, ჩივი-

ლი. *პრეტენზიებს უყენებს. მეზობლებთან აქვს პრეტენზია.* 3. თავის თავზე გადაჭარბებული წარმოდგენა. *დიდი პრეტენზია აქვს.*

**პრეტენზიული** *პრეტენზიულის* 1. ვინც ხშირად გამოთქვამს პრეტენზიას (2), ჭირვეული. *პრეტენზიული ბავშვი.* 2. პრეტენზიის შემცველი. *პრეტენზიული განცხადება.*

**პრეცედენტი** *პრეცედენტის* უკვე მომხდარი შემთხვევა, რომელიც სხვა მსგავსი შემთხვევების მაგალითად ან გასამართლებლად გამოიყენება. *მსგავსი პრეცედენტი არ ყოფილა.* შეცდომაა პრეცენდენტი

**პრეხა** *პრეხის* (პრეხს, იპრეხს, იპრიხება, ეპრიხება) ↑ აპრეხა. *კუდს პრეხს. ულვაშებს იპრეხს. თმის ბოლოები ეპრიხება.*

**პრიალა** *პრიალას* რაც პრიალებს. *პრიალა ზედაპირი. პრიალა სარკე.*

**პრიალი** *პრიალის* (პრიალებს, უპრიალებს) ზედაპირის ელვარება, ბზინვა. *ავეჯი პრიალებს. იატაკი პრიალებს. ცხვირი უპრიალებს.*

**პრივატიზაცია** *პრივატიზაციის* სახელმწიფო საკუთრების (სანარმოების, მიწების, საცხოვრებელი სახლებისა და მისთ.) გადაცემა კერძო პირთა მფლობელობაში. *ქონების პრივატიზაცია.*

**პრივატიზება** *პრივატიზების* იგივეა, რაც პრივატიზაცია. *ბინის პრივატიზება.* ■ პრივატიზებული რის პრივატიზებაც მოხდა. *პრივატიზებული საწარმო. პრივატიზებული ობიექტი.*

**პრივილეგია** *პრივილეგიის* განსაკუთრებული უფლება, გარკვეული უპირატესობა სხვებთან შედარებით. *პრივილეგიით სარგებლობს.* ■ პრივილეგიური რაც პრივილეგიას უკავშირდება. *პრივილეგიური მდგომარეობა.*

**პრივილეგირებული** *პრივილეგირებულის* პრივილეგიის მქონე. *პრივილეგირებული თანამშრომელი.*

**პრიზი** *პრიზის* შეჯიბრებაში გამარჯვებისთვის დაწესებული საჩუქარი, ჯილდო. *პრიზი დაიმსახურა.*

**პრიზიორი** *პრიზიორის* პირი, რომელმაც რაიმე შეჯიბრებაში გამარჯვებისთვის პრიზი მიიღო. *ჩემპიონატის პრიზიორი. ფესტივალის პრიზიორი.*

**პრიზმა** *პრიზმის* 1. მათ. მრავალწახნაგა სხეული, რომელიც შედგება ორი პარალელური და ტოლი მრავალკუთხედისგან, რომელთა გვერდები ერთმანეთთან შეერთებულია წახნაგებით (პარალელოგრამებით). *პრიზმა ააგო.* 2. პრიზმის (1) ფორმის გამჭირვალე სხეული, რომელშიც სხივები გადატყდება და იშლება შემადგენელ ფერებად, გამოიყენება ოპტიკურ ხელსაწყოებში. *პრიზმაში მოჩანს.*

**პრიმიტივი** *პრიმიტივის* უბრალო, განუვითარებელი, მარტივი ტექნიკით შესრულებული რამ. *პრიმიტივი აღმოჩნდა.*

**პრიმიტიული** *პრიმიტიულის* უმარტივესი, სრულყოფილებას მოკლებული. *პრიმიტიული ნახატი.*

**პრიმუსი** *პრიმუსის* ერთგვარი ნავთქურა, რომელსაც საწვავი (ნავთი) ტუმბოს მეშვეობით მიენოდება. *პრიმუსი აანთო.*

**პრინტერი** *პრინტერის* მოწყობილობა, რომლის საშუალებითაც კომპიუტერში არსებული ტექსტები და გამოსახულებები ქაღალდზე იბეჭდება. *ლაზერული პრინტერი. ფერადი პრინტერი.*

**პრინცესა** *პრინცესას* დასავლეთ ევროპაში სამეფო ოჯახის წევრი ქალის ტიტული. *პრინცესას სასახლე.*

**პრინცი** *პრინცის* დასავლეთ ევროპაში სამეფო ოჯახის წევრი მამაკაცის ტიტული. *პრინცის საცოლე.*

**პრინციპი** *პრინციპის* 1. ამა თუ იმ თეორიის, მეცნიერებისა და მისთ. ძირითადი იდეა, ამოსავალი დებულება. *სადისერტაციო ნაშრომის პრინციპები. ფილოსოფიური პრინციპები.* 2. რწმენა, შეხედულებათა და ფასეულობათა სისტემა, ქცევის წესი. *ურყევი პრინციპი აქვს.*

**პრინციპული** *პრინციპულის* 1. ვინც ყოველთვის პრინციპების მიხედვით იქცევა, პრინციპებს არ ღალატობს. *პრინციპული პიროვნება.* 2. პრინციპზე დამყარებული, პრინციპიდან გამომდინარე. *პრინციპული მსჯელობა. პრინციპული გადაწყვეტილება.* ▲ პრინციპულად ზმნზ. პრინციპების მიხედვით, პრინციპების გამო. *პრინციპულად არ იღებს მონაწილეობას.*

**პრინციპულობა** *პრინციპულობის* პრინციპების დაურღვევლად მოქმედება, პრინციპების ერთგულება. *პრინციპულობას იჩენს.*

**პრიორიტეტი** *პრიორიტეტის* 1. პირველობა მეცნიერულ აღმოჩენაში, გამოგონებასა და მისთ. *პრიორიტეტი მას ეკუთვნის.* 2. უპირატესობა, წამყვანი მნიშვნელობა. *პრიორიტეტი ენიჭება ცოდნას. ადამიანის უფლებათა პრიორიტეტი.* ■ პრიორიტეტული პრიორიტეტის მქონე. *პრიორიტეტული მიმართულება. პრიორიტეტული დარგი.*

**პრობლემა** *პრობლემის* 1. რთული თეორიული ან პრაქტიკული საკითხი, რომელიც საჭიროებს ახსნას, შესწავლას, გამოკვლევასა და გადაჭრას. *მეცნიერული პრობლემა. სახელმწიფო პრობლემები.* 2. საუბრ. ძნელად გადასაწყვეტი, ძნელად შესასრულებელი ცხოვრებისეული საკითხი. *პრობლემები მაქვს. ბევრი პრობლემა დამიგროვდა.* ■ პრობლემური პრობლემის შემცველი. *პრობლემური საკითხი.*

**პროგნოზი** *პროგნოზის* ამა თუ იმ მოვლენის შესაძლო განვითარებისა და შედეგების წინასწარ გან-

ჭერეტა. *ასტროლოგიური პროგნოზი. პროგნოზი გამართლდა.*

**პროგნოზირება** *პროგნოზირების* პროგნოზის გაკეთება. *მეცნიერების განვითარების პროგნოზირება. ფასების ზრდის პროგნოზირება.*

**პროგრამა** *პროგრამის* I. სამომავლო მოქმედების გეგმა. *მუშაობის პროგრამა. კარგად მოფიქრებული პროგრამა.* 2. რადიო ან ტელეგადაცემების ჩამონათვალი; სპეციალური ფურცელი ან ბუკლეტი, რომელშიც აღნიშნულია თეატრალური, საკონცერტო და მისთ. წარმოდგენის სათაური, ავტორი, ჩატარების დრო, შემსრულებლები და მისთ. *ცირკის პროგრამა. საკონცერტო პროგრამა.* 3. შესასრულებელი დავალებების სისტემური ერთობლიობა, რომელსაც ესა თუ ის მექანიზმი აეტომატურად ასრულებს. *კომპიუტერული პროგრამა.* 4. სასწავლო საგნის ან კურსის ძირითადი შინაარსის, მეთოდოლოგიის მოკლე აღწერა და მისთ. *საგამოცდო პროგრამა.* ■ **პროგრამული** პროგრამაში მოცემული, პროგრამის სახით არსებული, პროგრამის დამახასიათებელი. *პროგრამული მასალა. პროგრამული ნაწარმოები.*

**პროგრამირება** *პროგრამირების* გამოყენებითი მათემატიკისა და ინფორმატიკის დარგი, რომელიც პროგრამების (3) შედგენის მეთოდებს ამუშავებს.

**პროგრამისტი** *პროგრამისტის* კომპიუტერული სამუშაოს პროგრამირების სპეციალისტი. *ნიჭიერი პროგრამისტი.*

**პროგრესი** *პროგრესის* წინსვლა, აღმავლობა, განვითარება. *ქვეყანაში პროგრესი შეიმჩნევა. მეცნიერული პროგრესი.* ↔ **რეგრესი.**

**პროგრესული** *პროგრესულის* მოწინავე, განვითარებული, პროგრესის ხელშემწყობი. *პროგრესული ახალგაზრდა. პროგრესული იდეა.* შეცდომაა პროგრესიული

**პროდიუსერი** *პროდიუსერის* პიროვნება, რომელიც აკონტროლებს ფილმის, სპექტაკლის, ტელეან რადიოგადაცემის მომზადებას. *ფილმის პროდიუსერი.*

**პროდუქტი** *პროდუქტის* 1. ადამიანის მიერ შექმნილი, დამზადებული საგნები, ნივთიერებები. *სოფლის მეურნეობის პროდუქტები. რძის პროდუქტები.* 2. გადატ. სურსათი, საკვები. *კვების პროდუქტები. რძის პროდუქტების მაღაზია.* 3. შედეგი, ნაყოფი. *მისი შრომის პროდუქტი.*

**პროდუქტიული** *პროდუქტიულის* შედეგიანი, ნაყოფიერი. *პროდუქტიული მეცნიერი. შეხვედრა პროდუქტიული იყო.*

**პროდუქცია** *პროდუქციის* წარმოებაში, მეურნეობაში ან მრეწველობის რომელიმე დარგში შექმნილი პროდუქტი (პროდუქტთა ერთობლიობა). *პროდუქციის ხარისხი. პროდუქციის რეალიზაცია. ბეჭდვითი პროდუქცია. სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია.*

**პროექტი** *პროექტის* I. სპეციალური გეგმა, რომლის მიხედვითაც აშენებენ ან აღადგენენ რაიმე ნაგებობას. *ბინის პროექტი. ტაძრის რეკონსტრუქციის პროექტი.* 2. დოკუმენტის, დადგენილების წინასწარი ტექსტი. *პროექტის განხილვა. პროექტში ცვლილებები შეიტანეს.* 3. ნერილობითი გეგმა, რომელშიც დანერილებითაა მოცემული შესასრულებელი სამუშაოს მოცულობა, შესრულების ვადა, საჭირო ფინანსური ხარჯები და მისთ. *პროექტის წარდგენა. პროექტისთვის თანხა გამოიყო.*

**პროექტირება** *პროექტირების* იგივეა, რაც დაპროექტება. *ქარხნის პროექტირება.*

**პროექცია** *პროექციის* I. მათ. სივრცითი ფიგურების გამოსახვა სიბრტყეზე. 2. ტექნ. გამოსახულების (სურათის, კინოკადრისა და მისთ.) მიღება ეკრანზე ოპტიკური საშუალებით.

**პროვაიდერი** *პროვაიდერის* სამომსახურებო კომპანია, რომელიც უზრუნველყოფს საკომუნიკაციო საშუალებებს მომხმარებელთა კუთვნილი კომპიუტერების ჩასართველად ინტერნეტში. *პროვაიდერი აირჩიეს.*

**პროვინცია** *პროვინციის* I. დედაქალაქს ან დიდ კულტურულ ცენტრს მოშორებული ადგილი, კუთხე, მხარე. *პროვინციიდან ჩამოვიდა. პროვინციის მკვიდრი.* 2. ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული ზოგიერთ სახელმწიფოში. ■ **პროვინციული** პროვინციაში არსებული, პროვინციისთვის დამახასიათებელი. *პროვინციული ქალაქი. პროვინციული ამბავი.*

**პროვინციალიზმი** *პროვინციალიზმის* შეხედულებების, თვალსაზრისის, ინტერესების შეზღუდულობა, ჩამორჩენილობა. *პროვინციალიზმის ელფერი დაჰკრავს.*

**პროვინციელი** *პროვინციელის* I. პროვინციაში მცხოვრები. *პროვინციელი მწერალი.* 2. გადატ. ვისაც პროვინციალიზმი ახასიათებს. *პროვინციელი პიროვნება.*

**პროვინციული** *პროვინციულის* I. პროვინციისთვის დამახასიათებელი. *პროვინციული ცხოვრება.* 2. გადატ. ჩამორჩენილი. *პროვინციული აზრები.*

**პროვოკატორი** *პროვოკატორის* პირი, რომელიც პროვოკაციას აწყობს, რაიმეს პროვოცირებას ცდილობს. *პროვოკატორის გამოსვლა. პროვოკატორებს ნუ აჰყვებით!*

**პროვოკაცია** *პროვოკაციის* სხვისი (ცალკე პირის, პირთა ჯგუფისა და მისთ.) წაქეზება ისეთი ქმედებისკენ, რომელსაც მოჰყვება მათთვის მძიმე შედეგი. *სამხედრო პროვოკაცია. პროვოკაციაზე არ წამოეგო.* ■ **პროვოკაციული** პროვოკაციის შემცველი. *პროვოკაციული მონოდება.*

**პროვოცირება** *პროვოცირების* ვინმეს (რაიმეს) გამოწვევა, იძულება ჩაიდინოს არასასურველი საქციელი, მძიმე ქმედება. *პროვოცირებას ცდილობს. ომის პროვოცირება.*

**პროზა** *პროზის* თხრობითი ხასიათის გაულექსავი ლიტერატურული ტექსტი. *მხატვრული პროზა. დოკუმენტური პროზა. ქართული პროზის ნიმუში.*

**პროზაიკოსი** *პროზაიკოსის* მწერალი, რომელიც პროზაულ ნაწარმოებებს ქმნის. *ცნობილი პროზაიკოსი.*

**პროზაული** *პროზაულის* 1. პროზის სახით დაწერილი, თხრობითი ხასიათისა. *პროზაული ნაწარმოები.* 2. გადატ. მოსაწყენი, უხალისო. *პროზაული ცხოვრება. პროზაული დღეები.*

**პროთეზი** *პროთეზის* სხეულის ხელოვნური ნაწილი, რომელიც გაკეთებული აქვთ დაკარგული ბუნებრივი ნაწილის ნაცვლად. *ფეხის პროთეზი. ფაიფურის პროთეზი.* შეცდომაა პროტეზი

**პროკურატურა** *პროკურატურის* სახელმწიფო ორგანო, რომელიც ზედამხედველობას უწევს ქვეყანაში კანონიერების დაცვას. *საქმე პროკურატურას გადაეცა.*

**პროკურორი** *პროკურორის* 1. სახელმწიფო ბრალმდებელი სასამართლო პროცესზე. *პროკურორის განაჩენი.* 2. თანამდებობის პირი, რომელიც აკონტროლებს კანონების შესრულებას და პასუხისმგებლობაში აძლევს კანონის დამრღვევებს. *ქალაქის პროკურორი. გენერალური პროკურორი.*

**პროლეტარი** *პროლეტარის* დაქირავებული მუშა, რომელსაც წარმოების საშუალება არ გააჩნია. *პროლეტართა გაფიცვა.*

**პროლოგი** *პროლოგის* მხატვრული ნაწარმოების შესავალი ნაწილი. *პოემის პროლოგი.*

**პროპაგანდა** *პროპაგანდის* ინფორმაციის გადაცემა სათანადო ახსნა-განმარტებით რაიმე იდეის, შეხედულების გასავრცელებლად. *ხანგრძლივი პროპაგანდა. პოლიტიკური პროპაგანდა. კულტურის პროპაგანდა.*

**პროპაგანდისტი** *პროპაგანდისტის* პირი, რომელიც პროპაგანდას ეწევა. *მისი თეორიის პროპაგანდისტი.*

**პროპაგანდისტული** *პროპაგანდისტულის* პროპაგანდისთვის განკუთვნილი, პროპაგანდის ხასიათისა. *პროპაგანდისტული საქმიანობა.*

**პროპელერი** *პროპელერის* რამდენიმეფრთიანი მოწყობილობა, რომლის სწრაფი ბრუნვით ამუშავდება საჰაერო და საზღვაო ტრანსპორტი, გამოიყენება საყოფაცხოვრებო დანიშნულებითაც. *თვითმფრინავის პროპელერი. ვენტილატორის პროპელერი.*

**პროპორცია** *პროპორციის* გარკვეული შეფარდება, თანაფარდობა ნაწილებს შორის. *პროპორცია დაცულია.* ■ **პროპორციული** ერთმანეთთან თანაბრად შეფარდებული ნაწილების მქონე. *პროპორციული სამკუთხედი.*

**პროუექტორი** *პროუექტორის* მძლავრი გასანათებელი მოწყობილობა, რომელიც სივრცეს, გზას საჭირო მიმართულებით ანათებს. *აეროპორტის პროუექტორი. სცენის პროუექტორი. პროუექტორებით განათებული სცენა.*

**პრორექტორი** *პრორექტორის* რექტორის მოადგილე. *პრორექტორის კაბინეტი.*

**პროსპექტი** *პროსპექტის* 1. ქალაქის მთავარი, გაშლილი და სწორი ქუჩა. *რუსთაველის პროსპექტი.* 2. ნაშრომის დაწვრილებითი გეგმა. *პროსპექტის შედგენა.*

**პროსტიტუცია** *პროსტიტუციის* სხეულით ვაჭრობა. *პროსტიტუცია მძლავრობს.*

**პროტეჟე** *პროტეჟეს* პირი, რომელსაც ვინმე პროტექციას უწევს, მფარველობს. *დირექტორის პროტეჟე.*

**პროტესტანტი** *პროტესტანტის* 1. პროტესტანტიზმის მიმდევარი. *მისი მშობლები პროტესტანტები არიან.* 2. პირი, რომელიც პროტესტს აცხადებს ვინმეს ან რაიმეს წინააღმდეგ. *პროტესტანტთა მანიფესტაცია.*

**პროტესტანტიზმი** *პროტესტანტიზმის* ქრისტიანული სარწმუნოების ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება (მართლმადიდებლობასა და კათოლიციზმთან ერთად). *პროტესტანტიზმი გავრცელდა.*

**პროტესტანტობა** *პროტესტანტობის* იგივეა, რაც **პროტესტანტიზმი**. *მისმა ქმარმა პროტესტანტობა მიიღო.*

**პროტესტი** *პროტესტის* რაიმე ფაქტის ან მოვლენისადმი უარყოფითი დამოკიდებულების, უკმაყოფილების აქტიური გამოხატვა. *პროტესტის ფორმა. პროტესტს გამოთქვამს.*

**პროტექტორი** *პროტექტორის* პირი, რომელიც ვინმეს პროტექციას უწევს, მფარველობს. *პროტექტორის დახმარება.* შეცდომაა პროტეკტორი

**პროტექცია** *პროტექციის* გავლენიანი პირის მიერ ვინმესთვის აღმოჩენილი მფარველობა. *პროტექცია გაუწია.* შეცდომაა პროტეკცია

**პროტოკოლი** *პროტოკოლის* ერთობლიობა წესებისა, რომლებიც უნდა დაიცვან მთავრობებმა და მათმა დიპლომატიურმა წარმომადგენლებმა საერთაშორისო ურთიერთობაში. *პროტოკოლით იკრძალება.*

**პროტოტიპი** *პროტოტიპის* რეალურად არსებული პიროვნება, რომლის მიხედვითაც ავტორმა შექმნა ლიტერატურული სახე. *პერსონაჟის პროტოტიპი.*

**პროფანაცია** *პროფანაციის* შეურაცხმყოფელი დამოკიდებულება საყოველთაოდ აღიარებული

მოვლენის (მოძღვრების, ხელოვნების ძეგლის და მისთ.) მიმართ, მისი დამახინჯება. *ფაქტების პროფანაცია.*

**პროფესია** *პროფესიის* ადამიანის ძირითადი საქმიანობა, სპეციალობა. *ექიმის პროფესია. პროფესიის არჩევა.* ■ **პროფესიული** პროფესიასთან დაკავშირებული. *პროფესიული ინტერესები. პროფესიული მოვალეობა.*

**პროფესიონალი** *პროფესიონალის* 1. ადამიანი, რომელმაც რაიმე საქმიანობა გაიხადა თავის პროფესიად. *პროფესიონალი მძღოლი.* 2. გადატ. თავისი საქმის კარგი მცოდნე. *ნამდვილი პროფესიონალი იყო.*

**პროფესორი** *პროფესორის* უმაღლესი სამეცნიერო ხარისხის მქონე პედაგოგი უმაღლეს სასწავლებელში. *ცნობილი პროფესორი. პროფესორის ლექცია.*

**პროფესურა** *პროფესურის* უმაღლესი სასწავლებლის მასწავლებელთა კოლექტივი. *უნივერსიტეტის პროფესურა.*

**პროფილაქტიკა** *პროფილაქტიკის* გასატარებელი ღონისძიებების ერთობლიობა რაიმე დაავადების ან დაზიანების გამოსავლენად და თავიდან ასაცილებლად. *შემოწმება პროფილაქტიკის მიზნით. სამედიცინო პროფილაქტიკა. ტრანსპორტის პროფილაქტიკა.* ■ **პროფილაქტიკური** პროფილაქტიკასთან დაკავშირებული. *პროფილაქტიკური გამოკვლევა. პროფილაქტიკური ღონისძიებები.*

**პროფილი** *პროფილის* 1. ადამიანის სახე (თავი) ან რაიმე საგანი გვერდიდან. *ლამაზი პროფილი.* 2 საწარმოს, სასწავლებლის, საქმიანობის მიმართულება, სფერო. *მსგავსი პროფილის დაწესებულება. კოლეჯის პროფილი.*

**პროცედურა** *პროცედურის* 1. რაიმეს შესასრულებლად საჭირო მოქმედებათა დადგენილი თანამიმდევრობა. *საარჩევნო პროცედურა.* 2. მკურნალობის ცალკეული პროცესი. *წყლის პროცედურები. გამორეცხვის პროცედურები.* ■ **პროცედურული** პროცედურასთან დაკავშირებული, პროცედურისთვის განკუთვნილი. *პროცედურული საკითხები.*

**პროცენტი** *პროცენტის* 1. რაიმე რიცხვის (ერთეულის) ერთი მეასედი ნაწილი, (პირობითი ნიშანი – %). 2. შემოსავალი, რომელსაც იღებენ ფულის ყოველ ას ერთეულზე. *მოგება სამი პროცენტია.* ■ **პროცენტული** პროცენტებით გამოხატული. *ლითონის პროცენტული შემადგენლობა. პროცენტული რაოდენობა.*

**პროცესი** *პროცესის* 1. ქმედების, მოვლენის მიმდინარეობა, განვითარების გზა. *პროცესი დაჩქარდა. მშენებლობის პროცესი.* 2. სასამართლოში საქმის განხილვა. *პროცესი დაიწყო. პროცესი გრძელდება.*

**პროცესია** *პროცესიის* ადამიანთა მრავალრიცხოვანი ჯგუფის მსვლელობა რაიმე მიზნით. *სადღესასწაულო პროცესია. სამგლოვიარო პროცესია.*

**პროცესორი** *პროცესორის* მეხსიერების ბლოკი, რომელიც მართავს კომპიუტერს და მასზე მიერთებულ ყველა მოწყობილობას, ასრულებს ძირითად ფუნქციებსა და გამოთვლებს. *პროცესორის ოპერატიული მეხსიერება.*

**პრონიალი** *პრონიალის* (პრონიალობს, აპრონიალებს) სწრაფად ტრიალი. *პრონიალი დაიწყო. საქანელაზე იპრონიალეს.*

**პრუწვა** *პრუწვის* (პრუწავს, იპრუწავს, იპრუნება, ეპრუნება) 1. საუბრ. ↑ **მოპრუწვა**. *ტუჩებს სასაცილოდ პრუწავს.* 2. თვალების ჭუტვა. *თვალებს პრუწავს.*

**პუბლიკა** *პუბლიკის* 1. დამსწრე საზოგადოება, ხალხი, ჩვეულებრივ, თეატრში ან სხვა სანახაობაზე. *პუბლიკის წინაშე წარდგა.* 2. ზოგადად, საზოგადოება. *საუკეთესო პუბლიკა შეიკრიბა.*

**პუბლიკაცია** *პუბლიკაციის* გაზეთში, ჟურნალსა და მისთ. გამოქვეყნებული წერილი. *საინტერესო პუბლიკაცია.*

**პუბლიცისტი** *პუბლიცისტის* მწერალი, რომელიც საზოგადოებრივ-პოლიტიკურ თემებზე წერს. *ცნობილი პუბლიცისტი.*

**პუბლიცისტიკა** *პუბლიცისტიკის* აქტუალურ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ საკითხებზე შექმნილი არამხატვრული ლიტერატურა. *მე-20 საუკუნის პუბლიცისტიკა.*

**პუბლიცისტური** *პუბლიცისტურის* პუბლიცისტიკისთვის დამახასიათებელი, პუბლიცისტიკასთან დაკავშირებული. *პუბლიცისტური წერილები. პუბლიცისტური საქმიანობა.*

**პუდინგი** *პუდინგის* ერთგვარი ნამცხვარი. *ვაშლის პუდინგი.*

**პუდრი** *პუდრის* სურნელოვანი ფხვნილი, რომელსაც იყენებენ ჰიგიენური და კოსმეტიკური მიზნებით. *პუდრი წაისვა.*

**პულვერიზატორი** *პულვერიზატორის* თხევადი ნივთიერებების გასაფრქვევი, შესასხურებელი მონყობილობა, გამოიყენება დეზოდორანტებისა და სუნამოების საპკურებლად, მანქანებისა და შენობების შესაღებად, მცენარეების შესაწამლად და მისთ. შეცდომაა პულვეილიზატორი

**პულოვერი** *პულოვერის* ნაქსოვი ზედა ტანსაცმელი საყელოსა და შესაკვრელის გარეშე. *შალის პულოვერი.* შეცდომაა პულავერი

**პულსი** *პულსის* სისხლძარღვთა კედლების რიტმული ფეთქვა, რომელიც გამოწვეულია გულის მოქმედებით, ისინჯება მაჯაზე. *პულსი გაუსინჯა. შენელებული პულსი.*

**პულტი** *პულტის* 1. სხვადასხვა აპარატის დისტან-

ციურად სამართავი მექანიზმი. *ტელევიზორის პულტი. პულტით ხმას აუწია.* 2. მუსიკოსებისთვის განკუთვნილი დახრილზედაპირიანი სადგამი ნოტებისთვის. *სადირიჟორო პულტი. სანოტო პულტი.*

**პუნტულა** *პუნტულას* იგივეა, რაც პუტკუნა. *პუნტულა ბიჭი.*

**პუნქტი** *პუნქტის* 1. გარკვეული დანიშნულების ადგილი, საგანგებო სადგომი. *სათვალთვალო პუნქტი. საექიმო პუნქტი.* 2. რაიმე ტექსტის (ოფიციალური დოკუმენტისა და მისთ.) გამოყოფილი და დანომრილი მცირე მონაკვეთი. *ხელშეკრულების მესამე პუნქტი.* ⊙ დასახლებული პუნქტი ადგილი, სადაც ცხოვრობენ: ქალაქი, სოფელი, დაბა და მისთ. შეცდომაა პუნკტი

**პუნქტობრივი** *პუნქტობრივის* პუნქტების მიხედვით წარმოდგენილი. *საკითხის პუნქტობრივი განხილვა. პუნქტობრივი მსჯელობა.* შეცდომაა პუნკტობრივი

**პუნქტუალური** *პუნქტუალურის* ზედმიწევნით ზუსტი (ძირითადად, დროის თვალსაზრისით). *პუნქტუალური თანამშრომელი.* შეცდომაა პუნკტუალური

**პუნქტუაცია** *პუნქტუაციის* სასვენი ნიშნების ხმარების წესთა ერთობლიობა. *პუნქტუაციის დაცვა.* შეცდომაა პუნკტუაცია

**პუნქტუაციური** *პუნქტუაციურის* პუნქტუაციასთან დაკავშირებული. *პუნქტუაციური შეცდომა.* შეცდომაა პუნკტუაციური

**პურადი** *პურადის* სტუმართმოყვარე. *პურადი მასპინძელი.*

**პურაძვირი** *პურაძვირის* არასტუმართმოყვარე, მასპინძლობაში ძუნწი. *პურაძვირი კაცი.*

**პურეული** *პურეულის* საერთო სახელწოდება მარცვლეული მცენარეებისა, რომელთა ფქვილისგან პური მზადდება. *პურეულის ჯიშები.*

**პური** *პურის* 1. საკვები პროდუქტი, მიიღება მარცვლეულის (ძირითადად ხორბლის) ფქვილისა და საფუარისგან მოზელილი ცომის გამოცხობით. *ჭვავის პური. პურის ნაჭერი.* 2. მცენარე, რომლის მარცვლის ფქვილისგან ცხვება პური (1). *პურის ყანა. პური მოჰყავთ.* 3. გადატ. საჭმელი. *პურის ჭამა. პური შია.*


პური

**პურმარილი** 1. მომზადებული საჭმელ-სასმლით გაშლილი სუფრა. *მასპინძელმა პურმარილი დაახვედრა. პურმარილი თან წამოიღეს.* 2. ქეიფი, ლხინი. *პურმარილი დაგვიძველდა. პურმარილი გაიმართა.*

**პურმარილიანი** *პურმარილიანის* სტუმართმოყვარე, პურადი. *პურმარილიანი ოჯახი.*

**პურობა** *პურობის* ძვ. საჭმლის ჭამა, ქეიფი, ლხინი.

**პუტვა** *პუტვის* (პუტავს, იპუტავს, იპუტებს) ↑ გაპუტვა. *წარბებს იპუტავს. მწყერს პუტავს.*

**პუტკუნა** *პუტკუნას* მსუქანი და საყვარელი. *პუტკუნა გოგო. პუტკუნა ლოყები.*

**პუტჩი** *პუტჩის* მცირერიცხოვანი ჯგუფის მიერ ძალადობის გზით მოწყობილი სახელმწიფო გადატრიალება. *პუტჩის მცდელობა. პუტჩის მოთავეები.*

**პწკალი** *პწკალის* 1. მცენარის წვრილი ღერო, რომელიც მიწის გასწვრივ იზრდება, ადვილად იკეთებს ფესვებს და მრავლდება. *მარწყვის პწკალი.* 2. იგივეა, რაც ულვაში (4). *ვაზის პწკალი.* 3. ლობიოს, ცერცვისა და მისთ. ფხა ან ბეწვი. 4. იგივეა, რაც ბრჭყალი (1). *კატის პწკალი.*

**პწკარედი** *პწკარედის* ტექსტის სიტყვასიტყვითი თარგმანი. *პწკარედის ავტორი.*

**პწკარი** *პწკარის* იგივეა, რაც სტრიქონი. *ლექსის ორი პწკარი.*

**პწკენა** *პწკენის* (პწკენს, იპწკინება) 1. ფრჩხილების მოჭერით მწარედ ჩქმეტა. *მკლავზე უპწკინა.* 2. გადატ. სხეულზე უხეში ქსოვილის მოდებით გამოწვეული მტკივნეული შეგრძნება. *შალი მპწკენს.*

# – ჟ –

**ჟაკეტი** *ჟაკეტის* ნაქსოვი, ღილებიანი ზედა ჩასაცმელი. *თბილი ჟაკეტი.*

ჟაკეტი

**ჟალუზი** *ჟალუზის* ვიწრო, გრძელი ფირფიტებისგან აწყობილი ფანჯრის საფარი (ჩვეულებრივ, რკინისა). *ჟალუზები ჩამოაფარა.*

**ჟამთააღმწერელი** *ჟამთააღმწერლის* პირი, რომელიც ისტორიულ ამბებს აღნერს. *ჟამთააღმწერლის ცნობით.*

**ჟამი**[1] *ჟამის* ნიგნ. დრო, ხანი. *ჟამთა სვლა.*

**ჟამი**[2] *ჟამის* მედიც. შავი ჭირი; *ჟამი შეეყარა.*

**ჟამიანობა** *ჟამიანობის* ჟამის[2], შავი ჭირის გავრცელება.

**ჟანგბადი** *ჟანგბადის* ჰაერისა და წყლის შემადგენელი უფერო და უსუნო აირი, რომელიც აუცილებელია სუნთქვისა და წვისთვის. *ჟანგბადის ბალიში. ჟანგბადის უკმარისობა.*

**ჟანგვა** *ჟანგვის* (ჟანგავს, იჟანგება) ↑ დაჟანგვა. *თუჯი არ იჟანგება. ჟანგვის პროცესი.*

**ჟანგვითი** *ჟანგვითის* რაც ჟანგვით მიმდინარეობს. *ჟანგვითი რეაქცია.*

**ჟანგი** *ჟანგის* ლითონზე გაჩენილი მოყავისფრო-მოწითალო ფერის ნადები. *რკინას ჟანგი მოედო.*

**ჟანგიანი** *ჟანგიანის* რასაც ჟანგი აქვს მოდებული. *ჟანგიანი დანა.*

**ჟანდარმერია** *ჟანდარმერიის* შინაგანი ჯარის სახელწოდება ზოგიერთ ქვეყანაში. *ჟანდარმერიის უფროსი. ჟანდარმერიაში მსახურობს.*

**ჟანდარმი** *ჟანდარმის* ჟანდარმერიის თანამშრომელი. *ჟანდარმებმა დააკავეს.*

**ჟანი** *ჟანის* ქართული ანბანის მეთექვსმეტე ასოს (ჟ-ს) სახელწოდება.

**ჟანრი** *ჟანრის* ხელოვნების ამა თუ იმ დარგის ნაწარმოებთა სახეობა, რომელიც გამოირჩევა გარკვეული მხატვრული მახასიათებლებით. *ეპიკური ჟანრი. ლირიკული ჟანრი.*

**ჟანრობრივი** *ჟანრობრივის* ჟანრების მიხედვით შესრულებული, განხორციელებული. *ჟანრობრივი დახასიათება. ჟანრობრივი განხილვა.*

**ჟარგონი** *ჟარგონის* გარკვეული წრის, ჯგუფის, პროფესიის ადამიანთა მეტყველება, რომელსაც ახასიათებს თავისებური სიტყვები და გამოთქმები. *მოსწავლეების ჟარგონი. ჟარგონებით საუბარი.* ■ **ჟარგონული** ჟარგონისთვის დამახასიათებელი. *ჟარგონული გამოთქმა. ჟარგონული ლექსიკა.*

**ჟელატინი** *ჟელატინის* ცხოველური წარმოშობის წებოვანი ნივთიერება, რომელიც გაცივებისას იქცევა სქელ ფაფისებურ მასად, გამოიყენება მედიცინაში, ფარმაკოლოგიაში, კვების მრეწველობაში. *ჟელატინის ხსნარი.*

**ჟელე** *ჟელეს* ტკბილი, შესქელებული მასა, რომელიც მზადდება ხილის წვენსა ან მისთ. ჟელატინის შერევით.

**ჟეჟვა** *ჟეჟვის* (ჟეჟავს, იჟეჟავს, უჟეჟავს, იჟეჟება, ეჟეჟება) 1. ↑ დაჟეჟვა (1). *ყუთში ყურძენი იჟეჟება.* 2. ↑ დაჟეჟვა (2). *ბიჭი ქუჩაში ჟეჟეს.*

**ჟესტი** *ჟესტის* 1. ხელების სპეციფიკური მოძრაობა მეტყველებისას გარკვეული აზრის გამოხატვის მიზნით. *ნაცნობი ჟესტი. ჟესტების ენა.*

**ჟესტიკულაცია** *ჟესტიკულაციის* საუბრისას ჟესტების გამოყენება. *დახვეწილი ჟესტიკულაცია.*

**ჟეტონი** *ჟეტონის* 1. ლითონის პატარა მრგვალი ფირფიტა, რომელსაც იყენებენ ავტომატებით (1) სარგებლობისთვის. *მეტროს ჟეტონი.* 2. ლითონის პატარა ფირფიტა სიმბოლური გამოსახულებით, იყენებენ რაიმეს ნიშნად.

**ჟივილი** *ჟივილის* (ჟივის) 1. ფრინველების გუნდის ხმიანობა. *ბეღურების ჟივილი.* 2. ბევრი ადამიანის ყვირილი, ძახილი. *ბავშვების ჟივილი.*

**ჟივილ-ხივილი** *ჟივილ-ხივილის* ჟრიამული. *ბავშვებმა ჟივილ-ხივილი ატეხეს. სტუმარს ჟივილ-ხივილით შეხვდნენ.*

**ჟივჟივი** *ჟივჟივის* (ჟივჟივებს) ფრინველების გაბმული ჟივილი. *ბეღურების ჟივჟივი. მერცხლები ჟივჟივებენ.*

**ჟილეტი** *ჟილეტის* ზედა სამოსი, რომელსაც სახ-

ელოები არა აქვს. *ტყავის ჟილეტი. სპორტული ჟილეტი.*

**ჟინი** *ჟინის* I. ძლიერი, დაუოკებელი სურვილი. *გამარჯვების ჟინი.*

**ჟინიანი** *ჟინიანის* ჯიუტი, ჭირვეული, უხასიათო. *ჟინიანი ბავშვი.*

**ჟინიანობა** *ჟინიანობის* (ჟინიანობს) სიჯიუტე, ჭირვეულობა. *სულ ჟინიანობს.*

**ჟინჟვლა** *ჟინჟვლის* (ჟინჟლავს) წვრილად წვიმა. *ჟინჟვლა დაიწყო. მთელი დღე ჟინჟლავს.*

**ჟინჟღლიანი** *ჟინჟღლიანის* მოღრუბლული და მცირეწვიმიანი. *ჟინჟღლიანი ამინდი. ჟინჟღლიანი დღე.*

**ჟიჟინი** *ჟიჟინის* (ჟიჟინებს) შემაწუხებელი, გაუთავებელი ბუზღუნი. *დილიდან ჟიჟინებს.*

**ჟირაფი** *ჟირაფის* აფრიკის ბინადარი ცხოველი, აქვს ძალიან გრძელი კისერი და მაღალი ფეხები.

ჟირაფი

**ჟიური** *ჟიურის* სპეციალისტთა ჯგუფი, რომელიც აფასებს რაიმე კონკურსის, შეჯიბრების, გამოფენის ან სხვა სახის ღონისძიების მონაწილეებს. *ჟიურის წევრები. ჟიურის გადაწყვეტილებით.*

**ჟლეტა** *ჟლეტის* (ჟლეტს, იჟლიტება, აჟლეტინებს) ↑ **გაჟლეტა.** *ქათმები ჭირისგან იჟლიტება:*

**ჟოკეი** *ჟოკეის* დოღის მონაწილე პროფესიონალი მხედარი.

**ჟოლო** *ჟოლოს* I. სპეციფიკური წითელი ფერის მქონე, სურნელოვანი, ტკბილი, წვნიანი, კენკროვანი ხილი. *ჟოლოს მურაბა. ჟოლოს წვენი.* 2. ბუჩქი, რომელიც ისხამს ჟოლოს (1), აქვს სამყურა ან რთული ფოთლები და თეთრი ყვავილები.

**ჟონგლიორი** *ჟონგლიორის* ცირკის მსახიობი, რომელიც ხელით ჰაერში ათამაშებს სხვადასხვა საგანს.

**ჟონვა** *ჟონვის* (ჟონავს) სითხის წვეთ-წვეთად დენა. *ჭრილობიდან სისხლი ჟონავს. კასრიდან ღვინო ჟონავს.*

**ჟრიალი** *ჟრიალის* (აჟრიალებს) იგივეა, რაც ჟრჟოლა. *ავადმყოფს აჟრიალებს.*

**ჟრიამული** *ჟრიამულის* (ჟრიამულობს) მხიარულების გამომხატველი ხმაური. *ბავშვების ჟრიამული გაისმა.*

**ჟრჟოლა** *ჟრჟოლის* (აჟრჟოლებს) შინაგანი კანკალი უსიამოვნო შეგრძნებისგან, ძლიერი ემოციისგან. *ჟრჟოლამ აიტანა. შიშის ჟრჟოლა. ავადმყოფს აჟრჟოლებს.*

**ჟრუანტელი** *ჟრუანტელის* სხეულის კანკალის შეგრძნება, გამოწვეული ძლიერი ემოციით. *სიხარულის ჟრუანტელი. ტანში ჟრუანტელი უვლის.*

**ჟუჟუა** *ჟუჟუის* (ჟუჟავს, იჟუჟება) ↑ **გაჟუჟუა.** *ჭირი ქათმებს ჟუჟავს.*

**ჟუჟუნა** *ჟუჟუნას* I. მოციმციმე, სიყვარულისა და სითბოს გამომხატველი. *ჟუჟუნა თვალები.* 2. თბილი ნელი (წვიმა). *ჟუჟუნა წვიმა.*

**ჟუჟუნი** *ჟუჟუნის* (აჟუჟუნებს, უჟუჟუნებს) თვალების კეთილი, სიყვარულიანი გამომეტყველება, ციმციმი. *თვალები უჟუჟუნებს.*

**ჟურნალი** *ჟურნალის* I. სქელტანიანი პერიოდული გამოცემა. *ყოველთვიური ჟურნალი. ლიტერატურული ჟურნალი.* 2. დიდი ზომის რვეული, რომელშიც რაიმეს აღრიცხავენ, ცვლილებებს, სიახლეებს იწერენ. *საკლასო ჟურნალი. საბუღალტრო ჟურნალი. ჟურნალში ჩაწერა.*

**ჟურნალისტი** *ჟურნალისტის* სპეციალისტი, რომელიც ლიტერატურულ-პუბლიცისტურ საქმიანობას ეწევა პრესაში, რადიოში ან ტელევიზიაში. *ჟურნალისტთა ორგანიზაცია. ჟურნალისტმა რეპორტაჟი მოამზადა.*

**ჟურნალისტიკა** *ჟურნალისტიკის* ლიტერატურულ-პუბლიცისტური საქმიანობა ჟურნალ-გაზეთებში, რადიოსა და ტელევიზიაში. *ჟურნალისტიკის სპეციალობა.*

**ჟღალი** *ჟღალის* I. ძალიან მუქი, მოშავო ნითელი. *ჟღალი თავსაფარი.* 2. მოყვითალო. *ჟღალი წვერი. ჟღალი თმა.*

**ჟღარაჟღური** *ჟღარაჟღურის* გაბმული ჟღარუნი. *ზარების ჟღარაჟღური. სათამაშოების ჟღარაჟღური.*

**ჟღარუნი** *ჟღარუნის* (აჟღარუნებს) I. ლითონის საგნების ერთმანეთზე მირტყმისას სპეციფიკური ხმის გამოცემა. *ჯაჭვის ჟღარუნი. იარაღს აჟღარუნებს.* 2. ინსტრუმენტის დაკვრისას უსიამოვნო ხმის გამოცემა. *გიტარას აჟღარუნებს.*

**ჟღენთა** *ჟღენთის* (ჟღენთს, იჟღინთება) ↑ **გაჟღენთა.** *ნიადაგი წყლით იჟღინთება.*

**ჟღერა** *ჟღერის* (ჟღერს, აჟღერებს) სასიამოვნო, მელოდიური ხმის გამოცემა. *მუსიკა დაბალ ხმაზე ჟღერდა.*

**ჟღერადი** *ჟღერადის* რაც სასიამოვნო ხმას გამოსცემს. *ჟღერადი მელოდია.*

**ჟღერადობა** *ჟღერადობის* ჟღერის, სასიამოვნო ხმის გამოცემის უნარი, თვისება. *კარგი ჟღერადობა აქვს. ჟღერადობით გიტარას ჰგავს.*

**ჟღვინტი** *ჟღვინტის* საუბრ. დიდი ცინგლი. *ჟღვინტი მოიწმინდა.*

**ჟღივილი** *ჟღივილის* (ჟღივის) ფრინველების ხმიანობა, ყივილი. *მერცხლებმა ჟღივილი ატეხეს.*

**ჟღმურტლი** *ჟღმურტლის* წვრილი წვიმა, რომელსაც ახლავს ნისლი.

**ჟღმურტლიანი** *ჟღმურტლიანის* ნისლიანი და

წვიმიანი. *ჟღმურტლიანი ამინდები. ჟღმურტლიანი დღე.*

**ჟღრიალი** *ჟღრიალის* (ჟღრიალებს, აჟღრიალებს) ლითონის საგნების ერთმანეთზე მირტყმისას უხეში, უსიამოვნო ხმის გამოცემა. *ბორკილების ჟღრიალი.*

**ჟღურტული** *ჟღურტულის* (ჟღურტულებს) 1. ფრინველების სასიამოვნო ხმიანობა, ჩუმი, წყნარი ჭიკჭიკი. *ბელურების ჟღურტული. ბარტყები ჟღურტულებენ.* 2. გადატ. სასიამოვნო, ხალისიანი საუბარი (ჩვეულებრივ, ბავშვისა). *პატარები ჟღურტულებენ.*

# – რ –

**რა** *რის* ნაცვ. 1. გამოხატავს კითხვას ყველაფრის მიმართ, არ გამოიყენება მხოლოდ ადამიანის შემთხვევაში. *რა გქვია? რა მომიტანე? რას წერ?* 2. რამდენი, რა რაოდენობისა (გამოიყენება თანხის შესახებ შეკითხვისას). *რა ღირს? მკურნალობა რა დაჯდა?* 3. როგორი (გამოიყენება მოწონების, გაკვირვებისა და მისთ. გამოხატვისას). *რა კარგი ძმა გყოლია! რა რთული ამოცანა შემხვდა!* 4. ზმნზ. ფუნქც. როგორ (გამოიყენება მოწონების, გაკვირვებისა და მისთ. გამოხატვისას). *რა ლამაზად წერს! რა ხშირად წვიმს!* 5. კავშ. ფუნქც. ნიგნ. როდესაც, როგორც კი. *დაბრუნდა რა სამშობლოში, ისევ განაგრძო თავისი მოღვაწეობა.* 6. ნაწილაკ. ფუნქც. გამოხატავს თხოვნას, ხვეწნას. *მეც წამიყვანე, რა!*

**რაგბი** *რაგბის* სპორტის სახეობა, გუნდური თამაში, რომლის მოთამაშეები ცდილობენ ოვალური ბურთი დაამიწონ ან შეაგდონ მოწინააღმდეგის კარში. *რაგბის მოედანი.*

**რაგბისტი** *რაგბისტის* იგივეა, რაც მორაგბე. *რაგბისტთა გუნდი.*

**რაგინდ** ნაწილაკ. რაც უნდა, როგორც უნდა. *რაგინდ ბევრი ილაპარაკოს, მაინც არ დაიღლება.*

**რად** ზმნზ. 1. რატომ, რა მიზეზით. *რად ჩამორჩი სხვებს? რად კითხულობ მის ამბავს?* 2. რისთვის, რა მიზნით. *რად გინდა?*

**რადარი** *რადარის* მოწყობილობა, რომელიც გამოიყენება რადიოტალღების საშუალებით რაიმეს ადგილმდებარეობის აღმოსაჩენად. *უახლესი რადარები.*

**რადგან** კავშ. გამოიყენება ისეთი წინადადების დასაკავშირებლად, რომელშიც გამოხატულია მეორე წინადადებაში გადმოცემული მოქმედების მიზეზი. *სოფელში ვერ წავედი, რადგან წვიმდა.*

**რადგანაც** კავშ. იგივეა, რაც რადგან. *გუნდმა გაიმარჯვა, რადგანაც ბევრი გულშემატკივარი ჰყავდა.*

**რადიატორი** *რადიატორის* 1. გამათბობელი მოწყობილობა - ერთმანეთთან დაკავშირებული მილების სისტემა, რომელშიც ცხელი წყალი მოძრაობს. *ოთახს რადიატორი ათბობს.* 2. მანქანებისა და თვითმფრინავების შიგაწვის ძრავის გასაცივებელი მექანიზმი. *ავტომობილის რადიატორი.*

**რადიაქტიური** *რადიაქტიურის* ელემენტარული ნაწილაკების გამოსხივების მქონე. *რადიაქტიული ნარჩენები. რადიაქტიული ნივთიერება.*

**რადიაცია** *რადიაციის* სხეულის რადიოაქტიური გამოსხივება. *მზის რადიაცია.*

**რადიაციული** *რადიაციულის* რადიაციისთვის დამახასიათებელი, რადიაციასთან დაკავშირებული. *რადიაციული ფონი.*

**რადიკალიზმი** *რადიკალიზმის* უკიდურესი ზომების გამოყენების მხარდაჭერა თეორიული ან პრაქტიკული საკითხების გადაწყვეტისას.

**რადიკალური** *რადიკალურის* უკიდურესი, გადამწყვეტი. *რადიკალური ზომები.*

**რადიკულიტი** *რადიკულიტის* მედიც. ზურგის ტვინის ნერვთა ფესვების ანთება, ძირითადად, გამოწვეულია, ტრავმის, ინტოქსიკაციის, ნივთიერებათა ცვლის მოშლის შედეგად. *რადიკულიტი დაემართა. რადიკულიტი აწუხებს.*

**რადიო** *რადიოს* აპარატი, რომელიც ელექტრომაგნიტური ტალღების საშუალებით უმავთულოდ იღებს და გადასცემს ინფორმაციას შორ მანძილზე. *რადიოს უსმენს. რადიო ჩართო.*

**რადიომაუწყებლობა** *რადიომაუწყებლობის* რადიოსადგურის საშუალებით მოსახლეობისთვის ინფორმაციის, გასართობი პროგრამებისა და მისთ. გადაცემა. *რადიომაუწყებლობა დაიწყო.*

**რადიოსადგური** *რადიოსადგურის* სადგური, სადაც დამონტაჟებულია სპეციალური აპარატურა რადიოგადაცემების გასავრცელებლად.

**რადისტი** *რადისტის* სპეციალისტი, რომელიც სიგნალების გამოყენებით გადასცემს და იღებს ცნობებს.

**რადიუსი** *რადიუსის* 1. მათ. სწორი ხაზის მონაკვეთი, რომელიც აერთებს წრეხაზის (ან სფეროს ზედაპირის) რომელიმე წერტილს ცენტრთან. 2. გადატ. რაიმეს გავრცელების ან მოქმედების არეალი. *ტელეარხის გავრცელების რადიუსი.*

რაე *რაეს* ქართული ანბანის მეჩვიდმეტე ასოს (რ-ს) სახელწოდება.

რაზა *რაზის* კარის ან ფანჯრის მარტივი საკეტი, უმეტესად რკინისა. *რაზით გადაკეტილი.*

რაზმი *რაზმის* I. სამხედრო ამოცანის შესასრულებლად შედგენილი მეომართა ჯგუფი. *მზვერავთა რაზმი.* 2. ადამიანთა ორგანიზებული ჯგუფი, რომელიც შექმნილია გარკვეული საქმის შესასრულებლად. *მშენებელთა რაზმი. სტუდენტთა რაზმი.*

რათა კავშ. გამოიყენება ისეთი წინადადების დასაკავშირებლად, რომელშიც გამოხატულია მეორე წინადადებაში გადმოცემული მოქმედების მიზანი. *ყველაფერს ეცდება, რათა ჩემპიონი გახდეს.*

რაიმე *რაიმეს* ნაცვ. // რამე. *რაიმე უნდა აირჩიოს. რაიმეს შესახებ მსჯელობს.* 2. რომელიმე (გარდა ადამიანისა). *რაიმე საგანი. რაიმე მოვლენა.*

რაინდი *რაინდის* I. მაღალი არისტოკრატიული ფენის წარმომადგენელი, სამხედრო პირი ფეოდალიზმის დროს. *რაინდების შერკინება.* 2. გადატ. კეთილშობილი, ღირსეული მამაკაცი. *ნამდვილი რაინდი.* ■ რაინდული რაინდის დამახასიათებელი. *რაინდული სულის ადამიანი.*

რაინდობა *რაინდობის* რაინდის თვისება, რაინდად ყოფნა. *რაინდობა გამოიჩინა.*

რაიონი *რაიონის* I. მცირე ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული. *რაიონის ხელმძღვანელობა.* 2. რაიმე ნიშნით გამოყოფილი ადგილი. *სამრეწველო რაიონი.* ■ რაიონული რაიონთან დაკავშირებული, რაიონის კუთვნილი. *რაიონული ტელევიზია. რაიონული კომიტეტი.*

რაკარუკი *რაკარუკის* იგივეა, რაც რაკუნი. *სახურავის რაკარუკი ისმოდა.*

რაკეტა[1] *რაკეტის* I. საფრენი აპარატი, რომელსაც რეაქტიული ძრავა აქვს. *კოსმოსური რაკეტა.* 2. სპეციალური დანიშნულების ასაფეთქებელი მოწყობილობა, რომელიც ჰაერში ფეთქდება და ფერად ცეცხლოვან სხივებად (რკალებად) იშლება, გამოიყენება სასიგნალოდ, ფეიერვერკებისთვის და მისთ. *რაკეტამ წითელი მაშხალა ისროლა.*

რაკეტა[2] *რაკეტის* იგივეა, რაც ჩოგანი (1, 2). *ჩოგბურთის რაკეტა. ბადმინტონის რაკეტა.*

რაკი კავშ. იგივეა, რაც რადგან. *რაკი მიდიხარ, მეც ნამოგყვები. რაკი არ იშლი, დარჩი!*

რაკრაკა *რაკრაკას* რასაც რაკრაკი გააქვს, რაც რაკრაკის ხმას გამოსცემს. *რაკრაკა წყარო.*

რაკრაკი *რაკრაკის* (რაკრაკებს) სითხის გადმოდინებისას მკვეთრი ხმის გამოცემა. *ნაკადულის რაკრაკი.*

რაკუნი *რაკუნის* (რაკუნობს, არაკუნებს, ურაკუნებს) მაგარი საგნის ზედიზედ რტყმა მკვეთრი ხმის გამოცემით. *რაკუნი გაისმა. მაგიდაზე არაკუნებს. ბოთლებს ერთმანეთს ურაკუნებს.*

რაკურსი *რაკურსის* I. ფოტოაპარატის, კინოკამერისა და მისთ. ობიექტივიდან დაფიქსირებული ნერტილი ობიექტის გამოსასახავად. *სხვადასხვა რაკურსით.* 2. ნახატში პერსპექტივის (2) გამოყენებისას შორს მყოფი საგნების, ადამიანებისა და მისთ. გამოსახვა მცირე მასშტაბით.

რალი *რალის* სპორტული ავტომობილების ან მოტოციკლების რბოლა. *რალის გამარჯვებული.*

რამ ნაცვ. // რამე. *ბევრი რამ მიამბო.*

რამდენადმე ზმნზ. გარკვეული ზომით, გარკვეული რაოდენობით. *რამდენადმე გართულდა ვითარება. საკითხი რამდენადმე გაირკვა.*

რამდენი *რამდენის* I. ნაცვ. რა რაოდენობისა. *რამდენი წლის ხარ? რამდენი კაცი მოვა?* 2. რა ბევრი (გამოიყენება გაკვირვების, აღტაცებისა და მისთ. გამოხატვისას). *რამდენი სახლი აუშენებიათ! რამდენი ხალხი მოსულა!*

რამდენიმე *რამდენიმეს* ერთზე მეტი, მცირე რაოდენობისა. *რამდენიმე კაცი. რამდენიმე ოთახი.* შეცდომაა რამოდენიმე

რამდენნაირი *რამდენნაირის* გამოხატავს კითხვას – რამდენი სახეობისა. *რამდენნაირი ხასიათი არსებობს ქვეყნად? რამდენნაირ ამბავს ჰყვებიან?*

რამე *რამის* ნაცვ. რაღაც საგანი, მოვლენა და მისთ. (ყველაფერი, გარდა ადამიანისა). *დაწერე რამე! რამეს ხომ არ მეტყვით?*

რამეთუ კავშ. ნიგნ. რადგან, იმიტომ რომ. *გმირებს სიკვდილის არ ეშინოდათ, რამეთუ ისინი სამშობლოს იცავდნენ.*

რამენაირი *რამენაირის* ან ისეთი, ან ასეთი, რაიმე სახისა. *რამენაირი ძალა უნდა გამოიყენო.* ▲ რამენაირად ზმნზ. რაიმე საშუალებით, როგორმე. *რამენაირად უნდა დამეხმაროთ!*

რამერუმე *რამერუმეს* საუბრ. სხვადასხვა სახის რაიმე. *სხვადასხვა რამერუმე ვიყიდე.*

რამი *რამის* მრავალწლოვანი მცენარე, რომლისგანაც მიიღება მაღალხარისხოვანი ბოჭკო.

რამოდენა *რამოდენას* I. ნაცვ. რა ზომისა, რა სიდიდისა. *რამოდენა ქვაბი დაგჭირდება?* 2. რა დიდი, რა ბევრი. *რამოდენა ხალხი მოვიდა! რამოდენა დრო გასულა!*

რამსიგანე *რამსიგანის* I. რა სიგანისა, რა სიფართოვისა. *რამსიგანე აივანია? რამსიგანე ფიცარი სჭირდება?* 2. როგორი განიერი, რა განიერი. *რამსიგანე საწოლი ყოფილა!*

რამსიგრძე *რამსიგრძის* I. რა სიგრძის მქონე, როგორი სიგრძისა. *რამსიგრძე თოკია? რამსიგრძე გზაა?* 2. როგორი გრძელი, რა გრძელი. *რამსიგრძე ხელები აქვს!*

**რამსიდიდე** *რამსიდიდის* 1. რა სიდიდისა? რა ზომისა? *რამსიდიდე ნაჭერია?* 2. როგორი დიდი, რა დიდი. *რამსიდიდე ქვაა!*

**რამსისხო** *რამსისხოს* 1. რა სისქისა? *რამსისხო თოკი გჭირდებათ?* 2. როგორი მსხვილი, რა მსხვილი. *რამსისხოა ეს ძელი!*

**რამხელა** *რამხელას* ნაცვ. 1. იგივეა, რაც რამოდენა (1). *რამხელა მაგიდა დაეტევა?* 2. რა დიდი, როგორი დიდი. *რამხელა ბიჭი გაზრდილა! რამხელა ქალაქი ყოფილა!*

**რანაირი** *რანაირის* როგორი, რის მსგავსი, რა სახისა. *რანაირი ფერისაა? რანაირი ხასიათი აქვს?* ▲ **რანაირად** ზმნზ. რა სახით, როგორ. *რანაირად იცინი?!*

**რანგი** *რანგის* ხარისხი, კატეგორია, თანრიგი, ნოდებულება. *უმაღლესი რანგის მწვრთნელი. პირველი რანგის სპორტსმენი.*

**რანდა** *რანდის* გრძელი შალაშინი, გამოიყენება ხის ზედაპირის სათლელად. *დურგალი რანდით მუშაობს.*

**რანდვა** *რანდვის* (რანდავს, ირანდება) ↑ გარანდვა. *დურგლები ფიცრებს რანდავენ.*

**რაობა** *რაობის* რაიმეს არსი, ძირითადი თვისება, ბუნება. *ადამიანის რაობა. ზმნის რაობა.*

**რაოდენ** ზმნზ. ნიგნ. როგორ, რამდენად. *რაოდენ რთულიც არ უნდა იყოს, მაინც შევასრულებთ პირობას.*

**რაოდენობა** *რაოდენობის* 1. განსაზღვრულობა იმისა, თუ რამდენია საგანი, ადამიანი და მისთ. *მოსახლეობის რაოდენობა.*

**რაოდენობრივი** *რაოდენობრივის* რაოდენობის გამომხატველი, რაოდენობაზე დამყარებული. *რაოდენობრივი ცვლილება.*

**რარიგ** ზმნზ. ნიგნ. როგორ, რანაირად. *რარიგ დამშვენებულა!*

**რასა** *რასის* საერთო წარმოშობის მქონე ადამიანთა ჯგუფი, რომელსაც ახასიათებს მემკვიდრეობით მიღებული გარკვეული ნიშან-თვისებები (კანის, თმისა და თვალის ფერი, სახისა და თავის ქალის ფორმა და მისთ.). *ევროპეიდული რასა. ნეგროიდული რასა. მონღოლოიდური რასა.*

**რასაკვირველია** ნაწილაკ. ცხადია, ნათელია, რა თქმა უნდა (გამოხატავს მთქმელის დარწმუნებულობას ნათქვამის სისწორეში). *დავალებას, რასაკვირველია, შევასრულებ.*

**რასიზმი** *რასიზმის* თეორია, რომლის მიხედვითაც არსებობენ "მაღალი" და "დაბალი", სრულფასოვანი და არასრულფასოვანი რასები. *რასიზმს ქადაგებს.*

**რასისტი** *რასისტის* რასიზმის თეორიის მიმდევარი.

**რასისტული** *რასისტულის* რასიზმის დამახასიათებელი. *რასისტული თეორია.*

**რასობრივი** *რასობრივის* რასისთვის დამახასიათებელი, რასასთან დაკავშირებული, რასების მიხედვით არსებული, რასებზე დაფუძნებული. *რასობრივი ბრძოლა. რასობრივი განსხვავება.*

**რატიფიკაცია** *რატიფიკაციის* უზენაესი ხელისუფლების მიერ საერთაშორისო ხელშეკრულების დამტკიცება. *რატიფიკაციის პირობები.*

**რატიფიცირება** *რატიფიცირების* იგივეა, რაც რატიფიკაცია. *ხელშეკრულების რატიფიცირება.*

**რატიფიცირებული** *რატიფიცირებულის* რატიფიკაციის შედეგად მიღებული. *რატიფიცირებული დოკუმენტი.*

**რატომ** ზმნზ. რა მიზეზით, რის გამო. *რატომ არ მოხვედი? რატომ ტირის პატარა?*

**რატომღაც** ზმნზ. რაღაც მიზეზის გამო. *რატომღაც არ მომწონს.*

**რატრატი** *რატრატის* (რატრატებს) უაზრო, უშინაარსო ლაპარაკი. *რატრატით შეაწუხა. გაუთავებლად რატრატებს.*

**რაუნდი** *რაუნდის* დროის მონაკვეთი კრივში, რომლის განმავლობაშიც მოწინააღმდეგეები იბრძვიან. *პირველი რაუნდი.*

**რაფა** *რაფის* ფანჯრის ძირში ჰორიზონტალურად დამაგრებული ვიწრო ფიცარი. *რაფაზე დადო. რაფა გადაწმინდა.*

**რაფინირებული** *რაფინირებულის* 1. გასუფთავებული, მინარევებისგან გაწმენდილი. *რაფინირებული შაქარი.* 2. გადატ. დახვეწილი, უზადო. *რაფინირებული ინტელიგენტი.*

**რაფსოდია** *რაფსოდიის* ხალხური სიმღერებისა და ცეკვების მელოდიაზე დაწერილი მუსიკალური ნაწარმოები. *რაფსოდიას ასრულებს.*

**რაქიტი** *რაქიტის* მედიც. ბავშვთა დაავადება, რომლისთვისაც დამახასიათებელია ძვლებისა და ნერვული სისტემის განვითარების დარღვევა. *რაქიტი განუვითარდა. შეცდომაა რახიტი*

**რაღა** *რაღას* ნაცვ. 1. მეტი რა, სხვა რა, მაშ რა. *სხვა რაღა უნდა მითხრას? რაღას უშველი?* 2. ნაწილაკ. ფუნქც. რატომ (გამოიყენება იმაზე მისათითებლად, რაც ან ვინც გარკვეულ სიტუაციაში მიუღებელია). *რაღა მე უნდა დავრჩე! რაღა ეს წიგნი წაიღო!* 3. ნაწილაკ. ფუნქც. საუბრ. რა იქნება, ბარემ. *წადი, რაღა! დავიწყოთ, რაღა!*

**რაღაც** 1. ნაცვ. ||რაღაცა. *რაღაც უნდა.* 2. ნაწილაკ. თითქოს, რატომღაც. *რაღაც ვერ მუშაობს. რაღაც გული სწყდება.*

**რაღაცა** *რაღაცის* ნაცვ. რომელიღაც საგანი, მოვლენა და მისთ. (ყველაფერი, ადამიანის გარდა), განუსაზღვრელი რამ. *რაღაცა აწუხებს. რაღაცას ეძებს. რაღაცით ინაზიდავს.*

რაღაცნაირად ზმნზ. 1. რაიმე სახით, როგორმე, რამენაირად. *რაღაცნაირად უნდა მოვახერხოთ.* 2. უცნაურად, გაურკვევლად. *რაღაცნაირად მიყურებს.*

რაღაცნაირი *რაღაცნაირის* გაურკვეველი სახისა, თავისებური, უცნაური. *რაღაცნაირი გრძნობა გაუჩნდა.*

რაში *რაშის* 1. ზღაპრული ცხენი. *ფრთიანი რაში.* 2. კარგი საჯირითო ცხენი. *რაშზე ამხედრდა.*

რაჩხუნი *რაჩხუნის* (არაჩხუნებს) იგივეა, რაც ჩხაკუნი. *სათამაშოებს არაჩხუნებს. რაჩხუნი გაისმა.*

რაც ნაცვ. *რისაც* ის (საგანი ან ცხოველი), რომელიც. *რაც დააბარეს, მოიტანა. რასაც ფიქრობს, იმას ამბობს.*

რაციონალური *რაციონალურის* გონივრული, საღ აზრზე დაფუძნებული. *რაციონალური პოლიტიკა. რაციონალური გადაწყვეტილება.*

რაციონი *რაციონის* დროის განსაზღვრულ მონაკვეთში მისაღები საკვების რაოდენობა. *დღის რაციონი. კვირის რაციონი.*

რაცრაცი *რაცრაცის* (რაცრაცებს) იგივეა, რაც ბარბაცი. *მთვრალივით რაცრაცებს.*

რაწკუნი *რაწკუნის* (არაწკუნებს) იგივეა, რაც წკარუნი. *მინის რაწკუნი.*

რახან კავშ. რაკი, რადგან. *რახან დავთანხმდი, საქმე ბოლომდე უნდა მივიყვანო.*

რახარუხი *რახარუხის* საგნების ცვენის ან ერთმანეთზე მირტყმის ხმა. *რახარუხი მოისმა.* ◌ სიტყვების რახარუხი უაზრო, უშინაარსო, ფუჭი ლაპარაკი.

რახრახა *რახრახას* რაც რახრახებს, რახრახის ხმას გამოსცემს. *რახრახა ურემი. რახრახა ნისქვილი.*

რახრახი *რახრახის* (რახრახებს, არახრახებს) დაზიანებული ტრანსპორტის, მძიმე საგნისა და მისთ. მოძრაობა მაღალი უსიამოვნო ხმის გამოცემით. *მანქანა რახრახით მიდის. ტრაქტორი რახრახებს.*

რახუნი *რახუნის* (რახუნობს, არახუნებს) მაგარ საგანზე დარტყმა მკვეთრი ხმის გამოცემით. *ქარი კარს არახუნებს. სახურავი რახუნობს.*

რბევა *რბევის* (არბევს, ირბევა) ↑ დარბევა. *ოჯახებს არბევენ. ქრისტიანებს არბევდნენ.*

რბილი *რბილის* 1. რაც ადვილად იცვლის ფორმას, რის დამუშავებაც ადვილია. *რბილი მიწა. რბილი ბალიში.* ↔ მაგარი. 2. გადატ. სათნო, ლმობიერი. *რბილი ხასიათი. რბილი ადამიანი.* ◌ რბილი ჰავა თბილი, სასიამოვნო ჰავა.

რბილობი *რბილობის* ხილის ნაყოფის კანქვეშა, რბილი ნაწილი. *მსხლის რბილობი. ქლიავის რბილობი.*

რბოლა *რბოლის* 1. ძვ. იგივეა, რაც სირბილი. 2. სპორტული შეჯიბრება სისწრაფეში. *ავტომობილების რბოლა. რბოლის მონაწილენი.*

რგება *რგების* (რგებს, ირგებს, ერგება, არგია) 1. სარგებლობის, სიკეთის მოტანა. *დასვენებამ არგო. ჰაერი რგებს.* 2. რაიმეს მიკუთვნება, წილის მიღება. *მემკვიდრეობით ერგო. გასამრჯელო არ ერგება. ნათესავად მერგება. შვებულება ერგება.*

რგვა *რგვის* (რგავს, ირგვება) ↑ დარგვა. *რგვას გაზაფხულზე იწყებენ. ეზოში ნერგებს რგავენ.*

რგოლი *რგოლის* ლითონის, ხის, პლასტიკატის, ძვლისა და მისთ. საგანი, რომელსაც წრის ფორმა აქვს. *ჯაჭვის რგოლი. ტანმოვარჯიშის რგოლი.*

რგუნება *რგუნების* (არგუნებს, ირგუნებს) სხვისთვის მიკუთვნება, წილის მიცემა. *დიდი ქონება არგუნეს. ბედმა ეს მარგუნა.*

რე *რეს* მუსიკალური ანბანის მეორე ტონის სახელწოდება, გამის ერთ-ერთი ნოტი.

რეაბილიტაცია *რეაბილიტაციის* 1. დაკარგული ან წართმეული რეპუტაციის ან უფლებების აღდგენა. *რეაბილიტაცია მოხდა. კოლეჯის რეაბილიტაცია.* 2. დაავადების გამო შეზღუდული ფიზიკური და გონებრივი შესაძლებლობების აღდგენა.

რეაბილიტირებული *რეაბილიტირებულის* ვისი ან რის რეაბილიტაციაც მოხდა. *რეაბილიტირებული სასწავლებელი.*

რეაგირება *რეაგირების* (რეაგირებს) პასუხის გაცემა, საპასუხო ქმედება გარე გაღიზიანებაზე, გარკვეულ მოქმედებაზე. *დროული რეაგირება. განცხადებაზე არ რეაგირებს.*

რეალია *რეალიის* ცალკეული საგანი, ნივთი; არსებული სიტუაცია. *პოლიტიკური რეალიები. ადგილობრივი რეალიები.*

რეალიზაცია *რეალიზაციის* 1. განხორციელება, გამოყენება. *პროექტის რეალიზაცია ვერ შეძლო.* 2. იგივეა, რაც განაღდება (1). *საქონლის რეალიზაცია.*

რეალიზებული *რეალიზებულის* 1. განხორციელებული, გამოყენებული. *რეალიზებული შესაძლებლობები.* 2. იგივეა, რაც განაღდებული. *რეალიზებული პროდუქცია.*

რეალისტი *რეალისტის* პირი, რომელიც რეალური ვითარების მიხედვით მოქმედებს, რეალურად აფასებს სიტუაციას. *რეალისტის თვალით დანახული.*

რეალისტური *რეალისტურის* სინამდვილის ამსახველი, რეალობის შესაბამისი. *რეალისტური შეხედულებები.*

რეალობა *რეალობის* ის, რაც მართლა ხდება, მართლა არსებობს, სინამდვილე. *რეალობას თვალი გაუსწორა. რეალობას სწორად აფასებს.*

რეალური *რეალურის* ნამდვილად არსებული, ნამდვილად მომხდარი. *რეალური ისტორია.*

**რეალურობა** *რეალურობის* რეალობასთან შესაბამისობა, რაიმეს არსებობის სინამდვილე, სიმართლე. *ნათქვამის რეალურობა.*

**რეანიმაცია** *რეანიმაციის* მძიმე ავადმყოფისთვის სასიცოცხლო ფუნქციების აღდგენა. შეცდომაა რეამინაცია

**რეაქტიული** *რეაქტიულის* უკუცემის ძალით წარმოქმნილი, ამ ძალით მოქმედი. *რეაქტიული თვითმფრინავი.*

**რეაქტორი** *რეაქტორის* აპარატი, რომელშიც ფიზიკური (ბირთვული) ან ქიმიური რეაქცია მიმდინარეობს გარკვეული ტემპერატურისა და წნევის პირობებში, გამოიყენება რაკეტულ ძრავებში, დედამიწის თანამგზავრებში უწყვეტი ენერგიის მისაღებად. *ატომური რეაქტორი. ბირთვული რეაქტორი.*

**რეაქცია** *რეაქციის* 1. რაიმეს საპასუხო ქმედება. *სწრაფი რეაქცია. მკვეთრი რეაქცია.* 2. სპეც. ორი ან რამდენიმე ნივთიერების ურთიერთმოქმედება. *ქიმიური რეაქცია.*

**რეაქციული** *რეაქციულის* სიახლის, ცვლილებების წინააღმდეგ მიმართული, დამთრგუნველი. *რეაქციული ძალები. რეაქციული პოლიტიკა.*

**რებუსი** *რებუსის* 1. ნახატებით, ასოებითა და სხვა ნიშნებით შედგენილი გამოსაცნობი სიტყვა ან წინადადება. *რებუსის წაკითხვა. რებუსების წიგნი.* 2. გადატ. ძნელად მისახვედრი ან გაუგებარი რამ. *რებუსებით ლაპარაკობს.*

**რეგალია** *რეგალიის* 1. უმაღლესი ხელისუფლების მიმანიშნებელი რაიმე ნივთი. *სამეფო რეგალიები. რეგალიებით შემკობა.* 2. საქმეში მიღწეული წარმატების ნიშნად ვინმესთვის გადაცემული სიგელი, ორდენი და მისთ. *გამარჯვებულის რეგალია. ჩემპიონის რეგალია.*

**რეგბი** *რეგბის* იგივეა, რაც რაგბი.

**რეგვენი** *რეგვნის* უჭკუო, ბრიყვი, უცოდინარი. *რეგვენი ახალგაზრდა.* ■ **რეგვნული** რეგვენისთვის დამახასიათებელი. *რეგვნული საქციელი.*

**რეგვნობა** *რეგვნობის* სიბრიყვე, უჭკუობა, გაუნათლებლობა. *რეგვნობა გამოიჩინა.*

**რეგიონალური** *რეგიონალურის* იგივეა, რაც რეგიონული. *რეგიონალური პრობლემები. რეგიონალური კონფერენცია.*

**რეგიონი** *რეგიონის* მსხვილი ტერიტორიული ერთეული, რომელიც მოიცავს ერთმანეთთან გეოგრაფიული, ეკონომიკური, პოლიტიკური ან სხვა. ნიშნით დაკავშირებულ მხარეებს, რაიონებს, ქვეყნებს და მისთ. *მთიანი რეგიონები მოიარა. კავკასიის რეგიონი.*

**რეგიონული** *რეგიონულის* რაც ეხება, მოიცავს ცალკეულ რეგიონს. *რეგიონული მასშტაბით.*

**რეგისტრატორი** *რეგისტრატორის* პირი, რომელიც რეგისტრაციას აწარმოებს.

**რეგისტრატურა** *რეგისტრატურის* დაწესებულების განყოფილება, სადაც მიმდინარეობს რეგისტრაცია. *საავადმყოფოს რეგისტრატურა. აეროპორტის რეგისტრატურაში გამოცხადდა.*

**რეგისტრაცია** *რეგისტრაციის* გარკვეული ცნობების სპეციალურ სიაში ჩაწერა, ჩანიშვნა სისტემატიზაციის, მოწესრიგების ან კანონიერი ძალის მინიჭების მიზნით. *დევნილთა რეგისტრაცია. ამომრჩეველთა რეგისტრაცია.*

**რეგისტრი** *რეგისტრის* მუსიკალური საკრავის ან მომღერლის ხმის ბგერითი დიაპაზონის მონაკვეთი. *მაღალი რეგისტრის ბგერა. დაბალი რეგისტრი.*

**რეგისტრირებული** *რეგისტრირებულის* რასაც ან ვისაც რეგისტრაცია ჩაუტარდა. *რეგისტრირებული დელეგატები.*

**რეგლამენტი** *რეგლამენტის* სხვადასხვა სახის შეკრების (სხდომის, ყრილობის, კონფერენციისა და მისთ.) ჩატარების წესი. *პარლამენტის რეგლამენტი. რეგლამენტი დაიცვა. რეგლამენტი დაარღვია.*

**რეგრესი** *რეგრესის* მდგომარეობის გაუარესება, განვითარების შეფერხება, უკუსვლა. *რეგრესი განიცადა.* ↔ **პროგრესი.**

**რეგულარული** *რეგულარულის* წესის მიხედვით მოქმედი, განმეორებადი, კანონზომიერი. *რეგულარული შემოწმება.*

**რეგულირება** *რეგულირების* (არეგულირებს, რეგულირდება) ↑ **დარეგულირება.** *კანონით რეგულირდება.* ■ **რეგულირებული** რის დარეგულირებაც განხორციელდა. *რეგულირებული ურთიერთობები.*

**რედაქტირება** *რედაქტირების* (არედაქტირებს, რედაქტირდება) ↑ **გარედაქტირება.** *რედაქტირება დასჭირდა.* ■ **რედაქტირებული** რის რედაქტირებაც განხორციელდა. *რედაქტირებული სტატია.* შეცდომაა რედაკტირება

**რედაქტორი** *რედაქტორის* 1. პასუხისმგებელი პირი, რომელიც ხელმძღვანელობს წიგნის, ჟურნალის, გაზეთისა და მისთ. გამოცემას, ფილმის გადაღებას, რადიო ან ტელეგადაცემის მომზადებას. *კრებულის რედაქტორი. საბავშვო პროგრამების რედაქტორი.* 2. სპეციალისტი, რომელიც ტექსტს დასაბეჭდად ამზადებს, ენობრივად და სტილისტურად ასწორებს. *გამომცემლობის რედაქტორი.* შეცდომაა რედაკტორი

**რედაქცია** *რედაქციის* 1. დაწესებულება, სადაც ხდება წიგნების, გაზეთებისა და მისთ. დასაბეჭდად მომზადება. *რედაქციაში მუშაობს. გაზეთის რედაქცია.* 2. ტექსტის გასწორება, ლიტერატურულად დამუშავება, გამოსაცემად მომზადება. *ხელნაწერის რედაქცია. ტექნიკური რედაქცია.* 3. ერთი და იმავე ტექსტის სახესხვაობა. *ხელნაწერის უძველესი რედაქცია.*

**რედკოლეგია** *რედკოლეგიის* სარედაქციო ჯგუფი,

რედაქტორთა შემადგენლობა, კოლეგია. *ჟურნალის რედკოლეგია. წიგნის რედკოლეგია.*

**რედუქტორი** *რედუქტორის* I. მექანიზმი, რომელიც ბრუნვის სიჩქარეს კბილანების საშუალებით არეგულირებს. 2. სპეციალური დამცავი ან ჩამკეტი სარქველი სითხის, გაზის წნევის შესამცირებლად ან შესანარჩუნებლად. *ჟანგბადის ბალონის რედუქტორი.*

**რეესტრი** *რეესტრის* ოფიციალურად რეგისტრირებული ნუსხა. *საჯარო რეესტრი. სამოქალაქო რეესტრი. სამეწარმეო რეესტრი.*

**რევა** *რევის* (რევს, ირევს, ურევს, ირევა, ერევა, ურევია, არევინებს) I. ↑ არევა. *გზა ხშირად ერევა. სიტყვებს ნუ ურევ!* 2. ↑ ამორევა. *ხელით ურევს. დიდხანს ურიე!* 3. ↑ შერევა. *ღვინოებს ერთმანეთში ურევს.* 4. ↑ ჩარევა. *ჩემს საქმეში ნუ ერევი! დედამისი ყველაფერში ერევა.*

**რევანდი** *რევანდის* მრავალწლოვანი მაღალი ბალახოვანი მცენარე, აქვს დიდი ფოთლები, ზოგი სახეობა ბოსტნეულად გამოიყენება, ზოგი – სამკურნალოდ, ზოგიც დეკორატიულია. *რევანდის ნაყენი.*

**რევანში** *რევანშის* ხელახალი შერკინება ვინმესთან ბრძოლაში ან შეჯიბრებაში დამარცხების საპასუხოდ. *რევანშისთვის ემზადება.*

**რევერანსი** *რევერანსის* თავის დაკვრა მუხლის ოდნავ ჩაკეცვით მოწიწების გამოსახატავად. *რევერანსი გააკეთა.*

**რევიზია** *რევიზიის* 1. დაწესებულების, ორგანიზაციის ან ამა თუ იმ თანამდებობის პირის მუშაობის, საქმიანობის შემოწმება. *ფინანსური რევიზია.* 2. შეხედულებათა სისტემის გადასინჯვა და გადაფასება.

**რევიზორი** *რევიზორის* თანამდებობის პირი, რომელიც დაწესებულების, ორგანიზაციის მუშაობას ამოწმებს. *რევიზორი გამოგ ზავნეს.*

**რევმატიზმი** *რევმატიზმის* მედიც. გულისა და სისხლძარღვთა სისტემის, სახსრებისა და კუნთების დაავადება, რომელსაც თან ახლავს ტკივილი. *რევმატიზმი აწუხებს.*

**რევოლვერი** *რევოლვერის* ხელის ცეცხლსასროლი იარაღი, რომელსაც ცილინდრული ფორმის მბრუნვი სავაზნე კოლოფი აქვს. ■ **რევოლვერიანი** რევოლვერით შეიარაღებული.

**რევოლუცია** *რევოლუციის* 1. საზოგადოების ცხოვრებაში მომხდარი ძირფესვიანი გადატრიალება, ჩვეულებრივ, შეიარაღებული ძალის მეშვეობით. *საფრანგეთის რევოლუცია.* 2. ძირფესვიანი ცვლილება ცოდნის ამა თუ იმ დარგში. *ტექნიკური რევოლუცია.* ■ **რევოლუციური** რევოლუციისთვის დამახასიათებელი, რევოლუციასთან დაკავშირებული. *რევოლუციური მოძრაობა.*

**რევოლუციონერი** *რევოლუციონერის* პირი, რომელიც რევოლუციურ საქმიანობას ეწევა, რევოლუციის მონაწილე. *რევოლუციონერთა შეკრება.*

**რეზერვაცია** *რეზერვაციის* აბორიგენთა დასახლებისთვის გამოყოფილი ტერიტორია. *რეზერვაციას ესტუმრნენ.*

**რეზერვი** *რეზერვის* 1. რაიმეს მარაგი, დამატებითი ოდენობა. *საკვები პროდუქტების რეზერვი.* 2. მეთაურის განკარგულებაში დატოვებული ჯარის ნაწილი, რომელსაც საჭიროების შემთხვევაში ჩააბამენ ბრძოლაში. *რეზერვის ოფიცერი.*

**რეზერვუარი** *რეზერვუარის* ნაგებობა ან სპეციალური ჭურჭელი სითხის ან სხვა რამის მოსათავსებელად, შესანახად ან გადასაზიდად. *ნავთობის რეზერვუარი. რეზერვუარი მეტს ვეღარ დაიტევს.*

**რეზიდენტი** *რეზიდენტის* 1. რომელიმე ქვეყნის დაზვერვის საიდუმლო წარმომადგენელი სხვა ქვეყანაში. 2. უცხო ქვეყნის მოქალაქე, რომელსაც მოცემულ ქვეყანაში დროებითი ცხოვრების უფლება აქვს. *გერმანიის რეზიდენტი.*

**რეზიდენცია** *რეზიდენციის* პრეზიდენტის ან მაღალი თანამდებობის პირის ადგილსამყოფელი. *საზაფხულო რეზიდენცია.*

**რეზინი** *რეზინის* რბილი, ელასტიკური მასალა, რომელიც კაუჩუკისგან მიიღება. *რეზინის ჩექმა.*

**რეზიუმე** *რეზიუმეს* მეცნიერული ნაშრომის, მოხსენების, სტატიისა და მისთ. მოკლე შინაარსი, დასკვნა. *რეზიუმე დაურთო.*

**რეზოლუცია** *რეზოლუციის* I. სხდომაზე, კრებაზე, კონფერენციასა და მისთ. მიღებული ოფიციალური დადგენილება რაიმე საკითხთან დაკავშირებით. *მთავრობის რეზოლუცია. რეზოლუცია გამოქვეყნდა.* 2. ხელმძღვანელი პირის მიერ ოფიციალურ დოკუმენტზე წაწერილი განკარგულება. *რეზოლუცია დაადო.*

**რეზონანსი** *რეზონანსის* I. ბგერის გაძლიერებისა და გახანგრძლივების უნარი, ახასიათებს გარკვეული ტიპის საგნებსა და ნაგებობებს. *ძლიერი რეზონანსი. კარგი რეზონანსი.* 2. გადატ. იგივეა, რაც გამოხმაურება. *სტატიას დიდი რეზონანსი მოჰყვა.*

**რეზულტატი** *რეზულტატის* იგივეა, რაც შედეგი. *დადებითი რეზულტატი.*

**რეიდი**[1] *რეიდის* გემების გასაჩერებელი ადგილი ნავსადგურის შესასვლელთან.

**რეიდი**[2] *რეიდის* მოულოდნელი შემოწმება სპეციალური სახელმწიფო უწყების მიერ. *რეიდი განახორციელეს.*

**რეისი** *რეისის* გარკვეული მარშრუტით მოძრავი ტრანსპორტის (გემის, თვითმფრინავის, ავტობუსისა და მისთ.) გასაველელი გზა. *თბილისი-ქუთაისის რეისი.*

**რეიტინგი** *რეიტინგის* ვინმეს ან რაიმეს შეფასება სხვებთან შეფარდებით და მის საფუძველზე გარკვეული რანგის მინიჭება. *რეიტინგით საუკეთესოა.*

**რეიტუზი** *რეიტუზის* ტანზე შემოტმასნილი შარვალი. *სპორტული რეიტუზი.*

**რეკა** *რეკის* (რეკს, ურეკს, ირეკება) ||რეკვა. *ზარს რეკს.*

**რეკეტი** *რეკეტის* სხვისი შემოსავლის დანაშაულებრივი გამოძალვა მუქარის ან შანტაჟის გზით. *ბრძოლა რეკეტის წინააღმდეგ.*

**რეკვა**[1] *რეკვის* (რეკავს, ურეკავს, ირეკება) ↑ დარეკვა. *ტელეფონით ურეკავს.*

**რეკვა**[2] *რეკვის* (ერეკება) ცხოველების (ბევრის) წაყვანა. *ცხვრებს ერეკება.*

**რეკვიზიტი** *რეკვიზიტის* 1. დეკორაციის ნაწილი ან საგნები, რომლებიც სჭირდებათ მსახიობებს წარმოდგენის მსვლელობისას. *განახლებული რეკვიზიტი. სპექტაკლის რეკვიზიტები.* 2. ოფიციალური მონაცემების (მისამართის, ანგარიშის ნომრისა და მისთ.) ერთობლიობა. *საბანკო რეკვიზიტები. სამინისტროს რეკვიზიტები.* შეცდომაა რექვიზიტი

**რეკლამა** *რეკლამის* განცხადება, სურათი, პლაკატი, რადიო- ან ტელეგადაცემა, რომლის მიზანია მაყურებლის, მომხმარებლის დაინტერესება. *ფილმის რეკლამა. ახალი პროდუქციის რეკლამა.*

**რეკლამირება** *რეკლამირების* რეკლამის გაკეთება. *სასმლის რეკლამირება. რეკლამირების მიზნით. აპარატურის რეკლამირება.* ■ **რეკლამირებული** რასაც რეკლამირებას უწევენ. *რეკლამირებული პრეპარატი.*

**რეკომენდაცია** *რეკომენდაციის* 1. ვინმეს წერილობითი დახასიათება, დადებითი მხარეების ჩვენება დამქირავებელთან, ორგანიზაციის ხელმძღვანელობასთან და მისთ. წარსადგენად. *რეკომენდაციას უწევს.* 2. რჩევა, დახმარება არჩევანის დროს. *პრეპარატი თქვენი რეკომენდაციით შევიძინე.*

**რეკომენდებული** *რეკომენდებულის* რასაც რეკომენდაცია გაუწიეს, შემოთავაზებული. *რეკომენდებული აპარატი.*

**რეკონსტრუირება** *რეკონსტრუირების* 1. იგივეა, რაც **რეკონსტრუქცია** (1). *რეკონსტრუირება მოხდა.* 2. იგივეა, რაც **რეკონსტრუქცია** (2). *ძეგლის რეკონსტრუირება.*

**რეკონსტრუირებული** *რეკონსტრუირებულის* აღდგენილი, განახლებული. *რეკონსტრუირებული ხიდი.*

**რეკონსტრუქცია** *რეკონსტრუქციის* 1. რაიმეს ძირეულად გადაკეთება. *ქალაქის რეკონსტრუქცია. ორგანიზაციის რეკონსტრუქცია.* 2. პირვანდელი სახის დაბრუნება. *ტაძრის რეკონსტრუქცია. სასახლის რეკონსტრუქცია.*

**რეკორდი** *რეკორდის* უმაღლესი მიღწევა, წარმატება საქმიანობის რომელიმე სფეროში. *რეკორდი დაამყარა. რეკორდი გააუმჯობესა. მსოფლიო რეკორდი მოხსნა.*

**რეკორდსმენი** *რეკორდსმენის* ვისაც რეკორდი აქვს დამყარებული. *რეკორდსმენი გახდა. მსოფლიოს რეკორდსმენი.*

**რეკორდული** *რეკორდულის* რეკორდთან დაკავშირებული, უმაღლესი. *რეკორდული მოსავალი. რეკორდული რაოდენობა.*

**რეკრეაცია** *რეკრეაციის* დასვენება ძალების აღდგენის მიზნით. ■ **რეკრეაციული** რეკრეაციასთან დაკავშირებული. *რეკრეაციული ზონა.*

**რელე** *რელეს* ავტომატური ხელსაწყო, რომელიც იცვლება წნევის, ტემპერატურის, ძაბვის, დენის ზემოქმედების შედეგად. *ბგერის სიმაღლის რელე. მაგნიტური რელე.*

**რელიგია** *რელიგიის* შეხედულებათა სისტემა, რომელიც აღიარებს სამყაროს შექმნისა და ორგანიზების ღვთაებრივ ძალას. *ქრისტიანული რელიგია. რელიგიის მიმდევარი.* ■ **რელიგიური** რელიგიასთან დაკავშირებული. *რელიგიური რიტუალი.*

**რელიეფი** *რელიეფის* 1. დედამიწის ზედაპირის მოხაზულობა. *მთიანი რელიეფი.* 2. ამობურცული გამოსახულება რაიმეს ზედაპირზე. *ტაძრის რელიეფი.*

**რელიეფური** *რელიეფურის* 1. ზედაპირზე ამონეული, ამობურცული. *რელიეფური ფიგურა. რელიეფური რუკა.* 2. გადატ. გამოკვეთილი, თვალსაჩინო, კარგად დასანახი, გამორჩეული. *რელიეფური პიროვნება.*

**რელიეფურობა** *რელიეფურობის* გამორჩეულობა, გამოკვეთილობა. *სურათის რელიეფურობა. საკითხის სიცხადე და რელიეფურობა ჩანს.*

**რელიკვია** *რელიკვიის* სამახსოვროდ შენახული, ძვირფასი ნივთი. *საოჯახო რელიკვია.* შეცდომაა რელიქვია

**რელსი** *რელსის* ფოლადის ძელი, რომელზეც ვაგონის თვლები მოძრაობს. *მატარებელი რელსებს ასცდა. ვაგონი რელსებზე მოგორავდა.*

**რემა** *რემის* (კრებ.) ცხენების ჯოგი. *რემამ ქუდი გადაიარა.*

**რემისია** *რემისიის* მედიც. ავადმყოფობის დროებით შესუსტება ან გაქრობა. *რემისიის პერიოდი.*

**რემონტი** *რემონტის* დაზიანებულის, გაცვეთილის აღდგენა, შეკეთება. *შენობის რემონტი. მანქანას რემონტი სჭირდება.*

**რენეგატი** *რენეგატის* მოღალატე ადამიანი, რომელიც მოწინააღმდეგის მხარეზე გადავიდა.

რენტა *რენტის* მუდმივი შემოსავალი, რომელსაც იძლევა კაპიტალი, ქონება ან მიწა ისე, რომ მათ მფლობელს არ სჭირდება სამეწარმეო საქმიანობა. *მიწის რენტა.*

რენტაბელობა *რენტაბელობის* ხარჯების გამართლება, მომგებიანობა. *რენტაბელობის ამაღლება.*

რენტაბელური *რენტაბელურის* რაც გაწეულ ხარჯებს ამართლებს, მომგებიანი. *რენტაბელური ნარმოება.*

რენტგენი *რენტგენის* სახელწოდება მოკლე ელექტრომაგნიტური ტალღებისა, რომლებსაც გაუმჭვირვალე მასალებსა და ადამიანის რბილ ქსოვილში შეღწევის უნარი აქვთ, იყენებენ მედიცინაში. *რენტგენის სურათი. რენტგენის აპარატი.* შეცდომაა რენდგენი

რეორგანიზაცია *რეორგანიზაციის* ორგანიზაციის გარდაქმნა გაუმჯობესების მიზნით. *სამსახურის რეორგანიზაცია. სისტემის რეორგანიზაცია.*

რეორგანიზება *რეორგანიზების* იგივეა, რაც რეორგანიზაცია. *რეორგანიზება გადაწყვიტეს.*

რეპატრიანტი *რეპატრიანტის* ვისაც რეპატრიაცია შეეხო.

რეპატრიაცია *რეპატრიაციის* სამხედრო ტყვეების, სამოქალაქო პირების, ემიგრანტებისა და მისთ. დაბრუნება სამშობლოში. *ტყვეთა რეპატრიაცია მოხდა.*

რეპერტუარი *რეპერტუარის* 1. იმ დრამატულ და მუსიკალურ ნაწარმოებთა ერთობლიობა, რომლებიც იდგმება რომელიმე თეატრში, საესტრადო, საცირკო და მისთ. სცენაზე გარკვეულ პერიოდში. *მომავალი თვის რეპერტუარი.* 2. მომღერლის ან მსახიობის მიერ შესრულებული სიმღერებისა და როლების ერთობლიობა. *მის რეპერტუარშია თანამედროვე სიმღერები.*

რეპეტიტორი *რეპეტიტორის* მასწავლებელი, რომელიც კერძოდ, დამატებით ამეცადინებს მოსწავლეს სასწავლო პროგრამით გათვალისწინებულ რომელიმე საგანში. *მათემატიკის რეპეტიტორი.*

რეპეტიტორობა *რეპეტიტორობის* რეპეტიტორის საქმიანობა, რეპეტიტორად ყოფნა. *რეპეტიტორობა დაიწყო.*

რეპეტიცია *რეპეტიციის* დრამატული, მუსიკალური და მისთ. ნაწარმოების შესრულება მაყურებელთა წინაშე წარდგენამდე. *რეპეტიცია გაიარა. რეპეტიციას დაესწრო.* ⊙ გენერალური რეპეტიცია უკანასკნელი რეპეტიცია კონცერტის, სპექტაკლისა და მისთ. წინ.

რეპლიკა *რეპლიკის* გამომსველელისთვის მსმენელისგან მიცემული მოკლე შენიშვნა, წამოძახილი. *არასასიამოვნო რეპლიკა. ირონიული რეპლიკა.*

რეპორტაჟი *რეპორტაჟის* ინფორმაცია დღის განმავლობაში მომხდარი მნიშვნელოვანი ამბების შესახებ, რომელიც იბეჭდება გაზეთში, გადაიცემა რადიოთი ან ტელევიზიით. *რეპორტაჟის მომზადება. ფეხბურთის მატჩის რეპორტაჟი. პირდაპირი რეპორტაჟი.*

რეპორტიორი *რეპორტიორის* ჟურნალისტი, რომელიც რეპორტაჟებს ამზადებს. *გაზეთის რეპორტიორი.*

რეპრესია *რეპრესიის* სახელმწიფოს მიერ ჩატარებული სადამსჯელო ღონისძიება. *რეპრესიები გაძლიერდა.*

რეპრესიული *რეპრესიულის* რეპრესიების გამტარებელი. *რეპრესიული პოლიტიკა.*

რეპროდუქტორი *რეპროდუქტორის* სპეციალური მოწყობილობა, რომელიც გამოიყენება რადიოგადაცემათა ხმის გასაძლიერებლად, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში სხვადასხვა სახის ინფორმაციის გამოსაცხადებლად. *მისი გვარი რეპროდუქტორით გამოაცხადეს.*

რეპროდუქცია *რეპროდუქციის* 1. სხვადასხვა გამოსახულების (ნახატის, სურათის, ნაბეჭდი ტექსტის) გადაღება და გამრავლება ფოტოგრაფიული ან პოლიგრაფიული საშუალებით. 2. რეპროდუქციის (1) საშუალებით გადაღებული სურათი და მისთ. *ფიროსმანის ნახატის რეპროდუქცია. რეპროდუქცია გაიყიდა.*

რეპუტაცია *რეპუტაციის* ვინმეს შესახებ არსებული საზოგადოებრივი აზრი. *კარგი რეპუტაციით სარგებლობს. ცუდი რეპუტაცია აქვს.*

რეჟიმი *რეჟიმის* 1. სახელმწიფოებრივი მმართველობის მკაცრად განსაზღვრული წესი. *დიქტატორული რეჟიმი.* 2. შრომის, დასვენების, კვებისა და მისთ. დადგენილი წესი. *კვების რეჟიმი. რეჟიმს იცავს. სამუშაო დღის რეჟიმი.*

რეჟისორი *რეჟისორის* სპექტაკლის, ფილმისა და მისთ. სამხატვრო ხელმძღვანელი. *თეატრის რეჟისორი. მთავარი რეჟისორი. რეჟისორის თანაშემწე.* ▪ რეჟისორობა რეჟისორის საქმიანობა. *რეჟისორობა დაიწყო.*

რესპექტაბელური *რესპექტაბელურის* პატივსაცემი, სოლიდური. *რესპექტაბელური მოხელე.*

რესპონდენტი *რესპონდენტის* ვისაც შეკითხვით მიმართავენ ინტერვიუს ასაღებად ან ამა თუ იმ სახის გამოკითხვების დროს. *კარგი რესპონდენტი. რესპონდენტთა დიდ ნაწილი დიასახლისია.* შეცდომაა რესპოდენტი

რესპუბლიკა *რესპუბლიკის* სახელმწიფო მმართველობის ფორმა, რომლის დროსაც ქვეყანას გარკვეული ვადით არჩეული ორგანოები მართავს.

*საპარლამენტო რესპუბლიკა.* ■ **რესპუბლიკური** რესპუბლიკის მასშტაბით მიმდინარე, მოქმედი, რესპუბლიკის დამახასიათებელი. *რესპუბლიკური ოლიმპიადა.*

**რესტავრატორი** *რესტავრატორის* რესტავრაციის სპეციალისტი. *სურათების რესტავრატორი. ავეჯის რესტავრატორი.* ■ **რესტავრატორობა** რესტავრატორის საქმიანობა.

**რესტავრაცია** *რესტავრაციის* I. დაზიანებული ნივთების, შენობების, ხელოვნების ნიმუშებისა და მისთ. აღდგენა. *რესტავრაცია მიმდინარეობს. ეკლესიის რესტავრაცია.* 2. ძველი, დამხობილი სახელმწიფო რეჟიმის ხელახალი დამყარება. *მონარქიის რესტავრაცია.*

**რესტავრირება** *რესტავრირების* იგივეა, რაც რესტავრაცია. *გუმბათის რესტავრირება აუცილებელია.*

**რესტავრირებული** *რესტავრირებულის* რისი რესტავრირებაც მოხდა. *რესტავრირებული წიგნები.*

**რესტორანი** *რესტორნის* კეთილმოწყობილი სასადილო მაღალი ხარისხის მომსახურებით, ჩვეულებრივ, გასართობი პროგრამით. *რესტორანში დაპატიჟეს. რესტორნის მომღერალი.*

**რესურსი** *რესურსის* (ძირითადად მრ.) რაიმეს მარაგი. *ბუნებრივი რესურსები. ფულადი რესურსები.*

**რეტდასხმული** *რეტდასხმულის* თავბრუდახვეული, დარეტიანებული. *უბედურებისგან რეტდასხმული.*

**რეტი** *რეტის* იგივეა, რაც თავბრუ. *რეტი დაესხა.*

**რეტიანი** *რეტიანის* ვინც წონასწორობა დაკარგა, ვისაც რეტი დაესხა. *რეტიანი ქალი.*

**რეტრანსლაცია** *რეტრანსლაციის* ტელე- ან რადიოსიგნალის მიღება და გადაცემა შუალედური სადგურის საშუალებით. *რეტრანსლაციის ხარვეზები.* შეცდომაა რეტრანსლიაცია

**რეტროგრადი** *რეტროგრადის* ძველი, ჩამორჩენილი შეხედულებების ადამიანი, რომელიც პროგრესის მოწინააღმდეგეა. *რეტროგრადი მშობლები ჰყავს.*

**რეტროგრადული** *რეტროგრადულის* დრომოჭმული, ჩამორჩენილი. *რეტროგრადული იდეები.*

**რეტროსპექტული** *რეტროსპექტულის* წარსულზე ორიენტირებული, წარსულისადმი მიძღვნილი. *რეტროსპექტული განხილვა. რეტროსპექტული გამოფენა.*

**რეტროსპექცია** *რეტროსპექციის* რაიმეს განხილვა უკუდინამიკაში ახლანდელიდან წარსულისკენ.

**რეფერატი** *რეფერატის* მეცნიერული ნაშრომის, წიგნისა და მისთ. შინაარსის ძირითადი დებულებების მოკლე გადმოცემა, მიმოხილვა. *რეფერატი მოამზადა. მონოგრაფიის რეფერატი.*

**რეფერენდუმი** *რეფერენდუმის* საერთო სახალხო გამოკითხვა და კენჭისყრა მნიშვნელოვანი სახელმწიფოებრივი საკითხების გადასაწყვეტად. *რეფერენდუმის შედეგები. რეფერენდუმი ჩატარდა.*

**რეფერენტი** *რეფერენტის* თანამდებობის პირი, რომელიც გარკვეული საკითხების შესახებ წერს რეფერატებს, ინფორმაციას აწვდის, კონსულტაციას უწევს დაინტერესებულ პირებს. *რეფერენტმა თარგმნა.*

**რეფლექსი** *რეფლექსის* ორგანიზმის უნებლიე რეაქცია გარე გაღიზიანებაზე. *რეფლექსი გამოუმუშავდა.*

**რეფლექსური** *რეფლექსურის* უნებლიე, რეფლექსის სახისა. *რეფლექსური მოძრაობა.*

**რეფლექტორი** *რეფლექტორის* I. სხივების ამრეკლავი ლითონის ან მინის ჩაზნექილი სარკე, იყენებენ ოპტიკურ სისტემებში, ელექტროდანადგარებში. 2. ელექტრული გამათბობელი, რომელსაც სიმხურვალის ამრეკლავი ზედაპირი აქვს. *ზამთარში ოთახს რეფლექტორით ათბობენ.* 3. ტელესკოპის ერთ-ერთი სახეობა, რომელსაც სარკიანი ობიექტივი აქვს.

**რეფორმა** *რეფორმის* პროცესის, სისტემისა და მისთ. შეცვლა, გარდაქმნა. *განათლების რეფორმა. საკანონმდებლო რეფორმა.*

**რეფორმატორი** *რეფორმატორის* პირი, რომელიც რეფორმას ატარებს. *ეკონომიკის რეფორმატორი.*

**რეფორმირება** *რეფორმირების* რეფორმის ჩატარება, შეცვლა, გარდაქმნა. *დეპარტამენტის რეფორმირება.*

**რეფორმირებული** *რეფორმირებულის* რეფორმის შედეგად გარდაქმნილი, შეცვლილი. *რეფორმირებული უნივერსიტეტი.*

**რექტორატი** *რექტორატის* უმაღლესი სასწავლებლის ადმინისტრაციულ-სასწავლო ხელმძღვანელობა. *რექტორატს მიმართა.*

**რექტორი** *რექტორის* უმაღლესი სასწავლებლის ხელმძღვანელი. *უნივერსიტეტის რექტორი. სამხატვრო აკადემიის რექტორი. რექტორის ბრძანება.*

**რეჩხი** *რეჩხის* ◉ **გულმა რეჩხი უყო** საუბრ. გულმა რაღაც ცუდი უგრძნო.

**რეცენზენტი** *რეცენზენტის* რეცენზიის ავტორი. *რეცენზენტის შეფასება. დისერტაციის რეცენზენტი.*

**რეცენზია** *რეცენზიის* ლიტერატურული ან მეცნიერული ნაშრომის, ფილმის, წარმოდგენისა და მისთ. განხილვა, შეფასება. *ვრცელი რეცენზია. რეცენზია გამოაქვეყნა.*

**რეცენზირება** *რეცენზირების* რეცენზიის დაწერა. *სადისერტაციო ნაშრომის რეცენზირება.*

**რეცეპტი** *რეცეპტის* 1. ექიმის მიერ შედგენილი ბარათი, რომელზეც აღნიშნულია წამლების დასახელება, შემადგენლობა და მიღების წესი. *რეცეპტი გამოუწერა.* 2. რაიმეს მომზადების წესი. *ნამცხვრის რეცეპტი. რეცეპტების წიგნი.*

**რეციდივი** *რეციდივის* 1. მედიც. მორჩენილი ავადმყოფობის ხელახალი გამეორება. *ტრავმის რეციდივი.* 2. სამართ. დანაშაულის განმეორებით ჩადენა. *ქალაქში რეციდივები გახშირდა.*

**რეციდივისტი** *რეციდივისტის* ბოროტმოქმედი, რომელსაც არაერთი დანაშაული აქვს ჩადენილი. *საშიში რეციდივისტი.*

**რეცხვა** *რეცხვის* (რეცხავს, ირეცხავს, ურეცხავს, ირეცხება, არეცხვინებს) ↑ **გარეცხვა**. *დედა ჭურჭელს რეცხავს. თეთრეულს ურეცხავს.*

**რეწვა** *რეწვის* 1. სამრეწველო ნედლეულის მოპოვება, შეგროვება. *თევზის რეწვა. გემით რეწვა. ბენზეულის რეწვა.* 2. ნვრილი ხელოსნობა. *ხალხური რეწვა. რეწვის დარგები.*

**რეხვა** *რეხვის* (რეხვავს) საუბრ. ძლიერი დარტყმა. *მუშტი რეხვა. კარებს კეტი რეხვა.*

**რეჰანი** *რეჰანის* ფართოდ გავრცელებული სურნელოვანი მწვანილი, აქვს ღეროზე განლაგებული კვერცხის ფორმის ფოთლები, გამოიყენება სანელებლად. *რეჰანის კონა.*

**რვა** *რვის* რიცხვი 8. *რვა სკამი. რვა მეგობარი.*

**რვაასი** *რვაასის* რიცხვი 800. *რვაასი მოსწავლე.*

**რეული** *რეულის* აკინძული, ყდაში ჩასმული, მართკუთხედის ფორმის ფურცლები, გამოიყენება საწერად, სახაზავად ან სახატავად. *უჯრებიანი რეული. სახატავი რეული.*

**რთვა** *რთვის* (ართავს, ირთვება) 1. ↑ **დართვა**[1]. *ძაფს ართავს.*

**რთველი** *რთველის* ყურძნის მოსავლის აღება. *რთველი დაიწყო. რთველში დაგეპატიჟეს.*

**რთველობა** *რთველობის* დრო, როცა რთველები იმართება. *რთველობა მოახლოვდა.*

**რთული** *რთულის* 1. ძნელად შესასრულებელი, ძნელად გასაგები, ამოსაცნობი. *რთული ამოცანა. რთული გზა.* ↔ **ადვილი, იოლი**. 2. რაც სხვადასხვა ნანილისგან, ელემენტისგან შედგება. *რთული წინადადება. რთული ნივთიერება.* ↔ **მარტივი**.

**რია-რია** *რია-რიას* საუბრ. არეულობა, აურზაური, ალიაქოთი. *რია-რია ატყდა.*

**რიგგარეშე** *რიგგარეშეს* რაც რიგის (2) გარეშე ხდება, საგანგებო. *რიგგარეშე სესია.*

**რიგი** *რიგის* 1. ერთ ხაზზე განლაგებული ადამიანების, საგნების წყება. *ხეების რიგი. პირველ რიგში ზის. სამ რიგად სხედან.* 2. თანმიმდევრობა, ჯერი. *ვისი რიგია?* 3. ზოგი, ზოგიერთი, საკმაოდ ბევრი. *რიგი საკითხებისა.* ⊙ **ყველაფერი რიგზეა** ყველაფერი კარგად არის, წესრიგშია.

**რიგიანი** *რიგიანის* საკმაოდ კარგი, ხეირიანი. *რიგიანი სიტყვა თქვა. რიგიანად მოიქეცი!*

**რიგითი** *რიგითის* 1. რიგის ამსახველი. *რიგითი ნომერი.* 2. ჩვეულებრივი, არაგანსაკუთრებული, არაგამორჩეული. *რიგითი მოქალაქე.* 3. სამხედრო პირი, რომელიც მეთაურთა შემადგენლობას არ ეკუთვნის. *რიგითი ჯარისკაცი.*

**რიგითობა** *რიგითობის* გარკვეული ადგილი რიგში, თანმიმდევრობა. *საკითხის რიგითობა განსაზღვრეს. რიგითობას იცავს.*

**რიგ-რიგად** ზმნზ. რიგების ან ერთმანეთის მიყოლებით. *მოსწავლეები რიგ-რიგად გამოვიდნენ.*

**რიგრიგობით** ზმნზ. რიგის მიხედვით, ერთმანეთის მიყოლებით. *რიგრიგობით აძლევდნენ შეკითხვებს.*

**რიდე** *რიდის* ძვ. იგივეა, რაც მანდილი.

**რიდი** *რიდის* მორიდება, მოკრძალება, ვინმეს მიმართ პატივისცემის გრძნობა. *უფროსების რიდი აქვს.*

**რითმა** *რითმის* ერთი და იმავე ან მსგავსი ბგერების გამეორება სალექსო სტრიქონის ბოლოს. *ზუსტი რითმა.*

**რიკაობა** *რიკაობის* (რიკაობს) საბავშვო თამაში რიკით (პატარა ჯოხით). *ეზოში რიკაობენ.*

**რიკი** *რიკის* პატარა, მოკლე ჯოხი, იყენებენ რაიმეში გასაყრელად ან დასამაგრებლად. *ხის რიკი. ხრახნიანი რიკი.*

**რიკოშეტი** *რიკოშეტის* გასროლილი და სწრაფად მოძრავი სხეულის ასხლეტა რაიმე ზედაპირზე მოხვედრის შედეგად. *ტყვია რიკოშეტით მოხვდა.*

**რიკული** *რიკულის* მცირე ზომის ძელი, რომელზეც სხვადასხვა ფორმის დეკორატიული ფიგურებია ამოჭრილი. *აივნის რიკულები.* ▮ **რიკულებიანი** რიკულების მქონე. *რიკულებიანი კიბე. რიკულებიანი კარადა.*

**რიმეიკი** *რიმეიკის* კინოფილმის ხელმეორედ გადაღება, მისი გათანამედროვებული ვერსია. *ფილმის რიმეიკი გადაიღეს.*

**რინგი** *რინგის* თოკებით შემოზღუდული, კვადრატული ფორმის მოედანი კრივში შეჯიბრებისთვის. *მოკრივეები რინგ ზე გამოვიდნენ.*

**რიჟრაჟი** *რიჟრაჟის* განთიადი, გარიჟრაჟი. *რიჟრაჟი იყო.*

**რისკი** *რისკის* ხიფათის, მარცხის საშიშროება. *დიდი რისკია.* ⊙ **რისკს გასწევს/რისკზე წავა** სახიფათო მდგომარეობაში ჩაიგდებს თავს.

**რისკიანი** *რისკიანის* 1. ვისაც რისკზე წასვლა შეუძლია. *რისკიანი ადამიანი.* 2. სახიფათო, საშიში. *რისკიანი საქმე.*

**რისხვა** *რისხვის* ძლიერი სიბრაზე, საშინელი წყრომა. *რისხვა დაიმსახურა. ღვთის რისხვა.*

**რიტმი** *რიტმის* ბგერების, მოძრაობისა და მისთ. პერიოდული მონაცვლეობა, რითაც მიიღწევა ემოციური ეფექტი. *ლექსის რიტმი. ცეკვის რიტმი.* ■ **რიტმული** რასაც რიტმი ახასიათებს. *რიტმული მელოდია. რიტმული პროზა.*

**რიტმულობა** *რიტმულობის* რიტმის შემცველობა. *მხატვრული ტექსტის რიტმულობა.*

**რიტორი** *რიტორის* იგივეა, რაც მჭევრმეტყველი.

**რიტორიკა** *რიტორიკის* მჭევრმეტყველების თეორია. *რიტორიკის სახელმძღვანელო.*

**რიტორიკული** *რიტორიკულის* რიტორიკაზე აგებული, რიტორიკაზე დამყარებული, ორატორული. *რიტორიკული გამოსვლა.* ⊙ **რიტორიკული შეკითხვა** შეკითხვა, რომელიც პასუხს თავადვე გულისხმობს.

**რიტუალი** *რიტუალის* ერთობლიობა გარკვეული მოქმედებებისა, რომლებიც თანმიმდევრულად სრულდება რაიმეს აღნიშვნის, ზეიმისა და მისთ. დროს. *საქორწინო რიტუალი. რელიგიური რიტუალი.*

**რიფი** *რიფის* წყალქვეშა კლდე ოკეანეებსა და ზღვებში. *გემი რიფს წამოედო.*

**რიყე** *რიყის* ქვიანი ადგილი, ჩვეულებრივ, მდინარის პირას. *რიყე ზე გავიდნენ.*

**რიყიანი** *რიყიანის* სადაც რიყეა. *რიყიანი ჭალა.*

**რიცხვი** *რიცხვის* 1. რაოდენობის გამომხატველი სიდიდე. *მთელი რიცხვი. ლუწი რიცხვები.* 2. იგივეა, რაც რაოდენობა. *მოსახლეობის რიცხვი.* 3. თვის ესა თუ ის დღე. *დღეს რა რიცხვია?*

**რიცხვითი** *რიცხვითის* რიცხვის გამომხატველი, რაოდენობის მაჩვენებელი. *რიცხვითი გამოხატულება.* ⊙ **რიცხვითი სახელი** გრამატ. მეტყველების ნაწილი, რომელიც განსაზღვრავს სახელს რაოდენობის ან რიგის მიხედვით, ან გამოხატავს საგნის ნაწილს მთელთან მიმართებით.

**რიცხვმრავალი** *რიცხვმრავლის* იგივეა, რაც მრავალრიცხოვანი. *რიცხვმრავალი ჯოგი. რიცხვმრავალი ოჯახი.*

**რიცხობრივი** *რიცხობრივის* იგივეა, რაც რიცხვითი. *რიცხობრივი მახასიათებელი.*

**რიცხოვნობა** *რიცხოვნობის* იგივეა, რაც რაოდენობა. *დაღუპულთა რიცხოვნობა გაიზარდა.*

**რიწკინი** *რიწკინის* (რიწკინებს) იგივეა, რაც წკარუნი. *ჭურჭელმა რიწკინი დაიწყო. ჭიქები რიწკინებს.*

**რიხი** *რიხის* საუბრის ტონი ან საქციელი, რომელიც საკუთარი შესაძლებლობების რწმენას გამოხატავს. *რიხით თქვა. მის მოქმედებას რიხი დაეტყო.*

**რიხიანი** *რიხიანის* ძლიერ თავდაჯერებული, თამამი, რიხის მქონე. *რიხიანი ადამიანი. რიხიანი საქციელი.* ▲ **რიხიანად** ზმნზ. გაბედულად, ომახიანად. *მოხსენება რიხიანად დაიწყო.*

**რიხინი** *რიხინის* (რიხინებს) მძიმე საგნების ერთმანეთზე დარტყმა ხმაურით, ხმის გამოცემით. *ქვაბების რიხინი.*

**რკალი** *რკალის* 1. ნრენირის ან სხვა მრუდი ხაზის მონაკვეთი. 2. გადატ. წრე, ალყა, გარემოცვა. *ცეცხლის რკალი გაარღვიეს. რკალი შეკრეს.*

**რკვევა** *რკვევის* (არკვევს, ირკვევა, ერკვევა, არკვეინებს) ↑ **გარკვევა**. *მუსიკაში კარგად ერკვევა.*

**რკინა** *რკინის* მოვერცხლისფრო მძიმე ლითონი. *რკინის კარი. რკინის კეტი. რკინის მადანი.*

**რკინაბეტონი** *რკინაბეტონის* რკინის კონსტრუქციითა და ბეტონით საშენი მასალა. *რკინაბეტონის ხიდი. რკინაბეტონის ნაგებობა.*

**რკინიგზა** *რკინიგზის* 1. სპეციალური გზა, რომელზეც მატარებელი გადაადგილდება. *რკინიგზის სადგური. საქართველოს რკინიგზა.* 2. ორგანიზაცია, რომელიც განაგებს სარკინიგზო ტრანსპორტს.

**რკინიგზელი** *რკინიგზელის* სარკინიგზო სამსახურის მუშაკი. *რკინიგზელთა გაფიცვა.*

**რკო** *რკოს* მუხის ნაყოფი, გამოიყენება ზოგიერთი ცხოველის საკვებად.

**რობოტი** *რობოტის* ავტომატი, რომელიც ადამიანის მოქმედებათა მსგავს ოპერაციებს ასრულებს.

**როგორ** ზმნზ. 1. რანაირად, რა საშუალებით, რა გზით. *როგორ მოვიქცე?* 2. რა ძალიან, რა ძლიერ (გამოიყენება გაკვირვების, აღტაცებისა და მისთ. გამოხატვისას). *როგორ გალამაზებულა! როგორ უხდებიან ერთმანეთს!* 3. არ, ვერ (გამოიყენება ისეთი მოქმედების გამოხატვისას, რომლის შესრულება დაუშვებლად მიიჩნიათ). *ამას როგორ ი ზამდა! უარს როგორ გვეტყვის!* ⊙ **როგორ არა** უეჭველად, რასაკვირველია, რა თქმა უნდა.

**როგორი** *როგორის* რა სახისა, რანაირი. *როგორი ამინდია? როგორი ჩანთა მოგწონს?*

**როგორმე** ზმნზ. რაიმე საშუალებით, რამენაირად. *როგორმე უნდა დავბრუნდეთ. იქნებ როგორმე მომეხმაროთ!*

**როგორღა** ზმნზ. მაშ როგორ, კიდევ როგორ, მაინც როგორ. *როგორღა უნდა გვთხოვოს დახმარება?*

**როგორღაც** ზმნზ. რაღაც გზით, რამენაირად, რაღაცნაირად. *როგორღაც შეძლეს უკან დაბრუნება. როგორღაც უნდა გადაეწყვიტოთ.*

**როგორც** კავშ. 1. რა სახითაც. *როგორც წარმოვთქვამთ, ისე ვწერთ.* 2. რაიმეს სახით, რაიმეს დანიშნულებით. *ენა, როგორც ურთიერთობის საშუალება.* ⊙ **როგორც იქნა** ძლივს, გაჭირვებით.

**როდემდე** ზმნზ. რა დრომდე, სანამ. *როდემდე გელოდოთ?*

**როდემდის** ზმნზ. ||**როდემდე** *როდემდის უნდა აკეთოთ ეს საქმე?*

როდესაც კავშ. რა დროსაც, როცა. *როდესაც ვარჯიშობს, თავს უკეთესად გრძნობს.*

**როდინდელი** *როდინდელის* როდის არსებული, როდის გაკეთებული, როდის შექმნილი. *როდინდელ ამბავს მიყვები? როდინდელი გაზეთია?*

**როდინი** *როდინის* ხის, ლითონის ან სხვა მასალის ღრმა ჭურჭელი, რომელშიც ქვასანაყით ნიგოზს, ნიორს, სუნელსა და მისთ. ნაყავენ. *ფაიფურის როდინი.*


როდინი

**როდის** ზმნზ. რა დროს. *როდის დაბრუნდები? როდის მოხდა ეს?* ▪ **როდის-როდის** დაგვიანებით, კარგა ხნის შემდეგ. *როდის-როდის გაირკვა სიმართლე.* ⊙ **არც როდის** არასდროს, არასოდეს.

**როდისმე** ზმნზ. რომელიმე დროს (მომავალში). *როდისმე მოვა. როდისმე დამთავრდება მშენებლობა.*

**როდისღა** ზმნზ. კიდევ როდის, მერე როდის, მაინც როდის. *როდისღა შევძლებ თქვენთან შეხვედრას?*

**როდისღაც** ზმნზ. რომელიმე დროს (წარსულში ან მომავალში). *როდისღაც აქ უცხოვრიათ. როდისღაც შეძლებს დაბრუნებას.*

**როზგვა** *როზგვის* (როზგავს, იროზგება) ↑ **გაროზგვა**. *ურჩობისთვის როზგავდნენ.*

**როზგი** *როზგის* გრძელი, მსხვილი წკეპლა, იყენებდნენ დამნაშავეების დასასჯელად. *როზგის დაკერა. როზგით დასჯა.*

**როიალი** *როიალის* დაბალი, ოვალური ფორმის კლავიშიანი სამუსიკო ინსტრუმენტი, რომელიც ბგერას გამოსცემს ჰორიზონტალურად გაჭიმულ სიმებზე კლავიშის დარტყმით. *როიალს უკრავს. საკონცერტო როიალი.*

როიალი

**როკაპი** *როკაპის* 1. კუდიანების უფროსი. 2. ავი, ბოროტი დედაბერი. *როკაპი დედაკაცი.*

**როკვა** *როკვის* (როკავს) იგივეა, რაც ცეკვა. *გიჟური როკვა.*

**როკი** *როკის* წაჭრილი ტოტის ხეზე დარჩენილი ნაწილი, ძირი. *ფუთა როკზე ჩამოკიდა.*

**როლი** *როლის* 1. პიესის ან სცენარის მოქმედი პირი, რომელსაც მსახიობი განასახიერებს. *მთავარი როლის შემსრულებელი.* 2. მოქმედი პირის ტექსტი პიესაში. *როლი კარგად დაისწავლა.* 3. გადატ. ამა თუ იმ საქმეში ვინმეს (რაიმეს) მონაწილეობის მნიშვნელობა. *მშობლის როლი ბავშვის აღზრდაში.*

**რომ** კავშ. გამოიყენება ისეთი წინადადების დასაკავშირებლად, რომელშიც გამოხატულია მეორე წინადადებაში გადმოცემული მოქმედების ობიექტი, მიზანი და მისთ. *მიხარია, რომ ერთად ვართ.*

**რომანი** *რომანის* 1. დიდი ზომის პროზაული ნაწარმოები. *ისტორიული რომანი. რომანის გმირი.* 2. საუბრ. სასიყვარულო ურთიერთობა ქალსა და მამაკაცს შორის. *რომანი გააბეს. ხანგრძლივი რომანი.*

**რომანსი** *რომანსის* მუსიკალური ნაწარმოები, რომელიც გამოხატავს სასიყვარულო განცდებს; ლირიკული სიმღერა. *ქართული რომანსი. რომანსის შესრულება.*

**რომანტიზმი** *რომანტიზმის* მიმართულება ლიტერატურასა და ხელოვნებაში. *რომანტიზმის მიმდევარი.*

**რომანტიკა** *რომანტიკის* ემოციური და ამაღლებული დამოკიდებულება რაიმეს მიმართ. *წარსულის რომანტიკა.*

**რომანტიკოსი** *რომანტიკოსის* 1. რომანტიზმის მიმდევარი, ხელოვანი. *რომანტიკოსთა ლექსები. ქართველი რომანტიკოსები.* 2. მეოცნებე, გრძნობებს აყოლილი ადამიანი.

**რომანტიკული** *რომანტიკულის* გრძნობისმიერად ამაღლებული, რომანტიკის შემცველი. *რომანტიკული განწყობილება.*

**რომბი** *რომბის* მათ. ტოლგვერდა პარალელოგრამი, რომელსაც ირიბი კუთხეები აქვს. *რომბის ფართობი.*


რომბი

**რომელი** *რომლის* ნაცვ. 1. რიგის მიხედვით მერამდენე. *რომელ სართულზე ცხოვრობ?* 2. მრავლიდან ვინ ან რა, ეს თუ ის. *რომელმა გუნდმა გაიმარჯვა? რომელი ბავშვი დატოვეს?*

**რომელიმე** *რომელიმეს* ნაცვ. განუსაზღვრელი, მრავლიდან ერთი. *რომელიმე სტუდენტი. რომელიმე სოფელი.*

**რომელიღაც** ნაცვ. გაურკვეველი, განუსაზღვრელი, რომელიმე. *რომელიღაც მხატვარი. რომელიღაც უბანში.*

**რომელიც** ნაცვ. ის, ვინც (რაც). *ის ბავშვი მომეწონა, რომელიც მღეროდა.*

**რომც** ნაწილაკ. თუნდაც. *რომც სთხოვო, მაინც არ მოვა.*

**როსკიპი** *როსკიპის* იგივეა, რაც მეძავი. *ქუჩის როსკიპი.*

**როტვა** *როტვის* (როტავს) უაზრო, უშინაარსო, სულელური ლაპარაკი. *მის როტვას ყურს არავინ უგდებდა. რაღაცას როტავს.*

**როქი** *როქის* მეფისა და ეტლის თანადროული სვლა ჭადრაკში.

**როყიო** *როყიოს* 1. უხეში, წინდაუხედავი (სიტყვა, საუბარი). *როყიო ნათქვამი.* 2. ვისაც როყიო (1) საუბარი ახასიათებს. *როყიო კაცი.*

**როყროყი** *როყროყის* (როყროყებს) უშნოდ, ყვირილით ლაპარაკი. *როყროყით ლაპარაკობს. რას როყროყებ?!*

**როშვა** *როშვის* (როშავს) უადგილოდ, დაუფიქრებლად, უჭკუოდ ლაპარაკი. *რაღაცას როშავს.*

**როში** *როშის* მსხვილად დაფქული მარცვლეული საქონლის საკვებად. *ძროხას როში აჭამა.*

**როცა** კავშ. გამოიყენება ისეთი წინადადების დასაკავშირებლად, რომელშიც გამოხატულია მეორე წინადადებაში გადმოცემული მოქმედების დრო. *როცა გათენდა, ყველა წასასვლელად მოემზადა.*

**როჭო** *როჭოს* ქათმის მსგავსი გარეული ფრინველი, ბინადრობს მაღალმთიანი ზოლის ტყეებში და მდელოებზე. *მამალი როჭო შავია.*

**როხი** *როხის* მსხვილი, უსწორმასწორო. *როხი ქვით ნაგები კედელი.*

**როხროხა** *როხროხას* ვინც როხროხებს. *როხროხა მოხუცი.*

**როხროხი** *როხროხის* (როხროხებს) მოურიდებელი, ხმამაღალი სიცილი, საუბარი. *როხროხი დაიწყო. უშნოდ როხროხებს.*

**რტო** *რტოს* იგივეა, რაც ტოტი (1). *პალმის რტო.*

**რტყმა** *რტყმის* (არტყამს, ირტყამს, ურტყამს, არტყია) 1. ძლიერად ცემა. *მთელი დღე ურტყამს. გამეტებით ურტყამდნენ. ნაქცეულს ურტყამდა.* 2. ↑ შემორტყმა. *წელზე ქამარი არტყია.*

**რუ** *რუს* პატარა არხი (1). *რუ მოჩუხჩუხებს.*

**რუბრიკა** *რუბრიკის* გაზეთის, ჟურნალისა და მისთ. განყოფილება, რომელიც აერთიანებს გარკვეული შინაარსისა და თემის მასალას. *ახალი რუბრიკა. რუბრიკის სახელწოდება.*

**რუდიმენტი** *რუდიმენტის* 1. ორგანო, რომელსაც დაკარგული აქვს პირვანდელი ფუნქცია და სრულყოფილად აღარ ვითარდება. 2. გადატ. გამქრალი მოვლენის ნარჩენი, გადმონაშთი. ■ **რუდიმენტული** რუდიმენტის თვისების მქონე. *რუდიმენტული ჩლიქები.*

**რუდუნება** *რუდუნების* წიგნ. დიდი მონდომებით, თავდაუზოგავად შრომა, ზრუნვა. *ყველაფერს რუდუნებით აკეთებს. რუდუნება არ დააკლო.*

**რუზრუზი** *რუზრუზის* (რუზრუზებს) რაიმეს გარშემო, რაიმეს გამო ატეხილი ფუსფუსი, ხმაური, აურზაური. *ეზოში რუზრუზებენ. მეზობლებმა რუზრუზი დაიწყეს.*

**რუკა** *რუკის* დედამიწის ზედაპირის ან მისი რომელიმე ნაწილის შემცირებული, სიმბოლური გამოსახულება, ნახაზი. *მსოფლიოს რუკა. საქართველოს რუკა.* შეცდომაა რუქა

**რული** *რულის* ძილის სურვილი, თვლემა. *რული მოერია.*

**რულონი** *რულონის* ქაღალდის, ქსოვილისა და მისთ. გადახვეული შეკვრა. *შპალერის რულონი.*

**რუმბი** *რუმბის* ძროხის, მოზვრის ან კამეჩის ტყავის დიდი ტიკი. *წყლით სავსე რუმბი. ღვინის რუმბი.*

**რუპორი** *რუპორის* ხმის გასაძლიერებელი მოწყობილობა, რომელსაც კონუსური მილის ფორმა აქვს, გამოიყენება გარეთავშეყრის ადგილებში გამომსვლელთა ხმის გასაძლიერებლად. *მომიტინგეებს რუპორით მიმართავენ. რუპორში ლაპარაკობს.*

**რუტინა** *რუტინის* მოძველებული წესებისა და ჩვეულებების უპირობო დაცვა, სიახლის მიუღებლობა. *საზოგადოებაში რუტინა სუფევს.* ■ **რუტინული** ჩამორჩენილი, დრომოჭმული, უცვლელი. *რუტინული სამუშაო.*

**რუხი** *რუხის* მუქი ნაცრისფერი. *რუხი კედლები. რუხი მგელი.*

**რუჯვა** *რუჯვის* (რუჯავს, ირუჯება, ერუჯება) ↑ გარუჯვა. *მზე ზე ირუჯება. კანი ერუჯება.*

**რქა** *რქის* 1. ძვლოვანი წანაზარდი ზოგიერთი ცხოველის თავზე. *ირმის რქა. რქით დაეტაკა.* 2. იგივეა, რაც ყანწი. *ღვინით სავსე რქა მიართვეს.* 3. ვაზის ერთი წლის ნაზარდი ლერწი. *ვენახს კარგი რქა აქვს.* ⊙ **სამამულე რქა** ორ კვირტზე გადაჭრილი ლერწი, რომელსაც ვაზს უტოვებენ სამომავლოდ.

**რქაწითელი** *რქაწითლის* 1. ვაზის ჯიში, აქვს წაბლისფერ-მოწითალო რქა და მომწვანო-ქარვისფერი მარცვლები, გავრცელებულია კახეთში. *რქაწითლის მტევანი.* 2. რქაწითლისგან (1) დაყენებული ღვინო. *რქაწითელი სვეს.*

**რქენა** *რქენის* (რქენს, ირქინება) რქებით დატაკება. *ხარმა რქენა იცის. რქენა დაუწყო. ბავშვს ურქინა.*

**რქენია** *რქენიას* პირუტყვი, რომელიც ირქინება. *რქენია ძროხა. რქენია ხარი.*

**რქიანი** *რქიანის* 1. რასაც რქები აქვს. *რქიანი ცხოველი.* 2. საუბრ. გადატ. რეგვენი, შეუგნებელი. *დიდი რქიანი ვინმეა.*

**რქმევა** *რქმევის* (ჰქვია) რაიმე სახელის ქონა. *ბავშვს ბებიის სახელი ჰქვია.*

**რქოვანა** *რქოვანას* თვალის კაკლის გარსის წინა გამჭვირვალე ნაწილი. *რქოვანა დაუზიანდა.*

**რქოვანი** *რქოვანის* მკვრივი ქსოვილისგან შედგენილი. *რქოვანი გამონაზარდი. რქოვანი გარსი.*

**რქოსანი** *რქოსნის* რქების მქონე შინაური პირუტყვი. *მსხვილფეხა რქოსანი საქონელი.*

**რღვევა** *რღვევის* (არღვევს, ურღვევს, ირღვევა, ერღვევა, არღვევინებს) 1. ↑ გარღვევა (1). *ნაკერი ირღვევა.* 2. ↑ დარღვევა (2). *პირობას არღვევს. სიმყუდროვეს ურღვევს.*

**რყევა** *რყევის* (არყევს, ურყევს, ირყევა, ერყევა) 1. ↑ მორყევა. *კბილი მერყევა. ტახტი ირყევა.* 2. ↑ შერყევა. *მიწა ირყევა. სახლი ირყევა.*

რყევითი *რყევითის* რყევის ხასიათისა. *რყევითი მოძრაობა.*

რყვნა *რყვნის* (რყვნის, ირყვნება) ↑ გარყვნა. *მოზარდები ირყვნებიან. ძალაუფლება ადამიანს რყვნის.*

რჩევა *რჩევის* (არჩევს, ირჩევს, ურჩევს, ირჩევა, ურჩევნია, არჩევინებს) 1. ↑ ამორჩევა. *კაბას ვირჩევ. საცოლეს ირჩევს.* 2. ↑ გარჩევა. *რთულ ტექსტს არჩევს. ტყუილს და მართალს ვერ არჩევს.* 3. დარიგების მიცემა. *ექიმთან წასვლა მირჩიეს. რჩევა სხვას ჰკითხე.* 4. უმჯობესად, უკეთესად მიჩნევა. *წასვლა არჩია. თამაში ყველაფერს ურჩევნია.*

რჩენა *რჩენის* (არჩენს, ირჩენს, ურჩენს) ვინმესთვის სასიცოცხლოდ აუცილებელი პირობების შექმნა. *ოჯახის რჩენა. მშობლებს არჩენს.*

რჩეული *რჩეულის* საუკეთესო, ღირსებით გამორჩეული. *რჩეული თხზულებები. საზოგადოების რჩეული წევრები.*

რჩოლა *რჩოლის* (ერჩის) 1. შუბლით ან რქებით დატაკება. *ხარმა რჩოლა იცის.* 2. გადატ. ვინმესთვის რაიმეს დაშავება, სიავის კეთება. *ძაღლი გამვლელებს ერჩის. რას მერჩი?*

რცხილა *რცხილის* ფოთლოვანი ხე, აქვს ნაცრისფერი ქერქი, მძიმე და მაგარი მერქანი და დაკბილული ფოთლები. *რცხილის შეშა.*

რძალი *რძლის* შვილის, ძმის, მაზლის ან სხვა ნათესავის ცოლი. *უფროსი რძალი.* ▪ **რძალ-დედამთილი** რძალი და დედამთილი. ▪ **რძალ-მული** რძალი და მული.

რძე *რძის* 1. ძროხის ან ზოგიერთი სხვა ცხოველის სარძევე ჯირკვლებიდან გამოყოფილი სითხე, რომლისგანაც მზადდება ყველი, კარაქი და სხვა პროდუქტები. *თხის რძე. რძე აადუღა.* 2. თეთრი სითხე, რომელიც გამოიყოფა ქალის ან ძუძუმწოვარი ცხოველების სარძევე ჯირკვლებიდან ახალშობილის გამოსაკვებად. *დედის რძე.* 3. ზოგიერთი მცენარის თეთრი ან მოყვითალო წვენი. *ლელვის რძე.* ⊙ **დედის რძესავით** შეერგება ძალიან არგებს, წაადგება.

რძიანა *რძიანას* მრავალწლოვანი ბალახოვანი ან ბუჩქოვანი მცენარე, ღეროს მოტეხისას რძისფერი წვენი გამოსდის.

რძიანი *რძიანის* 1. რაშიც რძეა, რასაც რძე ურევია. *რძიანი ბალახი. რძიანი ყავა.* 2. ბევრის მეწველი, ბევრი რძის მომცემი. *რძიანი ცხვარი. რძიანი ფური.*

რწევა *რწევის* (არწევს, ურწევს, ირწევა) აქეთ-იქით ქანაობა. *ნავი ირწევა. ქარი ტოტებს არწევს.*

რწმენა *რწმენის* (სწამს) 1. რაიმეს დაჯერება, სარწმუნოდ მიჩნევა. *მტკიცედ სწამს.* 2. მრწამსი, მსოფლმხედველობა, რელიგია. *ღვთის რწმენა. ღმერთი სწამს.*

რწმუნება *რწმუნების* (არწმუნებს, რწმუნდება) 1. ↑ დარწმუნება. 2. იგივეა, რაც რწმუნებულება.

რწმუნებულება *რწმუნებულების* უფლება, რომელიც აქვთ რაიმეს შესასრულებლად; ამ უფლების დამადასტურებელი საბუთი. *რწმუნებულება მიიღო. რწმუნებულება წარადგინა.*

რწმუნებული *რწმუნებულის* პირი, რომელსაც ოფიციალურად მინიჭებული აქვს გარკვეული უფლებამოსილებანი ორგანიზაციის ან კერძო პირის მიერ და იცავს მათ ინტერესებს. *უბნის რწმუნებული. სოფლის რწმუნებული.*

რწყევა *რწყევის* (არწყევს) იგივეა, რაც ღებინება. *ჭამის შემდეგ არწყია.*

რწყვა *რწყვის* (რწყავს, ურწყავს, ირწყვება) ↑ მორწყვა. *ნარგავებს კარგად რწყავენ. მინდორი ირწყვება.*

რწყილი *რწყილის* პატარა, უფრთო პარაზიტი მწერი, რომელიც ხტუნვით მოძრაობს. *რწყილი შეესია.*

რჭობა *რჭობის* (არჭობს, ირჭობს, ურჭობს, ერჭობა) 1. ↑ შერჭობა. *ნემსს არჭობს.* 1. ↑ ჩარჭობა. *სარს მიწაში არჭობს.*

რხევა *რხევის* (არხევს, ირხევა, ერხევა) 1. ნელა მოძრაობა, აქეთ-იქით ქანაობა. *ქარი ფოთლებს არხევს. ტოტები ირხევა.* 2. ტექნ. მოძრაობა, რომელიც პერიოდულად მეორდება. *ელექტრომაგნიტური რხევა.*

რხევითი *რხევითის* რხევის ხასიათისა. *რხევითი მოძრაობა.*

რჯული *რჯულის* იგივეა, რაც სარწმუნოება. *ქრისტეს რჯული. მაჰმადის რჯული.*

რჯულძაღლი *რჯულძაღლის* სალანძღავი სიტყვა. *რა მიქნა ამ რჯულძაღლმა!*

# – ს –

სააბაზანო *სააბაზანოს* 1. აბაზანისთვის განკუთვნილი. *სააბაზანო აქსესუარები.* 2. ოთახი ან ნაგებობა, სადაც აბაზანა არის მოთავსებული. *სააბაზანოში შევიდა.*

სააბონენტო *სააბონენტოს* აბონენტის კუთვნილი. *სააბონენტო ბარათი.*

სააგარაკო *სააგარაკოს* აგარაკისთვის განკუთვნილი. *სააგარაკო ნაკვეთი.*

სააგენტო *სააგენტოს* 1. ზოგიერთი დაწესებულების სახელწოდება. *საინფორმაციო სააგენტო.* 2. ამა თუ იმ ორგანიზაციის ადგილობრივი განყოფილება. *აეროფლოტის სააგენტო.*

სააგიტაციო *სააგიტაციოს* აგიტაციისთვის განკუთვნილი. *სააგიტაციო პლაკატი.*

საადრეო *საადრეოს* რაც ჩვეულებრივზე ადრე შემოდის (ხილი, ბოსტნეული და მისთ.). *საადრეო ჯიშები. საადრეო ატამი.* ↔ საგვიანო.

საავადმყოფო *საავადმყოფოს* სამკურნალო დაწესებულება მწოლიარე ავადმყოფებისთვის. *საავადმყოფოში დააწვინეს.*

საავარიო *საავარიოს* ავარიასთან დაკავშირებული. *საავარიო ჯგუფი. საავარიო მანქანა. საავარიო სიტუაცია.*

საავდრო *საავდროს* ავდრის მომასწავებელი, ავდრის მაუწყებელი. *სააავდრო ღრუბელი.*

საავიაციო *საავიაციოს* ავიაციისთვის განკუთვნილი. *სააავიაციო ქარხანა. სააავიაციო ბენზინი.*

საავტომობილო *საავტომობილოს* ავტომობილისთვის განკუთვნილი. *სააავტომობილო გზა.*

საავტორო *საავტოროს* ავტორისთვის განკუთვნილი. *სააავტორო ეგზემპლარი.*

საათა *საათას* ერთწლოვანი სარეველა მცენარე, აქვს მსხვილი, მოყვითალო, მზისკენ მიქცეული ყვავილები.

საათი *საათის* 1. ხელსაწყო ან მექანიზმი, რომელიც აითვლის და უჩვენებს დროს დღე-ღამის ფარგლებში. *მაჯის საათი. ქვიშის საათი. საათის ისრები. საათი მომართა.* 2. დროის ერთეული, რომელიც დღე-ღამის 1/24-ს შეესაბამება. *ერთი სააათით დაიგვიანეს. რამდენიმე სააათის შემდეგ. სახლამდე სამი სააათის სავალია.* 3. ამა თუ იმ კონკრეტული საქმიანობისთვის განკუთვნილი დრო. *აკადემიური სააათი. სალექციო სააათი.* 4. დროის გამოთვლა საათობით დღე-ღამის ფარგლებში შუადღიდან ან შუაღამიდან. *ღამის ორი სააათია. დღის სამი სააათია. საღამოს ექვს სააათზე.* 5. (ძირითადად მრ.) გარკვეული დროის მონაკვეთი. *დილის სააათები. საღამოს სააათები.* ◉ **სააათი ჩამოჰკრავს** დადგება შესაფერისი დრო, მომენტი. ◉ **სააათივით აწყობილი** მოწესრიგებული, კარგად მოგვარებული.

**სააათობით** ზმნიზ. რამდენიმე სააათის განმავლობაში, დიდხანს. *სააათობით ლაპარაკობს. სააათობით უყურებს ტელევიზორს.*

სააათობრივი *სააათობრივის* სააათების მიხედვით მიმდინარე, გამოთვლილი, წარმოდგენილი. *სააათობრივი კვება. სააათობრივი დატვირთვა. სააათობრივი გრაფიკი.*

საალერსო *საალერსოს* ალერსის გამომხატველი. *სააალერსო სიტყვები.*

სააამაყო *სააამაყოს* ვინც ან რაც სიამაყის საფუძველს იძლევა, ვისითაც ან რითაც ამაყობენ. *სააამაყო საქციელი. სააამაყო შვილი.*

სააამისო *სააამისოს* 1. ამის შესაფერისი, ამას რომ ეკადრება ისეთი. *სააამისო ქალი მეგულება. სააამისო არაფერი მაქვს.* 2. ასეთი, ამისთანა. *სააამისო არაფერი გვჭირს.* ▲ **სააამისოდ** ზმნიზ. ამისთვის. *სააამისოდ ვერ მოიცალა.*

სააკინძაო *სააკინძაოს* წიგნების, ჟურნალებისა და მისთ. აკინძვასთან დაკავშირებული. *სააკინძაო საწარმო. სააკინძაო დაზგა.*

საამო *საამოს* სიამის მომგვრელი. *სააამო ნიავი.*

საამური *საამურის* იგივეა, რაც სააამო. *საამური ამინდი. სააამური ჰანგები.* ▲ **სააამურად** ზმნიზ. სასიამოვნოდ. *სააამურად მღერის.*

სააქრო *სააქროს* ქარხნის ან ფაბრიკის განყოფილება, სადაც მიმდინარეობს საწარმო პროცესის გარკვეული სამუშაოები. *მეხუთე სააქრო. სამკერვალო სააქრო.*

**საამხანაგო** *საამხანაგოს* 1. ამხანაგად, ამხანაგობისთვის გამოსადეგი, მისაღები. *კარგი საამხანაგო ბიჭი.* 2. ამხანაგებისგან შემდგარი, ამხანაგობისთვის განკუთვნილი. *საამხანაგო წრე. კარგი საამხანაგო ჰყავს.*

**საანალიზო** *საანალიზოს* ანალიზისთვის განკუთვნილი, ანალიზისთვის საჭირო. *საანალიზო მასალა. საანალიზო ტექსტი.*

**საანგარიშო** *საანგარიშოს* არითმეტიკული გამოანგარიშებისთვის განკუთვნილი ხელსაწყო – ოთხკუთხა ხის ჩარჩო რკინის ღეროებზე ასხმული მოძრავი კოჭებით.

**საანესთეზიო** *საანესთეზიოს* ანესთეზიისთვის განკუთვნილი. *საანესთეზიო ოთახი.*

**საანკეტო** *საანკეტოს* ანკეტისთვის განკუთვნილი. *საანკეტო ფურცლები. საანკეტო მონაცემები.*

**საპელაციო** *საპელაციოს* აპელაციასთან დაკავშირებული. *საპელაციო სასამართლო.*

**საარაკო** *საარაკოს* საოცარი, გასაკვირი, წარმოუდგენელი. *საარაკო სილამაზე. საარაკო გმირობის ამბავი.*

**საარაყე** *საარაყის* არაყისთვის განკუთვნილი. *არაყის გამოსახდელად საჭირო საარაყე ქვაბი. საარაყე მასალა.*

**საარბიტრაჟო** *საარბიტრაჟოს* არბიტრაჟისთვის განკუთვნილი. *საარბიტრაჟო სასამართლო.*

**საარსებო** *საარსებოს* არსებობისთვის საჭირო, არსებობის ხელშემწყობი. *საარსებო გარემო. საარსებო რესურსები.*

**საარტილერიო** *საარტილერიოს* არტილერიისთვის განკუთვნილი. *საარტილერიო სასწავლებელი.*

**საარქივო** *საარქივოს* არქივისთვის განკუთვნილი, არქივში შესანახი. *საარქივო მასალა.*

**საარშიყო** *საარშიყოს* არშიყობისთვის განკუთვნილი. *საარშიყო ლექსი.*

**საარჩევნო** *საარჩევნოს* არჩევნების ჩასატარებლად საჭირო. *საარჩევნო ბიულეტენი. საარჩევნო პუნქტი. საარჩევნო ხმა.*

**საასპარეზო** *საასპარეზოს* ასპარეზობისთვის განკუთვნილი. *საასპარეზო დარბაზი. საასპარეზო წესები.*

**საატესტაციო** *საატესტაციოს* ატესტაციისთვის განკუთვნილი, საჭირო. *საატესტაციო კომისია.*

**სააფთიაქო** *სააფთიაქოს* აფთიაქისთვის განკუთვნილი, აფთიაქთან დაკავშირებული. *სააფთიაქო სამსახური. სააფთიაქო გაერთიანება.*

**საქაო** *საქაოს* 1. ეს ქვეყანა, წუთისოფელი. *საქაო და საიქიო.* 2. იგივეა, რაც ამქვეყნიური. *საქაო ცხოვრება.*

**საქტო** *საქტოს* აქტთან (2) დაკავშირებული. *საქტო ჩანაწერი.* ◎ **საქტო დარბაზი** სხდომებისთვის განკუთვნილი დარბაზი.

**საციზო** *საციზოს* აციზისთვის განკუთვნილი. *საციზო გადასახადი.*

**საციო** *საციოს* აციებთან დაკავშირებული. *საციო საზოგადოება.*

**საღდგომო** *საღდგომოს* აღდგომასთან დაკავშირებული, აღდგომისთვის განკუთვნილი. *საღდგომო სამზადისი. საღდგომო კვერცხი.*

**საღმზრდელო** *საღმზრდელოს* აღმზრდელობითი ხასიათის მქონე, აღზრდისთვის განკუთვნილი. *საღმზრდელო დაწესებულება. საღმზრდელო საუბრები.*

**საღრიცხვო** *საღრიცხვოს* აღრიცხვასთან დაკავშირებული, აღრიცხვისთვის განკუთვნილი. *საღრიცხვო პოლიტიკა. საღრიცხვო ბარათი.*

**საშკარაო** *საშკარაოს* ყველასათვის დასანახი, გამოაშკარავებული. *საშკარაო ამბავი.* ■ **საშკარაოდ** ზმნიზ. ყველას დასანახად, ყველას გასაგონად, საქვეყნოდ. *საშკარაოდ ითქვა.* ◎ **საშკარაოზე გამოიტანს (გამოიყვანს)** საშკარაოს გახდის.

**საახალწლო** *საახალწლოს* ახალი წლისთვის განკუთვნილი, ახალ წელთან დაკავშირებული. *საახალწლო ზეიმი. საახალწლო განწყობილება. საახალწლო სუფრა.*

**საბაბი** *საბაბის* ფაქტი, შემთხვევა, სიტუაცია, რომელიც რაიმე მოქმედების, საქციელის გამომწვევად სახელდება. *საბაბი მიეცა. გამოგონილი საბაბი. ჩხუბის საბაბი.*

**საბაგირო** *საბაგიროს* ბაგირით მოძრავი, ბაგირზე საკიდი. ◎ **საბაგირო გზა** ორ პუნქტს შორის გაჭიმული ბაგირი, რომელზეც დაკიდებული ვაგონი გადაადგილდება. ◎ **საბაგირო ხიდი** გაჭიმულ ბაგირებზე გამართული ხიდი.

**საბადო** *საბადოს* ადგილი, სადაც წიაღისეული სიმდიდრე მოიპოვება. *ოქროს საბადო. ქვანახშირის საბადო.*

**საბადრაგო** *საბადრაგოს* ბადრაგებისთვის, ბადრაგობისთვის განკუთვნილი. *საბადრაგო სამსახური. საბადრაგო დანაყოფი.*

**საბავშვო** *საბავშვოს* ბავშვებისთვის განკუთვნილი. *საბავშვო ეტლი. საბავშვო ბაღი.*

**საბაზისო** *საბაზისოს* ძირითადი, მთავარი, ამოსავალი. *საბაზისო ცოდნა.*

**საბაზო** *საბაზოს* ბაზისთვის (1) განკუთვნილი, ბაზის ფუნქციით გამოყენებული. *საბაზო კლინიკა. საბაზო განათლება. საბაზო შეთანხმება.*

**საბაზრო** *საბაზროს* ბაზრისთვის განკუთვნილი, ბაზართან დაკავშირებული. *საბაზრო ფასი. საბაზრო ეკონომიკა.*

**საბალანსო** *საბალანსოს* ბალანსთან დაკავშირებული. *საბალანსო პოლიტიკა.*

**საბალეტო** *საბალეტოს* ბალეტისთვის (1) განკუთვნილი, ბალეტთან დაკავშირებული. *საბალეტო დასი. საბალეტო სკოლა.*

**საბანაო** *საბანაოს* ბანაობისთვის განკუთვნილი. *საბანაო ადგილი. საბანაო კოსტიუმი.*

**საბანი** *საბნის* მატყლით, ბამბით, ბუმბულითა და მისთ. გამოტენილი ნაჭრის დალიანდაგებული ოთხკუთხა საგანი, რომელსაც დაწოლისას ზემოდან იფარებენ. *თხელი საბანი. საბნებს ატლასი გადააკრეს.*


საბანი

**საბანკეტო** *საბანკეტოს* ბანკეტისთვის განკუთვნილი. *საბანკეტო დარბაზი.*

**საბანკო** *საბანკოს* ბანკისთვის განკუთვნილი, ბანკისთვის დამახასიათებელი. *საბანკო ოპერაცია. საბანკო ანგარიში.*

**საბაჟო** *საბაჟოს* I. სასაზღვრო გამშვები პუნქტი, სადაც ხდება ერთი ქვეყნიდან მეორეში გადამსვლელი ხალხისა და ტვირთის კონტროლი. *საბაჟომ დააკავა.* 2. ბაჟისთვის განკუთვნილი. *საბაჟო გადასახადი.*

**საბარათო** *საბარათოს* ბარათებთან (3) დაკავშირებული, ბარათების (3) გამოყენებით შესრულებული, მიღებული. *საბარათო მომსახურება. საბარათო ანგარიში.*

**საბარგო** *საბარგოს* ბარგისთვის განკუთვნილი. *საბარგო ავტომობილი.*

**საბარგული** *საბარგულის* მსუბუქი ავტომობილის, მოტოციკლეტის, ველოსიპედის ნაწილი, რომელიც ბარგისთვისაა განკუთვნილი. *მანქანის საბარგული.* ■ **საბარგულიანი** საბარგულის მქონე. *საბარგულიანი ველოსიპედი.*

**საბედისწერო** *საბედისწეროს* ბედისწერით განსაზღვრული, საუბედურო. *საბედისწერო ნაბიჯი. საბედისწერო შეცდომა.*

**საბედნიერო** *საბედნიეროს* სასიხარულო, ბედნიერების მომნიჭებელი, ბედნიერების მომასწავებელი. *საბედნიერო ცნობა. საბედნიერო დღე.* ▲ **საბედნიეროდ** ზმნიზ. გამოხატავს კმაყოფილებას მომხდარის გამო. *საბედნიეროდ, მალე დაბრუნდა.*

**საბედო** *საბედოს* მომავალი მეუღლე – საცოლე ან საქმრო. *საბედოს ეძებს.*

**საბელი** *საბლის* სხვადასხვა სისქის დაწნული თოკი, გამოიყენება რაიმეს შესაკრავად ან დასაბმელად. *საქონლის საბელი.*

**საბენეფისო** *საბენეფისოს* ბენეფისისთვის განკუთვნილი. *საბენეფისო გამოსვლა.*

**საბერველი** *საბერველის* მჭედლის ქურასთან მიერთებული მოწყობილობა, რომლითაც ცეცხლს აღვივებენ. *ცეცხლი საბერველით ღვივდება.*

**საბეჭდი** *საბეჭდის* რითაც ან რაზეც ბეჭდავენ. *საბეჭდი მანქანა. საბეჭდი ქაღალდი.*

**საბიბლიოთეკო** *საბიბლიოთეკოსი* ბიბლიოთეკისთვის განკუთვნილი. *საბიბლიოთეკო კატალოგი.*

**საბითუმო** *საბითუმოს* ბითუმად ვაჭრობისთვის განკუთვნილი. *საბითუმო ბაზრობა. საბითუმო მაღაზია.*

**საბილიარდო** *საბილიარდოს* დარბაზი ან შენობა, სადაც ბილიარდს თამაშობენ. *საბილიარდო ოთახი. საბილიარდოში წავიდნენ.*

**საბინადრო** *საბინადროს* ბინადრობისთვის განკუთვნილი. *საბინადრო გარემო. საბინადრო ადგილები.*

**საბიუჯეტო** *საბიუჯეტოს* სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებული. *საბიუჯეტო ორგანიზაცია.*

**საბოდიშო** *საბოდიშოს* ბოდიშის მოსახდელი. *საბოდიშო არაფერი მაქვს.*

**საბოლოო** *საბოლოოს* უკანასკნელი, რაც ბოლოა. *საბოლოო დასკვნა. საბოლოო სიტყვა.*

**საბოლოოდ** ზმნიზ. სამუდამოდ. *საბოლოოდ დაშორდნენ.*

**საბორნე** *საბორნის* ბორნისთვის განკუთვნილი. *საბორნე გადასასვლელი.*

**საბოსტნე** *საბოსტნის* ბოსტნისთვის განკუთვნილი. *საბოსტნე მიწა. საბოსტნე ნაკვეთი.*

**საბოტაჟი** *საბოტაჟის* წინასწარი განზრახვით, გამიზნულად მუშაობის პროცესის ჩაშლა. *საბოტაჟი მოაწყო.*

**საბოძვარი** *საბოძვარის* ძვ. რასაც იერარქიულად მაღლა მდგომი ქვეშევრდომს მისცემს, აჩუქებს. *უხვი საბოძვარი გასცა.*

**საბრალდებო** *საბრალდებოს* ბრალდების დამადასტურებელი. *საბრალდებო დასკვნა.*

**საბრალო** *საბრალოს* შესაბრალებელი, საწყალი, საცოდავი. *საბრალო ქალი. საბრალო ლეკვი.*

**საბრი** *საბრის* იგივეა, რაც ალეო.

**საბროკერო** *საბროკეროს* ბროკერისთვის საჭირო, ბროკერის საქმიანობისთვის დამახასიათებელი. *საბროკერო ფირმა.*

**საბრძანებელი** *საბრძანებლის* ადგილი, ქვეყანა, რომელიც ვინმეს გამგებლობაშია. *იმპერატორის საბრძანებელი.*

**საბრძოლო** *საბრძოლოს* ბრძოლისთვის განკუთვნილი, ბრძოლასთან დაკავშირებული. *საბრძოლო გამოცდილება. საბრძოლო შენაერთი.*

**საბუდარი** *საბუდრის* I. შინაური ფრინველისთვის მოწყობილი ადგილი კვერცხის დასადებად, ნინილების გამოსაჩეკად. *კრუხის საბუდარი. კრუხი საბუდარში ჩაჯდა.* 2. იგივეა, რაც ბუდე (1). *არწივის საბუდარი.*

საბუთი *საბუთის* I. აზრი, წყარო, ნივთი და მისთ., რომლის საფუძველზეც მტკიცდება, ირკვევა, დგინდება რაიმე. *უტყუარი საბუთი. წერილობითი საბუთი.* 2. ოფიციალური დოკუმენტი. *საბუთების შემოწმება. მოქალაქეობის დამადასტურებელი საბუთი.*

საბუნებისმეტყველო *საბუნებისმეტყველოს* ბუნებისმეტყველებასთან დაკავშირებული. *საბუნებისმეტყველო მეცნიერებები.*

საბურავი *საბურავის* I. ავტომობილის, ველოსიპედისა და მისთ. ბორბლის სქელი რეზინის საფარი. *ავტომანქანის საბურავი.* 2. რაიმეს საფარველი, შესაბურავი. *პირის საბურავი.*

საბურველი *საბურველის* საფარი, საფარველი. *თოლის საბურველი.*

საბურთაო *საბურთაოს* ბურთაობისთვის განკუთვნილი. *საბურთაო ადგილი.*

საბუღალტრო *საბუღალტროს* ბუღალტერიისთვის განკუთვნილი, ბუღალტერიასთან დაკავშირებული. *საბუღალტრო კურსები. საბუღალტრო ალრიცხვა.*

საბძელი *საბძლის* ფიცრული ან წნული ნაგებობა ბზისა და საქონლის სხვა საკვების შესანახად. *საბძელი ეზოს კუთხეში იდგა.*

საბჭო *საბჭოს* სათათბირო ორგანო ზოგიერთ დანესებულებასა თუ ორგანიზაციაში. *სამეცნიერო საბჭო. საბჭოს გადაწყვეტილება.*

საბჯენი *საბჯენის* რასაც ებჯინება რაიმე. *საბჯენი კედელი. საბჯენი სვეტი.*

საგადასახადო *საგადასახადოს* გადასახადებთან დაკავშირებული. *საგადასახადო ვალდებულებები. საგადასახადო კოდექსი.*

საგაზაფხულო *საგაზაფხულოს* გაზაფხულზე მიმდინარე, გაზაფხულისთვის განკუთვნილი, გაზაფხულთან დაკავშირებული. *საგაზაფხულო სამუშაოები. საგაზაფხულო სემესტრი. საგაზაფხულო ტანსაცმელი.*

საგაზეთო *საგაზეთოს* გაზეთისთვის განკუთვნილი. *საგაზეთო მასალა. საგაზეთო სტატია.*

საგალობელი *საგალობლის* რელიგიური შინაარსის მუსიკალური ნაწარმოები, რომელსაც მღერიან ღვთისმსახურებისას. *საეკლესიო საგალობელი.*

საგამომცემლო *საგამომცემლოს* გამოცემასთან, გამომცემლობასთან დაკავშირებული. *საგამომცემლო საქმე. საგამომცემლო გაერთიანება.*

საგამომძიებლო *საგამომძიებლოს* გამოძიებისთვის განკუთვნილი, გამოძიებასთან დაკავშირებული. *საგამომძიებლო კომისია. საგამომძიებლო ჯგუფი.*

საგამოფენო *საგამოფენოს* გამოფენისთვის (1, 3) განკუთვნილი. *საგამოფენო დარბაზი. საგამოფენო ექსპონატები.*

საგამოცდო *საგამოცდოს* გამოცდისთვის (1) საჭირო, გამოცდისთვის განკუთვნილი. *საგამოცდო ფურცელი. საგამოცდო საკითხები.*

საგანგაშო *საგანგაშოს* I. განგაშის გამომწვევი. *საგანგაშო ამბავი.* 2. განგაშის მაუწყებელი. *საგანგაშო ზარი.*

საგანგებო *საგანგებოს* სპეციალური, განსაკუთრებული, მნიშვნელოვანი. *საგანგებო განცხადება. საგანგებო პირობები. საგანგებო სხდომა.*

საგანგებოდ ზმნიზ. განსაკუთრებულად, სპეციალურად. *სტუმრებისთვის საგანგებოდ მოემზადა.*

საგანი *საგნის* I. რასაც ნივთიერი სახე აქვს, შესაძლებელია მისი დანახვა, შეხება, შეგრძნება. *უსულო საგანი. მრგვალი საგანი.* 2. რის შესახებაც მსჯელობენ, რასაც საუბარი ეხება. *კამათის საგანი. დავის საგანი.* 3. სასწავლო დისციპლინა. *ახალი საგნები.*

საგანმანათლებლო *საგანმანათლებლოს* განათლებასთან დაკავშირებული, განათლებისთვის განკუთვნილი. *საგანმანათლებლო ცენტრი. საგანმანათლებლო პროგრამები.*

საგანძური *საგანძურის* I. იგივეა, რაც განძი. *საგანძური გადამალეს. საგანძურს უფრთხილდებიან.* 2. განძის შესანახი ადგილი, საგანგებო სათავსო შენობაში, ტაძარში. *მონასტრის საგანძურში შეიტანეს.*

საგარანტიო *საგარანტიოს* რაც რაიმეს გარანტიას იძლევა. *საგარანტიო წერილი.*

საგარეო *საგარეოს* I. სახლის გარეთ (სამსახურში, სტუმრად ყოფნისას და მისთ.) გამოსაყენებელი. *საგარეო კაბა. საგარეო შარვალი.* ↔ საშინაო. 2. ქვეყნის გარეთ (უცხო ქვეყნებთან) საქმიანობისთვის განკუთვნილი. *საგარეო ვაჭრობა. საგარეო ურთიერთობები.*

საგარეუბნო *საგარეუბნოს* გარეუბნისთვის განკუთვნილი. *საგარეუბნო ტრანსპორტი. საგარეუბნო ბაზარი.*

საგასტროლო *საგასტროლოს* გასტროლისთვის განკუთვნილი, გასტროლთან დაკავშირებული. *საგასტროლო წარმოდგენა. საგასტროლო სპექტაკლი.*

საგაფიცვო *საგაფიცვოს* გაფიცვასთან დაკავშირებული, გაფიცვისთვის საჭირო. *საგაფიცვო კომიტეტი.*

საგდული *საგდულის* კარის ვერტიკალური ურდული. *რკინის საგდული.*

საგვარეულო *საგვარეულოს* I. (კრებ.) ერთი გვარის ადამიანთა ერთობლიობა. *თავადების საგვარეულო.* 2. ერთი გვარის სანათესაოს კუთვნილი. *საგვარეულო ეკლესია. საგვარეულო სასაფლაო.*

საგვიანო *საგვიანოს* ხილი, ბოსტნეული და მისთ.,

რომელიც ჩვეულებრივზე გვიან შემოდის. *საგვიანო კულტურები. საგვიანო მსხალი.* ↔ საადრეო.

**საგზალი** *საგზლის* მგზავრობისას ან სანადიროდ, სამწყემსოდ თან წასაღები სასმელ-საჭმელი, სანოვაგე. *ტურისტის საგზალი. ნოყიერი საგზალი.*

**საგზაო** *საგზაოს* გზისთვის განკუთვნილი, გზებზე სახმარი. *საგზაო უსაფრთხოება. საგზაო ნიშნები.*

**საგზური** *საგზურის* 1. საბუთი, რომლის მფლობელს შეუძლია სადმე გაემგზავროს დასვენების, მკურნალობისა და მისთ. მიზნით. *საგზურის აღება. სამთვიანი საგზური. ტურისტული საგზური.* 2. ოფიციალური ფურცელი, რომელიც ეძლევა მძღოლს და რომელზეც აღნიშნულია მგზავრობის მარშრუტი და მიზანი. *საგზური გამოუწერა.*

**საგინებელი** *საგინებლის* 1. ვინც, რაც გინებას იმსახურებს, გინების ღირსი. *საგინებელი კაცი.* 2. გინების შემცველი. *საგინებელი სიტყვები.*

**საგიჟეთი** *საგიჟეთის* საუბრ. ფსიქიატრიული საავადმყოფო. *საგიჟეთში დააწვინეს.*

**საგირავნო** *საგირავნოს* გირავნობასთან დაკავშირებული. *საგირავნო ხელშეკრულება. საგირავნო ვალდებულებები.*

**საგლეხო** *საგლეხოს* გლეხებისთვის განკუთვნილი. *საგლეხო მიწის ნაკვეთები.*

**საგმირო** *საგმიროს* გმირისთვის დამახასიათებელი, გმირული. *საგმირო ამბავი.*

**საგმობი** *საგმობის* იგივეა, რაც დასაგმობი. *ღვთის საგმობი სიტყვები. საგმობი ზრახვები.*

**საგნობრივი** *საგნობრივის* 1. საგანთან (1, 2) დაკავშირებული, საგნისთვის დამახასიათებელი. *საგნობრივი საძიებელი.* 2. საგნების (3) მიხედვით შედგენილი. *საგნობრივი ჯგუფის მასწავლებლები. საგნობრივი კათედრები.*

**საგოზავი** *საგოზავის* ცომისებრი წებოვანი ნივთიერება, გამოიყენება ბზარების, ჭუჭრუტანების ამოსავსებად. *საგოზავით დაგმანვა.*

**საგოლე** *საგოლის* გოლის გასატანად ხელსაყრელი. *საგოლე პასი. საგოლე მომენტი.*

**საგონებელი** *საგონებლის* საფიქრალი, სადარდებელი. *საგონებელს მიეცა. საგონებელში ჩავარდა.*

**საგორავი** *საგორავის* 1. მრგვალი, გრძელი ძელი, რომელსაც აგორავებენ მიწის, ასფალტის დასატკეპნად. 2. მოკლე, მრგვალი ძელი, რომელზეც აგორებენ დიდ, მძიმე მორს მოკლე მანძილზე გადასაადგილებლად. 3. აღმართზე მდგომი ტრანსპორტის ბორბლებთან დადებული ქვა ან მსგავსი საგანი მისი დაგორების თავიდან ასაცილებლად. 4. მთის ფერდობზე დაქანებული ლოდი, რომელიც სიცოცხლისთვის საშიშია. *საგორავმა იმსხვერპლა. საგორავი მოხვდა.*

**საგრილობელი** *საგრილობლის* სიცხისგან თავდასაცავი ჩრდილიანი ადგილი. *საგრილობელი ჩარდახი. ნახირი საგრილობელს ეძებდა.*

**საგრიმიორო** *საგრიმიოროს* ოთახი თეატრში, სადაც გრიმს იკეთებენ ან უკეთებენ. *ახალი საგრიმიორო.*

**საგრძნობი** *საგრძნობის* მნიშვნელოვანი, შესამჩნევი, თვალსაჩინო. *მდგომარეობა საგრძნობლად გაუმჯობესდა. საგრძნობი ცვლილება.*

**საგრძნობლად** ზმნიზ. შესამჩნევად, საკმაოდ. *მდგომარეობა საგრძნობლად გართულდა. ხელფასები საგრძნობლად გაიზარდა.*

**საგუბარი** *საგუბრის* წყლის შესაკავებელი, დასაგუბებელი ხელოვნური ნაგებობა ან ბუნებრივად ჩაღრმავებული ადგილი. *წყალი საგუბარში ჩადგა.*

**საგუბერნიო** *საგუბერნიოს* გუბერნიისთვის განკუთვნილი, გუბერნიის ფარგლებში მოქმედი. *საგუბერნიო ქალაქი. საგუბერნიო სასამართლო.*

**საგულდაგულო** *საგულდაგულოს* განსაკუთრებული მონდომებით გაკეთებული, საგანგებო. *საგულდაგულო სამზადისი.*

**საგულე** *საგულის* გულისთვის განკუთვნილი. *საგულე წამალი. საგულე საშუალება.* ⊙ **გული საგულეში (საგულესა) აქვს მშვიდადაა, არაფრის ეშინია.** ⊙ **გული საგულეში არ ეტევა** აღელვებულია, ვერ მშვიდდება.

**საგულისხმო** *საგულისხმოს* მნიშვნელოვანი, რასაც ყურადღება უნდა მიექცეს. *საგულისხმო სიტყვები. საგულისხმო შეხვედრა.*

**საგუნდო** *საგუნდოს* მომღერალთა გუნდისთვის განკუთვნილი. *საგუნდო სიმღერების კრებული.*

**საგუშაგო** *საგუშაგოს* 1. სპეციალური პუნქტი (1), სადაც გუშაგი დგას. *საგუშაგოზე მომხდარი ინციდენტი. პოლიციის საგუშაგო.*

**სად** ზმნიზ. 1. რომელ ადგილას, რომელი მიმართულებით. *სად მუშაობს? სად მიდიხარ?* 2. როგორ, რანაირად (გამოიყენება ისეთი მოქმედების გამოხატვისას, რომლის შესრულებაც მთქმელს შეუძლებლად მიაჩნია). *სად შემიძლია ამდენი?!*

**სადა** *სადას* რაც ზედმეტად გადატვირთული არ არის, უბრალო, მარტივი. *სადა ჩასაცმელი.* **სადა არქიტექტურა.** ▲ **სადად** ზმნიზ. უბრალოდ, მარტივად. *სადად და გემოვნებით.*

**სადაგი** *სადაგის* სამუშაო (დღე). *სადაგი დღეები.*

**სადავე** *სადავის* აღვირის ნაწილი – ორი, გრძელი თასმა, რომლითაც მხედარი ცხენს მართავს. ⊙ **მმართველობის სადავეები** მმართველობის საშუალებები; ძალაუფლება, ხელისუფლება. ⊙ **სადავის მიშვება** 1. ცხენის მიშვება თავის ნებაზე. 2. გადატ. თავისუფლად მოქმედება, ყოველგვარი კანონისა და წესრიგის უგულებელყოფა.

**სადავო** *სადავოს* დავის გამომწვევი. *სადავო თემა. სადავო ქონება.*

სადაზვერვო *სადაზვერვოს* დაზვერვისთვის განკუთვნილი, დაზვერვასთან დაკავშირებული. *სადაზვერვო სამსახური.*

სადაზღვევო *სადაზღვევოს* დაზღვევისთვის განკუთვნილი, დაზღვევის შემსრულებელი. *სადაზღვევო კომპანია. სადაზღვევო აგენტი.*

სადამდე ზმნიზ. 1. რა ადგილამდე. *სადამდე მიდის ავტობუსი?* 2. რა დრომდე. *სადამდე გრძელდება არდადეგები?* 3. რა მდგომარეობამდე. *აი, სადამდე მიიყვანა სიზარმაცემ!*

სადამდის ზმნიზ. || სადამდე.

სადამსჯელო *სადამსჯელოს* დასჯის განმახორციელებელი. *სადამსჯელო ოპერაცია. სადამსჯელო რაზმი.*

სადარაჯო *სადარაჯოს* 1. ადგილი, სადაც დარაჯი დგას. *სადარაჯოზე გამოცხადდა. სადარაჯო არ მიატოვეს.* 2. დარაჯობისთვის განკუთვნილი. *სადარაჯო ხომალდი. სადარაჯო ძაღლი.*

სადარბაზო *სადარბაზოს* მრავალსართულიანი სახლის შესასვლელი. *სადარბაზოს კარი. მეორე სადარბაზოში ცხოვრობს.*

სადარდებელი *სადარდებლის* დარდის საგანი, მიზეზი, რაზეც უნდა იდარდონ. *სადარდებელი არ ელევა. სადარდებელი გაუხდა.*

სადარდელი *სადარდელის* იგივეა, რაც სადარდებელი. *სადარდელი ბევრი აქვს.*

სადარი *სადარის* მსგავსი, შესაფერისი. *ვინ არის შენი სადარი?! მზის სადარი სილამაზე.*

სადაური *სადაურის* 1. სად დაბადებული, სად წარმოშობილი, სად შექმნილი. *სადაური კაცია? სადაური ღვინოა?* 2. გადატ. როგორი, რანაირი. *ეგ სადაური ლაპარაკია?*

სადაურობა *სადაურობის* ვინმეს ან რაიმეს წარმოშობის, შექმნის ადგილი. *მისი სადაურობა გაიგო. სადაურობა ჰკითხა.*

სადაფი *სადაფის* მოლუსკების ნიჟარის შიდა, პრიალა მხარე, გამოიყენება სამკაულების, ღილების დასამზადებლად, ავეჯის შესამკობად. *სადაფის საყურე. სადაფის სამაჯური.*

სადაც ზმნიზ. რომელ ადგილასაც. *იქ მიეედით, სადაც შევთანხმდით. სადაც გინდა, იქ წადი.*

სადგისი *სადგისის* ტყავის სახვრეტი ხისტარიანი იარაღი - წვრილი, წვეტიანი ლითონის ჩხირი. *მეწაღის სადგისი.*

სადგომი *სადგომის* პირუტყვის დასაბინავებელი ნაგებობა. *კამეჩების სადგომი.*

სადგური *სადგურის* 1. ადგილი, პუნქტი, სადაც ტრანსპორტი ჩერდება. *რკინიგზის სადგური. ავტობუსს სადგურში დაელოდა.* 2. ზოგიერთი სპეციალური დანიშნულების დაწესებულების ან საწარმოს სახელი. *მეტეოროლოგიური სადგური. მევენახეობის საცდელი სადგური.* 3. მოძრავი ლაბორატორია. *ავტომატური სადგური კოსმოსში გაფრინდა.*

სადეგუსტაციო *სადეგუსტაციოს* დეგუსტაციისთვის განკუთვნილი, დეგუსტაციასთან დაკავშირებული. *სადეგუსტაციო ნიმუშები. სადეგუსტაციო ჟიური.*

სადედამთილო *სადედამთილოს* საქმროს დედა. *სადედამთილო მოინახულა.*

სადედი *სადედის* იგივეა, რაც დედა (3). *მაწვნის სადედი.*

სადედინაცვლო *სადედინაცვლოს* ქალი, რომელიც დედინაცვალი უნდა გახდეს.

სადეზინფექციო *სადეზინფექციოს* დეზინფექციისთვის განკუთვნილი, საჭირო. *სადეზინფექციო ხსნარი.*

სადეკრეტო *სადეკრეტოს* დეკრეტით დაწესებული, დეკრეტით განსაზღვრული. *სადეკრეტო შვებულება.*

სადემარკაციო *სადემარკაციოს* 1. ხაზი, რომელიც რაიმე ნიშნით განსაზღვრულ უბნებს ერთმანეთისგან ყოფს. *ნაკრძალის სადემარკაციო ზოლი.* 2. სახელმწიფო საზღვრის ხაზი, დადგენილი სპეციალური სასაზღვრო ნიშნებით. 3. საოკუპაციო ზონების გამყოფი ხაზი დაპყრობილ ტერიტორიაზე.

სადემონსტრაციო *სადემონსტრაციოს* სპეციალური დაფა ან დარბაზი, სადაც საგამოფენო ექსპონატებია განთავსებული. *სადემონსტრაციო დაფა.* შეცდომაა სადემოსტრაციო

სადენი *სადენის* სპეციალური მავთული, რომლითაც ელექტროდენი ან რაიმე სიგნალი გადაიცემა. *ტელეფონის სადენი. სპილენძის სადენი.*

სადეპოზიტო *სადეპოზიტოს* დეპოზიტისთვის განკუთვნილი, დეპოზიტთან დაკავშირებული. *სადეპოზიტო დაწესებულება. სადეპოზიტო ანგარიში.*

სადესანტო *სადესანტოს* დესანტისთვის განკუთვნილი. *სადესანტო პოლკი. სადესანტო ხომალდი.*

სადესერტო *სადესერტოს* დესერტად მისართმევი. *სადესერტო ტკბილეული. სადესერტო ღვინო.*

სადიაცო *სადიაცოს* ძვ. ქალისთვის განკუთვნილი. *სადიაცო ტანსაცმელი. სადიაცო საქმე.*

სადიზმი *სადიზმის* 1. არანორმალური სქესობრივი მოთხოვნილება, ტკივილი მიაყენოს პარტნიორს და ამით მიიღოს სიამოვნება. 2. გადატ. სხვისი წვალებით, ტანჯვით სიამოვნების მიღება. *სადიზმით ჩადენილი დანაშაული.*

სადილი *სადილის* 1. საკვების მიღება შუადღისას. *სადილად მიიწვია. სადილის დრო.* 2. შუადღისას მისაღები საჭმელ-სასმელი. *სადილი მოამზადა.*

**სადილობა** *სადილობის* (სადილობს, ასადილებს) სადილის (2) ჭამა. *სადილობის დრო. ერთად სადილობენ.*

**სადინარი** *სადინარის* რაშიც რაიმე სითხე მიედინება. *წყლის სადინარი. სადინარების შევიწროვება.*

**სადიპლომო** *სადიპლომოს* დიპლომისთვის განკუთვნილი, დიპლომის ასაღებად მომზადებული. *სადიპლომო პროგრამა. სადიპლომო ნამუშევარი.*

**სადირიჟორო** *სადირიჟოროს* დირიჟორისთვის განკუთვნილი. *სადირიჟორო პულტი.*

**სადისკუსიო** *სადისკუსიოს* დისკუსიისთვის განკუთვნილი, დისკუსიის გამომწვევი. *სადისკუსიო კლუბი. სადისკუსიო თემა.*

**სადისპეტჩერო** *სადისპეტჩეროს* დისპეტჩერების საქმიანობისთვის განკუთვნილი. *სადისპეტჩერო პუნქტი.* შეცდომაა სადისპეჩერო

**სადისტანციო** *სადისტანციოს* დისტანციის დასაცავი, დისტანციისთვის განკუთვნილი. *სადისტანციო დანადგარი. სადისტანციო მანძილი.*

**სადისტი** *სადისტის* ადამიანი, რომელსაც მიდრეკილება აქვს აწვალოს და სასტიკად მოექცეს ვინმეს. ■ **სადისტური** სადისტის დამახასიათებელი. *სადისტური საქციელი.*

**სადმე** ზმნიზ. რომელიმე ადგილას. *სადმე წაელენ დასასვენებლად. ნეტა სადმე შემხვდეს! სადმე იქნება.*

**სადოქტორო** *სადოქტოროს* დოქტორის ხარისხის მისაღებად განკუთვნილი. *სადოქტორო ნაშრომი.*

**სადოღე** *სადოღის* დოღისთვის განკუთვნილი. *სადოღე ბედაური. სადოღე წრე.*

**სადრენაჟო** *სადრენაჟოს* დრენაჟისთვის განკუთვნილი. *სადრენაჟო მასალა. სადრენაჟო არხები.*

**სადურგლო** *სადურგლოს* დურგლისთვის ან დურგლობისთვის განკუთვნილი. *სადურგლო ხელსაწყოები. სადურგლო საამქრო.*

**სადღა** ზმნიზ. 1. რომელ ადგილასღა, კიდევ სად. *შენ სადღა მიდიხარ? სადღა ნახავ ამისთანა კაცს!* 2. როგორღა (ამბობენ, როცა რაიმე აღარ აქვთ, რაიმეს გაკეთება აღარ შეუძლიათ). *სადღა აქვს ძველი ქონება! სადღა ახსოვს ის ამბავი!*

**სადღაც** ზმნიზ. რომელიღაც ადგილას. *სადღაც წავიდნენ. ეს ამბავი სადღაც წავიკითხე.*

**სადღეგრძელო** *სადღეგრძელოს* ღვინის, არყისა და მისთ. შესმისას წარმოთქმული სიტყვა ვინმეს ან რაიმეს დალოცვის მიზნით. *სადღეგრძელოს ამბობს. მშობლების სადღეგრძელო.*

**სადღეისო** *სადღეისოს* დღევანდელი დღისთვის განკუთვნილი, დღეისთვის არსებული. *სადღეისო პრობლემები. სადღეისო მონაცემები.*

**სადღესასწაულო** *სადღესასწაულოს* დღესასწაულისთვის განკუთვნილი, დღესასწაულის შესაფერისი. *სადღესასწაულო კაბა. სადღესასწაულო ღონისძიება.*

**სადღეღამისო** *სადღეღამისოს* დღე-ღამის განმავლობაში შესასრულებელი, ერთი დღე-ღამისთვის განკუთვნილი. *სადღეღამისო სამუშაო. სადღეღამისო დოზა.*

სადღვებელი

**სადღვებელი** *სადღვებლის* ჭურჭელი, რომელშიც რძის ან მაწვნის შედღვებით კარაქს იღებენ. *ხის სადღვებელი. თიხის სადღვებელი.*

**საევაკუაციო** *საევაკუაციოს* ევაკუაციისთვის განკუთვნილი. *საევაკუაციო პუნქტი.*

**საეზოვე** *საეზოვის* ეზოსთვის განკუთვნილი, გამოყოფილი. *საეზოვე ადგილი.*

**საეთერო** *საეთეროს* რაც ეთერს (2) უკავშირდება. ⊙ **საეთერო დრო** რადიო- და ტელეგადაცემებისთვის განკუთვნილი დრო.

**საეთნოგრაფიო** *საეთნოგრაფიოს* ეთნოგრაფიასთან დაკავშირებული, ეთნოგრაფიული კვლევებისთვის განკუთვნილი. *საეთნოგრაფიო საზოგადოება.*

**საეკლესიო** *საეკლესიოს* ეკლესიის კუთვნილი. *საეკლესიო მამულები.*

**საელჩო** *საელჩოს* 1. ერთი ქვეყნის მუდმივი დიპლომატიური წარმომადგენლობა მეორე ქვეყანაში, რომელსაც ელჩი ხელმძღვანელობს. *საელჩო გაიხსნა. საელჩოს მიმართა.* 2. შენობა, რომელშიც განთავსებულია საელჩო (1). *საელჩოს ქალაქის ცენტრში აშენებენ.*

**საემიგრაციო** *საემიგრაციოს* ემიგრაციასთან დაკავშირებული. *საემიგრაციო საბჭო.*

**საემისიო** *საემისიოს* ემისიისთვის განკუთვნილი, ემისიის განხორციელებისთვის საჭირო. *საემისიო კაპიტალი. საემისიო ოპერაციები.*

**საენათმეცნიერო** *საენათმეცნიეროს* იგივეა, რაც ლინგვისტური. *საენათმეცნიერო ნაშრომი. საენათმეცნიერო კრებული.*

**საენციკლოპედიო** *საენციკლოპედიოს* ენციკლოპედიისთვის განკუთვნილი. *საენციკლოპედიო სტატია.*

**საეპარქიო** *საეპარქიოს* ეპარქიის გავლენის სფეროში მყოფი, ეპარქიასთან დაკავშირებული. *საეპარქიო ტერიტორია.*

**საეპისკოპოსო** *საეპისკოპოსოს* 1. საეკლესიო ადმინისტრაციული ოლქი, რომელსაც ეპისკოპოსი განაგებს. *საეპისკოპოსოს ცენტრი.* 2. ეპისკოპოსისთვის განკუთვნილი. *საეპისკოპოსო ეკლესია.*

**საერთაშორისო** *საერთაშორისოს* სხვადასხვა სახელმწიფოს ან სახელმწიფოთა წარმომადგენლებს

შორის არსებული, მათი მონაწილეობით შედგენილი, შექმნილი. *საერთაშორისო ურთიერთობები. საერთაშორისო ორგანიზაცია. საერთაშორისო კონგრესი.*

**საერთო** *საერთოს* I. რაც ყველას (ან ბევრს) ეხება, ეკუთვნის. *საერთო გადაწყვეტილება. საერთო ბინა. საერთო თანხა.* 2. ზოგადი, საზოგადო. *საერთო საკითხები. საერთო დისკუსია.*

**საერთოდ** ზმნიზ. I. ზოგადად, ჩვეულებრივად. *საერთოდ უყვარს სპორტი.* 2. მთლიანად, სრულიად. *საერთოდ არ ეძინა. საერთოდ აუკრძალეს ალკოჰოლი.*

**საერისთავო** *საერისთავოს* ძვ. ერისთავის სამფლობელო, დიდი ადმინისტრაციული ერთეული ფეოდალურ საქართველოში. *ქსნის საერისთავო.*

**საერო** *საეროს* I. არასასულიერო. *საერო პირი.* 2. ქვეყნისთვის, ერისთვის სასარგებლო. *საერო საქმე.*

**საესტრადო** *საესტრადოს* ესტრადასთან (I) დაკავშირებული. *საესტრადო მუსიკა.*

**საეტაპო** *საეტაპოს* მნიშვნელოვანი, გარდატეხის მომხდენი, ეტაპის (2) შემქმნელი. *საეტაპო მოვლენა. საეტაპო ნაწარმოები.*

**საექიმო** *საექიმოს* იგივეა, რაც **სამედიცინო**. *საექიმო პუნქტი.*

**საექსკურსიო** *საექსკურსიოს* ექსკურსიისთვის განკუთვნილი. *საექსკურსიო ბიურო.*

**საექსპედიციო** *საექსპედიციოს* ექსპედიციისთვის განკუთვნილი. *საექსპედიციო თანხები.*

**საექსპერიმენტო** *საექსპერიმენტოს* ექსპერიმენტისთვის განკუთვნილი. *საექსპერიმენტო ინვენტარი. საექსპერიმენტო ლაბორატორია.*

**საექსპერტო** *საექსპერტოს* ექსპერტიზისთვის განკუთვნილი, ექსპერტიზასთან დაკავშირებული. *საექსპერტო ჯგუფი. საექსპერტო დასკვნა.*

**საექსპლუატაციო** ექსპლუატაციისთვის (2) განკუთვნილი, ექსპლუატაციასთან დაკავშირებული. *საექსპლუატაციო უბანი. საექსპლუატაციო პირობები.*

**საექსპოზიციო** *საექსპოზიციოს* ექსპოზიციისთვის განკუთვნილი. *საექსპოზიციო დარბაზი.*

**საექსპორტო** *საექსპორტოს* ექსპორტისთვის განკუთვნილი, ექსპორტთან დაკავშირებული. *საექსპორტო პროდუქცია. საექსპორტო ხარჯები.*

**საეშმაკო** *საეშმაკოს* იგივეა, რაც **ეშმაკური**. *საეშმაკო საქმეები.*

**საეჭვო** *საეჭვოს* ვინც ან რაც ეჭვს ბადებს, ეჭვს აღძრავს. *საეჭვო პიროვნება. საეჭვო საქმე. საეჭვო სიტუაცია.* ▲ **საეჭვოდ** ზმნიზ. ეჭვის აღმძვრელად. *საეჭვოდ იქცევა.*

**სავაზნე** *სავაზნის* ჯიბეებიანი ქამარი ვაზნების ჩასანყობად. *სავაზნე შემოიკრა.*

**სავალალო** *სავალალოს* ძალიან ცუდი, უნუგეშო, სამწუხარო. *სავალალო მდგომარეობა.*

**სავალდებულო** *სავალდებულოს* აუცილებლად შესასრულებელი, ვალდებულებით ნაგულისხმევი. *სავალდებულო მოთხოვნები. სავალდებულო გადასახადები.*

**სავალი** *სავალის* I. რაღაც დროში გასავლელი მანძილი. *ორი დღის სავალი. რამდენიმე საათის სავალი დარჩა.* 2. გზის ის ნაწილი, რომელზეც დადიან. *ფეხით სავალი. სავალი ნაწილი. ტრანსპორტის სავალი.*

**სავალუტო** *სავალუტოს* ვალუტასთან დაკავშირებული. *სავალუტო ბირჟა.*

**სავანა** *სავანის* აფრიკული ტრამალი. *სანადირო სავანები.*

**სავანე** *სავანის* I. იგივეა, რაც **მონასტერი**. *დედათა სავანე.* 2. ძვ. იგივეა, რაც **სამყოფელი**. *მყუდრო სავანე.*

**სავარაუდო** *სავარაუდოს* ვარაუდით ნაგულისხმევი, მოსალოდნელი, მიახლოებითი. *სავარაუდო სია. სავარაუდო შედეგები.* ▲ **სავარაუდოდ** ზმნიზ. ვარაუდით, დაახლოებით. *სავარაუდოდ, ასი კაცი მოვა.*

**სავარგული** *სავარგულის* სახნავად, სათესად და მისთ. გამოყენებული ადგილი. *სასოფლო-სამეურნეო სავარგულები. ნაყოფიერი სავარგული.*

**სავარცხელა** *სავარცხელას* ერთწლოვანი სარეველა ბალახი, აქვს ვარდისფერი ყვავილი და ზეეით აშვერილი ნაყოფი.

**სავარცხელი** *სავარცხლის* I. თმის დასავარცხნი დაკბილული ფირფიტა. *ტარიანი სავარცხელი. ხის სავარცხელი. წმინდა სავარცხელი.* 2. ზოგიერთი ფრინველის ქოჩორი. *ოფოფის სავარცხელი.*

**სავარძელი** *სავარძლის* დიდი სკამი, აქვს საზურგე და სახელურები მკლავების დასაყრდნობად. *რბილი სავარძელი.*

სავარძელი



**სავარჯიშო** *სავარჯიშოს* I. დავალება, რომელიც გამოიყენება ცოდნის შემოწმების ან ნასწავლის გამყარების მიზნით. *მათემატიკის სავარჯიშო. სავარჯიშოების რვეული.* 2. ვარჯიშისთვის განკუთვნილი. *სავარჯიშო მოედანი. სავარჯიშო ლეიბი.*

**სავაჭრო** *სავაჭროს* ვაჭრობასთან დაკავშირებული, ვაჭრობისთვის განკუთვნილი. *სავაჭრო ხელშეკრულება. სავაჭრო ობიექტი.* ▲ **სავაჭროდ** ზმნიზ. ვაჭრობის მიზნით. *სავაჭროდ ჩამოვიდნენ.*

**სავედრებელი** *სავედრებლის* I. რასაც ევედრებიან. *ჩემი სავედრებელი მეტი არაფერია.* 2. ღვთისადმი აღვლენილი ლოცვა. *სავედრებელი წარმოთქვა.*

საველე *საველის* 1. ველზე, დასახლებული პუნქტიდან მოშორებით მიმდინარე. *საველე სამუშაოები. საველე ექსპედიცია.* 2. ჯართან, სამხედრო საქმესთან დაკავშირებული. *საველე წვრთნა. კურსანტების საველე სწავლება.*

სავენტილაციო *სავენტილაციოს* ვენტილაციისთვის განკუთვნილი. *სავენტილაციო სისტემა.*

სავიზიტო *სავიზიტოს* ვიზიტთან დაკავშირებული. *სავიზიტო ბარათი.*

სავიოლინო *სავიოლინოს* ვიოლინოსთვის განკუთვნილი, ვიოლინოზე შესასრულებელი. *სავიოლინო კონცერტი. სავიოლინო ნაწარმოები.*

სავსავი *სავსავის* (ასავსავებს) ⊙ ხელების სავსავი ხელების მოძრაობა, უარყოფის, რაიმე უსიამოვნო განცდის გამომხატველი ჟესტი.

სავსე *სავსის* 1. სითხით ან რაიმე ნივთიერებით ბოლომდე შევსებული. *სავსე დოქი. სავსე აუზი.* 2. გადატ. სადაც ძალიან ბევრი ადამიანი ან ცხოველია. *მაყურებლებით სავსე დარბაზი.*

სავსებით ზმნიზ. სრულიად, მთლიანად (დადებით კონტექსტში). *სავსებით ვეთანხმები თქვენს აზრს. სავსებით შესაძლებელია.*

საავო *საავოს* ავთან დაკავშირებული. *საავო ხელშეკრულება.*

საზამთრო[1] *საზამთროს* მრგვალი ან მოგრძო, მსხვილი, წვნიანი, ტკბილი და სურნელოვანი, მრავალთესლიანი ბაღჩეული ხილი, აქვს მწვანედ დაზოლილი ან მუქი მწვანე, მაგარი კანი და წითელი ან ვარდისფერი რბილობი. *საზამთროს მურაბა. საზამთროს შეექცევა.*


საზამთრო

საზამთრო[2] *საზამთროს* ზამთრისთვის განკუთვნილი, ზამთართან დაკავშირებული, ზამთარში გამოსაყენებელი. *საზამთრო კურორტი.*

საზარალო *საზარალოს* ზარალის მომტანი. *საზარალო საქმიანობა.*

საზარბაზნე *საზარბაზნის* ზარბაზნისთვის განკუთვნილი. *საზარბაზნე ჭურვი.*

საზარდული *საზარდულის* ადგილი სხეულზე მუცლის ქვედა, გვერდით ნაწილსა და ბარძაყს შორის. *საზარდულის თიაქარი.*

საზარელი *საზარლის* ძალიან საშინელი, შიშის მომგვრელი. *საზარელი სანახაობა. საზარელი ამბები.* ▲ საზარლად ზმნიზ. საშინლად, შემაძრწუნებლად. *საზარლად ყვიროდა.*

საზარი *საზარის* იგივეა, რაც საზარელი.

საზაფხულო *საზაფხულოს* 1. ზაფხულისთვის განკუთვნილი, ზაფხულში გამოსაყენებელი. *საზაფხულო კაბა.* 2. ზაფხულში მიმდინარე. *საზაფხულო არდადეგები. საზაფხულო სამუშაოები.*

საზედამხედველო *საზედამხედველოს* 1. ზედამხედველობისთვის საჭირო. *საზედამხედველო ხარჯები.* 2. ვინც ზედამხედველობას უწევს. *საზედამხედველო სამსახური.*

საზეიმო *საზეიმოს* ზეიმთან დაკავშირებული, ზეიმისთვის დამახასიათებელი. *საზეიმო განწყობილება.*

საზენიტო *საზენიტოს* ზენიტთან დაკავშირებული. ⊙ საზენიტო იარაღი სპეციალური საარტილერიო იარაღი, რომელიც ავიაციის წინააღმდეგ გამოიყენება.

საზეო *საზეოს* ნიგნ. წმინდა, ღვთიური, საღვთო. *საზეო საქმე.*

საზეპირო *საზეპიროს* ზეპირად სასწავლი, დასაზეპირებელი. *საზეპირო სიტყვები.*

საზიანო *საზიანოს* რასაც ზიანი მოაქვს. *საზიანო საქმე. მის საზიანოდ ილაპარაკა.*

საზიარებელი *საზიარებლის* ვინც უნდა ეზიაროს, რითაც უნდა აზიარონ. *საზიარებელი ხალხი. საზიარებელი ღვინო.*

საზიარო *საზიაროს* იგივეა, რაც ზიარი. *საზიარო ქონება. საზიარო ღობე.*

საზიდარი *საზიდრის* ტვირთის გადასატანი ურემი. *ხის საზიდარი. ბარგი საზიდარზე დააწყო.*

საზიზღარი *საზიზღრის* ვინც, რაც ზიზღს აღძრავს, საძულველი. *საზიზღარი კაცი. საზიზღარი სანახაობა.*

საზიზღრობა *საზიზღრობის* ზიზღის, სიძულვილის აღმძვრელი. *საზიზღრობა ნახა.*

საზოგადო *საზოგადოს* 1. რაც ზოგადად ყველას ეხება, საერთო. *საზოგადო საქმე. საზოგადო თემა.* 2. იგივეა, რაც საზოგადოებრივი. *საზოგადო მოღვაწე.* ▲ საზოგადოდ ზმნიზ. ზოგადად, საერთოდ. *საზოგადოდ ცნობილია.*

საზოგადოება *საზოგადოების* 1. ადამიანთა დიდი ჯგუფი, რომელიც ცხოვრობს ერთ ქვეყანაში ან ერთ რეგიონში და აქვს საერთო კანონმდებლობა, რელიგია, წარმოებითი ურთიერთობანი და მისთ. *არისტოკრატიული საზოგადოება. მონათმფლობელური საზოგადოება.* 2. ადამიანთა გაერთიანება, ორგანიზაცია, რომელიც გარკვეულ მიზნებს ისახავს. *ხელოვანთა საზოგადოება. მეცნიერთა საზოგადოება.* 3. ამა თუ იმ ნიშნით გაერთიანებულ ადამიანთა ჯგუფი, წრე. *განათლებული საზოგადოება. ქალაქის საზოგადოება.*

საზოგადოებრივი *საზოგადოებრივის* 1. საზოგადოებისთვის დამახასიათებელი, საზოგადოებასთან დაკავშირებული. *საზოგადოებრივი მოძრაობა. საზოგადოებრივი კავშირები.* 2. საზოგადოებისთვის არსებული, საზოგადოების ინტერესების გამომხატველი. *საზოგადოებრივი აზრი. საზოგადოებრივი მოღვაწეობა.*

**საზომი** *საზომის* I. სხვადასხვა სიდიდის გასაზომი ხელსაწყო, საშუალება. *დროის საზომი. სიცხის საზომი.* 2. გადატ. რაიმეს შეფასების კრიტერიუმი. *განათლების საზომი.*

**საზრდო** *საზრდოს* I. იგივეა, რაც საკვები. *ხე საზრდოს მინიდან იღებს. ოჯახის საზრდო.* 2. ოჯახის ან პიროვნების გამოსაკვებად საჭირო სასმელ-საჭმელი, სარჩო.

**საზრდოობა** *საზრდოობის* (საზრდოობს, ასაზრდოებს) არსებობისთვის საჭირო საშუალებების, საზრდოს მოპოვება, მიღება. *მცირე შემოსავლით საზრდოობს. მცენარეებს მზე ასაზრდოებს.*

**საზრიანი** *საზრიანის* I. მოხერხებული, გონიერი. *საზრიანი ბავშვი.* 2. იგივეა, რაც აზრიანი. *საზრიანი ლაპარაკი.*

**საზრიანობა** *საზრიანობის* გონიერება, სიტუაციაში სწრაფად გარკვევის, გამოსავლის მონახვის უნარი. *მისმა საზრიანობამ გააკვირვა.*

**საზრუნავი** *საზრუნავის* ზრუნვის საგანი. *ბევრი საზრუნავი აქვს. საზრუნავს რა გამოლევს.*

**საზურგე** *საზურგის* ზურგის მისაყრდნობი. *რბილი საზურგე. სავარძლის საზურგე.*

**საზღაური** *საზღაურის* რაიმეს საფასური. *შრომის საზღაური აიღო.*

**საზღვაო** *საზღვაოს* ზღვასთან დაკავშირებული. *საზღვაო ჯარი. საზღვაო ტრანსპორტი.*

**საზღვაოსნო** *საზღვაოსნოს* ზღვაოსნობასთან დაკავშირებული. *საზღვაოსნო სასწავლებელი. საზღვაოსნო ქვეყანა.*

**საზღვარგარეთ** ზმნიზ. სახელმწიფოს საზღვრებს გარეთ, უცხოეთში. *საზღვარგარეთ ცხოვრობენ. საზღვარგარეთ იმყოფება მივლინებით.*

**საზღვარგარეთელი** *საზღვარგარეთელის* უცხოელი. *საზღვარგარეთელი კოლეგები. საზღვარგარეთელი პარტნიორი.*

**საზღვარგარეთი** *საზღვარგარეთის* სახელმწიფოს საზღვრებს გარეთ არსებული ქვეყნები. *საზღვარგარეთის ამბები.*

**საზღვარგარეთული** *საზღვარგარეთულის* საზღვარგარეთ არსებული, საზღვარგარეთიდან შემოტანილი, საზღვარგარეთისთვის განკუთვნილი. *საზღვარგარეთული ლიტერატურა. საზღვარგარეთული პროდუქცია. საზღვარგარეთული ტურნე.*

**საზღვარი** *საზღვრის* I. ხაზი, რომელიც ტერიტორიის ორ ნაწილს ყოფს, მიჯნავს ერთმანეთისგან. *საჰაერო საზღვარი. საქართველოს საზღვარი.* 2. რაიმეს უმაღლესი საფეხური, უკიდურესი დონე, ზღვარი. *ჩემს მოთმინებასაც აქვს საზღვარი.* ◉ საზღვარი არა აქვს ძალიან დიდია, დაუსრულებელია.

**საზღვრისპირა** *საზღვრისპირას* სახელმწიფოს საზღვართან ახლოს მდებარე, არსებული. *საზღვრისპირა რაიონები.*

**სათაგური** *სათაგურის* თაგვების დასაჭერი მახე. *პატარა სათაგური.*

**სათადარიგო** *სათადარიგოს* რაიმეს ან ვინმეს შესაცვლელად წინასწარ მომზადებული, განსაზღვრული. *სათადარიგო საბურავი. ფეხბურთელთა სათადარიგო შემადგენლობა.* ▲ **სათადარიგოდ** ზმნიზ. საჭიროების შემთხვევაში გამოსაყენებლად. *სათადარიგოდ აქვს შენახული.*

**სათავგადასავლო** *სათავგადასავლოს* თავგადასავლის შემცველი. *სათავგადასავლო რომანი.*

**სათავე** *სათავის* I. ადგილი, საიდანაც მდინარის, ნაკადულის დინება იწყება. *ალაზნის სათავე. ენგურის სათავე.* 2. ბოლოკაბაზე ან შარვალზე მიკერებული სარტყელი. *ბრტყელი სათავე.* ◉ **სათავეში ჩაუდგება** უწინამძღოლებს.

**სათავისო** *სათავისოს* თავისთვის განკუთვნილი, თავისთვის სასარგებლო. *სათავისო რამეები შეარჩია. სათავისო ლაპარაკი.* ▲ **სათავისოდ** ზმნიზ. საკუთარი თავისთვის. *ყველაფერი სათავისოდ უნდა.*

**სათავო** *სათავოს* მთავარი, წარმმართველი. *სათავო ორგანი ზაცია. სათავო ოფისი.* შეცდომაა სათაო

**სათავსი** *სათავსის* I. რაიმეს მოსათავსებელი ნივთი, საგანი. *წყლის სათავსი* 2. რაიმეს მოსათავსებელი, შესანახი ადგილი, ნაგებობა, ოთახი შენობაში. *სათავსოდ იყენებს. სათავსოში შეინახა.*

**სათავსო** *სათავსოს* იგივეა, რაც სათავსი.

**სათათბირო** *სათათბიროს* თათბირისთვის განკუთვნილი, თათბირთან დაკავშირებული. *სათათბირო დარბაზი.* ◉ **სათათბირო ხმის უფლება** რაიმე საკითხის განხილვაში მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების უფლების გარეშე.

**სათაკილო** *სათაკილოს* რაც სასირცხვილოდ, შეუფერებლად მიაჩნიათ, რასაც თაკილობენ. *სათაკილო ამბავი. სათაკილო საქციელი.*

**სათალი** *სათალის* შებოლილი თართი. *სათალი თხლად იჭრება.*

**სათამადო** *სათამადოს* თამადისთვის განკუთვნილი, თამადის შესაფერისი. *სათამადო ადგილი.*

**სათამაშო** *სათამაშოს* I. ადამიანის, ცხოველის ან სხვადასხვა ნივთის პატარა, მინიატურული ასლი, ან რაიმე სხვა ნივთი, რომელიც თამაშისთვის არის განკუთვნილი. *ბავშვის სათამაშო. ახალი სათამაშო.* 2. თამაშისთვის განკუთვნილი ადგილი. *სათამაშო მოედანი. სათამაშო სახლი. ბანქოს სათამაშო მაგიდა.*

**სათანადო** *სათანადოს* შესაფერი, შესაბამისი, საჭირო. *სათანადო დოკუმენტაცია. სათანადო პასუხი. სათანადო კვება.* ▲ **სათანადოდ** ზმნიზ. შესაფერისად, შესაბამისად. *სათანადოდ შეაფასა.*

**სათარგმნი** *სათარგმნის* რაც უნდა თარგმნონ. *სათარგმნი ტექსტი.*

**სათარეშო** *სათარეშოს* სადაც თარეშობენ. *სათარეშო ადგილი.* ▲ **სათარეშოდ** ზმნიზ. თარეშის მიზნით, დასარბევად. *სათარეშოდ წავიდნენ.*

**სათაური** *სათაურის* მხატვრული, სამეცნიერო თუ პუბლიცისტური ტექსტის ან მისი ცალკეული თავის სახელწოდება. *სტატიის სათაური. რომანის სათაური.*

**სათაყვანებელი** *სათაყვანებლის* ძალიან ძვირფასი, სიყვარულის, თაყვანისცემის ღირსი. *სათაყვანებელი პიროვნება. სათაყვანებელი საქმე.*

**სათაყვანო** *სათაყვანოს* იგივეა, რაც **სათაყვანებელი**. *სათაყვანო მეგობარი.*

**სათბობი** *სათბობის* საწვავი მასალა, რომელიც საყოფაცხოვრებო მიზნით, ძირითადად, შენობების გასათბობად გამოიყენება. *ხელოვნური სათბობი. სათბობის ფასი.*

**სათბურა** *სათბურას* გასათბობი მოწყობილობა, უმეტესად სქელი რეზინის პარკი, რომელსაც ცხელი წყლით ავსებენ. *მტკივან ადგილზე სათბურას იდებენ.*

**სათბური** *სათბურის* სპეციალური ნაგებობა, სადაც ხელოვნურად ქმნიან საჭირო ტემპერატურასა და განათებას ზოგიერთი მცენარის მოსაშენებლად. *სათბურის ბოსტნეული. ყვავილების სათბური.*

**სათევზაო** *სათევზაოს* თევზაობისთვის განკუთვნილი, თევზაობისთვის გამოსადეგი. *სათევზაო ამინდი. სათევზაო ფაცერი.* ▲ **სათევზაოდ** ზმნიზ. თევზაობისთვის, თევზაობის მიზნით. *სათევზაოდ მოემზადა.*

**სათემო** *სათემოს* თემის კუთვნილი. თემთან დაკავშირებული. *სათემო ტყეები. სათემო ორგანიზაცია.*

**სათესი** *სათესის* რაც უნდა თესონ, რითაც უნდა თესონ, სადაც უნდა თესონ. *სათესი მანქანები. სათესი მიწები.*

**სათესლე** *სათესლის* დასათესად გამოსადეგი, დასათესად განკუთვნილი. *სათესლე მარცვალი. სათესლე ხორბალი.*

**სათვალავი** *სათვალავის* რაიმეს რაოდენობა. *სათვალავი ამერია.* ⊙ **სათვალავი არა აქვს** ძალიან ბევრია. ⊙ **სათვალავში ჩააგდებს** ანგარიშს გაუწევს, თანამონაწილედ ჩათვლის.

სათვალე

**სათვალე** *სათვალის* 1. ადამიანის მხედველობის გასაძლიერებელი ან თვალის დამცავი მოწყობილობა, თვალზე მოსარგები ჩარჩო, რომელშიც ჩასმულია ლინზები ან დამცავი მინები. *მზის სათვალე. სათხილამურო სათვალე.* 2. რაიმე კედელში გამოჭრილი პატარა ხვრელი. *სკის სათვალე.* ▪ **სათვალიანი** ვისაც სათვალე უკეთია. *სათვალიანი ბავშვი.*

**სათვალთვალო** *სათვალთვალოს* საგანგებო ადგილი, საიდანაც ვინმეს ან რაიმეს უთვალთვალებენ. *სათვალთვალო კოშკი.* ▲ **სათვალთვალოდ** ზმნიზ. თვალთვალის მიზნით. *სათვალთვალოდ გამოგ ზავნეს.*

**სათვისტომო** *სათვისტომოს* უცხო ქვეყანაში მცხოვრები საერთო ეთნიკური წარმომავლობის ადამიანების გაერთიანება მატერიალური და კულტურული ურთიერთდახმარების მიზნით. *ქართველთა სათვისტომო საფრანგეთში.*

**სათიბი** *სათიბის* 1. დაცული მინდორი, რომელსაც თიბავენ და ბალახს თივად იყენებენ. *სათიბი ადგილი. სათიბში მაღალი ბალახი იყო.* 2. მოწყობილობა, რითაც თიბავენ. *სათიბი მანქანა.*

**სათივე** *სათივის* თივის შესანახი სათავსო. *ძაღლი სათივეში წვებოდა.*

**სათითაო** *სათითაოს* თითო-თითო, თითოეული ცალ-ცალკე. *სათითაო ნაჭრები დაურიგეს. სათითაო სექტორი. სტუმრები სათითაო ოთახში მოათავსეს.*

**სათითე** *სათითის* 1. თითზე წამოსაცმელი ლითონის ან პლასტმასის საგანი, იყენებენ კერვისას ნემსის ჩხვლეტისგან თითის დასაცავად. *ოქროს სათითე. მკერავის სათითე.* 2. ძვ. მომკელის თითზე წამოსაცმელი ხის საგანი; იყენებდნენ მკის დროს ნამგლით გაჭრისგან თითის დასაცავად.

**სათითურა** *სათითურას* მრავალწლოვანი ბალახოვან-მარცვლოვანი მცენარე, გამოიყენება საქონლის საკვებად.

**სათნო** *სათნოს* კეთილი, კაცთმოყვარე. *სათნო ადამიანი. სათნო გამომეტყველება.*

**სათნოება** *სათნოების* სიკეთე, კაცთმოყვარეობა, ღმობიერება. *უსა ზღვრო სათნოება.*

**სათოვლია** *სათოვლიას* მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარე, აქვს მოკლე ღერო, ენძელას მსგავსი ბოლქვები და სხვადასხვა ფერის ყვავილები, გამოიყენება სამკურნალოდ.

**სათონე** *სათონის* თონისთვის განკუთვნილი გადახურული ნაგებობა. *ეზოში სათონე იდგა.*

**სათოფური** *სათოფურის* ციხესიმაგრის კედელში დატოვებული პატარა სარკმელი ან ნახვრეტი თოფის სასროლად. *სათოფურებიდან ლულები მოჩანდა.*

**სათოხარი** *სათოხარის* რაც უნდა გათოხნონ. *სათოხარში მივდივარ.*

**სათრევი** *სათრევის* რაც ან ვინც უნდა ათრიონ. *ხელით სათრევი ბარგი.*

**სათუთი** *სათუთის* ნაზი, სუსტი, განსაკუთრებულად მოსაფრთხილებელი. *სათუთი ბავშვი. სათუთი გრძნობა.*

სათუთუნე *სათუთუნის* თუთუნის ჩასაყრელი კოლოფი. *ვერცხლის სათუთუნე.*

სათუო *სათუოს* საქმე, რის შესრულებაც ეჭვს ინვევს. *მოგება სათუო იყო. სათუო დასკვნა.*

სათქვენო *სათქვენოს* თქვენთვის განკუთვნილი, თქვენი შესაფერისი, თქვენ რომ გეკადრებათ, ისეთი. *სათქვენო არაფერი მაქვს. ეგ ნამდვილად სათქვენო საქმეა.*

სათქვეფელა *სათქვეფელას* სხვადასხვა საკვები პროდუქტის ასათქვეფი ხელსაწყო. *კვერცხი სათქვეფელათი ათქვიფა. ნაღების სათქვეფელა.*

სათქმელი *სათქმელის* აზრი, ფიქრი, რაც უნდა ითქვას. *სათქმელი ვერ დაამთავრა. სათქმელი ბევრი მაქვს.*

სათხილამურო *სათხილამუროს* თხილამურებთან დაკავშირებული. *სათხილამურო სპორტი. სათხილამურო ტრასა.*

სათხრელი *სათხრელის* რაც უნდა თხარონ, რითაც თხრიან. *მიწის სათხრელი იარაღი.*

საიგავო *საიგავოს* მოულოდნელი და დიდად საკვირველი. *საიგავო ამბავი მოხდა.*

საიდან ზმნიზ. 1. რა ადგილიდან, რომელი მხრიდან. *საიდან გამოგ ზავნეს? საიდან დაბრუნდით?* 2. როგორ, რანაირად, რა გზით, რა საშუალებით. *საიდან იცი ჩემი მისამართი?* ⊙ საიდან სადაო ეს რა შუაშია, რა სათქმელია (ამბობენ რაიმეს უადგილოდ თქმის დროს).

საიდუმლო *საიდუმლოს* დამალული, დაფარული რამ, რასაც ყველას არ უმხელენ. *საიდუმლო გაანდო. საიდუმლოდ შეინახა. საიდუმლო შეხვედრა.*

საიდუმლოება *საიდუმლოების* 1. რაც გონებისთვის მიუწვდომელია. *სამყაროს საიდუმლოება. საიდუმლოებით მოცული.* 2. იგივეა, რაც საიდუმლო. *საიდუმლოება გაამჟღავნა.*

საიერიშო *საიერიშოს* იერიშისთვის განკუთვნილი. *საიერიშო ჯგუფი.*

საიზოლაციო *საიზოლაციოს* იზოლაციისთვის განკუთვნილი. *საიზოლაციო საშუალებები.*

საით ზმნიზ. რომელი მიმართულებით, რომელი მხრისკენ. *საით მიდიხარ? საით გაგ ზავნეს ბავშვები?*

საილუსტრაციო *საილუსტრაციოს* ილუსტრირებისთვის განკუთვნილი. *საილუსტრაციო მასალა.*

საიმათო *საიმათოს* იმათთვის განკუთვნილი, იმათთვის სასარგებლო, იმათი შესაფერისი. *საიმათო ხილი.*

საიმდროო *საიმდროოს* იმ დროს გამოსადეგი, იმ დროისთვის განკუთვნილი. *საიმდროო ტანსაცმელი. საიმდროო ღვინო სხვა მაქვს.*

საიმედო *საიმედოს* იმედის მომცემი, ვისი ან რის იმედიც აქვთ. *საიმედო მეგობარი.*

საიმედოობა *საიმედოობის* ვინმეს ან რაიმეს საიმედო ხასიათი, როდესაც ნდობა შეიძლება. *საიმედოობით არ გამოირჩევა. საიმედოობა ეჭვს არ იწვევს.*

საიმიგრაციო *საიმიგრაციოს* იმიგრაციასთან, იმიგრანტებთან დაკავშირებული. *საიმიგრაციო კანონები.*

საიმისო *საიმისოს* 1. იმის შესაფერისი, იმისთვის განკუთვნილი, იმას რომ ეკადრება, ისეთი. *საიმისო კაბა.* 2. გადატ. ისეთი, იმნაირი. *ჯერ საიმისო რა გვჭირს?* ▲ საიმისოდ ზმნიზ. იმისთვის. *საიმისოდ ესეც კმარა.*

საიმპერატორო *საიმპერატოროს* იმპერატორის კუთვნილი. *საიმპერატორო დინასტია.*

საიმპერიო *საიმპერიოს* იმპერიისთვის განკუთვნილი. *საიმპერიო ჯარი.*

საიმპორტო *საიმპორტოს* იმპორტისთვის განკუთვნილი. *საიმპორტო საქონელი.*

საინვენტარიზაციო *საინვენტარიზაციოს* ინვენტარიზაციისთვის განკუთვნილი. *საინვენტარიზაციო წიგნი.*

საინვესტიციო *საინვესტიციოს* ინვესტიციასთან დაკავშირებული. *საინვესტიციო გარემო.*

საინი *საინის* იგივეა, რაც თეფში. *დიდი საინი.*

საინიციატივო *საინიციატივოს* ვინც ინიციატივას იჩენს. *საინიციატივო ჯგუფი.*

საინკუბაციო *საინკუბაციოს* ინკუბაციისთვის განკუთვნილი. *საინკუბაციო პერიოდი.*

საინჟინრო *საინჟინროს* 1. ინჟინრის გამოსაყენებელი. *საინჟინრო ტექნოლოგიები.* 2. ინჟინრების მომამზადებელი. *საინჟინრო ფაკულტეტი.* 3. ინჟინრის შექმნილი, ნაშენები. *საინჟინრო ნაბაზი. საინჟინრო ნაგებობა.*

საინტერესო *საინტერესოს* ვინც, რაც ინტერესს (1) აღძრავს, ყურადღებას იქცევს. *საინტერესო მოთხრობა. საინტერესო პიროვნება.*

საინფორმაციო *საინფორმაციოს* ინფორმაციის შემცველი, ინფორმაციისთვის განკუთვნილი. *საინფორმაციო გადაცემა. საინფორმაციო ბროშურა.*

საირიგაციო *საირიგაციოს* ირიგაციასთან დაკავშირებული. *საირიგაციო ნაგებობა.*

საისტორიო *საისტორიოს* ისტორიასთან დაკავშირებული. *საისტორიო თხზულება.*

საიტი *საიტის* ინტერნეტში განთავსებული საერთო მისამართის მქონე ელექტრონული დოკუმენტების ერთობლიობა.

საიუბილეო *საიუბილეოს* იუბილესთან დაკავშირებული. *საიუბილეო ღონისძიება. საიუბილეო საღამო.*

საიუველირო *საიუველიროს* იგივეა, რაც საოქრომჭედლო. *ახალი საიუველირო გაიხსნა.*

საიქიო *საიქიოს* გარდაცვალების შემდეგ ადა-

მიანის სულის სამარადისო სამყოფი. *საიქიოში დარდი გაიყოლა.*

**საიჯარო** *საიჯაროს* იჯარისთვის განკუთვნილი. *საიჯარო ხელშეკრულება. საიჯარო გადასახადი.*

**საკაბე** *საკაბის* კაბის შესაკერად განკუთვნილი ქსოვილი. *შალის საკაბე. აბრეშუმის საკაბე.*

**საკაბელო** *საკაბელოს* კაბელთან დაკავშირებული, კაბელის საშუალებით მოქმედი. *საკაბელო ქსელი. საკაბელო ტელევიზია.*

**საკადრი** *საკადრის* იგივეა, რაც საკადრისი. *მეფის საკადრი ნადიმი.*

**საკადრისი** *საკადრისის* შესაფერისი, რაც ვინმეს ან რაიმეს ეკადრება, შეეფერება. *საკადრისი მიუზღეს. საკადრისი პატივი სცეს.*

**საკავალერიო** *საკავალერიოს* კავალერიისთვის განკუთვნილი. *საკავალერიო აღჭურვილობა.*

**საკაზმი** *საკაზმის* 1. მორთულობა, სამკაული, რომლითაც კაზმავენ ვინმეს ან რაიმეს. 2. იგივეა, რაც სანელებელი. *საკაზმი დაამატა.*

**საკათედრო** *საკათედროს* ◉ საკათედრო ტაძარი ტაძარი, სადაც რომელიმე რეგიონის სასულიერო ცენტრია განთავსებული.

**საკამათო** *საკამათოს* ძნელად გასაზიარებელი, რაც კამათს იწვევს. *საკამათო მოსაზრება. საკამათო დებულება.*

**საკანალიზაციო** *საკანალიზაციოს* კანალიზაციისთვის განკუთვნილი. *საკანალიზაციო მილები.*

**საკანი** *საკნის* პატიმრისთვის განკუთვნილი ოთახი ციხეში. *საკნის კარი მიიხურა.*

**საკანონმდებლო** *საკანონმდებლოს* კანონმდებლობასთან დაკავშირებული. *საკანონმდებლო ინიციატივა.*

**საკანცელარიო** *საკანცელარიოს* კანცელარიისთვის საჭირო, კანცელარიაში გამოსაყენებელი. *საკანცელარიო საქონელი.*

**საკარანტინო** *საკარანტინოს* კარანტინთან დაკავშირებული, რის გამოც კარანტინი ცხადდება. *საკარანტინო ღონისძიებები. საკარანტინო სიტუაცია.*

საკარაქე

**საკარაქე** *საკარაქის* სუფრაზე კარაქის მისატანი ჭურჭელი. *ფაიფურის საკარაქე.*

**საკარმიდამო** *საკარმიდამოს* ◉ საკარმიდამო ნაკვეთი საცხოვრებელი სახლის მიმდებარე მიწის ნაკვეთი.

**საკარნავალო** *საკარნავალოს* კარნავალისთვის განკუთვნილი. *საკარნავალო კაბა.*

**საკასაციო** *საკასაციოს* კასაციის მომთხოვნი, კასაციისთვის საჭირო. *საკასაციო საჩივარი. საკასაციო ვადა.*

**საკასო** *საკასოს* ფულად გადასახადებთან და გადარიცხვებთან დაკავშირებული.

**საკატალოგო** *საკატალოგოს* კატალოგისთვის განკუთვნილი. *საკატალოგო ნიმუში.*

**საკატლეტე** *საკატლეტის* კატლეტისთვის განკუთვნილი, საჭირო. *საკატლეტე ხორცი.*


საკაცე

**საკაცე** *საკაცის* ავადმყოფის ხელით გადასაყვანი საწოლი. *თელებიანი საკაცე.*

**საკაცო** *საკაცოს* კაცის მოსახმარი, კაცისთვის განკუთვნილი. *საკაცო საქმე.*

**საკბილო** *საკბილოს* 1. რასაც შეიძლება კბილი გაჰკრან, რაც შეიძლება შეჭამონ. *მგლის საკბილო გახდა. ბიჭი საკბილოს ეძებდა.* 2. გადატ. ვინმეს ინტერესის (მითვისების, დაკვირვების, გაკიცხვის...) საგანი. *მე ზოგლებს საკბილო მიეცათ.*

**საკეთილდღეო** *საკეთილდღეოს* კეთილდღეობის მომტანი, კეთილდღეობისთვის გამიზნული. *საკეთილდღეო საქმე. საკეთილდღეო მიზნები.* ▲ **საკეთილდღეოდ** ზმნიზ. კეთილდღეობისთვის. *ხალხის საკეთილდღეოდ.*

**საკენკი** *საკენკის* ფრინველთა საკვები მარცვლეული. *ქათმის საკენკი. საკენკი დაუყარა.*

**საკეპი** *საკეპის* რაც უნდა კეპონ ან რითაც უნდა კეპონ. *ხორცის საკეპი მანქანა.*

**საკერავი** *საკერავის* რაც უნდა კერონ ან რითაც უნდა კერონ. *საკერავი ბევრი მაქვს. საკერავი მანქანა.*

**საკეტი** *საკეტის* სპეციალური მოწყობილობა რაიმეს დასაკეტად. *კარის საკეტი. ავტომატური საკეტი.*

**საკვალიფიკაციო** *საკვალიფიკაციოს* კვალიფიკაციის ასამაღლებელი. *საკვალიფიკაციო გამოცდები.*

**საკვამლე** *საკვამლის* იგივეა, რაც საკვამური. *საკვამლე გაწმინდა.*

**საკვამური** *საკვამურის* შენობიდან კვამლის ამოსასვლელი მილი. *ბუხრის საკვამური.*

**საკვანძო** *საკვანძოს* 1. კვანძთან (2) დაკავშირებული. *საკვანძო გზა.* 2. გადატ. მნიშვნელოვანი, მთავარი, არსებითი. *საკვანძო მომენტი. საკვანძო საკითხი.*

**საკვები** *საკვების* ცოცხალი ორგანიზმის არსებობისთვის საჭირო პროდუქტი ან ნივთიერებები. *ადამიანის საკვები. ცხოველის საკვები. მცენარე საკვებს ნიადაგიდან იღებს.*

**საკვეთი** *საკვეთის* გუთნის ნაწილი, სახნისის წინ დამაგრებული მიწის საჭრელი რკინა, რომელსაც დანის ფორმა აქვს.

საკვერცხე *საკვერცხის* მდედრობითი სქესის წყვილი სასქესო ჯირკვალი, სადაც ვითარდება კვერცხუჯრედი. *საკვერცხის ანთება.*

საკვეხარი *საკვეხარის* თავის მოსაწონებელი, სატრაბახო. *საკვეხარი არაფერი აქვს. ჩემი საკვეხარი ეგ არის.*

საკვირაო *საკვირაოს* კვირას (2) შესასრულებელი, კვირას (2) მოქმედი. *საკვირაო სკოლა. საკვირაო ქადაგება.*

საკვირველება *საკვირველების* რაც გაკვირვებას იწვევს, საოცრება. *საკვირველება იხილა. საკვირველება მოხდა.*

საკვირველი *საკვირველის* გაკვირვების გამომწვევი. *საკვირველი ამბავი.*

საკვლევი *საკვლევის* კვლევასთან დაკავშირებული, რაც (ან რითაც) უნდა გამოიკვლიონ. *საკვლევი საკითხები. საკვლევი აპარატი. საკვლევი ბაზა.*

საკვოიაჟი *საკვოიაჟის* საკეტის მქონე სამგზავრო რბილი ჩანთა, ჩვეულებრივ, ტყავისა.

საკიდარი *საკიდრის* რითაც კიდებენ რაიმეს (ყური, რკალი და მისთ.) ან რაზეც იკიდება. *ქურთუკის საკიდარი.*

საკიდელი *საკიდლის* ძვ. რკინის მსხვილი ჯაჭვი, რომელიც კერის თავზე ეკიდა, იყენებდნენ ქვაბების ჩამოსაკიდებლად. *რკინის საკიდელი.*

საკითხავი *საკითხავის* რაც უნდა წაიკითხონ. *მგზავრობისას საკითხავი წიგნი.*

საკითხი *საკითხის* რაიმე თემა, გარემოება, შექმნილი სიტუაცია, რომელიც განხილვას, გადაწყვეტას, გარკვევას საჭიროებს. *რთული საკითხი. მტკივნეული საკითხი. ამ საკითხზე მსჯელობა.*

საკინკლაო *საკინკლაოს* კინკლაობის საგანი, ობიექტი. *საკინკლაო არაფერი ჰქონდათ. საკინკლაოდ არ ღირს.*

საკინძე *საკინძის* პერანგის ან კაბის შესაკრავი ყელთან. *საკინძე შეიხსნა.*

საკირე *საკირის* სპეციალური ადგილი (ორმო, ღუმელი), სადაც კირს ამზადებენ. *საკირედან კვამლი ამოდის. საკირე გაახურეს.* ⊙ **საკირეში ჩააგდეს** დიდ სატანჯველში ჩააგდეს, დაღუპეს, აწამეს.

საკიცხავი *საკიცხავის* გაკიცხვის, დაგმობის ღირსი.

საკლავი *საკლავის* საკვებად დასაკლავი პირუტყვი. *საკლავი მოიტანა.*

საკლასიფიკაციო *საკლასიფიკაციოს* რის მიხედვითაც კლასიფიკაცია ხდება. *საკლასიფიკაციო ნიშანი.*

საკლასო *საკლასოს* კლასისთვის განკუთვნილი. *საკლასო ოთახი. საკლასო მუშაობა.*

საკლუბო *საკლუბოს* კლუბისთვის განკუთვნილი. *საკლუბო მუსიკა.*

საკმაზი *საკმაზის* სანელებელი, საკაზმი (2). *სალათის საკმაზი. კერძის საკმაზი.*

საკმაო *საკმაოს* იგივეა, რაც **საკმარისი**. *საკმაო მოსავალი. საკმაო დრო აქვს.*

საკმაოდ ზმნიზ. 1. საკმაო რაოდენობით, საკმარისად. *ფული საკმაოდ აქვს.* 2. შესამჩნევად, საგრძნობლად. *საკმაოდ ბევრი ხალხი მოვიდა. საკმაოდ ხშირად ხვდებიან ერთმანეთს.*

საკმარისი *საკმარისის* ვინმეს ან რაიმეს სამყოფი. *საკმარისი პროდუქტი. საკმარისი გამოცდილება.* ▲ **საკმარისად** ზმნიზ. საკმარისი რაოდენობით. *საკმარისად იშრომა.*

საკმეველი *საკმევლის* სურნელოვანი ფისი, რომელიც გამოიყოფა საკმლის ხის დასერილი ქერქისგან, გამოიყენება ღვთისმსახურებაში. *საკმეველი აკმიეს. საკმევლის სუნი.*

საკოლექციო *საკოლექციოს* კოლექციისთვის განკუთვნილი. *საკოლექციო ნივთები.*

საკომისიო *საკომისიოს* საშუამავლო ვაჭრობასთან დაკავშირებული. *საკომისიო მაღაზია. საკომისიო ჯგუფი.*

საკომპენსაციო *საკომპენსაციოს* კომპენსაციისთვის განკუთვნილი. *საკომპენსაციო თანხა.*

საკომუნიკაციო *საკომუნიკაციოს* კომუნიკაციისთვის განკუთვნილი. *საკომუნიკაციო საშუალება.*

საკონდიტრო *საკონდიტროს* 1. ტკბილეულის წარმოებასთან, გაყიდვასთან და მისთ. დაკავშირებული. *საკონდიტრო პროდუქცია. საკონდიტრო ფირმა.* 2. მაღაზია, სადაც იყიდება ტკბილეული. *საკონდიტრო გაიხსნა. საკონდიტროს მფლობელი.*

საკონკურსო *საკონკურსოს* კონკურსისთვის განკუთვნილი. *საკონკურსო განაცხადი. საკონკურსო ნაშრომი.*

საკონსერვო *საკონსერვოს* კონსერვის დამზადებასთან დაკავშირებული. *საკონსერვო ქარხანა. საკონსერვო ხილი.*

საკონსტიტუციო *საკონსტიტუციოს* კონსტიტუციასთან დაკავშირებული. *საკონსტიტუციო სასამართლო.*

საკონსულო *საკონსულოს* 1. ერთი ქვეყნის დიპლომატიური წარმომადგენლობა მეორე ქვეყანაში კონსულის მეთაურობით. *იტალიის საკონსულო.* 2. შენობა, სადაც საკონსულო (1) არის განთავსებული. *საკონსულო სხვაგან გადაიტანეს.*

საკონსულტაციო *საკონსულტაციოს* ვინც კონსულტაციას უწევს, სადაც კონსულტაციას უწევენ. *საკონსულტაციო ცენტრი.*

საკონტაქტო *საკონტაქტოს* კონტაქტთან დაკავშირებული, კონტაქტისთვის განკუთვნილი. *საკონტაქტო მონაცემები.*

საკონტროლო *საკონტროლოს* კონტროლისთვის საჭირო, კონტროლის მიზნით გაკეთებული. *საკონტროლო ნერა. საკონტროლო სასწორი.*

საკონფისკაციო *საკონფისკაციოს* კონფისკაციასთან დაკავშირებული. *საკონფისკაციო შენობა.*

საკონფლიქტო *საკონფლიქტოს* კონფლიქტთან დაკავშირებული. *საკონფლიქტო სიტუაცია.*

საკონცენტრაციო *საკონცენტრაციოს* რაიმეს კონცენტრაციისთვის განკუთვნილი. *საკონცენტრაციო ბანაკი.* შეცდომაა საკონცეტრაციო

საკონცერტო *საკონცერტოს* კონცერტისთვის განკუთვნილი, კონცერტთან დაკავშირებული. *საკონცერტო ნომერი. საკონცერტო დარბაზი.*

საკოორდინაციო *საკოორდინაციოს* კოორდინაციისთვის საჭირო. *საკოორდინაციო საბჭო.*

საკორექტურო *საკორექტუროს* რასაც კორექტურა ესაჭიროება. *საკორექტურო მასალა.*

საკოსტიუმე *საკოსტიუმეს* კოსტიუმისთვის განკუთვნილი. *შალის საკოსტიუმე.* შეცდომაა საკოსტუმე

საკოჭე *საკოჭის* კოჭისთვის[2] განკუთვნილი. *საკოჭე მასალა. საკოჭე ხე.*

საკრავი *საკრავის* მოწყობილობა, რომელიც მუსიკალურ ბგერებს გამოსცემს. *ხემიანი საკრავები. ჩასაბერი საკრავები.*

საკრალური *საკრალურის* რელიგიურ კულტთან დაკავშირებული. *საკრალური რიტუალი.*

საკრებულო *საკრებულოს* ადგილობრივი მმართველობის არჩევითი ორგანო. *ქალაქის საკრებულო. საკრებულოს წევრები.*

საკრედიტო *საკრედიტოს* კრედიტისთვის განკუთვნილი. *საკრედიტო სისტემა. საკრედიტო ბარათები.*

საკრეჭი *საკრეჭის* რაც უნდა გაკრიჭონ, რითაც უნდა გაკრიჭონ. *ცხვრის საკრეჭი.*

საკუთარი *საკუთრის* ვინმეს ან რაიმეს კუთვნილი. *საკუთარი ბიზნესი. საკუთარი შემოქმედება.*

საკუთრება *საკუთრების* ვინმეს ან რაიმეს კუთვნილება. *საკუთრების უფლება. კერძო საკუთრება. ინტელექტუალური საკუთრება.*

საკუთრივ 1. ზმნიზ. მხოლოდ, თვით. *დირექტორი საკუთრივ მას შეხვდა.* 2. კერძოდ, სახელდობრ. *მასში საკუთრივ თბილისის გარდა, საქართველოს სხვა ქალაქებიც შედის.*

საკულტო *საკულტოს* კულტთან დაკავშირებული. *საკულტო რიტუალი. საკულტო საკლავი. საკულტო ადგილი.*

საკურთხებელი *საკურთხებლის* რაც უნდა აკურთხონ. *საკურთხებელი ჯვარი. საკურთხებელი მარილი.*

საკურთხეველი *საკურთხეველის* ტაძარში კანკელით გამოყოფილი ნაწილი. *საკურთხეველში შევიდა.*

საკურთხი *საკურთხის* მიცვალებულის სულის მოსახსენიებლად მომზადებული სუფრა, რომელსაც მღვდელი აკურთხებს. *საკურთხი მოამზადეს.*

საკურორტო *საკურორტოს* კურორტისთვის განკუთვნილი. *საკურორტო ადგილი. საკურორტო ზონი.*

საკურსო *საკურსოს* ამა თუ იმ კურსთან (4) დაკავშირებული. *საკურსო შრომა.*

საკუჭნაო *საკუჭნაოს* პროდუქტებისა და სხვა ნივთების შესანახი მცირე სათავსო. *საკუჭნაოში შეიტანა.*

სალათა *სალათის* 1. ერთწლოვანი ბოსტნეული მცენარე, აქვს ღია მწვანე, ფართო ფოთლები, იჭმება უმად. 2. ცივი საჭმელი, ძირითადად ამზადებენ ბოსტნეულისგან. *კომბოსტოს სალათა. სოკოს სალათა.*

სალათისფერი *სალათისფრის* ღია მწვანე, რაც ფერით სალათას ჰგავს. *სალათისფერი კაბა.*

სალამანდრა *სალამანდრის* ხელიკის მსგავსი ცხოველი, ბინადრობს წყალშიც და ხმელეთზეც. *სალამანდრა მესხეთის ქედზე გვხვდება.*

სალამი *სალმის* 1. სიტყვა, რომელსაც ადამიანები შეხვედრისას ეუბნებიან ერთმანეთს. *სალამი უთხრა. სალამი ყველას!* 2. ვინმეს მიმართ კეთილგანწყობის გამომხატველი სიტყვა. *სალამს უთვლის. მივიღე შენი სალამი.*

სალამური *სალამურის* უძველესი ქართული ჩასაბერი საკრავი – ხის ან ლერწმის მილი, რომელსაც სხვადასხვა რაოდენობის ნახვრეტები აქვს. *მწყემსის სალამური.*


სალამური

სალაპარაკო *სალაპარაკოს* 1. რაზეც ლაპარაკობენ. *სალაპარაკო თემა.* 2. იგივეა, რაც სასაუბრო (1). *სალაპარაკო ენა.* 3. გადატ. დასაცინი, მითქმა-მოთქმის საგანი. *ყველას სალაპარაკო გახდა.* ▲ სალაპარაკოდ ზმნიზ. ლაპარაკის მიზნით. *სალაპარაკოდ არ მითქვამს. სალაპარაკოდ არ ღირს.*

სალარო *სალაროს* დაწესებულება ან დაწესებულების განყოფილება, სადაც ხდება ფულის გადაცემა ან მიღება. *ბანკის სალარო. აეროპორტის სალარო. ფილარმონიის სალარო.*

სალაფავი *სალაფავის* შინაური პირუტყვისთვის მომზადებული საკვები, წყალში გახსნილი ან მოდუღებული ქატო, ფქვილი და მისთ. *სალაფავი მოუმზადა.*

სალაღობო *სალაღობოს* გასართობი, სახალისო, მოსალხენი. *სალაღობო ლექსები.*

სალაყბო *სალაყბოს* I. ამბავი, შემთხვევა, თემა, საკითხი, რაზეც ბევრს ლაყბობენ. *ეს ამბავი ყველას სალაყბო გახდა. სალაყბოდ გაიხადა თავი.* 2. სამუსაიფოდ თავშეყრის ადგილი სოფელში. *სალაყბოზე გავიდა.*

სალაშქრო *სალაშქროს* ლაშქრისთვის ან ლაშქრობისთვის განკუთვნილი, ლაშქრობასთან დაკავშირებული. *სალაშქრო აღჭურვილობა.*

სალახანა *სალახანის* ლანძღ. თავხედი, უზნეო, გარყვნილი. *სალახანა ბიჭი. შე სალახანა!*

სალბი *სალბის* ბალახოვანი მცენარე, აქვს ღეროზე რგოლურად განყობილი ყვავილედები, გამოიყენება სამკურნალოდ. *სალბის საფენები.*

სალბუნი *სალბუნის* იგივეა, რაც მალამო.

სალესი *სალესის* სპეციალური ბრტყელი ან მრგვალი ქვა, რომელზეც ლესავენ მჭრელ იარაღს. *დანის სალესი.*

სალექსო *სალექსოს* ლექსისთვის დამახასიათებელი. *სალექსო სტრიქონი.*

სალექციო *სალექციოს* ლექციისთვის განკუთვნლი. *სალექციო კურსი. სალექციო საათი.*

სალი *სალის* პიტალო, მაგარი (კლდე).

სალიკვიდაციო *სალიკვიდაციოს* ვისაც რაიმეს ლიკვიდაცია ევალება. *სალიკვიდაციო კომისია.*

სალიტერატურო *სალიტერატუროს* ლიტერატურისთვის განკუთვნილი. *სალიტერატურო ენა.*

სალიცენზიო *სალიცენზიოს* ლიცენზიისთვის განკუთვნილი. *სალიცენზიო საბჭო.*

სალმიანი *სალმიანის* ვინც კარგი მისალმება და მოკითხვა იცის. *სალმიანი მე ზობელი.*

სალოგინე *სალოგინის* I. ლოგინის შესანახი სათავსი. *ხის სალოგინე.* 2. მასალა, რისგანაც ლოგინს კერავენ. *სალოგინე ქსოვილი.*

სალოკი *სალოკის* I. რასაც ლოკავენ, რაც უნდა ალოკონ. *სალოკი მარილი.* 2. ხელზე ცერის მომდევნო თითი.

სალოლიაო *სალოლიაოს* რასაც ან ვისაც განსაკუთრებულად უნდა მოუფრთხილდე, მოუარო, ეფერო. *სალოლიაო ბავშვი.*

სალომბარდო *სალომბარდოს* ლომბარდისთვის განკუთვნილი. *სალომბარდო მომსახურება.*

სალონი *სალონის* I. ადგილი, სადაც ადამიანების გარეგნობაზე ზრუნავენ. *სილამაზის სალონი.* 2. რაიმეს გამოფენისთვის ან გაყიდვისთვის განკუთვნილი დარბაზი. *სამხატვრო სალონი. ავეჯის სალონი.* 3. მგზავრებისთვის განკუთვნილი ნაწილი ტრანსპორტში. *მანქანის სალონი. თვითმფრინავის სალონი.* 4. სტუმრების მისაღებად მოწყობილი ოთახი მდიდრულ სახლში, სასტუმროში. ⊙ სილამაზის სალონი იგივეა, რაც საპარიკმახერო(1).

სალოცავი *სალოცავის* I. ნაგებობა, ადგილი, სადაც მორწმუნეები ლოცულობენ. *კაცები სალოცავში წავიდნენ.* 2. რაზეც მორწმუნეები ლოცულობენ. *სალოცავი ხატი.*

სალტე *სალტის* ლითონის რგოლი, რომელსაც სიმტკიცისთვის უკეთებენ რაიმეს. *ურმის თვლის სალტე. კასრის სალტე.*

სალტო *სალტოს* აკრობატული ილეთი, რომლის დროსაც ჰაერში მალაყს აკეთებენ. *სალტო გააკეთა.*

სალუტი *სალუტის* ამა თუ იმ მოვლენის აღსანიშნავი საზეიმო მისალმება ქვემეხების, იარაღის სროლითა და ფეიერვერკით. *ცა სალუტმა გაანათა.*

სალუქი *სალუქის* მშვენიერი, სასიამოვნო, ნაზი, ფაქიზი. *სალუქი ხელები. სალუქი სული.*

სამაგალითო *სამაგალითოს* ძალიან კარგი, მისაბაძი. *სამაგალითო მოსწავლე. სამაგალითო მუშაობა.*

სამაგალითოდ ზმნიზ. I. სხვებისთვის მაგალითის მისაცემად, სანიმუშოდ. *სამაგალითოდ დასაჯეს.* 2. ძალიან კარგად, მისაბაძად. *სამაგალითოდ იქცევა.*

სამაგიდო *სამაგიდოს* მაგიდისთვის განკუთვნილი. *სამაგიდო აქსესუარები.* ⊙ სამაგიდო წიგნი ყოველდღიურად გამოსაყენებელი, ძალიან საჭირო წიგნი.

სამაგიერო *სამაგიეროს* I. რაიმეს მაგიერი, სანაცვლო. *წიგნის სამაგიერო იყოს.* ▲ სამაგიეროდ ზმნიზ. სანაცვლოდ, მაგივრად. *სამაგიეროდ ალბომს გაჩუქებ. სამაგიეროდ რას მპირდები?* ⊙ სამაგიეროს გადაუხდის (მიუზღავს) მის მიმართ ჩადენილი საქციელის საპასუხოდ რაიმეს მოიმოქმედებს.

სამაგისო *სამაგისოს* მაგის შესაფერისი, მაგის ღირსი. *სამაგისო რა გეჭირს! სამაგისო გოგოა.* ▲ სამაგისოდ ზმნიზ. მაგისთვის. *სამაგისოდ ვერ გავიმეტებ.*

სამაგისტრო *სამაგისტროს* მაგისტრისთვის, მაგისტრობისთვის განკუთვნილი. *სამაგისტრო გამოცდები. სამაგისტრო ნაშრომი.*

სამაგრი *სამაგრის* I. რომლითაც ამაგრებენ რაიმეს. *სამაგრი დეტალი.* 2. ამა თუ იმ ნივთის, აპარატისა და მისთ. დასამაგრებელი რამ. *თმის სამაგრი. ძრავის სამაგრი.*

სამადლო *სამადლოს* მადლისთვის გაკეთებული, გაცემული. *სამადლო საქმე. სამადლო პური.* ▲ სამადლოდ ზმნიზ. მადლისთვის, მოწყალების მიზნით. *სამადლოდ შეიფარეს ნათესავებმა.*

სამადლობელი *სამადლობლის* I. მადლობის გამოსახატავი, მადლობის ნიშნად შესრულებული. *სამადლობელი ლოცვა. სამადლობელი წერილი.*

2. სადღეგრძელოს პასუხად წარმოთქმული, მადლობის გამომხატველი სიტყვა. *სამადლობელი თქვა.*

**სამათხოვროდ** ზმნიზ. მოწყალების სათხოვნელად. *სამათხოვროდ დადის. სამათხოვროდ გაუხდა საქმე.*

**სამალავი** *სამალავის* ადგილი, სადაც თავს აფარებენ, ვინმეს ან რაიმეს მალავენ. *წისქვილი ბაეშვებისთვის კარგი სამალავი იყო. განძის სამალავი.*

**სამამამთილო** *სამამამთილოს* მომავალი მამამთილი, საქმროს მამა მომავალი რძლისთვის. *სამამამთილო ესტუმრა.*

**სამამულო** *სამამულოს* ამა თუ იმ ქვეყნისთვის, მამულისთვის (1) განკუთვნილი, ადგილობრივი. *სამამულო პროდუქცია.* ⊙ **სამამულო ომი** სამშობლოს დასაცავად წარმოებული ომი.

**სამანი** *სამანის* მიწაში ჩასობილი რაიმე ნიშანი - ქვა ან ხე, რომლითაც აღნიშნავენ ტერიტორიის მიჯნას. *სამანი გადაწიეს. სამანი დადეს.*

**სამანქანო** *სამანქანოს* მანქანისთვის განკუთვნილი. *სამანქანო გ ზა.*

**სამარადისო** *სამარადისოს* წიგნ. სამუდამო, მარადიული. *სამარადისო ხსოვნა.* ▲ **სამარადისოდ** ზმნიზ. სამუდამოდ, მარად. *სამარადისოდ დარჩება მათი სახელი.*

**სამარადჟამო** *სამარადჟამოს* ძვ. იგივეა, რაც სამარადისო. *სამარადჟამო მმართველობა. სამარადჟამო მეგობრობა.*

**სამარე** *სამარის* იგივეა, რაც საფლავი. *გმირის სამარე.* ⊙ **სამარეს უთხრის** დაღუპავს უპირებს, ბოროტებას უმზადებს. ⊙ **სამარის კარამდე სიკვდილამდე**, სიცოცხლის ბოლომდე. ⊙ **ცალი ფეხი სამარეში უდგას** მალე მოკვდება, დიდხანს ვერ იცოცხლებს.

**სამართავი** *სამართავის* რაც ან ვინც უნდა მართონ. *ადვილად სამართავი მანქანა.*

**სამართალი** *სამართლის* სახელმწიფოს მიერ დადგენილი საზოგადოებრივი ურთიერთობის სავალდებულო წესებისა და ნორმების ერთობლიობა, რომლის დაცვასაც უზრუნველყოფს სპეციალური ორგანოები. *სისხლის სამართალი. სამოქალაქო სამართალი.*

**სამართალწარმოება** *სამართალწარმოების* სასამართლო საქმეების წარმოება. *სამართალწარმოება მაღალ დონეზეა.*

**სამართებელი** *სამართებლის* 1. წვერის საპარსავი დანა. *დალაქის სამართებელი.* 2. ყოველგვარი საპარსი მოწყობილობა. *ელექტროსამართებელი. უსაფრთხო სამართებელი.* 3. ლითონის სპეციალური, თხელი, დრეკადი ფირფიტა, გამოიყენება საპარსავ ხელსაწყოებში.

სასტამბო *სასტამბოს* სტამბისთვის განკუთვნილი, სტამბასთან დაკავშირებული. *სასტამბო ნიშნები.*

სასტარტო *სასტარტოს* სტარტისთვის განკუთვნილი, სტარტთან დაკავშირებული. *სასტარტო სიგნალი. სასტარტო მოედანი.*

სასტვენი *სასტვენის* ლითონის ან პლასტმასის პატარა მილაკი, რომელიც ჩაბერვისას მკვეთრ ბგერებს გამოსცემს. გამოიყენება სასიგნალო დანიშნულებით. *პოლიციელის სასტვენი. მსაჯის სასტვენი.*

სასტიკი *სასტიკის* 1. ვისაც ან რასაც სისასტიკე ახასიათებს, ძალიან მკაცრი, შეუბრალებელი. *სასტიკი ადამიანი. სასტიკი გადაწყვეტილება.* 2. გადატ. მძაფრი, ძალიან ძლიერი. *სასტიკი სიცხე. სასტიკი ღელვა.* ▲ სასტიკად ზმნიზ. ძალიან მკაცრად, შეუბრალებლად. *სასტიკად მოექცა.*

სასტუმრო *სასტუმროს* 1. შენობა, სადაც მოწყობილია დროებითი საცხოვრებელი ძირითადად ჩამოსულებისთვის. *მდიდრული სასტუმრო. იაფფასიანი სასტუმრო.* 2. სტუმრის მისაღები ოთახი სახლში.

სასულე *სასულის* ადამიანისა და ცხოველის სასუნთქი ხრტილოვანი მილი. *სასულეში გადასცდა.* ⊙ სასულე ორკესტრი ჩასაბერ საკრავთა ორკესტრი.

სასულიერო *სასულიეროს* სარწმუნოებასთან, ეკლესიასთან დაკავშირებული, რელიგიური. *სასულიერო მოღვაწე. სასულიერო ლიტერატურა. სასულიერო სემინარია.*

სასუნთქი *სასუნთქის* რითაც სუნთქავენ, სუნთქვასთან დაკავშირებული. *სასუნთქი სისტემა. სასუნთქი მილი.*

სასურველი *სასურველის* რაც სურთ, უნდათ. *სასურველი სამსახური. სასურველი საცოლე. სასურველი ქალი.*

სასურსათო *სასურსათოს* სურსათთან დაკავშირებული, სურსათისთვის განკუთვნილი. *სასურსათო კომბინატი. სასურსათო ვაჭრობა.*

სასუსნავი *სასუსნავის* გემრიელი რამეები, ძირითადად, ხილი, ტკბილეული. *მარანში ბევრია სასუსნავი.*

სასუფეველი *სასუფევლის* იგივეა, რაც სამოთხე. *სასუფეველი დაიმკვიდრა.*

სასუქი *სასუქის* ორგანული და არაორგანული ნივთიერებები, რომლებიც ხელს უწყობს ნიადაგის განოყიერებას. *აზოტიანი სასუქი. მინერალური სასუქი. სასუქის შეტანა.*

სასქესო *სასქესოს* სქესთან (1) დაკავშირებული. *სასქესო ორგანო. სასქესო ჰორმონები.*

სასყიდელი *სასყიდლის* ძვ. საფასური, საზღაური, რაიმეს სამაგიერო. *სასყიდელი მიიღეს. შრომის სასყიდელი.*

სასცენო *სასცენოს* სცენასთან დაკავშირებული. *სასცენო ხელოვნება.*

სასწავლებელი *სასწავლებლის* დანესებულება, სადაც ახალგაზრდები განათლებას იღებენ. *უმაღლესი სასწავლებელი.*

სასწავლი *სასწავლის* რაც უნდა ისწავლონ. *ადვილად სასწავლი ლექსი.*

სასწავლო *სასწავლოს* სწავლასთან დაკავშირებული, სწავლისთვის განსაზღვრული. *სასწავლო წიგნები. სასწავლო მასალა. სასწავლო სემესტრი.*

სასწაულებრივი *სასწაულებრივის* სასწაულის მსგავსი. *სასწაულებრივი გამარჯვება.*

სასწაულთმოქმედი *სასწაულთმოქმედის* ვინც ან რაც სასწაულებს ახდენს. *სასწაულთმოქმედი თუ გეიშველის. სასწაულთმოქმედი ხატი.*

სასწაული *სასწაულის* 1. არაჩვეულებრივი, აუხსნელი, ზებუნებრივი მოვლენა. *სასწაული მოხდა. სასწაული ირწმუნეს.* 2. გადატ. საკვირველი, განსაცვიფრებელი რამ. *სასწაულია მათი შეხვედრა. სასწაულით მიუსწრო მატარებელს.*

სასწაულმოქმედება *სასწაულმოქმედების* სასწაულის ჩადენა, სასწაულის მოხდენა.

სასწაულმოქმედი *სასწაულმოქმედის* იგივეა, რაც სასწაულთმოქმედი. *სასწაულმოქმედი ხომ არა ვარ. სასწაულმოქმედი ძალა.*

სასწორი

*სასწორის* 1. ფიზიკური სხეულების, საგნების, ნივთიერების წონის საზომი ხელსაწყო. *სამედიცინო სასწორი. ხელის სასწორი. ზუსტი სასწორი.* 2. ზოდიაქოს ნიშანი. ⊙ ყველაფრის სასწორზე დადება ალალბედზე მოქმედება, გარისკვა.

სასხლავი

სასწრაფო *სასწრაფოს* ძალიან სწრაფად შესასრულებელი, გადაუდებელი. *სასწრაფო შეტყობინება. სასწრაფო შეკვეთა. სასწრაფო სამედიცინო დახმარება.* ▲ სასწრაფოდ ზმნიზ. ძალიან სწრაფად, დაუყოვნებლად. *სასწრაფოდ უნდა დაბრუნდეს. სასწრაფოდ იყიდება ბინა.*

სასხლავი *სასხლავის* სამეურნეო იარაღი (დანა ან მაკრატელი), რომლი-

თაც ვაზს ან ხეხილს ზედმეტ რქას ან ტოტებს აჭრიან. *სასხლავით მუშაობს.*

**სასხლეტი** *სასხლეტის* ცეცხლსასროლი იარაღის ნანილი – სპეციალური კაუჭი, რომლის გამოკვრა იწვევს ჩახმახის ამუშავებას. *შაშხანის სასხლეტი.*

**სასჯელაღმასრულებელი** *სასჯელაღმასრულებლის* სასჯელის მოხდის უზრუნველმყოფელი. *სასჯელაღმასრულებელი სისტემა.*

**სასჯელი** *სასჯელის* დანაშაულის გამო დაკისრებული ვალდებულება, საზღაური. *სასჯელის მოხდა.*

**სატანა** *სატანის* იგივეა, რაც ეშმაკი (1). ■ **სატანური** სატანის დამახასიათებელი.

**სატანკო** *სატანკოს* ტანკებისთვის განკუთვნილი. *სატანკო ბრიგადა. სატანკო ნაწილი.*

**სატანჯველი** *სატანჯველის* დიდი გასაჭირი, სულიერად ან ფიზიკურად ძნელად გასაძლები მდგომარეობა. *სატანჯველში ჩავარდა. სატანჯველი გამოიარა. სატანჯველად ექცა.*

**სატარიფო** *სატარიფოს* ტარიფთან დაკავშირებული, ტარიფისთვის განკუთვნილი. *სატარიფო განაკვეთი.*

**სატაცური** *სატაცურის* მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარე, აქვს პატარა ყვავილები და კენკროვანი ნაყოფი, ნორჩი ყლორტები იჭმება. *სატაცურის სალათა.*

**სატევარი** *სატევრის* ძვ. იგივეა, რაც ხანჯალი. *მოკლე სატევარი.*

**სატელეგრაფო** *სატელეგრაფოს* ტელეგრაფისთვის განკუთვნილი, ტელეგრაფით განსახორციელებელი. *სატელეგრაფო კავშირი. სატელეგრაფო სისტემა.*

**სატელეფონო** *სატელეფონოს* 1. ტელეფონისთვის განკუთვნილი. *სატელეფონო ჯიხური. სატელეფონო აპარატურა.* 2. ტელეფონის მეშვეობით შესასრულებელი. *სატელეფონო კავშირი. სატელეფონო საუბრები.*

**სატელიტი** *სატელიტის* 1. პლანეტის თანამგზავრი. *დედამიწის სატელიტი.* 2. გადატ. სხვისი ნებასურვილის შემსრულებელი. *სატელიტი სახელმწიფოები.*

**სატელიტური** *სატელიტურის* თანამგზავრთან დაკავშირებული. *სატელიტური ანტენა.*

**სატენდერო** *სატენდეროს* ტენდერთან დაკავშირებული, ტენდერისთვის განკუთვნილი. *სატენდერო წინადადება. სატენდერო განცხადება.*

**სატეხი** *სატეხის* რკინის საოჯახო ხელსაწყო, რომელსაც იყენებენ რაიმეს გასატეხად.

**სატვირთო** *სატვირთოს* ტვირთის გადასაზიდი, ტვირთისთვის განკუთვნილი. *სატვირთო მანქანა. სატვირთო ვაგონი.*

**სატივე** *სატივის* ადგილი, საიდანაც ტივებს აცურებენ.

**სატირა** *სატირის* ლიტერატურული ხერხი, რომელიც გამოიყენება საზოგადოების მანკიერების, ადამიანთა უარყოფითი თვისებების, საქციელის დაცინვისა და გაკიცხვის მიზნით. *მძაფრი სატირა. სატირა და იუმორი.*

**სატირალი** *სატირლის* 1. სამწუხარო, ტირილის გამომწვევი. *სატირალი თავგადასავალი. სატირალი არაფერი აქვს.* 2. საუბრ. მიცვალებულის გლოვის ცერემონიალი. *სატირალში წავიდა.*

**სატირიკოსი** *სატირიკოსის* მწერალი, რომელიც სატირულ ნაწარმოებებს ქმნის. *სატირიკოსის მოთხრობა.*

**სატირული** *სატირულის* რაშიც სატირა გამოიყენება, დამცინავი. *სატირული ნაწარმოები.*

**სატიტულო** *სატიტულოს* ტიტულისთვის (2) განკუთვნილი, ტიტულთან დაკავშირებული. *სატიტულო გვერდი.*

**სატრაბახო** *სატრაბახოს* რის გამოც ტრაბახობენ. *სატრაბახო არაფერი აქვს.*

**სატრანზიტო** *სატრანზიტოს* ტრანზიტისთვის განკუთვნილი. *სატრანზიტო ავტობუსი. სატრანზიტო ვაჭრობა.*

**სატრანსლაციო** *სატრანსლაციოს* ტრანსლაციის განმახორციელებელი. *სატრანსლაციო ქსელი. სატრანსლაციო რადიოკვანძი.*

**სატრანსპორტო** *სატრანსპორტოს* ტრანსპორტისთვის განკუთვნილი. *სატრანსპორტო გზები.*

**სატრაპეზო** *სატრაპეზოს* საეკლ. სპეციალური ადგილი, სადაც ტრაპეზი (2) იმართება. *სუფრა სატრაპეზოში გაშალეს.* ▲ **სატრაპეზოდ ზმნიზ.** ტრაპეზისთვის (2). *სატრაპეზოდ მობრძანდა.*

**სატრფიალო** *სატრფიალოს* ტრფიალის გამომხატველი, სასიყვარულო. *სატრფიალო პოეზია.*

**სატრფო** *სატრფოს* ადამიანი, რომელიც უყვართ, რომელსაც ეტრფიან. *სატრფოს მიუძღვნა.*

**სატუმბავი** *სატუმბავის* ხელსაწყო, რითაც ხდება სითხის ამოტუმბვა. *სატუმბავი დგუში.*

**სატურნი** *სატურნის* 1. მზის სისტემის პლანეტა, სიშორით მეექვსე ადგილზეა მზიდან.

**სატურნირო** *სატურნიროს* ტურნირისთვის განკუთვნილი. *სატურნირო ცხრილი.*

**სატუსაღო** *სატუსაღოს* 1. იგივეა, რაც ციხე (1). *ახალი სატუსაღო.* 2. ტუსაღისთვის განკუთვნილი, რაც ტუსაღს სჭირდება. *სატუსაღო სამოსი.*

**სატუჩე** *სატუჩის* ჩასაბერი საკრავების ნანილი, რომელსაც ტუჩებს ადებენ და სულს უბერავენ. *სტვირის სატუჩე. სალამურის სატუჩე. დუდუკის სატუჩე.*

**სატყემლე** *სატყემლის* სუფრაზე ტყემლის სანე-

ბლის მისატანი ჭურჭელი. *ფაიფურის სატყემლე.*

**სატყეო** *სატყეოს* I. ტყისთვის განკუთვნილი. *სატყეო სამსახური.* 2. მეტყეველობის შემსწავლელი. *სატყეო მეცნიერება. სატყეო ფაკულტეტი.*

**სატყუარა** *სატყუარას* საგანი ან მოწყობილობა, რითაც იტყუებენ ვინმეს ან რაიმეს. *თაგვის სატყუარა. თევზის სატყუარა. ჩვილის სატყუარა.*

**სატყუარი** *სატყუარის* ვინმეს ან რაიმეს მოსატყუებელი საშუალება. *კარგი სატყუარი მოიგონა.*

**საუბარი** *საუბრის* (საუბრობს, ესაუბრება) I. იგივეა, რაც ლაპარაკი. *საუბარი დაიწყო. წყნარად საუბრობს.* 2. რაიმე საკითხზე საჯარო მსჯელობა, აზრების ურთიერთგაზიარება. *ლიტერატურული საუბრები.*

**საუბედურო** *საუბედუროს* უბედურების მომტანი. *საუბედურო შემთხვევა.* ▲ **საუბედუროდ** ზმნიზ. გამოხატავს მთქმელის წუხილს რაიმეს გამო. *საუბედუროდ, მგ ზავრები დაიღუპნენ.*

**საუბნო** *საუბნოს* უბნისთვის განკუთვნილი, უბანთან დაკავშირებული. *საუბნო კომისია.*

**საუზმე** *საუზმის* I. საკვების მიღება დილით. *საუზმეზე მიიპატიჟეს.* 2. დილით მისაღები საჭმელი. *საუზმის მომზადება.*

**საუზმობა** *საუზმობის* (საუზმობს, ასაუზმებს) საუზმის ჭამა. *საუზმობა ვერ მოასწრო. დილაობით ადრე საუზმობს. ბავშვები ასაუზმა.*

**საუკეთესო** *საუკეთესოს* ყველაზე კარგი, ძალიან კარგი, შესანიშნავი. *ტურნირის საუკეთესო ფეხბურთელი. საუკეთესო ღვინო.* ▲ **საუკეთესოდ** ზმნიზ. ძალიან კარგად, შესანიშნავად. *საუკეთესოდ უკრავს.*

**საუკუნე** *საუკუნის* დროის მონაკვეთი, რომელიც მოიცავს ას წელიწადს. *მე-20 საუკუნე. საუკუნის დასაწყისი.* ⊙ **შუა საუკუნეები** პერიოდი, რომელიც V-XV საუკუნეებს მოიცავს.

**საუკუნეობით** ზმნიზ. საუკუნეების მანძილზე, ძალიან ხანგრძლივად. *საუკუნეობით გრძელდებოდა.*

**საუკუნეობრივი** *საუკუნეობრივის* იგივეა, რაც საუკუნოვანი. *საუკუნეობრივი ისტორია. საუკუნეობრივი შუღლი.* შეცდომაა საუკუნოებრივი

**საუკუნო** *საუკუნოს* სამუდამო, მუდმივი. *საუკუნო ნეტარება. საუკუნო სატანჯველი.* ▲ **საუკუნოდ** ზმნიზ. სამუდამოდ, სამარადისოდ (მომავალში). *საუკუნოდ იყოს მისი ხსენება.*

**საუკუნოვანი** *საუკუნოვანის* საუკუნეების განმავლობაში არსებული, მოქმედი. *საუკუნოვანი ტრადიცია. ხალხთა საუკუნოვანი მეგობრობა.*

**საულვაშე** *საულვაშის* ადგილი სახეზე, სადაც ულვაში ამოდის. *საულვაშე დაიმშვენა.*

**საუნივერსიტეტო** *საუნივერსიტეტოს* უნივერსიტეტისთვის განკუთვნილი, უნავერსიტეტთან დაკავშირებული. *საუნივერსიტეტო განათლება. საუნივერსიტეტო საგნები.*

**საუნჯე** *საუნჯის* I. ძვირფასეულობა, განძი, სიმდიდრე. *აურაცხელი საუნჯე.* 2. გადატ. ძალიან ძვირფასი რამ. *ხალხური საუნჯე.*

**საურავი** *საურავის* გადასახადი, ჯარიმა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან კანონით დადგენილ ვადაში ვალის ან გადასახადის გადაუხდელობისთვის. *საურავი დაეკისრა.*

**საურდულე** *საურდულის* ბოძის შუაწელში ან კარის ბუდეში გამოჭრილი ურდულის გასაყრელი. *კარის საურდულე. ურდული საურდულეში გაუყარეს.*

**საურთიერთო** *საურთიერთოს* ურთიერთობასთან დაკავშირებული, ურთიერთობისას გამოსაყენებელი. *საურთიერთო ენა.*

**საურმე** *საურმის* ურმისთვის განკუთვნილი. *საურმე გზა.*

**საუცხოო** *საუცხოოს* ძალიან კარგი, შესანიშნავი. *საუცხოო პიროვნება. საუცხოო მუსიკა. საუცხოო განწყობილება.* ▲ **საუცხოოდ** ზმნიზ. ძალიან კარგად, შესანიშნავად. *თავს საუცხოოდ გრძნობს.* შეცდომაა საუცხოო

**საუწყებო** *საუწყებოს* რაც უწყებას უკავშირდება. *საუწყებო დაცვა.*

**საფაკულტეტო** *საფაკულტეტოს* ფაკულტეტისთვის განკუთვნილი, ფაკულტეტთან დაკავშირებული. *საფაკულტეტო შეჯიბრება.*

**საფანელი** *საფანელის* I. ფქვილი, რომელსაც აყრიან ცომის გუნდას გაბრტყელების დროს, რათა არ მიეკრას ვარცლს ან მცხობლის ხელებს. *საფანელის მოყრა.* 2. ფქვილი, რომელსაც ამატებენ შეჭამანდს შესასქელებლად. *საფანელი მოუკიდა.* 3. დაფხვნილი ორცხობილა ხორცის ამოსაალებად ზოგიერთი საჭმლის (მაგ., კატლეტის) მომზადებისას. *საფანელში ამოვლება.*

**საფანტი** *საფანტის* სანადირო თოფის დასატენი ლითონის წვრილი, მრგვალი ტყვიები. *ფრინველზე საფანტით ნადირობენ.* ■ **საფანტიანი** რაც საფანტით იტენება. *საფანტიანი თოფი.* ⊙ **საფანტივით** წვრილი იტყვიან რაიმე ძალიან წვრილზე.

**საფარველი** *საფარველის* I. რაც ვინმეს ან რაიმეს ფარავს, იცავს. *მისი საფარველის ქვეშ მყოფი.* 2. იგივეა, რაც საფარი. *თოვლის საფარველი.* ⊙ საფარველს ახდის გამოააშკარავებს, გამოამჟღავნებს რაიმე დაფარულს.

**საფარი** *საფარის* I. რაც რაიმეს (გარემოს, ზედაპირს) ფარავს. *თოვლის საფარი. მიწის საფარი. ტყის საფარი. საფარის ქვეშაა მოქცეული.* 2. უსაფრთხო, თავის შესაფარებელი, დაცული ადგილი. *საფარი მონახეს. კარგი საფარი.*

**საფარიკაო** *საფარიკაოს* ფარიკაობისთვის გან-

კუთვნილი. *საფარიკაო დარბაზი.* შეცდომაა საფარიკავო

**საფასური** *საფასურის* ფასი, გასამრჯელო. *წიგნის საფასური. შრომის საფასური.*

**საფეთქელი** *საფეთქლის* თავის ქალის გვერდითი ნაწილი შუბლის ორივე მხარეს. *საფეთქლის ძვალი. საფეთქლის ტკივილი.*

**საფეიქრო** *საფეიქროს* ქსოვილების დამზადებასთან დაკავშირებული. *საფეიქრო ფაბრიკა. საფეიქრო ნაწარმი.*

**საფენი** *საფენის* წყლულზე ან მტკივან ადგილზე დასაფენი ნამლით გაჟღენთილი ქსოვილი ან დოლბანდი. *მალამოიანი საფენი. დოლბანდის საფენი.*

**საფერავი** *საფერავის* 1. ფართოდ გავრცელებული შავყურძნიანი ვაზის ჯიში, აქვს თხელი მტევანი, წითელხორციანი და თხელკანიანი მარცვლები. 2. ამ ჯიშის ყურძნისგან დაყენებული ღვინო. *საფერავი სვეს.*

საფერფლე

**საფერფლე** *საფერფლის* თამბაქოს ნამწვებისა და ფერფლის ჩასაყრელი ჭურჭელი. *სპილენძის საფერფლე.*

**საფესტივალო** *საფესტივალოს* ფესტივალისთვის განკუთვნილი. *საფესტივალო ჩვენება. საფესტივალო აფიშა.*

**საფეხბურთო** *საფეხბურთოს* ფეხბურთთან დაკავშირებული, ფეხბურთისთვის განკუთვნილი. *საფეხბურთო სკოლა.*

**საფეხური** *საფეხურის* 1. კიბის ნაწილი, რომელზეც აბიჯებენ ასვლა-ჩასვლისას. *საფეხურზე დგას.* 2. გადატ. მონაკვეთი, ეტაპი რაიმეს განვითარების პროცესში, რაიმე სისტემაში. *განვითარების დაბალი საფეხური. ერთი საფეხურით უსწრებს.* ▪ **საფეხურიანი** რასაც საფეხურები აქვს.

**საფინალო** *საფინალოს* ფინალთან დაკავშირებული, ფინალის მაუწყებელი. *საფინალო თამაში. საფინალო შეხვედრა.*

**საფინანსო** *საფინანსოს* ფინანსებთან დაკავშირებული, ფინანსური. *საფინანსო განყოფილება. საფინანსო პოლიტიკა. საფინანსო ოპერაცია.*

**საფინიშო** *საფინიშოს* ფინიშთან დაკავშირებული, ფინიშისთვის განკუთვნილი. *საფინიშო გარბენი. საფინიშო ხაზი.*

**საფირმო** *საფირმოს* ამა თუ იმ ფირმასთან დაკავშირებული. *საფირმო მარკა. საფირმო კერძები. საფირმო ნიშანი.*

**საფირონი** *საფირონის* ლურჯი ან ცისფერი ძვირფასი ქვა, გამოიყენება საიუველირო წარმოებაში. *საფირონის თვალი. საფირონის ბეჭედი.*

**საფიქრალი** *საფიქრალის* სადარდებელი, საზრუნავი. *საფიქრალი გაუჩნდა. ბევრი საფიქრალი აქვს.*

**საფიცარი** *საფიცრის* ძალიან ძვირფასი ადამიანი, ვის სახელსაც იფიცებენ. *საფიცარი შვილი. დედა საფიცრად გაიხადა.*

**საფლავი** *საფლავის* ადგილი, სადაც მიცვალებულია დამარხული. *საფლავი გათხარეს. საფლავის ქვა.* ⊙ **საფლავის კარამდე** სიცოცხლის ბოლომდე. სიკვდილამდე. ⊙ **საფლავში ჩაიტანს** ისე მოკვდება, არავის გაუმჟღავნებს.

**საფონდო** *საფონდოს* ფონდთან დაკავშირებული, ფონდისთვის განკუთვნილი. *საფონდო შემოსავლები. საფონდო ბირჟა.*

**საფორტეპიანო** *საფორტეპიანოს* ფორტეპიანოსთვის განკუთვნილი. *საფორტეპიანო პიესა. საფორტეპიანო სკოლა.*

**საფორტიფიკაციო** *საფორტიფიკაციოს* ფორტიფიკაციისთვის განკუთვნილი. *საფორტიფიკაციო სამუშაოები.*

**საფოსტო** *საფოსტოს* ფოსტით გასაგზავნი, ფოსტასთან დაკავშირებული. *საფოსტო ბარათი, საფოსტო ინდექსი.*

**საფრენი** *საფრენის* ფრენისთვის საჭირო, ფრენასთან დაკავშირებული. *საფრენი საშუალებები. საფრენი აპარატი.*

**საფრენოსნო** *საფრენოსნოს* იგივეა, რაც საავიაციო. *საფრენოსნო შემადგენლობა. საფრენოსნო გამოცდები.*

**საფრთხე** *საფრთხის* მოსალოდნელი ფაქტი ან მოვლენა, რომელიც შეიძლება ვინმესთვის ან რაიმესთვის საშიში აღმოჩნდეს. *საფრთხე ემუქრება. საფრთხეში არიან.*

**საფრთხილო** *საფრთხილოს* ფრთხილად მოსაპყრობი, გასაფრთხილებელი, მოსარიდებელი. *საფრთხილო საკითხი. საფრთხილო მდგომარეობა.*

საფრთხობელა

**საფრთხობელა** *საფრთხობელას* 1. გადაჯვარედინებულ ჯოხებზე ძონძებჩამოცმული ადამიანის მსგავსი ფიგურა, რომელსაც დგამენ ბოსტანში, ყანასა და ვენახში ფრინველთა და ცხოველთა დასაფრთხობად. *ბოსტნის საფრთხობელა. დიდი საფრთხობელა.* 2. გადატ. მეტისმეტად უშნო ადამიანი. *ვინ არის ეს საფრთხობელა?!*

**საფუარი** *საფუვრის* 1. ნივთიერება, რომელიც აფუებასა და დუღილს იწვევს, გამოიყენება ლუდისა და პურის მოსამზადებლად. *საფუარი სოკოები.* 2. დამჟავებული პურის ცომი, რომელსაც ახალ ცომში ურევენ ასაფუებლად. *საფუვრით ამოყვანილი ცომი.*

საფული



**საფულე** *საფულის* ფულის სატარებელი ქისა. *ტყავის საფულე.*

**საფუნთუშე** *საფუნთუშის* 1. საცხობი, სადაც ფუნთუშებს აცხობენ და ყიდიან. *საფუნთუშე სახლთან ახლოს იყო.* 2. ფუნთუშისთვის განკუთვნილი, საჭირო. *საფუნთუშე ფქვილი.*

**საფურაჟე** *საფურაჟის* ფურაჟისთვის განკუთვნილი. *საფურაჟე მარცვლეული.*

**საფუტკრე** *საფუტკრის* ადგილი, სადაც ფუტკრის სკები დგას. *საფუტკრეს სკები მიამატა.*

**საფუძველი** *საფუძვლის* 1. იგივეა, რაც საძირკველი (1, 2). *სახლის საფუძველი.* 2. გადატ. რაიმეს საწყისი, დასაბამი, საყრდენი. *ცოდნის საფუძველი. პოლიტიკური სტაბილურობის საფუძველი.* 3. გადატ. რაიმეს მიზეზი, საბაბი. *ფაქტების საფუძველზე გაამართლეს.* 4 (მრ.) მეცნიერების რომელიმე დარგის, მოძღვრების ძირითადი დებულებები, პრინციპები. *ფილოსოფიის საფუძვლები.* ◎ **საფუძველი შეერყევა** სიმტკიცეს დაკარგავს. ◎ **საფუძველს ჩაუყრის** რაიმეს დააფუძნებს, დასაბამს მისცემს, დააარსებს. ◎ **საფუძვლად უდევს** რაიმეს საყრდენს წარმოადგენს.

**საფუძვლიანი** *საფუძვლიანის* 1. საფუძვლის მქონე, სწორი, დასაბუთებული. *საფუძვლიანი გადაწყვეტილება. საფუძვლიანი ვარაუდი.* 2. სრული, ღრმა, არსებითი. *საფუძვლიანი შესწავლა.* ▲ **საფუძვლიანად** ზმნიზ. სრულად, ღრმად, არსებითად. *საფუძვლიანად გამოიკვლიეს.*

**საფქვავი** *საფქვავის* 1. ხელსაწყო, რომლითაც რაიმეს ფქვავენ. *ყავის საფქვავი.* 2. დასაფქვავად გამზადებული მარცვლეული. *წისქვილში საფქვავი წავიღე.*

**საფხეკელა** *საფხეკელას* იგივეა, რაც საფხეკი.

**საფხეკი** *საფხეკის* რკინის ბასრპირა ხელსაწყო, იყენებენ რაიმეს ჩამოსაფხეკად.

**საქათმე** *საქათმის* ქათმებისთვის განკუთვნილი ნაგებობა. *საღამოს ქათმები საქათმეში შედიან.*

**საქალაქთაშორისო** *საქალაქთაშორისოს* ქალაქებს შორის არსებული, მოქმედი. *საქალაქთაშორისო ტურნირი. საქალაქთაშორისო ავტობუსი.*

**საქალაქო** *საქალაქოს* ქალაქისთვის განკუთვნილი, ქალაქში არსებული, მოქმედი. *საქალაქო ტრანსპორტი. საქალაქო ორგანიზაციები.*

**საქამრე** *საქამრის* ქამრის გასაყრელი ადგილი ტანსაცმელზე. *კაბის საქამრე.*

**საქანელა** *საქანელას* საქანაო მოწყობილობა ბავშვებისთვის, ხეზე, ძელზე ან კაუზე ჩამობმული თოკი ან ჯაჭვი, რომელზეც დამაგრებულია დასაჯდომი. *საქანელაზე დაჯდა.*

**საქარავნო** *საქარავნოს* ქარავნისთვის (1) განკუთვნილი. *საქარავნო გზა.*

**საქარგავი** *საქარგავის* ქარგვისთვის განკუთვნილი, ქარგვასთან დაკავშირებული. *საქარგავი მასალა.* ▲ **საქარგავად** ზმნიზ. ქარგვისთვის, ქარგვის მიზნით. *საქარგავად მისცეს.*

**საქარხნო** *საქარხნოს* ქარხანასთან დაკავშირებული, ქარხნისთვის განკუთვნილი. *საქარხნო ტერიტორია.*

**საქაღალდე** *საქაღალდის* ქაღალდების ჩასანყობი ყდა. *მუყაოს საქაღალდე. ტყავის საქაღალდე.*

საქაღალდე



**საქები** *საქების* ვინც ან რაც ქებას იმსახურებს, ქების ღირსია. *საქები მოსწავლე. საქები საქმე.*

**საქეიფო** *საქეიფოს* ქეიფისთვის განკუთვნილი. *საქეიფო სუფრა.* ▲ **საქეიფოდ** ზმნიზ. ქეიფისთვის, ქეიფის მიზნით. *საქეიფოდ დაპატიჟა.*

**საქვაბე** *საქვაბის* ორთქლის ქვაბისთვის განკუთვნილი შენობა, სათავსო. *საქვაბეში შევიდა.*

**საქველმოქმედო** *საქველმოქმედოს* ქველმოქმედებისთვის განკუთვნილი, ქველმოქმედებასთან დაკავშირებული. *საქველმოქმედო ორგანიზაცია. საქველმოქმედო ღონისძიება.*

**საქვეყნო** *საქვეყნოს* 1. ქვეყნისთვის საჭირო, რაც მთელ ქვეყანას, მთელ ხალხს ეხება. *საქვეყნო საქმე. საქვეყნო პრობლემები.* 2. რაც მთელმა ქვეყანამ, ყველამ გაიგო. *საქვეყნო აღიარება. საქვეყნო სირცხვილი.*

**საქვეყნოდ** 1. ზმნიზ. საყოველთაოდ, ყველასთვის, ყველას გასაგებად. *საქვეყნოდ განთქმული. საქვეყნოდ ამხილეს.* 2. ყველას გასაგონად, ყველას დასანახად. *საქვეყნოდ აღიარა. საქვეყნოდ იჩხუბეს.*

**საქმე** *საქმის* 1. შესასრულებელი, გასაკეთებელი ან უკვე გაკეთებული, შესრულებული რამ. *ბევრი საქმე მაქვს. საზოგადო საქმე.* 2. რაიმე შემთხვევა, ამბავი. *ცუდი საქმე დაემართა.* 3. მდგომარეობა, ვითარება, გარემოება. *საქმე გამწვავდა.* 4. საკითხი, საუბრის საგანი. *საქმე ეხება.* 5. სასამართლოს, პროკურატურისა და მისთ. ორგანოთა განხილვის საგანი. *საქალაქო სასამართლოში საქმის განხილვა გადაიდო. გამოუძიებელი საქმეები.* 6. (ძირითადად მრ.) საკითხთა ერთობლიობა, რომელსაც განაგებს ხელისუფლების ესა თუ ის უწყება. *შინაგან საქმეთა სამინისტრო. საგარეო საქმეთა მინისტრი.* 7. ცოდნის ან მოღვაწეობის სფერო, დარგი, პროფესია. *საზღვაო საქმე. საინჟინრო საქმე.* 8. გარკვეული ტიპის საბუთების ერთობლიობა. *მოსწავლის პირადი საქმე.* ◎ **რა შენი (ჩვენი) საქმეა!** საუბრ. შენ არ გეხება, შენთვის შეუფერებელია. ◎ **საქმე ის არის, რომ** მთავარი ის არის, რომ... ◎ **საქმე საქმეზე რომ მიდგეს!** საუბრ. რაიმეს შესრულების, განხორციელების შესაძლებლობა რომ გაჩნდეს. ◎ **საქმეს წინ წაიგდებს** გასაკეთებელი საქმის ნაწილს წინასწარ შეასრულებს. ◎ **საქმის კაცი** თავისი საქმის კარგი მცოდნე, პროფესიონალი.

საქმიანი *საქმიანის* 1. ვინც მუდმივად საქმიანობს, საქმის მოყვარული. *საქმიანი ახალგაზრდა.* 2. საქმესთან დაკავშირებული. *საქმიანი წერილი. საქმიანი შეხვედრა.*

საქმიანობა *საქმიანობის* (საქმიანობს) საქმის კეთება, მუშაობა. *სახლში საქმიანობა უყვარს. სამზარეულოში საქმიანობს.*

საქმისწარმოება *საქმისწარმოების* საქმიანი ურთიერთობის (ჩვეულებრივ, საკანცელარიო მიმოწერის) ნარმართვა. *საქმისწარმოება ჩააბარეს.*

საქმოსანი *საქმოსნის* ვინც საქმიანობას პირადი მატერიალური ინტერესებით წარმართავს. *საქმოსნები მომრავლდნენ.*

საქმრო *საქმროს* კაცი, რომელიც ვინმეს მეუღლე (ქმარი) უნდა გახდეს. *მეგობრის საქმრო.*

საქონელბრუნვა *საქონელბრუნვის* საქონლის (2) ბაზარზე გასვლა, მწარმოებლიდან მომხმარებლამდე მისვლა. *საქონელბრუნვა გაიზარდა.*

საქონელი *საქონლის* 1. შინაური რქოსანი ცხოველების საერთო სახელწოდება. *მსხვილფეხა საქონელი. წვრილფეხა საქონელი.* 2. სავაჭრო პროდუქცია. *საქონლის ექსპორტი.*

საქორწილო *საქორწილოს* ქორწილისთვის განკუთვნილი. *საქორწილო დარბაზი. საქორწილო სუფრა.*

საქორწინო *საქორწინოს* ქორწინებისთვის განკუთვნილი. *საქორწინო ცერემონიალი. საქორწინო ბეჭედი.*

საქრისტიანო *საქრისტიანოს* ქვეყნები, სადაც ქრისტიანობაა გავრცელებული.

საქსოვი *საქსოვის* ქსოვისთვის განკუთვნილი, ქსოვასთან დაკავშირებული. *საქსოვი ძაფი. საქსოვი დანადგარი.* ▲ საქსოვად ზმნიზ. ქსოვისთვის, ქსოვის მიზნით. *საქსოვად იყენებს.*

საქსოფონი *საქსოფონის* სპილენძის სასულე საკრავი.

საქციელი *საქციელის* ვინმეს მიერ ჩადენილი ქმედება. *კარგი საქციელი. ცუდი საქციელი.* ⊙ საქციელი ნაუხდა თავი უხერხულად იგრძნო, შერცხვა, დაიბნა.

საღამო *საღამოს* 1. დღის ბოლო მონაკვეთი, მზის ჩასვლიდან დაღამებამდე. *ზაფხულის საღამო. საღამოს სიგრილე.* 2. რაიმე თარიღისადმი მიძღვნილი ან ვინმეს პატივსაცემად მომზადებული სხდომა, საზეიმო ან გასართობი წარმოდგენა, რომელიც საღამოთი იმართება. *საიუბილეო საღამო. შემოქმედებითი საღამო.* ▲ საღამოს, საღამოთი, საღამოზე ზმნიზ. მაშინ, როცა საღამოა, საღამოს დროს. *საღამოთი წვიმდა. საღამოზე მოვალ.* ▪ საღამოობით ყოველთვის საღამო ხანს, როცა საღამოა, საღამოების განმავლობაში. *საღამოობით სტუმრად დადის.* ⊙ საღამო მშვიდობისა! მისალმება საღამოთი შეხვედრისას.

საღამური *საღამურის* ლოგინში ჩასაცმელი სამოსი. *საღამური ჩაიცვა.*

საღებავი *საღებავის* ბუნებრივი ან ქიმიური ნივთიერება, გამოიყენება რაიმეს ფერის შესაცვლელად, გასაფერადებლად, ფერნერული ტილოს შესაქმნელად. *ზეთის საღებავი. ყვითელი საღებავი.*

საღერღელი ⊙ საღერღელი აეშლება რაიმე ძალიან მოუნდება, სურვილი გაუჩნდება.

საღვთო *საღვთოს* 1. ღვთისთვის განკუთვნილი. *საღვთო საქმე. საღვთო ლიტურგია.* 2. ღვთისგან ბოძებული, ღვთის საკადრი. *საღვთო მადლი. საღვთო წესრიგი.* 3. იგივეა, რაც სასულიერო. *საღვთო წიგნები.*

საღი *საღის* 1. ჯანმრთელი, დაუავადებელი, გაუფუჭებელი, კარგი, ვარგისი. *საღი ფილტვები. საღი ხილი.* 2. გადატ. ცოცხალი, მახვილი. *საღი გონება. საღი აზროვნება.* 3. გადატ. სწორი, ზუსტი, მართებული. *საღი აზრი. საღი გადაწყვეტილება.* ▲ საღად ზმნიზ. სწორად, გონივრულად. *საღად მსჯელობს.*

საღილე *საღილის* ტანსაცმელზე გაკეთებული ჭრილი, რომელშიც ღილი ეყრება. *კაბას საღილე გაუკეთა.*

საღმრთო *საღმრთოს* ძვ. საღვთო. *საღმრთო წესი. საღმრთო სიყვარული.*

საღორე *საღორის* ღორებისთვის განკუთვნილი ნაგებობა. *ახალი საღორე ააშენეს.*

საღ-სალამათი *საღ-სალამათის* სრულიად ჯანმრთელი, ჯანსაღი. *საღ-სალამათი კაცი. საღ-სალამათი დაბრუნდა.*

საღსალაჯი *საღსალაჯის* საშუალო სიმაღლის ხე, აქვს ფართოდ გაშლილი, მომრგვალო ვარჯი, რთული ფოთლები და მოვარდისფრო ნაყოფი, მისი დასერილი ქერქისგან გამოიყოფა საუკეთესო ფისი.

საყაიმო *საყაიმოს* რაც ყაიმით შეიძლება დამთავრდეს. *საყაიმო მდგომარეობა.*

საყანე *საყანის* ყანისთვის განკუთვნილი. *საყანე მიწა.*

საყდარი *საყდრის* იგივეა, რაც ეკლესია. *საყდარი ხალხით აივსო.*

საყელო *საყელოს* ტანსაცმლის ნაწილი, რომელიც ყელს ფარავს, ყელზეა შემოკრული, შემოდებული. *ბეწვის საყელო. პალტოს საყელო.*

საყელური *საყელურის* თასმა, რომელსაც კისერზე უკეთებენ ცხოველებს. *ძაღლის საყელური.*

საყვავილე 1. ყვავილის ჩასაწყობი ჭურჭელი. *პატარა საყვავილე. საყვავილეში წყალი ჩაასხა.* 2. ყვავილების მაღაზია. 3. ადგილი, სადაც ყვავილები მოჰყავთ.

საყვარელი *საყვარლის* 1. ვინც ან რაც უყვართ.

*საყვარელი პოეტი. საყვარელი საქმე. საყვარელი ფერი.* 2. პირი, რომელსაც ქორწინების გარეშე აქვს კავშირი ვინმესთან. *ახალგაზრდა საყვარელი.* 3. კარგი, სასურველი. *საყვარელი ბავშვი.*

საყვედური *საყვედურის* (საყვედურობს) 1. ვინმეს მიმართ უკმაყოფილების გამოთქმა. *საყვედური უთხრა. მეგობარს უსაყვედურა.* 2. წესრიგის დარღვევის ან დაკისრებული ვალდებულების შეუსრულებლობისთვის მიღებული წერილობითი გაფრთხილება, შენიშვნა. *მკაცრი საყვედური მიიღო. საყვედური გამოუცხადეს.*

საყველპურო *საყველპუროს* საუბრ. ძალიან ცოტა, მარტივი ურთიერთგაგებინებისთვის საკმარისი ცოდნა (ძირითადად, ენის). *საყველპურო ინგლისური.*

საყვირი *საყვირის* 1. მაღალხმიანი ჩასაბერი საკრავი - ცილინდრული ფორმის მილი, რომელსაც კონუსისებური ბოლო და სამი სარქველი აქვს. *საყვირის ხმა.* 2. სასიგნალო მოწყობილობა. *გემის საყვირი. ავტომობილის საყვირი. ქარხნის საყვირი.*

საყინულე *საყინულის* მაცივრის განყოფილება, სადაც ყინავენ პროდუქტებს. *ხორცი საყინულეში შეინახეს.*

საყლაპავი *საყლაპავის* მილი, რომლითაც საკვები პირიდან კუჭში გადადის. *საყლაპავი გადაეკეტა.*

საყმაწვილო *საყმაწვილოს* საბავშვო, ყმაწვილების დამახასიათებელი, ყმაწვილების შესაფერი. *საყმაწვილო ლიტერატურა.*

საყოველდღეო *საყოველდღეოს* ყოველდღე გამოსაყენებელი, ყოველდღიურად საჭირო. *საყოველდღეო ფეხსაცმელი.*

საყოველთაო *საყოველთაოს* რაც ყველას ეხება, ყველასთვისაა განკუთვნილი. *საყოველთაო განხილვა. საყოველთაო მობილიზაცია.* ▲ საყოველთაოდ ზმნიზ. ყველასთვის, საერთოდ, ჩვეულებრივ. *საყოველთაოდ ცნობილია. საყოველთაოდ აღიარებული.*

საყოფაცხოვრებო *საყოფაცხოვრებოს* ყოფა-ცხოვრებისთვის საჭირო, ყოფა-ცხოვრებასთან დაკავშირებული. *საყოფაცხოვრებო ტექნიკა. საყოფაცხოვრებო საქონელი. საყოფაცხოვრებო პრობლემები.*

საყრდენი *საყრდენის* რასაც რაიმე ან ვინმე ეყრდნობა. *საყრდენი სვეტი. საყრდენი კედელი.*

საყურადღებო *საყურადღებოს* ყურადღების ღირსი, მნიშვნელოვანი, ანგარიშგასაწევი. *საყურადღებო შემთხვევა. საყურადღებო დასკვნა. საყურადღებო ცვლილებები.*

საყურე

*საყურის* 1. ყურზე გასაკეთებელი სამკაული. *მარჯნის საყურე.* 2. ზოგიერთი ფრინველისა და ქვენარმავლის ყურზე ბიბილოსავით ჩამოკიდებული რბილი, ოვალური კანი.

საშარო *საშაროს* შარის გამომწვევი, სადავო. *საშარო სიტუაცია. საქმე საშარო გახდა.*

საშაქარლამო *საშაქარლამოს* იგივეა, რაც საკონდიტრო. *ახალი საშაქარლამო გაიხსნა.*

საშაქრე

საშაქრე *საშაქრის* სუფრაზე შაქრის მისატანი ჭურჭელი. *ფაიფურის საშაქრე.*

საშემოდგომო *საშემოდგომოს* შემოდგომაზე მიმდინარე, შემოდგომისთვის განკუთვნილი, შემოდგომასთან დაკავშირებული. *საშემოდგომო სესია. საშემოდგომო ხორბალი.*

საშემოსავლო *საშემოსავლოს* შემოსავალთან დაკავშირებული. *საშემოსავლო გადასახადები.*

საშემსრულებლო *საშემსრულებლოს* ხელოვნების დარგი, რომელიც მუსიკალური ნაწარმოებების შესრულებას შეისწავლის. *საშემსრულებლო ხელოვნება. საშემსრულებლო ოსტატობა. საშემსრულებლო ფაკულტეტი.*

საშენო *საშენოს* შენთვის განკუთვნილი, შენი შესაფერისი. *საშენო არაფერია. საშენო ქალი.*

საშეფო *საშეფოს* ვისაც შეფობას, მფარველობას უწევენ. *საშეფო ორგანიზაცია. საშეფო სკოლა.*

საშვი *საშვის* საბუთი (2), რომელიც მფლობელს სადმე შესვლის უფლებას აძლევს. *სამსახურის საშვი. მუზეუმის საშვი.*

საშვილიშვილო *საშვილიშვილოს* 1. შთამომავლობისთვის გადასაცემი, დასატოვებელი. *საშვილიშვილო ანდერძი. საშვილიშვილო ქონება.* 2. გამძლე, შვილიშვილებსაც რომ დასჭირდებათ და გამოადგებათ. *საშვილიშვილო საქმე. საშვილიშვილო ხიდი.* ▲ საშვილიშვილოდ ზმნიზ. სამომავლოდ, სამუდამოდ. *საშვილიშვილოდ დარჩება.*

საშვილოსნო *საშვილოსნოს* მდედრობითი სქესის ადამიანის ან ცხოველის შინაგანი ორგანო, რომელშიც ვითარდება ჩანასახი. *საშვილოსნოს ყელი.*

საშინაო *საშინაოს* 1. შინ, შინაურ პირობებში გამოსაყენებელი. *საშინაო ტანსაცმელი.* 2. შინ გასაკეთებელი. *საშინაო დავალება.* 3. სახელმწიფოს შიგნით არსებული ან წარმოებული. *ქვეყნის საშინაო საქმეები. საშინაო პროდუქცია.*

საშინელება *საშინელების* ძალიან ცუდი, საშინელი ფაქტი, მოვლენა. *საშინელება მოხდა. საშინელება გაიგო.*

საშინელი *საშინლის* 1. შიშის მომგვრელი. *საშინელი შემთხვევა. საშინელი მოჩვენება.* 2. გადატ. ძალიან ცუდი. *საშინელი წინათგრძნობა. საშინელი ამინდი.* 3. გადატ. მეტისმეტი. *საშინელი სიძვირე. საშინელი სიცხე.*

**საშინლად** ზმნიზ. 1. შიშის მომგვრელად, შესაშინებლად. *საშინლად ღრიალებს.* 2. გადატ. ძალიან ცუდად. *საშინლად წერს.* 3. გადატ. ძლიერ, მეტისმეტად. *საშინლად ეჭვიანი.*

**საშინი** *საშიშის* 1. ვისიც ან რისაც უნდა ეშინოდეთ. *საშიში კაცი. საშიში გამოხედვა. საშიში მხეცი.* 2. ხიფათის, ზიანის მომტანი. *საშიში ჭრილობა.*

**საშიშროება** *საშიშროების* მოსალოდნელი, შესაძლო საფრთხე. *რეალური საშიშროება. ომის საშიშროება. საშიშროება თავიდან აიცილეს.*

**საშლელი** *საშლელის* რეზინის პატარა ნაჭერი ნახატის ან ნაწერის წასაშლელად. *ფანქრის საშლელი. ფერადი საშლელი.*

**საშო** *საშოს* სასქესო ორგანოს ნაწილი შარდის ბუშტსა და სწორ ნაწლავს შორის, რომლითაც საშვილოსნოდან ნაყოფი გამოდის გარეთ. *დედის საშო.*

**საშობაო** *საშობაოს* შობის დღესასწაულთან დაკავშირებული ან შობისთვის განკუთვნილი. *საშობაო არდადეგები. საშობაო ზეიმი. საშობაო ფასდაკლება.*

**საშოვარი** *საშოვრის* რაც უნდა მოიძიონ, იშოვონ. *წიგნი ძნელი საშოვარი იყო.* ⊙ საშოვარზე მიდის სარჩოს, ფულის საშოვნელად მიდის.

**საშრომი** *საშრომის* რაც შრომას მოითხოვს, შრომას საჭიროებს. *საშრომი ბევრია. დიდად საშრომი საქმეა.*

**საშტატო** *საშტატოს* შტატიანი თანამშრომლისთვის განკუთვნილი. *საშტატო ერთეული. საშტატო განრიგი.*

**საშუალება** *საშუალების* 1. მოქმედების გზა, ხერხი. *ყველა საშუალება მოსინჯა. უამრავი საშუალება არსებობს.* 2. სამუშაო ან რაიმე სხვა სახის მოქმედებისთვის საჭირო იარაღი, მოწყობილობა. *სატრანსპორტო საშუალებები. სამეურნეო საშუალებები.* 3. რესურსი, ფინანსური შესაძლებლობა, პირობები რაიმეს განსახორციელებლად. *ვალის დაბრუნების საშუალება არა აქვს.* ▲ საშუალებით ზმნიზ. რაიმე გზით, რაიმეს ან ვინმეს დახმარებით. *წამლების საშუალებით განიკურნა.*

**საშუალო** *საშუალოს* დიდ და პატარა სიდიდეებს, დადებით და უარყოფით თვისებებსა და მისთ. შორის, შუაში არსებული. *საშუალო ასაკის. საშუალო ხარისხის. საშუალო სიმაღლის.* ▲ საშუალოდ ზმნიზ. საშუალო რაოდენობით, საშუალო ზომით. *სეანსი საშუალოდ 40 წუთს გრძელდება.*

**საშუამავლო** *საშუამავლოს* შუამავლობისთვის აღებული გასამრჯელო. *საშუამავლო მოითხოვა.*

**საშუბლე** *საშუბლის* თასმა ან ქსოვილის ნაჭერი, რომელსაც შუბლზე იკრავენ. *ნაქსოვი საშუბლე.*

**საშურველი** *საშურველის* წიგნ. გადაუდებელი, აუცილებლად შესასრულებელი. *საშურველი საქმე. საშურველი დრო.*

**საშური** *საშურის* რის გაკეთება, მოპოვება, გამოყენება საჭიროა. *საშური საქმე. საშური დრო. ამის დასრულება საშურია.*

**საშხაპე** *საშხაპის* შხაპის მისაღები ადგილი. *სპორტული დარბაზის საშხაპე.*

**საჩაიე** *საჩაიის* ადგილი, სადაც ჩაის სვამენ, საუზმობენ. *საჩაიეში დასხდნენ.*

**საჩალიჩო** *საჩალიჩოს* საუბრ. რასაც ბევრი ჩალიჩი სჭირდება. *საჩალიჩო საქმე.*

**საჩემო** *საჩემოს* ჩემთვის განკუთვნილი, ჩემი შესაფერისი. *ეგ საჩემო არაა. საჩემო ხომ არაფერია?*



**საჩეჩელი** *საჩეჩლის* მატყლის ხელით საჩეჩი ხელსაწყო, რომელსაც ლითონის გრძელი კბილები აქვს.

**საჩეხე** *საჩეხის* შემოღობილი და გადახურული ადგილი ეზოში პირუტყვისა და ფრინველის დასამწყვდევად, შეშის, სამუშაო იარაღებისა და მისთ. დასაწყობად. *საჩეხეში დაამწყვდია ღორები. საჩეხის კუთხეში შეშა ეწყო.*

**საჩეხი** *საჩეხის* 1. შენობის გარედან კარ-ფანჯრების, აივნისა და მისთ. თავზე მოწყობილი გადახურვა. *საჩეხის ჩრდილი.* 2. სახელდახელოდ მონყობილი თავშესაფარი, საჩრდილობელი. *ყანის ნაპირზე საჩეხი იდგა.*

**საჩვენო** *საჩვენოს* ჩვენთვის განკუთვნილი, ჩვენი შესაფერისი, ჩვენთვის გამოსადეგი. *ეგ სახლი არაა საჩვენო.*

**საჩივარი** *საჩივრის* ოფიციალური განცხადება, რომლითაც რაიმეთი უკმაყოფილებას გამოხატავენ და სათანადო რეაგირებას მოითხოვენ. *საჩივარი დაწერა. თანამშრომლების საჩივარი.*

**საჩოგბურთო** *საჩოგბურთოს* ჩოგბურთისთვის განკუთვნილი. *საჩოგბურთო ტურნირი.*

**საჩოთირო** *საჩოთიროს* რის გამოც უხერხულობა იქმნება, რაც ეჩოთირებათ. *საჩოთირო საქციელი. საჩოთირო სიტყვა.*

**საჩრდილობელი** *საჩრდილობლის* მზისგან დამცავი საშუალება, გადახურული ადგილი. *მგ ბავრებმა საჩრდილობელში შეისვენეს.*

**საჩუმათო** *საჩუმათოს* საიდუმლო, ჩუმად, სხვის შეუმჩნევლად საკეთებელი. *საჩუმათო საქმეები.*

**საჩუქარი** *საჩუქრის* ნივთი, რომელსაც ვინმეს სამახსოვროდ აძლევენ, აჩუქებენ. *საახალწლო საჩუქარი. დაბადების დღის საჩუქარი. მეგობრის საჩუქარი.*

**საჩქარო** *საჩქაროს* ჩქარა, სწრაფად გასაკეთებელი რაიმე. *საჩქარო საქმე. ეგ დიდად საჩქაროა.*

**საჩქაროდ** ზმნიზ. ჩქარა, სწრაფად. *საჩქაროდ გაემგ ზავრა.*

**საჩხრეკი** *საჩხრეკის* შამფურივით გრძელი რკინის მოკაუჭებულწვეტიანი ჯოხი, რომელსაც იყენებენ ქურაში ან თონეში ნაკვერჩხლის გასაჩხრეკად, თონიდან პურის ამოსაღებად. *ნაკვერჩხალი საჩხრეკით გააბნიეს. რკინის საჩხრეკი.*

**საჩხუბარი** *საჩხუბრის* 1. ჩხუბის მიზეზი. *რა არის აქ საჩხუბარი?* 2. ვისაც უნდა ეჩხუბონ, ჩხუბის ღირსი. *საჩხუბარი კი იყო.*

**საცავი** *საცავის* შენობა, ადგილი, სადაც ინახავენ რაიმეს. *წიგნების საცავი. ნავთობის საცავი.*

**საცალო** *საცალოს* საქონლის (2) ცალობით გაყიდვასთან დაკავშირებული. *საცალო ვაჭრობა. საცალო ფასები.*

**საცალფეხო** *საცალფეხოს* ვიწრო გზა, რომელზეც მხოლოდ ფეხით დაიარებიან. *საცალფეხო ბილიკი. საცალფეხოს გაუყვა.*

**საცდელი** *საცდელის* 1. სასინჯი, რაც ცდისთვის, შემოწმებისთვისაა განკუთვნილი. *საცდელი ეგზემპლარი. საცდელი ცალები.* 2. საწარმო, ობიექტი, სადაც ცდებს ატარებენ. *საცდელი მეურნეობა. საცდელი ნაკვეთი.*

**საცდური** *საცდურის* რაც შეაცდენს, აცდუნებს ადამიანს. *საცდურს ვერ გაუძლო.*

**საცეკვაო** *საცეკვაოს* ცეკვისთვის განკუთვნილი. *საცეკვაო მოედანი. საცეკვაო მელოდია.*

**საცერი** *საცრის* ფხვიერი მასის გასაცრელი მოწყობილობა – ხის, პლასტმასის ან თუნუქის თხელი, განიერი რგოლი, რომელზეც ძუის ან ლითონის ბადეა გადაკრული. *საცერში გაატარა.*

საცერი



**საცერული** *საცერულის* ცერზე წამოსაცმელი ლითონისკბილებიანი რგოლი. *ჩხუბში საცერული იხმარა.*

**საცეცი** *საცეცის* (ძირითადად მრ.) მწერებისა და ზოგიერთი უხერხემლო ცხოველის შეხებისა და მსხვერპლის დასაჭერი ორგანო. *ობობას საცეცები.*

**საცეცხლე** *საცეცხლის* ცეცხლსასროლი იარაღის სროლისთვის განკუთვნილი. *საცეცხლე წერტი.*

**საცეცხლური** *საცეცხლურის* 1. ცეცხლის დასანთები ადგილი. *საცეცხლურში შეშა დაანყო.* 2. ღვთისმსახურების დროს საკმევლის დასაკიდი ლითონის ჭურჭელი.

**საცეხველი** *საცეხვლის* რითაც ცეხვავენ. *მარცვლეულის საცეხველი მანქანა.*

**საცვალი** *საცვლის* სამოსი, რომელსაც შიშველ ტანზე ტანსაცმლის შიგნით იცვამენ. *ქალის საცვალი.*

**საციგურაო** *საციგურაოს* ციგურებით სრიალისთვის განკუთვნილი. *საციგურაო დარბაზი. საციგურაო მოედანი. საციგურაო გამართეს.*

**საცივი** *საცივის* ინდაურის ან ქათმის სქელი ნახარში, ნიგვზით, ძმრითა და სხვადასხვა სანელებლით შეზავებული, რომელიც ცივად იჭმება. *ინდაურის საცივი.*

**საცილო** *საცილოს* იგივეა, რაც **საცილობელი**.

**საცილობელი** *საცილობლის* რასაც ერთმანეთს ეცილებიან, სადავო. *საცილობელი ქონება.*

**საცირკო** *საცირკოს* ცირკისთვის განკუთვნილი, ცირკთან დაკავშირებული. *საცირკო წარმოდგენა.*

**საცნაური** *საცნაურის* წიგნ. მიმანიშნებელი, ცხადმყოფი. *ყველასთვის საცნაური გახდა.*

**საცნობარო** *საცნობაროს* ცნობების შემცველი, ცნობების მიმწოდებელი. *საცნობარო განყოფილება. საცნობარო ლიტერატურა.*

**საცობი** *საცობის* ვიწროყელიანი ჭურჭლის (ბოთლის, დოქისა და მისთ.) თავის დასაცობი სახურავი. *ხის საცობი. რეზინის საცობი.*

საცობი

**საცოდავი** *საცოდავის* შეცოდების, შებრალების ღირსი, საბრალო. *საცოდავი მოხუცი. საცოდავი შესახედაობა.*

**საცოდაობა** *საცოდაობის* შესაბრალის მდგომარეობაში ყოფნა, რაც სიბრალულს აღძრავს. *მის საცოდაობას ყველა ხედავდა. საცოდაობა მოხდა.*

**საცოლე** *საცოლის* ქალი, რომელიც ვინმეს მეუღლე (ცოლი) უნდა გახდეს. *თანამშრომლის საცოლე.*

**საცოლო** *საცოლოს* იგივეა, რაც **საცოლშვილო**. *საცოლო ბიჭები.*

**საცოლშვილო** *საცოლშვილოს* ქორწინების ასაკს მიღწეული ახალგაზრდა უცოლო კაცი. *საცოლშვილო ბიჭი.* ⊙ **საცოლშვილო წელი** ირონ. ცოლშვილის ყოლისა და შენახვის უნარი, შნო.

**საცურაო** *საცურაოს* ცურაობისთვის, საწყლო სპორტისთვის განკუთვნილი. *საცურაო აუზი. საცურაო კოსტიუმი.*

**საცხენოსნო** *საცხენოსნოს* ცხენოსნობისთვის განკუთვნილი. *საცხენოსნო სპორტი. საცხენოსნო მოედანი.*

**საცხი** *საცხის* რაიმეზე წასასმელი ცხიმოვანი ნივთიერება. *ტუჩის საცხი. თხილამურების საცხი.*

**საცხობი** *საცხობის* შენობა ან შენობის ნაწილი, სადაც რაიმეს აცხობენ ან რაშიც აცხობენ. *პურის საცხობი. ელექტრული საცხობი.*

**საცხოვრებელი** *საცხოვრებლის* 1. შენობა ან ადგილი, სადაც ცხოვრობენ. *საცხოვრებელი შეიცვალა.* 2. რაც ცხოვრებისთვისაა განკუთვნილი, შემოსავლის წყაროა. *ეს ყანა მათი საცხოვრებელია.* ▲ **საცხოვრებლად** ზმნიზ. ცხოვრების მიზნით. *საცხოვრებლად ქალაქში წავიდნენ.*

**საცხოვრისი** *საცხოვრისის* იგივეა, რაც **საცხოვრებელი** (1). *ქართველების ისტორიული საცხოვრისი.*

**საძაგელი** *საძაგლის* 1. საზიზღარი, საძულველი, რაც ძაგებას იმსახურებს. *საძაგელი საქციელი.*

*საძაგელი არსება.* 2. ძალიან ცუდი. *საძაგელი განწყობა.*

**საძაგლობა** *საძაგლობის* უმსგავსობა, საძაგელი ფაქტი, მოვლენა. *საძაგლობა ჩაიდინა.*

**საძაღლე** *საძაღლის* ძაღლისთვის განკუთვნილი. *საძაღლე ხორცი.*

**საძებარი** *საძებარის* ვინც ან რაც უნდა მოძებნონ. *ბინა საძებარი გაუხდა.*

**საძვალე** *საძვალის* იგივეა, რაც სამარხი. *საგვარეულო საძვალე.*

**საძიებელი** *საძიებლის* 1. რასაც ძებნა, ძიება სჭირდება. *საძიებელი ფაქტები. ბევრი რამაა საძიებელი.* 2. სამეცნიერო ნაშრომის დანართი, რითაც ეძებენ ტექსტში დადასტურებულ ცნებებს, პირებს, გეოგრაფიულ სახელებსა და მისთ. *საგნობრივი საძიებელი. ტერმინთა საძიებელი. პირთა საძიებელი.*

**საძიებო** *საძიებოს* მინერალური და გეოლოგიური ნამარხების ძიებასთან დაკავშირებული. *საძიებო სამუშაოები. საძიებო ექსპედიცია.*

**საძილე** *საძილის* ძილის მომგვრელი. *საძილე აბები.* ◉ **საძილე ტომარა** საველე ლოგინი.

**საძინებელი** *საძინებლის* დასაძინებლად განკუთვნილი ოთახი სახლში. *საძინებელში შევიდა.*

**საძირკველი** *საძირკვლის* 1. ნაგებობის მიწისქვეშა საყრდენი ნაწილი. *სახლის საძირკველი. საძირკველი ქვით ამოიყვანა.* 2. გადატ. რაიმეს საფუძველი. *ცოდნის საძირკველი.* ⊙ **საძირკველს ჩაუყრის** რაიმეს დააფუძნებს, დააარსებს.

**საძმო** *საძმოს* 1. ამა თუ იმ მონასტერში მყოფი ადამიანების ერთობა. *მონასტრის საძმო. საძმოს წევრები.* 2. საუბრ. საერთო საქმიანობის, ინტერესების მქონე მამაკაცების არაოფიციალური გაერთიანება, წრე. *ჩვენი საძმო.*

**საძნელო** *საძნელოს* ძნელად გასაკეთებელი, ძნელად შესასრულებელი. *საძნელო საქმე.*

**საძოვარი** *საძოვრის* ადგილი, სადაც პირუტყვს აძოვებენ. *საზაფხულო საძოვრები. ნახირი საძოვარზე გავიდა.*

**საძრახი** *საძრახის* იგივეა, რაც დასაძრახი. *საძრახი საქციელი.*

**საძრახისი** *საძრახისის* იგივეა, რაც დასაძრახი. *საძრახისი საქმე.*

**საძრობელა** *საძრობელას* ბოთლიდან საცობის ამოსაძრობი ხრახნისებური ხელსაწყო. *საცობი საძრობელათი ამოაძრეს.*

**საძრომი** *საძრომის* ძრომით გასასვლელი, სადმე შესასვლელი ხვრელი. *მელას საქათმეში საძრომი გაეკეთებინა.*

**საძროხე** *საძროხის* ძროხებისთვის განკუთვნილი ნაგებობა.

**საძულველი** *საძულველის* ცუდი, შეძულების ღირსი. *დიდად საძულველი პიროვნება.*

**საწადელი** *საწადლის* ძალიან სასურველი, სანატრელი. *საწადელი აისრულა. საწადელს მიაღწია.*

**საწამლავი** *საწამლავის* მომწამლავი ნივთიერება, ზოგჯერ ინვევს სიკვდილს. *საწამლავი შესვა.*

**საწარბაგი** *საწარბაგის* სადურგლო იარაღი - იყენებენ ფიცრის წიბოების გასასწორებლად, კარის ჩარჩოს, ღარის ამოსაღებად.

**საწარმო** *საწარმოს* დაწესებულება, სადაც რაიმეს ქმნიან, პროდუქციას აწარმოებენ. *მსხვილი საწარმო. საწარმო სრულად ამუშავდა.*

**საწარმოო** *საწარმოოს* წარმოებისთვის განკუთვნილი, წარმოებასთან დაკავშირებული. *საწარმოო პროცესი.*

**საწებელი** *საწებლის* ტყემლის, პომიდვრისა და მისთ. სანელებლებით შეზავებული სქელი ნახარში. *ცხარე საწებელი.*

**საწევრო** *საწევროს* ამა თუ იმ ორგანიზაციის, ჯგუფის წევრისთვის განკუთვნილი. *საწევრო გადასახადი. საწევრო შემოსავალი.*

**საწერი** *საწერის* 1. რაზეც უნდა წერონ. *საწერი მაგიდა.* 2. რითაც უნდა წერონ. *საწერი საშუალება. საწერი კალამი.* 3. რის შესახებაც წერენ. *საწერი თემა.* ▲ **საწერად ზმნიზ.** წერის მიზნით, წერისთვის. *საწერად მოემზადა.*

**საწესდებო** *საწესდებოს* წესდებით განსაზღვრული, წესდებაში მითითებული. *საწესდებო კაპიტალი. საწესდებო ვალდებულებები.*

**საწესჩვეულებო** *საწესჩვეულებოს* ხალხურ წესჩვეულებებთან დაკავშირებული. *საწესჩვეულებო რიტუალი.*

**საწვავი** *საწვავის* ნივთიერება, რომლის წვისას გამოიყოფა ენერგია. *საწვავი გაძვირდა. საწვავის გადაზიდვა.*

**საწვალებელი** *საწვალებლის* ძნელად, წვალებით გასაკეთებელი. *საწვალებელი საქმე. ხელახლა საწვალებელი გახდა. ჩემს საწვალებლად მოიგონა.*

**საწველი** *საწველის* 1. იგივეა, რაც მეწველი. *საწველი ფური.* 2. ჭურჭელი, რაშიც რძეს წველიან. *საწველი კასრი.* 3. ადგილი, სადაც პირუტყვს წველიან. *საწველი ბაკი.*

**საწვიმარი** *საწვიმრის* წყალგაუმტარი სამოსი, რომელსაც ავდარში იცვამენ. *საწვიმარი ლაბადა.*

**საწვნე** *საწვნის* 1. იგივეა, რაც ჩამჩა. *სუპი საწვნით დაასხა.* 2. *საწვნის* წვენის ჭურჭელი (ბადია, თასი, ჯამი).

**საწვრთნელი** *საწვრთნელის* წვრთნისთვის განკუთვნილი. *საწვრთნელი შეკრება.* შეცდომაა სანრთვნელი

**საწინააღმდეგო** *საწინააღმდეგოს* 1. ვინმეს ან

რაიმეს წინააღმდეგ მიმართული. *მთავრობის საწინააღმდეგო.* 2. საპირისპირო, სხვაგვარი. *საწინააღმდეგო აზრი.* 3. სხვა, მეორე, რაიმეს შებრუნებული. *საწინააღმდეგო მხარე.*

**საწინააღმდეგოდ** ზმნიზ. 1. საწინააღმდეგო მიმართულებით. *დინების საწინააღმდეგოდ.* 2. წინააღმდეგ, წინააღმდეგობისთვის. *დაავადების საწინააღმდეგოდ.*

**საწინდარი** *საწინდრის* წიგნ. რაიმეს წინაპირობა. *წარმატების საწინდარი.*

**საწინკარა** *საწინკარას* ქათმის წინა პირველი წყვილი ნეკნი. *საწინკარა უყვარს. საწინკარას წინკნის.*

**საწმენდი** *საწმენდის* რითაც უნდა გაწმინდონ. *ფანჯრის საწმენდი სითხე.*

**საწმისი** *საწმისის* ძვ. ცხვრის მატყლიანი ტყავი. *ოქროს საწმისი.*

**საწნახელი** *საწნახლის* ხის მთლიანი მორისგან გაკეთებული ნავი, რომელშიც ყურძენს ჭყლეტენ ფეხით. *საწნახელში ჩადგნენ.*



საწნახელი

**საწოვარა** *საწოვარას* რეზინის ნახვრეტიანი მილი, იყენებენ ჩვილებისთვის საკვების მისაცემად.

**საწოლი** *საწოლის* საოჯახო ავეჯი, რომელზეც წვებიან. *ბის საწოლი.*



საწოლი

**საწონი** *საწონის* აწონისთვის განკუთვნილი. *საწონი მოწყობილობა.*

**საწუთრო** *საწუთროს* ძვ. იგივეა, რაც წუთისოფელი.

**საწური** *საწურის* საგანგებო მოწყობილობა, რითაც რაიმეს წურაავენ. *წვენის საწური.*

**საწუწნი** *საწუწნის* რასაც წუწნიან, რაც უნდა წუწნონ. *საწუწნი კანფეტი. საწუწნი აბი.*

**საწუხარი** *საწუხრის* რის გამოც წუხან, საფიქრალი, სადარდებელი. *საწუხარი გაუჩნდა. საწუხარი ბევრი აქვს.*

**საწყალი** *საწყლის* 1. საბრალო, შეწყალების ღირსი. *ბეჩავი კაცია, საწყალი.* 2. მეტად ღარიბი, უქონელი. *საწყალი ოჯახი.* ▲ **საწყლად** ზმნიზ. ღარიბად, გაჭირვებით. *საწყლად ცხოვრობენ.*

**საწყალობელი** *საწყალობლის* შესაბრალისი, საბრალო. *საწყალობელი ბიჭი.*

**საწყაო** *საწყაოს* გარკვეული ტევადობის ჭურჭელი, რომლითაც ნივთიერების (თხევადის ან ფხვიერის) რაოდენობას განსაზღვრავენ. *ღვინის საწყაო. ფქვილის საწყაო.*

**საწყისი** *საწყისის* საიდანაც იწყება ან რითაც იწყება რამე. *საწყისი მდგომარეობა.*

**საწყლური** *საწყლურის* ღარიბული, გაჭირვებული. *საწყლური ცხოვრება.*

**საწყობი** *საწყობის* საგანგებო სათავსო, ნაგებობა, სადაც სურსათს, რაიმე სახის პროდუქციას ან მასალებს ინახავენ. *იარაღის საწყობი. ფაბრიკის საწყობი.*

**საჭადრაკო** *საჭადრაკოს* ჭადრაკისთვის განკუთვნილი, ჭადრაკთან დაკავშირებული. *საჭადრაკო ოლიმპიადა.*

**საჭაშნიკე** *საჭაშნიკის* გემოს გასასინჯად, დასაჭაშნიკებლად განკუთვნილი რაიმე. *საჭაშნიკე ღვინო. საჭაშნიკე ჭიქა.*

**საჭე** *საჭის* სხვადასხვა ტრანსპორტის მოძრაობის სამართავი მექანიზმი. *ავტომობილის საჭე. თვითმფრინავის საჭე. გემის საჭე.*

**საჭიდაო** *საჭიდაოს* ჭიდაობისთვის განკუთვნილი. *საჭიდაო ხალიჩა.*

**საჭირბოროტო** *საჭირბოროტოს* დიდად მნიშვნელოვანი, საქეყნო. *საჭირბოროტო საკითხები. საჭირბოროტო ამბები.*

**საჭირნახულო** *საჭირნახულოს* ჭირნახულისთვის განკუთვნილი. *საჭირნახულო საწყობი.*

**საჭირო** *საჭიროს* რაც სჭირდებათ, გამოსაყენებელი, სახმარი. *საჭირო საქმეები. საჭირო ნივთები.*

**საჭიროება** *საჭიროების* რის დაკმაყოფილებაც საჭიროა, აუცილებელია. *ხალხის საჭიროებას ითვალისწინებენ. ევაკუაციის საჭიროება არ არსებობს.*

**საჭმელი** *საჭმლის* 1. საგანგებოდ მომზადებული საკვები. *საჭმელი და სასმელი. ცივი საჭმელი.* 2. ჭამისთვის ვარგისი. *საჭმელი სოკო.*

**საჭმელ-სასმელი** *საჭმელ-სასმლის* იგივეა, რაც სასმელ-საჭმელი. *სუფრაზე საჭმელ-სასმელი მოიტანეს.*

**საჭორაო** *საჭორაოს* რაზეც ჭორაობენ. *საჭორაო საგანი. საჭორაო მიეცათ.* ■ **საჭორაოდ** ზმნიზ. ჭორაობისთვის, ჭორაობის მიზნით. *საჭორაოდ არ მცალია. საჭორაოდ მოვიდა.*

**საჭორიკანო** *საჭორიკანოს* იგივეა, რაც საჭორაო. *საჭორიკანო თემა.*

**საჭოჭმანო** *საჭოჭმანოს* ძნელად გადასაწყვეტი, ჭოჭმანის გამომწვევი. *საჭოჭმანო საქმე.*

**საჭრეთელი** *საჭრეთლის* ხელის სამუშაო იარაღი, პატარა სატეხი, რომელსაც იყენებენ ხეზე, ქვაზე ან ლითონზე სახეების, ფიგურების ამოსაჭრელად. *პატარა საჭრეთელი. საჭრეთლით მუშაობს.*

**საჭრელი** *საჭრელის* რითაც ჭრიან. *პურის საჭრელი. მინის საჭრელი. ქაღალდის საჭრელი.*

**საჭურველი** *საჭურვლის* იგივეა, რაც აღჭურვილობა. *საჭურველი აისხა.*

**საჭურისი** *საჭურისის* კასტრირებული მამაკაცი. *საჭურისი მსახური.*

**სახადი** *სახადის* ინფექციური დაავადება (წითელა, ყვავილი, ქუნთრუშა და მისთ.), რომელიც განმეორებით აღარ ემართებათ. *სახადი შეეყარა.*

**სახადიანი** *სახადიანის* სახადით დაავადებული. *სახადიანი ბავშვი. სახადიანი ავადმყოფი.*

**სახაზავი** *სახაზავის* I. სწორი ხაზების გასაველები ხელსაწყო – ვიწრო, სწორკიდეებიანი ფირფიტა მილიმეტრიანი და სანტიმეტრიანი დანაყოფებით. *ხის სახაზავი.* 2. ხაზვისთვის განკუთვნილი, რითაც და რაზეც უნდა ხაზონ. *სახაზავი დაფა. სახაზავი ფანქარი. სახაზავი მოწყობილობები.*

**სახაზინო** *სახაზინოს* ხაზინისთვის (2) განკუთვნილი. *სახაზინო ქონება.*

**სახათაბალო** *სახათაბალოს* რამაც შეიძლება ხათაბალა გამოიწვიოს. *სახათაბალო საქმე.*

**სახალათე** *სახალათის* ხალათის შესაკერი ქსოვილი. *სახალათე იყიდა.*

**სახალისო** *სახალისოს* რაც ახალისებთ, გასართობი. *სახალისო სურათები. სახალისო ამოცანები.*

**სახალხო** *სახალხოს* ხალხისთვის განკუთვნილი, ხალხისთვის მნიშვნელოვანი, ხალხთან დაკავშირებული. *სახალხო კრება. სახალხო პოეტი.* ▲ **სახალხოდ** ზმნიზ. საყოველთაოდ, საქვეყნოდ. *სახალხოდ დასაჯეს.*

**სახამებელი** *სახამებლის* ფქვილოვანი მცენარეული ნივთიერება, გამოიყენება საყოფაცხოვრებო დანიშნულებითა და საკონდიტრო წარმოებაში. *კარტოფილის სახამებელი. სიმინდის სახამებელი.* ■ **სახამებლიანი** რასაც სახამებელი ურევია. *სახამებლიანი წყალი.*

**სახამუშო** *სახამუშოს* რის გაკეთებაც ეხამუშებათ, ეუხერხულებათ. *სახამუშო საქმეა.*

**სახანძრო** *სახანძროს* ხანძრის ჩასაქრობად განკუთვნილი, ხანძართან დაკავშირებული. *სახანძრო მანქანები. სახანძრო ბრიგადა.*

**სახარატო** *სახარატოს* I. საამქრო, სადაც ხარატები მუშაობენ. *სახარატო განყოფილება.* 2. დანადგარი ან ხელსაწყოები, რომლებითაც ხარატი მუშაობს. *სახარატო დაზგა. სახარატო ხელსაწყოები.*

**სახარბიელო** *სახარბიელოს* რაც შეიძლება ვინმეს შეეხარბოს, რამდენადმე მნიშვნელოვანი, საინტერესო. *სახარბიელო საქმე.*

**სახარე** *სახარის* რაც ხარი უნდა გახდეს. *სახარე ხბო.*

**სახარება** *სახარების* საეკლ. ბიბლიის ნაწილი, ახალი აღთქმის წიგნი, რომელშიც ქრისტეს ცხოვრებაა მოთხრობილი. *სახარების კითხვა. მათეს სახარება.*

**სახარჯთაღრიცხვო** *სახარჯთაღრიცხვოს* ხარჯთაღრიცხვისთვის განკუთვნილი. *სახარჯთაღრიცხვო წიგნი. სახარჯთაღრიცხვო საბუთები.*

**სახარჯო** *სახარჯოს* ყოველდღიური ხარჯებისთვის, ყოველდღიური საჭიროებისთვის განკუთვნილი. *სახარჯო თანხა. სახარჯო პროდუქტები. სახარჯო ღვინო.*

**სახასიათო** *სახასიათოს* ხასიათის სხვადასხვა შტრიხის მაჩვენებელი. *სახასიათო როლი.*

**სახატავი** *სახატავის* ხატვისთვის საჭირო იარაღები და ნივთები. *სახატავი რვეული. სახატავი ფანქრები.*

**სახაშე** *სახაშის* სასადილო, სადაც ხაშს ამზადებენ. *სახაშეში შევიდნენ.*

**სახე** *სახის* I. ადამიანის თავის წინა ნაწილი. *მოღიმარი სახე. სახეზე ხელი აიფარა. სახეზე ფერუმარილი უსვია.* 2. გარეგნობა, ფორმა, მოყვანილობა, შესახედაობა, იერი. *სახე იცვალა. პირველი სახე დაიბრუნა. სხვა სახით მოგვევლინა.* 3. საგნის, მოვლენის, ობიექტის გამოხატვის, ასახვის ფორმა ადამიანის ცნობიერებაში. *მხატვრული სახე. სახეებით აზროვნება.* 4. მოხაზულობა, გამოსახულება ქაღალდზე, ქვაზე, ქსოვილზე. *ლამაზი სახეები ამოქარგა.* ⊙ **სახე აელეწა** საბე გაუწითლდა. ⊙ **სახე გაუბრწყინდა** სახეზე სიხარული, კმაყოფილება გამოეხატა. ⊙ სხვადასხვა სახის სხვადასხვაგვარი, სხვადასხვანაირი.

**სახეალანძული** *სახეალანძულის* ცეცხლთან მიახლოების გამო სახეწამოწითლებული. *სახეალანძული იჯდა.*

**სახეალეწილი** *სახეალეწილის* ვისაც გაბრაზება სახეზე ეტყობა. *სახეალეწილი ბიჭი.*

**სახეგაბადრული** *სახეგაბადრულის* იგივეა, რაც სახეგაბრწყინებული. *სახეგაბადრული ზის.*

**სახედარი** *სახედრის* იგივეა, რაც ვირი.

**სახედასახიჩრებული** *სახედასახიჩრებულის* ვისაც ნაჭრილობევებისგან სახე აქვს დამახინჯებული. *სახედასახიჩრებული მეომარი.*

**სახედასისხლიანებული** *სახედასისხლიანებულის* სახეზე ნაცემი, სისხლდადენილი. *სახედასისხლიანებული ბიჭები.*

**სახეებიანი** *სახეებიანის* რაზეც მხატვრული ფიგურებია გამოხატული. *სახეებიანი ფარდაგი. სახეებიანი ნაქსოვი.*

**სახეირო** *სახეიროს* სასარგებლო, ხეირის, სარგებლის მომტანი. *სახეირო საქმე.*

**სახელგანთქმული** *სახელგანთქმულის* საქვეყნოდ ცნობილი, დიდი სახელის მქონე. *სახელგანთქმული მოქანდაკე.*

**სახელგატეხილი** *სახელგატეხილის* ცუდი საქმეების კეთებით ცნობილი, ვისაც სახელი აქვს გატეხილი. *სახელგატეხილი კაცი. ქურდობის გამოა სახელგატეხილი.*

**სახელდახელო** *სახელდახელოს* უცბად, სწრაფად, საჩქაროდ გაკეთებული, არასაფუძვლიანი. *სახ-*

*ელდახელო სადგომი. სახელდახელო ხიდი.* ▲ **სახელდახელოდ** ზმნიზ. ნაუცბადევად, ნაჩქარევად. *სახელდახელოდ გაშალა სუფრა. სახელდახელოდ შეთხზული ლექსი.*

**სახელდება** *სახელდების* რაიმესთვის სახელის დარქმევა. *სახელდების პროცესი.*

**სახელდებული** *სახელდებულის* რასაც სახელი დაერქვა. *სახელდებული მოვლენა.*

**სახელდობრ** ნაწილაკ. გამოიყენება ნათქვამის დასაზუსტებლად (ხშირად – ჩამოთვლის წინ). *ტყეში ბევრი ნადირი ცხოვრობს, სახელდობრ: მგელი, შველი და მისთ.*

**სახელი** *სახელის* 1. სიტყვა, რომელიც ბუნებაში არსებულ საგანს, მოვლენას, გრძნობას, განცდასა და მისთ. ასახელებს, უწოდებს რაიმეს. *საგნის სახელი. კაცის სახელი. საკუთარი სახელი.* 2. პატივისცემა, დაფასება. *ხალხში კარგი სახელი აქვს.* ⊙ **სახელს გაითქვამს/მოიხვეჭს** სახელოვანი, ცნობილი ადამიანი გახდება.

**სახელიანი** *სახელიანის* იგივეა, რაც სახელოვანი. *სახელიანი კაცი. სახელიანი მწერალი.*

**სახელისუფლებო** *სახელისუფლებოს* ხელისუფლებასთან დაკავშირებული. ხელისუფლებისთვის განკუთვნილი. *სახელისუფლებო ორგანო.*

**სახელმძღვანელო** *სახელმძღვანელოს* 1. წიგნი, რომელიც განკუთვნილია რაიმეს შესასწავლად. *გრამატიკის სახელმძღვანელო. ახალი სახელმძღვანელო.* 2. რითაც უნდა იხელმძღვანელონ. *სახელმძღვანელო მითითება.*

**სახელმწიფო** *სახელმწიფოს* 1. საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციის ფორმა, რომელიც განსაკუთრებული აპარატისა და საჯარო ხელისუფლების მეშვეობით ახორციელებს თავის უფლებამოსილებას, უზრუნველყოფს ქვეყნის ერთიანობასა და მთლიანობას, ამყარებს საზოგადოებრივ წესრიგს. *დემოკრატიული სახელმწიფო.* 2. სახელმწიფოსთან დაკავშირებული, სახელმწიფოს კუთვნილი. *სახელმწიფო ენა. სახელმწიფო წყობა. სახელმწიფო მინები.*

**სახელმწიფოებრივი** *სახელმწიფოებრივის* სახელმწიფოსთან დაკავშირებული, სახელმწიფოს დამახასიათებელი. *სახელმწიფოებრივი აზროვნება. სახელმწიფოებრივი საქმიანობა.*

**სახელმწიფოებრიობა** *სახელმწიფოებრიობის* სახელმწიფოს არსებობისთვის დამახასიათებელი, სახელმწიფოსთვის აუცილებელი ნიშან-თვისებების ერთობლიობა. *ქართული სახელმწიფოებრიობა.*

**სახელო** *სახელოს* ტანსაცმლის ნაწილი, რომელშიც ხელს უყრიან. *მოკლე სახელო.*

**სახელობითი** *სახელობითის* 1. ვინმეს სახელის მქონე. *სახელობითი სტიპენდია. სახელობითი პრემია.* 2. გრამატ. სახელის ბრუნვის ერთ-ერთი ფორმა.

**სახელოვანი** *სახელოვნის* საზოგადოებაში დაფასებული, დიდი სახელის მქონე. *სახელოვანი მოღვაწე. სახელოვანი ადამიანები.*

**სახელოსნო** *სახელოსნოს* 1. მცირე საწარმო, სადაც ხელოსნები მუშაობენ. *სამკერვალო სახელოსნო.* 2. ხელოვანი ადამიანის სამუშაო ოთახი, შენობა. *მხატვრის სახელოსნო.* 3. ხელოსნის მოსამზადებელი, ხელოსნისთვის განკუთვნილი. *სახელოსნო სასწავლებელი. სახელოსნო იარაღები.*

სახელური



**სახელური** *სახელურის* საგნის ის ნაწილი, რომელსაც ხელს ავლებენ. *კარის სახელური. ქვაბის სახელური.*

**სახელფასო** *სახელფასოს* ხელფასისთვის განკუთვნილი, ხელფასთან დაკავშირებული.

**სახელწოდება** *სახელწოდების* ორგანიზაციის, ნაწარმოების, ქუჩისა და მისთ. დარქმეული, მინიჭებული სახელი. *გამომცემლობის სახელწოდება. ფირმის სახელწოდება.*

**სახეობა** *სახეობის* 1. მცენარეთა ან ცხოველთა კლასიფიკაციისას გამოყოფილი გვარზე უფრო მცირე ერთეული. *მგლის სახეობა. ფიჭვის სახეობა.* 2. რაიმე ერთობლიობის, დაჯგუფების შემადგენელი მცირე ერთეული. *სპორტის სხვადასხვა სახეობა.*

**სახეობრივი** *სახეობრივის* სახეობების მიხედვით განხორციელებული. *სახეობრივი დაყოფა. მცენარეთა სახეობრივი დახასიათება.*

**სახერხი** *სახერხის* რასაც ხერხავენ ან სადაც ხერხავენ. *სახერხი მორი. სახერხი საამქრო.*

**სახესხვაობა** *სახესხვაობის* ძირითადი ტიპისგან ან სახეობისგან ცოტათი განსხვავებული რამ. *მიკრობის სახესხვაობა.*

**სახეტიალოდ** ზმნიზ. სიარულის, ხეტიალის მიზნით. *სალამოს სახეტიალოდ გავიდნენ.*

**სახეშეშლილი** *სახეშეშლილის* სახეარეული, ვისაც სიგიჟის ნიშნები სახეზე ეტყობა. *სახეშეშლილი დაიარება.*

**სახეშეცვლილი** *სახეშეცვლილის* იგივეა, რაც სახეცვლილი. *სახეშეცვლილი ქუჩა.*

**სახეცვლილება** *სახეცვლილების* რაიმე საგნის, მოვლენის შეცვლა, სხვა ფორმისა და შინაარსის მიღება. *სახეცვლილებას განიცდის.*

**სახეცვლილი** *სახეცვლილის* რასაც სახე, იერი შეცვლილი აქვს. *სახეცვლილი გარემო.*

**სახეხი** *სახეხის* 1. ხელსაწყო, რომელზეც ხილსა და ბოსტნეულს ხეხავენ. *პლასტმასის სახეხი.* 2. საშუალებები, რითაც იატაკს, ჭურჭელსა და მისთ. ხეხავენ. *სახეხი ფხვნილი.*

**სახვალიო** *სახვალიოს* ხვალ (მომავალში) გასაკეთებელი. *სახვალიო საქმე.* ▲ **სახვალიოდ** ზმნიზ. ხვალისთვის, ხვალ გასაკეთებლად. *სახვალიოდ ნუ გადადებ!*

**სახვევი** *სახვევის* წყლულის, ჭრილობის შესახვევი ქსოვილი. *სახვევი მოხსნა.*

**სახვითი** *სახვითის* ◌ **სახვითი ხელოვნება** ხელოვნების დარგი, რომელიც ფერწერას, ქანდაკებასა და არქიტექტურას მოიცავს.

**სახვრეტი** *სახვრეტის* რითაც უნდა გახვრიტონ. *სახვრეტი ჩარხი. ქაღალდის სახვრეტი.*

**სახიანი** *სახიანის* იგივეა, რაც სახეებიანი. *სახიანი ფარდაგი. სახიანი ნაქსოვი.*

**სახინკლე** *სახინკლის* 1. სასადილო, სადაც ხინკალს ამზადებენ. *სახინკლეში შევიდნენ.* 2. ხინკლისთვის საჭირო, ხინკლის გასაკეთებელი. *სახინკლე ცომი. სახინკლე ფარში.*

**სახიფათო** *სახიფათოს* რასაც შეიძლება ხიფათი, განსაცდელი მოჰყვეს, რამაც შეიძლება ვინმე საფრთხეში ჩააგდოს. *სახიფათო გადაწყვეტილება. სახიფათო ავადმყოფობა.*

**სახიჩარი** *სახიჩრის* მახინჯი, ფიზიკური ნაკლის მქონე. *ქმარი სახიჩარი ჰყავდა.*

**სახლი** *სახლის* 1. შენობა, რომელშიც ადამიანები ცხოვრობენ. *ხის სახლი. მრავალსართულიანი სახლი.* 2. ზოგიერთი კულტურულ-საზოგადოებრივი დანესებულების სახელწოდება. *დასასვენებელი სახლი. კულტურის სახლი.*

**სახლ-კარი** *სახლ-კარის* ადამიანის საცხოვრებელი გარემო - სახლი, ეზო, სამეურნეო ნაგებობები მთლიანად. *მამამ მშვენიერი სახლ-კარი დაუტოვა. სახლ-კარი გაყიდა.*

**სახლ-მუზეუმი** *სახლ-მუზეუმის* გამოჩენილი ადამიანის სახლი, რომელიც დატოვეს უცვლელად და მუზეუმად გადააკეთეს. *მწერლის სახლ-მუზეუმი.*

**სახლობა**[1] *სახლობის* ოჯახი, ოჯახობა.

**სახლობა**[2]* *სახლობის* (სახლობს) ბინადრობა, ცხოვრება. *აქ აღარავინ სახლობს.*

**სახმარი** *სახმარის* რაც უნდა იხმარონ, გამოსაყენებელი. *სამზარეულოში სახმარი ნივთები.* ▲ **სახმარად** ზმნიზ. ხმარებისთვის, ხმარების მიზნით. *სახმარად უვარგისი.*

**სახმელეთო** *სახმელეთოს* ხმელეთზე მოქმედი. *სახმელეთო ტრანსპორტი. სახმელეთო ჯარები.*

**სახმო** *სახმოს* ხმის გამომცემი. *სახმო სიმები.*

**სახნავი** *სახნავის* 1. მიწის ნაკვეთი, რომელსაც ამუშავებენ, მოსავლის მოყვანის მიზნით ხნავენ. *სახნავი მიწები.* 2. იარაღი, რითაც ხნავენ. *სახნავი ტრაქტორი.*

**სახნავ-სათესი** *სახნავ-სათესის* იგივეა, რაც სახნავი (1). *სახნავ-სათესი მიწა.*

**სახნავ-სათიბი** *სახნავ-სათიბის* ვრცელი ადგილი, რომელიც სახნავად და სათიბად გამოდგება. *მთის სახნავ-სათიბი ადგილები.*

**სახნისი** *სახნისის* გუთნის წინა ნაწილი, რკინის ბარი, რომელიც მიწას აბრუნებს. *გუთნის სახნისი. კავის სახნისი.*

**სახნის-საკვეთი** *სახნის-საკვეთის* სახნისი და საკვეთი ერთად. *სახნის-საკვეთი გალესეს.*

**სახორცე** *სახორცის* რასაც ზრდიან, ასუქებენ ხორცის მისაღებად. *სახორცე საქონელი. სახორცე ფრინველი.*

**სახოტბო** *სახოტბის* ხოტბის, ქების გამომხატველი. *სახოტბო პოე ზია.*

**სახრახნისი** *სახრახნისის* ხრახნის დასამაგრებელი და ამოსაძრობი ხელსაწყო. *ზეინკლის სახრახნისი.*

**სახრე** *სახრის* ხის მოქნილი, გასხეპილი, თითის სისხო გრძელი ტოტი, იყენებენ უმეტესად საქონლის გასარეკად, მატყლის საპენტად, რაიმეს საბერტყად. *იფნის სახრე. სახრე გადაჰკრა.*

**სახრჩობელა** *სახრჩობელას* სიკვდილმისჯილის ჩამოსახრჩობი მოწყობილობა - ბოძებზე (ან ბოძზე) გადებულ ძელზე ჩამოკიდებული ყულფიანი თოკი. *მთაზე აღმართული სახრჩობელა.* შეცდომაა საღრჩობელა

**სახსარი**[1] *სახსრის* 1. ძვლების შეერთების ადგილი, რომელიც მოძრაობის საშუალებას აძლევს ჩონჩხის ნაწილებს. *მუხლის სახსარი. მხრის სახსარი. სახსრების ანთება.* 2. მექანიზმის, მოწყობილობისა და მისთ. მოძრავი ნაწილების შეერთების ადგილი. *სახსარში გადატყდა.*

**სახსარი**[2] *სახსრის* 1. მატერიალური საშუალება, შესაძლებლობა. *ცხოვრების სახსარი. არსებობის სახსარი.* 2. (ძირითადად მრ.) რაიმე საქმიანობისთვის საჭირო თანხა. *სახსრების მოზიდვა. სახსრები გამოძებნა.*

**სახსენებელი** *სახსენებლის* 1. ვინც ან რაც უნდა ახსენონ. *კარგად სახსენებელი. აუგად სახსენებელი.* 2. ვინმეს, რაიმეს შესახებ მოგონება, ხსოვნა. *მათი სახსენებელიც კი აღარ არის.*

**სახსოვარი** *სახსოვრის* ვინმეს ან რაიმეს მოსაგონებელი, სამახსოვრო ნივთი. *შვილის სახსოვარი. ძვირფასი სახსოვარი.* ■ **სახსოვრად** ზმნიზ. მოსაგონრად, გასახსენებლად. *სახსოვრად მიიღე. სახსოვრად დარჩა.*

**სახტად** ◌ **სახტად დარჩენა** გაოცება, განცვიფრება.

**სახტუნაო** *სახტუნაოს* ბავშვის სათამაშო - სახელურებიანი თოკი, რომელსაც წრიულად ატრიალებენ და ახტებიან. *ბავშვები სახტუნაოთი თამაშობენ.*


სახტუნაო

**სახუმარო** *სახუმაროს* რაზეც ხუმრობენ. *სახუმარო ლექსები. სახუმარო ისტორიები.*

**სახურავი** *სახურავის* I. შენობის ნაწილი, რომელიც ზემოდან ახურავს და ფარავს ნაგებობას. *კრამიტის სახურავი. სახურავზე კიბით ავიდა.* 2. რაიმე საგნისა თუ ნივთის ზედა, დასახური ნაწილი, რომელიც იხდება. *ქვაბის სახურავი.*

**საჯალაბო** *საჯალაბოს* მთელი ჯალაბის, ოჯახისთვის განკუთვნილი. *საჯალაბო ქვაბი. საჯალაბო სადილი.*

**საჯარიმო** *საჯარიმოს* ჯარიმასთან დაკავშირებული, ჯარიმისთვის განკუთვნილი. *საჯარიმო დარტყმა.*

**საჯარისო** *საჯარისოს* ჯარისთვის განკუთვნილი, ჯართან დაკავშირებული. *საჯარისო ფორმირებები. საჯარისო დანაყოფები.*

**საჯარო** *საჯაროს* საზოგადო, სახალხო. *საჯარო სკოლები. საჯარო მოხელე.* ▲ **საჯაროდ** ზმნიზ. საქვეყნოდ, სახალხოდ. *საჯაროდ გამოაცხადეს.*

**საჯახირო** *საჯახიროს* რასაც დიდი ჯაფა, ჯახირი სჭირდება. *საჯახირო საქმეა.*

**საჯდომი** *საჯდომის* I. რაზეც ჯდომა შეიძლება. *კარგი საჯდომი ცხენი.* 2. ადამიანის ტანის ქვედა უკანა ნაწილი, რომლითაც ის ჯდება. *საჯდომის ნერვის ანთება.*

**საჯინიბო** *საჯინიბოს* ცხენებისთვის განკუთვნილი ნაგებობა. *კვიცი საჯინიბოში დააბა.*

**საჯირითო** *საჯირითოს* ჯირითისთვის განკუთვნილი. *საჯირითო მოედანი. საჯირითო ცხენი.*

**საჯიშე** *საჯიშის* I. ჯიშის შესანარჩუნებლად ან გასაუმჯობესებლად შერჩეული სანაშენე ნიმუში. *საჯიშე ცხენი. საჯიშე მცენარეები.* 2. მეურნეობა ან დანესებულება, სადაც ჯიშების გამოყვანასა და გაუმჯობესებაზე მუშაობენ. *საჯიშე მეურნეობა. საჯიშე ფერმა.*

**საჰაერო** *საჰაეროს* I. ჰაერში სახმარი, ჰაერში მოძრავი. *საჰაერო ტრანსპორტი. საჰაერო ბურთი.* 2. ღიობი, მოწყობილობა, საიდანაც დახურული სივრცე ჰაერით მარაგდება. *საჰაერო ხვრელი. საჰაერო სარკმელი. საჰაეროს უტოვებენ.*

**სეანსი** *სეანსის* კინოფილმის, თამაშისა და მისთ. ჩვენება ან შესრულება დროის გარკვეულ მონაკვეთში. *დილის სეანსი. საღამოს სეანსი.* შეცდომაა სიანსი

**სეგმენტაცია** *სეგმენტაციის* სეგმენტებად (2) დაყოფა. *ბაზრის სეგმენტაცია. მომხმარებელთა სეგმენტაცია.*

**სეგმენტი** *სეგმენტის* I. მათ. წრის ნაწილი, რომელიც რკალითა და მისი ქორდით არის შემოსაზღვრული. 2. გადატ. რაიმეს ძალიან მცირე ნაწილი. *სეგმენტებად დაყოფა.*

**სევადა** *სევადის* შავი ფერის ნივთიერება, რომლითაც ვერცხლის ან ოქროს ნაკეთობებზე ორნამენტები გამოჰყავთ.

**სევადიანი** *სევადიანის* იგივეა, რაც მოსევადებული. *სევადიანი ხანჯალი.*

**სევდა** *სევდის* მსუბუქი დარდი, წუხილი. *სევდა გაიქარვა. სევდამ შეიპყრო. სევდით გარემოცული.*

**სევდანარევი** *სევდანარევის* ცოტათი სევდიანი, დანაღვლიანებული. *სევდანარევი ღიმილი.*

**სევდიანი** *სევდიანის* ვისაც სევდა დაეუფლა, სევდის შემცველი. *სევდიანი ქალბატონი. სევდიანი მზერა.*

**სეზონი** *სეზონის* I. წელიწადის დრო, პერიოდი, რომელიც შესაფერისია რაიმე საქმიანობისთვის ან დასვენებისთვის. *საფეხბურთო სეზონი. ტურიზმის სეზონი. ნადირობის სეზონი.* 2. პერიოდი, რომლის დროსაც გარკვეული ბუნებრივი მოვლენები ხდება. *წვიმების სეზონი.*

**სეზონური** *სეზონურის* სეზონის შესაფერისი, სეზონისთვის დამახასიათებელი, სეზონისთვის განკუთვნილი. *სეზონური დაავადება. სეზონური ცვლილებები.* ▲ **სეზონურად** ზმნიზ. სეზონის დროს, სეზონის განმავლობაში. *ბინა სეზონურად ქირავდება.*

**სეინერი** *სეინერის* თევზსაჭერი გემი, აღჭურვილი ქისისმაგვარი ბადით. *სეინერი ზღვაში გავიდა.*

**სეირი** *სეირის* გასართობი სანახაობა. *სეირს უყურებს. სეირის საყურებლად მოვიდა.* © სეირს გიჩვენებ ცუდ დღეში ჩაგაგდებ.

**სეირნობა** *სეირნობის* (სეირნობს, ასეირნებს) დასვენებისა და გართობის მიზნით სადმე სიარული. *ფეხით სეირნობენ. მანქანით სეირნობა უყვარს.*

**სეისმოლოგი** *სეისმოლოგის* სეისმოლოგიის სპეციალისტი.

**სეისმოლოგია** *სეისმოლოგიის* მეცნიერება, რომელიც შეისწავლის მინისძვრებს. ■ **სეისმოლოგიური** სეისმოლოგიასთან დაკავშირებული. *სეისმოლოგიური რყევები. სეისმოლოგიური მონაცემები.*

**სეისმური** *სეისმურის* მინისძვრასთან დაკავშირებული. *სეისმური რაიონები. სეისმური რუკა.*

**სეიფი** *სეიფის* ფულისა და ძვირფასეულობის შესანახი ცეცხლგამძლე კარადა ან ყუთი. *ბანკის სეიფი.*

**სეკვესტრი** *სეკვესტრის* სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის შეზღუდვა ან შემცირება. *ხელფასებს სეკვესტრი არ შეეხო.*

**სეკრეცია** *სეკრეციის* ჯირკვლების მიერ ორგანიზმის ნორმალური ფუნქციონირებისთვის აუცილებელი ნივთიერებების გამომუშავება და გამოყოფა. *შინაგანი სეკრეციის ჯირკვალი.*

**სეკუნდანტი** *სეკუნდანტის* 1. ძვ. დუელის თითოეული მონაწილის თანმხლები პირი, დუელის მოწმე და შუამავალი მონინააღმდეგეთა შორის. *სეკუნდანტებმა დამბაჩები შეამოწმეს.* 2. სპორტის ზოგ სახეობაში (კრივში, ფარიკაობაში) შეჯიბრებისას სპორტსმენის დამხმარე და შუამავალი მონინააღმდეგეთა შორის. *მოჭადრაკის სეკუნდანტი. მოკრივის სეკუნდანტი.* შეცდომაა სეკუნდატი

**სელაპი** *სელაპის* ზღვის ძუძუმწოვარი მტაცებელი, აქვს აპკიანი კიდურები. *სელაპის ქონი.*

**სელექცია** *სელექციის* ცხოველების, მცენარეებისა და მიკროორგანიზმების ახალი ჯიშებისა და ჰიბრიდების გამოყვანა. *ხალხური სელექცია.*

**სელექციონერი** *სელექციონერის* სოფლის მეურნეობის მუშაკი, რომელსაც ახალი ჯიშები გამოჰყავს. *სელექციონერის სამუშაო.*

**სელექციური** *სელექციურის* ცხოველის ან მცენარის ჯიში, რომელიც ხელოვნური შერჩევითაა გამოყვანილი.

**სელი** *სელის* ერთწლოვანი ცისფერყვავილებიანი მცენარე, აქვს პრიალა, ბრტყელი თესლი, რომლისგანაც ზეთს ხდიან, ბოჭკოსგან კი ამზადებენ ქსოვილს.

**სემანტიკა** *სემანტიკის* ლინგ. 1. ენათმეცნიერების დარგი, რომელიც შეისწავლის სიტყვათა და გამოთქმათა მნიშვნელობას. *სემანტიკის კურსი.* 2. სიტყვის ან გამოთქმის მნიშვნელობა.

**სემანტიკური** *სემანტიკურის* ლინგ. სიტყვის მნიშვნელობასთან დაკავშირებული. *სემანტიკური ანალიზი.*

**სემაფორი** *სემაფორის* სარკინიგზო ან საზღვაო სასიგნალო მოწყობილობა - სპეციალური მოძრავფრთიანი ანძა, რომელიც გემებისა და მატარებლების გასვლის ნებართვას იძლევა. *სამდინარო სემაფორი. ალმიანი სემაფორი.*

**სემესტრი** *სემესტრის* სასწავლო წლის ნახევარი. *პირველი სემესტრი.*

**სემინარი** *სემინარის* 1. ჯგუფური პრაქტიკული მეცადინეობა უმაღლეს სასწავლებელში. *სემინარი ტარდება. სემინარისთვის მოვემზადე.* 2. ჯგუფური სწავლება კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით. *ხუთდღიანი სემინარი. სემინარის მონაწილე.*

**სემინარია** *სემინარიის* საშუალო განათლების სასწავლო დაწესებულების ერთ-ერთი ტიპი. *სასულიერო სემინარია.*

**სენაკი** *სენაკის* ბერ-მონაზონთა საცხოვრებლად განკუთვნილი პატარა ოთახი, ნაგებობა. *ბერის სენაკი.*

**სენატი** *სენატის* 1. საკანონმდებლო ორგანოს ზედა პალატა ზოგიერთ ქვეყანაში. 2. მმართველობის უმაღლესი ორგანო ძველ რომში.

**სენატორი** *სენატორის* ზოგიერთი ქვეყნის მმართველი ორგანოს, სენატის წევრი.

**სენდვიჩი** *სენდვიჩის* პურის ორ ნაჭერს შორის მოთავსებული სხვადასხვა საჭმელი – ხორცი, ძეხვი, ყველი.

**სენი** *სენის* დაავადება, ავადმყოფობა. *მძიმე სენი შეეყარა.*

**სენსაცია** *სენსაციის* 1. ძლიერი შთაბეჭდილება, გამოწვეული რაიმე მოვლენის, შემთხვევის, ამბის ზემოქმედებით. 2. მოვლენა, შემთხვევა, რომელიც საზოგადოებაზე ძლიერ შთაბეჭდილებას ახდენს, დიდ გამოხმაურებას იწვევს. *სენსაცია მოხდა.*

**სენსაციური** *სენსაციურის* სენსაციასთან დაკავშირებული, სენსაციის გამომწვევი. *სენსაციური ცნობა. სენსაციური განცხადება.*

**სენსორული** *სენსორულის* მგრძნობელობითი, გრძნობის ორგანოებით აღქმული. *სენსორული შეგრძნება.*

**სენტიმენტალობა** *სენტიმენტალობის* განსაკუთრებული გულჩვილობა, მგრძნობიარობა. *სენტიმენტალობას იჩენს.*

**სენტიმენტალური** *სენტიმენტალურის* ზედმეტად მგრძნობიარე, გრძნობებს აყოლილი. *სენტიმენტალური კაცი.*

**სეპარატიზმი** *სეპარატიზმის* მრავალეროვან ქვეყნებში ეროვნულ უმცირესობათა მისწრაფება სახელმწიფოსგან გამოყოფისა და დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნისკენ. *აგრესიული სეპარატიზმი.*

**სეპარატისტი** *სეპარატისტის* სეპარატიზმის მომხრე.

**სეპარატისტული** *სეპარატისტულის* სეპარატიზმთან დაკავშირებული. *სეპარატისტული რეჟიმი. სეპარატისტული მოძრაობა.*

**სეპარატული** *სეპარატულის* გამოცალკევებული, სხვებისგან გამოყოფილი. ◊ **სეპარატული ზავი** სამხედრო მოკავშირეებისგან დამოუკიდებლად დადებული ზავი.

**სერაფიმი** *სერაფიმის* უმაღლესი დასის ექვსფრთიანი ანგელოზი იუდაიზმსა და ქრისტიანობაში.

**სერენადა** *სერენადის* სატრფიალო სიმღერა, რომელსაც შეყვარებულს უმღერიან. *სერენადას უძღვნის.*

**სერვერი** *სერვერის* მძლავრი კომპიუტერი, რომელიც ქსელში გადამცემის როლს ასრულებს.

**სერვიზი** *სერვიზის* სადილის, ჩაის ან ყავის ჭურჭლის სრული კომპლექტი. *ანტიკვარული სერვიზი.*

**სერვისი** *სერვისის* იგივეა, რაც მომსახურება. *კარგ სერვისს სთავაზობს.*

**სერი**[1] *სერის* წაგრძელებული დაბალი მთა, მთის თხემი. *სერი გადაიარა. სერზე შედგა.*

**სერი**[2] *სერის* პატრონის ნიშანი შინაური პირუტყვის ყურზე.

**სერია** *სერიის* 1. ერთგვარი ნიშნების მქონე საგნების, მოვლენების, ცნებების ჯგუფი, რიგი, წყება. *სათავგადასავლო წიგნების სერია.* 2. ვრცელი კინოფილმის ერთგვარად დამოუკიდებელი ნაწილი. *შეათე სერიის დასასრული.* 3. ფასიანი ქაღალდების (ფულის, ობლიგაციების) საბუთების წყება, კატეგორია, რომელიც ციფრებით ან ასოებით არის აღნიშნული. ■ **სერიული** რაც სერიების მიხედვით მზადდება. *სერიული გამოცემა. სერიული გამოშვება.*

**სერიალი** *სერიალის* ერთ სიუჟეტზე გადაღებული სატელევიზიო ფილმების (სერიების) მიმდევრობა.

**სერიოზული** 1. დინჯი, ჭკვიანი, დაფიქრებული. *სერიოზული კაცი. სერიოზული მიდგომა.* 2. მნიშვნელოვანი, საყურადღებო, ანგარიშგასაწევი. *სერიოზული საკითხები.* 3. საშიში, სახიფათო, არასახუმარო. *სერიოზული საფრთხე. სერიოზული ავადმყოფობა.*

**სერიოზულობა** *სერიოზულობის* სიდინჯე, გონიერება. *სერიოზულობით გამოირჩევა.*

**სერჟანტი** *სერჟანტის* სამხედრო პირი, უმცროსი მეთაური. *უფროსი სერჟანტი.*

**სერსო** *სერსოს* ერთგვარი თამაში, რომლის მონაწილენიც ისვრიან და იჭერენ რგოლებს სპეციალური ჯოხებით. *სერსოს რგოლი.*

**სერტიფიკატი** *სერტიფიკატის* მიღებული გამოცდილების, ხარისხისა და მისთ. დამადასტურებელი საბუთი. შეცდომაა სერთიფიკატი

**სესია** *სესიის* 1. სხდომა, რომელსაც პერიოდულად ატარებენ წარმომადგენლობითი ორგანოები, სამეცნიერო დაწესებულებები და მისთ. *საშემოდგომო სესია. სამეცნიერო სესია. სესიის დღის წესრიგი.* 2. გამოცდები უმაღლეს სასწავლებელში. *სესიები დაიწყო.*

**სესხება** *სესხების* (სესხულობს, ასესხებს, ესესხება) 1. ვინმესთვის სესხის გამორთმევა, სესხის თხოვნა. *ზეთი ისესხა. მეგობარს ფულს ესესხა.* 2. ვინმესთვის სესხის მიცემა. *ოცი ლარი ასესხა. ხორბალი ასესხა.*

**სესხი** *სესხის* 1. განსაზღვრული ვადითა და პირობებით გაცემული თანხა. *დაბალპროცენტიანი სესხი. მომგებიანი სესხი. სესხის გაცემა.*

**სეტყვა** *სეტყვის* ნალექი, რომელიც ყინულის პატარა მარცვლების სახით მოდის. *სეტყვა წამოვიდა.* ▲ **სეტყვასავით** ზმნიზ. დიდი რაოდენობით, სწრაფად და ხშირ-ხშირად. *სეტყვასავით მიაყარა.*

**სეფა** *სეფის* დიდი კარავი, რომელსაც მართავენ ღია ცის ქვეშ სუფრის გასაშლელად. *საქორწილო სეფა.*

**სეფექალი** *სეფექალის* ძვ. სამეფო კარზე მყოფი დიდგვაროვანი ქალი, დედოფლის მხლებელი.

**სეფისკვერი** *სეფისკვერის* ფქვილისგან გამომცხვარი საგანგებო კვერი, იყენებენ ღვთისმსახურების დროს. *სეფისკვერები ჩამოარიგეს.*

**სეფსისი** *სეფსისის* მედიც. დაავადება, გამოწვეული ლპობისა და ჩირქის ნარმომქმნელი მიკრობებისა და მათი ტოქსინების სისხლში მოხვედრით. *სეფსისით დაავადებული.* შეცდომაა სეპსისი

**სექსი** *სექსის* სქესობრივი ურთიერთობა, სქესობრივი კავშირი.

**სექსოლოგია** *სექსოლოგიის* სამედიცინო დისციპლინა, რომელიც შეისწავლის და მკურნალობს სქესობრივ დარღვევებს.

**სექსუალური** *სექსუალურის* სქესობრივი ვნების გამომხატველი, აღმძვრელი. *სექსუალური გარეგნობა.*

**სექტა** *სექტის* მორწმუნეთა ჯგუფი, რომელიც განუდგა ეკლესიას. *სექტის წევრები.*

**სექტანტი** *სექტანტის* ადამიანი, რომელიც რომელიმე რელიგიურ სექტას ეკუთვნის. ■ **სექტანტური** სექტანტების დამახასიათებელი, სექტანტებისთვის განკუთვნილი. *სექტანტური მოძრაობა.*

**სექტანტობა** *სექტანტობის* სექტის წევრობა. *სექტანტობა გავრცელდა.*

**სექტემბერი** *სექტემბრის* წელინადის მეცხრე თვე. *სექტემბერში სწავლა დაიწყო.*

**სექტორი** *სექტორის* 1. წრის ნაწილი, რომელიც შემოსაზღვრულია რკალითა და ორი რადიუსით. 2. ორგანიზაციის, დაწესებულების განყოფილება. *აღრიცხვის სექტორი.* 3. სახალხო მეურნეობის ნაწილი, რომელსაც გარკვეული ეკონომიკურ-სოციალური ნიშნები ახასიათებს. *კერძო სექტორი.*

**სექცია** *სექციის* 1. დაწესებულების, ორგანიზაციის ნაწილი, განყოფილება. *სპორტული სექცია. საბავშვო ლიტერატურის სექცია.* 2. დიდ დარბაზებში, სტადიონებსა და მისთ. მაყურებელთა დასაჯდომი ადგილების მთლიანი სივრციდან გამოყოფილი ნაწილი. *მეორე სექცია.* 3. ყრილობის, კონფერენციის, თათბირის ქვეგანყოფილება. *კონფერენცია სექციებად ტარდება.*

**სეხნია** *სეხნიის* ვინმეს თანამოსახელე. *პაპის სეხნია.*

**სვავი** *სვავის* დიდი მტაცებელი ფრინველი, იკვებება მძორით. *სვავი ბატკანს ემტერება.*

**სვე**[1] *სვის* ძვ. იგივეა, რაც ბედი.

**სვე**[2] *სვის* სათიბის, სამკალისა და მისთ. სიგრძივი ზოლი, რომელსაც მუშაობისას მიუყვებიან. *ერთი სვე გათიბეს. მთიხნავებმა სვე გაიტანეს.*

**სვე-ბედი** *სვე-ბედის* იგივეა, რაც ბედი.

**სვებედნიერი** *სვებედნიერის* იღბლიანი, კარგი ბედის მქონე, ბედნიერად მცხოვრები. *სვებედნიერი ხელმწიფე.*

**სვეგამწარებული** *სვეგამწარებულის* უბედო, უიღბლო, ვინც ცხოვრებაში ბედნიერებას ვერ ეღირსა. *სვეგამწარებული კაცია.*

სველი *სველის* სითხით გაჟღენთილი. *სველი კაბა. სველი ბალახი.*

სვენებ-სვენებით ზმნიზ. დროდადრო შესვენებით, ხშირ-ხშირად შესვენებით. *კიბე ზე სვენებ-სვენებით ავიდა.*

სვეტი *სვეტის* 1. ვერტიკალურად დადგმული სხვადასხვა მასალის საყრდენი. *აგურის სვეტი. აივნის სვეტი. სვეტ ზე აცოცდა.* 2. სიმაღლეზე აღმართული ხილული ჰაეროვანი მასა ან სითხის ზოლი. *ვერცხლისწყლის სვეტი. კვამლის სვეტი.* 3. მოკლე სტრიქონებისგან შემდგარი ნაბეჭდი ტექსტი, რომელიც გვერდის მცირე ნაწილს იკავებს. *გაზეთის ოთხი სვეტი.* ■ სვეტებიანი რასაც სვეტები აქვს. *სვეტებიანი აივანი.*

სვეტი



სვია *სვიის* ხვიარა მცენარე, აქვს გირჩისებური ყვავილედები, რომლებსაც ლუდისა და საფუვრის დასამზადებლად იყენებენ.

სვიანი *სვიანის* ძვ. ბედნიერი, ღვთის რჩეული. *სვიანი ხელმწიფე.*

სვილი *სვილის* იგივეა, რაც ჭვავი.

სვინტრი *სვინტრის* ტყის ბალახოვანი მცენარე, აქვს გრძელყუნწიანი თეთრი ყვავილები, გამოიყენება საჭმელად და სამკურნალოდ.

სვიტერი *სვიტერის* იგივეა, რაც სვიტრი. *თბილი სვიტერი.*

სვიტრი

სვიტრი *სვიტრის* შალის, ბამბისა და მისთ. თბილი, ნაქსოვი, ულიღებო ზედა ჩასაცმელი. *სვიტრი ჩაიცვა.*

სვლა *სვლის* 1. მოძრაობა, გადაადგილება გარკვეული მიმართულებით. *ავტომანქანამ სვლას უკლო. სვლას განაგრძობენ.* 2. შემდეგი გადაადგილება, ცვლილება რაიმე თამაშის დროს. *მოჭადრაკემ სწორი სვლა გააკეთა. თეთრების სვლის ჯერია.*

სვლეპა *სვლეპის* (სვლეპს) თხევადი ნივთიერების ენის ასმით, ხმაურით, ჩქარ-ჩქარა ჭამა. *კატა რძეს სვლეპს.*

სვრა *სვრის* (სვრის, ისვრის, ისვრება, ესვრება) 1. ↑ გასვრა. *ხელებს ისვრის.* 2. ↑ დასვრა. *სუფრა ისვრება.*

სია *სიის* პიროვნებების ან საგნების წერილობითი ჩამონათვალი. *მოსწავლეების სია. წიგნების სია.*

სიავე *სიავის* ცუდი ხასიათი, ბოროტება. *სიავე არ მოიშალა. სიავის გამო ერიდებიან.*

სიავკაცე *სიავკაცის* იგივეა, რაც ავკაცობა.

სიალალე *სიალალის* გულუბრყვილობა, გულღიაობა. *თავისი სიალალით თქვა.*

სიამაყე *სიამაყის* 1. საკუთარი ღირსების (2) გრძნობა. *გადაჭარბებული სიამაყე.* 2. ვინც საამაყოდ ჰყავთ, ვის გამოც თავს იწონებენ. *დედის სიამაყე. სოფლის სიამაყე.*

სიამე *სიამის* იგივეა, რაც სიამოვნება. *გული სიამით აევსო. სიამე მომგვარა.*

სიამოვნება *სიამოვნების* (სიამოვნებს,ასიამოვნებს, ესიამოვნება) განცდა, რომელიც ეუფლება ადამიანს დადებითი მოვლენების, კეთილისმყოფელი გარემოს ზეგავლენით. *სახე ზე სიამოვნება ეტყობა. სიამოვნებას განიცდის.*

სიამტკბილობა *სიამტკბილობის* (სიამტკბილობს, ესიამტკბილება) კარგი ურთიერთობა, ერთმანეთის სიყვარული, ურთიერთგაგება. *ოჯახში სიამტკბილობა აქვთ. სიამტკბილობით ცხოვრობენ.*

სიანჩხლე *სიანჩხლის* იგივეა, რაც ანჩხლობა. *სად გაქრა მისი სიანჩხლე?!*

სიანცე *სიანცის* იგივეა, რაც ანცობა. *ბავშვური სიანცე.*

სიარული *სიარულის* ნაბიჯის გადადგმით გადაადგილება. *ჩქარი სიარული. მოხდენილი სიარული.*

სიასამური *სიასამურის* ძვირფასბეწვიანი მტაცებელი ცხოველი. *სიასამურის ქურქი. სიასამურის საყელო.*

სიაფანდი *სიაფანდის* ყარგ. მატყუარა. *შენი სიაფანდი ძმაკაცი მომიკითხე!*

სიახლე *სიახლის* ახალი, მანამდე უცნობი ფაქტი, მოვლენა. *მნიშვნელოვანი სიახლე. ეს სიახლეა.*

სიახლოვე *სიახლოვის* ახლოს ყოფნა. *ადამიანის სიახლოვე იგრძნო. მდინარის სიახლოვეს იყო.*

სიბერე *სიბერის* ასაკი შუახნის ზევით. *სიბერე დაეტყო. სიბერით დაუძლურდა.*

სიბერწე *სიბერწის* შვილის გაჩენის უნარის არქონა, უნაყოფობა. *გაციებულმა პირუტყვმა სიბერწე იცის.*

სიბეცე *სიბეცის* 1. ცუდი მხედველობის ქონა. *სიბეცე დაეტყო.* 2. გადატ. არაგონივრულობა, განჭვრეტის უნარის არქონა. *ამ საქმეში სრული სიბეცე გამოავლინა.*

სიბეჯითე *სიბეჯითის* ყურადღებით, დაკვირვებით, მონდომებით რაიმეს კეთება. *სიბეჯითით ბევრს მიაღწია.*

სიბილწე *სიბილწის* გარყვნილება, უწმინდურება, უხამსობა. *სიბილწე მომრავლდა.*

სიბინძურე *სიბინძურის* 1. ბინძურად ყოფნა, უსუფთაობა. *სიბინძურეს ვერ იტანს.* 2. უზნეობა, სისაზიზღრე. *ბევრი სიბინძურე დასწამეს.*

სიბნელე *სიბნელის* 1. ვითარება, როდესაც სინათლე არ არის და შეუძლებელია რაიმეს დანახვა. *სრული სიბნელე. სიბნელეში იარეს.* 2. გადატ.

ჩამორჩენილობა, შეუგნებლობა, უმეცრება. *აქამდე სიბნელეში ცხოვრობენ.*

სიბოროტე *სიბოროტის* იგივეა, რაც ბოროტება. *ათასი სიბოროტე ჩაიდინა.*

სიბრაზე *სიბრაზის* იგივეა, რაც გაბრაზება. *სიბრაზემ გაუარა. სიბრაზე ვერ დამალა.*

სიბრალული *სიბრალულის* (ებრალება) თანაგრძნობა, შეცოდება. *გული სიბრალულით აევსო. ყველას ებრალებოდა.*

სიბრიყვე *სიბრიყვის* უჭკუობა, უგუნურობა, მოუხერხებლობა. *კაცის სიბრიყვე. სიბრიყვის გამომჟღავნება. სიბრიყვით დაემართა.*

სიბრმავე *სიბრმავის* 1. მხედველობის დაქვეითება ან სრული დაკარგვა. *აბსოლუტური სიბრმავე.* 2. გადატ. მოვლენების სწორად დანახვისა და შეფასების უნარის არქონა. *საყოველთაო სიბრმავე.*

სიბრტყე *სიბრტყის* რაიმეს ბრტყელი, რამდენადმე სწორი ზედაპირი. *დახრილი სიბრტყე. მიწის სიბრტყე.*

სიბრძნე *სიბრძნის* ფართო და ღრმა განათლება, ნიჭიერება და მდიდარი გამოცდილება. *სიბრძნე არ აკლია. სიბრძნე გამოიჩინა.*

სიგამხდრე *სიგამხდრის* გამხდრობა, სხეულის ნორმის ნაკლებობა. *სიგამხდრე აწუხებს.*

სიგანე *სიგანის* მანძილი სიბრტყის, სხეულის მოპირდაპირე გვერდებს შორის. *გ ზის სიგანე. მდინარის სიგანე. საკმარისი სიგანე.*

სიგარა *სიგარის* თამბაქოს ფოთლების მჭიდროდ დახვევით მიღებული მოსაწევი ღერო. *სიგარას ეწევა.*

სიგარა

სიგარეტი *სიგარეტის* თხელი ქაღალდის მილში ჩატენილი წვრილად დაჭრილი თამბაქო, რომელსაც ენევიან. *ფილტრიანი სიგარეტი. უფილტრო სიგარეტი.*


სიგარეტი

სიგელი *სიგელის* მადლობის, დაფასების ფურცელი, რომელიც გადაეცემა პიროვნებას რაიმე წარმატების, დამსახურების, გამოჩენილი გმირობისა და მისთ. აღსანიშნავად. *საპატიო სიგელი.*

სიგიჟე *სიგიჟის* 1. ფსიქიკური აშლილობა. 2. გადატ. დაუფიქრებლობა, უჭკუობა. *სიგიჟე ჩაიდინა. რა სიგიჟეა!*

სიგლახე *სიგლახის* ცუდი, მიუღებელი, სამარცხვინო საქციელი. *მისი სიგლახე ყველამ გაიგო. ამ სიგლახეს როგორ ჩადიხარ?!*

სიგნალი *სიგნალის* პირობითი ნიშანი გაფრთხილების, ბრძანების და მისთ. გადასაცემად. *ხმოვანი სიგნალი. გემის სიგნალი.* 2. გადატ. გაფრთხილება მოსალოდნელი არასასურველი ფაქტის ან მოვლენის შესახებ. *საგანგაშო სიგნალი შემოვიდა.*

სიგნალიზაცია *სიგნალიზაციის* სიგნალების სისტემა, მოწყობილობა სიგნალის გამოსაცემად. *სიგნალიზაცია ჩაირთო.*

სიგრილე *სიგრილის* ჰაერის სასიამოვნოდ დაბალი ტემპერატურა. *საღამოს სიგრილე.*

სიგრძე *სიგრძის* 1. მანძილი გრძელი სხეულის ორ ყველაზე დაშორებულ წერტილს შორის. *ქსოვილის სიგრძე. ჯოხის სიგრძე. სიგრძის გაზომვა.* 2. ხანგრძლივობა, სიდიდე. *დღის სიგრძე. მანძილის სიგრძე.* ▲ სიგრძეზე ზმნიზ. სიგრძის მიმართულებით, სიგრძის გაყოლებაზე. *სიგრძე ზე გააკლო ხაზი. სიგრძე ზე გამწკრივდნენ.*

სიგრძე-სიგანე *სიგრძე-სიგანის* სიგრძისა და სიგანის ზომებით გამოხატული ფართი. *დიდი სიგრძე-სიგანე აქვს.*

სიგრძივ ზმნიზ. სიგრძეზე, სიგრძის გაყოლებით, გასწვრივ. *ჭრილობა სიგრძივ ეტყობოდა. გორგოლაჭი სიგრძივ მოძრაობს.*

სიგრძივი *სიგრძივის* სიგრძის მიხედვით. *სიგრძივი განზომილება. სიგრძივი გადანაჭერი.*

სიდაბლე *სიდაბლის* პატარა სიმაღლის ქონა. *ხის სიდაბლე.*

სიდარბაისლე *სიდარბაისლის* ასაკოვნისთვის დამახასიათებელი სიდინჯე, გონიერება, თავშეკავებულობა. *სიდარბაისლე მართებს.*

სიდედრი *სიდედრის* ცოლის დედა. *ბაღშვი სიდედრთან გავგ ზავნე.*

სიდი *სიდის* ლითონის კომპაქტური დისკი, რომელზეც ციფრული სახით ჩაწერილია სხვადასხვა სახის ინფორმაცია. *სიდის ჩასადები.*

სიდიადე *სიდიადის* მნიშვნელობისა და ღირებულების სიდიდე, მშვენიერება, ბრწყინვალება, რაც აღტაცებას იწვევს. *ნამუშევრის სიდიადე. ტაძარი თავისი სიდიადით გამოირჩევა.*

სიდიდე *სიდიდის* 1. რაიმეს ზომა, წონა, მოცულობა. *ჭურჭლის სიდიდე.* 2. რაც შესაძლებელია გაიზომოს ან გამოითვალოს. *ცელადი სიდიდე. მუდმივი სიდიდე.*

სიდინჯე *სიდინჯის* აუჩქარებლობა, სიმშვიდე, გონივრული მოქმედების უნარი. *სიდინჯე ახასიათებს. სიდინჯე საუბარზეც ეტყობა.*

სიდუხჭირე *სიდუხჭირის* მატერიალური გაჭირვება, სიღარიბე. *სიდუხჭირეში ცხოვრობს.*

სიელმე *სიელმის* თვალის გუგების ნორმალური მიმართულების დარღვევა. *სიელმე განუვითარდა.*

სივიწროვე *სივიწროვის* პატარა სიგანის ქონა, ფართობის სიმცირე. *გ ზის სივიწროვე. ოთახის სივიწროვე.*

**სივრცე** *სივრცის* სამყაროს, გარემოს ნაწილი, რომელიც რეალურ ან წარმოსახვით საზღვრებშია მოქცეული. *პატარა სივრცე. შენობის შიდა სივრცე. უჰაერო სივრცე.*

**სივრცითი** *სივრცითის* სივრცეში წარმოდგენილი. *სივრცითი განზომილება. სივრცითი მონახაზი.*

**სიზარმაცე** *სიზარმაცის* შრომის, რაიმეს კეთების დაზარება, უსაქმურობა, სიზანტე. *სიზარმაცე ახასიათებს. სიზარმაცით მოუვიდა.*

**სიზმარეული** *სიზმარეულის* სიზმარში ნანახი. *სიზმარეული მოლანდებები. სიზმარეული წარმოდგენები.*

**სიზმარი** *სიზმრის* რასაც ძილში ნახულობენ, ხედავენ. *ტკბილი სიზმარი. საშინელი სიზმარი.*

**სიზუსტე** *სიზუსტის* ზედმიწევნით სისწორე. *წონის სიზუსტე. ნახაზის სიზუსტე.*

**სითამამე** *სითამამის* გაბედულება, უშიშრობა. *ხასიათის სითამამე. სითამამე აკლია.*

**სითბო** *სითბოს* 1. შედარებით მაღალი ტემპერატურა სიცხესა და სიცივეს, ცხელსა და ცივს შორის. *ზომიერი სითბო. წყლის სითბო.* 2. გადატ. სიყვარული, ალერსიანი დამოკიდებულება ვინმეს ან რაიმეს მიმართ. *ადამიანური სითბო. გულის სითბო. სითბოს აჩვენებს.*

**სითხე** *სითხის* თხევადი ნივთიერება. *ბლანტი სითხე. უფერო სითხე.*

**სიკაშკაშე** *სიკაშკაშის* იგივეა, რაც კაშკაში. *ვარსკვლავების სიკაშკაშე. სიკაშკაშემ იკლო.*

**სიკეთე** *სიკეთის* სხვაზე ზრუნვა, სხვისთვის კარგის კეთება.

**სიკვდილი** *სიკვდილის* (კვდება, უკვდება) სიცოცხლის დამთავრება, შეწყვეტა. *მოხუცის სიკვდილი. გმირული სიკვდილი.*

**სიკვდილიანობა** *სიკვდილიანობის* სიკვდილის შემთხვევების რაოდენობა გარკვეული პერიოდის განმავლობაში. *ხშირი სიკვდილიანობა. სიკვდილიანობის სტატისტიკა.*

**სიკვდილმისჯილი** *სიკვდილმისჯილის* ვისაც სასამართლომ სიკვდილით დასჯის განაჩენი გამოუტანა. *სიკვდილმისჯილი საკანში დააბრუნეს.*

**სიკოჭლე** *სიკოჭლის* იგივეა, რაც კოჭლობა. *სიკოჭლე ემჩნევა.*

**სიკოხტავე** *სიკოხტავის* გარეგნული მომხიბლელობა. *სიკოხტავით გამორჩეული.*

**სილა**[1] *სილის* წვრილი ქვიშა. *სილით დატვირთული ურიკა.*

**სილა**[2] *სილის* გაშლილი ხელით სახეში დარტყმა. *სილა სტკიცა.*

**სილაქი** *სილაქის* იგივეა, რაც სილა[2]. *სილაქები მოხვდა.*

**სილაღე** *სილაღის* ხალისი, თავისუფლება, სითამამე. *სილაღე ეტყობა. ახალგაზრდული სილაღე.*

**სილბო** *სილბოს* იგივეა, რაც სირბილე. *მეტი სილბო სჭირდება.*

**სილიანი** *სილიანის* სადაც სილა ყრია ან რაშიც სილა ურევია. *სილიანი სანაპირო. სილიანი მინა.*

**სილიო** *სილიოს* ქუდიანი საჭმელი სოკო, აქვს ნაცრისფერი ან ნაცრისფერ-ყავისფერი, ზარისებური ფორმის, წვრილი ბუსუსებით დაფარული ქუდი და თეთრი ფეხი.

**სილოსი** *სილოსის* საქონლის საკვები - ორმოში დამჟავებული მცენარეული მასა. *სილოსის ჩადება.*

**სილუეტი** *სილუეტის* ვინმეს ან რაიმეს მოხაზულობა, რომელიც ბუნდოვნად აღიქმება შორი მანძილიდან ან სიბნელეში. *ქალის სილუეტი. მთის სილუეტი.*

**სილურჯე** *სილურჯის* ლურჯი ფერი. *სილურჯე დაჰკრავს.*

**სიმაგრე** *სიმაგრის* 1. გამძლეობა, სიმტკიცე. *ნაგებობის სიმაგრე. გულის სიმაგრე.* 2. იგივეა, რაც ციხესიმაგრე. *სიმაგრეში შეიხიზნენ.*

**სიმამაცე** *სიმამაცის* გამბედაობა. *შეუდარებელი სიმამაცე.*

**სიმამრი** *სიმამრის* ცოლის მამა. *სიმამრი ესტუმრა.*

**სიმარდე** *სიმარდის* სწრაფი მოქმედების უნარი. *სიმარდე არ აკლია. მის სიმარდეზეა დამოკიდებული.*

**სიმართლე** *სიმართლის* 1. რაც მართალია, ნამდვილია, უეჭველია. *სიმართლე თქვა. სიმართლეს არ შეეფერება.* 2. პატიოსნება, უდანაშაულობა. *თავისი სიმართლე დაამტკიცა.*

**სიმარჯვე** *სიმარჯვის* სწრაფი და მოხერხებული მოქმედების უნარი. *სიმარჯვე გამოიჩინა.*

**სიმაღლე** *სიმაღლის* 1. გარკვეული ზომა ან მანძილი მიწის ზედაპირიდან ზევით. *სახლის სიმაღლე. საკმარისი სიმაღლე.* 2. გადატ. ვინმეს ან რაიმეს სათანადო დონე, ადგილი. *თავის სიმაღლეზე დგას.* 3. ვინმეს ან რაიმეს ტოლი. *ბავშვი მამის სიმაღლე გახდა.* 4. მაღალი ადგილი. *სიმაღლიდან გადმოვარდა.*

**სიმაძღრე** *სიმაძღრის* მაძღრად ყოფნა.

**სიმახინჯე** *სიმახინჯის* ფიზიკური ნაკლი, დეფექტი. *სიმახინჯეს ძალიან განიცდის.*

**სიმბოლიკა** *სიმბოლიკას* სიმბოლოთა ერთობლიობა. *სახელმწიფო სიმბოლიკა. ეროვნული სიმბოლიკა.*

**სიმბოლო** *სიმბოლოს* რაიმე ცნების პირობითი ნიშანი. *სილამაზის სიმბოლო. მტრედი მშვიდობის სიმბოლოდ იქცა.*

**სიმბოლური** *სიმბოლურის* სიმბოლოდ წარმოდგენილი, სიმბოლოს ხასიათის მქონე. *სიმბოლური*

*ნიშანი.* ▲ სიმბოლურად ზმნიზ. როგორც სიმბოლო, სიმბოლოს სახით. *თეთრი ფერი სიმბოლურად სიწმინდეს გამოხატავს.*

**სიმდაბლე** *სიმდაბლის* 1. თავმდაბლობა. *სიმდაბლით გამოირჩევა.* 2. სულმდაბლობა, ზნედაცემულობა. *სულიერი სიმდაბლე გამოიჩინა.*

**სიმდიდრე** *სიმდიდრის* 1. დიდი ქონება, მატერიალური კეთილდღეობა. *დიდი სიმდიდრის პატრონია. ოჯახის სიმდიდრე.* 2. მატერიალური ღირებულებების ერთობლიობა. *ბუნებრივი სიმდიდრე.* 3. რაიმეს დიდი ოდენობით ფლობა, მრავალფეროვნება. *სულიერი სიმდიდრე.*

**სიმებიანი** *სიმებიანის* 1. სიმების მქონე. *სიმებიანი საკრავი.* 2. სიმებიანი საკრავების მქონე მუსიკოსთა ჯგუფი. *სიმებიანი კვარტეტი.*

**სიმეტრია** *სიმეტრიის* რაიმეს ნაწილების პროპორციული კანონზომიერი ურთიერთმიმართება. *შენობის სიმეტრია. ფიგურის სიმეტრია.*

**სიმეტრიული** *სიმეტრიულის* სიმეტრიის მქონე. *სიმეტრიული შენობა. სიმეტრიული ფიგურა.* ▲ სიმეტრიულად ზმნიზ. სიმეტრიული სახით. *სიმეტრიულად განალაგეს.*

**სიმთვრალე** *სიმთვრალის* ალკოჰოლური სასმლის მიღების შედეგად გამოწვეული მდგომარეობა. *სიმთვრალე შეეტყო. ავარია სიმთვრალით მოუვიდა. სიმთვრალეში თქვა.*

**სიმი** *სიმის* საკრავზე გაბმული ფოლადის წმინდა მავთული, აბრეშუმის ან სინთეზური ძაფი, ცხოველის ბენვი (ცხენის ძუა), რომელიც შეხებისას მუსიკალურ ბგერას გამოსცემს. *არფის სიმები. ჩონგურის სიმები.* ■ სიმებიანი რასაც სიმები აქვს. *ვიოლინო სიმებიანი საკრავია.*

სიმინდი



**სიმინდი** *სიმინდის* მარცვლოვანი მცენარე, რომელიც იკეთებს ყვითელ ან თეთრმარცვლებიან ტაროს. *სიმინდის ფუჩეჩი.*

**სიმკაცრე** *სიმკაცრის* მკაცრი ხასიათი. *სიმკაცრე ახასიათებს. ზოგჯერ სიმკაცრეს იჩენს.*

**სიმკვირცხლე** *სიმკვირცხლის* სიმარდე, სისწრაფე. *სიმკვირცხლე გამოიჩინა.*

**სიმკვრივე** *სიმკვრივის* 1. სიმყარე, სიმტკიცე, სიმჭიდროვე. *ლითონის სიმკვრივე.* 2. ტექნ. ნივთიერების მასა მოცულობის ერთეულში. *სითხის სიმკვრივე.*

**სიმლაშე** *სიმლაშის* გემო, რომელსაც საჭმელს ან სასმელს ზედმეტი მარილი აძლევს. *წყლის სიმლაშე.*

**სიმოკლე** *სიმოკლის* პატარა სიგრძის ქონა. *გზის სიმოკლე. ტექსტის სიმოკლე.*

**სიმპათია** *სიმპათიის* რაიმეს ან ვინმეს მიმართ ლტოლვა, კეთილგანწყობა. *სიმპათიას იმსახურებს.* შეცდომაა სიმპატია

**სიმპათიური** *სიმპათიურის* მიმზიდველი, რაც ან ვინც სიმპათიას აღძრავს. *სიმპათიური იერი.* შეცდომაა სიმპატიური

**სიმპოზიუმი** *სიმპოზიუმის* სპეციალური სამეცნიერო საკითხისადმი მიძღვნილი კონფერენცია ან თათბირი. *საერთაშორისო სიმპოზიუმი.*

**სიმპტომატური** *სიმპტომატურის* რაც რაიმეს სიმპტომს წარმოადგენს, სიმპტომებთან დაკავშირებული. *სიმპტომატური მოვლენები.*

**სიმპტომი** *სიმპტომის* რაიმე მოვლენის (ჩვეულებრივ, დაავადების) გარეგნული გამოხატულება, ნიშანი. *გრიპის სიმპტომი. დაავადების სიმპტომები.*

**სიმუავე** *სიმჟავის* რაც მჟავეს ახასიათებს, მჟავეს თვისებების ქონა. *მწნილის სიმჟავე. ზედმეტი სიმჟავე.*

**სიმრავლე** *სიმრავლის* ვინმეს ან რაიმეს დიდი რაოდენობა. *ადამიანების სიმრავლე. საგანთა სიმრავლე.*

**სიმრუდე** *სიმრუდის* იგივეა, რაც მრუდობა. *სიმრუდე არ მოიშალა.*

**სიმსივნე** *სიმსივნის* 1. მედიც. ორგანიზმის უჯრედთა პათოლოგიური გამრავლება. *კეთილთვისებიანი სიმსივნე. ავთვისებიანი სიმსივნე.* 2. ორგანიზმის ამა თუ იმ ნაწილის ან ორგანოს ავადმყოფური გადიდება. *სიმსივნე დაუცხრა.*

**სიმსუბუქე** *სიმსუბუქის* მცირე წონის ქონა. *ტვირთის სიმსუბუქე. სიმსუბუქე იგრძნო.*

**სიმსუქნე** *სიმსუქნის* ჭარბი წონა. *სიმსუქნე არ უხდება.*

**სიმსხო** *სიმსხოს* რაიმეს დიამეტრის სიდიდე. *ხის სიმსხო. საკმარისი სიმსხო აქვს.*

**სიმტკიცე** *სიმტკიცის* სიმაგრე, გაუტეხლობა, ურყეობა. *ნაგებობის სიმტკიცე. ხასიათის სიმტკიცე. სიმტკიცე გამოიჩინა.*

**სიმულანტი** *სიმულანტის* პირი, რომელიც სიმულაციას იყენებს. *სიმულანტი მოსწავლე.* შეცდომაა სიმულიანტი

**სიმულანტობა** *სიმულანტობის* სიმულაციის გამოყენება. *სიმულანტობას მიუხვდნენ.*

**სიმულაცია** *სიმულაციის* მოჩვენებითი შთაბეჭდილების ან წარმოდგენის შექმნა რაიმეს არსებობის შესახებ. *ავადმყოფობის სიმულაცია.*

**სიმფონია** *სიმფონიის* დიდი მუსიკალური ნაწარმოები ორკესტრისთვის, ჩვეულებრივ შედგება ერთმანეთისგან განსხვავებული სამი ან ოთხი ნაწილისგან. *მეცხრე სიმფონია. შოპენის სიმფონია.*

**სიმფონიური** *სიმფონიურის* 1. სიმფონიის პრინციპზე შექმნილი მუსიკალური ნაწარმოები. *სიმფონიური პოემა.* 2. სიმფონიების შემსრულებელი. *სიმფონიური ორკესტრი.*

სიმღერა *სიმღერის* 1. ტექსტი, რომელსაც ასრულებენ გარკვეული ტონალობით, ჩვეულებრივ, მელოდიის თანხლებით. *საესტრადო სიმღერა. სიმღერა დაიწყო.* 2. იგივეა, რაც მღერა. *სიმღერის ხმა ისმოდა.*

სიმყარე *სიმყარის* სიმტკიცე, გამძლეობა, სიმაგრე. *კედლის სიმყარე. ნაგებობის სიმყარე.*

სიმყრალე *სიმყრალის* ცუდი, არასასიამოვნო სუნი, რომელიც ახასიათებს გაფუჭებულ პროდუქტს, გახრწნილ ლეშსა და მისთ. *კვერცხის სიმყრალე. ხორცის სიმყრალე.*

სიმყუდროვე *სიმყუდროვის* იგივეა, რაც მყუდროება. *სიმყუდროვეს არავინ არღვევს.*

სიმშვენიერე *სიმშვენიერის* იგივეა, რაც მშვენიერება. *სიმშვენიერით გამორჩეული.*

სიმშვიდე *სიმშვიდის* 1. სიმყუდროვე, სიწყნარე, სიჩუმე. *სიმშვიდემ დაისადგურა.* 2. უშფოთველობა. *სიმშვიდე დაკარგა.*

სიმშრალე *სიმშრალის* მშრალის თვისება, მშრალისთვის დამახასიათებელი. *ყელის სიმშრალე.*

სიმჩატე *სიმჩატის* 1. იგივეა, რაც სიმსუბუქე. *სიმჩატე იგრძნო.* 2. გადატ. ქარაფშუტობა, დაუფიქრებლობა. *სიმჩატე ახასიათებს.*

სიმცირე *სიმცირის* რაიმეს ცოტა რაოდენობა, ნაკლებობა. *ჯარის სიმცირე. დროის სიმცირე.*

სიმძაფრე *სიმძაფრის* სიძლიერე, სიმკვეთრე. *განცდების სიმძაფრე. მდგომარეობის სიმძაფრე. ნათქვამის სიმძაფრე.*

სიმძიმე *სიმძიმის* 1. დიდი წონის ქონა. *ჩანთის სიმძიმე. ლოდის სიმძიმე.* 2. გადატ. სირთულე, სიძნელე. *სიტუაციის სიმძიმე. ავადმყოფობის სიმძიმე.*

სიმძლავრე *სიმძლავრის* დიდი ძალა, სიძლიერე, მძლავრისთვის დამახასიათებელი. *დიდი სიმძლავრე. აფეთქების სიმძლავრე. საწარმოს სიმძლავრე.*

სიმწარე *სიმწარის* 1. მწარე გემოს ქონა. *საჭმლის სიმწარე.* 2. გადატ. გაჭირვება, დიდი უბედურება, ტანჯვა, წვალება. *ბევრი სიმწარე ნახა.* ⊙ **სიმწრის ოფლმა დაასხა** სიმწარე, როდესაც ადამიანი გამოუვალ მდგომარეობაშია და რაიმეს ძალიან განიცდის.

სიმწვავე *სიმწვავის* სიმძაფრე, აქტუალობა. *კამათის სიმწვავე. მდგომარეობის სიმწვავე.*

სიმწვანე *სიმწვანის* მწვანე ფერი. *სიმწვანე დაჰკრავს.*

სიმწირე *სიმწირის* 1. რაიმეს მწირად, მცირე რაოდენობით ქონა, არსებობა. *შესაძლებლობების სიმწირე. მასალების სიმწირე.* 2. მოუსავლიანობა, უნაყოფობა. *ნიადაგის სიმწირე.*

სიმწიფე *სიმწიფის* 1. მცენარის ნაყოფის ზრდის დასრულება. *ყურძნის სიმწიფე. პურის სიმწიფე.* 2. გადატ. გონებრივი, ინტელექტუალური განვითარების მაქსიმუმის მიღწევა. *შემოქმედებითი სიმწიფე.*

სიმწყობრე *სიმწყობრის* რაიმეს მოწესრიგებულობა. *რაზმის სიმწყობრე. შეტევის სიმწყობრე. აზრების სიმწყობრე.*

სიმჭიდროვე *სიმჭიდროვის* რაიმეს ერთმანეთთან ძალიან ახლოს მჭიდროდ განლაგება. *მოსახლეობის სიმჭიდროვე. მაგიდების სიმჭიდროვე.*

სიმხდალე *სიმხდალის* მშიშარას, მხდალის თვისება, ქმედება. *სიმხდალე გამოიჩინა.*

სიმხიარულე *სიმხიარულის* იგივეა, რაც მხიარულება.

სიმხურვალე *სიმხურვალის* იგივეა, რაც მცხუნვარება. *მზის სიმხურვალე.*

სინაგოგა *სინაგოგის* ებრაელთა სალოცავი. *სინაგოგაში შევიდა.*

სინაზე *სინაზის* რაც სათუთს, ნაზს ახასიათებს. *ქალის სინაზე. ყვავილის სინაზე.*

სინათლე *სინათლის* 1. მზის სხივებით ან ხელოვნურად წარმოქმნილი ნათება, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია საგნების დანახვა, გამოსახულების მკაფიოდ გარჩევა. *ძლიერი სინათლე. სუსტი სინათლე.* 2. გადატ. სიცხადე, გარკვეულობა. *კამათში სინათლე შემოიტანა.* ⊙ სინათლეს მოჰფენს ნათელს, ცხადს, გასაგებს გახდის.

სინამდვილე *სინამდვილის* ნამდვილად, რეალურად არსებული სამყარო. *მწარე სინამდვილე. მწერალმა სინამდვილე ასახა.* ▲ **სინამდვილეში** ზმნიზ. ნამდვილად, რეალურად. *სინამდვილეში ყველაფერი სხვაგვარად იყო.*

სინანული *სინანულის* (ნანობს, ანანებს, ენანება, ანანებინებს) წუხილი რაიმე საქციელის, შეცდომის გამო. *სინანული დაეუფლა. გულწრფელი სინანული. დიდად ნანობს.*

სინდიოფალა *სინდიოფალას* იგივეა, რაც დედოფალა[1].

სინდისგარეცხილი *სინდისგარეცხილის* ყოვლად უსინდისო, ვისაც სირცხვილის გრძნობა არ გააჩნია. *სინდისგარეცხილი კაცია.*

სინდისი *სინდისის* გრძნობა, რომლითაც ადამიანი საკუთარ ქმედებას აფასებს და აკონტროლებს. *სუფთა სინდისი. სინდისი აწუხებს.*

სინდისიერება *სინდისიერების* სინდისის ქონა. *სინდისიერება არ დაუკარგავს.*

სინდისიერი *სინდისიერის* 1. პატიოსანი, ნამუსიანი. *სინდისიერი კაცი.* 2. სინდისით ნაკარნახევი. *სინდისიერი საქმე.*

სინდის-ნამუსი *სინდის-ნამუსის* იგივეა, რაც სინდისი. *სულ დაკარგა სინდის-ნამუსი.*

სინდიყი *სინდიყის* იგივეა, რაც ვერცხლისწყალი.

■ სინდიყიანი რასაც სინდიყი აქვს. *სინდიყიანი თერმომეტრი.*

სინდრომი *სინდრომის* I. მედიც. რაიმე დაავადებისთვის დამახასიათებელ ნიშანთა ერთობლიობა. 2. გადატ. რაიმე მოვლენის დამახასიათებელ ნიშანთა ერთობლიობა. *შიშის სინდრომი.*

სინესტე *სინესტის* იგივეა, რაც ნესტი. *ამ ადგილს სინესტე ახასიათებს.*

სინთეზი *სინთეზის* I. კვლევის მეთოდი, რაიმეს შესწავლა მის მთლიანობაში, ანალიზის საშუალებით მიღებული მონაცემების გაერთიანება. 2. რთული ქიმიური ნივთიერებების მიღება უფრო მარტივი ელემენტების საშუალებით.

სინთეზური *სინთეზურის* ხელოვნური, სინთეზის გზით მიღებული. *სინთეზური მასალები. სინთეზური ბოჭკოები.*

სინი *სინის* იგივეა, რაც ლანგარი. *სპილენძის სინი.*

სინკრეტიზმი *სინკრეტიზმის* განსხვავებულ შემადგენელთა შერწყმა, ურთიერთშეგუება, გამთლიანება. *რელიგიური სინკრეტიზმი.*

სინკრეტული *სინკრეტულის* სინკრეტიზმისთვის დამახასიათებელი, სინკრეტიზმთან დაკავშირებული. *სინკრეტული ხელოვნება.*

სინოდი *სინოდის* I. ეკლესიის (2) სათათბირო ორგანო კათალიკოს-პატრიარქის ხელმძღვანელობით. *სინოდის დადგენილება.* 2. პროტესტანტულ ეკლესიაში საერო და სასულიერო პირთა კრება მნიშვნელოვანი საეკლესიო საკითხების გადასაწყვეტად.

სინონიმი *სინონიმის* სიტყვა, რომელიც მნიშვნელობით ჰგავს სხვა სიტყვას, ბგერითი შედგენილობით კი განსხვავდება მისგან. *სინონიმების ლექსიკონი.*

სინოპტიკოსი *სინოპტიკოსის* მეტეოროლოგი, რომელიც ამინდის პროგნოზს განსაზღვრავს. *სინოპტიკოსთა ცნობები.*

სინოპტიკური *სინოპტიკურის* ამინდის პროგნოზთან დაკავშირებული. *სინოპტიკური ხელსაწყო.*

სინორჩე *სინორჩის* ნორჩად ყოფნა, ნორჩისთვის დამახასიათებელი თვისებების ქონა. *სინორჩე არ დაუკარგავს.*

სინოტივე *სინოტივის* ოდნავი სისველე, ნესტი. *ჰაერის სინოტივე.*

სინსილა *სინსილის* ქვენარმავლის ან ფრინველის ახლადგამოჩეკილი ნაშიერი. ◎ შენი (თქვენი) სინსილა გაწყდეს წყეველა.

სინტაქსი *სინტაქსის* გრამატიკის დარგი, რომელიც სწავლობს წინადადების აგებულებას, სიტყვების ერთმანეთთან შეკავშირების წესებს. *ქართული ენის სინტაქსი.* ■ სინტაქსური სინტაქსთან დაკავშირებული. *წინადადების სინტაქსური ანალიზი. სინტაქსური წყობა.*

სინქრონია *სინქრონიის* I. ერთდროულობა. *მოვლენათა სინქრონია.* 2. ლინგ. ენის სტატიკური მდგომარეობა.

სინქრონიზაცია *სინქრონიზაციის* რაიმე მოვლენების ან პროცესების თანხვედრა ან შეთანხმება დროში.

სინქრონიული *სინქრონიულის* ლინგ. ერთროულად არსებული. *სინქრონიული ანალიზი.* პარონიმი სინქრონული.

სინქრონული *სინქრონულის* ერთდროულად მიმდინარე. *სინქრონული თარგმანი. სინქრონული ცურვა.* ▲ სინქრონულად ზმნიზ. ერთდროულად. *სინქრონულად მოძრაობენ.* პარონიმი სინქრონიული.

სინჯარა *სინჯარის* მილის ფორმის მინის ჭურჭელი, გამოიყენება ლაბორატორიებში. *სინჯარები გარეცხეს.*

სინჯარა

სინჯვა *სინჯვის* (სინჯავს, ისინჯავს, უსინჯავს, ისინჯება, ესინჯება, ასინჯვინებს) ↑ გასინჯვა. *ხელსაწყოს სინჯვა დაიწყეს. ავადმყოფს სინჯავს.*

სინჯი *სინჯის* I. რაიმე ნივთიერების ან მასალის მცირე ნაწილი, რომლის ანალიზითაც ირკვევა ამ ნივთიერების ან მასალის შემადგენლობა და ხარისხი. *ნიადაგის სინჯი. ფოლადის სინჯი. საკვები პროდუქტის სინჯი.* 2. კეთილშობილ ლითონთა შემცველობა იმ შენადნობში, რომლისგანაც საიუველირო ნაწარმსა და მონეტებს ამზადებენ. *სინჯის კონტროლი. სინჯის ნიშანი.*

სიო *სიოს* სუსტი ნიავი. *სიო უბერავს.*

სიპი *სიპის* I. გლუვი, მაგარი, პრიალა ზედაპირის მქონე. *სიპი ქვა. სიპი კლდე.* 2. ფიქალის ბრტყელი ფილები, რომელსაც მთაში სახლების სახურავად იყენებენ.

სირაქლემა *სირაქლემას* ძალიან დიდი ფრინველი, რომელსაც ფრენა არ შეუძლია და დარბის. *სირაქლემას ხორცი. სირაქლემას ბუმბული.*

სირაქლემა

სირბილე *სირბილის* I. რაიმე საგნის ან სხეულის თვისება, ადვილად შეიცვალოს ფორმა. *ლითონის სირბილე. ხორცის სირბილე.* 2. გადატ. თვინიერება, გულჩვილობა, ლმობიერება. *ხასიათის სირბილე.*

სირბილი *სირბილის* (ირბენს) ფეხების სწრაფი მოძრაობით გადაადგილება. *სირბილით დაიღალა. სირბილი დაიწყო. ბევრი ირბინა.*

სირეგვნე *სირეგვნის* იგივეა, რაც რეგვნობა. *სირეგვნე გამოიჩინა.*

სირენა *სირენის* I. მკვეთრი და ხმამაღალი ბგერის მისაღები ხელსაწყო. *სირენა ჩაირთო.* 2. თვით ასეთი ბგერა. *სირენა გაისმა.*

სირთულე *სირთულის* რაიმეში გარკვევის, რაიმეს

გამოცნობის, გადალახვის დროს წარმოქმნილი სიძნელე. *დავალების სირთულე. დაბრკოლების სირთულე. სირთულეს წააწყდნენ.*

**სირმა** *სირმის* ოქროს ან ვერცხლის ძაფი. *სირმით ნაქარგი.* ■ **სირმიანი** რაც სირმით არის მოქარგული. *სირმიანი ჩოხა.*

**სიროფი** *სიროფის* 1. შაქრით გაჯერებული და მოდუღებული წყალი. *სქელი სიროფი.* 2. შაქართან ერთად მოდუღებული ხილის ან ბალახების სქელი წვენი. *ალუბლის სიროფი.*

**სირსვალი** *სირსვლის* მოხარშული ლობიო, ამოუზელავი, მხოლოდ მარილით შეზავებული.

**სირჩა** *სირჩის* მცირე ზომის სასმისი სპირტიანი სასმელებისთვის. *მინის სირჩა.*


სირჩა

**სირცხვილი** *სირცხვილის* (რცხვენია) უსიამოვნო გრძნობა, განცდა, რომელსაც იწვევს უღირსი საქციელის ჩადენა ან უხერხულ, სათაკილო მდგომარეობაში ყოფნა. *დიდი სირცხვილი. არ გრცხვენია?* ▲ **სირცხვილით ზმნიზ.** სირცხვილის გამო. *სირცხვილით ვერ უყურებს.* ⊙ **ვაი, სირცხვილო!** ამბობენ, როდესაც რაიმე სამარცხვინოს შეიტყობენ. ⊙ **სირცხვილს ჭამს** შერცხვება, დასაცინი გახდება.

**სირცხვილნაჭამი** *სირცხვილნაჭამის* შერცხვენილი, ვისაც მოულოდნელად სასირცხვილო რაიმე შეემთხვა. *სირცხვილნაჭამი დაბრუნდა უკან.*

**სისადავე** *სისადავის* უბრალოება, რაც სადას ახასიათებს. *ჩაცმულობის სისადავე. საუბრის სისადავე.*

**სისავსე** *სისავსის* 1. სავსედ ყოფნა, ბოლომდე შევსება. 2. სიმდიდრე, ქონება. *ოჯახის სისავსე. ბელლის სისავსე.*

**სისაზიზღრე** *სისაზიზღრის* უზნეობა, საზიზღრობა. *ბევრი სისაზიზღრე ითქვა.*

**სისასტიკე** *სისასტიკის* უკიდურესი სიმკაცრე, შეუბრალებლობა. *სისასტიკეს იჩენს. სისასტიკით არის ცნობილი.*

**სისაძაგლე** *სისაძაგლის* იგივეა, რაც საძაგლობა. *ათასი სისაძაგლე ჩაიდინა.*

**სისველე** *სისველის* ტენის ჭარბად ქონა. *მიწის სისველე. სისველეს გრძნობს.*

**სისინა** *სისინას* რაც სისინებს. *სისინა ბატი.*

**სისინი** *სისინის* (სისინებს, ასისინებს, უსისინებს) 1. გველის, ბატის ან ზოგიერთი სხვა ცხოველის მიერ ნვრილი გაბმული ხმის გამოცემა. *ბატების სისინმა შეაწუხა.* 2. გადატ. ცუდი განზრახვის მქონე ადამიანის ლაპარაკი. *ბოროტად სისინებს.* 3. გადატ. ნიავის, სუსტი ქარის ქროლისას გამოცემული ხმა.

**სისპეტაკე** *სისპეტაკის* სიწმინდე, სიფაქიზე, უმნიკვლოება. *სულის სისპეტაკე. პიროვნული სისპეტაკე.*

**სისრულე** *სისრულის* დასრულებული სახის ქონა, მთლიანობა. *ნაწარმოების სისრულე. საქმის სისრულე.* ⊙ **მთელი სისრულით** მთლიანად, სრულად. ⊙ **სისრულეში მოიყვანს** ნიგნ. აღასრულებს, გააკეთებს.

**სისტემა** *სისტემის* 1. მთლიანობა, რომელიც ერთმანეთთან კანონზომიერად დაკავშირებული ნაწილებისგან შედგება. *პლანეტების სისტემა. ნერვული სისტემა.* 2. მეცნიერული, პოლიტიკური და სხვა სახის მოძღვრების პრინციპების ერთობლიობა. 3. თანმიმდევრულად გატარებული მეთოდი, წესები, რომელთა მიხედვითაც ხორციელდება რაიმე. *საარჩევნო სისტემა. განათლების სისტემა.* 4. საზოგადოებრივი წყობილების ფორმა. *დემოკრატიული სისტემა. კაპიტალისტური სისტემა.* 5. ორგანიზაციულად გაერთიანებულ დაწესებულებათა ერთობლიობა. *სამედიცინო სისტემაში შემავალი ინსტიტუტები.* 6. რაიმეს ტექნიკური მოწყობილობა, კონსტრუქცია. *ახალი სისტემის მობილური.*

**სისტემატიზაცია** *სისტემატიზაციის* ამა თუ იმ ერთობლიობის წესრიგში, სისტემაში მოყვანა გარკვეული ნიშნით. *წიგნების სისტემატიზაცია.*

**სისტემატიკა** *სისტემატიკის* რაიმეს სისტემური კლასიფიკაცია. *სისტემატიკა ჩაატარეს.*

**სისტემატური** *სისტემატურის* მუდმივად გამეორებადი. *სისტემატური მუშაობა. სისტემატური ცვლილებები.* ▲ **სისტემატურად** ზმნიზ. მუდამ, ერთი და იმავეს განმეორებით. *სისტემატურად ვარჯიშობს.*

**სისტემური** *სისტემურის* სისტემის პრინციპებზე გამართული, ჩამოყალიბებული. *სისტემური მიმართებები. სისტემური სიდიდეები.*

**სისულელე** *სისულელის* უჭკუობა, უგუნურება. *თავისი სისულელით დაემართა. სისულელე ჩაიდინა.*

**სისუსტე** *სისუსტის* 1. ძალის, შესაძლებლობების უქონლობა, უძლურება, ულონობა. *ფიზიკური სისუსტე. მოხუცი სისუსტეს გრძნობს. გონებრივი სისუსტე.* 2. იგივეა, რაც სიგამხდრე. *სისუსტე დაეტყო.* 3. გადატ. სუსტი მხარე. *ჩემი სისუსტე იციან. მისი სისუსტე გულჩვილობაა.*

**სისუფთავე** *სისუფთავის* სუფთად ყოფნა. *სისუფთავეს იცავს. სისუფთავეში ვერავინ შეედრება.*

**სისქე** *სისქის* 1. სხეულის, საგნის გვერდითი ჭრილის სიდიდე. *კედლის სისქე.* 2. სიმკვრივე, სიმჭიდროვე. *ღრუბლის სისქე. კვამლის სისქე.*

**სისწრაფე** *სისწრაფის* ჩქარა, სწრაფად რაიმეს კეთება, სწრაფი მოძრაობა. *დიდი სისწრაფე აქვს.*

**სისხამი** *სისხამის* ძალიან ადრე დილა, ახალი გათენებული. *სისხამზე გამოელვიძა.*

სისხარტე *სისხარტის* სიმკვირცხლე, სისწრაფე. *ახალგაზრდული სისხარტე. გონების სისხარტე.*

სისხლდენა *სისხლდენის* მედიც. სისხლის დენა სხეულის რომელიმე ორგანოდან. *სისხლდენა დაეწყო. სისხლდენა ვერ შეუჩერეს.*

სისხლი *სისხლის* სასიცოცხლოდ აუცილებელი ნითელი ფერის სითხე, რომელიც მიმოიქცევა სისხლძარღვებში და კვებავს ორგანიზმს. *სისხლის მიმოქცევის სისტემა. სისხლის საერთო ანალიზი.* ⊙ სისხლი სწყურია შურისძიება სურს. ⊙ სისხლი უდუღს ენერგიითაა აღსავსე. ⊙ სისხლით ნათესავი ახლო ნათესავი. ⊙ სისხლის აღება სამაგიერო მკვლელობა, შურისძიება. ⊙ სისხლის გათეთრება სისხლის დაავადება, ლეიკოზი. ⊙ სისხლის სამართალი სამართლის ერთ-ერთი დარგი. ⊙ სისხლს გაუშრობს ძალიან შეანუხებს, მოსვენებას დააკარგვინებს. ⊙ სისხლში აქვს ჩვევად აქვს, თანდაყოლილი აქვს. ⊙ სისხლში ხელს გაისვრის ვინმეს მოკლავს, ვინმეს სისხლს დაღვრის. ⊙ ჩემი სისხლი და ხორცია ამბობენ ახლო ნათესავზე.

სისხლიანი *სისხლიანის* სისხლში გასვრილი, გასისხლიანებული. *სისხლიანი დანა.*

სისხლისმსმელი *სისხლისმსმელის* შეუბრალებელი, ავი. *სისხლისმსმელი მტერი.*

სისხლისმღვრელი *სისხლისმღვრელის* რაც სისხლისღვრას იწვევს. *სისხლისმღვრელი შეტაკება.*

სისხლმოწყურებული *სისხლმოწყურებულის* მკვლელობის ჟინით შეპყრობილი. *სისხლმოწყურებული მკვლელი.*

სისხლნაკლებობა *სისხლნაკლებობის* იგივეა, რაც ანემია.

სისხლნაკლული *სისხლნაკლულის* ანემიით დაავადებული. *სისხლნაკლულს ლოყებზე ფერი დაჰკარგვოდა.*

სისხლსავსე *სისხლსავსეს* სიცოცხლით სავსე, ხალისიანი. *სისხლსავსე ცხოვრება.*

სისხლჩაქცევა *სისხლჩაქცევის* გამსკდარი სისხლძარღვიდან სხეულის ორგანოებსა და ქსოვილებში სისხლის ჩაქცევა. *სისხლჩაქცევა დაემართა.*

სისხლძარღვი *სისხლძარღვის* სისხლის გამტარი მილი ადამიანისა და ცხოველის ორგანიზმში. *სისხლძარღვების შევიწროება.*

სისხლხორცეულად ზმნიზ. მთლიანად, მთელი არსებით. *სისხლხორცეულად დაინტერესებული.*

სიტიტვლე *სიტიტვლის* იგივეა, რაც სიშიშვლე.

სიტკბო *სიტკბოს* ტკბილის გემო. *ხილის სიტკბო.*

სიტკბოება *სიტკბოების* სიმშვიდე, კმაყოფილება, კარგი ურთიერთობა. *ოჯახში სიტკბოება სუფევდა.*

სიტლანქე *სიტლანქის* მოუქნელობა, უხეშობა. *საქმეში სიტლანქე ახასიათებს.*

სიტუაცია *სიტუაციის* შექმნილი პირობების ერთობლიობა, გარემოება, მდგომარეობა, ვითარება. *მოულოდნელი სიტუაცია. ხელსაყრელი სიტუაცია.*

სიტურფე *სიტურფის* გარეგნული სილამაზე, სიკოხტავე, მომხიბვლელობა. *ქალის სიტურფე.*

სიტყვა *სიტყვის* 1. ბგერა ან ბგერათა კომპლექსი, რომელსაც ლექსიკური და გრამატიკული მნიშვნელობა აქვს. *ქართული სიტყვები. სიტყვის თქმა. სიტყვების ამოწერა.* 2. ხალხის, აუდიტორიის წინაშე საუბარი, საჯარო გამოსვლა. *შესავალი სიტყვა. სიტყვით გამოსვლა.* 3. ვინმეს საუბარი, მეტყველება. *სიტყვა გააგრძელა.* 4. იგივეა, რაც დაპირება. *სიტყვა არ შეასრულა.* ⊙ ერთი სიტყვით ამბობენ ნათქვამის შესაჯამებლად. ⊙ ვინმეს სიტყვაზე გაივლის ვინმეს დაუჯერებს, ვინმეს სურვილის მიხედვით მოიქცევა. ⊙ თავის სიტყვაზე დგას თავის გადაწყვეტილებას არ ცვლის. ⊙ მისი სიტყვა კანონია მის სიტყვას დიდი ძალა აქვს. ⊙ რა მაგ სიტყვის პასუხია საუბრ. ამბობენ, როდესაც საუბარი განსხვავებულ თემაზე გადააქვთ. ⊙ სიტყვა გაუწყდა თქმა ვეღარ შეძლო. ⊙ სიტყვა მოუჭრა კამათში აჯობა. ⊙ სიტყვამ მოიტანა საუბრ. ამბობენ, როცა საუბარი ახალ თემაზე გადააქვთ. ⊙ სიტყვას არ შეარჩენს პასუხს გასცემს, არ დაუთმობს. ⊙ სიტყვას აძლევს 1. ვინმეს აუდიტორიის წინაშე აზრის გამოთქმის საშუალებას აძლევს. 2. ვინმეს რაიმეს ჰპირდება. ⊙ სიტყვას ბანზე აგდებს. საუბარი სხვა თემაზე გადააქვს. ⊙ სიტყვას გადაუკრავს სათქმელს შეფარვით, არაპირდაპირ ეტყვის. ⊙ სიტყვას გატეხს (გადავა) დანაპირებს არ შეასრულებს. ⊙ სიტყვას უკან წაიღებს ნათქვამზე უარს იტყვის. ⊙ სიტყვას შეუბრუნებს შეეკამათება. ⊙ სიტყვას ჩამოაგდებს რაიმეზე საუბარს დაიწყებს. ⊙ სიტყვას ჩამოართმევს 1. ლაპარაკს შეაწყვეტინებს და თვითონ დაიწყებს საუბარს. 2. ვინმეს პირობას დაადებინებს. ⊙ სიტყვის კაცი (პატრონი) ამბობენ ადამიანზე, ვინც თავის ნათქვამს ასრულებს.

სიტყვაგრძელი *სიტყვაგრძელის* ბევრი ლაპარაკის მოყვარული. *სიტყვაგრძელი კაცი.*

სიტყვაკაზმული *სიტყვაკაზმულის* წიგნ. მხატვრული, სიტყვიერი. *სიტყვაკაზმული მწერლობა.*

სიტყვამოსწრებული *სიტყვამოსწრებულის* იგივეა, რაც ენამოსწრებული. *სიტყვამოსწრებული ყმაწვილი.*

სიტყვანი *სიტყვანის* ლექსიკონში შესატანი სიტყვების სია. *სიტყვანის შედგენა.*

სიტყვა-პასუხი *სიტყვა-პასუხის* საუბრ. საუბარი, ლაპარაკი. *კარგი სიტყვა-პასუხი აქვს.*

სიტყვასიტყვით ზმნიზ. სიტყვის გამოუტოვებლად, ზედმინევნით,ზუსტად. *სიტყვასიტყვით დაიმახსოვრა.*

**სიტყვატკბილი** *სიტყვატკბილის* ვინც ტკბილად საუბრობს. *სიტყვატკბილი მოხუცი.*

**სიტყვაძვირი** *სიტყვაძვირის* ვინც ძალიან ცოტას ლაპარაკობს. *სიტყვაძვირი სტუმარი.*

**სიტყვაძუნწი** *სიტყვაძუნწის* იგივეა, რაც სიტყვაძვირი.

**სიტყვიერი** *სიტყვიერის* სიტყვებით გამოხატული. *სიტყვიერი შეურაცხყოფა.*

**სიუიტა** *სიუიტის* მუსიკალური ნაწარმოები, რომელიც შედგება საერთო ჩანაფიქრით გაერთიანებული სხვადასხვა ხასიათის რამდენიმე პიესისგან. შეცდომაა სუიტა

**სიუჟეტი** *სიუჟეტის* ლიტერატურულ ნაწარმოებში გადმოცემული ფაქტების, მოვლენების თანმიმდევრობა. *რომანის სიუჟეტი. აღმოსავლური სიუჟეტი.* ■ **სიუჟეტური** სიუჟეტთან დაკავშირებული, სიუჟეტისთვის დამახასიათებელი. *სიუჟეტური ხაზი.*

**სიურპრიზი** *სიურპრიზის* მოულოდნელი საჩუქარი. *სიურპრიზი გაუკეთა. სასიამოვნო სიურპრიზი.* შეცდომაა სურპრიზი

**სიუცხოვე** *სიუცხოვის* უცხოდ ყოფნა. *სიუცხოვე იგრძნობა.*

**სიუხვე** *სიუხვის* 1. რაიმეს დიდი ოდენობა, უხვად მიღება. *მოსავლის სიუხვე.* 2. ხელგაშლილობა, გულუხვობა. *სიუხვე ახასიათებს. სიუხვით არის ცნობილი.*

**სიფათი** *სიფათის* ყარგ. სახე. *სიფათში გაარტყა.*

**სიფაქიზე** *სიფაქიზის* დახვეწილობა, სიწმინდე, უმანკოება. *სულის სიფაქიზე. გარეგნული სიფაქიზე.*

**სიფთა** *სიფთის* საუბრ. პირველი ფულადი შემოსავალი დღის განმავლობაში. *მუშტრისგან სიფთა აიღო.* ⊙ **დილის სიფთაზე** საუბრ. ადრიანად, საქმიანობის დაწყებამდე.

**სიფითრე** *სიფითრის* სახის უფერულობა, გათეთრება. *სახეზე სიფითრემ გადაუარა.*

**სიფილისი** *სიფილისის* მედიც. გადამდები ვენერიული დაავადება, რომელიც ძირითადად გადადის სქესობრივი გზით. *სიფილისს მკურნალობს.* ■ **სიფილისიანი** ვისაც სიფილისი სჭირს. *სიფილისიანი ავადმყოფი.*

**სიფიცხე** *სიფიცხის* თვისება, როდესაც ვინმეს ან რაიმეს უეცარი გაბრაზება ახასიათებს. *სიფიცხეს ვერ მალავს.*

**სიფრთხილე** *სიფრთხილის* მოსალოდნელი საფრთხის, ხიფათის თავიდან აცილების მცდელობა, დაკვირვება, ყურადღება. *სიფრთხილეს იჩენს. სიფრთხილით მიიწევს წინ.*

**სიფრიფანა** *სიფრიფანას* ძალიან თხელი. *სიფრიფანა ქალალდი. სიფრიფანა ქსოვილი.*

**სიფხიზლე** *სიფხიზლის* 1. დაკვირვება, წინდახედულება, სიფრთხილე. *სიფხიზლე გამოიჩინა.* 2. ფხიზლად (1) ყოფნა. *სიფხიზლეში კარგი ხასიათი აქვს.*

**სიქა** *სიქის* ⊙ **სიქა გასძვრება** ძალღონე გამოელევა, ძალიან დაიღლება. ⊙ **სიქას გააცლის** ქანცს, ძალ-ღონეს გამოულევს, ძალიან დაღლის.

**სიქაჩლე** *სიქაჩლის* იგივეა, რაც ქაჩლობა. *სიქაჩლე დაეწყო.*

**სიქველე** *სიქველის* იგივეა, რაც ქველობა. *სიქველით გამოირჩევა.*

**სიღარიბე** *სიღარიბის* მატერიალური გაჭირვება, უქონლობა. *გაუსაძლისი სიღარიბე.*

**სიღატაკე** *სიღატაკის* მეტისმეტი სიღარიბე. *სიღატაკის ზღვარზე იმყოფება.*

**სიღრმე** *სიღრმის* 1. მანძილი რაიმეს ზედაპირიდან ფსკერამდე. *ჭის სიღრმე. დიდი სიღრმე.* 2. რაიმე სივრცის შიგნითა, ნაპირიდან დაშორებული ადგილი. *ტყის სიღრმეში შევიდნენ. სოფლის სიღრმეში ცხოვრობს.* 3. გადატ. აზრის, ფიქრის, გრძნობისა და მისთ. სიძლიერე, სიმძაფრე. *ცოდნის სიღრმე.* ⊙ **გულის სიღრმეში** სხვებისგან მალულად.

**სიღრუე** *სიღრუის* სხეულის შიგნით არსებული სიცარიელე, რომელიც გარედან ჩვეულებრივ არ ჩანს. *ხის სიღრუე.*

**სიყალბე** *სიყალბის* სიცრუე, მოჩვენებითი რამ, რაც სიმართლე, ჭეშმარიტება არ არის. *მისი სიტყვების სიყალბე. სიყალბე ვერ დამალა.*

**სიყეყეჩე** *სიყეყეჩის* სისულელე, მიუხვედრელობა. *ასეთი სიყეყეჩე გაგონილა?*

**სიყვარული** *სიყვარულის* (უყვარს) გრძნობა, რომელიც ადამიანს აქვს ვინმეს ან რაიმეს მიმართ და უბიძგებს მას ერთგულების, კეთილგანწყობის, მასთან სიახლოვისკენ. *დედის სიყვარული. სიყვარული ვერ დამალა. მშობლებს გამორჩეულად უყვართ.*

**სიყვითლე** *სიყვითლის* 1. ყვითელი ფერი. *ფოთლებს სიყვითლე შეეპარა.* 2. საუბრ. ღვიძლის დაავადება, რომელიც იწვევს კანის სპეციფიკურ, ყვითელ ფერს. *სიყვითლე დაემართა.*

**სიყმაწვილე** *სიყმაწვილის* ბავშვობის ასაკი, ახალგაზრდობა. *სიყმაწვილე სოფელში გაატარა.*

**სიყოჩაღე** *სიყოჩაღის* გულადობა საქმეში, სიმარჯვე. *სიყოჩაღე გამოამჟღავნა.*

**სიყრუე** *სიყრუის* სმენის დაქვეითება ან საერთოდ დაკარგვა. *ავადმყოფობამ სიყრუე დაუტოვა.*

**სიშავე** *სიშავის* შავი ფერი. *კანის სიშავე. ქსოვილის სიშავე.*

**სიშიშვლე** *სიშიშვლის* შიშველი ყოფნა, ჩაუცმელობა. *მხრების სიშიშვლე.*

**სიშმაგე** *სიშმაგის* ძლიერი გაბრაზება, გაგიჟება. *მისი სიშმაგე გამოიწვია.*

სიშორე *სიშორის* 1. ვინმესგან ან რაიმესგან შორ მანძილზე ყოფნა. *მასთან სიშორეს ვერ იტანს.* 2. შორი მანძილი, შორი სივრცე. *სიშორეს გასცქერის.*

სიჩაუქე *სიჩაუქის* სიმარდე, სიმამაცე. *სიჩაუქით ცნობილი.*

სიჩლუნგე *სიჩლუნგის* საუბრ. გონებრივი განუვითარებლობა, აზროვნების უნარის სისუსტე. *სიჩლუნგე ახასიათებს.*

სიჩუმე *სიჩუმის* სინყნარე, დუმილი, როდესაც არავის და არაფრის ხმა არ ისმის. *სიჩუმე ჩამოვარდა. სიჩუმე სიამოვნებს.*

სიჩქარე *სიჩქარის* (ჩქარობს) 1. სისწრაფე, რაიმეს ჩქარა, სწრაფად კეთება. *სიჩქარისგან ყველაფერი დაავიწყდა.* 2. ტექნ. სხეულის მიერ განვლილი მანძილის შეფარდება დროის ერთეულთან. *მანქანის სიჩქარე. დიდი სიჩქარით მოძრაობს.*

სიცარიელე *სიცარიელის* ცარიელი სივრცე. *დარბაზში სიცარიელე იყო.*

სიცელქე *სიცელქის* იგივეა, რაც ცელქობა. *სიცელქით დაიღალა. ბავშვური სიცელქე.*

სიცეტე *სიცეტის* იგივეა, რაც ცეტობა. *თავისი სიცეტით მოუვიდა.*

სიცივე *სიცივის* ჰაერის დაბალი ტემპერატურა. *ძლიერი სიცივე. სიცივისგან კანკალებს.*

სიცილი *სიცილის* (იცინის) სიხარულის, მხიარული განწყობილების, კმაყოფილების გამომხატველი ხმა. *სიცილი დაიწყო. გულიანად იცინის.* ⊙ სიცილი დააყარა დასცინა. ⊙ სიცილით კვდება ხმამაღლა, გულიანად იცინის.

სიცოცხლე *სიცოცხლის* (ცოცხლობს) 1. მატერიის არსებობის ფორმა. *არის სიცოცხლე მთვარეზე?* 2. ადამიანის ან ცხოველის (მცენარის) არსებობა დაბადებიდან სიკვდილამდე. *დიდხანს იცოცხლეთ! იმედით ცოცხლობს.* ⊙ თავს არ იცოცხლებს თავს მოიკლავს. ⊙ სიცოცხლეს გამოასალმებს მოკლავს.

სიცოცხლისუნარიანი *სიცოცხლისუნარიანის* ამტანი, გამძლე, ვისაც გაჭირვება ადვილად ვერ გასტეხს, ბოლომდე იბრძვის. *სიცოცხლისუნარიანი პიროვნებაა. დიდად სიცოცხლისუნარიანია.*

სიცოცხლისუნარიანობა *სიცოცხლისუნარიანობის* გამძლეობა, ამტანობა. *ეს სახეობა სიცოცხლისუნარიანი აღმოჩნდა.*

სიცრუე *სიცრუის* განზრახ მოგონილი რამ, ტყუილი. *სრული სიცრუე იყო.*

სიცქვიტე *სიცქვიტის* სიმარდე, სიმკვირცხლე, სისწრაფე. *სიცქვიტე არ აკლია.*

სიცხადე *სიცხადის* 1. გარკვეულობა, მკაფიოდ ჩამოყალიბებული აზრი. *საქმეში სიცხადე შეიტანა.* 2. სინამდვილე, რეალურობა. *სიზმრის სიცხადე. წარმოსახვის სიცხადე.*

სიცხარე *სიცხარის* (ცხარობს) 1. სიმწარე, მძაფრი გემო. *საჭმელს სიცხარე აკლია.* 2. ბრაზიანობა, ძლიერი გაჯავრება. *ძლიერ ცხარობს. სიცხარემ გადაუარა.* 3. სიმძაფრე. *ქამათის სიცხარე.*

სიცხე *სიცხის* 1. ჰაერის მაღალი ტემპერატურა, სიმხურვალე. *ზაფხულის სიცხე. სიცხე აწუხებს.* 2. სხეულის მაღალი ტემპერატურა. *სიცხემ აუწია. სიცხის დასაწევი წამალი.* ▪ სიცხიანი ვისაც სიცხე (2) აქვს. *სიცხიანი ავადმყოფი. სამსახურში სიცხიანი დადის.*

სიძაბუნე *სიძაბუნის* სისუსტე, ფიზიკური დაუძლურება. *სიძაბუნე დაეტყო. მოხუცებულობის სიძაბუნე.*

სიძე *სიძის* 1. ქალიშვილის, დის ან სხვა ნათესავის ქმარი. *ჩემი სიძე ექიმია.* 2. იგივეა, რაც მეფე (2). *სიძის მაყრები.*

სიძეობა *სიძეობის* შვილის ან დის ქმრობა. *სიძეობას მიპირებს.*

სიძვა *სიძვის* ძვ. მრუშობა. *სიძვის ცოდვა.*

სიძველე *სიძველის* (ძირითადად მრ.) წარსულის მატერიალური ნაშთი, რომელსაც კულტურულ-ისტორიული ღირებულება აქვს. *სამუზეუმო სიძველეები.*

სიძვირე *სიძვირის* მაღალი ფასები. *პროდუქტების სიძვირე. მეტისმეტი სიძვირე.*

სიძლიერე *სიძლიერის* დიდი ძალის ქონა. *ქარის სიძლიერე. ტალღების სიძლიერე.*

სიძნელე *სიძნელის* რის დაძლევაც იოლი არ არის. *არაერთი სიძნელე გადალახა. სიძნელეების მიუხედავად.*

სიძულვილი *სიძულვილის* (სძულს) გრძნობა, რომელიც უჩნდება ადამიანს ვინმეს ან რაიმეს სანინააღმდეგოდ და განაწყობს მტრულად. *სიძულვილმა გონება აურია. მტრის სიძულვილი. კატები სძულს.*

სიძუნწე *სიძუნწის* სხვისთვის ვერაფრის გამეტება, მეტისმეტი მომჭირნეობა. *სიძუნწე გამოიჩინა.*

სიწითლე *სიწითლის* წითელი ფერი. *სიწითლე დაჰკრავს.*

სიწმინდე *სიწმინდის* 1. სისპეტაკე, უმწიკვლოება, უცოდველობა. *სულის სიწმინდე.*

სიწუწკე *სიწუწკის* იგივეა, რაც წუწკობა. *ბავშვების სიწუწკე. სიწუწკეს იჩენს.*

სიწყნარე *სიწყნარის* სიჩუმე, სიმშვიდე, მყუდროება. *სიწყნარემ დაისადგურა. სიწყნარე დაარღვია.*

სიჭაბუკე *სიჭაბუკის* ასაკი სიყმაწვილესა და მოწიფულობას შორის. *სიჭაბუკის წლები.*

სიჭარბე *სიჭარბის* რაიმეს ზედმეტი ოდენობა. *ენერგიის სიჭარბე. პროდუქტის სიჭარბე.*

სიჭარმაგე *სიჭარმაგის* მოხუცი მამაკაცის ვაუკაცური, მხნე იერი. *სიჭარმაგე ეტყობა.*

სიჭკვიანე *სიჭკვიანის* 1. გონიერება, სიწყნარე, სიმშვიდე. *ბავშვის სიჭკვიანე.*

სიჭრელე *სიჭრელის* 1. რამდენიმე ფერის ერთად განლაგება, ერთმანეთში არევა. *თვალისმომჭრელი სიჭრელე. კაბის სიჭრელე.* 2. გადატ. რაიმეს შედგენილობის არაერთფეროვნება, არაერთგვაროვნება. *საზოგადოების სიჭრელე. ხალხის სიჭრელე.*

სიხარბე *სიხარბის* ბევრის მოხვეჭის, შეძენის სურვილი. *სიხარბემ სძლია. სიხარბემ დაღუპა.*

სიხარული *სიხარულის* (ხარობს, უხარია) განცდა, რომელსაც იწვევს კარგი, სასიამოვნო, სასურველი რამ. *დიდი სიხარული. სიხარული ვერ დამალა.*

სიხშირე *სიხშირის* 1. რაიმეს გავრცელების ან მოქმედების ოდენობა. *გულისცემის სიხშირე.* 2. სიდიდე, რომელიც გამოხატავს მოძრაობის, რხევისა და მისთ. პერიოდულობას. *რხევის სიხშირე.*

სიჯანსაღე *სიჯანსაღის* 1. ფიზიკური ჯანმრთელობა. 2. გადატ. უხინჯობა, უზადობა. *ხილის სიჯანსაღე.*

სიჯიუტე *სიჯიუტის* ჯიუტის თვისება, ურჩობა. *თავისი სიჯიუტით დაემართა ყველაფერი.*

სკა *სკის* ფუტკრებისთვის დამზადებული ხის ბუდე, რომელსაც ყუთის ფორმა აქვს. *სკიდან თაფლი ამოიღო.*

სკაბრეზული *სკაბრეზულის* უხამსი, უცენზურო (გამოთქმები). *სკაბრეზული ლექსები.*

სკალა *სკალის* ხელსაწყოში ერთ ხაზზე მოთავსებული დანაყოფები, რომლებიც გარკვეულ სიდიდეებს შეესაბამება. *სასწორის სკალა. სპიდომეტრის სკალა.* შეცდომაა შკალა

სკალპელი *სკალპელის* მცირე ზომის ქირურგიული დანა სხეულის რბილი ქსოვილების გასაკვეთად. *ლაზერული სკალპელი.* შეცდომაა სკალპერი


სკამი

სკამი *სკამის* დასაჯდომი ავეჯი, უპირატესად საზურგიანი. *ხის სკამი. სკამზე დაჯდა.*

სკანდალი *სკანდალის* 1. სამარცხვინო შემთხვევა. *პოლიტიკური სკანდალი.* 2. არეულობა, ჩხუბი, აყალმაყალი. *სკანდალი ატეხა. ქმარმა სკანდალი გამიმართა.* ■ სკანდალური სკანდალისთვის დამახასიათებელი. სკანდალთან დაკავშირებული. *სკანდალური შემთხვევა. სკანდალური ამბავი.*

სკანდირება *სკანდირების* პოეტური ნაწარმოების კითხვისას მისი შემადგენელი ნაწილების (ტერფების, მარცვლების) მკაფიოდ გამოთქმა; სიტყვების მკაფიოდ, მარცვალ-მარცვალ წარმოთქმა. *დემონსტრანტებმა სკანდირება დაიწყეს.*

სკაფანდრი *სკაფანდრის* ჰერმეტული სამოსი, რომელიც ახდენს ადამიანის სხეულის სრულ იზოლაციას საშიშ გარემოში – წყალში, დიდ სიმაღლეზე, კოსმოსში. *სკაფანდრი მოირგო.*

სკდომა *სკდომის* (სკდება, ასკდება, უსკდება) ↑ გასკდომა. *მიწა გვალვისგან სკდება.*

სკეიტბორდი *სკეიტბორდის* გორგოლაჭებიანი ფიცარი, გამოიყენება ასფალტირებულ ზედაპირზე სასრიალოდ. *სკეიტბორდით დაქრის.*

სკეპტიკოსი *სკეპტიკოსის* ადამიანი, რომელიც ყველაფერს ეჭვის თვალით უყურებს, არავის ენდობა.

სკეპტიკური *სკეპტიკურის* უიმედო, ეჭვიანი. *სკეპტიკური დამოკიდებულება. სკეპტიკური შეხედულებები.*

სკეპტიციზმი *სკეპტიციზმის* დაეჭვება რაიმეს სისწორეში ან შესაძლებლობაში, უნდობლობა. *სკეპტიციზმი ახასიათებს.*

სკეფსისი *სკეფსისის* დაეჭვება, ნდობას მოკლებული დამოკიდებულება. *საზოგადოებაში სკეფსისი გამეფდა.*

სკვერი *სკვერის* დასვენებისა და გართობისთვის გაშენებული პატარა ბაღი ქალაქში. *სკვერში სეირნობს.*

სკვინჩა *სკვინჩის* იგივეა, რაც ნიბლია.

სკვნილი *სკვნილის* ნასკვებიანი ზონარი, თითოთითო ნასკვის ჩაგდებით ანგარიშობენ რამდენჯერ წაიკითხეს ლოცვა. *მონა ზვნის სკვნილი.*


სკივრი

სკივრი *სკივრის* სახურავიანი ხის დიდი ყუთი, გამოიყენება საოჯახო ნივთების შესანახად. *სკივრში ტანსაცმელი ჩაალაგა.*

სკინტლი *სკინტლის* ფრინველის განავალი. *ჩიტის სკინტლი. სკინტლი დაეცა.*

სკიპიდარი *სკიპიდრის* მძაფრი სუნის უფერული ან მოყვითალო, გამჭვირვალე სითხე, რომელიც წყალში არ იხსნება, გამოიყენება მრეწველობასა და მედიცინაში. *სკიპიდრის ხსნარი. სკიპიდრით გაწმენდა.*

სკიპტრა *სკიპტრის* სამეფო კვერთხი, მეფის ან დედოფლის ძალაუფლების სიმბოლო. *მეფეს ხელში სკიპტრა უპყრია.*

სკლერა *სკლერის* თვალის კაკლის თეთრი გარსი. *სკლერები შეუყვითლდა.*

სკლეროზი *სკლეროზის* მედიც. ამა თუ იმ ორგანოს პათოლოგიური გამაგრება, გამოწვეული ფუნქციურად აქტიური ელემენტების კვდომით. *სკლეროზი დაემართა.*

სკოლა *სკოლის* 1. სასწავლო დაწესებულება, სადაც გარკვეული დროის განმავლობაში მოსწავლეები განათლებას იღებენ. *საშუალო სკოლა. საჯარო სკოლა. კერძო სკოლა.* 2. მიმდინარეობა, მიმართულება მეცნიერების რომელიმე სფერო-

ში, ხელოვნებაში, სპორტში და მისთ., რომელიც რომელიმე ავტორიტეტული მოღვაწის ან მოღვაწეთა ჯგუფის იდეებს ემყარება. *მათემატიკური სკოლა.* 3. გადატ. რაც ცოდნასა და გამოცდილებას სძენს ადამიანს. *ეს შემთხვევა მისთვის კარგი სკოლა იქნება.*

**სკოლამდელი** *სკოლამდელის* მცირე ასაკის მოზარდი, სანამ სკოლაში მივიდოდეს. *სკოლამდელი ბავშვები.*

**სკორე** *სკორის* ცხოველთა განავალი. *ხარის სკორე.*

**სკრუპულოზური** *სკრუპულოზურის* ძალიან ფაქიზი, ძალიან ზუსტი, დაწვრილებითი. *სკრუპულოზური ნამუშევარი. სკრუპულოზური გამოკვლევა.*

**სკულპტორი** *სკულპტორის* იგივეა, რაც მოქანდაკე. *ცნობილი სკულპტორი.*

**სკულპტურა** *სკულპტურის* იგივეა, რაც ქანდაკება. *მწერლის სკულპტურა.* ■ **სკულპტურული** ნაქანდაკები, მოქანდაკის შექმნილი. *სკულპტურული გამოსახულება. სკულპტურული შედევრი.*

**სკუპი** *სკუპის* ერთი ადგილიდან მეორეზე გადახტომა, პატარა ნახტომი. *სკუპი გააკეთა. სკუპით გადაადგილდა.*

**სლაიდი** *სლაიდის* ფოტოფირზე აღბეჭდილი ან ციფრული გამოსახულება, რომლის პროექციას ახდენენ ეკრანზე.

**სლენგი** *სლენგის* გარკვეულ სოციალურ კლასებსა თუ ჯგუფებში გავრცელებული ექსპრესიული ჟარგონი. *სლენგით საუბრობს.*

**სლოკინი** *სლოკინის* (ასლოკინებს) ხორხიდან სპეციფიკური ხმის ერთბაშად ამოსვლა შინაგანი ორგანოების უეცარი, სპაზმური შეკუმშვის დროს. *სლოკინი დაიწყო. ბავშვს ასლოკინებს. დაასლოკინა.*

**სლუკუნი** *სლუკუნის* (სლუკუნებს) სპეციფიკური ხმის გამოცემა ტირილის დროს. *სლუკუნი დაიწყო. ნუ სლუკუნებ!*

**სმა**[1] *სმის* (ისმება, ესმება, ესმევა, ასმევს) ↑ შესმა. *ღვინის სმა. წყალს სვამს.*

**სმა**[2] *სმის* (ისვამს, უსვამს, ისმება, ესმება, უსვია) ↑ ნასმა. *სახეზე პუდრი უსვია. ლაქს ისვამს.*

**სმა-ჭამა** *სმა-ჭამის* პურობა, ქეიფი. *დიდი სმა-ჭამა გაჩაღდა.*

**სმენა** *სმენის* (ისმის, ესმის) 1. ხმის გაგონება, ბგერების აღქმა. *სმენა დაუქვეითდა. მუსიკის ხმა ესმის. გუგუნი ისმის.* 2. მუსიკალური ბგერების აღქმის უნარი. *აბსოლუტური სმენა.* ⊙ **სმენად** გადაიქცევა მთელი ყურადღებით დაიწყებს მოსმენას.

**სმენადაკარგული** *სმენადაკარგულის* ვინც სმენის უნარი დაკარგა, დაყრუვდა. *სმენადაკარგული მოხუცი.*

**სმენადაქვეითებული** *სმენადაქვეითებულის* ვისაც კარგად აღარ ესმის, სმენა (1) დაქვეითებული აქვს. *სმენადაქვეითებული პაციენტი.*

**სმენადახშული** *სმენადახშულის* 1. იგივეა, რაც სმენადაკარგული. *სმენადახშული დედაბერი.* 2. ვისაც მუსიკალური სმენა არ გააჩნია. *სმენადახშული პიროვნება.*

**სმენადობა** *სმენადობის* რომელიმე გარემოში ბგერების მოსმენის, აღქმის შესაძლებლობა. *ცუდი სმენადობა.*

**სმუსნა** *სმუსნის* (სმუსნის, ისმუსნება) ცოტ-ცოტა, ნამცეცებად ჭამა. *პურს სმუსნის. ბავშვი ისმუსნება.*

**სნაიპერი** *სნაიპერის* ცეცხლსასროლი იარაღის მსროლელი, რომელიც ზუსტად ახვედრებს მიზანში. *სნაიპერის ტყვია.*

**სნეულება** *სნეულების* იგივეა, რაც დაავადება. *მძიმე სნეულება.*

**სნეული** *სნეულის* იგივეა, რაც ავადმყოფი. *სნეული მოინახულეს.*

**სნობი** *სნობის* ადამიანი, რომელსაც ელიტარული საზოგადოების წევრობის პრეტენზია აქვს და დახვეწილი გემოვნებისა და მოდურობის დემონსტრირებას ახდენს. *ნამდვილი სნობი იყო.*

**სნობიზმი** *სნობიზმის* სნობისთვის დამახასიათებელი მანერების, ქცევების ერთობლიობა. *სნობიზმით გამოირჩევა.*

**სოდა** *სოდის* თეთრი კრისტალური ნივთიერება, რომელიც გამოიყენება საკონდიტრო წარმოებაში, მედიცინასა და ტექნიკაში. *საჭმლის სოდა. კაუსტიკური სოდა. სოდიანი წყალი.*

**სოია** *სოიის* ერთწლოვანი პარკოსანი ლობიოს მსგავსი მცენარე, აქვს შავი პარკი და ღია ფერის მარცვალი, რომლისგანაც ამზადებენ ზეთს, რძეს და სხვა პროდუქტებს, გამოიყენება ცხოველების საკვებადაც. *სოიის ზეთი.*

**სოინარი** *სოინარის* ხის ჩასაბერი საკრავი – ლერწმისგან დამზადებული მრავალღეროიანი სალამური. *სოინარის ხმა. სოინარის დამკვრელი.*

**სოინჯი** *სოინჯის* ერთწლოვანი მცენარე, აქვს დანაკვთული ფოთლები და ცისფერი ყვავილები, თესლი გამოიყენება სამკურნალოდ და სანელებლად.

**სოიო** *სოიოს* საუბრ. იგივეა, რაც სოია. *სოიოს რძე.*

**სოკო** *სოკოს* 1. განვითარების უდაბლეს საფეხურზე მდგომი მცენარე, რომელიც სპორებით მრავლდება, ზოგიერთი სახეობა იჭმება. *ქამა სოკო. ხის სოკო.* 2. მიკროორგანიზმი, რომელიც ადამიანსა და ცხოველს უჩნდება და აავადებს მას.


სოკო

სოკოვანი *სოკოვნის* სოკოს მსგავსი, სოკოს შემცველი. *სოკოვანი დაავადება.*

სოლარიუმი *სოლარიუმის* საგანგებოდ გასარუჯად მოწყობილი ადგილი, ხელოვნურად გასარუჯი დანადგარი.

სოლი *სოლის* 1. მოკლე, მსხვილი ბოლოწანვეტებული ხის ან რკინის ნაჭერი, იყენებენ ხის გასაპობად ან სალტეების გასამაგრებლად. *მუხის სოლი. დათლილი სოლი.* 2. ურმის ბორბლის, მორგვისა და ფერსოს შემაკავშირებელი ღერო. *სოლები მორგვშია ჩარჭობილი.*

სოლიდარობა *სოლიდარობის* ვინმეს პოზიციის, შეხედულებების მხარდაჭერა, თანაგრძნობა. *სოლიდარობა გამოხატა. სოლიდარობას უცხადებს.*

სოლიდარული *სოლიდარულის* ვინმეს შეხედულებებისა და მოქმედების მომხრე, მხარდამჭერი, ერთსულოვანი. *სოლიდარული საზოგადოება.*

სოლიდური *სოლიდურის* 1. პატივსაცემი, სერიოზული, დარბაისელი. *სოლიდური მამაკაცი.* 2. დიდი, მსხვილი, მნიშვნელოვანი. *სოლიდური თანხა.*

სოლისტი *სოლისტის* მუსიკოსი, მომღერალი ან მოცეკვავე, რომელიც ცალკე ასრულებს ამა თუ იმ პარტიას. *ოპერის სოლისტი.*

სოლო *სოლოს* მუსიკალური ნაწარმოები ან მთავარი პარტია, რომელიც განკუთვნილია ერთი შემსრულებლისთვის. *სოლოს ასრულებს. სოლოს მოცეკვავე.*

სოლფეჯიო *სოლფეჯიოს* სმენის გასავითარებელი ვარჯიში, რომლის დროსაც მელოდიასთან ერთად ნოტების დასახელებებს მღერიან. *სოლფეჯიოს გა კვეთილი.*

სონატა *სონატის* მუსიკალური ნაწარმოები ერთი ან ორი საკრავისთვის. *მოცარტის სონატები.*

სონეტი *სონეტის* ლექსი, რომელიც დაწერილია მყარი სალექსო ფორმით, შედგება ორი ოთხსტრიქონიანი და ორი სამსტრიქონიანი სტროფისგან. *სონეტების კრებული.*

სოპრანო *სოპრანოს* ქალის ყველაზე მაღალი ტემბრის საოპერო ხმა.

სორო *სოროს* 1. გარეული ცხოველის მიერ მიწაში მოწყობილი საცხოვრებელი. *მელა სოროდან გამოძვრა.*

სორტირება *სორტირების* ხარისხის, ზომის ან მსგავსი ნიშნების მიხედვით განაწილება, შერჩევა.

სოსანი *სოსანის* ერთწლოვანი მცენარე, აქვს ღრმად დანაკვთული ფოთლები და მოწითალოიისფერი ყვავილები, გვხვდება ყანებსა და ქვიან ფერდობებზე.

სოსისი *სოსისის* მოკლე წვრილი ძეხვი, ჩვეულებრივ, მოსახარში. *ქათმის სოსისი.*

სოუსი *სოუსის* თხევადი საკმაზი, საწებელი. *მაიონეზის სოუსი.*

სოფელი *სოფლის* 1. დასახლებული ადგილი, სადაც მოსახლეობა უპირატესად მიწათმოქმედებასა და მეცხოველეობას მისდევს. *მთის სოფელი. ბარის სოფელი.* 2. სოფელში მცხოვრები ხალხი, იქაური მოსახლეობა. *მთელი სოფელი ფეხზე დადგა. სოფელს ეძინა.* ■ სოფელ-სოფელ სოფლებზე გავლით, სოფლიდან სოფელში გადასვლით. *სოფელ-სოფელ ხეტიალი.* ⊙ სოფლის მეურნეობა მინათმოქმედების, მეცხოველეობის, მემინდვრეობისა და მეტყეობის სხვადასხვა დარგის ერთობლიობა.

სოფლელი *სოფლელის* ვინც სოფელში ცხოვრობს. *სოფლელებს გაესაუბრა.*

სოფლური *სოფლურის* სოფლისთვის დამახასიათებელი, ნიშანდობლივი. *სოფლური იდილია. სოფლური ყოფა.*

სოციალიზმი *სოციალიზმის* სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი წყობილების ფორმა, რომლის დროსაც წარმოების საშუალებები საზოგადოების საკუთრებას წარმოადგენს. *სოციალიზმის ეპოქა. სოციალიზმის იდეები.*

სოციალისტი *სოციალისტის* სოციალიზმის მიმდევარი.

სოციალური *სოციალურის* საზოგადოებრივი, ადამიანების ცხოვრებასთან და მათ საზოგადოებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებული. *სოციალური მდგომარეობა.*

სოციოლოგი *სოციოლოგის* სოციოლოგიის სპეციალისტი. *სოციოლოგთა დასკვნა.*

სოციოლოგია *სოციოლოგიის* მეცნიერება, რომელიც შეისწავლის ადამიანთა საზოგადოებას და მისი განვითარების ისტორიას. *სოციოლოგიის კურსი.* ■ სოციოლოგიური სოციოლოგიასთან დაკავშირებული. *სოციოლოგიური კვლევა.*

სოჭი *სოჭის* ტანმაღალი, მარადმწვანე, წინვოვანი ხე, წიწვს ქვემოდან ორი თეთრი ზოლი აქვს, გირჩები მომწიფებისას ხეზევე იშლება.

სპა *სპის* ძვ. სამეფო ჯარი, ლაშქარი. *მეფის სპა.*

სპაზმი *სპაზმის* მედიც. ყელის, საყლაპავი მილის, კუჭნ-ნაწლავისა და მისთ. კუნთების კრუნჩხვითი შეკუმშვა. *სპაზმი დაეწყო.*

სპაზმური *სპაზმურის* სპაზმით გამოწვეული. *სპაზმური ხველა.*

სპარტაკიადა *სპარტაკიადის* მასობრივი შეჯიბრება სპორტის სხვადასხვა სახეობაში. *სპარტაკიადა ტარდება.*

სპარტანული *სპარტანულის* მკაცრი, უშეღავათო (აღზრდა, წვრთნა).

სპეკულანტი *სპეკულანტის* შეძენილის გაუმართლებლად ძვირ ფასად გადამყიდველი. შდრ. სპეკულიანტი

სპეკულაცია *სპეკულაციის* რაიმეს გამოყენება ანგარების მიზნით. *პოლიტიკური სპეკულაცია.*

სპეკულაციური *სპეკულაციურის* ძალიან ძვირი, თვითღირებულებაზე ბევრად მეტი. *სპეკულაციური ფასი გადაიხადა.*

სპელეოლოგია *სპელეოლოგიის* მეცნიერება, რომელიც სწავლობს გამოქვაბულებს.

სპერმა *სპერმის* მამრის სათესლე ჯირკვლის გამონაყოფი, რომელიც ანაყოფიერებს მდედრის კვერცხუჯრედს. *სპერმის ანალიზი.*

სპეტაკი *სპეტაკის* 1. ძალიან თეთრი. *სპეტაკი თოვლი.* 2. გადატ. წმინდა, უმწიკვლო, უმანკო. *სპეტაკი ადამიანი. სპეტაკი მეგობრობა.*

სპექტაკლი *სპექტაკლის* თეატრალური წარმოდგენა. *სპექტაკლის დადგმა. სადებიუტო სპექტაკლი.*

სპექტრი *სპექტრის* 1. სხვადასხვა ფერის ზოლი, რომელიც მიიღება სინათლის ცალკეულ შემადგენელ ნაწილებად დაშლის შედეგად. *მზის სპექტრი.* 2. გადატ. მრავალფეროვნება. *საზოგადოების ფართო სპექტრი.*

სპეციალიზაცია *სპეციალიზაციის* 1. რაიმე სპეციალობის მიღება, ათვისება, სპეციალობაში დაოსტატება. *ამ თანამშრომელს სპეციალიზაცია აკლია.* 2. სპეციალობების მიხედვით განაწილება. *სტუდენტთა სპეციალიზაცია.*

სპეციალიზებული *სპეციალიზებულის* მხოლოდ გარკვეული სახეობისთვის განკუთვნილი. *სპეციალიზებული ქარხანა. სპეციალიზებული მაღაზია.*

სპეციალისტი *სპეციალისტის* რაიმე სპეციალობის, პროფესიის ადამიანი. *ქიმიის სპეციალისტი. მეტალურგიის სპეციალისტი.*

სპეციალობა *სპეციალობის* 1. სწავლის შედეგად შეძენილი ხელობა, პროფესია, საქმიანობა. *სპეციალობა არ აქვს.*

სპეციალური *სპეციალურის* 1. საგანგებო, განსაკუთრებული, რაიმე ერთი მიზნისთვის განკუთვნილი. *სპეციალური მონყობილობა.* 2. რაც მიეკუთვნება ერთ რომელიმე დარგს ან სპეციალობას. *სპეციალური განათლება.* ▲ სპეციალურად ზმნიზ. საგანგებოდ, განსაკუთრებულად. *სპეციალურად შეიქმნა. სპეციალურად სტუდენტებისთვის მოამზადეს.*

სპეციფიკა *სპეციფიკის* საგნის ან მოვლენის დამახასიათებელი თავისებურება. *სწავლების სპეციფიკა.*

სპეციფიკური *სპეციფიკურის* თავისებური, განსაკუთრებული. *სპეციფიკური ბგერები. სპეციფიკური გემო.*

სპიდომეტრი *სპიდომეტრის* მოწყობილობა, რომელიც უჩვენებს სხვადასხვა ტრანსპორტის სიჩქარესა და გავლილ მანძილს. *სპიდომეტრის ისარი.*

სპილენძი *სპილენძის* მოწითალო ფერის რბილი ლითონი, გამოიყენება მრენველობაში, ჭედურ ხელოვნებში, ჭურჭლის დასამზადებლად. *სპილენძის ქვაბი. სპილენძის სადენი. სპილენძის შენადნობი.*

სპილენძისფერი *სპილენძისფრის* მოწითალო-მოყვითალო შეფერილობის მქონე. *სპილენძისფერი ნაჭერი. სპილენძისფერი საღებავი.*

სპილო *სპილოს* დიდი ზომის ძუძუმწოვარი ცხოველი, აქვს ხორთუმი, მამალს – გრძელი ეშვები, იკვებება მცენარეებით. *სპილოს ძვალი. ზოოპარკის სპილო.*


სპილო

სპირალური *სპირალურის* სპირალის ფორმაზე დახვეული. *სპირალური მავთული.*

სპირიტიზმი *სპირიტიზმის* მოძღვრება, რომლის მიმდევრებსაც სჯერათ, რომ შესაძლებელია მიცვალებულთა სულების გამოძახება და მათთან ურთიერთობის დამყარება. *სპირიტიზმის მიმდევარი.*

სპირიტული *სპირიტულის* სპირიტიზმისთვის დამახასიათებელი, სპირიტიზმთან დაკავშირებული. *სპირიტული რიტუალი.*

სპირტი *სპირტის* ალკოჰოლის შემცველი, ადვილად აალებადი და აქროლადი უფერო სითხე, რომელიც მიიღება სახამებლისა და შაქრის შემცველი ნივთიერებების გამოხდით. *ეთილის სპირტი. ღვინის სპირტი.* ■ სპირტიანი რაც სპირტს შეიცავს. *სპირტიანი სასმელი.*

სპირტქურა *სპირტქურის* სპეციალური ქურა, რომლის საწვავიც სპირტია, იყენებენ ლაბორატორიებსა და საველე პირობებში.

სპონსორი *სპონსორის* ფიზიკური პირი ან ორგანიზაცია, რომელიც ამა თუ იმ საქმიანობას ან ღონისძიებას აფინანსებს და თან საკუთარი ნაწარმის, ორგანიზაციის რეკლამირებას ახდენს. *მთავარი სპონსორი. სპონსორები მოიზიდეს.*

სპონტანური *სპონტანურის* 1. რაც გარეშე მიზეზებით შეპირობებული არ არის, თავისთავადი. *სპონტანური ცვლილება.* 2. დაუგეგმავი, წინასწარი განზრახვის გარეშე ჩადენილი, გაკეთებული. *სპონტანური ინტერვიუ.* ▲ სპონტანურად ზმნიზ. სპონტანური სახით. *სპონტანურად გადაწყვიტა.*

სპორადული *სპორადულის* არასისტემური, არახშირი, იშვიათი. *სპორადული მოვლენები.*

სპორტი *სპორტის* ფიზიკურ ვარჯიშთა ერთობლიობა, რომლის მიზანია ორგანიზმის გაძლი-

ერება და გაკაჟება. *სამთო-სათხილამური სპორტი. სანაოსნო სპორტი.* ■ **სპორტული** სპორტთან დაკავშირებული, სპორტისთვის განკუთვნილი. *სპორტული ფორმები. სპორტული შეჯიბრება. სპორტული თამაში.*

**სპორტსმენი** *სპორტსმენის* პირი, რომელიც სისტემატურად მისდევს სპორტს. *სპორტსმენთა შეჯიბრება. სპორტსმენებთან შეხვედრა.*

**სპრინტერი** *სპრინტერის* მოკლე მანძილზე მორბენალი.

**სპრინტი** *სპრინტის* სპორტული შეჯიბრება მოკლე დისტანციაზე (სირბილში, ცურვასა და მისთ.).

**სრესა** *სრესის* (სრესს, ისრესს, უსრესს, ისრისება, ასრესინებს) 1. ↑ გასრესა. *გველს ფეხით სრესს.* 2. ↑ დასრესა. *ფოთოლს სრესდა.* 3. ↑ მოსრესა. *თვალებს ისრესს. შუბლს ისრესს.*

**სრიალა** *სრიალას* გლუვი, პრიალა. *სრიალა ზედაპირი.*

**სრიალი** *სრიალის* (სრიალებს, ასრიალებს) გადაადგილება გლუვ ზედაპირზე. *ყინულზე სრიალი. ციგით სრიალებენ.*

**სროლა** *სროლის* (ისვრის, ესვრის) 1. ↑ ასროლა. *ბურთის სროლა.* 2. ↑ გასროლა. *თოფის სროლა. ქვებს ისვრიან.*

**სრულად** ზმნიზ. სრულყოფილად, მთლიანად. *სრულად გადასცა საბუთები.*

**სრულებით** ზმნიზ. იგივეა, რაც სრულიად. *სრულებით ვერ ხედავს. სრულებით შესაძლებელია.*

**სრული** *სრულის* 1. რასაც არაფერი აკლია, უნაკლო, მთლიანი. *სრული ცოდნა. სრული ნეტარება.* 2. თავიდან ბოლომდე არსებული, მთლიანი, უნაკლო. *სრული ნდობით სარგებლობს. სრულ მორჩილებას უცხადებს.* 3. საბოლოო, რაც რაიმეს განვითარებას ასრულებს. *სრული გამარჯვება. სრული მარცხი განიცადა.* 4. კარგი, მსხვილი, მოსული. *სრული თავთავი. სრული ნაყოფი.* 5. საუბრ. დიდი (ოდნავ გრძელი ან განიერი) ტანსაცმელი, ფეხსაცმელი. 6. უეჭველი, უდავო, ზუსტი. *სრული ჭეშმარიტება.*

**სრულიად** ზმნიზ. სავსებით, სულ, მთლიანად. *სრულიად ახალი პროფესია. სრულიად არ შეესაბამება. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი.*

**სრულმეტრაჟიანი** *სრულმეტრაჟიანის* რასაც სრული ფორმატი აქვს. *სრულმეტრაჟიანი ფილმი.*

**სრულუფლებიანი** *სრულუფლებიანის* ვისაც ვინმესგან ყოველნაირი უფლებები აქვს მინიჭებული. *სრულუფლებიანი ელჩი. სრულუფლებიანი წარმომადგენელი.*

**სრულფასოვანი** *სრულფასოვნის* მაღალი ღირებულების, ხარისხის მქონე, სრულყოფილი. *სრულფასოვანი შრომა. სრულფასოვანი განათლება.* ▲ **სრულფასოვნად** ზმნიზ. მაღალხარისხოვნად, სრულყოფილად. *სრულფასოვნად ფუნქციონირებს.*

**სრულქმნილი** *სრულქმნილის* წიგნ. იგივეა, რაც სრულყოფილი. *სრულქმნილი არსება.*

**სრულყოფა** *სრულყოფის* (სრულყოფს) ბოლომდე დასრულება, დახვეწა, გაუმჯობესება. *მეთოდის სრულყოფა. ბიუჯეტი სრულყვეს.*

**სრულყოფილება** *სრულყოფილების* უნაკლოდ ყოფნა, სრულფასოვნება. *სრულყოფილებამდე ბევრი აკლია. ნამუშევრის სრულყოფილება.*

**სრულყოფილი** *სრულყოფილის* უნაკლო, დახვეწილი. *სრულყოფილი სახე. სრულყოფილი ტილო.* ▲ **სრულყოფილად** ზმნიზ. მთლიანად, ამომწურავად, ბოლომდე. *ამბავი სრულყოფილად გადმოსცა.*

**სრულწლოვანება** *სრულწლოვანების* ასაკი, რომლის მიღწევის შემდეგაც ადამიანი სრულუფლებიან მოქალაქედ ითვლება. *სრულწლოვანებას მიაღწია.*

**სრულწლოვანი** *სრულწლოვნის* ვინც სრულწლოვანების ასაკს მიაღწია. *სრულწლოვანი ბიჭი.*

**სრუტე** *სრუტის* ორი ზღვის ან ოკეანის შემაერთებელი წყლის ვიწრო ზოლი. *ბოსფორის სრუტე.*

**სრუტვა** *სრუტვის* (ისრუტავს) ↑ შესრუტვა. *მცენარეები ტენს ნიადაგიდან ისრუტავენ.*

**სრუტუნი** *სრუტუნის* (სრუტუნებს) გაძნელებული სუნთქვა სპეციფიკური ხმის გამოცემით. *სრუტუნი დაიწყო. საშინლად სრუტუნებს.*

**სტაბილიზატორი** *სტაბილიზატორის* მექანიზმი, რომელიც ავტომატურად ინარჩუნებს მოძრაობის ან ელექტრული ძაბვის მუდმივობას, გამოყენება ელექტროხელსაწყოებში, რადიო- და ტელეაპარატურაში. *ავტომობილის სტაბილიზატორი. ტელევიზორის სტაბილიზატორი.*

**სტაბილიზაცია** *სტაბილიზაციის* რაიმეს სტაბილურ მდგომარეობაში მოყვანა. *სტაბილიზაციას ახდენს.*

**სტაბილური** *სტაბილურის* მყარი, მდგრადი, უცვლელი. *სტაბილური მდგომარეობა.* ▲ **სტაბილურად** ზმნიზ. მყარად, უცვლელად, მუდმივად. *ენერგია სტაბილურად მიეწოდება.*

**სტაგნაცია** *სტაგნაციის* საზოგადოებრივი, პოლიტიკური ან ეკონომიკური ცხოვრების განვითარების შეფერხება, უძრაობა. *სტაგნაციას განიცდის.*

**სტადია** *სტადიის* რაიმეს განვითარების საფეხური, პერიოდი. *ყვავილობის სტადია. დაავადების ბოლო სტადია.*

**სტადიონი** *სტადიონის* სპორტული ნაგებობა, რომელიც აერთიანებს მოედნებსა და მაყურებელთა ტრიბუნებს. *ფეხბურთის სტადიონი.*

სტაიერი *სტაიერის* გრძელ დისტანციებზე მორბენალი.

სტალაგმიტი *სტალაგმიტის* ჭერიდან ჩამოდენილი წყლით გამოწვეული ვერტიკალური კიროვანი ნარმონაქმნი მღვიმეებისა და გამოქვაბულების იატაკზე.

სტალაქტიტი *სტალაქტიტის* გრუნტის წყლების გაჟონვით გამოწვეული, ყინულის ლოლოს მსგავსი კიროვანი წარმონაქმნი მღვიმეებისა და გამოქვაბულების ჭერზე.

სტამბა *სტამბის* წარმოება, სადაც იბეჭდება წიგნები, ჟურნალები, გაზეთები და სხვა პოლიგრაფიული ნაწარმი. *სტამბის მუშა.*

სტამბური *სტამბურის* სტამბაში დაბეჭდილი. *სტამბური გამოცემა. სტამბური პროდუქცია.*

სტანდარტი *სტანდარტის* ნიმუში, რომლის მახასიათებლებს, ხარისხს უნდა შეესაბამებოდეს ნაწარმი. *თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად.*

სტანდარტიზაცია *სტანდარტიზაციის* რაიმეს მიმართ სტანდარტის, ანუ ერთიანი მოთხოვნების დადგენა, ერთგვაროვნების განხორციელება ან რაიმეს წარმოება სტანდარტის თანახმად. *ნაწარმის სტანდარტიზაცია.*

სტანდარტული *სტანდარტულის* სტანდარტის, დადგენილი მოთხოვნების შესაბამისი, ერთგვაროვანი. *სტანდარტული საქონელი.*

სტაჟი *სტაჟის* შრომითი საქმიანობის ხანგრძლივობა. *მუშაობის 10 წლის სტაჟი.*

სტაჟიორი *სტაჟიორის* პირი, რომელიც გამოსაცდელი ვადით მუშაობს რომელიმე ორგანიზაციაში ან დანესებულებაში. *სტაჟიორად მიიღეს.*

სტარტი *სტარტის* 1. სპორტული შეჯიბრების დაწყების ან საფრენი აპარატის აფრენის მომენტი. *სტარტი აიღო.* 2. ადგილი, საიდანაც იწყება სპორტული შეჯიბრება. *სტარტის ხაზი.*

სტატია *სტატიის* იგივეა, რაც წერილი (2). *ვრცელი სტატია. სამეცნიერო სტატია.*

სტატიკური *სტატიკურის* უძრავი, ერთ მდგომარეობაში დაფიქსირებული. *სტატიკური მდგომარეობა.*

სტატისტი *სტატისტის* თეატრსა და კინოში უსიტყვო მეორეხარისხოვანი როლების შემსრულებელი მსახიობი.

სტატისტიკა *სტატისტიკის* მეცნიერება, რომელიც შეისწავლის რაოდენობრივ ცვლილებებს საზოგადოების, ამა თუ იმ სფეროს განვითარებაში. *შობადობის სტატისტიკა. სტატისტიკის დეპარტამენტი.* ■ სტატისტიკური სტატისტიკასთან დაკავშირებული. *სტატისტიკური მონაცემები.*

სტატისტიკოსი *სტატისტიკოსის* სტატისტიკის სპეციალისტი.

სტატუა *სტატუის* ადამიანის, ცხოველის ან ფანტასტიკური არსების სრული სკულპტურული გამოსახულება. *მოედანზე სტატუა დგას.*

სტატუეტი *სტატუეტის* მცირე ზომის სკულპტურული გამოსახულება, ჩვეულებრივ, ოთახის მოსართავი ელემენტი. *სტატუეტები ჩამოამწკრივა.*

სტატუსი *სტატუსის* ნიგნ. სამართლებრივი მდგომარეობა. *ახალი სტატუსი.*

სტატუს-კვო *სტატუს-კვოს* გარკვეული მომენტისთვის არსებული მდგომარეობა, ვითარება საერთაშორისო სამართლის მიხედვით.

სტაფილო *სტაფილოს* ორწლიანი ბოსტნეული, იკეთებს მოყვითალო-ნითელ გამსხვილებულ ბოლქვს, რომელიც იჭმება. *სტაფილოს სალათი.*

სტაფილო



სტაფილოკოკი *სტაფილოკოკის* მედიც. (ძირითადად მრ.) დაჩირქების გამომწვევი მიკრობი. *სტაფილოკოკების რაოდენობა.*

სტაფილოსფერი *სტაფილოსფრის* მოყვითალო წითელი, რაც ფერით სტაფილოს ჰგავს.

სტაციონარი *სტაციონარის* 1. იგივეა, რაც საავადმყოფო. *სტაციონარში მოათავსეს. სტაციონარი ააშენეს.* 2. უძრავი, ერთ ადგილზე დამკვიდრებული დანესებულება.

სტაციონარული *სტაციონარულის* სტაციონარის ტიპისა. *სტაციონარული დანესებულება.*

სტელა *სტელის* ვერტიკალურად დაყენებული მემორიალური ძეგლი (სვეტი ან ფილა), ჩვეულებრივ, ზედ ამოკვეთილი წარწერით ან გამოსახულებით.

სტელაჟი *სტელაჟის* 1. თაროების მრავალსართულიანი სისტემა. 2. მოწყობილობა რაიმეს ვერტიკალურ მდგომარეობაში დასაყენებლად.

სტენდი *სტენდის* დაფა, რომელზეც გამოფენის ექსპონატებს, განცხადებებსა და მისთ. ათავსებენ. *სტენდზე სურათებია გამოფენილი.*

სტენდი

სტენოგრაფია *სტენოგრაფიის* განსაკუთრებული ნიშნებისა და შემოკლებების გამოყენებით ზეპირი მეტყველების სწრაფად ჩაწერის წესი. *სტენოგრაფიის კურსები.*

სტენოგრაფიული *სტენოგრაფიულის* სტენოგრაფით შესრულებული. *სტენოგრაფიული ჩანაწერი.*

სტეპი *სტეპის* გეოგრ. უტყეო, ბალახიანი ველი მშრალი ჰავის ზონაში. *უკიდეგანო სტეპი.*

სტერეოტიპი *სტერეოტიპის* 1. საყოველთაოდ

მიღებული, ორიგინალურობას მოკლებული აზრი, შეხედულება, ფორმა. *სტერეოტიპების მსხვრევა.*

სტერეოტიპული *სტერეოტიპულის* უცვლელად გამეორებული, შაბლონური, სტანდარტული. *სტერეოტიპული აზროვნება.*

სტერილიზატორი *სტერილიზატორის* აპარატი, რომელიც სპობს მიკროორგანიზმებს მაღალი ტემპერატურის ზემოქმედებით, ფილტრაციით, ქიმიური ნივთიერებებით. *საკვები პროდუქტების სტერილიზატორი. სამედიცინო სტერილიზატორი.*

სტერილიზაცია *სტერილიზაციის* 1. მიკროორგანიზმების მოსპობა მაღალი ტემპერატურის ზემოქმედებით, ფილტრაციით ან ქიმიური ნივთიერებებით. *საკვები პროდუქტების სტერილიზაცია.* 2. ცხოველის ან ადამიანისთვის განაყოფიერების უნარის მოსპობა ხელოვნური ჩარევის გზით.

სტერილიზებული *სტერილიზებულის* რის სტერილიზაციაც მოხდა. *სტერილიზებული რძე.*

სტერილური *სტერილურის* 1. მავნე მიკრობებისგან სრულიად განმენდილი, უსაფრთხო. *სტერილური ბამბა.*

სტერლინგი *სტერლინგის* გირვანქა სტერლინგი – დიდი ბრიტანეთის ფულადი ერთეული.

სტვენა *სტვენის* (სტვენს, უსტვენს) 1. სპეციფიკური მკვეთრი ხმის გამოცემა ტუჩების მომრგვალებით, თითების პირში ჩადებით ან სპეციალურ ხელსანყოში ჩაბერვით. *სტვენა გაისმა. ნუ უსტვენ!* 2. ზოგიერთი ჩიტის ჭიკჭიკი. *ბულბულის სტვენა.*

სტვირი *სტვირის* ხის ჩასაბერი საკრავი, ამზადებენ მცენარის ღრუ ღეროსგან. *მწყემსის სტვირი.*

სტილი *სტილის* 1. ხელოვნების ამა თუ იმ მიმდინარეობისთვის ან ცალკეული შემოქმედისთვის დამახასიათებელი გამომსახველობითი საშუალებების ერთობლიობა. *შუა საუკუნეების არქიტექტურული სტილი. ბაროკოს სტილი.* 2. ამა თუ იმ მწერლის, ლიტერატურული მიმდინარეობის ენობრივ თავისებურებათა ერთობლიობა. *ილიას სტილი. გალაკტიონის სტილი.* 3. ქცევის ან მოქმედების თავისებურებები, მანერა. *ჩაცმის სტილი. სიმღერის სტილი.* 4. წელთაღრიცხვის სისტემა. *ძველი სტილით.* ▪ სტილური სტილთან დაკავშირებული. *მოთხრობის სტილური თავისებურება.*

სტილიზაცია *სტილიზაციის* რაიმეს ჟანრობრივი ან სტილური მიბაძვა.

სტილიზებული *სტილიზებულის* სხვისი მიბაძვით, სტილიზაციის შედეგად შექმნილი. *სტილიზებული ავეჯი.*

სტილისტი *სტილისტის* 1. სპეციალისტი, რომელიც ტექსტის სტილს ასწორებს, ხვენს. 2. პირი, რომელიც ვარცხნილობის, ჩაცმულობისა და მისთ. მხატვრულ გაფორმებაზე მუშაობს. *მომღერლის სტილისტი.*

სტილისტური *სტილისტურის* სტილისტიკასთან, სტილთან (2) დაკავშირებული. *სტილისტური ხარვეზი. სტილისტური თავისებურება.*

სტიმული *სტიმულის* მოქმედების მიზეზი, ბიძგი, რაიმე ქმედების სურვილი ან ინტერესი. *სტიმული მიეცა.*

სტიმულირება *სტიმულირების* 1. სტიმულის მიცემა, წახალისება. 2. ორგანიზმის რომელიმე ფუნქციის ჩართვა, ამოქმედება.

სტიპენდია *სტიპენდიის* ყოველთვიური ფულადი დახმარება, რომელიც ეძლევათ სტუდენტებს, მაგისტრანტებს. *სტიპენდია დაენიშნა. წამახალისებელი სტიპენდია.*

სტიპენდიანტი *სტიპენდიანტის* პირი, რომელიც სტიპენდიას იღებს. *სახელობითი სტიპენდიანტი.* შეცდომაა სტიპენდიანტი

სტიქარი *სტიქარის* მღვდლის დამხმარის, მნათე‧ის გრძელი, ფართოსახელოებიანი, ძვირფასი ქსოვილის სამოსელი. *სტიქარით შეიმოსა.*

სტიქაროსანი *სტიქაროსნის* ეკლესიის მსახური, ვინც სტიქარს ატარებს, სტიქარითაა შემოსილი.

სტიქია *სტიქიის* 1. დამანგრეველი ძალის მქონე ბუნების მოვლენა (ქარიშხალი, მიწისძვრა, ნყალდიდობა და მისთ.). 2. ვინმესთვის ჩვეული, კარგად მორგებული გარემო. *თავის სტიქიაშია.*

სტიქიური *სტიქიურის* 1. სტიქიით გამოწვეული, დაზიანებული. *სტიქიური ზონა. სტიქიური უბედურება.* 2. მოულოდნელი, გაუთვალისწინებული, საშიში (ფაქტი, მოვლენა). *სტიქიური გამოსვლები დაიწყო. სტიქიური თავდასხმა.*

სტიქიურობა *სტიქიურობის* მოვლენების, ფაქტების მოულოდნელი, არაორგანიზებული, გაუთვალისწინებელი განვითარება. *სტიქიურობით ხასიათდება.*

სტომატოლოგი *სტომატოლოგის* კბილის ექიმი. *სტომატოლოგის კაბინეტი.*

სტომატოლოგია *სტომატოლოგიის* მედიცინის დარგი, რომელიც შეისწავლის კბილების, ყბებისა და პირის ღრუს სხვა ორგანოთა დაავადებებს. ▪ სტომატოლოგიური სტომატოლოგიასთან დაკავშირებული. *სტომატოლოგიური კლინიკა. სტომატოლოგიური განყოფილება.*

სტომაქი *სტომაქის* საუბრ. მუცელი. *სტომაქი ამოივსო.*

სტრატეგი *სტრატეგის* სამხედრო პირი, რომელიც კარგად იცნობს საბრძოლო ხელოვნებას და სნორად წარმართავს საომარ მოქმედებებს. *დიდი სტრატეგი.*

სტრატეგია *სტრატეგიის* 1. მეცნიერება, რომე-

ლიც შეისწავლის ომის წარმართვის თეორიულ და პრაქტიკულ ასპექტებს. *ბრძოლის სტრატეგია. მონინააღმდეგის სტრატეგია.* 2. გადატ. საზოგადოებრივ-პოლიტიკური ბრძოლის, სპორტული შეჯიბრებისა და მისთ. წარმართვის ხელოვნება. *სწორი სტრატეგია აირჩია.* ■ სტრატეგიული სტრატეგიასთან დაკავშირებული, სტრატეგიით განსაზღვრული. *სტრატეგიული ბრძოლა. სტრატეგიული ხედვა. სტრატეგიული გეგმა.*

სტრეპტოკოკი *სტრეპტოკოკის* მედიც. (ძირითადად მრ.) დაავადების გამომწვევი ბაქტერიები, რომლებიც ჯაჭვისებურ გაერთიანებებს ქმნიან. *სტრეპტოკოკების უხვი ზრდა.*

სტრესი *სტრესის* ადამიანზე არახელსაყრელი გარემოს ზემოქმედების შედეგად გამოწვეული ძლიერი ნერვული დაძაბულობა. *სტრესის მოხსნა.*

სტრიქონი *სტრიქონის* ერთ ხაზზე დაწერილი ან დაბეჭდილი სიტყვების, ასოების ან სხვა ნიშნების რიგი. *მოკლე სტრიქონი. ლექსის სტრიქონი.*

სტროფი *სტროფის* პოეტური ტექსტის ნაწილი, შედგენილი რამდენიმე ტაეპისგან, რომლებსაც საერთო შინაარსი და რიტმულობა ახასიათებს. *პირველი სტროფი. ხუთტაეპიანი სტროფი.*

სტრუქტურა *სტრუქტურის* რაიმეს შემადგენელი ნაწილების ურთიერთმიმართება, აგებულება. *სახელმწიფოს სტრუქტურა. წიგნის სტრუქტურა. ენის სტრუქტურა.*

სტრუქტურული *სტრუქტურულის* სტრუქტურით მოცემული ან ნარმოდგენილი, სტრუქტურასთან დაკავშირებული. *სტრუქტურული ცვლილებები. სტრუქტურული რეორგანიზაცია.*

სტუდენტი *სტუდენტის* უმაღლესი სასწავლებლის მოსწავლე. *სტუდენტთა სამკითხველო დარბაზი. უნივერსიტეტის სტუდენტი. სტუდენტთა ფორუმი.* ■ სტუდენტური სტუდენტის დამახასიათებელი. *სტუდენტური ცხოვრება.*

სტუდია *სტუდიის* 1. ადგილი, სადაც ამზადებენ რადიო- და ტელეგადაცემებს და უშვებენ ეთერში. *სატელევიზიო სტუდია. ახალი სტუდია.* 2. სკოლა, რომელიც მხატვრებს ან მსახიობებს ამზადებს. *სამხატვრო სტუდია. საოპერო სტუდია.* 3. მოქანდაკის ან მხატვრის სახელოსნო.

სტუმართმოყვარე *სტუმართმოყვარის* ადამიანი, ვისაც სტუმრის მოსვლა უხარია, სტუმრის გამასპინძლება უყვარს. *სტუმართმოყვარე ბიჭი. სტუმართმოყვარე ოჯახი.*

სტუმართმოყვარეობა *სტუმართმოყვარეობის* სტუმრის მოსვლის, სტუმრის გამასპინძლების, პატივისცემის სიყვარული. *სტუმართმოყვარეობით ცნობილი.*

სტუმარი *სტუმრის* ვინმესთან, სადმე (სახლში, ოჯახში) მისული ან დაპატიჟებული, მიწვეული პირი. *სტუმრის პატივისცემა. უცხოელი სტუმარი. დაუპატიჟებელი სტუმარი. სტუმრად წავიდა.* ■ სტუმრიანი ვისაც ბევრი სტუმარი ჰყავს ხშირად. *სტუმრიანი ოჯახი.*

სტუმარ-მასპინძელი *სტუმარ-მასპინძლის* სტუმარი და მასპინძელი. *სტუმარ-მასპინძლები ერთმანეთს გამოემშვიდობნენ.*

სტუმრიანობა *სტუმრიანობის* სტუმრების მოსვლა. *დიდი სტუმრიანობა აქვთ. ხშირი სტუმრიანობა.*

სტუმრობა *სტუმრობის* (ესტუმრება) სტუმრად მისვლა. *პრეზიდენტის სტუმრობა. მეგობარს ესტუმრა.*

სუ შორისდ. გაჩუმდი! *სუ, ნუ ხმაურობ! სუ, ნუ ტირი!*

სუბიექტი *სუბიექტის* ადამიანი, როგორც ცნობიერების მქონე არსება, რომელიც შეიმეცნებს სამყაროს და მოქმედებს.

სუბიექტური *სუბიექტურის* 1. პიროვნების აზრის გამომხატველი, პირადული. *სუბიექტური განცდა.* 2. არაობიექტური, მიკერძოებული. *სუბიექტური შეფასება. სუბიექტური მიდგომა.* ▲ სუბიექტურად ზმნიზ. არაობიექტურად, უსამართლოდ. *სუბიექტურად მიღებული გადაწყვეტილება.*

სუბიექტურობა *სუბიექტურობის* სუბიექტური, პირადი შეხედულებით. *სუბიექტურობა ახასიათებს.*

სუბორდინაცია *სუბორდინაციის* სამსახურებრივი სისტემა, როცა ხელქვეითები მკაცრად ემორჩილებიან თავიანთ ზემდგომებს.

სუბსიდია *სუბსიდიის* ადგილობრივი ორგანოებისთვის, ფირმებისთვის, ცალკეული პირებისთვის ან სხვა სახელმწიფოებისთვის გაწეული ფულადი ან ნივთიერი დახმარება სახელმწიფოს ან სპეციალური ფონდების მიერ. *სოციალური სუბსიდიები.*

სუბსიდირება *სუბსიდირების* სუბსიდიის გამოყოფა. *სკოლების სუბსიდირება.*

სუბსტანცია *სუბსტანციის* ფილოს. პირველადი საფუძველი, ყველა საგნის არსი.

სუბტროპიკი *სუბტროპიკის* (ძირითადად მრ.) ფიზიკურ-გეოგრაფიული ზონა, რომელიც აკრავს ტროპიკებს. *სუბტროპიკების კლიმატი. სუბტროპიკების ბინადარი.*

სუბტროპიკული *სუბტროპიკულის* სუბტროპიკებისთვის დამახასიათებელი, სუბტროპიკებთან დაკავშირებული. *სუბტროპიკული ჰავა. სუბტროპიკული მცენარეები.*

სუდარა *სუდარის* მიცვალებულის გასახევი ქსოვილი, საფარი. *თეთრი სუდარა.*

სუვენირი *სუვენირის* სამახსოვრო ნივთი. *ორიგინალური სუვენირი. ტურისტებმა სუვენირები შეიძინეს.*

სუვერენიტეტი *სუვერენიტეტის* სახელმწიფოს დამოუკიდებლობა. *ქვეყნის სუვერენიტეტი. სუვერენიტეტის აღიარება.*

სუვერენული *სუვერენულის* 1. სუვერენიტეტის მფლობელი. *სუვერენული სახელმწიფო.* 2. უზენაესი ძალაუფლების მქონე. *სუვერენული მმართველი.*

სუკი *სუკის* საკლავის ზურგიდან ხერხემლის ორივე მხარეს გრძლად აჭრილი რბილი ხორცი. *სუკის მწვადები.*

სულ ზმნიზ. 1. მთლიანად, მთლად, სრულად, სავსებით. *ტკივილმა სულ გაუარა. სულ მან დაწერა.* 2. ყოველთვის მუდამ. *სულ იცინის. სულ სხვებს სთხოვს დახმარებას.* 3. მხოლოდ. *ფირმაში სულ ახალგაზრდები მუშაობენ. სულ ოცი ლარი ღირს.*

სულადობა *სულადობის* საერთო რაოდენობა ადამიანების, ცხოველების, ფრინველების. *ოჯახის სულადობა. სულადობა გაიზარდა. ნახირის სულადობა.*

სულადობრივი *სულადობრივის* სულადობის მიხედვით განსაზღვრული, სულადობიდან გამომდინარე. *სულადობრივი გადასახადი. სულადობრივი მატება.*

სულაც ზმნიზ. იგივეა, რაც სულ (1). *იქნებ, სულაც აქ მოსწონს. სულაც არ ფიქრობს დარჩენას.*

სულგაკმენდილი *სულგაკმენდილის* გაჩუმებული, უსიტყვოდ მყოფი. *სულგაკმენდილი უსმენდა.*

სულგანაბული *სულგანაბულის* იგივეა, რაც სულგაკმენდილი. *სულგანაბული ბულბული.*

სულგანათლებული *სულგანათლებულის* ცხონებული. *სულგანათლებული ადამიანი.*

სულგრძელი *სულგრძელის* მიმტევებელი, ყველაფრის მპატიებელი. *სულგრძელი კაცი. სულგრძელი პიროვნება.*

სულგუნი *სულგუნის* ყველის სახეობა, რძეში მოხარშული და გადაზელილი ყველი. *შემწვარი სულგუნი..*

სულდგმული *სულდგმულის* სულიერი, ცოცხალი არსება. *ყველა სულდგმულს უხარია სიცოცხლე.*

სულელი *სულელის* უჭკუო, უგუნური, ვინც არაფერზე ფიქრობს, არაფერს იაზრებს. *სულელი გოგო. სულელი ბავშვი.*

სულელობა *სულელობის* (სულელობს) 1. დაუფიქრებლად, უჭკუოდ ქცევა. *ნუ სულელობ!*

სულელური *სულელურის* სულელის მსგავსი, სულელის დამახასიათებელი, უგუნური. *სულელური გადაწყვეტილება. სულელური ლაპარაკი.* ▲ სულელურად ზმნიზ. სულელის მსგავსად, უჭკუოდ, უგუნურად. *სულელურად იცინის. სულელურად იქცევა.*

სულთამხუთავი *სულთამხუთავის* მკვლელი, ძლიერ შემაწუხებელი, სიკვდილამდის მიმყვანი. *მოვიდა შენი სულთამხუთავი.*

სულთანი *სულთნის* მონარქი ზოგიერთ მუსლიმურ ქვეყანაში. *სულთნის სასახლე.*

სულთმობრძავი *სულთმობრძავის* მომაკვდავი, აგონიაში მყოფი. *სულთმობრძავმა ცოტა მოიხედა.*

სული *სულის* 1. რაც სხეულთან ერთად ქმნის ადამიანის არსებას და, მორწმუნეთა აზრით, ადამიანის სიკვდილის შემდეგაც განაგრძობს არსებობას. *სულის უკვდავება.* 2. პიროვნების ფსიქიკური თვისებების (ცნობიერების, გრძნობების, განცდის, მიდრეკილებების) ერთობლიობა, რომელიც განსაზღვრავს მის ქმედებას. *სულის სიმშვიდე მოიპოვა.* 3. იდეალისტურ ფილოსოფიაში არამატერიალისტური საწყისი, რომელიც წარმოადგენს ბუნების, საგნებისა და მოვლენების მამოძრავებელ ძალას. 4. ზებუნებრივი არსება. *ბოროტი სული. ავი სული.* 5. ამოსუნთქული ჰაერი. *სული შეუბერა.* 6. ცალკეული ადამიანი ან ცხოველი (თვლის დროს). *სახლში ოთხი სული ვცხოვრობთ.* ⊙ ერთი სული აქვს საუბრ. ეერ ითმენს, ძალიან ეჩქარება. ⊙ მიწამდე სული არ დაჰყვება საიდანმე გადმოვარდნილი ცოცხალი ვერ მიაღწევს მიწამდე, მოკვდება. ⊙ რა გინდა, სულო და გულო ყველაფერი, რაც კი შეიძლება ინატროს კაცმა. ⊙ სულზე მიუსწრო ბოლო მომენტში მივიდა, უკანასკნელ წუთზე უშველა. ⊙ სული კბილით უჭირავს თავს ძლივს იკავებს. ⊙ სული მისდის რაიმეს ძლიერი სურვილი აქვს, ვერ ითმენს. ⊙ სული უდგას საუბრ. ცოცხლობს. ⊙ სული შეეხუთება სუნთქვა გაუძნელდება. ⊙ სული წასძლევს ცდუნებას აჰყვება, შეცდება. ⊙ სულით ავადმყოფი ფსიქიკურად დაავადებული. ⊙ სულით ხორცამდე მთელი არსებით. ⊙ სულითა და გულით დიდი გრძნობით, დიდი მონდომებით. ⊙ სულიც გასძრომია საუბრ. არ მენაღვლება, თუნდაც მოკვდეს. ⊙ სულს ამოხდის წამებით, ტანჯვით სიკვდილის პირამდე მიიყვანს, მოკლავს. ⊙ სულს დალევს გარდაიცვლება, მოკვდება. ⊙ სულს მოიბრუნებს (მოითქვამს) შეისვენებს. ⊙ სულს უხუთავს ძალიან ავიწროვებს, ზღუდავს. ⊙ სულს ღაფავს სიკვდილის პირასაა. ⊙ სულში ჩაიძვრენს ძალიან ეყვარება, განსაკუთრებულ მზრუნველობას გამოიჩენს. ⊙ შენი (მისი) სული ჩემს ხელშია! საუბრ. რასაც მინდა, იმას გიზამ!

სულიერება *სულიერების* არამატერიალურ ფასეულობათა ერთობლიობა, რწმენა. *ერის სულიერება.*

სულიერი *სულიერის* 1. სულდგმული, ცოცხალი არსება. *სულიერი არ ჭაჭანებს.* 2. არამატერიალური, არახორციელი. *სულიერი კავშირი.* ▲ სულიერად ზმნიზ. სულით, შინაგანად. *სულიერად ძლიერი პიროვნება.*

სულისკვეთება *სულისკვეთების* ადამიანის გან-

ნყობა, სურვილი, მისწრაფება. *საერთო სულისკვეთება. პატრიოტული სულისკვეთება.*

**სულისჩამდგმელი** *სულისჩამდგმელის* წიგნ. მაცოცხლებელი, სიცოცხლის მიმნიჭებელი. *სულისჩამდგმელი მშვენიერება.*

**სულიწმინდა** *სულიწმინდის* წმინდა სამების მესამე სახე ქრისტიანულ რელიგიაში. *სულიწმინდის მადლი.*

**სულმდაბალი** *სულმდაბლის* უზნეო, ყველა სიავის ჩამდენი. *სულმდაბალი კაცი.*

**სულმდაბლობა** *სულმდაბლობის* უზნეობა, უღირსი საქციელი. *სულმდაბლობა გამოიჩინა.*

**სულმნათი** *სულმნათის* წიგნ. ცხონებული (ამბობენ გარდაცვალებულზე დიდი პატივისცემის, მოწინების გამოსახატავად). *სულმნათი მამა-პაპა.*

**სულმოკლე** *სულმოკლის* არადიდსულოვანი, სულმდაბალი. *სულმოკლე კაცი.*

**სულმოკლეობა** *სულმოკლეობის* სიმდაბლე, მიტევების უნარის არქონა. *სულმოკლეობა ახასიათებს.*

**სულმოუთქმელად** ზმნიზ. შეუსვენებლად, გაუჩერებლად. *სულმოუთქმელად აიარა აღმართი. სულმოუთქმელად ჩაიკითხა.*

**სულსწრაფი** *სულსწრაფის* მოუთმენელი, დაუფიქრებელი, სიდინჯეს მოკლებული. *სულსწრაფი კაცია.*

**სულსწრაფობა** *სულსწრაფობის* მოუთმენლობა, თავშეუკავებლობა. *სულსწრაფობამ დაღუპა. სულსწრაფობით დაემართა.*

**სულშემხუთველი** *სულშემხუთველის* აუტანელი, გაუსაძლისი. *სულშემხუთველი გარემო.*

**სულწასული** *სულწასულის* იგივეა, რაც სულსწრაფი. *ნუ იქნები სულწასული!*

**სულწასულობა** *სულწასულობის* იგივეა, რაც სულსწრაფობა. *სულწასულობამ სძლია.*

**სულწაწყმედილი** *სულწაწყმედილის* ვინც ცოდვა ჩაიდინა, სული წაინყმიდა. *სულწაწყმედილი დედაბერი.*

**სუმბული** *სუმბულის* ბოლქვიანი მცენარე, აქვს თეთრი, ლურჯი ან ვარდისფერი სურნელოვანი ყვავილები.

**სუნამო** *სუნამოს* სურნელოვანი სითხე, ესენციითა და სპირტით დამზადებული პარფიუმერული ნაწარმი. *ფრანგული სუნამო.*

**სუნდაკრული** *სუნდაკრულის* ცოტათი გაფუჭებული, რასაც ცუდი სუნი უდის. *სუნდაკრული ხორცი.*

**სუნელი** *სუნელის* გამხმარი და დაფშვნილი მწვანილეული, რომელსაც ხმარობენ საჭმლის შესაზავებლად. *ხმელი სუნელი. უცხო სუნელი.*

**სუნვა** *სუნვის* (სუნავს, უსუნებს) იგივეა, რაც ყნოსვა (1). *ვარდს სუნავს.*

**სუნთქვა** *სუნთქვის* (სუნთქავს) სასუნთქი ორგანოებით ჰაერის ორგანიზმში შეშვება და გამოშვება. *ძლივს სუნთქავს. ღრმად სუნთქავს.*

**სუნთქვაშეკრული** *სუნთქვაშეკრულის* ვისაც სუნთქვა უჭირს. *დაღლილობისგან სუნთქვაშეკრული.*

**სუნი** *სუნის* ნივთიერების თვისება, მახასიათებელი, რომელიც ყნოსვით აღიქმება. *მძაფრი სუნი. ცუდი სუნი.* ◎ სუნი ეცემა სუნს იგრძნობს.

**სუნსული** *სუნსულის* ცხოველის (ძაღლის, მგლისა და მისთ.) აქეთ-იქით სიარული, სირბილი, როდესაც თან ყნოსვით რაიმეს ეძებს. *მელია დასუნსულებს. სუნსულით მოდის.*

**სუპერმარკეტი** *სუპერმარკეტის* მსხვილი სავაჭრო ობიექტი. *ახალი სუპერმარკეტი.*

სურა

**სურა** *სურის* ფართომუცლიანი და წვრილყელიანი ჭურჭელი წყლის, ღვინისა და მისთ. ჩასასხმელად. *თიხის სურა. წყლის სურა.*

**სურათი** *სურათის* 1. ვინმეს ან რაიმეს ფოტოგრაფიული გამოსახულება. *ბავშვობის სურათი. სურათის გადაღება.* 2. იგივეა, რაც ნახატი. *სურათების გამოფენა.* 3. გადატ. რაიმე სანახაობა, რაიმეს ხედი. *სოფლის სურათი.*

**სურდო** *სურდოს* მედიც. ცხვირის ლორწოვანი გარსის ანთება, რომელსაც ახასიათებს ლორწოვანი სითხის დენა და ცხვირის ცემინება. *სურდო აქვს. სურდოს წამალი.*

**სურვება** *სურვების* (ისურვებს, უსურვებს) სურვილის, ნდომის გამოთქმა, გამოხატვა. *წასვლა ისურვა. კეთილი მგ ზავრობა უსურვა.*

**სურვილი** *სურვილის* (სურს) მონდომება, ნადილი, ნატვრა. *ხატვის სურვილი. მისი ნახვა სურს.*

**სურნელება** *სურნელების* რაიმეს სასიამოვნო სუნი. *ყვავილების სურნელება.*

**სურნელი** *სურნელის* იგივეა, რაც სურნელება. *სასიამოვნო სურნელი. სურნელმა გააბრუა.*

**სურნელოვანი** *სურნელოვნის* სასიამოვნო სუნის მქონე. *სურნელოვანი ბალახი.*

**სურო** *სუროს* მარადმწვანე მცოცავი ბუჩქი, აქვს ღეროებიდან განვითარებული ფესვები, რომლებითაც ეკვრის ხეებს, კედლებსა და კლდეებს.

**სუროგატი** *სუროგატის* რაიმეს არასრულფასოვანი შემცვლელი. *ჩაის სუროგატი.*

**სურსათი** *სურსათის* საკვები პროდუქტები. *სურსათის მომარაგება.*

**სუსამბარი** *სუსამბრის* მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარე, აქვს გვირილისნაირი რთული ყვავილები და ფართო, სურნელოვანი ფოთლები, მოჰყავთ ბაღებში.

**სუსნა** *სუსნის* (სუსნის, ისუსნება) ტკბილეულისა და

მისთ. ცოტ-ცოტა ჭამა. *გაუთავებლად ისუსნება.*

**სუსტად** ზმნიზ. 1. უძლურად, უღონოდ. *სუსტად გრძნობს თავს.* 2. ცუდად, უხარისხოდ. *სუსტად თამაშობს.* 3.არასაკმარისად. *სუსტად ანათებს.*

**სუსტი** *სუსტის* 1. ვინც ძლიერი არ არის, უღონო. *სუსტი ბავშვი. სუსტი ცხენი.* 2. გამხდარი. *სუსტი მოხუცი. სუსტი ხელები.* 3. განუვითარებელი, ჩამორჩენილი. *სუსტი გონება. სუსტი მეხსიერება.* 4. დაბალი ძაბვის, სიმძლავრის მქონე. *სუსტი ენერგია. სუსტი დენი.* 5. ვისაც სათანადო უნარი, შესაძლებლობები არა აქვს. *სუსტი მოსწავლე. სუსტი ხელმძღვანელი.* ⊙ **სუსტი მხარე** ნაკლი, ხარვეზი.

**სუსხვა** *სუსხვის* (სუსხავს, უსუსხავს, ესუსხება) კანზე სიმწვავის შეგრძნება, დაწვა. *ჭინჭარმა დასუსხა.*

**სუსხი** *სუსხის* ძლიერი სიცივე. *დეკემბრის სუსხი.*

**სუსხიანი** *სუსხიანის* რასაც სუსხი ახლავს. *სუსხიანი ამინდი.*

**სუფევა** *სუფევის* (სუფევს) წიგნ. არსებობა, ყოფნა, დასადგურება. *ღვთის სუფევა. მადლი სუფევს. სიჩუმე სუფევს.*

**სუფთა** *სუფთის* 1. რასაც ჭუჭყი არა აქვს, გაწმენდილი, გარეცხილი, დალაგებული, დაგვილი. *სუფთა ფანჯარა. სუფთა ოთახი. სუფთა ჩასაცმელი.* 2. რაც ჯერ არ გამოუყენებიათ. *სუფთა ფურცელი. სუფთა დაფა.* 3. გადატ. კარგად, ოსტატურად გაკეთებული რაიმე. *სუფთა ნაკერი. სუფთა ნაწერი.* 4. რაშიც ჭუჭყი ან სხვა რაიმე მინარევები არ არის, წმინდა. *სუფთა შალი. სუფთა წყალი.* ▲ **სუფთად** ზმნიზ. სუფთა სახით. *სუფთად აცვია.*

**სუფთასისხლიანი** *სუფთასისხლიანის* წმინდა ჯიშის (ცხოველი). *სუფთასისხლიანი ინგლისური ცხენი.*

**სუფლე** *სუფლეს* 1. ტკბილეული, ფაფისებური მასა ათქვეფილ ცილასთან ერთად. *ვაშლის სუფლე.*

**სუფლიორი** *სუფლიორის* პირი, რომელიც მსახიობებს კარნახობს როლის ტექსტს. *თეატრის სუფლიორი.*


სუფრა

**სუფრა** *სუფრის* 1. მაგიდაზე გადასაფარებელი ქსოვილი. *თეთრი სუფრა. მოქარგული სუფრა.* 2. ჭურჭლითა და საჭმელ-სასმლით გაწყობილი მაგიდა. *სავსე სუფრა. სუფრა გაშალა. სუფრას მიუსხდნენ.* 3. სუფრასთან მსხდომი ხალხის კრებული. *მთელი სუფრა სმენად გადაიქცა.*

**სუფრული** *სუფრულის* სუფრაზე შესასრულებელი (სიმღერები). *სუფრული მრავალჟამიერი.*

**სუყველა** *სუყველას* ყველა ერთად. *სუყველა ჩვენთან იკრიბებოდა.*

**სფერო** *სფეროს* 1. სივრცის ნაწილი, რომელიც წარმოქმნილია წრის ბრუნვით საკუთარი ღერძის გარშემო; ამ ფორმის გეომეტრიული სხეული. *ლითონის სფერო. დედამიწის სფერო.* 2. გადატ. ვინმეს მოქმედების, ნების განხორციელების არეალი. *გავლენის სფერო. ინტერესების სფერო.*

**სფერული** *სფერულის* სფეროს მოყვანილობის მქონე. *სფერული საგანი.*

**სქელი** *სქელის* 1. რასაც დიდი სისქე (1) აქვს. *სქელი კედლები. სქელი ფიცრები.* ↔ **თხელი.** 2. რასაც ცოტა წყალი, წვენი აქვს. *სქელი ტყემალი. სქელი ფაფა.* ↔ **თხელი.** 3. ხშირი, უხეში. *სქელი თმა. სქელი ძაფი.* ↔ **თხელი.** 4. საუბრ. იგივეა, რაც მსუქანი. *სქელი ქალი.* ▲ **სქლად** ზმნიზ. სქელი სახით. *კარაქს სქლად წაუსვა.* ■ **სქელ-სქელი** ძალიან მსუქანი. *სქელ-სქელი ბიჭი.*

**სქელტანიანი** *სქელტანიანის* დიდი მოცულობის მქონე (წიგნი). *სქელტანიანი რომანი. სქელტანიანი გამოცემა.*

**სქემა** *სქემის* 1. ნახაზი, რომელიც რაიმეს სტრუქტურას, ნაწილების ურთიერთმიმართებას ასახავს. *ტელევიზორის სქემა.* 2. რაიმეს ზოგადი შინაარსი, ზოგადი აღწერა. *ნაწარმოების სქემა.*

**სქემატური** *სქემატურის* ზოგადი, არადეტალური. *სქემატური გეგმა. სქემატური აღწერა.*

**სქემატურობა** *სქემატურობის* რაიმეს სქემატური ასახვა, წარმოდგენა. *მხატვრული ნაწარმოების სქემატურობა.*

**სქემური** *სქემურის* სქემისთვის დამახასიათებელი, სქემით წარმოდგენილი. *მოწყობილობის სქემური დანართი.*

**სქესი** *სქესის* 1. ცოცხალი არსებების გამრავლებისთვის არსებით ნიშანთა ერთობლიობა, რომლის მიხედვითაც ორგანიზმები იყოფა ორ ჯგუფად: მამრობითად და მდედრობითად. *მდედრობითი სქესის ცხოველი.* 2. სიტყვათა გრამატიკული კლასი ზოგიერთ ენაში. *მამრობითი სქესის სახელები.*

**სქესობრივი** *სქესობრივის* სქესთან (1) დაკავშირებული. *სქესობრივი ცხოვრება. სქესობრივი განსხვავება.*

**სქოლასტიკა** *სქოლასტიკის* 1. შუა საუკუნეებში გავრცელებული ფილოსოფია. 2. გადატ. ცხოვრებას, რეალობას მოწყვეტილი, უაზრო მსჯელობა. ■ **სქოლასტიკური** სქოლასტიკასთან დაკავშირებული, სქოლასტიკისთვის დამახასიათებელი. *სქოლასტიკური ლიტერატურა. სქოლასტიკური მსჯელობა.*

**სქოლიო** *სქოლიოს* განმარტება ან შენიშვნა, რომელიც ტექსტს ახლავს, ჩვეულებრივ მოცემულია გვერდის ბოლოს. *სქოლიო დაურთო.*

**სცენა** *სცენის* 1. თეატრალური წარმოდგენისთვის განკუთვნილი ადგილი. *თეატრის სცენა. სცენაზე*

*გამოვიდა. სცენა ღია ცის ქვეშ.* 2. წარმოდგენის ცალკეული ნაწილი, გამოსვლა. *პიესის ბოლო სცენა.* 3. მხატვრული ნაწარმოების ცალკეული ეპიზოდი. *დასამახსოვრებელი სცენა.* 4. იგივეა, რაც თეატრი. *სცენის მოღვაწეები.*

**სცენარი** *სცენარის* მხატვრული ნაწარმოები, რომლის მიხედვითაც იღებენ ფილმს ან დგამენ წარმოდგენებს. *სცენარის ავტორი.*

**სცენარისტი** *სცენარისტის* მწერალი, რომელიც სცენარს წერს.

**სცენური** *სცენურის* სცენაზე შესრულებული, სცენაზე განხორციელებული. *სცენური სახე. სცენური წარმოდგენა.*

**სწავლა** *სწავლის* (სწავლობს) 1. ცოდნის შეძენა კითხვის, დამახსოვრებისა და მისთ. საშუალებით. *სწავლა უყვარს. გაკვეთილს სწავლობს.* 2. რომელიმე სასწავლებლის მოსწავლედ (სტუდენტად) ყოფნა. *სკოლაში სწავლობს.*

**სწავლება** *სწავლების* (ასწავლის) 1. ვინმესთვის ცოდნის მიცემა, რაიმეს ახსნა, გაგებინება. *სწავლების მეთოდები. სკოლაში ასწავლის.* 2. იგივეა, რაც მოძღვრება. *ქრისტიანული სწავლება.*

**სწავლული** *სწავლულის* ნასწავლი, მეცნიერი. *სწავლული კაცი. სწავლულთა საბჭო.*

**სწორად** ზმნიზ. 1. სწორი მიმართულებით, პირდაპირ. *სწორად გაჭრა.* 2. ისე, როგორც საჭიროა. *სწორად იქცევა. სწორად გადაწყვიტა.*

**სწორება** *სწორების* (ასწორებს, ისწორებს, უსწორებს, სწორდება, უსწორდება) ↑ **გასწორება**. *ნაწერები უკვე სწორდება.*

**სწორი** *სწორის* 1. პირდაპირი მიმართულების მქონე. *სწორი გზა. სწორი ბილიკი.* ↔ მრუდე. 2. გლუვი, ვაკე. *სწორი ზედაპირი. სწორი მინდორი.* 3. მართალი, ზუსტი, სინამდვილის შესაბამისი. *სწორი მსჯელობა. სწორი ინფორმაცია. სწორი პასუხი.* 4. თანასწორი, თანატოლი, ვინმეს ან რაიმეს შესაფერისი. *თავისი სწორი იპოვა. მისი სწორები შეიკრიბნენ.* ⊙ **გულის სწორი** საუბრ. იგივეა, რაც სატრფო. *შეცდომაა სწორე*

**სწორკუთხა** *სწორკუთხას* იგივეა, რაც მართკუთხა. *სწორკუთხა სამკუთხედი.*

**სწორუპოვარი** *სწორუპოვრის* ყველაზე კარგი, საუკეთესო, რომლის მსგავსის პოვნა ჭირს. *სწორუპოვარი სწავლული.*

**სწორხაზოვანი** *სწორხაზოვნის* სწორად, ერთ ხაზად გაყვანილი, ერთ ხაზზე განლაგებული. *სწორხაზოვანი რიგები. სწორხაზოვანი ქუჩები.*

**სწრაფვა** *სწრაფვის* (ისწრაფვის) რაიმეს მიღწევის, დაუფლების ძლიერი სურვილი; ნდომა, წადილი, ლტოლვა. *მიზნისკენ სწრაფვა. გამარჯვებისკენ ისწრაფვის.*

**სწრაფი** *სწრაფის* ვისაც სისწრაფე ახასიათებს, მარდი, ჩქარი. *სწრაფი სიარული. სწრაფი საქმე.* ↔ ნელი. ▲ **სწრაფად** ზმნიზ. ჩქარა. *სწრაფად გარბის. სწრაფად ისაუზმეს.*

**სხაპასხუპით** ზმნიზ. ძალიან ჩქარა, სულმოუთქმელად. *სხაპასხუპით ლაპარაკობს.*

**სხარტი** *სხარტის* 1. მკვირცხლი, მარდი. *სხარტი ბავშვი.* 2. სწრაფი, მოკლე და გონივრული. *სხარტი აზროვნება. სხარტი პასუხი.*

**სხდომა** *სხდომის* (სხედს) 1. ბევრის ჯდომა. *სკამზე სხედან.* 2. ამა თუ იმ ორგანიზაციის წევრთა თავმოყრა რაიმეს განსახილველად, სათათბიროდ. *საბჭოს სხდომა. პარლამენტის სხდომა. სხდომათა დარბაზი.*

**სხეპა** *სხეპის* (სხეპს) ↑ **გასხეპა**. *ხის სხეპა.*


სხეული

**სხეული** *სხეულის* 1. საგანი, რომელსაც აქვს გარკვეული ფორმა და მასა. *ციური სხეულები. სხეულის მასა.* 2. ადამიანის ან ცხოველის ორგანიზმი. *სხეულის ნაწილები. სხეულის აგებულება.* 3. გადატ. რაიმეთი შემოსაზღვრული სივრცის ნაწილი. *გეომეტრიული სხეული.*

**სხვა** *სხვის* ნაცვ. 1. არა ეს, ეგ, ის. *სხვა კაცი. სხვა სახელი. სხვა ამბავი.* 2. განსხვავებული. *სხვა ფიქრები. ეგ სხვა საქმეა.* ⊙ **სხვათა შორის** ისე, უბრალოდ, არასაგანგებოდ.

**სხვაგან** ზმნიზ. სხვა ადგილას, სხვა მხარეს. *სხვაგან მუშაობს. სხვაგან გაგ ზავნეს.*

**სხვაგვარი** *სხვაგვარის* განსხვავებული, სხვანაირი. *სხვაგვარი გრძნობა.* ▲ **სხვაგვარად** ზმნიზ. სხვანაირად, სხვა სახით, განსხვავებულად. *სხვაგვარად ფიქრობს.*

**სხვადასხვა** *სხვადასხვის* განსხვავებული, არამსგავსი, სხვადასხვაგვარი. *სხვადასხვა ქვეყნის სპორტსმენები. სხვადასხვა ფერის დროშები.*

**სხვადასხვაგვარი** *სხვადასხვაგვარის* არაერთგვარი, განსხვავებული. *სხვადასხვაგვარი ფიგურები. სხვადასხვაგვარი საჩუქრები.*

**სხვადასხვანაირი** *სხვადასხვანაირის* იგივეა, რაც სხვადასხვაგვარი. *სხვადასხვანაირი საჭმელები.*

**სხვადასხვაობა** *სხვადასხვაობის* განსხვავება, არაერთგვაროვნება. *საგნების სხვადასხვაობა. პიროვნული სხვადასხვაობა.*

**სხვადასხვაფერი** *სხვადასხვაფერის* განსხვავებული ფერების მქონე. *სხვადასხვაფერი საღებავები.*

**სხვანაირი** *სხვანაირის* იგივეა, რაც სხვაგვარი. *სხვანაირი ვინმეა. ეგ სულ სხვანაირია.* ▲ **სხვანაირად** ზმნიზ. სხვაგვარად, სხვა სახით, განსხვავებულად. *ყველაფერს სხვანაირად აღიქვამს. სხვანაირად უნდა მოქცეულიყო.*

**სხვაობა** *სხვაობის* 1. იგივეა, რაც განსხვავება.

*მოსაზრებების სხვაობა. სხვაობა ვერ დაინახა.* 2. არითმეტიკული მოქმედების, გამოკლების, შედეგად მიღებული ნაშთი.

**სხვარიგად** ზმნიზ. სხვაგვარად, სხვანაირად, განსხვავებულად. *სხვარიგად მოქმედებაა საჭირო.*

**სხვენი** *სხვენის* შენობის ჭერსა და სახურავს შორის დარჩენილი ადგილი. *სხვენში ავიდა.*

**სხვისი** ნაცვ. ვინც ან რაც სხვას ეკუთვნის. *სხვისი წიგნი. სხვისი სტუმრები.*

**სხვლა** *სხვლის* (სხლავს, ისხვლება) ↑ **გასხვლა**. *ვაზის სხვლა დაიწყეს.*

**სხივი** *სხივის* I. სინათლის ძლიერი ვიწრო ზოლი, რომელსაც გამოსცემს რაიმე მანათობელი საგანი, ციური სხეული. *მზის სხივები.* 2. ენერგიის ნანილაკების ნაკადი. *რენტგენის სხივები.* ■ **სხივური** სხივის დამახასიათებელი, სხივებთან დაკავშირებული. *სხივური ენერგია. სხივური თერაპია.*

**სხივმოსილი** *სხივმოსილის* ნათლით მოსილი, გასხივოსნებული. *მისი სხივმოსილი სახელი.*

**სხივური** *სხივურის* გამოსხივებით გამოწვეული. *სხივური დაავადება. სხივური ენერგია.*

**სხმა**[1] *სხმის* (ასხამს, ისხამს, უსხამს, ისხმება, ესხმება, ასხია, უსხია) I. ↑ **დასხმა**[1]. *ყავას ისხამს. არაყს უსხამს. ჭიქაში წყალი ასხია.* 2. ↑ **შემოსხმა**[1]. *აივნიდან წვიმა ასხამს.*

**სხმა**[2] *სხმის* (ისხამს, ასხია) ↑ **მოსხმა**[2]. *ეს ბუჩქი ყვავილს ისხამს.*

**სხურება** *სხურების* (ასხურებს, ისხურებს, ესხურება.) იგივეა, რაც ↑ **დასხურება**. *ნაკურთხი წყლის სხურება. ყვავილებს წყალი ასხურა.*

**სჯა** *სჯის* (სჯის) განსჯა, განხილვა, მსჯელობა. *სჯა დიდხანს გაგრძელდა.*

**სჯა-ბაასი** *სჯა-ბაასის* რაიმე საჭირბოროტო საკითხის განხილვა, აზრთა გაცვლა-გამოცვლა. *სჯა-ბაასი გაიმართა.*

# — ტ —

**ტაატი** *ტაატის* ნელა, მძიმედ, დაყოვნებით სიარული (ჩვეულებრივ, ახალფეხადგმული ბავშვისა). *ტაატით დადის.*

**ტაბაკა** *ტაბაკას* 1. ბრტყლად შემწვარი ქათამი. *კეცზე შემწვარი ტაბაკა.* 2. თხლად დაჭრილი, ფქვილში ამოვლებული, ბრტყლად შემწვარი ხორცი, თევზი და მისთ. 3. იგივეა, რაც ტაბაკი (1). 4. გადატ. ბრტყელი. *ტაბაკა ლელვი.*

**ტაბაკი** *ტაბაკის* 1. ხის დიდი ლანგარი. *ხორბალი ტაბაკზე დაყარეს.* 2. იგივეა, რაც ტაბლა. *ტაბაკი მოგვართვეს.*

**ტაბელი** *ტაბელის* 1. გარკვეული წესის მიხედვით შედგენილი ცხრილი ან განრიგი. 2. დაფა ან ჟურნალი, რომელიც მუშა-მოსამსახურეების სამსახურში მისვლასა და წასვლას აღრიცხავს.

**ტაბიკი** *ტაბიკის* უღლის ნაწილი — თავმსხვილი ჯოხი, რომელიც წყვილ-წყვილადაა ჩაყრილი უღელში ხარის კისრის იქით-აქეთ. *წყვილი ტაბიკი.*


ტაბლა

**ტაბლა** *ტაბლის* დაბალი მაგიდა, რომელზეც სუფრას შლიან. *ტაბლაზე ხილი დააწყვეს.*

**ტაბლეტი** *ტაბლეტის* სამკურნალო ნივთიერების მკვრივი, დაპრესილი, დოზირებული (ძირითადად, მრგვალი) ფილა. *ვალერიანის ტაბლეტი.*

**ტაბლო** *ტაბლოს* სპეციალური დაფა ან ეკრანი, რომელზეც განთავსებულია სხვადასხვა ინფორმაცია, პირობითი გამოსახულება, ძირითადად, განათების მეშვეობით. *სტადიონის ტაბლო. ვაგზლის ტაბლო.*

**ტაბუ** *ტაბუს* საგნის, გარკვეული ქმედების, სიტყვის აკრძალვა, რომლის დარღვევაც, ცრურწმენის მიხედვით, იწვევს უბედურებას. *ტაბუს დადება.*

**ტაბულა** *ტაბულის* იგივეა, რაც ცხრილი (1). *გამრავლების ტაბულა.*

ტაბურეტი

**ტაბურეტი** *ტაბურეტის* დაბალი უზურგო სკამი. *ხის ტაბურეტი.*

**ტაეპი** *ტაეპის* ლექსის სტრიქონი. *რვამარცვლიანი ტაეპი.*

**ტავტოლოგია** *ტავტოლოგიის* 1. ერთი და იმავე სიტყვის ან გამოთქმის განმეორება ტექსტის მცირე მონაკვეთში. 2. ერთი და იმავე შინაარსის სხვადასხვა სიტყვებით გამეორება. ა *ზრომბრივი ტავტოლოგია.*

**ტაიგა** *ტაიგის* ტყიანი კლიმატურ-გეოგრაფიული სარტყელი დედამიწის ჩრდილოეთ ნაწილში. *ტაიგის ფლორა და ფაუნა.*

**ტაიმაუტი** *ტაიმაუტის* 1. წინასწარ დაუგეგმავი მცირე შესვენება სპორტული შეჯიბრების დროს, ილებენ საჭიროების შემთხვევაში. *მწვრთნელმა ტაიმაუტი აიღო.* 2. გადატ. რაიმე საქმიანობის შეჩერება გარკვეული დროით. *ორკვირიანი ტაიმაუტი.*

**ტაიმი** *ტაიმის* ზოგიერთი სპორტული თამაშის (ფეხბურთის, კალათბურთისა და მისთ.) მატჩის მონაკვეთი, ერთი ნაწილი. *პირველი ტაიმი. ტაიმის დასასრული.*

**ტაიფუნი** *ტაიფუნის* ტროპიკული ციკლონი, გამანადგურებელი ქარიშხალი, რომელიც წარმოიქმნება სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიასა და წყნარი ოკეანის დასავლეთ ნაწილში.

**ტაიჭი** *ტაიჭის* 1. კარგი საჯირითო ცხენი. *ტაიჭზე ამხედრდა.* 2. სპორტული იარაღი. *ტაიჭზე ვარჯიშობს.*

**ტაკატუკი** *ტაკატუკის* გაბმული, რიტმული ცემის, დარტყმის, კაკუნის ხმა. *ჩაქუჩის ტაკატუკი.*

**ტაკება** *ტაკების* (ატაკებს, იტაკებს, ეტაკება) 1. საუბრ. ↑ დატაკება (1). *თავი კედელს ატაკა. კოჭი პირში იტაკა.* 2. ↑ დატაკება (2). *ქალი მე ზობელს ეტაკა.*

**ტაკიმასხარა** *ტაკიმასხარას* 1. იგივეა, რაც მასხარა. 2. ადამიანი, რომელიც სულ მასხრობს და სერიოზულად არ იქცევა.

**ტაკიმასხარაობა** *ტაკიმასხარაობის* (ტაკიმასხარაობს) მასხარასავით ქცევა, ლაზღანდარობა. *რას ტაკიმასხარაობ?!*

**ტაკიტუკი** *ტაკიტუკის* იგივეა, რაც ტაკატუკი.

**ტაკტაკი** *ტაკტაკის* იგივეა, რაც ტაკატუკი.

**ტალავერი** *ტალავერის* ერთმანეთის მოპირდაპირე ბოძებზე აყვანილი ვაზის თაღებით გაკეთებული

საჩრდილობელი. *ტალავერი ჩამოკრიფეს. ტალავერის ჩრდილში დასხდნენ.*

**ტალანტი** *ტალანტის* განსაკუთრებული ნიჭი, გამორჩეული უნარი. *ტალანტი აღმოაჩნდა.*

**ტალახი** *ტალახის* 1. წყლით დამბალი, აზელილი მიწა. *ტალახში ჩაეფლო.* 2. ტბის ან მდინარის ლამი, რომელსაც იყენებენ სამკურნალოდ. *სამკურნალო ტალახი. ტალახის აბაზანა.* ⊙ **ტალახში ამოსვრის შეარცხვნს, გალანძღავს.**

**ტალახიანი** *ტალახიანის* ტალახით დასვრილი. *ტალახიანი ფეხსაცმელი.*

**ტალ-კვესი** *ტალ-კვესის* **ტალი**[1] და კვესი.

**ტალი**[1] *ტალის* მაგარი მინერალი, რომელზე კვესის ჩამოკვრითაც ჩნდება ცეცხლი. *ტალის ქვა.*

**ტალი**[2] *ტალის* მზისგან ან რაიმე დაავადების გამო სახეზე გაჩენილი ლაქა. *ტალები ემჩნევა.*

**ტალიკ-ტალიკი** *ტალიკ-ტალიკის* ძლიერი აღნაგობის მქონე, თვალადი და ტანადი (ბიჭები). *ტალიკ-ტალიკი ჯეილები.*

**ტალონი** *ტალონის* მცირე ზომის ბარათი, რომელიც რაიმეს მიღების უფლებას იძლევა. *კვების ტალონი.*

**ტალღა** *ტალღის* 1. ზღვის, მდინარისა და მისთ. ზედაპირზე წყლის მოძრაობისას წარმოქმნილი ამოწეული განივი ზოლი. *ტალღამ გადაუარა.* 2. ტექნ. რხევის (2) გავრცელება ფიზიკურ გარემოში. *მოკლე ტალღები.* 3. გადატ. რაიმეს მძლავრი ნაკადი. *ჰაერის ტალღა. ხალხის ტალღა.*

**ტალღოვანი** *ტალღოვანის* ტალღების შემცველი, ტალღების მსგავსი. *ტალღოვანი თმები.*

**ტამპონი** *ტამპონის* სტერილური მასალა, ძირითადად, მარლა ან ბამბა, რომელსაც დებენ ჭრილობაში სისხლის შესაჩერებლად ან გამონადენის შესაწოვად. *ტამპონი ამოუღეს.*

**ტანადი** *ტანადის* ლამაზი აღნაგობის მქონე, მაღალი, ახოვანი, წარმოსადეგი. *ტანადი ბიჭი.*

**ტანადობა** *ტანადობის* სხეულის აღნაგობა, სიმაღლე.

**ტანაყრილი** *ტანაყრილის* გაზრდილი, მაღალი ტანის მქონე. *ტანაყრილი ხეები. ტანაყრილი მოზარდი.*

**ტანაშოლტილი** *ტანაშოლტილის* ლამაზად ამართული, მოქნილი და სწორი ტანის მქონე. *ტანაშოლტილი ყმაწვილი. ტანაშოლტილი ქალი.*

**ტანდაბალი** *ტანდაბლის* დაბალი ტანის მქონე. *ტანდაბალი მშობლები ჰყავს.*

**ტანდემი** *ტანდემის* საერთო მიზნით გაერთიანებული, ერთობლივად მოქმედი ორი პირი. *ბრწყინვალე ტანდემი.*

**ტანვარჯიში** *ტანვარჯიშის* 1. სხვადასხვა ვარჯიში, რომლებიც ორგანიზმის გაძლიერებას, სხეულის გაჯანსაღებას ემსახურება. *დილის ტანვარჯიში.* 2. სპორტის სახეობა, რომელშიც შეჯამებულია სხვადასხვა ვარჯიში. *მხატვრული ტანვარჯიში.*

**ტანთხელი** *ტანთხელის* თხელი ტანადობის მქონე, არამსუქანი. *ტანთხელი ქალი.*

**ტანი** *ტანის* 1. ადამიანის ან ცხოველის სხეული თავისა და კიდურების გარდა. *მოხდენილი ტანი. შიშველი ტანი.* 2. რაიმეს ზომა, მოცულობა. *დიდი ტანის წიგნი. დიდი ტანის ცხოველი. პატარა ტანის ბავშვი.* 3. ხის მთავარი ნაწილი ტოტებისა და ფესვების გარეშე. *ხეს ტანზე ქერქი აცალა.* ⊙ **ტანს აიყრის** სიმაღლეში გაიზრდება.

**ტანიანი** *ტანიანის* დიდი ტანის მქონე, მაღალი. *ტანიანი ყმაწვილი. ტანიანი კვიცი.*

**ტანისამოსი** *ტანისამოსის* იგივეა, რაც **ტანსაცმელი.** *ტანისამოსი ჩემოდანში ჩაალაგა.*

**ტანკენარი** *ტანკენარის* ლამაზი ტანის მქონე, ტანთხელი და მაღალი. *ტანკენარი ხეები. ტანკენარი ასული.*

**ტანკერი** *ტანკერის* თხევადი ტვირთის (ნავთობის, მაზუთის და მისთ.) გადასაზიდი გემი. *ბენზინის ტანკერი.*

**ტანკი** *ტანკის* ჯავშნიანი და მუხლუხებიანი საბრძოლო მანქანა, რომელიც აღჭურვილია სპეციალური ქვემეხებითა და ტყვიამფრქვევებით. *მოედანზე ტანკები დააყენეს. მძიმე ტანკი.*

**ტანკისტი** *ტანკისტის* სამხედრო პირი, რომელიც ჯარის სატანკო ნაწილში მსახურობს.

**ტანკსაწინააღმდეგო** *ტანკსაწინააღმდეგოს* **ტანკების** საწინააღმდეგოდ გამოსაყენებელი. *ტანკსაწინააღმდეგო ზარბაზანი. ტანკსაწინააღმდეგო სანგარი.*

**ტანმაღალი** *ტანმაღლის* მაღალი ტანის მქონე. *ტანმაღალი ფეხბურთელი.*

**ტანმოვარჯიშე** *ტანმოვარჯიშის* სპორტსმენი, რომელიც ტანვარჯიშს მისდევს. *ქართველი ტანმოვარჯიშეები. ტანმოვარჯიშეთა გამოსვლა.*

**ტანმორჩილი** *ტანმორჩილის* მომცრო, პატარა ტანის მქონე. *ტანმორჩილი ქალიშვილი. ტანმორჩილი ცხენი.*

**ტანსაცმელი** *ტანსაცმლის* რასაც ადამიანი ტანზე იცვამს. *ტანსაცმლის კარადა.*

**ტანსრული** *ტანსრულის* მოზრდილი ტანის, ჯანსაღი აღნაგობის მქონე. *ტანსრული ქალი.*

**ტანტალა** *ტანტალას* ვინც დატანტალებს, უმიზნოდ მიდი-მოდის.

**ტანტალი** *ტანტალის* (ტანტალებს) ფეხშიშველა სიარული. *ეზოში ტანტალებს.*

**ტან-ფეხი** *ტან-ფეხის* ადამიანის აღნაგობა. *მოხდენილი ტან-ფეხი.*

**ტანწერწეტა** *ტანწერწეტას* მაღალი, წვრილი და ლამაზი ტანის მქონე. *ტანწერწეტა გოგონები. ტანწერწეტა ხეები.*

ტანწვრილი *ტანწვრილის* წვრილი ტანის მქონე. *ტანწვრილი ყმაწვილი.*

ტანხმელი *ტანხმელის* არამსუქანი, ხმელი აღნაგობის მქონე. *ტანხმელი კაცი.*

ტანჯვა *ტანჯვის* (ტანჯავს, იტანჯავს, იტანჯება, ეტანჯება) დიდი ფიზიკური ან სულიერი ტკივილი, წუხილი. *ფიქრები ტანჯავს. ტკივილით იტანჯება.*

ტანჯული *ტანჯულის* ვინც ან რაც ძალიან დაიტანჯა. *ტანჯული დედა. ტანჯული გული.*

ტარა *ტარის* პროდუქტის ჩასასხმელი ან ჩასაწყობი ნივთების (ბოთლის, კასრის, ყუთის, ტომრისა და მისთ.) საერთო სახელწოდება. *მინის ტარა.*

ტარაბუა *ტარაბუას* 1. ძაფის შულოს ამოსახვევი ხელსაწყო. 2. ჭაობის მწერი, რომლის ფრთებიც ფრენისას მბრუნავ ტარაბუას (1) ემსგავსება.

ტარაკანი



ტარაკანი *ტარაკნის* ერთგვარი ხოჭო, ჩნდება საკუჭნაოებსა და სამზარეულოებში. *ტარაკნები მომრავლდა.*

ტარანი[1] *ტარანის* საშუალო ზომის კობრის მსგავსი თევზი.

ტარანი[2] *ტარანის* 1. ციხესიმაგრის კედლების, კოშკების სანგრევი იარაღი – ჯაჭვზე ჩამოკიდებული რკინის მორი. 2. ძვ. ხომალდის ცხვირზე დამაგრებული რკინის შვერილი მტრის ხომალდისთვის საძგერებლად. 3. საჰაერო ბრძოლაში ავიაგამანადგურებლის მანევრი, რომლის დროსაც მოიერიშე თვითმფრინავი მოწინააღმდეგეს ცხვირით ეჯახება.

ტარება *ტარების* (ატარებს, უტარებს, ატარებინებს) 1. ნაღებ-წამოღება ან წაყვან-წამოყვანა. *საბუთებს საქალაქოდ ატარებს. სკოლაში ზურგჩანთას ატარებს.* 2. ტრანსპორტის მართვა, ნაყვანა. *მანქანის ტარება. ველოსიპედს კარგად ატარებს.* 3. მუდმივად, მეტწილად თან ქონა, ხმარება (ტანსაცმლისა, რაიმე ნივთისა და მისთ.). *ქოლგის ტარება არ უყვარს. ხელჯოხს ატარებს.*

ტარი[1] *ტარის* ხელის იარაღის ან დროშის სახელური. *ცულის ტარი. თოხს ტარი გამოუცვალა. შუბის ტარი.* ■ ტარიანი რასაც ტარი აქვს. *ტარიანი ხანჯალი. ტარიანი ხელსაწყოები.*

ტარი[2] *ტარის* ქართული ანბანის მეცხრამეტე ასოს (ტ-ს) სახელწოდება.

ტარიფი *ტარიფის* ზოგიერთი სახის გადასახადის ან საფასურის დადგენილი ოდენობა. *გაზრდილი ტარიფი. გაზის ტარიფი. ტარიფის შემცირება.*

ტარო *ტაროს* ზოგიერთი მარცვლოვანი მცენარის ნაყოფი, რომელსაც აქვს მსხვილ ღეროზე მჭიდროდ განლაგებული მარცვლები. *სიმინდის ტარო.*

ტარტალი *ტარტალის* (ტარტალებს, ატარტალებს) იგივეა, რაც ტარტარი. *ტარტალი დაიწყო. სისულელეებს ტარტალებს.*

ტარტარი *ტარტარის* (ტარტარებს, ატარტარებს) უაზროდ და გაუთავებლად ლაპარაკი, ლაქლაქი. *ტარტარი უყვარს. დიდხანს იტარტარა.*

ტარხუნა *ტარხუნის* ფართოდ გავრცელებული მწვანილი, აქვს სპეციფიკური გემო და სუნი. *ტარხუნის ლიმონათი.*

ტატანი *ტატანის* (უტატანებს) ხმამაღლა ტუქსვა, გაჯავრებით, გაბრაზებით ლაპარაკი. *ბიჭს უტატანებს.*

ტატნობი *ტატნობის* ცის კამარა, ცის თაღი. *ლურჯი ტატნობი.*

ტატუირება *ტატუირების* ადამიანის სხეულზე სხვადასხვა სახის ფიგურების გამოყვანა კანში საღებავის შეყვანით. *ტატუირება ინდიელებშია გავრცელებული.*

ტატყანი *ტატყანის* (ტატყანებს) საუბრ. ხმამაღალი, უსიამოვნო, უშნო ლაპარაკი. *ბავშვები ტატყანებენ. ტატყანით თავი მოაბეზრა.*

ტაფა



ტაფა *ტაფის* ლითონის მრგვალი დაბალგვერდებიანი ჭურჭელი, გამოიყენება საჭმლის მოსამზადებლად. *თუჯის ტაფა.*

ტაფამწვარი *ტაფამწვრის* იგივეა, რაც ერბოკვერცხი.

ტაფობი *ტაფობის* ჩავარდნილი, სნორი ადგილი, უმეტესად მთებს შორის.

ტაქსი *ტაქსის* საქალაქო ტრანსპორტის სახეობა – დასაქირავებელი ავტომანქანა, უმეტესად აქვს მრიცხველი, რომელიც უჩვენებს გაველილი მანძილის საფასურს. *ტაქსი გამოიძახა. ტაქსით მგზავრობა.*

ტაქტი[1] *ტაქტის* ზომიერების გრძნობა, თავდაჭერილობა. *ტაქტი არ აკლია.* ■ ტაქტიანი ვისაც ან რასაც ტაქტი აქვს. *ტაქტიანი ახალგაზრდა. ტაქტიანი ლაპარაკი.* შეცდომაა ტაკტი, ტაკტიანი

ტაქტი[2] *ტაქტის* 1. მუსიკალური მეტრული ერთეული. *უეერტიურის დასკვნითი ტაქტები.* 2. ერთმანეთის მომდევნო მონაკვეთები თანაზომიერი მოძრაობისას. *ტაქტის შეგრძნება.*

ტაქტიკა *ტაქტიკის* 1. ბრძოლის წარმართვისთვის საჭირო თეორია და პრაქტიკა. *სახმელეთო ბრძოლის ტაქტიკა. შეტევითი ტაქტიკა.* 2. დასახული მიზნის მისაღწევად გამოყენებული ხერხებისა და საშუალებების ერთობლიობა. *წინასაარჩევნო ტაქტიკა.* ■ ტაქტიკური ტაქტიკაზე დაფუძნებული. *ტაქტიკური ბრძოლები. ტაქტიკური მომზადება.* შეცდომაა ტაკტიკა, ტაკტიკური

ტაში *ტაშის* ხელის გულების ერთმანეთზე ცემა სიხარულის, მოწონების, კმაყოფილების ნიშნად. *ტაში გაისმა. ტაშის დაკვრა.*

ტაშისკვრა *ტაშისკვრის* აღტაცების, მოწონების გამოხატვა ხელისგულების ერთმანეთზე ცემით. *ტაშისკვრით გააცილეს.*

**ტაშისცემა** *ტაშისცემის* იგივეა, რაც **ტაშისკვრა**. *ტაშისცემა დიდხანს არ შეწყვეტილა.*

**ტაშიტუში** *ტაშიტუშის* მხიარულების გამოხატვა ტაშითა და შეძახილებით. *ტაშიტუშის ხმა.*

**ტაშტი** *ტაშტის* მოზრდილი ღრმა ჭურჭელი, გამოიყენება გასარეცხად ან დასაბანად. *ალუმინის ტაშტი. სარეცხის ტაშტი.*

ტაშტი

**ტაშ-ფანდური** *ტაშ-ფანდურის* მხიარული თავშეყრა ცეკვა-სიმღერის თანხლებით. *ტაშ-ფანდური გამართეს.*

**ტაციობა** *ტაციობის* სხვებისთვის რაიმეს აღების დასწრება, რაიმეს წართმევა, ნაგლეჯვა. *ტაციობა გაიმართა.*

**ტაძარი** *ტაძრის* იგივეა, რაც ეკლესია (1). *ტაძრის კარიბჭე.*

**ტახი** *ტახის* 1. მამალი ღორი. *ჯიშიანი ტახი.* 2. გარეული ღორი. *ტახზე ნადირობა.*


ტახი

**ტახტი** *ტახტის* 1. დაბალი მოგრძო ავეჯი, გამოიყენება დასაჯდომად ან დასაწოლად. *ხის ტახტი.* 2. სამეფო ხელისუფლების ან სასულიერო წოდების პირველი პირის დასაჯდომი სავარძელი, ხელისუფლების სიმბოლო. *სამეფო ტახტი. პატრიარქის ტახტი.*


ტახტი

**ტბა** *ტბის* ბუნებრივი ან ხელოვნური წყალსატევი, რომელიც არ უერთდება ზღვას ან ოკეანეს. *ტბის თევზი.*

**ტბორი** *ტბორის* პატარა ტბა. *ტბორი დაშრა.*

**ტევადი** *ტევადის* რაშიც ან რაზეც ბევრი ეტევა, დიდი ტევადობის მქონე. *ტევადი სათავსო.*

**ტევადობა** *ტევადობის* ჭურჭლის, შენობის და მისთ. უნარი, დაიტიოს რაიმეს გარკვეული რაოდენობა. *მცირე ტევადობის ავზი. სათავსოს ტევადობა.*

**ტევრი** *ტევრის* ხშირი, გაუვალი ტყე. *აკაციის ტევრი.*

**ტელეგრაფი** *ტელეგრაფის* 1. კავშირგაბმულობის სისტემა, რომელიც ელექტრული სიგნალების საშუალებით შორ მანძილზე სწრაფად გადასცემს და იღებს სხვადასხვა სახის ინფორმაციას. *ტელეგრაფის აპარატი. ტელეგრაფის შენობა.* 2. დანესებულება, რომელიც სატელეგრაფო კავშირს ახორციელებს. *ტელეგრაფის თანამშრომლები.*

**ტელევიზია** *ტელევიზიის* ტექნიკურ საშუალებათა ერთობლიობა, რომელიც უზრუნველყოფს შორ მანძილზე ხმის, მოძრავი და უძრავი გამოსახულების გადაცემასა და ეკრანზე მიღებას. *საზოგადოებრივი ტელევიზია. ტელევიზიის შენობა.*

**ტელევიზორი** *ტელევიზორის* აპარატი, რომელიც რადიოტალღებს ბგერებად (ხმოვან სიგნალებად) და მოძრავ გამოსახულებად გარდაქმნის და უჩვენებს ეკრანზე. *ფართოეკრანიანი ტელევიზორი. ტელევიზორის პულტი.*

**ტელემაუწყებლობა** *ტელემაუწყებლობის* ტელევიზიის საშუალებით მაუწყებლობა. *ტელემაუწყებლობა გაითიშა.*

**ტელერეპორტაჟი** *ტელერეპორტაჟის* რეპორტაჟი, რომელიც ტელევიზიით გადაიცემა. *ტელერეპორტაჟის მომზადება.*

**ტელესკოპი** *ტელესკოპის* ასტრონომიული ოპტიკური ხელსაწყო, რომლითაც ციურ სხეულებს აკვირდებიან. *კოსმოსური ტელესკოპი.*

**ტელეფონი** *ტელეფონის* აპარატი, რომელიც გამოიყენება სხვადასხვა ადგილზე მყოფ ადამიანთა შორის სალაპარაკოდ. *მობილური ტელეფონი. ტელეფონის ზუმერი.* ⊙ **გაფუჭებული ტელეფონი** ფაქტების დამახინჯება ზეპირი ინფორმაციის გადაცემისას.

**ტემბრი** *ტემბრის* ბგერის თვისება, რომლის მიხედვითაც განირჩევა ერთი და იმავე სიმაღლის ტონები. *სასიამოვნო ტემბრის ხმა.*

**ტემპერამენტი** *ტემპერამენტის* 1. ფსიქიკური წყობის თავისებურება, რომელიც ვლინდება ადამიანის ქცევაში, მის ურთიერთობაში გარესამყაროსთან. *ზომიერი ტემპერამენტი.* 2. ძლიერი აგზნებადობა. *სექსუალური ტემპერამენტი.*

**ტემპერამენტიანი** *ტემპერამენტიანის* იგივეა, რაც **ტემპერამენტული**. *ტემპერამენტიანი მსახიობი.*

**ტემპერამენტული** *ტემპერამენტულის* ტემპერამენტის (2) მქონე. *ტემპერამენტული ცეკვები.*

**ტემპერატურა** *ტემპერატურის* 1. სხეულის, ნივთიერების სითბოს ხარისხი. *წყლის ტემპერატურა. ჰაერის საშუალო ტემპერატურა. დუღილის ტემპერატურა.* 2. ჯანმრთელი ადამიანის სხეულის ბუნებრივი სითბოს ხარისხი. *ტემპერატურა გაუზომა.* ■ **ტემპერატურული** ტემპერატურასთან (1) დაკავშირებული. *ტემპერატურული ცვლილებანი.*

**ტემპი** *ტემპის* 1. რაიმეს მიმდინარეობის, განხორციელების სისწრაფის ხარისხი. *მრეწველობის განვითარების ტემპი.* 2. მუსიკალური ნაწარმოების შესრულების სისწრაფის ხარისხი. *სწრაფი ტემპის უვერტიურა.*

**ტენა** *ტენის* (ტენის, იტენის, უტენის, იტენება, ეტენება) 1. ↑ **გატენა** (1). *ჩანთას წიგნებით ტენის.* 2. ↑ **გატენა** (2). *იარაღს ტენის.* 3. ↑ **ჩატენა**. *პირში ლუკმას იტენის.*

**ტენდენცია** *ტენდენციის* 1. რაიმეს განვითარების მიმართულება, მიდრეკილება. *ზრდის ტენდენცია. პროგრესული ტენდენცია.* 2. ცალმხრივი აზრი, მიკერძოებული დამოკიდებულება.

**ტენდენციური** *ტენდენციურის* მიკერძოებული, ცალმხრივი. *ტენდენციური გადაცემა. ტენდენციური კრიტიკა.* ▲ **ტენდენციურად** ზმნიზ. მიკერძოებულად, ცალმხრივად. *ტენდენციურად აშუქებს მოვლენებს.*

**ტენდენციურობა** *ტენდენციურობის* მიკერძოება, არაობიექტურობა. *ტენდენციურობით გამოირჩევა.*

**ტენდერი** *ტენდრის* ღია კონკურსი რაიმეს შესყიდვაზე ან რომელიმე საქმის შესრულებაზე უფლების მოსაპოვებლად. *ტენდერი გამოცხადდა. ტენდერში გამარჯვებული კომპანია.*

**ტენი** *ტენის* ნესტი, სისველე, სინოტივე. *ტენისგან იცავს.* ⊙ **ტენიანი** ტენის შემცველი, ოდნავ სველი, ნესტიანი. *ტენიანი ჰაერი.*

**ტენიანობა** *ტენიანობის* ტენის შემცველობა. *ჰაერის ტენიანობა.*

**ტენისი** *ტენისის* იგივეა, რაც **ჩოგბურთი**. *ტენისის მაგიდა.*

**ტენორი** *ტენორის* 1. მამაკაცის მაღალი ხმა. *ლირიკული ტენორი.* 2. მომღერალი მამაკაცი, რომელსაც მაღალი ხმა აქვს. *ტენორის გამოსვლა. ტენორის პარტია.*

**ტერასა** *ტერასის* 1. შენობაზე გარედან მიშენებული სახურავიანი აივანი. *ტერასაზე გადმოდგნენ.* 2 (ძირითადად მრ.) ფერდობზე ჰორიზონტალურად გაკეთებული სამეურნეო დანიშნულების მოედნები. *ვენახის ტერასები.* ▲ **ტერასებად** ზმნიზ. საფეხურებად, კიბე-კიბე. *ჩაის ბუჩქები ტერასებად გააშენეს.*

**ტერიტორია** *ტერიტორიის* გარკვეულ საზღვრებში მოქცეული დიდი ადგილი. *ქვეყნის ტერიტორია. სოფლის ტერიტორია.*

**ტერიტორიული** *ტერიტორიულის* ტერიტორიის მიხედვით დადგენილი, არსებული, ტერიტორიასთან დაკავშირებული. *ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა.*

**ტერმინი** *ტერმინის* სიტყვა, რომელიც ასახავს გარკვეულ ცნებას მეცნიერების, ხელოვნების, ტექნიკის სხვადასხვა დარგში. *მათემატიკური ტერმინები. იურიდიული ტერმინები.*

**ტერმინოლოგია** *ტერმინოლოგიის* ამა თუ იმ დარგში ხმარებულ ტერმინთა ერთობლიობა. *ფილოსოფიური ტერმინოლოგია. თეატრალური ტერმინოლოგია.* ■ **ტერმინოლოგიური** ტერმინოლოგიის შემცველი, ტერმინოლოგიასთან დაკავშირებული. *ტერმინოლოგიური ლექსიკონი.*

**ტერორი** *ტერორის* 1. დაშინების პოლიტიკა, რომელიც გამოიყენება იდეოლოგიური მტრის წინააღმდეგ მათზე ძალადობისა და ფიზიკური განადგურების ჩათვლით. *ფაშისტური ტერორი. ტერორის მსხვერპლი.* 2. ძალადობრივი საშუალება, რომელიც გამოიყენება პოლიტიკური ან სხვა მიზნების მისაღწევად. *ბოროტმოქმედთა ტერორი.* 3. პერიოდი, როდესაც ტერორი (1, 2) გამოიყენება. *ტერორი გრძელდება.*

**ტერორიზმი** *ტერორიზმის* ტერორის წარმოების პოლიტიკა და ტაქტიკა. *ტერორიზმის საფრთხე.*

**ტერორისტი** *ტერორისტის* ტერორისტული აქტის მომწყობი, მონაწილე. *ტერორისტი ქალი.*

**ტერორისტული** *ტერორისტულის* ტერორთან დაკავშირებული, ტერორის შემცველი, რასაც ტერორის ხასიათი აქვს. *ტერორისტული დაჯგუფება. ტერორისტული აქტი.*

**ტერფი** *ტერფის* ადამიანის ან ცხოველის ფეხის ნაწილი, კოჭის ქვევით. *ტერფის ძვალი. ტერფი დაუზიანდა.* ⊙ **თხემით ტერფამდე** მთლიანად, თავიდან ბოლომდე.

**ტესტი** *ტესტის* 1. სპეციალურად შედგენილი ამოცანა, რომელიც გამოიყენება გამოსაცდელი პირის გონებრივი განვითარების, ფსიქიკური მდგომარეობის, მიდრეკილებებისა და სხვა შესაძლებლობათა გამოსავლენად. 2. სპეციალურად შერჩეულ დავალებათა ერთობლიობა, რომელიც ამოწმებს გამოსაცდელი პირის ცოდნასა და სხვადასხვა უნარს. *საგამოცდო ტესტები.* ■ **ტესტური** ტესტების სახით მოცემული. *ტესტური შემოწმება.*

**ტესტირება** *ტესტირების* 1. მოწყობილობის, მექანიზმის, საწარმოო ხაზისა და მისთ. ტექნიკური გამართულობის შემოწმება წინასწარ დადგენილი პროცედურებით. 2. ცოდნის, უნარების, კომპეტენციის დადგენა ტესტების საშუალებით.

**ტეტანუსი** *ტეტანუსის* მედიც. ინფექციური დაავადება.

**ტეტია** *ტეტიის* ტლუ, გაუნათლებელი. *ტეტია გლეხი.*

**ტექნიკა** *ტექნიკის* 1. მანქანა-დანადგარების, აპარატურის, მექანიკური მოწყობილობებისა და მისთ. ერთობლიობა. *საწარმოო ტექნიკა. კომპიუტერული ტექნიკა. უახლესი ტექნიკა.* 2. პროფესიული ოსტატობა. *ფორტეპიანოზე დაკვრის ტექნიკა. ცეკვის ტექნიკა.* 3. შრომის იარაღებისა და საშუალებების ერთობლიობა. *ტექნიკის განვითარების დონე.* ■ **ტექნიკური** ტექნიკასთან დაკავშირებული. *ტექნიკური პროგრესი.*

**ტექნიკოსი** *ტექნიკოსის* საშუალო ტექნიკური განათლების მქონე სპეციალისტი. *სამთო ტექნიკოსი. ინჟინრები და ტექნიკოსები.*

**ტექნოლოგი** *ტექნოლოგის* წარმოების რომელიმე დარგის ტექნოლოგიის სპეციალისტი. *ღვინის ტექნოლოგი.*

**ტექნოლოგია** *ტექნოლოგიის* გარკვეული თანმიმდევრობით განხორციელებული ოპერაციების ერთობლიობა წარმოების გარკვეულ დარგში;

წარმოების ხერხების მეცნიერული აღწერა. *კვების ტექნოლოგია. უახლესი ტექნოლოგია.* ▪ ტექნოლოგიური ტექნოლოგიასთან დაკავშირებული. *ტექნოლოგიური სიახლე.*

ტექსტი *ტექსტის* ყველაფერი (თხზულება, წერილი, გამოკვლევა და მისთ.), რაც წერილობით არის გადმოცემული, ჩამოყალიბებული. *სიმღერის ტექსტი. წერილის ტექსტი. ტექსტის ავტორი.*

ტეხა *ტეხის* ((ს)ტეხს, ატეხს, იტეხს, უტეხს) 1. ↑ გატეხა. *კვერცხს ტეხს.* 2. ↑ მოტეხა. *პურს იტეხს.* 3. ↑ ატეხა (1). *აყიოტაჟს ტეხენ. განგაშს ტეხს.* 4. ძვლების, სახსრების ყრუ ტკივილი. *მუხლები მტეხს. ძვლებში სტეხს.*

ტვინამღვრეული *ტვინამღვრეულის* ფიქრის, სწორი განსჯის უნარდაკარგული. *სასმლისგან ტვინამღვრეული.*

ტვინი *ტვინის* 1. ადამიანისა და ცხოველის ნერვული სისტემის ცენტრალური ნაწილი, რომელიც მოთავსებულია თავის ქალასა და ხერხემლის ღრუში. *ზურგის ტვინი. ტვინის გარსი.* 2. ნივთიერება, რომლითაც ამოვსებულია ძვლის ღრუ. *ძვლის ტვინი.* 3. ადამიანის აზროვნებისა და გონიერების სიმბოლო. *ტვინი არა აქვს.* ⊙ **ტვინის შერყევა** ტვინის ტრავმული დაზიანება. ⊙ **ტვინს აურევს** მიღებულ გადაწყვეტილებას შეაცვლევინებს, სწორ გზას ააცდენს. ⊙ **ტვინს იჭყლეტს** ბევრს ფიქრობს. ⊙ **ტვინს წაიღებს** თავს მოაბეზრებს, ზედმეტად შეაწუხებს.

ტვირთბრუნვა *ტვირთბრუნვის* ტვირთის გადაზიდვა გარკვეულ ფარგლებში. *ტვირთბრუნვამ იმატა.*

ტვირთი *ტვირთის* გარკვეული სიმძიმის ბარგი, რომელიც ერთი ადგილიდან მეორეზე გადააქვთ. *ტვირთის გადაზიდვა.*

ტვიფვრა *ტვიფვრის* (ტვიფრავს, იტვიფრება) ↑ ამოტვიფვრა. *სამკაულების ტვიფვრა. ოსტატი ხმალზე ტვიფრავს.*

ტვიფრი *ტვიფრის* 1. *ტვიფრის* ამობურცული გამოსახულება ლითონის ან სხვა მყარი მასალის ზედაპირზე, რომლითაც ანაბეჭდს აკეთებენ. *ბეჭდის ტვიფრი.* 2. ფორმა, რომლითაც ამზადებენ წვრილმან საგნებს, მანქანის დეტალებსა და მისთ.

ტვიფრული *ტვიფრულის* ტვიფვრის საშუალებით შესრულებული (ნახატი, ფიგურა და მისთ.). *ტვიფრული სურათი.*

ტვლეპა *ტვლეპის* (ტვლეპს) თხევადი საჭმლის ჭამა ენის ამოკვრით. *ძაღლმა სალაფავის ტვლეპა დაიწყო. კატა რძეს ტვლეპს.*

ტიალი *ტიალის* უპატრონო, მიტოვებული, გავერანებული. *ტიალი სახლ-კარი. ტიალი მამული.*

ტია-ტია *ტია-ტიას* ფრინველის ჭიკჭიკის სიტყვიერი გამოხატვა. *ბულბულის ტია-ტიას უსმენს.*

ტივი *ტივის* მდინარით ტრანსპორტირებისთვის გამზადებული, ერთიმეორის გვერდით მინყობილი და ბაგირებით მაგრად შეკრული ხის მორები. გადაადგილდება დინების მიმართულებით. გამოიყენება სამგზავროდაც. *ტივის შეკვრა.*

ტივტივა *ტივტივას* 1. მსუბუქი მასალისგან დამზადებული მცურავი საგანი, რომელიც არ იძირება. აბამენ ანკესის ძაფს, სათევზაო ბადეს საჭირო სიღრმის შესანარჩუნებლად. *ანკესის ტივტივა.* 2. მცურავი მოწყობილობა, რომელიც სითხის დონეს არეგულირებს.

ტივტივი *ტივტივის* (ტივტივებს, ატივტივებს) საგნის, სხეულის გაჩერება სითხის ზედაპირზე და ნელი მოძრაობა. *მდინარეში მორები ტივტივებს.*

ტიკი *ტიკის* თხის ან ხბოს ტყავისგან დამზადებული საღვინე ჭურჭელი. *ღვინო ტიკში ჩაასხეს.*

ტიკი

ტიკინა *ტიკინას* 1. იგივეა, რაც დედოფალა², თოჯინა. 2. გადატ. ადვილად სამართავი, სხვისი ნება-სურვილის შემსრულებელი. *სხვისი სათამაშო ტიკინა.*

ტიკი-ტომარა *ტიკი-ტომარას* ⊙ **ვისი ტიკი-ტომარა ხარ?** რა შენი საქმეა?

ტიკტიკა *ტიკტიკას* ვინც ტიკტიკებს. *ტიკტიკა ბავშვი.*

ტიკტიკი *ტიკტიკის* (ტიკტიკებს, ეტიკტიკება) 1. პატარა ბავშვის ლაპარაკი (როცა მეტყველება ახალი ნასწავლი აქვს). *ტიკტიკი დაიწყო. საამურად ტიკტიკებს.* 2. უაზრო, უშინაარსო ლაპარაკი. *ქალმა ბევრი იტიკტიკა.*

ტიკჭორა *ტიკჭორის* პატარა ტიკი. *ტიკჭორა მალე დაიცალა.*

ტილი *ტილის* პარაზიტი მწერი, იკვებება ადამიანისა და ცხოველის სისხლით. *ტილები გაუჩნდა.*

ტილო *ტილოს* 1. სელის ძაფის ქსოვილი. *ტილოს შარვალი. ტილოს პერანგი.* 2. გასაწმენდი ნაჭერი. *ჭურჭლის ტილო. მტვრის ტილო.* 3. მყარ მასალაზე ან ჩარჩოზე გადაჭიმული უხეში სელის ნაჭერი, რომელზეც ხატავენ. 4. გადატ. ტილოზე (3) შესრულებული ნახატი. *ფერწერული ტილო.*


ტ-ლი

ტინგიცა *ტინგიცას* საუბრ. ვისაც ტინგიცი ახასიათებს. *ტინგიცა ბიჭი.*

ტინგიცი *ტინგიცის* მოურიდებელი, დაუფიქრებელი საქციელი, ცანცარი. *ტინგიცს ვერ იტანს.*

ტინეიჯერი *ტინეიჯერის* იგივეა, რაც თინეიჯერი.

ტინი *ტინის* მაგარი, ციცაბო კლდე.

ტიპაური *ტიპაურის* ადამიანი, რომელსაც გარკვეულ თვისებათა ერთობლიობა ახასიათებს. *თანამედროვე ქალის ტიპაური.*

ტიპი *ტიპის* 1. ზოგადი სახელწოდება საგნების ან მოვლენების ამა თუ იმ ჯგუფისა, რომელსაც გარკვეულ თვისებათა ერთობლიობა ახასიათებს. *ახალი ტიპის ავტომობილი. ახალი ტიპის მობილური ტელეფონი.* 2. მხატვრული სახე, პერსონაჟი, რომელშიც განზოგადებულია ადამიანთა გარკვეული თვისებები. *ქართველი ქალის ტიპი.* 3. საუბრ. გამორჩეული გარეგნობის ან თვისებების ადამიანი. *კარგი ტიპია. ცუდი ტიპია. მხიარული ტიპი.*

ტიპობრივი *ტიპობრივის* გარკვეული ტიპის შესაბამისი. *ტიპობრივი ნიმუში.*

ტიპური *ტიპურის* ჩვეულებრივი, არაფრით გამორჩეული. *ტიპური შემთხვევა. ტიპური მოვლენა.*

ტირანი *ტირანის* 1. სასტიკი, ძლიერი და თვითნებური მმართველი. *ტირანის ძალადობა.* 2. გადატ. ძლიერი და თვითნებური, მკაცრი, სასტიკი ადამიანი, რომელიც თავისი ნებით განაგებს ყველაფერს და სხვებს ანგარიშს არ უწევს. *ტირანად იქცა.* ◆ ტირანული ტირანის დამახასიათებელი. *ტირანული ხელისუფლება.*

ტირანია *ტირანიის* თვითნებობასა და ძალადობაზე დამყარებული მმართველობის ფორმა.

ტირაჟი *ტირაჟის* 1. წიგნის, ჟურნალისა და მისთ. ერთი და იმავე გამოცემის ეგზემპლარების საერთო რაოდენობა. *გაზეთის ტირაჟი. მცირე ტირაჟი.* 2. ლატარიის ან სესხის მოგების გათამაშება. *პირველ ტირაჟში გათამაშდა.*

ტირე *ტირეს* სასვენი ნიშანი (–), რომელიც გამოიყენება დიალოგის წერისას, გამოტოვებული სიტყვის ადგილზე და მისთ.

ტირი *ტირის* სპეციალურად მოწყობილი ღია ან დახურული ნაგებობა მიზანში სასროლად მეცადინეობებისა და შეჯიბრებებისთვის ან გართობის მიზნით. *ტირში სროლა. სასწავლო ტირი.*

ტირილი *ტირილის* (ტირის, უტირის, ატირებს) 1. ცრემლის დენა ტკივილის, მწუხარების ან სხვა მძიმე გრძნობის გამო (ხმით ან უხმოდ). *ტირილი დაიწყო. ხმამაღლა ტირის.* 2. გადატ. გლოვა ცრემლის დენით (მოთქმით). *მიცვალებული ტირილით გაასვენეს. ქალიშვილები დედას ტიროდნენ.*

ტირიფი *ტირიფის* საშუალო სიმაღლის ან მაღალი რბილმერქნიანი ხე, აქვს ვიწრო, მოკლეყუნწიანი ფოთლები და მოქნილი ტოტები. *ტირიფის წნელი.*

ტირიფი

ტიტა *ტიტის* ბოლქვიანი დეკორატიული მცენარე, აქვს წაგრძელებული ფოთლები და უმეტესად წითელი ფერის ყვავილები.

ტიტანი *ტიტანის* ძალიან დიდი მოაზროვნე, გენიოსი.

ტიტანური *ტიტანურის* დიდი ძალისხმევით მიღებული, ძლიერი. *ტიტანური შრომა.*

ტიტველი *ტიტველის* იგივეა, რაც შიშველი (1). *ტიტველი ბავშვი.*

ტიტინა *ტიტინას* ვინც ტიტინებს. *ტიტინა გოგო.*

ტიტინი *ტიტინის* (ტიტინებს, ეტიტინება) პატარა ბავშვის ლაპარაკი, ტიკტიკი. *გაუთავებელი ტიტინი იცის.*

ტიტლიკანა *ტიტლიკანას* იგივეა, რაც ტიტველი. *ტიტლიკანა დადის.*

ტიტული *ტიტულის* 1. წოდება, რომელიც ადამიანს გადაეცემა მემკვიდრეობით ან ენიჭება რაიმე საქმეში წარმატებისა და დამსახურებისთვის. *ჰერცოგის ტიტული. მსოფლიო ჩემპიონის ტიტული.* 2. წიგნის პირველი გვერდი, რომელზეც მოცემულია სათაური, ავტორის სახელი და გვარი, გამოცემის ადგილი, წელი და მისთ. *საიუბილეო გამოცემის ტიტული.*

ტიტულოვანი *ტიტულოვნის* სახელოვანი, გამოჩენილი, დამსახურებული. *ტიტულოვანი სპორტსმენი.*

ტიტყინი *ტიტყინის* (ტიტყინებს) უაზრო, მოურიდებელი, უშნო ლაპარაკი. *ტიტყინი დაიწყო. რას ტიტყინებს?*

ტიტყნა *ტიტყნის* (ტიტყნის) რბილი მასის (ძირითადად, ცომის) უშნოდ სრესა, ჭყლეტა. *სანთელს ტიტყნის.*

ტიფი *ტიფის* მედიც. გადამდები დაავადება, რომლისთვისაც დამახასიათებელია ძლიერი ციებცხელება. *ტიფის ეპიდემია.*

ტიხარი *ტიხრის* კედელი, რომელიც ყოფს ოთახის ან შენობის სივრცეს, ჩვეულებრივ, საყრდენ კედელზე თხელი. *ტიხარი ამოიყვანა. ოთახს ხის ტიხარი გაუკეთა.*

ტკარცალი *ტკარცალის* (ტკარცალებს) ხმამაღალი, თამამი, მჭახე სიცილი, კისკისი. *ოთახიდან ტკარცალი მოისმა.*

ტკაცანი *ტკაცანის* დარტყმისას, გატეხისას ან წვის დროს გამოცემული მკვეთრი ხმა. *ძვლების ტკაცანი. შეშას ტკაცანი გაუდის.*

ტკაცატკუცი *ტკაცატკუცის* მიყოლებული ტკაცუნის ხმა. *მათრახის ტკაცატკუცი. შეშამ ტკაცატკუცი დაიწყო.*

ტკაციტკუცი *ტკაციტკუცი* იგივეა, რაც ტკაცატკუცი.

ტკაცუნი *ტკაცუნის* (ტკაცუნობს, ატკაცუნებს, იტკაცუნებს, უტკაცუნებს) რაიმეზე რტყმისას, მკვეთრი მოძრაობისას ან წვის დროს ტკაცანის ხმის გამოცემა. *შეშა ტკაცუნით იწვის. ცხენს სახრეს უტკაცუნებს. თითებს ატკაცუნებს. სახეში ხელს უტკაცუნებს.*

**ტკბილეული** *ტკბილეულის* ტკბილი საჭმელი (ნამცხვრები, კანფეტები და მისთ.). *ტკბილეულით სავსეა სუფრა.*

**ტკბილი** *ტკბილის* I. თაფლის ან შაქრის მსგავსი გემო; ასეთი გემოს მქონე. *ტკბილი ვაშლი.* ↔ მწარე. 2. ყურძნის წვენი. *ტკბილი დალია. ტკბილი მოადუღა.* 3. გადატ. სასიამოვნო, სიხარულის მომტანი. *ტკბილი დრო. ტკბილი მოგონება.* 4. გადატ. ალერსიანი, თბილი. *ტკბილი მოხუცი. ტკბილი საუბარი.* ▲ **ტკბილად** ზმნიზ. თბილად, ალერსით. *ტკბილად ელაპარაკება. ტკბილად დაემშვიდობნენ ერთმანეთს.*

**ტკბილმოუბარი** *ტკბილმოუბრის* წიგნ. კარგი მოსაუბრე, ლამაზად მეტყველი. *ტკბილმოუბარი მოხუცი.*

**ტკბილხმოვანება** *ტკბილხმოვანების* სასიამოვნო, მიმზიდველი ჟღერადობა. *საკრავის ტკბილხმოვანება.*

**ტკბილხმოვანი** *ტკბილხმოვნის* სასიამოვნო, მიმზიდველი ხმის მქონე. *ტკბილხმოვანი სიმღერა.*

**ტკბობა** *ტკბობის* (ატკბობს, ტკბება) სიამოვნების, კმაყოფილების, ნეტარების განცდა. *მუსიკით ტკბობა. ბუნებით ტკბება. მისი სილამაზე ატკბობს.*

**ტკენა** *ტკენის* (სტკენს, იტკენს, ეტკინება) ტკივილის განცდა, ტკივილის მიყენება. *ფეხი იტკინა. ხელი ატკინა.*

**ტკეპნა** *ტკეპნის* (ტკეპნის, იტკეპნება) ↑ დატკეპნა. *ფეხით ტკეპნის. მიწა იტკეპნება.*

**ტკეჩი** *ტკეჩის* I. თხელი, ვიწრო და გრძელი ფიცრები, რომლებსაც კედელზე აკრავენ გალესვის წინ ბათქაშის, თაბაშირის დასამაგრებლად. *კედელზე ტკეჩი გააკრეს.* 2. ზოგიერთი ხის (თხილის, მუხის, შინდის...) თხელი ანახეთქი, იყენებენ ჭურჭლის მოსაწნავად. *ტკეჩის კალათა. თხილის ტკეჩი.*

**ტკეცა** *ტკეცის* (სტკეცს, იტკეცს) უცბად, ძლიერად გარტყმა (ხელისა). *სილა სტკიცა. ლოყაზე ხელი იტკიცა.*

**ტკივილი** *ტკივილის* (სტკივა) 1. შემაწუხებელი, მტანჯველი შეგრძნება სხეულის რომელიმე ნაწილში. *კბილის ტკივილი. ფეხი სტკივა.* 2. გადატ. მძიმე, შემაწუხებელი შინაგანი განცდა. *სულიერი ტკივილი. მისმა სიკვდილმა დიდი ტკივილი მიაყენა.*

**ტკიპი** *ტკიპის* ობობას მსგავსი მცირე ზომის პარაზიტი ცხოველი, იკვებება სისხლით. *ძროხის ტკიპი. ცხვრის ტკიპი.*

**ტკიცინა** *ტკიცინას* რაც ტკიცინებს. *ტკიცინა კუპიურა.* 2. გადატ. ახალთახალი (ამბობენ ქაღალდის ფულზე).

**ტკიცინი** *ტკიცინის* (ტკიცინებს) პრიალა ქაღალდის მოძრაობისას ან რაიმეს წვისას გამოცემული ხმა. *ტოტები ტკიცინით იწვის.*

**ტკრციალი** *ტკრციალის* (ტკრციალებს) I. მსხვრევისას ან დარტყმისას გამოცემული მკვეთრი ხმა. *ბროლის ტკრციალი.* 2. ხმამაღალი, თამამი, მკვეთრი სიცილი. *გოგონების ტკრციალი გაისმა.*

**ტლანქი** *ტლანქის* უხეში, მოუქნელი, ულამაზო. *ტლანქი ნაკვთები. ტლანქი აღნაგობა.* ▲ **ტლანქად** ზმნიზ. უხეშად, ულამაზოდ. *ტლანქად დადის.*

**ტლაპო** *ტლაპოს* თხელი ტალახი. *ტლაპოში ჩავარდა.*

**ტლაპუნი** *ტლაპუნის* ტალახში ან წყალში სიარულისას გამოცემული ხმა. *ტლაპუნით მოდის.*

**ტლაშატლუში** *ტლაშატლუშის* იგივეა, რაც ტყლაშატყლუში. *ტლაშატლუში გაისმა.*

**ტლეკა** *ტლეკის* (ტლეკს) საუბრ. იგივეა, რაც ლოკვა. *ფაფას ტლეკს.*

**ტლიკინა** *ტლიკინას* საუბრ. ვისაც ტლიკინი ახასიათებს. *დიდი ტლიკინა ვინმეა.*

**ტლიკინი** *ტლიკინის* (ტლიკინებს, ატლიკინებს) საუბრ. ბევრი, უაზრო ლაპარაკი. *ტლიკინი დაიწყო. ნუ ტლიკინებ!*

**ტლინკი** *ტლინკის* ჯორის, ცხენის, ვირის უკანა ფეხების ერთდროულად გაქნევა. *ტლინკი მოხვედა.* ⊙ **ტლინკები ყარა** საუბრ. კატეგორიულად იუარა.

**ტლოშნა** *ტლოშნის* (ტლოშნის) უშნო, უხეში კოცნა, ლოშნა. *მის ტლოშნას თავს არიდებს.*

**ტლუ** *ტლუს* გაუნათლებელი, გამოუსველელი. *ტლუ კაცი.*

**ტოკვა** *ტოკვის* (ტოკავს) ადგილზე ოდნავ მოძრაობა, ნძრევა. *ხის კენწერო ტოკავს. ფოთოლი ტოკავს.*

**ტოლერანტობა** *ტოლერანტობის* სხვათა რწმენის, თვალსაზრისის ან ცხოვრების წესის მიმართ შემწყნარებლური დამოკიდებულება.

**ტოლი**[1] *ტოლის* 1. ასაკით თანასწორი, ვინმეს ასაკისა. *ჩემი ტოლი. მისი ტოლი.* 2. სოციალურად, მდგომარეობით თანაბარი, შესაფერისი. *რა შენი ტოლია!*

**ტოლი**[2] *ტოლის* სპეციალური ნივთიერებებით გაჟღენთილი მუყაო, რომელსაც იყენებენ შენობების გადასახურად. *ტოლით დახურული სახლი.*

**ტოლმა** *ტოლმის* კომბოსტოს ან ვაზის ფოთლებში შეხვეული ძალიან წვრილად დაჭრილი, შეზავებული, მოხარშული ხორცი. *ცხელი ტოლმა.*

**ტოლ-მეგობარი** *ტოლ-მეგობრის* თანატოლი, რომელთანაც მეგობრობს. *მისი ტოლ-მეგობარი.*

**ტოლობა** *ტოლობის* (ეტოლება) მათ. ალგებრული გამოსახულება, რომლის მარჯვენა ნაწილი უდრის მარცხენას. *ტოლობის ნიშანი.*

**ტოლ-სწორი** *ტოლ-სწორის* ვინმეს მსგავსი, შესაფერისი რაიმე ნიშნის (ასაკის, სოციალური წრის, განათლების დონის) მიხედვით. *ტოლ-სწორები შეიკრიბნენ.*

**ტოლფარდი** *ტოლფარდის* რაც (ვინც) რაიმეს (ვინმეს) თანატოლია. *ტოლფარდი ღირებულება.*

**ტოლფასი** *ტოლფასის* მნიშვნელობით, ღირებულებით მსგავსი. *შრომის ტოლფასი ანაზღაურება.*

**ტოლფერდა** *ტოლფერდას* ტოლი ფერდების მქონე (სამკუთხედი).

ტოლჩა

**ტოლჩა** *ტოლჩის* პირგანიერი ყურიანი ჭურჭელი, გამოიყენება სითხის ჩასასხმელად. *წყლით სავსე ტოლჩა.*

ტომარა

**ტომარა** *ტომრის* სხვადასხვა მასალისგან (ქსოვილისგან, ქაღალდის ან პოლიეთილენისგან) შეკერილი დიდი ოთხკუთხა საგანი, გამოიყენება პროდუქტის ან ნივთების ჩასაყრელად. *ერთი ტომარა ფქვილი.*

**ტომატი** *ტომატის* დულილით შესქელებული და სათანადოდ შეზავებული პომიდვრის წვენი, პომიდვრის საწებელი.

**ტომი**[1] *ტომის* I. ეთნიკური წარმოშობით და ცხოვრების წესით დაკავშირებული ადამიანების დიდი ჯგუფი პირველყოფილი თემური წყობილების დროს. *ქართველთა ტომი.* 2. საერთო წარმოშობის ხალხი.

**ტომი**[2] *ტომის* რაიმე ნაწარმოების ან რომელიმე გამოცემის ნაწილი ცალკე წიგნად. *პოეზიის პირველი ტომი. თხზულებათა მეორე ტომი.*

**ტომსიკა** *ტომსიკის* პატარა ტომარა, პარკი.

**ტონა** *ტონის* წონის ერთეული, უდრის 1000 კილოგრამს. *3 ტონა ციტრუსი. 5 ტონა ცემენტი.* ▪ **ტონობით** ზმნიზ. ტონის ოდენობით, ტონებად. *ტონობით მოსავალი აიღეს.*

**ტონალური** *ტონალურის* ტონების მიხედვით შეწყობილი, შეხამებული. *ბგერების ტონალური თანმიმდევრობა. სახის ტონალური საცხი.*

**ტონი** *ტონის* I. განსაზღვრული სიდიდის შუალედი ორ მეზობელ ბგერას შორის. *დაბალი ტონი. მაღალი ტონები.* 2. ოდნავ შესამჩნევი სხვაობა ფერთა შორის. *ნათელი ტონები. მუქი ტონები.* 3. საუბრის მანერა. *მედიდური ტონი.*

**ტონური** *ტონურის* ტონის მიხედვით განსაზღვრული. *ტონური მახასიათებლები.*

**ტონუსი** *ტონუსის* ნერვული სისტემის აღგზნება. *ტონუსი აეწია.*

**ტოპაზი** *ტოპაზის* ფთორის შემცველი მინერალი, გამოიყენება სამკაულად. *ტოპაზის მძივი.*

**ტოპვა** *ტოპვის* (ტოპავს) ↑ **გატოპვა**. *მდინარეში ტოპვით გავიდა.*

**ტოპოგრაფია** *ტოპოგრაფიის* გეოდეზიის ნაწილი, რომელიც შეისწავლის დედამიწის ზედაპირს, მისი გაზომვისა და გეგმაზე ან რუკაზე გამოსახვის ხერხებს. ▪ **ტოპოგრაფიული** ტოპოგრაფიასთან დაკავშირებული. *ტოპოგრაფიული რუკა.*

**ტოპონიმიკა** *ტოპონიმიკის* რომელიმე ქვეყნის, რეგიონის, მხარის გეოგრაფიული ობიექტების (დასახლებული პუნქტების, მთების, ველებისა და მისთ.) სახელწოდებათა ერთობლიობა. *სამეგრელოს ტოპონიმიკა. ფშავის ტოპონიმიკა.*

**ტოპრაკი** *ტოპრაკის* პატარა ტომარა. *ტოპრაკი შაქრით ააევსო.*

**ტორი** *ტორის* I. ზოგიერთი დიდი ცხოველის ნინა ფეხი. *დათვის ტორები. ტორი მოუსვა.* 2. გადატ. დიდი ხელი. *ბანჯგვლიანი ტორი.*

**ტოროლა** *ტოროლას* ბეღურას მსგავსი პატარა ჩიტი, აქვს წვეტიანი ქოჩორი. *ტოროლას წკრიალი.*

**ტორპედო** *ტორპედოს* თვითმოძრავი წყალქვეშა ჭურვი. *წყალქვეშა ნავი ტორპედოთი გაანადგურეს. სწრაფმავალი ტორპედო.*

**ტორსი** *ტორსის* ადამიანის ტანი მხრებიდან ნელამდე. *მამაკაცის ტორსს აქანდაკებს.*

ტორტი

**ტორტი** *ტორტის* დეკორატიულად გაფორმებული კრემიანი საკონდიტრო ნაწარმი. *ხილის ტორტი. ტორტის ნაჭერი.*

**ტორტმანი** *ტორტმანის* (ტორტმანებს, ატორტმანებს) I. ადამიანის აქეთ-იქით ქანაობა, როდესაც წონასწორობის დაცვა უჭირს. *ტორტმანით დადის. მთვრალივით ტორტმანებს.* 2. გადატ. რყევა, რხევა. *მაგიდა ტორტმანებს. მინისძვრისგან სახლი ტორტმანებს.*

**ტორფი** *ტორფის* საწვავი, რომელიც წარმოიქმნება ჭაობის მცენარეთა ლპობის შედეგად. *ტორფის მოპოვება.*

**ტორფიანი** *ტორფიანის* რაშიც ტორფი ურევია. *ტორფიანი ნიადაგი. ტორფიანი სასუქი.*

**ტოტალიზატორი** *ტოტალიზატორის* სპეციალური დაწესებულება აზარტული თამაშებისთვის, იდეა სანაძლეო ამა თუ იმ სპორტული შეჯიბრების შედეგზე. *დოღის ტოტალიზატორი. ფეხბურთის ტოტალიზატორი.*

**ტოტალიტარიზმი** *ტოტალიტარიზმის* რეჟიმი, რომლის დროსაც გაბატონებულია ტერორისტული დიქტატურა. *ტოტალიტარიზმის ეპოქა. ტოტალიტარიზმის მსხვერპლი.*

**ტოტალიტარული** *ტოტალიტარულის* ძალადობაზე დაფუძნებული, პიროვნების თავისუფლების შემზღუდავი. *ტოტალიტარული რეჟიმი.*

**ტოტალური** *ტოტალურის* ყოველისმომცველი, საყ-

ოველთაო. *ტოტალური ომი. ტოტალური მობილიზაცია.*

**ტოტემი** *ტოტემის* ცხოველი (იშვიათად მცენარე), რომელსაც ზოგიერთი პირველყოფილი ხალხის ტრადიციით თაყვანს სცემდნენ, როგორც ტომის წინაპარსა და მფარველს.

**ტოტემიზმი** *ტოტემიზმის* რელიგია, რომელიც ტოტემის ღვთაებრიობას აღიარებს. *ტოტემიზმის კვალი.*

**ტოტი** *ტოტის* I. ხის ან ბუჩქის ერთ-ერთი მთავარი ნაწილი – ტანიდან ან ძირიდან ამოზრდილი ღერო, რომელზეც ვითარდება ფოთლები, ყვავილები, ნაყოფი. *ვაშლის ტოტი. გამხმარი ტოტი.* 2. მდინარის განშტოება. *არაგვის ტოტი.* 3. იგივეა, რაც ტორი. 4 (ძირითადად მრ.) შარვლის ნაწილი, რომელშიც ფეხს უყრიან. *ტოტები აიკეცა.*

**ტოქსიკური** *ტოქსიკურის* შხამიანი, მომწამვლელი. *ტოქსიკური ნივთიერებები.* შეცდომაა ტოკსიური

**ტოქშოუ** *ტოქშოუს* ტელეგადაცემის სახეობა – ერთი ან რამდენიმე სტუმარი მსჯელობს შემოთავაზებულ თემაზე, რასაც, როგორც წესი, ესწრება სტუდიაში მინვეული მაყურებელი, რომელიც ზოგჯერ ერთვება კიდეც საუბარში. შეცდომაა თოქშოუ

**ტრაბახა** *ტრაბახას* ვინც ბევრი ტრაბახი იცის. *ტრაბახა კაცი.*

**ტრაბახი** *ტრაბახის* (ტრაბახობს, ეტრაბახება) თავის ქება, კვეხნა. *ტრაბახი დაიწყო. ბიჭი ბევრს ტრაბახობს. რას მეტრაბახები?!*

**ტრაგედია** *ტრაგედიის* I. დრამატურგიული ნაწარმოები, რომელშიც გადმოცემულია ძლიერი კონფლიქტები, ღრმა განცდები, რაც, ჩვეულებრივ, გმირის დაღუპვით მთავრდება. *შექსპირის ტრაგედიები.* 2. გადატ. უბედური შემთხვევა, დიდი განცდის აღმძვრელი ამბავი. *ოჯახური ტრაგედია.*

**ტრაგიზმი** *ტრაგიზმის* საბედისწერო, საშინელი, გამოუვალი მდგომარეობა. *ტრაგიზმით აღსავსე ცხოვრება.*

**ტრაგიკომედია** *ტრაგიკომედიის* დრამატურგიული ნაწარმოები, რომელშიც მოცემულია ტრაგედიისა და კომედიის ელემენტები. *ტრაგიკომედიების ავტორი.*

**ტრაგიკომიკური** *ტრაგიკომიკურის* თან ტრაგიკული, თან კომიკური. ერთდროულად სასაცილოც და სამწუხაროც. *ტრაგიკომიკური სიტუაცია.*

**ტრაგიკოსი** *ტრაგიკოსის* I. მწერალი, რომელიც ტრაგედიებს ქმნის. *ტრაგიკოსის პიესა.* 2. მსახიობი, რომელიც ტრაგიკულ როლებს ასრულებს. *ტრაგიკოსის როლი.*

**ტრაგიკული** *ტრაგიკულის* რასაც ტრაგედიის, უბედურების ხასიათი აქვს, უბედური შემთხვევით გამოწვეული. *ტრაგიკული აღსასრული.*

**ტრადიცია** *ტრადიციის* ისტორიულად ჩამოყალიბებული წეს-ჩვეულებების, ადათ-წესების, ყოფა-ცხოვრების ნორმების ერთობლიობა, რომელიც თაობიდან თაობას გადაეცემა. *წინაპართა ტრადიციები. ტრადიციის გაგრძელება.* ■ **ტრადიციული** ტრადიციაზე დამყარებული, ტრადიციად ქცეული. *ტრადიციული რიტუალი. ტრადიციული სუფრა.*

**ტრაექტორია** *ტრაექტორიის* სივრცის წრფივი მონაკვეთი, რომლის გასწვრივ რაიმე წერტილი ან სხეული მოძრაობს. *ტყვიის ტრაექტორია. ტრაექტორიის შეცვლა.*

**ტრავმა** *ტრავმის* სხეულის ქსოვილების ან ორგანოების დაზიანება, რომელიც გამოწვეულია რაიმე გარეგანი ზემოქმედების (დაჭრის, დაჟეჟვის, დაწვისა და მისთ.) შედეგად. *ფეხის ტრავმა. მსუბუქი ტრავმა.* ■ **ტრავმული** ტრავმით გამოწვეული. *ტრავმული შოკი. ტრავმული დაჟეჟილობა.* შეცდომაა ტრამვა, ტრამვული

**ტრავმატოლოგია** *ტრავმატოლოგიის* მედიცინის დარგი, რომელიც შეისწავლის ტრავმებსა და მათ მკურნალობას.

**ტრავმირებული** *ტრავმირებულის* რაც ან ვინც ტრავმის შედეგად დაზიანდა. *ტრავმირებული ადამიანები. ტრავმირებული სხეული.* შეცდომაა ტრამვირებული

**ტრამალი** *ტრამალის* ვრცელი, დაუსახლებელი, დიდ მანძილზე გაშლილი ვაკე ადგილი. *ტრამალი გაიარეს.*

**ტრამვაი** *ტრამვაის* საქალაქო ტრანსპორტის სახეობა – ერთ ან რამდენიმევაგონიანი მანქანა, რომელიც მოძრაობს ლიანდაგზე ელექტროდენის მეშვეობით. *ტრამვაის ვაგონი. ტრამვაის გაჩერება.*

**ტრამპლინი** *ტრამპლინის* I. სპორტული მოწყობილობა ან სპეციალური ნაგებობა ნახტომის სიგრძისა და სიმაღლის გასაზრდელად. *ტრამპლინიდან დაეშვა.* 2. გადატ. საწყისი ხელსაყრელი მდგომარეობა რაიმე მოქმედებისთვის. *ეს მისი ტრამპლინია.*

**ტრანზაქცია** *ტრანზაქციის* კომერციული ოპერაცია, რომელიც შეეხება ფულის გადარიცხვას ყიდვა-გაყიდვისას.

**ტრანზისტორი** *ტრანზისტორის* I. ნახევარგამტარებიანი ხელსაწყო ელექტროსიგნალების გასაძლიერებლად და გარდასაქმნელად. 2. პორტატიული რადიომიმღები, რომელსაც ტრანზისტორი (1) აქვს.

**ტრანზიტი** *ტრანზიტის* ტვირთის გადაზიდვა ან მგზავრთა გადაყვანა ერთი პუნქტიდან მეორეში შუალედური პუნქტის გავლით. ■ **ტრანზიტული** ტრანზიტთან დაკავშირებული, ტრანზიტისთვის

განკუთვნილი. *ტრანზიტული მარშრუტი. ტრანზიტული ტვირთი.*

ტრანსკრიფცია *ტრანსკრიფციის* რომელიმე ენის სიტყვათა გამოთქმის (ბგერების) ზუსტი ასახვა პირობითი ნიშნებით, რომელიც არ ემთხვევა ამ სიტყვების ორთოგრაფიულ დანერილობას. *ინგლისური ენის ტრანსკრიფცია.* შეცდომაა ტრანსკრიპცია

ტრანსლაცია *ტრანსლაციის* უშუალოდ მოქმედების, ღონისძიების ადგილიდან მეტყველების, მუსიკის, გამოსახულებისა და მისთ. შორ მანძილზე გადაცემა რადიოს ან ტელევიზიის საშუალებით. *კონცერტის ტრანსლაცია. ფეხბურთის მატჩის რეპორტაჟის ტრანსლაცია.* შეცდომაა ტრანსლიაცია

ტრანსლიტერაცია *ტრანსლიტერაციის* ერთი დამწერლობის ასოების გადმოცემა სხვა დამწერლობის ასოებით.

ტრანსპლანტაცია *ტრანსპლანტაციის* ქირურგიული ოპერაცია – ქსოვილების ან ორგანოების სხვა ადგილას ან სხვა ორგანიზმში გადანერგვა.

ტრანსპორტი *ტრანსპორტის* ხმელეთზე,ზღვაში ან ჰაერში გადაადგილების საშუალებათა საერთო სახელწოდება. *საგზაო ტრანსპორტი. სარკინიგზო ტრანსპორტი.*

ტრანსპორტიორი *ტრანსპორტიორის* 1. მუხლუხა ან ბორბლებიანი სამხედრო მანქანა ცოცხალი ძალის ან ტვირთის გადასაადგილებლად. *ჯავშნიანი ტრანსპორტიორი.* 2. გადასატანი კონვეიერი. *გორგოლაჭებიანი ტრანსპორტიორი.*

ტრანსპორტირება *ტრანსპორტირების* ტრანსპორტით გადაზიდვა. *ტრანსპორტირების ხარჯები.*

ტრანსპორტირი *ტრანსპორტირის* სახაზავი ხელსაწყო კუთხეების ასაგებად და მათ გასაზომად; შედგება სახაზავისა და გრადუსებად დაყოფილი ნახევარწრისგან.

ტრანსფერი *ტრანსფერის* ცოდნის გამოცდილების გადატანა ერთი სიტუაციიდან მეორეში ან მეცნიერების ერთი დარგიდან მეორეში.

ტრანსფორმატორი *ტრანსფორმატორის* დენის ძაბვის გარდამქმნელი ელექტრული მოწყობილობა, რომელიც ცვლადი დენის ძაბვას ზრდის ან ამცირებს. *ტელევიზორის ტრანსფორმატორი. ტრანსფორმატორის ჯიხური.*

ტრანსფორმაცია *ტრანსფორმაციის* იგივეა, რაც ტრანსფორმირება. *ტრანსფორმაცია განიცადა.*

ტრანსფორმირება *ტრანსფორმირების* გარდაქმნა, გადასახვაფერება. *უჯრედების ტრანსფორმირება.*

ტრანშეა *ტრანშეის* ვიწრო, ღრმა თხრილი, ორმო. *სანგრების შემაერთებელი ტრანშეა. სასილოსე ტრანშეა.*

ტრაპეზი *ტრაპეზის* 1. ოთხკუთხა მაგიდა ან ტახტი საკურთხეველში. *ტრაპეზთან დადგა.* 2. საეკლ. პურის ჭამა, სადილი, წვეულება. *ტრაპეზზე მიიწვიეს. ტრაპეზი გაშალეს.*

ტრაპეცია *ტრაპეციის* ოთხკუთხედი, რომლის მხოლოდ ორი გვერდია პარალელური. *ტრაპეციის ფართობი.*

ტრაპი *ტრაპის* გემისა და თვითმფრინავის მგზავრთა ჩასხდომისა და გადმოსხდომისთვის განკუთვნილი კიბე. *მოძრავი ტრაპი. მოსახსნელი ტრაპი. მგზავრები ტრაპზე ადიან.*

ტრასა *ტრასის* 1. გზა ან ხაზი, რომელზეც მოძრაობს სახმელეთო, საჰაერო ან საზღვაო ტრანსპორტი. *სამანქანო ტრასა.* 2. მიმართულება, რომელზეც მიდის გაზის, ნავთობის, წყლისა და მისთ. მილები და სადენები.

ტრაფარეტი *ტრაფარეტის* 1. თხელი ფირფიტა, რომელზეც ამოჭრილია რაიმე ნიშანი ან ასოები, იყენებენ კედელზე, ფირნიშსა და მისთ. წარწერების გასაკეთებლად ან მოსახატავად. *ტრაფარეტი გამოიყენეს.* 2. გადატ. იგივეა, რაც შაბლონი.

ტრაქტატი *ტრაქტატის* საერთაშორისო ხელშეკრულება, შეთანხმება. *გეორგიევსკის ტრაქტატი.*

ტრაქტორი *ტრაქტორის* თვითმავალი მანქანა, გამოიყენება სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებისთვის ან გამწევ საშუალებად სხვა მანქანა-დანადგარების გადაადგილებისთვის. *მიწა ტრაქტორით მოხნეს.*

ტრაქტორისტი *ტრაქტორისტის* მძღოლი, რომელიც ტრაქტორს მართავს. *ტრაქტორისტის მართვის მოწმობა.*

ტრეკი *ტრეკის* იგივეა, რაც ველოტრეკი.

ტრენაჟორი *ტრენაჟორის* სპეციალური მოწყობილობა ფიზიკური ვარჯიშების შესასრულებლად. *კომპლექსური ტრენაჟორი. ტრენაჟორების დარბაზი.*

ტრენერი *ტრენერის* იგივეა, რაც მწვრთნელი. *ფეხბურთელთა გუნდის ტრენერი.*

ტრენინგი *ტრენინგის* მოკლე სასწავლო კურსი გარკვეული უნარის გასავითარებლად ან მეთოდოლოგიის ასათვისებლად. *ტრენინგი ჩატარდა.* შეცდომაა ტრეინინგი

ტრეპანაცია *ტრეპანაციის* ძვლოვანი ღრუს გახსნის ქირურგიული ოპერაცია. *თავის ქალის ტრეპანაცია.*

ტრეფიკინგი *ტრეფიკინგის* 1. ადამიანებით ვაჭრობა. *ტრეფიკინგის მსხვერპლი.* 2. კრიმინალური ქმედება – აკრძალული საქონლით (ნარკოტიკებით, იარაღით) ვაჭრობა. შეცდომაა ტრეპიკინგი

ტრიალა *ტრიალას* რაც ტრიალებს. *ტრიალა ბორბალი.*

ტრიალი[1] *ტრიალის* (ტრიალებს) 1. იგივეა, რაც ბრუნვა. *ბორბალი ტრიალებს.* 2. რაიმე ამბის, მდგომარეობისა და მისთ. გავრცელება გარკვეულ ადგილას, ყველაფრის მოცვა. *ოჯახში დიდი სიხარული ტრიალებს. ბაღში ვარდის სურნელი ტრიალებს.* 3. გადატ. საქმიანობა, საჭირო საქმის კეთება.

*ოჯახში ტრიალი უყვარს.* 4. გარკვეულ წრეში, გარკვეულ ადგილას ხშირად ყოფნა. *მხატვრებში ტრიალებს. გავლენიან ხალხში ტრიალებს.*

**ტრიალი**[2] *ტრიალის* ⊙ **ტრიალი მინდორი** დიდი, გაშლილი ველი, სადაც თავიდან ბოლომდე ჩანს ყველაფერი.

**ტრიბუნა** *ტრიბუნის* 1. საგანგებოდ მოწყობილი ამაღლებული ადგილი ორატორისთვის. *ტრიბუნიდან ხალხს მიმართა. ტრიბუნასთან დადგა.* 2. სტადიონის ნაწილი, სადაც განლაგებულია საფეხურების მსგავსი ამაღლებული რიგები მაყურებლების დასასხდომად. *ტრიბუნები გულშემატკივრებით აივსო. ტრიბუნებიდან გამამხნევებელი შეძახილები ისმის.*

**ტრიბუნალი** *ტრიბუნალის* საგანგებო სამსჯავრო, სასამართლო. *ტრიბუნალის წინაშე წარდგა. სამხედრო ტრიბუნალი.*

**ტრიბუნი** *ტრიბუნის* ორატორი, რომელიც თავის გამოსვლებში იცავს რომელიმე საზოგადოებრივი ჯგუფის ინტერესებს. *პარტიის ტრიბუნი.*

**ტრიგონომეტრია** *ტრიგონომეტრიის* მათ. მათემატიკის დარგი, რომელიც შეისწავლის სამკუთხედის გვერდებისა და კუთხეების შეფარდებას. *ტრიგონომეტრიის წიგნი.*

**ტრივიალური** *ტრივიალურის* არაორიგინალური, ბანალური. *ტრივიალური ამბავი.*

**ტრილიონი** *ტრილიონის* ათასი მილიარდი (1 000 000 000 000). *ტრილიონი დოლარი.*

**ტრილოგია** *ტრილოგიის* ერთი ავტორის სამი ნაწარმოები, რომლებსაც საერთო დედააზრი აქვთ. *ცნობილი ტრილოგია. მუსიკალური ტრილოგია.*

**ტრიო** *ტრიოს* 1. სამი შემსრულებლისგან შემდგარი ანსამბლი. *ტრიოს გამოსვლა.* 2. მუსიკალური ნაწარმოები სამი შემსრულებლისთვის.

**ტრიუკი** *ტრიუკის* 1. რთული საცირკო ილეთი. *ტრიუკების ოსტატი. აკრობატული ტრიუკი.* 2. ეფექტური ილეთი, მოძრაობა. *სასცენო ტრიუკი.*

**ტრიუმი** *ტრიუმის* გემის შიგნითა ნაწილი ქვედა გემბანსა და ფსკერს შორის, განკუთვნილია მექანიზმებისა და ტვირთისთვის. *ტრიუმში წყალი შევიდა.*

**ტრიუმფი** *ტრიუმფის* დიდი წარმატება, ბრწყინვალე გამარჯვება, ამ წარმატებით გამოწვეული ზეიმი. *ჩემპიონატი ჩვენი ნაკრების ტრიუმფით დამთავრდა.*

**ტროლეიბუსი** *ტროლეიბუსის* საქალაქო ტრანსპორტის სახეობა – ელექტროდენის მეშვეობით მოძრავი ავტობუსი. *ტროლეიბუსის ხაზი. ტროლეიბუსის გაჩერება.*

**ტრომბონი** *ტრომბონის* ლითონის სასულე საკრავი, რომელიც შედგება ცილინდრული ფორმის ორივე ბოლოში გაღუნული მოძრავი მილებისგან. *ტრომბონს უკრავს. ტრომბონის პარტია.*

**ტროპიკი** *ტროპიკის* ეკვატორიდან ჩრდილოეთით და სამხრეთით წარმოსახვით წრეხაზში მოქცეული არეალი, რომელიც ხასიათდება ცხელი ჰავით. *ჩრდილოეთ ტროპიკი. სამხრეთ ტროპიკი.* ‖ **ტროპიკული** ტროპიკებისთვის დამახასიათებელი, ტროპიკებთან დაკავშირებული. *ტროპიკული დაავადებანი. ტროპიკული სიცხე.*

**ტროპი** *ტროპის* ლიტ. აზრის მხატვრულად გადმოცემის მიზნით ნახმარი სიტყვა ან გამოთქმა, ჩვეულებრივ გადატანითი მნიშვნელობით. *პოეტური ტროპი. ტროპის სახე.*

**ტროსი** *ტროსის* ორმაგწნულიანი ფოლადის ბაგირი, რომელიც გამოიყენება ხიდების მშენებლობაში, ბუქსირებზე, ამწეებზე მძიმე ტვირთის ასაწევად და მისთ. *მანქანის. გემი ტროსს ზე გამოაბეს.*

**ტროტუარი** *ტროტუარის* ქუჩის, მოედნის ნაპირებზე მოწყობილი ქვაფენილი ან მოასფალტებული გზა ფეხით მოსიარულეთათვის. *ფართო ტროტუარი.*

**ტრუბადური** *ტრუბადურის* პოეტი, რომელიც უმღეროდა რაინდობასა და სიყვარულს.

**ტრუსვა** *ტრუსვის* (ტრუსავს, იტრუსაეს, უტრუსავს, იტრუსება, ეტრუსება) 1. ↑ **გატრუსვა**. *ქათამს ტრუსავს.* 2. ↑ **შეტრუსვა** *ულვაშები ეტრუსება.*

**ტრფიალება** *ტრფიალების* (ეტრფიალება) იგივეა, რაც **ტრფიალი** (1).

**ტრფიალი** *ტრფიალის* 1. ტრფობა, სიყვარული. 2. იგივეა, რაც მოტრფიალე. *მუსიკის დიდი ტრფიალი.*

**ტრფობა** *ტრფობის* (ეტრფის) სიყვარული. *ფარული ტრფობა. ქალს ეტრფის.*

**ტუალეტი** *ტუალეტის* 1. ჩაცმულობა, ვარცხნილობა, მორთულობა (უპირატესად ქალის). *ტუალეტს დიდ დროს უთმობს.* 2. ოთახი ან ნაგებობა ბუნებრივი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. *ქალთა ტუალეტი.*

**ტუბერი** *ტუბერის* ზოგიერთი მცენარის მინისქვეშა გამსხვილებული ღერო ან ფესვი.

**ტუბერკულოზი** *ტუბერკულოზის* მედიც. გადამდები დაავადება, რომელიც აზიანებს ფილტვებს (ზოგჯერ სხვა ორგანოებს). *ტუბერკულოზით დაავადებული.* შეცდომაა ტუბერკულიოზი

**ტუზი** *ტუზის* კარტის თითოეულ სახეობაში (ჯვარი, გული და მისთ.) ყველაზე მაღალი სათამაშო ქაღალდი, რომელიც ჭრის ამ სახეობის ყველა დანარჩენ კარტს. *აგურის ტუზი.* ⊙ **ტუზი დაეცა** საუბრ. გაუმართლა.

**ტუმბვა** *ტუმბვის* (ტუმბავს, იტუმბება) ↑ **დატუმბვა**. *საბურავები ჰაერით იტუმბება. სანთებელას ტუმბავენ.*

**ტუმბო** *ტუმბოს* აპარატი, რომელიც წნევის ძალით გადააადგილებს სითხეს ან აირს. *წყლის ტუმბო. ბენზინის ტუმბო.*

**ტუნდრა** *ტუნდრის* გეოგრ. დედამიწის ჩრდილოეთის ზოლი, რომელიც ტანდაბალი მცენარეებითაა დაფარული.

**ტურა** *ტურის* მცირე ზომის მტაცებელი ცხოველი, იკვებება მძორით. *ტურამ ქათამი მოიტაცა.*

ტურა



**ტურბინა** *ტურბინის* ძრავის ნაწილი – მრავალფრთიანი სწრაფად მბრუნავი თვალი, რომელიც ორთქლის, წყლის ან აირის ენერგიას მექანიკურ ენერგიად გარდაქმნის. *რეაქტიული ძრავის ტურბინა. გემი ტურბინებით მოძრაობს.*

**ტური** *ტურის* რაიმე შეჯიბრების ან კონკურსის ნაწილი, რომელშიც თითოეული მონაწილე ერთხელ გამოდის. *პირველი ტური. შესარჩევი ტური.*

**ტურიზმი** *ტურიზმის* I. მოგზაურობა ამა თუ იმ ქვეყანაში, მხარეში დათვალიერებისა და დასვენების მიზნით. *ტურიზმი სწრაფად ვითარდება.* 2. ჯგუფური ლაშქრობა ორგანიზმის გაკაჟების მიზნით. *სამთო ტურიზმი.*

**ტურისტული** *ტურისტულის* ტურიზმთან დაკავშირებული. *ტურისტული საგზური. ტურისტული მარშრუტი.*

**ტურისტი** *ტურისტის* პირი, რომელიც მოგზაურობს რომელიმე ქვეყნის, მხარის დათვალიერებისა და დასვენების მიზნით. *უცხოელი ტურისტები.*

**ტურნე** *ტურნეს* I. მოგზაურობა წრიული მარშრუტით. *ტურნეს მოწყობა.* 2. ხელოვანთა ან სპორტსმენთა საგასტროლო მოგზაურობა გარკვეული მარშრუტით. *ანსამბლის ტურნე დასრულდა.*

**ტურნირი** *ტურნირის* სპორტული შეჯიბრება, რომლის ყველა მონაწილე ერთმანეთს თითოჯერ ხვდება. *საფეხბურთო ტურნირი. საერთაშორისო ტურნირი.*

**ტურტლი** *ტურტლის* ჭუჭყი, სიბინძურე. *სახეზე ტურტლი ჰქონდა.* ■ **ტურტლიანი** რასაც ან ვისაც ტურტლი აქვს. *ტურტლიანი ხელები. ტურტლიანი თეფში.*

**ტურფა** *ტურფას* ძალიან ლამაზი, კოხტა, მომხიბვლელი. *ტურფა სახე. ტურფა შესახედაობა.*

**ტუსაღი** *ტუსაღის* იგივეა, რაც პატიმარი.

**ტუსტუსი** *ტუსტუსის* (ტუსტუსებს) სწრაფი, მოკლე ნაბიჯებით სიარული. *მოხუცის ტუსტუსი. ტუსტუსით დადის.*

**ტუტე** *ტუტის* წყალში ხსნადი ნივთიერება, რომელსაც ახასიათებს ჟანგვის მაღალი ხარისხი. *ტუტე ლითონები.*

**ტუტრუცანა** *ტუტრუცანას* იგივეა, რაც ტუტუცი. *ტუტრუცანა გოგო.*

**ტუტუნი** *ტუტუნის* (ტუტუნებს, ეტუტუნება) ხმადაბალი, გაურკვეველი, საიდუმლო ლაპარაკი, ჩურჩული. *ტუტუნი დაიწყეს. მეგობარს ეტუტუნება.*

**ტუტუცი** *ტუტუცის* უპატივც. სულელი, არასერიოზული. *ტუტუცი ბავშვი.*

**ტუფი** *ტუფის* ვულკანური ან დანალექი ფოროვანი ქანი, იყენებენ საშენ მასალად. *ტუფით ნაგები. ტუფის საბადოები.*

**ტუქსვა** *ტუქსვის* (ტუქსავს) ↑ დატუქსვა. *შვილს ტუქსვა დაუწყო. მასწავლებელი ხშირად ტუქსავს.*

**ტუში**[1] *ტუშის* საგანგებოდ დამზადებული, უპირატესად შავი საღებავი, რომელიც გამოირჩევა გამძლეობით და დიდხანს ინარჩუნებს ფერს; იყენებენ სახატავად, სახაზავად. *ტუშით დახაზული.*

**ტუში**[2] *ტუშის* მოკლე მუსიკალური მისალმება, რომელსაც ძირითადად სასულე ორკესტრი ასრულებს. *ტუში დაუკრეს.*

**ტუჩი** *ტუჩის* 1. პირის ზედა და ქვედა ხორცოვანი დაბოლოება. *ქვედა ტუჩი. სქელი ტუჩები.* 2. სასმისის პირის წინ წამონეული ნაწილი, საიდანაც სითხე გადმოდის. *დოქის ტუჩი.*

**ტუჩ-კბილი** *ტუჩ-კბილის* ტუჩები და კბილები. *ლამაზი ტუჩ-კბილი აქვს.* ⊙ **ტუჩებზე რძე არ შეშრობია** ამბობენ ძალიან ახალგაზრდა ადამიანზე. ⊙ **ტუჩებს იბზუებს** უკმაყოფილებას გამოხატავს.

**ტუხტი** *ტუხტის* ბალახოვანი მცენარე, აქვს მაღალი ღერო და მსხვილი ფერადი ყვავილები, გამოიყენება სამკურნალოდ. *ტუხტის ნაყენი.*

**ტყავეული** *ტყავეულის* ტყავის მასალა, ტყავის ტანსაცმელი. *ტყავეულის მაღაზია.*

**ტყავი** *ტყავის* 1. ცხოველთა ბეწვიანი გარე საფარი. *დათვის ტყავი. მგლის ტყავი.* 2. მასალა, რომელიც მიიღება ტყავის (1) სპეციალური დამუშავების შედეგად. *ტყავის ფეხსაცმელი. ტყავის ქურთუკი. ტყავის ხელთათმანი.* 3. ადამიანის კანი. *ტყავი სძვრება.* ⊙ **ტყავს გააძრობს** 1. ძალიან ბევრს ამუშავებს. 2. ძალიან ძვირად მიჰყიდის რაიმეს. ⊙ **შენს ტყავში დაეტიე!** შენს საქმეს მიხედე, ნუ მეტიჩრობ!

**ტყაპანი** *ტყაპანის* წყალში ან ტალახში მძიმედ ჩავარდნისას ან ჩახტომისას გამოცემული ხმა. *შუა წყალში ტყაპანი მოადინა. ტყაპანი გაისმა.*

**ტყაპატყუპი** *ტყაპატყუპის* გაბმული, ხშირი ტყაპუნის ხმა. *ხელების ტყაპატყუპი.*

**ტყაპუნი** *ტყაპუნის* (ატყაპუნებს, იტყაპუნებს, უტყაპუნებს) მაგარ ზედაპირზე ძლიერად ცემა, რტყმა მკვეთრი ხმის გამოცემით. *თავში უტყაპუნებს. მაგიდაზე ხელს ატყაპუნებს.*

**ტყაპუჭი** *ტყაპუჭის* ცხოველის (ჩვეულებრივ, ცხვრის) ტყავისგან შეკერილი მოკლე ზედა ტანსაცმელი, რომელსაც ბეწვი შიდა მხარეს აქვს მოქცეული. *მეცხვარის ტყაპუჭი.*

**ტყდომა** *ტყდომის* (ტყდება, უტყდება) ↑ გატყდომა. *ჭიქა ტყდება. სათვალე ხშირად უტყდება.*

**ტყე** *ტყის* ხეებით დაფარული ვრცელი ადგილი. *ფოთლოვანი ტყე. ტყეში ვავიდნენ. ტყის ბინადარი.* ▪ **ტყე-ტყე** ზმნიზ. *ტყეზე გავლით, ტყეებში. ტყე-ტყე იარეს.*

ტყე

**ტყე-ველი** ვრცელი ადგილი, მიდამო ტყითა და ველებით. *ტყე-ველი გადამწვანდა.*

**ტყემალი** *ტყემლის* 1. მრგვალი ან წაგრძელებული ფორმის, წითელი ან ყვითელი ფერის, მჟავე ხილი. *ტყემლის ტყლაპი.* 2. საშუალო ზომის ხე, რომელიც ისხამს ტყემალს (1), აქვს დაკბილული, მთლიანი ფოთლები და თეთრი ყვავილები. *ტყემლის ტოტი.* 3. ტყემლისგან (1) დამზადებული სანებელი.

**ტყემლიანი** *ტყემლიანის* 1. ტყემლით (2) დაფარული ადგილი. 2. რაც ტყემლით (1) არის შეზავებული. *ტყემლიანი ჭარხალი.*

**ტყეპა** *ტყეპის* (ტყეპს, იტყიპება) საუბრ. ↑ გატყეპა. *ტყეპა არ აგცდება!*

**ტყე-ღრე** *ტყე-ღრის* ძნელად გასავლელი ტყიანი ადგილი. *ტყე-ღრეში დადის.*

**ტყვე** *ტყვის* მტრის მიერ შეპყრობილი და თავისუფლებაწართმეული პირი. *ტყვედ ჩაიგდეს. ტყვე დაკითხეს. ტყვეებმა მოახერხეს გაქცევა.*

**ტყვეობა** *ტყვეობის* ტყვედ ყოფნა. *ტყვეობას გადაურჩა.*

**ტყვია** *ტყვიის* 1. მონაცრისფრო-მოცისფრო მძიმე ლითონი. *ტყვიის შენადნობი.* 2. ცეცხლსასროლი იარაღის ვაზნის ასაფეთქებელი ნაწილი, რომელიც მიზნის დასაზიანებლადაა განკუთვნილი. *ავტომატის ტყვია. რევოლვერის ტყვია.* ⊙ **გულზე ტყვიასავით მოხვდა** გაგონილმა ძალიან შეაწუხა. ⊙ **ტყვიასავით გავარდა** ძალიან სწრაფად წავიდა.

**ტყვიაგაუმტარი** *ტყვიაგაუმტარის* რაც ტყვიას არ ატარებს. *ტყვიაგაუმტარი მინა. ტყვიაგაუმტარი ჟილეტი.*

**ტყვიამფრქვევი** *ტყვიამფრქვევის* ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი, რომელიც ტყვიებს ერთიმეორის მიყოლებით, სწრაფად ისვრის. *ტყვიამფრქვევით დაცხრილეს.*

**ტყვია-წამალი** *ტყვია-წამლის* საბრძოლო მასალა ცეცხლსასროლი იარაღისთვის. *ტყვია-წამლის საწყობი.*

**ტყიანი** ადგილი, სადაც ტყეა. *ტყიანი ნაპირი. ტყიანი გარემო.*

**ტყირპი** *ტყირპის* 1. საუბრ. ელენთა. 2. კანის პათოლოგიური სიწითლე. *ტყირპი მოაცილეს.*

**ტყისკაცი** *ტყისკაცის* ზღაპრული არსება – კაცი, რომელიც ტყეში მარტო ცხოვრობს და ერჩის ადამიანებს.

**ტყისმცველი** *ტყისმცველის* პირი, რომელიც ტყეს იცავს, ტყის მეთვალყურე.

**ტყისქათამი** *ტყისქათმის* მოზრდილი ფრინველი, ბინადრობს ტყეებსა და ბუჩქნარებში. *ტყისქათმის ხორცი.*

**ტყიურა** *ტყიურას* მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარე, ნაყოფი გამოიყენება სანელებლად, გავრცელებულია ტყიან ადგილებში.

**ტყიური** *ტყიურის* რაც (ვინც) ტყეში ცხოვრობს, ტყის ბინადარი. *ტყიური ნადირი. ტყიური კაცი.*

**ტყლაპი** *ტყლაპის* 1. მოდუღებული ტყემლის, ქლიავისა და მისთ. წვნის თხელი, გამომშრალი ფენა. *ტკბილი ტყლაპი.* 2. გაცვეთილ ფეხსაცმელში ჩასაფენი ტყავის ნაჭერი.

**ტყლარჭვა** *ტყლარჭვის* (იტყლარჭება) საუბრ. ზედმეტად, გამაღიზიანებლად პრანჭვა. *ტყლარჭვით ლაპარაკობს. რას იტყლარჭებ?!*

**ტყლაშანი** *ტყლაშანის* მთელი ძალით დარტყმისას ან ძირს დაცემისას გამოცემული ხმა. *ტყლაშანი მოადინა.*

**ტყლაშატყლუში** *ტყლაშატყლუშის* გამეტებით ცემა, ამ დროს გამოცემული ტალღების ხმა. *ტალღების ტყლაშატყლუში.*

**ტყლაშუნი** *ტყლაშუნის* (ტყლაშუნობს, ატყლაშუნებს, უტყლაშუნებს) დრეკადი საგნის სწრაფი ქნევისას ან რაიმეზე დარტყმისას, ცემისას გამოცემული ხმა. *მათრახის ტყლაშუნი. სახეში უტყლაშუნებს. შოლტს ატყლაშუნებს.*

**ტყორცნა** *ტყორცნის* ((ს)ტყორცნის) ძლიერად სროლა, გადაგდება გარკვეული მიმართულებით. *ისარი სამიზნეს სტყორცნა.*

**ტყრუშული** *ტყრუშულის* წნელის მაგარი ღობე, ღობის დაწნვის ტიპი. *ეზოს ტყრუშული აქვია.*

**ტყუილი** *ტყუილის* (ტყუის, იტყუება) 1. რაც მართალი არ არის, არარსებული. *ტყუილი ინფორმაცია. ტყუილი თქვა.* 2. ტყუილის (1) თქმა. *უსინდისოდ ტყუის.* 3. უსაფუძვლო, ფუჭი, უშედეგო. *ტყუილი იმედი. ტყუილი წვალება.* ▲ **ტყუილად** ზმნიზ. ამაოდ, ფუჭად. *ტყუილად შრომობს.* ⊙ **ტყუილებით გაბერავს** ბევრ ტყუილს ეტყვის. ⊙ **ტყუილების გუდა ვისაც ტყუილების თქმა უყვარს,** ვინც გამუდმებით ცრუობს.

**ტყუილ-უბრალო** *ტყუილ-უბრალოს* უსაფუძვლო, უმიზეზო, უშედეგო. *ტყუილ-უბრალო სამდურავი.* ▲ **ტყუილ-უბრალოდ** ზმნიზ. უსაფუძვლოდ, უმიზეზოდ. *ტყუილ-უბრალოდ იჩხუბეს.*

**ტყუპი** *ტყუპის* 1. ერთდროულად დაბადებული ორი შვილი. *ტყუპი ბიჭი. ტყუპი ბატკანი. ტყუპი გააჩინა.* 2. ორი ერთდროული, ერთჟამიერი. *ტყუპი წიხლი ჰკრა.* 3 (მრ.) ზოდიაქოს ნიშანი. ▪ **ტყუპ-ტყუპი** ორ-ორი, წყვილ-წყვილი. *ტყუპ-ტყუპი ბატკნები ჩნდება.*

# – უ –

**უადგილო** *უადგილოს* 1. რასაც ან ვისაც ადგილი არა აქვს. *უადგილო მგ ზავრი.* 2. გადატ. გარემოსთვის, ვითარებისთვის შეუფერებელი. *უადგილო შეკითხვა. უადგილო ხუმრობა.*

**უადგილოდ** ზმნზ. 1. ადგილის გარეშე. *სტუმრები უადგილოდ დარჩნენ.* 2. გადატ. სიტუაციისთვის შეუფერებლად. *უადგილოდ ნათქვამი.*

**უაზრო** *უაზროს* რაც აზრს არ შეიცავს, ვისაც აზრი არ გააჩნია. *უაზრო კამათი. უაზრო ადამიანი.*

**უაზრობა** *უაზრობის* აზრს მოკლებული რამ; უგუნურება, უჭკუობა. *უაზრობას ამბობ. შენგან ასეთ უაზრობას არ მოველოდი.*

**უალკოჰოლო** *უალკოჰოლოს* რაც ალკოჰოლს არ შეიცავს. *უალკოჰოლო კოქტეილი.*

**უამინდობა** *უამინდობის* ცუდი ამინდი. *უამინდობის გამო ფრენა გადაიდო.*

**უამრავი** *უამრავის* ძალიან ბევრი, უთვალავი. *ფესტივალს უამრავი მაყურებელი დაესწრო.*

**უამხანაგო** *უამხანაგოს* ვისაც ამხანაგი არა ჰყავს. *უამხანაგო კაცი.*

**უანგარიშო** *უანგარიშოს* ძალიან ბევრი, რომლის დათვლაც შეუძლებელია. *უანგარიშო ოდენობით.*

**უანგარო** *უანგაროს* ვინც ან რაც ანგარებიანი არ არის. *უანგარო დახმარება.* ▲ **უანგაროდ** ზმნზ. ანგარების გარეშე. *უანგაროდ ემსახურება.*

**უარესად** ზმნზ. 1. უფრო ცუდად. *უარესად გახდა.* 2. უფრო მეტად. *უარესად ატირდა.*

**უარესი** *უარესის* უფრო ცუდი. *უარესი გაჭირვება ელით.* ↔ **უკეთესი.** ⊙ **მით უარესი** კიდევ უფრო ცუდი.

**უარესობა** *უარესობის* ძალიან მძიმე მდგომარეობა, ვითარება; უფრო ცუდი, ვიდრე იყო. *უარესობა ეტყობა. უარესობისკენ მიდის.* ↔ **უკეთესობა.**

**უარი** *უარის* რაიმეზე უარყოფითი პასუხი. *თხოვნაზე უარი უთხრა. უარით გაისტუმრა.* ⊙ **უარი სტკიცა** უცბად, მოურიდებლად უთხრა უარი. ⊙ **ცივი უარი** მტკიცე, საბოლოოდ გადაწყვეტილი უარი.

**უარობა** *უარობის* (უარობს) უარის თქმა, რაიმეს უარყოფა. *უარობა ალარ გაუვიდა. ყველაფერს უარობს.*

**უარყოფა** *უარყოფის* (უარყოფს) უარის თქმა, უარის გამოცხადება. *თავისი ნათქვამი უარყო. დანაშაული უარყო.*

**უარყოფითი** *უარყოფითის* 1. არადამაკმაყოფილებელი, უარის გამომხატველი. *უარყოფითი შეფასება.* ↔ **დადებითი.** 2. ცუდი. *უარყოფითი თვისება. უარყოფითი მოვლენა.* 3. ნულზე ნაკლები, მინუსით აღნიშნული რიცხვი.

**უასაკო** *უასაკოს* პატარა, მცირეწლოვანი. *უასაკო ბავშვი.*

**უაღრესი** *უაღრესის* ნიგნ. ძალიან დიდი, ძალიან ძლიერი. *უაღრესი სიმტკიცე გამოიჩინა.* ▲ **უაღრესად** ზმნზ. ძალიან. *უაღრესად მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება.*

**უახლესი** *უახლესის* ყველაზე ახალი, სულ ახლახან შექმნილი, მომხდარი. *უახლესი მოვლენები. უახლესი ტექნოლოგიები.*

**უახლოესი** *უახლოესის* ყველაზე ახლოს მყოფი, ყველაზე ახლოს მდებარე. *უახლოესი მეგობარი. უახლოესი საავადმყოფო.*

**უბადლო** *უბადლოს* ვისაც ან რასაც ბადალი არ მოეპოვება, ძალიან კარგი, განუმეორებელი. *უბადლო ოსტატი.*

**უბადრუკი** *უბადრუკის* საცოდავი, უბედური, უმწეო. *უბადრუკი კაცი. უბადრუკი სახლი.*

**უბანი** *უბნის* 1. ქალაქის ან სოფლის ნაწილი, პატარა კუთხე, რომელიც რაიმე ნიშნით არის გამოყოფილი. *ჩვენი უბნის ბიჭები.* 2. ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დანაყოფი. *საარჩევნო უბანი.* ▪ **უბან-უბან** ზმნზ. ერთი უბნიდან მეორეში, უბნებში; უბნების მიხედვით. *ქალაქი უბან-უბან მოიარა.*

**უბარაქო** *უბარაქოს* რასაც ბარაქა არა აქვს. *უბარაქო ოჯახი.*

**უბატონო** *უბატონოს* ვისაც ბატონი (2) არა ჰყავს. *უბატონო მხარე.* ⊙ **უბატონოდ ხმას ვერ სცემენ** თავაზიანობის გარეშე, უპატივცემულოდ ვერ ელაპარაკებიან.

**უბე** *უბის* 1. ადგილი ტანსაცმლის შიგნით, გულმკერდის არესთან. *ხელი უბეში ჩაიყო.* 2. ზღვის პატარა ყურე, რომელიც მოსახერხებელია გემების დასადგომად. 3. შარვლის ტოტებს შუა ადგი-

ლი. *უბე ვიწრო მოუვიდა.* ⊙ **უბის წიგნაკი** პატარა ზომის წიგნაკი ჩანაწერებისთვის.

**უბედნიერესი** *უბედნიერესის* ძალიან ბედნიერი, ყველაზე ბედნიერი. *უბედნიერესი ქალი. უბედნიერესი დღე.*

**უბედო** *უბედოს* ვისაც არ უმართლებს, ბედი არ სწყალობს. *უბედო ქალი. რა უბედო ყოფილა!*

**უბედობა** *უბედობის* რაიმე საქმეში, ცხოვრებაში ნარუმატებლობა, როდესაც ბედი არ სწყალობს ადამიანს. *უბედობას უჩივის.*

**უბედურება** *უბედურების* დიდი მწუხარების, დარდის მომტანი ამბავი. *უბედურება შეემთხვა. უბედურება დატრიალდა.*

**უბედური** *უბედურის* I. ვისაც ბევრი უბედურება შეემთხვა. *უბედური ტყვე.* ↔ **ბედნიერი**. 2. გადატ. ცუდი, საშინელი, აუტანელი. *უბედური ცხოვრება.* ⊙ **უბედურ ვარსკვლავზეა დაბადებული** ბედი არა აქვს, უბედურია. ⊙ **უბედური შემთხვევა** შემთხვევა, რომელსაც ადამიანის სიკვდილი მოჰყვება.

**უბერებელი** *უბერებლის* ვისაც ან რასაც ასაკი არ ეტყობა, ვინც ან რაც არ ბერდება ან არ ძველდება. *უბერებელი მსახიობი. უბერებელი სიმღერა.*

**უბენვო** *უბენვოსი* რასაც ბენვი არა აქვს. *უბენვო კნუტი.*

**უბირი** *უბირის* გაუნათლებელი. *უბირი გლეხი.*

**უბინო** *უბინოს* ზნეობრივად სუფთა, უმანკო. *უბინო პიროვნება.*

**უბოდიშო** *უბოდიშოს* უზრდელური, მოურიდებელი. *უბოდიშო საქციელი.* ▲ **უბოდიშოდ** ზმნზ. ბოდიშის მოხდის გარეშე, მოურიდებლად. *უბოდიშოდ შემოვარდა.*

**უბოროტო** *უბოროტოს* ვინც ბოროტებას არ ჩაიდებს გულში. *უბოროტო კაცი.*

**უბრალო** *უბრალოს* I. ჩვეულებრივი, სადა. *უბრალო ადამიანი.* 2. უმნიშვნელო, მარტივი. *უბრალო ამბავი.* 3. უდანაშაულო. ვისაც ბრალი არ მიუძღვის. *უბრალო კაცი.* ▪ **უბრალოდ** ზმნზ. მარტივად, არართულად, სადად. *უბრალოდ აკეთებს.*

**უბრალოება** *უბრალოების* სისადავე, არაფრით გამორჩეულობა. *უბრალოება მოსწონს.*

**უგამონაკლისო** *უგამონაკლისოს* რასაც გამონაკლისი არა აქვს. *უგამონაკლისო წესი.* ▲ **უგამონაკლისოდ** ზმნზ. გამონაკლისის გარეშე, უკლებლად. *უგამონაკლისოდ ყველა დაპატიჟეს.*

**უგემოვნო** *უგემოვნოს* ვისაც კარგი გემოვნება არა აქვს, რაც კარგ გემოვნებას არ შეეფერება. *უგემოვნო მუსიკა.* ▲ **უგემოვნოდ** ზმნზ. გემოვნების გარეშე, ცუდი გემოვნებით. *უგემოვნოდ იცვამს.*

**უგემური** *უგემურის* რასაც კარგი გემო არა აქვს. *უგემური სადილი.*

**უგერგილო** *უგერგილოს* მოუხერხებელი, უშნო. *უგერგილო კაცი.*

**უგვანი** *უგვანის* ცუდი, უმსგავსო. *უგვანი ხალხი.*

**უგვარტომო** *უგვარტომოს* ვისაც სისხლით ნათესავი არა ჰყავს. *უგვარტომო კაცი.*

**უგვირგვინო** *უგვირგვინოს* არაფორმალური, რეალური მფლობელი რაიმე ძალაუფლებისა ან ტიტულისა. *უგვირგვინო ჩემპიონი. უგვირგვინო მეფე.*

**უგზოობა** *უგზოობის* გზის უქონლობა. *უგზოობა ძალიან გვაწუხებს.*

**უგზო-უკვლო** *უგზო-უკვლოს* 1. მიუვალი, გადაკარგული. *უგზო-უკვლო ადგილები.* 2. გადატ. გაუგებარი, დაულაგებელი. *უგზო-უკვლო აზრები.*

**უგზო-უკვლოდ** ზმნზ. 1. გზა-კვალის გარეშე, უკვალოდ. *უგზო-უკვლოდ გაუჩინარდა.* 2. უთავბოლოდ, გაუგებარად. *უგზო-უკვლოდ განათლებული.*

**უგონო** *უგონოს* გონებადაკარგული. *უგონო ავადმყოფი.* ▲ **უგონოდ** ზმნზ. გონებადაკარგულად, უგრძნობლად. *უგონოდ ეგდო. უგონოდ მთვრალი.*

**უგრეხელი** *უგრეხლის* ერთწლოვანი დაბალი მცენარე, იკეთებს თესლებიან პატარა პარკს, გამოიყენება საქონლის საკვებად. იზრდება მშრალ ადგილებში.

**უგრძნობელი** *უგრძნობლის* ვინც ან რაც არაფერს გრძნობს; ვისაც გრძნობა, განცდა არ შეუძლია. *უგრძნობელი ქალი.* ▲ **უგრძნობლად** ზმნზ. გრძნობის გარეშე, გრძნობადაკარგვით. *უგრძნობლად დაეცა.*

**უგრძნობი** *უგრძნობის* იგივეა, რაც **უგრძნობელი**. *უგრძნობი სხეული.*

**უგულებელყოფა** *უგულებელყოფის* (**უგულებელყოფს**) არმიღება, უარყოფა, გათვალისწინების გარეშე დატოვება. *საკითხის უგულებელყოფა. მისი კანდიდატურა უგულებელყვეს.* ▪ **უგულებელყოფილი** რაც ან ვინც უგულებელყვეს. *უგულებელყოფილი ადგილი.* შეცდომაა **უგულვებელყოფა**

**უგულისყურო** *უგულისყუროს* უყურადღებო, უინტერესო. *უგულისყურო აღმოჩნდა.* ▲ **უგულისყუროდ** ზმნზ. უყურადღებოდ, უინტერესოდ. *უგულისყუროდ კითხულობს. უგულისყუროდ უსმენს.*

**უგულო** *უგულოს* 1. რასაც გული (4) არა აქვს. *უგულო ქადა.* 2. გადატ. გულცივი, მკაცრი. *უგულო კაცი.* ▲ **უგულოდ** ზმნზ. უნდომლად, უხალისოდ. *უგულოდ მეცადინეობს.*

**უგუნებო** *უგუნებოს* ვისაც უგუნებობა ახასიათებს, უხასიათო. *უგუნებო მოხუცი.* ▲ **უგუნებოდ** ზმნზ. უხასიათოდ, უხალისოდ. *უგუნებოდ იყო.*

**უგუნებობა** *უგუნებობის* ცუდ განწყობილებაზე ყოფნა, მოწყენილობა. *უგუნებობა დაეტყო.*

**უგუნურება** *უგუნურების* იგივეა, რაც **უგუნურობა**. *ყველაფერი თავისი უგუნურებით დაემართა.*

უგუნური *უგუნურის* სულელი, უჭკუო, ბრიყვი. *უგუნური კაცი.*

უგუნურობა *უგუნურობის* სიბრიყვე, სისულელე, უჭკუობა. *უგუნურობა გამოიჩინა.*

უდაბნო *უდაბნოს* დედამიწის დაუსახლებელი, ცხელი, უწყლო, მცენარეებით ღარიბი, უმეტესად ქვიშითა და სილით დაფარული ნაწილი. *საჰარის უდაბნო.*

უდაბურება *უდაბურების* სიჩუმე, მყუდროება, როდესაც ირგვლივ ადამიანი არ არის ან მისი არსებობა არ იგრძნობა.

უდაბური *უდაბურის* 1. დაბურული, უღრანი. *უდაბური ტყე.* 2. მიუვალი, მივარდნილი, დაუსახლებელი. *უდაბური ადგილები.*

უდავო *უდავოს* რაშიც ეჭვის შეტანა არ შეიძლება, უეჭველი, ნამდვილი. *უდავო ფაქტები.* ▲ უდავოდ ზმნზ. ნამდვილად, უეჭველად. *უდავოდ გაიმარჯვებს.* შეცდომაა უდაო

უდანაკარგოდ ზმნზ. დანაკარგის გარეშე. *გუნდი უდანაკარგოდ ასპარე ზობს.*

უდანაშაულო *უდანაშაულოს* ვინც დამნაშავე არ არის. *უდანაშაულო ბავშვები.*

უდარდელი *უდარდელის* მშვიდი, მხიარული, უშფოთველი. *უდარდელი ბავშვობა.* ▲ უდარდელად ზმნზ. მხიარულად, უშფოთველად. *უდარდელად ცხოვრობდნენ.*

უდარდელობა *უდარდელობის* დარდის არქონა. *ბავშვური უდარდელობა.*

უდედმამო *უდედმამოს* ვისაც დედ-მამა არა ჰყავს. *უდედმამოდ გაი ზარდა.*

უდეფექტო *უდეფექტოს* დეფექტის არმქონე. *უდეფექტო საქონელი.*

უდიდებულესობა *უდიდებულესობის* მეფის ან დედოფლის აღმნიშვნელი სიტყვა, გამოიყენება მიმართვის ან დასახელების დროს ნაცვალსახელთან (მისი, მათი, თქვენი) ერთად. *თქვენო უდიდებულესობავ! მისი უდიდებულესობა.*

უდიერი *უდიერის* დაუდევარი, უხეში, უპასუხისმგებლო. *უდიერი დამოკიდებულება.* ▲ უდიერად ზმნზ. უხეშად, უპასუხისმგებლოდ. *უდიერად ექცევა.*

უდისციპლინო *უდისციპლინოს* წესრიგის დამრღვევი, უწესო. *უდისციპლინო სტუდენტი.*

უდრეკი *უდრეკის* ვისაც უკან დახევა არ სჩვევია, უშიშარი. *უდრეკი ვაჟკაცი.*

უდროო *უდროოს* არადროული, შეუფერებელ დროს მომხდარი. *უდროო ქეიფი.* ▲ უდროოდ ზმნზ. შეუფერებელ, არასასურველ დროს. *უდროოდ ესტუმრნენ.*

უდროობა *უდროობის* დროის უქონლობა, მოუცლელობა. *უდროობის გამო ვერ მოვედი.*

უდრტვინველი *უდრტვინველის* მშვიდი, უშფოთველი. *უდრტვინველი ძილი. უდრტვინველი ხასიათი.*

უდღეური *უდღეურის* 1. ნაადრევად დაბადებული, დაუსრულებელი. *უდღეური ჩვილი.* 2. გადატ. დასაღუპად განწირული. *ეს საქმე უდღეური აღმოჩნდა.*

უებარი *უებრის* შვების მომცემი, მარგებელი. *უებარი მალამო.* პარონიმი უებრო.

უებრო *უებროს* შეუდარებელი, ძალიან კარგი. *უებრო მეომარი.* პარონიმი უებარი.

უენო *უენოს* 1. რასაც ენა (5) არა აქვს. *უენო საკეტი.* 2. მორიდებული, უთქმელი. *უენო ბიჭი.*

უეშმაკო *უეშმაკოს* ალალი, პატიოსანი. *უეშმაკო ადამიანი.*

უეცარი *უეცრის* მოულოდნელი, უცბად მომხდარი. *უეცარი სიკვდილი. უეცარი დარტყმა.* ▲ უეცრად ზმნზ. მოულოდნელად, უცბად. *უეცრად გაწვიმდა. უეცრად სროლა გაისმა.*

უეჭველი *უეჭველის* რაშიც ეჭვი არ შეაქვთ, სარწმუნო, დამაჯერებელი, უტყუარი. *უეჭველი დასკვნა.* ▲ უეჭველად ზმნზ. ნამდვილად, აუცილებლად. *უეჭველად მოვალ. უეჭველად შეასრულებ პირობას.*

უვადო *უვადოს* რასაც ვადა[1] (1) არა აქვს, სამუდამო. *უვადო პატიმრობა.*

უვალი *უვალის* იგივეა, რაც გაუვალი. *უვალი ტყე.*

უვარგისი *უვარგისის* რაც არ ვარგა, გამოუსადეგარი. *უვარგისი ნაყოფი.*

უვერტიურა *უვერტიურის* ოპერის ან სხვა თეატრალური წარმოდგენის მუსიკალური შესავალი. შეცდომაა უვერტურა

უვიცი *უვიცის* ვინც არაფერი არ იცის, გაუნათლებელი. *უვიცი კაცი.*

უვნებელი *უვნებლის* 1. ვისაც ან რასაც არაფერი დაშავებია, დაუზიანებელი. *უვნებელი დაბრუნდა.* 2. ვინც ან რაც არავის არაფერს დაუშავებს. *უვნებელი ცხოველი.* ▲ უვნებლად ზმნზ. ვნების[2] გარეშე, დაუზიანებლად. *უვნებლად გადარჩა.*

უვნებელყოფა *უვნებელყოფის* (უვნებელყოფს) რაიმეს გათავისუფლება საშიშროებისგან, ზიანის მიყენების შესაძლებლობისგან. *რადიაქტიური ნარჩენების უვნებელყოფა. ფერმენტი უვნებელყოფს მავნე ნივთიერებებს.*

უვნებლობა *უვნებლობის* ვნების[2] გარეშე ყოფნა.

უზადო *უზადოს* უნაკლო. *უზადო ნაკეთობა.*

უზაკველი *უზაკველის* ძვ. უბოროტო, ალალი, არაცბიერი. *უზაკველი პიროვნება.*

უზანგი *უზანგის* უნაგირის ნაწილი – ფეხის შესადგმელი რკინის რკალი.

უზანი *უზნის* ტანდაბალი ბუჩქი, აქვს ბუსუსები-

ანი ფოთლები და ქოლგისებური თეთრი ყვავილები, ისხამს წვნიან, შავ ნაყოფს.

**უზარმაზარი** *უზარმაზარის* ძალიან დიდი. *უზარმაზარი მთები.*

**უზეთო** *უზეთოს* რაც ზეთს არ შეიცავს, რაშიც ზეთი არ არის. *უზეთო საჭმელი.*

**უზენაესი** *უზენაესის* ყველაზე უპირატესი, უფროსი, უმაღლესი. *უზენაესი ხელისუფლება.*

**უზენაესობა** *უზენაესობის* ყველაზე უპირატესი, უფროსი, უმაღლესი მდგომარეობა. *კანონის უზენაესობა.*

**უზიარებელი** *უზიარებლის* ვისაც ზიარება (1) არ მიუღია. *უზიარებელი დარჩა.*

**უზმო** *უზმოს* ▲ **უზმოზე** ზმნზ. დილით პირველ ჭამამდე. *ეს წამალი უზმოზე უნდა დალიო.*

**უზნეო** *უზნეოს* 1. ზნეობრივ ნორმებს მოკლებული, არაზნეობრივი. *უზნეო კაცი. უზნეო საქციელი.* 2. უხასიათო, ჭირვეული, ჭინჭყლი. *უზნეო ბავშვი.* ▲ **უზნეოდ** ზმნზ. არაზნეობრივად, უხამსად. *უზნეოდ ცხოვრობს.*

**უზნეობა** *უზნეობის* ზნეობრივი ნორმების დარღვევა, უღირსი საქციელი. *უზნეობა არ აპატია.*

**უზომო** *უზომოს* ძალიან ბევრი, ძალიან დიდი. *უზომო ძალაუფლება. უზომო სიყვარული.* ▲ **უზომოდ** ზმნზ. მეტისმეტად, გადაჭარბებულად. *უზომოდ ბევრს ჭამს.*

**უზრდელი** *უზრდელის* ვისაც ზრდილობა არა აქვს, მოურიდებელი, თავხედი. *უზრდელი ბავშვი.*

**უზრდელობა** *უზრდელობის* (უზრდელობს) თავხედობა, უზრდელად ქცევა. *უზრდელობას გადაეჩვია. უფროსებთან არ უზრდელობს.*

**უზრდელური** *უზრდელურის* უზრდელის დამახასიათებელი, თავხედური. *უზრდელური ლაპარაკი.* ▲ **უზრდელურად** ზმნზ. არაზრდილობიანად, თავხედურად. *უზრდელურად იხუმრა.*

**უზრუნველი** *უზრუნველის* 1. უდარდელი, ლაღი. *უზრუნველი ადამიანი. უზრუნველი ბავშვობა.* ▲ **უზრუნველად** ზმნზ. უდარდელად, პრობლემების გარეშე. *უზრუნველად ცხოვრობს.*

**უზრუნველობა** *უზრუნველობის* უდარდელობა, პრობლემების გარეშე ყოფნა. *პატარების უზრუნველობა.*

**უზრუნველყოფა** *უზრუნველყოფის* (უზრუნველყოფს) სხვადასხვა საჭიროებისა და მოთხოვნის სრულად დაკმაყოფილება, ყველანაირი პირობის შექმნა. *მატერიალური უზრუნველყოფა. ხალხს პროდუქტით უზრუნველყოფენ.*

**უზუსტობა** *უზუსტობის* პატარა შეცდომა რამეში, სიზუსტის უქონლობა. *უზუსტობა შენიშნა. კვლევის უზუსტობა. ანგარიშის უზუსტობა.*

**უზღვავი** *უზღვავის* ძალიან ბევრი. *უზღვავი ხალხი.*

**უთავბოლო** *უთავბოლოს* მოუწესრიგებელი, არეულ-დარეული. *უთავბოლო ადამიანი. უთავბოლო საქმე.* ▲ **უთავბოლოდ** ზმნზ. გაუგებრად, არეულ-დარეულად. *უთავბოლოდ დადის.*

**უთავბოლობა** *უთავბოლობის* მოუწესრიგებლობა, გაუგებრობა. *უთავბოლობას ვერ იტანს.*

**უთავო** *უთავოს* 1. რასაც თავი არა აქვს. *უთავო ქანდაკება.* 2. გადატ. მოუგვარებელი, მოუწესრიგებელი. *უთავო ბიჭი.* შეცდომაა უთაო

**უთანაბრო** *უთანაბროს* არათანაბარი. *უთანაბრო მოძრაობა. უთანაბრო განაწილება.*

**უთანასწორო** *უთანასწოროს* არათანაბარი, არათანასწორი. *უთანასწორო ძალები.*

**უთანასწორობა** *უთანასწორობის* თანასწორობის დარღვევა. *სოციალური უთანასწორობა.*

**უთანხმოება** *უთანხმოების* აზრთა სხვადასხვაობა, დაპირისპირება, დავა, როდესაც შეთანხმებას ვერ აღწევენ. *დიდი უთანხმოება ჩამოვარდა.*

**უთარიღო** *უთარიღოს* რასაც თარიღი არ ანერია, დაუთარიღებელი. *უთარიღო ხელნაწერი.*

**უთაური** *უთაურის* არაგონიერი, უჭკუო, საქმის უცოდინარი. *დიდი უთაური ვინმეა.*

**უთაურობა** სირეგვენე, უჭკუობა, უუნარობა. *უთაურობით საქმე გააფუჭა.*

**უთენია** ზმნზ. გათენებამდე, ადრე დილით. *უთენია გაუდგნენ გზას.*

**უთვალავი** *უთვალავის* ძალიან ბევრი, უამრავი. *უთვალავი გულშემატკივარი ჰყავს.*

**უთვისტომო** *უთვისტომოს* ვისაც თვისტომი არა ჰყავს. *უთვისტომო კაცი.*



**უთო** *უთოს* ლითონის ბრტყელძირიანი გასახურებელი ხელსაწყო ქსოვილების, თეთრეულის, ტანსაცმლის გასასწორებლად, გასაუთოებლად. *სამგზავრო უთო. უთო ჩართო.*

**უთოობა** *უთოობის* ტანსაცმლის, თეთრეულისა და მისთ. უთოთი გასწორება. *კარგი უთოობა იცის. უთოობა არ უყვარს.*

**უთუო** *უთუოს* უეჭველი, ნამდვილი. *უთუო ფაქტი.* ▲ **უთუოდ** ზმნზ. უეჭველად, ნამდვილად. *უთუოდ იწვიმებს.*

**უთქვენოდ** ზმნზ. თქვენ გარეშე, თქვენი არყოფნის დროს. *უთქვენოდ არ დავიწყებთ საქმეს.*

**უთქმელი** *უთქმელის* 1. რაც არ ითქმის. *უთქმელ არაფერი დარჩა.* 2. ვისაც თქმა და ლაპარაკი არ უყვარს. *უთქმელი კაცი.* ▲ **უთქმელად** ზმნზ. თქმის გარეშე. *უთქმელად უგებენ ერთმანეთს.*

**უთქმელობა** *უთქმელობის* რაიმეს ართქმა. *უთქმელობა არ ივარგებს.*

**უთხოვარი** *უთხოვრის* იგივეა, რაც ურთხელი.

**უი** შორისდ. 1. გამოხატავს გაკვირვებას, აღტაცებას, სიხარულს. *უი, როგორ ჰგავს დედას! უი, რა ლამაზია!* 2. გამოხატავს სინანულს, წუხილს, დარდს. *უი, როგორ წაიქცა! უი, როგორ მცივა! უი, რა მეშველება!* 3. გამოხატავს შეცოდებას, შებრალებას. *უი, შე საწყალო!*

**უილაჯო** *უილაჯოს* ძალაგამოცლილი, უღონო, ძალიან დაღლილი. *უილაჯო ცხენი.*

**უიმათოდ** ზმნზ. იმათ გარეშე. *უიმათოდ არაფერი გამოვა.*

**უიმე** შორისდ. 1. გამოხატავს შიშს. *უიმე, ძაღლი! უიმე, არ ჩამოვარდე!* 2. გამოხატავს სინანულს, ნუხილს. *უიმე, როგორ ვერ მივხვდი!*

**უიმედო** *უიმედოს* 1. ვისაც იმედი არა აქვს, უნუგეშო. *უიმედო კაცი.* 2. რის იმედიც არ აქვთ, რისგანაც კარგ შედეგს არ მოელიან. *უიმედო მდგომარეობა.* ▲ **უიმედოდ** ზმნზ. იმედის გარეშე, უნუგეშოდ. *უიმედოდ დარჩენილი ხალხი. უიმედოდ უყვარს.*

**უიმედობა** *უიმედობის* იმედის არქონა, უნუგეშობა, გულგატეხილობა. *უიმედობა დაეუფლა.*

**უიმისობა** *უიმისობის* უიმისოდ ყოფნა. *უიმისობა გაუჭირდა.*

**უიმისოდ** ზმნზ. იმის გარეშე. *უიმისოდ მიჭირს. ყველაფერი უიმისოდ მოხდა.*

**უინიციატივო** *უინიციატივოს* ვისაც ინიციატივა არა აქვს. *უინიციატივო თანამშრომელი.*

**უინტერესო** *უინტერესოს* 1. ვისაც არაფერი აინტერესებს, ვინც ინტერესს არ იჩენს. *უინტერესო ადამიანი.* 2. რაც ინტერესს(1) არ აღძრავს. *უინტერესო საუბარი. უინტერესო გადაცემა.*

**უიღბლო** *უიღბლოს* ვისაც ბედი, იღბალი არა აქვს; ვინც წარმატებას ვერ აღწევს. *უიღბლო ქალი.*

**უიღბლობა** *უიღბლობის* ბედის, იღბლის უქონლობა. *მარცხს უიღბლობას აბრალებს.*

**უკადრისა** *უკადრისას* ტყის ბალახოვანი მცენარე, იკეთებს ყანნის ფორმის ყვითელ ყვავილებს, ისხამს მოგრძო ნაყოფს, რომელიც შეხებისას იხსნება და თესლი იბნევა.

**უკადრისი** *უკადრისის* 1. ვინც რაიმეს უკადრისობს. *უკადრისი გოგოა.* 2. რაც ვინმეს არ შეეფერება, არ ეკადრება. *უკადრისი საქმე.*

**უკადრისობა** *უკადრისობის* (უკადრისობს) თავისთვის შეუფერებლად, არასაკადრისად მიჩნევა. *რას უკადრისობ? საჩუქარი იუკადრისა.*

**უკან** ზმნზ. 1. ზურგისკენ, სახის მოპირდაპირე მხარეს. *უკან მოიხედა.* ↔ წინ. 2. ისევ იქ, სადაც ადრე იყო. *უკან დაბრუნდა. ჩანთა უკან მიიტანა.* 3. თანდ. ფუნქც. (+ ნათ.) ვინმეს ან რაიმეს უკანა მხარეს. *სახლის უკან. კარადის უკან. ხალხის უკან.* ↔ წინ. ■ **უკან-უკან** თანდათანობით უკან, სულ უკან. *უკან-უკან მიდის. უკან-უკან იყურება.* ⊙ **უკან დაიხევს** 1. უკან წავა. 2. პოზიციას დათმობს, უარს იტყვის.

**უკანა** *უკანას* უკან მყოფი, უკან მდგომი, უკან არსებული. *უკანა კაცი. უკანა კარი.* ↔ წინა.

**უკანასკნელი** *უკანასკნელის* იგივეა, რაც ბოლო. *უკანასკნელი გაჩერება.*

**უკანდასახევი** *უკანდასახევის* რითაც შეიძლება უკან დახევა. *უკანდასახევი დაიტოვა. უკანდასახევი გზა.*

**უკანმოუხედავად** ზმნზ. 1. ისე, რომ უკან აღარ მოიხედავს, ძალიან სწრაფად (ამბობენ წასვლის ან გაქცევის დროს). *უკანმოუხედავად გავარდა ოთახიდან.* 2. გადატ. დაუნანებლად. *ოჯახიდან უკანმოუხედავად წავიდა.*

**უკანონო** *უკანონოს* რაც კანონს არღვევს, კანონიერი არ არის. *უკანონო გადაწყვეტილება. უკანონო ქმედება.* ▲ **უკანონოდ** ზმნზ. კანონის დარღვევით, კანონის საწინააღმდეგოდ. *უკანონოდ გადაკვეთეს საზღვარი.*

**უკანონობა** *უკანონობის* უსამართლობა, კანონის დარღვევა, კანონის წინააღმდეგ მოქმედება. *უკანონობა ჩაიდინა.*

**უკარება** *უკარებას* ვინც ან რაც არავის იკარებს, ყველას გაურბის. *უკარება ბავშვი. უკარება პირუტყვი.*

**უკაცო** *უკაცოს* მამაკაცის გარეშე დარჩენილი. *უკაცო ოჯახი.*

**უკაცობა** *უკაცობის* უკაცოდ ყოფნა. *ოჯახს უკაცობა დაეტყო.*

**უკაცრავად** პატივისც. ბოდიში, მაპატიეთ. *უკაცრავად, დამაგვიანდა.*

**უკაცრიელი** *უკაცრიელის* სადაც არავინ სახლობს. *უკაცრიელი კუნძული, უკაცრიელი სოფელი.*

**უკბილო** *უკბილოს* ვისაც ან რასაც კბილი არა აქვს. *უკბილო მოხუცი.* ⊙ **უკბილო ხუმრობა** უსუსური, უხერხული, არასასაცილო ხუმრობა.

**უკეთ** ზმნზ. უფრო კარგად, უკეთესად. *თავს უკეთ ვგრძნობ. თვითონ უკეთ ხატავს, ვიდრე მისი ძმა.*

**უკეთესი** *უკეთესის* რაც სხვას სჯობია, უფრო კარგი. *უკეთესი გადაწყვეტილება. უკეთესი სახლი.* ↔ უარესი. ▲ **უკეთესად** ზმნზ. უფრო კარგად. *უკეთესად სწავლობს. უკეთესად იქცევა.* ⊙ **მით უკეთესი** კიდევ უფრო კარგი.

**უკეთესობა** *უკეთესობის* რაიმეს გამოსწორება, გაუმჯობესება, უკეთესად ყოფნა. *უკეთესობა დაეტყო.*

**უკეთური** *უკეთურის* ცუდი, არაკეთილი. *უკეთური საქმეები. უკეთური საქციელი.*

**უკვამლო** *უკვამლოს* რასაც კვამლი არა აქვს. *უკვამლო ცეცხლი.* ▲ **უკვამლოდ** ზმნზ. კვამლის გარეშე. *უკვამლოდ იწვის.*

უკვდავა *უკვდავას* მრავალწლოვანი ბუჩქოვანი ბალახი, აქვს ჯგუფ-ჯგუფად შეკრებილი პატარა ყვითელი, ნარინჯისფერი ან მოწითალო ყვავილები, გამოიყენება სამკურნალოდ. *უკვდავას ნაყენი.*

უკვდავება *უკვდავების* მარადიული ყოფნა, არსებობა. *სულის უკვდავება. უკვდავებას მიაღწია.*

უკვდავი *უკვდავის* 1. რასაც უკვდავება ახასიათებს. *უკვდავი სული.* 2. ვისი სახელიც მუდამ ახსოვთ, ვისაც არ ივიწყებენ. *უკვდავი გმირი.* 3. რაც მნიშვნელობასა და ღირსებას არასოდეს კარგავს. *უკვდავი შემოქმედება.*

უკვდავ-უბერებელი *უკვდავ-უბერებლის* ვინც ან რაც არ ბერდება. *უკვდავ-უბერებელი ლეგენდა.*

უკვე ზმნ. კარგა ხანია (მიუთითებს, რომ რაიმე ფაქტი მოხდა, დასრულდა ან დაწყებულია და მიმდინარეობს). *უკვე დაბრუნდა სახლში. უკვე გავიგე. უკვე თავისით წერს.*

უკიდურესი *უკიდურესის* 1. უდიდესი, უსაზღვრო. *უკიდურესი გაჭირვება.* 2. ყველაზე ბოლო. *უკიდურესი წერტილი.* ▲ უკიდურესად ზმნ. ძალიან, უაღრესად. *სიტუაცია უკიდურესად დაიძაბა.*

უკიდურესობა *უკიდურესობის* უკიდურესი ვითარება, შეურიგებლობა. *ორი უკიდურესობა ახასიათებს.*

უკლებლად ზმნ. მთლიანად, სრულად. *ეალი უკლებლად დაუბრუნა.*

უკლებლივ ზმნ. ||უკლებლად. *უკლებლივ ყველა მოვიდა.*

უკმარი *უკმარის* ||უკმარისი. *უკმარი საშუალებები.*

უკმარისი *უკმარისის* საჭიროზე ცოტა, არასაკმარისი. *უკმარისი პროდუქტი. გატარებული ღონისძიებები უკმარისია.*

უკმარისობა *უკმარისობის* რაიმეს ნაკლებობის განცდა. *ჰაერის უკმარისობა.*

უკმაყოფილება *უკმაყოფილების* უსიამოვნება, წყენა. *უკმაყოფილება მოუვიდათ. უკმაყოფილება გამოთქვა.*

უკმაყოფილო *უკმაყოფილოს* ვინც კმაყოფილი არ არის, გულდაწყვეტილი. *ქალი უკმაყოფილო დარჩა. უკმაყოფილო მზერა.* ▲ უკმაყოფილოდ ზმნ. უსიამოვნოდ, გულდაწყვეტით. *უკმაყოფილოდ დაშორდნენ ერთმანეთს.*

უკმეხი *უკმეხის* უხეში, მოურიდებელი. *უკმეხი კაცი. უკმეხი ნათქვამი.* ▲ უკმეხად ზმნ. უხეშად, მოურიდებლად. *უკმეხად ელაპარაკება.*

უკმეხობა *უკმეხობის* (უკმეხობს) უხეშობა, უკმეხად ქცევა. *მისგან უკმეხობა ეწყინა. სტუმართან უკმეხობდა.*

უკომპრომისო *უკომპრომისოს* ვინც კომპრომისს არ უშვებს, რაც კომპრომისს გამორიცხავს. *უკომპრომისო პიროვნება. უკომპრომისო ბრძოლა.*

უკონტროლო *უკონტროლოს* ვისი ან რისი კონტროლიც არ ხერხდება. *უკონტროლო სიტუაცია. უკონტროლო პიროვნება.*

უკონტროლობა *უკონტროლობის* კონტროლის უქონლობა. *ბაზარზე ფასების უკონტროლობა.*

უკონფლიქტო *უკონფლიქტოს* ვისაც კონფლიქტი არ მოსდის. სადაც კონფლიქტი არ ხდება. *უკონფლიქტო ადამიანი.*

უკრიტიკო *უკრიტიკოს* რასაც კრიტიკა არ ახლავს. *უკრიტიკო დამოკიდებულება.* ▲ უკრიტიკოდ ზმნ. კრიტიკის გარეშე. *საკითხი უკრიტიკოდ მიიღეს.*

უკუგანვითარება *უკუგანვითარების* მედიც. რაიმე პროცესის საპირისპირო მიმართულებით (საწყისი მდგომარეობისკენ) წასვლა. *დაავადების სიმპტომების უკუგანვითარება.*

უკუგდება *უკუგდების* (უკუაგდებს) 1. რაიმეზე უარის თქმა, გადაფიქრება. *ბრალდება უკუაგდო.* 2. მოწინააღმდეგის დამარცხება, უკან გაბრუნება. *მტერი უკუაგდეს.*

უკუდო *უკუდოს* ვისაც ან რასაც კუდი არა აქვს. *უკუდო ძაღლი.*

უკულტურო *უკულტუროს* დაბალი კულტურის მქონე. *უკულტურო ახალგაზრდა.*

უკულტურობა *უკულტურობა* დაბალი კულტურის ქონა. *უკულტურობის გამოვლინება.*

უკუნეთი *უკუნეთის* სრული სიბნელე. *უკუნეთმა დაისადგურა.*

უკუნი *უკუნის* 1. იგივეა, რაც უკუნეთი. *უკუნი იდგა.* 2. ძალიან ბნელი. *უკუნი ღამე.*

უკუნითი ⊙ უკუნითი უკუნისამდე სამუდამოდ, სამარადისოდ, საუკუნოდ.

უკუპროპორცია *უკუპროპორციის* გარკვეული სიდიდეების ისეთი შეფარდება, როდესაც ერთის ზრდა მეორის შესაბამის შემცირებას იწვევს და პირიქით. ■ უკუპროპორციული რაც რაიმესადმი უკუპროპორციის მდგომარეობაში იმყოფება. *უკუპროპორციული თანაფარდობა.*

უკურნებელი *უკურნებლის* რაც არ განიკურნება. *უკურნებელი სენი.*

უკუსვლა *უკუსვლის* 1. უკან დახევა, უკან წასვლა. *მანქანა უკუსვლით დაძრა.* 2. რაიმე საქმეში წარუმატებლობა, მდგომარეობის უარესობისკენ შეცვლა. *ზოგიერთ დარგში უკუსვლა შეინიშნება.*

უკუქმედება *უკუქმედების* საწინააღმდეგო, საპასუხო ქმედება. *წამლის უკუქმედება.*

უკუქცევა *უკუქცევის* (უკუაქცევს, უკუიქცევ) 1. უკან წასვლა, უკან დახევა. *მეომრები უკუიქცნენ.* 2. მოგერიება; იძულება, რომ უკან გაბრუნდეს. *მტერი უკუაქციეს.*

უკულმა ზმნზ. 1. საწინააღმდეგო მხარეს, საპირისპირო მიმართულებით. *საათის ისრები უკულმა დაატრიალა.* 2. ცუდად, არასწორად. *საქმე უკულმა წაუვიდა. კაბა უკულმა ჩაიცვა.* ↔ წაღმა.

უკუღმართი *უკუღმართის* 1. არანესიერი, უპატიოსნო. *უკუღმართი საქციელი. უკუღმართი ცხოვრება.* 2. საუბრ. ახირებული, უსაქციელო. *უკუღმართი კაცია.* ▲ უკუღმართად ზმნზ. ახირებულად, ცუდად. *უკუღმართად მოიქცა.*

უკუჩვენება *უკუჩვენების* მოსალოდნელი შედეგის საწინააღმდეგო გამოვლინება (ორგანიზმის უარყოფითი რეაქცია წამალზე). *წამლის უკუჩვენება.*

ულაზათო *ულაზათოს* ვისაც ან რასაც ლაზათი არა აქვს, უშნო. *ულაზათო შენობა.*

ულამაზესი *ულამაზესის* ძალიან ლამაზი, მშვენიერი. *ულამაზესი ცოლი ჰყავს.*

ულამაზო *ულამაზოს* ვინც ან რაც ლამაზი არ არის, უშნო. *ულამაზო ქუჩები.*

ულაპარაკოდ ზმნზ. შედავების გარეშე, ხმის ამოუღებლად. *ულაპარაკოდ დაეთანხმა.*

ულაყი *ულაყის* დაუკოდავი ცხენი. *ბებერი ულაყი.*

ულევი *ულევის* ძალიან ბევრი, რაც არ ილევა. *ულევი სიხარული.*

ულვაშა *ულვაშას* ვისაც დიდი ულვაშები აქვს.

ულვაში *ულვაშის* 1. თმა ადამიანის ზედა ტუჩის ირგვლივ. *გრძელი ულვაშები. ულვაში გაიპარსა.* 2. ზოგიერთი ცხოველის ტუჩზე გრძელი, მაგარი ბეწვი ან ნანაზარდი. *ვეშაპის ულვაში. კატის ულვაში.* 3. ზოგიერთი მწერის თავზე ერთგვარი ნანაზარდი, რომელიც შეხების, მოძრაობის, ყნოსვის ორგანოს წარმოადგენს. *ხოჭოს ულვაშები.* 4. ზოგიერთი მცენარის ძაფისებური წანაზარდი, რომლითაც იგი ეხვევა და ემაგრება სხვა მცენარეს. *ვაზის ულვაში.* ■ ულვაშ[ებ]იანი ულვაშ[ებ]ის მქონე. *ულვაშიანი კაცი.* ⊙ ულვაშებში ჩაიცინებს ოდნავ, თითქმის შეუმჩნეველად გაიღიმებს.

ულმობელი *ულმობლის* ძალიან მკაცრი, სასტიკი. *ულმობელი კანონი.*

ულო *ულოს* ძნის ან თივის კონის შესაკრავი დაგრეხილი ნამჯა ან თივა. *ძნის ულო.*

ულოგიკო *ულოგიკოს* ვისაც ან რასაც ლოგიკა (2) არა აქვს. *ულოგიკო აზროვნება.*

ულტიმატუმი *ულტიმატუმის* კატეგორიული მოთხოვნა, რომელსაც შეუსრულებლობის შემთხვევაში მოჰყვება ურთიერთობის გაწყვეტა და ძალის გამოყენება. *ულტიმატუმი წაუყენეს.*

ულტრაბგერა *ულტრაბგერის* ბგერა, რომელსაც ადამიანის ყური ვერ აღიქვამს. *ულტრაბგერის მოქმედება.*

ულტრაიისფერი *ულტრაიისფრის* ⊙ ულტრაიისფერი სხივები მაღალი სიხშირის ელექტრომაგნიტური რხევები ოპტიკურ და რენტგენის სხივებს შორის.

ულტრასონოგრაფია *ულტრასონოგრაფიის* შინაგანი ორგანოების გამოკვლევა მაღალი სიხშირის ულტრაბგერებით დასხივების საშუალებით.

ულუკმაპურო *ულუკმაპუროს* ვისაც ლუკმაპურის შოვნა უჭირს, უკიდურესად ღარიბი. *ულუკმაპური ხალხი.*

ულუმბო *ულუმბოს* ერთწლოვანი სურნელოვანი ბალახოვანი მცენარე, აქვს ცისფერი ან ღია ლურჯი ყვავილი და პარკიანი ნაყოფი, გამოიყენება სანელებლად.

ულუფა *ულუფის* ერთ ჯერზე მისაღები საკვების რაოდენობა. *დღიური ულუფა. ერთი კაცის ულუფა.*

უმაგალითო *უმაგალითოს* ძალიან კარგი, უჩვეულო, არნახული. *უმაგალითო გმირობა.*

უმაგისოდ ზმნზ. მაგის გარეშე, მაგის არყოფნისას. *უმაგისოდ გაგიჭირდება.*

უმადო *უმადოს* ვისაც მადა არა აქვს. *უმადო ბავშვი.*

უმადობა *უმადობის* მადის არქონა. *უმადობას უჩივის.*

უმადურება *უმადურების*||უმადურობა. *უმადურება გამოიჩინა.*

უმადური *უმადურის* ვინც სიკეთეს ვერ ხედავს, ვისაც სიკეთის დაფასება არ შეუძლია. *უმადური პიროვნება.*

უმადურობა *უმადურობის* სიკეთის დაუნახაობა, მადლიერების არქონა. *შვილების უმადურობა.*

უმალ ზმნზ. მალე, სწრაფად, ჩქარა. *უმალ მიხვდა.*

უმამო *უმამოს* მამის გარეშე დარჩენილი. *უმამო ოჯახი.*

უმანკო *უმანკოს* წმინდა, სპეტაკი, პატიოსანი. *უმანკო ადამიანი. უმანკო სახე. უმანკო მზერა.*

უმანკოება *უმანკოების* სულიერი სიწმინდე, სისპეტაკე, პატიოსნება. *შელახული უმანკოება.*

უმანქანო *უმანქანოს* ვისაც მანქანა არა ჰყავს. *უმანქანო ოჯახი. უმანქანო მგ ზავრი.*

უმართებულო *უმართებულოს* არასწორი, არასამართლიანი. *უმართებულო საქციელი. უმართებულო ბრალდება.*

უმარილო *უმარილოს* 1. რასაც მარილი არა აქვს. *უმარილო კერძი.* 2. გადატ. რასაც ეშხი, მიმზიდველობა არა აქვს. *უმარილო სახე.*

უმარცვლო *უმარცვლოს* მარცვლის არმქონე. *უმარცვლო მცენარე.*

უმაღლესობა *უმაღლესობის* იგივეა, რაც უდიდებულესობა. *მისი უმაღლესობა.*

უმეგობრო *უმეგობროს* ვისაც მეგობრები არ ჰყავს. *უმეგობრო კაცი.*

**უმენთოლო** *უმენთოლოს* რაც მენთოლს არ შეიცავს. *უმენთოლო სიგარეტი.*

**უმერქნო** *უმერქნოს* რასაც მერქანი არ აქვს. *უმერქნო მცენარეები.*

**უმეტეს** ◉ არა უმეტეს არა უფრო მეტი; იმაზე მეტი არა. ◉ მით უმეტეს მით უფრო, იმიტომ უფრო.

**უმეტესი** *უმეტესის* უფრო მეტი. *ხალხის უმეტესი ნაწილი.* ▲ **უმეტესად** ზმნზ. უფრო ხშირად, უფრო მეტად. *უმეტესად სახლში მუშაობს.*

**უმეტესობა** *უმეტესობის* უფრო მეტი ნაწილი, უმრავლესობა. *წინადადება უმეტესობამ მოიწონა.*

**უმეტესწილად** ზმნზ. უფრო მეტად, დიდ წილად. *გუნდი უმეტესწილად იმარჯვებდა.*

**უმეცარი** *უმეცრის* უცოდინარი, გამოუცდელი. *უმეცარი ყმაწვილი. ცხოვრების უმეცარი.*

**უმეცრება** *უმეცრების* უცოდინრობა, გაუნათლებლობა. *უმეცრების შედეგი.*

**უმზეო** *უმზეოს* სადაც მზე არ შედის, როცა მზე არ არის. *უმზეო ოთახი.*

**უმთავრესი** *უმთავრესის* ყველაზე მთავარი. *უმთავრესი აზრი.* ▲ **უმთავრესად** ზმნზ. ყველაზე მეტად, უმეტესად. *უმთავრესად საზღვარგარეთ უწევს ყოფნა.*

**უმთვარო** *უმთვაროს* როცა მთვარე არ ჩანს. *უმთვარო ღამე.*

**უმი** *უმის* მოუხარშავი ან შეუწვავი. *უმი ხორცი. უმი კვერცხი.*

**უმიზეზო** *უმიზეზოს* რასაც მიზეზი არა აქვს. *უმიზეზო ჩხუბი.* ▲ **უმიზეზოდ** ზმნზ. მიზეზის გარეშე. *უმიზეზოდ დაემდურნენ ერთმანეთს.*

**უმიზნო** *უმიზნოს* ვისაც ან რასაც მიზანი არა აქვს. *უმიზნო ახალგაზრდა. უმიზნო ცხოვრება.* ▲ **უმიზნოდ** ზმნზ. მიზნის გარეშე. *უმიზნოდ დაბეტიალობს.*

**უმისამართო** *უმისამართოს* 1. ვისაც ან რასაც მისამართი არა აქვს. *უმისამართო წერილი.* 2. რასაც ადრესატი არა ჰყავს. *უმისამართო კრიტიკა.*

**უმნიშვნელო** *უმნიშვნელოს* 1. რასაც მნიშვნელობა არა აქვს. *უმნიშვნელო შემთხვევა.* 2. ძალიან მცირე, რაც მხედველობაში მისაღები არ არის. *უმნიშვნელო დახმარება.* ▲ **უმნიშვნელოდ** ზმნზ. ძალიან ცოტათი, ოდნავ. *უმნიშვნელოდ დაზარალდა. ფასები უმნიშვნელოდ გაიზარდა.*

**უმნიშვნელოვანესი** *უმნიშვნელოვანესის* ყველაზე დიდი მნიშვნელობის მქონე, ძალიან მნიშვნელოვანი. *უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილება.*

**უმორჩილესი** *უმორჩილესის* პატივისც. ძალიან მორჩილი. *უმორჩილესი მსახური.* ◉ **უმორჩილესად გთხოვთ** პატივისც. მოკრძალებულად, მორიდებულად გთხოვთ.

**უმოსავლო** *უმოსავლოს* სადაც ან როცა მოსავალი არ მოდის. *უმოსავლო წელი. უმოსავლო მხარე.*

**უმოქმედო** *უმოქმედოს* ვინც ან რაც არ მოქმედებს. *უმოქმედო ადამიანი. უმოქმედო ორგანიზაცია.*

**უმოქმედობა** *უმოქმედობის* უმოქმედოდ ყოფნა. *უმოქმედობა ალარ შეიძლება.*

**უმოძრაო** *უმოძრაოს* რაც არ მოძრაობს, უძრავი. *უმოძრაო ცხოვრება.*

**უმოძრაობა** *უმოძრაობის* უმოძრაოდ, უძრავად ყოფნა. *ფიზიკური უმოძრაობა.*

**უმოწყალო** *უმოწყალოს* მკაცრი, სასტიკი. *უმოწყალო საქციელი.*

**უმრავლესობა** *უმრავლესობის* უფრო მეტი ნაწილი, უმეტესობა. *მოსწავლეების უმრავლესობა. უმრავლესობის მოთხოვნები.* ↔ **უმცირესობა.**

**უმსგავსი** *უმსგავსის* ცუდი, უზრდელური, უხამსი. *უმსგავსი საქციელი.* ▲ **უმსგავსად** ზმნზ. ძალიან ცუდად, უხამსად. *უმსგავსად მოიქცა.*

**უმსგავსო** *უმსგავსოს* იგივეა, რაც უმსგავსი. *უმსგავსო სიცილი.* ▲ **უმსგავსოდ** ზმნზ. ძალიან ცუდად, უხამსად. *უმსგავსოდ იცინის.*

**უმსგავსობა** *უმსგავსობის* ყოვლად ცუდი, დასაძრახი რამე. *უმსგავსობა ჩაიდინა.*

**უმტკივნეულო** *უმტკივნეულოს* რასაც ტკივილი არ ახლავს. *უმტკივნეულო პროცედურა.*

**უმტკივნეულოდ** ზმნზ. 1. ტკივილის გარეშე. *ოპერაციამ უმტკივნეულოდ ჩაიარა.* 2. გადატ. პრობლემების გარეშე, მშვიდად. *საკითხი უმტკივნეულოდ გადაწყდა.*

**უმუშევარი** *უმუშევრის* ვისაც სამუშაო არა აქვს, ვინც არ მუშაობს. *უმუშევარი კაცი.*

**უმუშევრობა** *უმუშევრობის* სამუშაო ადგილების სიმცირე ან არარსებობა, როდესაც ძალიან ბევრი ადამიანი დაუსაქმებელია. *უმუშევრობის პრობლემა.*

**უმცირესობა** *უმცირესობის* მთელის უფრო ნაკლები ნაწილი, ნაკლები რაოდენობა. ↔ **უმრავლესობა.**

**უმცროსი** *უმცროსის* 1. ასაკით ვინმეზე პატარა. *ძმაზე უმცროსი იყო.* 2. დაბალი თანამდებობის, წოდების, ხარისხის მქონე. *უმცროსი ლეიტენანტი.*

**უმცროსუფროსობა** *უმცროსუფროსობის* ისეთი ურთიერთობა, როდესაც უმცროსი და უფროსი გაირჩევა და თითოეულს თავისი ადგილი აქვს. *უმცროსუფროსობა იციან.*

**უმძრახი** *უმძრახის* ვინც ვინმეს ხმას არ სცემს, გაბუტული. *უმძრახი მე ზობლები.* ▮ **უმძრახად** ზმნზ. ხმის გაუცემლად. *უმძრახად არიან.*

უმძრახობა *უმძრახობის* უმძრახად, გაბუტულად ყოფნა.

უმწეო *უმწეოს* ძალიან სუსტი, უღონო. *უმწეო მდგომარეობა.* ▲ უმწეოდ ზმნზ. უღონოდ, სუსტად. *უმწეოდ გაიშვირა ხელი.*

უმწეობა *უმწეობის* მეტისმეტი სისუსტე, უღონობა. *უმწეობას გრძნობს.*

უმწვავესი *უმწვავესის* ძალიან მწვავე, მძაფრი. *უმწვავესი პრობლემები.*

უმწვანილო *უმწვანილოს* რასაც მწვანილი არა აქვს. *უმწვანილო კერძი.*

უმწიკვლო *უმწიკვლოს* 1. უბინო, სპეტაკი. *უმწიკვლო სიყვარული.* 2. პატიოსანი, უანგარო. *უმწიკვლო სახელი.*

უმწიკვლობა *უმწიკვლობის* 1. სინმინდე, ზნეობრივი სისუფთავე. *უმწიკვლობა შეინარჩუნა.* 2. პატიოსნება, უანგარობა.

უმწიფარი *უმწიფრის* ჩამოუყალიბებელი, ბავშვური. *უმწიფარი შეხედულებები. უმწიფარი აზრები.*

უნაბი *უნაბის* 1. სუბტროპიკული მოყვითალო-მოყავისფრო კურკიანი, ტკბილი ხილი. *უნაბის ჩირი.* 2. სუბტროპიკული ხე, რომელიც ისხამს უნაბს (1), აქვს მომწვანო-ყვითელი, ძალიან წვრილი ყვავილები.

უნაკლო *უნაკლოს* ვისაც ან რასაც ნაკლი არა აქვს, ძალიან კარგი. *უნაკლო ადამიანი. უნაკლო ნამუშევარი.* ▲ უნაკლოდ ზმნზ. ნაკლის გარეშე, ძალიან კარგად, ხარისხიანად. *უნაკლოდ შეასრულა დავალება.*

უნალექო *უნალექოს* 1. რასაც ნალექი (1) არ ახლავს. *უნალექო ამინდი.* 2. რასაც ნალექი (2) არა აქვს. *უნალექო ყავა.*

უნამუსო *უნამუსოს* ვისაც ნამუსი არა აქვს, უსინდისო. *უნამუსო ადამიანი.* ▲ უნამუსოდ ზმნზ. ურცხვად, უსინდისოდ. *უნამუსოდ ტყუის.*

უნამუსობა *უნამუსობის* ნამუსის არქონა. *ასეთი საქციელი უნამუსობაა.*

უნაპირო *უნაპიროს* რასაც ნაპირი არ უჩანს. *უნაპირო ზღვა.*

უნარი *უნარის* 1. რაიმეს გაკეთების ძალა, შესაძლებლობა, მოხერხება, შნო. *მსჯელობის უნარი. ათვისების უნარი.* 2. თვისება, რომელიც რაიმეს ბუნებიდან გამომდინარეობს და მისი არსებითი მახასიათებელია. *გამრავლების უნარი. ჟანგბადის გამოყოფის უნარი.*

უნარიანი *უნარიანის* ვისაც რაიმეს გაკეთების უნარი, ძალა აქვს. *უნარიანი ადამიანი.*

უნარშეზღუდული *უნარშეზღუდულის* ვისაც ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო გარკვეული საქმიანობა არ შეუძლია, სრულფასოვნად ფუნქციონირების უნარი შეზღუდული აქვს. *სპეციალური პროგრამა უნარშეზღუდულთათვის.*

უნაღდო *უნაღდოს* ◉ უნაღდო ანგარიშსწორება ანგარიშსწორება, რომელიც ნაღდი ფულის გარეშე ხორციელდება.

უნაღვლო *უნაღვლოს* უდარდელი, უზრუნველი. *უნაღვლო კაცი. უნაღვლო ცხოვრება.*

უნაყოფო *უნაყოფოს* 1. რაც ნაყოფს არ ისხამს. *უნაყოფო ხე.* 2. უშვილო. *ქალი უნაყოფო აღმოჩნდა.* 3. რაც ნაყოფიერი არ არის. *უნაყოფო მინა.* 4. გადატ. უშედეგო, ფუჭი. *უნაყოფო საუბარი.* ▲ უნაყოფოდ ზმნზ. უშედეგოდ, ფუჭად. *უნაყოფოდ შრომობს.*

უნახაობა *უნახაობის* მდგომარეობა, როდესაც ვინმე ან რამე არ უნახავთ. *ბავშვების უნახაობა ვერ მოითმინა.*

უნდა ნაწილაკ. საჭიროა, აუცილებელია (გამოხატავს რაიმე მოქმედების შესრულების აუცილებლობას). *უნდა წავიდეთ. დავალება უნდა დაწეროს.*

უნდილი *უნდილის* უფხო, მოუხერხებელი, არამარჯვე. *უნდილი დედაკაცი.*

უნდო *უნდოს* ვინც არავის ენდობა, ეჭვიანი. *უნდო კაცი.*

უნდობლობა *უნდობლობის* ვინმეს ან რამის მიმართ ნდობის დაკარგვა. *სასამართლოს უნდობლობა გამოუცხადა.*

უნდომლად ზმნზ. სურვილის, ნდომის გარეშე, უხალისოდ, ძალით. *უნდომლად ჭამდა.*

უნებართვო *უნებართვოს* რასაც ან ვისაც ნებართვა არა აქვს. *უნებართვო მშენებლობა.* ▲ უნებართვოდ ზმნზ. ნებართვის გარეშე. *უნებართვოდ მოჭრილი ხეები.*

უნებისყოფო *უნებისყოფოს* ვისაც ნებისყოფა არა აქვს. *უნებისყოფო მოსწავლე.*

უნებლიე *უნებლიეს* არაგანზრახული, შემთხვევითი. *უნებლიე შეცდომა. უნებლიე საქციელი.*

უნებლიეთ ზმნზ. შემთხვევით, უნებურად, უნდომლად. *უნებლიეთ აწყენინა. შეცდომაა უნებლიედ*

უნებური *უნებურის* იგივეა, რაც უნებლიე. *უნებური შემთხვევა.*

უნეტარესი *უნეტარესის* უმაღლეს სასულიერო პირთა წოდება.

უნი *უნის* ქართული ანბანის მეოცე ასოს (უ-ს) სახელწოდება.

უნიადაგო *უნიადაგოს* რასაც საფუძველი არა აქვს, უმიზეზო. *უნიადაგო ბრალდება.*

უნიათო *უნიათოს* ვისაც არაფერი არ შეუძლია, უსუსური. *უნიათო კაცი.*

უნივერსალობა *უნივერსალობის* მრავალმხრიობა. *ბიუჯეტის უნივერსალობა.*

**უნივერსალური** *უნივერსალურის* ბევრის მომცველი, მრავალმხრივი. *უნივერსალური ცოდნა.*

**უნივერსიტეტი** *უნივერსიტეტის* მრავალდარგოვანი უმაღლესი სასწავლო და სამეცნიერო დაწესებულება. *უნივერსიტეტის ჰუმანიტარული მიმართულება.*

**უნიკალური** *უნიკალურის* ძალიან იშვიათი, ერთადერთი, განუმეორებელი. *უნიკალური ექსპონატი. უნიკალური ექსპერიმენტი.*

**უნიტაზი** *უნიტაზის* კანალიზაციასთან მიერთებული ნიჟარა შარდისა და განავლის ჩასადენად. *კერამიკის უნიტაზი.*

**უნიფიკაცია** *უნიფიკაციის* იგივეა, რაც უნიფიცირება.

**უნიფიცირება** *უნიფიცირების* საერთო ფორმაზე დაყვანა, გაერთგვაროვნება.

**უნიფიცირებული** *უნიფიცირებულის* რის უნიფიცირებაც განხორციელდა. *უნიფიცირებული წესები.*

**უნიჭიერესი** *უნიჭიერესის* ძალიან ნიჭიერი. *უნიჭიერესი მუსიკოსი.*

**უნიჭო** *უნიჭოს* I. ვისაც ნიჭი არა აქვს. *უნიჭო მომღერალი. უნიჭო ბავშვი.* 2. რაშიც ნიჭი არა ჩანს, უხარისხო, მდარე. *უნიჭო ქმნილება.*

**უნიჭობა** *უნიჭობის* ნიჭის უქონლობა. *უნიჭობით გამოირჩევა.*

**უნუგეშო** *უნუგეშოს* უიმედო, სასოწარკვეთილი. *უნუგეშო მდგომარეობა.* ▲ **უნუგეშოდ** ზმნზ. უიმედოდ, ნუგეშის გარეშე. *უნუგეშოდ დარჩენილი.*

**უნუგეშობა** *უნუგეშობის* უიმედობა, სასოწარკვეთა. *უნუგეშობა დაეუფლა.*

**უოჯახო** *უოჯახოს* ვისაც ოჯახი არა ჰყავს. *უოჯახო კაცი.*

**უპასუხისმგებლო** *უპასუხისმგებლოს* ვისაც პასუხისმგებლობის გრძნობა არა აქვს. *უპასუხისმგებლო მოსწავლე.* ▲ **უპასუხისმგებლოდ** ზმნზ. პასუხისმგებლობის გრძნობის გარეშე, უყურადღებოდ, დაუდევრად. *უპასუხისმგებლოდ მოიქცა.*

**უპასუხისმგებლობა** *უპასუხისმგებლობის* პასუხისმგებლობის უქონლობა, საქმის მიმართ დაუდევარი დამოკიდებულება. *უპასუხისმგებლობა გამოიჩინა.*

**უპასუხო** *უპასუხოს* რასაც პასუხი არა აქვს. *უპასუხო კითხვები.*

**უპატიებელი** *უპატიებლის* რისი პატიებაც არ შეიძლება, რასაც ვერ აპატიებენ. *უპატიებელი შეცდომა.*

**უპატივცემულო** *უპატივცემულოს* პატივისცემას მოკლებული. *უპატივცემულო დამოკიდებულება.* ▲ **უპატივცემულოდ** ზმნზ. პატივისცემის გარეშე. *უპატივცემულოდ მოექცა.*

**უპატივცემულობა** *უპატივცემულობის* ვინმეს ან რაიმეს მიმართ პატივისცემის უქონლობა, უყურადღებობა. *უპატივცემულობა გამოიჩინა.*

**უპატიოსნო** *უპატიოსნოს* არაპატიოსანი, არაკეთილსინდისიერი. *უპატიოსნო თამაში.*

**უპატრონო** *უპატრონოს* ვასაც ან რასაც პატრონი არა ჰყავს. *უპატრონო სახლი. უპატრონო მოხუცი.* ▲ **უპატრონოდ** ზმნზ. პატრონის, მზრუნველის გარეშე. *უპატრონოდ მიატოვეს.*

**უპატრონობა** *უპატრონობის* პატრონის, მზრუნველის, გულშემატკივრის გარეშე ყოფნა. *უპატრონობის გამო დაიჩაგრა.*

**უპე** *უპის* თვალის ჭრილის კიდე. *უპეები ცრემლებით დასველებოდა.*

**უპერსპექტივო** *უპერსპექტივოს* პერსპექტივის (I) არმქონე. *უპერსპექტივო ახალგაზრდა.*

**უპირატესი** *უპირატესის* რაიმეზე, ვინმეზე უკეთესი, უმჯობესი. *უპირატესი კანონი.* ▲ **უპირატესად** ზმნზ. უფრო ხშირად, უმთავრესად. *უპირატესად ასე ხდება.*

**უპირატესობა** *უპირატესობის* ვინმესთან ან რამესთან შედარებით უკეთესი, უფრო ხელსაყრელი მდგომარეობა. *ბრძოლაში უპირატესობა მოიპოვა.* ⊙ **უპირატესობას ანიჭებს** უკეთესად მიიჩნევს, ამჯობინებს.

**უპირველესი** *უპირველესის* ყველაზე მნიშვნელოვანი, უმთავრესი. *უპირველესი მოვალეობა. უპირველესი საზრუნავი.* ⊙ **უპირველეს ყოვლისა** ყველაზე პირველად, ყველაზე წინ.

**უპირო** *უპიროს* ვინც თავის ნათქვამს არ ასრულებს. *უპირო კაცი.*

**უპირობო** *უპირობოს* რაც რაიმე პირობით არ არის განსაზღვრული. *უპირობო შეთანხმება.* ▲ **უპირობოდ** ზმნზ. პირობის გარეშე, პირობის დაუდებლად. *უპირობოდ გაათავისუფლეს.*

**უპოვარი** *უპოვრის* ვისაც არაფერი აქვს, გლახაკი. *უპოვრებს ეხმარება.*

**უპრეტენზიო** *უპრეტენზიოს* ვისაც პრეტენზია არა აქვს. *უპრეტენზიო ადამიანია.*

**უპრეცედენტო** *უპრეცედენტოს* განსაკუთრებული, რომლის მსგავსიც არასოდეს მომხდარა. *უპრეცედენტო შემთხვევა.* შეცდომაა უპრეცენდენტო

**უპრიანი** *უპრიანის* ⊙ **უპრიანია** რაიმე უფრო მისაღებია, შესაფერისია რაიმე.

**უპრინციპო** *უპრინციპოს* ვისაც საკუთარი პრინციპები არ გააჩნია, რაც რაიმე პრინციპს არ ემყარება. *უპრინციპო კაცი. უპრინციპო გადაწყვეტილება.* ▲ **უპრინციპოდ** ზმნზ. პრინციპების გარეშე. *უპრინციპოდ იქცევა.*

**უპრინციპობა** *უპრინციპობის* მყარი პრინციპების უქონლობა. *უპრინციპობის შედეგი.*

**უპრობლემო** *უპრობლემოს* რასაც ან ვისაც პრო-

ბლემა არა აქვს. *უპრობლემო ავტომობილი.* უპრობლემო ცხოვრება. ▲ უპრობლემოდ ზმნზ. *პრობლემის გარეშე. უპრობლემოდ იმგ ზავრეს.*

უუანგავი *უუანგავის* რაც არ იჟანგება. *უუანგავი დანა.*

უუმური *უუმურის* 1. მძიმე ხასიათის მქონე, უკმეხი, ძნელად შესაგუებელი, უხასიათო. *უუმური ბავშვია.* 2. გადატ. ცუდი, უხალისო, უსიამოვნო. *უუმური ამინდი. უუმური დღე.*

ურანი *ურანის* 1. რადიოაქტიური მოვერცხლისფრო-თეთრი ლითონი, გამოიყენება ბირთვულ რეაქტორებსა და სამხედრო ტექნიკაში. *ურანით გამდიდრებული. ურანით მდიდარი საბადო.* 2. მზის სისტემის პლანეტა, სიშორით მეშვიდე ადგილზეა მზიდან.

ურბანიზაცია *ურბანიზაციის* მრეწველობისა და მოსახლეობის თავმოყრა დიდ ქალაქებში. *ურბანიზაციის დონე იზრდება.*

ურდული *ურდულის* კარის ან ჭიშკრის შიგნითა საკეტი – კარზე დამაგრებულ ბუდეში გაყრილი რკინის ან ხის ჯოხი. *ურდული გადასწია. ხის ურდული.*

ურემი *ურმის* ტვირთის გადასაზიდი ძველებური საშუალება, რომელიც ცოცხალი გამწევი ძალის მეშვეობით გადაადგილდება. *ხარებიანი ურემი.* ⊙ სანამ ურემი გადაბრუნდება სანამ საქმე გაფუჭდება.

ურთიერთგაგება *ურთიერთგაგების* ურთიერთობა, როდესაც ერთმანეთის კარგად ესმით. *ურთიერთგაგების ატმოსფერო.*

ურთიერთდამოკიდებულება *ურთიერთდამოკიდებულების* მხარეების დამოკიდებულება ერთმანეთის მიმართ. *კარგი ურთიერთდამოკიდებულება.*

ურთიერთვალდებულება *ურთიერთვალდებულების* ურთიერთობა, როდესაც მხარეებს ერთმანეთის წინაშე ვალდებულება აქვთ. *ურთიერთვალდებულების ხელშეკრულება.*

ურთიერთკავშირი *ურთიერთკავშირის* იგივეა, რაც კავშირი. *მჭიდრო ურთიერთკავშირი.*

ურთიერთობა *ურთიერთობის* გარკვეული დამოკიდებულება ორ ან მეტ პირს, ორგანიზაციას, სახელმწიფოსა და მისთ. შორის. *დიპლომატიური ურთიერთობა. სავაჭრო ურთიერთობა.*

ურთიერთქმედება *ურთიერთქმედების* ერთმანეთზე მოქმედება, ერთმანეთზე გავლენის მოხდენა. *კულტურათა ურთიერთქმედება. ურთიერთქმედების ძალა.*

ურთხელი *ურთხლის* მაღალი წიწვოვანი ხე, აქვს მობრტყო წიწვები და მოწითალო ფერის, გამძლე მერქანი.

ურიგო *ურიგოს* ცუდი, უხეირო, არც მაინცდამაინც კარგი. *ურიგო საქციელი. ურიგო თამაში.*

ურიგოდ ზმნზ. 1. ისე, რომ რიგში არ ჩადგეს. *ურიგოდ აიღო ბილეთი.* 2. ცუდად, უხეიროდ. *ურიგოდ შეკერა.*

ურიკა *ურიკის* ურმის მსგავსი პატარა თვლებიანი საზიდარი. *მტვირთავის ურიკა.*

ურიცხვი *ურიცხვის* ძალიან ბევრი, უამრავი. *ურიცხვი ჯარი.*

ურმული *ურმულის* ქართული ხალხური სიმღერა, რომელსაც მეურმე მღერის. *მომღერალმა ურმული შეასრულა.*

ურნა *ურნის* 1. ნაგვის ჩასაყრელი ყუთი ქუჩაში ან დაწესებულებებში. *რკინის ურნა.* 2. ჭურჭელი, რომელშიც ინახავენ გარდაცვლილის გვამის კრემაციის შემდეგ დარჩენილ ფერფლს.

ურო[1] *უროს* რკინის მძიმე და დიდი ჩაქუჩი, რომელსაც ორივე ხელით ურტყამენ. იყენებენ ლითონის საჭედად, ქვების სამსხვრევად. *უროთი ლოდი დაამსხვრიეს.*

ურო[2] *უროს* მრავალწლოვანი ბალახი, აქვს ნვრილი ღერო, ბეწვიანი თავთავის მსგავსი ტოტები, გამოიყენება ცხოველების საკვებად.

უროლოგი *უროლოგის* ექიმი, უროლოგიის სპეციალისტი. *უროლოგის დიაგნოზი.*

უროლოგია *უროლოგიის* მედიცინის დარგი, რომელიც შეისწავლის შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებებს. *უროლოგიის კურსი.*

ურღვევი *ურღვევის* მტკიცე, მყარი, დაურღვეველი. *ურღვევი კავშირი. ურღვევი მეგობრობა.*

ურყევი *ურყევის* მყარი, შეურყეველი, მტკიცე. *ურყევი ხასიათი. ურყევი ნებისყოფა.*

ურჩი *ურჩის* დაუმორჩილებელი, თავნება. *ურჩი მძღოლი.*

ურჩობა *ურჩობის* (ურჩობს, ეურჩება) წინააღმდეგობის გაწევა, დაუმორჩილებლობა, თავნებობა. *ურჩობას იჩენს. ბიჭი მშობლებს ეურჩება.*

ურჩხული *ურჩხულის* იგივეა, რაც გველეშაპი.

ურცი *ურცის* დაბალი მრავალწლოვანი მცენარე, აქვს ვიწრო ფოთლები და მოვარდისფრო პატარა ყვავილები, გამოიყენება სამკურნალოდ.

ურცხვი *ურცხვის* მოურიდებელი, თავხედი, უსირცხვილო. *ძალიან ურცხვი და უტიფარია. ურცხვი გამოხედვა.* ▲ ურცხვად ზმნზ. მოურიდებლად, თავხედურად, უსირცხვილოდ. *ურცხვად მიყურებს.*

ურცხვობა *ურცხვობის* თავხედობა, უსირცხვილობა, ურცხვად ქცევა. *მისმა ურცხვობამ გააღიზიანა.*

ურწანი *ურწნის* ბერწი საქონელი. *ჯორი ყველა ურწანია.*

ურწმუნო *ურწმუნოს* ვისაც ღმერთი არ სწამს, ვინც ღმერთს არ აღიარებს. *ურწმუნო კაცი.*

ურწყავი *ურწყავის* რაც არ ირწყვება. *ურწყავი მიწები. ურწყავი ვენახი.*

ურჯუკი *ურჯუკის* ჯიუტი, მოურჯულებელი, გულქვა. *ურჯუკი კაცი. ურჯუკი ხასიათი.*

ურჯულო *ურჯულოს* მაჰმადიანი, არაქრისტიანი (ქრისტიანისთვის). *ურჯულო თათარი.*

უსაგნო *უსაგნოს* მნიშვნელობას, აზრს მოკლებული, უმიზნო. *უსაგნო მსჯელობა.*

უსაზღვრო *უსაზღვროს* მეტისმეტად დიდი, ძლიერი. *უსაზღვრო სივრცე. უსაზღვრო სიყვარული. უსაზღვრო ბედნიერება.* ▲ უსაზღვროდ ზმნზ. მეტისმეტად, ძლიერად. *უსაზღვროდ მდიდარი.*

უსათაურო *უსათაუროს* რასაც სათაური არა აქვს. *უსათაურო ლექსი.*

უსათუო *უსათუოს* უეჭველი, გარდაუვალი. *უსათუო დაღუპვა ელის.* ▲ უსათუოდ ზმნზ. უეჭველად. *უსათუოდ დათანხმდება.*

უსალმო *უსალმოს* ვინც სალამს არ იძლევა, ვისაც მისალმება არ სჩვევია. *უსალმო კაცი.* ▲ უსალმოდ ზმნზ. სალმის უთქმელად. *უსალმოდ გაიარა.*

უსამართლო *უსამართლოს* უკანონო, არასამართლიანი, არასწორი. *უსამართლო ბრალდება. უსამართლო მსაჯული.*

უსამართლობა *უსამართლობის* არაკანონიერი, არასამართლიანი საქციელი. *უსამართლობა ჩაიდინა. უსამართლობის მსხვერპლი.*

უსამღვდელოესობა *უსამღვდელოესობის* მაღალი სასულიერო პირების აღმნიშვნელი სიტყვა. გამოიყენება მიმართვის ან დასახელების დროს ნაცვალსახელებთან (მისი, მათი, თქვენი) ერთად. *მისი უსამღვდელოესობა საქართველოს პატრიარქი.*

უსამშობლო *უსამშობლოს* ვისაც სამშობლო არა აქვს. *უსამშობლო კაცი.*

უსანდომო *უსანდომოს* უშნო, ულამაზო, არამიმზიდველი, სანდომიანობას მოკლებული. *უსანდომო სახე.*

უსარგებლო *უსარგებლოს* რასაც სარგებელი არ მოაქვს, უშედეგო. *უსარგებლო ნივთები. უსარგებლო მსჯელობა.*

უსასოო *უსასოოს* უიმედო, სასოწარკვეთილი. *უსასოო მდგომარეობაში მყოფი.*

უსასრულო *უსასრულოს* უსაზღვრო, დაუსრულებელი, მუდმივი. *უსასრულო გზა. უსასრულო ტანჯვა.* ▲ უსასრულოდ ზმნზ. მუდმივად, სამუდამოდ, დაუსრულებლად. *უსასრულოდ იცის ლაპარაკი.*

უსასრულობა *უსასრულობის* უსასრულოდ ყოფნა, დასასრულის არ არსებობა. *სამყაროს უსასრულობა.*

უსასყიდლო *უსასყიდლოს* რაშიც სასყიდელს, საფასურს არ იხდიან. *უსასყიდლო რეკლამა.* ▲ უსასყიდლოდ ზმნზ. საფასურის გარეშე. *მუზეუმს უსასყიდლოდ გადასცეს.*

უსაფრთხო *უსაფრთხოს* რაც საფრთხეს არ ქმნის, რაც სახიფათო არ არის. *უსაფრთხო სამუშაო.* ▲ უსაფრთხოდ ზმნზ. საფრთხის, საშიშროების გარეშე. *თავს უსაფრთხოდ გრძნობს.*

უსაფრთხოება *უსაფრთხოების* მდგომარეობა, როდესაც მოსალოდნელი საფრთხის თავიდან აცილებისთვის ყველაფერი მომზადებულია. *უსაფრთხოებას იცავს.*

უსაფუძვლო *უსაფუძვლოს* საფუძველს მოკლებული, უმართებულო, უმიზეზო. *უსაფუძვლო ბრალდება.* ▲ უსაფუძვლოდ ზმნზ. საფუძვლის გარეშე, დაუსაბუთებლად, უმიზეზოდ. *უსაფუძვლოდ გაათავისუფლეს.*

უსაქმო *უსაქმოს* ვისაც საქმე არა აქვს. *უსაქმო კაცი.* ▲ უსაქმოდ ზმნზ. უქმად, უმუშევრად. *უსაქმოდ დახეტიალობს.*

უსაქმური *უსაქმურის* ვინც არაფერს აკეთებს, ზარმაცი. *უსაქმური ბიჭები.*

უსაქმურობა *უსაქმურობის* (უსაქმურობს) უქმად, უსაქმურად ყოფნა. *უსაქმურობა მოსწყინდა. თავისმა უსაქმურობამ დაღუპა.*

უსაქციელო *უსაქციელოს* ცუდი ყოფაქცევის, ცუდი ჩვევების მქონე. *უსაქციელო ბავშვი.*

უსაყვედურო *უსაყვედუროს* რაც სამართლიანად ეკუთვნის ვინმეს, ალალი. *უსაყვედურო ლუკმა.*

უსაშველო *უსაშველოს* 1. რასაც არაფერი ეშველება, უიმედო. *უსაშველო მდგომარეობა. უსაშველო შემთხვევა.* 2. მეტისმეტად დიდი, აუტანელი. *უსაშველო სიცხეები.* ▲ უსაშველოდ ზმნზ. მეტისმეტად, დაუსრულებლად, შემაწუხებლად. *დრო უსაშველოდ გაიწელა. უსაშველოდ აცივდა.*

უსახელო *უსახელოს* 1. ვისი სახელიც ცნობილი არა არის. *უსახელო ავტორი.* 2. რასაც სახელი არა აქვს. *უსახელო მთა. უსახელო მინდორი.* 3. ხელმოუწერელი, ანონიმური. *უსახელო წერილი. უსახელო საჩივარი.*

უსახლკარო *უსახლკაროს* ვისაც სახლ-კარი არა აქვს. *უსახლკარო მაწანწალა.* ▲ უსახლკაროდ ზმნზ. სახლ-კარის გარეშე. *ოჯახი უსახლკაროდ დარჩა.*

უსახო *უსახოს* 1. უფერული, რაიმე განსაკუთრებულ თვისებებს მოკლებული, არაფრით გამორჩეული. *უსახო ნაწარმოები. უსახო სპექტაკლი.* 2. არასურათოვანი, სადა. *უსახო ქსოვილი.*

უსახსრო *უსახსროს* გაჭირვებული, ხელმოკლე. *უსახსრო სტუდენტები.*

უსახსრობა *უსახსრობის* მატერიალური შესაძლებლობის უქონლობა. *უსახსრობას უჩივის.*

უსახური *უსახურის* 1. უშნო, ულამაზო. *უსახური შენობა.* 2. რასაც შინაარსი, ფორმა, სახე არა აქვს. *უსახური ნამუშევარი. უსახური ქმნილება.*

უსიამოვნება *უსიამოვნების* 1. საწყენი რამ (ამბავი, შემთხვევა და მისთ.). *უსიამოვნება შეემთხვა.* 2. მცირე ჩხუბი, დავა, კამათი. *უსიამოვნება მოუვიდათ ერთმანეთში.*

უსიამოვნო *უსიამოვნოს* არასასიამოვნო, ცუდი. *უსიამოვნო შემთხვევა.* ▲ უსიამოვნოდ ზმნზ. ცუდად, არასასიამოვნოდ. *უსიამოვნოდ აჟრჟოლებს.*

უსიერი *უსიერის* იგივეა, რაც ულრანი. *უსიერი ტყეები.*

უსიკვდილოდ ზმნზ. 1. სიკვდილის გარეშე, მოუკლავად. *უსიკვდილოდ ვერ გადარჩება.* 2. საუბრ. გადატ. აუცილებლად, ყოველი მიზეზის გარეშე. *უსიკვდილოდ სჭირდება. უსიკვდილოდ მოვალ.*

უსინათლო *უსინათლოს* 1. სადაც სინათლე არ არის, ბნელი. *უსინათლო ოთახი.* 2. იგივეა, რაც ბრმა. *უსინათლო მოხუცი.*

უსინდისო *უსინდისოს* უპატიოსნო, ურცხვი. *უსინდისო ქალი.* ▲ უსინდისოდ ზმნზ. ურცხვად, მოურიდებლად. *უსინდისოდ მოიქცა. უსინდისოდ ტყუის.*

უსინდისობა *უსინდისობის* ცუდი, ურცხვი საქციელი, სინდისის არქონა, უნამუსობა. *უსინდისობა ჩაიდინა.*

უსირცხვილო *უსირცხვილოს* ვისაც სირცხვილის გრძნობა არ გააჩნია, უნამუსო. *უსირცხვილო ადამიანი.*

უსირცხვილობა *უსირცხვილობის* სირცხვილის არქონა. *მის უსირცხვილობას საზღვარი არა აქვს.*

უსისტემო *უსისტემოს* რაც სისტემას არ ექვემდებარება, არეული, დაულაგებელი. *უსისტემო მუშაობა. უსისტემო ცელილებები.* ▲ უსისტემოდ ზმნზ. სისტემის გარეშე, არეულად. *უსისტემოდ აღრიცხავს.*

უსისტემობა *უსისტემობის* ჩამოყალიბებული, მწყობრი, სისტემის უქონლობა. *ნაწერს უსისტემობა ეტყობა.*

უსისხლო *უსისხლოს* რასაც სისხლი არ ახლავს. *უსისხლო ოპერაცია. უსისხლო რევოლუცია.*

უსიტყვო *უსიტყვოს* 1. რასაც სიტყვები არ ერთვის. *უსიტყვო სიმღერები.* 2. ვისაც ლაპარაკი არ უყვარს, უთქმელი. *უსიტყვო კაცი. უსიტყვო მორჩილება.* ▲ უსიტყვოდ ზმნზ. სიტყვის შეუბრუნებლად, სიტყვის უთქმელად. *უსიტყვოდ დაემორჩილა. უსიტყვოდ გაჰყვა.*

უსიყვარულო *უსიყვარულოს* სიყვარულს მოკლებული. *უსიყვარულო ცხოვრება.* ▲ უსიყვარულოდ ზმნზ. სიყვარულის გარეშე. *უსიყვარულოდ ვერ ძლებს.*

უსიცოცხლო *უსიცოცხლოს* 1. მკვდარი. *უსიცოცხლო სხეული.* 2. გადატ. უხალისო, მოსაწყენი, დუნე. *უსიცოცხლო ყოფა.*

უსიცხო *უსიცხოს* რასაც სიცხე (2) არ ახლავს. *უსიცხო გრიპი.*

უსიხარულო *უსიხარულოს* რასაც სიხარული არ ახლავს. *უსიხარულო ცხოვრება.*

უსმელი *უსმელის* ვინც ან რაც არაფერს სვამს. *ორი დღე უსმელი იყო.*

უსმელ-უჭმელი *უსმელ-უჭმელის* ვინც არაფერს სვამს და ჭამს, მშიერი. *უსმელ-უჭმელი წავიდა.*

უსრული *უსრულის* არასრული, დაუმთავრებელი, დაუსრულებელი. *უსრული წინადადება.*

უსტაბაში *უსტაბაშის* 1. ძვ. ხელოსნების უფროსი, უფროსი ოსტატი. 2. საუბრ. გადატ. ვინმეს ან რაიმეს უფროსი. *სასტუმროს უსტაბაში. ექიმების უსტაბაში.*

უსულგულო *უსულგულოს* გულცივი, გულგრილი. *უსულგულო ადამიანი. უსულგულო დამოკიდებულება.* ▲ უსულგულოდ ზმნზ. გულცივად, გულგრილად. *ყველას უსულგულოდ ექცევა.*

უსულგულობა *უსულგულობის* გულცივობა, გულგრილობა. *უსულგულობა გამოიჩინა.*

უსულო *უსულოს* რასაც სული არა აქვს. *უსულო არსებები.*

უსუპი *უსუპის* მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარე, იკეთებს ლურჯ ყვავილს, შეიცავს ეთეროვან ზეთს, გამოიყენება მედიცინაში.

უსურვაზი *უსურვაზის* ველური ვაზი.

უსუსური *უსუსურის* 1. უმწეო, სუსტი. *უსუსური ბავშვი. უსუსური გამოხედვა.* 2. გადატ. მდარე, უხეირო. *უსუსური ნაწარმოები. უსუსური ნახატი.*

უსუსურობა *უსუსურობის* სისუსტე, უმწეობა, უღონობა. *უსუსურობის განცდა.*

უსუფთაო *უსუფთაოს* ბინძური, ჭუჭყიანი, დაუსუფთავებელი. *უსუფთაო ქალი. უსუფთაო ოთახი.*

უსუფთაობა *უსუფთაობის* უსუფთაოდ ყოფნა. *უსუფთაობის შედეგად.*

უსქესო *უსქესოს* სქესობრივად ნეიტრალური, განურჩეველი. *უსქესო მცენარე.*

უსწავლელი *უსწავლელის* ვისაც განათლება არ მიუღია, გაუნათლებელი. *უსწავლელი გლეხი.*

უსწორმასწორო *უსწორმასწოროს* მაღალ-დაბალი, არასწორი, არათანაბარი. *უსწორმასწორო მოედანი.*

უტარო *უტაროს* რასაც ტარი არა აქვს. *უტარო დანა.*

უტაქტო *უტაქტოს* ტაქტს მოკლებული, თავშეუკავებელი. *უტაქტო ყმანვილი. უტაქტო ნათქვამი.* ▲ უტაქტოდ ზმნზ. ტაქტის გარეშე, უადგილოდ. *უტაქტოდ იხუმრა.*

უტაქტობა *უტაქტობის* ზომიერების გრძნობის არქონა, უტაქტოდ ქცევა. *უტაქტობა გამოიჩინა. ეს უტაქტობაა.*

უტეხი *უტეხის* მტკიცე ნებისყოფის მქონე, გაუტეხელი. *უტეხი ხასიათი.*

უტვინო *უტვინოს* უპატივც. სულელი, უჭკუო. *უტვინო გოგო.*

უტიფარი *უტიფრის* თავხედი, ურცხვი, უზრდელი. *უტიფარი ყმანვილი. უტიფარი სიცილი.* ▲ უტიფრად ზმნზ. ურცხვად, თავხედურად. *უტიფრად უყურებს.*

უტიფრობა *უტიფრობის* თავხედობა, უტიფრად ქცევა. *მისი უტიფრობა მაღი ზიანებს.*

უტკბესი *უტკბესის* 1. მეტისმეტად ტკბილი. *უტკბესი მურაბა.* 2. გადატ. ძალიან კარგი, სასიამოვნო. *უტკბესი ხმა აქვს.*

უტოპია *უტოპიის* ფანტასტიკური, განუხორციელებელი, მიუღწეველი რამ.

უტრირება *უტრირების* რაიმეს გადაჭარბებულად, გაზვიადებულად, დამახინჯებულად წარმოდგენა მისი ამა თუ იმ თვისების ან მხარის მეტისმეტი ხაზგასმით. *უტრირებას ახდენს.*

უტრირებული *უტრირებულის* გადაჭარბებულად, გაზვიადებულად, ამა თუ იმ მხარის ხაზგასმით წარმოდგენილი. *უტრირებული ფაქტები.*

უტყვი *უტყვის* ჩუმი, მდუმარე, უსიტყვო. *უტყვი მეგობარი.*

უტყუარი *უტყუარის* ნამდვილი, უეჭველი. *უტყუარი ფაქტი.*

უუნარო *უუნაროს* ვისაც უნარი არა აქვს. *უუნარო კაცი.*

უუნარობა *უუნარობის* უნარის არქონა. *უუნარობა გამოიჩინა.*

უუფლებო ვისაც რაიმეს უფლება არა აქვს. *ჯგუფის უუფლებო წევრი.*

უუფლებობა *უუფლებობის* უფლების უქონლობა. *პოლიტიკური უუფლებობა.*

უფალი *უფლის* ღმერთი. *უფლის ნება.*

უფასო *უფასოს* რის საფასურსაც არ იხდიან. *უფასო სასადილო. უფასო რეკლამა.*

უფერო *უფეროს* რასაც ფერი არა აქვს. *უფერო სითხე.*

უფერული *უფერულის* 1. იგივეა, რაც უფერო. *უფერული ქსოვილი.* 2. ფერდაკარგული, ფერმკრთალი. *უფერული სახე.* 3. გადატ. ერთფეროვანი, უაზრო, უშინაარსო, უინტერესო. *უფერული ცხოვრება.* ▲ უფერულად ზმნზ. ერთფეროვნად, უაზროდ, უინტერესოდ. *დღეები უფერულად გადის.*

უფესვო *უფესვოს* რასაც ფესვი არ აქვს. *უფესვო მცენარე.*

უფეხო *უფეხოს* ვისაც ან რასაც ფეხი (1, 2) არა აქვს. *უფეხო ჭიქა.*

უფილტრო *უფილტროს* რასაც ფილტრი არა აქვს. *უფილტრო სიგარეტი.*

უფლება *უფლების* 1. რაიმეს გაკეთების, მოქმედების, განხორციელების შესაძლებლობა, საშუალება, რომელიც კანონით ან საზოგადოებაში დამკვიდრებული ნორმებით განისაზღვრება. *მშენებლობის უფლება. ვაჭრობის უფლება.* 2. ნება, ნებართვა. *უფლება არ მისცა.*

უფლებააყრილი *უფლებააყრილის* ვისაც უფლებები შეუზღუდეს ან ჩამოართვეს. *უფლებააყრილი ხალხი.*

უფლებამოსილება *უფლებამოსილების* რაიმეს გაკეთების, შესრულების უფლების ქონა. *დიდი უფლებამოსილება აქვს. უფლებამოსილება შეუწყდა.*

უფლებამოსილი *უფლებამოსილის* ვისაც უფლებამოსილება აქვს. *უფლებამოსილი პირი.*

უფლებრივი *უფლებრივის* უფლებაზე დამყარებული, უფლებასთან დაკავშირებული. *უფლებრივი მდგომარეობა.*

უფლისწული *უფლისწულის* მეფის შვილი. *უფლისწულის სასახლე.*

უფრო ზმნზ. შედარებით, უპირატესად, სხვაზე მეტად. *უფრო ლამაზი. უფრო სწრაფი. უფრო ადვილად იგებს.* ⊙ მით უფრო იმიტომ უფრო, მით უმეტეს.

უფროსი *უფროსის* 1. ასაკით ვინმეზე დიდი. *კლასში ყველაზე უფროსი იყო.* 2. მაღალი თანამდებობის, წოდების, ხარისხის მქონე ხელმძღვანელი. *უფროსის კაბინეტი.*

უფროსობა *უფროსობის* (უფროსობს, ეუფროსება) 1. უფროსად (2) მუშაობა, უფროსად (2) ყოფნა. *კარგად უფროსობს.* 2. ქედმაღლურად, უფროსივით (2) ქცევა. *ყველას ეუფროსება.*

უფროსუმცროსობა *უფროსუმცროსობის* იგივეა, რაც უმცროსუფროსობა.

უფსკრული *უფსკრულის* ძალიან ღრმა ხევი, ხრამი, ნაპრალი. *უფსკრულში გადაიჩეხა.*

უფუარი *უფუარის* რაც არ აფუებულა. *უფუარი ცომი.*

უფულო ვისაც ფული არ აქვს. ▲ უფულოდ ფულის, ანაზღაურების გარეშე, უფასოდ. *სტაჟიორები უფულოდ მუშაობენ.*

უფულობა *უფულობის* ფულის უქონლობა.

უფხო *უფხოს* 1. რასაც ფხა (1, 2, 3) არა აქვს. *უფხო თევზი. უფხო ლობიო.* 2. ბლაგვი, გაულესავი. *უფხო ცელი.* 3. გადატ. მოუხერხებელი, უშნო. *უფხო კაცი.*

უქეიფობა *უქეიფობის* ცუდ ხასიათზე, შეუძლოდ ყოფნა. *უქეიფობა ეტყობა.*

უქეიფოდ ზმნზ. ცოტათი ავად, შეუძლოდ. *თავს უქეიფოდ გრძნობს. უქეიფოდ ვარ.*

უქმე *უქმის* დღე, როდესაც არ მუშაობენ. *ხვალ უქმეა.*

უქმობა *უქმობის* (უქმობს) უქმე დღეს დასვენება, უქმე დღის აღნიშვნა. *კვირას უქმობენ.*

უქნარა *უქნარას* ზარმაცი, უსაქმური. *უქნარა კაცი.*

უქონელი *უქონლის* არაფრის მქონე, ღარიბი. *უქონელი გლეხი.*

უქონლობა *უქონლობის* იგივეა, რაც არქონა. *საჭმლის უქონლობა.*

უქრობი *უქრობის* რაც მუდამ ანთია, არ ქრება. *უქრობი ცეცხლი.*

უღელი *უღლის* 1. გათლილი ძელი, რომელსაც გამწევ პირუტყვს ქედზე ადგამენ ურემში ან გუთანში შესაბმელად. *კამეჩს უღელი დაადგეს.* 2. წყვილი ხარ-კამეჩი. *ორი უღელი ხარ-კამეჩი.* 3. ნიგვზის ლებნებს შორის მოთავსებული თხელი ფირფიტა. ■ უღელში თავის გაყოფა დიდ საქმეს შეჭიდება.


უღელი

უღელტეხილი *უღელტეხილის* ადგილი მთაზე ან ქედზე, რომელზეც გზა გადის. *უღელტეხილზე გზა ჩაიკეტა.*

უღელქვეშ ზმნზ. 1. უღლის (1) ქვეშ. *ხარები უღელქვეშ შეაბა.* 2. გადატ. სხვისი ბატონობის, მორჩილების ქვეშ, მონობაში. *ქვეყანა მტრის უღელქვეშ იტანჯებოდა.*

უღვთო *უღვთოს* სასტიკი, შეუბრალებელი. *უღვთო საქციელი.* ▲ უღვთოდ ზმნზ. სასტიკად, დაუნდობლად. *უღვთოდ სცემეს.*

უღვლილება *უღვლილების* იგივეა, რაც უღლება.

უღიმღამო *უღიმღამოს* უფერული, არახალისიანი, უსიცოცხლო. *უღიმღამო ფერები. უღიმღამო ცხოვრება.*

უღირსი *უღირსის* არასაკადრისი, უზნეო. *უღირსი საქციელი.* ▲ უღირსად ზმნზ. არაღირსეულად, არასაკადრისად. *უღირსად ცხოვრობს.*

უღლება *უღლების* (აუღლებს, იუღლება) ზმნის ფორმაცვალება პირის, რიცხვისა და მწკრივების მიხედვით. *უღლების სისტემა. ზმნა აუღლა.*

უღმერთო *უღმერთოს* 1. ვისაც ღმერთი არ სწამს, ურწმუნო. *უღმერთო კაცი.* 2. ზმნზ. მკაცრი, შეუბრალებელი, დაუნდობელი. *ნუ აწვალებ, შე უღმერთოვ!*

უღმერთობა *უღმერთობის* ურწმუნოება, ღმერთის უარყოფა. *უღმერთობა ღუპავს ქვეყანას.*

უღმერთოდ ზმნზ. 1. რწმენის გარეშე. *უღმერთოდ ცხოვრება.* 2. გადატ. მკაცრად, შეუბრალებლად, დაუნდობლად. *უღმერთოდ აწვალებს.* 3. გადატ. ძალიან, მეტისმეტად. *უღმერთოდ გაძვირდა.*

უღონო *უღონოს* ვისაც, რასაც ღონე არა აქვს. *უღონო მოხუცი.* ▲ უღონოდ ზმნზ. სუსტად, შეუძლოდ. *უღონოდ ჩამოჯდა სკამზე.*

უღონობა *უღონობის* ღონის, ძალის გამოცლა, დაკარგვა. *უღონობა დასჩემდა.*

უღრანი *უღრანის* დაბურული, გაუვალი. *უღრანი ტყე.*

უღრმესი *უღრმესის* ძალიან ღრმა. *უღრმესი ჭა.*

უყაირათო *უყაირათოს* არაგონივრულად მხარჯველი. *უყაირათო კაცი.*

უყაირათობა *უყაირათობის* ყაირათის უქონლობა.

უყელო *უყელოს* რასაც ყელი არა აქვს. *უყელო ჯემპრი.*

უყვედრებელი *უყვედრებლის* რასაც ვერავინ დააყვედრის, ალალი, დაუყვედრებელი. *უყვედრებელ ლუკმას ჭამს.*

უყისმათო *უყისმათოს* ვისაც ყისმათი არა აქვს. *უყისმათო კაცი.*

უყოყმანოდ ზმნზ. ყოყმანის გარეშე, მაშინვე. *უყოყმანოდ გადაწყვიტა.*

უყუათო *უყუათოს* რასაც ყუათი არა აქვს. *უყუათო საჭმელი.*

უყურადღებო *უყურადღებოს* 1. ვინც ყურადღებას არ იჩენს. *უყურადღებო მოსწავლე.* 2. ყურადღებას მოკლებული. *უყურადღებო საქციელი.* ▲ უყურადღებოდ ზმნზ. ყურადღების გარეშე. *უყურადღებოდ კითხულობს.*

უყურადღებობა *უყურადღებობის* ყურადღების მოდუნება, უყურადღებოდ ყოფნა. *უყურადღებობა გამოიჩინა.*

უშედეგო *უშედეგოს* რასაც შედეგი არ მოჰყვება, ფუჭი. *უშედეგო მცდელობა. უშედეგო ვიზიტი.* ▲ უშედეგოდ ზმნზ. შედეგის გარეშე. *დამნაშავეს უშედეგოდ ეძებენ.*

უშემოსავლო *უშემოსავლოს* ვისაც ან რასაც შემოსავალი არა აქვს. *უშემოსავლო საქმე. უშემოსავლო კაცი.*

უშენობა *უშენობის* შენ გარეშე, უშენოდ ყოფნა. *ოჯახს უშენობა დაეტყო.*

უშენოდ ზმნზ. შენ გარეშე. *უშენოდ მიჭირს.*

უშეღავათო *უშეღავათოს* შეღავათის გარეშე მომხდარი, მიმდინარე. *უშეღავათო ორთაბრძოლა.*

უშველებელი *უშველებლის* ძალიან დიდი, უზარმაზარი. *უშველებელი ორმო. უშველებელი ძაღლი.*

უშვერი *უშვერის* ბილწი, ბინძური. *უშვერი სიტყვებით მიმართავს.* ▲ უშვერად ზმნზ. ბილწად, უხამსად. *უშვერად იგინება.*

უშვილო *უშვილოს* ვისაც შვილი არ ჰყავს. *უშვილო ქალი.*

უშვილობა *უშვილობის* ისეთი მდგომარეობა, როდესაც შვილი არ ჰყავთ. *უშვილობა აწუხებთ.*

უშვილძირო *უშვილძიროს* ვისაც შთამომავალი

არ ჰყავს, უშვილო, უმემკვიდრო. *უშვილძირო ცოლ-ქმარი.*

უშინაარსო *უშინაარსოს* რასაც შინაარსი არა აქვს, უაზრო. *უშინაარსო ლექსი.* ▲ უშინაარსოდ ზმნზ. უაზროდ, უინტერესოდ. *უშინაარსოდ ცხოვრობს.*

უშიშარი *უშიშრის* ვისაც არაფრის ეშინია, გულადი. *უშიშარი მეომარი.*

უშიშროება *უშიშროების* სახელმწიფო ორგანიზაცია, რომელიც ქვეყნის სიმშვიდეზე, უსაფრთხოებაზე ზრუნავს. *უშიშროების სამინისტრო.*

უშნო *უშნოს* 1. ულამაზო. *უშნო კაბა.* 2. ვისაც შნო არა აქვს, მოუხერხებელი. *უშნო კაცი.*

უშობელი *უშობლის* იგივეა, რაც დეკეული. *უშობელი დაკლეს.*

უშრეტი *უშრეტის* 1. რაც არ იშრიტება. *უშრეტი წყარო.* 2. რაც არ თავდება, ამოუწურავი. *უშრეტი ენერგია.*

უშრომელი *უშრომლის* შრომის, გარჯის გარეშე მიღებული. *უშრომელი შემოსავალი.*

უშუალო *უშუალოს* პირდაპირი, სხვის ჩაურევლად დამყარებული. *უშუალო კავშირი. უშუალო გავლენა.* ▲ უშუალოდ ზმნზ. პირდაპირ, პირადად, სხვის გარეშე. *კანონი უშუალოდ მათ შეეხება.*

უშურველი *უშურველის* ვისაც არაფერი შურს, დაუნანებელი. *უშურველი ადამიანი.*

უშფოთველი *უშფოთველის* მშვიდი, წყნარი, აუღელვებელი. *უშფოთველი ძილი. უშფოთველი ბავშვი.* ▲ უშფოთველად ზმნზ. წყნარად, მშვიდად, აუღელვებლად. *უშფოთველად სძინავს.*

უშფოთველობა *უშფოთველობის* სიმშვიდე, სიწყნარე. *თავისი უშფოთველობით სხვებსაც ამშვიდებს.*

უჩემოდ ზმნზ. ჩემ გარეშე, სადაც მე არა ვარ. *უჩემოდ გაგიჭირდება.*

უჩვევი *უჩვევის* ვინც შეჩვეული არ არის. *შრომას უჩვევი. წინააღმდეგობას უჩვევი.* ↔ ნაჩვევი.

უჩვენობა *უჩვენობის* უჩვენოდ, ჩვენს გარეშე ყოფნა. *უჩვენობა ყველაფერს შეეტყო.*

უჩვენოდ ზმნზ. ჩვენ გარეშე. *უჩვენოდ გააკეთა.*

უჩვეულო *უჩვეულოს* არაჩვეულებრივი, საოცარი, არაბუნებრივი. *უჩვეულო სანახაობა. უჩვეულო სიჩუმე.* ▲ უჩვეულოდ ზმნზ. არაჩვეულებრივად, საოცრად, არაბუნებრივად. *უჩვეულოდ ლამაზი. უჩვეულოდ გრძელი ზამთარი.*

უჩინარი *უჩინარის* რაც არ ჩანს, რასაც თვალი ვერ ხედავს. *უჩინარი არსებები. უჩინარი მტერი.*

უჩინმაჩინი *უჩინმაჩინის* ზღაპრული არსება, რომელსაც გაუჩინარების უნარი აქვს. *უჩინმაჩინის ქუდი.*

უჩუმარი *უჩუმრის* ჩუმი, დაფარული, შეუმჩნეველი. *უჩუმარი გამოხედვა. უჩუმარი ქირქილი.* ▲ უჩუმრად ზმნზ. ჩუმად, დაფარულად, შეუმჩნეველად. *უჩუმრად შემოიპარა.*

უცაბედი *უცაბედის* მოულოდნელი, გაუთვალისწინებელი. *უცაბედი სიკვდილი.* ▲ უცაბედად ზმნზ. უეცრად, მოულოდნელად, უცბად. *უცაბედად გ ზაში შემხვდა.*

უცბად ზმნზ. ძალიან სწრაფად, მაშინვე, უეცრად. *უცბად ხმაური ატყდა.*

უცებ ზმნზ. იგივეა, რაც უცბად. *უცებ თოვლი წამოვიდა. უცებ განგაში ატყდა.*

უცენზურო *უცენზუროს* საზოგადოებაში მიუღებელი, ბილწი. *უცენზურო სიტყვები. უცენზურო ანეკდოტები.*

უცერემონიო *უცერემონიოს* მოურიდებელი, თავხედი. *უცერემონიო სტუმარი.* ▲ უცერემონიოდ თავხედურად, უზრდელურად. *უცერემონიოდ იქცევა.*

უცვლელი *უცვლელის* რაც არ იცვლება, ცვლილებას არ განიცდის. *უცვლელი დრო. უცვლელი ხელმძღვანელი.* ▲ უცვლელად ზმნზ. ცვლილების გარეშე. *გუნდი უცვლელად ლიდერობს.*

უცილო *უცილოს* უეჭველი, უდავო. *უცილო ფაქტები.*

უცილობელი *უცილობლის* იგივეა, რაც უცილო. *უცილობელი მარცხი ელოდება.*

უცნაური *უცნაურის* უჩვეულო, გასაკვირი. *უცნაური ბავშვი. უცნაური ამბავი.* ▲ უცნაურად ზმნზ. უჩვეულოდ, გასაკვირად. *უცნაურად იცვამს. უცნაურად შემომხედა.*

უცნაურება* *უცნაურების* (ეუცნაურება) უცნაურად მიიჩნევა. *ეს ამბავი ეუცნაურა.*

უცნაურობა *უცნაურობის* არაბუნებრივი, გასაოცარი, საკვირველი ჩვევა, ხასიათი და მისთ. *ბევრი უცნაურობა ახასიათებს.*

უცნობი *უცნობის* პიროვნება, რომლის ვინაობაც ცნობილი არ არის, რომლის შესახებაც საზოგადოებამ არაფერი იცის. *უცნობი სტუმარი. უცნობი პოეტი. უცნობი გმირი.*

უცოდველი *უცოდველის* ვისაც ცოდვა არ ჩაუდენია. *უცოდველი ადამიანი.*

უცოდინარი *უცოდინრის* ვინც არაფერი იცის, უსწავლელი. *უცოდინარი ახალგაზრდა. წერა-კითხვის უცოდინარი.*

უცოდინრობა *უცოდინრობის* უცოდინრად ყოფნა, ცოდნის უქონლობა. *უცოდინრობა ვერ შეატყვეს.*

უცოლშვილო *უცოლშვილოს* ვისაც ცოლი და შვილები არა ჰყავს. *უცოლშვილო მე ზობელი.*

უცუნა *უცუნას* მრავალწლოვანი ბოლქვიანი შხამიანი მცენარე, აქვს მსხვილი, შროშანის მსგავსი ყვავილი, რომელიც შემოდგომის პირზე იშლება.

უცხვირპირო *უცხვირპიროს* უხასიათო, ცუდი საურთიერთო. *უცხვირპირო ქალია.*

უცხიმო *უცხიმოს* რასაც ცხიმი არა აქვს. *უცხიმო ბაჭო.*

უცხო *უცხოს* 1. ვისაც ან რასაც არ იცნობენ, უცნობი. *უცხო კაცი. უცხო ადგილი. უცხო ქვეყანა.* 2. უცნაური, ჯერ უნახავი, ჯერ განუცდელი. *უცხო სანახაობა. უცხო ფიქრები.*

უცხოეთი *უცხოეთის* არამშობლიური, უცხო მხარე. *უცხოეთის ამბები. უცხოეთში წავიდა.*

უცხოელი *უცხოელის* სხვა ქვეყანაში, უცხოეთში მცხოვრები. *უცხოელი ექსპერტები. უცხოელი მოქალაქე.*

უცხოობა *უცხოობის* (უცხოობს, ეუცხოება) რამის ან ვინმეს უცხოდ, სხვად მიჩნევა. *ბავშვმა უცხოობა იცის. სტუმრები იუცხოვა.*

უცხოური *უცხოურის* რაც უცხო ქვეყნიდან არის შემოსული, შემოტანილი. *უცხოური საქონელი. უცხოური პროდუქცია.*

უძარღვო *უძარღვოს* რასაც ძარღვი არა აქვს. *უძარღვო ხორცი.*

უძეო *უძეოს* უშვილო. *უძეო ოჯახი.* ▲ უძეოდ ზმნზ. უშვილოდ. *უძეოდ გადაეგო.*

უძველო *უძველოს* რასაც ძველები არა აქვს. *უძველო ნაჭერი.*

უძილო *უძილოს* ვინც ვერ დაიძინა, ვერ გამოიძინა. *მთელი ღამის უძილო იყო.*

უძილობა *უძილობის* არაჯანმრთელი მდგომარეობა, როდესაც ადამიანს დაძინება უჭირს. *უძილობა დასჩემდა.*

უძინარი *უძინარის* უძილო, გამოუძინებელი. *უძინარი ვიყავი.*

უძიროო *უძიროს* რასაც ძირი არა აქვს. *უძირო ორმო.*

უძლეველი *უძლეველის* ვისაც ვერავინ ძლევს, ვერავინ ერევა. *უძლეველი მეომარი. უძლეველი ქვეყანა.*

უძლეველობა *უძლეველობის* ისეთი ძალა, ძლიერება, რომლის დამარცხება არავის შეუძლია. *მოჭიდავის უძლეველობა.*

უძლურება *უძლურების* ძალის, შესაძლებლობის უქონლობა, უღონობა, სისუსტე. *ფიზიკური უძლურება. უძლურებას გრძნობს.*

უძლური *უძლურის* სუსტი, უღონო. *უძლური მოხუცი.*

უძოვარა *უძოვარას* მაღალი, მრავალწლოვანი შხამიანი ბალახი, იკეთებს დიდ, ყვითელ ყვავილებს, ხარობს მაღალმთიან ადგილებში.

უძრავი *უძრავის* ვინც, რაც არ მოძრაობს. *უძრავი საგნები.* ▲ უძრავად ზმნზ. უმოძრაოდ, განძრევის გარეშე. *უძრავად დგას.* ⊙ უძრავი ქონება ვინმეს საკუთრებაში არსებული სახლი, მიწა და მისთ.

უძრაობა *უძრაობის* უძრავ მდგომარეობაში ყოფნა. *უძრაობა მობეზრდა. უძრაობის ხანა.*

უძღები *უძღების* ნიგნ. ურჩი და უმადური. *უძღები შვილი.*

უწესო *უწესოს* 1. რაც წესებს არ ექვემდებარება, არანესიერი. *უწესო თამაში.* 2. უზნეო, გარყვნილი. *უწესო ქალი.* ▲ უწესოდ ზმნზ. ცუდად, მიუღებლად. *უწესოდ იქცევა.*

უწესობა *უწესობის* ცუდი, მიუღებელი ყოფაქცევა, ამორალურობა. *უწესობა ჩაიდინა.*

უწესრიგო *უწესრიგოს* ვისაც ან რასაც წესრიგი არ ახასიათებს, არეული, მოუწესრიგებელი. *უწესრიგო მოძრაობა. უწესრიგო დიასახლისი.* ▲ უწესრიგოდ ზმნზ. არეულად, მოუწესრიგებლად. *უწესრიგოდ ყრია ნივთები.*

უწესრიგობა *უწესრიგობის* ვითარება, როდესაც წესრიგი არ არის, როდესაც წესრიგი ირღვევა. *უწესრიგობას ვერ იტანს.*

უწვერული *უწვერულის* ვისაც წვერი ჯერ არ ამოსვლია. *უწვერული ჭაბუკი.*

უწვნო *უწვნოს* რასაც წვენი არა აქვს. *უწვნო ნაყოფი.*

უწიგნური *უწიგნურის* უცოდინარი, გაუნათლებელი. *უწიგნური კაცი.*

უწინ ზმნზ. 1. ძველად, ადრე, წინათ. *უწინ აქ ტყე ყოფილა.* 2. თანდ. ფუნქც. ვინმეზე ან რაიმეზე ადრე. *სხვაზე უწინ ის მოვა.*

უწინარეს ზმნზ. ⊙ უწინარეს ყოვლისა უპირველეს ყოვლისა.

უწინდებური *უწინდებურის* როგორიც უწინ იყო, ძველებური. *უწინდებური ურთიერთობა. უწინდებური ქეიფი.* ▲ უწინდებურად ზმნზ. როგორც ძველ დროს, ძველებურად. *უწინდებურად მოილხინეს.*

უწინდელი *უწინდელის* უწინ არსებული, ძველი. *უწინდელი წესები. უწინდელი ხალხი.*

უწლოვანი *უწლოვნის* ასაკით პატარა, არასრულწლოვანი. *უწლოვანი ყმაწვილები.*

უწმაწური *უწმაწურის* უხამსი, ბილწი. *უწმაწური სიტყვები.* ▲ უწმაწურად ზმნზ. უხამსად, ბილწად. *უწმაწურად იგინება.*

უწმაწურობა *უწმაწურობის* უხამსობა, უწმაწურად ლაპარაკი, ფიქრი, აზროვნება. *უწმაწურობა არ ეპატიება.*

უწმინდესი *უწმინდესის* 1. ძალიან წმინდა. *უწმინდესი გრძნობები.* 2. უმაღლეს სასულიერო პირთა წოდება.

უწმინდესობა *უწმინდესობის* პატრიარქის, კათალიკოსის აღმნიშვნელი სიტყვა, გამოიყენება მიმართვის ან დასახელების დროს ნაცვალსახე-

ლებთან (მისი, მათი, თქვენი) ერთად. *მისი უნმინდესობა მობრძანდება.*

**უწმინდურება** *უწმინდურების* 1. დიდი სიბინძურე, უსუფთაობა. *ქუჩის უწმინდურება კანალიზაციაში ჩაედინება.* 2. სიბილწე, უზნეობა. *თავის უწმინდურებას ვერ დაფარავს.*

**უწმინდური** *უწმინდურის* 1. ჭუჭყიანი, ბინძური, არაწმინდა. *უწმინდური წყალი.* 2. გადატ. ავი, ბოროტი. *უწმინდური ძალები.*

**უწყება** *უწყების* (აუწყებს, იუწყება, ეუწყება, უწყის) 1. ოფიციალურად ცნობება, შეტყობინება რაიმესი. *ახალი ამბავი აუწყეს. რადიო იუწყება.* 2. იგივეა, რაც ცოდნა. *ღმერთმა უწყის, რა მოხდება.* 3. ოფიციალური შეტყობინება, წერილი, რომელსაც უგზავნიან პიროვნებას სადმე მიწვევის მიზნით. *კომისარიატის უწყება.* 4. დაწესებულება ან დაწესებულებათა სისტემა, რომელიც ემსახურება სახელმწიფო მმართველობის რომელიმე დარგს. *იურიდიული უწყება.*

**უწყებრივი** *უწყებრივის* საუწყებო, უწყების კუთვნილი. *უწყებრივი ქონება.*

**უწყვეტი** *უწყვეტის* რაც არ წყდება. *უწყვეტი ნაკადი.* ▲ **უწყვეტად** ზმნზ. მუდმივად, გაუჩერებლად. *უწყვეტად მოედინება.*

**უწყვეტობა** *უწყვეტობის* ვითარება, როდესაც რაიმე არ წყდება, მუდმივად მიმდინარეობს. *პროცესის უწყვეტობა.*

**უწყინარი** *უწყინრის* 1. ვინც ან რაც არავის არაფერს უშავებს; წყნარი, მშვიდი, თვინიერი. *უწყინარი კაცი. უწყინარი ძაღლი.* 2. რაც წყენას, გაბრაზებას არ გამოხატავს. *უწყინარი გამომეტყველება.* 3. რაც მაწყინარი არ არის. *უწყინარი ხილი.* ▲ **უწყინრად** ზმნზ. წყენის გარეშე, წყენის გამოუხატავად. *უწყინრად დაშორდნენ ერთმანეთს. უწყინრად შეხედა.*

**უწყინარობა** *უწყინარობის* სიმშვიდე, თვინიერება. *უწყინარობით გამოირჩევა.*

**უწყისი** *უწყისის* სია, რომელშიც აღინიშნება რაიმეს მიღება და გაცემა ან სხვა მონაცემები. *ხელფასის უწყისი. უწყისში ნიშნები გააფორმა.*

**უწყლო** *უწყლოს* სადაც წყალი არ არის. *უწყლო ადგილი.*

**უჭკნობი** *უჭკნობის* 1. რაც არ ჭკნება. *უჭკნობი ყვავილი.* 2. გადატ. მუდმივი, მარადიული, წარუშლელი. *უჭკნობი დიდება.*

**უჭკუო** *უჭკუოს* ვისაც ჭკუა არა აქვს, სულელი. *უჭკუო კაცი.* ▲ **უჭკუოდ** ზმნზ. დაუფიქრებლად, სულელურად. *უჭკუოდ მოიქცა.*

**უჭკუობა** *უჭკუობის* სისულელე, უგუნურება, უჭკუოდ ქცევა. *თავისი უჭკუობით ბევრი დაკარგა.*

**უჭმელი** *უჭმელის* 1. ვისაც ან რასაც არაფერი უჭამია. *დიდი ხნის უჭმელი იყო.* 2. საუბრ. ვინც ძალიან ცოტას ჭამს. *უჭმელი ბავშვი.*

**უჭმელობა** *უჭმელობის* იგივეა, რაც უმადობა. *უჭმელობით გააწვალა.*

**უჭმელ-უსმელი** *უჭმელ-უსმელის* ვისაც არაფერი უჭამია. *უჭმელ-უსმელი დაიარება.* ▲ **უჭმელ-უსმელად** ზმნზ. ჭამის, საკვების მიღების გარეშე. *მთელი დღე უჭმელ-უსმელად გაატარა.*

**უხალისო** *უხალისოს* ვისაც ან რასაც ხალისი არა აქვს, მოსაწყენი. *უხალისო სტუმარი. უხალისო დღე.* ▲ **უხალისოდ** ზმნზ. ხალისის გარეშე. *უხალისოდ შეუდგა საქმეს.*

**უხალისობა** *უხალისობის* ხალისის უქონლობა, მოწყენილობა. *უხალისობა დაეტყო.*

**უხამსი** *უხამსის* უწესო, უმსგავსო, უზრდელი. *უხამსი სიტყვები. უხამსი სურათი.* ▲ **უხამსად** ზმნზ. უწესოდ, უმსგავსოდ. *უხამსად იქცევა.*

**უხამსობა** *უხამსობის* (უხამსობს) უზნეობა, უმსგავსობა, უხამსი სიტყვებით ლაპარაკი, უხამსად ქცევა. *საზოგადოება უხამსობას არ უნდა შეეგუოს. ბიჭები უხამსობენ.*

**უხარეზო** *უხარეზოს* რასაც ხარვეზი არა აქვს. *უხარეზო თარგმანი.*

**უხარისხო** *უხარისხოს* ცუდი ხარისხის მქონე. *უხარისხო საკვები. უხარისხო მასალა.*

**უხასიათო** *უხასიათოს* ცუდი, მძიმე ხასიათის მქონე. *უხასიათო ახალგაზრდა.* ▲ **უხასიათოდ** ზმნზ. უხალისოდ, ცუდი განწყობილებით. *უხასიათოდ იყო.*

**უხასიათობა** *უხასიათობის* ცუდი, მძიმე ხასიათის ქონა. *უხასიათობა დასჩემდა.*

**უხედნი** *უხედნის* რც გახედნილი არ არის. *უხედნი ცხენი. უხედნი ჯორი.*

**უხეირო** *უხეიროს* ცუდი, უშნო. *უხეირო ტანსაცმელი. უხეირო თარგმანი.* ▲ **უხეიროდ** ზმნზ. ცუდად, უშნოდ. *უხეიროდ ხატავს.*

**უხემსოდ** ზმნზ. წახემსების გარეშე, უჭმელად. *უხემსოდ დიდხანს ვერ გაძლებს კაცი.*

**უხერხემლო** *უხერხემლოს* 1. რასაც ხერხემალი არა აქვს. *უხერხემლო ცხოველები. უხერხემლოებს მიეკუთვნება.* 2. გადატ. უპრინციპო, მერყევი, სუსტი ნებისყოფის მქონე. *უხერხემლო კაცი.*

**უხერხემლობა** *უხერხემლობის* სუსტი ნებისყოფა, მერყეობა, უპრინციპობა. *ყველაფერი ჩვენი უხერხემლობით დაგვემართა.*

**უხერხული** *უხერხულის* საჩოთირო, სათაკილო, შემანუხებელი. *უხერხული სიჩუმე. უხერხული მზერა.* ▲ **უხერხულად** ზმნზ. მოუხერხებლად, ცუდად, უსიამოვნოდ. *უხერხულად დაჯდა. უხერხულად იგრძნო თავი.*

**უხერხულობა** *უხერხულობის* (ეუხერხულება) უხერხულ მდგომარეობაში ყოფნა, უხერხულად მიჩნევა. *უხერხულობა იგრძნობოდა. წასვლა ეუხერხულა.*

**უხეში** *უხეშის* 1. მოუქნელი, მაგარი. *უხეში თმა. უხეში ნაკვთები. უხეში ხელები.* 2. უკმეხი, უზრდელი. *უხეში კაცი. უხეში საქციელი.* 3. მძიმე, გამოუსწორებელი. *კანონის უხეში დარღვევა. უხეში შეცდომა.* ▲ **უხეშად** ზმნზ. უკმეხად, უზრდელად, უპატივცემულოდ. *უხეშად მიმართა.*

**უხეშობა** *უხეშობის* (უხეშობს, ეუხეშება) თავხედობა, უხეშად ქცევა. *მშობლებთან უხეშობს. ყველას ეუხეშება.*

**უხვი** *უხვის* მრავალი, ბარაქიანი. *უხვი მოსავალი.* ▲ **უხვად** ზმნზ. ბლომად, ბარაქიანად. *ხილი უხვად ჰქონდათ.*

**უხიაგი** *უხიაგის* ახირებული, ჯიუტი. *უხიაგი კაცი.*

**უხიაგობა** *უხიაგობის* მძიმე ხასიათის ქონა, ახირებულობა. *უხიაგობით შეგვაწუხა.*

**უხიაკობა** *უხიაკობის*||**უხიაგობა.** *უხიაგობა გამოიჩინა.*

**უხინჯო** *უხინჯოს* უნაკლო, უზადო. *უხინჯო წარსული.*

**უხიფათო** *უხიფათოს* რაც საფრთხეს არ წარმოშობს, ხიფათს არ ქმნის. *უხიფათო მოგზაურობა.*

**უხმარი** *უხმარის* ახალი, ჯერ გამოუყენებელი. *უხმარი ჭურჭელი. უხმარი თეთრეული.*

**უხმაურო** *უხმაუროს* სადაც ხმაური არ არის, ვინც ან რაც ხმაურს არ იწვევს. *უხმაურო ადგილი.* ▲ **უხმაუროდ** ზმნზ. ხმაურის გარეშე, ჩუმად. *უხმაუროდ დადის.*

**უხმო** *უხმოს* რასაც ხმა არა აქვს. *უხმო ტირილი.* ▲ **უხმოდ** ზმნზ. ხმის ამოუღებლად, ჩუმად. *უხმოდ მიდიოდნენ.*

**უხორცო** *უხორცოს* რასაც ხორცი არა აქვს. *უხორცო კერძი.*

**უხრწნელი** *უხრწნელის* რაც არ იხრწნება. *წმინდანის უხრწნელი ნაწილები.*

**უხსენებელი** *უხსენებლის* ევფ. გველი. *უხსენებელმა დაშხამა.*

**უხსოვარი** *უხსოვრის* რაც აღარავის ახსოვს, ძალიან ძველი. *უხსოვარი დრო.*

**უხუცესი** *უხუცესის* ყველაზე მოხუცი. *უხუცესი ქალბატონი. უხუცესი მოჭადრაკე.*

**უჯანგარი** *უჯანგრის* უსიამოვნო სუნის მქონე ერთნლოვანი ბალახი, აქვს დანაკვთული ფოთლები და პატარა ყვავილები.

**უჯიათი** *უჯიათის* ძალიან ჯიუტი, დაუჯერებელი. *უჯიათი ცოლი ჰყავს.*

**უჯიგრო** *უჯიგროს* საუბრ. ვინც ნათესაეების სიყვარული არ იცის. *უჯიგრო კაცი.*

**უჯილაგო** *უჯილაგოს* ცუდი ჯილაგის მქონე, უჯიშო. *უჯილაგო კაცი.*

**უჯიშო** *უჯიშოს* 1. რასაც ცუდი წარმომავლობა, ჯიში აქვს. *უჯიშო ძაღლი. უჯიშო ცხენი.* 2. გადატ. ცუდი, უხეირო. *უჯიშო მძღოლი. შე უჯიშო!*

**უჯრა** *უჯრის* 1. მაგიდაში ან კარადაში ჩადგმული, გამოსაწევი თავღია ყუთი, გამოიყენება სხვადასხვა სახის ნივთების ჩასაწყობად. *კომოდის უჯრა. უჯრის გასაღები.* 2. სიმეტრიულად (ოთხკუთხედებად, რგოლებად...) დაყოფილი ზედაპირის ცალკეული ნაწილი. *ბადის უჯრა. ფიჭის უჯრა. რვეულის უჯრა.* ■ **უჯრებიანი** რასაც უჯრები აქვს. *უჯრებიანი კარადა.*

**უჯრედი** *უჯრედის* 1. ცოცხალი ორგანიზმის შემადგენელი უმარტივესი ერთეული. *ტვინის უჯრედი. უჯრედის აგებულება. უჯრედის გამრავლება.* 2. მთელის ცალკეული დანაყოფი, რგოლი. *ფიჭის უჯრედები. კიბოს უჯრედი.*

**უჯრედოვანი** *უჯრედოვნის* უჯრედების შემცველი, უჯრედების სახით არსებული. *უჯრედოვანი ნაქსოვი.*

**უჰ** შორისდ. გამოხატავს მოწონებას, აღტაცებას. *უჰ, როგორ გაშლილა ჩვენი ვარდები!*

**უჰაერო** *უჰაეროს* სადაც ჰაერი საერთოდ არ არის ან ნაკლები რაოდენობითაა. *უჰაერო სივრცე.*

**უჰაერობა** *უჰაერობის* ვითარება, როდესაც ჰაერი საკმარისი არ არის. *უჰაერობაში ეელარ ძლებს.*

# – ფ –

**ფაბრიკა** *ფაბრიკის* საწარმო, სადაც ნედლეულს ამუშავებენ და პროდუქციას ქმნიან დანადგარების მეშვეობით. *ფეხსაცმლის ფაბრიკა. ჩაის ფაბრიკა.* ■ **ფაბრიკული** ფაბრიკასთან დაკავშირებული. *ფაბრიკული წესი.*

**ფაბრიკანტი** *ფაბრიკანტის* ფაბრიკის პატრონი. პარონიმი ფაბრიკატი.

**ფაბრიკატი** *ფაბრიკატის* მზა ნაწარმი, საბოლოოდ დამუშავებული პროდუქტი. პარონიმი ფაბრიკანტი.

**ფაბულა** *ფაბულის* მხატვრული ნაწარმოების სიუჟეტის მოკლე შინაარსი. *რომანის ფაბულა. რთული ფაბულა.*

**ფაგოტი** *ფაგოტის* ყველაზე დაბალი ხმოვანების ჩასაბერი საკრავი – ხის ორი, გრძელი ლულა ერთერთ ბოლოში მიერთებული ლითონის წვრილი ჩასაბერი მილით. *ფაგოტის ხმა.*

**ფაეტონი** *ფაეტონის* სამგზავრო ეტლი, რომელსაც გადასახსნელი თავი აქვს, ამჟამად იყენებენ სარიტუალო დანიშნულებით ჯვრისწერისას, დასაფლავებისას და მისთ. *ჯვარდაწერილები ფაეტონში ჩასხდნენ.*

**ფავორიტი** *ფავორიტის* ადამიანი, რომელიც გავლენიანი ან მაღალი თანამდებობის პირის მფარველობით სარგებლობს. *დირექტორის ფავორიტი.*

**ფაზა** *ფაზის* რაიმე მოვლენის, პროცესის მიმდინარეობის ცალკეული მონაკვეთი. *ყვავილობის ფაზა. აქტიურ ფაზაში შევიდა.*

**ფათერაკი** *ფათერაკის* იგივეა, რაც ხიფათი. *ფათერაკი შეემთხვა.*

**ფათური** *ფათურის* (აფათურებს, უფათურებს) ◌ **ხელებს აფათურებს (უფათურებს)** ხელებს აქეთ-იქით ამოძრავებს რაიმეს საპოვნელად, ხელებს უსვამს, ხელით სინჯავს.

**ფაილი** *ფაილის* 1. თხელი ყდა ან პარკი ქაღალდების შესანახად. *საბუთები ფაილში ჩაანყო.* 2. კომპიუტერულ მეხსიერებაში გარკვეული წესით ჩაწერილ მონაცემთა ერთობლიობა. *ფაილის გადაწერა.*

**ფაიფური** *ფაიფურის* მკვრივი კერამიკული მასალა, გამოიყენება მაღალხარისხიანი ჭურჭლისა და სხვა ნაწარმის დასამზადებლად. *ფაიფურის ფინჯანი. ფაიფურის თოჯინა.*

**ფაკულტატიური** *ფაკულტატიურის* არასავალდებულო, სურვილისამებრ ასარჩევი. *ფაკულტატიური კურსი.*

**ფაკულტეტი** *ფაკულტეტის* უმაღლესი სასწავლებლის განყოფილება, რომელზეც ისწავლება მომიჯნავე სამეცნიერო დისციპლინები. *ჰუმანიტარული ფაკულტეტი. სამკურნალო ფაკულტეტი.*

**ფალავანი** *ფალავნის* იგივეა, რაც მოჭიდავე. *განთქმული ფალავანი.*

**ფალანგი** *ფალანგის* მოკლე მილისებრი ძვლები ხელისა და ფეხის თითების სახსრებს შორის. *თითის ფალანგები.*

**ფალია** *ფალიის* ძველებური ცეცხლსასროლი იარაღის ნაწილი, რომელზე დაყრილ თოფისნამალსაც კაჟის ნაპერწკალი აფეთქებდა.

**ფალსიფიკატორი** *ფალსიფიკატორის* ფალსიფიკაციის ჩამდენი. *ფაქტების ფალსიფიკატორი. წამლების ფალსიფიკატორი.*

**ფალსიფიკაცია** *ფალსიფიკაციის* 1. გაყალბება. *ისტორიული ფაქტების ფალსიფიკაცია.* 2. რაიმეს ხარისხის გაუარესება. *ღვინის ფალსიფიკაცია. ჩაის ფალსიფიკაცია.*

**ფალსიფიცირება** *ფალსიფიცირების* იგივეა, რაც ფალსიფიკაცია. *ნაწარმის ფალსიფიცირება.*

**ფალსიფიცირებული** *ფალსიფიცირებულის* გაყალბებული, უხარისხოდ დამზადებული. *ფალსიფიცირებული საკვები.*

**ფამილიარული** *ფამილიარულის* მეტისმეტად შინაურული, მოურიდებელი. *ფამილიარული ტონი. ფამილიარული დამოკიდებულება.*

**ფამფალი** *ფამფალის* (ფამფალებს, უფამფალებს, აფამფალებს) უნებლიე მოძრაობა, მსუბუქი რყევა. *კბილი უფამფალებს.*

**ფამფარა** *ფამფარის* ორ- ან მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარე, იკეთებს გრძელ და ვინრო ფოთლებს და კალათებად შეკრებილ ყვავილებს, აქვს რძიანი ღერო და ფოთლები, იჭმება უმად.

ფანარი *ფანრის* იგივეა, რაც ფარანი.

ფანატიზმი *ფანატიზმის* 1. რწმენის ან რაიმე იდეის უკიდურესობამდე მიყვანილი, ბრმა მიმდევრობა; ნებისმიერი განსხვავებული მოსაზრების სრული შეუწყნარებლობა. *ფანატიზმამდე მისული.* 2. გადატ. უკიდურესი გატაცება რაიმე საქმით ან იდეით. *კოლექციონერის ფანატიზმი.*

ფანატიკოსი *ფანატიკოსის* 1. ფანატიზმით (1) შეპყრობილი. *ფანატიკოსების ჯგუფი.* 2. რაიმეთი ზედმეტად გატაცებული. *თავისი საქმის ფანატიკოსი.*

ფანატიკური *ფანატიკურის* ფანატიზმისთვის დამახასიათებელი. *ფანატიკური რწმენა.*

ფანდი *ფანდის* 1. ჭიდაობის ხერხი, ილეთი. *ფალავანმა ფანდი იხმარა.* 2. გადატ. წინააღმდეგობის, დაბრკოლების დაძლევის ხერხი, გზა, ოინი. *კარგი ფანდი მოიგონა.*

ფანდური *ფანდურის* ქართული ხალხური სიმებიანი საკრავი, აქვს უმეტესად სამი სიმი, უკრავენ თითების ჩამოკვრით. *ფანდურს უკრავს. ფანდურის სიმი.*

ფანტაზია *ფანტაზიის* 1. წარმოსახვის, წარმოდგენის უნარი. *მდიდარი ფანტაზია.* 2. ოცნება, გამოგონილი რამ. *ბავშვური ფანტაზია.*

ფანტაზიორი *ფანტაზიორის* 1. ვისაც ფანტაზიის უნარი აქვს, მეოცნებე. *ბავშვები ფანტაზიორები არიან.* 2. საუბრ. ადამიანი, რომელიც არარეალურ, გამოგონილ სამყაროში ცხოვრობს (ფანტაზიორობს).

ფანტაზიორობა *ფანტაზიორობის* (ფანტაზიორობს) რაიმეს გამოგონება, ფანტაზიით შექმნა, ოცნება. *ეს კიდევ ფანტაზიორობს?!*

ფანტასმაგორია *ფანტასმაგორიის* 1. არარეალური, მოჩვენებითი, წარმოსახვის შედეგად შექმნილი რამ. 2. გადატ. უცნაური, ფანტასტიკური მოვლენა.

ფანტასტიკა *ფანტასტიკის* 1. ფანტაზიის შედეგად წარმოსახული, არარეალური რამ. 2. ლიტერატურული ნაწარმოებები, რომლებშიც აღწერილია გამოგონილი, ზებუნებრივი ამბები.

ფანტასტიკური *ფანტასტიკურის* 1. ფანტაზიასთან დაკავშირებული, გამოგონილი, ზღაპრული, არარეალური. 2. ფანტასტიკაზე დამყარებული.

ფანტელი *ფანტელის* თოვლის ფიფქი. *ფანტელები ცვივა.*

ფანტვა *ფანტვის* (ფანტავს, იფანტება, ეფანტება) 1. ↑ დაფანტვა. *ბრინჯი იფანტება. მძივები ეფანტება.* 2. უდარდელად, უთავბოლოდ ხარჯვა, ფლანგვა. *ფულის ფანტვა უყვარს. ქონებას ფანტავს.*

ფანტია *ფანტიას* 1. რაც იფანტება. *ფანტია ბრინჯი.* 2. ვინც ქონებას ფანტავს, უყაირათოდ ხარჯავს. *მაგ ფანტიას რა ფული ეყოფა!* ◇ ფანტია ფლავი გრძელი ჯიშის ბრინჯის ფლავი, რომელიც მოხარშვის შემდეგაც იფანტება.

ფანქარი *ფანქრის* ღეროში ჩასმული გრაფიტის წვრილი ჩხირი, რომელიც გამოიყენება სანერად, სახაზავად, სახატავად. *შავი ფანქარი. ფერადი ფანქრები.*


ფანქარი

ფანჩატური *ფანჩატურის* 1. მზის სხივებისგან დამცავი უკედლო ბოძებზე გამართული საჩრდილებელი, რომელიც გადახურულია ცოცხალი ტოტებითა და ფოთლებით. *ფანჩატურის ქვეშ გაშალეს სუფრა.* 2. ბოძებზე დაყრდნობილი, მსუბუქი კონსტრუქციის ნაგებობა დასასვენებლად. *ფანჩატურში დასხდნენ. ფანჩატურს მზე მიადგა.*

ფანცქალი *ფანცქალის* (უფანცქალებს) ძლიერი გრძნობისგან, განცდისგან გულის აჩქარებული ცემა. *გულმა ფანცქალი დაუწყო.*

ფანჯარა *ფანჯრის* შემინული ჩარჩო, რომელსაც ატანენ კედელში შენობის განათებისა და განიავებისთვის. *ფანჯარა ეზოს გადაჰყურებდა. ფანჯარა გააღეს.*

ფარა *ფარის* ბევრი ცხვარი ერთად. *ფარას მოუძღვის.*

ფარანი *ფარნის* გასანათებელი საშუალება – სპეციალურ ჩარჩოში ჩასმული და მინით დაცული შუქის წარმომქმნელი მექანიზმი. *ხელის ფარანი. ქუჩის ფარანი.*


ფარანი

ფარაონი *ფარაონის* ძვ. ეგვიპტის მეფის წოდება. *ფარაონის აკლდამა. ფარაონის ქანდაკება.*

ფარატინა *ფარატინას* 1. ძველმანი, გაცვეთილი, დაგლეჯილი ნახევი. 2. გადატ. უმნიშვნელო, არაღირებული (ქაღალდი). *ეგ წერილი უბრალო ფარატინაა, სხვა არაფერი.*

ფარაჯა *ფარაჯის* სამხედრო პალტო. *ფარაჯაში გამოწყობილი.*

ფარგალი *ფარგლის* 1. სახაზავი ან საზომი ხელსაწყო, შედგება ერთმანეთთან შეერთებული ორი გრძელი ღეროსგან, გამოიყენება დასახაზად, წერტილებს შორის მანძილების გასაზომად. *რადიუსი ფარგლით გაზომა.* 2. (მრ.) ტერიტორიის საზღვრები. *სახელმწიფოს ფარგლებში.* 3. (მრ.) რაიმეს მოქმედების საზღვრები. *მოლაპარაკება ხელშეკრულების ფარგლებში გაიმართა.*


ფარგალი

ფარდა *ფარდის* ქსოვილი, რომელიც ჩამოფარებულია ფანჯარაზე, კარსა და მისთ. ან დაკიდებულია

ფარდა

სცენაზე. *დეკორატიული ფარდა. თეატრის ფარდა.*

ფარდაგი



**ფარდაგი** *ფარდაგის* მატყლის მსხვილი ძაფის ქსოვილი იატაკზე დასაფენად ან კედელზე გასაკრავად. *ძველებური ფარდაგი. ხელით ნაქსოვი ფარდაგი.*

**ფარდი** *ფარდის* ტოლი, შესადარი, შესაფერისი. *იმისი ფარდი.*

**ფარდული** *ფარდულის* I. სახურავიანი, ხშირად უკედლებო ნაგებობა რაიმეს შესანახად, გასაშრობად. *ფარდულში შეშა დააწყვეს.* 2. პატარა სავაჭრო ნაგებობა, კიოსკი. *პური ფარდულში იყიდა.*

**ფარეხი** *ფარეხის* წვრილფეხა პირუტყვის სადგომი. *ცხვარი ფარეხში შერეკეს.*

**ფარვა** *ფარვის* (ფარავს, იფარავს, უფარავს, იფარება, ეფარება) I. ↑ დაფარვა (1). *ხეები სახლს ფარავს.* 2. ↑ დაფარვა (2). *ყველას ხმას ფარავს.* 3. გაფრთხილება, დაცვა, მფარველობა. *ღმერთი იფარავს.*

**ფარვანა** *ფარვანის* ღამის პეპელა, ისწრაფვის სინათლისკენ. *ფარვანასავით დაფარფატებს.*

**ფართიფურთი** *ფართიფურთის* (ფართიფურთობს) რაიმეს ჩქარი, დაუკვირვებელი კეთება, ფაცა-ფუცი. *გაუთავებელი ფართიფურთი იცის.*

**ფართო** *ფართოს* I. რასაც დიდი განი აქვს, დიდ ტერიტორიაზე გაშლილი. *ფართო გზა. ფართო მინდორი.* ↔ ვიწრო. 2. მრავლის მომცველი, ვრცელი (2). *პროდუქციის ფართო ჩამონათვალი.* შეცდომაა ფართე

**ფართობი** *ფართობის* I. სიბრტყის ნაწილის შემოსაზღვრული სიდიდე. *მართკუთხედის ფართობი.* 2. სპეციალურად ან ბუნებრივად გამოყოფილი სივრცე, ზედაპირი. *სახნავი ფართობი.*

**ფართოდ** ზმნზ. I. განივრად, დიდად, ვრცლად. *ფართოდ გააღო კარი.* 2. მრავლის მომცველად, დიდი მასშტაბით. *ფართოდ გავრცელებული მედიკამენტები. ტექნიკაში ფართოდ გამოიყენება.*

**ფართხალი** *ფართხალის* (ფართხალებს, უფართხალებს, აფართხალებს) სხეულის უნებური, უღონო მოძრაობა, ხელ-ფეხის, ფრთებისა და მისთ. რხევა. *ბადეში თევზი ფართხალებს.*

ფარი

**ფართხუნი** *ფართხუნის* (აფართხუნებს) ფრინველის ფრთების ძლიერად ქნევა ხმის გამოცემით, ფრთხიალი. *ქათამი ფრთებს აფართხუნებს.*

**ფარი**[1] *ფარის* I. ცივი იარაღისგან თავდასაცავი საშუალება. *რკინის ფარი.* 2. კალათბურთის მოედანზე გამართული მონწყობილობის ნაწილი - კალათის (2) დასამაგრებელი დაფა. *ბურთი ფარს მოხვდა.*

**ფარი**[2] *ფარის* ქართული ანბანის ოცდამეერთე ასოს (ფ-ს) სახელწოდება.

**ფარიკაობა** *ფარიკაობის* (ფარიკაობს) I. ციცი იარაღით ბრძოლა ორ ან მეტ მონინააღმდეგეს შორის ფარის[1] გამოყენებით. *ფარიკაობა გაიმართა.* 2. სპორტის სახეობა – ორთაბრძოლა მჭრელი იარაღით. *ფარიკაობის ოსტატები.*

**ფარისებრი** *ფარისებრის* ფარის მსგავსი, ფარის მოყვანილობის მქონე. *ფარისებრი ჯირკვალი.*

**ფარისეველი** *ფარისეველის* ცბიერი, თვალთმაქცი. *ფარისეველი ხალხი.*

**ფარისეველობა** *ფარისეველობის* (ფარისეველობს, ეფარისეველება) მოჩვენებითი, არაგულწრფელი ქმედება, თვალთმაქცობა. *ფარისეველობას მიუხვდა.*

**ფარმაკოლოგი** *ფარმაკოლოგის* ფარმაკოლოგიის სპეციალისტი. *ფარმაკოლოგთა მოსაზრება.*

**ფარმაკოლოგია** *ფარმაკოლოგიის* მეცნიერების დარგი, რომელიც შეისწავლის სამკურნალო ნივთიერებების მოქმედებას ორგანიზმზე.

**ფარმაცევტი** *ფარმაცევტის* ფარმაციის სპეციალისტი. *ფარმაცევტის სიზუსტე.*

**ფარმაცევტიკა** *ფარმაცევტიკის* იგივეა, რაც ფარმაცია.

**ფარმაცევტული** *ფარმაცევტულის* ფარმაციასთან დაკავშირებული. *ფარმაცევტული ცნობარი.*

**ფარმაცია** *ფარმაციის* მეცნიერება, რომელიც შეისწავლის სამკურნალო საშუალებათა მოპოვების, დამზადების, შენახვისა და გაცემის წესებს.

**ფარსმანდუკი** *ფარსმანდუკის* მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარე, აქვს ყვითელი, თეთრი ან ვარდისფერი ყვავილები და წვრილად დანაკვთული ფოთლები, გამოიყენება სამკურნალოდ. *ფარსმანდუკის ნაყენი.*

**ფარული** *ფარულის* I. რაც არ ჩანს, არააშკარა, სხვებისგან შეუმჩნეველი. *ფარული ადგილი. ფარული საფრთხე.* 2. იდუმალი, გაუმჟღავნებელი. *ფარული დარდი. ფარული გრძნობები.* ▲ **ფარულად** ზმნზ. მალულად, შეუმჩნევლად. *ფარულად ხვდებიან ერთმანეთს. ფარულად გადაღებული ფირი.*

**ფარფარა** *ფარფარას* რაც ფარფარებს. *ფარფარა კაბა.*

**ფარფარი** *ფარფარის* (ფარფარებს) მსუბუქი, თხელი ქსოვილის რხევა, ფრიალი. *ფარდის ფარფარი.*

**ფარფატა** *ფარფატას* რაც ფარფატებს, ფარფატით მოძრაობს. *ფარფატა ჩიტი. ფარფატა ფოთოლი.*

**ფარფატი** *ფარფატის* (ფარფატებს) I. ფრინველის ფრთების ნელი ქნევა. *ფარფატით მოფრინავს.* 2. გადატ. მსუბუქი საგნის რხევა, მოძრაობა. *ფოთ-*

*ლები ჰაერში ფარფატებენ.* 3. გადატ. ულონო სიარული, ლასლასი. *ბებია ფარფატით დადის.*

**ფარფაში** *ფარფაშის* იგივეა, რაც პარპაში.

**ფარფლი** *ფარფლის* 1. წყლის ცხოველების ცურვის ორგანო. *თევზის ფარფლები. კუდის ფარფლები.* 2. რაიმე საგნის წრიული, ბრტყელი (ზოგჯერ ნაოჭისებრი) კიდე, ნაპირი. *ქუდის ფარფლი.* 3. ზოგიერთი მწერის ფრთა. *პეპელას ფარფლები.* ▪ **ფარფლ[ებ]იანი** ფარფლ[ებ]ის მქონე. *ფარფლებიანი ქუდი.*

**ფარღალალა** *ფარღალალას* რასაც ბევრი ღიობი აქვს, სადაც ჰაერი თავისუფლად მოძრაობს, არამჭიდროდ ნაგები. *ფარღალალა ოთახი. ფარღალალა საბძელი.*

**ფარშავანგი** *ფარშავანგის* ლამაზი ბუმბულით შემოსილი მოზრდილი ფრინველი, რომელიც ფერადოვან ბოლოს მარაოსავით შლის. *ფარშავანგის ფრთები.*

ფარშავანგი

**ფარში** *ფარშის* 1. ძალიან წვრილად დაჭრილი ხორცი. *სახინკლე ფარში. ერთი კილო ფარში.* 2. ძალიან წვრილად დაჭრილი ხორცეულის, თევზეულის ან მცენარეულისგან მომზადებული ზოგიერთი საჭმლის შიგთავსი, სატენი. *ბოსტნეულის ფარში.*

**ფარჩა** *ფარჩის* პრიალა დეკორატიული აბრეშუმის ქსოვილი, რომელიც დაფარულია ოქროს ან ვერცხლის ძაფების ქსელით, გამოიყენება კაბების, სარიტუალო ტანსაცმლის შესაკერად, რბილი ავეჯის დასამზადებლად. *ფარჩის კაბა. ფარჩის მოსასხამი.*

**ფარჩხვა** *ფარჩხვის* (ფარჩხავს, იფარჩხება) ↑ გაფარჩხვა. *ბავშვი თითებს ფარჩხავს.*

**ფარცხვა** *ფარცხვის* (ფარცხავს, იფარცხება) ↑ დაფარცხვა. *ნახნავს ფარცხავს.*

**ფარცხი** *ფარცხის* სასოფლო-სამეურნეო იარაღი – იყენებენ ბელტების დასაშლელად, მინის გასაფხვიერებლად ან ნათესში თესლის დასაფარად. *ფარცხით დაამუშავეს.*

**ფარ-ხმალი** *ფარ-ხმლის* ფარი და ხმალი ერთად. *ქართველს ხელში მუდამ ფარ-ხმალი ეჭირა.* ⊙ **ფარ-ხმალს დაყრის** დამორჩილდება, დანებდება.

**ფასადი** *ფასადის* შენობის გარეთა მხარე. *გვერდითა ფასადი. წინა ფასადი.*

**ფასდაკლება** *ფასდაკლების* ღირებულების, ფასის დაკლება. *დიდი ფასდაკლება.* ▲ **ფასდაკლებით** ზმნზ. პირველად ფასზე ნაკლებად. *ფასდაკლებით შეიძინა.*

**ფასეული** *ფასეულის* ღირებული, მნიშვნელოვანი. *ეს ჩემთვის ფასეული არაა.*

**ფასეულობა** *ფასეულობის* 1. სიმდიდრე. *ოჯახის ფასეულობა.* 2. გადატ. მნიშვნელობა, ღირებულება. *სულიერი ფასეულობები.*

**ფასი** *ფასის* 1. რაიმე პროდუქტის ან საქონლის (2) ღირებულება, ამა თუ იმ საქმიანობის ფულადი ანაზღაურება. *პურის ფასი. შრომის ფასი.* 2. გადატ. ღირებულება, მნიშვნელობა. *ჯანმრთელობის ფასი. სიტყვის ფასი. სიცოცხლის ფასი.*

**ფასკუნჯი** *ფასკუნჯის* დიდი ზღაპრული ფრინველი.

**ფასონი** *ფასონის* თარგი, ფორმა, მოდელი, რომლის მიხედვითაც კერავენ რაიმეს (ტანსაცმელს, ფეხსაცმელს, ჩანთებსა და მისთ.), რაიმე ნაკეთობის გარეგნული ფორმა. *კაბის ფასონი. შარვლის ფასონი.*

**ფატალისტი** *ფატალისტის* პირი, რომელსაც ბედისწერის სწამს. ▪ **ფატალისტური** ფატალისტის დამახასიათებელი. *ფატალისტური შეხედულება.*

**ფატალური** *ფატალურის* საბედისწერო, გარდაუვალი. *ფატალური შემთხვევა.*

**ფატრა** *ფატრის* (ფატრავს, იფატრება) ↑ გაფატრა. *ყასაბი საკლავს ფატრავს.*

**ფაუნა** *ფაუნის* ცხოველთა სამყარო. *მთის ფაუნა.*

**ფაფა** *ფაფის* 1. ფქვილის ან ბურღულის საჭმელი, წყალში ან რძეში მოდუღებული და შესქელებული. *ბრინჯის ფაფა.* 2. დუღილით შესქელებული მასა.

**ფაფარაშლილი** *ფაფარაშლილის* 1. რასაც ფაფარი აქვს აშლილი, ფაფარი უფრიალებს. *ფაფარაშლილი მერანი.* 2. გადატ. დიდ ტალღებად მოძრავი, ადიდებული, აღელვებული. *ფაფარაშლილი ზღვა.*

**ფაფარი** *ფაფრის* გრძელი ბალანი ზოგიერთი ცხოველის (ცხენის, ლომისა და მისთ.) კისერზე. *ცხენის ფაფარი.* ⊙ **ფაფარს აიშლის** განრისხდება.

**ფაფახი** *ფაფახის* ბენვიანი ტყავის (უპირატესად ბატკნის) მაღალი ქუდი. *მეცხვარის ფაფახი.*

ფაფახი

**ფაფეული** *ფაფეულის* სხვადასხვაგვარი ფაფა. *საუზმეზე ფაფეულს მიირთმევს.*

**ფაფუკი** *ფაფუკის* ნაზი, რბილი, ჩვილი, არაუხეში. *ფაფუკი მატყლი. ფაფუკი ხორცი. ფაფუკი ხელები.*

**ფაფხურა** *ფაფხურას* ვინც გამუდმებით ფაფხურობს. *ფაფხურა კაცი. ფაფხურა ყმანვილი.*

**ფაფხური** *ფაფხურის* (ფაფხურობს) საქმის გაკეთების მცდელობა, სხვის დასანახად საქმიანობა. *ფაფხური დაიწყო. ტყუილად იფაფხურა.*

**ფაქიზი** *ფაქიზის* ძალიან ნაზი, წმინდა, დახვეწილი. *ფაქიზი გრძნობა. ფაქიზი ნამუშევარი.* ▲ **ფაქიზად** ზმნზ. ნაზად, სათუთად, სიყვარულით. *ფაქიზად ეპყრობა. ფაქიზად შეახო ხელი.*

ფაქსი *ფაქსის* გამოსახულებების ციფრული სახით გარდამქმნელი და სატელეფონო ხაზით გადამცემი მონყობილობა. *ფაქსით გადაუგ ზავნა.*

ფაქსიმილე *ფაქსიმილეს* ხელნაწერის, საბუთის, ხელმოწერისა და მისთ. ზუსტი პირი. *მინისტრის ფაქსიმილე.*

ფაქტი *ფაქტის* ნამდვილად მომხდარი ამბავი, მოვლენა, შემთხვევა. *ისტორიული ფაქტი. ფაქტების განზოგადება.*

ფაქტობრივი *ფაქტობრივის* ფაქტებზე დაფუძნებული, რეალური ფაქტებიდან გამომდინარე. *ფაქტობრივი მდგომარეობა. ფაქტობრივი მასალა.* ▲ **ფაქტობრივად** ზმნზ. სინამდვილეში, რეალურად, ფაქტების შესაბამისად. *ფაქტობრივად ასეა. გადაწყვეტილება ფაქტობრივად მიღებულია.*

ფაქტორი *ფაქტორის* ამა თუ იმ პროცესის, მოვლენის მიზეზი. *მნიშვნელოვანი ფაქტორი.*

ფაქტურა *ფაქტურის* 1. მხატვრული ნაკეთობის ზედაპირის თავისებურება, მისი დამუშავების ტექნიკა. *დახვეწილი ფაქტურა.* 2. გასაყიდ საქონელზე დართული ფურცელი, რომელზეც აღნიშნულია საქონლის დასახელება, ფასი, რაოდენობა და სხვა. *ფაქტურა შეადგინა. ფაქტურაზე ხელი მოაწერა.* 3. რაიმე მასალის (ქსოვილის, ქაღალდისა და მისთ.) გარეგნული სახე, ხარისხი. *კარგი ფაქტურა.*

ფაღარათი *ფაღარათის* კუჭის აშლილობა. *ფაღარათის წამალი. ფაღარათი დაემართა.*

ფაშარი *ფაშრის* გამომშრალი, ფხვიერი. *ფაშარი პური. ფაშარი მიწა.*

ფაშატი *ფაშატის* დედალი ცხენი, ვირი ან ჯორი. *ჯიშიანი ფაშატი.*

ფაშვი *ფაშვის* 1. ზოგიერთი ცხოველის კუჭის პირველი, ყველაზე დიდი განყოფილება, რომელშიც ჩადის გადაუმუშავებელი საჭმელი. *ძროხის ფაშვი. ფაშვივით გაბერილი.* 2. საუბრ. გადატ. ადამიანის ძალიან დიდი მუცელი. *ფაშვზე ხელი დაირტყა.*

ფაშიზმი *ფაშიზმის* უკიდურესად რეაქციული პოლიტიკური მიმდინარეობა, რომლისთვისაც დამახასიათებელია შოვინიზმი, რასიზმი. *ფაშიზმის მიმდევრები.*

ფაშისტი *ფაშისტის* ფაშიზმის მიმდევარი, მომხრე. *ფაშისტების ორგანიზაცია. ფაშისტების ბანაკი.* ▪ **ფაშისტური** ფაშისტის, ფაშიზმის დამახასიათებელი. *ფაშისტური რეჟიმი.*

ფაშფაშა *ფაშფაშას* ფერ-ხორციანი, მსუქანი (ქალი). *ფაშფაშა ქალბატონი.*

ფაჩიფუჩი *ფაჩიფუჩის* რბილ, შრიალა რაიმეზე შეხებისას გამოცემული ხმა. *ფაჩიფუჩი გაისმა.*

ფაჩუნი *ფაჩუნის* (ფაჩუნობს, აფაჩუნებს) ფრთხილი, ნელი მოძრაობა ჩუმი ხმის გამოცემით. *ფაჩუნი დაიწყო. ფაჩუნი ისმის.*

ფაცაფუცი *ფაცაფუცის* (ფაცაფუცობს) ჩქარა, გამალებით საქმიანობა, მალე გაკეთების მცდელობა. *ბარგს ფაცაფუცით აწყობენ. დიდ ფაცა-ფუცშია.*

ფაცერი *ფაცრის* თევზის დასაჭერი დაწნული მახე, რომელიც წყალში დაქანებულ ადგილზე იდგმება. *წნელის ფაცერი.*

ფაციფუცი *ფაციფუცის* (ფაციფუცობს) იგივეა, რაც **ფაცაფუცი**. *ოჯახში ფაციფუცი ატყდა. ბევრს ფაციფუცობს.*

ფაცური *ფაცურის* (ფაცურობს) ჩქარა, გამალებით კეთება, მალე დამთავრების მცდელობა, ფაცა-ფუცი. *ფაცური უყვარს. ქალები სამზარეულოში ფაცურობენ.*

ფაცხა *ფაცხის* დაწნული ქოხი, რომელიც ისლით ან ჩალით არის დახურული, ძირითადად უიატაკო. *იმერული ფაცხა.*

ფახაფუხი *ფახაფუხის* (ფახაფუხობს) იგივეა, რაც **ფახიფუხი**. *ტყუილი ფახაფუხი უყვარს.*

ფახვანი *ფახვანის* მჩატედ, ფუყედ დაცემის ხმა. *ფახვანი მოადინა.*

ფახიფუხი *ფახიფუხის* (ფახიფუხობს) ტრაბახი, კვეხნა, დიდგულობა. *ბევრს ფახიფუხობს.*

ფახფახი *ფახფახის* (ფახფახებს) რყევით, გაჭირვებით მოძრაობა. *მოხუცი ფახფახით დადის.*

ფედერალიზმი *ფედერალიზმის* 1. სახელმწიფო წყობილების ფედერაციული სისტემა; რაიმე სტრუქტურა, რომელიც დამყარებულია ფედერაციის პრინციპებზე. 2. პოლიტიკური მიმდინარეობა, რომელიც ისწრაფვის ფედერალიზმის (1) შექმნისკენ.

ფედერალური *ფედერალურის* ფედერალიზმის საფუძველზე აგებული. *ქვეყნის ფედერალური მოწყობა. ფედერალური სახელმწიფო.*

ფედერაცია *ფედერაციის* 1. ქვეყნის მოწყობის ფორმა, როდესაც გარკვეულ ტერიტორიულ ერთეულებს აქვთ საკუთარი სახელმწიფოებრივი ნიშნები. 2. ცალკეული ორგანიზაციების, საზოგადოებების კავშირი. *ფეხბურთის ფედერაცია. ბავშვთა საერთაშორისო ფედერაცია.*

ფეთება *ფეთების* (ფეთდება) ↑ **დაფეთება**. *ყველა-ფერზე ადვილად ფეთდება.*

ფეთიანი *ფეთიანის* გაუწონასწორებელი, თავშეუკავებელი. *ფეთიანი ცხენი. ფეთიანივით დარბის.*

ფეთქება *ფეთქების* (აფეთქებს, უფეთქებს, ფეთქება, უფეთქდება) ↑ **აფეთქება**. *ჭურვების ფეთქება. ნაღმს აფეთქებენ.*

ფეთქებადი *ფეთქებადის* 1. რაც ადვილად ფეთქდება. *ფეთქებადი ნივთიერება. ფეთქებადი მასალები.* 2. გადატ. ვინც მალე ბრაზდება, რაც უცბად გაბრაზებას იწვევს. *ფეთქებადი ბუნებისაა. ფეთქებადი ხასიათი აქვს.*

ფეთქვა *ფეთქვის* (ფეთქავს, უფეთქავს) ძგერა, ცემა[1] (3). *გული ფეთქავს. არტერია უფეთქავს.*

ფეთხუმი *ფეთხუმის* უსუფთაო, მოუწესრიგებელი. *ფეთხუმი ბავშვი. ფეთხუმი ქალი.*

ფეიერვერკი *ფეიერვერკის* ფერადი მაშხალების გაშვება დღესასწაულებსა და სანახაობებზე. *ნითელი ფეიერვერკი. ულამაზესი ფეიერვერკი.*

ფეიქარი *ფეიქრის* ქსოვილების წარმოების სპეციალისტი.

ფეიხოა *ფეიხოის* 1. კენკროვანი, მუქი მწვანე ფერის, სურნელოვანი, წვნიანი ხილი. *ფეიხოის წვენი.* 2 მარადმწვანე ხე, რომელიც ისხამს ფეიხოას (1), აქვს ტყავისებური, ქვემოდან მოთეთრო შეფერილობის ფოთლები და თეთრი ყვავილი.

ფელამუში *ფელამუშის* ყურძნის წვნითა და სიმინდის ფქვილით დამზადებული ფაფისებური ტკბილეული. *ფელამუში მიირთვეს.*

ფელეტონი *ფელეტონის* მცირე ზომის იუმორისტული ან სატირული ნაწარმოები. *საგაზეთო ფელეტონი.*

ფელეტონისტი *ფელეტონისტის* ვინც ფელეტონებს წერს.

ფელიკი *ფელიკის* დაკლული საქონლის მეოთხედი ნაჭერი. *ღორის ფელიკები.*

ფელუკა *ფელუკის* საზღვაო ტრანსპორტის სახეობა – მომცრო, უგემბანო, იალქნიანი გემი, რომელიც სანაპირო ზოლში დაცურავს, იყენებენ სარეწაოდ, მცირე ტვირთის გადასაზიდად. *ფელუკა ნაპირს მიადგა.*

ფენა[1] *ფენის* (ფენს, აფენს, იფენს, უფენს, იფინება, ეფინება, ფენია, აფენია, უფენია) 1. ↑ გაფენა. *ქალი სარეცხს ფენს.* 2. ↑ დაფენა. *იატაკზე ხალიჩას აფენს.*

ფენა[2] *ფენის* 1. ნივთიერების მასა, რომელიც ერთგვაროვნად არის გაშლილი სწორ ზედაპირზე, სიბრტყეზე. *შაქრის ფენა. ნიადაგის ზედა ფენა.* 2. გადატ. საზოგადოებრივი ჯგუფი, რომელიც სხვებისგან გარკვეული თავისებურებებით გამოირჩევა. *მოსახლეობის ღარიბი ფენა.* ▪ ფენა-ფენა ზმნზ. ფენებად. *ფენა-ფენა აწყვია.*

ფენომენალური *ფენომენალურის* იშვიათი, საკვირველი, განსაკუთრებული. *ფენომენალური მეხსიერება.*

ფენომენი *ფენომენის* განსაკუთრებული, არაჩვეულებრივი მოვლენა.

ფენოტიპი *ფენოტიპის* ორგანიზმის ნიშან-თვისებათა ერთობლიობა, ჩამოყალიბებული ინდივიდუალური განვითარების პროცესში.

ფეოდალი *ფეოდალის* მსხვილი მემამულე, რომელსაც ეკუთვნოდა მიწა და ყმა გლეხები. *გაელენიანი ფეოდალი.*

ფეოდალიზმი *ფეოდალიზმის* საზოგადოებრივ-ეკონომიკური წყობილება, რომლის დროსაც წარმოების საშუალებები ეკუთვნის მსხვილ მემამულეს – ფეოდალს. *ფეოდალიზმის ხანა.*

ფერადი *ფერადის* სხვადასხვა ფერის მქონე. *ფერადი გამოსახულება, ფერადი ბუშტები.*

ფერადკანიანი *ფერადკანიანის* ანთროპოლოგიური ტიპი, ვისაც ახასიათებს მუქი ფერის (შავი ან ყვითელი) კანი. *აფრიკელი ფერადკანიანები.* ↔ თეთრკანიანი.

ფერადოვანი *ფერადოვნის* ლამაზ, ღია ფერებად აჭრელებული. *ფერადოვანი ტილო. ფერადოვანი ფარდაგი.*

ფერად-ფერადი *ფერად-ფერადის* მრავალფერი, ჭრელი. *ფერად-ფერადი ნათურები.*

ფერდი *ფერდის* 1. ადამიანისა და ცხოველის სხეულის ნაწილი ნეკნებიდან თეძომდე. *ფერდის ტკივილი.* 2. იგივეა, რაც ფერდობი. *ამწვანებული ფერდი.* ◌ ფერდები ჩაუცივდა ძალიან გახდა.

ფერდობი *ფერდობის* მთის, გორის გვერდი, რომელიც დაბლობისკენ ეშვება. *ტყიანი ფერდობი. ფერდობს აუყვნენ.*

ფერება *ფერების* (ეფერება) ↑ მოფერება. *შვილი დედას ეფერება.*

ფერი *ფერის* საგნიდან არეკლილი სინათლე, რომელიც სპექტრის გარკვეულ ზოლს შეესაბამება და თვალით აღიქმება. *წითელი ფერი. ლურჯი ფერის პერანგი.* ◌ ფერი ეკარგება უფერულდება, ხუნდება. ◌ ფერს იცვლის სხვა ფერის, სხვაგვარი ხდება.

ფერია *ფერიის* 1. ზღაპრული არსება, ქალი. *ფერიების დედოფალი. ზღვის ფერია.* 2. გადატ. ძალიან ლამაზი ქალი. *ჩემო ფერიავ!*

ფერიმჭამელა *ფერიმჭამელას* სახეზე გამოყრილი წვრილი ცხიმოვან-ჩირქოვანი მუწუკი. *ფერიმჭამელას წამალი.*

ფერისცვალება *ფერისცვალების* 1. სახეცვლილება, გადასხვაფერება. *ფერისცვალება შეიმჩნევა.* 2. დიდი ქრისტიანული დღესასწაული, აღინიშნება 19 აგვისტოს.

ფერმა *ფერმის* სასოფლო-სამეურნეო საწარმო, უმეტესად საკუთარი მიწის ნაკვეთებით, სადაც მეურნეობის ამა თუ იმ დარგს მისდევენ. *საქონლის ფერმა. მეფრინველეობის ფერმა.*

ფერმენტი *ფერმენტის* რთული ორგანული ნაერთი, რომელიც ყველა ცოცხალ უჯრედშია და მნიშვნელოვან როლს ასრულებს სასიცოცხლო პროცესებში. *სოკოს ფერმენტი. ფერმენტის აქტიურობა.*

ფერმერი *ფერმერის* ფერმის პატრონი. *ფერმერის მეურნეობა.*

ფერმიხდილი *ფერმიხდილის* ვისაც ან რასაც ფერი აქვს დაკარგული, ფერმკრთალი. *ფერმიხდილი ავადმყოფი.*

**ფერმკრთალი** *ფერმკრთალის* ვისაც ან რასაც მკრთალი ფერი აქვს. *ფერმკრთალი სახე.*

**ფერმწერი** *ფერმწერის* მხატვარი, რომელიც საღებავებით, ფერებით ხატავს, ფერწერის ოსტატი. *ფერმწერთა გამოფენა.*

**ფერნაკლული** *ფერნაკლულის* იგივეა, რაც **ფერმკრთალი**. *ფერნაკლული ბიჭი.*

**ფერსავსე** *ფერსავსის* ვისაც ჯანმრთელი სახის ფერი აქვს. *ფერსავსე ქალი.*

**ფერსო** *ფერსოს* ურმის თვლის ხის რკალი. *მუხის ფერსო.*

**ფერ-უმარილი** *ფერ-უმარილის* ერთგვარი თეთრი კოსმეტიკური საცხი, ისვამენ სახეზე. *ფერ-უმარილის დამზადება.*

**ფერუცვლელი** *ფერუცვლელის* რასაც ფერი არ უცვლია. *ფერუცვლელი ბუნება. ფერუცვლელი გრძნობა.*

**ფერფლი** *ფერფლის* მტვრისმაგვარი ნაცრისფერი ნივთიერება, რომელიც რჩება რაიმეს დაწვის შემდეგ. *ქალალდის ფერფლი. სიგარეტის ფერფლი.*

**ფერფური** *ფერფურის* საუბრ. ადამიანის სახის ფერი. *ფერფური მისდის.*

**ფერშალი** *ფერშლის* იგივეა, რაც ექთანი. *ფერშალი ქალი.*

**ფერწერა** *ფერწერის* საღებავებით ხატვის ხელოვნება. *ფერწერის ნიმუშები.* ■ **ფერწერული** ფერწერასთან დაკავშირებული. *ფერწერული ტილოები.*

**ფერხორციანი** *ფერხორციანის* ჯანსაღი შესახედაობის მქონე, ფერსავსე და ხორცსავსე. *ფერხორციანი ქალი.*

**ფესვგადგმული** *ფესვგადგმულის* I. რასაც ნიადაგში ფესვები ღრმად აქვს გადგმული. *ფესვგადგმული მუხები.* 2. გადატ. მტკიცედ დამკვიდრებული, გამყარებული. *ფესვგადგმული ჩვეულებები.*

**ფესვი** *ფესვის* I. მცენარის ერთ-ერთი ძირითადი ორგანო – მიწისქვეშა ნაწილი, რომლის მეშვეობითაც მცენარე იღებს საზრდოს. 2. კბილის ის ნაწილი, რომელიც მოთავსებულია ყბის ძვალში. *ფესვი დაუჩირქდა.* 3. სიდიდე, რომელიც ამა თუ იმ ხარისხში აყვანის დროს ახალ რიცხვს იძლევა. *კვადრატული ფესვი.* 4. წარმომავლობა, ძირი. *ჩემი ფესვები საქართველოშია.* ■ **ფესვიანი** რასაც ფესვი აქვს. ⊙ **ფესვს გაიდგამს** გაძლიერდება, მყარად დამკვიდრდება.

**ფესვმაგარი** *ფესვმაგრის* I. რასაც ძლიერი ფესვები აქვს. *ფესვმაგარი ხეები.* 2. გადატ. ძლიერი, მკვიდრი. *ფესვმაგარი ოჯახი.*

**ფესტივალი** *ფესტივალის* ხელოვნების ამა თუ იმ სფეროს მოღვაწეთა შემოქმედების ჩვენება, დათვალიერება საზეიმო ვითარებაში. *ფოლკლორული ფესტივალი. ლიტერატურული ფესტივალი.*

**ფესურა** *ფესურას* ზოგიერთი მცენარის მიწისქვეშა ღერო, იზრდება მეტწილად ჰორიზონტალურად. ■ **ფესურიანი** რასაც ფესურა აქვს. *ფესურიანი მცენარეები.*

**ფეტვი** *ფეტვის* მარცვლოვანი მცენარე, აქვს პატარა, პრიალა, კილიანი მარცვალი, რომლისგანაც ამზადებენ ბურღულს, გამოიყენება საქონლისა და ფრინველების საკვებადაც. *ფეტვის ფაფა.*

**ფეშენებელური** *ფეშენებელურის* დახვეწილი გემოვნებით მონყობილი, თანამედროვე, მოდური. *ფეშენებელური სასტუმრო.*

**ფეშქაში** *ფეშქაშის* საუბრ. საჩუქარი. *ეს ჩემი ფეშქაში იყოს!*

**ფეშხო** *ფეშხოს* დაკლული საქონლის (ღორის, ძროხის) სიგრძეზე, ხერხემალზე გაჭრილი ნახევარი. *მთელი ფეშხო.*

**ფეშხუმი** *ფეშხუმის* საეკლ. თეფშისმაგვარი ლითონის ჭურჭელი წმინდა ნაწილების დასასვენებლად. *ვერცხლის ფეშხუმი.*

**ფეხადგმული** *ფეხადგმულის* ვინც ან რამაც ფეხი აიდგა, სიარული ისწავლა. *ახლად ფეხადგმული ბავშვი.*

**ფეხათრეული** *ფეხათრეულის* ვინც ფეხს ითრევს, წასვლა არ უნდა, ცდილობს არ წავიდეს. *ფეხათრეული მიდის.*

**ფეხაპკიანი** *ფეხაპკიანის* წყალში მცურავი ცხოველი ან ფრინველი, რომლის ფეხების თითებიც აპკებითაა ერთმანეთზე გადაბმული. *იხვი ფეხაპკიანებს მიეკუთვნება.*

**ფეხარეული** *ფეხარეულის* ვისაც ფეხი ერევა, სწორად ვერ დადის. *ფეხარეული შემოვიდა.*

**ფეხაუდგმელი** *ფეხაუდგმელის* ვისაც, რასაც ფეხი არ აუდგამს. *ფეხაუდგმელი ბავშვი.*

**ფეხბედნიერი** *ფეხბედნიერის* ვის მოსვლასაც ბედნიერება მოაქვს. *ფეხბედნიერი პატარძალი. ფეხბედნიერი მეკვლე.*

**ფეხბურთელი** *ფეხბურთელის* ფეხბურთის მოთამაშე, სპორტსმენი. *ახალგაზრდა ფეხბურთელი.*

**ფეხბურთი** *ფეხბურთის* სპორტის სახეობა – ფეხით ბურთის თამაში ორ გუნდს შორის. *ფეხბურთის სტადიონი. ფეხბურთის მატჩი.*

**ფეხდაფეხ** ზმნზ. ვინმეს ან რაიმეს უკან, კვალდაკვალ. *სიარულისას ფეხდაფეხ მიჰყვება.*

**ფეხთით** ზმნზ. ფეხებთან. *ფეხთით დაუჯდა.*

**ფეხი** *ფეხის* I. ადამიანისა და ცხოველის საყრდენი და სასიარულო ორგანო. *შიშველი ფეხი. სამსახურში ფეხით დადის.* 2. რაიმე საგნის, ნივთის, ავეჯის საყრდენი. *სკამის ფეხი. სასმისის ფეხი.* ■ **ფეხიანი** რასაც ფეხი აქვს. *ფეხიანი ჭიქა.* ⊙ **ფეხს არ იცვლის** ერთ ადგილზე დგას, არ მიდის. ⊙ **ფასს ფეხს არ უცვლის** არაფრით არ აკლებს. ⊙ **ფეხები გაფშიკა**

საუბრ. მოკვდა. ⊙ ფეხებში ჩაუვარდება შეეხვეწება, ძალიან სთხოვს. ⊙ ფეხზე დადგება გაძლიერდება, წინ წამოიწევს. ⊙ ფეხზე წამოაყენებს სიღარიბისგან იხსნის, მოაძლიერებს. ⊙ ფეხზე ჰკიდია საუბრ. მისთვის სულ ერთია, არ ენაღვლება, არ ანუხებს. ⊙ ფეხზეა ლოგინიდან უკვე ამდგარია, აღარ წევს. ⊙ ფეხი უკანა რჩება ნასვლა არ უნდა, ეძნელება. ⊙ ფეხის ხმას აჰყვება სხვისი მიბაძვით იმოქმედებს. ⊙ ფეხს აიდგამს ბავშვი სიარულს ისწავლის. ⊙ ფეხს ამოიკვეთს აღარ მიდის ვინმესთან, სადმე. ⊙ ფეხს ვერ აუქცევს ვერ გაივლის, გაუჭირდება გავლა სიმჭიდროვეში, ბევრ ხალხში. ⊙ ფეხს ვერ მოადგამს ვერ გაბედავს მოსვლას. ⊙ ფეხს მოიკიდებს პოზიცის გაიმაგრებს, სადმე დამკვიდრდება. ⊙ ფეხს შემოადგამს შემოვა. ⊙ ფეხქვეშ გაეგება საუბრ. ვინმეს მიმართ გადამეტებულ პატივისცემას გამოხატავს.

**ფეხისალაგი** *ფეხისალაგის* იგივეა, რაც ტუალეტი (2).

**ფეხმარდი** *ფეხმარდის* ვინც ან რაც სწრაფად დარბის, სწრაფად მოსიარულე. *ფეხმარდი ბიჭები. ფეხმარდი ცხენი.*

**ფეხმოკიდებული** *ფეხმოკიდებულის* ვინც ფეხი მოიკიდა, სადმე დამკვიდრდა. *დიდი ხნის ფეხმოკიდებული.*

**ფეხმორთხმით** ზმნზ. ფეხების მოკეცვით, მორთხმით. *ფეხმორთხმით ზის.*

**ფეხმორთხმული** *ფეხმორთხმულის* ფეხმორთხმით, ფეხებშემოკეცვით მჯდომარე. *ხალიჩაზე ფეხმორთხმული იჯდა.*

**ფეხმძიმე** *ფეხმძიმის* იგივეა, რაც ორსული. *ფეხმძიმე ცოლი.*

**ფეხმძიმობა** *ფეხმძიმობის* იგივეა, რაც ორსულობა.

**ფეხსაცმელი** *ფეხსაცმლის* ფეხის სამოსი. *ქალის ფეხსაცმელი. ქუსლიანი ფეხსაცმელი.*

**ფეხსახსრიანი** *ფეხსახსრიანის* მწერებისა და ცხოველების სახეობა. *ფეხსახსრიანთა კლასი.*

**ფეხქვეშ** ზმნზ. ფეხების ქვეშ. *ფეხქვეშ გათელა. ფეხქვეშ ხალიჩა გაუფინეს.*

**ფეხშიშველა** *ფეხშიშველას*||ფეხშიშველი. *ფეხშიშველა ბავშვი.*

**ფეხშიშველი** *ფეხშიშველის* ვისაც ფეხზე არაფერი აცვია. *ფეხშიშველი დადის.*

**ფთილა** *ფთილის* დასართავად მომზადებული გაპენტილი მატყლის ან ბამბის მცირე ნაწილი. *თეთრი ფთილა.*

**ფთორი** *ფთორის* ქიმიური ელემენტი, მწვავე სუნის მქონე უფერო აირი.

**ფია** *ფიის* ბავშვ. ფაფა. *რძის ფია.*

ფიალა

**ფიალა** *ფიალის* ჯამის ფორმის სასმისი. ⊙ მოთმინების ფიალა აევსება მეტს ვეღარ მოითმენს.

**ფიანდაზი** *ფიანდაზის* იატაკზე (მიწაზე) დასაფენი ძვირფასი ქსოვილი. ⊙ ფიანდაზად დაეგება ერთგულად მოემსახურება, დიდად ასიამოვნებს.

**ფიასკო** *ფიასკოს* სრული მარცხი, კრახი. *ახალმა წამოწყებამ ფიასკო განიცადა.*

**ფიბრომა** *ფიბრომის* მედიც. ბოჭკოვანი შემაერთებელი ქსოვილის კეთილთვისებიანი სიმსივნე. *ფიბრომა ამოკვეთეს.*

**ფიგურა** *ფიგურის* I. ადამიანის ტანი, აღნაგობა. *მთელი ფიგურით აღიმართა.* 2. მათ. შეკრული ხაზით ან ზედაპირით შემოსაზღვრული სიბრტყის ან სივრცის ნაწილი. *გეომეტრიული ფიგურა.* 3. სიმბოლური საგანი საჭადრაკო დაფაზე. *ფიგურა მოუკლა.* 4. პოზა, რომელსაც იღებს ვინმე ან რაიმე გარკვეული მოძრაობის (ცეკვის, სრიალის, ფრენისა და მისთ.) დროს. 5. ადამიანის ან ცხოველის ქანდაკება. *ბრინჯაოს ფიგურა.* 6. გადატ. მნიშვნელოვანი პიროვნება. *დიდი ფიგურა.*

**ფიგურალური** *ფიგურალურის* ხატოვანი; იგავური, ქარაგმული. *ფიგურალური გამოთქმები. ფიგურალური მეტყველება.* პარონიმი ფიგურული.

**ფიგურული** *ფიგურულის* ფიგურების (4) გამოსახვით შესრულებული. *ფიგურული სრიალი.* პარონიმი ფიგურალური.

**ფიზიკა** *ფიზიკის* მეცნიერება, რომელიც შეისწავლის ბუნების მოვლენათა ზოგად კანონზომიერებებს. *ფიზიკის ლექცია. ფიზიკის წიგნი.*

**ფიზიკოსი** *ფიზიკოსის* ფიზიკის სპეციალისტი. *ფიზიკოსების კონფერენცია.*

**ფიზიკური** *ფიზიკურის* I. საგნობრივი სახის მქონე, მატერიალური. *ფიზიკური არსება.* 2. რაც გრძნობის ორგანოებით აღიქმება. *ფიზიკური ტკივილი.* 3. სხეულისმიერი, სხეულის დამახასიათებელი. *ფიზიკური ძალა. ფიზიკური შრომა.* ▲ ფიზიკურად ზმნზ. სხეულის დატვირთვით. *ფიზიკურად მუშაობს.*

**ფიზიოლოგი** *ფიზიოლოგის* ფიზიოლოგიის სპეციალისტი. *ფიზიოლოგთა სიმპოზიუმი.*

**ფიზიოლოგია** *ფიზიოლოგიის* მეცნიერება, რომელიც შეისწავლის ორგანიზმის სასიცოცხლო ფუნქციებს. *ცხოველების ფიზიოლოგია.* ■ ფიზიოლოგიური ფიზიოლოგიასთან დაკავშირებული. *ფიზიოლოგიური კლინიკა.*

**ფიზკულტურა** *ფიზკულტურის* ადამიანის სხეულის გაკაჟება ფიზიკური ვარჯიშის საშუალებით. *გამამხნევებელი ფიზკულტურა.* ■ ფიზკულტურული ფიზკულტურასთან დაკავშირებული. *ფიზკულტურული მარათონი.*

**ფითილი** *ფითილის* იგივეა, რაც პატრუქი. *ლამპის ფითილი. ნავთქურის ფითილი.*

**ფითრი** *ფითრის* პარაზიტი მცენარე, აქვს სქელი მწვანე ფოთლები, იკეთებს პატარა, მრგვალ,

თეთრ, წებოვან ნაყოფს, ჩნდება ზოგი ხის ტანსა და ტოტებზე.

**ფილა** *ფილის* ქვის, თიხის, ლითონის ან სხვა მასალის ბრტყელი ნაჭერი. *შოკოლადის ფილა. ქვის ფილა. კერამიკის ფილა.*

**ფილანთროპი** *ფილანთროპის* კაცთმოყვარე. შეცდომაა ფილანტროპი

**ფილანთროპია** *ფილანთროპიის* კაცთმოყვარეობა, გულმონყალება. შეცდომაა ფილანტროპია

**ფილარმონია** *ფილარმონიის* დაწესებულება, რომელიც აწყობს კონცერტებს. *ფილარმონიის საკონცერტო დარბაზი.*

**ფილატელისტი** *ფილატელისტის* კოლექციონერი, რომელიც აგროვებს მარკებს, ფულის ნიშნებსა და მისთ. *ფილატელისტის კოლექცია.*

**ფილაქანი** *ფილაქნის* გათლილი ქვა, რომელიც გამოიყენება იატაკის დასაგებად; ასეთი ქვებით მოპირკეთებული სავალი. *ფილაქნის ტროტუარი. ვარდისფერი ფილაქანი.*

**ფილთაქვა** *ფილთაქვის* იგივეა, რაც ქვასანაყი.

**ფილი** *ფილის* იგივეა, რაც როდინი.

**ფილიალი** *ფილიალის* დანესებულების, ორგანიზაციის განყოფილება, ნაწილი, რომელიც სხვაგან მდებარეობს. *უნივერსიტეტის ფილიალი. ბანკის ფილიალი.*

**ფილიგრანული** *ფილიგრანულის* დახვეწილი, ვირტუოზული. *ფილიგრანული ტექნიკა.*

**ფილმი** *ფილმის* კინოაპარატით გადაღებული ნანარმოები, რომელიც განკუთვნილია ეკრანზე საჩვენებლად. *მხატვრული ფილმი. დოკუმენტური ფილმი.*

**ფილოლოგი** *ფილოლოგის* ფილოლოგიის სპეციალისტი.

**ფილოლოგია** *ფილოლოგიის* მეცნიერების დარგების ერთობლიობა, რომელიც სწავლობს ამა თუ იმ ხალხის ენასა და ლიტერატურას. *ქართული ფილოლოგია.* ■ ფილოლოგიური ფილოლოგიასთან დაკავშირებული. *ფილოლოგიური მეცნიერებები. ფილოლოგიური კვლევა.*

**ფილოსოფია** *ფილოსოფიის* 1. მეცნიერება, რომელიც შეისწავლის ბუნების, ადამიანთა საზოგადოებისა და აზროვნების განვითარების უზოგადეს კანონებს. *იდეალისტური ფილოსოფია. ანტიკური ფილოსოფია.* ■ ფილოსოფიური ფილოსოფიასთან დაკავშირებული. *ფილოსოფიური მოძღვრება.*

**ფილოსოფოსი** *ფილოსოფოსის* მეცნიერი, მოაზროვნე, რომელიც ფილოსოფიურ საკითხებზე მუშაობს. *ბერძენი ფილოსოფოსები.*

**ფილოქსერა** *ფილოქსერის* მავნებელი მწერი, აზიანებს ვაზის ფესვებს. *ფილოქსერას შხამებით ებრძვიან.*

**ფილტვი** *ფილტვის* ადამიანისა და ცხოველის სასუნთქი ორგანო, მოთავსებული გულმკერდის ღრუში. *ფილტვების ანთება. ფილტვის დაზიანება.*

**ფილტვრა** *ფილტვრის* (ფილტრავს, იფილტრება) ↑ გაფილტვრა. *ღვინო იფილტრება. წყალს ფილტრავს.*

**ფილტრაცია** *ფილტრაციის* რაიმეს ფილტრში გატარება, გაწმენდა, გასუფთავება, მინარევების მოცილება. *წყლის ფილტრაცია.*

**ფილტრი** *ფილტრის* მოწყობილობა, ნივთიერება ან სპეციალური ქაღალდი, რომელშიც ატარებენ სითხეებსა და აირებს არასასურველი მინარევებისგან გასაწმენდად. *ჰაერის ფილტრი. წყლის ფილტრი.* ■ ფილტრიანი რასაც ფილტრი აქვს. *ფილტრიანი დანადგარი.*

**ფინალი** *ფინალის* 1. ბოლო, დასკვნითი ნაწილი. *სპექტაკლის ფინალი. მოთხრობის ფინალი.* 2. სპორტული შეჯიბრების ბოლო ნაწილი, რომელშიც გამოვლინდება გამარჯვებული. *კალათბურთის ჩემპიონატის ფინალი. ფინალში გავიდა.* ■ ფინალური საბოლოო, დასკვნითი. *ფინალური შეხვედრა. ფინალური ეპიზოდი.*

**ფინალისტი** *ფინალისტის* ფინალში (2) გასული, ფინალური შეხვედრის მონაწილე. *ფინალისტთა შეხვედრა.*

**ფინანსები** *ფინანსების* (მრ.) მატერიალური სახსრები, ფული. *სახელმწიფო ფინანსები. ფინანსების ხარჯვა.*

**ფინანსირება** *ფინანსირების* იგივეა, რაც დაფინანსება. *პროექტების ფინანსირება.*

**ფინანსისტი** *ფინანსისტის* საფინანსო საქმის სპეციალისტი. *წარმოების ფინანსისტი.*

**ფინანსური** *ფინანსურის* ფინანსებთან დაკავშირებული. *ფინანსური განყოფილება.*

**ფინია** *ფინიას* ეზოს პატარა ძაღლი. *ფინია გაიქცა.*

**ფინიკი** *ფინიკის* ტკბილი, უწვნო ხილი. *ფინიკის ნამცხვარი.* ⊙ ფინიკის პალმა ტროპიკული მარადმწვანე ხე, რომელიც ისხამს ფინიკს.

**ფინიში** *ფინიშის* 1. სპორტული შეჯიბრების ბოლო ნაწილი. *დოლის ფინიში. ავტორბოლის ფინიში.* 2. (სირბილში, რბოლასა და მისთ.) ბოლო პუნქტი, სადამდეც შეჯიბრების მონაწილე სპორტსმენები უნდა მივიდნენ. *ფინიშთან პირველი მივიდა.*

**ფინტი** *ფინტის* ცრუ მოძრაობა ფეხბურთში. *ოსტატური ფინტი.*

**ფინჯანი** *ფინჯნის* ყურიანი ჭიქა ჩაის, ყავისა და მისთ. დასალევად. *ფინჯანი და ლამბაქი. ფაიფურის ფინჯანი.*

ფინჯანი

**ფირი** *ფირის* სპეციალური შუქმგრძნობიარე მასალისგან დამზადებული ლენტი ფოტო- და კინოგადაღებისთვის. *ფირის გამოყენება.*

ფირმა *ფირმის* სავაჭრო ან სამრეწველო საწარმო. *ფარმაცევტული ფირმები. ფირმის პრეზენტაცია.*

ფირნიში *ფირნიშის* იგივეა, რაც აბრა.

ფირუზი *ფირუზის* ცისფერი ან მომწვანო მინერალი, ნახევრად ძვირფასი ქვა, გამოიყენება საიუველირო ნაწარმოებებში. *ფირუზის მძივი. ფირუზის თვალი.*

ფირუზისფერი *ფირუზისფრის* მომწვანო ცისფერი. *ფირუზისფერი შარფი.*

ფირფიტა *ფირფიტის* ფიცრის ან ნებისმიერი მყარი მასალის თხელი ნაჭერი. *ლითონის ფირფიტა. პლასტმასის ფირფიტა.*

ფისი *ფისის* I. სპეციფიკური სუნის წებოვანი ნივთიერება, რომელსაც გამოყოფს წიწვოვან ან სხვა მცენარეთა მერქანი და ფოთლები. *ნაძვის ფისი. სოჭის ფისი.* 2. ნავთობის ან ქვანახშირის გადამუშავებით მიღებული შავი მკვრივი მასა, გამოიყენება მშენებლობაში. *ფისი დაადნეს.*

ფისკალური *ფისკალურის* სახელმწიფო ხაზინის ინტერესებთან დაკავშირებული. *ქვეყნის ფისკალური მდგომარეობა.* ⊙ **ფისკალური პოლიტიკა** სახელმწიფოს მიერ გადასახადებისა და ხარჯების სფეროში მიღებული გადაწყვეტილებების ერთობლიობა.

ფისო *ფისოს* ალერს. კატა. *ჭრელი ფისო.*

ფისო-ფისო შორისდ. შეძახილი კატის მოსახმობად.

ფისტონი *ფისტონის* ლითონის ან ქაღალდის პატარა ხუფი ფეთქებადი ნივთიერებით, რომელიც დარტყმის ძალით ფეთქდება. იყენებენ ვაზნების, ჭურვების მუხტის ასაალებლად.

ფისტულა *ფისტულის* I. მედიც. მილისებური ნახვრეტი, რომელიც დაავადებული შინაგანი ორგანოდან გარეთ გამოდის. 2. სპეციალურად გაკეთებული სადინარი მილი, რომელიც დაავადებულ შინაგან ორგანოს აერთებს სხეულის ზედაპირთან.

ფისუნია *ფისუნიას* ალერს. იგივეა, რაც **ფისო**. *ოთახის ფისუნია.*

ფიტული *ფიტულის* I. ცხოველის ან ფრინველის ფიგურა, დამზადებული ცხოველის (ფრინველის) ტყავისგან, რომელშიც ნახერხი, ბამბა, მატყლი და მისთ. არის ჩატენილი. *მგლის ფიტული. ჯიხვის ფიტული.*

ფიფქვა *ფიფქვის* (ფიფქავს) ფიფქების ცვენა, თოვა. *ოდნავ ფიფქავს.*

ფიფქი *ფიფქის* თეთრი, მსუბუქი კრისტალი, რომელიც ნალექის სახით მოდის. *თოვლის ფიფქი. ფიფქები ცვივა.*

ფიქალი *ფიქლის* სპეციფიკური ქანი, რომელიც თხელ ფირფიტებად იპობა. *ფიქლით ნაშენი სახლი. ფიქლის ყორე.*

ფიქრი *ფიქრის* (ფიქრობს) I. საკუთარ თავთან საუბარი, გუნებაში მსჯელობა, რაიმეს წარმოსახვა (I). *ფიქრებში დაათენდა. მომავალზე ფიქრობს.* 2. ვინმეზე ზრუნვა, დარდი. *შვილებზე ფიქრობს.* 3. გარკვეული აზრის ქონა რაიმეს შესახებ. *ფიქრობს, რომ დაიგვიანა. რას ფიქრობს ჩვენი მოსახლეობა ამ საკითხზე.*

ფიქრიანი *ფიქრიანის* ფიქრის გამომხატველი, ფიქრით მოცული. *ფიქრიანი მზერა. ფიქრიანი გამომეტყველება.*

ფიქსაცია *ფიქსაციის* I. იგივეა, რაც დაფიქსირება. *ინფორმაციის ფიქსაცია.* 2. რაიმეს დამაგრება, გამყარება გარკვეულ მდგომარეობაში. *დაზიანებული ძვლის ფიქსაცია. პროთეზის ფიქსაცია. ფასების ფიქსაცია.*

ფიქსირება *ფიქსირების* (აფიქსირებს, უფიქსირებს, ფიქსირდება, უფიქსირდება) ↑ **დაფიქსირება**. *ვიდეოფირზე აფიქსირებს.*

ფიქსირებული *ფიქსირებულის* უძრავი, დამაგრებული, უცვლელი. *ფიქსირებული სახსარი. ფიქსირებული გადასახადი.*

ფიქცია *ფიქციის* რაც გარკვეული მიზნის მისაღწევად არის გამოგონილი, განზრახ შეთხზული.

ფიქციური *ფიქციურის* გამოგონილი, ყალბი. *ფიქციური შეთანხმება. ფიქციური ქორწინება.* შეცდომაა ფიქტიური

ფიჩხი *ფიჩხის* ხის ან ბუჩქის წვრილი ხმელი ტოტები. *ფიჩხი მოაგროვა. ფიჩხის კონა.*

ფიცარი *ფიცრის* მორის დახერხვით მიღებული ბრტყელი, გრძელი თხელი ნაჭერი. *ფიცრის იატაკი. კაკლის ფიცარი. ფიცრის ღობე.*

ფიცარნაგი *ფიცარნაგის* ფიცრებით გაკეთებული შემაღლებული მოედანი. *ფიცარნაგზე ავიდნენ.*

ფიცება *ფიცების* (აფიცებს, იფიცებს) სიმართლის მტკიცება ფიცით, ფიცის თქმა. *დედას აფიცებს. შვილებს იფიცებს.*

ფიცი *ფიცის* I. შეთანხმების დროს დადებული პირობა. *ერთგულების ფიცი.* 2. იგივეა, რაც დაფიცება. *მისი ფიცის არ სჯერა.* ⊙ **ფიცის გატეხა** შეთანხმების შესრულებაზე უარის თქმა, ღალატი.

ფიცილი *ფიცილის* (ფიცულობს) იგივეა, რაც ფიცება. *ფიცილი დაიწყო.*

ფიცრული *ფიცრულის* ხისგან გაკეთებული ნაგებობა. *ფიცრული სახლი. ფიცრული ბელელი.*

ფიცხელი *ფიცხელის* გამალებული, სწრაფი, ენერგიული. *ფიცხელი ომი. ფიცხელი შრომა.*

ფიცხი *ფიცხის* ვინც ან რაც უცებ ბრაზდება. *ფიცხი ადამიანი. ფიცხი ცხენი.*

ფინალი *ფინალის* გრძელტარიანი სა-

ფინალი



მუშაო იარაღი, რომელსაც ხის ან რკინის თითები აქვს. იყენებენ ბზის, თივის ასაღებად. *რკინის ფიწალი. სამთითა ფიწალი.*

**ფიჭა** *ფიჭის* ცვილის უჯრედებიანი ფირფიტა, რომელსაც ამზადებს ფუტკარი თაფლის დასაგროვებლად.

**ფიჭვი** *ფიჭვის* მარადმწვანე წიწვოვანი ხე, ისხამს კვერცხის ფორმის მსხვილ გირჩებს.

ფიჭა

**ფიჭვნარი** *ფიჭვნარის* ფიჭვის ხეების ტყე ან ტყის ნაწილი. *ფიჭვნარი გამოჩნდა. ფიჭვნარში შევიდნენ.*

**ფლაგმანი** *ფლაგმანის* 1. სამხედრო პირი, სამხედრო ხომალდების უფროსი, რომელიც თავის ალამს მოწინააღმდეგე გემზე აღმართავს. 2. გადატ. რაიმე საქმეში მოწინავე.

**ფლავი** *ფლავის* სხვადასხვაგვარად შეზავებული მოხარშული ბრინჯი. *ხორციანი ფლავი. ტკბილი ფლავი. ფანტია ფლავი.*

**ფლანგვა** *ფლანგვის* (ფლანგავს, იფლანგება, აფლანგვინებს) ↑ გაფლანგვა. *ბიჭი ფულს ფლანგავს.*

**ფლანგი** *ფლანგის* რიგის, წყობის მარჯვენა ან მარცხენა მხარე. *ჯარის მარჯვენა ფლანგი.*

**ფლანელი** *ფლანელის* ბამბის ან მატყლის რბილი ბუსუსებიანი ქსოვილი. *ფლანელის პერანგი.*

**ფლასტუნი** *ფლასტუნის* ფეხების ძირს გაცურებით, თრევით სიარული სპეციფიკური ხმის გამოცემით. *ფლასტუნით დადის.*

**ფლატე** *ფლატის* მდინარის ან ხევის ციცაბო, ჩანგრეული ნაპირი. *ფლატესთან შეჩერდნენ. ფლატე ზე ამოვიდა.*

**ფლახუნი** *ფლახუნის* ფეხზე თავისუფლად მორგებული (ზედმეტად დიდი) ფეხსაცმლით სიარული სპეციფიკური ხმის გამოცემით. *ფლახუნით დადის.*

**ფლეგმატური** *ფლეგმატურის* უსიცოცხლო, გულგრილი, დუნე. *ფლეგმატური ახალგაზრდა.*

**ფლეთა** *ფლეთის* (ფლეთს, იფლითება, ეფლითება) ↑ დაფლეთა. *ტანსაცმელს ფლეთს. სახელოები ეფლითება.*

**ფლეიტა** *ფლეიტის* ხის ჩასაბერი საკრავი – თვლებიან-სარქველებიანი სწორი მილი, რომელიც დაკვრისას ჰორიზონტალურად უჭირავთ. *ფლეიტის ჰანგები.*

ფლეიტა

**ფლეში** *ფლეშის* ციფრული სახის ინფორმაციის შესანახი მცირე ზომისა და დიდი ტევადობის მოწყობილობა, რომელიც უერთდება კომპიუტერებს, სხვადასხვა ციფრულ პორტატიულ ფოტოაპარატებს, ვიდეოკამერებს, დიქტოფონებსა და მისთ., იძლევა ინფორმაციის მრავალგზის გადაწერის შესაძლებლობას.

**ფლიგელი** *ფლიგელის* მთავარი შენობის გვერდით მიშენებული ან დიდი შენობის ეზოში მდგარი პატარა ნაგებობა.

**ფლიდი** *ფლიდის* გაიძვერა, ცბიერი. *ფლიდი კაცი.*

**ფლიდობა** *ფლიდობის* (ფლიდობს) ჩუმი, შეფარული ღალატი. *ფლიდობას მიუხვდა. ყველასთან ფლიდობს.*

**ფლირტი** *ფლირტის* არასერიოზული ტრფიალი, არშიყი. *ფლირტი გააბა.*

**ფლიუგერი** *ფლიუგერის* ხელსაწყო ქარის სიჩქარისა და მიმართულების გასაზომად.

**ფლობა** *ფლობის* (ფლობს) 1. საკუთრებაში ქონა. *დიდ ქონებას ფლობს.* 2. გადატ. კარგად ცოდნა, ათვისება. *ორ უცხო ენას ფლობს.*

**ფლომასტერი** *ფლომასტერის* ფანქრის სახეობა, აქვს ფოროვანი ღერო, რომელიც გაჟღენთილია სპეციალური საღებავი ნივთიერებით.

**ფლორა** *ფლორის* მცენარეთა სამყარო, მცენარეულობა. *ფლორა და ფაუნა.*

**ფლოსტი** *ფლოსტის* უქუსლო საშინაო ფეხსაცმელი. *ტყავის ფლოსტები. ნაჭრის ფლოსტები.*

**ფლოტი** *ფლოტის* გემების ერთობლიობა. *საზღვაო ფლოტი. სამხედრო ფლოტი.* ⊙ **საჰაერო ფლოტი** საბრძოლო თვითმფრინავების ერთობლიობა.

**ფლოქვი** *ფლოქვის* ზოგიერთი ცხოველის (ცხენის, ვირის...) ჩლიქი. *ფლოქვების თქარუნი.*

**ფოთლიჭამია** *ფოთლიჭამიას* მცენარის მაუნებელი ხოჭო.

**ფოთლოვანი** *ფოთლოვნის* რასაც ფოთლები ასხია. *ფოთლოვანი ტყეები.*

**ფოთოლი** *ფოთლის* მცენარის ერთ-ერთი ძირითადი ორგანო – სხვადასხვა ფორმის, თხელი (იშვიათად სქელი), უმეტესად მწვანე ფირფიტა, რომლითაც მცენარე ჰაერიდან იღებს საკვებს და გარემოს ამდიდრებს ჟანგბადით. ■ **ფოთლიანი** რასაც ფოთოლი აქვს. *ფოთლიანი ტოტი.*

**ფოთოლცვენა** *ფოთოლცვენის* პერიოდი, როდესაც ხეებს ფოთლები სცვივა.

**ფოიე** *ფოიეს* მაყურებელთა მოსაცდელი დარბაზი თეატრში, კინოსა და მისთ. *ფოიეში შეხვდნენ ერთმანეთს.*

**ფოიერვერკი** *ფოიერვერკის* იგივეა, რაც ფეიერვერკი.

**ფოკუსი**[1] *ფოკუსის* 1. წერტილი, რომელშიც სხივების გარდატეხა ან არეკვლა ხდება. 2. წერტილი, რომელშიც ფოტოგადაღების დროს საგანი მაქსიმალურად გარკვეულ, მკვეთრ გამოსახულებას იძლევა. *ფოკუსი გაასწორა.*

**ფოკუსი**[2] *ფოკუსის* 1. მოხერხებული ილეთი, ტრიუკი, რომელიც ხელის სიმარდითა და მოქნილობით ზებუნებრიობის ილუზიას ქმნის და მაყურებლის გაოცებას იწვევს. *ფოკუსი აჩვენა. ახალი ფოკუსები.* 2. საუბრ. გადატ. ხრიკი, ფანდი, ოინი. *ეს რა ფოკუსი გააკეთა!*

**ფოლადი** *ფოლადის* მტკიცე, ჭედადი, მოვერცხლისფრო ლითონი, რკინის შენადნობი ნახშირბადსა და სხვა ელემენტებთან. *უჟანგავი ფოლადი. ფოლადის მილი. ფოლადის ფირფიტა.*

**ფოლგა** *ფოლგის* ლითონის სიფრიფანა ფურცელი, რომელიც გამოიყენება კვების პროდუქტების შესაფუთავად. *შოკოლადს ფოლგა შემოაცალა.*

**ფოლიანტი** *ფოლიანტის* დიდი ფორმატის წიგნი, ჩვეულებრივ, ძველებური. *ძვირფასი ფოლიანტები.*

**ფოლიო** *ფოლიოს* ერთ- ან მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარე, აქვს დანაკეთული ან მთლიანი ფოთლები და ცისფერი ყვავილები.

**ფოლკლორი** *ფოლკლორის* იგივეა, რაც ზეპირსიტყვიერება. *ფოლკლორის ნიმუშები. ქართული ფოლკლორი.* ■ **ფოლკლორული** ფოლკლორთან დაკავშირებული. *ფოლკლორული ანსამბლი. ფოლკლორული საღამო.*

**ფოლკლორისტი** *ფოლკლორისტის* ფოლკლორისტიკის სპეციალისტი. *ცნობილი ფოლკლორისტი.*

**ფომფლე** *ფომფლის* მოშვებული, მოუჭიმავი. *ფომფლე შარვალი.* ▲ **ფომფლედ** ზმნზ. მოუჭიმავად, მოშვებულად. *ქამარი ფომფლედ აქვს.*

**ფონდი** *ფონდის* 1. რაიმე მიზნისთვის განკუთვნილი ფულადი სახსრები. *სკოლის ფონდი. სახელფასო ფონდი.* 2. რაიმეს ერთობლიობა, მარაგი. *საბიბლიოთეკო ფონდი. საბინაო ფონდი.* 3. ორგანიზაცია, რომელიც განაგებს ფულად სახსრებს და აფინანსებს სამეცნიერო, სასწავლო-საგანმანათლებლო და სხვა სახის პროექტებს. *სამეცნიერო ფონდი.* 4. ორგანიზაცია, დაწესებულება, რომელიც უზრუნველყოფს სახსრების მოზიდვას ამა თუ იმ სოციალური ჯგუფისა თუ კონკრეტული პიროვნებებისთვის მატერიალური დახმარების აღმოჩენის მიზნით. *საქველმოქმედო ფონდი.*

**ფონეტიკა** *ფონეტიკის* ენათმეცნიერების დარგი, რომელიც შეისწავლის სამეტყველო ბგერებს. *ექსპერიმენტული ფონეტიკა.*

**ფონი**[1] *ფონის* მდინარეზე გადასასვლელად მოსახერხებელი ადგილი, სადაც წყალი დაბალია და მდორედ მიედინება. *ფონს ეძებს.* ⊙ **ფონს გავა** სიძნელეებს გადალახავს, საქმეს კარგად დაასრულებს.

**ფონი**[2] *ფონის* 1. ძირითადი ფერი, რომელზეც რაიმეა გამოსახული. *წითელი ფონი.* 2. შენობის, ქანდაკებისა და მისთ. უკან არსებული სივრცე. 3. გარემომცველი პირობები. *რომანის ისტორიული ფონი.*

**ფონოგრამა** *ფონოგრამის* ხმის, ბგერის, მელოდიის ელექტრონული ჩანაწერი. *ფონოგრამა ჩაირთო. უხარისხო ფონოგრამა.*

**ფორა** *ფორის* ძლიერი მოთამაშისგან სუსტისთვის წინასწარ მიცემული ქულების ან სვლების გარკვეული რაოდენობა ჭადრაკში, ბილიარდში, შაშსა და მისთ. *ფორა მისცა.*

**ფორანი** *ფორანის* ძველებური დიდი ოთხთვლიანი საზიდარი, რომელშიც ცხენს აბამენ. *დიდი ფორანი. ფორნის ცხენი.*

**ფორეჯი** *ფორეჯის* დიდი ლაქა სხეულზე, ბეწვზე. *კალმახის ფორეჯები. ავაზის ბეწვის ფორეჯები.*

**ფორვარდი** *ფორვარდის* თავდამსხმელი ფეხბურთის ან ჰოკეის გუნდში. *თავდაუზოგავი ფორვარდი.*

**ფორთოხალი** *ფორთოხლის* 1. მობრტყო-მომრგვალო, ნარინჯისფერი, ტკბილი, გლუვკანიანი ციტრუსი. *ფორთოხლის წვენი.* 2. სუბტროპიკული ციტრუსოვანი ხე, რომელიც ისხამს ფორთოხალს (1), აქვს თეთრი ფერის ყვავილები.


ფორთოხალი

**ფორთხვა** *ფორთხვის* (ფორთხავს) პირქვე გართხმულის მოძრაობა, გადაადგილება ხელ-ფეხისა და მთელი ტანის დახმარებით. *კართან ფორთხვით მივიდა. ბალახებში დიდხანს იფორთხა.*

**ფორი** *ფორის* (ძირითადად მრ.) კანზე არსებული უხილავი, პატარა ნასვრეტები, საიდანაც ოფლი სხეულის ზედაპირზე გამოდის. ■ **ფორებიანი** ფორების მქონე. *ფორებიანი კანი.*

**ფორიაქი** *ფორიაქის* (ფორიაქობს) 1. შფოთვა, მოუსვენრობა. *ფორიაქი დაეტყო. ავადმყოფი ფორიაქობს.* 2. არეულობა, შფოთი. *ხალხში ფორიაქი ატყდა.*

**ფორმა** *ფორმის* 1. რაიმე სხეულის, საგნის, მოვლენის გარეგნული მხარე, მოხაზულობა, მოყვანილობა. *ლამაზი ფორმის ლარნაკი. გამოხატვის ფორმა.* 2. სპეციალური ტანსაცმელი გარკვეული პროფესიის ან კატეგორიის პირთათვის. *სამხედრო ფორმა.* 3. ყალიბი. *ტორტის ფორმა.* 4. რაიმეს დადგენილი ნიმუში. *ოქმის ფორმა. განცხადების ფორმა.*

**ფორმალიზმი** *ფორმალიზმის* 1. საქმის მხოლოდ გარეგნული, ფორმალური მხარის დაცვა არსებითის უგულებელყოფით, გაუთვალისწინებლად. *ფორმალიზმი ახასიათებს.* 2. მიმართულება ხელოვნებასა და ლიტერატურათმცოდნეობაში, რომელიც ნაწარმოების ფორმას გადაჭარბებულ მნიშვნელობას ანიჭებს. *ფორმალიზმის ნიმუშები.*

ფორმალისტი *ფორმალისტის* ფორმალიზმის მიმდევარი.

ფორმალისტური *ფორმალისტურის* რაც შინაგან, არსებით მხარეებს უგულებელყოფს და მხოლოდ ფორმით, გარეგნული მხარით კმაყოფილდება. *ფორმალისტური განხილვა. ფორმალისტური მიდგომა.*

ფორმალობა *ფორმალობის* ფორმალური, არაარსებითი მხარე. *იურიდიული ფორმალობა.*

ფორმალური *ფორმალურის* 1. ფორმის (4) შესაბამისი, დადგენილი წესების მიხედვით შესრულებული. *ფორმალური მხარე.* 2. რაც რეალურ ვითარებას არ ასახავს, გარეგნული ფორმის დასაცავად შედგენილი, მოქმედი. *ფორმალური თავმჯდომარე.*

ფორმატი *ფორმატის* 1. ფურცლის, წიგნისა და მისთ. ზომა. *პატარა ფორმატი.* 2. დიპლომატიური და ოფიციალური შეხვედრების საგანგებოდ შემუშავებული ფორმა. *მოლაპარაკების ფორმატი. კონფერენციის ფორმატი.*

ფორმაცია *ფორმაციის* ადამიანთა საზოგადოების განვითარების საფეხური, რომელსაც ახასიათებს სანარმოო ურთიერთობათა გარკვეული სისტემა. *ფეოდალური ფორმაცია. საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციები.*

ფორმიანი *ფორმიანის* ვისაც ფორმა აცვია. *ფორმიანი მოსწავლე.*

ფორმირება *ფორმირების* (ფორმირდება) 1. ჩამოყალიბება, შედგენა, საბოლოო სახის მიცემა. *დოკუმენტის ფორმირება. ორგანიზაცია თანდათან ფორმირდება.* 2. სამხედრო ნაწილი. *საჯარისო ფორმირება.*

ფორმირებული *ფორმირებულის* ჩამოყალიბებული, დასრულებული. *საბჭო უკვე იყო ფორმირებული.*

ფორმობრივი *ფორმობრივის* ფორმასთან (1) დაკავშირებული, ფორმის (1) მიხედვით შესრულებული. *ფორმობრივი მხარე. ფორმობრივი მსგავსება.*

ფორმულა *ფორმულის* 1. სიდიდეების, ელემენტებისა და მისთ. გამოსახულება პირობითი ნიშნებით. *ქიმიური ფორმულა. მათემატიკური ფორმულა.* 2. მოკლე და ზუსტი სიტყვიერი განსაზღვრა რაიმესი.

ფორმულარი *ფორმულარის* 1. საბიბლიოთეკო ბარათი, რომელზეც აღნიშნულია ინფორმაცია წიგნის შესახებ და აღნუსხულია გაცემა-მიღების დრო. *ძველი ფორმულარი.* 2. დავთარი ან ბლანკი, რომელშიც იწერება ცნობები ნაგებობის, დანადგარისა და მისთ. შესახებ. *თვითმფრინავის ფორმულარი.*

ფორმულირება *ფორმულირების* გარკვეული ფორმით თქმა, ჩამოყალიბება. *ზუსტი ფორმულირება. პრინციპების ფორმულირება.*

ფოროვანი *ფოროვნის* იგივეა, რაც ფორებიანი. *ფოროვანი ნივთიერება.*

ფორსმაჟორი *ფორსმაჟორის* გაუთვალისწინებელი საგანგებო ვითარება (მიწისძვრა, წყალდიდობა და მისთ.), რის გამოც პირი, რომელმაც ვერ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულები, თავისუფლდება პასუხისმგებლობისგან. ■ ფორსმაჟორული ფორსმაჟორთან დაკავშირებული. *ფორსმაჟორული სიტუაცია.*

ფორტეპიანო *ფორტეპიანოს* სიმებიან-კლავიშებიანი საკრავების (პიანინოს, როიალის) საერთო სახელწოდება. *ფორტეპიანოს კლავიატურა.*

ფორუმი *ფორუმის* ფართო წარმომადგენლობითი შეკრება, სადაც ხდება აზრთა გაცვლა-გამოცვლა. *ლინგვისტების ფორუმი შედგა.*

ფორხილი *ფორხილის* (ფორხილებს) 1. ბორძიკი (1), ბარბაცი. *ფორხილით დადის. ცხენმა ფორხილი დაიწყო. მთვრალივით ფორხილებს.* 2. სიტყვების გაჭირვებით გამოთქმა; ბორძიკი (2). *ფორხილით ლაპარაკობს.*

ფოსო *ფოსოს* მცირე ზომის ჩაღრმავება. *კბილის ფოსო. ხის ფოსო.*

ფოსტა *ფოსტის* 1. კავშირგაბმულობის სახეობა, რომელიც უზრუნველყოფს წერილების, ამანათებისა და მისთ. გაგზავნა-ჩაბარებას. *გზავნილი ფოსტით მიიღო.* 2. საუბრ. კავშირგაბმულობის განყოფილება. *ფოსტაში წავიდა.* 3. გზავნილების ერთობლიობა. *ფოსტა აიღო.*

ფოსტალიონი *ფოსტალიონის* ფოსტის მოსამსახურე, რომელსაც გაზეთები, წერილები, ამანათები და მისთ. დანიშნულების ადგილზე მიაქვს. *ფოსტალიონის ჩანთა.*

ფოსფორი *ფოსფორის* მნათი ქიმიური ელემენტი, რომელსაც შეიცავს ზოგიერთი მინერალი, ცხოველებისა და მცენარეების უჯრედები, ასევე ცხოველის ძვლები. *ფოსფორის ნაერთები.* ■ ფოსფორიანი ფოსფორის შემცველი. *ფოსფორიანი სასუქი.*

ფოტო *ფოტოს* იგივეა, რაც ფოტოსურათი. *საჯახო ფოტო. მეგობრის ფოტო.*

ფოტოაპარატი *ფოტოაპარატის* ოპტიკური აპარატი, რომელიც სპეციალურ ფირზე აღბეჭდავს გამოსახულებას, იღებს ფოტოსურათებს. *ციფრული ფოტოაპარატი.*

ფოტოგენური *ფოტოგენურის* ვინც ან რაც კარგად გამოდის ფოტოსურათზე, კინოფირზე. *ფოტოგენური სახე. ფოტოგენური გარეგნობა.*

ფოტოგრაფი *ფოტოგრაფის* ფოტოგრაფიის სპეციალისტი. *პროფესიონალი ფოტოგრაფი.*

ფოტოგრაფია *ფოტოგრაფიის* გამოსახულების მიღება სპეციალურ მასალაზე ოპტიკური აპარატის საშუალებით. *ფოტოგრაფიას სწაელობს.*

▪ ფოტოგრაფიული ფოტოგრაფიასთან დაკავშირებული. *ფოტოგრაფიული ხელოვნება.*

ფოტოგრაფირება *ფოტოგრაფირების* სურათის გადაღება. *ექსპონატების ფოტოგრაფირება.*

ფოტოსურათი *ფოტოსურათის* ფოტოგრაფიული სურათი. *ჩემი ფოტოსურათი. ძველი ფოტოსურათი.*

ფოფინი *ფოფინის* (ეფოფინება) განსაკუთრებული მზრუნველობა, ლოლიავი. *შვილიშვილებს ეფოფინება. წიგნებს ეფოფინება.*

ფოფოდია *ფოფოდიის* მღვდლის ცოლი. *მოკრძალებული ფოფოდია.*

ფოფხვა *ფოფხვის* (ფოფხავს) ძირს დაცემულის მოძრაობა, გადაადგილება ხელ-ფეხის დახმარებით, ფორთხვა. *კარს ფოფხვით მიუახლოვდა. იატაკ ზე ფოფხავდა.*

ფოჩი *ფოჩის* 1. ძაფებჩამოკიდებული ზონარი, გამოიყენება ფარდების, გადასაფარებლებისა და მისთ. მოსართავად. *ფარდის ფოჩი. სუფრის ფოჩი.* 2. ბოსტნეულისა და მწვანილეულის ღერო ან ფოთოლი. *ხახვის ფოჩი. ოხრახუშის ფოჩი.*

ფოცხვა *ფოცხვის* (ფოცხავს) ↑ მოფოცხვა. *ბოსტანს ფოცხავს.*

ფოცხვერი *ფოცხვერის* საშუალო ზომის, ხალებიანი მტაცებელი ცხოველი კატისებრთა ოჯახიდან. *ფოცხვერის ტყავი.*

ფოცხი

ფოცხი *ფოცხის* გრძელტარიანი სამუშაო იარაღი, რომელსაც რკინის ან ხის კბილები აქვს, იყენებენ თივის, ბალახის მოსაგროვებლად, მიწის გასაფხვიერებლად.

ფრაგმენტი *ფრაგმენტის* რაიმე ტექსტის, ნაწარმოებისა და მისთ. პატარა ნაწილი, ნაწყვეტი. *კინოს ფრაგმენტი. ფრაგმენტი წაიკითხა.*

ფრაგმენტული *ფრაგმენტულის* ფრაგმენტების სახით არსებული, არასრული. *ფრაგმენტული ცოდნა.*

ფრაზა *ფრაზის* გამოთქმა, რომელიც დასრულებულ აზრს შეიცავს. *საინტერესო ფრაზა. ფრაზა ამოიწერა.*

ფრაზეოლოგია *ფრაზეოლოგიის* მყარად ჩამოყალიბებული, დამკვიდრებული გამონათქვამების ერთობლიობა ამა თუ იმ ენაში. *ქართული ენის ფრაზეოლოგია.*

ფრაკი *ფრაკის* მამაკაცის ზედა საზეიმო ტანსაცმელი, რომელსაც ვიწრო და გრძელი უკანა კალთები აქვს. *მოდური ფრაკი.*

ფრატუნი *ფრატუნის* (ფრატუნებს) ფეხების ძირს გასმით სიარული სპეციფიკური ხმის გამოცემით. *ფრატუნით დადის.*

ფრაქცია *ფრაქციის* დაჯგუფება პარტიის შიგნით, რომელიც არ იზიარებს პარტიის ძირითად მიმართულებას. *ოპოზიციური ფრაქცია.* ▪ ფრაქციული ფრაქციის შესაბამისი, ფრაქციასთან დაკავშირებული. *ფრაქციული გაერთიანება.* ◌ საპარლამენტო ფრაქცია პარლამენტში ერთი პარტიის წევრ დეპუტატთა გაერთიანება თავიანთი პარტიის პოლიტიკის ორგანიზებულად წარმართვის მიზნით.

ფრე *ფრის* სპორტული შეხვედრის შედეგი, როცა არც ერთი მხარე არ არის გამარჯვებული. *მატჩი ფრედ დასრულდა.*

ფრენა *ფრენის* (ფრენს, ფრინავს, უფრენს, აფრენს) 1. ფრთების საშუალებით ჰაერში გადაადგილება, მოძრაობა. *ჩიტების ფრენა.* 2. თვითფრინავით მგზავრობა. *ფრენა გადაიდო.*

ფრენბურთელი *ფრენბურთელის* ფრენბურთის მოთამაშე, სპორტსმენი. *ფრენბურთელთა გუნდი.*

ფრენბურთი *ფრენბურთის* სპორტის სახეობა – ბურთის ხელით თამაში ორ გუნდს შორის. *ფრენბურთის მატჩი. ფრენბურთის ბადე.*

ფრესკა *ფრესკის* შენობის (უპირატესად, ეკლესიის) კედელზე ან ჭერზე შესრულებული ფერწერული გამოსახულება. *ღვთისმშობლის ფრესკა. დაზიანებული ფრესკები აღადგინეს.*

ფრთა *ფრთის* 1. ფრინველის, მწერის საფრენი ორგანო. *ქათმის ფრთა. არწივმა ფრთები დაკეცა. ცალი ფრთა.* 2. საფრენი ან სხვა მოძრავი აპარატის ნაწილი. *თვითმფრინავის ფრთა.* 3. დიდი ბუმბული. *ბატის ფრთა.* 4. ფრინველთა რაოდენობის საზომი. *ასი ფრთა ქათამი.* ◌ ფრთებს შეასხამს გაახარებს, შეაგულიანებს, გაათამამებს. ◌ ვინმეს ფრთის ქვეშ ყოფნა ვინმეს მფარველობაში ყოფნა.

ფრთამალი *ფრთამალის* ძალიან სწრაფი. *ფრთამალი ქორი. ფრთამალი მერანი.*

ფრთაფარფატა *ფრთაფარფატას* რაც ფარფატით დაფრინავს. *ფრთაფარფატა მტრედი.*

ფრთაშეკეცილი *ფრთაშეკეცილის* 1. რასაც ფრთა შეკეცილი აქვს. *ფრთაშეკეცილი დაფრინავს.* 2. გადატ. შეზღუდული, შებოჭილი. *ფრთაშეკეცილი ოცნება.*

ფრთაშესხმული *ფრთაშესხმულის* ძალიან გახარებული, აღფრთოვანებული, ნახალისებული. *ფრთაშესხმული ყმაწვილები.*

ფრთებჩამოყრილი *ფრთებჩამოყრილის* 1. რასაც ფრთები ჩამოყრილი აქვს, დაუძლურებული. *ფრთებჩამოყრილი მამალი.* 2. გადატ. დაღონებული, შეწუხებული. *ფრთებჩამოყრილი დაბრუნდა.*

ფრთიანი *ფრთიანის* რასაც ფრთები აქვს. *ფრთიანი არსება.*

ფრთოსანი *ფრთოსნის* იგივეა, რაც ფრთიანი. *ფრთოსანი რაკეტები.*

ფრთხიალი *ფრთხიალის* (ფრთხიალებს) ფრინვე-

ლის მოძრაობა ფრთებისა და ფეხების სწრაფი ქნევითა და დაბალი, შრიალის მსგავსი ხმის გამოცემით. *მერცხალმა ფრთხიალი დაიწყო.*

**ფრთხილი** *ფრთხილის* I. ვისაც ან რასაც სიფრთხილე ახასიათებს. *ფრთხილი მოთამაშე. ფრთხილი მოქმედება.* 2. მორიდებული, ჩუმი, უხმაურო. *ფრთხილი დამოკიდებულება. ფრთხილი ნაბიჯებით დადის.* ▲ **ფრთხილად** ზმნზ. დაკვირვებით, ნელა, ყურადღებით. *ფრთხილად მოძრაობს.*

**ფრთხობა** *ფრთხობის* (აფრთხობს, უფრთხობს, ფრთხება, უფრთხება) ↑ **დაფრთხობა**. *ჩიტებს აფრთხობს.*

**ფრიადი** *ფრიადის* მოსწავლეთა შეფასების უმაღლესი ქულა. *ფრიადი დაიმსახურა.*

**ფრიადოსანი** *ფრიადოსნის* ვინც ფრიადებს იმსახურებს. *ფრიადოსანი სტუდენტი.*

**ფრიალა** *ფრიალას* რაც ფრიალებს. *ფრიალა სარაფანი.*

**ფრიალი** *ფრიალის* (ფრიალებს, უფრიალებს, აფრიალებს) ქსოვილის, ქაღალდისა და მისთ. ჰაერში რხევა. *დროშის ფრიალი. ქარი გაზეთს აფრიალებს.*

**ფრიალო** *ფრიალოს* ძლიერ დაქანებული, დახრილი, ციცაბო. *ფრიალო კლდე.*

**ფრინველი** *ფრინველის* ბუმბულით შემოსილი ფრთიანი ცხოველი, რომელიც ფრენით გადაადგილდება. *შინაური ფრინველი. ტყის ფრინველი. ფრინველის ხორცი.*

**ფრინტა** *ფრინტას* მრავალწლოვანი შხამიანი ბალახოვანი მცენარე, აქვს თეთრი, ყვითელი ან ვარდისფერი ყვავილები.

**ფრონტი** *ფრონტის* I. საომარი მოქმედების არეალი, ბრძოლის ველი. *ფრონტზე დაეცა. ფრონტის ხაზი.* 2. ყველაზე მსხვილი სამხედრო შენაერთი საომარი მოქმედებების წარმოების დროს. *აღმოსავლეთის ფრონტი.*

**ფრუტუნი** *ფრუტუნის* (ფრუტუნებს) I. ცხოველის ღრმა ამოსუნთქვა ნესტოებიდან ჰაერის ძლიერად გამოშვებით, სპეციფიკური ხმის გამოცემით. *ცხენები ფრუტუნებენ.* 2. ხმადაბალი, თავშეკავებული სიცილი. *ბიჭი თავისთვის ფრუტუნებდა.*

**ფრუტუნ-ფრუტუნი** *ფრუტუნ-ფრუტუნის* გახშირებული ფრუტუნი. *ფრუტუნ-ფრუტუნით დადის.*

**ფრქვევა** *ფრქვევის* (აფრქვევს, იფრქვევს, იფრქვევა, ეფრქვევა) I. ↑ **ამოფრქვევა**. *ბოლმას აფრქვევს. ცეცხლს აფრქვევს.* 2. ↑ **დაფრქვევა**. *ცრემლის ფრქვევა.* 3. ↑ **შეფრქვევა**. *კედელს საღებავს აფრქვევს.*

**ფრჩხილი** *ფრჩხილის* რქოვანი წანაზარდი თითზე. *ფეხის ფრჩხილი. გრძელი ფრჩხილები.*

**ფსალმუნი** *ფსალმუნის* დავით წინასწარმეტყველის მიერ შექმნილი საგალობელი. *ფსალმუნებს კითხულობს.*

**ფსევდონიმი** *ფსევდონიმის* გამოგონილი გვარი ან სახელი, რომელსაც პიროვნება (უმეტესად ხელოვნების მოღვაწე) ირჩევს საკუთარი გვარისა და/ან სახელის ნაცვლად. *მწერლის ფსევდონიმი. მხატვრის ფსევდონიმი.*

**ფსიტი** *ფსიტის* იგივეა, რაც არჩვი.

**ფსიქიატრი** *ფსიქიატრის* ექიმი, ფსიქიატრიის სპეციალისტი.

**ფსიქიატრია** *ფსიქიატრიის* მედიცინის დარგი, რომელიც შეისწავლის ფსიქიკურ დაავადებებსა და მათ მკურნალობას. ■ **ფსიქიატრიული** ფსიქიატრიასთან დაკავშირებული. *ფსიქიატრიული განყოფილება.*

**ფსიქიკა** *ფსიქიკის* ადამიანის სულიერ ძალთა, შესაძლებლობათა ერთობლიობა, გარესამყაროს ასახვის უნარი. *სუსტი ფსიქიკა.*

**ფსიქიკური** *ფსიქიკურის* ფსიქიკასთან დაკავშირებული, ფსიქიკიდან გამომდინარე. *ფსიქიკური დაავადებები.*

**ფსიქოზი** *ფსიქოზის* ფსიქიკური ავადმყოფობა, რაიმე დარღვევა, არანორმალურობა ადამიანის ფსიქიკაში. *ფსიქოზი განუვითარდა.* ■ **ფსიქოზური** ფსიქოზისთვის დამახასიათებელი. *ფსიქოზური მდგომარეობა.* შეცდომაა ფსიხოზი; ფსიხოზური

**ფსიქოთერაპევტი** *ფსიქოთერაპევტის* ექიმი, ფსიქოთერაპიის სპეციალისტი. *ფსიქოთერაპევტის კონსულტაცია.*

**ფსიქოთერაპია** *ფსიქოთერაპიის* ფსიქიკური ჯანმრთელობის მკურნალობა ფსიქოლოგიური საშუალებებისა და ხერხების (ჰიპნოზის, შთაგონებისა და მისთ.) გამოყენებით. *ფსიქოთერაპიის მეთოდი.*

**ფსიქოლოგი** *ფსიქოლოგის* ფსიქოლოგიის სპეციალისტი. *ფსიქოლოგის კონსულტანცია.*

**ფსიქოლოგია** *ფსიქოლოგიის* I. მეცნიერება, რომელიც შეისწავლის ფსიქიკურ მოქმედებათა კანონზომიერებებს, მათი განვითარების თავისებურებებსა და ფორმებს. *ფსიქოლოგიის ლექცია.* 2. ადამიანის ფსიქიკურ თავისებურებათა ერთობლიობა. *მოზარდის ფსიქოლოგია.* ■ **ფსიქოლოგიური** ფსიქოლოგიასთან დაკავშირებული. *ფსიქოლოგიური პრობლემები. ფსიქოლოგიური დახმარება.*

**ფსიქოპათია** *ფსიქოპათიის* ფსიქიკის დაავადება, არანორმალურობა, გადახრა.

**ფსკერი** *ფსკერის* მდინარის, ზღვისა და მისთ. ქვედა, მყარი ნაწილი. *მდინარის ფსკერი. ფსკერზე ჩაიძირა.*

**ფსონი** *ფსონის* I. მონაწილეთა მიერ ქეიფისთვის თანაბრად გაღებული ხარჯი. *ძმაკაცებმა ფსონით იქეიფეს.* 2. ზოგიერთ აზარტულ თამაშში (ბანქოში) ასაყვანად დარჩენილი ბოლო ქაღალდი. *ფსონი დადო.*

ფსტა *ფსტის* ბუჩქი ან ტანმორჩილი ხე, აქვს რთული ფოთლები და თეთრი, გლუვნაჭუჭიანი მოგრძო ნაყოფი.

ფუ შორისდ. 1. გამოხატავს უარყოფით ემოციას ვინმეს ან რაიმეს დაწუნების, შეზიზღების დროს. *ფუ, რას ჰგავს! ფუ, რა სუნია!* 2. გამოხატავს უარყოფით დამოკიდებულებას, წყრომას ვინმეს მიმართ სამარცხვინო, დასაძრახი საქმის ჩადენის გამო. *ფუ მაგის კაცობას!*

ფუთა *ფუთის* იგივეა, რაც ბოხჩა. *ტანსაცმლის ფუთა.*

ფუთა

ფუთვა *ფუთვის* (ფუთავს, უფუთავს, იფუთება) ↑ შეფუთვა. *ქალი საჩუქარს ფუთავს.*

ფუთი *ფუთის* წონის საზომი ერთეული, უდრის 16,3 კილოგრამს. *ხუთი ფუთი ლობიო. სამი ფუთი სიმინდი.*

ფუთნა *ფუთნის* (ფუთნის, იფუთნის, იფუთნება) ↑ შეფუთნა. *დედა ბავშვს ფუთნის.*

ფუთფუთა *ფუთფუთას* რაც ფუთფუთებს. *ფუთფუთა ჭიები.*

ფუთფუთი *ფუთფუთის* (ფუთფუთებს) 1. ერთად შეგროვილი მწერების, ჭიებისა და მისთ. მოძრაობა, ერთ ადგილზე ტრიალი. *ჭიანჭველების ფუთფუთი. მატლების ფუთფუთი.* 2. გადატ. ერთ ადგილას შეგროვილი ხალხის ძლიერი მოძრაობა, მოუსვენრად ტრიალი. *მე ზავრები ფუთფუთებენ.*

ფუი შორისდ. იგივეა, რაც ფუ. *ფუი, რა უგემურია!*

ფუილი *ფუილის* (ფუის) საფუარის შერევის შედეგად ცომის, ბლანტი სითხისა და მისთ. მოძრაობა, ზევით ამოწევა. *ლუდმა ფუილი დაიწყო.*

ფული *ფულის* 1. ლითონის ან ქაღალდის ნიშანი, რომელიც წარმოადგენს ღირებულების საზომს. *ქაღალდის ფული. ფულის შეკვრა.* 2. რაიმესთვის განკუთვნილი თანხა. *საჭმლის ფული. მკურნალობის ფული.* ■ ფულადი რაც ფულით არის გამოხატული. *ფულადი სახსრები. ფულადი პრემია.* ■ ფულიანი ვისაც ფული აქვს.

ფუმფულა *ფუმფულას* რბილი და ნაზი, ფაფუკი. *ფუმფულა ნამცხვარი. ფუმფულა კუდი.*

ფუნა *ფუნის* საქონლის განავალი. *ძროხის ფუნა. ცხენის ფუნა.*

ფუნაგორია *ფუნაგორიას* იგივეა, რაც ხარაბუზა.

ფუნდამენტი *ფუნდამენტის* იგივეა, რაც საძირკველი.

ფუნდამენტური *ფუნდამენტურის* ღრმა შინაარსის მქონე, საფუძვლიანი. *ფუნდამენტური გამოკვლევა.*

ფუნდუკი *ფუნდუკის* იგივეა, რაც ქარვასლა.

ფუნთუშა *ფუნთუშას* ხორბლის თეთრი ფქვილისგან დამზადებული გაფუებული მრგვალი ნამცხვარი.

ფუნთუშეული *ფუნთუშეულის* სხვადასხვა სახის ფუნთუშების საერთო სახელწოდება.

ფუნიკულიორი *ფუნიკულიორის* მთის ციცაბო კალთაზე მოწყობილი სპეციალური რკინიგზა, რომელზეც სამგზავრო ვაგონები ფოლადის ბაგირისა და ელექტრული ძრავის მეშვეობით გადაადგილდება. *თბილისის ფუნიკულიორი.*

ფუნქცია *ფუნქციის* 1. მოვალეობა, როლი, დანიშნულება. *დირექტორის ფუნქცია. ფუნქციების განაწილება.* 2. ორგანიზმის ან სხეულის რომელიმე ორგანოს მოქმედება, დანიშნულება. *თირკმლის ფუნქცია. კუჭის ფუნქცია.* ■ ფუნქციური ფუნქციასთან დაკავშირებული, ფუნქციისთვის განკუთვნილი. *ფუნქციური დიაგნოსტიკა.*

ფუნქციონერი *ფუნქციონერის* პარტიული ან ადმინისტრაციული აპარატის თანამშრომელი.

ფუნქციონირება *ფუნქციონირების* (ფუნქციონირებს) ფუნქციის, დანიშნულების შესრულება, მოქმედება, მუშაობა. *დაწესებულების ფუნქციონირება. სანატორიუმი ფუნქციონირებს.*

ფუნჩულა *ფუნჩულას* ნაზი, ფაფუკი და მსუქანი. *ფუნჩულა ლოყები. ფუნჩულა ხელები.*

ფუნჯი *ფუნჯის* საღებავის, წებოსა და მისთ. წასასმელი მოწყობილობა – ტარზე დამაგრებული ბუნებრივი ბენვის ან სინთეტიკური მასალის კონა. *მხატვრის ფუნჯი.*

ფუნჯი

ფურაჟი *ფურაჟის* შინაური ცხოველების საკვები.

ფურგონი *ფურგონის* 1. სატვირთო ავტომობილის უფანჯრო, უმეტესად დახურული ძარა, ჩვეულებრივ, გამოიყენება ტვირთის გადასაზიდად. *ჩემოდნები მანქანის ფურგონში ჩააწყვეს.* 2. ავტომანქანაზე მისაბმელი სპეციალური ვაგონი, იყენებენ მოგზაურობის დროს, საველე პირობებში საცხოვრებლად. ■ ფურგონიანი რასაც ფურგონი აქვს. *ფურგონიანი ტაქსი.*

ფურთხება *ფურთხების* (აფურთხებს, იფურთხებს, იფურთხება) ფურთხის, ნერწყვისა და მისთ. პირიდან სროლა. *ასფალტზე აფურთხებს.*

ფურთხი *ფურთხის* პირიდან გამოყოფილი ნერწყვის გროვა.

ფური *ფურის* 1. ზრდასრული ძროხა, რომელიც ხბოს შობს და იწველება. *ჭრელი ფური.* 2. ზრდასრული მსხვილფეხა დედალი ცხოველი.

ფურირემი *ფურირემის* ზრდასრული დედალი ირემი. *ფურირემის რძე.*

ფურისულა *ფურისულის* მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარე, აქვს ფესვის ყელთან შეკრებილი ფოთლები, იკეთებს თითო-თითოდ განლაგებულ ან ღერძის წვერზე შეკრებილ, სხვადასხვა ფერის ყვავილს.

ფურკამეჩი *ფურკამეჩის* ზრდასრული დედალი კამეჩი. *ფურკამეჩი იწველება.*

ფურნე *ფურნის* 1. პურის საცხობი ღუმელი. *ფურნე გაახურა. ფურნიდან პური გამოიღო.* 2. შენობა, სადაც ფურნე (1) დგას. *ფურნე მუშაობს.*

ფურუნკული *ფურუნკულის* მედიც. კანის საოფლე და ცხიმოვანი ჯირკვლების ჩირქოვანი ანთება. *ფურუნკული აწუხებს.*

ფურჩქნა *ფურჩქნის* (ფურჩქნის, იფურჩქნება, ეფურჩქნება) ↑ გაფურჩქნა. *ვაზის ფურჩქნა დაიწყო. ვარდი იფურჩქნება.*

ფურცელი *ფურცლის* 1. ქაღალდის ნაჭერი. *სუფთა ფურცელი. წიგნის ფურცელი.* 2. ზოგიერთი ოფიციალური ქაღალდის სახელწოდება. *აღრიცხვის ფურცელი. საარჩევნო ფურცელი.* 3. ყვავილის გვირგვინის ერთი ნაწილი. *ვარდის ფურცელი.* 4. ლითონის თხელი ნაჭერი. *თუნუქის ფურცელი.* ■ **ფურცელ-ფურცელ** ზმნზ. სათითაო ფურცლად, ფურცლებად. *ფურცელ-ფურცელ აკინძა.*

ფურცვლა *ფურცვლის* (ფურცლავს, იფურცლება) ↑ გადაფურცვლა. *კალენდრის ფურცვლა. რვეულს ფურცლავს.*

ფუსფუსა *ფუსფუსას* ვინც სულ ფუსფუსებს. *ფუსფუსა მოხუცი.*

ფუსფუსი *ფუსფუსის* (ფუსფუსებს) დაუზარელი, გამუდმებული, აქეთ-იქით ტრიალით საქმიანობა. *ეზოში ფუსფუსებენ.*

ფუტკარა *ფუტკარას* მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარე, აქვს ხშირფოთლიანი მაღალი ტანი, იკეთებს ღეროს ზედა ნაწილში მტევნად თავმოყრილ ყვავილს, გამოიყენება სამკურნალოდ.

ფუტკარი

ფუტკარი *ფუტკრის* თაფლის მკეთებელი მწერი. *ველური ფუტკარი. შინაური ფუტკარი.*

ფუტკნა *ფუტკნის* (ფუტკნის, იფუტკნება) ↑ აფუტკნა. *ნაცარს ფუტკნის.*

ფუტლარი

ფუტლარი *ფუტლარის* რაიმე ნივთის ჩასადები ბუდე. *სათვალის ფუტლარი.* შეცდომაა ფუტლიარი

ფუტურო *ფუტუროს* დამპალი და მშრალი (ხე). *ფუტურო დაიშალა.*

ფუტფუტი *ფუტფუტის* (ფუტფუტებს) იგივეა, რაც ფუთფუთი. *ფუტკრები ფუტფუტებენ.*

ფუფუნება *ფუფუნების* (ფუფუნებს) მდიდრული ცხოვრება, განცხრომა, ნეტარება. *ფუფუნებას მიეჩვია. ფუფუნებაში არის გაზრდილი.* ⊙ **ფუფუნების საგნები** ძალიან ძვირფასი ნივთები.

ფუფქვა *ფუფქვის* (ფუფქავს, იფუფქავს, იფუფქება, ეფუფქება) 1. ↑ გაფუფქვა. *ქალი ქათამს ფუფქავს.* 2. ↑ დაფუფქვა. *ხელები ეფუფქება.*

ფუქსავატი *ფუქსავატის* ცუღლუტი, უსაქმური. *ფუქსავატი ახალგაზრდები.*

ფულურო *ფულუროს* 1. ხის ტანზე გაჩენილი შეღრმავება, სიცარიელე. *ფულუროში დაიმალა.* 2. ფულუროს (1) მქონე, გამოღრმავებული. *ფულურო წიფელი.*

ფუყე *ფუყის* შიგნიდან ცარიელი, გარეგნულად ჯანსაღი. *ფუყე თავთავი. ფუყე ნაყოფი.*

ფუშვა *ფუშვის* (ფუშავს, იფუშება, ეფუშება) ↑ ჩაფუშვა. *ბუშტი იფუშება.*

ფუჩეჩი *ფუჩეჩის* სიმინდის ტაროზე შემოხვეული ფოთლები. *გამხმარი ფუჩეჩი.*

ფუცხუნა *ფუცხუნას* ფიცხი, ბრაზიანი, ადვილად აღგზნებადი. *ფუცხუნა კაცია.*

ფუძე *ფუძის* 1. იგივეა, რაც საძირკველი. *სახლის ფუძე.* 2. ვინმეს წარმომავლობის ადგილი, სადაც არის ან იყო მისი წინაპრების სახლი, კერა. *ამ გვარის ფუძე იმერეთშია. მამისეული ფუძე.* 3. ლინგვ. სიტყვის ძირითადი ნაწილი, რომელსაც უკავშირდება სიტყვის ლექსიკური მნიშვნელობა. ⊙ **ფუძის ანგელოზი** ხალხური რწმენით, სახლისა და ოჯახის მფარველი ღვთაება.

ფუძემდებელი *ფუძემდებლის* პირი, რომელმაც რაიმე საქმე წამოიწყო, დააარსა, დააფუძნა. *უნივერსიტეტის ფუძემდებლები.*

ფუჭი *ფუჭის* 1. რასაც გული (4) არა აქვს, ფუყე. *ფუჭი კაკალი.* 2. გადატ. უნაყოფო, უშედეგო, არაფრის მომტანი. *ფუჭი მცდელობა. ფუჭი დაპირება.* ▲ **ფუჭად** ზმნზ. უშედეგოდ. *შრომამ ფუჭად ჩაუარა.*

ფუხფუხი *ფუხფუხის* (ფუხფუხებს) სქელი მასის დულილი სპეციფიკური ხმის გამოცემით. *ლობიო ფუხფუხებს.*

ფქვა *ფქვის* (ფქვავს, უფქვავს, იფქვება, აფქვეინებს) 1. ↑ დაფქვა (1). *ხორბალს ფქვავს.* 2. საუბრ. გადატ. ↑ დაფქვა (2). *ყველაფერს ფქვავს.*

ფქვილეული *ფქვილეულის* სხვადასხვა სახის ფქვილის ზოგადი სახელი. *ფქვილეული მოიმარაგეს.*

ფქვილი *ფქვილის* 1. ფხვიერი პროდუქტი, რომელსაც იღებენ სხვადასხვა მარცვლეულის დაფქვით. *ხორბლის ფქვილი. სიმინდის ფქვილი. ფქვილის ტომარა.* 2. რაიმე ნივთიერების წმინდა ფხვნილი. *კარტოფილის ფქვილი.*

ფშა ნოტიო ნიადაგიდან გამომდინარე წყლების ნაკადი. *ფშა ნაპირებიდან გადმოვიდა.*

ფშანი *ფშნის* იგივეა, რაც ფშა.

ფშატი *ფშატის* 1. მოგრძო-მოყვითალო, კურკიანი, ტკბილი ნაყოფი, შიგთავსი მშრალია და ფქვილივით იშლება. 2. ხე, რომელიც ისხამს ფშატს (1), აქვს მოვერცხლისფრო, ვიწრო ფოთლები, იკეთებს პატარა ზომის, ყვითელ, სურნელოვან ყვავილებს.

ფშეკა *ფშეკის* (ფშეკს, იფშიკება) ↑ გაფშეკა. *ხელებს ფშეკს.*

ფშვინვა *ფშვინვის* (ფშვინავს) ნელი სუნთქვა სპეციფიკური ხმის გამოცემით. *კაცი ძილში ფშვინავს. ძროხა ფშვინავს.*

ფშვნა *ფშვნის* (ფშვნის, უფშვნის, იფშვნება) ↑ დაფშვნა. *სიმინდს ფშვნის.*

ფშვნადი *ფშვნადის* რაც ადვილად იფშვნება. *ფშვნადი ქანები.*

ფშვნეტა *ფშვნეტის* (ფშვნეტს, იფშვნეტს, იფშვნიტება) ↑ დაფშვნეტა. *გოროხებს ფშვნეტს.*

ფშრუკვა *ფშრუკვის* (ფშრუკავს, იფშრუკება) ↑ აფშრუკვა. *ფქვილს ფშრუკავს.*

ფშრუკუნი *ფშრუკუნის* (ფშრუკუნებს) გულამოსკვნით, ხმის გამოცემით ტირილი. *ბავშვი ფშრუკუნებდა.*

ფშუტე *ფშუტის*||ფშუტი. *ფშუტე მარცვალი.*

ფშუტი *ფშუტის* უგულო, ფუჭი. *ფშუტი კაკალი.*

ფშუტუნი *ფშუტუნის* (ფშუტუნებს) ქშენა, ქშუტუნი. *ცხენი ფშუტუნებს.*

ფშუტყვავილა *ფშუტყვავილას* ყვავილი, რომელიც ნაყოფს არ იძლევა.

ფშხვნა *ფშხვნის* (ფშხვნის, იფშხვნება) ↑ დაფშხვნა. *კლდე იფშხვნება.*

ფშხვნადი *ფშხვნადის* რაც ადვილად იფშხვნება. *ფშხვნადი ნამცხვარი.*

ფცქვნა *ფცქვნის* (ფცქვნის, იფცქვნის, უფცქვნის, იფცქვნება) ↑ გაფცქვნა. *მანდარინს ფცქვნის. მოხარშული კარტოფილი კარგად იფცქვნება.*

ფხა *ფხის* 1. თევზის წვრილი ძეალი. *ფხებს აცლის.* 2. წვრილი ნანაზარდი თაეთავის კილზე. *ხორბლის ფხა.* 3. ბეწვისებრი ნარმონაქმნი ლობიოს პარკზე. *კერძში ფხებია.* 4. მჭრელი იარაღის ალესილი ბასრი პირი. *დანას ფხა გაუსინჯა.* 5. გადატ. უნარი, შნო, სიმარჯვე საქმეში. *ფხა გამოიჩინა.*

ფხაკუნი *ფხაკუნის* (ფხაკუნობს, აფხაკუნებს) მაგარ ზედაპირზე წვეტიანი საგნის გასმისას გამოცემული მკვეთრი ხმა. *ფხაკუნი ისმის. თაგვი ფხაკუნობს.*

ფხაკური *ფხაკურის* (ფხაკურობს) 1. იგივეა, რაც ფხაკუნი. *კატის ფხაკური.* 2. საუბრ. უცოდინრად, ნაძალადევად კეთება, ფაფხური. *თავისთვის რაღაცას ფხაკუნობს.*

ფხანა *ფხანის* (ფხანს, იფხანს, ეფხანება, აფხანინებს) სხეულზე ხელის მაგრად წასმა ქავილის შეგრძნების დროს. *ფხანა დაიწყო. ბავშვი ზურგს იფხანს.*

ფხაჭნა *ფხაჭნის* (ფხაჭნის, იფხაჭნის, უფხაჭნის, იფხაჭნება, ეფხაჭნება, აფხაჭნინებს) ↑ დაფხაჭნა. *ფრჩხილით ფხაჭნის. მაგიდა იფხაჭნება.*

ფხაჭუნი *ფხაჭუნის* (ფხაჭუნობს, აფხაჭუნებს) მაგარ ზედაპირზე წვეტიანი საგნის წასმა მკვეთრი, უსიამოვნო ხმის გამოცემით. *ფრჩხილების ფხაჭუნი. კარზე აფხაჭუნებს. გაუთავებლად ფხაჭუნობს.*

ფხეკა *ფხეკის* (ფხეკს, აფხეკს, იფხეკს, უფხეკს, იფხიკება) ზედაპირზე ბასრი იარაღის სმა კანის, ზედა ფენისა და მისთ. მოსაცილებლად. *ტაფას ფხეკს.*

ფხვიერი *ფხვიერის* ერთმანეთთან დაუკავშირებელი წვრილი ნაწილებისგან შემდგარი. *ფხვიერი მიწა. ფხვიერი მასა.*

ფხვნა *ფხვნის* (ფხვნის, უფხვნის, იფხვნება) ↑ დაფხვნა. *შაქარს ფხვნის.*

ფხვნადი *ფხვნადის* რაც ადვილად იფხვნება. *ფხვნადი ყველი.*

ფხვნილი *ფხვნილის* უწვრილეს ნაწილაკებად დაქუცმაცებული ნივთიერება. *რძის ფხვნილი. შაქრის ფხვნილი. სარეცხი ფხვნილი.*

ფხიანი *ფხიანის* 1. რასაც ბევრი ფხა (1, 2, 3) აქვს. *ფხიანი თევზი. ფხიანი ლობიო. ფხიანი ხორბალი.* 2. ფხის (4) მქონე, ბასრი. *ფხიანი ხმალი.* 3. ვისაც ფხა (5) აქვს, ყოჩაღი, მოხერხებული. *ფხიანი კაცი.*

ფხიზელი *ფხიზლის* 1. ვისაც ან რასაც არ სძინავს. *ფხიზელსაც ესმის და მძინარესაც.* 2. ვისაც ალკოჰოლი არ მიუღია, არ დამთვრალა. *ფხიზელი მასპინძელი.* 3. ფრთხილი, დაკვირვებული, ცქვიტი. *ფხიზელი დარაჯი. ფხიზელი ძაღლი.*

ფხიზლად ზმნზ. 1. ძილის გარეშე, დაუძინებლად. *მთელი ღამე ფხიზლად გაატარა.* 2. დათრობის გარეშე. *სტუმრები ფხიზლად იყვნენ.* 3. ყურადღებით, დაკვირვებით, ცოცხლად. *ფხიზლად ადევნებს თვალს.*

ფხიზლობა *ფხიზლობის* (ფხიზლობს) ფხიზლად ყოფნა. *მთელი ღამე იფხიზლა.*

ფხორვა *ფხორვის* (იფხორება) ↑ აფხორვა (1). *ინდაური იფხორება.*

ფხოჭნა *ფხოჭნის* (ფხოჭნის, იფხოჭნება) ↑ მოფხოჭნა. *კატა მიწას ფხოჭნის.*

ფხრაწაფხრუწი *ფხრაწაფხრუწის* ფხრენის ხმა.

ფხრენა *ფხრენის* (ფხრენს, იფხრენს, იფხრინება, ეფხრინება) ქსოვილის, ქაღალდისა და მისთ. ერთბაშად, სწრაფად ხევა სპეციფიკური ხმის გამოცემით. *ფხრენის ხმა. გაზეთს ფხრენს.*

ფხუკიანი *ფხუკიანის* 1. ვინც ადვილად, გაუგებრად ბრაზდება. *ფხუკიანი რძალი.* 2. რაც ადვილად ფრთხება, ურჩობს. *ფხუკიანი ცხენი.*

ფხუკუნი *ფხუკუნის* (ფხუკუნებს) ჩუმი, თავშეკავებული სიცილი. *გოგოები ფხუკუნებენ. ფხუკუნი აუტყდა.*

# – ქ –

**ქაბაბი** *ქაბაბის* მოგრძო გუნდებად შემწვარი, ხახვითა და სანელებლებით შეზავებული ძალიან წვრილად დაჭრილი ხორცი. *ქაბაბი ლავაშში გაახვია.*

**ქადა** *ქადის* ნამცხვარი, რომელსაც ცხიმში ასრესილი მოხალული ფქვილის გული (4) აქვს. *ქადა გამოაცხო.*

**ქადაგება** *ქადაგების* (ქადაგებს, უქადაგებს) 1. მოძღვრის მიერ ეკლესიაში წარმოთქმული დამრიგებლური ხასიათის სიტყვა, რომელიც შეიცავს რელიგიურ განმარტებებს. *ქადაგებას უსმენს. მღვდელი ქადაგებს.* 2. გადატ. ამა თუ იმ აზრის, იდეის ხალხში გავრცელება. *ახალ თეორიას ქადაგებს.*

**ქადაგი** *ქადაგის* ხატის მსახური, რომელიც რელიგიურ რიტუალს ასრულებს და ხატის ნებას ხალხს აუწყებს. *ქადაგმა ხალხს მიმართა.* ⊙ **ქადაგად დაეცა, ქადაგად დავარდა** ბევრს ლაპარაკობს.

**ქადება** *ქადების* (უქადის, ექადება) 1. მუქარა, ქადილი. *მე ზობლებს ექადება.* 2. შეპირება, წინასწარ რაიმეზე მინიშნება. *რას გვიქადის მომავალი?*

**ქადილი** *ქადილის* (იქადის) 1. კვეხნა, ტრაბახი. *ტყუილი ქადილი იცის.* 2. იგივეა, რაც მუქარა. *ქადილით ელაპარაკება.*

**ქავილი** *ქავილის* (ექავება) კანის გაღიზიანებით გამოწვეული უსიამოვნო შეგრძნება, რომელსაც ახლავს ფხანის მოთხოვნილება. *ყურის ქავილი. ფეხი ექავება.*

**ქათამი** *ქათმის* საშუალო ზომის შინაური ფრინველი. *ქათამი კაკანებს.*

ქათამი



**ქათიბი** *ქათიბის* ქალისა და კაცის ძველებური გარე ჩოხისნაირი ტანსაცმელი.

**ქათინაური** *ქათინაურის* ვინმეს მიმართ თქმული ქება, მონონების გამომხატველი სიტყვა, კომპლიმენტი. *ქათინაურებით აავსო. ქათინაური უთხრა.*

**ქათმისკუჭა** *ქათმისკუჭას* ერთწლოვანი ბალახოვანი მცენარე, ხმარობენ მხლად.

**ქათქათა** *ქათქათას* ძალიან თეთრი, ძალიან სუფთა. *ქათქათა სარეცხი. ქათქათა თოვლი.*

**ქათქათი** *ქათქათის* (ქათქათებს) თეთრად ელვარება, ბზინვა. *თეთრეული ქათქათებს. თოვლიანი მთები ქათქათებენ.*

**ქალა** *ქალის* ადამიანისა და ზოგი ხერხემლიანი ცხოველის თავის ჩონჩხი. *ქალის ძვლები. თავის ქალის დეფორმაცია.*

**ქალაბიჭა** *ქალაბიჭას* ბიჭური ბუნების, ქცევის მქონე გოგო. *ნამდვილი ქალაბიჭაა.*

**ქალამანი** *ქალამნის* დაუმუშავებელი ტყავის თასმებიანი ძველებური თვითნაკეთი ფეხსაცმელი. *ხარის ტყავის ქალამანი.*

ქალამანი

**ქალაქგარეთ** ზმნზ. ქალაქიდან გარეთ, ქალაქიდან მოცილებით. *ყოველ კვირას ქალაქგარეთ გადიან.*

**ქალაქელი** *ქალაქელის* ვინც ქალაქში ცხოვრობს. *ქალაქელი კაცი.*

**ქალაქი** *ქალაქის* 1. დიდი დასახლება, გარკვეული ტერიტორიის ადმინისტრაციული, სამრეწველო, სავაჭრო და კულტურული ცენტრი. *დასახლება ქალაქად იქცა. ქალაქში გადასახლდნენ.* 2. გარკვეული დანიშნულებით გაერთიანებული შენობების ჯგუფი, დასახლება. *სტუდენტთა ქალაქი. ბავშვთა ქალაქი.* 3. გადატ. ქალაქში მცხოვრები ხალხი, იქაური მოსახლეობა. *მთელი ქალაქი ფეხზე დადგა. ქალაქმა გაიგო.*

**ქალაქური** *ქალაქურის* რაც ქალაქსა და ქალაქელებს ახასიათებს, ქალაქში შექმნილი, ჩამოყალიბებული. *ქალაქური წესები. ქალაქური ფოლკლორი.*

**ქალაღაია** *ქალაღაიის* ქალის აბრეშუმის თავსაფარი. *ფერადი ქალაღაია.*

**ქალაჩუნა** *ქალაჩუნას* ქალური ბუნების, ქალური ქცევების მქონე (კაცი, ბიჭი). *ქალაჩუნა ყმაწვილი.*

**ქალბატონი** *ქალბატონის* 1. პატივისცემის გამომხატველი სიტყვა, რომელიც გამოიყენება ქალის მიმართ (ძირითადად, საკუთარ სახელთან ერთად). *ქალბატონი ელენე მობრძანდა. ქალბატონო თამარ! ქალბატონებო და ბატონებო!* 2. ბატონის (2) მეუღლე ბატონყმობის დროს. *მსახურებს*

*ბატონი უფრო უყვარდათ, ვიდრე ქალბატონი.*

**ქალ-ვაჟი** *ქალ-ვაჟის* ქალი და ვაჟი. *ქალ-ვაჟი ჰყავს.*

**ქალთევზა** *ქალთევზას* მითიური არსება, რომელიც ბინადრობს წყალში, აქვს ქალის თავი და თევზის ტანი.

**ქალი** *ქალის* 1. მდედრობითი სქესის ადამიანი. *ლამაზი ქალი. ახალგაზრდა ქალი.* 2. მდედრობითი სქესის შვილი, ასული. *ქალი შეეძინათ თუ ვაჟი?*

**ქალიშვილი** *ქალიშვილის* 1. ახალგაზრდა ქალი. *მომხიბლავი ქალიშვილი.* 2. მდედრობითი სქესის შვილი. *ერთი ვაჟი და ორი ქალიშვილი ჰყავთ.*

**ქალობა** *ქალობის* (ქალობს) ქალად ყოფნა, ქალივით ქცევა. *გოგონა უკვე ქალობს.*

**ქალ-რძალი** *ქალ-რძლის* ერთი ოჯახის ან ერთი სოფლის სხვადასხვა ასაკის ქალები ერთად.

**ქალ-სიძე** *ქალ-სიძის* ქალიშვილი და მისი ქმარი (მშობლებისთვის). *ქალ-სიძე ესტუმრა.*

**ქალური** *ქალურის* ქალის დამახასიათებელი, შესაფერისი. *ქალური ქცევა. ქალური სილამაზე.* ▲ **ქალურად** ზმნზ. ქალის შესაფერისად, ქალივით. *ქალურად გამოეწყო.*

**ქალურობა** *ქალურობის* ქალური სინაზე, ქალური მომხიბლაობა. *ქალურობა შვენის.*

**ქალღმერთი** *ქალღმერთის* ანტიკული ან წარმართული დროის მდედრობითი სქესის ღმერთი. *ნადირობის ქალღმერთი. სიბრძნის ქალღმერთი.*

**ქალწულებრივი** *ქალწულებრივის* ნიგნ. ქალწულის დამახასიათებელი. *ქალწულებრივი სიმორცხვე. ქალწულებრივი კდემამოსილება.*

**ქალწული** *ქალწულის* 1. გასათხოვარი, უმანკო ქალი. *ქალწულივით მორცხვი.* 2. ზოდიაქოს ნიშანი.

**ქამა** *ქამის* იგივეა, რაც ქამასკო.

**ქამანდი** *ქამანდის* ცხოველის დასაჭერი ყულფიანი თოკი. *ქამანდი მოსდო.*


ქამანდი

**ქამანი** *ქამანის* 1. მჭედლის, ხარატის ან დურგლის იარაღი – ბურღის სატრიალებელი ჯოხი. 2. ზოგიერთი სიმებიანი საკრავის ასაყღერებელი მოწყობილობა – ხემი.

**ქამანჩა** *ქამანჩის* აღმოსავლური სიმებიანი საკრავი, აყღერებენ ხემით. *ქამანჩის ხმა.*

**ქამარი** *ქამრის* სხვადასხვა მასალის გრძელი და ვიწრო ზონარი წელზე შემოსარტყმელად. *ვერცხლის ქამარი. ბალთიანი ქამარი.*

**ქამარ-ხანჯალი** *ქამარ-ხანჯლის* მამაკაცის მორთულობის ნაწილი – ქამარი და ხანჯალი. *ვერცხლის ქამარ-ხანჯალი.*

**ქამასკო** *ქამასკოს* ფართოდ გავრცელებული საჭმელი სოკო. *სათბურის ქამასკო.*

**ქამელეონი** *ქამელეონის* ხვლიკის მსგავსი ქვეწარმავალი, რომელიც გარემო პირობების მიხედვით ფერს იცვლის.

**ქანაობა** *ქანაობის* (ქანაობს, აქანავებს) თავისუფლად დაკიდებულის რიტმული რხევა, იქით-აქეთ მოძრაობა. *თოკი ჰაერში ქანაობს. გოგო საქანელაზე ქანაობს.*

**ქანდაკება** *ქანდაკების* ხელოვნების ნაწარმოები – სხვადასხვა მასალისგან (თიხისგან, ქვისგან, ხისგან, ლითონისგან და მისთ.) გამოძერწილი, გამოთლილი ან ჩამოსხმული ფიგურა. = სკულპტურა. *მარმარილოს ქანდაკება. დავით აღმაშენებლის ქანდაკება.*

**ქანდარა** *ქანდარის* ჰორიზონტალურად გადებული ხარიხა ფრინველის დასაჯდომად. *მამალი ქანდარაზე ზის.*

**ქანი**[1] *ქანის* დედამიწის ქერქის შრე, რომელიც მინერალებს შეიცავს. *უძველესი წარმოშობის ქანები.*

**ქანი**[2] *ქანის* ქართული ანბანის ოცდამეორე ასოს (ქ-ს) სახელწოდება.

**ქანქარა** *ქანქარას* 1. რკინისღეროიანი მძიმე საგანი, რომელიც ერთი ბოლოთი დამაგრებულია რაიმეზე და აქეთ-იქით ქანაობს. 2. პატარა ბორბალი, რომელიც თანაბარი მოძრაობით საათის მუშაობას აწესრიგებს. *კედლის საათის ქანქარა.* ■ **ქანქარიანი** რასაც ქანქარა აქვს. *ქანქარიანი მექანიზმი. ქანქარიანი სასწორი.*

**ქანქარი** *ქანქარის* (ქანქარებს) რხევა, ქანაობა. *ისარი ქანქარებს.*

**ქანჩი** *ქანჩის* ჭანჭიკის მოსაჭერი, მრავალწახნაგიანი ლითონის საგანი, რომელსაც აქვს ხრახნიანი ღერო. *საბურავის მოსახსნელი ქანჩი.*

ქანჩი

**ქანცგამოლეული** *ქანცგამოლეულის* ძალიან დაღლილი, ენერგიისგან დაცლილი. *ქანცგამოლეული ცხენი.*

**ქანცგამოცლილი** *ქანცგამოცლილის* იგივეა, რაც ქანცგამოლეული. *სირბილისგან ქანცგამოცლილი.*

**ქანცგაწყვეტილი** *ქანცგაწყვეტილის* ძალიან დაღლილი, ძალაგამოცლილი, ქანცგამოლეული. *ქანცგაწყვეტილი ძირს დაეცა.*

**ქანცი** *ქანცის* ძალა, ღონე. *ქანცი გამოელია. ქანცი აღარ აქვს.* ⊙ **ქანცი გაუწყდა** ძალიან დაიღალა.

**ქაოსი** *ქაოსის* არეულობა, სრული უწესრიგობა. *ქაოსი სუფევს.*

**ქაოსური** *ქაოსურის* არეულ-დარეული, მოუწესრიგებელი. *ქაოსური მდგომარეობა.* ▲ **ქაოსურად** ზმნზ. არეულ-დარეულად, უსისტემოდ. *ქაოსურად მოძრაობენ.* შეცდომაა ქაოტური

ქარაგმა *ქარაგმის* 1. სიტყვის შემოკლების ნიშანი ძველ ხელნაწერებში. *ქარაგმებით წერს.* 2. გადატ. არაპირდაპირ ნათქვამი, რომლის მნიშვნელობასაც უნდა მიხვდნენ. *ქარაგმებით ლაპარაკობს.*

ქარაგმული *ქარაგმულის* ორაზროვანი, გადაკრული. *ქარაგმული საუბარი.*

ქარავანი *ქარავნის* 1. მწკრივად მიმავალი ტვირთის გადამზიდი ცხოველები (აქლემები, ცხენები) ან მექანიკური სატვირთო-სატრანსპორტო საშუალებები ერთად. *აქლემების ქარავანი. გემების ქარავანი. კონტეინერების ქარავანი.* 2. ერთი სახეობის ფრინველების, ცხოველების მწკრივად მიმავალი ჯგუფი. *წეროების ქარავანი. თევზების ქარავანი.*

ქარაფი *ქარაფის* მაღალი კლდე უფსკრულის პირას. *ქარაფიდან გადასძახა.*

ქარაფშუტა *ქარაფშუტას* არასერიოზული, დაუფიქრებელი, განსჯის უნარს მოკლებული. *ქარაფშუტა ქალი.*

ქარაქუცა *ქარაქუცას* ქარაფშუტა, ცერცეტი. *ჩემი ქარაქუცა თანამშრომელი.*

ქარაშოტი *ქარაშოტის* უცბად ამოვარდნილი ძლიერი ქარი და წვიმა. *ღამით ქარაშოტი ატყდა.*

ქარაძენძი *ქარაძენძის* დაბალი ბალახოვანი მცენარე, აქვს მონაცრისფრო-მწვანე ფოთლები და ლურჯი ან ცისფერი ყვავილები, იზრდება კლდოვანსა და მშრალ ფერდობებზე.

ქარბუქი *ქარბუქის* თოვანარევი ქარი. *ქარბუქი ატყდა.*

ქარგა *ქარგის* 1. მოსაქარგი ქსოვილის გადასაჭიმი მრგვალი ან ოთხკუთხა ჩარჩო. *ქარგაზე ქსოვილი გადაჭიმეს.* 2. გადატ. მხატვრული ნაწარმოების ძირითადი ამბავი. *სიუჟეტური ქარგა.*

ქარგამძლე *ქარგამძლის* რაც ქარს უძლებს. *ქარგამძლე ნაგებობა.*

ქარგვა *ქარგვის* (ქარგავს, აქარგავს, იქარგავს, უქარგავს, იქარგება, აქარგვინებს) ↑ მოქარგვა. *ტილოზე ქარგავს.*

ქარვა *ქარვის* ყვითელი ან მოწითალო ფერის ორგანული წარმოშობის მინერალი, რომელიც ადვილად მუშავდება, გამოიყენება სამკაულების დასამზადებლად. *ქარვის მძივი. ქარვის კრიალოსანი.*

ქარვასლა *ქარვასლის* 1. ვაჭრების და ქარავნის გასაჩერებელი, მგზავრების მისაღები სასტუმრო ძველად. *ქარვასლაში გაჩერდნენ.* 2. დიდი სავაჭრო სახლი მაღაზიებითა და საქონლის საწყობებით.

ქარვისფერი *ქარვისფრის* ღია მოყვითალო ფერი. *ქარვისფერი ყურძენი.*

ქარი *ქარის* ჰაერის ნაკადის მოძრაობა დედამიწის ზედაპირის პარალელურად. *ქარი ქრის. ქარი ჩადგა.* ◉ **თავში ქარი უქრის.** დაუფიქრებელია, არასერიოზულია. ◉ **ორპირი ქარი** ორი მოპირდაპირე მხრიდან შემოჭრილი ჰაერის ნაკადი. ◉ **ქარს გაატანს (ფულს, ქონებას)** (ფულს, ქონებას) გაფლანგავს.

ქარიანი *ქარიანის* რასაც ქარი ახლავს. *ქარიანი ღამე.*

ქარიზმა *ქარიზმის* ადამიანებზე ზემოქმედების, მათზე მნიშვნელოვანი გავლენის მოპოვების განსაკუთრებული უნარი. შეცდომაა ხარიზმა

ქარიზმატული *ქარიზმატულის* ქარიზმის მქონე. *ქარიზმატული პიროვნება. ქარიზმატული ქმედება.* შეცდომაა ხარიზმატული

ქარიზმული *ქარიზმულის* იგივეა, რაც ქარიზმატული. შეცდომაა ხარიზმული

ქარიყლაპია *ქარიყლაპიას* დიდი, მდორე მდინარეების მტაცებელი თევზი, იკვებება პატარა თევზებით. *ქარიყლაპია დაიჭირა.*

ქარიშხალა *ქარიშხალას* თოლიას მსგავსი ზღვის ფრინველი.

ქარიშხალი *ქარიშხლის* წვიმანარევი ძლიერი ქარი. *ქარიშხალი ამოვარდა.*

ქარიშხლიანი *ქარიშხლიანის* 1. რასაც ქარიშხალი ახლავს. *ქარიშხლიანი დღე.* 2. გადატ. წინააღმდეგობებით აღსავსე. *ქარიშხლიანი ცხოვრება.*

ქარსალა *ქარსალის* ქაშაყის მსგავსი ზღვის ნერწყლი თევზი.

ქარსაცავი *ქარსაცავის* ქარისგან დამცავი. ◉ **ქარსაცავი ზოლი** სპეციალურად გაშენებული ხის ნარგავების ზოლი, რომელიც იცავს სასოფლო-სამეურნეო ნათესებს ქარისგან.

ქარტეხილი *ქარტეხილის* 1. ძალიან ძლიერი ქარი. *ქარტეხილი ატყდა.* 2. გადატ. დიდი განსაცდელი, სიძნელეები. *მრავალ ქარტეხილს გაუძლო.*

ქარტია *ქარტიის* სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური მნიშვნელობის ზოგიერთი დოკუმენტის სახელწოდება. *თავისუფლების ქარტია.*

ქარქაში *ქარქაშის* ცივი იარაღის (ხმლის, ხანჯლისა და მისთ.) ბუდე. *ხმალი ქარქაშში ჩააგო.*

ქარქაში

ქარხანა *ქარხნის* საწარმო, სადაც ნედლეულის მექანიკური გადამუშავებით პროდუქციას აწარმოებენ. *ქარხანაში მუშაობს. მეტალურგიული ქარხანა.*

ქარხნული *ქარხნულის* ქარხანაში დამზადებული. *ქარხნული პროდუქცია.*

ქატო *ქატოს* ფქვილის გაცრისას საცერში დარჩენილი მასა. *ქატოს სალაფავი.*

ქაფი *ქაფის* 1. ბუშტუკებიანი მასა, რომელიც წარმოიქმნება წყლის ზედაპირზე ძლიერი ნჯღრევის

ან დუღილის დროს. *ზღვის ქაფი. ქაფი მოიგდო.* 2. საპნის ან სხვა სარეცხი საშუალებების წყალთან შერევით წარმოქმნილი ჰაეროვანი თეთრი მასა. *შამპუნის ქაფი.* ■ ქაფიანი რასაც ქაფი აქვს. *ქაფიანი წყალი.*

ქაფური *ქაფურის* მძაფრი სუნის მქონე, ადვილად აქროლადი უფერული ნივთიერება, გამოიყენება სამკურნალოდ. *ქაფურის ზეთი.*

ქაფქაფა *ქაფქაფას* ძალიან ცხელი, მდუღარე. *ქაფქაფა ჩაი.*

ქაფქაფი *ქაფქაფის* (ქაფქაფებს) სითხის ძლიერი დუღილი ბუშტების სკდომით. *წყალი ქაფქაფებს. ქაფქაფი დაიწყო.*

ქაფქირი *ქაფქირის* დახვრეტილი დიდი კოვზი მოხარშული საჭმლის მშრალად ამოსაღებად. *ალუმინის ქაფქირი. ქაფქირით ხინკალს იღებს.*


ქაფქირი

ქაფშია *ქაფშიის* ზღვის წვრილი თევზი, აქვს დიდი სარენაო მნიშვნელობა. *ქაფშია დაიჭირა.*

ქაქანი *ქაქანის* (ქაქანებს, ექაქანება) 1. ჩქარი, პირღია სუნთქვისას გამოცემული ხმა (ჩვეულებრივ, დაღლილობისას ან ძლიერი სიცხისას). *ძაღლი ქაქანებს. ქაქანით ამოიარა აღმართი.* 2. გაუჩერებლად, მომაბეზრებლად ლაპარაკი. *მე ზობლებთან ქაქანებს. ბევრი იქაქანა.*

ქაღალდი *ქაღალდის* ხის ბოჭკოსგან დამზადებული მასალა, რომელსაც იყენებენ საწერად, სახატავად, საბეჭდად და მისთ. *ფერადი ქაღალდი. ქაღალდის ფურცელი.*

ქაშა *ქაშას* ტკბილი და ფშვნადი (ხილი). *ქაშა ვაშლი. ქაშა მსხალი.*

ქაშაყი *ქაშაყის* ზღვის პატარა თევზი, აქვს დიდი სარეწაო მნიშვნელობა. *დამარილებული ქაშაყი. შებოლილი ქაშაყი.*

ქაჩალი *ქაჩლის* იგივეა, რაც მელოტი. *ძმა ქაჩალი ჰყავდა.*

ქაჩვა *ქაჩვის* (ქაჩავს, იქაჩება) დიდი რაოდენობით სითხის ამოღება სპეციალური დანადგარით და ამა თუ იმ მიმართულებით გაშვება. *ნავთობს ქაჩავენ. წყალს ქაჩავენ.*

ქაცვი *ქაცვის* 1. წვრილი, კურკიანი, ყვითელი ხილი, გამოიყენება სამკურნალოდ. *ქაცვის წვენი.* 2. ეკლიანი ბუჩქი, რომელიც ისხამს ქაცვს (1). აქვს პატარა, ვიწრო ფოთლები.

ქაჯი *ქაჯის* 1. უხორცო არსება, ავსული. *ქაჯებმა დაატყვევეს.* 2. ჟარგ. ბრიყვი, გაუნათლებელი, უგუნური (ადამიანი). *ვინ არის ეს ქაჯი?!*

ქება *ქების* (აქებს, იქებს, უქებს, იქება) ↑ შექება. *ქება დაიმსახურა. ბავშვს აქებენ. თავს იქებს.*

ქება-დიდება *ქება-დიდების* გადაჭარბებული, გაუთავებელი ქება. *ქება-დიდებას იმსახურებს.*

ქებული *ქებულის* ვისი ქებაც ყველგან ისმის, საქები. *ქებული მკურნალი. ქებული კაცი.*

ქედანი *ქედნის* გარეული მტრედის სახეობა. *ქედნების გუნდი. ქედნის ღუღუნი.*

ქედი *ქედის* 1. წაგრძელებული მთა. *თოვლიანი ქედები.* 2. ერთიმეორესთან დაკავშირებული მთების სისტემა. *კავკასიონის ქედი.* 3. გამწევი საქონლის (ხარის, კამეჩის) კისერი, უღლის დასადები ადგილი. *ხარს ქედზე უღელი დაადგეს.* ⊙ ქედს მოიდრეკს/ქედს მოიხრის სრულ მორჩილებას, ღრმა პატივისცემას გამოხატავს.

ქედმაღალი *ქედმაღლის* ამპარტავანი, თავისი ღირსების გადაჭარბებით შემფასებელი. *ქედმაღალი ჩემპიონი.*

ქედმაღლური *ქედმაღლურის* ქედმაღლის დამახასიათებელი. *ქედმაღლური დამოკიდებულება. ქედმაღლური მზერა.* ▲ ქედმაღლურად ზმნზ. ამპარტავნულად, საკუთარი ღირსების ზედმეტად ნარმოჩენით. *ქედმაღლურად ეპყრობა.*

ქედმოუდრეკელი *ქედმოუდრეკლის* იგივეა, რაც ქედმოუხრელი. *ქედმოუდრეკელი ერი.*

ქედმოუხრელი *ქედმოუხრელის* შეუპოვარი, გაუტეხელი, დაუმორჩილებელი. *ქედმოუხრელი ხალხი.* ▲ ქედმოუხრელად ზმნზ. შეუპოვრად, მტკიცედ. *ქედმოუხრელად აღასრულებდა თავის მისიას.*

ქედუხრელი *ქედუხრელის* იგივეა, რაც ქედმოუხრელი. *ქედუხრელი რაინდი.*

ქეიფი *ქეიფის* (ქეიფობს, აქეიფებს) ბევრი ადამიანის ერთად პურის ჭამა და ღვინის სმა, რომელსაც თან ახლავს მხიარულება, სიმღერა, ცეკვა-თამაში. *ქეიფი გაჩაღდა. ახალგა ზრდები ქეიფობენ.*

ქეიფობა *ქეიფობის* (ქეიფობს, აქეიფებს) იგივეა, რაც ქეიფი. *ქეიფობა გამართეს. სეფაში ქეიფობენ.*

ქელეხი *ქელეხის* მიცვალებულის მოსახსენებლად გამართული სუფრა (2) დაკრძალვის დღეს. *ქელეხში ვიყავით.*

ქელვა *ქელვის* (ქელავს, იქელება) ↑ გადაქელვა. *ნახირი ყანას ქელავს.*

ქენჯნა *ქენჯნის* (ქენჯნის) ⊙ სინდისის ქენჯნა შინაგანი სულიერი ტანჯვა, წუხილი, მოუსვენრობა ჩადენილი საქციელის გამო.

ქერა *ქერას* 1. ღია ფერის, მოყვითალო (თმა). *ქერა კულულები.* 2. ვისაც ქერა (1) თმა აქვს. *ქერა ბიჭი. ქერა ქალი.*

ქერეჭი *ქერეჭის* 1. იგივეა, რაც ქერცლი. *ქერეჭი დანით გააცალა.* 2. იგივეა, რაც ქერქი (1). *მუხის ქერეჭი.*

ქერი *ქერის* თავთავიანი პურეული მცენარე, აქვს ფხიანი თავთავი და კილგადაკრული მარცვლები,

იხმარება ცხოველების (ზოგჯერ ადამიანების) საკვებად და ლუდის დასამზადებლად. *ქერის პური.*

**ქერიფქლა** *ქერიფქლას* ორ- ან მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარე, აქვს ბუსუსებით დაფარული მსხვილი ღერო, იკეთებს ყვითელ ყვავილებს, გამოიყენება სამკურნალოდ. *ქერიფქლას ჩაი.*

**ქერტლი** *ქერტლის* კანის რქოვანი უჯრედებისა და კანის ცხიმის წვრილი ნაწილაკები, რომლებიც გროვდება თავზე, თმის ძირებთან და იქერცლება. *ქერტლი გაუჩნდა.* ▪ **ქერტლიანი** ქერტლის მქონე. *ქერტლიანი თმა.*

**ქერუბიმი** *ქერუბიმის* ანგელოზთა ერთ-ერთი დასის უმაღლეს საფეხურზე მყოფი ანგელოზი. *ფრესკაზე გამოსახული ქერუბიმები.*

**ქერქეტა** *ქერქეტას* არასერიოზული, თავქარიანი. *ქერქეტა ბიჭი.*

**ქერქეჭანა** *ქერქეჭანის* ზოგი მცენარის ქერქის უხეში ზედაპირი.

**ქერქი** *ქერქის* I. მცენარის (ხის ან ბუჩქის) გარეთა, ადვილად ასაცლელი ფენა. *მუხის ქერქი.* 2. ზოგიერთი ხილის ან საკვები პროდუქტის გარეთა გამაგრებული ფენა. *საზამთროს ქერქი. პურის ქერქი.*

**ქერცვლა** *ქერცვლის* (იქერცლება, ექერცლება) ↑ აქერცვლა. *კანი ექერცლება.*

**ქერცლი** *ქერცლის* რქოვანი ან ძვლოვანი სახის თხელი ფირფიტები თევზების, ქვეწარმავლების, მწერების სხეულზე, ფრინველის ფეხებზე და ზოგიერთი ძუძუმწოვარა ცხოველის კანსა და კუდზე. *პრიალა ქერცლები.* ▪ **ქერცლიანი** ქერცლის მქონე, ქერცლით დაფარული. *ქერცლიანი კანი.*

**ქესატი** *ქესატის* საუბრ. უქონელი, უფულო. *ქესატი კაცი.*

**ქექვა** *ქექვის* (ქექავს, იქექავს, იქექება) ნაცრის, მიწის, თოვლისა და მისთ. ოდნავ აქეთ-იქით ყრა, შლა. *ნაცრის ქექვა. ნაგავს ქექავს.*

**ქეჩა** *ქეჩის* სქელი ნაბადი (1). *ქეჩის ჩექმები.*

**ქეჩო** *ქეჩოს* I. ცხოველის კისრისა და თავის შესაყარი. *ქეჩოში დასწვდა.* 2. საუბრ. ადამიანის კისერი. *ქეჩოზე წამოარტყა.*

**ქეცი** *ქეცის* კანის გადამდები დაავადება, რომლისთვისაც დამახასიათებელია კანის აქერცვლა და თმის ცვენა. *ქეცი გაუჩნდა.*

**ქეციანი** *ქეციანის* I. ვისაც ქეცი სჭირს. *ქეციანი ბიო. ქეციანი თხა.* 2. საუბრ. გადატ. უვარგისი. *ვის სჭირდება შენი ქეციანი ცხენი!*

**ქვა** *ქვის* სხვადასხვა ფორმისა და ზომის მაგარი ქანი. *სიპი ქვა. საფლავის ქვა. წისქვილის ქვა. ქვის სროლა.* ▪ **ქვიანი** ქვებით დაფარული. *ქვიანი ნაპირი.* ⊙ **ქვას გახეთქ(ავ)ს** უტყუარი საბუთის მოტანით ნათქვამს დიდ ძალას შესძენს. ⊙ **ქვის გული აქვს** ულმობელია, შეუბრალებელია.

ქვაბი

**ქვაბი** *ქვაბის* ლითონის მაღალკედლებიანი ღრმა ჭურჭელი, გამოიყენება საჭმლის მოსახარშად. *სახინკლე ქვაბი. ალუმინის ქვაბი.*

**ქვაბული** *ქვაბულის* ხელოვნური თხრილი, ამოღრმავებული ადგილი ნაგებობის საძირკვლისთვის. *ღრმა ქვაბული.*

**ქვაკუთხედი** *ქვაკუთხედის* I. შენობის საძირკველში სიმაგრისთვის ჩატანებული კუთხის ქვა. 2. გადატ. რაიმეს საფუძველი, ძირითადი იდეა. *სახელმწიფოს შენების ქვაკუთხედი.*

**ქვამარილი** *ქვამარილის* დანალექი ქანი, რომელიც დიდი რაოდენობით სუფრის მარილს შეიცავს. *ქვამარილის ლოდი. ქვამარილი ალოკა.*

**ქვანახშირი** *ქვანახშირის* მცენარეული წარმოშობის საწვავი წიაღისეული. *ქვანახშირის საბადო.*

**ქვაპურა** *ქვაპურას* ერთწლოვანი ბალახოვანი მცენარე, აქვს ყვითელი ყვავილები, იზრდება პურეულის ნათესებში, გამოიყენება საქონლის საკვებად.

**ქვასანაყი** *ქვასანაყის* სპეციალური ქვა, რომლითაც როდინში საკაზმს ნაყავენ.

**ქვაფენილი** *ქვაფენილის* ქვების წყობით გაკეთებული გზის საფარი. *ქვაფენილი დააგეს.*

**ქვაწვია** *ქვაწვიას* ძუნწი, გაუმეტებელი. *ქვაწვია მე ზობელი.*

**ქვებუდანი** *ქვებუდანის* ქვეშქვეშა, გაიძვერა. *ქვებუდანი კაცი.*

**ქვეგანაყოფი** *ქვეგანაყოფის* იგივეა, რაც ქვედანაყოფი. *მოიერიშეთა ქვეგანაყოფი.*

**ქვედა** *ქვედას* ქვევით მდებარე, არსებული. *ქვედა სართული. ქვედა კიდე.* ↔ **ზედა.**

**ქვედანაყოფი** *ქვედანაყოფის* სამხედრო ერთეული, რომელიც შედის უფრო მსხვილი ერთეულის შემადგენლობაში. *საბრძოლო ქვედანაყოფი.*

**ქვევით** ზმნზ. ქვედა მხარეს, დაბლა. *ქვევით დაიხედე! ქვევით ჩამოდი!* ↔ **ზევით.**

**ქვევითა** *ქვევითას* ქვევით მდებარე, არსებული, ქვედა. *ქვევითა ნაწილი.*


ქვევრი

**ქვევრი** *ქვევრის* ღვინის შესანახი თიხის დიდი ჭურჭელი, რომელიც მიწაშია დაფლული. *ძველი ქვევრი.*

**ქვეითი** *ქვეითის* ფეხით მავალი. *ქვეითი მგ ზავრი. ქვეითი ჯარი.* ▲ **ქვეითად** ზმნზ. ფეხით, ტრანსპორტის გარეშე. *ქვეითად მოსიარულე.*

**ქველი** *ქველის* სხვისი შემწე, მოწყალე, კეთილი. *ქველი ხელმწიფე.*

ქველმოქმედება *ქველმოქმედების* გარკვეული საქმისთვის, გაჭირვებულებისთვის და მისთ. მატერიალური დახმარების გაწევა, უანგაროდ რაიმეს გაღება. *ქველმოქმედებას იჩენს. ქველმოქმედების მიზნით.*

ქველმოქმედი *ქველმოქმედის* ქველმოქმედების ჩამდენი. *ქველმოქმედი კაცი.*

ქველობა *ქველობის* კეთილი საქმის კეთება, როცა ვინმე კარგ საქმეს ახმარს თავის შესაძლებლობებს. *ქველობას ჩაიდენს.*

ქვემდგომი *ქვემდგომის* თანამდებობრივად ან ადმინისტრაციულად სხვაზე უმცროსი, დაქვემდებარებული. *ქვემდგომი მოხელე. ქვემდგომი საარჩევნო კომისია.*

ქვემდებარე *ქვემდებარის* გრამატ. წინადადების მთავარი წევრი, აღნიშნავს პირს, რომელიც მოქმედებს ან რომელსაც მოქმედება მიეწერება.

ქვემეხი *ქვემეხის* ჭურვის სატყორცნი მსხვილკალიბრიანი საარტილერიო იარაღის (ზარბაზნის, ნაღმსატყორცნისა და მისთ...) საერთო სახელწოდება. *ქვემეხის ცეცხლი. ქვემეხის ზალპი.*

ქვემო *ქვემოს* ქვედა მხარეს არსებული, მყოფი. *ქვემო ქართლი.*

ქვემოთ ზმნზ. 1. იგივეა, რაც ქვევით. *ქვემოთ ჩამოდი! ქვემოთ დასხდნენ.* ↔ ზემოთ. 2. თანდ. ფუნქც. (+ ნათ.) რაიმეს ქვევითა მხარეს. *ოთახის ქვემოთ სარდაფი იყო.*

ქვემოთა *ქვემოთას* ქვემოთ, დაბლა მდებარე, მოთავსებული, მყოფი. *ქვემოთა ქუჩა. ქვემოთა უჯრა.* ↔ ზემოთა.

ქვემოური *ქვემოურის* ქვედა მხარის, კუთხისა და მისთ. წარმომადგენელი, კუთვნილი, დამახასიათებელი. *ქვემოური ქალები. ქვემოურებმა გვაჯობეს. ქვემოური ლაპარაკი.*

ქვემძრომი *ქვემძრომის* იგივეა, რაც ქვენარმავალი. *ქვემძრომი მომრავლდა.*

ქვენა *ქვენას* I. ქვედა, ქვევითა. 2. გადატ. მდაბალი, უზნეო. *ქვენა გრძნობები. ქვენა აზრები.*

ქვესადგური *ქვესადგურის* მცირე სიმძლავრის ელექტრო- ან სატელეფონო სადგური. *ქვესადგური დაზიანდა. ქვესადგურის მორიგე.*

ქვესკნელი *ქვესკნელის* 1. ადამიანთა წარმოდგენით, დედამიწის სიღრმე, სადაც ბნელი და ბოროტი ძალები ბინადრობენ. *ქვესკნელში დაინთქა.* 2. იგივეა, რაც უფსკრული.

ქვეტექსტი *ქვეტექსტის* ნათქვამის, ტექსტის დაფარული, შინაგანი აზრი. *იოლად მისახვედრი ქვეტექსტი.*

ქვეყანა *ქვეყნის* I. ისტორიული, კულტურული, პოლიტიკური ნიშნით გამოყოფილი ტერიტორია. *განვითარებული ქვეყნები. ქვეყანაში არჩევნები ჩატარდა.* 2. დედამიწა, მსოფლიო. *მთელი ქვეყანა მოიარა.* 3. დედამიწაზე მცხოვრები ხალხი, ბევრი ადამიანის ერთობლიობა. *ქვეყანა მადლობას უხდის. ქვეყანას გააგებინა.* 4. საუბრ. გადატ. ძალიან ბევრი. *ქვეყნის საქმე გამოუჩნდა. ქვეყნის ხალხი მოვიდა.* ⊙ ამ ქვეყნისა აღარაა საუბრ. დიდხანს ეელარ იცოცხლებს. ⊙ ქვეყანაზე არავინ ჰყავს მარტოდმარტოა, ნათესავი არ ჰყავს, გვერდით არავინ უდგას. ⊙ ქვეყანას შეყრის ყველას გააგებინებს.

ქვეყნიერება *ქვეყნიერების* იგივეა, რაც ქვეყანა (1). *ქვეყნიერება გააოცა.*

ქვეყნიური *ქვეყნიურის* ამქვეყნიური, მიწიერი. *ქვეყნიური ზრახვები. ქვეყნიური ცოდვები.*

ქვეშ ზმნზ. 1. ქვევით და შიგნით. *ქვეშ შეძვრა.* 2. თანდ. ფუნქც. (+ ნათ.) რაიმეს ქვევით, ქვემოდან. *ბურთი კარადის ქვეშ შეგორდა.*

ქვეშაგები *ქვეშაგების* ლეიბი, საბანი და ბალიში ერთად. *სამზითვო ქვეშაგები.*

ქვეშევრდომი *ქვეშევრდომის* ძვ. პირი, რომელიც ემორჩილება ვინმეს და ასრულებს მის ბრძანებებს. *დირექტორის ქვეშევრდომი.*

ქვეშევრდომობა *ქვეშევრდომობის* რომელიმე სახელმწიფოს მოქალაქედ ყოფნა. *საფრანგეთის ქვეშევრდომობა მიიღო.*

ქვეშქვეშა *ქვეშქვეშას* ფარულად მავნებელი, ეშმაკი. *დიდი ქვეშქვეშა ვინმეა.*

ქვეცნობიერი *ქვეცნობიერის* ადამიანის შინაგანი, გაუცნობიერებელი, ბოლომდე გაუაზრებელი განცდები, გრძნობები, აზრები.

ქვეწარმავალი *ქვეწარმავლის* ხერხემლიანი ცხოველი, რომელიც მიწაზე ხოხვით გადაადგილდება. *შხამიანი ქვეწარმავლები.*

ქვითარი *ქვითრის* გადასახადის გადახდის დამადასტურებელი საბუთი. *ქვითარი გამოუწერა.*

ქვითინი *ქვითინის* (ქვითინებს, აქვითინებს) ხმამაღალი, უსიტყვო, გულამოსკვნილი ტირილი. *ქალი ქვითინებს.*

ქვითქვითი *ქვითქვითის* (ქვითქვითებს) იგივეა, რაც ქვითინი. *ქვითქვითი ისმოდა. გოგო ქვითქვითებდა.*

ქვირითი *ქვირითის* თევზების, მოლუსკების, ამფიბიებისა და წყლის სხვა ცხოველების წვრილი კვერცხები. *ქვირითი დაყარა.*

ქვირითობა *ქვირითობის* ქვირითის დაყრის დრო. *ქვირითობა იწყება.*

ქვისლი *ქვისლის* ცოლისდის ქმარი. *ქვისლთან იქეიფა.*

ქვიტკირი *ქვიტკირის* ქვისა და კირის დუღაბი. *ქვიტკირის სახლი.*

ქვიშა *ქვიშის* ქვის, კვარცის ან სხვა მინერალების წვრილი ნამსხვრევი. *მდინარის ქვიშა. ზღვის ქვიშა.*

ქვიშიანი *ქვიშიანის* ქვიშის შემცველი, ქვიშით დაფარული. *ქვიშიანი პლაჟი.*

ქვიშნარი *ქვიშნარის* ქვიშის შემცველი ნიადაგი.

ქვრივი *ქვრივის* ვისაც მეუღლე გარდაცვლილი ჰყავს. *ქვრივი კაცი.*

ქვრივ-ობოლი *ქვრივ-ობლის* შვილებიანი ქვრივი. *ქვრივ-ობოლი ქალი.*

ქვრივოხერი *ქვრივოხრის* ქვრივი ქალი, ვისაც შემწე, პატრონი არავინ ჰყავს. *ქვრივოხერი დარჩა.*

ქვრიმა *ქვრიმის* ფეტვის მსგავსი ერთწლოვანი მარცვლოვანი მცენარე.

ქივქივი *ქივქივის* (ქივქივებს) მოხდენილად, რხევით სირბილი.

ქილა *ქილის* ცილინდრის ფორმის ჭურჭელი, გამოიყენება პროდუქტების შესანახად. *კონსერვის ქილა. მინის ქილა. მაწვნის ქილა.*

ქილიკი *ქილიკის* (ქილიკობს, ექილიკება) მსუბუქი დაცინვის, დაფარული ირონიის შემცველი ხუმრობა, ოხუნჯობა. *ქილიკი დაუწყო.*

ქილიკობა *ქილიკობის* (ქილიკობს, ექილიკება) იგივეა, რაც ქილიკი. *ბიჭი ქილიკობს. ყველას ექილიკება.*

ქიმერა *ქიმერის* განუხორციელებელი, შეუძლებელი რამ.

ქიმერული *ქიმერულის* მოჩვენებითი, გამოგონილი. *ქიმერული აზრები.*

ქიმი *ქიმის* რაიმეს გამოშვერილი, უმეტესად წაწვეტებული ნაწილი. *ვარსკვლავის ქიმი. კლდის ქიმზე დადგა.*

ქიმია *ქიმიის* მეცნიერება, რომელიც შეისწავლის ნივთიერებათა შემადგენლობას, თვისებებსა და გარდაქმნის კანონზომიერებებს. *არაორგანული ქიმია.*

ქიმიკოსი *ქიმიკოსის* ქიმიის სპეციალისტი.

ქიმიური *ქიმიურის* ქიმიასთან დაკავშირებული. *ქიმიური ნაერთი. ქიმიური შედგენილობა.*

ქინდვრა *ქინდვრის* (ქინდრავს) ↑ ჩაქინდვრა. *ბიჭი თავს ქინდრავს.*

ქინქლა *ქინქლის* ძალიან პატარა მწერი. *ღვინის ქინქლა.*

ქინძარა *ქინძარას* ქინძის მსგავსი ერთწლოვანი ბალახოვანი სარეველა მცენარე, იკეთებს წვრილ, თეთრ ყვავილებს, იზრდება ნათესებში.

ქინძი *ქინძის* ფართოდ გავრცელებული მწვანილი, აქვს მრგვალი ნაყოფი, ფოთოლი და თესლი გამოიყენება სანელებლად. ■ ქინძიანი რასაც ქინძი აქვს. *ქინძიანი ლობიო.*

ქინძისთავი *ქინძისთავის* წვრილი, პატარა ლითონის ჩხირი, რომელსაც მრგვალი თავი და წვეტიანი ბოლო აქვს, იყენებენ ტანსაცმლის სამკაულად ან რაიმეს დასამაგრებლად. *ოქროს ქინძისთავი.*

ქირა *ქირის* საფასური სხვისი ნივთის, ბინის, მანქანისა და მისთ. დროებითი სარგებლობისთვის. *ქირა გადაუხადა. ბინის ქირა.*

ქირავნობა *ქირავნობის* იგივეა, რაც ქირაობა. *ქირავნობის საბუთი.*

ქირაობა *ქირაობის* (ქირაობს) რაიმე ნივთის, საგნის ან ნაგებობის დროებით სხვის საკუთრებაში გადაცემა ქირის სანაცვლოდ. *ოთახს ქირაობს. ცხენი იქირავა.*

ქირდვა *ქირდვის* (ქირდავს) ვინმეზე ცუდის თქმა, ვინმეს დაცინვა, გაკიცხვა. *ქირდვა უყვარს. ამხანაგებს ქირდავს.*

ქირომანტია *ქირომანტიის* წინასწარმეტყველება, მკითხაობა ხელის გულის ხაზების მიხედვით. *ქირომანტიამ გაიტაცა.* შეცდომაა ხირომანტია

ქირურგი *ქირურგის* ექიმი, ქირურგიის სპეციალისტი. *ქირურგის ასისტენტი.*

ქირურგია *ქირურგიის* მედიცინის დარგი, რომელიც შეისწავლის დაავადებათა ოპერაციული გზით მკურნალობის მეთოდებს. ■ ქირურგიული ქირურგიასთან დაკავშირებული. *ქირურგიული განყოფილება. ქირურგიული ჩარევა.*

ქირქილი *ქირქილის* (ქირქილებს) 1. ჩუმი სიცილი. *თავისთვის ქირქილებს.* 2. გადატ. დამცინავი, ფარული ლაპარაკი, დაუსაბუთებელი გაკიცხვა ვინმესი ან რაიმესი. *ამ ამბავ ზე ქირქილებენ.*

ქისა *ქისის* 1. სხვადასხვა მასალისგან (ქსოვილისგან, ტყავისგან და მისთ.) დამზადებული პატარა პარკი ფულის ან სხვა წვრილმანი ნივთების შესანახად. *ნაქარგი ქისა. თუთუნის ქისა.* 2. ტანის გასახეხი უთითო ხელთათმანი.

ქისა

ქიში *ქიშის* მდგომარეობა ჭადრაკში, როდესაც მეფეს მოწინააღმდეგის რომელიმე ფიგურით თავდასხმა ელის. *ქიში გამოუცხადა.*

ქიშმირი *ქიშმირის* წმინდა მატყლისგან დამზადებული რბილი ქსოვილი. *ქიშმირის საკაბე. ქიშმირის თავშალი* შეცდომაა ქაშმირი

ქიშმიში *ქიშმიშის* 1. ყურძნის უწიპწო ჯიში, წვრილი, ოვალური, ქარვისფერი ან მოვარდისფრო მარცვლებით. 2. ქიშმიშის (1) საგანგებოდ გამომშრალი მარცვლები ■ ქიშმიშიანი რასაც ქიშმიში ურევია. *ქიშმიშიანი ნამცხვარი.*

ქიშპი *ქიშპის* ვინმეს ჯობნის სურვილი, მეტოქეობა. *მე ზობლების ქიშპი.*

ქიშპობა *ქიშპობის* (ქიშპობს, ექიშპება) ვინმეს მიმართ ფარული შურის ქონა, ჯობნის სურვილი, ჯიბრი, მეტოქეობა. *გაუთავებლად ქიშპობენ. მეგობარს ექიშპება.*

ქიცინი *ქიცინის* (აქიცინებს, უქიცინებს) ⊙ კუდს აქიცინებს კუდს აქნევს (ძირითადად, კმაყოფილების,

კუთილგანწყობის გამოსახატავად). ◔ კუდს უქიცინებს ეპირფერება, ემლიქვნელება.

ქლესა *ქლესას* ფლიდი, ფარისეველი, მოჩვენებით ერთგული. *ქლესა კაცია.*

ქლიავი *ქლიავის* 1. მრგვალი ან წაგრძელებული ფორმის, მუქი ლურჯი ან ნითელი ფერის, წვნიანი, ერთკურკიანი ხილი. *ქლიავის წვენი. ქლიავის ჩირი.* 2. საშუალო ზომის ხე, რომელიც ისხამს ქლიავს (1), აქვს დაკბილული ფოთლები და ნვრილი, თეთრი ყვავილები. *აქ ქლიავი კარგად ხარობს.*

ქლიბვა *ქლიბვის* (ქლიბავს, იქლიბავს, უქლიბავს, იქლიბვა) ↑ გაქლიბვა. *ქლიბვა დაიწყო. საკეტს ქლიბავს.*

ქლიბი *ქლიბის* ლითონის ხელსაწყო ნვრილად დასერილი, მჭრელი ზედაპირით, იყენებენ რკინის სახეხად ან მასალის უსწორმასწორო ზედაპირის მოსასწორებლად, აგრეთვე დეკორატიულ კოსმეტიკაში. *ფრჩხილების ქლიბი.*

ქლორი *ქლორის* მოყვითალო-მომწვანო ფერის, მძაფრი სუნის აირი, გამოიყენება მედიცინასა და ნარმოებაში. *ქლორის ხსნარი. ქლორის წარმოება.*

ქლორიანი *ქლორიანის* ქლორის შემცველი. *ქლორიანი ხსნარი.*

ქლოშინი *ქლოშინის* (ქლოშინებს) იგივეა, რაც ქოშინი. *კიბე ზე ქლოშინით ავიდა.*

ქმარი *ქმრის* მამაკაცი მასზე დაქორწინებული ქალისთვის. *ცოლი და ქმარი.* ■ ქმრიანი ვისაც ქმარი ჰყავს. *ქმრიანი ქალი.*

ქმარ-შვილი *ქმარ-შვილის* ოჯახი ქალისთვის – ქმარი და შვილი (შვილები). *ქმარ-შვილის ერთგული იყო.*

ქმარშვილიანი *ქმარშვილიანის* ვისაც ქმარ–შვილი ჰყავს. *ქმარშვილიანი ქალი.*

ქმედება *ქმედების* საქციელი, მოქმედება (1). *დანაშაულებრივი ქმედება.*

ქმედებაუნარიანი *ქმედებაუნარიანის* ვისაც მოქმედება, მუშაობა შეუძლია.

ქმედითი *ქმედითის* წიგნ. შედეგის მომტანი. *ქმედითი დახმარება. ქმედითი ღონისძიება.*

ქმნა *ქმნის* (ქმნის, უქმნის, იქმნება, აქმნევინებს) ↑ შექმნა. *შედეგებს ქმნის.*

ქმნილება *ქმნილების* შემოქმედის მიერ შექმნილი რამ. *კომპოზიტორის ქმნილება. ღმერთის ქმნილება.*

ქმრისეული *ქმრისეულის* 1. ქმრის ნაქონი. *ქმრისეული ხანჯალი.* 2. ცოცხალი არსება. *ნაზი ქმნილება.*

ქნა *ქნის* (შვრება, უშვრება) რაიმეს გაკეთება, მოქმედება. *რატომ შვრება ასე?*

ქნარი *ქნარის* უძველესი სიმებიანი საკრავი, უკრავენ თითების გამოკვრით. *ქნარი ააჟღერა.*

ქნევა *ქნევის* (აქნევს, იქნევს, უქნევს) საგნის ან სხეულის ნაწილის აქეთ-იქით მოძრაობა. *დროშას აქნევს. თავს იქნევს. ხელს უქნევს.*

ქობა *ქობის* სამოსლის ბოლოზე შიგნიდან შემოკერებული ქსოვილის ზოლი. *ახალუხის ქობა.*

ქოთანა *ქოთანას* ერთ-, ორ- ან სამნლოვანი ბალახოვანი მცენარე, იკეთებს სხვადასხვა შეფერილობის ყვავილებს, იზრდება ნათესებში.


ქოთანი

ქოთანი *ქოთნის* თიხის განიერმუცლიანი ჭურჭელი, გამოიყენება სხვადასხვა დანიშნულებით. *ქოთნის ყვავილი. ლობიოს ქოთანი.*

ქოთქოთი *ქოთქოთის* (ქოთქოთებს) 1. დიდი ხმაური, არეულობა, ალიაქოთი. *ხალხში ქოთქოთი ატყდა.* 2. უკმაყოფილების, ნყრომის, აღშფოთების გამომხატველი ლაპარაკი, საქციელი. *ბევრი იქოთქოთა. ქალი ქოთქოთებს.*

ქოლგა

ქოლგა *ქოლგის* წვიმისა და მზისგან თავდასაცავი ხელში დასაჭერი ან რაიმეზე დასამაგრებელი მოწყობილობა, ტარზე დამაგრებულ დასაკეც ლითონის ჩარჩოზე მრგვალად გადაჭიმული ქსოვილი. *ქალმა ქოლგა გაშალა.* ■ ქოლგიანი ვისაც ქოლგა უჭირავს. *ქოლგიანი ქალი.*

ქოლერა *ქოლერის* მედიც. კუჭ-ნაწლავის მწვავე გადამდები დაავადება, რომელიც სიცოცხლისთვის საშიშია. შეცდომაა ხოლერა

ქოლესტერინი *ქოლესტერინის* ორგანული ნაერთი – ცხიმოვანი სპირტი, რომელსაც ცოცხალი ორგანიზმი შეიცავს. *ქოლესტერინის დონე.* შეცდომაა ხოლესტერინი

ქოლეა *ქოლეის* (ქოლავს, იქოლება) 1. ↑ ამოქოლვა. *ხვრელს ცემენტით ქოლავს.* 2. ↑ ჩაქოლვა. *დანაშაულისთვის ქოლავდნენ.*

ქომაგი *ქომაგის* დამხმარე, მხარდამჭერი, მიმშვენებელი. *ქომაგად დაუდგა.*

ქონა[1] *ქონის* (აქვს, იქონიებს) რაიმეს კუთვნილება. *სახლი აქვს. დიდი სიმდიდრე აქვს.*

ქონა[2] *ქონას* ერთწლოვანი ბალახოვანი მცენარე, იხმარება მხლად.

ქონგური *ქონგურის* (ძირითადად მრ.) ციხის ან გალავნის თავზე შემოყოლებული დაკბილული სვეტები.

ქონდარი *ქონდრის* ფართოდ გავრცელებული მწვანილი, აქვს მორიგეობით განლაგებული ფოთლები, რომლებიც გამოიყენება სანელებლად.

ქონდრისკაცი *ქონდრისკაცის* ძალიან პატარა ტანის ადამიანი. *ქონდრისკაცივით პატარა.*

ქონება *ქონების* ფასეული ნივთების, საგნებისა და სხვათა ერთობლიობა, რომელიც ვინმეს ან რაიმეს

ეკუთვნის. *სახელმწიფოს ქონება. ოჯახის ქონება.*

**ქონი** *ქონის* ცხოველური ცხიმი. *თხის ქონი. თევზის ქონი.*

**ქონიანი** *ქონიანის* I. რასაც ქონი აქვს, ცხიმიანი. *ქონიანი საჭმელი.* 2. ქონით დასვრილი. *ქონიანი თეფში.*

**ქორაფი** *ქორაფის* ფოთლოვანი მაღალი ხე, აქვს დანაკვთული ფოთლები და წვრილი, მომწვანო ყვავილები, აქვს მაღალხარისხიანი მერქანი, რომელსაც ავეჯის დასამზადებლად იყენებენ.

**ქორეოგრაფი** *ქორეოგრაფის* ქორეოგრაფიის სპეციალისტი. *ღვაწლმოსილი ქორეოგრაფი.*

**ქორეოგრაფია** *ქორეოგრაფიის* ცეკვის, საბალეტო სპექტაკლების დადგმის ხელოვნება. *ხალხური ქორეოგრაფია.* ■ **ქორეოგრაფიული** ქორეოგრაფიასთან დაკავშირებული. *ქორეოგრაფიული სასწავლებელი.*

**ქორეპისკოპოსი** *ქორეპისკოპოსის* საეკლ. მღვდელმთავარი, ეკლესიის მეთაურის თანაშემწე.

**ქორი** *ქორის* მტაცებელი ფრინველი, კარგად ინვრთნება, გამოიყენება ფრინველზე სანადიროდ.

**ქორო** *ქოროს* მომღერალთა გუნდი. შეცდომაა ხორო

**ქორონიკონი** *ქორონიკონის* წელთაღრიცხვის სისტემა, რომლის ერთი ციკლი მოიცავს 532 წელს.

**ქორფა** *ქორფის* I. ნორჩი, ზრდადაუმთავრებელი. *ქორფა კიტრი. ქორფა მწვანილი.* 2. თოთო, ჩვილი. *ქორფა ბატკანი.*

**ქორწილი** *ქორწილის* ქორწინების აღსანიშნავად გამართული ლხინი. *ქორწილში ეპატიჟება. ქორწილი გადაიხადეს.*

**ქორწინება** *ქორწინების* (იქორწინებს, ქორწინდება) გათხოვების ან ცოლის მოყვანის ოფიციალურად გაფორმება. *ქორწინების დღე დანიშნეს. შემოდგომაზე იქორწინეს.*

**ქოსა** *ქოსის* უწვერულვაშო. *ქოსა ქმარი ჰყავს.*

**ქოსატყუილა** *ქოსატყუილას* ტყუილების ოსტატი, ტყუილების მოყვარული. *ქოსატყუილას დაუჯერეს.*

**ქოფაკი** *ქოფაკის* I. დიდი ძაღლი. *მეცხვარის ქოფაკი.* 2. საუბრ. გადატ. ავი, ბოროტი. *დიდი ქოფაკი ვინმეა.*

**ქოქვა** *ქოქვის* საუბრ. (ქოქავს, იქოქება) ↑ დაქოქვა. *მანქანას ქოქავს.*

**ქოქოლა** *ქოქოლის* ⊙ ქოქოლას აყრის ხელებს იქნევს და ვინმესკენ იშვერს, თან სწყევლის ან დასცინის. *ქოქოლა დააყარა.*

**ქოქოსი** *ქოქოსის* ტროპიკული მცენარის მსხვილი, წვნიანი, გემრიელი და უხვზეთიანი ნაყოფი.

**ქოში** *ქოშის* მარტივი ფორმის, მხოლოდ თითებზე წამოსაცმელი, ქუსლიანი ფეხსაცმელი. *ხის ქოშები. ოთახის ქოშები.*

**ქოშინი** *ქოშინის* (ქოშინებს) გაძნელებული, აჩქარებული სუნთქვა ხმის გამოცემით (ჩვეულებრივ, უძლურების გამო). *ქოშინი დაიწყო. მოხუცი ქოშინებს.*

**ქოჩორა** *ქოჩორას* ვისაც, რასაც ქოჩორი აქვს. *ქოჩორა ბიჭი. ქოჩორა ვარია.*

**ქოჩორი** *ქოჩორის* I. მამაკაცის თმა შუბლს ზევით. *ლამაზი ქოჩორი.* 2. ბეწვი, ბალანი ცხოველის შუბლზე. *ცხენის ქოჩორი.* 3. ხშირად ამოსული ბუმბული ფრინველის თავზე. *ოფოფის ქოჩორი.*

**ქოხი** *ქოხის* I. მცირე ზომის უბრალო ნაგებობა, ღარიბული საცხოვრებელი სახლი. *ხის ქოხში გამოიზამთრეს. ისლით დახურული ქოხი.* 2. მწყემსის ან მონადირის ღამის სათევი ნაგებობა.

**ქოხმახი** *ქოხმახის* (ძირითადად მრ.) პატარა ღარიბული სახლი. *გზიდან ქოხმახები მოჩანდა.*

**ქრესტომათია** *ქრესტომათიის* სახელმძღვანელო, რომელშიც დაბეჭდილია გარკვეული თვალსაზრისით შერჩეული ლიტერატურული ან მეცნიერული ნაწარმოებები, ან მათი ნაწყვეტები. *ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია.*

**ქრთამვა** *ქრთამვის* (ქრთამავს) ↑ მოქრთამვა. *დირექტორს ქრთამავს.*

**ქრთამი** *ქრთამის* ფული ან ძღვენი, რომელსაც მოსასყიდად აძლევენ ვინმეს (ძირითადად, თანამდებობის პირს). *ქრთამის აღება.*

**ქრიზანთემა** *ქრიზანთემის* დეკორატიული მცენარე, აქვს სხვადასხვა ფერის ყვავილები. შეცდომაა ხრიზანთემა

**ქრისტესბეჭედა** *ქრისტესბეჭედას* მრავალწლოვანი ტყის ბალახოვანი მცენარე, აქვს მომრგავლო ფოთლები, თეთრი ყვავილები და კაუჭა ბუძგებით დაფარული ნაყოფი.

**ქრისტესგვირგვინა** *ქრისტესგვირგვინას* მაღალი, პარკოსანი ხე, აქვს მსხვილი ეკლები და მუქი წაბლისფერი, დიდი, ბრტყელი პარკები, იყენებენ ცოცხალ ღობედ.

**ქრისტესსისხლა** *ქრისტესსისხლას* მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარე, შეიცავს მონარინჯისფრო-ყვითელ წვენს, აქვს ყვითელი ყვავილები და დანაკვთული ფოთლები, გამოიყენება სამკურნალოდ. *ქრისტესსისხლას ნაყენი.*

**ქრისტეშობა** *ქრისტეშობის* იგივეა, რაც შობა.

**ქრისტიანი** *ქრისტიანის* ქრისტეს მოძღვრების მიმდევარი. *მართლმადიდებელი ქრისტიანი.*

**ქრისტიანობა** *ქრისტიანობის* რელიგიური მოძღვრება, რომელიც აღიარებს იესო ქრისტეს. *ქრისტიანობის დასაბამი.*

**ქრობა** *ქრობის* (აქრობს, იქრობს, უქრობს, ქრება, უქრება) ↑ ჩაქრობა. *ცეცხლს აქრობს.*

**ქროლა** *ქროლის* (ქრის) ქარის, ნიავისა და მისთ. მოძრაობა. *ქარი ქრის.*

**ქრონიკა** *ქრონიკის* საზოგადოებრივი ცხოვრების, მოვლენებისა და ფაქტების ქრონოლოგიური აღწერა, ასახვა. *რენესანსის ხანის ქრონიკები.*

**ქრონიკული** *ქრონიკულის* მუდმივი, ხანგრძლივი, მოურჩენელი (ავადმყოფობა). *ქრონიკული დაავადება. ქრონიკული კოლიტი.*

**ქრონოლოგია** *ქრონოლოგიის* ისტორიული მოვლენების თანმიმდევრობა დროის მიხედვით. *ქრონოლოგიის დადგენა.* ■ **ქრონოლოგიური** ქრონოლოგიასთან დაკავშირებული. *ქრონოლოგიური შეუსაბამობა. ქრონოლოგიური თანმიმდევრობა.*

**ქრცვინი** *ქრცვინის* იგივეა, რაც **დედოფალა**[1]

**ქსელვა** *ქსელვის* (ქსელავს, იქსელება) ↑ **დაქსელვა**. *ფარდაგს ქსელავს.*

**ქსელი** *ქსელის* 1. საქსოვ დაზგაზე გაჭიმული ძაფები. 2. ერთმანეთთან დაკავშირებული საკომუნიკაციო არხების, სადენებისა და მისთ. სისტემა. *სატელეფონო ქსელი. სარკინიგზო ქსელი.* 3. ერთგვაროვან დაწესებულებათა (კომპანიების, ორგანიზაციების) ერთობლიობა. *სადისტრიბუციო ქსელი. სავაჭრო ქსელი.* 4. ობობას მიერ მნერების საჭერად გაკეთებული ძაფების ხლართი – აბლაბუდა. *ბუზი ობობას ქსელში გაება.* ■ **ქსელური** ქსელისთვის დამახასიათებელი. *ქსელური მარკეტინგი. ქსელური თამაშები.*

**ქსოვა** *ქსოვის* (ქსოვს, იქსოვს, უქსოვს, იქსოვება, აქსოვინებს) 1. სპეციალური ჩხირებით, ყაისნაღითა და მისთ. ძაფების ერთმანეთში გაყრით ქსოვილის ან ჩასაცმელის მიღება. *კარგი ქსოვა იცის. ყაისნაღით ქსოვს.*

**ქსოვილი** *ქსოვილის* 1. ქსოვის შედეგად მიღებული მასალა. *ბამბის ქსოვილი. შალის ქსოვილი.* 2. უჯრედების ერთობლიობა ცოცხალ ორგანიზმში. *მცენარეული ქსოვილი. ნერვული ქსოვილი.*

**ქუდბედიანი** *ქუდბედიანის* ვისაც ბედი და იღბალი დაბადებიდან თან სდევს, იღბლიანი. *ქუდბედიანი კაცი.*

**ქუდი** *ქუდის* გარკვეული ფორმის თავსაბურავი. *ქუდი მოიხადა.* ⊙ **ქუდზე კაცი ყველა მამაკაცი.**

ქუდი

**ქუდუნა** *ქუდუნას* ერთ- ან მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარე, აქვს პატარა თეთრი ან ყვითელი ყვავილები, ხარობს მშრალსა და კლდოვან ადგილებში.

**ქუთუთო** *ქუთუთოს* კანის მოძრავი საფარი თვალების ირგვლივ. *შესიებული ქუთუთოები. ქვედა ქუთუთო.*

**ქუთქუთა** *ქუთქუთას* ბალახოვანი სარეველა მცენარე, აქვს თეთრი ყვავილები და მობრტყო-მომრგვალო ნაყოფი, იზრდება პურეულის ნათესებში.

**ქულა**[1] *ქულის* დასართავად გამზადებული დაპენტილი მატყლის ან ბამბის მცირე ნაწილი. *ბამბის ქულა.*

**ქულა**[2] *ქულის* 1. შეჯიბრებაში სპორტსმენის წარმატების აღმნიშვნელი სათვალავი ერთეული. *ქულა მოიპოვა.* 2. სწავლის შეფასების ერთეული. *10 ქულა მივიღე.*

**ქულაჯა** *ქულაჯის* ძვირფასი ქსოვილისგან შეკერილი, მამაკაცის ზედა სამოსი, რომელსაც ბენვი აქვს მოვლებული. *ხაევრდის ქულაჯა.*

**ქუმელი** *ქუმლის* 1. მოხალული მარცვლის ფქვილი. *ქერის ქუმელი.* 2. ცივ წყალში მოზელილი ქუმელი (1). *ქუმელს ჭამს.*

**ქუნთრუშა** *ქუნთრუშის* მედიც. ბავშვთა მწვავე ინფექციური დაავადება, რომლისთვისაც დამახასიათებელია ყელის ტკივილი, გამონაყარი, კანის აქერცვლა. *ქუნთრუშა აღმოაჩნდა.*

**ქურა** *ქურის* 1. სპეციალური ფოლადის ღუმელი, რომელიც გამოიყენება ლითონის გამოსადნობად, მინის გასალღობად, კერამიკული ნაკეთობების გამოსაწვავად. *თიხის ქურა. მჭედლის ქურა.* 2. საყოფაცხოვრებო დანიშნულების მოწყობილობა, რომელიც გამოიყენება გასათბობად ან საჭმლის მოსამზადებლად. *გაზის ქურა.*

**ქურანი** *ქურანის* წაბლისფერი ცხენი. *ქურანს მიაჭენებს.*

**ქურდბაცაცა** *ქურდბაცაცას* წვრილმანი ქურდი. *ქურდბაცაცებმა საფულე მოჰპარეს.*

**ქურდბაცაცობა** *ქურდბაცაცობის* იგივეა, რაც ქურდობა. *ქურდბაცაცობას არ იშლის.*

**ქურდვა** *ქურდვის* (ქურდავს) ↑ **გაქურდვა**. *ბანკს ქურდაენ.*

**ქურდი** *ქურდის* ვინც სხვის საკუთრებას იპარავს. *ქურდები დააკაევეს.* ■ **ქურდული** ქურდის დამახასიათებელი, ქურდებთან დაკავშირებული. *ქურდული მზერა.*

ქურთუკი

**ქურდობა** *ქურდობის* (ქურდობს) ქურდის მოქმედება, ფარულად სხვისი რაიმეს აღება და მითვისება. *ქურდობა გახშირდა. ურცხვად ქურდობს.*

ქურქი



**ქურთუკი** *ქურთუკის* მოკლე თბილი გარე სამოსი. *ქურთუკი აცვია.*

**ქურუმი** *ქურუმის* წარმართული რელიგიის კულტის მსახური. *ეგვიპტელი ქურუმები.*

**ქურქი** *ქურქის* ბეწვეულისგან შეკერილი, თბილი გარედან ჩასაცმელი. *მელიის ქურქი.*

ქუსლი

**ქურციკი** *ქურციკის* გარეული რქოსანი ცხოველი, ბინადრობს ველებში. *ქურციკივით მარდი.*

**ქუსლი** *ქუსლის* 1. ადამიანის ტერფის უკანა მრგვალი ნაწილი.

*ქუსლები ეტკინა.* 2. ფეხსაცმლის ან წინდის ის ნანილი, რომელშიც ქუსლი (1) თავსდება. *დაკემსილი ქუსლები.* 3. ფეხსაცმელზე ქუსლის (2) ადგილას მიმაგრებული სხვადასხვა სიმაღლისა და ფორმის ძირი. *ქუსლი გაუცვდა. მაღალი ქუსლი.* ■ ქუსლიანი ქუსლის მქონე. *ქუსლიანი ფეხსაცმელი.*

ქუფრი *ქუფრის* ბნელი, ჩაბნელებული. *ქუფრი ღრუბელი.*

ქუჩა *ქუჩის* ქალაქის ტიპის დასახლებაში ორ პარალელურ მწკრივად განლაგებულ შენობებს შორის გაყვანილი გზა. *მთავარი ქუჩა. ქუჩის ბოლოში. სანაპიროს ქუჩა.* ■ ქუჩა-ქუჩა ზმნზ. ერთი ქუჩიდან მეორეზე, ქუჩებში. *ქუჩა-ქუჩა დადის.* ☉ ქუჩის ქალი მეძავი.

ქუჩი *ქუჩის* მრავალწლოვანი ბალახოვანი მარცვლოვანი მცენარე, აქვს ძალიან წვრილი ფოთლები, იზრდება კლდეებზე, მშრალ ადგილებსა და საძოვრებზე. *კლდის ქუჩი.*

ქუჩური *ქუჩურის* უხამსი, უცენზურო. *ქუჩური გინება. ქუჩური ლაპარაკი.*

ქუხილი *ქუხილის* (ქუხს, აქუხებს) 1. ელვის დროს ძლიერი ხმის გამოცემა. *ცის ქუხილი. ქუხს და ელავს.* 2. გადატ. თოფის, ზარბაზნისა და მისთ. გასროლა ძლიერი ხმის გამოცემით. *თოფმა იქუხა.*

ქშენა *ქშენის* (ქშენს) იგივეა, რაც ქშინვა. *ქშენა დაიწყო. ავადმყოფის ქშენა ისმის.*

ქშინვა *ქშინვის* (ქშინავს) ღრმად და ძნელად სუნთქვა სპეციფიკური ხმის გამოცემით. *დაღლილი პირუტყვი ქშინავს.*

ქშუილი *ქშუილის* (ქშუის) ჰაერის ან წყლის ნაკადის ძლიერი მოძრაობისას გამოცემული ხმა. *ქარის ქშუილი. ხევი ქშუის.*

ქშუტუნი *ქშუტუნის* (ქშუტუნებს) ქმენა, ქშუილი. *ცხვირის ქშუტუნი. რას ქშუტუნებ?*

ქცევა *ქცევის* (აქცევს, იქცევს, უქცევს, იქცევა, ექცევა, აქცევინებს) 1. ↑ გადაქცევა (2). *ოცნება რეალობად იქცა. ცხოვრების წესად ექცა.* 2. ↑ დაქცევა. *ბოციდან ღვინო იქცევა. ოჯახი ექცევა.* 3. ↑ მოქცევა. *კარგად იქცევა.* 4. ↑ შექცევა. *ზურგს აქცევს. თავს იქცევს.* ■ ქცეული ვინც ან რაც სხვად იქცა. *ლეგენდად ქცეული სინამდვილე.*

# – ღ –

ღაბაბი *ღაბაბის* ნიკაპქვეშ სიმსუქნისგან გამოკვეთილი ადგილი ან ხორცოვანი ჩამონაზარდი ადამიანისა და ზოგიეთი ცხოველის ყელზე, ფრინველის ნისკარტქვეშ. *დიდი ღაბაბი.* ▪ ღაბაბიანი ღაბაბის მქონე. *ღაბაბიანი ქალი.*

ღაბუა *ღაბუას* რასაც (ფრინველი) ყელზე ფაფუკი ბუმბული აქვს. *ღაბუა ჩიტი.*

ღადაობა *ღადაობის* (ღადაობს, აღადავებს, ეღადავება) ჟარგ. ბევრი ლაპარაკი, უაზრო ხუმრობა. *ვის აღადავებ?! გოგოებს ეღადავება.*

ღადარი *ღადრის* ნაცარში არეული წვრილი ნაკვერჩხალი. *ღადარში გამომცხვარი პური.*

ღადვრა *ღადვრის* (ღადრავს, იღადრავს, უღადრავს, ეღადრება) ↑ დაღადვრა. *სახეს იღადრავს.*

ღალა *ღალის* მინით სარგებლობის გადასახადი, ჩვეულებრივ, იხდიდნენ ფულის ან მოსავლის სახით.

ღალატი *ღალატის* (ღალატობს) 1. ვინმეს ან რაიმეს საზიანოდ შეგნებულად ჩადენილი ბოროტება. *სამშობლოს უღალატა. მეგობრებს ღალატობს.* 2. ორგულობა, მეგობრის, ახლობლის სხვაზე გაცვლა. *მეუღლის ღალატი.*

ღალღა *ღალღის* გარეული ფრინველი, ბინადრობს ჭაობიან ადგილებში.

ღამე *ღამის* 1. დროის 24-საათიანი მონაკვეთის ის ნაწილი, როცა სიბნელეა. *მთვარიანი ღამე. ღამის სიბნელე.* 2. ზმნზ. ღამის დროს, როცა ღამეა. *მთელი ღამე მუშაობდა.* ▲ ღამით ზმნზ. იგივეა, რაც ღამე (2). *ღამით წვიმდა. ღამით მოთოვა.* ☉ ღამე მშვიდობისა! გამოსალმება, გამოთხოვება ღამით. ☉ ღამეს თეთრად ათენებს ღამე არ სძინავს. ☉ ღამის პერანგი ლოგინში ჩასაცმელი პერანგი.

ღამენათევი *ღამენათევის* ვინც ღამე გაათია, უძინარი. *ღამენათევი მგ ზავრი. ღამენათევი მოქეიფეები.*

ღამეული *ღამეულის* ღამით, ღამეში მომხდარი, მიმდინარე. *ღამეული სიზმარი.*

ღამიანად ზმნზ. იმ დროს, როცა ჯერ კიდევ ღამეა. *ღამიანად დაიწყო მუშაობა.*

ღამურა *ღამურას* პატარა მფრინავი ძუძუმწოვარა ცხოველი. *ღამურა ნანგრევებში ცხოვრობს.*

ღამურა

ღამ-ღამე ზმნზ. იგივეა, რაც ღამ-ღამობით. *ღამ-ღამე უყვარს კითხვა.*

ღამღამობით ზმნზ. ყოველთვის ღამით, როცა ღამეა, ღამეების განმავლობაში. *ღამღამობით დადის სამორიგეოდ.*

ღანი *ღანის* ქართული ანბანის ოცდამესამე ასოს (ღ-ს) სახელწოდება.

ღანღალი *ღანღალის* (ღანღალებს) უღონოდ, გაჭირვებით სიარული, ხანხალი. *ღანღალით დადის.*

ღანძილი *ღანძილის* მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარე, აქვს ძირში გამსხვილებული ღეროდა ნაგრძელებული ფოთლები, ღეროს ნვერზე იკეთებს თეთრ ყვავილებს, აქვს ნივრის სუნი და გემო, გამოიყენება საჭმელად. *ღანძილის მწნილი.*

ღაპაღუპი *ღაპაღუპის* ☉ ღაპაღუპით მოსდის (ცრემლები), ღვარად, დიდ ნაკადად მოსდის (ცრემლები).

ღაჟო *ღაჟოს* ბეღურას მსგავსი პატარა ჩიტი. *რუხი ღაჟო.*

ღაჟღაჟა *ღაჟღაჟას* რაც ღაჟღაჟებს, ელვარე წითელი ფერის მქონე. *ღაჟღაჟა ლოყები.*

ღაჟღაჟი *ღაჟღაჟის* (ღაჟღაჟებს, აღაჟღაჟებს, უღაჟღაჟებს) მკვეთრი წითელი ფერის გამოცემა, წითლად ელვარება. *ღაჟღაჟი გააქვს. ლოყები უღაჟღაჟებს.*

ღარი *ღარის* 1. სითხის სპეციალური სადინარი, რომელიც ხისგან ან ლითონისგან მზადდება. 2. გრძელი ღრმა ხაზები რაიმეზე, ნაოჭი. *სახე ზე ღარები ემჩნევა.*

ღარიბი *ღარიბის* 1. ვისაც ან რასაც მცირე ქონება აქვს, გაჭირვებული. *ღარიბი ნათესავები. ღარიბი რეგიონი.* ↔ მდიდარი. 2. გადატ. ძალინ მცირე, ცოტას შემცველი, მწირი. *ღარიბი ბიბლიოთეკა. ღარიბი სუფრა. ღარიბი ლექსიკა.*

ღარიბული *ღარიბულის* ღარიბისთვის დამახასიათებელი, ღარიბის შესაფერისი, სიღარიბის შესაფერისი. *ღარიბული ჩაცმულობა. ღარიბუ-*

*ლი სახლი.* ▲ ღარიბულად ზმნზ. როგორც ღარიბს შეეფერება. *ღარიბულად ცხოვრობენ.*

**ღატაკი** *ღატაკის* ძალიან ღარიბი, არაფრის მქონე. *ღატაკი ოჯახი.*

**ღაფვა** *ღაფვის* (ღაფავს) ⊙ **სულს ღაფავს** 1. ძლივს ცოცხლობს, სიკვდილის პირასაა. 2. გაჭირვებით, ძლივსძლივობით არსებობს.

**ღაღადი** *ღაღადის* (ღაღადებს, უღაღადებს) 1. ხმამაღალი ვედრება, გულმხურვალე ლოცვა. *გულწრფელი ღაღადი.* 2. გადატ. დარწმუნებით, დაჟინებით ლაპარაკი, მტკიცება. *სულ ერთსა და იმავეს ღაღადებს.*

**ღაღადისი** *ღაღადისის* წიგნ. იგივეა, რაც ღაღადი. *მისი ღაღადისი ღმერთმა შეისმინა.*

**ღაღანა** *ღაღანას* რასაც ღაღანი გააქვს, ხასხასა. *ღაღანა ყანა.*

**ღაღანი** *ღაღანის* (ღაღანებს) ყანის, მდელოსი და მისთ. მკვეთრად ელვარება, ხასხასი. *ჯეჯილი ღაღანებს.*

**ღაწვი** *ღაწვის* ლოყის ზედა ნაწილი. *ღაწვები შეეფაკლა.*

**ღაჭუნი** *ღაჭუნის* უშნო, მოურიდებელი ღეჭვის დროს გამოცემული ხმა. *ღაჭუნით ჭამს.*

**ღდინი** *ღდინის* ⊙ **ღდინი გააცალა** ღონე გამოაცალა, ძალიან დაღალა.

**ღებვა** *ღებვის* (ღებავს, იღებავს, უღებავს, იღებება, აღებვინებს) ↑ **შეღებვა.** *ღებვა დაიწყეს. ჭერს ღებავენ.*

**ღებინება** *ღებინების* (აღებინებს) ნასვამისა და ნაჭამის ამონთხევა, უკან ამოღება. *ბავშვს აღებინებს. ღებინება დაეწყო.*

**ღელე** *ღელის* 1. წყლის მცირე ნაკადი, რომელიც ვინრო კალაპოტში მიედინება. *ღელეში ფეხი დაუსველდა.* 2. მშრალი ხევი. *ღელეების სიმწვანე.* ■ **ღელე-ღელე** ზმნზ. ღელეების გავლით, ღელის გაყოლებით. *სათავემდე ღელე-ღელე იარა.*

**ღელვა** *ღელვის* (ღელავს, უღელავს) 1. წყლის ნაკადის ძლიერი მოძრაობა ტალღებად. *ზღვა ღელავდა. ოკეანე ღელავს.* 2. გადატ. დაძაბულობა, უკმაყოფილების გრძნობით შეპყრობა, შფოთვა. *ხალხი ღელავს. ბიჭმა ბევრი იღელვა.*

**ღერი** *ღერის* 1. ერთი ცალი წვრილი, წაგრძელებული საგანი. *ასანთის ღერი.* 2. თმის ბეწვი. *თმის ღერი.* 3. იგივეა, რაც ძირი (3). *ერთი ღერი ქინძი.* ■ **ღერ-ღერად** ზმნზ. ღერობით, თითო-თითო ღერად. *ბალახი ღერ-ღერად ამოვიღე.*

**ღერო** *ღეროს* 1. მცენარის ძირითადი ორგანო, რომელზეც ტოტები და ფოთლებია გამოსხმული. *ზამბახის ღერო.* 2. წაგრძელებული საგანი, რომელიც შეიძლება გაყრილი იყოს რაიმეში. *ლითონის ღერო.*

**ღერღვა** *ღერღვის* (ღერღავს, იღერღება) ↑ დაღერღვა. *მარცვალს ღერღავს. სიმინდი იღერღება.*

**ღერღილი** *ღერღილის* მსხვილად დაქუცმაცებული სიმინდი, ხორბალი და მისთ. *ღერღილის ფაფა.*

**ღერძი** *ღერძის* 1. ხის ან ლითონის ღერო, რომელიც აერთებს ორ ბორბალს. *მანქანის უკანა ღერძი.* 2. ამა თუ იმ სხეულის ან ობიექტის ცენტრში გამავალი წარმოსახვითი სწორი ხაზი. *სიმეტრიის ღერძი. ბრუნვის ღერძი.*

**ღეჭვა** *ღეჭვის* (ღეჭავს, უღეჭავს, იღეჭება, აღეჭვინებს) ↑ დაღეჭვა (1). *საჭმელს ღეჭავს. ხორცს ძნელად ღეჭავს.*

**ღვარად** ზმნზ. ღვარივით უხვად. *ცრემლი ღვარად სდიოდა.*

**ღვარეული** *ღვარეულის* მოთიბული ბალახი, რომელიც სათიბში ზოლ-ზოლად არის დაფენილი.

**ღვართქაფი** *ღვართქაფის* დიდი ნიაღვარი. *ღვართქაფი შეწყდა.*

**ღვარი** *ღვარის* იგივეა, რაც ნიაღვარი. *ღვარი წამოვიდა.* ⊙ **ცრემლის** (სისხლის, ოფლისა და მისთ.) **ღვარი** ცრემლის (სისხლის, ოფლისა და მისთ.) დიდი ნაკადი.

**ღვარცოფი** *ღვარცოფის* მთიდან წამოსული დიდი ნიაღვარი. *ღვარცოფი მოვარდა.*

**ღვარძლა** *ღვარძლას* მარცვლოვანი სარეველა ბალახი, იზრდება პურეულის ნათესებში.

**ღვარძლი** *ღვარძლის* 1. პურეულის ნათესებში გავრცელებული სარეველა. *ღვარძლს თიბავს.* 2. ბოროტება, შური, სიავე. *გულში ღვარძლი აქვს.*

**ღვარჭნილი** *ღვარჭნილის* 1||ღვლარჭნილი (1). *ღვარჭნილი ტოტები.* 2||ღვლარჭნილი (2). *ღვარჭნილი ენით წერს.*

**ღვაწლი** *ღვაწლის* საზოგადოებისთვის ღირებული, მნიშვნელოვანი შრომა. *დიდი ღვაწლი მიუძღვის. საქვეყნო ღვაწლი. ღვაწლი დაუფასდა.*

**ღვაწლმოსილი** *ღვაწლმოსილის* წიგნ. ვისაც დიდი ღვაწლი მიუძღვის, დიდი დამსახურება აქვს. *ღვაწლმოსილი მასწავლებელი.*

**ღვედი** *ღვედის* 1. რბილი ტყავის გრძელი, ვინრო ჩამონაჭერი. *ღვედი შეიკრა.* 2. ორ ბორბალს შორის გაჭიმული თასმა ან თოკი, რომლის საშუალებით ერთი ბორბლის მოძრაობა მეორეს გადაეცემა. *გადამცემი ღვედი.*

**ღვეზელი** *ღვეზლის* ნამცხვარი, რომელსაც ხორცის, ყველის, ბრინჯისა და მისთ. შიგთავსი აქვს. *სოკოს ღვეზელი.*

**ღველფი** *ღველფის* ნაცარში არეული, მინავლული, ფერფლმოდებული ნაკვერჩხალი. *ღველფი გააღვივა.*

**ღვენთვა** *ღვენთვის* (ღვენთავს, იღვენთება, ეღვენთება) ბლანტი მასის ღვენთებად დენა. *ჩურჩხელებიდან თათარა იღვენთება.*

ღვენთი *ღვენთის* დამდნარი ცვილის, ცხიმისა და მისთ. წვეთი. *სანთლის ღვენთი.*

ღვთაება *ღვთაების* იგივეა, რაც ღმერთი. *ქრისტიანული ღვთაება. წარმართული ღვთაება.*

ღვთაებრივი *ღვთაებრივის* 1. რაც ღმერთს ახასიათებს. *ღვთაებრივი ძალა.* 2. გადატ. განსაკუთრებულად კარგი, არაჩვეულებრივი. *ღვთაებრივი სილამაზე.*

ღვთივმიმადლებული *ღვთივმიმადლებულის* წიგნ. რაც განგებამ, ღმერთმა მიმადლა, მიანიჭა. *ღვთივმიმადლებული ნიჭი.*

ღვთისმეტყველება *ღვთისმეტყველების* რელიგიისმცოდნეობა. *ღვთისმეტყველების გაკვეთილი.*

ღვთისმეტყველი *ღვთისმეტყველის* ღვთისმეტყველების სპეციალისტი. *დიდი ღვთისმეტყველი.*

ღვთისმოსავი *ღვთისმოსავის* მორწმუნე. *ღვთისმოსავი ბერი.*

ღვთისმოსაობა *ღვთისმოსაობის* მორწმუნეობა, მლოცველობა. *ღვთისმოსაობით ცნობილი.*

ღვთისმოყვარე *ღვთისმოყვარის* იგივეა, რაც ღვთისმოსავი. *ღვთისმოყვარე მშობლები.*

ღვთისმსახურება *ღვთისმსახურების* უფლის სადიდებელი რიტუალებისა და რელიგიური წესების შესრულება. *ქრისტიანული ღვთისმსახურება. სადღესასწაულო ღვთისმსახურება.*

ღვთისმშობელი *ღვთისმშობლის* იესო ქრისტეს დედა. *ღვთისმშობლის ხატი.*

ღვთისმშობლობა *ღვთისმშობლობის* ქრისტიანული დღესასწაული, ღვთისმშობლის დაბადების დღე, აღინიშნება 21 სექტემბერს.

ღვთისნიერი *ღვთისნიერის* კეთილი, მოწყალე, კეთილ საქმეთა მოქმედი. *ღვთისნიერი ადამიანი.*

ღვთიური *ღვთიურის* ღვთისგან მომდინარე, ღვთისგან ბოძებული. *ღვთიური მადლი. ღვთიური ნიჭი.*

ღვია *ღვიის* დაბალი მარადმწვანე წიწვოვანი ხე ან ბუჩქი, ზოგჯერ მიწაზე გართხმული, იზრდება მშრალ ფერდობებსა და კლდეებზე.

ღვინა *ღვინას* ბოლქვიანი ბალახოვანი მცენარე, იკეთებს ღვინისფერ, ზარის ფორმის ყვავილს, იზრდება მშრალ ფერდობებზე.

ღვინისფერი *ღვინისფრის* წითელი ღვინის ფერის მქონე, მოშავო წითელი. *ღვინისფერი ჟაკეტი.*

ღვინო *ღვინის* ყურძნის წვნისგან მიღებული ალკოჰოლური სასმელი. *ღვინის დაყენება.* ◎ ღვინო მოეკიდება დათვრება.

ღვინობისთვე *ღვინობისთვის* ძვ. ოქტომბერი.

ღვიძილი *ღვიძილის* ფხიზლად ყოფნა, გაღვიძებულად. *უკვე ყველას ღვიძავს.*

ღვიძლი *ღვიძლის* (ღვიძავს) 1. ადამიანისა და ცხოველის საჭმლის მომნელებელი ორგანო, რომელიც გამოიმუშავებს ნაღველს, მოთავსებულია მუცლის ღრუში. *ღვიძლის დაავადება. საქონლის ღვიძლი.* 2. გადატ. უახლოესი, ალალი (ნათესავი). *ღვიძლი ძმა. ღვიძლი დედაშვილი.*

ღვლარჭნა *ღვლარჭნის* (ღვლარჭნის, იღვლარჭნება) ↑ დაღვლარჭნა. *თითებს ღვლარჭნის.*

ღვლარჭნილი *ღვლარჭნილის* 1. ძალიან დაგრეხილი, დაღვლარჭნილი. *ღვლარჭნილი ხე.* 2. გადატ. დახლართული, მძიმე, გაუგებარი (წერა, საუბარი). *ღვლარჭნილი სტილი.*

ღერა *ღერის* (ღერის, უღერის, იღერება, ეღერება, აღერეინებს) ↑ დაღერა. *ცრემლის ღერა. ოფლს ღერის.*

ღია *ღიას* 1. რაც დახურული, დაკეტილი არ არის, გაღებული. *ღია კარი. ღია ფანჯარა.* 2. რომელიმე ფერის უფრო ნათელი ელფერი. *ღია მწვანე.*

ღივი *ღივის* თესლიდან ახლად გამოსული მცენარის ნაზარდი. *ღივი გაუშვა.*

ღილაკი *ღილაკის* მექანიზმების, აპარატურის ჩასართავ-გამოსართავი, თითის დასაჭერი სპეციალური ნაწილი. *ღილაკს დააჭირა.*

ღილი *ღილის* ტანსაცმლის შესაკრავი ფირფიტა. *ღილი შეიკრა.*

ღილ-კილო *ღილკილოს* 1. იგივეა, რაც საღილე. *ღილ-კილო შეიხსნა.* 2. ძაფისგან დამზადებული ღილი. *ახალუხის ღილ-კილო.*

ღიმი *ღიმის* ორწლოვანი ბალახოვანი მცენარე, იკეთებს გამსხვილებულ ფესვს, გამოიყენება საჭმელად.

ღიმილი *ღიმილის* (იღიმის, უღიმის, იღიმება, ეღიმება) სიამოვნების, სიხარულის, დაცინვისა და მისთ. გამოხატვა მიმიკით (ტუჩების ოდნავ გაწევით), უხმო სიცილი. *ღიმილი უხდება. ნაზად იღიმება.*

ღიმილიანი *ღიმილიანის* რასაც ღიმილი ახლავს. *ღიმილიანი სახე. ღიმილიანი გამომეტყველება.*

ღიმილმორეული *ღიმილმორეულის* ვისაც ეღიმება. *ღიმილმორეული შეჰყურებს.*

ღიმმორეული *ღიმმორეულის* იგივეა, რაც ღიმილმორეული. *ღიმმორეული სახით შეხედა.*

ღინღლი *ღინღლის* ახლად ამოსული ნაზი თხელი ბეწვი, ბუსუსი. *ბარტყის ღინღლი. წვერის ნაცვლად ღინღლი ამოსვლოდა.* ■ ღინღლიანი ღინღლის მქონე. *ღინღლიანი წიწილები.*

ღიობი *ღიობის* ნაგებობაში ღიად დატოვებული სივრცე. *სარკმლის ღიობი.*

ღიპი *ღიპის* ზომაზე დიდი მუცელი. *ღიპი წამოეზარდა. ღიპზე ხელი დაირტყა.*

ღიპიანი *ღიპიანის* დიდი ღიპის მქონე. *ღიპიანი მძღოლი.*

ღირება* *ღირების* (ღირს, უღირს) 1. გარკვეული

ფასის ქონა. *სამი ლარი ღირს.* 2. აზრის, მნიშვნელობის ქონა. *ზღვაზე წასვლა აღარ ღირს. ამ საქმის დაწყება არ ღირს.*

**ღირებულება** *ღირებულების* I. რაიმეს წარმოებისას დახარჯული შრომა, გამოხატული პროდუქციის საფასურში. *მასალის ღირებულება.* 2. იგივეა, რაც ფასი. *სხვადასხვა ღირებულების საქონელი.* 3. გადატ. მნიშვნელობა, ხარისხი. *ცოდნის ღირებულება.*

**ღირებული** *ღირებულის* I. გარკვეული ფასის მქონე. *ას ლარად ღირებული. ძვირად ღირებული მანქანა.* 2. გადატ. მაღალი ღირებულების (3) მქონე, მნიშვნელოვანი. *ღირებული აზრები.*

**ღირსება**[1] *ღირსების* (აღირსებს, ეღირსება) სასურველის, საწადელის ნაგვიანევად მიღება, მიკუთვნება, ვინმეს ან რაიმეს ღირსად გახდომა. *სიტყვას არ აღირსებს. მის ნახვას ეღირსა.*

**ღირსება**[2] *ღირსების* I. მაღალი ზნეობრივი ღირებულებების ერთობლიობა. *პიროვნული ღირსება. ღირსება შეელახა.* 2. მნიშვნელობა, დამსახურება. *წიგნის ღირსება.*

**ღირსებადაკარგული** *ღირსებადაკარგულის* ვინც ღირსება დაკარგა, არაღირსეული. *ღირსებადაკარგული საზოგადოება.*

**ღირსებაშელახული** *ღირსებაშელახულის* ვისაც ღირსება შეულახეს, დამცირებული. *ღირსებაშელახული ხალხი.*

**ღირსეული** *ღირსეულის* I. ღირსებების[2] (1) მქონე. *ღირსეული კაცი.* 2. შესაფერისი, საკადრისი, დამსახურებული. *ღირსეული ადგილი უჭირავს.* ▲ **ღირსეულად** ზმნზ. დამსახურებულად, ზნეობრივად. *ღირსეულად ცხოვრობს. ღირსეულად იბრძოდა.*

**ღირსი** *ღირსის* ვინც ან რაც რაიმეს (ვინმეს) იმსახურებს. *ქების ღირსი. ოჯახის ღირსი.*

**ღირსსაცნობი** *ღირსსაცნობის* წიგნ. საგულისხმო, მნიშვნელოვანი. *ღირსსაცნობი მოვლენები.*

**ღირსსახსოვარი** *ღირსსახსოვრის* წიგნ. განსაკუთრებით დასამახსოვრებელი (2), მნიშვნელოვანი. *ღირსსახსოვარი თარიღი.*

**ღირსშესანიშნავი** *ღირსშესანიშნავის* განსაკუთრებით საყურადღებო, მნიშვნელოვანი. *ღირსშესანიშნავი მოვლენა.*

**ღირსშესანიშნაობა** *ღირსშესანიშნაობის* ადგილი, ნაგებობა და მისთ., რომელსაც განსაკუთრებული ღირებულება, მნიშვნელობა აქვს. *არქიტექტორული ღირსშესანიშნაობა.*

**ღიტინი** *ღიტინის* (უღიტინებს) სხეულზე ხელის ოდნავ შეხებით გამოწვეული შეგრძნება, რომელიც იწვევს სიცილს. *ბავშვს უღიტინებს.*

**ღიღილო** *ღიღილოს* ერთწლოვანი ყვავილოვანი მცენარე, აქვს ლურჯი ყვავილები, იზრდება მინდვრებსა და ყანებში.

**ღიღინი** *ღიღინის* (ღიღინებს) ხმადაბალი სიმღერა. *ღიღინი დაიწყო. თავისთვის ღიღინებს.*

**ღიჭა** *ღიჭას* ხვიარა ეკლიანი მცენარე, იკეთებს ყვითელ ყვავილებს, ნორჩი ყლორტები იხმარება მხლად.

**ღიჭინი** *ღიჭინის* (ეღიჭინება) რაიმეს გაუთავებელი, მომაბეზრებელი თხოვნა, ხვეწნა. *დედას ღიჭინი დაუწყო. რას მეღიჭინები?!*

**ღიჯნა** *ღიჯნის* (ღიჯნის) I. უშნოდ კბეჩა, ღრღნა. *ვაშლს ღიჯნის.* 2. გადატ. გაჭირვებით, უშნოდ ჭრა ბლაგვი იარაღით. *ხორცს ღიჯნის.*

**ღლაბუცა** *ღლაბუცას* ვისაც ღლაბუცი უყვარს. *ღლაბუცა ბიჭი.*

**ღლაბუცი** *ღლაბუცის* (ღლაბუცობს, ეღლაბუცება) მასხარაობა, ლაზღანდარობა. *ღლაბუცი დაუწყო. გოგოებს ეღლაბუცება.*

**ღლაბუცობა** *ღლაბუცობის* (ღლაბუცობს, ეღლაბუცება) იგივეა, რაც ღლაბუცი. *ნუ ღლაბუცობ!*

**ღლაპი** *ღლაპის* I. ზოგიერთი ცხოველისა და ფრინველის ახლადნაშობი (ახლადგამოჩეკილი) უბეწვო და შეუბუმბლავი, თვალაუხელელი ნაშიერი. *კაჭკაჭის ღლაპი. თაგვის ღლაპები.* 2. საუბრ. გადატ. ბავშვი, გამოუცდელი ახალგაზრდა. *ეს ღლაპი რამდენს ბედავს?!*

**ღლეტა** *ღლეტის* (ღლეტს, იღლიტება) საუბრ. ↑ გამოღლეტა. *ჩანთას ხელიდან ღლეტს.*

**ღმერთი** *ღმერთის, ღვთის* უზენაესი არსება, რომელმაც შექმნა სამყარო და განაგებს მას. ⊙ **თუ ღმერთი გწამს!** საუბრ. თხოვნის გამომხატველი მიმართვა. ⊙ **რა ღმერთი უწყრება?** საუბრ. რა ემართება? ⊙ **ღვთის ანაბარად** მარტო, უპატრონოდ, მხოლოდ ღმერთის იმედად დარჩენა. ⊙ **ღმერთმა იცის (ღმერთმა უწყის)** საუბრ. არავინ იცის, გაურკვეველია.

**ღმერთმანი** ნამდვილად, დანამდვილებით (გამოხატავს მთქმელის დარწმუნებულობას ნათქვამის სისწორეში). *ღმერთმანი, არ მინახავს.*

**ღმუილი** *ღმუილის* (ღმუის) I. დიდი ცხოველის მიერ ყრუ, ძლიერი, გაბმული ხმის გამოცემა. *ვეფხვის ღმუილი.* 2. გადატ. ძლიერი ტკივილისას, მწუხარებისას ღმუილის (1) მსგავსი ხმის გამოცემა. *კაცს ღმუილი აღმოხდა.*

**ღმურძვლა** *ღმურძვლის* (იღმურძლება) უშნოდ, დიდი ლუკმებით კბეჩა და ჭამა. *ბიჭი იღმურძლება.*

**ღნავილი** *ღნავილის* (ღნავის) უსიამოვნო, გაბმული ტირილი ან კნავილი, წკმუტუნი. *ბავშვმა ღნავილი მორთო. კატა ღნავის. რა გაღნავლებს?!*

**ღობე** *ღობის* სხვადასხვა მასალისა და ფორმის ნაგებობა განსაზღვრული ადგილის გამოსაყოფად ან დასაცავად. *ხის ღობე.* ■ **ღობე-ღობე** ზმნზ. ღობეების გასწვრივ, გაყოლებით, ღობეებზე. *ღობე-ღობე მიდიოდა.* ⊙ **დაბალი ღობე ამბო-**

ბენ ადამიანზე, რომლის დაჩაგვრა, დაბრიყვება ადვილია.

ღობემძვრალა *ღობემძვრალას* ბელურას მსგავსი პატარა ჩიტი.

ღობვა *ღობვის* (ღობავს, უღობავს, იღობება) ↑ შეღობვა. *ბოსტანს ღობავს.*

ღობისძირა *ღობისძირას* ერთწლოვანი ხვიარა მცენარე, იკეთებს პატარა, უფერულ ყვავილებსა და შავ ნაყოფს, იზრდება ღობის ძირებსა და ნათესებში.

ღოლო *ღოლოს* მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარე, აქვს მაღალი ღერო და წაგრძელებული ფოთლები, იხმარება მხლად, თესლი გამოიყენება სამკურნალოდ. *ღოლოს შეჭამანდი.*

ღოლომჟავა *ღოლომჟავას* მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარე, აქვს მომჟავო ფოთლები, რომლებიც იჭმება, იკეთებს სქელ ფესვებს, რომლებიც წითელ საღებავად გამოიყენება.

ღომი *ღომის* 1. პურეული მცენარე, აქვს მომრგვალო, წვრილი მარცვლები. *ღომი დათესა.* 2. ღომის (1) მარცვლებისგან ან სიმინდის ღერღილისა და ფქვილისგან დამზადებული სქელი, ფაფის მსგავსი საჭმელი. *ცხელი ღომი.*

ღონე *ღონის* 1. ადამიანის ან ცხოველის ფიზიკური ძალა, ენერგია. *კაცის ღონე. კამეჩის ღონე.* 2. გადატ. რაიმეს გაკეთების ხერხი, საშუალება. *მეტი ღონე აღარ აქვს.* ⊙ ყველა ღონე იხმარა ყველაფერი გააკეთა, ყველაფერს ეცადა.

ღონემიხდილი *ღონემიხდილის* ძალიან დაღლილი, დაქანცული. *ღონემიხდილი დაბრუნდა შინ.*

ღონიერი *ღონივრის* 1. ვისაც ან რასაც დიდი ღონე აქვს, ძლიერი. *ღონიერი კაცი იყო.* 2. გადატ. მდიდარი, შეძლებული. *ღონიერი ოჯახი.* ▲ ღონივრად ზმნზ. დიდი ძალით, ძლიერად. *სახრე ღონივრად მოიქნია.*

ღონისძიება *ღონისძიების* 1. რაიმე მიზნით ორგანიზებული თავშეყრა. *საახალწლო ღონისძიებები. სპორტული ღონისძიებები.*


ღორი

ღორი *ღორის* 1. დინგიანი ძუძუმწოვარა ცხოველი, შინაურ პირობებში კარგად სუქდება, იძლევა ხორცსა და ქონს. *გარეული ღორი. ღორების ფერმა.* 2. გადატ. ლანძღ. გაუმაძღარი, ხარბი ადამიანი. *ნამდვილი ღორია.*

ღორისქადა *ღორისქადას* ერთ- ან მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარე, იკეთებს ყვითელ ყვავილს, გამოიყენება საქონლის (განსაკუთრებით, ღორების) საკვებად.

ღორმუცელა *ღორმუცელას* ვინც ან რაც უზომოდ ბევრს ჭამს, ჭამის მოყვარული. *ღორმუცელა ბიჭი ჰყავს.*

ღორმუცელობა *ღორმუცელობის* (ღორმუცელობს) ღორმუცელას თვისება. *ღორმუცელობა უყვარს.*

ღორმუცლობა *ღორმუცლობის* //ღორმუცელობა. *ბავშვი ღორმუცლობს.*

ღორქლიავა *ღორქლიავას* ქლიავის ჯიში, აქვს მსხვილი ნაყოფი. *ღორქლიავას ჯიში.*

ღორღი *ღორღის* ქვის ნატეხების გროვა. *ღორღი ყრია.*

ღორღიანი *ღორღიანის* ღორღით დაფარული. *ღორღიანი გზა.*

ღორჯო *ღორჯოს* მდინარის თეზი. *ღორჯო დაიჭირა.*

ღოღვა *ღოღვის* (ღოღავს) 1. ძირს გართხმულის ნელი მოძრაობა მთელი ტანის (ხელებისა და ფეხების) დახმარებით, ჩოჩვა. *ბავშვი იატაკზე ღოღავს.* 2. გადატ. ძალიან ნელი სიარული. *მოხუცი ძლივს ღოღავს.*

ღოღნაშო *ღოღნაშოს* იგივეა, რაც ღოღნოშო.

ღოღნოშო *ღოღნოშოს* 1. მრგვალი, კურკოვანი, მოლურჯო-შავი ხილი. *ღოღნოშოს მურაბა.* 2. ხე, რომელიც ისხამს ღოღნოშოს (1), აქვს დაკბილული, მთლიანი ფოთლები და თეთრი, წვრილი ყვავილები.

ღოჯი *ღოჯის* 1. ღორის ან ტახის ეშვი. 2. გადატ. ადამიანის დიდი, უშნო, წინ გამოწეული ან გამოშვერილი კბილი. *უშნოდ გადმოყრილი ღოჯები.* ■ ღოჯებიანი ღოჯების მქონე. *ღოჯებიანი ბიჭი.*

ღრანტე *ღრანტის* ღრმა და ვიწრო ხევი, ხრამი. *ღრანტე გაიარეს.*

ღრანჭი *ღრანჭის* საუბრ. იგივეა, რაც ყბა. *მუშტი ღრანჭში მოხვდა.*

ღრაჭა *ღრაჭის* მცენარეულის მავნებელი ხოჭო.

ღრაჭაღრუჭი *ღრაჭაღრუჭის* გაბმული ღრაჭუნი. *კარმა ღრაჭაღრუჭი დაიწყო.*

ღრაჭუნი *ღრაჭუნის* (ღრაჭუნებს) მაგარი საგნების ერთმანეთზე გასმისას სპეციფიკური ხმის გამოცემა. *ძვლების ღრაჭუნი. სახელური ღრაჭუნებს.*

ღრენა *ღრენის* (ღრენს, უღრენს, იღრინება) 1. ძაღლის სიბრაზისა და მუქარის გამომხატველი ხმიანობა. *ქოფაკი უღრენს.* 2. გადატ. გაბრაზებული ადამიანის ჩხუბი, ბუზღუნი, უხეშად ლაპარაკი. *მეზობელი იღრინება.*

ღრენია *ღრენიას* 1. რაც სულ იღრინება. *ღრენია ძაღლი.* 2. ვინც სულ იღრინება, ბრაზობს. *დიდი ღრენია ვინმე ჩანს.*

ღრეობა *ღრეობის* (ღრეობს) ზღვარგადასული ქეიფი. *ღრეობა გამართეს. მთელი ღამე ღრეობდნენ.*

ღრეჩო *ღრეჩოს* იგივეა, რაც ღრიჭო.

ღრეცა *ღრეცის* (ღრეცს, იღრეცს, იღრიცება, ეღრიცება) ↑ მოღრეცა. *აივანი თანდათან იღრიცება. კისერი ეღრიცება.*

**ღრეჭა** *ღრეჭის* (იღრიჭება, ეღრიჭება) ↑ **დაღრეჭა**. *ბიჭი იღრიჭება.*

**ღრეჯა** *ღრეჯის* (ღრეჯს, იღრიჯება, ეღრიჯება) 1. იგივეა, რაც მანჭვა. *რას იღრიჯები?!* 2. ხვეწნა სახის დამანჭვით. *ბიჭი დედას ეღრიჯება.*

**ღრიალა** *ღრიალას* ვინც ან რაც სულ ღრიალებს. *ღრიალა ბავშვი.*

**ღრიალი** *ღრიალის* (ღრიალებს, უღრიალებს) 1. დიდი (ძირითადად, მტაცებელი) ცხოველის მიერ გამოცემული ძლიერი ხმა. *ლომის ღრიალი. დათვი ღრიალებს.* 2. გადატ. ადამიანის ხმამაღალი ძახილი, ყვირილი, ტირილი. *ბავშვის ღრიალი. რა გაღრიალებს?!*

**ღრიანკალი** *ღრიანკლის* იგივეა, რაც მორიელი.

**ღრიანცელი** *ღრიანცელის* ერთად შეკრებილი ადამიანების ერთდროულად ლაპარაკი, დიდი ხმაური და აურზაური. *რა ღრიანცელია? ღრიანცელი ატყდა.*

**ღრიანჭველა** *ღრიანჭველას* ორწლიანი ბალახოვანი მცენარე, აქვს მაღალი ღერო, იკეთებს თეთრ ან ვარდისფერ ყვავილებს და ეკლებით დაფარულ ნაყოფს, იზრდება მშრალ ადგილებში.

**ღრინვა** *ღრინვის* (ღრინავს) 1. იგივეა, რაც ღრენა (1). *ძაღლი ღრინავს.* 2. გადატ. იგივეა, რაც ღრენა (2). *კაცი ღრინავს.*

**ღრიტინი** *ღრიტინის* (ღრიტინებს, ეღრიტინება) 1. რაიმეს მოძრაობისას უსიამოვნო, გაბმული ხმის გამოცემა. *წისქვილის ღრიტინი.* 2. გადატ. გაუთავებელი, მომაბეზრებელი თხოვნა, ხვეწნა. *ღრიტინი დაუწყო. დიდხანს ეღრიტინა მშობლებს.*

**ღრიჭინა** *ღრიჭინას* რაც ღრიჭინებს. *ღრიჭინა წისქვილი.*

**ღრიჭინი** *ღრიჭინის* (ღრიჭინებს, ეღრიჭინება) 1. მყარი საგნების ერთმანეთზე გახახუნებისას გამოცემული ხმა (ჩვეულებრივ ახასიათებს ღერძზე მბრუნავ საგანს), ღრჭიალი. *ღრიჭინი მოისმა. კარი ღრიჭინებს.* 2. გადატ. იგივეა, რაც ღრიტინი (2). *ამდენი ღრიჭინი მობე ზრდა.*

**ღრიჭო** *ღრიჭოს* ღიად დარჩენილი ვიწრო ადგილი საგნებს ან საგნის ნაწილებს შორის. *ღრიჭოში შეიხედა. კარის ღრიჭო.*

**ღრმა** *ღრმის* 1. რასაც სიღრმე აქვს. *ღრმა თხრილი.* 2. გადატ. სერიოზული, საფუძვლიანი, რთული. *ღრმა შინაარსი. ღრმა ანალიზი.* ⊙ **ღრმად მოხუცებული** ძალიან მოხუცი. ⊙ **ღრმად შეტოპავს** საუბრ. ისეთ მდგომარეობაში ჩაიგდებს თავს, რომ გამოსავლის მოძებნა გაუჭირდება.

**ღრმააზროვანი** *ღრმაა ზროვნის* ღრმა აზრის მქონე, შემცველი. *ღრმაა ზროვანი სიტყვები.*

**ღრმული** *ღრმულის* ჩაღრმავებული ადგილი მიწაზე ან სხვა მყარ ზედაპირზე. *ღრმული ამოავსო.*

**ღრუ** *ღრუს* 1. სიცარიელე საგნის შიგნით,. *ღრუ გაიკეთა.* 2. ადამიანის ან ცხოველის ორგანიზმის შიგა სივრცე, რომელშიც შინაგანი ორგანოებია მოთავსებული. *პირის ღრუ. მუცლის ღრუ.*

**ღრუბელი**[1] *ღრუბლის* წყლის ორთქლის შესქელებული გროვა, რომელიც ცაზე გადაადგილდება. *შავი ღრუბელი.*

ღრუბელი

**ღრუბელი**[2] *ღრუბლის* სხვადასხვა მასალისგან დამზადებული ნივთი, რომელიც სითხეს კარგად ისრუტავს, იყენებენ დასაბანად. *ღრუბლით გახეხა.*

**ღრუბლიანი** *ღრუბლიანის* ღრუბლებით[1] დაფარული, მოცული. *ღრუბლიანი ცა. ღრუბლიანი ამინდი.*

**ღრუტნა** *ღრუტნის* (ღრუტნის, იღრუტნება) ↑ **გამოღრუტნა**. *კედელს ღრუტნის.*

**ღრუტუნა** *ღრუტუნას* რაც ღრუტუნებს. *ღრუტუნა გოჭი.*

**ღრუტუნი** *ღრუტუნის* (ღრუტუნებს) ღორის ხმიანობა. *ბურვაკი ღრუტუნებს.*

**ღრუჩუნი** *ღრუჩუნის* (ღრუჩუნებს) იგივეა, რაც ღრუტუნი. *დედა ღორი ღრუჩუნებს.*

**ღრღნა** *ღრღნის* (ღრღნის, იღრღნის, უღრღნის, იღრღნება) 1. მაგარი საგნის კბილებით ხერა. *ძაღლი ძვალს ღრღნის.* 2. გადატ. მძიმე გრძნობისგან, ფიქრისგან და მისთ. ნვალება, წუხილი. *დარდი გულს უღრღნის.*

**ღრძილი** *ღრძილის* პირის ღრუს კუნთოვანი ქსოვილი, რომლითაც დაფარულია კბილის ფესვები. *ღრძილების ანთება.*

**ღრძო** *ღრძოს* ვინც სიავეს ვერ აპატიებს, ბოროტი. *ღრძო ქალი. ღრძო გული აქვს.*

**ღრძობა** *ღრძობის* (იღრძობს, ეღრძობა) დაცემის, ამოტრიალებისა და მისთ. შედეგად სახსარში ძვლის დაძვრა. *ფეხი იღრძო. ხელი ეღრძო.*

**ღრჭენა** *ღრჭენის* (აღრჭენს) ⊙ **კბილებს აღრჭენს** კბილებს აკრაჭუნებს.

**ღრჭიალი** *ღრჭიალის* (ღრჭიალებს, აღრჭიალებს) 1. ლითონის ან სხვა მყარი საგნების ერთმანეთზე გასმისას, ხახუნისას გამოცემული ხმა. *საკეტის ღრჭიალი. ურმის თვალი ღრჭიალებს.* 2. იგივეა, რაც ღრჭენა. *კბილებს აღრჭიალებს.*

**ღრჯუ** *ღრჯუს* გულღრძო, უჟმური, უხასიათო. *ღრჯუ ბებერი.*

**ღუდუდი** *ღუდუდის* ამობურცული, შეწითლებული გამონაყარი კანზე. *ლოყა ზე ღუდუდები გაუჩნდა.*

**ღუდუდო** *ღუდუდოს* იგივეა, რაც ღუდუდი. *ღუდუდოები გაუჩნდა.* ■ **ღუდუდოებიანი** ღუდუდოების მქონე. *ღუდუდოებიანი სახე.*

**ღუზა** *ღუზის* ჯაჭვზე გამობმული რკინის მძიმე თათებიანი ღერო გემების, ნავებისა და მისთ.

ღია წყალში გასაჩერებლად. *ღუზა ჩაუშვეს. ღუზის ჯაჭვი.*

ღუზა

ღუილი *ღუილის* (ღუის, უღუის) სიმნიფისგან, სიცხისგან და მისთ. სხვადასხვა ფერად ელვარება, ბზინვა. *ბრონეული წითლად ღუის. გოგოს ლოყები უღუის.*

ღუმელი *ღუმლის* რკინის, აგურის ან ქვის მოწყობილობა ცეცხლის დასანთებად. იყენებენ საყოფაცხოვრებო დანიშნულებით (გასათბობად, საჭმლის მოსამზადებლად). *გახურებული ღუმელი. შეშის ღუმელი.*

ღუნვა *ღუნვის* (ღუნავს, იღუნება, ეღუნება) 1. ↑ გაღუნვა. *ხე იღუნება.* 2. ↑ მოღუნვა. *წელში იღუნება. ნალს ღუნავს.* 3. ↑ ჩაღუნვა. *თავს ღუნავს.*

ღუნვადი *ღუნვადის* რაც ადვილად იღუნება, რის მოღუნვაც შეიძლება. *ღუნვადი ლითონი.*

ღუნღულა *ღუნღულას* რბილი და თბილი. *ღუნღულა საბანი.*

ღურღუმი *ღურღუმის* ღრმა ადგილი მდინარეში, მორევი. *მტკვრის ღურღუმი.*

ღუტუნი *ღუტუნის* (უღუტუნებს, ეღუტუნება) იგივეა, რაც ღიტინი. *ღუტუნით შეაწუხა. ხელზე უღუტუნებს.*

ღუღუნი *ღუღუნის* (ღუღუნებს) 1. ზოგი ფრინველის (მტრედის, ქედნისა და მისთ.) ხმიანობა. *მტრედები ღუღუნებენ.* 2. გადატ. წყნარი, სასიამოვნო სიმღერა ან ლაპარაკი. *ძველ სიმღერას ღუღუნებს.*

# – ყ –

**ყაბალახი** *ყაბალახის* მამაკაცის გრძელტოტებიანი თავსაბურავი. *ყაბალახი მოიხვია.* ▪ **ყაბალახიანი** ვისაც ყაბალახი ახურავს. *ყაბალახიანი კაცი.*

ყაბალახი

**ყაბაყი** *ყაბაყის* გოგრის ერთ-ერთი სახეობა, აქვს გრძელი ნაყოფი, გამოიყენება საჭმელად. *ყაბაყის სალათა.*



ყაბაყი

**ყაბზობა** *ყაბზობის* მედიც. კუჭის შეკრულობა. *ყაბზობა დაემართა.*

**ყაბული** ⊙ **ყაბულს არის** თანახმაა.

**ყადაღა** *ყადაღის* კერძო პირის ან ორგანიზაციისთვის კუთვნილი ქონების გამოყენების უფლების ჩამორთმევა სასამართლოს მიერ. *ყადაღა დაადეს. ყადაღის მოხსნა.*

**ყადაღადადებული** *ყადაღადადებულის* რასაც ყადაღა დაადეს. *ყადაღადადებული ბინა.*

**ყადრი** *ყადრის* რაიმეს ფასი, მნიშვნელობა. *ფულის ყადრი იცის. მართალი სიტყვის ყადრი.*

**ყავა** *ყავის* 1. მარადმწვანე ტანდაბალი ხის მარცვლები, რომლებიც კოფეინს შეიცავს. *ყავის დაფქვა.* 2. არომატული სასმელი, რომელიც ყავის (1) მარცვლებისგან მზადდება. *ნალექიანი ყავა. ხსნადი ყავა.*

**ყავარი** *ყავრის* ნაპობი თხელი ფიცარი, გამოიყენება შენობების სახურავად. *ყავრით გადახურული.* ☉ **კუდი ყავარზე აქვს გადებული** ამბობენ ამპარტავან, ქედმაღალ ადამიანზე.

**ყავარჯენი** *ყავარჯნის* სხვადასხვა ფორმის საყრდენი ჯოხი, იყენებენ ფეხის ტკივილის დროს. *ყავარჯნით დადის.*

**ყავარჯნიანი** *ყავარჯნიანის* ყავარჯნით მოსიარულე. *ყავარჯნიანი კაცი.*

**ყავახანა** *ყავახანის* ადგილი, სადაც ყავას სვამენ, საუზმობენ. *ყავახანაში დასხდნენ.*

**ყაეისფერი** *ყაეისფრის* რაც ფერით ყავას ჰგავს. *ყაეისფერი ჩანთა. ყაეისფერი ფეხსაცმელი.*

**ყავლი** *ყავლის* დათქმული დრო, ვადა. *ყავლი გაუვიდა.*

**ყაზარმა** *ყაზარმის* შენობა, სადაც სამხედრო ნაწილი ცხოვრობს. *ყაზარმის ტერიტორია.*

**ყაზარმული** *ყაზარმულის* ყაზარმასთან დაკავშირებული, ყაზარმაში ცხოვრების წესის დამახასიათებელი. *ყაზარმული რეჟიმი.*

**ყაზახა** *ყაზახას* ბოლქვიანი ბალახოვანი მცენარე, ღეროს წვერზე იკეთებს პატარა, ლურჯ ყვავილებს.

**ყაიდა** *ყაიდის* ჩაცმის, ქცევის, საუბრისა და მისთ. დამახასიათებელი მანერა, წესი. *სოფლის ყაიდაზე აცვია.*

**ყაიმი** *ყაიმის* ფრე ჭადრაკში ან შაშში. *თამაში ყაიმით დამთავრდა.*

**ყაირათი** *ყაირათის* ხარჯების ზომიერად განაწილების უნარი.

**ყაირათიანი** *ყაირათიანის* ვისაც ყაირათიანობა ახასიათებს, მომჭირნე. *ყაირათიანი მხარჯველი.* ▲ **ყაირათიანად ზმნზ.** მომჭირნედ. *პროდუქტს ყაირათიანად იყენებს.*

**ყაირათიანობა** *ყაირათიანობის* გონივრულად ხარჯვის უნარი, მომჭირნეობა. *ყაირათიანობა გამოიჩინა.*

**ყაისნაღი** *ყაისნაღის* წვრილი, კაუჭიანი ჩხირი, გამოიყენება საქსოვად და საქარგავად. *ყაისნაღით ქსოვს. ყაისნაღით ნაქარგი.*

**ყალამი** *ყალმის* 1. მხატვრის ფუნჯი. 2. რკინის იარაღი ლითონზე ან ქვაზე სახეების გამოსაყვანად.

**ყალბი** *ყალბის* 1. არანამდვილი, მოჩვენებით ნამდვილის მსგავსი. *ყალბი საბუთი. ყალბი ოქრო.* 2. გადატ. ვინც ან რაც გულწრფელი, მართალი არ არის. *ყალბი გულშემატკივრობა. ყალბი დაპირება.* ▲ **ყალბად ზმნზ.** არაგულწრფელად, მოსაჩვენებლად. *ყალბად იღიმის.*

**ყალთაბანდი** *ყალთაბანდის* უსაქმური, მუქთად ყოფნის მოყვარული. *ყალთაბანდი ახალგაზრდა.*

**ყალთაბანდობა** *ყალთაბანდობის* (ყალთაბანდობს) საუბრ. უსაქმურობა, საქმისთვის თავის არიდება.

*ყალთაბანდობა არ უყვარს. ბიჭი ყალთაბანდობს.*

**ყალიბი** *ყალიბის* გარკვეული მოყვანილობის მონყობილობა, რომელშიც ასხამენ მასას შესაბამისი ფორმის მისაცემად. *ყალიბების დამზადება. აგურის ყალიბი.*

**ყალიონი** *ყალიონის* იგივეა, რაც ჩიბუხი.

**ყალყი** ⊙ *თმა ყალყზე დაუდგება* ძალიან შეეშინდება.

**ყამირი** *ყამირის* მიწა, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში არ დამუშავებულა. *ყამირი დახნეს.*

**ყანა** *ყანის* ადგილი, სადაც ხორბალი, სიმინდი ან სხვა მარცვლეული არის დათესილი. *პურის ყანას მკიან. ყანები გათოხნეს.*

**ყანყრატო** *ყანყრატოს* საუბრ. ხორხი. *ყანყრატოში სწვდა.*

ყანჩა

**ყანჩა** *ყანჩის* ჭაობებისა და ტბების დიდი ფრინველი, აქვს მაღალი ფეხები, გრძელი კისერი და ნისკარტი. *ყანჩასავით მაღალი.*

**ყანწი** *ყანწის* რქისგან დამზადებული სასმისი. *ჯიხვის ყანწი. ღვინოს ყანწებით სვამენ.*

ყანწი

**ყაპყი** *ყაპყის* ახლად მოსული, თხლად დადებული თოვლი. *ყაპყი მოედო.*

**ყარაული** *ყარაულის* შეიარაღებული მცველი. *ქარხნის ყარაული.* ⊙ *საპატიო ყარაული* სამხედრო პირთა ჯგუფი, რომელიც დგას მიცვალებულთან ან მემორიალთან პატივისცემის ნიშნად.

**ყარაჩოხელი** *ყარაჩოხელის* ძვ. ნვრილი ვაჭარი ან ხელოსანი ძველ თბილისში, გამოირჩეოდა თავისებური ჩაცმულობითა და ქცევის წესებით. *ყარაჩოხელთა ამქარი.*

**ყარი** *ყარის* ქართული ანბანის ოცდამეოთხე ასოს (ყ-ს) სახელწოდება.

**ყარიბი** *ყარიბის* ძვ. უცხო და მარტოსული. *ყარიბი პოეტი.*

**ყარყატი** *ყარყატის* დიდი ზომის გარეული ფრინველი, ბინადრობს ჭაობისპირა ლელიანებში.

**ყარყუმი** *ყარყუმის* კვერნის მსგავსი ძვირფასბეწვიანი ცხოველი. *ყარყუმის მოსასხამი.*

**ყასაბი** *ყასბის* საქონლის დამკვლელი, ხორცის გამყიდველი. *ყასბის დანა.*

**ყასიდად** ზმნზ. მოსაჩვენებლად, ცბიერად, არაგულწრფელად. *ყასიდად მიიპატიჟა.*

**ყატყატი** *ყატყატის* (ყატყატებს) ბევრი ადამიანის ხმაურიანი ლაპარაკი, ყაყანი. *ხალხი დიდხანს ყატყატებდა.*

**ყაურმა** *ყაურმის* თავისივე ქონში მოხრაკული ხორცი. *ცხვრის ყაურმა.*

**ყაღი** *ყაღის* მზეზე გამხმარი დამარილებული ხორცი. *ცხვრის ყაღი. ჯიხვის ყაღი.*

**ყაყანი** *ყაყანის* (ყაყანებს) ხმამაღალი, გაუგებარი, უთავბოლო ლაპარაკი (ჩვეულებრივ, ბევრი ადამიანისა). *ამ ყაყანში ვერაფერი გავიგე. ბავშვები ყაყანებენ.*

ყაყაჩო

**ყაყაჩო** *ყაყაჩოს* მრავალწლოვანი ყვავილოვანი მცენარე, აქვს გრძელი ღერო, იკეთებს წითელ ყვავილს, რომელსაც ზოგჯერ ფურცლებზე შავი ხალები აქვს. *ყაყაჩოები ყვავის.*

**ყაშყაში** *ყაშყაშის* (ყაშყაშებს) ზოგიერთი ფრინველის (არწივის, ორბისა და მისთ...) ხმიანობა. *ყაშყაში ისმის.*

**ყაჩაღანა** *ყაჩაღანას* ცელქი, მოუსვენარი. *ყაჩაღანა გოგო.*

**ყაჩაღი** *ყაჩაღის* 1. შეიარაღებული ბოროტმოქმედი, რომელიც ძალის გამოყენებით ძარცვავს ვინმეს. *ყაჩაღების თავდასხმა.* 2. ხელისუფლების წინააღმდეგ მებრძოლი, რომელიც ტყეში იმალება. *ყაჩაღად იყო გავარდნილი.*

**ყაჩაღობა** *ყაჩაღობის* (ყაჩაღობს) იარაღით თავდასხმა და რაიმეს წართმევა, წაგლეჯა, ძარცვა. *ყაჩაღობა გახშირდა.*

**ყაჩაღური** *ყაჩაღურის* ყაჩაღისთვის დამახასიათებელი. *ყაჩაღური თავდასხმა.*

**ყანიმი** *ყანიმის* 1. ხმლის ირიბად ჩამოსაკიდებელი თასმა, რომელიც მორთულია ვერცხლის ბალთებით. *ხმლის ყანიმი.* 2. ჩოხის მოვერცხლილი მასრა. *ვერცხლის ყანიმი.* 3. ქალის სამოსის სამკაული – ვერცხლის ბალთა, რომელსაც იკეთებენ სარტყელზე, ჯუბაზე. *ღვედზე ასხმული ყანიმი.*

**ყაჭი** *ყაჭის* გამოხარშული აბრეშუმის პარკი, რომლისგანაც ართავენ ძაფს. *ყაჭის გადამუშავება.*

**ყბა** *ყბის* 1. სახის წყვილი (ზედა და ქვედა) ყველაზე მსხვილი მოძრავი ძვალი, რომელშიც კბილებია ჩასმული. *ზედა და ქვედა ყბა.* 2. იგივეა, რაც ლოყა. *ყბაში სილა გააწნა.* ⊙ *ვინმეს ყბაში ჩავარდება* ვინმეს სალაპარაკო გახდება.

**ყბადაღებული** *ყბადაღებულის* ყველას სალაპარაკოდ, განსასჯელად ქცეული. *ყბადაღებული თემა.*

**ყბაყურა** *ყბაყურას* მწვავე გადამდები დაავადება, რომლისთვისაც დამახასიათებელია ყბა-ყურის ჯირკვლების ანთება. *ყბაყურა მოიხადა.*

**ყბედი** *ყბედის* უპატივც. ვინც უაზროდ, მომაბეზრებლად ბევრს ლაპარაკობს, მოლაყბე. *ამ ყბედს რა გააჩუმებს!*

**ყბედობა** *ყბედობის* (ყბედობს) ბევრი და უაზრო ლაპარაკი. *ყბედობით თავი მოაბეზრა. გაუთავებლად ყბედობს.*

**ყდა** *ყდის* წიგნის, რვეულის, ალბომისა და მისთ. სხვადასხვა მასალისგან დამზადებული გარეთა

ნაწილი, ჩვეულებრივ, მხატვრულად გაფორმებული. *ფერადი ყდა. სქელი ყდა.* ■ ყდიანი რასაც ყდა აქვს. *ყდიანი რვეული.*

**ყევარი** *ყევრის* გუთანში, ურემში ან მარხილში ერთდროულად შებმული ორი წყვილი ხარი ან კამეჩი. *გუთანში ყევარი უბია.*

**ყელვა** *ყელვის* (ყელავს) ↑ შეყელვა. *ეა ზებს ყელავს.*

**ყელი** *ყელის* 1. კისრის წინა ნაწილი. *ყელი შეიხვია. ყელზე სათბური დაადეს.* 2. ხახისა და საყლაპავის შეერთების ადგილი პირის ღრუში. *ყელი გაწითლებული აქვს. ყელი გაუცივდა.* 3. იგივეა, რაც კისერი. *ყელზე შარფი შემოიხვია.* 4. ზოგიერთი ჭურჭლის ზედა შევიწროებული ნაწილი. *ქვევრის ყელი. დოქის ყელი.* 5. ფეხსაცმლის ან წინდის კოჭსზევითა ნაწილი. *ჩექმის ყელი.* 6. ხმელეთის დიდი ნაწილების ზღვაში შემაერთებელი ან წყალსატევების გამყოფი მიწის ვიწრო ზოლი. *სუეცის ყელი. პანამის ყელი.* 7. წისქვილის ზედა ქვის ნახვრეტი, რომელშიც მარცვალი ცვივა. *წისქვილის ყელი.* ■ ყელიანი რასაც ყელი (5) აქვს. *ყელიანი ფეხსაცმელი.* ■ ყელ-ყურა ყელი და ყურები. *ყელ-ყურის ექიმი.* ⊙ გული ყელში ებჯინება ძალიან აღელეებულია, ბრაზობს. ⊙ ყელამდე სავსე მდიდარი, ყველაფრის მქონე. ⊙ ყელზე დაადგება 1. გადაყლაპვა გაუჭირდება; 2. არ შეერგება. ⊙ ყელს გაისვეელებს სასმელს ოდნავ მოსვამს. ⊙ ყელს გამოსჭრის 1. დაკლავს. 2. უღალატებს. ⊙ ყელში ამოადენს დააყვედრებს.

**ყელმოღერებული** *ყელმოღერებულის* ვისაც ყელი აქვს მოღერებული, თავაწეული, ამაყი, თამამი. *ყელმოღერებული იჯდა.*

**ყელსაბამი** *ყელსაბამის* სამკაული, რომელსაც ყელზე იკეთებენ. *ოქროს ყელსაბამი.*

ყელსაბამი

**ყელსახვევი** *ყელსახვევის* ყველზე შემოსახვევი, სხვადასხვა მასალისა და ფორმის ქსოვილი. *მამაკაცის ყელსახვევი.*

**ყელტიტველა** *ყელტიტველას* რასაც ყელზე ბუმბული არა აქვს. *ყელტიტველა მამალი.*

**ყელყარყარა** *ყელყარყარას* ვისაც მაღალი, ლამაზი ყელი აქვს. *ყელყარყარა ქალი.*

**ყელყელაობა** *ყელყელაობის* თავის მაღლა აწევა, კისრის დაგრძელება, ფეხის წვერებზე დადგომა, *ბავშვი ყელყელაობს.*

**ყეფა** *ყეფის* (ყეფს, უყეფს, იყეფება) ძაღლისა და ზოგიერთი ფრინველის მკვეთრი, თავისებური ხმიანობა. *ნაგა ზი ყეფს. ძაღლი იყეფება. არწივმა ყეფა დაიწყო.*

**ყეყეჩი** *ყეყეჩის* უჭკუო, მიუხვედრელი. *ამ ყეყეჩს რა უნდა გააგებინო!*

**ყვავი** *ყვავის* 1. საშუალო ზომის გარეული ფრინველი, აქვს შავი ფრთები და რუხი გულ-მუცელი. *ყვავის ბახალა.* 2. ბანქოს ოთხი სახეობიდან ერთ-ერთი. *ყვავის ექვსიანი.* ⊙ ყვავი-ჩხიკვის მამიდა საუბრ. ამბობენ ძალიან შორეულ ნათესავზე.

ყვავი

**ყვავილედი** *ყვავილედის* ყლორტის ნაწილი, რომელზეც განლაგებულია ყვავილები. *რთული ყვავილედი.*

**ყვავილი** *ყვავილის* 1. მცენარის გამრავლების ორგანო. *ატმის ყვავილი.* 2. ბალახოვანი ან ბუჩქოვანი მცენარე, რომელიც უმეტესად სხვადასხვა ფერის ყვავილს (1) ისხამს. *მინდვრის ყვავილები. ქოთნის ყვავილი.* 3. გადამდები დაავადება, დამახასიათებელია წვრილი, ჩირქოვანი მუწუკები, რომლებიც კვალს ტოვებენ სახეზე. *ყვავილი შეეყარა.*

**ყვავილიანი** *ყვავილიანის* რასაც ყვავილები ასხია, აქვს. *ყვავილიანი ტოტი. ყვავილიანი ქოთანი.*

**ყვავილნარი** *ყვავილნარის* ადგილი, სადაც ყვავილებია გაშენებული. *ყვავილნარს ახალი ნარგავები შემატეს.*

**ყვავილობა** *ყვავილობის* (ყვავილობს) ყვავილების გამოსვლა, გაშლა, აყვავება. *ტყემლების ყვავილობა. ნუში ადრე ყვავილობს.*

**ყვავილოვანი** *ყვავილოვნის* რასაც ყვავილები აქვს. *ყვავილოვანი მცენარე.* ⊙ ყვავილოვანი კომბოსტო კომბოსტოს სახეობა.

**ყვავილსაფარი** *ყვავილსაფრის* ყვავილის (1) გარეთა ნაწილი, მეტწილად შეფერილი. *მარტივი ყვავილსაფარი. ორპირი ყვავილსაფარი.*

**ყვავისფრჩხილა** *ყვავისფრჩხილას* მრავალწლოვანი პარკოსანი მცენარე, იკეთებს ვარდისფერ ყვავილებს.

**ყვავისხმალა** *ყვავისხმალას* ერთწლოვანი ბალახოვანი მცენარე, იკეთებს ყვითელ ყვავილს.

**ყვავტყემალი** *ყვავტყემლის* ტყის დაბალი ბუჩქი, აქვს თეთრი ყვავილი, ისხამს შავ მოტკბო ნაყოფს.

**ყვანჩალა**[1] *ყვანჩალას* იგივეა, რაც ყვავი. *ყვანჩალა მოფრინდა.*

**ყვანჩალა**[2] *ყვანჩალას* ტყის მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარე, იკეთებს მუქ წითელ ყვავილს.

**ყვედრება** *ყვედრების* (აყვედრებს, აყვედრის) ↑ დაყვედრება. *ყვედრება უყვარს. საჭმელს აყვედრებს.*

**ყველა** *ყველას* ნაცვ. ვინც არის, სულ ერთიანად, უკლებლად. *ყველა მოვიდა. ყველა ყურადღებით უსმენდა.*

**ყველანაირი** *ყველანაირის* ყველა სახისა. *ყველანაირი საჭმელი.* ▲ ყველანაირად ზმნზ. ყველა

თვალსაზრისით, ყველა საშუალებით. *ყველანაირად ცდილობს.*

**ყველაფერი** *ყველაფრის* ნაცვ. რაც არის, სულ ერთიანად, უკლებლად. *ყველაფერი იცის. ყველაფერი წაიღო.*

**ყველგან** ზმნზ. ყველა მხარეს, ყველა ადგილზე. *ყველგან თოვს.*

**ყველეული** *ყველეულის* სხვადასხვა სახის ყველი. *ყველეულის საწარმო.*

**ყველი** *ყველის* რძისგან გარკვეული წესით დამზადებული საკვები პროდუქტი. *ჭყინტი ყველი. ჰოლანდიური ყველი.*

**ყველიერი** *ყველიერის* დიდმარხვის წინა კვირა, რომლის განმავლობაშიც ხორცეული არ იჭმება. *ყველიერის ხუთშაბათი.*

**ყვითელთავთავა** *ყვითელთავთავას* მრავალწლოვანი ბალახოვანი მარცვლოვანი მცენარე, იკეთებს მოყვითალო თავთავს.

**ყვითელკანიანი** *ყვითელკანიანის* მონგოლოიდური რასის წარმომადგენელი, ახასიათებს მოყვითალო კანის ფერი, თვალის ვიწრო ჭრილი. *მომთაბარე ყვითელკანიანები.*

**ყვითელი** *ყვითლის* ერთ-ერთი ძირითადი ფერი, რომელიც აქვს მწიფე ლიმონს, ქარვასა და მისთ. *ყვითელი სამაჯური.*

**ყვითრი** *ყვითრის* კვერცხის გული, ადამიანისა და ცხოველთა კვერცხუჯრედის ნივთიერება, რომელიც აუცილებელია ჩანასახის განვითარებისთვის.

**ყვინთაობა** *ყვინთაობის* (ყვინთაობს) ზედიზედ ბევრჯერ ყვინთვა, ყვინთვით თამაში. *ბიჭები ყვინთაობენ.*

ყვინთვა

**ყვინთვა** *ყვინთვის* (ყვინთავს, ეყვინთება) 1. ცურვის დროს წყალში თავის ჩაყოფა, თავიდან ბოლომდე დამალვა. *ბიჭი კარგად ყვინთავს.* 2. საუბრ. გადატ. ძილის ძლიერი სურვილი, როდესაც ადამიანს თვალები ეხუჭება, თავს ვერ იმაგრებს და დაბლა უვარდება. *მოხუცი საავარძელში ყვინთავს.*

**ყვინჩილა** *ყვინჩილას* 1. ზრდადაუმთავრებელი მამალი ქათამი. *ყვინჩილები მალე დამამლდებიან.* 2. გადატ. ამპარტავანი, ყოყლოჩინა ბიჭი. *შეხედე ამ ყვინჩილას!*

**ყვირილი** *ყვირილის* (ყვირის, უყვირის, აყვირებს) 1. ხმამაღალი ძახილი, ჩვეულებრივ, გაბრაზების გამომხატველი. *ყვირილი დაიწყო. ბავშვებს უყვირის. რა გაყვირებს?!* 2. ზოგიერთი ცხოველის ხმიანობა. *ირმის ყვირილი. ხარის ყვირილი.*

**ყვიტყვიტი** *ყვიტყვიტის* (ყვიტყვიტებს) ზოგიერთი ფრინველის (ინდაურის, იხვის) ხმიანობა. *ჭუკები ყვიტყვიტებენ.*

**ყვლეფა** *ყვლეფის* (ყვლეფს, იყვლიფება, ეყვლიფება) 1. ↑ გაყვლეფა (1). *კისერი ეყვლიფება.* 2. გადატ. ↑ გაყვლეფა (2). *ხალხს უსამართლოდ ყვლეფენ.*

**ყია** *ყიის* 1. საუბრ. იგივეა, რაც ხახა. 2. ისრის ნაწილი, რომლითაც იგი მშვილდის ლარს გამოედება. *ისრის ყია.*

**ყიალი** *ყიალის* (ყიალებს) უსაქმოდ, უმიზნოდ სიარული, ხეტიალი. *ქუჩა-ქუჩა ყიალი უყვარს.*

**ყიამათი** *ყიამათის* ძლიერი ყინვა, სიცივე. *ამ ყიამათში გარეთ რა უნდა?!*

**ყიამეთი** *ყიამეთის* იგივეა, რაც ყიამათი. *ზამთრის ყიამეთი.*

**ყიამყრალი** *ყიამყრალის* ავის მთქმელი, ბილწი, უხამსი. *ყიამყრალი მოხუცი.*

**ყიდვა** *ყიდვის* (იყიდის, უყიდის) ფულით რაიმეს შეძენა. *სახლის ყიდვა. წიგნი იყიდა. ჩანთას ყიდულობს.*

**ყივანახველა** *ყივანახველის* ბავშვთა გადამდები დაავადება, რომლისთვისაც დამახასიათებელია ხრინწიანი ხველა. *ყივანახველა გაურთულდა.*

**ყივილი** *ყივილის* (ყივის, უყივის, აყივლებს) მამლისა და ზოგიერთი სხვა ფრინველის ხმიანობა. *ხოხბის ყივილი.*

**ყივყივი** *ყივყივის* ზოგიერთი ფრინველის (არწივის, წეროსა და მისთ.) ხმიანობა.

**ყინვა** *ყინვის* (ყინავს) 1. ძალიან დაბალი (ნულს ქვევით) ტემპერატურა, სიცივე. *ყინვები დაიწყო.* 2. იგივეა, რაც ყინული. *ყინვა დადნა.* 3. ძალიან დაბალი ტემპერატურის გამო ძლიერ აცივება. *ქუჩაში ყინავს.*

**ყინვაგამძლე** *ყინვაგამძლის* რაც ძლიერ ყინვებს უძლებს. *ყინვაგამძლე ჯიში. ყინვაგამძლე ხეხილი.*

**ყინვიანი** *ყინვიანის* რასაც დიდი ყინვები ახასიათებს, სუსხიანი. *ყინვიანი ზამთარი.*

**ყინტორა** *ყინტორის* ბალახოვანი მცენარე, აქვს ღრუ ღერო, თეთრი ყვავილები და მოგრძო ნაყოფი.

**ყინული** *ყინულის* დაბალი ტემპერატურის პირობებში გამკვრივებული წყალი. *ყინულის საფარი. ყინული დადნა.*

**ყინულმჭრელი** *ყინულმჭრელის* გემი, რომელიც ყინულს ჭრის. *ყინულმჭრელის ეკიპაჟი.*

**ყინჩი** *ყინჩის* მოხდენილი, თავმომწონე. *ყინჩი ყმაწვილი.* ▲ ყინჩად ზმნზ. მოხდენილად, თავმომწონედ. *ყინჩად უჭირავს თავი.*

**ყინწი** *ყინწის* საუბრ. იგივეა, რაც კისერი. *ქათამს ყინწი წააცალა.*

**ყიჟინა** *ყიჟინის* სიხარულის, აღტაცების გამომხატველი შეძახილები. *ყიჟინა ატეხეს. გამარჯვების ყიჟინა.*

ყიჟინი *ყიჟინის* (ყიჟინებს) ბევრი ადამიანის ერთბაშად ხმამაღლა ძახილი, ყვირილი. *ბავშვები ყიჟინებენ.*

ყირა *ყირის* 1. ხელებზე დგომა ისე, რომ ფეხები მაღლა იყოს აშვერილი. *ყირას აკეთებს.* ◉ ყირაზე გადადის ყირაზე დგება და ტრიალებს. ◉ ყირაზე დააყენებს ყველაფერს გადააატრიალებს, აურევს.

ყირამალა ზმნზ. იგივეა, რაც თავდაყირა. *ყირამალა დგას.* ◉ ყირამალა გადადის ყირაზე გადადის. ◉ ყირამალა დააყენებს ყირაზე დააყენებს.

ყირმიზი *ყირმიზის* ნიგნ. წითელი. *ყირმიზი სართყელი.*

ყისმათი *ყისმათის* საუბრ. ბედი, იღბალი. *ყისმათი არ სწყალობს.*

ყისმათიანი *ყისმათიანის* ყისმათის მქონე, იღბლიანი. *ყისმათიანი მონადირე.*

ყიფლიბანდი *ყიფლიბანდის* ახალშობილის თავის ქალის ძვლებს შორის არსებული გაუძვალებელი აპკისებრი რბილი ქსოვილი, რომელიც შემდგომ მაგრდება. *დიდი ყიფლიბანდი.*

ყიყინა *ყიყინას* რაც ყიყინებს. *ყიყინა ბატი.*

ყიყინი *ყიყინის* (ყიყინებს) ბაყაყის, იხვისა და ბატის ხმიანობა. *ყიყინი ისმის.*

ყიყლიყო[1] *ყიყლიყოს* მამლის ძახილი. *ყიყლიყოს იძახის.*

ყიყლიყო[2] *ყიყლიყოს* გათქვეფილ კვერცხში ამოვლებული და შემწვარი პური. *ყიყლიყო მიირთვა.*

ყლაპაყლუპი *ყლაპაყლუპის* სითხის ჩქარი სმის დროს გამოცემული ხმა. *წყალი ყლაპაყლუპით დალია.*

ყლაპვა *ყლაპვის* (ყლაპავს, იყლაპება, ეყლაპება, აყლაპვინებს) ↑ ჩაყლაპვა. *ლუკმას ყლაპავს. ნერწყვი ეყლაპება.*

ყლაპი *ყლაპის* იგივეა, რაც ყლუპი.

ყლორტი *ყლორტის* მცენარის ახლადამოსული ნაზარდი ნორჩი ტოტი. *ხემ ყლორტი ამოიყარა.*

ყლუპი *ყლუპის* ერთ ჯერზე მოსმით გადაყლაპული სითხე. *ორი ყლუპი დალია.*

ყლურწვა *ყლურწვის* (ყლურწავს) საუბრ. სასმლის ერთბაშად, სწრაფად სმა. *ღვინოს ყლურწავს. ლუდს ყლურწავს.*

ყმა *ყმის* ბატონყმობის დროს მემამულის მიწაზე მცხოვრები გლეხი, რომელიც ამუშავებდა ბატონის მიწას და უხდიდა მას ბეგარას. *ბევრი ყმა ჰყავდა.*

ყმანვილი *ყმაწვილის* 1. იგივეა, რაც ბავშვი. *სკოლის ე ზო ყმაწვილებით იყო სავსე.* 2. იგივეა, რაც ახალგაზრდა. *ყმაწვილი ქალი. ყმაწვილი კაცი.*

ყმანვილკაცობა *ყმაწვილკაცობის* 1. ახალგაზრდობა. *ყმანვილკაცობის დროინდელი მეგობარი.* 2. ბევრი ყმაწვილკაცი ერთად. *ყმაწვილკაცობა მოგროვდა.*

ყმაწვილკაცური *ყმაწვილკაცურის* ყმაწვილკაცისთვის დამახასიათებელი. *ყმაწვილკაცური საქციელი.*

ყმაწვილობა *ყმაწვილობის* ბავშვობის ასაკი, სიყმაწვილე. *ყმაწვილობის დღეები.*

ყმაწვილური *ყმაწვილურის* ყმაწვილისთვის დამახასიათებელი, ბავშვური. *ყმაწვილური ყინი. ყმაწვილური გამოუცდელობის გამო.*

ყმაწვილქალობა *ყმაწვილქალობის* ქალის ახალგაზრდული ასაკი. ყმაწვილქალობის პერიოდი.

ყმუილი *ყმუილის* (ყმუის, აყმუვლებს) ზოგიერთი ცხოველის (მგლის, ძაღლისა და მისთ.) ხმიანობა. *ყმუილი გაისმა. ტურები ყმუიან.*

ყნოსვა *ყნოსვის* (ყნოსავს, იყნოსავს) 1. შესუნთქვით სუნის შეგრძნება, აღქმა. *კარგი ყნოსვა აქვს. საჭმელს ყნოსავს.* 2. საუბრ. გადატ. რაიმეს მიხვედრის, გამოცნობის უნარი, ალღო. *ყნოსვა არ ღალატობს.*

ყოველგვარი *ყოველგვარის* ყველანაირი, ყველა სახისა. *ყოველგვარი დატვირთვა აუკრძალეს.*

ყოველდღე ზმნზ. ყველა დღეს, ყოველდღიურად. *ყოველდღე მუშაობს. ცურვა ზე ყოველდღე დადის.*

ყოველდღიური *ყოველდღიურის* რაც ყოველდღე სრულდება, მეორდება. *ყოველდღიური სამუშაო.* ▲ ყოველდღიურად ზმნზ. ყოველდღე, მუდმივად, დღითი დღე. *მოსახლეობა ყოველდღიურად იზრდება.*

ყოველდღიურობა *ყოველდღიურობის* ცხოვრების ჩვეულებრივი მიმდინარეობა. *მოსაწყენი ყოველდღიურობა.*

ყოველთვე ზმნზ. თითოეულ თვეში, ყოველ თვეში, ყოველთვიურად. *ყოველთვე იხდის გადასახადს.*

ყოველთვის ზმნზ. ყოველ დროს, მუდამ. *ყოველთვის პირველი მოდის.*

ყოველთვიური *ყოველთვიურის* რაც ყოველთვე სრულდება, მეორდება. *ყოველთვიური შემოსავალი.* ▲ ყოველთვიურად ზმნზ. ყოველ თვეში, განმეორებით. *გამოფენა ყოველთვიურად იმართება.*

ყოველი *ყოვლის* ნაცვ. ყველადან თითოეული. *ყოველი წუთი ძვირფასია.*

ყოველივე *ყოველივეს* წიგნ. ყველაფერი. *ყოველივე ცხადი გახდა.*

ყოველკვირეული *ყოველკვირეულის* რაც ყოველ კვირაში სრულდება, მეორდება. *ყოველკვირეული ხარჯი.*

ყოველმხრივ ზმნზ. ყოველი მხრიდან, ყოველი კუთხით, ყველანაირად. *ყოველმხრივ განიხილა საკითხი. ყოველმხრივ დაეხმარებიან.*

ყოველმხრივი *ყოველმხრივის* ყოველი კუთხით შესრულებული, ყველანაირი, სრული. *ყოველმხრივი შეფასება.*

ყოველნაირი *ყოველნაირის* ყველანაირი, ყოველგვარი. *ყოველნაირი მიზეზი. ყოველნაირი მწერები.* ▲ ყოველნაირად ზმნზ. ყოველი საშუალებით, ყველანაირად. *სწავლაში ყოველნაირად უწყობს ხელს.*

ყოველღამ ზმნზ. ყოველ ღამით. *ყოველღამ გვიან წვება.*

ყოველწამიერი *ყოველწამიერის* რაც ყოველ წამს ხდება. *ყოველწამიერი საფრთხე.*

ყოველწლიური *ყოველწლიურის* რაც ყოველ წელს სრულდება, მეორდება. *ყოველწლიური კონკურსი.* ▲ ყოველწლიურად ზმნზ. ყოველ წელიწადს, წლიდან წლამდე. *ტურისტთა რაოდენობა ყოველწლიურად იზრდება. კონფერენცია ყოველწლიურად ტარდება.*

ყოველად ზმნზ. წიგნ. სავსებით, სრულიად. *ყოველად ულირსი საქციელი.*

ყოვლისმომცველი *ყოვლისმომცველის* რაც ყველაფერს მოიცავს. *ყოვლისმომცველი შიში. ყოვლისმომცველი საკითხი.*

ყოვლისმცოდნე *ყოვლისმცოდნის* ვინც ყველაფერი იცის, მრავალმხრივ განსწავლული. *ყოვლისმცოდნე პიროვნება.*

ყოვლისშემძლე *ყოვლისშემძლის* ვისაც ან რასაც ყველაფრის გაკეთება შეუძლია. *ყოვლისშემძლე არსება.*

ყოლა *ყოლის* (ჰყავს, იყოლიებს) სულიერის კუთვნილება. *შვილები ჰყავს. საქონელი ჰყავს. ორი შვილი იყოლია.*

ყომრალი *ყომრალის* წიგნ. მუქი ნაცრისფერი, რუხი. *ყომრალი ღამე.*

ყორანი *ყორნის* შავი, ყვავზე დიდი ფრინველი, იკვებება მძორით. *ყორანი ყრანტალებს.*

ყორე *ყორის* უკიროდ, მშრალად აგებული ქვის კედელი. *ეზოს ყორე შემოაყარა.*

ყორღანი *ყორღნის* 1. საფლავზე გაკეთებული მაღალი ბორცვი. *ძველი ყორღანი.* 2. ქვების გროვით გაკეთებული რაიმე ნიშანი.

ყოფა *ყოფის* ყოველდღიური ცხოვრება, ცხოვრების პირობები, გარემო. *გაჭირვებული ყოფა.*

ყოფაქცევა *ყოფაქცევის* ადამიანის საქციელი, მოქმედება. *კარგი ყოფაქცევა.*

ყოფა-ცხოვრება *ყოფა-ცხოვრების* იგივეა, რაც ყოფა. *მთიელების ყოფა-ცხოვრება.*

ყოფიერება *ყოფიერების* რეალური სინამდვილე, საარსებო გარემო.

ყოფითი *ყოფითის* ყოველდღიური ცხოვრებისთვის, ყოფისთვის დამახასიათებელი. *ყოფითი ამბები.*

ყოფილი *ყოფილის* რაც იყო, ვინც რაიმე სახით, სტატუსით იყო და აღარ არის. *ყოფილი სკოლის შენობა. ყოფილი ქმარი. ყოფილი ექიმი.*

ყოფნა[1] *ყოფნის* (არის) არსებობა, სიცოცხლე. *სახლში ყოფნა მობეზრდა. სად არის ბავშვი?*

ყოფნა[2] *ყოფნის* (ჰყოფნის) საკმარისი რაოდენობით ქონა, ყოლა. *შემოსავალი ჰყოფნის. მუშები არ ჰყოფნით.*

ყოყლოჩინა *ყოყლოჩინას* ვისაც თავი მედიდურად უჭირავს, ტრაბახა. *ყოყლოჩინა მოსწავლე.*

ყოყლოჩინობა *ყოყლოჩინობის* (ყოყლოჩინობს) ყოყლოჩინასავით ქცევა, ყოყოჩობა. *ბიჭი ყოყლოჩინობს.*

ყოყმანი *ყოყმანის* (ყოყმანობს) გადაწყვეტილების მიღების გაძნელება, გაუბედაობა, მერყეობა. *ყოყმანი დაიწყო. დიდხანს ყოყმანობდა.*

ყოყოჩა *ყოყოჩას* კუდაბზიკა, ყოყლოჩინა. *ყოყოჩა ამხანაგები ჰყავს.*

ყოყოჩობა *ყოყოჩობის* (ყოყოჩობს) ტრაბახი, მედიდურად მოქცევა, ყოყლოჩინობა. *ტოლებში ყოყოჩობს.*

ყოყოჩური *ყოყოჩურის* ყოყოჩასთვის დამახასიათებელი, ამპარტავნული. *ყოყოჩური ქცევა.*

ყოჩაღ შორისდ. გამოიყენება შექების, მოწონების გამოსახატავად, წასახალისებლად. *ყოჩაღ, კარგად წერ!*

ყოჩაღი *ყოჩაღის* გაბედული, მოხერხებული, საქმეში მარჯვე. *ყოჩაღი ბიჭი.* ▲ ყოჩაღად ზმნზ. მარჯვედ, მხნედ. *ყოჩაღად მუშაობს. მოხუცი ყოჩაღად არის.*

ყოჩაღობა *ყოჩაღობის* (ყოჩაღობს) ყოჩაღად, მარჯვედ, მოხერხებულად მოქცევა. *სწავლაში ძალიან ყოჩაღობს.*

ყოჩი *ყოჩის* 1. სანაშენე მამალი ცხვარი (2 ან მეტი წლისა). *ფარის ყოჩი.* 2. გადატ. კარგი მოჩხუბარი, ტოლებში გამორჩეული. *ახალგაზრდების ყოჩია.*

ყოჩივარდა *ყოჩივარდა* ყვავილოვანი მცენარე, აქვს მომწვანო-ჭრელი ფოთლები, იკეთებს გრძელყუნწიან, ვარდისფერ ან მონითალო ყვავილებს. *ყოჩივარდები დაკრიფა.*

ყოჩობა *ყოჩობის* (ყოჩობს) პირველობა, უფროსობა, ყოჩივით (2) ქცევა. *კლასში ყოჩობს.*

ყრა *ყრის* (ყრის, აყრის, იყრის, უყრის, იყრება, ეყრება, ყრია, აყრია, უყრია) 1. ↑ დაყრა(1). *ნაგავს ყრის.* 2. ↑ დაყრა(2). *ძაღლი ლეკვებს ყრის.* 3. ↑ გაყრა (1). *ბავშვებს გარეთ ყრის.*

ყრანტალი *ყრანტლის* (ყრანტალებს) 1. ზოგიერთი ფრინველის (ყვავისა, ყორნისა და მისთ.) ხმიანობა. *ყვავები ყრანტალებენ.* 2. უპატივც. უადგილო, დაუფიქრებელი ლაპარაკი. *ხალხში ყრანტალი დაიწყო.*

ყრიალი *ყრიალის* ზოგიერთი ფრინველის (არწი-

ვის, ქორისა და მისთ.) ხმიანობა. *კლდიდან ყრიალი მოისმა.*

**ყრილობა** *ყრილობის* საზოგადოებრივი ორგანიზაციის წარმომადგენელთა კრება. *პარტიის ყრილობა.*

**ყრმობა** *ყრმობის* ადამიანის ზრდის ადრეული ასაკი. *ყრმობის წლები.*

**ყროლა** *ყროლის* (ყარს) მყრალი სუნის დენა (ქონა). *ხორცი ყარს.*

**ყროყინი** *ყროყინის* (ყროყინებს) 1. ვირის ან კამეჩის ხმიანობა. *სახედარი ყროყინებს.* 2. უპატივც. გადატ. ხმამაღალი, უშნოდ, უხეშად ლაპარაკი ან სიმღერა. *მთვრალები ყროყინებდნენ. რას ყროყინებ?!*

**ყრუ** *ყრუს* 1. ვისაც ყურში ცუდად ან საერთოდ არ ესმის. *ყრუ მოხუცი.* 2. ბუნდოვანი, გაურკვეველი. *ყრუ ტკივილი.* 3. გადატ. მივარდნილი, ჩამორჩენილი. *ყრუ სოფელი.* ▲ ყრუდ ზმნზ. ხმადაბლა, ბუნდოვნად, გაურკვევლად. *ყრუდ ისმის.*

**ყრუ-მუნჯი** *ყრუ-მუნჯის* ვინც ყრუც არის და მუნჯიც. *ყრუ-მუნჯთა სასწავლებელი.*

**ყუა** *ყუის* 1. მჭრელი იარაღების არამჭრელი მხარე. *ხმლის ყუა. ნაჯახის ყუა.* 2. პურის, მჭადის, ყველის სქელი კიდე. *ყუა მოიტეხა.*

**ყუათი** *ყუათის* საჭმლის ნოყიერება, კვებითი ღირებულება, კალორიულობა. *მჭადს ყუათი არა აქვს.*

**ყუათიანი** *ყუათიანის* ყუათის მქონე, ნოყიერი. *ყუათიანი კერძი.*

**ყუთი** *ყუთის* სხვადასხვა მასალისგან შეკრული ოთხკუთხა საგანი, გამოიყენება რაიმეს ჩასაწყობად. *ხის ყუთი. მუყაოს ყუთი. საფოსტო ყუთი.*

ყულაბა

**ყულაბა** *ყულაბის* ვიწროჭრილიანი პატარა დახურული ჭურჭელი, რომელსაც ფულის შესაგროვებლად იყენებენ. *ყულაბა გატეხეს.*

**ყულფი** *ყულფის* იგივეა, რაც მარყუჟი. *ყულფი ჩამოაცვა.* ⊙ **ყულფში თავს გაყოფს** ძნელ და რთულ საქმეს შეეჭიდება.

**ყუმბარა** *ყუმბარის* საარტილერიო ჭურვის ერთერთი სახეობა. *ყუმბარა ესროლეს.*

**ყუნწი** *ყუნწის* 1. ფოთლის, ყვავილის ან ნაყოფის ნაწილი, რომლითაც ის მიმაგრებულია მცენარეზე. *მსხლის ყუნწი.* 2. ლითონის კაუჭი, რომელიც გამოიყენება ჩარჩოზე კარის მისაბმელად. 3. ნახვრეტი ამა თუ იმ საგანზე შიგ რაიმეს გასაყრელად. *ნემსის ყუნწი.* ■ **ყუნწიანი** რასაც ყუნწი აქვს. *ყუნწიანი ბალი.* ⊙ **ყუნწში ძვრება** ძალიან ცდილობს.

**ყურადსაღები** *ყურადსაღების* რასაც ყურადღება უნდა მიაქციონ, მნიშვნელოვანი, ანგარიშგასაწევი. *ყურადსაღები ფაქტი.*

**ყურადღება** *ყურადღების* 1. მხედველობის, სმენისა და მისთ. განსაკუთრებული გამახვილება რაიმეს ან ვინმეს აღსაქმელად. *მისი ჩაცმულობა ყურადღებას იპყრობს.* 2. ვინმეზე ან რაიმეზე ზრუნვა. *ბავშვს ყურადღებას აქცევს.* ▲ **ყურადღებით** ზმნზ. ყურადღების მოხმობით, ყურადღებიანად. *ყურადღებით დაათვალიერა. ყურადღებით უსმენს.*

**ყურადღებიანი** *ყურადღებიანის* ვინც ვინმეს ან რაიმეს მიმართ ყურადღებას იჩენს. *ყურადღებიანი მოსწავლე. ყურადღებიანი დედა.* ▲ **ყურადღებიანად** ზმნზ. ყურადღებით. *ყურადღებიანად კითხულობს.*

**ყურანი** *ყურანის* მაჰმადიანთა წმინდა წიგნი, რომელიც შეიცავს მაჰმადიანური რელიგიის დოგმებსა და სამართლის ნორმებს. *ყურანს კითხულობს.*

**ყურბელა** *ყურბლის* მრავალფეხა მოშავო-მოყავისფრო ჭია.

**ყურე** *ყურის* 1. ხმელეთში შეჭრილი ზღვის ნაწილი. *ყურეში გემი შემოვიდა.* 2. მყუდრო, მოფარებული ადგილი, კუთხე, კუნჭული. *სახლის ყურე. ტყის ყურე.*

**ყურება** *ყურების* (უყურებს, იყურება, აყურებინებს) თვალის მიპყრობა, ცქერა. *ბავშვი ფანჯრიდან იყურება. ყვავილებს უყურებს.*

**ყურთასმენა** *ყურთასმენის* იგივეა, რაც სმენა. ⊙ **ყურთასმენა წაიღო** ძალიან ხმაურობს, სხვა რამის გაგონების საშუალებას არ იძლევა.

**ყურთბალიში** *ყურთბალიშის* პატარა ბალიში. *სამზითვო ყურთბალიშები.*

**ყური** *ყურის* 1. ადამიანისა და ცხოველის სმენის ორგანო, მოთავსებულია თავის ქალის გვერდითი ნაწილის ორივე მხარეს. *ყური სტკივა. ყურის ექიმი.* 2. ჭურჭლის ან რაიმე საგნის ხელის ნასავლები. *ქვაბის ყური. კალათის ყური.* ■ **ყურიანი** რასაც ყური აქვს. *ყურიანი ტაფა.* ⊙ **ყურად იღებს** წიგნ. გაითვალისწინებს. ⊙ **ყურებს არ უჯერებს** უკვირს, რაც გაიგონა, გაოცებულია. ⊙ **ყურებს გამოუჭედავს** ბევრი ლაპარაკით თავს მოაბეზრებს. ⊙ **ყურებს დაცქვეტს** სმენას გაამახვილებს, ყურადღებას მიაქცევს რაღაცას. ⊙ **ყურებს ჩამოყრის** მოიწყენს, დანაღვლიანდება. ⊙ **ყური წაიღო** მომაბეზრებლად ბევრს ლაპარაკობს. ⊙ **ყურით მოთრეული** ნაძალადევი, არადამაჯერებელი. ⊙ **ყურს აკლია** კარგად არ ესმის. ⊙ **ყურს არ ათხოვებს** არ მოუსმენს. ⊙ **ყურს დაუგდებს** მოუსმენს, დაუჯერებს. ⊙ **ყურს მოჰკრავს** შემთხვევით გაიგონებს.

**ყურისწამლები** *ყურისწამლების* ძლიერი, შემაწუხებელი. *ყურისწამლები ხმაური.*

**ყურმილი** *ყურმილის* ტელეფონის აპარატის მოსასმენი და სალაპარაკო ნაწილი. *ყურმილი გადადო.*

**ყურმოკვრით** ზმნზ. შემთხვევით გაგონილად, ჭორად. *ყურმოკვრით ვიცი.*

**ყურმოჭრილი** *ყურმოჭრილის* ⊙ **ყურმოჭრილი მონა** ბრმად მორჩილი.

**ყურპანტურა** *ყურპანტურას* რამაც ყურების პანტური იცის. *ყურპანტურა ჩოჩორი.*

**ყურყუმალი** *ყურყუმალის* წყალში თავის ჩაყოფა, ყვინთვა. *ყურყუმალი უყვარს.*

**ყურყუმელაობა** *ყურყუმელაობის* (ყურყუმელაობს, აყურყუმელავებს) ცურვის ან ბანაობის დროს წყალში ყვინთვა. *ბიჭი ყურყუმელაობს.*

**ყურყური** *ყურყურის* (უყურყურებს) ⊙ **მუცელი უყურყურებს** მუცლიდან ყრუ ხმა ისმის, მუცელი უბუყბუყებს.

**ყურყუტი** *ყურყუტის* (ყურყუტებს) საუბრ. ერთ ადგილას ყოფნა, ვინმეს ან რაიმეს ლოდინი, ცდა. *კართან ყურყუტი მოსწყინდა. დიდხანს იყურყუტა.*

**ყურცქვიტა** *ყურცქვიტას* ალერს. კურდღელი. *ყურცქვიტა ბოსტანში შეიპარა.*

**ყურძენი** *ყურძნის* ვაზის ნაყოფი – ტკბილი, წვნიანი, მარცვლებიანი მტევანი, რომლისგანაც მიიღება ღვინო. *თითა ყურძენი. შავი ყურძენი.*

ყურძენი

**ყურჭატა** *ყურჭატას* ხის სოკო, რომელსაც ყურის ფორმა აქვს.

**ყუყუნი** *ყუყუნის* (ყუყუნებს) 1. ყრუ, უსიამოვნო ხმის გამოცემა. *ზურნის ყუყუნი ისმოდა.* 2. ხმადაბლა, უკმაყოფილოდ ლაპარაკი, წუწუნი. *ქალი თავისთვის ყუყუნებდა.*

# – შ –

**შაბათი** *შაბათის* კვირის (1) მეექვსე დღის სახელწოდება. *შაბათს მუშაობს.* ▪ შაბათობით ყოველ შაბათს. *შაბათობით სოფელში დადის.*

**შაბაში** *შაბაშის* საუბრ. ლხინის სუფრაზე მომღერლისთვის ან მუსიკოსისთვის მიცემული ფული.

**შაბი** *შაბის* თეთრი კრისტალური ნივთიერება, გამოიყენება მედიცინაში, ფოტო- და სამღებრო წარმოებაში. *შაბის ხსნარი.*

**შაბიამანი** *შაბიამნის* გოგირდმჟავასა და სპილენძის შემცველი კრისტალური ნივთიერება, რომლის ხსნარი გამოიყენება ვაზისა და სხვა მცენარეების შესანამლად. *შაბიამნის წარმოება.*

**შაბლონი** *შაბლონის* 1. ნიმუში, რომლის მიხედვითაც ამზადებენ ერთგვაროვან ნაკეთობებს, დეტალებსა და მისთ. 2. გადატ. ყველასთვის ცნობილი რამ, რომელსაც ბრმად, გაუაზრებლად ბაძავენ. *შაბლონებით მოქმედებს.*

**შაბლონური** *შაბლონურის* შაბლონებზე (2) დამყარებული, არაშემოქმედებითი, ტრაფარეტული. *შაბლონური აზრები. შაბლონური რითმები.* ▲ შაბლონურად ზმნზ. არაშემოქმედებითად, ტრაფარეტულად. *შაბლონურად აზროვნებს.*

**შადრევანი** *შადრევნის* 1. დეკორატიული ნაგებობა მილების სისტემით, რომლითაც წყლის ნაკადი წნევის ძალით ზევით ამოიტყორცნება. *შადრევნის აუზი.* 2. რაიმე სითხის ძლიერი ნაკადი, რომელიც წნევის ძალით ზევით ამოიტყორცნება მილიდან ან ხვრელიდან. *ნავთობის შადრევანი.*

**შავარდენი** *შავარდნის* იგივეა, რაც შევარდენი. *შავარდენი დაგეშეს.*

**შავბალახა** *შავბალახას* მაღალი, ერთწლოვანი ბალახოვანი მცენარე, აქვს ვარდისფერი, პატარა ყვავილები, გამოიყენება სამკურნალოდ.

**შავბნელი** *შავბნელის* 1. ძალიან ბნელი, უკუნი. *შავბნელი ღამე. შავბნელი ადგილი.* 2. გადატ. ბოროტი, ავი, ცუდისმოქმედი. *შავბნელი ძალები.*

**შავგვრემანი** *შავგვრემნის* ვისაც მოშავო სახის ფერი აქვს. *შავგვრემანი ბიჭი.*

**შავეთი** *შავეთის* იგივეა, რაც საიქიო.

**შავ-თეთრი** *შავ-თეთრის* მხოლოდ შავი და თეთრი ფერებით შექმნილი, წარმოდგენილი. *შავ-თეთრი გამოსახულება. შავ-თეთრი კინო.*

**შავი** *შავის* ერთ-ერთი ძირითადი ფერი, რომელიც აქვს ღამის ცას ან ნახშირს. *შავი ფეხსაცმელი.*

**შავკანიანი** *შავკანიანის* ნეგროიდული რასის წარმომადგენელი, ახასიათებს მუქი ფერის (შავი) კანი. *შავკანიანი ახალგაზრდა.*

**შავკაპიტრო** *შავკაპიტროს* შავყურძნიანი ვაზის ჯიში, აქვს მსხვილმარცვლებიანი, დიდი მტევანი.

**შავმიწა** *შავმინის* სადაც შავი, ნოყიერი მინაა. *შავმიწა ზოლი. შავმიწა ნიადაგი.*

**შავტუხა** *შავტუხას* იგივეა, რაც შავგვრემანი. *შავტუხა ყმაწვილი.*

**შავფხა** *შავფხის* თავთუხის ერთ-ერთი სახეობა, იკეთებს მუქად შეფერილ თავთავს.

**შავ-შავი** *შავ-შავის* საკმაოდ შავი. *შავ-შავი გოგო.*

**შავწამალა** *შავწამალას* მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარე, აქვს მსხვილი ფესვი და ყვითელი ან მომწვანო ყვავილები, გამოიყენება სამკურნალოდ. *შავწამალას ნაყენი.*

**შავჯაგა** *შავჯაგას* დაბალი ეკლიანი ბუჩქი, არის ძირიდანვე ძალიან დატოტვილი, ისხამს წვნიან, კურკიან ნაყოფს, რომელიც არ იჭმება.

**შაირი** *შაირის* 1. სახელდახელოდ შეთხზული, სახუმარო პატარა ლექსი. *შაირი უთხრა.* 2. ლექსი თექვსმეტმარცვლიანი სალექსო სტრიქონით. *რუსთაველის შაირი.*

**შაირობა** *შაირობის* (შაირობს, ეშაირება) შეჯიბრება შაირების (1) თქმაში. *შაირობა უყვარს. ახალგაზრდები შაირობენ.*

**შაკიკი** *შაკიკის* თავის პერიოდული ტკივილი, რომელიც გამოწვეულია ტვინში სისხლის მიმოქცევის მოშლით. *შაკიკი აწუხებს.*

**შალამანდილი** *შალამანდილის* მრავალწლოვანი მაღალი ბალახოვანი მცენარე, აქვს ყვითელი ყვავილები და წებოვანი, გრძელყუნწიანი ფოთლები.

**შალაფა** *შალაფის* მრავალწლოვანი მარცვლოვანი

სარეველა ბალახი, აქვს მაღალი ღერო და ძლიერი ფესურები, გამოიყენება საქონლის საკვებად.

შალაშინი *შალაშინის* სადურგლო იარაღი, რომელსაც იყენებენ ხის ნაკეთობების ზედაპირის სუფთად გასათლელად. *ფიცარს შალაშინი გადაუსვა.*

შალეული *შალეულის* შალის სხვადასხვანაირი ქსოვილის საერთო სახელწოდება. *შალეული იყიდება.*

შალეულობა *შალეულობის* იგივეა, რაც შალეული. *შალეულობის მაღაზია.*

შალი *შალის* ცხვრის მატყლის ძაფისგან დამზადებული ქსოვილი. *შალის კაბა.*

შალითა *შალითის* საგნის ფორმის მიხედვით სხვადასხვა მასალისგან შეკერილი ჩამოსაცმელი, რომელიც იცავს ნივთს დაზიანებისა და გაჭუჭყიანებისგან. *აივნის შალითა. თოფის შალითა. გიტარის შალითა.*

შამათი *შამათის* მდგომარეობა ჭადრაკში, როდესაც ერთ-ერთი მოთამაშის მეფეს აღარ შეუძლია თავდაცვა მოწინააღმდეგის ქიშისგან, რაც ნიშნავს წაგებას. *პარტია შამათით დამთავრდა.*

შამაია *შამაიის* კალმახის მსგავსი ზღვის თევზი.

შამანი *შამანის* ჯადოქარი, რომელიც კურნავს ზებუნებრივი ძალების გამოყენებით. *შამანმა შეულოცა.*

შამბალილა *შამბალილას* ერთწლოვანი პარკოსანი მცენარე, აქვს სპეციფიკური სუნი, გამოიყენება საკვებად.

შამბი *შამბის* მაღალი და მსხვილი ბალახი. *შამბებში მიიმალა.* ■ შამბნარი შამბით დაფარული ადგილი. *შამბნარი გაიარა.*

შამპანური *შამპანურის* განსაკუთრებული წესით დაყენებული შუშხუნა ღვინო. *ცივი შამპანური.* შეცდომაა შამპანიური

შამპუნი *შამპუნის* თავის დასაბანი სურნელოვანი თხევადი საპონი. *ქერტლის საწინააღმდეგო შამპუნი.*


შამფური

შამფური *შამფურის* ხის ან რკინის წანვეტებულთავიანი ღერო, რომელზეც აგებენ და წვავენ ხორცს. *შამფურს ატრიალებს.*

შანდალი *შანდლის* სხვადასხვა ფორმის საგანი, რომელშიც სანთელი მაგრდება. *ბრინჯაოს შანდალი.*

შანთვა *შანთვის* (შანთავს) ↑ ამოშანთვა. *საქონელს შანთავენ.*

შანთი *შანთის* რკინა, რომელსაც ახურებენ და სხეულზე ადებენ დასადაღავად. *შანთით ამოწვეს.*

შანსი *შანსის* ჩანაფიქრის განხორციელების, მიზნის მიღწევის შესაძლებლობა. *მოგების შანსი მაქვს.*

შანტაჟი *შანტაჟის* ვინმესგან რაიმეს შესრულების მოთხოვნა, იძულება მისი სახელის გამტეხი ფაქტების გამჟღავნების მუქარით. *შანტაჟი მოუწყო.*

შაოსანი *შაოსნის* ვისაც შავი ფერის სამოსელი აცვია გლოვის ნიშნად. *შაოსანი დედები.*

შარა *შარის* სოფლის გზა. *შარაზე მიდიან.* ■ შარა-შარა ზმნზ. შარის გასწვრივ, შარაზე. *შარა-შარა ხეტიალი.*

შარაგზა *შარაგზის* იგივეა, რაც შარა. *ფართო შარაგზა.*

შარადა *შარადის* ლექსად ნათქვამი გამოცანა, რომლის მნიშვნელობაც გამოიცნობა სიტყვის ცალკეული ნაწილების მიხედვით. *შარადების კრებული.*

შარავანდედი *შარავანდედის* ნიგნ. ნათლის გვირგვინი, ბრწყინვალება. *დიდების შარავანდედი.*

შარავანდი *შარავანდის* იგივეა, რაც შარავანდედი. *შარავანდი გადაეფინა.*

შარაფი *შარაფის* (შარაფობს) ჟარგ. ქეიფი. *წუხელ მაგარი შარაფი იყო.*

შარახვეტია *შარახვეტიას* უსაქმური, არასერიოზული, აქა-იქა მოხეტიალე. *შარახვეტია დედაკაცი.*

შარბათი *შარბათის* შაქრითა და ხილის წვნით დამზადებული ტკბილი სასმელი. *შარბათიევით ტკბილი.*

შარდვა *შარდვის* (შარდავს) ↑ მოშარდვა. *აეად-მყოფს შარდვა უჭირს.*

შარდი *შარდის* თირკმლების მიერ გამომუშავებული, სპეციფიკური სუნის მოყვითალო გამჭვირვალე სითხე, რომელიც გამოიყოფა ორგანიზმიდან. *შარდის ანალიზი. შარდის შეკავება.*

შარდსადენი *შარდსადენის* მილი, რომლის საშუალებითაც შარდი გამოდის შარდის ბუშტიდან. *შარდსადენის ანთება.*

შარვალი *შარვლის* წელქვევით ჩასაცმელი, რომელსაც გრძელი ტოტები აქვს. *შალის შარვალი. შარვლის ჯიბე.*

შარი *შარის* 1. უსამართლოდ, ტყუილად დაბრალებული რამ, ცილისწამება. *შარი მოსდო.* 2. ჩხუბი, დავა. *შარს მოერიდა. შარი ატეხა.*

შარიანი *შარიანის* ვისაც შარის მოდება უყვარს. *შარიანი მეზობელი.*

შარიანობა *შარიანობის* (შარიანობს) შარის ატეხა, შარობა. *ყოველთვის შარიანობს.*

შარისთავი *შარისთავის* იგივეა, რაც შარიანი. *დიდი შარისთავი ვინმეა.*

შარიშური *შარიშურის* თხელი ქსოვილის, ფოთლების, ქაღალდის ფურცლებისა და მისთ. რხევისას, ერთმანეთზე გასმისას გამოცემული ხმა. *კაბის შარიშური.*

**შარლატანი** *შარლატანის* იგივეა, რაც თაღლითი. *შარლატანი ყოფილა.*

**შარობა** *შარობის* (შარობს, ეშარება) შარის ატეხა, შარის მოდება. *ყველას ეშარება.*

**შარჟი** *შარჟის* ვინმეს ან რაიმეს სატირულ-იუმორისტული გამოსახულება, რომელშიც კარიკატურულად არის გამოკვეთილი გარეგნობის ყველაზე დამახასიათებელი ნიშან-თვისებები. *მეგობრული შარჟი.*

**შარფი** *შარფის* თავზე ან ყელზე მოსახვევი გრძელი ქსოვილი. *აბრეშუმის შარფი.*

**შარშან** ზმნზ. გასულ წელს, ერთი წლის წინ. *შარშან გაიცნეს ერთმანეთი.*

**შარშანდელი** *შარშანდლის* რაც შარშან იყო, შარშან მომხდარი. *შარშანდელი მოსავალი.*

**შარშანწინ** ზმნზ. ორი წლის წინ. *შარშანწინ ერთად ვისვენებდით.*

**შარშანწინდელი** *შარშანწინდლის* შარშანწინ მომხდარი, ორი წლის წინანდელი. *შარშანწინდელი ჩემპიონატი.*

**შატალო** *შატალოს* ჟარგ. ⊙ **შატალოზე წასვლა.** გაკვეთილებიდან დაუკითხავად წასვლა.

**შაური** *შაურის* ხუთი კაპიკის ღირებულების ფულის ერთეული. *სამი შაური მისცა.*

**შაფრანი** *შაფრანის* ვაშლის ერთ-ერთი ჯიში.

**შაქარი** *შაქრის* ტკბილი საკვები ნივთიერება, რომელიც მიიღება ერთგვარი ჭარხლის ან ლერწმის გადამუშავებით. *ნატეხი შაქარი. შაქრის ფხვნილი.* ■ შაქრიანი რასაც შაქარი აქვს. *შაქრიანი ჩაი.*

**შაქარყინული** *შაქარყინულის* შაქრითა და ხილის წვნით დამზადებული კრისტალური ტკბილეული.

**შაყირი** *შაყირი* (შაყირობს, აშაყირებს) ჟარგ. ხუმრობა, ოხუნჯობა. *თავიდან ყველაფერი შაყირი ეგონა. ბევრი იშაყირა. რას მაშაყირებ?!*

**შაშვი** *შაშვის* პატარა მგალობელი ფრინველი. *შავი შაშვი.*

**შაში** *შაშის* I. თამაში 64- ან 100-უჯრედიან დაფაზე სხვადასხვა ფერის (ძირითადად, შავი და თეთრი) კოჭებით. *შაშის მოთამაშე.* 2. შაშისთვის (1) საჭირო დაფა და კოჭები. *შაშის კომპლექტი.*

**შაშხანა** *შაშხანის* ცეცხლსასროლი იარაღი, თოფის ნაირსახეობა, აქვს შიგნით სპირალურხაზებიანი ლულა, რომელიც ტყვიის ბრუნვით მოძრაობას უზრუნველყოფს. *შაშხანის ტყვია.*

**შაშხი** *შაშხის* დამარილებული, შებოლილი ან გამხმარი ხორცი. *ღორის შაშხი.*

**შახტი** *შახტის* I. მიწაში მოწყობილი თხრილი, საიდანაც მადანს იღებენ. *შახტის მუშა.* 2. ვერტიკალური ან დახრილი სამთო გვირაბი, რომელსაც აქვს უშუალო გამოსასვლელი ზედაპირზე.

**შაჰი** *შაჰის* ირანის მეფე. *შაჰის ამალა.* შეცდომაა შახი

**შეამხანაგება** *შეამხანაგების* (შეიამხანაგებს, შეამხანაგდება, შეუამხანაგდება) საერთო მიზნით შეკავშირება, ამხანაგად გახდომა. *საქმეში შეამხანაგება. სხვებს შეუამხანაგდა.*

**შებანდალება** *შებანდალების* (შებანდალდება) ბანდალით შესვლა. *ოთახში შებანდალდა.*

**შებარბაცება** *შებარბაცების* (შეაბარბაცებს, შებარბაცდება) I. ნონასწორობის დაკარგვა, შექანება. *ავადმყოფი შებარბაცდა.* 2. ბარბაცით შესვლა. *სახლში ძლივს შებარბაცდა.*

**შებედვა** *შებედვის* (შეპბედავს) რაიმეს გაკეთების ან ვინმესთვის რაიმეს თქმის გაბედვა. *სიტყვა ვერ შეპბედა.*

**შებერება** *შებერების* (შეაბერებს, შეაბერდება) ვინმესთან ერთად დაბერება. *ცოლ-ქმარი ტკბილად შეაბერდა ერთმანეთს. თავის დას შეაბერდა.*

**შებერვა** *შებერვის* (შეუბერავს, შეიბერება, შეუბერება) I. ოდნავ ნამოზრდა, გაბერვა. *მუცელი შეებერა. ქუთუთოები შეებერა.* 2. ჰაერის ნაკადის რაიმეზე ან ვინმეზე მიშვება. *ცეცხლი ერთი შებერვით გააღვივა. სული შეუბერა.* 3. ჟარგ. კარგად მოლხენა. *დილამდე შეუბერეს.* ■ შებერილი რაც შეიბერა. *შებერილი სახე.*

**შებერტყილი** *შებერტყილის* ჟარგ. ძალიან მოხერხებული, გამოქექილი. *დიდი შებერტყილი ვინმეა.*

**შებილწვა** *შებილწვის* (შებილწავს, შეიბილწება) წმინდა, პატივსაცემი რაიმეს შეურაცხყოფა, გაუწმინდურება. *ტაძარი შებილწეს. სახელი შეუბილწეს.* ■ შებილწული რაც შებილწეს. *შებილწული ხატები.*

**შებინდება** *შებინდების* (შებინდდება) საღამოს ბინდის დადგომა, ოდნავ დაბნელება. *შებინდებას უცდიდა. მალე შებინდდა.* ▲ **შებინდებისას** ზმნზ. შებინდების დროს. *შინ შებინდებისას დაბრუნდა.*

**შებინდებული** *შებინდებულის* შებინდების დრო, ოდნავ დაბინდებული. *შებინდებული იყო.*

**შებიჯება** *შებიჯების* (შეაბიჯებს) ფეხით შესვლა. *ოთახში შეაბიჯა.*

**შებმა** *შებმის* (შეაბამს, შეიბამს, შეუბამს, შეიბმება, შეებმება, შეაბმევინებს) I. ყელზე, წელზე რაიმეს გაკეთება. *ხმლის შებმა. პატარძალს ყელსაბამი შეაბეს.* 2. ვინმესთან ან რაიმესთან შებრძოლება, შეჭიდება. *მტერს შეება. დიდ საქმეს შეება.* 3. ურემში, უღელსა და მისთ. გამწევი ძალის გაბმა. *გუთანში ხარები შეაბა. ცხენი ფორანში შეაბეს.* 4. ჟარგ. გადატ. დაყოლიება, დათანხმება, მოხიბვლა. *ქალი შეაბა.* ■ შებმული რაც შეიბეს ან შეაბეს. *მკლავზე შებმული თოკი.*

**შებნევა** *შებნევის* (შეაბნევს, შეიბნევს, შეუბნევს,

შეიბნევა, შეებნევა) ღილის გაყრა საღილეში ან თასმისა და მისთ. გაკვანძვა დასამაგრებლად. *საკინძე შეიბნია.*

**შებოლება** *შებოლების* (შეაბოლებს) სიგარეტის ბოლის მიშვება ვინმეზე ან რაიმეზე. *სიგარეტი სახეში შეაბოლა.*

**შებოლვა** *შებოლვის* (შებოლავს, შეუბოლავს, შეიბოლება, შეებოლება) I. ბოლით, ჭვარტლით დაფარვა. *კვამლმა ჭერი შებოლა. კედლები შეიბოლა.* 2. საკვები პროდუქტის ბოლით გაჟღენთა სპეციალური წესით. *ღორის ხორცი შებოლეს.* ■ შებოლილი რაც შებოლეს ან შეიბოლა. *შებოლილი თევზი.*

**შებორკვა** *შებორკვის* (შებორკავს, შეიბორკავს, შეუბორკავს, შეიბორკება) I. ხელ-ფეხის შეკვრა, ბორკილის დადება. *პატიმარი შებორკეს.* 2. გადატ. იგივეა, რაც შებოჭვა (2). *შიშმა შებორკა.* ■ შებორკილი ვინც შებორკეს. *ჯაჭვით შებორკილი.*

**შებოტება** *შებოტების* (შეაბოტებს) დიდი ნაბიჯებით, უხეშად შესვლა. *სახლში შეაბოტა.*

**შებოჭვა** *შებოჭვის* (შებოჭავს, შეიბოჭავს, შეუბოჭავს, შეიბოჭება) I. ხელ-ფეხის შეკვრა. *ტყვეები შებოჭეს. მოჩხუბარი შებოჭეს.* 2. გადატ. მოქმედების უნარის დაქვეითება, შეზღუდვა. *უცხო გარემომ შებოჭა.* ■ შებოჭილი ვინც ან რაც შებოჭეს ან შეიბოჭა. *შებოჭილი პატიმარი.*

**შებრალება** *შებრალების* (შეაბრალებს, შეიბრალებს, შეებრალება) სიბრალულის გრძნობის გაჩენა. *თავი შეაბრალა. გულწრფელად შეებრალა.*

**შებრაწვა** *შებრაწვის* (შებრაწავს, შეუბრაწავს, შეიბრაწება, შეებრაწება) იგივეა, რაც დაბრაწვა. *ხორცი შებრაწეს. ქათამი კარგად შეიბრაწა.* ■ შებრაწული რაც შებრაწეს. *შებრაწული გოჭი.*

**შებრუნება** *შებრუნების* (შეაბრუნებს, შეიბრუნებს, შებრუნდება, შეუბრუნდება) I. სხვა მხარეს მიტრიალება. *კარადა ფანჯრისკენ შეაბრუნა.* 2. გამოსულის ისევ შიგნით შესვლა, დაბრუნება. *სახლში შებრუნდა.* 3. ხელახლა ავად გახდომა. *გრიპი შეუბრუნდა.*

**შებრძანება** *შებრძანების* (შეაბრძანებს, შებრძანდება) პატივისც. შესვლა, შეყვანა. *სტუმრები დარბაზში შებრძანდნენ. ნეფე-დედოფალი ტაძარში შეაბრძანეს.*

**შებრძოლება** *შებრძოლების* (შეაბრძოლებს, შეებრძოლება) I. მტერთან, მონინააღმდეგესთან ბრძოლის გამართვა. *ყაჩაღებს შეებრძოლა.* 2. გარკვეული ზომების მიღება რაიმეს საწინააღმდეგოდ. *ეპიდემიას შეებრძოლნენ.*

**შებურვა** *შებურვის* (შებურავს, შეიბურავს, შეუბურავს, შეიბურება) I. იგივეა, რაც მობურვა (1). *სახე ყაბალახით შეიბურა.* 2. იგივეა, რაც დაბურვა. *მთვარე ღრუბლებით შეიბურა.*

**შებღავლება** *შებღავლების* (შეჰბღავლებს) I. ბღავილით შეძახება. *ხბომ ძროხას შეჰბღავლა.*

**შებღალვა** *შებღალვის* (შებღალავს, შეუბღალავს, შეიბღალება, შეებღალება) სახელის, რაიმე სიწმინდისა და მისთ. დამცირება, შეურაცხყოფა, შებილწვა. *რეპუტაცია შეუბღალა. ხატები შებღალეს.* ■ შებღალული რაც შებღალეს. *შებღალული სახელი.*

**შებღერა** *შებღერის* (შეუბღვერს) ბღვერით შეხედვა. *მეზობელს შეუბღვირა.*

**შეგდება** *შეგდების* (შეაგდებს, შეუგდებს) I. სროლა ზევით, შიგნით ან ქვეშ. *ქუდი ჰაერში შეაგდო. ქაღალდი ღუმელში შეაგდო. ყუთი საწოლის ქვეშ შეაგდო.* 2. ვინმეს ან რაიმეს (ცხოველის) იძულება, რომ შევიდეს. *ბავშვი ოთახში შეაგდო. ძროხა ბაკში შეაგდო.*

**შეგება** *შეგების* (შეაგებს, შეიგებს, შეუგებს) ქვეშ დაფენა, დაგება. *მოხუცს შალი შეუგო.*

**შეგებება** *შეგებების* (შეაგებებს, შეეგებება) ვინმეს შესახვედრად მისვლა ან სხვისი მიყვანა. *სტუმრებს შეეგება. მეფემ მტერს ჯარი შეაგება.*

**შეგვიანება** *შეგვიანების* (შეაგვიანებს, შეუგვიანებს, შეგვიანდება, შეაგვიანდება, შეუგვიანდება) ცოტათი დაგვიანება. *გზაში შეაგვიანდა. დღეს შემაგვიანდება.*

**შეგზავნა** *შეგზავნის* (შეგზავნის, შეაგზავნის, შეუგზავნის) შიგნით მიგზავნა, შეშვება ან სხვისთვის რაიმეს მიცემა შესატანად. *მეფესთან კაცი შეგზავნეს. დირექტორს განცხადება შეუგზავნა.* ■ შეგზავნილი ვინც ან რაც შეგზავნეს. *მტრის ჯარში შეგზავნილი აგენტი.*

**შეგინება** *შეგინების* (შეაგინებს, შეუგინებს, შეიგინება) I. უხამსი, უწმაწური სიტყვებით გალანძღვა. *ურცხვად შეიგინა.* 2. შეურაცხყოფა, შელახვა, შებღალვა. *სამშობლო შეუგინეს.*

**შეგირდი** *შეგირდის* I. ხელოსნის მოსწავლე. *დურგლის შეგირდი.* 2. ძვ. იგივეა, რაც მონაფე.

**შეგლესა** *შეგლესის* (შეგლესს, შეაგლესს, შეეგლისება) უშნოდ, დაუდევრად შელესვა, წასმა. *კედელი შეგლისა. ტალახით შეგლისეს.*

**შეგლეჯა** *შეგლეჯის* (შეგლეჯს, შეუგლეჯს, შეიგლიჯება) მინოლით, მირტყმით გაღება, გაგლეჯა. *კარი შეგლიჯეს. ღობე შეგლიჯა.*

**შეგნება** *შეგნების* (შეიგნებს, შეაგნებინებს) I. გაგება, გააზრება, გაანალიზება, გაცნობიერება. *მოქალაქეობრივი შეგნება. ვერაფერი შეიგნო.* 2. ცნობიერება.

**შეგნებული** *შეგნებულის* I. ვისაც შეგნების უნარი აქვს, მიხვედრილი. *შეგნებული ქალი.* 2. რაც შეიგნეს. *საკითხი კარგად აქვს შეგნებული.*

**შეგონება** *შეგონების* (შეაგონებს) აღმზრდელობითი რჩევა, ჩაგონება, დარწმუნება. *მოძღვრის შეგონება. მამამ შეაგონა.*

**შეგრეხა** *შეგრეხის* (შეგრეხს) ორი ან მეტი წერი

ძაფის, თოკისა და მისთ. ერთად დაგრეხა. *ბაწარი შეგრიხა.* ▪ შეგრეხილი რაც შეგრიხეს. *შეგრეხილი მავთულები.*

**შეგრილება** *შეგრილების* (შეაგრილებს, შეუგრილებს, შეგრილდება) ოდნავ გაგრილება. *ყავა შეაგრილა.*

**შეგროვება** *შეგროვების* (შეაგროვებს, შეიგროვებს, შეუგროვებს, შეგროვდება, შეუგროვდება, შეაგროვებინებს) იგივეა, რაც მოგროვება. *ცნობების შეგროვება. ფული შეაგროვა. ხელმოწერები შეაგროვეს.* ▪ შეგროვებული, შეგროვილი რაც შეაგროვეს ან შეგროვდა. *შეგროვებული თანხა.*

**შეგრძნება** *შეგრძნების* გრძნობის ორგანოებით აღქმა. *მუსიკას შეიგრძნობს.*

**შეგრძნობა** *შეგრძნობის* (შეიგრძნობს, შეიგრძნობა) შეგრძნება, აღქმა. *მთელი არსებით შეიგრძნო. ტკივილი შეიგრძნო. სიცოცხლე ყველგან შეიგრძნობა.*

**შეგუბება** *შეგუბების* (შეაგუბებს, შეიგუბებს, შეუგუბებს, შეგუბდება, შეუგუბდება) სითხის ერთ ადგილას შეგროვება, დაგუბება. *წყალი ნაპირთან შეგუბდა. სისხლის შეგუბება.*

**შეგუება** *შეგუების* (შეაგუებს, შეეგუება) არასასურველ, მიუღებელ გარემოსთან, ხალხთან, ფაქტთან და მისთ. შეჩვევა. *სამუშაოს შეეგუა. ამ ამბავს ვერ შეეგუა.* ▪ შეგუებული ვინც შეეგუა. *ბედთან შეგუებული ქალი.*

**შეგულება** *შეგულების* (შეიგულებს) წინასწარ შერჩევა, დაგულება ყიდვის, დაქირავებისა და მისთ. მიზნით. *მაღაზიაში ჩანთა შეიგულა. მუსიკის მასწავლებელი შეიგულა.* ▪ შეგულებული რაც ან ვინც შეიგულეს. *აგარაკი შეგულებული აქვს.*

**შეგულიანება** *შეგულიანების* (შეაგულიანებს) ვინმეს წაქეზება, წახალისება, რაიმეზე დაყოლიება. *წასასვლელად შემაგულიანეს.* ▪ შეგულიანებული ვინც შეაგულიანეს. *შეგულიანებული სტუდენტები.*

**შედავება** *შედავების* (შეედავება) დავის გამართვა. *ძმის ქონებას შეედავნენ. მე ზობელს შეედავა.*

**შედარება** *შედარების* (შეადარებს, შეუდარებს, შედარდება, შეადარებინებს) ორი ან მეტი საგნის, მოვლენის, ადამიანისა და მისთ. ერთად განხილვა მათ შორის მსგავსება-განსხვავების დასადგენად. *ასლი დედანს შეუდარა.* 2. ერთი საგნის, მოვლენის, ადამიანისა და მისთ. მეორესთან მიმსგავსება, გათანაბრება. *მისი სილამაზე მზეს შეადარა.*

**შედარებით** ზმნზ. 1. უფრო, საკმაოდ. *შედარებით უკეთ წერს.* 2. ვინმესგან ან რაიმესგან განსხვავებით. *შარშანდელთან შედარებით უკეთესი მოსავალია.*

**შედარებითი** *შედარებითის* რაც შედარებას ემყარება. *შედარებითი მეთოდები. შედარებითი ანალიზი.*

**შედგენა** *შედგენის* (შეადგენს, შეუდგენს, შეადგენინებს) 1. შეთხზვა, შექმნა, ჩამოყალიბება. *წინადადება შეადგინა. სია შეადგინეს.* 2. ერთი მთლიანის შექმნა სხვადასხვა ნაწილის ან ერთეულის შეერთებით, მთლიანის სახით არსებობა. *ოთხი განყოფილება ერთ ორგანიზაციას შეადგენს.*

**შედგენილობა** *შედგენილობის* რაიმე მთლიანში შემავალი ელემენტების ერთობლიობა. *წიგნის შედგენილობა. ქიმიური შედგენილობა.*

**შედგმა** *შედგმის* (შედგამს, შეადგამს, შეიდგამს, შეუდგამს, შეიდგმება, შეადგმევინებს) შიგნით, ქვეშ ან მაღლა დადგმა. *ბოთლი მაცივარში შედგა. ჩანთა მაგიდის ქვეშ შევდგი. ჭიქა თაროზე შედგა.*

**შედგომა** *შედგომის* (შედგება, შეადგება, შეუდგება) 1. ზევით, რაიმეზე დადგომა. *კიბეზე შედგა. სცენაზე შედგა.* 2. სიარულის ან მოძრაობის შეწყვეტა, გაჩერება. *ბიჭი კართან შედგა.* 3. ღონისძიების გამართვა. *პრემიერა შედგა.* 4. ტანსაცმლის ან ქსოვილის დაპატარავება, ზომაში მოკლება. *კაბა შედგა.* 5. რაიმეს კეთების დაწყება. *მუშაობას შეუდგნენ.* 6. შედგენა (2). *ნაწარმოები სამი თავისგან შედგება.*

**შედება** *შედების* (შედებს, შეიდებს, შეუდებს, შეიდება) შიგნით ან მაღლა დადება. *ქუდი კარადაში შედო. წიგნი თაროზე შედო.*

**შედეგი** *შედეგის* 1. გარკვეული მოქმედებით ან მოვლენით გამოწვეული სხვა მოვლენა, რაიმეთი განპირობებული მდგომარეობა. *ომის შედეგები. მძიმე შედეგი. კარგი შედეგი მიიღეს.* 2. მიღნეული, მოპოვებული რამ. *შრომის შედეგი.*

**შედეგიანი** *შედეგიანის* რასაც კარგი შედეგი მოჰყვება, წარმატებული. *შედეგიანი მუშაობა.* ▲ შედეგიანად ზმნზ. კარგი შედეგით, წარმატებულად. *შედეგიანად ითამაშა. კრება შედეგიანად დასრულდა.*

**შედედება** *შედედების* (შეადედებს, შეუდედებს, შედედდება, შეუდედდება) სითხის შესქელება. *სისხლის შედედება. მაწონი შეადედეს.* ▪ შედედებული რაც შედედდა. *შედედებული რძე.*

**შედევრი** *შედევრის* ხელოვნების ნიმუში, რომელიც მაღალი ოსტატობით არის შესრულებული. *ქართული მწერლობის შედევრი.*

**შედრკომა** *შედრკომის* (შედრკება, შეუდრკება) შიშისგან უკან დახევა, შეშინება. *ქალი შედრკა. მტერს არ შეუდრკა.*

**შედუღაბება** *შედუღაბების* (შეადუღაბებს, შედუღაბდება) 1. დუღაბით შეკვრა. *ბლოკები შეადუღაბა.* 2. გადატ. მტკიცედ, ურყევად შეკავშირება. *მეგობრობამ შეადუღაბა.* ▪ შედუღაბებული რაც შეადუღაბეს. *შედუღაბებული კედლები.*

**შედუღება** *შედუღების* (შეადუღებს, შედუღდება) დნობით სხვადასხვა ლითონის შეერთება, მიდუღება. *დეტალების შედუღება.* ▪ შედუღებული რაც შეადუღეს. *შედუღებული მილები.*

შედღება *შედღების* (შედღვებს, შეიდღვიბება) ჭურჭლის ნჯღრევით შიგ ჩასხმული ნაღებისგან ან რძისგან კარაქის მიღება. *რძე შედღვიბეს.* ▪ შედღვებილი რაც შედღვიბეს. *ახლად შედღვებილი კარაქი.*

შეერთება *შეერთების* (შეაერთებს, შეიერთებს, შეუერთებს, შეერთდება, შეუერთდება) ერთმანეთთან დაკავშირება, გაერთიანება, გადაბმა. *თოკის ბოლოები შეაერთა. ახალი ფაკულტეტი შეუერთეს. აპარატი შტეფსელში შეაერთა.* ▪ შეერთებული რაც შეაერთეს ან შეიერთეს. *შეერთებული სადენები.*

შეეჭვება *შეეჭვების* (შეეჭვდება) ცოტათი დაეჭვება, ეჭვის შეტანა. *ნათქვამმა შეაეჭვა. ქალი შეეჭვდა.*

შევარდენი *შევარდნის* საშუალო ზომის მტაცებელი ფრინველი, კარგად იწვრთნება და სანადიროდ იყენებენ. *შევარდენი დაგეშეს.*

შევარდნა *შევარდნის* (შევარდება, შეუვარდება) 1. ძალიან სწრაფად, ერთბაშად შესვლა. *სახლში შევარდა.* 2. ნასროლის რამეზე დავარდნა ან შიგნით შეგდება. *ბურთი ოთახში შევარდა.* 3. ძალით შესვლა, შეჭრა. *ყაჩაღი შეუვარდა.*

შევაჭრება *შევაჭრების* (შეევაჭრება) ყიდვისას ან გარიგებისას ფასის დაკლების მცდელობა. *ხორცის ფასზე შეევაჭრა. ხელოსანს შეევაჭრა.*

შევედრება *შევედრების* (შეავედრებს, შეევედრება) ვედრებით მიმართვა, ძლიერ შეხვენწნა. *უფალს შეევედრა.*

შევერცხვლა *შევერცხვლის* (შევერცხლავს, შეივერცხლება) თეთრი თმის გარევა. *წვერ-ულვაში შეევერცხლა.* ▪ შევერცხლილი რაც შეევერცხლათ. *შევერცხლილი თმა.*

შევიწროება *შევიწროების* (შეავიწროებს, შეუვიწროებს, შევიწროვდება, შეუვიწროვდება) 1. იგივეა, რაც დავიწროება. *სისხლძარღვების შევიწროება. შესასვლელი შევიწროვდა.* 2. გადატ. ცუდ მდგომარეობაში ჩაყენება, შეზღუდვა. *სამსახურში შეავიწროვეს. მოსახლეობა გადასახადებით შეავიწროვეს.* ▪ შევიწროებული რაც ან ვინც შეავიწროვეს. *შევიწროებული ადგილი.*

შევლა *შევლის* (შეივლის) სადმე, ვინმესთან ცოტა ხნით მისვლა. *სახლში შევლა ვეღარ მოასწრო. მეგობართან შეიარა.*

შევლება *შევლების* (შეავლებს) ⊙ თვალის შევლება უცბად, ერთბაშად შეხედვა, შეთვალიერება. ⊙ ხელის შევლება 1. იგივეა, რაც ხელის მოკიდება. 2. ნაუცბადევად შეკეთება, შესწორება.

შევსება *შევსების* (შეავსებს, შეივსებს, შეუვსებს, შეივსება, შეავსებინებს) 1. ნაკლულის გავსება. *სასმისი შეავსეს.* 2. არსებულის გავრცობა, გაფართოება, რაიმეს დამატება. *კოლექცია შეავსო. გარდეროში შეავსო.* 3. სპეციალურად გამოყოფილ ადგილებში შესაბამისი მონაცემების ჩაწერა. *კროსვორდის შევსება. ცხრილი შეავსო.* ▪ შევსებული რაც შეავსეს. *შევსებული სიები.*

შეზავება *შეზავების* (შეაზავებს, შეზავდება) 1. იგივეა, რაც შეკმაზვა. *ლობიო მწვანილით შეაზავა.* 2. რთულ ნარევში შემადგენლების პროპორციულად შერევა. *ფერები შეაზავა.* ▪ შეზავებული რაც შეაზავეს. *ძმრით შეზავებული სალათა.*

შეზანზარება *შეზანზარების* (შეაზანზარებს, შეზანზარდება) ზანზარის დაწყება, ზანზარით შეძვრა. *მიწა შეზანზარდა. სახლი მიწისძვრამ შეაზანზარა.*

შეზარვა *შეზარვის* (შეზარავს) საშინელი, საზარელი რაიმის დანახვით ან გაგონებით მძიმე ემოციის აღძვრა. *ნანახმა შეზარა.*

შეზარხოშება *შეზარხოშების* (შეზარხოშდება) სასმლით მსუბუქად დათრობა, კარგ ხასიათზე დადგომა. *სტუმრები შეზარხოშდნენ. ღვინით შეზარხოშდა.* ▪ შეზარხოშებული ვინც შეზარხოშდა. *შეზარხოშებული ახალგაზრდა.*

შეზეთვა *შეზეთვის* (შეზეთავს, შეიზეთება) ზეთის წასმა, დაზეთვა. *მანქანის ნაწილები შეზეთეს.* ▪ შეზეთილი რაც შეზეთეს. *კარგად შეზეთილი მანქანა.*

შეზელა *შეზელის* (შეაზელს, შეიზელს, შეუზელს, შეიზილება, შეეზილება) ზელისას რაიმეს შერევა, წასმა. *ცომს ფქვილი შეაზილა. ხელზე მალამო შეიზილა.*

შეზიარება *შეზიარების* (შეიზიარებს, შეეზიარება) სხვასთან ერთად სარგებლობა რაიმეთი, წილის ვინმესთვის მიცემა ან ვინმესგან მიღება. *საჭმელში შეიზიარა. საქმეში შეეზიარა.*

შეზიდვა *შეზიდვის* (შეზიდავს, შეუზიდავს, შეიზიდება, შეაზიდვინებს) ტვირთის რამდენიმე გზად, რამდენიმე ჯერზე შეტანა. *ავეჯი სახლში შეზიდეს.*

შეზიზღება *შეზიზღების* (შეაზიზღებს, შეიზიზღებს, შეეზიზღება, შეზიზღდება) ზიზღის, სიძულვილის გრძნობის გაჩენა. *შეზიზღება იცის. ხორცი შეეზიზღა.*

შეზლონგი *შეზლონგის* ზურგიანი მოგრძო სკამი, რომელიც შეიძლება გაიშალოს. *შეზლონგებზე წვანან.*

შეზლონგი

შეზნექა *შეზნექის* (შეზნექს, შეიზნიქება, შეეზნიქება) შიგნითა მხარეს შენევა, შეღუნვა. *მუცელი შეზნიქა. ვედრო შეიზნიქა.* ▪ შეზნექილი რაც შეიზნიქა. *შეზნექილი წელი.*

შეზრდა *შეზრდის* (შეიზრდება, შეეზრდება) 1. რაიმესთან შეერთება ზრდისას. *ტოტი ხეს შეეზარდა.* 2. ვინმესთან ერთად გაზრდა. *ბავშვობიდან შეეზარდნენ ერთმანეთს.*

შეზღუდვა *შეზღუდვის* (შეზღუდავს, შეიზღუდავს,

შეუზღუდავს, შეიზღუდება, შეეზღუდება) მოქმედების სფეროს შემცირება, გარკვეულ საზღვრებში მოქცევა. *თავისუფლება შეეზღუდა. უფლებები შეუზღუდეს.* ■ შეზღუდული რაც შეიზღუდა. *შეზღუდული შესაძლებლობები.*

**შეთავაზება** *შეთავაზების* (შესთავაზებს) 1. თავაზიანად მინდა, დათმობა. *კერძის შეთავაზება. ბილეთი შესთავაზა. თავისი ადგილი შესთავაზა.* 2. წინადადების მიცემა რაიმეზე დასათანხმებლად. *საქმიანი შეთავაზება. მოლაპარაკება შესთავაზა. პროექტში მონაწილეობა შესთავაზეს.* ■ შეთავაზებული რაც შესთავაზეს. *დირექტორის მიერ შეთავაზებული გეგმა.*

**შეთავსება** *შეთავსების* (შეათავსებს, შეითავსებს, შეუთავსებს, შეთავსდება, შეუთავსდება) ერთი საქმის კეთებასთან სხვა საქმის შეთანხმება, შეწყობა. *სხვადასხვა ფუნქციის შეთავსება. ახალი სამსახური შეითავსა.* ■ შეთავსებული რაც შეითავსეს. *შეთავსებული სამუშაო.*

**შეთამაშება** *შეთამაშების* (შეათამაშებს, შეეთამაშება, შეთამაშდება) 1. ხელში მოქცეული რაიმეს ამოძრავება, მოხდენილად დატრიალება. *ხმალი ჰაერში შეათამაშა. ქუდი შეათამაშა.* 2. საუბრ. საქმეში, თამაშში ერთმანეთთან შეწყობა, შეთანხმებული მოქმედება. *ფეხბურთელები კარგად შეთამაშდნენ.* 3. გადატ. სხეულის რომელიმე ნაწილის შერხევა. *მხრები შეათამაშა. წარბი შეათამაშა.*

**შეთანხმება** *შეთანხმების* (შეათანხმებს, შეითანხმებს, შეუთანხმებს, შეთანხმდება, შეუთანხმდება) ნინასწარი მოლაპარაკებით რაიმეზე მორიგება, საერთო აზრამდე მისვლა. *წასვლა ზე შეთანხმდნენ.* ■ შეთანხმებული რაც შეათანხმეს. *ეს საკითხი შეთანხმებული აქვს.*

**შეთბობა** *შეთბობის* (შეათბობს, შეითბობს, შეუთბობს, შეთბება, შეუთბება) ცოტათი გათბობა. *კერძი შეათბო. წყალი შეთბა.*

**შეთეთრება** *შეთეთრების* (შეათეთრებს, შეუთეთრებს, შეთეთრდება, შეუთეთრდება, შეათეთრებინებს) თეთრად შეღებვა. *სამზარეულოს კედლები შეათეთრა.* ■ შეთეთრებული რაც შეათეთრეს. *შეთეთრებული შენობა.*

**შეთვალება** *შეთვალების* (შეთვალდება) ხილის მწიფობაში შესვლა. *ყურძენი შეთვალდა.* ■ შეთვალებული რაც შეთვალდა. *შეთვალებული ბალი.*

**შეთვალიერება** *შეთვალიერების* (შეათვალიერებს) დაკვირვებით, ყურადღებით შეხედვა, დათვალიერება. *თავით ფეხებამდე შეათვალიერა. კარადაში ჭურჭელი შეათვალიერა.*

**შეთვისება** *შეთვისების* (შეითვისებს, შეეთვისება, შეათვისებინებს) 1. შესწავლა, დაუფლება. *ინგლისური ენა ადვილად შეითვისა.* 2. შეგუება, შეჩვევა, დაახლოება. *მდგმურებს კარგად შეეთვისა. ახალ ამხანაგებს შეეთვისა.*

**შეთვლა** *შეთვლის* (შეუთვლის) ამბის ცნობება ვინმეს საშუალებით. *უარი შეუთვალა. პასუხი შეუთვალეს.*

**შეთითხნა** *შეთითხნის* (შეთითხნის, შეითითხნის, შეუთითხნის, შეითითხნება) 1. უშნოდ, ურიგოდ ნასმა, გათხუპნა. *შენობა შეთითხნეს. სახე შეითითხნა.* 2. გადატ. ტყუილის, უმსგავსო ამბისა და მისთ. შეთხზვა, მოგონება. *საჩივარი შეთითხნა. ჭორები შეთითხნეს.* ■ შეთითხნილი რაც შეთითხნეს. *შეთითხნილი კედელი.*

**შეთრევა** *შეთრევის* (შეათრევს, შეითრევს, შეუთრევს, შეეთრევა, შეათრევინებს) 1. თრევით შეტანა ან შეყვანა. *მორი ე ზოში შეათრიეს. დაჭრილი მანქანაში შეათრია.* 2. ძალით შეყვანა. *ძაღლი სახლში შეათრია.* 3. უპატივც. შესვლა. *ახლავე შეეთრიე სახლში!*

**შეთრთოლება** *შეთრთოლების* (შეათრთოლებს, შეთრთოლდება, შეუთრთოლდება) სწრაფად, ერთბაშად, წამიერად ათრთოლება, შეკანკალება. *ქალი შეთრთოლდა. სიცივისგან შეათრთოლა.*

**შეთრობა** *შეთრობის* (შეათრობს, შეთვრება) ცოტათი დათრობა. *სტუმრები მალე შეთვრნენ.*

**შეთქვირება** *შეთქვირების* (შეთქვირდება) იგივეა, რაც ათქვირება. *გოგო შეთქვირდა.* ■ შეთქვირებული ვინც შეთქვირდა. *შეთქვირებული ქალიშვილი.*

**შეთქვლეფა** *შეთქვლეფის* (შეთქვლეფს) წვნიანის ჩქარ-ჩქარა, ხმაურითა და დახარბებით შეჭმა. *ლორმა სალაფავი შეთქვლიფა.*

**შეთქმა** *შეთქმის* (შეუთქვამს, შეითქმება) ღმერთისთვის, სალოცავისთვის შესაწირის შეპირება, აღთქმა. *სალოცავს ხარი შეუთქვეს.*

**შეთქმულება** *შეთქმულების* ფარული მოლაპარაკება ვინმეს წინააღმდეგ სამოქმედოდ. *შეთქმულების მოწყობა. შეთქმულება მთავრობის წინააღმდეგ.*

**შეთქმული** *შეთქმულის* 1. შეთქმულების მონაწილე. *შეთქმულები დააპატიმრეს.* 2. რაც შეუთქვეს. *შეთქმული ცხვარი.*

**შეთხელება** *შეთხელების* (შეათხელებს, შეთხელდება) 1. სისქის, სიხშირის ცოტათი შემცირება. *ტყე შეთხელდა. თმა შეუთხელდა.* 2. გადატ. რაოდენობის შემცირება. *ხალხი შეთხელდა. მაყურებელი შეთხელდა.* ■ შეთხელებული რაც შეთხელდა. *შეთხელებული წვერი.*

**შეთხზვა** *შეთხზვის* (შეთხზავს, შეუთხზავს, შეითხზვება) 1. ლიტერატურული ან მუსიკალური ნაწარმოების შექმნა. *ლექსი შეთხზა. სონატა შეთხზა.* 2. გადატ. არარსებული ამბის მოგონება. *ტყუილების შეთხზვა უყვარს.* ■ შეთხზული რაც შეთხზეს. *ახლად შეთხზული პიესა.*

**შეთხოვნა** *შეთხოვნის* (შესთხოვს) ღმერთისადმი, ხატებისადმი და მისთ. მიმართვა თხოვნით. *უფალს შესთხოვს დახმარებას.*

**შეთხუპნა** *შეთხუპნის* (შეთხუპნის, შეითხუპნის, შეუთხუპნის, შეითხუპნება, შეეთხუპნება) ულამაზოდ, უშნოდ ნასმა, გათხუპნა, გასვრა. *კედელი შეთხუპნა.* ■ შეთხუპნილი რაც შეთხუპნეს. *შეთხუპნილი სარკე.*

**შეიარაღება** *შეიარაღების* (შეაიარაღებს, შეიარაღდება) I. საბრძოლო იარაღის მომარაგება, იარაღით აღჭურვა. *ჯარი ახალი ტექნიკით შეაიარაღეს. თოფით შეიარაღდა.* 2. საომარ საშუალებათა ერთობლიობა. *სახელმწიფო შეიარაღება. საჰაერო შეიარაღება.* ■ შეიარაღებული ვინც შეიარაღდა. *შეიარაღებული მოსახლეობა.*

**შეკადრება** *შეკადრების* (შეჰკადრებს) შებედვა, მოსარიდი რაიმეს თქმა. *უარი შეჰკადრა. საყვედური ვერ შეჰკადრა.*

**შეკაება** *შეკაების* (შეაკავებს, შეიკავებს, შეუკავებს, შეკავდება, შეაკავებინებს) I. მოძრაობის, დინებისა და მისთ. შეჩერება. *ჯარი შეაკავა. ჯებირმა ტალღები შეაკავა.* 2. ფიზიოლოგიური პროცესის, უნებური მოქმედების დაძლევა, შეჩერება. *სუნთქვის შეკავება. შარდის შეკავება. სიცილი ვერ შეიკავა.* ■ შეკავებული რაც შეიკავეს. *შეკავებული ემოცია.*

**შეკავშირება** *შეკავშირების* (შეაკავშირებს, შეუკავშირებს, შეკავშირდება, შეუკავშირდება) კავშირის დამყარება, გაერთიანება. *ქვეყნების შეკავშირება. ხალხი რწმენამ შეაკავშირა.* ■ შეკავშირებული რაც ან ვინც შეკავშირდა. *შეკავშირებული კოლეგები.*

**შეკაზმვა** *შეკაზმვის* (შეკაზმავს, შეუკაზმავს, შეიკაზმება, შეაკაზმვინებს) I. ცხენისთვის, ვირისთვის და მისთ. უნაგირის დადგმა, აუცილებელი სამართავი საშუალებებით აღჭურვა. *სახედარი შეკაზმა. აქლემები შეკაზმეს.* 2. იგივეა, რაც შეკმაზვა. *კერძი შეკაზმეს.* ■ შეკაზმული რაც შეკაზმეს. *შეკაზმული ცხენი. ნიგვზით შეკაზმული მხალი.*

**შეკამათება** *შეკამათების* (შეეკამათება, შეკამათდება) ვინმესთან კამათის დაწყება, შედავება. *მშობლებს შეეკამათა. ბიჭები შეკამათდნენ.*

**შეკედლება** *შეკედლების* (შეიკედლებს, შეეკედლება) დროებით საცხოვრებლად ვინმესთან გადასვლა, თავის შეფარება. *მეგობარს შეეკედლა. დამ შეიკედლა.* ■ შეკედლებული ვინც შეეკედლა. *ნათესავი ჰყავდათ შეკედლებული.*

**შეკეთება** *შეკეთების* (შეაკეთებს, შეუკეთებს, შეკეთდება, შეუკეთდება, შეაკეთებინებს) I. დაზიანებულის, გაფუჭებულის გაკეთება. *სახურავის შეკეთება. სასტუმრო შეაკეთეს.* 2. ცეცხლზე შეშის, ფიჩხისა და მისთ. დამატება. *ღუმელს შეშა შეუკეთა.* ■ შეკეთებული რაც შეკეთდა ან შეაკეთეს. *შეკეთებული კარადა.*

**შეკერვა** *შეკერვის* (შეკერავს, შეიკერავს, შეუკერავს, შეიკერება, შეაკერვინებს) I. გამოჭრილი ქსოვილის, ტყავისა და მისთ. ბოლოების ნემსითა და ძაფით შეერთება, ტანსაცმლის, ფეხსაცმლისა და მისთ. შექმნა. *კაბა შეიკერა. საბანი შეკერეს.* 2. ჟარგ. გადატ. ვინმეს დაყოლიება, დათანხმება რაიმეს გასაკეთებლად. *ბიჭი ადვილად შეკერა. მშობლები შევკერე.* ■ შეკერილი რაც შეკერეს. *ხელით შეკერილი.*

**შეკეტვა** *შეკეტვის* (შეკეტავს, შეიკეტავს, შეიკეტება) შესვლა და შიგნიდან დაკეტვა. *ოთახში შეიკეტა. სარდაფში შეიკეტნენ.*

**შეკეცვა** *შეკეცვის* (შეკეცავს, შეიკეცავს, შეუკეცავს, შეიკეცება, შეეკეცება) ქსოვილის, ტანსაცმლისა და მისთ. ბოლოების შიგნით შეტრიალება, შეწევა. *სახელო შეიკეცა. ბავშვს საბანი შეუკეცა.*

**შეკვამლვა** *შეკვამლვის* (შეკვამლავს, შეიკვამლება) კვამლით დაფარვა, გაჭვარტვლა. *ჭერი შეიკვამლა.*

**შეკვდომა** *შეკვდომის* (შეაკვდება) სასიკვდილოდ თავის დადება, შენირვა. *მტერს შეაკვდა.*

**შეკვეთა** *შეკვეთის* (შეუკვეთს) წინასწარ შეთანხმება, დავალების მიცემა რაიმეს დასამზადებლად, გასაკეთებლად. *ტორტის შეკვეთა. შეკვეთით დაამზადა. ფეხსაცმელი შეუკვეთა.* ■ შეკვეთილი რაც შეუკვეთეს. *შეკვეთილი აეეჯი.*

**შეკვეცა** *შეკვეცის* (შეკვეცს, შეაკვეცს, შეიკვეცს, შეუკვეცს, შეიკვეცება, შეეკვეცება) რაოდენობის, მოცულობისა და მისთ. შემცირება. *პროგრამა შეკვეცეს. ბიუჯეტი შეუკვეცეს.* ■ შეკვეცილი რაც შეიკვეცა. *შეკვეცილი ტექსტი.*

**შეკვლა** *შეკვლის* (შეაკლავს, შეიკლავს) მსხვერპლად ქცევა, გაწირვა. *მტერს ხალხი შეაკლეს.* ◉ ხელში შეიკლავს მოსვენებას არ მისცემს, შეაწუხებს.

**შეკვრა** *შეკვრის* (შეკრავს, შეიკრავს, შეუკრავს, შეიკვრება, შეეკვრება, შეაკვრევინებს) I. რაიმეს დასაბაგრებლად თოკის, თასმისა და მისთ. დახვევა და გაკვანძვა. *წიგნები შეკრა. ხელები შეუკრეს.* 2. იგივეა, რაც შებნევა. *ხალათი შეიკრა. პალტო შეუკრა.* ■ შეკრული რაც შეკრეს. *შეკრული ღილები.*

**შეკიდება** *შეკიდების* (შეკიდებს) შიგნით დაკიდება. *პალტო კარადაში შეკიდა.*

**შეკივლება** *შეკივლების* (შე(ჰ)კივლებს) დაკივლება, ჩვეულებრივ, შიშის ან რაიმე სხვა დიდი განცდის გამო, კივილით შეძახება. *ქალმა სიხარულით შეკივლა. დედას შეჰკივლა.*

**შეკითხვა** *შეკითხვის* (შეეკითხება) I. კითხვის დასმა. *ბავშვს შეეკითხა. შეკითხვა ვერ გაბედა.* 2. იგივეა, რაც კითხვა (1). *რთული შეკითხვა დასვა.*

**შეკმაზვა** *შეკმაზვის* (შეკმაზავს, შეუკმაზავს, შეიკმაზება) საჭმლის მწვანილით ან სუნელებით შეზავება, შენელება. *კერძი გემრიელად შეკმაზეს.* ■ შეკმაზული რაც შეკმაზეს. *შეკმაზული ტყემალი.*

**შეკნატუნება** *შეკნატუნების* (შეაკნატუნებს) კნატუნით შეჭმა. *თხილი შეაკნატუნა.*

**შეკონვა** *შეკონვის* (შეკონავს, შეუკონავს, შეიკონება) მოთიბული ბალახის, თავთავებისა და მისთ. კონად შეკვრა. *თაიგული შეკონა. ძნები შეკონეს.* ▪ შეკონილი რაც შეკონეს. *შეკონილი ჩალა.*

**შეკონწინება** *შეკონწინების* (შეაკონწინებს, შეკონწინდება) საუბრ. ნაწილების ერთმანეთთან შეერთება, გამთლიანება. *გუნდი შეაკონწინეს. ფული ძლივს შეაკონწინა.* ▪ შეკონწინებული რაც შეაკონწინეს. *შეკონწინებული თანხა.*

**შეკოჭვა** *შეკოჭვის* (შეკოჭავს, შეუკოჭავს, შეიკოჭება) იგივეა, რაც გაკოჭვა. *კაცი შეკოჭეს.* ▪ შეკოჭილი ვინც ან რაც შეკოჭეს. *შეკოჭილი ხელები.*

**შეკრება** *შეკრების* (შეკრებს, შეუკრებს, შეიკრიბება) 1. ბევრის ერთ ადგილას მისვლა (მიყვანა, მიტანა), შეგროვება. *ფეხბურთელთა შეკრება. სტუდენტები შეიკრიბნენ. პასპორტები შეკრიბა.* 2. მათემატიკური მოქმედება, რომლის დროსაც რიცხვებს უმატებენ ერთმანეთს. *სამნიშნა რიცხვები ზეპირად შეკრიბა.* ▪ შეკრებილი ვინც ან რაც შეკრიბეს ან შეიკრიბა. *შეკრებილი თანამშრომლები.*

**შეკრეჭა** *შეკრეჭის* (შეკრეჭს, შეიკრეჭს, შეიკრიჭება, შეაკრეჭინებს) თმის, წვერისა და მისთ. მაკრატლით შეჭრა, დამოკლება. *თმა შეიკრიჭა. ცხენს ფაფარი შეკრიჭეს.* ▪ შეკრეჭილი რაც შეიკრიჭეს ან შეკრიჭეს. *შეკრეჭილი ულვაში.*

**შეკრთობა** *შეკრთობის* (შეაკრთობს, შეუკრთობს) უცბად, ოდნავ შეშინება. *ხმაურმა ქალი შეაკრთო.*

**შეკრთომა** *შეკრთომის* (შეკრთება, შეუკრთება) // შეკრთობა. *ქალი შეკრთა. ჭექა-ქუხილის ხმაზე ბავშვები შეკრთნენ.*

**შეკუკნა** *შეკუკნის* (შეკუკნის) საუბრ. ცოტ-ცოტას უხალისოდ შეჭმა. *ბავშვმა პური შეკუკნა.*

**შეკუმშვა** *შეკუმშვის* (შეკუმშავს, შეიკუმშავს, შეუკუმშავს, შეიკუმშება, შეეკუმშება) მოჭერით, შევიწროებით სიდიდის, მოცულობის შემცირება. *კუნთები შეკუმშა. ზამბარა შეიკუმშა.* ▪ შეკუმშული რაც შეიკუმშა. *შეკუმშული აირი.*

**შეკუნტრუშება** *შეკუნტრუშების* (შეიკუნტრუშებს, შეკუნტრუშდება) კუნტრუშით შეხტომა. *ბიჭმა ჰაერში შეიკუნტრუშა.*

**შეკუნჭვა** *შეკუნჭვის* (შეკუნჭავს, შეიკუნჭება) შიგნით, სიღრმეში შემალვა, შეყუჟვა. *შეშინებული კუთხეში შეიკუნჭა.* ▪ შეკუნჭული ვინც ან რაც შეიკუნჭა. *კარადის უკან შეკუნჭული ბავშვი.*

**შეკურთხება** *შეკურთხების* (შეაკურთხებს, შეუკურთხებს) საუბრ. იგივეა, რაც შეგინება. *მთვრალმა შეიკურთხა.*

**შეკუჭვა** *შეკუჭვის* (შეკუჭავს, შეიკუჭება) საუბრ. შეტენა, შეჩურთვა. *პალტო კარადაში შეკუჭა.* ▪ შეკუჭული რაც შეკუჭეს. *შეკუჭული ტანსაცმელი.*

**შელაგება** *შელაგების* (შეალაგებს, შეულაგებს, შელაგდება, შეალაგებინებს) სიღრმეში ან სიმაღლეზე დალაგება. *ფეხსაცმელი კარადაში შეალაგა. ქვაბები თაროზე შეალაგა.*

**შელამაზება** *შელამაზების* (შეალამაზებს, შეულამაზებს, შელამაზდება) 1. ოდნავ, გარედან გალამაზება. *სახლი შეალამაზა.* 2. სათქმელის ისე ნარმოდგენა, რომ ფაქტი რეალურზე უფრო ლამაზად, უკეთესად გამოჩნდეს. *ამბავი შეალამაზა.* ▪ შელამაზებული რაც შეალამაზეს. *შელამაზებული ოთახი.*

**შელაპარაკება** *შელაპარაკების* (შეელაპარაკება, შელაპარაკდება) ლაპარაკისას ჩხუბი, შეკამათება, შედავება. *შელაპარაკება მოუვიდათ. მეზობლები შელაპარაკდნენ.*

**შელასლასება** *შელასლასების* (შელასლასდება) უღონოდ, ლასლასით შესვლა. *მოხუცი სახლში შელასლასდა.*

**შელახვა** *შელახვის* (შელახავს, შეულახავს, შეილახება, შეელახება) 1. ცოტათი გაფუჭება, დაზიანება. *ტანსაცმელი შეელახა. საყელო შეილახა.* 2. დამცირება, გათელვა. *თავმოყვარეობის შელახვა. ღირსება შეულახეს.* ▪ შელახული რაც შელახეს ან შეილახა. *შელახული სახელი.*

**შელაჯება** *შელაჯების* (შეალაჯებს) მოურიდებლად, დიდი ნაბიჯებით შესვლა. *სადარბაზოში შეალაჯა.*

**შელევა** *შელევის* (შეელევა) 1. ძალების, ენერგიის ვინმესთვის (რაიმესთვის) მთლიანად მოხმარება, შეწირვა. *ყველაფერი საქმეს შეალია. მთელი ცხოვრება შვილს შეალია.* 2. დათმობა, გამეტება. *ღვინოს ვერ შეელია. თანამდებობას შეელია.*

**შელესვა** *შელესვის* (შელესავს, შეულესავს, შეილესება, შეალესვინებს) იგივეა, რაც გალესვა (2). *სახლის კედლები შელესეს. ეკლესია შეილესა.* ▪ შელესილი რაც შელესეს. *შელესილი ჭერი.*

**შელენწვა** *შელენწვის* (შელენწავს, შეულენწავს, შეილენება) 1. გარედან შიგნით შენგრევა, შემტვრევა. *კარი ძალით შელენწეს.* 2. რაიმეზე შენარცხება, მირტყმით დამტვრევა. *ჭიქა სახეში შეალენწა. კედელს სკამი შეალენწა.*

**შელოცვა** *შელოცვის* (შეულოცავს, შეალოცვინებს) სპეციალური ლოცვის წარმოთქმა ავი სულების განდევნის ან ავადმყოფის გამოჯანმრთელების მიზნით. *მოხუცმა შეულოცა. შეშინებულ ბავშვს შეულოცეს.* ▪ შელოცვილი ვისაც ან რასაც შეულოცეს. *შელოცვილი ხომ არა ხარ?!*

**შემაგრება** *შემაგრების* (შეამაგრებს, შეიმაგრებს, შეუმაგრებს, შემაგრდება, შეუმაგრდება) 1. ცოტათი გამაგრება. *სახლი შეამაგრეს.* 2. შეკავება, დაჭერა, გაჩერება. *ბურთი ხელში შეიმაგრა.*

**შემაგრება** *შემავლის* რაც ან ვინც შედის, რაიმეს შემადგენლობაში მყოფი. *რეგიონში შემავალი რაიონები.*

შემადგენლობა *შემადგენლობის* I. ამა თუ იმ ჯგუფში შემავალ ადამიანთა ერთობლიობა. *გუნდის შემადგენლობა. კომისიის შემადგენლობა.* 2. ერთმანეთზე გადაბმული ვაგონების წყება. *მატარებლის შემადგენლობა.*

შემავალი *შემავლის* რაც ან ვინც შედის, რაიმეს შემადგენლობაში მყოფი. *რეგიონში შემავალი რაიონები. ასოციაციაში შემავალი კომპანიები.*

შემალვა *შემალვის* (შემალავს, შეიმალება) შიგნით, სიღრმეში ან რაიმეს ქვეშ დამალვა. *კურდღელი ბუჩქებში შეიმალა. ფეხები საბანში შემალა.* ■ შემალული ვინც ან რაც შეიმალა. *ფუღუროში შემალული ციყვი.*

შემართება *შემართების* I. გამბედაობა, მამაცობა. *გმირული შემართება.* 2. ენერგია, მონდომება. *საქმეს შემართებით შეუდგა.*

შემართვა *შემართვის* (შემართავს, შეიმართება) 1. ადგომა და გასწორება, მომზადება. *ქალი საცეკვაოდ შეიმართა.* 2. იარაღის აწევა, მომზადება დასარტყმელად, სასროლად. *ნაჯახი შემართა. თოფი შემართა.*

შემასმენელი *შემასმენლის* გრამატ. წინადადების მთავარი წევრი, რომელიც გამოხატავს ქვემდებარის მოქმედებას ან მდგომარეობას.

შემატება *შემატების* (შემატებს, შეამატებს, შეიმატებს, შეუმატებს, შეემატება) 1. რაოდენობის, მოცულობის გაზრდა, მომატება. *ოჯახს ახალი წევრი შეემატა. ქონება შეემატათ.* 2. სარგებლობის მოტანა. *რას შეგმატებს მისი მოსვლა? ამ ლექციებმა ბევრი შემმატა.*

შემაღლება *შემაღლების* (შეამაღლებს, შეიმაღლებს, შეუმაღლებს, შემაღლდება) 1. სიმაღლის მომატება, ზევით აწევა. *კედელი შეამაღლეს.* 2. ცოტათი ამაღლებული ადგილი. *კლდოვანი შემაღლება.*

შემაღლებული *შემაღლებულის* რაც შეამაღლეს. *შემაღლებული თაღი. სახლი შემაღლებულზე იდგა.*

შემაშფოთებელი *შემაშფოთებლის* რაც შეშფოთებას იწვევს, შემანუხებელი. *შემაშფოთებელი ამბავი. შემაშფოთებელი განცხადება.*

შემდგომ ზმნ. 1. იგივეა, რაც შემდეგ (1). *ამ საკითხს შემდგომ განვიხილავთ.* 2. იგივეა, რაც შემდეგ (2). *ეს ამბავი ომის შემდგომ მოხდა.*

შემდგომი *შემდგომის* შემდეგი, მომდევნო. *შემდგომი პერიოდი.*

შემდეგ ზმნ. 1. გარკვეული ხნის მერე, სხვა დროს. *ამ ამბავს შემდეგ გიამბობ.* 2. თანდ. ფუნქც. (+ ნათ.) ვინმეს ან რაიმეს მომდევნოდ. *სადილის შემდეგ გაისეირნეს.*

შემდეგი *შემდეგის* ვინმეს ან რაიმეს მერე არსებული, მყოფი, მომდევნო. *შემდეგი გაჩერება. შემდეგი წინადადება.*

შემდრკალი *შემდრკალის* ვინც შედრკა. *შემდრკალი ჯარისკაცი.*

შემეცნებითი *შემეცნებითის* შემეცნებასთან დაკავშირებული, შემეცნებისთვის დამახასიათებელი. *შემეცნებითი პროცესი. შემეცნებითი ღირებულება.*

შემზადება *შემზადების* (შეამზადებს, შეუმზადებს, შეემზადება, შემზადდება, შეამზადებინებს) წინასწარ მომზადება რაიმე საქმისთვის, ამბის სათქმელად და მისთ. *ნათესავები შეამზადეს. ცოლი წინასწარ შეამზადა.* ■ შემზადებული ვინც შეამზადეს. *ყველაფრისთვის შემზადებული იყო.*

შემზარავი *შემზარავის* საშინელი, შიშის მომგვრელი. *შემზარავი ფაქტები.*

შემთბარი *შემთბარის* რაც შეათბეს. *შემთბარი რძე.*

შემთვრალი *შემთვრალის* ვინც შეთვრა, ოდნავ მთვრალი. *შემთვრალი კაცები.*

შემთხვევა *შემთხვევის* (შეამთხვევს, შეემთხვევა) 1. ფაქტი, მოვლენა, რომელიც მოულოდნელად, გაუთვალისწინებლად მოხდა. *უბედური შემთხვევა. ამ შემთხვევამ ბევრი რამ გამოააშკარავა.* 2. რაიმეს დამართება, მოხდენა. *ცუდს არაფერს შეამთხვევს. რაღაც შეემთხვა.*

შემთხვევით ზმნ. მოულოდნელად, გაუთვალისწინებლად. *შემთხვევით გაიცნეს ერთმანეთი. შემთხვევით შეხვდა გ ზაში.*

შემთხვევითი *შემთხვევითის* რაც წინასწარ განსაზღვრული, რაიმეთი განპირობებული არ არის, მოულოდნელი, გაუთვალისწინებელი. *შემთხვევითი გასროლა.*

შემთხვევითობა *შემთხვევითობის* შემთხვევით, გაუთვალისწინებლად მომხდარი რამ. *შემთხვევაა თუ კანონზომიერება?*

შემინვა *შემინვის* (შემინავს, შეუმინავს, შეიმინება) მინების ჩასმა. *აივანი შემინეს.* ■ შემინული რაც შემინეს. *შემინული შენობა.*

შემკობა *შემკობის* (შეამკობს, შეიმკობს, შეუმკობს, შეიმკობა, შეამკობინებს) 1. მორთვა, გალამაზება. *ყვავილებით შეამკეს.* 2. გადატ. შექება, ხოტბის შესხმა. *იუბილარი დითირამბებით შეამკეს.*

შემკრთალი *შემკრთალის* ვინც ან რაც შეკრთა. *შემკრთალი კურდღელი.*

შემკული *შემკულის* I. რაც შეამკეს, მორთული. *შემკული ნაძვის ხე.* 2. გადატ. რაიმე ღირსებით, ნიჭით დამშვენებული. *სილამაზით შემკული ქალი.*

შემნახავი *შემნახავის*| |შემნახველი. *ინფორმაციის შემნახავი სერვერი.*

შემნახველი *შემნახველის* ვინც (რაც) შეინახავს. *ოჯახის შემნახველი. შემნახველი საკანი.*

შემობარვა *შემობარვის* (შემობარავს, შემოუბარავს, შემოიბარება) რაიმეს გარშემო დაბარვა. *ნერგებს მიწა შემოუბარეს.*

შემობზრიალება *შემობზრიალების* (შემოაბზრიალებს, შემობზრიალდება) ბზრიალით შემოტრიალე-

ბა, შემობრუნება. *ქალი შემობზრიალდა. სკამი შემოაბზრიალა.*

**შემობრუნება** *შემობრუნების* (შემოაბრუნებს, შემოიბრუნებს, შემოუბრუნებს, შემობრუნდება, შემოუბრუნდება) 1. საპირისპირო მხარეს მობრუნება (1), მოტრიალება. *სარკე შემოაბრუნა. ჩვენკენ შემობრუნდა.* 2. უკან მობრუნება (2), მოტრიალება (2). *სახლში შემობრუნდა.*

**შემოგდება** *შემოგდების* (შემოაგდებს, შემოუგდებს) 1. შიგნით სროლა (აქეთ ან მანდეთ). *ფანჯრიდან ქვა შემოაგდო.* 2. ვინმეს ან რაიმეს (ცხოველის) იძულება, რომ შემოვიდეს. *ძაღლი შემოაგდო. ბავშვი ოთახში შემოაგდო.*

**შემოგება** *შემოგების* (შემოიგებს, შემოუგებს) ქვეშ შემოფენა, შემოკეცვა. *ბავშვს საბანი შემოუგო.*

**შემოგებება** *შემოგებების* (შემოაგებებს, შემოეგებება) იგივეა, რაც მოგებება. *გამარჯვებულს ხალხი შემოეგება.*

**შემოგზავნა** *შემოგზავნის* (შემოგზავნის, შემოაგზავნის, შემოუგზავნის, შემოიგზავნება) 1. შიგნით (აქ ან მანდ) შემოშვება ან შემოტანა. *წერილი შემოაგზავნა. ბავშვი შემოგზავნა. ფული შემოუგზავნეს.* ■ შემოგზავნილი ვინც ან რაც შემოაგზავნეს. *შემოგზავნილი ჯაშუში.*

**შემოგლეჯა** *შემოგლეჯის* (შემოგლეჯს, შემოაგლეჯს, შემოიგლეჯს, შემოიგლიჯება, შემოეგლიჯება) 1. გარშემო შემოხევა. *ტანსაცმელი შემოიგლიჯა. შარვალი შემოეგლიჯა.* 2. შიგნით შემონგრევა, შემომტვრევა. *ქარმა ფანჯარა შემოგლიჯა.* ■ შემოგლეჯილი რაც შემოგლიჯეს. *შემოგლეჯილი კარი.*

**შემოდავება** *შემოდავების* (შემოედავება) ჩემთან ან შენთან შედავება. *მე ზობელი შემომედავა. ვერავინ შემოგედავება.*

**შემოდგმა** *შემოდგმის* (შემოდგამს, შემოადგამს, შემოიდგამს, შემოუდგამს, შემოიდგმება, შემოადგმევინებს) მაღლა, რაიმეზე დადგმა. *დოქი თაროზე შემოდგა. ქვაბი ცეცხლზე შემოდგა.*

**შემოდგომა** *შემოდგომის* წელიწადის დრო ზაფხულსა და ზამთარს შორის, მისი თვეებია: სექტემბერი, ოქტომბერი, ნოემბერი. *დადგა შემოდგომა. შემოდგომის ბარაქა.* ▲ შემოდგომით / შემოდგომაზე ზმნზ. შემოდგომის დროს. *ქორწილი შემოდგომაზე დანიშნეს.*

**შემოდგომობით** ზმნზ. ყოველთვის შემოდგომაზე, როცა შემოდგომაა. *შემოდგომობით იღებენ მოსავალს.*

**შემოდება** *შემოდების* (შემოდებს, შემოადებს, შემოიდებს, შემოუდებს) მაღლა, რაიმეზე დადება. *ჩონგური თაროზე შემოდო.*

**შემოერთება** *შემოერთების* (შემოიერთებს, შემოუერთებს, შემოუერთდება) თავის მხარეს მიერთება, თავის მმართველობაში, მფლობელობაში მოქცევა. *დიდი ტერიტორია შემოიერთეს. ციხე-ქალაქი შემოიერთა.* ■ შემოერთებული რაც შემოიერთეს. *შემოერთებული სოფლები.*

**შემოვლა** *შემოვლის* (შემოივლის, შემოუვლის) 1. სხვადასხვა ადგილას მისვლა დათვალიერების ან შემოწმების მიზნით. *მთელი ქალაქი შემოიარა. ექიმების შემოვლა დასრულდა.* 2. რაიმეს გარშემო სიარულით სრული წრის გაკეთება. *სახლს შემოუარა. ეკლესიას სამჯერ შემოუარეს.* 3. ცოტა ხნით სტუმრობა, მონახულება. *გზად შემოიარა. ჩვენთან შემოვლა ვერ მოასწრო.*

**შემოვლება** *შემოვლების* (შემოავლებს, შემოივლებს, შემოევლება) 1. რაიმეს გარშემო ღობის, ზღუდის გაკეთება. *ციხეს გალავანი შემოავლეს.* 2. რაიმეს გასნვრივ ზოლად მიმაგრება. *ფარდას არშია შემოავლო.*

**შემოვლითი** *შემოვლითის* შემოვლის საშუალებით მოქმედი, არაპირდაპირი. *შემოვლითი გზა.*

**შემოზიდვა** *შემოზიდვის* (შემოზიდავს, შემოუზიდავს, შემოიზიდება, შემოაზიდვინებს) ტვირთის რამდენიმე გზად შემოტანა. *პროდუქტების შემოზიდვა. იარაღი შემოზიდეს.*

**შემოზღუდვა** *შემოზღუდვის* (შემოზღუდავს, შემოიზღუდება) გარშემო ზღუდის (გალავნის, ჯებირისა და მისთ.) შემოვლება, შემოფარგვლა. *აგარაკი გალავნით შემოზღუდა.* ■ შემოზღუდული რაც შემოზღუდეს. *ქედებით შემოზღუდული ხეობა.*

**შემოთვლა** *შემოთვლის* (შემოთვლის, შემოუთვლის) ამბის ცნობება, დაბარება ჩემთან ან შენთან ვინმეს საშუალებით. *მოკითხვა შემოგვითვალეს.*

**შემოთიბვა** *შემოთიბვის* (შემოთიბავს, შემოუთიბავს, შემოითიბება) გარშემო მოთიბვა. *ხეებს შემოუთიბა.*

**შემოთოხნა** *შემოთოხნის* (შემოთოხნის, შემოუთოხნის) გარშემო გათოხნა. *სიმინდს ძირები შემოუთოხნა.*

**შემოთრევა** *შემოთრევის* (შემოათრევს, შემოეთრევა) 1. თრევით შემოტანა ან შემოყვანა. *მორი ეზოში შემოათრია.* 2. უპატივც. შემოსვლა. *აბლავე შემოეთრიე!* ■ შემოთრეული რაც შემოათრიეს. *შემოთრეული ტომრები.*

**შემოკავება** *შემოკავების* (შემოაკავებს, შემოიკავებს, შემოუკავებს) ღობის შემორტყმა, შემოვლება ადგილის დასაკავებლად. *ეზო შემოაკავეს.* ■ შემოკავებული რაც შემოაკავეს. *შემოკავებული ადგილი.*

**შემოკერება** *შემოკერების* (შემოაკერებს, შემოიკერებს, შემოუკერებს, შემოეკერება) გარშემო რაიმეს დაკერება. *კაბას მაქმანი შემოაკერა. ქუდს ლენტი შემოაკერა.*

**შემოკერვა** *შემოკერვის* (შემოკერავს, შემოუკერავს) ტანსაცმლის ბოლოების ნემსითა და ძაფით გაკერვა, დამაგრება. *შარვალს ტოტები შემოუკერა.*

**შემოკეცვა** *შემოკეცვის* (შემოკეცავს, შემოიკეცავს,

შემოუკეცავს) იგივეა, რაც შეკეცვა. *საბანი კარგად შემოიკეცა. სახელოებს შემოუკეცა.*

შემოკვდომა *შემოკვდომის* (შემოაკვდება) უნებურად, შემთხვევით მოკვლა. *კაცი შემოაკვდა.*

შემოკვრა *შემოკვრის* (შემო(ჰ)კრავს, შემოაკრავს, შემოიკრავს, შემოუკრავს, შემოეკვრება) 1. რაიმეს შემოხვევა და შეკვრა. *თავშალი შემოიკრა. ქალალდი შემოაკრა.* 2. გადატ. გვერდიდან დარტყმა. *ხეს ცული შემოჰკრა.* ■ შემოკრული რაც შემოაკრეს. *შემოკრული ტყავი.*

შემოკივლება *შემოკივლების* (შემოჰკივლებს) კივილით შემოძახება. *დევმა მრისხანედ შემოჰკივლა.*

შემოკლება[1] *შემოკლების* (შეამოკლებს, შეიმოკლებს, შეუმოკლებს, შემოკლდება, შეუმოკლდება) იგივეა, რაც დამოკლება. *თმის შემოკლება. სიტყვა შეამოკლა. გზა შეიმოკლეს.* ■ შემოკლებული რაც შეამოკლეს. *შემოკლებული სახელი.*

შემოკლება[2] *შემოკლების* (შემოაკლებს, შემოაკლდება) დასახარჯის გათავება, დაკლება. *ფული შემოაკლდა. საჭმელს არ შემოაკლებს.*

შემოკლებით ზმნზ. მოკლედ. *გვარს შემოკლებით წერს.*

შემოკრება *შემოკრების* (შემოკრებს, შემოიკრებს, შემოიკრიბება) თავის გარშემო შეკრება, მომხრეების გაჩენა. *ახალგა ზრდები შემოიკრიბა.*

შემოლევა *შემოლევის* (შემოილევა, შემოელევა) თანდათანობით გათავება. *შეშა შემოილია. ტყვიები შემოელიათ. მარაგი შემოელია.*

შემომატება *შემომატების* (შემოამატებს, შემოიმატებს, შემოემატება) იგივეა, რაც შემატება (1). *სუფრას ახალი წევრი შემოემატა. ხალხი ნელ-ნელა შემოემატა. დამხმარე ძალა შემოგვემატა.*

შემომტვრევა *შემომტვრევის* (შემოამტვრევს, შემოუმტვრევს, შემოიმტვრევა, შემოემტვრევა) 1. დაკეტილის შემონგრევა, შემოლეწვა. *ფანჯარა შემოამტვრიეს. კარი შემოგვიმტვრიეს.* 2. გარშემო დამტვრევა ან მთლიანად, ერთბაშად დამტვრევა. *ხეს ტოტები შემოემტვრა. სათამაშო ხელში შემოემტვრა.*

შემომწყრალი *შემომწყრალის* ვინც შემოსწყრა. *შემომწყრალი ნათესავი.*

შემონათება *შემონათების* (შემოანათებს) გარედან შიგნით (აქეთ ან მანდეთ) შუქის მომართვა, შემოღწევა. *ოთახში მზემ შემოანათა.*

შემონახვა *შემონახვის* (შემოინახავს, შემოუნახავს, შემოინახება, შემოენახება) დიდი ხნის განმავლობაში, გარკვეულ დრომდე შენახვა. *გმირთა სახელები ისტორიამ შემოინახა. ღვინო ზაფხულამდე შემოინახა.* ■ შემონახული რაც შემოინახეს. *შემონახული წეს-ჩვეულებები.*

შემონგრევა *შემონგრევის* (შემოანგრევს, შემოუნგრევს, შემოინგრევა) 1. ძალით განგრევა და შიგნით შესვლა. *თავდამსხმელებმა კარი შემოგვინგრიეს.* 2. რაიმეს გარშემო დანგრევა. *ციხეს გალავანი შემოენგრა.*

შემოპარება *შემოპარების* (შემოაპარებს) შეუმჩნევლად, ფარულად შემოყვანა ან შემოტანა. *ბიჭი ღამით შემოაპარეს.*

შემოპარვა *შემოპარვის* (შემოიპარება, შემოეპარება) შეუმჩნეველად, ფარულად შემოსვლა. *ქალაქში მტერი შემოიპარა.* ■ შემოპარული ვინც შემოიპარა. *შემოპარული ჯაშუში.*

შემოპატიჟება *შემოპატიჟების* (შემოიპატიჟებს) გარეთ მყოფის შიგნით მოწვევა, მოპატიჟება. *სტუმრები სახლში შემოვიპატიჟეთ.*

შემორაგვა *შემორაგვის* (შემორაგვავს) იგივეა, რაც შემოღობვა. *ეზო შემორაგვა.* ■ შემორაგული რაც შემორაგვეს. *კარგად შემორაგული ბოსტანი.*

შემორეკვა *შემორეკვის* (შემორეკავს, შემოურეკავს) ბევრის შემოყვანა, შემოყრა. *თხები ბოსელში შემორეკეს.*

შემორბენა *შემორბენის* (შემოირბენს, შემოურბენს) 1. სირბილით შემოსვლა, შემოვლა (3). *ოთახში შემოირბინა. მეგობრებმა შემომირბინეს.* 2. სირბილით მოვლა[2] (1), გარშემო შემოვლა (2). *ქალაქი შემოირბინა. სახლს შემოურბინა.*

შემორიგება *შემორიგების* (შემოირიგებს, შემოურიგებს, შემოურიგდება) განაწყენებულის შერიგება. *ნათესავები შემოირიგა.* ■ შემორიგებული ვინც შემოირიგეს. *შემორიგებული მეზობელი.*

შემორკალვა *შემორკალვის* (შემორკალავს, შემოირკალება) რკალივით მოხრა, რკალის გაკეთება. *მავთული შემორკალა.*

შემორტყმა *შემორტყმის* (შემოარტყამს, შემოირტყამს, შემოერტყმება) 1. ხელის, ჯოხისა და მისთ. შემოკვრა. *ცხენს წკეპლა შემოარტყა. თავში ხელი შემოირტყა.* 2. ირგვლივ შემოვლება, შემოხვევა. *ქამარი შემოირტყა. ციხეს გალავანი შემოარტყეს.* ■ შემორტყმული რაც შემოარტყეს. *შემორტყმული ალყა.*

შემორჩენა *შემორჩენის* (შემორჩება) 1. დიდხანს, გვიანობამდე დარჩენა. *სუფრას ბოლომდე შემორჩნენ. მეგობართან შემორჩა.* 2. ნაქონის შენარჩუნება, კიდევ ქონა (ყოლა). *ფოთლები აქა-იქ შემორჩა. ძველი ხალისი შემომრჩა. რამდენიმე მეგობარი შემორჩა.* ■ შემორჩენილი რაც ან ვინც შემორჩა. *შემორჩენილი წარწერები.*

შემოსავალი *შემოსავლის* ფული ან მატერიალური ფასეულობა, რომელიც რაიმე საქმიანობით არის მიღებული. *ოჯახის შემოსავალი. სახელმწიფო შემოსავალი.*

შემოსავლიანი *შემოსავლიანის* შემოსავლის მქონე, შემოსავლის მომცემი. *შემოსავლიანი სამსახური.*

შემოსაზღვრა *შემოსაზღვრის* (შემოსაზღვრავს, შე-

მოისაზღვრავს, შემოუსაზღვრავს, შემოისაზღვრება) საზღვრის შემოვლება, საზღვრით მონიშვნა. *ეზო შემოსაზღვრა.* ▪ შემოსაზღვრული რაც შემოსაზღვრეს. *შემოსაზღვრული სივრცე.*

**შემოსაკრავი** *შემოსაკრავის* რაც უნდა შემოაკრან. *შემოსაკრავი ქაღალდი.*

**შემოსალტვა** *შემოსალტვის* (შემოსალტავს, შემოისალტავს, შემოესალტება) 1. სალტის შემოვლება. *კასრი შემოსალტა.* 2. სალტესავით შემოჭდობა. *ხელები მუხლებზე შემოისალტა.* ▪ შემოსალტული რაც შემოსალტეს. *შემოსალტული ქამარი.*

**შემოსატანი** *შემოსატანის* რაც უნდა შემოიტანონ. *უცხოეთიდან შემოსატანი მედიკამენტები.* ▲ შემოსატანად ზმნზ. შემოტანისთვის, შემოტანის მიზნით. *პროდუქტის შემოსატანად.*

**შემოსახლება** *შემოსახლების* (შემოასახლებს, შემოისახლებს, შემოუსახლებს, შემოსახლდება, შემოუსახლდება) საცხოვრებლად შემოსვლა (შემოყვანა). *ჩვენთან შემოსახლდნენ. მდგმურები შემოუსახლეს.* ▪ შემოსახლებული ვინც შემოსახლდა ან შემოასახლეს. *შემოსახლებული ხალხი.*

**შემოსევა** *შემოსევის* (შემოუსევს, შემოესევა) 1. ბევრის ერთბაშად მოსვლა, ირგვლივ შემოხვევა. *ბავშვები დედას შემოესივნენ.* 2.თავდასხმა, შემოჭრა, მოცვენა დარბევის, განადგურების მიზნით. *ქვეყანას მტერი შემოესია.*

**შემოსვა** *შემოსვის* (შემოსავს, შეიმოსავს, შეუმოსავს, შეიმოსება, შეემოსება) 1. იგივეა, რაც ჩაცმა. *ბიჭი შეიმოსა. მეფე შემოსეს.* 2. გადატ. რაიმეთი დაფარვა. *ხეები ფოთლებით შეიმოსა.* ▪ შემოსილი ვინც ან რაც შეიმოსა. *შავებით შემოსილი ქალი.*

**შემოსვლა** *შემოსვლის* (შემოვა, შემოუვა) 1. გარედან შიგნით გადაადგილება (ჩემკენ ან შენკენ). *სახლში შემოვიდა. ოჯახში რძალი შემოგვივიდა.* 2. რაიმეს შემოტანა. *ახალი საქონელი შემოვიდა.* ▪ შემოსული ვინც ან რაც შემოვიდა. *ოთახში შემოსული სტუმრები. შემოსული თანხა.*

**შემოსკუპება** *შემოსკუპების* (შემოასკუპებს, შემოისკუპებს, შემოუსკუპებს, შემოსკუპდება, შემოუსკუპდება) იგივეა, რაც შესკუპება. *ციყვი ტოტზე შემოსკუპდა. უკან შემოისკუპა.* ▪ შემოსკუპებული ვინც (რაც) შემოსკუპდა ან შემოასკუპეს. *კისერზე შემოსკუპებული ბავშვი.*

**შემოსმა** *შემოსმის* (შემოსვამს, შემოისვამს, შემოუსვამს) მაღლა დასმა. *ფანჯარაზე შემოსვა. ცხენზე შემოისვა.*

**შემოსწრება** *შემოსწრების* (შემოასწრებს, შემოესწრება) 1. სხვების იქ ყოფნისას მისვლა. *სადილობისას შემოგვესწრო. სუფრაზე მეზობელი შემოესწრო.* 2. სხვაზე ადრე შემოსვლა. *სახლში შემოასწრო.* ▪ შემოსწრებული ვინც შემოესწრო. *შემოსწრებული სტუმარი.*

**შემოსხდომა** *შემოსხდომის* (შემოსხდება, შემოასხდება, შემოუსხდება) გარშემო ან ზევიდან დასხდომა. *ქალები სუფრას შემოუსხდნენ. ცხენებს შემოასხდნენ.*

**შემოსხმა**[1] *შემოსხმის* (შემოასხამს, შემოისხმება, შემოესხმება) ზედ მოსხმა. *წყალი შემომესხა.*

**შემოსხმა**[2] *შემოსხმის* (შემოსხამს, შემოუსხამს) ბევრის შემოსმა. *ბავშვები ფანჯარაზე შემოსხა. სტუმრები მაგიდას შემოუსხა.*

**შემოტანა** *შემოტანის* (შემოიტანს, შემოუტანს, შემოატანინებს) 1. გარედან შიგნით მოტანა (აქ ან მანდ). *ჩანთა ოთახში შემომიტანა.* 2. დოკუმენტის (განცხადების, საჩივრისა და მისთ.) ოფიციალურად წარდგენა ორგანიზაციაში (აქ ან მანდ). *აბიტურიენტმა განცხადება შემოიტანა.* ▪ შემოტანილი რაც შემოიტანეს. *შემოტანილი მასალა.*

**შემოტარება** *შემოტარების* (შემოატარებს) 1. ბევრ ადგილას მიყვანა. *სტუმარს ქალაქი შემოატარა.* 2. რაიმეს ირგვლივ, გარშემო გატარება (5), შემოვლება (2). *საყელოს მაქმანი შემოატარა.*

**შემოტევა** *შემოტევის* (შემოუტევს) 1. ბრძოლით, ძალის გამოყენებით წამოსვლა ჩვენკენ ან თქვენკენ. *შემოტევას არ ელოდნენ. მტერმა შემოუტია.* 2. ჩხუბით, გაწყრომით რაიმეს თქმა ჩემთვის ან შენთვის. *გაბრაზებულმა შემომიტია.*

**შემოტეხა** *შემოტეხის* (შემოტეხს) დაკეტილის შემომტვრევა, ძალით გაღება. *კარი შემოტეხეს.*

**შემოტმასნა** *შემოტმასნის* (შემოიტმასნის, შემოეტმასნება) ტანსაცმლის მჭიდროდ შემოკერა ტანზე. *კაბა შემოეტმასნა.* ▪ შემოტმასნილი რაც შემოეტმასნათ. *შემოტმასნილი მაისური.*

**შემოტრიალება** *შემოტრიალების* (შემოატრიალებს, შემოუტრიალებს, შემოტრიალდება, შემოუტრიალდება) მოტრიალება, შემობრუნება. *ჩემკენ შემოტრიალდა.*

**შემოტყდომა** *შემოტყდომის* (შემოატყდება) ხელში ჭერისას უნებლიეთ გატყდომა. *ჭიქა შემოატყდა.*

**შემოტყუება** *შემოტყუების* (შემოატყუებს, შემოიტყუებს) 1. მოტყუებით შემოყვანა. *მისი შემოტყუება ვერ მოვახერხე. ბავშვი სახლში შემოიტყუა.* 2. უხარისხო, უვარგისი რაიმეს მოტყუებით მოცემა ჩემთვის ან შენთვის. *ცუდი ხილი შემომატყუა.*

**შემოფანტვა** *შემოფანტვის* (შემოფანტავს, შემოიფანტება, შემოეფანტება) ნაწილ-ნაწილ დაშლა, გაბნევა, გაფანტვა. *ხალხი შემოეფანტა. ქარმა ღრუბლები შემოფანტა.*

**შემოფარგვლა** *შემოფარგვლის* (შემოფარგლავს, შემოიფარგლება) 1. წარმოსახვითი ხაზის შემოვლება, შემოსაზღვრა. *ტერიტორია შემოფარგლა.* 2. ნიგნ. გადატ. საქმიანობის, საუბრისა და მისთ. სფეროს გარკვეულ საზღვრებში მოქცევა. *ორატორის პასუხი მცირე კომენტარით შემოიფარგლა.* ▪ შემოფარგლული რაც შემოფარგლეს. *შემოფარგლული ნაკვეთი.*

**შემოფლეთა** *შემოფლეთის* (შემოფლეთს, შემოიფ-

ლეთს, შემოიფლითება, შემოეფლითება) იგივეა, რაც შემოხევა. *შარავალი შემოეფლითა.* ▪ შემოფლეთილი რაც შემოიფლითა. *შემოფლეთილი კაბა.*

**შემოფრქვევა** *შემოფრქვევის* (შემოაფრქვევს, შემოეფრქვევა) 1. ფხვიერი მასის შემოყრა ან სითხის შემოშხეფება. *წვეთები სახეში შემომეფრქვა.* 2. სურნელის უხვად მოფენა. *ოთახში სურნელი შემოაფრქვია.*

**შემოფცქვნა** *შემოფცქვნის* (შემოაფცქვნის, შემოეფცქვნება) ირგვლივ კანის შემოცლა. *მანდარინს კანი შემოაფცქვნა. ხეს ქერქი შემოეფცქვნა.*

**შემოფხრენწა** *შემოფხრენწის* (შემოაფხრენწს, შემოიფხრენს, შემოეფხრინება) გარშემო დაფხრენწა, შემოხევა, შემოგლეჯა. *წიგნს ყდა შემოეფხრიწა.* ▪ შემოფხრენწილი რაც შემოაფხრიწეს ან შემოეფხრინწა. *შემოფხრენწილი ტანსაცმელი.*

**შემოქმედება** *შემოქმედების* 1. ადამიანის მოღვაწეობა, რომლის შედეგად იქმნება ხელოვნების, კულტურის ნიმუშები ან სამეცნიერო ნაშრომები. *მწერლის შემოქმედების შედეგი.* 2. ხელოვნის მიერ შექმნილ ნაწარმოებთა ერთობლიობა. *მხატვრული შემოქმედება. პოეტის შემოქმედება.*

**შემოქმედებითი** *შემოქმედებითის* შემოქმედებასთან დაკავშირებული. *შემოქმედებითი მოღვაწეობა. შემოქმედებითი პროცესი.*

**შემოქმედი** *შემოქმედის* 1. იგივეა, რაც ღმერთი. *ქვეყნიერების შემოქმედი.* 2. ხელოვანი. *შემოქმედი ადამიანი.*

**შემოქნევა** *შემოქნევის* (შემოიქნევს, შემოუქნევს) იგივეა, რაც მოქნევა. *ხანჯალი შემოუქნია.*

**შემოღამება** *შემოღამების* (შემოაღამდება) 1. ღამის დადგომა, მოახლოება. *შემოღამებას უცდიან.* 2. გზაში ყოფნისას ან რაიმეს კეთებისას ღამის დადგომა, დაღამება. *მგზავრებს შემოაღამდათ. მუშაობაში შემოაღამდა.*

**შემოღება** *შემოღების* (შემოაღებს, შემოიღებს, შემოუღებს, შემოიღება) 1. დაკეტილის, დახურულის ოდნავ გაღება გარედან შიგნით, აქეთ ან მანდეთ. *კარი შემოაღო.* 2. რაიმეს დაკანონება, დანერგვა. *კომენდანტის საათი შემოიღეს. ახალი წესები შემოიღეს.* ▪ შემოღებული რაც შემოაღეს ან შემოიღეს. *ახლად შემოღებული კანონი.*

**შემოღობვა** *შემოღობვის* (შემოღობავს, შემოუღობავს, შემოიღობება) ირგვლივ ღობის შემოველება. *ეზო შემოღობა. ადგილი შემოღობა.* ▪ შემოღობილი რაც შემოღობეს. *შემოღობილი ვენახი.*

**შემოღწევა** *შემოღწევის* (შემოაღწევს) გაჭირვებით, წინააღმდეგობის გადალახვით შემოსვლა. *შენობაში შემოაღწია.*

**შემოყვანა** *შემოყვანის* (შემოიყვანს, შემოუყვანს, შემოაყვანინებს) შემოსვლისას ვინმეს თან ყოლა. *სტუმრები სახლში შემოიყვანა.*

**შემოყოლა** *შემოყოლის* (შემოჰყვება) სხვასთან ერთად შემოსვლა. *დედას მე ზობელი შემოჰყვა.*

**შემოყოფა** *შემოყოფის* (შემოყოფს, შემოუყოფს) ხელის, ფეხისა და მისთ. რაიმეში აქეთ ან მანდეთ შემოდება. *ბიჭმა ოთახში თავი შემოყო. ჯოხი შემოყო.*

**შემოყრა** *შემოყრის* (შემოყრის, შემოაყრის, შემოუყრის, შემოეყრება) 1. ბევრის შემოგდება. *ბარგი ვაგონში შემოყარა.* 2. ერთბაშად მოყრა. *ქარმა თოვლი სახეში შემოაყარა.* 3. მოულოდნელად, უცბად შეხვედრა. *გზაში მე ზობელი შემოეყარა.* ▪ შემოყრილი რაც შემოყარეს ან შემოიყარა. *შემოყრილი ფოთლები.*

**შემოშვება** *შემოშვების* (შემოუშვებს) ვინმესთვის ნების ან საშუალების მიცემა, რომ შემოვიდეს. *მაყურებელი დარბაზში შემოუშვეს.*

**შემოშველება** *შემოშველების* (შემოაშველებს, შემოეშველება) შეშველება, მოხმარება. *ტვირთის ზიდვაში შემოგვეშველა. სიტყვა შემომაშველა.*

**შემოჩენა** *შემოჩენის* (შემოუჩენს, შემოუჩნდება) აქ ან მანდ მყოფისთვის გამუდმებით, დაჟინებით რაიმეს თხოვნა, ჩაცივება. *რას შემომიჩნდა ეს კაცი! მეგობრები შემოუჩნდნენ.*

**შემოჩიჩქნა** *შემოჩიჩქნის* (შემოჩიჩქნის, შემოუჩიჩქნის) გარშემო აჩიჩქნა. *ყვავილებს მიწა შემოუჩიჩქნა.*

**შემოცვეთა** *შემოცვეთის* (შემოიცვეთს, შემოაცვდება) გარშემო გაცვეთა, გარედან მოცვეთა, დაძველება. *ტანსაცმელი შემოაცვდა.*

**შემოციცქნა** *შემოციცქნის* (შემოციცქნის, შემოაციცქნის) გარშემო პატარა ნაწილების მოცლა. *პურს ყუა შემოაციცქნა.* ▪ შემოციცქნილი რაც შემოციცქნეს. *შემოციცქნილი კანი.*

**შემოცლა** *შემოცლის* (შემოაცლის, შემოიცლის, შემოეცლება) 1. გარშემო მოშორება, მოცლა. *ხეს ტოტები შემოაცალა. შოკოლადს ქაღალდი შემოაცალა.* 2. გარშემო მყოფების ჩამოშორება, მიმოფანტვა. *მეგობრები შემოეცალნენ.*

**შემოცმა** *შემოცმის* (შემოაცმევს, შემოიცვამს) ტანსაცმლის ზემოდან უცებ, ნაჩქარევად ჩაცმა. *ბავშვს ჟაკეტი შემოაცვა. პიჟამაზე ხალათი შემოიცვა.*

**შემოცოცება** *შემოცოცების* (შემოცოცდება) ცოცვით შემოსვლა. *მატლი შემოცოცდა.*

**შემოცქრიალება** *შემოცქრიალების* (შემოცქრიალდება) ცქრიალით, ხალისიანად შემოსვლა. *გოგონა ოთახში შემოცქრიალდა.*

**შემოძარცვა** *შემოძარცვის* (შემოაძარცვავს, შემოეძარცვება) სულ მთლად შემოცლა, გატიტვლება. *ხეებს ფოთლები შემოეძარცვა. ტანსაცმელი შემოეძარცვა.*

**შემოძახება** *შემოძახების* (შემოსძახებს) 1. ზევით (აქ ან მანდ) მყოფისთვის დაძახება. *ფანჯრიდან შემომძახეს.* 2. სიმღერის ერთბაშად, ომახიანად დაწყება. *ძმებმა სიმღერა შემოსძახეს.*

შემოძრობა *შემოძრობის* (შემოაძრობს, შემოიძრობს, შემოსძვრება) 1. ირგვლივ ზედა ფენის მოცილება. *ამანათს ქაღალდი შემოაძრო.* 2. ზევიდან ჩაცმულის ან მოსხმულის მოცილება. *თავშალი შემოიძრო.*

შემოძრომა *შემოძრომის* (შემოძვრება) ძრომით შემოსვლა. *კატა ხვრელიდან შემოძვრა. ქურდი ფანჯრიდან შემოძვრა.*

შემოწევა *შემოწევის* (შემოსწევს, შემოუწევს, შემოიწევა). შიგნით მოწევა (აქეთ ან მანდეთ). *ხელი შემოსწია. სკამი შემოუწია.*

შემოწმება *შემოწმების* (შეამოწმებს, შეიმოწმებს, შეუმოწმებს, შემოწმდება, შეამოწმებინებს) გასინჯვა, დათვალიერება წესრიგის, ვარგისიანობისა და მისთ. გასარკვევად. *მოსწავლეების შემოწმება. ახალი დანადგარი შეამოწმეს. საბუთები შეუმოწმეს.* ■ შემოწმებული რაც შეამოწმეს. *შემოწმებული პროდუქტი.*

შემოწყობა *შემოწყობის* (შემოაწყობს, შემოუწყობს) 1. გარშემო დაწყობა, დალაგება. *მაგიდას სკამები შემოუწყო.* 2. მაღლა, რაიმეზე დაწყობა, დალაგება. *ჭიქები თაროზე შემოაწყო.* ■ შემოწყობილი რაც შემოაწყვეს. *რაფაზე შემოწყობილი ქოთნები.*

შემოწყრომა *შემოწყრომის* (შემოსწყრება) ვინმეზე გაბრაზება, გაჯავრება და გაბუტვა. *ქალი მეზობელს შემოსწყრა.*

შემოჭდობა *შემოჭდობის* (შემოაჭდობს, შემოეჭდობა) მჭიდროდ, მაგრად შემოხვევა. *ხელები შემოაჭდო.*

შემოჭენება *შემოჭენების* (შემოაჭენებს, შემოჭენდება) ჭენებით შემოსვლა ან შემოყვანა. *ეზოში ცხენი შემოაჭენა.*

შემოჭერა *შემოჭერის* (შემოიჭერს, შემოუჭერს, შემოეჭირება) გარშემო მჭიდროდ შემორტყმა, შემოხვევა, მოჭერა. *ხელები შემოუჭირა. ქამარი შემოიჭირა.* ■ შემოჭერილი რაც შემოიჭირეს. *შემოჭერილი თოკი.*

შემოჭმა *შემოჭმის* (შემოაჭამს, შემოეჭმება) 1. უნებურად შეჭმა (1). *მარწყვი შემოეჭამა.* 2. ირგვლივ შეჭმა. *ქერქი შემოაჭამა.*

შემოხაზვა *შემოხაზვის* (შემოხაზავს, შემოუხაზავს, შემოიხაზება) ხაზის შემოვლება. *წრე შემოხაზა.* ■ შემოხაზული რაც შემოხაზეს. *შემოხაზული სიტყვები.*

შემოხარჯვა *შემოხარჯვის* (შემოეხარჯება) ფულის ან რესურსის შეუმჩნეველად, უნებურად დახარჯვა, გამოლევა. *ხელფასი შემოეხარჯა.*

შემოხედვა *შემოხედვის* (შემოხედავს, შემოიხედავს) 1. მზერის მიპყრობა. *გაკვირვებით შემომხედა.* 2. გარედან შიგნით, აქეთ ან მანდეთ შეხედვა. *ფანჯარაში შემოიხედა. შემოხედვას ვერ უბედავს.*

შემოხევა *შემოხევის* (შემოახევს, შემოიხევს, შემოიხევა, შემოეხევა) ქსოვილის, ტანსაცმლისა და მისთ. გარშემო დახევა, დაგლეჯა. *პერანგი შემოეხია.* ■ შემოხეული რაც შემოიხია. *შემოხეული შარვალი.*

შემოხეტება *შემოხეტების* (შემოეხეტება) უსატივც. უმიზნოდ, უსაქმურად შემოსვლა. *დარბაზში ვილაც შემოეხეტა.*

შემოხვევა *შემოხვევის* (შემოხვევს, შემოახვევს, შემოიხვევს, შემოუხვევს, შემოეხვევა) 1. გარშემო მოხვევა, შემოვლება. *ნელზე შალი შემოიხვია. კისერზე ხელები შემოხვია.* 2. ვინმეს ირგვლივ ბევრის შეგროვება, დახვევა. *მსახიობს ხალხი შემოეხვია.* 3. გამოხვევა, ჩემკენ ან შენკენ წამოსვლა. *მანქანამ აქეთ შემოუხვია. მანდ შემოუხვიეს.* ■ შემოხვეული რაც შემოახვიეს. *შემოხვეული ლენტი. შემოხვეული ნაბადი.*

შემოხიზნა *შემოხიზნის* (შემოიხიზნებს, შემოიხიზნება, შემოეხიზნება) აქ ან მანდ მყოფთან შეხიზნა. *უცნობი შემოგვეხიზნა. ლტოლვილი შემოვიხიზნეთ.* ■ შემოხიზნული ვინც შემოიხიზნა. *შემოხიზნული ოჯახი.*

შემოხლა *შემოხლის* (შემოახლის) დიდი ძალით მორტყმა, მოჯახება. *თავი შემომახალა.*

შემპარავი *შემპარავის* ვითომ კეთილისმყოფელური, მოჩვენებით კეთილგანწყობილი, მომატყუებელი. *შემპარავი ღიმილი. შემპარავი საუბარი.*

შემჟავება *შემჟავების* (შეამჟავებს, შემჟავდება) ოდნავ მჟავე გემოს მიცემა, ცოტათი დამჟავება. *შემჟავებული ფაფა.*

შემსუბუქება *შემსუბუქების* (შეამსუბუქებს, შეიმსუბუქებს, შეუმსუბუქებს, შემსუბუქდება, შეუმსუბუქდება) 1. წონაში მოკლება, მსუბუქად ქცევა. *ტვირთი შემსუბუქდა.* 2. გადატ. გაიოლება, გაადვილება. *გასაჭირი შეუმსუბუქდა. სამუშაო შეუმსუბუქეს.*

შემტვრევა *შემტვრევის* (შეამტვრევს, შეუმტვრევს, შეიმტვრევა) დაკეტილის შენგრევა, შელეწვა. *კარი შეამტვრია. ფანჯრები შეამტვრიეს.* ■ შემტვრეული რაც შეამტვრიეს. *ჭიშკარი შემტვრეული დახვდათ.*

შემურვა *შემურვის* (შემურავს, შეუმურავს, შეიმურება, შეემურება) ცოტათი გამურვა, კვამლით გაშავება. *ჭერი შეიმურა.* ■ შემურული რაც შეიმურა. *შემურული კედლები.*

შემუსვრა *შემუსვრის* (შემუსრავს, შეიმუსრება) განადგურება, მოსპობა. *მტერმა ქვეყანა შემუსრა.*

შემუშავება *შემუშავების* (შეიმუშავებს, შემუშავდება) გეგმის, პროექტისა და მისთ. შედგენა. *პროგრამა შეიმუშავეს. ახალი სტანდარტი შემუშავდა.*

შემფრთხალი *შემფრთხალის* ვინც ან რაც შეფრთხა. *შემფრთხალი ჩიტი.*

შემყურე *შემყურის* ვინც მუდმივად ვილაცას ან რაღაცას შეჰყურებს. *შენი შემყურე. ამდენი უბედურების შემყურე.*

**შემშრალება** *შემშრალების* (შეამშრალებს, შეიმშრალებს, შეუმშრალებს) ცოტათი გამშრალება, გაშრობა. *ხელები შეიმშრალა.*

**შემშრალი** *შემშრალის* რაც შეშრა. *შემშრალი თმა. შემშრალი წებო.*

**შემჩნევა** *შემჩნევის* (შეამჩნევს, შეიმჩნევს, შეემჩნევა) დანახვა, შენიშვნა (1), შეტყობა. *სიახლის შემჩნევა. ნაკლი შეამჩნია.* ■ შემჩნეული ვინც ან რაც შეამჩნიეს. *ქურდობაში იყო შემჩნეული. შემჩნეული შეცდომა.*

**შემცდარი** *შემცდარის* ვინც შეცდა ან შეაცდინეს. *შემცდარი ხალხი.*

**შემცველობა** *შემცველობის* ნაერთის შემადგენელი კომპონენტების ხვედრითი წილი. *ნახშირწყლების შემცველობა.*

**შემცივნება** *შემცივნების* (შეამცივნებს) სიცივის უეცარი შეგრძნება. *ავადმყოფურად შეამცივნა.*

**შემცირება** *შემცირების* (შეამცირებს, შეიმცირებს, შეუმცირებს, შემცირდება, შეუმცირდება) რაოდენობის, წონის, ზომის ან მოცულობის დაკლება, დაცოტავება. *ფასების შემცირება. სტუდენტთა რიცხვი შემცირდა.* ■ შემცირებული რაც შემცირდა. *შემცირებული სიგრძე.*

**შემძაღება** *შემძაღების* (შემძაღდება) ოდნავ დამძაღება. *კარაქი შემძაღდა.* ■ შემძაღებული რაც შემძაღდა. *შემძაღებული საჭმელი.*

**შემძვრალი** *შემძვრალის* ვინც ან რაც შეძვრა. *სოროში შემძვრალი. მაგიდის ქვეშ შემძვრალი ბიჭი.*

**შემძლე** *შემძლის* ძალის, შესაძლებლობის მქონე. *ყველაფრის შემძლე ეგონათ.*

**შემწე** *შემწის* დამხმარე, საქმეში მშველელი. *ღმერთია მისი შემწე. შემწე არავინ ეგულება.*

**შემწვარი** *შემწვრის* რაც შეწვეს. *შემწვარი თევზი. შემწვარი სოკო.*

**შემწიფება** *შემწიფების* (შემწიფდება) ცოტათი, სანახევროდ დამწიფება. *ლეღვი შემწიფდა.* ■ შემწიფებული რაც შემწიფდა. *შემწიფებული ატამი.*

**შემწყვდევა** *შემწყვდევის* (შეამწყვდევს, შეიმწყვდევს) სადმე შეყვანა და დამწყვდევა. *ბავშვი ოთახში შეამწყვდია.*

**შემჭვარტვლა** *შემჭვარტვლის* (შემჭვარტლავს, შეიმჭვარტლება) ოდნავ გამჭვარტვლა. *ჭერი შეიმჭვარტლა.* ■ შემჭვარტლული რაც შეიმჭვარტლა. *შემჭვარტლული ქვაბი.*

**შემჭიდროება** *შემჭიდროების* (შეამჭიდროებს, შემჭიდროვდება) ერთმანეთთან ძალიან ახლოს, მჭიდროდ მოთავსება, განლაგება. *ბავშვები შემჭიდროვდნენ. სკამები შეამჭიდროვა.* ■ შემჭიდროებული რაც შემჭიდროვდა ან შეამჭიდროვეს. *შემჭიდროებული ეადები.*

**შემჭკნარი** *შემჭკნარის* რაც შეჭკნა. *შემჭკნარი ფოთლები.*

**შემხმარი** *შემხმარის* რაც შეხმა, ცოტათი გახმა. *შემხმარი ფოთოლი.*

**შემჯდარი** *შემჯდარის* ვინც (რაც) შეჯდა ან შეაჯდა. *სახურავზე შემჯდარი.*

**შენ** ნაცვ. პირი, რომელსაც მე მივმართავ (ჩვენ მივმართავთ). *შენ მოხვალ? შენთვის მოვიტანე.*

**შენადნობი** *შენადნობის* ორი ან მეტი სახის ლითონის (ან სხვა ნივთიერების) დნობით მიღებული ნივთიერება. *თითბრის შენადნობი. რკინის შენადნობი.*

**შენაერთი** *შენაერთის* მსხვილი საჯარისო ფორმირება, შედგება ბრიგადებისგან, დივიზიებისგან, კორპუსებისგან. *სატანკო შენაერთი. საავიაციო შენაერთი.*

**შენავარდება** *შენავარდების* (შეინავარდებს) ფრინველის თავისუფლად, ლაღად, ნავარდით აფრენა, აფრენისას შეთამაშება. *ქორმა ჰაერში შეინავარდა.*

**შენათება** *შენათების* (შეანათებს, შეუნათებს) გარედან შიგნით შუქის მიმართვა, შეღწევა. *მზემ ოთახში შეანათა.*

**შენაკადი** *შენაკადის* პატარა მდინარე, რომელიც სხვა მდინარეს ერთვის. *არაგვის შენაკადი.*

**შენარჩუნება** *შენარჩუნების* (შეინარჩუნებს, შეუნარჩუნებს) რაიმეს გადარჩენა, საკუთრებაში დატოვება, დიდხანს ქონა. *ქონების შენარჩუნება. სილამაზე შეინარჩუნა. თანამდებობა შეინარჩუნა.* ■ შენარჩუნებული რაც შეინარჩუნეს. *შენარჩუნებული სახლი.*

**შენარცხება** *შენარცხების* (შეანარცხებს, შეენარცხება) მთელი ძალით შეხლა, შეხეთქება, დაჯახება. *ხეს შეენარცხა. ჩანთა კედელს შეანარცხა.*

**შენასკვა** *შენასკვის* (შენასკვავს, შეინასკვავს, შეუნასკვავს, შეინასკვება) იგივეა, რაც განასკვა. *თოკები შენასკვა. ჰალსტუხი შეინასკვა.* ■ შენასკვული რაც შენასკვეს ან შეინასკვა. *შენასკვული ძაფი.*

**შენაცვლება** *შენაცვლების* (შეანაცვლებს, შეინაცვლებს, შეუნაცვლებს, შეენაცვლება) ერთი რაიმეს (ვინმეს) შეცვლა მეორეთი, მისი ადგილის დაკავება, მის მაგივრად რაიმეს გაკეთება. *მაგიდას ადგილი შეუნაცვლა. კოლეგები შეენაცვლნენ ერთმანეთს.*

**შენახვა** *შენახვის* (შეინახავს, შეუნახავს, შეინახება, შეენახება, შეანახვინებს) 1. დადება, მოთავსება დაცულ ადგილას. *ღვინო სარდაფში შეინახა. ფული სეიფში შეინახეს.* 2. იგივეა, რაც რჩენა. *ცოლ-შვილს ხელფასით ვერ შეინახავს.* ■ შენახული რაც შეინახეს. *შენახული ნივთები.*

**შენგვარი** *შენგვარის* შენი მსგავსი, შენნაირი. *შენგვარი ერთგული.*

**შენგრევა** *შენგრევის* (შეანგრევს, შეუნგრევს, შეინგრევა) ძალით განგრევა გარედან შიგნით. *მანქანამ ჭიშკარი შეანგრია. კარი ფეხით შეანგრია.*

შენდობა *შენდობის* (შეინდობს, შეუნდობს) პატიება, მიტევება. *შენდობა სთხოვა. დამნაშავეს შეუნდო.*

შენება *შენების* (აშენებს, იშენებს, უშენებს, შენდება, უშენდება, აშენებინებს) ↑ აშენება (1). *სოფლის შენება. სახლს აშენებს.*

შენებური *შენებურის* 1. შენთვის ჩვეული, შენთვის დამახასიათებელი. *შენებური სიმღერა.* 2. შენი თანამემამულე, შენი თანასოფლელი. *შენებური კაცი.* ▲ შენებურად ზმნზ. როგორც შენ გჩვევია, შენსავით. *შენ მაინც შენებურად აკეთებ.*

შენელება[1] *შენელების* (შეანელებს, შეუნელებს, შენელდება, შეუნელდება) სისწრაფის, ტემპის შესუსტება, მოკლება. *ნაბიჯი შეანელა. პროცესი შენელდა.* ■ შენელებული რაც შეანელეს ან შენელდა. *შენელებული კადრი. შენელებული მოძრაობა.*

შენელება[2] *შენელების* (შეანელებს, შეუნელებს, შენელდება) კერძის შეკმაზვა. *სადილი ნიგვ ზით შეანელა.* ■ შენელებული რაც შეანელეს. *შენელებული ლობიო.*

შენეული *შენეულის* რაც შენ გეკუთვნოდა, შენი ნაქონი. *შენეული სახლი.*

შენთება *შენთების* (შეუნთებს) ცეცხლის ანთება შიგნით ან რაიმეს ქვემოდან. *ღუმელში ცეცხლი შეანთეს. ქვაბს ცეცხლი შეუნთო.*

შენთხევა *შენთხევის* (შეანთხევს, შეენთხევა) ერთბაშად ამოფრქვეული სითხის ნაკადად შესხმა. *სისხლი სახეში შეანთხია.*

შენი *შენის* ნაცვ. რაც ან ვინც შენ გეკუთვნის, შენია. *შენი წიგნები. შენი ოჯახი.*

შენიანი *შენიანის* შენი თანამოაზრე, ახლობელი, ნათესავი. *შენიანი აღმოჩნდა. შენიანები მოვიდნენ.*

შენისთანა *შენისთანას* შენი მსგავსი, შენნაირი. *შენისთანა ვაჟკაცი.*

შენიღბვა *შენიღბვის* (შენიღბავს, შეინიღბავს, შეინიღბება) 1. ნიღბის აფარება. *სახე შეინიღბა.* 2. გადატ. დაფარვა, დამალვა, შეუმჩნევლად გახდომა. *დანაშაული შენიღბა. სხვისი სახელით შეინიღბა.* ■ შენიღბული რაც ან ვინც შეინიღბა. *შენიღბული მტერი.*

შენიშვნა *შენიშვნის* (შენიშნავს, შეინიშნება) 1. დანახვა, შემჩნევა. *მტერი შენიშნა.* 2. რაიმეს შესახებ აზრის მოკლედ, დამატებით გამოთქმა, აღნიშვნა (2). *მომხსენებელმა კიდევ ერთხელ შენიშნა.* 3. შეცდომაზე მითითება. *შენიშვნა მისცა. შენიშვნები გაითვალისწინეს.*

შენნაირი *შენნაირის* 1. შენი მსგავსი, შენისთანა. *შენნაირი პატიოსანი.* 2. ისეთი, როგორიც შენ გაქვს (გყავს). *შენნაირი ჩანთა.* ▲ შენნაირად ზმნზ. შენსავით, შენს მსგავსად. *მინდა შენნაირად ვხატავდე.*

შენობა *შენობის* საცხოვრებელი ან სხვა დანიშნულების ნაგებობა. *მრავალსართულიანი შენობა. აგურის შენობა.*

შენოდენა *შენოდენას* 1. ასაკით შენი ტოლი, შენი კუთვნილი რაიმეს ზომისა, წონისა. 2. შენოდენა. *შენოდენა ბავშვი.* 3. იგივეა, რაც შენოდენი. *შენოდენა ტვირთს ვერ მოვერევით.*

შენოდენი *შენოდენის* შენ რომ გყავს ან გაქვს, იმდენი. *შენოდენი ცხვარი ვისა ჰყავს.*

შენძრევა *შენძრევის* (შეანძრევს, შეინძრევა) ოდნავ განძრევა, შერყევა, შეტოკება. *ქარმა ტოტები შეანძრია. ფარდები შეინძრა.*

შენჯღრევა *შენჯღრევის* (შეანჯღრევს, შეუნჯღრევს, შეინჯღრევა) მთელი ძალით, აქეთ-იქით რყევით ამოძრავება. *ბოთლი შეანჯღრია. მძინარე შეანჯღრია.*

შეპარება *შეპარების* (შეაპარებს) 1. შეუმჩნევლად, ფარულად შეყვანა (ან შეტანა). *ქალი ციხეში შეაპარა.* 2. მოტყუებით, შეუმჩნევლად მიცემა არასასურველი რაიმესი. *მჟავე ღვინო შეაპარა.*

შეპარვა *შეპარვის* (შეიპარება, შეეპარება) 1. შეუმჩნევლად, ფარულად შესვლა. *ქურდი სახლში შეიპარა.* 1. რაიმე თვისების, გრძნობისა და მისთ. თანდათან გაჩენა. *სიბერე შეეპარა.*

შეპასუხება *შეპასუხების* (შეეპასუხება) ნათქვამის პასუხად საწინააღმდეგო აზრის თქმა. *შეპასუხება ვერ გაუბედა. მამას შეეპასუხა.*

შეპატიჟება *შეპატიჟების* (შეიპატიჟებს, შეეპატიჟება) გარეთ მყოფის შიგნით მიწვევა, მიპატიჟება. *სტუმარი შინ შეიპატიჟა.*

შეპირება *შეპირების* (შეიპირებს, შეპირდება) 1. პირობის მიცემა, დაპირება. *დახმარებას შეპირდა. გასამრჯელოს შეპირდა.* 2. პირობის ჩამორთმევა. *ხელოსანი ხვალისთვის შეიპირა.* ■ შეპირებული რასაც შეპირდნენ. *შეპირებული თანხა. შეპირებული საჩუქარი.*

შეპირისპირება *შეპირისპირების* (შეუპირისპირებს) ორი ან მეტი რაიმეს შედარება განსხვავების ან მსგავსების დასადგენად. *ფაქტების შეპირისპირება.*

შეპირობება *შეპირობების* (შეაპირობებს) წიგნ. იგივეა, რაც განპირობება. *შედეგი სიტუაციამ შეაპირობა.* ■ შეპირობებული რაც შეაპირობეს. *ისტორიულად შეპირობებული მოვლენა.*

შეპკურება *შეპკურების* (შეაპკურებს, შეეპკურება) იგივეა, რაც მიპკურება. *ყვავილს წყალი შეაპკურა.*

შეპრაკუნება *შეპრაკუნების* (შეპრაკუნდება) საუბრ. დაუდევრად, ფეხსაცმლის კაკუნით შესვლა. *სამზარეულოში შეპრაკუნდა.*

შეპრონწიალება *შეპრონწიალების* (შეაპრონწიალებს, შეპრონწიალდება) საუბრ. დაუდევრად, პრონწიალით შესვლა ან რაიმეს შეტანა. *ოთახში შეპრონწიალდა.*

შეპყრობა *შეპყრობის* (შეიპყრობს, შეაპყრობინებს) 1. ძალით დაჭერა, დატყვევება. *დამნაშავე შეიპყრეს.* 2. გადატ. გრძნობის, განცდის ძლი-

ერად დაუფლება. *სევდამ შეიპყრო. ცუდმა წინათგრძნობამ შეიპყრო.* ▪ შეპყრობილი ვინც შეიპყრეს. *შეპყრობილი ჯარისკაცები.*

შეურჟოლება *შეურჟოლების* (შეაურჟოლებს) ოდნავ, ნამიერად გაურჟოლება. *ქალს სიცივისგან შეაყრჟოლა.*

შერაგვა *შერაგვის* (შერაგვავს, შეირაგვება) იგივეა, რაც შეღობვა. *ეზო შერაგვა.*

შერაცხვა *შერაცხვის* (შერაცხავს, შეირაცხება) ვინმეს რაიმედ მიჩნევა, ჩათვლა, აღიარება. *მტრად შერაცხეს. გიჟად შერაცხეს.* ▪ შერაცხული ვინც შერაცხეს. *წმინდანად შერაცხული.*

შერბენა *შერბენის* (შეირბენს, შეურბენს) სირბილით შესვლა, შევლა. *სახლში შეირბინა. მშობლებს შეურბინა.*

შერბილება *შერბილების* (შეარბილებს, შეურბილებს, შერბილდება) I. ცოტათი დარბილება. *ტყავი შერბილდა.* 2. გადატ. მკაცრი დამოკიდებულების, ნათქვამისა და მისთ. შემსუბუქება. *პოზიციის შერბილება. ტონი შეარბილა.* ▪ შერბილებული რაც შეარბილეს. *შერბილებული ნათქვამი.*

შერგება *შერგების* (შეარგებს, შეირგებს, შეერგება) სასარგებლოდ, სასიკეთოდ მოხმარება. *ღვინო შეერგო. ცხოვრება შეირგო.* ▲ შეგერგოს! დალოცვა საკვების ან სასმლის მიღებისას.

შერევა *შერევის* (შერევს, შეირევს, შეურევს, შეირევა, შეერევა, შეარევინებს) ერთის მეორეში არევა, გაერთიანება, ერთგვაროვნად ქცევა. *არაყს წყალი შეურიეს.*

შერეკვა *შერეკვის* (შერეკავს, შეურეკავს) I. ცხოველების (ბევრის) შეყვანა, შეყრა. *ძროხები ბოსელში შერეკეს.* 2. უპატივც. ადამიანების (ბევრის) იძულებით შეყვანა. *ტყვეები შენობაში შერეკეს.*

შერეკილი[1] *შერეკილის* ვინც ან რაც შერეკეს. *ეზოში შერეკილი ღორები.*

შერეკილი[2] *შერეკილის* საუბრ. ცოტათი შეშლილი, უცნაური. *შერეკილი მხატვარი.*

შერთვა *შერთვის* (შერთავს, შეირთავს, შეურთავს, შეერთვება, შეერთვის) I. შერევა, შეერთება. ▪ შერთული ვინც შერთეს ან შეირთეს. *ცოლი ახალი შერთული ჰყავს.* 2. შეუღლება, ცოლად მოყვანა. *თანაკლასელი შეირთო.*

შერიგება *შერიგების* (შეარიგებს, შეირიგებს, შერიგდება, შეურიგდება) I. გაბუტულთან, უმძრახთან ურთიერთობის აღდგენა. *ძმასთან შერიგება გადაწყვიტა. მე ზობლები შერიგდნენ.* 2. შეგუება, დამორჩილება. *ბედს შეურიგდა.*

შერისხვა *შერისხვის* (შერისხავს) I. ძლიერ გაწყრომა, გაბრაზება, გაკიცხვა. *შვილი შერისხა. სახალხოდ შერისხეს.* 2. დაწყევლა, შეჩვენება. *ოჯახი შერისხეს.* ▪ შერისხული ვინც შერისხეს. *ყველასგან შერისხული.*

შერკინება *შერკინების* (შეერკინება) შებრძოლება, ძალისმიერი დაპირისპირება. *სპორტული შერკინება. მტერს შეერკინა.*

შერუჯვა *შერუჯვის* (შეურუჯავს, შეირუჯება, შეერუჯება) ოდნავ გარუჯვა. *ბიჭები მდინარე ზე შეირუჯნენ.*

შერქმევა *შერქმევის* (შეარქმევს, შეირქმევს, შეერქმევა) მეტსახელის დარქმევა. *მოფერებით ფისო შეარქვეს.* ▪ შერქმეული რაც შეარქვეს. *შერქმეული სახელი.*

შერყევა *შერყევის* (შეარყევს, შეურყევს, შეირყევა, შეერყევა) I. ძალის ზემოქმედებით დიდი საგნის ან მაგრად მდგომი რაიმეს დაძვრა, ამოძრავება. *სახლი შეირყა. მიწა შეირყა.* 2. გადატ. მოპოვებული, დამკვირდებული მდგომარეობის დასუსტება. *ჯანმრთელობა შეერყა. რწმენა შეერყა.* ▪ შერყეული რაც შეირყა. *შერყეული ფსიქიკა.*

შერჩევა *შერჩევის* (შეარჩევს, შეირჩევს, შეურჩევს, შეირჩევა) მრავლიდან შესაფერისის, საჭიროს გამოყოფა, არჩევა. *ტურნირისთვის სპორტსმენები შეარჩიეს. დრო შეარჩია. სათაური შეურჩია.* ▪ შერჩეული რაც ან ვინც შეარჩიეს. *შერჩეული ჯიშები.*

შერჩენა *შერჩენის* (შეარჩენს, შეირჩენს, შერჩება) I. დანაშაულის, ბოროტი საქციელის პატიება, დაუსჯელად დატოვება (დარჩენა). *ობლის დარჩაგვრას არ შეარჩენენ. მტერს ძალადობა შერჩა. ნაქურდალი შერჩათ.* 2. ნაქონის შენარჩუნება, შემორჩენა. *თავ ზე თმა აღარ შერჩა.* ▪ შერჩენილი რაც შერჩათ ან შეარჩინეს. *შერჩენილი ქონება.*

შერცხვენა *შერცხვენის* (შეარცხვენს, შეირცხვენს, შეურცხვენს, შერცხვება, შეურცხვება) სირცხვილის განცდა. *თავი არ შეირცხვინო! ოჯახი შეარცხვინა.*

შერცხვენილი *შერცხვენილის* ვინც შერცხვა ან შეარცხვინეს. *შერცხვენილი მასპინძელი. თქვენთან შერცხვენილი ვარ.*

შერწყმა *შერწყმის* (შეურწყამს, შეერწყმება) შეერთება, ერთ მთლიანობად ქცევა. *ფერების შერწყმა. კომპანიების შერწყმა.* ▪ შერწყმული რაც შეერწყა. *შერწყმული ხმები.*

შერჭობა *შერჭობის* (შეარჭობს, შეირჭობს, შეურჭობს, შეერჭობა) ბასრი, წვეტიანი საგნის მეორე საგანში შეყვანა. *კედელში ლურსმანი შეარჭო.* ▪ შერჭობილი რაც შეერჭოთ ან შეარჭვეს. *შერჭობილი ეკალი.*

შერხევა *შერხევის* (შეარხევს, შეირხევა, შეერხევა) ოდნავ განძრევა, გაქანება, ამოძრავება. *ფარდა შეირხა. ფრთები შეარხია.*

შესაბამისი *შესაბამისის* რაც შეესაბამება რაიმეს, სათანადო, შესაფერისი. *შესაბამისი სასჯელი.* ▲ შესაბამისად ზმნზ. შესაფერისად, შესატყვისად. *კანონის შესაბამისად.*

შესაბამისობა *შესაბამისობის* შესაფერისობა, შესატყვისობა. *შესაბამისობაში მოიყვანა.*

**შესაბმელი** *შესაბმელის* რაც ან ვინც უნდა შეაბან. *უღელში შესაბმელი პირუტყვი.*

**შესაგროვებელი** *შესაგროვებლის* რაც უნდა შეაგროვონ. *შესაგროვებელი თანხა.* ▲ შესაგროვებლად ზმნზ. შეგროვებისთვის, შეგროვების მიზნით. *ინფორმაციის შესაგროვებლად.*

**შესადარებელი** *შესადარებლის* რაც უნდა შეადარონ. *შესადარებელი ტექსტი.* ▲ შესადარებლად ზმნზ. შედარებისთვის, შედარების მიზნით. *ნიმუშების შესადარებლად.*

**შესაერთებელი** *შესაერთებლის* რაც უნდა შეაერთონ ან რითაც უნდა შეაერთონ. *შესაერთებელი დეტალები. შესაერთებელი კაბელი.* ▲ შესაერთებლად ზმნზ. შეერთებისთვის, შეერთების მიზნით. *აპარატის შესაერთებლად.*

**შესავალი** *შესავლის* ზოგადი, მიმოხილვითი ნაწილი, რომელიც წამძღვარებული აქვს თხზულებას. *პოემის შესავალი. ვრცელი შესავალი.*

**შესავსები** *შესავსების* რაც უნდა შეავსონ. *შესავსები ანკეტა.* ▲ შესავსებად ზმნზ. შევსებისთვის, შევსების მიზნით. *კითხვარის შესავსებად.*

**შესაზავებელი** *შესაზავებლის* რაც ან რითაც უნდა შეაზავონ. *შესაზავებელი სასმელი. შესაზავებელი სუნელი.* ▲ შესაზავებლად ზმნზ. შეზავებისთვის, შეზავების მიზნით. *კერძის შესაზავებლად იყენებენ. საღებავის შესაზავებლად.*

**შესაზარი** *შესაზარის* იგივეა, რაც შემზარავი. *შესაზარი სანახაობა.*

**შესაზელი** *შესაზელის* რაც შეზელას საჭიროებს. *შესაზელი მალამო.* ▲ შესაზელად ზმნზ. შეზელისთვის, შეზელის მიზნით. *შესაზელად ხმარობს.*

**შესათანხმებელი** *შესათანხმებლის* რაც შეთანხმებას საჭიროებს. *შესათანხმებელი დეტალები.*

**შესათეთრებელი** *შესათეთრებლის* რაც უნდა შეათეთრონ, რითაც უნდა შეათეთრონ. *ოთახი შესათეთრებელი იყო. შესათეთრებელი საღებავი.* ▲ შესათეთრებლად ზმნზ. შეთეთრებისთვის, შეთეთრების მიზნით. *კედლების შესათეთრებლად.*

**შესაკერი** *შესაკერის* რაც უნდა შეკერონ. *შარვალი შესაკერი აქვს.* ▲ შესაკერად ზმნზ. შეკერვისთვის, შეკერვის მიზნით. *შესაკერად საჭირო ქსოვილი.*

**შესაკმაზი** *შესაკმაზის* რაც უნდა შეკმაზონ. *შესაკმაზი ლობიო.*

**შესაკრავი** *შესაკრავის* 1. რაც უნდა შეკრან. *შესაკრავი ტომარა.* 2. შეკვრისთვის განკუთვნილი მექანიზმი. *ჩანთას შესაკრავი გაუფუჭდა.* ▲ შესაკრავად ზმნზ. შეკვრისთვის; შეკვრის მიზნით. *შესაკრავად სჭირდება.*

**შესაკრები** *შესაკრების* ვინც ან რაც უნდა შეიკრიბოს, სადაც უნდა შეიკრიბონ. *შესაკრები ადგილი.* ▲ შესაკრებად ზმნზ. შეკრებისთვის, შეკრების მიზნით. *ხალხის შესაკრებად.*

**შესაკრეჭი** *შესაკრეჭის* რაც უნდა შეიკრიჭონ. *შესაკრეჭი წვერი.*

**შესალესი** *შესალესის* რაც უნდა შელესონ ან რითაც უნდა შელესონ. *შესალესი სახლი. შესალესი ცემენტი.* ▲ შესალესად ზმნზ. შელესვისთვის, შელესვის მიზნით. *კედლების შესალესად.*

**შესალოცი** *შესალოცის* ვისაც უნდა შეულოცონ ან რითაც უნდა შეულოცონ. *შესალოცი სიტყვები.*

**შესამოწმებელი** *შესამოწმებლის* ვინც ან რაც უნდა შეამოწმონ. *შესამოწმებელი ობიექტი.* ▲ შესამოწმებლად ზმნზ. შემოწმებისთვის, შემოწმების მიზნით. *აპარატის შესამოწმებლად. ცოდნის შესამოწმებლად.*

**შესამჩნევად** ზმნზ. საკმაოდ, საგრძნობლად. *ფასები შესამჩნევად გაიზარდა.*

**შესამჩნევი** *შესამჩნევის* რასაც შეამჩნევენ, რაც შეიმჩნევა. *ძნელად შესამჩნევი ლაქა.*

**შესანახი** *შესანახის* 1. ვინც ან რაც უნდა შეინახონ. *ოჯახი ჰყავს შესანახი.* 2. სადაც უნდა შეინახონ. *შესანახი ადგილი.* ▲ შესანახად ზმნზ. შენახვისთვის; შენახვის მიზნით. *პროდუქტის შესანახად.*

**შესანდობარი** *შესანდობრის* გარდაცვლილის მოსახსენიებელი სადღეგრძელო. *შესანდობარი შესვეს. შესანდობარი თქვეს.*

**შესანიშნავი** *შესანიშნავის* ძალიან კარგი, საუცხოო. *შესანიშნავი გარეგნობა. შესანიშნავი ბუნება.* ▲ შესანიშნავად ზმნზ. ძალიან კარგად, მშვენივრად. *შესანიშნავად მღერის.*

**შესანსლა** *შესანსლის* (შესანსლავს) ერთბაშად, სწრაფად შეჭმა. *ბიჭმა ყველაფერი შესანსლა.*

**შესარვა** *შესარვის* (შესარავს) ვაზისთვის სარის შედგმა. *ვენახი შესარეს.*

**შესართავი** *შესართავის* ადგილი, სადაც შენაკადი უერთდება მდინარეს ან ზღვას. *არაგვის შესართავი.*

**შესარჩევი** *შესარჩევის* რაც ან ვინც უნდა შეარჩიონ, რითაც უნდა შეარჩიონ. *შესარჩევი კონკურსი.* ▲ შესარჩევად ზმნზ. შერჩევისთვის, შერჩევის მიზნით. *ნამუშევრების შესარჩევად. კანდიდატების შესარჩევად.*

**შესასრულებელი** *შესასრულებლის* რაც უნდა შესრულდეს. *შესასრულებელი დავალება.* ▲ შესასრულებლად ზმნზ. შესრულებისთვის, შესრულების მიზნით. *პირობის შესასრულებლად.*

**შესატანი** *შესატანის* რაც უნდა შეიტანონ. *ოთახში შესატანი ბარგი.* ▲ შესატანად ზმნზ. შეტანისთვის, შეტანის მიზნით. *ცვლილებების შესატანად. სარჩელის შესატანად.*

**შესატყვისი** *შესატყვისის* იგივეა, რაც შესაბამისი. *შესატყვისი ფასი.*

**შესატყვისობა** *შესატყვისობის* (შეესატყვისება)

**შესაბამისობა, შესაფერისობა.** *ბგერათა შესატყვისობა. ა ზრების შესატყვისობა.*

**შესაფერი** *შესაფერის* იგივეა, რაც შესაფერისი. *შესაფერი თანამდებობა. შესაფერი ტანსაცმელი.*

**შესაფერისი** *შესაფერისის* ვინც ან რაც შეეფერება, შესაბამისი, შესატყვისი. *შესაფერისი საქციელი.* ▲ შესაფერისად ზმნზ. ისე, როგორც შეეფერება. *ასაკის შესაფერისად იცვამს.*

**შესაქცევი** *შესაქცევის* რითაც უნდა შეაქციონ ან თავი შეიქციონ, გასართობი. *თავის შესაქცევი ნიგნი.* ▲ შესაქცევად ზმნზ. შექცევისთვის, გასართობად. *სტუმრების შესაქცევად ოხუნჯობდა.*

**შესაღები** *შესაღების* რაც უნდა შეღებონ ან რითაც უნდა შეღებონ. *თმა შესაღები აქვს. შესაღები ფუნჯი.* ▲ შესაღებად ზმნზ. შეღებვისთვის, შეღებვის მიზნით. *კედლების შესაღებად.*

**შესაყვანი** *შესაყვანის* ვინც ან რაც უნდა შეიყვანონ. *კომპიუტერში შესაყვანი ინფორმაცია.* ▲ შესაყვანად ზმნზ. შეყვანისთვის, შეყვანის მიზნით. *სიაში შესაყვანად.*

**შესაშური** *შესაშურის* მოსაწონი, ძალიან კარგი, შურის აღმძვრელი. *შესაშური გულმოდგინება.*

**შესაძლებელი** *შესაძლებლის* რაც შეიძლება მოხდეს, მოსალოდნელი, შესაძლო. *შესაძლებელი გახდა.*

**შესაძლებლობა** *შესაძლებლობის* I. რაიმეს გაკეთების, განხორციელების საშუალება. *შესაძლებლობა არსებობს. შესაძლებლობა გამოიყენა.* 2. ძალა, უნარი, შეძლება. *გონებრივი შესაძლებლობა. მის შესაძლებლობებს აღემატება.*

**შესაძლო** *შესაძლოს* რაც შეიძლება მოხდეს, მოსალოდნელი. *შესაძლო უსიამოვნება. შესაძლო ნარმატება.*

**შესაწვავი** *შესაწვავის* რაც უნდა შეწვან. *შესაწვავი წიწილები.* ▲ შესაწვავად ზმნზ. შეწვისთვის, შეწვის მიზნით. *გოჭის შესაწვავად სჭირდება.*

**შესაწირი** *შესაწირის* რაც უნდა შესწირონ. *ღვთისთვის შესაწირი ცხვარი.* ▲ შესაწირად ზმნზ. შეწირვის მიზნით. *ტაძრისთვის შესაწირად.*

**შესაჭრელი** *შესაჭრელის* რაც შეჭრას საჭიროებს. *შესაჭრელი თმა.*

**შესახებ** თანდ. (+ ნათ.) თაობაზე, დაკავშირებით. *ამინდის შესახებ. სკოლის შესახებ წერენ.*

**შესახედავი** *შესახედავის* სანახავი, საყურებელი. *სასიამოვნო შესახედავი იყო.* ▲ შესახედავად ზმნზ. გარეგნულად, გარეგნობით. *შესახედავად სიმპათიური იყო.*

**შესახედაობა** *შესახედაობის* ადამიანის გარეგნობა. *კარგი შესახედაობა აქვს.*

**შესახედი** *შესახედის*||შესახედავი. *საშინელი შესახედი იყო.*

**შესახვევი** *შესახვევის* I. მთავარი გზის განტოტება დასახლებულ პუნქტში. *სოფლის შესახვევი. შესახვევში უცდიდა.* 2. რითაც ჭრილობას ახვევენ ან უხვევენ. *შესახვევი ბინტები.*

**შესახლება** *შესახლების* (შეასახლებს, შეუსახლებს, შესახლდება, შეუსახლდება) საცხოვრებლად შესვლა (შეყვანა). *ახალ ბინაში შესახლდნენ. ერთ სართულზე შეასახლეს.*

**შესევა** *შესევის* (შეუსევს, შეესევა) ბევრის ერთბაშად მისვლა, მიცვენა. *სოფელს ჯარი შეუსიეს. კალია ყანას შეესია.*

**შესვენება** *შესვენების* (შეასვენებს, შეისვენებს) I. მცირე ხნით დასვენება (1). *მგ ზავრებმა შეისვენეს. მუშები შეასვენეს.* 2. ხანმოკლე დასვენება (2) ორგანიზაციებში. *შესვენების დრო. ათნუთიანი შესვენება.*

**შესვლა** *შესვლის* (შევა, შეუვა) I. გარედან შიგნით გადაადგილება. *ოთახში შესვლა. დარბაზში შევიდნენ.* 2. რომელიმე ორგანიზაციის, გაერთიანებისა და მისთ. წევრად გახდომა. *მწვანეთა პარტიაში შევიდა.* ■ შესული ვინც ან რაც შევიდა. *პორტში შესული გემი.*

**შესვლეპა** *შესვლეპის* (შესვლეპს) სვლეპით შეჭმა. *წვნიანი შესვლიპა. კატამ რძე შესვლიპა.*

**შესივება** *შესივების* (შესივდება, შეუსივდება) ცოტათი დასივება. *თვალი შეუსივდა.* ■ შესივებული რაც შესივდა. *შესივებული მუხლი.*

**შესკდომა** *შესკდომის* (შეასკდება) შეხლა, შეხეთქება, შენარცხება. *ჯებირს შეასკდა. მანქანა ხეს შეასკდა.*

**შესკუპება** *შესკუპების* (შეასკუპებს, შესკუპდება, შეასკუპდება) მაღლა დაჯდომა, დასკუპება. *ქანდარაზე შესკუპდა. მამას კისერზე შეასკუპდა.*

**შესმა**[1] *შესმის* (შესვამს, შეისვამს, შეუსვამს, შეისმება) მაღლა დასმა, ასმა. *ჩიტი ხეზე შესვა. ბავშვი ზურგზე შეისვა.* ■ შესმული ვინც შეისვეს. *მხრებზე შესმული დაჰყავდა.*

**შესმა**[2] *შესმის* (შესვამს, შეასმევს, შეისმება) სასმლის დალევა. *ღვინო თასით შესვა. ბევრი სადღეგრძელო შეისვა.*

**შესმენა** *შესმენის* (შეასმენს, შეისმენს) გაგებინება, ვინმესთვის ისე თქმა, რომ მიახვედროს, დააჯეროს. *ამას ვერაფერს შეასმენს კაცი!*

**შესობა** *შესობის* (შეასობს, შეესობა) იგივეა, რაც შერჭობა. *ხიჭვი შეესო.*

**შესრიალება** *შესრიალების* (შეასრიალებს, შესრიალდება) სრიალით შესვლა, შეცურება. *მოედანზე შესრიალდა.*

**შესრულება** *შესრულების* (შეასრულებს, შეისრულებს, შეუსრულებს, შესრულდება, შეუსრულდება, შეასრულებინებს) I. დროის გარკვეული მონაკვეთის, ასაკის დასრულება, ათავება. *სამი საათი შესრულდა. ბიჭი ათი წლის შესრულდა.* 2. განხორ-

ციელება, ასრულება, რეალობად ქცევა. *ნათქვამი შეასრულა. გეგმა შესრულდა.* 3. მსმენელის, მაყურებლის ნინაშე გამოსვლა, როლის გათამაშება. *სიმღერა შეასრულა. სიმფონია შესრულდა.* ▪ შესრულებული რაც შეასრულეს ან შესრულდა. *შესრულებული როლი. შესრულებული პირობა.*

**შესრუტვა** *შესრუტვის* (შესრუტავს, შეისრუტავს, შეისრუტება) ჰაერის, სითხისა და მისთ. შეწოვა. *აპარატმა მტვერი შეისრუტა.*

**შესუდვრა** *შესუდვრის* (შესუდრავს, შეისუდრება) სუდარაში გახვევა. *ცხედარი შესუდრეს.* ▪ შესუდრული რაც შესუდრეს. *შესუდრული გვამები.*

**შესუნთქვა** *შესუნთქვის* (შეისუნთქავს) ფილტვებში ჰაერის შეშვება. *ცივი ჰაერი შეისუნთქა.*

**შესქელება** *შესქელების* (შეასქელებს, შესქელდება) ოდნავ გასქელება. *ფელამუში შესქელდა.* ▪ შესქელებული რაც შეასქელეს ან შესქელდა. *შესქელებული საღებავი. შესქელებული რძე.*

**შესყიდვა** *შესყიდვის* (შეისყიდის, შეისყიდება) პროდუქტის, მასალის, შენობებისა და მისთ. ყიდვა. *ლიცენზიის შესყიდვა. ღვინის პარტია შეისყიდა.* ▪ შესყიდული რაც შეისყიდეს. *შესყიდული აქციები.*

**შესწავლა** *შესნავლის* (შეასწავლის, შეისწავლის, შეისნავლება) 1. ცოდნის შეძენა, სწავლა. *უცხოური ენა შეისწავლა.* 2. საგნის ან მოვლენის არსში გარკვევა, გამოკვლევა (1). *მეცნიერული შესწავლა. ახალი ჯიშები შეისწავლა.* ▪ შესწავლილი რაც ან ვინც შეისწავლეს. *კარგად შესწავლილი საკითხი.*

**შესწორება** *შესწორების* (შეასწორებს, შეისწორებს, შეუსწორებს, შესწორდება) მცირედ გასწორება. *ტექსტი შეასწორა. თმა შეისწორა.*

**შესწრება** *შესწრების* (შეასწრებს, შეუსწრებს, შეესწრება) 1. სხვაზე ადრე ან რაიმეს დაწყებამდე შესვლა. *მასწავლებელს კლასში შეასწრო. წვიმას სახლში შეასწრეს.* 2. შემთხვევით რაიმეს მოწმედ გახდომა. *ჩხუბს შეესწარი. ქურდს შეუსწრო.*

**შესხდომა** *შესხდომის* (შესხდება, შეასხდება, შეუსხდება) ბევრის შეჯდომა. *ბიჭები ცხენებზე შესხდნენ.* ▪ შემსხდარი ვინც ან რაც შესხდა. *ტოტ ზე შემსხდარი ჩიტები.*

**შესხმა**[1] *შესხმის* (შეასხამს, შეისხამს, შეესხმება) ზედ მისხმა[2]. *ტალახი შეესხა. ცივი წყალი შეისხა.*

**შესხმა**[2] *შესხმის* (შესხამს, შეასხმევინებს) ბევრის შესმა[1]. *ქათმები ქანდარა ზე შესხა.*

**შესხურება** *შესხურების* (შეასხურებს, შეისხურებს, შეესხურება) სითხის შესხმა, შეფრქვევა წვეთებად ან მცირე ნაკადად. *ხეებს შაბიამანი შეასხურა. სუნამო შეისხურა.*

**შეტაკება** *შეტაკების* (შეატაკებს, შეეტაკება) 1. შეხლა, შეჯახება. *ბიჭები შეეტაკნენ ერთმანეთს.* 2. შებრძოლება. *შეიარაღებული შეტაკება.*

**შეტანა** *შეტანის* (შეიტანს, შეუტანს, შეატანინებს) 1. გარედან შიგნით მიტანა. *ჩანთა სახლში შეიტანა.* 2. დოკუმენტის (განცხადების, საჩივრისა და მისთ.) ოფიციალურად წარდგენა ორგანიზაციაში. *პროექტი შეიტანა. სარჩელი შეიტანეს.* ▪ შეტანილი რაც შეიტანეს. *საკონკურსოდ შეტანილი საბუთები. შინ შეტანილი ბარგი.*

**შეტანება** *შეტანების* (შეატანს) საქმელთან ან სასმელთან ერთად სხვა რაიმეს მიყოლება. *ჯურს ყველი შეატანა. ყავას ნამცხვარი შეატანა.*

**შეტევა**[1] *შეტევის* (შეუტევს) 1. ბრძოლით, ძალის გამოყენებით ვინმეს წინააღმდეგ წასვლა. *ჯარმა ციხეს შეუტია.* 2. ტკივილის უცაბედი გაძლიერება. *გულის შეტევა.* 3. გადატ. ვინმესთვის ჩხუბით, გაბრაზებით რაიმეს თქმა. *კაცმა ბავშვს შეუტია.*

**შეტევა**[2] *შეტევის* (შეატევს, შეეტევა) შიგნით, სიღრმეში დატევა, ძალით შედება, მოთავსება. *ქვაბი მაცივარში ვერ შეეტია.*

**შეტენა** *შეტენის* (შეტენის, შეიტენის, შეუტენის, შეიტენება, შეეტენება) ღრმულში, ხვრელში, თხრილსა და მისთ. ძალით შედება. *კარადაში ტანსაცმელი შეტენა. ცხვირში ბამბა შეიტენა.*

**შეტეხა** *შეტეხის* (შეტეხს, შეატეხს) დაკეტილის შემტვრევა, ძალით გაღება. *კარი შეტეხეს.*

**შეტირება** *შეტირების* (შესტირებს) ვინმესთვის ტირილით მიმართვა, შეჩივლება. *ქალმა ყველას შესტირა.*

**შეტოვება** *შეტოვების* (შეატოვებს) ვინმესთვის დატოვება და გაცლა, თავის არიდება. *საბუთები ხელში შეატოვა. ჯარი მტერს შეატოვა.*

**შეტოკება** *შეტოკების* (შეატოკებს, შეუტოკებს, შეტოკდება, შეუტოკდება) ოდნავ განძრევა, შერხევა. *ქალი სკამზე შეტოკდა. ჭაღი შეტოკდა.*

**შეტოპვა** *შეტოპვის* (შეტოპავს) 1. წყალში, ტალახსა და მისთ. ფეხით შესვლა. *მდინარეში შეტოპა.* 2. გადატ. საუბრ. რაიმეს კეთებისას ზომიერების დაკარგვა, გადამეტება, გადაჭარბება. *მომხსენებელმა შეტოპა.*

**შეტორტმანება** *შეტორტმანების* (შეატორტმანებს, შეტორტმანდება) შერყევა, წონასწორობის დაკარგვა. *კაცი შეტორტმანდა. სუფრა შეტორტმანდა.*

**შეტრიალება** *შეტრიალების* (შეატრიალებს, შეუტრიალებს, შეტრიალდება, შეუტრიალდება) 1. ტრიალით შებრუნება. *კედლისკენ შეტრიალდა.* 2. გადატ. ვითარების შეცვლა, შებრუნება. *სიტუაცია შეტრიალდა. ყველაფერი უკულმა შეტრიალდა.* 3. უკან მიბრუნება. *სახლში შეტრიალდა.* ▪ შეტრიალებული ვინც (რაც) შეატრიალეს ან შეტრიალდა. *ფანჯრისკენ იყო შეტრიალებული.*

**შეტრუსვა** *შეტრუსვის* (შეტრუსავს, შეიტრუსავს, შეუტრუსავს, შეიტრუსება, შეეტრუსება) თმის, ულვაშისა და მისთ. ბოლოების დაწვა, გატრუსვა.

*ქოჩორი შეეტრუსა.* ■ შეტრუსული რაც შეიტრუსა. *შეტრუსული წარბები.*

**შეტუსვა** *შეტუსვის* (შეტუსავს, შეუტუსავს, შეიტუსება, შეეტუსება) იგივეა, რაც შეტრუსვა. *თმა შეეტუსა.*

**შეტყაპუნება** *შეტყაპუნების* (შეიტყაპუნებს) საუბრ. სხვისი რაიმეს შერჩენა, მისაკუთრება. *ფული შეიტყაპუნა.*

**შეტყობა** *შეტყობის* (შეატყობს, შეიტყობს, შეუტყობს, შეეტყობა) 1. შემჩნევა, შენიშვნა. *წყენა შეატყო. სიმთვრალე ვერ შეატყვეს.* 2. ახალი ამბის მიღება, გაგება. *მე ზობლებისგან ყველაფერი შეიტყო.*

**შეტყობინება** *შეტყობინების* (შეატყობინებს) ახალი ამბის ვინმესთვის თქმა, გაგებინება (2). *ახლობლებს შეატყობინა.*

**შეტყორცნა** *შეტყორცნის* (შეტყორცნის, შეიტყორცნა) ზევით ტყორცნა, ასროლა. *ისარი შეტყორცნა.*

**შეტყუება** *შეტყუების* (შეატყუებს, შეიტყუებს) 1. მოტყუებით შეყვანა. *მელამ სოროში შეიტყუა.* 2. უხარისხო, უვარგისი რაიმეს მოტყუებით მიცემა, შეპარება. *ძველი ყველი შეატყუა. ნახმარი აპარატი შეატყუა.*

**შეტყუპება** *შეტყუპების* (შეატყუპებს) ორი ერთნაირი საგნის ან მისთ. ერთმანეთთან მჭიდროდ მიდება, მიდგმა. *ფეხები შეატყუპა. სკამები შეატყუპეს.*

**შეუბრალებელი** *შეუბრალებლის* ვინც არავის შეიბრალებს, დაუნდობელი. *შეუბრალებელი მკვლელი.* ▲ შეუბრალებლად ზმნზ. დაუნდობლად. *შეუბრალებლად სცემეს.*

**შეუბუმბლავი** *შეუბუმბლავის* რასაც ბუმბული არა აქვს. *შეუბუმბლავი ბარტყი.*

**შეუდარებელი** *შეუდარებლის* შესანიშნავი, განსაკუთრებული, უბადლო. *შეუდარებელი სილამაზე.* ▲ შეუდარებლად ზმნზ. ძალიან კარგად, განსაკუთრებულად, ჩინებულად. *შეუდარებლად თამაშობს.*

**შეუდრეკელი** *შეუდრეკლის* ვინც არ შედრკება, უშიშარი, მამაცი. *შეუდრეკელი ერი.* ▲ შეუდრეკლად ზმნზ. უშიშრად, მტკიცედ. *შეუდრეკლად მიიწევდა წინ.*

**შეუვალი** *შეუვალის* 1. ძნელად შესასვლელი, ძნელად ასაღები, ძნელად დასამორჩილებელი. *შეუვალი ციხე. შეუვალი ქალაქი.* 2. გადატ. ვისზეც ადვილად ვერ ახდენენ გავლენას, მტკიცე. *შეუვალი პიროვნება. შეუვალი ხასიათი.*

**შეუვალობა** *შეუვალობის* სიმტკიცე, სიმაგრე. *ქალაქის შეუვალობა.*

**შეუზღუდავი** *შეუზღუდავის* რაც შეზღუდული არ არის, თავისუფალი. *შეუზღუდავი უფლებები.* ▲ შეუზღუდავად ზმნზ. შეზღუდვის გარეშე, გამუდმებით. *შეუზღუდავად სარგებლობს.*

**შეუთავსებელი** *შეუთავსებლის* რაც სხვასთან ვერ თავსდება, რისი ერთად არსებობაც შეუძლებელია. *შეუთავსებელი აზრები.*

**შეუთანხმებელი** *შეუთანხმებლის* რაც არ შეუთანხმებიათ. *შეუთანხმებელი ვიზიტი.* ▲ შეუთანხმებლად ზმნზ. შეთანხმების გარეშე. *შეუთანხმებლად მოქმედებენ.*

**შეუიარაღებელი** *შეუიარაღებლის* ვინც ან რაც არ შეიარაღებულა. *შეუიარაღებელი წავიდა.* ◎ შეუიარაღებელი თვალით უბრალო შეხედვით, ერთი შეხედვით.

**შეუკმაზავი** *შეუკმაზავის* რაც არ შეუკმაზავთ. *შეუკმაზავი ცხენი. შეუკმაზავი სალათა.*

**შეუმჩნეველი** *შეუმჩნეველის* ვინც ან რაც არ შეუმჩნევიათ, ძნელად შესამჩნევი. *შეუმჩნეველი პიროვნება. შეუმჩნეველი მაკიაჟი.* ▲ შეუმჩნევლად ზმნზ. ისე, რომ ვერ შეამჩნიონ; ფარულად. *შეუმჩნევლად გავიდა გარეთ.*

**შეუპოვარი** *შეუპოვრის* ვინც არავის შეეპუება, ძლიერი, უშიშარი. *შეუპოვარი მეომარი.* ▲ შეუპოვრად ზმნზ. უშიშრად, მედგრად, შეუდრეკლად. *შეუპოვრად იბრძოდა.*

**შეუპოვრობა** *შეუპოვრობის* უშიშრობა, შეუდრეკლობა. *ომში შეუპოვრობა გამოიჩინა.*

**შეურაცხადი** *შეურაცხადის* ფსიქიკურად არაჯანსაღი. *შეურაცხადი ბრალდებული.*

**შეურიგებელი** *შეურიგებლის* ვინც იოლად არავის და არაფერს შეურიგდება, არავის დაემორჩილება. *შეურიგებელი მებრძოლი.*

**შეუსაბამო** *შეუსაბამოს* რაც არ შეესაბამება რაიმეს, შეუფერებელი. *შეუსაბამო ფასი.* ▲ შეუსაბამოდ ზმნზ. არაშესაბამისად, შეუფერებლად. *შეუსაბამოდ მკაცრი სასჯელი.*

**შეუსაბამობა** *შეუსაბამობის* შესაბამისობის არქონა, შეუფერებლობა. *თანხებს შორის შეუსაბამობა.*

**შეუსმენელი** *შეუსმენელის* ვისაც ვერაფერს შეასმენ, დაუჯერებელი, ჯიუტი. *შეუსმენელი ვინმე ხარ!*

**შეუფერებელი** *შეუფერებლის* ვინც ან რაც შესაფერისი არ არის, შეუსაბამო. *შეუფერებელი წყვილი. შეუფერებელი ჩაცმულობა.* ▲ შეუფერებლად ზმნზ. არაშესაფერისად, შეუსაბამოდ. *სიტუაციისთვის შეუფერებლად.*

**შეუფერხებელი** *შეუფერხებლის* რაც არ შეფერხებულა, უწყვეტი. *შეუფერხებელი მოძრაობა.* ▲ შეუფერხებლად ზმნზ. შეფერხების გარეშე. *ელექტროენერგია შეუფერხებლად მიეწოდება.*

**შეუღლება** *შეუღლების* (შეაუღლებს, შეუღლდება) იგივეა, რაც დაქორწინება. *შეუღლება გადაწყვიტეს. სიყვარულით შეუღლდნენ.* ■ შეუღლებული ვინც შეუღლდა. *შეუღლებული წყვილი.*

**შეუცველელი** *შეუცველის* ვისი ან რისი შეცვ-

ლაც არ შეიძლება. *შეუცვლელი სპეციალისტი.* ▲ შეუცვლელად ზმნზ. შეცვლის გარეშე, უცვლელად. *მთელი ტაიმი შეუცვლელად ითამაშა.*

**შეუცნობელი** *შეუცნობლის* რაც არ ან ვერ შეიცნეს. *შეუცნობელი მოვლენები. შეუცნობელი სამყარო.*

**შეუძლებელი** *შეუძლებლის* რაც არ შეიძლება მოხდეს, გამორიცხული. *გამგ ზავრება შეუძლებელი აღმოჩნდა.*

**შეუძლო** *შეუძლოს* ▲ შეუძლოდ ზმნზ. ცოტათი ავად, სუსტად, არაჯანმრთელად. *შეუძლოდ იყო. თავს შეუძლოდ გრძნობს.*

**შეუწვავი** *შეუწვავის* რაც არ შეუწვავთ ან ბოლომდე ვერ შეინვა. *ხორცი შეუწვავი იყო.*

**შეუწყვეტელი** *შეუწყვეტლის* რაც არ შეწყვეტილა, მუდმივი, გაუჩერებელი. *შეუწყვეტელი მოძრაობა.* ▲ შეუწყვეტლად ზმნზ. შეწყვეტის გარეშე. *შეუწყვეტლად მუშაობს.*

**შეუწყნარებელი** *შეუწყნარებლის* რასთან შეწყნარებაც არ შეიძლება, მიუღებელი. *შეუწყნარებელი საქციელი.*

**შეუწყნარებლობა** *შეუწყნარებლობის* მიუღებლობა, შეუგუებლობა. *რელიგიური შეუწყნარებლობა.*

**შეუხამებელი** *შეუხამებლის* რაც შეხამებული არ არის. *შეუხამებელი ფერები.*

**შეუხედავი** *შეუხედავის* ცუდი გარეგნობის მქონე, უშნო. *შეუხედავი ქალი.*

**შეფაკვლა** *შეფაკვლის* (შეუფაკლავს, შეეფაკლება, შეუფაკლდება) სახის ოდნავ გაწითლება ან გავარდისფერება. *სიცხისგან ლოყები შეეფაკლა.* ■ შეფაკლული რაც შეეფაკლათ. *შეფაკლული ღაწვები.*

**შეფარდება** *შეფარდების* (შეაფარდებს, შეუფარდებს, შეეფარდება) სასჯელის ზომის შერჩევა, მიყენება. *უმაღლესი სასჯელი შეუფარდეს.* ■ შეფარდებული რაც შეუფარდეს ან შეეფარდა. *ჯარიმა ჰქონდა შეფარდებული.*

**შეფარდებითი** *შეფარდებითის* შეფარდების საფუძველზე მიღებული, შედარებითი. *შეფარდებითი ღირებულება.*

**შეფარება** *შეფარების* (შეაფარებს, შეიფარებს, შეეფარება) I. სადმე შესვლა გადარჩენის, დაცვის მიზნით. *ხეს შეეფარა.* 2. მფარველობის ქვეშ აყვანა, თავშესაფრის მიცემა. *ნათესავები შეიფარა. მე ზობლებმა შემიფარეს.* ■ შეფარებული ვინც შეეფარა ან შეიფარეს. *შეფარებული მგ ზავრი.*

**შეფარვით** ზმნზ. მალულად, ეშმაკურად, ჩუმად. *შეფარვით გაიხედა.*

**შეფართხალება** *შეფართხალების* (შეიფართხალებს, შეფართხალდება) ფართხალით განძრევა. *ჩიტი შეფართხალდა.*

**შეფარული** *შეფარულის* ეშმაკური, არააშკარა, დამალული, ჩუმი. *შეფარული ღიმილი. შეფარული ირონია.*

**შეფასება** *შეფასების* (შეაფასებს, შეუფასებს, შეფასდება, შეუფასდება, შეაფასებინებს) I. ღირებულების, ფასის განსაზღვრა. *ახალი საქონელი შეაფასეს.* 2. ხარისხის განსაზღვრა, აღნიშვნა. *სპექტაკლმა კარგი შეფასება დაიმსახურა. დეგუსტატორებმა ღვინო შეაფასეს.* 3. ცოდნის დონის განსაზღვრა სპეციალური მაჩვენებლით (ნიშნით, ქულითა და მისთ.). *მოსწავლეების შეფასება. აბიტურიენტთა ნამუშევრები შეაფასეს.* ■ შეფასებული რაც ან ვინც შეაფასეს. *მილიონ ლარად შეფასებული ქონება.*

**შეფეთება** *შეფეთების* (შეეფეთება) უცბად, მოულოდნელად შეხვედრა, პირისპირ შეყრა. *ქუჩაში ძველ ნაცნობს შეეფეთა. მასწავლებელს კარში შეეფეთა.*

**შეფეთქვა** *შეფეთქვის* (შეფეთქავს) ღია ფერის ხსნარით შეღებვა. *კედელი თეთრად შეფეთქა.*

**შეფენა** *შეფენის* (შეფენს, შეაფენს, შეიფენს, შეუფენს, შეიფინება, შეეფინება) I. მთის ფერდობისა და მისთ. მოფენა ხალხით, ნახირითა და მისთ. *ფარა მთას შეეფინა.* 2. ქვეშ დაფენა. *ავადმყოფს ზეწარი შეუფინა.*

**შეფერადება** *შეფერადების* (შეაფერადებს, შეფერადდება) ოდნავ გაფერადება, შეღებვა, ფერის მიღება. *ცა ვარდისფრად შეფერადდა.*

**შეფერება** *შეფერების* (შეიფერებს, შეეფერება, შეჰფერის) I. ჩვეულებრივ რამედ მიღება, მიჩნევა. *სიმდიდრე შეიფერა. ქება შეიფერა.* 2. ვინმეს ან რაიმეს შესაფერისად ყოფნა, არსებობა. *კარგი ქმარი შეეფერება. ასეთი საქციელი არ შეგეფერება.* ■ შეფერებული რაც შეიფერეს. *შეფერებლი თანამდებობა.*

**შეფერვა** *შეფერვის* (შეფერავს, შეიფერება) ფერის მიცემა, მიღება. *კრემი ვარდისფრად შეფერა. ატამი წითლად შეიფერა.* ■ შეფერილი რაც შეფერეს. *შეფერილი სასმელი.*

**შეფერთხვა** *შეფერთხვის* (შეიფერთხავს) ფრთების, კუდისა და მისთ. გაქნევა მტვრის, წყლისა და მისთ. ჩამოცილების მიზნით. *ძაღლმა ყურები შეიფერთხა.*

**შეფერილობა** *შეფერილობის* გარკვეული ფერის ქონა. *ლურჯი შეფერილობა. წითელი შეფერილობა.*

**შეფერხება** *შეფერხების* (შეაფერხებს, შეფერხდება) მცირე ხნით დაბრკოლება, შეჩერება. *მატარებელი შეფერხდა.* ■ შეფერხებული ვინც ან რაც შეფერხდა ან შეაფერხეს. *შეფერხებული მგ ზავრი. შეფერხებული მუშაობა.*

**შეფი** *შეფის* I. დაწესებულების, ორგანიზაციის უფროსი. *შეფი ჩამოვიდა.* 2. ორგანიზაცია ან კერძო პირი, რომელიც სისტემატურად ეხმარება, მეურვეობს სხვა ორგანიზაციას. *შეფი საწარმო.*

**შეფისვა** *შეფისვის* (შეფისავს, შეიფისება) იგივეა, რაც გაფისვა. *კიდობანი შეფისეს.* ▪ შეფისული რაც შეფისეს. *შეფისული ჭურჭელი.*

**შეფიქრიანება** *შეფიქრიანების* (შეაფიქრიანებს, შეფიქრიანდება) ჩაფიქრება, საფიქრალის, ფარული შიშის გაჩენა. *დედა შვილის ამბავმა შეაფიქრიანა. მოხუცი შეფიქრიანდა.* ▪ შეფიქრიანებული ვინც შეფიქრიანდა ან შეაფიქრიანეს. *შეფიქრიანებული დამხვდა.*

**შეფიცება** *შეფიცვის* (შეჰფიცავს) ფიცის მიცემა. *ხატს შეჰფიცა.*

**შეფიცვრა** *შეფიცვრის* (შეფიცრავს, შეიფიცრება) ფიცრების აკვრა, ვერტიკალური ზედაპირის ფიცრებით დაფარვა. *კედელი შეფიცრეს.*

**შეფიცხება** *შეფიცხების* (შეაფიცხებს, შეფიცხდება) ცოტათი გაფიცხება (1). *ქალმა მჭადი შეაფიცხა.* ▪ შეფიცხებული რაც შეაფიცხეს ან შეფიცხდა. *შეფიცხებული ხაჭაპური.*

**შეფობა** *შეფობის* (შეფობს) შეფად (2) ყოფნა. *შეფობა გაუნია. სკოლას შეფობენ.*

**შეფოთვლა** *შეფოთვლის* (შეიფოთლება) ფოთლების გამოღება, ფოთლებით შემოსვა. *ხეები შეიფოთლა.* ▪ შეფოთლილი რაც შეიფოთლა. *შეფოთლილი ტყე.*

**შეფორთხება** *შეფორთხების* (შეფორთხდება) ფორთხვით შესვლა ან ასვლა. *კარავში შეფორთხდა. კიბეზე შეფორთხდა.*

**შეფრატუნება** *შეფრატუნების* (შეფრატუნდება) ფრატუნით შესვლა. *ოთახში შეფრატუნდა.*

**შეფრენა** *შეფრენის* (შეაფრენს, შეფრინდება, შეაფრინდება) ფრენით შესვლა ან ასვლა. *ჩიტი ფანჯარაში შეფრინდა. თუთიყუში კარადის თავზე შეფრინდა.*

**შეფრთხიალება** *შეფრთხიალების* (შეიფრთხიალებს, შეფრთხიალდება) ფრთხიალის დაწყება. *ბელურამ ჰაერში შეიფრთხიალა. ქათმები შეფრთხიალდნენ.*

**შეფრთხობა** *შეფრთხობის* (შეაფრთხობს, შეფრთხება, შეუფრთხება) წამიერი დაფრთხობა. *ქალი შეფრთხა. გული შეუფრთხა.*

**შემფრთხალი** *შემფრთხალის* ვინც ან რაც შეფრთხა. *შემფრთხალი ჩიტი.*

**შეფრქვევა** *შეფრქვევის* (შეაფრქვევს, შეეფრქვევა) 1. ფხვიერი მასის შეყრა ან სითხის შეშხეფება. *ვაზს შაბიამანი შეაფრქვიეს.* 2. სურნელის უხვად მოფენა. *ღვინის სუნი შეაფრქვია.*

**შეფუთვა** *შეფუთვის* (შეფუთავს, შეუფუთავს, შეიფუთება) გარედან რაიმეს შემოხვევა, ზედაპირის მთლიანად დაფარვა. *მგ ზავრმა ბარგი შეფუთა.* ▪ შეფუთული რაც შეფუთეს. *შეფუთული ჭურჭელი.*

**შეფუთნა** *შეფუთნის* (შეფუთნის, შეიფუთნის, შეიფუთნება) ძალიან თბილად ჩაცმა, თბილი რაიმეს შემოხვევა. *ბავშვი შეფუთნა. საგულდაგულოდ შეიფუთნა.* ▪ შეფუთნილი//შეფუთნული ვინც ან რაც შეიფუთნა. *შეფუთნილი ჩვილი.*

**შეფურთხება** *შეფურთხების* (შეაფურთხებს) ფურთხის პირიდან გადმოსროლა და ვინმეზე ან რაიმეზე შენთხევა. *სახეში შეაფურთხა. კედელს შეაფურთხა.*

**შეფუცხუნება** *შეფუცხუნების* (შეაფუცხუნებს, შეფუცხუნდება) საქმიანობის აჩქარებით დანყება, აფორიაქება, ანრიალება. *კაცი შეფუცხუნდა. მოულოდნელმა ამბავმა შეაფუცხუნა.* ▪ შეფუცხუნებული ვინც შეფუცხუნდა ან შეაფუცხუნეს. *შეფუცხუნებული ბავშვები.*

**შექანება** *შექანების* (შეაქანებს, შექანდება) ოდნავ შერხევა, უმნიშვნელოდ გაქანება. *კედელი შექანდა.*

**შექება** *შექების* (შეაქებს, შეიქებს, შეუქებს, შეიქება) საუკეთესო თვისებების წარმოჩენა, მოწონების, კმაყოფილების სიტყვიერი გამოხატვა. *შექება უყვარს. მასწავლებელმა შეაქო.*

**შექეიფება** *შექეიფების* (შექეიფდება) იგივეა, რაც შექეიფიანება. *მაყრები შექეიფდნენ.* ▪ შექეიფებული ვინც შექეიფდა. *შექეიფებული თამადა.*

**შექეიფიანება** *შექეიფიანების* (შექეიფიანდება) სასმლის დალევის შემდეგ კარგ ხასიათზე დადგომა, გამხიარულება. *ახალგაზრდები შექეიფიანდნენ.* ▪ შექეიფიანებული ვინც შექეიფიანდა. *შექეიფიანებული სტუმრები.*

**შექიქინება** *შექიქინების* (შეუქიქინებს) საუბრ. ქარის, სიოს ნელა, სასიამოვნოდ შებერვა. *ქარმა შეუქიქინა.*

**შექმნა** *შექმნის* (შექმნის, შეუქმნის, შეიქმნება, შეექმნება) 1. გაკეთება, ჩამოყალიბება, გაჩენა. *ჯგუფი შექმნეს. ოჯახი შექმნა. ახალი ორგანიზაცია შეიქმნა.* 2. გამოწვევა, ატეხვა. *აურზაური შეიქმნა. უხერხულობა შექმნა.* 3. დაწერა, შეთხზვა, გამოგონება. *ახალი პოემა შექმნა.* ▪ შექმნილი რაც შექმნეს ან შეიქმნა. *ბუნების შექმნილი. დიდი რეჟისორის მიერ შექმნილი.*

**შექროლება** *შექროლების* (შეაქროლებს, შეიქროლებს) დიდი სისწრაფით შესვლა, შეყვანა. *ლურჯა ეზოში შეაქროლა.*

**შექუჩება** *შექუჩების* (შეაქუჩებს, შექუჩდება) ერთ ადგილზე მოგროვება, თავმოყრა. *ბავშვები შექუჩდნენ.* ▪ შექუჩებული ვინც ან რაც შექუჩდა. *შექუჩებული ქათმები.*

**შექცევა**[1] *შექცევის* (შეაქცევს) ავადმყოფობის განმეორება, განახლება. *სენმა ისევ შეაქცია.*

**შექცევა**[2] *შექცევის* (შეაქცევს, შეიქცევს, შეექცევა) 1. თამაშით, ლაპარაკით და მისთ. გართობა. *ქალი ლაპარაკით შეაქცია. სტუმრები კარგად შეაქციეს.* 2. სმა-ჭამა, მირთმევა. *ნაყინს შეექცევა. მოხუცი ღვინოს შეექცეოდა.*

**შეღავათი** *შეღავათის* 1. ვალდებულების შემსუბუქება საერთო წესიდან გამონაკლისის დაშვებით. *საპენსიო შეღავათები.* 2. შემსუბუქების, რაიმესგან გათავისუფლების გრძნობა, შვება. *წამლებმა შეღავათი მომცა.* ■ შეღავათიანი რასაც შეღავათი აქვს. *შეღავათიანი კრედიტი.*

**შეღამება** *შეღამების* (შეღამდება, შეუღამდება) ცოტათი დაღამება. *უკვე შეღამდა.* ▲ შეღამებისას ზმნზ. *სტუმრები შეღამებისას მოვიდნენ.*

**შეღამებული** *შეღამებულის* შეღამების დრო, შებინდებული. *შეღამებული იყო.* ▲ შეღამებულზე ზმნზ. შეღამებისას, შებინდებისას. *შინ შეღამებულზე დაბრუნდა.*

**შეღება** *შეღების* (შეაღებს, შეუღებს, შეიღება) დაკეტილის, დახურულის ოდნავ გაღება გარედან შიგნით. *ფანჯარა შეაღო.* ■ შეღებული რაც შეაღეს. *შეღებული კარიდან ყველაფერი მოჩანდა.*

**შეღებვა** *შეღებვის* (შეღებავს, შეიღებავს, შეუღებავს, შეიღებება, შეეღებება) საღებავით ფერის შეცვლა, გაფერადება. *კვერცხები შეღება. თმა შეიღება.* ■ შეღებილი რაც შეღებეს. *შეღებილი მანქანა.*

**შეღერებული** *შეღერებულის* მომწიფებული (2), დაკაცებული ან დაქალებული. *შეღერებული ქალი.*

**შეღიტინება** *შეღიტინების* (შეუღიტინებს, შეეღიტინება) ღიტინით გაღიზიანება. *შეღიტინება არ სიამოვნებს. ბავშვს შეუღიტინა.*

**შეღობვა** *შეღობვის* (შეღობავს, შეუღობავს, შეიღობება) ღობის გაკეთება, ღობის შემოვლება. *ბოსტანი შეღობა.* ■ შეღობილი რაც შეღობეს. *შეღობილი ნაკვეთი.*

**შეღონება** *შეღონების* (შეაღონებს, შეუღონებს, შეღონდება, შეუღონდება) უსიამოვნო განცდისგან, ტკივილისგან ცუდად გახდომა, შეწუხება. *ხმაურმა შეაღონა. კაცი შეღონდა.* ■ შეღონებული ვინც შეღონდა. *მე ზობლები შეღონებული ჰყავდა.*

**შეღოღება** *შეღოღების* (შეღოღდება, შეაღოღდება) ღოღვით შესვლა ან ასვლა. *დაჭრილი ე ზოში შეღოღდა. ხოჭო შეაღოღდა.*

**შეღრენა** *შეღრენის* (შეუღრენს) 1. ღრენით შეტევა. *ძაღლმა შეუღრინა.* 2. გადატ. მტრული დალაპარაკება, ბრაზიანად თქმა. *ქალს შეუღრინა.*

**შეღწევა** *შეღწევის* (შეაღწევს) გაჭირვებით, წინააღმდეგობის გადალახვით შესვლა. *ციხეში შეღწევა გაუჭირდათ. სახლში ძლივს შეაღწია.*

**შეყელვა** *შეყელვის* (შეყელავს, შეიყელება) ვაზის ახალი ამონაყარის მიკვრა, მიმაგრება სპეციალურად გაჭიმულ მავთულზე ან დასობილ სარზე. *ვენახი შეყელეს.*

**შეყენება** *შეყენების* (შეაყენებს, შეუყენებს) 1. შეჩერება, გაჩერება. *მეფემ ლაშქარი შეაყენა.* 2. საყრდენის შედგმა. *სახლს ბოძები შეუყენეს.*

**შეყეფა** *შეყეფის* (შეუყეფს) ვინმესთვის ყეფით შეძახება. *ძაღლმა ბავშვებს შეუყეფა.*

**შეყვანა** *შეყვანის* (შეიყვანს, შეუყვანს) 1. შესვლისას ვინმეს თან ყოლა. *სახლში შეიყვანა. საოპერაციოში შეიყვანეს.* 2. სასწავლებელში მიბარება. *შვილები სკოლაში შეიყვანა. ბაგაში შეიყვანეს.* 3. კომპიუტერში, მობილურ ტელეფონსა და მისთ. ინფორმაციის ჩანერა. *კოდი შეიყვანა. ნომერი შეიყვანა.* ■ შეყვანილი რაც ან ვინც შეიყვანეს. *შეყვანილი ინფორმაცია. სიაში შეყვანილი სტუდენტები.*

**შეყვარება** *შეყვარების* (შეაყვარებს, შეიყვარებს, შეუყვარდება) სიყვარულის გრძნობის გაჩენა. *ქალის შეყვარება. ერთმანეთი შეუყვარდათ. ეს მხარე გულით შეიყვარა.*

**შეყვარებული** *შეყვარებულის* ვინც უყვართ ან ვისაც უყვარს. *ეს ჩემი შეყვარებულია. თეატრზეა შეყვარებული.*

**შეყველება** *შეყველების* (შეყველდება) რძის შედედება, შესქელება ყველის ამოსაყვანად.

**შეყვითლება** *შეყვითლების* (შეაყვითლებს, შეყვითლდება, შეუყვითლდება) ოდნავ გაყვითლება. *ფოთლები შეყვითლდა. წიგნს ფურცლები შეუყვითლდა.*

**შეყვირება** *შეყვირების* (შეჰყვირებს, შეუყვირებს) 1. ვინმესთვის ყვირილით შეძახება, დაყვირება. *უფროსმა შეუყვირა.* 2. უცბად დაყვირება. *ტკივილისგან შეჰყვირა.*

**შეყლაპვა** *შეყლაპვის* (შეყლაპავს) მთლიანად შეჭმა, უცებ გადაყლაპვა, გათავება. *შემწვარი წინილა შეყლაპა.*

**შეყნოსვა** *შეყნოსვის* (შეიყნოსავს) შესუნთქვით სუნის ღრმად შეგრძნება. *ზამბახის სურნელი შეიყნოსა.*

**შეყოვნება** *შეყოვნების* (შეაყოვნებს, შეყოვნდება) ცოტათი დაყოვნება. *მგ ზავრები შეყოვნდნენ.* ■ შეყოვნებული ვინც ან რაც შეყოვნდა. *შეყოვნებული საქმე.*

**შეყოლა** *შეყოლის* (შეჰყვება) ვინმესთან ერთად შესვლა. *კლასში ბავშვებს შეჰყვა.*

**შეყოლიება** *შეყოლიების* (შეიყოლიებს) ხელოვნ. ყურადღების მიქცევა რაიმე ხერხით, გართობა. *ბავშვები შეიყოლია. თამაშით შეიყოლია.*

**შეყოფა** *შეყოფის* (შეყოფს, შეიყოფს, შეუყოფს) ხელის, ფეხისა და მისთ. რაიმეში შედება, გაყრა, გაყოფა. *უზანგში ფეხი შეყო.*

**შეყოყმანება** *შეყოყმანების* (შეაყოყმანებს, შეყოყმანდება) ყოყმანის დაწყება. *წუთითაც არ შეყოყმანებულა.*

**შეყრა** *შეყრის* (შე(ჰ)ყრის, შეაყრის, შეიყრის, შეუყრის, შეიყრება, შეეყრება) 1. ბევრი საგნის უწესრიგოდ შეგდება. *წიგნები თაროზე შეყარა. ტანსაცმელი კარადაში შეყარა. ყუთები მაგიდის ქვეშ შეყარა.* 2. ბევრის იძულება, რომ სადმე შევიდეს.

*პატიმრები ვაგონში შეყარეს. ძროხები ბოსელში შეყარა.* 3. ბევრის ერთ ადგილას შეგროვება, შეკრება. *სარდალმა ჯარი შეყარა.* 4. ავადმყოფობის, სენის დამართება. *ვირუსი შეეყარა.* 5. ფხვიერი მასის მიყრა, შეფრქვევა. *სახეში ფქვილი შეაყარა.* 6. უცბად, მოულოდნელად შეხვედრა. *გ ზაში ნაცნობს შეეყარა.* ■ შეყრილი ვინც ან რაც შეყარეს ან შეიყარა. *სხვენში შეყრილი სკამები.*

**შეყუჟვა** *შეყუჟვის* (შეიყუჟება) ერთ ადგილას შემალვა, წყნარად გაჩერება, თავის შეფარება. *ხის ძირას შეიყუჟა. ქოხში შეიყუჟნენ.* ■ შეყუჟული ვინც ან რაც შეიყუჟა. *ბუჩქებში შეყუჟული ქათმები.*

**შეშა** *შეშის* მოჭრილი ხის დაჩეხილი ნაჭრები, იყენებენ საწვავად. *რცხილის შეშა.*

**შეშვება** *შეშვების* (შეუშვებს, შეაშვებინებს, შეიშვება) ვინმესთვის (რაიმესთვის) ნების ან საშუალების მიცემა, რომ სადმე შევიდეს. *ბავშვი ოთახში შეუშვა. გემი ნავსადგურში შეუშვეს.*

**შეშველება** *შეშველების* (შეაშველებს, შეეშველება) მიშველება, მიხმარება. *ქალებს საქმეში შეეშველა.*

**შეშვერა** *შეშვერის* (შეუშვერს) ვინმესთან ან რაიმესთან ახლოს მიტანა, გარკვეული მიმართულებით მიბრუნება (სხეულის ნაწილის, საგნისა და მისთ.). *ბურთს თავი შეუშვირა. ჭიქა წყალს შეუშვირა.*

**შეშინება** *შეშინების* (შეაშინებს, შეშინდება, შეუშინდება) შიშის გრძნობის გაჩენა. *მისი შეშინება სცადა. ძალიან შეეშინდა. ძაღლმა შეაშინა.*

**შეშინებული** *შეშინებულის* 1. ვისაც შეეშინდა. *შეშინებული ბავშვი.* 2. შიშის გამომხატველი. *შეშინებული მზერა.*

**შეშლა** *შეშლის* (შეშლის, შეუშლის, შეიშლება, შეეშლება, შეაშლევინებს) 1. შეცდომის დაშვება, არევა. *პაროლი შემეშალა. ლექსი შეეშალა.* 2. გაგიჟება, ჭკუაზე შეცდენა. *დარდმა შეშალა.*

**შეშლილი** *შეშლილის* ვინც შეიშალა, სულით ავადმყოფი. *შეშლილი ქალი.*

**შეშმუშვნა** *შეშმუშვნის* (შეიშმუშნის, შეიშმუშნება) უხერხულობის გრძნობის გამოხატვა მიმიკით ან სხეულის დამახასიათებელი მოძრაობით. *უსიამოვნოდ შეიშმუშნა.*

**შეშრობა** *შეშრობის* (შეაშრობს, შეიშრობს, შეუშრობს, შეშრება, შეაშრება, შეუშრება) 1. ზედაპირის ოდნავ, მცირედ გაშრობა. *მიწა შეშრა. საღებავი შეშრა.* 2. ზედვე (სხეულზევე) გაშრობა. *კაბა ტანზე შეაშრა. ოფლი შეაშრა.* 3. კარგად შეწოვა, შესრუტვა. *მიწამ სისველე შეიშრო. ფურცელმა მელანი შეიშრო.*

**შეშუპება** *შეშუპების* (შეშუპდება, შეუშუპდება) ცოტათი დასივება. *ჭრილობამ შეშუპება დაიწყო. ხელი შეუშუპდა.* ■ შეშუპებული რაც შეშუპდა. *შეშუპებული თვალები.*

**შეშურება** *შეშურების* (შეშურდება) ვინმეს მიმართ შურის გაჩენა. *მეგობრის შეშურდა.*

**შეშფოთება** *შეშფოთების* (შეაშფოთებს, შეუშფოთებს, შეშფოთდება) ძალიან აღელვება, აფორიაქება, შეწუხება. *მომხდარმა შეაშფოთა. ხალხი შეშფოთდა.*

**შეშფოთებული** *შეშფოთებულის* ძალიან აღელვებული, შეწუხებული. *შეშფოთებული ქალი. შეშფოთებული ხმა.*

**შეშხაპუნება** *შეშხაპუნების* (შეუშხაპუნებს) ორგანიზმში სამედიცინო ხსნარის შეყვანა. *წამალი შეუშხაპუნა.*

**შეშხეფება** *შეშხეფების* (შეაშხეფებს, შეეშხეფება) შხეფის შესხმა. *წყალი შეეშხეფა. მანქანამ ტალახი შეაშხეფა.*

**შეჩაქჩაქება** *შეჩაქჩაქების* (შეაჩაქჩაქებს, შეჩაქჩაქდება) ჩაქჩაქით შესვლა. *ცხენი ეზოში შეაჩაქჩაქა.*

**შეჩენა** *შეჩენის* (შეუჩენს, შეუჩნდება) ვინმესთვის გამუდმებით, დაჟინებით რაიმეს თხოვნა, ჩაციება. *მე ზობელი შეუჩნდა.*

**შეჩერება** *შეჩერების* (შეაჩერებს, შეუჩერებს, შეჩერდება, შეაჩერდება, შეუჩერდება) 1. მოძრაობის გაჩერება. *მანქანა შეაჩერა. მატარებელი შეჩერდა.* 2. მოქმედების, საქმიანობის პროცესის შეწყვეტა, გაჩერება. *ტაძრის რესტავრაცია შეჩერდა.* 3. გადატ. მზერის მიპყრობა, დაჟინებით, თვალის მოუშორებლად შეხედვა. *ნახატს შეაჩერდა.* ■ შეჩერებული ვინც ან რაც შეჩერდა. *შეჩერებული მშენებლობა.*

**შეჩერჩეტება** *შეჩერჩეტების* (შეჩერჩეტდება) საუბრ. უაზროდ, უმიზნოდ შესვლა. *ოთახში შეჩერჩეტდა.*

**შეჩეჩება** *შეჩეჩების* (შეაჩეჩებს) ვინმესთვის უცებ მიწოდება, ძალით მიცემა, ხელში ჩაჩრა. *ქალს ჩანთა შეაჩეჩა. უცნობს გაზეთები შეაჩეჩა.*

**შეჩეხება** *შეჩეხების* (შეეჩეხება) ვინმესთან მოულოდნელად, უცაბედად შეხვედრა, პირისპირ შეყრა. *ამხანაგს კარებში შეეჩეხა.*

**შეჩვევა** *შეჩვევის* (შეაჩვევს, შეიჩვევს, შეეჩვევა) მიჩვევა, შეგუება, შეთვისება. *ახალ ამხანაგებს შეეჩვია. ვარჯიშს შეაჩვიეს.*

**შეჩვენება** *შეჩვენების* (შეაჩვენებს) დაწყევლა, შერისხვა. *სოფელმა შეაჩვენა.*

**შეჩვენებული** *შეჩვენებულის* 1. ვინც შეაჩვენეს. *საუკუნოდ შეჩვენებული.* 2. საუბრ. ოხერი, ტიალი. *სად გაქრა ეს შეჩვენებული?!*

**შეჩვეული** *შეჩვეულის* 1. ვინც ან რაც შეეჩვია. *გაჭირვებას შეჩვეული ხალხი.* 2. რასაც შეეჩვივნენ. *შეჩვეული გარემო.*

**შეჩივლება** *შეჩივლების* (შესჩივლებს) საკუთარი ტკივილის, გასაჭირისა და მისთ. სხვისთვის თქმა, გაზიარება. *დედას თავისი ამბავი შესჩივლა. მეგობარს შესჩივლა.*

**შეჩოჩება** *შეჩოჩების* (შეჩოჩდება) ჩოჩვით შესვლა ან შეტანა. *ბავშვი საწოლის ქვეშ შეჩოჩდა. ტომარა საწყობში შეაჩოჩა.*

**შეჩოჩქოლება** *შეჩოჩქოლების* (შეაჩოჩქოლებს, შეჩოჩქოლდება) ჩოჩქოლის ატეხა, ახმაურება, აღელვება. *ხალხი შეჩოჩქოლდა.*

**შეჩურთვა** *შეჩურთვის* (შეჩურთავს, შეუჩურთავს, შეიჩურთება) ხვრელში, ჭუჭრუტანასა და მისთ. შეტენა. *ნახვრეტში ბამბა შეჩურთა.* ■ შეჩურთული რაც შეჩურთეს. *შეჩურთული ნაჭერი.*

**შეჩუჩხურება** *შეჩუჩხურების* (შეუჩუჩხურებს) 1. რაიმე საგნის შეყოფა სიღრმეში და აქეთ-იქით ტრიალი. *ცეცხლს შეუჩუჩხურა.* 2. საუბრ. ნაქეზება, შეგულიანება. *მე ზობლებმა შეუჩუჩხურეს.*

**შეცაცხანება** *შეცაცხანების* (შეუცაცხანებს) ცაცხანით შეძახება. *ბიჭს შეუცაცხანა.*

**შეცბუნება** *შეცბუნების* (შეაცბუნებს, შეცბუნდება) გაკვირვებისგან შეკრთომა. *ნათქვამმა შეაცბუნა.* ■ შეცბუნებული ვინც შეცბუნდა. *შეცბუნებული აქეთ-იქით იყურება.*

**შეცდა** *შეცდის* (შეიცდის) ცოტა ხნით დაცდა. *კართან შეიცადა.*

**შეცდენა** *შეცდენის* (შეაცდენს) 1. მოტყუება, ტყუილის საშუალებით დათანხმება. *მეგობარმა შეაცდინა.* 2. საუბრ. მოტყუებით სქესობრივი კავშირის დამყარება. *ქალი შეაცდინა.*

**შეცდომა** *შეცდომის* (შეცდება) 1. უნებლიეთ არასწორად მოქცევა, მოტყუება (1). *ანგარიშში შეცდა.* 2. რაიმეს კეთების, მომზადების დროს დაშვებული უზუსტობა. *უხეში შეცდომა. გამოუსწორებელი შეცდომა.*

**შეცეცხვლა** *შეცეცხვლის* (შეცეცხლავს) უპატივცემულობა. *ხორცი შეცეცხლა.*

**შეცვივნა** *შეცვივნის* (შეცვივდება, შეუცვივდება) ბევრის შევარდნა. *ცხენები თავლაში შეცვივდნენ. ყაჩაღები სახლში შეუცვივდნენ.*

**შეცვლა** *შეცვლის* (შეცვლის, შეიცვლის, შეუცვლის, შეიცვლება, შეეცვლება, შეაცვლევინებს) 1. ერთის ნაცვლად მეორის გაკეთება, დამაგრება, გამოყენება. *კარს საკეტი შეუცვალა. მანქანა შეცვალა.* 2. სხვა იერის, თვისებების მიღება, სხვანაირად გახდომა, გარდაქმნა. *დრო შეიცვალა. ფერი შეეცვლა.* ■ შეცვლილი რაც ან ვინც შეიცვალა. *შეცვლილი გარეგნობა.*

**შეციება** *შეციების* (შეაციებს) ავადმყოფობის დროს სიცივის უეცარი შეგრძნება. *ავადმყოფს შეაცია.*

**შეცივება** *შეცივების* (შესცივდება, შეაციებს) სიცივის შეგრძნება. *ძალიან შესცივდა.* ■ შეცივებული ვისაც შესცივდა. *შეცივებული მგ ზავრები.*

**შეცილება**[1] *შეცილების* (შეეცილება) ქონებაში, წარმატებასა და მისთ. მეტოქეობა, წართმევის ან მეწილედ გახდომის მცდელობა. *ძმა მემკვიდრეობაში შეეცილა. პირველ ადგილს ვერავინ შეეცილება.*

**შეცილება**[2] *შეცილების* (შეაცილებს) ვინმეს შესვლისას მასთან ხლება[1] ყურადღების, პატივისცემის ნიშნად. *სტუმარი დარბაზში შეაცილა.*

**შეცინება** *შეცინების* (შესცინებს) სიცილით შეხედვა სიხარულის, კეთილგანწყობის გამოსახატად. *ერთმანეთს შესცინეს. ქალს შესცინა.*

**შეციცინება** *შეციცინების* (შესციცინებს) სიხარულით, ალერსით თვალებში ყურება. *მთელი ოჯახი ბავშვს შესციციცინებს.*

**შეცნობა** *შეცნობის* (შეიცნობს, შეიცნობა) საგნის ან მოვლენის არსის გაგება, ჩანვდომა. *ბუნების შეცნობა. ცხოვრების საიდუმლო შეიცნო.* ■ შეცნობილი რაც შეიცნეს. *შეცნობილი ჭეშმარიტება.*

**შეცოდება** *შეცოდების* (შესცოდებს, შეაცოდებს, შეიცოდებს, შეეცოდება) 1. იგივეა, რაც შებრალება. *თავი შეაცოდა. მოხუცი შეეცოდა.* 2. ცოდვის ჩადენა. *ღმერთს შესცოდა.*

**შეცოტავება** *შეცოტავების* (შეაცოტავებს, შეცოტავდება) რაოდენობის, ზომის, მოცულობის ან წონის შემცირება, მოკლება. *მოსავალი შეცოტავდა. სტუმრები შეცოტავდნენ.* ■ შეცოტავებული ვინც ან რაც შეცოტავდა. *შეცოტავებული ხალხი.*

**შეცოცება** *შეცოცების* (შეაცოცებს, შეცოცდება) ცოცვით შესვლა, ასვლა. *ბავშვი სკამის ქვეშ შეცოცდა. ჭია ხელზე შეაცოცდა.*

**შეცურვა** *შეცურვის* (შეცურავს) ცურვით შესვლა. *მდინარეში შეცურა.*

**შეცქრიალება** *შეცქრიალების* (შეცქრიალდება) ცქრიალით შესვლა. *ქალი ოთახში შეცქრიალდა.*

**შეცხადება** *შეცხადების* (შეიცხადებს) 1. ახლობლის გარდაცვალებისას ხმამაღალი ტირილის დაწყება, დაძახება. *ქმარი შეიცხადა.* 2. გადატ. ძლიერი გაკვირვების, შეწუხების გამოხატვა. *ეს ამბავი ყველამ შეიცხადა.*

**შეძაგება** *შეძაგების* (შეაძაგებს, შეიძაგებს, შესძაგდება) იგივეა, რაც შეძულება. *ყველაფერი შესძაგდა.*

**შეძაგძაგება** *შეძაგძაგების* (შეაძაგძაგებს) ძაგძაგის შეგრძნება. *შიშისგან შეაძაგძაგა.*

**შეძახება** *შეძახების* (შესძახებს, შეუძახებს) 1. ზევით მყოფისთვის დაბლიდან დაძახება. *მეგობრებმა ეზოდან შესძახეს.* 2. ხმამაღლა თქმა, დაძახება ვინმეს გამხნევების მიზნით. *სარდალმა მეომრებს შეუძახა.*

**შეძახილი** *შეძახილის* შეძახების ხმა, ხმამაღლა დაძახება, დაყვირება. *ჯარისკაცების შეძახილი. მსახიობს შეძახილით შეხვდნენ.*

**შეძენა** *შეძენის* (შესძენს, შეიძენს, შეეძინება) 1. ყიდვა, შოვნა, მოპოვება, შემატება. *ავეჯი შეიძინა. ახალი მეგობრები შეიძინა. გუნდს ორი ქულა შესძინა.* 2. დაბადება, გაჩენა. *გოგო შეეძინა.* ■ შეძე-

ნილი რაც ან ვინც შეიძინეს. *შეძენილი ქონება.*

**შეძვრა** *შეძვრის* (შეძრავს, შეიძვრება) I. მცირედ დაძვრა, განძრევა, გატოკება. *ქვა შეძრა.* 2. გადატ. შეშფოთება, აფორიაქება. *ყვირილმა გარემო შეძრა. მთელი სოფელი შეიძრა.*

**შეძვრენა** *შეძვრენის* (შეაძვრენს) ვიწრო, პატარა შესასვლელში შეყვანა, შეტანა. *ხვრელში შეაძვრინა.*

**შეძლება** *შეძლების* (შეძლებს, შეეძლება, შეაძლებინებს) I. რაიმეს გაკეთების, შექმნის უნარის, ძალის გამოჩენა. *სახლის აშენება შეძლო. წაკითხვას ვერ შეძლებს.* 2. გადატ. სიმდიდრე, ქონება, სარჩო. *დიდი შეძლება აქვს.*

**შეძლებული** *შეძლებულის* მქონე, მდიდარი. *შეძლებული კაცი. შეძლებული ოჯახი.*

**შეძლევა** *შეძლევის* (შეაძლევს, შეეძლევა) რაიმეს შეთავაზება ასაღებად. *ფულის შეძლევა ვერ გაუბედა. ქრთამი შეაძლია.*

**შეძრომა** *შეძრომის* (შეძვრება, შეუძვრება) I. ძრომით შესვლა. *თაგვი სოროში შეძვრა. ბავშვი ტახტის ქვეშ შეძვრა.* 2. საუბრ. ხერხის, ხრიკების დახმარებით სადმე მოხვედრა. *სამინისტროში შეძვრა.*

**შეძრწუნება** *შეძრწუნების* (შეაძრწუნებს, შეძრწუნდება) ძალიან შეშინება, შეშფოთება. *ნანახმა შეაძრწუნა.* ▲ შეძრწუნებული ვინც შეძრწუნდა. *შეძრწუნებული უსმენდა.*

**შეძულება** *შეძულების* (შეაძულებს, შეიძულებს, შესძულდება) სიძულვილის აღძვრა. *ხალხს თავი შეაძულა. მეგობარი შეიძულა.*

**შეძურწვა** *შეძურწვის* (შეიძურწება) ჩუმად, შეფარულად, ხმის ამოუღებლად შესვლა. *სახლში შეიძურწა.*

**შეძღოლა** *შეძღოლის* (შეუძღვება) ნინ გაძღოლა (1) და სადმე შესვლა. *ხალხს დარბაზში შეუძღვა.*

**შენამვლა** *შენამვლის* (შენამლავს, შეუნამლავს, შეინამლება) მცენარისთვის ქიმიური ხსნარების შესხურება მავნებლებთან ბრძოლის მიზნით. *ენახი შენამლეს.* ■ შენამლული რაც შენამლეს. *შენამლული ხეები.*

**შენებება** *შენებების* (შეანებებს, შეენებება, შენებდება) ერთმანეთზე მიკვრა, გადაბმა. *კიდეები შეანება. წამწამები შეენება.* ■ შენებებული რაც შეანებეს ან შენებდა. *შენებებული დეტალები.*

**შენევა** *შენევის* (შესნევს, შეუნევს, შეინევა) შიგნით მინევა. *უჯრა შესნია.*

**შენევნა** *შენევნის* (შეაწევს, შეენევა) ვინმესთვის დახმარების გაწევა, თანადგომა, შველა. *გაჭირვებულს ფული შეაწიეს. გლახაკს შეენია.*

**შენერა** *შენერის* (შეაწერს) ხარჯის, გადასახადისა და მისთ. დაკისრება, გადახდის იძულება. *სოფელს გადასახადი შეაწერეს.*

**შენვა** *შენვის* (შენვავს, შეინვავს, შეუნვავს, შეინვება, შეანვევინებს) საკვების ცეცხლზე მომზადება უწყლოდ (ცხიმით ან უცხიმოდ). *მწვადი შამფურზე შენვეს. კარტოფილი შეინვა. გოჭი შენვა.*

**შენვდა** *შენვდის* (შეანვდის) შიგნით ან ზევით მყოფისთვის მიწვდა. *მატარებელში ჩანთა შეანწოდა.*

**შენვდენა** *შენვდენის* (შეანვდენს) ზევით მინვდენა, აწვდენა. *ხელი ვერ შეანვდინა. ხმა ვერ შეანვდინა.*

**შენვდომა** *შენვდომის* (შესნვდება) ზევით მინვდომა. *ჭაღს შესწვდა. ტოტს ვერ შესნვდა.*

**შენითლება** *შენითლების* (შეანითლებს, შენითლდება, შეუნითლდება) ოდნავ გაწითლება. *კარტოფილი ზეთში შეანითლა. სახე შეუწითლდა.*

**შენირვა** *შენირვის* (შესნირავს, შეინირება, შეენირება) I. უფლისთვის, ხატისთვისა და მისთ. მსხვერპლის (2) გაღება. *ეკლესიას ძვირფასეულობა შესწირა.* 2. სხვისთვის მსხვერპლის (1) გაღება(2), რაიმეს დათმობა, გამეტება. *საქმეს ჯანმრთელობა შესწირა. ოჯახს თავი შესწირა.* ■ შენირული ვინც ან რაც შეენირა. *სამშობლოს შენირული გმირები.*

**შენოდება** *შენოდების* (შეანოდებს) ზევით ან შიგნით მიწოდება. *კიბეზე მდგომს კალათა შეანოდა.*

**შენოვა** *შენოვის* (შეინოვს, შეინოვება) თხევადი ნივთიერების, სისველის შესრუტვა. *ბამბამ წყალი შეინოვა. ორგანიზმმა წამალი შეინოვა.* ■ შენოვილი რაც შეინოვეს. *შენოვილი სითხე.*

**შენოლა** *შენოლის* (შენვება) რაიმეს ქვეშ ან შიგნით დაწოლა[1] *ბავშვი საწოლში შენვა.* ■ შენოლილი ვინც ან რაც შენვა. *საბნის ქვეშ შენოლილი.*

**შენრიალება** *შენრიალების* (შეანრიალებს, შენრიალდება) იგივეა, რაც აწრიალება. *ყვირილმა ხალხი შეაწრიალა.* ■ შენრიალებული ვინც შენრიალდა. *შენრიალებული სოფელი.*

**შენუხება** *შენუხების* (შეანუხებს, შეინუხებს, შეუნუხებს, შენუხდება, შეუნუხდება) I. დიდი დარდის გაჩენა, დანაღვლიანება, წუხილის დაწყება. *ამ ამბავმა შეაწუხა.* 2. განვალება, დატანჯვა. *მოხუცის შენუხება არ უნდოდა. დიდმა სიცხემ შეანუხა.* ■ შენუხებული ვინც ან რაც შეწუხდა. *შენუხებული დედა.*

**შენყალება** *შენყალების* (შეიწყალებს, შეენყალება) I. წყალობის გაცემა. *მათხოვარი შეიწყალა.* 2. პატიება, შებრალება, შეცოდება. *მსჯავრდებული შეიწყალეს.* ■ შენყალებული ვინც შეინყალეს. *შენყალებული დამნაშავე.*

**შენყდომა** *შენყდომის* (შენყდება, შეუნყდება) შენყვეტა. *კავშირი შენყდა. სუნთქვა შეუნყდა. თოვა შენყდა.*

**შენყენა** *შენყენის* (შეანყენს) © თავს შეანყენს თავს მოაბეზრებს, შეანუხებს.

**შენყვეტა** *შენყვეტის* (შენყვეტს, შეანყვეტს, შეუნყვეტს, შეანყვეტინებს) შეჩერება, გაჩერება, დამთავრება. *დაკვრა შენყვიტა. დაფინანსება შეუნყვიტეს. მუშაობა შენყვიტა. სიტყვა შეანყვეტინა.* ■ შენყვეტილი რაც შენყვიტეს. *შენყვეტილი მუშაობა.*

შენწყვილება *შენწყვილების* (შეანწყვილებს, შენწყვილდება) 1. იგივეა, რაც დანწყვილება (1). *მწვრთნელმა ფერხბურთელები შეანწყვილა.* 2. დედლისა და მამლის შეუღლება. *მგლების შენწყვილება.*

შენწყნარება *შენწყნარების* (შეინწყნარებს) 1. პატიება, შებრალება, შენწყალება. *მოსამართლემ დამნაშავე შეინწყნარა.* 2. დაჯერება, გაგონება (2). *მისი ნათქვამი არ შეინწყნარა.*

შენწყობა *შენწყობის* (შეანწყობს, შეინწყობს, შეუნწყობს, შეენწყობა) 1. ბევრის შედება. *წიგნები კარადაში შეანწყო.* 2. შეგუება, შეთანხმება. *ხასიათი შეუნწყო. მეგობარს კარგად შეენწყო.*

შენწყობილი *შენწყობილის* 1. რაც შეანწყვეს ან შეუნწყვეს. *თაროზე შენწყობილი ჭურჭელი.* 2. ურთიერთშეთანხმებული. *შენწყობილი მოქმედება.*

შეჭამანდი *შეჭამანდის* მარცვლეულის, ხორცეულისა და მისთ. წვნიანი საჭმელი. *ლობიოს შეჭამანდი.*

შეჭანჭყარება *შეჭანჭყარების* (შეაჭანჭყარებს, შეჭანჭყარდება) ნაკლული ჭურჭლის შენჯღრევა, ჭანჭყარის დაწყება. *ბოთლი შეაჭანჭყარა.*

შეჭარხლება *შეჭარხლების* (შეჭარხლდება, შეუჭარხლდება) ცოტათი აჭარხლება. *სახე შეუჭარხლდა.*

შეჭენება *შეჭენების* (შეაჭენებს, შეჭენდება) ჭენებით შესვლა. *ცხენი ეზოში შეაჭენა.*

შეჭეჭყვა *შეჭეჭყვის* (შეჭეჭყვას, შეიჭეჭყება, შეეჭეჭყება) გვერდიდან დაჭეჭყვა, შიგნით შეჭყლეტა. *მანქანას გვერდი შეეჭეჭყა.* ■ შეჭეჭყილი რაც შეიჭეჭყა. *შეჭეჭყილი კარი.*

შეჭვარტვლა *შეჭვარტვლის* (შეჭვარტლავს, შეიჭვარტლება, შეეჭვარტლება) ჭვარტლით დაფარვა, გაჭვარტვლა. *ჭერი შეიჭვარტლა.* ■ შეჭვარტლული რაც შეიჭვარტლა. *შეჭვარტლული კედლები.*

შეჭვრეტა *შეჭვრეტის* (შეიჭვრეტს, შეიჭვრიტება) პატარა, ვიწრო ნაპრალიდან, ჭუჭრუტანიდან ან მოფარებული ადგილიდან სადმე შეხედვა (1). *ოთახში შეიჭვრიტა.*

შეჭიდება *შეჭიდების* (შეაჭიდებს, შეეჭიდება) 1. ჭიდაობის გამართვა. *შეჭიდება ვერ გაბედა.* 2. გადატ. ძალიან რთული, ძნელი საქმის დაწყება. *დიდ სამუშაოს შეეჭიდა.*

შეჭიკჭიკება *შეჭიკჭიკების* (შესჭიკჭიკებს, შეაჭიკჭიკებს, შეჭიკჭიკდება) 1. ჭიკჭიკით გალობა, შეძახება. *ბულბული ვარდს შესჭიკჭიკებს.* 2. გადატ. მცირედ დათრობა, კარგ ხასიათზე დადგომა. *ღვინომ შეაჭიკჭიკა. სტუმრები შეჭიკჭიკდნენ.* ■ შეჭიკჭიკებული ვინც შეჭიკჭიკდა (2). *შეჭიკჭიკებული თამადა. კარგად შეჭიკჭიკებული იყო.*

შეჭირვება *შეჭირვების* (შეაჭირვებს, შეჭირვდება) ძვ. შენუხება, გაჭირვება.

შეჭირვებული *შეჭირვებულის* ძალიან შენუხებული, უკიდურესად გაჭირვებული. *სილარიბით შეჭირვებული. შეჭირვებული ავადმყოფი.*

შეჭირხვლა *შეჭირხვლის* (შეჭირხლავს, შეიჭირხლება) ჭირხლის მოდება, ჭირხლით დაფარვა. *მინდორი შეიჭირხლა.* ■ შეჭირხლული რაც შეიჭირხლა. *შეჭირხლული ბალახი.*

შეჭკნობა *შეჭკნობის* (შეაჭკნობს, შეჭკნება, შეაჭკნება) ცოტათი დაჭკნობა. *კვირტები შეჭკნა.*

შეჭმა *შეჭმის* (შეჭამს, შეუჭამს, შეიჭმება, შეაჭმევს) 1. დაღეჭვა და გადაყლაპვა. *ხორცი შეჭამა. საჭმელი შეუჭამა.* 2. გადატ. განადგურება, დაშლა, გაფუჭება. *რკინა ჟანგმა შეჭამა. ავეჯი ჭუჭყმა შეჭამა.* 3. გადატ. უკანონოდ, არადანიშნულებით დახარჯვა, მითვისება. *მთელი ქონება შეჭამა.*

შეჭმუხნა *შეჭმუხნის* (შეჭმუხნის, შეიჭმუხნის, შეიჭმუხნება, შეეჭმუხნება) შუბლის, სახის ნაკვთების, წარბების შეკვრა. *უსიამოვნოდ შეიჭმუხნა.* ■ შეჭმუხნილი ვინც ან რაც შეიჭმუხნა. *შეჭმუხნილი იჯდა.*

შეჭოჭმანება *შეჭოჭმანების* (შეჭოჭმანდება) ჭოჭმანის დაწყება. *კაცი შეჭოჭმანდა.*

შეჭრა *შეჭრის* (შეჭრის, შეაჭრის, შეიჭრის, შეუჭრის, შეიჭრება, შეეჭრება, შეაჭრევინებს) 1. მჭრელი იარაღით პატარა ნაწილის მოკვეთა, მოცილება. *თუთიყუშს ფრთები შეაჭრა. თმა შეიჭრა.* 2. სწრაფად, ერთბაშად შევარდნა, შესვლა. *მტერი სოფელში შეიჭრა.* 3. სენის, ავადმყოფობის ორგანიზმში შესვლა, შეღწევა. *ინფექცია შეეჭრა.* ■ შეჭრილი ვინც ან რაც შეიჭრა. *უკანონოდ შეჭრილი პირები.*

შეჭყეტა *შეჭყეტის* (შეაჭყეტს, შეიჭყიტება) 1. ჭყეტით, გაფაციცებით ვინმესთვის ან რაიმესთვის შეხედვა. *თვალები შეაჭყიტა.* 2. სახელდახელოდ, უცებ დასანახად სადმე შეხედვა. *ოთახში შეიჭყიტა.*

შეჭყლეტა *შეჭყლეტის* (შეჭყლეტს, შეიჭყლიტება, შეეჭყლიტება) გვერდის დაჭყლეტა, შეზნექა. *მანქანას კარი შეეჭყლიტა.* ■ შეჭყლეტილი რაც შეჭყლიტეს ან შეიჭყლიტა. *შეჭყლეტილი ცხვირი.*

შეხამება *შეხამების* (შეახამებს, შეუხამებს, შეეხამება) შერჩევა ისე, რომ ერთმანეთს უხდებოდნენ, ენყობოდნენ, ეფარდებოდნენ, შესაფერისის მონახვა. *ფერების შეხამება. კაბა და ფეხსაცმელი ერთმანეთს შეუხამა.* ■ შეხამებული რაც შეუხამეს. *შეხამებული ინტერიერი.*

შეხანხლა *შეხანხლის* (შეხანხლავს) დაუდევრად, ცუდად შეწვა. *კვერცხი შეხანხლა.*

შეხარბება *შეხარბების* (შეახარბებს, შეეხარბება) შურის აღძრა, შეშურება. *მეგობრის წარმატება შეეხარბა.*

შეხება *შეხების* (შეახებს, შეიხებს, შეეხება) 1. ხელის, თითისა და მისთ. ოდნავ მიდება, მიკარება. *ბავშვს ფრთხილად შეეხო. ტოტს ჯოხი შეახო.* 2. ყურადღების გამახვილება, აღნიშვნა. *მომხსენებელი*

*მთავარ საკითხს შეეხო.* 3. ვინმესთან ან რაიმესთან დაკავშირება. *ეს მე არ მეხება. ახალი კანონი ყველას შეეხება.*

**შეხედვა** *შეხედვის* (შეხედავს, შეიხედავს) I. მზერის მიპყრობა. *ეკრანს შეხედა. ოთახში შეიხედა.* 2. გადატ. დაკვირვება, ანონ-დაწონა, გაანალიზება. *შეეხედოთ, რა გამოვა.* ◉ **ერთი შეხედვით** პირველი შთაბეჭდილებით.

**შეხეთქება** *შეხეთქების* (შეახეთქებს, შეეხეთქება) მთელი ძალით დაჯახება, შენარცხება. *სკამი კედელს შეახეთქა. მთვრალი კარს შეეხეთქა.*

**შეხეტება** *შეხეტების* (შეეხეტება) უმიზნოდ, უსაქმოდ შესვლა. *სახლში შეეხეტა.*

**შეხვედრა** *შეხვედრის* (შეახვდრებს, შეხვდება) 1. პირისპირ ნახვა. *მოულოდნელი შეხვედრა. მეგობარი შეხვდა.* 2. თავის მოყრა, ერთად შეკრება. *კურსდამთავრებულთა შეხვედრა.* 3. რაიმეს გადატანა, შემთხვევა, თავს გადახდომა. *დიდი უსიამოვნება შეხვდა.* 4. პოვნა, ნანყდომა. *წიგნებში ძველი წერილები შეხვდა.* 5. მიგებება, დახვედრა. *სტუმრებს ჭიშკარში შეხვდა.* 6. საკუთრებაში გადაცემა, რგება. *ქონება თანაბრად შეხვდათ. მზითევში სახლი შეახვედრეს.* 7. იგივეა, რაც შეჯიბრება. *შეხვედრა ფრედ დამთავრდა. ორი გუნდი ერთმანეთს შეხვდა.*

**შეხვევა** *შეხვევის* (შეხვევს, შეახვევს, შეიხვევს, შეუხვევს, შეიხვევა, შეახვევინებს) 1. იგივეა, რაც გახვევა[2] (1). *წიგნი ქაღალდში შეახვია.* 2. სხეულის დაზიანებული ადგილის ბინტით, ნაჭრით შეკერა. *ჭრილობა შეუხვიეს.* 3. გახვევა[1], მიმართულების შეცვლა. *გვერდზე შეუხვია. მანქანამ სოფლისკენ შეუხვია.* ▪ შეხვეული რაც შეახვიეს. *შეხვეული მუხლი.*

**შეხვეწება** *შეხვეწების* (შეახვეწებს, შეეხვეწება) ხვეწნით მიმართვა, სხვისი გულისთვის თხოვნა. *ხატს შვილი შეახვეწა.*

**შეხვეწნა** *შეხვეწნის* (შეეხვეწება) ძლიერ თხოვნა, შეევედრება. *მეგობარს შეეხვეწა.*

**შეხვრეპა** *შეხვრეპის* (შეხვრეპს) ყლუპ-ყლუპით, ხმაურით დალევა. *ჩაი შეხვრიპა.*

**შეხიდება** *შეხიდების* (შეეხიდება) მხარში ამოდგომა, დახმარება, შეშველება. *მშობლებს შეეხიდა. მეზობლები შეეხიდნენ.*

**შეხიზვნა** *შეხიზვნის* (შეხიზნავს, შეიხიზნება, შეეხიზნება) დროებით საცხოვრებლად მისვლა, თავის შეფარება. *ოჯახი ნათესავებს შეეხიზნა. დევნილები ძველ შენობაში შეხიზნეს.* ▪ შეხიზნული ვინც შეიხიზნა. *შეხიზნული იყო.*

**შეხიცინება** *შეხიცინების* (შეუხიცინებს) ხიცინით გაღიზიანება, შეღიტინება. *ბავშვს შეუხიცინა.*

**შეხლა** *შეხლის* (შეახლის, შეეხლება) 1. დიდი ძალით მირტყმა, შეჯახება, შეხეთქება. *კედელს შეეხალა. დირეს თავი შეახალა.* 2. საუბრ. გადატ. ჩხუბი, კამათი. *მეზობლებთან შეხლას მოერიდა.*

**შეხლა-შემოხლა** *შეხლა-შემოხლის* აურზაური, არეულობა, ჩხუბი. *ქეიფი შეხლა-შემოხლით დამთავრდა.*

**შეხმატკბილება** *შეხმატკბილების* (შეახმატკბილებს, შეუხმატკბილებს, შეეხმატკბილება, შეხმატკბილდება) შეწყობა, საერთო ენის გამონახვა, გაგება. *მეზობლები შეეხმატკბილნენ ერთმანეთს.* ▪ შეხმატკბილებული ვინც ან რაც შეხმატკბილდა. *შეხმატკბილებული სიმღერა. შეხმატკბილებული წყვილი.*

**შეხმიანება** *შეხმიანების* (შეეხმიანება) I. შეძახება. *ეზოდან ბიჭები შეეხმიანნენ.* 2. მოკითხვა, ამბის კითხვა. *მეგობარს წერილით შეეხმიანა.*

**შეხმობა**[1] *შეხმობის* (შეახმობს, შეხმება, შეახმება, შეუხმება) ცოტათი გახმობა ან ზედ გახმობა. *ბალახი შეხმა. ეაზს ფოთლები შეახმა.*

**შეხმობა**[2] *შეხმობის* (შეიხმობს) შიგნიდან დაძახება ვინმეს შესაყვანად. *ოთახში შეიხმო.*

**შეხორცება** *შეხორცების* (შეახორცებს, შეუხორცებს, შეხორცდება, შეუხორცდება) ჭრილობის მორჩენა, მოშუშება, გამრთელება. *მალამომ ჭრილობა შეუხორცა.* ▪ შეხორცებული რაც შეხორცდა. *შეხორცებული იარა.*

**შეხოცვა**[1] *შეხოცვის* (შეახოცავს, შეიხოცავს) შეწმენდა, შემშრალება. *ხელები შეიხოცა.*

**შეხოცვა**[2] *შეხოცვის* (შეახოცავს) მსხვერპლად ქცევა, გაწირვა, შეკვლა. *მტერს უიარაღო ხალხი შეახოცეს.*

**შეხოხება** *შეხოხების* (შეახოხებს, შეხოხდება, შეახოხდება) ხოხვით შესვლა, ასვლა. *სახლში შეხოხდა. ბავშვი მამას შეახოხდა.*

**შეხრა** *შეხრის* (შეხრის, შეიხრის, შეუხრის, შეიხრება, შეახრევინებს) შიგნით, თავისკენ მოხრა. *ფეხი შეხარა.*

**შეხრაკვა** *შეხრაკვის* (შეხრაკავს, შეიხრაკება) იგივეა, რაც მოხრაკვა. *ხორცი შეხრაკა.* ▪ შეხრაკული რაც შეხრაკეს. *შეხრაკული ხახვი.*

**შეხრამუნება** *შეხრამუნების* (შეახრამუნებს) საუბრ. მადიანად, ხრამუნით შეჭმა. *ბავშვმა ტკბილეული შეახრამუნა.*

**შეხრიგინება** *შეხრიგინების* (შეახრიგინებს, შეხრიგინდება) ხრიგინით შესვლა ან შეტანა. *მანქანა ეზოში შეხრიგინდა. ურიკა შეახრიგინა.*

**შეხრუკვა** *შეხრუკვის* (შეხრუკავს, შეიხრუკება) იგივეა, რაც დახრუკვა. *ხორცი შეიხრუკა.*

**შეხრჩოლება** *შეხრჩოლების* (შეუხრჩოლებს) კვამლის საგანგებოდ შეშვება, დახრჩოლება. *მელას სოროში შეუხრჩოლეს.*

**შეხსენება** *შეხსენების* (შეახსენებს) დავიწყებულის ან გასაკეთებლის ვინმესთვის თქმა, გახსენება. *ლექსის დასაწყისი შეახსენეს. წამლის დალევა შეახსენა.*

**შეხსნა** *შეხსნის* (შეხსნის, შეიხსნის, შეუხსნის, შეიხსნება, შეეხსნება) I. ოდნავ გახსნა. *კარი შეხსნა. ჰალ-*

*სტუხი შეიხსნა.* 2. მოხსნა, მოძრობა, მოცილება. *ქამარი შეიხსნა. მძივი შეიხსნა.*

**შეხტომა** *შეხტომის* (შეხტება, შეახტება, შეუხტება) 1. ახტომა. *მაგიდაზე შეხტა.* 2. ახტომით შეჯდომა. *ცხენს შეახტა. მატარებელს შეახტნენ.* 3. ძლიერ შეკრთომა. *ხმაურზე შეხტა.* 4. ვინმესთან ძალით შევარდნა. *სახლში შეუხტნენ.*

**შეხუთვა** *შეხუთვის* (შეუხუთავს, შეეხუთება) ⊙ **სულს შეუხუთავს** ძალიან შეავიწროებს, შეზღუდავს.

**შეხუმრება** *შეხუმრების* (შეეხუმრება) ხუმრობით მიმართვა, გახუმრება. *ერთმანეთს შეეხუმრნენ.*

**შეხუმრებული** *შეხუმრებულის* ვინმესთან ხშირად ხუმრობით მოსაუბრე. *მამა და შვილი შეხუმრებული არიან.*

**შეხურება** *შეხურების* (შეახურებს, შეუხურებს, შეხურდება, შეუხურდება) 1. ცოტათი გახურება, გაცხელება. *ცეცხლმა შეახურა. ლოყები შეუხურდა.* 2. საუბრ. გადატ. გაჯავრებული ტონით საუბარი, ჩხუბი, დატუქსვა, გაბრაზება. *ბიჭი კარგად შეახურეს.*

**შეჯავრება** *შეჯავრების* (შეაჯავრებს, შეიჯავრებს, შესჯავრდება) იგივეა, რაც შეძულება. *იქაურობა შეაჯავრეს. სმა შეეჯავრა.*

**შეჯანჯღარება** *შეჯანჯღარების* (შეაჯანჯღარებს, შეჯანჯღარდება) ჯანჯღარის დაწყება, შენჯღრევა. *მძინარე შეაჯანჯღარეს. ავტობუსი შეჯანჯღარდა.*

**შეჯახება** *შეჯახების* (შეაჯახებს, შეეჯახება) იგივეა, რაც დაჯახება. *მანქანა ბოძს შეაჯახა. ერთმანეთს შეეჯახნენ.*

**შეჯახუნება** *შეჯახუნების* (შეაჯახუნებს, შეიჯახუნებს) შესვლისას ჯახუნით დახურვა. *კარი შეიჯახუნა.*

**შეჯგუფება** *შეჯგუფების* (შეაჯგუფებს, შეჯგუფდება) ჯგუფად შეკრება, შეგროვება. *ბავშვები შეჯგუფდნენ. ხალხი შეაჯგუფა.* ▪ **შეჯგუფებული** ვინც ან რაც შეჯგუფდა ან შეაჯგუფეს. *შეჯგუფებული სტუდენტები.*

**შეჯდომა** *შეჯდომის* (შეჯდება, შეაჯდება, შეუჯდება) ზევით ან ზევიდან დაჯდომა. *მამალი ქანდარაზე შეჯდა. ცხენს შეაჯდა.*

**შეჯერება** *შეჯერების* (შეაჯერებს, შეჯერდება) შედარება, შემოწმება, შესაბამისობაში მოყვანა. *თვალსაზრისები შეაჯერეს.*

**შეჯვარება** *შეჯვარების* (შეაჯვარებს, შეუჯვარებს, შეჯვარდება) სხვადასხვა ჯიშის ცხოველთა შეუღლება ან სხვადასხვა სახეობის მცენარეთა შერევა განაყოფიერების გზით ახალი, გაუმჯობესებული შთამომავლობის მისაღებად. *ყვავილების შეჯვარება. ძაღლები შეაჯვარეს.* ▪ **შეჯვარებული** რაც შეაჯვარეს. *შეჯვარებული ჯიშები.*

**შეჯიბრება** *შეჯიბრების* (შეაჯიბრებს, შეეჯიბრება) ორი ან მეტი ადამიანის, ჯგუფისა და მისთ. საქმიანობა, შერკინება ან თამაში უმჯობესის გამოსავლენად. *სპორტული შეჯიბრება. სწავლაში შეეჯიბრნენ.*

**შეჯირითება** *შეჯირითების* (შეაჯირითებს, შეჯირითდება) ჯირითით შესვლა. *მინდორზე შეჯირითდა. ცხენი შეაჯირითა.*

**შვავი** *შვავის* იგივეა, რაც ზვავი. *მთიდან შვავი მოდიოდა.*

**შვება** *შვების* დარდისგან, მძიმე ტვირთისგან გათავისუფლებით გამოწვეული განცდა. *შვება იგრძნო. ეს მისთვის შვება იყო.*

**შვებულება** *შვებულების* დროის გარკვეული მონაკვეთი (ჩვეულებრივ, რამდენიმე დღე ან კვირა), როდესაც ადამიანი თავისუფლდება სამსახურიდან დასვენების მიზნით. *ხანგრძლივი შვებულება. შვებულება აიღო.*

**შვეიცარი** *შვეიცრის* ზოგიერთი დაწესებულების (რესტორნის, სასტუმროსა და მისთ.) ან საცხოვრებელი სახლის კარისკაცი.

**შველა** *შველის* (შველის, ეშველება) 1. იგივეა, რაც მიშველება. *მეგობარმა უშველა.* 2. ავადმყოფის განკურნება, მორჩენა. *ეს წამალი ხველას შველის.* 3. გამოსწორება, გამოკეთება. *ამ საქმეს არაფერი ეშველება.*

**შველი** *შვლის* საშუალო ზომის, გარეული წყვილჩლიქოსანი, ირმის მსგავსი ცხოველი, მამალს აქვს პატარა, დატოტვილი რქები. *ტყეში შველი მომრავლდა.*

**შვენება** *შვენების* (შვენის) მოხდენა, ლამაზად მორგება. *კაბა ძალიან შვენის.*

**შვერილი** *შვერილის* გამოშვერილი, გამოწეული რამ. *კლდის შვერილი.*

**შვეული** *შვეულის* 1. იგივეა, რაც ვერტიკალური. *შვეული კლდე.* 2. ვერტიკალური მდგომარეობის შესამოწმებელი ხელსაწყო. *კედელი შვეულით გაასწორა.*

**შვეულმფრენი** *შვეულმფრენის* იგივეა, რაც ვერტმფრენი. *მთაში შვეულმფრენით ავიდნენ.*

**შვია** *შვიის* ერთწლოვანი ბალახოვანი მცენარე, მისი ბოჭკოს ნართისგან გრეხენ თოკს და ქსოვენ სატომრე ტილოს.

**შვიდასი** *შვიდასის* რიცხვი 700. *შვიდასი სული პირუტყვი.*

**შვიდი** *შვიდის* რიცხვი 7. *შვიდი ვარსკვლავი.*

**შვიდიოდე** *შვიდიოდეს* დაახლოებით შვიდი. *შვიდიოდე სტუმარი ჰყავდა.*

**შვილება** *შვილების* (იშვილებს) სხვისი შვილის თავის შვილად, მემკვიდრედ მიღება. *ბიჭი იშვილა.*

**შვილთაშვილი** *შვილთაშვილის* შვილიშვილის შვილი ან მისი მომდევნო თაობის წარმომადგენელი. *შვილთაშვილს მოესწრო.*

**შვილი** *შვილის* ადამიანი ან ცხოველი თავისი მშობლებისთვის. *უფროსი შვილი. შვილის მეგობარი.* ⊙ ვერაფერი შვილია! ვერ არის კარგი, მოსაწონი. ⊙ შვილად აიყვანს იშვილებს.

**შვილიანი** *შვილიანის* ვისაც შვილი ჰყავს. *შვილიანი ქალი.*

**შვილიანობა** *შვილიანობის* შვილების ყოლა. *ოჯახს შვილიანობა უსურვეს.*

**შვილიერება** *შვილიერების* შვილების გაჩენის უნარი. *შვილიერება ღვთის ნებაა.*

**შვილიშვილი** *შვილიშვილის* შვილის შვილი. *პაპა და შვილიშვილი.*

**შვილობილი** *შვილობილის* ვინც იშვილეს, შვილად აიყვანეს. *შვილობილის აღზრდა.*

**შვილოსნობა** *შვილოსნობის* შვილების გაჩენა, მშობიარობა. *ხშირი შვილოსნობა.*

**შვინდი** *შვინდის* იგივეა, რაც შინდი.

**შვინდისფერი** *შვინდისფრის* იგივეა, რაც შინდისფერი. *შვინდისფერი ჰალსტუხი.*

**შვიტა** *შვიტას* მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარე, აქვს ღეროს ირგვლივ განლაგებული პატარა ზომის ფოთლები, გამოიყენება სამკურნალოდ. *მინდვრის შვიტა.*

**შველპა** *შველპის* (იშველპს) ↑ მოშველპა. *ქუდს იშველპს.*

**შვრია** *შვრიის* 1. პურეული მცენარე, აქვს მოგრძო, მეტწილად კილში ჩამჯდარი მარცვალი, გამოიყენება ცხოველების საკვებად და საბურღულედ. *შვრიის ნამცხვარი.* 2. შვრიის (1) მარცვალი. *შვრია დათესეს.*

**შთაბერვა** *შთაბერვის* (შთაბერავს) იგივეა, რაც ჩაბერვა. ⊙ სულს შთაბერავს გააცოცხლებს, სიცოცხლის ძალას მისცემს.

**შთაბეჭდილება** *შთაბეჭდილების* ემოცია, განცდა, რომელსაც იწვევს ესა თუ ის მოვლენა, ფაქტი და მისთ. და რომელიც რჩება ადამიანის მეხსიერებაში. *ძლიერი შთაბეჭდილება. ბავშვობის შთაბეჭდილებები.*

**შთაგონება** *შთაგონების* (შთააგონებს) 1. განწყობილება, როდესაც ადამიანს შემოქმედების სურვილი უჩნდება. *პოეტური შთაგონება. შთაგონების წყარო.* 2. იგივეა, რაც ჩაგონება. *შვილს შთააგონა.* ▮ შთაგონებული რაც ან ვინც შთააგონეს. *ამ ლექსებით შთაგონებული.*

**შთამაგონებელი** *შთამაგონებლის* რაც შთაგონებას იწვევს. *შთამაგონებელი სიტყვა წარმოთქვა.*

**შთამბეჭდავი** *შთამბეჭდავის* ძალიან კარგი, შთაბეჭდილების მომხდენი. *შთამბეჭდავი ნახატი. შთამბეჭდავი მუსიკა.*

**შთამომავალი** *შთამომავლის* შვილი, შვილიშვილი ან შემდგომი თაობის წარმომადგენელი. *მეფის შთამომავალი.*

**შთამომავლობა** *შთამომავლობის* (კრებ.) შთამომავლების ერთობლიობა. *დიდი შთამომავლობა დარჩა.*

**შთანერგვა** *შთანერგვის* (შთაუნერგავს, შთაინერგება, შთაუნერგება) ნიგნ. ჩანერგვა. *სამშობლოს სიყვარული შთაუნერგეს.*

**შთანთქმა** *შთანთქმის* (შთანთქავს, შთაინთქმება) 1. სწრაფად, ერთბაშად გადაყლაპვა, ჩაყლაპვა. *საჭმელი შთანთქა.* 2. ნიგნ. მთლიანად ჩაძირვა, გაქრობა, გაუჩინარება. *ზვავმა შთანთქა. წყალში შთაინთქა.* 3. სითხის, აირისა და მისთ. შეწოვა, შესუნთქვა. *ჟანგბადს შთანთქავს.* ▮ შთანთქმული რაც შთაინთქა. *შთანთქმული ენერგია.*

**შიბაქი** *შიბაქის* აკვნის მონყობილობის ნაწილი – შარდის სადენი ხის პატარა მილი.

**შიგ** ზმნზ. შიგნით, სიღრმეში. *ნიგნი შიგ ჩადო.*

**შიგა** *შიგას* შიგნით მდებარე, მოთავსებული. *შიგა მხარე. შიგა მონყობილობა.*

**შიგადაშიგ** ზმნზ. 1. ზოგან, ალაგ-ალაგ. *შიგადაშიგ ტყე გაკაფული იყო.* 2. გადატ. ზოგჯერ, ხანდახან. *შიგადაშიგ გვესტუმრება ხოლმე.*

**შიგთავსი** *შიგთავსის* რაიმეს შიგნით მოთავსებული ნივთიერება, მასა და მისთ. *კვერცხის შიგთავსი. ღვეზელის შიგთავსი.*

**შიგნეული** *შიგნეულის* ადამიანის, ცხოველის გულმკერდსა და მუცლის ღრუში მოთავსებული ორგანოები. *შიგნეული დაუზიანდა.*

**შიგნეულობა** *შიგნეულობის* იგივეა, რაც შიგნეული. *შიგნეულობა ეწვის.*

**შიგნით** ზმნზ. შიგ, შიგა მხარეს. *შიგნით შეიტანა. შიგნით ცხელა.* ↔ გარეთ.

**შიგნითა** *შიგნითას* შიგნით მდებარე, მყოფი, არსებული. *შიგნითა მხარე.*

**შიდა** *შიდას* შიგნით მდებარე, შიგნით მოქმედი. *შიდა ტერიტორია. შიდა კონტროლი.*

**შიდსი** *შიდსის* მძიმე ინფექციური დაავადება – შეძენილი იმუნური დეფიციტის სინდრომი. *შიდსით ინფიცირებული.*

**შიზოფრენია** *შიზოფრენიის* მედიც. ფსიქიკური დაავადება, ახასიათებს პიროვნების მთლიანობის დარღვევა, რაც ვლინდება უცნაურ ქმედებებსა და აზროვნებაში. *შიზოფრენიის სიმპტომები.*

**შიკრიკი** *შიკრიკის* 1. იგივეა, რაც კურიერი. 2. ძვ. პირი, რომელსაც ვინმესთან გზავნიდნენ ამბის ან წერილის გადასაცემად. *მეფის შიკრიკი.*

**შილა** *შილის* ერბოთი და მწვანილით შეზავებული ბრინჯის (ან ფეტვის) კერძი. *შილა შემოიტანეს.*

**შილაფლავი** *შილაფლავის* ცხერის ხორცით დამზადებული ფლავი. *ცხელი შილაფლავი.*

**შიმპანზე** *შიმპანზის* მაიმუნის სახეობა, ყველაზე მეტად ჰგავს ადამიანს. *შიმპანზის გალია.*

შიმშა *შიმშის* ხელოსნის სამუშაო იარაღი – ხის გრძელი სწორკიდეებიანი ფირფიტა, რომელსაც სახაზავად, საზომად იყენებენ. *კალატოზის შიმშა.*

შიმშილი *შიმშილის* (შია) განცდა, რომელსაც ინვევს უჭმელად ყოფნა. *შიმშილისგან გახდა. შიმშილმა შეაწუხა.*

შიმშილობა *შიმშილობის* (შიმშილობს, აშიმშილებს) ხანგრძლივი შიმშილი, უჭმელად ყოფნა. *შიმშილობა გამოაცხადა. ხალხი შიმშილობს.*

შინ ზმნზ. თავის სახლში, თავის ბინაში. *მთელი დღე შინ იყო.*

შინაარსი *შინაარსის* 1. ტექსტში, თხზულებაში, წერილსა და მისთ. გადმოცემული ამბავი. *მოთხრობის შინაარსი. საუბრის შინაარსი. მოკლე შინაარსი.* 2. იგივეა, რაც არსი. *შინაარსით დემოკრატიული კანონმდებლობა.* 3. იგივეა, რაც სარჩევი. *შინაარსი ბოლოში ერთვის.*

შინაარსიანი *შინაარსიანის* კარგი შინაარსის (1, 2) მქონე, აზრიანი. *შინაარსიანი დიალოგი. შინაარსიანი ცხოვრება.* ▲ შინაარსიანად ზმნზ. აზრიანად, გონივრულად. *დღე შინაარსიანად გაატარა.*

შინაბერა *შინაბერას* ქალი, რომელიც გაუთხოვარი დარჩა. *შინაბერასავით წუწუნებს.*

შინაგანაწესი *შინაგანაწესის* იგივეა, რაც განაწესი. *შინაგანაწესი დაარღვია.*

შინაგანი *შინაგანის* 1. შიგნით არსებული. *შინაგანი ორგანოები.* 2. ადამიანის ფსიქიკაში არსებული, დაფარული, არათვალსაჩინო. *შინაგანი ბუნება. შინაგანი განცდები.*

შინამოსამსახურე *შინამოსამსახურის* საშინაო საქმეების შესასრულებლად დაქირავებული მოსამსახურე.

შინამრეწველობა *შინამრეწველობის* პროდუქციის წარმოება ცალკეულ წერილ მეწარმეთა ან ხელოსანთა მიერ. *საქართველოს შინამრეწველობა.*

შინაომი *შინაომის* სამოქალაქო ომი. *შინაომებისგან დასუსტებული ქვეყანა.*

შინაური *შინაურის* 1. შინ გაზრდილი, შინ მოშენებული. *შინაური ცხოველები. შინაური იხვი.* 2. ახლობელი, ნათესავი, ოჯახის წევრი. *სადილ ზე მხოლოდ შინაურები ვიყავით.* 3. ოჯახში დამზადებული. *შინაური ღვინო.*

შინაურული *შინაურულის* ახლობლური, ნათესაური. *შინაურული საუბარი. შინაურული გადაწყვეტილება.* ▲ შინაურულად ზმნზ. როგორც შინაურს შეეფერება, ახლობლურად, უბრალოდ. *სუფრა შინაურულად გაშალეს. შინაურულად მოილაპარაკეს.*

შინდი *შინდის* 1. მუქი წითელი ფერის, მოგრძო, კურკიანი, მომჟავო-მოტკბო ხილი. *შინდის მურაბა.* 2. დაბალი ან საშუალო სიმაღლის ხე, რომელიც შინდს (1) ისხამს, აქვს წაგრძელებული ფორმის ფოთლები და ყვითელი ყვავილები.

შინდისფერი *შინდისფრის* მუქი წითელი. *შინდისფერი პალტო. შინდისფერი მანქანა.*

შინი *შინის* ქართული ანბანის ოცდამეხუთე ასოს (შ-ს) სახელწოდება.

შირმა *შირმის* მოძრავი დასაკეცი ტიხარი. *ჩინური შირმა.*


შირმა

შიფრი *შიფრის* 1. პირობით ნიშანთა სისტემა საიდუმლო წერისთვის. 2. სარეგისტრაციო პირობითი ნიშანი წიგნებზე, ხელნაწერებზე, დოკუმენტებსა და მისთ. *ინდივიდუალური შიფრი.*

შიშველა *შიშველას*||შიშველი. *შიშველა ტანი. შიშველა ხელებით.*

შიშველი *შიშვლის* 1. ვისაც არაფერი აცვია; რაზეც არაფერი აცვიათ. *შიშველი ბავშვი. შიშველი ფეხები.* 2. გადატ. რაც მცენარეებით, ფოთლებით არ არის დაფარული. *შიშველი ფერდობი. შიშველი ტოტები.*

შიშველ-ტიტველი *შიშველ-ტიტვლის* ჩაუცმელი, ღარიბულად ჩაცმული. *ცოლ-შვილი შიშველ-ტიტველი ჰყავს.*

შიში *შიშის* (ეშინია) საფრთხის მოლოდინით გამოწვეული მძიმე გრძნობა. *შიში დაეუფლა. ძლიერმა შიშმა მოიცვა. ძაღლის ეშინია.* ⊙ შიში აიტანს. ძლიერი შიშის გრძნობა დაეუფლება. ⊙ შიში ჭამა შეეშინდა. ⊙ შიშის ზარი დაეცემა ძალიან შეეშინდება.

შიშინი *შიშინის* (შიშინებს) ადულებამდე მისული წყლის მიერ გამოცემული ხმა (ჩვეულებრივ, თავდახურულ ჭურჭელში). *შიშინი ისმის. ჩაიდანი შიშინებს.*

შიშნარევი *შიშნარევის* რასაც შიში ეტყობა, რაშიც შიში ჩანს. *შიშნარევი საუბარი. შიშნარევი ქცევა.*

შიშნაჭამი *შიშნაჭამის* ძლიერ შეშინებული, შიშდაჩნეული. *შიშნაჭამი ბავშვები.*

შიშხინა *შიშხინას* რაც შიშხინებს. *შიშხინა მწვადი.*

შიშხინი *შიშხინის* (შიშხინებს) ცხიმში რაიმეს წვისას (2) გამოცემული ხმა.

შლა *შლის* (შლის, იშლის, უშლის, იშლება, ეშლება, აშლევინებს) 1. ↑ გაშლა. *ხელების შლა დაიწყო.* 1. ↑ დაშლა. *წასვლას არ უშლის.*

შლაგბაუმი *შლაგბაუმის* გზის გადასაკეტი მოწყობილობა რკინიგზის გადასასვლელებთან ან საკონტროლო-გასაშვებ პუნქტებთან. *შლაგბაუმის ძელი.*


შლაგბაუმი

შლაგერი *შლაგერის* მოდური საესტრადო სიმღერა, პოპულარული მელოდია. შეცდომაა შლიაგერი

შლაკი *შლაკის* რკინის მადნის გადამუშავებისას

მიღებული ქვიშისებური მასა, გამოიყენება მშენებლობაში. *შლაკის ბლოკები.*

შლამი *შლამის* მდინარეების ან ნიაღვრის ჩამონატანი ფხვიერი მასა, რომელიც ორგანულ ნივთიერებებს შეიცავს, გამოიყენება სასუქად. *შლამი დაგროვდა.* ▮ შლამიანი შლამის შემცველი, შლამით დაფარული. *შლამიანი ნიადაგი.*

შლანგი *შლანგის* წყალგაუმტარი მასალისგან დამზადებული მოქნილი მილი წყლის, აირის მისაწოდებლად. *რეზინის შლანგი. პლასტმასის შლანგი.*

შლაპა *შლაპის* ქალის ან მამაკაცის ფართოფარფლებიანი ქუდი. *ჩალის შლაპა.* შეცდომაა შლიაპა

შლაპაშლუპი *შლაპაშლუპის* იგივეა, რაც შლაპუნი.

შლაპუნი *შლაპუნის* დრეკადი საგნის ჰაერში ქნევისას ან რაიმეზე დარტყმისას გამოცემული ხმა. *წკეპლის შლაპუნი.*

შლეგი *შლეგის* გიჟი, გადარეული. *შლეგი ცხენი. შლეგი ხასიათი.*

შმაგა *შმაგას* მრავალწლოვანი შხამიანი მცენარე, აქვს მსხვილი, მოკლეყუნწიანი ფოთოლი, მოისფრო ყვავილი და მრგვალი, წვნიანი ნაყოფი, გამოიყენება სამკურნალოდ. *შმაგას ნაყენი.*

შმაგი *შმაგის* I. ძალიან გაბრაზებული, გაგიჟებული, გაცოფებული. *შმაგი მიჯნური. შმაგი ძაღლი.* 2. გადატ. მღელვარე, აზვირთებული. *შმაგი მდინარე. შმაგი ტალღები.*

შმორი *შმორის* ⊙ **შმორის სუნი** უსიამოვნო სუნი, რომელიც ასდის დანესტიანებულ ნივთებს ან დამდგარ წყალს.

შმუშვნა *შმუშვნის* (იშმუშნის, იშმუშნება) ↑ შეშმუშვნა. *ბავშვი იშმუშნება. სახე შეეშმუშნა.*

შნო *შნოს* რაიმეს გაკეთების უნარი, მოხერხება. *არაფრის შნო არა აქვს.*

შნოიანი *შნოიანის* I. ვისაც შნო აქვს, მოხერხებული. *შნოიანი კაცი.* 2. ლამაზი. *შნოიანი აღნაგობა.*

შობა *შობის* (შობს, იშვება) 1. დაბადება, გაჩენა. *მისგან იშვა ყოველი.* 2. ქრისტიანული დღესასწაული – იესო ქრისტეს დაბადების დღე, მართლმადიდებლური სამყარო აღნიშნავს 7 იანვარს, კათოლიკური – 25 დეკემბერს. *შობის წირვას დაესწრნენ.*

შობა-ახალწელიწადი *შობა-ახალწელიწადის* შობა (2) და ახალი წელი. *ბედნიერი შობა-ახალწელიწადი გაგთენებოდეთ!*

შოვინიზმი *შოვინიზმის* რეაქციული იდეოლოგია და პოლიტიკა, რომელიც აღვივებს ნაციონალურ სიძულვილსა და შუღლს. *შოვინიზმით გამსჭვალული.*

შოვინისტი *შოვინისტის* ადამიანი, რომელიც თავისი ერის უპირატესობას აღიარებს და სხვა ხალხების სიძულვილს აღვივებს.

შოვინისტური *შოვინისტურის* შოვინიზმის დამახასიათებელი. *შოვინისტური იდეები.*

შოვნა *შოვნის* (იშოვის, უშოვის, იშოვება, აშოვნინებს) მოპოვება, შეძენა. *სამსახური იშოვა. მოსაწვევი უშოვა. წიგნი აშოვნინა.*

შოთი *შოთის* თონეში გამომცხვარი გრძელი პური. *ცხელი შოთი.*

შოთი

შოკი *შოკის* ორგანიზმის სპეციფიკური მდგომარეობა, რომელსაც ინვევს ფიზიკური ან ფსიქიკური ტრამვა. *ძლიერი შოკი აქვს. შოკში ჩავარდა.*

შოკოლადი *შოკოლადის* კაკაოსგან დამზადებული საკონდიტრო ნაწარმი. *შოკოლადის კანფეტი.*


შოკოლადი

შოლტი *შოლტის* ტყაეის ნვრილი ზოლების წნული, რომელსაც ხის ტარი აქვს, იყენებენ პირუტყვის გასარეკად. *მწყემსის შოლტი.*

შორეთი *შორეთის* რაც შორსაა, შორი ქვეყანა, შორი მხარე. *შორეთს გახედა. შორეთში ეგულებოდა.*

შორეული *შორეულის* I. შორს მყოფი, შორს მდებარე. *შორეული მთები. შორეული საგნები.* 2. არაახლობელი. *შორეული ნათესავი. შორეული ბიძაშვილი.* 3. დიდი დროით დაცილებული. *შორეული წარსული. შორეული მომავალი.*

შორი *შორის* I. სივრცეში დიდად დაცილებული. *შორი ტყეები. შორი ჰორიზონტი.* 2. გრძელი, დიდი. *შორი გზა. შორი მანძილი.*

შორიახლო I. ზმნზ. იქვე, არც ძალიან ახლოს, არც შორს. *ბავშვები შორიახლო დარბოდნენ.* 2. თანდ. ფუნქც. (+ ნათ.) ვინმეს ან რაიმეს მახლობლად. *ტყის შორიახლო სახლი დგას.*

შორიახლოს ზმნზ.||შორიახლო. *შორიახლოს ცხოვრობდა.*

შორის თანდ. (+ მიც.) I. შუაში. *ცასა და მიწას შორის. მერხებს შორის.* 2. ჯგუფის, საზოგადოებისა და მისთ. შიგნით. *მეგობრებს შორის გაუგებრობა მოხდა. ორგანიზაციებს შორის დადებული ხელშეკრულება.*

შორისდებული *შორისდებულის* გრამატ. მეტყველების ნაწილი, რომელიც გამოხატავს გრძნობას, ნება-სურვილს, ემოციურ დამოკიდებულებასა და მისთ.

შორიშორ ზმნზ. ერთმანეთისგან მოშორებით, დაშორებით. *შორიშორ იდგნენ.*

შორიშორს ზმნზ.||შორიშორ. *შორიშორს ცხოვრობენ. სახლები შორიშორს იდგა.*

შორს ზმნზ. შორ მანძილზე, დიდი მანძილის იქით. *შორს ცხოვრობს. შორს მიდიან.* ↔ ახლოს.

შორსმჭვრეტელი *შორსმჭვრეტელის* ვინც წინას-

წარ სწორად აფასებს, განჭვრეტს მომავალს. *შორსმჭვრეტელი პოლიტიკოსი.*

**შორსმხედველი** *შორსმხედველის* ვინც ახლოს კარგად ვერ ხედავს.

**შორტი** *შორტის* მოკლეტოტებიანი შარვალი. *შორტი აცვია.*

**შოუ** *შოუს* ეფექტური სანახაობრივი წარმოდგენა, ჩვეულებრივ, გადაიცემა ტელევიზიით ან რადიოთი. *შოუ მოაწყო. შოუს წამყვანი.*

**შოუბიზნესი** *შოუბიზნესის* კომერციული საქმიანობა, რომელიც დაკავშირებულია საესტრადო სანახაობების მოწყობასთან.

**შოფერი** *შოფრის* იგივეა, რაც მძღოლი. *ტაქსის შოფერი.*

**შოშია** *შოშიის* მგალობელი ფრინველი, აქვს თეთრად დაწინწკლული მოშავო ბუმბული. *შოშიის ბუდე. შოშიის ბარტყი.*

**შპალერი** *შპალერის* დეკორატიული ქაღალდის ფართო ზოლები, რომლებსაც ოთახის კედლებზე აკრავენ. *წყალგამძლე შპალერი.* შეცდომაა შპალიერი

**შპალი** *შპალის* ხის ან ბეტონის ძელი, რომელიც სხვა ძელების პარალელურად არის დაგებული რკინიგზის ლიანდაგზე. *შპალები დააგეს.*

**შპიონაჟი** *შპიონაჟის* იგივეა, რაც ჯაშუშობა.

**შპიონი** *შპიონის* იგივეა, რაც ჯაშუში. *შპიონი დაიჭირეს.*

**შპრიცი** *შპრიცის* სამედიცინო ინსტრუმენტი – სპეციალური დგუშიანი ცილინდრი, რომელზეც სამედიცინო ნემსია წამოგებული, იყენებენ ორგანიზმში წამლის შესაყვანად ან სისხლის სინჯის ასაღებად. *ერთჯერადი შპრიცი.*

**შრატი** *შრატის* I. სითხე, რომელიც რჩება რძიდან ყველის ან ხაჭოს ამოყვანის შემდეგ. *შრატი დალია.* 2. პრეპარატი, რომელიც სისხლისა და ლიმფისგან მზადდება. *ცოფის საწინააღმდეგო შრატი.*

**შრე** *შრის* იგივეა, რაც ფენა[2] (1). *მიწის ქვედა შრე.*

**შრეში** *შრეშის* I. მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარე, აქვს მოგრძო ფოთლები, მაღალი ღერო და მოყვითალო ყვავილები, იხმარება მხლად. 2. შრეშის (1) ფესვებისგან დამზადებული ფხვნილი. 3. შრეშისგან (2) დამზადებული ნებო. *შრეშით დააწება.*

**შრიალა** *შრიალას* რასაც შრიალი ახასიათებს, რაც შრიალებს. *შრიალა ფოთლები.*

**შრიალი** *შრიალის* (შრიალებს) ფოთლის, ქაღალდის, ქსოვილისა და მისთ. რხევისას, მოძრაობისას სპეციფიკური ხმის გამოცემა. *ფარდის შრიალი. ფოთლები შრიალებენ.*

**შრიფტი** *შრიფტის* ამა თუ იმ დამწერლობის გრაფიკულ ნიშანთა ერთობლიობა, რომელიც იქმნება ტექსტის დასაბეჭდად. *სტანდარტული შრიფტი.*

**შრობა** *შრობის* (აშრობს, იშრობს, უშრობს, შრება, აშრება, უშრება) I. ↑ გაშრობა. *თეთრეული მზეზე შრება. თმას ვიშრობ.* 2. ↑ გამოშრობა. *მზე კანს აშრობს.*

**შრომა** *შრომის* (შრომობს) I. ადამიანის ფიზიკური ან გონებრივი მოქმედება, მუშაობა. *შრომის შედეგი. ბევრს შრომობს.* 2. იგივეა, რაც ნაშრომი (2). *მეცნიერული შრომა.*

**შრომატევადი** *შრომატევადის* რის გაკეთებასაც დიდი შრომა, ძალისხმევა სჭირდება. *შრომატევადი სამუშაო.*

**შრომისმოყვარე** *შრომისმოყვარის* შრომის მოყვარული, ბეჯითი. *შრომისმოყვარე ახალგაზრდა.*

**შრომისმოყვარეობა** *შრომისმოყვარეობის* შრომის სიყვარული, სიბეჯითე. *თავისი შრომისმოყვარეობით ბევრს მიაღწევს.*

**შროშანა** *შროშანას* ბალახოვანი მცენარე, იკეთებს თეთრ, სურნელოვან, ზარის ფორმის ყვავილებს და წითელ კენკროვან ნაყოფს, გამოიყენება სამკურნალოდ.

**შროშანი** *შროშნის* მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარე, აქვს დიდი თეთრი, ყვითელი ან მონარინჯისფრო ყვავილები, იკეთებს ბოლქვს.

**შტაბი** *შტაბის* ჯარის მმართველი ორგანო. *შტაბის უფროსი. გენერალური შტაბი.*

**შტამპი** *შტამპის* I. ბეჭედი დაწესებულების, ორგანიზაციის სახელწოდებით. *შტამპი დაარტყა.* 2. ლითონის ყალიბი, რომელიც გამოიყენება დეტალების ან საგნების მოსაჭრელად. ■ შტამპიანი რასაც შტამპი (1) აქვს. *შტამპიანი ქაღალდი.*

**შტანგა** *შტანგის* I. სპორტული იარაღი – ლითონის კეტი, რომლის ბოლოებზე წამოცმულია ლითონისავე მძიმე დისკოები. *შტანგა ჩამოვარდა.* 2. ფეხბურთის კარის ბოძი. *ბურთი შტანგას მოხვდა.* 3. ტროლეიბუსის თავზე გამართული დენმიმღები, რომლის ბოლო ეხება საკონტაქტო სადენს.

**შტატი** *შტატის* I. დაწესებულების, ორგანიზაციის თანამშრომელთა მუდმივი შემადგენლობა. *შტატში აიყვანეს. შტატები გაზარდეს* ა. 2. ადგილობრივი მმართველობის მქონე ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული ზოგიერთ ქვეყანაში.

**შტატივი** *შტატივის* I. დასაკეცი სამფეხა სადგამი ფოტოაპარატების, გეოდეზიური ინსტრუმენტებისა და მისთ. საყრდენად. *კინოკამერის შტატივი.* 2. ლაბორატორიული ჭურჭლის სადგამი. *კოლბის შტატივი.*

**შტეკერი** *შტეკერის* ელექტრონული სადენების შემაერთებელი მოწყობილობა. *კომპიუტერის შტეკერი.*

**შტერი** *შტერის* უჭკუო, სულელი. *შტერი ბავშვი.*

**შტეფსელი** *შტეფსელის* ელექტრულ ქსელში სადენის ჩასართავი მოწყობილობა. *შტეფსელში შეაერთა.*

**შტო** *შტოს* 1. იგივეა, რაც ტოტი (1). *ბლის შტო.* 2. ძირითადი გენეალოგიური ხაზის (გვარის) განაყოფი. *ორბელიანთა შტო.*

**შტორმი** *შტორმის* ქარიშხალი ზღვაზე. *შტორმი ამოვარდა.*

**შტოში** *შტოშის* 1. წითელი, წვრილი და მჟავე ხილი. *შტოშის მურაბა.* 2. მარადმწვანე, წვრილტოტება, გართხმული ბუჩქი, რომელიც ისხამს შტოშს (1). *შტოში აყვავდა.*

**შტრიხი** *შტრიხის* 1. ხაზი, რომელიც არის ნახატის, სურათის მთავარი ელემენტი. *ღია ფერის შტრიხი.* 2. გადატ. ვინმეს ან რაიმეს დამახასიათებელი თვისება, მცირე დეტალი. *ხასიათის შტრიხი.*

**შტრიხკოდი** *შტრიხკოდის* გასაყიდად განკუთვნილ საქონელზე გაკეთებული სპეციალური ნიშანი, რომელშიც საჭირო ინფორმაცია კოდირებულია სხვადასხვა სისქისა და ერთმანეთისგან სხვადასხვა მანძილზე განლაგებული შავი ზოლების, შტრიხების საშუალებით.

**შტურვალი** *შტურვალის* გემის, თვითმფრინავისა და მისთ. საჭე. *შტურვალს ატრიალებს.*

**შტურმანი** *შტურმანის* სპეციალისტი, რომელიც განსაზღვრავს გემის, წყალქვეშა ნავის, თვითმფრინავისა და მისთ. კურსს, მიმართულებას.

**შტურმი** *შტურმის* ძლიერი შეტევა, იერიში. *ქალაქი შტურმით აიღეს.*

**შუა** *შუის* 1. კიდეებიდან, ბოლო მონაკვეთებიდან თანაბარი მანძილით დაშორებული. *შუა ეზო. შუა ქალაქში. ფარდის შუა ნაწილი.* 2. დროის საწყისი და ბოლო მონაკვეთებიდან თანაბრად დაშორებული. *შუა კვირა. შუა სემესტრი.* 3. თანდ. ფუნქც. (+ მიც.) შორის. *სკოლასა და ბაღს შუა მოედანია.*

**შუაგული** *შუაგულის* 1. რაიმეს შუა ნაწილი, ადგილი. *შუაგულ ტბაში შეცურა. ოთახის შუაგულში იდგა.* 2. დროის შუა მონაკვეთი. *შუაგული ზაფხული. შუაგული შემოდგომა.*

**შუადღე** *შუადღის* დღის შუა მონაკვეთი. *შუადღის მზე.* ▲ შუადღეს, შუადღისას, შუადღეზე ზმნზ. შუადღის დროს. *შუადღისას იძინებს.*

**შუათანა** *შუათანის* ვინც ასაკით უფროსსა და უმცროსს შორისაა. *შუათანა ძმა. შუათანა შვილი.*

**შუათითი** *შუათითის* ხელის ან ფეხის მესამე თითი. *შუათითს ძვირფასი ბეჭედი უმშვენებდა.*

**შუაკაცი** *შუაკაცის* იგივეა, რაც შუამავალი (1).

**შუალა** *შუალას* იგივეა, რაც შუათანა. *შუალა და.*

**შუალედი** *შუალედის* დროის მონაკვეთი გარკვეულ მოვლენებს ან პროცესებს შორის. *ლექციებს შორის შუალედი.*

**შუალედური** *შუალედურის* შუალედში, შუა ადგილას არსებული, გარდამავალი. *შუალედური რგოლი. შუალედური საფეხური.*

**შუამავალი** *შუამავლის* 1. პირი, რომელიც ორ (უპირატესად დაპირისპირებულ) მხარესთან ამყარებს კავშირს და ცდილობს მათ შორის შეთანხმების მიღწევას. *შუამავლის გარეშე მორიგდნენ.* 2. იგივეა, რაც მაჭანკალი. *სასიმამროს შუამავლები გაუგზავნა.*

**შუამავლობა** *შუამავლობის* (შუამავლობს) შუამავლად ყოფნა. *შუამავლობას უწევს.*

**შუამდგომლობა** *შუამდგომლობის* (შუამდგომლობს) მოდავე ან გარიგების მონაწილე მხარეთა შორის შეთანხმების შესრულებაზე პასუხისმგებლობის აღება. *შუამდგომლობა იკისრა. დირექტორმა შუამდგომლა.*

**შუაღამე** *შუაღამის* ღამის შუა მონაკვეთი. *შუაღამე გადასულია.* ▲ შუაღამეს, შუაღამისას, შუაღამით ზმნზ. შუაღამის დროს. *შუაღამისას დაბრუნდა შინ.*

**შუაცეცხლი** *შუაცეცხლის* შუა ოთახში, კერაზე დანთებული ცეცხლი. *შუაცეცხლზე ქვაბი დუღდა.*

**შუახანი** *შუახნის* ადამიანის საშუალო ასაკი, ხანი ახალგაზრდობასა და მოხუცებულობას შორის. *შუახანს მიღწეული. შუახანს გადაცილებული.*

**შუბი** *შუბის* ძველებური საომარი იარაღი, რომელსაც აქვს გრძელი ხის ტარი და წვეტიანი მახვილი პირი. *ცხენოსნის შუბი. შუბი გატყორცნა. მძლეოსნური შუბი.* ▪ შუბიანი შუბით შეიარაღებული. *შუბიანი რაინდი.*

**შუბლი** *შუბლის* თავის ნაწილი თვალების ზემოდან, თვალებსა და თხემს შორის. *ბრტყელი შუბლი. ლამაზი შუბლი.* ⊙ შუბლს შეიკრავს შუბლს შეიჭმუხნის, მოიღუშება.

**შუბოსანი** *შუბოსნის* შუბით შეიარაღებული მეომარი. *შუბოსნები შეტევაზე გადავიდნენ.*

**შუილი** *შუილის* (შუის) გაბმული, დაგუდული ხმა. *შუილი ესმის.*

**შუკა** *შუკის* ქუჩის განშტოება, ძალიან ვიწრო ქუჩა. *შუკაში შეუხვიეს.*

**შუკა-შუკა** ზმნზ. შუკების გავლით, შუკებზე. *შუკა-შუკა გავიდა ქალაქიდან.*

**შულო** *შულოს* სპეციალურ ხელსაწყოზე ან მკლავზე ამოხვეული საქსოვი ძაფი. *ორი შულო.*

**შუნი** *შუნის* დედალი ჯიხვი. *შუნების ფარა.*

**შუპყა** *შუპყის* ბალახოვანი მცენარე, იკეთებს ქოლგისებურ ყვავილებს, აქვს მსხვილი ღრუ ღერო, რომელიც იჭმება.

**შურდული** *შურდულის* 1. ბავშვის სათამაშო იარაღი – ორკაპა ჯოხზე რეზინის ღვედებით დამაგრებული ტყავის ნაჭერი, რომელშიც დებენ ქვას მიზანში სასროლად. *ბიჭმა ჩიტს შურდული ესროლა.* 2. ქვის სატყორცნი ძველებური იარაღი, იყენებდნენ ნადირობისას ან ბრძოლის დროს. *მეფის შურდული.* ⊙ შურდულივით გავარდა სწრაფად გაიქცა.

შურთხი *შურთხის* ქათმის მსგავსი გარეული ფრინველი, ბინადრობს მაღალმთიან კლდოვან ადგილებში. *შურთხები სტვენენ. შურთხის წინილა.*

შური *შურის* (შურს) წყენა სხვისი სიკეთის, სიხარულის, წარმატების გამო. *შური ვერ დამალა. ყველას შურით უყურებს. მეგობრის შურს.* ⊙ შურს იძიებს სამაგიეროს გადაუხდის.

შურიანი *შურიანის* ვისაც ყველასი შურს. *შურიანი ადამიანი.*

შურიანობა *შურიანობის* შურიანის თვისება, შურის ქონა. *შურიანობამ დაღუპა.*

შურისგება *შურისგების* იგივეა, რაც შურისძიება.

შურისძიება *შურისძიების* ვინმესთვის სამაგიეროს გადახდა, შეურაცხმყოფელი, ზიანის მომტანი საქციელის საპასუხო ქმედება. *შურისძიება გადაწყვიტა.*

შუქი *შუქის* რაიმესგან გამოცემული სინათლე. *მთვარის შუქი. ცეცხლის შუქი.*

შუქნიშანი *შუქნიშნის* სასიგნალო მოწყობილობა წითელი, ყვითელი და მწვანე შუქის მონაცვლეობით, ანესრიგებს მოძრაობას ქუჩებზე, მაგისტრალებსა და რკინიგზაზე. *შუქნიშანზე მანქანა გაჩერდა.*

შუქურა *შუქურას* სასიგნალო კოშკი ზღვის სანაპიროზე, რომელიც შუქით ან ბგერითი სიგნალით გემებს ნაპირისკენ გზას უჩვენებს. *შუქურას სიგნალი.*

შუქფარი *შუქფარის* ნათურების დამცავი მინის სქელი ფარი გამნათებელ ან სასიგნალო მოწყობილობებზე. *ავტომანქანის შუქფარები.*

შუქჩრდილი *შუქჩრდილის* გამოსახვის ხერხი მხატვრობაში – ნახატზე (1) მუქი და ღია შტრიხების მოანცვლეობა. *ღია შუქჩრდილები.*

შუღლი *შუღლის* შური, მტრობა, ქიშპობა. *შუღლი არ ასვენებს.*

შუღლობა *შუღლობის* (შუღლობს, ეშუღლება) შუღლის ქონა, მტრობა. *ძმები შუღლობენ. მე ზობელს ეშუღლება.*

შუშა *შუშის* იგივეა, რაც მინა. *შუშის ნამსხვრევები.*

შუშაბანდი *შუშაბანდის* შემინული აივანი. *შუშაბანდიანი სახლი.*

შუშვა *შუშვის* (შუშავს, იშუშება) ↑ მოშუშვა. *ხახვი იშუშება.*

შუშპარა *შუშპარას* საუბრ. ანცი, მოუსვენარი. *შუშპარა გოგო.*

შუშხვა *შუშხვის* (შუშხავს, უშუშხავს, ეშუშხება) ↑ დაშუშხვა. *სახე ეშუშხება.*

შფოთვა *შფოთვის* (შფოთავს, უშფოთავს) მოუსვენრობა, ბორგვა, წუხილი. *შფოთვა დაიწყო. მოხუცი ძილში შფოთავს.*

შფოთი *შფოთის* არეულობა, მღელვარება. *შფოთი ატყდა.*

შფოთიანი *შფოთიანის* 1. ვისაც შფოთვა სჩვევია. *შფოთიანი კაცი.* 2. არეული, მღელვარე. *შფოთიანი ფიქრები. შფოთიანი ზაფხული.*

შფოთისთავი *შფოთისთავის* შფოთის ამტეხი, მოჩხუბარი. *დიდი შფოთისთავი იყო.*

შქერი *შქერის* მარადმწვანე დაბალი ბუჩქი, აქვს ტყავისებური სქელი ფოთლები და მოიისფრო ყვავილები.

შხამა *შხამას* მთის მრავალწლოვანი მაღალი შხამიანი ბალახი, აქვს ბრტყელი ფოთლები და მომწვანო ყვავილები, ფესვების ნახარში გამოიყენება მღრღნელებისა და მავნე მწერების წინააღმდეგ.

შხამასოკო *შხამასოკოს* შხამიანი სოკო, აქვს თეთრად დაწინწკლული წითელი ქუდი.

შხამი *შხამის* მომწამვლელი ნივთიერება, რომელიც იწვევს სიკვდილს. *შხამი შესვა. გველის შხამი.* ⊙ შხამად შეერგება არ შეერგება, ჩამწარდება.

შხამიანი *შხამიანის* შხამის შემცველი. *შხამიანი ნივთიერება.*

შხაპი *შხაპის* მოწყობილობა, რომლიდანაც წყლის ნაკადი შხეფებად ისხმება. *შხაპი დააყენა.* ⊙ შხაპის მიღება შხაპით წყლის გადავლება.

შხაპუნა *შხაპუნას* ⊙ შხაპუნა წვიმა წვიმა, რომელიც ჩქარა და ხმაურით მოდის.

შხაპუნი *შხაპუნის* ძლიერი წვიმისას ან წყლის ძლიერ ჭავლად დენისას გამოცემული ხმა. *წყალი შხაპუნით მოდის. შხაპუნი ისმის.*

შხეფი *შხეფის* სითხიდან ამოტყორცნილი მსხვილი წვეთი. *წვიმის შხეფები. შხეფებს ისვრის.*

შხვართი *შხვართის* საუბრ. მაღალი (გრძელი) და ლამაზი, მოქნილი. *შხვართი ქალიშვილი. შხვართი მკლავები.*

შხივილი *შხივილის* (შხივის) ჰაერში საგნის სწრაფად მოქნევისას ან წყლის ძლიერად დინებისას გამოცემული ხმა. *წკეპლის შხივილი.*

შხუილი *შხუილის* (შხუის) წყლის მძლავრი ნაკადის მიერ ან ჰაერში საგნის სწრაფი მოძრაობისას სპეციფიკური ხმის გამოცემა. *მდინარე შხუის. ისრების შხუილი.*

# – ჩ –

**ჩაბაგუნება** *ჩაბაგუნების* (ჩაიბაგუნებს, ჩაუბაგუნებს) ბაგუნით ჩარტყმა. *გულში ხელი ჩაიბაგუნა. ზურგში ჩაუბაგუნა.*

**ჩაბალახი** *ჩაბალახის* I. მეომრისთვის განკუთვნილი ჯაჭვის თავსაბურავი. 2. იგივეა, რაც ყაბალახი. *ფოჩებიანი ჩაბალახი.*

**ჩაბანა** *ჩაბანის* (ჩაბანს, ჩაიბანს) ჭურჭელში დაბანა. *ხელები ჯამში ჩაიბანა.*

**ჩაბარგება** *ჩაბარგების* (ჩააბარგებს, ჩაბარგდება) ბარგის შეკვრა, ჩაწყობა, გასამგზავრებლად მომზადება. *ჩაბარგება დილიდან დაიწყეს.* ■ ჩაბარგებული რაც ჩააბარგეს. *ჩაბარგებული ჩემოდნები.*

**ჩაბარება** *ჩაბარების* (ჩააბარებს, ჩაიბარებს, ჩაბარდება, ჩააბარებინებს) 1. ვინმესთვის მიცემა მოსავლელად, შესანახად. *სახლი ჩააბარა. შვილი ჩააბარა.* 2. ვინმეს განკარგულებაში ოფიციალურად გადაცემა. *საბუთები ჩააბარა. უფლებამოსილება ჩაიბარა.* ■ ჩაბარებული რაც ან ვინც ჩააბარეს. *ჩაბარებული დოკუმენტი.*

**ჩაბასტურმება** *ჩაბასტურმების* (ჩააბასტურმებს, ჩაბასტურმდება) ხორცის ბასტურმად ჩადება. *სამწვადე ჩააბასტურმა.* ■ ჩაბასტურმებული რაც ჩააბასტურმეს. *ჩაბასტურმებული სუკი.*

**ჩაბერვა** *ჩაბერვის* (ჩაჰბერავს, ჩაუბერავს) პირით ჰაერის ჩაშვება (მილში, ხვრელსა და მისთ). *დუდუკს ჩაჰბერა. სასტვენს ჩაჰბერა.*

**ჩაბერტყვა** *ჩაბერტყვის* (ჩაბერტყავს, ჩაიბერტყავს) გაბერტყვით (1) ჩაყრა, ჩამოცლა. *შაქარი ჯამში ჩაბერტყა. კაბის კალთები ჩაიბერტყა.*

**ჩაბეტონება** *ჩაბეტონების* (ჩააბეტონებს, ჩაუბეტონებს, ჩაბეტონდება) ბეტონის ჩასხმა, ბეტონით გამაგრება. *რკინის მაგიდა ჩააბეტონეს.* ■ ჩაბეტონებული რაც ჩააბეტონეს. *ჩაბეტონებული ბოძი.*

**ჩაბეჭდვა** *ჩაბეჭდვის* (ჩაბეჭდავს, ჩაიბეჭდავს, ჩაუბეჭდავს, ჩაიბეჭდება, ჩაებეჭდება, ჩააბეჭდვინებს) 1. ნაბეჭდში სიტყვის, სიმბოლოსა და მისთ. ჩამატება. *თარიღი ჩაბეჭდა.* 2. გადატ. სამუდამოდ, კარგად დამახსოვრება. *გონებაში ღრმად ჩაბეჭდა.* ■ ჩაბეჭდილი რაც ჩაბეჭდეს ან ჩაებეჭდათ. *ჩაბეჭდილი ინიციალები. გონებაში ჩაბეჭდილი აზრი.*

**ჩაბეჭვა** *ჩაბეჭვის* (ჩაბეჭავს) საქსოვ დაზგაზე ნაქსოვის ჩატეპნა ბეჭით[2]. *ქსელი ჩაბეჭა.*

**ჩაბლანდვა** *ჩაბლანდვის* (ჩაბლანდავს, ჩაუბლანდავს, ჩაიბლანდება) ბლანდით ჩაკერვა. *კაბა ჩაუბლანდა.* ■ ჩაბლანდული რაც ჩაბლანდეს. *ჩაბლანდული პერანგი.*

**ჩაბმა** *ჩაბმის* (ჩააბამს, ჩაიბამს, ჩაუბამს, ჩაიბმება, ჩაებმება, ჩააბმევინებს) 1. იგივეა, რაც გამობმა (1). *თოკის ჩაბმა. მანქანას ბუქსირი ჩააბეს.* 2. ამა თუ იმ საქმიანობაში ჩართვა, მონაწილეობის მიღება. *ბრძოლაში ჩაება.* ■ ჩაბმული ვინც ან რაც ჩაება. *შრომაში ჩაბმული.*

**ჩაბნევა**[1] *ჩაბნევის* (ჩააბნევს, ჩაიბნევა, ჩაებნევა) ჩაყრა, ჩაფანტვა. *მზესუმზირა ჩანთაში ჩაებნა.*

**ჩაბნევა**[2] *ჩაბნევის* (ჩააბნევს, ჩაიბნევს, ჩაუბნევს, ჩაიბნევა) იგივეა, რაც დაბნევა[2]. *თმაში ვარდი ჩაიბნია.*

**ჩაბნელება** *ჩაბნელების* (ჩააბნელებს, ჩაუბნელებს, ჩაბნელდება, ჩაუბნელდება) სიბნელის დადგომა, სინათლის, შუქის ჩაქრობა. *მთელი ქალაქი ჩაბნელდა. ოთახი ჩააბნელეს.* ■ ჩაბნელებული რაც ჩაბნელდა. *ჩაბნელებული სადარბაზო. ჩაბნელებული ქუჩები.*

**ჩაბობღება** *ჩაბობღების* (ჩაბობღდება) ბობღვით ჩასვლა. *ეზოში ჩაბობღდა.*

**ჩაბუირება** *ჩაბუირების* (ჩააბუირებს, ჩაბუირდება) ძლიერი ტირილისგან ან სიცილისგან სუნთქვის შეკვრა. *ბავშვი ჩაბუირდა.* ■ ჩაბუირებული ვინც ჩაბუირდა. *ჩაბუირებული გოგო.*

**ჩაბრძანება** *ჩაბრძანების* (ჩააბრძანებს, ჩაბრძანდება) პატივისც. ჩასვლა, ჩაყვანა, ჩატანა. *სტუმრები ეზოში ჩაბრძანდნენ. ხატი ჩააბრძანეს.*

**ჩაბუდება** *ჩაბუდების* (ჩაიბუდებს, ჩაბუდდება) საფუძვლიანად დაბუდება, გაძლიერება, დამკვიდრება. *ოჯახში სევდამ ჩაიბუდა. სხეულში ავადმყოფობამ ჩაიბუდა.*

**ჩაბულბულება** *ჩაბულბულების* (ჩააბულბულებს) საუბრ. სწრაფად და შეუცდომლად წაკითხვა ან ზეპირად თქმა. *ლექსი ჩააბულბულა.* ■ ჩაბულბულებული რაც ჩააბულბულეს. *მთელი წიგნი ჩაბულბულებული აქვს.*

**ჩაბუჟბუჟება** *ჩაბუჟბუჟების* (ჩააბუჟბუჟებს, ჩაიბუჟბუჟებს, ჩაუბუჟბუჟებს, ჩაბუჟბუჟდება) საუბრ. ცხელ წვენში ჩაყრილი პურის, ორცხობილასა და მისთ. გაფუება. *ჩაიში ფუნთუშა ჩააბუჟბუჟა.* ■ ჩაბუჟბუჟებული რაც ჩააბუჟბუჟეს. *ლობიოში ჩაბუჟბუჟებული პური.*

**ჩაბურტყუნება** *ჩაბურტყუნების* (ჩაიბურტყუნებს) ბურტყუნით ჩალაპარაკება. *სათქმელი ძლივს ჩაიბურტყუნა.*

**ჩაბუტბუტება** *ჩაბუტბუტების* (ჩაიბუტბუტებს) ბუტბუტით ჩალაპარაკება. *თავისთვის რაღაც ჩაიბუტბუტა.*

**ჩაბუქნა** *ჩაბუქნის* (ჩაბუქნავს) ბუქნის გაკეთება. *რამდენჯერმე ჩაბუქნავს.*

**ჩაბღაუჭება** *ჩაბღაუჭების* (ჩაებღაუჭება) ხელის მაგრად მოკიდება, ჩაჭიდება, მობღაუჭება. *სახელურს ჩაებღაუჭა. დედას ჩაებღაუჭა.*

**ჩაბღოტება** *ჩაბღოტების* (ჩაებღოტება) გაჭირვებით, ჩაბღაუჭებით ჩასვლა. *ფერდობზე ჩაებღოტა.*

**ჩაბღუჯვა** *ჩაბღუჯვის* (ჩაბღუჯავს, ჩაიბღუჯავს) მთელი ძალით მუშტში მოქცევა, მოჭერა. *იარაღი ჩაბღუჯა. თმა ორივე ხელით ჩაბღუჯა.* ■ ჩაბღუჯული რაც ჩაბღუჯეს. *ქუდი ხელში აქვს ჩაბღუჯული.*

**ჩაგდება** *ჩაგდების* (ჩააგდებს, ჩაიგდებს, ჩაუგდებს, ჩაეგდება, ჩააგდებინებს) 1. ზევიდან ქვევით, სიღრმეში გადაგდება. *სიგარეტის ნამწვავი ურნაში ჩააგდო.* 2. ვინმესთვის გამოუვალი მდგომარეობის შექმნა. *გაჭირვებაში ჩააგდო. ხიფათში ჩააგდეს.*

**ჩაგება** *ჩაგების* (ჩააგებს, ჩაიგებს, ჩაუგებს, ჩაიგება, ჩაეგება, ჩააგებინებს) 1. იარაღისა და მისთ. ბუდეში (2) ჩადება. *ხმალი ქარქაშში ჩააგო.* 2. რაიმეში დაგება, ჩაფენა. *საბუდარში თივა ჩააგო.* ■ ჩაგებული რაც ჩააგეს. *ჩაგებული ხანჯალი.*

**ჩაგემრიელება** *ჩაგემრიელების* (ჩაიგემრიელებს) ◎ პირს ჩაიგემრიელებს გემრიელად შეჭამს, ისიამოვნებს.

**ჩაგვა** *ჩაგვის* (ჩაგვის) ზევიდან ქვევით დაგვით ჩასუფთავება. *კიბე ჩაგავა.*

**ჩაგვირისტება** *ჩაგვირისტების* (ჩააგვირისტებს) 1. გვირისტის გავლება, გვირისტით შეკერვა, მოქარგვა. *საყელო ჩააგვირისტა.* 2. გადატ. კოხტად, მოხდენილად გაკეთება. *ასოები ჩააგვირისტა. მოცეკვავემ ილეთი ჩააგვირისტა.* ■ ჩაგვირისტებული რაც ჩააგვირისტეს. *ჩაგვირისტებული პერანგი.*

**ჩაგვრა** *ჩაგვრის* (ჩაგრავს, იჩაგრავს, უჩაგრავს, იჩაგრება, ეჩაგრება, აჩაგვრინებს) ↑ დაჩაგვრა. *უმცროს ძმას ჩაგრავს. ხალხი იჩაგრება.*

**ჩაგ ზავნა** *ჩაგ ზავნის* (ჩაგზავნის, ჩააგზავნის, ჩაუგზავნის) ზევიდან ქვევით გაგზავნა. *ეზოში ჩაგ ზავნეს. მუშებს საჭმელი ჩაუგ ზავნა.*

**ჩაგირი** *ჩაგირის* მრავალწლოვანი ბალახი, ფესვს იყენებენ საღებავად.

**ჩაგლეჯა** *ჩაგლეჯის* (ჩაგლეჯს, ჩაუგლეჯს, ჩაიგლეჯება, ჩაეგლიჯება) ზევიდან ქვევით გაგლეჯა, ჩანყვეტა, ჩანგრევა. *ჰამაკი ჩაიგლიჯა.* ■ ჩაგლეჯილი რაც ჩაგლიჯეს ან ჩაიგლიჯა. *ჩაგლეჯილი საწოლი.*

**ჩაგონება** *ჩაგონების* (ჩააგონებს) სხვისი აზრის თავს მოხვევა, ჩანერგვა. *მშობლებმა ჩააგონეს.* ■ ჩაგონებული რაც ჩააგონეს. *ჩაგონებული აზრი.*

**ჩაგრული** *ჩაგრულის* ვისაც ჩაგრავენ. *ჩაგრული ხალხი.*

**ჩაგუბება** *ჩაგუბების* (ჩააგუბებს, ჩაიგუბებს, ჩაუგუბებს, ჩაგუბდება, ჩაუგუბდება) სიღრმეში დაგუბება. *წყალი პეშვში ჩაიგუბა. თხრილში წყალი ჩაგუბდა.* ■ ჩაგუბებული რაც ჩაიგუბეს ან ჩაგუბდა. *პირში წყალი აქვს ჩაგუბებული.*

**ჩადგმა** *ჩადგმის* (ჩადგამს, ჩაადგამს, ჩაიდგამს, ჩაუდგამს, ჩაიდგმება, ჩაადგმევინებს) სიღრმეში დადგმა. *ბოთლი კალათაში ჩადგა. ფეხი გუბეში ჩადგა.*

**ჩადგომა** *ჩადგომის* (ჩადგება, ჩაუდგება) 1. სიღრმეში დადგომა. *ბავშვი ტაშტში ჩადგა.* 2. სითხის გაჩენა, დაგუბება სიღრმეში. *ჭრილობაში ჩირქი ჩაუდგა.* 3. ქარის, სიოსა და მისთ. შეწყვეტა, გაჩერება. *გრიგალი ჩადგა.*

**ჩადება** *ჩადების* (ჩადებს, ჩაიდებს, ჩაუდებს, ჩაიდება) სიღრმეში დადება. *კალამი ჩანთაში ჩადო. გასაღები ჯიბეში ჩაიდო.*

**ჩადენა** *ჩადენის* (ჩაიდენს, ჩაადენინებს) გაკეთება (ძირითადად, ცუდი რამისა). *სამარცხვინო საქციელი ჩაიდინა. ცოდვა ჩაიდინა.* ■ ჩადენილი რაც ჩაიდინეს. *ჩადენილი დანაშაული.*

**ჩადრი** *ჩადრის* მუსლიმი ქალის გრძელი, მსუბუქი მოსასხამი, რომელიც სახესაც ფარავს. *ჩადრი აიხადა.*

**ჩადუნა** *ჩადუნას* გვიმრის ერთ-ერთი სახეობა. *ჩადუნას მხალი.*

**ჩავარდნა** *ჩავარდნის* (ჩავარდება, ჩაუვარდება) 1. სიღრმეში ჩაგდება, დაცემა. *ჭაში ჩავარდა. თვალში რაღაც ჩაუვარდა.* 2. სწრაფად, ერთბაშად ჩასვლა. *მე ზობელს ჩაუვარდა.* 3. გასაჭირში, მძიმე მდგომარეობაში მოხვედრა. *სასოწარკვეთილებაში ჩავარდა. ტყვედ ჩავვარდი.* 4. ნინასწარ დაგეგმილის, წარდგენილის ან მომზადებულის ჩაშლა. *პროექტი ჩავარდა.* ■ ჩავარდნილი რაც ან ვინც ჩავარდა. *ლოგინად ჩავარდნილი ავადმყოფი.*

**ჩავლა** *ჩავლის* (ჩაივლის, ჩაუვლის) 1. ზევიდან ქვევით გავლა. *სკოლასთან ჩაივლის.* 2. ჩატარება (2), გამართვა. *ღონისძიება კარგად ჩაივლის.*

**ჩავლება** *ჩავლების* (ჩაავლებს) ხელის ერთბაშად, მაგრად მოკიდება. *მკლავში ხელი ჩაავლო.*

**ჩაზელა** *ჩაზელის* (ჩაზელს, ჩააზელს, ჩაუზელს, ჩაიზილება) 1. ჭურჭელში რაიმეს დაზელა. *ღომი ჩაზილა.* 2. საუბრ. გადატ. ჩარტყმა. *წიხლი ჩააზილა.*

**ჩაზვავება** *ჩაზვავების* (ჩააზვავებს, ჩაზვავდება) ზევიდან ქვევით ზვავად ჩასვლა, ჩაწოლა. *მიწა ჩაზვავდა.* ■ ჩაზვავებული რაც ჩაზვავდა. *ჩაზვავებული თოვლი.*

**ჩაზიდვა** *ჩაზიდვის* (ჩაზიდავს, ჩაუზიდავს, ჩაიზიდება) დიდი რაოდენობით ტვირთის რამდენიმე გზად, რამდენიმე ჯერზე ჩატანა. *რაიონებში საკვები ჩაზიდეს.*

**ჩაზნექა** *ჩაზნექის* (ჩაზნექს, ჩაიზნიქება, ჩაეზნიქება) ქვევით ჩაწევა, ჩაღუნვა. *წიგნებმა თარო ჩაზნიქა. მიწა ჩაიზნიქა.* ■ ჩაზნექილი რაც ჩაიზნიქა. *ჩაზნექილი იატაკი.*

**ჩაზრდა** *ჩაზრდის* (ჩაზრდის, ჩაიზრდება, ჩაეზრდება) სიღრმეში გაზრდა. *ფრჩხილი ჩაე ზარდა. ფესვები ღრმად ჩაიზარდა.*

**ჩათავება** *ჩათავების* (ჩაათავებს, ჩათავდება) ზევიდან ქვევით მოძრაობის ან რაიმეს კეთების დასრულება, გათავება. *დალმართი ჩაათავა. კითხვა ჩაათავა.*

**ჩათბობა** *ჩათბობის* (ჩაითბობს, ჩაუთბობს, ჩათბება, ჩაუთბება) იგივეა, რაც ჩათბუნება. *შალმა კისერი ჩაუთბო. ხელები ჯიბეებში ჩაითბო.*

**ჩათბუნება** *ჩათბუნების* (ჩაათბუნებს, ჩაითბუნებს, ჩათბუნდება) თბილი ჩასაცმელით, შესახვევითა და მისთ. სხეულის გათბობა. *ფეხები საბანში ჩაითბუნა.* ■ ჩათბუნებული ვინც ჩაათბუნეს ან რაც ჩაითბუნეს. *ბუხართან ჩათბუნებული იჯდა.*

**ჩათესვა** *ჩათესვის* (ჩათესავს, ჩაუთესავს, ჩაითესება) თესლის ჩაყრა რაიმეში, დათესვა. *ქოთანში ია ჩათესა. ლობიო ჩათესეს.*

**ჩათვალიერება** *ჩათვალიერების* (ჩაათვალიერებს) ნაუცბადევად, სახელდახელოდ დათვალიერება. *ნაწერი ჩაათვალიერა.*

**ჩათვლა** *ჩათვლის* (ჩათვლის, ჩაითვლის, ჩაუთვლის, ჩაითვლება, ჩაეთვლება, ჩაათვლევინებს) 1. საქმის, სწავლისა და მისთ. შედეგის აღიარება. *მსაჯმა გოლი ჩაუთვალა. პასუხი არ ჩაუთვალეს.* 2. თვლით მიცემა. *ფული ჩაუთვალა.*

**ჩათვლემა** *ჩათვლემის* (ჩა(ს)თვლემს) ცოტა ხნით ძილის მორევა, ჩაძინება. *კაცს ჩასთვლიმა. გზაში ჩავთვლიმე.*

**ჩათრევა** *ჩათრევის* (ჩაათრევს, ჩაითრევს, ჩაეთრევა, ჩაათრევინებს) 1. თრევით ჩატანა. *ტახტი სარდაფში ჩაათრიეს. ტალღამ ჩაითრია.* 2. ძალდატანებით, მოტყუებით რაიმე საქმეში (ძირითადად, ცუდში) ჩაბმა. *ჩხუბში ჩაითრიეს.* 3. უპატივც. ჩასვლა, ჩაყვანა. *ახლავე დაბლა ჩაათრიე!*

**ჩათუთქვა** *ჩათუთქვის* (ჩათუთქავს, ჩაითუთქავს, ჩაუთუთქავს, ჩაითუთქება) 1. საკეების ცოტათი მოხარშვა მცირეოდენ წყალში ან თავისსავე წვენში. *კარტოფილი ჩათუთქა. ვაშლი ჩაითუთქა.* 2. დაწვა, დამწვრობის მიღება. *პირი ჩაეთუთქა.* ■ ჩათუთქული რაც ჩათუთქეს. *ჩათუთქული ბოსტნეული.*

**ჩათქვირებული** *ჩათქვირებულის* საუბრ. ძალიან გასუქებული. *ჩათქვირებული ქალი.*

**ჩათქმა** *ჩათქმის* (ჩაუთქვამს) სურვილის ჩაფიქრება, რაიმესთან დაკავშირება. *მოგება ჩაუთქვა.*

**ჩათხლეშა** *ჩათხლეშის* (ჩასთხლეშს, ჩაათხლეშს) 1. საუბრ. გაბრაზებით ჩაგდება, ჩახეთქება. *გუნდა ჯამში ჩაათხლიშა.* 2. უხეშად ჩარტყმა. *წიგნი თავში ჩასთხლიშა.*

**ჩათხრა** *ჩათხრის* (ჩა(ს)თხრის, ჩაუთხრის, ჩაითხრება) 1. სიღრმეში გათხრა. *ნიალვარმა ხრამი ჩათხარა.* 2. საუბრ. გადატ. უხეშად ჩაჩრა. *თვალში თითი ჩასთხარა.*

**ჩაი** *ჩაის* 1. მარადმწვანე ბუჩქოვანი მცენარე, აქვს მოგრძო ფოთლები და თეთრი ან ვარდისფერი სურნელოვანი ყვავილები. *ჩაის პლანტაცია.* 2. ჩაის (1) გამომშრალი და საგანგებოდ დამუშავებული ფოთლები, იყენებენ ცხელი სასმლის დასამზადებლად. *200 გრამი ჩაი.* 3. ჩაისგან (2) დამზადებული ცხელი სასმელი. *უშაქრო ჩაი.* ⊙ **ჩაის ჭიქა** ჩაისთვის (3) განკუთვნილი ჭიქა, რომელიც შეიძლება სხვა სასმლის დასალევადაც გამოიყენებოდეს.

ჩაიდანი

**ჩაიდანი** *ჩაიდნის* სახელურიანი ჭურჭელი მილისებური ტუჩით, გამოიყენება წყლის ასადუღებლად ან ჩაის დასაყენებლად. *ფაიფურის ჩაიდანი.*

**ჩაკაკვლა** *ჩაკაკვლის* (ჩაუკაკლავს) საუბრ. ვინმესთვის ამბის დაწვრილებით თქმა. *ყველაფერი სიტყვა-სიტყვით ჩაუკაკლა.*

**ჩაკაკუნება** *ჩაკაკუნების* (ჩაუკაკუნებს) კაკუნით ჩარტყმა. *თავში ჩაუკაკუნა.*

**ჩაკარგვა** *ჩაკარგვის* (ჩაკარგავს, ჩაიკარგება) სიღრმეში ჩამალვა, გაუჩინარება, დაკარგვა. *ბალახებში ჩაიკარგა.*

**ჩაკბეჩა** *ჩაკბეჩის* (ჩაკბეჩს) საჭმელში კბილის ჩარჭობით ლუკმის მოგლეჯა. *ვაშლი ჩაკბიჩა.* ■ ჩაკბეჩილი რაც ჩაკბიჩეს. *ჩაკბეჩილი კიტრი.*

**ჩაკენჭვა** *ჩაკენჭვის* (ჩაუკენჭავს) საუბრ. იგივეა, რაც ჩაკაკვლა. *მეზობელს ყველაფერი ჩაუკენჭა.*

**ჩაკეპვა** *ჩაკეპვის* (ჩაკეპავს) დაკეპვა და ნვრილ-ნვრილი ნაწილების ჭურჭელში ჩაყრა. *ფხალი ჯამში ჩაკეპა.* ■ ჩაკეპილი რაც ჩაკეპეს. *ჩაკეპილი ხახვი.*

**ჩაკერება** *ჩაკერების* (ჩააკერებს, ჩაეკერება) ქსოვილზე, ტანსაცმელსა და მისთ. ახალი ნაწილის მიმაგრება, დაკერება. *ჯინსის ნაჭერი ჩააკერა.*

**ჩაკერვა** *ჩაკერვის* (ჩაკერავს, ჩაიკერება) სიგრძეზე გაკერვა. *პერანგი ჩაკერა.*

**ჩაკეტვა** *ჩაკეტვის* (ჩაკეტავს, ჩაუკეტავს, ჩაიკეტება, ჩაეკეტება, ჩააკეტვინებს) 1. გასაღებით, ბოქლომითა და მისთ. დაკეტვა. *ჭიშკარი ჩაკეტეს.* 2. მოძრაობის გაჩერება, აკრძალვა. *გასასვლელი ჩაკეტეს. ულელტეხილი ჩაიკეტა.* 3. იგივეა, რაც გამოკეტვა (2). *ბავშვი ოთახში ჩაკეტა.* ■ ჩაკეტილი ვინც ან რაც ჩაკეტეს. *ჩაკეტილი ჩანთა.*

**ჩაკეცვა** *ჩაკეცვის* (ჩაკეცავს, ჩაიკეცავს, ჩაიკეცება) 1. ტანსაცმლის ბოლოების მოქცევა რაიმეს შიგნით, ჩატანება. *პერანგი შარვალში ჩაიკეცა.* 2. დაკეცვა და ჩადება, ჩანყობა. *ტანსაცმელი სკივრში ჩაკეცა.* 3. გადატ. უცბად ძალის გამოლევა და ძირს დაცემა. *ქალი ჩაიკეცა.*

**ჩაკვდომა** *ჩაკვდომის* (ჩაკვდება, ჩააკვდება) 1. უპატივც. სიკვდილი. *უპატრონოდ ჩაკვდა.* 2. გადატ. მოქმედების, პროცესის გაჩერება, მოსპობა. *ვაჭრობა ჩაკვდა. სიცოცხლე ჩაკვდა.*

**ჩაკვირვება** *ჩაკვირვების* (ჩააკვირდება, ჩაუკვირდება) ყურადღებით, ინტერესით, ღრმად დაკვირვება, გაცნობა, გასინჯვა, შესწავლა. *საბუთებს ჩააკვირდა. ნათქვამს ჩაუკვირდა.*

**ჩაკვლა** *ჩაკვლის* (ჩაკლავს, ჩაიკლავს, ჩაუკლავს) 1. უპატივც. მოკვლა. *სარდაფში ჩაკლა.* 2. გრძნობის, ემოციის ჩახშობა. *იმედი ჩაუკლა. გულში ბოღმა ჩაიკლა.* ■ ჩაკლული რაც ჩაკლეს ან ჩაიკლეს. *ჩაკლული გრძნობა.*

**ჩაკვნეტა** *ჩაკვნეტის* (ჩაკვნეტს, ჩაიკვნეტს) კვნეტით ჩაკბეჩა. *ორცხობილა ჩაკვნიტა.*

**ჩაკვრა** *ჩაკვრის* (ჩაჰკრავს, ჩააკრავს, ჩაიკრავს, ჩაუკრავს, ჩაიკვრება, ჩაეკვრება, ჩააკვრევინებს) 1. ჩარტყმა. *თავში ხელი ჩაჰკრა.* 2. ჩამაგრება, ჩაწებება. *ალბომში მარკები ჩააკრა.* 3. უნებლიეთ ჩაყოფა. *ტალახში ფეხი ჩავკარი.* 4. იგივეა, რაც ჩახუტება. *შვილი გულში ჩაიკრა.*

**ჩაკიდება** *ჩაკიდების* (ჩა(ჰ)კიდებს, ჩაეკიდება) 1. სიღრმეში ჩაშვება და დაკიდება. *გოჭი თონეში ჩაკიდეს.* 2. ხელის ჩავლება, მოკიდება. *ხელი ხელს ჩაჰკიდეს.*

**ჩაკითხვა** *ჩაკითხვის* (ჩაიკითხავს, ჩაუკითხავს, ჩაეკითხება) 1. ბოლომდე წაკითხვა. *სტატია მალე ჩაიკითხა.* 2. რაიმეს გასარკვევად დაწვრილებით კითხვების დასმა, ჩაძიება. *რამდენჯერმე ჩაეკითხა.* 3. ამბის გასაგებად ან მოსანახულებლად ჩასვლა. *ბავშვებს ე ზოში ჩააკითხა. ამხანაგებმა აგარაკზე ჩააკითხეს.*

**ჩაკირვა** *ჩაკირვის* (ჩაკირავს, ჩაიკირება) კირის ნაზავით ამოვსება, ამოშენება. *ქვევრები ჩაკირეს.* ■ ჩაკირული რაც ჩაიკირა. *ქვაში ჩაკირული ნიჟარები.*

**ჩაკირკიტება** *ჩაკირკიტების* (ჩაჰკირკიტებს) ყურადღებით, წვრილმანებში ჩაძიებით სინჯვა, კირკიტი[2]. *საბუთებს ჩაჰკირკიტებს. გაზეთებს ჩაჰკირკიტებს.*

**ჩაკნატუნება** *ჩაკნატუნების* (ჩააკნატუნებს) კნატუნით, გემრიელად შეჭმა. *თხილი ჩააკნატუნა.*

**ჩაკოკლოზინება** *ჩაკოკლოზინების* (ჩაიკოკლოზინებს, ჩაუკოკლოზინებს) ძალიან გემრიელის შეჭმა ან დალევა. *გოზინაყით ყელი ჩაიკოკლოზინა.*

**ჩაკონება** *ჩაკონების* (ჩაიკონებს, ჩაეკონება) ჩახუტება. *შვილი გულში ჩაიკონა. დას ჩაეკონა.*

**ჩაკოცნა** *ჩაკოცნის* (ჩაკოცნის, ჩაუკოცნის) ბევრჯერ დიდი გრძნობით კოცნა. *დედამ ჩაკოცნა. თვალები ჩაუკოცნა.*

**ჩაკუზვა** *ჩაკუზვის* (ჩაიკუზება) მუხლებში მოხრით ჩაჯდომა, ჩაცუცქება. *ბუხართან ჩაიკუზა.* ■ ჩაკუზული ვინც ჩაიკუზა. *ჩაკუზული იყო.*

**ჩაკუნტება** *ჩაკუნტების* (ჩაიკუნტება) ჩაკუზვა, ჩაცუცქება. *ბიჭი ჩაიკუნტა.* ■ ჩაკუნტული ვინც ჩაიკუნტა. *ბუხართან ჩაკუნტული.*

**ჩაკუწვა** *ჩაკუწვის* (ჩაკუწავს, ჩაიკუწება) დაკუწვა და თან ჩაყრა. *მწვანილი ჯამში ჩაკუწა.*

**ჩაკუჭკუჭება** *ჩაკუჭკუჭების* (ჩაიკუჭკუჭებს, ჩაუკუჭკუჭდება) ხმადაბლა, გულიანად გაცინება. *გოგო ჩაკუჭკუჭდა.*

**ჩალა** *ჩალის* 1. მარცვლეული მცენარეების ღერო და ფოთლები ერთად, მეტწილად ხმელი, გამოიყენება საქონლის საკვებად. *სიმინდის ჩალა.* 2. მაღალი ბალახი, რომელიც ჭაობში ან წყლის ნაპირებში იზრდება. *ჩალის ქუდი.* ⊙ ჩალად არ ღირს არაფრად ღირს, ფასი არა აქვს. ⊙ ჩალის ფასად ძალიან იაფად.

**ჩალაბულა** *ჩალაბულის* ჩალის, თივისა და გამხმარი ბალახების ნარჩენები. *ჩალაბულა მოაგროვა.*

**ჩალაგამოვლებული** *ჩალაგამოვლებულის* ⊙ პირში ჩალაგამოვლებული გაწბილებული.

**ჩალაგება** *ჩალაგების* (ჩაალაგებს, ჩაილაგებს, ჩაულაგებს, ჩალაგდება, ჩაალაგებინებს) საგნების, ნივთების მოწესრიგებულად ჩაწყობა. *ბარგი ჩაალაგეს. თეთრეული ჩაალაგა.* ■ ჩალაგებული რაც ჩაალაგეს. *ჩალაგებული ტანსაცმელი.*

**ჩალამძივი** *ჩალამძივის* ბალახოვანი მარცვლოვანი მცენარე, იკეთებს კვერცხის ფორმის პატარა, მაგარ ნაყოფს, რომლისგანაც მძივებსა და კრიალოსნებს ამზადებენ.

**ჩალაპარაკება** *ჩალაპარაკების* (ჩაილაპარაკებს, ჩაულაპარაკებს) ხმადაბლა თქმა. *თავისთვის ჩალაპარაკა. მე ზობელს ჩაულაპარაკა.*

**ჩალაღაჯი** *ჩალაღაჯის* დაკლული ძროხის, ღორის, ცხვრისა და მისთ. ნაწილი ბეჭებს შუა. *ჩალაღაჯის მწვადი.*

**ჩალაყვავილა** *ჩალაყვავილას* წყლის მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარე, აქვს ვარდისფერი ყვავილები, ფესურები იჭმება.

ჩალბობა *ჩალბობის* (ჩაალბობს, ჩაილბობს, ჩაულბობს, ჩალბება, ჩაულბება) სითხეში ჩადებით დარბილება. *სარეცხი ჩაალბო. პური რძეში ჩალბა.*

ჩალეწვა *ჩალეწვის* (ჩალეწავს, ჩაულეწავს, ჩაილეწება, ჩაელეწება) ჩამსხვრევა, ჩამტვრევა. *მინები ჩალეწეს. კბილები ჩაულეწა.* ■ ჩალეწილი რაც ჩალეწეს. *ჩალეწილი ფანჯარა.*

ჩალისფერი *ჩალისფერის* ღია ყვითელი. *ჩალისფერი თმა.*

ჩალიჩი *ჩალიჩის* (ჩალიჩობს) ჟარგ. საეჭვო საქმიანობით სარგებლის მიღების მცდელობა. *ბევრს ჩალიჩობს.*

ჩალმა *ჩალმის* მუსლიმი მამაკაცის თავზე შემოსახვევი საბურველი. *ჩალმა ახურავს.*

ჩალპობა *ჩალპობის* (ჩაალპობს, ჩალპება, ჩაულპება) სიღრმეში დალპობა, შიგ დალპობა. *ხილი ყუთებში ჩალპა.*

ჩალური *ჩალურის* ნაგებობა, რომელსაც ჩალის სახურავი აქვს. *ჩალურში შევიდა.*

ჩალურჯება *ჩალურჯების* (ჩაალურჯებს, ჩაულურჯებს, ჩალურჯდება, ჩაულურჯდება) ღრმად დალურჯება. *თვალი ჩაულურჯდა.* ■ ჩალურჯებული რაც ჩაულურჯეს ან ჩაულურჯდა. *სახე ჩალურჯებული ჰქონდა.*

ჩალუღლუღება *ჩალუღლუღების* (ჩაილუღლუღებს) ლუღლუღით ჩალაპარაკება, თქმა. *ძლივს გასაგონად ჩაილუღლუღა.*

ჩამაგრება *ჩამაგრების* (ჩაამაგრებს, ჩაუმაგრებს, ჩამაგრდება) რაიმეში მაგრად, უძრავად მოთავსება, ჩადგმა, ჩარჭობა. *სარი მიწაში ჩაამაგრა.*

ჩამალვა *ჩამალვის* (ჩამალავს, ჩაუმალავს, ჩაიმალება) სიღრმეში დამალვა. *თოფი ბურბუშელაში ჩამალა. ბუჩქებში ჩაიმალა.*

ჩამარცვლა *ჩამარცვლის* (ჩამარცვლავს, ჩაიმარცვლება) მარცვალ-მარცვალ ჩაყრა. *ლობიო ჯამში ჩამარცვლა.*

ჩამარხვა *ჩამარხვის* (ჩამარხავს, ჩაიმარხება) ღრმად ჩაფვლა, დამარხვა. *განძი მიწაში ჩამარხა.*

ჩამატება *ჩამატების* (ჩაამატებს, ჩაიმატებს, ჩაუმატებს, ჩაემატება) დამატებით ჩასხმა, ჩაყრა, ჩადება. *ჩაის შაქარი ჩაუმატა. სიაში ჩაამატეს.* ■ ჩამატებული რაც ჩაამატეს. *ჩამატებული ტექსტი.*

ჩამბალი *ჩამბალის* რაც ჩაალბეს ან ჩალბა. *ღვინოში ჩამბალი პური.*

ჩამდგარი *ჩამდგარის* რაც ჩადგა, ჩაუდგა. *თვალში ჩამდგარი ცრემლი.*

ჩამზღვლევა *ჩამზღვლევის* (ჩაიმზღვლევა) მინის დიდი მასის ჩაშლა, ჩაზვავება. *გზა ჩაიმზღვლა.* ■ ჩამზღვლეული რაც ჩაიმზღვლა. *ჩამზღვლეული ფერდობი.*

ჩამიჩი *ჩამიჩის* იგივეა, რაც ქიშმიში. *ჩამიჩის ჩურჩხელა.* ■ ჩამიჩიანი რასაც ჩამიჩი ურევია. *ჩამიჩიანი ფლავი.*

ჩამიჩუმი *ჩამიჩუმის* ძალიან დაბალი, სუსტი ხმა. ◔ ჩამიჩუმი არ ისმის სრული სიჩუმეა, არანაირი ხმა არ ისმის.

ჩამკვდარი *ჩამკვდრის* უხალისო, უსიცოცხლო. *ჩამკვდარი ცხოვრება.*

ჩამობანა *ჩამობანის* (ჩამოპბანს, ჩამოიბანს) ბანვით რაიმეს ჩამოშორება, სახელდახელოდ დაბანა. *სახე ჩამოიბანა. საპონი ჩამოიბანა.*

ჩამობდღვნა *ჩამობდღვნის* (ჩამოაბდღვნის, ჩამოიბდღვნის) უხეშად ჩამოგლეჯა, ნაწილ-ნაწილ ჩამოცლა, ჩამოხევა. *კედლიდან სურათი ჩამობდღვნა.*

ჩამობერვა *ჩამობერვის* (ჩამოიბერება, ჩამოებერება) ქვევით ჩამოზრდა, ჩამოსიება. *ბავშვს ჯირკვალი ჩამოებერა.*

ჩამობერტყვა *ჩამობერტყვის* (ჩამობერტყავს, ჩამოიბერტყავს, ჩამოიბერტყება) 1. მტვრის, ნამცეცებისა და მისთ. ბერტყვით (1) ჩამოშორება. *კაბის კალთა ჩამოვიბერტყე.* 2 ბერტყვით (2) ხეხილიდან ნაყოფის ჩამოყრა. *კაკალი ჩამობერტყა.*

ჩამობმა *ჩამობმის* (ჩამოაბამს, ჩამოიბამს, ჩამოუბამს, ჩამოიბმება) ჩამოკიდება. *საქანელა ხეზე ჩამოაბეს.* ■ ჩამობმული რაც ჩამოაბეს. *ჩამობმული ჯაჭვი.*

ჩამობნელება *ჩამობნელების* (ჩამოაბნელებს, ჩამობნელდება) დაღამების გამო სინათლის, შუქის მოკლება, დაბნელება. *გარეთ ჩამობნელდა.*

ჩამობრუნება *ჩამობრუნების* (ჩამოაბრუნებს, ჩამობრუნდება) ზევით ასულის უკან ჩამოსვლა, დაბრუნება (1). *ქალაქიდან ჩამობრუნდა.*

ჩამობურვა *ჩამობურვის* (ჩამობურავს, ჩამოიბურება) არემარის ღრუბლით, ნისლით დაფარვა. *იქაურობა ჩამოიბურა.* ■ ჩამობურული რაც ჩამოიბურა. *ჩამობურული მთები.*

ჩამოგდება *ჩამოგდების* (ჩამოაგდებს, ჩამოუგდებს, ჩამოაგდებინებს) რაიმეზე ფიზიკური ზემოქმედება (სროლა, შერხევა და მისთ.) ისე, რომ ზემოდან ჩამოვარდეს. *ვაშლი ხიდან ჩამოაგდო.*

ჩამოგება *ჩამოგების* (ჩამოაგებს, ჩამოიგება, ჩამოეგება) სარზე, შამფურსა და მისთ. ჩამოცმა. *თივის კონა სარზე ჩამოაგო.*

ჩამოგზავნა *ჩამოგ ზავნის* (ჩამოგზავნის, ჩამოაგზავნის, ჩამოუგზავნის) ზევიდან ქვევით გამოგზავნა. *მთიდან ჩამოაგ ზავნეს.* ■ ჩამოგზავნილი რაც ან ვინც ჩამოაგზავნეს. *ჩამოგ ზავნილი წიგნები.*

ჩამოგლეჯა *ჩამოგლეჯის* (ჩამო(ჰ)გლეჯს, ჩამოაგლეჯს, ჩამოიგლეჯს, ჩამოუგლეჯს, ჩამოიგლიჯება, ჩამოეგლიჯება) ჩამოხევა, ჩამოწყვეტა, ძალით მოცილება. *ფარდა ჩამოიგლიჯა. შპალერი ჩამოგლიჯეს.* ■ ჩამოგლეჯილი რაც ჩამოგლიჯეს ან ჩამოიგლიჯა. *ჩამოგლეჯილი დროშა.*

ჩამოდგომა *ჩამოდგომის* (ჩამოდგება) ტრანსპორ-

ტის შემოსვლა და გაჩერება მისთვის საგანგებოდ გამოყოფილ ადგილას (ჩვეულებრივ, სადგურში). *მატარებელი ჩამოდგა. პორტში ხომალდი ჩამოდგა.*

**ჩამოდნობა** *ჩამოდნობის* (ჩამოადნობს, ჩამოდნება, ჩამოადნება) 1. დაქანებულ ზედაპირზე დადნობა. *თოვლი ფერდობზე ჩამოდნა.* 2. გადატ. იგივეა, რაც დადნობა (2). *გოგო წუხილისგან ჩამოდნა.*

**ჩამოვაკება** *ჩამოვაკების* (ჩამოივაკებს) დაღმართის შემდეგ ვაკეზე გასვლა. *მგ ზავრებმა ჩამოივაკეს.*

**ჩამოვარდნა** *ჩამოვარდნის* (ჩამოვარდება, ჩამოუვარდება) 1. ზევიდან ქვევით მოძრაობისას დავარდნა, დაცემა. *კიბიდან ჩამოვარდა. თვითმფრინავი ჩამოვარდა.* 2. გარკვეული ურთიერთობის, მდგომარეობის გაჩენა, გავრცელება. *უთანხმოება ჩამოვარდა. სიჩუმე ჩამოვარდა.* 3. რაიმე მონაცემით, თვისებით, ხარისხით ვინმეზე ან რაიმეზე დაბლა დგომა, ჩამორჩენა. *სილამაზით არ ჩამოუვარდება. ძმას ბევრად ჩამოუვარდება.* ■ ჩამოვარდნილი რაც ან ვინც ჩამოვარდა. *ჩამოვარდნილი ჭურვი.*

**ჩამოვარცხნა** *ჩამოვარცხნის* (ჩამოვარცხნის, ჩამოივარცხნის) სავარცხლის ზევიდან ქვევით ჩამოსმით დავარცხნა. *თმა ჩამოივარცხნა. წვერი ჩამოივარცხნა.*

**ჩამოვლა** *ჩამოვლის* (ჩამოიცლის) 1. ზევიდან ქვევით გამოვლა. *მატარებელმა ჩამოიარა. ნახირი მალე ჩამოივლის.* 2. ბევრ ადგილას მისვლა. *მეგობრებს ჩამოუვლის. მაღა ზიები ჩამოიარა.*

**ჩამოზვავება** *ჩამოზვავების* (ჩამოაზვავებს, ჩამოზვავდება) გროვად ჩამოშლა, ჩამონგრევა. *თოვლი ჩამოზვავდა.* ■ ჩამოზვავებული რაც ჩამოზვავდა. *ჩამოზვავებული მიწა.*

**ჩამოზიდვა** *ჩამოზიდვის* (ჩამოზიდავს, ჩამოუზიდავს, ჩამოიზიდება) დიდი რაოდენობით ტვირთის რამდენიმე გზად, რამდენიმე ჯერზე ჩამოტანა. *სოფლიდან პროდუქტი ჩამოზიდეს.*

**ჩამოზნექა** *ჩამოზნექის* (ჩამოზნექს, ჩამოიზნიქება) სიმძიმისგან ჩამოწევა, ჩამოღუნვა. *ჭერი ჩამოიზნიქა. თოვლმა ტოტი ჩამოზნიქა.*

**ჩამოთესლება** *ჩამოთესლების* (ჩამოეთესლება) უპატივც. უცხოს, გადამთიელის მოსვლა და დამკვიდრება, დასახლება. *საიდანღაც ჩამოეთესლა.*

**ჩამოთვლა** *ჩამოთვლის* (ჩამოთვლის, ჩამოუთვლის, ჩამოითვლება) თანმიმდევრობით დასახელება, თქმა. *გვარები ჩამოთვალა. მიზეზები ჩამოუთვალა.* ■ ჩამოთვლილი რაც ჩამოთვალეს. *ჩამოთვლილი წიგნები.*

**ჩამოთლა** *ჩამოთლის* (ჩამოთლის, ჩამოათლის, ჩამოითლის, ჩამოითლება, ჩამოეთლება) მჭრელი იარაღით ნაწილის მოცილება, თლით ჩამოჭრა. *ყური ჩამოათალა.*

**ჩამოთრევა** *ჩამოთრევის* (ჩამოათრევს, ჩამოუთრევს, ჩამოეთრევა) 1. ძალით, თრევით ჩამოტანა. *შეშა ჩამოათრია. კიბიდან ჩამოათრია.* 2. უპატივც. ჩამოსვლა, ჩამოყვანა. *ქალაქიდან ჩამოეთრა.* ■ ჩამოთრეული ვინც ან რაც ჩამოათრიეს ან ჩამოეთრა. *ჩამოთრეული მორები.*

**ჩამოკანკრა** *ჩამოკანკრის* (ჩამო(ჰ)კანკრავს, ჩამოაკანკრავს, ჩამოიკანკრავს, ჩამოეკანკრება) წვეტიანი რაიმეს ჩამოსმით დაკანკრა. *ლოყები ჩამოიკანკრა.*

**ჩამოკვრა** *ჩამოკვრის* (ჩამოჰკრავს) ზევიდან ქვევით გამოკვრა (3). *ზარს ჩამოჰკრავს.*

**ჩამოკიდება** *ჩამოკიდების* (ჩამო(ჰ)კიდებს, ჩამოიკიდებს, ჩამოუკიდებს, ჩამოეკიდება, ჩამოაკიდებინებს) იგივეა, რაც დაკიდება. *კედელზე სურათი ჩამოკიდა.* ■ ჩამოკიდებული რაც ჩამოკიდეს. *ჩამოკიდებული ქურქი.*

**ჩამოკლება** *ჩამოკლების* (ჩამოაკლებს, ჩამოაკლდება) ნაწილის მოკლება, დაკლება, შემცირება. *თანხა ჩამოაკლეს. ქულა ჩამოაკლო.*

**ჩამოკონწიალება** *ჩამოკონწიალების* (ჩამოაკონწიალებს, ჩამოეკონწიალება, ჩამოკონწიალდება) საუბრ. ჩამოკიდება. *ხე ზე ჩამოეკონწიალა.* ■ ჩამოკონწიალებული რაც ან ვინც ჩამოკონწიალდა. *გასაღები ჰქონდა ჩამოკონწიალებული.*

**ჩამოკრეფა** *ჩამოკრეფის* (ჩამოკრეფს, ჩამოიკრიფება) ხიდან მოკრეფა. *ბალი ჩამოკრიფეს.*

**ჩამოლაგება** *ჩამოლაგების* (ჩამოალაგებს, ჩამოლაგდება) მაღლიდან ჩამონყობა. *ჭიქები მაგიდაზე ჩამოალაგა.*

**ჩამომდგარი** *ჩამომდგარის* რაც ჩამოდგა. *ჩამომდგარი გემი.*

**ჩამომდნარი** *ჩამომდნარის* რაც ჩამოდნა. *ჩამომდნარი ყინული.*

**ჩამომზღვლევა** *ჩამომზღვლევის* (ჩამოიმზღვლევა) იგივეა, რაც ჩამზღვლევა. *გუმბათი ჩამოიმზღვლა.* ■ ჩამომზღვლეული რაც ჩამოიმზღვლა. *ჩამომზღვლეული ფერდობი.*

**ჩამომწკრივება** *ჩამომწკრივების* (ჩამოამწკრივებს, ჩამომწკრივდება) იგივეა, რაც ჩამწკრივება. *თეფშები ჩამოამწკრივა. ბავშვები ჩამომწკრივდნენ.* ■ ჩამომწკრივებული ვინც ან რაც ჩამომწკრივდა ან ჩამოამწკრივეს. *თაროზე ჩამომწკრივებული ქილები.*

**ჩამომჭკნარი** *ჩამომჭკნარის* რაც ან ვინც ჩამოჭკნა. *ჩამომჭკნარი ხილი. ჩამომჭკნარი ლოყები.*

**ჩამომხმარი** *ჩამომხმარის* 1. რაც ჩამოხმა. *ჩამომხმარი ტოტი.* 2. ძალზე გამხდარი. *ჩამომხმარი სახედარი.*

**ჩამომხობა** *ჩამომხობის* (ჩამოამხობს, ჩამოიმხობს, ჩამოემხობა) ზევიდან დამხობა, დაფარება. *ქათამს კალათა ჩამოამხო.*

**ჩამონათება** *ჩამონათების* (ჩამოანათებს, ჩამოუნათებს) სიღრმეში, ზევიდან ქვევით განათება. *ფარანი ჩამოანათა.*

ჩამონათვალი *ჩამონათვალის* ჩამოთვლილ პირთა, საგანთა და მისთ. ერთობლიობა. *ქვეყნების ჩამონათვალი. სახელმძღვანელოების ჩამონათვალი.*

ჩამონგრევა *ჩამონგრევის* (ჩამოანგრევს, ჩამოუნგრევს, ჩამოინგრევა, ჩამოენგრევა) ზევიდან დანგრევა, ნანგრევების ჩამოყრა. *სახლი ჩამოინგრა.*

ჩამოჟონვა *ჩამოჟონვის* (ჩამოჟონავს) ზევიდან ქვევით გაჟონვა, ნაჟონის ჩამოსვლა. *წვიმამ ჩამოჟონა.*

ჩამორეკვა *ჩამორეკვის* (ჩამორეკავს, ჩამოურეკავს) ცხოველების (ბევრის) ზევიდან ქვევით გამორეკვა. *ცხვრები მთიდან ჩამორეკეს.*

ჩამორბენა *ჩამორბენის* (ჩამოირბენს, ჩამოურბენს) 1. სირბილით ჩამოსვლა, ჩამოვლა (1). *კიბე ზე ჩამოირბინა.* 2. გარკვეული მანძილის ჩამოვლა (2) სირბილით. *დალმართი ჩამოირბინა.*

ჩამორეცხვა *ჩამორეცხვის* (ჩამორეცხავს, ჩამოირეცხავს, ჩამოირეცხება) 1. რეცხვით ჩამოსუფთავება. *კედლები ჩამორეცხეს.* 2. წყლის დიდი რაოდენობის ჩამოსვლით ზედა ფენის მოცილება, დაზიანება. *წვიმამ მთელი სახლი ჩამორეცხა.*

ჩამორთმევა *ჩამორთმევის* (ჩამოართმევს, ჩამოერთმევა) 1. ქონების წართმევა. *სახლი ჩამოართვეს.* 2. უფლებების აღკვეთა. *ხმის უფლება ჩამოერთვა.* ▪ ჩამორთმეული რაც ჩამოართვეს. *ჩამორთმეული მიწები.*

ჩამორიგება *ჩამორიგების* (ჩამოარიგებს, ჩამოირიგებს, ჩამოურიგებს, ჩამორიგდება, ჩამოურიგდება) რაიმეს ჩამოტარებით სათითაოდ ყველასთვის მიცემა. *პური ჩამოარიგეს. ბავშვებს წიგნები ჩამოურიგეს. თეფშები ჩამოარიგეს.* ▪ ჩამორიგებული რაც ჩამოარიგეს. *ჩამორიგებული ტკბილეული.*

ჩამორღვევა *ჩამორღვევის* (ჩამოირღვევა, ჩამოერღვევა) დარღვევა და ჩამოშლა. *კაბა ჩამოერღვა.*

ჩამორჩენა *ჩამორჩენის* (ჩამოარჩენს, ჩამორჩება, ჩამოურჩება) მოძრაობის ან საქმიანობის დროს სხვებზე უკან დარჩენა. *ავტობუსი მანქანას ჩამორჩა. მეგობრებს სწავლაში ჩამორჩა.*

ჩამორჩენილი *ჩამორჩენილის* 1. ვინც ან რაც ჩამორჩა, დაიგვიანა. *ჩამორჩენილი მგზავრები.* 2. განვითარების დაბალ დონეზე მყოფი, განუვითარებელი. *ჩამორჩენილი ხალხი.*

ჩამორჩენილობა *ჩამორჩენილობის* ჩამორჩენილ (1) მდგომარეობაში, განვითარების დაბალი დონეზე ყოფნა. *ჩამორჩენილობის მიზეზი. გონებრივი ჩამორჩენილობა.*

ჩამოსაბმელი *ჩამოსაბმელის* რაც უნდა ჩამოაბან ან რითაც უნდა ჩამოაბან. *ჩამოსაბმელი თოკი.*

ჩამოსატანი *ჩამოსატანის* რაც უნდა ჩამოიტანონ, რის ჩამოტანაც საჭიროა. *ჩამოსატანი ტვირთი.* ▲ ჩამოსატანად ზმნზ. ჩამოტანის მიზნით. *პროდუქტის ჩამოსატანად.*

ჩამოსაფარებელი *ჩამოსაფარებლის* რაც უნდა ჩამოაფარონ. *ჩამოსაფარებელი ბადე.* ▲ ჩამოსაფარებლად ზმნზ. ჩამოფარების მიზნით. *ფარდის ჩამოსაფარებლად.*

ჩამოსაყვანი *ჩამოსაყვანის* ვინც ან რაც უნდა ჩამოიყვანონ, რითაც უნდა ჩამოიყვანონ. *ჩამოსაყვანი ტურისტები. ჩამოსაყვანი პირუტყვი. ბავშვების ჩამოსაყვანი ავტობუსი.* ▲ ჩამოსაყვანად ზმნზ. ჩამოყვანის მიზნით. *მანქანის ჩამოსაყვანად.*

ჩამოსაცმელი *ჩამოსაცმელის* რაც უნდა ჩამოაცვან ან ჩამოიცვან. *ჩამოსაცმელი შალითა. თითზე ჩამოსაცმელი.*

ჩამოსაწერი *ჩამოსაწერის* რაც უნდა ჩამოწერონ ან ჩამოაწერონ. *ჩამოსაწერი თანხა.* ▲ ჩამოსაწერად ზმნზ. ჩამოწერის მიზნით. *ინვენტარის ჩამოსაწერად.*

ჩამოსახვევი *ჩამოსახვევის* ადგილი, სადაც უნდა ჩამოუხვიონ. *ჩამოსახვევთან იდგა.*

ჩამოსახლება *ჩამოსახლების* (ჩამოასახლებს, ჩამოსახლდება) გარკვეულ ადგილას ჩამოსვლა (ჩამოყვანა) საცხოვრებლად. *მთის მოსახლეობა ჩამოასახლეს. ქალაქში ჩამოსახლდნენ.* ▪ ჩამოსახლებული ვინც ჩამოსახლდა ან ჩამოასახლეს. *უცხო ქვეყნიდან ჩამოსახლებული.*

ჩამოსვენება *ჩამოსვენების* (ჩამოასვენებს) მიცვალებულის ნეშტის ჩამოტანა. *სამშობლოში ჩამოასვენეს.*

ჩამოსვლა *ჩამოსვლის* (ჩამოვა) 1. ზევიდან ქვევით გადაადგილება (ჩემკენ ან შენკენ). პირველ სართულზე ჩამოვიდა. 2. ერთი ქალაქიდან, ქვეყნიდან და მისთ. მეორეში მოსვლა. *ტურისტების ჯგუფი ჩამოვიდა. სოფლიდან ჩამოვიდნენ.* ▪ ჩამოსული ვინც ან რაც ჩამოვიდა. *უცხოეთიდან ჩამოსული დელეგაცია.*

ჩამოსკუპება *ჩამოსკუპების* (ჩამოსკუპდება) 1. საუბრ. ჩამოხტომა. *მამალი ქანდარიდან ჩამოსკუპდა.* 2. ჩამოჯდომა. *ქალი სკამზე ჩამოსკუპდა.*

ჩამოსმა[1] *ჩამოსმის* (ჩამოსვამს) ზევიდან ქვევით ჩამოყვანა და დასმა. *კატა მაგიდიდან ჩამოსვა.*

ჩამოსმა[2] *ჩამოსმის* (ჩამოისვამს, ჩამოუსვამს) ზევიდან ქვევით წასმა, ხაზის გავლება, გატარება. *სახე ზე ხელი ჩამოისვა.*

ჩამოსუფთავება *ჩამოსუფთავების* (ჩამოასუფთავებს, ჩამოსუფთავდება) ზევიდან ქვევით წმენდით გასუფთავება, ჩამოწმენდა. *ჭერი ჩამოასუფთავა.*

ჩამოსწვრივ ზმნზ. თანდ. ფუნქც. (+ ნათ.) რაიმეს გასწვრივ ზევიდან ქვევით და აქეთ. *ტბის ჩამოსწვრივ.*

ჩამოსწრება *ჩამოსწრების* (ჩამოასწრებს, ჩამოუს-

ნრებს) I. სხვაზე ადრე ჩამოსვლა. *მშობლებს ჩამოასწრო.* 2. დროულად ჩამოსვლა. *ქორწილს ჩამოუსწრო.*

**ჩამოსხდომა** *ჩამოსხდომის* (ჩამოსხდება, ჩამოუსხდება) ბევრის ჩამოჯდომა. *ბავშვები კიბეზე ჩამოსხდნენ.*

**ჩამოსხეპა** *ჩამოსხეპის* (ჩამოსხეპს, ჩამოასხეპს) ნვრილი ტოტების ჩამოცლა, ჩამოჭრა. *ხე ჩამოსხიპა.*

**ჩამოსხმა**[1] *ჩამოსხმის* (ჩამოასხამს, ჩამოისხამს, ჩამოუსხამს, ჩამოისხმება, ჩამოასხმევინებს) I. სითხის დიდი ჭურჭლიდან პატარაში ჩასხმა. *კასრიდან ღვინო ჩამოასხა. ლუდი ჩამოასხეს.* 2. ქანდაკების, ზარისა და მისთ. ყალიბით დამზადება. *ბრინჯაოს ქანდაკება ჩამოასხეს.*

**ჩამოსხმა**[2] *ჩამოსხმის* (ჩამოსხამს, ჩამოუსხამს) ბევრის ჩამოსმა. *მოსწავლეები ავტობუსიდან ჩამოსხეს.*

**ჩამოსხმული** *ჩამოსხმულის* I. რაც ჩამოასხეს. *ჩამოსხმული ჩუქურთმა. ჩამოსხმული ღვინო.* 2. გადატ. კარგი აღნაგობის მქონე, მოხდენილი. *ჩამოსხმული ტანი.*

**ჩამოტანა** *ჩამოტანის* (ჩამოიტანს, ჩამოუტანს, ჩამოატანინებს) I. ზევიდან ქვევით წამოღება, მოტანა. *თვითმფრინავიდან ბარგი ჩამოიტანა.* 2. შორიდან მოტანა. *ქალაქიდან ჩამოიტანა.* ■ ჩამოტანილი რაც ჩამოიტანეს. *ჩამოტანილი დოკუმენტები.*

**ჩამოტანება** *ჩამოტანების* (ჩამოატანს) სითხის, აირისა და მისთ. ჩამოსვლა, ჩამოღვრა. *წვიმამ სახურავში ჩამოატანა.*

**ჩამოტარება** *ჩამოტარების* (ჩამოატარებს, ჩამოუტარებს) I. ჩამოვლისას თან წამოღება. *მდინარემ მორები ჩამოატარა.* 2. თითოეულთან რიგრიგობით მიტანა, შეთავაზება. *ბავშვებთან ხილი ჩამოატარეს.*

**ჩამოტეხა** *ჩამოტეხის* (ჩამოტეხს, ჩამოატეხს) ნანილის მომტვრევა, ჩამოცილება. *ქარმა ყინული ჩამოტეხა. პურს ყუა ჩამოატეხა.*

**ჩამოტვირთვა** *ჩამოტვირთვის* (ჩამოტვირთავს, ჩამოიტვირთება) ტვირთის ჩამოღება, ტრანსპორტის ტვირთისგან დაცლა. *მანქანიდან ბარგი ჩამოტვირთეს. გემი ჩამოტვირთეს.*

**ჩამოტყდომა** *ჩამოტყდომის* (ჩამოტყდება, ჩამოუტყდება) თავისით ჩამოტეხა. *ტოტი ჩამოუტყდა. . წინა კბილი ჩამოსტყდა.*

**ჩამოტყუება** *ჩამოტყუების* (ჩამოიტყუებს) მოტყუებით ან ხათრით, რიდით ჩამოყვანა. *მეზობლებმა ეზოში ჩამოიტყუეს.*

**ჩამოფარება** *ჩამოფარების* (ჩამოაფარებს, ჩამოიფარებს, ჩამოუფარებს, ჩამოეფარება) I. ქსოვილის, ცელოფანისა და მისთ. ჩამოკიდება რაიმეს დასაფარად. *ფარდა ჩამოაფარეს.* 2. ნინ დადგომით ან დაჯდომით ვინმეს ან რაიმეს დაფარება. *ნუ ჩამომეფარები! ბავშვს ჩამოეფარა.* ■ ჩამოფარებული რაც ჩამოაფარეს. *ჩამოფარებული ფარდა.*

**ჩამოფასება** *ჩამოფასების* (ჩამოაფასებს, ჩამოფასდება) ფასის დაკლება, გაიაფება. *საგაზაფხულო ჩამოფასება. ავეჯი ჩამოაფასეს.* ■ ჩამოფასებული რაც ჩამოაფასეს. *ჩამოფასებული ტექნიკა.*

**ჩამოფრენა** *ჩამოფრენის* (ჩამოფრინდება) ფრენით ჩამოსვლა. *გვიან ჩამოფრინდა.* ■ ჩამოფრენილი ვინც ჩამოფრინდა. *ჩამოფრენილი თვითმფრინავი.*

**ჩამოფქვა** *ჩამოფქვის* (ჩამოფქვავს, ჩამოუფქვავს, ჩამოიფქვება) I. ბოლომდე დაფქვა. *სიმინდი სულ ჩამოფქვა.* 2. საუბრ. გადატ. ყველაფრის თქმა, დანერილებით მოყოლა. *ოჯახის ამბავი მეზობელთან ჩამოფქვა.*

**ჩამოფხატვა** *ჩამოფხატვის* (ჩამოიფხატავს, ჩამოეფხატება) ქუდისა და მისთ. ძალიან ჩამონვეა, ისე რომ შუბლი და თვალები დაიფაროს. *კეპი ჩამოიფხატა.* ■ ჩამოფხატული რაც ჩამოიფხატეს. *ჩამოფხატული ჩაჩი.*

**ჩამოფხაჭნა** *ჩამოფხაჭნის* (ჩამოფხაჭნის, ჩამოიფხაჭნის, ჩამოიფხაჭნება, ჩამოეფხაჭნება) ზევიდან ქვევით დაფხაჭნა. *კედელი ჩამოფხაჭნა. სახე ჩამოეფხაჭნა.* ■ ჩამოფხაჭნილი რაც ჩამოფხაჭნეს ან ჩამოიფხაჭნა. *ჩამოფხაჭნილი შპალერი.*

**ჩამოფხეკა** *ჩამოფხეკის* (ჩამოფხეკს, ჩამოიფხეკს, ჩამოიფხიკება) ფხეკით ჩამოცილება, გასუფთავება. *კარი ჩამოფხიკა. ფრესკები ჩამოფხიკეს.* ■ ჩამოფხეკილი რაც ჩამოფხიკეს. *ჩამოფხეკილი კედლები.*

**ჩამოფხვნა** *ჩამოფხვნის* (ჩამოფხვნის, ჩამოიფხვნება) პატარ-პატარა ნაწილებად ჩამოშლა, ჩამონგრევა, დაფხვნა. *კლდე ჩამოიფხვნა.*

**ჩამოფხოჭნა** *ჩამოფხოჭნის* (ჩამოფხოჭნის) ფრჩხილის ან ბრჭყალის ჩამოსმით კვალის დატოვება, ძლიერ ჩამოკაწვრა. *კნუტმა ბავშვს სახე ჩამოფხოჭნა.* ■ ჩამოფხოჭნილი ვინც ან რაც ჩამოფხოჭნეს. *ლოყა აქვს ჩამოფხოჭნილი.*

**ჩამოფხრეწა** *ჩამოფხრეწის* (ჩამოფხრეწს, ჩამოიფხრეწს, ჩამოიფხრიწება, ჩამოეფხრინება) დაფხრეწით ჩამოხევა, ჩამოგლეჯა. *პლაკატი ჩამოფხრიწა.* ■ ჩამოფხრეწილი რაც ჩამოფხრინეს ან ჩამოიფხრიწა. *ჩამოფხრეწილი ჯიბე.*

**ჩამოქვეითება** *ჩამოქვეითების* (ჩამოაქვეითებს, ჩამოქვეითდება) I. ცხენიდან, სახედრიდან და მისთ. ჩამოსვლა. *მხედარი ჩამოქვეითდა.* 2. თანამდებობის, სტატუსის, წოდებისა და მისთ. დადაბლება. *თანამშრომელი ჩამოაქვეითეს.* ■ ჩამოქვეითებული ვინც ჩამოაქვეითეს ან ჩამოქვეითდა. *ჩამოქვეითებული ოფიცერი.*

**ჩამოქნა** *ჩამოქნის* (ჩამოქნის, ჩამოიქნება) ცვილის სანთლის დამზადება. *სანთლები ჩამოქნა.*

ჩამოქნილი *ჩამოქნილის* 1. რაც ჩამოქნეს. *ჩამოქნილი სანთელი.* 2. კარგი აღნაგობის, ლამაზი ფორმის მქონე. *ჩამოქნილი ფეხები.*

ჩამოქროლება *ჩამოქროლების* (ჩამოაქროლებს, ჩამოიქროლებს, ჩამოუქროლებს) დიდი სისწრაფით ჩამოვლა. *მატარებელმა ჩამოიქროლა. მანქანით ჩამოუქროლა.*

ჩამოქცევა *ჩამოქცევის* (ჩამოაქცევს, ჩამოიქცევს, ჩამოიქცევა, ჩამოექცევა) 1. ჩამონგრევა, ჩამოშლა. *მიწისძვრამ გუმბათი ჩამოაქცია.* 2. სითხის ჩამოღვრა. *ღვინო პერანგ ზე ჩამოექცა.* ■ ჩამოქცეული რაც ჩამოიქცა. *ჩამოქცეული ჰქონდა.*

ჩამოღამება *ჩამოღამების* (ჩამოღამდება) დაღამება, ჩამობნელება. *ადრე ჩამოღამდა.*

ჩამოღება *ჩამოღების* (ჩამოიღებს, ჩამოუღებს, ჩამოაღებინებს) მაღლა დადებულის, დადგმულის აღება. *თაროდან წიგნი ჩამოუღო.*

ჩამოღვრა *ჩამოღვრის* (ჩამოღვრის, ჩამოიღვრის, ჩამოიღვრება, ჩამოეღვრება) ზევიდან ქვევით სითხის ჩამოსვლა, ჩამოშვება. *ბენზინი ჩამოიღვარა.* ■ ჩამოღვრილი რაც ჩამოიღვარა. *ჩამოღვრილი წყალი.*

ჩამოყალიბება *ჩამოყალიბების* (ჩამოაყალიბებს, ჩამოყალიბდება) 1. დაარსება, დაფუძნება. *პარტიის ჩამოყალიბება. ასოციაცია ჩამოაყალიბეს.* 2. აზრის ზუსტად გამოხატვა, გასაგებად თქმა (დაწერა). *თავისი თვალსაზრისი ჩამოაყალიბა.* 3. გარკვეული სახის მიცემა, რაიმე თვისების გაჩენა. *მტკიცე ხასიათი ჩამოუყალიბდა. სისტემა ამგვარად ჩამოყალიბდა.* ■ ჩამოყალიბებული რაც ჩამოაყალიბეს ან ჩამოყალიბდა. *ჩამოყალიბებული ორგანიზაცია.*

ჩამოყვანა *ჩამოყვანის* (ჩამოიყვანს, ჩამოუყვანს, ჩამოაყვანინებს) 1. იძულება ან ხელის შეწყობა, რომ ჩამოვიდეს. *ბიჭი სახურავიდან ჩამოიყვანა. მსახიობი საგასტროლოდ ჩამოიყვანეს.* 2. ჩამოსვლისას თან ხლება, გაყოლება. *ბავშვი აგარაკზე ჩამოიყვანა.* ■ ჩამოყვანილი ვინც ან რაც ჩამოიყვანეს. *მთიდან ჩამოყვანილი ცხენები.*

ჩამოყვინთვა *ჩამოყვინთვის* (ჩამოეყვინთება) ძილის მორევა, ჩათვლემა. *სითბოში ჩამოეყვინთა.*

ჩამოყოლა *ჩამოყოლის* (ჩამოჰყვება, ჩამოუყვება) 1. სხვასთან ერთად ჩამოსვლა. *მე ზობელი სარდაფში ჩამოჰყვა.* 2. რაიმეს გასწვრივ, გაყოლებით ჩამოსვლა. *ბილიკს ჩამოუყვა.*

ჩამოყოლება *ჩამოყოლების* (ჩამოაყოლებს, ჩამოიყოლებს) ჩამოსვლისას თან წამოღება, თან წამოყვანა. *ქალაქიდან მეგობრები ჩამოიყოლა.*

ჩამოყრა *ჩამოყრის* (ჩამოყრის, ჩამოუყრის, ჩამოიყრება, ჩამოეყრება, ჩამოაყრევინებს) ბევრის ჩამოგდება. *ბომბები ჩამოყარეს.*

ჩამოყრილი *ჩამოყრილის* 1. რაც ან ვინც ჩამოყარეს. *ჩამოყრილი თუთა.* 1. ჩამოშლილი (თმა). *ჩამოყრილი კულულები.*

ჩამოშვაება *ჩამოშვაების* (ჩამოშვადება) შვავად ჩამოშლა, ჩამონგრევა. *მთა ჩამოშვაედა.*

ჩამოშვება *ჩამოშვების* (ჩამოიშვებს, ჩამოუშვებს, ჩამოეშვება, ჩამოაშვებინებს) 1. საშუალების ან ნების მიცემა, რომ ჩამოვიდეს. *ბავშვები ჩვენთან ჩამოუშვეს.* 2. აკეცილის ან ანეულის დაბლა ჩამონევა, დაშვება. *ფარდა ჩამოუშვეს. ხელები ჩამოუშვა.* 3. სიღრმეში ნელ-ნელა ჩამოგდება, დაშვება. *თოკი ჩამოუშვა.* ■ ჩამოშვებული რაც ჩამოუშვეს. *ჩამოშვებული მავთული.*

ჩამოშლა *ჩამოშლის* (ჩამოშლის, ჩამოიშლის, ჩამოუშლის, ჩამოიშლება, ჩამოეშლება) 1. ჩამონგრევა, ნაშალის ჩამოყრა. *მთა ჩამოიშალა. კედელი ჩამოიშალა.* 2. შეკრულის, აკეცილის ჩამოწევა, ჩამოშვება. *თავსაფრიდან თმა ჩამოეშალა.* ■ ჩამოშლილი რაც ჩამოიშალა. *ჩამოშლილი კლდე.*

ჩამოშორება *ჩამოშორების* (ჩამოაშორებს, ჩამოიშორებს, ჩამოშორდება) 1. მოცლა, მოშორება. *სახიდან მური ჩამოიშორა.* 2. თავის დანებება, ურთიერთობის შეწყვეტა, დაცილება. *მეგობრებს ჩამოშორდა. სპორტს ჩამოაშორეს.*

ჩამოჩაჩვა *ჩამოჩაჩვის* (ჩამოიჩაჩავს, ჩამოიჩაჩება, ჩამოეჩაჩება) ტანსაცმლის უშნოდ, ულამაზოდ ჩამონევა. *ჯინსი ჩამოეჩაჩა.*

ჩამოჩაჩული *ჩამოჩაჩულის* 1. რაც ჩამოიჩაჩა. *ჩამოჩაჩული შარვალი.* 2. ვისაც ტანსაცმელი კარგად მომდგარი არ აცვია. *ჩამოჩაჩული დაადის.*

ჩამოცვენა *ჩამოცვენის* (ჩამო(ს)ცვივა, ჩამო(ს)ცვივდება) ჩამოცვივნა. *ფურცლები ჩამოცვივდა.* ■ ჩამოცვივნული რაც ჩამოცვივდა. *ჩამოცვივნული ნამსხვრევები.*

ჩამოცვივნა *ჩამოცვივნის* (ჩამო(ს)ცვივა, ჩამო(ს)ცვივდება) ბევრის ჩამოვარდნა. *ჭურვები ჩამოცვივდა. ცრემლები ჩამოსცვივდა.* ■ ჩამოცვივნული ნამსხვრევები.

ჩამოცილება *ჩამოცილების* (ჩამოაცილებს, ჩამოიცილებს, ჩამოსცილდება) 1. მოცილება, ჩამოშორება (1). *მტვერი ჩამოიცილა.* 2. ურთიერთობის შეწყვეტა, ჩამოშორება (2). *ყველა მეგობარი ჩამოსცილდა. თაყვანისმცემელი ჩამოიცილა.* 3. ჩამოსვლისას გამოცილება. *მასპინძელმა კიბე ზე ჩამოაცილა.*

ჩამოცლა *ჩამოცლის* (ჩამოცლის, ჩამოაცლის, ჩამოიცლება, ჩამოეცლება) 1. ჩამონევით, ჩამოხევით მოშორება, მოცილება. *ხეს ქერქი ჩამოაცალა.* 2. ჩამოღებით ან ჩამოსხმით დაცლა. *მანქანიდან ყუთები ჩამოცალეს. ღვინო დოქში ჩამოცალა.* 3. ჩამოშორება, შორს ნასვლა. *მეგობარს ჩამოეცალა.* ■ ჩამოცლილი რაც ჩამოაცალეს ან ჩამოცალეს. *ჩამოცლილი ტვირთი.*

ჩამოცმა *ჩამოცმის* (ჩამოაცმევს, ჩამოიცვამს, ჩამო-

ეცმება) 1. ვერტიკალური წვეტიანი საგნის გაყრა, ამ საგანზე ჩამოგება. *სარს თივის კონა ჩამოაცვა.* 2. ზევიდან ჩამოფარება, მორგება. *ფაფახი ჩამოიცვა. ცხენს მარყუჟი ჩამოაცვა.* ■ ჩამოცმული რაც ჩამოიცვეს ან ჩამოაცვეს. *კისერზე ჩამოცმული ყულფი.*

**ჩამოცხომა** *ჩამოცხომის* (ჩამოცხება) დიდი სიცხის დადგომა, ტემპერატურის აწევა. *უცებ ჩამოცხა.*

**ჩამოძახება** *ჩამოძახების* (ჩამოსძახებს) ქვევით (აქ ან მანდ) მყოფისთვის დაძახება. *სახურავიდან ჩამომძახა.*

**ჩამოძენძვა** *ჩამოძენძვის* (ჩამოიძენძება) დაძენძვა და ჩამოშლა. *ფარდა ჩამოიძენძა.* ■ ჩამოძენძილი რაც ჩამოიძენძა. *ჩამოძენძილი კაბა.*

**ჩამოძინება** *ჩამოძინების* (ჩამოიძინებს, ჩამოეძინება) ფეხზე მდგომის ან დამჯდარის უნებლიეთ დაძინება. *მაგიდასთან ჩამოეძინა.*

**ჩამოძრობა** *ჩამოძრობის* (ჩამოაძრობს, ჩამოიძრობს, ჩამო(ს)ძვრება) დამაგრებულის მოძრობა, ჩამოვარდნა, ჩამოცილება. *კბილი ჩამოსძვრა. ნილაბი ჩამოიძრო.*

**ჩამოძრომა** *ჩამოძრომის* (ჩამოძვრება) ძრომით ჩამოსვლა. *სხვენიდან ჩამოძვრა.*

**ჩამოწევა** *ჩამოწევის* (ჩამოსწევს, ჩამოიწევს, ჩამოუწევს, ჩამოიწევა, ჩამოეწევა) 1. ქვევით დაწევა, ჩამოშვება. *ხელი ჩამოსწია. ჭერი ჩამოიწია. საყელო ჩამოიწია.* 2. ადგილის შენაცვლება ცოტათი, მცირე მანძილით (აქეთ ან მანდეთ). *ჩემკენ ჩამოიწია. ერთი საფეხურით ჩამოიწია.*

**ჩამოწერა** *ჩამოწერის* (ჩამოწერს, ჩამოაწერს, ჩამოუწერს, ჩამოიწერება, ჩამოეწერება) 1. თანმიმდევრობით დაწერა, სიის შედგენა. *გვარები ჩამოწერა. ფასები ჩამოუწერა.* 2. ანგარიშიდან ვალის გამოქვითვა, გადახდილად მიჩნევა. *დიდი თანხა ჩამოაწერეს.* 3. უვარგისი საქონლის, ინვენტარის ხმარებიდან ამოღება. *აპარატურა ჩამოწერეს.* ■ ჩამოწერილი რაც ჩამოწერეს. *ჩამოწერილი დავალიანება.*

**ჩამოწენწვა** *ჩამოწენწვის* (ჩამოუწენწავს, ჩამოიწენწება, ჩამოეწენწება) ჩამოშლა და აბურდვა (ჩვეულებრივ, თმისა). *ქარმა თმა ჩამოუწენწა.*

**ჩამოწვდენა** *ჩამოწვდენის* (ჩამოაწვდენს) ზევიდან ქვევით მოწვდენა. *ხმა ჩამოაწვდინა.*

**ჩამოწვდომა** *ჩამოწვდომის* (ჩამოსწვდება) ქვევით მყოფთან, ქვევით მოთავსებულთან მოახლოება, შეხება. *კალათას ჩამოსწვდა.*

**ჩამოწვეთება** *ჩამოწვეთების* (ჩამოეწვეთება) სითხის წვეთებად ჩამოსვლა, ჩამოსხმა. *კაბაზე სიროფი ჩამოეწვეთა. სისხლი ჩამოეწვეთა.*

**ჩამოწველა** *ჩამოწველის* (ჩამოწველის) იგივეა, რაც მოწველა. *ძროხა ჩამოწველა.*

**ჩამონმენდა** *ჩამონმენდის* (ჩამოწმენდს, ჩამოიწმენდს, ჩამოიწმინდება, ჩამოეწმინდება) 1. ზევიდან ქვევით წმენდით ჭუჭყისა და მისთ. ჩამოშორება, ჩამოსუფთავება. *ჭალი ჩამოწმინდა. ოფლი ჩამოიწმინდა.* ■ ჩამონწმენდილი რაც ჩამონწმინდეს. *ჩამონწმენდილი ჭერი.*

**ჩამონოლა** *ჩამონოლის* (ჩამონვება) 1. ჩამონგრევა, ჩამოშლა. *კედელი ჩამონვა.* 2. ზვავისა და მისთ. ჩამოსვლა. *მეწყერი ჩამონვა.*

**ჩამონრეტა** *ჩამონრეტის* (ჩამოინრიტება) სითხისგან ჭურჭლის მთლიანად დაცლა, დანრეტა. *ქილა ჩამოინრიტა.*

**ჩამონყდომა** *ჩამონყდომის* (ჩამონყდება, ჩამოუნყდება) ჩამონყვეტა. *თოკი ჩამოუნყდა.*

**ჩამონყვეტა** *ჩამონყვეტის* (ჩამონყვეტს, ჩამოანყვეტს, ჩამოიწყვეტს, ჩამოუნყვეტს) სიმაღლეზე დამაგრებულის, გაჭიმულის გაწყვეტა, ჩამოგლეჯა. *ფარდა ჩამონყვიტეს.*

**ჩამონყობა** *ჩამონყობის* (ჩამოანყობს, ჩამოუნყობს) ბევრის ჩამოღება. *წიგნები კარადიდან ჩამოანყო.* ■ ჩამონყობილი რაც ჩამოანყვეს. *ჩამონყობილი ჭურჭელი.*

**ჩამოჭკნობა** *ჩამოჭკნობის* (ჩამოაჭკნობს, ჩამოჭკნება, ჩამოაჭკნება) 1. ზედ დაჭკნობა. *ფოთლები ჩამოჭკნა. ვაზს მტევნები ჩამოაჭკნა.* 2. საუბრ. გადატ. ძალიან გახდომა, კანის დანაოჭება. *ქალი დარდით ჩამოჭკნა.*

**ჩამოჭრა** *ჩამოჭრის* (ჩამოჭრის, ჩამოაჭრის, ჩამოიჭრის, ჩამოუჭრის, ჩამოიჭრება, ჩამოეჭრება) 1. მჭრელი იარაღით რაიმე ნაწილის ჩამოცილება. *ნაბადირევს მოზრდილი ნაჭერი ჩამოაჭრა. ნამცხვრის კიდეები ჩამოჭრა.* 2. გადატ. რაიმე ნაწილის მოკლება, ჩამორთმევა. *ეზოს ნაწილი ჩამოაჭრეს. ორი თვის ხელფასი ჩამოაჭრეს.*

**ჩამოხდომა** *ჩამოხდომის* (ჩამოხდება) ცხენიდან, სახედრიდან და მისთ. ჩამოსვლა. *აქლემიდან ჩამოხდა.*

**ჩამოხედვა** *ჩამოხედვის* (ჩამოიხედავს) ზევიდან დახედვა აქეთ ან მანდეთ. *აივნიდან ჩამოიხედა.*

**ჩამოხევა** *ჩამოხევის* (ჩამოხევს, ჩამოახევს, ჩამოიხევს, ჩამოიხევა, ჩამოეხევა) ზევიდან მოხევა, ჩამოგლეჯა. *აფიშა ჩამოხია.* ■ ჩამოხეული რაც ჩამოხიეს ან ჩამოიხა. *ჩამოხეული შარვალი.*

**ჩამოხერხვა** *ჩამოხერხვის* (ჩამოხერხავს, ჩამოახერხავს) ხერხით ჩამოჭრა. *ხეს ტოტი ჩამოახერხა.*

**ჩამოხეხვა** *ჩამოხეხვის* (ჩამოხეხავს, ჩამოიხეხება) ხეხვით ჩამოწმენდა, ჩამოსუფთავება. *კედლები ჯაგრისით ჩამოხეხა.*

**ჩამოხვევა** *ჩამოხვევის* (ჩამოუხვევს) მიმართულების შეცვლა, ქვევით გამოხვევა. *სოფლისკენ ჩამოუხვიეს.*

**ჩამოხმობა** *ჩამოხმობის* (ჩამოახმობს, ჩამოხმება) 1. ზედ გახმობა. *ლელვი ხეზე ჩამოხმა.* 2. გადატ. ძალიან გახდომა. *ქალი ავადმყოფობამ ჩამოახმო.*

ჩამოხოკვა *ჩამოხოკვის* (ჩამოიხოკავს) ფრჩხილებით სახის ჩამოკანვრა. *ლოყები ჩამოიხოკა.*

ჩამოხოხება *ჩამოხოხების* (ჩამოხოხდება) ხოხვით ჩამოსვლა. *ბავშვი სავარძლიდან ჩამოხოხდა.*

ჩამოხრჩობა *ჩამოხრჩობის* (ჩამოახრჩობს, ჩამოიხრჩობს) თოკზე ჩამოკიდებით მოკვლა, დახრჩობა. *დამნაშავე ჩამოახრჩვეს. თავი ჩამოიხრჩო.*

ჩამოხსნა *ჩამოხსნის* (ჩამოხსნის, ჩამოიხსნის, ჩამოუხსნის, ჩამოიხსნება, ჩამოეხსნება) დაკიდებულის, ზევით დამაგრებულის მოხსნა, ჩამოღება. *ჰამაკი ჩამოხსნა. ცხენს ხურჯინი ჩამოხსნა.* ■ ჩამოხსნილი რაც ჩამოხსნეს. *ჩამოხსნილი თოკი.*

ჩამოხტომა *ჩამოხტომის* (ჩამოხტება) ხტომით ჩამოსვლა. *ავტობუსიდან ჩამოხტა.*

ჩამოჯდომა *ჩამოჯდომის* (ჩამოჯდება, ჩამოუჯდება) კიდეზე დაჯდომა, სახელდახელოდ დაჯდომა. *სანოლზე ჩამოჯდა. სანაპიროზე ჩამოჯდა.*

ჩამპალი *ჩამპლის* რაც ჩაალპეს ან ჩალპა. *ჩამპალი საძირკველი.*

ჩამუავება *ჩამუავების* (ჩამუავებს, ჩამუავდება) მწნილად ჩადება, დამუავება (1). *კომბოსტო კასრში ჩაამუავეს.* ■ ჩამუავებული რაც ჩაამუავეს ან ჩამუავდა. *ჩამუავებული კიტრი.*

ჩამრთველი *ჩამრთველის* მოწყობილობა, რომლის საშუალებითაც დენი გაივლის ქსელში. *ტელევიზორის ჩამრთველი.*

ჩამსხვრევა *ჩამსხვრევის* (ჩაამსხვრევს, ჩაუმსხვრევს, ჩაიმსხვრევა, ჩაემსხვრევა) ჩასმულის დამტვრევა. *აფეთქებამ შენობის მინები ჩაამსხვრია. სარკე ჩაიმსხვრა.* ■ ჩამსხვრეული რაც ჩაამსხვრიეს ან ჩაიმსხვრა. *ჩამსხვრეული ძვლები.*

ჩამტვრევა *ჩამტვრევის* (ჩაამტვრევს, ჩაიმტვრევს, ჩაუმტვრევს, ჩაიმტვრევა, ჩაემტვრევა) დარტყმით ნატეხებად ქცევა, ჩალეწვა. *ფანჯარა ჩაამტვრია. იატაკი ჩაიმტვრა. კბილები ჩაუმტვრია.* ■ ჩამტვრეული რაც ჩაამტვრიეს. *ჩამტვრეული ვიტრინა.*

ჩამუქება *ჩამუქების* (ჩაამუქებს, ჩამუქდება, ჩაუმუქდება) ცოტათი გამუქება, ჩაბნელება, ჩაშავება. *თვალები ჩაუმუქდა.* ■ ჩამუქებული რაც ჩაამუქეს ან ჩამუქდა. *ჩამუქებული ცა.*

ჩამუხლება *ჩამუხლების* (ჩაიმუხლებს) 1. მუხლებში მოკეცვით ჩაჯდომა. *იატაკზე ჩაიმუხლა.* 2. გადატ. დაღლილის შესვენება, ცოტა ხნით ჩამოჯდომა. *საღამო ხანს ჩაიმუხლა.*

ჩამქრალი *ჩამქრალის* 1. რაც ჩაქრა ან ჩააქრეს. *ჩამქრალი შუქი. ჩამქრალი სანთელი.* 2. გადატ. არამკვეთრი, არაკაშკაშა. *ჩამქრალი ფერები.*

ჩამყაყება *ჩამყაყების* (ჩაამყაყებს, ჩამყაყდება) 1. ჩალპობა და ამყრალება. *გუბე ჩამყაყდა.* 2. გადატ. განვითარების შეჩერება, ძველ, დრომოჭმულ მდგომარეობაში დარჩენა. *ქვეყანა ჩამყაყდა.*

ჩამყაყებული *ჩამყაყებულის* 1. რაც ჩამყაყდა. *ჩამყაყებული ჭაობი.* 2. გადატ. დრომოჭმული, მოძველებული. *ჩამყაყებული სისტემა. ჩამყაყებული საზოგადოება.*

ჩამჩა *ჩამჩის* გრძელტარიანი დიდი ღრმა კოვზი, გამოიყენება ქვაბიდან ნვნიანი კერძის ამოსაღებად. *რკინის ჩამჩა.*


ჩამჩა

ჩამცხრალი *ჩამცხრალის* რაც ჩაცხრა. *ჩამცხრალი პროცესი.*

ჩამწარება *ჩამწარების* (ჩაამწარებს, ჩაიმწარებს, ჩაუმწარებს, ჩამწარდება, ჩაუმწარდება) კარგი გუნება-განწყობილების გაფუჭება, მხიარულების ჩაშლა. *სიხარული ჩაამწარეს. ქეიფი ჩაუმწარდა.* ■ ჩამწარებული რაც ჩაამწარეს. *ჩამწარებული კვირა დღე.*

ჩამწერი *ჩამწერის* 1. ვინც ან რაც ჩაიწერს. *ხმის ჩამწერი სტუდია.* 2. რითაც უნდა ჩაიწერონ. *ჩამწერი აპარატურა.*

ჩამწვარი *ჩამწვრის* რაც ჩაიწვა. *ჩამწვარი სიგარეტი.*

ჩამწკრივება *ჩამწკრივების* (ჩაამწკრივებს, ჩამწკრივდება) მწკრივად დალაგება, დაყენება. *სკამები ჩაამწკრივა. მოსწავლეები ეზოში ჩამწკრივდნენ.* ■ ჩამწკრივებული ვინც ან რაც ჩაამწკრივეს. *ჩამწკრივებული ხეები. ჩამწკრივებული ჯარისკაცები.*

ჩამწნილება *ჩამწნილების* (ჩაამწნილებს, ჩამწნილდება) ჭურჭელში ჩადება დასამწნილებლად. *კიტრი კასრში ჩაამწნილეს.* ■ ჩამწნილებული რაც ჩაამწნილეს. *ჩამწნილებული სოკო.*

ჩამწყდარი *ჩამწყდარის* რაც ჩაწყდა. *ჩამწყდარი ხმა.*

ჩამწყვდევა *ჩამწყვდევის* (ჩაამწყვდევს) იგივეა, რაც დამწყვდევა. *სარდაფში ჩაამწყვდიეს.* ■ ჩამწყვდეული ვინც ჩაამწყვდიეს. *დიდხანს იყო ჩამწყვდეული.*

ჩამხობა *ჩამხობის* (ჩაამხობს, ჩაემხობა) ერთბაშად პირქვე ჩაწოლა, დამხობა. *ბალიშში თავით ჩაემხო.*

ჩამხრჩვალი *ჩამხრჩვალის* ვინც ან რაც ჩაიხრჩო. *არხში ჩამხრჩვალი ქათმები.*

ჩამჯდარი *ჩამჯდარის* ვინც ჩაჯდა. *საავარძელში ჩამჯდარს ეძინა.*

ჩანა *ჩანის* ადამიანისა და ცხოველის ქვედა ყბა. *ჩანა ამოუვარდა.*

ჩანავლება *ჩანავლების* (ჩაანავლებს, ჩაინავლება, ჩანავლდება) 1. ბოლომდე ჩაწვა, ფერფლად ქცევა. *ცეცხლი ჩანავლდა. სანთელი ჩაინავლა.* 2. გადატ. გაქრობა, მილევა. *სიყვარული ჩაინავლა.* ■ ჩანავლებული რაც ჩაინავლა. *ჩანავლებული ნაკვერჩხალი.*

ჩანათება *ჩანათების* (ჩაანათებს, ჩაუნათებს) ზევიდან ქვევით განათება. *კიბე ზე ჩაუნათა.*

ჩანართი *ჩანართის* ტექსტში ჩამატებული ადგილი, რომელიც სიუჟეტურ ხაზს არ აგრძელებს. *ავტორისეული ჩანართი.*

ჩანარცხება *ჩანარცხების* (ჩაანარცხებს, ჩაენარცხება) მთელი ძალით ჩავარდნა, ჩაგდება, ჩახეთქება. *ტალახში ჩაენარცხა.*

ჩანასახი *ჩანასახის* 1. ადამიანის ან ცხოველის ორგანიზმი მუცლად ან კვერცხში ყოფნის ადრეულ სტადიაში. *ჩანასახის განვითარება. ჩანასახის გარსი.* 2. თესლის ის ნაწილი, საიდანაც მცენარე უნდა განვითარდეს. *ხორბლის ჩანასახი.*

ჩანაფიქრი *ჩანაფიქრის* რაიმეს გაკეთების, განხორციელების განზრახვა. *ჩანაფიქრი გაგვიმხილა.*

ჩანაყვა *ჩანაყვის* (ჩანაყავს, ჩაუნაყავს, ჩაინაყება) რაიმეში დანაყვა. *მწვანილი ჩანაყა.* ■ ჩანაყილი რაც ჩანაყეს. *ჩანაყილი ნიგოზი.*

ჩანაცვლება *ჩანაცვლების* (ჩაანაცვლებს, ჩაუნაცვლებს, ჩაენაცვლება) იგივეა, რაც შენაცვლება. *მცველს ჩაენაცვლა. წამალი ახალი პრეპარატით ჩაანაცვლეს.*

ჩანაწერი *ჩანაწერის* რაც ხელით ან ტექნიკური საშუალებებით არის ჩაწერილი. *ლექციის ჩანაწერი. მოკლე ჩანაწერი. სპექტაკლის ჩანაწერი.*

ჩანახატი *ჩანახატის* სახელდახელოდ შესრულებული ნახატი. *ჩანახატების ალბომი.*

ჩანახი[1] *ჩანახის* 1. ცილინდრის ფორმის ჭურჭელი, გამოიყენება მარცვლეულის ჩასაყრელად ან საწყაოდ. *ხის ჩანახი.* 2. ჩანახის (1) საწყაოს ნონისა (დაახლ. ნახევარი ფუთი). *ერთი ჩანახი ლობიო.*

ჩანახი[2] *ჩანახის* ხორციანი საჭმელი, ხარშავენ ცალ-ცალკე ულუფებად ღუმელში შედგმულ თიხის ჯამებში.

ჩანგალი

ჩანგალი *ჩანგლის* 1. სამ- ან ოთხკბილიანი ტარიანი საგანი, რომლითაც საჭმელს იღებენ. *ვერცხლის ჩანგალი.* 2. სხვადასხვა სახისა და დანიშნულების კავისებრი წვეტიანი იარაღი. *ჩანგალზე წამოაგო. ჩანგლით დაიჭირა.*

ჩანგი *ჩანგის* უძველესი ქართული სიმებიანი საკრავი, აქვს ექვსი ან მეტი სიმი, უკრავენ სიმებზე თითების ჩამოკვრით. *ჩანგზე დამღერება. ჩანგს აჟღერებს.*

ჩანგრევა *ჩანგრევის* (ჩაანგრევს, ჩაუნგრევს, ჩაინგრევა, ჩაენგრევა) დანგრევა და ნანგრევების ქვეშ, სიღრმეში ჩაყრა. *იატაკი ჩაანგრია. სცენა ჩაინგრა.* ■ ჩანგრეული რაც ჩაინგრა. *ჩანგრეული ხიდი.*

ჩანგური *ჩანგურის* იგივეა, რაც ჩონგური.

ჩანელება *ჩანელების* (ჩაანელებს, ჩანელდება) ცეცხლის მხურვალების მოკლება, ცოტათი ჩაქრობა. *ბუხარი ჩანელდა.*

ჩანერგვა *ჩანერგვის* (ჩანერგავს, ჩაინერგავს, ჩაუნერგავს, ჩაინერგება, ჩაენერგება) რაიმე აზრის, გრძნობის ღრმად ჩასახვა. *ეს აზრი ბავშვობიდან ჩაუნერგეს.*


ჩანთა

ჩანთა *ჩანთის* სხვადასხვა მასალის, სახელურებიანი საგანი, გამოიყენება მსუბუქი ტვირთის სატარებლად. *ტყავის ჩანთა. სპორტული ჩანთა.*

ჩანთოსანი *ჩანთოსნის* ცხოველი, რომელიც ნაშიერს ჩანთით ატარებს. *კენგურუ ჩანთოსანია.*

ჩანთქმა *ჩანთქმის* (ჩანთქავს, ჩაინთქმება) 1. სილრმეში გაქრობა, გაუჩინარება. *ტალღებში ჩაინთქა. უფსკრულში ჩაინთქა.* 2. სწრაფად და დიდი რაოდენობით შეჭმა, შთანთქმა. *მთელი ქათამი ჩანთქა.* ■ ჩანთქმული რაც ჩაინთქა. *ზღვაში ჩანთქმული გემი.*

ჩანთხევა *ჩანთხევის* (ჩაანთხევს, ჩაინთხევა) რაიმეში დანთხევა, ჩაღვრა. *სისხლი ნიჟარაში ჩაანთხია.* ■ ჩანთხეული რაც ჩაანთხიეს. *ჩანთხეული ოფლი.*

ჩანისკარტება *ჩანისკარტების* (ჩაუნისკარტებს) ნისკარტის ჩარტყმა. *მამალმა ჩაუნისკარტა.*

ჩანიშვნა *ჩანიშვნის* (ჩანიშნავს, ჩაინიშნავს) სახელდახელოდ, მოკლედ ჩაწერა. *ბლოკნოტში ჩაინიშნა. მისამართი ჩაინიშნა.* ■ ჩანიშნული რაც ჩაინიშნეს. *ჩანიშნული თარიღი.*

ჩანჩალა *ჩანჩალას* იგივეა, რაც მაჩანჩალა. *ჩანჩალა კაცი.*

ჩანჩალი *ჩანჩალის* (ჩანჩალებს) ნელი, უღონო სიარული. *მოხუცი ძლივს ჩანჩალებს.*

ჩანჩურა *ჩანჩურას* ულაზათოდ ჩაცმული, უშნო, უგერგილო. *ჩანჩურა კაცი. დიდი ჩანჩურა ვინმეა.*

ჩანჩქერი *ჩანჩქერის* დიდი სიმაღლიდან დაშვებული მდინარის წყლის ძლიერი ნაკადი. *ჩანჩქერის ხმა.*

ჩაობება *ჩაობების* (ჩააობებს, ჩაობდება) რაიმეში დაობება. *მწნილი ჩაობდა. პური ქვაბში ჩაობდა.* ■ ჩაობებული რაც ჩაობდა. *ჩაობებული საჭმელი.*

ჩაოხრება *ჩაოხრების* (ჩააოხრებს, ჩაოხრდება) 1. მოუვლელობით გაფუჭება, წახდენა. *სახლ-კარი ჩაოხრდა. ყველაფერი ჩააოხრეს.* ■ ჩაოხრებული რაც ჩააოხრეს ან ჩაოხრდა. *ჩაოხრებული საჯინიბო.*

ჩაპარვა *ჩაპარვის* (ჩაიპარება, ჩაეპარება) შეუმჩნევლად, ფარულად ჩასვლა. *სარდაფში ჩაიპარნენ.*

ჩაპაჭუნება *ჩაპაჭუნების* (ჩაუპაჭუნებს) ცალი თვალის ოდნავ მოხუჭვა რაიმეს სანიშნებლად. *თვალი ჩაუპაჭუნა.*

ჩაპუტკუნებული *ჩაპუტკუნებულის* საუბრ. ჩასუქებული. *ჩაპუტკუნებული ხელები.*

ჩაჟამებული *ჩაჟამებულის* ჩაშავებული, ჩაბნელებული. *ჩაჟამებული გარემო.*

ჩაჟანგვა *ჩაჟანგვის* (ჩაჟანგავს, ჩაიჟანგება) შიგნით, სიღრმეში ჟანგის მოკიდება. *საკეტი ჩაიჟანგა.* ▪ ჩაჟანგული რაც ჩაიჟანგა. *ჩაჟანგული ონკანი.*

ჩაჟეჟვა *ჩაჟეჟვის* (ჩაჟეჟავს, ჩაიჟეჟება, ჩაეჟეჟება) იგივეა, რაც დაჟეჟვა. *ფეხი ჩაეჟეჟა.*

ჩაჟონვა *ჩაჟონვის* (ჩაჟონავს) სითხის წვეთ-წვეთად ჩასვლა. *ოთახში წვიმამ ჩაჟონა.*

ჩარა *ჩარის* ძალა, ღონე. *ჩარა გამოელია.* ◈ მეტი ჩარა არ არის, მეტი რა ჩარაა სხვა გზა არ არის.

ჩარაზვა *ჩარაზვის* (ჩარაზავს, ჩაირაზება) რაზით ჩაკეტვა. *კარი ჩარაზეს.* ▪ ჩარაზული რაც ჩარაზეს. *ჩარაზული ფანჯრები.*

ჩარაკრაკება *ჩარაკრაკების* (ჩაარაკრაკებს) საუბრ. სხაპასხუპით, შეუცდომლად თქმა. *ლექსი ჩარაკრაკა.*

ჩარანი *ჩარანის* დაბალი ბუჩქი, იზრდება ზამთრის საძოვრებზე, მლაშობ ადგილებში.

ჩარბენა *ჩარბენის* (ჩაირბენს, ჩაურბენს) სირბილით ჩასვლა, ჩავლა (1). *ე ზოში ჩაირბინა.*

ჩარგვა *ჩარგვის* (ჩარგავს, ჩაირგვება) 1. ნერგის მინაში ჩადგმა, დარგვა. *ყვავილი ქოთანში ჩარგო.* 2. გადატ. თავის ან ცხვირის ჩაყოფა, ჩამალვა. *თავი ბალიშში ჩარგო.* ▪ ჩარგული რაც ჩარგეს. *მწკრივად ჩარგული ხეხილი.*

ჩარდახი *ჩარდახის* 1. ფარდაგით გადახურული თაღი ურემზე. 2. ბანის² ნაწილი, სვეტებზე დადგმული და გუმბათით გადახურული. ▪ ჩარდახიანი ჩარდახის მქონე. *ჩარდახიანი სახლი.*

ჩარევა *ჩარევის* (ჩარევს, ჩაურევს, ჩაერევა) 1. ერთ ნივთიერებაში მეორის მცირე დოზით შერევა. *წყალი ჩაურია.* 2. მონაწილეობის მიღება. *საუბარში ჩაერია. აურზაურში ჩარიეს.* ▪ ჩარეული ვინც ან რაც ჩაერია. *ჩხუბში არ არის ჩარეული.*

ჩარეკვა *ჩარეკვის* (ჩარეკავს) საქონლის ჩაყვანა. *ცხვრები მთიდან ჩარეკეს.*

ჩარექა *ჩარექის* 1. სითხის საზომი ერთეული, უდრის დაახლოებით ერთ ლიტრს. *ხუთი ჩარექა ღვინო.* 2. თიხის ჭურჭელი, რომელშიც ერთი ჩარექა (1) სითხე ეტევა. *ჩარექაში არაყი ესხა.*

ჩარექი *ჩარექის* მინის ფართობის ზომა. *ათი ჩარექი ვენახი.*

ჩარექიანი *ჩარექიანის* 1. ერთი ჩარექის (1) ტევადობის მქონე. *ჩარექიანი დოქი.* 2. იგივეა, რაც ჩარექა (2). *ჩარექიანიანი ღვინით გაავსო.*

ჩარეცხვა *ჩარეცხვის* (ჩარეცხავს, ჩაურეცხავს, ჩაირეცხება) 1. ზევიდან ქვევით გარეცხვა, ჩასუფთავება. *კიბე ჩარეცხა.* 2. წყლის დიდი ნაკადით წალეკვა, განადგურება. *წვიმამ ფერდობი ჩარეცხა.* ▪ ჩარეცხილი რაც ჩარეცხეს. *ჩარეცხილი სადარბაზო.*

ჩართვა *ჩართვის* (ჩართავს, ჩაურთავს, ჩაირთვება) 1. ენერგიის წყაროსთან, სისტემასთან მიერთება და ამუშავება. *უთო ჩართო. სიგნალიზაცია ჩაირთო.* 2. რაიმე საქმის მონაწილედ გახდომა. *კამათში ჩაერთო. ჩხუბში ჩაერთო.* ▪ ჩართული რაც ან ვინც ჩაერთო. *ჩართული ტელევიზორი.*

ჩარიგება *ჩარიგების* (ჩაარიგებს, ჩარიგდება) მწკრივად, ერთ რიგზე, ერთმანეთის მიყოლებით დაწყობა, განლაგება. *ხეხილი ჩაარიგეს.* ▪ ჩარიგებული რაც ჩარიგდა. *ჩარიგებული სახლები.*

ჩარიცხვა *ჩარიცხვის* (ჩარიცხავს, ჩაურიცხავს, ჩაირიცხება, ჩაერიცხება) 1. სასწავლებელში, ორგანიზაციასა და მისთ. მიღება. *უნივერსიტეტში ჩაირიცხა. გუნდში ჩარიცხეს.* 2. თანხის გაფორმება საბანკო ანგარიშზე. *500 ლარი ჩაურიცხეს.* ▪ ჩარიცხული ვინც ან რაც ჩარიცხეს. *ჩარიცხული სტუდენტები.*

ჩაროზი *ჩაროზის* იგივეა, რაც დესერტი. *აღმოსავლური ჩაროზი.*

ჩარტერი *ჩარტერის* გარკვეული დროით დაქირავებული გემი ან თვითმფრინავი. *ჩარტერით იმგზავრა.*

ჩარტყმა *ჩარტყმის* (ჩაარტყამს, ჩაირტყამს, ჩაურტყამს) დარტყმა, დაკვრა. *თავში ჩაარტყა. ჩაქუჩი ხელში ჩაირტყა.*

ჩარჩენა *ჩარჩენის* (ჩაარჩენს, ჩარჩება) 1. რაიმეში დარჩენა. *საბუთი ჩანთაში ჩარჩა.* 2. საუბრ. სადმე დარჩენა, წამოსვლის შეუძლებლობა. *დიდთოვლობისას მთაში ჩარჩა.* ▪ ჩარჩენილი ვინც ან რაც ჩარჩა. *დოქში ჩარჩენილი ღვინო.*

ჩარჩი *ჩარჩის* ძვ. იგივეა, რაც გადამყიდველი.

ჩარჩო *ჩარჩოს* 1. მყარი მასალისგან დამზადებული, ძირითადად ოთხკუთხა საგანი, რომელშიც მინა, სურათი და მისთ. არის ჩასმული. *ნახატის ჩარჩო. ჩარჩოს ზომა.* 2. ხისგან შეკრული ოთხკუთხედი, რომელშიც ფუტკრები ფიჭას აკეთებენ. 3. სათვალის ნაწილი, რომელშიც მინებია ჩასმული. *მზის სათვალე.*

ჩარჭობა *ჩარჭობის* (ჩაარჭობს, ჩაირჭობს, ჩაურჭობს, ჩაერჭობა) ბასრი, წვეტიანი საგნის რაიმეში ჩასმა, ჩასობა. *ეშვები ჩაურჭო. ლურსმანი ჩაარჭო.* ▪ ჩარჭობილი რაც ჩაარჭვეს. *ჩარჭობილი ისარი.*

ჩარხვა *ჩარხვის* (ჩარხავს, იჩარხება, აჩარხვინებს) ↑ გაჩარხვა (1). *ხელოსანმა ჩარხვა დაიწყო.*

ჩარხი *ჩარხის* ხელოსნის დანადგარი, გამოიყენება დეტალების დასამუშავებლად ან რაიმეს გასაღესად. *მჭედლის ჩარხი.*

ჩასაბარებელი *ჩასაბარებლის* რაც უნდა ჩააბარონ. *ჩასაბარებელი მასალები.* ▲ ჩასაბარებლად ზმნზ. ჩაბარებისთვის, ჩაბარების მიზნით. *გამოცდების ჩასაბარებლად.*

ჩასაბეჭდი *ჩასაბეჭდის* რაც უნდა ჩაბეჭდონ ან უნდა ჩაიბეჭდოს. *ჩასაბეჭდი სიმბოლოები.*

**ჩასაბმელი** *ჩასაბმელის* რაც უნდა ჩააბან ან რითაც უნდა ჩააბან. *ჩასაბმელი თოკი.*

**ჩასაკეტი** *ჩასაკეტის* რაც უნდა ჩაკეტონ. *ჩასაკეტი კარი.* ▲ ჩასაკეტად ზმნზ. ჩაკეტვისთვის, ჩაკეტვის მიზნით. *ჩასაკეტად სჭირდება.*

**ჩასაკრავი** *ჩასაკრავის* რაც უნდა ჩააკრან. *ალბომში ჩასაკრავი სურათები.*

**ჩასალაგებელი** *ჩასალაგებლის* რაც უნდა ჩაალაგონ. *ჩემოდანი ჩასალაგებელი მაქვს.* ▲ ჩასალაგებლად ზმნზ. ჩალაგებისთვის, ჩალაგების მიზნით. *ბარგის ჩასალაგებლად.*

**ჩასამატებელი** *ჩასამატებლის* რაც უნდა ჩაამატონ, რის ჩამატებაც საჭიროა. *ჩასამატებელი მასალა.* ▲ ჩასამატებლად ზმნზ. ჩამატებისთვის, ჩამატების მიზნით. *სიაში ჩასამატებლად.*

**ჩასართავი** *ჩასართავის* რაც უნდა ჩართონ, რითაც უნდა ჩართონ. *ჩასართავი მოწყობილობა. შუქის ჩასართავი.* ▲ ჩასართავად ზმნზ. ჩართვისთვის, ჩართვის მიზნით. *ტელევიზორის ჩასართავად.*

**ჩასატანი** *ჩასატანის* რაც უნდა ჩაიტანონ. *სარდაფში ჩასატანი ნივთები.* ▲ ჩასატანად ზმნზ. ჩატანისთვის, ჩატანის მიზნით. *ტვირთის ჩასატანად.*

**ჩასატარებელი** *ჩასატარებლის* რაც უნდა ჩაატარონ ან ჩატარდეს. *ჩასატარებელი ექსპერიმენტი.* ▲ ჩასატარებლად ზმნზ. ჩატარებისთვის, ჩატარების მიზნით. *აქციის ჩასატარებლად.*

**ჩასაფრება** *ჩასაფრების* (ჩაასაფრებს, ჩაუსაფრებს, ჩასაფრდება, ჩაუსაფრდება) საფარში ან მოფარებულ ადგილას ვინმეს დადარაჯება და თვალთვალი. *ჯარი ხეობაში ჩაასაფრა. მონადირე მგელს ჩაუსაფრდა.* ■ ჩასაფრებული ვინც ან რაც ჩასაფრდა. *ჩასაფრებული მტერი.*

**ჩასაყვანი** *ჩასაყვანის* ვინც უნდა ჩაიყვანონ. *ქალაქში ჩასაყვანი მგ ზავრები.* ▲ ჩასაყვანად ზმნზ. ჩაყვანისთვის, ჩაყვანის მიზნით. *გუნდის ჩასაყვანად.*

**ჩასაცმელი** *ჩასაცმელის* რაც უნდა ჩაიცვან, ტანსაცმელი. *ბევრი ჩასაცმელი აქვს.*

**ჩასაწერი** *ჩასაწერის* რაც უნდა ჩაწერონ ან რაზეც (რაშიც) უნდა ჩაწერონ. *ჩასაწერი ფირი.* ▲ ჩასაწერად ზმნზ. ჩაწერისთვის, ჩაწერის მიზნით. *ინტერვიუს ჩასაწერად.*

**ჩასახვა** *ჩასახვის* (ჩასახავს, ჩაისახავს, ჩაუსახავს, ჩაისახება, ჩაესახება) 1. კვერცხუჯრედის განაყოფიერება. *ხელოვნური ჩასახვა. სიცოცხლე ჩაისახა.* 2. გადატ. წარმოშობა, გაჩენა. *გულში იმედი ჩაესახა.* ■ ჩასახული რაც ჩაისახა. *ჩასახული ბავშვი.*

**ჩასახვევი** *ჩასახვევის* ადგილი, სადაც უნდა ჩაუხვიონ. *ჩასახვევს გასცდნენ.*

**ჩასახლება** *ჩასახლების* (ჩაასახლებს, ჩასახლდება, ჩაუსახლდება) გარკვეულ ადგილას ჩასვლა (ჩაყვანა) საცხოვრებლად. *და ზარალებულების ჩასახლება. მთის მოსახლეობა ბარში ჩაასახლეს.* ■ ჩასახლებული ვინც ჩასახლდა ან ჩაასახლეს. *ჩასახლებული ოჯახები.*

**ჩასეირნება** *ჩასეირნების* (ჩაასეირნებს, ჩაისეირნებს) სეირნობით ჩავლა. *ქუჩაში ჩაისეირნეს.*

**ჩასესხება** *ჩასესხების* (ჩაასესხებს) სესხის დაბრუნება, ჩაბარება. *ფული დროზე ჩაასესხა.*

**ჩასველება** *ჩასველების* (ჩაასველებს, ჩაისველებს) 1. სითხეში ჩაყოფა და დასველება. *პური ჩაიში ჩაასველა.* 2. უნებლიეთ მოშარდვით შარვლის, საცვლისა და მისთ. დასველება. *ბავშვმა ჩაისველა.*

**ჩასვენება** *ჩასვენების* (ჩაასვენებს, ჩაესვენება) 1. მიცვალებულის ჩადება კუბოში ან სადმე გადასვენება. *ნეშტი კუბოში ჩაასვენეს. ქალაქიდან სოფელში ჩაასვენეს.* 2. მზის ან მთვარის ჩასვლა. *მზე ჩაესვენა.* 3. გადატ. ძალიან დაღლილის უცებ, მოწყენტით დაჯდომა. *სავარძელში ჩაესვენა.* ■ ჩასვენებული რაც ჩაასვენეს. *აკლდამაში ჩასვენებული.*

**ჩასვლა** *ჩასვლის* (ჩავა)1. ზევიდან ქვევით გადაადგილება. *ე ზოში ჩავიდა.* 2. ერთი ქალაქიდან, ქვეყნიდან და მისთ. მეორეში გადაადგილება. *ზღვა ზე მატარებლით ჩავიდნენ. სოფელში ჩავიდნენ.* ■ ჩასული ვინც ან რაც ჩავიდა. *საგასტროლოდ ჩასული გუნდი.*

**ჩასისინება** *ჩასისინების* (ჩაისისინებს, ჩაუსისინებს) სისინით, გესლიანად ჩალაპარაკება. *რაღაც ჩაისისინა.*

**ჩასისხლიანება** *ჩასისხლიანების* (ჩაუსისხლიანებს, ჩასისხლიანდება, ჩაუსისხლიანდება) თვალებში სისხლჩაქცევების გაჩენა. *უძილობისგან თვალები ჩაუსისხლიანდა.* ■ ჩასისხლიანებული რაც ჩასისხლიანდა. *თვალი ჩასისხლიანებული ჰქონდა.*

**ჩასიძება** *ჩასიძების* (ჩაისიძებს, ჩაესიძება) ზედსიძედ გახდომა. *ქვრივ ქალს ჩაესიძა.* ■ ჩასიძებული ვინც ჩაისიძეს ან ჩაესიძა. *ექიმი ჰყავდათ ჩასიძებული.*

**ჩასკდომა** *ჩასკდომის* (ჩასკდება, ჩაუსკდება) 1. ზევიდან ქვევით სიგრძეზე გასკდომა (1). *ფიცარი ჩასკდა.* 2. უპატივც. გადატ. ზედმეტად ბევრის დალევა ან შეჭმა. *ღვინით ჩასკდნენ.*

**ჩასკვნილი** *ჩასკვნილის* დაბალი და ძლიერი აღნაგობის მქონე. *ჩასკვნილი ბიჭი.*

**ჩასკუპება** *ჩასკუპების* (ჩასკუპდება) ჩახტომა, ჩაჯდომა და დასკუპება. *ჩიტი ბუდეში ჩასკუპდა. გოგო მანქანაში ჩასკუპდა.*

**ჩასმა** *ჩასმის* (ჩასვამს, ჩაისვამს, ჩაუსვამს, ჩაისმება, ჩაასმევინებს) 1. სიღრმეში დასმა. *მოხუცი სავარძელში ჩასვა.* 2. ჩარჩოში, ბუდესა და მისთ. მოთავსება. *ბავშვი კალთაში ჩაისვა. ბეჭედს თვალი ჩაუსვა.* ■ ჩასმული რაც ჩასვეს. *ჩასმული მინა.*

**ჩასობა** *ჩასობის* (ჩაასობს, ჩაესობა) წვეტიანი ან ბასრი საგნის რაიმეში ჩარჭობა. *სარი მიწაში ჩაასო.*

**ჩასრესა** *ჩასრესის* (ჩასრესს, ჩაისრისება) შიგნით, ძირში გასრესა. *ნიორი როდინში ჩასრისა.*

**ჩასრიალება** *ჩასრიალების* (ჩაასრიალებს, ჩასრიალდება) სრიალით ჩასვლა, ჩატანა. *თხილამურებით ჩასრიალდა.*

**ჩასუნთქვა** *ჩასუნთქვის* (ჩაისუნთქავს) ჰაერის, ბოლისა და მისთ. ჩაშვება ფილტვებში. *ავადმყოფმა ღრმად ჩაისუნთქა. კვამლი ჩაისუნთქა.*

**ჩასუფთავება** *ჩასუფთავების* (ჩაასუფთავებს, ჩასუფთავდება) ზევიდან ქვევით წმენდით გასუფთავება. *კიბე ჩაასუფთავა.*

**ჩასუქებული** *ჩასუქებულის* მსუქანი, გასუქებული. *ჩასუქებული ქმარი.*

**ჩასწვრივ** ზმნზ. თანდ. ფუნქც. (+ ნათ.) რაიმეს გასწვრივ, ზევიდან ქვევით. *ქუჩის ჩასწვრივ.*

**ჩასწორება** *ჩასწორების* (ჩაასწორებს, ჩაუსწორებს, ჩასწორდება, ჩაასწორებინებს) ნაწერში შეცდომის გასწორება. *რამდენიმე ფრაზა ჩაუსწორა. თარიღი ჩაასწორა.*

**ჩასწრება** *ჩასწრების* (ჩაასწრებს, ჩაუსწრებს) I. სხვაზე ადრე ჩასვლა. *მატარებელს ჩაასწრო.* 2. დროულად ჩასვლა. *ცოლ-შვილს სოფელში ჩაუსწრო. რთველს ჩაუსწრეს. მომაკვდავს ძლივს ჩავუსწარი.*

**ჩასხდომა** *ჩასხდომის* (ჩასხდება, ჩაუსხდება) ბევრის ჩაჯდომა. *მგ ზავრები მატარებელში ჩასხდნენ.*

**ჩასხმა**[1] *ჩასხმის* (ჩაასხამს, ჩაისხამს, ჩაუსხამს, ჩაისხმება, ჩაასხმევინებს) სითხის ჩაშვება, მოთავსება რაიმე ჭურჭელში. *მანქანაში ბენზინი ჩაასხა. ზეთი ბოთლებში ჩაასხეს.*

**ჩასხმა**[2] *ჩასხმის* (ჩასხამს, ჩაისხამს, ჩაუსხამს) ბევრის ჩასმა. *ბარტყები უბეში ჩაისხა. ბავშვები მანქანაში ჩასხა.*

**ჩატანა** *ჩატანის* (ჩაიტანს, ჩაუტანს, ჩაატანინებს) ზევიდან ქვევით წაღება, მიტანა. *ღვინო სარდაფში ჩაიტანა. სოფელში ნერგები ჩაიტანა.* ■ ჩატანილი რაც ჩაიტანეს. *ე ზოში ჩატანილი სამშენებლო მასალა.*

**ჩატანება** *ჩატანების* (ჩაატანს, ჩაიტანს, ჩაუტანს) I. რაიმესთან ერთად ჩადება, თან ჩაყოლება. *საფლავში სამკაულები ჩაატანეს.* 2. ზედა ჩასაცმელის ბოლოების ჩაკეცვა, ქვედა ჩასაცმელში ჩამაგრება. *პერანგი შარვალში ჩაიტანა.* 3. სითხის, აირისა და მისთ. ჩასვლა, ჩაღწევა სიღრმეში. *მზის სხივმა ორმოში ჩაატანა.* ■ ჩატანებული რაც ჩაატანეს ან ჩაიტანეს. *ჩატანებული სვიტრი.*

**ჩატარება** *ჩატარების* (ჩაატარებს, ჩაუტარებს, ჩატარდება, ჩაატარებინებს) I. ჩავლისას თან წაღება (ნაყვანა). *გ ზა ზე ტყვეები ჩაატარეს.* 2. ოფიციალური ღონისძიების (შეკრების, ყრილობისა და მისთ.) გამართვა. *არჩევნები ჩაატარეს. გამოცდა ჩაატარა. კონკურსი ჩატარდა.* ■ ჩატარებული რაც ჩაატარეს ან ჩატარდა. *ჩატარებული ლექცია.*

**ჩატევა** *ჩატევის* (ჩატევს, ჩაატევს, ჩაეტევა) ჭურჭელში, ტრანსპორტსა და მისთ. მოთავსება, დატევა. *მურაბა ქილაში ჩაეტია. მანქანაში ექვსი კაცი ჩაეტია.*

**ჩატენა** *ჩატენის* (ჩატენის, ჩაიტენის, ჩაუტენის, ჩაიტენება, ჩაეტენება) ძალით ჩადება, მოთავსება. *ჩანთაში ტანსაცმელი ჩატენა.* ■ ჩატენილი რაც ჩატენეს. *საბარგულში ჩატენილი ჩემოდნები.*

**ჩატეხა** *ჩატეხის* (ჩატეხს, ჩაუტეხს) დარტყმით, დანოლით ჩამტვრევა, ჩანგრევა. *ფანჯარა ჩატეხა. სიმძიმემ ტახტი ჩატეხა.*

**ჩატვირთვა** *ჩატვირთვის* (ჩატვირთავს, ჩაიტვირთება) ტვირთის ჩადება, მოთავსება რაიმეში. *საქონელი ვაგონებში ჩატვირთეს.*

**ჩატკბარუნება** *ჩატკბარუნების* (ჩაიტკბარუნებს) ⊙ პირს ჩაიტკბარუნებს პირს ჩაიგემრიელებს.

**ჩატოვება** *ჩატოვების* (ჩატოვებს, ჩაიტოვებს, ჩაუტოვებს) რაიმეში დატოვება. *ჭიქაში არაყი ჩატოვა. კვერცხი ბუდეში ჩატოვა.* ■ ჩატოვებული რაც ჩატოვეს. *ჯიბეში ჩატოვებული ფული.*

**ჩატყაპუნება** *ჩატყაპუნების* (ჩაუტყაპუნებს) ტყაპუნით ჩარტყმა. *თავში ჩაუტყაპუნა.*

**ჩატყდომა** *ჩატყდომის* (ჩატყდება, ჩაატყდება, ჩაუტყდება) I. თავისით ჩატეხა. *ტახტი ჩატყდა. კიბე ჩაუტყდა.* 2. უნებლიეთ გატყდომა (ხელში). *ჭიქა ხელში ჩაატყდა.*

**ჩატყუება** *ჩატყუების* (ჩაიტყუებს) მოტყუებით ჩაყვანა. *მტერი ხეობაში ჩაიტყუეს.*

**ჩაუქი** *ჩაუქის* მარდი, მამაცი. *ჩაუქი მხედარი.*

**ჩაუქობა** *ჩაუქობის* იგივეა, რაც სიჩაუქე.

**ჩაუცმელი** *ჩაუცმელის* I. ვისაც არ აცვია. *ჩაუცმელი იჯდა.* 2. ვისაც ჩასაცმელი არა აქვს, ღარიბულად ჩაცმული. *სკოლაში ჩაუცმელი დადიოდა.*

**ჩაუხედავი** *ჩაუხედავის* საქმეში გაურკვეველი, არმცოდნე. *პოლიტიკაში ჩაუხედავი იყო.*

**ჩაფარება** *ჩაფარების* (ჩააფარებს) საუბრ. ძლიერად, გამეტებით ჩარტყმა. *სახეში ჩააფარა.*

**ჩაფართხუნებული** *ჩაფართხუნებულის* I. დიდი, ტანზე მოურგებელი (სამოსი). *ჩაფართხუნებული კაბა.* 2. უშნოდ ჩაცმული. *ჩაფართხუნებული დადის.*

**ჩაფარცხვა** *ჩაფარცხვის* (ჩაფარცხავს, ჩაიფარცხება) I. ფარცხის გადატარებით თესლის მიწაში მოქცევა. *მარცვლეული ჩაფარცხეს.* 2. საუბრ. გადატ. რაიმე ამბის მიმალვა, მიჩქმალვა. *საქმე ჩაფარცხა.*

**ჩაფენა** *ჩაფენის* (ჩაფენს, ჩააფენს, ჩაიფენს, ჩაუფენს, ჩაიფინება, ჩაეფინება) ძირში, შიგნით დაფენა.

*ყუთში ქაღალდი ჩააფინა. ბუდეში თივა ჩააფინა.* ▪ ჩაფენილი რაც ჩაფინეს. *კალათში ჩაფენილი ტილო.*

**ჩაფერფვლა** *ჩაფერფვლის* (ჩაფერფლავს, ჩაიფერფლება) ფერფლად ქცევა, მთლიანად დანვა. *ქაღალდები ჩაიფერფლა.* ▪ ჩაფერფლილი რაც ჩაიფერფლა. *ჩაფერფლილი ბურბუშელა.*

**ჩაფვლა** *ჩაფვლის* (ჩაფლავს) მიწაში, თოვლსა და მისთ. ღრმად ჩადება, ჩამარხვა. *ყუთი მიწაში ჩაფლა.* ▪ ჩაფლული რაც ჩაფლეს. *ღრმად ჩაფლული ქვევრი.*

**ჩაფი** *ჩაფის* 1. თიხის მოზრდილი ყურიანი ჭურჭელი, რომელსაც ფართო პირი აქვს, იყენებენ ღვინის სანყაოდ. *ჩაფი წყლით აავსეს.* 2. ღვინის მოცულობის საზომი, უდრის 18 ლიტრს. *ერთი ჩაფი ღვინო.*

**ჩაფიანი** *ჩაფიანის* რაშიც ერთი ჩაფი (2) ჩადის. *ჩაფიანი კოკა.*

**ჩაფიქრება** *ჩაფიქრების* (ჩააფიქრებს, ჩაიფიქრებს, ჩაფიქრდება, ჩაუფიქრდება) 1. ღრმად დაფიქრება, ფიქრების აღძვრა. *ამ ამბავმა ჩააფიქრა.* 2. გადანყვეტა, განზრახვა. *მოგ ზაურობაში წასვლა ჩაიფიქრა.* 3. რაიმეს საგანგებოდ დამახსოვრება ზოგიერთ თამაშში. *რიცხვი ჩაიფიქრა.*

**ჩაფიქრებული** *ჩაფიქრებულის* 1. ვინც ჩაფიქრდა. *ჩაფიქრებული იჯდა.* 2. რაც ჩაიფიქრეს. *ახალი აგრეგატის შექმნა ჰქონდა ჩაფიქრებული.*

**ჩაფლავება** *ჩაფლავების* (ჩააფლავებს, ჩაფლავდება, ჩაუფლავდება) 1. ზედმეტი ხარშვით ჩაშლა. *ბრინჯი ჩაფლავდა.* 2. საუბრ. გადატ. მარცხით დამთავრება, ჩაშლა, ჩაფუშვა. *გუნდი ფინალში ჩაფლავდა.* ▪ ჩაფლავებული რაც ან ვინც ჩაფლავდა. *ჩაფლავებული კარტოფილი.*

**ჩაფლობა** *ჩაფლობის* (ჩაფლობს, ჩააფლობს, ჩაიფლობა, ჩაეფლობა) 1. ტალახში, თოვლსა და მისთ. ჩავარდნა, ჩაშვება. *ჭაობში ჩაეფლო.* 2. გადატ. რაიმე საქმეში ღრმად, მთელი არსებით ჩართვა, ჩაბმა. *წიგნებში ჩაეფლო.* ▪ ჩაფლული რაც ან ვინც ჩაეფლო. *სწავლაშია ჩაფლული. ტალახში ჩაფლული მანქანა.*

**ჩაფრენა** *ჩაფრენის* (ჩაფრინდება, ჩააფრინდება) 1. ფრენით ჩასვლა. *თვითმფრინავი დროულად ჩაფრინდა.* 2. გადატ. ხელის, კბილებისა და მისთ. მაგრად მოკიდება, ჩავლება, ჩაჭიდება. *ბავშვი დედას ჩააფრინდა. თმებში ჩააფრინდა.* ▪ ჩაფრენილი ვინც ან რაც ჩაფრინდა ან რაიმეს ჩააფრინდა. *დილით ჩაფრენილი მგ ზავრები.*

**ჩაფრუტუნება** *ჩაფრუტუნების* (ჩაიფრუტუნებს) 1. ფრუტუნის (1) ხმის გამოცემა, დაფრუტუნება. *ცხენმა ჩაიფრუტუნა.* 2. ფრუტუნით (1) ჩაცინება. *გოგომ ჩაიფრუტუნა.*

**ჩაფუთნა** *ჩაფუთნის* (ჩაფუთნის, ჩაიფუთნება) იგივეა, რაც შეფუთნა. *ბავშვები ჩაფუთნა.* ▪ ჩაფუთნული ვინც ჩაფუთნეს ან ჩაიფუთნა. *ჩაფუთნული მოვიდა.*

**ჩაფურთხება** *ჩაფურთხების* (ჩააფურთხებს) ფურთხის პირიდან გადმოსროლა და რაიმეში ჩანთხევა. *ურნაში ჩააფურთხა.*

**ჩაფუფქვა** *ჩაფუფქვის* (ჩაფუფქავს, ჩაიფუფქება, ჩაეფუფქება) 1. მდულარე წყლის დასხმა ბუმბულის ან ბალნის გასაცლელად. *ქათამი ჩაფუფქა.* 2. საუბრ. გადატ. დანაღვლიანება, დამწუხრება. *გული ჩაეფუფქა.* ▪ ჩაფუფქული რაც ჩაფუფქეს ან ჩაიფუფქა. *ჩაფუფქული გოჭი.*

**ჩაფუშვა** *ჩაფუშვის* (ჩაფუშავს, ჩაიფუშება, ჩაეფუშება) ჩაშლა, შეწყვეტა. *გეგმები ჩაეფუშა.* ▪ ჩაფუშული რაც ჩაფუშეს ან ჩაიფუშა. *ჩაფუშული საქმე.*

**ჩაფუჩუნება** *ჩაფუჩუნების* (ჩაუფუჩუნებს) საუბრ. იგივეა, რაც ჩაჩურჩულება. *ყურში რაღაც ჩაუფუჩუნა.*

**ჩაფშვნა** *ჩაფშვნის* (ჩაფშვნის, ჩაიფშვნის, ჩაუფშვნის, ჩაიფშვნება) დაფშვნა და თან რაიმეში ჩაყრა. *ჯამში პური ჩაფშვნა.*

**ჩაფხეკა** *ჩაფხეკის* (ჩაფხეკს, ჩააფხეკს) ზევიდან ქვევით გაფხეკა. *თონე ჩაფხიკა.*

**ჩაფხვნა** *ჩაფხვნის* (ჩაფხვნის, ჩაიფხვნის, ჩაუფხვნის, ჩაიფხვნება) დაფხვნა და თან რაიმეში ჩაყრა. *ნვნიანში პური ჩაიფხვნა.*

**ჩაფხუტი** *ჩაფხუტის* 1. მეომრის დამცავი ლითონის ქუდი. *ჩაფხუტი ახურავს.* 2. ტყავის, ლითონის ან სხვა მასალის სპეციალური თავსაბურავი, რომელსაც იხურავენ უსაფრთხოების მიზნით მფრინავები, მშენებლები, მეშახტეები და მისთ.

**ჩაქანება** *ჩაქანების* (ჩააქანებს, ჩაექანება, ჩაქანდება) ქვევით დაქანება (1), დაშვება. *ბილიკ ზე ჩაქანდა.*

**ჩაქაფული** *ჩაქაფულის* ბატკნის ან ხბოს ხორცის ერთგვარი კერძი. *გემრიელი ჩაქაფული.*

**ჩაქელვა** *ჩაქელვის* (ჩაქელავს, ჩაიქელება) ფეხქვეშ გაქელვა, ჩასრესა, ჩათელვა. *ბალახი ჩაქელა.*

**ჩაქვავება** *ჩაქვავების* (ჩააქვავებს, ჩაქვავდება) 1. ქვასავით გამაგრება. *ცემენტი ჩაქვავდა.* 2. ქვებით მოკვლა, ჩაქოლვა (1). *კაცი ჩააქვავეს.* ▪ ჩაქვავებული ვინც ჩააქვავეს ან რაც ჩაქვავდა. *ჩაქვავებული მარილი.*

**ჩაქინდვრა** *ჩაქინდვრის* (ჩაქინდრავს) ⊙ თავს ჩაქინდრავს თავს ჩაღუნავს, დაბლა დახრის, ჩვეულებრივ, დარცხვენის ნიშნად.

**ჩაქირქილება** *ჩაქირქილების* (ჩაიქირქილებს) ქირქილით ჩაცინება. *კაცმა ჩაიქირქილა.*

**ჩაქნევა** *ჩაქნევის* (ჩაიქნევს) ⊙ ხელს ჩაიქნევს იმედს დაკარგავს.

**ჩაქოლვა** *ჩაქოლვის* (ჩაქოლავს, ჩაიქოლება) 1. ქვების დარტყმით მოკვლა. *დამნაშავე სოფელმა ჩაქოლა.* 2. გადატ. დაუნდობლად გაკიცხვა, უარყოფა. *ამის თქმისთვის ლამის ჩაქოლეს.*

**ჩაქრობა** *ჩაქრობის* (ჩააქრობს, ჩაუქრობს, ჩაქრება, ჩაუქრება) 1. წვის შეწყვეტა, დამთავრება. *ცეცხლი ჩაქრა. სანთელი ჩააქრო.* 2. ენერგიის წყაროდან, სისტემიდან გამორთვა და დაბნელება. *შუქი ჩააქრო. ნათურა ჩაქრა.*

**ჩაქროლება** *ჩაქროლების* (ჩააქროლებს, ჩაიქროლებს, ჩაუქროლებს) დიდი სისწრაფით ჩაველა. *გეერდზე ჩამიქროლა. მანქანით ჩაუქროლა.*

**ჩაქსოვა** *ჩაქსოვის* (ჩააქსოვს, ჩაექსოვება) 1. ქსოვისას ჩართვა, ჩატანება. *ზოლები ჩააქსოვა.* 2. გადატ. დიდი განცდით, გრძნობით რაიმეს კეთება. *ამ საქმეში სული და გული ჩააქსოვა.* ■ ჩაქსოვილი რაც ჩააქსოვეს. *ჩაქსოვილი ორნამენტი.*

ჩაქუჩი

**ჩაქუჩი** *ჩაქუჩის* ხელის სამუშაო იარაღი, რომელსაც ხის ტარი და რკინის მძიმე თავი აქვს, იყენებენ ლურსმნების ჩასარჭობად, ლითონის ნაკეთობისთვის ფორმის მისაცემად. *პატარა ჩაქუჩი. ჩაქუჩით ლურსმანი დააჭედა.*

**ჩაქჩაქა** *ჩაქჩაქას* რაც ჩაქჩაქით დადის. *ჩაქჩაქა სახედარი.*

**ჩაქჩაქი** *ჩაქჩაქის* (ჩაქჩაქებს) ნელა, უხეიროდ, რყევით სიარული. *ცხენის ჩაქჩაქი. ჩაქჩაქით მოდის.*

**ჩაქცევა** *ჩაქცევის* (ჩააქცევს, ჩაიქცევა, ჩაექცევა) 1. ჩანგრევა, ჩაშლა. *ხიდი ჩაიქცა.* 2. სითხის უნებლიეთ ჩაღვრა. *ღვინო მანქანაში ჩაიქცა. მანონი ჩანთაში ჩაექცა.* ■ ჩაქცეული რაც ჩაიქცა. *ჩაქცეული იატაკი.*

**ჩაღამებული** *ჩაღამებულის* 1. ჩაბნელებული. *ჩაღამებული ქუჩები.* 2. იგივეა, რაც ამოღამებული. *ჩაღამებული თვალები.*

**ჩაღვრა** *ჩაღვრის* (ჩაღვრის, ჩაუღვრის, ჩაიღვრება, ჩაეღვრება) შიგნით, ძირში დაღვრა. *სუნამო ჩანთაში ჩაეღვარა. ნავთობი ზღვაში ჩაიღვარა.*

**ჩაღიმება** *ჩაღიმების* (ჩაიღიმებს, ჩაეღიმება) ოდნავ გაღიმება. *მოხუცმა ჩაიღიმა.*

**ჩაღმა** ზმნზ. იგივეა, რაც დაღმა. *ჩაღმა ჩაყრილი ვენახი.*

**ჩაღუნვა** *ჩაღუნვის* (ჩაღუნავს, ჩაიღუნება) დაბლა ჩანევა, დახრა, ჩაზნექა. *თარო ჩაიღუნა. სიმძიმემ სკამი ჩაღუნა.* ■ ჩაღუნული რაც ჩაღუნეს ან ჩაიღუნა. *თავი ჩაღუნული აქვს.*

**ჩაღწევა** *ჩაღწევის* (ჩააღწევს) გაჭირვებით, წინააღმდეგობების გადალახვით ჩასვლა. *სოფელში ძლივს ჩააღწიეს.*

**ჩაყენება** *ჩაყენების* (ჩააყენებს, ჩაუყენებს) 1. ძირში, სიღრმეში ან შუაში დაყენება. *შუაში ჩააყენეს.* 2. გარკვეულ პოზიციაზე განთავსება, დაყენება. *საზღვართან ჯარი ჩააყენეს.*

**ჩაყვანა** *ჩაყვანის* (ჩაიყვანს, ჩაუყვანს, ჩააყვანინებს) ჩასვლისას ვინმეს თან ხლება, გაყოლება. *ძაღლი ეზოში ჩაიყვანა. გარაჟში ჩაიყვანეს.* ■ ჩაყვანილი ვინც ან რაც ჩაიყვანეს. *ავტობუსით ჩაყვანილი ხალხი.*

**ჩაყვითლება** *ჩაყვითლების* (ჩააყვითლებს, ჩაყვითლდება, ჩაუყვითლდება) ყვითელი ფერის მიღება, ყვითლად შეფერვა. *თვალები ჩაუყვითლდა.* ■ ჩაყვითლებული ვინც ან რაც ჩაყვითლდა. *ჩაყვითლებული კბილები.*

**ჩაყვინთვა** *ჩაყვინთვის* (ჩა(ჰ)ყვინთავს, ჩაეყვინთება) 1. წყალში თავიდან ფეხებამდე ჩამალვა, ჩაძირვა. *ბიჭმა ჩაყვინთა.* 2. საუბრ. გადატ. იგივეა, რაც ჩათვლემა. *მოხუცს ჩაჰყვინთა.* ■ ჩაყვინთული ვინც ან რამაც ჩაყვინთა. *ჩაყვინთული მცურავი.*

**ჩაყინვა** *ჩაყინვის* (ჩაიყინება) რაიმეში გაყინვა. *ბოთლებში წყალი ჩაიყინა.* ■ ჩაყინული რაც ჩაიყინა. *ტბაში ჩაყინული ნავი.*

**ჩაყლაპება** *ჩაყლაპების* (ჩააყლაპებს) ვინმეს იძულება ან ხელშეწყობა, რომ ჩაყლაპოს. *ბავშვს წამალი ჩააყლაპა.*

**ჩაყლაპვა** *ჩაყლაპვის* (ჩაყლაპავს, ჩაიყლაპება, ჩაეყლაპება) 1. საჭმლის, სასმლისა და მისთ. პირიდან კუჭში ჩაშვება, გადაყლაპვა. *აბი ჩაყლაპა. ნერწყვი ჩაეყლაპა.* 2. გადატ. იგივეა, რაც ჩასუნთქვა. *სუფთა ჰაერი ჩაყლაპა.*

**ჩაყოლა** *ჩაყოლის* (ჩაპყვება, ჩაუყვება) 1. სხვასთან ერთად ჩასვლა. *დედას ვენახში ჩაჰყვა.* 2. რაიმეს გასწვრივ, გაყოლებით ჩასვლა. *ბილიკს ჩაუყვა.*

**ჩაყოლება** *ჩაყოლების* (ჩააყოლებს, ჩაიყოლებს) 1. ძირში ჩადება, ჩატანება. *საძირკველში ოქროს მონეტა ჩააყოლეს.* 2. თან ჩატანა. *სარდაფში ბოცა ჩაიყოლა.*

**ჩაყოფა** *ჩაყოფის* (ჩაყოფს, ჩაიყოფს, ჩაუყოფს) სიღრმეში ჩადება, ჩაშვება. *ფეხები წყალში ჩაყო.* ■ ჩაყოფილი რაც ჩაყვეს. *ჯიბეებში ჩაყოფილი ხელები.*

**ჩაყრა** *ჩაყრის* (ჩაყრის, ჩააყრის, ჩაიყრის, ჩაუყრის, ჩაიყრება, ჩააყრევინებს) 1. ბევრის ჩაგდება. *ფურცლები ჩანთაში ჩაყარა.* 2. ბევრის ჩარგვა. *ნერგები ჩაყარა.* 3. ბევრისთვის გამოუვალი, გაჭირვებული მდგომარეობის შექმნა. *ცოლ-შვილი გაჭირვებაში ჩაყარა.* ■ ჩაყრილი რაც ან ვინც ჩაყარეს. *ჩაიში ჩაყრილი შაქარი.*

**ჩაყუდება** *ჩაყუდების* (ჩააყუდებს, ჩაეყუდება) 1. ქვევით ჩაშვება და მიყუდება. *აივნიდან კიბე ჩააყუდა. ქალი თონეში ჩაეყუდა.* 2. საუბრ. საპატიმროში ჩასმა. *ციხეში ჩააყუდეს.*

**ჩაყურყუმელავება** *ჩაყურყუმელავების* (ჩააყურყუმელავებს, ჩაიყურყუმელავებს) წყალში თავიდან ბოლომდე ჩამალვა, ჩაყვინთვა. *ბავშვმა ჩაიყურყუმელავა.*

**ჩაყუჩება** *ჩაყუჩების* (ჩააყუჩებს, ჩაუყუჩებს, ჩაყუჩდება, ჩაუყუჩდება) 1. გაჩუმება, ჩანყნარება, დაყუჩება (1). *ბავშვები ჩაყუჩდნენ.* 2. დაამება, და-

ყუჩება (2). *კბილი ჩაუყუჩდა.* ▪ ჩაყუჩებული ვინც ან რაც ჩაყუჩდა ან ჩააყუჩეს. *ჩაყუჩებული ტკივილი.*

**ჩაშავება** *ჩაშავების* (ჩააშავებს, ჩაუშავებს, ჩაშავდება, ჩაუშავდება) შავი ფერის მიღება, შავად შეფერვა, ჩამუქება. *ყურძენი ჩაშავდა. თითი ჩაუშავდა.* ▪ ჩაშავებული რაც ჩაშავდა. *თვალები ჩაშავებული ჰქონდა.*

**ჩაშაქრება** *ჩაშაქრების* (ჩაშაქრდება) 1. ჭურჭელში დაშაქრება, დაკრისტალება. *მურაბა ჩაშაქრდა.* 2. სიმწიფისგან შაქარივით დატკბობა. *ყურძენი ჩაშაქრდა.* ▪ ჩაშაქრებული რაც ჩაშაქრდა. *ჩაშაქრებული თაფლი.*

**ჩაშვება** *ჩაშვების* (ჩაუშვებს, ჩაეშვება) 1. სიღრმეში ჩასვლა ან რაიმეს ჩაგდება. *ზღვაში აკვალანგით ჩაეშვა. ღუზა ნაპირთან ჩაუშვეს.* 2. საშუალების ან ნების მიცემა, რომ ჩავიდეს. *ბავშვები ე ზოში ჩაუშვეს.* 3. ჟარგ. დაბეზღება. *ვილაცამ ჩაუშვა.*

**ჩაშლა** *ჩაშლის* (ჩაშლის, ჩაუშლის, ჩაიშლება, ჩაეშლება) 1. დარღვევა, ჩანგრევა. *კიბე ჩაიშალა. აივანი ჩაეშალათ.* 2. რაიმე საქმის, პროცესის შეწყვეტა, გაჩერება, ვერ შესრულება. *ნიშნობა ჩაშალეს. გეგმა ჩაეშალა. ვიზიტი ჩაიშალა.* 3. ზედმეტი ხარშვით დაშლა, დარბილება. *ხორცი ჩაიშალა. ბრინჯი ჩაიშალა.* ▪ ჩაშლილი რაც ჩაშალეს ან ჩაიშალა. *ჩაშლილი ქორწილი.*

**ჩაშრობა** *ჩაშრობის* (ჩააშრობს, ჩაშრება, ჩაუშრება) ჭურჭელში დუღილით დაშრობა (1). *ჩაიდანში წყალი ჩაშრა.*

**ჩაშტერება** *ჩაშტერების* (ჩააშტერდება) დაჟინებით, თვალის მოუშორებლად ყურება, ჩაჩერება. *თვალებში ჩააშტერდა.*

**ჩაშუშვა** *ჩაშუშვის* (ჩაშუშავს, ჩაიშუშება) რაიმეში მოშუშვა. *პამიდორი ზეთში ჩაშუშა. ბოსტნეული ჩაიშუშა.* ▪ ჩაშუშული რაც ჩაშუშეს. *ჩაშუშული კომბოსტო.*

**ჩაშხამება** *ჩაშხამების* (ჩააშხამებს, ჩაიშხამებს, ჩაუშხამებს, ჩაშხამდება) შხამად ქცევა, ჩამწარება. *ქმარმა ყველაფერი ჩააშხამა. კვირა დღე ჩაუშხამდა.* ▪ ჩაშხამებული რაც ჩააშხამეს. *ჩაშხამებული ქორწილი.*

**ჩაჩანაკი** *ჩაჩანაკის* სიბერით დაუძლურებული, უღონო. *ჩაჩანაკი მოხუცი.*

**ჩაჩაჩვა** *ჩაჩაჩვის* (ჩაიჩაჩება, ჩაეჩაჩება) ტანსაცმლის უშნოდ, ულამაზოდ ჩაწევა. *შარვლის ტოტები ჩაეჩაჩა.*

**ჩაჩაჩული** *ჩაჩაჩულის* 1. რაც ჩაიჩაჩა. *ჩაჩაჩული წინდა.* 2. ვისაც ჩაეჩაჩა, ვისაც ტანსაცმელი კარგად მომდგარი არ აცვია. *ჩაჩაჩული ბიჭი.*

**ჩაჩერება** *ჩაჩერების* (ჩააჩერდება) იგივეა, რაც ჩაშტერება. *სუფრას ჩააჩერდა. ქალს თვალებში ჩააჩერდა.*

**ჩაჩეჩქვა** *ჩაჩეჩქვის* (ჩაჩეჩქვავს, ჩაუჩეჩქვავს, ჩაიჩეჩქვება, ჩაეჩეჩქვება) იგივეა, რაც დაჩეჩქვა. *ცხვირპირი ჩაუჩეჩქვა.*

**ჩაჩეხა** *ჩაჩეხის* (ჩაჩეხს, ჩაიჩეხება) 1. იგივეა, რაც დაჩეხა (2). *ხალხი ნიჩბებით ჩაჩეხეს.* 2. სიმაღლიდან ჩავარდნა და დამტვრევა, დამსხვრევა. *ხრამში ჩაიჩეხა.* ▪ ჩაჩეხილი ვინც ან რაც ჩაიჩეხა. *მდინარეში ჩაჩეხილი მანქანა.*

**ჩაჩი** *ჩაჩის* 1. მამაკაცის საშინაო ქუდი. *ჩაჩით იძინებს.* 2. თეთრი ქსოვილის რბილი ქუდი, რომელსაც იხურავენ მუშაობისას ჰიგიენური პირობების დაცვის მიზნით. *მზარეულის ჩაჩი.* 3. თოთო ბავშვის ქუდი, რომელიც ნიკაპთან ზონრებით იკერება. *ბამბა ზიის ჩაჩი.*

**ჩაჩოქება** *ჩაჩოქების* (ჩაიჩოქებს) დაჩოქება, მუხლებზე დაცემა. *ცხენმა ჩაიჩოქა.* ▪ ჩაჩოქილი ვინც ან რამაც ჩაიჩოქა. *ჩაჩოქილი ქალი.*

**ჩაჩოჩება** *ჩაჩოჩების* (ჩააჩოჩებს, ჩაიჩოჩებს, ჩაჩოჩდება) ჩოჩვით გადაადგილება, ჩაწევა, ჩასვლა. *მაგიდა კედლისკენ ჩააჩოჩა. გვერდზე ჩაჩოჩდა.*

**ჩაჩრა** *ჩაჩრის* (ჩა(ს)ჩრის, ჩაიჩრის, ჩაეჩრება) 1. ძალით ჩატენა. *ფული ხელში ჩასჩარა. საჭმელი პირში ჩაიჩარა.* 2. სხვის საქმეში უადგილოდ, დაუკითხავად ჩარევა. *საუბარში ჩაეჩრება ხოლმე.*

**ჩაჩუმება** *ჩაჩუმების* (ჩააჩუმებს, ჩაჩუმდება) 1. მიჩუმება, ჩაწყნარება. *ბავშვები ჩაჩუმდნენ.* 2. საუბრ. გადატ. მიჩქმალება, დამალვა. *საქმე ჩააჩუმეს.* ▪ ჩაჩუმებული ვინც ან რაც ჩაჩუმდა. *ჩაჩუმებული ხალხი.*

**ჩაჩურთვა** *ჩაჩურთვის* (ჩაჩურთავს, ჩაიჩურთავს, ჩაუჩურთავს, ჩაიჩურთება) ძალით ჩადება, ჩანყობა, ჩატენა. *ტანსაცმელი ჩემოდანში ჩაჩურთა.* ▪ ჩაჩურთული რაც ჩაჩურთეს. *ჯიბეში ჩაჩურთული ცხვირსახოცი.*

**ჩაჩურჩულება** *ჩაჩურჩულების* (ჩასჩურჩულებს, ჩაიჩურჩულებს, ჩაუჩურჩულებს) ჩურჩულით თქმა, ჩალაპარაკება. *თავისთვის ჩაიჩურჩულა. ყურში რაღაც ჩაუჩურჩულა.*

**ჩაჩქანი** *ჩაჩქნის* იგივეა, რაც ჩაფხუტი (1). *ჩაჩქანი დაიხურა.*

**ჩაჩქუნი** *ჩაჩქუნის* (უჩაჩქუნებს) საუბრ. რტყმა, ცემა. *თავში უჩაჩქუნებს.*

**ჩაჩხვა** *ჩაჩხვის* (ჩაჩხავს, იჩაჩხება) ↑ გაჩაჩხვა. *ფეხებს ჩაჩხავს.*

**ჩაჩხვლეტა** *ჩაჩხვლეტის* (ჩაჩხვლეტს, ჩაიჩხვლიტება, ჩაეჩხვლიტება) წვეტიანი საგნის ჩასობა, ჩარჭობა, ღრმად გაჩხვლეტა. *ლოყა ჩაეჩხვლიტა.* ▪ ჩაჩხვლეტილი რაც ჩაჩხვლიტეს. *ჩაჩხვლეტილი ზედაპირი.*

**ჩაჩხირვა** *ჩაჩხირვის* (ჩაჩხირავს, ჩაიჩხირება, ჩაეჩხირება) 1. უშნოდ ჩატენა, ჩაჭედვა. *ფიცარი მორებს შორის ჩაჩხირა.* 2. სხვის საუბარში ან საქმეში უადგილოდ ჩარევა. *ლაპარაკში ჩაეჩხირა.*

**ჩაჩხრიალება** *ჩაჩხრიალების* (ჩააჩხრიალებს, ჩაუჩხრიალებს) ჩხრიალით ჩაყრა. *მონეტები ჩაუჩხრიალა.*

**ჩაცდენა** *ჩაცდენის* (ჩასცდება) ვინმეს ან რაიმეს გვერდით ჩავლა და უკან მოტოვება. *მატარებელი სადგურს ჩასცდა.*

**ჩაცემა** *ჩაცემის* (ჩასცემს, ჩაეცემა) ჩარტყმა, ჩაკვრა (1). *ზურგში დანა ჩასცა. წიხლი ჩასცა.*

**ჩაცეცხვლა** *ჩაცეცხვლის* (ჩაცეცხლავს) უპატივც. შეჭმა ან დალევა. *პური ჩაცეცხლა. არაყი ჩაცეცხლა.*

**ჩაცეცხლება** *ჩაცეცხლების* (ჩააცეცხლებს) უპატივც. დაყვედრებით რაიმეს ჭმევა ან დალევინება. *სასმელი ჩააცეცხლა.*

**ჩაცვენა** *ჩაცვენის* (ჩაცვივდება, ჩაუცვივდება) 1. ბევრის სწრაფად ჩასვლა, ჩავარდნა (1). *ბაღში ჩაცვივდნენ.* 2. ბევრის ჩაგდება, ჩაყრა. *ვაშლები წყალში ჩაცვივდა.* 3. ბევრის მძიმე მდგომარეობაში ჩავარდნა. *მტრის ხელში ჩაცვივდნენ. ვალებში ჩაცვივდნენ.* ■ ჩაცვენილი ვინც ან რაც ჩაცვივდა. *გამოუვალ მდგომარეობაში ჩაცვენილი ხალხი.*

**ჩაცვივნა** *ჩაცვივნის* (ჩაცვივდება, ჩაუცვივდება) იგივეა, რაც ჩაცვენა. *ხალხი წყალში ჩაცვივდა.*

**ჩაციება** *ჩაციების* (ჩააციდება) ვინმესთვის დაჟინებით, ჯიუტად თხოვნა (ან მოთხოვნა). *უცნაური ჩაციება იცის. ცოლს ჩააცივდა.*

**ჩაცივება** *ჩაცივების* (ჩააცივებს, ჩაუცივებს, ჩაცივდება) ცივ ადგილზე მოთავსებით გაცივება (1). *ღვინო ჩააცივეს. საზამთრო ჩაცივდა.* ■ ჩაცივებული რაც ჩააცივეს. *ჩაცივებული ხილი.*

**ჩაცილება** *ჩაცილების* (ჩააცილებს, ჩასცილდება) 1. ჩასვლისას გაცილება. *სტუმრები ეზოში ჩააცილა.* 2. გვერდით ჩავლა, ჩაცდენა. *სოფელს ჩასცილდნენ.*

**ჩაცინება** *ჩაცინების* (ჩაიცინებს) ჩუმად, თავისთვის გაცინება. *ირონიულად ჩაიცინა.*

**ჩაცლა** *ჩაცლის* (ჩაცლის, ჩაუცლის, ჩაიცლება) ერთი ჭურჭლიდან მეორეში ჩასხმა, ჩაყრა. *არაყი ჭიქაში ჩაცალა. სიმინდი ტომრებში ჩაცალეს.*

ჩაცმა

**ჩაცმა** *ჩაცმის* (ჩააცმევს, ჩაიცვამს, ჩაიცმება, ჩაეცმება) სხეულის ტანსაცმლით ან ფეხსაცმლით დაფარვა, შემოსვა. *კაბა ჩაიცვა. ფეხსაცმელი ჩააცვა.*

**ჩაცმა-დახურვა** *ჩაცმა-დახურვის* ტანსაცმლის ჩაცმა, მორთვა. *კარგი ჩაცმა-დახურვა უყვარს.*

**ჩაცმულ-დახურული** *ჩაცმულ-დახურულის* საუბრ. კარგად ჩაცმული, ტანსაცმლით უზრუნველყოფილი. *შვილები ჩაცმულ-დახურული ჰყავს.*

**ჩაცმული** *ჩაცმულის* 1. ვინც ჩაიცვა, ვისაც აცვია. *გემოვნებით ჩაცმული ახალგაზრდა. შვებში ჩაცმული ქალი.* 2. რაც ჩაიცვეს. *ჩაცმული კაბა.*

**ჩაცმულობა** *ჩაცმულობის* ჩაცმის სტილი. *კარგი ჩაცმულობა.*

**ჩაცუცქება** *ჩაცუცქების* (ჩაცუცქდება) მუხლების მოხრა და ჩაჯდომა. *ბავშვი ჩაცუცქდა.* ■ ჩაცუცქებული//ჩაცუცქული ვინც ჩაცუცქდა. *ხის ძირას ჩაცუცქული.*

**ჩაცქერა** *ჩაცქერის* (ჩააცქერდება) ზევიდან ქვევით ცქერა, ყურება. *ბავშვს თვალებში ჩასცქერის.*

**ჩაცქერება** *ჩაცქერების* (ჩააცქერდება) დაკვირვებით ჩახედვა, ზევიდან დახედვა. *სუფრას ჩააცქერდა.*

**ჩაცხება** *ჩაცხების* (ჩასცხებს) ძლიერად ჩარტყმა. *ჯოხი ჩასცხეს. ნისკარტი ჩასცხო.*

**ჩაცხრომა** *ჩაცხრომის* (ჩაცხრება, ჩაუცხრება) 1. იგივეა, რაც დაცხრობა (1, 2). *ჭრილობა ჩაუცხრა.* 2. დამშვიდება, დაწყნარება, დაცხრობა (3). *მღელვარება ჩაცხრა.*

**ჩაძაღლება** *ჩაძაღლების* (ჩააძაღლებს, ჩაძაღლდება) უპატივც. სიკვდილი, მოკვლა. *კაცი ჩაძაღლდა. დამნაშავე ჩააძაღლეს.* ■ ჩაძაღლებული ვინც ჩაძაღლდა ან ჩააძაღლეს. *ჩაძაღლებული კაცი.*

**ჩაძახება** *ჩაძახების* (ჩასძახის, ჩასძახებს, ჩაუძახებს) 1. ქვევით მყოფისთვის დაძახება. *ბავშვებს ეზოში ჩასძახა.* 2. საუბრ. ჩაგდება, ჩაყრა. *ვაშლები კალათაში ჩაუძახა.* 3. რაიმეს ჩაგონება. *შინაგანი ხმა ჩასძახის.*

**ჩაძვრენა** *ჩაძვრენის* (ჩააძვრენს) ვიწრო ჩასასვლელით ჩაშვება, ჩაყვანა, ჩატანა. *ბიჭი ქვევრში ჩააძვრინა.*

**ჩაძიება** *ჩაძიების* (ჩაეძიება) დაწვრილებით, დაჟინებით გამოკითხვა. *მოსამართლე ჩაეძია.*

**ჩაძინება** *ჩაძინების* (ჩაიძინებს, ჩაეძინება) იგივეა, რაც დაძინება. *ბავშვს ჩაეძინა.* ■ ჩაძინებული ვისაც ჩაეძინა. *ჩაძინებული მოხუცი.*

**ჩაძირვა** *ჩაძირვის* (ჩაძირავს, ჩაიძირება) რაიმე ობიექტის სითხეში ჩაშვება, მოქცევა. *გემი ჩაიძირა.* ■ ჩაძირული ვინც ან რაც ჩაიძირა. *ჩაძირული ხომალდი.*

**ჩაძრობა** *ჩაძრობის* (ჩააძრობს, ჩაიძრობს, ჩასძვრება) ტანსაცმლის ჩაწევა, ჩახდა. *შარვალი ჩაიძრო.*

**ჩაძრომა** *ჩაძრომის* (ჩაძვრება, ჩაუძვრება) ვიწროში ჩასვლა. *ჭაში ჩაძვრა.*

**ჩაძღოლა** *ჩაძღოლის* (ჩაუძღვება) ზევიდან ქვევით გაძღოლა (1). *ბავშვებს სარდაფში ჩაუძღვა.*

**ჩაწება** *ჩაწების* (ჩააწებს) სითხეში ან ფხვიერ მასაში რაიმეს ჩადება შესაწოვად. *პური წვნიანში ჩააწო.*

**ჩაწებება** *ჩაწებების* (ჩააწებებს, ჩაუწებებს) წებოთი და მისთ. ჩაკვრა, ჩამაგრება. *სურათი ალბომში ჩააწება.* ■ ჩაწებებული რაც ჩააწებეს. *ჩაწებებული ფურცელი.*

**ჩანევა** *ჩანევის* (ჩასნევს, ჩაინევს, ჩაუნევს, ჩაინევა, ჩაენევა) I. მცირე მანძილით გადანაცვლება, განევა. *გვერდზე ჩაინია. სკამი კედლისკენ ჩასნია.* 2. ჩასმული, ჩაცმული და მისთ. საგნის ზევიდან ქვევით ჩაშვება. *მანქანაში მინები ჩასწია. ბავშვს შარვალი ჩაუწია.* 3. ქვევით დაწევა, ჩაშვება. *ნიადაგმა ჩაინია.* 4. ალის, ხმისა და მისთ. დადაბლება, შემცირება. *ლამპას ჩაუწია. გაზს ჩაუწია.* ■ ჩაწეული რაც ჩასნიეს ან ჩაინია. *ჩაწეული იატაკი. ჩაწეული ხმა.*

**ჩაწერა** *ჩაწერის* (ჩაწერს, ჩაიწერს, ჩაუწერს, ჩაიწერება, ჩაეწერება, ჩაიწერინებს) I. რეულში, ბლოკნოტსა და მისთ. დაწერა, ჩანიშვნა. *ლექცია ჩაიწერეს. მისამართი ჩაუწერა.* 2. რაიმე წრის, ორგანიზაციისა და მისთ. წევრად გახდომა. *გუნდში ჩაეწერა.* 3. სპეციალური აპარატით ხმის, გამოსახულებისა და მისთ. აღბეჭდვა. *სიგნალების ჩაწერა. ინტერვიუ ჩაიწერეს.* ■ ჩაწერილი რაც ჩაწერეს. *ჩაწერილი მონაცემები.*

**ჩაწვა** *ჩაწვის* (ჩა(ს)წვავს, ჩაიწვავს, ჩაუწვავს, ჩაიწვება, ჩაეწვება) I. ბოლომდე დაწვა. *სანთელი ჩაიწვა. სიგარეტი ჩაიწვა.* 2. ცხელი ან ცხარე საკვებით, სასმლით ყელის, ხახისა და მისთ. დაწვა. *სანებელმა ყელი ჩასწვა.*

**ჩაწვდენა** *ჩაწვდენის* (ჩააწვდენს, ჩაუწვდენს) ზევიდან ქვევით მიწვდენა. *ჯოხი ჩააწვდინა. ხმა ძლივს ჩააწვდინა.*

**ჩაწვდომა** *ჩაწვდომის* (ჩასწვდება) I. ქვევით მყოფის მიწვდომა. *ფანჯრიდან ჩასწვდა.* 2. გადატ. გააზრება, შინაარსის კარგად გაგება, მიხვედრა. *საქმის არსს ჩასწვდა.*

**ჩაწვეთება** *ჩაწვეთების* (ჩააწვეთებს, ჩაიწვეთებს, ჩაეწვეთება) წვეთ-წვეთად ჩასხმა. *წამალი ყურში ჩააწვეთა.*

**ჩაწვენა** *ჩაწვენის* (ჩააწვენს, ჩაიწვენს, ჩაუწვენს) რაიმეში დაწვენა. *ბავშვი საწოლში ჩააწვინა.*

**ჩაწვნა** *ჩაწვნის* (ჩაწნავს, ჩააწნავს, ჩაიწნავს, ჩაიწვნება, ჩაეწვნება) დაწვნისას ჩაყოლება, ჩამაგრება. *თმაში ყვავილები ჩაიწნა.* ■ ჩაწნული რაც ჩაწნეს. *ჩაწნული გვირილები.*

**ჩაწითლება** *ჩაწითლების* (ჩაუწითლებს, ჩაუწითლდება) წითელი ფერის მიღება, წითლად შეფერვა. *თვალები ჩაუწითლდა.* ■ ჩაწითლებული რაც ჩაწითლდა. *კვამლისგან ჩაწითლებული თვალები.*

**ჩაწიკწიკება** *ჩაწიკწიკების* (ჩააწიკწიკებს) ლამაზი ასოებით, სუფთად ჩაწერა. *დავალება ჩააწიკწიკა.*

**ჩაწიკწიკებული** *ჩაწიკწიკებულის* I. რაც ჩააწიკწიკეს. *ჩაწიკწიკებული ნაწერი.* 2. კოხტად, ლამაზად ჩამწკრივებული. *ჩაწიკწიკებული კბილები.*

**ჩაწიხვლა** *ჩაწიხვლის* (ჩაწიხლავს, ჩაიწიხლება) I. წიხლით გათელვა, განადგურება. *ცხენმა ხბო ჩაწიხლა.* 2. გადატ. დაჩაგვრა, შეურაცხყოფის მიყენება. *ყველამ ჩაწიხლა.* ■ ჩაწიხლული ვინც ან რაც ჩაწიხლეს. *ჩაწიხლული ხალხი.*

**ჩაწმენდა** *ჩაწმენდის* (ჩაწმენდს, ჩაუწმენდს, ჩაწმინდება, ჩაეწმინდება) ზევიდან ქვევით განმენდა, ჩასუფთავება. *კიბე ჩაწმინდეს.*

**ჩაწოდება** *ჩაწოდების* (ჩააწოდებს) I. დაბლა მყოფისთვის მიწოდება (1). *კალათა ჩააწოდა.* 2. სპორტული თამაშისას მოედანზე პარტნიორისთვის ბურთის გადაცემა. *მეკარემ ბურთი ჩააწოდა.*

**ჩაწოლა** *ჩაწოლის* (ჩაწვება, ჩაუწვება) I. რაიმეში დაწოლა. *ლოგინში ჩაწვა.* 2. ჩაშლა, ჩანგრევა. *იატაკი ჩაწვა.* 3. საუბრ. სავაჭრო ობიექტში საქონლის დარჩენა, ვერ გასაღება. *პროდუქცია ჩაუწვა.* ■ ჩაწოლილი ვინც ან რაც ჩაწვა. *ჩაწოლილი საქონელი.*

**ჩაწრეტა** *ჩაწრეტის* (ჩაწრეტს, ჩაინრიტება) სითხის ნელ-ნელა ბოლომდე ჩაცლა, ჩაწურვა. *რძე ქვაბში ჩაიწრიტა.* ■ ჩაწრეტილი რაც ჩაიწრიტა. *ჭიქაში ჩაწრეტილი არაყი.*

**ჩაწურვა** *ჩაწურვის* (ჩაწურავს, ჩააწურავს, ჩაიწურავს, ჩაიწურება) რაიმეში გაწურვით ჩასხმა. *ჩაიში ლიმონი ჩაიწურა.*

**ჩაწუწნა** *ჩაწუწნის* (ჩაწუწნის) წუწნით (2) ჩაყლაპვა. *ბავშვმა შაქარი ჩაწუწნა.*

**ჩაწყდომა** *ჩაწყდომის* (ჩაწყდება, ჩაუწყდება) გაჭიმულის, გაბმულის გაწყვეტა და ჩავარდნა. *ჰამაკი ჩაწყდა. საწოლს ზამბარები ჩაუწყდა.*

**ჩაწყვეტა** *ჩაწყვეტის* (ჩაწყვეტს, ჩაიწყვეტს, ჩაუწყვეტს, ჩააწყვეტინებს) ზედ დაცემით, დარტყმითა და მისთ. გაწყვეტა, ჩაგლეჯა. *თოკი ჩაწყვიტა. კაბელი ჩაწყვიტა.*

**ჩაწყნარება** *ჩაწყნარების* (ჩააწყნარებს, ჩაწყნარდება) მიწყნარება, დამშვიდება. *აურზაური მალე ჩააწყნარეს. ქარი ჩაწყნარდა.* ■ ჩაწყნარებული ვინც ან რაც ჩაწყნარდა. *ჩაწყნარებული ამინდი.*

**ჩაწყობა** *ჩაწყობის* (ჩააწყობს, ჩაიწყობს, ჩაუწყობს, ჩაეწყობა) I. ბევრის ჩადება ან ჩადგმა. *საბუთები საქალალდეში ჩააწყო. ხელები ჯიბეებში ჩაიწყო.* 2. ჟარგ. კანონის გვერდის ავლით საქმის მოგვარება. *სამსახური მამამ ჩაუწყო.* ■ ჩაწყობილი რაც ჩააწყვეს. *ჩანთაში ჩაწყობილი წიგნები.*

**ჩაწყობილა** *ჩაწყობილას* პარაზიტი მცენარე, იკეთებს მოვარდისფრო ყვავილებს, იზრდება ხის ფესვებზე.

**ჩაჭდობა** *ჩაჭდობის* (ჩააჭდობს, ჩაეჭდობა) ერთი საგნის მეორეში მჭიდროდ ჩასმა. *სოლი ჩააჭდო.*

**ჩაჭედება** *ჩაჭედების* (ჩააჭედებს) დაჭედებით მყარად, მჭიდროდ ჩამაგრება. *ლურსმანი კედელში ჩააჭედა.*

**ჩაჭედვა** *ჩაჭედვის* (ჩაჭედავს, ჩაიჭედება) რაიმეში მჭიდროდ გაჭედვა, ჩატენა. *ფირი აპარატში ჩაიჭედა.* ■ ჩაჭედილი რაც ჩაჭედეს ან ჩაიჭედა. *ჩაჭედილი კლავიში.*

**ჩაჭერა** *ჩაჭერის* (ჩააჭერს) დიდი ძალით დაწოლა, დაჭერა. *ფრჩხილები ჩააჭირა.*

ჩაჭვრეტა *ჩაჭვრეტის* (ჩაიჭვრეტს) ვიწრო ნაპრალში, ხვრელში, ჭუჭრუტანასა და მისთ. ჩახედვა. *მიკროსკოპში ჩაიჭვრიტა.*

ჩაჭიდება *ჩაჭიდების* (ჩასჭიდებს, ჩაეჭიდება) ხელის ჩავლება, ჩაკიდება, ჩაბღაუჭება. *ხეს ჩაეჭიდა. დას ხელი ჩასჭიდა.*

ჩაჭრა *ჩაჭრის* (ჩაჭრის, ჩააჭრის, ჩაიჭრის, ჩაუჭრის, ჩაიჭრება) I. ზევიდან ქვევით გაჭრა. *ბადე ჩაჭრეს.* 2. დაჭრა და თან რაიმეში ჩაყრა. *სალათას მწვანილი ჩააჭრა.* 3. არადამაკმაყოფილებელი შეფასების მიღება. *გამოცდაზე ჩაიჭრა. მათემატიკაში ჩაჭრეს.* ■ ჩაჭრილი რაც ან ვინც ჩაჭრეს. *ჩაჭრილი სტუდენტი.*

ჩაჭყლეტა *ჩაჭყლეტის* (ჩაჭყლეტს, ჩაიჭყლიტება) რაიმეში დაჭყლეტა. *ნიორი როდინში ჩაჭყლიტა. პამიდორი ჩანთაში ჩაიჭყლიტა.* ■ ჩაჭყლეტილი რაც ჩაიჭყლიტა. *ჩაჭყლეტილი ხილი.*

ჩახაზვა *ჩახაზვის* (ჩახაზავს, ჩაუხაზავს, ჩაიხაზება) რაიმეში დახაზვა. *წიგნაკში ჩაიხაზა.* ■ ჩახაზული რაც ჩახაზეს. *ჩახაზული ორნამენტები.*

ჩახანი *ჩახანის* ლითონის საგნების ერთმანეთზე მირტყმის ან გატეხის ხმა. *ჩახანი ისმის.*

ჩახარშვა *ჩახარშვის* (ჩახარშავს, ჩაიხარშება) ზედმეტად მოხარშვა. *კარტოფილი ჩაიხარშა.*

ჩახატვა *ჩახატვის* (ჩახატავს, ჩაიხატავს, ჩაუხატავს, ჩაიხატება) რაიმეში დახატვა. *ესკიზი ჩახატა.* ■ ჩახატული რაც ჩახატეს. *ნრეში ჩახატული ყვავილი.*

ჩახაჩუხი *ჩახაჩუხის* ძლიერი, გაბმული ჩახანი. *ნაჯახის ჩახაჩუხი გაისმა.*

ჩახდა *ჩახდის* (ჩახდის, ჩაიხდის, ჩაახდეინებს) ტანსაცმლის ზევიდან ქვევით ჩანევა, გახდა. *შარვალი ჩაიხადა.*

ჩახედვა *ჩახედვის* (ჩახედავს, ჩაიხედავს) შიგნით, სიღრმეში დახედვა. *ქვაბში ჩაიხედა. თვალებში ჩახედავს.*

ჩახევა *ჩახევის* (ჩახევს, ჩაახევს, ჩაიხევს, ჩაუხევს, ჩაიხევა, ჩაეხევა) ზევიდან ქვევით სიგრძეზე გახევა. *ზეწარი ჩაიხა. ქარმა აფრა ჩახია.*

ჩახეთქება *ჩახეთქების* (ჩაახეთქებს) I. მთელი ძალით ჩაგდება, ჩანარცხება, დახეთქება. *ჩანთა საბარგულში ჩაახეთქა.* 2. უპატივც. დალევინება ან ქმევა დაყეედრებით, ჩაცეცხლება. *პური ჩაახეთქა.*

ჩახეთქვა *ჩახეთქვის* (ჩახეთქავს) I. ზევიდან ქვევით გახეთქა, გაპობა. 2. უპატივც. შეჭმა ან დალევა, ჩაცეცხლება. *კაცმა ღვინო ჩახეთქა.*

ჩახერგვა *ჩახერგვის* (ჩახერგავს, ჩაუხერგავს, ჩაიხერგება) ხეებით, ქვებით ან სხვა საშუალებით გზის ჩაკეტვა. *ნიაღვარმა გზა ჩახერგა. მომიტინგეებმა ქუჩა ჩახერგეს.* ■ ჩახერგილი რაც ჩახერგეს. *ქალაქის შესასვლელები ჩახერგილი იყო.*

ჩახერხვა *ჩახერხვის* (ჩახერხავს, ჩაიხერხება) ხერხით ჩაჭრა. *ფიცარი ბოლომდე ჩახერხა.*

ჩახვევა *ჩახვევის* (ჩაახვევს, ჩაიხვევს, ჩაუხვევს, ჩაიხვევა, ჩაეხვევა) I. ხელების შემოხვევა, ჩახუტება. *ბავშვი დედას ჩაეხვია.* 2. შიგნით დახვევა, ჩათრევა. *ბორბალმა კაშნე ჩაიხვია.* 3. მიმართულების შეცვლა, ქვევით გახვევა[1]. *მანქანამ პარკთან ჩაუხვია.*

ჩახველება *ჩახველების* (ჩაახველებს) ჩუმად, წყნარად დახველება. *ვილაცამ ჩაახველა.*

ჩახვრეტა *ჩახვრეტის* (ჩახვრეტს, ჩაიხვრიტება) ღრმად გახვრეტა. *იატაკი ალაგ-ალაგ ჩაიხვრიტა.*

ჩახითხითება *ჩახითხითების* (ჩაიხითხითებს) ხითხითით გაცინება. *ბიჭმა ჩაიხითხითა.*

ჩახლა *ჩახლის* (ჩაახლის, ჩაუხლის) I. კვერცხის გატეხა და რაიმეში ჩასხმა. *კვერცხი ტაფაში ჩაახალა.* 2. საუბრ. ჩარტყმა. *ქვა თავში ჩაახალა.*

ჩახლართვა *ჩახლართვის* (ჩახლართავს, ჩაიხლართება, ჩაეხლართება) ერთმანეთზე გადაჭდობა, არევდარევა, დახლართვა. *მავთულები ჩაიხლართა.* ■ ჩახლართული რაც ჩაიხლართა. *ჩახლართული ამბავი.*

ჩახლეჩა *ჩახლეჩის* (ჩახლეჩს, ჩაიხლიჩება, ჩაეხლიჩება) I. ზევიდან ქვევით გახლეჩა, ჩახეთქვა. *კუნძი ნაჯახით ჩახლიჩა.* 2. ხმის წასვლა, ჩახრინწვა. *ხმა ჩაეხლიჩა.*

ჩახლეჩილი *ჩახლეჩილის* რაც ჩაეხლიჩათ (2), ჩახრინწული. *ჩახლეჩილი ხმა.*

ჩახმახი *ჩახმახის* ცეცხლსასროლი იარაღის ასამუშავებელი მექანიზმი, სასხლეტი. *ჩახმახს გამოჰკრა.* ☉ ჩახმახს ფეხზე შეაყენებს იარაღს გასასროლად მოამზადებს.

ჩახოცვა *ჩახოცვის* (ჩახოცავს, ჩაიხოცება) სადმე მყოფების ამოხოცვა, გაჟლეტა. *მტერი ხეობაში ჩახოცეს.*

ჩახოხბვა *ჩახოხბვის* (ჩახოხბავს, ჩაიხოხბება) ქათმის, კურდღლისა და მისთ. ხორცის ჩახრაკვა დედალი *ჩახოხბა.*

ჩახოხბილი *ჩახოხბილის* ჩახრაკული ფრინველის ხორცისგან მომზადებული კერძი. *ჩახოხბილი მოიტანეს. ქათმის ჩახოხბილი.*

ჩახრა *ჩახრის* (ჩახრის, ჩაიხრება) დახრა, ჩაღუნვა. *თავი ჩახარა.*

ჩახრაკვა *ჩახრაკვის* (ჩახრაკავს, ჩაიხრაკება) რაიმეში მოხრაკვა. *ხორცი ტაფაში ჩახრაკა.* ■ ჩახრაკული რაც ჩახრაკეს. *ჩახრაკული კუჭმაჭი.*

ჩახრამვა *ჩახრამვის* (ჩახრამავს, ჩაიხრამება) წყლის დენით ხრამის გაჩენა. *გზა ჩაიხრამა.* ■ ჩახრამული რაც ჩაიხრამა. *ჩახრამული ხევი.*

ჩახრამუნება *ჩახრამუნების* (ჩაახრამუნებს) ხრამუნით ჩაღეჭვა, შეჭმა. *სტაფილო ჩაახრამუნა.*

ჩახრახნა *ჩახრახნის* (ჩახრახნის, ჩაიხრახნება) ხრახნით ჩამაგრება. *დეტალი ჩახრახნა.*

**ჩახრინწვა** *ჩახრინწვის* (ჩაეხრინწება) ხმის შეცვლა, ხრინწიანად ქცევა, ჩახლეჩა. *ხმა ჩაეხრინწა.* ▪ ჩახრინწული რაც ჩაეხრინწათ. *ჩახრინწული ხმა.*

**ჩახრჩობა** *ჩახრჩობის* (ჩაახრჩობს, ჩაიხრჩობს, ჩაიხრჩობა) შიგნით, სიღრმეში დახრჩობა. *წინილა წყალში ჩაიხრჩო.*

**ჩახტომა** *ჩახტომის* (ჩახტება, ჩაუხტება) 1. ხტომით ჩასვლა. *კიბიდან ჩახტა. ორმოში ჩახტა.* 2. საუბრ. ჩაჯდომა, მოკალათება. *მანქანაში ჩახტა.*

**ჩახუთვა** *ჩახუთვის* (ჩაიხუთება) იგივეა, რაც დახუთვა. *დარბაზი ჩაიხუთა.* ▪ ჩახუთული რაც ჩაიხუთა. *ჩახუთული ჰაერი.*

**ჩახუნი** *ჩახუნის* ლითონის დარტყმის ან მტვრევის ხმა, ჩახანი. *მილების ჩახუნი ისმოდა.*

**ჩახურება** *ჩახურების* (ჩახურდება) დახშულ ჭურჭელში მოთავსებული პროდუქტის გაფუჭება უჰაერობისა და მაღალი ტემპერატურის გამო. *მარცვლეული ჩახურდა.* ▪ ჩახურებული რაც ჩახურდა. *ჩახურებული სიმინდი.*

**ჩახუტება** *ჩახუტების* (ჩაიხუტებს, ჩაეხუტება) ხელების შემოხვევა სიყვარულის, სითბოს გამოსახატავად. *ბავშვი ჩაიხუტა. დედას ჩაეხუტა.* ▪ ჩახუტებული ვინც ჩაეხუტა, ვინც ან რაც ჩაიხუტეს. *თოჯინასთან ჩახუტებულს ჩაეძინა.*

**ჩახშობა** *ჩახშობის* (ჩაახშობს, ჩაიხშობს, ჩაუხშობს, ჩაიხშობა) 1. ხმის დაფარვა. *ხმაურმა ტირილის ხმა ჩაახშო.* 2. რაიმეს აღკვეთა, შეზღუდვა, ჩაკვლა. *აჯანყება სასტიკად ჩაახშეს.*

**ჩახჩახა** *ჩახჩახას* რაც ჩახჩახებს, კაშკაშა. *ჩახჩახა მზე.*

**ჩახჩახი** *ჩახჩახის* (ჩახჩახებს) ძლიერი ნათება, კაშკაში. *ნათურების ჩახჩახი.*

**ჩაჯაჯვა** *ჩაჯაჯვის* (ჩაიჯაჯავს) ულამაზოდ, უშნოდ ჩაცმა. *რალაცას ჩაიჯაჯავს ხოლმე.*

**ჩაჯაჯული** *ჩაჯაჯულის* 1. ვინც უშნოდ, ჩაჯაჯვით იცვამს. *ჩაჯაჯული დადის.* 2. რაც ჩაიჯაჯეს. *ჩაჯაჯული კაბა.*

**ჩაჯდომა** *ჩაჯდომის* (ჩაჯდება, ჩაუჯდება) 1. შიგნით, სიღრმეში დაჯდომა. *ძაღლი ყუთში ჩაჯდა. ავტობუსში ჩაჯდა. მანქანაში ჩაუჯდა.* 2. სატუსაღოში მოხვედრა სასჯელის მოსახდელად. *ციხეში ჩაჯდა.*

**ჩაჯიბვა** *ჩაჯიბვის* (ჩაიჯიბავს) 1. საუბრ. ჯიბეში ჩადება, ჩატენა. *ფული ჩაიჯიბა.* 2. გადატ. მითვისება, მისაკუთრება. *მთელი ქონება ჩაიჯიბა.*

**ჩეკა** *ჩეკის* (ჩეკს, იჩეკება) ↑ გამოჩეკა. *ბარტყებს ჩეკს.*

**ჩეკი**[1] *ჩეკის* პატარა თოხი, რომელსაც სოლივით პირი აქვს, საფხეკი, იყენებენ უმეტესად კალოს ან რაიმე მცირე მოედნის მოსასუფთავებლად.

**ჩეკი**[2] *ჩეკის* ოფიციალური ფურცელი, რომელზეც აღნიშნულია გადახდილი, გადარიცხული ან გაცემული თანხა. *ბანკის ჩეკი.*

**ჩელო** *ჩელოს* იგივეა, რაც ვიოლონჩელო.

**ჩელტი** *ჩელტის* იგივეა, რაც ლასტი.

**ჩემგვარი** *ჩემგვარის* ჩემი მსგავსი, ჩემნაირი. *ჩემგვარი გარეგნობა.*

**ჩემდენი** *ჩემდენის* იგივეა, რაც ჩემოდენი.

**ჩემებური** *ჩემებურის* 1. ჩემთვის ჩვეული. ჩემთვის დამახასიათებელი. *ჩემებური დარიგება მივეცი.* 2. ჩემი თანამემამულე, ჩემი თანასოფლელი. *ისევ ჩემებურებს მივაკითხე.* ▲ ჩემებურად ზმნზ. როგორც მე მჩვევია, ჩემსავით. *ჩემებურად გაუმასპინძლდი.*

**ჩემეული** *ჩემეულის* ჩემი ნაქონი ან ნაყოლი რაიმე. *ჩემეული სახლი.*

**ჩემი** *ჩემის* ნაცვ. ვინც, რაც მე მეკუთვნის. *ჩემი ცხენი. ჩემი მშობლები.*

**ჩემიანი** *ჩემიანის* ჩემი თანამოაზრე, ახლობელი, ნათესავი. *ისიც ჩემიანი იყო.*

**ჩემისთანა** *ჩემისთანას* ჩემი მსგავსი, ჩემნაირი. *ჩემისთანა მორცხვი. ჩემისთანა პედაგოგი.*

**ჩემნაირი** *ჩემნაირის* 1. ჩემი მსგავსი, ჩემისთანა. *ჩემნაირი ერთგული ვინ გყავს?* 2. ისეთი, როგორიც მე მაქვს (მყავს). *ჩემნაირი კაბა იყიდა.* ▲ ჩემნაირად ზმნზ. ჩემ მსგავსად, ჩემსავით. *ჩემნაირად თამაშობს.*

ჩემოდანი

**ჩემოდანი** *ჩემოდნის* დიდი, საკეტებიანი, უპირატესად სწორკუთხა ჩანთა, რომელსაც იყენებენ მოგზაურობისას ტანსაცმლისა და სხვა ნივთების ჩასაწყობად. *ტყავის ჩემოდანი.*

**ჩემოდენა** *ჩემოდენას* 1. ასაკით ჩემი ტოლი, ჩემი კუთვნილი რაიმეს ზომისა, წონისა. *ჩემოდენა ბიჭი იყო. ჩემოდენა ხელები აქვს.* 2. იგივეა, რაც ჩემოდენი. *ჩემოდენა ოჯახი აქვს. ჩემოდენა საქმეს აკეთებს.*

**ჩემოდენი** *ჩემოდენის* მე რომ მაქვს ან მყავს, იმ რაოდენობისა, ჩემსავით ბევრი. *ჩემოდენი შემოსავალი. ჩემოდენი ჭირი ვის უნახავს.*

**ჩემპიონატი** *ჩემპიონატის* სპორტული შეჯიბრება, რომელიც ტარდება პერიოდულად საუკეთესო სპორტსმენთა გამოსავლენად. *ევროპის ჩემპიონატი. ჩემპიონატი გაიმართა.*

**ჩემპიონი** *ჩემპიონის* ჩემპიონატში გამარჯვებული სპორტსმენი ან სპორტული გუნდი. *მსოფლიოს ჩემპიონი.*

**ჩემხელა** *ჩემხელას* ჩემი ტოლი. *ჩემხელა შვილი ჰყავს.*

**ჩენა** *ჩენის* (ჩანს, უჩანს ) 1. ხილული სახით არსებობა, დანახვის შესაძლებლობის ქონა. *აქედან ყველაფერი კარგად ჩანს.* 2. შეტყობა, შემჩნევა. *საქმეს ბოლო არ უჩანს.*

**ჩენჩო** *ჩენჩოს* თავთავიან მცენარეთა თესლის კანი, ბუდე. *ხორბლის ჩენჩო. ბრინჯის ჩენჩო.*

**ჩერჩეტი** *ჩერჩეტის* უჭკუო, სულელი. *ჩერჩეტი ვინმეა.*

**ჩექმა** *ჩექმის* მაღალყელიანი ფეხსაცმელი. *თბილი ჩექმა.*

ჩექმა

**ჩეჩა** *ჩეჩის* (ჩეჩს, იჩეჩს, უჩეჩს, იჩეჩება) ↑ დაჩეჩა. *მატყლს ჩეჩს.*

**ჩეჩქვა** *ჩეჩქვის* (ჩეჩქვავს, იჩეჩქვება) ↑ დაჩეჩქვა. *ნიორს ჩეჩქვავს.*

**ჩეჩქი** *ჩეჩქის* მარცვლეულის გარჩევის ან გალეწვის შედეგად დარჩენილი ფშუტი მარცვლები და სხვა ნარჩენები. ⊙ *ფული ჩეჩქივით აქვს.* საუბრ. *ძალიან ბევრი ფული აქვს.*

**ჩეხა** *ჩეხის* (ჩეხს, უჩეხს, იჩეხება) 1. ↑ დაჩეხა. *შეშას ჩეხს.* 2. ↑ გაჩეხა. *ტყე იჩეხება.*

**ჩვამა** *ჩვამას* დიდი ზომის, წყალში მცურავი ფრინველი, აქვს შავად შეფერილი ბუმბული, მაღალი ფეხები და გრძელი, მოხრილი ნისკარტი.

**ჩვარი** *ჩვრის* ქსოვილის ნაჭერი, რომლითაც საგნების ზედაპირს წმენდენ. *მაგიდის ჩვარი. და ფა ჩვრით გაწმინდა.*

**ჩვევა** *ჩვევის* (აჩვევს, იჩვევს, ეჩვევა, სჩვევია) 1. ↑ შეჩვევა. *ახალ პირობებს ეჩვევა.* 2. რაიმეს კეთების, ქცევის წესი, რომელიც ვარჯიშის, წვრთნის შედეგად უყალიბდებათ. *მუშაობის ჩვევა. ჩვევად ექცა.*

**ჩვენ** ნაცვ. მოსაუბრე პირი სხვებთან ერთად. *ჩვენ ემუშაობთ. ჩვენ ვწერთ.*

**ჩვენგანი** *ჩვენგანის* ნაცვ. ჩვენიდან რომელიმე (ერთი ან მეტი). *ერთი ჩვენგანი. ყველა ჩვენგანი.*

**ჩვენგვარი** *ჩვენგვარის* ჩვენი მსგავსი, ჩვენნაირი. *ჩვენგვარი დამოკიდებულება.*

**ჩვენება** *ჩვენების* (აჩვენებს, უჩვენებს) 1. დანახვება. *სახლი აჩვენა. ბილეთი უჩვენა.* 2. დაკითხვისას მიცემული ინფორმაცია. *დამნაშავის ჩვენება. მოწმის ჩვენება.* 3. იგივეა, რაც მოჩვენება. *ჩვენება ნახა.*

**ჩვენებური** *ჩვენებურის* 1. ჩვენთვის დამახასიათებელი, ჩვენთვის ჩვეული. *ჩვენებური სიმღერები.* 2. ჩვენი თანამემამულე, ჩვენი სოფლელი. *ჩვენებურები ჩამოვიდნენ.* ▲ ჩვენებურად ზმნზ. როგორც ჩვენ გვჩვევია, ჩვენსავით. *ერთი ჩვენებურად ვიქეიფოთ.*

**ჩვენი** *ჩვენის* ნაცვ. ვინც ან რაც ჩვენ გვეკუთვნის. *ჩვენი სოფელი. ჩვენი მე ზობელი.*

**ჩვენიანი** *ჩვენიანის* ჩვენი თანამოაზრე, ახლობელი, ნათესავი. *ჩვენიანი აღმოჩნდა.*

**ჩვენისთანა** *ჩვენისთანას* ჩვენი მსგავსი, ჩვენნაირი. *ჩვენისთანა ხალხი.*

**ჩვენნაირი** *ჩვენნაირის* 1. ჩვენი მსგავსი, ჩვენისთანა. *ეგეც ჩვენნაირი ყოფილა.* 2. ისეთი, როგორიც ჩვენ გვაქვს (გვყავს). *ჩვენნაირი ავეჯი ჰქონდათ.* ▲ ჩვენნაირად ზმნზ. ჩვენს მსგავსად, ჩვენსავით. *ისიც ჩვენნაირად ფიქრობს.*

**ჩვენოდენა** *ჩვენოდენას* 1. ასაკით ჩვენი ტოლი, ჩვენი კუთვნილი რაიმეს ზომისა, წონისა. *ჩვენოდენა ბიჭები. თქვენი სოფელი ჩვენოდენა არ არის.* 2. იგივეა, რაც ჩვენოდენი. *ჩვენოდენა ხეხილი სხვებს არა აქვთ.*

**ჩვენოდენი** *ჩვენოდენის* იმდენი, რამდენიც ჩვენ ვართ ან ჩვენ გვაქვს (გვყავს), ჩვენსავით ბევრი. *ჩვენოდენი ცხვარი არავის ჰყავს.*

**ჩვენ-ჩვენი** *ჩვენ-ჩვენის* ნაცვ. ყველა ჩვენგანის კუთვნილი ცალ-ცალკე. *ჩვენ-ჩვენი სახლები გვაქვს. ჩვენ-ჩვენი ნივთები ავიღეთ.*

**ჩვეულება** *ჩვეულების* ამა თუ იმ საზოგადოებაში დამკვიდრებული ქცევის წესები. *მთიელების ჩვეულებები.*

**ჩვეულებრივ** 1. ზმნზ. ჩვეულების მიხედვით, ჩვეულებრივად. *ჩვეულებრივ მუშაობს. სტუმრებს ჩვეულებრივ უმასპინძლა.* 2. როგორც წესი, ძირითადად (მიუთითებს, რომ დასაშვებია სხვა შემთხვევაც). *მოსავალს, ჩვეულებრივ, შემოდგომაზე იღებენ.*

**ჩვეულებრივი** *ჩვეულებრივის* ვინც ან რაც განსაკუთრებული, გამორჩეული არ არის, რიგითი (2). *ჩვეულებრივი სტუდენტი. ჩვეულებრივი დღე.* ▲ ჩვეულებრივად ზმნზ. როგორც ყოველთვის. *ყველაფერი ჩვეულებრივად დასრულდა.*

**ჩვეულებრიობა** *ჩვეულებრიობის* უბრალოება, ჩვეულებრივად ყოფნა. *ჩვეულებრიობა ახასიათებს.*

**ჩვეული** *ჩვეულის* 1. ვინმესთვის დამახასიათებელი, ნიშანდობლივი. *ჩვეული ენერგიით შეუდგა საქმეს.* 2. მიჩვეული, ნაჩვევი. *ადრე ადგომას იყო ჩვეული.*

**ჩვიდმეტი** *ჩვიდმეტის* რიცხვი 17. *ჩვიდმეტი წლისაა.*

**ჩვილი** *ჩვილის* 1. ნაზი, რბილი. *ჩვილი ხორცი.* 2. მოსიყვარულე, თანამგრძნობი. *ჩვილი გულისა.* 3. ახალშობილი. *ჩვილი ბატკანი. ჩვილმა გაიღვიძა.*

**ჩვრეტა** *ჩვრეტის* (ჩვრეტს) ↑ გაჩვრეტა. *მუყაოს დანით ჩვრეტს.*

**ჩია** *ჩიას* პატარა ტანის და სუსტი აღნაგობის მქონე. *ჩია მოხუცი.*

**ჩიბუხა** *ჩიბუხას* ღალღას მსგავსი მოზრდილი გრძელნისკარტა ფრინველი, ბინადრობს ჭაობიან ადგილებში.


ჩიბუხი

**ჩიბუხი** *ჩიბუხის* თამბაქოს

მოსანევი მოწყობილობა, აქვს მრგვალი თავი თამბაქოს ჩასაყრელად და მოგრძო მილი, რომლითაც ენევიან. *ჩიბუხით ეწევა.*

**ჩივილი** *ჩივილის* (ჩივის, უჩივის) 1. უსიამოვნების, მწუხარებისა და მისთ. სიტყვიერად გამოხატვა. *ბედს უჩივის.* 2. სასამართლოში სარჩელის შეტანა. *პროკურატურაში ჩივის.*

**ჩითი** *ჩითის* ბამბის თხელი, სახეებიანი ქსოვილი. *ჩითის კაბა.*

**ჩითილი** *ჩითილის* ერთ- ან ორწლოვანი მცენარეების თესლიდან სათბურში გამოყვანილი ნერგი. *პომიდვრის ჩითილი.*

**ჩიკორი** *ჩიკორის* 1. ქვის ან ხის სათამაშო სამიზნე, რომელსაც ბრტყელ რიყის ქვას ესვრიან. 2. იგივეა, რაც ბზრიალა. ☉ ჩიკორივით ტრიალებს ძალიან ბევრს და სწრაფად მოძრაობს, აქტიურია.

**ჩილიკა** *ჩილიკის* მოკლე სათამაშო ჯოხი, რომელსაც ერთი ბოლო წათლილი აქვს. *ჩილიკის თამაში.*

**ჩინარი** *ჩინარის* იგივეა, რაც ალვისხე.

**ჩინებული** *ჩინებულის* ძალიან კარგი, შესანიშნავი. *ჩინებული სიმღერები.* ▲ ჩინებულად ზმნზ. ძალიან კარგად, შესანიშნავად. *ჩინებულად უკრავს.*

**ჩინი**[1] *ჩინის* ☉ თვალის ჩინი მხედველობა.

**ჩინი**[2] *ჩინის* სამხედრო პირთა სამსახურებრივი ხარისხი. *გენერლის ჩინი.*

**ჩინი**[3] *ჩინის* ქართული ანბანის ოცდამეექვსე ასოს (ჩ-ს) სახელწოდება.

**ჩინოვნიკი** *ჩინოვნიკის* სახელმწიფო დაწესებულების მოხელე. *რიგითი ჩინოვნიკი.*

**ჩინოვნიკობა** *ჩინოვნიკობის* ჩინოვნიკად ყოფნა. *ჩინოვნიკობა მოსწონს.*

**ჩინური** *ჩინურის* თეთრყურძნიანი ვაზის ჯიში, რომლისგანაც ამზადებენ მაღალხარისხიან ღვინოს. *ჩინური ახარა.*

**ჩიორა** *ჩიორას* პატარა ჩიტი. *ჩიორას ბუდე.*

**ჩირაღდანი** *ჩირაღდნის* გასანათებელი მოწყობილობა - გრძელი ხის ჯოხი, რომელსაც შემოხვეული აქვს ნავთით გაუღენთილი ჩვარი. *ჩირაღდნები აანთეს.* ☉ ოლიმპიური ჩირაღდანი სპეციალური ჩირაღდანი, რომლითაც ცეცხლს ანთებენ ოლიმპიადის გახსნის ცერემონიალზე.

**ჩირგვი** *ჩირგვის* დაბალი ბუჩქი. *ჩირგვები გაკაფა.*

**ჩირგვნარი** *ჩირგვნარის* ჩირგვებით დაფარული ადგილი. *ჩირგვნარში კურდღელზე ნადირობენ.*

**ჩირთიფირთი** *ჩირთიფირთის* (ჩირთიფირთობს) ტყუილ-უბრალო, უშედეგო საქმიანობა. *თავისთვის ჩირთიფირთობს. რას ჩირთიფირთობ?*

**ჩირი** *ჩირის* შესანახად საგანგებოდ გამომშრალი, გამხმარი ხილი. *ვაშლის ჩირი. ლეღვის ჩირი.* ☉ ჩირად არ უღირს არაფრად მიაჩნია, არაფრად თვლის.

**ჩირქგროვა** *ჩირქგროვის* მედიც. ჩირქით საავსე პარკუჭი ორგანიზმში.

**ჩირქი** *ჩირქის* ანთებითი პროცესის შედეგად ორგანიზმში წარმოქმნილი სქელი, მღვრიე, უსიამოვნო სუნის მქონე სითხე. *ჩირქი სდის.* ☉ ჩირქი მოეცხება ღირსება შეელახება საზოგადოების თვალში.

**ჩირქოვანი** *ჩირქოვანის* რაშიც ჩირქია ჩამდგარი. *ჩირქოვანი წყლული.*

**ჩიტაბაშლა** *ჩიტაბაშლას* 1. წითელი, წვრილი, წვნიანი ხილი. 2. დაბალი ან საშუალო სიმაღლის ეკლიანი ბუჩქი, რომელიც ისხამს ჩიტაბაშლას (1).

**ჩიტბატონა** *ჩიტბატონას* ჭრელი მგალობელი ჩიტი. *ჩიტბატონას ბუდე.*

**ჩიტი** *ჩიტის* პატარა გარეული ფრინველი (ბელურა, ბულბული, მერცხალი და მისთ.). *ჩიტის გალია.*

**ჩიტუნა** *ჩიტუნას* ალერს. ჩიტი.

**ჩიტირეკია** *ჩიტირეკიას* არასერიოზული, ცერცეტა. *ამ ჩიტირეკიას როგორ დავუჯერებ!*

**ჩიტისთვალა**[1] *ჩიტისთვალას* ბალახოვანი მცენარე, აქვს თეთრი ან ლურჯი ყვავილები, ღეროსა და ფესვს საღებავად იყენებენ.

**ჩიტისთვალა**[2] *ჩიტისთვალას* თეთრყურძნიანი ვაზის ჯიში, ისხამს წვრილ, მრგვალმარცვლებიან მტევანს.

**ჩიტიფეტვა** *ჩიტიფეტვას* მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარე, მარცვალს იყენებენ ფრინველების საკვებად.

**ჩიფჩიფა** *ჩიფჩიფას* ვინც ჩიფჩიფებს. *ჩიფჩიფა მოხუცი.*

**ჩიფჩიფი** *ჩიფჩიფის* (ჩიფჩიფებს) ხმადაბალი, გაურკვეველი ლაპარაკი (ჩვეულებრივ, უკბილო ადამიანისა). *ჩიფჩიფი დაიწყო.*

**ჩიქორთული** *ჩიქორთულის* ენის არცოდნის გამო დამახინჯებული, არასწორი. *ჩიქორთული რუსულით მეტყველებს.* ▲ ჩიქორთულად ზმნზ. დამახინჯებულად, არასწორად. *ჩიქორთულად ლაპარაკობს.*

**ჩიყვი** *ჩიყვის* ავადმყოფობა, რომლისთვისაც დამახასიათებელია ფარისებრი ჯირკვლის გადიდება. *ჩიყვი დაუდგინეს.* ■ ჩიყვიანი ვისაც ჩიყვი აქვს. *ჩიყვიანი ბავშვი.*

**ჩიჩახვი** *ჩიჩახვის* ფრინველის ან ზოგიერთი მწერის საყლაპავი მილის გაფართოებული ნაწილი, სადაც საკვები გროვდება კუჭში ჩასვლამდე. *ქათმის ჩიჩახვი. ჩიჩახვი სავსე აქვს.*

ჩიჩილაკი

**ჩიჩია** *ჩიჩიას* ბავშვ. ხორცი.

**ჩიჩილაკი** *ჩიჩილაკის* ახალი წლისთვის სპეციალურად დამზადებული ჯოხი ბურბუშელასებრი

ანათლებით, რთავენ ტკბილეულითა და ხილით. *თხილის ჩიჩილაკი.*

**ჩიჩინი** *ჩიჩინის* (უჩიჩინებს, ეჩიჩინება) დაჟინებით ლაპარაკი, მომაბეზრებლად გამეორება რაიმეს ჩაგონების მიზნით. *ბავშვს ჩიჩინი დაუწყო. სულ ეჩიჩინება.*

**ჩიჩქნა** *ჩიჩქნის* ((ს)ჩიჩქნის, იჩიჩქნის) 1. ↑ გაჩიჩქნა. *ინდაური მიწას ჩიჩქნის.* 2. ↑ გამოჩიჩქნა. *ყურს იჩიჩქნის.* 3. ↑ ამოჩიჩქნა. *თვალებს სჩიჩქნის.*

**ჩიჩხინი** *ჩიჩხინის* (უჩიჩხინებს) 1. საჩხრეკითა და მისთ. ცეცხლში ქექვა. *ბუხარს უჩიჩხინებს.* 2. გადატ. ლაპარაკით ნაქეზების, დაყოლიების მცდელობა. *ბავშვს უჩიჩხინებს.*

**ჩიხი** *ჩიხის* 1. პატარა, ცალ მხარეს ჩაკეტილი ქუჩა. *მანქანა ჩიხში იდგა.* 2. რკინიგზის ხაზი, რომელიც სხვა ხაზებს მხოლოდ ერთი ბოლოთი უერთდება. *ვაგონი ჩიხში ჩააყენეს.* ☉ **ჩიხში მოემწყვდევა** გამოუვალ მდგომარეობაში აღმოჩნდება.

**ჩიხირთმა** *ჩიხირთმის* ქათმის ან ცხვრის ხორცის ნვნიანი კერძი. *გემრიელი ჩიხირთმა.*

**ჩიხტიკოპი** *ჩიხტიკოპის* ქართველი ქალის ძველებური თავსაბურავი, თავზე დასადგმელი რკალი, რომელზეც მაგრდება სხვადასხვა სახის თავსაფარი.

**ჩლატუნა** *ჩლატუნას* საუბრ. ცუდად ჩაცმული, მოუწესრიგებელი. *ჩლატუნა კაცი.*

**ჩლაჩუნა** *ჩლაჩუნას* იგივეა, რაც ჩლატუნა. *ერთი ჩლაჩუნა ვინმე იყო.*

**ჩლახუნი** *ჩლახუნის* საუბრ. კოჭლობით, გაჭირვებით სიარული. *ჩლახუნით გაიარა.*

**ჩლექა** *ჩლექის* (იჩლექს, უჩლექს, ეჩლიქება) ☉ **ენის ჩლექა განგებ** ენის მოქცევით მეტყველება.

**ჩლიფინა** *ჩლიფინას* ვინც ჩლიფინით ლაპარაკობს. *ჩლიფინა გოგო.*

**ჩლიფინი** *ჩლიფინის* (ჩლიფინებს) ზოგიერთი ბგერის დამახინჯებულად, არასწორად წარმოთქმა. *ჩლიფინი დაიწყო.*

**ჩლიქი** *ჩლიქის* სქელი რქოვანი წანაზარდი ზოგიერთი ცხოველის (ძროხის, ცხვრისა) ფეხის ბოლოზე. *ღორის ჩლიქები.*

**ჩლიქოსანი** *ჩლიქოსნის* ჩლიქიანი ცხოველი.

**ჩლუნგი** *ჩლუნგის* 1. რისი პირიც დაბლაგვებულია. *ჩლუნგი ნაჯახი.* 2. გადატ. განუვითარებელი, აზროვნების უნარის არმქონე. *ერთ ჩლუნგი ვინმეა.*

**ჩმახვა** *ჩმახვის* (ჩმახავს) ↑ მოჩმახვა. *რაღაცას ჩმახავს.*

**ჩმუჩვნა** *ჩმუჩვნის* (იჩმუჩნება) სხეულის (მხრების) უხერხულად მოძრაობა, შმუშვნა. *ლოგინში იჩმუჩნება.*

**ჩოგანი** *ჩოგნის* 1. ტარიანი, ბადეგადაკრული ოვალური ან მრგვალი ჩარჩო ბურთის დასარტყმელად. *ჩოგბურთის ჩოგანი.* 2. მოკლეტარიანი ფირფიტა მაგიდის ჩოგბურთის სათამაშოდ. 3. ხის გრძელი ბოლოწაბრტყელებული ჯოხი, იყენებენ ღომის ამოსაზელად.

ჩოგანი 1



**ჩოგბურთელი** *ჩოგბურთელის* ჩოგბურთის მოთამაშე, სპორტსმენი. *ჩოგბურთელების წარმატება.*

**ჩოგბურთი** *ჩოგბურთის* სპორტის სახეობა – მოთამაშეები (ძირითადად ორნი) პატარა ბურთს ჩოგნებით (1) აგდებენ მოედნის შუაში გაჭიმული ბადის აქეთ-იქით. *ჩოგბურთის მოედანი.* = ტენისი.

**ჩოთირი** *ჩოთირის* (ეჩოთირება) უხერხულობის, მორიდების განცდა. *ამაზე ლაპარაკი ეჩოთირება.*

**ჩოკინა** *ჩოკინას* იგივეა, რაც ჩოჩორი.

**ჩონგური** *ჩონგურის* ქართული ხალხური სიმებიანი საკრავი, აქვს ოთხი სიმი, უკრავენ თითების ჩამოკვრით. *ჩონგურზე დაამღერა.*

ჩონგური

**ჩონჩხი** *ჩონჩხის* 1. ძვალთა სისტემა, რომელიც წარმოადგენს ხერხემლიანთა სხეულის საფუძველს, საყრდენს. *ადამიანის ჩონჩხი.* 2. იგივეა, რაც კარკასი. *შენობის ჩონჩხი.* 3. გადატ. რაიმეს სქემა, მონახაზი, ესკიზი. *მოხსენების ჩონჩხი.*

ჩონჩხი

**ჩორკნა** *ჩორკნის* (ჩორკნის, უჩორკნის, იჩორკნება) უხეშად, უსწორმასწოროდ თლა. *მაგიდას ჩორკნის.*

**ჩოფურა** *ჩოფურას* ყვავილით (2) დამახინჯებული. *ჩოფურა სახე.*

**ჩოქვა** *ჩოქვის* ↑ დაჩოქება (1). *სალოცავს ჩოქვით შემოუარა.*

**ჩოჩვა** *ჩოჩვის* (ჩოჩავს) გაჭირვებით მოძრაობა ფეხების ძირიდან აუღებლად. *ჩოჩვით მიდის.*

**ჩოჩორი** *ჩოჩრის* ვირის ნაშიერი. *ლამაზი ჩოჩორი.*

**ჩოჩქოლი** *ჩოჩქოლის* (ჩოჩქოლებს) არეულ-დარეული მოძრაობა, ხმაური, მღელვარება, აურზაური. *ჩოჩქოლი ატყდა. ახალგაზრდები ჩოჩქოლებენ.*

**ჩოხა** *ჩოხის* 1. მამაკაცის ქართული სამოსის ერთ-ერთი ძირითადი ნაწილი – წელში გამოყვანილი, განიერკალთებიანი ზედა ჩასაცმელი. *შინდისფერი ჩოხა. სიძე ჩოხაში იყო გამოწყობილი.* 2. უსახელო სამოსი. 3. ბერ-მონაზონთა სამოსი. *ბერის ჩოხა.* 4. ქალისა და მამაკაცის გარე სამოსელი თუშ-ფშავ-ხევსურეთში.

ჩოხა

ჩოხიანი *ჩოხიანის* ვისაც ჩოხა აცვია.

ჩოხოსანი *ჩოხოსნის* ვინც ჩოხას ატარებს, ჩოხით დადის. *ქართველი ჩოხოსნები.*

ჩრდილი *ჩრდილის* 1. ადგილი, რომელსაც მზის სხივი არ ხვდება. *ხის ჩრდილი.* 2. ვინმეზე ან რაიმეზე მინათების შედეგად გაჩენილი მუქი გამოსახულება. *ადამიანის ჩრდილი. კარადის ჩრდილი.* ▪ ჩრდილიანი რასაც ჩრდილი ადგება, ჩრდილით დაფარული. *ჩრდილიანი ეზო.* ⊙ (ვინმეს) ჩრდილს მიაყენებს (ვინმეს) სხვის თვალში დაამცირებს, აუგს იტყვის მასზე.

ჩრდილო *ჩრდილოს* იგივეა, რაც ჩრდილოეთი. *ჩრდილო აფრიკა.*

ჩრდილო-აღმოსავლეთი *ჩრდილო-აღმოსავლეთის* ჩრდილოეთსა და აღმოსავლეთს შორის მოქცეული მხარე, ამ მხარეს მდებარე. *ჩრდილო-აღმოსავლეთისკენ გაემართა. კავკასიონის ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილი.*

ჩრდილო-დასავლეთი *ჩრდილო-დასავლეთის* ჩრდილოეთსა და დასავლეთს შორის მოქცეული მხარე, ამ მხარეს მდებარე. *ქალაქის ჩრდილო-დასავლეთი. ჩრდილო-დასავლეთის კედელი.*

ჩრდილოეთი *ჩრდილოეთის* 1. მხარე, რომელიც ამომავალი მზისკენ სახით მდგომი ადამიანის მარცხნივ მდებარეობს. 2. ჩრდილოეთის მხარეს მდებარე. *ჩრდილოეთი აფრიკა.* 3. გადატ. რაიმე უძრავი საგნის ან ნაგებობის ის ნაწილი, რომელიც ამ მხარესაა მოქცეული. *ტაძრის ჩრდილოეთი კედელი.*

ჩრდილოელი *ჩრდილოელის* ჩრდილოეთის მცხოვრები. *ჩრდილოელი ხალხები.*

ჩრდილოვანი *ჩრდილოვანის* რაც მუდამ ჩრდილშია, რასაც მზე არასოდეს ადგება. *ჩრდილოვანი ადგილი.*

ჩრჩილი *ჩრჩილის* მცირე ზომის პეპელა, წარმოქმნის მღილს, რომელიც აზიანებს შალეულს, ბეწვეულს, მარცვლეულსა და ფუტკარს. *ჩრჩილმა საბანი გააფუჭა.*

ჩუმად ზმნ. 1. უხმაუროდ, წყნარად. *ჩუმად ელაპარაკება.* 2. ხმის ამოუღებლად. *ჩუმად ზის.* 3. შეუმჩნეველად, ფარულად. *ჩუმად გაიპარა.*

ჩუმი *ჩუმის* 1. ძნელად გასაგონი, უხმაურო, წყნარი. *ჩუმი მუსიკა. ჩუმი საუბარი.* 2. ვინც ხმას არ იღებს, სიტყვაძუნწი. *ჩუმი ბავშვი.* 3. ფარული, შეუმჩნეველი. *ჩუმი ფიქრი. ჩუმი მწუხარება.*

ჩუმჩუმა *ჩუმჩუმას* იგივეა, რაც ჩუმჩუმელა. *დიდი ჩუმჩუმა ვინმეა.*

ჩუმჩუმელა *ჩუმჩუმელას* ჩუმჩუმად მავნებელი, ქვეშქვეშა. *რა ჩუმჩუმელა ხარ!*

ჩურთვა *ჩურთვის* (ჩურთავს) ↑ შეჩურთვა. *ტანსაცმელს კარადაში ჩურთავს.*

ჩურჩა *ჩურჩის* 1. მარცვალგამოცლილი პარკი. *ლობიოს ჩურჩა.* 2. ყურძნის წვენგამოცლილი კანი. *ყურძნის ჩურჩა.* 3. კურკაგამოცლილი ხილი (ძირითადად, კურკოვნები). *შინდის ჩურჩა.*

ჩურჩვა *ჩურჩვის* (ჩურჩავს) 1. მარცვლეულისთვის ჩურჩის გაცლა. *ლობიოს ჩურჩავს.* 2. ხილისთვის კურკის გამოცლა. *ტყემლის ჩურჩვა.*

ჩურჩული *ჩურჩულის* (ჩურჩულებს, ეჩურჩულება) ძალიან ხმადაბლა ლაპარაკი. *ჩურჩული დაინყეს. საიდუმლოდ ჩურჩულებენ.*

ჩურჩუტი *ჩურჩუტის* იგივეა, რაც ჩერჩეტი. *ჩურჩუტი მონადე.*

ჩურჩხელა

ჩურჩხელა *ჩურჩხელის* ტკბილეული – მზადდება ძირითადად ნიგვზის ლებნებისგან ან თხილის გულებისგან, რომლებსაც ძაფზე ასხამენ, თათარაში ავლებენ და მზეზე აშრობენ. *კახური ჩურჩხელა.*

ჩუსტი *ჩუსტის* უქუსლო და უყელო მსუბუქი ფეხსაცმელი. *სახლის ჩუსტი.*

ჩუტვა *ჩუტვის* (ჩუტავს, იჩუტება, ეჩუტება) ↑ დაჩუტვა. *ბუშტებს ჩუტავს.*

ჩუტყვავილა *ჩუტყვავილას* ბავშვთა გადამდები დაავადება, ახასიათებს კანის გაწითლება და სითხიანი ბუშტუკების გაჩენა.

ჩუქება

ჩუქება *ჩუქების* (აჩუქებს, იჩუქებს) საჩუქრის მიცემა. *ჩუქება არ დაენანა. წიგნი აჩუქა.*

ჩუქურთმა *ჩუქურთმის* ხეში ან ქვაში გამოკვეთილი გეომეტრიული ფიგურები, ცხოველთა ან მცენარეთა გამოსახულებები, რომლებითაც აფორმებენ სხვადასხვა საგანს ან არქიტექტურულ ძეგლს. *ტაძრის ჩუქურთმა.* ▪ ჩუქურთმებიანი ჩუქურთმებით შემკული, ჩუქურთმებით გაფორმებული. *ჩუქურთმებიანი ეკლესია.*

ჩუჩა *ჩუჩის* კანის ნაოჭი მამაკაცის სასქესო ორგანოს ბოლოში. *ჩუჩა დაუსიედა.*

ჩუჩუნი *ჩუჩუნის* (ჩუჩუნებს) ნელი, ძნელად შესამჩნევი მოძრაობა. *თავისთვის ჩუჩუნებს.*

ჩუჩხუნი *ჩუჩხუნის* (უჩუჩხუნებს) წაქეზების, დაყოლიების მცდელობა. *ქმარს უჩუჩხუნებს.*

ჩუჩხური *ჩუჩხურის* (უჩუჩხურებს) 1. საჩხრეკითა და მისთ. ნაკვერჩხლის ქექვა. *ასტამს უჩუჩხურებს.* 2. წაქეზების მცდელობა, ჩუჩხუნი. *მეგობრები უჩუჩხურებენ.*

ჩუხჩუხა *ჩუხჩუხას* რაც ჩუხჩუხებს. *ჩუხჩუხა ნაკადული.*

ჩუხჩუხი *ჩუხჩუხის* (ჩუხჩუხებს, აჩუხჩუხებს) 1. წყლის სწრაფი მოძრაობა, დინება ხმის გამოცემით. *წყაროს ჩუხჩუხი.* 2. სითხის ძლიერი დუღილი სპეციფიკური ხმის გამოცემით. *წყალი ჩუხჩუხებს.*

ჩქამი *ჩქამის* ძალიან დაბალი ხმა. *ჩქამიც არ ისმის.*

ჩქარა ზმნზ. სწრაფად. *ჩქარა მიდის. საქმეს ჩქარა აკეთებს.* ↔ ნელა.

ჩქარი *ჩქარის* სწრაფი, მალი. *ჩქარი დინება.* ↔ ნელი.

ჩქაროსნული *ჩქაროსნულის* დიდი სიჩქარით მოძრავი, მოქმედი. *ჩქაროსნული მატარებელი. ჩქაროსნული მეთოდები.*

ჩქარ-ჩქარა ზმნზ. ზედიზედ, ჩქარა და ჩქარა. *სუფრას ჩქარ-ჩქარა შლის.*

ჩქარ-ჩქარი *ჩქარ-ჩქარის* სწრაფად განმეორებადი. *ჩქარ-ჩქარი ცვლილებები.*

ჩქაფანი *ჩქაფანის* წყალში ჩავარდნის ხმა. *ჩქაფანი გაისმა.*

ჩქაფაჩქუფი *ჩქაფაჩქუფის* ჩქაფუნი. *ცხენმა ჩქაფაჩქუფით გაიარა წყალში.*

ჩქაფუნი *ჩქაფუნის* (ჩქაფუნობს) წყლის ან წყალში მყოფის სწრაფად მოძრაობა ხმის გამოცემით. *მდინარის ჩქაფუნი. ბავშვები აუზში ჩქაფუნობენ.*

ჩქერი *ჩქერის* ქვიან კალაპოტში მდინარის სწრაფი დინებისას წარმოქმნილი ძლიერი ტალღები. *ქაფიანი ჩქერი.*

ჩქეფა *ჩქეფის* (ჩქეფს, უჩქეფს) ი. წყლის სწრაფად, ხმაურით დენა. *წყალი ჩქეფს.* 2. გადატ. გარკვეული პროცესების სწრაფად, ცოცხლად მიმდინარეობა. *ცხოვრება ჩქეფს.*

ჩქმეტა *ჩქმეტის* (ჩქმეტს) თითების მოჭერა სხეულზე და ტკენა. *ბავშვს ჩქმეტა დაუწყო. ხელზე უჩქმიტა.*

ჩქრიალი *ჩქრიალის* (ჩქრიალებს) იგივეა, რაც ჩხრიალი. *წყლის ჩქრიალი.*

ჩქროლვა *ჩქროლვის* (ჩქროლავს, უჩქროლავს) აჩქარებით, გამალებით ძგერა. *გულის ჩქროლვა. სისხლი უჩქროლავს.*

ჩხა *ჩხის* ი. დატოტვილი ხის საკიდარი. *თოფი ჩხაზე ჩამოკიდეს.* 2. მტევნებიანი ვაზის მოჭრილი ტოტი. *ყურძნის ჩხა.* შდრ. აკიდო.

ჩხავერი *ჩხავრის* ი. ვაზის ჯიში, ისხამს მოგრძო მტევნებს. 2. ჩხავრისგან დაყენებული ღვინო. *ჩხავერი დალიეს.*

ჩხავილი *ჩხავილის* (ჩხავის) ი. ზოგიერთი ცხოველის ან ფრინველის ხმიანობა (ჩვეულებრივ, უსიამოვნო). *კატის ჩხავილი. ყვავი ჩხავის.* 2. გადატ. ბავშვის ხმამაღალი ტირილი. *ჩვილმა ჩხავილი დაიწყო.*

ჩხაკანი *ჩხაკანის* იგივეა, რაც ჩხაკუნი. *კარის ჩხაკანი გაისმა.*

ჩხაკაჩხუკი *ჩხაკაჩხუკის* გაბმული ჩხაკუნი. *საკეტის ჩხაკაჩხუკი.*

ჩხაკუნი *ჩხაკუნის* (ჩხაკუნობს) მყარი (ჩვეულებრივ, ლითონის) საგნების რაიმეზე მოხვედრისას ან ერთმანეთთან შეხებისას გამოცემული მკვეთრი ხმა. *ჩხაკუნი ისმის. გასალები ჩხაკუნობს.*

ჩხაპანა *ჩხაპანის* (ჩხაპანის, იჩხაპნება) ი. ↑ გაჩხაპანა. *მერხს ჩხაპანის.* 2. ↑ დაჩხაპანა. *ფურცელს ჩხაპანის.*

ჩხარაჩხური *ჩხარაჩხურის* გაბმული ჩხარუნი. *იარალის ჩხარაჩხური.*

ჩხართვი *ჩხართვის* შაშვის მსგავსი მომცრო ზომის ფრინველი, ბინადრობს მთის ტყეებში. *ჩხართვების გუნდი.*

ჩხარიჩხური *ჩხარიჩხურის* იგივეა, რაც ჩხარაჩხური.

ჩხარუნი *ჩხარუნის* (ჩხარუნებს, აჩხარუნებს) მყარი საგნების ერთმანეთთან შეხებისას გამოცემული მკვეთრი ხმა. *სათამაშოების ჩხარუნი.*

ჩხვლეტა *ჩხვლეტის* ((ს)ჩხვლეტს, იჩხვლიტება, ეჩხვლიტება) ი. წვრილი, წვეტიანი საგნის შერჭობა, შესობა, ასეთი საგნით რაიმეს გახვრეტა. *კალმის წვერით ჩხვლეტა დაუწყო. მაგიდის ზედაპირს ჩხვლეტს.* 2. ჩხვლეტის (1) მსგავსი ტკივილის შეგრძნება. *გული სჩხვლეტს.*

ჩხვლეტია *ჩხვლეტიას* რაც იჩხვლიტება. *ჩხვლეტია სამოსი.*

ჩხიკვი *ჩხიკვის* ბელურას მსგავსი მოზრდილი გარეული ფრინველი, აქვს ლამაზი შეფერილობის ბუმბული, შეუძლია სხვადასხვა ცხოველის ხმის მიბაძვა.

ჩხიკინი *ჩხიკინის* (უჩხიკინებს) ი. საუბრ. მონდომებით, დაჟინებით კეთება. *ხელოსანი აპარატს უჩხიკინებს.* 2. ნაქეზების, დაყოლიების მცდელობა, ჩიჩხინი. *მეგობარს უჩხიკინებს.*

ჩხირი *ჩხირის* ხის ან ლითონის წვრილი, მოკლე ჯოხი. *საქსოვი ჩხირი. სათამაშო ჩხირი.* ⊙ **ჩხირი კედელსა** ამბობენ იშვიათ სტუმრობაზე.

ჩხირკედელა *ჩხირკედელას* ვინც ჩხირკედელაობს. *ჩხირკედელა პატარები.*

ჩხირკედელაობა *ჩხირკედელაობის* (ჩხირკედელაობს) უმნიშვნელო საქმის ჩუმად, უხმაუროდ კეთება. *თავისთვის ჩხირკედელაობს.*

ჩხო *ჩხოს* ი. სათესლე მარცვლეული. 2. ღომის გაუცეხველი თავთავი.

ჩხრეკა *ჩხრეკის* (ჩხრეკს, უჩხრეკს, იჩხრიკება) ი. ↑ გაჩხრეკა (3). *ნაცრის ჩხრეკა დაიწყო.* 2. ოფიციალური ორგანოს მიერ ჩატარებული ძებნა, რომლის მიზანია დაფარული, დამალული რაიმეს პოვნა. *სახლის ჩხრეკა. ჩხრეკის ორდერი.*

ჩხრიალი *ჩხრიალის* (ჩხრიალებს, აჩხრიალებს) ი. წყლის მცირე ნაკადის სწრაფი დენა ხმის გამოცემით. *წყარო ჩხრიალით მოდის. ნაკადული ჩხრიალებს.* 2. ლითონის ან რაიმე მაგარი საგნის ერთმანეთზე მიხლისას გამოცემული ხმა. *კაკლის ჩხრიალი. ხურდა ჩხრიალებს.*

**ჩხუბი** *ჩხუბის* (ჩხუბობს, ეჩხუბება) 1. გაბრაზების გამოხატვა ხმამაღალი ლაპარაკით, ყვირილით. *ბავშვს ეჩხუბება. ცოლ-ქმარი ხშირად ჩხუბობს.* 2. ცემა, აურზაური. *ჩხუბი ატყდა.*

**ჩხუბისთავი** *ჩხუბისთავის* ვინც ხშირად იწვევს ჩხუბს, ვისაც ჩხუბი უყვარს. *ნამდვილი ჩხუბისთავი იყო.*

# – ც –

**ცა** *ცის* სივრცე დედამიწის ზევით, სადაც არის ციური სხეულები, ღრუბლები. *ვარსკვლავებით მოჭედილი ცა. ლურჯი ცა. ცა და დედამიწა.* ◎ ღია ცის ქვეშ შენობის გარეთ, ბუნებაში. ◎ ცა მოიწმინდა ღრუბელი გადაიყარა, გამოიდარა. ◎ ცა ქუდად არ მიაჩნია, დედამიწა – ქალამნად ანგარიშს არავის უწევს, ამაყია. ◎ ცამ ჩაყლაპა თუ მიწამ უგზო-უკვლოდ დაიკარგა. ◎ ცამდე აიყვანს ძალიან შეაქებს, ხოტბას შეასხამს. ◎ ცამდე მართალი უდანაშაულო, მართალი. ◎ ცას ეწევა ძალიან გაუხარდება.

**ცადაზიდული** *ცადაზიდულის* ნიგნ. ძალიან მაღალი (მთა, შენობა და მისთ.). *ცადაზიდული კოშკი.*

**ცათამბჯენი** *ცათამბჯენის* სიმაღლით გამორჩეული ნაგებობა, მრავალსართულიანი შენობა. *ახალი ცათამბჯენის მშენებლობა დაიწყო.*

**ციტნოტი** *ციტნოტის* 1. მდგომარეობა ჭადრაკსა და შაშში, როდესაც მოთამაშეს არ ჰყოფნის დრო სვლების მოსაფიქრებლად. *ციტნოტში იმყოფება.* 2. გადატ. დროის ნაკლებობა რაიმე საქმიანობისას. *პოლიტიკური ციტნოტი.*

**ცალგვერდა** *ცალგვერდას* ცალი გვერდის მქონე. *სახლის ცალგვერდა სახურავი.*

**ცალთვალა** *ცალთვალას* ცალი თვალის მქონე. *ცალთვალა დევი. ცალთვალა მონადირე.*

**ცალი** *ცალის* 1. წყვილიდან ერთი. *ცალი ხელი. ცალი წინდა.* 2. გამოიყენება საგანთა რაოდენობის დასახელებისას. *ორი ცალი კვერცხი. სამი ცალი ვაშლი.* 3. საპალნის ერთი ნაწილი, მხარე. *საპალნის ცალები პურით აავსო.* 4. ვინმეს ტოლი, სწორი, შესაფერისი. *ცალი არა ჰყავს.* ▲ **ცალად** ზმნზ. მარტო, უამხანაგოდ. *ცალად დადის.*

**ცალკე** ზმნზ. მარტო, სხვების გარეშე. *ცალკე დასახლდა.*

**ცალკეული** *ცალკეულის* ცალკე აღებული, თითოეული. *ცალკეული შემთხვევა.*

**ცალკეცი** *ცალკეცის* იგივეა, რაც ცალმაგი. *ცალკეცი მარლა.*

**ცალმაგი** *ცალმაგის* ცალი წვერის, ცალი ფენის მქონე. *ცალმაგი ძაფი. ცალმაგი ქსოვილი.* ▲ **ცალმაგად** ზმნზ. ცალ წვერად, ცალ ფენად. *ცალმაგად დააფინა.*

**ცალმხრივი** *ცალმხრივის* 1. ერთ მხარეს მიმართული. *ცალმხრივი მოძრაობა.* 2. არასრული, მხოლოდ ერთი მხარის, ერთი ნიშნის გათვალისწინებით მიღებული, შესრულებული. *ცალმხრივი დასკვნა. ცალმხრივი დახასიათება.* ▲ **ცალმხრივად** ზმნზ. ნაწილობრივ, არასრულად, მხოლოდ ერთი მხარის გათვალისწინებით. *ფაქტების ცალმხრივად გაშუქება.*

**ცალსახა** *ცალსახას* უეჭველი, არასაკამათო, აშკარა. *ცალსახა პასუხი.* ▲ **ცალსახად** ზმნზ. უეჭველად, აშკარად, გარკვეულად. *ცალსახად უჭერს მხარს.*

**ცალფა** *ცალფას* იგივეა, რაც ცალმაგი. *ცალფა ნაქსოვი.*

**ცალფერდა** *ცალფერდას* მხოლოდ ერთი ფერდის მქონე. *ცალფერდა სახურავი.*

**ცალფეხა** *ცალფეხას* რასაც ან ვისაც მხოლოდ ერთი ფეხი აქვს. *ცალფეხა მე ზღვაური. ცალფეხა ქმარი ჰყავს.*

**ცალყბა** *ცალყბას* უგულო, გულგრილი, არაგულწრფელი. *ცალყბა ღიმილი.* ▲ **ცალყბად** ზმნზ. უგულოდ, გულგრილად. *ცალყბად დაპატიჟა.*

**ცალყურა** *ცალყურას* ვისაც ან რასაც მხოლოდ ერთი ყური აქვს. *ცალყურა კაცი. ცალყურა ქოთანი.*

**ცალ-ცალი** *ცალ-ცალის* სხვადასხვა წყვილის ცალები. *ცალ-ცალი ფეხსაცმელი. ცალ-ცალი ხელთათმანი.*

**ცალ-ცალკე** ზმნზ. ერთმანეთის გარეშე, ერთმანეთისგან მოშორებით, თითოეული ცალკე. *ყველა ცალ-ცალკე შემოვიდა. შვილები ცალ-ცალკე დაასახლა.*

**ცალწვერი** *ცალწვერის* იგივეა, რაც ცალმაგი. *ცალწვერი ძაფისგან მოქსოვილი.*

**ცალხელა** *ცალხელას* ვისაც მხოლოდ ერთი ხელი აქვს. *ცალხელა მეწისქვილე.*

**ცამეტი** *ცამეტის* რიცხვი 13. *ცამეტი სართული.*

**ცანგალა** *ცანგალას* ძველებური ჩონგურის მსგავსი სიმებიანი საკრავი.

ცანი *ცანის* ქართული ანბანის ოცდამეშვიდე ასოს (ც-ს) სახელწოდება.

ცანცარა *ცანცარას* I. რაც ცანცარებს. *ცანცარა თხა.* 2. გადატ. დაუფიქრებელი, არასერიოზული. *ცანცარა ვინმეა.*

ცანცარი *ცანცარის* (ცანცარებს, აცანცარებს, უცანცარებს) I. ოდნავ რხევა, ტოკვა. *ფეხს აცანცარებს. წვერი უცანცარებს.* 2. გადატ. დაუფიქრებდად, არასერიოზულად მოქცევა. *ნუ ცანცარებ!*

ცარიელი *ცარიელის* რაშიც არაფერი არ არის. *ცარიელი სახლი. ცარიელი მინდორი.*

ცარცი *ცარცის* რბილი თეთრი კირქვა, გამოიყენება საწერად ან რაიმეს გასათეთრებლად. *ცარცით დახაზა.*

ცაცი *ცაცის* ალერს. ბავშვის ხელი. *პატარა ცაცები.*

ცაცია *ცაციას* I. ადამიანი, რომელსაც მარცხენა ხელი მარჯვენაზე აქტიური აქვს. *ცაცია მოკრივე. პაპაჩემი ცაცია იყო.* 2. მარცხენა ხელი. *ცაციათი ისვრის.*

ცაცუნი *ცაცუნის* (აცაცუნებს, იცაცუნებს, უცაცუნებს) ხელის ოდნავ, ზედაპირულად სმა. *ლოყაზე ხელს უცაცუნებს.*

ცაცხანი *ცაცხანის* (უცაცხანებს) გაბრაზებით, გაწყრომით ხმამაღლა თქმა ვინმესთვის. *შვილს უცაცხანებს.*

ცაცხვი *ცაცხვის* მაღალი ან საშუალო სიმაღლის ხე, აქვს დაკბილული ფოთლები და მოყვითალო, სურნელოვანი ყვავილები, მერქანს იყენებენ მშენებლობასა და ავეჯის წარმოებაში. *ცაცხვის ჩაი.*

ცაცხვნარი *ცაცხვნარის* ცაცხვის ხეებით დაფარული ვრცელი ტერიტორია ან ტყის ნაწილი. *ცაცხვნარში ფუტკარი ირევა.*

ცახი *ცახის* ბალახეულის შეკვრა, კონა ან ფოთლებიანი ფიჩხი, რომელსაც უფენენ აბრეშუმის ჭიას პარკის მოსათავსებლად. *ცახი შეუდგეს.*

ცახცახი *ცახცახის* (ცახცახებს, აცახცახებს, უცახცახებს) იგივეა, რაც კანკალი. *შიშისგან ცახცახებს. სხეული უცახცახებს.*

ცბიერება *ცბიერების* მოჩვენებითი კეთილისმყოფელობა, შეფარული მტრობა. *ცბიერებას მიუხვდა.*

ცბიერი *ცბიერის* მოჩვენებითად კეთილისმყოფელი, მზაკვარი, ეშმაკი. *ცბიერი დედოფალი. ცბიერი სიტყვები.*

ცდა[1] *ცდის* (აცდის, იცდის, უცდის) I. ↑ დაცდა[1]. *ტრანსპორტს უცდის. დედას უცდის. დილიდან იცდის.* 2. ↑ დაცდა (2). *ვალის დაბრუნება აცადა. სიტყვის დამთავრებას არ აცდის.*

ცდა[2] *ცდის* (ცდის) I. იგივეა, რაც გამოცდა (2). *ახალ დანადგარს ცდიან.* 2. ფიზიკური სხეულის, ნივთიერებისა და მისთ. მეცნიერული გამოკვლევა საგანგებოდ შექმნილ პირობებში. *ცდა ჩაატარეს. ცდამ წარმატებით ჩაიარა.*

ცდა[3] *ცდის* (ცდის, ცდილობს) მონდომება, ქმედება (წვალება) რაიმეს გასაკეთებლად, შესასრულებლად. *ცდას არ აკლებს. კიდევ ერთხელ ცდის. ბევრს ეცადა.*

ცდისპირი *ცდისპირის* პირი, რომელზეც ცდას ატარებენ. *ცდისპირთა გამოკითხვა.*

ცდომილება *ცდომილების* I. განსხვავება ნამდვილ სიდიდესა და მის მიახლოებით მნიშვნელობას ან გაზომვით მიღებულ შედეგს შორის. *ცდომილების ფარგლები.* 2. შეცდომა, უზუსტობა. *ცდომილება გამოიწვია.*

ცდუნება *ცდუნების* (აცდუნებს) I. შეცდენით რაიმეზე დაყოლიება, დათანხმება, რაიმეს გაკეთებინება. *ქალის სიტყვამ აცდუნა. ეშმაკმა აცდუნა.* 2. იგივეა, რაც საცდური. *ცდუნებას ვერ გაუძლო. ცდუნება დიდი იყო.*

ცედრა *ცედრის* ფორთოხლის ან ლიმონის გამხმარი და დაფხვნილი ქერქი, რომელსაც იყენებენ სანელებლად.

ცეზურა *ცეზურას* რიტმული პაუზა სალექსო სტრიქონში.

ცეკვა *ცეკვის* (ცეკვავს, აცეკვებს) სხეულის მოძრაობა, რომელიც მუსიკის რიტმს მიჰყვება. *ქართული ცეკვა. ბავშვი ცეკვავს.*




ცელი *ცელის* ხელით თიის მოსათიბი იარაღი. *ცელის ტარი.*

ცელოფანი *ცელოფნის* თხელი გამჭვირვალე წყალგაუმტარი, ცელულოიდის დამუშავებით მიღებული მასალა, იყენებენ საკვები პროდუქტების, წამლებისა და მისთ. შესაფუთავად. *ცელოფნის პარკი.*

ცელსიუსი *ცელსიუსის* ⊙ ცელსიუსის თერმომეტრი თერმომეტრი, რომელსაც ყინულის დნობისა და წყლის დუღილის წერტილებს შორის 100-გრადუსიანი სკალა აქვს.

ცელულოზა *ცელულოზის* მცენარეული წარმოშობის ნივთიერება, გამოიყენება ქაღალდის დასამზადებლად, საფეიქრო მრეწველობასა და მისთ. *ცელულოზის ბოჭკო.*

ცელულოიდი *ცელულოიდის* მაგარი პლასტიკური ნივთიერება, გამოიყენება ფოტო- და კინოფირების, საგალანტერეო ნაწარმის, სათამაშოებისა და მისთ. დასამზადებლად.

ცელქი *ცელქის* მოუსვენარი, მოძრავი, ანცი. *ცელქი ბავშვი.*

ცელქობა *ცელქობის* (ცელქობს) ცელქის ქცევა, მოუსვენრობა, მოძრაობა. *ნუ ცელქობ!*

ცემა[1] *ცემის* (სცემს, უცემს, იცემება, აცემინებს)

I. ვინმესთვის ხელის, ჯოხისა და მისთ. დარტყმა, ფიზიკური დაზიანება. *ქუჩაში სცემეს. ბავშვს სცემს.* 2. სუნისა და მისთ. შეგრძნება. *დამწვრის სუნი ეცა.* 3. ძგერა. *გული უცემს.*

ცემა[2] *ცემის* (ეცემა) ერთბაშად მივარდნა (2), დაძგერება. *ბავშვს ეცა.*

ცემენტი *ცემენტის* მინერალური ფხვიერი ნივთიერება, რომელიც წყალში აზელისას მაგრდება, გამოიყენება სამშენებლო მასალად. *ცემენტის წარმოება. ცემენტით შელესეს.*

ცენზი *ცენზის* პირობა, რომელიც საშუალებას აძლევს მოქალაქეს ისარგებლოს პოლიტიკური, სამსახურებრივი და მისთ. უფლებებით. *განათლების ცენზი. ასაკობრივი ცენზი.*

ცენზორი *ცენზორის* პირი, რომელიც ახორციელებს ცენზურას. *ცენზორის ფუნქცია.*

ცენზურა *ცენზურის* სახელმწიფოს მხრიდან ხელოვნების ნაწარმოებთა, მასმედიის, კერძო მიმოწერისა და მისთ. კონტროლი პოლიტიკური, იურიდიული, მორალური ან რელიგიური მიზანშეწონილობის თვალსაზრისით. *ცენზურა გაიარა.*

ცენტნერი *ცენტნერის* წონის ერთეული, უდრის 100 კილოგრამს. *ორი ცენტნერი ხორბალი.*

ცენტრალიზაცია *ცენტრალიზაციის* ერთ ცენტრში თავმოყრა, გაერთიანება. *წარმოების ცენტრალიზაცია.*

ცენტრალიზება *ცენტრალიზების* იგივეა, რაც ცენტრალიზაცია. *მმართველობის ცენტრალიზება.*

ცენტრალური *ცენტრალურის* I. ცენტრში მდებარე. *ცენტრალური ქუჩა.* 2. მთავარი, ყველაზე მნიშვნელოვანი. *ცენტრალური საკითხი. ცენტრალური არქივი.*

ცენტრი *ცენტრის* I. რაიმეს შუა ნაწილი, შუაგული. *ქალაქის ცენტრი. მოედნის ცენტრი.* 2. დასახლებული პუნქტი, ქალაქი, სადაც განთავსებულია ქვეყნის, ოლქის, მხარის, რაიონის მმართველი და ადმინისტრაციული ორგანოები. *რაიონის ცენტრი.* 3. ზოგიერთი დაწესებულების სახელწოდება. *სავაჭრო ცენტრი. გამოთვლითი ცენტრი.*

ცერა *ცერას* ⊙ **ცერა თითი** ცერი.

ცერად ზმნზ. ირიბად, არაპირდაპირად. *წყლის ჭავლი ცერად მიდის.* ⊙ **ცერად უყურებს** ალმაცერად უყურებს.

ცერემონია *ცერემონიის* ამა თუ იმ ღონისძიების, ზეიმის ჩატარების წინასწარ განსაზღვრული ფორმა. *ცერემონია დიდხანს გაგრძელდა. დაჯილდოების ცერემონია.*

ცერემონიალი *ცერემონიალის* ცერემონიის ჩატარების ოფიციალურად მიღებული წესი. *ინაუგურაციის ცერემონიალი.*

ცერეცო *ცერეცოს* ორ- ან მრავალწლოვანი მცენარე, აქვს ყვითელი ყვავილები, ფოთლები გამოიყენება სანელებლად. წერილად დაჭრილი *ცერეცო.*

ცერი *ცერის* პირველი, ყველაზე მსხვილი თითი ადამიანის ხელსა და ფეხზე. *ცერი მოხარა.*

ცეროდენა *ცეროდენას* ძალიან პატარა. *ცეროდენა ბიჭი.*

ცერცეტა *ცერცეტას*||ცერცეტი. *ცერცეტა ამბანაგი ჰყავს.*

ცერცეტი *ცერცეტის* არასერიოზული, უჭკუო. *ცერცეტი დები.*

ცერცვეკალა *ცერცვეკალას* ეკლიანი პარკოსანი ბალახოვანი მცენარე, აქვს წვრილი ფოთლები, გამოიყენება სამკურნალოდ.

ცერცველა *ცერცველას* პარკოსანი ბალახოვანი მცენარე, იკეთებს სხვადასხვა შეფერილობის ყვავილებს.

ცერცვი *ცერცვის* I. ერთწლოვანი მცენარე, აქვს სწორი, მაღალი ღერო და მსხვილი, ბუსუსიანი პარკები. 2. ცერცვის მარცვალი, რომელიც იჭმება.

ცეტი *ცეტის* ძალიან ცელქი, დაუფიქრებელი. *ცეტივით იქცევა.*

ცეტობა *ცეტობის* (ცეტობს) დაუფიქრებლად, აჩქარებულად, არასერიოზულად მოქცევა. *ცეტობას არ იშლის.*

ცეცება *ცეცების* (აცეცებს) ⊙ **თვალებს აცეცებს** აქეთ-იქით გაფაციცებული იყურება. ⊙ **ხელებს აცეცებს** ხელებს ვარაუდით ამოძრავებს რაიმეს მოსაძებნად, გზის გასაგნებად.

ცეცხლგამძლე *ცეცხლგამძლის* რასაც ცეცხლი არ ეკიდება, ცეცხლი ვერ აზიანებს. *ცეცხლგამძლე კარადა.*

ცეცხლეკალა *ცეცხლეკალას* ერთწლოვანი ბალახოვანი სარეველა მცენარე, აქვს ქვემოდან მოთეთრო ფოთლები და მათ ძირში ორად ან სამად გაყოფილი ყვითელი ეკალი.

ცეცხლთაყვანისმცემლობა *ცეცხლთაყვანისმცემლობის* ძველი ირანული სარწმუნოება, რომლის მიმდევრები ცეცხლს ღვთაებად აღიარებდნენ. *ქვეყანაში ცეცხლთაყვანისმცემლობა გავრცელდა.* = მაზდეანობა.

ცეცხლი *ცეცხლის* I. რაიმეს წვის შედეგად გამოყოფილი სიმხურვალისა და ნათების ერთობლიობა. *გიზგიზა ცეცხლი. ცეცხლი დაანთო.* 2. გასროლა ყველა სახის ცეცხლსასროლი იარაღიდან. *ცეცხლი გაუხსნა. ავტომატის ცეცხლი.* ⊙ **ცეცხლი უკიდია** ძალიან ძვირია. ⊙ **ცეცხლის ფასად** ძალიან ძვირად. ⊙ **ცეცხლის ხაზი** ბრძოლის წინა ხაზი. ⊙ **ცეცხლს ეთამაშება** დაუფიქრებლობით თავს ხიფათში იგდებს.

ცეცხლოვანი *ცეცხლოვნის* I. რასაც ცეცხლი აქვს მოდებული. *ცეცხლოვანი ვულკანი.* 2. გადატ. მგზნებარე, ძლიერი გრძნობით აღსავსე. *ცეცხლოვანი გამომხედვა. ცეცხლოვანი ცეკვა.*

ცეცხლსასროლი *ცეცხლსასროლის* ⊙ ცეცხლსასროლი იარაღი იარაღი, რომლიდან გასროლაც თოფისნამალის აფეთქებით ხდება.

ცეცხლსაშიში *ცეცხლსაშიშის* რაც ადვილად ინვის, ადვილად ალდება. *ცეცხლსაშიში ნივთიერება.*

ცეხვა *ცეხვის* (ცეხვავს, იცეხვება) ↑ დაცეხვა. *ლობიოს ცეხვავს.*

ცვალებადი *ცვალებადის* რაც ხშირად იცვლება. *ცვალებადი ხასიათი.*

ცვალებადობა *ცვალებადობის* ხშირი ცვლილება. *ამინდის ცვალებადობა.*

ცვარი *ცვრის* იგივეა, რაც ნამი. *დილის ცვარი.*

ცვდომა *ცვდომის* (ცვდება, უცვდება) ↑ გაცვდომა. *ფეხსაცმელი მალე უცვდება.*

ცვედანი *ცვედნის* სქესობრივად უძლური მამაკაცი. *ცვედანი ყოფილა.*

ცვეთა *ცვეთის* (ცვეთს, უცვეთს) ↑ გაცვეთა. *ფეხსაცმელს მალე ცვეთს.*

ცვენა *ცვენის* (აცვენს) იგივეა, რაც ცვივნა. *თმის ცვენა.*

ცვივნა* *ცვივნის* ((ს)ცვივა, (ს)ცვივდება) ბევრის ვარდნა, ყრა. *ფიფქი ცვივა. ხეებს ფოთოლი სცვივა.*

ცვილი *ცვილის* რბილი ყვითელი ნივთიერება, რომელსაც გამოიმუშავებს ფუტკარი. *ცვილის სანთელი.*

ცვლა *ცვლის* (ცვლის, იცვლის, უცვლის, იცვლება, ეცვლება) 1. ↑ გამოცვლა. *ბინას იცვლის. ტანსაცმელს იცვლის.* 2. ↑ შეცვლა. *სახელს უცვლის. თაობა იცვლება.*

ცვლადი *ცვლადის* ცვლის უნარის მქონე. *ცვლადი დენი. ცვლადი პარამეტრები.*

ცვლილება *ცვლილების* გარდაქმნა, სხვად ქცევა, გადასხვაფერება. *ცვლილებას განიცდის. მოსალოდნელი ცვლილებები.*

ცვრიანი *ცვრიანის* ცვრით დაფარული. *ცვრიანი ბალახი. ცვრიანი მწვადი.*

ცთომილება *ცთომილების* იგივეა, რაც ცდომილება (2).

ცთუნება *ცთუნების* (აცთუნებს) იგივეა, რაც ცდუნება. *ცოლმა აცთუნა.*

ციაგი *ციაგის* წიგნ. ციმციმი, ბრწყინვა. *ვარსკვლავთა ციაგი.*

ციალი *ციალის* (ციალებს) ბრწყინვა, ელვარება, ციმციმი. *ათასფრად ციალებს.*

ციატი *ციატის* 1. მკრთალი, ღია ფერი. *ციატი ლურჯი. ციატი ნაცრისფერი.* 2. მკრთალი ნათება, ბრწყინვა. *სინათლის ციატი. ვარსკვლავების ციატი.*

ციბრუტი *ციბრუტის* ფოლადის სახერეტი იარაღი – ხელის ბურღი, რომელიც ქამანით ბრუნავს. *რკინას ციბრუტით ხვრეტენ.* ⊙ ციბრუტივით ტრიალებს ამბობენ დაუზარელ, შრომისმოყვარე ადამიანზე.

ციგა *ციგის* თოვლზე სასრიალო პატარა მარხილი, რომელსაც ხელით ატარებენ ან ფერდობზე დასრიალებენ. *ციგით დაეშვა. ციგა გადაბრუნდა.*

ციგანი *ციგნის* 1. იგივეა, რაც ბოშა. *ციგნების ბანაკი.* 2. საუბრ. ცუღლუტი, უწყინარი ხუმარა. *დიდი ციგანი ვინმეა.*

ციგაობა *ციგაობის* (ციგაობს, აციგავებს) ციგით სრიალი. *ბავშვები ციგაობენ.*

ციგურა *ციგურას* (ძირითადად მრ.) ყინულზე სასრიალო მოწყობილობა, რომელიც სპეციალურ ფეხსაცმელზე მაგრდება. *სხვადასხვა ზომის ციგურები.*

ციგურა

ციგურაობა *ციგურაობის* (ციგურაობს) ყინულზე ციგურებით სრიალი. *შეჯიბრება ციგურაობაში. გოგონები ციგურაობენ.*

ციდა *ციდის* სიგრძის საზომი ერთეული, რომელიც იზომება ადამიანის გაშლილი ხელის ცერის წვერიდან საჩვენებელი თითის წვერამდე. ⊙ ერთი ციდა ძალიან პატარა.

ციება *ციების* (აციებს) 1. სიცივის შეგრძნება, კანკალი. *ავადმყოფს აციებს.* 2. იგივეა, რაც მალარია. *ციება დაემართა.*

ციებიანი *ციებიანის* ციებით (2) დაავადებული. *ციებიანი ავადმყოფი.*

ციებ-ცხელება *ციებ-ცხელების* იგივეა, რაც მალარია. *ციებ-ცხელებით გარდაიცვალა.*

ცივი *ცივის* 1. დაბალი ტემპერატურის მქონე. *ცივი წყალი. ცივი ამინდი.* ↔ ცხელი. 2. გადატ. გულგრილი, უგრძნობელი. *ცივი გამოხედვა.* 3. გადატ. უსიამოვნო, უხეში. *ცივი ხმა.* ▲ ცივად ზმნზ. გულგრილად, სითბოსა და სიყვარულის გარეშე. *ცივად დახვდა. ცივად შეხედა.*

ცივილიზაცია *ცივილიზაციის* საზოგადოებრივი განვითარებისა და მატერიალური კულტურის დონე, დამახასიათებელი ამა თუ იმ საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციისთვის. *ანტიკური ცივილიზაცია. თანამედროვე ცივილიზაცია.*

ცივილიზებული *ცივილიზებულის* კულტურული და პოლიტიკური განვითარების მაღალ დონეზე მყოფი. *ცივილიზებული ქვეყნები. ცივილიზებული საზოგადოება.* პარონიმი ცივილური.

ცივილური *ცივილურის* წიგნ. სამოქალაქო, მოქალაქეობრივი. *ცივილური ტანსაცმელი.* პარონიმი ცივილიზებული.

ცივსისხლიანი *ცივსისხლიანის* 1. ცხოველი, რომლის სხეულის ტემპერატურის სიდიდე დამოკიდე-

ბულია გარემოს ტემპერატურაზე. *ცივსისხლიანთა ჯგუფი.* 2. გადატ. გულგრილი, შეუბრალებელი (ადამიანი). *ცივსისხლიანი მკვლელი.*

ცივ-ცივი *ცივ-ცივის* სასიამოვნოდ ცივი, ჩაცივებული. *ცივ-ცივი წყალი. ცივ-ცივი საზამთრო.*

ციკანი *ციკნის* თხის, ჯიხვისა და მისთ. ნაშიერი. *თეთრი ციკანი.*

ციკლი *ციკლის* I. საქმიანობის, მოვლენის ან პროცესის განვითარების დასრულებული წრე. *ორთვიანი ციკლი.* 2. საერთო ნიშნით (თემით, მიზნით) გაერთიანებული ნაწარმოებების, ღონისძიებებისა და მისთ. თანმიმდევრული ერთობლიობა. *გადაცემების ციკლი. სემინარების ციკლი.*

ციკლონი *ციკლონის* ათასობით კილომეტრის არეალზე გავრცელებული გრიგალი, რომელსაც ახლავს უხვი ნალექი და ღრუბლიანობა. *ციკლონმა გადაიარა.*

ციკლური *ციკლურის* ციკლის მიხედვით მოქმედი, პერიოდული. *ციკლური მოელენები.*

ციკნიყურა *ციკნიყურას* ერთ- ან მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარე, იზრდება მდელოებზე. იხმარება მხლად.

ციკორი *ციკორის* ვარდკაჭაჭას გამხმარი და დაფქული ფესვი, ურევენ ყავაში გემოსა და არომატისთვის.

ცილი *ცილის* ⊙ **ცილს დასწამებს** ტყუილუბრალოდ, უსაფუძვლოდ დააბრალებს რაიმეს.

ცილინდრი *ცილინდრის* I. გეომეტრიული ფიგურა – მრგვალი სხეული ერთი და იმავე ზომის წრიული ბოლოებით. 2. ორთქლის მანქანის ან შიგაწვის ძრავას ნაწილი, რომელსაც ცილინდრის (1) ფორმა აქვს. *სპილენძის ცილინდრი.* 3. მამაკაცის მაღალი და ვიწროფარფლებიანი ქუდი. *ცილინდრი ახურავს.*

ცილინდრული *ცილინდრულის* ცილინდრის ფორმის მქონე. *ცილინდრული ჭურჭელი.*

ცილისმწამებლური *ცილისმწამებლურის* ცილისწამებასთან დაკავშირებული, ცილისწამების შემცველი. *ცილისმწამებლური ლაპარაკი.*

ცილისწამება *ცილისწამების* ვინმესთვის რაიმეს უსაფუძვლოდ დაბრალება. *ცილისწამება ვერ აიტანა.*

ცილობა *ცილობის* (ცილობს, ეცილება) ქიშპობა, ჯიბრი, შეცილება. *ცილობა გამართეს.*

ცილოვანი *ცილოვანის* ცილების შემცველი. *ცილოვანი პროდუქტი.*

ციმორი *ციმორის* მდინარის თევზი. *ციმორი დაიჭირა.*

ციმციმ ზმნზ. ფრთხილად, მსუბუქად, სათუთად. *ციმციმ აიყვანა ხელში.*

ციმციმა *ციმციმას* რაც ციმციმებს. *ციმციმა სხივი.*

ციმციმი *ციმციმის* (ციმციმებს, აციმციმებს, უციმციმებს) კრთომა, ნათება, ელვარება. *ციციმი დაიწყო. ნათურა ციმციმებს. თვალები უციმციმებს.*

ცინგლი *ცინგლის* თხელი გამონადენი ცხვირიდან. *ცინგლი ჩამოსდის.*

ცინგლიანი *ცინგლიანის* I. ვისაც ცინგლი ჩამოსდის. *ცინგლიანი დადის.* 2. ლანძღ. გადატ. მოუმწიფებელი, უშნო. *შე ცინგლიანო!*

ცინიზმი *ცინიზმის* აგდებული, თავხედური დამოკიდებულება ზნეობრივი ნორმებისა და საყოველთაოდ მიღებული ფასეულობებისადმი. *ცინიზმით აღსავსე.*

ცინიკოსი *ცინიკოსის* პირი, რომელიც დასცინის, აბუჩად იგდებს ვინმეს ან რაიმეს. *ნამდვილი ცინიკოსი ხარ.*

ცინიკური *ცინიკურის* დამცინავი, უპატივცემული, აბუჩად ამგდები. *ცინიკური საუბარი.* ▲ **ცინიკურად** ზმნზ. დამცინავად, აგდებულად. *ცინიკურად იცინის.*

ცინცხალი *ცინცხლის* I. ნაპერწკალი, მანათობელი ჭავლი. 2. გადატ. ელვარე, ნათელი. *ცინცხალი გონება. ცინცხალი აზრები.* 3. გადატ. ახალთახალი. *ცინცხალი ამბები.*

ცირკი *ცირკის* I. სანახაობა აკრობატების, ტანმოვარჯიშეების, ილუზიონისტების, კლოუნებისა და გაწვრთნილი ცხოველების მონაწილეობით. *ცირკის დათვები.* 2. მრგვალი შენობა, სადაც იმართება ცირკი (1). *ცირკის არენა.*

ცირკონი *ცირკონის* სხვადასხვა შეფერილობის გამჭვირვალე მინერალი, გამოიყენება საიუველირო წარმოებაში. *ცირკონის თვლები.*

ცირკულარი *ცირკულარის* დირექტიული განკარგულება, რომელიც ეგზავნებათ დაქვემდებარებულ ორგანიზაციებს. *ცირკულარი შედგა.*

ცირკულაცია *ცირკულაციის* წრიული მოძრაობა. *ჰაერის ცირკულაცია. სისხლის ცირკულაცია.*

ცირო ზი *ცირო ზის* მედიც. რაიმე ორგანოს შემაერთებელი ქსოვილის დეფორმაცია, რომელიც ინვევს ამ ორგანოს ფუნქციის მოშლას. *ღვიძლის ცირო ზი. ფილტვის ცირო ზი.* **შეცდომაა** ცეროზი

ცირცელი *ცირცლის* საშუალო სიმაღლის ხე, აქვს თეთრი ყვავილები და კაშკაშა წითელი, მნკლარტე ნაყოფი.

ცისარტყელა *ცისარტყელას* რკალის ფორმის ფერადოვანი ზოლი, რომელიც ჩნდება ცაზე წვიმის წვეთებში მზის სხივების სპექტრული დაშლით. *ცისარტყელას ფერები.*

ცისთვალა *ცისთვალას* მრავალწლოვანი ბოლქვიანი ბალახოვანი მცენარე, აქვს ზარის ფორმის კაშკაშა ლურჯი, თეთრი ან ვარდისფერი ყვავილები.

ცისკარი *ცისკრის* I. ყველაზე კაშკაშა ვარსკვ-

ლავი, რომელიც დილაობით განთიადის წინ ამოდის. *ცისკარი კაშკაშებს.* 2. იგივეა, რაც განთიადი. *ცისკრის ლოცვა.* ◉ ცისკრის ვარსკვლავი იგივეა, რაც ცისკარი (1).

ცისკიდური *ცისკიდურის* სივრცის ის ნაწილი, სადამდეც თვალი წვდება, ცისა და დედამიწის შესაყარი. *ცისკიდურზე მზე მიიწურა.*

ცისმარე *ცისმარეს* ◉ ყოველ ცისმარე დღეს (დილას) ყოველდღე (ყოველ დილას).

ცისტერნა *ცისტერნის* ლითონის დიდი რეზერვუარი, გამოიყენება სითხის შესანახად. *ნავთობის ცისტერნა.*

ცისტიტი *ცისტიტის* მედიც. საშარდე ბუშტის ანთება, რომელიც გამოწვეულია ინფექციის შეჭრით. *ცისტიტი დაემართა.*

ცისფერთვალება *ცისფერთვალებას* ვისაც ცისფერი თვალები აქვს. *ცისფერთვალება ქალიშვილი.*

ცისფერი *ცისფრის* ღია ლურჯი. *ცისფერი პერანგი.*

ცისქვეშეთი *ცისქვეშეთის* ცის ქვეშ მოქცეული ქვეყნიერება, დედამიწა, მთელი მსოფლიო. *ცისქვეშეთი მოიარა.*

ციტადელი *ციტადელის* 1. ყველაზე მეტად გამაგრებული ნაგებობა ქალაქში, რომელსაც თავს აფარებდნენ ომიანობისას. *ცხენოსნები ციტადელს მიუახლოვდნენ.* 2. ქალაქის შუაგულში აღმართული ციხესიმაგრე შუა საუკუნეებში. *ქალაქის ციტადელი.*

ციტატა *ციტატის* სხვა ტექსტიდან სიტყვასიტყვით ამოწერილი ფრაზა ან მონაკვეთი. *ვრცელი ციტატა. ციტატები მოიყვანა.*

ციტირება *ციტირების* ციტატის მოყვანა, სხვისი ნათქვამის ზუსტი გამეორება. *ციტირებას ახდენს.*

ციტრუსი *ციტრუსის* (ძირითადად მრ.) სუბტროპიკული ხეხილის - ფორთოხლის, ლიმონის, მანდარინისა და მისთ. საერთო სახელწოდება. *ციტრუსების ბაღი.*

ციტრუსოვანი *ციტრუსოვანის* რაც ციტრუსებს მიეკუთნება. *ციტრუსოვანი კულტურები.*

ციური *ციურის* 1. რაც ცაში არსებობს. *ციური მნათობი.* 2. გადატ. ზეციდან მოსული, მოვლენილი. *ციური ანგელოზი.*

ციფერბლატი *ციფერბლატის* ზოგიერთი საზომი ხელსაწყოს, მექანიზმის დანაყოფებიანი ზედაპირი, რომელზეც მოძრაობს ისარი და უჩვენებს დროს, სიჩქარეს, მიმართულებასა და მისთ. ■ ციფერბლატიანი რასაც ციფერბლატი აქვს. *ციფერბლატიანი სასწორი.*

ციფრი *ციფრის* რიცხვის წერითი ნიშანი. *რომაული ციფრები. არაბული ციფრები.*

ციფრობრივი *ციფრობრივის* ციფრებით გამოხატული. *ციფრობრივი მაჩვენებელი.*

ციფრული *ციფრულის* რაშიც ინფორმაცია ჩანერილია ციფრებით, ძირითადად, ორობით კოდში. *ციფრული ფოტოაპარატი. ციფრული გამოსახულება.*

ციყვი *ციყვის* პატარა ძუძუმწოვარი მღრღნელი, აქვს გრძელი, ფუმფულა კუდი, ცხოვრობს ხის ფუღუროებში. *ციყვის ბენვი.*

ციცაბო *ციცაბოს* ძლიერ დაქანებული. *ციცაბო ფერდობი. ციცაბო კლდე.*

ციცარი *ციცრის* შინაური ფრინველი, აქვს რუხი ჭროღა ბუმბული. *ციცრის კვერცხი.*

ციცინათელა *ციცინათელას* მწერი, რომლის სხეულის უკანა ნაწილი სიბნელეში ანათებს. *ციცინათელები შენიშნეს.*

ციცქა *ციცქის* 1. ქართული ყურძნის ჯიში, გავრცელებულია დასავლეთ საქართველოში. *ციცქა გააშენა.* 2. ციცქისგან (1) დაყენებული ღვინო. *ციცქა ჩამოასხა.*

ციცქნა[1] *ციცქნის* ((ს)ციცქნის, აციცქნის) ↑ მოციცქნა. *პურს ციცქნის. ხორცს ციცქნა დაუწყო.*

ციცქნა[2] *ციცქნას* ძალიან პატარა. *ციცქნა სათამაშო.*

ციცხვი *ციცხვის* 1. ხის დიდი გრძელტარიანი კოვზი. *ქვაბს ციცხვით მოურიეს.* 2. ექსკავატორის ნაწილი, რომლითაც იღებენ მიწის ან მადნის მასას ტრანსპორტზე დასატვირთად.


ციცხვი

ციხე *ციხის* 1. საგანგებოდ დაცული შენობა, სადაც პატიმრები სასჯელს იხდიან. *ციხეში ზის.* 2. საბრძოლო დანიშნულების ქვითკირის ნაგებობა მაღალი გალავნითა და სათვალთვალო კოშკებით. *მიუვალი ციხე. ციხის ნანგრევი.*

ციხე-გალავანი *ციხე-გალავნის* ციხე (2), რომელსაც გალავანი აქვს შემოვლებული. *ციხე-გალავანი მაღლობზე იდგა.*

ციხე-დარბაზი *ციხე-დარბაზის* ფეოდალის სასახლე, რომელიც განსაკუთრებით იყო გამაგრებული. *ამილახვართა ციხე-დარბაზი.*

ციხესიმაგრე *ციხესიმაგრის* გალავნით შემოფარგლული თავდაცვითი ნაგებობების ერთობლიობა. *ციხესიმაგრეებს გამოცდილი ხუროთმოძღვრები აგებდნენ.*

ციხე-ქალაქი *ციხე-ქალაქის* ქალაქი, რომელსაც გარს გალავანი არტყია. *ციხე-ქალაქის ნანგრევები.*

ცლა *ცლის* (ცლის, აცლის, იცლის, უცლის, იცლება, აცლევინებს) 1. ↑ დაცლა. *ჩანთას ცლის. ბინას ცლის. საწყობი იცლება.* 2. ↑ მოცლა[2]. *კანს აცლის. ტყავს აცლიან.*

ცმა *ცმის* (აცმევს, იცვამს, იცმება, ეცმება, აცვია) ¶ ჩაცმა.

ცმაცუნი *ცმაცუნის* (აცმაცუნებს) ტუჩების, ულვაშებისა და მისთ. ნელი, შეუმჩნეველი მოძრაობა. *პირს აცმაცუნებს.*

ცმაცური *ცმაცურის* (აცმაცურებს) იგივეა, რაც ცმაცუნი. *ტუჩებს აცმაცურებს.*

ცმუკვა *ცმუკვის* (ცმუკავს) მოუსვენრად ყოფნა, წრიალი. *ძალლი ოთახში ცმუკავს.*

ცმუტვა *ცმუტვის* (ცმუტავს) იგივეა, რაც ცმუკვა.

ცმუცნა *ცმუცნის* (ცმუცნის, იცმუცნება) ტუჩების ოდნავი მოძრაობით პატარ-პატარა ლუკმების ღეჭვა და ჭამა. *პურს ცმუცნის.*

ცნება *ცნების* საერთო წარმოდგენა რაიმე საგანზე, მოვლენაზე, რაიმეს არსი. *მეცნიერული ცნება. ძირითადი ცნებები.* ▲ **ცნებითი** რაც ცნებას (ცნებებს) ეყრდნობა. *ცნებითი აზროვნება.* პარონიმი მცნება.

ცნობა *ცნობის* (ცნობს, იცნობა, ეცნობა) 1. ვინმეს შესახებ ცოდნა, თუ ვინ არის. *ამას თუ იცნობ? ამ კაცს არ ვიცნობ. ეს ქალი მეცნობა.* 2. ამოცნობა, შეცნობა, გარკვევა. *მისი ხმა იცნო. ადამიანის ცნობა უნდა იცოდე.* 3. აღიარება, კანონიერად მიჩნევა. *მამად არ ცნობენ.* 4. იგივეა, რაც ამბავი (2). *მნიშვნელოვანი ცნობა.* 5. ოფიციალური საბუთი, მოწმობა, რომელიც რაიმეს ადასტურებს. *ჯანმრთელობის ცნობა. ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან.* 6. გონება, ცნობიერება. *ცნობა დაკარგა. ცნობაზე მოვიდა.* ⊙ **ცნობათა ბიურო** დანესებულების, ორგანიზაციის განყოფილება, სადაც შეიძლება ინფორმაციის მიღება.

ცნობარი *ცნობარის* წიგნი, რომელშიც გარკვეული სახის ცნობებია თავმოყრილი. *გეოგრაფიული ცნობარი. სატელეფონო ცნობარი.*

ცნობება *ცნობების* (აცნობებს, ეცნობება) გაგებინება (2), შეტყობინება. *ხალხს არჩევნების შესახებ აცნობეს. მშობლებს თავისი წარმატება აცნობა.*

ცნობიერება *ცნობიერების* 1. ადამიანის მიერ გარე სამყაროს აღქმის, შეცნობის, შეგრძნების უნარი. *ადამიანის ცნობიერება.* 2. აზროვნება, გონება. *ცნობიერება დაებინდა.*

ცნობიერი *ცნობიერის* გონებისმიერი, განსჯისმიერი, გააზრებული. *ცნობიერი მოქმედება.*

ცნობილი *ცნობილის* 1. ვისაც საყოველთაოდ იცნობენ. *ცნობილი ექიმი. ცნობილი მეცნიერი.* 2. რასაც კარგად იცნობენ, გავრცელებული. *ჟანრის ცნობილი ჯიშები.*

ცნობისმოყვარე *ცნობისმოყვარის* ვისაც ყველაფრის გაგება სურს. *ცნობისმოყვარე ბავშვი.*

ცოდვა *ცოდვის* (სცოდავს) 1. დანაშაულის ჩადენა. *ღმერთს სცოდავს.* 2. დანაშაული. *ცოდვა მოინანია. ცოდვები დაივიწყა.*

ცოდვიანი *ცოდვიანის* ვისაც ცოდვა აქვს ჩადენილი, ცოდვილი. *ცოდვიანი ვარ.*

ცოდვილი *ცოდვილის* ვინც შესცოდა. *თავს ცოდვილად არ მიიჩნევს.*

ცოდვილობა *ცოდვილობის* (ცოდვილობს) საუბრ. წვალებით რაიმეს კეთება. *თავისთვის მარტო ცოდვილობს.*

ცოდნა *ცოდნის* (იცის) რაიმეს შესახებ წარმოდგენის ქონა. *ღრმა ცოდნა. ხელობის ცოდნა. ლექსები იცის.*

ცოდო *ცოდოს* შესაბრალისი, შებრალების ღირსი. *ქვრივი ცოდო იყო.*

ცოკოლი *ცოკოლის* ნაგებობის ქვედა, მიწისპირა ნაწილი, რომელიც კედლიდან რამდენადმე წინაა გამონეული. *საყრდენი ცოკოლი. სასაფლაოს ცოკოლი.*

ცოლეური *ცოლეურის* (კრებ.) ცოლის ნათესაობა. *ცოლეური ესტუმრა.*

ცოლი *ცოლის* ქალი მასზე დაქორწინებული მამაკაცისთვის. *ცოლი და ქმარი.* ■ **ცოლიანი** ვისაც ცოლი ჰყავს. ⊙ **ცოლად გაყოლა (გამოყოლა)** ქალის დაქორწინება, დაოჯახება. ⊙ **ცოლის გაშვება** მამაკაცის განქორწინება. ⊙ **ცოლის მოყვანა/ცოლის შერთვა** მამაკაცის დაოჯახება.

ცოლიკაური *ცოლიკაურის* 1. თეთრყურძნიანი ვაზის ჯიში, აქვს თხელი მტევანი მომწვანო-მოყვითალო, მრგვალი და სქელკანიანი მარცვლებით. 2. ცოლიკაურისგან დაყენებული ღვინო.

ცოლისდა *ცოლისდის* ცოლის და. *ცოლისდას ეწვია.*

ცოლისძმა *ცოლისძმის* ცოლის ძმა. *სიძე და ცოლისძმა.*

ცოლ-ქმარი *ცოლ-ქმრის* ცოლი და ქმარი. *ახალგაზრდა ცოლ-ქმარი.* ■ **ცოლქმრული** ცოლ-ქმრის დამახასიათებელი. *ცოლქმრული სიყვარული.*

ცოლქმრობა *ცოლქმრობის* ცოლის და ქმრის ურთიერთობა. *ტკბილი ცოლქმრობა ჰქონდათ.*

ცოლ-შვილი *ცოლ-შვილის* ოჯახი კაცისთვის – ცოლი და შვილი (შვილები). *ცოლ-შვილს ინახავს.* ■ **ცოლშვილიანი** ვისაც ცოლ-შვილი ჰყავს. *ცოლშვილიანი მამაკაცი.*

ცომეული *ცომეულის* ცომისგან დამზადებული ნაწარმი. *საუკეთესო ცომეული.*

ცომი *ცომის* წყალში ან რძეში მოზელილი ფქვილი, რომლითაც აცხობენ პურს ან საკონდიტრო ნაწარმს. *ხინკლის ცომი. ცომის გუნდა.*

ცომიანი *ცომიანის* ცომით დასვრილი. *ცომიანი ხელები.*

ცოტა *ცოტას* 1. რაოდენობით მცირე, არაბევრი. *ცოტა რძე დალია. ცოტას კითხულობს.* ↔ ბევ-

რი. 2. ზმნზ. მცირედ, ცოტათი. *ცოტა შეშინდა.* ◌ ცოტა არ იყოს თითქოს. ◌ ცოტად თუ ბევრად ასე თუ ისე, რამდენადმე. ◌ ცოტას გაწყდა კინაღამ, თითქმის. ▲ ცოტათი ზმნზ. ცოტა ოდენობით, მცირედ, ოდნავ. *ცოტათი ნაწყენი იყო. მოწინააღმდეგეს ცოტათი აჯობა.*

ცოტაოდენი *ცოტაოდენის* მცირე რაოდენობისა, ცოტა. *ცოტაოდენი ფქვილი. ცოტაოდენი ფული.*

ცოტ-ცოტა *ცოტ-ცოტას* ზმნზ. 1. ბევრჯერ ცოტა. ცოტ-ცოტას იტყუება. 2. ცოტათი, ნელ-ნელა. *საქმე ცოტ-ცოტა გამოსწორდა. ცოტ-ცოტა ვარჯიშობს.*

ცოტცოტაობით ზმნზ. ცოტ-ცოტას კეთებით, თანდათანობით. *ცოტცოტაობით იკლებს წონაში.*

ცოფი *ცოფის* ცხოველებისა და ადამიანების მძიმე გადამდები დაავადება, რომელიც აზიანებს ნერვიულ სისტემას, ხშირ შემთხვევაში ავადმყოფის სიკვდილით მთავრდება. *ცოფი შეეყარა.* ◌ ცოფებს ყრის განრისხებულია, გაცეცხლებულია, გაბრაზებულია.

ცოფიანი *ცოფიანის* 1. ცოფით (1) დაავადებული. *ცოფიანი ძაღლი.* 2. გადატ. ძალიან ავი, ბოროტი. *მაგ ცოფიანს რა გადაურჩება!*

ცოცვა *ცოცვის* (ცოცავს) მთელი ტანით ძალიან ნელა გადაადგილება, ჩვეულებრივ, დაწოლილ მდგომარეობაში. *ბავშვი ცოცავს. ცოცვა არ შეუძლია.*

ცოცხალი *ცოცხლის* 1. ვინც ან რაც ცოცხლობს. *ბაბუა ცოცხალი ჰყავს.* 2. რაც ხელოვნურად არ არის შექმნილი, ბუნებრივი. *ცოცხალი ნაძვის ხე. ცოცხალი ყვავილები.* 3. მდინარის თევზი, ახალდაჭერილი. *სუფრაზე ცოცხალი შემოიტანეს.* 4. გადატ. აქტიური, ყოჩაღი. *ცოცხალი ბავშვი.* ▲ ცოცხლად ზმნზ. ყოჩაღად, ენერგიულად. *ცოცხლად მუშაობს. ცოცხლად დადის.* ◌ ცოცხალი თავით (არ) არავითარ შემთხვევაში (არ).

ცოცხალმკვდარი *ცოცხალმკვდრის* 1. სიკვდილის პირას მყოფი. *ცოცხალმკვდარი წევს.* 2. გადატ. დარდისგან დათრგუნული, დაბეჩავებული. *ცოცხალმკვდარი დაიარება.*

ცოცხანა *ცოცხანას* ერთწლოვანი ბალახოვანი მცენარე, აქვს წვრილი ყვავილები, იყენებენ ცოცხად და ცახად.

ცოცხი

ცოცხი *ცოცხის* დასაგველი საშუალება, რომელსაც ზოგიერთი მცენარის ღეროებისგან კრავენ. *ცოცხით დახვეტა. დიდი ცოცხი.* ◌ ახალი ცოცხი კარგად გვის ირონ. იტყვიან ადამიანზე, რომელიც რაიმე საქმეს დიდი ხალისით (ენთუზიაზმით) იწყებს.

ცოხნა *ცოხნის* (ცოხნის, იცოხნის, იცოხნება) 1. დაღეჭილი საკვების ხელახლა დაღეჭვა, გადამუშავება, ახასიათებს ზოგიერთ საქონელს. *ძროხა იცოხნის. კამეჩები იცოხნებიან.* 2. გადატ. უშნოდ ღეჭვით ჭამა. *ნუ იცოხნები!*

ცრა *ცრის* (ცრის, უცრის, იცრება) 1. ↑ გაცრა. *ფქვილს ცრის.* 2. წვრილი და ხშირი წვიმა. *გარეთ ცრის.*

ცრემლგამშრალი *ცრემლგამშრალის* ვისაც ტირილის უნარი დაკარგული აქვს. *სამარესთან ცრემლგამშრალი იდგა.*

ცრემლდენა *ცრემლდენის* ცრემლების დენა, ცრემლების გამოყოფა. *ალერგიამ ცრემლდენა გამოიწვია.*

ცრემლი *ცრემლის* თვალებიდან წამოსული გამჭვირვალე, მლაშე სითხე, რომელიც ძლიერ განცდას ახლავს თან. *სიხარულის ცრემლები. ცრემლი მოსდის.* ◌ ცრემლი ახრჩობს/ცრემლი ყელში ებჯინება ტირილი უნდა.

ცრემლიანი *ცრემლიანის* ცრემლით დასველებული. *ცრემლიანი თვალები.*

ცრემლმდენი *ცრემლმდენის* იგივეა, რაც ცრემლსადენი. *ცრემლმდენი გაზი.*

ცრემლსადენი *ცრემლსადენის* რაც ცრემლის დენას იწვევს. *ცრემლსადენი ნივთიერებები.*

ცრიატი *ცრიატის* ცივი, სუსხიანი. *ცრიატი დილა. ცრიატი დღე.*

ცრუ *ცრუს* 1. ვინც სიცრუეს, ტყუილს ამბობს, მატყუარა. *ცრუ კაცი.* 2. სინამდვილეს მოკლებული, ყალბი, გამოგონილი. *ცრუ ჩვენება.* 3. მოჩვენებითი. *ცრუ მოძრაობა. ცრუ ხმები.*

ცრუმორწმუნე *ცრუმორწმუნის* ვინც ცრურწმენით არის შეპყრობილი. *ცრუმორწმუნე მოთამაშე.*

ცრუმორწმუნეობა *ცრუმორწმუნეობის* ცრურწმენის ქონა, ცრუმორწმუნედ ყოფნა. *ცრუმორწმუნეობის შედეგად.*

ცრუობა *ცრუობის* (ცრუობს) ტყუილის თქმა. *უნამუსოდ ცრუობს.*

ცრუპენტელა *ცრუპენტელას* საუბრ. მატყუარა. *ნამდვილი ცრუპენტელა ხარ!*

ცრუპენტელაობა *ცრუპენტელაობის* მატყუარობა, ტყუილის ხშირად თქმა. *ცრუპენტელაობა დაიწყო.*

ცრუპენტელობა *ცრუპენტელობის* //ცრუპენტელაობა.

ცრურწმენა *ცრურწმენის* მცდარი წარმოდგენა, რომ მაგიურ ძალებს შესწევთ უნარი კეთილისმყოფელი ან უარყოფითი გავლენა მოახდინონ ადამიანზე. *ხალხში შემორჩენილი ცრურწმენა.*

ცუგა *ცუგას* ალერს. პატარა ძაღლი, ლეკვი. *ცუგას ეთამაშება.*

ცუგო *ცუგოს* იგივეა, რაც ცუგა.

ცუგრუმელა *ცუგრუმელას* საუბრ. ცოცხალი, მკვირცხლი, საყვარელი. *ცუგრუმელა გოგო.*

**ცუდი** *ცუდის* რაც მოსაწონი არ არის, უვარგისი, უხარისხო. *ცუდი საკვები, ცუდი ხასიათი.* ↔ კარგი. ▲ **ცუდად** ზმნზ. არმოსაწონად, უხარისხოდ. *ცუდად იქცევა. ცუდად კერავს.*

**ცული** *ცულის* იარაღი, რომელსაც აქვს რკინის ბრტყელი, მჭრელი პირი და ხის გრძელი ტარი, იყენებენ ხის მოსაჭრელად, საპობად. *ცულის პირი.*

**ცუნამი** *ცუნამის* ოკეანის უზარმაზარი ტალღები, რომლებიც წარმოიქმნება ფსკერზე ან სანაპირო ზოლში მომხდარი მიწისძვრის ან ვულკანის ამოფრქვევის შედეგად. *ცუნამი დაატყდა თავს.*

**ცუნდრუკა** *ცუნდრუკას* ვინც ცუნდრუკობს. *ცუნდრუკა გოგოები.*

**ცუნდრუკი** *ცუნდრუკის* (ცუნდრუკობს) დაუფიქრებელად, არასერიოზულად მოქცევა. *ცუნდრუკი დაიწყო. რას ცუნდრუკობ?!*

**ცუნცრუკა** *ცუნცრუკას* იგივეა, რაც ცუნდრუკა. *ნამდვილი ცუნცრუკა ხარ!*

**ცუნცრუკი** *ცუნცრუკის* (ცუნცრუკობს) იგივეა, რაც ცუნდრუკი.

**ცუნცულა** *ცუნცულას* ალერს. ვინც ან რაც ცუნცულით დადის. *ცუნცულა ბაჭია.*

**ცუნცული** *ცუნცულის* (ცუნცულებს) მოკლე, სწრაფი ნაბიჯებით სიარული ან ნელი, მსუბუქი სირბილი სხეულის სპეციფიკური მოძრაობით. *ცუნცულით დადის.*

**ცურვა** *ცურვის* (ცურავს, უცურავს) 1. წყალში მოძრაობა, ხელებისა და ფეხების სმა ისე, რომ არ ჩაიძიროს. *ცურვა ვერ ისწავლა. თევზივით ცურავს.* 2. გაყინულ, პრიალა ზედაპირზე სრიალი. *იატაკზე ფეხი უცურავს.*

**ცური** *ცურის* მეწველი საქონლის (ძროხის, ცხვრის, თხის, ირმის ა და მისთ.) სარძევე ჯირკვლები. *ირმის ცური. ცური გაუმაგრდა.*

**ცურცლი** *ცურცლის* თაგვის, კურდღლისა და მისთ. განავალი. *სარდაფში თაგვის ცურცლებია.*

**ცუღლუტი** *ცუღლუტის* ვინც ცუღლუტობს. *ცუღლუტი სტუდენტი.*

**ცუღლუტობა** *ცუღლუტობის* (ცუღლუტობს) საქმისთვის თავის არიდება, დროის უსაქმურად კარგვა. *მთელ დღეს ცუღლუტობაში ატარებს.*

**ცუცუნი** *ცუცუნის* (ცუცუნებს) ნელი, მშვიდი, მცირე მოძრაობა, საქმიანობა. *მოხუცი თავისთვის ცუცუნებს.*

**ცუხცუხი** *ცუხცუხის* (ცუხცუხებს) ჩქარი, მოკლე ნაბიჯებით სიარული. *ცუხცუხით დადის.*

**ცქერა** *ცქერის* (უცქერის, იცქირება) იგივეა, რაც ყურება. *ფანჯრიდან იცქირება. სურათს უცქერის.*

**ცქვეტა** *ცქვეტის* (ცქვეტს) ↑ დაცქვეტა. *ყურები ცქვიტა.*

**ცქვიტი** *ცქვიტის* მარდი, მკვირცხლი. *ცქვიტი ბავშვი.*

**ცქმუტვა** *ცქმუტვის* (ცქმუტავს) იგივეა, რაც ცმუკვა. *რატომ ცქმუტავ?*

**ცქრიალა** *ცქრიალას* სწრაფი, დაუზარელი, მარდი. *ცქრიალა გოგო.*

**ცქრიალი** *ცქრიალის* (ცქრიალებს) სწრაფი, მოხდენილი, ახალგაზრდული მოძრაობა, სიარული. *ცქრიალით დადის.*

**ცხადად** ზმნზ. 1. აშკარად, დაუფარავად. *ცხადად ეუბნება სათქმელს.* 2. გარკვევით, გასაგებად. *ცხადად აუხსნა ვითარება.* 3. სინამდვილეში, რეალურად. *ცხადად თუ სიზმრად – სულ ახსოვს.*

**ცხადი** *ცხადის* 1. აშკარა, ადვილად დასანახი. *ყველაფერი ცხადი გახდა.* 2. სინამდვილე. *ცხადია თუ სიზმარი?*

**ცხადია** რასაკვირველია, ნათელია, რა თქმა უნდა (გამოხატავს მთქმელის დარწმუნებულობას ნათქვამის სისწორეში). *ცხადია, ჩვენი გუნდი გაიმარჯვებს.*

**ცხადყოფა** *ცხადყოფის* (ცხადყოფს) გამოჩენა, გამოაშკარავება. *ამ ფაქტმა სიმართლე ცხადყო.*

**ცხავი** *ცხავის* 1. საცრის მსგავსი მსხვილბადიანი ხელსაწყო, რომელსაც იყენებენ მარცვლეულის მინარევებისგან გასაწმენდად. 2. მავთულის ბადიანი ჩარჩო, რომელსაც მიწის, ხრეშის, ქვიშის გასაცრელად იყენებენ.

**ცხარე** *ცხარის* 1. ძალიან მწარე გემოს მქონე. *ცხარე წიწაკა. ცხარე სადილი.* 2. ძალიან ცხელი, მცხუნვარე, მწველი. *ცხარე მზე.* 3. გადატ. მძაფრი, დაუზოგავი. *ცხარე ბრძოლა.*

**ცხარედ** ზმნზ. 1. მწარედ. *ცხარედ ატირდა.* 2. მძაფრად. *ცხარედ კამათობენ.*

**ცხაურა** *ცხაურას* დიაგონალური ან ჰორიზონტალური წყობის ლითონის ღერები, იყენებენ რაიმეს საყრდენად, დასაცავად.

**ცხება** *ცხების* (სცხებს, აცხებს, იცხებს, ეცხება, აცხია, სცხია) ↑ წაცხება (1). *ლოყაზე რაღაც აცხია. მღვდელმა ზეთი სცხო.* ⊙ (ვინმესი) **არაფერი სცხია** (ვინმეს) არ ჰგავს.

**ცხედარი** *ცხედრის* გარდაცვლილი ადამიანის სხეული. *ცხედარი გამოასვენეს.*

**ცხელება** *ცხელების* (აცხელებს) ავადმყოფობის დროს ტემპერატურის ძლიერი მომატება. *ავადმყოფს ცხელება დაეწყო. ბავშვს აცხელებს.*

**ცხელი** *ცხელის* მაღალი ტემპერატურის მქონე, მხურვალე. *ცხელი ჩაი. ცხელი დღე.* ↔ ცივი.

**ცხელ-ცხელი** *ცხელ-ცხელის* 1. ძალიან ცხელი, ჯერ გაუცივებელი. *ცხელ-ცხელი ხინკალი.* 2. გადატ. უახლესი. *ცხელ-ცხელი ამბები.*

**ცხენბურთი** *ცხენბურთის* სპორტის სახეობა -

ცხენოსნების თამაში ჩოგნითა და ბურთით. *ცხენბურთის მატჩი.*

**ცხენდაცხენ** ზმნზ. ცხენზე ამხედრებული, ცხენით. *ცხენდაცხენ მისდევდა.*

**ცხენი** *ცხენის* შინაური ცხოველი, იყენებენ სამგზავროდ, საჯირითოდ და ბარგის გადასაზიდად. *ფეხმარდი ცხენი. დოღის ცხენი.*

ცხენი



**ცხენისკბილა** *ცხენისკბილას* 1. ბოლქვიანი დეკორატიული მცენარე, იკეთებს თეთრ ყვავილებს. 2. სიმინდის ერთ-ერთი ჯიში.

**ცხენისმუხლა** *ცხენისმუხლას* დაბალი ბუჩქოვანი მცენარე, გამოიყენება სამკურნალოდ. *ცხენისმუხლას ნაყენი.*

**ცხენისწაბლა** *ცხენისწაბლას* მაღალი დეკორატიული ხე, აქვს თეთრი ყვავილები, ისხამს წაბლის მსგავს, დიდ ნაყოფს, რომელიც არ იჭმება.

**ცხენოსანი** *ცხენოსნის* ცხენზე მჯდომი კაცი. *გზაზე ცხენოსანი გამოჩნდა.*

**ცხენოსნობა** *ცხენოსნობის* სპორტის სახეობა – შეჯიბრება ცხენზე ჯდომისა და ცხენის მართვის ხელოვნებაში. *ცხენოსნობას მისდევს.*

**ცხენსაშენი** *ცხენსაშენის* ფერმა, სადაც ჯიშიანი ცხენები გამოჰყავთ და ამრავლებენ.

**ცხვარი** *ცხვრის* 1. წვრილფეხა შინაური ცხოველი, აშენებენ ხორცის, მატყლისა და ყველის მისაღებად. 2. ბევრი ცხვარი ერთად. *ცხვარი ფერდობზე გაიშალა. ცხვარი საზამთრო საძოვრებზე დაბრუნდა.*

ცხვარი



**ცხვარიო** *ცხვარიოს* დიდი, თეთრი, საჭმელი სოკო, აქვს მსხვილი მოყავისფრო ქერცლი.

**ცხვირა** *ცხვირას* დიდი, გრძელი, უშნო ცხვირის მქონე. *ცხვირა გოგო.*

**ცხვირაბზეკილი** *ცხვირაბზეკილის* 1. ვისაც ცხვირის ნვერი მაღლა აქვს აწეული. 2. გადატ. უკადრისი, ამპარტავანი. *ცხვირაბზეკილი დადის.*

**ცხვირაწეული** *ცხვირაწეულის* 1. ვისაც ცხვირი აწეული აქვს. 2. გადატ. ამაყი, ამპარტავანი. *ცხვირაწეული გვიყურებს.*

**ცხვირგრძელა** *ცხვირგრძელას* გრძელცხვირიანი პატარა ხოჭო, რომელიც მარცვლეულს ჭამს. *ხორბალს ცხვირგრძელა გაუჩნდა.*

**ცხვირი** *ცხვირის* 1. ადამიანისა და ცხოველის ყნოსვისა და სუნთქვის ორგანო. *ცხვირი გაიტეხა. კეხიანი ცხვირი.* 2. რაიმეს წაგრძელებული, წინ გაშვერილი ნაწილი. *გემის ცხვირი.*

**ცხვირ-პირი** *ცხვირ-პირის* ცხვირი და პირი, სახე. *ჩალურჯებული ცხვირ-პირი.* ⊙ **ცხვირიდან ძმარს ადენს** სცემს, სასტიკად მოექცევა. ⊙ **ცხვირს გარეთ არ ყოფს** სახლშია, გარეთ არ გადის. ⊙ **ცხვირს ვერ შეყოფს** ვერ შევა, ვერ შეაღწევს. ⊙ **ცხვირს ჩამოუშვებს** მოიწყენს, დაღონდება. ⊙ **ცხვირს ჩაყოფს** სხვის საქმეში, საუბარში ჩაერევა.

**ცხვირისატეხელა** *ცხვირისატეხელას* 1. ერთწლოვანი ბალახოვანი მცენარე, იკეთებს წითელ ყვავილებს, გამოიყენება სამკურნალოდ. 2. იგივე, რაც **ბაია**[1].

**ცხვირმოუხოცავი** *ცხვირმოუხოცავის* 1. ვისაც ცხვირი მოსახოცი აქვს. *ცხვირმოუხოცავი ბავშვი.* 2. გადატ. ძალიან ახალგაზრდა, გამოუცდელი, არაფრის მცოდნე. *ცხვირმოუხოცავი ყმაწვილი.*

**ცხვირპაჭუა** *ცხვირპაჭუას* ვისაც პაჭუა ცხვირი აქვს. *ცხვირპაჭუა გოგო.*

**ცხვირსახოცი** *ცხვირსახოცის* ცხვირის საწმენდი თხელი, რბილი ქსოვილის ოთხკუთხა ნაჭერი. *ფერადი ცხვირსახოცები.*

**ცხვირჩამოშვებული** *ცხვირჩამოშვებულის* დაღონებული, დადარდიანებული. *ცხვირჩამოშვებული იჯდა.*

**ცხვირწინ** ზმნზ. ძალიან ახლოს, იქვე. *ცხვირწინ უწყვია რვეულები.*

**ცხიმეული** *ცხიმეულის* სხვადასხვა სახის საკვები ცხიმი. *ცხიმეული ბევრი აქვთ.*

**ცხიმი** *ცხიმის* ცხოველური ან მცენარეული წარმოშობის ორგანული ნივთიერება, რომელიც წყალში არ იხსნება. *კერძს ბევრი ცხიმი აქვს.*

**ცხიმიანი** *ცხიმიანის* 1. ცხიმის შემცველი. ცხიმიანი კანი. ცხიმიანი ხორცი. 2. ცხიმით დასვრილი. *ცხიმიანი ტაფა.*

**ცხიმიანობა** *ცხიმიანობის* ცხიმის შემცველობა. *მაღალი ცხიმიანობა.*

**ცხიმოვანი** *ცხიმოვნის* ცხიმის შემცველი. *ცხიმოვანი უჯრედები.*

**ცხობა** *ცხობის* (აცხობს, იცხობს, უცხობს, ცხვება) ↑ **გამოცხობა**. *ცხობას შეუდგა. პურს აცხობს.*

**ცხოველი** *ცხოველის* ცოცხალი არსება (ადამიანის გარდა). *გარეული ცხოველი.*

**ცხოველმყოფელი** *ცხოველმყოფლის* წიგნ. სასიცოცხლო ძალის მიმცემი, სიცოცხლის მიმნიჭებელი, მაცოცხლებელი. *მზის ცხოველმყოფელი სხივები. ცხოველმყოფელი ენერგია.*

**ცხოველმყოფელობა** *ცხოველმყოფელობის* სასიცოცხლო ენერგიის მინიჭების უნარი, ძალა. *ცხოველმყოფელობა შეინარჩუნა.*

**ცხოველური** *ცხოველურის* 1. ცხოველისთვის დამახასიათებელი, არაადამიანური. *ცხოველური*

*ინსტინქტი.* 2. ცხოველისგან მიღებული. *ცხოველური პროდუქტები.*

**ცხოვრება** *ცხოვრების* (ცხოვრობს, აცხოვრებს) 1. სიცოცხლე, არსებობა. *ცხოვრება გავიდა. მშვიდი ცხოვრება.* 2. სადმე ყოფნა, ბინადრობა. *სოფელში ცხოვრობს. სხვა ქვეყანაში ცხოვრება არ უნდა.* 3. საუბრ. თავის რჩენა. *გაჭირვებით ცხოვრობს. კარგად ცხოვრობს.* 4. საუბრ. ქონება, სიმდიდრე. *დიდი ცხოვრების პატრონია.*

**ცხოვრებისეული** *ცხოვრებისეულის* ცხოვრებაში მომხდარი, შეძენილი. *ცხოვრებისეული ამბები, ცხოვრებისეული გამოცდილება.*

**ცხონება** *ცხონების* (აცხონებს, იცხონებს, უცხონებს, ცხონდება, უცხონდება) გარდაცვალების შემდეგ სულის სასუფეველში გადასვლა. *ადამიანი თავმდაბლობით ცხონდება.*

**ცხონებული** *ცხონებულის* პატივისც. განსვენებული. *ცხონებული ბაბუაჩემი.*

**ცხრა** *ცხრის* რიცხვი 9. *ცხრა სკამი.*

**ცხრაასი** *ცხრაასის* რიცხვი 900. *ცხრაასი ჯარისკაცი.*

**ცხრათვალა** *ცხრათვალას* ნათელი, ელვარე (მზე).

**ცხრაკლიტული** *ცხრაკლიტულის* რაც ცხრა კარით არის დაკეტილი, შეუღწეველი.

**ცხრამეტი** *ცხრამეტის* რიცხვი 19. *ცხრამეტი წლის გახდა.*

**ცხრატყავა** *ცხრატყავას* საშუალო სიმაღლის დატოტვილი ბუჩქი, აქვს მოწითალო-ყვითელი ყვავილები და წვნიანი, კენკროვანი ნაყოფი.

**ცხრილი** *ცხრილის* 1. რაიმეს ჩამონათვალი, რომელიც გარკვეული წესით, ჩვეულებრივ, სვეტებადაა ჩამოწერილი. *გაკვეთილების ცხრილი. ცხრილი შეადგინა.* 2. თხელი ფიცრის რგოლი, რომელზეც მსხვილი ბადეა გადაკრული, იყენებენ ხორბლეულის გასარჩევად.

# – ძ –

**ძაბვა**[1] *ძაბვის* (ძაბავს, იძაბება, ეძაბება) ↑ **დაძაბვა**. *სხეულს ძაბავს. ურთიერთობა იძაბება.*

**ძაბვა**[2] *ძაბვის* ფიზიკური სიდიდე, იზომება ელექტრონულ ველში მუხტის გადაადგილებაზე შესრულებული მუშაობის ფარდობით ამ მუხტის სიდიდესთან. *მაღალი ძაბვა. სუსტი ძაბვა.*

**ძაბრი** *ძაბრის* კონუსის ფორმის ჭურჭელი, რომელსაც ბოლოში აქვს მოკლე მილი, გამოიყენება ვიწროყელიან ჭურჭელში სითხის ჩასასხმელად. *პლასტმასის ძაბრი.*

ძაბრი

**ძაბრისებრი** *ძაბრისებრის* რასაც ძაბრის მოყვანილობა აქვს, ძაბრის მსგავსი. *ძაბრისებრი ყვავილი.*

**ძაგება** *ძაგების* (აძაგებს, უძაგებს) ცუდის თქმა, ცუდად მოხსენიება. *მე ზობლებს აძაგებს. ღვინოს აძაგებენ.*

**ძაგძაგი** *ძაგძაგის* (ძაგძაგებს, უძაგძაგებს) 1. ძლიერი კანკალი. *შიშისგან სულ ძაგძაგებს.* 2. მექანიკური დანადგარის რიტმულად რყევა (2). *ძრავა ძაგძაგებს.*

**ძალ-ღონე** *ძალ-ღონის* ძალა და ღონე. *ძალ-ღონით სავსე.*

**ძალა** *ძალის* 1. ცოცხალი ორგანიზმის მოძრაობისა და მოქმედებისთვის საჭირო ფიზიკური ენერგია. *მკლავის ძალა.* 2. შინაგანი ენერგია, რაიმეს გაკეთების, შექმნის უნარი. *სიყვარულის ძალა. სიტყვის ძალა.* 3. სხეულზე სხვა სხეულების მექანიკური ზემოქმედების საზომი ერთეული. *ხახუნის ძალა. სიმძიმის ძალა.* ⊙ **რა ძალა ადგას?** არავინ აძალებს, არავინ აიძულებს.

**ძალადაკარგული** *ძალადაკარგულის* რასაც ძალა აქვს დაკარგული, გაბათილებული. *ძალადაკარგული ბრძანებულება.*

**ძალადობა** *ძალადობის* (ძალადობს) ძალის უხეშად გამოყენება სხვის დასათრგუნად, დასამორჩილებლად. *ძალადობით აღწევს მიზანს.*

**ძალადობრივი** *ძალადობრივის* ძალადობით განხორციელებული. *ძალადობრივი ქმედება.*

**ძალაობა** *ძალაობის* (ძალაობს) ძალის გამოყენება რაიმეს მისაღწევად. *ბევრი იძალაა.*

**ძალაუნებურად** ზმნზ. იძულებით, სურვილის საწინააღმდეგოდ. *ძალაუნებურად დაეთანხმა. ძალაუნებურად გაჩუმდა.*

**ძალაუფლება** *ძალაუფლების* უფლება და შესაძლებლობა, ძალა რაიმეს გასაკეთებლად, განსახორციელებლად. *ძალაუფლება ხელში აიღო. შეუზღუდავი ძალაუფლება.*

**ძალაყინი** *ძალაყინის* რკინის მახვილწვერიანი კეტი, იყენებენ მტკიცე და მყარი მასალის დასამტვრევად, აგრეთვე ბერკეტად. *კედელი ძალაყინით დაანგრია.*

**ძალგულოვანი** *ძალგულოვნის* წიგნ. ძლიერი და გულადი, შეუპოვარი. *ძალგულოვანი მებრძოლი. ძალგულოვანი ვაჟკაცი.*

**ძალდატანება** *ძალდატანების* დაძალება, იძულება რაიმეს გასაკეთებლად. *ძალდატანებამ უარესი შედეგი მოიტანა.*

**ძალდატანებით** ზმნზ. ძალით, იძულებით. *ძალდატანებით მუშაობს. ძალდატანებით წამოიყვანეს.*

**ძალდაუტანებლად** ზმნზ. ძალის დატანების, იძულების გარეშე, ადვილად, თავისუფლად. *ძალდაუტანებლად წამოჰყვა. ძალდაუტანებლად იმახსოვრებს.*

**ძალზე** ზმნზ. იგივეა, რაც **ძალიან**. *ძალზე გვიანია.*

**ძალი** იგივეა, რაც **ძალა** (1). ⊙ **რაც ძალი და ღონე აქვს.** მთელი ძალით.

**ძალიან** ზმნზ. ძლიერ, მეტად. *ძალიან ლამაზი. ძალიან დავიღალე.*

**ძალიანაც** ზმნზ. სწორედ რომ **ძალიან**. *ძალიანაც მომეწონა.*

**ძალისმიერი** *ძალისმიერის* ძალაზე დამყარებული, არანებაყოფლობითი. *ძალისმიერი მეთოდები. ძალისმიერი მოქმედება.*

**ძალისძალად** ზმნზ. ძალით, იძულებით, გაჭირვებით. *ძალისძალად მუშაობს. ძალისძალად ათქმევინეს.*

**ძალისძალობით** ზმნზ. იგივეა, რაც **ძალისძალად**. *ძალისძალობით ჭამს.*

**ძალისხმევა** *ძალისხმევის* ძალის, შესაძლებლობის სრულად გამოყენება, დიდი მონდომება რაიმეს გასაკეთებლად. *დიდი ძალისხმევა დასჭირდა.*

**ძალმომრეობა** *ძალმომრეობის* ერთის მიერ მეორის დაჩაგვრა, ძალადობა. *ძალმომრეობას ვერ ეგუება.*

**ძალმოსილება** *ძალმოსილების* ძალის, შესაძლებლობის ქონა. *თავისი ძალმოსილების იმედი აქვს.*

**ძალოვანი** *ძალოვნის* ძალის, დიდი უფლებების მქონე. *სახელმწიფოს ძალოვანი ორგანოები. ძალოვანი სტრუქტურები.*

**ძალოსანი** *ძალოსნის* სპორტსმენი, რომელიც სიმძიმეების აწევაში ვარჯიშობს. *ძალოსანთა შეჯიბრება. განთქმული ძალოსანი.*

**ძალოსნობა** *ძალოსნობის* სპორტის სახეობა, რომელსაც მიეკუთვნება სიმძიმეების აწევა, კრივი და ჭიდაობა. *ძალოსნობის ფედერაცია.*

**ძალოსნური** *ძალოსნურის* ძალოსნობასთან დაკავშირებული. *ძალოსნური ვარჯიში.*

**ძალუმი** *ძალუმის* დიდი ძალის მქონე, ძლიერი. *ძალუმი ნაკადი.* ■ **ძალუმად** ზმნზ. ძლიერ, ძალიან. *ძალუმად იგრძნობა სურნელი.*

**ძალ-ღონე** *ძალ-ღონის* ძალა და ღონე. *ძალ-ღონე გამოელია.*

**ძამიკო** *ძამიკოს* ალერს. ძმა (უპირატესად მიმართვისას).

**ძარა** *ძარას* სატრანსპორტო და საზიდი საშუალებების ნაწილი, რომლითაც გადაჰყავთ მგზავრები და გადააქვთ ტვირთი. *მანქანის ძარა. გადასახსნელი ძარა.*

**ძარი** *ძარის* 1. წნელებისგან დაწნული, ურემზე დასადგმელი დიდი სათავსი, რომელსაც იყენებენ ყურძნის, სიმინდისა და მისთ. გადასაზიდად. 2. სათავსი ფრინველის, გოჭის დასამწყვდევად. *საქათმე ძარი.* 3. დაწნული სასიმინდე. *სასიმინდე ძარი.*

**ძარღვი** *ძარღვის* 1. იგივეა, რაც სისხლძარღვი. *ძარღვები დაებერა.* 2. სითხის გამტარი წვრილი მილი მცენარის ფოთლებზე ან მწერის ფრთებზე. *ამ ბალახს სიგრძივი ძარღვები აქვს.* 3. იგივეა, რაც მყესი. *ძარღვის დაჭიმულობა.*

**ძარღვიანი** *ძარღვიანის* 1. ბევრი ძარღვის, მყესის მქონე. *ძარღვიანი ხორცი. ძარღვიანი მკლავები.* 2. ძლიერი, მკვრივი აღნაგობის მქონე, დაძარღვული. *ძარღვიანი ბიჭი.* 3. გადატ. დიდი ემოციური ძალის მქონე. *ძარღვიანი სიტყვა.*

**ძარცვა** *ძარცვის* (ძარცვავს, იძარცვება) ↑ გაძარცვა. *ხალხს ძარცვავენ.*

**ძაფი** *ძაფის* ბამბის, შალის, აბრეშუმის წვრილი, გრძელი ნართი, რომლითაც რაიმეს კერავენ ან ქსოვენ. *ძაფის ამოხევება. ძაფი ამოახვია.*

ძაღლი



**ძაღლი** *ძაღლის* შინაური ცხოველი, იყენებენ საყარაულოდ, ნადირობისთვისა და მისთ. *ძაღლის ჯიში. ერთგული ძაღლი.* ⊙ **ძაღლადაც არ (ჩა) აგდებს.** ანგარიშს არ გაუწევს, არაფრად ჩააგდებს. ⊙ **ძაღლი არ გაიგდება გარეთ** ძალიან ცუდი ამინდია. ⊙ **ძაღლი პატრონს ვერ ცნობს** დიდი არეულობაა. ⊙ **ძაღლის ბედი აქვს** იღბლიანია.

**ძაღლისენა** *ძაღლისენას* ბალახოვანი მცენარე, აქვს მოცისფრო-მოწითალო ან ლურჯი ყვავილი და ეკლიანი ნაყოფი.

**ძაღლისკბილა** *ძაღლისკბილას* ბოლქვიანი მცენარე, ღეროს წვერზე იკეთებს მსხვილ, მოწითალო ფერის ყვავილს, იხმარება მხლად.

**ძაღლიშვილი** *ძაღლიშვილის* სალანძღავი სიტყვა. *რას შვრები, ძაღლიშვილო!*

**ძაღლმაყვალა** *ძაღლმაყვალას* ხვიარა ფესურიანი დაბალი ბუჩქი, აქვს თეთრი ან მოვარდისფრო ყვავილები და წვნიანი, შავი ნაყოფი.

**ძაღლნიორა** *ძაღლნიორას* ბოლქვიანი ბალახოვანი მცენარე, აქვს მაღალი ღერო და ბოლქვიდან ამოსული ვიწრო ფოთლები, იკეთებს თეთრ ყვავილს.

**ძაღლუმადური** *ძაღლუმადურის* მძიმე, გაჭირვებული, არაადამიანური. *ძაღლუმადური ყოფა. ძაღლუმადური ცხოვრება.* ▲ **ძაღლუმადურად** ზმნზ. მძიმედ, საშინლად, არაადამიანურად. *ძაღლუმადურად მიგდებული მოხუცი.*

**ძაღლური** *ძაღლურის* 1. ძაღლისთვის დამახასიათებელი. *ძაღლური ალღო.* 2. იგივეა, რაც **ძაღლუმადური**. *ძაღლური ცხოვრება. ძაღლური სამუშაო.*

**ძაღლყურძენა** *ძაღლყურძენას* ბალახოვანი მცენარე, იკეთებს თეთრ ან ლურჯ ყვავილებს, აქვს შავი, წითელი ან მომწვანო წვნიანი, შხამიანი ნაყოფი.

**ძაძა** *ძაძის* სამგლოვიარო სამოსელი. *ძაძები აცვია. ძაძით შემოსილი.*

**ძახველი** *ძახველის* საშუალო სიმაღლის ბუჩქი, აქვს თეთრი ყვავილები, ისხამს წითელ, წვნიან ნაყოფს, იზრდება ტყეებში.

**ძახილი** *ძახილის* (იძახის, ეძახის, უძახის) 1. ხმამაღალი ხმობა, ხმის მიწვდენა. *შორიდან ძახილი დაიწყო. მეგობრები ეძახიან.* 2. ზოგიერთი ფრინველის ხმიანობა. *გუგულის ძახილი.*

**ძგერა** *ძგერის* (ძგერს, უძგერს) ⊙ **გულის ძგერა** გულის რიტმული მუშაობა.

**ძგერება** *ძგერების* (აძგერებს, იძგერებს, ეძგერება) ერთბაშად მივარდნა, დატაკება, დაძგერება. *მუშტი აძგერა. საჭმელს ეძგერა.*

**ძგიდე** *ძგიდის* 1. ადამიანის, ცხოველის სხვადასხვა ორგანოს ტიხრისებური ხრტილოვანი გამყოფი. *ცხვირის ძგიდე.* 2. შენობის, ოთახის თხელი გამყოფი კედელი, ტიხარი.

**ძგრიალი** *ძგრიალის* (ძგრიალებს) გრუხუნის მსგავსი ხმის გამოცემა მყარი საგნების ერთმანეთზე დარტყმისას, მიჯახებისას. *ლოდების ძგრიალი.*

**ძე** *ძის* 1. მამრობითი სქესის შვილი. *მეფის ძე.* 2. დაერთვის მამის სახელს მამაკაცის ვინაობის ოფიციალურად დასახელებისას. *გიორგი დავითის ძე აბაშიძე.*

**ძებნა** *ძებნის* (ძებნის, უძებნის, ეძებს, იძებნება) ვინმეს ან რამის მონახვის, პოვნის მცდელობა. *სათვალეს დაუწყო ძებნა. პოლიცია დამნაშავეს ეძებს.*

**ძებნილი** *ძებნილის* პირი, რომელსაც ეძებენ. *ძებნილი აღმოაჩინეს.*

**ძეგლი** *ძეგლის* 1. ვინმეს ან რაიმეს უკვდავსაყოფად აგებული ქანდაკება ან ნაგებობა. 2. ძველი დროიდან შემორჩენილი მატერიალური კულტურის ნიმუში. *ეპიგრაფიკული ძეგლები. არქიტექტურული ძეგლი.*

**ძელგი** *ძელგის* მომწარო-მომჟავო გემოს მქონე. *ძელგი ღვინო.*

**ძელი** *ძელის* 1. ტოტებგაცლილი, მოჭრილი წვრილი ხე ან ამ ფორმის რკინა. *ხის ძელი. რკინის ძელი.* 2. ფეხბურთის კარის ჩარჩო. *ბურთი ძელს მოხვდა.*

**ძელური** *ძელურის* ძელებით (1) ნაშენი. *ძელური ქოხი. ძელური საბძელი.*

**ძელქვა** *ძელქვის* ფოთლოვანი ხე, აქვს წვრილი ფოთლები, პატარა ზომის ნაყოფი, მონაცრისფრო-მომწვანო ქერქი და ძალიან მაგარი მერქანი. *ძელქვის ტყე.*

**ძელქორი** *ძელქორის* ველის ქორი. *ძელქორის ბუდე.*

**ძელშავი** *ძელშავის* შავყურძნიანი ვაზის ჯიში, აქვს დიდი მტევნები. *ძელშავის ღვინო.*

**ძენძვა** *ძენძვის* (ძენძავს, იძენძება) ↑ **დაძენძვა.** *ნაქსოვი იძენძება.*

**ძენძი** *ძენძის* სელის, კანაფისა და მისთ. მასალის დამუშავებისას მიღებული მსხვილბოჭკოიანი ნარჩენი, გამოიყენება რაიმეს გასაწმენდად. *ძენძის ნაგლეჯი.*

**ძეობა** *ძეობის* შვილის შეძენის აღსანიშნავი ქეიფი, ლხინი. *ძეობა ზე დაპატიჟა.*

**ძერა** *ძერის* დიდი ზომის მტაცებელი ფრინველი, იკვებება ხორცითა და მძორით. *ძერა კივის.*

**ძერაბოტი** *ძერაბოტის* ძერის მსგავსი მტაცებელი ფრინველი.

**ძერწვა** *ძერწვის* (ძერწავს, უძერწავს, იძერწება) სპეციალურად დამზადებული რბილი, ცომისებური მასალისგან ქანდაკების სხვადასხვა ფიგურის კეთება. *ძერწვას სწავლობს. თიხისგან ძერწავს.*

**ძერწლა** *ძერწლის* შხამიანი მცენარე, იზრდება წყლის ნაპირებში.

**ძეძვი** *ძეძვის* ეკლებიანი, დატოტვილი ბუჩქი, აქვს მომრგვალო, წვრილკბილა ფოთლები და პატარა, მოყვითალო ყვავილები, იკეთებს მრგვალ, თაფლიან ნაყოფს, რომელიც გამოიყენება სამკურნალოდ.

**ძეძვიფრიალა** *ძეძვიფრიალას* ძეძვის ნაყოფი.

**ძეძვნარი** *ძეძვნარის* ძეძვით დაფარული ადგილი. *გაუვალი ძეძვნარი.*

**ძენკვი** *ძენკვის* ლითონის წვრილი ჯაჭვი. *ოქროს ძენკვი.*


ძენკვი

**ძენწა** *ძენწის* დეკორატიული ხე, ტოტებჩამოშვებული ტირიფი.

**ძეხვეული** *ძეხვეულის* სხვადასხვა სახის ძეხვი.

**ძეხვი** *ძეხვის* საქონლის ნაწლავში ან მის ხელოვნურ შემცვლელებში ჩადებული ძალიან წვრილად დაჭრილი და შეზავებული ხორცი. *შემწვარი ძეხვი.*


ძეხვი

**ძეხორციელი** *ძეხორციელის* ადამიანის შვილი (გამოიყენება უარყოფით ნაწილაკთან). *ძეხორციელი არ ჩანდა. ძეხორციელი ვერ შეძლებს.*

**ძვალი** *ძვლის* მყარი წარმონაქმნი ადამიანისა და ცხოველის სხეულში, ჩონჩხის ცალკეული შემადგენელი ნაწილი. *მენჯის ძვალი. წვივის ძვალი. სპილოს ძვლის სამკაულები.* ⊙ **ცარიელი ძვალი და ტყავია** ძალიან გამხდარია. ⊙ **ძვალსა და რბილს გაუერთიანებს** მაგრად სცემს.

**ძვალმაგარი** *ძვალმაგრის* ძლიერი აგებულების მქონე. *ძვალმაგარი შვილები ჰყავს.*

**ძვალმსხვილი** *ძვალმსხვილის* მსხვილი ძვლების მქონე. *ძვალმსხვილი სხეული.*

**ძვალ-რბილი** *ძვალ-რბილის* მთლიანი სხეული, ძვლიან-ხორციანად. *ძვალ-რბილი გაუერთიანა.* ⊙ **ძვალ-რბილში გაუჯდება** 1. მთელ ორგანიზმს მოიცავს. 2. მყარად შეითვისებს, კარგად დაისწავლის.

**ძველად** ზმნზ. ძველ დროს, წინათ. *ძველად ასე მღეროდნენ.*

**ძველებური** *ძველებურის* 1. ძველი, დიდი ხნის წინანდელი. *ძველებური ამბები.* 2. ძველი დროისთვის დამახასიათებელი, ძველად გავრცელებული. *ძველებური კიდობანი. ძველებური წესები.* ▲ **ძველებურად** ზმნზ. როგორც ძველად იყო, როგორც ძველად ხდებოდა. *ძველებურად ველარ სვამს.*

**ძველთაძველი** *ძველთაძველის* ძალიან ძველი, დიდი ხნის წინანდელი. *ძველთაძველი ავეჯი.*

**ძველი** *ძველის* 1. დიდი ხნის წინ შექმნილი, გაკეთებული, დამზადებული. *ძველი პალტო. ძველი გამოცემა.* ↔ **ახალი.** 2. დიდი გამოცდილების, ხანგრძლივი პრაქტიკის მქონე. *ძველი მეცხვარე.*

*ძველი მსახიობი.* 3. (მრ.) უფროსი თაობა, წინაპრები. *ძველებს უთქვამთ.*

**ძველისძველი** *ძველისძველის* იგივეა, რაც ძველთაძველი. *ძველისძველი პალტო.*

**ძველმანი** *ძველმანის* ნახმარი ტანსაცმელი. *ძველმანების მაღაზია.*

**ძველმოდური** *ძველმოდურის* მოდიდან გამოსული. *ძველმოდური ვარცხნილობა.*

**ძვირად** ზმნზ. 1. მაღალ ფასად. *ძვირად ღირებული.* 2. იშვიათად. *ძვირად თუ გვესტუმრება ხოლმე.* ⊙ **ძვირად დაუსვამს** სამაგიეროს გადაუხდის. ⊙ **ძვირად დაუჯდება** ბევრი წვალება დასჭირდება, ჯაფა დაადგება.

**ძვირი** *ძვირის* 1. რასაც მაღალი ფასი აქვს. *ძვირი ხილი. ძვირი ტანსაცმელი.* ↔ **იაფი.** 2. ნაკლი, უარყოფითი მხარე. *ძვირს არავის ამბობს.* 3. იშვიათი, განსაკუთრებული. *ძვირი სიამოვნება.*

**ძვირფასეულობა** *ძვირფასეულობის* ძვირადღირებული, მაღალხარისხოვანი ნივთები, სამკაულები და მისთ. *ძვირფასეულობა შეინახა.*

**ძვირფასი** *ძვირფასის* 1. რაც ძვირი ღირს. *ძვირფასი ნამალი. ძვირფასი ხალიჩა.* 2. ახლობელი, საყვარელი. *ძვირფასი მეუღლე. ჩემო ძვირფასო!*

**ძვლიანი** *ძვლიანის* რასაც ძვალი (ძვლები) აქვს. *ძვლიანი ხორცი.*

**ძვლოვანი** *ძვლოვანის* ძვლებისგან შემდგარი. *ძვლოვანი გარსი.*

**ძია** *ძიას* 1. იგივეა, რაც **ბიძა.** *ძია და ძმისშვილი.* 2. სიტყვა, რომელიც საკუთარ სახელთან ერთად გამოიყენება ბიძის ან უფროსი მამაკაცის მოსახსენიებლად ან მათდამი მიმართვისას. *ძია გიორგი. გამარჯობა, ძია პეტრე!*

**ძიბა-ძიბა** შორისდ. შეძახილი ქათმების მოსახმობად.

**ძიგძიგი** *ძიგძიგის* (ძიგძიგებს) რიტმულად რყევა (2), ძაგძაგი (2). *მანქანა ძიგძიგებს.*

**ძიება** *ძიების* (იძიებს, ეძიებს) 1. მცდელობა, ძალისხმევა რაიმეს მოსაპოვებლად, მისაღწევად. *სახელსა და დიდებას ეძიებს.* 2. ↑ **გამოძიება** (1). *ძიება მიმდინარეობს. დანაშაულს იძიებს.*

**ძილ-ბურანი** *ძილ-ბურანის* იგივეა, რაც **ბურანი**(1). *ძილ-ბურანიდან გამოერკვა.*

**ძილგატეხილი** *ძილგატეხილის* ვინც ვერ იძინებს. *ძილგატეხილი მოხუცი.*

**ძილი**[1] *ძილის* (სძინავს, ეძინება) ადამიანის ან ცხოველის მდგომარეობა, როდესაც ორგანიზმი ისვენებს და გარე სამყაროს აღქმა არ ხდება. *ძილი უყვარს. მთელი დღე სძინავს.* ⊙ **ძილად მიეგდო** სულ სძინავს. ⊙ **ძილი გაუტყდა** დაძინება ვერ შეძლო. ⊙ **ძილი მოეკიდა** დაძინება უნდა, ეძინება.

**ძილი**[2] *ძილის* ქართული ანბანის ოცდამერვე ასოს (ძ-ს) სახელწოდება.

**ძილისგუდა** *ძილისგუდას* საუბრ. ვისაც ძილი უყვარს; ვისაც, ჩვეულებრივ, დიდხანს სძინავს. *ძილისგუდა შვილი ჰყავს.*

**ძილისპირული** *ძილისპირულის* სიმღერა, რომელსაც ბავშვს ძილის წინ უმღერიან.

**ძილფხიზლად** ზმნზ. როცა არაღრმად სძინავთ, ფხიზლად. *მეომრები ძილფხიზლად არიან.*

**ძილქუში** *ძილქუშის* ⊙ **ძილქუში დაეცა** ძალიან ღრმად დაეძინა, ვერ იღვიძებს.

**ძილ-ღვიძილი** *ძილ-ღვიძილის* ძალიან ფხიზელი ძილი, როდესაც ნაწილობრივ მაინც ხდება გარემოს აღქმა. *ძილ-ღვიძილში იყო.*

**ძირა** *ძირას* იგივეა, რაც **ზირა.** *შილაფლავს ძირა აკლდა.*

**ძირას** ზმნზ. თანდ. ფუნქც. (+ ნათ.) ძირთან ახლოს, ძირში, ქვეშ. *ხის ძირას წამოწვა.*

**ძირგამომთხრელი** *ძირგამომთხრელის* მავნებლური, საზიანო. *ძირგამომთხრელი საქმიანობა.*

**ძირეული** *ძირეულის* საფუძვლიანი, არსებითი. *ძირეული გარდაქმნები.* ▲ **ძირეულად** ზმნზ. საფუძვლიანად, არსებითად. *ძირეულად შეიცვალა.*

**ძირთეთრა** *ძირთეთრას* ორნლოვანი მცენარე, იკეთებს ყვითელ ყვავილებს, აქვს მოთეთრო, სურნელოვანი ფესვი, იხმარება მხლად, გამოიყენება საქონლის საკეებადაც.

**ძირი** *ძირის* 1. იგივეა, რაც **ფესვი.** *ბალახის ძირი ამოიღო.* 2. რაიმეს ქვედა ნაწილი. *ხის ძირი. მთის ძირი.* 3. მცენარის ერთი ნარგავი. *ორი ძირი ბალი.* 4. ერთ სკაში მცხოვრები ფუტკრის ოჯახი. *ათი ძირი ფუტკარი.* 5. შთამომავლობა, მოდგმა. *არც შვილი ჰყავს, არც ძირი.* 6. იგივეა, რაც **ფსკერი.** 7. ფეხსაცმლის ქვედა ნაწილი. *ბოტასის ძირი.* ⊙ **ძირს გამოუთხრის** უმტრობს, საფუძველს შეურყევს, დაასუსტებს. ⊙ **ძირს დასცემს** დაჯაბნის, დაამარცხებს. ⊙ **ძირშივე მოსპობს** განვითარების საშუალებას არ მისცემს, აღმოფხვრის.

**ძირითადი** *ძირითადის* ყველაზე მნიშვნელოვანი, მთავარი. *ძირითადი მიმართულებები. ძირითადი პრინციპები.* ▲ **ძირითადად** ზმნზ. ყველაზე მეტად, უმთავრესად. *ძირითადად უნალექო ამინდია.*

**ძირითძირობამდე** ზმნზ. თავიდან ბოლომდე, მთლიანად, სრულად, საფუძვლიანად. *ძირითძირობამდე შეისწავლა.*

**ძირისძირობამდე** ზმნზ. იგივეა, რაც **ძირითძირობამდე.** *ძირისძირობამდე შეამოწმეს.*

**ძირკვი** *ძირკვის* მოჭრილი ხის მინაში ჩარჩენილი ნაწილი. *ძირკვი ამოთხარა.*

**ძირმაგარა** *ძირმაგარას* მტკივნეული მაგარი მუწუკი, რომელიც ცხიმოვანი ჯირკვლის ანთებისას ჩნდება. *ძირმაგარას წამალი.*

**ძირმტკიცე** *ძირმტკიცის* მყარი, ურყევი. *ძირმტკიცე ოჯახი.*

**ძირმწარა** *ძირმწარას* მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარე, იკეთებს მილისებურ ყვავილებს, გამოიყენება სამკურნალოდ.

**ძირს** 1. ზმნზ. დაბლა, ქვევით. *ძირს დაეცა. ქალაღდი ძირს გდია.* 2. დაემხოს! უარს ვუცხადებთ! (გამოიყენება მოწოდებისას, როდესაც პროტესტს უცხადებენ ვინმეს ან რაიმეს). *ძირს მთავრობა! ძირს სიზარმაცე!*

**ძირტკბილა** *ძირტკბილას* მრავალწლოვანი პარკოსანი მცენარე, იკეთებს იისფერ ყვავილებს, აქვს ტკბილი ფესვი, გამოიყენება სამკურნალოდ, აგრეთვე ლუდისა და თამბაქოს წარმოებაში. *ძირტკბილას ნაყენი.*

**ძირფესვიანი** *ძირფესვიანის* საფუძვლიანი, ყოვლისმომცველი. *ძირფესვიანი გამოკვლევა.* ▲ **ძირფესვიანად** ზმნზ. საფუძვლიანად, სრულად. *ძირფესვიანად შეისწავლა.*

**ძირძველი** *ძირძველის* ნიგნ. ძალიან ძველი. *ძირძველი მოსახლეობა. ძირძველი ჩვეულებები.*

**ძირწითელა** *ძირწითელას* ბალახოვანი (იშვიათად ბუჩქოვანი) მცენარე, იკეთებს წითელ ყვავილს, აქვს მოწითალო, მსხვილი ფესვი, რომელიც გამოიყენება საღებავად.

**ძირხვენა** *ძირხვენის* 1. ზოგიერთი მცენარის საკვებად ვარგისი ძირი. 2. ძირხვენას (1) მქონე მცენარე.

**ძიუდო** *ძიუდოს* იაპონური ჭიდაობის სახეობა. *ძიუდოს დარბაზი.*

**ძიუდოისტი** *ძიუდოისტის* სპორტსმენი, ძიუდოს მიმდევარი. *ძიუდოისტთა შეჯიბრება. ძლიერი ძიუდოისტი.*

**ძიძა** *ძიძის* 1. ბავშვის მომვლელი ქალი. *ძიძასთან დატოვეს.* 2. ძვ. ქალი, რომელსაც მიაბარებდნენ ხოლმე ჩვილ ბავშვს, რომ ძუძუ ეწოვებინა და მოევლო. *ძიძის ოჯახში იზრდებოდა.*

**ძიძგილაობა** *ძიძგილაობის* (ძიძგილაობს, ეძიძგილავება) 1. მამლების ჩხუბი. *ყვინჩილები ძიძგილაობენ.* 2. საუბრ. გადატ. სახუმარო, არასერიოზული ჩხუბი. *ახალგაზრდები ეძიძგილავებიან ერთმანეთს.*

**ძიძგილი** *ძიძგილის* (ძიძგილობს, ეძიძგილება) იგივეა, რაც **ძიძგილაობა**. *მამლების ძიძგილს უყურებენ. ბიჭებს ეძიძგილება.*

**ძიძგნა** *ძიძგნის* (ძიძგნის, იძიძგნის, უძიძგნის, იძიძგნება) ↑ **დაძიძგნა**. *ძერა ხორცს ძიძგნის.*

**ძიძიბო** *ძიძიბოს* მცირე ზომის მუწუკი თვალის ქუთუთოზე. *ძიძიბო გამოუვიდა.*

**ძიძიშვილი** *ძიძიშვილის* ძიძის (2) შვილი. *ერთგული ძიძიშვილი.*

**ძიძო** *ძიძოს* ორწლოვანი მცენარე, იკეთებს პატარა ზომის, ყვითელ ან თეთრ ყვავილებს და ორთესლიან პარკს, გამოიყენება სამკურნალოდ და ცხოველების საკვებად.

**ძლევა** *ძლევის* (სძლევს, იძლევა) შეჯიბრებაში, ბრძოლასა და მისთ. მოწინააღმდეგის ჯობნა. *მტერს სძლია. მოჭიდავემ მეტოქეს სძლია.*

**ძლევამოსილება** *ძლევამოსილების* ნიგნ. სიძლიერე (არმიის, სახელმწიფოსი). *ჩვენი ქვეყნის ძლევამოსილება.*

**ძლევამოსილი** *ძლევამოსილის* ნიგნ. ძალიან ძლიერი, გამარჯვებული. *ძლევამოსილი ლაშქარი. ძლევამოსილი სახელმწიფო.*

**ძლეული** *ძლეულის* ვისაც მოწინააღმდეგემ სძლია, დამარცხებული. *მტრისგან ძლეული.*

**ძლიერ** ზმნზ. ძალიან, მეტად. *ძლიერ მოსწონს. ძლიერ გაიხარა.*

**ძლიერება** *ძლიერების* დიდი ძალის, ღონის, შესაძლებლობის ქონა. *ფიზიკური ძლიერება. სულიერი ძლიერება.*

**ძლიერი** *ძლიერის* 1. დიდი ფიზიკური ძალის მქონე, ღონიერი. *ძლიერი კაცი.* 2. დიდი შესაძლებლობის მქონე. *ძლიერი პიროვნება. ძლიერი ხასიათი.* 3. მძაფრი. *ძლიერი სიცხე. ძლიერი სიყვარული.* ▲ **ძლიერად** ზმნზ. ძლიერის შესაფერისად, მტკიცედ, მყარად. *ფრთებს ძლიერად იქნევს.*

**ძლივს** ზმნზ. 1. ძნელად, გაჭირვებით. *ძლივს მიაღწია სახლამდე.* 2. ოდნავ, მცირედ. *ძლივს გასაგონად ჩაილუღლუღა.* 3. შორისდ. როგორც იქნა. *ძლივს არ ელირსა?!*

**ძლივს-ძლივს** ზმნზ. დიდი გაჭირვებით, ბევრი ცდის შემდეგ. *ძლივს-ძლივს დაამთავრეს მუშაობა.*

**ძლივძლივობით** ზმნზ. გაჭირვებით, დიდი წვალებით. *სახლი ძლივძლივობით დაალაგა.*

**ძმა** *ძმის* ვაჟიშვილი თავისი მშობლების სხვა შვილებისთვის. *უმცროსი ძმა. ძმები ერთად ცხოვრობდნენ.* ⊙ **თუ ძმა ხარ!** გამოთქმა, რომელიც გამოიყენება თხოვნის ან საყვედურის გამოსახატავად. ⊙ **ძმად გაფიცვა** დაძმობილება (გარკვეული რიტუალის შესრულების შედეგად).

**ძმაბიჭი** *ძმაბიჭის* საუბრ. მეგობარი ბიჭი. *ძმაბიჭებთან ქეიფობს.*

**ძმაბიჭობა** *ძმაბიჭობის* ბიჭების მეგობრობა. *კარგი ძმაბიჭობა იცის.*

**ძმაბიჭური** *ძმაბიჭურის* ძმაბიჭებისთვის დამახასიათებელი, შინაურული. *ძმაბიჭური ურთიერთობა.*

**ძმადნაფიცი** *ძმადნაფიცის* ერთი ადამიანი მეორისთვის, რომელსაც ძმად გაეფიცა. *ძმადნაფიცის დახმარება.*

**ძმათამკვლელი** *ძმათამკვლელის* ⊙ **ძმათამკვლელი ომი** ომი ახლობლებს შორის (სამოქალაქო ომი).

**ძმაკაცი** *ძმაკაცის* მეგობარი კაცი ან ბიჭი. *ძმაკაცები შეიკრიბნენ.*

**ძმაკაცობა** *ძმაკაცობის* (ძმაკაცობს, ეძმაკაცება) ბიჭების მეგობრობა, ძმური დამოკიდებულება. *დიდი ძმაკაცობა აქვთ. მე ზობლებთან ძმაკაცობს.*

**ძმარვა** *ძმარვის* (სძმარავს) ⊙ **გულს სძმარავს** კუჭიდან სიმჟავე ამოსდის, სიმჟავის შეგრძნება აქვს პირში.

**ძმარი** *ძმრის* სპეციფიკური სუნის მქონე სითხე, რომელიც მიიღება ღვინის ან ხილის წვნის დამჟაველით, გამოიყენება კულინარიაში. *ვაშლის ძმარი. ღვინის ძმარი. ძმრის სუნი.* ⊙ **ცხვირიდან ძმარს** ადენს გაამწარებს, ძალიან სცემს.

**ძმარმჟავა** *ძმარმჟავას* მჟავე, მძაფრი სუნის უფერო სითხე, ორგანული მჟავა, გამოიყენება სხვადასხვა ორგანული ნაერთის მისაღებად, ღებვის დროს, კვების მრეწველობაში.

**ძმერხლი** *ძმერხლის* ტყის მრავალწლოვანი მცენარე, აქვს ფოთლის მსგავსი ტყავისებური ტოტები, გამოიყენება ცხოველების საკვებად.

**ძმისშვილი** *ძმისშვილის* ძმის შვილი. *ძმა და ძმისშვილები.*

**ძმისწული** *ძმისწულის* ძვ. ძმის შვილი. *ბიძა და ძმისწული.*

**ძმობა** *ძმობის* (სძმობს) 1. ურთიერთობა ძმებს შორის. *კარგი ძმობა აქვთ.* 2. ძმური დამოკიდებულება, ძმებივით ყოფნა. *ერთმანეთს ძმობა შეჰფიცეს. მეგობარს ეძმო.*

**ძმობილი** *ძმობილის* ძმასავით ახლობელი მეგობარი. *ძმობილი ესტუმრა.*

**ძმრიანი** *ძმრიანის* 1. რაშიც ძმარია შერეული, რაც ძმრით არის შეზავებული. *ძმრიანი საჭმელი. ძმრიანი ფხალი.* 2. რაშიც ძმარი ასხია ან ესხა. *ძმრიანი ბოთლი. ძმრიანი ჭურჭელი.*

**ძმური** *ძმურის* ძმებისთვის დამახასიათებელი, ახლომეგობრული. *ძმური ურთიერთობა.* ▲ **ძმურად ზმნზ.** როგორც ძმებს, ძალიან ახლო მეგობრებს შეეფერება. *ძმურად ცხოვრობენ.*

**ძნა** *ძნის* მომკილი თავთავის კონა, ზვინად დადგმული ასეთი კონები. *ძნები კალოზე მიზიდეს.*

**ძნელბედობა** *ძნელბედობის* ნიგნ. გაჭირვება, დიდი განსაცდელი, უბედურება. *ქვეყანამ ძნელბედობა გამოიარა. ძნელბედობის ხანა.*

**ძნელი** *ძნელის* გასაკეთებლად, შესასრულებლად რთული, არაადვილი. *ძნელი საქმე, ძნელი დავალება.* ▲ **ძნელად ზმნზ.** რთულად, არაადვილად. *ძნელად განსახორციელებელი საქმე.*

**ძოვა** *ძოვის* (ძოვს) ↑ მოძოვა. *ძროხა ბალახს ძოვს.*

**ძოვება** *ძოვების* (აძოვებს) ↑. მოძოვება. *ცხვრებს აძოვებს.*

**ძონძი** *ძონძის* ძველი, ხმარებით გაცვეთილი ტანსაცმელი ან ქსოვილის ნაჭერი. *ძონძით გაწმინდა.*

**ძონძმანძი** *ძონძმანძის* საუბრ. სხვადასხვანაირი ძონძი. *სახლი ძონძმანძით აქვს სავსე.*

**ძოწი** *ძოწის* მუქი წითელი ან თეთრი ძვირფასი ქვა. *ძოწის თვალი. ძოწის მძივი.*

**ძრავა** *ძრავას* მოწყობილობა, რომელიც საწვავის მიერ წარმოქმნილ თბურ ენერგიას მექანიკურ ენერგიად გარდაქმნის და ამუშავებს მანქანებს, ელექტროდანადგარებს. *შიგაწვის ძრავა. დიზელის ძრავა.* ▪ **ძრავიანი** ძრავას მქონე. *ძრავიანი დანადგარი.*


ძრავა

**ძრომა** *ძრომის* (ძვრება, უძვრება) ვიწრო ადგილას გაჭირვებით მოძრაობა (უმეტესად ხელ-ფეხის დახმარებით). *მაგიდის ქვეშ ძვრება. ღობე ზე ძვრება.*

**ძროხა** *ძროხის* 1. მსხვილფეხა შინაური ცხოველი, აშენებენ რძისა და ხორცის მისაღებად. *ძროხის რძე. ძროხა ბღავის.* 2. მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის (ძროხისა და ხარის) ზოგადი სახელწოდება. 3. კრებ. ბევრი ძროხა ერთად. *მენახირე ძროხას მიდევნის.*


ძროხა

**ძრწოლა** *ძრწოლის* (ძრწის) ძლიერი შიშისგან კანკალი, თრთოლა. *ძრწოლამ აიტანა. ქალი ძრწოდა.*

**ძუ** *ძუს* მდედრობითი სქესის მტაცებელი ცხოველი. *ძუ მგელი. ძუ ლომი.*

**ძუა** *ძუის* ცხენის კუდის ბენვი. *ძუის მახე.*

**ძუკნა** *ძუკნის* მდედრობითი სქესის ძაღლი. *ძუკნამ ლეკვები დაყარა.*

**ძუნძული** *ძუნძულის* (ძუნძულებს) ნელა სირბილი სხეულის სპეციფიკური მოძრაობით. *ძუნძული დაიწყო.*

**ძუნწი** *ძუნწის* 1. ვინც რაიმეს ვერ იმეტებს (თავისთვის ან სხვისთვის). *ძუნწი ქალი.* 2. გადატ. მცირე რაოდენობისა, იშვიათი, მწირი. *ძუნწი ცნობები.*

**ძუნწობა** *ძუნწობის* (ძუნწობს) ძუნწის ქცევა, მეტისმეტად დაზოგვა. *ძუნწობა არ უყვარს. ბავშვი ძუნწობს.*

**ძურწა** *ძურწის* ერთწლოვანი მარცვლოვანი სარეველა ბალახი, გამოიყენება ცხოველების საკვებად.

**ძუძუ** *ძუძუს* ადამიანისა და ძუძუმწოვარ ცხოველთა სარძევე ჯირკვალი. *ძუძუ მოაწოვა.*

**ძუძუვაშლა** *ძუძუვაშლას* ვაშლის ჯიში, აქვს წაგრძელებული ნაყოფი.

**ძუძუთა** *ძუძუთას* ვინც ან რაც ძუძუთი იკვებება. *ძუძუთა ბავშვი. ძუძუთა ბატკანი. ძუძუთა გოჭები.*

**ძუძუმარწყვა** *ძუძუმარწყვას* მარწყვის ჯიში, ისხამს მოგრძო ნაყოფს.

**ძუძუმაყვალა** *ძუძუმაყვალას* მაყვლის ჯიში, ისხამს მსხვილ, მოგრძო ნაყოფს.

**ძუძუმტე** *ძუძუმტის* ძიძიშვილი და ძიძის (2) გაზრდილი ერთმანეთისთვის. *ძუძუმტეების სიყვარული.*

**ძუძუმწოვარა** *ძუძუმწოვარას* || ძუძუმწოვარი.

**ძუძუმწოვარი** *ძუძუმწოვრის* ცხოველი, რომელიც თავის ნაშიერს ძუძუთი კვებავს. *ძუძუმწოვართა კლასი.*

**ძღვენი** *ძღვნის* პატივისცემის ნიშნად მირთმეული რამ, უპირატესად საჭმელ-სასმელი. *ძღვენი მიართვა. ძღვენი მომიტანა.*

**ძლომა** *ძლომის* (ძლება, უძლება) ↑ გაძლომა, *ძლომას ვერ იგებს. მალე ძლება.*

# – წ –

**წაბარბაცება** *წაბარბაცების* (წააბარბაცებს, წაბარბაცდება) I. უცბად წონასწორობის დაკარგვა, შებარბაცება. *ქალი წაბარბაცდა.* 2. ბარბაცით ნასვლა. *შინისკენ წაბარბაცდა.*

**წაბაძვა** *წაბაძვის* (წაჰბაძავს) იგივეა, რაც მიბაძვა. *სიარულში წაჰბაძა.*

**წაბილწვა** *წაბილწვის* (წაბილწავს, წაუბილწავს, წაიბილწება, წაებილწება) გაბინძურება, ბილწად, უწმინდურად ქცევა. *სასაფლაო წაბილწეს. ყველაფერი წაიბილწა.* ■ **წაბილწული** რაც წაბილწეს. *წაბილწული ტაძარი.*

**წაბლი** *წაბლის* I. ყავისფერკანიანი, მოტკბო გულის მქონე ნაყოფი, რომელიც ეკლიან საფარშია მოთავსებული. *მოხარშული წაბლი.* 2. მაღალი მაგარმერქნიანი ფოთლოვანი ხე, რომელიც ისხამს წაბლს (1), გამოიყენება საშენ მასალად. *წაბლის ფიცარი.*

**წაბლისფერი** *წაბლისფრის* ღია ყავისფერი. *წაბლისფერი თმა.*

**წაბლნარი** *წაბლნარის* წაბლის ხეებით დაფარული ადგილი. *წაბლნარი სოფლის ბოლოდან იწყებოდა.*

**წაბორძიკება** *წაბორძიკების* (წაიბორძიკებს, წაბორძიკდება) უცებ შეფერხება, დაბრკოლება სიარულის დროს. *ბავშვმა წაიბორძიკა.*

**წაბრძანება** *წაბრძანების* (წააბრძანებს, წაბრძანდება) პატივისც. წასვლა, წაყვანა, წაღება. *მეფე თავისი ამალით წაბრძანდა.*

**წაგდება** *წაგდების* (წააგდებს, წაიგდებს, წაუგდებს) წინ გაგდება, წინ გაშვება. *ბავშვი წინ წაიგდო.*

**წაგება** *წაგების* (წააგებს) I. თამაშში, ვაჭრობასა და მისთ. ქონების, ფულის დაკარგვა, ზარალის ნახვა. *ბიზნესმენმა დიდი თანხა წააგო.* 2. ბრძოლაში, შეჯიბრებასა და მისთ. დამარცხება. *მეფემ ომი წააგო. ფეხბურთელებმა წააგეს.* ■ **წაგებული** რაც წააგეს. *წაგებული ქონება. წაგებული მატჩი.*

**წაგლეჯა** *წაგლეჯის* (წაჰგლეჯს, წააგლეჯს, წაეგლიჯება) I. ზედა ნაწილის მოგლეჯა, წანყვეტა, ნაცლა. *ქათამს თავი წააგლიჯა.* 2. გადატ. თაღლითობით ფულის, ქონების წართმევა. *დიდი თანხა ნაჰგლიჯეს.* ■ **წაგლეჯილი** რაც ნაჰგლიჯეს. *წაგლეჯილი ქონება.*

**წაგრძელება** *წაგრძელების* (წააგრძელებს, წაიგრძელებს, წაგრძელდება, წაუგრძელდება) ცოტათი დაგრძელება, სიგრძეში მომატება. *მამალმა კისერი წაიგრძელა.* ■ **წაგრძელებული** რაც წაიგრძელეს ან წაგრძელდა. *წაგრძელებული ფრჩხილები.*

**წადგმა** *წადგმის* (წადგამს) წინ ნანევა, წინ დადგმა. *სკამი წინ წადგა.*

**წადილი** *წადილის* (სწადია) სურვილი, ნდომა. *გამარჯვების წადილი. თავისუფლება სწადია.*

**წადუდუნება** *წადუდუნების* (წაიდუდუნებს) დუდუნით თქმა. *რაღაც გაუგებრად წაიდუდუნა.*

**წავარჯიშება** *წავარჯიშების* (წაავარჯიშებს, წაივარჯიშებს) ვარჯიშის ზერელედ შესრულება, მცირედ გავარჯიშება. *დილით წაივარჯიშებს ხოლმე. მათემატიკაში წაივარჯიშა.*

**წავი** *წავის* კვერნის მსგავსი ძვირფასბეწვიანი ცხოველი, ბინადრობს მდინარეებსა და ტბებში, იკვებება თევზით. *წავის ქურქი.*

**წავლება** *წავლების* (წაავლებს, წაიელებს, წაუვლებს, წაავლებინებს) ხელის, კბილების, პირის მოკიდება, მოვლება. *ძაღლმა პურს პირი წააველო. თავ ზე ხელი წაიველო.*

**წათამამება** *წათამამების* (წაათამამებს, წათამამდება) მცირედ გათამამება, გამხნევება. *მასწავლებელმა წაათამამა.*

**წათამაშება** *წათამაშების* (წაითამაშებს, წაეთამაშება) ცოტა ხნით, მსუბუქად თამაში. *ბავშვებმა ეზოში წაითამაშეს. ბიჭი ბურთს წაეთამაშა.*

**წათაქება** *წათაქების* (წაუთაქებს) მსუბუქად ხელის წარტყმა. *ბიჭს თავში წაუთაქა.*

**წათვლემა** *წათვლემის* (წასთვლემს) ძილის მორევა, წაძინება. *დაღლილს სავარძელში წასთვლიმა.*

**წათლა** *წათლის* (წათლის, წაათლის, წაუთლის, წაითლება, წაეთლება) წინა ნაწილის გათლა. *ფანქარს წვერი წაუთალა.*

**წათრევა** *წათრევის* (წაათრევს, წაეთრევა) I. თრევით წაღება. *ძელი წაათრია. ჯართი წაათრიეს.* 2. უპატივც. წასვლა, წაყვანა. *ახლავე წაეთრიე!*

**წათხი** *წათხის* მარილიანი წყალი, რომელშიც ყველს ინახავენ. *წათხის გემო. წათხის სუნი.*

**ნაკვნეტა** *ნაკვნეტის* (ნააკვნეტს, ნაიკვნეტს) რაიმეზე პატარა ნაწილის მოკვნეტა. *ფრჩხილი წაიკვნიტა.*

**ნაკვრა** *ნაკვრის* (ნაჰკრავს, ნააკრავს, ნაიკრავს, ნაუკრავს, ნაეკვრება) 1. მსუბუქად მირტყმა. *ფეხი წაჰკრა. დოქზე ხელი წაეკრა.* 2. თავზე რაიმეს მოხვევა. *თავშალი წაიკრა. ყაბალახი წაიკრა.*

**ნაკიდება** *ნაკიდების* (ნაჰკიდებს, ნაუკიდებს, ნაეკიდება) 1. ცეცხლის გაჩენა. *თივას ცეცხლი წაეკიდა. საწყობს ცეცხლი წაუკიდეს.* 2. ნაჩხუბება, გადამტერება. *ახლობლები ერთმანეთს წაეკიდნენ. და ძმას წაჰკიდეს.* ■ **ნაკიდებული** ვინც ან რაც ნაეკიდა. *წაკიდებული რძალ-მზული.*

**ნაკითხვა** *ნაკითხვის* (ნააკითხებს, ნაიკითხავს, ნაუკითხავს, ნაიკითხება, ნაეკითხება, ნააკითხვინებს) 1. დანერილის, დაბეჭდილის თვალით აღქმა და გონებაში აღბეჭდვა ან გახმოვანება. *ახალი წიგნი წავიკითხე. ბავშვს ზღაპარი წაუკითხა.* 2. საჯაროდ გამოსვლა და რაიმეს წარმოთქმა. *პოეტმა თავისი ლექსები წაგვიკითხა. ლექცია წაიკითხა.* ■ **წაკითხული** რაც ნაიკითხეს. *წაკითხული მოხსენება.*

**ნაკინკლავება** *ნაკინკლავების* (ნაეკინკლავება, ნაკინკლავდება) ხანმოკლე, უმნიშვნელო ჩხუბი, კამათი, კინკლაობის გამართვა. *და-ძმა წაკინკლავდა. ამხანაგები წაკინკლავდნენ.*

**ნაკუზვა** *ნაკუზვის* (ნაიკუზება) მოკუზვა, წახრა. *ჩანთის ასაღებად წაიკუზა.* ■ **ნაკუზული** ვინც ნაიკუზა. *ბოსტანში წაკუზული მუშაობდა.*

**წალამი** *წალმის* ვაზის ნასხლავი ტოტები. *წალმის კონა. წალამი დაწვა.*

**წალაპარაკება** *წალაპარაკების* (ნაილაპარაკებს, ნალაპარაკდება) 1. იგივეა, რაც ჩალაპარაკება. *თავისთვის რალაც წაილაპარაკა.* 2. ლაპარაკისას ნაჩხუბება, კამათის, დავის გამართვა. *ბიჭები წალაპარაკდნენ.*

**წალდი** *წალდის* ხელის სამუშაო იარაღი, რომელსაც აქვს მოხრილი წვერი და ხის გრძელი ტარი, იყენებენ ბუჩქების საკაფავად, წვრილი ტოტების გასასხეპად. *წალდი გალესა.*

**წალეკვა** *წალეკვის* (წალეკავს, ნაილეკება) მოვარდნილი წყლის მიერ მიწის ზედაპირიდან ყველაფრის ნაღება, განადგურება. *წყალდიდობამ გზა წალეკა. ნათესები წაილეკა.* ■ **წალეკილი** რაც ნაილეკა. *წალეკილი ნათესები.*

**წალიკა** *წალიკას* ერთწლოვანი ბალახოვანი მცენარე, აქვს მოგრძო ფოთლები და წვრილი ყვავილები, გამოიყენება სამკურნალოდ.

**წალკატი** *წალკატის* იგივეა, რაც წერაქვი.

**წალკოტი** *წალკოტის* ბაღი, სადაც ძალიან ლამაზი ყვავილები და სხვადასხვა მცენარე ხარობს. *ეზო წალკოტს დაამსგავსა.*

**წამალი** *წამლის* სხვადასხვა სახის სამკურნალო საშუალება. *წამლის ამპულა. დამწვრობის წამალი.*

**წამატება** *წამატების* (ნაამატებს, ნაიმატებს, ნაუმატებს, ნაემატება) მცირე რაოდენობით დამატება. *ფული წაუმატა. ქულა წაუმატეს.*

**წამახვა** *წამახვის* (წამახავს, ნაუმახავს) წვერის წათლა, მახვილი წვერის გაკეთება. *ისარი წამახა.* ■ **წამახული** რაც ნამახეს. *წამახული ჯოხები.*

**წამდაუწუმ** ზმნზ. ყოველ წამს, ხშირ-ხშირად. *წამდაუწუმ სიგარეტს ეწევა. წამდაუწუმ საყვედურობს.*

**წამება** *წამების* (ანამებს, ინამებს, ენამება) ტანჯვა, წვალება, ტკივილის მიყენება. *წამებას ვერ გაუძლო. ტყვეები აწამეს.* ■ **წამებული** ვინც აწამეს. *წამებული ქალი.*

**წამვლა** *წამვლის* (წამლავს, უწამლავს, ინამლება, აწამვლინებს) ↑ **შეწამვლა.**

**წამი** *წამის* დროის საზომი ერთეული, უდრის წუთის 1/60 ნაწილს. *რამდენიმე წამის შემდეგ.* ■ **წამსვე** ძალიან მალე, მაშინვე. ⊙ **ამ წამში** ახლავე. ⊙ **ყოველ წამს** გამუდმებით, განუწყვეტლივ.

**წამიერი** *წამიერის* რაც ერთ წამს გრძელდება, ხანმოკლე. *წამიერი ფიქრი. წამიერი ელვა.* ▲ **წამიერად** ზმნზ. ძალიან ხანმოკლე დროით, ერთი წამის განმავლობაში. *წამიერად ჩაფიქრდა.*

**წამლობა** *წამლობის* ((ს)წამლობს) მკურნალობა, წამლების გამოყენება. *აჟამყოფს სწამლობს.*

**წამმზომი** *წამმზომის* წამების ამთვლელი ზუსტი მექანიზმი, იყენებენ სპორტული შეჯიბრებების დროს. *წამმზომი ჩაირთო.*

**წამობერვა** *წამობერვის* (წამობერავს, წამოუბერავს, წამოიბერება, წამოებერება) 1. ოდნავ გაბერვა და წინ წამოწევა. *მუცელი წამოებერა.* 2. ქარის უცებ წამოქროლება. *ქარმა წამოუბერა.* ■ **წამობერილი** რაც წამოებერათ. *წამობერილი ღიპი.*

**წამოგდება** *წამოგდების* (წამოაგდებს, ნამოიგდებს) 1. ძალით წამოყენება ფეხზე. *ლოგინიდან წამოაგდო.* 2. ზურგზე მოგდება, წამოკიდება, წამოსხმა. *ნაბადი წამოიგდო. ტომარა წამოიგდო.*

**წამოგება** *წამოგების* (წამოაგებს, ნამოუგებს, წამოეგება) ბასრ, წვეტიან საგანზე აგება, ნამოცმა. *ხმალზე წამოეგება. მწვადი შამფურზე წამოაგო.* ■ **წამოგებული** რაც წამოაგეს. *ანკესზე წამოგებული თევზი.*

**წამოგორება** *წამოგორების* (წამოაგორებს, ნამოგორდება) თავისუფლად, უდარდელად დანოლა ან დაწვენა. *მოლზე წამოგორდა. ბავშვი საწოლზე წამოაგორა.*

**წამოდგომა** *წამოდგომის* (წამოდგება, წამოუდგება) ადგომა, დადგომა. *სტუდენტები ფეხზე წამოდგნენ.*

**წამოდება** *წამოდების* (წამოსდებს, ნამოიდებს,

ნამოედება) იგივეა, რაც გამოდება. *კაბა მავთულს წამოედო.*

**წამოდუღება** *წამოდუღების* (წამოადუღებს, წამოდუღდება) ცოტა ხანს დუღება. *კერძი წამოადუღა.*

**წამოვარდნა** *წამოვარდნის* (წამოვარდება, წამოუვარდება) მჯდომარეს ან მწოლიარეს უცებ წამოხტომა, წამოდგომა. *ზე ზე წამოვარდა. შეშინებული ლოგინიდან წამოვარდა.*

**წამოვლა** *წამოვლის* (წამოუვლის) I. შემოვლა და წინ დადგომა. *სახლს წამოუარა.* 2. ტკივილის უცებ დაწყება, რაიმეს სურვილის მძაფრად შეგრძნება. *მუცლის ტკივილმა წამოუარა. ღვინის სმის ჟინმა წამოუარა.*

**წამოვლება** *წამოვლების* (წამოავლებს) უცბად მოკიდება, დავლება. *ჩანთას ხელი წამოავლო.*

**წამოზიდება** *წამოზიდების* (წამოაზიდებს) ოდნავ გულის არევა. *ბავშვს წამოაზიდა. ჭამისას წამოაზიდებს ხოლმე.*

**წამოზრდა** *წამოზრდის* (წამოზრდის, ნამოიზრდება, ნამოეზრდება) ცოტათი გაზრდა. *ბავშვები წამოზარდა. წვერი წამოე ზარდა.*

**წამოთრევა** *წამოთრევის* (წამოათრევს, წამოეთრევა) I. თრევით წამოღება ან ძალით წამოყვანა. *მძიმე ჩანთა წამოათრია.* 2. უპატივც. წამოსვლა. *ისიც ჩვენთან ერთად წამოეთრია.*

**წამოკვრა** *წამოკვრის* (წამოჰკრავს) ფეხის ან ხელის წამოდება, მსუბუქად წამორტყმა. *კუნძს ფეხი წამოჰკრა. თავში ხელი წამოჰკრა.*

**წამოკიდება** *წამოკიდების* (წამოჰკიდებს, ნამოიკიდებს, ნამოეკიდება) ზურგზე დადება, აკიდება სატარებლად, წასაღებად. *ზურგჩანთები წამოიკიდეს. ცხენს ტვირთი წამოჰკიდა.*

**წამოკივლება** *წამოკივლების* (წამოაკივლებს, ნამოიკივლებს) უეცრად დაკივლება, კივილით წამოძახება. *სიხარულისგან წამოიკივლა.*

**წამოკნავლება** *წამოკნავლების* (წამოიკნაულებს) I. დაბალი ხმით, ცოტათი დაკნავლება. *კნუტმა წამოიკნავლა.* 2. საუბრ. გადატ. სუსტი, დაბალი ხმით რაღაცის თქმა, დაძახება. *გოგონამ წამოიკნავლა.*

**წამოკრეფა** *წამოკრეფის* (წამოკრეფს) დაყრილის, გაბნეულის აკრეფა. *სათამაშოები წამოკრიფა.*

**წამონთხევა** *წამონთხევის* (წამოანთხევს, წამოინთხევა) ამონთხევა და წამოღერა. *სისხლი წამოანთხია.*

**წამოპარება** *წამოპარების* (წამოეპარება) ზურგიდან მიახლოება შეუმჩნეველად, ფარულად. *მეგობარს წამოეპარა.*

**წამოპირქვავება** *წამოპირქვავების* (წამოაპირქვავებს, წამოპირქვავდება) იგივეა, რაც მოპირქვავება. *კალათა წამოაპირქვავა.*

**წამოპლაკული** *წამოპლაკულის* უპატივც. ნებიერად, უზრუნველად მწოლი. *ტახტზე წამოპლაკული.*

**წამოჟინჟელა** *წამოჟინჟელის* (წამოჟინჟლავს) ჟინჟლის წამოსვლა. *საღამოს ცოტა წამოჟინჟლა.*

**წამოროტვა** *წამოროტვის* (წამოროტავს) იგივეა, რაც წამოროშვა. *რაღაც წამოროტა.*

**წამოროშვა** *წამოროშვის* (წამოროშავს) დაუფიქრებლად, უაზროდ, სულელურად რაიმეს თქმა. *ეს რა წამოროშა?!*

**წამორტყმა** *წამორტყმის* (წამოარტყამს) ხელის მსუბუქად დარტყმა, წამოკვრა. *თავში წამოარტყა.*

**წამორწყევა** *წამორწყევის* (წამოარწყევს) ნაჭამისა და ნასვამის პირიდან გადმოსვლა, ამორწყევა. *ჩვილმა წამოარწყია.*

**წამოსაღები** *წამოსაღების* რაც უნდა წამოიღონ. *ლაშქრობაზე წამოსაღები ნივთები.* ▲ **წამოსაღებად ზმნზ.** წამოღებისთვის, წამოღების მიზნით. *საბუთის წამოსაღებად მივიდა.*

**წამოსაყვანი** *წამოსაყვანის* ვინც ან რაც უნდა წამოიყვანონ. *ძაღლი ჰყავს წამოსაყვანი.* ▲ **წამოსაყვანად ზმნზ.** წამოყვანისთვის, წამოყვანის მიზნით. *სკოლიდან ბავშვის წამოსაყვანად.*

**წამოსვლა** *წამოსვლის* (წამოვა, წამოუვა) I. გადაადგილება ჩემკენ ან შენკენ. *ყველანი თქვენთან წამოვალთ.* 2. გარკვეული პუნქტიდან გამოსვლა (2). *ეაგ ზლიდან წამოვიდა.* 3. სამსახურის, სასწავლებლისა და მისთ. დატოვება. *ანსამბლიდან წამოვიდა.* 4. სითხის გამოდენა. *ცხვირიდან სისხლი წამოუვიდა.* ▪ **წამოსული** ვინც ან რაც წამოვიდა. *სახლიდან წამოსული იყო.*

**წამოსკუპება** *წამოსკუპების* (წამოასკუპებს, წამოუსკუპდება) I. ბავშვის, პატარა ფრინველის ან ცხოველის წამოჯდომა. *კნუტი ცეცხლთან წამოსკუპდა. ბავშვი სკამზე წამოსკუპდა.* 2. უპატივც. შეუფერებელ ადგილას, შეუფერებელ დროს დაჯდომა. *სუფრასთან პირველები წამოსკუპდნენ.*

**წამოსმა** *წამოსმის* (წამოსვამს, წამოასვამს, წამოისვამს) I. ზევიდან დასმა, ზედ დასმა. *თავზე წამოასვა.* 2. დანოლილის, ნაქცეულის ნამოყენება და დასმა. *ავადმყოფი გაჭირვებით წამოსვეს. საწოლზე წამოსვა.*

**წამოსროლა** *წამოსროლის* (წამოისვრის) საუბრ. უცბად, ნაჩქარევად, დაუფიქრებლად თქმა. *რეპლიკა წამოისროლა.*

**წამოსხმა** *წამოსხმის* (წამოასხამს, წამოისხამს) რაიმეს მოხურვა, წამოფარება. *ნაბადი წამოისხა. მხრებზე შალი წამოასხა.*

**წამოტკივება** *წამოტკივების* (წამოსტკივდება) მცირე ხნით და მსუბუქად ატკივება. *თავი წამოსტკივდა. ჭრილობა წამოსტკივდა.*

**წამოფარება** *წამოფარების* (წამოაფარებს, წამოიფარებს, ნამოეფარება) მხრებზე ან თავზე წამოსხმა, მოფარება. *მოსასხამი წამოაფარა. თავზე კაპიუშონი წამოიფარა.*

**ნამოფრენა** *ნამოფრენის* (ნამოაფრენს, ნამოფრინდება) 1. დაბლა მყოფის სწრაფად, ერთბაშად აფრენა. *მწყერი მინდვრიდან ნამოფრინდა.* 2. საუბრ. გადატ. სწრაფად ადგომა, ნამოხტომა. *გოგო საწოლიდან ნამოფრინდა.*

**ნამოღება** *ნამოღების* (ნამოიღებს, ნამოუღებს, ნამოაღებინებს) ნამოსვლისას რაიმეს თან ქონა, გამოყოლება. *სკოლიდან წიგნები ნამოიღო. ხილი სოფლიდან ნამოიღეს.* ■ **ნამოღებული** რაც ნამოიღეს. *ნამოღებული საგ ზალი.*

**ნამოღვრა** *ნამოღვრის* (ნამოღვრის, ნამოუღვრის, ნამოიღვრება) ცოტათი გადმოღვრა. *ცრემლები ნამოღვარა.*

**ნამოყენება** *ნამოყენების* (ნამოაყენებს, ნამოუყენებს) 1. მჯდომარეს ან მწოლიარეს აყენება. *ავადმყოფი ფეხზე ნამოაყენეს. ბიჭმა მოხუცი ნამოაყენა.* 2. კანდიდატურის, საკითხისა და მისთ. საჯაროდ წარდგენა, დასახელება. *მოთხოვნები ნამოუყენეს.*

**ნამოყეფება** *ნამოყეფების* (ნამოიყეფებს) უცბად, ერთბაშად დაყეფება. *ნამოიყეფა და გაჩუმდა.*

**ნამოყვანა** *ნამოყვანის* (ნამოიყვანს, ნამოუყვანს, ნამოაყვანინებს) ნამოსვლისას ვინმეს თან ხლება, გამოყოლება. *სამუშაოდ ნამოიყვანა. დედა მანქანით ნამოიყვანა.* ■ **ნამოყვანილი** ვინც ნამოიყვანეს. *ექსკურსიაზე ნამოყვანილი ბავშვები.*

**ნამოყვედრება** *ნამოყვედრების* (ნამოაყვედრებს) იგივეა, რაც დაყვედრება. *ყველაფერი ნამოაყვედრა.*

**ნამოყვირება** *ნამოყვირების* (ნამოაყვირებს, ნამოიყვირებს) უცბად, ერთბაშად დაყვირება. *ტკივილისგან ნამოიყვირა.*

**ნამოყოლა** *ნამოყოლის* (ნამოჰყვება) 1. სხვასთან ერთად ნამოსვლა. *თავის ძმებს ნამოჰყვა.* 2. უნებლიეთ რაიმეს თან ნამოღება. *მეგობრის ქუდი ნამოჰყვა.*

**ნამოყოლება** *ნამოყოლების* (ნამოიყოლებს) თან ნამოყვანა ან ნამოღება. *მამამ ბიჭი ნამოიყოლა. ჩანთას ნამოიყოლებს.*

**ნამოყრა** *ნამოყრის* (ნამოყრის, ნამოიყრის, ნამოუყრის, ნამოიყრება, ნამოაყრევინებს) 1. ჩანთის, ჭურჭლისა და მისთ. გადმოპირქვავებით შიგნიდან რაიმეს გადმოყრა. *ეედროდან ვაშლი ნამოყარა.* 2. უპატივც. ბევრის ძალით ნამოყენება ფეხზე. *ბავშვები სკამიდან ნამოყარა.*

**ნამოყრანტალება** *ნამოყრანტალების* (ნამოაყრანტალებს) საუბრ. უადგილოდ, უაზროდ რაიმეს თქმა. *ყველაფერი ნამოაყრანტალა.*

**ნამოშველება** *ნამოშველების* (ნამოაშველებს, ნამოეშველება) მიშველება, მიხმარება. *დროზე ნამოეშველა. მოხუცს ნამოეშველნენ.*

**ნამოშლა** *ნამოშლის* (ნამოშლის, ნამოუშლის, ნამოიშლება) ბევრის ადგომა, აყენება, აშლა. *ფრინველების გუნდი ნამოიშალა. ხალხი სუფრიდან ნამოიშალა. მწყემსმა ფარა ნამოშალა.*

**ნამოჩანჩალება** *ნამოჩანჩალების* (ნამოჩანჩალდება) ჩანჩალით ნამოსვლა. *ყველაზე ბოლოს ნამოჩანჩალდა.*

**ნამოჩიტვა** *ნამოჩიტვის* (ნამოჩიტავს, ნამოიჩიტება) მოზრდა, ნამოზრდა (ცოცხალი არსებისა). *ბინილები ნამოჩიტა. ბავშვები ნამოიჩიტნენ.*

**ნამოჩოჩება** *ნამოჩოჩების* (ნამოაჩოჩებს, ნამოჩოჩდება) ჩოჩვით ნამოსვლა ან რაიმეს ნამოღება, *აქეთ ნამოჩოჩდა.*

**ნამოცდენა** *ნამოცდენის* (ნამოაცდენს, ნამოაცდენინებს) რაიმეს უნებურად თქმევინება. *სიმართლე ნამოაცდინა. დამნაშავეს ყველაფერი ნამოაცდენინეს.*

**ნამოცდომა** *ნამოცდომის* (ნამოსცდება) რაიმეს უნებურად თქმა. *სამდურავი ნამოსცდა.*

**ნამოცმა** *ნამოცმის* (ნამოაცვამს, ნამოიცვამს, ნამოეცმება) 1. ბასრ, წვეტიან საგანზე ჩამოცმა, ნამოგება. *ანკესს მატლი ნამოაცვა.* 2. თითზე, კისერსა და მისთ. რაიმეს გაყრა, გაკეთება. *სამაჯური ნამოიცვა.* ■ **ნამოცმული** რაც ნამოაცვეს. *თითზე ნამოცმული ბეჭედი.*

**ნამოძახება** *ნამოძახების* (ნამოაძახებს, ნამოიძახებს) 1. უცბად დაძახება, ნამოყვირება. *მოსწავლემ პასუხი ნამოიძახა.* 2. ვინმესთვის რაიმე საჩოთიროს, არასასურველის გახსენება, პირში თქმა. *ძველი ცოდვები ნამოაძახეს. ადრე თუ გვიან ნამოაძახებენ.*

**ნამოძახილი** *ნამოძახილის* ხმამაღლა, ყვირილით ნათქვამი, ნამოძახების ხმა. *კმაყოფილების ნამოძახილი.*

**ნამოწევა** *ნამოწევის* (ნამოსწევს, ნამოუწევს, ნამოიწევა, ნამოეწევა) 1. ანევა, ნამოდგომა, ნამოჯდომა. *თავი ნამოსწია. საწოლიდან ნამოიწია.* 2. ცოტათი გამოწევა. *სკამი აქეთ ნამოსწია.* 3. წინ მიმავალთან ახლოს მისვლა, დაწევა (2). *მდევარი ნამოეწია.* 4. საკითხის, პრობლემისა და მისთ. გამოყოფა, პირველ რიგში განხილვა. *ეს საკითხი წინ ნამოსწიეს.*

**ნამოწვენა** *ნამოწვენის* (ნამოაწვენს) ცოტა ხნით დაწვენა, მიწვენა. *ტახტზე ნამოაწვინეს.*

**ნამოწითლება** *ნამოწითლების* (ნამოანითლებს, ნამოწითლდება, ნამოუწითლდება) სახეზე წითელი ფერის მიღება, ჩვეულებრივ, რაიმე განცდის, ემოციის დროს. *ბიჭი სირცხვილისგან ნამოწითლდა. ლოყები ნამოუწითლდა.* ■ **ნამოწითლებული** ვინც ნამოწითლდა. *ნამოწითლებული ახალგაზრდა.*

**ნამოწინწკლა** *ნამოწინწკლის* (ნამოწინწკლავს) წვიმის წვეთების ნამოსვლა, წინწკლის დაწყება. *დილით ნამოწინწკლა.*

**ნამოწოლა** *ნამოწოლის* (ნამოწვება, ნამოუწვება)

ცოტა ხნით დაწოლა. *ხის ჩრდილში წამოწვა.* ▪ წამოწოლილი ვინც წამოწვა. *წამოწოლილი კითხულობდა.*

**წამოწყება** *წამოწყების* (წამოიწყებს) 1. მუშაობის, ლაპარაკისა და მისთ. დაწყება. *სახლის შენება წამოიწყო. სიმღერა წამოიწყო.* 2. ინიციატივა, ახლად დაწყებული საქმე. *სასარგებლო წამოწყება. წამოწყების ავტორი.* ▪ წამოწყებული რაც ნამოიწყეს. *წამოწყებული საქმე.*

**წამოჭარხლება** *წამოჭარხლების* (წამოჭარხლდება) ძალიან გაწითლება ძლიერი განცდის, ემოციის დროს. *სიბრაზისგან წამოჭარხლდა.* ▪ წამოჭარხლებული ვინც წამოჭარხლდა. *წამოჭარხლებული ახალგაზრდა.*

**წამოჭიმება** *წამოჭიმვის* (წამოჭიმავს, წამოუჭიმავს, წამოიჭიმება) 1. უპატივც. გამოსაჩენ ადგილას დაჯდომა, გამოჭიმვა. *პირველ რიგში წამოიჭიმა.* 2. საუბრ. შენობის აგება, აღმართვა გამოსაჩენად. *აგარაკი წამოჭიმა. სახლი წამოჭიმეს.*

**წამოჭრა** *წამოჭრის* (წამოჭრის, წამოიჭრება) 1. საკითხისა და მისთ. დასმა, დაყენება. *ახალი თემა წამოჭრეს.* 2. სწრაფად ადგომა, წამოხტომა. *ფეხზე წამოიჭრნენ.*

**წამოხველება** *წამოხველების* (წამოახველებს) ოდნავ, სუსტად დახველება. *ბავშვმა წამოახველა.*

**წამოხურება** *წამოხურების* (წამოახურებს) გაცხელება, ტემპერატურის უეცარი მომატება. *სახეზე წამოახურა.*

**წამოხურვა** *წამოხურვის* (წამოახურავს, წამოიხურავს) მოხურვა, წამოფარება, წამოსხმა. *სანვიმარი წამოახურა. საბანი წამოიხურა.* ▪ წამოხურული რაც წამოიხურეს ან წამოახურეს. *შალი ჰქონდა წამოხურული.*

**წამოჯდომა** *წამოჯდომის* (წამოჯდება, წამოაჯდება, წამოუჯდება) 1. დაწოლილის წამოწევა და დაჯდომა. *საწოლში წამოჯდა.* 2. ზევიდან დაჯდომა. *მხრებზე წამოაჯდა.* 3. ირონ. საპატიო ადგილას დაჯდომა. *დირექტორის გვერდით წამოჯდა.*

**წამუშავება** *წამუშავების* (წაიმუშავებს) ცოტა ხნით მუშაობა. *დილით წაიმუშავა.*

**წამღერება** *წამღერების* (წაიმღერებს, წაუმღერებს) თავისთვის სიმღერის არასრულად წარმოთქმა. *ხალხური სიმღერა წაიმღერა.*

**წამყვანი** *წამყვანის* 1. იგივეა, რაც კონფერანსიე. *კონცერტის წამყვანი.* 2. მნიშვნელოვანი, მთავარი, მამოძრავებელი. *წამყვანი მექანიზმი. წამყვანი მეცნიერი. წამყვანი ფიგურა.*

**წამძღვარება** *წამძღვარების* (წაიმძღვარებს, წაუმძღვარებს) 1. სხვისი წინ გაშვება ან რაიმეს წინ გატარება და უკან მიყოლა. *შვილიშვილები წინ წაიმძღვარა.* 2. შესავლის, წინასიტყვაობისა და მისთ. დართვა ნაწარმოებისთვის, ნაშრომისთვის. *ეპიგრაფი წაუმძღვარა.* ▪ წამძღვარებული რაც წაიმძღვარეს ან ნაუმძღვარეს. *წამძღვარებული ფრაზა.*

**წამწამი** *წამწამის* ქუთუთოს კიდეზე ამოზრდილი წვრილი თმა. *შავი წამწამები.*

**წამხდარი** *წამხდრის* 1. რაც წახდა, გაფუჭდა. *წამხდარი ნათესი.* 2. გადატ. შემკრთალი, დაბნეული, ცუდ ხასიათზე დამდგარი. *შიშისგან წამხდარი.*

**წამხედაობა** *წამხედაობის* იგივეა, რაც წამხედურობა.

**წამხედური** *წამხედურის* ვინც სხვას ბაძავს, სხვას ეჯიბრება. *ყოველთვის სხვისი წამხედური იყო.*

**წამხედურობა** *წამხედურობის* სხვისი მიბაძვით რაიმეს კეთება, ქცევა. *წამხედურობამ დაღუპა. წამხედურობის გამო იქცევა ასე.*

**წამხობა** *წამხობის* (წაემხობა) პირქვე დამხობა. *ხალიჩაზე თავით წაემხო.* ▪ წამხობილი ვინც წაემხო. *ლოგინზე წამხობილი.*

**წანაზარდი** *წანაზარდის* ორგანიზმზე ან მის რომელიმე ნაწილზე ავადმყოფურად ნაზრდილი ქსოვილი. *წანაზარდი ხერხემალზე.*

**წანამძღვარი** *წანამძღვრის* მსჯელობის ამოსავალი დებულება, საკითხის წინაპირობა. *მართებული წანამძღვარი.*

**წანდილი** *წანდილის* მოხარშული ხორბლის საჭმელი, კეთდება მიცვალებულის მოსახსენებელი, საკურთხი სუფრისთვის. *წანდილი თაფლით შეაზავა.*

**წანწალი** *წანწალის* (წანწალებს) უმიზნოდ, უაზროდ სიარული. *მთელი დღე იწანწალა.*

**წანწკარი** *წანწკარის* (წანწკარებს) მცირე ნყლის, ნაკადულის დენის ხმა. *წყლის წანწკარი.*

**წაპოტინება** *წაპოტინების* (წაეპოტინება) ხელის ნატანება, აღების მცდელობა. *ბოთლს წაეპოტინა. ბავშვი სათამაშოს წაეპოტინა.*

**წარამარა** ზმნზ. ყოველ წუთს, მალ-მალე, ხშირ-ხშირად, წამდაუწუმ (საჭიროების გარეშე). *წარამარა თავს იქნევს. წარამარა გვესტუმრება ხოლმე.*

**წარაფი** *წარაფის* 1. ნაგრძელებული დაბალი კლდე. *წარაფზე ჯიხური გამოჩნდა.* 2. პატარა ტყე. *ნადირმა წარაფს შეაფარა თავი.*

**წარბა** *წარბას* 1. ვისაც ან რასაც სხვადასხვა ფერის წარბები აქვს ან ერთ წარბში თეთრი ურევია. *წარბა ხარი.* 2. ხშირწარბებიანი. *წარბა კაცი.*

**წარბი** *წარბის* თმის ზოლი თვალებს ზევით. *ხშირი წარბები.* ⊙ წარბს არ შეიხრის არ შედრკება, არ შეშინდება.

**წარბშეკვრით** ზმნზ. კუშტად, მოღუშულად. *წარბშეკვრით იყურება.*

**წარბშეკრული** *წარბშეკრულის* გაჯავრებული,

ბრაზისგან სახემოღუშული. *ნარბშეკრული უყურებს.*

**ნარბშეუხრელად** I. ზმნზ. უშიშრად, თამამად. *ნარბშეუხრელად შეხვდა განაჩენს.* 2. უტიფრად. *ნარბშეუხრელად ცრუობდა.*

**ნარგზავნა** *ნარგზავნის* (ნარგზავნის, ნარუგზავნის) ვინმეს (უპირატესად ოფიციალური პირის) გაგზავნა საგანგებო მისიით. *ელჩის ნარგზავნა. კეისართან ნარგზავნეს.* ■ **ნარგზავნილი** ვინც ნარგზავნეს. *ნარგზავნილი დელეგაცია.*

**ნარდგენა** *ნარდგენის* (ნარადგენს, ნარუდგენს) 1. დოკუმენტის, საბუთისა და მისთ. ოფიციალურად მიტანა, ჩვენება. *მართვის მოწმობა წარადგინა. პროგრამა წარადგინეს.* 2. ვინმეს მიყვანა გაცნობის მიზნით. *თანამშრომლებს ახალი დირექტორი წარუდგინეს.* 3. ვინმეს საჯაროდ დასახელება კანდიდატად, რაიმეს მისანიჭებლად და მისთ. *საკუთარი კანდიდატურა წარადგინა. ღირსების ორდენზე წარადგინეს.*

**წარდგინება** *წარდგინების* ხალხის წინაშე გამოტანა ან გამოყვანა გასაცნობად, შესაფასებლად. *წიგნის წარდგინება. რექტორის წარდგინება.*

**წარდგომა** *წარდგომის* (წარდგება, წარუდგება) ვინმეს ან რაიმეს წინაშე გამოსვლა, გამოცხადება. *ხალხის წინაშე წარდგა. საზოგადოებას წარუდგა.*

**წართმევა** *წართმევის* (წაართმევს, წაერთმევა) 1. ძალით გამორთმევა. *ბავშვს სათამაშო წაართვა. ჩანთა წაართვეს.* 2. სხვისი ქონების მისაკუთრება. *სახლი უკანონოდ წაართვეს.* 3. დროის, ენერგიისა და მისთ. დახარჯვა. *სამუშაომ დიდი დრო წაართვა. ძალა წაერთვა.* ■ **წართმეული** რაც წაართვეს. *წართმეული სახლ-კარი.*

**წართხალი** *წართხლის* მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარე, იკეთებს თეთრ ყვავილებს, ღერო იჭმება, ფესვებს ყვითელ საღებავად იყენებენ.

**წარმავალი** *წარმავლის* წიგნ. არამუდმივი, ცვალებადი. *წარმავალი დროება.*

**წარმართვა** *წარმართვის* (წარმართავს, წარიმართება) საქმის, საუბრისა და მისთ. გარკვეული მიმართულებით წაყვანა. *მოლაპარაკება კონსტრუქციულად წარიმართა.*

**წარმართი** *წარმართის* წარმართობის მიმდევარი. *წარმართი მთიელები.*

**წარმართობა** *წარმართობის* რელიგია, რომელიც დაფუძნებულია მრავალღმერთიანობაზე. *წარმართობის ძეგლები.*

**წარმატება** *წარმატების* საქმის კარგი შედეგით დასრულება, წინსვლა. *წარმატებას მიაღწია. წარმატება უსურვა.* ▲ **წარმატებით** ზმნზ. კარგი შედეგით. *წარმატებით დამთავრდა.*

**წარმატებული** *წარმატებულის* 1. ვინც წარმატებას მიაღწია. *წარმატებული ადამიანი.* 2. რაც წარმატებით შესრულდა. *წარმატებული შეხვედრა.*

**წარმმართავი** *წარმმართავის* იგივეა, რაც წარმმართველი.

**წარმმართველი** *წარმმართველის* ვინც ან რაც წარმართავს, მამოძრავებელი, მოძრაობის სტიმულის, ენერგიის მიმცემი. *წარმმართველი ძალა.*

**წარმოდგენა**[1] *წარმოდგენის* (წარმოადგენს, წარმოიდგენს, წარმოუდგენს, წარმოადგენინებს) 1. შეხედულება, აზრი. *წარმოდგენა შეექმნა. თავის თავზე დიდი წარმოდგენა აქვს.* 2. გააზრება, ცნობიერებაში ასახვა. *ყველაფერი წარმოიდგინა.* 3. დოკუმენტის, საბუთისა და მისთ. ოფიციალურად მოტანა, ჩვენება. *დისერტაცია წარმოადგინა.* ■ **წარმოდგენილი** რაც წარმოადგინეს ან წარმოიდგინეს. *წარმოდგენილი პროექტი.*

**წარმოდგენა**[2] *წარმოდგენის* სცენაზე გამართული გასართობი სანახაობა. *საინტერესო წარმოდგენა.*

**წარმოება** *წარმოების* (წარმოებს, ანარმოებს) 1. პროდუქციის შექმნა, დამზადება. *ავეჯის წარმოება. ღვინოს აწარმოებს.* 2. იგივეა, რაც საწარმო. *წარმოებაში მუშაობს.*

**წარმოთქმა** *წარმოთქმის* (წარმოთქვამს, წარმოითქმება, წარმოათქმევინებს) ხმამაღლა, მკაფიოდ და გარკვევით თქმა. *ფიცი წარმოთქვა. საზეიმო სიტყვა წარმოთქვა.*

**წარმომადგენელი** *წარმომადგენლის* ვინც რაიმე ჯგუფის, ორგანიზაციის ან კერძო პირის სახელით მოქმედებს, მის ინტერესებს იცავს. *სამინისტროს წარმომადგენლები.*

**წარმომადგენლობა** *წარმომადგენლობის* რაიმე ჯგუფიდან, ორგანიზაციიდან, ქვეყნიდან არჩეული რამდენიმე ადამიანი, რომლებსაც გარკვეული მისიით აგზავნიან. *მრავალრიცხოვანი წარმომადგენლობა. მე ზობელი ქვეყნის წარმომადგენლობა.*

**წარმომადგენლობითი** *წარმომადგენლობითის* სხვადასხვა ორგანიზაციის, ჯგუფისა და მისთ. წარმომადგენლებისგან შედგენილი. *წარმომადგენლობითი კომისია.*

**წარმომშობი** *წარმომშობის* ვინც ან რაც რაიმეს წარმოშობს, წარმოქმნის. *წარმომშობი მიზეზი.*

**წარმონაქმნი** *წარმონაქმნის* რაც რაიმე პროცესის შედეგად არის წარმოქმნილი. *სიმსივნური წარმონაქმნი.*

**წარმოსადეგი** *წარმოსადეგის* ტანადი, ძლიერი აღნაგობისა და კარგი შესახედაობის მქონე. *წარმოსადეგი მამაკაცი.*

**წარმოსახვა** *წარმოსახვის* (წარმოსახავს, წარმოუსახავს, წარმოისახება, წარმოესახება) 1. გონებაში წარმოდგენა. *მდიდარი წარმოსახვა.* 2. განსახიერება, წარმოჩენა. *ფაქტი კარგად წარმოსახა.*

**წარმოუდგენელი** *წარმოუდგენლის* რის წარმოდ-

გენაც ძნელია, ძალიან დიდი, ძალიან ძლიერი. *წარმოუდგენელი სისწრაფე. წარმოუდგენელი ძალა.*

**წყალგაუმტარი** *წყალგაუმტარის* იგივეა, რაც წყალგამძლე. *წყალგაუმტარი ქსოვილი.*

**წყალგაღმა** ზმნზ. წყლის, მდინარის გაღმა. *წყალგაღმა ხიდით გადახვალთ.*

**წყალდაწყალ** ზმნზ. წყლით, მდინარით, წყალნყალ. *ბანაკამდე წყალდაწყალ იარა.*

**წყალდიდობა** *წყალდიდობის* მდინარეების, წყლების ადიდება დიდი წვიმების ან თოვლის დნობის შედეგად. *წყალდიდობით გამოწვეული ზარალი.*

**წყალვარდნილი** *წყალვარდნილის* იგივეა, რაც ჩანჩქერი. *მდინარეში რამდენიმე წყალვარდნილია.*

**წყალი** *წყლის* ბუნებაში ყველაზე გავრცელებული ქიმიური ნაერთი, უფერული და უსუნო გამჭვირვალე სითხე, გამოიყენება სასმელად, გასარეცხად, დასაბანად და მისთ. *სასმელი წყალი. ცივი წყალი.* ■ **წყლიანი** რაშიც ან სადაც წყალია. *წყლიანი ჭიქა. წყლიანი ადგილი.* ⊙ **ბევრი წყალი ჩაივლის** დიდი დრო გაივლის, ბევრი რამ შეიცვლება. ⊙ **რა წყალში ჩავვარდე!** როგორ მოვიქცე! ⊙ **წყალი არ გაუვა** ნამდვილია, აუცილებლად მოხდება. ⊙ **წყალს ამღვრევს** განზრახ ურევს საქმეს, არეულობა შეაქვს. ⊙ **წყალს გადაუწურავს** იმედს არ დაუტოვებს. ⊙ **წყალში გადაყრის** 1. უმიზნოდ დახარჯავს (ქონებას). 2. არ დააფასებს (ამაგს). ⊙ **წყლის ნაყვა** უსარგებლოდ, უნაყოფოდ შრომა.

**წყალკურთხევა** *წყალკურთხევის* 1. წყლის კურთხევის რიტუალი (ძირითადად სრულდება ნათლისღების დროს). *წყალკურთხევა დაიწყო.* 2. საეკლ. იგივეა, რაც ნათლისღება. *მრავალ წყალკურთხევას დაგასწროთ!*

**წყალმანკი** *წყალმანკის* დაავადება, რომლის დროსაც სითხე დგება სხეულის რომელიმე ნაწილში. *წყალმანკი აწუხებს.*

**წყალმარჩხი** *წყალმარჩხის* სადაც წყალი ღრმა არაა. *წყალმარჩხი ადგილი.*

**წყალმომარაგება** *წყალმომარაგების* დასახლებული პუნქტის, დაწესებულებისა და მისთ. წყლით მომარაგების სისტემა. *ქალაქის წყალმომარაგება.*

**წყალმცენარე** *წყალმცენარის* განვითარების დაბალ საფეხურზე მდგომი სპოროვანი მცენარე, რომელიც მეტწილად წყალში ხარობს, ყვავილი და თესლი არა აქვს.

**წყალნაწყენი** *წყალნაწყენის* მაღალი, ბალახოვანი მცენარე, აქვს მსხვილი ყვავილედები, გამოიყენება სამკურნალოდ.

**წყალობა** *წყალობის* (სწყალობს) 1. ვინმესთვის კეთილი საქმის გაკეთება, შეწევნა, დახმარება. *წყალობას არ მოაკლებს.* 2. კეთილგანწყობა, კარგი გამოკიდებულება. *დირექტორი სწყალობს.*

**წყალსადენი** *წყალსადენის* მილების სისტემა, რომელიც წყალს აწვდის მოსახლეობას. *წყალსადენს აწესრიგებს.*

**წყალსატევი** *წყალსატევის* ადგილი, სადაც წყალი გროვდება ბუნებრივად ან ხელოვნურად. *ახალი წყალსატევი აშენდა.*

**წყალსაქაჩი** *წყალსაქაჩის* წყლის ამოსატუმბი სპეციალური დანადგარი. *ჭის წყალსაქაჩი.*

**წყალსაცავი** *წყალსაცავის* ნაგებობა, სადაც აგროვებენ და ინახავენ წყალს. *წყალსაცავში თევზი გაუშვეს.*

**წყალუხვი** *წყალუხვის* სადაც ბევრი წყალი მოედინება. *წყალუხვი მდინარე.*

**წყალქვეშა** *წყალქვეშას* წყლის ქვეშ, წყლის სიღრმეში არსებული, მოქმედი. *წყალქვეშა სამყარო. წყალქვეშა ხომალდი.*

**წყალქლიავი** *წყალქლიავის* ქლიავის ერთ-ერთი სახეობა, ისხამს ღია ფერის, მომცრო, მრგვალ ნაყოფს.

**წყალწაღებული** *წყალწაღებულის* 1. ვინც ან რაც წყალს მიაქვს. 2. გადატ. ძალიან გაჭირვებული, უუნარო, უშნო. *წყალწაღებული ოჯახი.*

**წყალწყალა** *წყალწყალას* რაშიც ბევრი წყალი ურევია. *წყალწყალა ღვინო.*

**წყალჯომარდობა** *წყალჯომარდობის* წყლის სპორტი. *წყალჯომარდობის აუზი.*

**წყარო** *წყაროს* 1. წყლის ნაკადი, რომელიც მიწიდან ან კლდიდან გამოდის. *ცივი წყარო. წყაროს წყალი.* 2. მეცნიერულ ნაშრომში გამოყენებული ცნობა, საბუთი. *წყარო მიუთითა. სანდო წყაროზე დაყრდნობით.* 3. გადატ. რაიმეს დასაბამი, დასაწყისი. *ენერგიის წყარო. შემოსავლის წყარო.*

**წყება** *წყების* მსგავს საგანთა მწკრივი. *მანქანების წყება. ხეები ორ წყებად დარგეს.*

**წყევლა** *წყევლის* (წყევლის, იწყევლის, უწყევლის, იწყევლება, აწყევლინებს, ეწყევლინება) ↑ **დაწყევლა**. *წყევლა დაიწყო. ოჯახს უწყევლის.*

**წყევლა-კრულვა** *წყევლა-კრულვის* იგივეა, რაც წყევლა. *წყევლა-კრულვას უთვლის.*

**წყენა**[1] *წყენის* (სწყინს, სწყენს, იწყენს, უწყენს) გაბ-

რაზება, უსიამოვნო გრძნობის გაჩენა. *წყენა არ შეიმჩნია. ჩემგან არაფერი სწყინს.*

**წყენა**[2] *წყენის* (სწყენს) საკვები პროდუქტით მონამვლა, ვნება[3]. *ბავშვს ხილმა აწყინა. ეს ჰაერა სწყენს.*

**წყენია** *წყენიას* ვისაც ადვილად სწყინს ყველაფერი. *წყენია რძალი.*

**წყენინება** *წყენინების* (აწყენინებს) სიტყვით, საქმითა და მისთ. სხვისი გაბრაზება, უსიამოვნების მოტანა. *მეგობრის წყენინება არ უნდოდა. მშობლებს აწყენინა.*

**წყეული** *წყეულის* წყევლით სახსენებელი. *წყეული კატა.*

**წყვა** *წყვის* (წყავს, იწყვება) ↑ აწყვა. *სიმინდს წყავს.*

**წყვდიადი** *წყვდიადის* დიდი სიბნელე. *წყვდიადი ჩამოწვა. ღამის წყვდიადი.*

**წყვეტა** *წყვეტის* (წყვეტს, იწყვეტს, უწყვეტს) 1. ↑ გაწყვეტა. *თოკს წყვეტს.* 2. ↑ მოწყვეტა (1). *ვაშლს წყვეტს.*

**წყვილი** *წყვილის* 1. ორი ერთნაირი, ერთად სახმარი საგანი, ნივთი. *წყვილი ფეხსაცმელი. წყვილი წინდა.* 2. ორი ადამიანი, ძირითადად, ქალ-ვაჟი. *მშვენიერი წყვილი იყო.*

**წყვილ-წყვილი** *წყვილ-წყვილის* წყვილებად არსებული. *წყვილ-წყვილი აგურები.* ▲ წყვილ-წყვილად ზმნზ. წყვილების სახით, წყვილებად. *წყვილ-წყვილად დაალაგა.*

**წყლისჩიტა** *წყლისჩიტას* შაშვის მსგავსი ჩიტი, იკვებება ჭიებით.

**წყლული** *წყლულის* ჩირქოვანი ან ანთებითი პატარა ჭრილობა კანის ზედაპირზე ან რომელიმე ორგანოს ლორწოვან გარსზე. *წყლული გაუჩნდა. წყლული დაუსივდა.* ⊙ **კუჭის წყლული** კუჭის ქრონიკული დაავადება, ლორწოვანი გარსის ანთება. ⊙ **ციმბირის წყლული** საქონლის ინფექციური დაავადება.

**წყლულოვანი** *წყლულოვნის* წყლულის მქონე. *წყლულოვანი დაავადება.*

**წყნარი** *წყნარის* მშვიდი, ჩუმი. *წყნარი საუბარი. წყნარი ადამიანი. წყნარი ამინდი.* ▲ წყნარად ზმნზ. მშვიდად, ჩუმად. *წყნარად ზის.*

**წყობა** *წყობის* (აწყობს, უწყობს, აწყვია, უწყვია) 1. ↑ დაწყობა. *თეფშებს აწყობს. წიგნები აწყვია.* 2. რთული ნაგებობის სტრუქტურა. *შენობის წყობა. თეატრის არქიტექტურული წყობა.* 3. რაიმე შემადგენლობის მოწესრიგებული განლაგება. *არმიის სამხედრო წყობა. წინადადებაში სიტყვების წყობა.* 4. იგივეა, რაც წყობილება. *გვაროვნული წყობა. ბურჟუა ზიული წყობა.* 5. გარკვეული რაოდენობის ერთად დალაგებული საგნები. *აგურების წყობა.*

**წყობა-წყობად** ზმნზ. წყობებად, წყობების მიხედვით. *წიგნებს წყობა-წყობად ალაგებენ.*

**წყობილება** *წყობილების* სახელმწიფოებრივი მმართველობის წესი. *ფეოდალური წყობილება. წყობილების შეცვლა.*

**წყრთა** *წყრთის* სიგრძის საზომი ერთეული, ხელის ნაწილი იდაყვიდან შუათითის წვერამდე. *ხუთი წყრთის სიგრძისაა.*

**წყრომა** *წყრომის* (წყრება, უწყრება) ↑ გაწყრომა. *წყრომა ვერ დამალა. შვილს უწყრება.*

**წყურვილი** *წყურვილის* (სწყურია) 1. წყლის ნდომა, დალევის სურვილი. *წყურვილმა შეაწუხა. ძალიან სწყურია.* 2. გადატ. რაიმეს გაკეთების, მიღწევის ძლიერი სურვილი, ნდომა. *სწავლის წყურვილი. გამარჯვების წყურვილი.* ⊙ წყურვილს მოიკლავს სურვილს დაიკმაყოფილებს.

# – ჭ –

**ჭა** *ჭის* I. ღრმა ორმო, რომელშიც სასმელი წყალი გროვდება, ჩვეულებრივ, ქვით ამოშენებული. *ჭა გათხარეს. ჭის ღუკი.* 2. სპეციალური ორმო სხვადასხვა მიწისქვეშა კომუნიკაციებისთვის. *კავშირგაბმულობის ჭა. კანალიზაციის ჭა.*

ჭა



**ჭაბუკი** *ჭაბუკის* ახალგაზრდა მამაკაცი. *მშვენიერი ჭაბუკი.*

**ჭაბუკური** *ჭაბუკურის* ახალგაზრდული. *ჭაბუკური შემართებით.*

**ჭაბურღილი** *ჭაბურღილის* მიწის სიღრმეში სპეციალურად გაყვანილი ცილინდრული ფორმის ხერელი წყლის ან თხევადი წიაღისეულის ამოსაფრქვევად. *ჭაბურღილიდან ნავთობმა ამოხეთქა.*

**ჭადარი** *ჭადრის* ფოთლოვანი მაღალი ხე, აქვს ნაცრისფერი ქერქი და ერთად თავმოყრილი და გრძელ ყუნწზე დაკიდებული ყვავილები.

**ჭადრაკი** *ჭადრაკის* I. თამაში 64-უჯრედიან დაფაზე თექვსმეტ-თექვსმეტი თეთრი და შავი ფიგურით. *შეჯიბრება ჭადრაკში.* 2. ჭადრაკის (1) სათამაშო დაფა და ფიგურების კომპლექტი. *ჭადრაკი აჩუქეს.*

ჭადრაკი



**ჭადრაკულად** ზმნზ. ჭადრაკის დაფის მსგავსად. *ვაზი ჭადრაკულად დარგეს.*

**ჭავლი** *ჭავლის* I. წყლის ან აირის ძლიერი ნაკადი. *გაზის ჭავლი.* 2. ბენვი, ხაო. *ხალიჩის ჭავლი. ნაბდის ჭავლი.*

**ჭაკი** *ჭაკის* იგივეა, რაც ფაშატი.

**ჭალა** *ჭალის* მდინარის მიმდებარე, ხშირად ტყიანი ადგილი. *ამწვანებული ჭალები.*

**ჭალაფშატა** *ჭალაფშატას* ფშატის სახეობა, ეკლიანი ბუჩქი ან ხე, იყენებენ ღობედ.

**ჭალი** *ჭალის* (ძირითადად მრ.) ურმის ან მარხილის გვერდით ძელებზე ვერტიკალურად ჩასმული წანვეტებული გრძელი ჯოხები, რომლებზეც ჩამოცმულია ზენრები.

**ჭალიანი** *ჭალიანის* ადგილი, სადაც ჭალებია. *ჭალიანში ტირიფი იდგა.*

**ჭამა** *ჭამის* (ჭამს, იჭამს, უჭამს, იჭმება, ეჭმება) საკვების მიღება. *ჭამა უყვარს. ჭამის დროა. ვაშლს ჭამს.*

**ჭანარი** *ჭანარის* ბარის მდინარის თევზი. *ალა ზნის ჭანარი.*

**ჭანგა** *ჭანგას* საშუალო სიმაღლის მარცვლოვანი სარეველა მცენარე, გამოიყენება ცხოველების საკვებად.

**ჭანგი**[1] *ჭანგის* I. ბრჭყალი, კლანჭი. *არწივის ჭანგები.* 2. ფეხზე დასამაგრებელი ლითონის კაუჭიანი მოწყობილობა ბოძზე ასასვლელად. *ჭანგები მოიხსნა.*

**ჭანგი**[2] *ჭანგის* ოდნავ დაძმარებული ღვინის სპეციფიკური გემო. *ჭანგი შეეპარა.*

**ჭანჭახი** *ჭანჭახის* ტალახიანი ადგილი. *ჭანჭახი ამოშრა.*

**ჭანჭიკი** *ჭანჭიკის* მანქანის ნაწილების შესაერთებელი დეტალი, აქვს ოთხკუთხა ან ექვსკუთხა თავი და ხრახნიანი ბოლო. *პატარა ჭანჭიკი.*

**ჭანჭრობი** *ჭანჭრობის* მუდმივად სველი, ბალახიანი ადგილი. *გაუვალი ჭანჭრობი.*

**ჭანჭური** *ჭანჭურის* ქლიავის ჯიში, აქვს მოგრძო, წვნიანი ნაყოფი. *ჭანჭურის ჯემი.*

**ჭანჭყარი** *ჭანჭყარის* (ჭანჭყარებს) სითხის მოძრაობა ნაკრულ ჭურჭელში. *ბოცაში ღვინო ჭანჭყარებს.*

**ჭანჭყატი** *ჭანჭყატის* საშუალო სიმაღლის ბუჩქი ან ხე, აქვს პატარა, წვრილი ყვავილები და მეტწილად დაკიდული ნაყოფი.

**ჭაობი** *ჭაობის* დაბლობი ადგილი, სადაც ყოველთვის დგას წყალი, ჩვეულებრივ, დაფარულია წყალმცენარეებით. *გაუვალი ჭაობი. ჭაობი დაშრა.*

**ჭაპანი** *ჭაპნის* ძვ. ტყავისგან დაწნული ან დაგრეხილი მსხვილი თოკი, რომელსაც იყენებდნენ მძიმე ტვირთის გასათრევად, გუთნეულში ან ურემში რამდენიმე უღელი ხარის შესაბმელად. *ბორნის ჭაპანი.*

**ჭაპანწყვეტა** *ჭაპანწყვეტის* თავდაუზოგავად მუ-

შაობა, გამუდმებული მძიმე შრომა. *დიდ ჭაპანწყვეტაში იყო.*

**ჭარბი** *ჭარბის* ზომაზე მეტი, ზედმეტი. *ჭარბი წონა. ჭარბი ტენიანობა.* ▲ **ჭარბად** ზმნზ. ზომაზე მეტად, ზედმეტად. *სითხის ჭარბად მიღება.*

**ჭარელა** *ჭარელას* მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარე, აქვს წითელი დაკბილული ფოთლები, იზრდება მშრალ ადგილებში.

**ჭარი**[1] *ჭარის* გველის გამონაცვალი კანი. *გ ზაზე ჭარი ეგდო.*

**ჭარი**[2] *ჭარის* ქართული ანბანის ოცდამეათე ასოს (ჭ-ს) სახელწოდება.

**ჭარმაგი** *ჭარმაგის* ასაკოვანი და ვაუკაცური შესახედაობის მქონე, მხნე. *ჭარმაგი მოხუცი.*

**ჭარტალა** *ჭარტალას* ბევრის მოლაპარაკე, ჭორების გამავრცელებელი. *ჭარტალა ქალი.*

**ჭარტალი** *ჭარტალის* (ჭარტალებს) ვისაც ჭარტალი უყვარს, ვინც ბევრს ჭარტალებს. *მთელი დღე ჭარტალებს.*

**ჭარხალი** *ჭარხლის* წითელი ან თეთრი ბოსტნეული, აქვს მსხვილი ბოლქვი. *ჭარხალივით გაწითლდა.* ⊙ **შაქრის ჭარხალი** ჭარხლის სახეობა, რომლისგანაც შაქარი მზადდება.

ჭარხალი

**ჭაუხი** *ჭაუხის* იგივეა, რაც **ჭიუხი**.

**ჭაღარა** *ჭაღარის* 1. თეთრშერეული ან გათეთრებული (თმა, წვერი და მისთ.). *ჭაღარა ქოჩორი.* 2. ვისაც ჭაღარა (1) ურევია, გაჭაღარავებული. *ჭაღარა მოხუცი.*

**ჭაღარაშერეული** *ჭაღარაშერეულის* იგივეა, რაც **ჭაღარა (2)**. *ჭაღარაშერეული ქალბატონი.*

**ჭაღი** *ჭაღის* ოთახის ჭერზე დაკიდული ერთ- ან რამდენიმენათურიანი გამანათებელი მოწყობილობა. *ბროლის ჭაღი.*

ჭაღი

**ჭაშნიკი** *ჭაშნიკის* სასმლის, ღვინისა და მისთ. ნიმუში გემოს გასასინჯად. *ჭაშნიკი გაუსინჯა.*

**ჭაჭა** *ჭაჭის* ყურძნის ნარჩენი დაწურვის შემდეგ (კანი, კლერტი, წიპწა). *ჭაჭის არაყი.*

**ჭაჭანება** *ჭაჭანების* იგივეა, რაც **ჭაჭანი**.

**ჭაჭანი** *ჭაჭანის (ჭაჭანებს)* ვინმეს ან რამეს არსებობა (გამოიყენება უარყოფით კონტექსტში). *ირგვლივ სულიერი არ ჭაჭანებს.*

**ჭახანი** *ჭახანის* მაგარი საგნის დარტყმისას, დაცემისას, მსხვრევისას გამოცემული მკვეთრი ხმა. *ჭიქის ჭახანი გაისმა. ჭახანით გატყდა.*

**ჭახაჭუხი** *ჭახაჭუხის* გამუდმებული ჭახანი. *ოთახიდან ჭახაჭუხის ხმა გამოდიოდა.*

**ჭახიჭუხი** იგივეა, რაც **ჭახაჭუხი**. *ჭახიჭუხი გაისმა.*

**ჭახრაკი** *ჭახრაკის* დაზგაზე დასამაგრებელი ხრახნიანი მოწყობილობა ნაკეთობების, დეტალების ასაწყობად. *სადურგლო ჭახრაკი. საზეინკლო ჭახრაკი.*

**ჭახუნი** *ჭახუნის* (ჭახუნობს, აჭახუნებს) მაგარი საგნის დარტყმისას, მსხვრევისას მკვეთრი ხმის გამოცემა. *ჭიქების ჭახუნი. დომინოს აჭახუნებს.*

**ჭახჭახა** *ჭახჭახას* რაც **ჭახჭახებს**. *ჭახჭახა ცა.*

**ჭახჭახი**[1] *ჭახჭახის* (ჭახჭახებს) შაშვის ხმიანობა. *შაშვი ჭახჭახებს.*

**ჭახჭახი**[2] *ჭახჭახის* (ჭახჭახებს) კაშკაში, ჩახჩახი. *მზე ჭახჭახებს.*

**ჭდე** *ჭდის* ბასრი იარაღით ხეზე ამოკვეთილი ნიშანი. *ჭდე ემჩნევა.*

**ჭედვა** *ჭედვის* (ჭედავს, უჭედავს, იჭედება, ეჭედება) 1. ↑ **გაჭედვა**. *გასაღები საკეტში იჭედება.* 2. ↑ **გამოჭედვა**. *ხანჯლების ჭედვის ოსტატი.* 3. დიდი რაოდენობით ხალხის (მანქანების) შეგროვება, მოძრაობის შეფერხება. *ქუჩაში დიდი ჭედვა იყო. სტადიონზე ჭედვაა.*

**ჭედილა** *ჭედილას* ერთი წლის მამალი ცხვარი. *ჭედილა დაკლეს.*

**ჭედური** *ჭედურის* რაც ლითონზე ჭედვით არის შესრულებული. *ჭედური ხატი. ჭედური ფიგურა.*

**ჭედურობა** *ჭედურობის* ლითონზე ჭედვის ხელოვნება. *ქართული ჭედურობის ნიმუშები.*

**ჭენება** *ჭენების* (აჭენებს) ცხენის სწრაფად ტარება. *ჭენებით მოდის.*

**ჭერა** *ჭერის* (იჭერს, უჭირავს) ↑ **დაჭერა**[1]. *ხელში ვერაფერს იჭერს.*

**ჭერამი** *ჭერმის* 1. მომრგვალო ფორმის, ყვითელი ან მოწითალო, კურკიანი, ტკბილი ხილი. *ჭერმის წვენი.* 2. ხე, რომელიც ისხამს ჭერამს (1), აქვს თეთრი ან ვარდისფერი ყვავილები.

**ჭერეხი** *ჭერეხის* რიყის ქვები, მსხვილი ქვიშა. *ჭერეხი ყრია.*

**ჭერი** *ჭერის* 1. ნაგებობის კედლებს დაყრდნობილი ზედა ჰორიზონტალური ნაწილი. *მაღალი ჭერი.* 2. გადატ. ვინმეს ან რაიმეს საცხოვრებელი, ბინა, სამყოფი. *საკუთარი ჭერი არ გააჩნია.* 3. იგივეა, რაც სხვენი. *მასალა ჭერში დააწყო.*

**ჭერქვეშ** ზმნზ. 1. ჭერის ქვეშ. *მერცხლებმა ჭერქვეშ ბუდე გაიკეთეს.* 2. სახლში, ბინაში, დახურულ სივრცეში. *ჭერქვეშ ყოფნა ენატრება.* ⊙ **ერთ ჭერქვეშ** ერთ სახლში, ერთ ბინაში.

**ჭერხო** *ჭერხოს* სახლის სახურავსქვედა სართული (თუშეთსა და ფშავ-ხევსურეთში). *სტუმრები ჭერხოში დასხდნენ.*

**ჭექა** *ჭექის* (ჭექს) ძალიან ძლიერი და მკვეთრი ხმის გამოცემა. *ცის ჭექა. თოფმა იჭექა.*

**ჭექა-ქუხილი** *ჭექა-ქუხილის* ძალიან ძლიერი ქუხილი. *ატყდა ჭექა-ქუხილი.*

**ჭეშმარიტება** *ჭეშმარიტების* სიმართლე, რეალობა, უტყუარი სინამდვილე. *ჭეშმარიტებას ეძებს.*

**ჭეშმარიტი** *ჭეშმარიტის* მართალი, ნამდვილი, უტყუარი. *ჭეშმარიტი სიტყვა.* ▲ **ჭეშმარიტად** ზმნზ. ნამდვილად, უეჭველად. *ჭეშმარიტად თავისუფალი საზოგადოება.*

**ჭეჭყვა** *ჭეჭყვის* (ჭეჭყავს, იჭეჭყება) ↑ **გაჭეჭყვა.** *ფირფიტას ჭეჭყავს.*

**ჭვავი** *ჭვავის* I. პურეული მცენარე, აქვს მოგრძო, მოკლეფხიანი თავთავი. *ჭვავის ყანა.* 2. ჭვავის (1) მარცვალი. *ჭვავის პური.*

**ჭვალი** *ჭვლის* მჩხვლეტავი ტკივილები სხეულის რომელიმე ნაწილში. *ჭვალმა გამკრა.* ◎ **ჭვალი დაადგება** ჭვალი შეაწუხებს.

**ჭვარტლი** *ჭვარტლის* შავი ფერის ნადები, რომელიც წარმოიქმნება ამა თუ იმ ნივთიერების წვის დროს. *ჭვარტლი დაედო.*

**ჭვარტლიანი** *ჭვარტლიანის* ჭვარტლით დაფარული. *ჭვარტლიანი მინა. ჭვარტლიანი მილი.*

**ჭვინტი** *ჭვინტის* ფეხსაცმლის წაწვეტებული და ზევით აწეული ცხვირი. *ქალამნის ჭვინტი.*

**ჭვინტიანი** *ჭვინტიანის* წვეტიანი. *ჭვინტიანი ქოშები. ჭვინტიანი ფეხსაცმელი.*

**ჭვირნიშანი** *ჭვირნიშნის* ქაღალდზე აღბეჭდილი რაიმე გამოსახულება, რომელიც სინათლეზე გახედვისას ჩანს. *ფულის ჭვირნიშანი.*

**ჭვრეტა** *ჭვრეტის* (ჭვრეტს, უჭვრეტს, იჭვრიტება) I. მოფარებული ადგილიდან ყურება. *შორიდან უჭვრეტს. ფანჯრიდან იჭვრიტება.* 2. წიგნ. ↑ **განჭვრეტა.** *ყველაფერს წინასწარ ჭვრეტს.*

**ჭია** *ჭიის* გრძელი, უძვლო, მღოლავი, მცირე ზომის ცხოველი. *ჭიების ბუდე.*

**ჭიაკოკონა** *ჭიაკოკონას* ვნების კვირის ოთხშაბათს ღამით ავი სულების განსადევნად დანთებული კოცონი, რომელსაც ზედ ახტებიან. *ბავშვებმა ჭიაკოკონა დაანთეს.*

**ჭიაკოკონობა** *ჭიაკოკონობის* ჭიაკოკონას დანთების რიტუალი. *ჭიაკოკონობის ღამე.*

**ჭიამაია** *ჭიამაიას* პატარა მფრინავი ხოჭო, აქვს წითელი ფრთები თეთრი ან შავი კოპლებით. *ჭიამაია გაფრინდა.*

ჭიამაია

**ჭიამარია** *ჭიამარიას* იგივეა, რაც ჭიამაია.

**ჭიამკვდარი** *ჭიამკვდრის* სუსტი, უნიათო. *ჭიამკვდარი ქალი. ჭიამკვდარი ცხენი.*

**ჭიანაჭამი** *ჭიანაჭამის* ჭიისგან დაზიანებული. *ჭიანაჭამი ვაშლი. ჭიანაჭამი კბილი.*

**ჭიანი** *ჭიანის* I. რასაც ჭია გაუჩნდა. *ჭიანი ხორბალი. ჭიანი ხილი.* 2. გადატ. დასნეულებული, ძალიან სუსტი. *ჭიანი ბავშვი. ჭიანი პირუტყვი.*

**ჭიანური** *ჭიანურის* ქართული სიმებიანი საკრავი, აუღერებენ მოხრილი ხემით. *ჭიანურის ხმა. რაჭული ჭიანური.*



ჭიანური

**ჭიანჭველა** *ჭიანჭველას* პატარა მწერი, ძირითადად, უფრთო, ცხოვრობს მინაში, ხის ფუღუროსა და მისთ. *ჭიანჭველასავით მშრომელი.* ◎ **ჭიანჭველას ფეხს არ დაადგამს ამბობენ** უწყინარ, კეთილ ადამიანზე.

ჭიანჭველა

**ჭიატი** *ჭიატის* (ჭიატობს) შუქის მცირე ნათება. *მზის სხივის ჭიატი.*

**ჭიაფერა** *ჭიაფერას* მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარე, აქვს მოწითალო, დატოტვილი ღერო, იკეთებს თეთრ, წვრილ ყვავილებსა და ყურძნის მტევნის მსგავს ნაყოფს, გამოიყენება საღებავად და მელნის დასამზადებლად.

**ჭიაღუა** *ჭიაღუას* სხვადასხვაგვარი ჭიების ერთობლიობა. *გუბე ჭიაღუათია სავსე.*

**ჭიაყელა** *ჭიაყელას* მრგვალი და გრძელი მიწის ჭია. *ჭიაყელა ანკეს ზე დაამაგრა.*

**ჭიაჭუა** *ჭიაჭუას* იგივეა, რაც ჭიაღუა.

**ჭიბონი** *ჭიბონის* ქართული ჩასაბერი საკრავი, გუდასტვირის ნაირსახეობა. *ჭიბონის ხმა.*

**ჭიგო** *ჭიგოს* წვრილი სარი, რომელსაც ვაზი და ზოგი ბოსტნეული მცენარე ეხვევა. *ლობიოს ჭიგო.*

**ჭიდაობა** *ჭიდაობის* (ჭიდაობს, აჭიდავებს, ეჭიდავება) ორი მოწინააღმდეგის ბრძოლა ხელ-ფეხითა და მთელი ტანით ერთმანეთის წაქცევის მიზნით. *ჭიდაობა გამართეს. ბიჭები ჭიდაობენ.*

**ჭიდილი** *ჭიდილის* ფიზიკური ან სიტყვიერი შეჯიბრება. *აზრების ჭიდილი. საკუთარ თავთან ჭიდილი.*

**ჭივჭავი** *ჭივჭავის* ბელურას მსგავსი პატარა მოყვითალო-მომწვანო ჩიტი. *ჭივჭავები მოფრინდნენ.*

**ჭიკარტი**[1] *ჭიკარტის* ფართოთავიანი მოკლე ლურსმანი, რომლითაც აკრავენ მყარ საგანზე ფურცელს, ნახატსა და მისთ. *ჭიკარტით დამაგრებული კალენდარი. ფერადი ჭიკარტი.*

**ჭიკარტი**[2] *ჭიკარტის* ერთგვარი სარეველა ბალახი. *ყანას ჭიკარტი მოერია.*

**ჭიკჭიკა** *ჭიკჭიკას* რაც ან ვინც ჭიკჭიკებს. *ჭიკჭიკა ჩიტი. ჭიკჭიკა გოგო.*

**ჭიკჭიკი** *ჭიკჭიკის* (ჭიკჭიკებს, აჭიკჭიკებს, ეჭიკჭიკება) I. ჩიტის სასიამოვნო ხმიანობა. *მერცხლები ჭიკჭიკებენ.* 2. გადატ. სასიამოვნო, ხალისიანი ლაპარაკი. *პატარა ბევრს ჭიკჭიკებდა.*

**ჭილი**[1] *ჭილის* I. მრავალწლოვანი ბალახოვანი

მცენარე, გამოიყენება ჭილობების, ქუდებისა და მისთ. მოსაქსოვად, იზრდება ტენიან ადგილებში. 2. იგივეა, რაც პაპირუსი. *ჭილის ხელნაწერი.*

**ჭილი**[2] *ჭილის* ხახვის თესლისგან მიღებული პატარა ბოლქვი, რომელსაც მეორე წელს მსხვილი ბოლქვების მისაღებად რგავენ.

**ჭილობი** *ჭილობის* ჭილის (ან სხვა მცენარის) დრეკადი ღეროებისგან მოქსოვილი საფენი. *ჭილობი დააგეს.*

**ჭილყვავი** *ჭილყვავის* ყვავის მსგავსი შავი ფრინველი, ყვავზე მომცრო, ცხოვრობს ხეებზე. *ჭილყვავი მინდვრებს აზიანებს.*

**ჭინთვა** *ჭინთვის* (იჭინთება) ↑ **გაჭინთვა**. *ბავშვი იჭინთება. ჭინთვა დაეწყო.*

**ჭინკა** *ჭინკის* 1. უხორცო არსება, ავი სული. *ჭინკები მოეჩვენა.* 2. გადატ. ანცი, მოუსვენარი, ცოცხალი. *ჭინკა გოგო. ვინ არის ეს ჭინკა?!*

**ჭინჭარი** *ჭინჭრის* მსუსხავი ბალახი, აქვს დაკბილული ფოთლები, გამოიყენება მხლად. ⊙ **ჭინჭრის ციება** დაავადება, ავადმყოფს ტანზე ნითლად აყრის და ექავება.

**ჭინჭი** *ჭინჭის* 1. იგივეა, რაც ჩვარი. 2. საუბრ. გადატ. ქსოვილი, ტანსაცმელი. *მარტო ჭინჭებზე ფიქრობს.*

**ჭინჭილა** *ჭინჭილას* დოქის ფორმის პატარა სასმისი. *თიხის ჭინჭილა.*

**ჭინჭრისდედა** *ჭინჭრისდედის* ბალახოვანი მცენარე, აქვს ჭინჭრის მსგავსი ღერო და ფოთლები, იკეთებს თეთრ ყვავილებს.

**ჭინჭყლი** *ჭინჭყლის* 1. ჭირვეული, უმიზეზოდ მოჩხუბარი. *ჭინჭყლი სტუმარი.* 2. გადატ. ავდრიანი, არამდგრადი, ცვალებადი. *ჭინჭყლი დღეები. ჭინჭყლი მარტი.*

**ჭინჭყლობა** *ჭინჭყლობის* (ჭინჭყლობს) ჟინიანობა, ჭირვეულობა. *ბავშვი ჭინჭყლობს.*

**ჭიოტა** *ჭიოტას* შხამიანი ბალახოვანი მცენარე, აქვს დატოტვილი ღერო და დიდი, ხასხასა წითელი ყვავილები, იზრდება პურეულის ნათესებში.

**ჭიპი** *ჭიპის* 1. მუცლის შუაში პატარა ჩაღრმავება, რომელიც ნაწიბურის სახით რჩება ჭიპლარის მოცილების შემდეგ. *ჭიპი უჩანს.* 2. ადგილი, რომლითაც თესლი მიმაგრებულია ნაყოფის კედლებზე. *ლობიოს ჭიპი.* ⊙ **ჭიპი აქვს მოჭრილი** კარგად იცნობს, გამოცდილია რაიმე საქმეში.

**ჭიპლარი** *ჭიპლარის* მილი, რომელიც ადამიანის ან ცხოველის ჩანასახს, ნაყოფს დედის ორგანიზმთან აკავშირებს. *ჭიპლარი მოსძერა.*

**ჭიპჭიპი** *ჭიპჭიპის* (ჭიპჭიპებს) ბლანტი მასის ფუილისას გამოცემული ხმა. *ლუდი ჭიპჭიპებს.*

**ჭირ-ვარამი** *ჭირ-ვარამის* გაჭირვება და მწუხარება. *ბევრი ჭირ-ვარამი გამოიარა.*

**ჭირვეული** *ჭირვეულის* ჟინიანი, უხასიათო, უმიზეზოდ მოჩხუბარი. *ჭირვეული რძალი.*

**ჭირვეულობა** *ჭირვეულობის* (ჭირვეულობს) ჭირვეულად ქცევა, ჟინიანობა, ჯიუტობა. *მყიდველი ჭირვეულობს.*

**ჭირი** *ჭირის* 1. გასაჭირი, გაჭირვება, უბედურება. *შეჩვეული ჭირი.* 2. ცხოველთა მწვავე გადამდები დაავადებების საერთო სახელწოდება. *საქონლის ჭირი.* ⊙ **რა ჭირად უნდა?** საუბრ. არ სჭირდება, ვერაფერში გამოიყენებს. ⊙ **შავი ჭირი** ინფექციური დაავადება, დამახასიათებელია მაღალი ტემპერატურა, ძლიერი თავის ტკივილი და აგზნებადობა. ⊙ **შენი (თქვენი) ჭირი წაიღო.** საუბრ. მოკვდა, გარდაიცვალა. ⊙ **შენი (თქვენი) ჭირიც წაულია.** საუბრ. ამბობენ მაშინ, როცა რაიმეს დაკარგვას ადვილად ეგუებიან. ⊙ **ჭირის სუფრა** მიცვალებულის მოსახსენებელი სუფრა.

**ჭირიანი** *ჭირიანის* 1. ვისაც ან რასაც ჭირი (სახადი) შეხვდა. *ჭირიანი ქათამი.* 2. გადატ. სუსტი ჯანმრთელობის მქონე, ვინც ხშირად ავადმყოფობს. *ბავშვობიდან ჭირიანი იყო.*

**ჭირიანობა** *ჭირიანობის* ჭირის გავრცელება, ჟამიანობა. *ჭირიანობის დრო.*

**ჭირიმე** შორისდ. ⊙ **შენი (თქვენი) ჭირიმე** გამოთქმა, რომელიც გამოიყენება ალერსით ან თხოვნით მიმართვისას.

**ჭირისუფალი** *ჭირისუფლის* 1. ადამიანი, რომელსაც ოჯახის წევრი ან ახლობელი გარდაეცვალა. *ჭირისუფლებს მიუსამძიმრა.* 2. ვინმეს, რაიმეს გულშემატკივარი, დამხმარე. *ქართველი ხალხის ჭირისუფალი.*

**ჭირნახული** *ჭირნახულის* პურის, სიმინდის, ლობიოსა და მისთ. მოსავალი. *ჭირნახულის აღება.*

**ჭირხლი** *ჭირხლის* შეყინული ნამი. *ჭირხლით დაფარული ბალახი.*

**ჭიტლაყი** *ჭიტლაყის* საუბრ. იგივეა, რაც პანღური. *ჭიტლაყი ჰკრა.*

**ჭიუხი** *ჭიუხის* მთის ზედა ნაწილი, სადაც შიშველი კლდეებია. *ჯიხვი ჭიუხებში ბინადრობს.*

**ჭიფხვა** *ჭიფხვის* (იჭიფხება) საუბრ. ↑ **გაჭიფხვა**. *იჭიფხება, მაგრამ ჩანთას ვერ ძრავს.*

ჭიქა

**ჭიქა** *ჭიქის* ცილინდრული ფორმის უყუროჭურჭელი, გამოიყენება სითხის დასალევად. *მინის ჭიქა. ჭიქაში წყალი ჩაასხა.*

**ჭიქური** *ჭიქურის* მინისებური მასა, რომლის თხელი ფენით ფარავენ თიხის ნაკეთობათა ზედაპირს. *ფერადი ჭიქური. გამჭვირვალე ჭიქური.*


ჭიშკარი

**ჭიშკარი** *ჭიშკრის* ეზოს კარი. *ციხის ჭიშკარი. ხის ჭიშკარი.*

**ჭიჭინი** *ჭიჭინის* (ჭიჭინებს) 1. იგივეა, რაც **ჭრიჭინი** (2). *მარხილი ჭიჭინებს.* 2. გადატ.

გაბმული, გაუთავებელი ჭიჭყინი. *ბევრი ჭიჭინი იცის.*

**ჭიჭყინა**[1] *ჭიჭყინას* პატარა თევზი ზოგადად. *ჭიჭყინები დაიჭირეს.*

**ჭიჭყინა**[2] *ჭიჭყინას* ვინც ყველაფერზე ბრაზდება, ჭირვეული, ჭინჭყლი. *ჭიჭყინა ბავშვი.*

**ჭიჭყინი** *ჭიჭყინის* (ჭიჭყინებს) ჭირვეულად, უკმაყოფილოდ ლაპარაკი. *უმი ზე ზოდ დაიწყო ჭიჭყინი.*

**ჭიჭყნა** *ჭიჭყნის* (ჭიჭყნის) 1. უხეიროდ რეცხვა. *სარეცხს ჭიჭყნის.* 2. უშნოდ, უსუფთაოდ ზელა, ტიტყნა. *ცომს ჭიჭყნის.*

**ჭიხვინი** *ჭიხვინის* (ჭიხვინებს) 1. ცხენის ხმიანობა. *კვიცი ჭიხვინებს.* 2. გადატ. ხმამაღალი, უშნო, მოურიდებელი სიცილი. *კაცი ჭიხვინებს.*

**ჭკა** *ჭკის* ყორნის მსგავსი მომცრო ფრინველი.

**ჭკვიანად** ზმნზ. 1. გონივრულად. *ჭკვიანად იქცევა.* 2. დინჯად, წყნარად. *ჭკვიანად ზის.*

**ჭკვიანი** *ჭკვიანის* 1. ვისაც ჭკუა აქვს, გონიერი. *ჭკვიანი ბიჭი.* 2. გონივრული, ჭკვიანური. *ჭკვიანი თვალები.* 3. გადატ. თვინიერი, მშვიდი. *ჭკვიანი ცხენი.*

**ჭკვიანური** *ჭკვიანურის* ჭკვიანისთვის დამახასიათებელი, გონივრული. *ჭკვიანური საქციელი. ჭკვიანური სიტყვა.* ▲ **ჭკვიანურად** ზმნზ. გონივრულად, მოფიქრებულად. *ჭკვიანურად ითამაშა.*

**ჭკნობა** *ჭკნობის* (აჭკნობს, უჭკნობს, ჭკნება, უჭკნება) ↑ **დაჭკნობა**. *ფოთლებმა ჭკნობა დაიწყო. ყვავილი ჭკნება.*

**ჭკუა** *ჭკუის* გონება, აზროვნების უნარი. *ჭკუა აქვს.* ⊙ **მოკლე ჭკუა აქვს** უჭკუოა, აზროვნების უნარი არ გააჩნია. ⊙ **ჭკუაზე შეცდება** გაგიჟდება, შეიშლება. ⊙ **ჭკუას ასწავლის** დასჯის, თავის საქციელზე პასუხს აგებინებს. ⊙ **ჭკუაში დაუჯდება** მისაღები გახდება, მოეწონება.

**ჭკუა-გონება** *ჭკუა-გონების* იგივეა, რაც გონიერება.

**ჭკუადამჯდარი** *ჭკუადამჯდარის* დინჯი, აუჩქარებელი, დაკვირვებული. *ჭკუადამჯდარი ახალგაზრდა.*

**ჭკუათმყოფელი** *ჭკუათმყოფლის* სრულ ჭკუაზე მყოფი. *ჭკუათმყოფელი მაგას არ იზამს.*

**ჭკუათხელი** *ჭკუათხელის* უჭკუო, უგუნური, ჭკუასუსტი. *რას აკეთებ, ჭკუათხელო?!*

**ჭკუამოკლე** *ჭკუამოკლის* იგივეა, რაც ჭკუათხელი. *ჭკუამოკლე ქალი.*

**ჭკუასუსტი** *ჭკუასუსტის* უჭკუო, უგუნური, გონებასუსტი. *ჭკუასუსტი ბავშვები.*

**ჭლაკვი** *ჭლაკვის* ხახვის სახეობა, იკეთებს წვრილ, მოგრძო ბოლქვებს.

**ჭლექი** *ჭლექის* საუბრ. იგივეა, რაც ტუბერკულოზი.

**ჭლექიანი** *ჭლექიანის* ჭლექით დაავადებული. *ჭლექიანივით ახველებს.*

**ჭმევა** *ჭმევის* (აჭმევს) 1. ვინმესთვის საკვების მიცემა, გამოკვება. *ძიძამ ბავშვებს აჭამა. სადილს აჭმევს.* 2. ყარგ. მოტყუება. *როგორ გაჭამეს, არ გრცხვენია?!*

**ჭმუნვა** *ჭმუნვის* (ჭმუნავს) წიგნ. წუხილი, დარდი. *ჭმუნვა მოეძალა.*

**ჭმუჭნა** *ჭმუჭნის* (ჭმუჭნის, იჭმუჭნება, ეჭმუჭნება) ↑ **დაჭმუჭნა**. *ქალალდს ჭმუჭნის.*

**ჭნავი** *ჭნავის* იგივეა, რაც ცირცელი.

**ჭოგრიტი** *ჭოგრიტის* მილისებური ოპტიკური ხელსაწყო, იყენებენ შორი საგნების კარგად დასანახად. *საველე ჭოგრიტი.*

**ჭოკი** *ჭოკის* 1. კაკლის საბერტყი წვრილი, გრძელი ჯოხი. *ჭოკს ურტყამს.* 2. სპორტული იარაღი სიმაღლეზე გადასახტომად. *შეჯიბრება ჭოკით ხტომაში.*

**ჭორაობა** *ჭორაობის* (ჭორაობს, აჭორავებს, ეჭორავება) ჭორების თქმა, ჭორების ლაპარაკი. *მე ზობლებთან ჭორაობს.*

**ჭორვა** *ჭორვის* (ჭორავს, უჭორავს) ↑ **გაჭორვა**. *დედამთილს ჭორავს.*

**ჭორი** *ჭორის* ტყუილი, საგანგებოდ მოგონილი ამბავი. *ჭორი გაავრცელა.*

**ჭორიკანა** *ჭორიკანას* ჭორაობის მოყვარული. *ჭორიკანა ქალი.*

**ჭორიკანობა** *ჭორიკანობის* (ჭორიკანობს) ჭორიკანას ქცევა, ჭორის მოგონება და გავრცელება. *ბევრს ჭორიკანობს.*

**ჭორ-მართალი** *ჭორ-მართლის* ჭორი და მართალი, საეჭვო. *ჭორ-მართალი აირია.*

**ჭორომი** *ჭორომის* მდინარის უსწორმასწორო კალაპოტი, რომელზეც ქვების გროვაა, რაც ქმნის დამახასიათებელ ჩქარ დინებას.

**ჭორტანა** *ჭორტანას* დეკორატიული ბალახოვანი მცენარე, აქვს მოგრძო თავდაკიდებული ან მხოხავი ღეროები და სქელი ფოთლები.

**ჭორფლი** *ჭორფლის* მოყავისფრო, წვრილი ლაქები ადამიანის კანზე, უმეტესად სახეზე, ჩნდება მზის სხივებისგან. *ჭორფლის მოცილება.* ■ **ჭორფლიანი** ვისაც ჭორფლი აქვს ან რაზეც ჭორფლია. *ჭორფლიანი ქალი. ჭორფლიანი სახე.*

**ჭოტი** *ჭოტის* ბუს მსგავსი პატარა ფრინველი. *ჭოტივით დაუჭყეტია თვალები.*

**ჭოჭინა** *ჭოჭინის* ბავშვის ფეხის ასადგმელი ბორბლებიანი მოწყობილობა. *ჭოჭინაში ჩასვეს. ხის ჭოჭინა.*

ჭოჭინა



**ჭოჭმანი** *ჭოჭმნის* (ჭოჭმანობს) ყოყმანი, ორჭოფობა. *ჭოჭმანი დაიწყო. ბევრს ჭოჭმანობს.*

**ჭრა** *ჭრის* (ჭრის, აჭრის, იჭრის, უჭრის, იჭრება, ეჭრება, აჭრევინებს) 1. ↑ გაჭრა. *პურს ჭრის. არხს ჭრიან.* 2. ↑ დაჭრა. *ტორტს ჭრიან. ხახვს აჭრის.* 3. ↑ მოჭრა. *სიმინდს ჭრიან. ხეს ტოტს აჭრის.* 4. ↑ შეჭრა. *თმას იჭრის.*

**ჭრაქი**[1] *ჭრაქის* პრიმიტიული გასანათებელი მოწყობილობა, შედგება სანვავი სითხის ჩასასხმელი ჭურჭლისა და პატრუქისგან, რომელსაც ცეცხლს უკიდებენ. *ჭრაქის შუქი.*

**ჭრაქი**[2] *ჭრაქის* ვაზისა და ზოგი სხვა კულტურული მცენარის დაავადება, რომელსაც იწვევენ პარაზიტული სოკოები, ახმობს ფოთლებს და მოსავალს ანადგურებს. *ვაზს ჭრაქი გაუჩნდა.*

**ჭრაჭუნა** *ჭრაჭუნას* რაც ჭრაჭუნებს. *ჭრაჭუნა ტახტი. ჭრაჭუნა სკამი.*

**ჭრაჭუნი** *ჭრაჭუნის* (ჭრაჭუნებს, აჭრაჭუნებს) 1. ცელოფნისა და მისთ. მოძრაობისას სპეციფიკური ხმის გამოცემა. *ფოლგა ჭრაჭუნებს.* 2. იგივეა, რაც ჭრიალი. *კარის ჭრაჭუნი. იატაკი ჭრაჭუნებს.*

**ჭრეთა** *ჭრეთის* (ჭრეთს, იჭრითება) ↑ დაჭრეთა. *ხეზე ჭრეთს.*

**ჭრელაჭრულა** *ჭრელაჭრულას* უშნოდ, უგემოვნოდ ჭრელი, აჭრელებული. *ჭრელაჭრულა კაბები.*

**ჭრელთვალა** *ჭრელთვალას* ვისაც ჭრელი თვალები აქვს. *ჭრელთვალა გოგო.*

**ჭრელი** *ჭრელის* 1. რასაც სხვადასხვა ფერი აქვს. *ჭრელი ქუდი. ჭრელი ფარდა.* 2. გადატ. არაერთგვაროვანი, შერეული, მრავალფეროვანი. *ჭრელი საზოგადოება.* ◉ **ჭრელი თვალები** ღია ფერის, მომწვანო-მოთაფლისფრო თვალები.

**ჭრელფოთოლა** *ჭრელფოთოლას* მრავალწლოვანი მარცვლოვანი ბალახი, აქვს გრძელი ფოთლები, გამოიყენება საქონლის საკვებად.

**ჭრელ-ჭრელი** *ჭრელ-ჭრელის* ბევრი ჭრელი, ჭრელები. *ჭრელ-ჭრელი ლენტები.*

**ჭრიალა** *ჭრიალას* რაც ჭრიალებს. *ჭრიალა ურემი.*

**ჭრიალი** *ჭრიალის* (ჭრიალებს, აჭრიალებს) მკვეთრი, უსიამოვნო ხმის გამოცემა ავეჯის, იატაკისა და მისთ. მოძრაობისას. *ტახტის ჭრიალი. კარი ჭრიალით გაიღო. საწოლი ჭრიალებს.*

**ჭრილი** *ჭრილის* 1. გაჭრილი ადგილი რაიმეზე. *საღილე ჭრილი. თვალის ჭრილი. პირის ჭრილი.* 2. რაიმე ობიექტის გადაკვეთის ადგილის გამოსახვა ნახაზზე. *ეკლესიის ჭრილი. ჩარხის ჭრილი.*

**ჭრილობა** *ჭრილობის* ბასრი იარაღით, ტყვიით ან მჭრელი საგნით მიყენებული დაზიანება სხეულზე. *ღრმა ჭრილობა. ჭრილობა შეუხორცდა.*

**ჭრიჭინა** *ჭრიჭინას* სხვადასხვა ზომისა და შეფერილობის მწერი, ფრთების ერთმანეთზე ხახუნით გამოსცემს ჭრიჭინს.

**ჭრიჭინი** *ჭრიჭინის* (ჭრიჭინებს) 1. ზოგიერთი მწერისა და ფრინველის ხმიანობა. *კალიები ჭრიჭინებენ.* 2. ავეჯისა და მისთ. მოძრაობისას მკვეთრი ხმის გამოცემა, ჭრიალი. *სკამი ჭრიჭინებს.*

**ჭრიჭინობელა** *ჭრიჭინობელას* იგივეა, რაც ჭრიჭინა.

**ჭროლა** *ჭროლას* ჭრელი, რომელიც რუხი და თეთრი ლაქების ერთმანეთში არევით არის მიღებული. *ჭროლა დედალი. ჭროლა თვალები.*

**ჭუკი** *ჭუკის* ინდაურის ნაშიერი. *ჭუკებს აჭამა.*

**ჭუკი-ჭუკი** შეძახილი ინდაურის მოსახმობად.

**ჭუკჭუკა** *ჭუკჭუკას* რაც ჭუკჭუკებს. *ჭუკჭუკა მწყერი.*

**ჭუკჭუკი** *ჭუკჭუკის* (ჭუკჭუკებს, ეჭუკჭუკება) 1. მწყრის, ჭუკისა და მისთ. ხმიანობა. 2. გადატ. წყნარი, ხმადაბალი საუბარი. *დები ჭუკჭუკებენ. მეგობარს ეჭუკჭუკება.*

**ჭუნირი** *ჭუნირის* ქართული სიმებიანი საკრავი, ჭიანურის სვანური ნაირსახეობა, აქვს სამი სიმი, რომელსაც ხემით აუღერებენ. *ჭუნირის ხმა.*

**ჭუპრი** *ჭუპრის* მწერი განვითარების გარკვეულ სტადიაზე. *ჭუპრიდან პეპელა გამოდის.*

**ჭურვი** *ჭურვის* საარტილერიო იარაღის ძირითადი ასაფეთქებელი საშუალება, შედგება ცილინდრული კორპუსის, ასაფეთქებელი ნაწილისა და წვეტიანი თავისგან. *სასკდომი ჭურვი. საარტილერიო ჭურვი.*

**ჭური** *ჭურის* იგივეა, რაც ქვევრი. *ჭურს თაიი მოხადეს.*

**ჭურჭელი** *ჭურჭლის* პროდუქტის ჩასაწყობი ან ჩასასხმელი ნივთების (თეფშის, ჭიქის, ქვაბისა და მისთ.) საერთო სახელწოდება. *მინის ჭურჭელი. ჭურჭლის კარადა.*

ჭურჭელი

**ჭუტვა** *ჭუტვის* (ჭუტავს, ეჭუტება) ↑ მოჭუტვა. *თვალებს ჭუტავს.*

**ჭუჭრუტანა** *ჭუჭრუტანის* პატარა ხვრელი კარში, კედელსა და მისთ. *ჭუჭრუტანიდან გაიხედა.*

**ჭუჭული** *ჭუჭულის* იხვისა და ბატის ნაშიერი. *ყვითელი ჭუჭული.*

**ჭუჭყი** *ჭუჭყის* სიბინძურე, უსუფთაობა. *ჭუჭყის მოცილება. ჭუჭყით დაიფარა.*

**ჭუჭყიანი** *ჭუჭყიანის* ჭუჭყით დაფარული, უსუფთაო, ბინძური. *ჭუჭყიანი შარვალი. ჭუჭყიანი ხელები.*

**ჭუჭყუნი** *ჭუჭყუნის* (ჭუჭყუნებს) უსიამოვნო ბუზღუნი, წუწუნი. *ბევრი იჭუჭყუნა. ყველაფერზე ჭუჭყუნი იცის.*

**ჭყავილი** *ჭყავილის* (ჭყავის, აჭყავლებს) 1. კატის, ტურისა და მისთ. უსიამოვნო ხმიანობა. *ტყიდან*

*ჭყავილი ისმოდა.* 2. ხმამაღლა, უსიამოვნოდ · ყვირილი ან ტირილი. *ვინ ჭყავის?*

ჭყანვა *ჭყანვის* (იჭყანება, ეჭყანება) ↑ დაჭყანვა. *რას იჭყანები?!*

ჭყანტა *ჭყანტას* ბალახოვანი მცენარე, იკეთებს ყვითელ ყვავილებს, იზრდება ტენიან ადგილებში. *ჭყანტა ამოსულა.*

ჭყანტი *ჭყანტის* იგივეა, რაც ჭაობი.

ჭყანტობი *ჭყანტობის* ჭაობიანი ადგილი. *სოფელს ჭყანტობი აკრავს.*

ჭყაპანი *ჭყაპანის* რაიმეს წყალში ჩაგდების, ჩაყარდნის ხმა. *ჭყაპანი გაადინა.*

ჭყაპაჭყუპი *ჭყაპაჭყუპის* იგივეა, რაც ჭყაპუნი. *ჭყაპაჭყუპით სიარული.*

ჭყაპი *ჭყაპის* თოვლის დნობის ან წვიმის შედეგად დამდგარი გუბე. *ჭყაპში იარეს.*

ჭყაპუნი *ჭყაპუნის* (ჭყაპუნობს, აჭყაპუნებს) წყალში, ტალახსა და მისთ. სიარული, მოძრაობა სპეციფიკური ხმის გამოცემით. *წყალში ხელებს აჭყაპუნებს.*

ჭყეტა *ჭყეტის* (ჭყეტს, აჭყეტს, უჭყეტს) ↑ დაჭყეტა. *თვალებს აჭყეტს.*

ჭყეტელა *ჭყეტელას* 1. დიდთვალება, თვალდაჭყეტილი. *ჭყეტელა გოგო.* 2. გადატ. მკვეთრი, კაშკაშა ფერებით ჭრელი. *ჭყეტელა ფარდაგი.*

ჭყეტია *ჭყეტიას* დაჭყეტილი. *ჭყეტია თვალები.*

ჭყვიტინა *ჭყვიტინას* 1. რაც ჭყვიტინებს. *ჭყვიტინა გოჭები.* 2. გადატ. რაც უსიამოვნო, წვრილ ხმას გამოსცემს. *ჭყვიტინა სათამაშო.*

ჭყვიტინი *ჭყვიტინის* (ჭყვიტინებს) 1. გოჭის ხმიანობა. 2. წვრილი, უსიამოვნო, მაღალი ხმის გამოცემა. *ზურნის ჭყვიტინი. ბავშვები ჭყვიტინებენ.*

ჭყივანა *ჭყივანას* რაც ან ვინც ჭყივის. *ჭყივანა ჩიტი.*

ჭყივილი *ჭყივილის* (ჭყივის, აჭყივლებს) 1. ზოგიერთი ცხოველის ან ფრინველის ხმიანობა. *მერცხლის ჭყივილი. გოჭი ჭყივის.* 2. მაღალი, წვრილი ხმით ყვირილი. *ბავშვმა ჭყივილი დაიწყო.*

ჭყიმი *ჭყიმის* მრავალწლოვანი სარეველა ბალახი, აქვს მაღალი, დატოტვილი ღერო და თეთრი ყვავილები, ღერო იჭმება.

ჭყინტი *ჭყინტის* ნორჩი, მოუმწიფებელი, გამოუყვანელი (ყველი, მარცვლეული). *ჭყინტი სიმინდი.*

ჭყიპინი *ჭყიპინის* (ჭყიპინებს, აჭყიპინებს) 1. ზოგიერთი ფრინველის უსიამოვნო ხმიანობა. *ბარტყები ჭყიპინებენ.* 2. წვრილი ხმით ჭირვეულად ლაპარაკი. *ბავშვების ჭყიპინი. გოგო ბევრს ჭყიპინებს.*

ჭყლეტა *ჭყლეტის* (ჭყლეტს, იჭყლეტს, იჭყლიტება) 1. ↑ დაჭყლეტა. *ყურძენს ჭყლეტს.* 2. ბევრი ხალხის მჭიდროდ დგომა, უკიდურესი სიმჭიდროვე. *ავტობუსში ჭყლეტა იყო.*

ჭყლოპინა *ჭყლოპინას* ვინც ან რაც ჭყლოპინებს. *ჭყლოპინა ბარტყები.*

ჭყლოპინი *ჭყლოპინის* (ჭყლოპინებს) 1. ბარტყის ხმიანობა. 2. სიხარულის, აღტაცების ხმამაღალი გამოხატვა, სიცილი, ჟრიამული. *ძმის დანახვაზე ჭყლოპინი დაიწყო.*

ჭყრიალი *ჭყრიალის* (ჭყრიალებს) იგივეა, რაც ჭრიალი. *ძვლების ჭყრიალი.*

ჭყუმპალაობა *ჭყუმპალაობის* (ჭყუმპალაობს) წყალში თამაში. *გუბეში ჭყუმპალაობს.*

# – ხ –

**ხაბაზი** *ხაბაზის* ძვ. იგივეა, რაც მეპურე.

**ხავერდი** *ხავერდის* რბილი, ხაოიანი ქსოვილი. *ხავერდის კოსტიუმი. ხავერდის ფარდა.*

**ხავერდოვანი** *ხავერდოვნის* ხავერდის მსგავსად რბილი და ხაოიანი. *ხავერდოვანი ქსოვილი. ხავერდოვანი მინდორი.*

**ხავილი** *ხავილის* (ხავის) ჩახლეჩილი, ოდნავ გასაგონი ხმით ძახილი. *ხავილი დაიწყო. განწირულივით ხავის.*

**ხავსი** *ხავსის* დაბალი უფესვო სპოროვანი მცენარე, იზრდება ტენიან ადგილებში, ხეებზე, ქვებსა და მისთ. ▪ **ხავსიანი** ხავსით დაფარული. *ხავსიანი ქვები.*

**ხავსმოდებული** *ხავსმოდებულის* რასაც ხავსი აქვს მოდებული, ხავსიანი. *ხავსმოდებული ლოდი.*

**ხავსმოკიდებული** *ხავსმოკიდებულის* იგივეა, რაც ხავსმოდებული. *ხავსმოკიდებული ნანგრევები.*

**ხაზგასმა** *ხაზგასმის* 1. ტექსტში რაიმე მონაკვეთის ქვეშ ხაზის გასმა მისი გამოყოფის მიზნით. *ტერმინების ხაზგასმა უყვარს.* 2. საგანგებოდ გამოყოფა, ყურადღების გამახვილება. *სამომავლო მიზნებზე ხაზგასმა.* ▲ **ხაზგასმით** ზმნზ. რაიმეს საგანგებოდ გამოყოფით, ყურადღების გამახვილებით. *ხაზგასმით აღნიშნა ეს ფაქტი.*

**ხაზგასმული** *ხაზგასმულის* 1. რასაც ხაზი აქვს ქვეშ გასმული. *ხაზგასმული წინადადება.* 2. რაც გამოყოფილია ყურადღების მიქცევის მიზნით. *მოხსენებაში ხაზგასმული იყო ეს საკითხი.*

**ხაზვა** *ხაზვის* (ხაზავს, უხაზავს, იხაზება) ↑ **დახაზვა**. *ხაზვა ისწავლა. გეგმას ხაზავს.*

**ხაზი** *ხაზის* 1. ზედაპირზე კალმით, ფანქრითა და მისთ. გავლებული წვრილი ზოლი. *სწორი ხაზი.* 2. ვინმეს ან რაიმეს განლაგება ერთ რიგზე. *სანაპირო ხაზი. ფრონტის ხაზი.* 3. ტექნიკური საშუალება რაიმეს შორ მანძილზე გადასაცემად. *დენის ხაზი. ტელეფონის ხაზი.*

**ხაზინა** *ხაზინის* 1. ორგანო, რომელიც იცავს და განაგებს სახელმწიფო ქონებას. *ხაზინას ეკუთვნის.* 2. სათავსო, სადაც ფულადი ქონებაა დაცული. *მეფის ხაზინა.*

**ხაზინადარი** *ხაზინადრის* ძვ. ხაზინის გამგე ან ხაზინის მცველი. *ხაზინადარმა შეინახა.*

**ხაზოვანი** *ხაზოვნის* ხაზებისგან შემდგარი, ხაზებით გამოხატული. *ხაზოვანი ფიგურები. ხაზოვანი კონტურები.*

**ხათაბალა** *ხათაბალის* საუბრ. გასაჭირი, რთული მდგომარეობა, საიდანაც გამოსვლა ძნელია. *ხათაბალაში აღმოჩნდა. ხათაბალას გადაეყარა.*

**ხათრი** *ხათრის* მორიდება, მოკრძალება ვინმეს მიმართ, პატივისცემა. *მშობლების ხათრი აქვს.*

**ხათრიანი** *ხათრიანის* ვისაც ხათრი აქვს, მორიდებული. *ხათრიანი კაცი.*

**ხათქახუთქი** *ხათქახუთქის* ძლიერი და ხშირი ხათქუნი. *ვედროების ხათქახუთქი.*

**ხათქიხუთქი** *ხათქიხუთქის* იგივეა, რაც ხათქახუთქი.

**ხათქუნი** *ხათქუნის* (ახათქუნებს, უხათქუნებს) მაგარ საგანზე დარტყმა ძლიერი ხმის გამოცემით. *ჭურჭელს ახათქუნებს. წვიმა სახურავს უხათქუნებს.*

**ხაკი** *ხაკის* მოყავისფრო-მწვანე უხეში ქსოვილი. *ხაკის შარვალი. ხაკის შალითა.*

**ხალა** *ხალის* იგივეა, რაც **ჭოკი** (1)

**ხალათი** *ხალათის* 1. გრძელი, ფართო, წინ გახსნილი ან ღილებით შესაკრავი საშინაო ტანსაცმელი. *ხალათი მოიცვა.* 2. ტანსაცმლის ზემოდან ჩასაცმელი სამოსი, რომელსაც ზოგიერთი პროფესიის ადამიანები იყენებენ ჰიგიენის მიზნით. *ექიმის ხალათი.* 3. იგივეა, რაც **ბლუზა**. *სატინის ხალათი.*

**ხალასი** *ხალასის* ნამდვილი, სუფთა. *ხალასი ნიჭი.*

**ხალვათად** ზმნზ. 1. თავისუფლად, შეუზღუდავად, არამჭიდროდ. *პერანგი ხალვათად ადგას.* 2. იშვიათად, მცირე რაოდენობით. *ხალხი ხალვათად დადის.*

**ხალვათი** *ხალვათის* 1. ფართო, განიერი, გაშლილი. *ხალვათი სივრცე.* 2. თავისუფალი, არამჭიდრო. *ხალვათი ტანსაცმელი.*

**ხალვათობა** *ხალვათობის* თავისუფლება, არასიმჭიდროვე. *აუდიტორიაში ხალვათობა იყო.*

**ხალი**[1] *ხალის* პატარა, მუქი ფერის ლაქა კანზე.

*წითელი ხალი.* ■ **ხალიანი** ვისაც ან რასაც ხალები აქვს. *ხალებიანი ირემი.*

**ხალი**[2] *ხალის* იგივეა, რაც ქუმელი (1, 2). *ხალი მოზილა.*

**ხალისი** *ხალისის* (ეხალისება) 1. რაიმეს გაკეთების სურვილი, წადილი. *მუშაობის ხალისი. წერა ეხალისება.* 2. კარგი, მხიარული განწყობილება. *ხალისი დაეტყო.*

**ხალისიანი** *ხალისიანის* ხილისის მქონე, მხიარული. *ხალისიანი შეხვედრა. ხალისიანი ბავშვი.*

**ხალისობა** *ხალისობის* (ხალისობს) მხიარულება, გართობა. *ახალგაზრდებმა ბევრი იხალისეს. ბავშვები თოვლში ხალისობენ.*

**ხალიჩა** *ხალიჩის* ხაოიანი მძიმე ქსოვილი სხვადასხვა ფერის სახეებით, იყენებენ იატაკზე დასაფენად ან კედელზე დასაკიდებლად. *სპარსული ხალიჩა.*

**ხალტურა** *ხალტურის* 1. საუბრ. უხარისხოდ, უხეიროდ, არაკეთილსინდისიერად შესრულებული სამუშაო. *ეს ნახატი ხალტურაა.* 2. უკანონო შემოსავალი. *ხალტურაზე მუშაობს.*

**ხალხი** *ხალხის* (კრებ.) 1. ბევრი ადამიანის ერთობლიობა. *ხალხი შეიკრიბა.* 2. იგივეა, რაც ერი. *ქართველი ხალხი. ხალხთა თანამეგობრობა.*

**ხალხური** *ხალხურის* ხალხისთვის დამახასიათებელი, ხალხში გავრცელებული, ხალხის შექმნილი. *ხალხური შემოქმედება. ხალხური ლექსი.*

**ხამანწკა** *ხამანწკის* ლოკოკინას სახეობა, გამოიყენება საკვებად. *ხამანწკის სალათი.*

**ხამი** *ხამის* 1. გაუწვრთნელი, გაუხედნავი. *ხამი საქონელი. ხამი ცხენი.* 2. უხეში ძაფისგან ნაქსოვი. *ხამი ქსოვილი.* 3. უხეში, დაუმუშავებელი. *ხამი ძაფი. ხამი მიწა.* 4. რაიმეს მიუჩვეველი, რაიმეზე დახარბებული. *სამკაულების ხამი.*

**ხამუში** *ხამუშის* (ეხამუშება) უხერხულობის, უცხოობის განცდა რაიმეს მიმართ. *ხუმრობა ეხამუშა. ახალი ტანსაცმელი ეხამუშება.*

**ხამუშ-ხამუშ** ზმნ. დროგამოშვებით, დროდადრო, ნაწყვეტ-ნაწყვეტ. *ხამუშ-ხამუშ ისმოდა სროლის ხმა.*

**ხამხამი** *ხამხამის* (ხამხამებს, ახამხამებს) თვალის წამიერი დახუჭვა და გახელა. *თვალებს ახამხამებს.*

**ხან** ზმნ. ზოგჯერ, დროდადრო, ხანდახან. *ხან მზე გამოანათებს, ხან მოიღრუბლება.*

**ხანა** *ხანის* დროის ხანგრძლივი მონაკვეთი, რომელიც გამოიყოფა რაიმე ნიშნით. *ქვის ხანა. აღორძინების ხანა.*

**ხანგადასული** *ხანგადასულის* ვინც გარკვეულ ასაკს გადასცილდა, ხნიერი. *ხანგადასული ქალბატონები.*

**ხანგრძლივი** *ხანგრძლივის* დიდი ხნის განმავლობაში მიმდინარე, მოქმედი. *ხანგრძლივი პროცესი.* ↔ **ხანმოკლე.** ▲ **ხანგრძლივად** ზმნ. დიდხანს, დიდი ხნის განმავლობაში. *ხანგრძლივად გამოიყენება.*

**ხანგრძლივობა** *ხანგრძლივობის* პერიოდი, რომლის განმავლობაში რაიმე მოქმედებს ან არსებობს. *წამლის მოქმედების ხანგრძლივობა. სამუშაოს ხანგრძლივობა.*

**ხანდაზმული** *ხანდაზმულის* ხნიერი, მოხუცებული. *ხანდაზმული კაცი.*

**ხანდაზმულობა** *ხანდაზმულობის* მოხუცებულობა. *ხანდაზმულობის პრობლემები.* ⊙ **ხანდაზმულობის ვადა** გარკვეული ვადა, რომელიც საჭიროა რაიმე უფლების მისაღებად ან დასაკარგად.

**ხანდახან** ზმნ. ზოგჯერ, იშვიათად. *ხანდახან გვესტუმრება ხოლმე.*

**ხანი**[1] *ხანის* 1. იგივეა, რაც დრო (1). *დიდი ხანი გავიდა.* 2. ადამიანის ასაკი. *შუა ხნის კაცი.* ⊙ **ხანში** შესული ხანდაზმული, მოხუცებულობის ასაკს მიტანებული.

**ხანი**[2] *ხანის* ისტ. მეფე, მთავარი აღმოსავლეთის ზოგიერთ ქვეყანაში.

**ხანი**[3] *ხანის* ქართული ანბანის ოცდამეთერთმეტე ასოს (ხ-ს) სახელწოდება.

**ხანმოკლე** *ხანმოკლის* დროის მოკლე მონაკვეთში მიმდინარე, მოქმედი. *ხანმოკლე სიცოცხლე.* ↔ **ხანგრძლივი.**

**ხანობა** *ხანობის* ⊙ **ამ ხანობაში** ამ ხნის განმავლობაში, ამასობაში. ⊙ **ერთ ხანობას** გარკვეული (მცირე) დროის განმავლობაში.

**ხანძარი** *ხანძრის* ძალიან დიდი, გამანადგურებელი ცეცხლი. *ხანძარი მთელ ტყეს მოედო.*

**ხანხალი** *ხანხალის* (ხანხალებს) უღონოდ, ძლივძლივობით გადაადგილება. *მოხუცი მიხანხალებს. ხანხალით მივიდა კიბემდე.*

ხანჯალი

**ხანჯალი** *ხანჯლის* ორპირა, ბასრი, წვეტიანი და ბრტყელი იარაღი, გამოიყენებოდა ხელჩართულ ბრძოლაში. *ხანჯალი იშიშვლა.* ■ **ხანჯლიანი** ხანჯლით შეიარაღებული. *ხანჯლიანი მხედარი.*

**ხაო** *ხაოს* დაბალი და ხშირი ბუსუსები ქსოვილის ზედაპირზე. *ხავედრის ხაო.* ■ **ხაოიანი** ხაოს მქონე. *ხაოიანი ზედაპირი.*

**ხაპვა** *ხაპვის* (ხაპავს, იხაპება) ↑ **ამოხაპვა.** *კასრიდან წყალს ხაპავს.*

**ხარაბუზა** *ხარაბუზას* ერთგვარი ხოჭო, რომელიც ნეხვით იკვებება.

**ხარაზი** *ხარაზის* ფეხსაცმლის მკერავი. *ხარაზის დაზგა.*

**ხარატი** *ხარატის* სპეციალისტი, რომელიც ჩარხზე მუშაობს და ხისგან ან ლითონისგან ჩარხავს სხვადასხვა ნაკეთობას. *ხარატის ხელობა.*

**ხარახურა** *ხარახურის* გამოუსადეგარი ნივთები. *ხარახურა გადაყარა.*

**ხარბი** *ხარბის* ვისაც არაფერი აკმაყოფილებს, სულ უფრო მეტი უნდა, გაუმაძღარი. *ხარბი კაცი.* ▲ **ხარბად** ზმნზ. დიდი სურვილით. *ხარბად დაეწაფა წყალს.*

**ხარება** *ხარების* (ხარობს, ახარებს) 1. სასიხარულო ამბის შეტყობინება. *ნეფე-პატარძლის მოსვლა ახარეს.* 2. მცენარის ზრდა-განვითარება. *ბაღში ია ხარობს. ატმები ახარა.*

**ხარვეზი** *ხარვეზის* 1. ნაკლი, წუნი, დეფექტი. *ხარვეზების აღმოფხვრა.* 2. ცარიელი ადგილი, შუალედი. *ასოებს შორის ხარვეზებია.* 3. მოუხნავად დარჩენილი ადგილი ნახნავში, კვლებს შუა. ■ **ხარვეზებიანი** ხარვეზების მქონე. *ხარვეზებიანი პროდუქცია.*

**ხართუთა** *ხართუთის* 1. თუთის სახეობა, მსხვილი, მოკლეყუნწიანი, შავი, მომჟავო-მოტკბო ხილი. *ხართუთის მურაბა.* 2. ხე, რომელიც ისხამს ხართუთას (1). *ეზოში ხართუთა დგას.*

**ხარი** *ხარის* 1. მსხვილფეხა შინაური მამალი ცხოველი, გამოიყენებოდა გამწევ ძალად. *ძლიერი ხარი.* 2. მსხვილჩლიქოსანი გარეული მამალი ცხოველი.

**ხარირემი** *ხარირმის* მამალი ირემი. *ხარირმის ყვირილი.*

**ხარისთვალა** *ხარისთვალას* 1. ვაზის ჯიში, რომლისგანაც დაბალი ხარისხის ღვინო დგება. 2. ტყის ბალახი, ღეროს წვერზე იკეთებს ერთ მსხვილ მომწვანო-ყვითელ ყვავილს, ისხამს შავ, მსხვილ, შხამიან ნაყოფს.

**ხარისკუდა** *ხარისკუდას* მაღალი ბუსუსებიანი ბალახი, იკეთებს მსხვილ ყვითელ ყვავილებს.

**ხარისფაშვა** *ხარისფაშვას* საჭმელი სოკო, აქვს დიდი ქუდი დანაოჭებული ზედაპირით.

**ხარისშუბლა** *ხარისშუბლას* მთის მაღალი ბალახი, აქვს მსხვილი სამკუთხა ფოთლები და ყვითელი, ყვავილები, გამოიყენება სამკურნალოდ.

**ხარისჩლიქა** *ხარისჩლიქას* ტყის მრავალწლოვანი ბალახი, იზრდება ბაღებშიც, აქვს გრძელყუნწიანი, ჩლიქის ფორმის ფოთოლი, გამოიყენება სამკურნალოდ.

**ხარისძირა** *ხარისძირას* მრავალწლოვანი შხამიანი ბალახოვანი მცენარე, აქვს თათისებური ფოთლები და მსხვილი, ბაცი მომწვანო-მოყვითალო ან ღვინისფერი ყვავილები, ფესვებს იყენებენ სამკურნალოდ.

**ხარისხი** *ხარისხის* 1. რაიმეს ღირსების, ვარგისიანობის საზომი. *უმაღლესი ხარისხის ფქვილი. მაღალი ხარისხის პროდუქცია.* 2. ნოდება, რანგი, თანრიგი. *სამეცნიერო ხარისხი. მაგისტრის ხარისხი.*

**ხარისხიანი** *ხარისხიანის* კარგი ხარისხის მქონე. *ხარისხიანი საქონელი. ხარისხიანი ღვინო.* ▲ **ხარისხიანად** ზმნზ. კარგად, მაღალი ხარისხით. *ხარისხიანად აშენებს.*

**ხარისხობრივი** *ხარისხობრივის* რაც ხარისხის მიხედვითაა განსაზღვრული. *ხარისხობრივი მაჩვენებლები.*

**ხარიხა** *ხარიხის* ორ საყრდენს შორის გადებული წვრილი ძელი, გამოიყენება სხვადასხვა დანიშნულებით. *ჩურჩხელები ხარიხაზე კიდია.*

**ხარკამეჩი** *ხარკამეჩის* მამალი კამეჩი.

**ხარკი** *ხარკის* გადასახადი, რომელსაც დამარცხებული ქვეყნის მოსახლეობა უხდიდა გამარჯვებულს. *ხარკის ამკრეფი. ხარკი დააკისრეს.*

**ხარო** *ხაროს* 1. ღრმა, საპატიმრო ორმო. *ხაროში ჩააგდეს.* 2. ბეღელში ამოშენებული ადგილი მარცვლეულის შესანახად. *ხარო აივსო.*

**ხარშვა** *ხარშვის* (ხარშავს, იხარშავს, უხარშავს, იხარშება, ახარშვინებს) ↑ **მოხარშვა**. *კარტოფილს ხარშავენ. ხინკალი იხარშება.*

**ხარხარი** *ხარხარის* (ხარხარებს, ახარხარებს) ხმამაღალი სიცილი. *ხარხარი დაიწყო. მაყურებლები ხარხარებდნენ.*

**ხარჯვა** *ხარჯვის* (ხარჯავს, ახარჯავს, უხარჯავს, იხარჯება, ეხარჯება, ახარჯვინებს) ↑ **დახარჯვა**. *ზომიერად ხარჯვა იცის. ხელფასს ხარჯავს.*

**ხარჯთაღრიცხვა** *ხარჯთაღრიცხვის* მოსალოდნელი ხარჯებისა და შემოსავლების აღრიცხვა, გამოანგარიშება. *სკოლის ხარჯთაღრიცხვა. ხარჯთაღრიცხვის წარმოება.*

**ხარჯი** *ხარჯის* 1. გასავალი, დანახარჯი. *კომუნალური ხარჯები. ტრანსპორტირების ხარჯები.* 2. რაიმეს გამოუსადეგარი, უვარგისი ნაწილი, მინარევი. *ბევრი ხარჯი ურევია.* ■ **ხარჯიანი** რასაც ხარჯი (2) ურევია. *ხარჯიანი ხორბალი.* ⊙ **სხვის ხარჯზე** სხვისი სახსრებით. ⊙ **ხარჯს გასწევს** ფულს დახარჯავს.

**ხასიათი** *ხასიათის* 1. ადამიანის თვისებების ერთობლიობა, რომელიც მის ქცევაში გამოიხატება. *მშვიდი ხასიათი. ცუდი ხასითი.* 2. განწყობილება. *კარგ ხასიათზეა. მოლხენის ხასიათზე დადგა. ხასიათი გამოუკეთდა.* 3. რაიმეს თვისება, შინაარსი. *რთული ხასიათის დავალება.*

**ხასხასა** *ხასხასას* რაც ხასხასებს, მწვანედ მოელვარე. *ხასხასა ფოთლები.*

**ხასხასი** *ხასხასის* (ხასხასებს) მკვეთრი მწვანე ფერის გამოცემა, მწვანედ ელვარება. *ბალახი ხასხასებს.*

**ხატვა** *ხატვის* (ხატავს, ახატავს, იხატავს, უხატავს,

იხატება, ეხატება, ხატია, ახატია, უხატია, ახატვინებს) ↑ დახატვა. *ხატვა დაასრულა. აკვარელით ხატავს.*

**ხატი** *ხატის* 1. მაცხოვრის ან წმინდანების გამოსახულება, რომელსაც მორწმუნეები თაყვანს სცემენ. *ღვთისმშობლის ხატი.* 2. ნარმართული ღვთაება საქართველოს მთიანეთში. *ლაშარის ხატმა დაგლოცოთ!* 3. ადგილი, სადაც ხატის (2) სალოცავად იმართება დღეობა. *ქალები ხატში ვერ შედიან.*

**ხატმწერი** *ხატმწერის* მხატვარი, რომელიც ხატებს ქმნის, წერს. *ცნობილი ხატმწერი.*

**ხატობა** ხატის დღესასწაული მთაში. *ხატობაში უამრავი ადამიანი შეიკრიბა.*

**ხატოვანი** *ხატოვნის* მხატვრული სახეების შემცველი. *ხატოვანი გამოთქმა. ხატოვანი ფიგურები.* ▲ **ხატოვნად** ზმნზ. მხატვრული სახეების საშუალებით. *ხატოვნად აღწერს.*

**ხატწერა** *ხატწერის* ფერწერის დარგი, ხატების წერის ხელოვნება. *ხატწერის ნიმუშები.*

**ხაფანგი** *ხაფანგის* ცხოველების დასაჭერი მოწყობილობა. *მგლის ხაფანგი. მელას ხაფანგი.*

**ხაში** *ხაშის* 1. წვნიანი კერძი, რომელიც მზადდება ძროხისა და ცხვრის მოხარშული ფაშვის, ნანლავებისა და ფეხების ქვედა ნანილებისგან. *ნივრიანი ხაში.* 2. იგივეა, რაც საფუარი. *ხაშით მოზელილი.*

**ხაშხაში** *ხაშხაშის* ერთწლოვანი ბალახოვანი მცენარე, იკეთებს მსხვილ, სხვადასხვა ფერის ყვავილს, მოუმწიფებელი ნაყოფის წვნისგან იღებენ ოპიუმს, თესლისგან - მაღალი ხარისხის ზეთს.

**ხაჭაპური** *ხაჭაპურის* პური ყველის (ან ხაჭოს) შიგთავსით. *იმერული ხაჭაპური. ფენოვანი ხაჭაპური.*

**ხაჭო** *ხაჭოს* მჟავე რძის აჭრით ან დოს გაცხელებით მიღებული პროდუქტი. *უცხიმო ხაჭო.*

**ხახა** *ხახის* 1. მილი, რომელიც მდებარეობს პირის ღრუსა და საყლაპავს შორის. *ხახის კედელი.* 2. საუბრ. პირის უკანა, სასის მიმდებარე ნანილი. *ღია ხახა. ხახა გაუშრა.*

**ხახამშრალი** *ხახამშრალის* იმედგაცრუებული, მოტყუებული. *ხახამშრალი დარჩა.*

ხახვი

**ხახვი** *ხახვის* ბოლქვიანი ბოსტნეული, ბოლქვი და ფოთლები სანელებლად გამოიყენება და უმადაც იჭმება. *ახალი ხახვი.* ■ **ხახვიანი** რასაც ხახვი აქვს. *ხახვიანი საჭმელი.* ⊙ **ხახვივით შერჩება** საუბრ. პასუხს არ აგებინებენ.

**ხახუნი** *ხახუნის* (ახახუნებს, უხახუნებს, ეხახუნება) საგნის მოძრაობა ზედაპირზე, რომელსაც ის მჭიდროდ ეხება. *ზურგით კედელს ეხახუნება. ქვებს ერთმანეთს უხახუნებს.*

**ხბო** *ხბოს* ძროხის ნაშიერი ერთ წლამდე. *ჭრელი ხბო. სახარე ხბო.*

ხე

**ხე** *ხის* 1. მრავალწლოვანი მცენარეების ზოგადი სახელი, აქვთ მაგარი ღერო და დატოტვილი ვარჯი. *ტროპიკული ხეები.* 2. ხის (1) მერქანი, გამოიყენება სამშენებლო მასალად. *ხის სახლი. ხის მაგიდა.*

**ხებუჩქი** *ხებუჩქის* დაბალი, ბუჩქის მოყვანილობის ხე.

**ხედვა** *ხედვის* (ხედავს) 1. თვალით აღქმა, დანახვა. *შორს კარგად ხედავს. ფანჯრიდან ყველაფერს ხედავს.* 2. გადატ. შემჩნევა, შეტყობა, მიხვედრა, გააზრება. *პერსპექტივას ვერ ხედავს. საკითხის საინტერესო ხედვა.*

**ხედი** *ხედის* 1. სივრცის, გარემოს ის ნანილი, რომელიც მხედველობის არეშია მოქცეული. *წინა ხედი. გაშლილი ხედი.* 2. სურათი, რომელზეც ხედია (1) გამოსახული. *ქალაქის საერთო ხედი. საქართველოს ხედების ალბომი.*

**ხევა** *ხევის* (ხევს, უხევს, იხევა, ეხევა) 1. ↑ დახევა[1]. *რვეულს ხევს. კაბა ეხევა.* 2. ↑ გახევა. *ცელოფანი იხევა.*

**ხევდახევ** ზმნზ. ხევის გასწვრივ. *ხევდახევ მიდიოდნენ.*

**ხევი** *ხევის* მთებს შორის მოქცეული ადგილი, სადაც მდინარე მიედინება. *ხევში მოიმწყვდიეს მტერი.*

**ხევ-ხევ** ზმნზ. ხევებზე გავლით, ხევების გასწვრივ. *ხევ-ხევ იარეს.*

**ხევხუვი** *ხევხუვის* ბევრი ხევი, ხევებიანი ადგილი. *ხევხუვში თოვლი დადნა.*

**ხეთქვა** *ხეთქვის* (ხეთქავს, იხეთქავს, უხეთქავს) ↑ გახეთქვა. *ბუშტებს ხეთქავს.*

**ხეიბარი** *ხეიბრის* ფიზიკური ნაკლის მქონე, დასახიჩრებული ადამიანი. *მამამისი ხეიბარი იყო.*

**ხეივანი** *ხეივნის* 1. ერთმანეთის მოპირდაპირედ ჩამწკრივებული ხეების რიგი, რომლის შუაშიც გზა გადის. *დაბურული ხეივანი. ვიწრო ხეივანი.* 2. იგივეა, რაც ტალავერი. *მტევნებით დაიხუნძლა ხეივანი.* ■ **ხეივნიანი** სადაც ხეივანია. *ხეივნიანი ეზო.*

**ხეირი** *ხეირის* (ხეირობს) სარგებელი, მოგება. *ხეირი ნახა. დიდად იხეირა.* ⊙ **ხეირს არ დააყრის** საუბრ. არ გაახარებს, აზარალებს.

**ხეირიანი** *ხეირიანის* 1. კარგი, მოსანონი. *ხეირიანი ფეხსაცმელი. ხეირიანი მასწავლებელი.* 2. სასიკეთო, გამოსადეგი. *ხეირიანი საქმე.* ▲ **ხეირიანად** ზმნზ. კარგად, მოსანონად. *ხეირიანად არც კი იცნობს.*

**ხელადა** *ხელადის* 1. თიხის ვინროყელიანი,

მრგვალმუცლიანი ჭურჭელი. *ღვინით სავსე ხელადა.* 2. ღვინის მოცულობის საზომი, უდრის ორ ლიტრას. *ერთი ხელადა ღვინო.*

**ხელაღებით** ზმნზ. განურჩევლად, დაუფიქრებლად. *ხელაღებით უარყოფს.*

**ხელაღებული** *ხელაღებულის* ვინც რაიმეზე ხელი აიღო, რაიმე მიატოვა. *ოჯახზე ხელაღებული. სწავლაზე ხელაღებული.* ⊙ **თავზე ხელაღებული** ვისაც არავის რიდი და შიში არა აქვს.

**ხელახალი** *ხელახლის* რაც ხელახლა ხდება, კეთდება, განმეორებითი. *ხელახალი გამოცემა. ხელახალი რეგისტრაცია.*

**ხელახლა** ზმნზ. ისევ, ხელმეორედ, თავიდან. *კითხვა ხელახლა დაიწყო.*

**ხელბარგი** *ხელბარგის* ხელით სატარებელი ბარგი. *ხელბარგი გადათვალეს.*

**ხელბორკილი** *ხელბორკილის* რკინის პატარა ბორკილი, რომელსაც დაპატიმრებულებს ხელებზე ადებენ. *პატიმარს ხელბორკილი დაადეს.*

**ხელბურთელი** *ხელბურთელის* სპორტსმენი, ხელბურთის მოთამაშე. *ხელბურთელთა ნაკრები.*

**ხელბურთი** *ხელბურთის* სპორტის სახეობა, ხელით ბურთის თამაში ორ გუნდს შორის. *ხელბურთის მატჩი. ხელბურთის გუნდი.*

**ხელგარჯილობა** *ხელგარჯილობის* იგივეა, რაც ხელსაქმე. *ხელგარჯილობას ასწავლიან. ხელგარჯილობის კურსები.*

**ხელგაშლილი** *ხელგაშლილის* გულუხვი, დაუზოგავად მხარჯველი. *ხელგაშლილი მასპინძელი. ხელგაშლილი მეგობარი ჰყავს.*

**ხელგაშლილობა** *ხელგაშლილობის* გულუხვობა. *ხელგაშლილობით ცნობილი. ხელგაშლილობა ახასიათებს.*

**ხელგაწვდილი** *ხელგაწვდილის* ვინც მოწყალებას, დახმარებას ითხოვს. *ხელგაწვდილი დადის.*

**ხელდამშვენებული** *ხელდამშვენებულის* უხვი საჩუქრებით, ძღვნით მოსული. *ხელდამშვენებული სტუმარი. შვილიშვილთან ხელდამშვენებული მივიდა.*

**ხელდასხმა** *ხელდასხმის* 1. კურთხევა საეკლესიო თანამდებობაზე. 2. გადატ. შემოქმედებითი გზის დალოცვა.

**ხელდასხმული** *ხელდასხმულის* ვინმეს რეკომენდაციით, წარდგინებით დამკვიდრებული ამა თუ იმ სფეროში. *დიდი მწერლის მიერ ხელდასხმული.*

**ხელეჩო** *ხელეჩოს* პატარა ეჩო. *სწორი ხელეჩო. ჩერქეზული ხელეჩო.*

**ხელთათმანი** *ხელთათმნის* ხელის მტევანზე ჩასაცმელი ნაქსოვი ან შეკერილი სამოსი. *ტყავის ხელთათმანი.*

ხელთათმანი

**ხელთუქმნელი** *ხელთუქმნელის* რაც ხელით არ არის შექმნილი, რის შექმნაც ადამიანის შესაძლებლობებს აღემატება. *ხელთუქმნელი ძეგლი. ხელთუქმნელი ხატი.*

**ხელი** *ხელის* 1. ადამიანის სხეულის ნაწილი მხრიდან თითის წვერებამდე. *ხელი მოხვია. ხელი ასწია. ხელი მოიტეხა.* 2. ადამიანის სხეულის ნაწილი მაჯიდან თითის წვერებამდე. *ხელის გული. ხელს უჭერს.* 3. ერთდროულად გამოსაყენებელი ნივთების კომპლექტი. *თითო ხელი ლოგინი. ერთი ხელი ტანსაცმელი.* 4. ასოების წერის თავისებურება. *ლამაზი ხელი. გაკრული ხელით წერს.* 5. იგივეა, რაც პარტია (2). *ერთი ხელი ნარდი. ერთი ხელი ჭადრაკი.* 6. საქმეში მონაწილე, დამხმარე. *ხელი აკლია. ხელი სჭირდება. მზრუნველი ხელი.* ⊙ **ვინმეზე ხელს აღმართავს** ვინმეზე ძალას იხმარს, ფიზიკურად გაუსწორდება. ⊙ **ვინმეს ხელს აძლევს** მისთვის ხელსაყრელია, მოსახერხებელია. ⊙ **მის ხელშია** მისი გადასაწყვეტია, მასზეა დამოკიდებული. ⊙ **ხელები გაეხსნება** თავისუფლად მოქმედების საშუალება მიეცემა. ⊙ **ხელი მოითბო** სიტუაცია თავის სასარგებლოდ გამოიყენა. ⊙ **ხელიდან გაუშვებს** არ გამოიყენებს. ⊙ **ხელიდან ნავა უწესო ცხოვრებას დაიწყებს.** ⊙ **ხელს გააყოლებს** თან წაიღებს, მოიპარავს. ⊙ **ხელს გაუმართავს** დაეხმარება. ⊙ **ხელს დაადებს** ბრალს დასდებს. ⊙ **ხელს დააფარებს** დაეხმარება დანაშაულის დაფარვაში, სასჯელს აარიდებს. ⊙ **ხელს მოჰკიდებს** რაიმე საქმიანობას დაიწყებს. ⊙ **ხელს ჩაიქნევს** იმედს დაკარგავს. ⊙ **ხელში ჩაუვარდება** შემთხვევით, მოულოდნელად იშოვის, მიიღებს.

**ხელისგული** *ხელისგულის* ხელის მტევნის შიგა მხარე მაჯიდან თითებამდე. *ხელისგულზე აღბეჭდილი ხაზები.* ⊙ **ხელისგულზე ატარებს** ყველაფერს უსრულებს, პატივისცემით ეპყრობა.

**ხელისმომკიდე** *ხელისმომკიდის* იგივეა, რაც მეჯვარე. *დედოფლის ხელისმომკიდე.*

**ხელისუფალი** *ხელისუფლის* ქვეყნის მმართველი, გამგებელი. *ღირსეული ხელისუფალი.*

**ხელისუფლება** *ხელისუფლების* პოლიტიკური, სახელმწიფო მმართველობა თავისი ორგანოებით. *ხელისუფლების შეცვლა. ხელისუფლების გადაწყვეტილება.*

**ხელკავი** *ხელკავის* მარცვლეულის კანის გასაცლელი მოხრილი, მრგვალთავიანი მსხვილი ჯოხი. *სიმინდს ხელკავით ფშვნიან. ღომი ხელკავით იცეხვება.* ⊙ **ხელკავი გამოსდო** მკლავში ხელი გაუყარა.

**ხელკეტი** *ხელკეტის* ხელჩართულ ბრძოლაში სახმარი მოკლე კეტი. *რეზინის ხელკეტი. რკინის ხელკეტი.* ■ **ხელკეტიანი** ხელკეტით შეიარაღებული. *ხელკეტიანი პატრული.*

**ხელმარცხნივ** ზმნზ. იგივეა, რაც მარცხნივ. *ჩემ ხელმარცხნივ იჯდა.*

**ხელმარჯვე** *ხელმარჯვის* ვისაც ყველაფრის გაკეთება ემარჯვება, საქმეში მოხერხებული. *ხელმარჯვე დიასახლისი.*

**ხელმარჯვნივ** ზმნზ. იგივეა, რაც მარჯვნივ. *ხელმარჯვნივ სახლი დგას.*

**ხელმეორე** *ხელმეორის* ხელახალი, განმეორებითი. *ხელმეორე ქორწინება.* ▲ **ხელმეორედ** ზმნზ. ხელახლა, განმეორებით. *ხელმეორედ დაკითხეს.*

**ხელმისაწვდომი** *ხელმისაწვდომის* შესაძლებელი, ადვილად მისაწვდომი. *ხელმისაწვდომი ფასი.*

**ხელმოკლე** *ხელმოკლის* ღარიბი, გაჭირვებული. *ხელმოკლე ოჯახი.* ▲ **ხელმოკლედ** ზმნზ. ღარიბულად, გაჭირვებულად. *ხელმოკლედ ცხოვრობს.*

**ხელმოკლეობა** *ხელმოკლეობის* გაჭირვება, სიღარიბე. *ხელმოკლეობის გამო სწავლა ვერ გააგრძელა.*

**ხელმომჭირნე** *ხელმომჭირნის* ქონების გონივრულად მომხმარებელი, ყაირათიანი. *ხელმომჭირნე დიასახლისი. ხელმომჭირნე ხელმძღვანელი.*

**ხელმოსაჭიდი** *ხელმოსაჭიდის* 1. რასაც შეიძლება ხელი მოჰკიდონ. *ალპინისტი ხელმოსაჭიდს ეძებდა.* 2. გადატ. რასაც შეიძლება დაეყრდნონ რაიმე საქმეში. *გამოძიებამ ხელმოსაჭიდი ვერაფერი ნახა.*

**ხელმოცარული** *ხელმოცარულის* ვისაც საქმე ცუდად მისდის, არ უმართლებს. *ხელმოცარული მონადირე.*

**ხელმოწერა** *ხელმოწერის* საბუთზე საკუთარი გვარის აღნიშვნა. *ხელმოწერით დაადასტურა.*

**ხელმოჭერილი** *ხელმოჭერილის* ვინც ზედმეტად თავშეკავებულად ხარჯავს, გაუმეტებელი. *ხელმოჭერილი ნათესავები.*

**ხელმრუდი** *ხელმრუდის* საუბრ. ქურდობაში შემჩნეული. *ხელმრუდი აღმოჩნდა.*

**ხელმძღვანელი** *ხელმძღვანელის* პირი, რომელიც ნარმართავს ორგანიზაციის, ჯგუფის, კერძო პირის საქმიანობას. *კათედრის ხელმძღვანელი. დისერტანტის ხელმძღვანელი.*

**ხელმძღვანელობა** *ხელმძღვანელობის* (ხელმძღვანელობს) 1. ხელმძღვანელად ყოფნა, მეთაურობა. *ხელმძღვანელობა გაუწია. ტურისტულ ჯგუფს ხელმძღვანელობს.* 2. რაიმეს მიხედვით, რაიმეს გათვალისწინებით მოქცევა, მოქმედება. *ამ წიგნით ხელმძღვანელობს.*

**ხელმწიფე** *ხელმწიფის* იგივეა, რაც მეფე. *ხელმწიფის ბრძანება.*

**ხელნაწერი** *ხელნაწერის* 1. ხელით დაწერილი ტექსტი. *ხელნაწერს კითხულობს.* 2. დამწერლობის უძველესი ძეგლი, რომელიც ბეჭდვის გამოგონებამდეა შექმნილი. *მეთერთმეტე საუკუნის ხელნაწერი.*

**ხელობა** *ხელობის* საქმიანობა, რომელიც დაოსტატებას, ხელის გაწაფვას მოითხოვს. *ხელობა ისწავლა. თავისი ხელობით არჩენს ოჯახს.*

**ხელოვანი** *ხელოვნის* პირი, რომელიც ხელოვნების რომელიმე დარგში მოღვაწეობს. *დიდი ხელოვანი.*

**ხელოვნება** *ხელოვნების* 1. მხატვრული შემოქმედება. *ქართული ხელოვნება. ხელოვნების მოღვაწეთა კავშირი.* 2. ამა თუ იმ საქმიანობაში, სფეროში საჭირო ხერხებისა და მეთოდების ერთობლიობა. *სამსახიობო ხელოვნება. საბრძოლო ხელოვნება. დიპლომატიის ხელოვნება.*

**ხელოვნებათმცოდნე** *ხელოვნებათმცოდნის* ხელოვნებათმცოდნეობის სპეციალისტი. *ხელოვნებათმცოდნეთა სიმპოზიუმი.*

**ხელოვნებათმცოდნეობა** *ხელოვნებათმცოდნეობის* მეცნიერება, რომელიც შეისწავლის ხელოვნების ისტორიასა და თეორიას. *ხელოვნებათმცოდნეობის კურსი.*

**ხელოვნური** *ხელოვნურის* ადამიანის მიერ შექმნილი, არაბუნებრივი. *ხელოვნური ტბა. ხელოვნური ტყავი. ხელოვნური ნაძვის ხე.*

**ხელოსანი** *ხელოსნის* პირი, რომელმაც რაიმე ხელობა იცის. *მანქანის ხელოსანი.*

**ხელოსნობა** *ხელოსნობის* ხელოსნის საქმიანობა. *ხელოსნობა დაიწყო. ხელოსნობა ისწავლა.*

**ხელსაფქვავი** *ხელსაფქვავის* პრიმიტიული მოწყობილობა, რითაც მარცვლეულს ფქვავდნენ. *ღომი ხელსაფქვავით იფქვება.*

**ხელსაქმე** *ხელსაქმის* ჭრა-კერვის, ქსოვისა და ქარგვის საერთო სახელწოდება. *ხელსაქმეს სწავლობს.*

**ხელსაყრელი** *ხელსაყრელის* 1. მოსახერხებელი, დროული, შესაფერისი. *ხელსაყრელი შემთხვევა. ხელსაყრელი სიტუაცია.* 2. სარგებლობის მომტანი, სასარგებლო. *ხელსაყრელი საქმე. ხელსაყრელი გარიგება.*

**ხელსაწყო** *ხელსაწყოს* ხელის იარაღი, მოწყობილობა. *სამიწათმოქმედო ხელსაწყოები. სადურგლო ხელსაწყო.*

**ხელსახოცი** *ხელსახოცის* ხელის გასაწმენდი ნაჭერი. *ტილოს ხელსახოცი. ქაღალდის ხელსახოცი.*

**ხელუკუღმა** ზმნზ. 1. ხელის ზურგით (2). *ხელუკუღმა გაარტყა.* 2. ხელის გაწევით ზურგისკენ, ზურგის მხრიდან ხელის მოძრაობით. *ქვა ხელუკუღმა ისროლა.*

**ხელუხლებელი** *ხელუხლებლის* 1. რისთვისაც ხელი არ უხლიათ, არ შეუცვლიათ. *ხელუხლებელი ტყეები.* 2. კარგად შენახული, დაუხარჯავი. *ხელუხლებელი მარაგი. ხელუხლებელი ფონდი.* ▲ **ხელუხლებლად** ზმნზ. ხელის შეუხებლად, უცვლელად. *ხელუხლებლად ინახავს.*

**ხელფასი** *ხელფასის* დაქირავებული შრომის ფულადი ანაზღაურება. *მაღალი ხელფასი. ხელფასი მოემატა.*

ხელქვეითი *ხელქვეითის* თანამდებობით უმცროსი, სხვაზე დამოკიდებული. *ხელქვეითებს დავალება მისცა.*

ხელყოფა *ხელყოფის* (ხელყოფს) წიგნ. ზიანის მიყენება, განადგურება. *კერძო საკუთრების ხელყოფა. ადამიანის უფლებების ხელყოფა.*

ხელყუმბარა *ხელყუმბარის* ხელით სასროლი ყუმბარა, გამოიყენება ახლო მანძილზე მოწინააღმდეგის დასაზიანებლად. *ტანკს ხელყუმბარა ესროლა.*

ხელშეკრულება *ხელშეკრულების* წერილობითი დოკუმენტი, რომელშიც განსაზღვრულია შეთანხმებულ მხარეთა უფლებები და მოვალეობები. *ხელშეკრულება გააფორმეს.*

ხელშემშლელი *ხელშემშლელის* რაც ხელს უშლის, თავისუფალი მოქმედების საშუალებას არ იძლევა. *ხელშემშლელი პირობები. ხელშემშლელი ფაქტორი.*

ხელშემწყობი *ხელშემწყობის* რაც ხელს უწყობს, ეხმარება. *ხელშემწყობი გარემო.*

ხელშესახები *ხელშესახების* 1. რასაც შეიძლება ხელით შეეხონ. 2. გადატ. მნიშვნელოვანი, ადვილად შესამჩნევი. *ხელშესახები ცვლილებები. ხელშესახები მიზეზი.*

ხელშეუხებელი *ხელშეუხებლის* რასაც ვერ შეეხებიან, დაცული. *ხელშეუხებელი მარაგი.*

ხელშეუხებლობა *ხელშეუხებლობის* ხელშეუხებლად ყოფნა. *ხელშეუხებლობის გარანტია მოითხოვა.*

ხელჩანთა *ხელჩანთის* ხელში დასაჭერი ჩანთა. *ტყავის ხელჩანთა.*


ხელჩანთა

ხელჩართული *ხელჩართულის* ერთმანეთის პირისპირ გამართული (ბრძოლა). *ხელჩართული ჩხუბი.*

ხელცარიელი *ხელცარიელის* 1. ვინც ვერაფერი მოიტანა. *სახლში ხელცარიელი დაბრუნდა.* 2. არაფრის მქონე, უქონელი. *ხელცარიელი დარჩა.*

ხელწამოსაკრავი *ხელწამოსაკრავის* ვისი მორიდებაც არა აქვთ, ვისაც ადვილად გაუბედავენ რაიმეს. *არაა ადვილად ხელწამოსაკრავი.*

ხელწერა *ხელწერის* წერის, ასოების გამოყვანის ტექნიკა. *ლამაზი ხელწერა.*

ხელწერილი *ხელწერილის* ხელმოწერილი საბუთი, რომლითაც პიროვნება რაიმეს ადასტურებს, რაიმე ვალდებულებას კისრულობს. *ხელწერილი ქვეყნიდან გაუსვლელობის შესახებ.*

ხელჯოხი *ხელჯოხის* სპეციალური ჯოხი, რომელსაც სიარულისას ეყრდნობიან. *ხელჯოხით დადის.* ■ ხელჯოხიანი ვისაც ხელჯოხი უჭირავს. *ხელჯოხიანი კაცი.*

ხემი *ხემის* სიმებიანი საკრავების ასაჟღერებელი მოწყობილობა – ხის ჯოხი, რომელზეც ძუა ან სინთეტიკური ძაფია გაჭიმული. *ვიოლინოს ხემი. კონტრაბასის ხემი.*

ხემი

ხემიანი *ხემიანის* რასაც ხემით უკრავენ. *ხემიანი ინსტრუმენტები.*

ხემსი *ხემსის* მცირე რაოდენობის საჭმელი. *ხემსი არ ჩასვლია პირში.*

ხენდრო *ხენდროს* 1. მარწყვის სახეობა, აქვს დიდი ფოთლები და თეთრი ყვავილები, ისხამს მსხვილ, სურნელოვან ნაყოფს. 2. კულტურული, მსხვილნაყოფა მარწყვის ზოგადი სახელწოდება. *ხენდრო მოაშენა.*

ხეობა *ხეობის* 1. მთებსა და ქედებს შორის მოქცეული ვრცელი ტერიტორია, ძირითადად, დიდი მდინარის ნაპირებზე. *ხეობაში შევიდნენ.* 2. გადატ. ხეობაში (1) მცხოვრები მოსახლეობა. *მთელი ხეობა ფეხზე დადგა.*

ხეპრე *ხეპრის* ბრიყვი, უხეში, უცოდინარი, გაუნათლებელი. *ხეპრე კაცი.*

ხერგი *ხერგის* იგივეა, რაც ხერგილი.

ხერგილი *ხერგილის* მოჭრილი ან ნაქცეული ხეების გროვა, რომლითაც გზა არის გადაკეტილი. *ხერგილი გადალახეს.*

ხერხემალი *ხერხემლის* ადამიანისა და ცხოველის ჩონჩხის მთავარი ღერძი – მალებისგან შემდგარი ძვლოვანი საყრდენი, რომელშიც ზურგის ტვინია მოთავსებული. *ხერხემლის გამრუდება.*

ხერხემლიანი *ხერხემლიანის* ცხოველი, რომელსაც განვითარებული ძვალ-სახსართა სისტემა აქვს. *ხერხემლიანი ცხოველები. ხერხემლიანთა სახეობები.*

ხერხვა *ხერხვის* (ხერხავს, უხერხავს, იხერხება) ↑ გახერხვა. *შეშის ხერხვა დაიწყეს.*

ხერხი[1] *ხერხის* ხელის სამუშაო იარაღი, რომელსაც აქვს რკინის დაკბილული, მჭრელი პირი და ხის ან ლითონის ტარი, იყენებენ ხის, ლითონის საჭრელად. *პატარა ხერხი.*

ხერხი

ხერხი[2] *ხერხის* რაიმეს გაკეთების, განხორციელების, მიღწევის გზა, საშუალება. *კარგი ხერხი მოიგონა. ძველ ხერხს მიმართა.*

ხერხიანი *ხერხიანის* მოხერხებული, ყოჩაღი. *ხერხიანი კაცი.*

ხეტება *ხეტების* (ეხეტება) იგივეა, რაც ხეტიალი. *მთელი დღე უგზო-უკვლოდ ეხეტება.*

ხეტიალი *ხეტიალის* (ხეტიალობს) უაზროდ აქეთ-იქით სიარული. *ქუჩაში ბევრი იხეტიალა.*

ხე-ტყე *ხე-ტყის* სამასალედ მოჭრილი ხეები. *ხე-ტყის გადასამუშავებელი ქარხანა.*

ხეშავი *ხეშავის* საშუალო ზომის ბუჩქი, იკეთებს წვრილ, ყვითელ ყვავილებსა და შავ, მრგვალ, კურკიან ნაყოფს, გამოიყენება სამკურნალოდ, კურკა იხმარება საღებავად.

ხეშეში *ხეშეშის* I. უხეში, მაგარი, ხმელი. *ხეშეში კანი. ხეშეში მატყლი.* 2. გადატ. უხასიათო, უზრდელი. *ხეშეში კაცი.*

ხეჭეჭური *ხეჭეჭურის* I. მსხლის ჯიში, წუნიანი, მოტკბო ხილი. 2. ხე, რომელიც ისხამს ხეჭეჭურს (1). *ეზოში ხეჭეჭური დგას.*

ხეჭრელი *ხეჭრელის* დაბალი ხე ან ბუჩქი, აქვს წვრილი ყვავილები, იკეთებს შავ, წუნიან, კურკიან ნაყოფს, გამოიყენება სამკურნალოდ.

ხეხვა *ხეხვის* (ხეხავს, იხეხავს, უხეხავს, იხეხება) I. ↑ გახეხვა (1). *ტაფის ხეხვა დაიწყო. კბილებს იხეხავს.* 2. ↑ გახეხვა (2). *სტაფილოს ხეხავს.*

ხეხილი *ხეხილის* ხეები, რომლებიც ხილს ისხამს. *ხეხილის ბაღი. ხეხილი გააშენეს.*

ხეხილნარი *ხეხილნარის* ხეხილიანი ადგილი. *ეზო ხეხილნარით თავდება.*

ხვადი *ხვადის* მამრობითი სქესის მტაცებელი ცხოველი. *ხვადი ვეფხვი.*

ხვავი *ხვავის* I. ბარაქა, სიუხვე. *ხვავი და ბარაქა არ მოგაკლოთ ღმერთმა!* 2. მარცვლეულის (ხორბლის, სიმინდისა და მისთ.) გროვა. *სიმინდის ხვავი.*

ხვავრიელი *ხვავრიელის* უხვი, ბარაქიანი. *ხვავრიელი მოსავალი.* ▲ ხვავრიელად ზმნზ. დიდი რაოდენობით, ბარაქიანად. *ხვავრიელად თოვს.*

ხვალ ზმნზ. დღეის მომდევნო დღეს, მეორე დღეს. *ხვალ ვისვენებთ.* ⊙ დღეს თუ ხვალ სულ ახლო მომავალში, მალე, ამ დღეებში.

ხვალ-ზეგ ზმნზ. ხვალ ან ზეგ, რამდენიმე დღეში. *ხვალ-ზეგ გამოვივლი.*

ხვალზევით ზმნზ. ხვალის მომდევნო დღეს, ზეგ. *ხვალზევით მიმთავრდება შვებულება.*

ხვალინდელი *ხვალინდლის* რაც ხვალ იქნება, ხვალისა. *ხვალინდელი მატჩი.*

ხვალღამ ზმნზ. ხვალ ღამით. *ხვალღამ მორიგეობს.*

ხვანჭკარა *ხვანჭკარის* ალექსანდროულისგან დაწურული ნახევრად ტკბილი წითელი ღვინო. *ხვანჭკარა ჩამოასხა.*

ხვანჯი *ხვანჯის* ხლართი, ნასკვი. *ჩოხის ხვანჯი.* ▪ ხვანჯიანი რასაც ხვანჯი აქვს. *ხვანჯიანი ტომარა. ხვანჯიანი ნაბადი.*

ხვართქლა *ხვართქლას* მრავალწლოვანი სარეველა ბალახი, აქვს ისრისებური ფოთლები, იკეთებს ძაბრის ფორმის, თეთრ ან ვარდისფერ ყვავილებს.

ხვაშიადი *ხვაშიადის* ფარული სურვილი, საიდუმლო. *ხვაშიადი გაამჟღავნა.*

ხვედრი *ხვედრის* I. ბედი, წერა. *მძიმე ხვედრი ერგო.* 2. ვინმეს წილი, კუთვნილი რამ, რაც შეხვდა, ერგო ვინმეს. *ჩემი ხვედრი ნანადირევი.*

ხვედრითი *ხვედრითის* შეფარდებითი. *ხვედრითი წილი. ხვედრითი წონა.*

ხვევა *ხვევის* (ხვევს, ახვევს, იხვევს, უხვევს, იხვევა, ეხვევა) I. ↑ გახვევა (1). *ქალალდში ახვევს.* 2. ↑ დახვევა. *თოკს ახვევს.* 3. ↑ მოხვევა. *ხელს ხვევს. ბავშვი დედას ეხვევა.* 4. ↑ შეხვევა. *ჭრილობას უხვევს.*

ხვევნა *ხვევნის* (ხვევს, ეხვევა) ↑ მოხვევა (2). *შვილს ხვევნა დაუწყო. დები ეხვევიან ერთმანეთს.*

ხველა *ხველის* (ახველებს) სასუნთქი გზების გაღიზიანებით გამოწვეული მკვეთრი თვითნებური ამოსუნთქვა, რასაც ახლავს სპეციფიკური ხმა. *ხველა აუტყდა.*

ხველება *ხველების* (ახველებს) იგივეა, რაც ხველა. *ბავშვს ხშირად ახველებს.*

ხვეტა *ხვეტის* (ხვეტს, იხვეტება) ↑ დახვეტა. *ფოთლებს ხვეტს.*

ხვეული *ხვეულის* იგივეა, რაც ხუჭუჭი. *ხვეული თმა.*

ხვენა *ხვენის* (ხვენს, იხვენება) I. ↑ დახვენა (1). *ნაწერს თანდათან ხვენს.* 2. იგივეა, რაც დახვენა (2). *ძაფის ხვენა.* 3. ხვენით თლა. *ვარცლს ხვენს.*

ხვენი *ხვენის* ხეზე სამუშაო იარაღი – სპეციალური რკინის დანა, რომელსაც აქვს მოღუნული თავი და მჭრელი პირი, იყენებენ ხის ნაკეთობათა სათლელად. *ორპირა ხვენი.*

ხვენწნა *ხვენწნის* (ეხვენწნა, ახვენწნინებს) ↑ შეხვენწნა. *ხვენწნა დაუწყო. დედას ეხვენწნება. ბევრი ახვენწნინა.*

ხვიარა *ხვიარას* მცენარე, რომელიც სხვა მცენარის ტანს ან სპეციალურად შედგმულ სარს, ჭიგოს ეხვევა. *სვია ხვიარა მცენარეა.*

ხვითო *ხვითოს* საუბრ. დაცინვით ამბობენ ვინმეზე ან რაიმეზე იმის აღსანიშნავად, რომ ის ბევრს არაფერს წარმოადგენს. *ისიც კარგი ხვითოა! დიდი ხვითო ეგა მყავს!*

ხვითქი *ხვითქის* სიცხით ან დაღლილობით გამოწვეული დიდი რაოდენობით ოფლი. *ხვითქი გადასდის.*

ხვიმირა *ხვიმირას* იგივეა, რაც ხვიმირი.

ხვიმირი *ხვიმირის* წისქვილში დოლაბის ზევით დამაგრებული ხის კონუსური ყუთი, საიდანაც მარცვალი ჩამოდის. *ვიწრო ხვიმირი.*

ხვიხვინი *ხვიხვინის* (ხვიხვინებს) I. ხმადაბალი ჭიხვინი. *თაღლიდან ხვიხვინი ისმოდა.* 2. გადატ. ყრუ, უშნო, მოურიდებელი სიცილი. *კაცმა ხვიხვინი დაიწყო.*


ხვლიკი

ხვლიკი *ხვლიკის* მცირე ზომის ოთხფეხი ქვენარმავალი, ბი-

ნადრობს კლდეებში. *ხვლიკი ბუზებით იკვებება.*

**ხვნა** *ხვნის* (ხნავს, უხნავს, იხვნება, ახვნევინებს) ↑ მოხვნა. *გაზაფხულზე ხვნა იწყება. ტრაქტორით ხნავენ.*

**ხვნეშა** *ხვნეშის* (ხვნეშის, ახვნეშებს) წვალებით, გაჭირვებით სუნთქვა ყრუ ხმის გამოცემით. *დაღლილმა ხვნეშა დაიწყო. ავადმყოფი ხვნეშის.*

**ხვრა** *ხვრის* (ხვრავს, იხვრება) ↑ გამოხვრა. *ძაღლმა ძვლის ხვრა დაიწყო. თაგვი კაკალს ხვრავს.*

**ხვრელი** *ხვრელის* ვიწრო ნახვრეტი მიწაში, კედელში, ფიცარსა და მისთ. *ხვრელში შეძვრა.*

**ხვრეპა** *ხვრეპის* (ხვრეპს) ↑ შეხვრეპა. *წვნიანს ხვრეპს.*

**ხვრეტა** *ხვრეტის* (ხვრეტს, უხვრეტს, იხვრიტება, ეხვრიტება) 1. ↑ გახვრეტა. *წყალი კლდეს ხვრეტს. ბეტონს ხვრეტენ.* 2. ↑ დახვრეტა. *უდანაშაულო ხალხს ხვრეტენ.*

**ხვრინვა** *ხვრინვის* (ხვრინავს) ძილის დროს გაძნელებით სუნთქვა ხახიდან სპეციფიკური ხმის გამოცემით. *ხმამაღლა ხვრინავს.*

**ხვრიში** *ხვრიშის* მსხვილად დაფქული. *ხვრიში შაქარი. ხვრიში მარილი.*

**ხიბლი** *ხიბლის* წიგნ. მიმზიდველობა, სილამაზე. *შეუდარებელი ხიბლი.*

**ხიდი** *ხიდის* 1. მდინარის, არხისა და მისთ. ერთი ნაპირიდან მეორეზე გადასასვლელი ნაგებობა. *ახალი ხიდი. რკინიგზის ხიდი.* 2. სხვადასხვა დანადგარის ან ავტომობილის ნაწილი. *ავტომობილის წინა ხიდი. საქსოვი დაზგის ხიდი.*

**ხივილი** *ხივილის* (ხივის) წყლის დიდი ნაკადის, ძლიერი ქარისა და მისთ. ხმაური. *ხეობიდან მდინარის ხივილი ისმის.*

**ხიზანი** *ხიზნის* ვინმესთან შეხიზნული, თავშეფარებული კაცი. *ხიზნები დაასახლა.*

**ხიზილალა** *ხიზილალის* საჭმელად დამუშავებული ქვირითი. *წითელი ხიზილალა.*

**ხითხითა** *ხითხითას* ვისაც ხითხითი უყვარს. *ხითხითა ბავშვი.*

**ხითხითი** *ხითხითის* (ხითხითებს) ხმადაბალი სიცილი. *ხითხითი დაიწყო. თავისთვის ხითხითებს.*

**ხიი** შორისდ. ხარისთვის ან კამეჩისთვის შეძახება მათ უკან დასახევად ან გვერდზე მისაყენებლად.

**ხილაბანდი** *ხილაბანდის* მსუბუქი ქსოვილის სამკუთხა თავსაკრავი მზისგან დასაცავად. *ხილაბანდი წაიკრა.*

**ხილ-ბოსტნეული** *ხილ-ბოსტნეულის* ხილი და ბოსტნეული. *ხილ-ბოსტნეულის მაღაზია.*

**ხილეული** *ხილეულის* სხვადასხვა სახეობის ხილი. *ხილეული მოართვა.*

**ხილვა** *ხილვის* (იხილავს) 1. იგივეა, რაც ნახვა. *საკუთარი თვალით იხილა.* 2. ჩვენება (3), ზმანება. *ხილვა ჰქონდა.*

**ხილვადი** *ხილვადის* რის დანახვა, აღქმა შესაძლებელია. *ხილვადი სამყარო. ხილვადი საგნები.*

**ხილვადობა** *ხილვადობის* რაიმეს დანახვის, გარჩევის შესაძლებლობა. *კარგი ხილვადობა.*

**ხილი** *ხილის* ზოგიერთი მცენარის საჭმელად ვარგისი ნაყოფი, ჩვეულებრივ, ტკბილი და წვნიანი. *მწიფე ხილი. ხილის წვენი.* ⊙ **ახალი ხილი** საუბრ. სიახლე.

**ხილული** *ხილულის* რაც ჩანს, თვალით დასანახი. *ხილული საგანი. ხილული ობიექტი.*

**ხილფაფა** *ხილფაფის* შაქართან ერთად მოხარშული ხილის გახეხილი, ტკბილი მასა. *პურზე წასმული ხილფაფა.*

**ხიმინჯი** *ხიმინჯის* სქელი ძელი, რომელსაც ნაგებობა ეყრდნობა. *სახლი ხიმინჯებზე დგას.*

**ხინკალი** *ხინკლის* მოხარშული კერები ძალიან წვრილად დაჭრილი ხორცის, ხაჭოს ან კარტოფილის შიგთავსით. *ცხელ-ცხელი ხინკალი.*

ხინკალი

**ხინჯი** *ხინჯის* იგივეა, რაც ნაკლი. *ხინჯი არაფერი აქვს.* ⊙ **გულში ხინჯად აქვს (დარჩა)** საწყენად დარჩა, წყენა გაჰყვა.

**ხირხალი** *ხირხალის* 1. ხის მორებისგან გაკეთებული ღობე. 2. ჭიშკარში გაყრილი ხის გრძელი ლატანი. *ხირხალი გამოაძრო.*

**ხისტი** *ხისტის* 1. უხეში, ხმელი, მაგარი. *ხისტი საგნები.* 2. გადატ. უხეში, მოუქნელი. *ხისტი ხასიათი. ხისტი პოლიტიკა.*

**ხიფა** *ხიფის* ხელის თითებზე ამოხვეული საქსოვი ძაფი. *სამი ხიფა.*

**ხიფათი** *ხიფათის* განსაცდელი, საფრთხე. *ხიფათი მოელის. ხიფათს გადაეყრება.*

**ხიფათიანი** *ხიფათიანის* 1. ვისაც გამუდმებით ხიფათი შეემთხვევა ხოლმე. *ხიფათიანი ბავშვი.* 2. რასაც შეიძლება ხიფათი მოჰყვეს, სახიფათო. *ხიფათიანი საქმე. ხიფათიანი გზა.*

**ხიშტი** *ხიშტის* ცეცხლსასროლი იარაღის (კარაბინის, შაშხანის, თოფისა და მისთ.) ლულაზე დამაგრებული წვეტიანი ცივი იარაღი. *შაშხანის ხიშტი. ხიშტი აძგერა.* ■ **ხიშტიანი** რასაც ხიშტი აქვს. *ხიშტიანი თოფი.*

**ხიცინი** *ხიცინის* (უხიცინებს) მსუბუქი ღიტინი. *ფეხის გულზე უხიცინებს.*

**ხიწვი** *ხიწვის* იგივეა, რაც ხიჭვი.

**ხიჭვი** *ხიჭვის* ხის წვრილი წვეტიანი ანახეთქი. *ხიჭვი შეერჭო. ხიჭვი ამოუღო.*

**ხიხინი** *ხიხინის* (ხიხინებს) სუნთქვისას ავადმყო-

ფობის მაუწყებელი ხრიწინიანი ხმა ფილტვებში. *ბიხინი ესმის.*

**ხლართვა** *ხლართვის* (ხლართავს, უხლართავს, იხლართება, ეხლართება) ↑ **დახლართვა**. *ძაფი იხლართება.*

**ხლართი** *ხლართის* 1. ერთმანეთში უწესრიგოდ არეული ძაფი, მავთული და მისთ. *ხლართი გამოხსნა.* 2. გადატ. ერთმანეთში საგანგებოდ არეული ამბები, რომელთა ამოცნობაც ძალიან ძნელია. *ინტრიგების ხლართი.*

**ხლაფორთი** *ხლაფორთის* (ხლაფორთობს) საუბრ. ნვალებით, გაჭირვებით კეთება, მცდელობა რაიმეს მისაღწევად. *ბევრი იხლაფორთა. რაღაცას ხლაფორთობს.*

**ხლება**[1] *ხლების* (ახლავს, აახლებს, ეახლება) 1. ვინმესთან ერთად ყოფნა. *ქალს ბავშვი ახლდა.* 2. პატივისც. ვინმესთან მორიდებით მისვლა ან სხვისი გაგზავნა. *დიდებულები მეფეს ეახლნენ. თავადს ვაჟი აახლა.* 3. პატივისც. ყოფნა. *ქალბატონი ნინო სახლში არ გახლავთ.* 4. პატივისც. შეჭმა, დალევა. *ყავას სიამოვნებით გეახლებით.*

**ხლება**[2] *ხლების* (ახლებს, ეხლება, ახლებინებს) ⊙ ხელის (პირის) **ხლება** რაიმესთვის (ვინმესთვის) ხელის (პირის) მიკარება, ხელით შეხება.

**ხლეჩა** *ხლეჩის* (ხლეჩს, იხლიჩება) ↑ **გახლეჩა**. *ატამს ხლეჩს.*

**ხმა** *ხმის* 1. ბგერა (ბგერები), რომელსაც ვინმე ან რაიმე გამოსცემს. *მაღალი ხმა. მუსიკის ხმა. ფეხის ხმა.* 2. ტონითა და სიმაღლით განსხვავებული ბგერა, მელოდია გუნდურ სიმღერაში. *პირველი ხმა. მეორე ხმა.* 3. ცნობა, ამბავი, რომელიც გავრცელდა. *ხმა გავარდა. ხმა დაირხა.* ⊙ **ხმას ამოიღებს** ჩუმად მყოფი ლაპარაკს დაიწყებს, რაღაცას იტყვის. ⊙ **ხმას დაყრის** რაიმე ამბავს გაავრცელებს. ⊙ **ხმას მიაწვდენს** შორ მანძილზე გააგონებს, რაიმეს გააგებინებს, შეატყობინებს. ⊙ **ხმის მიცემა** საკუთარი აზრის გამოხატვა არჩევნების, რეფერენდუმის ან კენჭისყრის დროს.

**ხმაგაკმენდილი** *ხმაგაკმენდილის* ვინც ხმას არ იღებს, გაჩუმებული. *ხმაგაკმენდილი ზის.*

**ხმადაბალი** *ხმადაბლის* ჩუმი, ძნელად გასაგონი, დაბალხმიანი. *ხმადაბალი ლაპარაკი.*

**ხმადაბლა** ზმნზ. დაბალი ხმით, ჩუმად. *ხმადაბლა საუბრობენ.*

**ხმალამოღებული** *ხმალამოღებულის* 1. ვინც ხმალი ამოიღო. *ხმალამოღებული დგას.* 2. გადატ. მუდამ საბრძოლველად შემართული, შეუდრეკელი, უშიშარი. *ხმალამოღებული იცავს საზოგადოების ინტერესებს.*

**ხმალდახმალ** ზმნზ. ხმლით ხელში, ხმლებით. *ხმალდახმალ იბრძვის.*

**ხმალი** *ხმლის* ციცი იარაღი – ფოლადის გრძელი, ცალპირა მახვილი. *ხმლებით ბრძოლა. ხმალი ქარქაშში ჩააგო.* ■ **ხმლიანი** ხმლით შეიარაღებული, *ხმლიანი მეომარი.* ⊙ **შენი ხმალი და ჩემი კისერი** მიმსახურე, როგორც გინდა.

**ხმამაღალი** *ხმამაღლის* მაღალი ხმის მქონე, შორს გასაგონი. *ხმამაღალი ლაპარაკი. ხმამაღალი სიმღერა.*

**ხმამაღლა** ზმნზ. მაღალი ხმით, მაღალ ხმაზე. *ხმამაღლა ამბობს.*

**ხმარება** *ხმარების* (ხმარობს, იხმარება) იარაღის, მასალის, ჩასაცმელისა და მისთ. გამოყენება. *დანა იხმარა. აკვარელს ხმარობს. ზურგჩანთას კარგად ხმარობს.*

**ხმატკბილი** *ხმატკბილის* ნიგნ. სასიამოვნო ხმის მქონე. *ხმატკბილი ფანდური.*

**ხმაური** *ხმაურის* ძლიერი, გაურკვეველი, შემაწუხებელი ხმა. *ქუჩის ხმაური. ხმაურში აღარაფერი ისმის.*

**ხმაურიანი** *ხმაურიანის* რასაც ხმაური ახლავს, ვინც ან რაც ხმაურს იწვევს. *ხმაურიანი შეკრება. ხმაურიანი ბავშვი.*

**ხმაურობა** *ხმაურობის* (ხმაურობს, ახმაურებს) ხმაურის გამოცემა. *ბავშვები ხმაურობენ. აპარატი ხმაურობს.*

**ხმაშეწყობილი** *ხმაშეწყობილის* რასაც ხმები აქვს შეწყობილი. *ხმაშეწყობილი სიმღერა. ხმაშეწყობილი ჰანგები.*

**ხმაჩაკმენდილი** *ხმაჩაკმენდილის* იგივეა, რაც **ხმაგაკმენდილი**. *ხმაჩაკმენდილი უყურებს.*

**ხმაჩამორთმეული** *ხმაჩამორთმეულის* ვისაც სათათბიროში ან არჩევნებში ხმის უფლება აქვს ნართმეული. *ხმაჩამორთმეული იყო.*

**ხმაჩახლეჩილი** *ხმაჩახლეჩილის* ვისაც ხმა ჩახლეჩილი აქვს. *ხმაჩახლეჩილი თამადა.*

**ხმაწართმეული** *ხმაწართმეულის* ვისაც ხმა წაერთვა, ვინც ხმას ვერ იღებს. *ხმაწართმეული მომღერალი.*

**ხმელეთი** *ხმელეთის* 1. დედამიწის მყარი ზედაპირი. *ზღვა და ხმელეთი. გემი ხმელეთს მოადგა.* 2. იგივეა, რაც დედამიწა. *ხმელეთი შემოიარა.*

**ხმელი** *ხმელის* 1. გამხმარი, მაგარი, არარბილი. *ხმელი პური.* 2. გამშრალი, არანედლი, სითხეგამოცლილი. *ხმელი ბალახი. ხმელი შეშა.* 3. არაცოცხალი (მცენარე). *ხმელი ხე. ხმელი მუხა.* 4. მაღალი და გამხდარი. *ხმელი ცხენი.*

**ხმელ-ხმელი** *ხმელ-ხმელის* საკმაოდ ხმელი (4). *ხმელ-ხმელი კაცია.*

**ხმიადი** *ხმიადის* უსაფუვროდ გამომცხვარი პური. *მრგვალი ხმიადი.*

**ხმიანი** *ხმიანის* კარგი, ძლიერი ხმის მქონე. *ხმიანი გარმონი.*

**ხმიანობა** *ხმიანობის* (ხმიანობს, ეხმიანება) 1. ხმის

გამოცემა. *ფრინველთა ხმიანობა. საკრავის ხმიანობა. შაშვი ხმიანობს.* 2. გარკვეული მოვლენის, ფაქტისა და მისთ. დასტურად, შესაბამისად მოქმედება. *ეს გადაწყვეტილება ქვეყნის საგარეო პოლიტიკას ეხმიანება.*

**ხმობა** *ხმობის* (იხმობს, უხმობს) თავისთან დაბარება, მოხმობა. *შვილები იხმო.*

**ხმოვანი** *ხმოვნის* 1. რაც ხმას გამოსცემს. *ხმოვანი სიგნალი.* 2. ლინგ. სამეტყველო ბგერა, რომლის წარმოთქმის დროს სამეტყველო აპარატში ჰაერნაკადს დაბრკოლება არ ხვდება.

**ხნიერი** *ხნიერის* არაახალგაზრდა, დიდი ხნისა. *ხნიერი მშობლები.*

**ხნოვანი** *ხნოვანის* იგივეა, რაც **ხნიერი**. *ხნოვანი ხეები.*

**ხნული** *ხნულის* მოხნული ადგილი, ნახნავი. *გუთნისდედა ხნულში შევიდა.*

**ხო** ნაწილაკ. საუბრ. იგივეა, რაც **ჰო**. – *ისევ წვიმს? – ხო.*

**ხოდაბუნი** *ხოდაბუნის* 1. ვრცელი ადგილი, რომელიც კარგია სახნავ-სათესად. *ხოდაბუნები გადამწვანდა.* 2. სათესად გამზადებული დიდი ადგილი ტყეში.

**ხოლმე** ნაწილაკ. გამოიყენება მოქმედების მრავალჯერ განმეორების გამოსახატავად. *სახლში გვიან ბრუნდება ხოლმე.*

**ხოლო** კავშ. გამოიყენება საპირისპირო აზრის დასაკავშირებლად. *დღისით სძინავს, ხოლო ღამით მუშაობს.*

**ხომ** ნაწილაკ. გამოყენება კითხვის დასმისას, როცა უნდათ, რომ პასუხად დაუდასტურონ ნათქვამი. *ხომ მოგწონს ჩემი ბინა? ხომ წამოხვალ ჩემთან ერთად?*

**ხომალდი** *ხომალდის* 1. სამხედრო დანიშნულების დიდი გემი, რომელიც აერთიანებს კრეისერებს, ავიამზიდებსა და მისთ. *სამხედრო ხომალდი. საარტილერიო ხომალდი.* 2. დიდი სიმძლავრის საფრენი აპარატი. *კოსმოსური ხომალდი. საჰაერო ხომალდი.* 3. დიდი იალქნიანი გემი. *ხომალდი ზღვაში გავიდა.*

**ხონჩა** *ხონჩის* ოდნავ გულამოღებული, მოგრძო ტაბაკი. *ხილით სავსე ხონჩა.*

**ხორა** *ხორასი* ერთმანეთზე უწესრიგოდ (შემაღლებულად) დაყრილი რაიმე. *შეშის ხორა. ვაშლის ხორა.* ▲ **ხორად გროვად,ზვინად.** *ხორად ეყარა.*

**ხორაგი** *ხორაგის* ყოველგვარი საჭმელი, სურსათი, სანოვაგე. *ხორაგი უხვად ჰქონდათ.*

**ხორბალი** *ხორბლის* 1. ერთწლოვანი თავთავიანი მცენარე, აქვს ღრუ ღერო და ვიწრო და გრძელი ფოთლები, ღერო ბოლოვდება თავთავით, რომელშიც მოთავსებულია მარცვლები. *ხორბლის ყანა. ხორბლის პური.* 2. ხორბლის (1) მოგრძო მარცვალი, რომლის ფქვილისგან აცხობენ პურს.


ხორბალი

**ხორბლეული** *ხორბლეულის* იგივეა, რაც **პურეული**.

**ხორბლისფერი** *ხორბლისფრის* რაც ფერით ხორბალს ჰგავს, ღია თაფლისფერი. *ხორბლისფერი კანი.*

**ხორთუმი** *ხორთუმის* 1. სპილოს და ზოგიერთი ცხოველის წაგრძელებული, მოძრავი ნაწილი, რომელიც წარმოადგენს ყნოსვის, სუნთქვისა და შეხების ორგანოს. *გრძელი ხორთუმი.* 2. ზოგიერთი მწერის სხეულის წინა ნაწილის გრძელი წანაზარდი. *ფუტკრის ხორთუმი.*

**ხორკლი** *ხორკლის* მცირე ზომის უხეში გამონაყარი კანზე. *ხშირი ხორკლები.* ■ **ხორკლ[ებ]იანი** რასაც ხორკლები აქვს. *ხორკლებიანი ზედაპირი.*

**ხორომი** *ხორომის* ბალახის ან თივის დიდი კონა. *ხორომები ერთად მოაგროვეს.*

**ხორცეული** *ხორცეულის* ხორცისგან მომზადებული სხვადასხვა საჭმელი. *ხორცეული არ მოჰკლებია. ხორცეული რა გაქვთ?*

**ხორცი** *ხორცის* 1. ადამიანისა და ცხოველის სხეულის რბილი კუნთოვანი ნაწილი. *ჩონჩხი ხორცით არის დაფარული. ძვალ ზე ხორცია გადაკრული.* 2. დაკლული ცხოველის ან ფრინველის სხეულის ნაწილები, რომელსაც ადამიანი საკვებად იყენებს. *ღორის ხორცი. ქათმის ხორცი. მოხარშული ხორცი.* 3. ადამიანის მიწიერი საწყისი. *ხორცის დათრგუნვა.* ⊙ **ხორცს შეასხამს** განახორციელებს, ჩანაფიქრს სინამდვილედ, რეალობად აქცევს.

**ხორციელი** *ხორციელის* 1. იგივეა, რაც **ადამიანი**. *ხორციელი არავინ გამოჩნდა.* 2. ადამიანური ბუნების მქონე, ხორცთან (3) დაკავშირებული. *ხორციელი ვნებები. ხორციელი განცდები.* 3. ყველიერის წინა კვირა. *ხორციელის შაბათი.*

**ხორცმეტი** *ხორცმეტის* 1. პათოლოგიური წარმონაქმნი ადამიანის ან ცხოველის ორგანიზმში. *ხორცმეტი ამოკვეთეს.* 2. გადატ. საზოგადოებისთვის მავნე, უსარგებლო, ზედმეტი. *ნამდვილი ხორცმეტები არიან.*

**ხორცსავსე** *ხორცსავსეს* ჯანსაღი იერის მქონე, არაგამხდარი. *ხორცსავსე ქალი.*

**ხორცშესხმა** *ხორცშესხმის* რაიმეს განხორციელება, განზრახულის შესრულება. *ოცნების ხორცშესხმას ცდილობს.*

**ხორცშესხმული** *ხორცშესხმულის* 1. რასაც ხორცი აქვს შესხმული. *ხორცშესხმული არსება.* 2. განხორციელებული, სინამდვილედ ქცეული. *ხორცშესხმული იდეა.*

**ხორხი** *ხორხის* ადამიანისა და ცხოველის სასუნთქი მილის ზედა ნაწილი. *ხორხი გაუჭრეს.*

**ხორხოშელა** *ხორხოშელას* წვრილი, მკვრივ მარცვლებად წამოსული თოვლი. *ხორხოშელა მოდის.*

**ხორხოცი** *ხორხოცის* (ხორხოცობს) ერთმანეთში არეული სიცილი და ხმამაღალი ლაპარაკი, ხმაური. *ახალგაზრდობის ხორხოცი. დილამდე ხორხოცობდნენ.*

**ხოტბა** *ხოტბის* გადაჭარბებული ქება. *ხოტბას არ იშურებს.* ◌ **ხოტბას ასხამს** ძალიან აქებს, ადიდებს.

**ხოტორა** *ხოტორას* ძირში თმაგაკრეჭილი, გადახოტრილი. *ხოტორა თავი.*

**ხოშკაკალა** *ხოშკაკალას* მსხვილი სეტყვა. *ხოშკაკალა ჩამოყარა.*

**ხოცვა**[1] *ხოცვის* (ხოცავს, უხოცავს, იხოცება, ეხოცება, ახოცვინებს) ↑ **დახოცვა**. *საქონელს ხოცავენ. ხალხი შიმშილით იხოცება.*

**ხოცვა**[2] *ხოცვის* (ხოცავს, იხოცავს) ↑ **მოხოცვა**. *ცხვირს იხოცავს.*

**ხოცვა-ჟლეტა** *ხოცვა-ჟლეტის* ხალხის განსაკუთრებული სისასტიკით ხოცვა. *საშინელი ხოცვა-ჟლეტა დაიწყო.*

**ხოჭო** *ხოჭოს* მაგარფრთიანი მწერი, ზოგიერთი სახეობა დაფრინავს. *ხოჭოები მომრავლდნენ.*

**ხოხვა** *ხოხვის* (ხოხავს, ახოხებს) იგივეა, რაც ცოცვა. *ბავშვმა ხოხვა ისწავლა. იატაკზე ხოხავს.*

**ხოხიალი** *ხოხიალის* იგივეა, რაც **ხოხვა**. *მიწაზე ხოხიალი.*

**ხოხობი** *ხოხბის* ქათმის მსგავსი გარეული ფრინველი, მამალს აქვს ლამაზი შეფერილობის ბუმბული და გრძელი ბოლო. *ხოხბებზე ნადირობა.*

ხოხობი

**ხრაგუნი** *ხრაგუნის* (ხრაგუნობს) მყარი საგნების მოძრაობისას, ერთმანეთთან შეხებისას ძლიერი ხმის გამოცემა, ხმაური. *სკამი ხრაგუნით გასწია. საბარგულში რალაც ხრაგუნობს.*

**ხრაკვა** *ხრაკვის* (ხრაკავს, უხრაკავს, იხრაკება, ახრაკვინებს) ↑ **მოხრაკვა**. *ხახვს ხრაკავს. ხორცი იხრაკება.*

**ხრამი** *ხრამის* ძალიან ღრმა, კლდოვანი ადგილი. *ხრამში გადაიჩეხა.*

**ხრამული** *ხრამულის* მდინარის წვრილი თევზი. *ხრამული გემრიელია.*

**ხრამუნა** *ხრამუნას* რაც ჭამის დროს ხრამუნობს. *ხრამუნა ნამცხვარი.*

**ხრამუნი** *ხრამუნის* (ახრამუნებს) მაგარი ან ხმელი საკვების ჭამისას მკვეთრი ხმის გამოცემა. *ვაშლს ხრამუნით ჭამს. სტაფილოს ახრამუნებს.*

**ხრაშახრუში** *ხრაშახრუშის* გაბმული ხრაშუნი (1). *ქვიშის ხრაშახრუში.*

**ხრაშუნა** *ხრაშუნას* რაც ხრაშუნებს. *ხრაშუნა თოვლი.*

**ხრაშუნი** *ხრაშუნის* (ხრაშუნებს, ახრაშუნებს) 1. ქვიშაზე ან მშრალ თოვლზე სიარულისას მკვეთრი ხმის გამოცემა. *თოვლი ფეხქვეშ ხრაშუნებს.* 2. იგივეა, რაც **ხრამუნი**. *ხრაშუნით ჭამს. ალუჩას ახრაშუნებს.*

**ხრახნა** *ხრახნის* (ხრახნის, იხრახნება) ↑ **ჩახრახნა**. *საცობს ხრახნის.*

**ხრახნი** *ხრახნის* სპეციალური ლურსმანი, რომელსაც სქელი, ხვეულად დაღარული ღერო აქვს. ▪ **ხრახნიანი** რასაც ხრახნი აქვს. *ხრახნიანი საცობი.*

**ხრახნილი** *ხრახნილის* ღეროს გარშემო ან მილის ღრუში მოთავსებული ხვეული ზოლი, რომლითაც ხდება დეტალების ჩახრახნა. *ძელს ხრახნილი გაუკეთა.*

**ხრეში** *ხრეშის* მსხვილი ქვიშა. *ზღვის ხრეში. მდინარის ხრეში.* ▪ **ხრეშიანი** ხრეშით დაფარული. *ხრეშიანი ბილიკი.*

**ხრიალი** *ხრიალის* (ხრიალებს) 1. ხორხიდან ხრინწიანი ხმის გამოცემა. *მომაკვდავი ხრიალებს.* 2. მაგარი საგნების ჩამოცვენის ხმა. *ქვების ხრიალი. წიგნები ხრიალით ჩამოცვივდა.*

**ხრიგინი** *ხრიგინის* (ხრიგინებს, ახრიგინებს) დიდი და მძიმე საგნების მოძრაობისას ან ტრანსპორტის უსწორმასწორო გზაზე გადაადგილებისას ძლიერი ხმის გამოცემა, ხმაური. *მანქანამ ხრიგინით გაიარა. აპარატი ხრიგინებს.*

**ხრიკი** *ხრიკის* თაღლითური ფანდი, ხერხი რაიმეს მისაღწევად. *ახალი ხრიკი მოიფიქრა. მელას ხრიკმა გაჭრა. ხრიკები მოუწყვეს.*

**ხრინწი** *ხრინწის* ქათმის ავადმყოფობა, იცის ენის უკანა ნაწილზე მუწუკის გამოსვლა და სუნთქვის გაძნელება. *ხრინწი გაუჩნდა.*

**ხრინწიანი** *ხრინწიანის* ჩახლეჩილი, უსუფთაო (ხმა). *ხრინწიანი ხმით ლაპარაკობს.*

**ხრიოკი** *ხრიოკის* უბალახო, მოტიტვლებული. *ხრიოკი უდაბნო. ხრიოკი გორები.*

**ხროვა** *ხროვის* (კრებ.) მტაცებელი ცხოველების ჯოგი. *მგლის ხროვა.*

**ხროტინი** *ხროტინის* (ხროტინებს) გაძნელებული სუნთქვისას, სულის ხუთვისას გამოცემული ხმა. *ხროტინი დაიწყო. ავადმყოფი ხროტინებს.*

**ხრტილი** *ხრტილის* ადამიანისა და ცხოველის სხეულის შემადგენელი მკვრივი და ელასტიკური შემაერთებელი ქსოვილის ერთ-ერთი სახე. *ხრტილის გამაგრება. ყურის ნიჟარის ხრტილი.*

**ხრტილოვანი** *ხრტილოვანის* ხრტილის შემცველი. *ხრტილოვანი ნაწილი.*

**ხრუკვა** *ხრუკვის* (ხრუკავს, იხრუკება, ეხრუკება) ↑ **დახრუკვა**. *ხორცი იხრუკება.*

**ხრუტუნი** *ხრუტუნის* (ხრუტუნებს) 1. ცხვირიდან ყრუ ხმის გამოცემა. *ბავშვი ხრუტუნებს.* 2. იგივეა, რაც ღრუტუნი. *ღორები ხრუტუნებენ.*

**ხრჩობა** *ხრჩობის* (ახრჩობს, იხრჩობს, იხრჩობა) ↑ **დახრჩობა.** *კაცი ზღვაში იხრჩობოდა.*

**ხრჩოლვა** *ხრჩოლვის* (ხრჩოლავს) ალის გარეშე წვა ბევრი კვამლის დაყენებით. *ნედლი შეშა ხრჩოლავს.*

**ხრწნა** *ხრწნის* (ხრწნის, იხრწნება) ↑ **გახრწნა.** *გვამი იხრწნება.*

**ხრწნადი** *ხრწნადის* რაც იხრწნება, რის გახრწნაც შესაძლებელია. *ხრწნადი სხეული.*

**ხრჭიალი** *ხრჭიალის* (ხრჭიალებს, ახრჭიალებს) 1. იგივეა, რაც ღრჭიალი (1). *კარის სახელური ხრჭიალებს.* 2. იგივეა, რაც ღრჭიალი (2). *კბილებს ახრჭიალებს.*

**ხსენება** *ხსენების* (ახსენებს) ვინმეს ან რაიმეს შესახებ თქმა სახელის აღნიშვნით. *ბავშვები ხშირად ახსენებენ მამას.*

**ხსენი** *ხსენის* სითხე, რომელიც სარძევე ჯირკვლიდან გამოეყოფა ქალს, მდედრობითი სქესის ცხოველს შვილის გაჩენის პირველ დღეებში. *დედის ხსენი.*

**ხსნა** *ხსნის* (ხსნის, იხსნის, უხსნის, იხსნება, ეხსნება, ახსნევინებს) 1. ↑ **გახსნა.** *სკოლას ხსნიან. სოდა წყალში იხსნება.* 2. ↑ **ამოხსნა.** *კროსვორდს ხსნის.* 3. ↑ **გამოხსნა.** *ტყვეობიდან იხსნა. პატიმრობიდან იხსნეს.* 4. ↑ **დახსნა.** *თავს იხსნის.*

**ხსნადი** *ხსნადის* რაც სითხეში იხსნება, რის გახსნაც შესაძლებელია. *ხსნადი ყავა. ხსნადი ფხვნილი.*

**ხსნარი** *ხსნარის* ორი ან მეტი ნივთიერების ერთგვაროვანი თხევადი ნარევი. *იოდის ხსნარი.*

**ხსნილი** *ხსნილის* საეკლ. პერიოდი, როცა არ არის მარხვა[2] და ცხოველური წარმოშობის პროდუქტები იჭმება. *ხსნილი დაიწყო.*

**ხსოვნა** *ხსოვნის* (ახსოვს) მეხსიერებაში გარკვეული ინფორმაციის ქონა. *ყველაფერი კარგად მახსოვს. მისამართი არ ახსოვს.*

**ხტომა** *ხტომის* (ხტის, უხტის, ხტება, ახტება, უხტება) მოძრაობა ჰაერში მცირედ აწევითა და ძირს დაშვებით. *ბავშვი სიხარულით ხტის.*

**ხტუნაობა** *ხტუნაობის* (ხტუნაობს, ახტუნავებს) ხტომით თამაში. *ეზოში ხტუნაობენ.*

**ხტუნვა** *ხტუნვის* (ხტუნავს) იგივეა, რაც **ხტომა.** *ეზოში ხტუნავენ.*

**ხუთასი** *ხუთასის* რიცხვი 500. *ხუთასი მეომარი.*

**ხუთეული** *ხუთეულის* 1. ხუთი ცალისგან შემდგარი საანგარიშო ერთეული. *ხუთეულებად დაალაგეს.* 2. ხუთი ადამიანისგან შემდგარი ჯგუფი. *პირველი ხუთეული ისვენებს.*

**ხუთი** *ხუთის* რიცხვი 5. *ხუთი საათი. ხუთი ბავშვი.* ■ **ხუთ-ხუთი** თითოს ხუთი, ჯერზე ხუთი. *ხუთ-ხუთი წიგნი დაურიგეს.*

**ხუთიოდე** *ხუთიოდეს* დაახლოებით ხუთი. *სხდომაზე ხუთიოდე ადამიანი დარჩა.*

**ხუთკეცი** *ხუთკეცის* ხუთი ფენის მქონე, ხუთმაგი.

**ხუთმაგი** *ხუთმაგის* ხუთჯერ აღებული, ხუთჯერ მეტი. *ხუთმაგი ძაფი. ხუთმაგი შემოსავალი.* ■ **ხუთმაგად** ზმნზ. ხუთჯერ მეტად. *ხუთმაგად გაზღვევინებს ამას!*

**ხუთშაბათი** *ხუთშაბათის* კვირის (1) მეოთხე დღის სახელწოდება. *ხუთშაბათს პრემიერაა.* ■ **ხუთშაბათობით** ზმნზ. ყოველ ხუთშაბათს. *სხდომები ხუთშაბათობით ტარდება.* ⊙ **დიდი ხუთშაბათი** ვნების კვირის ხუთშაბათი.

**ხუილი** *ხუილის* (ხუის) წყლის, ქარისა და მისთ. დიდი ნაკადის მიერ ძლიერი ხმის გამოცემა. *წყალმა იხუვლა.*

**ხულა** *ხულის* ცალკე მდგომი პატარა ნაგებობა მარცვლეულის ან სხვადასხვა ნივთის შესანახად. *ბის ხულა. ხულაში დააწყო.*

**ხულიგანი** *ხულიგნის* პირი, რომელიც უწესოდ იქცევა, უხეშად არღვევს საზოგადოებრივ წესრიგს. *ხულიგნები დააკავეს.* ■ **ხულიგნური** ხულიგნის დამახასიათებელი. *ხულიგნური საქციელი.*

**ხულიგნობა** *ხულიგნობის* (ხულიგნობს) ხულიგნის მოქმედება, ხულიგანივით ქცევა. *ზოგჯერ ხულიგნობს.*

**ხუმარა** *ხუმარას* ვინც ხშირად ხუმრობს, სხვებს აცინებს, ამხიარულებს. *ხუმარა ამხანაგები.*

**ხუმრობა** *ხუმრობის* (ხუმრობს, ეხუმრება) სასაცილო რამის თქმა ან გაკეთება. *სტუმრები ხუმრობენ. მამამ იხუმრა.*

**ხუნდი**[1] *ხუნდის* მტრედის ბარტყი. *ხუნდები ჭყიპინებენ.*

**ხუნდი**[2] *ხუნდის* პატიმრის ბორკილი. *ხუნდები დაადეს.*

**ხუნტა** *ხუნტის* სახელმწიფო გადატრიალების შედეგად შექმნილი სამხედრო მთავრობის სახელწოდება. *ხუნტა ქვეყანას მართავს.*

**ხუნტრუცი** *ხუნტრუცის* (ხუნტრუცობს) საუბრ. 1. ხტუნვა, მხიარულება, მოუსვენრად ყოფნა. *გოგონები ხუნტრუცობენ.* 2. გადატ. უშნო, შეუფერებელი მხიარულება, ცუნდრუკი. *ბავშვით ხუნტრუცობს ამხელა კაცი.*

**ხურდა** *ხურდის* 1. სხვაობა საქონლის საფასურსა და გადახდილ თანხას შორის, რომელსაც გამყიდველი უკან უბრუნებს მყიდველს. *ხურდა ეკუთვნის.* 2. წვრილი ფული. *საფულეში ხურდა უყრია.*

**ხურმა** *ხურმის* 1. წვრილი ბლისოდენა ნარინჯისფერი ხილი. 2. ხურმის (1) სახეობა, მსხვილი,

ღია ნარინჯისფერი, ვაშლისოდენა ნაყოფი. 3. ხე, რომელიც ისხამს ხურმას.

**ხურო** *ხუროს* ხელოსანი, რომელიც ხის სახლს აშენებს ან შენობის ხის ნაწილებს ამზადებს. *გამოცდილი ხურო.*

**ხუროთმოძღვარი** *ხუროთმოძღვრის* იგივეა, რაც არქიტექტორი.

**ხუროთმოძღვრება** *ხუროთმოძღვრების* იგივეა, რაც არქიტექტურა.

**ხურტკმელი** *ხურტკმელის* 1. მომრგვალო, მწვანე ან მონითალო, მოტკბო-მომჟავო კენკროვანი ხილი. 2. დაბალი, ტოტებეკლიანი ბუჩქი, რომელიც ისხამს ხურტკმელს (1). *ხურტკმელი მთაში იზრდება.*

**ხურხუმა** *ხურხუმას* ერთწლოვანი ბალახოვანი მცენარე, აქვს სქელი და წვნიანი ღერო, გამოიყენება ცხვრის საკვებად.

**ხურჯინი** *ხურჯინის* ცხენზე ასაკიდებელი ან მხარზე გადასაკიდებელი ორგანყოფილებიანი ჩანთა. *თოვლის პაპას ხურჯინი.*

**ხუფი** *ხუფის* იგივეა, რაც თავსახური. *პლასტმასის ხუფი.*

**ხუშტური** *ხუშტურის* საუბრ. ახირებული სურვილი. *ხუშტურმა წამოუარა. თავის ხუშტურზე დადის.*

**ხუშტურიანი** *ხუშტურიანის* ვისაც ხუშტურები ანუხებს, ახირებული. *ხუშტურიანი თანამშრომელი.*

**ხუცესი** *ხუცესის* იგივეა, რაც მღვდელი.

**ხუცური** *ხუცურის* ქართული ანბანის ძველი სახეობა, რომლითაც იწერებოდა სასულიერო ტექსტები. *ხუცური დამწერლობა.*

**ხუჭვა** *ხუჭვის* (ხუჭავს, უხუჭავს, ეხუჭება, უხუჭია) ↑ დახუჭვა. *თვალებს ხუჭავს.*

**ხუჭუჭა** *ხუჭუჭას* ვისაც, რასაც ხუჭუჭი თმა ან მატყლი აქვს. *ხუჭუჭა გოგო. ხუჭუჭა ბატკანი.*

**ხუჭუჭთმიანი** *ხუჭუჭთმიანის* ვისაც ხუჭუჭი თმა აქვს. *ხუჭუჭთმიანი ბავშვი.*

**ხუჭუჭი** *ხუჭუჭის* ნაზი, დატალღული, დახვეული თმა ან ბეწვი. *ხუჭუჭი ქოჩორი.*

**ხუხვა** *ხუხვის* (ხუხავს) ↑ გადახუხვა. *არაყს ხუხავს.*

**ხუხულა** *ხუხულას* 1. სახელდახელოდ, ნაჩქარევად აგებული სადგომი. *ხუხულა დადგეს.* 2. ბავშვების მიერ სათამაშოდ აგებული სახლი.

**ხშირი** *ხშირის* 1. ერთმანეთთან ახლო-ახლოს ამოსული. *ხშირი ბალახი. ხშირი ტყე.* ↔ მეჩხერი. 2. იგივეა, რაც სქელი (3). *ხშირი თმა.* ↔ თხელი. 3. გადატ. მუქი, გაუმჭირვალე. *ხშირი ჩრდილი.* 4. მცირე დროში განმეორებადი. *ხშირი მიმოსვლა. ხშირი სტუმრობა. ხშირი სროლა.* ↔ იშვიათი. ▲ **ხშირად** ზმნზ. მცირე დროის გამოშვებით, ზედიზედ ბევრჯერ. *ხშირად თეე ზაობს. ხშირად წვიმს.*

**ხშირ-ხშირად** ზმნზ. ზედიზედ ხშირად. *ხშირ-ხშირად დადის საზღვარგარეთ.*

**ხშირ-ხშირი** *ხშირ-ხშირის* საკმაოდ ხშირი (4). *ხშირ-ხშირი ვიზიტები.*

# — ჯ —

**ჯაბანი** *ჯაბნის* მხდალი, მშიშარა. *ჯაბანი კაცი.*

**ჯაბახანა** *ჯაბახანის* ძალიან ძველი, დანჯღრეული. *ჯაბახანა მანქანა.*

**ჯაგანი** *ჯაგნის* შესანახად გამზადებული, გრძლად ასხმული ყურძნის მტევნები. *ჯაგანი ჩამოკიდა. ჯაგნები აასხა.*

**ჯაგარა** *ჯაგარას* ჯაგარივით სქელი, უხეში. *ჯაგარა ქოჩორი.*

**ჯაგარაშლილი** *ჯაგარაშლილის* I. ვისაც ან რასაც ჯაგარი აქვს აშლილი, ყალყზე შემდგარი. *ჯაგარაშლილი ტახი.* 2. გადატ. გაბრაზებული, საჩხუბრად შემართული. *ჯაგარაშლილი ბიჭები.*

**ჯაგარი** *ჯაგრის* I. ღორის უხეში ბალანი. *ჯაგარივით თმა.* 2. გადატ. ადამიანის უხეში ბალანი (2). *მკერდზე ჯაგარი აქვს.*

**ჯაგაჯუგი** *ჯაგაჯუგის* შემაწუხებელი ხმაური, აურზაური, გუგუნი. *ჯაგაჯუგით დადის.*

**ჯაგი** *ჯაგის* ეკლიანი ველური ბუჩქი. *ჩიტი ჯაგებში შეძვრა.*

**ჯაგლაგი** *ჯაგლაგის* უღონო, გამხდარი (ცხენი და მისთ.). *ჯაგლაგი ჯორი.*

**ჯაგნარი** *ჯაგნარის* ჯაგით დაფარული ვრცელი ადგილი. *ჯაგნარი ძლივს გაიარეს.*


ჯაგრისი

**ჯაგრისი** *ჯაგრისის* ხის ან პლასტმასის ჩარჩოზე ხშირ კონებად ჩასმული მოკლე, უხეში ბეწვი, იყენებენ რაიმეს გასაწმენდად ან დასავარცხნად. *კბილის ჯაგრისი. თმის ჯაგრისი.*

**ჯაგრცხილა** *ჯაგრცხილის* რცხილის სახეობა, იზრდება ბუჩქად ან პატარა ხედ, აქვს წვრილი ფოთლები, მოკლე ტოტები და ძალიან მაგარი, მკვრივი მერქანი.

**ჯაგჯაგი** *ჯაგჯაგის* ჩაქჩაქი, ჩანჩალი. *ჯაგჯაგით დადის.*

**ჯადო** *ჯადოს* რომლის მიზანია ამ ადამიანის ცხოვრებაზე გავლენის მოხდენა, მისთვის ზიანის მიყენება. *ჯადო გაუკეთეს. ჯადომ იმოქმედა.*

**ჯადოსანი** *ჯადოსნის* ჯადოს მკეთებელი. *ჯადოსანს მიაკითხა.*

**ჯადოსნობა** *ჯადოსნობის* ჯადოს კეთება, ჯადოსნის საქმიანობა. *ჯადოსნობას მისდევს.*

**ჯადოსნური** *ჯადოსნურის* I. რასაც ჯადოს ძალით ყველაფრის შესრულება შეუძლია. *ჯადოსნური ჯოხი.* 2. გადატ. მომხიბლავი, თვალწარმტაცი. *ჯადოსნური სილამაზე. ჯადოსნური ჰანგები.*

**ჯადოქარი** *ჯადოქრის* I. ვისაც შეუძლია ჯადოს ან მსგავსი რაიმეს გამოყენებით ისეთი საქმის მოხდენა, რაც ადამიანის ძალებს აღემატება. 2. გადატ. პირი, რომელმაც ძალიან კარგად იცის თავისი საქმე, არის საუკეთესო ოსტატი. *მუსიკის ჯადოქარი. ცეკვის ჯადოქარი.*

**ჯადოქრობა** *ჯადოქრობის* (ჯადოქრობს) ჯადოქრის მოქმედება, სასწაულების მოხდენა. *ჯადოქრობა შეუძლია.*

**ჯავრი** *ჯავრის* I. დარდი, წუხილი. *შვილის ჯავრი არ ასვენებს.* ⊙ **ვინმეს ან რაიმეს ჯავრი სჭირს** ვინმეს ან რაიმეს ემტერება. ⊙ **ჯავრს ამოიყრის** ვინმეს სამაგიეროს გადაუხდის და ამით გულს დაიმშვიდებს, დაწყნარდება. ⊙ **ჯავრს არ შეარჩენს** სამაგიეროს გადაუხდის.

**ჯავრიანი** *ჯავრიანის* დარდიანი, ნაღვლიანი, სევდიანი. *ჯავრიანი სახე. ჯავრიანი დედა.*

**ჯავშანი** *ჯავშნის* I. ლითონის საბრძოლო სამოსელი ცივი იარაღისგან თავდასაცავად. *ფოლადის ჯავშანი.* 2. ზოგიერთი ცხოველის მტკიცე რქოვანი საფარი. *კუს ჯავშანი.* 3. ფოლადის დამცავი ფურცლები (ან ფილები), რომლებითაც ფარავენ ტანკებს, სამხედრო გემებს, ავტომობილებსა და მისთ. *ტანკის ჯავშანი.* 4. წინასწარ დაკავებული ადგილი სასტუმროში, თეატრში, სტადიონსა და მისთ. *სასტუმროს ჯავშანი.* ■ **ჯავშნიანი** რასაც ჯავშანი (3) აქვს. *ჯავშნიანი ავტომობილი.*

**ჯავშნოსანი** *ჯავშნოსნის* ჯავშნით (3) დაფარული. *ჯავშნოსანი მანქანა. ჯავშნოსანი მატარებელი.*

**ჯაზი** *ჯაზის* I. მუსიკალური მიმდინარეობა, რომლისთვისაც დამახასიათებელია ცოცხალი, იმპროვიზებული შესრულება. *ჯაზის შემსრულებელი.* 2. ჯაზის (1) შემსრულებელთა ორკესტრი, რომელიც ძირითადად შედგება სასულე, დასარტყამი და ხმაურიანი საკრავებისგან. *უნივერსიტეტის ჯაზი.*

ჯალაბი *ჯალაბის* ძვ. იგივეა, რაც ოჯახი (1). *მთელი ჯალაბი იქ იყო.*

ჯალაბობა *ჯალაბობის* იგივეა, რაც ჯალაბი. *დიდი ჯალაბობა.*

ჯალათი *ჯალათის* 1. პირი, რომელიც აწამებს ან კლავს ადამიანს განაჩენის მიხედვით ან ვინმეს ბრძანებით. *ნიღბიანი ჯალათი.* 2. გადატ. შეუბრალებელი, სასტიკი ადამიანი. *ჯალათი მშობლები ჰყავს.*

ჯალამბარი *ჯალამბრის* 1. ტექნ. მანქანა, რომელიც ტვირთს გადააადგილებს მოძრავი ჯაჭვის ან ბაგირის საშუალებით. *მასალა ჯალამბრით აზიდეს.* 2. გადასაზიდი საშუალება – ხის ტოტებით შეერთებული ორი გრძელი ძელი, იყენებენ ტვირთის გადასატანად, საკაცედ და მისთ.

ჯამაათი *ჯამაათის* საუბრ. ერთად შეკრებილი, თავმოყრილი ხალხი. ⊙ **ხალხნო და ჯამაათნო!** საუბრ. მიმართავენ ერთად შეკრებილი ადამიანების დიდ ჯგუფს.

ჯამაგირი *ჯამაგირის* საუბრ. ხელფასი. *ჯამაგირი მოუმატეს. ჯამაგირი აიღო.*

ჯამბაზი *ჯამბაზის* 1. ცირკის მსახიობი, რომელიც თოკზე გადის. *ჯამბაზების წარმოდგენა.* 2. იგივეა, რაც კლოუნი. *ჯამბაზმა ბავშვები გაამხიარულა.*

ჯამბაზობა *ჯამბაზობის* (ჯამბაზობს) ჯამბაზის საქმიანობა. *ჯამბაზობა ისწავლა. მამა-შვილი ჯამბაზობს.*

ჯამე *ჯამეს* მაჰმადიანთა სამლოცველო.

ჯამი[1] *ჯამის* ნახევარსფეროს ფორმის ჩაღრმავებული ჭურჭელი, გამოიყენება წვნიანის საჭმელად ან სასმისად. *ემალის ჯამი. თიხის ჯამი.*

ჯამი

ჯამი[2] *ჯამის* მათ. მიმატების შედეგად მიღებული რიცხვი. *ხუთისა და ოთხის ჯამი.*

ჯამ-ჭურჭელი *ჯამ-ჭურჭლის* იგივეა, რაც ჭურჭელი. *ჯამ-ჭურჭელი გამოალაგა.*

ჯანგატეხილი *ჯანგატეხილის* ჯანმრთელობაშერყეული, დაუძლურებული. *სიბერისგან ჯანგატეხილი.*

ჯანდაბა *ჯანდაბის* საუბრ. ჯოჯოხეთი, მოუსავლეთი, უბედურების ადგილი. *სად ჯანდაბაში წავიდა ეს კაცი?!* ▲ **ჯანდაბას!** რაც არის, არის. იყოს, რაც არის. ⊙ **რა ჯანდაბა უნდა?** ლანძღ. რა უნდა? რას ითხოვს? ⊙ **ჯანდაბამდე გზა ჰქონია წყევ.** სადაც უნდა, იქ წავიდეს. ⊙ **ჯანდაბას იმისი თავი** ლანძღ. რაც უნდა, ის ქნას.

ჯანდაგი *ჯანდაგის* ძლიერ გამხდარი (პირუტყვი). *ჯანდაგი ხარი. ჯანდაგი ცხენი.*

ჯანი[1] *ჯანის* ადამიანის ფიზიკური ძალა, ღონე. *ჯანი გამოელია.* ⊙ **ჯანი გავარდეს** რაც უნდა ის მოუვიდეს, ის მოხდეს.

ჯანი[2] *ჯანის* ქართული ანბანის ოცდამეთორმეტე ასოს (ჯ-ს) სახელწოდება.

ჯანიანი *ჯანიანის* ღონიერი, ძლიერი. *ჯანიანი ძმები ჰყავს.* ▲ **ჯანიანად** ზმნზ. ღონივრად. *ჯანიანად ურტყამს ნაჯახს. ჯანიანად გამოიყურება.*

ჯანმაგარი *ჯანმაგრის* იგივეა, რაც ჯანიანი. *ჯანმაგარი ბიჭები.*

ჯანმრთელი *ჯანმრთელის* ვისაც კარგი ჯანმრთელობა აქვს. *ჯანმრთელი ბავშვი.*

ჯანმრთელობა *ჯანმრთელობის* 1. ორგანიზმის მდგომარეობა, როდესაც სასიცოცხლო მაჩვენებლები ნორმის ფარგლებშია. *ჯანმრთელობა შეერყა.* 2. ადამიანის ფიზიკური მდგომარეობა. *სუსტი ჯანმრთელობა. ჯანმრთელობა უსურვა.*

ჯანსაღი *ჯანსაღის* 1. იგივეა, რაც ჯანმრთელი. *ჯანსაღი გული. ჯანსაღი სხეული.* 2. გადატ. სწორი, მართებული. *ცხოვრების ჯანსაღი წესი.* ▲ **ჯანსაღად** ზმნზ. სწორად, მართებულად. *ჯანსაღად იკვებება.*

ჯანღი *ჯანღის* სქელი ნისლი, ბურუსი. *მთაში ჯანღი ჩამოწვა.*

ჯანღიანი *ჯანღიანის* ჯანღით მოცული. *ჯანღიანი დღე. ჯანღიანი მთები.*

ჯან-ღონე *ჯან-ღონის* ღონე, ძალა, ძლიერება. *ჯან-ღონე არ აკლია.* ⊙ **ჯან-ღონით** სავსე ძლიერი, ჯანმრთელი, ღონიერი.

ჯანჯალი *ჯანჯლის* საუბრ. საქმის გამჭიანურებელი, გადაუწყვეტელი (2), მერყევი. *ჯანჯალი კაცი.*

ჯანჯლობა *ჯანჯლობის* (ჯანჯლობს) საუბრ. გადაწყვეტილების ვერ მიღება, გაჭიანურება. *საქმეს ჯანჯლობა არ უხდება. ძალიან ჯანჯლობს.*

ჯანჯღარი *ჯანჯღარის* (ჯანჯღარებს) ძლიერად, უხეშად რყევა, ნჯღრევა. *ავტობუსი ჯანჯღარებს.*


ჯარა

ჯარა *ჯარის* ხელით სამუშაო ველი პრიმიტიული მანქანა, იყენებენ მატყლის დასართავად, ძაფის საგრეხად ან დასახვევად. *ძაფი ჯარაზე ეხვევა.* ⊙ **ჯარასავით ტრიალებს** მარდად, ცოცხლად საქმიანობს.

ჯართი *ჯართის* ლითონის ძველი და გამოუსადეგარი საგნები ან მათი ნაწილები, გამოიყენება ნედლეულად მეტალურგიაში. *ჯართის ჩაბარება.*

ჯარი *ჯარის* შეიარაღებული და საბრძოლოდ მომზადებული ადამიანების ორგანიზებული გაერთიანება. *ქართველთა ჯარი.* 2. შეიარაღებული ძალები ან მისი რომელიმე ნაწილი. *სახმელეთო ჯარების სარდალი.*

ჯარიმა *ჯარიმის* 1. დანაშაულისთვის დაკისრებული ფულადი გადასახადი. *ჯარიმა გადაიხადა.* 2. სპორტსმენის დასჯა თამაშის წესის დარღვევისთვის. *ფეხბურთელმა ჯარიმა მიიღო.*

**ჯარისკაცი** *ჯარისკაცის* სამხედრო პირი, რიგითი მეომარი. *ქვეითი ჯარისკაცი.* ■ **ჯარისკაცური** ჯარისკაცის დამახასიათებელი. *ჯარისკაცური ცხოვრება.*

**ჯაფა** *ჯაფის* დიდი, მძიმე შრომა. *ბევრი ჯაფა უნევს.*

**ჯაფარა** *ჯაფარას* იგივეა, რაც ჩხიკვი.

**ჯაყვა** *ჯაყვის* ჯიბის პატარა დასაკეცი დანა. *ჯაყვით ვაშლი გათალა. ლამაზი ჯაყვა.*

**ჯაყჯაყი** *ჯაყჯაყის* (ჯაყჯაყებს) უსწორმასწორო გზაზე ტრანსპორტის მოძრაობისას რყევა, ნჯღრევა. *ეტლი ჯაყჯაყით მიდის. მანქანამ ბევრი იჯაყჯაყა.*

**ჯაშუში** *ჯაშუშის* 1. პირი, რომელსაც დავალებული აქვს სხვა ქვეყნის სახელმწიფო ან სამხედრო საიდუმლოს გაგება. *ჯაშუში დააკავეს.* 2. მაბეზღარა. *პოლიციის ჯაშუში.*

**ჯაშუშობა** *ჯაშუშობის* (ჯაშუშობს) ჯაშუშად ყოფნა, ჯაშუშის საქმიანობა. *მე ზობელ ქვეყანაში ჯაშუშობს.*

**ჯაჭვი** *ჯაჭვის* ერთმანეთზე გადაბმული ლითონის რგოლები, იყენებენ რაიმეს შესაკრავად, დასაბმელად, ჩამოსაკიდებლად. *წვრილი ჯაჭვი. ძაღლი ჯაჭვით დააბეს. ქვაბი ჯაჭვზე კიდია.* ■ **ჯაჭვიანი** რასაც ჯაჭვი აქვს. *ჯაჭვიანი საათი.* ⊙ **ჯაჭვის პერანგი** რკინის პატარა რგოლებით ნაქსოვი მეომრის სამოსი.

**ჯაჭვისებური** *ჯაჭვისებურის* ჯაჭვის მსგავსი. *ჯაჭვისებური ქსოვა.*

**ჯაჭვური** *ჯაჭვურის* ჯაჭვის მსგავსი, ჯაჭვისთვის დამახასიათებელი. *მოვლენათა ჯაჭვური განვითარება. ყველაფერი ჯაჭვურად გადაება ერთმანეთს.*

**ჯახანი** *ჯახანის* დაჯახების ხმა. *ჯახანი გაიღო.*

**ჯახაჯუხი** *ჯახაჯუხის* ბევრჯერ, ზედიზედ განმეორებული ჯახანი. *ხმლების ჯახაჯუხი.*

**ჯახირი** *ჯახირის* (ჯახირობს) წვალებით, გაჭირვებით კეთება, გაკეთების მცდელობა. *ამდენი ჯახირით არაფერი გამოსდის. რას ჯახირობ?*

**ჯახუნი** *ჯახუნის* (ჯახუნობს, აჯახუნებს) კარის, ფანჯრისა და მისთ. ძლიერად მიხურვისას ხმის გამოცემა. *ჯახუნით დაკეტა.*

**ჯაჯგური** *ჯაჯგურის* (ეჯაჯგურება) ჩაჭიდება და ძლიერად განევ-გამონევა აღების, ამოძრობისა და მისთ. მიზნით. *ქვას ეჯაჯგურება. სახელურს დაუწყო ჯაჯგური.*

**ჯაჯღანა** *ჯაჯღანას* ვინც ხშირად ჯაჯღანებს. *რა ჯაჯღანა ხარ!*

**ჯაჯღანი** *ჯაჯღანის* (ჯაჯღანებს) ხმამაღლა, გაბრაზებით, უკმაყოფილოდ ლაპარაკი. *ჯაჯღანი დაიწყო. სულ ჯაჯღანებს.*

**ჯგლეთა** *ჯგლეთის* მდგომარეობა, როცა რაიმე ადგილას დიდი სივიწროვეა. *ჯგლეთაში მოხვდა. დიდი ჯგლეთა იყო.*

**ჯგრო** *ჯგროს* საუბრ. უწესრიგო ხროვა, ჯგუფი, გუნდი. *ხალხის ჯგრო. ჯგროდ დგანან.*

**ჯგუფი** *ჯგუფის* (კრებ.) 1. გარკვეული ნიშნით (მდგომარეობით, საქმიანობით, ინტერესებითა და მისთ.) გაერთიანებული ადამიანების ერთობლიობა. *სტუდენტთა ჯგუფი. მოსწავლეთა ჯგუფი.* 2. ადამიანების, საგნების, მოვლენების, ცნებების ერთობლიობა, გამოყოფილი კლასიფიკაციის შედეგად. *მეორე ჯგუფის ინვალიდი. მესამე ჯგუფის სისხლი.* ■ **ჯგუფ[ებ]ად ჯგუფ[ებ]ის** სახით, გუნდად. *ბავშვები ჯგუფად მოვიდნენ. მოსწავლეები მცირე ჯგუფებად დაყვეს.*

**ჯგუფური** *ჯგუფურის* ჯგუფის მიერ გაკეთებული, შესრულებული, ჯგუფისგან შემდგარი. *ჯგუფური მეცადინეობა. ჯგუფური ფოტო.*

**ჯგუფ-ჯგუფად** ზმნზ. ცალ-ცალკე ჯგუფებად. *შეჯიბრების მონაწილეები ჯგუფ-ჯგუფად განლაგდნენ.*

**ჯდომა** *ჯდომის* (ზის, აზის, უზის) ტანის ქვედა ნაწილით სკამზე, სავარძელსა და მისთ. დაყრდნობა, ამ მდგომარეობაში ყოფნა. *ცეცხლთან ჯდომა უყვარს. ტახტზე ზის.*

**ჯდომელა** ზმნზ. დამჯდარ მდგომარეობაში. *ჯდომელა სძინავს. საქმეს ჯდომელა აკეთებს.*

**ჯებირი** *ჯებირის* სპეციალური ნაგებობა ან მინაყრილი მდინარის ან ზღვის ნაპირზე წყლის შესაკავებლად. *წყალი ჯებირს ეხეთქება.*

**ჯეილი** *ჯეილის* ძვ. ახალგაზრდა, არახნიერი. *ჯეილები ცალკე დასხდნენ.*

**ჯეირანი** *ჯეირნის* იგივეა, რაც ქურციკი. *ჯეირნის მწვადი. ჯეირნების ფარა.*

**ჯემი** *ჯემის* იგივეა, რაც ხილფაფა. *ვაშლის ჯემი.*

**ჯემპრი** *ჯემპრის* იგივეა, რაც სვიტრი. *თბილი ჯემპრი.*

**ჯენტლმენი** *ჯენტლმენის* 1. მაღალი წრის მამაკაცი, რომელიც მკაცრად იცავს საზოგადოებაში მიღებულ ქცევის წესებს. 2. თავაზიანი, დახვეწილი მანერების მამაკაცი. *ნამდვილი ჯენტლმენი იყო.* ■ **ჯენტლმენობა** ჯენტლმენად ყოფნა. *ჯენტლმენობით გამოირჩევა.*

**ჯენტლმენური** *ჯენტლმენურის* ჯენტლმენის შესაფერისი. *ჯენტლმენური ქცევა.*

**ჯერ** ზმნზ. 1. პირველ რიგში, სხვაზე ადრე. *ჯერ იმუშავეს, მერე დაისვენეს.* 2. აქამდე, ამ დრომდე. *ჯერ არ ამდგარა.*

**ჯერაც** ზმნზ. ჯერ კიდევ. *ჯერაც არ დაბრუნებულა შინ.*

**ჯერი** *ჯერის* 1. ვინმეს, რაიმეს დრო, რიგი. *ჩემი*

*ჯერი მოვიდა.* 2. საჭმელი, კერძი, ულუფა. *ძაღლის ჯერი. მწყემსების ჯერი.* 3. ტყვიამფრქვევის, ავტომატის უწყვეტი სროლა. *მანქანა ავტომატის ჯერით დაცხრილეს.*

**ჯეროვანი** *ჯეროვნის* ნიგნ. სათანადო, შესაფერისი. *ჯეროვანი ყურადღება. ჯეროვანი პასუხი გასცა.* ▲ **ჯეროვნად** ზმნზ. სათანადოდ, შესაფერისად. *ჯეროვნად დააფასეს.*

**ჯერხანად** ზმნზ. ნიგნ. ჯერჯერობით, ჯერ კიდევ. *ჯერხანად ამის ძალა შემწევს.*

**ჯერჯერობით** ზმნზ. ამ დრომდე, აქამდე, ჯერ. *დამნაშავის ვინაობა ჯერჯერობით არ არის ცნობილი.*

**ჯეჯილი** *ჯეჯილის* პურეულის თესლისგან ახლადაღმოცენებული ყანა. *ჯეჯილი ბიბინებს.*

**ჯეჯიმი** *ჯეჯიმის* მსხვილად, კვანძებით ნაქსოვი სახიანი ქსოვილი. *ჯეჯიმები დააგეს.*

**ჯვალო** *ჯვალოს* უხეში ქსოვილი. *ჯვალოს მოსასხამი. ჯვალოს ტომარა.*

**ჯვარდაუწერელი** *ჯვარდაუწერლის* ვისაც ჯვარი არ დაუწერია. *ჯვარდაუწერელი წყვილი.*

**ჯვარდაწერილი** *ჯვარდაწერილის* ვინც ჯვარი დაიწერა. *ჯვარდაწერილი მეუღლეები.*

**ჯვარედინა** *ჯვარედინას* || **ჯვარედინი.** *ჯვარედინა ფიგურა.*

**ჯვარედინი** *ჯვარედინის* ჯვრისებურად გადამკვეთი. *ჯვარედინი ხაზები. ჯვარედინი გზა.*

**ჯვარი** *ჯვრის* 1. ქრისტიანული რელიგიის სიმბოლო – საგანი ან გამოსახულება, რომელიც ერთმანეთზე პერპენდიკულარულად გადაჭდობილი ორი ღეროსგან შედგება. 2. ერთმანეთზე, გარდიგარდმო დაკრული ორი ჩხირი (ჯოხი, ფიცარი), ამ საგნის გამოსახულება რაიმეს ნიშნად. *ჯვარი დასვა.* 3. სალოცავი აღმოსავლეთ მთიანეთში. *ლაშარის ჯვარმა დაგლოცოთ!* 4. კარტის ოთხი სახეობიდან ერთ-ერთი. *ჯვრის ტუზი.* ■ **ჯვრიანი** ჯვრით შემკული, ჯვრის მქონე. *ჯვრიანი დროშა. ჯვრიანი ქუდი.* ⊙ **ჯვარი აქაურობას!** საუბრ. ჯვარმა დაიცვას აქაურობა, ამბობენ, როდესაც რაიმე უბედურების ამბავს შეიტყობენ ან ავი სულის ხსენებისას. ⊙ **ჯვარი ეწეროს** საუბრ. ღმერთმა აშოროს უბედურება, დაიცვას ყოველგვარი განსაცდელისგან. ⊙ **ჯვარს აცვამს გააწამებს,** დატანჯავს. ⊙ **ჯვარს დაიწერს** ეკლესიური წესით შეუღლდება.

**ჯვარცმა** *ჯვარცმის* 1. ჯვრის სახით შეკრულ ძელებზე ადამიანის გაკვრა დასჯის მიზნით. 2. ჯვარზე გაკრული იესო ქრისტეს გამოსახულება. *გულზე ჯვარცმა ჰკიდია.*

**ჯვარცმული** *ჯვარცმულის* 1. ვინც ჯვარს ეცვა. *ჯვარცმული ღმერთი.* 2. გადატ. ტანჯული, წამებული. *ჯვარცმული გმირები.*

**ჯვრისწერა** *ჯვრისწერის* საეკლესიო წესით ქორწინება. *ჯვრისწერა გვიან დაიწყო.*

**ჯიბგირი** *ჯიბგირის* მძარცველი, მოძალადე, ქურდი. *ნავაჭრი ჯიბგირებმა წაართვეს.*

**ჯიბე** *ჯიბის* 1. ტანსაცმელზე მიკერებული ან ჩაკერებული ნაწილი, რომელიც გამოიყენება წვრილმანი ნივთების ჩასაწყობად. *შარვლის ჯიბე.* 2. ჩანთის, ჩემოდნისა და მისთ. მცირე ზომის სათავსი. ⊙ **ჯიბეს გაისქელებს** გამდიდრდება. ⊙ **ჯიბის დანა** დასაკეცი დანა. ⊙ **ჯიბის ფული** ფული წვრილმანი ხარჯებისთვის.

**ჯიბეგამოფხეკილი** *ჯიბეგამოფხეკილის* საუბრ. უფულო, არაფრის მქონე. *ჯიბეგამოფხეკილი სტუდენტი.*

**ჯიბლიბო** *ჯიბლიბოს* ჩირქოვანი ანთება თვალის ქუთუთოს კიდეზე. *ჯიბლიბოზე მალამო დაიდო.*

